

იან კროკოლოერი

ბერბანის სამოქალაქო კოდექსი

სასწავლო კომენტარი



DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.



სამოქალაქო კოდექსის
კომენტარი

Bürgerliches Gesetzbuch

– Studienkommentar –

von

Dr. Florian Jacoby

Ordentlicher Professor an der Universität Bielefeld

und

Dr. Michael von Hinden

Notar in Hamburg

Lehrbeauftragter an der Bucerius Law School, Hamburg

Bis zur 11. Aufl. bearbeitet

von

Dr. Jan Kropholler

weiland Professor an der Universität Hamburg

13., neubearbeitete Auflage



Verlag C. H. Beck München 2011

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

– სასწავლო კომენტარი –

შეიმუშავა

დოქტორ იან კროფჰოლერმა †
ჰამბურგის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

მე-12 გამოცემიდან გადაამუშავა

დოქტორ ფლორიან იაკობმა
ბილფელდის უნივერსიტეტის სრული პროფესორი

და

დოქტორ მიხაელ ფონ ჰინდენმა
ნოტარიუსი ჰამბურგში
ჰამბურგის ბუცერიუსის სამართლის სკოლის მინვეული პროფესორი

მე-13 გადაამუშავებული გამოცემა

თბილისი, 2014



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.



მთარგმნელები:

თორნიკე დარჯანია (§241 – §675ბ)

ზურაბ ჭეჭელაშვილი (§1 – §240, §675გ – §1296)

რედაქტორები:

ეთერ ჩაჩანიძე

თორნიკე დარჯანია

ლევან თოთლაძე

სტილისტური რედაქტორი:

თამარ გაბელაია

© GIZ, IRZ, 2014

ISBN 978-9941-9348-3-4

ნიგნის ბეჭდვა უზრუნველყო

საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა GIZ-ის დავალებით

Das vorliegende Buch wird von der Deutschen Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH und Stiftung für Internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) herausgegeben.

Die Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH ist ein weltweit tätiges Bundesunternehmen. Sie unterstützt die Bundesregierung in der internationalen Zusammenarbeit für nachhaltige Entwicklung und in der internationalen Bildungsarbeit. Die GIZ trägt dazu bei, dass Menschen und Gesellschaften eigene Perspektiven entwickeln und ihre Lebensbedingungen verbessern.

Seit 1993 unterstützt die GIZ die Rechts- und Justizreformen in den Ländern des südlichen Kaukasus. Damit sollen ein länderübergreifender Rechtsstaatsdialog etabliert und verfassungskonforme Rechtswesen festigt werden. In enger Zusammenarbeit von lokalen und deutschen Lang- und Kurzzeitexperten werden unter anderem Gesetze beraten, Fortbildungen durchgeführt und Erfahrungen ausgetauscht. Weiter werden Fachpublikationen und Rechtspopularisierungsmaßnahmen unterstützt.

Elektronische Fassungen vieler Publikationen des GIZ-Vorhabens sind auf der Webseite www.giz.de/law-caucasus kostenfrei abrufbar.

წინამდებარე წიგნი გამოცემულია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) და IRZ-ის (Stiftung für Internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V.) მიერ.

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) გერმანიის ფედერალური მთავრობის დავალებით მუშაობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას, განახორციელოს სხვადასხვა პროექტი საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

1993 წლიდან GIZ-ი ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მისი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხებზე ტრანსნაციონალური დიალოგის წარმართვა და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი სისტემის განმტკიცება. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ადგილობრივი და გერმანელი ექსპერტების მჭიდრო ურთიერთ-თანამშრომლობით ხორციელდება საკანონმდებლო კონსულტაციები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და გამოცდილებების გაზიარება. გარდა ამისა, GIZ-ი ხელს უწყობს იურიდიული ლიტერატურის შექმნას და სამართლის პოპულარიზაციას.

GIZ-ის სამართლის პროგრამის პუბლიკაციების ელექტრონული ვერსიების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებგვერდიდან: www.giz.de/law-caucasus

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung und Garant, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit der IRZ mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwältern.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოება (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. სამართლებრივი სახელმწიფო და დემოკრატია არის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, სტაბილური სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება-გამყარების და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობა და იმავროულად გარანტი. სწორედ განვითარების ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება ასევე შესაბამისი პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოსა და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. ამასთან, თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის საართალში და სასჯელალსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განგრძობითი იურიდიული განათლება.

წინათქმა

თქვენს ხელთ არსებული გამოცემა – „კროფჰოლერის“ ქართული ვერსია, წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) სასწავლო კომენტარს. ალბათ გაგიჩნდებათ კითხვა, თუ რატომ შეჩერდა ჩვენი არჩევანი ამ პუბლიკაციაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსს (სსკ), როგორც კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითად კოდიფიკაციას, აქვს გამორჩეული მნიშვნელობა საქართველოში სამართლებრივი პრაქტიკის თვალსაზრისით. ამასთან, სსკ და BGB (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი) საკმაოდ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მათთვის, ვისთვისაც უცხო არ არის სსკ ან BGB, საკმაოდ იოლია სწრაფად გაერკვნენ სხვა კანონებშიც. ეს სარგებელი უფრო მრავლისმომცველიც კი შეიძლება იყოს: მაგალითად, ხშირად წააწყდებით BGB-სთან დაკავშირებულ ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაში სსკ-ით მუშაობისათვის საინტერესო და სასარგებლო იმპულსებს. ეს განსაკუთრებით ეხება BGB-ს კომენტარებს, ვინაიდან მოსამართლეები, ადვოკატები, მეცნიერები, სტუდენტები და სხვა სსკ-ის მომხმარებლები, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ გარკვეული ნორმებით, რომლებიც განსხვავებით სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიებისგან თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი კომენტარებში. მაშასადამე, თქვენ შეგეძლებათ „კროფჰოლერის“ ქართული ვერსიის საშუალებით უმოკლეს დროში დაადგინოთ, თუ რას გულისხმობს BGB-ს შესაბამისი ნორმები, რომლებსაც დამატებით თან ერთვის სასამართლო პრაქტიკის მაგალითები, ისევე როგორც შესაბამისი თემატიკის შემცველი ინფორმაცია გერმანიაში არსებული აქტუალური სამეცნიერო დისკუსიის შესახებ.

საქართველოში კლასიკური კომენტარის არსებობა ჯერ კიდევ შექმნის პროცესშია. „კროფჰოლერის“ ქართული ვერსიით ჩვენ გვსურს დახმარება გავუწიოთ სსკ-ის მომხმარებლებს მანამ, ვიდრე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის აქტუალური კომენტარი არ იქნება მათთვის ხელმისაწვდომი. ამასთანავე ვიმედოვნებთ, რომ „კროფჰოლერი“ დაარწმუნებს ქართველ იურისტებს იმაში, თუ რაოდენ სასარგებლოა თანამედროვე კომენტარები და შეძლებს მათთვის იტივრთოს ნიმუშის ფუნქცია, რათა ისინი მომავალში თავადაც მოეკიდნონ სსკ-ის ან სხვა კანონების კომენტარების წერას.

იმისათვის, რომ გაგვიადვილოთ ორიენტაცია კომენტარს დავურთეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი სსკ-ის ნორმა რომელი BGB-ს ნორმის შესატყვისია (ე.წ. სინოფსისი). უნდა აღინიშნოს,

რომ წარმოდგენილ კომენტარში ზოგიერთ ნორმას აქვს დეტალური და ვრცელი კომენტარი, ზოგიერთს კი თან ერთვის მხოლოდ მწირი კომენტირება ან საერთოდ არ გააჩნია ასეთი. აღნიშნული გამომდინარეობს „კროფჰოლერის“, როგორც სასწავლო კომენტარის ბუნე-ბიდან, რომელიც ორიენტირებულია ძირითად ნორმებზე, ხოლო იმ რეგულირებებს, რომლებიც პრაქტიკული თვალსაზრისით შედარე-ბით ნაკლებად მნიშვნელოვანი და გამოყენებადია ადრეულ ეტაპზე – უკომენტაროდ ტოვებს.

ქართული კანონმდებლობის გათვალისწინებით გადაწყვეტით შემოვფარგლულიყავით მხოლოდ ზოგადი ნაწილის – ვალდებულე-ბითი და სანივთო სამართალი (BGB-ს პირველი-მესამე წიგნები) კო-მენტარების თარგმნით და უარი გვეთქვა საოჯახო და მემკვიდრე-ობითი სამართლის (BGB-ს მეოთხე-მეხუთე წიგნები) კომენტარების თარგმნაზე, ვინაიდან აქ სსკ-სა და BGB-ს ნორმები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, რითაც ასევე შევძელით კომენტარის თარგ-მანთან, რედაქტირებასა და გამოცემასთან დაკავშირებული დროისა და ხარჯების გონივრულ ჩარჩოებში მოქცევა.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ გამომცემლობა C.H.Beck-ს, ისევე როგორც ავტორებს წიგნის თარგმანის გამოცემა-გავრცელე-ბის უფლების მონიჭებისთვის.

მკითხველის პერსპექტივიდან კი შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა გამონწვევებთან არის დაკავშირებული მსგავსი გამოცემის თარგ-მნა, რედაქტირება და გამოცემა. აქედან გამომდინარე, განსაკუთ-რებული მადლობა ეკუთვნის ქალბატონ ეთერ ჩაჩანიძეს, ისევე რო-გორც ბატონ ზურაბ ჭეჭელაშვილს, თორნიკე დარჯანიასა და ლევან თოთლაძეს მათი ძალზედ კომპეტენტური და დაუღალავი შრომის-ვის. ჩვენ ყველა ვიმედოვნებთ, რომ „კროფჰოლერის“ ქართული ვერ-სია დიდ სარგებელს მოუტანს ქართველ სამართალმცოდნეებს მათი საქმიანობის განხორციელების გზაზე.

თბილისი, 2013 წლის დეკემბერი

დოქტორ ფოლკერ შტამპე

GIZ-ის სამართლის პროგრამის ჯგუფის ხელმძღვანელი

ტერეზა თალჰამერი

სამხრეთ-კავკასიის სექტორის ხელმძღვანელი

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ)

Vorwort

Sie halten die georgische Ausgabe des „Kropholler“ in Händen, eines deutschen Studienkommentars zum deutschen Bürgerlichen Gesetzbuch (BGB). Vielleicht fragen Sie sich, warum wir uns zu dieser Publikation entschieden haben. Das georgische Zivilgesetzbuch (ZGB) besitzt als grundlegende Kodifikation privatrechtlicher Verhältnisse für die Rechtspraxis in Georgien herausragende Bedeutung. ZGB und BGB sind in weiten Teilen miteinander verwandt. Wer mit ZGB oder BGB vertraut ist, findet sich rasch auch in dem jeweils anderen Gesetz zurecht. Mehr noch: Wer das ZGB anwenden möchte, wird in Rechtsprechung und Fachliteratur zum BGB oftmals auf hilfreiche Anregungen stoßen. Insbesondere in BGB-Kommentaren: Denn Richter, Rechtsanwälte, Wissenschaftler, Studierende und andere Anwender des ZGB gehen in der Regel von bestimmten Vorschriften aus, und anders als Lehrbücher und Monographien erschließen Kommentare den Gesetzesinhalt gerade Vorschrift um Vorschrift. Als Anwender von ZGB-Vorschriften können Sie mit der georgischen Ausgabe des „Kropholler“ also rasch ermitteln, welchen Inhalt die entsprechenden BGB-Normen haben, ergänzt um Rechtsprechungspraxis und Stand der wissenschaftlichen Diskussion in Deutschland.

In Georgien befindet sich ein Kommentarwesen erst im Entstehen. Mit der georgischen Ausgabe des „Kropholler“ möchten wir ZGB-Anwendern ein nützliches Hilfsmittel an die Hand geben, gerade auch solange noch kein aktueller Kommentar zum ZGB vorliegt. Auch hoffen wir, dass der „Kropholler“ georgische Juristen von der Nützlichkeit moderner Kommentare überzeugen und ihnen als Muster dienen kann, selbst Kommentare zum ZGB, aber auch zu anderen Gesetzen in Angriff zu nehmen.

Zur einfacheren Orientierung haben wir dem Kommentar eine Synopse vorangestellt, aus der hervorgeht, welche ZGB- welcher BGB-Vorschrift entspricht. Zu manchen Vorschriften werden Sie ausführliche Kommentare finden, zu anderen nur knappe oder auch gar keine. Dies ist dem Charakter des „Kropholler“ als Studienkommentar geschuldet, der sich auf wesentliche Vorschriften konzentriert und Regelungen mit geringerer Praxisrelevanz unkommentiert lässt. Auch haben wir entschieden, die Übersetzung auf Allgemeinen Teil, Schuldrecht und Sachenrecht (1.-3. Bücher des BGB) zu beschränken und auf den Kommentar zum

Familien- und Erbrecht (4.-5. Bücher des BGB) zu verzichten. So konnten wir Zeit und Aufwand für Übersetzung, Redaktion und Produktion in angemessenem Rahmen halten.

Es ist uns ein besonderes Anliegen, dem Verlag C.H.Beck und den Autoren – Dr. Florian Jacoby und Dr. Michael von Hinden dafür zu danken, uns großzügig die Rechte für diese Lizenzausgabe überlassen zu haben. Als Leser werden Sie ahnen, welche Herausforderung Übersetzung, Redaktion und Produktion einer derartigen Lizenzausgabe darstellen. Frau Eter Chachanidze sowie den Herren Zurab Chechelashvili, Tornike Darjania und Levan Totladze möchten wir für ihre ebenso kompetente wie unermüdliche Arbeit sehr herzlich danken. Wir alle hoffen, dass Sie die georgische Ausgabe des „Kropholler“ mit großem Gewinn für Ihre Arbeit lesen werden.

Tbilisi/Georgien, Dezember 2013

Dr. Volker Stampe

Teamleiter

Rechts- und Justizreformberatung im Südkaukasus

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Teresa Thalhammer

Leiterin des Projektbereichs Südkaukasus

Stiftung für Internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ)

მთარგმნელისაგან

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი 1900 წელს შევიდა ძალაში და მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე იმოქმედა 102 წელი მანამ, სანამ გერმანელმა კანონმდებელმა 2002 წელს არ ჩაატარა სამოქალაქო კოდექსის დიდი რეფორმა, რითიც თანამედროვე სტანდარტებს მიუსადაგა მთლიანი ვალდებულებითი სამართალი და ამასთანავე ნაციონალურ კანონმდებლობაში დანერგა ევროკავშირის დირექტივები, რომლებიც უპირატესად მომხმარებელთა ინტერესების დაცვას ემსახურება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე გამართულ, სტრუქტურირებულ კანონად, რომელიც პასუხობს თანამედროვე სამართლებრივ გამოწვევებს. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველოში 1992 წელს შექმნილმა სამოქალაქო კოდექსზე მომუშავე კომისიამ ქართული კოდექსის წყაროდ აიღო გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. ქართულ სამოქალაქო კოდექსში მრავლად შეხვდებით რეცეფცირებულ გერმანულ ნორმებს. აქედან გამომდინარე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ნორმების განმარტებისას. მისი ქართული თარგმანი გამოიცა 2010 წელს GIZ-ის მხარდაჭერით, რამაც დიდი დახმარება გაუწია ქართველ კანონმემფარდებლებს ქართული ნორმების სრულად გააზრებასა და გამოყენებაში. მოგვიანებით წარმოიშვა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარის თარგმნის იდეაც. თარგმნის იდეა, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მიზანს, ხელი შეუწყოს ქართული ნორმების გერმანული სამართლის ჭრილში დანახვას და განმარტებას, თანამედროვე სამართლებრივი ინსტიტუტების შემოტანას ქართულ სამართალში და ასევე ქართული სამართლებრივი ენის გაძლიერებას იურიდიული ტერმინოლოგიით. გარდა ამისა, კომენტარის თარგმნის მიზანია, გააცნოს ქართველ მკითხველს კომენტარების თანამედროვე სტანდარტები და ამით ხელი შეუწყოს მათ დანერგვას საქართველოში.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შექმნიდან დღემდე უამრავი კომენტარი დაიწერა, რაც საფუძვლად დაედო კანონის კომენტარების ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბებას. გერმანიაში შეხვდებით მოკლე სასწავლო, მხოლოდ პრაქტიკაზე ორიენტირებულ (მაგ. ადვოკატების მიერ დაწერილ), ან ღრმა სამეცნიერო და ვრცელ კომენტარებს (მაგალითად, შტაუდინგერის (Staudinger) კომენტარში კეთილსინდისიერების პრინციპის ამსახველი ნორმის (§ 242) კომენტარს ეძღვნება ცალკე აღებული ერთი ტომი). კომენტარი თავისი აგებუ-

ლებით და შინაარსით განსხვავდება სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის, თუ სტატიისაგან. მის მიმართ ვრცელდება სხვა აკადემიური მოთხოვნები.

პირველ რიგში, კომენტარი უნდა იყოს სტრუქტურირებული, ლაკონური, გასაგებად ჩამოყალიბებული და ასევე პრაქტიკული. იგი უნდა ასახავდეს სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო წრეებში მიმდინარე სამართლებრივ დისკუსიებს და ამასთანავე აძლევდეს პრაქტიკოსს იურისტს პასუხს სამართლებრივ პრობლემებზე. კომენტარისთვის უცხოა, ე.წ. ტექსტის „გაბერვის“, ან „გალამაზების“, ტენდენცია. კომენტარში არცერთი წინადადება არ არის ზედმეტი, უფრო მეტიც, ერთი და იგივე საკითხის გამეორების თავიდან აცილების მიზნით, კეთდება მითითებები სხვადასხვა ნორმების კომენტარებზე. კომენტარის ტექსტი დალაგებულია აზრობრივად, აბზაცების მიხედვით და ველებს მინიჭებული აქვს ნომრები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომენტარში აქტუალური სასამართლო პრაქტიკის ციტირებას, ვინაიდან მხოლოდ ამის მეშვეობით იძენს კომენტარი პრაქტიკულ დანიშნულებას და სწორედ ეს განასხვავებს მას ზოგადი სახის მეცნიერული მონოგრაფიებისა თუ სახელმძღვანელოებისაგან. კომენტარი ასევე უზრუნველყოფს ერთიანი იურიდიული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას, რაც აისახება კიდევ თანდართულ საგნობრივ საძიებელში.

სხვადასხვა კომენტარების მასშტაბების გათვალისწინებით, გადაწყდა, რომ თარგმნილიყო კროპჰოლერის სასწავლო კომენტარი. იგი მოცულობითა და სტილით განსხვავდება ისეთი კომენტარებისგან, როგორებიცაა, მაგალითად, შტაუდინგერის (Staudinger Kommentar zum BGB), მიუნხენის (Münchener Kommentar zum BGB) ან პალანდტის კომენტარები (Kommentar zum Palandt zum BGB). ჩამოთვლილი კომენტარებისგან განსხვავებით, კროპჰოლერის სასწავლო კომენტარს ახასიათებს მარტივი ენა, ვინაიდან იგი განკუთვნილია სასწავლო მიზნებისთვის და კომპაქტურობა. სამწუხაროდ, ამავე მიზეზების გამო, მასში ყველა მუხლი არ არის კომენტირებული. მიუხედავად ამისა, წინამდებარე კომენტარი დიდი პოპულარობით სარგებლობს იურიდიულ წრეებში და მისი გაცნობა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს მსგავსი სახის პუბლიკაცია, მეტად სასარგებლო იქნება ქართული იურიდიული საზოგადოებისათვის.

კომენტარის თარგმნას დასჭირდა ერთი წელი და დაახლოებით წელიწადნახევარი – მის რედაქტირებას და გამოცემას. ამის მიზეზი იყო ის, რომ გერმანულ სამართალში ჩამოყალიბებულ და განვითარ-

რებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს და ტერმინებს ქართულ სამართალში, რიგ შემთხვევაში, შესატყვისები არ მოეძებნებათ. მაგალითად, ხელშეკრულება მესამე პირის ინტერესების დაცვით (**Vertrag mit Schutzwirkung für Dritte**), ჩამოყალიბდა გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში და მისი კომპონენტები, როგორცაა, მაგ. ზიანის გადასაცემლობა (**Schadensverlagerung**), მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია (**Drittschadensliquidation**) და ა.შ. უბრალოდ გაუგებარია, ქართულ სამართალში მათი არარსებობის გამო. ამდენად, ხშირ შემთხვევაში საჭირო გახდა უცხო ინსტიტუტების დამატებითი ახსნა და ახალი ქართული იურიდიული ტერმინების შემუშავება. მაგალითად, რამდენიმე მათგანია: **Anwartschaftsrecht** – სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება, **Valutaverhältnis** – სამართლებრივი ურთიერთობა შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში; **Integritätsinteresse** – თვითმყოფადობის ინტერესი; **Sicherungsabtretung** – უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობა; **Durchgriffsfälligkeit** – გამჭოლი ვადამოსულობა და ა.შ. ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს ქართულ სამართალში ახალი ინსტიტუტების დამკვიდრებას და სამეცნიერო დისკუსიების წამოწყებას.

კომენტარს თან ერთვის გერმანული და ქართული ნორმების მუხლობრივი შედარება, რომელიც, ერთი მხრივ, გაუმარტივებს მკითხველს კომენტირებული გერმანული მუხლის შესატყვისის პოვნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მეორე მხრივ, სამართალმეცნიერებით დაინტერესებულ პირებს ქართული ნორმების შესატყვისი რეგულირებების გერმანულ კანონში მოძიებას.

კომენტარს ასევე თან ერთვის ამონარიდი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონიდან, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში აწესებს მომხმარებელთან ურთიერთობის თანამედროვე სტანდარტებს და დაცვის მექანიზმებს.

უნდა აღინიშნოს, რომ უახლეს წარსულში გერმანიაში შეინიშნება ევროკავშირის დირექტივების ნაციონალურ კანონმდებლობაში დაწესების ტენდენცია. შესაბამისად, გერმანულ კოდექსში მომხმარებელთა დაცვის დირექტივების შემოტანა იწვევს ნორმების გაგების გართულებას. ქართული კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოება ქართველ კანონმდებელს დააყენებს მსგავსი გამოწვევების წინაშე. შესაბამისად, გერმანელი კანონმდებლის მიდგომა ამ შემთხვევაში საყურადღებოა.

თარგმანი ვერ შესრულდებოდა და წინამდებარე ნაშრომი ვერ იხილავდა დღის შუქს, რომ არა მთელი რიგი ადამიანების მიერ გაწეული

მთარგმნელისაგან

შრომა. პირველ რიგში, უღრმესი მადლობა ქალბატონ ეთერ ჩაჩანიძეს პროექტის კოორდინირებისა და განუელი სარედაქციო საქმიანობისათვის. ტექსტის ენობრივი და სტილისტური რედაქტირებისათვის უღრმესი მადლობა ეკუთვნის ქალბატონ თამარ გაბელიას. კომენტარის რთული კონსტრუქციების გაგება და გადმოქართულება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა GIZ-ის რეფერენდარების თანადგომა, დიდი მადლობა ქალბატონებს: Janina Kühnel-ს, Evgenia Grigorieva-ს, Julia Sackmann-ს და ბატონებს Michael Flesch-ს, Raffael Greiffenberg-ს, Lucas Hammes-ს. და ბოლოს, მადლობა ეკუთვნის ასევე თათია ქინქლაძეს კომენტარის საგნობრივი საძიებლის შექმნაში განუელი დახმარებისთვის.

თბილისი, 17 მარტი, 2014

თორნიკე დარჯანია, LL.M.

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი
სამართლის ექსპერტი, GIZ-ის სამართლის პროგრამა

ზურაბ ჭეჭელაშვილი, Dr. iuris

ადვოკატი

სარჩევი

წინათქმა	VII
Vorwort	IX
მთარგმნელისაგან	XI
აბრევიატურების სარჩევი	XIX
შემოკლებული ფორმით ციტირებული ლიტერატურის სარჩევი	XXI
წიგნი 1. ზოგადი ნაწილი	1
ნაწილი 1. პირები	1
კარი 1. ფიზიკური პირები, მომხმარებლები, მენარმეები	1
კარი 2. იურიდიული პირები	4
ქვეკარი 1. კავშირები	4
თავი 1. ზოგადი დებულებები	4
თავი 2. რეგისტრირებული კავშირები	16
ქვეკარი 2. ფონდები	20
ქვეკარი 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირები	24
ნაწილი 2. ნივთები და ცხოველები	24
ნაწილი 3. გარიგებები	29
კარი 1. ქმედუნარიანობა	30
კარი 2. ნების გამოვლენა	37
კარი 3. ხელშეკრულება	70
კარი 4. პირობა. ვადის განსაზღვრა	77
კარი 5. წარმომადგენლობა. მინდობილობა	79
კარი 6. თანხმობა და მოწონება	92
ნაწილი 4. ვადები, თარიღები	93
ნაწილი 5. ხანდაზმულობა	94
კარი 1. ხანდაზმულობის საგანი და ხანგრძლივობა	94
კარი 2. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და ხელახალი დენა	98
კარი 3. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები	102
ნაწილი 6. უფლების განხორციელება, თავდაცვა, თვითდახმარება	104
ნაწილი 7. უზრუნველყოფის წარდგენა	105
წიგნი 2. ვალდებულებითი სამართალი	107
ნაწილი 1. ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსი	107
კარი 1. ქმედების განხორციელების ვალდებულება	107
კარი 2. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება	180
ნაწილი 2. სახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების განსაზღვრა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით	184
ნაწილი 3. ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობები	196
კარი 1. წარმოშობა, შინაარსი და დასრულება	196
ქვეკარი 1. წარმოშობა	196
ქვეკარი 2. გასაღების განსაკუთრებული ფორმები	204

ქვეკარი 3. ხელშეკრულებების მისადაგება და დასრულება	216
ქვეკარი 4. ვალდებულების შესრულების ცალმხრივად განსაზღვრის უფლებები	220
კარი 2. ორმხრივი ხელშეკრულება	221
კარი 3. ვალდებულების შეპირება მესამე პირის სასარგებლოდ	232
კარი 4. ბე, პირგასამტეხლო	239
კარი 5. ხელშეკრულებიდან გასვლა; ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან ნივთის უკან დაბრუნების უფლებები სამომხმარებლო ხელშეკრულებებში	241
ქვეკარი 1. ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარის თქმა)	241
ქვეკარი 2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის და შესრულების უკან დაბრუნების უფლებები სამომხმარებლო ხელშეკრულებებში	249
ნაწილი 4. ვალდებულებითი ურთიერთობების შეწყვეტა	261
კარი 1. შესრულება	262
კარი 2. დეჰონირება	267
კარი 3. გაქვითვა	272
კარი 4. ვალის პატიება	277
ნაწილი 5. მოთხოვნის დათმობა	277
ნაწილი 6. ვალის გადაკისრება	294
ნაწილი 7. კრედიტორთა და მოვალეთა სიმრავლე	300
ნაწილი 8. ცალკეული ვალდებულებები	311
კარი 1. ნასყიდობა, გაცვლა	311
ქვეკარი 1. ზოგადი დებულებები	311
ქვეკარი 2. ნასყიდობის სპეციალური სახეები	349
თავი 1. ნასყიდობა ნივთის მონონების პირობით	349
თავი 2. გამოსყიდვა	350
თავი 3. უპირატესი შესყიდვის უფლება	351
ქვეკარი 3. მენარმესა და მომხმარებელს შორის მოძრავ ნივთთან დაკავშირებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა)	353
ქვეკარი 4. გაცვლა	361
კარი 2. ტაიმერის ხელშეკრულებები	361
კარი 3. სესხის ხელშეკრულება; ფინანსური დახმარებისა და განვადებით საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები მენარმესა და მომხმარებელს შორის	365
ქვეკარი 1. სესხის ხელშეკრულება	365
თავი 1. ზოგადი ნორმები	365
თავი 2. სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების განსაკუთრებული რეგულირებები	369
ქვეკარი 1. სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება	369
ქვეკარი 2. ფინანსური დახმარება მენარმესა და მომხმარებელს შორის	384
ქვეკარი 3. საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულება მენარმესა და მომხმარებელს შორის	388
ქვეკარი 4. ხელშეკრულების პირობების შეცვლის დაუშვებლობა, ნორმების მოქმედების სფერო დაწყები მენარმის მიმართ	389
კარი 4. ჩუქება	389
კარი 5. ქირავნობის ხელშეკრულება, საიჯარო ხელშეკრულება	396
ქვეკარი 1. ქირავნობის ურთიერთობებთან დაკავშირებული ზოგადი ნორმები	396
ქვეკარი 2. საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა	416
თავი 1. ზოგადი დებულებები	416

თავი 2. ქირა	418
ქვეთავი 1. შეთანხმებები ქირის შესახებ	418
ქვეთავი 2. ქირის თანხის გაზრდის რეგულირება	420
თავი 3. გამქირავებლის გირავნობის უფლება	425
თავი 4. ხელშეკრულების მხარეთა შეცვლა	429
თავი 5. გირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულება	434
ქვეთავი 1. ზოგადი დებულებები	434
ქვეთავი 2. გირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა განუსაზღვრელი ვადით	436
ქვეთავი 3. გირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა განსაზღვრული ვადით	440
ქვეთავი 4. დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართები	441
თავი 6. გაქირავებულ საცხოვრებელ ბინებზე საკუთრების უფლების დადგენის თავისებურებანი	442
ქვეკარი 3. გირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა სხვა ნივთებზე	442
ქვეკარი 4. იჯარის ხელშეკრულება	444
ქვეკარი 5. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება	446
კარი 6. თხოვება	455
კარი 7. ნივთის სესხის ხელშეკრულება	456
კარი 8. მომსახურების ხელშეკრულება	457
კარი 9. ნარდობა და მსგავსი ხელშეკრულებები	469
ქვეკარი 1. ნარდობის ხელშეკრულება	469
ქვეკარი 2. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება	489
კარი 10. სამაკლერო ხელშეკრულება	499
ქვეკარი 1. ზოგადი ნორმები	499
ქვეკარი 2. სესხის მიღებაზე მენარმესა და მომხმარებელს შორის შუამავლობის ხელშეკრულება	502
ქვეკარი 3. დაქორწინების მიზნით შუამავლობის ხელშეკრულება	503
კარი 11. ჯილდოს საჯაროდ დაპირება	505
კარი 12. დავალება და სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება	506
ქვეკარი 1. დავალება	506
ქვეკარი 2. სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება	511
თავი 1. ზოგადი მიმოხილვა	511
ქვეკარი 3. ანგარიშსწორება	514
თავი 1. ზოგადი დებულებები	514
თავი 2. ანგარიშსწორების ხელშეკრულება	517
თავი 3. ანგარიშსწორების მომსახურების განწევა და მომსახურებით სარგებლობა	521
ქვეთავი 1. საანგარიშსწორებო ოპერაციების ავტორიზაცია; ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტები	521
ქვეთავი 2. საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელება	523
ქვეთავი 3. პასუხისმგებლობა	527
კარი 13. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება	532
კარი 14. მიბარება (შენახვა)	544
კარი 15. ნივთების შეტანა სასტუმროში	546
კარი 16. ამხანაგობა	548
კარი 17. საზიარო უფლება	561
კარი 18. სამისდღეშიო რჩენა	564
კარი 19. არასრულყოფილი ვალდებულებები	564
კარი 20. თავდებობა	565
კარი 21. მორიგება	576

კარი 22. ვალის შეპირება, ვალის აღიარება	577
კარი 23. ორდერი	581
კარი 24. სანარმდგენლო ფასიანი ქალაღი	583
კარი 25. ნივთების ნარდგენა	588
კარი 26. უსაფუძვლო გამდიდრება	589
კარი 27. დელიქტები	623
ნიგნი 3. სანივთო სამართალი	661
ნანილი 1. მფლობელობა	661
ნანილი 2. მიწის ნაკვეთებზე არსებული უფლებების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები	668
ნანილი 3. საკუთრების უფლება	688
კარი 1. საკუთრების უფლების შინაარსი	688
კარი 2. საკუთრების უფლების შექენა და დაკარგვა მიწის ნაკვეთებზე	696
კარი 3. საკუთრების უფლების შექენა და დაკარგვა მოძრავ ნივთებზე	699
ქვეკარი 1. საკუთრების უფლების გადაცემა	699
ქვეკარი 2. შექენითი ხანდაზმულობა	718
ქვეკარი 3. შეერთება, შერევა, გადამუშავება	719
ქვეკარი 4. ნაყოფისა და ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილების შექენა	724
ქვეკარი 5. მისაკუთრება	726
ქვეკარი 6. ნაპოვარი	727
კარი 4. საკუთრების უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები	731
კარი 5. საერთო საკუთრება	752
ნანილი 4. სერვიტუტები	753
კარი 1. მიწის სერვიტუტები	753
კარი 2. უზუფრუქტი	755
ქვეკარი 1. უზუფრუქტი ნივთებზე	755
ქვეკარი 2. უზუფრუქტი უფლებებზე	762
ქვეკარი 3. უზუფრუქტი ქონებაზე	764
კარი 3. შეზღუდული პირადი სერვიტუტი	765
ნანილი 5. უპირატესი შესყიდვის უფლება	766
ნანილი 6. სანივთო ტვირთი	768
ნანილი 7. იპოთეკა, მიწის ვალი, სარენტო ვალი	769
კარი 1. იპოთეკა	770
კარი 2. მიწის ვალი, სარენტო ვალი	795
ქვეკარი 1. მიწის ვალი	795
ქვეკარი 2. სარენტო ვალი	800
ნანილი 8. გირავნობის უფლება მოძრავ ნივთებსა და უფლებებზე	801
კარი 1. გირავნობის უფლება მოძრავ ნივთებზე	801
კარი 2. გირავნობის უფლება უფლებებზე	814
საგნობრივი საძიებელი	819
საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსები.	
მუხლობრივი შედარება	851
დანართი: ამონარიდი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი	
კანონიდან	885

აბრევიატურების სარჩევი

ქართული აბრევიატურები

იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
შდრ.	შეადარე

გერმანული აბრევიატურები

aA	anderer Ansicht (სხვა მოსაზრების მიხედვით)
aaO	am angegebenen Ort (ტექსტში მითითებულ ადგილას)
ABl	Amtsblatt der Europäischen Gemeinschaften (ევროგაერთიანების ოფიციალური საუნწყებო მაცნე)
AcP	Archiv für die civilistische Praxis (სამოქალაქო პრაქტიკის არქივი – პერიოდული გამოცემა)
aE	am Ende (ტექსტის, აბზაცის, ველის ბოლოს)
aF	alter Fassung (ძველი რედაქცია)
Anm	Anmerkung (შენიშვნა)
Arg, arg	Argument, argumentum (არგუმენტი)
BAG	Bundesarbeitsgericht (შრომის სამართლის საქმეების ფედერალური სასამართლო)
BAGE	Entscheidungen des Bundesarbeitsgerichts (შრომის სამართლის საქმეების ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები)
BB	Betriebs-Berater (სანარმოს მრჩეველი)
BGB	Bürgerliches Gesetzbuch (სამოქალაქო კოდექსი)
BGBI	Bundesgesetzblatt (ფედერალური საკანონმდებლო მაცნე)
BGH	Bundesgerichtshof (გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო)
BGHZ	Entscheidungen des Bundesgerichtshofes in Zivilsachen (გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტილებები)
BT-Drucks	Drucksachen des Deutschen Bundestages (გერმანიის ბუნდესტაგის მასალები)
BVerfG	Bundesverfassungsgericht (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო)
BVerfGE	Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები)
c. i. c.	culpa in contrahendo (Verschulden beim Vertragsschluss) – ბრალეულობა ხელშეკრულების დადებისას
EuGH	Gerichtshof der Europäischen Gemeinschaften (ევროგაერთიანების სასამართლო)
f, ff	folgende (მომდევნო)
FS	Festschrift (საიუბილეო გამოცემა)
GG	Grundgesetz (გერმანიის ძირითადი კანონი)
GmbH	Gesellschaft mit beschränkter Haftung (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება)
JA	„Juristische Arbeitsblätter“ (სამართლებრივი ჟურნალი „იურიდიული სამუშაო ფურცელი“)
JR	„Juristische Rundschau“ (სამართლებრივი ჟურნალი „სამართლის მიმოხილვა“)

აბრევიატურების სარჩევი

JuS	„Juristische Schulung“ (სამართლებრივი ჟურნალი „იურიდიული სწავლება“)
JZ	„Juristen-Zeitung“ (პერიოდული გამოცემა „იურისტების გაზეთი“)
LG	Landgericht სამხარეო სასამართლო
MMR	„MultiMedia und Recht“ (პერიოდული გამოცემა „მულტიმედია და სამართალი“)
MüKo	Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიუნხენის კომენტარი)
mwN	mit weiteren Nachweisen (დამატებითი წყაროებით)
nF	neue Fassung (ახალი რედაქცია)
NJW	„Neue Juristische Wochenschrift“ (სამართლებრივი ჟურნალი „ახალი იურიდიული საკვირაო გამოცემა“)
NJW-RR	NJW-Rechtsprechungs-Report
Nr	Nummer(n) (ნომერი)
NZG	Neue Zeitschrift für Gesellschaftsrecht (სამართლებრივი ჟურნალი „სამენარმო სამართლის ახალი გამოცემა“)
OLG	Oberlandesgericht (უმაღლესი სამხარეო სასამართლო)
RA	Bericht des Rechtsausschusses (იურიდიული კომიტეტის მოხსენება)
RegBegr	Begründung zum Regierungsentwurf (მთავრობის კანონპროექტის დასაბუთება)
RegE	Regierungsentwurf (მთავრობის კანონპროექტი)
RG	Reichsgericht (რაიხის სასამართლო)
RGBI	Reichsgesetzblatt (რაიხის საკანონმდებლო მაცნე)
RGZ	Entscheidungen des Reichsgerichts in Zivilsachen (რაიხის სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით)
RL	Richtlinie der Europäischen Gemeinschaft (ევროგაერთიანების დირექტივა)
Rz	Randzahl (ველი)
S, s	Satz, Seite, siehe (კონტექსტის მიხედვით – „წინადადება“, „გვერდი“ ან „იხილეთ“)
SaR	Sachenrecht (სანივთო სამართალი)
SchR	Schuldrecht (ვალდებულებითი სამართალი)
SchRG	Gesetz zur Modernisierung des Schuldrechts vom 26. 11. 2001 (BGBl 2001 I 3138) – 2011 წლის 26 ნოემბრის კანონი ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზების შესახებ
SEPA	Single Euro Payment Area (ევროთი ანგარიშსწორების ერთიანი სივრცე)
VersR	Versicherungsrecht (სადაზღვეო სამართალი)
VVG	Gesetz über den Versicherungsvertrag (დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ კანონი)
ZGS	Zeitschrift für das gesamte Schuldrecht (პერიოდული გამოცემა ვალდებულებითი სამართლის შესახებ)
ZIP	Zeitschrift für Wirtschaftsrecht (პერიოდული გამოცემა ეკონომიკური სამართლის შესახებ)
ZJS	Zeitschrift für das Juristische Studium (პერიოდული გამოცემა იურიდიული განათლებისთვის)
ZRP	Zeitschrift für Rechtspolitik (პერიოდული გამოცემა სამართლის პოლიტიკის შესახებ)

შემოკლებული ფორმით ციტირებული ლიტერატურის სარჩევი

<i>Bamberger/Roth</i> -ავტორი	Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch ² (2007 f) გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (მე-2 გამოცემა, 2007 წ.)
<i>Baur/Stürner</i>	Lehrbuch des Sachenrechts ¹⁸ (2009) სანიეთო სამართლის სახელმძღვანელო (მე-18 გამოცემა, 2009 წ.)
<i>Bork</i>	Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuches ³ (2011) სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (მე-3 გამოცემა, 2011)
<i>Brox/Walker</i>	Erbrecht ²⁴ (2010) სამემკვიდრეო სამართალი (24-ე გამოცემა, 2010 წ.)
<i>Bülow/Artz</i>	Kommentar zum Verbraucher kreditrecht ⁷ (2010) კომენტარი სამომხმარებლო კრედიტის სამართლის შესახებ (მე-7 გამოცემა, 2010 წ.)
<i>Dethloff</i>	Familienrecht ²⁹ (2009) საოჯახო სამართალი (29-ე გამოცემა, 2009 წ.)
<i>Erman</i> -ავტორი	Handkommentar zum BGB ¹² (2008) სამოქალაქო კოდექსის პრაქტიკული კომენტარი (მე-12 გამოცემა, 2008 წ.)
<i>Gernhuber/Coester-Waltjen</i>	Lehrbuch des Familienrechts ⁶ (2010) საოჯახო სამართლის სახელმძღვანელო (მე-6 გამოცემა, 2010 წ.)
<i>Hk-BGB</i> -ავტორი	Handkommentar BGB ⁶ (2009) სამოქალაქო კოდექსის პრაქტიკული კომენტარი (მე-6 გამოცემა, 2009)
<i>Jauernig</i> -ავტორი	Bürgerliches Gesetzbuch ¹³ (2009) სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (მე-13 გამოცემა, 2009)
<i>Köhler</i>	BGB Allgemeiner Teil ³⁴ (2010) სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (34-ე გამოცემა, 2010 წ.)
<i>Kötz/Wagner</i>	Deliktsrecht ¹¹ (2010) დელიქტის სამართალი (მე-11-ე გამოცემა, 2010 წ.)
<i>Lange/Kuchinke</i>	Lehrbuch des Erbrechts ⁵ (2001) სამემკვიდრეო სამართლის სახელმძღვანელო (მე-5 გამოცემა, 2001)
<i>Larenz SchR</i>	Lehrbuch des Schuldrechts I ¹⁴ (1987), II/1 ¹³ (1986) ვალდებულებითი სამართლის სახელმძღვანელო (მე-14 გამოცემა, 1987 წ.), II/1 ¹³ (მე-13 გამოცემა, 1986 წ.)
<i>Larenz/Canaris SchR</i>	Lehrbuch des Schuldrechts II/2 ¹³ (1994) ვალდებულებითი სამართლის სახელმძღვანელო (მე-13 გამოცემა, 1994 წ.)
<i>Larenz/Wolf</i>	Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts ⁹ (2004) სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (მე-9 გამოცემა, 2004 წ.)
<i>Leipold</i>	Erbrecht ¹⁸ (2010) სამემკვიდრეო სამართალი (მე-18 გამოცემა, 2010 წ.)
<i>Looschelders AT</i>	Schuldrecht Allgemeiner Teil ⁸ (2010) ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი (მე-8 გამოცემა, 2010 წ.)
<i>Medicus/Petersen</i>	Bürgerliches Recht ²² (2009) სამოქალაქო სამართალი (22-ე გამოცემა, 2009 წ.)
<i>Medicus AT</i>	Allgemeiner Teil des BGB ¹⁰ (2010) სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი (მე-10 გამოცემა, 2010 წ.)
<i>Medicus/Lorenz SchR I</i>	Schuldrecht I ¹⁹ (2010) ვალდებულებითი სამართალი I ნიგნი (მე-19 გამოცემა, 2010 წ.)
<i>Medicus/Lorenz SchR II</i>	Schuldrecht II ¹⁵ (2010) ვალდებულებითი სამართალი II ნიგნი (მე-15 გამოცემა, 2010 წ.)
<i>MüKo</i> -ავტორი	Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch ⁵ (2006 ff) სამოქალაქო კოდექსის მიუნხენის კომენტარი (2006 წლის და შემდეგი გამოცემები)

შემოკლებული ფორმით ციტირებული ლიტერატურის სარჩევი

Palandt-ავტორი Bürgerliches Gesetzbuch⁷⁰ (2011) სამოქალაქო კოდექსი (2011 წ.)

Petersen Examens-Repetitorium Allgemeines Schuldrecht⁵ (2011) გამოცდებისთვის მოსამზადებელი სახელმძღვანელო ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში (მე-5 გამოცემა, 2011 წ.)

Prütting Sachenrecht³⁴ (2010) სანივთო სამართალი (34-ე გამოცემა, 2010 წ.)

PWW-ავტორი Prütting/Wegen/Weinreich, BGB⁶ (2011)

Rauscher Familienrecht² (2008) საოჯახო სამართალი (მე-2 გამოცემა, 2008 წ.)

Schlüter Erbrecht¹⁶ (2007) სამემკვიდრეო სამართალი (მე-16 გამოცემა, 2007 წ.)

Schwab Familienrecht¹⁸ (2010) საოჯახო სამართალი (მე-18 გამოცემა, 2010 წ.)

Soergel-ავტორი Bürgerliches Gesetzbuch¹³ (1999 ff) სამოქალაქო კოდექსი (მე-13 გამოცემა, 1999 წლის და შემდგომი გამოცემები)

Staudinger-ავტორი J. v. Staudingers Kommentar zum BGB, jeweils neueste Bearbeitung სამოქალაქო კოდექსის შტაუდინგერის კომენტარი (ტექსტში ციტირებულია უახლესი გამოცემა)

Westermann/ავტორი Sachenrecht⁷ (1998) სანივთო სამართალი (მე-7 გამოცემა, 1998 წ.)

წიგნი 1. ზოგადი ნაწილი

ნაწილი 1. პირები

კარი 1. ფიზიკური პირები, მომხმარებლები, მენარმეები

§ 1. უფლებაუნარიანობის წარმოშობა

ადამიანის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადებისთანავე.

§ 2. სრულწლოვანების დადგომა

სრულწლოვანება დგება 18 წლის ასაკის მიღწევისას.

§§ 3–6. (გაუქმებულია)

§ 7. საცხოვრებელი ადგილი; დაფუძნება და გაუქმება

(1) პირი, რომელიც განსაზღვრულ ადგილზე მუდმივად ცხოვრობს, აფუძნებს ამ ადგილზე თავის საცხოვრებელ ადგილს.

(2) დასაშვებია ერთდროულად რამდენიმე ადგილზე საცხოვრებელი ადგილის არსებობა.

(3) საცხოვრებელი ადგილი უქმდება, როდესაც პირი ტოვებს საცხოვრებელ ადგილს და მასზე უარს განაცხადებს.

§ 8. ქმედუწუნარო პირის საცხოვრებელი ადგილი

(1) ქმედუწუნარო ან შეზღუდულქმედუწუნარიან პირს, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, არ შეუძლია არც საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება და არც მისი გაუქმება.

(2) დაქორწინებულ არასრულწლოვანს ან არასრულწლოვანს, რომელიც ადრე დაქორწინებული იყო, შეუძლია დამოუკიდებლად საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება ან გაუქმება.

§ 9. ჯარისკაცის საცხოვრებელი ადგილი

(1) ¹ჯარისკაცს საცხოვრებელი ადგილი აქვს სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილზე. ²იმ ჯარისკაცის საცხოვრებელ ადგილად, რომელსაც არა აქვს დისლოკაციის ადგილი ქვეყანაში, მიიჩნევა ქვეყანაში განლაგებული სამხედრო ნაწილის დისლოკაციის უკანასკნელი ადგილი.

(2) ეს დებულებები არ გამოიყენება იმ ჯარისკაცების მიმართ, რომლებიც მსახურობენ მხოლოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ან რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება.

§ 10. (გაუქმებულია)

§ 11. ბავშვის საცხოვრებელი ადგილი

¹არასრულწლოვანი ბავშვი იზიარებს თავისი მშობლის საცხოვრებელ ადგილს; იგი არ იზიარებს იმ ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელ ადგილს, რომელსაც არა აქვს ბავშვის მოვლის უფლება. ²თუ არც ერთ მშობელს არა აქვს ბავშვის მოვლის უფლება, ბავშვი იზიარებს იმ პირის საცხოვრებელ ადგილს, რომელსაც აქვს ეს უფლება. ³ბავშვი ინარჩუნებს საცხოვრებელ ადგილს მანამდე, სანამ იგი მას კანონიერად არ გააუქმებს.

§ 12. სახელის უფლება

თუ პირს სახელის ტარების უფლებას შეეცილება სხვა პირი, ან თუ უფლებამოსილი პირის ინტერესებიც ილახება სხვა პირის მიერ იმავე სახელით უნებართვო სარგებლობით, უფლებამოსილი პირს შეუძლია, მას მოსთხოვოს ამ დარღვევის შეწყვეტა; თუ გაგრძელდება შემდგომი დარღვევები, მაშინ მას შეუძლია, სასამართლო წესით მოითხოვოს ასეთი ქმედებისაგან თავის შეკავება.

§ 13. მომხმარებელი

მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დებს ისეთ გარეგებას, რომელიც არ განეკუთვნება მის სამენარმეო ან პროფესიულ საქმიანობას.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** მომხმარებლის კანონისმიერი დეფინიცია, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება, განისაზღვროს სამოქალაქო კოდექსში მომხმარებლის დაცვის სხვადასხვა ნორმის ინდივიდუალური გამოყენების სფერო (შდრ.: §§ 241ა, 310-ის მე-3 ნაწილი, 312 და შემდეგი პარაგრაფები, 355 და შემდეგი პარაგრაფები, 474 და შემდეგი პარაგრაფები, 481 და შემდეგი პარაგრაფები, 491 და შემდეგი პარაგრაფები, 506 და შემდეგი პარაგრაფები, 510, 511, 661ა).
- 2 **2. მომხმარებლის ცნება.** ა) მომხმარებლები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები; გარდა ამისა, მომხმარებელი შეიძლება იყოს ასევე სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა, რომელიც შედგება ფიზიკური პირებისაგან (BGHZ, 149, 80). მომხმარებლები არ შეიძლება იყვნენ იურიდიული პირები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი არ შექმნილან ეკონომიკური მიზნების მისაღწევად (მაგ., არაკომერციული კავშირები).
- 3 **ბ)** მომხმარებლის ცნება დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებაზე. აუცილებელია მოქმედება პირადი მიზნით. პირის პირადი მიზნით მოქმედება არ მოიცავს ისეთ საქმიანობას, რომელიც ემსახურება მის სამენარმეო ან სხვა დამოუკიდებელ (!) პროფესიულ მიზანს (სამენარმეო საქმიანობას; ამასთან დაკავშირებით იხ. § 14). მნიშვნელობა არა აქვს ზოგად პროფესიულ სტატუსს. მაგ.: მენარმე, რომელიც ავტომანქანებით ვაჭრობს, არის მომხმარებელი, თუ იგი მსუბუქ ავტომობილს იძენს პირადი სარგებლობისთვის. ვინაიდან საქმე ეხება არა ნარმოების გამოცდილების არსებობას, არამედ გარიგების მიზანს, სახეზეა სამენარმეო ან სხვა დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის (საკუთარი საქმის წამოწყება) დაწყებასთან დაკავშირებული სამენარმეო და არა სამომხმარებლო საქმიანობა (BGHZ, 162, 253; იხ., აგრეთვე, § 512-ის სპეციალური დანაწესი კრედიტისა და მსგავსი ხელშეკრულებების მიმართ). ემსახურება თუ არა ხელშეკრულების დადება კერძო ან სამენარმეო მიზნებს, განისაზღვრება არა მოქმედების განმახორციელებელი პირის შინაგანი ნებით, არამედ ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით. საეჭვოობისას, უნდა გადაწყდეს მომხმარებლის სტატუსის სასარგებლოდ. პირის სამენარმეო საქმიანობას უნდა მიეკუთვნოს ის ქმედება, როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარე ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით თვლიდა, რომ ფიზიკური პირი მოქმედებს სამენარმეო ან პროფესიული მიზნით (BGH NJW 2009, 3780); მყიდველი, რომელიც უმაღლავს გამყიდველს ნასყიდობის საგნის სანარმოო დანიშნულებას, მოკლებულია შესაძლებლობას, კეთილსინდისიერების პრინციპის თანახმად (*venire contra factum proprium*; იხ. § 242, ველი 4) მიუთითოს ასევე თავისი მომხმარებლის სტატუსზე და სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ § 474-ისა და შემდეგი პარაგრაფების ნორმებზე (BGH NJW, 2005, 1045). რამდენადაც გარიგება ემსახურება როგორც კერძო, ისე სამენარმეო მიზნებს (მსუბუქი ავტომობილი გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც კერძო, ისე პროფესიული საქმიანობისათვის), სამომხმარებლო გარიგება ივარაუდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამენარმეო-პრო-

ფესიული მიზანი ასრულებს მეორეხარისხოვან როლს (შდრ. EuGH NJW, 2005, 653 “Gruber“).

გ) ნორმის სიტყვასიტყვითი ტექსტის საპირისპიროდ, მომხმარებლის ცნების აუცილებელი წინაპირობა არ არის გარიგების დადება. შდრ. მხოლოდ §§ 241ა, 661ა. 4

§ 14. მენარმე

(1) მენარმე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა უფლებაუნარიანი ამხანაგობა, რომელიც გარიგების დადებისას მოქმედებს სამენარმეო ან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

(2) უფლებაუნარიანია ამხანაგობა, რომელსაც მინიჭებული აქვს უნარი, შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები.

1. **ზოგადი მიმოხილვა.** მენარმის კანონისმიერი დეფინიცია § 13-ში მოცემული მომხმარებლის განმარტების ანტიპოლია. ამ ნორმის გაგებით, მენარმის თვისება არის მომხმარებელთა დაცვის სამართლიდან გამომდინარე სხვადასხვა ნორმის ინდივიდუალური გამოყენების წინაპირობა (შდრ.: §§ 241ა, 310-ის პირველი ნაწილი, მე-3 ნაწილი, 312 და შემდეგი პარაგრაფები, 355-ის პირველი ნაწილი, 355 და შემდეგი პარაგრაფები, 474 და შემდეგი პარაგრაფები, 481 და შემდეგი პარაგრაფები, 491 და შემდეგი პარაგრაფები, 510, 511, 661ა). მენარმე კი, ნარდობის მომწესრიგებელი ნორმების გაგებით (შდრ.: § 631 და შემდეგი პარაგრაფები), პირიქით, არის მენარდე, იმის მიუხედავად, აკმაყოფილებს თუ არა იგი წინამდებარე ნორმის წინაპირობებს.

2. **მენარმის ცნება.** ა) მენარმეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები და უფლებაუნარიანი ამხანაგობები. ამ უკანასკნელთ, მე-2 ნაწილში მითითებული (ტავტოლოგიური) განმარტების თანახმად, მიეკუთვნება, სპს-სა და კს-თან ერთად (შდრ. სავაჭრო კოდექსის §§ 124-ის პირველი ნაწილი, 161-ის მე-2 ნაწილი): პარტნიორობა (შდრ. პარტნიორული საზოგადოების შესახებ კანონის § 7-ის მე-2 ნაწილი), ევროკავშირის ეკონომიკურ ინტერესთა გაერთიანება, ისევე როგორც სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა (სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის უფლებაუნარიანობასთან დაკავშირებით იხ. § 705-ის შესავლის მე-5 ველი);

3. ბ) მენარმის ცნება მოიცავს მხოლოდ სამენარმეო ან სხვა დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულ მოქმედებებს. სამენარმეო ან სხვა დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მოქმედებს პირი, რომელიც ბაზარზე გეგმაზომიერად და ხანგრძლივი ვადით სთავაზობს მომსახურების განწევას საზღაურის სანაცვლოდ; მოგების მიღების განზრახვა აუცილებელი არ არის (Palandt-Ellenberger, მე-2 ველი). მუხლი მოიცავს ასევე დამატებით საქმიანობასაც, რამდენადაც ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს, საქმიანობის იმ სახეთა კლასიფიკაციისათვის, რომლებიც შეიძლება მიეკუთვნებოდეს როგორც სამენარმეო, ისე კერძო სფეროს, ასევე საკუთარი საქმის დაფუძნების პრობლემატიკას, შდრ. § 13-ის მე-3 ველი;

4. გ) გარიგების დადება არ არის მენარმის ცნების სავალდებულო რეკვიზიტი (შდრ. § 13 ველი 4).

§§ 15-20. (გაუქმებულია)

კარი 2. იურიდიული პირები

§ 21-ის შესავალი

- 1 **1. ცნება. იურიდიული პირები** არიან არა ბუნების ქმნილებები, არამედ ისინი შექმნილია სამართლის მიერ (აქედან მოდის სწორედ მათი სახელწოდებაც): სამართალი განსაზღვრული პირებისა თუ საგნების კანონით მოწესრიგებული ორგანიზაციის მიზნით შექმნილ გაერთიანებებს ანიჭებს ისეთსავე **უფლებაუნარიანობას**, როგორც აქვთ ფიზიკურ პირებს (შდრ. § 1). ორგანიზაციის სამართლებრივი დამოუკიდებლობა მისი წევრებისაგან – იურიდიული პირი თავად იძენს უფლებებსა და კისრულობს ვალდებულებებს – ეფუძნება მიზანშეწონილობის შესახებ მოსაზრებას: სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობა ადვილი ხდება (ეს განსაკუთრებით ნათელია მონაწილეთა დიდი რაოდენობისას), ხოლო პასუხისმგებლობა შემოიფარგლება იურიდიული პირის ქონებით (*Medicus, AT 1085-ე* და შემდეგი ველები). ორივე გარემოებისათვის არსებობს მნიშვნელოვანი პრაქტიკული საჭიროება.
- 2 **2. სახეები. ა) ერთმანეთისაგან განასხვავებენ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.** საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან: იურიდიული პირები, რომლებიც ფლობენ საჯარო უფლებებს გარკვეულ ტერიტორიაზე (ფედერაცია, ფედერაციული მხარეები, მუნიციპალიტეტები და ა. შ.), ისევე როგორც საჯარო სამართლის სხვა კორპორაციები, ფონდები და დაწესებულებები. სამოქალაქო კოდექსი ადგენს მხოლოდ მათი ორგანოების პასუხისმგებლობას (§ 89). გაბატონებული შეხედულების თანახმად (მაგ., *Larenz/Wolf § 9, მე-2 ველი*), კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან განსასხვავებლად გადამწყვეტია იურიდიული პირის დაფუძნების ფაქტობრივი საფუძველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირები ძირითადად ეფუძნება სახელმწიფოს სახელისუფლო აქტს (კანონი), კერძო სამართლის იურიდიული პირები კი – დაფუძნების კერძო-სამართლებრივ აქტს (დაფუძნების ხელშეკრულება, ფონდის დაფუძნების გარიგება); **ბ) კერძო სამართლის იურიდიული პირებიდან სამოქალაქო კოდექსი ანესრიგებს უფლებაუნარიან კავშირს (§ 21 და შემდეგი პარაგრაფები), მაშასადამე როგორც უფლებაუნარიანად აღიარებულ პირთა გაერთიანებებსა და ფონდებს (§ 80 და შემდეგი პარაგრაფები), როგორც ქონებრივ მასას, რომელსაც ენიჭება უფლებაუნარიანობა. უფლებაუნარიანობის მქონე კავშირი არის სამენარმეო სამართლის იურიდიული პირების (კავშირების) „საბაზისო მოდელი“ (*Soergel-Hadding, 15-ე ველი*), ისევე როგორც სააქციო საზოგადოებისა (სააქციო კანონის § 1) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის § 13).**
- 3 **3. იურიდიულ პირთან ახლოს დგას უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობა.** მას, § 14-ის პირველ ნაწილში მოცემული დეფინიციის თანახმად, ასევე აქვს მინიჭებული უნარი, შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები (კერძოდ, იხ. § 14, ველი 2).

ქვეკარი 1. კავშირები

თავი 1. ზოგადი დებულებები

§ 21. არასამენარმეო კავშირი

კავშირი, რომლის მიზანი არ არის სამენარმეო საქმიანობა, უფლებაუნარიანობას იძენს განსჯადი რაიონული სასამართლოს მიერ წარმოებულ კავშირების რეესტრში რეგისტრაციის შედეგად.

1. ცნება. კავშირი არის „განსაზღვრული ვადით საერთო მიზნის მისაღწევად შექმნილი მრავალრიცხოვანი პირის გაერთიანება, რომელიც ორგანიზებულია თავისი წესდების მიხედვით, აქვს საერთო სახელწოდება და ეფუძნება წევრთა ცვალებადობის პრინციპს“ (ასეთია სამოქალაქო საქმეებზე ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებების კლასიკური დეფინიცია, §§ 143, 212, 213). ბოლოში მითითებული ნიშნებით არსებითად განხვავდება იგი **ამხანაგობისაგან** (§ 705 და შემდეგი პარაგრაფები), მიუხედავად იმისა, რომ სხვაობები შეიძლება არამყარი იყოს საკორპორაციო სამართლის ძირითადი ნორმების დისპოზიციურობის გამო.

2. სახეები. კანონი განასხვავებს **უფლებაუნარიან** კავშირებს (§§ 21-53) და **არაუფლებაუნარიან** კავშირებს (§ 54). უფლებაუნარიანი კავშირების ცნებაში, პირველ რიგში, იგულისხმება § 21-ში დასახელებული ე. წ. **არაკომერციული კავშირი**. გარდა §§ 21-53-ისა, მის მიმართ მოქმედებს ასევე §§ 55-79.

3. სამენარმეო საქმიანობა სახეზეა, როდესაც საქმე ეხება გეგმაზომიერ, განსაზღვრული ვადით გათვალისწინებულ და გარეშე პირებისკენ მიმართულ საქმიანობას, ე. ი. ისეთ საქმიანობას, რომელიც სცილდება კავშირის შიდა, საკუთარი საჭიროების დაკმაყოფილებისკენ მიმართული ურთიერთობების ფარგლებს, ისეთ მოქმედებებს, რომელთა მიზანიცაა კავშირის ან მისი წევრებისათვის ქონებრივი სარგებლის მიცემა (BGHZ, 85, 84, 92). ეს უკანასკნელი დამახასიათებელი ნიშანი რომ საქმარისია, ჩანს, მაგ., „Taxi-Zentrale“-ს კაზუსიდან, როდესაც ხდება სატელეფონო შეკვეთების მიღება და მძლოლი იგზავნება კლიენტებთან რადიოს მეშვეობით. „Taxi-Zentrale“ არ არის არაკომერციული კავშირი, არამედ იგი სამენარმეო კავშირია, § 22-ის თანახმად (BGHZ, 45, 395). დამატებითი კომერციული საქმიანობა კი, პირიქით, არ ანიჭებს არაკომერციულ კავშირს კომერციულ ხასიათს (ე. წ. **დამატებითი საქმიანობის განხორციელების უფლება**). ამიტომაც სპორტული კავშირი რჩება არაკომერციულ კავშირად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას აქვს სასადილო; ზოგჯერ, პირიქითაც, არაკომერციულ კავშირად მიჩნევა საექვოა, როდესაც იგი ინახავს პროფესიონალ ფეხბურთელთა ნაკრებს (იხ. *Soergel-Hadding*, 37-ე ველი).

4. კავშირის დაფუძნება ხორციელდება შემდეგნაირად: რამდენიმე დამფუძნებელი (მდრ. §56) თანხმდება წესდებაზე (§ 25) და აცხადებს, რომ წევრებს სურთ კავშირის შექმნა. დაფუძნების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულებას.

ა) კავშირი იძენს უფლებაუნარიანობას რეგისტრაციისთანავე (§ 55 და შემდეგი პარაგრაფები). ამდენად, რეგისტრაციას აქვს კონსტიტუციური ძალა;

ბ) რეგისტრაციამდე უფლებაუნარიანი კავშირი არსებობს როგორც ე. წ. წინარე კავშირი. მისი არსებობის წინაპირობაა, რა თქმა უნდა, სულ ცოტა, ის ფაქტი, რომ წესდება უკვე გაფორმებულია; სხვა შემთხვევაში სათანადო ნების გამოვლენისას დამფუძნებლები შესაბამისი მომენტისათვის ქმნიან მხოლოდ სამოქალაქო ამხანაგობას, § 705 და შემდეგი პარაგრაფების თანახმად. ვინაიდან წინარე კავშირი მოგვიანებით შესაქმნელი უფლებაუნარიანი კავშირის იდენტურია (ე. წ. ერთიანობის თეორია), წინარე კავშირისათვის შექმნილი უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები *ipso iure* გადადის მოგვიანებით შექმნილ უფლებაუნარიანობის მქონე კავშირზე (მდრ. BGHZ, 17, 385, 387). ამით ერთდროულად წყდება საქმიანობის განმახორციელებელი პირის პირადი პასუხისმგებლობა, § 54-ის მე-2 წინადადება; კერძოდ კი, როდესაც ეს უკანასკნელი უკვე მოქმედებს მომავალი უფლებაუნარიანობის მქონე კავშირის სახელით, ხელშეკრულების კონტრაგენტი კავშირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით იძენს იმას, რასაც იგი მოელოდა (*Medicus*, AT 1113-ე ველი; ასევე, BGHZ, 80, 182 წინარე შპს-ისათვის).

§ 22. სამენარმეო კავშირი

¹კავშირი, რომლის მიზანი სამენარმეო საქმიანობა, თუ სპეციალური კანონით სხვა რაიმე არ არის დადგენილი, უფლებაუნარიანობას იძენს სახელმწიფო ნებართვის საფუძველზე. ²ნებართვა გაიცემა იმ ფედერაციული მხარის მიერ, რომლის ტერიტორიაზეც კავშირს აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

§ 23. (გაუქმებულია)

§ 24. ადგილსამყოფელი

თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, კავშირის ადგილსამყოფლად მიიჩნევა ადგილი, სადაც ხორციელდება კავშირის მართვა.

§ 25. შინაგანი სტრუქტურა

უფლებაუნარიანი კავშირის შინაგანი სტრუქტურა იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი ქვემოთ მოცემულ ნორმებს არ ეფუძნება, განისაზღვრება კავშირის წესდებით.

- 1 **1.** კავშირის შინაგანი სტრუქტურა მოიცავს კავშირის არსებობის განმსაზღვრელი ბაზისური გადანყვეტილებების რეგულირებას (BGHZ, 47, 172, 177). აღნიშნულს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება დებულებები კავშირის მიზნის, სახელწოდების, ადგილსამყოფელისა და საორგანიზაციო სტრუქტურის, ასევე წევრობის შესახებ. შინაგანი სტრუქტურის წყაროებია, პირველ რიგში, §§ 26-39-ის იმპერატიული ნორმები, შემდგომში – წესდება და საბოლოოდ – §§ 26-სა და შემდეგ პარაგრაფებში მოცემული დისპოზიციური ნორმები, კერძოდ, §§ 40, 26-ის პირველი ნაწილის მე-3 წინადადება, მე-2 ნაწილის პირველი წინადადება, 27-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება, 37-ის პირველი ნაწილი და 39-ის მე-2 ნაწილი. კავშირის არსებობის განმსაზღვრელი სხვა ბაზისური გადანყვეტილებები, რამდენადაც მათი დადგენა კანონით არ ხდება, გაგებულ უნდა იქნეს როგორც წესდებაში შესული კავშირის „შინაგანი სტრუქტურა“ (BGHZ, 105, 306, 313).
- 2 **2.** კავშირის სავალდებულო ორგანოებია წევრები, რომლებიც გადანყვეტილებებს იღებენ წევრთა საერთო კრებაზე (§ 32) და გამგეობა (§ 26). წესდებით შეიძლება სხვა ორგანოების შექმნა, მაგ., „სპეციალური წარმომადგენელი“ (§ 30), კომისიები ან საბჭოები.

§ 26. გამგეობა და წარმომადგენლობა

(1) ¹კავშირს უნდა ჰქონდეს გამგეობა. ²გამგეობა წარადგენს კავშირს სასამართლოს წინაშე და სასამართლოსგარეთა ურთიერთობებში; მას აქვს კანონიერი წარმომადგენლის სტატუსი. ³მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები შეიძლება შეიზღუდოს მესამე პირების მიმართ.

(2) ¹თუ გამგეობა შედგება რამდენიმე პირისაგან, მაშინ კავშირის წარმომადგენლობა ხორციელდება გამგეობის წევრთა უმრავლესობით. ²თუ ნების გამოვლენა უნდა გაკეთდეს კავშირის მიმართ, მაშინ საკმარისია ნების გამოვლენა გამგეობის ერთი წევრის მიმართ.

- 1 **1.** გამგეობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართ მოქმედებს §§ 164-166-ის ზოგადი ნორმები: ა) თუ სახეზეა მრავალწევრიანი გამგეობა, მაშინ აქტიური წარმომადგენლობისათვის (პასიური წარმომადგენლობისათვის იხ. მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება), პირველ რიგში, განმსაზღვრელია წესდება, ანუ გამგეობის თითოეული წევრი ერთპიროვნულად, რამდენიმე ერთად, თუ ყველა წევრი ერთობლივად არის უფლებამოსილი, წარმოადგინოს კავშირი. თუ შესაბამისი დებულება წესდებაში არ მოიპოვება, მაშინ, მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, მოქმედებს არა ერთობლივი წარმომადგენლობის პრინციპი (როგორც

სააქციო კანონის § 78-ში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის § 35-ში), არამედ – გადაწყვეტილების ხმათა უმრავლესობით მიღების პრინციპი; ბ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები, როგორც წესი, შეუზღუდავია (arg e contrario, პირველი ნაწილის მე-3 წინადადებიდან გამომდინარე). შეზღუდვა შეიძლება შეეხებოდეს, მაგალითად, თანხმობის მიღების წინაპირობებს ან განსაზღვრული გარიგებების დადების აკრძალვას. გარე ურთიერთობებში ეს შეზღუდვები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრირებულია კავშირების რეესტრში ან ცნობილია გარიგების მეორე მხარისათვის (§§ 70, 68).

2. გამგეობის მიერ საქმისწარმოების – ასევე კავშირსა და გამგეობას შორის შიდა ურთიერთობის – მიმართ § 27-ის მე-3 ნაწილი უთითებს დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებზე. საქმისწარმოებას, როგორც წესი, მიეკუთვნება ყველა ის მოქმედება, რომელთაც ახორციელებს გამგეობა კავშირის მიზნის მისაღწევად. დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები § 666-ში გამგეობის მიმართ ადგენს: ინფორმაციის მიწოდებისა და ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას, მიღებულის დაბრუნების ვალდებულებას § 667-ში და ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებას (§ 280), რომლებიც ხორციელდება წევრთა საერთო კრების მიერ (Palandt-Ellenberger, § 27 მე-4 ველი). გამგეობაზე „დაკისრებული მოვალეობისაგან გათავისუფლებაში“ იგულისხმება უარი ყველა იმ რეგრესულ მოთხოვნის უფლებებზე, რომლებიც ვლინდება სათანადო შემონმებისას (BGHZ, 94, 324, 326). წევრთა საერთო კრებას ეკუთვნის მითითების მიცემის უფლება (იხ. § 665). თუმცა, გამგეობას შეუძლია, მოითხოვოს განუვლი ხარჯების ანაზღაურება § 670-ის თანახმად, მაგრამ იგი ვერ მოითხოვს საზღაურს სამუშაოსათვის წესდებაში შესაბამისი დათქმის არარსებობისას.

§ 27. გამგეობის დანიშვნა და მართვა

(1) გამგეობის დანიშვნა ხორციელდება წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

(2) დანიშვნაზე უარის თქმა შეიძლება ნებისმიერ დროს, სახელშეკრულებო საზღაურის მოთხოვნის უფლების შეზღუდვის გარეშე. უარის თქმა შეიძლება წესდებაში იმ შემთხვევით შეიზღუდოს, როდესაც მას აქვს მნიშვნელოვანი საფუძველი. ასეთი საფუძველია, კერძოდ, მოვალეობების უხეში დარღვევა ან საქმის სათანადოდ წარმართვის უუნარობა.

(3) გამგეობის მიერ საქმეთა გაძლოლის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება დავალების შესახებ §§ 664-670-ის ნორმები.

მე-3 ნაწილში მოცემული საქმისწარმოების შესახებ იხ. § 26, ველი 2. შესაბამისად, მოქმედებს მე-3 ნაწილი, რომელიც უთითებს დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებზე, როდესაც კავშირის განსაზღვრული ამოცანების დაცვით კავშირის საქმეებით დაკავებულია კავშირის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც არ შედის გამგეობის შემადგენლობაში (BGHZ, 89, 153, 157).

§ 28. გამგეობის მიერ გადაწყვეტილებების მიღება

გადაწყვეტილებებს იღებს რამდენიმე პირისაგან შემდგარი გამგეობა §§ 32, 34-ის ნორმების მიხედვით, რომლებიც აწესრიგებს კავშირის წევრთა მიერ გადაწყვეტილებების მიღებას.

§ 29. დანიშვნა გადაუდებელი აუცილებლობისას რაიონული სასამართლოს მიერ

თუ გამგეობას აკლია აუცილებელი წევრები, ისინი გადაუდებელი აუცილებლობისას ხარვეზის აღმოფხვრამდე პერიოდისათვის დაინტერესებული პირის

განცხადებით ინიშნებიან რაიონული სასამართლოს მიერ, რომელიც აწარმოებს კავშირების რეგისტრაციას იმ რაიონში, სადაც კავშირს აქვს ადგილსამყოფელი.

§ 30. სპეციალური წარმომადგენლები

წესდებით შეიძლება დადგინდეს, რომ განსაზღვრული გარიგებების დასა-
დებად, გამგეობის გარდა, დანიშნონ სპეციალური წარმომადგენლები. ²საექვო-
ობისას აღნიშნული წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება
ვრცელდება ყველა იმ გარიგებაზე, რომლებსაც მისთვის განსაზღვრული საქმი-
ანობის სფერო ჩვეულებრივ მოიცავს.

§ 31. კავშირის პასუხისმგებლობა ორგანოებისათვის

კავშირი პასუხისმგებელია მესამე მხარის წინაშე ზიანისათვის, რომელიც მი-
ყენებულ იქნა გამგეობის, გამგეობის წევრის ან კავშირის შინაგანი სტრუქტურის
მიხედვით დანიშნული წარმომადგენლის მოქმედების შედეგად მისთვის დაკისრე-
ბული საქმიანობის განხორციელების დროს.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ნორმის თანახმად, კავშირის ორგანოს მიერ განხორცი-
ელებული მოქმედება ითვლება კავშირის მოქმედებად (განსხვავებით § 278-ისა-
გან). იგი იკავებს §§ 278, 831-ის ადგილს, როგორც სპეციალური ნორმა. რამდე-
ნადაც მოქმედებები განხორციელდა კავშირის სასარგებლოდ, მან ისევე უნდა
აგოს პასუხი ამ მოქმედებათა სამართლებრივი შედეგებისათვის, თითქოს ისინი
მის მიერ იყო განხორციელებული. ამავე დროს, თავად § 31 ადგენს არა ზიანის
ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არამედ მის წინაპირობას წარმოადგენს ზი-
ანის ანაზღაურების საკანონმდებლო შემადგენლობის არსებობა: იგი არის არა პა-
სუხისმგებლობის დამდგენი, არამედ მასზე მიმთითებელი ნორმა (BGHZ, 99, 298,
302). ზიანის ანაზღაურებაზე დამავალდებულებელი მოქმედებების მაგალითებია
დელიქტები, ხელშეკრულების დარღვევა და *culpa in contrahendo* (ამ უკანასკნელ-
თან დაკავშირებით იხ. § 311-ის პირველი და შემდეგი ველები). თუ, მაგალითად,
გამგეობამ თავისი საქმიანობის განხორციელების დროს ჩაიდინა დელიქტი, მაშინ
პასუხს აგებს არა მხოლოდ პირადად ის, § 823-იდან გამომდინარე, არამედ ასევე
კავშირი § 31-ის თანახმად, ამასთან განსხვავებით § 831-ის პირველი ნაწილის მე-2
წინადადების შემთხვევისაგან, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძ-
ლებლობის გარეშე.
- 2 **2. ნორმის მოქმედების სფერო** სცილდება კავშირის მომწესრიგებელ ნორმებს.
ის შესაბამისად მოქმედებს ყველა იურიდიული პირის, მათ შორის, საჯარო სამარ-
თლის იურიდიული პირების მიმართ (იხ. § 89); გარდა ამისა, გაბატონებული შეხე-
დულების მიხედვით, იგი მოქმედებს არაუფლებაუნარიანი კავშირის (იხ. § 54-ის
მე-3 ველი), ისევე როგორც სპს-ისა და კს-ის მიმართ. სამოქალაქო ამხანაგობების
მიმართ ანალოგიის გზით გამოყენებაზე BGHZ-ის 45, 311, 312 გადაწყვეტილებებ-
ში უარი ითქვა, რადგანაც ეს წარმონაქმნი იმდენად ნაკლებადაა კორპორაციულად
ორგანიზებული, რომ ამხანაგობის სახელით მოქმედი წევრები შეიძლება განხი-
ლულ იქნენ როგორც მისი ორგანოები. აღნიშნულმა არგუმენტაციამ საფუძველი
დაკარგა სამოქალაქო ამხანაგობის უფლებაუნარიანობის აღიარებით (იხ. § 705
ველი 5). შესაბამისად, BGHZ-ის 154, 88 გადაწყვეტილებებში (ამასთან დაკავშირე-
ბით იხ. K. Schmidt, NJW, 2003, 1897) § 31 სამოქალაქო ამხანაგობების მიმართ გა-
მოყენება დადასტურებულ იქნა. (უფლებაუნარიანი) ფონდის მიმართ პარაგრაფის
ნორმა გამოიყენება უკვე § 86-ის პირველი წინადადებიდან გამომდინარე.
- 3 **3. შინაგანი სტრუქტურის მიხედვით დანიშნული წარმომადგენლის** ცნებას სა-
სამართლო პრაქტიკა აფართოებს. წარმომადგენლის საქმიანობა არ საჭიროებს
წესდებით გათვალისწინებას; მას არ სჭირდება ასევე გარიგებით მინიჭებული წარ-

მომადგენლობითი უფლებამოსილება § 164-ისა და შემდეგი პარაგრაფების გაგებით. საკმარისია ის, რომ წარმომადგენელს, საქმისწარმოების ზოგადი წესებისა და პრაქტიკის მიხედვით, მინიჭებული აქვს იურიდიული პირის მნიშვნელოვანი და არსებითი ფუნქციები საქმეების დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით შესასრულებლად, რათა მან სწორედ ამგვარად წარმოადგინოს იურიდიული პირი (BGHZ, 49, 19, 21). მესამე პირებთან გარე ურთიერთობაში გადამწყვეტია სამოქალაქო ბრუნვის დაცვა და არა წარმომადგენლის „წოდება“ შიდა ურთიერთობაში; ამდენად, შიდა ურთიერთობაში დამოკიდებულება მითითებებზე უმნიშვნელოა, რამდენადაც გარე ურთიერთობებში ამოცანების წრე ჩანს როგორც სანარმოათვის „წარმოდგენილი“ (BGHZ NJW, 1997, 2259, 2260). მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან: შემნახველი სალაროს ფილიალის ხელმძღვანელი; მთავარი ექიმი საავადმყოფოში არსებული კლინიკისა, რომელიც არ არის დამოუკიდებლად ორგანიზებული წარმონაქმნი, რამდენადაც იგი საქმიანობს სამედიცინო სფეროში (მითითებების გარეშე).

4. კავშირის ორგანიზაციული ხარვეზის გამო, პირის მიერ ფუნქციების მართლსაწინააღმდეგო შესრულებისათვის სასამართლო პრაქტიკა, § 31-ის თანახმად, პასუხისმგებლად ასევე მიიჩნევს იურიდიულ პირს, კერძოდ კი, როდესაც მნიშვნელოვანი ამოცანებისათვის, რომელთა შესრულებაც გამგეობას თავად არ შეუძლია, სპეციალური წარმომადგენელი (§ 30) არ ინიშნება. შემცველი დამხმარე პირი § 31-ის მიზნებისათვის უთანაბრდება შინაგანი სტრუქტურის მიხედვით დანიშნულ წარმომადგენელს იმისათვის, რათა გამოირიცხოს იურიდიულ პირის მიერ § 831-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა არაუფლებამოსილი პირის მიერ ფუნქციების მართლსაწინააღმდეგო შესრულების გზით. ამავე დროს, ეს კონსტრუქცია თითქმის აღარ არის საჭირო შინაგანი სტრუქტურის მიხედვით დანიშნული წარმომადგენლის (ზევით, მე-3 ველი) ცნების ფართოდ გამოყენების გამო (*Medicus*, AT 1140-ე ველი, *Larenz/Wolf* § 10 92-ე ველი).

5. ორგანო მოქმედებს მისთვის დაკისრებული საქმიანობის განხორციელების დროს, როდესაც სახეზეა ზიანის მიმყენებელ მოქმედებასა და ამოცანების წრეს შორის „მჭიდრო ობიექტური კავშირი“ (BGHZ, 49, 19, 23) და არა, უბრალოდ, შემთხვევითი კავშირი. მაგალითად, ორგანოს წარმომადგენელი მოქმედებს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით და არა მისთვის დაკისრებული საქმიანობის ფარგლებში, როდესაც იგი ხელმეკრულების დადებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების საბაზით ჩადის ქურდობას; პირიქით, თაღლითური მოქმედების ჩადენისას შეიძლება არსებობდეს მჭიდრო ობიექტური კავშირი მანამდე, სანამ ორგანოს წარმომადგენელი გარეშე პირის გადასახედიდან ისე არ შორდება თავის ამოცანათა წრეს, რომ სცილდება მასზე დაკისრებულ მოვალეობათა ზოგად ფარგლებს (BGHZ, 98, 148, 152). თუ ორგანოს წარმომადგენელმა გადააჭარბა თავის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებას (§ 179) ისე, რომ ამით ერთდროულად არ ჩაუდენია დელიქტი, მაშინ § 31 არ ავრცელებს § 179-იდან გამომდინარე პასუხისმგებლობას კავშირზე; § 26-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებაში კავშირისათვის მინიჭებულ შესაძლებლობას, შეიზღუდოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, მათ შორის, მესამე პირის მიმართ სამართლებრივი შედეგებითაც, ვერ ექნება ადგილი § 31-ის თანახმად პასუხისმგებლობის დაკისრების შედეგად (დეტალურად იხ. *Soergel-Hadding*, 24-ე ველი).

6. საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი კავშირის გამგეობის წევრების შემთხვევაში, § 31-ის პირველი ნაწილის მიხედვით, კავშირისა და მისი წევრების წინაშე პასუხისმგებლობა შემოიფარგლება განზრახვითა და უხეში გაუფრთხილებლობით. თუ საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედ კავშირის გამგეობის წევრს წაეყენება პრეტენზია მსუბუქი გაუფრთხილებლობით ჩადენილი მოქმედებისათვის

(შდრ. § 276-ის მე-4 და მე-6 ველები), § 31ა-ს მე-2 ნაწილის თანახმად, სახეზეა კავშირის მიმართ გამგეობის წევრის ვალდებულებისაგან გათავისუფლების კანონისმიერი მოთხოვნის უფლება (შდრ. § 257, ველი 2). ვინაიდან § 86-ის პირველი წინადადება უთითებს ასევე § 31ა-ზე, ეს უკანასკნელი შესაბამისად მოქმედებს საზოგადოებრივ სანყისებზე მოქმედი ფონდის გამგეობების შემთხვევაშიც.

§ 31ა. გამგეობის წევრთა პასუხისმგებლობა

(1) ¹გამგეობა, რომელიც საქმიანობს უსასყიდლოდ ან თავისი საქმიანობისათვის იღებს საზღაურს, რომლის ოდენობაც წელიწადში არ აღემატება 500 ევროს, თავისი მოვალეობების განხორციელებისას დამდგარი ზიანისათვის კავშირის წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის. ²პირველი წინადადება მოქმედებს ასევე კავშირის წევრების წინაშე პასუხისმგებლობის მიმართ.

(2) ¹თუ გამგეობა, პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სხვა პირის წინაშე ვალდებულია, აანაზღაუროს თავისი მოვალეობების განხორციელებისას დამდგარი ზიანი, მაშინ მას შეუძლია, კავშირისაგან მოითხოვოს ვალდებულებისაგან გათავისუფლება. ²პირველი წინადადება არ მოქმედებს, თუ ზიანი მიყენებულ იქნა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

§ 32. კავშირის წევრთა საერთო კრება; გადაწყვეტილებების მიღება

(1) ¹იმდენად, რამდენადაც კავშირის საქმეები არ მიეკუთვნება გამგეობის ან კავშირის სხვა ორგანოს კომპეტენციას, ისინი ექვემდებარებიან წევრთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტას. ²გადაწყვეტილების ნამდვილობისათვის საჭიროა კრების მონაწილისა და დღის წესრიგის მითითება. ³გადაწყვეტილება მიიღება მიცემულ ხმათა უმრავლესობით.

(2) გადაწყვეტილება ნამდვილია ასევე წევრთა კრების გარეშეც, როდესაც ყველა წევრი წერილობით განაცხადებს თავის თანხმობას.

1 1. გადაწყვეტილების ხმათა უმრავლესობით მიღების პრინციპი (პირველი ნაწილის მე-3 წინადადება) დამახასიათებელია იურიდიული პირებისათვის (შდრ. ასევე სააქციო კანონის § 133, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის § 47-ის პირველი ნაწილი). ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებში კი, პირიქით, გაბატონებულია (რა თქმა უნდა, დისპოზიციური) გადაწყვეტილებების ერთხმად მიღების პრინციპი (იხ. სამოქალაქო კოდექსის § 704, სავაჭრო კოდექსის § 119-ის პირველი ნაწილი).

2 2. ხმათა უმრავლესობის გამოანგარიშებისათვის პირველი ნაწილის მე-3 წინადადება უთითებს „მიცემულ ხმათა“ რაოდენობაზე (ასევე მაგ., სააქციო კანონის § 133, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის § 47-ის პირველი ნაწილი). ხმის მიცემისაგან თავის შეკავება ხმათა უმრავლესობის გამოანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება. ეს მოსაზრება მართებულია, რადგანაც მას, ვინც თავს იკავებს ხმის მიცემისაგან, არ სურს საწინააღმდეგო პოზიციის დაფიქსირება და იგი ავლენს მხოლოდ იმას, რომ შესაბამის გადაწყვეტილებას ვერ იღებს.

§ 33. ცვლილებები წესდებაში

(1) ¹იმ გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ეხება წესდებაში ცვლილებებს, საჭიროა დამსრე წევრთა უმრავლესობა სამი მეოთხედის ოდენობით. ²კავშირის მიზნის შესაცვლელად საჭიროა ყველა წევრის თანხმობა; იმ წევრთა თანხმობა, რომლებიც კრებას არ ესწრებიან, უნდა გაცხადდეს წერილობით.

(2) თუ კავშირის უფლებაუნარიანობა გამომდინარეობს ნებართვიდან, მაშინ წესდებაში ნებისმიერი ცვლილებებისათვის საჭიროა კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა.

§ 34. ხმის მიცემის შეზღუდვა

წევრს არა აქვს ხმის უფლება, როდესაც გადაწყვეტილება ეხება მასთან გარეგნობის დადებას ან მასსა და კავშირს შორის დავის დაწყებასა თუ მოგვარებას.

§ 35. განსაკუთრებული უფლებები

წევრის განსაკუთრებული უფლებები მისი თანხმობის გარეშე წევრთა საერთო კრებით არ შეიძლება შეიზღუდოს.

§ 36. წევრთა საერთო კრების მოწვევა

წევრთა საერთო კრების მოწვევა ხდება წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ისევე როგორც იმ შემთხვევებში, როდესაც კავშირის ინტერესები ამას მოითხოვს.

§ 37. მოწვევა უმრავლესობის მოთხოვნით

(1) წევრთა საერთო კრება უნდა იქნეს მოწვეული, თუ წესდებით გათვალისწინებული წევრთა ოდენობა ან, შესაბამისი ნორმის არარსებობისას, წევრთა ერთი მეთოთხედის მოწვევის მიზნისა და საფუძვლების მითითებით წერილობით ითხოვს ამას.

(2) ¹თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მაშინ რაიონულ სასამართლოს შეუძლია, კრების მოწვევის უფლებამოსილება მიანიჭოს იმ წევრს, რომელიც ითხოვდა მოწვევას; მას შეუძლია მიიღოს განკარგულებები კრების გაძღოლის შესახებ. ²კომპეტენტურია ის რაიონული სასამართლო, რომელიც აწარმოებს კავშირების რეგისტრაციას იმ რაიონში, სადაც კავშირს აქვს ადგილსამყოფელი. ³უფლებამოსილების თაობაზე უნდა იყოს მითითებული კრების მოწვევის შეტყობინებაში.

§ 38. წევრობა

¹წევრობა არ ექვემდებარება გასხვისებას და მემკვიდრეობით გადაცემას. ²წევრობის უფლებების რეალიზაცია არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს.

1. წევრობასთან დაკავშირებული უფლებები შეიძლება (*Soergel-Hadding*, მე-16 ველი) დაიყოს ერთობლივი მართვისა (როგორებიცაა: წევრთა საერთო კრებებში მონაწილეობა, ხმის უფლება და ა. შ.) და **სარგებლის მიღების (*Larenz/Wolf*, § 10, მე-100 ველი)** ანუ იმავე წილის მიღების უფლებებზე. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება კავშირის მოწყობილობებით სარგებლობის უფლება ან იმ შეღავათებითა თუ სერვისით სარგებლობის უფლება, რომელსაც კავშირი ანიჭებს თავის წევრებს ან უწევს მათ. გარდა ამისა, თითოეულ წევრს კავშირის მიმართ აქვს **თანაბარი მოპყრობის** მოთხოვნა, რაც იცავს თვითნებური დისკრიმინაციული დამოკიდებულებისაგან და არ გამორიცხავს, რომ ცალკეულ წევრებს წესდებით მიენიჭოთ სპეციალური უფლებები (შდრ. § 35). წევრობის უფლებასთან დაკავშირებული **ქონებრივი უფლებები**, რომლებიც აისახება კავშირის ქონების შესაბამის წილში, არ წარმოიშობა, განსხვავებით ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებში წილის გადაცემის წესისა (§ 738-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).

2. წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები მოიცავს ერთობლივი მართვის, შენატანების შეტანისა და ზოგადი ნდობის დაცვის ვალდებულებებს (დეტალურად იხ. *Soergel-Hadding*, 21-ე და შემდეგი ველები).

§ 39. კავშირიდან გასვლა

(1) წევრი უფლებამოსილია, გავიდეს კავშირიდან.

(2) წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გასვლა დასაშვებია იყოს მხოლოდ სამეურნეო წლის ბოლოს ან შეტყობინების ვადის გასვლის შემდეგ; შეტყობინების მაქსიმალური ვადა შეადგენს ორ წელიწადს.

§ 40. დისპოზიციური ნორმები

§ 26-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების, § 27-ის პირველი და მე-3 ნაწილების, § 28-ის, § 31-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, ასევე §§ 32, 33 და 38-ის ნორმები არ გამოიყენება იმ ფარგლებში, რომლებშიც წესდება სხვაგვარად ადგენს.

§ 41. კავშირის დაშლა

¹კავშირი შეიძლება დაიშალოს წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. ²გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე წევრთა უმრავლესობა სამი მეოთხედის ოდენობით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

§ 42. გაკოტრება

(1) ¹კავშირი იშლება გაკოტრების საქმისწარმოების გახსნით ან იმ გადაწყვეტილების ძალაში შესვლით, რომლითაც გაკოტრების საქმისწარმოების გახსნაზე ითქვა უარი გაკოტრების მასის არარსებობის გამო. ²თუ საქმისწარმოება შეჩერდა მოვალის განცხადებით, ან შეწყდა იმ გაკოტრების გეგმის დამტკიცების შემდეგ, რომელიც ითვალისწინებს კავშირის არსებობის გაგრძელებას, მაშინ წევრთა საერთო კრებას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება კავშირის არსებობის გაგრძელების თაობაზე. ³წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ კავშირი გაკოტრების საქმისწარმოების დაწყების შემთხვევაში არსებობას გააგრძელებს როგორც უფლებაუნარიანი კავშირი; ასევე ამ შემთხვევაშიც, თუ მე-2 წინადადების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, გადაწყვეტილება შეიძლება იქნეს მიღებული როგორც უფლებაუნარიანი კავშირის არსებობის გაგრძელებაზე.

(2) ¹გადახდისუწარმოების ან ზედავალიანების შემთხვევაში გამგეობამ უნდა განაცხადოს გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის შესახებ. ²თუ განცხადება დაგვიანებით იქნება წარდგენილი, ბრალეულად მოქმედი გამგეობის წევრები ვალდებული არიან, აუნაზღაურონ კრედიტორებს ამის შედეგად მიყენებული ზიანი; ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 43. უფლებაუნარიანობის ჩამორთმევა

კავშირს, რომლის უფლებაუნარიანობა ეფუძნება ნებართვას, შეიძლება ჩამოერთვას უფლებაუნარიანობა, თუ მას სხვა მიზანი ექნება, ვიდრე ეს გათვალისწინებულია წესდებით.

§ 44. განსჯადობა და საქმის წარმოება

გათვალისწინებულ შემთხვევებში განსჯადობა და საქმისწარმოება განისაზღვრება იმ ფედერაციული მხარის სამართლით, სადაც კავშირს აქვს ადგილსამყოფელი.

§ 45. კავშირის ქონების გადაცემა

(1) კავშირის დაშლით ან უფლებაუნარიანობის ჩამორთმევით ქონება გადადის წესდებაში მითითებულ პირებზე.

(2) ¹წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები განისაზღვრონ წევრთა საერთო კრების ან კავშირის სხვა

ორგანოს გადაწყვეტილებით. ²თუ კავშირის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა, მაშინ წევრთა საერთო კრებას შეუძლია, თუნდაც აღნიშნული ნორმის გარეშეც, გადასცეს ქონება საჯარო ფონდს ან დაწესებულებას.

(3) თუ ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები არ არიან განსაზღვრულნი, და თუ წესდების მიხედვით კავშირი ემსახურება მხოლოდ მისი წევრების ინტერესებს, ქონება თანაბარწილად გადადის კავშირის დაშლის ან მისთვის უფლებაუნარიანობის ჩამორთმევის მომენტიდან დასრულებული არსებულ წევრებზე; სხვა შემთხვევაში – ფედერაციული მხარის ხაზინაზე, რომლის ტერიტორიაზეც კავშირს აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

§ 46. კავშირის ქონების გადასვლა ხაზინაზე

¹თუ კავშირის ქონება გადადის ხაზინაზე, მაშინ შესაბამისად გამოიყენება ხაზინაზე, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეზე, მემკვიდრეობის გადაცემის მომწესრიგებელი ნორმები. ²ხაზინამ შეძლებისდაგვარად ქონება უნდა გამოიყენოს კავშირის მიზნის შესაბამისად.

§ 47. ლიკვიდაცია

თუ კავშირის ქონება არ გადადის ხაზინაზე, მაშინ უნდა განხორციელდეს ლიკვიდაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კავშირის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმისწარმოება.

§ 48. ლიკვიდატორები

(1) ¹ლიკვიდაცია ხორციელდება გამგეობის მიერ. ²ლიკვიდატორებად შეიძლება დაინიშნონ ასევე სხვა პირებიც; დანიშნისათვის გამოიყენება გამგეობის დანიშვნის მიმართ მოქმედი ნორმები.

(2) ლიკვიდატორებს მინიჭებული აქვთ გამგეობის უფლებრივი მდგომარეობა, თუ ლიკვიდაციის მიზნიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

(3) თუ სახეზეა რამდენიმე ლიკვიდატორი, მაშინ ისინი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ მხოლოდ ერთობლივად და გადაწყვეტილებები შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ერთხმად, თუ განსხვავებული წესი არ არის დადგენილი.

§ 49. ლიკვიდატორთა ამოცანები

(1) ¹ლიკვიდატორებმა უნდა დაასრულონ მიმდინარე საქმეები, მოითხოვონ ვალების დაბრუნება, დარჩენილი ქონება გადაიყვანონ ფულში, დააკმაყოფილონ კრედიტორები და ზედმეტობა გადასცენ ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს. ²მიმდინარე საქმეების დასრულებისათვის ლიკვიდატორებს შეუძლიათ დადონ, აგრეთვე, ახალი გარიგებები. ³ვალების დაბრუნების მოთხოვნა, ასევე დარჩენილი ქონების გადაყვანა ფულში შეიძლება არ განხორციელდეს იმდენად, რამდენადაც ეს ზომები საჭირო არ არის კრედიტორების დაკმაყოფილებისა თუ ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს შორის ზედმეტობის განაწილებისათვის.

(2) კავშირი ლიკვიდაციის დასრულებამდე აგრძელებს არსებობას იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ლიკვიდაციის მიზნისათვის.

§ 50. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კავშირის შესახებ გამოქვეყნება

(1) ¹კავშირის დაშლა ან მისთვის უფლებაუნარიანობის ჩამორთმევა ლიკვიდატორების მიერ უნდა გამოქვეყნდეს. ²გამოქვეყნებულ განცხადებაში კრედიტორებს უნდა შესთავაზონ მათ მიერ თავიანთი მოთხოვნების შესახებ განცხადების წარდგენა. ³გამოქვეყნება ხორციელდება წესდებით განსაზღვრულ გაზეთში.

⁴გამოქვეყნება ითვლება განხორციელებულად გამოქვეყნების ან პირველი გამოქვეყნების შემდეგ მეორე დღის გასვლისთანავე.

(2) ცნობილ კრედიტორებს თავიანთი მოთხოვნების განცხადების შესახებ უნდა შესთავაზონ სპეციალური შეტყობინებით.

§ 50ა. გაზეთი, რომელშიც უნდა მოხდეს გამოქვეყნება

თუ კავშირმა წესდებაში არ განსაზღვრა გაზეთი, რომელშიც უნდა მოხდეს გამოქვეყნება, ან ამ გაზეთის ბეჭდვა შეწყდა, კავშირის შესახებ განცხადებების გამოქვეყნება უნდა განხორციელდეს იმ რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც კავშირს აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

§ 51. ერთწლიანი ლოდინის ვადა

ქონების გადაცემა ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებზე არ შეიძლება განხორციელდეს ერთწლიანი ვადის გასვლამდე კავშირის დაშლისა თუ უფლებათუნარიანობის ჩამორთმევის გამოქვეყნების შემდეგ.

§ 52. უზრუნველყოფა კრედიტორებისათვის

(1) თუ ცნობილი კრედიტორი არ განაცხადებს თავისი მოთხოვნის შესახებ, მაშინ დავალიანების თანხა შეიძლება დეპონირებულ იქნეს კრედიტორისთვის, თუკი დეპონირების განხორციელება გამართლებულია.

(2) თუ მოცემულ მომენტში ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, ან თუ ვალდებულება სადავოა, მაშინ ქონება შეიძლება გადაეცეს ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორს წარედგინება უზრუნველყოფა.

§ 53. ლიკვიდატორების პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებაზე

ლიკვიდატორები, რომლებიც მათზე § 42-ის მე-2 ნაწილისა და §§ 50, 51 და 52-ით დაკისრებულ ვალდებულებებს არღვევენ, ან კრედიტორების დაკმაყოფილებამდე ქონებას გადასცემენ ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს, ბრალეული მოქმედების შემთხვევაში, ვალდებული არიან, კრედიტორებს აუნაზღაურონ აღნიშნულის შედეგად დამდგარი ზიანი; ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 54. არაუფლებათუნარიანი კავშირები

¹არაუფლებათუნარიანი კავშირების მიმართ გამოიყენება ამხანაგობის მიმართ დადგენილი ნორმები. ²იმ გარიგებიდან გამომდინარე, რომელიც ასეთი კავშირის სახელით იდება მესამე პირთან, პასუხს აგებს მოქმედების განმახორციელებელი; თუ მოქმედებს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

1 1. სამოქალაქო ამხანაგობის (BGHZ, 146, 341) უფლებათუნარიანობის აღიარების შემდეგ უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დაადასტურა ასევე არაუფლებათუნარიანი კავშირის უფლებათუნარიანობა (NJW, 2008, 69 = Jus 2008, 69, მით. K. Schmidt). ამით სასამართლო პრაქტიკა მხედველობაში იღებს გადახედვის შესაძლებლობას § 705-ის და შემდეგი პარაგრაფებისა და არაუფლებათუნარიანი კავშირის კორპორაციული სტრუქტურისას, რომლის წესდებაც უმეტესწილად ფორმდება უფლებათუნარიანი კავშირის წესდების სახით. გარდა ამისა, ის ამხანაგობაც, რომლის მომწესრიგებელ ნორმებზეც უთითებს პირველი წინადადება, დღეს განიხილება როგორც უფლებათუნარიანი (იხ. § 705-ის შესავლის ველი 5) და მითითება „არაუფლებათუნარიანი“ კავშირისათვის ამჯერად უკვე სანინალმდებგოდ იკითხება.

ამდენად, სამართლის განვითარება ახალი საუკუნის მიჯნაზე შექმნილ პირველი წინადადების საგნობრივად სანინალმდევო დანაწესს ყურადღებას აღარ აქცევს, რომლითაც კანონმდებელი (რაც დღევანდელი მდგომარეობით მოძველებულია და არ შეესაბამება კონსტიტუციის მე-9 მუხლს) მიზნად ისახავდა იმას, რომ კავშირები რეგისტრაციისას მოტივირებულნი ყოფილიყვნენ პოლიტიკური ან სოციალურ-პოლიტიკური მიზნებით (პროფკავშირები!) და, ამგვარად, ისინი ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო კონტროლს (შდრ. BGHZ, 50, 325, 327).

2. კავშირის ქონება ის აქტივია, რომელიც მიეკუთვნება წევრთა ცვლილებისაგან დამოუკიდებელ კორპორაციას, როგორც ასეთს. § 54-ის პირველი წინადადების, §§ 718, 719-ის თანახმად, სამართლის სუბიექტები არიან კავშირის წევრები, როგორც ზიარი საერთო ქონების თანამესაკუთრენი, როდესაც სამოქალაქო ამხანაგობის მიმართ, როგორც წესი, აღიარებულია უფლებაუნარიანობა და პროცესუნარიანობა (იხ. § 705-ის შესავლის მე-5 ველი). აღნიშნულის შესაბამისად, თანმიმდევრულად ჩანს ის, რომ დადებითად უნდა გადაწყდეს არაუფლებაუნარიანი კავშირის საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციაუნარიანად და მისი პროცესუნარიანად მიჩნევის საკითხები. თუმცა, უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ, მას შემდეგ, რაც პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონმა პოლიტიკურ პარტიებს მიანიჭა პროცესუნარიანობა, პროცესუნარიანად მიიჩნია ასევე პროფკავშირები მათზე დაკისრებული საჯარო ფუნქციებისა და კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული საკონსტიტუციო-სამართლებრივი დაცვის გათვალისწინებით (BGHZ, 50, 325), მაგრამ ასეთი უნარი არ აღიარა ყველა არაუფლებაუნარიანი კავშირის (შდრ. BGHZ, 109, 15, 17) მიმართ სამოქალაქო ამხანაგობების შესახებ თავის პრინციპულ გადანყვებილებამდე (იხ. § 705-ის შესავლის მე-5 ველი); არაუფლებაუნარიანი კავშირის პასიური პროცესუნარიანობა თავიდანვე არსებობდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 50-ის მე-2 ნაწილის თანახმად. კავშირის დაშლის შემთხვევაში, კავშირის ქონება ექვემდებარება ლიკვიდაციას, § 47-ის შესაბამისი გამოყენებით (BGHZ, 50, 325, 329).

3. არაკომერციული კავშირის წევრთა პასუხისმგებლობა, როგორც წესი, შეზღუდულია კავშირის ქონებით.

ა) გამგეობის მიერ იურიდიული მოქმედების განხორციელების შემთხვევაში, გაბატონებული შეხედულების თანახმად, პასუხისმგებლობა გამომდინარეობს წესდებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შეიცავს მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამის შეზღუდვას ან, ამ გაგებით, განიმარტება ფართოდ (შდრ. BGHZ NJW, 1979, 2304, 2306).

ბ) გამგეობის იმ მოქმედების მიმართ, რომელიც იწვევს პასუხისმგებლობას ზიანის ანაზღაურებაზე, მათ შორის დელიქტური მოქმედება, დღევანდელი მდგომარეობით საყოველთაოდ აღიარებულია § 31-ის შესაბამისი გამოყენება (იხ. *Medicus/Petersen*, 796-ე ველი, *Larenz/Wolf* § 11, 23-ე ველი). ეს მოქმედება იწვევს კავშირის პასუხისმგებლობას ამ უკანასკნელის ქონებით, როდესაც წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობა § 831-იდან გამომდინარე გამორიცხულია. ასევე, რამდენადაც კავშირს § 831-იდან გამომდინარე წარედგინება პრეტენზია დამხმარე პირის მოქმედების გამო, პასუხისმგებელია მხოლოდ კავშირის ქონება (*Palandt-Ellenberger*, მე-12 ველი).

4. იურიდიული მოქმედების განმახორციელებელი პირის პერსონალური პასუხისმგებლობა, მე-2 წინადადების მიხედვით, არის დამატებითი პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობა ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებულ იქნა კავშირისათვის, ან გარიგება, § 177-ის პირველი ნაწილის თანახმად, მოწონებულ იქნა. ამდენად, იგი დგება კავშირის პასუხისმგებლობასთან ერთად.

თავი 2. რეგისტრირებული კავშირები

§ 55. განსჯადობა რეგისტრაციის განხორციელებისათვის

§ 21-ში მითითებული სახის კავშირის რეგისტრაცია ხორციელდება იმ რაიონულ-სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც კავშირს აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

§ 55ა. კავშირის ელექტრონული რეესტრი

(1) ¹ფედერაციული მხარის მთავრობებს სახელისუფლო განკარგულებით შეუძლიათ განსაზღვრონ, – შესაბამის ფარგლებში, – რომ კავშირების ელექტრონული რეგისტრაცია განხორციელდეს კომპიუტერულ მონაცემთა სახით. ²ამასთან, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

1. დაცულია მონაცემთა გადამუშავების სათანადო პრინციპები, კერძოდ, მიღებულია ზომები მონაცემთა დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, ასევე სათანადოდაა დაცული მონაცემთა ბაზის საჭირო ასლები, სულ ცოტა, დღიურ საწყისებზე, ორიგინალური მონაცემთა ბაზა და მათი ასლები;
2. განსახორციელებელი ჩანაწერები დაუყოვნებლივ იქნა შეტანილი მეხსიერებაში და შესაძლებელია მათი შინაარსის პერიოდულად შეუცვლელად გამოტანა ნაკითხვადი ფორმით;
3. ¹მიღებულ იქნა „საადგილმამულო რეესტრის წარმოების შესახებ“ კანონის § 126-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, №3-ის დანართით მოთხოვნილი ზომები. ²ფედერაციული მხარის მმართველობის ორგანოებს სახელისუფლო განკარგულებით შეუძლიათ, პირველი წინადადებით გათვალისწინებული უფლებამოსილება გადასცენ ფედერაციული მხარის იუსტიციის მმართველობის ორგანოებს.

(2) ¹კავშირების ელექტრონული რეესტრი იკავებს წინა რეესტრის ერთი გვერდის ადგილს, როგორც კი ჩანაწერები ამ გვერდზე განხორციელდა მეხსიერებაში შესატანი კავშირების შესახებ მონაცემთა ჩანაწერებისათვის და ხელმისაწვდომი გახდა როგორც კავშირების რეესტრი. ²კავშირების წინა რეესტრის შესაბამისი გვერდები უნდა აღინიშნოს ნიშნით „დახურულია“.

(3) ¹ჩანაწერი ძალაშია იმ მომენტიდან, როდესაც იგი შეტანილია კავშირების შესახებ მონაცემთა ჩანაწერების მეხსიერებაში და შესაძლებელია მისი შინაარსის პერიოდულად შეუცვლელად ნაკითხვადი ფორმით გამოტანა. ²დამადასტურებელი ცნობით ან სხვა სათანადო გზით უნდა დადასტურდეს, რომ ეს წინაპირობები შეტანილია. ³ნებისმიერი ჩანაწერი უნდა უთითებდეს თარიღს, როდესაც იგი შევიდა ძალაში.

§ 56. კავშირის წევრთა მინიმალური რაოდენობა

რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წევრთა რაოდენობა, სულ ცოტა, შვიდს შეადგენს.

§ 57. კავშირის წესდების მიმართ მინიმალური მოთხოვნები

(1) წესდება უნდა შეიცავდეს საქმიანობის მიზანს, კავშირის სახელწოდებასა და ადგილსამყოფელს და უნდა უთითებდეს, რომ კავშირი ექვემდებარება რეგისტრაციას.

(2) სახელწოდება გარკვევით უნდა განსხვავდებოდეს იმავე ტერიტორიაზე ან იმავე მუნიციპალიტეტში სხვა კავშირების სახელწოდებებისაგან.

§ 58. კავშირის წესდების სავალდებულო შინაარსი

წესდება უნდა შეიცავდეს დებულებებს:

1. წევრთა მიღებისა და კავშირიდან წევრთა გასვლის წესის შესახებ;
2. იმის თაობაზე, ახორციელებენ თუ არა წევრები – და თუ ახორციელებენ, რა ოდენობით – შენატანებს;
3. გამგეობის შემადგენლობის ფორმირების შესახებ;
4. იმ წინაპირობების შესახებ, რომელთა თანახმადაც უნდა იქნეს მოწვეული წევრთა საერთო კრება, მოწვევის ფორმისა და გადაწყვეტილების დამოწმების წესის შესახებ.

§ 59. განცხადების რეგისტრაცია

(1) გამგეობამ უნდა წარადგინოს განცხადება კავშირის სარეგისტრაციოდ;

(2) განცხადებას უნდა დაერთოს წესდებისა და გამგეობის დანიშვნის შესახებ დოკუმენტების ასლები;

(3) წესდება უნდა იქნეს ხელმოწერილი, სულ ცოტა, შვიდი წევრის მიერ და უნდა შეიცავდეს მითითებას მიღების თარიღის შესახებ.

§ 60. განცხადების მიღებაზე უარის თქმა

თუ §§ 56-59-ით გათვალისწინებული მოთხოვნები არ არის შესრულებული, განცხადების მიღებაზე უარი უნდა იქნეს განცხადებული რაიონული სასამართლოს მიერ უარის საფუძვლების მითითებით.

§§ 61-63 (გაუქმებულია)**§ 64. კავშირის რეგისტრაციის ჩანაწერის შინაარსი**

ჩანაწერის გაკეთებისას უნდა მიეთითოს კავშირის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, წესდების მიღების თარიღი, გამგეობის წევრები და მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

§ 65. სახელწოდების დამატება

ჩანაწერის გაკეთებისას კავშირის სახელწოდებას დაერთვის დამატება „რეგისტრირებული კავშირი“.

§ 66. სარეგისტრაციო ჩანაწერის გამოქვეყნება და დოკუმენტების შენახვა

(1) რაიონულმა სასამართლომ კავშირის შესახებ ჩანაწერი უნდა გამოაქვეყნოს კავშირების რეესტრში ფედერაციული მხარის იუსტიციის მმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრულ ელექტრონულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემაში.

(2) განცხადებასთან ერთად წარდგენილი დოკუმენტები უნდა შეინახოს რაიონულმა სასამართლომ.

§ 67. ცვლილება გამგეობის შემადგენლობაში

(1) ¹გამგეობის შემადგენლობაში ნებისმიერი ცვლილება გამგეობის მიერ განცხადებულ უნდა იქნეს რეგისტრაციისათვის. ²განცხადებას უნდა დაერთოს ცვლილების შესახებ დოკუმენტის ასლი.

(2) სასამართლოს მიერ დანიშნულ გამგეობის წევრებს რეესტრში აღრიცხავს სასამართლო საკუთარი ინიციატივით.

§ 68. ნდობის დაცვა კავშირის რეგისტრაციისას

¹თუ გარიგება დაიდო გამგეობის ყოფილ წევრებსა და მესამე პირებს შორის, მაშინ გამგეობის შემადგენლობაში ცვლილება მესამე პირის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუ გარიგების დადების მომენტში ცვლილება რეგისტრირებული იყო კავშირების რეესტრში, ან ცნობილი იყო მესამე პირისათვის. ²როცა ცვლილება რეგისტრირებულია, მესამე პირს არ შეუძლია მისი შინაარსის საწინააღმდეგოდ მითითება, თუ მან მის შესახებ არაფერი იცის, და თუ მისი უცოდინანობა ასევე არ არის გამოწვეული დაუდევრობით.

§ 69. კავშირის გამგეობის შემადგენლობის მტკიცება

იმ მტკიცებულების სახით, რომ გამგეობა შედგება რეგისტრირებული პირებისაგან, ადმინისტრაციულ ორგანოებს წარედგინება რეგისტრაციის შესახებ რაიონული სასამართლოს მოწმობა.

§ 70. ნდობის დაცვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების რეგისტრაციისას

§ 68-ის რეგულირება გამოიყენება ასევე იმ ნორმების მიმართ, რომლებითაც იზღუდება გამგეობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები, ან დგინდება გამგეობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების § 26-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებისაგან განსხვავებული წესი.

§ 71. ცვლილებები წესდებაში

(1) ¹წესდებაში ცვლილებები მათი ნამდვილობისათვის რეგისტრირებულ უნდა იქნეს კავშირების რეესტრში. ²ცვლილების განცხადებას სარეგისტრაციოდ წარადგენს გამგეობა. ³განცხადებას უნდა დაერთოს ცვლილების შემცველი გადაწყვეტილების ასლი და წესდების ტექსტი. ⁴წესდების ტექსტში შეცვლილი დებულებები უნდა შეესაბამებოდეს წესდების ცვლილების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, შეუცვლელ დებულებებს წესდების წარდგენილ ბოლო სრულ ვერსიასთან ერთად, ხოლო თუ წესდება შეიცვალა ისე, რომ არ იქნა წარდგენილი წესდების სრული ვერსია, – ასევე თავდაპირველად რეგისტრირებულ ცვლილებებს.

(2) შესაბამისად, გამოიყენება §§ 60, 64 და § 66-ის მე-2 ნაწილის ნორმები.

§ 72. წევრთა რაოდენობის დადასტურება

გამგეობამ რაიონული სასამართლოს მოთხოვნით ნებისმიერ დროს უნდა წარუდგინოს მას მის მიერ შედგენილი კავშირის წევრთა რაოდენობის შესახებ წერილობითი ცნობა.

§ 73. წევრთა რაოდენობის მინიმალურ რაოდენობაზე ქვემოთ ჩამოსვლა

თუ წევრთა რაოდენობა სამზე ქვემოთ ჩამოვიდა, მაშინ რაიონულმა სასამართლომ გამგეობის განცხადების საფუძველზე, – ხოლო თუ განცხადება არ იქნა წარდგენილი სამი თვის განმავლობაში, საკუთარი ინიციატივით – გამგეობის მოსმენის შემდეგ კავშირს უნდა ჩამოართვას უფლებაუნარიანობა.

§ 74. კავშირის დაშლა

(1) კავშირის დაშლა, ისევე როგორც უფლებაუნარიანობის ჩამორთმევა, ექვემდებარება რეესტრში რეგისტრაციას.

(2) ¹თუ კავშირი იშლება წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ან იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც იგი იყო შექმნილი, მაშინ დაშლის შესახებ განცხადება სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს გამგეობამ. ²პირველ შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს დაშლის შესახებ გადაწყვეტილების ასლი.

§ 75. სარეგისტრაციო ჩანაწერები გაკოტრების საქმის წარმოებისას

(1) ¹გაკოტრების საქმის წარმოების აღძვრა და გადაწყვეტილება, რომლითაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე ითქვა უარი გაკოტრების მასის არარსებობის გამო, ასევე § 42-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, კავშირის გაუქმება ექვემდებარება რეგისტრაციას სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით. ²საკუთარი ინიციატივით ასევე ექვემდებარება რეგისტრაციას:

1. გაკოტრების საქმისწარმოების აღძვრის გადაწყვეტილების გაუქმება;
2. დროებითი გაკოტრების მმართველის დანიშვნა, თუ დამატებით მოვალეს ზოგადად აეკრძალა ქონების გახსვისება, ან დადგინდა, რომ მოვალის მიერ განხორციელებული განკარგვები ძალმოსილია მხოლოდ დროებითი გაკოტრების მმართველის თანხმობით და, ასეთი უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება;
3. მოვალის მიერ ქონების მართვის განკარგულება და ამ უკანასკნელის გაუქმება, ასევე ის განკარგულება, რომლითაც მოვალის მიერ განსაზღვრული გარიგების დადებისათვის მოითხოვება თანხმობა;
4. საქმისწარმოების შეჩერება და შეწყვეტა;
5. გაკოტრების გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობა და ამ უკანასკნელის შეწყვეტა.

(2) ¹თუ წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით კავშირის არსებობა გაგრძელდება § 42-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მაშინ არსებობის გაგრძელების შესახებ განცხადება სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს გამგეობამ. ²განცხადებას თან უნდა დაერთოს გადაწყვეტილების ასლი.

§ 76. ლიკვიდატორების რეგისტრაციაში გატარება

(1) ¹კავშირის ლიკვიდაციისას ლიკვიდატორები და მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ექვემდებარება კავშირის რეესტრში რეგისტრაციას. ²ანალოგიური წესი მოქმედებს ლიკვიდაციის შემდეგ კავშირის გაუქმებისას.

(2) ¹განცხადება სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს გამგეობამ. ²სარეგისტრაციოდ წარდგენისას უნდა მიეთითოს ლიკვიდატორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები. ³ლიკვიდატორების ან მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ცვლილებები, ასევე კავშირის გაუქმება სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინონ ლიკვიდატორებმა. ⁴წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით დანიშნული ლიკვიდატორების მიერ წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს გადაწყვეტილების ასლი, ხოლო § 48-ის მე-3 ნაწილისაგან განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადგენისას განცხადებას უნდა დაერთოს ამ წესის შემცველი დოკუმენტის ასლი.

(3) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორების რეგისტრაცია ხორციელდება სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით.

§ 77. განცხადების წარდგენაზე ვალდებული პირები და განცხადების წარდგენის ფორმა

¹კავშირის რეგისტრაციის განცხადებები წარდგენილ უნდა იქნეს ოფიციალურად დამონშებული განცხადების მეშვეობით გამგეობის წევრების, ისევე როგორც ლიკვიდატორების მიერ, რამდენადაც ეს უკანასკნელნი უფლებამოსილნი არიან, წარმოადგინონ კავშირი. ²განცხადება შეიძლება სასამართლოს წარდგინოს ორიგინალის ან ოფიციალურად დამონშებული ასლის სახით.

§ 78. ჯარიმის ოდენობის დადგენა

(1) რაიონულ სასამართლოს შეუძლია გამგეობის წევრების მიერ § 67-ის პირველი ნაწილით, § 71-ის პირველი ნაწილით, § 72-ით, § 74-ის მე-2 ნაწილით, § 75-ის

მე-2 ნაწილითა და § 76-ით დადგენილი ნორმების შესრულების იძულება ჯარიმების დადგენით.

(2) ანალოგიური წესით ლიკვიდატორებს შეუძლიათ § 76-ით დადგენილი ნორმების შესრულების იძულება.

§ 79. კავშირების რეესტრის გაცნობა

(1) ¹კავშირების რეესტრის გაცნობა, ისევე როგორც კავშირის მიერ რაიონული სასამართლოსათვის წარდგენილი დოკუმენტების გაცნობა ნებადართულია ნებისმიერი პირისათვის. ²ჩანაწერებიდან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ასლი; მოთხოვნის შემთხვევაში ასლი უნდა დამოწმდეს. ³თუ კავშირების რეესტრის წარმოება ხდება ელექტრონულად, ასლის ადგილს იკავებს ამონაბეჭდი, დამოწმებული ასლის შემთხვევაში კი ოფიციალური ამონაბეჭდი.

(2) ¹კომპიუტერიზებული წარმოების დანერგვა, რომლითაც შესაძლებელია გამოძახების გზით ელექტრონულად წარმოებული კავშირების რეესტრიდან მონაცემების გადაგზავნა, დასაშვებია, თუ:

1. მონაცემების გამოძახება არ აღემატება პირველი ნაწილის თანახმად დასაშვებ გაცნობას, და
2. გამოძახებების დასაშვებობა შემოწმდება ოქმის საფუძველზე.

²ფედერაციულ მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ ფედერაციული მხარეების საუწყებოთაშორისო ელექტრონული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის წარმოების პროცედურა.

(3) ¹მომხმარებელს უნდა შეატყობინონ, რომ მას შეუძლია გადაცემული მონაცემების გამოყენება მხოლოდ საინფორმაციო მიზნით. ²კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ (მაგ., შერჩევითი შემოწმების შედეგად) უნდა დაამტკიცოს, არის თუ არა სახეზე მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ პირველი წინადადების თანახმად დასაშვები გაცნობა გადაჭარბებულ იქნა ან მიწოდებული მონაცემები არასათანადოდ გამოიყენება.

(4) კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია გამორიცხოს კომპიუტერიზებულ მონაცემთა გამოძახების პროცედურაში მონაწილეობისაგან ის მომხმარებელი, რომელიც საფრთხეს უქმნის მონაცემთა გამოძახების ფუნქციონირების საიმედოობას, აჭარბებს მე-3 ნაწილის პირველი წინადადებით დაშვებულ გაცნობის კვოტას ან მიწოდებულ მონაცემებს არასათანადოდ იყენებს.

(5) ¹კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოა ფედერაციული მხარის იუსტიციის მმართველობის ორგანო. ²ადგილობრივი კომპეტენტულის მქონე ორგანოა ადმინისტრაციული ორგანო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს განსჯადი რაიონული სასამართლო. ³განსჯადობა შეიძლება განსხვავებულად მოწესრიგდეს ფედერაციული მხარის მთავრობის სახელისუფლო განკარგულებით. ⁴ფედერაციული მხარის მთავრობას შეუძლია, აღნიშნული უფლებამოსილება სახელისუფლო განკარგულებით გადასცეს ფედერაციული მხარის იუსტიციის მმართველობის ორგანოს. ⁵ფედერაციულ მხარეებს შეუძლიათ, აგრეთვე, შეთანხმდნენ განსჯადობის სხვა ფედერაციული მხარის კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოსათვის გადაცემაზე.

ქვეკარი 2. ფონდები

§ 80. უფლებაუნარიანი ფონდის დაფუძნება

(1) უფლებაუნარიანი ფონდის დაფუძნებისათვის საჭიროა დაფუძნების გარიგება და იმ ფედერაციული მხარის კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვა, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ფონდს უნდა ჰქონდეს ადგილსამყოფელი.

(2) ფონდი უფლებაუნარიანად აღიარებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც დაფუძნების გარიგება აკმაყოფილებს § 81-ის პირველი ნაწილის მოთხოვნებს, ასევე თუ ჩანს, რომ იგი გრძელვადიანი პერსპექტივითა და მყარად უზრუნველყოფს ფონდის მიზნის განხორციელებას და ეს უკანასკნელი საფრთხეს არ უქმნის საზოგადო სიკეთეს.

(3) ¹ფედერაციული მხარის საკანონმდებლო ნორმები საეკლესიო ფონდების შესახებ უცვლელი რჩება. ²ანალოგიური წესი გამოიყენება შესაბამისად იმ ფონდების მიმართ, რომლებსაც ფედერაციული მხარის კანონმდებლობა უთანაბრებს საეკლესიო ფონდებს.

1. **ცნება.** § 80 და შემდეგი პარაგრაფების არსით ფონდი არის უფლებაუნარიანობის მქონე ქონებრივი მასა. საქმე ეხება **წევრების გარეშე არსებულ იურიდიულ პირს**. უფლებაუნარიანი ფონდი შეიძლება შეიქმნას პირთა შორის დადებული გარიგებით (§ 81) ან საანდერძო განკარგულებით (§ 83). ცოცხალ პირთა შორის დადებული გარიგებით ფონდის შექმნა პრაქტიკაში გავრცელებული წესია. ფონდის შექმნისათვის **დაფუძნების გარიგებასთან** ერთად საჭიროა იმ ფედერაციული მხარის კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს **ნებართვა**, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ფონდს უნდა ჰქონდეს ადგილსამყოფელი (პირველი ნაწილი). მე-2 ნაწილის წინაპირობების გათვალისწინებით, აღნიშნულ ნებართვაზე (ადმინისტრაციულ აქტზე) არსებობს მოთხოვნის უფლება. ფონდები მათი შექმნის შემდეგაც ექვემდებარება ფედერაციული მხარის კანონმდებლობის საფუძველზე კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიმდინარე ზედამხედველობას (წმინდა სამართლებრივი ზედამხედველობა).

2. **განსხვავება** სხვა ორგანიზაციული ფორმებისაგან. ა) უფლებაუნარიანი ფონდისაგან უნდა განვასხვავოთ **დამოუკიდებელი სტატუსის არმქონე ფონდი**, რომელსაც ასევე მინდობილი საკუთრების ფონდსაც უწოდებენ. იგი სამოქალაქო კოდექსში სპეციალურად არ რეგულირდება. საქმე ეხება ფონდის დამფუძნებლის მიერ ქონების უკვე არსებული ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის (ფონდის მფლობელი) გადაცემას, რომელსაც ეკისრება ვალდებულება, მისთვის გადაცემული აქტივი ხანგრძლივი ვადით გამოიყენოს ფონდის დამფუძნებლის მიერ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად (*MüKo-Reuter*, § 80-ის შესავლის 87-ე ველი). დამოუკიდებელი სტატუსის არმქონე ფონდის შემთხვევაში, ფონდის დაფუძნების გარიგება არის არა დაფუძნების ცალმხრივი აქტი, არამედ ფონდის დამფუძნებელსა და ფონდის მფლობელს შორის ხელშეკრულება. ამავე დროს, საქმე შეიძლება ეხებოდეს ჩუქებას ვალდებულების დაკისრებით (§ 525), ან ფიდუციარულ გარიგებას დავალების ან სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულების ფორმით. გადამწყვეტია ის ფორმა, რომელსაც ირჩევენ მხარეები (BGHZ, 180, 144)¹. დამოუკიდებელი სტატუსის არმქონე ფონდები არ ექვემდებარება ფონდების ზედამხედველობას და მათი საქმიანობა ასევე არ საჭიროებს ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვას. დამოუკიდებელი სტატუსის არმქონე ფონდი შეიძლება შეიქმნას ასევე საანდერძო განკარგულებითაც. ამავე დროს, აქ, როგორც წესი, ინიშნება მემკვიდრე ან გაიცემა საანდერძო განკარგულება ფონდის მფლობელის სასარგებლოდ იმ ვალდებულების დაკისრებით (§§ 1940, 2192 და შემდეგი პარაგრაფები), რომ ფონდისათვის გადაცემული ქონების მართვა განხორციელდება ფონდის წესდებით დადგენილი წესით ფონდის მფლობელის სხვა ქონებისაგან განცალკევებულად.

ბ) გარდა აღნიშნულისა, § 80 და შემდეგი პარაგრაფები არ მოქმედებს საჯარო სამართლის ფონდების მიმართ, რომელიც იქმნება სახელმწიფოს სახელისუფლო აქტით (როგორც წესი, კანონით ან სახელისუფლო განკარგულებით). თუმცა, სახელმწიფოს აქვს ასევე შესაძლებლობა, საჯარო სამართლის ფონდის ნაცვლად

1 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

შექმნას სამოქალაქო სამართლის ფონდი § 80-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად.

§ 81. დაფუძნების გარიგება

(1) ¹ცოცხალ პირთა შორის დაფუძნების გარიგება საჭიროებს მისი წერილობითი ფორმით დადებას. ²იგი უნდა შეიცავდეს დამფუძნებლის დამავალდებულებულ განცხადებას, რომ ქონება გადაეცემა მის მიერ დასახული მიზნისათვის. ³დაფუძნების გარიგებით უნდა იქნეს მიღებული ფონდის წესდება შემდეგი დებულებებით:

1. ფონდის სახელწოდება,
2. ფონდის ადგილსამყოფელი,
3. ფონდის მიზანი,
4. ფონდის ქონება,
5. ფონდის გამგეობის შემადგენლობა.

თუ ფონდის დაფუძნების გარიგება მე-3 წინადადების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და დამფუძნებელი გარდაცვლილია, შესაბამისად, გამოიყენება § 83-ის მე-2-მე-4 წინადადებები.

(2) ¹ფონდის უფლებაუნარიანად აღიარებამდე დამფუძნებელი უფლებამოსილია, უარი თქვას დაფუძნების გარიგებაზე. ²თუ აღიარების თაობაზე განცხადება წარდგენილია კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოში, უარის განცხადებაც უნდა მოხდეს მხოლოდ ამ უკანასკნელის წინაშე. ³დამფუძნებლის მემკვიდრე არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას დაფუძნების გარიგებაზე, თუ დამფუძნებელი განცხადებას წარადგენს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოში, ან თუ დაფუძნების გარიგება დამონმდა სანოტარო წესით, დამფუძნებელმა დამონმებისას ან დამონმების შემდეგ ნოტარიუსს დაავალა განცხადების წარდგენა.

1. **1.** ცოცხალ პირთა შორის დადებული ფონდის დაფუძნების გარიგების მიმართ მოქმედებს გარიგებების შესახებ **ზოგადი ნორმები**. იგი არ არის ზეპირადული ბუნების გარიგება; ამდენად, წარმომადგენლობა ამ შემთხვევაში დასაშვებია. ფონდის დაფუძნების გარიგება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე ფონდის დამფუძნებლის მიერ.
2. **2.** ფონდის დამფუძნებლის მხრიდან პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, **ქონების გამოყოფის შეპირება არის** ფონდისათვის აქტივის ნებაყოფლობით უსასყიდლო გადაცემა. ამიტომაც ფონდის დამფუძნებლის გარდაცვალების შემთხვევაში, სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია, § 2325-ის თანახმად მოითხოვოს სავალდებულო წილზე დამატება, როდესაც ფონდი იქმნება უკვე ცოცხალ პირთა მიერ და ამის გამო მას გადაეცემა ფონდის დამფუძნებლის მნიშვნელოვანი ქონება (იხ. § 2325-ის მე-3 ველი).
3. **3.** პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ცოცხალ პირებს შორის დაფუძნების გარიგება საჭიროებს მისი **წერილობითი ფორმით** დადებას. სადავოა, საკმარისია თუ არა ეს ფორმა **ქონების გამოყოფის შეპირებისათვის** ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ფონდისათვის გადაცემული ქონება არის მიწის ნაკვეთები (იხ. § 311ბ) (შდრ. *MüKo-Kanzleiter*, § 311b 24-ე ველი). ნებისმიერ შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემა (შეთანხმება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ) საჭიროებს სანოტარო წესით დამონმებას (§ 925).

§ 82. დამფუძნებლის ვალდებულება ქონების გადაცემაზე

¹თუ ფონდი აღიარებულ იქნა უფლებაუნარიანად, მაშინ დამფუძნებელი ვალდებულია, გადასცეს ფონდს დაფუძნების გარიგებით შეპირებული ქონება. ²ის უფლებები, რომელთა გადაცემა ხდება მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით,

ფონდზე გადადის ამ უკანასკნელის ალიარების მომენტიდან, თუ დაფუძნების გარიგებიდან დამფუძნებლის სხვა განზრახვა არ გამომდინარეობს.

§ 83. ფონდი ანდერძით

¹თუ დაფუძნების გარიგება არის საანდერძო განკარგულება, სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ აღნიშნულის შესახებ უნდა შეატყობინოს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს ალიარებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განცხადება წარდგენილია მემკვიდრის ან ანდერძის აღმსრულებლის მიერ. ²თუ დაფუძნების გარიგება არ აკმაყოფილებს § 81-ის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების მოთხოვნებს, მაშინ ფონდს კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ალიარებამდე უნდა გადასცეს წესდება, ან შეიტანოს დამატებები არასრულ წესდებაში; ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს დამფუძნებლის ნება. ³თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, ფონდის ადგილსამყოფლად მიიჩნევა ადგილი, სადაც ხორციელდება მისი მართვა. ⁴საეჭვოობისას ადგილსამყოფლად მიიჩნევა ქვეყნის ტერიტორიაზე დამფუძნებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი.

1. ფონდის დაფუძნების შესახებ გარიგება პირის გარდაცვალების შემთხვევაში შეიძლება იყოს ან ანდერძი, ან მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება. ცოცხალ პირთა შორის დაფუძნებული ფონდისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით მოქმედებს სამემკვიდრეო-სამართლებრივი ნორმები. საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძის შემთხვევაში (§ 2247), როგორც თავად ფონდის დაფუძნების გარიგება, ისე, აგრეთვე, ფონდის წესდება სრულად უნდა იქნეს საკუთარი ხელით დაწერილი.

2. ანდერძით ფონდიც უფლებაუნარიანობას იძენს ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვის მიღების შემდეგ. ვინაიდან ის სამკვიდროს გახსნის მომენტიში ჯერ არ არის უფლებაუნარიანი (მემკვიდრეობით გადაცემაუნარიანი), § 84-ის მიხედვით, დამფუძნებლის მიერ განხორციელებული შენატანების მიზნისათვის მიიჩნევა, რომ ფონდი შეიქმნა ჯერ კიდევ დამფუძნებლის გარდაცვალებამდე; ამ ფიქციას ენიჭება უპირატესობა § 1923-ის ნორმასთან შედარებით.

3. ფონდი შეიძლება დანიშნულ იქნეს როგორც მემკვიდრე, თავდაპირველი მემკვიდრე ან სუბსტიტუტი, ისევე როგორც ლეგატარი. თუ ის თანამემკვიდრეა, მაშინ თანამემკვიდრეებს შორის სამკვიდრო ქონების გაყოფა § 2043-ით დადგენილი წესის ანალოგიურად გამოორციხულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფონდის ალიარებამდე.

§ 84. ალიარება დამფუძნებლის გარდაცვალების შემდეგ

თუ ფონდი უფლებაუნარიანად ალიარებულ იქნა დამფუძნებლის გარდაცვალების შემდეგ, მაშინ მის მიერ განხორციელებული შენატანების მიზნისათვის მიიჩნევა, რომ ფონდი შეიქმნა ჯერ კიდევ დამფუძნებლის გარდაცვალებამდე.

§ 85. ფონდის შინაგანი სტრუქტურა

ფონდის შინაგანი სტრუქტურა – იმდენად, რამდენადაც იგი არ ეფუძნება ფედერაციის ან ფედერაციული მხარის კანონმდებლობას, – განისაზღვრება დაფუძნების გარიგებით.

§ 86. კავშირების მომწესრიგებელი სამართლის გამოყენება

¹§§ 26-ისა და 27-ის მე-3 ნაწილის, §§ 28-31-ს, 42-ის ნორმები, შესაბამისად, გამოიყენება ფონდების მიმართ; § 26-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების და § 27-ის მე-3 ნაწილისა და § 28-ის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში,

რომლებშიც ფონდის შინაგანი სტრუქტურებიდან – კერძოდ კი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მართვიდან – განსხვავებული წესი არ გამომდინარეობს. ²§ 26-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება და § 29 არ გამოიყენება იმ ფონდების მიმართ, რომელთა მართვას ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანო.

§ 87. ფონდის მიზნის შეცვლა; გაუქმება

(1) თუ ფონდის მიზნის შესრულება შეუძლებელი გახდა, ან მისი განხორციელება საფრთხეს უქმნის საზოგადო სიკეთეს, მაშინ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, ფონდს განუსაზღვროს სხვა მიზანი, ან გააუქმოს იგი.

(2) ¹მიზნის შეცვლისას დამფუძნებლის ნება უნდა იქნეს გათვალისწინებული, განსაკუთრებით, უნდა იზრუნონ იმაზე, რომ შემოსავლები ფონდის ქონებიდან გადაეცეს პირთა იმ წრეს, რომლისთვისაც ისინი იყო განკუთვნილი დამფუძნებლის ნების შესაბამისად. ²ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია შეცვალოს ფონდის შინაგანი სტრუქტურა იმ ფარგლებში, რომლებშიც ცვლილება ამას ითხოვს.

(3) მიზნისა და ფონდის შინაგანი სტრუქტურის ცვლილებამდე უნდა მოუსმინონ ფონდის გამგეობას.

§ 88. ქონების გადაცემა

¹ფონდის რეესტრიდან ამოშლით ქონება გადადის შინაგანი სტრუქტურით განსაზღვრულ პირებზე. ²თუ ასეთი პირები განსაზღვრულნი არ არიან, მაშინ ქონება გადადის იმ ფედერაციული მხარის ხაზინაზე, რომლის ტერიტორიაზეც ფონდს ჰქონდა ადგილსამყოფელი, ან სხვა პირზე, რომელიც ფედერაციული მხარის კანონმდებლობით უფლებამოსილი იყო ქონების მიღებაზე. ³შესაბამისად, გამოიყენება §§ 46-53-ის ნორმები.

ქვეკარი 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირები

§ 89. პასუხისმგებლობა ორგანოთა მოქმედებებისათვის; გაკოტრების საქმისწარმოება

(1) § 31-ის ნორმა შესაბამისად გამოიყენება ხაზინის მიმართ, ისევე როგორც საჯარო სამართლის კორპორაციების, ფონდებისა და დაწესებულებების მიმართ.

(2) ანალოგიური წესია დადგენილი § 42-ის მე-2 ნაწილის ნორმის მიმართ, იმ ფარგლებში, რომლებშიც გაკოტრების საქმისწარმოება დაშვებულია საჯარო სამართლის კორპორაციების, ფონდებისა და დაწესებულებების მიმართ.

ნაწილი 2. ნივთები და ცხოველები

§ 90. ნივთის ცნება

კანონის გაგებით, ნივთებად მიიჩნევა მხოლოდ სხეულებრივი საგნები.

§ 90ა. ცხოველები

¹ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს. ²ისინი დაცულები არიან სპეციალური კანონებით. ³მათ მიმართ გამოიყენებულ უნდა იქნეს ნივთების მიმართ დადგენილი ნორმები, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

§ 91. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები

გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებად, კანონის გაგებით, მიიჩნევა მოძრავი ნივთები, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში განისაზღვრება რიცხვით, ზომით ან წონით.

§ 92. მოხმარებადი ნივთები

(1) მოხმარებად ნივთებად, კანონის გაგებით, მიიჩნევა მოძრავი ნივთები, რომელთა დანიშნულებისამებრ გამოყენება გამოიხატება მათი მოხმარებითა თუ გასხვისებით.

(2) მოხმარებად ნივთებად მიიჩნევა ასევე მოძრავი ნივთები, თუ ისინი სასაქონლო საწყობის ან ნივთების სხვა ერთობლიობის შემადგენელი ნაწილებია, რომელთა დანიშნულებისამებრ გამოყენება გამოიხატება ცალკეული ნივთების გასხვისებით.

§ 93. ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილები

ნივთის შემადგენელი ნაწილები, რომელთა ერთმანეთისაგან გამოცალკევებაც შეუძლებელია ერთ-ერთის განადგურების ან მისი არსებითი შეცვლის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილები), არ შეიძლება იყოს სპეციალური უფლებების ობიექტი.

1. §§ 93-96-ის შესაბამისობის მოთხოვნის არსი ისაა, რომ შენარჩუნდეს ეკონომიკური აქტივები. ამიტომ აღნიშნული ნორმების განმარტებისათვის, – მაგ., იმ კითხვისათვის, თუ როდის „იცვლება თავისი არსით ნივთის შემადგენელი ნაწილი“, – უპირველეს ყოვლისა, გადაამწყვეტია ეკონომიკური თვალსაზრისი (BGHZ, 20, 154, 157).

2. ნორმების პრაქტიკული მნიშვნელობა წარმოჩნდება სანივთო სამართალში. § 946 და შემდეგი პარაგრაფები ანესრიგებს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როდესაც თავდაპირველად დამოუკიდებელი ნივთები არსებითი შემადგენელი ნაწილები ხდება. § 951 ანესებს კომპენსაციას მომხდარი უფლების დაკარგვის გამო. არსებით შემადგენელ ნაწილებთან დაკავშირებით სანივთო გარიგებები ბათილია, კერძოდ, მათზე გარიგების საფუძველზე ცალკე საკუთრების უფლების დადგენა გამორიცხულია. არსებით შემადგენელ ნაწილებზე ვალდებულებით-სამართლებრივი უფლებების დადგენა კი, პირიქით, შესაძლებელია. მაგ., მინის ნაკვეთთან მყარად დაკავშირებული ანგარის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება გახდეს სამართლებრივად დამოუკიდებელი ნივთი მხოლოდ მომავალში მისი გამოცალკევების შედეგად (BGHZ, NJW, 2000, 504).

3. საკითხს, მიჩნეულ უნდა იქნეს თუ არა ნივთის შემადგენელი ნაწილი ერთიან, თუმცა, შემადგენელი ნაწილებისაგან შემდგარ ანდა დამოუკიდებელ ნივთად, წყვეტს სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული შესხედულება და, დამატებით, საკითხის გადანყვეტისადმი ჩვეულებრივი მიდგომა. ნაწილებს შორის უნდა არსებობდეს სხეულებრივი კავშირი; ხშირად მყარი კავშირი მიუთითებს საგნის შემადგენელი ნაწილის თვისებაზე, თუმცა, შეიძლება საკმარისი იყოს ასევე უფრო ადვილად გასანყვეტი კავშირიც (მდრ.: BGHZ, 18, 226, 229; ავტომობილის ძრავა).

4. არსებითია ისეთი შემადგენელი ნაწილი, როდესაც ის ან დანარჩენი ძირითადი შემადგენელი ნაწილის გაყოფის შედეგად ნადგურდება, ან, ეკონომიკური თვალსაზრისით, არსებითად იცვლება. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია იმაზე, შეიძლება თუ არა გაყოფის შემდეგ სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის თავდაპირველი სახით ეკონომიკური მიზნით გამოყენება, თუნდაც ეს ხდებოდეს ასევე მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ამ მიზნით ისინი კვლავ სხვა ნივთებს უკავშირდებიან (BGHZ, 20, 159, 162). ამიტომ სერიულად გამოშვებული ძრავა ან სათადა-

რიგო ძრავა არ არის ავტომობილის არსებითი შემადგენელი ნაწილი (BGHZ, 18, 226, 229; 61, 80, 81).

§ 94. მიწის ნაკვეთის ან შენობის არსებითი შემადგენელი ნაწილები

(1) მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებს განეკუთვნება მიწასთან მყარად დაკავშირებული ნივთები, კერძოდ: შენობა-ნაგებობები, ასევე მიწის ნაკვეთის მოსავალი მანამდე, სანამ იგი მიწასთან არის დაკავშირებული. ²თესლი ხდება მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი დათესვის მომენტიდან, ხოლო მცენარე მისი დარგვის მომენტიდან.

(2) შენობა-ნაგებობის არსებით შემადგენელ ნაწილებს მიეკუთვნება შენობა-ნაგებობის აღმართვისათვის მასზე მიერთებული ნივთები.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ნორმა აფართოებს § 93-ს მიწის ნაკვეთის ან შენობა-ნაგებობის განსაზღვრული შემადგენელი ნაწილებით, როდესაც § 95 ამ მხრივ ადგენს შეზღუდვებს. ანალიზის შედეგის მხრივ § 95-ს ენიჭება უპირატესობა §§ 93, 94-თან შედარებით; ვინაიდან სახეზე არ არის შემადგენელი ნაწილი, საუბარიც არ შეიძლება არსებითი შემადგენელი ნაწილის არსებობის შესახებ.
- 2 **2. მყარი კავშირი,** რომელიც მიწის ნაკვეთის შემთხვევაში § 93-ში დასახელებული კრიტერიუმებით იცვლება, სახეზეა, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც გაყოფა შედეგად იწვევს დაკავშირებული ნივთების დაზიანებას ან ეს დაკავშირებული იქნებოდა შეუსაბამო ხარჯებთან; როგორც წესი, მყარად დაკავშირებულად მიიჩნევენ მზა სახლებს, ბეტონისაგან აშენებულ მზა ავტოფარეხებს ან ბეტონის კარკასით შემოვლებულ მზა საცურაო აუზებს (*Palandt-Ellenberger*, მე-2 ველი).
- 3 **3. შენობა-ნაგებობის აღმართვისათვის მასზე მიერთებული ნივთები,** მე-2 ნაწილის თანახმად, შენობა-ნაგებობის არსებითი შემადგენელი ნაწილებია, რამდენადაც ნივთების მიერთება არ ხდება მხოლოდ დროებითი მიზნით (§ 95-ის მე-2 ნაწილი); არიან თუ არა ისინი როგორც შენობა-ნაგებობის არსებითი შემადგენელი ნაწილები, ასევე მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილებიც, დამოკიდებულია, პირველი ნაწილის თანახმად, შენობა-ნაგებობის მიმართ მისაღებ გადაწყვეტილებაზე. ნივთი არის „შენობა-ნაგებობის აღმართვისათვის მიერთებული ნივთი“, როდესაც მიერთებამ შენობა-ნაგებობას მისცა განსაზღვრული იერი (BGHZ, 53, 324, 325) და ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს ხდება უკვე რეკონსტრუქციის მიმდინარეობისას. აღნიშნული დამოკიდებული არ არის მიერთებული ნივთების მყარ კავშირზე; ასევე არც ნივთებზე, რომლებიც შენობა-ნაგებობის აღმართვისათვისაა „აუცილებელი“ (RGZ, 150, 22, 26). სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მიერთებული ნივთების მაგალითებია გათბობის სისტემები ან ცხელი წყლის რეზერვუარი, ისევე როგორც ჩაშენებული სამზარეულოები და ჩაშენებული კარადები (იხ. *MüKo-Holch*, 26-ე და მომდევნო ველები).

§ 95. მხოლოდ დროებითი მიზნით მიერთება

(1) მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებს არ მიეკუთვნება ის ნივთები, რომლებიც მიწასთან დაკავშირებულია მხოლოდ დროებითი მიზნით. ²ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შენობის ან სხვა ნაგებობის მიმართ, რომელიც დაკავშირებულ იქნა სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ამ უკანასკნელზე უფლებამოსილი პირის მიერ თავისი უფლების რეალიზაციისას.

(2) ნივთები, რომლებიც მიერთებულია შენობა-ნაგებობასთან მხოლოდ დროებით, არ არის შენობა-ნაგებობის არსებითი შემადგენელი ნაწილები.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ნორმა ზღუდავს §§ 93, 94-ს (იხ. § 94-ის ველი 1). ნივთის აშკარა შემადგენელი ნაწილები, სამართლებრივი თვალსაზრისით, მოძრავი

ნივთებია, რომლებიც შეიძლება გასხვისდეს § 929-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად.

2. მხოლოდ დროებით მიზანს ემსახურება ისეთი კავშირი (პირველი ნაწილი) ან მიერთება (მე-2 ნაწილი), როდესაც შემდგომი გამოცალკევება თავიდანვე იყო განზრახული და ასეთი ნება შეესაბამება გარეგნულად შესამჩნევ ფაქტს (BGHZ, 54, 208, 210; 104, 298, 301); აღნიშნული ივარაუდება დამკირავებლების ან მოიჯარეების შემთხვევაში (იხ. BGHZ, 104, 298, 301). მიზნის შემდგომი ცვლილება არ ხდის ნივთს შემადგენელ ნაწილად, პირიქით, ნივთის მესაკუთრე დამატებით უნდა შეუთანხმდეს მიზნის ნაკვეთის მესაკუთრეს, § 929-ის მე-2 წინადადების თანახმად, ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ (BGHZ, 23, 57, 60). ანალოგიურად, გაბატონებული შეხედულების თანახმად, სანივთო-სამართლებრივი გარდაქმნა ნივთის შემადგენელი ნაწილისა (მაგ., კომუნალური წყლის, გაზისა და ელექტროგაყვანილობის) დამოუკიდებელ ნივთად ხორციელდება, § 929-ის მე-2 წინადადების შესაბამისად, დადებული შეთანხმებით საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ ისე, რომ ეს არ მოითხოვს მიზნის ნაკვეთისაგან ნივთის მოცილებას (BGHZ, 165, 184, 188).

3. მიზნის ნაკვეთზე უფლებები, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით, არის მხოლოდ არსებული სანივთო უფლებები, როგორებიცაა: აღნაგობა, უზუფერუქტი ან მიზნის სერვიტუტი. ანალოგიურად გამოიყენება, § 912-ის თანახმად, თმენასავალდებულო (BGHZ, 27, 197, 199) და თანხმობის ძალით მართლზომიერი (BGHZ, 157, 301, 304) საზღვარს გადაცდენილი შენობის სამართლებრივი რეჟიმის მომწესრიგებელი ნორმა; ამდენად, მეზობლის მიზნის ნაკვეთზე მდგარი გადაცდენილი შენობა ეკუთვნის საზღვრის გადამცილებელს.

§ 96. უფლებები როგორც მიზნის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილები

უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია მიზნის ნაკვეთზე არსებულ საკუთრების უფლებასთან, ჩაითვლება მიზნის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებად.

§ 97. საკუთვნებელი

(1) ¹საკუთვნებელია მოძრავი ნივთები, რომლებიც, მართალია, არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, თუმცა, განკუთვნილია მთავარი ნივთის სამეურნეო მიზნისთვის და ამ დანიშნულებით სივრცობრივ კავშირშია მასთან. ²ნივთი არ არის საკუთვნებელი, თუ იგი სამოქალაქო ბრუნვაში არ მიიჩნევა ასეთად.

(2) ¹ნივთის დროებითი გამოყენება სხვა ნივთის სამეურნეო მიზნისთვის არ ანიჭებს მას საკუთვნებლის თვისებას. ²საკუთვნებლის მთავარი ნივთისაგან დროებითი გამოყოფა არ აუქმებს მის საკუთვნებლის თვისებას.

1. ზოგადი მიმოხილვა. საკუთვნებელი, განსხვავებით არსებითი შემადგენელი ნაწილებისაგან (§ 93), როგორც წესი, სამართლებრივად დამოუკიდებელია; ამდენად, იგი შეიძლება ძირითადი ნივთის გარეშეც გასხვისდეს ან უფლებრივად დაიტვირთოს. თუმცა, კანონი „საეჭვოობისას“ ახდენს საკუთვნებლის ჩართვას ძირითად ნივთზე დადებულ გარიგებებში სხვადასხვაგვარი განმარტების შედეგად იმ მიზნით, რომ შენარჩუნდეს ძირითად ნივთსა და საკუთვნებელს შორის არსებული კავშირის ეკონომიკური ღირებულება; მაგ., იხ. § 311გ (გასხვისებისა თუ უფლებრივად დატვირთვის კისრება) და § 926-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება (საკუთრების უფლების გადაცემა მიზნის ნაკვეთზე); შდრ.: § 1120 (იპოთეკის გავრცელება ნაყოფზე, შემადგენელ ნაწილებსა და საკუთვნებელზე), ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 850 (უძრავ ქონებაზე იძულებითი აღსრულების ფარგლებში; მოძრავ ქონებაზე იძულებითი აღსრულებისადმი მიმართება). საკუთვნებლის თვისების დადგენისას ერთგვარ დაზღვევას იძლევა § 98 (რა თქმა უნდა, მასში

მოცემული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის). ნორმა ადასტურებს მხოლოდ ჩამოთვლილი ობიექტების ეკონომიკურ ფუნქციას, ყველა დანარჩენი წინაპირობა საკუთვენბლის თვისებისა სპეციალურად უნდა შემოწმდეს.

2. სამეწარმეო ინვენტარისათვის ძირითადი ნივთი შეიძლება იყოს საწარმოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, როდესაც ეს უკანასკნელი გათვალისწინებულია შესაბამისი ხანგრძლივადიანი ექსპლოატაციისათვის (BGHZ, 62, 49) და როდესაც მიწის ნაკვეთზე მოდის საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი სიმძიმე (BGHZ, 85, 234, 237 § 98-ის №1-ზე მითითებით).

§ 98. სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი

მთავარი ნივთის სამეურნეო მიზნისათვის განკუთვნილია:

1. იმ შენობა-ნაგებობის შემთხვევაში, რომელიც აღჭურვილია ხანგრძლივი ვადით წარმოებისათვის, კერძოდ: წისქვილისათვის, სამჭედლოსათვის, ლუდსახარშისათვის, ფაბრიკისათვის, – წარმოებისათვის განკუთვნილი მანქანა-დანადგარები და სხვა აღჭურვილობა,
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემთხვევაში – მიწის დასამუშავებლად საჭირო წარმოებისათვის განკუთვნილი ხელსაწყოები და საქონელი, სასოფლო-სამეურნეო მოსავალი იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა მეურნეობის წარმოებისათვის იმავე ან მსგავსი მოსავლის აღებამდე, ასევე ფერმაში მიღებული ნაკელი.

§ 99. ნაყოფი

(1) ნივთის ნაყოფი არის ის პროდუქტი ან სხვა ნამატი, რომელიც მიიღება ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შედეგად.

(2) უფლების ნაყოფი არის ის შემოსავლები, რომელთა მიღებასაც უზრუნველყოფს უფლება თავისი დანიშნულების მიხედვით, კერძოდ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლების ნაყოფად მიიჩნევა მოპოვებული წიაღისეული.

(3) ნაყოფი არის ასევე შემოსავლები, რომლებსაც ნივთი ან უფლება იძლევა სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით.

§ 100. სარგებელი გამოყენების შედეგად

გამოყენების შედეგად სარგებელი არის ნივთი ან უფლების ნაყოფი, ასევე სარგებელი, რომელიც მიიღება ნივთით ან უფლებით სარგებლობის დროს.

§ 101. ნაყოფის განაწილება

თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, თუ პირი უფლებამოსილია, დროის განსაზღვრულ მომენტამდე ან განსაზღვრული მომენტის შემდეგ მიიღოს ნივთის ან უფლების ნაყოფი, მას ეკუთვნის:

1. § 99-ის პირველ ნაწილში მითითებული პროდუქტი და შემადგენელი ნაწილები, ასევე მან ისინი ნაყოფის სახით უნდა მიიღოს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც გამოყოფილია ნივთისაგან უფლებამოსილების პერიოდში;
2. სხვა ნაყოფი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც იგი უნდა გადაეცეს მას უფლებამოსილების პერიოდში; თუმცა, თუ ნაყოფი არის საზღაური ნივთით ან ნაყოფით სარგებლობისათვის, პროცენტი, მოგებაში წილი ან სხვა პერიოდულად გადასახდელი შემოსავლები, მაშინ უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თავისი უფლებამოსილების შესაბამისი წილი.

§ 102. ნაყოფის განაწილება

ნაყოფის გადაცემაზე ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ნაყოფის მიღებაზე განუვლი ხარჯების ანაზღაურება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ხარჯები

შეესაბამება მეურნეობის სათანადოდ წარმართვას და ნაყოფის ღირებულებას არ აღემატება.

§ 103. ვალების განაწილება

თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, პირმა, რომელიც ვალდებულია, განსაზღვრულ მომენტამდე ან განსაზღვრული მომენტის შემდეგ იკისროს ნივთის ან უფლების ვალები, უნდა იკისროს რეგულარულად გადასახდელი ვალები თავისი ვალდებულების ხანგრძლივობის პროპორციულად; სხვა ვალები მას ეკისრება იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი უნდა დაიფაროს იმ ვადის განმავლობაში, როდესაც პირს ეკისრება ვალდებულება.

ნაწილი 3. გარიგებები

§ 104-ის შესავალი

სამართლის სუბიექტთა მოქმედებები, რომლითაც მიიღწევა კერძო-სამართ- 1
ლებრივი შედეგები, შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

1. **გარიგება** არის მოქმედებათა ერთობლიობა, როდესაც, სულ ცოტა, ერთი 2
მოქმედება გამოხატავს განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღწევისაკენ მიმართულ ნების გამოვლენას (§ 104-ის შესავალი, პირველი-მე-3 ველები); ცალ-
მხრივი გარიგებებია, მაგ.: ხელშეკრულების შეწყვეტა, შეცილება, ხელშეკრულე-
ბიდან გასვლა, უფლებამოსილების მინიჭება, ჯილდოს საჯაროდ შეპირება, ნივთ-
ზე საკუთრების უფლების მიტოვება; ხოლო მრავალმხრივი გარიგებების ნიმუშია, 3
მაგ., ხელშეკრულება. სამართლებრივი შედეგი დგება მხარეთა ნების საფუძველზე.

2. **გარიგების მსგავსი მოქმედებები** უშუალოდ არ შეეხება მათგან მიღებულ 3
სამართლებრივ შედეგებს და ასევე ისინი არ ახასიათებს მათ; მართალია, ასეთი
მოქმედებები ხშირად ხორციელდება სამართლებრივი შედეგების გაცნობიერე-
ბით, თუმცა, ამ შედეგების დადგომა დამოკიდებულია მხოლოდ მოქმედებაზე და
არა, პირიქით, მხარეთა ნებაზე (*Larenz/Wolf*, § 22 მე-14 და შემდეგი ველები). მა-
გალითები: გაფრთხილება, ვადის დადგენა, §§ 108-ის მე-2 ნაწილის, 177-ის მე-2
ნაწილის თანახმად; შეტყობინებები, §§ 171-ის, 409-ის, 566-ის თანახმად; პრეტენ-
ზია ნაკლის აღმოფხვრაზე; სავაჭრო კოდექსის §§ 377-ის თანახმად. გამოიყენება
ქმედუნარიანობის მომწესრიგებელი ნორმები. განცხადებებისათვის იხ. § 166-ის
შესავლის ველი 4.

3. **რეალური მოქმედებები** ისეთი მოქმედებებია, რომლებიც მიმართულია უბ- 4
რალოდ ფაქტობრივი შედეგის მიღწევისაკენ და, როგორც წესი, იგი არ ეხება არც
სამართლებრივ ურთიერთობას და არც სამართლებრივ შედეგებს, თუმცა, კანონი
– მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად – მათ უკავშირებს განსაზღვრულ სამართ-
ლებრივ შედეგებს. მაგ.: მფლობელობის მიღება, მფლობელობის მიტოვება, ნივ-
თის გადაცემა (საკუთრების უფლების გადაცემის ნების გარეშე), გადამუშავება,
შერევა, ნაპოვარი (განძი); ქმედუნარიანობის, ნების ნაკლის, თანხმობისა და მო-
წონების, ასევე წარმომადგენლობის მომწესრიგებელი ნორმები არ გამოიყენება,
ვინაიდან რეალური მოქმედებით გამოწვეული სამართლებრივი შედეგები დგება
კანონის ძალით.

კარი 1. ქმედუნარიანობა

§ 104. ქმედუნარობა

ქმედუნაროა ის:

1. ვისაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის;
2. ვინც იმყოფება ისეთი პათოლოგიური გონებრივი აშლილობის მდგომარეობაში, რომელიც გამოიწვია ნების თავისუფლად განსაზღვრას, თუ მდგომარეობა თავისი ბუნებით არ არის დროებითი.

ქმედუნარიანობა არის უნარი, საკუთარი ნებელობითი მოქმედებებით შეიძინო უფლებები და იკისრო მოვალეობები.

§ 105. ნების გამოვლენის ბათილობა

(1) ქმედუნარო პირის ნების გამოვლენა ბათილია;

(2) ბათილია ასევე ნების გამოვლენა, რომელიც განხორციელდა დაკარგული ცნობიერების ან დროებითი ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში.

- 1 ბათილობა დგება დამოუკიდებლად იმისაგან, იყო თუ არა, § 104-ის თანახმად, ნების გამოვლენა ქმედუნარო პირისთვის მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მომტანი (განსხვავებით არასრულწლოვანისაგან) და სრულად იყო თუ არა ქმედუნარო პირის ინტერესები დაცული. ქმედუნარო პირის დაცვისათვის დადგენილი ნორმა ემსახურება სამართლებრივ უსაფრთხოებას. ის შესრულებები, რომლებიც განხორციელდა ბათილი გარიგების შესრულების მიზნით, ზოგადი წესით, ექვემდებარება სანქის მდგომარეობაში დაბრუნებას უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად. გამონაკლისი: § 105ა.

§ 105ა. ყოველდღიური გარიგებები

¹თუ სრულწლოვანი ქმედუნარო პირი დადებს ყოველდღიურ გარიგებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მცირე თანხით, მაშინ მის მიერ დადებული ხელშეკრულება განიხილება ძალმოსილად შესრულების მიმართ, ხოლო შეთანხმების შემთხვევაში, – საპირისპირო შესრულების მიმართაც, როგორც კი განხორციელდება შესრულება და საპირისპირო შესრულება. ²პირველი წინადადება არ გამოიყენება პირის ან ქმედუნარო პირის ქონების მიმართ მომეტებული საფრთხის შემთხვევაში.

- 1 ნორმა, რომლის მიზანია სულიერად ავადმყოფი ადამიანების სამართლებრივი მდგომარეობისა და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, ადგენს გარიგების სანქის მდგომარეობაში დაბრუნების წესისაგან და არა ნების გამოვლენის ბათილობის წესისაგან გამონაკლისს (იხ. § 105 ველი 1), ყოველდღიური ცხოვრებისეული მცირე გარიგებებისათვის (როგორებიცაა: საკვები პროდუქტები, გაზეთები, კბილის პასტა, დალაქის მომსახურების მიღება და ა. შ.), რომლებსაც ახორციელებს სრულწლოვანი ქმედუნარო პირი (§ 104, №2). როგორც კი ვალდებულება და სამაგიერო ვალდებულება სრულდება, ხოლო ქმედუნარო პირი ასევე ახორციელებს ფასის გადახდასაც, ხდება გარიგების ნამდვილობის ფიქტიურად განსაზღვრა. ამავე დროს, იქმნება სამართლებრივი საფუძველი „შენარჩუნება-შესაძლებელიასთვის“, თუმცა, არ წარმოიშობა შესრულების ვალდებულება, რომელიც ქმედუნარო პირის დაცვის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. რაციონალურად მიიჩნევა § 105ა-ს ფიქციის გავრცელება ასევე ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ შესრულების სანივთო გარიგებაზე; კერძოდ კი, ქმედუნარო პირს შეუძლია, § 105ა-ს ფარგლებში თავის კონტრაჰენტისათვის ძალმოსილი საკუთრების უფლების მინიჭება (Casper NJW, 2002, 3425, 3427; განსხვავებული შეხედულებები მოცემულია: Löhnig/Schärtl, AcP, 2004, 25, 37).

მე-2 წინადადების შემთხვევაში, რომელიც შეესაბამება § 1903-ს, შენარჩუნებულია § 105-ში მითითებული ბათილობის სამართლებრივი შედეგები.

§ 106. არასრულწლოვნის შეზღუდული ქმედუნარიანობა

არასრულწლოვანს, რომელმაც მიიღწია შვიდი წლის ასაკს, აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა, §§ 107-113-ის შესაბამისად.

ანალიზის შედეგები (შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის სამართლებრივი ძალა): **1**

1. სამართლებრივად მხოლოდ სარგებლის მომტანი ან ნეიტრალური გარიგება (იხ. § 107-ის პირველი და მომდევნო ველები) არ საჭიროებს თანხმობას. სხვა შემთხვევაში თანხმობა აუცილებელია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს წინასწარ მიცემული თანხმობით ან შემდგომი მონონებით. **2**

2. წინასწარ მიცემული თანხმობა. ა) პირდაპირი ან კონკლუდენტური თანხმობა კონკრეტული გარიგებისათვის; ბ) ზოგადი თანხმობა გარიგებათა შეზღუდული წრისათვის (იხ. § 107-ის მე-8 ველი); გ) ფულადი სახსრების გადაცემით (§ 110, „პარაგრაფი ჯიბის ფულის შესახებ“), ასევე მცირე ღირებულების მქონე სუროგატი. **3**

3. მონონება (§ 108). გამორიცხულია მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებაზე წინასწარი უარის თქმის შემთხვევაში (§ 109); როგორც წესი, უმნიშვნელოა ცალმხრივი გარიგებების შემთხვევაში (§ 111). **4**

§ 107. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა

არასრულწლოვნის იმ ნების გამოვლენისთვის, რომელიც არ გამოიხატება მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მიღებით, საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

I. მხოლოდ სამართლებრივი სარგებელი

სამართლებრივი უსაფრთხოების საფუძვლებიდან გამომდინარე, ძირითადად, **1** გადამწყვეტია **სამართლებრივი** და არა ეკონომიკური ეფექტი. მავალდებულებელი და სანივთო გარიგებების ანალიზი უნდა მოხდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (**განცალკევების პრინციპი**). მავალდებულებელი გარიგებები სამართლებრივად სარგებლიანია, როდესაც შეზღუდულქმედუნარიანი პირი არ კისრულობს ვალდებულებას, რაც ხდება ცალმხრივი, მხოლოდ ხელშეკრულების მეორე მხარისათვის მავალდებულებელი ხელშეკრულების შემთხვევაში; განკარგვითი გარიგებები, როგორც წესი, სარგებლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდულქმედუნარიანი პირის სასარგებლოდ ხდება უფლების გადაცემა, ან მისთვის უარის თქმა. ასეთი გარიგებები, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არის სარგებლიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდულქმედუნარიან პირს შედეგად ეკისრება ისეთი ვალდებულებები, რომელთათვისაც იგი პასუხისმგებელია სანივთო-სამართლებრივად არა მხოლოდ ნივთის შექმნის შედეგად, არამედ ასევე, პირადად, სხვა თავისი ქონებითაც (BGH NJW, 2005, 415)². ყოველთვის განმსაზღვრელია გარიგების უშუალო სამართლებრივი შედეგები. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთი შედეგები დგება არა მხარეთა ნების საფუძველზე, არამედ – კანონის ძალით, ისინი სამართლებრივად წამგებიანია; ასეთი შემთხვევაა, მაგ., მემკვიდრის პასუხისმგებლობა სამკვიდრო მასაში შემავალი ვალდებულებებისათვის სამკვიდროს მიღების შემთხვევაში.

ნების გამოვლენის მიღების საკითხთან დაკავშირებით იხ. § 131-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისი ნორმა³.

² ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

³ ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

- 2 **1. მიწის ნაკვეთის გასწვრივ** არასრულწლოვანზე არ საჭიროებს თანხმობას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან, როგორც წესი, დაკავშირებულია **საჯარო გადასახადები** (მოსაკრებლები, სახელმწიფო გადასახადები). იმ შემთხვევაშიც, როდესაც მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით ან მიწის ვალით, შეძენა არ საჭიროებს თანხმობას (დასაბუთება: არ ეხება § 1147-ით გათვალისწინებულზე მეტ ზარალს). შეძენასთან დაკავშირებული სამართლებრივი ზარალი აღნიშნულ შემთხვევებში გამონაკლისის სახით მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან იგი არის მხოლოდ სარგებლის შემცირება და საფრთხეს არ უქმნის არასრულწლოვანის სხვა ქონებას. ანალოგიური წესი მოქმედებს მიწის ნაკვეთის უზუფრუქტით დატვირთვისას იმ შემთხვევაში, როდესაც უზუფრუქტუარმა (§ 1041-ის მე-2 ნინადადებისაგან განსხვავებით) უნდა იკისროს ნივთის სასწრაფო რემონტის ხარჯები, ისევე როგორც (§ 1047-ისაგან განსხვავებით) საგანგებო ხარჯები; ამდენად, მესაკუთრე არ არის ვალდებული ხარჯების ანაზღაურებაზე, § 1049-ის მიხედვით (BGHZ, 161, 170, 177).
- 3 განსხვავებული მდგომარეობაა **გაქირავებული** ან იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში „შემძენის“ სახით (და არა როგორც „მესაკუთრის“ სახით) პირადი პასუხისმგებლობის აღების გამო, § 578-თან ერთად, § 566-იდან გამომდინარე, ან, შესაბამისად, § 581-ის მე-2 ნაწილის მიხედვით (BGHZ, 162, 137), ან სანივთო ტვირთით დატვირთული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების პირადად კისრების გამო, § 1108-ის თანახმად. განსხვავებული მდგომარეობაა, ასევე საცხოვრებელი ბინის შეძენისას იმ შემთხვევაში, როდესაც საცხოვრებელი ბინის თავდაპირველ მესაკუთრეებს შორის შეთანხმებული საერთო ფართის მართვის წესები კანონით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ბინის მესაკუთრეთა მოვალეობებს (საცხოვრებელი ბინის საკუთრების შესახებ კანონის § 10 და შემდეგი პარაგრაფები) მნიშვნელოვნად ამძიმებს (BGHZ, 78, 28).
- 4 **2. არასრულწლოვანისათვის ნივთის ჩუქების შესახებ ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება**, როგორც წესი, არ საჭიროებს თანხმობას (BGHZ, 15, 170), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩუქება დაკავშირებულია ვალდებულების კისრებასთან, ან იგი დადებულია ხელშეკრულებიდან გასვლის დატყმით, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს არასრულწლოვანის პირადი პასუხისმგებლობა, § 346-ის მე-2-მე-4 ნაწილების თანახმად. თუმცა, §§ 107-ისა და 108-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ჩუქების ხელშეკრულების შემდგომი მერყევი ბათილობა განცალკევების პრინციპის (იხ. ზევით, ველი 1) გამო არ ეხება სამართლებრივი სარგებლის მომტანი განკარგვითი გარიგების სამართლებრივ ნამდვილობას (ნამდვილობას) (BGHZ, 161, 170, 173), პირიქით, შეზღუდვების გარეშე დადებული ჩუქების სამართლებრივი ძალისათვის, როგორც წესი, მნიშვნელობა არა აქვს, დაკავშირებულია თუ არა გამონაკლისის სახით შესრულების გარიგება სამართლებრივ ზარალთან (მაგ., ზევით, მე-3 ველში ნახსენები საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების შეძენა).
- 5 თუმცა, ჩუქებისა და სანივთო გარიგების ცალ-ცალკე განხილვის წესი არ მოქმედებს იმ **კანონიერი წარმომადგენლების** მიერ დადებული ნაჩუქრობებისათვის, რომლებიც თავისთავად მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მომტანი იქნებოდა არასრულწლოვანისათვის. სხვა შემთხვევაში, სამართლებრივი ზიანის მომტანი შესრულების გარიგება შეიძლებოდა დადებულიყო მზრუნველის თანხმობის გარეშე (§ 181-ის ნინადადების ბოლო ნაწილი: სამართლებრივი ძალის მქონე ჩუქებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება). აღნიშნული ეწინააღმდეგება §§ 107-ითა და 181-ით დადგენილ დაცვის იდეას. კანონიერი წარმომადგენლის მიერ დადებული ნაჩუქრობების შემთხვევაში, კითხვას, არის თუ არა ჩუქება მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მომტანი, პასუხი უნდა გაეცეს ვალდებულე-

ბით-სამართლებრივი და სანივთო გარიგებების „ერთობლივი ანალიზის“ შედეგად; დამატებით, ასევე გასათვალისწინებელია ჩუქების შესრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ზიანი (BGHZ, 78, 28, 35; *Gitter/Schmitt* JuS, 1982, 253). სხვა ავტორებს სურთ, ასევე ამ შემთხვევაში დარჩნენ განცალკევების პრინციპზე და მოიშველიონ § 181-ის წინადადების ბოლო ნაწილის თელეოლოგიური შეზღუდვები (მაგ., *Jauernig* JuS, 1982, 576; ლიდაა დატოვებული BGHZ, 161, 170, 174-ის მხრიდან).

3. არასრულწლოვნის მოთხოვნის უფლების შესრულება მასზე საკუთრების უფლების გადაცემით, გაბატონებული შეხედულების თანახმად, შეუძლებელია (იხ. მაგ., *Medicus*, AT 566-ე ველი; განსხვავებული შეხედულებაა *Larenz/Wolf* § 25 21-ე ველი). საკუთრების უფლების შექმნა და შესრულების სამართლებრივი შედეგები ერთმანეთისაგან განცალკევებულად უნდა განვიხილოთ. შესრულება (§ 362-ის პირველი ნაწილი) არ არის მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მომტანი, რადგან იგი აუქმებს მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არარსებობის გამო მოვალე რჩება ვალდებული შესრულებაზე; შესრულებასთან დაკავშირებით კი მას აქვს მოთხოვნის უფლება უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს § 818-ის მე-3 ნაწილს. მართალია, აღნიშნული გაბატონებული შეხედულების თანახმად, შესრულებისათვის არ არის საჭირო ხელშეკრულება და ასევე § 107 უშუალოდ არ გამოიყენება, თუმცა, არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არარსებობის გამო § 107-ის შესაბამისი გამოყენებისას არა აქვს შესრულების მიღების კომპეტენცია.

4. ნეიტრალური გარიგებები, რომლებიც სამართლებრივად არც სარგებლიანი და არც ზიანის მომტანი, შეიძლება დაიდოს შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიერ დამოუკიდებლად. გაბატონებული შეხედულების თანახმად, ყურადღება შეიძლება არც მიექცეს § 107-ის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, რომელიც ითხოვს სამართლებრივ სარგებელს, ვინაიდან ზიანის არარსებობის გამო შეზღუდულქმედუნარიანი პირი არ საჭიროებს დაცვას (შდრ. § 165). მაგ., არასრულწლოვანი ასხვისებს სხვის კუთვნილ ნივთს კეთილსინდისიერ შემძენზე. ეს უკანასკნელი საკუთრების უფლებას იძენს § 932-ის თანახმად. მართალია, არასრულწლოვნის მიერ დადებული საკუთრების უფლების გადაცემის საფუძვლად არსებული ნასყიდობის ხელშეკრულება მერყევად ბათილია და მას შეიძლება წარედგინოს უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები, თუმცა, იგი საკმარისად დაცულია § 818-ითაც. განსხვავებული შეხედულებაა *Medicus/Petersen*, 542-ე ველი; ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერი შექმნა გამორიცხული იქნება; ამდენად, შემძენი კეთილსინდისიერი შექმნის შედეგად არ იქნებოდა უფრო კარგ მდგომარეობაში, ვიდრე მისი წარმოდგენის სისწორის შემთხვევაში, რომლითაც § 107 მის შექმნას ხელს უშლის.

II. ზოგადი თანხმობა

1. ცნება. ნებართვა წინასწარი თანხმობაა (§ 183). იგი შეიძლება მიცემულ იქნეს პირდაპირ ან კონკლუდენტურად და ეხებოდეს განსაზღვრულ გარიგებას ან ჯერ კიდევ განუსაზღვრელ გარიგებათა წრეს. მაგ., ასეთია ყველა ის გარიგება, რომლებიც, ჩვეულებრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული სკოლა-ინტერნატში ცხოვრებასთან, უცხოეთში სწავლებასა თუ მგზავრობასთან. პრაქტიკაში გამოიყენება ტერმინები: „ზოგადი თანხმობა“, „ზოგადი ნებართვა“ ან „საერთო თანხმობა“. თანხმობა შეიძლება განცხადებულ იქნეს მესამე პირის ან შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიმართ. მესამე პირისათვის განცხადების, ხოლო შეზღუდულქმედუნარიანი პირისათვის თანხმობის მიცემაზე უარის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება

§§ 170-173⁴. ფულადი სახსრების გადაცემით ნებართვის გაცემის სპეციალური შემთხვევა იხ. § 110-ში.

9 2. სამართლებრივი ძალა, შინაარსი. მშობლების მიერ პირის წარმომადგენლობის შემთხვევაში საჭიროა ორივე მშობლის თანხმობა, § 1629-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების პირველი ნაწილის შესაბამისად⁵. თუ კანონიერ წარმომადგენელს არასრულწლოვნის სახელით გარიგების დასადავად, სჭირდება საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა (§§ 1643, 1812, 1821), იგი ასევე აუცილებელია § 107-ის მიხედვით მიცემული ნებართვისათვისაც. ზოგადი თანხმობა არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი, ვინაიდან § 107-ითა და შემდეგი პარაგრაფებით გათვალისწინებული დაცვის მიზნების საწინააღმდეგოდ არასრულწლოვანი შეიძლება ჩაითვალოს სრულწლოვან პირად. თუ რა ფარგლებშია ზოგადი თანხმობა საკმარისი, ცალკეულ შემთხვევაში დგინდება განვრცობითი განმარტების შედეგად, როდესაც არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის იდეა შეიძლება მეტყველებდეს შეზღუდული განმარტების სასარგებლოდ, კერძოდ, ფართო შედეგობრივი გარიგებების შემთხვევაში: ავტომატური მართვის მოწმობის მიღებაზე ნებართვა, სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საეჭვოობისას არ გულისხმობს თანხმობას ავტომობილის დაქირავებაზე. ავტომობილის ნასყიდობაზე თანხმობა კი, პირიქით, საეჭვოობისას მოიცავს ასევე კანონისმიერ პასუხისმგებლობის დაზღვევასაც, ვინაიდან სხვაგვარად ავტომობილის ექსპლოატაცია შეუძლებელია.

10 3. სამართლებრივი შედეგები. ნებართვა შედეგად იწვევს იმას, რომ არასრულწლოვანი როგორც უფლებამოსილია, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ისე ვალდებულებაცაა. რა თქმა უნდა, მის სასარგებლოდ § 1629-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ბოლო ნაწილის თანახმად, არსებობს პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობა მისი სრულწლოვნების დადგომის მომენტიდან, რაც არ ხდება კანონიერი წარმომადგენლების ვალდებულებისათვის, §1629-ის თანახმად, პასუხისმგებლობის შეზღუდვის შემთხვევაშიც კი (§ 179 I არ გამოიყენება; RegBegr BT-Drucks, 13/5624, 9).

§ 108. ხელშეკრულების დადება თანხმობის გარეშე

(1) თუ არასრულწლოვანი დებს ხელშეკრულებას კანონიერი წარმომადგენლის სავალდებულო თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების სამართლებრივი ძალა დამოკიდებულია წარმომადგენლის მოწონებაზე.

(2) თუ ხელშეკრულების მეორე მხარე ითხოვს წარმომადგენლისაგან თანხმობის განცხადებას, მაშინ ეს განცხადება უნდა გაკეთდეს მხოლოდ ამ მხარის მიმართ; მოთხოვნის წარდგენამდე არასრულწლოვნის მიმართ განცხადებული თანხმობა ან უარი სამართლებრივი ძალის არმქონეა. მოწონება შეიძლება განცხადებულ იქნეს მოთხოვნის მიღებიდან მხოლოდ ორი კვირის ვადის გასვლამდე; თუ იგი არ იქნება განცხადებული, ითვლება, რომ მასზე უარი ითქვა.

(3) თუ არასრულწლოვანი შეუზღუდავად ქმედუნარიანი გახდა, მაშინ მისი მოწონება იკავებს წარმომადგენლის თანხმობის ადგილს.

1 1. არასრულწლოვნის მიერ დადებული სამართლებრივი ზიანის მომტანი ხელშეკრულებები კანონიერი წარმომადგენლის სავალდებულო თანხმობის გარეშე მერყევად ბათილია. დაუსრულებელი გარიგებიდან შესრულების ვალდებულება ჯერ არ წარმოიშობა, თუმცა, არსებობს ორმხრივი ინტერესების პატივისცემის ვალდებულებაც (სხვა შემთხვევებისა, მაგ., §§ 177-ის პირველი ნაწილი, 1366-ის პირველი ნაწილი და 181). მოწონებით გარიგება სამართლებრივი ძალის მქონე ხდება მისი დადების („ex tunc“) მომენტიდან (§ 184-ის პირველი ნაწილი). ერთხელ

4 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

5 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

მიცემული მოწონება ან მოწონებაზე უარი, ისევე როგორც ყოველი აღმჭურველი უფლება, როგორც წესი, არ შეიძლება გაკეთდეს პირობით და მასზე შემდგომი უარი დაუშვებელია (BGHZ, 13, 179, 187); თუმცა, შდრ.: მე-2 ნაწილს. თუ ხელშეკრულება მოწონების შედეგად სამართლებრივი ძალის მქონე ხდება, მაშინ წარმოიშობა გარიგების მოწონილეთა ის უფლებები და მოვალეობები (§ 1629a-ს მიმართაც), რომლებიც მითითებულია § 107-ის მე-10 ველში.

2. თუ კანონიერ წარმომადგენელს მოსთხოვეს **გარიგების მოწონება (მე-2 ნაწილი)**, მაშინ მან ამის შესახებ, § 182-ის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, უნდა განაცხადოს მხოლოდ მეორე მხარის მიმართ; ამ გარეგანი ნების გამოვლენის საჯაროობის გამო უფრო ადრე არასრულწლოვნის მიმართ განცხადებული მოწონება ან უარი ძალას კარგავს.

3. განსხვავებული წესია დადგენილი **თანხმობის** შემთხვევაში: ამ დროს არასრულწლოვანსა და მესამე პირს შორის თავიდანვე ძალმოსილი ხელშეკრულება იდება; დაუშვებელია § 108-ის მე-2 ნაწილის შესაბამისი გამოყენება თანხმობის მიმართ. ამდენად, თუ კანონიერ წარმომადგენელს მოსთხოვენ იმ გარიგების მოწონებას, რაზეც მან უკვე თანხმობა განაცხადა, იგი მაინც ძალმოსილი (ნამდვილი) რჩება, § 108-ის მე-2 ნაწილის მიუხედავად (გაბატონებული შეხედულება, მაგ., *MüKo-Schmitt*, 23-ე ველი; განსხვავებული შეხედულება იხ. *Palandt-Ellenberger*, მე-7 ველი).

§ 109. მეორე მხარის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

(1) ¹ხელშეკრულების მოწონებამდე მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას მასზე. ²უარი შეიძლება განცხადებულ იქნეს არასრულწლოვნის მიმართაც.

(2) თუ ხელშეკრულების მეორე მხარემ იცოდა პირის არასრულწლოვნების შესახებ, მაშინ მას უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი ცრუობდა წარმომადგენლის თანხმობის არსებობის თაობაზე; მას ასევე არ შეუძლია უარის თქმა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულების დადების დროს მან იცოდა თანხმობის არარსებობის შესახებ.

§ 110. არასრულწლოვნის მიერ გადახდა საკუთარი ფულადი სახსრებით

ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვნის მიერ, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება სამართლებრივი ძალის მქონედ დადების მომენტიდან, თუ არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება განახორციელა იმ ფულადი სახსრებით, რომლებიც მას ამ მიზნით, ანდა თავისუფალი განკარგვისათვის გადასცა წარმომადგენელმა ან, ამ უკანასკნელის თანხმობით, მესამე პირმა.

1. ნორმა აწესრიგებს თანხმობის სპეციალურ შემთხვევას; ზოგადი თანხმობისათვის იხ. § 107-ის მე-8 ველი. ზოგად თანხმობას ენიჭება უპირატესობა. თუმცა, იგი, როგორც წესი, გულისხმობს არა მხოლოდ ფულადი სახსრების გადაცემას, არამედ უფრო პირიქით, ითხოვს სხვა განსაკუთრებული გარემოებების დადგომას, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ამოქმედდებოდა § 110, რომელიც ადგენს სპეციალური თანხმობის გარეშე დადებული მავალდებულებელი გარიგების სამართლებრივ ძალას მხოლოდ მისი სრული შესრულებით (*ex tunc*); ხელშეკრულებები, რომლითაც არასრულწლოვანი ვალდებულია, განახორციელოს თანხმობის ნაწილ-ნაწილ გადახდა, სამართლებრივ ძალას იძენს, § 110-ის თანახმად, მხოლოდ უკანასკნელი თანხის გადახდით. არასრულწლოვნის მიერ ნაწილობრივი შესრულება შედეგად იწვევს მხოლოდ გარიგების ნაწილობრივ ნამდვილობას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მის მიმართ განხორციელებული შესრულება დაყოფადია. შესრულების გარიგების სამართლებრივი ძალა გამომდინარეობს კონკლუდენტური თანხმობიდან,

რომელიც იმით გამოიხატება, რომ არასრულწლოვანს ფულადი სახსრები მიეცა შესრულების მიზნით, ანდა თავისუფალი განკარგვისათვის.

- 2 2. უფლებამოსილია თუ არა არასრულწლოვანი, თავისუფლად განკარგოს ის საგნები, რომლებიც მან „ჯიბის ფულით“ შეიძინა (სუროგატი), განმარტების საკითხია: მცირე ღირებულების მქონე საგნების მიმართ საკითხი, როგორც წესი, დადებითად წყდება, ძვირადღირებული საგნების მიმართ კი – პირიქით (RGZ, 74, 234). მაგ., არასრულწლოვანი საკუთარი ჯიბის ფულით იძენს ლატარიის ბილეთს, რომლითაც იგებს 4000 ევროს. მას არა აქვს უფლება, მოგებული თანხით იყიდოს ავტომანქანა.

§ 111. ცალმხრივი გარიგება

¹სამართლებრივი ძალის არმქონეა ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის სავალდებულო თანხმობის გარეშე. ²თუ ასეთ გარიგებას არასრულწლოვანი თანხმობით დებს სხვა პირთან, გარიგება სამართლებრივი ძალის არმქონეა მაშინაც, როდესაც არასრულწლოვანი არ წარადგენს თანხმობას წერილობითი ფორმით, ხოლო გარიგების მეორე მხარე დაუყოვნებლივ უარს აცხადებს მასზე. ³უარი დაუშვებელია, თუ წარმომადგენელმა შეატყობინა მეორე მხარეს თანხმობის შესახებ.

- 1 ცალმხრივი გარიგებები (მაგ.: ხელშეკრულების შეწყვეტა, შეცილება), რომლებიც არასრულწლოვანისათვის სამართლებრივი ზიანის მომტანია (შდრ. § 107), თანხმობის გარეშე სამართლებრივი ძალის არმქონეა. მონონებას, როგორც წესი, მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისად გამოიყენება § 108 და შემდეგი პარაგრაფები, როდესაც გარიგების მეორე მხარისთვის ცნობილია თანხმობის არარსებობის შესახებ და იგი გარიგების დადებაზე თანახმაა. მიცემული ან შეტყობინებული თანხმობის გამო, გარიგების სამართლებრივი ძალის შემთხვევაში: პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობა არსებობს, § 1629-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ბოლო ნაწილის თანახმად.

§ 112. სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა

(1) ¹თუ კანონიერი წარმომადგენელი საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით არასრულწლოვანს ანიჭებს სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის უფლებამოსილებას, მაშინ ამ წარმოებასთან დაკავშირებული გარიგებებისათვის იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანია. ²გამონაკლისია ის გარიგებები, რომელთა დადებისათვის წარმომადგენელს ესაჭიროება საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა.

(2) წარმომადგენელს შეუძლია გააუქმოს უფლებამოსილება მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით.

§ 113. სასამსახურო ან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები

(1) ¹თუ კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვანს ანიჭებს სამსახურის ან მუშაობის დანყების უფლებამოსილებას, მაშინ იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანია იმ გარიგებებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია დაშვებული სახის სამსახურის ან მუშაობის დანყებასთან ან მიტოვებასთან, ანდა აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებასთან. ²გამონაკლისია ის ხელშეკრულებები, რომელთა დადებისათვის წარმომადგენელს ესაჭიროება საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა.

(2) უფლებამოსილება შეიძლება გაუქმდეს, ან შეიზღუდოს წარმომადგენლის მიერ.

(3) ¹თუ კანონიერი წარმომადგენელი არის მეურვე, უფლებამოსილება, თუკი ამ უკანასკნელის მინიჭებაზე უარს აცხადებს წარმომადგენელი, შეიძლება მიენიჭოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ არასრულწლოვნის განცხადების საფუძველზე. ²საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა მიანიჭოს უფლებამოსილება, თუ ეს სამეურვეო პირის ინტერესებშია.

(4) ცალკეული შემთხვევისათვის მინიჭებული უფლებამოსილება საეჭვოობისას მიიჩნევა ზოგად უფლებამოსილებად მსგავსი სახის ურთიერთობებში შესვლისთვის.

§§ 112, 113 აფართოებს არასრულწლოვნის ქმედუნარიანობას. თავისი კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან უფლებამოსილების მინიჭებით (= მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას) არასრულწლოვანი იძენს შეუზღუდავ ქმედუნარიანობას გარიგებათა განსაზღვრული წრისათვის. ამიტომაც არ არსებობს პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესაძლებლობა სრულწლოვანების დადგომის მომენტში არსებული ქონებით: § 1629a-ს მე-2 ნაწილი გამორიცხავს § 112-ის მოქმედებას. პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად დადებული გარიგებების წრე გამომდინარეობს §§ 1643-ის პირველი ნაწილიდან, 1821 და 1822-იდან; აღნიშნულს, კერძოდ, მიეკუთვნება კრედიტის მიღება (§ 1822 №8). § 113-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება მოიცავს ასევე ისეთ გარიგებებს, რომლებიც ვინრო საგნობრივ კავშირშია სამსახურებრივ ურთიერთობაში შესვლასთან (მაგ., საცხოვრებელი სადგომის დაქირავება სამუშაო ადგილზე).

§§ 114-115 (გაუქმებულია)

კარი 2. ნების გამოვლენა

§ 116-ის შესავალი

I. ნების გამოვლენის ფაქტი

1. სამოქალაქო კოდექსი არ განმარტავს ნების გამოვლენის ცნებას; ეს უკანასკნელი შეგვიძლია ვივარაუდოთ § 116-ისა და შემდეგი პარაგრაფების მიხედვით. როგორც ნებისმიერი გარიგების ბირთვი, ნების გამოვლენა არის გარეგნულად აღქმადი ნების აქტი, რომელიც მიმართულია მართლწესრიგის მიერ საექციონებული სამართლებრივი შედეგებისკენ.

2. ნების გამოვლენის შინაგანი (სუბიექტური) ფაქტი ასახავს განმცხადებლის ობიექტურად გასაჯაროებულ ნებას სხვადასხვა სამართლებრივად მნიშვნელოვან კატეგორიაში: მოქმედების განხორციელების ნება არის ნება, რომელიც, ზოგადად, ვლინდება ცხადი მოქმედების შესრულების სახით (არ ვლინდება რეფლექსური მოქმედებების ან ძილში მოძრაობების შემთხვევაში). ნების გამოვლენის გაცნობიერება არის რაიმე სამართლებრივი მოქმედების განხორციელების ნება. სანამუშო მაგალითია (ტრიას ღვინის აუქციონი): აუქციონზე A ნევს ხელს, რათა მიესალმოს მეგობარს და აუქციონის მომწყობი აკუთვნებს მას გასაყიდ ნივთს. სადავოა, სადავოა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ შემთხვევაში ნება გამოვლინდა? თუ მოცემულია ნების გამოვლენა, რომელიც შესაძლოა საცილო გახდეს? (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. § 119-ის მე-6 ველი). გარიგების დადების ნება მიმართულია კონკრეტული გარიგების დადებისაკენ. მისი არარსებობა, როგორც ეს მითითებულია §§ 116-119-ში, არ გამორიცხავს ნების გამოვლენის არსებობას. მაგ.: კავშირის ნევრთა კრებაზე განსახილველად წარდგენილ იქნა ორი საკითხი: პირველი, ერთობლივი ტურისტული მოგზაურობა და, მეორე, თავმჯდომარის დაბადების დღის

საჩუქარი. **A**, რომელსაც სურს, გაახაროს თავმჯდომარე, ხელს აწერს ტურისტული მოგზაურობის საკითხის გადაწყვეტასაც. მიუხედავად გარიგების დადების ნების არარსებობისა, ნების გამოვლენა სახეზეა.

- 3** **3.** ნების გამოვლენის **გარეგნულად აღქმადი (ობიექტური) ფაქტი არის** განმცხადებლის მოქმედება, რომლიდანაც ზოგად ან განსაზღვრული გარიგებების წრის ფარგლებში ნათლად ვლინდება გარიგების დადებაზე მისი ნება. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, განცხადება კეთდება პირდაპირ თუ კონკლუდენტური მოქმედებით.

II. დუმილის სამართლებრივი მნიშვნელობა

- 4** **1. როგორც წესი,** დუმილი არ ნარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, თუმცა, არსებობს რამდენიმე გამონაკლისი; ამ შემთხვევაში შედეგად ვიღებთ იმას, რომ იმ არსიდან და მიზნიდან, რომლებიც შესაბამის მომენტში სამართლებს დუმილთან სამართლებრივი შედეგების დაკავშირებას, ეს სამართლებრივი შედეგები შეცილების შედეგად (§§ 119, 123) შეიძლება კვლავ გამოირიცხოს.

- 5** **2. გამონაკლისის სახით** დუმილთან დაკავშირებულია **სამართლებრივი შედეგები** შემდეგ შემთხვევებში:

- 6** **ა) მეტყველი დუმილი.** ამ დროს შეთანხმება ხდება იმ მხარეთა შორის, რომლებიც დუმილს ანიჭებენ გარკვეულ მნიშვნელობას, ან როდესაც მხარეთა შორის ჩამოყალიბებულია მყარი საქმიანი კავშირი („ის, ვინც წინააღმდეგია, აღინიშნება“ ხმის მიცემისას; გამოგზავნილი ლატარიის ბილეთების მუდმივად მიღება). სახეზეა ნამდვილი ნების გამოვლენა, რომლის მიმართაც გამოიყენება § 104 და შემდეგი პარაგრაფები და § 119 და შემდეგი პარაგრაფები.

- 7** **ბ) ნორმით განსაზღვრული დუმილი.** კანონი თავად ანიჭებს დუმილს ნების გამოვლენის სამართლებრივ ძალას. თუ ამასთან ერთად ივარაუდება უარი (§§ 108-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება; 177-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება, 415-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება), მაშინ მხარეს, რომელმაც დუმილი არჩია, არ შეუძლია მითითება როგორც ნაკლის მქონე ქმედუნარიანობაზე, ისე – ნების ნაკლზე (§ 119 და შემდეგი პარაგრაფები). ფიქციის მიზანს ენიჭება უპირატესობა გარიგების შეცილების ინტერესთან შედარებით, რომელიც აქვს მხარეს, რომელმაც დუმილი არჩია (ეს შეიძლება თავიდან გაფორმდეს!). თუ დუმილი გულისხმობს თანხმობას (შდრ. სამოქალაქო კოდექსის §§ 416-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 1943, ან სავაჭრო კოდექსის § 362-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება) და ავალდებულებს იმ მხარეს, რომელმაც დუმილი არჩია, მაშინ იგი, როგორც წესი, განიხილება ნამდვილ ნების გამოვლენად. ფიქციის არსიდან გამომდინარეობს, რომ შეცდომა დუმილის მნიშვნელობაში („შეცდომა დამაჯერებლობაში“) არ ანიჭებს შეცილების უფლებას.

- 8** **გ) დუმილი მენარმის წერილობით დასტურზე** ქმნის ჩვეულებით სამართალში აღიარებულ „ნორმით განსაზღვრული“ დუმილის სპეციალურ შემთხვევას. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: **1.** გამგზავნი და მიმღები უნდა იყვნენ მენარმეები, ან უნდა მონაწილეობდნენ სამენარმეო საქმიანობის მსგავსს გარიგებებში; **2.** ზეპირი, სატელეფონო ან მსგავსი მოლაპარაკებების შემდეგ გამგზავნი გამოდის მიმღებისათვის აღქმადი უკვე დადებული ხელშეკრულების დადასტურებიდან (განმარტების შედეგად გამოიჯვნა შეკვეთის მიღების დასტურიდან, რაც ოფერტის წერილობითი აქცეპტია; აღნიშნული არ არის დამოკიდებული დასახელებაზე); **3.** მოლაპარაკებების უშუალო და შინაარსობრივი კავშირი დადასტურებასთან; **4.** გამგზავნი უნდა იყოს კეთილსინდისიერი; ამდენად, ივარაუდება, რომ მისი წერილობითი დასტურის შინაარსი შეესაბამება შეთანხმებას, ან მხოლოდ ისეთ განსხვავებებს შეიცავს, რომელთა შემთხვევაშიც გამგზავნს შეეძლება მიმღების თანხმობის გონივრულად გათვალისწინება; **5.** მიმღების დაუყოვნებელი (§ 121-ის პირველი ნაწილის პირველი

წინადადება) პროტესტის დაუშვებლობა. სამართლებრივი ძალა: სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებში ხელშეკრულება ძალაში შედის წერილობითი დასტურის შინაარსთან ერთად. იყო თუ არა ის უკვე წინასწარ ზეპირად დადებული, და თუ იყო, რა შინაარსით, მნიშვნელოვანი არ არის. შეცილების შესაძლებლობა გულისხმობს კანონით ნავარაუდევ თანხმობას (ზევით, მე-8 ველი).

დ) დუმილი უარის თქმის ვალდებულების მიუხედავად. მოლაპარაკებების მდგომარეობა, კეთილსინდისიერების პრინციპის თანახმად, შეიძლება წარმოშობდეს უარის თქმის ვალდებულებას, რომლის განუხორციელებლობა განიხილება როგორც თანხმობა; მაგ.: „ვალდებულებისაგან თავისუფალი“ ოფერენტის დუმილი მისკენ მიმართულ ოფერტზე (იხ. § 145 ველი 2); დუმილი იმ ოფერტზე, რომელიც ხორციელდება შეთანხმებული წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე, რომლებიც ეხება ყველა მნიშვნელოვან პუნქტს (BGH NJW, 1995, 1281); ოფერენტის დუმილი დაგვიანებულ აქცეპტზე (§ 150-ის პირველი ნაწილი) – ამ შემთხვევაში, როგორც წესი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმიანი პარტნიორი ჯერ კიდევ დაინტერესებულია ხელშეკრულების დადებით; პირიქით, შეცვლილი აქცეპტის შემთხვევაში (§ 150-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება) აღნიშნულის დაშვება უკვე აღარ შეიძლება, ვინაიდან შემდგომში შეცვლილი ხელშეკრულების პირობებზე დუმილი, როგორც წესი, არ ჩაითვლება ახალი ოფერტის მიღებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა გარემოებები (მაგ., საქონლის მიღება პრეტენზიის გარეშე) ფასდება როგორც კონკლუდენტური თანხმობა (BGHZ NJW, 1995, 1671, 1672).

§ 116. ფარული დათქმა

წნების გამოვლენა არ იქნება ბათილი, თუ წნების გამოვლენმა პირმა დამალა ის, რომ მას სინამდვილეში არ სურს გამოვლენილი წნება. წნების გამოვლენა ბათილია, თუ იგი უნდა გაკეთდეს სხვა პირის მიმართ, რომელმაც იცის ფარული დათქმის შესახებ.

§ 117. მოჩვენებითი გარიგება

(1) თუ წნების გამოვლენა, რომელიც მიმართული უნდა იყოს მეორე მხარისკენ, ამ უკანასკნელის თანხმობით გაკეთებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, მაშინ იგი ბათილია.

(2) თუ მოჩვენებითი გარიგებით იფარება სხვა გარიგება, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი ნორმები.

1. მოჩვენებითი გარიგება (სიმულირებული გარიგება) სახეზეა, როდესაც გარიგების მონაწილეები ერთმანეთთან შეთანხმებით გარიგებას დებენ მხოლოდ გარეგნული ჩვენებისთვის ისე, რომ მათ არ სურთ მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების დადგომა (ბოჭვის წნების არარსებობა). შეთანხმება არ არის გარიგება და, ამდენად, საკმარისია იმ საერთო უფლებამოსილებით აღჭურვილი წამომადგენლის სიმულირებულობის შეგნება, რომელსაც არა აქვს სპეციალური უფლებამოსილება; ხელშეკრულების მხარეს არ შეუძლია მოჩვენებითი გარიგებიდან გამომდინარე შესაგებლის წარდგენა, როდესაც სიმულაციის განზრახვა წარმოდგენილი პირის მიმართ წინასწარი შეთანხმებით იქნა დაფარული (§ 116-ის პირველი წინადადება BGHZ NJW, 1999, 2882). აღნიშნულთან შედარებით მოჩვენებითი გარიგება არ ხდება, როდესაც მხარეთა მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის წინაპირობაა გარიგების ნამდვილობა (რაც არ არის სასურველი ყველა შედეგის შემთხვევაში), გარიგების მიზანი რომც ყოფილიყო ასევე მესამე პირების მოტყუება, მაგ., ცრუმაგიერი პირის მოქმედების შემთხვევაში რეალური გარიგების უკან მდგომი პირის სტაჟის შენარჩუნებით გათავისუფლების მოთხოვნასთან ერთად; შესაძლო ბათილობა, სხვა ნორმის თანახმად, როგორცაა, მაგ., § 134 ან

§ 138. პირიქით, მოქმედებს § 117, როდესაც ცრუმადიერ პირს არ სურს გარიგებასთან დაკავშირებული ვალდებულებების კისრება როგორც შიდა ურთიერთობაში, ისე გარე ურთიერთობაშიც.

- 2 **2. დაფარული (თვალთმაქცური) გარიგება** (მე-2 ნაწილი), ანუ როდესაც ის, რაც მხარეებს სინამდვილეში სურდათ და მოჩვენებითი გარიგებით იყო დაფარული, სამართლებრივი ძალის მქონეა, როდესაც სახეზეა მისი ნამდვილობის წინაპირობები (ფორმა, ადმინისტრაციული ორგანოს მოწონება). მაგ.: მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება შეთანხმებულზე ნაკლები ფასის მითითებით; დამონმებული გარიგება, როგორც მოჩვენებითი გარიგება, ბათილია; მხარეთათვის სასურველი შედეგი, § 311ბ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ბათილია ფორმის დაუცველობის გამო, თუმცა, მე-2 წინადადების თანახმად, საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ სანოტარო აქტის დადებითა და მისი საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციით ფორმის ხარვეზი სწორდება (ამასთან დაკავშირებით, BGHZ NJW, 1980, 451).

§ 118. სერიოზულობის არარსებობა

ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად, იმ ვარაუდით, რომ სერიოზულობის არარსებობა გამოცნობილი იქნებოდა, ბათილია.

- 1 იხ. § 122

§ 119. შეცილება შეცდომის გამო

(1) პირს, რომელმაც ნების გამოვლენის დროს დაუშვა შეცდომა ნების გამოვლენის შინაარსთან დაკავშირებით, ან მას საერთოდ არ ჰქონია განზრახვა ასეთი შინაარსით ნების გამოვლენისა, შეუძლია, საცილო გახადოს ნების გამოვლენა, თუ ივარაუდება, რომ იგი არ გააკეთებდა ნების გამოვლენას საქმის ვითარების ცოდნისას ან მისი გონივრული შეფასებისას.

(2) ნების გამოვლენის შინაარსში შეცდომად მიიჩნევა შეცდომა პირის ან ნივთის თვისებებში, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში მიიჩნევა არსებითად.

I. ზოგადი მიმოხილვა და განსხვავება სხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან

- 1 **1.** ნების გამოვლენის შეცილება, როგორც **აღმჭურველი უფლება**, როგორც ნესი, არ შეიძლება გაკეთდეს პირობით და მასზე შემდგომი უარი დაუშვებელია (გამონაკლისები: პოტესტატიური პირობა და ევენტუალური შეცილება პროცესში). როგორც ყველა აღმჭურველი უფლების შემთხვევაში, შეცილების დროს უნდა დადგინდეს: აღმჭურველი უფლების საფუძველი (შეცილების საფუძველი, მაგ., შეცდომა, § 119), განცხადება აღმჭურველი უფლების განხორციელების შესახებ (§ 143; ხელშეკრულებიდან გასვლისაგან განსხვავებით შემცილებელმა მხარემ ნათლად უნდა ამტკიცოს ის, რომ გარიგება თავიდანვე არ უნდა მოქმედებდეს, შდრ. § 142-ის პირველი ნაწილი), აღმჭურველი უფლების გამოორიცხვა არ უნდა იყოს დაშვებული (ნაკლის გამო პასუხისმგებლობის უპირატესობით, იხ. ქვემოთ, მე-18 ველი, საცილო გარიგების დადასტურება, § 144, ან გამოორიცხვის საფუძველები, იხ. აქვე, მე-6 ველი).
- 2 **2. განმარტება** (§§ 122, 157) წინ უსწრებს შეცილებას. § 119 ეხება განსხვავებას განმცხადებლის განცხადების შინაარსსა და მის ნებას შორის, ხოლო განცხადების შინაარსი დგინდება სწორედ განმარტების შედეგად.
- 3 **3.** თუ ყველა გარემოების გულმოდგინე ანალიზის შემთხვევაში განმარტება ავლენს იმას, რომ არ ხდება ნების გამოვლინებების თანხვედრა, მაშინ სახეზეა

ფარული უთანხმოება (§ 155). ამდენად, ხელშეკრულება საერთოდ არ იდება და შეცდომის გამო (ხელშეკრულების დადების შემდეგ) შეცილება აზრს კარგავს (იხ. § 155).

4. ნებათა არსებული თანხვედრის გამო გამორიცხულია შეცილება შეცდომით დასახელების შემთხვევაში, რომელიც მხარეთა მიერ სწორად იქნა გაგებული, (*falsa demonstratio non nocet*; იხ. § 133-ის მე-3 ველი).

5. შეცდომა არის ობიექტური გარემოებების უნებლიე არცოდნა. შესაბამისად, შეცდომა არ ხდება, როდესაც განმცხადებელი ნებას ავლენს იმის შეგნებით, რომ ამ უკანასკნელის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს. თუ პირი დოკუმენტის ტექსტს **ნაკითხვისა** და მის შინაარსზე წარმოდგენის გარეშე ხელს მოაწერს, სახეზე არ არის შეცდომა; თუმცა, შეცდომა ხდება იმ პირისათვის, ვისაც არასწორი წარმოდგენა ექმნება მისი შინაარსის შესახებ.

6. სადავოა, შეიძლება თუ არა **ნების გამოვლენის გაცნობიერების** გარეშე განხორციელებული ნების გამოვლენა შეცილებულ იქნეს § 119-ის თანახმად, თუ მოცემული არ არის ნების გამოვლენის საკანონმდებლო შემადგენლობა. იმ შეხედულების სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც განმცხადებლის **რეალური ნების გამოვლენის გაცნობიერების** გარეშე არ მიიღება (საცილო) ნების გამოვლენა, მეტყველებს § 118: ხუმრობით გაკეთებული განცხადების შემთხვევაში, განმცხადებელმა იცის, რომ იგი ქმნის სამართლებრივად რელევანტური განცხადების ილუზიას. ნების გამოვლენის გაცნობიერების არარსებობისას განმცხადებელმა არ იცის, რომ § 118-ის შეფასებით მხოლოდ გარიგების ბათილობა უნდა დადგეს. უმაღლესი ფედერალური სასამართლოსა (BGHZ, 91, 324) და გაბატონებული შეხედულების თანახმად, პირიქით, საკმარისია **პოტენციური ნების გამოვლენის გაცნობიერება**. ამ პოზიციის მიხედვით, (საცილო) ნების გამოვლენა სახეზეა, როდესაც განმცხადებელს შეეძლო სცოდნოდა, რომ მისი გარეგნულად გამოხატული შეხედულება კეთილსინდისიერების პრინციპისა და სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლებოდა გაგებული ყოფილიყო როგორც ნების გამოვლენა და როდესაც ნების გამოვლენის მიმღები ფაქტობრივადც ამგვარად აღიქვამდა; ეს წესი მოქმედებს ასევე კონკლუდენტური მოქმედების ფორმით ნების გამოვლენისას (BGHZ, 109, 171, 177). აღნიშნული შეხედულების სასარგებლოდ მეტყველებს, უპირველეს ყოვლისა, სამართალბრუნვის დაცვა (მიმღების ნების განმარტების ობიექტივირებული შესაძლებლობა, შდრ. § 133 ველი 4). ასევე ამგვარად განმცხადებლის გადასაწყვეტია, განახორციელებს თუ არა იგი ობიექტურად განცხადებულის შეცილებას, თუ სურს მისი მოქმედების დაშვება თავისი თავის მიმართ. ამ შემთხვევაში არსებობს § 118-ის შეფასებისაგან განსხვავება: განსხვავებით ნების გამოვლენის გაცნობიერების ფაქტის არარსებობისაგან, განმცხადებელმა იქ განცხადების გაკეთების მომენტში უკვე იცის, რომ განცხადებული არ სურს.

7. **სამართალში ორმაგი მოქმედების შესახებ კიბის თეორიის** თანახმად, შესაძლებელია ასევე უკვე ბათილი ნების გამოვლენის შეცილება (დასაბუთება: ამგვარად შეიძლება ბათილობის საფუძვლის ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება). მაგ., § 119-ის მიხედვით, შეცილებული ნების გამოვლენა შეიძლება § 123-ის თანახმადც შეცილებულ იქნეს, რათა თავიდან ავიცილოთ § 122-იდან გამომდინარე პასუხისმგებლობა ან კეთილსინდისიერების მოსპობა §§ 932-ის მე-2 ნაწილის, 142-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, როდესაც მესამე პირმა იცოდა ნების გამოვლენის საცილობის, მაგრამ არა ხელშეკრულების ბათილობის შესახებ (იხ. § 932-ის მე-15 ველი)⁶.

6 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

II. შეცდომის სახეები

- 8 სამოქალაქო კოდექსი § 119-ში მითითებული შეცდომის სამი სახისა და § 120-ში დადგენილი ნივთის გადაცემის დროს დაშვებული შეცდომის შემთხვევაში, განმცხადებელს ანიჭებს უფლებამოსილებას, მოახდინოს მისი განცხადებულის შინაარსის საწინააღმდეგო ნების რეალიზაცია. მხედველობაში არ მიიღება ნებისმიერი სხვა შეცდომა, მათ შორის, წმინდა შეცდომა მოტივში.
- 9 განსხვავება მნიშვნელოვან და უმნიშვნელო შეცდომას შორის ინდივიდუალური და შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით ნაკლებად დამაჯერებელია; შდრ. *Zweigert/Kötz*, შესავალი შედარებით სამართალში (1996) § 31-ის მე-2 ნაწილი, მე-5 ნაწილი. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსი არ უშვებს – სხვა სამართლებრივ სისტემებთან განსხვავებით – საცილობის დამოკიდებულებას იმაზე, იყო თუ არა შეცდომა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შესამჩნევი ან გამოწვეული ამ უკანასკნელისაგან. ამ გარემოებებს ითვალისწინებს კანონი განხორციელებული შეცდომების შემდეგ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას (§ 122-ის მე-2 ნაწილი).
ცალკეულ შემთხვევებში § 119-ის ფარგლებში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ:
- 10 **1. შეცდომა განცხადებაში** (პირველი ნაწილის მე-2 კაზუსი): პირს საერთოდ არ სურს ასეთი შინაარსის განცხადების კეთება⁷. შეპირება, წერილობითი ვალდებულება. გარდა ამისა: ინტერნეტით ყიდვის დროს ბეჭდვის შეცდომა ნასყიდობის ფასის მითითებისას ან (იხ. დასაბუთება § 120-ში) არასწორი ნასყიდობის ფასის მითითება კომპიუტერის შეცდომის შედეგად (BGHZ NJW, 2005, 976). შინაარსში შეცდომისაგან (პირველი ნაწილის პირველი კაზუსი) სხვაობა უმნიშვნელოა ერთი და იმავე სამართლებრივი შედეგის გამო. თუ ხელშეკრულების ბლანკი ივსება შეთანხმებული პირობების საწინააღმდეგოდ, სახეზეა მე-2 შემთხვევის წინაპირობები, თუმცა, კეთილსინდისიერი მესამე პირის მიმართ შეცილება § 172-ის მე-2 ნაწილის არსით გამორიცხულია (BGHZ, 45, 65).
- 11 **2. შეცდომა შინაარსში** (პირველი ნაწილის პირველი კაზუსი). ამ დროს განმცხადებელი აუღერებს იმას, რაც მას სურს, თუმცა, იგი ცდება თავისი განცხადების მნიშვნელობაში. განმცხადებელმა იცის, რასაც ამბობს, მაგრამ მან არ იცის ის, თუ ამით რისი თქმა გამოსდის. მაგ.: „შეცდომა ვინაობაში“ განმცხადებელს ემლება საქმიანი პარტნიორის პიროვნება ან გარიგების საგანი, მაგ., გაყიდული მიწის ნაკვეთი თუ ავტომანქანა.
- 12 **3. შეცდომა თვისებებში (მე-2 ნაწილი)** კანონის მიერ აღწერილია ზოგადი ნიშნებით. მისი დოგმატური კლასიფიკაცია სადავოა (დეტალურად იხ. *MüKo-Kramer*, 105-ე და შემდეგი ველები). ერთ-ერთი შეხედულება გამონაკლისის სახით თვისებებში შეცდომას განიხილავს მნიშვნელოვნად მიჩნეულ მოტივში შეცდომად. მე-2 ნაწილის თანახმად, შეცილების წინაპირობაა ის, რომ შეცდომა ეხება სამოქალაქო ბრუნვისთვის არსებით თვისებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური თვალსაზრისით; ის, თუ რას მიიჩნევს სამოქალაქო ბრუნვა არსებით თვისებად, უნდა განისაზღვროს წმინდა ობიექტური შეფასებით (იხ. *Larenz/Wolf* § 36 43-ე ველი). სხვა შეხედულება მიმართულია კონკრეტული გარიგების შინაარსისკენ და ასაბუთებს თვისებებში შეცდომის მნიშვნელობას იმით, რომ საგანი ან პირი საკუთარი თვისების მხრივ არ შეესაბამება გარიგებას (შეცდომა „აუცილებელ თვისებაში“). შესაბამისად, თვისება სამოქალაქო ბრუნვაში არსებითად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ხელშეკრულების დადების მომენტში პირდაპირ მოიხსენიება ან გარეგნულად შესამჩნევად ედება საფუძვლად გარიგების სახეს. ამდენად, ნივთში სამოქალაქო ბრუნვაში არსებითად მიჩნევის კრიტერიუმი იცვლება, როგორც წესი, უფრო ვიწრო „ხელშეკრულებაში არსებითად

⁷ ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

მიჩნევის კრიტერიუმით“ (*Medicus*, AT 770-ე ველი), ამდენად, აუცილებელია არა ცალმხრივი შეცდომა, არამედ არასწორი წარმოდგენის შესაბამისი შეთანხმება. თუმცა, შეთანხმებული თვისებებისაგან გადახვევის შემთხვევაში საქმე გვაქვს ნაკლის გამო პასუხისმგებლობის საკითხთან⁸.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, **პირის** ბუნებრივ დამახასიათებელ თვისებებთან ერთად, მნიშვნელოვანია ასევე ის ფაქტობრივი და სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც მათთვის დამახასიათებელი თვისებისა და სავარაუდო ხანგრძლივობის შედეგად, სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული შეხედულების თანახმად, გავლენას ახდენს პირის შეფასებაზე ყველა ან განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობებში (BGHZ, 88, 240, 245). შესაბამისად, **ნივთის ფიზიკურ** თვისებებთან ერთად მხედველობაში მიიღება ასევე ნივთის ფაქტობრივი, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი კავშირები გარესამყაროსთან, რომლებიც მნიშვნელოვანია მისი სარგებლიანობისა და ღირებულებისათვის; თუმცა, ეს კავშირები თავად უნდა ჰპოვებდეს თავიანთ საფუძველს საგნის ნიშან-თვისებაში, მისთვის **უშუალოდ** დამახასიათებელი უნდა იყოს, მისგან გამომდინარეობდეს (BGHZ, 70,47, 49). ამდენად, მინის ნაკვეთის შემთხვევაში დამახასიათებელ ნიშნებად აღიარებულია საზღვრები, ადგილმდებარეობა, მშენებლობისა და სამენარმეო საქმიანობისათვის ვარგისიანობა, მაგრამ არა საკუთრების უფლება (BGHZ, 34, 32, 41: ვინაიდან იგი არ არის თავისთავად არსებული გარემოება, რომელიც იმყოფება ნივთის ფარგლებს გარეთ). ასევე საგნის ღირებულება, როგორც ასეთი, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არ არის საგნის თვისება (BGHZ, 16, 54, 57). მე-2 ნაწილის თანახმად, თვისება არის ნებისმიერი საგნისათვის დამახასიათებელი და ღირებულებითი ფაქტორი, გარდა თავად ღირებულებისა. **სამოქალაქო ბრუნვაში არსებითად მიჩნეული** სახით უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკიდან გასათვალისწინებელია მხოლოდ ისეთი თვისებები, რომლებიც განმცხადებლისაგან იმგვარად ნათლად უნდა დაედოს საფუძველად ხელშეკრულებას, რომ განმცხადებელმა ეს თვისებები გახადოს თავისი განცხადების შინაარსი (BGHZ, 88, 240, 246). თუმცა, სამოქალაქო ბრუნვაში **პირის** არსებითად მიჩნეული თვისებების შემთხვევაში, საკითხი ეხება თითოეულ იმ პირს, რომლებიც დაკავშირებული არიან გარიგებასთან, ძირითადად, გარიგების მეორე მხარე, თუმცა, იგი შეიძლება ასევე იყოს დაკავშირებული მესამე პირიც (მაგ., თავდები). ნივთია გარიგების ნებისმიერი საგანი: არა მხოლოდ სხეულებრივი ნივთი (§ 90), არამედ ასევე უფლებები ან სამკვიდრო ქონება.

ა) შეცდომა სამართლებრივ შედეგებში, როგორც წესი, არის შეცდომა შინაარსში, როდესაც სამართლებრივი შედეგები, რომლებშიც განმცხადებელი ცდება, მიეკუთვნება მისი ნების გამოვლენის შინაარსის ნაწილს. საპირისპირო მაგალითია სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებული შეცდომა, რომლებიც არ ყოფილა განმცხადებლის ნების გამოვლენაში, თუმცა, კანონი მას, როგორც წესი, უკავშირებს მოტივში შეცდომას. ამ პრინციპისაგან განსხვავებით, სასამართლო პრაქტიკა (RGZ, 88, 287) გადაწყვეტილების შემდეგ შინაარსში შეცდომას არსებულად მიიჩნევს უკვე იმ დროს, როდესაც გარიგება იწვევს არა განმცხადებლის მიერ დასახულ, არამედ ამ უკანასკნელისაგან არსებითად განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს.

ბ) შეცდომა გამოთვლაში, რომლის დროსაც განმცხადებელი გამოთვლისას მხედველობიდან უშვებს მნიშვნელოვან ციფრებს ან გამოთვლისას უშვებს შეცდომას, მაინც არის არაარსებითი შეცდომა მოტივში, როდესაც ხდება გარიგების მეორე მხარისათვის მხოლოდ გამოთვლის შედეგის შეტყობინება და არა დეტალური კალკულაციის წარდგენა. თუმცა, ე.წ. გამოთვლაში აშკარა შეცდომის სასარგებლოდ კი, რომლის შემთხვევაშიც არასწორი კალკულაციის შესახებ შეტყობინება

8 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

ეგზავნება გარიგების მეორე მხარეს სახელშეკრულებო მოლაპარაკების წარმოებისას, ან იგი ცნობილი ხდება მისთვის, პირიქით, საუბრობს § 119-ის პირველი ან მე-2 ნაწილების შესაბამისი გამოყენება, ვინაიდან ამ შემთხვევაში გარიგების მეორე მხარის ვერავითარი გამართლებული ნდობა გარიგების არსებობის მიმართ ვერ იარსებებდა. გაბატონებულ შეხედულებაზე დაყრდნობით (BGHZ, 139, 177), გადაწყვეტილება (შემდგომი მითითებებით), თავის მხრივ, უარყოფს გარიგების შეცილების შესაძლებლობას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, § 121-ის პირველი ნაწილის თანახმად, შეცილების ვადის გამოთვლისათვის საორიენტაციოდ აიღებოდა განმცხადებლისათვის ნების გამოვლენის მიმდინარე მხრიდან შეცდომის გაგების შესაძლებლობის ცოდნა, იმ სუბიექტური მომენტების დაგროვება, რომლებიც იწვევს სამართლებრივი უსაფრთხოების მოშლას; ამავე დროს, სანივთო გარიგების შეცილება შეეხებოდა მესამე პირების ინტერესებსაც, რაც გამორიცხავდა § 119-ის და შემდეგი პარაგრაფების გამოყენებას ანალოგიით. თუმცა, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ნების გამოვლენის ინტერესების დაცვა შეიძლება მიღწეულ იქნეს ზოგადი სამართლებრივი ინსტიტუტებით, მაგ.: ნების გამოვლენის განმარტება, კონტრაგენტის პასუხისმგებლობა, §§ 280-ის პირველი ნაწილიდან, 311-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე (culpa in contrahendo); გარიგების საფუძვლის დარღვევა (§ 313); შესაგებელი, უფლების დაუშვებელი რეალიზაციიდან გამომდინარე, კონტრაგენტის შესრულების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან შედარებით⁹.

- 16 4. განსხვავება, როგორც წესი, მოტივში უმნიშვნელო შეცდომისაგან (გამონაკლისები, §§ 119-ის მე-2 ნაწილი, 123, 2078): შინაარსში შეცდომის შემთხვევაში, ნება არ შეესაბამება განცხადების შინაარსს. მოტივში შეცდომის შემთხვევაში, ნება შეესაბამება განცხადებას, თუმცა, ნება ეფუძნება არასწორ წარმოდგენას. არის მცდელობები მოტივში უმნიშვნელო შეცდომის ფარგლების შემცირებისა და შინაარსში შეცდომად მიჩნევისა, უპირველეს ყოვლისა, შეცდომის შემდეგი ჯგუფების შემთხვევებში.
- 17 5. მოტივში საერთო შეცდომის მიმართ გამოიყენება გარიგების საფუძვლის დარღვევისას მოქმედი პრინციპები, იხ. § 313-ის მე-5 ველი.

III. გამონაკლისები § 119-იდან ნაკლისათვის პასუხისმგებლობის შემთხვევაში

- 18 ნივთის მყიდველს არ შეუძლია, მე-2 ნაწილის თანახმად, შეცილება (თუმცა, მას ეს შეუძლია § 119-ის პირველი ნაწილის ან 123-ის მიხედვით), როდესაც, § 437-ის თანახმად, დგება პასუხისმგებლობა ნაკლისათვის. ეს წესი მოქმედებს არა მხოლოდ ნივთის ნაკლისათვის, არამედ ასევე უფლებრივი ნაკლისათვის, ხოლო აღნიშნულ ორივე შემთხვევაში პასუხისმგებლობა თანაბრად დგება, § 437-ის თანახმად (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 210). ნაკლის გამო პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმებს ენიჭება უპირატესობა, როგორც სპეციალურ ნორმებს; წინააღმდეგ შემთხვევაში შემთხვევაში ვერ განხორციელდებოდა გამყიდველის დამატებითი შესრულების უფლება (შდრ. § 439 ველი 2) და ვეღარ მიიღწეოდა § 438-ის მიზანი, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებში მოკლე დროში რომ მიღწეულიყო უფრო უმტკივნეულო გაუქმება ხელშეკრულებისა (შდრ. § 121-ის მე-2 ნაწილს). თუმცა, შეცილება დასაშვებია იქნება, როდესაც სახეზეა შეცდომა სამოქალაქო ბრუნვაში არსებითად მიჩნეულ თვისებაში, რომელიც ნაკლი არ არის; BGHZ, 78, 216-ის თანახმად, იხ. შეცდომა ავტომანქანის ასაკთან დაკავშირებით (სადავოა). გაბატონებული შეხედულების მიხედვით, გამყიდველსაც არ შეუძლია შეცილება § 119-ის მე-2 ნაწილის თანახმად, რის შედეგადაც იგი თავიდან აიცილებდა პასუხისმგებლობას

9 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

ნივთობრივი ნაკლისათვის (BGH NJW, 1988, 2597, 2598; ასევე RegBegr BT-Drucks, 14/6040, 165). სასამართლო პრაქტიკის თანახმად, შეცილების გამორიცხვას ხელს არ უშლის ის ფაქტი, რომ გამყიდველის ნაკლის გამო პასუხისმგებლობა ხელშეკრულებაში სხვაგვარად იყო შეთანხმებული, ან მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია.

ცალსახად ნათელი არ არის გამორიცხვის მომენტი. იგი შესაბამემა რისკის გადასვლის მომენტს (§ 437, მე-10 ველი); შესაბამისად, მანამდე, სანამ ნაკლის გამო პასუხისმგებლობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა, § 119-ის მე-2 ნაწილის გამორიცხვის საფუძველიც სახეზე არ არის. ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ „ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის შესახებ“ კანონის საკანონმდებლო მასალები „მყიდველის სამართლებრივი დაცვის საშუალებების ცვლილების გამო“ (შდრ. § 437), სავარაუდოდ, უფრო გამოსაყენებლად მიიჩნევა, რათა თვისებაში შეცდომის გამო შეცილება უკვე ნასყიდობის დადების მომენტიდან განხილულ იქნეს გამორიცხულად (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 210). ავტორების ნაწილი (*Medicus*, AT 775-ე ველი) აღნიშნულ მოსაზრებას უკვე დიდი ხანია მხარს უჭერენ (დასაბუთება: § 442-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).

19

IV. ვალდებულებითი და სანივთო გარიგებები

როგორც წესი, შეცდომა მოიცავს მხოლოდ ძირითად გარიგებას. გამონაკლის შემთხვევაში საცილოა ასევე შესრულების გარიგებაც, როდესაც ორივე გარიგება ქმნის ერთიან ნებელობით აქტს, რომელსაც ეხება სწორედ შეცდომის გამო შეცილების საფუძველი (RGZ, 66,385). შესრულების გარიგების შეცილების შემთხვევაში კეთილსინდისიერი შექმნის შესახებ იხ. § 142 ველი 1.

20

V. სამართლებრივი შედეგები

შეცილების განცხადების შედეგად (§ 143) § 121-ით დადგენილი ვადის განმავლობაში საცილო გარიგება ბათილია **საწყისი მომენტიდან (ex tunc)** (§ 142-ის პირველი ნაწილი). თუმცა, განსხვავებული წესია დადგენილი შესრულებული **შრომითი და ამხანაგობის ხელშეკრულებების** მიმართ (იხ. § 611-ის შესავლის მე-7 ველი; § 705-ის მე-3 ველი); სამოქალაქო ბრუნვისა და მხარეთა საწყის მდგომარეობაში დაბრუნების პრობლემის გამო, შეცილება მოქმედებს, როგორც წესი, მხოლოდ მისი განცხადების მომენტიდან (**ex nunc**). შემცილებელმა გარიგების კეთილსინდისიერ მხარეს უნდა აუნაზღაუროს ზიანი ნების გამოვლენის ნამდვილობის ნდობისათვის (§ 122).

21

ვინაიდან **კეთილსინდისიერების პრინციპის** საწინააღმდეგოდ განხორციელებული შეცილება დაუშვებელია, შეცილების მეორე მხარეს, რომელიც დაუყოვნებლივ აცხადებს პასუხს, შეუძლია ჩათვალოს მოქმედად გარიგების ის შინაარსი, რომელსაც გულისხმობდა შემცილებელი და რომლითაც გაბატონებული შეხედულების მიხედვით ხდება გარიგების ბათილობის თავიდან აცილება (იხ. *Larenz/Wolf*, § 36 113-ე ველი; *MüKo-Kramer*, 142-ე ველი; ასევე შევიცარიის ვალდებულებითი კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი). როდესაც გამყიდველი ახორციელებს შეცილებას იმ საფუძველით, რომ მან შეცდომით 200-ის ნაცვლად დაწერა 220, მყიდველს შეუძლია დაეთანხმოს ხელშეკრულებაში 220-ის აღნიშვნას. ამდენად, შეცდომაში შესული მხარე, § 119-ის თანახმად, უნდა გათავისუფლდეს მხოლოდ შეცდომის შედეგისაგან და არა ნებისმიერი ვალდებულებისაგან.

22

§ 120. შეცილების შესაძლებლობა ნების გამოვლენის შეტყობინებაში შეცდომის გამო

ნების გამოვლენა, რომელიც არასწორად იქნა გადაცემული პირის მიერ ან ამისათვის გამოყენებული საშუალებით, შეიძლება შეცილებულ იქნეს იმავე წინაპი-

რობის არსებობისას, როგორც შეცდომით გაკეთებული ნების გამოვლენა, § 119-ის მიხედვით.

- 1 **1. გამოყენების სფერო:** კურიერი და თარჯიმანი. წარმომადგენლის მიმართ მოქმედებს § 166.
- 2 **2. წინაპირობები:** კურიერი გაუთვითცნობიერებლად აბარებს მცდარ შეტყობინებას (შეცდომა განცხადებაში). განზრახ არასწორი შეტყობინება შეცილების გარეშეც განმცხადებელს არ ავალდებულებს (BGH BB, 1963, 204); ანალოგიური წესი მოქმედებს კურიერის უფლებამოსილების გარეშე მოქმედი პირის მიმართ; შესაბამისად, მოქმედებს §§ 177, 179 (სადავოა).
- 3 **3. § 120-ში მოცემული მითითება § 119-ზე ეხება § 119-ის პირველი ნაწილის ბოლო ნაწილს („თუ ივარაუდება“).**

§ 121. შეცილების ვადა

(1) ¹§§ 119, 120-ში მითითებულ შემთხვევებში შეცილება უნდა განხორციელდეს ბრალეული გაჭიანურების გარეშე (დაუყოვნებლივ) მას შემდეგ, რაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირისათვის ცნობილი გახდა შეცილების საფუძვლის შესახებ. ²არათანმყოფი პირის მიმართ გაკეთებული შეცილება ითვლება დროულად განხორციელებულად, თუ შეცილების განცხადება დაუყოვნებლივ იქნა გაგზავნილი.

(2) შეცილება გამორიცხულია, თუ ნების გამოვლენის მომენტიდან გავიდა ათი წელი.

- 1 § 121-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება ახდენს § 130-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მოდიფიცირებას. მართალია, შეცილების განცხადებისას საქმე ეხება მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას, თუმცა, შეცილების განხორციელების დაყოვნების რისკი (და არა შეცილების განუხორციელებლობის რისკი) გადადის ნების გამოვლენის მიმღებზე¹⁰.

§ 122. შეცილების განმახორციელებელი პირის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

(1) თუ ნების გამოვლენა § 118-ის თანახმად ბათილია, ან §§ 199, 120-ის საფუძველზე საცილოა მაშინ, თუ განცხადება უნდა გაკეთებულიყო სხვა პირის მიმართ, ნების გამოვლენმა პირმა უნდა აუნაზღაუროს ამ პირს, ან სხვა შემთხვევაში ნებისმიერ მესამე პირს ის ზიანი, რომელსაც განიცდის მეორე მხარე ან მესამე პირი ნების გამოვლენის ნამდვილობის ნდობის შედეგად, თუმცა, ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ ინტერესის მთლიან თანხას, რომელიც მეორე მხარეს ან მესამე პირს აქვთ ნების გამოვლენის ნამდვილობაში.

(2) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, როდესაც დაზარალებულმა იცოდა ბათილობისა თუ საცილობის საფუძვლის შესახებ, ან აღნიშნულის შესახებ არ იცოდა გაუფრთხილებლობის შედეგად (უნდა სცოდნოდა).

- 1 **1. პასუხისმგებლობის სახეები:** მიზეზშედეგობრივი და არა ბრალეული პასუხისმგებლობა.
- 2 **2. ზიანის ანაზღაურების მოცულობა:** ზიანი ნების გამოვლენის ნამდვილობის ნდობისათვის (=გარიგების მხარის ნეგატიური ინტერესი ან ნეგატიური ინტერესი). განმცხადებელი ჩაყენებულ უნდა იქნეს ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც იგი აღმოჩნდებოდა, რომ არა მისი მხრიდან ნდობა ხელშეკრულების დადების ფაქტისა; მაგ., იგი აღარ განეკუთვნება ხარჯებს ან მესამე პირს წარუდგენდა ოფერტს.
- 3 ნეგატიურ ინტერესს უპირისპირდება შესრულების ინტერესი (=პოზიტიური ინტერესი). უფლებამოსილ პირს არ შეუძლია იმ მდგომარეობაში ჩაყენება, რომელშიც

¹⁰ ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

იგი აღმოჩნდებოდა ნების გამოვლენის ნამდვილობის შემთხვევაში; მაგ., მას არ შეუძლია იმ სარგებლის მოთხოვნა, რომლის მიღებასაც იგი ისახავდა მიზნად ნივთის შემდგომი რეალიზაციით. თუმცა, შესრულების ინტერესი ზღუდავს ნების გამოვლენის ნამდვილობის ნდობისათვის ზიანის მოთხოვნის უფლების ფარგლებს – მაგ., როდესაც ხარჯები აღემატებოდა შემოსავალს – იმ ოდენობით, რაც დასახული იქნებოდა მხარეთა მიერ გარიგების რეალიზაციისას.

3. შეცილების მეორე მხარის თანაბრალეულობა ინვესტ პასუხისმგებლობის გამორიცხვას მე-2 ნაწილის მიხედვით, რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს § 254-ით. თუმცა, § 254 მოქმედებს, როდესაც შეცილების მეორე მხარემ თავისი არაბრალეული მოქმედებით გამოიწვია შეცდომა, ხოლო მე-2 ნაწილი პასიურია (BGH NJW, 1969, 1380). ამდენად, ზიანის ოდენობის შეფასება გამართლებულია, ვინაიდან შემცილებელიც პასუხს აგებს ბრალის გარეშე. 4

§ 123. შეცილების შესაძლებლობა მოტყუების ან მუქარის გამო

(1) თუ პირი ნების გამოვლენაზე დაიყოლიეს მოტყუების გზით ან მართლსაწინააღმდეგო მუქარით, მას შეუძლია ეს ნების გამოვლენა გახადოს საცილო.

(2) თუ მოტყუება ჩადენილ იქნა მესამე პირის მიერ, მაშინ ნების გამოვლენა, რომელიც უნდა გაკეთებულიყო მეორე მხარის მიმართ, შეიძლება გახდეს საცილო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელმა მოტყუების შესახებ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ამის თაობაზე.

1. ზოგადი მიმოხილვა. § 123-ის თანახმად, განმცხადებელს შეუძლია თავის ნების გამოვლენაზე უარის თქმა, როდესაც ეს უკანასკნელი მიღებულ იქნა თავისუფალი ნების გარეშე არა საკუთარი შეცდომის (§ 119), არამედ გარიგების მეორე მხარის გაუმართლებელი საქციელის შედეგად. ხშირად საქმე გვაქვს სისხლის-სამართლებრივ გადაცდომასთან თაღლითობის (სისხლის სამართლის კოდექსის § 263) ან გამოძალგის (სისხლის სამართლის კოდექსის §240) შემთხვევებში ისე, რომ აუცილებელი არ არის, სამოქალაქო- და სისხლის-სამართლებრივი შემადგენლობები ერთმანეთს ზუსტად შეესაბამებოდეს. 1

2. ნორმის პირველი ნაწილის პირველი ალტერნატივის თანახმად, მოტყუების გამო შეცილების წინაპირობები შემდეგია:

ა) მოცემული უნდა იყოს ნების გამომვლენის მოტყუება ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ. მოტყუება უნდა იყოს დაკავშირებული ფაქტთან, მაგ., ხალიჩის ასაკი ან ავტომანქანის გარბენი. უბრალო შეფასებები ან რეკლამა საკმარისი არ არის; 3

ბ) მოტყუება უმოქმედობით (დუმილით) სახეზეა, როდესაც არსებობს განმარტების ვალდებულება. ეს დამოკიდებულია ცალკეულ შემთხვევათა გარემოებებზე. გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერების პრინციპისა და სამოქალაქო ბრუნვაში არსებული შეხედულებების მიხედვით (§ 242). თავისთავად ცხადია, რომ მხარეებს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები აქვთ. ამიტომ არ არსებობს იმ გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ზოგადი ვალდებულება, რომლებიც აშკარად მნიშვნელოვანია მეორე მხარის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ავტომობილის გაყიდვისას დუმილი, როგორც წესი, მოტყუებაა მძიმე ავტოავარიის ან ამის შესახებ მყიდველის მხრიდან პირდაპირი კითხვის შემთხვევაში; 4

გ) მოტყუებას შედეგად მოჰყვება მოტყუებული პირის შეცდომა და იგი უნდა იყოს ნების გამოვლენის გამომწვევი მიზეზი. არის თუ არა შეცდომა შინაარსში ან მოტივში, § 119-ისაგან განსხვავებით მნიშვნელობა არა აქვს. შეცდომა შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ ისეთ გარემოებას, რომელიც გარიგების დადებასთან მიზეზობრივ კავშირშია. დუმილით მოტყუების შემთხვევაში საკმარისია ჰიპოთეტური მიზეზობრივი კავშირი, რადგანაც ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, 5

თუკი ეს უკანასკნელი მოხდებოდა, მოტყუებული თავს შეიკავებდა გარიგების დადებისაგან;

6 დ) **ბოროტი** განზრახვა ითხოვს მოტყუების ნებას, თუმცა, თაღლითობისგან განსხვავებით, იგი არ საჭიროებს ზიანის მიყენების განზრახვას. პირობითი განზრახვა საკმარისია; ასევე საკმარისია, როდესაც მოტყუების ჩამდენმა იცის, რომ სხვა პირი მოტყუების გარეშე, სავარაუდოდ, არ გამოავლენდა ნებას (BGH NJW, 1971, 1795, 1800);

7 ე) **„მესამე პირის“** ცნება მე-2 ნაწილში სასამართლო პრაქტიკის მიერ თანდათან შევიწროვდა შეცილების შესაძლებლობის გაზრდის შედეგით (იხ. *Medicus*, AT 801-ე და შემდეგი ველეები; *Palandt-Ellenberger*, 13-ე ველი). „მესამე პირს“ არ წარმოადგენს არა მარტო წარმომადგენელი, არამედ ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ხელშეკრულების დადებისას მონაწილეობდა როგორც ნების გამოვლენის მიმღების **მინდობილი პირი**; ასეთია, მაგ., მოლაპარაკებების წარმოებისას დამხმარე პირი ხელშეკრულების დადების უფლებამოსილების გარეშე ან წარმომადგენელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე გარიგების მოწონების შემდეგ. თუ განვადებით ნასყიდობის შემთხვევაში, გამყიდველი გამოდის როგორც გამსესხებლის მინდობილი პირი, მაშინ გამყიდველი გამსესხებელთან ურთიერთობაში, როგორც წესი, არ წარმოადგენს მესამე პირს და ამდენად, მყიდველს შეუძლია სესხის ხელშეკრულების შეცილება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამსესხებელმა არაფერი იცოდა – ან არაფერი უნდა სცოდნოდა გამყიდველის მოტყუების შესახებ. მესამე პირს, პირიქით, წარმოადგენს მოვალე, რომელმაც თავის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ უსწორო ინფორმაციის მიწოდებით თავიდან აიცილა კრედიტორთან დაადებინა თავდებობის ხელშეკრულება; ამდენად, თავიდან შეუძლია შეცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორმა მოტყუების შესახებ მოვალისაგან შეიტყო ან მას აღნიშნული უნდა შეეტყო. შესაბამისად, მოვალე, როგორც წესი, არ წარმოადგენს კრედიტორის მინდობილ პირს.

8 თუ უშუალო წარმომადგენლობისას მარწმუნებელი ახორციელებს **რწმუნებულების მინიჭების** შეცილებას წარმომადგენლის მოტყუების გამო, მას მესამე პირის მიერ მიღებული მინდობილობის შემთხვევაში, შეუძლია იმოქმედოს, § 123-ის მე-2 ნაწილის თანახმად, მხოლოდ გარიგების მეორე მხარის ცოდნით, როდესაც მას შეეძლო ერთჯერადი მინდობილობის აღნიშნულისაგან დამოუკიდებლად გაუქმება (მდრ. § 167 ველი 1) (ამ დროს წარმომადგენელი ნების გამოვლენის მიმღებია). თუმცა, ვინაიდან მარწმუნებელი რწმუნებულების მინიჭების შეცილებასთან ერთად უარყოფს ასევე წარმომადგენლის მეშვეობით დადებულ გარიგებასაც (მდრ. § 177) და გარიგების მეორე მხარეს წარმომადგენელსა და მარწმუნებელს შორის შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე მესამე პირის მიერ მიღებული ან ერთჯერადი მინდობილობით არ ადგება ზიანი, მაშინ ერთჯერადი მინდობილობა განხილულ უნდა იქნეს როგორც მესამე პირის მიერ მიღებული მინდობილობა: § 123-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ამ შემთხვევაშიც მოითხოვება გარიგების მეორე მხარის მიერ ფაქტობრივი მდგომარეობის ცოდნა;

9 ე) შეცილების საფუძველი ეხება, როგორც წესი, არა მხოლოდ ძირითად გარიგებას, არამედ, აგრეთვე, **შესრულების გარიგებასაც**. თუ A-მ B შეცდომაში შეიყვანა თავის გადახდისუნარიანობის ფაქტთან დაკავშირებით, B-ს შეუძლია შეცილება არა მარტო ნასყიდობის ხელშეკრულებისა, არამედ ასევე საკუთრების უფლების გადაცემისა (RGZ, 70, 55). ვინაიდან B არ განახორციელებდა ნივთის მიწოდებას, A-ს რომ არ მოეტყუებინა იგი გადახდისუნარიანობის ფაქტთან დაკავშირებით.

10 3. ნორმის პირველი ნაწილის მე-2 ალტერნატივის თანახმად, **მართლსაწინააღმდეგო მუქარის გამო შეცილების** წინაპირობები შემდეგია:

11 ა) **მუქარა არის** მომავალი ბოროტების (=ზიანის) ჩადენის დაქადნება, როდესაც დამმუქრებელი ირწმუნება, რომ მას შეუძლია აღნიშნულის ჩადენა და სურს კიდევ

იგი იმ შემთხვევაში, როდესაც პირი, რომელსაც ემუქრებიან, არ გამოავლენს დამმუქრებლისთვის სასურველ ნებას (BGH NJW, 1988, 2599). დამმუქრებელი შეიძლება იყოს ასევე **მესამე პირი**; ამ შემთხვევაში მე-2 ნაწილი აღარ მოქმედებს. პირს, ვისაც ემუქრებიან, შეუძლია მიუთითოს § 123-ზე, როდესაც მუქარა მისი შეხედულებით სერიოზული იყო და მან ეს მუქარა უკვე განიცადა (BGH NJW, 1982, 2301, 2302);

ბ) მართლსაწინააღმდეგოა მუქარა, როდესაც დამუქრებული ზიანი (მაგ., სხეულის დაზიანება) ან სასურველი მიზანი თავისთავად მიუღებელია სამართლებრივი თვალსაზრისით; თუმცა, აღნიშნულისათვის საკმარისი არ არის ის, რომ დამმუქრებელს არა აქვს მოთხოვნის უფლება ნების გამოვლენაზე (BGHZ, 25, 217, 219). გარდა ამისა, მართლსაწინააღმდეგოობა სახეზეა **საშუალებასა და მიზანს შორის შეუსაბამობის** შემთხვევაშიც: მართალია, ორივე თავისთავად დასაშვებია, თუმცა, მათ შორის არ არსებობს კავშირი, რის გამოც მუქარა აღნიშნული მიზნისათვის შეუსაბამოდ მიიჩნევა (მაგ., კ-ს დიდი ხნის განმავლობაში ემართა ვ-სთვის გადაუხდელი ნასყიდობის ფასიდან გამომდინარე ვალი; შემთხვევით ვ-მ შეამჩნია, თუ როგორც ჩაიდინა კ-მ ქურდობა და დაემუქრა მას დასმენით, რის გამოც ამ უკანასკნელმა თავისი ვალი გადაიხადა). თუ, პირიქით, მუქარა არის სათანადო საშუალება გამართლებული ინტერესის მისაღწევად, მაშინ იგი არ იძლევა შეცილების უფლებას (მაგ., დამუქრება სარჩელის შეტანით, როდესაც ზიანის მიმყენებელს არ სურს ნებაყოფლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება);

გ) მუქარით **დაყოლიებული** ხდება განმცხადებელი, როდესაც მუქარა ნების გამოვლენის გამოწვევი იყო (მდრ. ზევით, მე-5 ველი). სუბიექტური წინაპირობაა შესაბამისი დამმუქრებლის **ნება**, აიძულოს პირი, ვისაც ემუქრებიან, ფაქტობრივად, გამოავლინოს ნება (*Larenz/Wolf*, § 37-ის 30-ე ველი, სხვა მითითებებთან ერთად);

4. სხვადასხვა შეცილების უფლებები შეიძლება ერთად არსებობდეს. შესაბამისად, შეცილებები მოტყუებისა და მუქარის გამო ერთმანეთს არ გამორიცხავს (BGH NJW-RR, 1996, 1281, 1282). გარდა ამისა, ერთდროულად შეიძლება არსებობდეს შეცილება შეცდომის გამო, როდესაც მოტყუება ეხება სამოქალაქო ბრუნვისათვის არსებით თვისებას. აღნიშნული შეცილების უფლება შეიძლება უფრო ხელსაყრელიც იყოს, ვინაიდან შემცილებელს აღარ დასჭირდება მოტყუების მტკიცება. მოიცავს თუ არა შეცილება მოტყუების გამო შეცილებას შეცდომის გამო, განმარტების საკითხია (BGHZ, 78, 216, 221);

5. სამართლებრივი შედეგები – როგორც § 119-ის 21-ე ველში; 15

6. კოლიზია. ა) ნაკლის გამო პასუხისმგებლობასა და შეცილებას შორის მოტყუებულს შეუძლია გააკეთოს არჩევანი. ვინაიდან, როგორც წესი, მოტყუების დროს საცილოა ასევე შესრულების გარიგებაც, შეცილება შეიძლება უფრო ხელსაყრელი იყოს, ვიდრე ხელშეკრულებიდან გასვლა, § 437-ის №2-ის თანახმად, ამ უკანასკნელის ვალდებულებით-სამართლებრივი შედეგებით. **ბ)** კოლიზიური **ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლებებიდან** (§ 823-ის მე-2 ნაწილი სისხლის სამართლის კოდექსის §§ 240, 263-თან კავშირში, § 826, ასევე §§ 280-ის პირველი ნაწილი, 311-ის მე-2 ნაწილი, ასევე *culpa in contrahendo*), უპირველეს ყოვლისა, პრობლემატურია *culpa in contrahendo*-დან გამომდინარე მოთხოვნის უფლება, ვინაიდან იგი, როგორც შეცილება, მიმართულია ხელშეკრულების გაუქმებისაკენ და, § 195-ის თანახმად, ექვემდებარება ზოგად ხანდაზმულობას (მდრ. პირიქით, § 124). თუმცა, გაბატონებული შეხედულების თანახმად (BGH NJW, 1998, 302,303; *Mertens*, AcP, 2003, 818, 844), არ არსებობს განსაკუთრებულობა § 123-იდან და §§ 280-ის პირველი ნაწილიდან, 311-ის მე-2 ნაწილიდან, *culpa in contrahendo*-დან გამომდინარე ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლებას შორის. დასაბუთება: § 123 იცავს ნების თავისუფლებას,

culpa in contrahendo კი, უპირველეს ყოვლისა, ქონებას. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, ზიანის ანაზღაურების შესახებ სხვა მოთხოვნის უფლებები განსხვავებული სამართლებრივი შედეგების გამო § 123-ით არ გამოირიცხება, ამიტომ ხელშეკრულების მეორე მხარემ თავისი თავის მიმართ უნდა დაუშვას ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენება. პირიქით, სანინალმდგომოსაზრების თანახმად, *culpa in contrahendo*-დან გამომდინარე ხელშეკრულების საწყის მდგომარეობაში დაბრუნების მოთხოვნის უფლება გამოირიცხებულია, ვინაიდან მოტყუების მოთხოვნა § 123-ში შესუსტდებოდა (*culpa in contrahendo*-ს შემთხვევაში საკმარისია გაუფრთხილებლობა), § 124-ის დანაწესი კი უსარგებლო გახდებოდა (შდრ. OLG Hamm NJW-RR 1995, 205 სხვა მითითებებთან ერთად). ასევე, სხვა შეხედულების თანახმად, *culpa in contrahendo*-დან გამომდინარე ვალდებულებისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება დასაშვებები უნდა იყოს მხოლოდ ინფორმაციის მინოდების გაზრდილი ვალდებულების შემთხვევაში (*Medicus/Petersen*, 150-ე ველი).

§ 124. შეცილების ვადა

- (1) § 123-ის თანახმად საცილო ნების გამოვლენის შეცილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.
- (2) ¹შეცდომის შემთხვევაში ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი აღმოაჩენს შეცდომას, ხოლო იძულების შემთხვევაში, იძულების შეწყვეტის მომენტიდან. ²ვადის დენის მიმართ გამოიყენება ხანდაზმულობის მიმართ დადგენილი §§ 205, 206 და 211-ის ნორმები.
- (3) შეცილება გამოირიცხებულია, თუ ნების გამოვლენის მომენტიდან გავიდა ათი წელი.

§ 125. ბათილობა გარიგების ფორმის დაუცველობის გამო

¹ბათილია კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. ²საექვობისას გარიგებით დადგენილი ფორმის დაუცველობა ასევე შედეგად იწვევს გარიგების ბათილობას.

- 1. **1.** ფორმის დამდგენი ნორმის ფუნქცია შეიძლება იყოს ის, რომ განმცხადებელმა ნების გამოვლენის შინაარსი საკმარისად გაიაზროს (პრევენციული ფუნქცია), ნების გამოვლენა უფრო ადვილად დასამტკიცებელი რომ გახდეს (მტკიცების ფუნქცია; აქვე იხ., მაგ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 415 და შემდეგი პარაგრაფები) ან ნათლად დადგინდეს განმცხადებლის ინფორმირებულობა მისი ნების გამოვლენის სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ (საკონსულტაციო ფუნქცია, მაგ., ნოტარიუსის სავალდებულო ჩართულობის შედეგად, ამასთან დაკავშირებით იხ. სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ კანონის § 17 და შემდეგი პარაგრაფები).
- 2. **2.** **ფორმის სავალდებულობის ფარგლები:** ფორმის დაცვას ექვემდებარება ასევე დამატებითი შეთანხმებები და შემდგომში განხორციელებული ცვლილებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ძირითადი შეთანხმება დაიდებოდა დამატებითი შეთანხმებების გარეშე ან შემდგომში განხორციელებული ცვლილებები ეხება არა ვალდებულების შესრულების შინაარსს, არამედ მიმართულია მხოლოდ ხელშეკრულების შესრულებისათვის მოულოდნელი სირთულეების თავიდან ასაცილებლად. გარდა აღნიშნულისა, ფორმის დაცვას ექვემდებარება ისეთი ხელშეკრულებები, რომელთათვისაც ფორმის დაცვა სავალდებულო არ არის, მაგრამ აღნიშნული ხელშეკრულებები პირდაპირ ან არაპირადაპირ გამომდინარეობს ფორმასავალდებულო გარიგების დადების ვალდებულებას (წინარე ხელშეკრულება) (მაგ.: ფორმასავალდებულო გარიგების არდადების შემთხვევისათვის მაღალი

პირგასამტეხლოს შეთანხმება, გამოუთხოვადი ან გარიგების მეორე მხარისათვის § 181-ით გათვალისწინებული ვალდებულებისაგან გათავისუფლების პირობით გაცემული მინდობილობა).

ფორმასავალდებულო გარიგების **გაუქმება** შეიძლება განხორციელდეს ფორმის დაუცველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემძენმა უკვე მიიღო სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება (BGHZ, 83, 395, 399). დასაბუთება: ფორმის ფუნქცია მნიშვნელობას იძენს მხოლოდ შექენილი სამართლებრივი მდგომარეობის დაცვისათვის.

გაბატონებული შეხედულების თანახმად, ორმხრივი შეცდომა („falsa demonstratio non nocet“, შდრ. იხ. § 133-ის მე-3 ველი) ფორმასავალდებულო გარიგების შემთხვევაშიც არ არის ზიანის მომტანი; ზემოაღნიშნული, მართალია, ეწინააღმდეგება ფორმას, თუმცა, ფაქტობრივად, სასურველად მიიჩნევა (BGHZ, 87, 150, 153 და შემდეგი პარაგრაფები). განსხვავებული შეხედულების თანახმად, ფორმის მიზნის შენარჩუნებისათვის მოითხოვება, სულ ცოტა, ფაქტობრივად სასურველზე მითითება ფორმის დაცვით გაკეთებული განცხადებით.

3. კანონით დადგენილი ფორმის დაუცველობის **სამართლებრივი შედეგი**, როგორც წესი, **ბათილობაა**. თუმცა, განსხვავებული შედეგია მითითებული, მაგ., § 550-ის პირველ წინადადებაში (ამ მხრივ იგი მნიშვნელოვნად იცავს დამქირავებლის ინტერესებს). ცალკეულ შემთხვევებში კანონი ითვალისწინებს ნაკლის **გამოსწორების** შესაძლებლობას შესრულებით (§§ 311ბ-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 518-ის მე-2 ნაწილი, 766-ის მე-3 წინადადება, 2301-ის მე-2 ნაწილი); ამ შემთხვევაში პრევენციული და მტკიცების ფუნქციები გარიგების შესრულების შემდეგ ზედმეტად მიიჩნევა; თუმცა, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ზემოაღნიშნული ნორმებიდან მაინც შეუძლებელია ზოგადი წესის გამოყვანა, რომლის მიხედვითაც შესრულებით ხდება ფორმადაუცველი გარიგების ფორმის ნაკლის გამოსწორება.

4. ფორმის ნაკლის უსაფრთხოება, **კეთილსინდისიერების პრინციპის** მიხედვით (§ 242), მხედველობაში მიიღება მხოლოდ იშვიათ გამონაკლის შემთხვევებში, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ფორმის დამდგენი ნორმების მოქმედება შესუსტდებოდა და სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნები აღარ შესრულდებოდა. განკარგვითი გარიგებებისას და მემკვიდრეობის სამართალში, სადაც საქმე შეეხება მესამე პირის ინტერესებს, § 242-ს არ შეუძლია, როგორც წესი, § 125-ის ბათილობის სამართლებრივი შედეგის თავიდან აცილება (სადავოა). **ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულებების** შემთხვევაში, რომლებიც, ზოგადად, მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა ინტერესებს ეხება, სასამართლო პრაქტიკა, პირიქით, გამონაკლის შემთხვევებში დასაშვებად მიიჩნევს ბათილობის სამართლებრივი შედეგის შეცვლას, როდესაც იგი ყველა გარემოების მიხედვით შეუთავსებელი იქნებოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან (შდრ. *Armbrüster NJW*, 2007, 3317). რა თქმა უნდა, ბათილობა შესაბამისი მხარისათვის არა უბრალოდ მძიმე, არამედ „აუტანელი“ უნდა იყოს. გამოსაყოფია შემდეგ შემთხვევათა ჯგუფები:

ა) თუ მხარემ კონტრაჰენტი ფორმის სავალდებულოობის თაობაზე **ბოროტი განზრახვით შეიყვანა შეცდომაში**, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ითხოვს ვალდებულების შესრულებას, მას არ შეუძლია, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, არ დაეთანხმოს ამ მოთხოვნას ფორმის დაუცველობის გამო ბათილობაზე მითითებით;

ბ) თუ მხარემ ფორმა არ დაიცვა **გაუფრთხილებელი ბრალით ან ბრალის გარეშე**, მაშინ ხელშეკრულება, როგორც წესი, ბათილია (სადავოა). თუმცა, გაუფრთხილებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლება §§ 280-ის პირველი ნაწილიდან, 311-ის მე-2 ნაწილიდან, 241-ის მე-2 ნაწილიდან (*culpa in contrahendo*) გამომდინარე (შდრ. § 311-ის მე-3, მე-7 ველები);

- 9 გ) თუ ორივე მხარემ იცოდა ფორმის ნაკლის შესახებ, მაშინ § 242-ისათვის, როგორც წესი, სახეზე აღარ არის აუცილებლობა იმისა, რომ მხარე ენდობოდა ფორმის ნამდვილობას დაცვის ღირსი საშუალებით. ხელშეკრულება ბათილია – ასეთი შედეგი დგება, როგორც წესი, იმ შემთხვევაშიც, როდესაც გარიგების მეორე მხარე სპეციალურად იყო გარანტირებული ხელშეკრულების ფორმის დაცვაზე ამ უკანასკნელის სოციალური ან პროფესიული მდგომარეობის გათვალისწინებით. RGZ, 117, 121 („ჯენლტმენის საქმე“): პირი, რომელიც დაჟინებით არ ითხოვს § 311ბ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადების ფორმის დაცვას და კმაყოფილდება „ჯენლტმენის პატიოსანი სიტყვით“, არ არის დაცული კანონით. განსხვავებული პოზიციაა, BGHZ, 48, 396-ის მიხედვით, „სამეფო კომერსანტის“ საქმეში: მასში მინის ნაკვეთის მესაკუთრემ, რომელიც აპელირებდა „სამეფო კომერსანტის“ რეპუტაციაზე, ვერ მიუთითა § 311ბ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადების ფორმის დაცვაზე, მსგავსად „ჯენლტმენის საქმისა“, კომერსანტის პატიოსნების არგუმენტით, თუმცა, გარიგების მეორე მხარისათვის საქმის განსაკუთრებული გარემოებების, კერძოდ კი, აშკარა ეკონომიკური სისუსტის შედეგად, შეუძლებელი იყო, დაჟინებით მოეთხოვა კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვა, რის გამოც, გამონაკლისის სახით ფორმის დაცვის აუცილებლობის შესახებ ცოდნის მიუხედავად, იგი იმსახურებდა დაცვას (სადავოა, იხ. კრიტიკული პოზიცია *Reinicke*, NJW, 1968, 39).
- 10 5. იწვევს თუ არა გარიგებით შეთანხმებული ფორმის დაუცველობა გარიგების ბათილობას, პირველ რიგში, დგინდება განმარტებით. თუ ფორმა არის არა ნამდვილობის წინაპირობა, არამედ, უბრალოდ, ემსახურება სიცხადესა თუ მტკიცებულების უზრუნველყოფას, მაშინ ფორმის საწინააღმდეგო ნების გამოვლენა ნამდვილია. მაგ.: როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია წერილობითი ფორმა, ხორციელდება მარტივი წერილით, მაშინ იგი სამართლებრივი ძალის მქონეა; წერილობით ფორმას შეიძლება ჰქონდეს კონსტიტუციური მნიშვნელობა, ხოლო შეტყობინების ფორმა (წერილობითი ფორმა) ემსახურება მხოლოდ მტკიცების მიზანს, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ფორმის ნაკლის სასურველი სამართლებრივი შედეგები, მიუხედავად განმარტებისა მაინც გაურკვეველი რჩება, საეჭვოობისას, მე-2 წინადადების თანახმად, ბათილობა ივარაუდება.
- 11 მხარეებს შეუძლიათ, ნებისმიერ დროს ფორმის დაუცველად გააუქმონ შეთანხმებული სავალდებულო ფორმის დაცვის მოთხოვნა. თუ ქირავნობის ხელშეკრულებაში შეთანხმებულია, რომ ცვლილებები საჭიროებს წერილობით ფორმას, მაშინ, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ზეპირი ცვლილებები მაინც სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ ზეპირი შეთანხმების მიზანშეწონილობა მხარეებს ერთსულოვნად და ყოველგვარი ეჭვის გარეშე სურდათ. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეებს სავალდებულო ფორმის დაცვაზე არ უფიქრიათ (ფორმის დაცვის შესახებ დათქმაზე უსიტყვო უარი). გამონაკლისის სახით ფორმის დაუცველად გაუქმების შეთანხმების დადება გამორიცხულია, როდესაც გაუქმებისათვის სპეციალური წერილობითი ფორმა იყო შეთანხმებული (BGHZ, 66, 378, კომერსანტებს შორის ინდივიდუალური ხელშეკრულებებისათვის).
- 12 ხელშეკრულებების სტანდარტულ პირობებში წერილობითი ფორმის დაცვის დათქმის საწინააღმდეგოდ შემდგომი ზეპირი ინდივიდუალური შეთანხმებები § 305 ბ-ს გამო სარგებლობს უპირატესობით. ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს, მათ შორის ზეპირი შეთანხმების შემთხვევაში, არ უფიქრიათ საწინააღმდეგო დათქმაზე (BGHZ, 164, 133, 137); უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დათქმისაგან შეგნებული გადახვევა მოითხოვა, უბრალოდ, ე.წ. კვალიფიცირებული წერილობითი ფორმის დაცვის დათქმის შემთხვევაში (რომლის დროსაც წერილობითი ფორმის დაცვის მოთხოვნის გაუქმება ასევე

საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას), რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად იქნებოდა შეთანხმებული (შდრ. BGHZ, 66, 378, 381).

§ 126. წერილობითი ფორმა

(1) თუ კანონით დადგენილია წერილობითი ფორმა, მაშინ დოკუმენტი საკუთარი ხელით უნდა იქნეს ხელმოწერილი შემდგენლის მიერ ან მასზე უნდა გაკეთდეს მისი საანოტარო წესით დამოწმებული ინიციალები.

(2) ¹ხელშეკრულების შემთხვევაში მხარეთა ხელმოწერები უნდა გაკეთდეს ერთსა და იმავე დოკუმენტზე. ²თუ ფორმდება ერთზე მეტი იდენტური ეგზემპლარი, მაშინ საკმარისია, თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს მეორე მხარისათვის განკუთვნილ დოკუმენტს.

(3) წერილობითი ფორმა შეიძლება შეიცვალოს ელექტრონული ფორმით, თუ კანონიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

(4) საანოტარო ფორმა ცვლის წერილობით ფორმას.

1. § 126-ის გაგებით, დოკუმენტი გულისხმობს მატერიალიზებულ აზრის გამოხატვას, როდესაც დოკუმენტი შეიძლება დაინეროს ხელით, ან ასევე შედგეს დაბეჭდილი სახით (განსხვავებული წესია დადგენილი, მაგ., § 2247-ის პირველი ნაწილით). სახელის აღნიშვნა უნდა გაკეთდეს მხოლოდ „საკუთარი ხელით“. როგორც წესი, სულ ცოტა, უნდა გაკეთდეს: გვარის აღნიშვნა; უბრალო ინიციალები ან სხვა შემოკლებები (მაგ., პარაფირება). მხოლოდ წოდების ან თანამდებობის აღნიშვნა საკმარისი არ არის. ხელმოწერა დოკუმენტის ტექსტს უნდა ასრულებდეს; მის ქვემოთ გაკეთებული დამატებები სპეციალურად უნდა იქნეს ხელმოწერილი (BGHZ, 113, 48, 54). თუმცა, აუცილებელი არ არის, ხელმოწერა განხორციელდეს დოკუმენტის შედგენის შემდეგ, ვინაიდან, როგორც წესი, საკმარისია საბლანკო ხელმოწერა, როდესაც ნების გამოვლენა წარმოიშობა მხოლოდ ბლანკის დათქმის შესაბამისი შევსებით; რამდენადაც არსებობს დავა იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ბლანკი არასათანადოდ გამოყენებული, მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 440-ის მე-2 ნაწილი (BGH NJW, 1986, 3086).

2. დოკუმენტის ერთიანობა კიდევ ერთი დაუნერგელი დამახასიათებელი ნიშანია. BGHZ, 136, 357-ის თანახმად, განასხვავებენ: რამდენიმე ფურცლისაგან შემდგარი დოკუმენტის შემთხვევაში, წერილობითი ფორმის დაცვის მოთხოვნა უკვე დაკმაყოფილებულია, როდესაც დოკუმენტის ერთიანობა ნათელი ხდება ცალსახა დამახასიათებელი ნიშნებით, რომლებსაც, კერძოდ, მიეკუთვნება მიმდინარე პაგინაცია, ცალკეული ტექსტის ნაწილების მიმდინარე ნუმერაცია და ასევე – მიმდინარე ტექსტი. მყარი სხეულებრივი კავშირი ორიგინალი დოკუმენტისათვის სავალდებულოდ არ მოითხოვება; თუმცა, ის შემადგენელი დანართები და დამატებები, რომლებიც კავშირშია ორიგინალ დოკუმენტთან, მყარად უნდა იყოს ამ უკანასკნელთან დაკავშირებული, რათა მასთან ერთად ქმნიდეს ერთიან დოკუმენტს. ამას პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომერციული ფართების ქირავნობის ხელშეკრულებების შემთხვევაში.

3. გარიგებაში რამდენიმე პირის მონაწილეობის შემთხვევაში, როგორც წესი, დოკუმენტზე ყველა პირმა საკუთარი ხელით უნდა შეასრულოს ხელმოწერა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წარმომადგენლობიდან ან სხვა გარემოებებიდან ნათელია, რომ ცალკეული ხელმომწერი ერთდროულად ხელს აწერს სხვა პირების სახელითაც (შდრ. BGHZ, 176, 301). ეს პრინციპები მოქმედებს ასევე იურიდიული პირების მიმართ, რომლებიც წარმოდგენილია რამდენიმე პირის მიერ (BGHZ, 183, 67)¹¹.

11 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

4 **4. მე-3 ნაწილის** მიხედვით, ჩვეულებრივი წერილობითი ფორმა („ქალაქის ფორმა“) შეიძლება შეიცვალოს **ელექტრონული ფორმით**, როდესაც ფორმის დამდგენი შესაბამისი ნორმა პირდაპირ არ გამორიცხავს ელექტრონულ ფორმას (იხ. § 126ა-ს ველი 1). ამდენად, ელექტრონული ფორმა ჩაფიქრებულია როგორც წერილობითი ფორმის ქვესახეობა. ელექტრონული ფორმის გამოყენების წინაპირობაა ნების გამოვლენის მიმღების თანხმობა, რაც შეიძლება კონკლუდენტურადაც გამოიხატოს. როგორც წესი, ეს ივარაუდება, როდესაც პირი ელ. ფოსტას იყენებს როგორც საკორესპონდენტო ან საკონტაქტო მისამართს. საქმიანი პარტნიორობის შემთხვევაში საკმარისია, რომ ელექტრონული ფორმა მიღებულია მათ შორის არსებული თავიდანვე ჩამოყალიბებული საქმიანი ტრადიციების თანახმად და ამიტომ ისინი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ელექტრონული ნების გამოვლენის ადრესატისათვის მისვლის მომენტიდან (RegBegr BT-Drucks, 14/4987, 15). ელექტრონული ნების გამოვლენების მიღების, გაუქმების და შეცვლების მიმართ, როგორც წესი, მოქმედებს § 116 და შემდეგი პარაგრაფების ზოგადი წესები.

§ 126ა. ელექტრონული ფორმა

(1) თუ კანონით დადგენილი წერილობითი ფორმა უნდა შეიცვალოს ელექტრონული ფორმით, მაშინ დოკუმენტის შემდგენმა ამ ფორმას უნდა დაურთოს საკუთარი სახელი, ხოლო ელექტრონულ დოკუმენტს კი დაუსვას კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ კანონის მიხედვით.

(2) ხელშეკრულების შემთხვევაში თითოეულმა მხარემ ელექტრონულად უნდა მოაწეროს ხელი იდენტურ ეგზემპლარს პირველ ნაწილში აღწერილი სახით.

1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ნორმა ადგენს § 126-ის მე-3 ნაწილით როგორც წერილობითი ფორმის ქვესახეობის დაშვებული ელექტრონული ფორმის უფრო დეტალურ წინაპირობებს. თუ კანონი ითხოვს წერილობით ფორმას, მაშინ შეიძლება არჩეულ იქნეს ასევე § 126ა-თი დადგენილი ფორმა, თუ ამის შესახებ მონაწილეთა შორის არსებობს თანხმობა (იხ. § 126-ის მე-3 ველი). რა თქმა უნდა, ელექტრონული ფორმის გამოყენება გამორიცხულია ზოგიერთი სამართლებრივი მოქმედებისათვის, რომელთა შემთხვევაშიც წინა პლანზე (§§ 623, 761, 766, 780, 781) გამოდის განმცხადებლის დაცვა ნაჩქარევი გადაწყვეტილებისაგან (ე.წ. წერილობითი ფორმის პრევენციული ფუნქცია, იხ. § 125 ველი 1) ან რომელთა შემთხვევაშიც სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე ნების გამოვლენის წერილობითი ფორმით ფიქსირება აუცილებელია: შესაბამისად, § 484-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მაგალითისათვის ადგენს, რომ RL 94/47/EG-ით მოთხოვნილი წერილობითი ფორმა დაცული უნდა იყოს ტაიმერის ხელშეკრულებების მიმართ; § 630 გამორიცხავს სამსახურებრივი ცნობის ელექტრონული ფორმით გაცემას.

2 **2. წინაპირობები. ა) სახელი.** ელექტრონულ დოკუმენტში მოცემული ნების გამოვლენა უნდა შეიცავდეს დოკუმენტის შემდგენლის სახელს. ვინაიდან სახელი არ არის „ხელმოწერა“, იგი არ უნდა მიეთითოს დოკუმენტის ბოლოს. დასაშვებია ასევე ფსევდონიმის გამოყენება, თუ ნების გამოვლენის მიმღებისათვის ცნობილია ნების გამოვლენის პიროვნება.

ბ) ელექტრონული ხელმოწერა. დოკუმენტის შემდგენელმა თავის განცხადებას უნდა დაუსვას კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ კანონის § 2-ის №2-ისა და №3-ის მიხედვით (BGBl, 2001 I 876). ეს შეესაბამება საკუთარი ხელით შესრულებულ ხელმოწერას ჩვეულებრივი დოკუმენტის შემთხვევაში და ამიტომ უზრუნველყოფს ნების გამოვლენის შინაარსის შესაბამისობას განსაზღვრული დოკუმენტის შემდგენელთან (ე.წ. იდენტიფიკაციის ფუნქცია).

გ) ხელშეკრულებების შემთხვევაში ორივე მხარემ ხელშეკრულების ერთიანი ტექსტის შემცველ იდენტურ დოკუმენტს უნდა დაუსვას თავისი ელექტრონული

ხელმოწერები (მე-2 ნაწილი); საკმარისი არ არის, თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს მხოლოდ საკუთარ ოფერტს ან აქცეპტს.

3. ნებაყოფლობითი წერილობითი ფორმა. საეჭვოობისას § 126ა მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ელექტრონული ფორმა შეთანხმებულია გარიგებით, § 127-ის პირველი ნაწილი. რა თქმა უნდა, § 127-ის მე-3 ნაწილის მიხედვით, წინაპირობები გარკვეულწილად შერბილებულია: კვალიფიციურთან ერთად საკმარისია ასევე ე. წ. პროგრესული ან მარტივი ელექტრონული ხელმოწერა „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ კანონის § 2-ის №1-ისა და №2-ის მიხედვით; ხელშეკრულებების შემთხვევაში საკმარისია შესაბამისი ელექტრონულად ხელმოწერილი ოფერტისა და აქცეპტის გაცვლა.

§ 126ბ. ტექსტური ფორმა

თუ კანონით დადგენილია ტექსტური ფორმა, მაშინ ნების გამოვლენა უნდა გაკეთდეს დოკუმენტში, ან ისეთი სახით, რომლითაც შესაძლებელია მუდმივად მისი წერილობითი რეპროდუქცია, ნების გამომვლენი პირი უნდა იქნეს დასახელებული, ხოლო ნების გამოვლენის დადება ნათელი უნდა იყოს ხელმოწერის რეპროდუქციით ან სხვაგვარად.

1. ზოგადი მიმოხილვა. ტექსტური ფორმა ყოველთვის საკმარისია იქ, – თუმცა, ასევე სავალდებულოცაა, – სადაც ფორმის მომწესრიგებელი ნორმებით ჩვეულებრივ დადგენილი პრევენციული და მტკიცების ფუნქციები (მდრ. § 125 ველი 1) მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. აუცილებელია § 126-ით გათვალისწინებული მკაცრი წერილობითი ფორმის დაცვა იმ შემთხვევებში, როდესაც ნების გამოვლენა უმნიშვნელოა ან იგი ინვესტს მხოლოდ ადვილად გასაუქმებელ სამართლებრივ შედეგებს, თუმცა, საინფორმაციო და დოკუმენტირების მიზნებისათვის მისი ფიქსირება მაინც შესაძლებელია (მდრ. RegBegr BT-Drucks, 14/4987, 18). აღნიშნულ შემთხვევებში კი განსაკუთრებით საკუთარი ხელით გაკეთებული ანდა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის მოთხოვნა არის სამოქალაქო ბრუნვის შეუსაბამო ხელშეშლა. § 126-ით დადგენილი მკაცრი ფორმის დაცვით უზრუნველყოფილია ასევე § 126-ს ფორმაც; § 126-ის მე-4 ნაწილის შესაბამისი გამოყენების შემთხვევაში ტექსტუალური ფორმა შეიძლება შეიცვალოს სანოტარო წესით დამონშებით (*Palandt-Ellenberger*, მე-2 ველი); საჯარო დადასტურება ასევე საკმარისია (RegBegr BT-Drucks, 14/4987, 20). ტექსტუალური ფორმა შეიძლება, აგრეთვე, შეთანხმებულ იქნეს გარიგებით (§ 127-ის პირველი ნაწილი).

2. წინაპირობები. ა) მუდმივი რეპროდუქცია. იმისათვის, რათა გამართლებული იყოს ნორმის საინფორმაციო და დოკუმენტირების მიზანი, ნების გამოვლენის შინაარსი საბეჭდი ნიშნების მეშვეობით (ასოები და ციფრები) ისე უნდა დადგინდეს, რომ იგი ვარგისი იყოს მუდმივი რეპროდუქციისათვის. დოკუმენტთან ერთად (§ 126 ველი 1) მხედველობაში მიიღება ნებისმიერი სხვა ისეთი საშუალება, რომელიც იძლევა ნების გამოვლენის მიმღების მიერ განცხადების შენახვისა და რეპროდუქცირების საშუალებას. ამაში თანაბრად შედის როგორც ჩვეულებრივი ქალაქისა და ელექტრონულად გაცემული დოკუმენტები, ისე ტელე- და კომპიუტერული ფაქსიმილური შეტყობინებები, ელ. ფოსტა, ფაილების სახით შენახული მონაცემები და ასევე ვებსაიტი, რომელიც, როგორც წესი, ვარგისია შესანახად. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ, როდესაც ადრესატს არა აქვს ნების გამოვლენის მიღების ტექნიკური შესაძლებლობა, სახეზეა არა ფორმის დარღვევა, არამედ ვლინდება განცხადების მისვლის ხარვეზი (§ 130-ის პირველი ნაწილი). ელექტრონული ფორმის მსგავსად (§ 126-ის მე-3 ველი), იმ პირობა, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს ელ. ფოსტის მისამართისა თუ ფაქსის ნომრის მითითე-

ბით, უნდა დაუშვას მის მიმართ შესაბამისი საშუალებით წარდგენილი ნების გამოვლენის მოქმედება.

- 3 ბ) **განმცხადებლის პიროვნება.** იმისათვის, რათა ნების გამოვლენის მიმღებს მიეცეს შესაძლებლობა, არაორაზროვნად მიუერთდეს განცხადებას, მან უნდა დაასახელოს განმცხადებლის პიროვნება. ვინაიდან ხელმოწერა აუცილებელი არ არის, იგი შეიძლება შესრულდეს ასევე სათაურის, საწყისი სტრიქონის ან სხვა ანალოგიური საშუალებით.
- 4 გ) **ნების გამოვლენის გაფორმება.** იმისათვის, რათა ნების გამოვლენის მიმღები დარწმუნდეს ნების გამოვლენის სერიოზულობაში და განასხვავოს იგი უბრალო ხელშეკრულებების პროექტების ან არასავალდებულო წინადადებებისაგან, ნების გამოვლენა უნდა გაკეთდეს გარეგნულად ცნობადი ხერხით, მაგ., ბეჭედდასმული ან სკანირებული ხელმოწერით, თარიღის დასმითა და სხვა ანალოგიური საშუალებით.

§ 127. შეთანხმებული ფორმა

(1) § 126-ის, § 126ა-ს ან § 126ბ-ს ნორმები საექვოობისას გამოიყენება ასევე გარიგებით დადგენილი ფორმის მიმართაც.

(2) ¹გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ნებაა ნავარაუდები, გარიგებით დადგენილი წერილობითი ფორმის დასაცავად საკმარისია შეტყობინების გადაცემა კავშირგაბმულობის საშუალებით, ხოლო ხელშეკრულების შემთხვევაში, – წერილების გაცვლით. ²თუ ასეთი ფორმა იქნება არჩეული, მაშინ დამატებით § 126-ის შესაბამისი დამოწმება შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.

(3) ¹გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ნებაა ნავარაუდები, გარიგებით დადგენილი წერილობითი ფორმის დასაცავად საკმარისია ასევე § 126ა-თი დადგენილი ელექტრონული ხელმოწერა, ხოლო ხელშეკრულების შემთხვევაში, – ოფერტისა და აქცეპტის განცხადებების გაცვლა, რომლებსაც, თითოეულს, დართული აქვს ელექტრონული ხელმოწერა. ²თუ ეს ფორმა იქნება არჩეული, მაშინ დამატებით § 126ა-ს შესაბამისი ხელმოწერა შეიძლება იქნეს მოთხოვნილი, ან, თუ ეს შეუძლებელია ერთ-ერთი მხარისათვის, – § 126-ის შესაბამისი დამოწმება.

§ 127ა. სასამართლო წესით დამტკიცებული მორიგება

სასამართლო წესით დამტკიცებული მორიგების შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების მიხედვით განცხადებების მიღების შედეგად შედგენილი ოქმი ცვლის სანოტარო წესით დამოწმებას.

§ 128. სანოტარო წესით დამოწმება

თუ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება გათვალისწინებულია კანონით, მაშინ საკმარისია, ნოტარიუსის მიერ დამოწმდეს ჯერ ოფერტი, ხოლო შემდეგ – აქცეპტი.

- 1 ოფიციალური დამოწმების პროცედურის ცალკეული საკითხები მოწესრიგებულია ოფიციალური დამოწმების შესახებ კანონში. უფლებამოსილი ნოტარიუსის წინაშე მხარეები აკეთებენ დასამოწმებელ განცხადებებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 415-ის თანახმად, დამოწმება არის იმის **მტკიცებულება, რომ განცხადებები სინამდვილეში გაკეთდა**, – და არა მათი შინაარსობრივი სისწორისა (შესაბამის ფარგლებში მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 286). ოფერტისა და აქცეპტის რიგრიგობით დადასტურება, § 126-ის თანახმად, დასაშვებია, რამდენადაც კანონით არ არის გათვალისწინებული ერთდროულად დასწრება (მაგ., § 925-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).

§ 129. საჯარო დამონმება

(1) ¹თუ განცხადების საჯარო დამონმება გათვალისწინებულია კანონით, მაშინ განცხადება წერილობით უნდა შედგეს და განმცხადებლის ხელმოწერა დამონმდეს ნოტარიუსის მიერ. ²თუ განცხადება შემდგენლის მიერ ხელმოწერილ იქნა საკუთარი ნიშნის დადებით, მაშინ საჭირო და საკმარისია § 126-ის პირველ ნაწილში გათვალისწინებული ინიციალების დამონმება.

(2) განცხადების სანოტარო წესით დამონმება ცვლის საჯარო დამონმებას.

საჯარო დამონმება დეტალურად მოწესრიგებულია ოფიციალური დადასტურების შესახებ კანონის §§ 39, 40-ში. ამ მოქმედებით ნოტარიუსი ადასტურებს იმას, რომ ხელმოწერა ან ხმის მიცემისას ხელის აწევა განხორციელდა, ან აღიარებულ იქნა მისი თანდასწრებით და რომ ნების გამოვლენის შემთხვევაში საქმე ეხება დამადასტურებელ წარწერაში მითითებულ პირს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 415-ის თანახმად, დამადასტურებელი წარწერა არის **ხელმოწერის ნამდვილობის მტკიცებულება**; იგი არ ეხება ნების გამოვლენის შინაარსს; ამდენად, წერილობითი ფორმის დაფიქსირებული ნების გამოვლენა არსებობს კერძო დოკუმენტის სახით. საჯარო დამონმება კანონის მიერ განსაკუთრებით მოითხოვება იმ ნების გამოვლინებების მიმართ, რომელთა საფუძველზეც უნდა განხორციელდეს საჯარო რეესტრში რეგისტრაციები (საადგილმამულო რეესტრი, სავაჭრო რეესტრი და ა. შ.), შდრ. საადგილმამულო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 29 და სავაჭრო კოდექსის § 12 (სხვა მაგალითები იხ. *Palandt-Ellenberger*, 1-ლი ველი). ამ ხერხით არაუფლებამოსილი პირი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, მოახდინოს (ყალბი) რეგისტრაციები, რომლებიც სარგებლობს საჯარო ნდობით.

§ 130. არათანმყოფი პირის მიმართ ნების გამოვლენის ძალაში შესვლა

(1) ¹ნების გამოვლენა, რომელიც უნდა გაკეთდეს სხვა პირის მიმართ ამ უკანასკნელის არყოფნის შემთხვევაში, სამართლებრივი ძალის მქონე ხდება იმ მომენტში, როდესაც იგი მას მიუვა. ²ნების გამოვლენა არ გახდება სამართლებრივი ძალის მქონე, თუ უარი გარიგებაზე მეორე მხარეს უფრო ადრე ან ერთდროულად მიუვა.

(2) ნების გამოვლენის ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს განმცხადებლის გარდაცვალება ან ქმედუნარიანობის დაკარგვა, თუ ეს მოვლენები დგება ნების გამოვლენის შემდეგ.

(3) აღნიშნული ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნების გამოვლენა გაკეთდა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

1. ნების გამოვლენის სამართლებრივი ძალა. ნების გამოვლენები, რომელთაც არ სჭირდებათ სხვა პირის მიერ მისი მიღება (მაგ., § 2247-ის თანახმად საკუთარი ხელით შედგენილი ანდერძი, აქცეპტი § 151-ის პირველი წინადადების შემთხვევაში), სამართლებრივი ძალის მქონეა, როდესაც ისინი, ფაქტობრივად, სახეზეა (ამის შესახებ იხ. § 116-ის შესავლის ველი 2) და გაკეთდა სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების მიზნით. მიღებასავალდებულო ნების გამოვლენისათვის დამატებით სავალდებულოა ადრესატის მიერ მისი მიღება (ნაწილობრივ რეგულირებულია §§ 130-132). შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიმართ გაკეთებული ნების გამოვლენის შემთხვევაში იხ. § 131.

2. ნების გამოვლენის გაკეთება (კანონით მოუწესრიგებელი) არის ნების გამოვლენის სამოქალაქო ბრუნვაში გამოყენების მიზნებისათვის შეგნებული გასაჯაროება; მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შემთხვევაში გასაჯაროება ხდება ნების გამოვლენის მიმღების მიმართ. ეს პრობლემურია იმ შემთხვევაში, როდესაც, მაგ., ნების გამოვლენის შინა მოსამსახურე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადებას ავზავნის ფოსტით (არ ხდება შეგნებული გასაჯაროება) ან ნების გა-

მოვლენის მიმღებმა სხვა პირის მიმართ გაკეთებული ნების გამოვლენის შესახებ მხოლოდ შემთხვევით გაიგონა (არ ხდება ნების გამოვლენის გაკეთება ნების გამოვლენის მიმღების მიმართ). გამოვლენის ნების გარეშე გამოვლენილი ნება ისედაც ბათილია, შესაბამისად, შეცილება აღარ არის საჭირო.

- 3 **3. ნების გამოვლენის მისვლა. ა) მატერიალიზებული (წერილობითი) ნების გამოვლენის შემთხვევაში**, სადავო სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ნების გამოვლენის მისვლა სახეზეა, როდესაც ნების გამოვლენა ისე აღმოჩნდება მიმღების აღქმის არეალში, რომ ამ უკანასკნელს ჩვეულებრივი გარემოებების არსებობისას ექნება შესაძლებლობა, შეიტყოს მის შესახებ. წერილები ითვლება ჩაბარებულად იმ მომენტში, როდესაც, სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, უნდა მოხდეს საფოსტო ყუთის დაცლა (სადავოა; იხ., კერძოდ, *Larenz/Wolf*, § 26 19-ე და შემდეგი ველები; *Medicus*, AT 268-ე და შემდეგი ველები). თუ დაზღვეული ფოსტით წერილის გაგზავნისას მისამართზე არმყოფ მიმღებს უტოვებენ წერილის შესახებ შეტყობინების ბარათს, მაშინ წერილი ჩაბარებულად ითვლება არა შეტყობინების ბარათის, არამედ მისი ადრესატისათვის ფაქტობრივად გადაცემის მომენტიდან (*BGHZ*, 137, 205, 208 შემდგომი მითითებებით).
- 4 **შუამავლისათვის გადაცემის დროს** (იხ. *Palandt-Ellenberger*, მე-8 და შემდგომი მითითებებით) უნდა დავადგინოთ, არის თუ არა იგი მიღებაზე უფლებამოსილი პირი – მიმღები კურიერი, თუ გამგზავნი კურიერია. **(1) მიღებაზე უფლებამოსილი პირის შემთხვევაში** (§ 164-ის მე-3 ნაწილი), ამ უკანასკნელის მიერ უნდა შესრულდეს ნების გამოვლენის ჩაბარების წინაპირობები ისე, რომ ეს არ იქნებოდა დამოკიდებული გადაცემაზე ან გადაცემის შესაძლებლობაზე. გარიგების დადებაზე მიცემული მინდობილობა, როგორც წესი, მოიცავს ასევე უფლებამოსილებას ნების გამოვლენის მიღებაზე. **(2) მიმღები კურიერი** არის პირი, ვინც ნების გამოვლენის მიმღების მიერ დანიშნულია ნების გამოვლენის მიღებაზე, ან, სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, იგი ასეთად დანიშნულად და შესაბამისად მიიჩნევა (მენარმეთა შემთხვევაში – სანარმოს მუშაკი; კერძო პირების შემთხვევაში – მეუღლე ან სხვა სათანადო ოჯახის წევრი). ნების გამოვლენა მიმღების მიერ ჩაბარებულად ითვლება, როდესაც შეტყობინების მიღება ჩვეულებრივი გარემოებების არსებობისას იყო მოსალოდნელი. არასწორი ან დაგვიანებული შეტყობინების მიღების რისკი ეკისრება მიმღებს. **(3) თუ** ნების გამოვლენა გაკეთდა არც დანიშნული და არც ისეთი პირის მიმართ, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად ასეთად მიიჩნევა (პატარა ბავშვი, ხელოსანი), მაშინ ასეთი პირი წარმოადგენს ნების გამოვლენის კურიერს. ნების გამოვლენა აღწევს მიმღებ პირამდე მხოლოდ სწორი შეტყობინების შემთხვევაში.
- 5 **ბ) არამატერიალიზებული ნების გამოვლენა** (ზეპირი, სატელეფონო, § 147-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება ან კონკლუდენტური ნების გამოვლენა) ითვლება ჩაბარებულად, როდესაც იგი მიმღებმა აღიქვა, ანუ ხმით სწორად გაიგო. ცუდი სმენადობა და ენის არცოდნა (უცხოელი მუშაკი) მოქმედებს ნების გამოვლენის საწინააღმდეგოდ. თუმცა, ეს ე. წ. აღქმის თეორია სამოქალაქო ბრუნვის დაცვის მიზნით, – § 130-ის პირველ ნაწილში არათანამყოფ პირებს შორის ნების გამოვლენის მიმართ მოქმედი შეფასების შესაბამისად, – ექვემდებარება შეზღუდვას, როდესაც განმცხადებელს გარეგნულად ცნობადი გარემოებების მიხედვით არ ექნება ეჭვი იმისა, რომ მიმღებმა ნების გამოვლენის შესახებ გაიგო. ნების გამოვლენა, რომელიც არ იქნა გაგებული, ან იგი არასწორად იქნა გაგებული, ამ შემთხვევაში სამართლებრივი ძალის მქონე ხდება (*Larenz/Wolf*, § 26 36-ე ველი შემდგომი მითითებებით).
- 6 **4. ნების გამოვლენის ჩაბარების ხელისშემშლელი გარემოებები მიმღების მხრიდან.** თუ ნების გამოვლენა მიმღებამდე არ მიაღწევს იმის გამო, რომ მიღებას ხელს უშლის მიმღების მხრიდან არსებული გარემოება, მაშინ ნების გამოვლენის

სამართლებრივი ძალისათვის (კანონისმიერი დანაწესის არარსებობისას) გადამწყვეტია ინტერესთა შეფარდება.

ა) არასაკმარისი ზომები. როგორც წესი, პირმა, რომელმაც ანგარიში უნდა გაუწიოს გარიგების ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ნების გამოვლენების ჩაბარებას, უნდა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ მასაც მიუვიდეს ნების გამოვლინებები. თუ არასაკმარისი ზომების შედეგად (დროულ) ჩაბარებას ხელი შეეშლება (მაგ., გადაგზავნის შეთავაზებისა და მიღებაზე უფლებამოსილი პირის არარსებობა, არყოფნის მიუხედავად), მაშინ ეს იქნებოდა უფლებით დაუშვებელი სარგებლობა (§ 242), როდესაც მიმღები მაინც მიუთითებდა არარსებულ ან დაგვიანებულ ჩაბარებას. ამ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა ვარაუდობს (დროულ) ჩაბარებას, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ნების გამოვლენმა თავისი მხრიდან მოიმოქმედა ყველაფერი იმისათვის, რათა მიღწეულიყო ფაქტობრივი ჩაბარება, მათ შორის, როგორც წესი, საფოსტო გზავნილის განმეორებითი გაგზავნა აუცილებლობისას § 132-ის თანახმად (მაგ., BGHZ, 137, 205, 209: გაგზავნილი დაზღვეული წერილის ჩაუბარებლობის შემდეგაც). თუ ნების გამოვლენი ხელიდან გაუშვებს ამ შესაძლებლობებს (ან შეგნებულად იტყვის მათზე უარს), მაშინ მისი ნების გამოვლენა არ იქნება ძალმოსილი.

ბ) თუ მიმღები უარს აცხადებს აქცეპტზე, მაშინ მისი მხრიდან დაგვიანებული მითითება ნების გამოვლენის ჩაბარების არარსებობაზე (ან დაგვიანებით ჩაბარებაზე) ნებისმიერ შემთხვევაში ჩაითვლება უფლების ბოროტად გამოყენებად; ამ შემთხვევაში (დროული) ჩაბარება ივარაუდება ისე, რომ აუცილებელი არ არის საფოსტო გზავნილის განმეორებით გაგზავნა, ვინაიდან ეს უკანასკნელი აზრს მოკლებული იქნებოდა (BGH NJW, 1983, 929). თუმცა, განსხვავებული შემთხვევაა მიმღების მხრიდან აქცეპტზე უარის თქმის გამართლებული ინტერესის არსებობისას (არასაკმარისი საფოსტო მომსახურების საზღაურის გამო); ჩაბარება არ ხდება.

5. მე-2 ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა სამართლებრივი ძალის მქონე გარდაცვალების მიუხედავად; ორმხრივ საანდერძო განკარგულებაზე ცალმხრივი უარის თქმის შემთხვევაში მე-2 ნაწილი მოქმედების შეზღუდვისათვის იხ. § 2271 ველი 2.

§ 131. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების მიმართ ნების გამოვლენის ძალაში შესვლა

(1) თუ ნების გამოვლენა გაკეთდა ქმედუნარო პირის მიმართ, მაშინ იგი არ იქნება სამართლებრივი ძალის მქონე მანამდე, სანამ ის კანონიერ წარმომადგენელს არ მიუვა.

(2) ¹ანალოგიური წესი გამოიყენება, თუ ნების გამოვლენა გაკეთდა შეზღუდული ქმედუნარიანი პირის მიმართ. ²თუმცა, თუ განცხადება შეზღუდულქმედუნარიან პირს მხოლოდ სარგებელს ანიჭებს, ან თუ კანონიერი წარმომადგენელი იძლევა თანხმობას, მაშინ განცხადება სამართლებრივი ძალის მქონე ხდება იმ მომენტში, როდესაც იგი შეზღუდულქმედუნარიან პირს მიუვა.

§ 132. ნების გამოვლენის მისვლის შეცვლა ჩაბარებით

(1) ¹ნების გამოვლენა მაშინაც ითვლება მიღებულად, თუ იგი ჩაბარდა სასამართლო აღმასრულებლის მეშვეობით. ²ჩაბარება ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით დადგენილი წესის მიხედვით.

(2) ¹იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელმა პირმა, რომელსაც არ გამოუჩენია გაუფრთხილებლობა, არ იცის განცხადების ადრესატი პირის პიროვნების შესახებ, ან, თუ ამ პირის ადგილსამყოფელი უცნობია, ჩაბარება შეიძლება განხორციელდეს

საჯარო ჩაბარების მომწესრიგებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით დადგენილი წესის მიხედვით. ²პირველ შემთხვევაში ნებართვის გაცემაზე განსჯადია ის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე განმცხადებელს აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი, ან, ქვეყნის ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის არარსებობის შემთხვევაში, – მისი ადგილსამყოფელი; ხოლო მეორე შემთხვევაში – ის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იმ პირს, რომელსაც უნდა ჩაბარებოდა განცხადება, ჰქონდა თავისი ბოლო საცხოვრებელი ადგილი, ან, ქვეყნის ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის არარსებობის შემთხვევაში, – მისი ადგილსამყოფელი.

§ 133. ნების გამოვლენის განმარტება

ნების გამოვლენის განმარტებისას უნდა დადგინდეს ნამდვილი ნება, გამოთქმის სიტყვასიტყვით მნიშვნელობაზე შეჩერების გარეშე.

- 1 **1.** განმცხადებლის „ნამდვილი ნება“ განმსაზღვრელია ისეთი ნების გამოვლენისას, რომელიც არ საჭიროებს სხვა პირის მიერ მის მიღებას, მაგ., ანდერძი. ანდერძის განმარტების წესებისათვის იხ. § 2084.
- 2 **2.** მიღებასავალდებულო ნების გამოვლენისათვის § 133-ის ნორმის ფორმულირების საწინააღმდეგოდ, როგორც წესი, ნამდვილი ნება განმსაზღვრელი არ არის. დასაბუთება: სხვა შემთხვევაში § 199 და შემდეგი პარაგრაფები უსაგნო იქნებოდა.
- 3 **ა)** თუმცა, **ნამდვილი ნება** გამონაკლისის სახით მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შემთხვევაშიც განმსაზღვრელია, როდესაც ნების გამოვლენის მიმღებმა იცის, თუ რა სურდა ნების გამოვლენს. არასწორი დასახელება მხედველობაში არ მიიღება, როდესაც ორივე მხარეს ნების გამოვლენა ესმის არა ისე, როგორც ეს ზოგადად გასაგებია, არამედ სხვაგვარი არსით (*falsa demonstratio non nocet*). თუ მხარეთა შინაგანი ნება ერთმანეთს შეესაბამება, მაშინ გადამწყვეტია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნების გამოვლენის შინაარსში შესაბამისი გამოთქმა არ მოიპოვება, ან ეს უკანასკნელი არასრულყოფილია. *RGZ, 99, 147*: კ ყიდულობს ვ-სგან *“Haarjoringsköd”*-ს და ტვირთავს გემ „ჯესიკაზე“. (აღნიშნული არის ზვიგენის ხორცის აღმნიშვნელი სიტყვა ნორვეგიულ ენაზე). ორივე მხარე გულისხმობს ვეშაპის ხორცს. შესაბამისად, იყიდება ვეშაპის ხორცი.
- 4 **ბ)** საწინააღმდეგოდ შემთხვევებში მიღებასავალდებულო ნების გამოვლენები სამოქალაქო ბრუნვის დაცვის ინტერესებში ისე უნდა განიმარტოს, რომ ისინი ნების გამოვლენის მიმღების მიერ გაგებულ იქნეს, კეთილსინდისიერების პრინციპის თანახმად, ჩვეულებების გათვალისწინებით (ე. წ. ნორმატიული განმარტება, შდრ. § 157); მოძღვრება **ადრესატის მიერ ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობის შესახებ**. ამდენად, განმსაზღვრელია არა ის სუბიექტური გაგება, რასაც ნების გამოვლენის მიმღები ანიჭებს გამოვლენილ ნებას, არამედ სამოქალაქო ბრუნვის ობიექტური მონაწილის მიერ ხედვა ნების გამოვლენის მიმღების მდგომარეობისა. გაბატონებული შეხედულების თანახმად, ადრესატის მიერ ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობის შესახებ მოძღვრება გამოყენებულ უნდა იქნეს ასევე იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, სახეზეა თუ არა ნების გამოვლენა შეგნებული ნების გამოვლენის არარსებობისას (იხ. § 119-ის მე-6 ველი).
- 5 **3.** **ფორმასავალდებულო ნების გამოვლენის** შემთხვევაში, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, შეიძლება ერთდროულად იქნეს გათვალისწინებული დოკუმენტის მიღმა არსებული საშუალებები, ისევე როგორც განმარტებისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ნების გამოვლენის აქტის მიღმა არსებული სხვა გვერდითა მოვლენები (იხ. *Palandt-Ellenberger*, მე-15 ველი). სასამართლო პრაქტიკის თანახმად, გარიგებისათვის გამოყენებული დოკუმენტის მიმართ მოქმედებს სისრულისა და სისწორის პრეზუმფცია. ასეთი პრეზუმფცია დასაბუ-

თებულისა, როდესაც დოკუმენტის ტექსტი თავის ფორმულირებისა და შიდა კონტექსტის მიხედვითა და ჩვეულებების გათვალისწინებით იძლევა განსაზღვრულ შინაარსს და არ არის ბოლომდე გაუგებარი; ამ ვარაუდის უარყოფისათვის (და არა მისი გამყარებისათვის) შეიძლება გამოყენებულ იქნეს დოკუმენტის მიღმა არსებული განმარტების საშუალებები (გარიგების გვერდითა მოვლენები, დოკუმენტის მიღმა მხარეთა მიერ გაკეთებული განცხადებები და ა. შ.) (BGH NJW, 2002, 3164). მხოლოდ განმარტების შემდეგ უნდა შემონმდეს გარიგების ფორმის დაცვის ფაქტი (ანდერძის მიმართ იხ. BGHZ, 86, 41, 47). ამ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა მისდევს **მითითების თეორიას**, რომლის მიხედვითაც დოკუმენტის მიღმა არსებული გარემოებების მიხედვით გამოვლენილი ნება – თუნდაც არასრულყოფილად გამოვლენილი ნება – უნდა გამოიხატებოდეს დოკუმენტში. თუმცა, ეს თეორია აუცილებლად ექვემდებარება შეზღუდვას იმ ფარგლებში, რომლებშიც განზრახვის გარეშე არასწორი მითითება (*falsa demonstratio*, იხ. ზევით მე-3 ველი) არ აყენებს ზიანს ფორმასავალდებულო ნების გამოვლინების შემთხვევაშიც კი (იხ. § 125 ველი 4).

§ 134. კანონით დადგენილი აკრძალვა

გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ აკრძალვას, ბათილია, თუ კანონიდან სხვა სამართლებრივი შედეგი არ გამომდინარეობს.

1. § 134-ის თანახმად, გარიგების ბათილობის შემონმება ხორციელდება სამ ეტაპად: გარიგება უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს, ეს კანონი უნდა იყოს ამკრძალავი § 134-ის გაგებით და, ბოლოს, უნდა დადგინდეს, § 134-ის თანახმად დგება თუ არა ბათილობა ან „კანონიდან სხვა სამართლებრივი შედეგი ხომ არ გამომდინარეობს“.

2. ამკრძალავი კანონები შეიძლება იყოს ყველა კანონი მატერიალური გაგებით (სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის მე-2 მუხლი, ასევე წესდებები, სხვა ნორმატიული აქტები), რომლებიც კრძალავს თავისთავად დასაშვებ გარიგებას მისი შინაარსის ან დადგენის გარემოებების გამო (სამართლებრივი „ნებადართულის“ შეზღუდვა). თუ, პირიქით, განსაზღვრული გარიგება თავიდანვე შეუძლებელია (სამართლებრივი „შესაძლებელია“ შეზღუდვა), მაშინ კანონისმიერი აკრძალვა არ არსებობს; მაგ., ყველა ის ნორმა, რომელთა შემთხვევაშიც კანონით გათვალისწინებულია ბათილობისაგან განსხვავებული სანქცია (მერყევად ბათილობა §§ 108, 177-ის თანახმად და, ნორმის ტექსტის ფორმულირებისაგან განსხვავებით, § 181). კანონისმიერი აკრძალვის დარღვევისათვის, როგორც წესი, საკმარისია ის, რომ დაკმაყოფილებულია მისი ობიექტური ფაქტობრივი შემადგენლობა (მაგ., BGHZ, 116, 268, 276); დანაშაულის ფაქტების შემთხვევაში მოითხოვება ასევე სუბიექტური ფაქტობრივი შემადგენლობა (BGHZ, 132, 313, 318).

3. **ბათილობის შედეგი.** ბათილობისათვის კანონისმიერი აკრძალვის წინააღმდეგ დარღვევა უნდა იყოს ისეთი ინტენსივობის, რომ კანონიდან „სხვა წესი“, ანუ განსხვავებული სამართლებრივი შედეგი არ გამომდინარეობდეს. თუ სახეზე არ არის ამკრძალავი სამართლებრივი დანაწესი, მაშინ გამოიყენება შემდეგი **ნიშნები**: ბათილობა, როგორც წესი, ივარაუდება, როდესაც აკრძალვა მიმართულია გარიგების ორივე მხარის ან პირდაპირ გარიგების შინაარსის წინააღმდეგ, თუმცა, გარიგება ნამდვილია, როდესაც სახეზეა მხოლოდ ცალმხრივი აკრძალვა (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც აკრძალვა, ამავე დროს, ექვემდებარება გადახედვას მხარეთა მიერ, BGHZ, 143, 283), ან, როდესაც იგი ეხება მხოლოდ გარიგების დადების სახესა და ხერხს. საბოლოოდ გადაწყვეტილი ამკრძალავი ნორმის **თელეოლოგიური განმარტება**: თუ ამკრძალავი კანონის არსსა და მიზანს შეიძლება შეესაბამებოდეს მხოლოდ გარიგების ბათილობა, მაშინ თუნდაც ცალმხრივი დარღვევა გამონაკლისის სახით ხდება ბათილობის საფუძველი. თელეოლოგიური

მოსაზრებებით შეიძლება ასევე ვივარაუდოთ ნაწილობრივი ბათილობაც, მაგალითად, ფასების მარგულირებელი ამკრძალავი კანონის დარღვევის შემთხვევაში, რაც ეხება გადამეტებულ საზღაურს (მაგ., მევახშეობა ფართების გაქირავებისას), როდესაც საქმიანობის მთელი სამართლებრივი სქემის ბათილობა საზიანო იქნებოდა პირთა განსაზღვრული წრისათვის (მაგ., ქირავნობის ხელშეკრულების ბათილობა, შდრ. BGH NJW, 1984, 722).

§ 135. განკარგვის კანონისმიერი აკრძალვა

(1) ¹თუ გარიგება არღვევს განკარგვის კანონისმიერ აკრძალვას, რომლის მიზანია მხოლოდ განსაზღვრული პირების ინტერესების დაცვა, მაშინ განკარგვა სამართლებრივი ძალის არმქონეა მხოლოდ ამ პირების მიმართ. ²გარიგებით განკარგვას უთანაბრდება განკარგვა, რომელიც ხორციელდება იძულებითი აღსრულების ან ყადაღის დადების პროცესში.

(2) შესაბამისად, გამოიყენება ნორმები იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც იძენენ უფლებებს არაუფლებამოსილი პირისგან.

1. §§ 135, 136 ეხება ფარდობით გასხვისების აკრძალვებს ანუ ისეთ აკრძალვებს, რომელთა თანახმადაც საგნის გასხვისება სამართლებრივი ძალის არმქონეა მხოლოდ განსაზღვრული პირების მიმართ. კანონისმიერი ფარდობითი გასხვისების აკრძალვები სამოქალაქო კოდექსში არ მოიპოვება; § 135, 136-ის მნიშვნელობა აისახება გასხვისების ისეთ აკრძალვებში, რომლებიც იძულებითი აღსრულების პროცესში ქონების აღწერიდან და დაყადაღებიდან გამომდინარეობს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 829, I, 2, 846, 857, I, იძულებითი აღსრულების წარმოების შესახებ კანონის § 23-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). ნებისმიერი პირის მიმართ მოქმედი **აბსოლუტური** გასხვისების აკრძალვები და მათთან გათანაბრებული განკარგვის შეზღუდვები (მაგ., §§ 1365-ის პირველი ნაწილი, 1369 – მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართალში, §§ 1643, 1821 – მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართალში, §§ 2113, 2211 – მემკვიდრეობის სამართალში, გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ კანონის § 81 და 91) §§ 135, 136-ით არ რეგულირდება.

2. იმ საგნების **კეთილსინდისიერი შეძენის** შემთხვევაში, რომლებიც დატვირთულია ფარდობითი გასხვისების აკრძალვით (§ 135-ის მე-2 ნაწილი), §§ 932-ის მე-2 ნაწილის, 892-ის თანახმად, მოთხოვნილი კეთილსინდისიერება უნდა ეხებოდეს გასხვისების აკრძალვის არარსებობას. თუ არსებობს აბსოლუტური გასხვისების აკრძალვა, მაშინ კეთილსინდისიერი შეძენა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ეს პირდაპირ არის დადგენილი (მაგ., § 2113-ის მე-3 ნაწილი; საწინააღმდეგო მაგალითი – § 1365).

§ 136. განკარგვის საჯარო-სამართლებრივი აკრძალვა

განკარგვის აკრძალვა, რომელიც დგინდება სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უთანაბრდება § 135-ით გათვალისწინებულ განკარგვის კანონისმიერ აკრძალვას.

§ 137. გარიგებით დადგენილი განკარგვის აკრძალვა

¹გასხვისებადი უფლების განკარგვის უფლებამოსილება არ შეიძლება გარიგებით გამოირიცხოს ან შეიზღუდოს. ²ეს ნორმა არ ეხება იმ ვალდებულების სამართლებრივ ძალას, რომლითაც პირი კისრულობს ვალდებულებას, არ განკარგოს უფლება.

1. § 137-ის თანახმად, იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიცავს გასხვისების აკრძალვას, არა აქვს სანივთო-სამართლოებრივი ეფექტი; აღნიშნული გასხვისების

აკრძალვით ვალდებულ პირს შეუძლია, მაინც განკარგოს შეზღუდვის გარეშე, თუმცა, იგი ამით ხდება ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული (შდრ. მე-2 წინადადება). ცალკეული გამონაკლისები: მოთხოვნის განკარგვის შემთხვევაში, § 399-ის ბოლო წინადადების თანახმად, განკარგვის შესაძლებლობა შეიძლება გამოირიცხოს სანიეტოსამართლოებრივი ეფექტით (ასევე § 413-ით გათვალისწინებული უფლებები).

§ 138. ამორალური გარიგება; მევახშეობა

(1) გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, ბათილია.

(2) კერძოდ, ბათილია გარიგება, რომლითაც პირი სხვა პირის მიმე მდგომარეობით, გამოუცდელით, გონივრული განსჯის უუნარობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით აიძულებს ამ უკანასკნელს ვალდებულების შესრულების მოქმედების სანაცვლოდ მისადმი ან მესამე პირისადმი ქონებრივი სარგებლის შეპირებას ან შესრულებას, რომელიც აშკარად არაპროპორციულია ვალდებულების შესრულებისა.

1. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, გარიგება არღვევს ზნეობრივ ნორმებს, როდესაც იგი არღვევს „ზოგადი სამართლიანი და მართებული წარმოდგენების სტანდარტს“. ეს ფორმულირება საჭიროებს შემდგომ შევსებას. ნანილობრივ სამართლებრივ-ეთიკური პრინციპების სახით დასადაგენი ღირებულების მასშტაბები მოცემულია სამართლებრივ წესწყობილებაში, კერძოდ კი, კონსტიტუციის ღირებულებათა სისტემაში, რაც კერძო სამართალში § 138-ზე ზემოქმედებს („ძირითადი უფლებების მესამე პირებზე არაპირდაპირი მოქმედება“). დამატებით მნიშვნელოვანია სოციალურ-ეთიკური პრინციპების (შდრ. *Larenz/Wolf*, § 41 მე-12 და შემდეგი ველები) დაცვა, როდესაც ბაზისად უნდა იქნეს აღებული კეთილსინდისიერება და ქცევის წესის სტანდარტი (BGHZ, 10, 228, 232). რა თქმა უნდა, ეს რთულად დასადგენია პლურალისტურ საზოგადოებაში. თავის შეკავება სავალდებულოა, განსაკუთრებით, სექსუალურ სფეროში (*Jauernig*, მე-7 ველი).

2. ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო მხოლოდ ობიექტური დარღვევა შესაძლებელია, როდესაც იგი ხორციელდება გარიგების შინაარსიდან გამომდინარე (მაგ., ხელშეკრულება დანაშაულის ჩადენის შესახებ). ხშირ შემთხვევაში, ზნეობრივი ნორმებისადმი წინააღმდეგობა გამომდინარეობს მხოლოდ მთლიანად გარიგებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიდან. ამ შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების მოტივი და მიზანი (ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგოა, მაგ., ე. წ. „Domain-Grabbing“, ცნობილი სახელითა და ნიშნებით იდენტიური ინტერნეტმისამართების შექმნა იმ მიზნით, რომ დაინტერესებულმა პირებმა შემდგომში მათ გადაუხადონ ინტერნეტმისამართების გადაცემის საზღაური; ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *LG Frankfurt, NJW-RR, 1998, 999* შემდგომი მითითებებით). ასევე, ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო შეიძლება იყოს დამატებითი შეთანხმებები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სხვა კანონისმიერი დანაშაულის საფუძველზე (მაგ., §§ 307 და შემდეგი პარაგრაფები) ისედაც სამართლებრივი ძალის არმქონეა (BGHZ NJW, 1997, 3372, 3374).

3. როგორც წესი (იხ. ზევით ველი 2), სუბიექტური მხარეა ზნეობრივი ნორმების წინააღმდეგობის გამომწვევი აუცილებელი გარემოებების შესახებ ცოდნა; ასევე, როდესაც გარიგება ობიექტურად ჯერ არ არის უზნეო (მაგ., საჩუქრის გაყიდვა), გარიგების მოტივი ან მიზანი (გამიზნული იყო ადამიანების წინააღმდეგ გამოსაყენებლად) იწვევს ბათილობას § 138-ის თანახმად. სუბიექტური ელემენტი უნდა არსებობდეს ორივე მხარისათვის, როდესაც ზნეობრივი ნორმების დარღვევა მიმართულია საზოგადოების ან მესამე პირების წინააღმდეგ; თუ ის მიმართულია გარიგების მეორე მხარის მიმართ, საკმარისია ზნეობრივი ნორმების ცალმხრივი

დარღვევა. უზნეო გარემოებების შესახებ ცოდნისაგან უნდა განვასხვავოთ ზნეობრივი ნორმების დარღვევის გაცნობიერება, რაც არც ერთ შემთხვევაში არ მოითხოვება (BGHZ NJW, 1980, 2407, 2408).

- 4 **4.** სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ზნეობრივი ნორმების დარღვევის შესაფასებლად **მნიშვნელოვანი მომენტი**ა, როგორც წესი, გარიგების დადების მომენტი. აღიარებული გამოწვევისა: იმ გარიგებიდან, რომელიც ჯერ არ გაუქმებულა და უკვე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში გახდა ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო, უფლებები ვერ წარმოიშობა (უფლების დაუშვებელი რეალიზაცია, BGH NJW, 1983, 2692). ანდერძების შემთხვევაში საორიენტაციოდ აღებულ უნდა იქნეს, როგორც წესი, სამკვიდროს გახსნის მომენტი (სადავოა), რადგან ხშირად ამ გარიგებების შემთხვევაში გარიგების დადებისა და სამკვიდროს გახსნის მომენტებს შორის უფრო მეტი დრო გადის ხოლმე, § 138 კი ითვალისწინებს სანქციას არა შეხედულებებისათვის, არამედ იგი მიმართულია არასათანადო სამართლებრივი შედეგების აღკვეთისაკენ.
- 5 **5.** აბსტრაქციის პრინციპის სამართლებრივი შედეგის გამო ბათილია, როგორც წესი, **მავალდებულებელი გარიგება** და არა განკარგვითი გარიგება. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, ნეიტრალურია. **გამონაკლისი შემთხვევებია:** ზნეობრივი ნორმები ირღვევა უშუალოდ ვალდებულების შესრულებისას; ამდენად, უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობა ან უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლებით გადაცემა შეიძლება საქმიანობის შეზღუდვის ან კრედიტის აღებისას მოტყუების გამო აღმოჩნდეს ბათილი (დეტალებისათვის იხ.: § 398-ის შესავლის მე-18 ველი, ამავე საკითხზე იხ. ასევე შეზღუდვის გაუქმების მოთხოვნის უფლების შესახებ საწყობის გლობალური ცესიისა და უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლებით გადაცემის შემთხვევაში). სხვა გამონაკლისი არსებობს **მე-2 ნაწილის** თანახმად: მოტყუებულის განკარგვითი გარიგება („გარანტირებული“, მაგ., პროცენტის მხრივ) ბათილია, თუმცა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ბათილი არ არის მეფახშის გარიგება; პირიქით, უფრო გონივრულია მისი უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებით შეზღუდვა (დეტალებისათვის იხ. § 817-ის მე-5 ველი).
- 6 **6.** **ჯგუფები სახელშეკრულებო სამართალში. ა) ზოგადი მიმოხილვა.** კაბალური ხელშეკრულებები ან კონკურენციის აკრძალვები, რომლებიც ზედმეტად ზღუდავს გარიგების დადების თავისუფლებას (20 ნელზე მეტი ვადით ლუდის მიწოდების ხელშეკრულებისათვის იხ. § 139-ის მე-3 ველი); ეკონომიკური ძალაუფლების გამოყენება, განსაკუთრებით, მონოპოლიური მდგომარეობა; კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება, რომელიც პრაქტიკულად არ ტოვებს პასუხისმგებლობის ობიექტებს სხვა კრედიტორებისათვის; რადარის დეტექტორის ნასყიდობა საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების § 23, I, ბ-ით გათვალისწინებული კანონისმიერი პროცედურის დამრღვევი მოქმედებით (BGH NJW, 2005, 1490; § 817-ის მე-2 წინადადების მიხედვით ფასის დაბრუნების მოთხოვნა არ წარმოიშობა); მეფახშეობის მსგავსი გარიგება (იხ. ქვემოთ მე-9 ველი).
- 7 **ბ) მათ შორის, თავდებობები.** კერძო ავტონომიის კონსტიტუციური გარანტია სახელშეკრულებო პარიტეტის უკიდურესი და ტიპიური დარღვევებისას იწვევს ხელშეკრულებების საკონსტიტუციო სამართლის შესაბამისი შესწორებების ვალდებულებას (BVerfGE, 89, 214, 232). ამიტომაც სასამართლო პრაქტიკა ზნეობრივი ნორმების დარღვევად მიიჩნევს **ქონების არმქონე ოჯახის წევრების** თავდებობის ხელშეკრულებებს (ან მსგავსი ვალდებულების ერთობლივად კისრება), როდესაც თავდები კისრულობს ვალდებულებას იმ ფარგლებში, რაც აღემატება მის მიმდინარე და მომავალ შემოსავლებსა და ქონებრივ მდგომარეობას; ამდენად, მას ასევე არ შეუძლია, თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ძირითადი თანხის ნაწილის

ან მიმდინარე პროცენტების თანხების მობილიზება (ამ საკითხზე დეტალურად იხ. BGHZ, 132, 328; სხვადასხვაგვარი კაზუსტიკისათვის იხ. *Schimansky WM*, 2002, 2437; *Tonner JuS*, 2003, 325). საუზრუნველყოფო მინის ვალის დადგენისათვის არ გამოიყენება თავდებობის მიმართ შემუშავებული პრინციპები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მინის ნაკვეთი უზრუნველყოფის მიმცემის ერთადერთი ქონებაა. მის მიმართ მოთხოვნის უფლება შეზღუდულია მინის ნაკვეთის რეალიზაციით; განსხვავებით თავდებისაგან, ნაკისრ გადახდის ვალდებულებასა და ეკონომიკურ გადახდისუნარიანობას შორის, როგორც წესი, არსებითი შეუსაბამობა არ წარმოიშობა (BGHZ, 152, 147).

7. მემკვიდრეობისა და საოჯახო სამართალი. ა) მემკვიდრეობის სამართალში 8
ადრეულ პერიოდში სადავო იყო დაქორწინებული მამკვიდრებლის, ე. წ. **შეყვარებულის ანდერძის ზნეობრივი ხასიათი**. დღევანდელი მდგომარეობით (მსგავსად ცოცხალ პირთა შორის ქონების უსასყიდლო გადაცემისა) ეს გარიგება ითვლება უზნეოდ, როდესაც ქონების გადაცემა ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ სქესობრივი კავშირის კომპენსაციას ან სტიმულირებას (იხ. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 1970 წლის გადაწყვეტილება: BGHZ, 53, 369, 376). პირს, ვინც მიუთითებს ქონების გადაცემის უზნეობაზე, ეკისრება მისი მტკიცების ვალდებულება (BGHZ, 53, 369, 379); თუმცა, ეს მტკიცებულება ერთჯერადი სახით ნაკლებად ვარგისი იქნებოდა. ქონების გადაცემა იმ **არასაქორწინო თანაცხოვრების ურთიერთობაში**, რომელიც დადგენილია ხანგრძლივი ვადითა და ეფუძნება პირთა შორის შიდა კავშირს, როგორც წესი, არ არღვევს ზნეობრივ ნორმებს (იხ. § 1353-ის შესავლის მე-3 ველი). უზნეოდ არ მიიჩნევა ასევე ე. წ. **ინვალიდების ანდერძები**, რომელთა საფუძველზეც ინვალიდი შვილების მშობლები განსაზღვრული მემკვიდრეობით-სამართლებრივი ინსტრუმენტის მეშვეობით (მათ შორის, თავდაპირველი მემკვიდრეობა და სუბსტიტუცია, ისევე როგორც ანდერძის აღსრულება) გადასცემენ თავიანთ ქონებას ისე, რომ შვილების მიმართ სოციალური დახმარების ვალდებულება არ მცირდება, ხოლო სოციალური სამსახურები მათი ვალდებულების გამო რეგრესულ მოთხოვნის უფლებებს არ იძენენ. ასეთ შემთხვევებში საჯარო ინტერესებში არსებული სოციალურ-სამართლებრივი პრინციპი (სოციალური დახმარების სუბსიდიურობა) მაინც არსებობს, თუმცა, მოსალოდნელზე მეტი იქნებოდა მოთხოვნილი მშობლებისაგან – და ეს ხდება უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაში – ის, თუ ისინი უარს განაცხადებენ შვილების კეთილდღეობის მაქსიმალურად უზრუნველყოფასთან დაკავშირებით თავის, როგორც მშობლის, პასუხისმგებლობაზე სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესებში თავიანთი ხარჯების ნაწილობრივი დაფარვით (BGHZ, 111, 36, 42, 123, 368, 373).

ბ) საოჯახო სამართალში პირველ ნაწილს საქორწინო ხელშეკრულებების შინაარსის კონტროლის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (იხ. § 1408 ველი 2). რჩენის შესახებ შეთანხმებების შემთხვევაში, ზნეობრივი ნორმები შეიძლება დაირღვეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეუღლეები ქორწინებიდან გამომდინარე ოჯახურ ვალდებულებებს არეგულირებენ სოციალური დახმარების მიმღების საზიანოდ. ეს შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევა, როდესაც რჩენის შეთანხმებით მიიღწევა ის, რომ კანონისმიერი რჩენის ვალდებულებაზე მეტი ოდენობით გადახდაზე ვალდებული მეუღლე ფინანსურად აღარ იქნება ისეთ მდგომარეობაში, უზრუნველყოს საკუთარი თავის რჩენა და, ამდენად, ექვემდებარება გაზრდილ სოციალურ დახმარებას (BGHZ, 178, 322).

8. მევახშეობა (მე-2 ნაწილი). მევახშეობა, სისხლის სამართლის კოდექსის § 291-ის თანახმად, რომელიც ფაქტობრივი შემადგენლობით შეესაბამება § 138-ის მე-2 ნაწილს, დასჯადია სისხლის სამართლის წესით, ხოლო მევახშური გარიგება, § 134-ის თანახმად, ბათილია. მევახშეობის წინაპირობაა **აშკარა შეუსაბამობა** 10

შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის. არის თუ არა ეს ზღვარი გადალახული, დგინდება ცალკეული შემთხვევისათვის დამახასიათებელი გარემოებების ერთიანი შეფასებიდან ბაზრის წესებისა და რისკების გათვალისწინებით. სესხის პროცენტის მიმართ დადგენილი ძირითადი წესი: § 138-ის მე-2 ნაწილი მოიცავს ბაზარზე არსებული პროცენტის ორმაგი ოდენობის შემთხვევებს. თუ ეკონომიკურ ერთიანობას ქმნის რამდენიმე გარიგება, მაშინ ცალკეული ზარალი უნდა შეჯამდეს ერთი მხარისათვის (მაგ.: BGHZ NJW, 1980, 1155: გადახდის განვადებით ნასყიდობა მომატებული ნასყიდობის ფასით და ასეთივე პროცენტით). გარდა ამისა, მევახშეობის დროს სახეზე უნდა იყოს მიმე მდგომარეობა, გამოუცდელობა ან მე-2 ნაწილში დასახელებული სხვა კრიტერიუმები; მევახშეობის შემთხვევაში აუცილებელია განზრახი ბრალის არსებობა და შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობის ცოდნა და დაზარალებულის მიმე მდგომარეობით შეგნებულად სარგებლობა (დასაბუთება: „სარგებლობა ანგარებითი მოტივით“). თუ ეს უკანასკნელი არ არსებობს, რაც ხშირია, პირველი ნაწილის თანახმად, რჩება იმის ალბათობა, რომ გარიგება აღმოჩნდეს ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო (იხ. ქვემოთ).

11 9. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მევახშეობის მსგავსი გარიგება, პირველი ნაწილის მიხედვით, ბათილია, როდესაც ობიექტურად არსებობს შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობა (როგორც მე-2 ნაწილის თანახმად), ხოლო სუბიექტურად სარგებლის მიმღები მოქმედებდა გასაკიცხი მოტივაციით, რისთვისაც შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის განსაკუთრებით აშკარა შეუსაბამობის შემთხვევაში არსებობს ფაქტობრივი ვარაუდი (გამარტივება მე-2 ნაწილის მიმართ). ეს ვარაუდი არ გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ცალკეულ შემთხვევებში ქარწყლდება განსაკუთრებული გარემოებების შედეგად (BGHZ, 146, 298, 304). მაგ.: სამომხმარებლო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის შემთხვევაშიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროცენტსა და საბაზრო პროცენტს შორის სხვაობა აღემატება 12%-ს და რომელიც კრედიტის გამცემმა გააფორმა კრედიტის მიმღებისათვის ზიანის მიყენების (მიმე მდგომარეობა) განზრახვის გარეშე, თუმცა, მას არ შეუძლია იმის მტკიცება, რომ მან კრედიტის მიმღების მდგომარეობა გაუაზრებლად დამალა (BGHZ, 104, 102, 107). უძრავი ქონების ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასში მიწის ნაკვეთის ნასყიდობის შემთხვევაში, მყიდველის გასაკიცხი მოტივაციის ვარაუდი იმსხვერვეა, როდესაც ხელშეკრულების მხარეებს ჰქონდათ შესაბამისი მცდელობა ადეკვატური ფასების დადგენისა საბაზრო ფასის დასადგენად ჩატარებული ექსპერტიზის მეშვეობით, რომელიც მოგვიანებით არასწორი აღმოჩნდა (BGHZ, NJW, 2002, 3165). მევახშეობის მსგავსი გარიგების **სამართლებრივი შედეგები** შეესაბამება პირველ ნაწილში დადგენილ წესებს: ამდენად, ბათილია, როგორც წესი, მხოლოდ მავალდებულებელი გარიგება, ხოლო შესრულების საწინააღმდეგო გარიგება, პირიქით, ბათილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზნეობრივი ნორმების დარღვევა ხდება უშუალოდ ვალდებულების შესრულებისას (BGHZ NJW, 1985, 3006, 3007).

§ 139. ნაწილობრივი ბათილობა

თუ ბათილია გარიგების ნაწილი, და თუ შეუძლებელია იმის დაშვება, რომ იგი დაიდებოდა ამ ბათილი ნაწილის გარეშე, მაშინ მთლიანად გარიგებაც ბათილია.

1 1. მოცემული უნდა იყოს ერთიანი გარიგება. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, § 157-ის მიხედვით, გადამწყვეტია მხარეთა დასადგენი ერთიანი ნება გარიგების დადების მომენტში. მხარეებს უნდა სურდეთ, რომ გარიგებები, რომლებიც, შესაძლებელია, გარეგნულად განცალკევებულია და მიეკუთვნება სხვადასხვა სახეს (მაგ., ფართის ქირავნობა და მონყობილობის ნასყიდობა), მაგრამ მათი მხოლოდ ერთობლივად შესრულება ან არ შესრულება უნდა იყოს შესაძლებელი.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, **ვალდებულებითი და სანივთო გარიგებებიც** შეიძლება მხარეთა ნების თანახმად ქმნიდეს ერთიანობას, § 139-ის გაგებით. თუმცა, სახეზე უნდა იყოს კონკრეტული ამოსავალი წერტილები. როდესაც სახეზე არ არის სპეციალური გარემოებები, რომლებიც ერთიანობის არსებობის სასარგებლოდ მეტყველებს, მაშინ შენარჩუნდება კანონით გათვალისწინებული გამიჯვნა (აბსტრაქციის პრინციპი). ხშირად გაცილებით ვიწროდ უდგება საკითხს ლიტერატურა: როგორც წესი, აბსტრაქციის პრინციპი ამ შემთხვევაში პირთა კერძო ავტონომიისას აწყდება გადაულახავ შეზღუდვებს. დასაშვები შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ საეჭვო გარიგების ნამდვილობის პირობად დაყენებული იყოს შესრულების გარიგების სამართლებრივი ძალა, თუ ეს – როგორცაა შეთანხმება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ (§ 925-ის მე-2 ნაწილი) – ზოგადად არ ექვემდებარება პირობით დადგენას (მაგ., *Larenz/Wolf*, § 45 მე-9 ველი; *Baur/Stürner*, § 53).

2. გარიგება დაყოფადი უნდა იყოს, ვინაიდან აღნიშნული ბათილი გარიგების გამორიცხვის შემდეგ, შესაძლებელი იყოს, რომ დარჩენილი ნაწილი აგრძელებდეს არსებობას როგორც დამოუკიდებელი გარიგება, მაგ.: მხოლოდ ცალკეული დებულებების ბათილობისას, ორივე მხარის მიერ განსახორციელებელი შესრულების დაყოფადობის შემთხვევაში ან რამდენიმე პირის მონაწილეობა, როდესაც მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მიმართ არსებობს ბათილობის საფუძველი. პირიქით, **მევახშური გარიგებები**, როგორც წესი, არ შეიძლება დარჩეს ძალაში სასამართლოს მიერ დასაბუთებული შესაბამისი საპირისპირო შესრულებით; ამიტომ სხვა შემთხვევაში § 138 დაკარგავდა მევახშისათვის პრევენციულ ხასიათს, რაც შესწორების შედეგად ნაკლებად თუ გახდებოდა ზნეობრივი ნორმების შესაბამისი (BGHZ, 68, 204); თუმცა, განსხვავებული წესია დადგენილი იმ შემთხვევაში, როდესაც საზღაური უნდა დადგინდეს შესაბამისი ნორმატივებით, როგორც, მაგ., მევახშობა ქირავნობისას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ქირის ფასებით. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ზედმეტად ხანგრძლივადიანი სახელშეკრულებო ვადების გამო ზნეობრივი ნორმების დარღვევის შემთხვევაში მოქმედებს § 139; ამდენად, ლუდის მიწოდების ხელშეკრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 წელიწადს (BGHZ, 74, 293, 298), ვინაიდან ხელშეკრულების ვადით შეზღუდვა მისი სხვა შინაარსის შეცვლის გარეშე შეიძლება დაუყოვნებლივ განხორციელდეს.

3. § 139-ის თანახმად, სამართლებრივი შედეგია, როგორც წესი, მთლიანი გარიგების ბათილობა, თუმცა, მრავალი უცხო ქვეყნის სამართალი, პირიქით, ითვალისწინებს გარიგების დარჩენილი ნაწილის ნამდვილობას (მაგ., შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილი). თუმცა, სასამართლო პრაქტიკისა და სამოქალაქო კოდექსის მოტივებთან ერთად, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ეს ნორმა განიხილება მხოლოდ როგორც **მტკიცების ტვირთის დამდგენი წესი** § 139-ის შემთხვევაში იმ აუცილებელი შემონმების ფარგლებში, განაცხადეს თუ არა მხარეებმა უარი ნაწილობრივ ბათილ გარიგებაზე, როგორც მთლიან გარიგებაზე, ან უნდა მოქმედებდეს გარიგების დარჩენილი ნაწილი (BGHZ NJW, 2003, 347). როდესაც მხარეთა ნამდვილი ან ჰიპოთეტური ნებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, როგორც წესი, ითვლება, რომ ბათილია მთლიანი გარიგება; შესაბამისად, იმ პირს, ვინც ამტკიცებს ნაწილობრივ ბათილობას, ეკისრება ამის მტკიცების ტვირთი. თუ ხელშეკრულება შეიცავს **დამცავ დათქმას**, რომლის თანახმადაც იგი სამართლებრივი ძალის მქონეა ცალკეული ბათილი დებულებების გარეშე, მაშინ ამის შედეგად ხდება მტკიცების ტვირთის შებრუნება: ეს უკანასკნელი ეკისრება იმ პირს, რომელიც დათქმის საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ ხელშეკრულება მთლიანად სამართლებრივი ძალის არმქონეა. დამცავი დათქმის შეთანხმების შემთხვევაშიც უნდა დადგინდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბათილ დებულებას ხელშეკრულებისათვის და შეიცავს თუ არა ეს უკანასკნელი ამ

დებულების გარეშეც ორმხრივი ინტერესების რაციონალურ და დაბალანსებულ დანაწესს; ამდენად, ივარაუდება, რომ ხელშეკრულება, ორივე მხარის შეთანხმებული ნების თანახმად, სამართლებრივი ძალის მქონეა (BGHZ NJW, 2003, 347). გარდა აღნიშნულისა, მთლიანი ხელშეკრულების ნამდვილობა არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულება ბათილი ნაწილის გარეშე ორივე მხარის **ჰიპოთეტურ ნებას** (იხ. § 157-ის მე-5 ველი) შეესაბამება. ჰიპოთეტური ნება დგინდება ინტერესთა ურთიერთშეწონვით. ამდენად, ინტერესთა ტიპიური შეფასებისას მიიჩნევა, რომ სასამართლოს განსჯადობის შესახებ შეთანხმებისა თუ საარბიტრაჟო დათქმის ბათილობა არ ეხება ძირითად ხელშეკრულებას და, პირიქით, ძირითადი ხელშეკრულების ბათილობისას სასამართლოს განსჯადობის შესახებ შეთანხმება შენარჩუნდება.

5 გარდა აღნიშნულისა, **ბათილობის დანაწესის არსი და მიზანი** შეიძლება იყოს გარიგების დარჩენილი ნაწილის შენარჩუნება, მაგ., იმ ნორმების დარღვევის შემთხვევაში, რომლებიც მიმართულია ხელშეკრულების მხარის განსაზღვრული სახელშეკრულებო პირობისაგან დაცვისაკენ, როდესაც ხელშეკრულების მხარეს, ამავე დროს, მაინც სურს გარიგების შენარჩუნება (მაგ., § 276-ის მე-3 ნაწილი). § 306-ის პირველი ნაწილის შემთხვევაში § 139-ის დანაწესის მოქმედება პირდაპირ გამორიცხულია; § 2085 ცვლის § 139-ის მტკიცების მდგომარეობას. ასევე კეთილსინდისიერების (§ 242) თანახმადაც შეიძლება § 139-ის სამართლებრივი შედეგის გამორიცხვა; მაგ., როდესაც შენარჩუნდეს, ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, § 134-ის თანახმად, ბათილი „ანგარიშის ჩაუბარებლობის პირობით“ ამ უკანასკნელზე მითითებით, ასევე სურს ნაკლის გამო პასუხისმგებლობის თავიდან აცილება (BGHZ, 176, 198). შრომის ხელშეკრულების ბათილობის შესახებ იხ. § 611-ის შესავლის მე-3 ველი.

§ 140. გარიგების კონვერსია

თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, და თუ სავარაუდოა, რომ გარიგების ბათილობის შეტყობისას მისი ნამდვილობა მხარეთა სურვილი იქნებოდა, მაშინ მოქმედებს ამ სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები.

1 **სამართლებრივი ძალის მქონე შემცვლელ გარიგებაში** კონვერსიით შეიძლება მიღწეულ იქნეს ბათილი გარიგების მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგები. ეს ნორმა მოქმედებს ასევე იმ გარიგებების მიმართ, რომლებიც თავიდან მერყევად ბათილი იყო და (მაგ., § 1366-ის მე-4 ნაწილის შესაბამისად) საბოლოოდ ბათილი აღმოჩნდა (BGHZ, 40, 219, 222). წინაპირობები: ბათილი გარიგება უნდა აკმაყოფილებდეს შემცვლელი გარიგების ნამდვილობის მოთხოვნებს. შემცვლელი გარიგების სამართლებრივი შედეგი არ შეიძლება იყოს უფრო მეტი, ვიდრე რაც განსაზღვრული იყო ბათილი გარიგებით. იგი უნდა შეესაბამებოდეს ბათილი გარიგების დადების მომენტში არსებულ მხარეთა სავარაუდო ნებას. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის ფაქტი, დადებდნენ თუ არა მხარეები შემცვლელ გარიგებას ბათილობის ცნობის შემთხვევაში, მათ მიერ დასახული ეკონომიკური მიზნების გათვალისწინებით.

§ 141. ბათილი გარიგების დადასტურება

(1) თუ პირი, რომელიც დებს ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი დადასტურება განიხილება როგორც გარიგების ხელახლა დადება.

(2) თუ ბათილი ხელშეკრულება დასტურდება მხარეთა მიერ, მაშინ საეჭვოობისას ისინი ვალდებულნი არიან, გადასცენ ერთმანეთს ის, რასაც იქონიებდნენ, ხელშეკრულება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო.

§ 142. შეცილების სამართლებრივი შედეგი

(1) თუ საცილო გარიგება შეცილებულ იქნება, მაშინ იგი მიიჩნევა როგორც თავიდანვე ბათილი.

(2) პირი, რომელმაც იცოდა, ან რომელსაც უნდა სცოდნოდა საცილოების შესახებ, შეცილების შემთხვევაში განიხილება ისეთ პირად, რომელმაც იცოდა, ან რომელსაც უნდა სცოდნოდა გარიგების ბათილობის შესახებ.

თუ ბათილია მხოლოდ მავალდებულებელი გარიგება, მაშინ ქონების დაბრუნების გარანტია რეგულირდება უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად; მე-2 ნაწილის შემთხვევაში, მოქმედებს §§ 819, 818-ის მე-4 ნაწილი. თუ, ასევე საწინივთო გარიგებაც ბათილია იმის გამო, რომ იგი შეცილებულ იქნა (შდრ. § 119-ის მე-20 ველი, § 123-ის მე-9 ველი), ან, მხარეთა ნების თანახმად, იგი მავალდებულებელ გარიგებასთან ერთად ქმნის ერთიან აქტს, მაშინ § 985-ის საფუძველზე წარედგინება სავინდიკაციო სარჩელი. თუ შემქმნმა ამ პერიოდში ნივთი მესამე პირზე გაასხვისა, მაშინ ეს ჩაითვლება არაუფლებამოსილი პირის მიერ განკარგვად. მოქმედებს კეთილსინდისიერი შექმნის ნორმები, როგორებიცაა: § 892 ან § 932. მე-2 ნაწილის თანახმად, არაკეთილსინდისიერების საკითხია შეცილების შესაძლებლობა; § 892-ის შემთხვევაში, საზიანოა მხოლოდ მისი ცოდნა, § 932-ის შემთხვევაში კი, – ასევე მისი უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა.

ქონების დაბრუნების გარანტიის მოთხოვნის უფლებებთან ერთად შეიძლება არსებობდეს ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, § 122-ის, §§ 280-ის, 311-ის მე-2 ნაწილიდან (culpa in contrahendo), ან § 826-იდან გამომდინარე.

§ 143. შეცილების განცხადება

(1) შეცილება ხორციელდება მონინაალმდევე მხარის მიმართ წარდგენილი განცხადებით.

(2) ხელშეკრულების შემთხვევაში მონინაალმდევე მხარეა ხელშეკრულების მეორე მხარე, ხოლო § 123-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შემთხვევაში – პირი, რომელმაც ხელშეკრულებით უშუალოდ მიიღო უფლება.

(3) ¹ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში, რომელიც დაიდო სხვა პირის მიმართ, მონინაალმდევე მხარეა ეს სხვა პირი. ²ანალოგიური წესი მოქმედებს ისეთი გარიგების დროსაც, რომელიც უნდა დადებულყო სხვა პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მაშინაც კი, როდესაც გარიგება ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ უკვე დაიდო.

(4) ¹სხვა სახის ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში, მონინაალმდევე მხარედ მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ მიიღო უფლებრივი სარგებელი გარიგების საფუძველზე. ²თუმცა, თუ ნების გამოვლენა უნდა გაკეთებულიყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, შეცილება შეიძლება გაკეთდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ გაკეთებული განცხადებით; ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეატყობინოს შეცილების შესახებ იმ პირს, რომლის ინტერესებსაც უშუალოდ შეეხნენ გარიგებით.

ნების გამოვლენამ ცხადად უნდა აჩვენოს, რომ შეცილებაზე უფლებამოსილ პირს, ნების ნაკლის გამო (განსხვავებით კონკლუდენტური მოქმედებით განხორციელებული ხელშეკრულებიდან გასვლისაგან), არ სურს გარიგების ნამდვილობა (BGHZ, 88, 240, 245). სიტყვა „შეცილების“ გამოყენება აუცილებელი არ არის. საკმარისია შესრულების დაბრუნების მოთხოვნა ან ვალდებულების არსებობის უარყოფა. თუმცა, ნათლად უნდა ჩანდეს, თუ რა ფაქტობრივ საფუძველებს ემყარება შეცილება.

§ 144. საცილო გარიგების დადასტურება

(1) შეცილება გამოირიცხულია, თუ საცილო გარიგება დადასტურდება შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

(2) დადასტურება არ საჭიროებს გარიგებისთვის დადგენილი ფორმის დაცვას.

- 1 დადასტურება არის შეცილების უფლებაზე უარი, რომელიც ხორციელდება ნების გამოვლენით, რაც აისახება შეცილების შესაძლებლობის ცნობასა თუ შეგნებაში. ნების გამოვლენა არ არის მიღებასავალდებულო, მაშასადამე, აუცილებელი არ არის მისი მონინალმდეგე მხარის მიმართ განცხადება (სადავოა; განსხვავებული პოზიციაა, მაგ., *Larenz/Wolf*, § 44 28-ე ველი). დადასტურება შეიძლება ასევე განხორციელდეს კონკლუდენტური მოქმედებით, თუმცა, სასამართლო პრაქტიკა უფლებაზე უარის ფართომოქმედი შედეგის გამო ამ მხრივ მკაცრ მოთხოვნებს აყენებს: მოქმედება ცალსახად უნდა გამოხატავდეს დადასტურების ნებას და ნებისმიერი განსხვავებული გაგების შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს (BGHZ, 110, 220, 222). ამდენად, შესრულების მიღება (მაგ., ქირავნობის საგნით სარგებლობა) და საპირისპირო შესრულების განხორციელება შეიძლება ჩაითვალოს დადასტურებად, თუმცა, აღნიშნული მოქმედებები დადასტურებად არ ითვლება, თუ ეს უკანასკნელი ხორციელდება მხოლოდ ეკონომიკური საჭიროებიდან გამომდინარე ან დიდი ზიანის თავიდან ასაცილებლად (მაგ., მხოლოდ შემცველი ნივთის მიწოდებად, შდრ. BGH NJW-RR, 1992, 779).

კარი 3. ხელშეკრულება

§ 145-ის შესავალი

- 1 1. ხელშეკრულებები იდება **ოფერტისა და აქცეპტის** მეშვეობით. ნების გამოვლინებები ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს. არის თუ არა ასეთი შემთხვევა, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა დადგინდეს განმარტების გზით. ამავე დროს, ეს დგინდება **ადრესატის მიერ ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობით** (§ 133 ველი 4). თუ ნების გამოვლინებები ერთმანეთს არ შეესაბამება, მაშინ წარმოიქმნება უთანხმოება (§§ 154, 155). ხელშეკრულება არ იდება, სანამ მხარეები არ თანხმდებიან გარიგების ძირითად პირობებზე („*essentialia negotii*“. მაგ., საქონელი და ფასი).
- 2 2. **სოციალურ-ტიპიური მოქმედების შესახებ** მოძღვრების თანახმად, თანამედროვე მასობრივ გადაზიდვა-გადაყვანაში (ტრამვაი ან პარკირების ადგილით სარგებლობა) და საყოფაცხოვრებო სერვისის შემთხვევაში (წყლის, გაზისა და ელ. ენერჯის მიწოდება) ვალდებულების შესრულების ფაქტობრივი გამოყენება მიიჩნევა აქცეპტად და სახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოიშობა („*ფაქტობრივი ხელშეკრულება*“). უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ეს მოძღვრება გამოიყენა „*ჰამბურგის პარკირების ადგილის*“ საქმეში და განმარტა, რომ ნებისმიერი თავისუფალი სასყიდლიანი პარკირების ადგილის გამოყენება წარმოშობს ხელშეკრულებას არა იმიტომ, რომ ფაქტობრივი მოქმედების ეს სამართლებრივი შედეგი მხარეებს სურთ, ან არსებობს შესაბამისი ნების გამოვლენა, არამედ იმიტომ, რომ იგი, სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული შეხედულების თანახმად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე ნების გამოვლენასთან დაკავშირებული უნდა იყოს (BGHZ, 21, 319). ლიტერატურაში ასეთი სასამართლო პრაქტიკა, ძირითადად, უარყოფილია (*Medicus/Petersen*, 190-ე ველი; ბოლო პერიოდის ასევე *Larenz/Wolf*, § 30 25-ე ველი). სინამდვილეში, სოციალურ-ტიპიური მოქმედების შესახებ მოძღვრების გამოყენება საჭირო არ არის, ვინაიდან ვალდებულების შესრულების ფაქტობრივ გამოყენებაში, როგორც წესი, შეიძლება ვლინდებოდეს კონკლუდენტური

და არა მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა (შდრ. § 151). პარკირების ადგილის სრულწლოვანმა მოსარგებლემ უნდა დაუშვას საკუთარი მოქმედების სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული მნიშვნელობის თავისი თავის მიმართ გამოყენება, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აცხადებს, რომ მას არ სურს ფასის გადახდა (*protestatio facto contraria*). უბრალოდ, თავისი მოქმედებით არასრულწლოვნის სახელშეკრულებო ვალდებულებით ბოჭვა ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსით დადგენილ არასრულწლოვანთა დაცვის წესებს; მის წინააღმდეგ გათვალისწინებულია მოთხოვნის უფლება, უსაფუძვლო გამდიდრების წესებიდან გამომდინარე (§ 812) და, აუცილებლობის შემთხვევაში, – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (§§ 823, 828-ის მე-3 ნაწილი, 829), როდესაც არ ივარაუდება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა (რომელიც შეიძლება მიცემულ იქნეს კონკლუდენტური მოქმედებით) ან ზოგადი თანხმობა (შდრ. *Winkler von Mohrenfels JuS, 1987, 692*).

3. როგორც წესი, ოფერტის მიღების ვალდებულება არ არსებობს (ხელშეკრულების დადების თავისუფლება როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების ნაწილი). რა თქმა უნდა, ე. წ. ხელშეკრულების დადების ვალდებულება გათვალისწინებულია ცალკეულ სპეციალურ კანონებში (მაგ.: ენერგეტიკული მეურნეობის შესახებ კანონის § 20, მოქალაქეთა გადაყვანის შესახებ კანონის § 22, სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონის § 5, ფედერაციის ადვოკატთა შესახებ კანონის §§ 48, 49). ცალკეულ შემთხვევებში სადავოა, თუ რამდენად შესაძლებელია, სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე გამონაკლისის სახით გამომდინარეობდეს ხელშეკრულების დადების ვალდებულება (*MüKo-Kramer*, მე-13 და შემდეგი ველეები). გადამწყვეტი შეიძლება გახდეს ის ფაქტი, თუ რაოდენ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შესაბამისი საქონლის მიწოდებას ან მომსახურების განევას (რომელშიც შეიძლება ასევე შედიოდეს კულტურული შეთავაზებები) და მომხმარებლისათვის არ არსებობს სხვა მისაღები შესაძლებლობები. ასეთი შემთხვევა შეიძლება არსებობდეს, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი საწარმოს მონოპოლიური მდგომარეობისას.

§ 145. ბოჭვა ოფერტით

პირი, რომელიც სხვა პირს სთავაზობს ხელშეკრულების დადებას, შებოჭილია ოფერტით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან ბოჭვა გამოიციხა.

1. ცნება. ოფერტი შინაარსობრივად იმდენად განსაზღვრული ან განსაზღვრებადი (§§ 133, 315 და შემდეგი პარაგრაფები) უნდა იყოს, რომ აქცეპტის განხორციელება შეიძლებოდეს მარტო „დიახ“-ით (*Palandt-Ellenberger*, ველი 1). გარდა ამისა, როგორც წესი, ნება უნდა იყოს მიმართული იურიდიული ბოჭვისკენ. ამით ოფერტი განსხვავდება ოფერტზე მონვევისაგან (*invitatio ad offerendum*). ცალკეულ შემთხვევებში გამიჯვნა განმარტების საკითხია, რაც დგინდება ადრესატის მიერ ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობით (§ 133 ველი 4). ინტერნეტაუქციონის შემთხვევაში, გამყიდველის მიერ საქონლის სარეალიზაციოდ გამოყენებული ვებსაიტის აქტივაცია, როდესაც გამყიდველი უკვე იღებს მაქსიმალური ფასის შემცველ ნამდვილ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შეთავაზებას, განხილულ უნდა იქნეს ნამდვილ ნების გამოვლენად და არა როგორც მხოლოდ *invitatio ad offerendum* (BGHZ, 149, 129, 134). საზოგადოებისადმი მიმართული განცხადებები, – კატალოგები, საგაზეთო განცხადებები, პრაისლისტები, პლაკატები, ვიტრინებში განთავსებული საქონელი, – როგორც წესი, არ არის ოფერტი, ვინაიდან საწინააღმდეგოს დაშვებით „შეთავაზებელი“ შეიძლება აღმოჩნდეს რთულ მდგომარეობაში ხელშეკრულებების გადაჭარბებული რაოდენობის შემთხვევაში. თუმცა, ამის საპირისპიროდ, ავტომატების განთავსება, ძირითადად, განიხილება როგორც ნამდვილი ოფერტი (ნებისმიერი პირის მიმართ – *ad incertas personas*), რისი აქცეპტიც

ხდება ფულის შეტანით (სათანადო დასაბუთებით საწინააღმდეგო აზრია გამოხატული: *Medicus*, AT 362-ე ველი).

- 2 **2. ბოჭვა**, რაზეც საუბრობს § 145, დგება ოფერტის მისვლისთანავე (§ 130-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). მბოჭავი ეფექტი შეიძლება გამოირიცხოს მე-2 წინადადების ბოლო ნაწილის თანახმად. თუ გამოიყენება ვალდებულების გამომრიცხავი დათქმები, – როგორებიცაა: „ვალდებულების გარეშე“, „ვალდებულების კისრების გარეშე“, „არასავალდებულო“, – სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ისინი, როგორც წესი, არ გულისხმობენ (განმარტება, § 133) მბოჭავი ეფექტის გამომრიცხვას § 145-ის თანახმად; შესაბამისად, ბოჭვა ოფერტის მისვლის შემდეგ შეიძლება გამოირიცხოს აქცეპტის მომენტამდე, ხოლო ოფერენტი შებოჭილი იქნებოდა, თუ პარტნიორი თანხმობას აცხადებს განსაკუთრებით სწრაფად. უფრო ხშირად მოცემულია ხოლმე *invitatio ad offerendum*. ამდენად, „ოფერენტმა“, თავის მხრივ, უნდა განაცხადოს მხოლოდ აქცეპტი, თუმცა, მისი დუმილი ამ შემთხვევაში, კეთილსინდისიერების პრინციპის თანახმად, გამონაკლისის სახით ჩაითვლება თანხმობად (იხ. § 116-ის შესავლის მე-10 ველი). სპეციალური ვალდებულების გამომრიცხავი დათქმები, როგორებიცაა: „ფასები საბოლოო არ არის“, „მინოდების შესაძლებლობა ექვემდებარება გადახედვას“, შეიძლება გაგებულ იქნეს ასევე იმგვარად, რომ ხელშეკრულების დადების შეთავაზება მოხდა, თუმცა, დათქმა უნდა შევიდეს ხელშეკრულების შინაარსში, გამყიდველი – ცალკეული შემთხვევის განმარტების შედეგადაც – ახდენს ფასის მისადაგებას ან უარს ამბობს ხელშეკრულებაზე და შეიძლება წარდგენილ იქნეს ახალი ოფერტი უფრო მაღალ ფასში.

§ 146. ოფერტის გაუქმება

ოფერტი უქმდება, თუ მასზე უარი ცხადდება ოფერენტის მიმართ, ან თუ იგი არ იქნა მიღებული დროულად, §§ 147-149-ის მიხედვით.

§ 147. აქცეპტის ვადა

(1) ¹თანყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული. ²ანალოგიური წესი მოქმედებს, აგრეთვე, ერთი პირის მიერ მეორისთვის ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაკეთებული ოფერტის მიმართაც.

(2) არათანყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ მომენტამდე იქნეს მიღებული, როდესაც ოფერენტს ჩვეულებრივი გარემოებების არსებობისას შეუძლია დაელოდოს პასუხს.

- 1 **1. აქცეპტი** ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა. როგორც წესი, ხელშეკრულება დადებულად ითვლება აქცეპტის ჩაბარებით. მიღებასავალდებულოობა აუცილებელი არ არის §§ 151, 152-ის შემთხვევაში. **შინაარსი:** უპირობო თანხმობა ოფერტზე; სხვა შემთხვევაში მოქმედებს § 150-ის მე-2 ნაწილი. აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს ასევე **კონკლუდენტური მოქმედებით**, რამდენადაც იგი არ ითხოვს სპეციალურ ფორმას, და ასევე – შეთავაზებულის მიღებით ან საკუთარი შესრულების განხორციელებით (შდრ. § 151). წმინდა **დუმილი** ჩაითვლება თანხმობად მხოლოდ გამონაკლისის სახით (იხ. § 116-ის შესავლის მე-5 ველი).
- 2 **2. აქცეპტი დროულად** უნდა განხორციელდეს, ანუ თანყოფ პირებს შორის ვადის არარსებობისას (§ 148) აქცეპტი დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს (პირველი ნაწილი), ხოლო არათანყოფ პირებს შორის – იმ მომენტამდე, როდესაც ოფერენტს ჩვეულებრივი გარემოებების არსებობისას შეუძლია დაელოდოს პასუხს (მე-2 ნაწილი). აქცეპტანტმა, როგორც წესი, უნდა გამოიყენოს **ისეთივე ნების გამოვლენის საშუალება**, როგორსაც იყენებს ოფერენტი; დეპეშას შეესა-

ბამება დეპეშა და ა. შ. (ნების გამოვლენის საშუალებების გაცვლის პრინციპი). დაფინანსებული და დამონმებასავალდებულო ხელშეკრულებების (მაგ., მინის ნაკვეთის ნასყიდობა) შემთხვევაშიც კი, როგორც წესი, აქცეპტის განცხადების მიღებისათვის შეიძლება აუცილებელი იყოს ლოდინი ოთხი კვირის ვადის განმავლობაში; უფრო ხანგრძლივი მავალდებულებელი პერიოდი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში არღვევს § 308 №1-ის დანაწესს (BGH NJW, 2010, 2873)¹². დაგვიანებული აქცეპტი: §§ 149, 150 პირველი ნაწილი.

§ 148. აქცეპტისათვის ვადის განსაზღვრა

თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ამ ვადის განმავლობაში.

§ 149. დაგვიანებით მიღებული აქცეპტი

¹თუ ოფერენტისთვის დაგვიანებით მისული აქცეპტი იმგვარად იქნა გაგზავნილი, რომ იგი ჩვეულებრივი მიწოდების შემთხვევაში დროულად იქნებოდა მისული და ოფერენტისთვის ეს ფაქტი უნდა ყოფილიყო ცნობილი, მაშინ ოფერენტმა განცხადების მიღების შემდეგ აქცეპტანტს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დაგვიანების შესახებ, თუ ეს მანამდე არ გაკეთებულა. ²და თუ იგი დააყოვნებს შეტყობინების გაგზავნას, აქცეპტი არ ჩაითვლება დაგვიანებულად.

§ 150. დაგვიანებული და შეცვლილი აქცეპტი

(1) ოფერტის დაგვიანებული აქცეპტი განიხილება როგორც ახალი ოფერტი.

(2) აქცეპტის გაკეთება დამატებებით, შემცირებებით ან სხვა ცვლილებებით ჩაითვლება უარად და, ამავე დროს, ახალ ოფერტად.

1. პირველი ნაწილის თანახმად, დაგვიანებული აქცეპტის შემთხვევაში ხელშეკრულება არ იდება; თუმცა, თუ თავდაპირველი ოფერენტი დუმს დაგვიანებულ აქცეპტზე, რომელიც მოქმედებს როგორც ახალი ოფერტი, მან თავისი დუმილი, კეთილსინდისიერების პრინციპის თანახმად, უნდა ჩათვალოს აქცეპტად (იხ. § 116-ის შესავლის მე-10 ველი).

2. ა) მე-2 ნაწილის ურთიერთმიმართება §§ 154, 155-ისადმი. მე-2 ნაწილი მოქმედებს იმ შემთხვევების მიმართ, რომლებშიც ღია ან შეთანხმების ფარულინაკული (უთანხმოება) იწვევს იმას, რომ ხელშეკრულება, §§ 154, 155-ით დადგენილი განმარტების წესების თანახმად, მთლიანად ან ნაწილობრივ არ იდება. ამდენად, თავდაპირველად უნდა დადგინდეს, უარყოფილია თუ არა საეჭვო დანაწესი ღია უთანხმოების შემთხვევაში ხელშეკრულების დადების ფაქტის ხარჯზე (§ 154), თუ ფარული უთანხმოების შემთხვევაში, § 155-ის თანახმად, აღინიშნა ხელშეკრულების დადების ფაქტი. მხოლოდ მოლაპარაკებების იმ საკითხისათვის, რომლის შესახებაც §§ 154, 155-ის საფუძველზე შეთანხმება ვერ მიიღწევა, § 150-ის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ იგი ჩაითვლება ახალ ოფერტად. ნაწილობრივი უთანხმოების შემთხვევაში, § 150-ის მე-2 ნაწილი და §§ 154, 155 შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე ერთდროულად. მაგ., ვ-ს სურს 10 ნაწილის გაყიდვა, ხოლო კ თანხმობას აცხადებს 15 ნაწილის ყიდვაზე. §§ 154, 155-ის თანახმად, ხელშეკრულება იდება 10 ნაწილზე, როდესაც ნათელია, რომ კ ისარგებლებს ნაკლები რაოდენობითაც. დარჩენილი 5 ნაწილის მიმართ მოქმედებს § 150-ის მე-2 ნაწილი.

3 ბ) პრობლემატურია საკითხი, მოქმედებს თუ არა § 150-ის მე-2 ნაწილი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კოლიზიის შემთხვევაშიც. თუ მხარეებს სურთ მხოლოდ საკუთარი ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების შეთანხმება, მაშინ გამოიყენება მე-2 ნაწილი ისე, რომ ხელშეკრულება იდება

12 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

უკანასკნელად მითითებული ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების თანახმად, მეორე მხარის მიერ შესრულების უპირობო მიღებით (**„უკანასკნელი სიტყვის თეორია“**). ამავე დროს, შესრულების უპირობო მიღება ვერ განიხილება მიმწოდებლის ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების მოქმედებაზე თანხმობად, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც შესრულების უპირობო მიღებას თან ახლავს აქცეპტანტის „დამცავი დათქმა“ (მაგ.: „უცხო ხელშეკრულებების სტანდარტული პირობები საჭიროებს წერილობით აღიარებას“). თუმცა, სათანადოდ განხორციელებული ხელშეკრულების შესრულება აჩვენებს, რომ მხარეებს, შეთანხმების ნაკლის მიუხედავად, სურთ სტანდარტული პირობების ხელშეკრულებაში შეტანა. ამდენად, სახეზეა მხოლოდ **ნაწილობრივი უთანხმოება**; § 154-ის გაგებით, „ექვიცი“ აღარ არსებობს, ხელშეკრულება იდება არა სტანდარტული პირობების საწინააღმდეგოდ, არამედ პოზიტიური სამართლის თანახმად (ასეთია გაბატონებული შეხედულება; შედეგისათვის იხ. ასევე BGHZ, 61, 282). თუმცა, შესაფასებელია, თუ რა ფარგლებში უნდა გახდეს ხელშეკრულებების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შინაარსი, თუ სტანდარტული პირობები არ არის ურთიერთსაწინააღმდეგო, ხელშეკრულების მეორე მხარე იღებს სარგებელს, ან არ ეხება ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულებას (როგორც, მაგ., სანივით-სამართლებრივი ცალმხრივად განცხადებული პირობადებული საკუთრება; შდრ. *Medicus/Petersen*, 75-ე ველი).

§ 151. აქცეპტი ოფერენტის მიმართ წარდგენილი განცხადების გარეშე

„ხელშეკრულება დადებულიად ითვლება ოფერტზე აქცეპტის გაკეთებით ისე, რომ აუცილებელი არ არის, ოფერენტს შეატყობინონ აქცეპტის შესახებ, თუ ასეთი განცხადება არ არის მოსალოდნელი, სამოქალაქო ბრუნვის პრაქტიკიდან გამომდინარე, ან ოფერენტმა უარი თქვა მასზე. მომენტი, როდესაც ოფერტი უქმდება, განისაზღვრება ოფერენტის ოფერტიდან ან გარემოებებიდან ნაგულისხმევი განზრახვის მიხედვით.

- 1 ნორმა ითვალისწინებს **შემთავაზებლის მიმართ** აქცეპტის განცხადების აუცილებლობისაგან გათავისუფლებას, კერძოდ კი, – განცხადების ჩაბარების აუცილებლობისაგან და არა თავად აქცეპტის გაკეთებისაგან (გაბატონებული შეხედულება; განსხვავებული პოზიცია იხ. *Schwarze, AcP*, 2002, 607). გარდა ამისა, გამოიყენება ნების გამოვლენის მომწესრიგებელი ნორმები, მათ შორის, დასაშვებია შეცილება ნების ნაკლის შემთხვევაში.
- 2 როდესაც, ჩვეულების თანახმად, უფრო მეტი არ არის მოსალოდნელი, § 151 საკმარისად მიიჩნევა არაორაზროვნად გამოვლენილ ნებას, მაგ., შეკვეთილი საქონლის გაგზავნა. ამ მოქმედებით იდება ხელშეკრულება. თუ ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გაგზავნას, მაშინ ხელშეკრულება დადებულიად ჩაითვლება არა საქონლის მიწოდების მომენტიდან, არამედ უკვე მისი გაგზავნის მომენტიდან; რა თქმა უნდა, § 474-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, § 447, რომლის თანახმადაც, მყიდველს ეკისრება გადაზიდვისას მიყენებული ზიანის რისკი, სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის მიმართ არ გამოიყენება. § 151-ის შეზღუდვები მოქმედებს მომხმარებლის მიერ შეკვეთის შეუსაბამო საქონლის შემთხვევაში (იხ. § 241ა-ს ველი 4).
- 3 შემთავაზებელი აქცეპტის განცხადების აუცილებლობაზე უარს ამბობს განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა მოთხოვნის მოვალე თავის კრედიტორს წარუდგენს საანგარიშსწორებო ჩეკს მოთხოვნის ნაწილობრივი გადახდის შესახებ ისეთი შინაარსის განცხადებასთან ერთად, რომლის მიხედვით, კრედიტორი ჩეკის მიღებისას ათავისუფლებს მოვალეს მოთხოვნის დარჩენილ ნაწილში. თუ კრედიტორი ანაღდება ჩეკს მოვალის განცხადების უარყოფის გარეშე, მაშინ სახეზე არ არის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ ხელშეკრულების

დადებაზე ოფერტის მიღება, როდესაც სხვა გარემოებები იძლევა მიღების ნების არარსებობის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას (BGHZ, 111, 97, 102). ეს უკანასკნელი თავისთავადაც გასაგებია, როდესაც გადასახდელი თანხა მოვალის მიერ შეთავაზებულ თანხას მნიშვნელოვნად აღემატება („ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფრთხე“).

§ 152. აქცეპტი სანოტარო წესით დამონმებისას

¹თუ ხელშეკრულება სანოტარო წესით უნდა დამონმდეს ორივე მხარის ერთდროული თანდასწრების გარეშე, მაშინ ხელშეკრულება დადებულად ითვლება § 128-ის თანახმად გაკეთებული აქცეპტის დამონმების მომენტიდან, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი. ²გამოიყენება § 151-ის მე-2 წინადადების ნორმა.

§ 153. ოფერენტის გარდაცვალება ან ქმედუუნაროდ გახდომა

ხელშეკრულების დადებას ხელს არ უშლის აქცეპტამდე ოფერენტის გარდაცვალება ან ქმედუუნაროდ გახდომა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავარაუდოა ოფერენტის სხვაგვარი განზრახვა.

ნორმა ავსებს § 130-ის მე-2 ნაწილს (ჩაბარებაუნარიანობა) ხელშეკრულების დადების შეთავაზების მიღებაუნარიანობის შესახებ წესებით. როგორც წესი, შემთავაზებლის სხვაგვარი ნება მიღებულ უნდა იქნეს პირადი საჭიროების მიზნით შეკვეთების მიღებისას. ოფერტის მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ნეგატიური ინტერესი (§ 122-ის ანალოგიის გამოყენებით).

§ 154. შეთანხმების ნაკლი; დამონმებელი ხელშეკრულება

(1) ¹მანამდე, სანამ მხარეები ხელშეკრულების ყველა იმ პირობაზე არ შეთანხმებულან, რომლებზეც, თუნდაც ერთი მხარის განცხადებით, უნდა იქნეს მიღწეული შეთანხმება, საექვოობისას ხელშეკრულება არ არის დადებული. ²ცალკეულ პირობებზე შეთანხმება მაშინაც არ არის მხოჭავი, როდესაც ისინი წერილობით იქნა დაფიქსირებული.

(2) თუ შეთანხმებულ იქნა განზრახული ხელშეკრულების დამონმება სანოტარო წესით, მაშინ საექვოობისას დამონმებამდე ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულად.

მე-2 ნაწილის გაგებით, დამონმება არის ასევე კერძო-სამართლებრივი დოკუმენტის შედგენა. თუ მხარეები პირდაპირ ან კონკლუდენტური მოქმედებებით შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, მაშინ საექვოობისას ხელშეკრულება დადებულად ითვლება მხოლოდ §§ 126, 127-ის შესაბამისად მისი ხელმოწერის შედეგად¹³.

§ 155. ფარული შეთანხმებლობა

თუ მხარეები იმ ხელშეკრულებით, რომელსაც ისინი დადებულად მიიჩნევენ, სინამდვილეში ვერ შეთანხმდნენ ხელშეკრულების ისეთ პირობაზე, რომელზეც შეთანხმება საჭირო იყო, და თუ შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა ამ პირობის გარეშეც, მაშინ მოქმედებს შეთანხმებული პირობები.

1. შეცდომისაგან განსხვავებით, რომლის შემთხვევაშიც ნება და განცხადება ერთმანეთს არ შეესაბამება, **უთანხმოების** შემთხვევაში მხარეთა ნების გამოვლინებები ერთმანეთს არ ეთანხმება. განსხვავების დადგენა რთულია, ვინაიდან მხოლოდ განმარტებას (§§ 133, 157) ყველა გარემოების შეფასების შედეგად შეუძლია იმის გადწვევტა, შეესაბამება თუ არა (ამ შემთხვევაში ხდება შეცილება § 119-ის თანახმად) ნების გამოვლინებები ერთმანეთს (ამ შემთხვევაში არსებობს

13 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

დაფარული უთანხმოება). მაგ.: თუ ამერიკელი და კანადელი ჰამბურგში თანხმდებიან ნასყიდობის თანხაზე დოლარში და თითოეული გულისხმობს საკუთარი ქვეყნის ვალუტას, მაშინ უთანხმოება ივარაუდება სხვა დამატებითი ამოსავალი ნერტილის არარსებობის გამო; განსხვავებული შემთხვევაა, როდესაც გარემოებები (მაგ., ხელშეკრულების დადება ტორონტოში, ნასყიდობის ფასის ოდენობა) კანადურ დოლარზე უთითებს; მაშინ ამერიკელს შეუძლია შეცილება.

- 2 **2.** ხელშეკრულების შენარჩუნება, § 155-ის თანახმად, შეუძლებელია, როდესაც უთანხმოება ეხება ხელშეკრულების ძირითად პირობებს (*essentialia negotii*); ზოგადი პრინციპების თანახმად (იხ. § 145-ის შესავლის ველი 1), ამ შემთხვევაში ხელშეკრულება არ იდება. რამდენადაც § 155-ის თანახმად, ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ არ იდება, მოქმედებს § 150-ის მე-2 ნაწილი (იხ. იქვე, ველი 2).
- 3 **3.** თუ ერთ-ერთ მხარეს **ბრალი** მიუძღვის უთანხმოების არსებობაში (მაგ., მრავალმნიშვნელოვანი ფორმულირებით), მაშინ გაბატონებული შეხედულების თანახმად, იგი პასუხს აგებს იმ **ზარალისათვის, რომელიც გარიგების მხარეს მიადგა ხელშეკრულების ნამდვილობისადმი რწმენის გამო**. იმ დროს, როდესაც ფედერალური სასამართლო „Weinsteinsäurefall“ საქმეში (RGZ, 104, 265, 267) ასაბუთებდა კომპენსაციის ვალდებულებას § 122-ის ანალოგიით, დღევანდელი მდგომარეობით ხდება პასუხისმგებლობის დაკისრება (აუცილებლობის შემთხვევაში § 254-ის თანახმად შერბილებული), *culpa in contrahendo*-დან გამომდინარე (შდრ. §§ 280, 311-ის მე-2 ნაწილი), კერძოდ, ვალდებულების საწინააღმდეგო ბრალეული დარღვევა, რომლითაც ნათლად გამოსატყუი ფორმით ხდება ხელშეკრულების კონტრაგენტის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილება (*Medicus*, AT 439-ე ველი). ლიტერატურის ნაწილი, პირიქით, უარყოფს უთანხმოების საკითხში ბრალის მტკიცებასა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (მაგ., *MüKo-Kramer*, მე-16 ველი შემდგომი მითითებებით).

§ 156. ხელშეკრულების დადება აუქციონზე ვაჭრობისას

¹აუქციონზე ვაჭრობისას ხელშეკრულება იდება ჩაქუჩის ბოლო დარტყმით. ²ფასის შეთავაზება ძალას კარგავს, თუ შეთავაზებულია უფრო მაღალი ფასი ან აუქციონი მთავრდება ჩაქუჩის ბოლო დარტყმის გარეშე.

§ 157. ხელშეკრულებების განმარტება

ხელშეკრულებები განმარტებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების გათვალისწინებით.

- 1 **1.** ნორმა, მიუხედავად მისი სიტყვასიტყვითი ტექსტისა, მოქმედებს არა მხოლოდ ხელშეკრულებების, არამედ ასევე ცალკეული მიღებასავალდებულო ნების გამოვლინებებისათვის (იხ. § 133 ველი 4).
- 2 **2.** ხელშეკრულების განვრცობით განმარტებას მიმართავენ ხელშეკრულებაში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში.
- 3 **ა)** როგორც წესი, **ხარვეზი** ეფუძნება იმას, რომ მხარეებს შესაბამის პირობაზე არ უფიქრიათ; თუმცა, ხარვეზს შეიძლება ასევე მოჰყვეს ის შედეგი, რომ მის თანახმად პირობის დაცვა აუცილებლად არ იყოს მიჩნეული. ამავე დროს, ხარვეზი არ არსებობს, როდესაც დანანესი, მხარეთა ნების თანახმად, შეგნებულად დადებულად უნდა იქნეს მიჩნეული ან როდესაც მარტივი განმარტება (§ 133) შედეგად იწვევს იმას, რაც მხარეებს სურთ; ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების ფარგლები შეიძლება თავისუფლად იცვლებოდეს.
- 4 **ბ)** **კანონის დისპოზიციურ სამართალს**, როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების განვრცობით განმარტებასთან მიმართებაში; სხვაგვარად იგი ვერ შეძლებდა იმ ფუნქციების შესრულებას, რომლითაც ხდება საქმეების ერთგ-

ვაროვნად მონესრიგება და ამით სამართლებრივი უსაფრთხოების გაზრდა. სანონალმდეგო შემთხვევებია, მაგ., არატიპიური ხელშეკრულებებისას, როცა დისპოზიციური სამართალი არ შეესაბამება პირთა ინტერესებს, ვინაიდან ეს ინტერესები ამჟღავნებს შესაბამის სპეციფიკურ დეტალებს და იძლევა ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების შესაძლებლობას.

გ) ხარვეზის შევსების მიმართ მოქმედებს § 157. განმსაზღვრელია ის, რაზეც მხარეები ხელშეკრულების ხარვეზის ცოდნის დროს კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით თავიდანვე შეთანხმდებოდნენ. ეს ითხოვს ხელშეკრულებასა და თანამდეგ ფაქტორებში აღმოჩენილ მხარეთა ნების ყოვლისმომცველ შემოწმებას. აქ საუბარია „მხარეთა ჰიპოთეტურ ნებაზე“, რომელიც არ უნდა იქნეს გაგებული როგორც წმინდა სუბიექტური კრიტერიუმი. ამდენად, გადამწყვეტია არა ის, თუ, სავარაუდოდ, რას ისურვებდა ამ შემთხვევისათვის თითოეული მხარე მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, არამედ, რასაც კეთილსინდისიერი განსჯის შემთხვევაში ორივე მხარე მიიღებდა როგორც სამართლიან კომპრომისულ გადაწყვეტილებას. კერძოდ, ხელშეკრულების განვრცობითი განმარტება ვერ განავრცობს ხელშეკრულების საგანს და ვერ მიაღებინებს მხარეს ისეთ რაიმეს, რაც მას სურდა, მაგრამ ვერ მიაღწია ან დაავიწყდა (მდრ. BGHZ, 77, 304). განვრცობითი განმარტება უნდა არსებობდეს მიღებული შეთანხმების არსებულ ფაქტობრივ ჩარჩოებში. შესაბამისად, ეს განმარტება გამორიცხებულია, თუ იგი წარმოშობს ხელშეკრულების შინაარსის მიღმა არსებულ ვალდებულებას (BGHZ, 16, 77). გარდა ამისა, იგი არ მიიღება მხედველობაში, როდესაც ხარვეზები სხვაგვარად შეიძლება შეივსოს და არ არსებობს ამოსავალი წერტილები იმისათვის, თუ რომელ ალტერნატივაზე შეჩერდებოდნენ მხარეები (BGHZ, 90, 80).

კარი 4. პირობა. ვადის განსაზღვრა

§§ 158-163-ის შესავალი

1. პირობის დადგენით გარიგების სამართლებრივი შედეგები დამოკიდებული ხდება სამომავლო **უცნობ** მოვლენაზე; ხოლო ვადის განსაზღვრის შემთხვევაში (§ 163), პირიქით, სამომავლო ცნობილი მოვლენა განმსაზღვრელია სამართლებრივი შედეგების დადგომის ან გაუქმებისათვის. გადადების პირობები (სუსპენზიური პირობები, **§ 158-ის პირველი ნაწილი**) სამომავლო მოვლენას უკავშირებს სამართლებრივი შედეგების დადგომას, ხოლო გაუქმების პირობები (რეზოლუციური პირობები, **§ 158-ის მე-2 ნაწილი**) კი მათ შემდგომ არსებობას. მხედველობაშია მისაღები ზოგიერთი გარიგების **პირობით დადების დაუშვებლობა** (მაგ.: შეთანხმება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, § 925-ის მე-2 ნაწილი; დაქორწინება, § 1311-ის მე-2 წინადადება; უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის უფლებები, როგორიცაა შეცილება, ხელშეკრულებიდან გასვლა). რა თქმა უნდა, ცალკეულ აღნიშნულ შემთხვევაში დასაშვებია ე. წ. პოტესტატიური პირობები, რომელთა შემთხვევაშიც პირობის დადგომა დამოკიდებულია ერთ-ერთი მონაწილის ნებაზე (იხ. § 199 ველი 1, § 2065 ველი 1).

2. §§ 160-162 ემსახურება პირობით მოსარგებლის ინტერესების დაცვას. უფლების მფლობელის მიერ შუალედური განკარგვები პირობის დადგომამდე სამართლებრივი ძალის არმქონეა, რამდენადაც ისინი საზიანოა შემძენის უფლებებისათვის (§ 161-ის პირველი ნაწილი, მე-2 ნაწილი); აღნიშნული არ მოქმედებს, თუ შუალედური შემძენი უფლების მფლობელის განკარგვის უფლებამოსილების ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერი იყო (§ 161-ის მე-3 ნაწილი). დეტალურად იხ. *Medicus/Petersen*, 462-ე ველი.

§ 158. გადადებისა და გაუქმების პირობა

(1) თუ გარიგება იდება გადადების პირობით, მაშინ ამ პირობაზე დამოკიდებული გარიგება ძალაში შედის ამ პირობის დადგომისთანავე.

(2) თუ გარიგება იდება გაუქმების პირობით, მაშინ გარიგების მოქმედება წყდება პირობის დადგომისთანავე; ამ მომენტიდან აღდება წინა სამართლებრივი მდგომარეობა.

§ 159. უკუქმედების ძალა

თუ გარიგების შინაარსის მიხედვით, პირობის დადგომასთან დაკავშირებული შედეგები უნდა დადგეს უფრო ადრე, მაშინ, პირობის დადგომის შემთხვევაში, მხარეები ვალდებული არიან, გადასცენ ერთმანეთს ის, რასაც ისინი მიიღებდნენ, შედეგები უფრო ადრე რომ დამდგარიყო.

§ 160. პასუხისმგებლობა მერყევი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში

(1) გადადების პირობით უფლებამოსილ პირს, პირობის დადგომის შემთხვევაში, შეუძლია მეორე მხარისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ მერყევი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში ეს უკანასკნელი ბრალეულად ხელს უშლის პირობაზე დამოკიდებული უფლების წარმოშობას, ან უარყოფითად ზემოქმედებს მასზე.

(2) გაუქმების პირობით დადებული გარიგების შემთხვევაში, ანალოგიური მოთხოვნები იმავე პირობებით აქვს იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც იქნა აღდგენილი თავდაპირველი უფლებრივი მდგომარეობა.

§ 161. მერყევი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში სამართლებრივი ძალის არმქონე განკარგვები

(1) ¹თუ პირმა გადადების პირობით განკარგა საგანი, მაშინ ნებისმიერი შემდგომი, მერყევი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში გაკეთებული განკარგვა, პირობის დადგომის შემთხვევაში, სამართლებრივი ძალის არმქონეა იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი ხელს შეუშლიდა პირობაზე დამოკიდებული შედეგების წარმოშობას ან უარყოფითად იმოქმედებდა მასზე. ²ასეთ განკარგვას უთანაბრდება განკარგვა, რომელიც განხორციელდა იძულებითი აღსრულების ან ყადაღის დადების პროცესში, ანდა – გაკოტრების მმართველის მიერ.

(2) გაუქმების პირობის შემთხვევაში ანალოგიური წესი მოქმედებს იმ პირის მიერ განხორციელებულ განკარგვებზე, რომლის უფლება უქმდება პირობის დადგომით.

(3) შესაბამისად, გამოიყენება ნორმები იმ პირების სასარგებლოდ, რომლებიც იქნენ უფლებებს არაუფლებამოსილი პირისაგან.

§ 162. პირობის დადგომის ხელის შეშლა ან ხელის შეწყობა

(1) თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად ხელი შეუშალა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა არახელსაყრელი იქნებოდა, მაშინ პირობა დამდგარად ჩაითვლება.

(2) თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად ხელი შეუწყო მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, მაშინ პირობა დამდგარად არ ჩაითვლება.

§ 163. ვადის განსაზღვრა

თუ გარიგების დადების დროს მისი სამართლებრივი ძალისათვის განისაზღვრა საწყისი ან საბოლოო ვადა, მაშინ პირველ შემთხვევაში, შესაბამისად, გამოიყენება

§§ 158-ის, 160-ისა და 161-ის გადადების პირობის მიმართ მოქმედი, ხოლო მეორე შემთხვევაში – გაუქმების პირობის მიმართ მოქმედი ნორმები.

კარი 5. წარმომადგენლობა. მინდობილობა

§ 164. წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განცხადების სამართლებრივი ძალა

(1) წინააღმდეგობის გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია პირის მიერ მისთვის მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში მარწმუნებლის სახელით, მოქმედებს უშუალოდ მარწმუნებლის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. მინიშვნელობა არა აქვს, გაკეთდა თუ არა განცხადება აშკარად მარწმუნებლის სახელით ან გარემოებებიდან იკვეთება, რომ იგი ამ უკანასკნელის სახელით გაკეთდებოდა.

(2) თუ სხვა პირის სახელით მოქმედების ნება არ არის ნათლად გამოხატული, მაშინ საკუთარი სახელით მოქმედების ნების არარსებობა მხედველობაში არ მიიღება.

(3) პირველი ნაწილის ნორმები, შესაბამისად, გამოიყენება, თუ სხვა პირისაკენ მიმართული ნების გამოვლენა ხორციელდება ამ პირის წარმომადგენლის მიმართ.

I. წარმომადგენლობის წინაპირობები

1. წარმომადგენლის მიერ საკუთარი ნების გამოვლენა ან სხვა პირის ნების გამოვლენის მიღება (გამიჯვნა კურიერისაგან, შდრ. ქვემოთ, ველი 2);

2. სხვა პირის სახელით (ქვემოთ, მე-9 ველი);

3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით.

ა) წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება მინიჭებულ იქნეს გარიგებით (მინდობილობა, შდრ. § 167), გამომდინარეობდეს კანონიდან (მაგ.: მშობლები, § 1629; შდრ. ასევე „გასაღებით სარგებლობის უფლებამოსილება“, § 1357), იურიდიული პირის წესდებიდან (კორპორატიული წარმომადგენლობა) ან სასამართლოს მიერ დანიშვნით (მეურვეობა, მზრუნველობა).

ბ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა ხორციელდება § 181-იდან გამომდინარე (თავის თავთან დადებული გარიგება), §§ 1629-ის მე-2 ნაწილი, 1795 (კანონისმიერი წარმომადგენლობის შეზღუდვა ნათესავთან დადებული გარიგების შემთხვევაში) და §§ 1629-ის მე-2 ნაწილი, 1821, 1822 (საოჯახო საქმეთა სასამართლოს მოწონება განსაზღვრული გარიგებების შემთხვევაში ინტერესთა სავარაუდო კოლიზიით).

4. წარმომადგენლობის დასაშვებობა. კანონისმიერი წარმომადგენლობის აკრძალვები, მაგ., ქორწინება, § 1311-ის პირველი წინადადება, § 1600-ის პირველი ნაწილი, საანდერძო განკარგულებები, §§ 2064, 2274.

II. განსხვავება სხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან

1. ა) აქტიური წარმომადგენლობა (პირველი ნაწილი). კურიერი ავლენს არა საკუთარ ნებას, არამედ ახორციელებს სხვა პირის ნების გამოვლენის მიწოდებას. არის თუ არა პირი წარმომადგენელი თუ კურიერი, წყვეტს არა შიდა ურთიერთობა, არამედ მესამე პირის გარეგნულად ნათელი ქცევა (BGHZ, 12, 327, 334). თუ კურიერი მოქმედებს როგორც წარმომადგენელი, გამოიყენება § 164-ის პირველი ნაწილი, § 177-ის და შემდეგ პარაგრაფებთან ერთად. თუ წარმომადგენელი გამოდის მხოლოდ როგორც კურიერი, მაშინ მისი ნების გამოვლენა ჩაითვლება დავალების მიმცემის მიმართ გაკეთებულად, თუ იგი შეესაბამება დავალებას; სხვა შემთხვევაში შესაბამისად მოქმედებს § 179; ბ) პასიური წარმომადგენლობა (მე-3 ნაწილი).

პასიური წარმომადგენლობის შემთხვევაში, კურიერისაგან წარმომადგენლის განსხვავებისათვის განმსაზღვრელია ის ფაქტი, წარმომადგენს თუ არა წარმომადგენელი თავად ნების გამოვლენის ადრესატს. თუ ნების გამოვლენა მიმართულია უკან მდგომი პირისადმი, მაშინ შუამავალი მიიჩნევა კურიერად¹⁴.

- 3 წარმომადგენლისაგან განსხვავებით (შდრ. § 165), კურიერი შეიძლება იყოს ქმედუუნარო, § 104 თანახმად; განსაზღვრული გარემოებების შესახებ ცოდნის მხრივ გადამწყვეტია მარწმუნებლის ცოდნა (§ 166-ისგან განსხვავებით).
- 4 **2. არაპირდაპირი წარმომადგენელი** მოქმედებს არა სხვა პირის, არამედ საკუთარი სახელით, თუმცა, ამავე დროს, სხვა პირის ინტერესებში. არაპირდაპირი წარმომადგენლობა სამოქალაქო კოდექსით არ რეგულირდება. სავაჭრო კოდექსი აწესრიგებს საკომისიო და ექსპედიციის გარიგებებს (სავაჭრო კოდექსის § 383 და შემდეგი პარაგრაფები, §453 და შემდეგი პარაგრაფები). მხოლოდ არაპირდაპირი წარმომადგენელია უფლებამოსილიც და ვალდებულიც. კომპენსაციის გადახდა ხდება შიდა ურთიერთობაში, მაგ., სამოქალაქო კოდექსის § 670. **ცრუმაგიერი პირები** არიან არაპირდაპირი წარმომადგენლები, რომლებიც მოქმედებენ გარიგების უკან მდგომი პირის ინტერესებში, როდესაც ამ უკანასკნელს, სამართლებრივი თუ ფაქტობრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად არ შეუძლია ან არ სურს გარიგების დადება (მაგ., მესამე პირის მხრიდან გარიგების უკან მდგომ პირთან გარიგების დადების მზადყოფნის არარსებობის გამო).
- 5 **3. სხვა პირის სახელით მოქმედების** შემთხვევაში, მოქმედების განმასხვავებელი გამოდის არა სხვა პირის სახელით, არამედ როგორც სხვა პირი. გარიგების მეორე მხარის ობიექტური ხედვიდან გამომდინარე (განმარტება; შდრ. § 133 ველი 4), ერთმანეთისაგან განასხვავებენ მოცუებას სახელსა და პიროვნებაში:
- 6 ა) **პიროვნებაში მოცუების** შემთხვევაში, გარიგების მეორე მხარე მოქმედი პირის მიერ გამოყენებულ სახელთან აკავშირებს განსაზღვრულ წარმომადგენლებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკრეტული გარიგების დადებისათვის. მაგ.: მიუღერი ჰ-ს კუთვნილ გადატვირთულ სასტუმროში უკვეთავს ოთახს ცნობილ მსახიობ ს-ის სახელით; ამის შემდეგ ჰ ამზადებინებს კიდევ ერთ ოთახს. სამართლებრივი შედეგი: სულ ცოტა, შესაბამისად გამოიყენება §§ 164 და შემდეგი პარაგრაფები, 177, 179. თუ ს არ იწონებს გარიგებას (და თავად იკავებს ოთახს), მაშინ მიუღერი პასუხს აგებს ჰ-ს წინაშე § 179-ის საფუძველზე.
- 7 ბ) **უბრალო სახელში მოცუების** შემთხვევაში, გარიგების მეორე მხარისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვისთან დებს იგი გარიგებას (მაგ.: მიუღერი ჯავშნის სასტუმროს ოთახს როგორც შულცე); წარმოიშობა მოქმედი პირის მხრიდან საკუთარი სახელითა და მის სასარგებლოდ დადებული გარიგება; § 164 და შემდეგი პარაგრაფები მხედველობაში არ მიიღება.
- 8 **4. საკუთრების მინდობის** შემთხვევაში, მინდობილი მესაკუთრე საკუთრების მიმდობისაგან იღებს ისეთ უფლებრივ (სანივთო-სამართლებრივ) მდგომარეობას, რომ მან უნდა მართოს ქონება საკუთრების მინდობის ხელშეკრულების შესაბამისად. მაგ.: უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლებით გადაცემა ან უზრუნველსაყოფი მიზნით მოთხოვნის დათმობა, უზრუნველსაყოფი მინის ვალი, საინკასო ცესია.

III. ღიაობის პრინციპი

- 9 **1. ზოგადი წესით**, იმ საკითხში, არის თუ არა სახეზე სამართლებრივი ძალის მქონე წარმომადგენლობა, გადამწყვეტია მესამე პირის მხრიდან ობიექტური გარემოების აღქმის მასშტაბი. **მე-2 ნაწილის შესაბამისად**, წარმომადგენელმა უნდა იმოქმედოს **აშკარად წარმოდგენილი პირის სახელით**; სხვა შემთხვევაში იგი თავად

14 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

გახდება ვალდებული და მას – თუნდაც იგი შემცდარიყო აღნიშნული შედეგების მხრივ – არ შეუძლია ასევე შეცილება. თუ მოქმედების განმახორციელებელი პირი სამოქალაქო ურთიერთობებში გამოდის სხვა პირის სახელით, თუმცა, სინამდვილეში მას სურს გარიგების დადება თავისთვის, მაშინ მხოლოდ წარმოდგენილი პირი იქნება უფლებამოსილი და ვალდებული (BGHZ, 36, 30, 33). ამდენად, მხედველობაში არ მიიღება დაფარული დათქმა იმის შესახებ, რომ სხვა პირებისათვის შესამჩნევი წარმომადგენლობა არ სურდათ (შდრ. § 116-ის პირველი წინადადება). თუმცა, სადავოა, შეუძლია თუ არა წარმომადგენელს სხვა პირის სახელით გაკეთებული ნების გამოვლენის შეცილება, § 179-იდან გამომდინარე პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით. უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (BGHZ, 36, 30, 33) შეცილება დაუშვებლად მიიჩნია და დასაბუთებისათვის გამოიყენა § 164-ის მე-2 ნაწილის საწინააღმდეგო დასკვნა. ამავე დროს, § 164-ის მე-2 ნაწილი გამონაკლისი ნორმაა და საწინააღმდეგო გამოყენებით იგი ვერ აღწევს თავის მიზანს, თავიდან აიცილოს გაუგებრობები პირდაპირ და არაპირდაპირ წარმომადგენლობას შორის (*MüKo-Schramm* 65-ე ველი).

გარემოებებიდან გამომდინარე (პირველი ნაწილის მე-2 წინადადება) წარმომადგენლობა, როგორც წესი, ვლინდება საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული გარიგებების შემთხვევაში. ამ გარიგებებისას გარიგების მონაწილის ნება, როგორც წესი, მიმართულია იმისკენ, რომ წარმოების მფლობელი გახდეს ხელშეკრულების მხარე. მესამე პირის არასწორი წარმოდგენები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის წარმოების მფლობელი, არ იწვევს უარყოფით შედეგებს. თუმცა, § 179-ის თანახმად, მოქმედების განმახორციელებელი პირი თავად აგებს პასუხს, როდესაც მას არ ჰქონდა მინდობილობა ან საწარმოს მფლობელი (ჯერ კიდევ) საერთოდ არ არსებობდა. განსაზღვრული გარემოებების არსებობის შემთხვევაში გასათვალისწინებელია საწარმოს მფლობელთან ერთად მოქმედების განმახორციელებელი პირის სოლიდარული პასუხისმგებლობა (დეტალებისათვის იხ. BGH NJW, 1990, 2678 შემდგომი მითითებებით).

2. გამონაკლისი: გარიგება იმ პირისათვის, რომელსაც იგი ეხება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ნაღდი ფულით დადებული გარიგებებისას, რომელთა შემთხვევაშიც მესამე პირისათვის ხელშეკრულების მეორე მხარის პიროვნებას მნიშვნელობა არა აქვს, გარიგება იდება იმ პირთან, რომელსაც იგი ეხება ისე, რომ წარმომადგენლობა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის არ მჟღავნდება. ვინაიდან მესამე პირი, რომელიც უნდა დაცულ იქნეს ღიაობის პრინციპით, ამ შემთხვევაში არ საჭიროებს დაცვას. განსაკუთრებით გარიგების უკან მდგომი პირი, რამდენადაც იგი იღებს ნივთზე მფლობელობას (მოქმედების განმახორციელებელ პირთან მფლობელობის შუალობითი ურთიერთობის გზით), ხდება ასევე მესაკუთრე (შდრ. *Medicus/Petersen*, 90-ე ველი). იმ საკითხის გადანყვეტისას, თუ ვინ არის მოქმედების განმახორციელებელი პირი, ნაწილობრივ საორიენტაციოდ გამოიყენება ამ პირის შიდა ნება, თუმცა, დამატებით მოითხოვება ობიექტური განსაზღვრულობა (იხ. *Larenz/Wolf*, § 46 44-ე ველი; *MüKo-Schramm*, 55-ე ველი).

§ 165. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე წარმომადგენელი

წარმომადგენლის მიერ ან მის მიმართ გაკეთებული ნების გამოვლენის სამართლებრივ ძალას არ ზღადავს ის ფაქტი, რომ წარმომადგენელი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

§ 166. ნების ნაკლი; სავარაუდო ცოდნა

(1) თუ ნების გამოვლენის სამართლებრივ შედეგებზე გავლენას ახდენს ნების ნაკლი ან განსაზღვრული გარემოებების ცოდნა, ან სავარაუდო ცოდნა, მხედველობაში მიიღება არა მარწმუნებლის, არამედ წარმომადგენლის პიროვნება.

(2) ¹თუ გარიგებით მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (მინდობილობა) შემთხვევაში, წარმომადგენელი მოქმედებდა მარწმუნებლის მიერ მიცემული მითითებების მიხედვით, მაშინ ამ უკანასკნელს არ შეუძლია მიუთითოს წარმომადგენლის მიერ ისეთი გარემოებების არცოდნაზე, რომელთა შესახებაც მან თავად იცოდა. ²ანალოგიური წესი გამოიყენება იმ გარემოებების მიმართ, რომელთა შესახებაც მარწმუნებელს უნდა სცოდნოდა იმდენად, რამდენადაც საავარაუდო ცოდნა უთანაბრდება თავად ცოდნას.

- 1 **1. სუბიექტური გამოყენების სფერო:** გარიგებით დანიშნული და კანონისმიერი წარმომადგენელი, იურიდიული პირის ორგანოები; მინდობილობის გარეშე მოქმედი წარმომადგენელი § 177-ის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგების მოწონების შემთხვევაში. რამდენადაც პირველი ნაწილი ეხება განსაზღვრული გარემოებების ცოდნას, იგი მოქმედებს ასევე **დამხმარე პირების** მიმართაც, რომლებიც ახდენდნენ კონსულტაციის განევას არა მარტო შიდა ურთიერთობაში, არამედ გარე ურთიერთობაში გარიგების მომზადებისას, თუმცა, მინდობილობის არქონის გამო თავად არ დაუდიათ გარიგება, მაგ., სავაჭრო მაკლერი ან ტურისტული სააგენტო როგორც შუამავალი (BGHZ, 82, 219, 221).
- 2 **2. ასევე საგნობრივი გამოყენების სფეროც** განიცდის გაფართოებას. ნორმა მოიცავს ზოგად-სამართლებრივ შეხედულებას, რომლის თანახმადაც პირმა, ვინც სხვა პირს ავალებს განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტას საკუთარი პასუხისმგებლობით, უნდა დაუშვას ამ დავალების ფარგლებში მიღებული ამ პირის ცოდნის შერაცხვა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახეზე არ არის – როგორც, მაგ., დამხმარე პირის შემთხვევაში (იხ. ზემოთ, ველი 1) – კანონისმიერი წარმომადგენლობის წინაპირობები (BGHZ, 83, 293, 296). გაბატონებული შეხედულების თანახმად, მფლობელს, გარემოებების გათვალისწინებით, § 990-ის შემთხვევაში, შეიძლება შეერაცხოს მპყრობელის (მოსამსახურის) არაკეთილსინდისიერება სხვა პირის კუთვნილი საგნების (და არა „ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგები“, § 166-ის პირველი ნაწილი) მფლობელობისას (იხ. § 990 ველი 2).
- 3 **3. მაგალითები, რომლებშიც, პირველი ნაწილის** თანახმად, ცოდნა ან საავარაუდო ცოდნა დამოკიდებულია წარმომადგენლის პიროვნებაზე (შდრ. § 122-ის მე-2 ნაწილის ცნებისათვის), სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ქმნის § 133-ის სუბიექტურ წინაპირობებს, კეთილსინდისიერ შექმნას (§§ 892, 932) ან ნივთობრივი ნაკლის შესახებ ცოდნას, § 442-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად (*Palandt-Ellenberger*, მე-4 ველი).
- 4 **4. ნების ნაკლი** ეხება მხოლოდ პირველ ნაწილს. ამიტომ ორიენტირება ხდება წარმომადგენლის პიროვნებაზე (და არა წარმოდგენილ პირზე), ვინაიდან ხელშეკრულების დადების ნება გამომდინარეობს, როგორც წესი, წარმომადგენლისაგან. თუმცა, თუ წარმომადგენელი მოქმედებს მითითებების შესაბამისად, მაშინ გამო-ნაკლისის სახით გარიგების დადების განზრახვა ეფუძნება წარმოდგენილი პირის გადაწყვეტილებას; არ გამოიყენება პირველი ნაწილის დებულება, არამედ – მე-2 ნაწილი (რა თქმა უნდა, ნების ნაკლის ხსენება არ ხდება). შესაბამისად, მე-2 ნაწილი გამოიყენება ანალოგიის წესით. ამდენად, უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მიანიჭა დასაბუთებული გარიგების შეცილების უფლება, § 123-ის თანახმად, მე-2 ნაწილის ანალოგიით იმ წარმოდგენილი პირის მიმართ, რომელიც გარიგების მეორე მხარისაგან განზრახ იქნა მოტყუებული და ამის შედეგად საქმის ვითარების არმცოდნე წარმომადგენელს აძლევს გარიგების დადების მითითებას (BGHZ, 51, 141, 144). ლიტერატურა, ძირითადად, მართებულად ეთანხმება აღნიშნულს (მაგ., *Larenz/Wolf* § 46 112-ე ველი; *Medicus*, AT 902-ე ველი), თუმცა, მე-2 ნაწილის მიზანია არა წარმოდგენილი პირის, არამედ გარიგების მეორე მხარის დაცვა (თუმცა, რომელიც ამ შემთხვევაში არ იმსახურებს დაცვას).

§ 167. მინდობილობის გაცემა

(1) მინდობილობის გაცემა ხდება უფლებამოსილი პირის ან იმ მესამე პირის მიმართ განცხადებით, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს წარმომადგენლობა.

(2) განცხადება არ მოითხოვს იმ ფორმას, რომელიც არის დადგენილი იმ გარიგებისათვის, რომელსაც ეხება მინდობილობა.

I. მინდობილობის სახეები

1. გაცემის ფორმისა და ხერხის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ წარმომადგენლისათვის განცხადებულ მინდობილობას (პირველი ნაწილის პირველი შემთხვევა; §§ 168, 169 დასასრული) და მესამე პირის წინაშე განცხადებულ მინდობილობას (პირველი ნაწილის მე-2 კაზუსი; § 170 დასასრული). მინდობილობის **მოცულობის** მიხედვით განასხვავებენ: სპეციალურ მინდობილობას განსაზღვრული გარიგების დასადებად, განსაზღვრული სახის გარიგებების დადების მინდობილობასა და გენერალურ მინდობილობას ყველა იმ გარიგების დასადებად, რომელთა შემთხვევაშიც დასაშვებია წარმომადგენლობა. სავაჭრო სამართლის ერთიანი მინდობილობების შემთხვევაში, მინდობილობის მოცულობა დგინდება კანონით (პროკურისა და სავაჭრო მინდობილობის შემთხვევაში, სავაჭრო კოდექსის §§ 49, 54).

2. წარმომადგენლისათვის და მესამე პირის წინაშე განცხადებული მინდობილობების – როდესაც ორივე წარმომადგენს ნების გამოვლენას – შეცილება, როგორც წესი, შესაძლებელია (§§ 177, 179-ის სამართლებრივი შედეგებით). მინდობილობის გამოყენებამდე ზემოაღნიშნული უდავოა, თუმცა, იგი აზრსმოკლებულია ნებისმიერ დროს გაუქმების შესაძლებლობის გამო (§ 168-ის მე-2 წინადადება). მინდობილობის გამოყენების შემდეგ შეცილება სამოქალაქო ბრუნვის დაცვის მოსაზრებით ნაწილობრივ დაუშვებლად მიიჩნევა. ამავე დროს, კონტრაჰენტის ინტერესები § 122-ითაც შედეგად საკმარისად დაცულია; რა თქმა უნდა, § 143-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების ნორმის დანაწესისაგან განსხვავებით, ჯერ კიდევ მოქმედი წარმომადგენლისათვის განცხადებული მინდობილობის შეცილება უნდა განხორციელდეს განცხადების წარდგენის გზით ყველა შემთხვევაში ასევე გარიგების მეორე მხარის მიმართ (და არა მხოლოდ რწმუნებულის მიმართ), ვინაიდან შეცილებით ხდება წარმომადგენლის მეშვეობით დადებული გარიგების გაბათილება (*Medicus*, „ზოგადი ნაწილი“, 945-ე ველი; სხვა მოსაზრება *Larenz/Wolf* § 47, 35-ე ველი).

3. მინდობილობის ფორმა. მე-2 ნაწილის თანახმად, მინდობილობა არ მოითხოვს გარიგებისათვის დადგენილ ფორმას. ამიტომაც მიუხედავად § 311 ბ-ს პირველი ნაწილისა, მიწის ნაკვეთის მყიდველს ან გამყიდველს შეუძლიათ მინდობილობის გაცემა შინაურული წერილობითი ფორმით ან თუნდაც – ზეპირად. გამონაკლისს წარმოადგენს გამოუთხოვადი მინდობილობა; მისი გაცემა ექვემდებარება სანოტარო წესით დამონშებას, ვინაიდან იგი ქმნის მიწის ნაკვეთის გასხვისების ან შექენის მბოჭავ ვალდებულებას (იხ. § 311 ბ მე-2 ველი). მატერიალურ-სამართლებრივი ნამდვილობისაგან უნდა განვასხვაოთ საკითხი, ფორმალური თვალსაზრისით საკმარისია თუ არა შინაურული წერილობითი ფორმით ან ზეპირად გაცემული მინდობილობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის. საჯარო რეესტრის შესახებ კანონის § 29-ის თანახმად, საჯარო რეესტრის საქმიანობის მომწესრიგებელი ფორმალური სამართალი ითხოვს საჯაროდ დამონშებულ (§ 129) თანხმობას როგორც რეგისტრაციის საფუძველს. ამიტომაც მიწის ნაკვეთის შექენისათვის შინაურული წერილობითი ან ზეპირი ფორმით გაცემული მინდობილობის გაცემა საჭიროებს დამატებით დადასტურებას სანოტარო წესით შესრულებული დადას-

ტურების (და არა – დამონების) ფორმით. ცალკეულ გამონაკლის შემთხვევებში, კანონი მინდობილობის გაცემისათვის ითვალისწინებს ფორმის მომწესრიგებელ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს, ასე, მაგ., წერილობით ფორმას (შდრ., მაგ., § 492-ის მე-4 ნაწილი, 1904-ის მე-5 ნაწილი, 1906-ის მე-5 ნაწილი) ან სანოტარო წესით დადასტურებას (ასე, მაგ., § 1945-ის მე-4 ნაწილის პირველი წინადადება ან საჯარო რეესტრის საქმიანობის მომწესრიგებელ სამართალში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონის § 2-ის მე-2 ნაწილი და სააქციო კანონის § 23-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).

4. მინდობილობა და ძირითადი ურთიერთობა. წარმომადგენლობა ეხება მინდობილობის გამცემსა და მესამე პირს შორის გარე ურთიერთობას, ძირითად შიდა ურთიერთობას მინდობილობის გამცემსა და რწმუნებულს შორის. გერმანული სამართალი გამოყოფს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას როგორც ცალმხრივ გარიგებას სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან, ხოლო რწმუნებული ვალდებულება, იმოქმედოს მინდობილობის გამცემის სასარგებლოდ (**აბსტრაქციის პრინციპი**). შედეგი: შიდა ურთიერთობის ხარვეზი არ მოქმედებს მინდობილობაზე; წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებას ძალა აქვს წარმოდგენილი პირის მიმართ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წარმომადგენელმა დაარღვია ნაკისრი ვალდებულება შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში აკავშირებს ერთმანეთს კანონი მინდობილობასა და ძირითად ურთიერთობას § 168 1-ლ წინადადებაში. თუ მინდობილობის გამცემი რწმუნებულს მინდობილობის შესრულებისათვის ანიჭებს განსაზღვრულ უპირატესობას, მაშინ ყოველთვის უნდა დამტკიცდეს, აქვს თუ არა ადგილი შეზღუდვებს მინდობილობის გამცემსა და მესამე პირს შორის ურთიერთობაში ან სახეზეა მხოლოდ დავალება შიდა ურთიერთობაში.

5. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. გამონაკლის შემთხვევებში აბსტრაქციის პრინციპის შედეგად გაუმართლებელია იმ მესამე პირის სასარგებლოდ მოქმედება, რომელსაც, როგორც წესი, არ უნდა ანალვლებდეს წარმომადგენლის მხრიდან ძირითადი ურთიერთობის დარღვევა. აღნიშნულის წინაპირობაა, უპირველეს ყოვლისა, წარმომადგენლის უფლებამოსილების განაწილება შიდა და მინდობილობის გამცემსა და მესამე პირს შორის ურთიერთობებში. შესაბამისად, განასახვეებენ შემთხვევათა ორ ჯგუფს: თუ წარმომადგენელი და მესამე პირი შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევით შეეკრნენ ერთმანეთს წარმოდგენილი პირის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების განზრახვით (**ფარული პირის შეკვრა ზიანის მიყენების განზრახვით**), მაშინ წარმოდგენილი პირი ასეთ შემთხვევაში ვალდებული აღარ იქნება. ფარული პირის შეკვრის დაწყებისთანავე წარმოდგენილ პირს შეუძლია დაუყოვნებლივ შესაგებლის წარდგენა უფლების დაუშვებელი გამოყენების გამო, როდესაც წარმომადგენელმა თავისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აშკარად იმდენად საეჭვოდ ისარგებლა, რომ მესამე პირს უნდა ჰქონოდა დასაბუთებული ეჭვი ნდობის დარღვევის არსებობის შესახებ (**წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ობიექტური მტკიცებულება**, BGH NJW 1999, 2883). თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის თანახმად, თვით სავაჭრო და კორპორატიულ სამართალში (მაგ., შპს-ის დირექტორი, პროკურისტი) კანონით დადგენილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შემთხვევაშიც კი არ არის სავალდებულო, რომ წარმომადგენელი მოქმედებდეს წარმოდგენილი პირის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების განზრახვით (BGH NJW 2006, 2776, განმარტებისათვის იხ. BGHZ 50, 112, 114, სადავოა). თუ წარმოდგენილმა პირმა არ განახორციელა წარმომადგენლის გონივრული კონტროლი, მაშინ წარმოშობილი ზიანის განაწილება უნდა განხორციელდეს § 254-ის შესაბამისად (BGHZ 50, 112, 115; კრიტიკისათვის იხ. *Medicus/Petersen*, 118-ე ველი). გაბატონებული შეხედულების თანახმად, წარმომადგენლო-

ბითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მიმართ შესაბამისად გამოიყენება §§ 177 და შემდეგი პარაგრაფები (იხ. *MüKo-Schramm* 111-ე ველი¹⁵.)

II. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მოჩვენებითი უფლების ძალით

1. ძირითადი სტრუქტურა. ცალკეულ შემთხვევებში წარმომადგენელი პირი შეიძლება იყოს შებოჭილი წარმომადგენლის განცხადებებით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, როდესაც სახეზეა მოჩვენებითი უფლებისათვის პასუხიმგებლობის წინაპირობები (კანონიერი ნდობის პრინციპი). **თითოეული მოჩვენებითი უფლებისათვის პასუხიმგებლობისათვის** (შდრ., მაგ., §§ 932, 892) მოქმედებს ასევე შემდეგი სტრუქტურა:

- ა) ფაქტობრივი მოჩვენებითი უფლება.
- ბ) მოჩვენებითი უფლების მიკუთვნებადობა.
- გ) მესამე პირის განკარგულებებთან მიზეზობრივი კავშირი.
- დ) კეთილსინდისიერება.

2. კანონისმიერი მოჩვენებითი უფლების ფაქტობრივი გარემოებები არსებობს §§ 170-172-ში. **გასაჯაროებული შიდა მინდობილობა** (§§ 171 I, 172 I); დასრულება: (§§ 171 II, 172 II). გასაჯაროება არ წარმოადგენს ნების გამოვლენას, არამედ – მხოლოდ ცოდნისა, რომელიც თავისი მოჩვენებითი უფლების ნამდვილობით (§§ 171 II, 172 II) ფუნქციონალურად უთანაბრდება გარე მინდობილობას. ისევე როგორც ნებისმიერი მინდობილობა, გასაჯაროებული შიდა მინდობილობაც საცილოა, ვინაიდან მისი მოჩვენებითი უფლება იმაზე ძლიერად ვერ მოქმედებს, ვიდრე ნამდვილი გარე მინდობილობა (გაბატონებული შეხედულება; *Medicus*, „ზოგადი ნაწილი“, 947-ე ველი; *MüKo-Schramm* § 171 მე-8 ველი). ამდენად, **მინდობილობის დოკუმენტი § 172-ის** პირველი ნაწილის გაგებით „ჩაბარებულია“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება ორიგინალი (სანოტარო აქტების შემთხვევაში: აქტის ეგზემპლარი, სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ კანონის § 47); საკმარისი არ არის ასლის ან ასევე დამონმებული ასლის წარდგენა. დასაბუთება: მინდობილობის გამცემს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გააბათილოს მოჩვენებითი უფლების ნამდვილობა § 172 მე-2 ნაწილის თანახმად ორიგინალის უკან დაბრუნების მოთხოვნით; მინდობილობის გამცემი ვერ აკონტროლებს იმას, მიიღო თუ არა უფლებამოსილმა პირმა თავის მხრივ ორიგინალის დამონმებული ასლი. „დაკარგული მინდობილობის დოკუმენტი“ არ შეესაბამება § 172-ის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოჩვენებითი უფლების იურიდიულ შედეგებს, ვინაიდან სახეზე არ არის ნებელობითი ფაქტობრივი გადაცემა. თუ მესამე პირი საჭიროებს დაცვას, ხოლო მარწმუნებელს წარედგინება ბრალი ან მან პასუხი უნდა აგოს წარმომადგენლის ბრალისათვის, მაშინ მხედველობაშია მისაღები ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება §§ 311-ის მე-2 ნაწილის, 241-ის მე-2 ნაწილის, 280-ის პირველი ნაწილის თანახმად (*MüKo-Schramm* § 172 მე-5 ველი)¹⁶.

3. თემის მინდობილობა. ა) **წინაპირობები:** აა) მოჩვენებითი უფლება: მარწმუნებლის სახელით მოქმედება განსაზღვრული ვადითა და სიხშირით; ბბ) მიკუთვნებადობა: მარწმუნებელი ქმედუნარიანია, იცნობს და ითმენს აღნიშნულ მოქმედებას; გგ) მიზეზობრივი კავშირი: მოჩვენებითი უფლებისადმი ნდობით განხორციელებული განკარგულებები. დდ) კეთილსინდისიერება: მეორე მხარისაგან არაკეთილსინდისიერების ფაქტის არარსებობა (§ 173-ის შესაბამისად). ბ) **სამართლებრივი ბუნება:** გაბატონებული შეხედულების თანახმად, მოჩვენებითი უფლების

15 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან

16 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან

მქონე მინდობილობა (იხ. *Larenz/Wolf* § 48 23-ე ველი), ხოლო სხვა შეხედულების თანახმად კი, – კონკლუდენტურად განცხადებული გარიგების საფუძველზე გაცემული მინდობილობა (მაგ., *Medicus/Petersen*, 98-ე და შემდგომი ველები; დეტალურად იხ. *Merkt AcP* 2004, 638). რა თქმა უნდა, დოგმატურ სადავო საკითხს მხოლოდ მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როდესაც შეცილება ზოგადი წესით დასაშვებია მოჩვენებითი უფლებისათვის პასუხისმგებლობის კისრების („ქმედების შედეგის შესახებ შეცდომის,“ გამო) შემთხვევაშიც; აღნიშნულის შესახებ იხ. მე-10 ველი.

9 4. თვალთმაქცური მინდობილობა. ა) წინაპირობები. თმენის მინდობილობის მსგავსად, მართალია, მარნმუნებელმა არ იცის არაუფლებამოსილი წარმომადგენლობის შესახებ, მაგრამ ეს უკანასკნელი ცხადი და თავიდან აცილებადი იყო (მიკუთვნებადობის ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შესახებ იხ. ქვემოთ; სხვა მხრივ კი – როგორც მე-8 ველში). აღნიშნული მიკუთვნებადობის ფაქტობრივი გარემოებება ჯერ ვერ შესრულდება იმით, რომ eBay-ის წევრობის ანგარიშის მფლობელი საკმარისად ვერ იცავს თავის მონაცემებს მესამე პირთა წვდომისაგან (BGH ZIP 2011, 1108). **ბ) სამართლებრივი შედეგი:** კლასიფიცირება როგორც მოჩვენებითი უფლების ფაქტობრივი გარემოება სადავო არ არის. თუმცა, პრობლემატურია სამართლებრივი შედეგი: გაბატონებული შეხედულების თანახმად, მარნმუნებელი არის, უპირველეს ყოვლისა, ვალდებული შესრულებასა და, განსაზღვრულ შემთხვევებში, – შესრულების ინტერესზე (*Palandt-Ellenberger*, § 172 მე-11, მე-17 ველები); თვალთმაქცური მინდობილობით უფლებამოსილი პირი პასუხს არ აგებს § 179-დან გამომდინარე (BGHZ 86, 273). სანინაალმდეგო შეხედულების თანახმად, მოჩვენებითი უფლების ბრალეული დადგენა არ წარმოშობს უპირატეს ვალდებულებებს, არამედ მხოლოდ culpa in contrahendo-დან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს (§§ 280, 311-ის მე-2 ნაწილი) ნდობის დარღვევისათვის კომპენსაციის მიღების მიზნით მარნმუნებლის მიმართ, ხოლო (არჩევით) § 179-დან გამომდინარე – წარმომადგენლის მიმართ (*Medicus/Petersen*, მე-100 და შემდგომი ველები), ვინაიდან შეფასების მხრივ წინააღმდეგობრივი იქნებოდა, გაუთვინციანობიერებლად მინდობილობის გარეშე მოქმედი წარმომადგენლისათვის მხოლოდ ნეგატიური ინტერესისათვის პასუხისმგებლობის დაწესება (მდრ. 179 მე-4 ველი) ისე, რომ წარმოდგენილმა პირმა არ იცის წარმომადგენლის მხრიდან შესრულების შესახებ¹⁷.

10 5. შეცილების შესაძლებლობა. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მოჩვენებითი უფლების ძალით არ შეიძლება შეცილებულ იქნეს იმ საფუძველით, რომ წარმოდგენილ პირს არ სურდა, დაყრდნობოდა მოჩვენებითი უფლებას ან მან არ იცოდა, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ეყრდნობოდა მოჩვენებითი უფლებას. რა თქმა უნდა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება შეცილებულ იქნეს, თუ შესაბამისი მინდობილობა თავად იქნებოდა საცილო §§ 119, 123-ის თანახმად, ვინაიდან მოჩვენებითი უფლების საფუძველზე არსებული მინდობილობა იმაზე მეტად არ უნდა ავალდებულებდეს, ვიდრე ფაქტობრივი მინდობილობა¹⁸.

§ 168. მინდობილობის გაუქმება

¹მინდობილობის გაუქმება დამოკიდებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელთან დაკავშირებითაც იგი გაიცა. ²მინდობილობაზე ასევე შეიძლება უარი სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაშიც, თუ ამ უკანასკნელიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს. ³მინდობილობაზე უარის განცხადების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება § 167-ის პირველი ნაწილის ნორმა.

17 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან

18 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან

1. მინდობილობის გაუქმება ხდება თავად მინდობილობის შინაარსის შესაბამისად. გაუქმების სხვა საფუძვლებია: **1. ძირითადი ურთიერთობა** (§ 168-ის პირველი წინადადება); **2. ვადის გასვლა** (§§ 158-ის მე-2 ნაწილი, 163). **3. გაუქმების პირობა** (§ 158-ის მე-2 ნაწილი).

2. მე-2 წინადადებიდან გამომდინარეობს გამოუთხოვადი მინდობილობის გაცემის შესაძლებლობა. თუმცა, აღნიშნულის შედეგად გამორიცხულია მხოლოდ თავისუფალი გამოთხოვა; მინდობილობის გამოთხოვა მნიშვნელოვანი საფუძვლით შესაძლებლად რჩება. სადავოა მოთხოვნები მინდობილობის გამოთხოვის მიმართ. გაბატონებული შეხედულება ითხოვს ხელშეკრულებას (BGH NJW, 88, 2603, Palandt-Ellenberger, § 168 მე-6 ველი), როდესაც ლიტერატურის ნაწილში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს მოთხოვნა არ შეესაბამება მინდობილობის გამცემის დაცვის ინტერესებს და არ იკითხება § 168-იდან (MüKo-Schramm, § 168 20-ე ველი). რა თქმა უნდა, არსებობს გამოუთხოვადობის საზღვრებიც, ვინაიდან სხვა შემთხვევაში მინდობილობის გამცემი სრულად დაექვემდებარებოდა სხვა პირის მხრიდან პირობების დადგენას (MüKo-Schramm, § 168 21-ე ველი), შესაბამისად, სახეზე უნდა იყოს გამონაკლისის დაშვების გამამართლებელი საფუძველი. ასეთი საფუძველი არ არსებობს, როდესაც მინდობილობა ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მინდობილობის გამცემის ინტერესებს¹⁹.

§ 169. რწმუნებულისა და მმართველი პარტნიორის მინდობილობა

იმდენად, რამდენადაც რწმუნებულის ან მმართველი პარტნიორის მინდობილობის მოქმედება ითვლება გაგრძელებულად, §§ 674, 729-ის მიხედვით, იგი არ მოქმედებს იმ მესამე პირის სასარგებლოდ, რომელმაც გარიგების დადებისას იცის ან იცოდა შეწყვეტის შესახებ.

§ 170. მინდობილობის მოქმედების ვადა

თუ მინდობილობა გაიცემა მესამე პირის მიმართ გაკეთებული განცხადებით, მაშინ იგი ინარჩუნებს ძალას მის მიმართ მანამდე, სანამ შეწყვეტის შესახებ მას არ შეატყობინებს მარწმუნებელი.

§ 171. მოქმედების ვადა საჯაროდ გამოცხადების შემთხვევაში

(1) თუ პირმა სპეციალური შეტყობინებით განუცხადა მესამე პირს ან საჯაროდ განაცხადა, რომ იგი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ანიჭებს სხვა პირს, მაშინ ამ უკანასკნელს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს საჯარო განცხადების საფუძველზე, პირველ შემთხვევაში, მესამე პირის წინაშე, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში – ნებისმიერი მესამე პირის წინაშე.

(2) წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შენარჩუნდება მასზე უარის განცხადებამდე, რომელიც უნდა გაკეთდეს იმავე წესით, რომლითაც მოხდა მისი მინიჭება.

§ 172. მინდობილობის დოკუმენტი

(1) მარწმუნებლის მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების სპეციალურ შეტყობინებას უთანაბრდება, როდესაც მარწმუნებელმა წარმომადგენელს მინდობილობის დოკუმენტი გადასცა, ეს უკანასკნელი კი წარმომადგენელს წარუდგენს მესამე პირს.

(2) წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შენარჩუნდება მანამდე, სანამ მინდობილობის დოკუმენტი მარწმუნებელს არ დაუბრუნდება, ან არ გამოცხადდება ძალადაკარგულად.

19 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

§ 173. მოქმედების ვადა, როდესაც პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა მინდობილობის გაუქმების შესახებ

§ 170, § 171-ის მე-2 ნაწილი და § 172-ის მე-2 ნაწილი არ გამოიყენება, როდესაც მესამე პირმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმების შესახებ.

§ 174. უფლებამოსილი პირის ცალმხრივი გარიგება

¹ცალმხრივი გარიგება, რომელსაც უფლებამოსილი პირი სხვა პირის მიმართ დებს, სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ უფლებამოსილი პირი არ წარადგენს მინდობილობის დოკუმენტს, ხოლო მეორე მხარე ამ საფუძვლით დაუყოვნებლივ უარს იტყვის გარიგებაზე. ²უარი გამორიცხულია, თუ მარწმუნებელმა ამ უკანასკნელს შეატყობინა უფლებამოსილების შესახებ.

§ 175. მინდობილობის დოკუმენტის დაბრუნება

მინდობილობის გაუქმების შემდეგ უფლებამოსილმა პირმა მინდობილობის დოკუმენტი უნდა დაუბრუნოს მარწმუნებელს; მას არა აქვს მინდობილობის დოკუმენტის დაბრუნებაზე უარის უფლება.

§ 176. მინდობილობის დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადება

(1) ¹მარწმუნებელს შეუძლია, მინდობილობის დოკუმენტი საჯარო გამოქვეყნებით ძალადაკარგულად გამოაცხადოს; ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა გამოქვეყნდეს სასამართლო უწყების საჯარო გამოქვეყნების მომწესრიგებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების მიხედვით. ²ძალადაკარგულად გამოცხადება ძალაშია ოფიციალურ გაზეთებში მისი ბოლო გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადის გასვლისთანავე.

(2) ის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მარწმუნებელს აქვს თავისი საერთო განსჯადობა და რაიონული სასამართლო, რომელიც განსჯადი იქნებოდა მინდობილობის დოკუმენტის დაბრუნებაზე სარჩელის მიმართ, თანაბრად განსჯადია გამოსაქვეყნებლად თანხმობის მიცემაზე, სადავო საგნის ღირებულების მიუხედავად.

(3) ძალადაკარგულად გამოცხადება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ მარწმუნებელს არ შეუძლია მინდობილობის გაუქმება.

§ 177. ხელშეკრულების დადება არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით

(1) თუ პირი სხვა პირთან დებს ხელშეკრულებას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, მაშინ ხელშეკრულების სამართლებრივი ძალა როგორც მარწმუნებლის სასარგებლოდ, ისე საწინააღმდეგოდ დამოკიდებულია ამ უკანასკნელის მოწონებაზე.

(2) ¹თუ მეორე მხარე მარწმუნებლისაგან ითხოვს მოწონების შესახებ განცხადებას, მაშინ განცხადება მხოლოდ მის მიმართ შეიძლება გაკეთდეს; მოთხოვნამდე წარმომადგენლის მიმართ განცხადებული თანხმობა ან უარი თანხმობაზე სამართლებრივი ძალის არმქონეა. ²მოწონება შეიძლება გაცხადდეს მხოლოდ მოთხოვნის მიღებიდან ორი კვირის ვადის გასვლის შემდეგ; თუ იგი არ იქნება განცხადებული, მაშინ ითვლება, რომ მასზე უარი იქნა ნათქვამი.

1 1. § 177 და შემდეგი პარაგრაფების გამოყენების სფერო: წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ იყო მინიჭებული ან აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებას არ ჰქონდა სამართლებრივი ძალა, ანდა იგი შეწყდა შეცილების ან მასზე უარის თქმის შედეგად; წარმომადგენელმა გადააჭარბა თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ან ბოროტად გამოიყენა იგი (იხ. § 167-ის მე-7 ველი).

ნორმები შესაბამისად გამოიყენება, როდესაც კურიერი მოქმედებს დავალების გარეშე ან განზრახ გადასცემს დავალებულისაგან განსხვავებულ ნების გამოვლენას (იხ. § 120 ველი 2), გარდა ამისა, ნორმები შესაბამისად გამოიყენება ჯერ კიდევ არარსებული იურიდიული პირის ან სავაჭრო ამხანაგობის შემთხვევაში (BGHZ, 91, 148, 152). სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ნორმები არ გამოიყენება, როდესაც წარედგინება თმენის ან აშკარა მინდობილობები (იხ. § 167-ის მე-7 ველი); ნორმები არ გამოიყენება ასევე § 1629-ს თანახმად პასუხისმგებლობის შეზღუდვის შემთხვევაში (RegBegr BT-Drucks, 13/5624, 9).

2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე წარმომადგენლობის (მინდობილობის გამცემსა და მესამე პირს შორის ურთიერთობა) განსხვავება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისაგან (შიდა ურთიერთობა). ნებადართული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს აქვს ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება §§ 683, 670-ის შესაბამისად, თუმცა, მას არა აქვს გარიგების მოწონების მოთხოვნის უფლება. §§ 679, 680-ის თანახმად, დაინტერესებულ პირს აღნიშნულ ფარგლებში აქვს კანონისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (სადავოა; იხ. *Palandt-Ellenberger*, მე-4 ველი).

3. 4. მოწონებისათვის იხ. § 182 და შემდეგი პარაგრაფები. იგი შეიძლება ასევე განხორციელდეს კონკლუდენტური მოქმედებით. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, წინაპირობაა ის, რომ მოწონების განმახორციელებელმა იცის ხელშეკრულების მერყევადა ბათილობის შესახებ ან ითვალისწინებს მას.

§ 178. მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებაზე უარის უფლება

¹ხელშეკრულების მოწონებამდე მეორე მხარე უფლებამოსილია, უარი თქვას მასზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან ხელშეკრულების დადებისას იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. ²უარი შეიძლება გაცხადდეს ასევე წარმომადგენლის მიმართაც.

§ 179. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არმქონე წარმომადგენლის პასუხისმგებლობა

(1) პირი, რომელმაც დადო ხელშეკრულება როგორც წარმომადგენელმა, იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაამტკიცებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, ვალდებულია, მეორე მხარეს ამ უკანასკნელის არჩევანით შეუსრულოს ხელშეკრულება, ან აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ მარწმუნებელი უარს განაცხადებს ხელშეკრულების მოწონებაზე.

(2) თუ წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მიყენებულ იქნა მეორე მხარისათვის იმის შედეგად, რომ ეს უკანასკნელი ენდობა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, მაგრამ არა უმეტეს ინტერესის იმ მოცულობისა, რომელიც ხელშეკრულების სამართლებრივი ძალისადმი აქვს მეორე მხარეს.

(3) ¹წარმომადგენელი არ არის პასუხისმგებელი, თუ მეორე მხარემ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ იცოდა, ან მას უნდა სცოდნოდა ამის შესახებ. ²წარმომადგენელი არ არის პასუხისმგებელი, აგრეთვე, მაშინაც, როდესაც იგი შეზღუდულქმედუნარიანი იყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

1. ძირითადი მოსაზრება: „*falsus procurator*“-ის კანონისმიერი პასუხისმგებლობა სტიმულირებული და იმედგაცრუებული ნდობისათვის (BGHZ, 73, 266, 269).

2. გამოყენების სფერო: იხ. § 177 ველი 1. სუბწარმომადგენელი პასუხს აგებს სუბმინდობილობის ხარვეზისათვის. ძირითადი მინდობილობის ხარვეზი მას არ

შეერაცხება, რამდენადაც მან ნათლად განაცხადა, რომ იგი თავის მინდობილობას ძირითადი წარმომადგენლისაგან დამოუკიდებლად გასცემს (BGHZ, 68, 391, 394).

- 3 **3. არჩევანის უფლება** იხ. § 263. ა) თუ კონტრაგენტი ირჩევს ვალდებულების შესრულებას, მაშინ მინდობილობის გარეშე მოქმედმა წარმომადგენელმა მას უნდა გადასცეს ყველაფერი ის, რისი მოთხოვნის უფლებაც მას ექნებოდა წარმოდგენილი პირისაგან ხელშეკრულების ნამდვილობის შემთხვევაში. ვალდებულების შესრულება წარმომადგენელს არ აქცევს კონტრაგენტად და არ ანიჭებს მას, მათ შორის, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლებას, თუმცა, აქვს § 320-იდან და შემდეგი პარაგრაფებიდან გამომდინარე უფლებები. წარმომადგენელი პასუხს აგებს როგორც კონტრაგენტი, § 280-ის თანახმად. ბ) **ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება** მოიცავს ვალდებულების შესრულების ინტერესს და მიმართულია ფულადი კომპენსაციის მიღებაზე. კონტრაგენტი უნდა აღმოჩნდეს იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა, გარიგება სამართლებრივი ძალის მქონე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი პირის მიმართ და შესრულებულიყო.
- 4 **4.** თუ წარმომადგენელმა არაფერი იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, მაშინ, მე-2 ნაწილის თანახმად, იგი პასუხს არ აგებს ვალდებულების შესრულების ინტერესისათვის, თუმცა, პასუხისმგებელია **ნეგატიური ინტერესისათვის** (იხ. § 122 ველი 2); პირიქით, მე-3 ნაწილის თანახმად, მინდობილობის გარეშე მოქმედი წარმომადგენლის ნებისმიერი პასუხისმგებლობა გამოირიცხულია, როდესაც **კონტრაგენტმა იცოდა** წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის შესახებ, ან მას ამის შესახებ უნდა სცოდნოდა. ამდენად, საკმარისია, რომ კონტრაგენტმა იცის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის შესახებ; მხედველობაში არ მიიღება ის შეცდომა, რაც დაკავშირებულია აღნიშნულისათვის მნიშვნელოვან საფუძვლებთან. ასევე, როდესაც წარმომადგენელი მინდობილობის გარეშე მოქმედებს არარსებული სამართლის სუბიექტის სახელით, მისი პასუხისმგებლობა გამოირიცხება იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაგენტმა შეიტყო მინდობილობის გარეშე მოქმედი წარმომადგენლობის შესახებ; აუცილებელი არ არის, კონტრაგენტმა იცოდეს სამართლის სუბიექტის არარსებობის შესახებ (BGHZ, 178, 307).
- 5 **5. წარმომადგენლის პასუხისმგებლობა culpa in contrahendo-დან გამომდინარე** (§§ 280-ის პირველი ნაწილი, 311-ის მე-2 ნაწილი), შესაძლებელია: საკუთარი ბრალიდან (მაგ., წარმომადგენლის ხარვეზიანი ზედამხედველობა) ან წარმომადგენლის ბრალიდან გამომდინარე, რამდენადაც წარმოდგენილმა პირმა იგი დანიშნა დამხმარე პირად (§ 278).
- 6 **6. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე იმ წარმომადგენლის culpa in contrahendo-დან გამომდინარე პასუხისმგებლობისათვის**, რომელიც განსაკუთრებული ხარისხით სარგებლობდა გარიგების მეორე მხარის პირადი ნდობით, იხ. § 311-ის მე-3 ნაწილი.

§ 180. ცალმხრივი გარიგება

¹ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში წარმომადგენლობა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, დაუშვებელია. ²თუმცა, თუ პირმა, რომლის მიმართაც ასეთი გარიგება უნდა დადებულიყო, გარიგების დადების დროს წარმომადგენლის მიერ მითითებული უფლებამოსილების მიმართ არ გამოთქვა ეჭვი, ან თუ იგი თანახმაა, რომ წარმომადგენელმა იმოქმედოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება ნორმები ხელშეკრულებების შესახებ. ³ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცალმხრივი გარიგება იდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის მიმართ, ამ უკანასკნელის თანხმობით.

§ 181. თავის თავთან დადებული გარიგება

წარმომადგენელს, თუ მას პირდაპირ არ ეძლევა ნებართვა, არ შეუძლია გარიგების დადება მარწმუნებლის სახელით თავის თავთან არც საკუთარი სახელით და არც როგორც მესამე პირის წარმომადგენელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება მხოლოდ ვალდებულების შესრულებაა.

1. ძირითადი მოსაზრება: როდესაც წარმომადგენელი (როგორც პირის სურვილის შესაბამისად დანიშნული, ისე კანონისმიერი წარმომადგენელი, აგრეთვე ანდერძის აღმსრულებელი) გარიგებას დებს თავის თავთან (თავის თავთან კონტრაქტირება) ან მის მიერ წარმოდგენილ მესამე პირთან (რამდენიმე პირის წარმომადგენლობა), არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საშიშროება. თუმცა, § 181-ის გამოყენებისათვის ინტერესებს შორის დაპირისპირება საკმარისი არ არის. პირიქით, ნორმა ორიენტირებულია პირის იდენტიფიკაციის ფორმალურ კრიტერიუმზე სამოქალაქო ბრუნვის სიციხადისა და უსაფრთხოების ინტერესებში. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, § 181-ის გამოყენებისათვის, როგორც წესი, განმსაზღვრელია გარიგების გაფორმების გამოხატული ფორმა (BGHZ, 77, 7, 9). რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს ფაქტობრივი გამიჯვნისათვის განსაზღვრულ შემთხვევებში კანონმდებლისეულ მოტივს – თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი. განასხვავებენ შემთხვევების ორ ჯგუფს (*Jauernig*, მე-6 და შემდეგი ველები):

ა) პირის იდენტიფიკაცია ინტერესთა კონფლიქტის გარეშე. § 181 არ გამოიყენება, რამდენადაც განსაზღვრული სფეროსათვის (და არა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში) ინტერესებს შორის დაპირისპირება წარმოუდგენელია. ეს არის შემთხვევა, როდესაც გარიგება წარმოდგენილ პირს ანიჭებს მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივ სარგებელს – § 107-ში გათვალისწინებული შეფასების მიხედვით (BGHZ, 59, 236, 240), ხდება ნორმის, მისი მიზნის შესაბამისად, თელეოლოგიური რედუქცია. გარდა ამისა, § 181 სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით არ მოქმედებს, როდესაც წარმოდგენილი პირები წარმომადგენელს ანიჭებენ თვითკონტრაქტირების ან რამდენიმე პირის წარმომადგენლობის უფლებას, ანდა გარიგება გამოიხატება მხოლოდ ვალდებულების შესრულებით (იხ. § 107-ის მე-5 ველი). § 181 არ გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც წარმომადგენელი ახდენს არა შემხვედრ, არამედ პარალელურ ნების გამოვლენებს (მაგ.: ვ ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში წარმოადგენს ორივე გამყიდველს)²⁰.

ბ) ინტერესთა კონფლიქტი პირის იდენტიფიკაციის გარეშე. როგორც წესი, § 181 არ გამოიყენება, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება რამდენიმე პირი, მაგ., როდესაც წარმომადგენელი თავდებობის ხელშეკრულებას სხვა პირის სახელით დებს საკუთარი ვალის უზრუნველსაყოფად (RGZ, 71, 219). და პირიქით, § 181 უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც პირთა უმრავლესობა ხელოვნურად არის დადგენილი; მაგ., წარმომადგენელი ნიშნავს საკუთარ სუბწარმომადგენელს და უდებს მას ხელშეკრულებას საკუთარი სახელით (სადავოა; განსხვავებული პოზიციაა RGZ, 108, 405).

2. სამართლებრივი შედეგი: სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის მიუხედავად („არ შეუძლია“), დგება არა ბათილობა, არამედ მერყევად ბათილობა (როგორც სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედების შემთხვევებში). გამოიყენება §§ 177 და შემდეგი პარაგრაფები.

20 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

კარი 6. თანხმობა და მოწონება

§ 182. თანხმობა

(1) თუ ხელშეკრულების ან იმ ცალმხრივი გარიგების სამართლებრივი ძალა, რომელიც იდება სხვა პირის მიმართ, დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, მაშინ თანხმობის მიცემა, ისევე როგორც მასზე უარი, შეუძლია როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.

(2) თანხმობა არ საჭიროებს გარიგებისთვის დადგენილი ფორმის დაცვას.

(3) თუ ცალმხრივი გარიგება, რომლის სამართლებრივი ძალისათვის საჭიროა მესამე პირის თანხმობა, დაიდო მესამე პირის თანხმობით, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 111-ის მე-2 და მე-3 წინადადებათა ნორმები.

§ 183. თანხმობაზე უარი

წინასწარ თანხმობაზე (ნებართვაზე) გარიგების დადებამდე შეიძლება უარის განცხადება, თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომელსაც ეს თანხმობა ეფუძნება, სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 184. მოწონების უკუქცევითი ძალა

(1) შემდგომი თანხმობა (მოწონება) მოქმედებს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი.

(2) უკუქცევითი ძალის შედეგად სამართლებრივ ძალას არ კარგავს ის განკარგვები, რომლებიც განხორციელდა გარიგების საგნის მიმართ თანხმობის მიმცემი პირის მიერ მოწონებამდე, ან იძულებითი აღსრულების, ან ყადაღის დადების პროცესში, ანდა გაკოტრების მმართველის მიერ გაკოტრების საქმისწარმოებისას.

- 1 1. მოწონების წინაპირობები სახეზე უნდა იყოს მოწონების მომენტში. ამდენად, განკარგვების მოწონების შემთხვევაში, მომწონებელი პირის განკარგვითი უფლებამოსილება ამ მომენტში ჯერ კიდევ უნდა არსებობდეს. თუმცა, განკარგვის საგანი შეიძლება უკვე განადგურებული იყოს; მოპარული ნივთის მესაკუთრეს შეუძლია, მისი გასხვისება, ნივთის განადგურების შემდეგ მაინც მოიწონოს და § 816-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება მოიპოვოს (BGHZ, 56, 131).
- 2 2. მოწონების ან მასზე უარის გამოთხოვა დაუშვებელია. როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენები, ისინი მოქმედებენ უფლებადამდგენად მერყევად ბათილი გარიგების მიმართ იმგვარად, რომ იგი ხდება საბოლოოდ ძალმოსილი ან სამართლებრივი ძალის არმქონე. სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების მოთხოვნისა და გარიგების მონაწილის ინტერესებში შეუთავსებელი იქნებოდა, თუ ამ სამართლებრივი შედეგის თავიდან აცილება მოხდებოდა თანხმობის მიცემაზე უფლებამოსილი პირის ცალმხრივი უარით (BGHZ, 13, 179, 187).

§ 185. არაუფლებამოსილი პირის განკარგვა

(1) არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვა სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის თანხმობით.

(2) ¹განკარგვა ხდება სამართლებრივი ძალის მქონე, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს, ან, თუ განმკარგავი პირი იქნის საგანს, ანდა იღებს მას მემკვიდრეობით უფლებამოსილი პირისაგან და იგი სამკვიდრო ქონების ვალებისათვის შეუზღუდავად აგებს პასუხს. ²ორივე უკანასკნელ შემთხვევაში, თუ საგანზე განხორციელდა ერთზე მეტი შეუთავსებელი განკარგვა, მაშინ ძალაშია მხოლოდ უფრო ადრე გაკეთებული განკარგვა.

1. განკარგვა არის ნებისმიერი გარიგება, რომელიც სანივთოსამართლებრივ უფლებრივ მდგომარეობას უშუალოდ ცვლის, იქნება ეს არსებული უფლების გადაცემის, გაუქმების, უფლებრივად დატვირთვის თუ შინაარსობრივი ცვლილების გზით²¹. (იხ. მხოლოდ BGHZ, 101, 24, 26). ნორმა ეხება მხოლოდ **საკუთარი სახელით** განხორციელებულ განკარგვებს. იგი **ანალოგიის წესით** მოქმედებს **განკარგვითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედი უფლებამოსილი პირის** განკარგვის მიმართ, მაგ., § 2211-ის შესაბამისად, მემკვიდრის მიერ სამართლებრივი ძალის არმქონე განკარგვის მიმართ, რომლის მოწონებაც შეუძლია ანდერძის აღმსრულებელს, მე-2 ნაწილის პირველი კაზუსის შესაბამისად. **სხვა პირის სახელით** განკარგვებისათვის გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ § 164-ე და შემდეგი პარაგრაფები; ამიტომ განკარგვები ვერ გახდება სამართლებრივი ძალის მქონე, მე-2 ნაწილის მე-2 და მე-3 კაზუსების თანახმად.

2. თანხის ამოღების უფლებამოსილების მინიჭებისათვის იხ. § 398-ის შესავლის 25-ე ველი. **ვალდებულების კისრების უფლებამოსილების მინიჭება** გერმანულ სამართალში უმეტესწილად დაუშვებლად არის მიჩნეული; მესამე პირის მხრიდან ვალდებულების კისრებას კანონი უშვებს მხოლოდ ნარმომადგენლობის დროს (ლიაობის პრინციპი; იხ. § 164-ის მე-9 ველი).

3. პირს, რომელსაც სურს არაუფლებამოსილი პირის განკარგვის მოწონება, მე-2 ნაწილის შესაბამისად, **მოწონების მომენტში** უნდა ჰქონდეს განკარგვითი უფლებამოსილება; სხვა შემთხვევაში იგი ხელყოფდა სხვა პირის, კერძოდ კი, ნამდვილი მესაკუთრის უფლებას (BGHZ, 107, 340). თავდაპირველ მესაკუთრეს შეუძლია, აღარ მოიწონოს არაუფლებამოსილი პირის განკარგვა, როდესაც, ამავე დროს, მესამე პირმა, მაგალითისათვის, საკუთრების უფლება შეიძინა აუქციონის გზით იძულებითი აღსრულების პროცესში.

ნაწილი 4. ვადები, თარიღები

§ 186. გამოყენების სფერო

კანონებში, სასამართლო აქტებსა და გარიგებებში მოცემული ვადებისა და თარიღებისადმი გამოიყენება §§ 187-193 ნორმათა განმარტების წესები.

§ 187. ვადის ათვლის დაწყება

(1) თუ ვადის ათვლის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დროის ის მომენტი, რომელიც დგება დღის განმავლობაში, მაშინ ვადის ათვლისას არ მიითვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დროის მომენტი.

(2) ¹თუ ვადის ათვლის დასაწყისი მომენტად აღებულია დღის დასაწყისი, მაშინ ეს დღე ვადის ათვლისას არ მიითვლება. ²ანალოგიური წესი მოქმედებს ასაკის ათვლისას დაბადების დღის მიმართაც.

§ 188. ვადის დასრულება

(1) დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

(2) ვადა, რომელიც განისაზღვრება კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტლით – § 187-ის პირველ ნაწილში მითითებულ შემთხვევაში მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც თავისი დასახელებით ან რაოდენობით შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დროის მომენტს, ხოლო § 187-ის მე-2 ნაწილის

21 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

შემთხვევაში – ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც წინ უსწრებს იმ დღეს, რომელიც თავისი დასახელებით ან რაოდენობით შეესაბამება ვადის საწყის დღეს.

(3) თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

§ 189. ცალკეული ვადების გამოთვლა

(1) ნახევარ წელში იგულისხმება ექვსთვიანი ვადა, კვარტალში – სამთვიანი ვადა, ხოლო ნახევარ თვეში – თხუთმეტდღიანი ვადა.

(2) თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, თხუთმეტი დღე უნდა გამოითვალოს ვადის ბოლოს.

§ 190. ვადის გაგრძელება

ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.

§ 191. ვადის ათვლა დროის მონაკვეთების მიხედვით

თუ დროის მონაკვეთი განისაზღვრება თვეების ან წლების მიხედვით იმ მნიშვნელობით, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი – 365 დღით.

§ 192. თვის დაწყება, შუა თვე, თვის დასასრული

თვის დასაწყისად ჩაითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ – თვის მე-15 დღე, ხოლო თვის დასასრულად – თვის ბოლო დღე.

§ 193. კვირა და უქმე დღეები; შაბათი

თუ ნების გამოვლენა უნდა განხორციელდეს, ან ვალდებულება შესრულდეს განსაზღვრულ დღეს, ან განსაზღვრული ვადის განმავლობაში და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა კვირას, განცხადების გაკეთების, ან ვალდებულების შესრულების ადგილზე ოფიციალურად აღიარებულ უქმე დღეს, ანდა შაბათს, მაშინ ამ დღის ადგილს იკავებს მომდევნო სამუშაო დღე.

ნაწილი 5. ხანდაზმულობა

კარი 1. ხანდაზმულობის საგანი და ხანგრძლივობა

§ 194. ხანდაზმულობის საგანი

(1) სხვა პირისაგან მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების უფლება (მოთხოვნის უფლება) ექვემდებარება ხანდაზმულობას.

(2) საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები არ ექვემდებარება ხანდაზმულობას, თუ ისინი მიმართულია მომავალში ურთიერთობის შესაბამისი მდგომარეობის აღდგენისაკენ ან ბიოლოგიური წარმომავლობის დადგენის მიზნით გენეტიკური კვლევის ჩატარებაზე თანხმობის მიღებისაკენ.

1 1. ხანდაზმულობის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, მოვალის დაცვა. მოვალე დაცულია არა მარტო მტკიცებასთან დაკავშირებული სირთულეების დადგომამდე არარსებული მოთხოვნის უფლებებისაგან, არამედ დაცულია ასევე მისი ნდობა,

რომ მოთხოვნის უფლებები არ იქნება გამოყენებული მის წინააღმდეგ. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს აღარ უნდა ადარდებდეს რეგრესის უფლება, ან სხვა რისკების დაზღვევა. ის, რომ ხანდაზმულობა არ არის საჯარო ინტერესებში დადგენილი, ჩანს იმით, რომ იგი, კანონიერ ძალაში შესვლის (პროცესუალური) შედეგებისაგან განსხვავებით, არ საჭიროებს სასამართლოს ინიციატივით გათვალისწინებას (ველი 4).

2. ხანდაზმულობის საგანია მოთხოვნის უფლებები (§ 194-ის პირველი ნაწილი). §§ 218, 438-ის მე-4-მე-5 ნაწილების, 634-ის მე-4-მე-5 ნაწილების შესაბამისად, არეგულირებს არა ხანდაზმულობას, არამედ იმ განსაზღვრული აღმჭურველი უფლებების ბათილობას, რომლებიც გამომდინარეობს ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევიდან. თუმცა, ეს ბათილობა გამომდინარეობს იმ ფაქტობრივი მდგომარეობიდან, რომ ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია. რამდენადაც ცალკეული მოთხოვნის უფლებები, გამონაკლისის სახით, ხანდაზმულობას არ ექვემდებარება, აღნიშნული გამომდინარეობს კანონიდან (მდრ. მაგ., §§ 194-ის მე-2 ნაწილი, 898, 902, 924).

3. ხანდაზმულობა დგება ხანდაზმულობის ვადის გასვლისთანავე; ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებისათვის იხ. § 195 ველი 2. როგორც წესი, ხანდაზმულობის ვადა შეიძლება მხარეთა შორის შეთანხმებით როგორც შემცირდეს, ისე გახანგრძლივდეს; თუმცა, მაქსიმალური ვადაა 30 წელი (§ 202-ის მე-2 ნაწილი).

4. სამართლებრივი შედეგები. ხანდაზმულობა იწვევს არა მოთხოვნის უფლების გაუქმებას, არამედ ანიჭებს მოვალეს მხოლოდ მყარ უფლებას, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე (§ 214-ის პირველი ნაწილი). იგი უნდა განვასხვაოთ ე. წ. უკიდურესი ვადისაგან, რომლის გასვლისთანავე უფლება უქმდება (მდრ. მაგ., §§ 121, 124, 864). შესაგებლის სახით ხანდაზმულობა მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გამოიყენება მოვალის მიერ. თუ მოვალე ასრულებს ხანდაზმულ მოთხოვნის უფლებას, შესრულების დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია (§ 214-ის მე-2 ნაწილი).

§ 195. ხანდაზმულობის სტანდარტული ვადა

ხანდაზმულობის სტანდარტული ვადა შეადგენს სამ წელს.

1. ნორმა ადგენს ხანდაზმულობის სტანდარტულ ვადას – სამი წელი. აღნიშნული ვადა მოქმედებს ყველა მოთხოვნის უფლების მიმართ, რომლებისათვისაც არ არის დადგენილი განსხვავებული – უფრო ხანგრძლივი ან მოკლე – ვადა (იხ. §§ 196, 197), მიუხედავად მოთხოვნის უფლებების საფუძვლებისა. § 195 სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებებთან ერთად მოიცავს ასევე მოთხოვნის უფლებებს დელიქტიდან, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან და §§ 812-ის და შემდეგი პარაგრაფებიდან გამომდინარე. ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებებში ნაკლიდან გამომდინარე უფლებებისათვის სპეციალურად გასათვალისწინებელია § 438-სა და § 634-ში მოცემული დანაწესები.

2. ხანდაზმულობის სტანდარტული ვადის დენა მონესრიგებულია § 199-ის პირველ ნაწილში; სხვა მოთხოვნის უფლებებისათვის იხ. §§ 200 და შემდეგი პარაგრაფები. მოთხოვნის უფლების ვადამოსულობასთან ერთად (იხ. § 271), § 199-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, სავალდებულოა ის ფაქტი, რომ კრედიტორმა იცოდა მოთხოვნის უფლების მიმნიჭებელი გარემოებების შესახებ, ან არ იცოდა ამის შესახებ უხეში გაუფრთხილებლობის (იხ. § 276-ის მე-9 ველი) შედეგად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ორიენტირება უნდა მოხდეს იმ მომენტზე, როდესაც კრედიტორს პირველად გარემოებების გარეშე შეეძლო მოთხოვნის უფლების მიმნიჭებელი გარემოებების შესახებ გაგება. სუბიექტური მომენტი იწვევს იმას, რომ

ხანდაზმულობა არსებითად უფრო გვიან დგება, ვიდრე სამი წელი მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტიდან. დღის სიზუსტით გამოანგარიშებული ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მტკიცებულება მხარეებს უნარჩუნდებათ წლის ბოლოს ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტის დადგენით (ე. წ. ულტი-მოხანდაზმულობა).

- 3 3. იმისათვის, რომ კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის უფლების მიმნიჭებელი გარემოებების შესახებ ცოდნის (ან უხეში გაუფრთხილებლობით – არცოდნის) სუბიექტური კრიტერიუმი არ იწვევდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ფაქტობრივ ხანდაზმულობაუნარობას, § 199-ის მე-2-მე-4 ნაწილები ადგენს ოცდაათწლიან (მე-2 ნაწილი, მე-3 ნაწილის №2) ან ათწლიან (მე-3 ნაწილის №1, მე-4 ნაწილი) ხანდაზმულობის ობიექტურ მაქსიმალურ ვადას.

§ 196. მიწის ნაკვეთებზე უფლებების ხანდაზმულობის ვადა

მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემაზე, ასევე მიწის ნაკვეთზე უფლების დადგენის, გადაცემისა თუ გაუქმებისათვის მოთხოვნის უფლებების, ასევე ასეთი უფლების შინაარსის შეცვლისათვის, ანდა საპირისპირო შესრულების მოთხოვნის უფლებათა ხანდაზმულობა შეადგენს ათ წელს.

§ 197. ოცდაათწლიანი ხანდაზმულობის ვადა

(1) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა წესია დადგენილი, შემდეგი მოთხოვნის უფლებები არის ხანდაზმული ოცდაათი წლის შემდეგ:

1. ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლებები საკუთრების უფლებიდან და სხვა სანივთო უფლებებიდან, §§ 2018, 2130 და 2362-იდან გამომდინარე, ასევე მოთხოვნის უფლებები, რომლებიც ემსახურება ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების რეალიზაციას;
2. (გაუქმებულია)
3. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის უფლებები;
4. მოთხოვნის უფლებები აღსრულებას დაქვემდებარებული მორიგების აქტივიდან ან სხვა დოკუმენტებიდან გამომდინარე;
5. მოთხოვნის უფლებები, რომლებიც დაექვემდებარა აღსრულებას გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში დადგენისას; და
6. მოთხოვნის უფლებები იძულებითი აღსრულების პროცესში განუხლები ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

(2) იმ ფარგლებში, რომლებშიც პირველი ნაწილის №2-ის მიხედვით, მოთხოვნის უფლებები არის პერიოდულად შესასრულებელი მოქმედებები, ან რჩენის ვალდებულების შესასრულებლად პერიოდული გადახდები და იმ ფარგლებში, რომლებშიც მოთხოვნის უფლებები პირველი ნაწილის №3-5-ის მიხედვით ეხება პერიოდულად შესასრულებელ მოქმედებებს, რომლებიც ვადამოსული იქნება მომავალში, ხანდაზმულობის სტანდარტული ვადის ადგილს იკავებს 30-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

§ 198. ხანდაზმულობა უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში

თუ ნივთი, რომელზეც არსებობს სანივთო მოთხოვნის უფლება, უფლებამონაცვლეობის შედეგად გადადის მესამე პირის მფლობელობაში, ხანდაზმულობის ვადა, რომელიც გავიდა წინამორბედის მიერ მფლობელობის განხორციელების დროს, მიითვლება უფლებამონაცვლის სასარგებლოდ.

§ 199. ხანდაზმულობის სტანდარტული ვადისა და მაქსიმალური ვადის ათვლა

(1) ხანდაზმულობის სტანდარტული ვადის დენა იწყება იმ წლის დამთავრებისას, რომელშიც:

1. წარმოიშვა მოთხოვნის უფლება და
2. კრედიტორმა შეიტყო მოთხოვნის უფლების საფუძვლად არსებული გარემოებებისა და მოვალის პიროვნების შესახებ, ან მას ამის შესახებ უნდა შეეტყო, რომ უხეში გაუფრთხილებლობა არ გამოეჩინა.

(2) ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებები, რომლებიც ეფუძნება სიცოცხლის, სხეულის, ჯანმრთელობის ან თავისუფლების ხელყოფას, მიუხედავად მათი წარმოშობის ხერხისა და ხელყოფის ფაქტის ცნობისა თუ უხეში გაუფრთხილებლობით ფაქტის შესახებ ინფორმაციის არქონისა, ექვემდებარება 30-წლიან ხანდაზმულობის ვადას მოქმედების განხორციელების, ვალდებულების დარღვევის ან სხვა იმ გარემოების დადგომის მომენტიდან, რომელმაც გამოიწვია ზიანის მიყენება.

(3) ზიანის ანაზღაურებაზე სხვა მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია,

1. მიუხედავად ფაქტის შესახებ ცნობისა ან უხეში გაუფრთხილებლობით ფაქტის შესახებ ინფორმაციის არქონისა მათი წარმოშობიდან ათი წლის შემდეგ, და
2. მიუხედავად წარმოშობისა და ფაქტის შესახებ ცნობისა ან უხეში გაუფრთხილებლობით ფაქტის შესახებ ინფორმაციის არქონისა ოცდაათი წლის შემდეგ მოქმედების განხორციელების, ვალდებულების დარღვევის ან სხვა გარემოების დადგომის მომენტიდან, რომელმაც გამოიწვია ზიანის მიყენება.

გამოიყენება ის ვადა, რომელიც უფრო ადრე დასრულდა.

(3ა) მოთხოვნის უფლებები, რომლებიც დამოკიდებულია სამკვიდროს გახსნაზე, ან მათი რეალიზაციის წინაპირობაა საანდერძო განკარგულების შესახებ ცოდნა, ხანდაზმულია, მიუხედავად ფაქტის შესახებ ცნობისა ან უხეში გაუფრთხილებლობით ფაქტის შესახებ ინფორმაციის არქონისა მათი წარმოშობიდან ათი წლის შემდეგ.

(4) მიუხედავად ფაქტის შესახებ ცნობისა ან უხეში გაუფრთხილებლობით ფაქტის შესახებ ინფორმაციის არქონისა, სხვა, გარდა 2-3-ა-თი გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებებისა, ხანდაზმულია მათი წარმოშობიდან ათი წლის შემდეგ.

(5) თუ მოთხოვნის უფლება გულისხმობს მოქმედებისაგან თავის შეკავებას, მაშინ ამ ვალდებულების დარღვევა იკავებს მოთხოვნის უფლების წარმოშობის თარიღის ადგილს.

§ 200. ხანდაზმულობის სხვა ვადების ათვლა

იმ მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადა, რომლებიც არ ექვემდებარება სტანდარტულ ხანდაზმულობის ვადას, ათვლება მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტიდან, თუ ხანდაზმულობის ვადის ათვლისათვის სხვა თარიღი არ არის განსაზღვრული.

შესაბამისად, გამოიყენება § 199-ის მე-5 ნაწილი.

§ 201. ხანდაზმულობის ვადის ათვლა დადასტურებული მოთხოვნის უფლებების მიმართ

§ 197-ის პირველი ნაწილის №3-6-ში მითითებული სახის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გადაწყვეტილების ძალაში შესვლის, სააღსრულებო ფურცლის შედგენის ან მოთხოვნის უფლების გაკოტრების საქმისწარმოების პროცესში დადასტურების მომენტიდან, თუმცა, არა მანამდე, ვიდრე მოთხოვნის უფლება წარმოიშობა. შესაბამისად, გამოიყენება § 199-ის მე-5 ნაწილი.

§ 202. ხანდაზმულობის ვადის შესახებ შეთანხმებების დაუშვებლობა

(1) განზრახვისათვის პასუხისმგებლობის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენის წესები არ შეიძლება წინასწარ გარიგებით შემსუბუქდეს.

(2) გარიგებით ხანდაზმულობის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 30-წლიან ვადას კანონისმიერი ხანდაზმულობის ვადის დასაწყისიდან.

- 1 ნორმა, როგორც წესი, პირველ ნაწილში უშვებს ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც აჩქარებს ხანდაზმულობას, მე-2 ნაწილში კი ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც ხანდაზმულობის ვადის გადადებას იწვევს. შესაბამისი შეთანხმებები შეიძლება დაიდოს თავიდანვე, ასევე – ხელშეკრულების დადების მომენტში და, აგრეთვე, – შემდგომში ხანდაზმულობას დაქვემდებარებული მოთხოვნის უფლებების დანაწილების გამო. შემდგომი შეთანხმებების შემთხვევაში, დამატებით მხედველობაში მისაღები ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება, § 203-იდან გამომდინარე.
- 2 ხანდაზმულობის შესახებ შეთანხმებები ხშირად იდება ნაკლიდან გამომდინარე უფლებებთან დაკავშირებით. რამდენადაც ხანდაზმულობის ვადის შემცირება გულისხმობს პასუხისმგებლობის გამორიცხვას, იგი არ უნდა იყოს, ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების შესაბამისად, §§ 307, 309 №7ა, ბ-ში დადგენილზე ნაკლები (BGH NJW, 2007, 674 №18); თუ პირიქით, ნაკლიდან გამომდინარე უფლებების მფლობელს – მათ შორის, მყიდველი ან შემკვეთი – თავისი უფლებების რეალიზაცია უნდა გაუადვილდეს, მაშინ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ: საქმე შეიძლება ეხებოდეს ხანდაზმულობის მოქმედების დამძიმებას, რომელიც, მე-2 ნაწილის თანახმად, შეიძლება გახანგრძლივდეს მაქსიმუმ 30 წლით. თუმცა, შესაძლებელია ასევე დამოუკიდებელი გარანტია, კერძოდ კი, ნივთის თვისებებისა და სამსახურის გარანტია, § 443-ის თანახმად, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობა, ასევე მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დროის ფარგლებს აღემატებოდეს (BGH NJW, 2008, 2995: 40-წლიანი ნივთის სამსახურის გარანტია).

კარი 2. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და ხელახალი დენა

§ 203-ის შესავალი

- 1 **1. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების შემთხვევაში**, დროის ის მონაკვეთი, როდესაც ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება (§ 209). კერძოდ, ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება მხარეთა შორის მოთხოვნის უფლების ან მის საფუძვლად არსებული გარემოებების თაობაზე მოლაპარაკებების (§ 203), ასევე სასამართლოში საქმისწარმოების შედეგად (§ 204), როგორებიცაა: სარჩელის შეტანა (№1 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 253-ის პირველი ნაწილი, 167-თან ერთად), ან ვადაგადაცილებული დავალიანების გადახდის შესახებ სასამართლოს ბრძანების ჩაბარება (№3 სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 693-ის პირველ ნაწილთან ერთად), ან მისი წარდგენა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 167-ის, 691-ის მე-2 ნაწილი). ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების სხვა საფუძვლები დასახელებულია §§ 205-208-ში.
- 2 **2. §§ 210-211-ით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა** იცავს შეზღუდულ ქმედუნარიან პირს, რომელსაც არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, და მემკვიდრეს ან სამკვიდროს კრედიტორს უფლების დაკარგვამდე, რომლის დროსაც, როგორც წესი, მიმდინარე ხანდაზმულობის ვადა წყდება ექვსი თვის გასვლისთანავე სრულწლოვანების მიღწევის ან სამკვიდროს მიღების შემდეგ.
- 3 **3. ხანდაზმულობის ვადის ხელახალ დენას**, § 212-ის პირველი ნაწილის თანახმად, იწვევს მოვალის აღიარება და სააღსრულებო მოქმედების განხორციელება ან მის შესახებ განცხადების წარდგენა.

§ 203. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება მოლაპარაკებების წარმოებისას

¹თუ მოვალესა და კრედიტორს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები მოთხოვნის უფლების ან მის საფუძვლად არსებული გარემოებების თაობაზე, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება მანამდე, სანამ ერთი ან მეორე მხარე უარს არ იტყვის მოლაპარაკებების გაგრძელებაზე. ²მოთხოვნის უფლება არ არის ხანდაზმული შეჩერების შემდეგ, სულ ცოტა, სამი თვის ვადის გასვლამდე.

§ 204. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება სასამართლოში საქმისწარმოებით

(1) ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება:

1. ვალდებულების შესრულების ან მოთხოვნის უფლების დადასტურების, სააღსრულებო წარწერის გაკეთებისა თუ სააღსრულებო განკარგულების გაცემის მოთხოვნით სარჩელის შეტანით;
2. არასრულწლოვანი პირის რჩენის შესახებ გამარტივებულ საქმისწარმოებაში განცხადების წარდგენით;
3. დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით საქმისწარმოების პროცესში ვადაგადაცილებული დავალიანების გადახდის შესახებ სასამართლოს ბრძანების ჩაბარებით ან ევროპული გადახდის ბრძანების ჩაბარებით დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით ევროპული საქმისწარმოების პროცესში ევროპული პარლამენტისა და დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით ევროპული საქმისწარმოების მიღების შესახებ საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის №1896/2006 დადგენილების (ევროკავშირი) თანახმად (ABI. EU Nr. L 399, გვ. 1);
4. სამომრიგებლო წარმოებაში ქონებრივი სარჩელის შესახებ შეტყობინებით, რომელიც წარდგენილ იქნა ფედერაციული მხარის იუსტიციის მმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული ან აღიარებული სამომრიგებლო ორგანოს მიერ, ან, თუ მხარეები მორიგებას ცდილობენ შეთანხმების დადებით, ნებისმიერი სხვა სამომრიგებლო ორგანოს მიერ, რომელიც ავგარებს დავას; თუ შეტყობინება გაკეთდა განცხადების წარდგენიდან უმოკლეს ვადაში, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება დაუყოვნებლივ განცხადების წარდგენისთანავე;
5. სასამართლო დავის განხილვისას გაქვითვის მოთხოვნის უფლების წარდგენით;
6. სასამართლო დავაში მესამე პირის ჩართვის შესახებ განცხადების წარდგენით;
7. დამოუკიდებელი მტკიცების პროცესის ჩატარების მოთხოვნაზე განცხადების წარდგენით;
8. შეთანხმებული ექსპერტიზის დაწყებით;
9. ყადაღის დადების შესახებ, დროებითი აკრძალვის ან დროებითი განკარგულების განცხადების წარდგენით, ანდა, თუ განცხადება არ წარედგინება, – მისი გადაცემით, თუ ყადაღის დადების შესახებ ბრძანება, დროებითი აკრძალვა ან დროებითი განკარგულება მოვალისათვის წარდგენილ იქნა მისი გამოცხადებიდან ან კრედიტორისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
10. გაკოტრების საქმისწარმოების ან საზღვაო სამართლის თანახმად, კრედიტორებს შორის ქონების განაწილების პროცესის დროს მოთხოვნის უფლების წარდგენით;
11. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებით;
12. განცხადების ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენით, თუ სარჩელის დასაშვებობა დამოკიდებულია ამ ადმინისტრაციული ორგანოს წინასწარ გადაწყვეტილებაზე და სარჩელი შეიტანება განცხადების წარდგენიდან სამი თვის განმავლობაში; ანალოგიური წესი, შესაბამისად, გამოიყენება იმ განცხადებების მიმართ, რომლებიც უნდა წარედგინოს სასამართლოს, ან ზემოთ,

№4-ში მითითებულ სამომრიგებლო ორგანოს, რომელთა დასაშვებობა დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს წინასწარ გადაწყვეტილებაზე;

13. ზემდგომი სასამართლოსთვის განცხადების წარდგენით, თუ ამ უკანასკნელმა უნდა იიღოს გადაწყვეტილება განსჯადი სასამართლოს თაობაზე და განცხადების წარდგენიდან სამი თვის განმავლობაში სარჩელი შეიტანება, ანდა წარედგინება განცხადება, რომლითაც უნდა გადაწყდეს განსჯადობის საკითხი; და
14. სასამართლოში საქმისწარმოებისათვის იურიდიული დახმარების განვებაზე პირველი განცხადების შეტყობინებით; თუ შეტყობინება გაკეთდა განცხადების წარდგენიდან უმოკლეს ვადაში, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება დაუყოვნებლივ განცხადების წარდგენისთანავე.

(2) პირველი ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება მთავრდება საქმისწარმოებაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ან საქმის სხვაგვარად დასრულებიდან ექვს თვეში. ²თუ საქმის განხილვა ჩერდება იმის გამო, რომ მას მხარეები აღარ აწარმოებენ, მაშინ მხარეთა, სასამართლოს ან სხვა საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ საქმისწარმოებისას განხორციელებული ბოლო მოქმედება იკავებს საქმისწარმოების თარიღის ადგილს. ³ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება განახლდება, თუ ერთ-ერთი მხარე გააგრძელებს საქმისწარმოებას.

(3) პირველი ნაწილის №9, 12 და 13-ის ვადის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 206, 210 და 211.

§ 205. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების შემთხვევაში

ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ ვადით, რა ვადითაც მოვალე კრედიტორთან შეთანხმების საფუძველზე დროებით უფლებამოსილია, უარის თქვას ვალდებულების შესრულებაზე.

§ 206. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება დაუძლეველი ძალის შემთხვევაში

ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ ვადით, რა ვადითაც კრედიტორი ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მოკლებულია საკუთარი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობას დაუძლეველი ძალის შედეგად.

§ 207. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ოჯახური და სხვა მსგავსი გარემოებებით

(1) ¹მეუღლეებს შორის მოთხოვნის უფლებებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ ვადით, რა ვადითაც არსებობს ქორწინება. ²ანალოგიური წესი მოქმედებს:

1. თანაცხოვრებაში პარტნიორებს შორის თანაცხოვრების ვადის განმავლობაში;
2. მშობლებსა და შვილებს, ერთ-ერთი მშობლის მეუღლესა და ამ მეუღლის შვილებს შორის ამ უკანასკნელთა არასრულწლოვანების განმავლობაში;
3. მეურვესა და სამეურვეო პირს შორის მეურვეობის სამართლებრივი ურთიერთობის განმავლობაში;
4. სამზრუნველო პირსა და მზრუნველს შორის სამზრუნველო ურთიერთობის განმავლობაში;
5. სამზრუნველო პირსა და მზრუნველს შორის სპეციალური მზრუნველობის განმავლობაში არსებული მოთხოვნის უფლებების მიმართ.

პატრონაჟის განმახორციელებელი პირის მიმართ ბავშვის მოთხოვნის უფლებებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება პატრონაჟის ვადის განმავლობაში.

(2) § 208 უცვლელი რჩება.

§ 208. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება სექსუალური თვითგამორკვევის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის უფლებების შემთხვევაში

¹სექსუალური თვითგამორკვევის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება კრედიტორის მიერ 21 წლის ასაკის მიღწევამდე. ²თუ სექსუალური თვითგამორკვევის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის უფლებების კრედიტორი ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისისათვის მოვალესთან ერთად საერთო სახლში ცხოვრობს, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება ასევე თანაცხოვრების დასრულებამდე.

§ 209. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების სამართლებრივი შედეგი

დროის ის მონაკვეთი, როდესაც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება.

§ 210. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუ-
ნარიანი პირების შემთხვევაში

(1) ¹თუ ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუუნარიან პირს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მაშინ მის სასარგებლოდ ან საზიანოდ დენადი ხანდაზმულობის ვადა არ მთავრდება ექვსი თვის გასვლამდე იმ მომენტის დადგომიდან, როდესაც პირი იძენს შეუზღუდავ ქმედუუნარიანობას ან არ გამოსწორდება წარმომადგენლობის ნაკლი. ²თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე მცირეა, მაშინ ხანდაზმულობისათვის დადგენილი ვადა იკავებს ექვსი თვის ვადის ადგილს.

(2) პირველი ნაწილი არ გამოიყენება იმ ფარგლებში, რომლებშიც შეზღუდულქმედუუნარიანი პირი პროცესუნარიანია.

§ 211. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სამემკვიდრეო საქმეებში

¹მოთხოვნის უფლება, რომელიც შედის სამემკვიდრო ქონებაში, ან მიმართულია მის წინააღმდეგ, არ არის ხანდაზმული ექვსი თვის ვადის გასვლამდე იმ მომენტიდან, როდესაც სამემკვიდრო მიღებულ იქნა მემკვიდრის მიერ, ან სამემკვიდრო ქონების მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმისწარმოება, ანდა მოთხოვნის უფლება წარდგენილ იქნა წარმომადგენლის მიერ ან მის მიმართ. ²თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე მცირეა, მაშინ ხანდაზმულობისათვის დადგენილი ვადა იკავებს ექვსი თვის ვადის ადგილს.

§ 212. ხანდაზმულობის ვადის ხელახალი დენა

(1) ხანდაზმულობის ვადის დენა ხელახლა იწყება, თუ

1. მოვალე კრედიტორის მიმართ ნაწილობრივი გადახდით, პროცენტის გადახდით, უზრუნველყოფის წარდგენით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის უფლებას, ან
2. სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელდება სააღსრულებო მოქმედება ან ამ მოქმედების მოთხოვნით შეტანილ იქნება განცხადება.

(2) სააღსრულებო მოქმედების შედეგად ხანდაზმულობის ვადის განახლება არ ითვლება მომხდარად, თუ სააღსრულებო მოქმედება გაუქმდა კრედიტორის განცხადებით ან კანონისმიერი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო.

(3) სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შედეგად ხანდაზმულობის ვადის ხელახლა დენა არ ითვლება მომხდარად, თუ განცხადება არ იქნა მიღებული, ან იგი უკან იქნა გამოთხოვილი სააღსრულებო მოქმედების განხორციელებამდე, ანდა განხორციელებული სააღსრულებო მოქმედება, მე-2 ნაწილის თანახმად, გაუქმებულ იქნა.

§ 213. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და ხელახალი დენა სხვა მოთხოვნის უფლებების შემთხვევაში

ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და ხელახალი დენა მოქმედებს ასევე იმ მოთხოვნის უფლების მიმართ, რომლებიც იმავე საფუძვლით წარედგინება დამატებით მოთხოვნის უფლებასთან ერთად ან მის ნაცვლად.

კარი 3. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები

§ 214. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები

(1) ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალე უფლებამოსილია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე.

(2) ¹ხანდაზმული მოთხოვნის უფლების დასაკმაყოფილებლად განხორციელებული შესრულება არ შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი მაშინაც კი, როდესაც შესრულება ხორციელდება ხანდაზმულობის ფაქტის არცოდნის შემთხვევაში. ²ანალოგიური წესი მოქმედებს როგორც ხელშეკრულების შესაბამისად აღიარების, ისე მოვალის მიერ წარდგენილი უზრუნველყოფის მიმართ.

§ 215. გაქვითვა და დაკავების უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ

ხანდაზმულობა არ გამოორიცხავს გაქვითვასა და ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლებას, თუ მოთხოვნის უფლება ჯერ არ იყო ხანდაზმული იმ მომენტისათვის, როდესაც გაქვითვა ან ვალდებულების შესრულებაზე უარი ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო.

§ 216. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლებების შემთხვევაში

(1) იმ მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობა, რომლისთვისაც არსებობს იპოთეკა, საზღვაო ხომალდის იპოთეკა ან გირავნობა ხელს არ უშლის კრედიტორს, დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა დატვირთული საგნიდან.

(2) ¹თუ მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა უფლება, მაშინ ხანდაზმულობის საფუძვლით უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია. ²პირობადებული საკუთრების შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია ასევე მაშინაც, როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია.

(3) პირველი და მე-2 ნაწილები არ გამოიყენება პროცენტებისა და სხვა პერიოდულად განსახორციელებელი გადახდებისაგან შემდგარი მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობისადმი.

1. ნორმის შედეგად აქცესორული სანივთო უფლების მფლობელს შეუძლია უზრუნველყოფის უფლებიდან უპირატესი დაკმაყოფილების მიღება, მიუხედავად უზრუნველყოფილი მოთხოვნის ხანდაზმულობისა (პირველი ნაწილი). ამ სპეციალური დანაწესის გარეშე, აქცესორულობის პრინციპის მიხედვით, შედეგი იქნებოდა ის, რომ უზრუნველყოფის უფლებიდან გამომდინარე ხანდაზმულობაზე დაფუძნებული შესაგებლის (§ 214-ის პირველი ნაწილი) წარდგენა შესაძლებელია ასევე აღსრულების პროცესშიც (შდრ. §§ 1137, 1211).

2. მე-2 ნაწილი იცავს უზრუნველყოფის მიმღებს, მსგავსად უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლებით გადაცემის, უზრუნველსაყოფი მოთხოვნის დათმობისა და პირობადებული საკუთრების შემთხვევაში დაცვის წესებისა. ისევე, როგორც პირველ ნაწილში დასახელებული გირავნობის უფლებების შემთხვევაში, სანივთო უზრუნველყოფის მფლობელი არ უნდა იყოს დამოკიდებული მისი ვალ-

დებულებით-სამართლებრივი გადახდის მოთხოვნის უფლების (ხშირად მართლაც მოკლევადიანი) ხანდაზმულობისაგან (შდრ. RegBegr BT-Drucks, 14/6040, 122). პირობადებული საკუთრებისათვის (§§ 449-ის მე-2 ნაწილის, 218-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების გამო საჭირო იყო სპეციალური რეგულირება (იხ. § 449-ის მე-11 ველი).

§ 217. დამატებითი ვალდებულებების ხანდაზმულობა

მთავარი მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმული ხდება დამატებითი ვალდებულებებიც მაშინაც კი, როდესაც ამ დამატებითი ვალდებულებების მიმართ სპეციალური ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა.

§ 218. სამართლებრივი ძალის არმქონე ხელშეკრულებიდან გასვლა

(1) ვალდებულების შეუსრულებლობისა თუ ხელშეკრულების შეუსაბამოდ განხორციელებული შესრულებისათვის ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ვალდებულების შესრულების ან შესრულებისშემდგომი მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია და მოვალე ამაზე მიუთითებს. ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, მაშინაც, როდესაც მოვალეს, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების, § 439-ის მე-3 ნაწილის ან § 635-ის მე-3 ნაწილის მიხედვით, ვერ მოეთხოვება ვალდებულების შესრულება და ვალდებულების შეუსრულებლობისა თუ ხელშეკრულების შეუსაბამოდ განხორციელებული შესრულებისათვის მოთხოვნის უფლებები ხანდაზმული იქნებოდა. ²§ 216-ის მე-2 წინადადება უცვლელი რჩება.

(2) შესაბამისად, გამოიყენება § 214-ის მე-2 ნაწილი.

1. ხელშეკრულებიდან გასვლა (§ 323) არის არა მოთხოვნის უფლება, არამედ აღმჭურველი უფლება და, შესაბამისად, იგი არ ექვემდებარება ხანდაზმულობას (იხ. § 194-ის პირველი ნაწილი). თუმცა, § 218-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ვალდებულების შეუსრულებლობისა თუ არაჯერონად შესრულებისათვის ხელშეკრულებიდან გასვლას მაინც აცხადებს სამართლებრივი ძალის არმქონედ, როდესაც ვალდებულების შესრულების (შესრულებისშემდგომი) მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია და მოვალე აღნიშნულზე მიუთითებს. ფაქტობრივად ხელშეკრულებიდან გასვლა ასევე ექვემდებარება ხანდაზმულობის მომწესრიგებელ ნორმებს (იხ. § 323-ის მე-5 ველი). ნორმა § 438-ის V-სა და § 634-ის V-ზე მითითებით მოქმედებს ასევე ნასყიდობისა თუ ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფასის დაკლების უფლების მიმართ, რომელიც, როგორც აღმჭურველი უფლება, ანალოგიურად არ ექვემდებარება ხანდაზმულობას. § 218-ის პირველი ნაწილით დადგენილი სამართლებრივი ძალის არმქონე ხელშეკრულებიდან გასვლის გამო-ნაკლისი არსებობს პირველი ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად, § 216-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებასთან ერთად.

2. მე-2 ნაწილში მოცემული § 214-ის მე-2 ნაწილზე მითითების ძალით ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ძალის არქონის ან ფასის დაკლების მიუხედავად, – და, შესაბამისად, § 812-ის პირველი ნაწილის გაგებით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, – შესრულებულის დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია. § 346-ის პირველი ნაწილის თანახმად, უკან დაბრუნებელი შესრულებები და მიღებული სარგებელი ისევე არ შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი, როგორც ფასის დაკლების შემთხვევაში (§§ 441-ის მე-4 ნაწილის, 638-ის მე-4 ნაწილის შესაბამისად ანაზღაურებელი ზედმეტობა.

§§ 219-225 (გაუქმებულია)

ნინილი 6. უფლების განხორციელება, თავდაცვა, თვითდახმარება

§ 226. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

§ 227. აუცილებელი მოგერიება

(1) აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

(2) აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვა პირებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად.

§ 228. უკიდურესი აუცილებლობა

¹პირი, რომელიც აზიანებს ან ანადგურებს სხვა პირის კუთვნილ ნივთს ამ უკანასკნელისაგან საკუთარი თავის ან სხვა პირებისაკენ მიმართული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ დაზიანება ან განადგურება აუცილებელია საფრთხისაგან დასაცავად და ზიანი საფრთხის არაპროპორციული არ არის. ²თუ საფრთხის გამომწვევი პირი მოქმედებდა ბრალეულად, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ზარალი.

§ 229. თვითდახმარება

პირი, რომელიც თვითდახმარების მიზნით წართმევს, გაანადგურებს ან დაზიანებს ნივთს, ან თვითდახმარების მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც შეიძლება მიიმალოს, ანდა აღკვეთს ვალდებულ პირის წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა, არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ სახელისუფლო ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და არსებობს საფრთხე, რომ სწრაფი ჩარევის გარეშე უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება.

§ 230. თვითდახმარების ფარგლები

(1) თვითდახმარება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

(2) ნივთების წართმევის შემთხვევაში, თუ არ ხორციელდება იძულებითი აღსრულება, წარდგენილ უნდა იქნეს ნივთზე ყადაღის დადების შესახებ განცხადება.

(3) ვალდებულ პირის შეპყრობის შემთხვევაში – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შემდგომში გათავისუფლდება – მოვალის დაკავების შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ხორციელდება დაკავება; ვალდებულ პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს.

(4) თუ ყადაღის დადების შესახებ განცხადების შეტანა ყოვნდება, ან მასზე უარი იქნება განცხადებული, მაშინ ჩამორთმეული ნივთები დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებულ იქნეს, ხოლო დაკავებული პირი გათავისუფლდეს.

§ 231. თვითდახმარება შეცდომით

პირი, რომელიც § 229 მუხლში მითითებულ მოქმედებებს ახორციელებს მცდარი ვარაუდით, რომ სახეზე იქნებოდა მართლზომიერების გამომრიცხავი საფუძვე-

ლები, ვალდებულია, მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი მაშინაც კი, როდესაც შეცდომა არ იყო გაუფრთხილებლობის შედეგი.

ნაწილი 7. უზრუნველყოფის წარდგენა

§ 232. სახეები

(1) პირი, რომელმაც უნდა წარადგინოს უზრუნველყოფა, შეუძლია ამის განხორციელება ფულის ან ფასიანი ქაღალდების დეპოზიტზე შეტანით, მოთხოვნების დაგირავებით, რომლებიც რეგისტრირებულია ვალების ფედერალურ რეესტრში, ან ფედერაციული მხარის ვალების რეესტრში, მოძრავი ნივთების დაგირავებით, საზღვაო ხომალდზე ან მშენებარე საზღვაო ხომალდზე იპოთეკის დადგენით, რომლებიც რეგისტრირებულია გერმანიის საზღვაო ხომალდების ან მშენებარე საზღვაო ხომალდების რეესტრში, ქვეყნის შიგნით მიწის ნაკვეთებზე იპოთეკის დადგენით, მოთხოვნების დაგირავებით, რომელთა უზრუნველსაყოფადაც ქვეყნის შიგნით მიწის ნაკვეთებზე არსებობს იპოთეკა, ან ქვეყნის შიგნით მიწის ნაკვეთებზე მიწის ვალების, ანდა სარენტო ვალების დაგირავება.

(2) თუ აღნიშნული სახით უზრუნველყოფა არ შეიძლება წარდგენილ იქნეს, დასაშვებია სათანადო თავდებობის წარდგენა.

§ 233. დეპოზიტზე შეტანის სამართლებრივი შედეგები

დეპოზიტზე შეტანით უფლებამოსილი პირი დეპონირებულ ფულსა თუ ფასიან ქაღალდებზე იძენს გირავნობის უფლებას, ხოლო თუ ფული ან ფასიანი ქაღალდები გადადის ხაზინის ანდა სადეპოზიტოდ გათვალისწინებული დაწესებულების საკუთრებაში, – გირავნობის უფლებას ანაზღაურების მოთხოვნაზე.

§ 234. უზრუნველსაყოფად ვარგისი ფასიანი ქაღალდები

(1) ¹ფასიანი ქაღალდები უზრუნველსაყოფად ვარგისია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაცემულია წარმომდგენზე, აქვს საბაზრო ღირებულება და განეკუთვნება ისეთი სახის ფასიან ქაღალდებს, რომლებშიც შეიძლება ინვესტირებულ იქნეს სამეურვეო პირის კაპიტალი. ²საწარმდგენლო ფასიან ქაღალდებს უთანაბრდება საორდერო და საბლანკო ინდოსირებადი ფასიანი ქაღალდები.

(2) ფასიან ქაღალდებთან ერთად დეპონირებას ექვემდებარება პროცენტული, სარენტო და განახლებადი კუპონები.

(3) ფასიანი ქაღალდები შეიძლება წარდგენილ იქნეს უზრუნველსაყოფად მხოლოდ მათი საბაზრო ღირებულების სამ მეოთხედამდე.

§ 235. გაცვლის უფლება

პირი, რომელიც წარადგენს უზრუნველყოფას ფულის ან ფასიანი ქაღალდების დეპოზიტზე შეტანით, უფლებამოსილია, გაცვალოს დეპონირებული ფული უზრუნველსაყოფად ვარგისი ფასიანი ქაღალდებზე, ხოლო დეპონირებული ფასიანი ქაღალდები – სხვა უზრუნველსაყოფად ვარგისი ფასიანი ქაღალდებზე ან ფულზე.

§ 236. რეგისტრირებული მოთხოვნები

ფედერაციის ან ფედერაციული მხარის მიმართ ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უზრუნველსაყოფად მხოლოდ იმ ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების სამ მეოთხედამდე, რომელთა გადაცემის მოთხოვნა შეუძლია კრედიტორს თავისი მოთხოვნის დაფარვის სანაცვლოდ.

§ 237. მოძრავი ნივთები

¹მოძრავი ნივთები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უზრუნველსაყოფად მხოლოდ მათი შეფასებითი ღირებულების ორ მესამედამდე. ²მალფუჭებადი ნივთების ან იმ ნივთების მიღებაზე, რომელთა შენახვა დაკავშირებულია განსაკუთრებულ სირთულეებთან, შეიძლება უარი იქნეს განცხადებული.

§ 238. იპოთეკები, მიწის ვალი და სარენტო ვალი

(1) იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მიწის ვალი და სარენტო ვალი ვარგისია უზრუნველსაყოფად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეესაბამება იმ პირობებს, რომელთა საფუძველზეც უზრუნველყოფის წარდგენის ადგილზე ნებადართულია სამეურვეო პირის კაპიტალის ინვესტირება იპოთეკურ მოთხოვნებში, მიწის ვალებსა თუ სარენტო ვალებში.

(2) იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა არ არის ვარგისი უზრუნველყოფის მიზნებისათვის.

§ 239. თავდები პირი

(1) თავდები პირი ჩაითვლება სათანადოდ, თუ იგი ფლობს წარსადგენი უზრუნველყოფის შესაბამის ქონებას და ექვემდებარება ქვეყნის შიგნით სასამართლო განსჯადობას.

(2) თავდებობის განცხადება უნდა შეიცავდეს თავდები პირის უარს შესაგებელზე, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.

§ 240. უზრუნველყოფის დამატების ვალდებულება

თუ წარდგენილი უზრუნველყოფა არასაკმარისი გახდა კრედიტორის ბრალის გარეშე, მას უნდა დაემატოს სხვა უზრუნველყოფა, ან იგი უნდა შეიცვალოს ამ უკანასკნელით.

ნიგნი 2. ვალდებულებითი სამართალი

ნაწილი 1. ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსი

კარი 1. ქმედების განხორციელების ვალდებულება

§ 241-ის შესავალი

1. **ზოგადი მიმოხილვა.** ყველა ვალდებულებითი ურთიერთობის ამოსავალი წერტილია კრედიტორის უფლება, მოითხოვოს ქმედების განხორციელება (სავალდებულო მოთხოვნა ანუ მოწოდება რაიმეს შესასრულებლად), რომელსაც შეესაბამება მოვალის ვალდებულება – განახორციელოს ქმედება. როგორც წესი, უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ კრედიტორსა და მოვალეს შორის (ვალდებულებითი ურთიერთობის ფარდობითობა). ამასთან, მესამე პირს აქვს ვალდებულებით ურთიერთობაში ჩარევის შესაძლებლობა (შესრულება, §§ 267, 362), კრედიტორის (§ 398 და მომდევნო პარაგრაფები) ან მოვალის მხარეს (§ 414 და მომდევნო პარაგრაფები). მესამე პირს ასევე შეუძლია გახდეს ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე, ან მისთვის უცხო ვალდებულებითი ურთიერთობიდან მოიპოვოს მოთხოვნის უფლება (მაგ., მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, §§ 328).

ერთმანეთისგან განასხვავებენ **გარიგებისა და კანონის საფუძველზე წარმოშობილ** ვალდებულებით ურთიერთობებს. პირველი წარმოიშობა ხელშეკრულებით (§ 311-ის პირველი ნაწილი) ან ცალმხრივი გარიგებით (მაგ. ჯილდოს საჯაროდ დაპირება, § 657), ხოლო კანონის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობა – კანონის ძალით (მაგ., 677-ე და მომდევნო პარაგრაფები, 812-ე და მომდევნო პარაგრაფები, 823-ე და მომდევნო პარაგრაფები).

2. **კეთილგანწყობით დადებული ხელშეკრულებები** (მაგ. ჩუქება – § 516, თხოვნა – § 598, დავალება – § 662, უსასყიდლო მიბარება (შენახვა) – § 690) **განსხვავდება კეთილგანწყობილი (თავაზიანი) დაპირებისაგან.** ეს უკანასკნელი შეიძლება გამომდინარეობდეს მეგობრული ურთიერთობიდან, მხარეთა ურთიერთპატივისცემიდან და ასეთი დაპირება მიზნად არ ისახავს ვალდებულების წარმოშობას. კეთილგანწყობით დადებული ხელშეკრულება უბრალო თავაზიანი დაპირებისაგან განსხვავდება სამართლებრივი ბოჭვის ნებით. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია, თუ როგორ შეაფასებდა ობიექტური დამკვირვებელი ნების გამომვლენის ქმედებას ყველა კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით (BGHZ, 21, 102, 107). უბრალო კეთილგანწყობით (თავაზიანი) ურთიერთობაზე შესაძლებელია მიუთითოს ურთიერთობის ფორმამ, საფუძველმა და მიზანმა, ასევე ურთიერთობის ეკონომიკურმა და სამართლებრივმა მნიშვნელობამ, და მონაწილე მხარეების ინტერესებმა. თუ პირს აქვს თავისი ეკონომიკური ინტერესი, მაშინ ეს გარემოება მიუთითებს მის სამართლებრივი ბოჭვის ნებაზე, ხოლო ნების გამომვლენის მიერ არაპროპორციული პასუხისმგებლობის გამო რისკის ალება სამართლებრივი ბოჭვის ნების საწინააღმდეგოდ მეტყველებს. სამართლებრივი ბოჭვა მოცემულია, როდესაც ერთი სატრანსპორტო ფირმა მეორე სატრანსპორტო ფირმისგან მძღოლს „ითხოვს“ (BGHZ, 21, 102); პირის სამართლებრივი ბოჭვის ნება სახეზე არ არის იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ლოტოს მოთამაშეთა ამხანაგობისათვის ლოტოს ბილეთებს შეავსებს და შეიტანს²².

²² საუბარია ამხანაგობაზე, რომელიც ერთიანდება ერთობლივი ფსონის გაკეთების მიზნით. ხელშეკრულების თანახმად, ერთ-ერთ თანამონაწილეს ევალება შეთანხმებისამებრ ბილეთის შევსება და შეტანა. იმ შემთხვევაში, თუ ის ამას არ ან ვერ განახორციელებს, რომლითაც ამხანაგობას შეიძლება და სოლიდური თანხა მოეგო, ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების თაობაზე (BGH NJW, 1974, 1705).

როგორც წესი, მეზობლის მიერ ბავშვებზე ყურადღების მიქცევა არ წარმოშობს ამ პირის სამართლებრივ ბოჭვას, ასევე პირის მიერ ნაცნობის დამგზავრება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მგზავრობის ხარჯების განაწილება). კეთილგანწყობითი ურთიერთობის გამიჯვნა თავაზიანი დაპირებისაგან მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის დასადგენად § 278-ის მიხედვით (და არა მხოლოდ, § 831-ის შესაბამისად, დელიქტით) და ქონებრივი ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისათვის (ამგვარი შემთხვევა გვაქვს კონკლუდენტურად დადებული ინფორმაციის გაცემის შესახებ ხელშეკრულებების დროსაც.²³ იხ. § 675 ველი 4). კეთილგანწყობით (თავაზიან) ურთიერთობებში პირი პასუხს აგებს, როგორც წესი, მხოლოდ § 823-ისა და მომდევნო პარაგრაფების შესაბამისად (დელიქტური პასუხისმგებლობა). ასევე, შესაძლებელია, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშვას c.i.c.²⁴ ანალოგიის გზით გამოყენების საფუძველზეც (სახელდობრ, § 311-ის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად), როდესაც კეთილგანწყობითა ურთიერთობამ ხელშეკრულების მსგავსი სანდოობის შემადგენლობა შექმნა. პასუხისმგებლობის მასშტაბი კეთილგანწყობითი ურთიერთობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების დროს, როგორც წესი, შემოიფარგლება §§ 521, 599, 690-ით (მაგრამ შედარებისთვის იხ. ასევე § 662 ველი 4); ხოლო, ჩვეულებრივ, კეთილგანწყობითი (თავაზიანი) ურთიერთობების შემთხვევებში სასამართლო პრაქტიკის სანინაალმდეგოდ, რეკომენდებულია ნორმების ანალოგიის წესით გამოყენება (*Medicus/Paters Rz 369*). ანალოგიების გამოყენებით, კეთილგანწყობითი ხელშეკრულებისა და უბრალოდ კეთილგანწყობითი (თავაზიანი) ურთიერთობების რთული გამიჯვნა ხშირად ნაწილობრივ მარტივდება.

- 3 3. ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები. ა) ძირითადი ვალდებულებები მოიცავს ხელშეკრულების ტიპისათვის დამახასიათებელ ვალდებულებებს და განსაზღვრავს ვალდებულებითი ურთიერთობის ტიპსა და სახეს. იგი ქმნის ხელშეკრულების ძირითად შემადგენელ ნაწილს (*essentialia negotii*) და განისაზღვრება მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადების პროცესში, ვინაიდან ძირითადი ვალდებულებების განსაზღვრის გარეშე ხელშეკრულება ძალაში არ შედის (მაგ. ნივთის გადაცემა, მფლობელობის მინიჭება, უნაკლო ნივთის გადაცემა, ნივთის საფასურის გადახდა ნასყიდობის დროს); ბ) დამატებითი ვალდებულებები ემსახურება ძირითადი ვალდებულებების მომზადებასა და შესრულებას. მაგალითად, დამატებით ვალდებულებებზეა საუბარი ხანდაზმულობის შესახებ § 217-ში; გ) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებასთან არ არის კავშირში ქმედების განხორციელებისა და სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულებები, რომელთა მიხედვითაც მხარეებს ეკისრებათ ერთმანეთის უფლებების, ქონებრივი სიკეთისა და ინტერესების პატივისცემა (§ 241-ის მე-2 ნაწილი). სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია ქმედების განხორციელება იმავდროულად მიმართული იყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე (იხ. აგრეთვე § 282 ველი 1); დ) პირველადი ვალდებულებები წარმოიშობა უშუალოდ ვალდებულებითი ურთიერთობიდან (ყველა ძირითადი, დამატებითი და სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულებები), მეორადი ვალდებულებები კი წარმოიშობა მხოლოდ ძირითადი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (მაგ. ზიანის ანაზღაურება, 280-ე და მომდევნო პარაგრაფები).**

- 4 4. გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობები. ა) გამიჯვნა.** გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების დროს ვალდებულების შესრულება გათვალისწინებულია დროის დიდ მონაკვეთში. ეს შესაძლებელია გამომდინარეობდეს ვალდებულების ბუნებიდან (ე.წ. „ბუნებით გრძელვადიანი ვალდებულებითი

²³ საუბარია ბანკის ვალდებულებაზე, საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს თავის კლიენტზე ინფორმაცია მესამე პირებს.

²⁴ *Culpa in contrahendo* (ლათ.: ბრალეულობა ხელშეკრულების დადების დროს).

ურთიერთობები“, მაგ.: ქირავნობა, შრომითი ხელშეკრულება), ან ერთჯერადად განხორციელებული ურთიერთგაცვლითი ქმედებები (შესრულებები) დროის დიდ მონაკვეთში მუდმივად მეორდება (ხელშეკრულება საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების შესახებ, მაგ. ლუდის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებები, სადაც მთლიანი მისაწოდებელი რაოდენობა წინასწარ არ არის დადგენილი: სხვა შემთხვევაში, სახეზეა ხელშეკრულება საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდებაზე, რომელიც, როგორც ერთიანი ნასყიდობის ან წარდობის ხელშეკრულება, გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობას არ წარმოადგენს).

ბ) სამართლებრივი შეფასება. ვალდებულებითი სამართლის ნორმები, რომლებიც მიზნად ისახავს ვალდებულებების ერთჯერად ურთიერთგაცვლას, გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების შემთხვევაში საჭიროებს მოდიფიცირებას, ვინაიდან გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა მუდმივად წარმოშობს ახალ ვალდებულებასა და ასევე სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულებებს. გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობები წარმოშობს უფრო ფართო სამართლებრივი სიკეთის დაცვისა და გულისხმიერების ვალდებულებებს. სახელშეკრულებო ან კანონისმიერი რეგულირების არარსებობის დროს (მაგ. §§ 626, 723, I, 2), § 314-ის შესაბამისად შესაძლებელია მათი შეწყვეტა მნიშვნელოვანი გარემოების გამო.

§ 241. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები

(1) ¹ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. ²ვალდებულების შესრულება შეიძლება, ასევე, გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებითაც.

(2) თავისი შინაარსის მიხედვით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებების, ქონებრივი სიკეთისა და ინტერესების პატივისცემას.

1. ვალდებულებითი ურთიერთობიდან (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) გამომდინარე ვალდებულებებს, ქმედების განხორციელების ვალდებულებასთან ერთად, მიეკუთვნება **დამატებითი და სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულებები** (მე-2 ნაწილი). ისინი წარმოიშობა ხელშეკრულების დადებით, თუმცა, ასევე, წინასახელშეკრულებო სტადიაზეც (მაგ., ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე; შდრ. § 311-ის მე-3 ველი) და მათი მოქმედება უფრო მეტია, ვიდრე დელიქტური ნორმებით სამართლებრივი სიკეთეების დაცვა (მოქმედებს აგრეთვე § 278). § 823 იცავს არა მხოლოდ უფლებებსა და სამართლებრივ სიკეთეებს, არამედ ყველა სახის ინტერესს, განსაკუთრებით, ქონებრივ ინტერესსა და გადანყვეტილების მიღების თავისუფლებას (RegBegr BT-Drucks 14/6040, 126). ზოგიერთ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულებები (მაგ.: გულისხმიერების მოვალეობა, მზრუნველობა, ახსნა-განმარტების მიცემის ვალდებულება), რომლებიც ვალდებულებითი ურთიერთობის „შინაარსიდან“ გამომდინარეობს და არ საჭიროებს მხარეების მიერ განსაკუთრებულად შეთანხმებას.

2. ხელშეკრულების **დამატებითი ვალდებულებების** დარღვევად მიიჩნევა შემდეგი შემთხვევები: **ა) კრედიტორის სხვა უფლებები და სამართლებრივი სიკეთეები.** ასეთი შემთხვევა მოცემულია, მაგალითად, ხელშეკრულების მონაწილე მხარის (მაგ., კრედიტორის) ცილისმწამებლურ კრიტიკაში (OLG Hamburg BB 1973, 1409), და როდესაც სამუშაოთა განხორციელების დროს უყურადღებოვით გაჩენილი ხანძრით გამოწვეულ იქნა ზიანი (BGH VersR 1976, 166); გასარემონტებელი საგნის მიმართ უსაფრთხოების წესების დაუცველობის შესახებ იხილეთ BGH NJW 1983, 113. **ბ) ახსნა-განმარტებისა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები.**

მაგ.: მიმდინარე ანგარიშის მფლობელი ვალდებულია, პასპორტის და ჩეკის ბარათის დაკარგვის შემთხვევაში აცნობოს ბანკს (BGH NJW 1968, 37); გამყიდველი, რომელიც მყიდველს დიდი ხნის განმავლობაში ერთი და იმავე ხარისხის პროდუქციას აწვდის, ვალდებულია, მყიდველს აცნობოს ხარისხის რომელიმე ნიშან-თვისების ცვლილების შესახებ (BGHZ 132, 175). გამყიდველის მიერ ახსნა-განმარტების ვალდებულება გვაქვს სახეზე მაშინაც, როდესაც მწარმოებლის სამონტაჟო ინსტრუქცია მონტაჟის განსახორციელებლად შესაბამის კვალიფიციურ პროფესიულ ცოდნას მოითხოვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამყიდველი ასეთ ცოდნას მონტაჟის განსახორციელებლად არ მიიჩნევს აუცილებლად (BGH NJW 2007, 3057 Nr 37). **გ) მზრუნველობის განგრძობადი ვალდებულებები.** დამატებითი ვალდებულებების მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს ხელშეკრულების დასრულების შემდგომაც. მაგ.: კლინიკის ძველი შენობის გამქირავებელი ვალდებულია, კლინიკის ახალ შენობაში გადასვლის შემთხვევაში, გარკვეული დროის განმავლობაში ჩამოკიდოს დაფა კლინიკის ახალი მისამართის მინიშნებით.

3 დ) მოთხოვნათა არაუფლებამოსილი (შეუსაბამო) განხორციელება. ხელშეკრულების მხარე, § 241-ის შესაბამისად, არღვევს გულისხმიერების ვალდებულებას არსებული ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში მაშინ, როდესაც ის მეორე მხარისგან იმას ითხოვს, რაც მას ხელშეკრულების თანახმად არ ევალება ან გამოიყენებს აღმჭურველ უფლებას, რომელიც მას არ გააჩნია (BGH NJW, 2009, 1262, Nr 17). ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს (გაუფრთხილებლობით) პირის უსაფუძვლო მოთხოვნა ნივთის ნაკლის გამოსწორების თაობაზე (BGH NJW, 2008, 1147 Nr 12) ან პირის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა თვალთმაქცურად, პირადი საჭიროებიდან გამომდინარე. პირს, რომლის მიმართაც წაყენებული იქნება მსგავსი მოთხოვნა, შეიძლება წარმოეშვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ადვოკატის აყვანის ან მგზავრობისა და შრომითი დანახარჯების გამო. არაუფლებამოსილი მოთხოვნის წარმდგენ პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა § 280-ის პირველი ნაწილის მე-2 ნინადადების, § 241-ის მე-2 ნაწილისა და § 276-ის შესაბამისად, თუ ის საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში შეამონმებს ხელშეკრულების ხელშეშლის გამომწვევ მიზეზს და დარწმუნდება, რომ მისი სამართლებრივი მდგომარეობა დასაბუთებულია (დასაბუთებულობის შეფასება). თუ დასაბუთებულობის კონტროლი პირს დადებით შედეგამდე მიიყვანს, მაშინ იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი მოთხოვნა მოგვიანებით უსაფუძვლო აღმოჩნდება (BGH aaO Nr 20). თუ მხარეებს შორის არ არსებობს ვალდებულებითი ურთიერთობა, მაშინ არ წარმოიშობა მოთხოვნა უსაფუძვლო მოთხოვნის წარდგენის გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ასეთ დროს ე.წ. ზოგადი მატერიალური ხარჯების ანაზღაურებაზე მოთხოვნა არ არსებობს, ვინაიდან, როგორც გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო მიიჩნევს, არაუფლებამოსილი მოთხოვნებით (უსაფუძვლო სარჩელებით) კონფრონტაცია ცხოვრებისეული რისკია (BGH NJW 2007, 1458 Nr 14). ამასთანავე, უსაფუძვლო მოთხოვნის წარდგენით არ წარმოიშობა რაიმე სახის განსაკუთრებული კავშირი, რომლიდანაც სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულებები შეიძლება გამომდინარეობდეს (BGH aaO Nr 13). სხვაგვარად უნდა შეფასდეს ის შემთხვევები, როდესაც ხდება არარსებული მოთხოვნის პროცესუალურ დონეზე განხორციელება: სარჩელის აღძვრა სავარაუდო უფლებების განსახორციელებლად არ ქმნის რაიმე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას. სამართლებრივი მდგომარეობის დაუდგურად შეფასების გამო სარჩელის წარმდგენი არაუფლებამოსილი პირი პასუხს აგებს მხოლოდ საპროცესო სამართლის ნორმებით (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 91-ე და მომდევნო პარაგრაფებით). ნინაღმდეგ შემთხვევაში, შეიზღუდებოდა სასამართლოებისადმი მიმართვის თავისუფლება (BGH NJW 2009, 1262 Nr 12).

§ 241ა. ვალდებულების შესრულება შეკვეთის გარეშე

(1) მენარმის მიერ მომხმარებლისათვის შეუკვეთავი ნივთების მიწოდება ან შეკვეთის გარეშე სხვა შესრულების განხორციელება არ წარმოშობს ამ უკანასკნელის მიმართ მოთხოვნის უფლებას.

(2) კანონისმიერი მოთხოვნის უფლებები არ არის გამორიცხული, თუ ვალდებულების შესრულება მიმღებისათვის არ იყო განკუთვნილი ან იყო იმ ცდარი წარმოდგენის შედეგი, რომ თითქოს განხორციელდა შეკვეთა და მიმღებმა იცოდა ამის შესახებ, ან მას შეეძლო სცოდნოდა, სამოქალაქო ბრუნვაში სათანადო მზრუნველობა რომ გამოეჩინა.

(3) შეკვეთის შეუსაბამო შესრულება არ ხდება, თუ მომხმარებელს შეკვეთილი შესრულების ნაცვლად სთავაზობენ ხარისხისა და ფასის მიხედვით ეკვივალენტური ღირებულების შესრულებას და მას მიეთითა, რომ იგი ვალდებული არ არის შეთავაზების მიღებაზე და მას არ ეკისრება უკან გაგზავნის ხარჯების ანაზღაურება.

1. მიმოხილვა. ნორმა იცავს მომხმარებელს (მომხმარებლის ცნება, § 13) იმ სამართლებრივი შედეგებისგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც მომხმარებელს მიწოდებული საქონელი ან სხვა განხორციელებული შესრულება არ შეუკვეთია. მომხმარებლის მიმართ მოთხოვნების **სრული გამორიცხვა** ამ მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით ცდება ამ სფეროში მოქმედი ევროპულ-სამართლებრივი ნორმებს, კერძოდ, **დისტანციური ხელშეკრულებების შესახებ 1997 წლის 20 ივნისის (ABI. EG Nr. L 144 S. 19) დირექტივის** მე-9 მუხლს და § 241ა-ს ანიჭებს **სანქციის ბუნებას** კონკურენციის დარღვევის შემთხვევებისთვის (შდრ. RegBegr BT-Drucks 14/2658, 46). მოქმედების მიხედვით ნორმა § 817-ის მე-2 ნინადადების მსგავსია.

2. მოქმედების სფერო. ა) საგნობრივი თვალსაზრისით, ნორმის წინაპირობა არის შეუკვეთავი ნივთების (§ 90) მიწოდება ან შეკვეთის გარეშე სხვა შესრულების განხორციელება (ნორმის პირველი ნაწილი). „შეკვეთა“ არის საქონლის გაგზავნის ან სხვა შესრულების განხორციელების ფაქტობრივი მოთხოვნა. უმნიშვნელოა გარიგების ნამდვილობის ხელშემშლელი გარემოებები (შემკვეთის ქმედუნარობა, შეცილებული ან სხვა საფუძვლით ბათილი გარიგების საფუძველზე საქონლის მიწოდება ან სხვა შესრულების განხორციელება). ნორმა მოქმედებს არა მხოლოდ ხელშეკრულების მომზადების მიზნით გაგზავნილი საქონლის შემთხვევებში, არამედ მაშინაც, როდესაც მენარმე ხელშეკრულების დადების შემდგომ გაცნობიერებულად ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ სხვა საქონელს აწვდის (Aliud), ხოლო შეცდომით სხვა საქონლის მიწოდებაზე § 434-ის მე-3 ნაწილის მოქმედება ვრცელდება (ცალკეულ შემთხვევებში სადავოა; შდრ. *Palandt-Heinrichs*, მე-4 ველი). § 241ა-ს მე-3 ნაწილის მიხედვით, სახეზე არ გვაქვს შეუკვეთავი საქონლის მიწოდება, როდესაც მომხმარებელი შეკვეთის ნაცვლად სხვა ტოლფას შესრულებას იღებს და მენარმე მე-3 აბზაცით გათვალისწინებულ მითითების ვალდებულებას ასრულებს; **ბ) სუბიექტური** თვალსაზრისით, ნორმის მოქმედების სფერო ვრცელდება მხოლოდ მენარმის (§ 14), როგორც შემსრულებლის განმარტების, და მომხმარებლის (§ 13), როგორც შესრულების მიმღების, ურთიერთობაზე. სხვა დანარჩენ მოცემულობებზე ვრცელდება ზოგადი მოქმედების ნორმები.

3. პირველი ნაწილის სამართლებრივი შედეგები. პირველი ნაწილი ნორმის ძირითად სამართლებრივ შედეგად ადგენს მენარმის მიერ მომხმარებლისადმი სახელშეკრულებო და კანონისმიერი მოთხოვნების გამორიცხვას შეუკვეთავი საქონლის მიწოდების ან სხვა შესრულების განხორციელების შემთხვევებში.

ა) სახელშეკრულებო გადახდისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების გამორიცხვასთან მიმართებით ნორმას, გარკვეულწილად, მხოლოდ დეკლარაცი-

ული ხასიათი აქვს. უბრალო დუმილი შეუკვეთავ მიღებულ საქონელზე, ან შეუკვეთავი მომსახურების განევაზე, თვით კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმების მიხედვითაც არ ჩაითვლება (ძირითად შემთხვევებში) კონკლუდენტურ აქცეპტად ხელშეკრულების დადების კონკლუდენტურ შეთავაზებაზე (შდრ. იხ. § 147 ველი 1). თუმცა, პირველი ნაწილის თანახმად, ხელუხლებელი რჩება შესაძლებლობა, § 151-ის შესაბამისად მაინც შედგეს გარიგება. ვინაიდან პირველი ნაწილის კანონისმიერი რეგულირება შედეგის სახით „ჩუქებით“ გამოიხატება (RegBegr BT-Drucks 14/2658, 46), § 151-ით გათვალისწინებული აქცეპტის სურვილის აშკარა დადასტურების მიმართ უნდა დანესდეს უფრო მაღალი მოთხოვნები. § 151-ის ზოგადი პრინციპებიდან გადახრის მიუხედავად (შდრ. იხ. § 151 ველი 2), შეუკვეთავი ნივთის გამოყენება ან გასხვისება მაინც არ მიიჩნევა კონკლუდენტურ აქცეპტის ფორმად (გაბატონებული შეხედულება; შდრ. *Palandt-Heinrichs* მე-6 ველი).

5 ბ) ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, გამორიცხულია (შდრ. RegBegr BT-Drucks 14/2658, 46) აგრეთვე მენარმის კანონისმიერი მოთხოვნები მომხმარებლის მიმართ (მაგ. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა, § 985; ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, § 823-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების მიხედვით; უკან დაბრუნების ან სარგებლის გადმოცემის მოთხოვნები, § 812-ის ან § 987-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების მიხედვით; თუმცა, გამონაკლისია ნორმის მე-2 ნაწილი). სხვა შეხედულების მიხედვით (Hk-Schulze, მე-7 ველი), § 241ა-ს მიზნებისთვის §§ 985-იდან და 812-იდან გამომდინარე მოთხოვნები ზედმეტად იზღუდება და ამ მოთხოვნების უზრუნველყოფა შესაძლებელი უნდა იყოს იმ შემთხვევებში, როდესაც მომხმარებელს საკუთარი კანონიერი ინტერესების ხელშეშლის გარეშე საგნის უკან დაბრუნება შეუძლია, ხოლო მენარმეს შეუძლია საგნის თავისი ხარჯებით წამოღება. თუმცა, მომხმარებელს არ ეხება შენახვის ან შენარჩუნების ვალდებულება (ხარჯები).

6 გ) § 929-ის პირველი წინადადების თანახმად, მიწოდებულ ნივთზე **საკუთრების უფლება არ გადავა** მომხმარებელზე, ვინაიდან, როგორც წესი, ამ დროს სახეზე არაა მენარმის მიერ საკუთრების უფლების გადაცემის სურვილი. ამ შემთხვევაში არც საკუთრების უფლება მოიპოვება ხანდაზმულობით (§ 937), ვინაიდან სახეზე არ გვაქვს კეთილსინდისიერი მფლობელობა. მომხმარებლის მიერ მესამე პირზე მიწოდებული ნივთის გასხვისების შემთხვევაში, იგი არის არაუფლებამოსილი პირი § 816-ის თანახმად, მენარმეს უფლება აქვს მოითხოვოს ამონაგების მისთვის გადაცემა; როგორც ალტერნატივა, მას შეუძლია § 985 გამოიყენოს შემქმნის წინააღმდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი არაკეთილსინდისიერია.

7 4. **შეცდომით განხორციელებული შესრულება (მე-2 ნაწილი)**. მენარმის შეცდომით განხორციელებული ქმედებებისთვის ნორმის მე-2 ნაწილი შეიცავს პირველი ნაწილის სამართლებრივი შედეგების შემზღვეველ რეგულირებას.

8 ა) **ნორმის მე-2 ნაწილის გამოყენების წინაპირობაა** მენარმის მიერ ვალდებულების შეცდომით განხორციელება არასწორი მიმღების მიმართ (მაგ. მისამართის ან სახელის არევის გამო), ანდა შეკვეთის შეცდომით მიღება და განხორციელება (მაგ. ორჯერ ერთი და იმავე საქონლის მიწოდება). ამ შემთხვევაში, მენარმის უხეში გაუფრთხილებლობაც არ ცვლის სამართლებრივ შედეგს (*Palandt-Heinrichs*, მე-8 ველი), მაგრამ მენარმის შეცდომა მომხმარებლისთვის უნდა იყოს შეცნობადი სამოქალაქო ბრუნვაში მოქმედი სათანადო მზრუნველობის (§ 276-ის მე-2 ნაწილი) ნესების თანახმად.

9 ბ) **სამართლებრივი შედეგი. საქონლის შეცდომითი მიწოდების შემთხვევაში**, ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით გამორიცხულია კანონისმიერი მოთხოვნის უფლებები მენარმისთვის ძალაში რჩება. ამ შემთხვევაში, სახელშეკრულებო მოთხოვნები არ წარმოიშობა. მიმღებს აქვს შეცდომით მიღებულის შენახვის, მაგრამ

არა უკან გაგზავნის ვალდებულება. აღნიშნული საქონლის უკან გაგზავნის შემთხვევაში, წარმოიშობა დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, § 683-ის შესაბამისად.

§ 242. ვალდებულების შესრულება კეთილსინდისიერად

მოვალე ვალდებულია, შესრულება განახორციელოს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, ჩვეულების ნორმების გათვალისწინებით.

I. ზოგადი მიმოხილვა

§ 242-ის სიტყვასიტყვითი ჟღერადობიდან გამომდინარეობს, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით მოქმედება ეკისრება როგორც მოვალეს, ისე კრედიტორს. იგი ვრცელდება ყველა სახის კერძო, საჯარო და პროცესუალურ სამართლებრივ ურთიერთობაზე. მისი შემადგენლობა შემდეგნაირია: სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე მხარეებმა, ვალდებულების შესრულების განმავლობაში და მის შემდგომ უნდა დაიცვან ნდობის პრინციპი, გულისხმიერად მოეკიდონ ერთმანეთის უფლებებს, ქონებრივ სიკეთესა და ინტერესებს, იმოქმედონ ლოიალობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელთა დაკონკრეტება შემდგომი ცალკეული ფუნქციებით ხდება: **განვრცობის ფუნქცია** – არსებული ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულებების დაკონკრეტება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით. ხელშეკრულების ახალი დამატებითი ვალდებულებები, რომლებიც ემსახურებიან ხელშეკრულების განხორციელების უზრუნველყოფას ან ხელშეკრულების მხარეების დაცვას, წარმოიშობიან კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით; **ზღუდის დანესების ფუნქცია** – კეთილსინდისიერების პრინციპი ქმნის იმანენტურ (განუყოფელ) ჩარჩოს არსებული უფლებების განხორციელებისთვის; **შესწორების ფუნქცია** – კეთილსინდისიერების პრინციპით შესაძლებელია სამართლებრივი ურთიერთობების შეცვლილ გარემოებებზე მისადაგება (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, § 313).

II. უფლებების შეზღუდვა

ზღუდის დანესების ფუნქციით კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს, რომ „თავისთავად“ არსებული უფლება არ უნდა იქნეს განხორციელებული. § 242-ის მიხედვით, კრედიტორის მოთხოვნის წინააღმდეგ მოვალეს აქვს შეცლილების უფლება, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ შეზღუდვის ფარგლებში მოთხოვნა ისეთი სახით ველარ განხორციელდება, როგორც არსებობდა.

1. უფლების ბოროტად გამოყენება. შემთხვევათა ჯგუფები: **ა) დაუყოვნებელი (იმავედროული) დაბრუნების ვალდებულება** (*dolo agit, qui petit, quod statim redditurus est*²⁵). უფლების ბოროტად გამოყენება არის კრედიტორის მიერ ისეთი საგნების მოთხოვნა, რომელიც მან მოვალეს სხვა სამართლებრივ საფუძველზე (მაგ. ზიანის ანაზღაურება ან უსაფუძვლო გამდიდრება) უკან უნდა დაუბრუნოს. მაგ., მესამე პირის სარჩელი, როდესაც მოსარჩელეს თვითონაც ეკისრება პასუხისმგებლობა (შდრ. აგრეთვე: §§ 273, 387); **ბ) უფლებამოსილი პირის კანონისმიერი ინტერესის არარსებობა.** მაგ., სარჩელი ინფორმაციის მოპოვების თაობაზე იმ მიზნით, რომ ინფორმაცია გამოყენებულ იქნეს კონკურენციის მიზნებისთვის; **გ) არათანაზომიერება.** უმნიშვნელო ვალდებულების დარღვევა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასშტაბური სამართლებრივი შედეგების მისაღებად. მაგ., ხელშეკრულებაზე უარის თქმა უმნიშვნელო ვადის გადაცილების გამო.

25 ლათინურიდან – „მზაკრულად მოქმედებს ის, ვინც იმას ითხოვს, რაც იმავედროულად უკანვე უნდა დააბრუნოს.“

- 4 **2. წინააღმდეგობრივი ქმედება (venire contra fatum proprium²⁶)** უფლებას აძლევს ვალდებულების მონაწილე მხარეებს, უარი თქვან შესრულების განხორციელებაზე, როდესაც უფლებების განხორციელება მონაწილე მხარის უკვე განხორციელებულ ქმედებასთან მიმართებაში გადაუჭრელ წინააღმდეგობაშია და კანონისმიერი ნდობის გამო მეორე მხარე მოტყუვდა. ამ შემთხვევაში, ბრალეულობა უმნიშვნელოა. მაგ., როგორც წესი, ამა თუ იმ სამართლებრივი შეხედულების შეცვლა დაშვებულია; წინააღმდეგობრივი ქმედება მოცემულია, როდესაც ერთი მხარე ხელშეკრულების ჩანაწერს (მუხლს) დიდი დროის განმავლობაში განსაზღვრული სახით განმარტავს და მეორე მხარე ამ განმარტების მიხედვით მოქმედებს.
- 5 წინააღმდეგობრივი ქმედების შემთხვევაა **უფლების დაკარგვა**. მისი წინაპირობებია: ა) მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი არ მიმართავს მის განხორციელებას ან აღმჭურველი უფლების გამოყენებას დიდი ხნის განმავლობაში (დროის ფაქტორი); ბ) წარმოიშობა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც დაგვიანებას ნდობის დარღვევად წარმოაჩენენ (გარემოებითი ფაქტორი. როგორც წესი, ყველა უფლებამოსილ პირს თავისუფლად შეუძლია, სრულად გამოიყენოს ხანდაზმულობის ან ვალდებულების შესრულების უკიდურესი ვადები). მაგ.: უფლების დაკარგვა იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის განხორციელება მოხდა სამკვიდროს გახსნიდან მხოლოდ 20 წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მასთან დაკავშირებულ მოთხოვნაზე მორიგება არსებობდა.

§ 243. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულება

- (1) თუ პირი ვალდებულია მხოლოდ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემაზე, მაშინ მან უნდა გადასცეს საშუალო სახისა და ხარისხის ნივთი.
- (2) თუ მოვალემ გააკეთა ყველაფერი, რაც მისი მხრიდან აუცილებელია ასეთი ნივთის მიწოდებისათვის, მაშინ ვალდებულება შემოიფარგლება მიწოდებული ნივთით.

I. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ვალდებულება

- 1 **1. ცნება.** გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დროს ხელშეკრულების მხარეები არ განსაზღვრავენ ვალდებულების საგანს ინდივიდუალურად, როგორც ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთით ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, არამედ განსაზღვრავენ მას მხოლოდ მისი გვაროვნული ნიშნებით, როგორებიცაა, მაგალითად: ტიპი, მახასიათებლები და ა.შ. გვაროვნული ნიშნების დადგენა, რომლიდანაც ვალდებულების საგანი წარმოიშობა, ხდება **მხარეთა სუბიექტური წარმოდგენებით**; შესაბამისად, არ არის აუცილებელი, რომ ვალდებულების საგანი შენაცვლებადი ნივთი იყოს (§ 91; ობიექტური მასშტაბი), მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ასეა. მაგ.: თუ ვალდებულების საგანია სოფელ „ა“-ში მდებარე მიწის ნაკვეთი ტბის ხედით, მაშინ სახეზე გვექნება გვაროვნული ნივთით შესასრულებელი ვალდებულება, მაგრამ არა შენაცვლებადი ნივთი (ვინაიდან ამ მიწის ნაკვეთის შენაცვლება შეუძლებელია). შენაცვლებადი, მაგრამ არა გვაროვნული ნივთია მოცემული, როდესაც ვალდებულების საგანია ერთი რომელიმე განსაზღვრული ახალი ავტომობილი. არც გვაროვნული და არც შენაცვლებადი ნივთია მოცემული, როდესაც ვალდებულების საგანია რომელიმე კონკრეტული ნახმარი ავტომობილი: ნახმარი ავტომობილი ბაზრის ბრუნვის (ობიექტური) შეხედულებით ვერ განიხილება შენაცვლებად ნივთად. შეზღუდული გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის ვალდებულების შემთხვევაში (**მარაგით შესასრულებელი ვალდებულება**) მოვალეს ვალდებულების შესრულება ეკისრება განსაზღვრული მარაგიდან.

26 ლათინურიდან – „საკუთარი, უკვე განხორციელებული, ქმედების წინააღმდეგ მოქმედება“.

2. მნიშვნელობა. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული შესრულების შემთხვევაში სახეზეა შესრულების მიზნებისთვის გამოსადეგი რამდენიმე ნივთი და მოვალეს, პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულების შესრულება ევალება საშუალო სახისა და ხარისხის ნივთით (ვალდებულების შესრულების გამარტივება გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულების დროს). შესაბამისად, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში **მას ეკისრება ნივთის მოძიება (შოვნა)** და ასევე ნივთის მოძიებასთან დაკავშირებული რისკი (შდრ. § 276-ის მე-9 ველი). ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთით ვალდებულების შესრულებისგან განსხვავებით, გვაროვნული ნივთის დაღუპვის შემთხვევაში, მოვალე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან (შდრ. § 275-ის მე-3 ველი). ის რჩება შესრულებაზე ვალდებული მანამ, სანამ გვაროვნული ნივთი ხელმისაწვდომია. მოვალე ვალდებულებისგან თავისუფლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გვაროვნული ნივთი ბაზარზე აღარ იარსებებს, ან მთლიანი რაოდენობა დაიღუპება, ხოლო მარაგით შესასრულებელი ვალდებულების დროს კი მაშინ, როდესაც მთლიანი მარაგი დაიღუპება. არაჯეროვანი შესრულებისას ან სხვა ნივთის მიწოდების დროს კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ნივთზე და აღძრას შესაგებელი ხელშეკრულების შეუსრულებლობის თაობაზე (§ 320). მას, აგრეთვე, შეუძლია განახორციელოს ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნები (§§ 434-ის პირველი, მე-3, 437, 439).

II. ვალდებულების დაკონკრეტება (§ 243-ის მე-2 ნაწილი)

ვალდებულების დაკონკრეტება გულისხმობს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ვალდებულების გადაქცევას ინდივიდუალურად განსაზღვრულ ვალდებულებად.

1. წინაპირობები. როდის განახორციელა მოვალემ „თავის მხრივ ყველაფერი“ (ვალდებულების შესრულების ქმედება), დამოკიდებულია ვალდებულების სახეზე. მინიმალური წინაპირობაა, რომ მოვალემ ყოველთვის ხელშეკრულების შესაბამისი ნივთი უნდა შეარჩიოს (არგ.: ნორმის დანაწესი – „ასეთი ნივთის მიწოდება“, მაშასადამე, „საშუალო სახისა და ხარისხის ნივთი“). **მიწოდების ვალდებულების არსებობისას კრედიტორს ნივთი, ფაქტობრივად, უნდა მიეწოდოს თავის საცხოვრებელ ადგილას იმისათვის, რომ § 294-ის მიხედვით, ვალდებულების შეთავაზებამ გამოიწვიოს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები. გაგზავნის ვალდებულების დროს საკმარისია ნივთის გადამზიდავისათვის გადაცემა. კრედიტორის მიერ ნივთის წამოღების ვალდებულების შემთხვევაში, ნივთის დაკონკრეტება ხდება გადარჩევით და, § 295-ის მოცემულობის თანახმად, ნივთის (შესრულების) სიტყვიერი შეთავაზებით. თუ ნივთი ნაკლულია, § 243-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვერ მოხდება დაკონკრეტება; თუმცა, მყიდველს შეუძლია, § 439-ის შესაბამისად, დამატებითი შესრულების სახით მოითხოვოს ნივთის ნაკლის გამოსწორება და ამით განახორციელოს დაკონკრეტება (Medicus/Petersen, 260-ე ველი).**

2. სამართლებრივი შედეგები. ა) თუ გვაროვნული ნივთი დაკონკრეტების შედეგად გადაიქცა ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთად, მოვალე ვალდებულების საგნის შემთხვევითი დაღუპვის შემთხვევაში თავისუფლდება ვალდებულებისგან (ვალდებულების შესრულების შეუძლებლობით, § 275-ის პირველი ნაწილის შესაბამისად). დაკონკრეტებამდე შესაძლებელია, შესრულების საფრთხე და შემთხვევითი დაღუპვის რისკი კრედიტორზე გადავიდეს § 300-ის შესაბამისად მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შესრულებას არ იღებს.

ბ) მოვალის ბოჭვა. გაბატონებული შეხედულების თანახმად, მოვალე ერთხელ განხორციელებული დაკონკრეტებით, როგორც წესი, შებოჭილია (შდრ. MüKo-Emmerich, 33-ე და მომდევნო ველები). ამ მოსაზრებას ამყარებს ის არგუმენტი,

რომ კრედიტორს უნდა შეეძლოს ვალდებულების სრულად შესრულებამდე საქონლის განკარგვა. განსხვავებული მოსაზრების მიხედვით, § 243-ის მე-2 ნაწილის ფუნქცია მხოლოდ მოვალის დაცვაა (შესრულების რისკის გადასვლა). შესრულებამდე მას შეუძლია, უარი თქვას ამგვარ დაცვაზე და დაკონკრეტება გააუქმოს იმ შედეგით, რომ შესრულების საფრთხე მასზე გადავიდეს (*Medicus JuS 1966, 297; Larenz SchR I § 11 I*).

§ 244. ვალდებულება უცხოურ ვალუტაში

(1) თუ ევროსაგან განსხვავებული ვალუტით გამოხატული ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ქვეყნის შიგნით, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს ევროთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ვალუტით გადახდა სპეციალურად არის შეთანხმებული.

(2) გადაცვლა ხორციელდება იმ კურსით, რომელიც გადახდის მომენტისათვის დადგენილია გადახდის ადგილზე.

§ 245. განსაზღვრული ფულადი ნიშნებით შესასრულებელი ვალდებულება

თუ ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს განსაზღვრული ფულადი ნიშნებით, რომლებიც გადახდის მომენტისათვის ხმარებაში აღარ არის, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს ისე, თითქოს განსაზღვრული ფულადი ნიშნები არ ყოფილიყო განსაზღვრული.

§ 246. კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი

თუ ვალს კანონის ან გარიგების მიხედვით უნდა დაერიცხოს პროცენტი, მაშინ საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ ოთხ პროცენტს, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი.

§ 247. ბაზისური საპროცენტო განაკვეთი

(1) ¹ბაზისური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 3,62 პროცენტს. ²იგი იცვლება ყოველი წლის პირველ იანვარს და პირველ ივლისს იმ ნიშნულით, რომლითაც სანაწიის სიდიდე გაიზარდა ან შემცირდა პროცენტის ბაზისური განაკვეთის ბოლო ცვლილების შემდეგ. ³სანაწიის სიდიდე შეადგენს ევროპის ცენტრალური ბანკის რეფინანსირების უკანასკნელი ძირითადი ოპერაციის საპროცენტო განაკვეთს პირველ კალენდარულ დღემდე შესაბამისი ნახევარწლიანი პერიოდისთვის.

(2) გერმანიის ფედერალური ბანკი დაუყოვნებლივ აცხადებს მოქმედ ბაზისურ საპროცენტო განაკვეთს ფედერალურ გაზეთში პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში მითითებული თარიღის შემდეგ.

§ 248. პროცენტის პროცენტი

(1) ბათილია წინასწარ დადებული შეთანხმება, რომლითაც გადასახდელ პროცენტებს დამატებით კიდევ უნდა დაერიცხოს პროცენტები.

(2) ¹შემნახველ სალაროებს, საკრედიტო დაწესებულებებსა და საბანკო ბიზნესის მფლობელებს შეუძლიათ, წინასწარ შეთანხმდნენ, რომ ანაბრებზე მიუღებელი პროცენტები განიხილება როგორც ახალი პროცენტული ანაბრები. ²საკრედიტო დაწესებულებებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, მათ მიერ გაცემულ კრედიტებზე გამოუშვან პროცენტიანი სავალო დოკუმენტები წარმომდგენზე, შეუძლიათ, ამ სესხებისათვის წინასწარ პირობად დათქვან ვადაგადაცილებულ პროცენტებზე პროცენტის გადახდა.

§§ 249-253-ის შესავალი

მიმოხილვა

	ველი
I. ზოგადი მიმოხილვა	1
1. ზიანის ანაზღაურების ცნება და შინაარსი	1
2. ზიანის ანაზღაურების საფუძვლები	2
II. ანაზღაურებადი ზიანის დადგენა	3
1. ზიანის ცნება	3
2. მოძღვრება ნორმატიული ზიანის შესახებ	5
3. პოზიტიური და ნეგატიური ინტერესი	8
4. ზიანის დათვლა	9
5. სარგებლის გაქვითვა	10
III. ზიანის წარმომშობი მიზეზობრიობა	12
1. პასუხისმგებლობისა და ზიანის წარმომშობი მიზეზობრიობა	12
2. შერაცხვის საფუძვლები	13
3. მსხვერპლიდან გამომდინარე ზიანის დადგომის განსაკუთრებული რისკი	16
4. შიშობითი მიზეზობრიობა	17
5. მართლზომიერი ალტერნატიული ქმედება	19
IV. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირთა წრე	21
1. ძირითადი პრინციპები	21
2. მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულება	22
3. მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია	25

I. ზოგადი მიმოხილვა

1. **ზიანის ანაზღაურების ცნება და შინაარსი.** § 249-253 არეგულირებს, თუ რა შემთხვევაში და რა ოდენობით წარმოეშობა პირს ანაზღაურებადი ზიანი და რა წესით შეუძლია მას მოითხოვოს ზიანის აღმოფხვრა. ზიანის დადგენის პრობლემები (უფრო დანერგებით იხ. მე-3 და 21-ე ველი და მომდევნო ველები) და სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში განვითარებული ზიანის შერაცხვის საფუძვლები მოვალის უფლების ან ვალდებულების დარღვევის გამო ქმნის შემადგენლობის შემდეგ ორ სახეობას: მიზეზობრიობას ქმედებასა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას (შედეგს) შორის (ე.წ. **პასუხისმგებლობის წარმომშობი შემადგენლობა – haftungsausfüllender Tatbestand**) და მიზეზობრიობას სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასა (შედეგს) და ზიანს შორის (ე.წ. **ზიანის წარმომშობი შემადგენლობა – haftungsbegründender Tatbestand**). § 249 და მომდევნო პარაგრაფები, მათი საფუძვლიდან გამომდინარე, არ წარმოშობენ ვალდებულებას ზიანის ანაზღაურებაზე; ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამომდინარეობს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) მოთხოვნის საფუძვლებიდან. მაგ.: § 280-283, 678, 823, 989; (შედ. § 823-ის შესავალი, ველი 1).

2. **ზიანის ანაზღაურების ძირითადი საფუძვლები.** ზიანის ანაზღაურების სამართალი ემყარება ზიანის ნატურით ანაზღაურებისა და სრული ანაზღაურების პრინციპს („ანაზღაურდება ყველაფერი ან არაფერი“): მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც კი ანაზღაურდება მთლიანი ზიანი (თუმცა, შედ. იხ. § 254; იხ. ასევე, § 249 ველი 1); ხოლო ზიანის ნატურით ანაზღაურების განვრცობა ხდება კომპენსაციის პრინციპით (§ 251). დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, ფულადი სახით ანაზღაურდება მხოლოდ ქონებრივი ზიანი (არგ., § 253, ამასთან დაკავშირებით დამატებით იხ. ქვემოთ).

II. ანაზღაურებადი ზიანის დადგენა

- 3 1. ზიანის ცნება. ა) საფუძვლები.** „ბუნებრივ ზიანად“ მიიჩნევა ყველა ზიანი (დანაკარგი), რომელიც პირის პირად სიკეთეს (როგორცაა, მაგ.: პატივი, საკუთრება, ქონება) მიადგება. ზიანის ქვეშ მოიაზრება როგორც მატერიალური (ქონებრივი), ასევე, არამატერიალური (არაქონებრივი) ზიანი. პასუხისმგებლობა ორივე სახის ზიანისთვის სხვადასხვაგვარად წესრიგდება. ე.წ. **სხვაობათა ჰიპოთეზის** თანახმად, ყოველთვის სახეზეა **ქონებრივი ზიანი** მაშინ, როდესაც პირის ქონება ზიანის გამომწვევი მოვლენის შედეგად იმაზე ნაკლები გახდა, ვიდრე ამ მოვლენის გარეშე იქნებოდა. დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (ზიანის ანაზღაურება ნატურით § 249), ხოლო როდესაც ეს შეუძლებელია, ან არასაკმარისია ზიანის აღმოსაფხვრელად, მაშინ მას უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია (კომპენსაციის პრინციპი § 251). სხვაობათა ჰიპოთეზის შედეგების „გამოსწორება“ ხდება მოძღვრებით ნორმატიული ზიანის შესახებ (BGHZ, 98, 212, 217; იხ. აქვე, მე-5 ველი). **არაქონებრივი ზიანი მოცემულია** მაშინ, როდესაც ქონებრივ მდგომარეობათა ურთიერთშედარება, სხვაობათა ჰიპოთეზის თეორიის შესაბამისად, შეუძლებელია (მაგ. პატივის შელახვა ან დაკარგული შვებულების ხალისი). § 253-ის დანაწესის გამო, არამატერიალური ზიანის დროს, როგორც წესი, შესაძლებელია მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ნატურით მოთხოვნა (მაგ. პატივის შელახვის შეწყვეტა), რაც პრაქტიკაში ხშირად შეუძლებელია ან არასაკმარისი; მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აქვს დაზარალებულ პირს უფლება, არამატერიალური ზიანისათვის მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია, სახელდობრ, § 253-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად; ზოგადი პიროვნული უფლების დარღვევის შემთხვევაში იხილეთ § 823-ის მე-17 ველი.
- 4 ბ) ბავშვი, როგორც ზიანი. აა) კონსტიტუციურსამართლებრივი პრობლემატიკა.** თუ პაციენტი დებს ხელშეკრულებას ექიმთან კონსულტაციის ან მკურნალობის შესახებ, რომ ბავშვის დაბადება სრულად (მაგ. კონტრაცეპტივით) ან სხვა განსაზღვრული გარემოებების (მაგ., ბავშვის მძიმე ინვალიდობის) არსებობის დროს თავიდან იქნეს აცილებული და, მიუხედავად ამისა, ექიმის დაუფიქრობით (არასასურველი) ბავშვი ჩნდება, არსებობს ერთიანი მიდგომა საკითხისადმი, რომ ამ შემთხვევაში, **ბავშვი არასოდეს ჩაითვალება ზიანად**, ვინაიდან ეს წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის ღირსების დაცვასთან (გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილი). ამის საპირისპიროდ, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო, დადგენილი პრაქტიკის თანახმად, მიიჩნევს (რაც სადავოა), რომ მშობლების მიერ ბავშვის **რჩენის ვალდებულება** შეიძლება შეფასდეს როგორც ქონებრივი ზიანი და იგი ექვემდებარება ანაზღაურებას. ეს ეხება არა მარტო ქორწინებაში მყოფ პარტნიორს, არამედ ექიმთან საკონსულტაციო ხელშეკრულებაში ჩართულ, მაგრამ ქორწინებაში არმყოფ პირსაც (BGH NJW, 2007, 989). ამგვარ მოსაზრებას გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მე-2 სენატი (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, BVerfGE 88, 203, 295) მიიჩნევს ძირითადი კანონის პირველ მუხლთან შეუსაბამოდ, რასაც არ იზიარებს უმაღლესი ფედერალური სასამართლო და არ თვლის მისთვის სავალდებულოდ (BGHZ 124, 128; NJW 1997, 1638 ასევე, მშობლების მოთხოვნა უარყოფილ იქნა გაცდენილი სამუშაოს გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ). თუმცა, წარუმატებელი ორსულობის შეწყვეტის დროს თავიდანვე გამოირიცხება მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე, როდესაც ორსულობის შეწყვეტა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, არამართლზომიერი აღმოჩნდება (ყველა შემთხვევაში სისხლისსამართლებრივად არადასჯადი) შდრ. იხ. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე ა მუხლი, (BGHZ 129, 178, 185; 149, 236). გერმანიის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა სენატმა კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია ისე, რომ

არ მიუმართავს პლენუმისთვის, როგორც ეს სასამართლოს მე-2 სენატმა საჭიროდ ჩათვალა (დანვრილებით იხ. *Stürner JZ*, 1998, 317); ბბ) ექიმთან ორსულობის შეწყვეტის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების **დაცვის მიზნიდან** გამომდინარე, ბავშვის რჩენის ხარჯები ექიმს დაეკისრება (რომელმაც შეცდომა დაუშვა) მხოლოდ მაშინ, როდესაც არასწორი მკურნალობის გამო განხორციელდა ის საშიშროება, რაც ორსულობის შეწყვეტით თავიდან იქნებოდა აცილებული (დეტალურად ნორმის დაცვის მიზნის კავშირის შესახებ, როგორც ზიანის ანაზღაურების წინაპირობისა ქვემოთ ველი 15, ასევე, § 823 ველები 20, 34). ეს მოცემულია იმ შემთხვევებში, როდესაც ქალს ორსულობის მოშლით სურს არასასურველი სოციალური უმწეობის თავიდან აცილება (ე.წ. სოციალური ინდიკატორი – არ შეუძლია ბავშვის შენახვა); სხვა წესი მოქმედებს, როდესაც სოციალური უმწეობა მოგვიანებით აღმოიფხვრება (BGHZ, 95, 199, 209f.). დედის ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებული ორსულობის შეწყვეტის დროს (ე.წ. სამედიცინო ინდიკატორი) სახელშეკრულებო დაცვის მიზანი, ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, შეილახება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალისთვის არსებობს ფსიქიკური დატვირთვის საშიშროება ინვალიდი ბავშვის რჩენის გამო (BGH NJW 2002, 2636, 2639; დანვრილებით Gerda Müller NJW 2003, 697 და შემდეგი გვერდები).

2. მოძღვრება ნორმატიული ზიანის შესახებ. ა) ზოგადი მიმოხილვა. ზიანის სხვაობათა ჰიპოთეზის მიხედვით გამოთვლის შედეგად, ზიანის სახეები, რომლებიც წმინდა დაანგარიშებით ქონებრივ დანაკარგს არ შეიცავენ, ვერ იქნებოდა ანაზღაურებადი, მიუხედავად იმისა, რომ მათი შეფასებითი (ნორმატიული) განხილვით ისინი კომპენსირებად ხასიათს ატარებენ. მაგ. დაზიანებულ დასაქმებულს არ ადგება ზიანი თავისი შრომისუუნარობის გამო, ვინაიდან მას ხელფასი მაინც აუნაზღაურდება, დამსაქმებლის მიერ ხელფასის უწყვეტად გადახდის ვალდებულებისა და სოციალური დაზღვევიდან გამომდინარე²⁷. მოძღვრება ნორმატიული ზიანის შესახებ ადგენს შემდეგ წესს: დარღვეული ნორმის პასუხისმგებლობის მიზნებიდან გამომდინარე, ზიანის რეგულირება უნდა ითვალისწინებდეს სანქციისა და პრვენციის ასპექტებს. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ამ მოსაზრების გამო უნდა ანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა შრომისუუნარობის გამო წარმოშობილი დანაკარგები.

ბ) კომერციალიზაცია. სასამართლო პრაქტიკა ითვალისწინებს კომერციალიზაციის შემთხვევებს. ამის მიხედვით, შესაძლებელია, პირი, რომელსაც დროებით (არამართლზომიერად) შეეზღუდა ნივთით სარგებლობის უფლება, დაზარალებულად იქნეს ცნობილი და მას წარმოეშვას ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ნივთით სარგებლობის უფლების შეზღუდვა, ნივთის არაკომერციული მიზნით გამოყენების გამო, მის ქონებრივ ბალანსზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენს. აქ უკვე ცხადია, რომ, სხვაობათა ჰიპოთეზის თანახმად, სახეზე არ გვაქვს ზიანი, ვინაიდან ნივთის ქონებრივი სახეცვლილება არ ხდება. მიუხედავად ამისა, მოცემულია ქონებრივი ზიანი, როდესაც კონკრეტული ნივთის სარგებლობას ობიექტური **საბაზრო ღირებულება** აქვს და მისი პერმანენტული ფლობა ქონებრივ ღირებულებას წარმოშობს (კრიტიკული მოსაზრება *Larenz SchR I § 29 II c*). ამ წესის შესაბამისად, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ავარიის შედეგად დაზიანებული **მანქანის** პატრონს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მანქანის შეკეთების დროისთვის იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაზარალებული სხვა ავტომობილს არ იქირავებს და ქირავნობის ხარჯებს არ გასწევს (ანაზღაურება სარგებლის მიუღებლობის გამო BGHZ 40, 345; კრიტიკული მოსაზრება *Medicus/Petersen Rz 824*). მოგვიანებით გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა

27 საუბარია იმ შემთხვევებზე, როდესაც დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულს ავადმყოფობის პერიოდში უწყვეტად მისცეს ხელფასი.

სასამართლომ კომერციალიზაციის კრიტერიუმები შეზღუდვა, ვინაიდან არსებობდა ზემოაღნიშნული პრაქტიკის არამატერიალურ ზიანზე გავრცელების საშიშროება. სარგებლის შეზღუდვა შეეხება მხოლოდ იმ სამართლებრივ სიკეთეთა ქონებრივ დანაკარგს, რომელთაც აქვთ „ცხოვრებისთვის არსებითი მნიშვნელობა“. (გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი ბინით სარგებლობის ხელშეშლასთან დაკავშირებით BGHZ, 98, 212, 223, თუმცა, უარყო სადგომის შემთხვევაში, რომლითაც პირი არ სარგებლობდა). ასევე, ბენვის ქურქით ან სპორტული ნავით სარგებლობის შეზღუდვის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა გერმანიის სასამართლომ (BGHZ, 63, 393; BGHZ, 89, 60). ამის არგუმენტი გახლდათ ის, რომ ბენვის ქურქი „ფუფუნების საგანია“, ხოლო სპორტული ნავი – „თავისუფალი დროის გასატარებელი საშუალება“, რომელსაც ცხოვრებისთვის არსებითი, აუცილებელი მნიშვნელობა არ აქვს.

7

გ) შემთხვევათა ჯგუფები. დასაქმებულის დაზიანების (მე-5 ველში მოყვანილი მაგალითი) და ნივთით სარგებლობის შეზღუდვით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების (მე-6 ველი) შემთხვევების გვერდით გამოყოფენ შემდგომ პრობლემურ შემთხვევებს: **ა) უშედეგო დანახარჯები.** სასამართლო პრაქტიკის მიხედვით და ასევე, გაბატონებული შეხედულების (მაგალითად, *Larenz SchR I § 29 II c aE*) თანახმად, ქონებრივი ზიანს არ ქმნის ის დანახარჯები, რომლითაც დაზარალებულმა პირმა ჯერ კიდევ ზიანის დადგომამდე გამოყენების სარგებელი მიიღო, თუმცა, ზიანის დადგომის შემდეგ (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება) უშუალოდ სარგებლის მიღება აღარ შეუძლია. მაგ.: თეატრის ბილეთის საფასურის ანაზღაურების მოთხოვნა თეატრისკენ მიმავალ გზაზე მომხდარი ავარიის შემდგომ; მართვის მოწმობის მართლსაწინააღმდეგოდ ჩამორთმევის შედეგად მიღებული დანაკარგების ანაზღაურება²⁸. ამ შემთხვევებში, თვითონ ნივთი არ არის (დროებით) გამოუყენებადი, არამედ უფლებამოსილი პირი განიცდის ნივთით სარგებლობის ხელშეშლას. ამდენად, პირის მიერ ქმედების განხორციელების ზოგადი შესაძლებლობის ხელშეშლით დამდგარი დანახარჯები არ ექვემდებარება ანაზღაურებას, სხვა შემთხვევაში, დაზარალებულ პირი თვითონ განსაზღვრავდა ქონებრივ ზიანს. სახელშეკრულებო შემთხვევებისთვის გასათვალისწინებელია § 284; **ბ) უსარგებლო (არშემდგარი) შევბუღება.** § 651გ-ს მე-2 ნაწილის თანახმად, შესაძლებელია, მოთხოვნილ იქნეს შევბუღების დროის უსარგებლო დაკარგვით გამოწვეული ზიანის „სათანადო ფულადი სახით ანაზღაურება“. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ შევბუღების დროის უსარგებლო დაკარგვით მიღებული ზიანი გამონაკლისის წესით უნდა ანაზღაურდეს, როგორც არამატერიალური (მდრ. იხ § 253), და არა როგორც ქონებრივი ზიანი. რამდენადაც უსარგებლო შევბუღებისთვის განეული დანახარჯები კონკრეტულ შემთხვევაში § 651ა-სა და მომდევნო პარაგრაფების ქვეშ არ მოიაზრება (როგორცია, მაგალითად, იახტის ფრახტი ტურისტული მოგზაურობის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებისგან დამოუკიდებლად), იგი არ ქმნის ნორმატიულ (ქონებრივ) ზიანს და, შესაბამისად, § 651გ-ს მე-2 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობასაც (BGHZ 130, 128). **გ) პრევენციული ხარჯები.** სამართლებრივად პრობლემას წარმოადგენს პრევენციის სახით განეული დანახარჯების ანაზღაურების საკითხი, რომელიც დაზარალებულმა პირმა წინდახედულად გასწია იმისთვის, რომ ზიანი შეემცივებინა. სასამართლო პრაქტიკამ (თუმცა, არაერთგვაროვანმა) ამგვარი ზიანის ანაზღაურების საკითხი ნაწილობრივ გაითვალისწინა (სატრანსპორტო სანარმოს მიერ რეზერვში²⁹ არსებული ავტობუსების

28 მაგ. პირმა შეიძინა ზამთრის საბურავები, მაგრამ, ვინაიდან მართლსაწინააღმდეგოდ ჩამოერთვა მართვის მოწმობა, მოკლებულია უნარს, გამოიყენოს ისინი.

29 სატრანსპორტო საშუალებების რეზერვი ამ შემთხვევაში გაგებულ უნდა იქნეს როგორც სანარმოს მხრიდან პოტენციური ზიანის შემცირების საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავარიის დროს, რეზერვის არქონისას, სანარმოს მიერ ავტობუსის ჩანაცვლება უფრო მეტ ხარჯებს გამოიწვევდა.

შენახვის ხარჯები ზიანის მიმყენებელმა პირმა იმ ოდენობით უნდა აანაზღაუროს, რა ოდენობითაც ზიანი იქნება სახეზე, BGHZ, 32, 284). ზოგიერთ შემთხვევებში, ნაწილობრივ უარყოფილ იქნა მსგავსი დანახარჯების ანაზღაურება (უსაფრთხოებისა და დაცვის ღონისძიებების დროს, როგორცაა, მაგალითად, ოჯახის დეტექტივი და ა.შ.); სხვა მხრივ, შესაძლოა, აუნაზღაურდეს მალაზიას მის მიერ ქურდის დაჭერისათვის გადახდილი ჯილდოები, რომლებიც (მოსაპარი) საქონელის ღირებულებასთან შესაბამისობაში მოდის (BGHZ, 75, 238). ლიტერატურაში არ არის გაზიარებული ზიანის შემცირების მიზნით განეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი იმ არგუმენტით, რომ რთულია, ცალკეული ზიანის შემთხვევას მთლიანი დანახარჯების რაიმე კონკრეტული ნაწილი შეესაბამოს. სხვათა შორის, შესაძლოა, გაზიარებული იყოს არგუმენტი, რომ ზიანის მიმყენებელი პირისთვის პრევენციული თვალსაზრისით განეული ხარჯების გამო შემცირებული ზიანი ზიანის მიმყენებლისთვის დადებით ეფექტის მომტანია და მან ისევე უნდა იკისროს მისი ანაზღაურება, როგორც სხვა შემთხვევაში უჩვეულოდ დიდი ზიანის გადახდა მოუწევდა (Larenz SchR I § 29 II).

3. პოზიტიური (შესრულების) და ნეგატიური (ნდობის) ინტერესი. მათი გამიჯვნის საჭიროება გამოიხატება მხოლოდ კონკრეტული მოთხოვნის საფუძვლების შემთხვევებში: **ა)** თუ პირი პასუხს აგებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან საერთოდ შეუსრულებლობის გამო, მან ხელშეკრულების მხარე უნდა ჩააყენოს იმ მდგომარეობაში, რომელშიც ეს უკანასკნელი ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში იქნებოდა (შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას, პასუხისმგებლობა შესრულების ან პოზიტიური ინტერესის გამო, მაგ §§ 280-283, 437 № 3, 536ა, პირველი ნაწილი, 634, №4). დაზარალებულ პირს განსაკუთრებით უნდა აუნაზღაურდეს მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც იგი ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებისას მიიღებდა (მაგ. ნასყიდობის საგნის შემდგომი გადაყიდვით); **ბ)** თუ პირი პასუხს აგებს მოლაპარაკების იმედგაცრუებულ მხარეს ნდობა ჰქონდა გარიგების დადების მიმართ (მაგ., §§ 122, 179-ის მე-2 ნაწილი, წინასახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა §§ 311-ის მე-2 ნაწილი, § 280 და გამონაკლის შემთხვევებში § 823 და მომდევნო პარაგრაფები), ზიანის მიმყენებელმა პირმა დაზარალებული მხარე უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნებოდა, ხელშეკრულების ნამდვილობის ნდობა რომ არ გასჩენოდა (ნდობის ზიანი, პასუხისმგებლობა ნეგატიური ინტერესის გამო). ამ შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელმა პირმა დაზარალებულს უნდა აუნაზღაუროს ის დანახარჯები, რომელიც მან ხელშეკრულების ნამდვილობის მოლოდინით გასწია (გასათვალისწინებელია ნდობის მომენტი). სამაგიეროდ, იგი არ არის ვალდებული, დაზარალებულს აუნაზღაუროს მიუღებელი მოგება, რომელიც მას ხელშეკრულების განხორციელების შედეგად წარმოეშობოდა. ნეგატიური ინტერესი ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის) მცირეა, ვიდრე პოზიტიური ინტერესი. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში პასუხისმგებლობა შეზღუდულია პოზიტიური ინტერესის ოდენობით; ეს შეზღუდვა არ ვრცელდება წინასახელშეკრულებო ურთიერთობებიდან (c.i.c.) გამომდინარე პასუხისმგებლობის შემთხვევებზე. **გ)** ზემოაღნიშნული გამიჯვნის მიუხედავად, სხვა დანარჩენი ზიანის მოთხოვნის საფუძვლების შემთხვევებში, განსაკუთრებით სხვისი აბსოლუტური უფლებებისა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის პასუხისმგებლობისას, მზრუნველობისა და გულისხმიერების ვალდებულებების დარღვევისას, პასუხისმგებლობა დგება მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე (§ 252).

4. ზიანის დაანგარიშება. **ა)** როგორც წესი, ზიანი დაანგარიშდება **ზუსტად (კონკრეტულად)**; მაშასადამე, ცალკეულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს და ანაზ-

ლაურდეს უარყოფითი ეკონომიკური შედეგი. თუ სასამართლო პროცესზე მხარეები ზიანის კონკრეტულ ოდენობაზე დაობენ და მისი ზუსტი დადგენა ვერ ხერხდება, მაშინ გერმანიის საპროცესო კოდექსის § 287-ის პირველი ნაწილის თანახმად, შესაძლებელია, ზიანის ანაზღაურების მომთხოვნი პირის დასაბუთების ტვირთი შემსუბუქდეს და სასამართლომ საკუთარი შეხედულებით დაადგინოს ზიანი³⁰. **ბ) ზიანის აბსტრაქტული დაანგარიშება** (§ 252-ის მე-2 წინადადება) უფლებას აძლევს დაზარალებულ პირს, ზიანის მოცულობა მოვლენათა ჩვეულებრივი მიმდინარეობიდან გამომდინარე განსაზღვროს; აქ საქმე ეხება მტკიცების ტვირთის შემსუბუქებას (შესაძლებელია საპირისპიროს მტკიცება). ზიანის რაოდენობის აბსტრაქტული დათვლა, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება მენარმეების საქმიანობისას (შდრ. BGH NJW 1980, 1742, 1743), ვინაიდან ამ დროს სახეზეა შემთხვევა, როდესაც ივარაუდება, რომ წარუმატებელი გარიგების განხორციელება და შედეგის მიღება საბაზრო ფასებით ყოველთვის შესაძლებელი იქნებოდა. **გ) ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, ზიანის აბსტრაქტულ-ნორმატიული დაანგარიშება** ზიანის კონკრეტულ შემთხვევებს ზიანის განსაზღვრულ (ტიპურ) სახეს არგებს, ისე, რომ მოვალისთვის სასამართლოს წინაშე საპირისპიროს მტკიცება შეუძლებელია. კანონისმიერი მაგალითია § 288-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, § 849. **დ) ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო სამართალში აღიარებულია ზიანის დაანგარიშება სამი კომპონენტის მიხედვით:** კრედიტორს შეუძლია აირჩიოს ან (1) ფაქტობრივი ზიანის ანაზღაურება (კონკრეტული ზიანის დათვლა), ან (2) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდა, რომელიც დაცული უფლებით მართლ-ზომიერი სარგებლობის შესაბამისი იქნებოდა (აბსტრაქტულ-ნორმატიული ზიანის დათვლა), ან (3) უფლების დამრღვევი პირის მიერ მიღებული მოგების გადმოცემა § 818-ის მე-3 ნაწილის შეზღუდვის გარეშე (შდრ. საავტორო უფლებების შესახებ კანონის § 97-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).

10 5. სარგებლის გაქვითვა. ა) საფუძვლები. სარგებლის გაქვითვის პრობლემა ნა-მოიჭრება მაშინ, როდესაც დაზიანებულ პირს ზიანის გამომწვევი მოვლენის შედეგად რაიმე ქონებრივი სარგებელი წარმოეშობა (მაგ.: ავარიის შემსწრე პირები აგროვებენ ფულს უბედური შემთხვევის მსხვერპლისთვის). ერთიანი მიდგომა არსებობს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ზიანის შემთხვევით გამომწვეული ყველა სახის სარგებელი (ზიანის შემდგომ მიღებული) ექვემდებარება არა გაქვითვას, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა შეფასებითი განსჯა. სასამართლო მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, რომ სარგებელი (უპირატესობა) ზიანის გამომწვევ მოვლენასთან (მე-14 ველი) **ადეკვატურ** მიზეზობრივ კავშირში იმყოფებოდეს (ამის სანინააღმდეგოდ ლიტარატურა ადეკვატურობის ცნებას საკმაოდ დაუზუსტებლად მიიჩნევს). გარდა ამისა, სარგებლის გაქვითვა უნდა შეესაბამებოდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის **მიზანს**, მან არ უნდა ჩააყენოს დაზარალებული პირი მიუღებელ მდგომარეობაში და, აგრეთვე, ზიანის მიმყენებელს უსამართლოდ შეუწყოს ხელი. აქ საქმე არ ეხება ყველა აქტივისა და პასივის მთლიან გათვალისწინებას; მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად შესაფერის (კვალიფიცირებულ) ურთიერთკავშირშია ცალკეული სარგებელი განხორციელებულ ცალკეულ ზიანის მოთხოვნებთან, რომელიც ორივეს დაანგარიშების ერთიანი მეთოდის ფარგლებში აერთიანებს. მაშასადამე, გადასამონმებელია, თუ და რომელ კონკრეტულ შემთხვევაშია შესაძლებელი, შეფასებითი მსჯელობით ცალკეული სარგებლის მისადაგება ზიანის განსაზღვრულ კომპონენტთან (BGHZ, 136, 52).

30 გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულია შემთხვევები, როდესაც ხდება ზიანის სავარაუდო დათვლა, რომელსაც, ობიექტური თვალსაზრისით, სასამართლოს მიერ შემცირება ემუქრება. ამის გამო მხარე უპირატესობას ანიჭებს მოთხოვნის ქვედა ზღვარის განსაზღვრას, რათა მას სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში ზედა ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ზღვარი არ დაერღვეს.

ბ) შემთხვევათა ჯგუფები. აა) თუ რამდენად გაიქვითება დაზარალებული პირის მიერ საკუთარი მოქმედების შედეგად მიღებული სარგებელი, ფასდება § 254-ის მე-2 ნაწილის მიხედვით: სარგებელი გაიქვითება ზიანიდან (ზიანის ოდენობას გამოაკლდება სარგებლის ოდენობა) იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედებები აუცილებელი იყო დაზარალებული პირის მიერ ზიანის შემცირების ვალდებულებიდან გამომდინარე; ხოლო, თუ დაზარალებულმა პირმა, ზემოთ ხსენებული სარგებელი მიიღო არა ზიანის შემცირების ვალდებულების გამო, არამედ საკუთარი ძალისხმევით, ამ შემთხვევაში სარგებელი არ აკლდება ზიანის მასას. ბბ) თუ ზიანის შემთხვევის გამო მესამე პირის/პირების მიერ განხორციელებული ქმედება დაზარალებული პირისთვის სარგებლის მომტანია, როგორც წესი, ის არ უნდა იქნეს ზიანის ოდენობიდან გამოქვითული. ეს წესი მოქმედებს ნებაყოფლობითი განხორციელებული მოქმედებების დროს (შენაგროვები, შენაწირი ა.შ.) და, აგრეთვე, განსაკუთრებით დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევებში. სარგებლის ზიანიდან გაქვითვის გამორიცხვა, ამ შემთხვევაში, გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომ მზღვეველს, ხშირ შემთხვევაში, კანონისმიერი ცესიით (მოთხოვნის დათმობით) უფლება აქვს, ზიანის მიმყენებელი პირისგან მოითხოვოს ანაზღაურება; ამით cessio legis (მოთხოვნის დათმობა) დანაწესი გვიჩვენებს, რომ მზღვეველი ზიანის მიმყენებელი პირის შემდეგ მხოლოდ მეორე რიგით აგებს პასუხს და, მაშასადამე, დაზარალებული პირის მიერ რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნა (შეუმცირებელი) ძალაში რჩება. გგ) სხვა დანარჩენი სარგებელი, როგორებიცაა, მაგალითად: გადასახადის დაზოგვა, დაზოგილი დანახარჯები (მოვლის ხარჯები საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში) ან დამატებითი მოგება ნახმარი ნივთების განახლებისას (ძველის ახლით შეცვლის გაქვითვა), როგორც წესი, ზიანიდან გაქვითვას ექვემდებარება. დდ) ნასყიდობის უკუქცევის შედეგად პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ფარგლებში მიღებული სარგებლის გაქვითვისას (მაგ. ნაკლები ნივთის გამოყენებით წარმოშობილი სარგებელი) გასათვალისწინებელია, რომ ზიანის მოცულობიდან მხოლოდ ისეთი სარგებელი უნდა გაიქვითოს, რომელიც მოთხოვნილ ზიანთან მჭიდრო კავშირშია. თუ უძრავი ქონების მყიდველი მოითხოვს, სრული ზიანის ანაზღაურების სახით (შდრ. § 281-ის მე-5 ველი), ნასყიდობის საგნის ფასის უკან დაბრუნების პარალელურად, უძრავი ქონების შენახვის ან სხვა განუვლი დანახარჯების ანაზღაურებას, მაშინ ზიანის ოდენობიდან უნდა გამოიქვითოს, ასევე, ქირის ან იჯარის ის ხარჯები, რომელთა გადახდაც მას, როგორც წესი, მოუწევდა გამყიდველის უძრავი ქონებით რომ არ ესარგებლა. თუ გამყიდველი, ამ შემთხვევაში, აღნიშნულისგან განსხვავებით, იმით შემოიფარგლება, რომ ურთიერთშესრულებათა უკუქცევით აღადგენს პირვანდელ მდგომარეობას და მოითხოვს ხელშეკრულების დადებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებას, გამოყენების შედეგად მიღებულ სარგებლად ჩაითვლება მხოლოდ უძრავი ქონების ცვეთით მიღებული ღირებულების შემცირება, ნივთით სარგებლობის დროის პროპორციულად. ვინაიდან, ამ შემთხვევაში, მყიდველის მიერ არ ხდება ნასყიდობის საგნისათვის ინვესტიციის გაღების გადაწყვეტილების უკუქცევა, სარგებელს იგი იღებს იმდენად, რამდენადაც ცვეთით მიღებული ღირებულების შემცირება არა მის, არამედ გამყიდველს საზიანოდ ხდება (BGHZ, 167, 108).

III. ზიანის წარმომშობი მიზეზობრიობა

1. პასუხისმგებლობისა და ზიანის წარმომშობი მიზეზობრიობა. ზიანის მიმყენებელ პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ისეთი ზიანისთვის, რომელიც მის ვალდებულების დამრღვევ ქმედებას შეერაცხება. „პასუხისმგებლობის წარმომშობ მიზეზობრიობაში“ მოიაზრება შეერაცხვის მთლიანი ჯაჭვის პირველი ნაწილი, სახელდობრ, რომელიმე ნორმის ან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შეერაცხვა ზიანის მიმყენებელი პირის კონკრეტულ ქმედებასთან (შდრ. § 823-ის

მე-19 ველი). ამასთანავე, შერაცხვა სისტემურად მიეკუთვნება პასუხისმგებლობის სამართალს (შდრ. განმარტებები § 823-ის პირველ ველამდე). თუ პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი შესაბამისი ნორმა (როგორც უმეტეს შემთხვევებში), წინაპირობად ბრალეულობას აწესებს, ეს წესი უნდა გავრცელდეს პასუხისმგებლობის წარმომშობ მიზეზობრიობაზეც. ამასთან, ზიანის შერაცხვა ნორმის დარღვევისა ან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის არ არის დამოკიდებული ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობაზე. შერაცხვის ჯაჭვის ეს ნაწილი იწოდება „**ზიანის წარმომშობ მიზეზობრიობად**“ და მისი შემომშება ხდება ზიანის შესახებ სამართლის ფარგლებში. ბრალეულობის საკითხის გარდა, ზიანის პასუხისმგებლობისა და ზიანის წარმომშობი შემადგენლობები ერთსა და იმავე პრინციპებს ეფუძნებიან. პროცესზე მიზეზობრიობის დადგენის დროს პასუხისმგებლობის წარმომშობი მიზეზობრიობისთვის გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 286³¹, ხოლო ზიანის წარმომშობი მიზეზობრიობისთვის – § 287-ის პირველი ნაწილი.³²

13 2. შერაცხვის საფუძვლები. ა) ეკვივალენტური მიზეზობრიობა. შერაცხვის ამოსავალ წერტილს განსაზღვრავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში აღიარებული მიზეზობრიობა: ნორმის ან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა უნდა იყოს აუცილებელი პირობა ზიანის დადგომისათვის (*conditio sine qua non*). ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხელყოფა არ შეიძლება გამოირიცხოს, თუ იმავდროულად არ გამოირიცხება ზიანიც. ამ ფორმულირების შესაბამისად, ყველა პირობა ზიანის დადგომისათვის თანაბარმნიშვნელოვანია (ეკვივალენტური) და ამ წესით შესაძლებელია, სრულიად უცხო ზიანიც იქნეს შერაცხული (მაგ.: „ა“-ს ავტომობილი 10 წუთის განმავლობაში უკანონოდ ქმნის საცობს ავტობანზე. ამის შედეგად „ბ“-ს ავტომობილი 100 კილომეტრის მოშორებით ეჯახება მანქანას უკნიდან. საცობის შეუქმნელობის შემთხვევაში, ამ მომენტისთვის მას ავარიის ადგილი დატოვებული ექნებოდა). გამომდინარე აქედან, საჭიროა, ეკვივალენტური მიზეზობრიობის შერაცხვის სხვა კრიტერიუმებით შეზღუდვა.

14 ბ) ადეკვატურობა. სასამართლო პრაქტიკა მიზეზობრიობების სავსებით არარეალურ შემადგენლობებს გამოირიცხავს ადეკვატურობის თეორიით. თეორიის თანახმად, შერაცხვას არ ექვემდებარება ზიანის გამომწვევი ისეთი მიზეზობრიობები, რომლებიც ზიანს მხოლოდ სრულიად უჩვეულო გარემოებებით იწვევენ. მაშასადამე, არ ხდება ისეთი მიზეზობრიობების შერაცხვა, რომლებიც ზოგადი ცხოვრებისეული შეფასებით, განხორციელებული ზიანის გამომწვევ პირობად არ მოიაზრებიან. ზიანის შედეგების ადეკვატურობა, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ძალიან ფართოდ განიხილება. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ იმუნიზაციის (აცრის) შედეგად გამოწვეული ზიანი შერაცხა პირს, მიუხედავად იმისა, რომ ზიანის დადგომის ალბათობა 0,01%-ზე დაბალი იყო. იგივე წესი მოქმედებს, როგორც წესი, ჯანმრთელობის მძიმე ზიანის შერაცხვის დროსაც, რომელიც დაზარალებული პირის დასუსტებული ჯანმრთელობის გამო სხეულის მცირედი ხელყოფით წარმოიშობა. ადეკვატურობის კრიტერიუმი ლიტერატურაში (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ალბათობის გაგებით) დაუზუსტებელია და ზოგიერთ შემთხვევაში არასაკმარისი. უფრო მეტად საჭიროა ზიანის შერაცხვის საკითხის შეფასებითი (ნორმატიული) განსჯა.

31 მუხლი არეგულირებს მოსამართლის მიერ მტკიცებულებების შეფასებისა და რწმენის თავისუფლებას. § 286-ის პირველი ნაწილი ავალდებულებს მოსამართლეს, განაჩენში მიუთითოს ის კონკრეტული გარემოება, რაც მოსამართლის რწმენის ჩამოყალიბებისათვის გადაწყვეტი იყო.

32 მუხლი არეგულირებს მოსამართლის მიერ ზიანის ოდენობის თავისუფალი რწმენის საფუძველზე შეფასების შესაძლებლობას იმ შემთხვევებისთვის, როდესაც მხარეების მიერ სადავოა ზიანის წარმომშობის ან მისი ოდენობის საკითხი.

გ) ნორმის დაცვის სფერო. ნორმის დაცვის სფეროს მოძღვრების მიხედვით, პირს შეერაცხება მხოლოდ ისეთი ზიანი გამოწვეული შედეგი, რომლისგან დაცვაც სწორედ პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი დარღვეული ნორმის მიზანია. ეს მოძღვრება დიდი ხანია აღიარებულია § 823-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში (იხ. აგრეთვე, § 823-ის 34-ე ველი), თუმცა, ამჟამად ვრცელდება მთლიან დელიქტურ სამართალზე, აგრეთვე § 823-ის პირველი ნაწილის, საფრთხის შემქმნელი დელიქტების დროსაც. სასამართლო პრაქტიკამ მოგვიანებით ნორმის დაცვის სფეროს თეორია სახელშეკრულებო პასუხისმგებლობაზეც გამოიყენა (BGHZ 50, 200). საბოლოოდ, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ წინასახელშეკრულებო სტადიაზე ვალდებულებითი ურთიერთობების დარღვევისას (§§ 280-ის პირველი ნაწილი, 311-ის მე-2 ნაწილი), კერძოდ, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევისას, წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება თვითონ დარღვეული ვალდებულების (უფლების) დაცვის სფეროს მიზნითვე შეზღუდა (BGHZ 116, 209). ნორმის დაცვის სფეროს მოძღვრებამ ასევე კრიტიკაც გამოიწვია. მიზეზი გახლდათ ის, რომ ნორმების უმეტესობას არ გააჩნია „დაცვის სფეროს“ ფარგლები (Larenz SchR I § 27 III b 2). ამგვარად, იგი ხშირად გამოიყენება ადეკვატურობის თეორიის გვერდიგვერდ პასუხისმგებლობის მასშტაბის დასაწესებლად (Jauernig-Teichmann, 34-ე ველი).

15

3. როდესაც დაზარალებული პირისათვის განსაკუთრებით მაღალია ზიანის განხორციელების რისკი, ზიანის მიმყენებელი პირი, როგორც წესი, პასუხს აგებს, ასევე, ზიანის უჩვეულო შემთხვევებისთვის. ის, ვინც სუსტი ჯანმრთელობის მქონე ადამიანს აყენებს ზიანს, ვერ მოითხოვს საკუთარი ქმედების ისეთ შეფასებას დაზარალებული პირი თავიდანვე ჯანმრთელი რომ ყოფილიყო (BGHZ, 132, 341, 345, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა). აქედან გამომდინარე, როგორც წესი, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს აგრეთვე ისეთი ზიანისთვის, რომელიც განსაკუთრებული დაავადებიდან (მაგ., ჰემოფილია – სისხლის შედედების უნარის დაკარგვა) გამომდინარეობს. მაგრამ ზიანის მიმყენებელს არ შეერაცხება დამდგარი უჩვეულო შედეგები (მაგ. ფეხის ტერფზე მიყენებული დაზიანება არტერიების სისუსტის გამო იწვევს ფეხის ამპუტაციას (OLG Kalsruhe VersR, 1966, 741); უმნიშვნელო შურადაცხყოფა იწვევს ტვინში სისხლის ჩაქცევას (BGH NJW, 1976, 1143)); ფსიქიკური ზიანის შედეგებისათვის, რომლებიც პირის არამდგრადი სულიერი მდგომარეობის გამო წარმოიშობა, როგორც წესი, ზიანის მიმყენებელი პირს ეკისრება პასუხისმგებლობა. ზიანის მიმყენებლის მხრიდან საკმარისია იმის ადეკვატური ცოდნა, რომ ფსიქიკური მდგომარეობით განპირობებული გამოვარდნა მის მიერ განხორციელებული ქმედებით არ დადგებოდა (მაგ. ემოციური ლაბილობა (ემოციური აფეთქება), დეპრესია, ავტომუტილაცია (სხეულის თვითდაზიანება). შეერაცხვის გამორიცხვის შემთხვევებს სასამართლო პრაქტიკა ორ მიმართულებად ყოფს (BGHZ, 132, 341; 137, 142): თითქმის უმნიშვნელო ზიანის შემთხვევებში, ზიანის მიმყენებელი პირი პასუხს არ აგებს ფსიქიკური ზიანით გამოწვეული შედეგებისათვის, როდესაც ძირითადი ხელყოფა სრულიად უმნიშვნელოა და, ამასთანავე, მის მიერ არ ხდება ხელყოფის ადგილის სპეციალურად შერჩევა უფრო დიდი ზიანის გამოსაწვევად; მსგავსი შემთხვევაა ე.წ. ფინანსური უზრუნველყოფისკენ პათოლოგიური ლტოლვა. ამ შემთხვევაში, დაზარალებული პირი დაზიანებას იყენებს მიზეზად, რომ ცხოვრების ეკონომიკური პრობლემები მოიგვაროს. სინამდვილეში ამის საფუძველია მისი ნევროზული ლტოლვა ეკონომიკური უსაფრთხოებისკენ და რჩენის უზრუნველყოფისკენ. გარდა ამისა, შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების ოდენობს დაანგარიშებისას გათვალისწინებულ იქნეს დაზარალებული პირის ფსიქიკური მდგომარეობა BGHZ 137, 142, 151 მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 287 მუხლზე, სხვა ავტორები § 254).

16

- 17 **4. ჰიპოთეტური მიზეზობრიობა. ა) პრობლემატიკა.** ჰიპოთეტურ მიზეზობრიობასთან დაკავშირებული (აგრეთვე „წინმსწრები მიზეზობრიობა“) პრობლემატიკა წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონკრეტული ზიანი მცირე დროის შემდგომ სხვა გამომწვევი მიზეზით მაინც დგება (ე.წ. „ზიანის გამომწვევი ალტერნატიული მიზეზობრიობა“. მაგ.: ჩამტვრეული ფანჯრის მინა რამდენიმე საათის შემდგომ მაინც ჩამტვრეოდა ახლოს მომხდარი აფეთქებისგან წარმოშობილი წნევის ტალღით. ამ შემთხვევაში, დასადგენია, პირველი ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელ პირს ზიანი (სრულად) უნდა შეერაცხოს თუ არა.
- 18 **ბ) შემთხვევათა ჯგუფები.** დღეს გაბატონებული შეხედულების მიხედვით, მნიშვნელოვანია ე.წ. ზიანის გამომწვევი ალტერნატიული მიზეზი, ვინაიდან ზიანის მიმყენებელი პირი, სხვაობათა ჰიპოთეზის მიხედვით (ზემოთ, მე-3 ველი), დაზარალებული პირის წინაშე მხოლოდ მის მიერ გამოწვეული ზიანისათვის აგებს პასუხს (*Jauernig-Teichmann*, 42-ე ველი; სხვა მოსაზრება *Larenz SchR I § 30 I*: გათვალისწინება მხოლოდ შემდგომი ზიანის განხორციელების შესაძლებლობისას). გაბატონებული შეხედულების პოზიციის დაკონკრეტება ხდება შემდგომ ჯგუფებში სამართლიანობის შეხედულების გათვალისწინებით: **აა) ზიანისადმი მიდრეკილება.** ზიანის გამომწვევი ალტერნატიული მიზეზი იწვევს დამდგარი (შერაცხადი) ზიანის შემცირებას, როდესაც ზიანის ობიექტი ზიანის ფაქტობრივად მიყენების მომენტში იმდენად იყო მიდრეკილი ამ ზიანისკენ, რომ მოგვიანებით გარდაუვალი იქნებოდა იმავე ზიანის დადგომა. (მაგ.: პირის დაზიანება, რომელიც მძიმე ავადმყოფობის გამო მცირე დროის შემდგომ მაინც შრომისუუნარო გახდებოდა; სხვა მაგალითები *Palandt-Heinrichs* 99-ე ველი). ამ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი პირი პასუხს აგებს მხოლოდ პირველი ქმედებით გამოწვეული დამატებითი ზიანისთვის. **ბბ) მესამე პირის ჰიპოთეტური ანაზღაურების ვალდებულება.** არ გათვალისწინება ზიანის გამომწვევი ალტერნატიული მიზეზი, რომელიც იწვევს მესამე პირის ჰიპოთეტურ ანაზღაურების ვალდებულებას. მესამე პირი პასუხს არ აგებს, ვინაიდან მან ზიანი, ფაქტობრივად, არ გამოიწვია (მე-17 ველში მოყვანილი მაგალითით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ დადგება იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც მოგვიანებით აფეთქება გამოიწვიეს, უკვე ჩამსხვრეული ფანჯრის მინის გამო), დაზარალებული პირის ხარჯზე მოთხოვნის მოცულობის შემცირება უსამართლობა იქნებოდა. **გგ) თანმდევე ქონებრივი ზიანი.** ზიანის დროს, რომელიც ვითარდება დროთა განმავლობაში (მაგ. მიუღებელი სარგებელი, გასამრჯელო), ზოგადად, მიღებულია ზიანის გამომწვევი ალტერნატიული მიზეზის გათვალისწინება. როგორც ზემოთ აა ქვეპუნქტში აღინიშნა, პირველი ზიანის გამომწვევი პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ მომენტამდე, როდესაც მოსალოდნელია ზიანის ალტერნატიული მიზეზით დადგომა.
- 19 **5. მართლზომიერი ალტერნატიული ქმედება. ა) პრობლემატიკა.** ზიანის მიმყენებელ პირს შეუძლია, ჰიპოთეტური მიზეზობრიობის განვითარებაზე მოახდინოს აპელირება, სახელდობრ მასზე, რომ ქმედების მართლზომიერად განხორციელების შემთხვევაშიც იგივე (ან მსგავსი) ზიანი მაინც დადგებოდა (დანვრილებით *BGH St 11, 1*). მაგ.: ავტომობილის მძღოლი, რომელიც მთვრალ მდგომარეობაში მყოფ ველოსიპედით მიმავალ პირს მცირე დაშორებით გადაასწრებს და დააზიანებს, იშველიებს იმ არგუმენტს, რომ ველოსიპედისტის საკმარისი დაშორებით გადასწრების შემთხვევაშიც იგივე შედეგი დადგებოდა.
- 20 **ბ) ძირითადი პრინციპები.** ზიანის გამომწვევი მართლზომიერი ალტერნატიული მიზეზის არგუმენტად მოყვანის საკითხი (შედეგი: ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა ან შემცირება) დამოკიდებულია დარღვეული ნორმის **დაცვის სფეროს განსაზღვრაზე** (გავრცელებული მოსაზრება – *BGHZ, 96, 173; Jauernig-Teichmann* 48-ე ველი): როგორც წესი, ასეთი შესაგებელი იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შემცირებას, ვინაიდან ნორმების უმეტესობა მხოლოდ კონკრეტული

მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აცილებას ისახავს მიზნად. მაგალითად, ამ წესის შესაბამისად, სამუშაოზე აყვანილმა პირმა *სამუშაოს დაწყებამდე* არ უნდა ანაზღაუროს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მისი შემცველის მოსახარავად ახალი ვაკანსიის გამოცხადების ხარჯები; სამუშაოს დაწყების (დარღვეული) ვალდებულებით ვერ იქნება თავიდან აცილებული ის, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის (ვადის დაცვით ან ხელშეკრულების დარღვევით) შედეგად ახალი ვაკანსიის გამოცხადების ხარჯები წარმოიშობა (BAG NJW, 1984, 2846; შდრ. *Medicus/Petersen* 852-ე ველი). სხვაგვარად გვაქვს საქმე მაშინ, როდესაც დარღვეული პასუხისმგებლობის შემცველი ნორმა არა მხოლოდ ზიანის აცილებას ისახავს მიზნად, არამედ ამასთან ერთად, გვევლინება გარკვეული პროცესის განხორციელების გარანტიად. ამ შემთხვევებში არ იქნება გათვალისწინებული ზიანის მიმყენებელი პირის აპელირება მართლზომიერ ალტერნატიულ მიზეზზე. ამ მსჯელობის შესაბამისად, გერმანიის შრომის საქმეების განმხილველმა უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ გაუფიცველობის ვალდებულების დარღვევის³³ გამო შეტანილი სარჩელის მოპასუხის – მელითონეთა პროფესიულ კავშირის არგუმენტი, რომ დამსაქმებელს მოგვიანებით, თუნდაც მართლზომიერი გაფიცვით, იგივე ზიანი მიაღებებოდა (BAGE, 6, 376), არ გაიზიარა. ამის არგუმენტი კი გახლდათ, რომ ხელშეკრულების შესრულებისადმი ნდობის პრინციპი (იგი ამ შემთხვევაში დაირღვა), გერმანული სამართალწესრიგის უზენაესი პრინციპია, და რომლის დარღვევაც ჩაითვლება, ამასთანავე, სამოქალაქოსამართლებრივი პრევენციის საფუძვლის შერყევად. სხვა დასაბუთებას იძლევა *Medicus/Peterson*, 853-ე ველი: დარღვეულ გაუფიცველობის ვალდებულებას არა მარტო უნდა დაეყოვნებინა გაფიცვა, არამედ იგი საერთოდ თავიდან აეცილებინა.

IV. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირთა წრე

1. ძირითადი პრინციპები. სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის დროს ზიანის ანაზღაურება, როგორც წესი, შემოიფარგლება მხოლოდ ხელშეკრულების მხარისთვის წარმოშობილი ზიანით (**ფარდობითობის პრინციპი**, იხ. § 241-ის შესავალი, ველი 1, კანონისმიერი გამონაკლისია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, § 328). კანონისმიერი, განსაკუთრებით, დელიქტური ზიანის მოთხოვნების დროს მხოლოდ ის პირია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი, ვისი უფლებების ან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაც ხდება (**ქმედების შემადგენლობის პრინციპი**; კანონისმიერი გამონაკლისია §§ 844, 845, ყურადღებამისაქცევია აგრეთვე § 618-ის მე-3 ნაწილი). სასამართლო პრაქტიკა და სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ძირითადი პრინციპებიდან გამონაკლისის სახით ჩამოყალიბდნენ ინსტიტუტები – „მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულება“ და „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია“ (დანვრილებით იხ. ქვემოთ). ზიანის ანაზღაურების გავრცელებას მესამე პირზე სასამართლო პრაქტიკა არაპირდაპირი დარღვევების შესარაცხად იყენებს (მაგ. შოკით მიღებული ზიანი ოჯახის წევრის უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინების მიღებისას § 823 ველი 20). ზიანის ანაზღაურების სუბიექტური მიმართების გამო გამონაკლისის დაშვებისას საჭიროა გარკვეული თავშეკავება, რისკის პასუხისმგებლობის საზღვრები რომ იქნეს დაცული. ზემოთ განხილული საკითხების ერთობლიობა სისტემურად მიეკუთვნება პასუხისმგებლობის სამართალს (შდრ. ველი 1).

2. მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულება. ზოგადი მიმოხილვა. აა) ფუნქცია. მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას ავრცელებს მესამე პირის სასარგებლოდ,

³³ გერმანიაში მკაცრად რეგულირდება გაფიცვის უფლება. დასაქმებულებს ეკრძალებათ იმ პერიოდში გაფიცვის მოწყობა, რომელშიც მათ დამსაქმებელთან გარკვეულ სახელფასო ტარიფზე შეთანხმებას მიაღწიეს.

ხელშეკრულების მხარის (მოვალის ან კრედიტორის) მიერ სახელშეკრულებო გულისხმიერების ვალდებულებების (§ 241-ის მე-2 ნაწილში განსაზღვრული ვალდებულებების და არა ძირითადი ვალდებულებების) თავის თავზე აღებით ხელშეკრულების არამონაწილე განსაზღვრული მესამე პირების წინაშე. მამასადამე, იგი ქმნის ფარდობითობის პრინციპიდან გამონაკლისს (ზემოთ 21-ე ველი). ამ დებულების დასასაბუთებლად ხდება იმ არგუმენტზე მითითება, რომ დელიქტური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ ნორმებს (განსაკუთრებით § 831-ის შემთხვევებში) გამოყენების ვიწრო სფერო აქვთ. **ბბ) სამართლებრივი საფუძველი.** სასამართლო პრაქტიკამ მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულება განავითარა როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ანალოგია (§ 328 და მისი მომდევნო პარაგრაფები) და მოგვიანებით ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების ინსტიტუტით (§§ 133, 157, 328-ის მე-2 ნაწილი) დაასაბუთა (მაგ. BGHZ, 56, 273). ერთი შეხედვით, § 311-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების მოცემულობა უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ შემთხვევას. თუმცა, ამ ნორმის ჩანაწერი აფუძნებს მხოლოდ მესამე პირის პასუხისმგებლობას და არა მის უფლებამოსილებას; გარდა ამისა, იგი ეხება მარტო წინასახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებს (c.i.c. RegBegr BT-Drucks 14/6040, 161). საბოლოო ჯამში, არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის დამოუკიდებლობისა და მკვეთრი საკანონმდებლო რეგულირების ნაკლოვანების გამო, რჩება საკითხის გადაწყვეტის შემდეგი შესაძლებლობა: სამოსამართლო სამართლის განვითარება კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით (§ 242; *Larenz* SchR I § 17 II; *Jauernig-Stadler* § 328 21-ე ველი სხვა მითითებებით).

23 ბ) წინაპირობები. აა) მხარეებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობის არსებობა. ზიანის მიმყენებელ პირსა და კრედიტორს (ძირითადი მხარეები) შორის უნდა არსებობდეს ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება ან ხელშეკრულების მსგავსი ურთიერთობა (მაგ. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, § 311-ის მე-2 ნაწილი). **ბბ) მესამე პირის ახლო კავშირი ვალდებულებასთან.** მესამე პირის ჩართვა ხელშეკრულების განხორციელების სივრცეში საჭიროებს განსაზღვრას იმგვარად, რომ არაფეროვანი შესრულება მასაც იმავენაირად უნდა ეხებოდეს, როგორც კრედიტორს (მესამე პირთან დაკავშირებული შესრულება). აქვე მოითხოვება, რომ ზიანის მიმყენებელი პირის ცუდად შესრულებული ძირითადი ვალდებულება (და არა მხოლოდ დამატებითი ვალდებულების შეუსრულებლობა) ეხებოდეს მესამე პირს (BGHZ 133, 168). ეს დებულება ძირითადი ვალდებულების არარსებობის გამო ვერ შეეხება წინასახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებს, თუმცა, მათზე ხელშეკრულება მესამე პირის ინტერესის დაცვით მაინც ვრცელდება (შდრ. RegBegr BT-Drucks 14/6040, 163). ამის გამო, ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ მესამე პირის ვალდებულებასთან დაკავშირებულობის კრიტერიუმი, ზოგადად, § 241-ის მე-2 ნაწილით (გულისხმიერების პრინციპი) განისაზღვროს (*M. Schwab*, JuS 2002, 872, 873). **გგ) კრედიტორის კანონიერი ინტერესი მესამე პირის ჩართვაზე.** სასამართლო პრაქტიკამ თავდაპირველად მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულება მხოლოდ იმ კუთხით განავითარა, რომ კრედიტორი, მესამე პირთან მზრუნველობითი ურთიერთობის ფარგლებში, ამ პირის „ავსა და კარგზე“ პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო (მაგ.: ოჯახის წევრების ჩართვა ქირავნობის ხელშეკრულებაში; დასაქმებულების ან პარტნიორების ჩართვა). უახლოეს წარსულში კი სასამართლო პრაქტიკა ამომწებს, თუ რამდენად ჰქონდა კრედიტორს მესამე პირის ჩართვის კანონიერი ინტერესი საკუთარ დაცვის სფეროში, ანუ რამდენად ამართლებს კონკრეტულ შემთხვევაში ხელშეკრულების განმარტებით მესამე პირის სახელშეკრულებო დაცვის სფეროში ჩართვა (მაგ.: ექსპერტი პასუხს აგებს არა მხოლოდ შემკვეთის წინაშე, რომელსაც პარტნიორები ჰყავს, არამედ, ასევე, ამ პარტნიორების წინაშეც მცდარი დასკვნისთვის, მიუხედა-

ვად იმისა, რომ ისინი ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან – BGH NJW, 1984, 355). მესამე პირის ჩართულობისათვის საკმარისი უნდა იყოს ის, რომ მესამე პირის ნივთი კრედიტორის **მზრუნველობითი (გულისხმირების) ვალდებულების** ქვეშ ხვდება (გამქირავებელი პასუხს აგებს მოქირავნესთან განთავსებულ მესამე პირის ნივთებზე, რომლებიც გაქირავებული ნივთის საწყისი ნაკლოვანების (მაგ., ბინის ელექტროგაყვანილობის) გამო ხანძრის დროს დაიწვება; § 536-ს პირველი ნაწილი, პირველი ალტერნატივა – BGHZ 49, 350). მესამე პირის ჩართვა არ უნდა გამოირიცხოს იმ ფაქტორით, რომ **კრედიტორსა და მესამე პირს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები აქვთ (BGH NJW 2009, 217 Nr 17; Canaris JZ 1995, 441, 443, რომელიც პასუხიმგებლობის განსაზღვრის საფუძვლად C.i.C. მიუთითებს. შდრ. ასევე § 311 ველი 8)**. ექსპერტი (პასუხისმგებელი პირი), რომელიც გამყიდველისათვის უძრავი ქონების შეფასებას ახდენს, პასუხს აგებს შეცდომისთვის მყიდველის (მესამე პირის) წინაშე მაშინაც კი, როდესაც კრედიტორისა და მესამე პირის ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. გერმანიის საეჭრო კანონის § 316-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების შესაბამისად, აუდიტი მცდარი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში პასუხს აგებს სანარმოს მომავალი მყიდველის წინაშე, როდესაც შესაძრევეია, რომ აუდიტორული შემონიშნა მყიდველის ინტერესებშიც იყო (BGHZ 138, 257). ლიტერატურაში გავრცელებული კრიტიკის მიხედვით, პიროვნებასთან დაკავშირებულობის ეს კრიტერიუმი გააფართოებს მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულების ფარგლებს და შეიძლება უსამართლო პასუხისმგებლობის გამკაცრებამდე მივიდეს. კრედიტორსა და მესამე პირს შორის არსებული უბრალო მეურვეობის ვალდებულების შემთხვევების გადაწყვეტა მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციით უკეთესად ხდება (იხ. ქვემოთ, 25-ე და მომდევნო ველები; *Medicus/Petersen 842-ე ველი*). საპირისპირო ინტერესების ჩართვით რთული ხდება მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულების გამოყენების სფეროს დადგენა. **დ) შეცნობადობა.** ზიანის მიმყენებელი პირისთვის უნდა იყოს შეცნობადი, რომ მესამე პირი ხელშეკრულების დაცვის სფეროში, ზემოთ განხილული ბზ და გგ პუნქტების შესაბამისად, ჩართული იყო. თუმცა, არ არის აუცილებელი, მისთვის ცნობილი იყოს დაცვის სფეროში ჩართული მესამე პირის კონკრეტული ვინაობა. სწორედაც ამის გამო უნდა გაითვალისწინოს უზრუნველსაყოფად გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთის ღირებულების შემფასებელმა პირმა (მაგ. აუდიტორმა), რომ, კრედიტის გამცემი პირის გარდა, რომელსაც ნდობა აქვს დასკვნის მიმართ, საქმეში შეიძლება ჩართული იყოს, ასევე, თავდებიც (BGH NJW, 1998, 1059). ამ შემთხვევაში, მესამე პირი შეიძლება იყოს რამდენიმე კრედიტის გამცემი და მიცემული დავალების შესაბამისად, ექსპერტმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ დასკვნა კრედიტების მისაღებად უნდა გამოყენებულიყო; მისი პასუხისმგებლობის რისკი შეზღუდულია მიწის ნაკვეთის მის მიერ დადგენილი ღირებულებით, მაშინაც კი, როდესაც რამდენიმე კრედიტის გამცემი პირია ჩართული (BGHZ, 159, 1). **ე) მესამე პირის დაცვის საჭიროება.** მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულებიდან მოთხოვნები გამოირიცხება მაშინ, როდესაც მესამე პირის დაცვის საჭიროება არ არსებობს. ეს, ზოგადად, ის შემთხვევაა, როდესაც მას შეუძლია, კრედიტორის წინააღმდეგ განახორციელოს საკუთარი სახელშეკრულებით მოთხოვნები, რომლებსაც, სულ ცოტა, ისეთივე შინაარსი აქვთ, როგორც მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს (BGHZ 133, 168, 176; BGHZ 70, 330: მოთხოვნა ვერ ექნება მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულებიდან ქვემოქირავანე „ა“-ს გამქირავებელ „ბ“-ს წინააღმდეგ, § 536-დან გამომდინარე, ვინაიდან „ა“-ს აღნიშნული მუხლიდან მოთხოვნა დამქირავებლის მიმართ შეუძლია განახორციელოს).

გ) სამართლებრივი შედეგები. მესამე პირს აქვს საკუთარი სახელშეკრულებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ

(§§ 280-ის პირველი ნაწილი, 241-ის მე-2 ნაწილი). თუმცა, ძირითად შემთხვევებში, მას არ შეუძლია, მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულებიდან იმაზე მეტი უფლება განახორციელოს, ვიდრე თავად კრედიტორს აქვს. ამის შესაბამისად, მასზე ასევე უნდა გავრცელდეს ძირითად მხარეებს შორის ხელშეკრულებით შეთანხმებული განსაზღვრულ რისკებზე პასუხისმგებლობის გამორიცხვა და მესამე პირი ვალდებულია ითმინოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა შესაგებლების მის წინააღმდეგ განხორციელება (§ 334-ის სამართლებრივი დატვირთვა). კრედიტორისა და მესამე პირის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების არსებობისას ეს სამართლებრივი მოსაზრება შეუსაბამო გამოდის; გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით, იგი (უფლება) „ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე“, (კონკლუდენტურად) კრედიტორის და მოვალის მიერ უნდა იყოს გამორიცხული – BGHZ 127, 378, 385; (კრიტიკა *Medicus JZ* 1995, 309). იმავე საფუძველით, მესამე პირმა მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის განხორციელებისას, უნდა დაუშვას კრედიტორის თანაბრალეულობის შერაცხვა თავისი თავის მიმართ მაშინაც, როდესაც §§ 254-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებისა და 278-ე პარაგრაფების წინაპირობები არ არის სახეზე. ზიანის მიმყენებელმა პირმა მესამე პირის წინაშე იმაზე მეტად არ უნდა აგოს პასუხი, როგორც იგი თავისი უშუალო კრედიტორის წინაშე აგებდა.

25 3. მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია (აღმოფხვრა). ა) ზოგადი მიმოხილვა. თუ განსაკუთრებული გარემოების გამო ზიანი მიადგება არა მოთხოვნაზე უფლებამოსილ, არამედ მესამეს პირს (ამ უკანასკნელთან სამართლებრივ ბოჭვაში მყოფს), მაშინ მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს მესამე პირის ზიანის ანაზღაურება (გაბატონებული შეხედულება; BGHZ, 40, 100; *Larenz SchR I* § 27 IV). ზიანის სუბიექტთან დაკავშირებულობის (მიბმულობის) ძირითადი პრინციპი (ზემოთ, 21-ე ველი) არ ეწინააღმდეგება იმას, რომ მისი მიზანია მხოლოდ პერსონალური მოთხოვნების გაზრდის თავიდან აცილება, რომლებიც **ზიანის გადაანაცვლებისას (Schadensverlagerung – სუბიექტის შეცვლისას)** არ იჩენს თავს. არსებობს ერთიანი მიდგომა იმ საკითხთან მიმართებაში, რომ ზიანის მიმყენებელი პირი ზიანის გადაანაცვლებისას პასუხისმგებლობისგან ვერ გათავისუფლდება.

26 ბ) შემთხვევათა ჯგუფები. ზიანის გადაანაცვლების ტიპური შემთხვევები შემდეგ ჯგუფებში ნაწილდება: **ა) სავალდებულო საფრთხის ჩამოშორება.** ზოგიერთ შემთხვევაში კანონი ადგენს *რისკის გადასვლის შესახებ ნორმებით ან სხვაგვარად*, რომ პირს, მიუხედავად მისივე ნივთის დაზიანებისა ან განადგურებისა, ზუსტი კალკულაციით ქონებრივი ზიანი არ ადგება. ასე მაგალითად, არ ადგება მემკვიდრეს ზიანი, როდესაც **ანდერძით მისაღები ქონება** მესამე პირის მიერ განადგურდება (§ 2174³⁴-იდან გამომდინარე ვალდებულებიდან მემკვიდრე § 275-ის შესაბამისად თავისუფლდება); ამის საპირისპიროდ, საანდერძო დანაკისრის მიმღებ პირს არ აქვს მოთხოვნის უფლება, ვინაიდან იგი არ არის მესაკუთრე. ნარდობის ხელშეკრულების დროს § 640-ის გამო იქმნება მსგავსი სიტუაცია, როდესაც შემკვეთის მიერ შეკვეთილი ნივთის მიღებამდე მას მესამე პირი გაანადგურებს. გაგზავნისას დაღუპული ნივთის ზიანი § 447-ის თანახმად არ ადგება გამყიდველს, რომელიც ნასყიდობის ფასზე მოთხოვნას ინარჩუნებს; მოთხოვნა ვერ ექნება მყიდველს, ვინაიდან ეს უკანასკნელი არც ნასყიდობის ნივთის მესაკუთრე და არც დარღვეული სატრანსპორტო ხელშეკრულების მონაწილეა. **ნივთის გაგზავნის დროს** (ნასყიდობის ხელშეკრულება) არსებული მსგავსი პრობლემები გამოსწორ-

34 § 2174-ის საანდერძო დანაკისრიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება. საანდერძო დანაკისრით დგინდება საანდერძო დანაკისრის მიმღების უფლება, საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირისაგან მოითხოვოს ანდერძით გადაცემული საგნის გადაცემა.

და 1998 წლის სატრანსპორტო სამართლის რეფორმით, რომელმაც სამეწარმეო კუთხით მოქმედი ტრანსპორტიორი ჩართო ვალდებულებით ურთიერთობაში და გაითვალისწინა პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი შემთხვევები. ამგვარად, გერმანიის სავაჭრო კანონის § 421-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, შესრულების მიმღებ პირს უფლება აქვს, სატრანსპორტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები საკუთარი სახელით ტვირტის გადამზიდველის წინააღმდეგ განახორციელოს. თუმცა, რეგულირების გარეშე დარჩა არასამეწარმეო კუთხით მოქმედი გადამზიდველების ან მოვალის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებით გადამზიდველი პირების პასუხისმგებლობა (ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საექვოა, გამოიყენება თუ არა § 447, ამასთან დაკავშირებით, § 447-ის მე-7 და მომდევნო ველები). ლიტერატურა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სავალდებულო საფრთხის ჩამოშორების შემთხვევების გადაწყვეტა უნდა მოხდეს არა *მესამე პირის ზიანის აღმოფხვრით*, არამედ მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირისთვის **ნორმატიული ზიანის** ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მიკუთვნებით (*Larenz SchR I § 27 IV b 1*). ეკონომიკურად დაზარალებულ მესამე პირს შეუძლია, § 285-ის თანახმად, მოითხოვოს მოთხოვნის უფლების გადაცემა. ამ წესის უპირატესობა ისაა, რომ ზიანის დაანგარიშდება მოხდება მხოლოდ მოთხოვნის უფლების მქონე პირის პოზიციიდან და არა მესამე პირის, რომელთანაც ზიანის მიმყენებელს საერთოდ არ ჰქონია შესება. **ბბ) მზრუნველობის შემთხვევები.** როდესაც ნივთის ფლობაზე უფლებამოსილი პირი (მაგალითად ნათხოვარი მანქანის მფლობელი) ნივთს მზრუნველობაში გადასცემს სხვას (მაგალითად შემნახველს, სარემონტო საწარმოს) და ეს ნივთი დაზიანდება, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მხოლოდ გამოყენებით მიუღებელი სარგებელი. ხოლო ნივთის უშუალო ზიანი ეხება მესამე პირს (მესაკუთრეს), რომელსაც ზიანის მიმყენებელი პირის წინააღმდეგ დელიქტური მოთხოვნები წარმოეშობა. ამ შემთხვევაში, ნივთის მფლობელს შეუძლია საკუთარი სახელშეკრულებო მოთხოვნით მესაკუთრის ზიანის მოთხოვნის განხორციელება (მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის დიფერენციაციისთვის, მაგ., §278/§831). **გგ) შუალობითი წარმომადგენლობა.** მზრუნველობის შემთხვევების მსგავსად, როდესაც პირი საკუთარი სახელით, მაგრამ სხვა პირის ხარჯზე ხელშეკრულებებს დებს (შუალობითი წარმომადგენლობა, მაგ., კომისიონერი, მინდობილი მესაკუთრე (ტრასტი)). ვალდებულებითი ურთიერთობის „უკან მდგომს“ ამ შემთხვევაშიც ადგება ხელშეკრულების მხარეების მიერ ვალდებულების დარღვევით გამომწვეული ზიანი, თუმცა, მოთხოვნის განხორციელება მას მხოლოდ დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე თუ შეუძლია.

გ) სამართლებრივი შედეგები. მოთხოვნის უფლების მქონე პირს შეუძლია, ზიანის მიმყენებელი პირისგან მოითხოვოს მესამე პირის ზიანის ანაზღაურება (ზიანი „გადაინაცვლებს“ მოთხოვნასთან, მიებმება მას). მესამე პირს კი უფლება აქვს, მოითხოვოს ამგვარად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დათმობა § 285-ით ან § 242-ით. ზიანის მოცულობა დგინდება მესამე პირის მდგომარეობიდან გამომდინარე. ამ უკანასკნელმა კი მოთხოვნის უფლების მქონე პირის თანაბრალეულობა უნდა გაითვალისწინოს (BGH NJW 1972, 289).

27

§ 249. ზიანის ანაზღაურების ფორმა და ფარგლები

(1) პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

(2) თუ ანაზღაურებას ექვემდებარება პირის ან ნივთის მიმართ მიყენებული ზიანი, მაშინ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად მოითხოვოს ფულადი თანხის გადახდა. ²ნივთის დაზიანების შემთხვევაში, პირველი წინადადების მიხედვით მოთხოვნილი ფულადი თანხა მოიცავს გადასა-

ხადს ბრუნვიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ფაქტობრივად დაერიცხა და შესაბამისი ოდენობით.

- 1 **1. ნორმა გამოხატავს ზიანის ანაზღაურების სამართლის ძირითად პრინციპს – ნატურით ანაზღაურებას:** დაზარალებულ პირს, ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, უფლება აქვს, მოითხოვოს საწყისი მდგომარეობის აღდგენა იმისგან დამოუკიდებლად, დაზიანებულა მისი მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე (მაგ., ერთი მხრივ, მკურნალობის ხარჯები დაზიანებისთვის და, მეორე მხრივ, პატივის შემლახველი გამონათქვამების შეწყვეტა; შდრ. უფრო დაწვრილებით §§ 249-ის მე-3 და მომდევნო ველები). მაშასადამე, ძირითადი მიზანია დაზარალებული პირის **თვითმყოფადობის (ხელშეუხებლობის) ინტერესის** დაცვა (*Integritätsinteresse* – შენარჩუნების ინტერესი) და არა მხოლოდ სხვადასხვა ღირებულებითი ინტერესის დაცვა (ამ გამიჯვნასთან დაკავშირებით, § 251 ველი 1). ამ წესიდან გამონაკლისია § 251-ის მე-2 ნაწილი.
- 2 საწყისი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს **ზიანის ანაზღაურება ფულადი სახით** მაშინ, როდესაც სახეზეა პიროვნების ან ნივთის დაზიანება (ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება), პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისთვის დაწესებული ვადა უშედეგოდ გავიდა (§ 250), ან პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელი ან არასაკმარისია (§ 251, პირველი ნაწილი – კომპენსაციის პრინციპის გამოხატულება). ზიანის ფულადი სახით ანაზღაურება პრაქტიკულად წესია და არა გამონაკლისი.
- 3 **2. ზიანის ნატურით ანაზღაურება ფულადი ანაზღაურების გზით. ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება** აძლევს კრედიტორს არჩევანის უფლებას: პირის ან საგნის დაზიანების შემთხვევაში მას უფლება აქვს, არ დაელოდოს მოვალის მიერ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას და თვითონ, მაგრამ ზიანის მიმყენებელი პირის ხარჯებით, აღადგინოს იგი. ვინაიდან ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება ზიანის ნატურით ანაზღაურების ერთგვარი სახეა, მოთხოვნის წინაპირობაა ის, რომ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელი უნდა იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ § 251-ის პირველი ნაწილის შესაბამისად მოხდება კომპენსაციის დაკისრება (პასუხისმგებლობის მოცულობასთან დაკავშირებით იხ. § 251 ველი 1). პირის მიერ დაზიანებული ნივთის (რომელიც არ ექვემდებარება შეკეთებას) გასხვისება ნატურით ანაზღაურებას შეუძლებელს არ ხდის (შდრ. *Palandt/Heinrichs* მე-7 ველი). ნივთის დაზიანების შემთხვევაში, ძირითადად, დაზარალებული პირი არჩევანში თავისუფალია, მას შეუძლია, მიღებული თანხა პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად არ გამოიყენოს; სხვაგვარადაა საქმე პირის დაზიანების შემთხვევების დროს: ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, არ წარმოიშობა მოთხოვნის უფლება მაშინ, როდესაც დაზარალებული პირი ნაიარევის კორექტირებას არ გააკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ კორექტირების თანხების ანაზღაურებას ითხოვს (*BGHZ*, 97, 14; არგ. სხვა შემთხვევაში მოცემული იქნებოდა § 253-ის პირველი ნაწილის რეგულირების უფლებელყოფა).
- 4 **ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში** დაზარალებულ პირს ზიანის ნატურით ანაზღაურების განხორციელების ორი შესაძლებლობა აქვს: მას შეუძლია მოითხოვოს გარემონტების ხარჯების (თვითმყოფადობის დაცვის ინტერესი), ან იმავე ღირებულების ავტომობილის შეძენის ხარჯების ანაზღაურება (ღირებულებითი, ფულადი ინტერესი). ზიანის აღმოფხვრის ეს უკანასკნელი სახე სასამართლო პრაქტიკის მიერ მიჩნეულია ზიანის ნატურით ანაზღაურების ფორმად და გამომდინარეობს არა § 251-იდან, არამედ § 249-იდან (*BGHZ* 162, 161, 164; განსხვავებულად *Medicus/Petersen* 818-ე ველი). დაზარალებული პირი ზიანის ანაზღაურების სახის განსაზღვრისას თავისუფალია, თუმცა, ეს თავისუფლება შეზღუდულია ეკონომიკური სამართლიანობისა და ზიანის ანაზღაურებით გამდიდრების აკრძალვის პრინციპებით (მოქმედებს პრინციპი: „არავინ უნდა გამდიდრდეს ზიანის

ანაზღაურების შედეგად“). ანაზღაურების სახის განსაზღვრა, როგორც წესი, ხდება საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ავტომობილის ხელახალი შექმნისა (ავტომობილის ღირებულება დაზიანებამდე) და დაზიანების შემდგომ ღირებულებებს, ასევე, მისი შეკეთებისთვის საჭირო მოსალოდნელ ხარჯებს. ა) დაზარალებულ პირს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შეუძლია განხორციელებული შეკეთების ხარჯების შემდეგი წესით და ოდენობით მოთხოვნა: დაზიანებამდე ავტომობილის საბაზრო ფასს გამოკლებული დაზიანების შემდგომ დარჩენილი ნივთის საბაზრო ღირებულება (BGH NJW, 2007, 588). გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (BGHZ, 162, 161) დაადგინა, რომ შესაძლებელია, შეკეთების ანაზღაურებადი დანახარჯები 30 %-ით აღემატებოდეს ნივთის ხელახალი შექმნისთვის საჭირო ოდენობას მხოლოდ მაშინ, როდესაც შეკეთება კვალიფიციურად და ხარჯების ზუსტი დაანგარიშებით ჩატარდება. ამასთანავე, დაზარალებულმა პირმა ეს მანქანა შეკეთებიდან 6 თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოს, მისი თვითმყოფადობის (შენარჩუნების) ინტერესის დასადასტურებლად (BGH NJW, 2008, 437 Nr 9; 2183 Nr 6). ამგვარად, თუ დაზარალებული პირის ავტომობილის სწორად წარმოებული რემონტი, მაგალითად, 13 000 ევრო ჯდება, ხოლო მსგავსი ავტომობილის ხელახალი შექმნა 10 000, შესაძლებელია, § 249-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, 13 000 ევრო იქნეს მოთხოვნილი. ბ) მაშინ, როდესაც დაზარალებული პირი არ გააგრძელებს დაზიანებულ ავტომობილს, მას, უბრალოდ, გაყიდის და მსგავს ახალ ავტომობილს შეიძენს, მისი ანაზღაურებადი ზიანი შემოიფარგლება მხოლოდ ავტომობილის ხელახალი შექმნისთვის საჭირო ხარჯით (ახალი ავტომობილის შექმნის თანხას გამოკლებული დაზიანებული ავტომობილის რეალიზაციით მიღებული თანხა – BGHZ, 163, 180). ასეთ დროს დაზიანებული ავტომობილის რეალიზაციით მიღებული ღირებულების ჩათვლა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული პირი ნაავარიებ მანქანას იმ ფასად გაყიდის, რომელიც მის მიერვე საქმეში ჩართულმა ექსპერტმა განსაზღვრა რეგიონალურ საბაზრო ფასად და ზიანის მიმყენებელი არ უთითებს უფრო მაღალ თანხას (BGHZ, 163, 362). გ) დაზარალებულ პირს, საკუთარი დისპოზიციური თავისუფლებიდან გამომდინარე, შეუძლია, დაზიანებული ავტომობილი არც შეაკეთოს და არც სხვა იყიდოს, არამედ, უბრალოდ, ზიანი ფიქტიურად დაიანგარიშოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მას შეუძლია, შეკეთების ხარჯები ავტომობილის შექმნის ღირებულებამდე მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, როდესაც იგი ავტომობილს დამატებით სულ ცოტა 6 თვე მანძილზე გამოიყენებს და ამ მიზნით ტექნიკური პირობების დასაკმაყოფილებლად აუცილებელ ხარჯებს გასწევს (მაგ. შეაკეთებს ფარებს, ვინაიდან ფარების გარეშე მოძრაობა აკრძალულია; BGH NJW, 2008, 1941 Nr 9). გარემონტების შემთხვევაში კი, მას შეუძლია, მხოლოდ ნივთის აღდგენისთვის საჭირო ხარჯი მოითხოვოს, ნივთის დაზიანების შემდეგ დარჩენილი ღირებულებისგან დამოუკიდებლად. ზიანის ასეთი სახით ანაზღაურების შესაძლებლობით დაზარალებული პირი არ არის შებოჭილი, არამედ შეუძლია, იმ შემთხვევაში, თუ სხვა რამე არაა შეთანხმებული (მოლაპარაკებით), ფაქტობრივად, განხორციელებული შეკეთებისა და მის შედეგად წარმოშობილი ხარჯებისათვის უფრო მაღალი თანხები მოითხოვოს (BGHZ, 169, 263).

3. ანაზღაურების მოცულობა. ანაზღაურებას ექვემდებარება ისეთი აღდგენითი ხარჯები, რომლებსაც გონიერი და ეკონომიკურად მოაზროვნე ადამიანი მიზანშეწონილად ჩათვლიდა დაზარალებული პირის მდგომარეობაში (BGHZ, 54, 85). ნივთის ზიანის შემთხვევაში მოვალეს ეკისრება ე.წ. „სახელოსნოს რისკი“ (აღდგენის გადამეტებული ხარჯები, მაგ. ნაკლული ან დაგვიანებული შეკეთების შემთხვევაში); დაზარალებული პირის მიერ ნივთის თვითონვე შეკეთების ან პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე უარის განცხადებისას, მე-2 ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, შესაძლებელია, ჩვეულებრივ, სახელოსნოს ხარჯები

იქნეს მოთხოვნილი. თუმცა, მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, არ ანაზღაურდება ბრუნვის გადასახადი, რითაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული ზედმეტი კომპენსაცია და ანაზღაურების მოჩვენებითი დაანგარიშება (RegBegr BT/Drucks 14/7752 22 და შემდეგი; BGHZ 158, 388: სრული ზიანის შესახებ). საკუთარი დაზიანებული მანქანის გამოუყენებლობის პერიოდში ნაქირავები მანქანის დანახარჯები ასევე ანაზღაურებას ექვემდებარება; თუ დაზარალებული პირი მანქანას არ იქირავებს, მაშინ ანაზღაურდება ნივთით სარგებლობის ხელშეშლით მიყენებული ზიანი (შესავალი § 249 ველი 6). საწარმოები, რომლებიც მანქანებს აქირავებენ, დაზარალებულ პირებს სთავაზობენ ჩვეულებრივ ტარიფთან შედარებით ორჯერ და სამჯერ უფრო მაღალ ტარიფებს საავარიო შემთხვევების ჩამნაცვლებელი ავტომობილებისთვის. როგორც წესი, ასეთი მაღალი ტარიფები ექვემდებარება ჩვეულებრივი ტარიფის ოდენობამდე დაყვანას და ისე ანაზღაურებას (BGH NJW, 2005, 51, 52f; 2007, 1122). პირის დაზიანების შემთხვევებში, მკურნალობის ანაზღაურებად ხარჯებს მიეკუთვნება დაზიანებული პირის ოჯახის წევრების საავადმყოფომდე მგზავრობის ხარჯებიც (BGHZ, 106, 28, 30).

§ 250. ფულადი სახით ზიანის ანაზღაურება ვადის განსაზღვრის შემდეგ

¹კრედიტორს შეუძლია, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს განუსაზღვროს თავდაპირველი მდგომარეობის აღსადგენად საჭირო ვადა იმ პირობით, რომ იგი ვადის გასვლის შემდეგ უარს იტყვის თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენაზე. ²ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ფულადი საზღაურის, თუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა დროულად არ ხორციელდება; თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლება გამორიცხულია.

§ 251. ფულადი სახით ზიანის ანაზღაურება ვადის განსაზღვრის გარეშე

(1) თუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, ან იგი კრედიტორის ზიანის ასანაზღაურებლად საკმარისი არ არის, მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა კრედიტორს ზიანი უნდა აუნაზღაუროს ფულადი სახით.

(2) ¹ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს შეუძლია, კრედიტორს ზიანი აუნაზღაუროს ფულადი სახით, თუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამო დანახარჯებით. ²დაზარალებული ცხოველის მკურნალობის შედეგად დამდგარი დანახარჯები არ ითვლება შეუსაბამოდ მაშინაც კი, როდესაც ისინი ცხოველის ღირებულებას მნიშვნელოვნად აღემატება.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა. ა) ფუნქცია.** ნორმა უფლებას აძლევს კრედიტორს, განსაზღვრული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში განცდილი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ფულადი სახით განახორციელოს. (კომპენსაცია; ნორმა არ მოქმედებს არამატერიალური ზიანის შემთხვევებში, შდრ. ის. § 253). ეს მოთხოვნა ხელს უწყობს დაზარალებულ პირს, მოითხოვოს ზიანის ფულადი სახით ანაზღაურება მაშინ, როდესაც ზიანის ანაზღაურება ნატურით (§ 249) შეუძლებელი ან არასაკმარისია (პირველი ნაწილი); კომპენსაცია არის ზიანის ნატურით ანაზღაურების ინსტიტუტის განვრცობა. ნორმის მე-2 ნაწილის პირველ წინადადებაში მოცემულია თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის შეზღუდვა ზიანის მიმყენებელი პირის სასარგებლოდ: თუ ნატურით ანაზღაურება მხოლოდ შეუსაბამო დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ზიანის მიმყენებელ პირს უფლება აქვს, მოთხოვნის მქონე პირი დააკმაყოფილოს ფულადი კომპენსაციით (ზიანის ანაზღაურების შესრულების ფორმის შეცვლის უფლება მოვალის მიერ). **ბ) პასუხისმგებლობის მოცულობა.** კომპენსაციის მოთხოვნა ეხება ე.წ. ღირებულებით ან ფულად ინტერესს. ეს არის ზიანის გამომწვევი შემთხვევით ნარმოშობილი ქონების შემცირებული ღირებულება (შდრ. § 249-ის შესავალი, ველი 3). ხშირ შემთხვევაში, ღირებულებითი ინტერესი უფრო ნაკლებია, ვიდრე § 249-ით გათვალისწინებული

თვითმყოფადობის (ხელშეუხებლობის) დაცვის ინტერესი. ეს უკანასკნელი კი მიმართულია კონკრეტული ფორმით ქონების შენარჩუნებაზე იმისგან დამოუკიდებლად, ღირს თუ არა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

2. კომპენსაცია (ნორმის პირველი ნაწილი). ა) ზიანის ნატურით ანაზღაურების შეუძლებლობა (მაგ. § 275-ის შემთხვევაში) შესაძლებელია, დადგეს ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოებების გამო (სუბიექტური შეუძლებლობის დროს მოქმედებს § 249-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). **ფაქტობრივი** შეუძლებლობა გვაქვს სახეზე, როდესაც შეუცვლადი ნივთი (ორიგინალი ნახატი) განადგურდება, ხოლო სამართლებრივი – მაგალითად, სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევისას (§ 839: ამ შემთხვევაში რესტიტუციის გამოყენება შეფასდებოდა ადმინისტრაციის საქმიანობის სფეროში ჩარევად). **ბ) არასაკმარისია** ზიანის ანაზღაურება ნატურით, როდესაც მაგ. ნივთის შეკეთების დრო გრძელდება შეუსაბამოდ დიდ ხანს, ან, როდესაც დაზიანებული ნივთის ფასი, მიუხედავად მისი შესაფერისი შეკეთებისა, მაინც დაბალია. ასე მაგალითად: „ტექნიკური თვალსაზრისით შემცირებული ფასი“ (საგანი არ ექვემდებარება სრულად აღდგენას) ან „სავაჭრო თვალსაზრისით შემცირებული ფასი“ (დაზიანებული, როგორც „ნაკლი“). ასე წარმოიშობა, მაგალითად, ნაავარიევი მანქანის გარემონტების შემდგომ მისი გასაყიდი ფასის შემცირებით გამოწვეული უშუალო ზიანი, რომელიც ანაზღაურებას ექვემდებარება (BGHZ, 161, 151). ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, შესაძლებელია, კომპენსაცია გამოყენებულ იქნეს ნატურით ანაზღაურებასთან ერთად ან მის ნაცვლად.

3. მოვალის მიერ შესრულების ფორმის შეცვლის უფლება (მე-2 ნაწილი). დაზიანებული ავტომობილის აღდგენა, სასამართლო პრაქტიკის მიერ დადგენილი მტკიცე წესით, **არათანაზომიერია**, როდესაც შეკეთების ხარჯები 30%-ით მეტია ავტომობილის ხელახალი შექმნის ფასზე. თუმცა, ზიანის მიმყენებელი პირი პროგნოზის რისკის მატარებელია: როდესაც შეკეთების დროს აღმოჩნდება, რომ ნივთის აღდგენა შეუსაბამო დანახარჯებს მოითხოვს, ზიანის მიმყენებელ პირს არ შეუძლია ნორმის მე-2 ნაწილზე მითითებით შეკეთების ხარჯების სრულ ანაზღაურებაზე თქვას უარი (BGH NJW, 1972, 1800; შდრ. *Medicus/Petersen* 820-ე ველი). თანაზომიერების შეფასებისას გასათვალისწინებელია ბრალეულობის ხარისხი და აგრეთვე არამატერიალური ინტერესი. ეს უკანასკნელი კი ნათლად ჩანს მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებიდან.

§ 252. მიუღებელი შემოსავალი

¹ასანაზღაურებელი ზიანი მოიცავს, ასევე, მიუღებელ შემოსავალს. ²მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება შემოსავალი, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში ან განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, კერძოდ კი ღონისძიებების გატარებისა და უსაფრთხოების ზომების მიღებისას, სავარაუდოდ, იქნებოდა მოსალოდნელი.

§ 253. არაქონებრივი ზიანი

(1) არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი საზღაური შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

(2) თუ ანაზღაურებას ექვემდებარება სხეულისათვის, ჯანმრთელობისათვის, თავისუფლებისათვის ან სქესობრივი თვითგამორკვევისათვის მიყენებული ზიანი, მაშინ არაქონებრივი ზიანისათვისაც შესაძლებელია გონივრული ფულადი საზღაური იქნეს მოთხოვნილი.

1. ნორმა ეხება მხოლოდ ასანაზღაურებელ ფულად კომპენსაციას (§ 251) და არა ზიანის ნატურით ანაზღაურებას (§ 249), მათ შორის, არამატერიალური ზიანის შემთხვევებშიც (შდრ. § 249-ის შესავალი, ველი 3).

2. მაშინ, როდესაც ნორმის პირველი ნაწილი ძირითად ცნებას ეხება, მე-2 ნაწილი ასახელებს ყველა მნიშვნელოვან **გამონაკლის შემთხვევას**, რომელთა დროსაც შესაძლებელია არამატერიალური ზიანის მოთხოვნა (შდრ. იხ. § 651ვ-ს მე-2 ნაწილი). მე-2 ნაწილი ჩამოთვლილი სიკეთეების (მაგ., არ მოქმედებს საკუთრების ხელყოფის შემთხვევებში) ხელყოფის დროს, აგრეთვე, საფრთხის გამომწვევ და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შემთხვევებში, აწესებს არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურების შესაძლებლობას (დანვრილებით RegBegr BT-Drucks 14/7752, 14, 24). მე-2 ნაწილი ქმნის არა ცალკე მდგომ მოთხოვნის საფუძველს, არამედ წინაპირობად ითვალისწინებს მოვალის მიერ ზიანის ანაზღაურების კანონისმიერ ვალდებულებას, როგორცაა, მაგალითად, § 823 ან § 280-ის პირველი ნაწილი. უმნიშვნელო არაქონებრივი ზიანის შემთხვევებში სასამართლო პრაქტიკა არ ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას. პირადი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით იხილეთ § 823 ველი 17.
3. არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურების უპირველესი **ფუნქციაა** დაზარალებული პირისათვის განცდილი არამატერიალური ზიანის კომპენსირება. გარდა ამისა, ბრალეული პასუხისმგებლობის დროს აუცილებელია მისი ე.წ. **მორალური დაკმაყოფილება** განცდილი ზიანისთვის (BGHZ, 120, 1, 6 სხვა მითითებებით). ბრალეულობისგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის შემთხვევებში მორალური დაკმაყოფილების ფუნქცია უკანა პლანზე ინაცვლებს (ამ ფუნქციის კრიტიკასთან დაკავშირებით იხ. მაგ., *Wagner, Das neue Schadensersatzrecht*, [2002], 36 და მომდევნო გვერდები). აქ საქმე ეხება ყველა შემთხვევაში ერთიან მოთხოვნას, რომელიც, ამ ფუნქციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება ცალკეულ მოთხოვნებად დაიყოს, არამედ ექვემდებარება მთლიანობაში შეფასებას (BGHZ, 128, 117, 121f). შეფასების დროს გასათვალისწინებელია: მძიმე დაზიანებები და მათგან გამომწვეული ტანჯვა, მათი განგრძობადობა და დაზიანებულის მიერ მათი აღქმა, აგრეთვე ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობის ხარისხი (BGHZ, 138, 388, 391). უმძიმესი დაზიანებების შემთხვევებში კომპენსირებადი არამატერიალური ხელყოფა შესაძლებელია პიროვნების განადგურება იყოს, ეს ზუსტად ის შემთხვევებია, როდესაც იგი აღქმისა და მგრძობელობის უნარის დაკარგვასთან არის დაკავშირებული (BGHZ, 120, 1: მეან-გინეკოლოგის შეცდომის გამო ახალშობილმა მიიღო ტვინის მძიმე დაზიანება).

§ 254. თანაბრალეულობა

(1) თუ ზიანის დადგომას ხელი შეუწყო დაზარალებულის ბრალეულმა ქმედებამ, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ისევე როგორც ანაზღაურების მოცულობა, დამოკიდებულია იმაზე, ზიანი უფრო მეტი ოდენობით თუ რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეული.

(2) ¹ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულის ბრალი გამოიხატება უმოქმედობით, მიექცია მოვალის ყურადღება იმ უჩვეულოდ დიდი ზიანის საფრთხეზე, რომლის შესახებაც მოვალემ არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, ანდა დაზარალებულმა არ მიიღო ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. ²§ 278 შესაბამისად გამოიყენება.

1. **ზოგადი მიმოხილვა.** ნორმა ეხება სრული ანაზღაურების (Totalreparation) შეზღუდვის შემთხვევებს (§ 249-ის შესავალი, ველი 2), რომელთა დროსაც ზიანის გადანაწილება ხდება ზიანის შემთხვევის გამომწვევ პირებზე. თუ დაზარალებულის ბრალეულობა გადანაწილდა ზიანის მიმყენებელი პირის ბრალეულობას, შესაძლებელია, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მთლიანად გამოირიცხოს. „თანაბრალეულობა“ გაგებულ უნდა იქნეს **მოვალეობის დარღვევად** (საკუთარი გაცნობიერებული ინტერესის დარღვევა), ვინაიდან მართლწესრიგი არ იცნობს თვითდაზიანების აკრძალვას და, აქედან გამომდინარე, არც (ბრალეულად

დარღვეული) გულმოდგინეობის ვალდებულება არსებობს მესამე პირის ან საზოგადოების წინაშე. ნორმა არის აკრძალვის – *venire contra factum proprium*³⁵ – გამოხატულება (§ 242 ველი 4). აქედან გამომდინარე, დაზარალებულმა პირმა რაიმე „ბრალეულობის“ გარეშე, § 254-ის შესაბამისად, პასუხი უნდა აგოს **ნივთის ან საწარმოსთვის საფრთხის** შექმნის გამო, როდესაც საფრთხე მისი უფლებამოსილების სფეროში არსებული ობიექტიდან (საგნიდან) გამომდინარეობს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მტკიცებულებით, გერმანიის საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის § 7-ის მე-2 ნაწილის³⁶ თანახმად, შეუძლია თავი იმართლოს). ლიზინგის გამცემ პირს, რომელიც ლიზინგით გაცემული ავტომობილის მესაკუთრეა, მაგრამ არა მფლობელი, ლიზინგით გაცემული ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში, § 823-იდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელებისას მოთხოვნა არ უმცირდება არც ლიზინგის მიმღების ან ლიზინგით გაცემული ავტომობილის მძღოლის თანაბრალეულობის და არც მათ მიერ ავტომობილის ექსპლოატაციით გამოწვეული საფრთხის გამო (BGH NJW, 2007, 3120 Nr 16). ნორმის მოქმედების სფერო მოითხოვს **ფართო განმარტებას**: იგი მოქმედებს არა მარტო ზიანის ანაზღაურების ყველა მოთხოვნისათვის, არამედ, იგი სამართლებრივი თვალსაზრისით უკავშირდება ასევე იმ სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებს, რომელთა დროსაც ორმხრივი ბრალეულობის შეფასების საკითხი ურთიერთშეფარდებით უნდა გადანყდეს (ასე, მაგ., ზიანის მიმყენებელი რამდენიმე პირის წილთა გათანაბრების ვალდებულების დროს, § 426-ის შემთხვევებში).

2. ცალკეული შემთხვევები. ა) დაზარალებული პირის ბრალეულმა თანამონაწილეობამ შესაძლებელია, ზეგავლენა **მოახდინოს ზიანის წარმოშობაზე (პირველი ნაწილი)**. მაგ.: მძღოლი ზიანდება იმიტომ, რომ არ გადაიჭირა ღვედი; პირი ჩეკის ქალაქად დაუდევრად ინახავს; მძღოლი მოყინულ გზაზე დაუდევრად სწრაფად მიდის. **ბ)** უფლების ან ვალდებულების დარღვევისას შესაძლებელია თანაბრალეულობა გამოხატული იყოს უჩვეულოდ დიდი ზიანის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ **საჭირო საფრთხილების არმცემით (უმოქმედობით; ნორმის მე-2 ნაწილის პირველი ნაწილადების პირველი ალტერნატივა)**. მოსალოდნელი ზიანი და მისი ოდენობა დაზარალებული პირისათვის უფრო მეტად შესაძრწევია, ვიდრე ზიანის მიმყენებელი პირისთვის. **გ)** შესაბამისად, უფლების დარღვევით წარმოიშობა ზიანის შემცირების ვალდებულება. დაზარალებულმა პირმა უნდა მიმართოს ყველა შესაძლებელ საშუალებას იმისათვის, რომ წარმოშობილი ზიანის ოდენობა შესაძლებლად მცირე ოდენობით შეინარჩუნოს (პასუხისმგებლობის წარმომშობი შემადგენლობა). იმ შემთხვევაში, თუ ერთი პირი მეორეს (მაგ. მძღოლს) მიაყენებს ზიანს (ფეხს დაუზიანებს), დაზარალებულ პირს არ შეუძლია, ზიანის მიმყენებელს მოსთხოვოს სამისდღემო რჩენა – იგი ვალდებულია, მოითმინოს ფეხის მოსარჩენად ჩასატარებელი ოპერაცია, როდესაც ამ ოპერაციას აქვს წარმატების პერსპექტივა, იმავდროულად, არცთუ ისე დიდ ტკივილთანაა დაკავშირებული და ზიანის მიმყენებელი პირი პასუხისმგებელია ოპერაციის ხარჯებზე.

3. თანაბრალეულობის დადგენა. დაზარალებული პირის ზიანში თანამონაწილეობის ოდენობა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: **ა)** უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს დაზარალებული პირის წვლილი ზიანის **გამოწვევაში** (პირველი ნაწილი). აქ საქმე ეხება იმას, თუ რამდენად გამოიწვია ზიანი დაზარალებული პირის ქმედებამ (ზიანის მიმყენებელი პირის ქმედებასთან შედარებით). **ბ)** ამის შემდგომ დასადგენია ორივე მხარის **ბრალეულობის ხარისხი**. **გ)** თანაბრალეულობის

35 ლათინურიდან – „საკუთარი, უკვე განხორციელებული, ქმედების წინააღმდეგ მოქმედება.“

36 § 7-ის მე-2 ნაწილი: პასუხისმგებლობა გამოირიცხებულია, როდესაც უბედური შემთხვევა დაუძლეველი ძალით არის გამოწვეული.

შერაცხვის წინაპირობაა დაზარალებული პირის **ბრალეულობაუნარიანობა**, §§ 827-ისა და 828-ის შესაბამისად. თუ ეს წინაპირობები არ არსებობს, მაშინ შესაძლებელია, მაინც მოხდეს მოთხოვნის ოდენობის შემცირება § 829-ის შესაბამისი გამოყენებით და იქ მოხსენიებული წინაპირობებით, სამართლიანობის საფუძვლებიდან გამომდინარე (BGHZ, 37, 102, 106).

- 4 **4. მესამე პირის თანაბრალეულობის შერაცხვა (ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება).** საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დაზარალებული პირი იმ პირთა თანაბრალეულობისთვის, რომლებსაც იგი იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად (§ 278), პასუხს აგებს არა მხოლოდ ზიანის შემცირების სფეროში (მე-2 ნაწილი), არამედ აგრეთვე **ზიანის წარმოშობისთვისაც** (პირველი ნაწილი). ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება გაგებულ უნდა იქნეს ისე, რომ იგი ვრცელდება ასევე ნორმის პირველ ნაწილზე. ყველა შემთხვევაში, მაინც საკამათოდ რჩება, ნორმა სამართლებრივ საფუძვლად უნდა იქნეს გაგებული, თუ მხოლოდ სამართლებრივი შედეგების მითითებად § 278-ზე.
- 5 ა) სასამართლო პრაქტიკა და მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებაში სამართლებრივი საფუძვლის მითითება მოცემულია სახეზე იმ შედეგით, რომ დაზარალებულმა პირმა მხოლოდ მაშინ უნდა აგოს პასუხი თავისი კანონიერი წარმომადგენლებისა და პირთა მოქმედებებისათვის, რომელთაც იგი საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად იყენებს, როდესაც მასა და ზიანის მიმყენებელ პირს შორის **განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა** (ხელშეკრულება ან ხელშეკრულების მსგავსი ურთიერთობა; დამატებით იხ. § 278-ის ველი 5). ამ მოსაზრებას იზიარებს სასამართლო პრაქტიკა მხოლოდ ზიანის შემცირების სფეროში (მე-2 ნაწილი); ვინაიდან ნორმის მე-2 ნაწილი ზიანის მიმყენებელი ფაქტის არსებობას აყენებს წინაპირობად, მისი სახეზე ყოფნისას (კანონისმიერი) სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილად ჩაითვლება. ზიანის წარმოშობისთვის კი (პირველი ნაწილი) დაზარალებულმა პირმა პასუხი უნდა აგოს თავისი კანონიერი წარმომადგენლებისა და იმ პირთა მოქმედებებისათვის, რომელთაც საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად იყენებს მხოლოდ შესაბამისად გამოყენებული § 831-ის წინაპირობების მიხედვით (*Palandt/Heinrichs* 49-ე ველი; ამ მოსაზრების არგუმენტი: ზიანის მიმყენებელი პირიც აგებს პასუხს, § 278-ის თანახმად, მხოლოდ არსებული ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში).
- 6 ბ) ამის საპირისპიროდ, ლიტერატურის ერთი ნაწილის (*Larenz SchR I § 31 I d*) მიხედვით, ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება უნდა გავიგოთ როგორც მითითება სამართლებრივ შედეგზე. დაზარალებული პირი პასუხს აგებს თავისი კანონიერი წარმომადგენლებისა და პირთა მოქმედებებისათვის, რომელთაც იგი საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად იყენებს (ზიანის წარმოშობის შემთხვევებისთვისაც), შესაბამისად, **იმისგან დამოუკიდებლად**, არსებობდა თუ არა რაიმე **განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობა** მასა და ზიანის მიმყენებელ პირს შორის (მაგ. მხოლოდ დელიქტური მოთხოვნა). ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს შემდეგი არგუმენტი: ვინაიდან თანაბრალეულობის დროს საქმე ეხება მოვალეობების და არა ვალდებულებების დარღვევას, შეუძლებელია, ვალდებულების შესრულებაზე დამხმარე პირი ვალდებულებების განსაზღვრულ წრეში მოქმედებდეს (განსაკუთრებული ბოჭვა), არამედ მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ჩართო ურთიერთობაში დაზარალებულმა პირმა დამხმარე პირი საკუთარი ქონების ზედამხედველად (როგორც „ზედამხედველი პირი“). კანონიერ წარმომადგენელზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული წესი, ვინაიდან იგი დაზარალებული პირის მიერ თავის სამართლებრივ სიკეთეზე ყურადღებაამისაქცევად კი არ ინიშნება, არამედ მისი მოვალეობა კანონიდან გამომდინარეობს.

§ 255. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დათმობა

პირი, რომელმაც უნდა აანაზღაუროს ნივთის ან უფლების დაკარგვით მიყენებული ზიანი, ვალდებულია, ზიანი აანაზღაუროს მხოლოდ იმ მოთხოვნის უფლებათა დათმობის სანაცვლოდ, რომლებიც ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ პირს ეკუთვნის მესამე პირების მიმართ ნივთზე ან უფლებაზე საკუთრების უფლების საფუძველზე.

§ 256. დანახარჯებზე პროცენტის დარიცხვა

¹პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს განუხლები ხარჯები, ხარჯების განევის მომენტიდან დახარჯულ თანხაზე ან ფულის ნაცვლად დახარჯული სხვა საგნების ღირებულების სანაცვლოდ მიღებულ თანხაზე უნდა გადაიხადოს პროცენტები. ²თუ ხარჯები განუხლ იქნა იმ საგნის მიმართ, რომელიც უნდა დაუბრუნდეს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს, პროცენტები არ ექვემდებარება გადახდას დროის იმ მონაკვეთისათვის, როდესაც ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირი უსასყიდლოდ სარგებლობდა საგნით ან მისი ნაყოფით.

§ 257. ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება

¹პირს, რომელიც უფლებამოსილია, მოითხოვოს იმ დანახარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლება, თუ იგი ამ მიზნის მისაღწევად კისრულობს სხვა ვალდებულებას. ²თუ ვალდებულება ჯერ არ არის ვადამოსული, მაშინ ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს შეუძლია, ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების ნაცვლად მას წარუდგინოს უზრუნველყოფა.

1. ზოგადი მიმოხილვა. ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების მოთხოვნები შესაძლებელია სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველებიდან წარმოიშვას (ნორმის შინაარსის უკეთ გაგებისათვის იხ. 36-ე სქოლიო). § 257 არის არა ცალკე აღებული მოთხოვნის საფუძველი, არამედ განმარტავს დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის შინაარსს (მაგ. §§ 536-ს მე-2 ნაწილის, 634-ის № 2-ის, 670-ე, 683-ე პარაგრაფების შემთხვევებში) იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ანაზღაურებაზე უფლებამოსილ პირს დანახარჯები იმის გამო წარმოეშვა, რომ სამართლებრივ ურთიერთობაში შევიდა. § 257-ის გარდა, ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების მოთხოვნები შესაძლებელია გამომდინარეობდეს მაგ. ორმხრივი (სინალაგმატური) სახელშეკრულებო ვალდებულებიდან (მაგ. პასუხისმგებლობის დაზღვევა – BGHZ, 15, 154, 157 და მომდევნო გვერდები), სოლიდარული ვალდებულებითი ურთიერთობიდან § 426-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება (იხ. § 426 ველი 4), ასევე, როგორც პარტნიორისა (§ 738-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მე-2 ნაწილი) და თავდების (§ 775) მოთხოვნა, როგორც სახელშეკრულებო ან კანონისმიერი ზიანის ანაზღაურების ან უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა (მდრ. § 812 ველი 43). შემდგომი პრინციპები (ქვემოთ, მე-2 და მე-3 ველებში დახასიათებული) ყველა ამ შემთხვევაში გამოიყენება, თუ არ ხდება რომელიმე სპეციალური რეგულირების ჩარევა (მაგ., დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ კანონის მე-100 და მომდევნო პარაგრაფები).

2. მოთხოვნის შინაარსი. მოვალემ (რომელიც ვალდებულია დანახარჯების ანაზღაურებაზე) უნდა გაათავისუფლოს კრედიტორი მესამე პირი კრედიტორის მიერ მოთხოვნის განხორციელების რისკისგან³⁷. როგორი სახით გაათავისუფლებს

³⁷ § 257-ის გამოყენების მაგალითი: „ა“-მ (რომელიც მცხოვრებელია) „ბ“-სთან გააფორმა წარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც „ბ“-მ იკისრა „ა“-სთვის ლუმელის დამზადება. „ბ“-ს მიერ დამზადებული ლუმელი ნაკლიანი გამოდგა. მას შემდეგ, რაც ნაკლის გამოსწორებისთვის მიცემულმა ვადამ უშედეგოდ ჩაიარა, „ა“-მ ნაკლის გამოსწორება

მოვალე კრედიტორს ვალდებულებისგან, დამოკიდებულია მის არჩევანზე (BGHZ, 91, 73, 77). მას შეუძლია, მაგალითად, როგორც მესამე პირმა შეასრულოს ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულება (§§ 267, 362, პირველი ნაწილი), კერძო შეთანხმებით ვალი იკისროს (§§ 414, 415), კრედიტორთან მიაღწიოს ვალის პატიებას (§ 397), ან საკუთარი მოთხოვნის გაქვითვით (§ 387). მას შეუძლია, აგრეთვე, მე-2 წინადადების შესაბამისად, წარადგინოს უზრუნველყოფა მანამ, სანამ მესამე პირის ვალდებულების შესრულების ვადა არ დამდგარა (მდრ. იხ. აგრეთვე §§ 738-ის პირველი ნაწილი, 775-ის მე-2 ნაწილი). დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირისადმი გადახდის შემთხვევაში იგი მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, როდესაც ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი ამას ეთანხმება, ვინაიდან სხვა კრედიტორების შესაძლებელი ჩარევისას გამიზნული გათავისუფლება საფრთხის ქვეშ დადგებოდა (BGHZ 15, 145, 149). კანონიდან გამომდინარე, ვალდებულებისგან გათავისუფლების მოთხოვნის ვადა დგება მესამე პირის ვალდებულების წარმოშობისას (და არა მისი ვადამოსულობისას). ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი გათავისუფლების მოთხოვნებისას გადაწყვეტია, უპირველესად, ხელშეკრულების განმარტება და ცალკეული შემთხვევის გარემოებები. მაშინ, როდესაც დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი დააკმაყოფილებს თავის კრედიტორს გადახდით, მოვალისადმი გათავისუფლების მოთხოვნის ადგილს იკავებს დანახარჯებზე მოთხოვნა.

- 3 3. მოთხოვნის დათმობის შესაძლებლობა.** მოთხოვნის დათმობა ურთიერთობაში არამონაწილე პირის წინაშე, § 399-ის მიხედვით, გამორიცხულია, რადგან იგი ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსის შეცვლას გამოიწვევდა³⁸ (BGHZ, 12, 136, 141). გამონაკლისი³⁹: მოთხოვნის ცესიონერი (რომლის მიმართაც მოხდა მოთხოვნის დათმობა) მესამე პირი კრედიტორის წინაშე იკავებს ცედენტის (მოთხოვნის დათმობის) ადგილს (მაგ. § 414-ის შემთხვევა). მოთხოვნის დათმობა მესამე პირი კრედიტორის წინაშე შესაძლებელია. § 257-იდან გამომდინარე ვალდებულებისაგან გათავისუფლების მოთხოვნა გადაიქცევა შემდგომ ანაზღაურების (გადახდის) მოთხოვნად (BGHZ, 12, 136, 141).

§ 258. ნივთის თან წაღების უფლება

პირმა, რომელიც უფლებამოსილია სხვა პირისათვის გადასაცემი ნივთის ცალკეული ნაწილის გამოცალკევებაზე, გამოცალკევების შემთხვევაში საკუთარი ხარჯით უნდა აღადგინოს ნივთის თავდაპირველი მდგომარეობა. 2^{თუ} ნივთზე მფლობელობა მიიღო სხვა პირმა, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია, დართოს ნება ცალკეული ნაწილის გამოცალკევებაზე; მას შეუძლია უარი განაცხადოს ნებართვის მიცემაზე გამოცალკევებასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის წარდგენამდე.

³⁸ „გ“-ს შეუკვეთა, წარმოება რომ არ გასჩერებოდა. § 257-ის თანახმად, „ა“-ს შეუძლია მოსთხოვოს „ბ“-ს იმ მოთხოვნის შესრულების თავის თავზე კისრება, რომელიც „გ“-ს წარმოეშვა „ა“-ს მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ „ა“ ნაკლის გამოსწორების ხარჯებს თვითონ გადაუხდის „გ“-ს, მაშინ მას ამ დანახარჯების მოთხოვნის უფლება ექნება, § 634 № 2-ის თანახმად. თუმცა, როგორც აღინიშნა, § 257 იძლევა საშუალებას, „ა“-მ მოსთხოვოს „ბ“-ს, რომ მასა და „გ“-ს შორის არსებული ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის შესრულება მან იკისროს.

³⁸ ეს ის შემთხვევა იქნებოდა, თუ ზედა სქოლიოში მოხსენიებულ მაგალითში „ა“ „ბ“-ს მიმართ მოთხოვნას სულ სხვა პირს – „დ“-ს დაუთმობდა.

³⁹ 37-ე სქოლიოში მოხსენიებული აკრძალვისაგან განსხვავებით, შესაძლებელია, რომ „ა“-მ „ბ“-ს მიმართ მოთხოვნა „გ“-ს დაუთმოს და § 257-დან გამომდინარე მოთხოვნა „გ“-სთვის გადახდის მოთხოვნად გადაიქცევა, რომელიც მას შეუძლია „ბ“-ს წარუდგინოს.

§ 259. ანგარიშგების ფარგლები

(1) პირი, რომელიც უფლებამოსილია, წარადგინოს შემოსავლებისა თუ ხარჯების მართვის შესახებ ანგარიშგება, უფლებამოსილ პირს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელიც შეიცავს შემოსავლებისა თუ ხარჯების დალაგებულ ჩამონათვალსა და ასევე ქვითრებს, როდესაც მათი გაცემა, ჩვეულებრივ, სავალდებულოა.

(2) თუ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ შემოსავლების შესახებ ანგარიშში ასახული მონაცემები არ იქნება შეტანილი საჭირო გულისყურით, ვალდებულმა პირმა, მოთხოვნის შემთხვევაში, ფიცის ტოლფასი განცხადებით ოქმში შეტანით უნდა დაადასტუროს, რომ მან შემოსავლების შესახებ კეთილსინდისიერად მიუთითა იმდენად სრულყოფილად, რამდენადაც მას ეს შეეძლო.

(3) მცირე მნიშვნელობის საქმეებში ფიცის ტოლფასი დადასტურების ვალდებულება არ არსებობს.

§ 260. საგნების ერთობლიობის დაბრუნებისა და მათ შესახებ მონაცემების წარდგენის ვალდებულება

(1) პირმა, რომელიც ვალდებულია, დააბრუნოს საგნების ერთობლიობა ან შეატყობინოს ამ ერთობლიობის შემადგენლობის შესახებ მონაცემები, უფლებამოსილ პირს უნდა გადასცეს შემადგენლობის ჩამონათვალი.

(2) თუ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ ჩამონათვალი არ იქნება შედგენილი სათანადო გულისყურით, მაშინ ვალდებულმა პირმა, მოთხოვნის შემთხვევაში, ფიცის ტოლფასი ოქმში შეტანით უნდა დაადასტუროს, რომ მან შემადგენლობის ჩამონათვალი კეთილსინდისიერად იმდენად სრულყოფილად მიუთითა, რამდენადაც მას ეს შეეძლო.

(3) გამოიყენება § 259-ის მე-2 ნაწილის ნორმა.

§ 261. ფიცის ტოლფასი დადასტურების შეცვლა; ხარჯები

(1) სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ფიცის ტოლფასი დადასტურების გარემოებების შესაბამისი შეცვლის შესახებ.

(2) ფიცის ტოლფასი დადასტურების მიღების ხარჯები ეკისრება იმ პირს, რომელიც ითხოვს დადასტურებას.

§ 262. ალტერნატიული ვალდებულება; არჩევის უფლება

თუ ხდება რამდენიმე ვალდებულების შესრულების კისრება იმგვარად, რომ უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი ან მეორე, მაშინ, დავის შემთხვევაში, არჩევის უფლება ეკუთვნის მოვალეს.

§ 263. არჩევის უფლების განხორციელება; სამართლებრივი შედეგები

(1) არჩევა ხორციელდება მეორე მხარისათვის გაკეთებული განცხადებით.

(2) არჩეული ვალდებულება მიიჩნევა დასაწყისიდანვე ერთადერთ შესასრულებელ ვალდებულებად.

§ 264. არჩევის უფლების მქონე პირის მიერ უფლების განხორციელების დაყოვნება

(1) თუ არჩევის უფლების მქონე მოვალე არ ახორციელებს ამ უფლებას იძულებითი აღსრულების დაწყებამდე, კრედიტორს შეუძლია, თავისი არჩევანით მიმართოს იძულებითი აღსრულებას ერთი ან მეორე შესრულების მიმართ; თუმცა, მოვალეს მანამ, სანამ კრედიტორს არ მიუღია არჩეული შესრულება სრულად ან ნაწილობრივ, შეუძლია, გათავისუფლდეს ვალდებულებისაგან ერთ-ერთი დარჩენილი შესრულების განხორციელებით.

(2) ¹თუ არჩევის უფლების მქონე კრედიტორი აყოვნებს ამ უფლების განხორციელებას, მოვალეს შეუძლია, მისგან მოითხოვოს ამ უფლების განხორციელება ამისათვის გონივრული ვადის განსაზღვრით. ²ვადის გასვლით არჩევის უფლება გადადის მოვალეზე, თუ კრედიტორი დროულად არ განახორციელებს არჩევის უფლებას.

§ 265. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ალტერნატიული ვალდებულების შემთხვევაში

¹თუ ერთ-ერთი შესრულება თავიდანვე შეუძლებელი იყო, ან ის შემდგომში გახდა შეუძლებელი, მაშინ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა შემოიფარგლება დანარჩენი შესრულებით. ²ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არ იზღუდება, როდესაც შესრულება შეუძლებელი ხდება იმ გარემოების შედეგად, რომლისთვისაც პასუხისმგებელია არჩევის უფლების არმქონე მხარე.

§ 266. ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება

მოვალე არ არის უფლებამოსილი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებაზე.

§ 267. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ

(1) ¹თუ მოვალე არ არის ვალდებული, პირადად შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. ²მოვალის თანხმობა აუცილებელი არ არის.

(2) კრედიტორს შეუძლია უარი თქვას შესრულების მიღებაზე, თუ მოვალე ამას არ ეთანხმება.

1 1. ზოგადი მიმოხილვა. § 267 ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ კრედიტორისთვის (როგორც წესი) მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ შეასრულებს ვალდებულებას. სხვა შემთხვევაში, ნორმის განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ, როგორც წესი, ვალდებულება თვითონ მოვალის მიერ უნდა იქნეს შესრულებული და ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია, იგი იყოს მომსახურების გასანევადად დაქირავებული პირი (§ 613), რწმუნებული (§ 664), შემნახველი (§ 691) და საქმის მწარმოებელი პარტნიორი (§ 713). მესამე პირი არ არის წარმომადგენელი ან ის პირი, რომელსაც მოვალე საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად იყენებს (§ 278), ან ის პირი, რომელიც საკუთარ ვალდებულებას ასრულებს (მაგ. თავადები ან სოლიდარული მოვალე).

2 2. წინაპირობები. მესამე პირმა უნდა შეასრულოს კრედიტორის წინაშე არსებული ვალდებულება (§ 362), თუმცა, შესრულების სუროგატების (გაქვითვა, დეპონირება) განხორციელებაზე იგი არაა უფლებამოსილი. გარდა ამისა, იგი უნდა მოქმედებდეს უცხო ვალდებულების შესრულების ნებით. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია არა შინაგანი ნება, არამედ მისი ქმედების ობიექტური შინაარსობრივი დატვირთვა. თუ პირი უცხო ვალდებულებას ასრულებს და შესრულებას მიიჩნევს საკუთარი ვალდებულების განხორციელებად, მოცემული არ არის შესრულება. მესამე პირი, ამ შემთხვევაში, როგორც წესი, უფლებამოსილია, განხორციელებული ქმედება უკან გამოითხოვოს (უსაფუძვლო გამდიდრებით – § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების პირველი ალტერნატივა). თუმცა, § 242-ის ფარგლებში შესაძლებელია ვალდებულების შესრულება მოგვიანებით უცხო ვალდებულების შესრულებად ჩაითვალოს (BGH NJW, 1964, 1898; 1983, 814), სადაც მესამე პირი უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე უარს ამბობს და აცხადებს, რომ ვალდებულება მოვალისთვის უნდა შესრულებულიყო. ამ შემთხვევაში, თუ მესამე პირსა და მოვალეს შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს, მესამე პირის მიერ განხორციელებული შესრულება, რომელიც მოვალის

სასარგებლოდ ჩაეთვალა კრედიტორს, § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 ალტერნატივის შესაბამისად შეიძლება მოეთხოვოს მოვალეს.

§ 268. მესამე პირის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების უფლება

(1) 'თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულების შედეგად შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი. ²ანალოგიური უფლება ეკუთვნის ნივთის მფლობელს, თუ მას ემუქრება მფლობელობის დაკარგვის საფრთხე იძულებითი აღსრულების შედეგად.

(2) დაკმაყოფილება შეიძლება განხორციელდეს, აგრეთვე, დეპონირებით ან გაქვითვით.

(3) 'იმდენად, რამდენადაც მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მოთხოვნა გადადის მასზე. ²მოთხოვნის გადასვლა არ შეიძლება კრედიტორის საზიანოდ იყოს გამოყენებული.

§ 269. ვალდებულების განხორციელების ადგილი

(1) თუ ვალდებულების განხორციელების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც გარემოებებიდან, კერძოდ კი, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსიდან არ გამომდინარეობს, მაშინ ვალდებულება უნდა შესრულდეს იმ ადგილზე, რომელზეც მოვალეს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტისათვის ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი.

(2) თუ ვალდებულება წარმოიშვა მოვალის სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით, და თუ მოვალეს თავისი საწარმოო ერთეული სხვა ადგილზე ჰქონდა, მაშინ საცხოვრებელ ადგილს ცვლის საწარმოო ერთეულის ადგილი.

(3) მართლ იმ გარემოებიდან, რომ მოვალემ იკისრა გაგზავნის ხარჯები, არ შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ დანიშნულების ადგილი ვალდებულების განხორციელების ადგილად უნდა ჩაითვალოს.

1. ზოგადი მიმოხილვა. ა) ვალდებულების განხორციელების ადგილას უნდა განხორციელდეს მოვალის მოქმედება (შდრ. § 243 ველი 4). §§ 447-ის, 644-ის მე-2 ნაწილში და ასევე, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 29-ში კანონი გაუგებრად და დამაბნეველად იყენებს ტერმინ „შესრულების ადგილს“. შესაბამისად, მოქმედების განხორციელების ადგილისგან უნდა განვასხვავოთ **შესრულების ადგილი**, სადაც ვალდებულების შესრულების შედეგი დგება (შესრულება, § 362, მაგ. ნასყიდობის დროს საკუთრების უფლების მოპოვება და მყიდველის მიერ ნივთის უშუალო ფლობის შექმნა, § 433-ის პირველი ნაწილი). ვალდებულების განხორციელების ადგილი შეიძლება არ ემთხვეოდეს შესრულების ადგილს: **მიტანის ვალდებულების დროს** ვალდებულების განხორციელებისა და შესრულების ადგილი არის კრედიტორის საცხოვრებელი, **წამოღების ვალდებულებისას** ვალდებულების განხორციელებისა და შესრულების ადგილი მოვალის საცხოვრებელია. ამათგან განსხვავებით, **გაგზავნის ვალდებულების დროს** მოვალე „თავის მხრივ ყველაფერს“ (ახორციელებს მოქმედებას; შდრ. § 243-ის მე-2 ნაწილი) აკეთებს საკუთარ საცხოვრებელ ადგილას, ხოლო შედეგი კრედიტორის საცხოვრებელ ადგილას დგება. ბ) **მნიშვნელობა**. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სახელმეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე დაეების, ან მათი არსებობის დადგენის შემთხვევებში იმ ტერიტორიის სასამართლოა განსჯადი, სადაც სადავო ვალდებულება უნდა განხორციელდეს“⁴⁰.

40 შედარებისთვის იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.

მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს: „შეთანხმება შესრულების ადგილის შესახებ ქმნის განსჯადობას, როდესაც ხელშეკრულების მხარეები მენარმეები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან საჯარო ქონების განმკარგავი პირები არიან“. აქედან გამომდინარე, მოქმედების (ვალდებულების) განხორციელების ადგილზეა დამოკიდებული სახელშეკრულებო განსჯადობა. ამ საკითხს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ასევე, წამოღების, მიტანის, გაგზავნის ვალდებულებების განსაზღვრისათვის (ამასთან დაკავშირებით იხ. § 243 ველი 4). მხოლოდ მაშინ ხდება ვალდებულების დაკონკრეტება, როდესაც მოვალე ვალდებულების განხორციელების ადგილას მოქმედებს (§ 243-ის მე-2 ნაწილი). დაკონკრეტება კი მოვალისთვის იწვევს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისგან თავის არიდების შესაძლებლობას, ხოლო კრედიტორისთვის წარმოიშობა ვადის გადაცილების საფრთხე (დამატ. § 293-ის ველები). მოვალეს შეუძლია შეასრულოს უფრო მეტიც, მაგალითად, წამოღების ვალდებულების დროს თვითონ მიუტანოს საქონელი.

- 2. ვალდებულების განხორციელების ადგილის განსაზღვრა.** ა) ვალდებულების განხორციელების ადგილის განსაზღვრა დამოკიდებულია, პირველ რიგში, **მხარეებზე**. ცალმხრივი ნების გამოვლენა არ არის საკმარისი. ამასთანავე, შესაძლებელია, სავაჭრო ურთიერთობებში იგი განისაზღვროს მონაწილე მხარეების მიერ წერილის მეშვეობით (დამატებით იხ. § 116-ის შესავალი ველი 9). მოლაპარაკებები, რომლებიც მოვალეს ავალდებულებს იზრუნოს ნივთის **გაგზავნისთვის** ან იკისროს გაგზავნის ხარჯები (მე-3 ნაწილი), ცვლის წამოღების ვალდებულებას გაგზავნის ვალდებულებით, თუმცა, ვალდებულების განხორციელების ადგილს უცვლელს ტოვებს (შდრ. ზემოთ, ველი 1); **ბ)** თუ ვალდებულების განხორციელების ადგილი, პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, გარემოებებიდან, განსაკუთრებით, ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარეობს, მაშინ გადაწყვეტის საშუალებით ურთიერთობებში არსებული ჩვეულება, ხოლო სავაჭრო გარიგების შემთხვევებში, სავაჭრო ურთიერთობაში ჩამოყალიბებული წესები (გერმანიის სავაჭრო კანონის § 346). მაგალითად, ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო გარიგებების დადებისას მალაზია არის ორივე მხარისთვის ვალდებულების განხორციელების საერთო ადგილი. იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი ვალდებულებას იღებს, სასმელი, ზეთი ან ავეჯი საცხოვრებელ ან სანარმოო ადგილას თვითონ მიიტანოს, მოქმედი წესების თანახმად, უნდა მივიჩნიოთ, რომ სახეზეა მიტანის ვალდებულება. ამისგან განსხვავებით, სავაჭრო გარიგებებში, როდესაც მიტანა ხორციელდება გადამზიდავი ორგანიზაციის დახმარებით, როგორც წესი, უნდა მივიჩნიოთ, რომ მოცემულია გაგზავნის ვალდებულება (ამასთან დაკავშირებით იხ. § 447-ის მე-6 და მომდევნო ველები; BGH NJW 2003, 3341; კრიტიკულად Borges DB 2004, 1815). მშენებლობის ხელშეკრულების შემთხვევაში, შესაძლებელია, დაუშვავთ **ვალდებულების განხორციელების საერთო ადგილი**. ამისგან განსხვავებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისას, განსაკუთრებული შესაბამისი გარემოებების არარსებობის დროს, ადვოკატის მიერ ჰონორარის მოთხოვნა არ მიუთითებს მის საადვოკატო ბიუროზე, როგორც ვალდებულების შესრულების ადგილზე, არამედ პირველი ნაწილის შესაბამისად, კლიენტის საცხოვრებელ/საქმიანობის ადგილზე (BGHZ, 157, 20). იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მხარეთა სხვაგვარი შეთანხმება, ნაკლის გამოსწორება იმ ადგილას უნდა განხორციელდეს, სადაც, ხელშეკრულების შესაბამისად, გასაუმჯობესებელი ნაკეთობა ან ნივთი მდებარეობს (BGH NJW-RR, 2008, 724, Nr 13); **გ)** მაშინ, როდესაც ვალდებულების განხორციელების ადგილი არც მხარეთა შეთანხმებიდან და არც განსაკუთრებული გარემოებიდან გამომდინარეობს, **კანონისმიერი რეგულირების** თანახმად, ასეთად მოვალის საცხოვრებელი ან ეკონომიკური საქმიანობის ადგილი მიიჩნევა (ნორმის მე-2 ნაწილი).

§ 270. გადახდის ადგილი

(1) დავის შემთხვევაში, მოვალემ კრედიტორის მიმართ გადახდა უნდა განახორციელოს საკუთარი რისკითა და ხარჯით, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

(2) თუ მოთხოვნა წარმოიშვა კრედიტორის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით, და თუ კრედიტორს თავისი საწარმოო ერთეული სხვა ადგილზე ჰქონდა, მაშინ საცხოვრებელ ადგილს ცვლის საწარმოო ერთეულის ადგილი,

(3) თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის შემდეგ იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო იზრდება ხარჯები, ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ კრედიტორს ეკისრება როგორც გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, ასევე, საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკიც.

(4) ნორმები ვალდებულების განხორციელების ადგილის შესახებ უცვლელი რჩება.

1. ზოგადი მიმოხილვა. მიუხედავად პირველი ნაწილის ინტერპრეტაციისა, ფულადი ვალდებულებების განხორციელების ადგილი (და არა შესრულების ადგილი!) დავის შემთხვევაში არის არა კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი, არამედ, § 270-ის მე-4 ნაწილისა და 269-ის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის საცხოვრებელი. მაშასადამე, ფულადი ვალდებულება არის გაგზავნის ვალდებულება, რომლის დროსაც მოვალე, ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად, შესრულების (ფულის გადაცემის/გადარიცხვის) რისკს ატარებს (ე.წ. „კვალიფიციური გაგზავნის ვალდებულება“). § 270 ვრცელდება ყველა ფულად ვალდებულებით შემთხვევაზე, თუმცა, არ მოქმედებს ფულის უკან დაბრუნების მოთხოვნების მიმართ (მაგ., მინდობილი პირის წინააღმდეგ, § 667, ან უსაფუძვლო გამდიდრების მოვალის მიმართ, § 812).

2. რისკზე პასუხისმგებლობა. ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად, ფულადი ვალდებულების არსებობისას, მოვალე ატარებს შესრულების (ფულის გადაცემის/გადარიცხვის) შემთხვევითი **დაღუპვის რისკს** (როდესაც კრედიტორიც და მოვალეც, §§ 276-278-ის მიხედვით, არაბრალეულები არიან). რისკზე ამგვარი პასუხისმგებლობა შეესაბამება მიტანის ვალდებულების ბუნებას, რომლისგანაც განსხვავდება კვალიფიციური გაგზავნის ვალდებულება თავისი სამართლებრივი შედეგებით და კონკრეტულად იმით, რომ ვალდებულების განხორციელების ადგილი არის მოვალის საცხოვრებელი (შდრ. § 269 ველი 1). რაც შეეხება კრედიტორს, თავის მხრივ, იგი არის **მიღების ვადის გადაცილების რისკის** მატარებელი. გავრცელებული შეხედულების თანახმად, მოვალე ვალდებულია ფულის დროულ გაგზავნაზე/გადარიცხვაზე. მაგ.: ჩეკის გაგზავნა, ბანკისადმი გადარიცხვის დავალების მიცემა. თუმცა, ევროკავშირის სასამართლო საქმიან ურთიერთობებში ვადაგადაცილების აღმოფხვრის დირექტივის (2000/35/EG) მე-3 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „იი“ ქვეპუნქტს განმარტავს შემდეგნაირად: **საბანკო გადარიცხვით გადახდის** შემთხვევებში ვალდებულებით ნაკისრი თანხა დროულად უნდა იქნეს ჩარიცხული კრედიტორის ანგარიშზე (შდრ. § 675-ის შესავალი, ველი 2), რათა ვადის გადაცილებით წარმოშობილი პროცენტი თავიდან იქნეს აცილებული. ბანკების გაუთვალისწინებელი ნაკლოვანი ქმედებისთვის მოვალე პასუხს არ აგებს (EuGH NJW, 2008, 1935 Nr 32). თუმცა, ეს დირექტივა მხოლოდ ვინწოდ გამოიყენება, ვინაიდან, ანაზღაურების მოთხოვნები მხოლოდ მენარმე სუბიექტებს შორის არსებულ საქმიან ურთიერთობებში წარმოშობილ გარიგებებს მოიცავს და ვალდებულების დროული განხორციელება მხოლოდ ვალდებულების დაგვიანებისას პროცენტების დადგენისთვის მოქმედებს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანმიმდევრული სისტემატიკის საფუძვლებიდანაც გამომდინარეობს § 270-ის ერთიანი განმარტება ვალდებულების დაგვიანების საფრთხეებთან მიმართებით. არა მხოლოდ მენარმეთა შორის ურთიერთობებში, არამედ ყველა ფულადი ვალდებულების დროს მოვალე არის ვადის გადაცილების საფრთხის მატარებელი (*Palandt-Heinrichs*, მე-6 ველი). ვალდებულების დროული განხორციელება ვადაგადაცილების ყველა შემთხვევაში ერთიანი კრიტერიუმებით რომ იქნეს განსჯილი, გერმანულ სამართალში ფულადი ვალდებულება აღარ განიხილებოდა კვალიფიცირებულ გაგზავნის ვალდებულებად (*Herresthal*, ZGS, 2008, 259, 265f).

§ 271. ვალდებულების შესრულების დრო

(1) თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული ვადა და იგი გარემოებებიდანაც არ გამომდინარეობს, მაშინ კრედიტორს შეუძლია შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნა, ხოლო მოვალეს შეუძლია მისი დაუყოვნებლივ შესრულება.

(2) თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** მოთხოვნის ვადამოსულება არის დროის ის მომენტი, რომელი მომენტიდანაც კრედიტორს შეუძლია ვალდებულების განხორციელება მოითხოვოს (ეს გადამწყვეტია მოვალის მიერ ვადის გადაცილების დადგენისთვის, § 286), ხოლო მოვალე უფლებამოსილია შესრულებაზე იმ მომენტიდან, როდესაც ნებადართულია მოვალესათვის ვალდებულების შესრულება (შესრულების უფლება; არის კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების ნინაპირობა, იხ. § 293-ის შესავალი, ველი 2). საეჭვოობისას, ვადამოსულობა და უფლება შესრულებაზე, პირველი ნაწილის თანახმად, ერთმანეთს ემთხვევა (მხარეთა შეთანხმებებს ენიჭებათ ამ შემთხვევაში უპირატესობა, ისევე როგორც § 269-ის დროს). გამონაკლისები შეიძლება გამომდინარეობდეს ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან, მაგ.: მიბარების ხელშეკრულების დროს ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა, §§ 695, 696-ის მე-2 ნაწილი.
- 2 **2. ვადაგადაცემა არის სახელშეკრულებო ვადამოსულობის გადანევა,** მოთხოვნის შესრულების უფლების შენარჩუნებით.
- 3 **3. შესრულების დროზე ფიქსირებული (დროზე მიბმული) გარიგებების დროს,** ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვალდებულების შესრულების დროს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელშეკრულება მხოლოდ და მხოლოდ შესრულების დროის დაცვით შეიძლება შესრულდეს, სახეზე გვაქვს შესრულების დროზე ფიქსირებული გარიგება. ზემოთ აღნიშნულისგან უნდა გაიმიჯნოს შესრულების დროის ჩვეულებრივი კალენდარული განსაზღვრა, § 286-ის მე-2 ნაწილის № 1-ის შესაბამისად. შესრულების დროზე ფიქსირებული გარიგებები არსებობს აბსოლუტური და ფარდობითი ბუნების. **აბსოლუტურად ფიქსირებული** გარიგებისას მიზნის მიღწევა გარიგებაში ფიქსირებული დროის შემდგომ შეუძლებელია (თუ ტაქსი დაიგვიანებს და მგზავრი ვეღარ მიუსწრებს თვითმფრინავს, მოგვიანებით ტაქსის მიერ იმავე ვალდებულების შესრულებას აზრი ეკარგება). ამ დროს მოქმედებს §§ 275, 280, 283, 326. **ფარდობითად ფიქსირებული** გარიგებისას კრედიტორი უფლებამოსილია, § 323-ის მე-2 ნაწილის № 2-ის შესაბამისად, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. კონკრეტულ შემთხვევაში, აბსოლუტურად თუ ფარდობითად ფიქსირებული გარიგებაა მოცემულია, ნარმოადგენს განმარტების საკითხს.

§ 272. შუალედური პროცენტები

თუ მოვალე ვადაზე ადრე იხდის უპროცენტო ვალს, მაშინ მას არა აქვს შუალედური პროცენტების გამოქვითვის უფლება.

§ 273. ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება (ვალდებულების დაკავება)

(1) თუ მოვალეს იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელსაც ეფუძნება მისი ვალდებულება, აქვს კრედიტორის მიმართ ვადამოსული მოთხოვნის უფლება, მაშინ მას, თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე მისთვის განკუთვნილი შესრულების განხორციელებამდე (ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება).

(2) ანალოგიური უფლება აქვს საგნის უკან დაბრუნებაზე ვალდებულ პირს, თუ მას ეკუთვნის საგანზე განუყოფელი ხარჯების ან ამ საგნით მისთვის მიყენებული ზიანისათვის ვადამოსული მოთხოვნის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან საგანი ხელში ჩაიგდო განზრახ ჩადენილი დელიქტით.

(3) ¹კრედიტორს შეუძლია, თავიდან აიცილოს ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების განხორციელება უზრუნველყოფის წარდგენით. ²უზრუნველყოფის წარდგენა თავადები პირის მიერ დაუშვებელია.

1. ზოგადი მიმოხილვა. ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება (ვალდებულების დაკავება) მოვალეს აღმჭურველი უფლების სახით ანიჭებს სუსპენსიური (მოქმედების გადამდები) შესაგებლის გამოყენების შესაძლებლობას. კრედიტორის მოთხოვნის განხორციელება მხოლოდ მოვალის საპირისპირო შესრულების ერთდროულად განხორციელებით არის შესაძლებელი (§ 274). **შემონმების რიგითობა** (ისევე როგორც ყველა სხვა აღმჭურველი უფლების შემთხვევაში) შემდეგნაირია: აღმჭურველი უფლების განხორციელების საფუძველი (ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება, ქვემოთ, ველი 2), აღმჭურველი უფლების განხორციელების შეტყობინება, აღმჭურველი უფლების განხორციელების დასაშვებობა (ქვემოთ, მე-5 ველი).

2. წინაპირობები. (მოკლე სქემა: საპირისპირო მოთხოვნა – ვადამოსულობა – ურთიერთკავშირი).

ა) საპირისპირო მოთხოვნა. ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებელი მოვალე იმავდროულად იმ საპირისპირო მოთხოვნის კრედიტორი უნდა იყოს, რომელიც მოთხოვნის კრედიტორის წინააღმდეგ არის მიმართული. გაქვითვისგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი, რომ მოთხოვნა და საპირისპირო მოთხოვნა ერთგვაროვანი იყოს. მაგ.: მოთხოვნა ნივთის გადმოცემაზე, საპირისპირო მოთხოვნა – ფულის გადახდა.

ბ) ვადამოსულობა. დამატებით საჭიროა, რომ მოვალის (რომელიც ვალდებულების შესრულებისგან თავს იკავებს) საპირისპირო მოთხოვნა იყოს სრულად ნამდვილი, ანუ ვადამოსული (მდრ. § 271) და მის წინააღმდეგ არ უნდა იყოს წარდგენილი შესაგებელი (§ 390). გამონაკლისი: უკვე ხანდაზმული საპირისპირო მოთხოვნები აფუძნებს ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლებას, როდესაც ისინი იმ მოთხოვნის წარმოშობის დროისათვის, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება, ჯერ კიდევ არ იყვნენ ხანდაზმულნი (§ 215).

გ) მოთხოვნათა ურთიერთკავშირი. მოთხოვნა და საპირისპირო მოთხოვნა უნდა ეხებოდეს ერთსა და იმავე სამართლებრივ ურთიერთობას. საკმარისია, როდესაც ეს მოთხოვნები წარმოიშობა ერთი კონკრეტული ცხოვრებისეული ურთიერთობიდან ისე, რომ ერთი მოთხოვნის განხორციელება მეორის გაუთვალისწინებლად

გამოიწვევდა კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევას. ურთიერთკავშირის მაგალითია: თამასუქიდან ან ჩეკიდან გამომდინარე მოთხოვნები და თამასუქის ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა; საქორწინო თანაცხოვრებიდან გამომდინარე ორმხრივი ქონებრივ-სამართლებრივი მოთხოვნები. არ არის აუცილებელი, რომ სახეზე იყოს მოთხოვნებს შორის სინალაგმატური ურთიერთობა ანუ მოთხოვნათა ურთიერთმიმართება (ურთიერთმიმართება „ხელიდან ხელში“ გაგებით). როდესაც ამგვარი შემთხვევა სახეზე, გამოიყენება § 320 (იხ. § 320 ველი 2).

5 3. ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების გამორიცხვა. ა) ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელება შესაძლებელია, **კანონით** იყოს გამორიცხული. მაგ.: ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენება დაუშვებელია რწმუნებულების სიგელის გადმოცემაზე მოთხოვნასთან მიმართებაში (§ 175), ან ქირავნობის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნასთან მიმართებაში (§ 570); **ბ) სახელშეკრულებო** გამორიცხვაც შესაძლებელია, თუმცა, არა ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით (§ 309 № 2, „ბ“); **გ) მოთხოვნათა გაქვითვის გამორიცხვის შემთხვევების მსგავსად, § 393** გამორიცხავს (დაუშვებელია დელიქტური ქმედების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გაქვითვა) ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების განხორციელებას. მსგავსი შედეგი აქვთ გაქვითვის სხვა აკრძალვებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელება გაქვითვის იდენტურია; **დ) გამორიცხვა შესაძლებელია, აგრეთვე, ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდანაც** გამომდინარეობდეს. მაგ.: ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენება ვერ მოხდება სავალო საბუთის ან თამასუქის გადმოცემის მოთხოვნასთან მიმართებით, როდესაც ვალი არ არსებობდა ან გადახდილია. ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება არ გამოიყენება, ასევე, სარჩოს (ალიმენტის) მოთხოვნის მიმართ; **ე) დაბოლოს, შესაძლებელია ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპს, მაგალითად, როდესაც მოვალე თავისი საპირისპირო მოთხოვნისთვის სათანადოდ უზრუნველყოფილია ან საპირისპირო მოთხოვნა არსებულ მოთხოვნასთან მიმართებით შეუსაბამოდ მცირეა.**

§ 274. ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების სამართლებრივი შედეგები

(1) **კრედიტორის სარჩელის წინააღმდეგ ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების გამოყენების შედეგია მხოლოდ ის, რომ მოვალეს ეკისრება ვალდებულების შესრულება მისთვის განკუთვნილი შესრულების მიღების სანაცვლოდ (ვალდებულებების ერთდროულად შესრულება).**

(2) **სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების საფუძველზე კრედიტორს შეუძლია თავისი მოთხოვნის უფლების განხორციელება იძულებითი აღსრულების პროცესში, თავისი მხრიდან ნაისრი ვალდებულების შესრულების გარეშე, თუ მოვალემ გადააცილა შესრულების მიღება.**

1 1. სამართლებრივი შედეგები განხილვის პროცესში. თუ მოვალე გამოიყენებს ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლებას (და კონკრეტულ შემთხვევაში ამას ასაბუთებს კიდევც), სასამართლო კრედიტორს უარს კი არ ეტყვის სარჩელის დაუკმაყოფილებაზე, არამედ კრედიტორსა და მოვალეს დაეკისრებათ თავიანთი ვალდებულებების ერთდროული შესრულება. ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების პროცესუალური გამოყენება იწვევს მხარეებისათვის ვალდებულებების ერთდროულად განხორციელების დაკისრებას მაშინაც, როდესაც მოვალე (რომელიც იმავდროულად კრედიტორიცაა), § 293-ისა და მომდევნო პარაგრაფების შესაბამისად, გადააცილებს შესრულების მიღების ვადას (BGHZ, 90, 354, 358).

ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლებით განხორციელებული საპირისპირო მოთხოვნით, გადანყვეტილება არ იქნეს კანონიერ ძალას (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 322 მუხლის მე-2 ნაწილი არ გამოიყენება).

2. **სამართლებრივი შედეგები იძულებითი აღსრულების დროს.** ნორმის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კრედიტორი აღსრულებისთვის იღებს სააღსრულებო ფურცელს ისე, რომ არ სჭირდება მოვალის დაკმაყოფილება, ან მის მიერ შეთავაზების მიუღებლობის დადასტურება (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 726-ის მე-2 ნაწილი). ამის მტკიცებულება მხოლოდ სააღსრულებო ღონისძიების დაწყებამდე უნდა იქნეს წარდგენილი (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 756, 765).

§ 275-ის შესავალი

I. ვალდებულების შესრულების გართულება (Leistungsstörungen⁴¹)

1. ვალდებულების შესრულების გართულებად მიიჩნევა ისეთი დაბრკოლება, რომელიც ვალდებულებითი ურთიერთობის (სახელშეკრულებო ან კანონისმიერი) ჯეროვან განხორციელებას ხელს უშლის. ისინი შესაძლოა, დაკავშირებულნი იყვნენ ძირითად ან დამატებით ვალდებულებებთან, წარმოიშვან ვალდებულებითი ურთიერთობის დაწყებამდე, მისი განხორციელებისას ან დასრულებისას.

2. ვალდებულების შესრულების გართულების ცენტრალური ცნებაა ვალდებულების დარღვევა. იგი აფუძნებს პასუხისმგებლობის შემადგენლობას § 280-ის სახით და ქმნის ვალდებულების შესრულების გართულებების ტიპიური ფორმებისათვის ზოგად გამაერთიანებელ ცნებას, სახელდობრ, მას მიეკუთვნებიან: ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება, ვადის გადაცილება. § 275-ში გათვალისწინებულია ვალდებულების შესრულების გართულების იშვიათი შემთხვევა – ძირითადი ვალდებულებისგან განთავისუფლება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებში.

II. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის სახეები

3. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის არსებული რეგულირების გასაგებად საჭიროა შემდეგი ცნებებისა და გამოჯვნების გაანალიზება:

4. **1. ობიექტური შეუძლებლობა** სახეზეა, როდესაც შეთანხმებული ვალდებულების შესრულება ბუნებრივი კანონზომიერებების, მეცნიერებისა და ტექნიკის მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლებელია (მაგ. *perpetuum mobile*-ს დამზადება, მომავლის მკითხაობა ჭიქაში ჩახედვით; იხ. § 138-ის მე-6 ველი, § 326-ის მე-5 ველი). **სუბიექტური შეუძლებლობა** (უუნარობა) მოცემულია, როდესაც, თავად მოვალეს არა, მაგრამ მესამე პირს შეუძლია ვალდებულების განხორციელება. მაგ.: ვალდებულების საგანი ეკუთვნის მესამე პირს, რომელსაც არ სურს მისი გასხვისება.

5. **2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა** შეიძლება გამოწვეული იყოს ფაქტობრივი ან იურიდიული გარემოებებით. **ფაქტობრივი შეუძლებლობა** გვაქვს

41 *Leistungsstörung* – ტერმინი კომენტარში ითარგმნა, როგორც ვალდებულების შესრულების გართულება. სიტყვასიტყვითი თარგმანის მიხედვით, „*Leistung*“ ნიშნავს შესრულებას, ხოლო „*Störungen*“ – ხელშეშლას. ტერმინის ქართული შესატყვისი იქნებოდა „ვალდებულების დარღვევა“. თუმცა, თარგმნისას გავიზიარეთ მოსაზრება, რომ ცნების (*Leistungsstörung*) ქვეშ ერთიანდება ასევე ისეთი შემთხვევები, როდესაც ვალდებულება გართულებულია, თუმცა, არა დარღვეული. გერმანულ სამართალში ტერმინის დამკვიდრებასთან დაკავშირებით იხ. *Heinrich Stoll, Die Lehre von den Leistungsstörungen, 1936*; ქართულ სამართალში შესატყვის ტერმინთან დაკავშირებით იხ. *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010 წ.

სახეზე, როდესაც გადასაცემი ნივთი ან უფლება აღარ არსებობს. აგრეთვე, შესაძლებელია ფაქტობრივი შეუძლებლობა ვალდებულების შესრულების დროის გასვლით იქნეს გამოწვეული („აბსოლუტური“ შესრულების ვადა, შდრ. § 271-ის მე-3 ველი). **იურიდიული შეუძლებლობა** გვაქვს, მაგალითად, მაშინ, როდესაც პირმა განსაზღვრული საქმიანობა უნდა შეასრულოს, რომელიც აკრძალულია (BAG NJW, 1995, 1774, 1775), ასევე მაშინაც, როდესაც ისეთი უფლება ან ნივთი უნდა იქნეს გადაცემული, რომელიც ვერ იქნება სამართლებრივი ბრუნვის საგანი ან საგანი, რომელიც კრედიტორს საკუთრებაში უნდა გადაცემოდა, მან სხვა პირისაგან შეისყიდა.

- 6 **3.** ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შესაძლებელია წარმოიშვას **საწყის ეტაპზე** ან **შემდგომ**. მამასადაძემ, შესაძლებელია, იგი წარმოიშვას ხელშეკრულების დადებამდე ან დადების შემდგომ. საწყის შეუძლებლობასთან დაკავშირებით იხ, § 311-ს კომენტარი.
- 7 **4.** ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შესაძლებელია გამოწვეული იყოს მხარის **ბრალით** ან **არაბრალეულად**. მოვალის ან კრედიტორის ბრალეული შეუძლებლობის შედეგებთან დაკავშირებით იხ. §§ 280-ის პირველი ნაწილი, 283 ან § 326-ის მე-2 ნაწილი. ორივე მხარის მიერ ბრალეულად გამოწვეულ შეუძლებლობასთან დაკავშირებით იხ. § 280-ის მე-6 ველი, § 326 ველი 4.
- 8 **5.** ვალდებულების შესრულება შესაძლებელია იყოს მხარისთვის **აბსოლუტურად (სრულად) შეუძლებელი** (ნამდვილი შეუძლებლობა), ან მხოლოდ შეუსაბამოდ რთული (არანამდვილი შეუძლებლობა), განსაკუთრებით, **პრაქტიკული შეუძლებლობის** შემთხვევებში (ე.წ. ფაქტობრივი შეუძლებლობა). ამ გამიჯვნას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, § 275-ის პირველი ნაწილის და, მეორე მხრივ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის რეგულირებები.

§ 275. ვალდებულების შესრულების გამორიცხვა

(1) შესრულების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება, რამდენადაც იგი მოვალისათვის ან ნებისმიერი პირისათვის შეუძლებელია.

(2) 'მოვალეს შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე იმდენად, რამდენადაც შესრულება მოითხოვს ხარჯებს, რომლებიც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით მნიშვნელოვნად შეუსაბამოა კრედიტორის ინტერესთან ვალდებულების შესრულების მიმართ. ზიმის განსაზღვრისას, თუ რა გონივრული ძალისხმევა შეიძლება მოეთხოვოს მოვალეს, მხედველობაშია, ასევე, მისაღები მოვალის ბრალეულობა შესრულების ხელშეშლაში.

(3) გარდა ამისა, მოვალეს შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მან ვალდებულება უნდა შეასრულოს პირადად და შესრულება მას არ შეიძლება მოეთხოვოს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ხელშეშლის ხარისხისა და შესრულებისადმი კრედიტორის ინტერესის ურთიერთშეწონის შედეგად.

(4) კრედიტორის უფლებები განისაზღვრება §§ 280-ის, 283-285-ის, 311-სა და 326-ის მიხედვით.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ნორმა ათავისუფლებს მოვალეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებში. ამასთან, ნორმის ქვეშ მოიაზრება ვალდებულების შესრულების ნაწილობრივი შეუძლებლობის შემთხვევაც („რამდენადაც“). ამის საპირისპიროდ, დროებითი (გარდამავალი) შეუძლებლობა ნორმირებულია და მოიაზრება შემდეგ შემთხვევათა ჯგუფებში: მოვალის მიერ ვადის გადაცილების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესახებ ნორმებში (§§ 280-ის მე-2 ნაწილი, 286); კრედიტორის მიერ შესრულებისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ ნორმებში (§§ 280-ის

მე-3 ნაწილი, 281) და ვალდებულების დარღვევისას ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ნორმებში (§ 323-ის პირველი ნაწილი). ზემოაღნიშნული ნორმების გამოყენების წინაპირობა არის მოთხოვნის ვადამოსულობა (ამ მოსაზრების კრიტიკა *Medicus FS Heldrich* (2005) 347). ეს პრობლემა გადაჭრილია, როდესაც დროებითი (გარდამავალი) შეუძლებლობა მუდმივ (გარდაუვალ) შეუძლებლობას შეიძლება გაუთანაბრდეს (ქვემოთ, მე-3 ველი). ნორმის მე-4 ნაწილი მიუთითებს კრედიტორის უფლებებზე (იხ. ქვემოთ, მე-7 ველი). § 275-ის რეგულირება მეორად მოთხოვნებზე არ მოქმედებს (მეორადი მოთხოვნების ცნებასთან დაკავშირებით იხ. § 241-ის შესავლის მე-3 ველი).

2. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის სახეების უმრავლესობა § 275-ის ფარგლებში არავითარ როლს არ ასრულებს. ნორმა მოქმედებს თანაბრად როგორც სუბიექტური („მოვალისთვის“), ასევე ობიექტური („ნებისმიერი პირისთვის“), საწყისი და შემდგომი, აგრეთვე ბრალეული ან არაბრალეული შეუძლებლობის შემთხვევებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებლობა გამომწვეულია მოვალის მიერ, მაგალითად, მაშინ, როდესაც მან გაყიდული ნივთი გადაცემამდე გაუფრთხილებლობით გაანადგურა, არაგონივრულია, რომ კრედიტორს დარჩეს უფლება, მოითხოვოს იმ ვალდებულების შესრულება, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია მოვალის მიერ, რადგან იძულებითი აღსრულების გზით, თუნდაც თეორიულად, შეუძლებელია ვალდებულების განხორციელება (*Reg-Begr BT-Drucks*, 14/6040, 128).

3. ნორმის პირველი ნაწილით რეგულირებული შეუძლებლობა გულისხმობს (როგორც ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებთან შედარებიდან გამომდინარეობს) მხოლოდ ნამდვილ (ობიექტურ და სუბიექტურ) და არა ფაქტობრივ (პრაქტიკულ) შეუძლებლობას. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შესაძლებელია ობიექტური (ფაქტობრივი) ან იურიდიული გარემოებებით იყოს გამომწვეული (§ 275-ის შესავალი, მე-5 ველი). მუდმივი (განგრძობადი) შეუძლებლობის წინაპირობა მოცემულია მაშინ (რომელთანაც შემდგომ დროებითი შეუძლებლობის გათანაბრება ხდება, ანუ დროებითი შეუძლებლობა მუდმივში გადადის), როდესაც იგი გარიგების მიზნის მიღწევას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მეორე მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ბოჭვაში დარჩენა ვალდებულების შესრულების დაბერკოლების აღმოფხვრამდე (*Palandt-Heinrich*, § 275 მე-10 ველი). სუბიექტური შეუძლებლობის (უუნარობის) წინაპირობაა ის, რომ მოვალეს არ შეუძლია ვალდებულების შესრულება და ამას ვერც ნივთის შოვნით, სხვაგან ყიდვით ან აღდგენით შეძლებს (შდრ. *BGH NJW*, 1988, 699, 700). გვაროვნული ნივთით შესასრულებელი ვალდებულების დროს მას ეკისრება დალუბული ნივთის მსგავსი გვაროვნული ნივთის შექმნის ვალდებულება (შდრ. § 243 ველი 2). პირის ფინანსური გადახდისუუნარობა, ზოგადი შეხედულების თანახმად, არ იწვევს ვალდებულებისგან განთავისუფლებას (ეს აზრს დაუკარგავდა გაკოტრების სამართალს). გერმანულ სამართალში დამკვიდრებული პრინციპი – „პირს ფული უნდა ჰქონდეს“ – მაშასადამე, § 275-ით ვერავინ განთავისუფლდება ფულის არქონის გამო ფულადი ვალდებულებისაგან.

4. ნორმის მე-2 ნაწილი ეხება ფაქტობრივ (პრაქტიკულ) შეუძლებლობას. ეს ცნება შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ვალდებულების შესრულების წინააღმდეგობის გადალახვა თეორიულად შესაძლებელია, თუმცა, არცერთი კრედიტორი ვალდებულების შესრულებას სერიოზულად არ დაელოდება. მაგ.: ვალდებულებით განსაზღვრული ბეჭდის გადაცემა, რომელიც მოვალეს შემთხვევით ზღვაში ჩაუვარდა; მონეტების კოლექცია, რომელიც ცათამბჯენის ფუნდამენტშია მოქცეული. ა) ცნება **დანახარჯი** მოიცავს როგორც პიროვნულ გარჯას, ასევე ფულად ხარჯს. ბ) მნიშვნელოვანია **შესრულებისადმი კრედიტორის და არა მოვალის ინტერესი**. ამასთანავე, დანახარჯებისა და ინტერესთა ურთიერთშეფარდების ფარგლებში მესამე

პირის კრედიტორისადმი შესაძლო მოთხოვნებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. შესრულების ინტერესის განსაზღვრისას უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ის ფაქტი, თუ მოთხოვნის წარმდგენი (კრედიტორი) სხვა პირის მიმართ ანაზღაურებაზე ვალდებულია (BGH NJW, 2010, 2341).

გ) თანაზომიერების მასშტაბის შემოწმებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, მოცემულია თუ არა **უხეში შეუსაბამობა** კრედიტორის ინტერესთან მიმართებაში; მოვალის ინტერესი, მაშასადამე, მისი დანახარჯის ურთიერთმიმართება ხელშეკრულების ფასთან არ არის გადამწყვეტი. თუ ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებები გამოწვეულია ბრალეულობის გარეშე, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის ნასყიდობის შემთხვევაში, მაშინ, § 439-ის განსაკუთრებული რეგულირების ფარგლებს გარეთ გამყიდველს უნდა შეეძლოს მოითხოვოს სულ მცირე, § 439-ის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების საგნის დანახარჯი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ვალდებულების საგნის ღირებულებას (*Palandt-Heinrichs*, 28-ე ველი; *Canaris JZ 2004*, 214, 218).

დ) თუ ვალდებულების შესრულების ხელშეშლა მოვალის ბრალით არის გამოწვეული (შდრ. § 276 პირველი ნაწილი), მას მოეთხოვება ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით განსაზღვრული წინააღმდეგობის გადალახვისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება. მაგ.: თუ მოვალე, მისი ბრალით გამოწვეული შეცდომით ან სამართლებრივი მდგომარეობის სრულად გააზრებით, ხელშეკრულების ნივთს მესამე პირს მიჰყიდის, მას გამოსყიდვისთვის ყველა შემთხვევაში საბაზრო ფასზე მეტის გადახდა მოუწევს, რათა ძირითადი ვალდებულებისგან გათავისუფლება შეეძლოს (*RegBegr BT-Drucks*, 14/6040, 131). საპირისპირო დასკვნის თანახმად, ნორმის მე-2 ნაწილი არ ითვალისწინებს იმას, რომ მოვალეს, თუ მისი ბრალეულობით არ არის გამოწვეული ვალდებულების შესრულების წინააღმდეგობა, საერთოდ არ უნდა მოეთხოვოს ამ წინააღმდეგობის გადალახვა. აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს „ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის“ გათვალისწინებით. ამგვარად, მოყვანილი მაგალითის თანახმად, მოვალე მაშინაც ვალდებულია გაისარჯოს და ხელშეკრულების საგანი მესამე პირისგან გამოსყიდოს და ამ უკანასკნელს საბაზრო ფასზე მეტი შესთავაზოს, როდესაც ვალდებულების შესრულების წინააღმდეგობა მისი ბრალით არაა გამოწვეული. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას ბრალეულობა არ ეხება, ობიექტური თვალსაზრისით, იგი ვალდებულებას მაინც ვერ ასრულებს, ასე რომ, ვალდებულების შესრულების წინააღმდეგობა მისი საქმიანობის სფეროში არსებული ნაკლიდან გამომდინარეობს (*RegBegr* მითითებულ ადგილზე).

- 5 5. ნორმის მე-3 ნაწილი არის პირადად შესასრულებელი ვალდებულების სპეცი-ალური რეგულირება. იგი ეხება, უპირველეს ყოვლისა, შრომით და მომსახურების განწვევის ხელშეკრულებებს, გარკვეულ შემთხვევებში, ასევე ნარდობისა და სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულებებს. ნორმის მე-2 ნაწილისგან განსხვავებით, ვინაიდან ვალდებულება მოვალის მიერ პირადად არის შესასრულებელი და მის პიროვნებაზეა დამოკიდებული, გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესრულებასთან დაკავშირებული მოვალის პიროვნული ასპექტები და გარემოებები და შეჯერებულ იქნეს კრედიტორის შესრულების ინტერესთან. თუ ამ ურთიერთშეფარდების შედეგად მოვალისთვის მიუღებელია შესრულება, მაშინ მოცემულია შეუძლებლობის შემთხვევა, მე-3 ნაწილის შესაბამისად (მაგ. ე.წ. „ფსიქიკური შეუძლებლობა“). ამის ნათელი მაგალითია მომღერლის შემთხვევა, რომელიც უარს ამბობს კონცერტის ჩატარებაზე, რადგან მისი შვილი სიცოცხლისთვის საშიში სენითაა დაავადებული. დამატებითი მაგალითები (*RegBegr BT-Drucks*, 14/6040, 130-ის მიხედვით): სამსახურის გაცდენა სამუშაო დროის პერიოდში ექიმთან სავალდებულო ვიზიტის გამო; მძიმედ ავადმყოფი ოჯახის წევრისთვის აუცილებლად გასანევი მზრუნველობა; სახელმწიფო ორგანოში ან სასამართლოში სავალდებულო ვიზიტი. § 616-დან

გამომდინარე საპირისპირო შესრულებაზე მოთხოვნა წარმოადგენს § 326 მუხლის პირველი ნაწილის გამონაკლისს.

6. ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრული არანამდვილი შეუძლებლობა უნდა გაიმიჯნოს **გარიგების საფუძვლის დარღვევის შემთხვევებისგან** (§ 313). განსაკუთრებით მხოლოდ § 313-ის ფარგლებში შეიძლება ე.წ. **ეკონომიკური შეუძლებლობის** გათვალისწინება (ამასთან დაკავშირებით იხ. § 313-ის მე-3 ველი).

7. სამართლებრივი შედეგები. ა) ნორმის პირველი ნაწილი წარმოშობს სასამართლოს მიერ სავალდებულოდ (საკუთარი ინიციატივით – ინკვიზიციურად) გასათვალისწინებელ უფლების მომსპობ მოვალის შესაგებელს. ეს ნიშნავს, რომ მოვალე კანონის ძალით თავისუფლდება ვალდებულებისგან. ბ) ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები კი მოვალეს ანიჭებს მხოლოდ შესრულებაზე უარის თქმის უფლებას. მაშასადამე, მან უნდა წამოაყენოს შესაბამისი შესაგებელი. ეს შესაძლებელია კონკლუდენტურადაც მოხდეს, როდესაც მითითება ხდება ვალდებულების შესრულების დამატკობელ გარემოებაზე. გ) მე-4 ნაწილში მითითებულია ის ნორმები, რომლებიც ვალდებულების შესრულების შეუძლებლობიდან გამომდინარე კრედიტორის უფლებებს არეგულირებენ. ცალკე მდგომ მოთხოვნის საფუძველს მე-4 ნაწილი არ შეიცავს. თუ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა მოვალის მიერ არის გამოწვეული, კრედიტორს, §§ 280-ის პირველი ნაწილისა და 283-ის შესაბამისად, შეუძლია (საწყისი შეუძლებლობის დროს, § 311ა-ის თანახმად), მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ორმხრივი ხელშეკრულების დროს, როგორც წესი, კრედიტორი თავისუფლდება საპირისპირო ვალდებულების შესრულებისგან (§ 326-ის პირველი ნაწილი) და § 326-ის მე-5 ნაწილის თანახმად, მას შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

§ 276. მოვალის პასუხისმგებლობა

(1) ¹მოვალე პასუხს აგებს განზრახვისა და გაუფრთხილებლობისას, თუ დადგენილი არ არის უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობა, ან იგი არ გამომდინარეობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან, კერძოდ კი, გარანტიის ან მიწოდების რისკის კისრებით. ²§§ 827 და 828 შესაბამისად გამოიყენება.

(2) გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ ნინდახედულებას.

(3) მოვალე არ შეიძლება წინასწარ გათავისუფლდეს განზრახვისათვის პასუხისმგებლობისაგან.

I. ზოგადი მიმოხილვა

1. ანგლოამერიკული სამართალი და მისგან გამომდინარე გაეროს ნასყიდობის სამართალი ეფუძნება სავარანტიო პასუხისმგებლობას, მისგან გათავისუფლების შესაძლებლობების გათვალისწინებით (შდრ. convention of international sale of goods, 79-ე მუხლი). გერმანული სამართალი კი, ტრადიციულად, ეყრდნობა **ბრალეულობის პრინციპს**. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, უფლებებისა და ვალდებულებების სანინაალმდეგო ქმედება მოვალეს მხოლოდ ბრალეულობის შემთხვევაში შეიძლება შეერაცხოს (მაგ. §§ 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 286-ის მე-4 ნაწილი; გამონაკლისია, მაგ., § 536ა-ს პირველი ნაწილის პირველი ალტერნატივა: პასუხისმგებლობა ქირავენობის ნივთის საწყისი ნაკლოვანების შემთხვევაში). ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება განსაზღვრავს, რომ პასუხისმგებლობის („**პასუხს აგებს**“) დაკისრება, როგორც წესი, ნიშნავს ბრალეულობას (განზრახს ან გაუფრთხილებელს). პრაქტიკული თვალსაზრისით, უმნიშვნელოა განსხვავება იმ სამართლებრივ სისტემებთან მიმართებაში, რომლებიც

ეფუძნებიან საგარანტიო პასუხისმგებლობას, მისგან გათავისუფლების შესაძლებლობების გათვალისწინებით, ვინაიდან გერმანულ სამართალში ბრალეულობა ივარაუდება, ხოლო მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს (შდრ. იხ. §§ 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 286-ის მე-4 ნაწილი). ამის მიუხედავად, პირველი ნაწილის პირველი წინადადება ტოვებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობას და ეს, ძირითადად, გვაროვნული ნივთით შესასრულებელი ვალდებულებების შემთხვევებში გვხვდება (შდრ. იხ. ქვემოთ, მე-9 ველი).

- 2 **2.** ბრალეულობის წინაპირობა, როგორც სუბიექტური პასუხისმგებლობა, არის, უპირველეს ყოვლისა, მართლწესრიგის ან ვალდებულების დარღვევა (ამასთან დაკავშირებით იხ. *Medicus/Larenz, SchR, I, 359-ე ველი*). შემდგომი წინაპირობაა ბრალეულობაუწარიაობა (ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება §§ 827-თან, 828-სთან კავშირში).

II. განზრახვა და გაუფრთხილებლობა

- 3 **1. განზრახვა** არის უფლების ან ვალდებულების დარღვევის ცოდნა და სურვილი. არაპირდაპირი განზრახვა ყოველთვის საკმარისია. განზრახვა უნდა მოიცავდეს უფლებისა და ვალდებულების დამრღვევ გარემოებებს. მამასადამე, როდესაც მოვალეს უფლების ან ვალდებულების დარღვევის ცოდნის ელემენტი არ გააჩნია, მაშინ იგი, სამოქალაქო სამართალში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, განზრახვის გარეშე მოქმედებს. (ე.წ. „განზრახვის თეორია“, სხვა თეორიას იზიარებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 17 – „ბრალის თეორია“).
- 4 **2.** ნორმის მე-2 ნაწილი **გაუფრთხილებლობას** განმარტავს მთლიანი კერძო სამართლის მოქმედების ჩარჩოში. სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელი წინდახედულება ეფუძნება (ფასდება) ობიექტურ მასშტაბს. საქმე ეხება არა კონკრეტული რომელიმე მოვალის შესრულების შესაძლებლობას, არამედ მისი სამოქალაქო ბრუნვის წრიდან ან ასაკობრივი ჯგუფიდან საშუალოდ აღებული პირისადმი სავალდებულო წინდახედულებას (მაგ. წინდახედულების გამოჩენა მძღოლის, მკურნალი ექიმის ან მენარმის მიერ, გერმანიის სავაჭრო კოდექსის § 347-ის მიხედვით). ამგვარი მკაცრი მასშტაბი გამართლებულია სამართლებრივი ბრუნვის უსაფრთხოებითა და სიმარტივით, რასაც სამოქალაქო სამართალში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.
- 5 **3.** განსაკუთრებით ნორმის მე-3 ნაწილის (აგრეთვე დელიქტური ვალდებულების შემთხვევებშიც, § 826) გამო მნიშვნელოვანია **განზრახვისა და გაუფრთხილებლობის** გამიჯვნა. ხშირად, მარტივი გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გამოირიცხება (ყურადღებამისაქცევია ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, მაგრამ აქვე § 309-ის № 7-ის შეზღუდვები). არაპირდაპირი განზრახვისა და შეგნებული გაუფრთხილებლობის (თვითიმედოვნების) განსხვავება რთულია, ვინაიდან ორივე შემთხვევაში მოვალე შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობას ითვალისწინებს. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სამართლოს (BGHZ, 7, 313) მოსაზრების თანახმად, ამ შემთხვევაში, აუცილებელია (როგორც ყოველთვის) დადგინდეს პირის შინაგანი დამოკიდებულება უფლების ან ვალდებულების დარღვევასთან, რაც გულისხმობს, რომ არაპირდაპირი განზრახვა სახეზეა, როდესაც დანაშაულის ჩამდენი პირი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას „დასაშვებად მიიჩნევს“.

III. პასუხისმგებლობის განსხვავებული მასშტაბი

- 6 **1.** კანონით ან გარიგებით შეიძლება **განსაზღვრული იყოს** უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობის მასშტაბი. ზოგიერთ შემთხვევაში, მოვალე კანონის ძალით თავისუფლდება მარტივი გაუფრთხილებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან.

მაგალითად, მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობისთვის აგებს პასუხს მრუქებელი (§ 521), გამნათხოვრებელი (§ 599), საფრთხის თავიდან აცილებისთვის დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელი (§ 680), მპოვნელი (§ 968), ასევე, § 300-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყველა მოვალე კრედიტორის მიერ მხოლოდ უხეში გაუფრთხილებლობით ვადის გადაცილებისას (ყურადღება მიაქციეთ, აგრეთვე, § 277-ს). უხეში გაუფრთხილებლობა მოცემულია, როდესაც განსაკუთრებით მძიმეა აუცილებელი წინდახედულების ნორმის დარღვევა. სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული შეხედულებით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ისეთი გარემოებების გააზრება და გათვალისწინება არ ხდება, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევაში ყველასთვის ნათელი უნდა იყოს. მაგ.: დასაშვები სიჩქარის ზღვარის 100 %-ით გადაჭარბება, გადასწრება ნისლიან ამინდში, როდესაც ხილვადობა ძალიან შეზღუდულია.

2. პასუხისმგებლობის განსხვავებული მასშტაბი შესაძლებელია ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდანაც გამომდინარეობდეს. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის მაგალითად ასახელებს გარანტიის კისრებას და მიწოდების რისკის აღებას, როგორც („განსაკუთრებით“) უმნიშვნელოვანეს შემთხვევათა ჯგუფებს.

ა) გარანტიის აღება ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულების საგნის თვისებების უზრუნველყოფას (გარანტირებას) ნასყიდობის, ქირავნობის, ნარდობისა და ნივთთან დაკავშირებულ სხვა მსგავს ხელშეკრულებებში (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 132). კანონი იყენებს სიტყვა „გარანტიას“, ასევე, ნასყიდობის პარაგრაფებში – 442-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 443-ე, 444-ე – ისე, რომ არ განმარტავს ცნებას. მისი განმარტება უნდა მოხდეს ცალკე აღებული ნორმის შინაარსთან მიმართებაში (Bamberger/Roth-Faust, § 433 მე-5 ველი). ყველა შემთხვევაში, 277-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, 442-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებას და 444-ე პარაგრაფებს საფუძვლად უნდა ედოს ერთიანი ცნება, ვინაიდან კანონმდებელი განსაზღვრული თვისებების გარანტირებას ისახავდა მიზნად (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 132, 236, 240), ხოლო რაც შეეხება § 443-ს, მისი მოქმედების სფერო გარანტიის ცნების შესახებ დამატებით მსჯელობას საჭიროებს (იხ. § 443 ველი 1). გარანტია, შესაძლებელია, არა მარტო მატერიალური საგნის კონკრეტულ თვისებებზე გავრცელდეს, არამედ, მაგალითად, მოთხოვნის უფლების ნასყიდობის შემთხვევაში, უფლების უნაკლოობაზეც (RA BT-Drucks, 14/7052, 184). გარანტიის აღება შესაძლებელია კონკლუდენტურადაც (მდრ. § 442-ის მე-5 ველი). იგი ნივთის მახასიათებლების უბრალო მონაცემებისგან (რომელთა დაკავშირებითაც მოვალე მხოლოდ თავის ცოდნას გამოხატავს, მაგ. აუქციონის კატალოგი) იმით განსხვავდება, რომ გამყიდველი ხელშეკრულების ბოჭვის ფარგლებში შეთანხმებული თვისებების არსებობაზე გარანტიას იღებს საკუთარ თავზე და ამით ხაზს უსვამს საკუთარ მზადყოფნას, ამ თვისებების არარსებობის შემთხვევაში, აანაზღაუროს ზიანი მაშინაც კი, როდესაც გარანტირებული თვისებების არარსებობა მისი ბრალით არაა გამოწვეული (§ 276-ის პირველი ნაწილი), და ასევე მაშინაც, თუ მყიდველმა უხეში გაუფრთხილებლობით ნივთის ნაკლი ვერ შეიცნო (§ 442-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). მოვალეს მიერ გარანტიის მიცემა, არ ნიშნავს იმავდროულად, შეუზღუდავად მის უფრო მკაცრად პასუხისმგებლობას. მას შეუძლია, ეს პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით შეზღუდოს. კანონი ადგენს, რომ აქ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი (ამ შემთხვევაში ხელშეკრულების). თუ ნასყიდობის ხელშეკრულებით შეთანხმებულია ნასყიდობის საგნის კონკრეტული თვისებებისა და ნივთის ნაკლოვანების ზოგადი გამორიცხვა, როგორც წესი, უნდა ვივარაუდოთ, რომ პასუხისმგებლობის გამორიცხვა მოქმედებს არა შეთანხმებული თვისებების არარსებობის

(§ 434-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება) მიმართ, არამედ მხოლოდ § 434-ის პირველი ნაწილის №№ 1-ითა და 2-ით გათვალისწინებულ ნაკლთან მიმართებაში (BGHZ, 170, 86).

- 9 ბ) მოვალე, ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, **მიწოდების რისკის** მატარებელია, როგორც წესი, გვაროვნული საგნით შესასრულებელი ვალდებულებებისა (შდრ. იხ. § 243 ველი 2) და (ყველა შემთხვევაში) ფულადი ვალდებულებების შემთხვევაში (შდრ. იხ. § 275-ის მე-3 ველი). ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთით შესასრულებელი ვალდებულებებისა მოვალეს შეუძლია, ნივთის მიწოდების რისკი ხელშეკრულებით აიღოს საკუთარ თავზე (მაგ., მოვალე იღებს ვალდებულებას, იშოვოს და მიანოდოს კრედიტორს პიკასოს კონკრეტული ნახატი. იგი მაშინაც აგებს პასუხს, როდესაც მისი ბრალისგან დამოუკიდებლად ვერ ასრულებს ვალდებულებას). შოვნისა და მიწოდების რისკის აღებაზე პასუხისმგებლობა მოიცავს, ასევე, მიწოდების დაყოვნებებზე/ვადის გადაცილებებზე პასუხისმგებლობას (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 132).

§ 277. წინდახედულება საკუთარი საქმიანობის სფეროში⁴²

ის, ვინც მხოლოდ ისეთი წინდახედულებისთვის აგებს პასუხს, რომელსაც საკუთარი საქმიანობის სფეროში იყენებს, არ თავისუფლდება უხეშ გაუფრთხილებლობაზე პასუხისმგებლობისაგან.

- 1 1. პასუხისმგებლობა საკუთარი ჩვეული წინდახედულებისათვის („diligentia quam in suis“) ნიშნავს **პასუხისმგებლობის შემსუბუქებას** § 276-ის მე-2 ნაწილის წინდახედულების ობიექტურ მასშტაბთან მიმართებაში (შდრ. § 276 ველი 4). ის, ვინც საკუთარი საქმიანობის სფეროში ჩვეულებისამებრ დაუდევარია, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან უხეშ გაუფრთხილებლობის ზღვრამდე. ნორმის მოქმედების სფერო ისახება სხვა კანონისმიერ რეგულირებებში (შდრ. §§ 346-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების № 3, 347-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 690-ე, 708-ე, 1359-ე, 1664-ის პირველი ნაწილი, 2131-ე). პასუხისმგებლობის შემსუბუქების საფუძველია ვითარება, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები იმყოფებიან მჭიდროდ დაკავშირებულ ურთიერთობაში (რომელიც არსებობს საოჯახო ურთიერთობაში ან პირთა ერთობის შიდა ურთიერთობაში შეიძლება წარმოიშვას) და ერთმანეთს იღებენ ისეთებად, როგორებიც არიან (*Bartels/Kuszlik ZJS*, 2010, 460f).
- 2 2. ა) **თუმცა, გერმანიის სასამართლო პრაქტიკა** ზემოაღნიშნულ წესს **საგზაო მოძრაობის შემთხვევებზე** არ ავრცელებს და საკუთარი ჩვეული წინდახედულება აქ არავითარ როლს არ ასრულებს (იხ. § 708-სთან დაკავშირებით BGHZ, 46, 313, 317, ხოლო § 1359-თან დაკავშირებით – BGHZ, 63, 51, 57). ზემოაღნიშნულის მსგავსი პასუხისმგებლობის შეზღუდვა, მისი განსაკუთრებული საშიშროების გამო, წინააღმდეგობაში მოვიდოდა კანონმდებლის მისწრაფებასთან, საგზაო მოძრაობაში დაანესოს პასუხისმგებლობის მკაცრი წესები და ამით თავიდან აიცილოს საფრთხეები. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შექმნისას (1900 წ.) ასეთი საფრთხეები არ მოიაზრებოდა და დღევანდელი ამომწურავი (ვიწრო) რეგულირებების თანახმად, დაუშვებელია „საგზაო მოძრაობაში, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური წინდაუხედაობა“. თუმცა, ამისგან განსხვავებით, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (JZ, 1972, 88), რომელიც ეხებოდა ამხანაგობას, რომლის მიზანიც იყო საფრენი აპარატის მოვლა და გამოყენება, დაშვებულად ცნო პლანერით ფრენისას ამხანაგობის წევრების მიერ საკუთარი ჩვეული წინდახედულობის მასშტაბი იმ მოსაზრებით, რომ საჰაერო მოძრაობა საგზაო მოძრაობის მსგავსად არ არის ორგანიზებული (თუმცა, შდრ.

42 ნორმის კომენტარი მე-13 გამოცემიდან.

BGH NJW, 2009, 1875: § 1359 არ გამოიყენება წყლის თხილამურებით გამონვეული უბედური შემთხვევის დროს).

ბ) ამ ფორმალური არგუმენტაციის უკან დგას **არგუმენტები სამართლიანობის შესახებ**. სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონის § 1-ის თანახმად, საგზაო მოძრაობის შემთხვევებისთვის მოქმედებს პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა. დაზარალებულ პირს შეუძლია, დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ კანონის (VVG) § 115-ის თანახმად, პირდაპირი მოთხოვნით მიმართოს მზღვეველ ორგანიზაციას. იმ შემთხვევაში, თუ § 1359-ის გამო ზიანის მიმყენებელ მეუღლეს ავარიის გამონვევისას თავისი მეუღლის წინაშე ზიანის ანაზღაურება არ დაეკისრებოდა იმიტომ, რომ საკუთარი ჩვეული წინდახედულებით მოქმედებდა, დაზიანებულ მეუღლესაც არ ექნებოდა მოთხოვნა ზიანის მიმყენებელი მეუღლის მზღვეველის მიმართ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მზღვეველი იქნებოდა ერთადერთი, რომელიც უსამართლოდ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა (*Deutsch JuS, 1967, 496, 497*). გარდა ამისა, მსგავს შემთხვევაში ზიანის მიმყენებელ მეუღლეს რჩენის ვალდებულება პასუხისმგებლობის პრივილეგიისგან დამოუკიდებლად მაინც დაეკისრებოდა. სასამართლო პრაქტიკისგან განსხვავებით, მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობის პრივილეგირების გამოყენებისათვის ორიენტირი უნდა გაკეთდეს არა იმაზე, თუ რამდენად ჰპოვებს საკუთარი წინდახედულობის პასუხისმგებლობის მასშტაბი ისეთ განსაკუთრებულად ნორმირებულ სფეროში გამოყენებას, როგორცაა საგზაო მოძრაობა, არამედ იმაზე, თუ და რამდენად მოაქვს სარგებელი პასუხისმგებლობის პრივილეგიას კონკრეტულ შემთხვევაში ზიანის მიმყენებლისთვის და არა მზღვეველისთვის (*Medicus FS Deutsch, [2002], 883-ე, 889-ე გვერდები*).

3. მაშინ, როდესაც **ზიანის მიმყენებელ** სხვადასხვა პირს შორის ერთ-ერთი პრივილეგირებულად, § 277-ის თანახმად, შემცირებული წინდახედულობის მასშტაბით აგებს პასუხს, ყურადღება უნდა მიექცეს სოლიდარული მოვალეების პასუხისმგებლობისას წილთა გათანაბრების საკითხის დარღვევას (ამასთან დაკავშირებით იხ. § 426-ის მე-6 და მომდევნო ველები).

§ 278. მოვალის პასუხისმგებლობა მესამე პირის ქმედებაზე

1 მოვალე პასუხს აგებს თავისი კანონიერი წარმომადგენლისა და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, იმავე მოცულობით, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს. **2** § 276-ის მე-3 ნაწილი არ გამოიყენება.

1. **ზოგადი მიმოხილვა.** ნორმა ეხება ხელშეკრულებების შესრულებისა და სხვა განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევებში ვალდებულების ძალით შესასრულებელი მოქმედებების გადანაწილებას (მაგ., მოვალესა და დამხმარე პირებს შორის), სადაც დამხმარე პირების ქმედება განიხილება თავად მოვალის ქმედებად. ვინაიდან დამხმარე პირებს, როგორც არამოვალე პირებს, ვალდებულებები (სახელშეკრულებო) პირდაპირ არ ეხებათ, პასუხისმგებლობის და ასევე, წინდახედულების მასშტაბის დადგენისას ორიენტაცია უნდა მოხდეს მოვალის პიროვნებაზე. დამხმარე პირი მხოლოდ წინდახედულების მასშტაბს გარეთ განხორციელებულ გადაცდომაზეა პასუხისმგებელი (**პასუხისმგებლობა სხვა პირის მოქმედებისათვის**).

2. ა) § 278-ისაგან უნდა **გაიმიჯნოს** § 831-ის რეგულირება, სადაც გათვალისწინებულია, რომ **შემსრულებლის** (§ 831-ით გათვალისწინებული შემთხვევა) პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარი შეცდომისთვის დგება (სახელდობრ, დავალების შემსრულებელი პირის შეცდომით შერჩევისას). ეს ნათლად გამომდინარეობს § 831-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადიდან, რომლის თანახმადაც გარანტირებულია

„პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესაძლებლობა“. შემდგომი განსხვავება ისაა, რომ § 831-ის შემთხვევაში, თუ დამხმარე პირი არღვევს საკუთარ ვალდებულებას, იგი თავად ახორციელებს დელიქტური ქმედების შემადგენლობას. თუმცა, დამხმარე პირს შეუძლია, როგორც §§ 278-ის, ასევე 831-ის შესაბამისად, ორივე ნორმის შემადგენლობით ერთდროულად გამოიწვიოს მოვალის (მმართველი) პასუხისმგებლობა. მაგ.: ტაქსის მძღოლი, რომელიც ბრალეულად იწვევს ავარიას. ტაქსებით მომსახურების სანარმო ფეხით მოსიარულეების წინაშე პასუხს აგებს § 831-ის თანახმად, ხოლო მგზავრის წინაშე, ასევე, § 278-ით (§ 280-ის გათვალისწინებით). **იურიდიული პირის ორგანოების პასუხისმგებლობისას, § 31-ის** სიტყვასიტყვითი განმარტებიდან უნდა დავასკვნათ, რომ ორგანოს პასუხისმგებლობისთვის სახეზე უნდა იყოს მმართველის მიერ განხორციელებული დელიქტური ქმედება. გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევებიც, § 31-ის თანახმად, უნდა იქნეს შერაცხული, იმის მიუხედავად, რომ თვითონ ორგანოს სახელშეკრულებო ვალდებულებები არ ეკისრება. ნაკლებად გავრცელებული მოსაზრების თანახმად (მაგ., *Medicus/Lorenz, SchR, I, 383-ე ველი*), § 278 შესაბამისად უნდა იქნას გამოყენებული. **თანამდებობის პირი** პასუხს აგებს (განხილული ნორმისაგან განსხვავებით) გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 839-ისა და გერმანიის ძირითადი კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მასზე დაკისრებული ვალდებულებების დარღვევისათვის. გერმანიის ძირითადი კანონის 34-ე მუხლი ახდენს მხოლოდ „პასუხისმგებლობისთვის“ (ანაზღაურების ვალდებულების) გადაამისამართებას.

- 3 ბ) ნორმა არ მოქმედებს **შემცვლევებზე**, ანუ იმ პირებზე, რომელთაც გადაეცათ მთლიანი ხელშეკრულების შესრულება (შდრ. §§ 664-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 691-ის მე-2 წინადადება). ამ შემთხვევაში, მოვალე პასუხს აგებს მხოლოდ პირის არანინდახეული შერჩევის გამო, § 276-ის შესაბამისად.
- 4 გ) **ნორმის წინაპირობებია:** (1) სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა (ქვემოთ, მე-5 ველი); (2) შესრულებაში დამხმარე პირის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ (ქვემოთ, მე-6 და მომდევნო ველები) (3) ვალდებულების შესრულებისთვის გარკვეული მოქმედების განხორციელება (ქვემოთ, მე-11 ველი).
- 5 **2. სამართლებრივი ურთიერთობა.** უპირველესი წინაპირობაა სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა. ამ შემთხვევაში საკმარისია: ხელშეკრულებები, ასევე მათ შემდგომ მოქმედი ნდობის ვალდებულებები; ხელშეკრულება მესამე პირის ინტერესების დაცვით (ამასთან დაკავშირებით იხ. § 249-ის შესავლის ველები, 22-ე და მომდევნო ველები); ნდობაზე დამყარებული წინასახელშეკრულებო ურთიერთობები (§ 311-ის მე-2 ნაწილი); კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მაგ.: მესაკუთრისა და მფლობელის ურთიერთობა, § 978 და მომდევნო პარაგრაფები; § 823-ის ფარგლებში § 278 არ გამოიყენება, ვინაიდან განსაკუთრებული სამართლებრივი ურთიერთობა § 823-ის შემთხვევაში მხოლოდ დელიქტით დგება. ამ შემთხვევაში მოქმედებს § 831.
- 6 **3. შესრულებაზე დამხმარე პირია** ის, ვინც მოქმედებს როგორც დამხმარე პირი, მოვალის სურვილით და მისი ქმედება მოიაზრება მოვალის ვალდებულებათა სფეროში. დამხმარე პირის სოციალური დამოკიდებულება ან ანგარიშვალდებულება არ არის განმსაზღვრელი კრიტერიუმი (§ 831-ისგან განსხვავებით). უმნიშვნელოა, ასევე, ის გარემოება, თუ რამდენად შეუძლია მოვალეს, გავლენა (კონტროლის ან დაკვირვების ფორმით) მოახდინოს დამხმარე პირის მოქმედებაზე.
- 7 ა) **საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი** (მაგ. ნოტარიუსი), შესაძლებელია, დამხმარე პირად იყოს განხილული (BGHZ, 62, 124). ისინი დამხმარე პირებად ჩაითვლებიან ყოველ შემთხვევაში მაშინ, როდესაც მოვალეს თავისი ვალდებულებების შესრულება სხვაგვარადაც შეუძლია (მაგ., ნოტარიუსის მხოლოდ კონსულტაციური საქმიანობისას). თუ, ამის საპირისპიროდ, მოვალეს

საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირისადმი მიმართვის გარდა სხვა არჩევანი არ რჩება, მაშინ სახეზე გვექნება ჩართვის სურვილის ნაკლოვანება და საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი დამხმარე პირად ვერ განიხილება.

ბ) რკინიგზა, ფოსტა და სხვა საზოგადოებრივი უზრუნველყოფის განმახორციელებელი საწარმოები შესაძლებელია, ასევე განხილულ იქნენ დამხმარე პირებად (რაც ხშირად საკამათოა). მართალია, მოვალეს, ხშირ შემთხვევაში, მათზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია, მაგრამ შესაძლებლობა აქვს, ჩართოს ისინი ვალდებულებით ურთიერთობაში, ან შესაბამისი ვალდებულება სხვაგვარად შეასრულოს. ამ შემთხვევაში, მოვალე შეუსრულებლობის რისკთან „ახლოს დგას“ (*Larenz, SchR, I, § 20, VIII*): მასვე ეკისრება მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები. დასახელებული საწარმოების, როგორც დამხმარე პირების, სტატუსი დამოკიდებული არის მოვალის სახელშეკრულებო ვალდებულების მოცულობაზე: წამოღებისა და გაგზავნის ვალდებულებების (ამასთან დაკავშირებით იხ. §§ 243 ველი 4, 269 ველი 1) დროს ნაკლებად მოიაზრება საჯარაუდო ზიანის მოვალისთვის შერაცხვა იმ შემთხვევების მსგავსად, რომელთა განმარტებიდანაც გამომდინარეობს, რომ მოვალემ, § 276-ის მიხედვით, გარანტია საეჭვო ვალდებულებისთვის არ აიღო. მაგალითი (*Medicus/Peterson, 804-ე ველი*): ა, რომელიც ვალდებულია, გალვანური (ელექტრო-) მეთოდით ფირფიტები თუთიით დაფაროს, პასუხს არ აგებს ვალდებულების დაგვიანებისთვის მაშინ (§§ 280, 286, 278), როდესაც ელექტროსადაგურის შეცდომის გამო დენი 3 დღით გაითიშება.

გ) ვაგრცელებული მოსაზრების თანახმად, მწარმოებელი არ განიხილება გამყიდველის ან საწარმოს დამხმარე პირად § 651-ით გათვალისწინებული მინოდების ხელშეკრულებების დროს. ამ მოსაზრების არგუმენტია ის, რომ ამგვარი ხელშეკრულებით განსაზღვრულია მზა საგნის გადაცემის ვალდებულება და არა დროის მიხედვით წინმსწრები დამზადება. მაშასადამე, მწარმოებელი არ მოქმედებს მოვალის „ვალდებულებათა სფეროში“.

4. კანონიერი წარმომადგენლები, ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, არის ყველა ის პირი, რომელთა ქმედებასაც სხვისთვის მოაქვს შედეგი, მაგალითად: მშობლები (§ 1629-ის პირველი ნაწილი), მეურვე (§ 1793), ანდერძის აღმასრულებელი (§ 2205), სამკვიდრო ქონების მმართველი (§ 1985), მეუღლეები (§ 1357), ასევე, გაკოტრების საქმის მმართველი (გაკოტრების შესახებ კანონი § 80) და მინდობილი მესაკუთრე. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, შერაცხვა შეეხება არა მხოლოდ გარიგებით მოქმედებებს, არამედ მოიცავს, ასევე, კანონიერი წარმომადგენლის ფაქტიურ მოქმედებებსაც.

5. დამხმარე პირის არასწორი მოქმედება სახეზე უნდა იყოს მოვალის მიერ **ვალდებულების შესრულებისას** და არა მხოლოდ შესრულებისათვის განხორციელებული მოქმედებისას. საკამათოა, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ეს კრიტერიუმი: ერთი მოსაზრების (მაგ., *Larenz, SchR, I, § 20, VIII*) მიხედვით, მოცემული უნდა იყოს ვალდებულების დარღვევისა და ვალდებულებითი ურთიერთობის „შიდა კავშირი“. მხოლოდ „ხელშეკრულების სპეციფიკური ვალდებულებების“ დარღვევა (ვალდებულებები, რომლებიც მხოლოდ ხელშეკრულებიდან წარმოიშობიან, სამართლებრივი სიკეთის დაცვის ზოგადი ვალდებულებებისგან განსხვავებით) ქმნის ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებით შერაცხვის საფუძველს; მეორე, ასევე, საპირისპირო მოსაზრება მიუთითებს (მაგ. *Medicus/Lorenz, SchR, I, 391-ე ველი; Looschelders, AT, 546-ე ველი*), რომ სამართლებრივი სიკეთის დაცვის ზოგადი ვალდებულებებიც სახელშეკრულებო ვალდებულებებია და მოვალეს დამხმარე პირის მიერ განხორციელებული ხელყოფა ყოველთვის შეერაცხება მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებამ დამხმარე პირს საგრძნობლად გაუადვილა ხელმყოფი ქმედება. მაგ.: (1) მღებავის თანაშემწე

„ა“ კიბის გადატანისას ამსხვრევს ფანჯრის მინას; (2) „ა“ მისაღებ ოთახში შპალერს აკრავს, როდესაც იგი იპარავს ვერცხლის ჭურჭელს. პირველ მაგალითში მღებავის თანაშემწე „ა“ უპრობლემოდ მოქმედებს ვალდებულების შესრულების ფარგლებში და, შესაბამისად, მოვალეს შეერაცხება მისი ხელმყოფი ქმედება, ხოლო მეორე შემთხვევაში, მხოლოდ ნაკლებად გავრცელებული მოსაზრების კრიტერიუმებით თუ შეერაცხებოდა მოვალეს დამხმარე პირის – „ა“-ს ქმედება.

12 6. ნორმის მე-2 წინადადების თანახმად, მოვალეს შეუძლია, დამხმარე პირის განზრახვით მოქმედებისათვის გამორიცხოს **პასუხისმგებლობა** ხელშეკრულებით (ინდივიდუალური; სამართლიანია, იგი საკუთარი განზრახვისთვის პასუხს ყოველთვის აგებს, § 276-ის მე-3 ნაწილი). ხელშეკრულების სტანდარტული პირობების თანახმად, დამხმარე პირის უხეში გაუფრთხილებლობისა და განზრახვისთვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა არ მოქმედებს, § 309-ის № 7-ის „ბ“ პუნქტის მიხედვით. იურიდიული პირის ორგანოებისა და კანონისმიერი წარმომადგენლებისთვის გამოიყენება § 276-ის მე-3 ნაწილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევდა ვალდებულებითი ურთიერთობის არასავალდებულოობას (არაბოჭვადობას), რისი თავიდან აცილებაც § 276-ის მიზანია (*Medicus/Lorenz, SchR, I, 394-ე ველი*). თუ მოვალე ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის არასრულწლოვანი იყო, მას შეუძლია, სრულწლოვნად გახდომის შემდგომ მისი პასუხისმგებლობა § 1629ა-ს მიხედვით შეზღუდოს.

§ 279. (გაუქმებულია)

§ 280. ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას

(1) ¹თუ მოვალე არღვევს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ²ეს ნესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

(2) ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ § 286-ის დამატებითი პირობის გათვალისწინებით.

(3) ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ § 281-ის, § 282-ის ან § 283-ის დამატებითი პირობების გათვალისწინებით.

I. პასუხისმგებლობის ცენტრალური ნორმა

1 1. ნორმის პირველი ნაწილი, როგორც პასუხისმგებლობის ცენტრალური ნორმა, არის ვალდებულების შესრულების გართულებიდან წარმოშობილი ყველა მოთხოვნის **საფუძველი**. იგი პირდაპირ გამოიყენება ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ნაკლის გამო წარმოშობილი პასუხისმგებლობების შემთხვევებში, ასევე ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებებისას რისკზე პასუხისმგებლობის გადასვლამდე, რისკის გადასვლის შემდგომ კი §§ 437-ის № 3-ის, 634-ის № 4-ის რეგულირებებთან ერთობლიობაში (იხ. § 437-ის მე-10 ველი). ერთადერთი გამონაკლისი პირველი ნაწილის ყოვლისმომცველი გამოყენებიდან არის ის, რომ ვალდებულების შესრულების საწყისი შეუძლებლობის შემთხვევებისთვის მოქმედებს არა § 280-ის პირველი ნაწილი, არამედ § 311ა-ს მე-2 ნაწილი. ზიანის ანაზღაურების ზოგიერთი მოთხოვნა გამომდინარეობს მხოლოდ პირველი ნაწილიდან. ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებში დარეგულირებული ვადის გადაცილების და ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების განხორციელებისათვის საჭიროა დამატებითი წინაპირობები (დამატებით ქვემოთ, მე-7 და მომდევნო ველები). ორმხრივი ხელშეკრულებების დროს, §§ 323, 324-ის მიხედვით,

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ გამოორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას (იხ. § 325).

2. ვალდებულების დარღვევა ქმნის ერთიან ცნებას ყველა სახის ვალდებულების დარღვევის შემადგენლობებისთვის. იგი მოიცავს ვალდებულების დარღვევის ყველა შემთხვევას ისე, რომ ერთმანეთისგან არ ასხვავებს მათ სახეებს, როგორებიცაა, მაგალითად: ვადის გადაცილება, არაჯეროვანი შესრულება ან შესრულების შეუძლებლობა. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი § 280-ის ახალი რედაქცია იზიარებს საერთაშორისოდ გავრცელებულ მიდგომას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, (გერმანიაში მოქმედი) გაეროს ნასყიდობის სამართალში გამოიყენება, სადაც ყველა სახის ვალდებულების დარღვევისათვის ერთიანი ცნება – „ხელშეკრულების დარღვევა“ – გამოიყენება.

ა) ვალდებულების დარღვევის **ცნება** ნორმის პირველ ნაწილში გულისხმობს მხოლოდ მოვალის ქცევას, რომელიც, ობიექტური თვალსაზრისით, ვალდებულებით ურთიერთობასთან შეუსაბამოა და არა იმ საკითხის განხილვას, ეს ქცევა მოვალის ბრალეულობით არის გამოწვეული თუ არა (*Medicus/Lorenz* SchR I 338-ე ველი; *Petersen* 25-ე ველი). ეს უკანასკნელი მნიშვნელობას იძენს მხოლოდ პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ფარგლებში. მაშასადამე, ვალდებულების დარღვევისთვის საკმარისია, რომ მოვალე, ობიექტური თვალსაზრისით, ვერ ახერხებს ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე „ვალდებულებათა პროგრამის“ შესრულებას. დარღვეული ვალდებულება შესაძლებელია იყოს ძირითადი ან დამატებითი (შდრ. § 241-ის შესავალი, მე-3 ველი) ან, სამართლებრივი სიკეთის დაცვა (§ 241-ის მე-2 ნაწილი).

ბ) ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, დარღვეული **ვალდებულება** ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან უნდა იყოს წარმოშობილი. პრაქტიკული თვალსაზრისით, ამ მოსაზრების მიღმა იგულისხმება სამართლებრივი გარიგებები და მისი მსგავსი ვალდებულებითი ურთიერთობები. მაშასადამე, ყველა სახის ხელშეკრულებები და წინასახელშეკრულებო ურთიერთობები (c.i.c., შდრ. § 313), ასევე ცალმხრივი ვალდებულებითი ურთიერთობები, მაგალითად, საანდერძო დანაკისრიდან გამომდინარე მოთხოვნა (იხ. § 2174). გარდა ამისა, § 280-ის გამოყენების სფეროს მიეკუთვნება კანონისმიერი ვალდებულებები. მაგ.: თუ „ა“, § 823-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ვალდებულია, „ბ“-ს შეუცვალოს ჩამტვრეული შუშა, იგი პასუხს აგებს § 280-ის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მისი დავალებით მოქმედი მეშუშე შუშის ჩასასმელ ჩარჩოს დააზიანებს.

გ) **ვალდებულების დარღვევის უმნიშვნელოვანეს სახეებს** კანონი ასახელებს მხოლოდ დამატებით წინაპირობებთან კავშირში, რომლებიც სახეზე უნდა იყოს § 280-ის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობების პარალელურად, სახელდობრ, ვადის გადაცილების გამო ზიანის ასანაზღაურებლად საჭიროა ვადის გადაცილების წინაპირობები (§§ 280-ის მე-2 ნაწილთან ერთად § 286), ხოლო შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვის: ვადის გადაცილება ან არაჯეროვანი შესრულება (§§ 280-ის მე-3 ნაწილი; 281), სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულების დარღვევა, § 241-ის მე-2 ნაწილის მიხედვით (§§ 280-ის მე-3 ნაწილი, 282) ან ვალდებულების შესრულების შემდგომი შეუძლებლობა (§§ 280-ის მე-3 ნაწილი, 283). მაგალითად: თუ მღებავი მასზე დაკისრებულ სამღებრო საქმიანობას ცუდად ასრულებს, შესაძლებელია, შესრულების ნაცვლად მოთხოვნილ იქნეს ზიანის ანაზღაურება, §§ 280-ის პირველი და მე-3 ნაწილების, 281-ის შესაბამისად. თუ მღებავი, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გარდა, თავისი უყურადღებობით დააზიანებს საყოფაცხოვრებო საგნებს, შემკვეთს წარმოემოხა სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნა, მხოლოდ § 280-ის პირველი

ნაწილის თანახმად, ხოლო თუ ის კარგად შეასრულებს სამღებრო სამუშაოებს, მაგრამ კვლავ აზიანებს საყოფაცხოვრებო ნივთებს, გამოიყენება § 280-ის პირველი და მე-3 ნაწილები, § 282, ასევე § 324 (ხელშეკრულებიდან გასვლისთვის). ამასთან დაკავშირებით იხილეთ, ასევე § 282 ველი 2.

- 6 **3.** ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, არის მოვალის **ბრალეულობა** ვალდებულების დარღვევაში. ა) მოვალის პასუხისმგებლობა განისაზღვრება § 276-ით (და ზოგიერთ შემთხვევაში პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, § 277-ით); მესამე პირის გამო მოვალე § 278-ის მასშტაბით არის პასუხისმგებელი. როგორც ეს პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ნეგატიური ფორმულირებიდან გამომდინარეობს, მოვალეს ეკისრება მისი არაბრალეულობის შესახებ **მტკიცების ტვირთი** (და, საყოველთაო შეხედულებით, დასაბუთების ტვირთიც. გამონაკლისია § 619ა), ვინაიდან, როგორც წესი, კრედიტორისთვის უცნობია მოვალის გავლენის სფეროში არსებული ვალდებულების დარღვევის მიზეზი. კრედიტორმა უნდა დაადასტუროს მხოლოდ ვალდებულების დარღვევის ფაქტი. ბ) გასათვალისწინებელია **კრედიტორის თანაბრალეულობა** § 254-ის შემთხვევებში. იგი იწვევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემცირებას, ხოლო კრედიტორის განსაკუთრებული ბრალეულობის არსებობისას, მოთხოვნის სრულად გამორიცხვას. (მდრ. დამატ. იხ. § 323-ის მე-6 ნაწილი). ორმხრივი ხელშეკრულებების შემთხვევაში ორივე მხარის მიერ გამოწვეული ვალდებულების შესრულების გართულების შემთხვევებისთვის იხ. § 326 ველი 4.

II. ზიანის სახეები⁴³

- 7 ზიანის ანაზღაურების განსაზღვრული მოთხოვნებისთვის საჭიროა, ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, შესრულდეს დამატებითი წინაპირობები. შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი არის მხოლოდ § 280-ის პირველი ნაწილი, ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანისთვის – § 280-ის პირველი და მე-2 ნაწილები § 286-თან კავშირში და შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისათვის § 280-ის პირველი და მე-3 ნაწილები §§ 281 და 283-თან კავშირში. ზიანის ეს სახეები შემდეგნაირად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან:
- 8 **1. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება** არის ფულადი შესრულების ეკვივალენტი. ა) მე-3 ნაწილის მიხედვით, ეს მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ **დამატებითი წინაპირობების** არსებობის შემთხვევაში, რომლებიც განსხვავებულად არის დარეგულირებული ვალდებულების ტიპური დარღვევებისთვის: აა) შესრულების ვადის გადაცილებისას ან არაჯეროვანი შესრულებისას, § 281-ის შესაბამისად, კრედიტორმა მოვალეს დამატებითი შესრულებისთვის სათანადო ვადა უნდა განუსაზღვროს, რათა მოვალეს კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცეს ვალდებულების შესასრულებლად მანამ, სანამ შესრულების მოთხოვნა ზიანის მოთხოვნით სრულად ჩანაცვლდება. ბბ) ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის დროს (§ 283) დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის გონივრული, ვინაიდან ვალდებულების შესრულების დამატებითი მცდელობა განუხორციელებადია, თუმცა, § 281-ის სხვა დანარჩენი წინაპირობები (ვადის მიცემის გარდა) შესაბამისად მოქმედებს. შესრულების სანყისი შეუძლებლობის დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველია § 311ა-ს მე-2 ნაწილი, § 280-ის ნაცვლად (იხ. ველი 1). გგ) სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულების დარღვევისას, § 280-ისა და § 282-ის ერთობლივი გამოყენების საფუძველზე, შესაძლებელია, **შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება** იქნეს მოთხოვნილი მაშინ, როდესაც კრედიტორისთვის მოვალის შესრულება მიუღებელი ხდება (დაზუსტება: კრედიტორისთვის მოვალესთან სამართლებრივ

43 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

ურთიერთობაში ყოფნა იმდენად უარყოფითი შედეგის მომტანი ხდება, რომ მას არ შეიძლება მოეთხოვოს ვალდებულებით ურთიერთობაში დარჩენა).

ბ) შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება, როგორც ზიანის ანაზღაურების სახე, ხასიათდება ისეთი ზიანის არსებობით, რომელიც წარმოიშობა ვალდებულების საბოლოო შეუსრულებლობის შედეგად. იგი მოიცავს ზიანის ისეთ კომპონენტებს, რომლებიც არ იარსებებდა, ვალდებულება მოვალის მიერ უგვიანეს შესაძლებელ დროის მომენტში მაინც რომ შესრულებულიყო. სადავოა დროის ამ მომენტის ზუსტი განსაზღვრა. დროის ასეთ მომენტად ნაწილობრივ ვალდებულების ვადამოსულობა მიიჩნევა, ნაწილობრივ კი – მოვალისთვის განსაზღვრული დამატებით ვადის გასვლა. დროის მომენტის ვადამოსულობით განსაზღვრის პოზიციის საწინააღმდეგოდ მეტყველებს თვითონ § 280-ის მე-2 ნაწილი: ვადის გადაცილება იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, მხოლოდ ვადის გადაცილების წინაპირობების დაცვით (§ 286-ის შესაბამისად). შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისთვის კი უფრო მეტია საჭირო, კონკრეტულად ის, თუ როდის წყდება ძირითადი მოთხოვნა და, შესაბამისად, როდის იკავებს მის ადგილს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (*Medicus/Peterson, 237-ე ველი; Lorenz JuS 2008, 203*). ხოლო ეს სამართლებრივი შედეგი დგება (როგორც წესი) არა დამატებითი ვადის გასვლით, არამედ – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით (§ 281-ის მე-4 ნაწილი), ხელშეკრულებიდან გასვლით (§ 346), ან შესრულების შეუძლებლობით (§ 275). ყველა სახის ზიანი, რომელიც ხელშეკრულების შესაბამისი ჯეროვანი შესრულებით დროის ასეთ მომენტამდე არ დადგებოდა, შემდგომ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებით უნდა ანაზღაურდეს. სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში კრედიტორი ისეთ მდგომარეობაში უნდა ჩადგეს, როგორშიც ის იქნებოდა, მოვალეს ვალდებულება ჯერ კიდევ ძირითადი მოთხოვნის შეწყვეტის მომენტში რომ შესრულებინა.

2. შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურება ქმნის ზიანის განსხვავებულ სახეს. იგი მოიცავს ზიანის ისეთ კომპონენტებს, რომლებიც მაინც იქნებოდა სახეზე, ვალდებულება რომც შესრულებულიყო განხორციელებისთვის შესაძლო დროის უკანასკნელ მომენტში. მაშასადამე, ზემოაღნიშნული ზიანის სახეობისგან (შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისგან) განსხვავებით, აქ საქმე ეხება ისეთ ზიანს, რომელიც ძირითადი მოთხოვნის შეწყვეტისას უკვე დამდგარია (ე.წ. თანმდევი ზიანი) და როგორც წესი, კრედიტორის თვითმყოფადობის დაცვის ინტერესს (*Integritätsinteresse*) ეხება (შდრ. *Medicus/Peterson, 238-ე ველი*). ასეთი ზიანი ნორმის პირველი ნაწილის წინაპირობების დაცვით შეიძლება ანაზღაურდეს მაშინ, თუ ზიანი ვადის გადაცილების შედეგად არ არის წარმოშობილი.

3. შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურების სპეციალურ სახეს ქმნის ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანი, ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით; **ვადის გადაცილების გამო** ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვის საჭიროა § 286-ით დარეგულირებული მოვალის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობების არსებობა. ზიანის ეს სახე ხასიათდება იმით, რომ მოვალე ვალდებულების შესრულებას დროულად ვერ უზრუნველყოფს. ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანი მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც მოვალე თავის ვალდებულებას არ ასრულებს ვადამოსულობისას. კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს თავისი თავის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, როგორშიც ის იქნებოდა, მოვალეს ვალდებულება რომ დროულად შესრულებინა (§ 249-ის პირველი ნაწილი).

კრედიტორს შეუძლია, შესრულებასთან ერთად მოითხოვოს ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანი. ამგვარად, კრედიტორს შეუძლია, სამართლებრივი მსვლელობის (პროცედურების) ხარჯები მოითხოვოს მაშინ, როდესაც ისინი ვადის გადაცილებითაა გამოწვეული (თუმცა, არა ვადის გადაცილების წარმოშობის პირველი გაფრთხილებით, *BGH NJW, 1985, 320, 324*) და თუ სამართლებრივი

მსვლელობის ღონისძიება „მიზნის შესაბამისი“ ანუ თანაზომიერია (ეს არის, როგორც წესი, ადვოკატის ხარჯები საქმეში). საჭიროა, რომ არსებობდეს ადეკვატური მიზეზობრივი კავშირი ვადის გადაცილებასა და ზიანს შორის. ზიანმა, შესაძლებელია, შესრულების ღირებულებას ბევრად გადააჭარბოს (*Medicus/Lorenz, SchR, I, 468-ე ველი*). მაგ.: ვადის გადაცილების გამო კრედიტორს აღარ შეუძლია პროდუქციის წარმოება, ან იგი კარგავს მომხმარებელს. სამართალწარმოების ხარჯების დროს ანაზღაურების ვალდებულება შემოისაზღვრება ადვოკატთა ანაზღაურების შესახებ კანონის დებულებებით (არგ.: „ზიანის შემცირების ვალდებულება“, § 254-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად).

13 4. ზემოაღნიშნული გამიჯვნის შესაბამისად, კონკრეტული ზიანი უნდა ანაზღაურდეს შესრულების ნაცვლად, ან შესრულებასთან ერთად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აბსტრაქტულად ერთი და იმავე ზიანის სახე ზიანის წარმოშობის მომენტის გათვალისწინებით, როგორც § 280-ის პირველი ნაწილით, ასევე § 280-ის პირველი და მე-2 ნაწილების § 286-თან კავშირით შეიძლება იქნეს მოთხოვნილი. ამგვარად, მიუღებელი მოგება, რომელიც გაფრთხილების მიუხედავად, ვალდებულების (ბრალეული) შეუსრულებლობით წარმოიშობა, უნდა ანაზღაურდეს როგორც ზიანი შესრულებასთან ერთად (ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანი) § 280-ის პირველი და მე-2 ნაწილების § 286-თან კავშირით მანამ, სანამ კრედიტორი დამატებითი ვადის უშედეგო გასვლის შემდგომ, § 281-ის მე-4 ნაწილის თანახმად, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდეს. დროის ამ მომენტის შემდგომ განცდილი მიუღებელი მოგება ანაზღაურდება §§ 280-ის პირველი და მე-3 ნაწილებით, 281-ით.

14 სადავოა ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანისა და შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურების ერთმანეთისგან გამიჯვნა მაშინ, როდესაც ზიანი იმ ვალდებულების დარღვევის შედეგია, რომელიც ვალდებულების დაგვიანებული შესრულებით არაა გამოწვეული, არამედ მის ფარგლებს სცდება ან სხვა სახისაა. მაშასადამე, პრობლემა ჩნდება, სახელდობრ, მაშინ, როდესაც არაჯეროვანი შესრულებაა მოცემული. მაშინ, როდესაც არაჯეროვანი შესრულება გვაქვს სახეზე, გამოიყენება არა ნორმის მე-2 ნაწილი, არამედ პირველი (BGH NJW, 2009, 2674, Nr 12 – ნივთის ნაკლით გამოწვეული გამოყენების შეზღუდვით წარმოშობილი ზიანი; თუმცა, საკამათოა. სხვა მოსაზრება იხ. *Grigoleit/Riehm, JuS, 2004, 745*). გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ გაკეთებული სამართლებრივი დასკვნის მიხედვით, § 437 ვადაგადაცილების ნორმაზე – § 286-ზე – მითითებას არ აკეთებს. მაგ.: პიცერიის საქმიანობის ჩავარდნა უნდა ანაზღაურდეს პირველი ნაწილის თანახმად და, ამასთანავე, დამატებითი გაფრთხილების გარეშე მაშინ, როდესაც ახალნაყიდი პიცის ღუმელი ნაკლის მქონეა და არ ფუნქციონირებს (§ 437-ის № 3), ხოლო § 281-ის მე-2 ნაწილით ასანაზღაურებელი ზიანის შემთხვევა გვექნებოდა მაშინ, როდესაც ღუმელი დროულად ვერ იქნებოდა მიწოდებული.

§ 281. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას

(1) ¹იმდენად, რამდენადაც მოვალე არ ასრულებს ვადამოსულ ვალდებულებას ან არაჯეროვნად ასრულებს მას, კრედიტორს შეუძლია, § 280-ის პირველი ნაწილის წინაპირობების გათვალისწინებით, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, თუ მან უშედეგოდ განუსაზღვრა მოვალეს ვალდებულების შესრულების ან ჯეროვანი შესრულებისათვის გონივრული ვადა. ²თუ მოვალემ ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ნაწილობრივი შესრულების მიმართ ინტერესი არა აქვს. ³თუ მოვალე არაჯეროვნად ასრულებს

ვალდებულებას, და თუ დარღვევა უმნიშვნელოა, კრედიტორს არ შეუძლია მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება.

(2) ვადის დანიშვნა ზედმეტია, თუ მოვალე შესრულებაზე გადამჭრელად და საბოლოოდ უარს ამბობს, ან თუ სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინების შედეგად ამართლებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაუყოვნებლივ რეალიზაციას.

(3) თუ ვალდებულების შესრულების დარღვევის ხასიათის გამო ვადის დანიშვნა გამოირიცხებულია, მაშინ მის ნაცვლად წარედგინება გაფრთხილება.

(4) ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება გამოირიცხებულია, როგორც კი კრედიტორი მოითხოვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას.

(5) თუ კრედიტორი ითხოვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას, მაშინ მოვალე უფლებამოსილია, §§ 346-348-ის მიხედვით, შესრულებული უკან დაიბრუნოს.

I. ზოგადი მიმოხილვა

1. **ნორმის შემადგენლობა და გამიჯვნები.** ვალდებულების შეუსრულებლობის („რამდენადაც მოვალე არ ასრულებს ვადამოსულ ვალდებულებას“), ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევებში („ან არაჯეროვნად ასრულებს მას“) ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დამატებით წინაპირობად, § 280-ის პირველ ნაწილთან ერთად, ასახელებს შესრულების ვადის უშედეგოდ განსაზღვრას. მოვალეს უნდა მიეცეს მეორე შანსი ვალდებულების შესაბამისი ქმედების განსახორციელებლად მანამ, სანამ მას შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მოუწევდეს. „ვადამოსული ვალდებულება“ (შდრ. § 271), როგორც წესი, არის ძირითადი ვალდებულება (თუმცა, არა ყოველთვის). აღნიშნული ნორმა მოქმედებს ყველა სახის ვალდებულებითი ურთიერთობისთვის, ასევე ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებებისთვის. ნაკლები ნივთის არსებობისას §§ 437-ის № 3 და 634-ის № 4 უთითებენ §§ 280-სა და 281-ზე (ასევე, §§ 283-სა და 311ა-ზე). ნორმის კანონისმიერი ვალდებულებით ურთიერთობებზე გამოყენების შემთხვევებში, როგორებიცაა, მაგალითად, უსაფუძვლო გამდიდრება ან მესაკუთრე-მფლობელის ურთიერთობა, მოთხოვნა იზღუდება სპეციალური რეგულირებებით, §§ 818-ის მე-4 ნაწილით, 819-ით, 292-ის მე-2 ნაწილით, 989-ით, ზოგიერთ შემთხვევებში, §§ 989-ითა და 990-ით.

ა) ნორმა არ ეხება ვადის გადაცილებით წარმოშობილ ზიანს. ეს უკანასკნელი დარეგულირებულია § 280-ის მე-2 ნაწილში და მის წინაპირობას წარმოადგენს მოვალის მიერ ვადის გადაცილება (§ 286); § 281-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება კი მოვალის მიერ ვადის გადაცილებას არ განსაზღვრავს წინაპირობად (დანვრილებით მე-9 ველი). ნორმა არ ეხება, ასევე, გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის გამო წარმოშობილ ზიანის ანაზღაურებას (ამასთან დაკავშირებით § 282) და შესრულების შეუძლებლობას (ამ უკანასკნელისთვის მოქმედებს § 283).

ბ) § 280-ის პირველი ნაწილი ქმნის მოთხოვნის უმთავრეს საფუძველს (იხ. § 281-ის პირველი ნაწილი: „§ 280-ის პირველი ნაწილის წინაპირობების გათვალისწინებით“). მაშასადამე, ვალდებულების დათქმულ დროს შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება და, მოგვიანებით, დამატებით დაწესებულ ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის ბრალით უნდა იყოს გამომწვეული (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 139). კრედიტორის თანაბრალეულობა გასათვალისწინებელია § 254-ის მიხედვით (შდრ. § 280-ის მე-9 ველი).

გ) ხელშეკრულებიდან გასვლა, რომლის განხორციელებაც, § 325-ის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის პარალელურად შესაძლებელია, თუმცა, ამ უკანასკნელისთვის არასავალდებულო, თავისი წინაპირობებით დარეგულირებულია § 323-ში. ბრალეულობა არ არის ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა. იგი

შესაძლებელია გამოირიცხოს § 323-ის მე-6 ნაწილში მოხსენიებული საფუძვლების შედეგად, რომლებიც კრედიტორის ბრალით არის გამონვეული. შესრულების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით § 281-ის მე-5 ნაწილი მიუთითებს ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებზე (§§ 346-348). ასე რომ, ამ კუთხითაც სახეზეა ნორმათა ურთიერთთანხვედრა.

- 5 2. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება** (ცნება, § 280-ის მე-12 ველი) მიმართულია პოზიტიურ ინტერესზე. კრედიტორი ისეთ მდგომარეობაში უნდა იქნეს ჩაყენებული, როგორშიც ის იქნებოდა, მოვალეს ვალდებულება ჯეროვნად რომ შეესრულებინა. მისი უზრუნველყოფა შესაძლებელია ორი ფორმით: **ა)** კრედიტორი უფლებამოსილია, ნაკლული ნივთით შესრულებისას ე.წ. **მცირე (ნაწილობრივი) ზიანის ანაზღაურება** მოითხოვოს. ამ შემთხვევაში იგი მიღებული შესრულებით კმაყოფილია (წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გამოიყენოს პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები) და ზიანის ანაზღაურებას ითხოვს ნაკლის გამოსასწორებლად. მაგ.: მყიდველი ნაკლულ ნივთს ინარჩუნებს და ზიანის ანაზღაურებას თანხის იმ ოდენობით ითხოვს, რომელიც მას ნივთის ნაკლის გამოსასწორებლად სჭირდება. აქ ზიანის ანაზღაურება შეეხება, ძირითადად, ნივთის ფასის შემცირების მოთხოვნას (შდრ. RegBegr BT-Drucks, 14/6040, 226), რომელსაც ხშირად პრაქტიკაში ისეთივე შედეგი მოაქვს. **ბ)** კრედიტორს შეუძლია, ასევე, ე.წ. **დიდი (სრული) ზიანის ანაზღაურება** მოითხოვოს (განსაკუთრებით ვალდებულების შეუსრულებლობისას), ანუ მთლიანი ღირებულების ანაზღაურება. კანონი, ასეთ შემთხვევაში, განსაზღვრავს (მთლიანი) *შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას* (ნორმის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები, ასევე მე-5 ნაწილი). მოთხოვნა მიმართულია ისეთი ეკონომიკური შედეგის მიღებაზე, რომელიც ვალდებულების დარღვევის გარეშე დადგებოდა. ამ შემთხვევაში, მოვალე უფლებამოსილია, მის მიერ შესრულებული ვალდებულება უკან გამოითხოვოს (მე-5 ნაწილი). მაგ.: მყიდველი, რომელიც ითხოვს ზიანის სრულ ანაზღაურებას, ვალდებულია, დააბრუნოს ნაკლული ნივთი. ნაწილობრივი და არაჯეროვანი შესრულებისთვის სრული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების დამატებითი წინაპირობებითაა შეზღუდული (დანვრილებით იხ. ქვემოთ, მე-12 ველი). **გ)** ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში ასანაზღაურებელი ზიანის დადგენა ხდება **სხვაობათა (დიფერენციის) ან სუროგატის** თეორიის თანახმად (იხ. § 325-ის მე-2 და მომდევნო ველები). დიფერენცირებული დათვლისას გამოიყენება ზიანის შერაცხვისა და სარგებლის გაქვითვის ზოგადი საფუძვლები (იხ. § 249-ის შესავალი, მე-11 და მომდევნო ველები). ორმხრივი ხელშეკრულებების დროს **რენტაბელობის (მომგებიანობის) ვარაუდიდან** გამომდინარე, შესაძლებელია, პოზიტიური ინტერესის გათვალისწინებით, მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მატერიალური მიზნის განსაზღვრისთვის და ხელშეკრულების ვალდებულების შესრულების გართულების გამო დაკარგული დანახარჯების ანაზღაურება (BGHZ, 123, 96, 99). ივარაუდება, რომ განუვლი დანახარჯები ჯეროვანი შესრულების შედეგად რენტაბელური იქნებოდა. ზიანი გამოიხატებოდა არა დანახარჯებით, როგორც ასეთით, არამედ კომპენსაციის შესაძლებლობის დაკარგვით (BGH NJW, 2000, 2342, 2343). დღესდღეობით ეს ვარაუდი გათვალისწინებულია დანახარჯების ანაზღაურების შესახებ სპეციალურ ნორმაში, § 284-ში (თუმცა, სადავოა, იხ. § 284-ის მე-3 ველი).
- 6 3. ვალდებულების შესრულების მოთხოვნა** გამოირიცხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და არა შესრულებისთვის დადგენილი ვადის გასვლით (ნორმის მე-4 ნაწილი). მოვალეს ამ მომენტიდან უნდა შეეძლოს იმის გათვალისწინება, რომ მან ვალდებულება აღარ უნდა შეასრულოს. მსგავსი შემთხვევა გვაქვს ხელშეკრულებიდან გასვლის დროსაც, როდესაც გასვლის შეტყობინებიდან (§ 349) წარმოიშობა ხელშეკრულების უკუქცევის შედეგად მხარეების მიერ მიღებული შეს-

რულების უკან დაბრუნების ვალდებულება (შდრ. § 346-ის მე-3 ველი). ასე რომ, გამოირიცხება ვალდებულების შესრულების მოთხოვნა. დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამდე მოვალის მიერ შეთავაზებულ ან შესრულებულ ვალდებულებაზე კრედიტორს შეუძლია უარი განაცხადოს (სადავოა, დამატებით იხ. *Finn, ZGS, 2004, 32*). მოვალემ, რომელმაც მეორე შანსი – ხელშეკრულების შესრულებისთვის დათქმული ვადა არ გამოიყენა, – არ იმსახურებს მესამე შანსს კრედიტორის დისპოზიციური თავისუფლების ხარჯზე. ამ უკანასკნელს შეუძლია აირჩიოს, მიიღებს დაგვიანებულ შესრულებას, თუ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას შესრულების ნაცვლად.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად საჭიროა სარჩელი. კრედიტორის მიერ საპროცესო მოქმედებების დაწყებამდე განხორციელებული შეტყობინებიდან ერთმნიშვნელოვნად უნდა გამომდინარეობდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სურვილი. ზოგადი შეტყობინება, მაგალითად, „სხვა უფლებების განხორციელება ზიანის ანაზღაურებამდე“ არაა საკმარისი (*RegBegr BT-Drucks, 14/6040, 141*). ზიანის ანაზღაურების ნამდვილ მოთხოვნასა და ზიანის ანაზღაურების განხორციელების მუქარას შორის ზღვარის დადგენა პრაქტიკაში განმარტებითაც ხშირად რთულია. ამის გამო შესაძლებელია, რომ ნორმის მე-4 ნაწილის გამოყენებისას წარმოიშვას უზუსტობა.

II. ვადის განსაზღვრა

1. ვალდებულების შესრულების ან დამატებითი შესრულებისთვის განსაზღვრული გონივრული ვადა უშედეგოდ უნდა იყოს გასული, რათა, კრედიტორმა § 280-ის პირველი და მე-3 ნაწილების და § 281-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. ა) ვადა **გონივრულია**, როდესაც იგი იმ ხანგრძლივობისაა, რომ მოვალისთვის ვალდებულების შესრულება ფაქტობრივად შესაძლებელია. ამასთანავე, იგი მოვალეს, რომელსაც სრულიად არაფერი განუხორციელებია ვალდებულების შესასრულებლად, არ უნდა აძლევდეს ვალდებულების თავიდან დაწყებისა და განხორციელების შესაძლებლობას (*RegBegr BT-Drucks, 14/6040, 138*). იმ მოვალისგან, რომელმაც თავდაპირველი ვალდებულება არასაკმარისად შეასრულა, მოითხოვება ვალდებულების შესასრულებლად უფრო სწრაფი მოქმედების განხორციელება. არასათანადოდ განსაზღვრული მოკლე დამატებითი ვადა არ არის სრულად არანამდვილი, არამედ, როგორც წესი, მისი დენის მეორე მხარისთვის შეტყობინებით იწყება გონივრული ვადის დენა. ბ) ვადის განსაზღვრისათვის საკმარისია დროის ის მომენტი, როდესაც კრედიტორი მოვალეს მოუწოდებს „დაუყოვნებლივ“ შეასრულოს ვალდებულება, ან სხვა მსგავსი ფორმულირებით ნათელყოფს, რომ მოვალეს შესრულებისთვის მხოლოდ შეზღუდული და განსაზღვრული დრო აქვს (*BGH NJW, 2009, 3153*). გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, არც ვადის მიცემის შინაარსიდან და არც მისი მიზნიდან გამომდინარეობს, რომ შესაბამისი ვადა კალენდარულად უნდა იყოს განსაზღვრული, ან კონკრეტული დროის ერთეულით განისაზღვრება. შესაბამისად, ვადის ხანგრძლივობა შესაძლებელია განუსაზღვრელ სამართლებრივ ცნებად აღინიშნოს. ვადის მიცემით მოვალემ უნდა გაიაზროს, რომ მან ვალდებულება არა ნებისმიერ სასურველ დროს უნდა შეასრულოს, არამედ მას დროის ზღვარი აქვს დაწესებული (*BGH aaO Nr 10f*). გ) ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ვალდებულების შესრულებასთან ერთად ასევე **დამატებით შესრულებას** ასახელებს, როგორც ვადის მიცემის მოწოდებასთან დაკავშირებულ ქმედებას. დამატებითი შესრულება მოიაზრება მაშინ, როდესაც მოვალე მხოლოდ ნაწილობრივ ან ნაკლოვნად ასრულებს ვალდებულებას. ამის მაგალითებია ნასყიდობის სამართლის § 437-ის № 1 და § 439 და ნარდობის ხელშეკრულება, § 634-ის № 1 და § 635.

- 9 2. მოვალის მიერ ვადის გადაცილება** ნორმის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში არ არის წინაპირობად განსაზღვრული. მოვალის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობებზე (§ 286) შეგნებულად ითქვა უარი, ვინაიდან კრედიტორს შეძლებისდაგვარად მარტივი საშუალება უნდა მისცემოდა (მხოლოდ ვადის მიცემა) იმისათვის, რომ ნათლად დაედგინა ვალდებულების შესრულების ბედი და იგი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით ჩაენაცვლებინა (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 138). ვადის მიცემა დამატებითი შესრულებისთვის შეესაბამება § 286-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით დადგენილ გაფრთხილებას. ასე რომ, მოვალე, რომელმაც, § 280-ის პირველი და მე-3 ნაწილების, § 281-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ზიანი უნდა აანაზღაუროს, იმყოფება, ასევე, ვადის გადაცილების მდგომარეობაში. შედეგად, იგი მკაცრად აგებს პასუხს, § 287-ის თანახმად.
- 10 3. ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი** შემთხვევათა ორ ჯგუფში: **ა)** თუ მოვალე გადამჭრელად და საბოლოოდ ამბობს უარს ვალდებულების შესრულებაზე, ამ შემთხვევაში, მისთვის ვადის განსაზღვრას აზრი ეკარგება; **ბ)** მეორე ჯგუფია განსაკუთრებულ გარემოებათა შემთხვევები, როდესაც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინების შედეგად გამართლებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაუყოვნებლივი რეალიზაცია. ამ შემთხვევაში სასამართლოებს ეძლევათ შეფასების თავისუფლება. მოიაზრება, სახელდობრ, ე.წ. “just-in-time“ ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც, მიწოდება უნდა განხორციელდეს კონკრეტულ დროს, რათა კრედიტორის წარმოებას შეეძლოს ნორმალური ფუნქციონირების გაგრძელება. მაშინ, როდესაც ვალდებულება მთლიანად ან ნაწილობრივ არ სრულდება, კრედიტორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ მოძებნოს ალტერნატიული საშუალება, რომ მისი ზიანი უფრო მტკად არ გაიზარდოს (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 140). თუმცა, ვადის განსაზღვრა ფიქსირებულად დროზე დამოკიდებული ყველა გარიგებისთვის არ არის ავტომატურად ზედმეტი (შდრ. § 271-ის მე-3 ნაწილი). § 323-ის მე-2 ნაწილის № 2-ის მსგავსი რეგულირება არ არის მოცემული § 281-ის მე-2 ნაწილში და მხოლოდ § 281-ის მე-2 ნაწილის ფართო განმარტებითაა შესაძლებელი ამ ნაკლოვანების კომპენსირება (განსხვავებული მოსაზრება – Jaensch NJW, 2003, 3613). ცხოველის ყიდვისას განსაკუთრებულ გარემოებებზე მიიჩნევა ცხოველის დაუყოვნებელი ვეტერინარული მკურნალობის საჭიროება, რაც გამყიდველის მიერ დროულად ვერ იქნება შესრულებული, ეს კი, მე-2 ნაწილის თანახმად, გამოწვევის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებელ განხორციელებას ამართლებს (BGH NJW, 2005, 3211).
- 11 გ) მყიდველის მიერ შესრულების დაუყოვნებელი უკუქცევის გამამართლებელი** ინტერესი, ან შესაბამისი ინტერესი, რომ ვადის განსაზღვრის გარეშე ვალდებულების შესრულების ნაცვლად პირდაპირ ზიანის ანაზღაურება იქნეს მოთხოვნილი, მაშინაც გვაქვს სახეზე, როდესაც გამყიდველი თვითონ შეიცნობს ნივთის ნაკლს და ხელშეკრულების დადების დროს მყიდველს განზრახ დაუმალავს. ასეთ შემთხვევებში, მყიდველს აქვს დასაბუთებული ინტერესი, გამყიდველთან სამომავლო თანამშრომლობისგან თავი შეიკავოს, რათა შემდგომი სავარაუდო მოტყუების მცდელობები აიცლიოს თავიდან (BGH NJW, 2007, 835, № 12). ნდობის ფაქტორი მაშინაც არ არსებობს, როდესაც ნაკლის გამოსწორება გამყიდველის მიერ შერჩეული მესამე პირის მიერ ხდება (BGH NJW, 2008, 1371, N 20). თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი განზრახ დამალული ნაკლის შემდგომ გამყიდველს ვადას მისცემს ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად, გამყიდველი ამ მოთხოვნას დაემორჩილება და ნაკლს აღმოფხვრის, მაშინ მეორადი მოთხოვნები (ხელშეკრულებიდან გასვლა, ზიანის ანაზღაურება) უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან ნასყიდობის ნივთი უკვე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში იქნება (ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებასთან დაკავშირებით იხ. BGH NJW, 2010,

1805, Nr 9). **დ**) ხელშეკრულების მხარის მიერ **ხელშეკრულების მოსალოდნელი დარღვევისას (antizipierter Vertragsbruch)** შესაძლებელია არა მხოლოდ ვადადამოსულობამდე ხელშეკრულებიდან გასვლა, მაშასადამე, ვადის განსაზღვრის გარეშე (§ 323-ის მე-4 ნაწილი), არამედ ამ ნორმის ანალოგიით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც. ანალოგია ემსახურება კანონმდებლის მიერ ჩაფიქრებულ ხელშეკრულებიდან გასვლისა (შდრ. § 325) და ზიანის ანაზღაურების თანაბარ განხორციელების სურვილს (*Jaensch aaO*).

4. ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, ვადის მიცემის ადგილს იკავებს **გაფრთხილება** მაშინ, როდესაც ვალდებულების საგანს წარმოადგენს **მოქმედებისგან თავის შეკავება**. ეს განპირობებულია იმით, რომ ასეთი ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე, ვადის განსაზღვრა შეუძლებელია (*RA BT-Drucks, 14/7052, 185*). **12**

III. ნაწილობრივი შესრულება და უმნიშვნელოდ არაჯეროვანი შესრულება

1. **ნაწილობრივი შესრულების დროს კრედიტორს შეუძლია, ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მთლიანი შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესი აღარ აქვს.** სხვა შემთხვევაში, მას ე.წ. მცირე ზიანის ანაზღაურების (იხ. ზემოთ, მე-5 ველი), მაშასადამე, ვალდებულების დარჩენილი შეუსრულებელი ნაწილის მოთხოვნის უფლება აქვს. ნასყიდობისა და ნარდობის სამართალში მცირე ოდენობის (ნაწილობრივი) მიწოდება, § 434-ის მე-3 ნაწილის ან § 633-ის მე-2, № 3-ის თანახმად, ნივთის ნაკლთან არის გათანაბრებული. თუ ამას § 281-ის ფარგლებში მიექცეოდა ყურადღება (შდრ. § 434-ის მე-11 ველი), მაშინ გამოყენებადი იქნებოდა არა § 281-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, არამედ პირველი ნაწილის მე-3 წინადადება. **13**

2. **არაჯეროვანი შესრულების დროს კრედიტორი, § 281-ის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად, სრულ ზიანის ანაზღაურებას (ზემოთ, მე-5 ველი) ვერ მოითხოვს მაშინ, როდესაც ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა (ე.წ. უმნიშვნელო ზღვარი).** ამ რეგულირების არსი და მიზანი ზიანის ანაზღაურების რეგულირების ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებასთან ჰარმონიზაციის მიღწევაა (შდრ. § 323-ის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადება). მაშინ, როდესაც კრედიტორს, ვალდებულების დარღვევის მცირე მნიშვნელობის გამო, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ გააჩნია, შესაბამისად, მას არ უნდა გააჩნდეს იმის შესაძლებლობა, რომ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით ხელშეკრულებიდან გავიდეს და პირვანდელი მდგომარეობა (ხელშეკრულების დადებამდე არსებული) აღადგინოს. თუმცა, კრედიტორს მაინც შეუძლია მხოლოდ მცირე ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. მაშინაც კი, როდესაც ვალდებულების დარღვევა მნიშვნელოვანია, კრედიტორი არ არის ვალდებული, სრული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, არამედ მას თავისუფლად შეუძლია, არაჯეროვანი შესრულება მიიღოს და მცირე ზიანის ანაზღაურებით დაკმაყოფილდეს. **14**

§ 282. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება § 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისას

თუ მოვალე არღვევს § 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას, კრედიტორს შეუძლია, § 280-ის პირველი ნაწილის პირობების შესრულების გათვალისწინებით, შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ მას აღარ შეიძლება მოეთხოვოს მოვალის შესრულების მიღება.

1. ნორმა ეხება **დამატებითი ვალდებულების დარღვევის შემთხვევებს** და დარღვევის ასეთი შემთხვევებისთვის განსაზღვრავს **შესრულების ნაცვლად ზიანის**

ანაზღაურების მოთხოვნას. როგორც წესი, § 241-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ვალდებულების დარღვევა არ არის დაკავშირებული შესრულებასთან და არ ითვალისწინებს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას, არამედ მხოლოდ მცირე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით კმაყოფილდება, § 280-ის პირველი ნაწილის შესაბამისად. § 280-ის პირველი და მე-3 ნაწილებიდან გამომდინარე, მოთხოვნა შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე წარმოიშობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და § 282-ის წინაპირობების გათვალისწინებით, ვინაიდან კრედიტორს აღარ შეიძლება მოეთხოვოს მოვალის მეშვეობით შესრულების მიღება. მსგავსი წინაპირობებით უზრუნველყოფს, ასევე, § 324 ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. აქ მოიაზრება ხელშეკრულებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულების დარღვევა (ხელშეკრულების პოზიტიური დარღვევა, იხ. § 241 ველი 2). მაშინ, როდესაც გამონაკლის შემთხვევებში, სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულება იმავდროულად დაკავშირებულია ვალდებულების შესრულების ვალდებულებასთან და ვალდებულების დარღვევით ძირითადი ვალდებულების ხელყოფაც ხდება, გამოიყენება §§ 280-ის პირველი ნაწილი, 281-ის პირველი ნაწილი, 323-ის პირველი ნაწილი (*Hk-Schulze*, § 241 მე-8 ველი). სხვა დანარჩენ შემთხვევებში, მაშინ, როდესაც სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულების დარღვევა მეორე მხარის განსაკუთრებულ უფლებებსა და სიკეთეს ეხება, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ §§ 280-ის პირველი და მე-3 ნაწილის, 282-ის მეშვეობით. წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან (c.i.c., § 311-ის მე-2 და მე-3 ნაწილები) გამომდინარე სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულება ამგვარ მოთხოვნას ვერ წარმოშობს, ვინაიდან ხელშეკრულების დადების წინა სტადიაზე ჯერ კიდევ არ არსებობს ვალდებულების განხორციელებაზე მოთხოვნა, რომლისთვისაც ანაზღაურება შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.

2. შესრულების მისაღებობა კრედიტორისთვის, რომელსაც § 282 აწესებს წინაპირობად, შეფასების საკითხია, რომლის დროსაც კრედიტორისა და მოვალის ინტერესებია გასათვალისწინებელი. მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მოვალის გაფრთხილება ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე და სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევა. ამგვარად, დაუდევარი მღებავის შესახებ მოყვანილ მაგალითში (§ 280-ის მე-5 ველი) შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების დაუყოვნებელი მოთხოვნა წინასწარი გაფრთხილების გარეშე მაშინ არ იქნებოდა გამართლებული, როდესაც მღებავის მიერ მიყენებული ზიანი დიდი მოცულობის არაა (*RegBegr BT-Drucks, 14/6040, 142*). ასევე, შესაძლებელია, ვალდებულების დარღვევები, მიუხედავად გაფრთხილებისა, იმდენად უმნიშვნელო იყოს, რომ კრედიტორს მოეთხოვოს სახელშეკრულებო ბოჭვაში დარჩენა. ამის მაგალითი იქნება ის მღებავი, რომელიც თავის სამღებრო საქმიანობას უნაკლოდ ასრულებს, თუმცა, აქტიური მწველია და, შემკვეთის გაფრთხილების მიუხედავად, შემკვეთის შენობაში კვლავ ეწევა. ამ შემთხვევაში არ იქნება მისაღები, თუ შემკვეთი, მღებავის მიერ პირველი გაფრთხილების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, სხვა მღებავს აიყვანს დარჩენილი სამუშაოების დასასრულებლად და პირველ მღებავს დამატებით ხარჯებს დააკისრებს (*RA BT-Drucks 14/7052, 186*).

§ 283. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შესრულების გამორიცხვის შემთხვევებში

¹თუ მოვალე არ არის ვალდებული, შეასრულოს ვალდებულება, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, მაშინ კრედიტორს შეუძლია, § 280-ის პირველი ნაწილის პირობების გათვალისწინებით, შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ²§ 281-ის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები და მე-5 ნაწილი გამოიყენება შესაბამისად.

1. მოქმედების სფერო. § 280-ის პირველი და მე-3 ნაწილები § 283-თან კავშირში აფუძნებს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს ბრალეულად გამოწვეული შემდგომი შეუძლებლობისთვის, იმისგან დამოუკიდებლად, შესრულების შეუძლებლობა ობიექტურია, თუ სუბიექტური. § 275-ის მე-2 და მე-3 ნაწილები, რომლებიც შესაგებლის უფლებას ანებს, ვალდებულებისგან გასათავისუფლებლად მოვალის მიერ შესაგებლის წარდგენას ითვალისწინებს. § 283-ის რეგულირებიდან ცალსახად არ გამომდინარეობს, რომ იგი ვრცელდება მხოლოდ შესრულების შემდგომი შეუძლებლობის შემთხვევებზე. ამას ვასკვნით იმის შედეგად, რომ § 275-ით დარეგულირებული საწყისი (ობიექტური ან სუბიექტური) შეუძლებლობის დროს პასუხისმგებლობის შემთხვევები, ცალკე, § 311ა-ის მე-2 ნაწილშია დარეგულირებული. გარდა ამისა, ვლინდება, რომ საწყისი შეუძლებლობის დროს არ არის სახეზე ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე შესრულების ვალდებულების იმგვარი დარღვევა, რომელიც წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, § 280-ის გაგებით, ვინაიდან ეს ვალდებულება, § 275-ის მიხედვით, თავიდანვე არ არსებობს. მაშინ, როდესაც § 283 და 311ა-ს მე-2 ნაწილის საკანონმდებლო შემადგენლობები განსხვავებულ წინაპირობებს მოიცავენ, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით ისინი ერთმანეთს შეესაბამებიან.

2. მოთხოვნა წარმოიშობა § 281-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ვადის განსაზღვრის მიუხედავად, რადგან ვადის განსაზღვრა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის დროს არაგონივრულია. ვალდებულების შესრულების შემდგომი **ნაწილობრივი შეუძლებლობისა** ან არაჯეროვანი შესრულებისას **დამატებითი შესრულების** შემთხვევებისთვის ნორმის მე-2 ნაწილი მიუთითებს § 281-ის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებებზე (ამასთან დაკავშირებით იხ. § 281-ის მე-13 და მომდევნო ველები).

3. თუ კრედიტორი შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას ითხოვს, იგი ვალდებულია, § 281-ის მე-5 ნაწილის შესაბამისად (რომელზეც § 283-ის მე-2 წინადადება ასევე აკეთებს მითითებას), მოვალეს **დაუბრუნოს** მიღებული შესრულება.

§ 284. უშედეგო დანახარჯების ანაზღაურება

შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს დანახარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია და სამართლიანობის მიხედვით შეეძლო გაენია ვალდებულების შესრულების მიღების ნდობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანახარჯების მიზანი მაინც ვერ მიიღწეოდა, მოვალეს რომც არ დაერღვია თავისი ვალდებულება.

1. ზოგადი მიმოხილვა. § 284 ანიჭებს კრედიტორს არჩევანის უფლებას, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ მოითხოვოს განუული უსარგებლო დანახარჯების ანაზღაურება. ამ შემთხვევაში, კრედიტორი პოზიტიური ინტერესის (რომელიც შესრულების ეკვივალენტურია) ნაცვლად იღებს ნეგატიურ ინტერესს (*Hk-Schulze*, ველი 1). **ა) უსარგებლო დანახარჯია** კრედიტორის მიერ შესრულების მიღების მოლოდინით განუული ნებაყოფლობითი ქონებრივი დანახარჯი, რომელიც მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით უსარგებლო გახდა. მყიდველის შექნილ ნივთზე განუული დანახარჯები, რომელიც მოგვიანებით ნაკლული აღმოჩნდება, როგორც წესი, უსარგებლოდ მიიჩნევა, თუ მყიდველი ნასყიდობის ნივთს მისი ნაკლის გამო უკან დაუბრუნებს გამყიდველს ან მისი მიზნობრივი გამოყენება შეუძლებელია (BGHZ, 163, 381). ამის მაგალითია დანახარჯი, რომელიც გაფუჭებული (ნაკლიანი) ავტომობილის მყიდველს წარმოეშვა მისი ტრანსპორტირებისა და რეგისტრაციისას, ან სანავიგაციო სისტემის მონტაჟის გამო. თუ ავტომობილის ნაკლის

გამო ნასყიდობის ხელშეკრულების უკუქცევა მოხდება მას შემდეგ, რაც მყიდველი ავტომობილს გარკვეული დროით მოიხმარს, მაშინ დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნაც მოხმარების დროის ან ავტომობილის გარბენის შესაბამისად შემცირდება, რამდენადაც დანახარჯები მიზანს მოხმარდა და უსარგებლო აღარ არის (BGHZ, 163, 381). გაბატონებული შეხედულების თანახმად, ნასყიდობის ფასი (საპირისპირო შესრულება), როგორც დანახარჯი, § 284-ით არ უნდა ანაზღაურდეს (*Palandt-Grüneberg*, მე-5 ველი). თუმცა, საპირისპირო შესრულების ანაზღაურება უნარიანობაზე მიუთითებს ის, რომ ვალდებულების სამართლის რეფორმამდე მისი ანაზღაურება რენტაბელობის ვარაუდით⁴⁴ ხდებოდა. ვინაიდან დანახარჯის ანაზღაურების მოთხოვნა, § 325-ის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგაც შესაძლებელია განხორციელდეს და ამ მოთხოვნაზე, ხელშეკრულებიდან გასვლისგან განსხვავებით, ბრალეულობის კუთხით უფრო მკაცრი წინაპირობები ვრცელდება, არ არსებობს იმის საფუძველი, რომ მყიდველს, § 346-იდან გამომდინარე მოთხოვნები შეეუზღუდოთ. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მაგალითში ნასყიდობის ფასის მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლით იქნებოდა შესაძლებელი. ბ) მოთხოვნა შესაძლებელია **ალტერნატიულად**, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების „სანაცვლოდ“ იქნეს განხორციელებული. მაშასადამე, მოცემული უნდა იყოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების §§ 280-283-ში გათვალისწინებული წინაპირობები, განსაკუთრებით, ვალდებულების დარღვევა გამოწვეული უნდა იყოს მოვალის ბრალით, § 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად. მაშინ, როდესაც კრედიტორი, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას არ ითხოვს, არამედ მხოლოდ § 280-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე მცირე ზიანის ანაზღაურებით კმაყოფილდება, ასეთი შემთხვევებისთვის სასამართლო პრაქტიკა უშვებს დანახარჯების ანაზღაურების **კუმულაციურ** შესაძლებლობას (BGHZ, 163, 381, 386). ეს გამართლებულია იმდენად, რამდენადაც აღარ არსებობს იმის საშიშროება, რომ დაზარალებულმა პირმა ერთი და იმავე ქონებრივი ზიანისათვის ორმაგი კომპენსაცია მიიღოს, სახელდობრ, როგორც ზიანის, ასევე დანახარჯების ანაზღაურება. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების ალტერნატიული მოთხოვნა დანახარჯების ანაზღაურებაზე მიზნად ისახავს რენტაბელობის ვარაუდის, როგორც ზიანის დათვლის მეთოდის (იხ. § 281-ის მე-5 ველი), გაუქმებას (სადავოა, სხვა მოსაზრება იხ. *Palandt-Grüneberg*, § 281-ის 23-ე ველი). ეს მოსაზრება განმტკიცებულია, ასევე, ვალდებულებითი სამართლის რეფორმის კანონის განმარტებითი ბარათით, რომლის მიხედვით, § 284-ის შექმნით აღარ უნდა მოხდეს რენტაბელობის ვარაუდის შესახებ ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის გამოყენება (BT-Drucks, 14/60/40, 144).

- 2 **2. მოქმედების სფერო.** ნორმა, ისევე როგორც სამოქალაქო კოდექსის ამ თავის სხვა დანარჩენი ნორმები, მოქმედებს უპირატესად **ხელშეკრულებებისთვის**, თუმცა, ასევე **სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებისთვისაც**. მაგ.: „გ“-მ ნახატის მიღების მოლოდინში დაამზადებინა ჩარჩო, ხოლო „ბ“ ვერ აწვდის მას ნახატს მის მიერ ბრალეულად გამოწვეული გარემოების გამო, ამდენად, „გ“-ს შეუძლია, მოითხოვოს დანახარჯის ანაზღაურება, რომელიც საბოლოოდ უსარგებლო აღმოჩნდა, იმისგან დამოუკიდებლად, იგი ნახატის მყიდველია თუ საანდერძო დანაკისრის

44 ძველი სამართლის მიხედვით, უსარგებლოდ განეული დანახარჯების მოთხოვნა კრედიტორს შეეძლო იმ შემთხვევაში, თუ მის სასარგებლოდ იმოქმედებდა რენტაბელობის ვარაუდი. რაც იმას ნიშნავდა, რომ მას უნდა დაემტკიცებინა ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების შესრულებით იგი სარგებელს მიიღებდა, რაც გაამართლებდა მის მიერ დანახარჯების განევას. კრედიტორი, რომელიც ხელშეკრულებას არამართო რაიმე სარგებლის მიღებას (რენტაბელობას), არამედ რაიმე იდეალურ მიზანს დაუკავშირებდა, ვერ მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას მაშინ, როდესაც მოგვიანებით დანახარჯები უსარგებლო აღმოჩნდებოდა. ამ არასასურველი შედეგის გამოსწორებას ემსახურება ახლად შემოღებული § 284.

მიმღები (ლეგატი). ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა, ვალდებულების შეუსრულებლობით, ეკონომიკური თუ იდეური მიზანი ვერ განხორციელდა (BGHZ, 163, 381). მაგ.: „გ“-ს შეუძლია, თავისი უსარგებლოდ დარჩენილი დანახარჯები მოითხოვოს (მაგ., სარეკლამო ხარჯები) დაქირავებული დარბაზის გადმოცემასთან ერთად, რომელიც მას ბრალეულად არ გადაეცა, და მას ამის მოთხოვნა შეუძლია მაშინაც კი, როდესაც იგი დარბაზს არა გაყიდვების მოსაწყობად, არამედ პარტიის შეკრების ჩასატარებლად ქირაობს. უკანასკნელ შემთხვევაში შესამჩნევია § 284-ის მიერ § 253-იდან კანონისმიერი გადახვევა (შდრ. ადრინდელ სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით იხ. BGHZ, 99, 182, 195).

3. შეზღუდვები. § 284-ის ტექსტიდან გამომდინარეობს, რომ ეს პარაგრაფი დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნისათვის ორ შეზღუდვას შეიცავს: **ა)** მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც კრედიტორს დანახარჯები ვალდებულების შესრულების მიღების ნდობით **სამართლიანობის მიხედვით შეეძლო გაენია.** მაშასადამე, კრედიტორმა არ უნდა გასწიოს ნაჩქარევი დანახარჯები, როდესაც ხელშეკრულების ჩაშლის ნიშნებია სახეზე. ამის საპირისპიროდ, მას, ბუნებრივია, არ ეკრძალება ობიექტურად არასაჭირო ან ზედმეტი დანახარჯის გაწევა (შდრ. *Canaris JZ*, 2011, 517). არ უნდა არსებობდეს აშკარა შეუსაბამობა შეუსრულებელ ვალდებულებასთან მიმართებაში (*Palandt-Grüneberg*, მე-6 ველი). ამგვარად, შესაძლებელია, ნახატის ნასყიდობის მაგალითში (წინა ველი) მოთხოვნა ჩარჩოს შესაძენად გაწეული დანახარჯებისთვის იმდენად გამოირიცხოს, რამდენადაც ჩარჩო, შემთხვევის გარემოებათა გათვალისწინებით, ნაჩქარევად იქნა შეძენილი, ან მისი ფასი სურათის ფასს ბევრად აჭარბებს. თუმცა, დანახარჯების მოთხოვნა არ გამოირიცხება იმ შემთხვევაში, თუ ძველი ჩარჩოც საკმარისი იქნებოდა, ან ახალი ჩარჩო ნახატის ღირებულებასთან შედარებით ოდნავ ძვირია. **ბ)** მოთხოვნა უსარგებლოდ გაწეული დანახარჯებისთვის მაშინაც გამოირიცხება, როდესაც მათი გაწევის მიზანი მაინც ვერ მიიღწეოდა, **მოვალეს რომც არ დაერღვია თავისი ვალდებულება.** ამ შეზღუდვით თავიდან უნდა იქნეს აცილებული ის, რომ მოვალის მიერ გამოწვეული ვალდებულების დარღვევა კრედიტორისთვის „ბედნიერ შემთხვევად“ იქცეს, რომელიც მის მიერ გაწეულ დანახარჯებს ხელშეკრულების ჯეროვანი განხორციელების შემთხვევაშიც „ვერ ამოიღებდა“, ან თავის იდეურ მიზანს მაინც ვერ მიაღწევდა. დარბაზის ქირავნობის მაგალითში (წინა ველი) უსარგებლოდ გაწეული დანახარჯები ვერ იქნება მოთხოვნილი მაშინ, როდესაც გასაყიდი ნივთები სრულად არაგაყიდვადი იყო, ან პარტიის შეკრება აკრძალვის გამო ისედაც ვერ ჩატარდებოდა.

§ 285. ანაზღაურების გადაცემა

(1) თუ მოვალე იმ გარემოების შედეგად, რომლის გამოც მას, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, არ ეკისრება ვალდებულების შესრულება, ვალდებულების საგნის სანაცვლოდ იქნეს ანაზღაურებას ან ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებას, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურების სახით მიღებულის გადაცემა ან ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დათმობა.

(2) თუ კრედიტორს შესრულების ნაცვლად შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მაშინ პირველ ნაწილში განსაზღვრული უფლების განხორციელების შემთხვევაში ზიანის ოდენობა მცირდება მიღებული ანაზღაურების ან ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლების ღირებულებით.

1. ზოგადი მიმოხილვა. ა) § 285 მიზნად ისახავს, ვალდებულებით-სამართლებრივი სუროგაციით გამოასწოროს ქონებრივი ღირებულებების უსამართლო გადანაწილება (დამატ. შემთხვ.: §§ 667, 816). სანივთო სუროგაციისგან განსხვავებით (მაგ., § 1247-ის მე-2 ნინადადება), იგი არის სანაცვლოდ მიღებული

(სუროგატი), ე.წ. სანაცვლო სარგებლობა (*stellvertretende commodum*⁴⁵) და არა *ipso jure* (კანონის ძალით) ნივთის (თავდაპირველი ვალდებულებით განსაზღვრულის) ჩანაცვლება. კრედიტორს წარმოეშობა გადმოცემაზე მოთხოვნის უფლება. § 285 ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შედეგად შეწყვეტილი ძირითადი მოთხოვნის გაგრძელებაა. ამგვარად, ძირითადი მოთხოვნის უზრუნველყოფები (თავდებობები და გირავნობები) განაგრძობს არსებობას. **ბ**) მოქმედების სფეროში ხვდება ყველა ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნა, იმისგან დამოუკიდებლად, ხელშეკრულებიდანაა ისინი წარმოშობილი თუ კანონიდან (მაგ.: ხელშეკრულებიდან გასვლა, დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოება, დელიქტი, მესაკუთრე-მფლობელის ურთიერთობა). გამონაკლისია უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნები, რომლებისთვისაც § 285 მხოლოდ გამკაცრებული პასუხისმგებლობის შემთხვევებში მოქმედებს (მითითება §§ 818-ის მე-4 ნაწილში, 819-ის პირველ ნაწილში „ზოგად ნორმებზე“), წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მოქმედებას § 818-ის მე-2 და მე-3 ნაწილების სპეციალური რეგულირებები ანაცვლებენ. როგორც წესი, § 285 არ ვრცელდება, ასევე, § 985-იდან გამომდინარე საკუთრების გადმოცემის მოთხოვნაზე (დანვრ. იხ. § 985-ის მე-7 ველი).

2. წინაპირობები. ა) ნორმის წინაპირობაა § 275-ით განსაზღვრული შესრულების დაბრკოლების არსებობა (ნივთების ან უფლების სხვა ობიექტების მიწოდების შეუძლებლობა). მნიშვნელობა არ აქვს, რომელია მოცემული, შემდგომი თუ საწყისი, ბრალეულად თუ არაბრალეულად გამონეული შეუძლებლობა (იხ. 275 ველი 2). § 275-ის მე-2 და მე-3 ნაწილებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოვალე მისთვის მინიჭებულ შესაგებლის უფლებას, ფაქტობრივად, ახორციელებდეს (*RegBegr BT-Drucks, 14/6040, 145*). § 275-ის მიხედვით, მოვალის უფლებამოსილებას განეკუთვნება გადანყვიტოს, შეასრულოს ვალდებულება თუ გამოიყენოს ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება. **ბ**) ვალდებულების იმ საგნისთვის, რომლის შესრულებაც შეუძლებელი გახდა, მოვალე უნდა იძენდეს ანაზღაურებას (*კომპენსაციას*) ან ანაზღაურებაზე უფლებას. ანაზღაურების მიღება და ვალდებულებით შეთანხმებული თავდაპირველი საგანი ერთმანეთთან ადეკვატურ მიზეზობრივ კავშირში უნდა იყვნენ. მაგ.: მაშინ, როდესაც ვალდებულების საგანი ხანძრის შედეგად დაიღუპება, სადაზღვევო თანხა ან ცეცხლის გამჩენისგან მიღებული ზიანის ანაზღაურება ექვემდებარება გადაცემას. გარიგებით მიღებული ანაზღაურებაც („*commodum ex negotiatione*“) ექვემდებარება გადაცემას. მაგ.: მეორე მყიდველის მიერ გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების გადაცემა პირველ მყიდველზე⁴⁶. მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურების მიღება და ვალდებულების შეუძლებლობა სხვადასხვა გარიგებას ეფუძნება (გაყიდვა და მეორე მყიდველზე გასხვისება), მათ შორის მაინც არსებობს მჭიდრო ეკონომიკური კავშირი. **გ**) ვალდებულებით განსაზღვრული საგანი იმ ნივთის იდენტური უნდა იყოს, რომლის-

45 მოვალის ვალდებულება, გადასცეს კრედიტორს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მიერ შესრულების საგნისთვის მიღებული კომპენსაცია ან დაუთმოს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

46 „ა“-ს ჰყავს ავტომობილი, რომლის საბაზრო ღირებულებაც არის 10 000 ევრო, და რომელიც მას დაზღვეული ჰყავს სადაზღვევო კომპანიაში 10 000 ევროს ფარგლებში. ეს ავტომობილი „ა“-მ მიჰყიდა „ბ“-ს საბაზრო ფასზე იაფად, 8 000 ევროდ, ვინაიდან ფული სასწრაფოდ სჭირდებოდა. „ა“-ს მეზობელმა „გ“-მ, შურისძიების მიზნით, „ბ“-სადმი გადასაცემად გამზადებული ავტომობილი დაუნვა „ა“-ს. „ა“-ს ვალდებულების შესრულება „ბ“-ს მიმართ შეუძლებელი გახდა, ვინაიდან ავტომობილი აღარ არსებობს. თუმცა, ამ შემთხვევის შედეგად „ა“-ს სადაზღვევო კომპანია აუნაზღაურა ზიანი 10 000 ევროს ოდენობით. § 285 განმარტავს, რომ ამ დროს „ბ“-ს შეუძლია, „ა“-ს მოსთხოვოს ამონაგების ანუ მიღებული სადაზღვევო თანხის – 10 000-ის – გადმოცემა, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება 8 000 ევროზე იყო გაფორმებული.

ვისაც ანაზღაურება იქნა მიღებული: თუ მესაკუთრე საკუთრების ჩამორთმევის გამო ანაზღაურებას იღებს, მაშინ მოქირავნეს, რომელმაც ქირავნობის საგანი უნდა გაათავისუფლოს, არ შეუძლია ეს ანაზღაურება § 285-ის მიხედვით მოითხოვოს. მის წინაშე მხოლოდ მფლობელობის გადაცემაზეა მესაკუთრე ვალდებული. სხვანაირად გვექნება საქმე, როდესაც მესაკუთრეს საკუთრების გამოყენების ხელშეშლა აუნაზღაურდება.

3. სამართლებრივი შედეგები. ა) ვალდებულება მიღებულის გადაცემა, მოთხოვნების შემთხვევაში დათმობა: იგივე წესი მოქმედებს, როდესაც მიღებული უფრო მეტი ღირებულებისაა, ვიდრე თავდაპირველად ვალდებულებით განსაზღვრული ნივთი. § 275-ის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისას მოვალეს შეუძლია, ეს შედეგი თავიდან აიცილოს, როდესაც იგი შეუძლებლობასთან დაკავშირებულ შესაგებლის უფლებას არ მიმართავს. კრედიტორს შეუძლია, სუროგატისათან ერთად ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, რომელიც შემდგომ სუროგატის ოდენობით მცირდება (**მე-2 ნაწილი**). **ბ)** თუ კრედიტორი ორმხრივი ხელშეკრულებების დროს სანაცვლო სარგებელს (*stellvertretende commodum*) ითხოვს, მაშინ იგი ვალდებულია განახორციელოს საპირისპირო შესრულება, სადაც ანაზღაურების ღირებულება თავდაპირველი ვალდებულებით განსაზღვრულ შესრულებას შეესაბამება (§ 326-ის მე-3 ნაწილი).

§ 286. მოვალის მიერ ვადის გადაცილება

(1) ¹თუ მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას და კრედიტორი მას გაფრთხილებას წარუდგენს ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის შემდეგ, მაშინ ეს ვალდებულება, გაფრთხილების შედეგად, ითვლება ვადაგადაცილებულად. ²გაფრთხილებას უთანაბრდება ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სარჩელის წარდგენა, ასევე გადახდის ბრძანების ჩაბარება დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით საქმისწარმოების პროცესში.

(2) გაფრთხილება საჭირო არ არის, თუ:

1. ვალდებულების შესრულებისათვის კალენდარული ვადა არის დადგენილი;
2. ვალდებულების შესრულებას წინ უძღოდა მოვლენა და შესრულებისათვის სათანადო ვადა განისაზღვრა იმგვარად, რომ იგი კალენდარულად შეიძლება გამოითვალოს ამ მოვლენის დადგომის მომენტიდან;
3. მოვალე ვადამჭრელად და საბოლოოდ უარს ამბობს შესრულებაზე;
4. განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ვადაგადაცილების დაუყოვნებლივ დადგომა.

(3) ¹გადახდის მოთხოვნის მოვალე ვადაგადაცილებულად ითვლება იმ ყველაზე ბოლო მომენტიდან, როდესაც იგი შესრულების ვადამოსულობის თაობაზე და ანგარიშის ან ანგარიშთან გათანაბრებული სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტების მიღებიდან 30 დღის ვადაში არ ასრულებს ვალდებულებას; ეს წესი მოქმედებს მომხმარებელი მოვალის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შედეგები სპეციალურად იყო მითითებული ანგარიშში ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტში. ²თუ მოვალის მიერ ანგარიშის ან საანგარიშსწორებო დოკუმენტის მიღების მომენტი გაურკვეველია, არამომხმარებელი მოვალე ვადაგადაცილებულია ვადამოსულობის დადგომისა და საპასუხო შესრულების მიღებიდან უგვიანეს 30 დღის ვადაში.

(4) მოვალე არ ითვლება ვადაგადაცილებულად მანამდე, სანამ შესრულება ვერ ხორციელდება იმ გარემოების შედეგად, რომლისთვისაც იგი პასუხს არ აგებს.

I. მოვალის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობები

1 1. ვალდებულების შესრულებლობა შესრულების შესაძლებლობის მიუხედავად. მოვალის მიერ ვადის გადაცილების დამახასიათებელი ნიშანი არის ბრალეულად გამოწვეული ვალდებულების შესრულების დაგვიანება. სამოქალაქო კოდექსი არ ანსხვავებს, თუ რომელი ვალდებულების შესრულების დაგვიანებას ეხება ნორმა, ძირითადად თუ სხვა განსაკუთრებულ ვალდებულებას. **ა)** შესრულების დაგვიანება არ არის მოცემული, როდესაც ვალდებულების შესრულება მოთხოვნის ვადამოსულობამდე შეუძლებელი ხდება, ან თვით ვადის გადაცილების პერიოდშიც მისი განხორციელება შეუძლებელია. მაშასადამე, **ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა** ვადის გადაცილებას წინ უსწრებს და ვადის გადაცილებამდე უნდა იქნეს შემომწებული. თუ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ვადის გადაცილების განმავლობაში დგება, ამ დადგომის მომენტიდან მთავრდება ვადის გადაცილების შედეგები (*ex tunc*). თუმცა, მანამდე წარმოშობილი ვადის გადაცილების შედეგები კვლავ მოქმედებს. მაგ.: „ა“ ვალდებულია მიაწოდოს „ბ“-ს ხალიჩა 27 ივლისამდე, თუმცა, იგი ბრალეულად, დაგვიანებით, 31 ივლისს უგზავნის მას. სატრანსპორტო საშუალებიდან კი ამ ხალიჩას იპარავენ. (1) შეუძლებლობა: „ბ“-ს შეუძლია „ა“-სგან შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, §§ 280-ის პირველი და მე-3 ნაწილებისა და 283-ის შესაბამისად. „ა“-ს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა არ გამოუწვევია, თუმცა, შეუძლებლობის დადგომის დროს ვადაგადაცილებულად ითვებოდა (გაფრთხილება, ნორმის მე-2 ნაწილის № 1-ის შესაბამისად, ზედმეტია) და § 287-ის მე-2 წინადადების შესაბამისად დამდგარი შემთხვევისთვის უნდა აგოს პასუხი. (2) ვადის გადაცილება: „ბ“-ს შეუძლია, დამატებით ვადის გადაცილების შედეგად წარმოშობილი ზიანი, § 280-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აინაზღაუროს. **ბ)** გარდა ზემოაღნიშნულისა, ვადის გადაცილება მხოლოდ **ვალდებულების არადროული შესრულების შედეგად დგება** (და დაგვიანებული შესრულებით *ex nunc* მოქმედებით მთავრდება). მნიშვნელოვანია მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის განხორციელებული მოქმედების მომენტის და არა შედეგის დრო. თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითში „ა“ ხალიჩას 27 ივლისს გააგზავნიდა და ტრანსპორტიორის ბრალეულობით მისი მიწოდება 31 ივლისამდე ვერ მოხდებოდა (მოპარვამდე), არ გვექნებოდა ვადის გადაცილება სახეზე. საეჭვოობისას „ბ“-ს მხოლოდ ხალიჩის ტრანსპორტიორისთვის გადაცემა ეკისრება (გაგზავნის ვალდებულება, შდრ. § 269-ის პირველი და მე-3 ნაწილები), მაშასადამე, მის მიერ განხორციელებული ქმედება დროული იყო.

2 2. განხორციელებადი მოთხოვნა. მოვალე მხოლოდ მაშინ გადააცილებს ვადას, როდესაც იგი განხორციელებად მოთხოვნას დროულად არ ასრულებს. ამასთან, საჭიროა მოთხოვნის **ვადამოსულობა** (§ 271). განხორციელებადობა არ გვექნება სახეზე იმდენად, რამდენადაც მოთხოვნის წინააღმდეგ წაყენებული იქნება **მისი განხორციელების ხელშემშლელი შესაგებელი**. პრობლემურია, თუ რამდენად გამორიცხავს ამგვარი შესაგებლის მხოლოდ არსებობა ვადის გადაცილებას, თუ ის ვადის გადაცილების დადგომისას წარდგენილ უნდა იქნეს. **ა) როგორც წესი**, ვადის გადაცილების დადგომის გამოსარიცხად საკმარისია შესაგებლის ცალსახა **არსებობა** (მაგ. §§ 214, 438-ის მე-4 ნაწილის მე-2 წინადადება, 821, 852). არგ: მაშინ, როდესაც მოვალეს წაყენებული შესაგებლით მოთხოვნის შეჩერება შეუძლია, მას უფლება ეძლევა, ვალდებულება გარკვეული დროით არ შეასრულოს (სადავოა, იხ. *Larenz, SchR, I, § 23, I c*). შესაგებლის ამგვარი მოქმედება დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალე სასამართლო პროცესზე აღძრავს შესაგებელს (წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშობოდა პარადოქსული სიტუაცია, როდესაც სარჩელი შესრულებასთან მიმართებით წარმატებული იქნებოდა, თუმცა, (იმავე შესაგებელზე დამოკიდებული) ვადის გადაცილების ნაწილში – წარუმატებელი. **ბ) გამოწვევისი**.

მოვალემ, § 273-ის მე-3 ნაწილიდან და § 1000-იდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება (დაკავების უფლება) უნდა განახორციელოს ვადის გადაცილების დადგომის დროს, რათა კრედიტორს შეეძლოს მისი, § 273-ის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის უფლების განხორციელება. გ) შეუსრულებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლის შემთხვევაში (§ 320) ვადის გადაცილება დგება მაშინ, როდესაც კრედიტორი ამავდროულად მოვალეს საპირისპირო შესრულებას სთავაზობს. მანამ, სანამ იგი ამას არ გააკეთებს, არ შეუძლია, მოვალისგან მოელოდეს წინმსწრებ შესრულებას.

3. გაფრთხილება არის ყველა ერთმნიშვნელოვანი და განსაზღვრული მონოდება, რომლითაც კრედიტორი არაორაზროვნად აცხადებს, რომ იგი ვალდებულებით განსაზღვრულ შესრულებას ითხოვს. მონოდება, შესაძლებელია, ასევე, ზრდილობიანი ფორმით იქნეს გამოხატული (BGH NJW, 1998, 2132). მის სამართლებრივ ბუნებას გამოხატავს საქმიანი ურთიერთობის მსგავსი მოქმედება, ხოლო ნების გამოვლენის წესები შესაბამისად გამოიყენება. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, გაფრთხილება ვადამოსულობის შემდგომ უნდა განხორციელდეს. გაფრთხილება ჩაითვლება განხორციელებულად მაშინ, როდესაც მოვალის გაფრთხილება იმავდროულად ვადამოსულობის წარმომშობი მოქმედებით (მაგ. გამოთხოვა) ხდება (BGH WM, 1970, 1141). § 281-ის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში ნახსენებ ვადის განსაზღვრაშიც, როგორც წესი, გაფრთხილება მოიაზრება (შდრ. § 281-ის მე-9 ველი).

გაფრთხილება ზედმეტია ნორმის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში: მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების ვადაა დანიშნული, № 1-ის შესაბამისად, აღარ არსებობს ვალდებულების შესრულებისათვის გაფრთხილების საჭიროება („dies interpellat pro homine“-დრო აფრთხილებს ადამიანის მაგივრად). ვადა არ უნდა იყოს მხოლოდ ერთი მხარის მიერ განსაზღვრული. საჭიროა, რომ არსებობდეს ხელშეკრულება, კანონი ან გადაწყვეტილება (BGH NJW, 2008, 50, 53 Anm Gsell, ქვემოთ, მე-7 ველი). № 2-ის თანახმადაც, არ არის საჭირო გაფრთხილება მაშინ, როდესაც ვადამოსულობა რაიმე მოსალოდნელი მოვლენის (მაგ.: ხელშეკრულების შეწყვეტა, პროდუქციის მიწოდება, ანგარიშის წარდგენა და ა.შ.) შემდგომ კალენდარულად განსაზღვრულ დროში დგება (მაგ.: „ვადამოსულია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 თვის შემდეგ“). ვადა უნდა იყოს გონივრული. მიუღებელია მისი ნულამდე დაყვანა. მაგალითად, „გადახდა უნდა მოხდეს მიწოდების შემდგომ, დაუყოვნებლივ“. № 3-ის თანახმად: გაფრთხილება, ისევე როგორც ვადის დანიშვნა, §§ 281-ის მე-2 და 323-ის მე-2 რეგულირებების შემთხვევებში, ზედმეტია მაშინ, როდესაც მოვალე სერიოზულად და საბოლოოდ ამბობს უარს ვალდებულების შესრულებაზე. ვინაიდან, ამ შემთხვევაში, ვადის განსაზღვრა არაგონივრული იქნებოდა. № 4-ში, მისი მოტივების გათვალისწინებით, მოიაზრება მოვალის მიერ გაფრთხილების ხელშემშლელი ქცევა, ანუ ის შემთხვევა, როდესაც ეს უკანასკნელი გაფრთხილებას გაურბის (ბენზინის ბაკის შევსება და ფასის არგადახდა – იხ. BGH Urt, 4.5.2011 – VIII ZR, 171/10⁴⁷) ან შესრულებისთვის კონკრეტულ ვადას თვითონ საზღვრავს

47 BGH Urt, 4.5.2011 – VIII ZR, 171/10: „ა“-მ (მოპასუხე), რომელმაც „ბ“-ს (მოსარჩელე) ბენზინგასამართ სადგურში, სადაც ავტომობილის ბაკის შევსება თვითმომსახურებით ხორციელდება, 10 ევროს სანავი ჩაასხა. სადგურში შეიძინა, ასევე, ორი შოკოლადის ფილა და მათი ფასი გადაიხადა სალაროში, თუმცა, ბენზინის ფასი არ გადაუხდია, ისე დატოვა ბენზინგასამართი სადგურის ტერიტორია. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მოპასუხე სადგურის დატოვების მომენტიდან შესრულების (ბენზინის საფასურის გადახდის) ვადაგადაცილებულად მიიჩნია. ამ შემთხვევაში ვადაგადაცილების დადგომისთვის საჭირო არ არის „ბ“-ს მიერ „ა“-ს გაფრთხილება, ვინაიდან თვითმომსახურების ბენზინგასამართი სადგურის კლიენტისთვის ცხადია, რომ ბაკის შევსების შემდგომ გადახდის ვალდებულება დაუყოვნებლივ წარმოიშობა. როგორც წესი, ასეთი სადგურის მფლობელი მოკლებულია შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი

და ამით წინ უსწრებს გაფრთხილებას (ე.წ. თვითგაფრთხილება). გარდა ამისა, აქ საქმე ეხება ისეთ ვალდებულებებსაც, რომელთა შესრულებაც განსაკუთრებულად საჩქაროა (წყალსადენის დაზიანების შეკეთება), ან, მათი ბუნებიდან გამომდინარე, სპონტანურ შესრულებას ექვემდებარებიან, როგორცაა განმარტებისა (საქმის ვითარებაში გარკვევის) და ზედამხედველობის (მაგ., ტექნიკური აღჭურვილობის მწყობრში მოყვანის) ვალდებულება (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 146).

- 5 4. ანგარიშის მისვლის**, ან მსგავსი ძალის მქონე გადახდის მოთხოვნის მიღების შემდგომ ანაზღაურებაზე ვალდებული მოვალე ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილებს, ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, როდესაც იგი ვადამოსულობის ან გადახდის მოთხოვნის მიღების შემდგომ 30 დღის ვადაში ვალდებულებას არ შეასრულებს. ეს რეგულირება კავშირშია 2000 წლის 29 ივნისის დირექტივასთან საქმიან ურთიერთობებში გადახდის დაგვიანების თავიდან აცილების შესახებ (AB1, 2000, Nr L, 200, 35). მე-3 ნაწილში გათვალისწინებული შემთხვევებისთვის, როგორც წესი, გაფრთხილება ზედმეტია, რადგან მოვალეს ანგარიშიდან შეუძლია შეიტყოს, რამდენი და რისთვის უნდა გადაიხადოს. 30-დღიანი ვადა მას აძლევს საკმარის დროს ანგარიშის გადასამონმებლად და მის გადასახდელად. შესრულების მიღებამდე არ იწყება ვადის დენა, ვინაიდან § 320-ით გათვალისწინებული შესაგებლის წარდგენა ვადის გადაცილების დადგომას გამორიცხავს (ზემოთ, ველი 2, RegBegr BT-Drucks, 14/6040, 147). რეგულირება 30-დღიან ვადასთან დაკავშირებით არ გამორიცხავს გაფრთხილების სისტემას, არამედ იგი ავრცობს და მოქმედებს მის გვერდით (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 146). მაშასადამე, ფულადი მოთხოვნების დროსაც შესაძლებელია, გაფრთხილების გამოყენებით ვადის გადაცილება დადგეს, თუმცა, იგი დგება უგვიანეს ვადამოსულობიდან 30 დღის და ანგარიშის მიღების შემდგომ. **ა) მომხმარებელთან (§ 13)** მიმართებაში, მე-3 ნაწილის პირველი ნინადადების მე-2 ნაწილის თანახმად, ეს რეგულირება მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მომხმარებლისადმი წარდგენილ ანგარიშში ვადაგადაცილების შედეგებზე განსაკუთრებით მიეთითება. მომხმარებლისგან არ უნდა მოველოდოთ, რომ მას ეცოდინება 30-დღიანი ვადის არსებობის შესახებ. **ბ) მაშინ**, როდესაც სადავოა ჩაბარების (ანგარიშის) დრო, მოვალე, რომელიც არაა მომხმარებელი, მე-3 ნაწილის მე-2 ნინადადების თანახმად, ვადაგადაცილებულად ჩაითვლება საპირისპირო შესრულების მიღების შემდგომ უგვიანეს 30 დღისა. ამ რეგულირებამ უნდა მოიცვას, ასევე, ის შემთხვევა, როდესაც საერთოდ ბუნდოვანია ანგარიშის მისვლა, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ჩაბარების დაუზუსტებელ დროსთან (RA BT-Drucks, 14/7052, 187). ამისგან განსხვავებით, არ გამოიყენება მე-3 ნაწილის მე-2 ნინადადება მაშინ, როდესაც მხარეები ანგარიშის მიღების ორ კონკრეტულ ვადაზე დავობენ და საქონლის მიღება ამ დროის მონაკვეთის ფარგლებს გარეთ მოხდა. მაგ., თუ სადავოა, როდის მიუვიდა მოვალეს ანგარიში, პირველ თუ 5 ივნისს, როდესაც საქონლის მიწოდება უკვე პირველ აპრილს განხორციელდა, ამ შემთხვევაში დავამ მოგვიანებით მიღების ზუსტ, უდავო დროსთან დაკავშირებით არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ მოვალე უკუქცევით მაისის დასაწყისიდან ვადაგადაცილებულად ჩაითვალოს (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 147).

- 6 5. ნორმის მე-4 ნაწილის მიხედვით**, ვადაგადაცილება მოვალის მიერ უნდა იქნეს გამოწვეული. ეს რეგულირება კავშირშია §§ 276-278-თან, მაშასადამე, ძირითად შემთხვევებში, საჭიროებს ბრალეულობას. თუ სახეზეა არაბრალეულობა, ვადის გადაცილება გამოირიცხება. არაბრალეულობის დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს.

დანახარჯების გარეშე მოუწოდოს პირს გადახდისაკენ, ვინაიდან სადგურის დატოვების შემდგომ კლიენტის პიროვნება და მისამართი მისთვის უცნობია. ამ შემთხვევაში, ვადამოსულობის თანმდევ ზიანად შესაძლებელია, სამართლებრივი დევნის ხარჯებიც იქნეს ანაზღაურებული.

II. სამართლებრივი შედეგები

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისგან განსხვავებით, ვადის გადაცილების დროს მოთხოვნა განაგრძობს არსებობას. აქედან გამომდინარე, § 280-ის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, კრედიტორს შეუძლია მოვალეს, შესრულების პარალელურად, ვადის გადაცილებით გამონკეული ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს. მას შეუძლია, ასევე, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება §§ 280-ის პირველი და მე-3 ნაწილებით, 281-ით მოითხოვოს, სადაც, § 281-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, როგორც წესი, ვადის დანიშვნა არის საჭირო, რომლითაც, იმავდროულად, მოვალის მიერ ვადის გადაცილება დგება (მდრ. § 281-ის მე-9 ველი). ამ წინაპირობების გათვალისწინებით, კრედიტორს ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან § 323-ის მიხედვით. მაშასადამე, ვადის გადაცილება მოვალისთვის იწვევს პასუხისმგებლობის ფარგლების გაზრდას (§ 287) და ვადის გადაცილების პროცენტის გადახდის ვალდებულებას (§§ 288, 290).

§ 287. პასუხისმგებლობა ვადის გადაცილების დროს

¹მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისთვის. ²იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი ვალდებულების დროული შესრულებისას მაინც დადგებოდა.

ნორმა აფართოებს მოვალის პასუხისმგებლობას ვადის გადაცილების შემთხვევებში. ნორმის პირველი წინადადება მოვალეს უფლებას არ აძლევს, აპელირება მოახდინოს წინდახედულობის საკუთარ მასშტაბზე (§§ 277, 346-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების № 3, 347-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადად., 690, 708, 1359, 1664-ის პირველი ნაწ., 2131-ის პირველი ნაწ.) და იმავდროულად აფართოებს გაუფრთხილებლობის მასშტაბს შემდეგი ნორმებისთვის: §§ 300-ის პირველი ნაწ., 521, 599, 680, 698. ნორმის მე-2 წინადადება კი განსაზღვრავს, რომ მოვალე მაშინაც აგებს პასუხს, როდესაც ვადის გადაცილებისა და ვალდებულების ხელშემშლელ ფაქტორს შორის ადეკვატური მიზეზობრიობა არ არსებობს. თუმცა, პასუხისმგებლობა შემთხვევითობისათვის გამოირიცხება, რაც გამომდინარეობს ნორმის მე-2 წინადადების მე-2 ნახევრიდან (იხ. *MüKo-Ernst*, § 287 მე-3 ველი).

შემთხვევითობისთვის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ვალდებულების გამო, მაშასადამე, კონკრეტულ ვალდებულებებთან, და არა სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულებებთან, მიმართებაში (§ 241-ის მე-2 ნაწილი). მაგალითად, მოვალის მიერ ვადის გადაცილების დროს არ გვაქვს ბრალეულობისგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა კრედიტორის თვითმყოფადობის ხელყოფისთვის (*RegRBegr BT-Drucks*, 14/6040, 148). შემთხვევითობისთვის პასუხისმგებლობა მოქმედებს არა მარტო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის, არამედ ვალდებულების საგნის დაზიანების შემთხვევაშიც.

§ 288. ვადის გადაცილების პროცენტები

(1) ¹ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას ფულად ვალდებულებას ერიცხება პროცენტი. ²ვადის გადაცილების პროცენტი შეადგენს საბაზისო განაკვეთს დამატებულ წლიურ ხუთ პროცენტს.

(2) იმ გარიგებების შემთხვევაში, რომლებშიც არ მონაწილეობს მომხმარებელი, საპროცენტო განაკვეთი ფულადი მოთხოვნებისათვის შეადგენს ბაზისურ საპროცენტო განაკვეთზე დამატებულ რვა პროცენტს.

(3) კრედიტორს შეუძლია, სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, მოითხოვოს უფრო მაღალი პროცენტი.

(4) ზიანის ანაზღაურების დამატებითი მოთხოვნა არ არის გამორიცხული.

1 საბაზისო განაკვეთთან დაკავშირებით იხილეთ § 247.

§ 289. რთული პროცენტების დაუშვებლობა (პროცენტის პროცენტი)

¹პროცენტებზე ვადის გადაცილების პროცენტები არ გადაიხდებიან. ²უცვლელი რჩება კრედიტორის უფლება ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე.

§ 290. პროცენტების დარიცხვა ანაზღაურების სახით გადასახდელ თანხაზე

¹თუ მოვალე ვალდებულია, ანაზღაუროს იმ საგნის ღირებულება, რომელიც განადგურდა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების დროს ან ვადის გადაცილების პერიოდში დამდგარი საფუძვლის გამო, ვერ დაბრუნდება, მაშინ კრედიტორს შეუძლია, ანაზღაურების სახით მოითხოვოს გადასახდელ თანხაზე პროცენტების დარიცხვა იმ მომენტიდან, როდიდანაც განისაზღვრა ღირებულება. ²ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მოვალე ვალდებულია, ანაზღაუროს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების დროს გაუარესებული საგნის ღირებულების შემცირების შედეგად მიყენებული ზარალი.

§ 291. პროცენტები სასამართლოში საქმის განხილვის დროს

¹მოვალემ უნდა იხადოს ფულადი ვალდებულების პროცენტი სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების მომენტიდან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი არ აცილებს ვალდებულების შესრულების ვადას; თუ ვალის გადახდის ვადა მოგვიანებით დადგა, მაშინ მას დაერიცხება პროცენტი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან. ²შესაბამისად, გამოიყენება § 288-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების, მე-2 ნაწილის, მე-3 ნაწილისა და § 289-ის პირველი წინადადების ნორმები.

§ 292. პასუხისმგებლობა საგნის დაბრუნების შემთხვევაში

(1) თუ მოვალემ უნდა დააბრუნოს განსაზღვრული საგანი, მაშინ სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების მომენტიდან კრედიტორის მოთხოვნის უფლება იმ ზარალის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც გამოწვეულია საგნის გაუარესებით, განადგურებით ან სხვა მიზეზით გამოწვეული საგნის დაბრუნების შეუძლებლობით, წესრიგდება მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმებით სასამართლოში სავიდიკაციო სარჩელით აღძრული საქმის განხილვის დაწყების თარიღიდან, თუკი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან კრედიტორის სასარგებლოდ სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს ნივთის უკან დაბრუნების ან ნივთით სარგებლობის შედეგად მიღებული სარგებლის ანაზღაურების თაობაზე კრედიტორის მოთხოვნის უფლებისა და განუვლი ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მოვალის მოთხოვნის უფლების მიმართაც.

კარი 2. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

§ 293-ის შესავალი

1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** კრედიტორი იმყოფება შესრულების მიღების ვადის გადაცილების მდგომარეობაში მაშინ, როდესაც იგი მოვალის შესრულებისთვის აუცილებელ ქმედებას არ ახორციელებს, მოვალემ კი, თავის მხრივ, ვალდებულების

შესასრულებლად ყველაფერი იღონა (იხ. §§ 294-296). კრედიტორის მიერ განსახორციელებელი ასეთი ქმედების მაგალითია: ნივთის საკუთრებასა და მფლობელობაში მიღება; წამოღების ვალდებულების დროს ნივთის წამოღება. ასეთი ქმედება, როგორც **მოვალეობების დარღვევა**, ძირითად შემთხვევებში, ბრალეულობისგან დამოუკიდებელია და არ შეიძლება მის განსახორციელებლად სარჩელის აღძვრა. გამონაკლისია მოცემული მაშინ, როდესაც ქმედების განხორციელება ამასთანავე კრედიტორისთვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებაა (მაგ., ნასყიდობის დროს ნივთის მიღება, § 433-ის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ პირი ერთდროულად, როგორც შესრულების კრედიტორი, მიღების ვადის გადაცილების მდგომარეობაში იმყოფებოდეს, ხოლო როგორც დამატებითი ვალდებულების მოვალე, მოვალის მიერ ვადის გადაცილების მდგომარეობაში.

2. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობები. ა) მოთხოვნის შესრულებადობა. როგორც წესი, მოვალეს შეუძლია, დაუყოვნებლივ, მაშასადამე, ვადამოსულობის დადგომამდე, შესასრულოს ვალდებულება (§ 271-ის მე-2 ნაწილი). ამ თავისუფალი რეგულირების შემზღუდავი ნორმაა § 299, რომლის მიხედვითაც კრედიტორი არ ჩაითვლება ვადაგადაცილებულად მაშინ, როდესაც იგი ხანმოკლედ არის შეფერხებული, მიიღოს შესრულება.

ბ) შესრულების შეთავაზება. კრედიტორი მხოლოდ მაშინ ითვლება ვადაგადაცილებულად, როდესაც მოვალე ვალდებულების შესრულებისთვის, თავის მხრივ, ყველაფერს იღონებს. თუ რას ნიშნავს ეს, განისაზღვრება §§ 294-296-ით და დამოკიდებულია ვალდებულების სახეობასა (მიტანის, გაგზავნის ან წამოღების ვალდებულებები, ამასთან დაკავშირებით იხ. § 243 ველი 4) და კრედიტორის ქცევით.

გ) შესრულების შესაძლებლობა. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ან უუნარობა, § 297-ის თანახმად, გამორიცხავს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას.

დ) შესრულების მიღებაზე უარის თქმა ან თანაქმედების განუხორციელებლობა (§ 293). § 298-ის მიხედვით, მიღების ვადის გადაცილებასთან გათანაბრებულია ის შემთხვევა, როდესაც კრედიტორს, მართალია, შესრულების სურვილი აქვს (ან თანაქმედების განხორციელების), მაგრამ თანადროულად შესასრულებელ საპირისპირო ვალდებულებას არ ასრულებს (მაგ. ფულს არ ხდის). ხელშეკრულების შეუსაბამო მიღებაც მიღებაზე უარის თქმად განიხილება. როგორც წესი, ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა ბრალეულობის საკითხი.

3. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივ შედეგებს არეგულირებს §§ 300-304. ყველაზე მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის შემცირება და საფრთხის რისკის გადასვლა (ცალკეული შემთხვევებისთვის იხ. § 300). გარდა ამისა, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება იწვევს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამორიცხვას (§ 323-ის მე-6 ნაწილი).

§ 293. შესრულების მიღების ვადის გადაცილება

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას.

§ 294. ფაქტობრივი შეთავაზება

შესრულება კრედიტორისადმი, ფაქტობრივად, შეთავაზებულ უნდა იქნეს ისეთი სახით, როგორშიც იგი უნდა განხორციელდეს.

მიტანისა და გაგზავნის ვალდებულებებისა და კრედიტორის ნეიტრალური ქცევის დროს საჭიროა, სახეზე იყოს ვალდებულების ფაქტობრივი შეთავაზება. შესრულება ისე უნდა იქნეს შეთავაზებული, რომ „კრედიტორს სხვა არაფერი უნდა

დასჭირდეს, თუ არა მიიღოს იგი“ (RGZ, 85, 416). არა მარტო მიტანის ვალდებულების დროს უნდა იქნეს შეთავაზებული შესრულება, არამედ გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაშიც კრედიტორის საცხოვრებელ ან საქმიანობის ადგილას, ვინაიდან მხოლოდ მაშინ შეუძლია კრედიტორს, მიღებასთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება.

§ 295. სიტყვიერი შეთავაზება

¹მოვალის სიტყვიერი შეთავაზება საკმარისია, თუ კრედიტორმა მას განუცხადა, რომ იგი შესრულებას არ მიიღებს, ან, თუ შესრულების განხორციელება საჭიროებს კრედიტორის მოქმედებას, კერძოდ კი, თუ კრედიტორმა თავად უნდა წამოიღოს გადასაცემი ნივთი. ²შესრულების შეთავაზებას უთანაბრდება კრედიტორისადმი მოწოდება, განახორციელოს საჭირო მოქმედება.

- 1 § 295-ის მიხედვით, სიტყვიერი შეთავაზება (მოწოდება თანამოქმედებაზე) კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების დადგომისათვის საკმარისია მაშინ, როდესაც კრედიტორმა წინასწარ განაცხადა, რომ იგი შესრულებას არ მიიღებს. ამ შემთხვევაში ფაქტობრივი შეთავაზება, მაგალითად, მოვალის მიერ საქონლის გამზადება მისანოდებლად, არაგონივრული იქნებოდა. მიღებაზე უარის თქმად განიხილება, ასევე, შესრულების მიღებაზე შეზღუდული მზადყოფნა, მაგალითად მაშინ, როდესაც კრედიტორი აცხადებს, რომ ის კი მიიღებს შესრულებას, თუმცა, იმავდროულ საპირისპირო ვალდებულების შესრულებას არ განახორციელებს (BGH NJW, 1997, 581). მიღებაზე კატეგორიული უარის განცხადებით კი თვით სიტყვიერი შეთავაზებაც შესაძლოა კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით ზედმეტი იყოს (შდრ. *Looschelders AT, 751-ე* ველი). სხვა მხრივ კი, საკმარისია სიტყვიერი შეთავაზება მაშინ, როდესაც ფაქტობრივი შეთავაზება შეუძლებელია, ვინაიდან კრედიტორი საჭირო თანამოქმედებას არ ახორციელებს. მაგალითად: ნივთის წამოღება წამოღების ვალდებულების შემთხვევაში, მოვალისთვის გადასახდელი თანხის დადგენა, ნაკეთობის მიღება, § 640-ის შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულების დროს.

§ 296. შეთავაზების ზედმეტობა

თუ კრედიტორის მიერ განსახორციელებელი მოქმედებისათვის დადგენილია კალენდარული ვადა, მაშინ შეთავაზება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი მოქმედებას დროულად ახორციელებს; ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მოქმედებას წინ უნდა უძღოდეს შემთხვევა და სათანადო ვადა არის დადგენილი იმგვარად, რომ იგი შეიძლება გამოითვალოს შემთხვევის დადგომიდან კალენდარული დღეების მიხედვით.

§ 297. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების უუნარობა

კრედიტორი არ ითვლება ვადაგადაცილებულად, თუ მოვალე უუნაროა, შეასრულოს ვალდებულება შეთავაზების მომენტში, ან § 296-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში იმ ვადაში, რომელიც დადგენილია კრედიტორის მიერ მოქმედების შესრულებისათვის.

- 1 მოვალის მიერ ვალდებულების განხორციელების შეუძლებლობა ან უუნარობა გამოიწვევს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას, რაც თავისთავად ცხადია, ვინაიდან შეუძლებელი შესრულება ვერ იქნება შეთავაზებული და შეთავაზების გარეშე კი მიღების ვადის გადაცილება არ დადგება. § 297-ის რეგულირება იმი-თაა მნიშვნელოვანი, რომ ვალდებულების შესრულების გარდამავალი (დროებითი) შეუძლებლობის შემთხვევაშიც კი კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება გამოიწვევს. აქ მნიშვნელობა აღარ ენიჭება იმას, ვის მიერ არის გამოწვეული

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება ამისგან დამოუკიდებლად გამოირიცხება.

§ 298. ვალდებულებების ერთდროული შესრულება

თუ მოვალე ვალდებულია, შეასრულოს ვალდებულება მხოლოდ კრედიტორის შესრულების სანაცვლოდ, კრედიტორი ითვლება ვადაგადაცილებულად, როცა იგი, მართალია, მზად არის, მიიღოს შეთავაზებული შესრულება, თუმცა, თავად არ სთავაზობს მოთხოვნილ საპასუხო დაკმაყოფილებას.

§ 299. ვალდებულების შესრულების მიღების დროებითი შეუძლებლობა

თუ ვალდებულების შესრულების ვადა არ არის განსაზღვრული, ან მოვალე უფლებამოსილია, განახორციელოს შესრულება განსაზღვრულ ვადადღე, მაშინ კრედიტორი არ ითვლება ვადაგადაცილებულად მარტო იმით, რომ მას ხელი დროებით ეშლება შეთავაზებული შესრულების მიღებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალემ წინასწარ, სათანადო ვადით ადრე შეატყობინა მას შესრულების თაობაზე.

§ 300. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები

(1) კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე პასუხისმგებელია მხოლოდ განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

(2) თუ ვალდებულების საგანია გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ მისი შემთხვევით დაღუპვის რისკი კრედიტორზე გადადის იმ მომენტიდან, როდესაც იგი ვადაგადაცილებულად მიიჩნევა შეთავაზებული ნივთის მიუღებლობის გამო.

1. **ნორმის პირველი ნაწილი** ეხება მოვალის პასუხისმგებლობის შემცირებას. მოვალე პასუხს არ აგებს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას ვალდებულების საგანთან მიმართებაში მსუბუქი გაუფრთხილებლობით დამდგარი შემთხვევისთვის (მაგალითი იხილეთ ქვემოთ, მე-3 ველში). პასუხისმგებლობის შემცირება ვრცელდება ასევე დელიქტური ქმედებებიდან გამომდინარე კონკურენტულ მოთხოვნებზეც.

2. **რისკის გადასვლა. ა) ნორმის მე-2 ნაწილში** საუბარია შესრულების რისკის გადასვლაზე, მაშასადამე, ისეთ საფრთხეზე, რომლის დროსაც ვალდებულების საგნის დაღუპვის შემთხვევაში ხელმეორედ უნდა მოხდეს ვალდებულების განხორციელება (იმავე ღირებულების გვაროვნული ნივთით). მე-2 ნაწილის გამოყენების სფეროს § 243-ის მე-2 ნაწილი საგრძნობლად ზღუდავს. § 243-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, შესრულების რისკი ვალდებულების დაკონკრეტებით კრედიტორზე გადადის და, როგორც წესი, დაკონკრეტების გარეშე არ დგება კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება. ორივეს წინაპირობაა ის გარემოება, რომ მოვალემ ვალდებულების შესრულებისთვის (მისი სახეობების მიხედვით) „თავის მხრივ ყველაფერი“ უნდა გააკეთოს (შდრ. § 293-ის შესავალი, მე-3 ველი). ამ წესისაგან განსხვავებულ რეგულირებებს შეიცავს § 294 და მომდევნო პარაგრაფები, რომლებიც კრედიტორის ქცევის მიხედვით გამონაკლისებს უშვებენ. ამგვარად, § 295-ის პირველ შემთხვევაში საკმარისია მიტანისა და და გაგზავნის ვალდებულების დროს (როდესაც კრედიტორი უარს აცხადებს მიღებაზე) სიტყვიერი შეთავაზება. ამ შემთხვევაში, შესრულების რისკი, § 300-ის მე-2 ნაწილის თანახმად, გადადის კრედიტორზე, ვინაიდან § 243-ის მე-2 ნაწილის შემთხვევისთვის არც მიტანა და არც გაგზავნა არის აუცილებელი. § 300-ის მე-2 ნაწილის ფულად ვალდებულებებთან მიმართებაში შესაბამისი გამოყენების შესახებ იხ. *Larenz.*, SchR, I, § 25, II, b aE.

ბ) **ღირებულების ანაზღაურების რისკი (Preisgefahr)**, ანუ ვალდებულების საგნის შემთხვევითი დაღუპვისას საპირისპირო შესრულების განხორციელების

რისკი, § 326-ის თანახმად, ვადის გადაცილებაში მყოფ კრედიტორს ეკისრება. ღირებულების რისკის გადასვლა გამართლებულია იმ გარემოებით, რომ კრედიტორი შესრულების მიუღებლობით ხელშეკრულების შესრულებას აჭიანურებს. მაგ.: „ს“-მ უნდა მიანოდოს „გ“-ს რადიო 27 ივლისს, 17:00 საათზე. „გ“ სახლში არ იმყოფება. „ს“-ს, რომელიც უკან ბრუნდება, გზაზე ვინმე გამვლელი „ბ“ გალახავს. „ს“-ს რადიო გაუფუჭდება. „ს“-ს აქვს მოთხოვნა ნასყიდობის ფასის გადახდაზე, § 433-ის მე-2 ნაწილისა და § 326-ის მე-2 ნაწილის თანახმად, მაშინაც კი, როდესაც ის ჩხუბს მსუბუქი გაუფრთხილებლობით გამოიწვევდა (§ 300-ის პირველი ნაწილი). § 243-ის მე-2 ნაწილისა და § 275-ის თანახმად, „ს“ არ არის ვალდებული, „გ“-ს მიანოდოს ახალი რადიო.

§ 301. პროცენტების დარიცხვის შეწყვეტა

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების პერიოდში მოვალეს არ ეკისრება პროცენტიან ფულად ვალდებულებაზე პროცენტის გადახდა.

§ 302. სარგებელი გამოყენების შედეგად

თუ მოვალემ უნდა გადასცეს ან ანაზღაუროს საგნის გამოყენების შედეგად მიღებული სარგებელი, მაშინ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების პერიოდში მოვალის ვალდებულება შეზღუდულია იმ სარგებლით, რომელსაც იგი იღებს.

§ 303. მფლობელობის მიტოვების უფლება

¹თუ მოვალე ვალდებულია, გადასცეს მიწის ნაკვეთი ან რეგისტრირებული საზღვაო ხომალდი, ან მშენებარე საზღვაო ხომალდი, მაშინ მას კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების მომენტის დადგომიდან შეუძლია მიატოვოს მფლობელობა. ²მფლობელობის მიტოვების შესახებ კრედიტორი წინასწარ გაფრთხილებულ უნდა იქნეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გაფრთხილება განუხორციელებადია.

§ 304. დამატებითი ხარჯების ანაზღაურება

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალეს შეუძლია დამატებითი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომლებიც მას უნდა გაეწია უშუალოდ შეთავაზებისათვის ისევე, როგორც გადასაცემი საგნის შენახვისა და მოვლისათვის.

**ნაწილი 2. სახელშეკრულებო
ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების
განსაზღვრა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების
მეშვეობით**

§ 305-ის შესავალი

1 **1. მიზანი.** ერთი და იმავე სახის ხელშეკრულებების რთული და მრავლისმომცველი რეგულირებების ყოველჯერადი განსაზღვრის თავიდან ასაცილებლად, თანამედროვე ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ფართო მასშტაბით გამოიყენება ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. ამგვარი, წინასწარ ფორმულირებული, ხელშეკრულების პირობები ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის (შემთავაზებლის) მიერ ცალმხრივად წარედგინება მეორე მხარეს, რაც საშიშროებას შეიცავს, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებულმა (შემთავაზებელმა) მხარემ თავისი სამართლებრივი მდგომარეობა შეიძლება

ხელშეკრულების მეორე მხარის ხარჯზე არათანაზომიერად გაიუმჯობესოს. ამის გამო II ნაწილი თავისი რეგულირებებით სტანდარტულ ხელშეკრულებებთან მიმართებით ზღუდავს კერძო ავტონომიას, სახელშეკრულებო სამართლიანობის მიწოდებას, რომ უზრუნველყოს (ხელშეკრულების ცალმხრივად განსაზღვრის შესაძლებლობის ბოროტად გამოყენებისგან დაცვა). ამ დაცვის ფარგლებში გათვალისწინებულია, ასევე მომხმარებლის დაცვა.

2. გამოყენების სფერო. II ნაწილის რეგულირებების გამოყენების სფეროსთვის და, შესაბამისად, § 305-ისა და მომდევნო პარაგრაფების დამცავი ეფექტის ინტენსივობისთვის § 310 შეიცავს განსხვავებულ რეგულირებას. სახელდობრ, უნდა გაიმიჯნოს, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მენარმის მიერ მენარმეს (§ 14) წარედგინება (მაშინ მოქმედებს § 310-ის პირველი ნაწილის შეზღუდვები), თუ სახეზეა ხელშეკრულება მენარმესა და მომხმარებელს (§ 13) შორის (ამ შემთხვევაში მოქმედებს § 310-ის მე-3 ნაწილის შეზღუდვები). § 310-ის მე-4 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, II ნაწილის ნორმების გამოყენების სფერო არ ვრცელდება სამეკვიდრო, საოჯახო და სამენარმეო სამართალზე. § 305-ისა და მომდევნო პარაგრაფების შრომით ხელშეკრულებებთან მიმართებით გამოყენებისას ყურადღებაამისაქცევია § 310-ის მე-4 ნაწილის მე-2 წინადადების განსაკუთრებული რეგულირებები.

3. დირექტივის შესაბამისი განმარტება. 1993 წლის 5 აპრილის მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებების პირობების ბოროტად გამოყენების აკრძალვის შესახებ დირექტივა (ABI, 1993, Nr L, 95, 29) განსაკუთრებით § 310-ის მე-3 ნაწილშია იმპლემენტირებული. დირექტივის მოქმედების სფეროში § 305 და მისი მომდევნო პარაგრაფები დირექტივის შესაბამისად უნდა განიშარტოს.

4. შემონმების საფეხურები. გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც განსაკუთრებით § 310-იდან მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებისთვის გამომდინარეობს, გამოიყოფა შემონმების შემდგომი 4 საფეხური: **(1)** მოცემულია თუ არა ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, II ნაწილის ნორმების მიხედვით (იხ. § 305 ველი 1)? **(2)** არის თუ არა ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი? **(მიერთების/ჩართვის კონტროლი, აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. § 305 ველი 2); (3)** უძღვება ხელშეკრულების სტანდარტული პირობები შინაარსობრივ კონტროლს (იხ. § 307-ის პირველი და მომდევნო ველები)? **(4)** რა არის ჩაურთველობისა და არანამდვილობის სამართლებრივი შედეგი (იხ. § 306 ველი 1)? აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების ყოველი ცალკეული პირობა ცალკე უნდა შემონმდეს – არის ის ხელშეკრულების სტანდარტული პირობა თუ არა.

§ 305. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ჩართვა ხელშეკრულებაში

(1) ¹ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალი ხელშეკრულებისათვის გამიზნული პირობები, რომლებსაც ხელშეკრულების ერთი მხარე (შემთავაზებელი) წარუდგენს მეორე მხარეს ხელშეკრულების დადებისას. ²მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქმნის თუ არა პირობები გარეგნულად ხელშეკრულების გამოცალკევებულ შემადგენელ ნაწილს, ან შეტანილია თუ არა თავად ხელშეკრულების დოკუმენტში, რა მოცულობა აქვს მათ, როგორი შრიფტითაა შედგენილი და ხელშეკრულებას რა ფორმა აქვს. ³ხელშეკრულების პირობები არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად იმდენად, რამდენადაც ისინი მხარეთა შორის დეტალურადაა შეთანხმებული.

(2) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ იქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, როდესაც შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების დროს:

1. ხელშეკრულების მეორე მხარეს მიუთითებს მათზე ნათლად ან, თუ ნათლად მითითება ხელშეკრულების დადების ხერხის გამო შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამო სირთულეებით, ხელშეკრულების დადების ადგილას თვალსაჩინო წარწერით;
2. ხელშეკრულების მეორე მხარეს მისაღები ხერხით აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს მათ შინაარსს შემთავაზებლისთვის ცნობილი ხელშეკრულების მეორე მხარის ფიზიკური ნაკლის გათვალისწინებით, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე ეთანხმება მათ გამოყენებას.

(3) ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, მე-2 ნაწილში მოცემული მოთხოვნების დაცვისას წინასწარ შეთანხმდნენ, რომ კონკრეტული ხელშეკრულების სტანდარტული პირობები გამოიყენება კონკრეტული სახის გარიგებებისათვის.

1. 1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნებას განმარტავს ნორმის პირველი ნაწილი. ა) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები უნდა განვასხვაოთ არასავალდებულო (არამბოჭავი) თხოვნების ან რეკომენდაციებისაგან. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ რეგულირებებს, რომლებიც, შესრულების მიმდებარე (ადრესატის) ობიექტური ჰორიზონტის გათვალისწინებით, ხელშეკრულების შინაარსს განსაზღვრავენ (მაგ.: ჩანთის შემომწვების შესახებ მითითება სუპერმარკეტში, BGHZ, 133, 184) ან, სულ ცოტა, სახელშეკრულებო ურთიერთობებთან კავშირში იმყოფებიან (BGH NJW, 1999, 1864, § 305 და მომდევნო პარაგრაფები შესაბამისად გამოიყენებიან ანგარიშის გახსნის ფორმულარში მოხსენიებულ სატელეფონო რეკლამაზე თანხმობასთან დაკავშირებით). ბ) წინასწარ ფორმულირებულად განიხილება ნებისმიერი წერილობითი ან დაფიქსირების ნებისმიერი საშუალებით ნაწარმოები ხელშეკრულების პირობა (მაგ., ელექტრონული დამუშავება). შემთავაზებლის მეხსიერებაში „შენახვაც“ (დამახსოვრებაც) საკმარისია. ასე რომ, გამეორების მიზნით ფორმულარში ხელით ჩაწერილი დათქმაც ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად განიხილება (BGH NJW, 1999, 2180, 2181). გ) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების რეგულირებების გამოყენება დიდი ოდენობით გასაფორმებელი ხელშეკრულებებისთვის არის გამიზნული. მრავალჯერად გამოყენებად ჩაითვლება, თუ ის, მინიმუმ, სამჯერ მაინც არის გამოყენებული. მაშასადამე, სახეზე უნდა იყოს პირობების მრავალჯერადი გამოყენების მიზანი (BGH NJW 2000, 2988, 2989). თუმცა, პირველივე გამოყენებიდან დათქმა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად ჩაითვლება.
2. დ) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებულმა მხარემ ისინი უნდა წარუდგინოს მეორე მხარეს, მაშასადამე, ცალმხრივად შესთავაზოს და მოსთხოვოს მას ხელშეკრულების ამ პირობებით გაფორმება. ნორმის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად, პირობების წარდგენა არ შეიცავს მოლაპარაკების გზით მხარესთან პირობების შეთანხმების ნიშნებს, რომლისთვისაც უფრო მეტია საჭირო და, სახელდობრ, ის, რომ მეორე მხარეს გარიგების შინაარსის განსაზღვრაზე ზემოქმედების შესაძლებლობა ჰქონდეს (BGHZ, 104, 232, 236). მოლაპარაკების გზით პირობებზე შეთანხმება თავის თავში გულისხმობს, რომ სტანდარტული პირობების გამოყენებული პირი როგორც ხელშეკრულების მხარედების, ასევე მოლაპარაკების წარმოების დროს ხელშეკრულების მხარის წინაშე მზადყოფნას აცხადებს, ხელშეკრულება მეორე მხარის ინიციატივების მიხედვით შეცვალოს და ამას კონკრეტულ შემთხვევაში ასრულებს კიდევ. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიხედვით (NJW, 2005, 2543, 2493, Anm Gottschalk), არცთუ ისე მარტივად გასაგები ტექსტის მხარესთან „შეთანხმების“ წინაპირობაა ის, რომ შემთავაზებელი ხელშეკრულების მეორე მხარეს განუმარტავს პირობების შინაარსსა და მოქმედების სივრცეს, ან სხვაგვარად გახდება ცხადი, რომ მხარემ პირობები ნამდვილად გააცნობიერა. ნორმის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების გამონაკლისი შემთხვევა ეხება მხოლოდ ცალკეულ ფაქტობრივად შეთანხმებულ

პირობებს და არა ხელშეკრულების სტანდარტულ ყველა პირობას. ე) მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან მიმართებით ყურადღებაამისაქცევია პირობების განვრცობა მესამე პირებსა (მაგ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენება მაკლერის ან ნოტარიუსის შეთავაზებაზე) და ხელშეკრულების ცალკეულ დათქმებზე (§ 310-ის მე-3 ნაწილის № 1, 2).

2. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი რომ გახდეს, ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით, საჭიროა მხარეთა შეთანხმება პირობების ჩართვის (მიღების) თაობაზე, რომლის არსებობაც ე.წ. ჩართვის კონტროლით გადამოწმდება. დასაშვებია სამომავლოდ დასადებ გარიგებებთან მიმართებით იმ საკითხზე შეთანხმება, რომ მათში ჩაერთოს განსაზღვრული სახის სტანდარტული პირობები (იხ. ნორმის მე-3 ნაწილი). ა) ნორმის მე-2 ნაწილის განსაკუთრებული წინაპირობები (მითითება, შეცნობის შესაძლებლობა, თანხმობა) ხელშეკრულების დადების დროისთვის უნდა იყოს მოცემული. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე მითითებები ანგარიშებში, გადარიცხვის საბუთებში და მსგავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში არ ჩაითვლება სტანდარტული პირობების მიღების საფუძვლად, ვინაიდან ხელშეკრულების დადება, ძირითად შემთხვევებში, ამ დოკუმენტების შექმნამდე ხდება (*Palandt-Grüneberg*, 30-ე ველი). მეორე მხარე თანახმა უნდა იყოს შემთავაზებელი მხარის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიერთებაზე; დავალების მიღების შეტყობინებაში შეთავაზებულ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე დუმილი (პასუხგაუცემლობა), ისევე როგორც შესრულების უბრალო მიღება, თანხმობად არ ჩაითვლება (*BGHZ*, 61, 282, 287; *Palandt-Grüneberg*, 43-ე ველი, პირობადებულ საკუთრებასთან დაკავშირებით იხ. § 449-ის მე-3 ველი). ყურადღებაამისაქცევია ის, რომ ნორმის მე-2 ნაწილის მოთხოვნები არ გამოიყენება მენარმეებთან მიმართებაში (§ 310-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). ასე რომ, აქ, ჩვეულებრივ, § 145 და მისი მომდევნო პარაგრაფები მოქმედებენ. გარდა ამისა, მენარმეებს შორის ურთიერთობაში შეიძლება წარმოიშვას პრობლემა, რომ ხელშეკრულების ორივე მხარე ერთმანეთის საწინააღმდეგო ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებზე მიუთითებდეს (**ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კოლიზია**, იხ. § 150-ის მე-3 ველი); ბ) დამატებით ყურადსაღებია § 305ბ-სა და § 306გ-ს რეგულირებები. § 305ბ-ს მიხედვით, უპირატესობით სარგებლობენ ინდივიდუალური შეთანხმებები. ხელშეკრულების დამატებითი პირობები, რომლებიც მათ ეწინააღმდეგება, ბათილია. § 305გ-ს პირველი ნაწილის მიხედვით, უჩვეულო პირობები ვერ გახდება ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების „მოულოდნელობის ეფექტი“ საშუალო მომხმარებლის მოლოდინით იზომება. § 305გ-ს მე-2 ნაწილის მიხედვით, ე.წ. ბუნდოვანი რეგულირების განმარტებისას წარმოშობილი გაურკვევლობები შემთავაზებლის საზიანოდ განიმარტება. სხვა შემთხვევებში, შესაძლებელია, ბუნდოვანებამ, § 307-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების და ამავე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანხმად, ბათილობაც კი გამოიწვიოს.

§ 305ა. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ჩართვა სპეციალურ შემთხვევებში

თუნდაც § 305-ის მე-2 ნაწილის №№ 2 და 3 მოთხოვნების დაცვის გარეშე, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე თანახმაა მათ გამოყენებაზე, ჩართულად ითვლება:

1. რკინიგზის ტარიფები და დებულებები, რომლებიც გამოცემულია კომპეტენტური ტრანსპორტის მარეგულირებელი ორგანოს თანხმობით ან საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე და „მოქალაქეთა გადაყვანის შესახებ“ კანონის მიხედვით დამტკიცებული ტრამვაების, ტროლეიბუსებისა და სამარშრუტო

საქალაქო ტრანსპორტს მიკუთვნებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ გადაზიდვა- გადაყვანის პირობები;

2. ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებული და შემთავაზებლის ოფისებში ხელმისაწვდომი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები,

ა) გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებებში, რომლებიც დადებულია ოფისების გარეთ საფოსტო გზავნილის საფოსტო ყუთებში ჩაგდებით.

ბ) ტელეკომუნიკაციების, საინფორმაციო და სხვა მომსახურების განვების ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება უშუალოდ საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით და ერთჯერადად და სატელეკომუნიკაციო მომსახურების განვებისა შეფერხების გარეშე, თუ ხელშეკრულების დადებამდე ხელშეკრულების მეორე მხარისათვის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ხელმისაწვდომობა შეუსაბამოდ რთულია.

§ 305ბ. უშუალოდ მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების უპირატესობა

უშუალოდ მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან შედარებით.

§ 305გ. მოულოდნელი და ორაზროვანი პირობები

(1) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის დებულებანი, რომლებიც გარემოების მიხედვით, კერძოდ კი, ხელშეკრულების გარეგნული სახის მხრივ, იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ შეეძლო მათი გათვალისწინება, არ იქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.

(2) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განმარტებისას ბუნდოვანება განიმარტება შემთავაზებლის საწინააღმდეგოდ.

§ 306. სამართლებრივი შედეგები პირობების შეუტანლობისა და სამართლებრივი ძალის არარსებობისას

(1) თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მთლიანად ან ნაწილობრივ არ გახდა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, ან სამართლებრივი ძალის არმქონეა, მაშინ ხელშეკრულება დარჩენილ ნაწილში სამართლებრივი ძალის მქონეა.

(2) იმდენად, რამდენადაც პირობები არ გახდა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ან სამართლებრივი ძალის არმქონეა, ხელშეკრულების შინაარსი განისაზღვრება კანონის ნორმებით.

(3) ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ მისი შენარჩუნება, თუნდაც მე-2 ნაწილში გათვალისწინებული ცვლილების გათვალისწინებით, დაუშვებლად მძიმე იქნებოდა ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის.

1. 1. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, **ხელშეკრულების ნამდვილობა**, მიუხედავად ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ჩაურთველობის ან არანამდვილობისა, მაინც ხელუხლებელი რჩება (§ 139-ის ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით), თუ ნამდვილობა ხელშეკრულების მხარისთვის შეუსაბამო სირთულეებს არ იწვევს (ნორმის მე-3 ნაწილი). მესამე პირების ინტერესები არ გაითვალისწინება (BGHZ, 133, 25, 34).

2. ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების შეუსაბამო სტანდარტული პირობების ადგილს იკავებს **კანონის დისპოზიციური ნორმები**. თუ კანონის კონკრეტული რეგულირება არ არსებობს (მაგ., ატიპური ხელშეკრულებების შემთხვევებში) და ჩანაცვლების გარეშე არანამდვილი პირობების გაუქმება ორივე მხარის ინტერესების საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს **ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების პრინციპი**, §§ 133, 157-ის შესაბამისად

(იხ. § 157-ის მე-5 ველი), რომელიც ორივე მხარის ინტერესთა თანაზომიერ განონანსწორებას ისახავს მიზნად. მაგალითად, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ გადაწყვიტა („დღიური ფასის პირობა“, BGHZ, 90, 69), რომ ფორმულარით გათვალისწინებული ფასის შეცვლის ბათილი პირობის ადგილს (რომ ნივთის მოგვიანებით მიწოდებისას ახალი, მიწოდების დღის ფასი მოქმედებს) იკავებს რეგულირება, რომელიც, თუმცა, მყიდველს ავალდებულებს, მიწოდების დღისთვის მოქმედი ფასი გადაიხადოს, მაგრამ ანიჭებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, როდესაც გაზრდილი ფასი მნიშვნელოვნად აჭარბებს საშუალო ფასის მაჩვენებელს.

§ 306ა. კანონის ნორმის გვერდის ავლის აკრძალვა

წინამდებარე კარის ნორმები გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ გვერდს უვლიან სხვაგვარი გაფორმებით.

§ 307. შინაარსის გონივრულობის შემოწმება

(1) ¹ხელშეკრულების სტანდარტული პირობები სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ისინი შეუსაბამოდ საზიანოა შემთავაზებლის ხელშემკვრელი მხარისათვის. ²შეუსაბამო ზიანი შეიძლება ასევე წარმოიშვას იქიდან, რომ პირობა არ არის ნათელი და გასაგები.

(2) დავის შემთხვევაში მხარის მდგომარეობის შეუსაბამოდ გაუარესება ივარაუდება, თუ პირობა:

1. არ შეესაბამება კანონისმიერი დანაწესის ძირითად პრინციპებს, რომელთაგანაც იგი უხვევს, ან
2. ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე არსებით უფლებებსა თუ ვალდებულებებს ზღუდავს იმგვარად, რომ საფრთხე ექმნება ხელშეკრულების მიზნის მიღწევას.

(3) ¹პირველი და მე-2 ნაწილები, ისევე როგორც §§ 308 და 309 მოქმედებს მხოლოდ იმ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიმართ, რომელთა საფუძველზეც შეთანხმებულია საკანონმდებლო ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემგვსები მოწესრიგება. ²პირველი ნაწილის მე-2 წინადადებისა და პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სხვა პირობები შეიძლება იყოს სამართლებრივი ძალის არმქონე.

1. შინაარსის კონტროლის მასშტაბი. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსობრივი კონტროლი, ნორმის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ხორციელდება §§ 307-309-ის რეგულირებების მიხედვით, თუ ისინი კანონის დისპოზიციური ნორმებიდან იხრებიან, ან მას ავრცობენ. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების იმ განსაზღვრებებზე, რომლებიც ამ წინაპირობას არ აკმაყოფილებენ, მოქმედებს შინაარსობრივი კონტროლი, მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებისა და პირველი ნაწილის შესაბამისად. მენარმეთა შორის ურთიერთობის დროს მხოლოდ § 307 გამოიყენება და ისიც სავაჭრო ჩვეულებების გათვალისწინებით (§ 310-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება მე-2 წინადადებასთან ურთიერთკავშირში). მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში კი § 310-ის მე-3 ნაწილი უფრო მკაცრ დანაწესებს შეიცავს.

2. მიზანშეწონილია §§ 307-309-ის შემოწმების შემდეგი რიგითობა: ა) აკრძალული დათქმები, რომლებიც არ ექვემდებარება შეფასებას (§ 309). შინაარსობრივი კონტროლის ფარგლებში, უპირველესად, § 309-ის დათქმების კატალოგი უნდა შემოწმდეს, როგორც § 307-ზე უფრო სპეციალური და § 308-ის რეგულირებაზე უფრო მკაცრი ნორმა. მნიშვნელოვანია, მაგალითად, №8, რომელიც

ვალდებულების დარღვევის დროს ხელშეკრულების შეწყვეტას ეხება („ა“ პუნქტი); ასევე, ახალდამზადებული ნივთების შესახებ და ნარდობის ხელშეკრულებებში არაჯეროვანი შესრულების გამო წარმოშობილი მეორადი მოთხოვნების რეალიზების შესახებ დათქმების დასაშვებობას („ბ“ პუნქტი); **ბ) აკრძალული დათქმები, რომლებიც ექვემდებარება შეფასებას (§ 308).** § 309-ის აკრძალვებისგან განსხვავებით, § 308 შეიცავს განუსაზღვრელ სამართლებრივ ცნებებს (მაგ.: „შესაბამისი“, „მისაღები“), რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროებენ შეფასებას. **გ) გენერალური დათქმა (§ 307).** § 307 უნდა შემომხედეს როგორც ზოგადი ხასიათის შემადგენლობა. ნორმის მე-2 ნაწილი შეიცავს ნორმის პირველ ნაწილში მოაზრებული მხარის მდგომარეობის არათანაზომიერად გაუარესების კანონისმიერ მაგალითს: მე-2 ნაწილის № 1-ში განიხილება დისპოზიციური სამართლის ძირითადი პრინციპის ფუნქცია, მაშინ, როდესაც № 2 ე.წ. კარდინალურ ვალდებულებებს (მნიშვნელოვან სახელშეკრულებო ვალდებულებებს) ეხება. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვან სახელშეკრულებო ვალდებულებებად განიხილება ურთიერთსაპირისპირო ურთიერთობაში მდგომი ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებები (BGHZ, 149, 89, 96). ნორმის პირველი ნაწილის შემონმებისას უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან მხარის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება (რომელიც მცირე ოდენობის არ უნდა იყოს) და არათანაზომიერება. მდგომარეობის გაუარესება არათანაზომიერია მაშინ, როდესაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემთავაზებელი პირობების დათქმით მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ითვალისწინებს, ხოლო ხელშეკრულების მეორე მხარისას უგულბებლყოფს. რამდენად არის ეს შემთხვევა მოცემული, დგინდება ყოვლისმომცველი შეფასებით, რომლის დროსაც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებასთან ერთად ბრუნვაში დამკვიდრებული შეხედულებებიც გაითვალისწინება. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებების შემთხვევებში, § 310-ის მე-3 ნაწილის № 3-ის თანახმად, ხელშეკრულების დადებისას არსებული გარემოებებიც გაითვალისწინება. ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების და მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, არათანაზომიერი ხელყოფა შესაძლებელია რეგულირების ბუნდოვანი ფორმულირებიდანაც გამომდინარეობდეს (**გამჭვირვალობის პრინციპი**).

- 3** **3. §§ 307-309-ის რეგულირებების დარღვევათა სამართლებრივი შედეგია** ხელშეკრულების შესაბამისი პირობის/პირობების ბათილობა. **ა)** იმ შემთხვევაში, თუ დათქმის მხოლოდ ერთი ნაწილი არღვევს §§ 307-309-ის რეგულირებებს, იგი, როგორც წესი, სრულად ბათილია. სხვა შემთხვევაა მაშინ, როდესაც დათქმის ბათილი ნაწილი გამოყოფადია და დათქმის დარჩენილი დასაშვები ნაწილი სრულად გასაგებია, როგორც ხელშეკრულების სტრუქტურაში გონივრული რეგულირება. ამის მაგალითია გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BGHZ, 107, 185, 190): გაქვითვისა და ვალდებულების დაკავების ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საკითხები ენობრივად ერთ დათქმაში იყო დარეგულირებული; **ბ) არაგამოყოფადი დათქმის ნამდვილობის** შემანარჩუნებელი, მაგრამ მისი აზრობრივი შეზღუდვა (მაგ. § 308-ის № 1-ის მიხედვით, შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადის შეზღუდვა დასაშვებ ხანგრძლივობამდე) გავრცელებული მოსაზრებით უარყოფილია (BGHZ, 84, 109, 114; 92, 312, 315; *Erman-Roloff*, § 306 მე-8 ველი). ეს მოსაზრება იმით საბუთდება, რომ ასეთი ქმედება § 305-ისა და მომდევნო პარაგრაფების დაცვის მიზანს ეწინააღმდეგება. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემთავაზებელი რისკის გარეშე კანონსწინააღმდეგო დათქმას შეიტანდა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, მას შემდგომ შიში აღარ ექნებოდა. ყველაზე ცუდ შემთხვევაში სასამართლო მის დათქმას დასაშვებ მასშტაბამდე დაიყვანდა (შეამცირებდა); **გ)** დათქმის არანამდვილობის მოქმედებას მთლიან ხელშეკრულებაზე, განსაკუთრებით კანონის დისპოზიციური ნორმების

ვრცელ ჩარევას, § 306 არეგულირებს; დ) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემთავაზებელი პირი ბათილი დათქმების გამოყენებით წინასახელშეკრულებო სტადიაზე არღვევს ხელშეკრულების მეორე მხარის სამართლებრივი სიკეთისადმი გულისხმიერად მოპყრობის ვალდებულებას. მას შეიძლება, §§ 280-ის პირველი ნაწილის, 241-ის მე-2 ნაწილის და 311-ის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალეული ქმედების გამო დაეკისროს ზიანის ანაზღაურება მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარე დათქმის ბათილობის არცოდნის გამო დანახარჯებს წევს (BGH NJW, 2009, 2590, Nr 10).

§ 308. აკრძალული დათქმები, რომელთა სამართლებრივი ძალა დამოკიდებულია შეფასებაზე

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში სამართლებრივი ძალის არმქონეა:

1. (წინადადების მიღებისა და შესრულების ვადა)

პირობა, რომლითაც შემთავაზებელი იტოვებს უფლებას, მიიღოს შეთავაზება ან უარყოს ოფერტი, ანდა განახორციელოს შესრულება შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ ვადაში; ზემოაღნიშნული არ მოიცავს დათქმას, არ განახორციელოს შესრულება უარის თქმის ან ნივთის უკან დაბრუნების ვადის დასრულებამდე, § 355-ის პირველი და მე-2 ნაწილებისა და § 356-ის თანახმად;

2. (დამატებითი ვადა)

პირობა, რომლითაც შემთავაზებელი იტოვებს უფლებას მის მიერ განსახორციელებელი შესრულებისათვის კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებულ, შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ დამატებით ვადაზე;

3. (ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა)

პირობა, რომლითაც შემთავაზებელს აქვს უფლება, გაითავისუფლოს თავი ვალდებულებისაგან ობიექტურად გამართლებული და ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის გარეშე; ეს წესი არ მოქმედებს გრძელვადიან ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებზე;

4. (ხელშეკრულების ცვლილების პირობა)

შეთანხმება შემთავაზებლისთვის შეპირებული შესრულების ცვლილების ან განსხვავებული შესრულების უფლების მინიჭების თაობაზე, თუ ცვლილების ან განსხვავებული შესრულების შეთანხმება, შემთავაზებლის ინტერესების გათვალისწინებით, ხელშეკრულების მეორე მხარისაგან არ შეიძლება იყოს მოთხოვნილი;

5. (ნავარაუდები განცხადებები)

პირობა, რომლითაც შემთავაზებელთან დადებული ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ განსაზღვრული მოქმედების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების დროს გაკეთებული განცხადება ითვლება წარდგენილად, ან არ ითვლება წარდგენილად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) ხელშეკრულების მეორე მხარეს მიეცა სათანადო ვადა პირდაპირი განცხადებისათვის, და

ბ) შემთავაზებელი კისრულობს, მიაქციოს ხელშეკრულების მეორე მხარის განსაკუთრებული ყურადღება მისი ქმედების ნაგულისხმევ მნიშვნელობაზე ვადის დაწყების მომენტისათვის;

6. (მიღების ვარაუდი)

პირობა, რომლითაც შემთავაზებლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე განცხადება ითვლება ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ მიღებულად;

7. (ხელშეკრულებების პირობების განხორციელება)

პირობა, რომლის თანახმადაც შემთავაზებელს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარე უარს აცხადებს ხელშეკრულებაზე, ან წყვეტს მას, შეუძლია, მოითხოვოს:

- ა) შეუსაბამოდ მაღალი საზღაური ნივთით ან უფლებით სარგებლობისათვის, ან განუვლი მომსახურებისათვის, ან
 - ბ) შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება განუვლი ხარჯებისათვის;
8. (ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა)

№ 3-ის შესაბამისად, დასაშვები შეთანხმება შემთავაზებლისთვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულებისაგან გათავისუფლების უფლების მინიჭების თაობაზე, თუ შემთავაზებელი არ კისრულობს ვალდებულებას:

- ა) დაუყოვნებლივ შეატყობინოს ხელშეკრულების მეორე მხარეს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ, და
- ბ) დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს ხელშეკრულების მეორე მხარეს საპასუხო დაკმაყოფილება.

§ 309. აკრძალული დათქმები, რომლებიც არ ექვემდებარება შეფასებას

თუნდაც იმ ფარგლებში, რომლებშიც დასაშვებია საკანონმდებლო დანაწესებისაგან გადახვევა, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში სამართლებრივი ძალის არმქონეა:

1. (ფასების მოკლევადიანი მომატება)

პირობა, რომელიც ითვალისწინებს ფასის მომატებას საქონლისა თუ მომსახურებისათვის, რომლებიც მიწოდებულ ან განუვლ უნდა იქნეს ხელშეკრულების დადებიდან ოთხი თვის განმავლობაში; ეს წესი არ მოქმედებს გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში საქონლის მიწოდებისა თუ მომსახურების განუვლის მიმართ;

2. (ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება)

პირობა, რომლითაც გამოირიცხება ან იზღუდება:

- ა) შესრულებაზე უარის უფლება, რომელიც ხელშეკრულების მხარეს, § 320-ის თანახმად, ეკუთვნის, ან
- ბ) შემთავაზებელთან დადებული ხელშეკრულების მხარის კუთვნილი ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება იმდენად, რამდენადაც იგი ეფუძნება იმავე სახელშეკრულებო ურთიერთობას, კერძოდ კი, ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება დამოკიდებულია შემთავაზებლის მიერ განსაზღვრული ხარვეზების აღიარებაზე;

3. (ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის აკრძალვა)

პირობა, რომლითაც შემთავაზებელთან დადებული ხელშეკრულების მხარეს ერთმევა უფლება, გაქვითოს უდავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნა;

4. (ვალდებულების შესრულების შესახებ გაფრთხილება, ვადის დანიშვნა)

პირობა, რომლითაც შემთავაზებელი თავისუფლდება კანონით გათვალისწინებული იმ მოვალეობისაგან, გააფრთხილოს ხელშეკრულების მხარე ან დაუნიშნოს მას ვადა ვალდებულების შესასრულებლად;

5. (ზიანის ანაზღაურებაზე ერთიანი თანხის მოთხოვნის უფლებები)

შემთავაზებლის მიერ ზიანის ანაზღაურებაზე ან ღირებულების შემცირებისათვის ერთიანი თანხის მოთხოვნის უფლების შესახებ შეთანხმება, თუ

- ა) რეგულირებულ შემთხვევებში ერთიანი თანხა აჭარბებს ზიანს ან ღირებულების შემცირებას, რომლებიც მოსალოდნელია ჩვეულებრივ გარემოებებში, ან
- ბ) ხელშეკრულების მეორე მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა, დამტკიცოს, რომ ზიანი ან ღირებულების შემცირება არ მომხდარა, ან ისინი ერთიან თანხაზე არსებითად ნაკლებია;

6. (პირგასამტეხლო)

პირობა, რომელიც შემთავაზებელს ჰპირდება პირგასამტეხლოს გადახდას ვალდებულების შესრულების მიუღებლობის ან დაგვიანებული მიღების, გადახდის დაგვიანებისა თუ ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში;

7. (პასუხისმგებლობის გამორიცხვა სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში და უხეში გაუფრთხილებლობის დროს):

ა) (სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება)

სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა, რომლებიც გამოწვეულია შემთავაზებლის მხრიდან ვალდებულების გაუფრთხილებელი ბრალით დარღვევით ან შემთავაზებლის კანონიერი წარმომადგენლის ან დამხმარე პირის განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალით;

ბ) (დამძიმებული ბრალი)

სხვა სახის ზიანისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა, რომლებიც გამოწვეულია შემთავაზებლის მხრიდან ვალდებულების გაუფრთხილებელი ბრალით დარღვევით ან შემთავაზებლის კანონიერი წარმომადგენლის ან დამხმარე პირის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ბრალით;

პუნქტები „ა“ და „ბ“ არ მოქმედებს „მოქალაქეთა გადაყვანის შესახებ“ კანონის მიხედვით დამტკიცებული ტრამვაების, ტროლეიბუსებისა და სამარშრუტო საქალაქო ტრანსპორტს მიკუთვნებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ გადაზიდვა-გადაყვანის წესებისა და ტარიფების თანახმად, პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიმართ იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი მგზავრების საზიანოდ არ ადგენს „ტრამვაებით, ტროლეიბუსებითა და სამარშრუტო საქალაქო ტრანსპორტს მიკუთვნებული სატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვა-გადაყვანის სტანდარტული წესების შესახებ“ 1970 წლის 27 თებერვლის ბრძანებით დადგენილი წესებისაგან განსხვავებულ წესებს; პუნქტი „ბ“ არ მოქმედებს სახელმწიფოს მიერ ნებადართული ლატარიისა და თამაშის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიმართ;

8. (ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის სხვა შემთხვევები)

ა) (სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან გათავისუფლების უფლების გამორიცხვა) პირობა, რომელიც იმ შემთხვევაში, როდესაც შემთავაზებლის მხრიდან ვალდებულება ბრალეულად ირღვევა და არა ნასყიდობის ან ნარდობის საგნის ხარვეზით, გამორიცხავს ან ზღუდავს მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან გათავისუფლების უფლებას; ეს არ მოქმედებს № 7-ში მითითებულ გადაზიდვა-გადაყვანის წესებისა და ტარიფების მიმართ, იქვე დადგენილი წინაპირობების გათვალისწინებით;

ბ) (ნაკლოვანებები)

პირობა, რომლითაც ახალწარმოებულ ნივთების მიწოდებასა და შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებში:

აა) (მესამე პირების გამორიცხვა და მასზე მითითება)

ნაკლოვანებების გამო შემთავაზებლის მიმართ მოთხოვნის უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხულია, შეზღუდულია მესამე პირების მიმართ მოთხოვნის უფლებების მიღებით ან დამოკიდებულია მესამე პირების წინააღმდეგ სასამართლოში საქმის აღძვრაზე;

ბბ) (დამატებითი შესრულების შეზღუდვა)

მთლიანად ან ნაწილობრივ იზღუდება შემთავაზებლის მიმართ დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებები იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების

მეორე მხარისათვის პირდაპირ არ არის შენარჩუნებული ნასყიდობის ფასის შემცირების უფლება დამატებითი შესრულების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან თუ ნაკლოვანებებისათვის პასუხისმგებლობის ობიექტია სამშენებლო სამუშაოები, თავისი არჩევანით ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება;

გგ) (ხარჯები დამატებითი შესრულებისას)

გამორიცხული ან შეზღუდულია შემთავაზებლის ვალდებულება, დამატებითი შესრულების მიზნით გასწიოს აუცილებელი ხარჯები, კერძოდ, გასწიოს გადაზიდვის, გადაყვანის, სამუშაოსა და მასალების ხარჯები;

დდ) (დამატებითი შესრულების უფლების წართმევა)

შემთავაზებელი დამატებით შესრულებას დამოკიდებულს ხდის მთლიანი საზღაურის ან, ნაკლის გათვალისწინებით, მისი შეუსაბამოდ დიდი ნაწილის წინასწარ გადახდაზე;

ეე) (ნაკლის გამო პრეტენზიის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა)

შემთავაზებელი ხელშეკრულების მეორე მხარეს დაფარული ნაკლისათვის უდგენს ხანდაზმულობის ვადას, რომელიც „ვვ“ პუნქტის მიხედვით დაშვებულ ვადაზე ნაკლებია;

ვე) (ხანდაზმულობის შემსუბუქება)

შემთავაზებლის მიმართ ნაკლის გამო § 438-ის პირველი ნაწილის № 1-სა და § 634-ის პირველი ნაწილის № 2-ში აღნიშნულ შემთხვევებში მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა შემცირდება ან სხვა შემთხვევებში მიიღწევა ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადა, რომელიც აითვლება კანონით დადგენილი ხანდაზმულობის დაწყების მომენტიდან;

9. (გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების მოქმედების ვადა)

იმ სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაში, რომლის საგანია შემთავაზებლის მიერ საქონლის პერიოდული მიწოდება ან მომსახურების პერიოდული განწევა,

ა) ხელშეკრულების მეორე მხარის ორ წელზე მეტი ვადით მბოჭავი ხელშეკრულების მოქმედების ვადა,

ბ) სახელშეკრულებო ურთიერთობის უსიტყვო გახანგრძლივება, რომელიც ბოჭავს ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთ წელზე მეტი ვადით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ან

გ) ხელშეკრულების მეორე მხარის საზიანოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვადა, რომელიც აღემატება სამ თვეს თავდაპირველად გათვალისწინებული ან უსიტყვოდ გახანგრძლივებული სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე;

აღნიშნული არ მოქმედებს იმ ნივთების მიწოდების ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც იყიდება ერთად, დაზღვევის ხელშეკრულებებს ან ხელშეკრულებებს საავტორო უფლებებისა და მოთხოვნების მფლობელსა და საავტორო უფლებების რეალიზატორ საზოგადოებებს შორის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის არსით;

10. (ხელშეკრულების მხარის შეცვლა)

პირობა, რომლის თანახმადაც ნასყიდობის ან მომსახურების განწევის, ანდა წარდობის ხელშეკრულებების შემთხვევაში შემთავაზებლის უფლებები და ვალდებულებები გადადის, ან შეიძლება გადავიდეს მესამე მხარეზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირობაში:

ა) მითითებული იქნება მესამე პირის სახელი;

ბ) ხელშეკრულების მეორე მხარეს მინიჭებული აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე;

11. (ხელშეკრულების დადებამდე უფლებამოსილი პირის (აგენტის) პასუხისმგებლობა)

პირობა, რომლითაც შემთავაზებელი ხელშეკრულების მეორე მხარესთან ხელშეკრულების დამდებ აგენტს აკისრებს:

- ა) საკუთარ პასუხისმგებლობას ან სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას აღნიშნულთან დაკავშირებით, მისგან სპეციალური და ცალკე განცხადების გაკეთების გარეშე, ან
- ბ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის შემთხვევაში, პასუხისმგებლობას, რომელიც აღემატება § 179-ით დადგენილ პასუხისმგებლობის ფარგლებს;

12. (მტკიცების ტვირთი)

პირობა, რომლითაც შემთავაზებელი ცვლის მტკიცების ტვირთს ხელშეკრულების მეორე მხარის საზიანოდ, კერძოდ, იგი:

- ა) ხელშეკრულების მეორე მხარეს აკისრებს მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას, რომლებიც განეკუთვნება შემთავაზებლის პასუხისმგებლობის სფეროს, ან
- ბ) ხელშეკრულების მეორე მხარეს უტოვებს განსაზღვრული ფაქტების დადასტურებას.

პუნქტი „ბ“ არ მოქმედებს მიღების აღიარებებისადმი, რომლებიც ხელმოწერილია ცალკე, ან რომლებსაც ახლავს განცალკევებული ელექტრონული ხელმოწერა.

13. (შეტყობინებები და განცხადებები)

პირობა, რომლითაც შემთავაზებლის ან მესამე პირის მიმართ წარსადგენი შეტყობინებები და განცხადებები უნდა გაკეთდეს უფრო მკაცრი ფორმით, ვიდრე წერილობითი ფორმა, ან დამოკიდებულია ჩაბარების სპეციალურ მოთხოვნებზე.

§ 310. მოქმედების სფერო

(1) § 305-ის მე-2 და მე-3 ნაწილები და §§ 308 და 309 არ მოქმედებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიმართ, რომლებიც გამოიყენება მენარმესთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან ან საჯარო სამართლის სპეციალურ ფონდთან ხელშეკრულებებში. ²თუმცა, § 307-ის პირველი და მე-2 ნაწილები მოქმედებს პირველ წინადადებაში მითითებული შემთხვევების მიმართ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს შედეგად იწვევს §§ 308-სა და 309-ში მითითებული სახელშეკრულებო პირობების სამართლებრივი ძალის არქონას; სათანადო ყურადღება უნდა გამახვილდეს სავაჭრო ურთიერთობებში გამოსაყენებელი ჩვეულებებისა და წესების მიმართ. ³პირველი წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევებში § 307-ის პირველი და მე-2 ნაწილები ცალკეული პირობის შინაარსის კონტროლთან დაკავშირებით არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებშიც სამშენებლო სამუშაოებისათვის დადგენილი ნარდობის სახელშეკრულებო წესების ბ ნაწილი (VOB/B), შინაარსობრივი ცვლილებების გარეშე, ხელშეკრულების დადების მომენტში მოქმედი შესაბამისი რედაქციით მთლიანად არის შეტანილი.

(2) § 308 და 309 არ მოქმედებს ელექტრონურ გზის, ცენტრალური გათბობისა და წყლის მიწოდების საწარმოთა ხელშეკრულებების მიმართ ცალკეული მომხმარებლისათვის საკომუნიკაციო ქსელით ელექტრონურ გზის, ცენტრალური გათბობისა და წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით იმ ფარგლებში, რომლებშიც მიწოდების პირობები მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ მომხმარებლისათვის ტარიფებით ელექტროენერჯის, გაზის, ცენტრალური გათბობისა და წყლის მიწოდების ზოგადი პირობებისაგან განსხვავებულად აწესრიგებს. ²პირველი წინადადება, შესაბამისად, გამოიყენება საკანალიზაციო წყლების მოშორების ხელშეკრულებების მიმართაც.

(3) მენარმესა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულებების (სამომხმარებლო ხელშეკრულებები) შემთხვევაში წინამდებარე განყოფილების ნორმები გამოიყენება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ივარაუდება მენარმისაგან წარდგენილად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეტანილია ხელშეკრულებაში მომხმარებლის მიერ;
2. ამ კოდექსის § 305 გ-ს მე-2 ნაწილი და §§ 306 და 307-309, ისევე, როგორც „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 29-ე მუხლი, გამოიყენება წინასწარ ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო პირობების მიმართ მაშინაც კი, თუ ეს უკანასკნელები დადგენილია მხოლოდ ერთჯერადი გამოყენებისათვის და იმ ფარგლებში, რომლებშიც მომხმარებელს წინასწარი ჩამოყალიბების საფუძველზე არ შეეძლო მათ შინაარსზე ზემოქმედება;
3. § 307-ის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით, შეუსაბამო ზარალის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე ხელშეკრულების დადებისას არსებული გარემოებები.

(4) ¹წინამდებარე განყოფილება არ მოქმედებს მემკვიდრეობის, საოჯახო და კორპორაციული სამართლის სფეროში დადებული ხელშეკრულებების მიმართ ისევე, როგორც კოლექტიური ხელშეკრულებებისა და კერძო და საჯარო სექტორში შრომითი ხელშეკრულებების მიმართ. ²შრომითი ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებისას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს შრომის სამართალში მოქმედ თავისებურებებს; § 305-ის მე-2 და მე-3 ნაწილები არ მოქმედებს. ³კოლექტიური ხელშეკრულებები და კერძო და საჯარო სექტორში შრომითი ხელშეკრულებები უთანაბრდება საკანონმდებლო დანაწესებს, § 307-ის მე-3 ნაწილის გაგებით.

ნაწილი 3. ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობები

კარი 1. წარმოშობა, შინაარსი და დასრულება

ქვეკარი 1. წარმოშობა

§ 311. გარიგების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები და მსგავსი ვალდებულებები

(1) გარიგების საფუძველზე ვალდებულების წარმოშობისთვის, ისევე როგორც ვალდებულების შინაარსის შეცვლისათვის, საჭიროა მხარეთა შორის ხელშეკრულების დადება, თუ კანონი სხვა წესს არ ითვალისწინებს.

(2) ვალდებულებითი ურთიერთობა § 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დებულებებით ასევე წარმოიშობა:

1. ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკების დაწყებით;
2. ხელშეკრულების მომზადებით, რომლითაც, შესაძლოა, სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის მხედველობაში მიღებით, ერთი მხარე მეორე მხარეს აძლევს თავის უფლებებზე, ქონებრივ სიკეთესა და ინტერესებზე ზემოქმედების შესაძლებლობას ან ანდობს მათ ამ მხარეს; ან
3. მსგავსი საქმიანი კონტაქტებით.

(3) ¹ვალდებულებითი ურთიერთობა, § 241-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე დებულებებით, შეიძლება, ასევე, წარმოიშვას იმ პირობის მიმართ, რომლებიც თავად არ უნდა გახდნენ ხელშეკრულების მხარეები. ²ასეთი ვალდებულება წარმოიშობა,

კერძოდ, თუ მესამე პირი სარგებლობს განსაკუთრებით მაღალი ნდობით და ამით მოლაპარაკებასა თუ ხელშეკრულების დადებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს.

1. ზოგადი მიმოხილვა. ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, გარიგებაზე აღმოცენებული ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისთვის საჭიროა ხელშეკრულების არსებობა. ეს **კერძო ავტონომიის** გამოვლინებაა. ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებში მოცემულია გარიგებით წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობების მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობების წინაპირობები, კერძოდ, **culpa in contrahendo**-ს შემადგენლობა (ბრალი წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას). ხელშეკრულების მომზადების ეს წინასახელშეკრულებო კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა (რომლის წინაპირობაც ხელშეკრულების მსგავსი, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის არსებობაა) წარმოიშობა იმისგან დამოუკიდებლად, ხელშეკრულება სამომავლოდ დაიდება თუ არა. ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები ვალდებულებების შესაძლო შინაარსთან დაკავშირებით მიუთითებენ § 241-ის მე-2 ნაწილზე. თუ აღნიშნული წინასახელშეკრულებო ვალდებულებები დაირღვევა, მაშინ პასუხისმგებლობა § 280-ის პირველი ნაწილის მიხედვით დგება. § 280-ის პირველი ნაწილი არის **culpa in contrahendo**-დან გამომდინარე მოთხოვნების საფუძველი. § 311-ში სპეციალურად არ არის რეგულირებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სახე ან მოცულობა (იხ. ქვემოთ, მე-5 და მომდევნო ველები). §§ 280-ის პირველი ნაწილიდან და 311-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ეხება შემდეგ მნიშვნელოვან შემთხვევათა ჯგუფებს: ხელშეკრულების წინარე სტადიაზე სხეულის ან საკუთრებისადმი მიყენებულ ზიანს; ხელშეკრულების მოლაპარაკებების შეწყვეტას, როგორც ნდობის დაკარგვას; ხელშეკრულების არანამდვილობას ან მის ნაკლოვან გაფორმებას, როგორც განმარტების ვალდებულების დარღვევის შედეგს.

2. ხელშეკრულების მსგავსი, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის დარღვევა, რომელმაც შეიძლება § 280-ის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა წარმოშვას, სამ შემადგენლობად იყოფა: ა) ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკებების დაწყება (№ 1). კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშობა მოლაპარაკებების დაწყებით და მთავრდება მათი დასრულებით. ხელშეკრულების გაფორმებაზე მოლაპარაკებების შეწყვეტა მხოლოდ მაშინ წარმოშობს წინასახელშეკრულებო (ნდობის) ვალდებულების დარღვევას, როდესაც მოლაპარაკებების შემწყვეტი პარტნიორს ხელშეკრულების დადებისადმი დასაბუთებულ მოლოდინს (ნდობას) გაუჩინს. იმ ფაქტის დასადაგენად, გაუჩინა თუ არა მოლაპარაკების ერთმა სუბიექტმა მეორეს ხელშეკრულების დადებისადმი ნდობა, როგორც წესი, ნაკლებ როლს ასრულებს სუბიექტის მიერ ხელშეკრულების დადების მოლოდინის გამო განეული ხარჯები; **ბ) ხელშეკრულების მომზადება (№ 2).** ამ შემთხვევაში მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს, თუმცა, საქმიანი ურთიერთობისას (და არა მხოლოდ უბრალო სოციალური კონტაქტისას) ერთ მხარეს წარმოემოება შესაძლებლობა, ზემოქმედება მოახდინოს მეორე მხარის უფლებებზე, სამართლებრივ სიკეთეზე ან „ინტერესებზე“ (ამ ცნებასთან დაკავშირებით იხ. § 241 ველი 1). მაგ.: პირი მაღაზიაში შედის სავაჭროდ (და არა მხოლოდ ქექა-ქუხილისგან თავის შესაფარებლად), ცუდად დაგებული ლინოლეუმის გამო ეცემა და იზიანებს ფეხს; **გ) მსგავსი საქმიანი კონტაქტები.** აქ საქმე გვაქვს ზოგადი ხასიათის შემადგენლობასთან. მოიაზრება, მაგალითად, ისეთი კონტაქტები, რომელთა დროსაც ხელშეკრულება ჯერ არ არის მომზადებული, თუმცა, უნდა მომზადდეს (RegBegr BT-Drucks 14/6040, 163).

3. ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით დგინდება არა ვალდებულებათა სახეები, არამედ მიეთითება § 241-ის მე-2 ნაწილზე. აქ საქმე ეხება არა ძირითად ვალდებულებებს, არამედ მეორე მხარის უფლებების, სამართლებრივი სიკეთისა და

ინტერესების დაცვის ვალდებულებებს (დამატებითი ვალდებულებები). ამ ვალდებულებებს შორის ხშირად მოიაზრება, ასევე, **განმარტების ვალდებულება**⁴⁸: ა) განმარტების ვალდებულებების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობა § 280-ის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ მათი დარღვევის გამო **ხელშეკრულება არ დაიდება**. თუ კონტრაქტის გარიგების არანამდვილობის საფუძვლის (მეორე მხარისთვის) განმარტების ვალდებულება ეკისრება, იგი პასუხს აგებს, თუ იგი მეორე მხარეს არ შეატყობინებს გარიგების ფორმის ან ნებართვის საჭიროების შესახებ. ამ შემთხვევებში, გარიგების არანამდვილობის საფუძველი უნდა გამომდინარეობდეს დამრღვევი პირის სფეროდან, ან მას ხელშეკრულებით უნდა ეკისრებოდეს განმარტების ვალდებულება (მაგ. მეურვეობის ხელშეკრულებით) (*Medicus/Lorenz SchR 108-ე ველი*); ბ) გარდა ამისა, განმარტების ვალდებულების დარღვევამ, შესაძლოა, **გაფორმებული (ნამდვილი) ხელშეკრულების დროსაც**, § 280-ის პირველი ნაწილის მიხედვით, გამოიწვიოს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ ცხადია, რომ გარიგების მხარე შესაბამისი განმარტების შემთხვევაში ხელშეკრულებას იმ სახით, ან საერთოდ არ დადებდა. მოცემულია თუ არა ცალკეულ შემთხვევაში წინასახელშეკრულებო განმარტების ვალდებულება (ან მისი დარღვევა), ყოველი ცალკეული შემთხვევის გარემოებებით უნდა შეფასდეს. ეს მოცემულია, ძირითადად მაშინ, როდესაც ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებებია სახეზე, რომლებიც ხელშეკრულების დადებაზე ზეგავლენას ახდენენ და რომლებიც ხელშეკრულების მხარეს თვითონ არ შეეძლო განესაზღვრა (ამასთან დაკავშირებით იხ. *MüKo-Roth § 241 130-ე და მომდევნო ველები*, შდრ. ასევე § 123 მე-4 ველი). მაგ.: მაშინ, როდესაც გამყიდველი გასაყიდი ავტომობილის მძიმე ავარიას მალავს, მყიდველს შეუძლია, წინასახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობების დარღვევის გამო ხელშეკრულების უკუქცევა მოითხოვოს (ამ ურთიერთობასთან დაკავშირებით იხ. § 123-ის მე-16 ველი); სადაზღვევო აგენტი არ მიუთითებს იმ პირობაზე, რომ დაზღვევა მხოლოდ ევროპაში დამდგარ ზიანს ანაზღაურებს, თუმცა, იცის, რომ მზღვეველის სურვილი აქვს დაზღვეული ავტომობილით იმოგზაუროს თურქეთში (*BGH NJW 1973, 542*); ავტომობილის გამჭირავებელმა, რომელიც სათადარიგო ავტომობილებს აქირავებს, გაქირავებისას არ მიუთითა დაზარალებულ პირს (რომელსაც მოგვიანებით ნაქირავები მანქანით ავარია მოუვიდათ), რომ (მონინალმდევე მხარის – ზიანის მიმყენებლის) სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა შემოთავაზებულ ტარიფს სრული მოცულობით არ ანაზღაურებდა (*BGHZ 168, 168*).

- 4 **4. ვალდებულების დარღვევა.** § 280-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობაა ის, რომ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე წინასახელშეკრულებო სტადიაზე გულისხმიერების ვალდებულებას არღვევს: ა) *culpa in contrahendo*-ს შემთხვევაში, ხელშეკრულების (პოტენციური) მხარეები არიან ისინი, რომლებიც მიზნად ისახავენ განსაზღვრული ხელშეკრულების დადებას. მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირები შეიძლება იყვნენ მესამე პირებიც. გამონაკლის შემთხვევაში, მესამე პირები შეიძლება იყვნენ არა მარტო მოთხოვნაზე უფლებამოსილი, არამედ – მოთხოვნის ადრესატებიც. შესაბამისად, 311-ის წინაპირობა არის **ქმედუნარიანობა** და არა მოთხოვნაზე უფლებამოსილება (*BGH NJW 1973, 1791*); ბ) ვალდებულების დარღვევის **ბრალეულობა** დგინდება (ძირითად შემთხვევებში) §§ 276-278-ის მიხედვით.

48 განმარტების ვალდებულება ხშირად იჩენს ხოლმე თავს ვალდებულებით ურთიერთობებში. მაგ.: ექიმის მიერ პაციენტის მკურნალობა ჯეროვნად ტარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პაციენტს დროულად, წინასწარ და სრულად განემარტება მკურნალობის სახეობის, მოცულობის, მიმდინარეობის, რისკის, ალტერნატივების და ჩარევის პროგნოზის შესახებ და პაციენტი ამაზე თანხმობას განაცხადებს.

5. სამართლებრივი შედეგები. ა) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხორციელდება § 280, 249-ის მიხედვით. დარღვეული ვალდებულების დაცვის მიზანთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ იხილეთ § 249-ის შესავლის მე-15 და მომდევნო ველები. **თანაბრალეულობისთვის** მოქმედებს § 254; § 122-ის მე-2 ნაწილის, 179-ის მე-3 ნაწილის სპეციალური რეგულირებები არ გამოიყენება. **ხანდაზმულობისთვის** მოქმედებს § 195, თუ მოსამზადებელი (გამიზნული) ხელშეკრულებისათვის უფრო მოკლე ვადები არაა მოცემული (BGHZ 58, 123);

ბ) ძირითად შემთხვევებში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოიცავს მხოლოდ **ხელყოფასა და კანონიერ ნდობასთან დაკავშირებულ ინტერესს** (შდრ. § 249-ის შესავლის მე-8 ველი), თუმცა, მისი ოდენობა არ იზღუდება შესრულების ინტერესით (საკამათოა სასამართლო პრაქტიკაში; სხვანაირად § 122-ის პირველი ნაწილი, 179-ის მე-2 ნაწილის შემთხვევებში). სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში (მაგ., ავტომობილის შეძენის მიზნით განხორციელებული საცდელი ტარების დროს მისი დაზიანება) უნდა ანაზღაურდეს შენარჩუნების ინტერესი (მაგ., ავტომობილის სარემონტო ხარჯები). პირის ბრალეულობის გამო ხელშეკრულების დაუდებლობისას მოტყუებულ პირს უნდა აუნაზღაურდეს ხელშეკრულების დადების ნდობით და მოლოდინით განეული დანახარჯები. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევით დაიყოლიებს პირი მეორე მხარეს და გააფორმებინებს ხელშეკრულებას, მოტყუებულ მხარეს შეუძლია ხელშეკრულებიდან განთავისუფლება და დანახარჯების ანაზღაურება მოითხოვოს (თუმცა, იხ. ასევე შემდგომი ველი), იმისგან დამოუკიდებლად, აქვს თუ არა მას § 123, 124-ის შესაბამისად შეცდომების უფლება (BGH NJW 1998, 302; შდრ. § 123 მე-16 ველი);

გ) შესრულების ინტერესის მოთხოვნა გამონაკლისის სახით. სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, თუ დადგინდება, წინასახელშეკრულებო სტადიაზე ვალდებულება რომ არ დარღვეულიყო ერთი მხარის მიერ, მხარეებს შორის ნამდვილი ხელშეკრულება დაიდებოდა, ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, შეუმდგარი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების ინტერესის ზიანის ანაზღაურების სახით მოთხოვნა. თუმცა, დაზარალებული პირი ვერ მოითხოვს ხელშეკრულების გაფორმებას და ვალდებულების შესრულებას. მაგ.: თუ მინის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება გამყიდველის ბრალით ფორმის დაუცველობის გამო ბათილია, მაშინ მყიდველს შეუძლია, ის ხარჯები მოითხოვოს, რომლის განეცა მას მსგავსი მინის ნაკვეთის შეძენისას დამატებით მოუწევს. მაგრამ იგი ვერ მოითხოვს ხელშეკრულების გაფორმებას და მინის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემას (BGH NJW 1965, 812). ხელშეკრულების დადებაზე დაყოლიებულ მოტყუებულ მხარეს ხელშეკრულების უკუქცევის ნაცვლად (წინა ველი) შეუძლია, მოითხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება და შესრულების ინტერესი, თუ ცალკეულ შემთხვევაში დადგინდება, რომ წინასახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის გარეშე იმავე მხარეებს შორის უფრო ხელსაყრელი შინაარსის ხელშეკრულება დაიდებოდა (BGHZ NJW 1998, 2900). ამის მტკიცების ტვირთი დაზარალებულ პირს ეკისრება (BGH NJW 2006, 3139). სასამართლო პრაქტიკა, ხელშეკრულების მისადაგებასთან დაკავშირებით, გამონაკლის შემთხვევებში, უშვებს შემდეგს: მომტყუებელ მხარეს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულება ისე შეასრულოს, როგორი ხელშეკრულების შინაარსის მოლოდინიც ჰქონდა მოტყუებულ მხარეს. მაგ.: სადაზღვევო მოქმედების გაზრდა იმ ოდენობამდე, რომელიც სადაზღვევო აგენტის მიერ მოჩვენებით იყო წარმოდგენილი (BGHZ 108, 200, 206 სხვა მითითებებით).

6. ნორმის მე-3 ნაწილის მიხედვით, წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან (*culpa in contrahendo*) გამომდინარე კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა შესაძლებელია, ასევე, **მესამე პირებთან** მიმართებითაც წარმოიშვას. მაშასადამე, იმ პირების მიმართ, რომლებიც თვითონ ხელშეკრულების მხარეები არ არიან:

ა) მესამე პირებს შეუძლიათ, წინასახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობების დარღვევის გამო წარმოშობილი **ზიანის მოთხოვნები მესამე პირის დაცვით დადებული ხელშეკრულების პრინციპზე** დაყრდნობით განახორციელონ (ამასთან დაკავშირებით იხ. § 249-ის შესავალი, 22-ე და მომდევნო ველები). მაგ: სუპერმარკეტში საყიდლებზე დედასთან ერთად წასულ მცირეწლოვან ბავშვს ფეხი უცურდება სალათის ფურცელზე და დაცემის შედეგად ზიანდება მანამ, სანამ დედა რაიმე ნივთს შეიძენს (ნასყიდობის ხელშეკრულებას გააფორმებს (BGHZ 66, 57); ბ) **მესამე პირის პასუხისმგებლობა**, ნორმის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, წარმოიშობა მაშინ, როდესაც მესამე პირი „განსაკუთრებით მაღალი“ (!) ნდობით სარგებლობს და ამით სახელშეკრულებო მოლაპარაკებებსა და/ან ხელშეკრულების დადებაზე „მნიშვნელოვნად“ (!) ზემოქმედებს. მესამე პირი (წარმომადგენელი, მოლაპარაკებების შუამავალი, მაკლერი და ა.შ.) უნდა მოქმედებდეს საკუთარი მოლოდინიდან, ნდობიდან გამომდინარე და არა ხელშეკრულების იმ მხარისთვის, რომელსაც ის „წარმოადგენს“ და ცხადი უნდა იყოს, რომ იგი, გამიზნული ხელშეკრულების დადებაზე გარანტიას იღებს საკუთარ თავზე (BGHZ 74, 103, 108). ასეთად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ვინმე მხოლოდ საკუთარ კომპეტენციაზე მიუთითებს, ან, უბრალოდ, მოდერატორია მოლაპარაკებების პროცესში; თუმცა, ზემოაღნიშნული მოცემულობა გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირი აცხადებს, რომ ხელშეკრულების მხარეს თავდება დაუდგება, ან რაიმე მსგავს ქმედებას განახორციელებს (RegBegr BT-Drucks 14/6040, 163). მე-სამე პირმა, შესაძლებელია, ასევე, პასუხი აგოს გულისხმიერების ვალდებულებების დარღვევის გამო ხელშეკრულების დადების *შემდგომაც*, თუ მან სახელშეკრულებო მოლაპარაკებების ეტაპზე ნდობა გააჩინა, რომ ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო (BGHZ 70, 337, 343 და მომდევნო გვერდები). გარდა ამისა, იგი პასუხს აგებს თავისი დამხმარე პირის ბრალეულობისათვის § 278-ის შესაბამისად (BGH NJW 1997, 1233). ე.წ. **საქმის მწარმოებლის პასუხისმგებლობაც** მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების ქვეშ მოიაზრება. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ექსპერტის ან სხვა რომელიმე „კომპეტენციის მქონე პირის“ პასუხისმგებლობასთან, რომელიც პასუხისმგებელია დავალების მიმცემი პარტნიორის წინაშე, ვინაიდან მან ხელშეკრულების დადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, რადგან პარტნიორი მის ობიექტურობასა და ნეიტრალურობას ენდო. ამ ნორმის მიზანია, სასამართლო პრაქტიკას მისცეს მიმართულება და მსგავსი შემთხვევები არა მარტო ისეთი კონსტრუქციის გამოყენებით გადაწყვიტოს, სადაც მესამე პირი იძენს უფლებას, განახორციელოს ინფორმაციის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა (მდრ. § 675-ის მე-8 ველი), არამედ აღნიშნული შემთხვევები culpa in contrahendo-ს საფუძველზე გადაწყვიტოს (ნორმის მე-3 ნაწილი; RegBegr aaO; Jens Koch, AcP 2004, 59). ნორმის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება შეგნებულად უშვებს დამატებით შემთხვევათა ჯგუფების რეგულირების შესაძლებლობას (იხ. წინადადებაში სიტყვა – „განსაკუთრებით“), რომლებიც შეიძლება წარმოიშვან და ჩამოყალიბდნენ მეცნიერებაში ან პრაქტიკაში. აქ მოიაზრება, მაგალითად, ისეთი შემთხვევები, სადაც მესამე პირები სახელშეკრულებო მოლაპარაკებებსა თუ ხელშეკრულების დადებაზე განსაკუთრებით ახდენენ ზემოქმედებას და ხელშეკრულების დადებისას მეტწილად **საკუთარი ეკონომიკური ინტერესი** ამოძრავებთ. ასე რომ, ისინი, ეკონომიკური თვალსაზრისით, საკუთარი საქმისთვის მოქმედებენ. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით აწესებს მკაცრ მოთხოვნებს. ერთ-ერთი ასეთი დანაწესის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორს და ერთადერთ პარტნიორს მაშინაც არ აქვს უშუალო საკუთარი ეკონომიკური ინტერესი შპს-ისთვის დადებული ხელშეკრულების მიმართ, როდესაც იგი შპს-ის სასარგებლოდ თავისი ქონებით უზრუნველყოფას განახორ-

ციელებს, მაშასადამე, თავის ეკონომიკურ არსებობას შპს-ის წარმატებას დაუკავშირებს (BGHZ 126, 181, 182).

§ 311ა. ვალდებულების შესრულების ხელის შემშლელი გარემოების არსებობა ხელშეკრულების დადებისას

(1) ხელშეკრულების სამართლებრივი ძალა არ იბღალავს იმ ფაქტით, რომ მოვალეს, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია, არ შეასრულოს ვალდებულება და ვალდებულების შესრულების ხელის შემშლელი გარემოება სახეზეა უკვე ხელშეკრულების დადების მომენტში.

(2) ¹კრედიტორს შეუძლია, თავისი არჩევანით მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ან თავისი ხარჯების ანაზღაურება § 284-ით დადგენილ ფარგლებში. ²ეს წესი არ მოქმედებს, თუ მოვალემ ვალდებულების შესრულებაზე ხელის შემშლელი გარემოების შესახებ ხელშეკრულების დადებისას არ იცოდა, ხოლო უცოდინრობისათვის იგი არ იყო პასუხისმგებელი. ³§ 281-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება და მე-5 ნაწილი შესაბამისად გამოიყენება.

1. მოქმედების სფერო. ნორმა ეხება ვალდებულების შესრულების საწყის ობიექტურ და სუბიექტურ შეუძლებლობას. 1

2. ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ხელშეკრულება ვალდებულების შესრულების საწყისი ობიექტური შეუძლებლობის დროსაც ნამდვილი (ძალაში) რჩება და საწყისი შეუძლებლობა არ არის ბათილობის საფუძველი. ვინაიდან ძირითადი ვალდებულების შესრულება § 275-ის მიხედვით გამოირიცხება, სახეზე გვაქვს ძირითადი ვალდებულების გარეშე მოქმედი ხელშეკრულება, ალიარებული დოგმატური კატეგორია. ხელშეკრულება, ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით, წარმოშობს ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს, ხოლო სუროგაციის მოთხოვნისთვის მოქმედებს § 285. 2

3. ნორმის მე-2 ნაწილი შეიცავს დამოუკიდებელ მოთხოვნის საფუძველს იქვე დასახელებული მეორადი მოთხოვნებისთვის. მაშასადამე, იგი არ არის § 280-ის პირველი ნაწილის, ვალდებულების დარღვევის ზოგადი შემადგენლობის ქვეშემადგენლობა (როგორც ეს § 283-ის შემთხვევაში გვაქვს შემდგომი შეუძლებლობისას), არამედ § 311ა არის დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველი, რომელსაც § 280-თან შეხება არ აქვს. დოგმატური თვალსაზრისით, მოთხოვნა ეხება (პირველი ნაწილის მიხედვით, ნამდვილი) დაპირებული ვალდებულების შეუსრულებლობას და არა § 275-ის მიხედვით დარღვეულ და შეუძლებელ ვალდებულებას (RegBegr BT-Drucks 14/6040, 165; *Canaris FS Heldrich* [2005] 11, 28; *Medicus/Lorenz SchR I* 342-ე ველი). 3

ა) სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება უზრუნველყოფს პოზიტიური (შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება), და არა მხოლოდ ნეგატიური ინტერესის მოთხოვნის შესაძლებლობას (როგორც ეს §§ 280-ის პირველი ნაწილის, 311-ის მე-2 ნაწილის დროს წინასახელშეკრულებო სტადიაზე ინფორმაციის გაცემის ვალდებულების დარღვევის შემთხვევებში გვაქვს). მაშასადამე, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, უმნიშვნელოა, ვალდებულების შესრულების ხელშეშლა ხელშეკრულების დადებამდე წარმოიშვა თუ მის შემდგომ. 4

ბ) ალტერნატივის სახით კრედიტორს შეუძლია, დანახარჯების ანაზღაურება მოითხოვოს § 284-ის წინაპირობების შესაბამისად. 5

გ) ნორმის მე-2 ნაწილის პირველ წინადადებაში მოხსენიებული ორივე მოთხოვნის (შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება და დანახარჯების ანაზღაურება) წინაპირობა არის, როგორც წესი, **ბრალეულობა**. ეს მოთხოვნები არ წარმოიშობა მაშინ (მტკიცების ტვირთის შებრუნება), როდესაც მოვალემ ვალდებულების განხორ-

ციელების ხელშემშლელი ფაქტორი ხელშეკრულების დადების დროს არ იცის და არცოდნაც მისი ბრალით არაა გამონეული (შდრ. § 276-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, რომელიც, როგორც წესი, გაუფრთხილებლობას მოითხოვს წინაპირობად, თუმცა, გარანტიის ალებას არ გამოიციხავს). შერაცხვის კრიტერიუმში არის პირის მიერ ვალდებულების ხელშემშლელი ფაქტორის ცოდნა, ან გაუფრთხილებლობით არცოდნა და არა (როგორც §§ 280-ისა და 283-ის შემთხვევებშია) ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე, შესასრულებელი ვალდებულების ბრალეული დარღვევა. ვალდებულების განხორციელების არეალი, ანუ ის, თუ რამდენად შესაძლებელია ვალდებულების შესრულება, უნდა დადგინდეს ყოველი ცალკეული შემთხვევის გარემოებების მიხედვით (*Medicus/Lorenz SchR I, 342-ე ველი*). იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ხელშეკრულების მომზადებაში დამხმარე პირს ჩართავს, მაშინ მას, § 278-ის შესაბამისად, შეერაცხება დამხმარე პირის მიერ ვალდებულების ხელშემშლელი ფაქტორის (გარემოების) ცოდნა ან ბრალეული არცოდნა.

7 დ) ნორმაში არ არის დარეგულირებული, თუ რა სამართლებრივი შედეგი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის არცოდნა მისი ბრალით არაა გამონეული. ლიტერატურაში გავრცელებული ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, § 122-მა უნდა პოვოს შესაბამისი გამოყენება, ვინაიდან მოვალე, § 119-ის მე-2 ნაწილის მსგავს შემთხვევებში, თავისი ვალდებულებისგან ანაზღაურების გარეშე არ თავისუფლდება, არამედ პასუხს აგებს ბრალეულობისგან დამოუკიდებლად ნეგატიური ინტერესისთვის (*Canaris JZ 2001, 507f*). სამთავრობო დასკვნა (*RegBegr BT-Drucks 14/6040, 166*) § 122-ის ანალოგიურ გამოყენებას შესაძლებლად მიიჩნევს, თუმცა, ეს მოსაზრება კანონში არ უნდა დარეგულირებულიყო. ამის გამო ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები გაყოფილია (უარყოფილია, მაგ., *Looschelders AT 665-ე ველი*).

8 4. შესრულების ნაწილის ან არაჯეროვანი შესრულებისას დამატებითი შესრულების საწყისი შეუძლებლობის შემთხვევები ნორმის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადებით ისევე არის დარეგულირებული, როგორც § 283-ის მე-2 წინადადების მიხედვით შემდგომი შეუძლებლობისთვის.

§ 311ზ. ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთების, ქონებისა და მემკვიდრეობის შესახებ

(1) ¹ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, ან შეიძინოს იგი, უნდა დამონმდეს სანოტარო წესით. ²ამ ფორმის დაუცველად დადებული ხელშეკრულება მთლიანობაში გახდება ნამდვილი, თუ ხორციელდება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემა და საჯარო რეგისტრში რეგისტრაცია.

(2) ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, მთელი თავისი მომავალი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას, ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი.

(3) ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, მთელი თავისი ამჟამინდელი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას, ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი, უნდა დამონმდეს სანოტარო წესით.

(4) ¹მესამე პირის სიცოცხლეში მის სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება ბათილია. ²ანალოგიური წესი მოქმედებს მესამე პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდრო ქონებიდან გამომდინარე სავალდებულო წილის ან საანდერძო დანაკისრის შესახებ ხელშეკრულებათა მიმართ.

(5) ¹მე-4 ნაწილი არ გამოიყენება იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც იდება მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის ერთ-ერთი მათგანის კანონით სამემკვიდრეო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე. ²ასეთი ხელშეკრულება უნდა დამონმდეს სანოტარო წესით.

1. ზოგადი მიმოხილვა. ნორმის პირველი ნაწილი, პრაქტიკული თვალსაზრისით, მნიშვნელობას იძენს **მინის ნაკვეთის შესახებ დადებული ხელშეკრულებისთვის სავალდებულო ფორმის დანაწესის გამო.** 1

2. პირველი ნაწილის მოქმედების სფერო. ა) ნორმა ეხება ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულებას („კისრულობს ვალდებულებას“), რომელიც მინის ნაკვეთზე საკუთრების გადაცემას ისახავს მიზნად. ხელშეკრულების ტიპს (მაგ.: ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, პარტნიორების ხელშეკრულება) მნიშვნელობა არ ენიჭება. ცალმხრივი სამართლებრივი გარიგებები, როგორებიცაა, მაგალითად, გასხვისების ან შექმნის უფლებამოსილების მინიჭება, როგორც წესი, ფორმის დაცვას არ საჭიროებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცალმხრივი გარიგება უფლებამოსილების მიმნიჭებელს ხელშეკრულების მსგავსი ბოჭვით ზღუდავს (მაგ., გამოუთხოვადი მინდობილობა); ბ) ხელშეკრულება მიზნად უნდა ისახავდეს მინის ნაკვეთის **გასხვისებას ან შექმნას**. ამიტომაც შექმნის ვალდებულების ცალმხრივი კისრებაც (მაგ., ე.წ. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება) ფორმას საჭიროებს. ეს წესი არ მოქმედებს საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის დათმობის მიმართ, ვინაიდან თავად დათმობა განკარგვითი (სანივთო) გარიგებაა: ვალდებულებით-სამართლებრივი დათმობის ურთიერთობა დაკავშირებულია საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნასთან და არა მინის ნაკვეთთან. ნორმის პირველი ნაწილი ვრცელდება, ასევე, იმ შემთხვევაზეც, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის მქონე პირი მოიპოვებს სამომავლო მოთხოვნის უფლებას საკუთრების გადაცემაზე. გასხვისების ან შექმნის დასადასტურებლად საკმარისია თუნდაც ისეთი ხელშეკრულება, რომელიც მინის ნაკვეთის გასხვისებას ან შექმნას არაპირდაპირ ეხება, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ჩაშლის (არდადების) გამო ზიანის მომტან უარყოფით შედეგზე შეთანხმება (მაგ.: მაღალ პირგასამტეხლოზე შეთანხმება) ან მავალდებულებელი (მბოჭავი) წინარე ხელშეკრულება; გ) სავალდებულო ფორმით დასაადები ხელშეკრულების **საგანი** უნდა იყოს, როგორც წესი, ერთი მხარის მიერ მეორის წინაშე **საკუთრების უფლების გადაცემაზე** ვალდებულების აღება. ნორმის პირველი ნაწილის წესები ვრცელდება აღნაგობის უფლებასა და ბინაზე საკუთრების უფლების წარმოშობასა და შექმნაზე. ამ უფლებების (მაგ., აღნაგობის დატვირთვა იპოთეკით) დატვირთვის მიმართ ნორმის პირველი ნაწილი არ მოქმედებს.

3. ფორმის საჭიროების ფარგლები. ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, ფორმის სავალდებულოობა ეხება მთლიან ხელშეკრულებას და არამართო გასხვისებას ან შექმნას (მდრ. ასევე § 125 ველი 2). ხელშეკრულების შეგნებულად (განზრახ) არასწორი დამოწმება (მაგ.: მაშინ, როდესაც გადასახადების დაზოგვის მიზნით, მხარეები ნასყიდობის უფრო დაბალ ფასს ამოწმებინებენ ნოტარიუსს) და დამოწმებული გარიგება § 117-ის თანახმად ბათილია, ხოლო § 125-ის მიხედვით, მხარეთა მიერ სინამდვილეში დადებული გარიგებაც ბათილია ფორმის დაუცველობის გამო. ხელშეკრულებაში მოცემული საკუთრების უფლების გადაცემის მინდობილობა ნამდვილი რჩება, § 117 ამ შემთხვევაში არ გამოიყენება, ვინაიდან იგი მხარეების ფაქტობრივ ნებას შეესაბამებოდა და პირველი ნაწილის მოთხოვნები დაცულია. 3

4. სამართლებრივი ხარვეზი (ფორმის დაუცველობა) შესაძლებელია, გამსხვი-სებლის მიერ შექმნის საჯარო რეესტრში რეგისტრაციით გამოსწორდეს. გამსხვი-სებელს შეუძლია, საკუთრების უფლების გადაცემისა და რეესტრში რეგისტრაცი-აზე თანხმობის განცხადების მომენტამდე უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით მოითხოვოს განხორციელებული შესრულება, ვინაიდან გარიგება ფორმის დაუ-ველად არის დადებული (თუმცა, ყურადღებაამისაქცევია §§ 814, 815, ამასთან და-კავშირებით BGH NJW 1980, 451). ის, რომ კაუზალური გარიგება არანამდვილია, ეს არ ითვლება რეესტრში რეგისტრაციის ხელშემშლელ ფაქტორად. ხარვეზის გა-მოსწორების არსი შესრულების განხორციელებაა. ხარვეზის ამგვარი გამოსწორე-ბის შედეგის დადგომის წინაპირობა არის ის, რომ საკუთრების უფლების გადაცემა 4

და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია ფორმის დაუცველად დადებული არანამდვილი ვალდებულებითი ხელშეკრულების შესრულება უნდა იყოს. თუ გამყიდველი ვალდებულებას იღებს, რომელიმე მესამე პირს გადასცეს მინის ნაკვეთი, მაშინ ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების სამართლებრივი შედეგი დადგება მხოლოდ ამ მესამე პირზე საკუთრების უფლების გადაცემით და საჯარო რეესტრში რეგისტრაციით (BGHZ 160, 368, 376).

- 5 სამართლებრივი ხარვეზის გამოსწორებას არ გააჩნია უკუძალა (არგუმენტი: ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების სიტყვა „გახდება“). პირველი ნაწილის მე-2 წინადადება გამონაკლისი რეგულირებაა (შდრ. § 141-ის პირველი ნაწილი: ბათილი გარიგებები მხოლოდ ხელახალი დადებით ხდება ნამდვილი). შესაბამისად, როგორც წესი, პირველი ნაწილის მე-2 წინადადება ანალოგიის წესით არ გამოიყენება სხვა ბათილობის საფუძვლებისთვის. თუმცა, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, ხარვეზის გამოსწორება ვრცელდება იმ გარიგებებზე, რომლებიც, პირველი წინადადების თანახმად, ბათილია. მაგალითად, ბათილი (ფორმის დაუცველობის გამო) წინარე ხელშეკრულების სამართლებრივი ხარვეზის გამოსწორება ხდება ძირითადი ხელშეკრულების (ფორმის დაცვით) დადებით.

§ 311გ. ვალდებულების საკუთვნებელზე გავრცელება

თუ პირი კისრულობს ვალდებულებას, გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს ნივთი, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ეს ვალდებულება ვრცელდება ნივთის საკუთვნებელზეც.

ქვეკარი 2. გასაღების განსაკუთრებული ფორმები

§ 312-ის შესავალი

- 1 §§ 312-312ი პარაგრაფები ნერგავენ ნაციონალურ კანონმდებლობაში უცაბედად (მოულოდნელად) დადებულ ხელშეკრულებებზე⁴⁹ უარის თქმის, დისტანციური ხელშეკრულებებისა და ელექტრონული კომერციის შესახებ სხვადასხვა დირექტივას. უცაბედად დადებული ხელშეკრულებების შესახებ ნორმები მოცემულია §§ 312-სა და 312ა-ში, დისტანციური ხელშეკრულებებისა – §§ 312ბ-312გ-ში და ელექტრონული გარიგებებისთვის – § 312თ-ში. ეს ნორმები შეიცავენ გასაღების განსხვავებული ფორმების დეფინიციებს, ასევე, მოქმედების სფეროდან გამონაკლისებს და უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც მომხმარებელი (§ 13) იმ საფრთხეებისგან უნდა იქნეს დაცული, რომლებიც მას ემუქრება გასაღების მსგავსი ფორმებით ხელშეკრულების დადებისას. § 312თ შეიცავს სპეციალურ რეგულირებას ისეთი შემადგენლობისთვის, სადაც მოცემულია რეგულირება მომხმარებელთან დადებული გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობის ჩანაცვლებასა და შეწყვეტაზე. § 312ი-ს მიხედვით, ამ ქვეკარის ნორმები არ შეიძლება მომხმარებლის საზიანოდ იქნეს მოდიფიცირებული და, გარდა ამისა, მოქმედებს ამ ნორმებისგან გვერდის ავლის აკრძალვაც.

§ 312. ხელშეკრულებაზე უარის თქმა უცაბედად დადებული ხელშეკრულებების დროს

(1) მენარმესა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, რომლის საგანია სასყიდლიანი შესრულება და რომლის დადებაზე მომხმარებელი დაყოლიებულ იქნა:

49 *Haustürgeschäft* – ამ ტერმინის აღმნიშვნელად ქართულ კანონმდებლობაში დამკვიდრებულია „ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები“; იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლი.

1. მის სამუშაო ადგილსა თუ საცხოვრებელ ზონაში ზეპირი მოლაპარაკებით;
2. მენარმის ან მესამე პირის მიერ მენარმის ინტერესით ორგანიზებული გასართობი ღონისძიების ფარგლებში;
3. სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობისას უცარი გასაუბრების შედეგად ან ღია საჯარო ადგილას.

¹მომხმარებელს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, § 355-ის თანახმად. ²ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ნაცვლად მომხმარებელს შეიძლება მიენიჭოს მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლება, § 356-ის თანახმად, თუ ამ ან მოგვიანებით დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით მომხმარებელსა და მენარმეს შორის უნდა შენარჩუნდეს მუდმივი კავშირი.

(2) ¹მენარმე ვალდებულია, მომხმარებელს მიუთითოს § 360-ით განსაზღვრულ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებების შესახებ. ²სავალდებულო განმარტება უნდა უთითებდეს § 357-ის პირველ და მე-3 ნაწილების სამართლებრივ შედეგებზე. ³მითითება არ არის საჭირო, როდესაც ამ სამართლებრივი შედეგების დადგომა ფაქტობრივად შეუძლებელია.

(3) სხვა ნორმებით დადგენილი წესების დარღვევის გარეშე, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებები არ არსებობს დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში ან მაშინ, როდესაც:

1. ამ ნორმის პირველი ნაწილის № 1 შემთხვევაში, ზეპირი მოლაპარაკებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების დადებასთან, წარმართა მომხმარებლის მიერ გაკეთებული წინასწარი შეკვეთის გამო, ან
2. ვალდებულების შესრულება და გადახდა განხორციელდა დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დასრულებისთანავე და გადახდილი საზღაური არ აღემატება 40 ევროს, ანდა
3. მომხმარებლის ნების გამოვლენა დამოწმებულ იქნა სანოტარო წესით.

1. ნორმის მიზანი და დირექტივის შესაბამისი განმარტება. ა) ნორმის პირველ ნაწილში მოცემულმა ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების უფლებებმა მომხმარებელი უნდა დაიცვას ე.წ. პირდაპირი მიყიდვის შემთხვევებში (სახლში შეთავაზებისას, გასართობი ღონისძიებების დროს) გარიგების დადების შესახებ ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებისაგან; ბ) ეს რეგულირება ემსახურება მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ დირექტივის ნაციონალურ კანონმდებლობაში დანერგვას (ABI 1985 Nr L 372, 31). შესაბამისად, § 312 უნდა განიმარტოს დირექტივის შესაბამისად (მდრ. BGH NJW 1994, 2759, 2760). იმ საკითხების განმარტება, რომლებიც თვითონ დირექტივასთან დაკავშირებით წამოიჭრება, ევროკავშირის საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების (AEUV) 267-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის სასამართლოს წარედგინება წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად.

2. მოქმედების სფერო. ა) სუბიექტური კუთხით გამოყენების სფერო მხოლოდ მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებებით შემოიფარგლება (ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). დაცვის არეალია მომხმარებლის (§ 13) პირადი სფერო. ნორმა არ გამოიყენება პირის მიერ საკუთარი სამენარმეო საქმიანობის წარმართვის დროს, იგი არ გამოიყენება ასევე მაშინ, როდესაც გამოიყენებულია როგორც მენარმე (§ 14) ისე არ მოქმედებს ურთიერთობაში. მაგ.: ნახმარი ავტომობილის ნასყიდობა კერძო პირებს შორის. ევროპული დირექტივა გამოიყენება თავდებობის შემთხვევებისთვისაც (იხ. ასევე ქვემოთ, „ბ“ პუნქტი) მაშინ, როდესაც ძირითადი მოვალე მომხმარებელია და მისი ვალდებულება უცაბედად დადებულ ხელშეკრულებას ეხება, ხოლო თავდები საკუთარი სამენარმეო მიზნით არ მოქმედებს (EuGH NJW 1998, 1295, გაკრიტიკებულია *Reinicke/Tiedtke* ZIP 1998, 893-ის მიერ). ზემოაღნიშნული შემადგენლობისთვის არ არის აუცილებელი წინაპირობა

ის, რომ თვითონ თავდებობაც „უცაბედ (დაუგეგმავ) სიტუაციაში“ დაიდოს. თუმცა, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება გამოიყენება ასევე მაშინ, როდესაც უცაბედ (დაუგეგმავ) სიტუაციაში მხოლოდ თავდები მოქმედებს ისე, როგორც მომხმარებელი (BGHZ 165, 363, 367 f).

3 ბ) ხელშეკრულების სახეები: ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, უარის თქმის უფლება მოქმედებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა საგანიც არის „სასყიდლიანი შესრულება“ (მაგ.: ნასყიდობა, მომსახურება, ნარდობა). ეს წინაპირობა შესრულებულად ითვლება პროდუქციის მიწოდებისა და მომსახურების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნების თავდებობებისთვის, ვინაიდან თავდებობას ხელშეკრულებებთან მჭიდრო კავშირი აქვს (EuGH NJW 1998, 1295; BGH NJW 1998, 2356). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევებში, უარის თქმის უფლება გამოირიცხება (ნორმის მე-3 ნაწილი).

4 გ) დამატებითი წინაპირობები: ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების № 1-3 ასახელებს გასაღების სახეებს: კლიენტის სამუშაო ადგილსა თუ საცხოვრებელ ზონაში ზეპირ მოლაპარაკებას; საზოგადოებრივ ადგილებში უეცარ შეთავაზებას; გასართობ ღონისძიებებს, რომელთა დროსაც, სავაჭრო გამოფენებისგან (გასართობი პროგრამებით) განსხვავებით, შთაბეჭდილებების მიღება წინა პლანზე დგას (როგორიცაა, მაგალითად, ე.წ. „ქალაქგარე ექსკურსიები“, სადაც გასართობ ღონისძიებებთან, ალაფურშეტთან და ა.შ. ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ უკეთებენ რეკლამას პროდუქციას ან მომსახურებას და მომხმარებელს სათავაზობენ მის შექენას). ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების წინაპირობების შესრულებისთვის საკმარისია ის, რომ ხელშეკრულების დადების სურვილი აღიძრას ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე გარემოების ფარგლებში და ასევე, უნდა არსებობდეს ვარაუდი, რომ მოგვიანებით ხელშეკრულება, ამ განსაკუთრებულ გარემოებებში კონტაქტის დამყარების გარეშე, არ, ან ამ სახით არ დაიდებოდა (BGH 131, 385, 391 f). ხელშეკრულების მხარეს, რომელიც თვითონ არ აწარმოებს მოლაპარაკებებს, პასუხისმგებლობა ეკისრება **მოლაპარაკებების მწარმოებელი პირის** მიერ ობიექტურად გამოწვეული უცაბედი სიტუაციისა და მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის (BGH NJW 2006, 1340; EuGH NJW 2005, 3555 „Crailsheimer Volksbank“). ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა ის გარემოება, იცნობდა თუ არა ხელშეკრულების მხარე მოლაპარაკების მწარმოებელი პირის მიერ გამოწვეულ უცაბედ (დაუგეგმავ) სიტუაციას. ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს მაშინ, როდესაც მოლაპარაკებების წარმოება მომხმარებლის დაკვეთით მოხდა (მე-3 ნაწილის № 1). კონტაქტის წინასწარ დამყარება ანუ პროვოცირებული შეკვეთა/დაპატიჟება, რომლის დროსაც მწარმე ურეკავს მომხმარებელს და იყოლიებს მას შეხვედრაზე, არ გამოირიცხავს ნორმის პირველი ნაწილის მოქმედებას და, შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას (*Palandt-Grüneberg*, 25-ე ველი). მომხმარებლის მიერ დაუფიქრებელი და ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღების საშიშროება წარმოიშობა ასევე მაშინ, როდესაც მომხმარებლის მიერ მიწვეული მწარმე შეხვედრის თემას საგრძნობლად სცდება და სხვა შეთავაზებას უკეთებს მომხმარებელს. ამ შემთხვევაში, მომხმარებელი უნდა იქნეს კანონით დაცული; შესაბამისად, ნორმის მე-3 ნაწილის № 1 არ გამოიყენება. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება გამოირიცხება მაშინ, როდესაც მომხმარებელი დაცვას არ საჭიროებს (BGH NJW 2010, 2868). ეს კი ნორმის მე-3 ნაწილის № 2-სა და № 3-ის შემთხვევებია, როდესაც გადახდილი თანხა ზღვარს (40 ევროს) არ აჭარბებს, ან ხელშეკრულება ნოტარიულად მოწმდება.

5 დ) 2010 წლის 11 ივნისიდან მოქმედი ცვლილებების მიხედვით, მწარმე, ნორმის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, მომხმარებელს § 360-ის ახლებურ

რეგულირებაზე, კერძოდ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებაზე მიუთითოს. ამგვარად, მითითება არის მენარმის ვალდებულება და არა მოვალეობა, რომლის განუხორციელებლობაც ან არაჯეროვანი განხორციელებაც წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას § 280-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების, 311-ისა და 241-ის თანახმად (BT-Drucks 16/11643, 69). ნორმის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადება ცხადყოფს, რომ არ არის საჭირო § 357-ის პირველ და მე-3 ნაწილების სამართლებრივ შედეგებზე მითითება მაშინ, როდესაც ეს სამართლებრივი შედეგები ისედაც არ დადგება. ეს განსაკუთრებით ის შემთხვევაა, როდესაც მხარეებმა თავიანთი ვალდებულებები ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის გასვლის შემდგომ უნდა განახორციელონ. შესაბამისად, მომხმარებელს არ გააჩნია ინტერესი, ინფორმირებულ იქნეს შესაბამის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, ვინაიდან მათი დადგომა ისედაც შეუძლებელია (BT-Drucks 16/11643, 69).

ვ) ნორმის მოქმედების სფეროს სხვა დანარჩენი შეზღუდვები გამომდინარეობს § 312ა-ს რეგულირებიდან, რომელთა მიხედვითაც, § 312-ის მოქმედების სფერო შესაძლოა, მომხმარებელთა უფლებების დამცავი სხვა ნორმებით გამოირიცხოს. შესაბამისად, გადამწყვეტია, აქვს თუ არა მომხმარებელს სხვა ნორმების შესაბამისად ხელშეკრულებიდან გასვლის ან შესრულების უკან დაბრუნების უფლება. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მომხმარებლის უფლების გამორიცხვა, რომელმაც, § 495-ისა და 355-ის მე-2 ნაწილის თანახმად, სესხის ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადები გაუშვა. მას, § 312ა-ს მიხედვით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ენიჭება, ვინაიდან მას ხელშეკრულებაზე უარის თქმა შეეძლო და იმისგან დამოუკიდებლად, იგი ამ უფლებას დროულად გამოიყენებდა თუ არა (RA BT-Drucks 14/9266, 44). ამასთან დაკავშირებით განსაზღვრავს § 491-ის მე-2 ნაწილის № 1, რომ 200 ევრომდე კრედიტი არ ითვლება სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებად, ასე რომ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველიც, § 495, 355-ის შესაბამისად, არ არსებობს; მაშასადამე, მცირე კრედიტზე (200 ევრომდე), შესაძლებელია, უარის თქმა § 312-ის წინაპირობების დაცვით.

3. ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების განხორციელების პირობებსა და სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით იხილეთ § 355 და მომდევნო პარაგრაფები. ყურადღება მისაქცევია, განსაკუთრებით, § 355-ის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები, რომლებიც განსაზღვრავენ მენარმის მიერ მომხმარებლისადმი ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მიუთითებლობის სამართლებრივ შედეგებს.

§ 312ა. ურთიერთმიმართება სხვა ნორმებთან

თუ მომხმარებელს, სხვა ნორმების თანახმად, ერთდროულად აქვს წინამდებარე კანონის § 355-ის, § 356-ის, ან „საინვესტიციო კანონის“ § 126-ის საფუძველზე ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებები, მაშინ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებები § 312-ის თანახმად გამოირიცხულია.

§ 312ბ. დისტანციური ხელშეკრულებები

(1) ¹დისტანციური ხელშეკრულებებია საქონლის მიწოდების ან მომსახურების, მათ შორის, ფინანსური მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებები, რომლებიც იდება მენარმესა და მომხმარებელს შორის მხოლოდ და მხოლოდ დისტანციური კავშირგაბმულობის საშუალების გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების დადება ხდება სხვაგვარად, ვიდრე იგი ხორციელდება დისტანციურად ორგანიზებული ნასყიდობისა თუ მომსახურების გაწევის სისტემის ფარგლებში. ²პირველ წინადადებაში მოხსენიებული ფინანსურ მომსახურების ხელშეკრულებას მიეკუთვნება საბანკო მომსახურება, ასევე, კრედიტის

გაცემასთან, დაზღვევასთან, ცალკეული პირებისათვის საპენსიო უზრუნველყოფასთან, ფულადი თანხების განთავსებასა თუ გადახდასთან დაკავშირებული მომსახურება.

(2) დისტანციურ საკომუნიკაციო საშუალებებს მიეკუთვნება საკომუნიკაციო საშუალებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომხმარებელსა და მენარმეს შორის, ხელშეკრულების მომზადებისა თუ დადებისათვის ხელშეკრულების მხარეთა ერთდროული ფიზიკური დასწრების გარეშე, კერძოდ, ასეთებია: წერილები, კატალოგები, სატელეფონო ზარები, ფაქსები, ელექტრონული ფოსტა, ასევე ტელე- და მედიასერვისი.

(3) დისტანციური ხელშეკრულებების მომწესრიგებელი ნორმები არ გამოიყენება:

1. დისტანციური სწავლების შესახებ ხელშეკრულებების მიმართ („დისტანციური სწავლების მონაწილეთა დაცვის შესახებ“ კანონის § 1);
2. საცხოვრებელი სახლებით დროებითი სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებების, გრძელვადიანი შევებულების მიმართ (§ 481);
3. დაზღვევის ხელშეკრულებების, ასევე, მათი შუამავლობის ხელშეკრულებების მიმართ;
4. მიწის ნაკვეთებისა და მიწის ნაკვეთების მსგავსი უფლებების გასხვისების, მიწის ნაკვეთებსა და მიწის ნაკვეთების მსგავს უფლებებზე სანივთო უფლებების წარმოშობის, გასხვისებისა და გაუქმების, ასევე, შენობა-ნაგებობის აღმართვის შესახებ ხელშეკრულებების მიმართ;
5. საკვები პროდუქტების, სასმელების ან ყოველდღიური მოხმარების სხვა საყოფაცხოვრებო საგნების მიწოდების ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა მიწოდებაც ხდება მენარმის მიერ მომხმარებლის საცხოვრებელ, სამუშაო ან ფაქტობრივი ყოფნის ადგილას ხშირი და რეგულარული ციკლით;
6. ისეთი მომსახურებების განწევას, როგორებიცაა: განთავსება, გადაზიდვა, საკვები პროდუქტებისა და სასმელების მიწოდება, ასევე გასართობი ღონისძიებების ორგანიზება, თუ მენარმე ხელშეკრულების დადებისას კისრულობს მომსახურების განწევას განსაზღვრული დროის მომენტში ან ზუსტად მითითებული დროის მონაკვეთში;
7. იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც დაიდო:
 - ა) სავაჭრო ავტომატების ან ავტომატიზებული სავაჭრო ფართის გამოყენებით, ან
 - ბ) სატელეკომუნიკაციო საშუალებების ოპერატორებთან საზოგადოებრივი ტელეფონებით სარგებლობის მეშვეობით, და რამდენადაც ხელშეკრულების საგანი სატელეკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობაა.

(4) ¹იმ სახელშეკრულებო ურთიერთობათა შემთხვევებში, რომლებიც მოიცავს საწყის შეთანხმებას, რომელსაც მოჰყვება საბანკო ოპერაციები ან ერთი და იმავე სახის დამოუკიდებელ დროში დაკავშირებული საბანკო ოპერაციების რიგი, დისტანციური ხელშეკრულებების მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენება მხოლოდ პირველი შეთანხმების მიმართ. ²თუ ასეთი საბანკო ოპერაციები ერთმანეთს მიჰყვება ამ შეთანხმების გარეშე, ინფორმაციის მიწოდების შესახებ მენარმის ვალდებულებების დამდგენი ნორმები გამოიყენება მხოლოდ პირველი შეთანხმების მიმართ. ³თუმცა, თუ ერთი და იმავე სახის საბანკო ოპერაცია არ ხდება ერთ წელზე მეტი ვადით, შემდეგი საბანკო ოპერაცია განიხილება ახალი რიგის პირველ საბანკო ოპერაციად მე-2 წინადადების არსით.

(5) მომხმარებლის დამცავი სხვა ნორმები უცვლელი რჩება.

1. ევროპულსამართლებრივი საფუძველი. დისტანციური ხელშეკრულების შესახებ ნორმები (§§ 312პ-312გ) გამომდინარეობს 1997 წლის 20 მაისის დისტანციური

ხელშეკრულებების დადებისას მომხმარებელთა დაცვისა (ABI 1997 Nr L 144, 19) და 2002 წლის 23 სექტემბრის მომხმარებლისათვის დისტანციური ფინანსური მომსახურების განევის შესახებ დირექტივიებიდან (AbI 2002 Nr L 271, 16). ამიტომ მათი განმარტებაც უნდა მოხდეს დირექტივების შესაბამისად.

2. დისტანციური ხელშეკრულებების შესახებ ნორმების გამოყენების სფერო. 2

ა) სუბიექტური შემადგენლობის კუთხით § 312ბ-სა და მომდევნო პარაგრაფების გამოყენების სფერო ვრცელდება მენარმესა (§ 14) და მომხმარებელს (§ 13) შორის დადებულ ხელშეკრულებებზე (ნორმის პირველი ნაწილი). იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება წარმომადგენლის მიერ იდება, მნიშვნელობა ენიჭება იმას, წარმომადგენელი პირი (მარწმუნებელი) მომხმარებლის სტატუსის მატარებელი არის თუ არა (*MüKo-Wendehorst* 45-ე ველი); **ბ) ობიექტური შემადგენლობა. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება შეიცავს დისტანციური ხელშეკრულებების დეფინიციას, რომლითაც განისაზღვრება გამოყენების სფეროს ობიექტური შემადგენლობა. დისტანციური ხელშეკრულების სახეობას მიეკუთვნება, ასევე, ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში განმარტებული ფინანსური მომსახურება. დისტანციური ხელშეკრულებებისთვის მნიშვნელოვანი ტერმინი – დისტანციური კომუნიკაციის საშუალება – განმარტებულია ნორმის მე-2 ნაწილში. ნორმების ობიექტური მოქმედების სფეროდან გამონაკლისებს შეიცავს ნორმის მე-3 ნაწილი. ნორმის მე-4 ნაწილში დარეგულირებული ხელშეკრულებების შემთხვევებში (მაგ., მიმდინარე ანგარიში ან ბანკში ფასიანი ქაღალდების შენახვისა და განკარგვის ხელშეკრულება (დეპოზიტი) – დისტანციური ხელშეკრულებების შესახებ ნორმები მხოლოდ პირველი შეთანხმების მიმართ მოქმედებს, ხოლო ცალკეული ოპერაციები (მაგ., გადარიცხვის ხელშეკრულებები) მოქმედების სფეროში არ ხვდება. თუმცა, დისტანციური ხელშეკრულების ნორმები მოქმედებს დამატებით შეთანხმებებზე, რომლებიც თავდაპირველ შეთანხმებას ახალი კომპონენტებით ავრცობენ (*RegBegr BT-Drucks* 15/2946, 19).**

3. მომხმარებლის უფლებების დამცავ დამატებით ნორმებში, რომელთაც, მე-5 ნაწილის ხელსაყრელობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიძლება გამოყენება პოვონ, მოიაზრება, განსაკუთრებით, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების შესახებ ნორმები, § 491 და მომდევნო პარაგრაფები. 3

§ 312გ. მომხმარებლის ინფორმირება დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევაში

(1) დისტანციური ხელშეკრულებების დროს მენარმემ მომხმარებელს უნდა მიანოდოს „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მოცემული ინფორმაცია.

(2) მენარმე ვალდებულია, მის მიერ განხორციელებულ სატელეფონო ზარებში საუბრის დასაწყისში პირდაპირ დაასახელოს თავისი ვინაობა და კონტაქტის საქმიანი მიზანი.

(3) ფინანსური მომსახურების დროს მომხმარებელს შეუძლია, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ნებისმიერ დროს, მენარმისგან მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების, მათ შორის სტანდარტული პირობების, დოკუმენტური სახით ხელმისაწვდომობა.

(4) დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებისას დამატებითი შეზღუდვები და სხვა ნორმებიდან გამომდინარე დამატებითი ინფორმაციის ვალდებულებები ხელუხლებელი რჩება.

1. ნორმის მიზანი. ნორმა აკისრებს დისტანციურად მოქმედ მენარმეს განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, რამაც მომხმარებელი უნდა დაიცვას ხელშეკრულების ნაჩქარევი გაფორმებისგან და შესაძლებლობა მისცეს 1

მას, § 312დ-ში დარეგულირებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების უფლებების გამოყენებაზე ან გამოუყენებლობაზე გონივრული გადაწყვეტილება მიიღოს.

- 2 **2. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შინაარსი.** ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შინაარსი, ანუ ის, თუ როგორი სახით და რა გარემოებებში უნდა მიეწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია, დარეგულირებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 246-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში. ნორმის მე-3 ნაწილი შეიცავს სპეციალურ რეგულირებას ფინანსური მომსახურების დისტანციური ხელშეკრულებებისთვის (ცნება მოცემულია § 312ბ-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში).
- 3 **3. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით იხილეთ § 312დ-ს ველი 2.**
- 4 **4. ნორმის მე-4 ნაწილში მოხსენიებული დამატებითი შეზღუდვები ან ინფორმაციის მიწოდების დამატებითი ვალდებულებები** შეიძლება, განსაკუთრებით, § 312ბ-დან გამომდინარეობდნენ.

§ 312დ. ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებები დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში

(1) ¹მომხმარებელს აქვს დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, § 355-ის თანახმად. ²ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ნაცვლად, მომხმარებელს, § 356-ის თანახმად, შეიძლება მიენიჭოს მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლება.

(2) § 355-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადებისაგან განსხვავებით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დენა არ იწყება, სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 246-ე მუხლის § 2-ისა და ამავე კანონის § 1-ის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებების შესრულებამდე, საქონლის მიწოდების შემთხვევაში – მიმღებთან მათ მისვლამდე, ერთი და იმავე სახის საქონლის პერიოდული მიწოდების შემთხვევაში – მიმღებთან პირველი ნაწილის მისვლამდე, ხოლო მომსახურების შემთხვევაში – ხელშეკრულების დადებაამდე.

(3) მომსახურების შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება უქმდება, ასევე, იმ შემთხვევებშიც, თუ ხელშეკრულება შესრულდა ორივე მხარის მიერ მომხმარებლის პირდაპირ გამოხატული სურვილით, ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების რეალიზაციამდე.

(4) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რაიმე არის დადგენილი, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ არსებობს:

1. მომხმარებლის შეკვეთის მიხედვით წარმოებული ან აშკარად პირადი საჭიროების შესაბამისად შეკერილი საქონლის მიწოდების დისტანციურ ხელშეკრულებებში, ანდა იმ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებებში, რომლებიც თავიანთი თვისებრიობის გამო არ გამოდგება დაბრუნებისათვის, ან შეიძლება სწრაფად გაფუჭდეს, ანდა რომლის ვარგისიანობის ვადა გასული იქნებოდა;
2. აუდიო-, ვიდეო- ან პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების დისტანციურ ხელშეკრულებებში, რომლებშიც მონაცემთა მატარებლის ბუენი მოხსნილ იქნა მომხმარებლის მიერ;
3. გაზეთების, ჟურნალებისა და ილუსტრირებული ჟურნალების მიწოდების დისტანციურ ხელშეკრულებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომხმარებელმა ნების გამოვლენა სატელეფონო კომუნიკაციით განახორციელა;
4. სანაძლეოსა და ლატარიის მომსახურების განევის დისტანციურ ხელშეკრულებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომხმარებელმა ნების გამოვლენა სატელეფონო კომუნიკაციით განახორციელა;

5. აუქციონის წესით დადებულ (§ 156) დისტანციურ ხელშეკრულებებში;
6. დისტანციურ ხელშეკრულებებში, რომელთა საგანია საქონლის მიწოდება ან ფინანსური მომსახურების გაწევა, რომლის ფასიც საფინანსო ბაზარზე მერყეობს, რაზეც მენარმეს არ შეუძლია გავლენის მოხდენა და რომელიც შეიძლება დადგეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადაში, კერძოდ კი, საინვესტიციო კომპანიის ან უცხოური საინვესტიციო კომპანიის მიერ გამოშვებულ აქციებთან, წილებთან, სხვა გადაცემად ფასიან ქალაქებთან, უცხოურ ვალუტასთან, ანაბარზე დამატებით დარიცხულ პროცენტებთან თუ ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მომსახურების შემთხვევაში;
7. ტელეკომუნიკაციაზე დამყარებული მომსახურების გაწევის ხელშეკრულებებში, რომლებიც მომხმარებლის ინიციატივით ერთჯერადად ხორციელდება უშუალოდ ტელეფონის ან ტელეფაქსის საშუალებით, თუ საქმე არ ეხება ფინანსურ მომსახურებას.

(5) ¹გარდა აღნიშნულისა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ არსებობს დისტანციურ ხელშეკრულებებში, თუ მომხმარებელს, §§ 495-ის, 506-512-ის თანახმად, უკვე აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებები, § 355-ის ან § 356-ის მიხედვით. ²ამ ნორმის მე-2 ნაწილი შესაბამისად გამოიყენება ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულებებისთვის.

(6) მომსახურების გაწევის შესახებ დისტანციურ ხელშეკრულებებში მომხმარებელს, § 357-ის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, ეკისრება მხოლოდ განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება კანონისმიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მომწესრიგებელი ნორმების მიხედვით, თუ იგი ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენამდე მიუთითებდა ამ სამართლებრივ შედეგზე და პირდაპირ დაეთანხმა მენარმეს მომსახურების გაწევის დაწყებაზე ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის გასვლამდე.

1. ნორმის მიზანი. ნორმის პირველ ნაწილში დარეგულირებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების უფლებები ემსახურებიან მომხმარებლის დაცვას საქონლის შეკვეთისას, ვინაიდან მას, დისტანციური კომუნიკაციის გამო, არ აქვს შესაძლებლობა, შეძენილი საქონელი ფაქტიურად იხილოს და შეამოწმოს. მომსახურების ხელშეკრულებების შემთხვევებში, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება ემსახურება, უპირველეს ყოვლისა, გარიგების ნაჩქარევი გაფორმებისგან დაცვას (შდრ. *MüKo-Wendehorst 1*-ლი ველი).

2. ყურადღება უნდა მიექცეს ნორმის მე-2 ნაწილის სპეციალურ რეგულირებას ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დენის დაწყების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს დისტანციური ხელშეკრულებების სპეციფიკას და აწესებს სანქციას სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 246-ე მუხლის § 1-იდან და § 2-იდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევისათვის. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა იწვევს არა დადებული ხელშეკრულების არანამდვილობას, არამედ აფერხებს მხოლოდ § 355-ის პირველ ნაწილში განსაზღვრულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის დენის დაწყებას.

3. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შეზღუდვები გამომდინარეობს ნორმის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებიდან. ნორმის მე-5 ნაწილი (უცაბედად დადებული ხელშეკრულების შესახებ § 312ა-ს რეგულირების პარალელურად; ამასთან დაკავშირებით იხ. § 312-ის მე-5 ველი) ეხება § 312დ-ს სხვა ნორმებთან ურთიერთობას (§§ 495, 506-512), რომლებიც, ასევე, ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების უფლებებს ეხებიან. დისტანციური ხელშეკრულებების დროს უპირატესობით სარგებლობს ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების სპეციალური უფლებები, რომლებიც § 495-ის პირველი ნაწილის § 355-ზე, § 506-ის – § 495-ის პირველ ნაწილსა და § 355-ზე ან

§ 508-ის პირველი ნაწილის § 356-ზე მითითებიდან გამომდინარეობენ. ამ უპირატესი უფლებების განხორციელების ვადების შესახებ რეგულირება დგინდება 2010 წლის 11 ივნისის ცვლილებით შემოღებული ნორმის, მე-5 ნაწილის მე-2 წინადადების რეგულირებიდან (რომელიც ნაციონალურ კანონმდებლობაში ნერგავს სამომხმარებლო კრედიტის შესახებ დირექტივის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებას; BT-Drucks 16/11643, 69). რაც იმას ნიშნავს, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების უფლებების განხორციელების ვადები სამომხმარებლო კრედიტის სამართლით განისაზღვრება და არა § 312-დ-ს მე-2 ნაწილის, მომხმარებლისთვის ყველაზე შეღავათიანი, რეგულირებით. მე-5 ნაწილის მე-2 წინადადება განსაზღვრავს, რომ ნაწილ-ნაწილ მინოდების ხელშეკრულებისთვის (§ 510) ნორმის მე-2 ნაწილის სპეციალური რეგულირება მოქმედებს. ნაწილ-ნაწილ მინოდების ხელშეკრულებების შესახებ რეგულირებები ზემოაღნიშნულ დირექტივაში არ არის გათვალისწინებული. ეს წესი, § 512-ის მიხედვით, მოქმედებს, ასევე, დამწყები მენარმის (Existenzgründer) საქმიანობის ფარგლებში ნაწილ-ნაწილ მინოდების ხელშეკრულების მიმართ.

4. 4. ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების (ნივთის) უკან დაბრუნების პირობებისა და სამართლებრივი შედეგების შესახებ იხილეთ § 355 და მისი მომდევნო პარაგრაფები. ნორმის მე-6 ნაწილი შეიცავს ამ წესიდან გამონაკლისს: მაშინ, როდესაც მომსახურების განევა მოხდა და მისი ნატურის სახით დაბრუნება ან გადმოცემა გამორიცხულია, როგორც წესი, უნდა ანაზღაურდეს ღირებულება §§ 357-ის პირველი ნაწილის, 346-ის მე-2 ნაწილის № 1-ის მიხედვით. ნორმის მე-6 ნაწილი ამ სამართლებრივ შედეგს ზღუდავს ფინანსური მომსახურების შესახებ დისტანციური ხელშეკრულებებისთვის და ამდენად ნერგავს 2002 წლის დირექტივის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილს ნაციონალურ კანონმდებლობაში.

§ 312ე. ღირებულების ანაზღაურება დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში

(1) დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში, რომელთა საგანიცაა საქონლის მიწოდება, მომხმარებელმა, § 357-ის პირველი ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, უნდა აანაზღაუროს მიღებული სარგებლის ღირებულება კანონის-მიერი ხელშეკრულებიდან გასვლის ნორმების მიხედვით, თუ:

1. მან საქონელი ისეთი სახით და მეთოდით გამოიყენა, რომელიც თვისებრიობის შემონახვასა და ფუნქციონირების დადგენას სცდება; და
2. მენარმემ მას წინასწარ მიუთითა ამ სამართლებრივ შედეგზე და § 360-ის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად მიაწოდა ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების უფლებაზე, ან მომხმარებელმა ამ ორივეს შესახებ სხვაგვარად შეიტყო.

§ 347-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება.

(2) ფინანსური მომსახურების დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში, მომხმარებელმა, § 357-ის პირველი ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, უნდა აანაზღაუროს განუღი მომსახურების ღირებულება კანონისმიერი ხელშეკრულებიდან გასვლის ნორმების მიხედვით მხოლოდ მაშინ, როდესაც:

1. ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენამდე მას ამ სამართლებრივი შედეგის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა; და
2. მან ცხადად განაცხადა თანხმობა, რომ მენარმე ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დამთავრებამდე მომსახურების განხორციელებას დაიწყებდა.

1. 1. § 312ე გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ჩაემატა 2011 წელს განხორციელებული ცვლილებით. ამ ნორმით კანონმდებელი ნაციონალურ კანონმდებლობაში ნერგავს ევროკავშირის სასამართლოს მითითებას (NJW 2009, 3015 – Pia Messner; BT-Drucks 17/5097, 14). ევროკავშირის სასამართლო მიიჩნევს, რომ დისტანციური

ხელშეკრულებების შესახებ დირექტივის მე-6 მუხლის I 2, II, წინააღმდეგობაში მოდის ნაციონალურ კანონმდებლობასთან, რომლის მიხედვითაც გამოიყენეს მომხმარებლისგან შეუძლია მოითხოვოს საქონლის გამოყენებით მიღებული სარგებლისთვის ღირებულების ანაზღაურება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარს ამბობს და ნივთის უკან დაბრუნებას გადაწყვეტს. ასეთ შემთხვევებში მენარმეს ყოველთვის შეეძლო, მომხმარებლისგან მოეთხოვა ნივთის გამოყენებით მიღებული სარგებლის ანაზღაურება, ასეთი რეგულირება კი ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ეფექტურობას აკნინებდა. ევროკავშირის სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, ნაციონალური რეგულირებით შესაძლებელი უნდა იყოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა მაშინ, როდესაც მომხმარებელი ნივთს ისეთი სახით გამოიყენებს, რაც სამოქალაქო სამართლის პრინციპებთან – კეთილსინდისიერებისა და უსაფუძვლო გამდიდრებასთან – წინააღმდეგობაში მოვიდოდა. შესაბამისად, დირექტივა განსაკუთრებით იმ შემთხვევებში გამოიყენება სარგებლის ღირებულების ანაზღაურებას, როდესაც სარგებელი ნივთის უბრალო შემონმებასთან ან საცდელ გამოყენებასთან არის დაკავშირებული.

2. ამ საკითხის ძველი რეგულირება დისტანციურ ხელშეკრულებებთან მიმართებით ითვალისწინებდა შემდეგს: მაშინ, როდესაც მომხმარებელი უარს განაცხადებდა ხელშეკრულებაზე, მენარმეს შეეძლო, § 357-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მითითებით ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებზე (§§ 346-ის პირველი ნაწილი, მე-2 ნაწილის № 1, § 347-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება), სარგებლის ანაზღაურება მოეთხოვა. § 357-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მითითება არ ითვალისწინებდა რაიმე შეზღუდვას, არამედ შესაძლებელი იყო ყველანაირი სარგებლის მოთხოვნა. § 312ვ-ის პირველი ნაწილი ანაზღაურების ამ ვალდებულებას ზღუდავს: ერთი მხრივ, ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება გამოიყენება § 347-ის მიხედვით მიუღებელი სარგებლის მოთხოვნის შესაძლებლობას; მეორე მხრივ, პირველი ნაწილის პირველი წინადადება ზღუდავს ანაზღაურების ვალდებულებას მიღებული სარგებლისთვის (შდრ.: ღირებულების ანაზღაურებისთვის იხ. § 357-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება. იხ. ამ ნორმის კომენტარის მე-3 ველი). სარგებლის ანაზღაურებას ექვემდებარება არა მარტო ისეთი იშვიათი შემთხვევები, როდესაც მომხმარებელი უკან აბრუნებს გამოყენებულ საქონლს კაბას ან ნახმარ სათხილამურო აღჭურვილობას, არამედ უნდა ანაზღაურდეს ყველა ის სარგებელი, რომელიც ნივთის შემონმების ფარგლებს სცდება (მაგ., მაღაზიაში ნივთის შემონმების მსგავს ფარგლებს).

§ 312ვ. დისტანციურად დადებული საფინანსო მომსახურების ხელშეკრულებებში ჩამატებული ხელშეკრულებები

¹იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა თავისი ნება, რომელიც გამოავლინა დისტანციური საფინანსო მომსახურების ხელშეკრულების დასადავად, ჯეროვნად გამოითხოვა, მაშინ იგი აღარ არის შეზოჭილი ჩამატებული დისტანციური ხელშეკრულების მიმართ გამოვლენილი ნებით, რომლის საგანიც არის მენარმის ან მესამე პირის დამატებითი მომსახურება. ²§ 357 გამოიყენება შესაბამისად ჩამატებული ხელშეკრულებისათვის; § 312ვ გამოიყენება შესაბამისად მაშინ, როდესაც ჩამატებული ხელშეკრულების მიმართ უარის თქმის უფლება არსებობს ან არსებობდა.

§ 312ზ. ვალდებულებები ელექტრონული ფორმით გარიგებების დადებისას

(1) ¹თუ მენარმე საქონლის მიწოდების ან მომსახურების განწვეის შესახებ ხელშეკრულების დასადავად იყენებს ტელე- ან მედიასერვისს (ელექტრონული ხელშეკრულება), მან კლიენტს უნდა:

1. წარუდგინოს სათანადო, ეფექტური და ხელმისაწვდომი ტექნიკური საშუალებები, რომელთა დახმარებითაც კლიენტს შეუძლია მონაცემების შეყვანისას დაშვებული შეცდომების შემჩნევა და შესწორება შეკვეთის გაკეთებამდე;
2. შეკვეთის გადაზენამდე ნათლად, გასაგებად და დროულად შეატყობინოს „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის § 3-ში განსაზღვრული ინფორმაცია;
3. დაუყოვნებლივ ელექტრონულად დაუდასტუროს შეკვეთის მიღება; და
4. შეუქმნას შესაძლებლობა, ხელშეკრულების დადებისას გამოითხოვოს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და შეინახოს ისინი გადმოცემაუნარიანი ფორმით.

შეკვეთა და მიღების დასტური მიიჩნევა პირველი წინადადების № 3-ის შესაბამისად გაკეთებულად, თუ მხარეებს, რომელთათვისაც ისინი არის განკუთვნილი, ჩვეულებრივ გარემოებებში შეუძლიათ მათი გამოთხოვა.

(2) მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 1-3 არ გამოიყენება, თუ ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ და მხოლოდ პირადი კომუნიკაციის გზით. პირველი ნაწილის № 1-3 და მე-2 წინადადება არ გამოიყენება, თუ ხელშეკრულების იმ მხარეთა შორის, რომლებიც არ არიან მომხმარებლები, სხვა რაიმე არის შეთანხმებული.

(3) სხვა ნორმების საფუძველზე ინფორმაციის მიწოდების სხვა ვალდებულებები უცვლელი რჩება. თუ კლიენტს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება აქვს, § 355-ის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დენა, § 355-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადებისაგან განსხვავებით, არ დაიწყება პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში მოცემული ვალდებულებების შესრულებამდე.

1. **1. ზოგადი მიმოხილვა და ნორმის მიზანი.** ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება განსაზღვრავს მენარმის ვალდებულებების კატალოგს (ჩამონათვალს), რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს ხელშეკრულების ტელე- ან მედიასერვისების და, განსაკუთრებით, ინტერნეტის საშუალებით დადებისას. ამ კატალოგის მეოხებით ნაციონალურ კანონმდებლობაში იწერება 2000 წლის 8 ივნისის (ABl 2000 Nr L 178, 1) ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის რეგულირებები.
2. **2. მოქმედების სფერო.** ა) **სუბიექტური შემადგენლობა:** ვინაიდან ნორმა იყენებს ტერმინ „კლიენტს“, ეს ნიშნავს, რომ ნორმის მოქმედების სფერო არ იზღუდება მხოლოდ მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებებით. უფრო მეტიც, იგი ასევე ვრცელდება მენარმეთა შორის დადებულ ხელშეკრულებებზე. განსხვავება მდგომარეობს ნორმის დისპოზიციურობის კუთხით. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ვალდებულებები და ასევე მე-2 წინადადებით დარეგულირებული მიღების ფიქციაც, საბოლოო ჯამში, სავალდებულოა (იხ. § 312-ის პირველი წინადადება). იმ კლიენტებთან მიმართებაში, რომლებიც მომხმარებლები არ არიან, მოქმედებს მხოლოდ ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების № 4-ში მოხსენიებული ვალდებულება ხელშეკრულების პირობების შენახვადი ფორმით უზრუნველყოფის შესახებ (მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება); ბ) **ობიექტური შემადგენლობა:** ნორმის ობიექტური მოქმედების სფერო წინაპირობად აწესებს, რომ მენარმე კლიენტის მიერ ინდივიდუალურად ხელმისაწვდომ ტელე- ან მედიასერვისს იყენებდეს. სატელეფონო კავშირი ნაკლებად აკმაყოფილებს ამ წინაპირობას, ისევე როგორც სატელევიზიო და რადიოკომუნიკაციები, რომელთა დროსაც ოფერტის გაკეთება პირთა განუსაზღვრელ რაოდენობის მიმართებით არის შესაძლებელი. გამოყენების სფეროს ნაწილობრივ შეზღუდვას შეიცავს ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ინდივიდუალური კომუნიკაციების საშუალებებით იდება (მაგ., ელექტრონული ფოსტა).

3. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების ვალდებულებების კატალოგი მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის დალაგებული. პირველი ნაწილის პირველი წინადადების № 2-ში მოხსენიებული წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გამომდინარეობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 246-ე მუხლის § 3-იდან.

4. ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები. ა) ნორმის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება განსაზღვრავს, რომ § 355-ით განსაზღვრული კლიენტის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის დენა იწყება მას შემდეგ, რაც მენარმის მიერ ნორმის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში ჩამოთვლილი ვალდებულებები შესრულდება. ვინაიდან ნორმის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება § 355-ის მე-3 ნაწილის პირველ წინადადებაზე უთითებს, ნორმის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევისთვის § 355-ის მე-4 ნაწილით განსაზღვრული ვადა უცვლელი რჩება; ბ) ნორმის პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევამ შესაძლებელია, ხელშეკრულებაზე უარის თქმის განხორციელების ვადის დენაზე ზემოქმედების გარდა, ასევე დამატებითი, თვით ხელშეკრულების არანამდვილობის გამომწვევი სამართლებრივი შედეგები მოიტანოს (იხ. ამასთან დაკავშირებით: *Hassemer MMR 2001, 639*). ვინაიდან საქმე ეხება ტექნიკური საშუალებების (რომლითაც შეცდომით შეყვანილი მონაცემების გასწორება უნდა იყოს შესაძლებელი) გამოყენების ვალდებულებას და ასევე, წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებებს, მათმა დარღვევამ შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვას §§ 280-ის პირველი ნაწილის, 311-ის მე-2 ნაწილის (*culpa in contrahendo*) მიხედვით. თუ ვალდებულების დარღვევა ხელშეკრულების დადებასთან მიზეზობრივ კავშირშია (თუ ვალდებულებები არ დაირღვეოდა, ხელშეკრულებაც არ დაიდებდა), შესაძლებელია, ხელშეკრულებიდან გათავისუფლება იქნეს მოთხოვნილი (იხ. ასევე § 311-ის მე-6 ველი). კლიენტის მიერ მონაცემების შეყვანის დროს დაშვებულმა შეცდომამ შესაძლებელია, § 119-ის პირველი ნაწილის მიხედვით შეცილების უფლება წარმოშვას მაშინ (შეცილების უფლება ნების გამოვლენასთან დაკავშირებით, დამატ. იხ. § 119-ის მე-10 ველი), როდესაც ეს შეცდომები მენარმის მიერ ვალდებულების დარღვევასთან არ არის დაკავშირებული.

5. ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში დარღვეული კლიენტის მიერ შეკვეთის განხორციელებისა და მენარმის მიერ ამის მიღების დადასტურების ფიქცია (პირველი ნაწილის პირველი წინადადების № 3-ის მიხედვით) შეესაბამება ნების გამოვლენის მიღების, § 130-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრულ, ზოგად წესს (შდრ. *RegBegr BT-Drucks 14/6040, 172*).

6. ნორმის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, ინფორმაციის მიწოდების დამატებითი ვალდებულებები, შესაძლებელია, განსაკუთრებით, § 312-ისა და სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 246-ე მუხლის §§ 1-2-იდან გამომდინარეობდეს, რამდენადაც მოცემული იქნება § 312ბ-ს პირველი ნაწილის წინაპირობები.

§ 312თ. ხელშეკრულების შეწყვეტა და ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ მინდობილობა

თუ, წინამდებარე ქვეკარის თანახმად, მენარმესა და მომხმარებელს შორის დადგენილია ისეთი გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს მომხმარებელსა და სხვა მენარმეს შორის არსებული გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, ხოლო ასეთი ურთიერთობის დადგენის გამო მომხმარებლის მხრიდან:

1. განცხადებულ იქნა არსებული გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ და ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე

განცხადების მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების თავდაპირველი მხარისათვის წარდგენა დაევალა მენარმეს ან მის მიერ უფლებამოსილ მესამე პირს, ან

2. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების თავდაპირველი მხარის წინაშე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილება მიენიჭა მენარმეს ან მის მიერ უფლებამოსილ მესამე პირს,

ხელშეკრულების შეწყვეტა ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ მინდობილობა ექვემდებარება ტექსტუალურ ფორმას.

§ 312ი. განსხვავებული შეთანხმებები

თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, დაუშვებელია მომხმარებლის ან კლიენტის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე ქვეთავის ნორმებისაგან განსხვავებული რეგულირება; თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, ამ ქვეთავის ნორმები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევებშიც, როდესაც მათ გვერდს უვლიან სხვაგვარი გაფორმებით.

ქვეკარი 3. ხელშეკრულებების მისადაგება და დასრულება

§ 313. გარიგების საფუძვლის ცვლილება⁵⁰

(1) თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ არსებითად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას, ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გათვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი იმ ფარგლებში, რომლებშიც ცალკეული შემთხვევის გარემოებათა, კერძოდ კი, სახელშეკრულებო ან კანონისმიერი რისკის განაწილების გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების დაცვა.

(2) გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როდესაც წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

(3) თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი შეუძლებელია, ან მეორე მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების დაცვა, მაშინ დაზარალებულ მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის ნაცვლად გამოიყენება ხელშეკრულების შეწყვეტა.

1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ნორმის პირველი ნაწილი ეხება ე.წ. ობიექტურ, ხოლო მე-2 ნაწილი სუბიექტურ გარიგების საფუძვლის ცვლილებას (იხ. Rösler JuS 2004, 1058; 2005, 27, 120). ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, გარიგების საფუძვლის ცვლილების სამართლებრივი შედეგი გამოიხატება ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მოთხოვნით (და არა კანონის ძალით მისადაგებით), და მე-3 ნაწილის თანახმად, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია ხელშეკრულებიდან გასვლაც, შესრულებების უკან დაბრუნების სამართლებრივი შედეგით (§ 346-ისა და მომდევნო პარაგრაფების ნორმებით და არა უსაფუძვლო გამდიდრებით). ნორმა შეიცავს მკაცრ დანაწესებს და მისი ხასიათის გათვალისწინებით (და, შესაბამისად, როგორც § 242-ის სპეციალური შემთხვევა), გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც „ultima ratio“ (სამართლებრივი დავის გადაწყვეტის ბოლო საშუალება). იგი განმარტებისა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ნორმებთან მიმართებით სუბსიდიური ხასიათისაა, მაშასადამე, რიგითობით ბოლოს

50 ქართულ სამართალში გამოიყენება ტერმინი – „ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი“

უნდა შემოწმდეს. **ეკვივალენტობის დარღვევა** არის ის ტიპური შემთხვევა, რომლის დროსაც მხოლოდ § 313 გამოიყენება. აქ მოიაზრება ისეთი შემთხვევები, რომელთა დროსაც შესრულებისა და საპირისპირო შესრულების ღირებულებითი თანაფარდობა გაუთვალისწინებელი გარემოებებით საგრძნობლად ირღვევა (მაგ. ფულის გაუფასურება პირველი მსოფლიო ომის შედეგების გამო – RGZ 100, 129).

2. ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, გარიგების საფუძვლის დარღვევის **წინაპირობები** შესრულებულად რომ ჩაითვალოს, სახეზე უნდა იყოს შემდეგი 4 მოცემულობა: **ა)** ხელშეკრულების დადების შემდგომ გარემოებები უნდა შეიცვალოს არსებითად; **ბ)** ეს გარემოებები უნდა იყოს ხელშეკრულების დადების საფუძველი და არა მისი შინაარსი. თუ ასეთი გარემოება არის ხელშეკრულების შინაარსი (პირობა, სამართლებრივი საფუძველი), მაშინ ხელშეკრულება ნამდვილი არ იქნება; **გ)** თუ ხელშეკრულების მხარეები ამ ცვლილებებს გაითვალისწინებდნენ, ხელშეკრულებას არ დადებდნენ, ან დადებდნენ სხვა შინაარსით; **დ)** ხელშეკრულების შეუცვლელად ძალაში დატოვება (მისი შესრულება) მიუღებელი უნდა იყოს ხელშეკრულების ერთი მხარისთვის (ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების, განსაკუთრებით, სახელშეკრულებო და კანონისმიერი რისკის გათვალისწინებით. **აა)** მაშინ, როდესაც ერთი მხარე პასუხისმგებლობას იღებს გარემოების სამომავლო განვითარების რისკზე, იგი ვეღარ მიმართავს გარიგების საფუძვლების ცვლილების ნორმას (§ 313-ს), თუ გარემოება სხვაგვარად განვითარდება. მაგ.: თუ „ა“ პასუხისმგებლობას აიღებს, მყარად განსაზღვრული ფასის სანაცვლოდ ააშენოს სახლი, იგი, როგორც წესი, ვეღარ მიმართავს § 313-ის დებულებებს, თუ მშენებლობის ხარჯები გაუთვალისწინებლად გაიზრდება. სხვა შემთხვევა გვექნება მაშინ, როდესაც, მის მიერ ხელშეკრულებით აღებული რისკის ფარგლების გათვალისწინებით, ხარჯები შეუსაბამოდ გაიზრდება. მაგ.: მშენებლობის ხარჯები იზრდება ორჯერ იმის გამო, რომ მშენებლობის გრუნტი ქვიშიანი (არამყარი) აღმოჩნდა; **ბბ)** **შესრულების მიუღებლობა** არ გვექნება სახეზე მაშინ, როდესაც არსებითი ცვლილებები წინასწარ განჭვრეტადი იყო, თუმცა, ამას მხარეების მხრიდან არ მოჰყოლია შესაბამისი რეაგირება (ზომების გატარება). მაგ.: აღნაგობის ხელშეკრულების დროს, რომელიც 99 წლით იდება შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების პირობის გარეშე, ყველამ უნდა გაითვალისწინოს ის, რომ ფულადი შესრულების ღირებულება დაინეცს (BGHZ 86, 167, 169).

3. **ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისგან (§ 275) § 313-ის** გამოწვევა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ხელშეკრულების მისადაგების საკითხი, § 313-ის შესაბამისად, მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს განხილული, როდესაც მოვალე, § 275-ის მიხედვით, ვალდებულებისგან ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულა. **ა) ვალდებულების შესრულების გართულების მნიშვნელოვანი შემადგენლობები** შეყვანილია § 275-ის მე-2 ნაწილის მოქმედების სფეროში. ეს განსაკუთრებით ის შემთხვევებია, როდესაც ვალდებულებით განსახორციელებელი მოქმედება ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია, თუმცა, ზოგადი ცხოვრებისეული შეფასებით, არაგონივრული (მაგალითად, ვალდებულებით განსაზღვრული ბექდის ამოტანა ზღვის ფსკერიდან). ამისგან განსხვავებით, შესაძლებელია, რომ § 313-ის პირველ ნაწილს (და არა § 275-ის მე-2 ნაწილის შემადგენლობას!) დაექვემდებაროს ე.წ. **ეკონომიკური შეუძლებლობა**. ეკონომიკური შეუძლებლობის შემთხვევა გვაქვს მოცემული მაშინ, როდესაც ვალდებულებით განსახორციელებელი მოქმედება მოვალისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით მიუღებელია („შესაძლებლობებს ზეაღმატებული“ სირთულე, „შესაძლებლობათა ზღვარის“ გადაჭარბება; *Medicus/Lorenz SchR I 424-ე ველი*). § 275-ის მე-2 ნაწილის შემადგენლობა, § 313-ისგან განსხვავებით, მხოლოდ კრედიტორის ინტერესებს ითვალისწინებს. § 313-ის შემადგენლობის ფარგლებში ყურადღება ექცევა, ასევე, მოვალის ინტერესებს (შდრ. იხ. § 275 მე-4 ველი).

4 ბ) გამიჯვნის სირთულეები წარმოიშობა ვალდებულებით განსაზღვრული მიზნის ხელშეშლის შემთხვევებშიც. თუ ვალდებულებით განსაზღვრული მოქმედება ვერ განხორციელდება იმის გამო, რომ შედეგი სხვანაირად დადგა (მიზანი მიღწეულ იქნა; მაგ.: გაჭედული გემი მოვარდნილი დინების შედეგად თვითონვე გამოთავისუფლდა) ან საერთოდ აღარ საჭიროებს შედეგი მიღწევას (მიზნის მოსპობა; მაგ.: გემი ჩაიძირა გამათავისუფლებელი გემის მისვლამდე), ამ შემთხვევებში, სახეზეა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. მიზნის ხელშეშლა არის მოცემული მაშინ, როდესაც მოვალეს შეუძლია შეასრულოს ვალდებულება, თუმცა, კრედიტორს მისი გამოყენება ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნისათვის აღარ შეუძლია. მაგ.: „ა“ აქირავებს საკუთარი სახლის ფანჯარასთან ადგილს, საიდანაც უნდა გამოჩნდეს საკარნავალო მატარებელი, თუმცა, მატარებლის მარშრუტი შეიცვლება და მატარებელი „ა“-ს სახლთან აღარ ჩაივლის. მიუხედავად იმისა, რომ „ა“-ს ვალდებულება არ არის დაგეგმილი მატარებლის ღონისძიების ჩატარება, ლიტერატურაში გავრცელებული ერთი მოსაზრების მიხედვით, მოცემულია ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (*Medicus/Peterson 160-ე* ველი). თუ ვალდებულების საგანი (ადგილი ფანჯარასთან) მხოლოდ (დაკარგული) მიზნის მიხედვით შეიძენდა ღირებულებას, მოვალე ვალდებული იქნებოდა, თავისი ვალდებულება მიზნის შესაბამისად შეესრულებინა. ასე რომ, მიზნის მიუღწევლობისას ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა დადგებოდა. ამგვარი მიდგომა გადატვირთავდა ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ცნებას შეფასებათა კატეგორიებით. მოვალე არ იღებს პასუხისმგებლობას მიზნის მიღწევაზე, რომელიც შესაბამისად ხელშეკრულების შინაარსიც არ ხდება (შდრ. ასევე *Larenz SchR I § 21 II 1*). § 313-ის პირველი ნაწილი ამ შემთხვევაში თავისუფლად გამოიყენება. კრედიტორს ზემოაღნიშნულ ქირავნობის ურთიერთობაში შეუძლია, § 313-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ხელშეკრულებიდან გავიდეს და იგი თავისუფლდება გადახდის ვალდებულებისაგან. ამასთან ერთად, იმ ვალდებულების კრედიტორს, რომლის მიზანიც ვერ იქნა მიღწეული, შეუძლია, თავისი საპირისპირო შესრულების ვალდებულებისგან რისკის გადანაწილების გამო მუდამ განთავისუფლდეს, თუკი მიზნის ხელშეშლა მისი სფეროდან არ გამომდინარეობს. თუ „ა“ საქონილო საჩუქარს იყიდის „ბ“-სთან, მაგრამ ქორნილი აღარ შედგება, „ა“ და „ბ“ მაინც ხელშეკრულების ფარგლებში რჩებიან და ვალდებულებები ეკისრებათ. ხელშეშლა ამ შემთხვევაში კრედიტორის სფეროდან გამომდინარეობს. მაშასადამე, ნივთით შესასრულებელი ვალდებულების კრედიტორი არის იმ რისკის მატარებელი, თუ რამდენად გამოიყენებს იგი შესრულებას თავისი მიზნებისთვის.

5 4. ნორმის მე-2 ნაწილი გარიგების სუბიექტური საფუძვლების არარსებობას ათანაბრებს ობიექტური საფუძვლების არარსებობასთან. აქ საქმე ეხება მხარეთა ერთობლივ შეცდომას მოტივში და ასევე იმ შემთხვევებს, სადაც მხოლოდ ერთი მხარე ეყრდნობა მცდარ წარმოდგენებს, ხოლო მეორე მხარე ამ შეცდომას საკუთარი წარმოდგენის გარეშე იღებს (*RegBegr BT-Drucks 14/6040, 176*). § 119 ამ შემთხვევაში არ გამოიყენება.

6 5. გარიგების საფუძვლის დარღვევის სამართლებრივი შედეგი არის, როგორც წესი, ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მოთხოვნა (დანვრ. იხ. *Heinrichs FS Heldrich [2005] 183*). მოთხოვნის უფლება აქვს ყველა მხარეს და არამარტო არახელსაყრელ პირობებში მყოფს. მხარეებს შეუძლიათ, მიაღწიონ შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებაზე შეთანხმებას, თუმცა, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, არ არსებობს ცალკე აღებული მოლაპარაკების წარმოების ვალდებულება. თუ დავა უნდა გადაწყდეს სასამართლოს გადანყვეტილებით, ხელშეკრულებისადმი ნდობის პრინციპიდან გამომდინარე, უნდა აიწონოს მხარეთა ინტერესები. არსებობს დავის გადანყვეტის შემდეგი შესაძლებლობები:

ვალდებულების მასშტაბების შემცირება, გადავადება, ნაწილ-ნაწილ გადახდა, რისკის განაწილება. მიუხედავად იმისა, რომ § 313-ის პირველი ნაწილის სამართლებრივი შედეგი სასამართლოს მიერ ექვემდებარება განსაზღვრას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პირდაპირ, მისადაგებისათვის საჭირო ქმედების განხორციელებაზე შეიტანოს სარჩელი. ხელშეკრულების შეწყვეტა, მე-3 ნაწილის შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიაზრება, როდესაც ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი შეუძლებელია, ან მეორე მხარისთვის – მიუღებელი. ხელშეკრულების მოშლისთვის აუცილებელია მეორე მხარისათვის ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება, § 349-ის შესაბამისად, გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების დროს კი – შეწყვეტა (§ 314). მიღებული შესრულებების უკან დაბრუნება, როგორც წესი, § 346-ის და მომდევნო პარაგრაფების მიხედვით ხორციელდება.

§ 314. მნიშვნელოვანი საფუძვლით გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტა

(1) ¹ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე, შეწყვიტოს გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. ²მნიშვნელოვანია საფუძვლი, როდესაც ხელშეკრულების შემწყვეტ მხარეს ცალკეული შემთხვევის გარემოებათა გათვალისწინებით და ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინების შედეგად, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის გასვლამდე.

(2) ¹თუ მნიშვნელოვანი საფუძველი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაა, ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ. ²შესაბამისად, გამოიყენება § 323-ის მე-2 ნაწილი.

(3) უფლებამოსილ პირს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება მხოლოდ სათანადო ვადაში, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის შესახებ.

(4) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების შეწყვეტით არ გამოირიცხება.

1. ნორმის ზოგადი მიმოხილვა და კოლიზია სხვა ნორმებთან. § 314 არის ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის ზოგადი ხასიათის ნორმა, სხვა, სპეციალურ რეგულირებებთან მიმართებაში (მაგ.: §§ 489 სესხის, § 543 ქირავნობის, § 626 მომსახურების ხელშეკრულებისთვის და § 723 ამხანაგობის ხელშეკრულების ნორმებისთვის; *MüKo-Gaier* მე-3 ველი). გარიგების საფუძვლების დარღვევის შემთხვევაში, § 313-ის მე-3 ნაწილის მიხედვით, დგინდება, რომ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას უპირატესობა აქვს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი საფუძვლით შეწყვეტასთან მიმართებაში (სადავოა, მაგ., *Hk-Schulze* მე-2 ველი). თუმცა, ამისგან განსხვავებით, § 314-ს აქვს უპირატესი მოქმედების სფერო § 323-თან მიმართებაში (ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას). ხელშეკრულების შეწყვეტის (§ 314) უპირატეს გამოყენებას ხელშეკრულებიდან გასვლასთან (§ 323) მიმართებაში საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს, როგორც წესი, არ აინტერესებთ, მოგვიანებით წარმოშობილი ვალდებულების შესრულების გართულების გამო, უკვე განხორციელებულ შესრულებათა ყველა ნაწილი უკუაქციონ და ერთმანეთს დაუბრუნონ. იმ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ინტერესია მოცემული და დადგენილი, გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო

1

უშვებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების პარალელურად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შესაძლებლობას, თუ ხელშეკრულების სრული უკუქცევა შეუძლებლად რთული არ არის (NJW 2002, 1870).

- 2 **2. გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის** ცნებისთვის არ არსებობს ლეგალური დეფინიცია. ასეთი ურთიერთობა ხასიათდება იმით, რომ მისგან, მისი მოქმედების ვადაში, მუდამ ახალი შესრულებისა და სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულებები წარმოიშობა და, ამასთანავე, დროის ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება (შდრ. § 241-ის შესავალი, ველი 4). მაგ.: ქირავნობის, მომსახურების, ამხანაგობის, იჯარის, კრედიტის, შენახვის, დაზღვევის, ლიზინგისა და საქონლის პერმანენტულად მიწოდების ხელშეკრულებები.
- 3 **3. მნიშვნელოვანი საფუძველი** განმარტებულია ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში, რომლის მიხედვითაც, საჭიროა ორივე მხარის ინტერესები აიწონდაიწონოს, სანამ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ ხელშეკრულების შემწყვეტი მხარისთვის მიუღებელია ხელშეკრულების გაგრძელება. როგორც წესი, (მაგრამ არა ყოველთვის), შეწყვეტის საფუძველი მოცემულია მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულებები ირღვევა (მათ შორის, სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულებებიც). ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს ნორმის მე-2 ნაწილს. ხელშეკრულების შეწყვეტისთვის მეორე მხარის ბრალეულობის არსებობა არ არის სავალდებულო. თუმცა, საკუთარი რისკის სფეროდან გამომდინარე ხელშემშლელი გარემოებები, როგორც წესი, არ წარმოშობენ შეწყვეტის უფლებას (RegBegr BT-Drucks 14/6040, 178). მაშასადამე, ის, ვინც გრძელვადიან მომსახურების ხელშეკრულებას დებს, როგორც წესი, ატარებს რისკს, რომ თავისი პირადი მიზეზის გამო, ამ მომსახურების გამოყენებას ოდესღაც ვეღარ შეძლებს (იხ. BGH ZGS 2011, 83, ინტერნეტ-მომსახურების DSL-ხელშეკრულებების ვადის დაუცველად შეწყვეტის შესახებ). ამგვარად, ბინის შეცვლა და სხვაგან გადასვლა არ არის მნიშვნელოვანი საფუძველი, § 314-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ან § 626-ის პირველი ნაწილის მოსაზრებით, რომელიც უფლებას მისცემდა მხარეს, ვადის დაუცველად მოეშალა ხელშეკრულება (თუნდაც, DSL-ინტერნეტის ხელშეკრულება).
- 4 **4. ნორმის მე-4 ნაწილი** (იხევე როგორც § 325 ხელშეკრულებიდან გასვლის დროს) ნათელყოფს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას (§§ 280, 281) ხელუხლებლად ტოვებს.

ქვეყარი 4. ვალდებულების შესრულების ცალმხრივად განსაზღვრის უფლებები

§ 315. ვალდებულების შესრულების განსაზღვრა ერთი მხარის მიერ

(1) თუ ვალდებულების შესრულება უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანი შეფასებით.

(2) განსაზღვრა ხორციელდება მეორე მხარის მიმართ გაკეთებული განცხადებით.

(3) თუ განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანი შეფასებით, მაშინ გაკეთებული განსაზღვრა მეორე მხარისათვის მბოჭავია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სამართლიანია; თუ იგი სამართლიანი არ არის, მაშინ განსაზღვრა ხორციელდება სამართლოს გადაწყვეტილებით; ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც განსაზღვრა ჭიანურდება.

§ 316. საპასუხო დაკმაყოფილების განსაზღვრა

თუ ვალდებულების შესრულებისათვის შეპირებული საპასუხო დაკმაყოფილების მოცულობა განსაზღვრული არ არის, მაშინ დავის შემთხვევაში განსაზღვრაზე უფლებამოსილად მიიჩნევა ხელშეკრულების ის მხარე, რომელსაც აქვს საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლება.

§ 317. ვალდებულების შესრულების განსაზღვრა მესამე პირის მიერ

(1) თუ ვალდებულების შესრულება უნდა განისაზღვროს მესამე პირის მიერ, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანი შეფასებით.

(2) თუ განსაზღვრა უნდა მოხდეს რამდენიმე მესამე პირის მიერ, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ აუცილებელია ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება; თუ უნდა განისაზღვროს თანხის ოდენობა და მოცემულია სხვადასხვა თანხის ოდენობა, დავის შემთხვევაში გამოიყენება საშუალო ოდენობა.

§ 318. ვალდებულების შესრულების განსაზღვრის საცილობა

(1) მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების განსაზღვრა ხორციელდება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიმართ გაკეთებული განცხადებით.

(2) ¹შეცდომის, მოტყუებისა თუ იძულების გამო განხორციელებული განსაზღვრის საცილობაზე უფლებამოსილი არიან მხოლოდ ხელშეკრულების მხარეები; შეცილებაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ხელშეკრულების მეორე მხარე. ²შეცილება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც შეცილებაზე უფლებამოსილი მხარისათვის ცნობილი გახდა შეცილების საფუძვლის შესახებ. ³შეცილება გამოირიცხულია, თუ განსაზღვრის განხორციელებიდან გავიდა 30 წელი.

§ 319. განსაზღვრის არანამდვილობა; შეცვლა

(1) ¹თუ მესამე პირმა ვალდებულების შესრულება უნდა განსაზღვროს სამართლიანი შეფასებით, და თუ იგი აშკარად არასამართლიანია, მაშინ განსაზღვრა ხელშეკრულების მხარეებისათვის მბოჭავი არ იქნება. ²ამ შემთხვევაში განსაზღვრა ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილებით; ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მესამე პირს განსაზღვრა არ შეუძლია, ან იგი ამას აჭიანურებს.

(2) თუ მესამე პირმა ვალდებულების შესრულება უნდა განსაზღვროს თავისუფალი შეხედულებით, და თუ მას არ შეუძლია, ან არ სურს განსაზღვრა, ანდა იგი ამას აჭიანურებს, მაშინ ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

კარი 2. ორმხრივი ხელშეკრულება

§ 320-ის შესავალი

§§ 320-326-ში მოცემულია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებისთვის **სპეციალური რეგულირებები**. როგორც წესი, ეს რეგულირებები არ მოქმედებს სხვა სახის ხელშეკრულებებისა (იხ. აქვე, ველი 2) და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის (შდრ. მაგ., § 348-ის მე-2 წინადადება, ხელშეკრულებაზე უარის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობისთვის).

1. ხელშეკრულებათა სახეები. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იცნობს ცალმხრივად და ორმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებებს. პირველის შემთხ-

ვევაში მხოლოდ ხელშეკრულების ერთ მხარეს წარმოეშობა ვალდებულებები (მაგ.: ჩუქება, § 518; თავდებობა § 765).

- 3 ა) თუ ხელშეკრულება ორივე მხარისთვის წარმოშობს ვალდებულებებს, მაშინ საქმე გვაქვს **სრულყოფილ ორმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებასთან** (ორმხრივი, სინალაგმატური ხელშეკრულება), რომლის დროსაც შესრულება და საპირისპირო შესრულება ურთიერთდამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ვალდებულება იმიტომ სრულდება, რომ მიღებულ იქნეს საპასუხო შესრულება („do ut des“). მაგ.: ნასყიდობა, გაცვლა, ქირავნობა, მომსახურებისა და ნარდობის ხელშეკრულებები. ამასთანავე, შესაძლებელია, რომ ორმხრივ ხელშეკრულებაში ორ პირზე მეტი იყოს ჩართული (მაგ., ე.წ. ვალდებულების „წრიული“ გაცვლის შემთხვევები; ამასთან დაკავშირებით იხ. *Larenz SchR I § 15 II*; ამხანაგობასთან დაკავშირებით შდრ. იხ. § 705 ველი 4). ბევრ პირს შორის არსებული ასეთი სახის ურთიერთობა მოითხოვს § 320-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების ყოველი ცალკეული შემთხვევის შესაბამის გამოყენებას;
- 4 ბ) სრულყოფილი ორმხრივი ხელშეკრულებებისგან უნდა გავმიჯნოთ **არასრულყოფილი ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულებები**. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ვალდებულება არ ითვალისწინებს საპასუხო შესრულების მიღებას, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ორივე მხარეს წარმოეშობა ვალდებულებები. მაგ.: რწმუნებული (§ 662-ისა და მომდევნო პარაგრაფების მიხედვით) საქმისწარმოების ვალდებულებას არ იღებს იმის გამო, რომ დანახარჯების ანაზღაურება მოითხოვოს (თუმცა, მარწმუნებლისთვის სავალდებულოა, § 670). დამატებითი მაგალითებია: უპროცენტო სესხი (§ 488), თხოვნა (§ 598), უსასყიდლო მიბარება (§ 690). ამ შემთხვევებში § 320-ისა და მომდევნო პარაგრაფების სპეცი-ალური რეგულირებები არ გამოიყენება.
- 5 2. საპირისპირო ვალდებულებების სამართლებრივი ბედი ერთმანეთზეა დამოკიდებული. ეს გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულების განხორციელებისა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებში, ე.წ. **„ფუნქციური სინალაგმა“**. იგი იძლევა შესაძლებლობას, მხარემ უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე მანამ, სანამ საპირისპირო შესრულებას მიიღებდეს (§ 320). გარდა ამისა, შესრულების შეუძლებლობის გამო ვალდებულებისგან გათავისუფლება (§ 275) იწვევს მეორე მხარის საპასუხო შესრულებისგან გათავისუფლებასაც (§ 326-ის პირველი ნაწილის პირველი ნიშნადადება). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ § 323 და მომდევნო პარაგრაფები ეხება არამართო ურთიერთმიმართებაში მყოფ ძირითად ვალდებულებებს (შდრ. მაგ., § 324).

§ 320. შეუსრულებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი

(1) ¹პირს, რომელსაც ეკისრება ვალდებულება ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო დაკმაყოფილების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ვალდებულია, თავისი ვალდებულება უფრო ადრე შეასრულოს; თუ შესრულება უნდა განხორციელდეს რამდენიმე პირის მიმართ, ცალკეულ პირს შეუძლია, უარი თქვას მისთვის განკუთვნილი შესრულების ნაწილზე მთლიანი საპასუხო დაკმაყოფილების განხორციელებამდე. ²§ 273-ის მე-3 ნაწილი არ გამოიყენება.

(2) თუ ერთ-ერთი მხარე ვალდებულებას ასრულებს ნაწილობრივ, მაშინ საპასუხო დაკმაყოფილებაზე არ შეიძლება ითქვას უარი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კერძოდ კი, შეუსრულებელი ვალდებულების ნაწილის შედარებით მცირე მნიშვნელობის გამო, უარი კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო იქნებოდა.

1. მოქმედების სფერო. ძირითად შემთხვევებში, ნორმის მოქმედების სფერო ვრცელდება ყველა ორმხრივ ხელშეკრულებაზე, ასევე, ხელშეკრულებიდან გასვლის შემდგომ წარმოშობილ ვალდებულებით ურთიერთობაზეც (ხელშეკრულების უკუქცევისას მიღებულ შესრულების უკან დაბრუნებასთან მიმართებით, § 348). განსაკუთრებული რეგულირებები მოქმედებს ამხანაგობის ხელშეკრულების შემთხვევებში (შდრ. § 705 ველი 4).

2. წინაპირობები: ა) მოთხოვნა, რომლის მიმართაც წაყენებულია შესრულებაზე უარის თქმის უფლება, უნდა იყოს ძირითად მოთხოვნასთან სინალაგმატურ **დამოკიდებულებაში**. მაშასადამე, მოცემული უნდა იყოს საპირისპირო მოთხოვნა. ამის მაგალითია: ნასყიდობის უნაკლო ნივთზე საკუთრების უფლების მინიჭება და ნივთის ფაქტობრივი გადაცემა, ხოლო მისი საპირისპირო მოთხოვნაა ნასყიდობის ფასის გადახდა. ყველა სხვა დანარჩენი, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, მოთხოვნების მიმართ დროებით უარის თქმის უფლება (ვალდებულების დაკავება) შესაძლებელია, მხოლოდ § 273-იდან გამომდინარეობდეს. გარდა ამისა, § 273 გამოიყენება, ასევე, ბათილი ან შეცილებით გაბათილებული ხელშეკრულებების უკუქცევისას შესრულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებში; ბ) **საპირისპირო მოთხოვნა** უნდა იყოს **განხორციელებადი**, მაშასადამე, ვადა მოსული და ხელშეკრულების მეორე მხარეს არ უნდა შეეძლოს ამ მოთხოვნის მიმართ შესაგებლის აღძვრა. § 215-ის შესაბამისად, ხანდაზმულობის შემთხვევებისთვის მოქმედებს გამონაკლისი; გ) **ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისას**, ძირითადი მოთხოვნის მოვალე თვითონ უნდა იყოს კეთილსინდისიერი. უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა რჩებოდეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში. იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს ხელშეკრულებიდან გასვლით სახელშეკრულებო ვალდებულებისგან გათავისუფლება აქვს გამიზნული, მაშინ § 320-ის მიხედვით, შესაგებლის წარდგენა, რომელიც ვალდებულების შესრულების გადადებას ახდენს, უაზრო იქნება. გარდა ამისა, მისი ვალდებულება არ უნდა იყოს ვადაგადაცილებული. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების (შდრ. *Palandt-Grüneberg*, მე-6 ველი) თანახმად, მოვალის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილება არ გამორიცხავს ვალდებულების დაკავების უფლებას. ამ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარეებისთვის თანადროული შესრულების დაკისრება (§ 322) გონივრულია, სადაც კრედიტორს შეუძლია, ვალდებულება დეკონირებით (§§ 372, 378) ან დეკონირებაუუნარო ნივთის გასხვისებით და ამონაგების დეკონირებით⁵¹ (§ 383) შეასრულოს; დ) § 320-ის წინაპირობების შესასრულებლად მოცემული უნდა იყოს ძირითადი მოთხოვნის კრედიტორის მიერ **საპირისპირო მოთხოვნის შეუსრულებლობა**. როგორც წესი, ნაწილობრივი შეუსრულებლობაც საკმარისად ითვლება (თუმცა, შდრ. იხ. ნორმის მე-2 ნაწილი); ე) **მოთხოვნის მიმართ შესაგებლის წაყენების უფლება** არ უნდა იყოს გამორიცხული, სახელდობრ, მოვალის მიერ უწინარესად შესასრულებელი ვალდებულებით (მაგ.: §§ 579, 614, 641-ის პირველი ნაწილი). ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოვალეს პირველს ეკისრება ვალდებულების შესრულება, შესაბამისად, იგი § 320-ით (დროებით) ვერ განაცხადებს უარს თავისი ვალდებულების შესრულებაზე. თუმცა, ამას ყურადღება აღარ ექცევა მაშინ, როდესაც კრედიტორი გადამჭრელად და საბოლოოდ ამბობს უარს თავისი საპირისპირო ვალდებულების შესრულებაზე (BGH NJW 1997, 938). გარდა ამისა, შესაგებელი არ გამოირიცხება, ასევე, მაშინ, როდესაც მოცემულია შედარებით მცირე მნიშვნელობის საპირისპირო მოთხოვნა (შემთხვევას გააჩნია; ნორმის მე-2 ნაწილი).

51 მოვალის მიერ კრედიტორისთვის განკუთვნილი ნივთის გაყიდვა, თუ კრედიტორი დროულად არ იღებს შესრულებას და ნივთი შესაძლოა გაფუჭდეს, ანდა მისი შენახვა შეუსაბამო ხარჯებთანაა დაკავშირებული (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 383).

3 **3. სამართლებრივი შედეგები.** § 320-ით კრედიტორს წარედგინება შესრულების გადამდები (სუსპენზიური) შესაგებელი, რომლის წარდგენაც, როგორც წესი, მოვალის მიერ ხდება. შესაგებლის წარდგენა გამორიცხავს მოვალის მიერ ვადის გადაცილების დადგომას (§ 286-ის მე-2 ნაწილი). პროცესუალური კუთხით, § 320-ის შესაგებელი ინვეს არა სარჩელზე უარის თქმის შედეგს, არამედ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარეებს ეკისრებათ თავიანთი ვალდებულებების ერთდროული შესრულება (§ 322). ვალდებულებაზე უარის თქმის უფლების თავიდან აცილება, ვალდებულების დაკავების ზოგადი უფლებისგან განსხვავებით (§ 273), შეუძლებელია უზრუნველყოფის წარდგენით (§ 320-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება; შდრ. იხ. ასევე § 273-ის მე-3 ნაწილი). ამგვარად, შესაგებელი გამოიყენება, ასევე, როგორც მოვალის საპირისპირო მოთხოვნის განხორციელებაზე ზეწოლის მოხდენის საშუალება, რომლითაც ხდება კრედიტორის იძულება, შეასრულოს საპასუხო ვალდებულება.

§ 321. შეუსრულებლობის საფრთხის გამო შესაგებელი

(1) ¹იმ პირს, რომელსაც, ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ეკისრება წინმსწრები შესრულების ვალდებულება, შეუძლია, უარი თქვას შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარაა, რომ მისი საპასუხო ვალდებულების შესრულებას საფრთხე ექმნება მეორე მხარის უზუნარობის გამო. ²ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება გამორიცხულია, თუ საპასუხო დაკმაყოფილება სრულდება, ან მისთვის ხდება უზრუნველყოფის წარდგენა.

(2) ¹წინმსწრებ შესრულებაზე ვალდებულ პირს შეუძლია გონივრული ვადის დადგენა, რომელშიც მეორე მხარემ, საკუთარი არჩევანით, თანადროული შესრულების სანაცვლოდ ან უნდა განახორციელოს საპასუხო შესრულება, ან წარადგინოს უზრუნველყოფა. ²ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ წინმსწრებ შესრულებაზე ვალდებულ პირს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ³§ 323 გამოიყენება შესაბამისად.

§ 322. ერთდროულად შესრულების დაკისრება სასამართლოს გადაწყვეტილებით

(1) თუ, ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარე წარადგენს სარჩელს მისთვის განკუთვნილი შესრულების მოთხოვნით, მეორე მხარის მიერ საპასუხო დაკმაყოფილებამდე შესრულებაზე უარის უფლების რეალიზაცია შედეგად ინვეს მხოლოდ სასამართლოს მიერ ამ უკანასკნელისათვის პირველ შესრულებასთან ერთად ერთდროულად შესრულების დაკისრებას.

(2) თუ სარჩელის წარმდგენმა მხარემ თავისი ვალდებულება პირველმა უნდა შეასრულოს, მეორე მხარე კი აცილებს ვალდებულების მიღების ვადას, მაშინ მას შეუძლია, წარადგინოს სარჩელი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, საპასუხო დაკმაყოფილების მიღების შემდეგ.

(3) იძულებითი აღსრულების მიმართ გამოიყენება § 274-ის მე-2 ნაწილი.

§§ 323-326-ის შესავალი

1 **1. გამოყენების სფერო.** §§ 323-326 ეხება ვალდებულების დარღვევის ან ვალდებულების განხორციელების გართულების შემთხვევებში ორმხრივი ხელშეკრულებების შეწყვეტის საკითხს და, განსაკუთრებით, ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტს. აქაც იმავე შემადგენლობებს შორის ხდება განსხვავება, რომლებიც მოცემული გვაქვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების (§ 281 და მომდევნო პარაგრაფების) დროს. § 323 არეგულირებს (§ 281-ის პარალელურად) ხელშეკრულებიდან გასვლის წესს ვალდებულების შეუსრულებლობის, ვალდებულების შესრულების დაგვიანების ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევებისთვის. § 324 (§ 282-ის პარალელურად) ეხება ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევებს

§ 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გულისხმიერების ვალდებულებების დარღვევისას. § 326 დაკავშირებულია (როგორც § 283-ში) § 275-ში დარეგულირებულ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან და კრედიტორს კანონის ძალით ათავისუფლებს საპასუხო შესრულების ვალდებულებისაგან.

2. § 323-ისა და მომდევნო პარაგრაფების გამოყენებისთვის არავითარ როლს არ ასრულებს ის ფაქტორი, **მოვალემ გამოიწვია** თუ არა ვალდებულების განხორციელების ხელშეშლა (სხვაგვარად, ვიდრე § 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობისთვის). სწორედ აქ ვაწყდებით § 323-ის იმ ნიშან-თვისებას, რომელიც მას § 281-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების რეგულირებებისგან განასხვავებს. მაშინ, როდესაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვის ბრალეულობაა საჭირო, ხელშეკრულებიდან გასვლისთვის იგი უმნიშვნელოა. ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობად ბრალეულობის განსაზღვრა მიუღებელი იქნებოდა, ვინაიდან პირი, რომელსაც (ბრალეულად თუ არაბრალეულად) ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია, არ უნდა მოელოდეს, რომ ხელშეკრულების მეორე მხარე თავისი ვალდებულებების ერთგული დარჩება. კრედიტორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შესრულება სხვა გზით მიიღოს.

3. § 325 უშვებს ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ერთდროულად განხორციელების შესაძლებლობას. კრედიტორს შეუძლია, არა მარტო ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს და მხოლოდ ამის საშუალებით გავიდეს ხელშეკრულებიდან, არამედ ჯერ ხელშეკრულებიდან გავიდეს და შემდგომ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

4. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგებს § 346 და მომდევნო პარაგრაფები არეგულირებენ.

§ 323. ხელშეკრულებაზე უარის თქმა ვალდებულების შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო

(1) თუ ორმხრივი ხელშეკრულების მოვალე არ ასრულებს ვადამოსულ ვალდებულებას, ან ასრულებს მას ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, მაშინ კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულების ან დამატებითი შესრულებისათვის მის მიერ უშედეგოდ განსაზღვრული დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ.

(2) დამატებითი ვადის დადგენა ზედმეტია, თუ:

1. მოვალე შესრულებაზე გადამჭრელად და საბოლოოდ ამბობს უარს;
2. მოვალე ვალდებულებას არ ასრულებს ხელშეკრულებაში მითითებულ თარიღამდე ან განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ხელშეკრულებაში შესრულებისადმი მისი ინტერესი დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას; ან
3. არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, ამართლებს ხელშეკრულებაზე დაუყოვნებლივ უარის თქმას.

(3) თუ ვალდებულების დარღვევის ბუნების გამო ვადის დადგენა მიზანშეწონილი არ არის, მაშინ მის ადგილს იკავებს გაფრთხილება.

(4) კრედიტორს შეუძლია, შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობები.

(5) ¹თუ მოვალემ განახორციელა ნაწილობრივი შესრულება, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას მთლიან ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესი აღარ აქვს. ²თუ მოვალემ შესრულება

განახორციელა ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, მაშინ კრედიტორს არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა.

(6) ხელშეკრულებაზე უარის თქმა გამორიცხულია, თუ მხოლოდ კრედიტორი ან უმეტესწილად იგი არის პასუხისმგებელი იმ გარემოებისათვის, რომელიც მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას მიანიჭებდა, ან/და, თუ ის გარემოება, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, შეიქმნა კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილების დროს.

1. ხელშეკრულებიდან გასვლის ნინაპირობები (§ 349), რომლებიც ნორმის პირველ-მე-4 ნაწილებშია მოცემული, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნინაპირობების (§§ 280-ის პირველი და მე-3 ნაწილები, § 281) იდენტურია. თუმცა, ზიანის ანაზღაურებისგან განსხვავებით, ბრალეულობა არ არის ხელშეკრულებიდან გასვლის ნინაპირობა (შდრ. §§ 323-326-ის შესავლის ველი 2). ხელშეკრულებიდან გასვლის ნინაპირობების დასადგენად ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, მოცემულია თუ არა შემდეგი ნინაპირობები: **(1)** ორმხრივი ხელშეკრულება (§ 320-ის შესავალი, მე-3 ველი), სადაც შესაძლებელია, რომ დარღვეული ვალდებულებები არ იყოს სინალაგმატურ დამოკიდებულებაში (RegBegr BT-Drucks 14/6040, 183); **(2)** ვალდებულების ვადამოსულობა (შდრ. § 271), გამონაკლისია ნორმის მე-4 ნაწილი, ე.წ. ხელშეკრულების დარღვევის განჭვრეტა⁵²; **(3)** ვალდებულების შესრულების დაგვიანება ან არაჯეროვანი შესრულება (შდრ. § 281 ველი 1); ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისთვის მოქმედებს § 326-ის სპეციალური რეგულირება; **(4)** ვადის განსაზღვრა ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად (შდრ. § 281-ის მე-8 ველი), ან მისი ზედმეტობა, მე-2 ნაწილის თანახმად (შდრ. § 281-ის მე-10 ველი). ნორმის მე-2 ნაწილის № 2 ეხება დროზე ფარდობითად ფიქსირებულ გარიგებებს (Relatives Fixgeschäft; შდრ. იხ. § 271-ის ველი 3). ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, ზოგიერთ შემთხვევაში, ვადის განსაზღვრის ადგილს იკავებს გაფრთხილება (შდრ. § 281-ის ველი 11). **(5)** ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებისათვის აუცილებელია, რომ გასვლის უფლება, ნორმის მე-5 ნაწილის მე-2 ნინადადების, ან მე-6 ნაწილის მიხედვით, არ იყოს გამორიცხული (შდრ. ქვემოთ იხ. მე-3 და მომდევნო ველები). ერთხელ წარმოშობილი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება იმით არ ისპობა, რომ კრედიტორი მაინც აგრძელებს დამატებით, თუმცა, წარუმატებლად შესრულების მოთხოვნას (BGH NJW 2006, 1198).
2. მომხმარებელთან დადებული ნასყიდობის შემთხვევებში ვადის განსაზღვრის სავალდებულობა კონფლიქტში მოდის სამომხმარებლო ნასყიდობის შესახებ დირექტივის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის დებულებასთან, რომელიც მომხმარებელს უფლებას აძლევს, გონივრული ვადის გასვლის შემდგომ გავიდეს ხელშეკრულებიდან ისე, რომ დამატებითი შესრულებისთვის ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო. აქედან გამომდინარე, § 323-ის მე-2 ნაწილის № 3 უნდა განიმარტოს დირექტივის შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ სამომხმარებლო ნასყიდობის ხელშეკრულებების შემთხვევებში მომხმარებლის მიერ ვადის დადგენა არასავალდებულოა (Faust JZ 2010, 202; Medicus/Petersen 311-ე ველი „დირექტივის შესაბამისი რედუქცია“).
3. ვადის უშედეგო გასვლის შემდგომ კრედიტორს მაინც შეუძლია, მოითხოვოს შესრულება (RegBegr BT-Drucks 14/6040, 185). მხოლოდ ხელშეკრულებიდან

52 Antizipierter Vertragsbruch – მაშინ, როდესაც ხელშეკრულების შესრულების დათქმულ ვადაზე ცხადია, რომ ხელშეკრულების ერთი მხარე მნიშვნელოვან სახელშეკრულებო დარღვევას ჩაიდენს, ან ხელშეკრულება სხვაგვარად ვერ შესრულდება, მეორე მხარეს შეუძლია, მას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გამოუცხადოს; გაეროს ნასყიდობის სამართალი, 72-ე მუხლი.

გასვლის შეტყობინებით (§ 349) წყდება ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, რის შედეგადაც ხელშეკრულება დგება უკუქცევის რეჟიმში.

4. ნორმის მე-5 ნანილი, ნანილობრივი შესრულების ან უმნიშვნელოდ არაჯეროვანი შესრულების შემთხვევებში, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებისთვის იმავე წინაპირობებს აწესებს, რაც მოცემულია § 281-ის პირველი ნანილის მე-2 და მე-3 წინადადებებში შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებისთვის (შდრ. იხ. § 281-ის მე-12 და მომდევნო ველები). ნორმის მე-5 ნანილის პირველი წინადადებიდან გამომდინარეობს, რომ ნანილობრივი შესრულების დროს, როგორც წესი, შესაძლებელია ნანილობრივ ხელშეკრულებიდან გასვლა. მთლიანი ხელშეკრულებიდან გასვლა მხოლოდ მაშინ არის დაშვებული, როდესაც კრედიტორს დარჩენილი შესრულების ნანილის მიმართ ინტერესი აღარ აქვს. ამისგან განსხვავებით, არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, არ არის შესაძლებელი ხელშეკრულებიდან ნანილობრივი გასვლა; კრედიტორს შეუძლია, მხოლოდ მთლიანი ხელშეკრულებიდან გავიდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა. მაშასადამე, მე-5 ნანილის მე-2 წინადადების თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა სრულიად გამორიცხულია (ე.წ. ნერილიმანი დარღვევის ზღვარი – Bagatellgrenze).

5. ნანილობრივი და არაჯეროვანი შესრულების ერთმანეთისგან გამიჯვნისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხს, რომ § 434-ის მე-3 ნანილისა და § 633-ის მე-2 ნანილის მე-3 წინადადების თანახმად, ნივთის მცირე ოდენობის მიწოდება ნივთის ნაკლთანაა გათანაბრებული. თუ საკითხის ამგვარ გადაწყვეტას § 323-ის მე-5 ნანილის ჭრილში განვიხილავთ (RegBegr 14/6040, 187), მაშინ მე-5 ნანილის პირველი წინადადება არ გამოიყენება და მყიდველის ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობა გადაწყდება § 437-ის № 2-ისა და § 323-ის მე-5 ნანილის მე-2 წინადადებით (ამასთან დაკავშირებით იხ. § 434-ის მე-11 ველი).

6. ვალდებულების დარღვევის უმნიშვნელობის დადგენის განმსაზღვრელი მომენტი არის მხარისათვის ხელშეკრულებიდან გასვლის განცხადების მომენტი. თუმცა, არაკეთილსინდისიერი მოქცევის გამო, § 242-ის საფუძველზე შესაძლებელია, ხელშეკრულებიდან გასვლა გასვლის შესახებ შეტყობინების შემდგომაც გამოირიცხოს, თუ შეტყობინების შემდგომ გამყიდველი, მყიდველის თანხმობით, ნაკლის გამოსასწორებელ სარემონტო სამუშაოებს წარმატებით გასწევს და ნაკლს აღმოფხვრის (BGH NJW 2009, 508 Nr 19, 23). მოვალის მიერ კრედიტორის წინასწარ განზრახული მოტყუების შემთხვევაში, ვალდებულების დარღვევა, როგორც წესი, ყოველთვის მნიშვნელოვნად ითვლება (BGH NJW 2006, 1960).

7. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამორიცხვის ორი შემადგენლობა მოცემულია ნორმის მე-6 ნანილში: **ა)** პირველი შემთხვევა ეხება შემადგენლობას, სადაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველზე **პასუხისმგებელია** მხოლოდ ან უმეტესწილად კრედიტორი. შესაბამისად, ამ შემთხვევაში უსამართლო იქნებოდა, კრედიტორს ხელშეკრულებიდან გასვლა რომ შესძლებოდა და მოვალე სახელშეკრულებო უფლებებისა და ვალდებულებების გარეშე დარჩენილიყო (*Medicus/Lorenz SchR I, 444-ე ველი*). ნორმის მე-6 ნანილში ნახსენებ სიტყვაში – „უმეტესწილად“ – იგულისხმება თანაბრალეულობის ხარისხი, რომელიც, § 254-ის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასაც კი გამორიცხავს (RegBegr BT-Drucks 14/6040, 187). ამ შემთხვევაში შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (შდრ. § 281-ის მე-3 ველი) და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზება ერთნაირად გადაწყდებოდა; **ბ)** ნორმის მე-6 ნანილში განსაზღვრულ, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამორიცხვის მე-2 შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი დგება **კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილებისას**. ეს საფუძველი კი მოვალის მიერ არ არის გამოწვეული (შდრ. § 293-ის შესავალი, მე-2 და მომდევნო ველები). ამ შემთხვევაში, გამართლებულია, კრედიტორზე, რომელიც

არ იღებს შესრულებას, გადავიდეს დარჩენილი შესრულების რისკი, ვინაიდან მის მიერ შესრულების არმიღება რომ არა, მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა.

- 8 **6.** § 218-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, შესრულების ან დამატებითი შესრულების მოთხოვნის **ხანდაზმულობა ხელშეკრულებიდან გასვლის არანამდვილობას** იწვევს მაშინ, როდესაც მოვალე ხანდაზმულობაზე უთითებს. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება აღმჭურველ უფლებებს მიეკუთვნება და მასზე ხანდაზმულობა არ უნდა ვრცელდებოდეს (შდრ. § 194-ის პირველი ნაწილი: საუბარია მხოლოდ მოთხოვნების ხანდაზმულობაზე). თუმცა, ვინაიდან ხანდაზმულობის დადგომით შესრულების (ან დამატებითი შესრულების) მოთხოვნა ისედაც ვერ განხორციელდება, მიზანშეწონილია, ხანდაზმულობა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზეც გავრცელდეს (RegBegr BT-Drucks 14/6040, 124).
- 9 **7.** ხელშეკრულებიდან გასვლის **სამართლებრივ შედეგებთან** დაკავშირებით იხილეთ § 346-ის მე-3 და მომდევნო ველები.

§ 324. ხელშეკრულებაზე უარის თქმა § 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო

თუ **ორმხრივი ხელშეკრულების მოვალე არღვევს § 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ მას აღარ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების შენარჩუნება.**

- 1 **1.** ნორმის **გამოყენების სფეროში** ხვდება მხოლოდ § 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გულისხმიერების ვალდებულებების დარღვევა. § 324 შეესაბამება ზიანის ანაზღაურების შესახებ § 282-ის რეგულირებას. შესაბამისად, დამატებითი ვალდებულების დარღვევა, როგორც არაჯეროვანი შესრულება, § 323-ის რეგულირების ქვეშ არის მოქცეული (RegBegr BT-Drucks 14/6040, 184).
- 2 **2.** § 324 არ შეიცავს § 323-ის მე-6 ნაწილის მსგავს რეგულირებას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა **ხელშეკრულებიდან გასვლის გამორიცხვა**. ის, რომ კრედიტორი შესრულების მიღების ვადის გადაცილებაში იმყოფებოდა, დამატებითი (გულისხმიერების) ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში უმნიშვნელოა. კრედიტორის თანაბრალეულობა სამართლებრივი სიკეთის დაცვის (გულისხმიერების) ვალდებულების დარღვევისას შესაძლებელია იმ საკითხთან კავშირში შემოწმდეს, თუ რამდენად არ შეიძლება მოეთხოვოს მას (მისი დარღვევის გათვალისწინებით) ხელშეკრულებაში დარჩენა (RA BT-Drucks 14/7052, 193).

§ 325. ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებაზე უარის თქმა

ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ გამორიცხავს ხელშეკრულებაზე უარის თქმას.

- 1 **1.** ნორმა ადგენს **ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების** კუმულაციური (ერთდროული) განხორციელების შესაძლებლობას. ამით თავიდან უნდა იქნეს აცილებული ხელშეკრულებიდან გასვლით კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კუთხით. მაშასადამე, კრედიტორს შეუძლია, არა მხოლოდ, ხელშეკრულებიდან გავიდეს (მიუხედავად ხელშეკრულებიდან გასვლის აღმჭურველი მოქმედებისა; შდრ. § 346-ის მე-3 ველი) და შემდგომ ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, არამედ მას შეუძლია, ორივე ერთდროულად განახორციელოს. მოთხოვნათა თანადროული განხორციელება უპრობლემოდ არის შესაძლებელი, ვინაიდან შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების (§§ 281, 282) და ხელშეკრულებიდან გასვლის შემადგენლობები (§§ 323, 324) ერთმანეთს ემთხვევა, მხოლოდ ერთი გამონაკლისით: ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა არ არის ბრალეულობა (შდრ. იხ. § 323-326-ის შესავლის ველი 2).

2. ორმხრივი ხელშეკრულების დროს **ასანაზღაურებელი ზიანის დადგენისას** მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, შეუძლია თუ არა კრედიტორს საკუთარი შესრულების შენარჩუნება. ამისგან განსხვავებით, მცირე და სრული ზიანის ანაზღაურებისას (იხ. § 281-ის მე-5 ველი) ყურადსაღებია ის, იტოვებს თუ არა კრედიტორი მოვალის არასრულ, ან ნაკლოვან შესრულებას.

ა) კრედიტორს შეუძლია, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ე.წ. **სხვაობათა (დიფერენცის) თეორიის** თანახმად. ამ თეორიის მიხედვით, მისი შესრულება, რომელსაც იგი ინარჩუნებს, არის ზიანის დასაანგარიშებელი ნიშნული: სხვაობა კრედიტორის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ღირებულებასა (რომელსაც იგი ინარჩუნებს, არ ასრულებს) და მოვალის შეუსრულებელ ან არაჯეროვნად შესრულებულ ვალდებულებას შორის. ასევე, შესაძლებელია, მოთხოვნილ იქნეს დამატებით ნარმოშობილი ზიანი და მიუღებელი შემოსავალი. თუ კრედიტორმა საკუთარი ვალდებულება უკვე შეასრულა, მაშინ მისი ზიანის დათვლა სხვაობათა მეთოდის მიხედვით მაშინ მოხდება, როდესაც იგი ხელშეკრულებიდან გავა და საკუთარ შესრულებას უკან მოითხოვს.

ბ) გარდა ზემოაღნიშნულისა, კრედიტორს, არჩევანის სახით, აქვს სახელშეკრულებო უფლება (*Palandt/Grüneberg*, § 281 მე-20 და მომდევნო ველები), შეასრულოს საკუთარი ვალდებულება, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის მიუხედავად, და ზიანის ანაზღაურება **სუროგაციის თეორიის** თანახმად მოითხოვოს. ამ შემთხვევაში, ზიანის თანხას შეადგენს შეუსრულებელი, ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების კომპენსაცია (სუროგატი), რომელიც მოვალემ უნდა აანაზღაუროს შეთანხმებული ვალდებულების ღირებულების სრული ოდენობით, ასევე, დამატებით ნარმოშობილი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის სახით. ცხადია, რომ ზიანის დადგენის ამ სახეობის გამოყენება მაშინაა შესაძლებელი, როდესაც კრედიტორი ხელშეკრულებიდან არ გადის. თუ ის საკუთარ შესრულებას ხელშეკრულებიდან გასვლით უკან ითხოვს, მაშინ მას არ შეუძლია, იმავდროულად, სუროგაციის თეორიის თანახმად, მოითხოვოს მოვალის საპირისპირო შესრულების სრული ეკვივალენტი (*Canaris JZ 2001, 514*).

§ 326. საპასუხო დაკმაყოფილებისაგან გათავისუფლება და ხელშეკრულებაზე უარის თქმა

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში

(1) ¹თუ მოვალეს, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია, უარი თქვას შესრულებაზე, მაშინ გამოირიცხება საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებაც; ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება § 441-ის მე-3 ნაწილი. ²პირველი წინადადება არ მოქმედებს, თუ მოვალეს, ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია, უარი თქვას დამატებით შესრულებაზე.

(2) ¹თუ კრედიტორი იმ გარემოებისათვის, რომლის საფუძველზეც მოვალეს, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მხოლოდ ის ან უმეტესწილად თავად არის პასუხისმგებელი, ან/და თუ ის გარემოება, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, შეიქმნა კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების დროს, მაშინ მოვალე ინარჩუნებს საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებას. ²თუმცა, მან უნდა დაუშვას იმ თანხის თავის ანგარიშში ჩათვლა, რომელსაც იგი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების შედეგად ზოგავს, ან საკუთარი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენების შედეგად იძენს, ან/და ბოროტი განზრახვით არ იძენს.

(3) ¹თუ კრედიტორი, § 285-ის თანახმად, ითხოვს ვალდებულების საგნისათვის მიღებული საზღაურის გადაცემას, ან საზღაურის მოთხოვნის დათმობას, მაშინ იგი რჩება ვალდებული საპასუხო დაკმაყოფილებაზე. ²თუმცა, ეს უკანასკნელი

მცირდება იმდენად, რამდენადაც საზღაურის ღირებულება ან საზღაურის მოთხოვნის უფლება, § 441-ის მე-3 ნაწილის თანახმად, რჩება ნაკისრი ვალდებულების შესრულების ღირებულებაზე ნაკლები.

(4) იმდენად, რამდენადაც, წინამდებარე ნორმის თანახმად, სრულდება ისეთი საპასუხო დაკმაყოფილება, რომელიც არ ყოფილა ნაკისრი, რაც შესრულებულ იქნა, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უკან, §§ 346-348-ის მიხედვით.

(5) თუ მოვალეს, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე; ხელშეკრულებიდან გასვლასთან მიმართებით შესაბამისად გამოიყენება § 323, იმ პირობით, რომ ვადის განსაზღვრა ზედმეტია.

1. 1. ნორმა არეგულირებს, ორმხრივი ხელშეკრულებების შემთხვევებში, § 275-ის მიხედვით დამდგარი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შედეგებს. მაშასადამე, იგი მოქმედებს (ისევე როგორც § 275) ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ყველა შემთხვევაზე: სანყისა თუ შემდგომზე, ბრალეულსა თუ არაბრალეულ შეუძლებლობაზე.
2. 2. როგორც წესი, კრედიტორი კანონის ძალით თავისუფლდება საპირისპირო შესრულების ვალდებულებისგან (ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების პირველი ნაწილი). იმ შემთხვევაში კი, თუ კრედიტორის მოთხოვნას § 275-ის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრული შესაგებელი უპირისპირდება, მაშინ აღნიშნული შესაგებელი მოვალის მიერ უნდა იყოს აღძრული. მხოლოდ მაშინ თავისუფლდება იგი ვალდებულებისგან. § 275-ის მე-2 და მე-3 ნაწილები, ამავე ნორმის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს მოვალის ვალდებულებისაგან ე.წ. „ავტომატურ“ გათავისუფლებას. უკვე განხორციელებული საპასუხო შესრულების (დაკმაყოფილების) უკან გამოთხოვისთვის ნორმის მე-4 ნაწილი უთითებს §§ 346-348-ის ხელშეკრულებიდან გასვლის ნორმებზე. მე-5 ნაწილის მიხედვით, კრედიტორს უფლება აქვს, ვადის განსაზღვრის (რაც შეუძლებლობის შემთხვევაში არაგონივრულია) გარეშე გავიდეს ხელშეკრულებიდან. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს § 323-ის მე-5 ნაწილის დამატებით წინაპირობებსა და § 323-ის მე-6 ნაწილის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამორიცხვის საფუძვლებს. კრედიტორი საპასუხო ვალდებულებისაგან თავისუფლდება არა ხელშეკრულებიდან გასვლით, არამედ, როგორც წესი, კანონის ძალით (გამონაკლისია ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).
 - ა) ვალდებულების შესრულების ნაწილობრივი შეუძლებლობის შემთხვევაში, კრედიტორი ნაწილობრივ თავისუფლდება საპასუხო შესრულების ვალდებულებისგან. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 ნაწილის თანახმად, საპასუხო შესრულების ვალდებულება მცირდება § 441-ის მე-3 ნაწილის შესაბამისი გამოყენებით; ბ) თუ არაჯეროვანი შესრულების შემდგომ წარმოშობილი ვალდებულების დამატებითი შესრულების განხორციელება შეუძლებელი გახდა (მდრ. §§ 439, 635), მაშინ ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, კრედიტორი კანონის ძალით არ თავისუფლდება საპასუხო შესრულების ვალდებულებისგან პირველი წინადადების შესაბამისად, რათა მყიდველმა § 437-ის № 2-ში მიცემული არჩევანის უფლება შეინარჩუნოს (გააკეთოს არჩევანი ხელშეკრულებიდან გასვლასა და ფასის შემცირებას შორის). იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი გათავისუფლდებოდა საპასუხო შესრულებისგან, ფასის შემცირების მოთხოვნა სამართლებრივად ველარ განხორციელდებოდა. თუმცა, ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია, ხელშეკრულებიდან გასვლით, § 437-ის № 2-ისა და § 326-ის მე-5 ნაწილის თანახმად, ვალდებულებისგან თავი გაითავისუფლოს. ამ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს § 323-ის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადების პირობა, ანუ სახეზე უნდა იყოს ვალდებულების არსებითი დარღვევა.

3. ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები შეიცავენ საპირისპირო შესრულებისგან გათავისუფლების **გამონაკლის შემთხვევებს. ა) ა) ნორმის მე-2 ნაწილი** ასახელებს იმავე წინაპირობებს, რომლებიც ხელშეკრულებიდან გასვლის გამორიცხვას (დამატებით იხ. § 323 ველი 4) უდევს საფუძვლად ვალდებულების შესრულების დაგვიანებისას, ან არაჯეროვანი შესრულებისას (§ 323-ის მე-6 ნაწილი). ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, § 275-ის შესაბამისად, ვალდებულებისგან განთავისუფლებული მოვალე ინარჩუნებს საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლებას. აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც ვალდებულების საგნის შემთხვევითი განადგურებისას საპასუხო შესრულების განხორციელების რისკი ეკისრება ვადაგადაცილებაში მყოფ კრედიტორს (იხ. § 300-ის მე-3 ველი). თუმცა, მოვალეს უნდა გაექვითოს მოთხოვნის ოდენობიდან ის დანაზოგი, რაც მან ვალდებულებისგან გათავისუფლების შედეგად მიიღო (მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება). დამატებით გამონაკლის შემთხვევებს შეიცავენ §§ 446, 447, 615 და 644; **ბ) ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად**, კრედიტორი საპასუხო შესრულებაზე ვალდებული რჩება მაშინ, როდესაც იგი, § 285-ის თანახმად, მოვალეს სთხოვს ანაზღაურების (*stellvertretende commodum*) გადმოცემას. თუ გადმოსაცემი ანაზღაურება ნაკლები ღირებულებისაა, ვიდრე მოვალის მიერ განსახორციელებელი შესრულება, მაშინ, § 441-ის მე-3 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, კრედიტორს საპასუხო შესრულების ვალდებულება უმცირდება.

4. **ორივე მხარის მიერ გამოწვეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევა** არ არის დარეგულირებული § 326-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებით. ნორმის ტექსტში გამოყენებულ სიტყვაში „უმეტესწილად“ იგულისხმება მხოლოდ თანაბრალეულობის ხარისხი, რომელიც § 254-ის მიხედვით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასაც კი გამორიცხავს (*RegBegr BT-Drucks 14/6040, 187*). მაშასადამე, საკითხის გადაწყვეტა მინდობილია სასამართლო პრაქტიკასა და მეცნიერებაზე. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში ბევრია სადავო. საკითხის გადაწყვეტისას უნდა დავეყრდნოთ შეუძლებელი ვალდებულების კრედიტორის სამართლებრივ მდგომარეობას. ამ უკანასკნელს, §§ 280-ის მე-3 ნაწილისა და 283-ის ან § 311-ს მე-2 ნაწილის თანახმად, ენიჭება შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც, § 254-ის მიხედვით, მისი თანაბრალეულობის წილის შესაბამისად მცირდება. § 326-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოვალის საპასუხო შესრულებაზე მოთხოვნა გამოირიცხება. თუმცა, ამ მოთხოვნის დაკარგვა მოვალისთვის არის ზიანი, რომელიც კრედიტორმა გულისხმიერების ვალდებულების დარღვევით (§ 241-ის მე-2 ნაწილი, მეორე მხარის ქონების დაზიანების აკრძალვა) გამოიწვია. შესაბამისად, მოვალეს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, § 280-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, რომელიც ისევ და ისევ § 254-ის მიხედვით, მისი თანაბრალეულობის წილის შესაბამისად, ექვემდებარება შემცირებას (*Canaris FS E Lorenz [2004] 147, 158*). სხვა მოსაზრების მიხედვით, არსებობს საკითხის გადაწყვეტის შემდეგნაირი გზა: § 326-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ძალაში უნდა დარჩეს მოვალის საპასუხო მოთხოვნა, თუმცა, § 254-ის მიხედვით შემცირებული ფორმით. მიუხედავად საკითხისადმი განსხვავებული მიდგომებისა, შედეგთან დაკავშირებით ყველა მოსაზრება ერთიანია, კერძოდ, ორივე მხარეს უნდა შეუმცირდეს მოთხოვნა თანაბრალეულობის წილის შესაბამისად (*Palandt-Grüneberg, მე-15 ველი*). ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევებში, რომლებიც არ არიან მოგებაზე ორიენტირებულნი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ოდენობა დგინდება § 254-იდან გამომდინარე. მაგ (*Canaris aaO 163f*): თუ მყიდველმა „მ“-მ „გ“-სგან 10 ევროს ღირებულების ნივთი 10 ევროდ შეიძინა და თუ ეს ნივთი „მ“-სა და „გ“-ს თანაბარი ბრალეულობით განადგურდა, მაშინ თითოეულ მათგანს 10 ევროს ზიანი 5 ევროს ოდენობით დაეკისრება. ეს უფრო კონკრეტულად ნიშნავს შემდეგს: სხვაობათა და სუროგაციის

თეორიებისგან დამოუკიდებლად, § 283-იდან გამომდინარე, „მ“-ს მოთხოვნა „გ“-ს მიმართ ეკონომიკური თვალსაზრისით 0-ის ტოლია, ვინაიდან მყიდველისთვის ნივთის დაკარგვის საპირისპიროდ დგას დაზოგილი (გადაუხდელი) ნასყიდობის ფასი. მაშინ, როდესაც, §§ 280-ის პირველი ნაწილისა და 254-იდან გამომდინარე, „გ“-ს მოთხოვნა მიმართულია § 326-ის პირველი ნაწილით შემცირებულ ნასყიდობის ფასის ნახევარზე. ვინაიდან „მ“-მ „გ“-ს ნაშთი, 5 ევრო უნდა აუნაზღაუროს, ორივე მხარეს წარმოემობა დანაკარგი 5 ევროს ოდენობით. ისეთი ხელშეკრულებების დროს, რომლებსაც კრედიტორისთვის ან მოვალისთვის მოგება მოაქვთ, ზიანის დადგენა შედარებით რთულია. ამ შემთხვევაში დაანგარიშება უნდა მოხდეს დიფერენციისა და სუროგაციის თეორიების მიხედვით (რაც სადავოა). მოვალის ხელშეკრულებით მისაღები მოგების დროს სუროგაციის მეთოდი საჭიროებს შეფასებით კორექტიურას, რათა მხარეების მიერ გამოწვეული მთლიანი ზიანი ფაქტობრივად მათი ბრალეულობის წილთან შესაბამისობაში იყოს (დამატებით იხ. *Canaris aaO 169*).

5. 5. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო უშვებს § 326-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების რეგულირების მოქმედების სფეროდან გადახვევას იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულების მხარეები ერთობლივად და შეგნებულად გამოიწვევენ შესრულების ობიექტურ შეუძლებლობას. მაშინ, როდესაც სახეზე იყო მხარეთა ნება, დამკვეთმა (მაგ. მკითხავის კლიენტმა), §§ 275-ის პირველი ნაწილისა და 326-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების რეგულირების საწინააღმდეგოდ, უნდა გადაიხადოს უაზრო შესრულებისთვის, თუ, § 138-ის მიხედვით, ხელშეკრულება არ არის ბათილი ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამობის გამო (*BGH NJW 2011, 756*). როგორც წესი, მხარეებს შეუძლიათ, ხელშეკრულებით შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების დადებისას კრედიტორი (და არა მოვალე) პასუხისმგებლობას იღებს ვალდებულების განხორციელების ხელშემშლელი მოსალოდნელი ფაქტორის დადგომის საფრთხეზე. თუმცა, ასეთი შეთანხმება ვერ შედგება, თუ სახელშეკრულებო რისკის გადანაწილება მხოლოდ მაშინ შეთანხმდება, როდესაც ორივე მხარე ხელშეკრულების დადებისას არ არის დარწმუნებული, ვალდებულება საერთოდ შესრულდება თუ არა. მომავლის განჭვრეტა, როგორც მხარეებმა დანამდვილებით იციან, შეუძლებელია (*Bartels ZJS 2011, 106, 107*). ამიტომ, §§ 275-ის პირველი ნაწილის, 326-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების კანონის შესაბამისი გამოყენებისას არ უნდა იქნეს გადახდილი საზღაური (მაგ., მესამე პირზე „პარაფსიქოლოგიური“ ზემოქმედების მოხდენის ვალდებულებისთვის). ნათელმზილველის კლიენტს უფლება აქვს, უკვე განხორციელებული შესრულება, §§ 346-ის პირველი ნაწილისა და 326-ის მე-4 ნაწილის თანახმად, უკან დაიბრუნოს. თუმცა, ობიექტურად შეუძლებლად არ ჩაითვლება ვალდებულება, რომლითაც ერთი პირი მეორეს მხოლოდ სიამოვნების მინიჭებისთვის უმკითხავენებს (მაგ., გასართობ პარკში ან კარნავალზე).

§ 327. (გაუქმებულია)

კარი 3. ვალდებულების შეპირება მესამე პირის სასარგებლოდ

§ 328-ის შესავალი

I. ზოგადი მიმოხილვა

1. 1. **შემადგენლობა.** § 328-სა და მის მომდევნო ნორმებში რეგულირებულია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც კრედიტორის სახელშეკრულებო უფლებების გადანაწილება ხდება ორ პირზე. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით, კრედიტორი და მოვალე მესამე

პირს ანიჭებენ მოთხოვნის უფლებას. კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ მესამე პირისადმი მინიჭებული მოთხოვნის შესრულება (შდრ. § 335). მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების დასადებად მესამე პირის თანხმობა (თანამონაწილეობა) არ არის საჭირო, ვინაიდან შეძენილი მოთხოვნის უფლება მისთვის ქონების დამატებით ზრდას ნიშნავს. თუმცა, მას შეუძლია, ამ უფლებაზე უარი თქვას (§ 333). მაშასადამე, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება არ არის ისეთი ხელშეკრულებების სახეობა, როგორებიცაა, მაგალითად: ნასყიდობა, ქირავნობა ან ჩუქება, არამედ მისი წინაპირობას წარმოადგენს ერთ-ერთი ასეთი ხელშეკრულების (ძირითადი ხელშეკრულების) არსებობა.

2. მიზანი. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მიზანი ხშირად არის მესამე პირის სხვადასხვაგვარი უზრუნველყოფა. მაგ.: კრედიტორის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის მინიჭება მესამე პირისათვის (შდრ. იხ. § 330-ის პირველი წინადადება). ამასთან ერთად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება შესაძლოა, ემსახურობდეს ვალდებულების განხორციელების პროცედურის გამარტივებას: იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორს მესამე პირის წინაშე რაიმე ვალდებულება აქვს შესასრულებელი, რომლის მოთხოვნის უფლებაც მას თავისი მოვალისგან აქვს, მას შეუძლია, შესრულების მიზნით, მესამე პირს დაუთმოს ეს მოთხოვნა (§ 398), ან, § 328-ის თანახმად, მიანიჭოს მას მოთხოვნის უფლება.

3. სამი პირის ურთიერთობა. მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში გაერთიანებულია კრედიტორს, მოვალესა და მესამე პირს შორის არსებული სხვადასხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობები. კერძოდ:

ა) პროპორციულ ურთიერთობა (Deckungsverhältnis) ეწოდება ძირითად ხელშეკრულებას (მაგ., ნასყიდობა ან ქირავნობა), კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას. სწორედ ამ ძირითად ხელშეკრულებასთანაა დაკავშირებული მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება: მოვალე ჰპირდება კრედიტორს, ძირითადი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას მესამე პირის სასარგებლოდ. შესაბამისად, მოვალეს ეწოდება **შემპირებელი**, ხოლო კრედიტორს – **შეპირების მიმღები**. ასეთ ურთიერთობას პროპორციული ეწოდება იმიტომ, რომ შემპირებელი მესამე პირის მიმართ ახორციელებს ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების პროპორციულ შესრულებას.

ბ) სამართლებრივი ურთიერთობა შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის (Valutaverhältnis). ამ ურთიერთობიდან გამომდინარეობს, თუ რატომ ანიჭებს შეპირების მიმღები მოთხოვნის უფლებას მესამე პირს და აქვს თუ არა მესამე პირს ამ მინიჭებული მოთხოვნის უფლების შენარჩუნების უფლება (დამატ. იხ. ქვემოთ, მე-13 და მომდევნო ველები). ხშირ შემთხვევაში, ასეთი ურთიერთობა ჩუქებით გამოიხატება. თუმცა, შესაძლებელია, რომ სახეზე იყოს კანონისმიერი ვალდებულების შესრულების შემთხვევა (მაგ.: მატერიალური უზრუნველყოფა, რჩენა, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში შეპირების მიმღების მიერ მიღებულის დაბრუნების ვალდებულება – § 667), ან, უბრალოდ, საქმე ეხებოდეს სხვა ხელშეკრულების მოქნილ განხორციელებას.

გ) როგორც წესი, მესამე პირსა და შემპირებელს შორის არსებულ შესრულების ურთიერთობაში არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, მისი საფუძველი, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით, შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის მესამე პირისთვის მინიჭებული მოთხოვნის უფლებაა. თუმცა, მესამე პირსა და შემპირებელს შორის მაინც წარმოიშობა, § 241-ის მე-2 ნაწილით გულისხმიერების ვალდებულებებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მსგავსი, ნდობაზე დამყარებული (პასუხისმგებლობის წარმომშობი) ურთიერთობა.

- 7 **4. გამოყენების სფერო.** ვალდებულების ზოგად ნაწილში სისტემური განლაგებისა და § 328-ისა და მომდევნო ნორმების ფორმულირებებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ როგორც **ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება** (გავრცელებული მოსაზრება, შდრ. *Palandt/Grüneberg*, მე-8 და მომდევნო ველები). ის, რომ მესამე პირის თანხმობისა და თანამოქმედების გარეშე დაუშვებელია მისი მავალდებულებელი ხელშეკრულების დადება, გამომდინარეობს კერძო ავტონომიის პრინციპიდან (შდრ. ასევე ზემოთ, ველი 1). მესამე პირს რომ შეძლებოდა, საკუთარი ვალდებულების წარმოსაშობად ხელშეკრულების დამდებისთვის უფლებამოსილება მიენიჭებინა (ე.წ. **ვალდებულების კისრების უფლებამოსილების მინიჭება**, § 185-ის პირველი ნაწილის მიხედვით, განკარგვაზე უფლებამოსილების მინიჭების პარალელურად), მაშინ აღარ იმოქმედებდა § 164-ის მე-2 ნაწილი.

II. გამიჯვნა

- 8 **1. § 328 და მისი მომდევნო პარაგრაფები შეეხება მხოლოდ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ნამდვილ (სრულ) ხელშეკრულებას (echter Vzd), რომლის დროსაც მესამე პირი იქნეს საკუთარი მოთხოვნის უფლებას შემპირებული პირის მიმართ. განსხვავებული ვითარებაა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული არასრული ხელშეკრულების დროს (unechter Vzd). აქ შემპირებული ვალდებულია მხოლოდ შეპირების მიმდების წინაშე, მესამე პირისთვის შეასრულოს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება. თუ როგორი სახის ხელშეკრულება არის მოცემული კონკრეტულ შემთხვევაში, სრული თუ არასრული, დგინდება ხელშეკრულების განმარტებით, ხელშეკრულების მიზნის გათვალისწინებით (§ 328-ის მე-2 ნაწილი). მესამე პირის სასარგებლოდ დადებული არასრული ხელშეკრულების ტიპიური მაგალითია ვალდებულების შესრულების საკუთარ თავზე აღება (§ 329), რომლის დროსაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას მეორე მხარის წინაშე, რომ იგი მის კრედიტორს დააკმაყოფილებს. ასევე, უმნიშვნელოვანესი მაგალითია ის შემთხვევა, როდესაც კრედიტორი ვალის გადაკისრებას არ იწონებს § 415-ის მე-3 ნაწილით (დამატებით იხ. 415-ის მე-3 ველი). ამისგან განსხვავებით, სიცოცხლის დაზღვევის ან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებები, რომლებიც მესამე პირის სასარგებლოდ იდება, სრულ ხელშეკრულებებად ითვლებიან (§ 330). მათი განხორციელება ხდება მხოლოდ მესამე პირის მიერ საკუთარი მოთხოვნის უფლების გამოყენებით.**
- 9 **2. სასამართლო პრაქტიკის მიერ განვითარებული ინსტიტუტის მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მხოლოდ კრედიტორს აქვს ძირითადი ვალდებულების მოთხოვნის უფლება. მესამე პირები მხოლოდ სახელშეკრულებო დაცვის სფეროში არიან ჩართულნი ისე, რომ სახელშეკრულებო გულმოდგინებისა და მზრუნველობის ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ისინი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას იქნენ უცხო ხელშეკრულებიდან. მესამე პირის ინტერესის დაცვით დადებული ხელშეკრულება იწვევს პასუხისმგებლობის გაფართოებას. ამასთან დაკავშირებით იხილეთ § 249-ის შესავლის 22-ე ველი.**

III. მესამე პირის მოთხოვნის წინაპირობები

- 10 **1. პროპორციულ ურთიერთობაში (Deckungsverhältnis)** აუცილებელია, რომ მოცემული იყოს **ნამდვილი ძირითადი ხელშეკრულება** (შდრ. ზემოთ, პირველი, მე-4 ველები), ვინაიდან მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება მესამე პირს გადასცემს მხოლოდ ამ ხელშეკრულებიდან (მაგ., ნასყიდობა) გამომდინარე მოთხოვნის უფლებას. შესაბამისად, შემპირებელს შეუძლია, ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლები წარუდგინოს მესამე პირსაც (§ 334, დამატებით ქვემოთ, მე-14 ველი). ამისგან განსხვავებით, მესამე პირსა და შეპირების

ნანილი 3. ხელშეკრულებებიდან
გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობები

§ 328-ის შესავალი

მიმღებს შორის არსებული ურთიერთობის ნამდვილობა მესამე პირის მოთხოვნის უფლებისთვის უმნიშვნელოა (შდრ. ზემოთ, მე-5 ველი).

2. მოცემული უნდა იყოს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სრული ხელშეკრულება (შდრ. ზემოთ, მე-8 ველი). 11

3. მესამე პირს არ უნდა ჰქონდეს, § 333-ის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე უარი გაცხადებული. 12

IV. ვალდებულების დარღვევა

ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კრედიტორისადმი მინიჭებული უფლებამოსილების გადანაწილება შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის სირთულეებს ქმნის, ვინაიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში რთული გასარკვევია, ვის წინააღმდეგ უნდა განახორციელოს შემპირებელმა უფლებები და ასევე, ვინ (შეპირების მიმღებმა თუ მესამე პირმა) უნდა განახორციელოს კრედიტორის უფლებები. 13

1. შემპირების სამართლებრივი მდგომარეობა. ვინაიდან მესამე პირის მოთხოვნის უფლება პროპორციული ურთიერთობიდან (Deckungsverhältnis) გამომდინარეობს, შემპირებელს შეუძლია, ძირითადი ხელშეკრულების ყველა შესაგებელი ნარუდგინოს მესამე პირსაც. ამაზე მეტყველებს § 334-ის რეგულირებაც. 14

ა) რაც შეეხება მეორადი მოთხოვნის უფლებებს, შემპირებელს შეუძლია, ისინი ნარუდგინოს მხოლოდ შეპირების მიმღებს პროპორციული ურთიერთობის ფარგლებში (მაგ., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები § 280-ისა და მომდევნო ნორმების მიხედვით). აღმჭურველი უფლებების განხორციელებაც და ნების გამოვლენაც ხდება შეპირების მიმღების მიმართ. მესამე პირს არ ეხება სახელშეკრულებო ვალდებულებები და, მაშასადამე, როგორც წესი, არც მეორადი მოთხოვნებიდან გამომდინარე ვალდებულებები. ამ წესიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც მესამე პირი ვალდებულების შესრულების მიღებისას ვადის გადაცილებაში აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში, მან შეიძლება პასუხი აგოს § 304-ის მიხედვით (სადავოა; ყურადღება მიაქციეთ § 333-ის დანაწესს). გარდა ამისა, მესამე პირმა შესაძლოა პასუხი აგოს შესრულების მიღების დროს სამართლებრივი სიკეთის დაცვისა და გულისხმიერების იმ ვალდებულებათა დარღვევისათვის, რომელიც მას ეკისრება შემპირების წინაშე, ვინაიდან იგი შემპირებელთან ხელშეკრულების მსგავს სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება. 15

ბ) შესრულების დაბრუნებაზე მოთხოვნა. თუ პროპორციულ ურთიერთობაში ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება, სადავოა, აქვს თუ არა შემპირებელს თავისი შესრულების მესამე პირისგან მოთხოვნის უფლება, § 346-ის მიხედვით. ერთი მხრივ, ცხადია, რომ შესრულება, ფაქტობრივად, აღმოჩნდა მესამე პირის ქონების მასაში; მეორე მხრივ, იგი, უბრალოდ, მოთხოვნის მქონეა და, როგორც წესი, მას არ შეეხება რაიმე ვალდებულებები. უნდა აღინიშნოს, რომ აქ ინტერესთა მდგომარეობა იმ შემთხვევის იდენტურია, რომელიც დგება პროპორციული ურთიერთობის ბათილობის დროს. ბათილობის გამო შესრულების უკან გამომხობა ხორციელდება უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ შესრულებათა დაბრუნების ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევასთან დაკავშირებით გამოყენებულ იქნეს ერთიანი საფუძველი (MüKo-Gottwald, § 334 მე-11 ველი). ამასთან დაკავშირებით დანვრილებით იხილეთ § 812-ის 31-ე ველი. 16

2. კრედიტორის უფლებების გადანაწილება. ა) როგორც წესი, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მესამე პირს აქვს ყველა უფლება, რომელიც მისი მოთხოვნის უფლებიდან გამომდინარეობს და მას ეფუძნება. მას შეუძლია, შემპირებელს მოსთხოვოს: ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანი (§ 286); ზიანის 17

ანაზღაურება – §§ 280-ის პირველი და მე-2 ნაწილებით, 286-ით; სანაცვლო სარგებლის (stellvertretende commodum) გადმოცემა (§ 285); დამატებითი შესრულება (§§ 437-ის № 1, 439).

18 ბ) გავრცელებული მოსაზრების თანახმად, შეპირების მიმღებს რჩება ყველა უფლება, რომელიც კრედიტორის მდგომარეობაზე ახდენს გავლენას, როგორცაა, მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლა (§§ 323, 326-ის მე-5 ნაწილი, 437-ის № 2), ან შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება (მაგ. §§ 280-283, 437-ის № 3). თუმცა, შეპირების მიმღების მიერ ამ უფლებების განხორციელება დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მესამე პირს, შესაძლოა, ჩამოერთმეოდა თავისი მოთხოვნის უფლება. განსხვავებული მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ, რომ მესამე პირმა, როგორც შესრულების მოთხოვნის მფლობელმა, თვითონ უნდა განახორციელოს ზემოაღნიშნული უფლებები (დამატებით *MüKo-Gottwald*, § 335 მე-10 ველი).

§ 328. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

(1) ხელშეკრულებით შესაძლებელია, შეთანხმებულ იქნეს ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ ისე, რომ მესამე პირი უშუალოდ იძენს შესრულების მოთხოვნის უფლებას.

(2) სპეციალური დათქმის არარსებობისას, საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან, უნდა დადგინდეს: უფლება მესამე პირმა უნდა შეიძინოს, მესამე პირის უფლება დაუყოვნებლივ წარმოიშობა, თუ მხოლოდ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას; ამავე დროს, ხელშეკრულების მხარეები ინარჩუნებენ თუ არა უფლებას, გააუქმონ ან შეცვალონ მესამე პირის უფლება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.

§ 329. განმარტების წესი ვალდებულების შესრულების კისრებისას

თუ ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს მეორე მხარის კრედიტორი ისე, რომ არ იკისროს ვალი, მაშინ, დავის შემთხვევაში, არ უნდა ჩაითვალოს, რომ კრედიტორმა უშუალოდ მისგან უნდა შეიძინოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება.

§ 330. განმარტების წესი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შემთხვევაში

¹თუ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში სარჩოს გადახდა შეთანხმებულია მესამე პირის მიმართ, დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ მესამე პირმა უშუალოდ უნდა შეიძინოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება. ²ანალოგიური წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც უსასყიდლო შესრულების შემთხვევაში შესრულების მიმღებს ეკისრება მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების ვალდებულება, ან, ქონების მიღების შემთხვევაში, მიმღები პირის მიერ ხდება მესამე პირის წინაშე ვალდებულების შესრულების კისრება კომპენსაციის მიზნით.

§ 331. ვალდებულების შესრულება გარდაცვალების შემდეგ

(1) თუ ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ უნდა განხორციელდეს იმ პირის გარდაცვალების შემდეგ, ვის მიმართაც იგი იქნა შეპირებული, დავის შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ მესამე პირი იძენს უფლებას ვალდებულების შესრულებაზე შესრულების შეპირების მიმღების გარდაცვალებისას.

(2) თუ შესრულების შეპირების მიმღები გარდაიცვლება მესამე პირის დაბადებამდე, მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების ვალდებულება შეიძლება გაუქმდეს, ან შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის განხორციელების უფლება მოსილება სპეციალურად იქნა დათქმული.

გარდაცვალების პირობით დადებული მესამე პირის სასარგებლო ხელშეკრულებით შემპირებული და შეპირების მიმღები (იხ. § 328-ის შესავალი, ველი 4) თანხმდებიან, რომ მესამე პირი შემპირებლის მიმართ მოთხოვნას იძენს შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდგომ (§ 328-ის პირველი ნაწილი). ამის ტიპური მაგალითებია სიცოცხლის დაზღვევისა და დანაზოგის ხელშეკრულებები, რომელთა შემთხვევაშიც მესამე პირი შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდგომ იძენს თანხის ან დანაზოგის მოთხოვნის უფლებას (ამ შემთხვევაში ხშირად „შემპირებლები“ არიან სადაზღვევო კომპანიები ან შემნახველი საღაროები). ნორმის პირველი ნაწილი მესამე პირის მიერ უფლების მოპოვების დროის მომენტის განსაზღვრავად ადგენს განმარტების წესს.

1. შეპირების მიმღებს მოთხოვნის უფლება აქვს **გარდაცვალებამდე**. მას შეუძლია, მოთხოვნის უფლება შემპირებელთან შეთანხმებით ან პროპორციულ ურთიერთობაში შესაბამისი მოლაპარაკებით, (შდრ. § 332) ასევე, ცალმხრივი განსაზღვრებით, რომელიმე სხვა მესამე პირს გადასცეს (თუმცა, ყურადღებაამისაქცევია § 331-ის მე-2 ნაწილი). ამის მაგალითია სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონის § 150, რომლის მიხედვითაც დამზღვევი, კაპიტალდაბანდების პირობით დადებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების⁵³ შემთხვევაში, უფლებამოსილია, მზღვეველის თანხმობის გარეშე განსაზღვროს უფლებამოსილი მესამე პირები.

2. შეპირების მიმღების **გარდაცვალების შემდგომ** მესამე პირი მოიპოვებს შესრულების მოთხოვნის უფლებას. ამ დროს პრობლემები შესაძლოა წარმოიშვას შეპირების მიმღებისა და მესამე პირის ურთიერთობაში, კერძოდ, იმ საკითხთან დაკავშირებით, აქვს თუ არა მესამე პირს შეპირების მიმღების მემკვიდრეებთან მიმართებით მიღებულის შენარჩუნების უფლება. შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ურთიერთობაში ხშირად მოცემულია ჩუქების ხელშეკრულება. თუ გამჩუქებული (შეპირების მიმღები), ჯერ კიდევ თავისი სიცოცხლის პერიოდში, შეჰპირდა მესამე პირს და ეს ნოტარიულად არ დაამონმა, სახეზე იქნება ჩუქების შეპირების ფორმის ნაკლი (სანოტარო წესით დამონმების ვალდებულება – § 518-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). თუმცა, ეს ნაკლი გამოსწორდება შემპირებლის მიერ შეპირებული ვალდებულების შესრულებით (შესრულება, § 518-ის მე-2 ნაწილი). თუ მესამე პირმა არაფერი იცოდა ჩუქების შესახებ, მაშინ მას შემპირებლისგან მიუვა ჩუქების შეთავაზება, რომელზეც აქცეპტი მან უნდა განმარტაციელოს (§§ 130-ის მე-2 ნაწილის და 151-ის, 153-ის მიხედვით. ამგვარად, დამზღვევის მიერ მზღვეველის მიმართ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მესამე პირი ხდება უფლებამოსილი, შეიცავს კონკლუდენტურ დავალებას, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველმა გადასცეს მესამე პირს დამზღვევის უფლების მისთვის მინიჭების შეთავაზება. როგორც

53 კაპიტალდაბანდების პირობით დადებული სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება (Kapitallebensversicherung) არის სადაზღვევო ხელშეკრულება მოქმედების დადგენილი ვადით, რომლის დასრულების შემდგომაც მზღვეველი ვალდებულია, განსაზღვრული თანხის ოდენობა გადაუხადოს ხელშეკრულებაში დასახელებულ უფლებამოსილ პირებს. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში დაგროვებული კაპიტალი შედგება დამზღვევის მიერ შეტანილი სადაზღვევო პრემიებისა და ამ პრემიებისგან მიღებული რენდიტებისგან (შემოსავლებისგან). ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ არის ერთ რომელიმე პირობაზე მიბმული, მაგალითად, დამზღვევის გარდაცვალებაზე. ასეთი ხელშეკრულებები იდება, როგორც წესი, 20-30 წლით და მათი უმთავრესი მიზანია პირის მოხუცებულობის უზრუნველყოფა. ძირითადად, მათ დანაზოგის სახე აქვთ. ისევე, როგორც დანაზოგის დაგროვების შემთხვევაში, დამზღვევი რეგულარულად ახორციელებს სადაზღვევო პრემიების გადახდებს მზღვეველი ორგანიზაციის ანგარიშზე. ამ პრემიების ერთი ნაწილი გამოიყენება მზღვეველის განსაზღვრული ხარჯების დასაფარავად, ხოლო მეორე ნაწილს მზღვეველი აბანდებს საფინანსო ოპერაციებში. აქედან ეკონომიკური მოგების სახით შემოსულ რენდიტებს, დაზოგილ პრემიებთან ერთად, დამზღვევი იღებს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ.

ნესი, ამ დავალების შესრულება ხორციელდება მზღვეველის მიერ უფლებამოსილ პირზე სადაზღვევო თანხის გადახდით. გადახდით ხდება, ამასთანავე, მესამე პირისადმი ჩუქების კონკლუდენტური შეთავაზება, რომელზეც უფლებამოსილ პირს შეუძლია, ფულის მიღებით, ასევე, კონკლუდენტურად განაცხადოს დასტური (BGH NJW 2008, 2702 Nr 21f). მემკვიდრეებს შეუძლიათ შეთავაზების მესამე პირის მიერ მიღებამდე მისი უკან გამოხმობა (არგუმენტი: § 130-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, თუმცა, სადავო; შდრ. *Palandt-Grüneberg*, მე-5 ველი).

4 **3.** შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ურთიერთობაში ყურადღება უნდა მიექცეს, ასევე, საკითხს, ხომ არ ხდება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდგომ **მემკვიდრეობით-სამართლებრივი ფორმების უგულებელყოფა** (შდრ. § 2301); ეს კითხვა ჩნდება იმის გამო, რომ შეპირების მიმღების გარდაცვალების შემდგომ მესამე პირი ქონებას იძენს მემკვიდრეობით-სამართლებრივი ფორმით შეძენის მსგავსად. სასამართლო პრაქტიკა (მაგ. BGH 66, 8, 11 და მომდევნო გვერდები; BGH NJW 1984, 480) და გავრცელებული მოსაზრება თავის პოზიციას ასაბუთებს შემდეგნაირად: ისევე, როგორც პროპორციულ ურთიერთობაში გაფორმებული მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ურთიერთობაში მოცემული ჩუქებაც (იხ. ზემოთ) არის ცოცხალ პირებს შორის დადებული გარიგება, რომლებზეც § 2301⁵⁴-ის მოქმედება არ უნდა გავრცელდეს. შეპირების მიმღების გარდაცვალებით მესამე პირი იძენს მისგან შესრულებაზე მოთხოვნის უფლებას და იგი არ იძენს რაიმე უფლებას სამკვიდროდან. შესაბამისად, შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის არსებული ურთიერთობის შეცილება ექვემდებარება ცოცხალ პირებს შორის არსებული გარიგების წესებს (§ 119) და არა შედარებით ნაკლებად მკაცრ § 2078⁵⁵-ის რეგულირებას, რომლის შემთხვევაშიც შეცდომაში შეყვანილი მამკვიდრებელი ასხვისებს ქონებას (BGHZ 157, 79). ეს შეხედულება ლიტერატურაში გავრცელებული ზოგიერთი მოსაზრების ავტორებს ხელოვნურად მიაჩნიათ. ისინი თვლიან, რომ შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის, მესამე პირის მიერ ქონების უსასყიდლოდ მიღების შემთხვევაში, მოცემულია მემკვიდრეობით-სამართლებრივი გარიგება, რომლისთვისაც § 2030-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება⁵⁶ მოქმედებს. შესაბამისად, მესამე პირს შეუძლია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სრული ხელშეკრუ-

54 § 2301. ჩუქების შეპირება საანდერძო განკარგულებით
(1) იმ ჩუქების შეპირების მიმართ, რომელსაც პირი იძლევა იმ პირობით, რომ დასაჩუქრებული ცოცხალი იქნება მჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ, გამოიყენება საანდერძო განკარგულებების მიმართ მოქმედი ნორმები. ანალოგიური წესი მოქმედებს ვალის შეპირების ან ვალის აღიარების მიმართ, რომლებიც ჩუქების სახით ხორციელდება ზემოაღნიშნული პირობით §§ 780, 781-ში მოცემული წესით.

(2) თუ მჩუქებელი ჩუქებას ახორციელებს გადასაცემი საგნის მიწოდებით, მაშინ გამოიყენება ცოცხალ პირთა შორის განხორციელებული ჩუქების მიმართ მოქმედი ნორმები.

55 § 2078. შეცილება შეცდომის ან იძულების გამო
(1) საანდერძო განკარგულება შეიძლება შეცილებულ იქნეს, თუ მამკვიდრებელი ცდებოდა ნების გამოვლენის შინაარსის მხრივ, ან მას საერთოდ არ ჰქონდა განზრახვა ასეთი შინაარსის ნების გამოვლენისა და, სავარაუდოა, რომ საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში იგი ნებას არ გამოავლენდა.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, რამდენადაც მამკვიდრებელი საანდერძო განკარგულების განხორციელებაზე დაიყოლიეს არასწორი წარმოდგენის ან გარემოების დადგომის ან დაუდგომლობის ლოდინის შედეგად, ანდა იგი ამაზე დაიყოლიეს მართლსაწინააღმდეგო იძულებით.
(3) § 122 არ გამოიყენება.

56 § 2030. სამკვიდროს შეძენის სამართლებრივი მდგომარეობა
პირი, რომელიც ხელშეკრულებით იძენს სამკვიდროს მისი მფლობელისაგან, მემკვიდრეებთან ურთიერთობაში უთანაბრდება სამკვიდროს მფლობელს.

ლებით შესრულების მოთხოვნა, მაგრამ მემკვიდრეებთან მიმართებაში მოთხოვნის უფლებას შეინარჩუნებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც დაცული იქნებოდა § 2030-ით განსაზღვრული მემკვიდრეობით-სამართლებრივი ფორმები, ან ჩუქება აღსრულებული იქნებოდა ჯერ კიდევ შეპირების მიმღების სიცოცხლეში (§ 2301-ის მე-2 ნაწილი). სხვა შემთხვევაში, სახეზე იქნებოდა მემკვიდრეობით-სამართლებრივი ფორმების უგულებელყოფა, რაც სამკვიდროს კრედიტორებს ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებდა (ამ მოსაზრებას იზიარებს, მაგ. *Medicus/Peterson*, 396-ე ველი; შდრ. ასევე *Brox/Walker*, 764-ე ველი). გარდაცვალების შემდგომ უფლებამოსილების მინიჭების მსგავს პრობლემებთან დაკავშირებით იხილეთ *Medicus/Peterson* 399-ე ველი.

§ 332. საანდერძო განკარგულების მემკვიდრეობით განხორციელებული შეცვლა უფლების შენარჩუნების შემთხვევაში

თუ შეპირების მიმღები იტოვებს უფლებას, შემპირებლის თანხმობის გარეშე შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი სხვა პირით, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ აღნიშნული შეიძლება მოხდეს ასევე საანდერძო განკარგულებითაც⁵⁷.

§ 333. მესამე პირის მიერ უფლებაზე უარი

თუ მესამე პირი შემპირებლის წინაშე უარს აცხადებს ხელშეკრულებით შეძენილი უფლების მიღებაზე, მაშინ მიიჩნევა, რომ ეს უფლება არ ყოფილა შეძენილი.

§ 334. მოვალის შესაგებელი მესამე პირის მიმართ

ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლის წარდგენის უფლება შემპირებელს გააჩნია, ასევე, მესამე პირის მიმართ.

§ 335. შეპირების მიმღების მოთხოვნის უფლება

თუ ხელშეკრულების მხარეთა ნებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, შეპირების მიმღებს შეუძლია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უკანასკნელს თავად ეკუთვნის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება.

კარი 4. ბე, პირგასამტეხლო

§ 336. ბეს განმარტება

(1) თუ ხელშეკრულების დადებისას რაიმე საგანი გადაეცემა როგორც ბე, მაშინ იგი განიხილება როგორც ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი ნიშანი.

(2) დავის შემთხვევაში ბე არ განიხილება როგორც საჯარიმო თანხა.

§ 337. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში ან მისი დაბრუნება

(1) დავის შემთხვევაში ბე ჩათვლება ბეს მიმცემის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ანგარიშში, ხოლო თუ მისი ჩათვლა ვერ მოხდება, ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

(2) თუ ხელშეკრულება უქმდება, ბე უკან უნდა დაბრუნდეს.

⁵⁷ მესამე პირის მოთხოვნის უფლების გაუქმებისთვის, როგორც წესი, საჭიროა შემპირებელსა და შეპირების მიმღებს შორის ხელშეკრულების გაფორმება. თუმცა, შესაძლებელია, ასევე, რომ შეპირების მიმღებს ხელშეკრულებით მიენიჭოს უფლება, მესამე პირი ცალმხრივად ნების გამოვლენით შეცვალოს ურთიერთობაში. ამ შემთხვევას ეხება § 332, რომელიც მესამე პირის შეცვლას საანდერძო განკარგულებით ითვალისწინებს (მაგ., ანდერძით). მაშასადამე, იგი ასუსტებს იმ წესს, რომელიც მესამე პირის შესაცვლელად შემპირებლისთვის შეტყობინების აუცილებლობას ითვალისწინებს.

§ 338. ბე ვალდებულების შესრულების ისეთი შეუძლებლობის შემთხვევაში, რომლისთვისაც პასუხისმგებელია ბეს მიმცემი

¹თუ ბეს მიმცემის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება ისეთი გარემოების შედეგად, რომლისთვისაც იგი თავად არის პასუხისმგებელი, ან თუ ბეს მიმცემი პასუხისმგებელია ხელშეკრულების გაუქმებისათვის, ბეს მიმღებს შეუძლია დაიტოვოს ბე. ²თუ მიმღები, ვალდებულების შესრულების ნაცვლად, ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, მაშინ დავის შემთხვევაში ბე ჩაითვლება ვალდებულების შესრულების ანგარიშში, ხოლო თუ მისი ჩათვლა შეუძლებელი იქნება, იგი უკან უნდა დაბრუნდეს ზიანის ანაზღაურებისას.

§ 339. პირგასამტეხლოს გადახდა

¹თუ მოვალე პირდება კრედიტორს ფულადი თანხის პირგასამტეხლოს სახით გადახდას მის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მაშინ პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას. ²თუ ნაკისრი ვალდებულების შესრულება მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში, პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას ამ ვალდებულების საწინააღმდეგოდ მოქმედების განხორციელებისას.

§ 340. პირგასამტეხლოს გადახდის შეპირება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის

(1) ¹თუ მოვალემ იკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ნაცვლად. ²თუ კრედიტორი უცხადებს მოვალეს, რომ იგი ითხოვს პირგასამტეხლოს, მაშინ მოთხოვნის უფლება ვალდებულების შესრულებაზე გამოირიცხულია.

(2) ¹თუ კრედიტორს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ეკუთვნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს პირგასამტეხლოს როგორც ზიანის მინიმალური ოდენობის ანაზღაურების გადახდა. ²ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სხვა უფლების რეალიზაცია გამოირიცხული არ არის.

§ 341. პირგასამტეხლოს გადახდის შეპირება ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის

(1) თუ მოვალემ იკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის, განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობისათვის, მაშინ კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულებასთან ერთად.

(2) თუ კრედიტორს ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ეკუთვნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაშინ გამოიყენება § 340-ის მე-2 ნაწილი.

(3) თუ კრედიტორი იღებს შესრულებას, მაშინ მას პირგასამტეხლოს მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან მიღებისას დაიტოვა აღნიშნულზე უფლება.

§ 342. ფულადი პირგასამტეხლოს ალტერნატივა

თუ პირგასამტეხლოს სახით ადგილი აქვს ფულადი თანხის გადახდის ნაცვლად სხვა ვალდებულების შესრულების შეპირებას, მაშინ გამოიყენება §§ 339-341-ის ნორმები; ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამოირიცხულია, თუ კრედიტორი ითხოვს პირგასამტეხლოს გადახდას.

§ 343. პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება

(1) ¹თუ გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, მაშინ იგი მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შემცირდეს სათანადო თანხამდე. ²სათანადოობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კრედიტორის ნებისმიერი ლეგიტიმური და არა მარტო მისი უბრალოდ ქონებრივი ინტერესი. ³პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ მისი ოდენობის შემცირება გამორიცხულია.

(2) ანალოგიური წესი გამოიყენება, აგრეთვე, თუ ვინმე კისრულობს პირგასამტეხლოს გადახდას მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისას გარდა §§ 339, 342-ში მოცემული შემთხვევებისა.

§ 344. სამართლებრივი ძალის არმქონე პირგასამტეხლოს გადახდის შეპირება

თუ კანონი სამართლებრივი ძალის არმქონედ აცხადებს ვალდებულების შესრულების შეპირებას, მაშინ სამართლებრივი ძალის არმქონეა, ასევე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის დადებული პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ შეთანხმება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეებმა იცოდნენ შეპირების სამართლებრივი ძალის არარსებობის შესახებ.

§ 345. მტკიცების ტვირთი

თუ მოვალე სადაოდ ხდის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას იმის მტკიცებით, რომ მან შეასრულა თავისი ვალდებულება, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ვალდებულების შესრულება, თუ ნაკისრი შესრულება არ მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში.

კარი 5. ხელშეკრულებიდან გასვლა; ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან ნივთის უკან დაბრუნების უფლებები სამომხმარებლო ხელშეკრულებებში

**ქვეკარი 1. ხელშეკრულებიდან გასვლა
(ხელშეკრულებაზე უარის თქმა)**

§ 346. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები

(1) თუ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ხელშეკრულებით დათქვა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ან თუ მას აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლება, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მიღებული შესრულება და სარგებელი ექვემდებარება დაბრუნებას.

(2) შესრულების უკან დაბრუნების ნაცვლად, მოვალემ უნდა აანაზღაუროს ღირებულება, თუ

1. დაბრუნება გამორიცხულია მიღებულის ბუნების გამო,
2. მან მიღებული საგანი გამოიყენა, გაასხვისა, უფლებრივად დატვირთა, გადაამუშავა ან გადააკეთა,
3. მიღებული საგანი გაუარესდა ან განადგურდა; თუმცა, სათანადო გამოყენებით გამოწვეული გაუარესება მხედველობაში არ მიიღება.

თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საპასუხო შესრულება, მაშინ ეს უკანასკნელი გამოიყენება საზღაურის თანხის გამოანგარიშების საფუძველად; თუ გადახდილ უნდა იქნეს საზღაური სესხით სარგებლობისათვის, შეიძლება დადასტურებულ იქნეს, რომ სარგებლობის ღირებულება მცირე იყო.

(3) საზღაურის გადახდის ვალდებულება არ არსებობს, თუ

1. ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, გამოაშკარავდა მხოლოდ ამ საგნის გადამუშავების ან გარდაქმნის დროს;
2. საგნის მდგომარეობის გაუარესებისა თუ განადგურებისათვის პასუხისმგებელია კრედიტორი ან ზარალი მაინც დადგებოდა, საგანი რომც დარჩენილიყო კრედიტორთან;
3. ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, საგნის მდგომარეობის გაუარესებას ან განადგურებას ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ მან გამოიჩინა ისეთი მზრუნველობა, რომელსაც იგი ყოველდღიურობაში ჩვეულებრივ იჩენს ხოლმე.

დარჩენილი ზედმეტობა ექვემდებარება დაბრუნებას.

(4) პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის გამო კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს §§ 280-283-ის მიხედვით ზიანის ანაზღაურება.

I. ძირითადი საფუძვლები

1. **1. ცნება და მოქმედების სფერო.** ხელშეკრულებიდან გასვლა არის ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით ვალდებულებითი ურთიერთობის უკუქცევა (შდრ. 349). ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, § 346 და მისი მომდევნო პარაგრაფები ვრცელდება, ერთის მხრივ, ხელშეკრულებით შეთანხმებულ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე (მაგ. პირობადებული საკუთრებით შექენისას მყიდველის მიერ გადახდის ვადის გადაცილება – შდრ. §§ 449-ის მე-2 ნაწილი, 323), ხოლო, მეორეს მხრივ, ეს ნორმები მოქმედებს კანონით განსაზღვრულ, ანუ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერ უფლებაზე, რომელიც მხარეების მიერ ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარეობს (შდრ. §§ 323, 324, 326-ის მე-5 ნაწილი). მასასადამე, § 346 და მისი მომდევნო პარაგრაფები არეგულირებენ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ორივე სახეს, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, §§ 346-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების N 3 და 347-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება ეხებიან მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერ უფლებას, ხოლო § 350-ში საუბარია მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე. § 357-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების შემთხვევებში, ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შესახებ ნორმები შესაბამისად გამოიყენება შესრულების გამოხმობისა და უკან დაბრუნების უფლებებთან მიმართებაში.
2. **2. შემონგების სქემა.** ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების დადგენისას, ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლის არსებობასთან (წინა ველი) ერთად უნდა შემონგდეს, სახეზე ხომ არ არის ხელშეკრულებიდან გასვლის **გამომრიცხავი გარემოება**. ა) ხელშეკრულებიდან გასვლა **გამოირიცხება** კრედიტორის უმეტესწილი პასუხისმგებლობის ან მის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების გამო (§ 323-ის მე-6 ნაწილი). § 218-ის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არანამდვილია, ასევე, შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის შემთხვევებში. ბ) ხელშეკრულებიდან გასვლა არ **გამოირიცხება** მაშინ, როდესაც (ხელშეკრულებიდან გასვლაზე) უფლებამოსილი პირისათვის შეუძლებელია მიღებული საგნის უკან დაბრუნება (მაგ. ამ საგნის განადგურების გამო). ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება მაშინაც არსებობს, როდესაც უფლებამოსილი პირი უკან დაბრუნების შეუძლებლობას თვითონ გამოიწვევს. თუმცა, ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა აანაზღაუროს ღირებულება ან ზიანი ნორმის მე-2 და მე-4 ნაწილების მიხედვით („უკუქცევა ღირებულებათა ანაზღაურებით“ – RegBegr BT-Drucks 14/6040, 194). ვინაიდან, ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია შეთანხმებულ იქნეს ხელშეკრულებითაც, მხარეებს შეუძლიათ, ხელშეკ-

რულებით წინასწარ განსაზღვრონ ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობა იმ შემთხვევებისთვის, როდესაც უფლებამოსილ პირს მიღებული ნივთის უკან დაბრუნება არ შეუძლია.

3. ნორმის პირველი ნაწილიდან ცხადად არ იკვეთება, თუმცა, ხელშეკრულებიდან გასვლის **სამართლებრივი შედეგი** არის **ვალდებულებებისგან განთავისუფლება**, რაც გულისხმობს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტიდან (*ex nunc*) ჯერ კიდევ შეუსრულებელი ძირითადი მოთხოვნები ისპობა, ხოლო უკვე განხორციელებული სანივთო გარიგებები ხელუხლებელი რჩება. გარდა ამისა, ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებმა ერთმანეთს უკან უნდა დაუბრუნონ მიღებული შესრულებები და სარგებელი. მაშასადამე, ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტიდან (*ex nunc*) თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობის ადგილს იკავებს **უკუქცევის შედეგად წარმოშობილი შესრულებათა უკან დაბრუნების ურთიერთობა**, რომელიც რეგულირდება § 346-სა და მომდევნო ნორმებით. უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები § 812 და და მისი შემდგომი პარაგრაფები აქ არ გამოიყენება. თუ მიღებული შესრულების უკან დაბრუნება გამორიცხულია, მაშინ ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარემ უნდა **აანაზღაუროს ღირებულება**. გამოწვევის არის ნორმის მე-3 ნაწილი, რომელიც შეიცავს იმ შემადგენლობებს, რომლებიც გამორიცხავენ ღირებულების ანაზღაურებას. თუმცა, ნორმის მე-3 ნაწილის მე-2 ნაწილად შეიცავს დანაწესს, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებიდან გასულ მხარეს შესაძლოა, დაეკისროს მიღებული გამდიდრების მეორე მხარისთვის გადაცემის ვალდებულება. § 347-ის პირველი ნაწილის თანახმად, შესაძლებელია, ასევე, მოთხოვნილ იქნეს ღირებულების ანაზღაურება მიუღებელი სარგებლისთვის. **მიღებული სარგებლის მოთხოვნა** შესაძლებელია § 347-ის მე-2 ნაწილის პირველი ნაწილადების მიხედვით, ხოლო დანახარჯების ანაზღაურების – § 347-ის მე-2 ნაწილის მე-2 ნაწილადების და § 812-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების გამოყენებით.

II. სარგებელი

1. ნორმის პირველი ნაწილით განსაზღვრულ გადასაცემ სარგებელს, § 100-ის თანახმად, მიეკუთვნება ის სარგებელიც, რომელიც **მიიღება ნივთის გამოყენების შედეგად**. მაგალითად (*RegBegr 14/6040, 193*): ავტომობილის მყიდველმა, რომელიც ერთი წლის შემდგომ ავტომობილის ნაკლის გამო გადის ხელშეკრულებიდან, გამყიდველს ავტომობილთან ერთად უნდა დაუბრუნოს ყველა ის სარგებელი, რაც მან ავტომობილის გამოყენების შედეგად მიიღო. იგივე წესი მოქმედებს იმ მყიდველისთვისაც, რომელიც დამატებითი შესრულების სახით, § 439-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, ახალ ავტომობილს იღებს, ხოლო ნაკლიანს, § 439-ის მე-4 ნაწილისა და § 346-ის თანახმად, უკან აბრუნებს.

2. **სარგებლის ღირებულების დასადგენად** გადამწყვეტია დროის განმავლობაში ნივთის ღირებულების კლების შედარება მისი ფაქტობრივი გამოყენების ხანგრძლივობასა და სრული გამოყენების სავარაუდო ხანგრძლივობასთან, **ე.წ. ღირებულების კონსუმირება** (*BGHZ 115, 47, 54f; შდრ. RA BT-Drucks 14/7052, 193 – 14/6857, 21f*).

3. **ნივთის ღირებულების შემცირება** დასაბრუნებელი სარგებლის ფარგლებში მხოლოდ იმ ოდენობით ექვემდებარება ანაზღაურებას, რა ოდენობითაც მოვალემ გამოყენების შედეგად მიიღო სარგებელი. ამიტომ, ავტომობილის ნასყიდობის შესახებ ზემოხსენებულ მაგალითში (ზემოთ ველი 4) არ გაითვალისწინება ღირებულების კლება, რომელიც დგება ავტომობილის სარგებლობისგან დამოუკიდებლად იმით, რომ ავტომობილი დაიშვება საგზაო მოძრაობაში და ამის გამო “ახლად” ვეღარ განიხილება. იგივე წესი მოქმედებს ბაზარზე ფასის დაცემის გამო

ღირებულების შემცირებასთან მიმართებაში (RegBegr BT-Drucks 14/6040, 193). ღირებულებების ამგვარი კლება შესაძლებელია მხოლოდ ზიანის ანაზღაურებით იქნეს მოთხოვნილი, რაზეც ნორმის მე-4 ნაწილი მიუთითებს (მითითება § 280-სა და მის მომდევნო ნორმებზე).

- 7 **4. მიუღებელი სარგებლისთვის** (რომელიც მხარეს უნდა მიეღო და ბრალეულად არ მიიღო) შესაძლებელია წარმოიშვას ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა § 347-ის პირველი ნაწილის შესაბამისად (შდრ. § 347 ველი 1).

III. ღირებულების ანაზღაურება

- 8 **1.** იმ შემთხვევაში, თუ მიღებული შესრულების უკან დაბრუნება **ნორმის მე-2 ნაწილში მოხსენიებული საფუძვლების** გამო შეუძლებელია, მოვალეს, როგორც წესი, ეკისრება ღირებულების ანაზღაურება. ამ წესიდან გამონაკლისები მოცემულია ნორმის მე-3 ნაწილში. ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 1 ეხება შესრულების ისეთ შემთხვევებს, როდესაც შესრულების დაბრუნება მისი ბუნების გამო შეუძლებელია. შესრულების ასეთი სახეებია, მაგალითად, მომსახურების განწევა ან ნივთით სარგებლობა. ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 2-ში ნახსენებ „გასხვისებასა“ და „დატვირთვაში“ სანივთო გარიგებების გარდა მოიაზრება, ასევე, ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებები (მაგ. გაქირავება), რომლებიც შესრულების უკან დაბრუნებას უშლიან ხელს. თუმცა, **№ 2** არ გამოიყენება, თუ შესრულების უკან დაბრუნება შესაძლებელია. მაგალითად, მაშინ, როდესაც მოვალეს შეუძლია ქირავნობის ხელშეკრულებიდან ნივთის დახსნა (*Jauernig-Stadler* მე-5 ველი) ან დატვირთული ნივთის გათავისუფლება. ამ შემთხვევაში, უკან დაბრუნების ვალდებულება განიხილება ძირითად ვალდებულებად („უკან დაბრუნების ნაცვლად“). **№ 3-ში** ნახსენებ „გაუარესებაში“ არ იგულისხმება წესისამებრ განსაზღვრული მოხმარება, არამედ გადამეტებული მოხმარების შედეგად ნივთის გაუარესება, განსაკუთრებით, მისი სუბსტანციის დაზიანება (RegBegr BT-Drucks 14/6040, 196).

- 9 **2.** ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, **ღირებულების ანაზღაურების დაანგარიშება** უნდა მოხდეს **საპასუხო შესრულების** გათვალისწინებით. ერთ შემთხვევაში, საპასუხო შესრულება ღირებულების ანაზღაურების ადგილს იკავებს (**№ 1-ის** შემთხვევაში, როდესაც შესრულების უკან დაბრუნება მისი ბუნების გამო გამორიცხულია); სხვა შემთხვევაში, იგი მხოლოდ დაანგარიშების ამოსავალი წერტილია (**№ 3-ის** შემთხვევაში, როდესაც მიღებული საგნის მდგომარეობა გაუარესდა). თუ შესრულება ნაკლოვანი იყო, მაშინ ღირებულების ანაზღაურებაც (ისევე, როგორც ფასის შემცირების დროს, იხ. § 441-ის მე-3 ველი) შესაბამისად უნდა შემცირდეს. საპასუხო შესრულების დროს მხარეების მიერ გამოხატული შეფასება, შესაძლებელია, ასევე, ნათლად **გამოკვეთილ ღირებულებათა სხვაობის** დროსაც გადამწყვეტი იყოს, ვინაიდან წარმოშობილი ხელშეშლა მხოლოდ უკუქცევას ეხება და არა კერძო ავტონომიით შეთანხმებულ ანაზღაურების შეთანხმებას (შდრ. ასევე BGH NJW 2009, 1068 Nr 13 და მომდევნო გვერდები). თუ ხელყოფა ეხება თავად ანაზღაურებაზე შეთანხმებას, ვინაიდან § 119-ის მე-2 ნაწილის და § 123-ის წინაპირობებია მოცემული, მაშინ კრედიტორს შესაძლებლობა აქვს, ხელშეკრულების შეცილება წარადგინოს და § 812-ითა და მისი მომდევნო ნორმებით განახორციელოს მოთხოვნები. მაშინ, როდესაც ხელშეკრულებაში საპასუხო შესრულების ვალდებულება არ არის განსაზღვრული, გადამწყვეტია (როგორც § 818-ის მე-2 ნაწილის შემთხვევაში) ობიექტური ღირებულებითი ურთიერთობები (RegBegr BT-Drucks 14/6040, 196). **დანახარჯების ანაზღაურება** შესაძლებელია მხოლოდ § 347-ის მე-2 ნაწილის მიხედვით იქნეს მოთხოვნილი. დანახარჯების ანაზღაურება ამ ნორმაში დანვრილებითაა დარეგულირებული.

3. ა) ნორმის მე-3 ნაწილის ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი შემადგენლობები იწვევს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლებას. ამ შემადგენლობებს შორის **№ 3**, სამართლებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე პრობლემურია. ნივთის მდგომარეობის გაუარესების ან განადგურებისას ორ არაბრალულ მონაწილეს შორის დანაკარგის მიკუთვნების დილემას კანონი წყვეტს ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი პირის სასიკეთოდ, **№ 3**-ის რეგულირებით. უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის მასშტაბიც, რომელიც საკუთარი საქმიანობის სფეროში გამოჩენილი მზრუნველობით (გულისხმირებით) განისაზღვრება, **§ 277**-ის მიხედვით, უხეში გაუფრთხილებლობით შემოისაზღვრება. ამ წესის შესაბამისად, (ჯერ კიდევ დაუდგენელი) ნაკლოვანი ნივთის მყიდველს შეუძლია, ღირებულების ანაზღაურების გარეშე გავიდეს ხელშეკრულებიდან მაშინ, როდესაც იგი შეძენილ ნივთს *მსუბუქი გაუფრთხილებლობით* თვითონვე დააზიანებს, ხოლო შემდგომ ნივთს გამოიკვლევს და მის ნაკლოვანებას დაადგენს. მიუხედავად იმისა, რომ **№ 3**-ის ტექსტი მხოლოდ ვალდებულების საგნის მდგომარეობის გაუარესებას ან განადგურებისას ეხება, ღირებულების ანაზღაურებისგან გათავისუფლების შემადგენლობა უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევებისთვისაც, როდესაც უკან დაბრუნება სხვა საფუძვლის გამო (მაგ.: ნივთის მოხმარება, გასხვისება, ქურდობა) ხდება შეუძლებელი (*Looschelders AT, 851-ე ველი*). მესამე პირის ბრალეულობა ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილ პირს არ შეერაცხება (სადავოა, იხ. მე-14 ველი).

10

ბ) ნორმის მე-3 ნაწილის № 3-ის მოქმედების სფერო ვრცელდება მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაზე, რადგან ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც გამყიდველი (ნაკეთობის მიმწოდებელი) თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს არღვევს (შდრ. **§ 323**; **§ 313**-ის მე-3 ნაწილს **№ 3** არ მიესადაგება). შესაბამისად, მას არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ რისკი სრულად და საბოლოოდ გადავა მყიდველზე (შემკვეთზე) (*RegBegr BT-Drucks, 14/6040, 196*). ამისგან განსხვავებით, **№ 3** არ გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის სახელშეკრულებო (ხელშეკრულებით განსაზღვრული) უფლება, ან თუ გამყიდველს, რომელმაც მიწოდება უკვე განახორციელა, აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლება (ნაკეთობის მიმწოდებელს). ამ შემთხვევაში მყიდველი (შემკვეთი) არ საჭიროებს კანონისმიერ დაცვას, ვინაიდან მას ან უნდა გაეთვალისწინებინა ხელშეკრულებით დათქმული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების არსებობა, ან იგი არღვევს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს; **გ) ამ განსხვავების** გათვალისწინებით, მიიჩნევა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების მქონე პირის მაპრივილეგირებული მდგომარეობა არ უნდა დადგეს მაშინ, როდესაც იგი ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლის შესახებ შეიტყობს. საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების მომენტიდან მან უნდა გაითვალისწინოს ის, რომ მას შესრულების საგნის უკან დაბრუნება მოუწევს (*Soergel-Lobinger, § 346 129-ე ველი; M. Schwab JuS 2002, 630*). ღირებულების ანაზღაურებისგან გათავისუფლების ეს შემადგენლობა არ გამოიყურება დამაჯერებლად (*Palandt-Grüneberg, მე-13b ველი*). მის სანინალმდეგოდ, **№ 3**-ის ტექსტთან ერთად, მეტყველებს **§ 357**-ის მე-3 ნაწილის მე-3 წინადადებიდან გამომდინარე სანინალმდეგო დასკვნა, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის შესახებ ცოდნას ექცევა ყურადღება. საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლის ცოდნა არ იწვევს ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი პირის კანონით დაცვის საჭიროების გამოორიციხვას. ის, ვინც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას ათანხმებს ხელშეკრულებით, ითვალისწინებს იმ სავარაუდო მდგომარეობას, რომელიც შესაძლებელია, დადგეს ხელშეკრულების უკუქცევის შედეგად. ხელშეკრულებიდან გასვლის

11

კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, ეს მოსალოდნელი მდგომარეობა ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი პირის ქცევისგან დამოუკიდებლად დგება.

12 **დ)** განსაკუთრებული პრობლემები წარმოიშობა მაშინ, როდესაც უკან გადასაცემი ნივთის დაზიანება საგზაო შემთხვევასთანაა დაკავშირებული. სასამართლო პრაქტიკამ ჩამოაყალიბა პრინციპი, რომლის მიხედვითაც საგზაო მოძრაობის დროს დამდგარ შემთხვევებთან მიმართებით წინდახედულების საკუთარი მასშტაბი არ გამოიყენება (იხ. § 277 ველი 2). ამ პრინციპის გამოყენება № 3-ის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ შემადგენლობასთან მიმართებით გამოიწვევდა იმას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილ პირს ღირებულების ანაზღაურება მაშინაც დაეკისრებოდა, როდესაც იგი უკან დასაბრუნებელ ნივთს (ავტომობილს) მსუბუქი გაუფრთხილებლობით დააზიანებდა და გააფუჭებდა (Gsell NJW 2008, 913 და BGH NJW 2008, 911). სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის ფორმალური დასაბუთებულობა არ გამოიყურება დამაჯერებლად (იხ. § 277-ის მე-3 ველი). პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიზნიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხს, თუ ვის სასარგებლოდ უნდა იმოქმედოს პასუხისმგებლობის მაპრივილეგირებელმა რეგულირებამ. № 3-ის კანონით განსაზღვრული მიზანია ის, რომ ნივთის უკან დაბრუნებელ პირს (მოვალეს) ნივთის გამოყენების უფლება მისცეს და იგი გაათავისუფლოს შემთხვევითობის გამო პასუხისმგებლობისაგან. ზემოაღნიშნული მსჯელობის მიხედვით, პრივილეგიის შეზღუდვა მხოლოდ გამყიდველის სასარგებლოდ იმოქმედებდა და, შესაბამისად, ნორმის მიზნის საწინააღმდეგო იქნებოდა (Bartels/Kuszzlik ZJS 2010, 460, 465).

13 **4.** თუ ხელშეკრულებიდან გამსვლელ პირს, ნორმის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, არ ეკისრება ღირებულების ანაზღაურება, მაშინ მან, მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მეორე მხარეს უნდა გადასცეს სიმდიდრით მიღებული ქონება. ნორმის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების მითითება უსაფუძვლო გამდიდრების სამართალზე გაგებულ უნდა იქნეს როგორც **სამართლებრივ შედეგზე მითითება** (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 196). § 818 მოქმედებს § 818-ის მე-3 ნაწილის დანაწესის გათვალისწინებით.

14 ნორმის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების № 3-ის შემთხვევებში, პირის გამდიდრება შესაძლოა შესაბამისად იყოს მაშინ, როდესაც **მესამე პირი ბრალეულად გამოიწვევს საგნის დაზიანებას**. ამ შემთხვევაში, შესრულების უკან დაბრუნების მოვალეს, როგორც მესაკუთრეს, დაზიანებული საგნის გამო, როგორც წესი, აქვს დელიქტური მოთხოვნა მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე (§ 823-ის პირველი ნაწილი). ეს მოთხოვნა უკან დაბრუნების მოვალისთვის არის გამდიდრება, რომელიც მან საგნის გაუარესების შედეგად მიიღო. იმ შემთხვევებში, როდესაც უკან დაბრუნების მოვალე თავად აძლევს მესამე პირებს უფლებას, საგანზე ზემოქმედება მოახდინონ, მიიჩნევა, რომ ურთიერთობაში **ჩართული მესამე პირის ბრალეულობა** მას № 3-ის ფარგლებში § 278-ის ანალოგიის წესით გამოყენებით უნდა შეერაცხოს, შესაბამისად, ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება შენარჩუნდება (მდრ. Faust JZ 2008, 471). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამისთვის არ არის მოცემული § 278-ისთვის საჭირო ვალდებულება, ნივთთან გულისხმიერად მოპყრობის შესახებ (იხ. მე-16 ველი). მაშასადამე, ნორმის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე, მოიაზრება მხოლოდ ერთი მოთხოვნის განხორციელება, კერძოდ, შესრულების დაბრუნების მოვალის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი პირის მიერ მესამე პირის მიმართ მოთხოვნის დათმობა.

IV. ზიანის ანაზღაურება

15 **1. ნორმის მე-4 ნაწილი** ცხადყოფს, რომ § 280-ით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა შესაძლებელია, ასევე, შესრულებათა უკუქცევის ურთიერთობაშიც წარმოიშვას. შესაბამისად, კრედიტორს, §§ 280-ის პირველი და მე-3 ნაწილების,

281-ის ან 283-ის თანახმად, შეუძლია მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება, ან ვადის გადაცილების წინაპირობების არსებობისას (§§ 280-ის პირველი და მე-2 ნაწილები, 286) – ვადის გადაცილების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (RegBegr BT-Drucks 14/6040, 195).

2. § 285-ის რეგულირება, მიღებული სანაცვლო სარგებლის (**stellvertretendes commodum**) გადაცემის თაობაზე ვრცელდება, ასევე, შესრულებათა უკუქცევის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებზე (RegBegr BT-Drucks, 14/6040, 194). მაშასადამე, შესრულების დაბრუნების მოვალემ მეორე მხარეს უნდა დაუთმოს ის მოთხოვნები, რომლებიც მას მესამე პირის მიმართ აქვს, თუ ამ მესამე პირმა უკან დასაბრუნებელი საგანი დააზიანა.

16

3. სადავო საკითხია, თუ რა მომენტიდან შეიძლება შესრულების დაბრუნების მოვალემ ზიანის ანაზღაურების წარმომშობი ვალდებულება დაარღვიოს. ვინაიდან ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება, როგორც აღმჭურველი განცხადება, შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულებას წარმოშობს, ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილი პირი და შესრულების უკან დაბრუნების მოვალე ამ განცხადების მისვლის მომენტიდან ვალდებული არიან, გულისხმიერად მოეპყრონ უკან დასაბრუნებელ საგანს. ასე რომ, ამ დროს შესაძლოა, დაირღვეს ვალდებულება და წარმოიშვას § 280-ით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. სხვა მოსაზრების თანახმად, ვალდებულების მსგავსი დარღვევა მაშინ შეიძლება იყოს სახეზე, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილმა პირმა იცის, ან უნდა იცოდეს, რომ მას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებამოსილება აქვს (*MüKo-Gaier* § 346 61-ე ველი; *Staudinger-Kaiser* [2004], § 346 205-ე ველი, *Soergel-Lobinger*, § 346 168-ე ველი). მიიჩნევა, რომ უფლებამოსილების შესახებ ცოდნის მიღებით წარმოიშობა ე.წ. „წინმსწრები გულისხმიერების ვალდებულება“, რომლის შემდგომაც, ხელშეკრულებიდან გასვლის განცხადებით, უკუქცევის ურთიერთობა წარმოიშობა. ეს მოსაზრება არ გამოიყურება დამაჯერებლად, ვინაიდან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ ცოდნა მესაკუთრეს ვერ დააკისრებს ვალდებულებას, ნასყიდობის ნივთი არ დააზიანოს (შდრ. § 903-ის პირველი წინადადება). მაშასადამე, საჭიროა, რომ ჯერ ხელშეკრულებიდან გასვლის განცხადება გაკეთდეს, რათა მეორე მხარეს წარმოეშვას ნივთის გულისხმიერად მოპყრობის ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლაზე გაუარესებისთვის ღირებულების ანაზღაურებისა (მე-2 ნაწილი) და გასვლის შემდგომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების (მე-4 ნაწილი) ერთმანეთისგან გამიჯვნა გართულდებოდა. ეს, ასევე, გამოიწვევდა ნორმის მე-3 ნაწილის № 3-ის მაპრივილეგირებული რეგულირების ფუნქციის დაკარგვას.

17

§ 347. საგნის გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლისა და საგანზე განეული ხარჯების ბედი ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ

(1) ¹თუ საქმის სათანადოდ გაძლოის წესების საწინააღმდეგოდ მოვალე არ იღებს საგნიდან სარგებელს, თუმცა, მას ამის შესაძლებლობა ექნებოდა, მაშინ იგი ვალდებულია, კრედიტორს აუნაზღაუროს სარგებლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანი. ²ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, გასვლაზე უფლებამოსილი პირი სარგებლის მიღებასთან დაკავშირებით პასუხისმგებელია მხოლოდ ისეთი მზრუნველობისათვის, რომელსაც იგი, ჩვეულებრივ, იჩენს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

(2) ¹თუ მოვალე საგანს უკან აბრუნებს, ან ანაზღაურებს ღირებულებას, ანდა თუ, § 346-ის მე-3 ნაწილის №1 ან 2-ის მიხედვით, ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა გამოირიცხულია, მაშინ მას უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ განეული აუცილებელი დანახარჯები. ²სხვა დანახარჯები უნდა ანაზღაურდეს იმდენად, რამდენადაც კრედიტორი მათ შედეგად გამდიდრდა.

- 1 **1.** § 346-ის პირველი ნაწილის თანახმად, შესრულების უკან დაბრუნების მოვალემ მიღებული **სარგებელი** უნდა გადასცეს კრედიტორს. ხოლო, § 347-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მიუღებელი სარგებლისთვის მას ეკისრება ღირებულების ანაზღაურება. ეს წესი მოქმედებს, ასევე მიუღებელი პროცენტებისთვის. ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, კანონისმიერი საფუძვლით ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილ პირს სარგებლის ანაზღაურება დაეკისრება არა იმის გამო, რომ მან ჯეროვანი ეკონომიკური საქმიანობა არ გასწია, არამედ (§ 346-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების № 3-ის მსგავსად) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მან სარგებლის მისაღებად ისეთი მზრუნველობა არ გამოიჩინა, რომელსაც იგი იჩენს ხოლმე საკუთარი საქმიანობის სფეროში (შდრ. § 277).
- 2 **2. განუული აუცილებელი დანახარჯები** (ცნებასთან დაკავშირებით იხ. § 994-ის მე-5 ველი) მოვალეს აუნაზღაურდება ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მოთხოვნა მოიცავს, ასევე, ჩვეულებრივ, (ნივთის) შენარჩუნების ხარჯებსაც. § 994-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების სამართლებრივი თვალსაზრისი, რომელიც შენარჩუნების ხარჯების ანაზღაურებას არ ითვალისწინებს, აქ არ მოქმედებს, ვინაიდან შესრულების უკან დაბრუნების მოვალემ გასვლაზე უფლებამოსილ პირს სარგებელი უნდა გადასცეს ან გადაუხადოს (*Bamberger/Roth-Grothe* მე-5 ველი; *RegBegr BT-Drucks*, 14/6040, 197).
- 3 **3.** მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, **სხვა დანახარჯები**, მაშასადამე, ე.წ. **სასარგებლო დანახარჯები** ექვემდებარება ანაზღაურებას მაშინ, როდესაც კრედიტორი ამ დანახარჯებით გამდიდრდება. ეს შეზღუდვა მოქმედებს მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი დანახარჯების ანაზღაურებისთვის. თუ ამის პარალელურად (§ 325), § 284-ის თანახმად, არსებობს მოთხოვნა განუული დანახარჯების ანაზღაურებაზე, მაშინ § 284-ით მოთხოვნადი დანახარჯებისთვის § 347-ის მე-2 ნაწილის შეზღუდვები არ მოქმედებს, ვინაიდან § 325-ის მიზანია, ხელშეკრულებიდან გასვლისას თავიდან აიცილოს კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება ზიანისა და დანახარჯების ანაზღაურების კუთხით (BGHZ 163, 381, 385).

§ 348. ვალდებულებების ერთდროულად შესრულება

1 ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი მხარეთა ვალდებულებები უნდა შესრულდეს ერთდროულად. **2** §§ 320, 322 გამოიყენება შესაბამისად.

- 1 § 348-იდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების უკუქცევით წარმოშობილი შესრულებების უკან დაბრუნების ურთიერთობა არ არის **ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა**. მხოლოდ §§ 320 და 322 გამოიყენებიან შესაბამისად. სასამართლოს მიერ მხარეებისათვის ერთდროულად შესრულების დაკისრებისა და შემდგომში მისი იძულებითი აღსრულებისთვის ყურადღება უნდა მიექცეს §§ 348-ის მე-2 წინადადების, 322-ის მე-3 ნაწილის, 274-ის მე-2 ნაწილის მითითებათა ჯაჭვს.

§ 349. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება

1 ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის გაკეთებული შეტყობინებით.

- 1 ხელშეკრულებიდან ან კანონიდან გამომდინარე, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმჭურველი უფლება (შდრ. § 119 ველი 1), რომელიც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით ხორციელდება. § 351-ის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ იყოფა. ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინების შედეგებთან დაკავშირებით იხ. § 346-ის მე-3 ველი.

§ 350. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გაუქმება ვადის დადგენის შემდეგ

¹თუ ხელშეკრულებიდან გასვლის სახელშეკრულებო უფლების რეალიზაციის ვადა არ არის დადგენილი, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, გასვლაზე უფლებამოსილ პირს უფლების რეალიზაციისათვის განუსაზღვროს სათანადო ვადა. ²ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება უქმდება, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის განცხადება ვადის გასვლამდე არ იქნება გაკეთებული.

§ 351. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ერთიანობა

¹თუ ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეს მონაწილეობს რამდენიმე პირი, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყველა პირის მიერ და ყველა პირის მიმართ. ²თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება უქმდება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ ეს უფლება უქმდება დანარჩენი პირებისთვისაც.

§ 352. გაქვითვა ვალდებულების შეუსრულებლობის შემდეგ

ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ მოვალეს გაქვითვის გზით შეეძლო გაათავისუფლებულიყო ვალდებულებისაგან და ის ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ აცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ.

§ 353. ხელშეკრულებიდან გასვლა საჯარიმო თანხის სანაცვლოდ

¹თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება შეთანხმებულია საჯარიმო თანხის სანაცვლოდ, ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუკი საჯარიმო თანხა არ იქნა გადახდილი ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების წარდგენამდე ან განცხადების წარდგენისას და ხელშეკრულების მეორე მხარე აღნიშნული საფუძვლით დაუყოვნებლივ უარს ამბობს განცხადებაზე. ²თუმცა, განცხადება სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ საჯარიმო თანხა უარის შემდეგ დაუყოვნებლივ გადაიხდება.

§ 354. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების დაკარგვის შესახებ დათქმა

თუ ხელშეკრულება დადებულია იმ დათქმით, რომ მოვალემ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები უნდა დაკარგოს, თუკი იგი თავის ვალდებულებებს არ ასრულებს, მაშინ კრედიტორი ამ შემთხვევის დადგომისას უფლებამოსილია, გავიდეს ხელშეკრულებიდან.

ქვეკარი 2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის და შესრულების უკან დაბრუნების უფლებები სამომხმარებლო ხელშეკრულებებში

§ 355-ის შესავალი

1. ევროპულსამართლებრივი განმარტება. წინამდებარე ქვეთავში მოცემული ნორმები ეხება მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებების შემთხვევებში ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების უფლებების გამოყენების პირობებსა და სამართლებრივ შედეგებს. ამ უფლებების გამოყენების პირობები და სამართლებრივი შედეგები დარეგულირებულია §§ 355-360-ში, რომელთაც საფუძვლად უდევთ შემდეგი დირექტივები: 1997 წლის 20 მაისის და 2002 წლის 23 სექტემბრის ევროპულსამართლებრივი დირექტივა „დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ“; 1993 წლის 5 აპრილის დირექტივა „სამომხმარებლო ხელშეკრულებების პირობების ბოროტად გამოყენების აკრძალვის

შესახებ“; 1985 წლის 20 დეკემბრის დირექტივა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“. მოგვიანებით, ცვლილებათა კანონმა ნაციონალურ კანონმდებლობაში დანერგა „სამომხმარებლო კრედიტების შესახებ“ დირექტივის, „საგადახდო მომსახურების შესახებ“ დირექტივის სამოქალაქოსამართლებრივი ნაწილის და 2009 წლის 29 ივლისის „ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების ნორმების ახლებურად მონესრიგების შესახებ“ დირექტივის რეგულირებები. შედეგად, 2010 წლის 11 ივნისიდან გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §§ 355-359 ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, ხოლო §§ 359ა და 360 განივრცო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ქვეკარის ნორმები განმარტებულ უნდა იქნეს დირექტივების შესაბამისად.

2. 2. §§ 355-360-ის გამოყენების წინაპირობაა მომხმარებლის (§ 13) მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან შესრულების უკან დაბრუნების უფლების არსებობა, რომელიც შეიძლება §§ 312, 312დ, 485, 495, 508, ან 510-იდან გამომდინარეობდეს. ეს უფლება არსებობს, როგორც წესი, ბათილი ხელშეკრულებების დროსაც, ე.წ. „ორმაგი მოქმედება სამართალში“⁵⁸ (BGH ZIP 2010, 136 Nr 18). ამას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი მომხმარებლისთვის § 812-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფებისგან განსხვავებულ, უკეთეს სამართლებრივ შედეგს იწვევს. მაგალითად, ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამობის გამო ბათილი ხელშეკრულებების შემთხვევაში არ მოქმედებს § 817-ის მე-2 წინადადება (BGH aaO). ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მთელი არსი ისაა, რომ მომხმარებელს მიეცეს მატერიალური წინაპირობებისგან თავისუფალი, ცალმხრივად განხორციელებადი და ასევე, ხელშეკრულებიდან ცალმხრივად განმათავისუფლებელი უფლება, რომელიც ზოგადი უფლებების პარალელურად, მათგან დამოუკიდებლად იარსებებს და რომლის რეალიზების შესაძლებლობა ექნება ყველას, ვინც ხელშეკრულებას დადებს. ამ უფლების გამორიცხვა მხოლოდ მაშინ მოიხრება (და ისიც, § 242-ის თანახმად, კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით), როდესაც მენარმის განსაკუთრებული დაცვის საჭიროება არსებობს.

§ 355. ხელშეკრულებაზე უარის თქმა სამომხმარებლო ხელშეკრულებებში

(1) ¹თუ მომხმარებელს კანონით მინიჭებული აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება წინამდებარე ნორმების მიხედვით, მაშინ ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილ მის ნებას მისთვის აღარ ექნება მბოჭავი ძალა, თუ მან სათანადო ვადაში განაცხადა უარი. ²არ არის აუცილებელი, რომ უარის შესახებ განაცხადება შეიცავდეს რაიმე დასაბუთებას და მისი წარდგენა უნდა მოხდეს მენარმის წინაშე წერილობითი ფორმით, ან ნივთის უკან დაბრუნებით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადაში; უარი ჩაითვლება ვადაში განაცხადებულად, თუ იგი დროულად იქნა გაგზავნილი.

(2) ¹ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა შეადგენს 14 დღეს მაშინ, როდესაც მომხმარებელს, § 360-ის პირველი ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება განემარტება წერილობითი ფორმით, არა უგვიანეს ხელშეკრულების დადებისა. ²დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებისთანავე, მენარმის მიერ მომხმარებლისთვის უარის თქმის უფლების შესახებ დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით განსახორციელებელ განმარტებას უთანაბრდება ხელშეკრულების დადებისას განხორციელებული განმარტება, თუ ამ განმარტებით მენარმემ მომხმარებელს „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის § 1-ის პირველი ნაწილის № 10-ში მოცემული ინფორმაცია მიაწოდა. ³თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ

58 „Doppelwirkung im Recht“ – ნორმათა ორმაგი მოქმედების შესახებ თეორია განავითარა მეცნიერმა თეოდორ კიჰმა. დანვრილებით ინფორმაცია იხილეთ: <http://lorenz.userweb.mwn.de/person/gswolf.pdf>

ინფორმაცია მომხმარებელს პირველი და მე-2 წინადადებებით გათვალისწინებულ ვადაში მიეწოდება, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა შეადგენს ერთ თვეს. ⁴ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევებშიც, როდესაც მენარმეს უფლება აქვს, მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ განმარტება მიაწოდოს „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის § 2-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების № 2-ის შესაბამისად, პირველი და მე-2 წინადადებებით განსაზღვრულ დროზე გვიან.

(3) ¹ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დენა იწყება მაშინ, როდესაც მომხმარებელს, § 360-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, წერილობითი ფორმით განემარტება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება. ²მაშინ, როდესაც ხელშეკრულება წერილობითი ფორმით იდება, ვადის დენა არ იწყება მანამ, სანამ მომხმარებელს ხელშეკრულების დოკუმენტი, მომხმარებლის წერილობითი განცხადება, ან ხელშეკრულების დოკუმენტისა თუ განცხადების ასლი არ მიეწოდება. ³თუ ვადის დენის დაწყება სადავოა, მტკიცების ტვირთი ეკისრება მენარმეს.

(4) ¹ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება უქმდება ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის შემდგომ. ²საქონლის მიწოდების შემთხვევაში, ვადის დენა არ იწყება მიმღებთან საქონლის მისვლამდე. ³პირველი წინადადებისგან განსხვავებით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ უქმდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარის თქმის თავისი უფლების შესახებ § 360-ის პირველი ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, წერილობითი ფორმით არ იქნა ინფორმირებული; ფინანსური მომსახურების განვების შესახებ დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში, ეს უფლება არ უქმდება მაშინ, როდესაც მენარმემ, „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის § 2-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების № 1-ისა და მე-2 წინადადების № 1-3-ის თანახმად, შეტყობინების ვალდებულებები სათანადოდ არ შეასრულა.

სამართლებრივი ბუნება. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არის, მომხმარებლისთვის კანონით მინიჭებული, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განსაკუთრებული გამოხატულება. მისი განხორციელების მომენტიდან (*ex nunc*) ნამდვილი ხელშეკრულების ადგილს იკავებს უკუქცევის შედეგად წარმოშობილი შესრულებების უკან დაბრუნების სამართლებრივი ურთიერთობა (*Palandt-Grüneberg*, § 357 მე-2 ველი). 2010 წლის 11 ივნისის ცვლილებების შედეგად, § 355 სტრუქტურულად უფრო ჩამოყალიბებული გახდა: ნორმის პირველი ნაწილი არეგულირებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას და ამ უფლების განხორციელების პირობას; ნორმის მე-2 ნაწილი ეხება უარის თქმის ვადის ხანგრძლივობას; ნორმის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს უარის თქმის ვადის დენის დაწყებას, ხოლო მე-4 ნაწილი – ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შეწყვეტას.

1. § 130-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების ზოგადი რეგულირებისგან განსხვავებით, **ხელშეკრულებაზე უარის თქმის 14 დღიანი ვადის** შენარჩუნებისთვის საკმარისია მეორე მხარისთვის დროულად გაკეთებული შეტყობინება ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე (ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში, ხელშეკრულების დადებისთანავე, წერილობითი ფორმით, დაუყოვნებლივ განსახორციელებელ განმარტებას უარის თქმის უფლების შესახებ, უთანაოდება ხელშეკრულების დადებისას განხორციელებული განმარტება, რომელთაც მენარმე მომხმარებელს „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის § 1-ის პირველი ნაწილის № 10-ში მოცემულ ინფორმაციას აწვდის. ეს რეგულირება ანგარიშს უწევს ინტერნეტაუქციონის თავისებურებას, რომლის დროსაც ხელშეკრულების დადებამდე, აუქციონის მიმდინარეობის პერიოდში, შეუძლებელია ხელშეკრულების პოტენციური და, ამასთანავე, უცნობი მხარისთვის

მისი უფლებების ინდივიდუალური განმარტება (RegBegr BT-Drucks, 16/11643, 70). ზემოხსენებული განმარტება მენარმის მიერ დაუყოვნებლივ განხორციელებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მომხმარებელს, პირველი შესაძლებლობის წარმოშობისთანავე, წერილობითი ფორმით მიაწვდის ხელშეკრულებაზე უარის თქმის განმარტებას. თუ იგი ხელშეკრულების დადების მომდევნო დღეს გააგზავნის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებების შესახებ განმარტებას, განმარტება არ ჩაითვლება დაუყოვნებლივ გაკეთებულ განმარტებად (*MüKo-Wiederhorst*, § 312g 128-ე ველი); ბ) თუ განმარტება ნორმის მე-2 ნაწილის პირველ და მე-2 წინადადებაში მითითებულ დროში გაკეთდება, მაშინ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა შეადგენს ერთ თვეს (ნორმის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადება). ნორმის მე-2 ნაწილის მე-4 წინადადების თანახმად, ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც, „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის § 2, I, 1, № 1-ისა და 2-ის თანახმად, მენარმეს უფლება აქვს, მომხმარებელს განუმარტოს უფლებები უფრო გვიან, ვიდრე ეს ნორმის მე-2 ნაწილის პირველ და მე-2 წინადადებაშია მოცემული. ნორმის მე-3 ნაწილი ვადის დენის დაწყების წინაპირობად აწესებს მომხმარებლისთვის მისი უფლებების § 360-ის პირველი ნაწილის შესაბამის განმარტებას. მომხმარებლის მიერ ნების გამოვლენამდე მისთვის გაკეთებული განმარტება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ არანამდვილია, ვინაიდან განმარტება დაკავშირებული უნდა იყოს მომხმარებლის კონკრეტული ნების გამოვლენასთან, რათა მისთვის ცხადი გახდეს ის უფლებები, რაც მას აქვს (BGH NJW 2002, 3396, 3398). როგორც ეს § 312დ-ს მე-2 ნაწილის განსაკუთრებული დანაწესიდან გამომდინარეობს, ხელშეკრულების დადება არ არის ვადის დენის დაწყების წინაპირობა (BGH NJW 2010, 3503). ვალდებულებით ურთიერთობაში, სოლიდარულ მოვალედ შესვლის შემთხვევაში, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დენა შესული პირისთვის იწყება შესვლასთან დაკავშირებით ნების გამოვლენის მომენტიდან (შდრ. BGHZ 133, 220).

- 3 2. ნორმის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრული ექვსთვიანი ვადა იშვიათად თუ იწვევს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შეწყვეტას, ვინაიდან მე-4 ნაწილის მე-3 წინადადება ამბობს, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება (პირველი წინადადებისგან განსხვავებით) უვადოა მაშინ, როდესაც მენარმე მომხმარებელს § 360-ის დანაწესების მიხედვით არ განუმარტავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. ნორმის მე-4 ნაწილის მე-3 წინადადება ეხება მე-4 ნაწილის პირველი წინადადების რეგულირების კიდეც ერთ გამონაკლის შემთხვევას, ფინანსური მომსახურების დისტანციურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. მომსახურებასთან დაკავშირებით დადებულ დისტანციურ ხელშეკრულებებზე უარის თქმის უფლების შეწყვეტის განსაკუთრებულ საფუძველს ეხება § 312დ-ს მე-3 ნაწილი.

§ 356. მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლება სამომხმარებლო ხელშეკრულებებში

(1) ¹ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, § 355-ის მიხედვით, ნასყიდობის ბროშურის საფუძველზე ხელშეკრულების დადებისას შეიძლება შეიცვალოს მიღებული შესრულების უკან დაბრუნების შეუზღუდავი უფლებით, თუ ეს პირდაპირ არის დაშვებული კანონით. ²წინაპირობაა ის, რომ:

1. შესრულების უკან დაბრუნების უფლების განმარტება, § 360-ის მე-2 ნაწილის წესების დაცვით, შეტანილია ნასყიდობის ბროშურაში;
2. მომხმარებელს შეეძლო, მიეღო დეტალური ინფორმაცია ნასყიდობის ბროშურის შესახებ მენარმის არყოფნისას.

(2) ¹მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლების განხორციელება შეიძლება ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადაში და მხოლოდ ნივთის უკან დაბრუნებით,

ან, თუ შეუძლებელია მისი გზავნილის სახით გაგზავნა უკან დაბრუნების მოთხოვნით; ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა არ იწყება ნივთის მიღებამდე. ²უარის თქმის უფლების შესახებ ნორმები შესაბამისად გამოიყენება. ³§ 360-ის პირველი ნაწილის ადგილს იკავებს § 360-ის მე-2 ნაწილი.

1. ნორმის პირველი ნაწილის წინაპირობების მიხედვით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის (გამოხმობის) უფლება შესაძლებელია ჩანაცვლდეს **შესრულების უკან დაბრუნების უფლებით**. ასეთი ჩანაცვლების დაშვების ნათელი საკანონმდებლო გამოხატულებაა §§ 312-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 312დ-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 508-ის პირველი ნაწილი. ნასყიდობის ბროშურა არის კატალოგი (ასევე ინტერნეტში განთავსებული), საფოსტო რეკლამა, დისკეტა და ასევე ყველა სხვა სახის ბეჭდური რეკლამა/განცხადება, რამდენადაც ისინი საქონლის შესახებ ყველა საჭირო მონაცემს შეიცავენ (*Palandt-Grüneberg*, მე-4 ველი).

2. შესრულების უკან დაბრუნების **სამართლებრივი ბუნება** შეესაბამება უარის თქმის სამართლებრივ ბუნებას (შდრ. § 355 ველი 1). ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებაში მოცემული მრავლისმომცველი მითითების თანახმად, შესრულების უკან დაბრუნების ვადის დენა არ დაიწყება მანამ, სანამ მომხმარებელი წერილობითი სახით და § 360-ის მე-2 ნაწილის მოთხოვნების დაცვით, არ მიიღებს განმარტებას შესრულების უკან დაბრუნების უფლების თაობაზე (§ 355-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება). თუმცა, მე-2 ნაწილის პირველი წინადადება განმარტავს, რომ ამგვარი ვადის დენა არ იწყება ნივთის მიღებამდე. ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, შესრულების უკან დაბრუნების უფლება, როგორც წესი, მხოლოდ **საქონლის უკან გაგზავნით** ან უკან დაბრუნების მოთხოვნით ხორციელდება. მაშინ, როდესაც უკან დაბრუნება შეუძლებელია, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, § 355-ის თანახმად, განაგრძობს არსებობას (*Otte/Kapitzka ZGS 2004*, 54).

§ 357. ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან შესრულების უკან დაბრუნების სამართლებრივი შედეგები

(1) ¹თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან შესრულების უკან დაბრუნების უფლებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების მომწესრიგებელი ნორმები. ²§ 286-ის მე-3 ნაწილი შესაბამისად მოქმედებს, წინამდებარე ნორმის მიხედვით, საზღაურის გადახდის ვალდებულების მიმართ; მასში განსაზღვრული ვადის დენა იწყება მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან შესრულების უკან დაბრუნების ნების გამოვლენის მომენტიდან. ³ამასთან ერთად, მომხმარებლისათვის საზღაურის გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებული ვადის დენა იწყება აღნიშნული განცხადების წარდგენის მომენტიდან, ხოლო მენარმისთვის საზღაურის გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებული ვადის დენა – განცხადების მიღების მომენტიდან.

(2) ¹მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელებისას ეკისრება შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულება, თუ ამ უკანასკნელის გაგზავნა შესაძლებელია გზავნილის სახით. ²ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან შესრულების უკან დაბრუნების შემთხვევებში შესრულების უკან დაბრუნების ხარჯები და რისკი ეკისრება მენარმეს. ³მაშინ, როდესაც სახეზეა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, § 312დ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, მომხმარებელს ხელშეკრულებით შეიძლება დაეკისროს ნივთის უკან დაბრუნების ჩვეულებრივი ხარჯები, თუ დასაბრუნებელი ნივთის ფასი არ აღემატება ორმოც ევროს, ან, იმ შემთხვევაში, თუ ნივთის უფრო მაღალი ფასია მოცემული, ზემოაღნიშნული წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც მომხმარებელს, ხელშეკრულებაზე უარის თქმამდე, არ განუხორციელებია საპასუხო შესრულება ან

ნაწილობრივი გადახდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება შეკვეთილს.

(3) § 346-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 3-ის რეგულირებისგან განსხვავებით, მომხმარებელმა უნდა აანაზღაუროს ნივთის გაუარესების ღირებულება, თუ:

1. ნივთის გაუარესება გამოიწვია ნივთის ისეთმა გამოყენებამ, რომელიც ნივთის თვისებრიობის შემონმებასა და ფუნქციონირების დადგენას სცდება;
2. არაუგვიანეს ხელშეკრულების დადებისა, იგი წერილობითი ფორმით გაფრთხილებულ იქნა აღნიშნულის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შემთხვევებში, ხელშეკრულების დადების შემდგომ, წერილობით სახით დაუყოვნებლივ განსახორციელებელ გაფრთხილებას უთანაბრდება ხელშეკრულების დადებისას განხორციელებული ასეთი გაფრთხილება, თუ მენარმე მომხმარებელს დროულად, ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებაზე ნების გამოვლენამდე, მათ შორის უკვე აპრობირებული დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით, მიაწვდის ინფორმაციას ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებაზე. § 346-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების № 3 არ გამოიყენება, თუ მომხმარებელს სათანადოდ განემარტა ხელშეკრულებაზე უარის თქმის კუთვნილი უფლების შესახებ, ან თუ მან აღნიშნულის თაობაზე სხვაგვარად შეიტყო.

(4) მოთხოვნის სხვა უფლებები არ არსებობს.

1. **1. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების სამართლებრივი შედეგები უკავშირდება § 346-სა და მის მომდევნო პარაგრაფებს. ამ სამართლებრივ ურთიერთობაში § 812 და მისი მომდევნო პარაგრაფები არ გამოიყენება. ნამდვილი ხელშეკრულება მასზე უარის თქმის შედეგად საწყისი მომენტიდან (ex nunc) გარდაიქმნება უკუქცევის შედეგად წარმოშობილ ურთიერთობად, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ მიღებული შესრულებები (§ 346-ის მე-3 ველი). ეს განსაზღვრულია § 346-ის პირველ ნაწილში, რომელიც ადგენს, რომ მიღებული შესრულებები და სარგებელი დაბრუნებას ექვემდებარება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ § 346-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება არ უნდა იქნეს გამოყენებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მქონე მომხმარებლის საზიანოდ. ასანაზღაურებელი ღირებულების ოდენობის დასადგენად მნიშვნელოვანია არა ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაური, არამედ მენარმის შესრულების ობიექტური ღირებულება, იმ შემთხვევაში, თუ ეს შეთანხმებულ საზღაურს არ აჭარბებს. ამგვარი განმარტებით უზრუნველყოფილი იქნება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ეფექტურობა (BGH NJW 2010, 2868 Nr 24 და მომდევნო გვერდები). გადახდების დაბრუნებასთან დაკავშირებით, ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება უთითებს § 286-ის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმადაც, როგორც მომხმარებელმა (მაგ., მიღებული ფინანსური მომსახურება), ისე მენარმემ (მაგ., მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებიდან მიღებული ანაზღაურება), 30 დღის ვადაში მიღებული გადახდები ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ. თუმცა, ამ ვადის დენის დასაწყისი ორივე სუბიექტისთვის სხვადასხვაა. ნორმის პირველი ნაწილისგან განსხვავებით, ფინანსური მომსახურების შესახებ დადებული დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში, მომხმარებელმა განუული მომსახურების ღირებულება უნდა აანაზღაუროს მხოლოდ § 312დ-ს მე-6 ნაწილის წინაპირობების არსებობისას.**
2. **2. ნორმის მე-2 ნაწილში დეტალურად არის დარეგულირებული შესრულების უკან გაგზავნის ვალდებულება. ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, შესრულების უკან გაგზავნის ხარჯები, როგორც წესი, მენარმეს ეკისრება.**

დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში, შესაძლებელია ამ ხარჯების მომხმარებელზე ხელშეკრულებით გადაკისრება, თუ დაცული იქნება მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების წინაპირობები. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ევროკავშირის სასამართლოს მითითების საფუძველზე, პროდუქტის გაგზავნის ხარჯების დაბრუნებასთან დაკავშირებით, გადაწყვიტა, რომ §§ 312დ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადება, 357-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება და § 346-ის პირველი ნაწილი, დირექტივის შესაბამისად, უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მომხმარებელს მენარმისთვის გადახდილი პროდუქტის მიწოდების (გაგზავნის) ხარჯები დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის შემდგომ დაუბრუნდეს. თუმცა, ეს უშუალოდ არ გამომდინარეობს გერმანული სამართლიდან, ვინაიდან, § 346-ის მიხედვით, დასაბრუნებელ სახელშეკრულებო ხარჯებში გაგზავნის ხარჯები არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ევროკავშირის სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაციონალური რეგულირება, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომხმარებლისთვის დასაბრუნებელ ხარჯებს განსაზღვრავდა, ეწინააღმდეგებოდა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ დირექტივას, რომლის მიზანიც არის, მომხმარებელს შეუქმნას თავისი უფლების რეალიზების დაუბრკოლებელი შესაძლებლობა (BGH NJW 2010, 2651 N9; EuGH NJW 2010, 1941).

3. ნორმის მე-3 ნაწილის პირველ და მე-3 წინადადებებში განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის მოვალის (Rücktrittsschuldner) პასუხისმგებლობის დამძიმება (განსხვავებით § 346-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 3-სა და ამავე პარაგრაფის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების № 3-ისგან) არის იმის კომპენსაცია, რომ მომხმარებელს, მენარმის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის მიუხედავად (რაც გასვლის წინაპირობაა), შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების უფლების განხორციელება (მდრ. RegBegr BT-Drucks, 14/6040, 199f). 2011 წლის ცვლილებებით ახალი სახით ფორმულირებული ნორმის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების № 1 ჰარმონიზებულია § 312-ე-სთან, რომელიც ეხება სარგებლის ანაზღაურებას. ნორმის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების № 1-ის რეგულირება ათავისუფლებს მომხმარებელს ღირებულების ანაზღაურებისგან, თუ ნივთის გაუარესება მხოლოდ იმის შედეგად დადგა, რომ მომხმარებელმა ნაყიდი საქონელი გამოიკვლია და გამოსცადა (BGH NJW 2011, 56 Nr 21). მაგალითად, ავეჯის შეძენისას შემონმება გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელი ავეჯს ამოალაგებს და ააწყობს, წყლის ლეიბის შეძენის შემთხვევაში კი, ლეიბს წყლით აავსებს და ა.შ. (BGH aaO). ნორმის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებას სურს, ინტერნეტაუქციონის შედეგად დადებული დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში უზრუნველყოს, რომ გამყიდველს შეეძლოს, მყიდველის წინაშე შეასრულოს ვალდებულება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებების განმარტების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ იგი მას აუქციონის დამთავრებამდე და ხელშეკრულების გაფორმებამდე არ იცნობს (მდრ. § 355 ველი 2).

4. ნორმის მე-4 ნაწილი გამოირიცხავს მენარმის მიერ მომხმარებლის მიმართ სხვა დამატებითი მოთხოვნების განხორციელების შესაძლებლობას. სახელდობრ, გამოირიცხება §§ 280-იდან და 823-იდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ან § 812-ის მიხედვით უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი მოთხოვნები. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმის მე-4 ნაწილი მიზნად ისახავს მხოლოდ მომხმარებლის დაცვას, და არა მენარმის. შესაბამისად, ძალაში რჩება მომხმარებლის სხვა მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება ხელშეკრულებიდან, წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევიდან ან დელიქტიდან გამომდინარეობდნენ. ეს მოთხოვნები არსებობენ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებისგან დამოუკიდებლად და მათი წარმოშობა განპირობებულია ხელშეკრულების დადებისას მენარმის ქმედებით (Palandt-Grüneberg, მე-16 ველი).

§ 358. ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებები

(1) თუ მომხმარებელმა შედეგიანად (სამართლებრივად ნამდვილად) თქვა უარი საქონლის მიწოდების ან სხვა სახის შესრულებასთან დაკავშირებულ ნებაზე, მაშინ იგი აღარ არის შებოჭილი აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სესხის ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნებით.

(2) თუ მომხმარებელმა, § 495-ის პირველი ნაწილის თანახმად, შედეგიანად (სამართლებრივად ნამდვილად) თქვა უარი სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გამოვლენილ ნებაზე, მაშინ იგი აღარ არის შებოჭილი აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საქონლის მიწოდების ან მომსახურების განევის ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნებით.

(3) ¹ამ ნორმის პირველი და მე-2 ნაწილების ფარგლებში საქონლის მიწოდების ან ვალდებულების სხვაგვარი შესრულების შესახებ ხელშეკრულება და სესხის ხელშეკრულება მიიჩნევა ურთიერთდაკავშირებულად, თუ სესხი მთლიანად ან ნაწილობრივ ემსახურება მეორე ხელშეკრულების დაფინანსებას და ორივე ხელშეკრულება ქმნის ეკონომიკურ ერთიანობას. ²ეკონომიკურ ერთიანობად ჩაითვლება, განსაკუთრებით, ის შემთხვევა, როდესაც მენარმე თავად აფინანსებს მომხმარებლის საპასუხო შესრულებას, ან, მესამე პირის მიერ დაფინანსების შემთხვევაში, მესამე პირი, გამსესხებელი, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების მომზადების ან დადების დროს მენარმის თანამონაწილეობას იყენებს. ³მინის ნაკვეთის ან მინის ნაკვეთის მსგავსი უფლების დაფინანსებული შექმნის შემთხვევაში მოცემულია ეკონომიკური ერთიანობა, თუ გამსესხებელი თავად გადასცემს მინის ნაკვეთს ან მინის ნაკვეთის მსგავსი უფლებას, ანდა, როდესაც იგი ხელს უწყობს მინის ნაკვეთის ან მინის ნაკვეთის მსგავსი უფლების შექმნას მენარმის თანამონაწილეობით, სესხის სანაცვლოდ იმ დროს, როდესაც მას მენარმის მიერ განხორციელებულ გასხვისებაში, მთლიანად ან ნაწილობრივ, საკუთარი ინტერესი აქვს, იგი იღებს გამსესხებლის ფუნქციებს პროექტების დაგეგმვაში, რეკლამასა თუ განხორციელებაში ან გამსხვისებელს ცალმხრივად ანიჭებს უპირატესობას.

(4) ¹§ 357 შესაბამისად გამოიყენება დაკავშირებული ხელშეკრულების მიმართ; § 312ე გამოიყენება შესაბამისად, თუ დაკავშირებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით უარის თქმის უფლება, § 312დ-ს მიხედვით, არსებობს ან არსებობდა. ²პირველი ნაწილის შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების გაუქმებიდან გამომდინარე პროცენტისა და ხარჯების გადახდაზე მოთხოვნის უფლებები გამორიცხულია მომხმარებლის მიმართ. ³ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, გამსესხებელი იკავებს მენარმის ადგილს მომხმარებელთან ურთიერთობაში, იმ უფლებებითა და ვალდებულებებით, რაც გამომდინარეობს მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებიდან, იმ შემთხვევაში, თუ მენარმეს სესხი უკვე მიღებული აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების ძალაში შესვლისას.

(5) ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებების შესახებ აუცილებელი განმარტება უნდა უთითებდეს სამართლებრივ შედეგებზე, პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით.

1 1. ზოგადი მიმოხილვა. §§ 358-მა და 359-მა უნდა დაიცვან მომხმარებელი განსაკუთრებული საფრთხისგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ეკონომიკური თვალსაზრისით ერთიანი გარიგების დაყოფით ნასყიდობისა და სესხის ხელშეკრულებებზე. სწორედ დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილები ერთ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ავრცელებენ, ასევე, მეორე ხელშეკრულებაზეც (უარის თქმის გავრცელება ერთი ხელშეკრულებიდან მეორეზე – **Widerrufsdurchgriff**). § 359 შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს, მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი გაავრცელოს სესხის ხელშეკ-

რულებაზეც (ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლის გავრცელება მეორე ხელშეკრულებაზე – *Einwendungsdurchgriff*).

2. წინაპირობები. ა) § 358, 359-ის გამოყენების საერთო წინაპირობა არის ნორმის მე-3 ნაწილში განმარტებული ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების არსებობა. ხელშეკრულებების ურთიერთდაკავშირებულობა გვაქვს სახეზე მაშინ, როდესაც საქონლის მიწოდების ან რაიმე ვალდებულების განხორციელების ხელშეკრულება სხვა ხელშეკრულებასთან (მაგ., სესხის ხელშეკრულება) ისეა დაკავშირებული, რომ ეს უკანასკნელი პირველი გარიგების დაფინანსების გამო ეკონომიკურ მთლიანობას ქმნის. ნორმის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, ნორმათა გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევა არის მოცემული მაშინ, როდესაც მენარმე საკუთარ თავზე იღებს მომხმარებლის დაფინანსებას ან მას სესხის ასაღებად შუამავლობას უწევს. ურთიერთდაკავშირებული გარიგება არის მოცემული იმ შემთხვევაშიც, როდესაც მენარმეს ემსახურება გამყიდველის მიერ ჩართული შუამავალი და მას ამ ურთიერთდაკავშირებულობის შესახებ პოზიტიური ცოდნა აქვს. პოზიტიურ ცოდნასთან გათანაბრებულია, ასევე, ინფორმაციის უქონლობა არაკეთილსინდისიერი მიზეზით (BGH NJW 2007, 3200 Nr 19). მოქმედების სფერო ფართოვდება § 359ა-ს პირველი და მე-2 ნაწილებით;

ბ) ნორმის პირველი და მე-2 ნაწილები ეხება სესხის სხვადასხვა სახეს. ნორმის მე-2 ნაწილში საუბარია § 491-ით განსაზღვრული სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებასა და მასთან დაკავშირებული, § 495-ით გათვალისწინებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ. ნორმის პირველი ნაწილი ეხება ნებისმიერი სესხის ხელშეკრულებას და განსაკუთრებით ისეთს, რომელიც, § 491-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების მოქმედების სფეროდან არის ამოღებული. ასეთებია, განსაკუთრებით, მცირე ოდენობის, 200 ევრომდე სესხის ხელშეკრულებები (იხ. § 491 ველი 2). აქვე ყურადღება უნდა მიექცეს § 359ა-ს მე-3 და მე-4 ნაწილებს.

3. ნორმის მე-4 ნაწილის თანახმად, ერთ ხელშეკრულებაზე უარის გავრცელება მეორე ხელშეკრულებაზე იწვევს იმას, რომ ერთ ხელშეკრულებაზე გაცხადებული უარი მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებაზეც ვრცელდება და ორივე ხელშეკრულება უკუქცევის რეჟიმში გადადის. ეს კი გულისხმობს იმას, რომ მენარმემ და მომხმარებელმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ორივე ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული შესრულებები: **ა)** იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულება დისტანციურად დადებული ხელშეკრულებაა, **ნორმის მე-4 ნაწილის პირველი წინადადების მე-2 ნაწილი** აცხადებს, რომ სარგებლის ანაზღაურება § 312ე-ს რეგულირებით იზღუდება; **ბ)** **ნორმის მე-4 ნაწილის მე-2 წინადადება** ეხმიანება დისტანციური ხელშეკრულებების შესახებ ევროპულ დირექტივას და ეხება ნორმის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ურთიერთდაკავშირებულ ხელშეკრულებებს. სხვა დანარჩენი სესხის ხელშეკრულებებისთვის გამოიყენება § 357; **გ)** **ნორმის მე-4 ნაწილის მე-3 წინადადება** უზრუნველყოფს ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების ერთიანი უკუქცევის შესაძლებლობას გამსესხებელთან მიმართებით. რეგულირების თანახმად, მომხმარებელი არ არის ვალდებული, ჯერ გამსესხებელს აუნაზღაუროს სესხის თანხა და შემდეგ ხელშეკრულების მეორე მხარესთან არკვიოს გადახდილი საზღაურის უკან დაბრუნების საკითხი. მე-4 ნაწილის მე-3 წინადადება ადგენს, რომ გამსესხებელი იკავებს მენარმის ადგილს უკუქცევის ურთიერთობაში, მენარმის იმ უფლებებითა და ვალდებულებებით, რომლებიც გამომდინარეობენ ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებიდან (RegBegr BT-Drucks 14/6040, 201).

4. **ნორმის მე-5 ნაწილი** აფართოებს მენარმის მიერ მომხმარებლისადმი განმარტების ვალდებულების შინაარსს და ავალდებულებს მენარმეს, მომხმარებელს

მიუთითოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგებზე. სხვა მხრივ, ჩვეულებრივ, გამოიყენება § 360.

- 6 5. ნორმით არ არის დარეგულირებული გამსესხებელსა და ხელშეკრულების სხვა მხარეს (მენარმეს) შორის უკუქცევის ურთიერთობა. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მხარეთა შეთანხმებას. თუ მხარეთა შეთანხმება არ არის მოცემული, რეგრესული მოთხოვნების განხორციელება შესაძლებელია პირდაპირი კონდიქციის საფუძველზე, § 821-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების გამოყენებით (გავრც. მოსაზრ. შდრ. BGHZ 133, 254, 263 f; *Erman-Saenger*, 29-ე ველი).

§ 359. შესაგებელი ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების დროს

¹მომხმარებელს შეუძლია, უარი თქვას სესხის დაბრუნებაზე იმდენად, რამდენადაც ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესაგებელი მიანიჭებდა მას უფლებას, უარი ეთქვა ვალდებულების შესრულებაზე იმ მენარმის მიმართ, ვისთანაც მან დადო ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულება. ²ეს წესი არ მოქმედებს იმ შესაგებლებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შემდეგ მენარმესა და მომხმარებელს შორის შეთანხმებულ ხელშეკრულების ცვლილებასთან. ³თუ მომხმარებელს შეუძლია დამატებითი შესრულების მოთხოვნა, მაშინ მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უარის თქმა სესხის დაბრუნებაზე, თუ დამატებითი შესრულება წარუმატებელი აღმოჩნდა.

- 1 1. ამ ნორმის მიზნისა და მოქმედების სფეროს შესახებ იხილეთ § 358 ველი 1.
- 2 2. ნორმის პირველი წინადადების მიხედვით, ერთი ხელშეკრულების (მაგ., მენარმისგან ნივთის შექენა) მიმართ არსებული შესაგებლის გავრცელება მეორე ხელშეკრულებაზე (მაგ., სესხის) იცავს მომხმარებელს სესხის თანხის უკან დაბრუნების ვალდებულებისგან იმ შემთხვევებში, როდესაც მენარმე ვალდებულებას ჯეროვნად არ ასრულებს. § 359-ის პირველი ნაწილის თანახმად, მას შეუძლია, გამსესხებელს წარუდგინოს შესაგებელი. ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნორმების მეორე ხელშეკრულებაზე გავრცელებისგან განსხვავებით (§ 358), ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლის გავრცელება მეორე ხელშეკრულებაზე გამოიყენება მხოლოდ შექენის ხელშეკრულებების ნაკლოვანი შესრულების შემთხვევაში. ნაკლოვანი შესრულების გამო წარმოშობილი შესაგებელი ვრცელდება საფინანსო (მაგ., სესხის) ხელშეკრულებაზე და არა პირიქით (სესხიდან გამომდინარე შესაგებელი არ ვრცელდება შექენის ხელშეკრულებაზე).
- 3 3. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარე (მენარმე) გადახდისუუნარო ხდება, წამოიჭრება კანონში არცთუ ნათლად დარეგულირებული კითხვა – უფლებამოსილია თუ არა მომხმარებელი, ურთიერთდაკავშირებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში წარმოშობილი დარღვევების გამო, გამსესხებლისგან უკან მოითხოვოს უკვე გადახდილი ნაწილობრივი სასესხო შენატანები? (ე.წ. უკან მოთხოვნის გავრცელება (*Rückforderungsdurchgriff*); ამასთან დაკავშირებით, ცალკეული შემთხვევებისთვის იხ. *Fuchs, AcP* 1999, 323 და მომდევნო გვერდები). აქ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ შემდეგი ორი შემთხვევა: ა) თუ ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულება თავიდანვე ბათილი იყო, გადახდილის უკან მოთხოვნის უფლება მომხმარებელს გამსესხებლის მიმართ აქვს § 813-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად (*BGH NJW* 2008, 845); ბ) გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების დადების შემდგომ წარმოშობილ შესაგებლებთან მიმართებაში (მაგ. ხელშეკრულებიდან გასვლა ნივთის ნაკლოვანებისას) არ გამოიყენება § 813-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, ვინაიდან § 813-ის წინაპირობაა ის, რომ ჯერ კიდევ ვალდებულების განხორციელების მომენტში უნდა არსებობდეს მოთხოვნის გან-

გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობები

ხორციელების შემთხვევითი განგრძობადი შესაგებელი (მდრ. *MüKo-Habersack*, 75-ე ველი; *Staudinger-St Lorenz*. [2007], § 813-ის მე-6 და მომდევნო ველები). გამოსესხების მიმართ მომხმარებლის § 812-იდან გამომდინარე მოთხოვნებიც გამოირიცხება, ვინაიდან ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების დარღვევები არ იწვევს სესხის ხელშეკრულების ბათილობას. ეს კი სამართლებრივი საფუძველია იმისთვის, რომ შენარჩუნდეს სასესხო შენატანების განხორციელების ვალდებულება (გარიგების საფუძვლების ცვლილება § 313-ის შესაბამისად არ მოიაზრება, ამის არგუმენტია პირველი წინადადება). უარყოფილ უნდა იქნეს, ასევე, § 358-ის მე-4 ნაწილის მე-3 წინადადების ანალოგიით, მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობაც, (BGH ZIP 2009, 2430 Nr 50 და მომდევნო გვერდები; *MüKo-Habersack*, 75-ე ველი). გამოსესხებისგან შესრულების უკან გამოთხოვის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის, რომ მომხმარებელს, ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, მარტივად დაფინანსებული გარიგებისგან განსხვავებით, შესრულების უკან დაბრუნების მეორე მოვალე ეყოლებოდა. მომხმარებლის მდგომარეობის ამგვარ უკეთეს პირობებში ჩაყენება არ შეესაბამება § 358-ისა და მისი მომდევნო ნორმების მიზნებს. § 358-ის მე-4 ნაწილის მე-3 წინადადება იცავს მომხმარებელს მხოლოდ იმისგან, რომ იგი არ იყოს კრედიტის უკან დაბრუნებაზე ვალდებული მაშინ, როდესაც კრედიტი მენარჩუნებს გამოსესხებისგან უკვე მიღებული აქვს, თუმცა, იგი მომხმარებელს არ სთავაზობს ხელშეკრულების შესაბამის საპასუხო შესრულებას (BGH aaO Nr 56; aA BGH NJW 2003, 2821, 2823f; *Bartels ZGS* 2009, 544, 547f).

§ 359ა. მოქმედების სფერო

(1) იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის მოცემული ურთიერთდაკავშირებული გარიგების წინაპირობები, § 358-ის პირველი და მე-4 ნაწილები გამოიყენება შესაბამისად, თუკი გამოხმობადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მენარჩუნის საქონელი ან სხვა შესრულება მომხმარებელთან დადებულ სესხის ხელშეკრულებაში ზუსტად არის განსაზღვრული.

(2) იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის მოცემული ურთიერთდაკავშირებული გარიგების წინაპირობები, § 358-ის მე-2 და მე-4 ნაწილები გამოიყენება შესაბამისად იმ დამატებითი შესრულების განმსაზღვრელ ხელშეკრულებებზე, რომლებიც მომხმარებელმა სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებასთან პირდაპირ კავშირში გააფორმა.

(3) § 358-ის მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილები, ასევე § 359 არ გამოიყენება ისეთი სესხის ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტების შექმნას ემსახურებიან.

(4) § 359 არ გამოიყენება, როდესაც დაფინანსებული საზღაური 200 ევროს არ აღემატება.

1. 2010 წლის 11 ივნისს ძალაში შესული ეს ნორმა პირველ და მე-2 ნაწილებში შეიცავს რეგულირებებს, რომლებიც აფართოებენ §§ 358, 359-ის მოქმედების სფეროს, ხოლო მისი მე-3 და მე-4 ნაწილები ზღუდავენ ამ ნორმების გამოყენების შესაძლებლობას. ეს რეგულირებები, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება 2008 წლის 24 აპრილის სამომხმარებლო სესხის შესახებ დირექტივის დანერგვას ნაციონალურ კანონმდებლობაში (ABI 2008 Nr L 133, 66).

2. ნორმის პირველი ნაწილი ეხება მიზნობრივ სესხს, რომლის დროსაც თვითონ სესხის ხელშეკრულებაშია განსაზღვრული, მენარჩუნის თუ რა კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შექმნას აფინანსებს მომხმარებელი აღებული სესხით. შესაძლებელია, რომ მომხმარებელს ჯერ კიდევ არ ჰყავდეს მოძიებული ხელშეკრულების მხარე. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში, არ იქნება მოცემული § 358-ის

მე-3 ნაწილით განსაზღვრული ურთიეთდაკავშირებული გარიგება. თუმცა, ნორმის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ასეთი შემთხვევებისთვის § 358-ის პირველი და მე-4 ნაწილები გამოიყენება. შესაბამისად, დაფინანსებულ გარიგებაზე უარის თქმა სესხის ხელშეკრულებაზეც მოქმედებს და § 358-ის მე-4 ნაწილადგების თანახმად, ხელშეკრულებების უკუქცევას იწვევს. ამ შემთხვევაში § 359-ის რეგულირება არ გამოიყენება, ანუ ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი არ ვრცელდება მეორეზე. ასევე, სესხის ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაფინანსებულ ხელშეკრულებას ხელუხლებელს ტოვებს, რადგან ნორმის პირველი ნაწილი არ უთითებს § 358-ის მე-2 ნაწილზე.

- 3 **3.** ნორმის მე-2 ნაწილი ეხება **დამატებით ხელშეკრულებებს**, რომლებიც სესხის ხელშეკრულებასთან ერთად ეკონომიკურ მთლიანობას არ ქმნიან, თუმცა, მასთან პირდაპირი კავშირი აქვთ. ამის მაგალითია დაფინანსებული თანხის ოდენობის უზრუნველყოფისთვის გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულება. მაშასადამე, ნორმის მე-2 ნაწილის § 358-ის მე-2 ნაწილზე მითითების შედეგად სესხის ხელშეკრულებაზე უარი ვრცელდება დამატებით ხელშეკრულებაზეც. უკუქცევა კი ხორციელდება § 358-ის მე-4 ნაწილის მიხედვით.
- 4 **4.** **გამონაკლისები.** ფინანსური ინსტრუმენტები ექვემდებარება ფასების მერყეობას. შესაბამისად, მათი შექმნიდან გამომდინარე კურსის რისკმა არ უნდა დაამძიმოს მომხმარებელი სესხის ხელშეკრულებაზე უარის თქმისას. ამის შესაბამისად, ნორმის მე-3 ნაწილი გამორიცხავს § 358-ის მოქმედებას. ნორმის მე-4 ნაწილი გამორიცხავს § 359-ის მოქმედებას მცირე სესხებზე (შდრ. § 491-ის პირველი ნაწილის № 1).

§ 360. ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების განმარტება

(1) **ხელშეკრულებაზე უარის თქმის განმარტება უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული და მომხმარებელს, აპრობირებული საკომუნიკაციო საშუალების მოთხოვნათა შესაბამისად, ნათლად უნდა განუმარტოს საკუთარი მნიშვნელოვანი უფლებები.** ²იგი უნდა შეიცავდეს შემდეგს:

1. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებაზე მითითებას;
2. მითითებას მასზე, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმას დასაბუთება არ სჭირდება და რომ მენარმისთვის მისი განცხადება შესაძლებელია ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადაში, წერილობითი ფორმით ან ნივთის უკან გაგზავნით;
3. იმ პირის სახელსა და მოქმედ (ფაქტობრივ) მისამართს, რომლის წინაშეც უნდა იქნეს განცხადებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნება; და
4. მითითებას ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დენის დაწყებასა და მის ხანგრძლივობაზე, ასევე მასზე, რომ ვადის დასაცავად საკმარისია ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნების გამოვლენის დროული შეტყობინება, ან ნივთის უკან გაგზავნა.

(2) **შესრულების უკან დაბრუნების განმარტებისთვის ნორმის პირველი ნაწილის პირველი ნაწილადგება შესაბამისად გამოიყენება.** ²იგი უნდა შეიცავდეს შემდეგს:

1. შესრულების უკან დაბრუნების უფლებაზე მითითებას;
2. მითითებას მასზე, რომ შესრულების უკან დაბრუნების განხორციელებას დასაბუთება არ სჭირდება;
3. მითითებას იმის შესახებ, რომ შესრულების უკან დაბრუნების უფლება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ნივთის უკან დაბრუნებით, ან, როდესაც ნივთის პაკეტის სახით გაგზავნა შეუძლებელია ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადაში მენარმისადმი უკან დაბრუნების წერილობითი მოთხოვნით;
4. იმ პირის სახელსა და მოქმედ (ფაქტობრივ) მისამართს, რომლის წინაშეც უნდა მოხდეს შესრულების უკან დაბრუნება, ან უნდა იქნეს დაბრუნების მოთხოვნა გამოხატული; და

5. მითითებას შესრულების უკან დაბრუნების ვადის დენის დაწყებასა და მის ხანგრძლივობაზე, ასევე მასზე, რომ ვადის დასაცავად ნივთის ან უკან დაბრუნების მოთხოვნის დროული გაგზავნა საკმარისია.

(3) ¹ § 355-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად მომხმარებლისადმი შესატყობინებელ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განმარტებისათვის საკმარისია ამ ნორმის პირველი ნაწილის მოთხოვნები და ამ კანონის ეს განვრცობილი რეგულირებები, თუ წერილობითი ფორმით გამოიყენება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის პირველი დანართი შაბლონი. ² § 356-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებისა და § 355-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, მომხმარებლისადმი შესატყობინებელი შესრულების უკან დაბრუნების განმარტებისთვის საკმარისია ამ ნორმის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და ამ კანონის ეს განვრცობილი რეგულირებები, თუ წერილობითი ფორმით გამოიყენება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის დანართი 2-ის შაბლონი. ³ მენარმეს უფლება აქვს, პირველი ნაწილის პირველი წინადადების რეგულირების დაცვით შეცვალოს შაბლონების ფორმატი და შრიფტის ზომა, და მასში დამატებული შეიტანოს, როგორცაა ფორმის სახელი ან მენარმის რეკვიზიტები.

2010 წლის 11 ივნისს ძალაში შესული § 360-ის რეგულირება ერთად კრებს ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების განმარტებისადმი დაწესებულ მოთხოვნებს და ნათლად წარმოგვიდგენს მათ. ნორმის მე-3 ნაწილი სიტყვასიტყვით იმეორებს „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებების შესახებ დადგენილებს“ § 14-ის პირველ-მე-3 ნაწილებს და მასა და „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალ კანონზე“ თანდართულ პირველ და მე-2 შაბლონებს განიხილავს, როგორც ფორმალური რანგის კანონებს. აქედან გამომდინარე, სასამართლოებს სამომავლოდ ნათლად აქვთ განსაზღვრული, განმარტების როგორი ფორმა შეესაბამება კანონს და რა ჩაითვლება მომხმარებლის საზიანოდ გაკეთებულ განმარტებად. გარდა ამისა, ეს რეგულირება განმარტების გამკეთებლის პოზიციასაც იცავს, ვინაიდან მას შეუძლია, დაეყრდნოს კანონით დადგენილ განმარტების ნიმუშს.

§ 361 (ამოღებულია)

ნაწილი 4. ვალდებულებითი ურთიერთობების შეწყვეტა

§ 362-ის შესავალი

მე-4 ნაწილი არეგულირებს კრედიტორის დაკმაყოფილების გზით ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევებს. ვალდებულების შეწყვეტის სხვა შემთხვევებია, მაგალითად: ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა (§ 275), ვადის გასვლა (§ 163), პირობების დადგომა (§ 158-ის მე-2 ნაწილი); უფლების დაკარგვა (§ 242-ის მე-5 ველი). § 311-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, შესაძლებელია, ასევე, ვალდებულების შეწყვეტა ხელშეკრულებითაც იქნეს შეთანხმებული. მაგალითად, ე.წ. გარიგების გაუქმების ხელშეკრულებით ან ვალდებულების ჩანაცვლებით (ე.წ. ნოვაცია), რომლის დროსაც მხარეები ძველ ვალდებულებას ახლით ანაცვლებენ (ორივეს ცნებასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. *Palandt/Grüneberg*, § 311 მე-7 და მომდევნო ველები). როგორც წესი, ვალდებულებით ურთიერთობაში კრედიტორი და მოვალე სხვადასხვა პირია. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა და ვალდებულება ერთსა და იმავე პირში გაერთიანდა, შეწყდება ვალდებულებითი ურთიერთობაც (ე.წ. კონფუზია, შემთხვევები იხილეთ *Palandt/Grüneberg*, § 362 მე-4 ველი; შდრ. ე.წ. კონსოლიდაციასთან დაკავშირებით იხ. § 889 ველი 1).

კარი 1. შესრულება

§ 362. ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით

(1) ვალდებულება წყდება, როდესაც კრედიტორის მიმართ სრულდება ნაკისრი ვალდებულება.

(2) თუ ხელშეკრულების შესრულების მიზნით ვალდებულება სრულდება მესამე პირის მიმართ, მაშინ გამოიყენება §185.

I. შესრულების წინაპირობები

1 **1. ვალდებულების შესრულება გულისხმობს ვალდებულებით გათვალისწინებული შედეგის მიღებას და არა ვალდებულებით განსაზღვრული მოქმედების განხორციელებას (დამატ. იხ. § 243 ველი 4).** ვალდებულებით განსაზღვრული მოქმედების განხორციელება მნიშვნელოვანია მხოლოდ ვალდებულების ვადამოსულობისა (მოვალის მიერ ვადის გადაცილება, § 286) და შესრულების რისკის გადასვლისთვის (ვალდებულების დაკონკრეტებისთვის იხ. § 243-ის მე-2 ნაწილი). იმისთვის, რომ მოთხოვნა შეწყდეს, აუცილებელია, ვალდებულებით გათვალისწინებული შედეგი დადგეს. თუ რა შედეგის მიღწევას ისახავს ვალდებულებითი ურთიერთობა, გამომდინარეობს მისი შინაარსიდან და, როგორც წესი, ხელშეკრულების სახიდან. მაგალითად: მყიდველის მოთხოვნა წყდება მაშინ, როდესაც იგი უნაკლო ნივთზე საკუთრებას და მფლობელობას მოიპოვებს (§ 433-ის პირველი ნაწილი). იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულებით განსაზღვრული შედეგისგან განსხვავებული სხვა შედეგი დადგება, ეს არ გამოიწვევს მოთხოვნის შეწყვეტას § 362-ის მიხედვით, მაგრამ შესაძლებელია მოთხოვნა შეწყდეს § 364-ის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კრედიტორი ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად სხვა შესრულებას მიიღებს. **ფულადი ვალდებულებების შემთხვევაში, ვალდებულების შესრულებას იწვევს შესაბამისი ფულის კუპიურების ან მონეტების გადაცემა, თუმცა, შესაძლებელია, ასევე, ვალდებულება უნაღდო ანგარიშსწორებით (გადარიცხვით) შესრულდეს (შდრ. იხ. § 675-ს შესავალი, პირველი და მომდევნო ველები).** უნაღდო ანგარიშსწორებისთვის საჭიროა, რომ კრედიტორმა ანგარიშსწორების ამ სახეზე თანხმობა განაცხადოს დოკუმენტებში თავისი ანგარიშის მითითებით ან წინასწარ მასზე უარის განუცხადებლად.

2 **2. როგორც წესი, ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის მიმართ, თუმცა, ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, § 185-ით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაძლებელია, ვალდებულების მესამე პირის მიმართ შესრულება, სადაც განსაკუთრებით § 185-ის მე-2 ნაწილი § 816-ის მე-2 ნაწილის გამო იქნეს მნიშვნელობას.** გარდა ამისა, კრედიტორი უნდა იყოს უფლებამოსილი, მიიღოს შესრულება, მაშასადამე, სახეზე უნდა იყოს ე.წ. **მიღების უფლებამოსილება.** ეს არ არის მოცემული მაშინ, როდესაც კრედიტორის განკარგვის უფლებამოსილება შეზღუდულია (ამის არგუმენტია §§ 362-ის მე-2 ნაწილი §§ 185-სა და 1812-თან კავშირში), მაგალითად, შემდეგ შემთხვევებში: მემკვიდრის უფლებამოსილების შეზღუდვა ანდერძის აღსრულებისას (§ 2211⁵⁹), მოვალე გაკოტრების წარმოებაში ყოფნისას, ასევე, კრედიტორის ქმედუუნარობის ან შეზღუდული ქმედუუნარიანობის დროს. მაშასადამე, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე **არასრულწლოვნის** მიმართ ვალდებულების შესრულება (მაგ., გადახდა) მოვალეს არ ათავისუფლებს ვალდებულებისაგან (შდრ. § 107-ის მე-6 ველი).

59 § 2211. მემკვიდრის განკარგვის უფლებამოსილების შეზღუდვა
 (1) მემკვიდრეს არ შეუძლია სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი იმ საგნის განკარგვა, რომელიც ექვემდებარება ანდერძის აღმსრულებლის მიერ მართვას.
 (2) შესაბამისად გამოიყენება იმ პირების სასარგებლოდ დადგენილი ნორმები, რომელთა უფლებებიც მიღებულია არაუფლებამოსილი პირისაგან.

3. § 362 არ უთითებს, თუ ვინ უნდა შეასრულოს ვალდებულება. § 267-ის ფარგლებში მესამე პირებსაც შეუძლიათ ვალდებულება შეასრულონ. **3**

4. შესრულების სხვადასხვა თეორიასთან დაკავშირებით მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროებს ვალდებულების შესრულების შემადგენლობა დამატებით კრიტერიუმებს. **ა)** ადრეულ პერიოდში გამოიყენებოდა ხელშეკრულების თეორია, რომლის თანახმადაც, ვალდებულების შეწყვეტისთვის საჭიროა ამის თაობაზე გაკეთებული მხარეების დამატებითი შეთანხმება (მიღება-ჩაბარების აქტი/ხელშეკრულება); **მოდულიციონური ხელშეკრულების თეორია** ამას მოითხოვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელშეკრულება არის საჭირო ვალდებულების შედეგის დადგომისთვისაც (მაგ., საკუთრების უფლების გადაცემა, § 433-ის პირველი ნაწილი). **ბ)** დღესდღეობით გაბატონებულია ე.წ. **რეალური შესრულების თეორია** (BGH NJW 1991, 1294, 1295; *Larenz SchR I § 18 I 4*), რომელიც, შესრულების რეალური აქტის გარდა, სხვა დამატებით წინაპირობებს არ აწესებს. **გ)** **ფინალური შესრულების თეორია** არ მოითხოვს დამატებით შესრულების წინაპირობებს. თუმცა, იგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, მოვალის მიერ *მიზნის ცალმხრივად განსაზღვრას*, რათა შესრულება კონკრეტულ ვალდებულებასთან იყოს დაკავშირებული (ამის არგუმენტია §§ 366-ის პირველი ნაწილი, § 367-ის მე-2 ნაწილი). **დ)** **თეორიების მიმოხილვა.** ხელშეკრულების თეორიის საწინააღმდეგოდ, § 362-ის გარდა (რომელიც შესრულებისთვის ცალკე ხელშეკრულებას არ ითვალისწინებს), მეტყველებს §§ 366-ის პირველი ნაწილი და § 367-ის მე-2 ნაწილი, რომელიც ეფუძნება მოვალის მიერ შესრულების ცალმხრივად განსაზღვრის უფლებას. ხელშეკრულების თეორია ეწინააღმდეგება, ასევე, ობიექტურ გარემოებებს, ვინაიდან, უმოქმედობით ან კრედიტორის არყოფნისას შესრულებული ვალდებულების შემთხვევებში, შესრულების შედეგი ხელშეკრულებით ვერ გაფორმდება. ამასთან, § 362-ის მე-2 ნაწილის § 185-თან და § 1812⁶⁰-თან კავშირის შედეგად არ გამომდინარეობს, რომ შესრულება მოთხოვნასთან დაკავშირებული (სახელშეკრულებო) განკარგვაა, არამედ ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ვალდებულების შესრულების მიღების უფლებამოსილება (მიღებაუფლებაუნარიანობა, ზემოთ, ველი 2) განკარგვის უფლებამოსილების გაგრძელებაა (*Larenz SchR I § 18 I 4*). ამისგან განსხვავებით, რეალური შესრულების თეორიას უფრო სწორ შედეგებამდე მივყავართ. მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევებში, სადაც შემთხვევათა გარემოებებიდან არცთუ ნათლად დგინდება, სხვადასხვა მსგავსი ვალდებულებიდან რომელი უნდა შესრულდეს, გონივრულია, დამატებით მოთხოვნილ იქნეს შესრულების განსაზღვრა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში შესრულების სამართლებრივი საფუძვლის განსაზღვრისთვის (შემსრულებლის ნებით დადგენადი) ყურადღება ექცევა მის მიზანს (შდრ. § 812-ის მე-12 ველი), რაც ფინალური შესრულების თეორიის სასარგებლოდ შეიძლებოდა გამოყენებულიყო. თუმცა, ის, რომ ამ შემთხვევებში მიზნის ელემენტი განცალკევებით დგას, არ არის გაბატონებული რეალური შესრულების თეორიის მოქმედების ხელშემშლელი ფაქტორი. კაზუსის დამუშავებისას ამ თეორიათა მიმოხილვა, ხშირ შემთხვევებში, უმნიშვნელოა, ვინაიდან ყველა თეორიას (თუნდაც განსხვავებული დასაბუთებულობებისა) ერთ და იმავე შედეგამდე მივყავართ. (*Looschelders AT 402-ე ველი*).

60 § 1812. მოთხოვნებისა და ფასიანი ქალაქების განკარგვა.

(1) მეურვეს შეუძლია, განკარგოს მოთხოვნები ან სხვა უფლებები, რომელთა ძალითაც სამეურვეო პირს შეუძლია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ისევე როგორც სამეურვეო პირის ფასიანი ქალაქები მხოლოდ საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის თანხმობით, თუ, §§ 1819-1822-ის თანახმად, აუცილებელი არ არის საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა.

II. სამართლებრივი შედეგები

- 5 1. შესრულებით ვალდებულებითი ურთიერთობა **წყდება მხოლოდ ვინრო გაგებით**, ანუ წყდება მხოლოდ ცალკეული მოთხოვნა (მაგ.: ნასყიდობის ფასის გადახდაზე, საკუთრების ან მფლობელობის გადაცემაზე მოთხოვნა). ვალდებულებითი ურთიერთობა **ფართო გაგებით** გულისხმობს, რომ დამატებით მოქმედი გულისხმიერების ვალდებულებები (მაგ.: ვალდებულება, ნასყიდობის საგნის სამომავლოდ წარმოშობად საფრთხის შემცველ ნიშან-თვისებებზე მითითება) და, ასევე, სხვა ძირითადი ან მეორადი შესრულების ვალდებულებები (ცნება: § 241-ის შესავლის მე-3 ველი) განაგრძობენ არსებობას მათ სრულ შესრულებამდე. შესრულება, პროცესუალური თვალსაზრისით, განიხილება როგორც **უფლების მომსპობი შესაგებელი**.
- 6 2. შესრულებით მოვალე იძენს შესრულების **დასტურის (მაგ., ქვითარი)** გაცემაზე (§ 368) და, ასევე, **სავალო საბუთის გადაცემაზე** (§ 371) მოთხოვნას.

§ 363. მტკიცების ტვირთი შესრულების სახით მიღების შემთხვევაში

კრედიტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი, თუ მან მიიღო მისთვის შესრულების სახით შეთავაზებული შესრულება, თუმცა, არ სურს მიღებულის ვალდებულების შესრულებად ცნობა იმის გამო, რომ იგი ნაკისრი ვალდებულებისაგან განსხვავებული იყო ან არასრული.

§ 364. ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად სხვა შესრულების მიღება

(1) ვალდებულება **წყდება**, თუ კრედიტორი ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად იღებს სხვა შესრულებას.

(2) თუ მოვალე, კრედიტორის დაკმაყოფილების მიზნით, ამ უკანასკნელის წინაშე კისრულობს ახალ ვალდებულებას, მაშინ, დავის შემთხვევაში, ეს არ მიიჩნევა მის მიერ თავდაპირველი ვალდებულების ნაცვლად სხვა ვალდებულების კისრებად.

I. ზოგადი მიმოხილვა

- 1 იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი, შეთანხმებული ვალდებულების ნაცვლად, სხვა ვალდებულებას იღებს, უნდა დადგინდეს, სახეზე გვაქვს **ნაკისრი ვალდებულების ნაცვლად სხვა ვალდებულების**, როგორც შესრულების მიღება, თუ სახეზეა მხოლოდ **ნაკისრი ვალდებულების დაფარვის მიზნით განხორციელებული შესრულება**. პირველ შემთხვევაში, მოთხოვნა წყდება (ნორმის პირველი ნაწილი). მაშასადამე, კრედიტორი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებისთვის სხვა შესრულების მიღებით თმობს ერთ სამართლებრივ პოზიციას მეორის სასარგებლოდ. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, თუ იგი ამის თაობაზე ნათლად აცხადებს, ან მისი ეს სურვილი შემთხვევის გარემოებებიდან ცალსახად გამომდინარეობს. ნორმის მე-2 ნაწილი ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც მხოლოდ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით ხდება მოქმედების განხორციელება. თავდაპირველი მოთხოვნა განაგრძობს არსებობას, თუმცა, მხარეები თანხმდებიან, რომ კრედიტორი, პირველ რიგში, უნდა შეეცადოს, შესრულების მიზნით მიღებულისა და დაკმაყოფილოს მოთხოვნა (მაგ., ჩეკით ან თამასუქით). თუ ეს წარუმატებელი აღმოჩნდება (ჩართული ბანკი არ ანაღლებს ჩეკს), მაშინ კრედიტორი, ჩვეულებრივ, განახორციელებს თავდაპირველ მოთხოვნას.

II. ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად სხვა შესრულების მიღება (ნორმის პირველი ნაწილი)

- 2 1. ნორმის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ ვალდებულების განხორციელებამდე არის შესაძლებელი მხარეთა მიერ იმის განსაზღვრა,

რომ მოვალე უფლებამოსილია, ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად სხვა შესრულება განახორციელოს. ასეთ შემთხვევაში მოვალეს ენიჭება **შესრულების ჩანაცვლების უფლებამოსილება**. კრედიტორი იძენს შეუზღუდავ უფლებამოსილებას შეთანხმებული შესრულებისგან განსხვავებულ, შესრულების სხვა საგანთან მიმართებით. თუ რას მოიმოქმედებს იგი, დაიკმაყოფილებს თუ არა თავის შესრულების თავდაპირველ ინტერესებს მიღებული საგნით, დამოკიდებულია მის ნება-სურვილზე (*Medicus/Lorenz SchR, I, 288-ე ველი*).

მყიდველის მიერ ძველი ავტომობილის ჩაბარებისა და ახლის გამოყვანის სამართლებრივი ურთიერთობა (რომლის დროსაც გამყიდველი ძველი ავტომობილის ფასის ჩათვლას ახდენს) გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია ჩანაცვლების უფლებამოსილებით დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებად, რომელზეც (§§ 364, 365 ვრცელდება (BGHZ 89, 126). ახალი ავტომობილის ნაკლის შემთხვევაში მყიდველს აქვს ზოგადი უფლებები. მაშინ, როდესაც იგი, § 437-ის № 2-ისა და § 323-ის პირველი ნაწილის საფუძველზე, ხელშეკრულებიდან გადის, იგი, ერთი მხრივ, გადახდილ ნასყიდობის ფასს იბრუნებს უკან და, მეორე მხრივ, გადახდაში ჩათვლილ ძველ ავტომობილს. თუმცა, მყიდველს შეუძლია, ნი-ნაპირობების დაცვით, მოითხოვოს (სრული) ზიანის ანაზღაურება (§§ 437-ის № 3, 281 ან 283) და თავისი ნახმარი ავტომობილის ნაკლოვანების შემთხვევაში გამყიდველს შეუძლია, § 365-ის კავშირით §§ 437-ის № 2-სა და 323-თან შესრულებაზე უარი თქვას და გავიდეს ხელშეკრულებიდან (*Hk-Schulze, მე-6 ველი*). როგორც წესი, ნახმარი ავტომობილის ფასში ჩათვლაზე შეთანხმება კონკლუდენტურად გამოიყვანება ნაკლის გამო წარმოშობილ უფლებებს.

2. თუ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად მიწოდებული სხვა **ნივთი ნაკლოვანია** ან მესამე პირის უფლებებით დატვირთული, მაშინ, § 365-ის მითითების თანახმად, გამოიყენება ნასყიდობის სამართლიდან გამომდინარე ნაკლის გამო პასუხისმგებლობის ნორმები. თუ კრედიტორს შემდგომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია (§ 365-ისა და § 437-ის № 3-თან თანახმად), მაშინ მოვალე, § 249-ის პირველი ნაწილის რეგულირებიდან გამომდინარე, ვალდებულია, ხელახლა დააფუძნოს შეწყვეტილი თავდაპირველი მოთხოვნა. იგივე გამომდინარეობს მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულებიდანაც (§ 346) მაშინ, როდესაც კრედიტორი ხელშეკრულებიდან გადის (§ 365-ისა და § 437-ის № 2-ის მიხედვით). ფასის შემცირების შემთხვევაში (§ 365-ის § 437-ის № 2-თან კავშირში), კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ხელახალი დაფუძნება მხოლოდ შემცირებული ღირებულების ოდენობით (*Medicus/Lorenz SchR, I, 289-ე ველი*).

III. ნაკისრი ვალდებულების დაფარვის მიზნით სხვა შესრულების განხორციელება

ნაკისრი ვალდებულების დაფარვის მიზნით სხვა შესრულების განხორციელების შემთხვევაში (იხ. ველი 1), თავდაპირველი მოთხოვნა განაგრძობს არსებობას. აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში, აქ აღარ არის საჭირო § 365-ის შესაბამისი რეგულირების გამოყენება: თუკი შეთავაზებული ალტერნატიული შესრულების მცდელობა ნაკლოვანების გამო წარუმატებელი აღმოჩნდება (მაგ., ბანკი არ ანაღდეებს ჩეკს), მაშინ კრედიტორს კვლავ შეუძლია, მოითხოვოს ვალდებულებით შეთანხმებული თავდაპირველი შესრულება. გავრცელებული მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ, რომ ალტერნატიული მოქმედებით შესრულების მცდელობის პერიოდში ძირითადი მოთხოვნის მოქმედება გადავადებულია. ნაკლებად გავრცელებული მოსაზრების თანახმად კი, ამ შემთხვევაში, სახეზეა მხოლოდ გასაჩივრების შესაძლებლობაზე უარის თქმა (არგუმენტი: ვადის გადაცილების დადგომა არ უნდა შეწყდეს შესრულების ასეთი მცდელობით). კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობა

მასზე ალტერნატიული შესრულების ფარგლებში გადაცემულ ნივთებთან მიმართებით არის უფლებათა სრული, უზრუნველყოფის მიზნით გადაცემის ტოლფასი (გავრცელებული მოსაზრება; *Palandt/Grüneberg*, მე-7 ველი). თუ მოვალე, გადაცემულ ალტერნატიულ შესრულებასთან მიმართებით, კრედიტორს მხოლოდ უბრალო უფლებამოსილებას მიანიჭებდა, მოვალის სხვა კრედიტორებსაც ექნებოდათ შესაძლებლობა, წარედგინათ უფლებები გადაცემულ შესრულებასთან მიმართებით. ამ შემთხვევაში, კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებობს დავალების მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც კრედიტორი ვალდებულია, ბრუნვაში ჩვეული, სათანადო გულისხმიერებით შეეცადოს თავისი მოთხოვნის ალტერნატიული შესრულებით დაკმაყოფილება. თუმცა, მას არ ეკისრება გადაცემული მოთხოვნების სასარჩელო გზით განხორციელების ვალდებულება.

§ 365. ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად სხვა შესრულების განხორციელების შემთხვევაში ნაკლის გამო პასუხისმგებლობა

თუ ხდება ნივთის, მესამე პირის მიმართ მოთხოვნის ან სხვა უფლების გადაცემა ნაკისრი ვალდებულების ნაცვლად, მოვალე, გამყიდველის მსგავსად, აგებს პასუხს უფლებრივი თუ ნივთობრივი ნაკლისათვის.

§ 366. რამდენიმე მოთხოვნისას ვალდებულების შესრულების ანგარიშში ჩათვლა

(1) თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის რამდენიმე ვალდებულებიდან გამომდინარე ერთგვაროვანი შესრულება და მის მიერ განხორციელებული შესრულება არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულებისას განსაზღვრავს.

(2) თუ მოვალე არ განსაზღვრავს დასაფარ ვალდებულებას, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის შესრულების ვადაც პირველად დადგა; რამდენიმე ვადამოსული ვალის შემთხვევაში იფარება ის ვალი, რომელიც კრედიტორს ყველაზე ნაკლებ უზრუნველყოფას სთავაზობს; თუ სახეზეა თანაბრად უზრუნველყოფილი რამდენიმე ვალი, იფარება ის ვალი, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა; თუ სახეზეა რამდენიმე თანაბრად მძიმე ვალი, მაშინ იფარება ყველაზე ადრე წარმოშობილი ვალი, ხოლო თუ ყველა ვალი ერთდროულად არის წარმოშობილი, ყველა პროპორციულად იფარება.

§ 367. პროცენტებისა და ხარჯების ვალდებულების შესრულების ანგარიშში ჩათვლა

(1) თუ მოვალემ ძირითად ვალდებულებასთან ერთად უნდა გადაიხადოს პროცენტები და ხარჯები, მაშინ ვალის დასაფარავად არასაკმარისი შესრულება პირველ რიგში ჩაითვლება ხარჯების, შემდეგ პროცენტებისა და ბოლოს კი ძირითადი ვალდებულების შესრულების ანგარიშში.

(2) თუ მოვალე განსაზღვრავს ანგარიშში ჩათვლის სხვა წესს, მაშინ კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას შესრულების მიღებაზე.

§ 368. ქვითარი

¹კრედიტორმა, მოთხოვნის შემთხვევაში, შესრულების მიღების სანაცვლოდ უნდა გასცეს მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი). ²თუ მოვალეს აქვს ქვითრის სხვა ფორმით გაცემის კანონიერი ინტერესი, მაშინ მას შეუძლია ამ ფორმით გაცემის მოთხოვნა.

§ 369. ქვითრის გაცემის ხარჯები

(1) მოვალეს ეკისრება ქვითრის გაცემის ხარჯები, რომლებიც მან უნდა გაიღოს წინასწარ, თუ მასა და კრედიტორს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

(2) თუ მოთხოვნის გადაცემის ან მემკვიდრეობით გადასვლის შედეგად თავდაპირველი კრედიტორის ადგილს იკავებს რამდენიმე კრედიტორი, მაშინ დამატებითი ხარჯები ეკისრებათ ამ კრედიტორებს.

§ 370. ვალდებულების შესრულება ქვითრის წარმომდგენის მიმართ

ქვითრის წარმომდგენი ითვლება ვალდებულების შესრულების მიღებაზე უფლებამოსილად, თუ შემსრულებელი მხარისთვის ცნობილი გარემოებები არ ეწინააღმდეგება აღნიშნული უფლებამოსილების არსებობის დაშვებას.

§ 371. სავალო დოკუმენტის დაბრუნება

თუ მოთხოვნის დასტურად გაცემულია სავალო დოკუმენტი, მაშინ მოვალეს, ქვითართან ერთად, შეუძლია მოითხოვოს ამ დოკუმენტის დაბრუნებაც; თუ კრედიტორი ადასტურებს, რომ მას არ შეუძლია მისი დაბრუნება, მაშინ მოვალეს შეუძლია მოითხოვოს ოფიციალურად დამოწმებული აღიარება იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია.

კარი 2. დეპონირება

§ 372-ის შესავალი

I. ზოგადი მიმოხილვა

დეპონირება არის შესრულების სუროგატი. მოვალეს უნდა შეეძლოს ვალდებულებისგან გათავისუფლება მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების წინააღმდეგობა მის სფეროს სცილდება (დანვრ. იხ. ქვემოთ, მე-5 ველი). დეპონირების **კერძოსამართლებრივი მოქმედების** შედეგები განისაზღვრება § 372-ითა და მომდევნო ნორმებით (ქვემოთ, მე-6 ველი). თუმცა, დეპონირებით წარმოიშობა საჯაროსამართლებრივი მიზარების ურთიერთობა, ე.წ. **დეპონირების ურთიერთობა** (ამასთან დაკავშირებით იხ. ველი 2), რომელიც რეგულირდება დეპონირების შესახებ დადგენილებით.

II. საჯაროსამართლებრივი დეპონირების ურთიერთობა

1. წარმოშობა და მონაწილეები. დეპონირების განსახორციელებლად მოვალემ განაცხადი უნდა შეიტანოს დეპონირების ადგილას (რაიონის (საქალაქო) სასამართლოში; დეპონირების შესახებ დადგენილების § 1-ის მე-2 ნაწილი). შემდგომ შემოწმდება ფაქტობრივი გარემოებები და დადგინდება, აქვს თუ არა მოვალეს დეპონირებაზე უფლებამოსილება (§ 372). თუ მოცემული იქნება პირის უფლებამოსილება, დეპონირების განმახორციელებელი დაწესებულება განახორციელებს დეპონირებას (ადმინისტრაციული აქტით; დეპონირების შესახებ დადგენილების § 6-ის პირველი წინადადება) და მიიღებს დეპონირების საგანს მფლობელობაში. ამის შედეგად, წარმოიშობა საჯაროსამართლებრივი დეპონირების ურთიერთობა, რომლის **მონაწილეებიც არიან** მოვალე (შესრულების მიმბარებელი) და, ასევე, ყველა სხვა პირი, რომელიც დეპონირების განაცხადით შეიძლება მოიაზრებოდნენ შესრულების შესახებ მიმდებარებად. მოვალე აღარ არის დეპონირების ურთიერთობის მონაწილე მაშინ, როდესაც იგი, § 376-ის მე-2 ნაწილის № 1-ის თანახმად, უარს ამბობს ნივთის უკან გამოხმობაზე.

2. კრედიტორის მდგომარეობა. დეპონირების ურთიერთობიდან გამომდინარე, **ფაქტობრივ კრედიტორს**, დეპონირების განმახორციელებელი დაწესებულების მიმართ, აქვს **საჯაროსამართლებრივი მოთხოვნა შესრულების გადმოცემაზე**. თუმცა, ეს უფლება შეიძლება შესრულების მიმბარებელმა (მოვალემ) ჩამოართვას

კრედიტორს, თუ იგი დეპონირებულ ნივთს უკან წაიღებს (§ 376-ის პირველი ნაწილი). ამის შედეგად დეპონირების ურთიერთობა უკუქცევით გაბათილდება (§ 379-ის მე-3 ნაწილი).

- 4 **3. შესრულების კრედიტორისათვის გადაცემა.** კრედიტორისათვის ნივთის გადაცემა დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი საკუთარ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილებას დაამტკიცებს. შესრულების მიმბარებლის (მოვალის) თანხმობა ნივთის გადაცემის თაობაზე (თანხმობის წარდგენა დეპონირების განმახორციელებელ დაწესებულებაში) მაშინ არის საჭირო, როდესაც კრედიტორის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი. თუ შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი მხოლოდ ერთი პირია დასახელებული, მაშინ მიიჩნევა, რომ ამით სახეზეა თანხმობა ნივთის გადაცემის თაობაზე. ნივთის გადაცემაზე თანხმობა არ არის საჭირო მაშინ, როდესაც შესრულების მიმბარებელი (მოვალე) შესრულების გამოხმობის უფლებაზე უარს განაცხადებს (§ 376-ის მე-2 ნაწილის № 1). § 380-ის თანახმად, შესრულების მიმბარებელი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ინფორმაცია კრედიტორის მიერ მიღების უფლებამოსილების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია, იჩივლოს და ამ ქმედების განხორციელება მოითხოვოს. მოთხოვნის სხვა პრეტენდენტის განცხადება იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთმა კრედიტორმა (პრეტენდენტმა) მიიღოს შესრულება მაშინ არის საჭირო, როდესაც იგი დეპონირების ურთიერთობის მონაწილეა, ანუ, შესრულების მიმბარებლის მიერ დასახელებულია როგორც შესრულების შესაძლო მიმღები (შდრ. ზემოთ, ველი 2). კრედიტორს შეუძლია, მასაც უჩივლოს უფლებამოსილების თაობაზე განცხადების გაკეთებასთან დაკავშირებით. მოთხოვნის საფუძველი იქნება § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 შემთხვევა (ხელყოფის კონდიქცია; შდრ. BGHZ 35, 165, 170).

III. დეპონირების საფუძვლები § 372-ის მიხედვით

- 5 § 372-ის მიხედვით, დეპონირება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში: (1) კრედიტორის მიერ **შესრულების მიღების ვადის გადაცილებისას** (§ 293 და მომდევნო პარაგრაფები); (2) **კრედიტორის პიროვნებასთან დაკავშირებული გარემოების არსებობისას** (მაგ. კრედიტორის მისამართი ვერ დგინდება, იგი ქმედუწუნაროა ან შეზღუდულქმედუნარიანი და მისი კანონისმიერი წარმომადგენელი არ ჩანს); (3) **კრედიტორის პიროვნების შესახებ ინფორმაციის არქონა**, მაგალითად, მაშინ, როდესაც მოთხოვნა მრავალჯერ იქნა დათმობილი (შდრ. § 398-ის შესავალი, § 398-ის მე-9 ველი), ან, თუ ქირავნობის საგნის გადაცემა და ამით ქირავნობის ურთიერთობის გადასვლა (შდრ. § 566-ის პირველი ნაწილი), სავარაუდოდ, არანამდვილია. შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევაში, არსებობდეს ობიექტური ეჭვი კრედიტორის ვინაობის სისწორესთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, მოვალეს არ შეიძლება მოეთხოვოს, საკუთარი რისკით, სავარაუდოდ, არასწორი (მცდარი) კრედიტორის წინაშე შესრულების განხორციელება (BGHZ 7, 302, 307).

IV. კერძო სამართლებრივი შედეგები

- 6 **1. ვალდებულებითი-სამართლებრივი შედეგები.** ა) **სამართლებრივად ნამდვილი დეპონირების დროს**, მაშასადამე, მაშინ, როდესაც დეპონირების მომენტში მოვალე ვალდებულების შესრულებაზე უფლებამოსილი იყო, დეპონირების საფუძველი, ფაქტობრივად, არსებობდა (§ 372) და დეპონირების ურთიერთობა სამართლებრივად ნამდვილის, გვექნება შემდგომი შედეგები: ა) § 379-ის მე-2 ნაწილის თანახმად, **შესრულების რისკი გადავა კრედიტორზე**, რაც ნიშნავს იმას, რომ ნივთის განადგურების ან მისი მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, მოვალე შეინარჩუნებს საპასუხო შესრულების მოთხოვნის უფლებას. გარდა ამისა, იგი თავისუფლდება მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებისა და პროცენტის გადახ-

დის ვალდებულებებისგან. **ბბ) § 379-ის** პირველი ნაწილის შესაბამისად, მოვალეს შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე; დეპონირების განმახორციელებელ მოვალეს შეუძლია მოითხოვოს, კრედიტორმა დაკმაყოფილება იმგვარად ეძებოს, რომ დეპონირების განმახორციელებელ დაწესებულებას წარუდგინოს მოთხოვნა შესრულების გადმოცემაზე. **გგ) §§ 378-ის და 376-ის მე-2 ნაწილის** წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მოთხოვნა შეწყდება, რაც იმას ნიშნავს, რომ დეპონირების მომენტიდან კრედიტორი-მოვალის ურთიერთობაში ვალდებულებები შესრულებულად ითვლება (შესრულება დგება, შდრ. § 378).

ბ) სამართლებრივად არანამდვილი დეპონირების შემთხვევაში, § 379-ის მე-2 ნაწილის თანახმად, კრედიტორზე არ გადადის შესრულების რისკი. § 379-ის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებაც არ წარმოიშობა; თუმცა, შესრულება მაინც დგება, თუ მოვალე იყენებს შესრულებაზე უარის თქმის უფლებას, ხოლო კრედიტორი დეპონირების დაწესებულების საშუალებით იღებს ნივთს (*Larenz SchR, I, § 18, Vc*). შესრულება დგება § 378-ის მიხედვით მაშინაც, როდესაც კრედიტორი, § 376-ის მე-2 ნაწილის № 2-ის მიხედვით, დეპონირებას აღიარებს და შესრულებას მიიღებს. ამ შემთხვევაში სადავოა, ვალდებულებისგან განთავისუფლებას აქვს თუ არა უკუძალა (*MüKo-Wenzel, § 378 მე-4 ველი*).

2. დეპონირების სანივთოსამართლებრივი შედეგები არ გამომდინარეობს § 372-იდან და მომდევნო ნორმებიდან, თუმცა, ნაწილობრივ ასახულია დეპონირების შესახებ დადგენილების §§ 7-სა და 9-ში (ამასთან დაკავშირებით იხ. *MüKo-Wenzel, § 372 მე-17 ველი*). ფული დეპონირების განმახორციელებელი დაწესებულებისადმი გადაცემის შედეგად გადადის ფედერაციული მხარის პირდაპირ მფლობელობაში, და კრედიტორისათვის გადაცემისას კი ამ უკანასკნელის პირდაპირ მფლობელობაში. თითოეული გადაცემისას, საკუთრების გადასვლა ხდება § 929-ის პირველი ნაწილის რეგულირების შესაბამისად. სხვა ნივთების დეპონირების შემთხვევაში, დაწესებულება განიხილება სხვის სასარგებლოდ ნივთის უშუალო მფლობელად (*Besitzmittler*). მიმბარებელი რჩება არაპირდაპირ მფლობელად და მფლობელობის ეს უფლება გადადის კრედიტორზე მაშინ, როდესაც იგი განაცხადებს დეპონირებით შესრულების მიღების შესახებ (§ 376-ის მე-2 ნაწილის № 2). საკუთრების გადაცემა ხორციელდება § 929-ის მე-2 წინადადების თანახმად (სადავოა), რადგანაც მოვალე ნივთის დეპონირებით საკუთრების უფლების გადაცემის ნებასაც გამოხატავს (ამ შემთხვევაში იმ პირის მიმართ, რომელსაც ნების გამოვლენა მიუწევს. შდრ. § 164-ის მე-11 ველი). მოვალის ამ ნების გამოვლენაზე აქცეპტს კი კრედიტორი აკეთებს დაწესებულებაში გაკეთებული განცხადებით დეპონირებიდან ნივთის გადმოცემის ან შესრულების მიღების შესახებ.

§ 372. წინაპირობები

მაშინ, როდესაც კრედიტორი აცილებს შესრულების მიღების ვადას, მოვალეს შეუძლია, ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვა დოკუმენტები, ასევე ძვირფასეულობა, კრედიტორისათვის შესანახად შეიტანოს სამისოდ განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებაში. ზანალოგიური წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც მოვალეს არ შეუძლია თავისი ვალდებულების შესრულება ან ვალდებულების საიმედოდ შესრულება კრედიტორის პიროვნებასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ან კრედიტორის ვინაობის არცოდნის გამო და ეს არცოდნა არ არის გამოწვეული მისი გაუფრთხილებლობით.

§ 373. ერთდროულად განსახორციელებელი შესრულებები

თუ მოვალე ვალდებულია, შეასრულოს ვალდებულება მხოლოდ კრედიტორის მხრიდან შესრულების სანაცვლოდ, მაშინ მას შეუძლია, დეპონირებული ნივთის

მიღებაზე კრედიტორის უფლება დამოკიდებული გახადოს საპასუხო დაკმაყოფილების განხორციელებაზე.

§ 374. დეპონირების ადგილი; შეტყობინების ვალდებულება

(1) დეპონირება უნდა მოხდეს შემნახველ დაწესებულებაში შესრულების ადგილის მიხედვით; თუ მოვალე დეპონირებას აკეთებს სხვა ადგილას, მაშინ მან უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს ამით გამოწვეული ზიანი.

(2) ¹მოვალემ დეპონირების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს კრედიტორს; ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი. ²შეტყობინება შეიძლება არ გააკეთდეს, თუ იგი მიზანშეუწონელია.

§ 375. უკუქმედების ძალა ფოსტით გაგზავნისას

თუ დეპონირებული ნივთი შემნახველ დაწესებულებას გაეგზავნა ფოსტით, მაშინ ნივთი დეპონირებულად ითვლება მისი ფოსტისთვის ჩაბარების მომენტიდან.

§ 376. ნივთის უკან გამოთხოვის უფლება

(1) მოვალეს აქვს დეპონირებული ნივთის უკან გამოთხოვის უფლება.

(2) ნივთის უკან გამოხმობა გამორიცხულია:

1. თუ მოვალე შემნახველ დაწესებულებას უცხადებს, რომ იგი უარს ამბობს ნივთის უკან გამოთხოვის უფლებაზე;
2. თუ კრედიტორი შემნახველ დაწესებულებას უცხადებს ნივთის მიღების შესახებ;
3. შემნახველ დაწესებულებას წარედგინება კრედიტორსა და მოვალეს შორის წარმოებულ დავაზე მიღებული კანონიერი ძალაში შესული სასამართლოს განწყვეტილება, რომელიც დეპონირებას აღიარებს კანონიერად.

§ 377. ნივთის უკან გამოხმობის უფლების დაყადაღების დაუშვებლობა

(1) მოვალის მიერ ნივთის უკან გამოთხოვის უფლება არ ექვემდებარება დაყადაღებას.

(2) იმ შემთხვევაში, თუ მოვალის ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმისწარმოება, გაკოტრების საქმისწარმოების განმავლობაში მოვალეც ვერ განახორციელებს ნივთის უკან გამოთხოვის უფლებას.

§ 378. დეპონირების სამართლებრივი შედეგი ნივთის უკან გამოთხოვის უფლების გამორიცხვის შემთხვევაში

თუ დეპონირებული ნივთის უკან გამოთხოვა გამორიცხულია, მაშინ მოვალე დეპონირების შედეგად თავისი ვალდებულებისაგან თავისუფლდება ისეთი სახით, როგორც გათავისუფლდებოდა კრედიტორის მიმართ ვალდებულების დეპონირების მომენტი შესრულების შემთხვევაში.

§ 379. დეპონირების სამართლებრივი შედეგი, როდესაც ნივთის უკან გამოთხოვის უფლება არ არის გამორიცხული

(1) თუ დეპონირებული ნივთის უკან გამოხმობა გამორიცხული არ არის, მაშინ მოვალეს შეუძლია მიუთითოს კრედიტორს დეპონირებულ ნივთზე.

(2) მანამ, სანამ ნივთი დეპონირებულია, რისკი ეკისრება კრედიტორს და მოვალე არ არის ვალდებული, გადაიხადოს პროცენტები ან საზღაური მიუღებელი შემოსავლისათვის.

(3) თუ მოვალე იბრუნებს დეპონირებულ ნივთს, მაშინ დეპონირება არ ითვლება განხორციელებულად.

§ 380. მიღებაზე უფლებამოსილების დადასტურება

იმდენად, რამდენადაც, შემნახველ დაწესებულებაში მოქმედი წესების თანახმად, კრედიტორის მიერ მიღებაზე უფლებამოსილების დადასტურებისათვის აუცილებელია ან საკმარისი მოვალის მიერ ამ უფლებამოსილების მაღიარებელი განცხადება, კრედიტორს შეუძლია, მოსთხოვოს მოვალეს განცხადების გაკეთება იმავე პირობებით, რომელთა არსებობის შემთხვევაში იგი უფლებამოსილი იქნებოდა ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე, დეპონირება რომ არ განხორციელებულიყო.

§ 381. დეპონირების ხარჯები

დეპონირების ხარჯები ეკისრება კრედიტორს, თუ მოვალე დეპონირებულ ნივთს არ იბრუნებს.

§ 382. კრედიტორის უფლების გაუქმება

კრედიტორის უფლება დეპონირებულ თანხაზე უქმდება დეპონირების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 წლის გასვლის შემდეგ, თუ კრედიტორი შემნახველ დაწესებულებას უფრო ადრე არ წარუდგენს შეტყობინებას; მოვალე უფლებამოსილია ნივთის უკან გამოთხოვაზე იმ შემთხვევაშიც, თუ მან ნივთის უკან გამოთხოვის უფლებაზე უარი თქვა.

§ 383. დეპონირებაუუნარო ნივთების აუქციონზე გაყიდვა

(1) ¹თუ გადასაცემი მოძრავი ნივთი უფარგისია დეპონირებისათვის, მაშინ მოვალეს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას შეუძლია, გაყიდოს იგი აუქციონზე ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით და ამონაგები თანხა შეიტანოს დეპოზიტზე. ²ანალოგიური წესი მოქმედებს § 372-ის მე-2 ნაწილში მითითებულ შემთხვევებში, თუ არსებობს ნივთის გაფუჭების საფრთხე ან შენახვა დაკავშირებულია შეუსაბამო ხარჯებთან.

(2) თუ ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით, აუქციონზე გაყიდვისაგან სათანადო შედეგი არ არის მოსალოდნელი, ნივთი უნდა გაიყიდოს აუქციონზე სხვა უფრო მისაღებ ადგილას.

(3) ¹აუქციონი უნდა ჩატარდეს საჯაროდ, აუქციონის ადგილმდებარეობის მიხედვით დანიშნული სასამართლო აღმასრულებლის ან სხვა აუქციონის ჩატარებაზე უფლებამოსილი მოხელის, ანდა საჯაროდ დანიშნული აუქციონის ჩამტარებლის მიერ (საჯარო აუქციონი). ²აუქციონის დრო და ადგილი ნივთის ზოგად აღწერილობასთან ერთად საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს.

(4) ამ ნორმის პირველი-მე-3 ნაწილები არ მოქმედებს რეგისტრირებული ან მშენებარე საზღვაო ხომალდების მიმართ.

§ 384. გაფრთხილება აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

(1) აუქციონი დასაშვებია მხოლოდ ამის თაობაზე კრედიტორის გაფრთხილების შემდეგ; შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ ნივთს ემუქრება განადგურების საფრთხე და აუქციონის გადადება დაკავშირებულია საფრთხესთან.

(2) მოვალემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს კრედიტორს აუქციონის შესახებ; ამ მოქმედების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი ვალდებულია ზიანის ანაზღაურებაზე.

(3) გაფრთხილება და შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ ისინი მიზანშეუწონელია.

§ 385. გაყიდვა საკუთარი შეხედულებით

თუ ნივთს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მაშინ მოვალეს შეუძლია გაყიდოს ნივთი საკუთარი შეხედულებით, მიმდინარე ფასად, ასეთ ნასყიდობებზე ოფიციალურად უფლებამოსილი სავაჭრო მაკლერის ან საჯარო აუქციონის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

§ 386. აუქციონის ხარჯები

აუქციონის ან § 385-ის მიხედვით განხორციელებული გაყიდვის ხარჯები ეკისრება კრედიტორს, თუ მოვალე არ იბრუნებს დეპონირებულ ამონაგებ თანხას.

კარი 3. გაქვითვა

§ 387-ის შესავალი

I. ზოგადი მიმოხილვა

- 1 **1. ფუნქცია.** გაქვითვას აქვს ორი ფუნქცია: პირველ რიგში, იგი გამოიყენება როგორც შესრულების სუროგატი და ინვესტს მოთხოვნის შეწყვეტას, რომლისკენაც მიმართულია იგი. ამ ფუნქციას ეწოდება **შესრულების ფუნქცია**. გარდა ამისა, გაქვითვის განმხორციელებელი პირი⁶¹, სარჩელისა და იძულებითი აღსრულების გარეშე, იღებს უშუალოდ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რომელსაც იგი საპირისპირო მოთხოვნით ქვითავს. გაქვითვის ამ ფუნქციას ეწოდება **აღსრულების ფუნქცია**. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც მთავარი მოთხოვნის კრედიტორი გადახდისუუნაროა; მიუხედავად კრედიტორის გადახდისუუნარობისა, ამ შემთხვევაში, გაქვითვის განმხორციელებელი პირი იღებს თავისი საპირისპირო მოთხოვნის სრულ დაკმაყოფილებას. ეს მოქმედებს ასევე, გაქვითვის ადრესატის⁶² გადახდისუუნარობის შემთხვევაშიც, ასევე, მაშინაც, როდესაც ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის მდგომარეობა ჯერ კიდევ გადახდისუუნარობის საქმის წარმოებამდე იყო მოცემული (გადახდისუუნარობის საქმის წარმოების კანონის 94 და შემდეგი ველები). გამომდინარე აქედან, გაქვითვის განხორციელების შესაძლებლობა არის ქონებრივი ღირებულების მქონე სამართლებრივი პოზიცია, რომლის მხარისთვის შეზღუდვა შესაძლებელია. შედარებისათვის იხილეთ §§ 390, 392, 406.
- 2 **2. წინაპირობები.** გაქვითვა, როგორც აღმჭურველი უფლება, ერთ-ერთი მხარის მიერ უნდა განხორციელდეს. **შემონმების მიმდინარეობა** (ისევე, როგორც ყველა აღმჭურველი უფლების შემთხვევაში) შემდეგნაირია: ა) უნდა არსებობდეს **განხორციელების საფუძველი** ანუ მოცემული იყოს გაქვითვის მდგომარეობა (ქვემოთ, მე-3 და მომდევნო ველები); ბ) **უფლების განხორციელების შესახებ გაქვითვის ადრესატისადმი შეტყობინება**. ეს შეტყობინება (განცხადება) გამოუხმობადია და დაუშვებელია მისი რაიმე პირობით განხორციელება (§ 388-ის მე-2 წინადადება). თუმცა, პროცესში დაშვებულია გაქვითვის შეტყობინება იმ შემთხვევისთვის, როდესაც სასამართლოს ძირითადი მოთხოვნის არსებობას ამონმებს და შემდეგ ახდენს გაქვითვას (ე.წ. ევენტუალური გაქვითვა⁶³); გაქვითვის ეს სამართლებრივი

61 **Aufrechnende** – გაქვითვის განმხორციელებელი, პირი, რომელთანაც ურთიერთობაში არის ძირითადი მოთხოვნის მოვალე და საპირისპირო მოთხოვნის კრედიტორი.

62 **Aufrechnungsgegner** – გაქვითვის ადრესატი, პირი, რომელთანაც ურთიერთობაში არის ძირითადი მოთხოვნის კრედიტორი და საპირისპირო მოთხოვნის მოვალე.

63 **Eventualaufrechnung** – ევენტუალური გაქვითვა – ეს არის საპირისპირო მოთხოვნით გაქვითვის შემთხვევა, რომლის დროსაც სამოქალაქო პროცესში გაქვითვის ადრესატის მიმართ გაქვითვის განცხადება/შეტყობინება მაშინ ხდება, როდესაც დადგინდება, რომ

პირობა § 158-ის ფარგლებში არ განიხილება პირობად; გ) **განხორციელების უფლება არ უნდა იყოს გამორიცხული**. გაქვითვის გამორიცხვასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ, მე-8 და მომდევნო ველები.

II. გაქვითვის მდგომარეობა

3 გაქვითვის მდგომარეობად მიიჩნევა ორი ერთმანეთის საპირისპირო და ერთ-გვაროვანი მოთხოვნის ურთიერთმიმართებაში ყოფნა მაშინ, როდესაც საპირისპირო მოთხოვნა განხორციელებადი, ხოლო ძირითადი მოთხოვნა შესრულებადია.

4 **1. ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნების არსებობა.** ძირითადი მოთხოვნის მოვალე უნდა იყოს საპირისპირო მოთხოვნის კრედიტორი და ძირითადი მოთხოვნის კრედიტორი უნდა იყოს საპირისპირო მოთხოვნის მოვალე (იხ. § 387-ის რეგულირება: „ერთმანეთის მიმართ“). როგორც წესი, **მესამე პირებს** უფლება არ აქვთ, მათზე მიმართული მოთხოვნები შეასრულონ (§ 267); როგორც წესი, მათ არ გააჩნიათ გაქვითვის მდგომარეობის ქონებრივ-ღირებულებითი უპირატესობის გამოყენების შესაძლებლობა (ზემოთ, მე-3 ველი). თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, მესამე პირებსაც აქვთ უფლება, გაქვითონ კრედიტორის მოთხოვნა მაშინ, როდესაც კანონი მათ ამის უფლებას აძლევს, უფლების ან სამართლებრივი პოზიციის შესაძლო დაკარგვის თავიდან ასაცილებლად (მესამე პირის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების უფლება; მაგ.: §§ 268-ის მე-2 ნაწილი, 1142-ის მე-2 ნაწილი, 1150, 1249). ამ შემთხვევაში, მესამე პირის პოზიცია უთანაბრდება ძირითადი მოთხოვნის მოვალის სამართლებრივ პოზიციას. გაქვითვა **მესამე პირის მიმართ**, მაშასადამე იმ პირის მიმართ, რომელიც ძირითადი მოთხოვნის კრედიტორი არაა, დაშვებულია ზოგიერთი ნორმით მაშინ, როდესაც გაქვითვის განმარტებული პირის კეთილსინდისიერება გაქვითვის შესაძლებლობასთან მიმართებაში კანონით დაცულია, მაგალითად, §§ 406, 409, 566დ-ს შემთხვევებში.

5 **2. ვალდებულების საგნის ერთგვაროვნება** (იხ. § 387). როგორც წესი, ძირითად და საპირისპირო მოთხოვნას ერთი და იგივე ვალდებულებითი შინაარსი უნდა ჰქონდეთ. ეს შესაძლებელია გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული შესრულების შემთხვევაში, მაგრამ, როგორც წესი, ფულადი ვალდებულებების დროს ყოველთვის სახეზეა ვალდებულებათა ერთგვაროვნება. მოთხოვნის **განსხვავებულ ოდენობას** მნიშვნელობა არ ენიჭება (იხ. § 389-ის რეგულირება: „როდესაც“): „ა“-ს ეკისრება „ბ“-სთვის 100 ევროს გადახდა, ხოლო „ბ“-ს „ა“-სთვის 200 ევროსი; ამდენად, ორივეს შეუძლია, გაქვითოს და შედეგად „ბ“-ს დარჩება „ა“-სთვის 100 ევრო გადახდის ვალდებულება. § 391-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გაქვითვისას მნიშვნელობა არ ენიჭება **შესრულების განსხვავებულ ადგილს**. § 273-ისგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი, რომ მოთხოვნები ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობდეს.

6 **3. საპირისპირო მოთხოვნა განხორციელებადი**, მაშასადამე, ვადამოსული და შესაგებლისგან თავისუფალი უნდა იყოს (§ 390). ისევე, როგორც § 273-ის შემთხვევაში, გაქვითვის გამოსარიცხავად საკმარისია შესაგებლის არსებობა; შესაგებლის წარდგენა (განცხადება) არ არის აუცილებელი. მაშინ, როდესაც ორივე მხარეს, § 320-იდან გამომდინარე, შესაგებელზე აქვს უფლება, მათ მაინც შეუძლიათ გაქვითონ. გაქვითვას აქვს ვალდებულების თანადროული შესრულების ეფექტი. გაქვითვის შეტყობინების დროს დამდგარი ხანდაზმულობაც ვერ გამორიცხავს გაქვითვას, თუ გაქვითვის მდგომარეობა მანამდე არსებობდა (§ 215).

მეორეს მხარეს ნამდვილად აქვს განხორციელებადი მოთხოვნა. სასამართლო ჯერ ადგენს მეორე მხარის (ადრესატის) მოთხოვნის ნამდვილობას და მხოლოდ ამის შემდეგ ითვალისწინებს საპირისპირო მოთხოვნის გაქვითვის შესაძლებლობას.

- 7 **4. ძირითადი მოთხოვნის შესრულებადობა.** როგორც წესი, გაქვითვის განმარტოვებულ მოვალეს უფლება აქვს, ძირითადი მოთხოვნა დაუყოვნებლივ, მაშასადამე, ვადამოსულობამდე შეასრულოს (§ 271-ის მე-2 ნაწილი, შდრ. იხ. § 271 ველი 1).

III. გაქვითვის გამორიცხვა

- 8 **1. გაქვითვა შესაძლებელია, კანონით იყოს გამორიცხული.** ხაზგასასმელია შემდეგი შემთხვევები:
- 9 ა) თუ მოთხოვნა მესამე პირის მიერ დაყადაღებულია, აღმასრულებელი სასამართლო უკრძალავს კრედიტორს მოთხოვნაზე ნებისმიერი სახის ზემოქმედებას (განკარგვას და ა.შ.), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 829 პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, ხოლო მოვალეს, კრედიტორისათვის თანხის გადახდას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 829 პირველი ნაწილის პირველი წინადადება. § 392-ის მიხედვით, როგორც წესი, მოვალესაც არ შეუძლია, დაყადაღებული ძირითადი მოთხოვნა გაქვითოს. გამონაკლისია ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, როდესაც გაქვითვის მდგომარეობა დაყადაღებამდე არსებობდა: მოვალეს გაქვითვის შესაძლებლობა არ უნდა წაერთვას დაყადაღების გამო.
- 10 ბ) თუ ძირითადი მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი არის დელიქტური ქმედება, მაშინ ამ მოთხოვნის მოვალეს, § 393-ის მიხედვით, უფლება არ აქვს, ვალდებულებიდან გათავისუფლდეს გაქვითვით. მას, ვისაც, დელიქტიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს, საპირისპირო მოთხოვნით წარმოშობილი მოსალოდნელი სიძნელებისგან დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს თავისი მოთხოვნის განხორციელება. თუმცა, დელიქტით დაზარალებულ პირს შეუძლია, გაქვითვით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა მაშინ, თუ მისი მოთხოვნა დელიქტიდან წარმოშობილი საპირისპირო მოთხოვნაა. ამ შემთხვევაში, გაქვითვა არ ეწინააღმდეგება § 393-ით განსაზღვრულ გაქვითვის აკრძალვის მიზანს და ნორმის შინაარსს. ასევე, არ გამოიყენება § 393 მაშინ, როდესაც ძირითადი მოთხოვნა განზრახ დარღვეული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ § 393-ით დადგენილი გაქვითვის აკრძალვა მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მოთხოვნა განზრახ ჩადენილი დელიქტიდან გამომდინარეობს და წარმოშობილია ერთი და იმავე ცხოვრებისეული ურთიერთობიდან (მაგ., ლანძღვა-გინება; BGH NJW 2009, 3508). ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ნორმა თავისი მიზნის გამო – თავიდან აიცილოს პირადი შურისძიების შემთხვევები – ზემოაღნიშნულ შემთხვევებში არ უნდა იქნეს გამოყენებული (მაგ. *Jauernig-Stürner*, § 393 1-ლი ველი). თუმცა, საპირისპირო გამომდინარეობს ნორმის მიზნიდან და შინაარსიდან – თავიდან იქნეს აცილებული სამართლებრივი არასტაბილურობა.
- 11 გ) იმ შემთხვევაში, თუ (ძირითადი) მოთხოვნა დაყადაღებას არ ექვემდებარება იმის გამო, რომ უზრუნველყოფს კრედიტორის საარსებო მინიმუმი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 850 და შემდგომი მუხლები), ვერ მოხდება მისი გაქვითვა (§ 394). აღნიშნულიდან გამონაკლისი, შესაძლებელია, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობდეს იმ შემთხვევებში, როდესაც განზრახი დელიქტური მოქმედების საპირისპირო მოთხოვნა იმავე ცხოვრებისეული ურთიერთობიდან გამომდინარეობს.
- 12 **2. გაქვითვა შესაძლებელია ხელშეკრულებითაც** გამოირიცხოს. საკმარისია, ამის თაობაზე კონკლუდენტური შეთანხმებაც. ზოგიერთი სავაჭრო დათქმა, ამ წესის შესაბამისად, შეიცავს გაქვითვის აკრძალვას. ზოგიერთ შემთხვევაში, გაქვითვის კონკლუდენტური გამორიცხვა გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან: გაქვითვის აკრძალვა, შესაძლებელია, ცალკეული შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებით, სახეზე იყოს მაშინ, როდესაც ბანკი გარანტიას

„პირველი მოთხოვნისთანავე“ იძლევა, ან მაშინ, როდესაც მინის ნაკვეთის მყიდველმა გადახდა უნდა განახორციელოს ნოტარიუსთან დეპონირებით. თუმცა, ხელშეკრულებით გაქვითვის აკრძალვები არ შეიძლება ასე შეუზღუდავად იქნეს შეთანხმებული. მაგალითად, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არასადავო და დადგენილი სამართლებრივი ძალის მქონე საპირისპირო მოთხოვნა შესაძლებელია გაქვითულ იქნეს, მიუხედავად იმისა, რომ გაქვითვის აკრძალვა გათვალისწინებული იყო სტანდარტული პირობებით (§ 309-ის №3) ან ინდივიდუალური შეთანხმებით (BGH WM 1985, 684).

IV. სამართლებრივი შედეგები

§ 389-ის მიხედვით, გაქვითვის შედეგად, გაქვითვის მდგომარეობის დადგომის 13 მომენტიდან, წყდება ძირითადი და საპირისპირო მოთხოვნები. ამ მომენტიდან არ გაითვალისწინება ვადის გადაცილების შედეგები (ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, შესრულების რისკზე პასუხისმგებლობა, პროცენტი).

V. გაქვითვის ხელშეკრულება

მოთხოვნათა გაქვითვის ცალმხრივი შეტყობინების ნაცვლად, შესაძლებელია, 14 ასევე, ორმხრივი მოთხოვნების გაქვითვა განხორციელდეს ხელშეკრულებით (გამოიყენება ბანკების ყოველდღიურ საქმიანობაში). გაქვითვის ხელშეკრულების დასაშვებობა სრულად ეფუძნება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს (§ 311-ის პირველი ნაწილი); მაშასადამე, არ არის მიანცდამინც აუცილებელი, რომ მოცემული იყოს ცალმხრივად გაქვითვის წინაპირობები. შესაბამისად, უმნიშვნელოა, ასევე, მოთხოვნის ვადამოსულობისა და მოთხოვნათა საპირისპიროობის არსებობა, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, თითოეული მხარე თვითონ განკარგავს თავის გასაქვით მოთხოვნას. სადავოა, თუ რამდენად არის შესაძლებელი არაერთგვაროვანი მოთხოვნების სახელშეკრულებო შეთანხმებით გაქვითვა (დამატებით იხ. *Staudinger-Gursky* [2006], 68-ე და მომდევნო ველები).

§ 387. წინაპირობები

თუ ორ პირს ერთმანეთის მიმართ ეკისრება ერთგვაროვანი საგნის მქონე ვალდებულებების შესრულება, მაშინ ყოველ მხარეს შეუძლია გაქვითოს თავისი მოთხოვნა მეორე მხარის მოთხოვნის სანაცვლოდ, როგორც კი მას შეეძლება მის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების განხორციელება.

§ 388. გაქვითვის განცხადება

¹გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისადმი შეტყობინებით. ²შეტყობინება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ იგი წარედგინება პირობით ან ვადის დადგენით.

§ 389. გაქვითვის სამართლებრივი შედეგი

იმ ფარგლებში, რომლებშიც მოთხოვნები ერთმანეთს ფარავს, გაქვითვა შედეგად იწვევს მათ შეწყვეტას მაშინ, როდესაც ხდება მათი ერთმანეთის მიმართ გაქვითვის მიზნით დაპირისპირება.

§ 390. გაქვითვის დაუშვებლობა იმ მოთხოვნის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც წარდგენილია შესაგებელი

დაუშვებელია იმ მოთხოვნის გაქვითვა, რომლის მიმართაც წარდგენილია შესაგებელი.

§ 391. გაქვითვა ვალდებულების შესრულების სხვადასხვა ადგილის შემთხვევაში

(1) ¹გაქვითვა არ გამოირიცხება იმით, რომ მოთხოვნებისათვის არსებობს შესრულებისა და მიწოდების სხვადასხვა ადგილი. ²თუმცა, გაქვითვის განმახორციელებელმა მხარემ უნდა აანაზღაუროს მეორე მხარის მიერ იმ გარემოების შედეგად განცდილი ზიანი, რომლითაც ეს უკანასკნელი გაქვითვის შედეგად განსაზღვრულ ადგილზე არ იღებს შესრულებას, ან ვერ ახორციელებს მას.

(2) თუ არსებობს შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ვალდებულება უნდა შესრულდეს

განსაზღვრულ დროსა და ადგილზე, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ გამორიცხულია იმ მოთხოვნის გაქვითვა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია შესრულების სხვა ადგილი.

§ 392. ყადაღადადებული მოთხოვნის გაქვითვა

მოთხოვნაზე ყადაღის დადებისას კრედიტორის მიმართ მოვალის კუთვნილი მოთხოვნის გაქვითვა გამორიცხულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მოვალემ თავისი მოთხოვნა შეიძინა ყადაღის დადების შემდეგ, ან, როდესაც მისი მოთხოვნის შესრულების ვადა დადგა მხოლოდ ყადაღის დადების შემდეგ და უფრო გვიან, ვიდრე ყადაღადადებული მოთხოვნა.

§ 393. ზიანის მიყენებიდან გამომდინარე მოთხოვნის გაქვითვის დაუშვებლობა

განზრახ ჩადენილი დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის გაქვითვა დაუშვებელია.

§ 394. იმ მოთხოვნის გაქვითვის დაუშვებლობა, რომელიც არ ექვემდებარება დაყადაღებას

¹იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა არ ექვემდებარება დაყადაღებას, დაუშვებელია მისი გაქვითვა. ²თუმცა, ჯანმრთელობის, სოციალური დახმარების ან გარდაცვალების შემთხვევისათვის არსებული ფონდებიდან, განსაკუთრებით კი, სამთო მუშაკებისა და სამთო მუშაკების კავშირების ფონდებიდან განსახორციელებელი გადახდების ანგარიშში შეიძლება გაიქვითოს ამ ფონდებისთვის განკუთვნილი გადახდები.

§ 395. საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოთხოვნების გაქვითვა

ფედერაციის ან ფედერალური მიწის, მუნიციპალიტეტის ან მუნიციპალიტეტების გაერთიანების მოთხოვნის გაქვითვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულება უნდა განხორციელდეს იმ სალაროს მიმართ, რომლიდანაც გაქვითვის განმახორციელებელი მხარის მოთხოვნა უნდა დაიფაროს.

§ 396. რამდენიმე მოთხოვნა

(1) ¹თუ ერთ ან მეორე მხარეს აქვს რამდენიმე გაქვითვისათვის ვარგისი მოთხოვნა, მაშინ გაქვითვის განმახორციელებელ მხარეს შეუძლია განსაზღვროს ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა იქნეს ერთმანეთის მიმართ გაქვითული. ²თუ გაქვითვის შესახებ განცხადება გაკეთებულ იქნა ამ განსაზღვრის გარეშე, ან თუ მეორე მხარე დაუყოვნებლივ წარადგენს თავის პროტესტს, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 366-ის მე-2 ნაწილის რეგულირება.

(2) თუ გაქვითვის განმახორციელებელ მხარეს, ძირითად ვალდებულებასთან ერთად, ეკისრება პროცენტებისა და ხარჯების გადახდა, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 367-ის რეგულირება.

კარი 4. ვალის პატიება

§ 397. ხელშეკრულება ვალის პატიების შესახებ; ვალის არარსებობის აღიარება

(1) ვალდებულება წყდება, როდესაც ხელშეკრულებით კრედიტორი მოვალეს პატიობს ვალს.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი მოვალესთან დადებული ხელშეკრულებით აღიარებს, რომ ვალდებულება არ არსებობს.

ნაწილი 5. მოთხოვნის დათმობა

§ 398-ის შესავალი

I. ზოგადი მიმოხილვა

1. **1. ცნება.** მოთხოვნის დათმობა არის მოთხოვნის ერთი კრედიტორიდან (თავდაპირველი კრედიტორი; **ცედენტი**) მეორეზე (ახალი კრედიტორი; **ცესიონერი**) ხელშეკრულებით გადასვლა (§ 398-ის პირველი ნაწილი). თუმცა, მოთხოვნის დათმობა შესაძლებელია, ასევე, კანონის საფუძველზე მოხდეს („*cession legis*“, მაგ., კოდექსის §§ 268-ის მე-3 ნაწილი, 426-ის მე-2 ნაწილი, 774, 1143-ის პირველი ნაწილი, 1225, 1249). მოთხოვნის კრედიტორის შეცვლა, შესაძლებელია, ასევე, სახელმწიფო აქტით (მაგ., გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 835-ის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში მოთხოვნის დათმობის შესახებ ნორმები შესაბამისად გამოიყენება (§ 412). იმისათვის, რომ მოთხოვნის დათმობა შედგეს, არ არის აუცილებელი მოვალის თანამოქმედება (მაგ., მისი თანხმობა) ან მოვალისადმი დათმობის შესახებ შეტყობინება. ამ კუთხით მოვალის სამართლებრივი მდგომარეობის დამცავ ნორმებს შეიცავენ § 404 და მომდევნო ნორმები.

2. **2. სამართლებრივი ბუნება.** მოთხოვნის დათმობა არის მოთხოვნის შესახებ დადებული **აბსტრაქტული განკარგვის ხელშეკრულება**. შესაბამისად, მისი სისტემური მდებარეობა კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში არადაამაჯერებელია. **აბსტრაქციის პრინციპის** თანახმად, კაუზალური ძირითადი გარიგება (მაგ.: ნასყიდობა, ჩუქება, დავალება ან ვალდებულების უზრუნველყოფა), როგორც წესი, მოთხოვნის დათმობის გარიგებისგან დამოუკიდებელია. შესაბამისად, ძირითადი გარიგების ნაკლოვანება დათმობის ნამდვილობაზე არ მოქმედებს. თუმცა, მხარეებს შეუძლიათ, მოთხოვნის დათმობა ხელშეკრულების ნამდვილობის პირობაზე დამოკიდებული გახადონ. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ გადანყვეტილებით (BGH NJW 1982, 275) განსაზღვრა, რომ **უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობისას (Sicherungsabtretung, Sicherungszession⁶⁴)**,

64 უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობა (Sicherungsabtretung, Sicherungszession). ეს ტერმინი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მოხსენიებულია „მოთხოვნის ფიდუციარულ დათმობად“, ასევე, „უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობად“, ხოლო სასამართლო პრაქტიკაში იწოდება „უზრუნველყოფილ ცესიად“. ცნებასთან დაკავშირებით იხ. უზენაესი სასამართლოს 19/10/2010-ის გადანყვეტილება საქმეზე – N ას–379–352–2010. აქ მოიაზრება ისეთი შემთხვევები, როდესაც მოთხოვნის დათმობა ემსახურება კრედიტის ან რაიმე მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზანს. მაგ., ცედენტი უთმობს ცესიონერს ვინმე მესამე პირის მიმართ არსებულ მოთხოვნას, რათა უზრუნველყოს თავისი, ცესიონერისგან მიღებული, კრედიტი. ამ ურთიერთობას ეწოდება ფიდუციარული. სიტყვა „ფიდუციარული“ წარმოშობილია ლათინურიდან – *fiducia* – და ნიშნავს ნდობას, მინდობას და ამ სახის უზრუნველყოფის ბუნებას უსვამს ხაზს. ცედენტი ცესიონერზე უზრუნველყოფის მიზნით დათმობლ მოთხოვნას „მიანდობს“ მას, რაც იმას გულისხმობს, რომ კრედიტის დასრულების (გადახდის) შემდგომ ცესიონერმა

მისი ნამდვილობა შესაძლოა, კონკლუდენტურადაც კი იყოს უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობით პირობადებული (ქვემოთ, მე-14 ველი).

II. წინაპირობები

- 3 **1. შეთანხმება.** ცედენტი და ცესიონერი უნდა შეთანხმდნენ მოთხოვნის გადაცემაზე. შეთანხმება უნდა ეხებოდეს კონკრეტულ მოთხოვნას. არ არის სავალდებულო, რომ დასათმობი მოთხოვნა დათმობის მომენტში არსებობდეს. მოთხოვნების კონკრეტულობასთან (განსაზღვრულობასთან) დაკავშირებით პრობლემები, ძირითადად, თავს იჩენს ხოლმე **უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობის შემთხვევებში**. ამასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ, მე-14 ველი.
- 4 მოთხოვნის დათმობის შესახებ შეთანხმება, როგორც წესი, **არ მოითხოვს ფორმის დაცვას**. თუმცა, ამ კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევებს ეხვდებათ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობის შემთხვევების დროს (§ 1154), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილების დათმობისას და, ასევე, ფასიანი ქაღალდების სამართალში.
- 5 **2. მოთხოვნის დათმობის დასაშვებობა.** სამომავლო მოთხოვნების დათმობის დასაშვებობასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ, მე-16 და მომდევნო ველები. ა) კანონის მიხედვით დაუშვებელია იმ მოთხოვნების დათმობა, რომლებიც განსაკუთრებით მჭიდროდაა დაკავშირებული კრედიტორის პიროვნებასთან, მაგალითად, §§ 473, 717-ის შემთხვევებში.
- 6 ბ) § 399-ის პირველი ალტერნატივის მიხედვით, მოთხოვნის დათმობა დაუშვებელია მაშინ, როდესაც დათმობით **ვალდებულების შინაარსი იცვლება**, ანუ ძველი (თავდაპირველი) კრედიტორის ახლით ჩანაცვლება იწვევს ვალდებულების შინაარსის ცვლილებას. ამ შემთხვევებში, საქმე ეხება უკიდურესად პერსონალურ უფლებებს (მაგ., დაუშვებელია შვებულების მოთხოვნის დათმობა), პირთან დაკავშირებულ სხვა უფლებებს (მაგ., წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნას ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით), ასევე, აქცესორულ დამატებით უფლებებს ან სხვა დამოკიდებულ დამხმარე უფლებებს (მაგ.: იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა, მოთხოვნა ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენაზე და ა.შ.).
- 7 გ) § 399-ის მე-2 ალტერნატივის მიხედვით, მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობის მნიშვნელოვანი პრაქტიკული შემთხვევაა მისი **სახელშეკრულებო გამორიცხვა** („pactum de non cedendo“). § 137-ისგან განსხვავებით, მხარეებს შეუძლიათ მოთხოვნის შემდგომი განკარგვა **სანივთოსამართლებრივი შედეგით** გამორიცხონ. სადავოა, რამდენად შეუძლია მოვალეს უკვე განხორციელებული მოთხოვნის დათმობის მცდელობა, § 185-ის პირველი ნაწილის თანახმად, უკუქცევითი ძალით დაადასტუროს (ამ მოსაზრებას ეთანხმებიან მეცნიერები და გაზიარებულია გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ – BGHZ 40, 156⁶⁵), ან რამდენად არის შესაძლებელი, გარიგების გაუქმების ხელშეკრულებით (რომელიც მხოლოდ ex nunc მოქმედებს) მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის უკუქცევა (მაგ. BGHZ

დათმობილი მოთხოვნა უკან უნდა გადასცეს ცედენტს. კომენტარის თარგმნისას ტექსტში გამოყენებულ იქნა ტერმინი „უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობა“. ვფიქრობთ, ეს ტერმინი უფრო სწორად გადმოსცემს ამ ინსტიტუტის არსს, ვიდრე ქართულ იურიდიულ ლიტერატურასა თუ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ტერმინები. ცნების დასაზუსტებლად იხილეთ § 398-ის შესავლის მე-14 ველი.

65 BGHZ 40, 156 – დასკვნა გადანყვეტილებიდან: იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი და მოვალე შეთანხმდებიან, რომ მოთხოვნის დათმობისათვის აუცილებელია მოვალის თანხმობა, მაშინ მოთხოვნის ასეთი დათმობა არა მარტო მოვალის მიმართ იქნება არანამდვილი, არამედ მესამე პირის მიმართაც. ამ წესიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მოთხოვნის ორჯერ დათმობა და მოვალე მხოლოდ მეორე დათმობას დაეთანხმა და, შესაბამისად, მხოლოდ მეორე ცესიონერის მიმართ შეასრულებს ვალდებულებას, პირველი ცესიონერი ვერ მოსთხოვს მეორე ცესიონერს შესრულების გადმოცემას.

70, 299⁶⁶). ორივე მსჯელობას, ხშირ შემთხვევაში, ერთი შედეგისკენ მივყავართ, ვინაიდან, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, შესაბამისად უნდა იქნეს გამოყენებული § 184-ის მე-2 ნაწილი: შედეგად, მოვალის (რომელიც ახდენს დათმობის მოწონებას) მიერ მოთხოვნის პერიოდული განკარგვები ნამდვილი რჩება. იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე მოთხოვნის ორჯერ დათმობისას ჯერ მეორე, ხოლო შემდგომ პირველ დათმობას მოიწონებს, პირველად მოწონებული (მეორე) დათმობა იქნება ნამდვილი, მიუხედავად იმისა, რომ § 184-ის მე-2 ნაწილის გამო, მეორე მოწონებას უკუქცევითი ძალა აქვს (BGHZ 40, 156; შდრ. იხ. ასევე BGHZ 70, 299).

დ) გამორიცხულია იმ მოთხოვნების დათმობა, რომლებიც არ ექვემდებარებიან დაყადაღებას (§ 400). აქ ყურადღება უნდა მიექცეს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დაყადაღების ამკრძალავ ნორმებს (§ 850 და მისი მომდევნო ნორმები). პირს არ უნდა შეეძლოს იმ მოთხოვნის სხვისთვის თავისუფლად გადაცემა, რომელიც არ ყადაღდება. თუმცა, აკრძალვის იდეისა და მიზნის გათვალისწინებით, გამონაკლისი შესაძლოა მაინც იყოს შემდეგი შემთხვევა: მოთხოვნის დათმობა დასაშვებია მაშინ, როდესაც ცედენტი, მოთხოვნის დათმობისას, ეკონომიკური თვალსაზრისით, შესაბამის საპირისპირო შესრულებას იღებს (მაგ., ხელფასის მოთხოვნის დათმობა იმ პროფესიული კავშირისთვის, რომელიც ხელს უწყობს და აფინანსებს გაფიცვას⁶⁷).

3. ცედენტის უფლებამოსილება. ა) ცედენტი უნდა იყოს მოთხოვნის მფლობელი (Inhaber) ან იმ მომავალში წარმოსაშობი მოთხოვნის მფლობელი უნდა ხდებოდეს, რომლის დათმობასაც წინმსწრებად ახდენს (ამასთან დაკავშირებით იხ. მე-16 ველი). პრობლემები შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც ცედენტი მომავალში წარმოსაშობ ერთსა და იმავე მოთხოვნას, უზრუნველყოფის მიზნით, მრავალჯერ თმობს. მაგალითად, „ა“-მ, თავისი კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით, ბანკ „ბ“-ს პირველ აპრილს დაუთმო თავისი მომავალში წარმოშობადი მოთხოვნა, რომლის ვადამოსულობაც 3 აპრილს დგება. იგივე მოთხოვნა „ა“-მ დაუთმო 2 აპრილს კომპანია „კ“-ს, თავისი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. გერმანიაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამ შემთხვევაში, მიჩნეულია, რომ ნამდვილია მოთხოვნის პირველი განკარგვა (ბანკზე) და ეს საბუთდება **პრიორიტეტულია პირისგან**. დამატებით იხილეთ ქვემოთ, მე-18 და მომდევნო ველები.

ბ) მატერიალური საგნის განკარგვისგან განსხვავებით (§§ 932, 892-ის მიხედვით), როგორც წესი, შეუძლებელია, მოთხოვნა შეძენილ იქნეს არაუფლებამოსილი პირისგან. ამას აქვს თავისი მიზეზი: როგორც წესი, მოთხოვნების შემთხვევაში, არ არის მოცემული მათი არსებობისა და მფლობელობის დამადასტურებელი გარე შესამჩნევი ნიშნები (არ არსებობს პრეზუმფცია). თუმცა, არსებობს მოთხოვნის შეძენის ისეთი გამონაკლისები, სადაც ასეთი ვარაუდი სახეზეა: მოვალის მიერ თვალთმაქცურად გაცემული სავალო დოკუმენტი (§ 405) და, § 2366⁶⁸-ის

66 BGHZ 70, 299 – დასკვნა გადანყვეტილებიდან: იმ შემთხვევაში, თუ მოვალე მოგვიანებით, შეთანხმების ძალით, იწონებს დაუთმობად მოთხოვნას, რომელიც მოთხოვნის მფლობელმა მათი შეთანხმების საწინააღმდეგოდ მაინც დათმო, მაშინ მოწონება არ მოქმედებს დათმობის მომენტიდან. დათმობასა და „მოწონებას“ შორის მოთხოვნის მფლობელი კრედიტორების მიერ განხორციელებული მოთხოვნის დაყადაღებები ნამდვილი რჩება.

67 ხელფასის მოთხოვნის სრულად დათმობა დაუშვებელია გერმანიაში, ვინაიდან გარანტირებულია საარსებო მინიმუმი, რომლის მოთხოვნაც არც დათმობას და, მით უმეტეს, არც დაყადაღებას არ ექვემდებარება.

68 § 2366. სამკვიდრო მონაშობის საჯარო ნდობა

თუ პირი, რომელიც სამკვიდრო მონაშობაში მითითებულია როგორც მემკვიდრე, ან გარიგებით იქნეს სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებულ საგანს, ან ასეთ საგანზე უფლებას, ანდა თავისუფლად სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული უფლებისაგან, მაშინ, § 2365-ით დადგენილი პრეზუმფციის თანახმად, სამკვიდრო მონაშობის შინაარსი

მიხედვით, სამკვიდროს მიკუთვნებული მოთხოვნის დათმობა არამემკვიდრის მიერ, რომელიც სამკვიდრო მონმობას ფლობს. სხვა, დამატებით გამონაკლისებს შეიცავს ფასიანი ქალაქების სამართალი (მდრ. *Medicus/Larenz* SchR II 1054-ე ველი).

III. სამართლებრივი შედეგები

- 11 1. მოთხოვნის დათმობის შედეგად ახალი კრედიტორი იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს ყველა უფლებითა და ვალდებულებით (§ 398-ის მე-2 წინადადება). მაშასადამე, იგი, უპირველეს ყოვლისა, **მოთხოვნის უფლებას** იძენს. მეორე მხრივ, მის მიმართ მოქმედებს ყველა ის შესაგებელი, რომლებიც მოვალეს თავდაპირველი კრედიტორის მიმართ ჰქონდა.
- 12 2. დათმობის შედეგად ცესიონერი ავტომატურად იძენს მოთხოვნაზე დამოკიდებულ (**აქცესორულ**) ყველა **დამატებით უფლებას** (§ 401). § 401-ის პირველ ნაწილში მოხსენიებულია მხოლოდ იპოთეკა, საცურაო ხომალდების იპოთეკა, გირავნობის უფლება, თავდებობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს, ასევე, სხვა აქცესორული უფლებები, განსაკუთრებით, **წინასწარი ჩანანერიდან გამომდინარე** (§ 883), რომლებიც დათმობილ მოთხოვნასთან ერთად გადადის ცესიონერზე. სხვა წესი მოქმედებს (არააქცესორულ) **ფიდუციარულ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების მიმართ** (*Treuhänderische Sicherungsrechte*). ასეთებია: საგარანტიო მინის ვალი (*Sicherungsgrundschild*), უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების გადაცემა (*Sicherungseigentum*), უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობა (*Sicherungszeession*). უზრუნველყოფის ეს საშუალებები მინდობილ პირს (*Treuhänder*) ისეთ სამართლებრივ მდგომარეობაში აყენებს, რომელიც მხოლოდ უზრუნველყოფის ხელშეკრულებით არის დაკავშირებული უზრუნველყოფილ მოთხოვნასთან (ქვემოთ, მე-14 ველი). შესაბამისად, უზრუნველყოფა ავტომატურად არ გადადის დათმობილ მოთხოვნასთან ერთად ახალ კრედიტორზე. თუმცა, შესაძლებელია, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებიდან (მაგ., მოთხოვნის ნასყიდობა) გამომდინარეობდეს უზრუნველყოფის გადაცემაზე ცედენტის ვალდებულება. შემდგომ უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან უნდა დადგინდეს (ძირითადად, განმარტების გზით), თუ არიან ცედენტი და უზრუნველყოფის მიმღები უზრუნველყოფის მიმცემთან მიმართებით, უზრუნველყოფის გადაცემაზე უფლებამოსილი, ვინაიდან, შესაძლოა, მასთან მიმართებით მათ ამის უფლება არ ჰქონდეთ (*Medicus/Lorenz* SchR, I, 765-ე ველი). აქცესორული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების მსგავსად, ახალ კრედიტორზე, დათმობილ მოთხოვნასთან ერთად, გადადის **დამოკიდებული დამხმარე უფლებებიც** (*unselbständige Hilfsrechte*). მაგალითად: მოთხოვნა ინფორმაციის გაცემაზე, ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენაზე ან ხელშეკრულების შეწყვეტაზე (დამატებით იხ. *Palandt/Grüneberg*, § 401 მე-4 ველი).
- 13 თუ მოთხოვნის დამთმობი კრედიტორი და ცესიონერი უზრუნველყოფილი მოთხოვნის **იზოლირებულ დათმობაზე** (*isolierte Abtretung*) შეთანხმდნენ (§ 401 დისპოზიციურია), რაც იმას ნიშნავს, რომ დათმობილ მოთხოვნას არ უნდა გადაჰყვეს უზრუნველყოფის უფლებები, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, აქცესორულ უფლებებთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: გირავნობის უფლება შეწყდება (§ 1250-ის მე-2 ნაწილი); თავდებობისთვისაც იგივე წესი მოქმედებს, § 1250-ის მე-2 ნაწილის ანალოგიის წესით გამოყენებით (*BGHZ* 115, 177, არსებობს სხვა მოსაზრებაც *Bydlinsky*, ZIP, 1989, 953, 957). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემა იპოთეკის გარეშე არ არის შესაძლებელი (§ 1153-ის მე-2 ნაწილი არის იმპერატიული ნორმა).

ჩაითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირველმა იცის უსწორობის შესახებ, ან იცის იმის შესახებ, რომ სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ მოითხოვა სამკვიდრო მონმობის დაბრუნება ამ უკანასკნელის უსწორობის გამო.

IV. განსაკუთრებული ფორმები და გამიჯვნა

1. **უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობის (Sicherungsabtretung)** მიზანია ცესიონერის (უზრუნველყოფის მიმღების) მიერ ცედენტისთვის (უზრუნველყოფის მიმცემი) მიცემული ფულადი ან საქონლის კრედიტის უზრუნველყოფა. კრედიტის მოვალე გადასცემს კრედიტის გამცემს მესამე პირის მიმართ უკვე არსებულ ან მომავალში წარმოსაშობ მოთხოვნებს, საიდანაც კრედიტის გამცემს (უზრუნველყოფის მიმღებს) შეეძლება თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება მაშინ, როდესაც კრედიტის მოვალე (უზრუნველყოფის მიმცემი) შესრულების ვადას გადააცილებს. მას შემდეგ, რაც კრედიტის მიმღები კრედიტის გამცემს დაუბრუნებს კრედიტს, კრედიტის გამცემის (უზრუნველყოფის მიმღების) მიერ ხდება დათმობილი მოთხოვნის უკან, კრედიტის მიმღებზე (უზრუნველყოფის მიმცემზე) გადაცემა. თუ როდის შეუძლია უზრუნველყოფის მიმღებს მასზე გადაცემული მოთხოვნების სისრულეში მოყვანა, მათი საშუალებით საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება, ან მათი უკან, უზრუნველყოფის მიმცემზე, გადაცემა, გამომდინარეობს გამოხატულად ან კონკლუდენტურად დადებული **უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულებიდან**, რომელიც მოთხოვნის დათმობის გარიგების საფუძველია (ვალდებულებით-სამართლებრივი). უზრუნველყოფის ხელშეკრულებაში განსაზღვრული უზრუნველყოფილი შემთხვევის დადგომამდე (მაგ., კრედიტის გადაუხდელობა) ივარაუდება, რომ ცედენტი უფლებამოსილია, განახორციელოს დათმობილი მოთხოვნა და სახელშეკრულებო აღმჭურველი უფლებები (მაგ.: გაფრთხილება, ვადის მიცემა; BGH NJW 2002, 1568). გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით (მაგ. BGH NJW 1982, 275; NJW 1986, 977), უზრუნველყოფის ხელშეკრულება, დავის შემთხვევაში, ისე უნდა განიმარტოს, რომ მოთხოვნის დათმობა უზრუნველყოფილი მოთხოვნის სამომავლო წარმოშობით არის პირობადებული (მაგალითად, სესხის მოთხოვნის), ხოლო მისი გაუქმება – უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეწყვეტის პირობით. ამის შედეგად არ მოხდება დათმობისა და ძირითადი გარიგების აბსტრაქციის (უზრუნველყოფის ხელშეკრულების) მოშლა, თუმცა, დათმობა დამოკიდებული ხდება უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობაზე. ზოგიერთი ავტორი (მაგ., *Jauernig, NJW, 1982, 268*) ნაწილობრივ ეჭვქვეშ აყენებს ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებიდან ასეთი კონკლუდენტური პირობა არც შეიძლება გამომდინარეობდეს. ამ ავტორთა მოსაზრების მიხედვით, უზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულებისას ან არწარმოშობის შემთხვევაში, უზრუნველყოფის მიმცემს, უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხოლოდ მოთხოვნის უკან დათმობაზე აქვს მოთხოვნის უფლება, ან მას შეუძლია, განახორციელოს § 812-იდან (უსაფუძვლო გამდიდრება) გამომდინარე მოთხოვნები.

უზრუნველყოფის მიმცემის მიმართ **გაკოტრების საქმისწარმოების** შემთხვევაში, მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით დათმობა, მისი უზრუნველყოფის მიზნით ბუნების გამო, წარმოშობს მხოლოდ უპირატეს, „გადარჩეულ“ დაკმაყოფილებაზე უფლებას⁶⁹. უზრუნველყოფის მიმცემს კი, თავის მხრივ, შეუძლია,

69 *Abgesonderte Befriedigung* – ამ მოსაზრების უკან დგას „გაკოტრების საქმისწარმოების შესახებ დადგენილების“ ნორმები:

§ 50 გირავნობით უზრუნველყოფილი კრედიტორის გადარჩეულ დაკმაყოფილებაზე უფლებამოსილება

კრედიტორები, რომელთაც გაკოტრების მასაში არსებულ რომელიმე საგანთან ხელშეკრულებით ან დაყადაღებით შექნილი, ან კანონისმიერ გირავნობის უფლება აქვთ, უფლებამოსილი არიან §§ 166-173-ის ფარგლებში ძირითადი მოთხოვნების, პროცენტებისა და ხარჯების გირავნობის საგნით უპირატეს, გადარჩეულ დაკმაყოფილებაზე.

§ 51 გადარჩეულ დაკმაყოფილებაზე უფლებამოსილება ცალკეულ შემთხვევებში

§ 50-ის ფარგლებში გათვალისწინებულ კრედიტორებთან გათანაბრებულნი არიან:

კრედიტორები, რომელთაც მოვალემ მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით გადასცა მოძრავი ნივთი ან დაუთმო მოთხოვნა.

14

15

უზრუნველყოფის მიმღების გაკოტრების პროცესში მოითხოვოს უფლების გამოყოფა გაკოტრების მასიდან⁷⁰. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც გაკოტრების საქმისწარმოებაში მხოლოდ ერთი კრედიტორი მონაწილეობს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფორმალურ სამართლებრივ მიკუთვნებადობას: უზრუნველყოფის მიზნით დათმობილი მოთხოვნის დაყადაღების შემთხვევაში, მაშინ, როდესაც მოთხოვნა უზრუნველყოფის მიმღების კრედიტორის მიერ არის დაყადაღებული, უზრუნველყოფის მიმცემს, როგორც მესამე პირს, უნდა შეეძლოს, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 771⁷¹-ის თანახმად, წარადგინოს სარჩელი (სხვა მოსაზრება იხ. *MüKo-Roth*, § 398 117-ე ველი).

16 უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობის ძირითადი შემთხვევაა **გლობალური ცესია (Globalzession)**, რომლის დროსაც, უზრუნველყოფის მიმცემი უზრუნველყოფის მიმღებს წინასწარ უთმობს თავისი გარიგებიდან (ან გარიგებებიდან) გამომდინარე ყველა სამომავლო მოთხოვნას. მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით დათმობის, ასევე, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული შემთხვევა არის ე.წ. **გავრცობილი პირობადებული საკუთრება (Verlängerter Eigentumsvorbehalt;** იხ. ქვემოთ, 72-ე სქოლიო, ასევე, § 449-ის მე-5 და მომდევნო ველები). ა) გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ისევე, როგორც გავრცობილი პირობადებული საკუთრების, ასევე, გლობალური ცესიის დროსაც, **სამომავლო მოთხოვნების დათმობა** ნებადართულია მაშინ, როდესაც სამომავლო მოთხოვნა მოთხოვნის დათმობის დროისათვის საკმარისად განსაზღვრული იყო (იხ. ქვემოთ, მე-17 ველი). ეს მოსაზრება ეფუძნება შემდეგ არგუმენტს: ვინაიდან, § 185-ის მე-2 ნაწილის პირველი ნაწილი თანახმად, თუ არაუფლებამოსილი პირის მიერ არსებული მოთხოვნის განკარგვა ნამდვილი ხდება (როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ), ჯერ კიდევ არარსებული მოთხოვნის დათმობაც ნამდვილი უნდა გახდეს მაშინ, როდესაც ეს მოთხოვნა, მის განმკარგავ ცედეტს მოგვიანებით წარმოეშობა (BGHZ 88, 205). შემთხვევის საილუსტრაციოდ წარმოვიდგინოთ შემდეგი შემთხვევა: „ა“-ს აქვს „ბ“-ს ბინა ნაქირავები და ყოველი თვის ბოლოს უხდის ქირას 500 ევროს ოდენობით. „ბ“-მ „ა“-ს მიმართ არსებული მოთხოვნა ქირის გადახდის თაობაზე დაუთმო „გ“-ს. ამ შემთხვევაში, სახეზეა მომავალში წარმოსაშობი მოთხოვნის დათმობა, ვინაიდან ქირის გადახდის მოთხოვნა ყოველი თვის ბოლოს წარმოიშობა. ამ შემთხვევაში, მეცნიერთა შორის სადავოა ის ფაქტი, თუ როდის ხდება ცესიონერის („გ“-ს) მიერ მოთხოვნის შექმნა. მოთხოვნა ჯერ ცედეტთან წარმოიშობა, მისი წარმოშობის „ლოგიკურ მომენტში“ და შემდგომ გადაეცემა ცესიონერს (**შუალაობითი შექმნა – Durchgangserwerb**), თუ მოთხოვნა პირდაპირ ცესიონერთან წარმოიშობა (**უშუალო შექმნა – Direkterwerb**; ცნებების უკეთ გაგებისათვის იხ. *Larenz SchR*, I, § 34, III). ეს დავა მნიშვნელობას იძენს ცედეტის გაკოტრების საქმისწარმოებისას, ვინაიდან, თუ ცესიონერი მოთხოვნას პირდაპირ (უშუალოდ) შეიქმნის, § 399 და მომდევნო ნორმები შესაბამისად მოქმედებენ. ხოლო თუ მივიჩნევთ, რომ ცესიონერი მოთხოვნას არაპირდაპირ (შუალაობით) იძენს, ანუ მოთხოვნა ჯერ ცედეტთან წარმო-

70 *Aussonderung* – § 47 საგნის გაკოტრების მასიდან ამოღება პირი, რომელსაც სანივთო ან პირადი უფლების საფუძველზე შეუძლია უზრუნველყოფის მიმღის საგნის გაკოტრების მასას არ მიეკუთვნება, არ არის გაკოტრების კრედიტორი. მისი მოთხოვნა გაკოტრების მასიდან საგნის გამოთიშვასთან დაკავშირებით განისაზღვრება კანონებით, რომლებიც გაკოტრების საქმისწარმოებისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ.

71 *Drittwiderspruchsklage* – § 771 მესამე პირის სარჩელი (1) თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ იძულებითი აღსრულების საგნის რეალიზაციის შემთხვევაში უფლება აქვს, მაშინ მას შეუძლია, აღძრას სარჩელი იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხდება აღსრულება. ქართულ სამართალში – მე-3-ე პირის სარჩელი სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების შესახებ; შდრ. იხილეთ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის“ 32-ე მუხლი.

იშობა და მერე დაეთმობა ცესიონერს, მაშინ თეორიულად შესაძლებელი იქნებოდა, ცედენტის გაკოტრების საქმისწარმოებისას გაკოტრების მმართველს ცედენტთან შეძენილი მოთხოვნა დაეყადალებინა. ამ შემთხვევაში, ცესიონერი (ზემოაღნიშნულ შემთხვევაში „გ“) ველარ განახორციელებდა მოთხოვნას (მიიღებდა ქირას). პირდაპირი შეძენა არის მოცემული, ყველა შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ცედენტს ჰქონდა სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება (Anwartschaftsrecht – იხ. § 929-ის მე-10 და მომდევნო ველები), რომლის გადაცემაც მას ცესიონერზე შეეძლო.

ბ) ისევე, როგორც ყველა სახის განკარგვისთვის, მოთხოვნის დათმობისთვისაც მოქმედებს (სანივთოსამართლებრივი) **განსაზღვრულობის პრინციპი**, რაც იმას გულისხმობს, რომ დასათმობი მოთხოვნა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული (დაკონკრეტებული). პრობლემები თავს იჩენს, ძირითადად, მხოლოდ მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, მომავალში წარმოსაშობი მოთხოვნების წინასწარი დათმობისას. ცალკეული დათმობილი მოთხოვნა უნდა იყოს **განსაზღვრული**, რაც იმას ნიშნავს, რომ არა უგვიანეს მისი წარმოშობისა, უნდა მოხდეს მოთხოვნის ინდივიდუალური განსაზღვრა ოდენობის, მოვალისა და საგნის მიხედვით. მაგალითად, საკმარისად განსაზღვრულია დათმობილი მოთხოვნები მაშინ, როდესაც ცედენტი კლიენტების განსაზღვრული წრის მიმართ არსებულ ყველა მოთხოვნას თმობს. ამისგან განსხვავებით, განსაზღვრულად ვერ ჩაითვლება დათმობილი მოთხოვნები მაშინ, როდესაც ცედენტი უთითებს: „ვთმობ ყველა მოთხოვნას 50 000 ევროს ოდენობამდე“, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, მოთხოვნის მოვალე და საგანი დაზუსტებული არ არის.

გ) **გლობალური ცესიის** შემთხვევაში, მაშასადამე, უზრუნველყოფის მიმცემის მიერ უზრუნველყოფის მიზნით ყველა სამომავლო მოთხოვნის დათმობისას, არ წარმოიშობა განსაზღვრულობასთან დაკავშირებული სირთულეები. თუმცა, პრობლემები შესაძლოა წარმოიშვას **გადამეტებული უზრუნველყოფის (Übersicherung)** დროს (მსგავს პრობლემას იწვევს ვანყდებით მაშინ, როდესაც ხდება იმ სასაქონლო საწყობის უზრუნველყოფის მიზნით გადაცემა, რომელშიც დასაწყობებული საქონელი ხშირად განიცდის ცვლილებას; შდრ. § 930-ის მე-8 ველი). აა) **საწყისი გადამეტებული უზრუნველყოფა (Ursprüngliche Übersicherung)** არის სახეზე მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებისას ცხადია (პროგნოზირებადი), რომ რეალიზაციის შემთხვევაში, აშკარა შეუსაბამობა იარსებებს უზრუნველყოფის საშუალების რეალიზებულ ღირებულებასა და უზრუნველყოფილი მოთხოვნის ღირებულებას შორის. რეალიზებადი ღირებულების შეფასება უნდა მოხდეს გაკოტრების წარმოებისას, საბაზრო ურთიერთობების მიხედვით. საწყისი ზედმეტი უზრუნველყოფა, § 138-ის მიხედვით, იწვევს გლობალური ცესიის ბათილობას მაშინ, როდესაც მისი მთლიანი ბუნება ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამოა (BGH NJW 1998, 2047). **შემთხვევათა ჯგუფები – უზრუნველყოფის მიმცემის პარალიზება:** ამ შემთხვევაში, უზრუნველყოფის მიმცემს, გლობალური ცესიის შედეგად, ეზღუდება საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლად განხორციელების შესაძლებლობა იმგვარად, რომ მას, როგორც მხოლოდ უზრუნველყოფის მიმღების ინსტრუმენტს, ისე უწევს მოქმედება. **უზრუნველყოფის მიმცემის კრედიტორებისთვის საფრთხის შექმნა:** უზრუნველყოფის მიმღებმა, უზრუნველყოფის მიმცემის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ თავისი ცოდნის საფუძველზე, უნდა გაითვალისწინოს, რომ უზრუნველყოფის მიმცემს შეიძლება სხვა კრედიტორები ჰყავდეს, რომლებიც უზრუნველყოფის მიმცემის კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით მოტყუვდებიან. **ხელშეკრულების დარღვევაზე ნაქეზება⁷²:** ამ შემთხვევაში,

72 შემთხვევის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ტიპური შემთხვევა: ხელშეკრულების შეწყვეტის ნაქეზების შემთხვევაში, ძირითადად, მოქმედებს 3 პირი: დამამზადებელი, მოვაჭრე და მისი კლიენტები. მაგ.: დამამზადებელი მოვაჭრეს აწვდის 100 ტონა

უზრუნველყოფის მიმცემი თმობს იმ სამომავლო მოთხოვნებს, რომლებიც მან წესისამებრ სხვა კრედიტორების მიმართ უნდა დათმოს (მაგ.: გავრცობილი პირობადებული საკუთრების შემთხვევაში, მოვაჭრე საქონლის გადაყიდვიდან გამომდინარე მოთხოვნებს უთმობს ბანკს და არა დამამზადებელს – იხ. ქვემოთ, 58-ე ველი). საკრედიტო დანესებულებები (ბანკები), § 138-ის მიხედვით, გლობალური ცესიის ბათილობას გვერდს აუვლიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი გლობალური ცესიის ხელშეკრულებიდან თავიდანვე ამოიღებენ გავრცობილი პირობადებული საკუთრების ურთიერთობიდან გამომდინარე სამომავლო მოთხოვნებს. **ბბ) შემდგომი გადამეტებული უზრუნველყოფა (Nachträgliche Übersicherung)** შესაძლებელია, გლობალური ცესიის დროს (ან სასაქონლო საწყობის უზრუნველყოფის სახით გადაცემისას) მაშინ დადგეს, როდესაც უზრუნველყოფის მიმცემი თავის ვალდებულებას ნაწილ-ნაწილ ასრულებს, ან, მის მიერ ახლად შექმნილი მოთხოვნები (საქონელი), მოთხოვნათა სრული დათმობის (ცესიის) ძალით, იმავდროულად უზრუნველყოფის მიმღებზე გადადის. ამ საკითხიდან გამომდინარე პრობლემებთან დაკავშირებით, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სამოქალაქო სამართლის სენატმა გადაწყვეტილებით (BGHZ 137, 212 სხვა მითითებებით) შემდეგი დაასკვნა: უზრუნველყოფის მიმცემს შეუძლია, დროებითი გადამეტებული უზრუნველყოფის შემთხვევაში გამოითხოვოს უზრუნველსაყოფად დათმობილი მოთხოვნები (გადაცემა მოითხოვოს), რომლებიც უზრუნველყოფისთვის საჭირო აღარაა, ანუ მოითხოვოს ე.წ. „მოთხოვნის განთავისუფლება“. მას ამის მოთხოვნა შეუძლია მაშინაც, როდესაც უზრუნველყოფის ხელშეკრულება მოთხოვნის გათავისუფლების ასეთ დათქმას არ შეიცავს. § 307-ის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია ფორმულარებით დადგენილი შეზღუდვები (მაგ., „მოთხოვნის გათავისუფლება უზრუნველყოფის მიმღების უფლებამოსილება“), თუმცა, გლობალური ცესია დანარჩენ ნაწილში ნამდვილობას ინარჩუნებს. ასე რომ, § 306-ის მე-2 ნაწილის თანახმად, უზრუნველყოფის მიმღების უფლებამოსილებისგან დამოუკიდებელი მოთხოვნის გათავისუფლების მოთხოვნა შენარჩუნებულია (გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიხედვით, აქ საქმე არ ეხება ნამდვილობის შემანარჩუნებელ, თუმცა, აზრის დავინროების პრინციპს, შდრ. იხ. § 307-ის მე-3 ველი). მაშინ, რო-

ფოლადს. ვინაიდან მოვაჭრეს არ შეუძლია გადაიხადოს 100 ტონა ფოლადის სრული თანხა, მათ შორის ფორმდება პირობადებული საკუთრების ხელშეკრულება. მოვაჭრე ჯერ არ ხდება 100 ტონა ფოლადის მესაკუთრე. დამამზადებელი მას აძლევს მხოლოდ იმის უფლებას, ფოლადი გადაყიდოს და საკუთრების უფლება გადასცეს თავის კლიენტებს იმის სანაცვლოდ, რომ შემდგომ მოვაჭრემ თავისი კლიენტების მიმართ მოთხოვნები მის სასარგებლოდ დათმოს. ამ სამართლებრივ ურთიერთობას გერმანულ სამართალში ეწოდება გავრცობილი პირობადებული საკუთრება. მსგავს შემთხვევაში, თუ მოვაჭრე ბანკისგან აიღებს სესხს და სრული ცესიით უზრუნველყოფს მას, ანუ ბანკს დაუთმობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც დამამზადებლისთვის აქვს დათმობილი, მაშინ, § 138-ის თანახმად, სრული ცესია ბათილი იქნება.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკა შემდეგი კუთხით განვითარდა: თავდაპირველად, გავრცობილი პირობადებული საკუთრების შემთხვევაში, ბანკები კლიენტებთან აფორმებდნენ სრულ ცესიის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულებები გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ბათილად მიიჩნია, ვინაიდან სახეზე იყო ხელშეკრულების დარღვევისკენ „ნაქეზება“. ბანკები „უბიძგებდნენ“ მოვაჭრეს, დაერღვია დამამზადებელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

მოგვიანებით ბანკებმა მოინახეს გამოსავალი და ხელშეკრულებაში ჩანერეს, რომ მოხდებოდა სრული დათმობა, თუმცა, დავის შემთხვევაში, მოთხოვნის დამთმობს (ცესიონერს) შეეძლებოდა, ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის საფუძველზე, მოეთხოვა ბანკისგან, რომ ამ უკანასკნელს გაეთავისუფლებინა დათმობილი მოთხოვნები. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ასეთი ხელშეკრულებებიც ბათილად მიიჩნია და დაანუსა, რომ სრული ცესიის შემთხვევაში, დათმობას არ ექვემდებარება ის მოთხოვნები, რომლებიც გავრცობილი პირობადებული საკუთრებიდან გამომდინარეობენ.

დესაც დგება შეფასების საკითხი, თუ როდის არის მოცემული **გადამეტებული უზრუნველყოფა**, გასათვალისწინებელია ის მომენტი, რომ ხშირად, უზრუნველყოფის რეალიზაციისას, ამონაგები უფრო ცოტაა, ვიდრე მოთხოვნის დასახელებული ღირებულება (ან საქონლის ღირებულება). ამ შემთხვევაში არსებობს ვარაუდი (რომელიც შესაძლოა უარყოფილ იქნეს), რომ უზრუნველყოფის მიმღების ინტერესები საკმარისად არის გათვალისწინებული მაშინ, როდესაც **უზრუნველყოფის ღირებულებად** მოთხოვნის/მოთხოვნების ნომინალური ღირებულების (საქონლის შეფასებითი ღირებულება) ორი მესამედი გამოიყენება (შდრ. § 237-ის პირველი წინადადება). სხვანაირად რომ ვთქვათ, უზრუნველყოფის გადამეტება სახეზე მაშინ, როდესაც დათმობილი მოთხოვნების ფაქტობრივი ღირებულება უზრუნველყოფილ მოთხოვნას 150 %-ით აჭარბებს. ამ ოდენობაში გაითვალისწინება უზრუნველყოფის მიმღების მიერ მოთხოვნის რეალიზაციისა და სამართალწარმოების შესაძლო ხარჯები. თუ რეალიზაციის რისკი არაა მოსალოდნელი და, შესაბამისად, სრული ნომინალური ღირებულება (საქონლის ღირებულება) უზრუნველყოფის ღირებულებად გამოიყენება, უზრუნველყოფის მიმღების მიერ მოთხოვნის რეალიზაციისა და სამართალწარმოების შესაძლო ხარჯებისთვის უნდა დადგინდეს ე.წ. **ზედა (მაქსიმალური) ზღვარი**: უზრუნველყოფის მიმღებს შეეძლება, მოთხოვნის გათავისუფლება მაშინ მოითხოვოს, როდესაც უზრუნველსაყოფად დათმობილი მოთხოვნის (რეალიზებადი) ღირებულება 110 %-ით აჭარბებს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ღირებულებას. უზრუნველყოფის საგნისა და ზედა ზღვარის განსაზღვრის საკითხი შესაძლებელია ხელშეკრულებით იქნეს შეთანხმებული (§ 307-ისა და § 138-ის შეზღუდვების გათვალისწინებით). თუ არ არის მოცემული სახელშეკრულებო დათქმები ან ისინი ბათილია, სრული უზრუნველყოფა ნამდვილი რჩება დანარჩენ ნაწილში და აღნიშნული ზოგადი პრინციპები შესაბამისად მოქმედებს.

დ) მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით მომავალში წარმოშობადი მოთხოვნების წინასწარი დათმობისას (**antizipierte Sicherungsabtretung**) პრობლემურია შემთხვევა, როდესაც ფულადი კრედიტის გამცემთან სრული ცესიის ხელშეკრულებაა გაფორმებული და ამასთანავე, მოვაჭრე საქონლის კრედიტის გამცემზეც თმობს **გავრცობილი პირობადებული საკუთრებიდან** გამომდინარე იმავე მოთხოვნებს (საკითხის უკეთ გასაგებად იხ. 72-ე სქოლიოში აღწერილი შემთხვევა). ამ შემთხვევაში სახეზეა კონფლიქტი ბანკთან გაფორმებული სრული ცესიის ხელშეკრულებასა და დამამზადებელზე მოთხოვნების დათმობის ხელშეკრულებას შორის. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამ შემთხვევაში ის უზრუნველყოფის მიმღები ხდება მოთხოვნის მფლობელი, რომელსაც მოთხოვნა პირველად დაეთმო (**პრიორიტეტულობის პრინციპი**). ამის შედეგად ფულადი კრედიტის გამცემი (მაგ., ბანკი) ხშირად პრივილეგირებულ მდგომარეობაში ხვდება. ამ შედეგის გამოსწორებას გავრცელებული მოსაზრების ავტორები ცდილობენ გლობალური ცესიის ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამობის გამო გაბათილებით (იხ. ზემოთ, მე-18 ველი). ლიტერატურის ერთ ნაწილში საკითხის ასეთი გადაჭრა გამოუსადეგრად არის მიჩნეული და კონფლიქტის შემთხვევაში, ავტორთა ეს ჯგუფი ემხრობა უზრუნველყოფის სახით გადაცემული მოთხოვნების არა პრიორიტეტულობის პრინციპით, არამედ კვოტების ნილობრივად სხვადასხვა უზრუნველყოფის მიმცემზე გადანაწილებას (დამატ. *MüKo-Roth*, § 398-ის 159-ე ველი).

2. ინკასოს ცესიისას ცესიონერს მოთხოვნა ეთმობა ფიდუციარულად (მინდობილად), რათა მან განახორციელოს მოთხოვნა და ამონაგები გადასცეს ცედენტს. ასეთი სახით მოთხოვნის განხორციელებისას (ვალის ამოღებისას), ცედენტი მოვალის წინაშე საერთოდ არ ჩანს და, შესაბამისად, როგორც „დაუნდობელი“ კრედიტორი, წინა პლანზე არ გამოდის (*Larenz SchR I § 34 V b*). როგორც წესი, ამ სამართლებრივ ურთიერთობაში ძირითადი გარიგება არის დავალების ხელშეკრულება (§ 662) ან სხვისი საქმეების სასყიდლიანი შესრულება (§ 675). ინკასოს

19

20

ცესია უნდა განვასხვავოთ მოთხოვნის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისგან (ქვემოთ, 25-ე ველი), რომლის დროსაც პირზე არ ხდება მოთხოვნის დათმობა. ვინაიდან ინკასოს ცესიის დროს მოთხოვნა, ეკონომიკური თვალსაზრისით, მაინც ცედენტის ქონებას მიეკუთვნება, მოვალეს შეუძლია, დათმობის შემდგომ, § 404-ისა და მომდევნო პარაგრაფთა ნორმების მიხედვით, ცედენტის მიმართ შექმნილი შესაგებლები ცესიონერის წინააღმდეგაც განახორციელოს. ამავე საფუძვლიდან გამომდინარე, ცედენტს შეუძლია, ცესიონერის გაკოტრების საქმისწარმოებისას, ცესიონერის გაკოტრების კრედიტორების მიმართ, როგორც მესამე პირმა, წარადგინოს დამოუკიდებელი სარჩელი (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 771) და მოითხოვოს გაკოტრების მასიდან თავისი დათმობილი მოთხოვნის გამოყოფა (§ 47, გაკოტრების წარმოების შესახებ კანონი; იხ. 72-ე სქოლიო).

21 3. ფაქტორინგის შემთხვევაშიც ცესიონერი (ფაქტორი) იღებს მოთხოვნას მის განსახორციელებლად, თუმცა, ფაქტორინგის ცესიონერი, ინკასოს ცესიონერისგან განსხვავებით, საკუთარი ინტერესებით მოქმედებს (Blaurock JA 1989, 273). ფაქტორი (ძირითადად ბანკი) ცედენტს, მოთხოვნის დათმობის სანაცვლოდ, აძლევს განსაზღვრულ თანხას (დაფინანსების ფუნქცია, ცედენტის ლიკვიდურობა რომ შენარჩუნებულ იქნეს). ეს თანხა იზომება მოთხოვნის ღირებულებით (გამოკლებული ვალდებულების შესრულების და რისკის ხარჯები; ფაქტორმა თავად უნდა განახორციელოს მოთხოვნა: მომსახურების განვების ფუნქცია). **ნამდვილი ფაქტორინგის შემთხვევაში, ფაქტორი ატარებს მოთხოვნის განხორციელების რისკს, მაშასადამე, ცედენტის მოვალეთა შესრულებაუნარიანობის რისკს (ე.წ. Delkredetererisiko – ცედენტის დებიტორების გადახდისუნარიანობის რისკი). შესაბამისად, ფაქტორინგის ეს სახეობა მოთხოვნის ყიდვაა. არანამდვილი ფაქტორინგის დროს შესრულების რისკი ცედენტთან რჩება, მოთხოვნის განუხორციელებლობის შემთხვევაში, ფაქტორი მოთხოვნას უკან გადასცემს ცედენტს და აკისრებს მას მისთვის თავდაპირველად მიცემული თანხის უკან დაბრუნებას. ამის გამო არანამდვილი ფაქტორინგი ატარებს საკრედიტო გარიგების ხასიათს (MüKo-Roth, § 398-ის 164-ე ველი).**

22 სირთულეები წარმოიშობა **ნამდვილი ფაქტორინგისა და გავრცობილი პირობადებული საკუთრების კონფლიქტის შემთხვევაში** მაშინ, როდესაც პირობადებული საქონლის გადაყიდვიდან გამომდინარე წინასწარ დათმობილი მოთხოვნა ფაქტორინგის გარიგების საგანი ხდება. იმ შემთხვევაში, თუ პირობადებული საქონლის გადაყიდვიდან გამომდინარე წინასწარ დათმობილი მოთხოვნები დროის თვალსაზრისით წინ უსწრებდა ამავე მოთხოვნების ფაქტორზე დათმობას, მაშინ, პრიორიტეტულობის პრინციპის თანახმად, დაუშვებელი იქნება ფაქტორისათვის იმავე მოთხოვნების დათმობა. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პირობადებული საკუთრებით ნივთის შემძენ მყიდველს, გავრცობილი პირობადებული საკუთრების შემთხვევაში, როგორც წესი, მოთხოვნის **ინკასირების უფლებამოსილება ენიჭება (§ 185-ის პირველი ნაწილი)**. სასამართლო პრაქტიკის თანახმად (BGHZ 72, 15), ინკასირების ეს უფლებამოსილება უფლებას აძლევს პირობადებული საკუთრებით ნივთის შემძენ მყიდველს, განახორციელოს გადაყიდვიდან გამომდინარე მოთხოვნის (ხელახალი) დათმობა ნამდვილი ფაქტორინგის ფარგლებში, ვინაიდან ფაქტორის მიერ განხორციელებული მოქმედებით პირობადებული საკუთრებით ნივთის გამყიდველი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ისეთ მდგომარეობაში დგება, როგორშიც იქნებოდა, მეორე მყიდველს მისთვის რომ გადაეხადა. ის რისკი, რომ შესაძლოა, პირობადებული საკუთრებით ნივთის მყიდველმა ფაქტორის მიერ გადახდილი თანხა უზრუნველყოფილი მოთხოვნის ვალის დასაფარავად არ გამოიყენოს, ინკასირების უფლებამოსილების გამო, ეკისრება პირობადებული საკუთრებით ნივთის გამყიდველს.

ინკასირების უფლებამოსილების ასეთი განმარტება მხოლოდ მანამდე განიხილება, სანამ ფაქტორის მოგების მოცულობა არ ხელყოფს პირობადებული საკუთრებით ნივთის გამყიდველის **უზრუნველყოფის ინტერესებს**. მაშინ, როდესაც ფაქტორინგის გარიგებიდან გამომდინარე გადასახდელი თანხა უზრუნველყოფილი მოთხოვნის ღირებულებაზე ნაკლებია, ასეთი ფაქტორინგი (მოთხოვნის დათმობა) არანამდვილი იქნება. იმ შემთხვევასთან დაკავშირებით, სადაც მოცემული იყო ფულადი კრედიტის გამცემთან გაფორმებული სრული ცესია და ამის შემდგომ წარმოშობილი ნამდვილი ფაქტორინგი, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (BGHZ 75, 391) დაასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ გლობალური დათმობის (სრული ცესიის) ცესიონერის კრედიტი 30 %-ით ზედმეტად იყო უზრუნველყოფილი, ინკასირებაზე უფლებამოსილება მაინც ვერ ფარავდა (ნამდვილ) ფაქტორინგს – მოთხოვნის დასახელებულ თანხას გამოკლებულ 10-20 % დანახარჯებს.

23

ნამდვილი ფაქტორინგისგან განსხვავებით, **არანამდვილი ფაქტორინგი უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის უპირატეს დათმობებთან მიმართებით არასოდეს იფარება მინიჭებული ინკასირების უფლებამოსილებით** (სრულად იხ. *MüKo-Roth*, § 398-ის 168-ე და მომდევნო ველები).

24

4. მოთხოვნის დათმობის არცერთი სახეობა არ იძლევა ინკასოს ცესიის მსგავს ინკასირების უფლებამოსილებას. მის შემთხვევაში, მოთხოვნის მფლობელი უფლებას ანიჭებს სხვა პირს, მოთხოვნა საკუთარი სახელით განახორციელოს, თუმცა, თვითონ კრედიტორად დარჩეს. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ინკასირების მინიჭების უფლებამოსილების დასაშვებობა და მისგან გამომდინარე კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობის გადანაწილება გამომდინარეობს § 185-ის პირველი ნაწილისა და § 362-ის მე-2 ნაწილის ურთიერთკავშირიდან. ამის გავრცელებული შემთხვევა არის განვრცობილი პირობადებული საკუთრების შემთხვევა, რომლის დროსაც მყიდველი, რომელიც პირობადებული საკუთრებით იძენს საქონელს, იძენს უფლებას, გადაყიდოს საქონელი, ხოლო გადაყიდვიდან წარმოშობილი მოთხოვნები დაუთმოს გამყიდველს. ამ დროს მყიდველს, როგორც წესი, უფლება აქვს, გადაყიდვიდან გამომდინარე მოთხოვნების გამყიდველზე დათმობის მიუხედავად, გადაყიდვის ხელშეკრულების მხარე მესამე პირებისგან საკუთარი სახელით მოითხოვოს მოთხოვნის განხორციელება და მათი ინკასირება. რაც შეეხება უცხო მოთხოვნის სასამართლო გზით განხორციელების დასაშვებობას, მოითხოვება, რომ ინკასირებაზე უფლებამოსილ პირს ჰქონდეს კანონისმიერი ინტერესი უცხო უფლების განხორციელებისადმი (სადავოა, მაგ. BGHZ 96, 153).

25

§ 398. მოთხოვნის დათმობა

1 მოთხოვნა შეიძლება გადაცემულ იქნეს კრედიტორის მიერ სხვა პირისათვის ამ უკანასკნელთან დადებული ხელშეკრულებით (მოთხოვნის დათმობა). **2** ხელშეკრულების დადების მომენტიდან ახალი კრედიტორი იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს.

§ 399. მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობა შინაარსის შეცვლის ან შეთანხმების შემთხვევაში

მოთხოვნის დათმობა არ დაიშვება, თუ თავდაპირველი კრედიტორის ნაცვლად სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულება ვალდებულების შინაარსის შეუცვლელად ვერ ხორციელდება, ან, თუ მოვალესთან შეთანხმებით მოთხოვნის დათმობა გამორიცხულია.

ამ ნორმის კომენტარი იხილეთ § 398-ის შესავლის მე-6 და მომდევნო ველებში.

1

§ 400. დაუყადაღებელი მოთხოვნის დათმობის გამორიცხვა

მოთხოვნა არ შეიძლება დათმობილ იქნეს, თუ იგი არ ექვემდებარება დაყადაღებას.

§401. აქცესორული და უპირატესი უფლებების გადასვლა

(1) დათმობილ მოთხოვნასთან ერთად ახალ კრედიტორზე გადადის მის უზრუნველსაყოფად არსებული იპოთეკები, საზღვაო ხომალდის იპოთეკები ან გირავნობის უფლებები, ასევე, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადგენილი თავდებობიდან გამომდინარე უფლებები.

(2) იძულებითი აღსრულების ან გაკოტრების საქმისწარმოების შემთხვევაში, დათმობილ მოთხოვნასთან დაკავშირებული უპირატესი უფლების რეალიზაცია შეუძლია, ასევე, ახალ კრედიტორს.

1 ამ ნორმის კომენტარი იხილეთ § 398-ის შესავლის მე-12 და მომდევნო ველებში.

§ 402. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება; დოკუმენტების გადაცემა

თავდაპირველი კრედიტორი ვალდებულია, მიანდოს ახალ კრედიტორს მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელი ინფორმაცია და გადასცეს მოთხოვნის დასადასტურებლად საჭირო დოკუმენტები, თუ ისინი მის მფლობელობაშია.

§ 403. დამონშების ვალდებულება

ახალი კრედიტორის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, თავდაპირველმა კრედიტორმა მას უნდა გადასცეს ოფიციალურად დამონშებული დოკუმენტი მოთხოვნის დათმობის შესახებ. ახალ კრედიტორს ეკისრება ხარჯები, რომლებიც მან უნდა გადაიხადოს წინასწარ.

§§ 404-411-ის შესავალი

1 მოვალის დაცვა. ზოგადი მიმოხილვა. ვინაიდან კრედიტორის ცვლილება (ცვდენტის ცესიონერით ჩანაცვლება) მოვალის ზეგავლენის გარეშე ხდება და მისთვის ამის შეტყობინებაც არ არის საჭირო, გარანტირებულ უნდა იქნეს ის, რომ მოთხოვნის გადაცემით მოვალემ შესაგებლები არ დაკარგოს, ან რაიმე დანაკლისი არ განიცადოს. მოვალის ამ კუთხით დაცვის რეგულირებებს შეიცავს §§ 404-411 (ასევე, დათმობის გამორიცხვაც, § 399-ის პირველი ალტერნატივა).

2 უნდა განვასხვავოთ შესაგებლები, რომლებიც წარმოიშვა დათმობის დროს (ამ შესაგებლებს ეხება მოვალის დაცვის ძირითადი ნორმა, § 404) და შესაგებლები, რომლებიც დათმობის შემდგომ დამდგარმა გარემოებებმა გამოიწვიეს (ამ შესაგებლებს ეხება კანონის §§ 407-409). § 406 შეიცავს გაქვითვის არცთუ ისე მარტივად გასაგებ სპეციალურ რეგულირებას.

§ 404. მოვალის შესაგებელი

მოვალეს შეუძლია, ახალ კრედიტორს დაუპირისპიროს ის შესაგებელი, რომლის წარდგენაზეც იგი უფლებამოსილი იყო თავდაპირველი კრედიტორის მიმართ მოთხოვნის დათმობის მომენტისათვის.

1 1. ნორმა მოვალის დაცვის ძირითადი რეგულირებაა. ის სამართლებრივი შედეგი, რომ მოვალე ცვდენტის წინაშე არსებულ შესაგებლებს (რომელიც შეცილებებს და პრეტენზიებსაც მოიცავს) ცესიონერის წინაშეც ინარჩუნებს, გამომდინარეობს ჯერ კიდევ § 398-ის მე-2 ნაწილიდან. § 404 არ ითხოვს, რომ შესაგებლები მაინცდამაინც დათმობის დროს არსებობდეს. შესაგებლებზე უფლება დათმობის დროისთვის უნდა იყოს „დაფუძნებული“ (წარმოშობილი), მაშასადამე, მათი სამართლებრივი საფუძველი უნდა არსებობდეს იმ ვალდებულებით ურთიერთობაში,

რომელიც ცედენტსა და მოვალეს შორის არსებობს და რომლიდანაც დათმობილი მოთხოვნა გამომდინარეობს (ე.წ. „საფუძვლის თეორია“). შესაბამისად, შესაგებლის შესანარჩუნებლად საკმარისია, როდესაც გარიგების გაუქმების პირობა დათმობის შემდგომ დგება, ან ხანდაზმულობა მოთხოვნის გადაცემის შემდგომ დგება, ან, როდესაც ვალდებულების შესრულების გართულებები, როგორებიცაა, მაგალითად: ხელშეკრულებიდან გასვლა, შეწყვეტა ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მოთხოვნის დათმობის შემდგომ წარმოიშობა. თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, § 404-ის ქვეშ ვერ მოიაზრება მოვალის ყველა შესაგებელი, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც კრედიტორის განკარგვის გარეშე არ წარმოიშობა, მაგალითად: გადავადება, ვალის პატიება (*MüKo-Roth*, მე-10 ველი). აქ უკვე მოქმედებს § 407.

2. თუ როდის შეიტყო მოვალემ მოთხოვნის დათმობის შესახებ, § 404-ით დარეგულირებულ შესაგებელზე უფლების შესანარჩუნებლად არავითარ როლს არ ასრულებს. თუმცა, მოვალეს შეუძლია, თავის შესაგებლებზე უარი თქვას (მაგ., ცესიონერის წინაშე): § 404 არ არის იმპერატიული ნორმა, თუმცა, საეჭვოა, რამდენად ჩაითვლება მოვალის მიერ შესაგებელზე უარის თქმა ისეთი შემთხვევა, როდესაც მას ფორმულარის სახით ეგზავნება დათმობის შესახებ შეტყობინება, რომელშიც მოითხოვება შესაგებლებისგან თავისუფალი მოთხოვნის არსებობის დადასტურება და იგი ამ შეტყობინებას „მიიღებს“ (დამატ. *MüKo-Roth*, § 404 მე-20 და შემდგომი ველები). ასეთ შემთხვევაში, თუ სახეზეა შეტყობინება ბუნდოვანი ტექსტით, იგი უნდა განიხარტოს ვინაობა, როგორც მოვალის მიერ „ვალის არსებობის დადასტურება“, და არა როგორც მოვალის მიერ უცნობ შესაგებლებზე უარის თქმა (BGH WM 1973, 840).

§ 405. მოთხოვნის დათმობა დოკუმენტის წარდგენით

თუ მოვალემ გასცა სავალო დოკუმენტი და მოთხოვნა დათმობილ იქნა დოკუმენტის გადაცემით, მოვალეს არ შეუძლია, ახალი კრედიტორის მიმართ მიუთითოს იმ ფაქტზე, რომ ვალდებულება დადგენილი ან აღიარებული იყო მხოლოდ მოსაჩვენებლად, ანდა იმაზე, რომ დათმობა გამორიცხული იყო თავდაპირველ კრედიტორთან შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ახალმა კრედიტორმა მოთხოვნის დათმობის მომენტისათვის იცოდა, ან მას უნდა სცოდნოდა საქმის ვითარების შესახებ.

§ 406. გაქვითვა ახალი კრედიტორის მიმართ

მოვალეს შეუძლია, თავისი მოთხოვნა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ გაქვითოს, ასევე, ახალი კრედიტორის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან მოთხოვნის შექმნის მომენტში იცოდა მოთხოვნის დათმობის შესახებ, ან, როდესაც მოთხოვნის შესრულების ვადა დადგა მხოლოდ მოვალის მიერ აღნიშნული ფაქტის შესახებ შეტყობისა და დათმობილი მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომის შემდეგ.

1. ზოგადი მიმოხილვა და გამიჯვნები. ნორმა აფართოებს მოვალის დაცვის ფარგლებს გაქვითვასთან მიმართებაში §§ 404, 407-თან დამატებით.

ა) თუ მოვალე, თავდაპირველი კრედიტორის მიერ მოთხოვნის დათმობამდე, მის მიმართ წარადგინა მოთხოვნის გაქვითვის შეტყობინებას, მაშინ მას შეუძლია, § 404-ის თანახმად, ცესიონერის (ახალი კრედიტორის) წინაშე წარადგინოს შესაგებელი, რომ ვალდებულება უკვე შესრულებული აქვს.

ბ) თუ მოვალე გაქვითვის შეტყობინებას წარადგინა მოთხოვნის დათმობასა და მისთვის დათმობის შეტყობინების შუალედში, მაშინ ცედენტის მიმართ განხორციელებული გაქვითვა, § 407-ის პირველი ნაწილის თანახმად, ცესიონერის მიმართაც მოქმედებს.

- 4 გ) მოვალეს, მოთხოვნის დათმობის შესახებ შეტყობინების მიღების შემდგომ, § 406-ის თანახმად, უფლება ეძლევა, ცედენტის მიმართ არსებული საპირისპირო მოთხოვნა ცესიონერის წინაშე განახორციელოს და გაქვითოს. მაშასადამე, ნორმა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ძირითადი და საპირისპირო მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულებას. **§ 406-ს აქვს შემდეგნაირი მიმართება § 404-თან:** თუ გაქვითვის მდგომარეობა (ცნება იხ. § 387-ის შესავლის მე-3 ველი) მოთხოვნის დათმობის დროისთვის უკვე არსებობდა და მოვალეს მხოლოდ გაქვითვის შეტყობინების გაკეთება სჭირდებოდა, მაშინ გაქვითვა ახალი კრედიტორის მიმართ § 404-ის ფარგლებში განხორციელდება (მაშასადამე, ამ შემთხვევაში გაქვითვით ვალდებულების შესრულებაზე შესაგებელი უკვე „დაფუძნებული“ იყო). რაც შეეხება § 406-ს, მას, როგორც *lex specialis*, შემოაქვს ორი მოდიფიკაცია: ერთი მხრივ, § 406 ცესიონერს აყენებს გაქვითვის შეტყობინების მიმღების პოზიციაში, მაშინ, როდესაც სხვა აღმჭურველი უფლებების განხორციელება, § 404-ის თანახმად, ცედენტის მიმართ ხორციელდება; მეორე მხრივ, § 406 აფართოებს § 404-ის დაცვის ფარგლებს, ვინაიდან § 406 არა მხოლოდ დათმობის დროისთვის უკვე „დაფუძნებულ“ (წარმოშობილ) გაქვითვის შესაგებელს ეხება, არამედ იგი მოვალეს უფლებას აძლევს, დათმობის შემდგომ ცედენტის (თავდაპირველი კრედიტორის) მიმართ წარმოშობილი საპირისპირო მოთხოვნა ცესიონერის (ახალი კრედიტორის) მიმართ გაქვითოს და ამის შედეგად გაითავისუფლოს თავი ვალდებულებისგან (დანვრილებით იხ. *MüKo-Roth* პირველი და მომდევნო ველები).
- 5 2. წინაპირობები. § 406-ის რთული წინადადების („გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც...“) მიხედვით, მოვალის მიერ გაქვითვის განხორციელების შესაძლებლობა შემდეგ კანონისმიერ წინაპირობებს ეფუძნება:
- 6 ა) სავალდებულო წინაპირობაა, რომ მოვალემ საპირისპირო მოთხოვნის შეძენისას არ უნდა იცოდეს ძირითადი მოთხოვნის დათმობის შესახებ. ამის არგუმენტია: მოვალეს თუ ეცოდინება თავდაპირველი კრედიტორის მიერ მოთხოვნის დათმობის შესახებ, მაშინ მას არ ექნება იმის იმედი (მოლოდინი), რომ იგი თავდაპირველი კრედიტორის (ცედენტის) მიმართ საპირისპირო მოთხოვნის შეძენით შეძლებს გაქვითვას. საპირისპირო მოთხოვნის შეძენისთვის საკმარისია მისი სამართლებრივი საფუძვლის დონეზე წარმოშობა. არ არის აუცილებელი, რომ მოცემული იყოს მოთხოვნათა ერთგვაროვნება. შესაბამისად, მაშინ, როდესაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა ხორციელება ძირითადი მოთხოვნის გაქვითვა, საკმარისია, თუ ხელშეკრულება დადებულია დათმობის შესახებ ცოდნის შექენამდე, და ყურადღება არ ექცევა იმას, რომ შესაძლოა, ხელშეკრულების დარღვევა და მეორადი მოთხოვნების წარმოშობა სახეზე იყოს დათმობის შესახებ ცოდნის მიღების შემდგომ.
- 7 ბ) ვადამოსულობა. საპირისპირო მოთხოვნა ძირითად მოთხოვნასთან მიმართებაში უნდა იყოს ვადამოსული, ან, თუ ვადამოსულობა მოგვიანებით დგება, მაშინ მოთხოვნის დათმობის შესახებ ცოდნის მიღების შემდგომ არ უნდა გახდეს ვადამოსული (ასეთი იქნება § 406-ის მე-2 ალტერნატივის „უარყოფითი“ ფორმულირების – „გარდა იმ შემთხვევისა. როდესაც...“ „დადებითი“ ფორმულირება). აა) როგორც წესი, გაქვითვის განხორციელებისადმი მოლოდინი ვერ ექნება მოვალეს მაშინ, როდესაც საპირისპირო მოთხოვნა ვადამოსული ხდება ძირითადი მოთხოვნის ვადამოსულობის დადგომიდან გარკვეული დროის შემდგომ: შედეგად მოვალემ ცედენტთან მიმართებით უნდა გაითვალისწინოს, რომ მას ძირითადი მოთხოვნის ვადამოსულობის დადგომის შემდგომ მოუწევს ამ მოთხოვნის შესრულება ისე, რომ ვერ შეძლებს გაქვითვით ვალდებულებისგან თავის განთავისუფლებას. ბბ) ამ მოსაზრებისგან გამონაკლისია § 406, რომელიც ადგენს, რომ გაქვითვის განხორციელებისათვის სრულიად საკმარისია, თუ საპირისპირო მოთხოვნა ძირითადი მოთხოვნის ვადამოსულობის შემდგომ დგება, თუმცა, მთავარია ის, რომ მოვალემ

არ იცოდეს მოთხოვნის დათმობის შესახებ საპირისპირო მოთხოვნის ვადამოსულობის დადგომამდე (*Medicus/Lorenz SchR I 784-ე ველი; MüKo-Roth მე-10 ველი*). ამ გამონაკლის შემდეგი მაგალითი ნათლად ხსნის: იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი მოთხოვნა ვადამოსულია, თუმცა, მოვალის მიმართ ჯერ კიდევ არ ხორციელდება ძირითადი მოთხოვნა, მოვალეს ძირითადი მოთხოვნის ვადამოსულობის შემდგომ უნდა შეეძლოს იმ იმედის (ნდობის) ქონა, რომ, თუ იგი ცედენტის მიმართ საპირისპირო მოთხოვნას (იმავე მომენტიდან ვადამოსულს) შეიძენს, შეძენილი მოთხოვნით შეძლებს თავდაპირველი ძირითადი მოთხოვნის გაქვითვას. მოვალის ამ ნდობას და მოლოდინს იცავს § 406, რომელიც ცესიონერის წინაშე გაქვითვას მხოლოდ მაშინ გამორიცხავს, თუ მოვალე თავისი საპირისპირო მოთხოვნის ვადამოსულობამდე შეიტყობს მოთხოვნის დათმობის შესახებ. თუ მოვალეს ეცოდინება, რომ მოთხოვნა დათმობილ იქნა, იგი ველარ ივარაუდებს (ალარ ექნება ნდობა იმისა), რომ ცესიონერიც მოთხოვნის განხორციელებას ისევე დააყოვნებს, როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ცედენტი.

§ 407. სამართლებრივი მოქმედებები თავდაპირველი კრედიტორის მიმართ

(1) ახალმა კრედიტორმა უნდა დაუშვას მოვალის მიერ მოთხოვნის დათმობის შემდეგ თავდაპირველი კრედიტორის სასარგებლოდ განხორციელებული შესრულება, ისევე, როგორც ნებისმიერი გარიგება, რომელიც დადებულია მოთხოვნის დათმობის შემდეგ მოვალესა და თავდაპირველ კრედიტორს შორის მოთხოვნასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალემ იცოდა მოთხოვნის დათმობის შესახებ ვალდებულების შესრულების ან გარიგების დადების დროს.

(2) თუ მოთხოვნის დათმობის შემდეგ მოვალესა და თავდაპირველ კრედიტორს შორის მიმდინარე დავაში მოთხოვნის თაობაზე მიღებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, მაშინ ახალი კრედიტორი ვალდებულია, დაუშვას გადაწყვეტილების მის მიმართ მოქმედება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალემ იცოდა მოთხოვნის დათმობის შესახებ სასამართლო დავის დაწყებისას.

1. მოვალისადმი მოთხოვნის დათმობის შეტყობინება სავალდებულო არაა. ამიტომ, მაშინ, როდესაც მას ცედენტი კვლავ მოთხოვნის მფლობელად მიაჩნია, უნდა შეუწინააღმდეგოს ცესიონერის მიმართ ის შესაგებლები, რომელთაც იგი, დათმობის შემდგომ ცედენტთან ან ცედენტის მიმართ სამართლებრივი გარიგებით იძენს. ეს არის **ნორმის პირველი ნაწილის** ის შემთხვევა, რომელიც ეხმიანება მოთხოვნის დათმობამდე დათმობაზე პოზიტიური ცოდნის მიღებას. § 407-ის პირველი ნაწილი, შესრულების შესახებ შესაგებლის გარდა (§ 362), მოიცავს, ასევე, ისეთ შესაგებლებს, როგორებიცაა, მაგალითად: გადავადება, ვალის პატიება, მორიგება ან გაქვითვა.

2. **ნორმის მე-2 ნაწილი** ამ დაცვას ითვალისწინებს მოვალესა და თავდაპირველ კრედიტორს შორის **ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებისთვის**, რომელიც მოთხოვნის დათმობის შემდგომ წარმოშობილ დავას ეხება. ამით ხდება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 325-ის პირველი ნაწილის⁷³ დაცვის ფარგლების გაფართოება, რომელიც მხოლოდ მოთხოვნის დათმობამდე დაწყებული სასამართლო წარმოების შემთხვევებისთვის გამოიყენება.

3. **ნორმის ფორმულირება**, რომ ახალმა კრედიტორმა მის მიმართ სამართლებრივი გარიგებების ან სასამართლო გადაწყვეტილებების **მოქმედება უნდა**

⁷³ § 325. გადაწყვეტილების სუბიექტური მოქმედება

სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილება მოქმედებს მხარეებისა და იმ პირთა მიმართ, რომლებიც სამართალწარმოების დაწყების შემდგომ გახდნენ მხარეთა უფლებამონაცვლელები, ან სადავო ნივთზე მფლობელობა იმგვარად მოიპოვეს, რომ ერთ-ერთი მხარე ან მისი უფლებამონაცვლე არაპირდაპირი მფლობელი გახდა.

დაუშვას“, ორი კუთხით განიხილება: ა) ნორმა მოქმედებს მხოლოდ მოვალის სასარგებლოდ. მოთხოვნის დათმობის შემდგომ ცედენტის მიერ განხორციელებული მოვალის გაფრთხილება ან ვადის დადგენა, ასევე, ცედენტისთვის უფლების მიმნიჭებელი გადაწყვეტილება არ მოქმედებს ცესიონერის სასარგებლოდ (BGHZ 52, 150); ბ) მოვალეს აქვს არჩევანის უფლება, მას შეუძლია ცედენტის მიმართ არსებული, § 407-იდან გამომდინარე, შესაგებლები ცესიონერის მიმართ განხორციელოს. ამგვარად, შესაძლოა, მისთვის ხელსაყრელი იყოს, თავდაპირველი კრედიტორის მიმართ შესრულებული ვალდებულების არარსებობის გამო, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით (§ 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება) უკან მოითხოვოს, რათა ცესიონერის გაკოტრების წარმოებისას ამ უკანასკნელის მიმართ მოთხოვნა გაქვეითოს (შდრ. გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ დადგენილების § 94⁷⁴).

- 4 4. ცესიონერის მიერ თავდაპირველი კრედიტორის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნების განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით იხილეთ § 816-ის მე-6 ველი.

§ 408. მოთხოვნის მრავალჯერადი დათმობა

(1) თუ დათმობილი მოთხოვნა თავდაპირველი კრედიტორის მიერ კიდევ ერთხელ იქნება დათმობილი მესამე პირის მიმართ, ხოლო მოვალე შეასრულებს ვალდებულებას ამ მესამე პირის მიმართ, ან მასა და მესამე პირს შორის დაიდება გარიგება, ანდა, თუ მათ შორის წარმართება სასამართლო დავა, მაშინ მოთხოვნის თავდაპირველ შემქმნთან მიმართებით მოვალის სასარგებლოდ, შესაბამისად, გამოიყენება § 407-ის რეგულირება.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ უკვე დათმობილი მოთხოვნა, სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით, მესამე პირზე გადადის, ან, როდესაც თავდაპირველი კრედიტორი მესამე პირის მიმართ აღიარებს, რომ უკვე დათმობილი მოთხოვნა კანონის ძალით გადავიდა მესამე პირზე.

- 1 ნორმა აფართოებს § 407-ის მოვალის დაცვის ფარგლებს მოთხოვნის მრავალჯერადი დათმობის შემთხვევებისთვის. მაშინ, როდესაც მოვალე შეიტყობს მხოლოდ მეორე დათმობის შესახებ (რომელიც, პრიორიტეტულობის პრინციპის თანახმად, არანამდვილია; შდრ. იხ. § 398-ის მე-9 ველი), მას შეუძლია, პირველი დათმობის ცესიონერის მიმართ აპელირება მოახდინოს მეორე (ვითომ) ცესიონერის მიმართ წარმოშობილ შესაგებლებზე. § 407-ის შესაბამისი გამოყენებით, მეორე ცესიონერი (ვითომ ცესიონერი) თავდაპირველ კრედიტორს (ცედენტს) უთანაბრდება.

§ 409. მოთხოვნის დათმობის შესახებ შეტყობინება

(1) ¹თუ კრედიტორი ატყობინებს მოვალეს, რომ მან დათმო თავისი მოთხოვნა, მაშინ მან უნდა დაუშვას მოვალის მიმართ შეტყობინებული მოთხოვნის დათმობის საკუთარი თავის მიმართ მოქმედება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ განხორციელდა, ან სამართლებრივი ძალის არმქონეა. ²შეტყობინება უთანაბრდება, თუ კრედიტორმა მოთხოვნის დათმობის დოკუმენტი გასცა მასში მითითებულ ახალ კრედიტორზე და ეს უკანასკნელი წარუდგენს მას მოვალეს.

(2) შეტყობინება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს იმ პირის თანხმობით, რომელიც მითითებული იყო როგორც ახალი კრედიტორი.

74 § 94. გაქვეითვის მდგომარეობის შენარჩუნება გაკოტრების წარმოებისას გაქვეითვის უფლებას არ ზღუდავს გაკოტრების წარმოება, თუ გაკოტრების კრედიტორი გაკოტრების საქმისწარმოების დაწყების დროისათვის კანონის ან შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია გაქვეითვის განხორციელებაზე.

1. მოვალეს შეუძლია, მაშინაც კი ჰქონდეს თავდაპირველი კრედიტორის მიერ დათმობის შესახებ გაკეთებული შეტყობინებისადმი (ან, როგორც ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება ადგენს, მისთვის ცესიონერის მიერ წარდგენილი ცედენტის გაცემული დოკუმენტისადმი) **ნდობა**, როდესაც თვითონ მოთხოვნის დათმობა, ფაქტობრივად, არ მომხდარა, ან არანამდვილია. ეს წესი მაშინაც მოქმედებს, როდესაც მოვალემ არანამდვილობა იცოდა. თუმცა, ამ ფაქტის მტკიცება საკმაოდ რთულია და ამიტომ მოვალე მტკიცების ტვირთით არ უნდა დაძიმდეს (*Medicus/Lorenz, SchR, I, Rn. (782)* ველი). თუმცა, მას, § 409-ის მიხედვით, არ შეუძლია, აპელირება მოახდინოს არანამდვილობაზე მაშინ, როდესაც არანამდვილობა ღიად, ცხადად სახეზეა და ასევე, მაშინ, როდესაც მოთხოვნის დათმობა არანამდვილია კანონისმიერი აკრძალვის გამო (BGHZ 56, 345).

2. მოვალეს თავისთავად შეუძლია, ცესიონერის მიმართ შესაგებელი წარადგინოს, რომ იგი, **მოთხოვნის დათმობის არანამდვილობის გამო**, საერთოდაც არ გამხდარა კრედიტორი. შესაგებელი (აბსტრაქციის პრინციპის გამო) უნდა ეხებოდეს თავდაპირველსა და ახალ კრედიტორს შორის მოთხოვნის დათმობის ნამდვილობას და არა კაუზალურ გარიგებას (იხ. § 398-ის შესავალი, ველი 2).

§ 410. მოთხოვნის დათმობის დოკუმენტის გადაცემა

(1) ¹მოვალე ვალდებულია, ახალი კრედიტორის მიმართ შეასრულოს ვალდებულება მხოლოდ თავდაპირველი კრედიტორის მიერ გაცემული მოთხოვნის დათმობის დოკუმენტის მისთვის გადაცემის სანაცვლოდ. ²ახალი კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა ან გაფრთხილება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ისინი ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტის წარდგენის გარეშე, მოვალე კი ამ საფუძვლით მასზე დაუყოვნებლივ აცხადებს უარს.

2) ზემოაღნიშნული ნორმები არ გამოიყენება, თუ თავდაპირველმა კრედიტორმა მოთხოვნის დათმობის შესახებ მოვალეს წერილობით შეატყობინა.

§ 411. სახელფასო მოთხოვნის დათმობა

¹თუ სამხედრო მოსამსახურე, სახელმწიფო მოხელე, სასულიერო პირი ან საჯარო სასწავლო დაწესებულებების მასწავლებელი თმობს თავისი ხელფასის, განაცდურის ან პენსიის გადასაცემი თანხის ნაწილს, მაშინ თანხების გამცემ სალაროს უნდა შეატყობინონ მოთხოვნის დათმობის შესახებ თავდაპირველი კრედიტორის მიერ გაცემული ოფიციალურად ან შესაბამისი უწყების მიერ დამონშეპული მოთხოვნის დათმობის დოკუმენტის წარდგენით. ²შეტყობინების მიღებამდე ითვლება, რომ მოთხოვნის დათმობა სალაროსათვის უცნობია.

§ 412. მოთხოვნის კანონისმიერი გადაცემა

კანონის ძალით მოთხოვნის გადაცემის მიმართ შესაბამისად გამოიყენება §§ 399-404-სა და 406-410-ის რეგულირებები.

კანონისმიერი მოთხოვნის გადაცემის მაგალითი იხილეთ § 398-ის შესავალში, ველი 1.

§ 413. სხვა უფლებების გადაცემა

მოთხოვნების გადაცემის შესახებ ნორმები შესაბამისად გამოიყენება სხვა უფლებების გადაცემის მიმართ, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ნაწილი 6. ვალის გადაკისრება

§ 414-ის შესავალი

I. ზოგადი მიმოხილვა

- 1 ვალის გადაკისრება, რომელიც ვალდებულებისგან განთავისუფლების შედეგით ხასიათდება (§§ 414-418), ინვეს მოვალეთა შეცვლას (§ 414). იგი წააგავს მოთხოვნის დათმობის (რომელიც კრედიტორის მხარეზე ახდენს კრედიტორების ცვლილებას) მსგავს პროცესს, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ პირთა ცვლილება ხდება მოვალის მხარეზე. ისევე, როგორც მოთხოვნის დათმობას, ვალის გადაკისრებასაც **აბსტრაქტული განკარგვის ხელშეკრულების** ბუნება აქვს და, აქედან გამომდინარე, მისი ძალაში შესვლა (ნამდვილობა) და მოქმედება მისი ძირითადი კაუზალური გარიგებისგან დამოუკიდებელია (შდრ. იხ. ქვემოთ, მე-5 ველი). ეს უკანასკნელი, როგორც წესი, მოცემულია ძველ მოვალესა და ვალის მკისრებელს (ახალ მოვალეს) შორის, მაგალითად, ნასყიდობის მსგავსი ხელშეკრულება, სადაც მყიდველი, ნასყიდობის ფასის გადახდის სანაცვლოდ, უცხო ვალდებულების შესრულებას კისრულობს.
- 2 იმის გამო, რომ ვალის მკისრებელი კრედიტორის წინაშე ახალ ვალდებულებას კისრულობს, ვალის გადაკისრება იმავდროულად უნდა ჩაითვალოს **ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებად** (ორმაგი ბუნება). მოთხოვნის დათმობისგან განსხვავებით, მოვალის მხარეს პირთა ცვლილება მეორე მხარის (კრედიტორის) თანამონაწილეობის (თანხმობის) გარეშე არ დაიშვება. კრედიტორისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ იქნება მოვალე (მისი გადახდისუნარიანობისადმი ინტერესის გამო). თუმცა, ამისგან განსხვავებით, ძველი მოვალის **თანამონაწილეობა** (თანაქმედება) უმნიშვნელოა, ვინაიდან ვალდებულებისგან განთავისუფლებას მისთვის მხოლოდ დადებითი შედეგი მოაქვს (თუმცა, საკამათოა, ხომ არ აქვს მას, § 333-ის შესაბამისად, უარის თქმის უფლება; შდრ. *MüKo-Möschel*, § 414 მე-6 ველი; *Larenz SchR I* § 35 I a).

II. ვალის გადაკისრების დაფუძნება

- 3 როგორც წესი, ვალის გადაკისრების ხელშეკრულება ფორმის დაცვას არ საჭიროებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადასაკისრებელი ვალის დაფუძნებისთვის კანონით განსაკუთრებული ფორმაა გათვალისწინებული (მაგ. §§ 311b-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადება, 505-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება, 518-ის პირველი ნაწილი). იმისათვის, რომ წარმოიშვას ვალის გადაკისრება, კანონი ითვალისწინებს **ორ შესაძლებლობას**:
 - 4 1. კანონით გათვალისწინებული ძირითადი ფორმით ვალის გადაკისრება **კრედიტორსა და ვალის მკისრებელს** (ახალ მოვალეს) შორის დადებული ხელშეკრულებით ხორციელდება.
 - 5 2. თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, ვალის გადაკისრება ყველაზე ხშირად **მოვალესა და ვალის მკისრებელს (ახალ მოვალეს)** შორის გადაკისრების ხელშეკრულებით თანხმდება. ამ ხელშეკრულებით იქმნება უცხო ვალის გადაკისრების სამართლებრივი საფუძველი (შეთანხმება საპირისპირო ვალდებულებაზე). თუმცა, ვინაიდან კრედიტორის ინტერესებს უპირატესობა ენიჭება, § 415-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ითვალისწინებს კრედიტორის მიერ ვალის გადაკისრების მოწონების სავალდებულოობას.

III. სამართლებრივი შედეგები

- 6 ვალის მკისრებელი იკავებს ძველი მოვალის ადგილს (§ 414), ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულებისგან თავისუფლდება. ვალის მკისრებელს გადაჰყვება ძველი

მოვალის შესაგებლები, რომლებიც ნაკისრი ვალიდან (ვალდებულებიდან) გამომდინარეობს, თუმცა, მას არ შეუძლია, ძველი მოვალის კაუზალური გარიგებიდან გამომდინარე შესაგებლები განახორციელოს. დამატებით იხილეთ § 417.

IV. გამიჯვნები

1. ვალის გადაკისრება, რომელიც ძველ მოვალეს ვალდებულებისგან სრულად ათავისუფლებს, უნდა გაიმიჯნოს კანონით დაურეგულირებელი ვალის თანაკისრებისა (Schuldbeitritt; დანვრ. ქვემოთ, მე-8 და მომდევნო ველები) და ასევე, კანონისთვის უცხო ხელშეკრულების გადაკისრებისაგან (Vertragsübernahme). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, მკისრებელზე გადადის ხელშეკრულების მხარის სრული სამართლებრივი მდგომარეობა, ყველა მოთხოვნით, დამხმარე, აღმჭურველი და საპირისპირო უფლებებით, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ყველა აღებული ვალდებულებით (ხშირად მოცემულია ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევებში). გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მსგავს სამართლებრივ შედეგებს ითვალისწინებს § 566-ის პირველი ნაწილით და 613a-ს პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისთვის. არსებობს ერთიანი მიდგომა, რომ ხელშეკრულების გადაკისრება უნდა განხორციელდეს სამივე მონაწილე მხარის თანამონაწილეობითა და თანაქმედებით (მაგ., § 415-ის შესაბამისად). შეცილების სადავო პრობლემატიკასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვა – BGHZ 137, 255. ე.წ. შესრულების გადაკისრებასთან დაკავშირებით იხილეთ § 415-ის მე-3 ნაწილი.

2. ხელშეკრულებით ვალის თანაკისრების შემთხვევაში (ასევე, იწოდება როგორც კუმულაციური ვალის გადაკისრება), მკისრებელი იღებს ვალდებულებას, ძველ მოვალესთან ერთად იკისროს მისი ვალის (ვალდებულების) შესრულება. ძველი მოვალე არ თავისუფლდება ვალდებულებისგან (წმინდა ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება). ხელშეკრულებით ვალის თანაკისრება კანონით არ არის დარეგულირებული. თუმცა, არსებობს კანონისმიერი შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულებით ვალის თანაკისრების შედეგი დგება (მაგ., გერმანიის საჯარო კოდექსის § 25).

ა) ხელშეკრულებით ვალის თანაკისრება ხშირად გამოიყენება როგორც ძველი მოვალის მიმართ კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. გამომდინარე აქედან, პრაქტიკაში მნიშვნელოვანია მისი სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისგან გამიჯვნა. როგორც ყოველთვის, გადამწყვეტია, ხელშეკრულების არა მხოლოდ სიტყვასიტყვითი გაგება, არამედ მისი განმარტებით მხარეთა რეალური სურვილის დადგენა.

ყველაზე პრობლემურია მისი გამიჯვნა თავდებობისგან (§ 765) და გარანტიის ხელშეკრულებისაგან. ვალის თანამკისრებლისგან განსხვავებით, რომელიც ვალის თანაკისრებით საკუთარ ვალდებულებას წარმოშობს, თავდები პასუხს აგებს ძირითადი მოვალის უცხო ვალდებულებისათვის (გამიჯვნასთან დაკავშირებით დეტალურად Medicus/Lorenz SchR I 860-ე ველი; MüKo-Möschel 21-ე ველი). გამიჯვნა იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ვალის თანაკისრებისას (რომელიც, ძირითადად, ფორმის დაცვისგან თავისუფალია), შესაძლოა, § 766-ის შესაბამისად, მოითხოვებოდეს ვალის თანაკისრების წერილობითი სახით გაფორმება (გადაწყვეტილების ნაჩქარევი მიღებისაგან დაცვა). მაშასადამე, ზოგადად, მოითხოვება, რომ ვალის თანამკისრებელს ჰქონდეს საკუთარი პირდაპირი ინტერესი თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობის მიმართ (Looschelders AT, 1176-ე ველი). ვალის თანაკისრება გვაქვს, მაგალითად, სახეზე მაშინ, როდესაც შეზღუდული პასუხისმგებლობის დირექტორი ან პარტნიორი გაკოტრების სასამართლოს წინაშე იტყვის, რომ იგი „გადაიხდის ვალს პირადად“, ვინაიდან მას საკუთარი ბიზნესრეპუტაციის დაკარგვის ეშინია. ამისგან განსხვავებით, ყველა შემთხვევაში თავდებობაა

მოცემული მაშინ, როდესაც პირი საკუთარ ნათესავს უდგება თავდებად, მისი გადახდისუუნარობის შემთხვევაში კი, მისი შენახვის ხარჯების გადახდა მოუწევს (არაპირდაპირი ინტერესი).

- 11 ბ) ხელშეკრულებით ვალის თანაკისრების წარმოშობისათვის, ისევე, როგორც ვალის სრული გადაკისრების დაფუძნებისათვის, საჭიროა, ვალის თანამკისრებლის ხელშეკრულება კრედიტორთან ან მოვალესთან. მაშინ, როდესაც ხელშეკრულება ვალის თანამკისრებელსა და თავდაპირველ მოვალეს შორის იდება (§ 415-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებისგან განსხვავებით), არ არის სავალდებულო კრედიტორის მიერ ხელშეკრულების მოწონება, ვინაიდან იგი იძენს დამატებით მოვალეს, რაც მისთვის კიდევ უფრო ხელსაყრელია. აქედან გამომდინარე, მოვალესა და თანამკისრებელს შორის გაფორმებული ვალის თანაკისრების ხელშეკრულება მოიცავს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სრული ხელშეკრულების ელემენტებს (§ 328, დამატ. *Larenz SchR, I, § 35 II*). ხელშეკრულებით ვალის თანაკისრება, როგორც წესი, არ მოითხოვს ფორმის დაცვას (გამონაკლისები იხილეთ ზემოთ, მე-3 ველში).
- 12 გ) ვალის თანაკისრების **სამართლებრივი შედეგები** ვათვალისწინებულია § 412-სა და მის მომდევნო ნორმებში. ვალის თანამკისრებელს ეკისრება ვალის გადახდა, რომელიც თანაკისრების დროისათვის არსებული ძირითადი ვალის იდენტურია. ამის გამო მოვალე და ვალის თანამკისრებელი კრედიტორის წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები (§ 421).
- 13 თანამკისრებელსაც აქვს მოვალის ყველა იმ **შესაგებლის წარდგენის უფლება**, რომელიც მის მიერ ვალდებულებაში „შესვლისა“ და თანაკისრების პერიოდში უკვე წარმოშობილი იყო. **ვალდებულებაში შესვლის (თანაკისრების) შემდგომ** ორივე ვალდებულებითი ურთიერთობა, როგორც წესი, ერთმანეთისგან **დამოუკიდებლად** ვითარდება (§ 425), თუმცა, შესრულება და შესრულების სუროგატები, ასევე კრედიტორის მიერ ვალის გადაცილება მოქმედებს ორივე მოვალის სასარგებლოდ (ე.წ. „საერთო მოქმედების მქონე ფაქტობრივი გარემოებები“, §§ 422-424).

§ 414. ხელშეკრულება კრედიტორსა და ვალის მკისრებელს შორის

მესამე პირს, კრედიტორთან დადებული ხელშეკრულებით, შეუძლია, იმგვარად იკისროს ვალდებულება, რომ მან დაიკავოს თავდაპირველი მოვალის ადგილი.

§ 415. ხელშეკრულება მოვალესა და ვალის მკისრებელს შორის

(1) ¹თუ მესამე პირი მოვალესთან თანხმდება ვალის კისრების შესახებ, მაშინ ვალის გადაკისრების სამართლებრივი ძალა დამოკიდებულია კრედიტორის მოწონებაზე. ²მოწონება შედგება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალე ან მესამე პირი შეატყობინებს კრედიტორს ვალის გადაკისრების შესახებ. ³მოწონებამდე მხარეებს შეუძლიათ, შეცვალონ ხელშეკრულება, ან გააუქმონ იგი.

(2) ¹თუ კრედიტორი უარს იტყვის მოწონებაზე, მაშინ ვალის გადაკისრება ჩაითვლება არშემდგარად. ²თუ მოვალე ან მესამე პირი მოსთხოვს კრედიტორს, რომ მან განაცხადოს თავისი მოწონება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ მოწონება შეიძლება გაცხადებულ იქნეს მხოლოდ ამ ვადის გასვლამდე; თუ იგი არ იქნა გაცხადებული, მაშინ მიიჩნევა, რომ მასზე უარი ითქვა.

(3) ¹მანამ, სანამ კრედიტორი არ განაცხადებს მოწონებას, მიიჩნევა, რომ ვალის მკისრებელი არის ვალდებული მოვალის წინაშე, დროულად დააკმაყოფილოს კრედიტორი. ²ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ კრედიტორი უარს აცხადებს მოწონებაზე.

- 1 1. § 415-ში დარეგულირებული ვალის გადაკისრების **დოგმატური კონსტრუქცია** საკამათოა. ა) **შეთავაზების თეორიის** თანახმად (როგორც § 414-ის შემთხვევაში), ვალის გადაკისრება ძალაში შედის კრედიტორსა და მოვალეს შორის

გაფორმებული ხელშეკრულებით: მოვალესა და მკისრებელს შორის გაფორმებული შეთანხმება მხოლოდ ძირითადი გარიგებაა (იხ. § 414-ის შესავალი, მე-5 ველი); კრედიტორისადმი შეტყობინება არის ვალის გადაკისრების ხელშეკრულების დადების შეთავაზება, ვინაიდან კრედიტორი ხელშეკრულების მიღებას (აქცეპტს) ახდენს მისი მოწონებით. **ბ) გავრცელებული მოსაზრების ავტორები იზიარებენ ე.წ. განკარგვის თეორიას:** მოვალე და ვალის მკისრებელი, როგორც არაუფლებამოსილი პირები, ახდენენ კრედიტორის მოთხოვნის განკარგვას, რაც მოგვიანებით კრედიტორის მოწონებით (§ 185-ის პირველი ნაწილის შესაბამისად) ნამდვილი ხდება.

2. მნიშვნელობა. ამ თეორიების ერთმანეთისგან გამიჯვნა იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც ისინი ზეგავლენას ახდენენ ვალის მკისრებლის მიერ ძველ მოვალესთან დადებული ძირითადი გარიგებიდან გამომდინარე **შესაგებლების წარდგენის წესზე** (დამატებით იხ. § 417). თუ მოვალემ ვალის მკისრებელი ძირითად გარიგებასთან (მაგ., ნასყიდობა) მიმართებით განზრახ მოატყუა, ხშირ შემთხვევაში, მოტყუება ვალის გადაკისრების ურთიერთობაზეც ისახება („შეცდომის იდენტიურობა“, *Palandt-Ellenberger*, § 104-ის შესავალი, 23-ე ველი). **შეთავაზების თეორიის თანახმად**, ასეთ შემთხვევაში, ვალის გადაკისრების საცილობა კრედიტორის მიმართ მაშინ მოქმედებს, როდესაც კრედიტორმა მოვალის მოტყუების ფაქტი იცოდა, ან უნდა სცოდნოდა (მოვალე ამ შემთხვევაში „მესამე პირია“, § 123-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების გაგებით). ამის საპირისპიროდ, **განკარგვის თეორიის მიხედვით**, ვალის მკისრებელს შეუძლია, მოვალეს, როგორც ხელშეკრულების მხარეს, წარუდგინოს შეცილება. ამით ხდება მოვალესა და ვალის მკისრებელს შორის არსებული კაუზალური ურთიერთობის პრობლემებით კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობის დამძიმება (§ 417-ის მე-2 ნაწილის სანიტარადმდეოდ). ამას იზიარებს გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკაც (BGHZ 31, 321). გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ვალის მკისრებელს, განკარგვის თეორიის თანახმად, მხოლოდ მაშინ აქვს შეცილების უფლება, თუკი კრედიტორმა მოტყუების ფაქტი იცოდა, ან გაუფრთხილებლობით არ იცოდა. სამართლებრივ საფუძვლად შესაბამისად გამოიყენება § 123-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება, ან § 123-ის პირველი ნაწილი ექვემდებარება თელეოლოგიურ შეზღუდვას. გავრცელებული მოსაზრების ავტორების მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტით, იმავე შედეგებამდე მივდივართ, რასაც გვთავაზობს შეთავაზების თეორია და, § 414-ის მიხედვით, ვალის გადაკისრება. ამით ხდება თვითნებური შედეგების თავიდან აცილება, ვინაიდან ხშირად სიძნელეებს უკავშირდება იმის გარკვევა, თუ რომელი ნორმის, § 414-ისა თუ § 415-ის, მიხედვით არის მოცემული ვალის გადაკისრება.

3. ნორმის მე-3 ნაწილი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მკისრებელი იზღუდება, ანუ კრედიტორი არ ადასტურებს ვალის გადაკისრებას. მაშინ, როდესაც ასეთი შემთხვევაა სახეზე, ის ვალდებულია, რომელიც შეზღუდულ მკისრებელს რჩება, ინოდება **შესრულების გადაკისრებად**. ხელშეკრულებით შეთანხმებული შესრულების გადაკისრების § 329-ში დარეგულირებული განმარტების წესის გამოყენება გამართლებულია § 415-ის მე-3 ნაწილის ფარგლებში; ვინაიდან, თუ კრედიტორს სურს, მოთხოვნა ვალის მკისრებლის მიმართ განახორციელოს, მაშინ მან უნდა დაადასტუროს კიდევ ვალის გადაკისრების ხელშეკრულება.

§ 416. იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალის კისრება

(1) ¹თუ მიწის ნაკვეთის შემძენი გამსხვისებელთან დადებული ხელშეკრულებით თავის თავზე იღებს ამ უკანასკნელის ვალს, რომლის უზრუნველსაყოფადაც ამ მიწის ნაკვეთზე დადგენილია იპოთეკა, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოიწონოს ვალის გადაკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამსხვისებელი მას

ატყობინებს ამის შესახებ. ²თუ შეტყობინების მიღებიდან გასულია ექვსი თვე და თუ კრედიტორმა გამსხვისებლის წინაშე მასზე უარი უფრო ადრე არ განაცხადა, თანხმობა მიცემულად ჩაითვლება; § 415-ის მე-2 ნაწილის მე-2 ნინადადება არ გამოიყენება.

(2) ¹გამსხვისებლის შეტყობინება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც შემძენი საჯარო რეესტრში რეგისტრირდება როგორც მესაკუთრე. ²შეტყობინება უნდა გაკეთდეს წერილობით და უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ ვალის მიმღები იკავებს ძველი მოვალის ადგილს, თუ კრედიტორი თავის უარს არ განაცხადებს ექვსი თვის განმავლობაში.

(3) ¹გამსხვისებელი ვალდებულია, შემძენის მოთხოვნით შეატყობინოს კრედიტორს ვალის გადაკისრების შესახებ. ²როგორც კი მოწონება ან მასზე უარი ცხადი ხდება, გამსხვისებელმა ამის შესახებ უნდა შეატყობინოს შემძენს.

- 1 უძრავი ქონების ნასყიდობისას ხშირად გვაქვს შემთხვევები, როდესაც მყიდველი თავის თავზე იღებს გამყიდველის იპოთეკით უზრუნველყოფილ სესხს, ხოლო შემდგომ გადასახდელი სესხის თანხას ნასყიდობის ფასიდან ქვითავს. ხშირად, ასეთ შემთხვევაში, კრედიტის გამცემს არ აქვს ვალის გადაკისრების მიმართ შესაგებლის წარდგენის უფლება, ვინაიდან მას, ისევე, როგორც ადრე, ახალი შემძენის მიმართ აქვს სესხის უზრუნველყოფად (პასუხისმგებლობის გარანტიად) იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთი. აქედან გამომდინარე, ნორმის პირველი ნაწილის მე-2 ნინადადება მოიაზრებს კრედიტორის **მოწონების ფიქციას** მაშინ, როდესაც გამსხვისებლის მიერ გაკეთებული შეტყობინების შემდგომ, ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ექვსი თვე გავა.
- 2 ინტერესთა იდენტური მდგომარეობის გამო, § 416 შესაბამისად გამოიყენება იმ მოთხოვნების მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან მიწის ვალით (Grundschild; *MüKo-Möschel*, მე-4 ველი).

§ 417. ვალის მკისრების შესაგებელი

(1) ¹ვალის მიმღებს შეუძლია, კრედიტორს წაუყენოს შესაგებელი, რომელიც გამომდინარეობს კრედიტორსა და თავდაპირველ მოვალეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან. ²მას არ შეუძლია, გაქვითოს თავდაპირველი მოვალის კუთვნილი მოთხოვნა.

(2) ვალის მიმღებს არ შეუძლია, კრედიტორის მიმართ წამოაყენოს შესაგებელი მასა და თავდაპირველ მოვალეს შორის არსებული ისეთი სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომელიც საფუძვლად უდევს ვალის გადაკისრებას.

- 1 1. ნორმის პირველი ნაწილის პირველი ნინადადების თანახმად, ვალის მკისრებელს შეუძლია, **ნაკისრი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებლები** განახორციელოს (§ 404-ის პარალელურად). ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით, ეს წესი არ მოქმედებს **გაქვითვისთვის**: გაქვითვის უფლება დაკავშირებულია ძველი მოვალის პიროვნებასთან და არა ვალთან (ვალდებულებასთან), შესაბამისად, იგი არ გადადის ახალ მოვალეზე.
- 2 2. ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალის მკისრებელს არ შეუძლია, **კაუზალური ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლები** განახორციელოს: ვალის გადაკისრება და ძირითადი ხელშეკრულება ერთმანეთისგან დამოუკიდებელია (აბსტრაქციის პრინციპი). თუმცა, სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ ორივე მხარის მიერ შესაძლებელია, § 139-ის ფარგლებში, ამ ორი სხვადასხვა სახის გარიგების ერთიან ფორმით ჩამოყალიბება (BGHZ 31, 321; თუმცა, სადავოდ მიაჩნია ავტორთა ერთ ნაწილს, მაგ. *MüKo-Möschel*, მე-12 ველი; არგუმენტი: ეწინააღმდეგება აბსტრაქციის პრინციპს და § 417-ის მე-2 ნაწილს; შდრ. იხ., ასევე, კომენტარის § 139 მე-2 ველი).

§ 415-ში განსაზღვრული ვალის გადაკისრების დოგმატურ კონსტრუქციასთან დაკავშირებით, სადავოა, თუ რა წინაპირობების გათვალისწინებით აქვს **კაუზალური გარიგების ნაკლოვანებას** ვალის გადაკისრებაზე გავლენა.

3. ვალის მკისრებელს შეუძლია, შესაგებელი წარადგინოს, რომ **თვითონ ვალის გადაკისრება არანამდვილი იყო.**

4. ვალის მკისრებელს შეუძლია, თავისთავად, ასევე **ყველა თავისი შესაგებელი** განახორციელოს კრედიტორის მიმართ, მაგალითად, კრედიტორის მიმართ არსებული საკუთარი მოთხოვნით გაქვითოს.

§ 418. უზრუნველყოფისა და უპირატესი უფლებების გაუქმება

(1) ¹ვალის გადაკისრების შედეგად წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადგენილი თავდებობა და გირავნობა. ²თუ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად არსებობს იპოთეკა ან საზღვაო ხომალდის იპოთეკა, მაშინ მოქმედებს წესი, თითქოს კრედიტორმა უარი თქვა იპოთეკაზე ან საზღვაო ხომალდის იპოთეკაზე. ³ეს ნორმები არ გამოიყენება, თუ თავდები ან ის, ვისაც ვალის გადაკისრების მომენტისათვის ეკუთვნის დატვირთული ნივთი, ეთანხმება ვალის გადაკისრებას.

(2) გაკოტრების საქმისწარმოების შემთხვევისათვის მოთხოვნასთან დაკავშირებული უპირატესი უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვალის მკისრებლის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოებაში.

1. ნორმა არეგულირებს აქცესორული უზრუნველყოფის უფლებების ბედს ვალის გადაკისრების შემთხვევებში. თავდებობა და გირავნობა წყდება, იპოთეკა გადააქცევა მესაკუთრის იპოთეკად (§ 1168-ის პირველი ნაწილი). ამ რეგულირების საფუძველი შემდეგია: მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში კრედიტორთა ცვლილებისგან განსხვავებით (რომლის დროსაც აქცესორული უფლებები ძალაში რჩება და მოთხოვნასთან ერთად გადადის, § 401-ის პირველი ნაწილი), მოვალის შეცვლა უზრუნველყოფის მიმცემისათვის (თავდები, დამგირავებელი, იპოთეკის მოვალე) გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, ვინაიდან სრულიად შესაძლებელია, რომ ახალი მოვალე უფრო ნაკლებად გადახდისუნარიანი აღმოჩნდეს, ვიდრე ძველი იყო. § 418 ანალოგიის სახით მოქმედებს, ასევე, საჯარო რეესტრის (აქცესორული!) წინასწარ ჩანაწერთან მიმართებით.

2. მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფის მიზნით (მინდობილი) უზრუნველყოფის უფლებები (მაგ. **უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების გადაცემა, საგარანტიო მიწის ვალი**) აქცესორული ბუნებისაა, ინტერესთა იდენტური მდგომარეობის გამო, § 418 მაინც მოქმედებს შესაბამისად მათ მიმართ. თუმცა, მხოლოდ იმ შემდეგით, რომ უზრუნველყოფის უფლების უკან გადმოცემის მოთხოვნა წარმოიშობა. საკამათოა ნორმის მოქმედების არეალის გავრცელება კანონით დადგენილ უზრუნველყოფის უფლებებზე (არგუმენტი: § 418-ის პირველი ნაწილი იყენებს სიტყვა „დადგენილ“ უზრუნველყოფას *Medicus/Lorenz SchR, I 794-ე* ველი).

3. ნორმის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად, უზრუნველყოფის უფლებები არ წყდება უზრუნველყოფის მიმცემის მიერ **თანხმობის განცხადების** შემთხვევაში (წინასწარი თანხმობა, § 183-ის პირველი წინადადება); თანხმობა არ საჭიროებს რაიმე წინაპირობას, როდესაც ძველი ან ახალი მოვალე თავად არის უზრუნველყოფის მიმცემი და ვალის გადაკისრების ხელშეკრულება თვითონ დადო.

§ 419. (ამოღებულია)

ნაწილი 7. კრედიტორთა და მოვალეთა სიმრავლე

§ 420-ის შესავალი

I. კრედიტორთა სიმრავლე

- 1 კრედიტორების მონაწილეობა მოთხოვნაში შესაძლებელია შემდეგი **სამი სამართლებრივი ფორმით**:
- 2 **1. წილის კრედიტორი** (წილადი შესრულების დროს, § 420) შესაძლებელია, რამდენიმე კრედიტორიდან ერთ-ერთი იყოს, რომელსაც შეუძლია მოვალისაგან შესრულების (რეალური) ნაწილი მოითხოვოს. ამ კუთხით მოვალისთვის უარყოფითია ის, რომ მან ვალდებულებით შესასრულებელი მოქმედება იმდენჯერ უნდა განახორციელოს, რამდენი წილზე უფლებამოსილი კრედიტორიც არის მოცემული და მან უნდა იცოდეს, ასევე, თუ რომელმა კრედიტორმა ვალდებულების რომელი ნაწილი უნდა მიიღოს (მდრ. *Medicus/Lorenz SchR*, I 830-ე ველი). **ა) შედეგი**: კრედიტორებსა და მოვალეს შორის არსებული ვალდებულებითი ურთიერთობები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, ნებისმიერ კრედიტორს შეუძლია, მისთვის შესასრულებელი ვალდებულების წილი აპატიოს მოვალეს (ვალის პატიება), გადაუვადოს მისი შესრულება, ან, თუნდაც, დათმოს მისგან გამომდინარე მოთხოვნა. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს § 351-ს (ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ყველა პირის მიერ და ყველა პირის მიმართ) და § 320-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებას (მოვალის უფლება, უარის თქვას ვალდებულების შესრულებაზე (ვალდებულების დაკავება) მანამ, სანამ საპირისპირო შესრულებას სრულად მიიღებდეს). **ბ) მოქმედების სფერო**. § 420-ის მიხედვით, წილის კრედიტორობა **დაყოფადი (წილადი) ვალდებულების** ტიპური შემთხვევაა. ამგვარად, ვალდებულებათა უმეტესი ნაწილი, **ბუნებრივი თვალსაზრისით**, დაყოფადია, ვინაიდან საკმარისია, ვალდებულება იყოფოდეს ისე, რომ ეტაპობრივი შესრულების ღირებულება ერთიანი შესრულების ღირებულებას არ აჭარბებდეს. ფაქტობრივი თვალსაზრისით, წილობრივი კრედიტორობა ქმნის **გამონაკლისს**, ვინაიდან, შესაძლებელია, მსგავსი შესრულებები **სამართლებრივი კუთხით** დაუყოფადად იქნეს მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ მათ, შესაძლებელია, ჰქონდეთ დაყოფადი საგანი (მაგ., ფული), თუმცა, კრედიტორების შიდა სამართლებრივი ურთიერთობის გამო, მათ მიერ დაუყოფადად განისაზღვროს კონკრეტული მიზნის შესასრულებლად; ასე, მაგალითად: თანაზიარი გაერთიანება (ამხანაგობა – § 705, მეუღლეთა საერთო ქონება – § 1415; მემკვიდრეთა გაერთიანება – § 2032) ან საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობა (§ 741), თუ საზიარო საგნის მართვის უფლებამოსილება ერთობლივად ეკუთვნის მონილეებს (§ 744-ის პირველი ნაწილი). ამის ნათელსაყოფად უპრინაია, მოვიხმოთ მაგალითი გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკიდან: სახლის მესაკუთრეთა (საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობა, §§ 1008, 741) მიმართ გადასახდელი ქირავნობის თანხა დაუყოფადია, ვინაიდან ცალკეული პირის წილის განსაზღვრა მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როდესაც დაანგარიშდება საერთო ქონების შენახვის ხარჯები (BGH NJW 1958, 1723; იხ. ასევე ქვემოთ, მე-5 ველი).
- 3 **2. წილის კრედიტორისგან განსხვავებით, სოლიდარულ კრედიტორს** (§§ 428, 430) შეუძლია, მთლიანი შესრულება მოითხოვოს, ხოლო, მოვალეს შეუძლია, თავისი სურვილისამებრ, ნებისმიერი კრედიტორის წინაშე შესასრულოს ვალდებულება და განთავისუფლდეს მისგან, მაშინაც, როდესაც ერთ-ერთ კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სასამართლოში წარდგენილი აქვს სარჩელი (§ 428-ის მე-2 წინადადება). როგორც წესი, მხარეთა ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ქმედება (მაგ.: გადავადება, ბრალეულობა) მოვალესა და ერთ-ერთ კრედიტორს შორის მოქმედებს (§ 429-ის მე-3 ნაწილი § 425-თან კავშირში).

გამონაკლისები ვრცელდება, მაგალითად, შესრულების ყველა სახეზე (§§ 429-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება § 422-ის პირველ ნაწილთან კავშირში), ასევე, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებასთან მიმართებით (§ 429-ის პირველი ნაწილი). ისევე, როგორც, § 426-ის მიხედვით სოლიდარულ მოვალეებს, სოლიდარულ კრედიტორებსაც, § 430-ის თანახმად, შიდა ურთიერთობაში წილთა თანაბრობის ვალდებულება ეკისრებათ. სოლიდარულ კრედიტორობას პრაქტიკაში **ნაკლები მნიშვნელობა** აქვს (მაგ.: რამდენიმე პირის ერთობლივი ანგარიში⁷⁵, ასევე, კანონით გათვალისწინებული § 2151-ის მე-3 ნაწილის⁷⁶ შემთხვევა).

3. პრაქტიკაში უფრო მნიშვნელოვანი, თუმცა, § 432-ით არასრულყოფილად დარეგულირებული, შემთხვევაა **თანაკრედიტორობა (Mitgläubigerschaft)**, რომელიც, ასევე, კრედიტორთა ერთობად იწოდება. თანაკრედიტორობის მაგალითია, უპირველეს ყოვლისა, თანაზიარი გაერთიანება (**Gesamthandsgemeinschaft**) და საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობა (**Bruchteilsgemeinschaft**). ამ ერთობათა მიმართ § 432-ის რეგულირების სუბსიდიურ გამოყენებასთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ, მე-6 ველი. კრედიტორთა ერთობის შემთხვევაში, მოთხოვნა ყველა კრედიტორს ერთობლივად აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მხოლოდ ერთობლივად შეუძლიათ მოთხოვნის გადავადება, ვალის პატიება ან მოთხოვნის დათმობა. თუმცა, კრედიტორებს შეუძლიათ, თავიანთი წილი მოთხოვნიდან მესამე პირებს დაუთმონ (ეს წესი არ ვრცელდება თანაზიარ გაერთიანებასთან მიმართებით). მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს ყველა კრედიტორის წინაშე. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კრედიტორებმა თავიანთი მოთხოვნა მხოლოდ ერთობლივად უნდა განახორციელონ. ხშირ შემთხვევაში, (მაგ., §§ 432-ისა და 2039-ის თანახმად), ერთ კრედიტორს შეუძლია, ყველას მიმართ განსახორციელებელი ვალდებულება თვითონ მოითხოვოს. **შემთხვევათა ჯგუფებია:**

ა) თანაზიარი გაერთიანების (Gesamthandsgemeinschaft) შემთხვევაში (იხ. § 705-ის შესავალი, ველი 2), კრედიტორთა მიერ ვალდებულების ერთობლივი მიღების უფლებამოსილება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ მოთხოვნა ეკუთვნის ერთობლიობასთან დაკავშირებულ ქონებას, ანუ მისგან გამომდინარეობს (მაგ., საზოგადოების მოთხოვნა ან მოთხოვნა მემკვიდრეობიდან). ამ შემთხვევაში, მოთხოვნა კრედიტორთა ერთობაზე ძლიერადაა მიბმული. მოთხოვნის ცალკეული წილების განკარგვები (მაგ.: ვალის პატიება, მოთხოვნის დათმობა) მაშინაც კი შეუძლებელია, როდესაც მოთხოვნა დაყოფად ვალდებულებაზეა მიმართული (§§ 719, 2033-ის მე-2 ნაწილი).

ბ) საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობის (Bruchteilsgemeinschaft) შემთხვევაში (§ 741 და მომდევნო პარაგრაფები), რამდენიმე პირს ეკუთვნის განსაზღვრული ქონება იდეალურ წილებად (მაგ., მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრებს). ამ შემთხვევაში, წარმოიშობა ერთობლივი მოთხოვნის უფლებამოსილება თვით დაყოფადი ვალდებულებისთვისაც, როდესაც მოთხოვნა

⁷⁵ ასეთი ანგარიშის გახსნა და გამოყენება ხდება გერმანიაში, ძირითადად, მეუღლეთა მიერ, რათა ერთი ანგარიშით აწარმოონ თანხის შეტანა-გამოტანა.

⁷⁶ § 2151. საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირის ან მესამე პირის უფლება, განსაზღვროს ლეგატარი რამდენიმე საანდერძო დანაკისრის მიმღების (**Bedachten**) შემთხვევაში.

(3) თუ საანდერძო დანაკისრით ვალდებულ პირს ან მესამე პირს არ შეუძლიათ ლეგატარის განსაზღვრა, მაშინ საანდერძო დანაკისრის მიმღები პირები არიან სოლიდარული კრედიტორები. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ საანდერძო დანაკისრით ვალდებულ პირს ან მესამე პირს განუსაზღვრა ვადა განცხადების წარდგენისათვის და ვადა გავიდა, თუკი განცხადება არ იქნა წარდგენილი უფრო ადრე. საეჭოობისას საანდერძო დანაკისრის მიმღები არ არის ვალდებული საანდერძო დანაკისრის გაყოფაზე.

ერთობლივ ქონებასთან არის დაკავშირებული. მოთხოვნასთან დაკავშირებული ყველა სახის განკარგვა (მაგ.: მოთხოვნის განხორციელება, ვალის პატიება, გადავადება) საერთო ნივთის ერთობლივ მართვას მიეკუთვნება, რომელიც წილთა მფლობელებს, § 744-ის პირველი ნაწილის მიხედვით, ეკისრებათ (მაგ., თანამესაკუთრეთა და ერთობლივ გამქირავებელთა მიერ ქირავნობის თანხის მოთხოვნა). ყველა კრედიტორს შეუძლია, მოთხოვნაში არსებული თავისი წილი დათმოს, რომელიც მას ქონებაში წილის შესაბამისად ეკუთვნის.

- 6 გ) ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ, § 432-ის **ზოგადი ნორმის** მიხედვით, რამდენიმე პირს ერთობლივი მოთხოვნა აქვს მაშინ, როდესაც ეს მოთხოვნა დაუყოფად შესრულებაზე მიმართული და არ არის მოცემული სოლიდარული კრედიტორობის შემთხვევა (ამასთან დაკავშირებით ზემოთ, მე-2 და მე-3 ველები; ასეთი შემთხვევა იშვიათია!). ეს რეგულირება აერთიანებს ისეთ შემთხვევებს, რომელთა დროსაც ვალდებულება დაუყოფადია, ისე, რომ არც თანაზიარი გაერთიანების შემთხვევაა მოცემული და არც საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობა (მაგალითი: *Larenz SchR, I, § 36, I b*: რამდენიმე პირი ერთობლივად იძახებს ტაქსს). გავრცელებული მოსაზრების თანახმად (შდრ. *MüKo/Bydlinski, § 432 მე-4 ველი*), § 432-ის მნიშვნელობა ფართოდ უნდა განიმარტოს. § 432 აღწერს **თანაკრედიტორობის ზოგად შემთხვევას** იმ შედეგით, რომ ნორმა ზემოთ, მე-4 ველში დასახელებულ ერთობებთან მიმართებით **სუბსიდიურად** მოქმედებს და თავისთავად, ასევე, დაყოფად შესრულებებთან მიმართაც. ვინაიდან ცალკეულ ერთობებს შორის, მმართველობის კომპეტენციასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული რეგულირებები მოქმედებს, § 432-ის მოქმედების არეალის გაფართოება მხოლოდ საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობისთვის არის მნიშვნელოვანი, სადაც არ არის მოცემული შესაბამისი ნორმები: ამ შემთხვევაში, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ცალკეული წილის მფლობელს, § 432-ის მიხედვით, შეუძლია, მოუნოდოს მოვალეს, შეასრულოს ვალდებულება ყველას წინაშე, ხოლო სხვა მოსაზრების მიხედვით, კრედიტორებმა ერთობლივად უნდა იმოქმედონ.

II. მოვალეთა სიმრავლე

- 7 მოვალეთა სიმრავლის შესახებ რეგულირება არის კრედიტორთა სიმრავლის სამართლებრივი ფორმების საპირისპირო გამოხატულება.
- 8 1. ისევე, როგორც წილობრივი კრედიტორობა, **წილობრივი მოვალეობა (Teilschuld)**, § 420-ის მიხედვით (თითოეულ მოვალეს ეკისრება მთლიანის მხოლოდ რაღაც ნაწილის შესრულება), არის დაყოფადი ვალდებულების კანონით გათვალისწინებული შემთხვევა, თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, იგი გამონაკლისია: § 427-ის მიხედვით, რამდენიმე პირის სახელშეკრულებო ვალდებულება დავის შემთხვევაში მიიჩნევა სოლიდარულ ვალდებულებად; § 840-ის მიხედვით, იგივე ივარაუდება ერთობლივად განხორციელებული დელიქტური ქმედებისთვისაც. დაუყოფად შესრულებაზე (ცნება: ზემოთ, ველი 2) მიმართული მოთხოვნებისთვის მოქმედებს § 431. დაუყოფადი ვალდებულების მოვალეები განიხილებიან როგორც სოლიდარული მოვალეები. წილობრივი მოვალეობის სამართლებრივი შედეგი არის ცალკეული მოვალეებისა და კრედიტორის ურთიერთობების დამოუკიდებლობა (თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს ასევე გამონაკლისებს: §§ 320-ის პირველი ნაწილის მე-2 ნინადადება, 351, 441-ის მე-2 ნაწილი).
- 9 2. მოვალეთა სიმრავლის ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა §§ 421-427-ში საკმაოდ ამომწურავად დარეგულირებული **სოლიდარული ვალდებულება (Gesamtschuld)**: კრედიტორს შეუძლია, ყველა მოვალისგან მოითხოვოს ვალდებულების სრული შესრულება, თუმცა, უფლებამოსილია ვალდებულების შესრულების მხოლოდ ერთჯერადად მოთხოვნაზე. მაშინ, როდესაც მოვალეთაგან ერთ-ერთი

შეასრულებს ვალდებულებას, ყველა დანარჩენი მოვალეც თავისუფლდება ვალდებულებისგან (§ 422-ის პირველი ნაწილი). დამატებით იხილეთ, ასევე, §§ 421-427.

3. ერთობლივი ვალდებულების (Gemeinschaftliche Schuld) შემთხვევაში, მოვალეებს ეკისრებათ თავიანთი ვალდებულების ფარგლებში შესრულების განხორციელება, მაშასადამე, თითოეული ვალდებულება (ერთობლივი) ვალდებულების შესრულებისთვის თავისი თანაქმედების მხოლოდ ცალკე განხორციელებაზე. მისი შემთხვევები კანონით არ არის დარეგულირებული. **შემთხვევათა ჯგუფებია:**

10

ა) ერთობლივი ვალდებულება განიხილება თანაზიარ ვალდებულებად (Gesamthandschuld) მაშინ, როდესაც მოთხოვნა მიმართულია **თანაზიარად მავალდებულეზელ ქონებაზე** (ზემოთ, ველი 4). ამ წესის შესაბამისად, პასუხს აგებს თანამემკვიდრე მემკვიდრეთა ერთობის ვალდებულებებისთვის, რომლებიც დაუყოფადი სამკვიდროდან გამომდინარეობენ. კრედიტორმა ყველა სახის განკარგვა (მაგ.: გადავადება, ვალის პატიება, ხელშეკრულების შეწყვეტა) ყველა მოვალის წინაშე უნდა განახორციელოს, სარჩელი ყველას მიმართ ცალ-ცალკე აღძრას, ხოლო (იძულებითი) სააღსრულებო ფურცელი ყველას მიმართ გამოაწერინოს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 740, 747). ქონების წილით პასუხისმგებლობასთან ერთად, თანაზიარი პირები, როგორც წესი, **პერსონალურადაც** (პირადად) აგებენ პასუხს თანაზიარი გაერთიანების ვალდებულებებისთვის, ხოლო თანაზიარ ვალდებულებასთან მიმართებით – როგორც **სოლიდარული მოვალეები**. ეს გამომდინარეობს მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებებიდან (§ 1437⁷⁷) და მემკვიდრეთა ერთობიდან (§ 2058⁷⁸). ამხანაგობასთან დაკავშირებით იხილეთ § 714-ის მე-3 ველი.

ბ) ერთობლივი ვალდებულება, ვინრო გაგებით (Gemeinschaftliche Schuld), შესაძლებელია, მოცემული იყოს მაშინ, როდესაც რამდენიმე პირი ვალდებულებას იღებს, რომლის შესრულებაც, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, მხოლოდ ერთობლივად არის შესაძლებელი, მაგ., სიმებიანი საკრავების ორკესტრის ვალდებულება, დაუკრას კონცერტზე ერთობლივად. სხვა მხრივ, ასეთ შემთხვევებში, შესაძლებელია, ჩაითვალოს, რომ სოლიდარული ვალდებულებაა მოცემული (დამოკიდებულია მის განმარტებაზე). ასე, მაგალითად, ბინის თანამესაკუთრეთა მიერ ერთობლივი ვალდებულების აღება საკუთრების უფლების გადაცემაზე. ამ შემთხვევაში სავალდებულოა ყველა თანამესაკუთრის თანაქმედება (§ 747-ის მე-2 წინადადება). თუმცა, შესაძლებელია, ეს ისეც განიმარტოს, რომ ცალკეული მოვალე პასუხისმგებლობას იღებს დანარჩენების ქმედებაზე. ის, რომ ცალკეულ მოვალეს მართო არ შეუძლია ვალდებულების შესრულება, არ გამოორიცხავს სოლიდარულ ვალდებულებას (როგორც ამას § 413 გვიჩვენებს).

11

§ 420. დაყოფადი შესრულება

თუ რამდენიმე პირს ეკისრება დაყოფადი შესრულება, ან, თუ რამდენიმე პირს შეუძლია დაყოფადი შესრულების მოთხოვნა, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდე-

⁷⁷ §1437. მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები; პირადი პასუხისმგებლობა

(1) იმ მეუღლის კრედიტორებს, რომლებიც მეუღლეთა საერთო ქონებას მართავენ, აგრეთვე, მეორე მეუღლის კრედიტორებს შეუძლიათ მოითხოვონ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება მეუღლეთა საერთო ქონებიდან, თუ §§1438-1440-იდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს (მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები).

(2) მეუღლე, რომელიც საერთო ქონებას მართავს, მეორე მეუღლის ამ საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს როგორც სოლიდარული მოვალე. პასუხისმგებლობა უქმდება მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის მომენტიდან, თუ მეუღლეთა ვალდებულებები ერთმანეთს შორის ეკისრება მეორე მეუღლეს.

⁷⁸ §2058. სოლიდარული პასუხისმგებლობა

სამკვიდრო ქონების საერთო ვალდებისათვის მემკვიდრეები პასუხს აგებენ სოლიდარულად.

ბა, რომ ყოველი მოვალე ვალდებულია მხოლოდ თანაბარ ნილზე, ხოლო ყოველი კრედიტორი უფლებამოსილია მხოლოდ თანაბარ ნილზე.

- 1 ნილობრივ კრედიტორობასთან და ნილობრივ მოვალეობასთან დაკავშირებით იხილეთ § 420-ის შესავალი ველი 8.

§ 421. სოლიდარული მოვალეები

¹თუ რამდენიმე პირს ეკისრება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითო-ეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიან შესრულებაში, კრედიტორი კი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესრულება მხოლოდ ერთჯერადად (სოლიდარული მოვალეები), მაშინ კრედიტორს შეუძლია, თავისი სურვილით ნებისმიერი მოვალისაგან მოითხოვოს მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულება. ²მთლიანი შესრულების განხორციელებამდე ყველა მოვალე რჩება ვალდებული.

I. ზოგადი მიმოხილვა

- 1 **სოლიდარული ვალდებულება (Gesamtschuld; §§ 421-427)** კრედიტორისთვის არის მოვალეთა სიმრავლის ყველაზე ხელსაყრელი ფორმა, ვინაიდან მას შეუძლია, მოვალეთა შორის ყველაზე გადახდისუნარიანი ამოარჩიოს და მისგან მოითხოვოს მთლიანი ვალდებულების შესრულება. მას ამის განხორციელება შეუძლია მაშინაც, როდესაც ეს მოვალე დანარჩენ მოვალეებთან ურთიერთობაში (შიდა ურთიერთობა, შდრ. § 426) ვალდებულების მხოლოდ (მცირე) ნაწილის შესრულებაზეა ვალდებული, ან, საერთოდ, არ არის ვალდებული. სხვა მხრივ, მას უფლება აქვს, ცალკეულ მოვალეებს მოსთხოვოს სოლიდარული ვალდებულების მხოლოდ ნაწილი.

II. კანონით მოწესრიგებული სოლიდარული ვალდებულების შემთხვევა

- 2 ხშირ შემთხვევაში, კანონი ნათლად განსაზღვრავს რამდენიმე მოვალის სოლიდარული პასუხისმგებლობის შემთხვევებს:
- 3 **1. ერთობლივი სახელშეკრულებო ვალდებულება (§ 427);** ზოგიერთ შემთხვევაში, სახეზეა ერთმანეთის მიყოლებით პასუხისმგებლობის კისრება ერთი და იმავე ვალდებულებისთვის. მაგალითად, **თანათავდებობა (§ 769)**, ასევე, **თამასუქთან დაკავშირებულ ურთიერთობაში რამდენიმე თანამონაწილის არსებობა** (თამასუქის შესახებ კანონის 47-ე მუხლის პირველი ნაწილი⁷⁹).
- 4 **2. § 840-ის შესაბამისად,** ერთობლივი **დელიქტური** პასუხისმგებლობის შემთხვევა; გარდა ამისა, სხვა, **დელიქტისგან დამოუკიდებელი ვალდებულების დარღვევისათვის** (მაგ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §§ 42-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება, 1664-ის მე-2 ნაწილი, 1833-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება, 2219-ის მე-2 ნაწილი).
- 5 **3. ზოგიერთი სამართლებრივი გარიგების შედეგი** (მაგ., სამენარმეო სუბიექტის ერთპიროვნული მესაკუთრის გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრეები უფლებამოსილნი არიან, რაიმე თანხმობის გარეშე გაუძღვნენ დაწესებულების საქმიანობას, ისინი პასუხს აგებენ სანარმოს ვალდებულებებისთვის სოლიდარულად, გერმანიის სავაჭრო კოდექსის § 25-ის პირველი ნაწილი).
- 6 **4. ხშირ შემთხვევაში კანონი ნათლად განსაზღვრავს რამდენიმე მოვალის სოლიდარულ პასუხისმგებლობას,** ასევე, **თანაზიარი გაერთიანების (Gesamthandgemeinschaft)** წევრების სამართლებრივი მდგომარეობის საზიანოდ (დამატებით იხ. § 420-ის შესავალის ველი 4).
- 7 **5. რამდენიმე პირის მიერ დაუყოფადი ვალდებულების კისრება (§ 431).**

⁷⁹ ყველა ის პირი, ვინც თამასუქი გასცა, მიიღო, მოახდინა მისი ინდოსირება ან თავდებობის განცხადება, პასუხს აგებს მფლობელის წინაშე როგორც სოლიდარული მოვალე.

III. კანონში მოუნესრიგებელი სოლიდარული ვალდებულების შემთხვევა

1. მნიშვნელობა. ერთიანი მიდგომა არსებობს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ, სოლიდარული ვალდებულების ზემოაღნიშნული კანონისმიერი რეგულირებებიდან გამომდინარე, ორი მოვალე შეიძლება იყოს სოლიდარულად პასუხისმგებელი ერთი და იმავე კრედიტორის წინაშე. პრაქტიკაში კი საქმე ეხება იმას, რომ მონაწილე პირთა შორის დადგეს სოლიდარული მოვალეობის ერთ-ერთი სამართლებრივი შედეგი, მაგალითად, სოლიდარული შესრულება (§ 422), ან სოლიდარულ მოვალეთა რეგრესი (§ 426). ამის გასაანალიზებლად გამოდგება მაგალითი, რომელზეც საკმაოდ დიდი დისკუსია მიმდინარეობდა: „დ“ მოჰპარავს „ე“-ს აპარატურას და მიჰყიდის „კ“-ს (რომელმაც ქურდობის შესახებ არაფერი იცის). „კ“ თავის მალაზიაში გაყიდის აპარატურას. § 816-ის პირველი ნაწილის თანახმად, „ე“ ითხოვს „კ“-სგან ამონაგებს მას შემდეგ, რაც დაადასტურებს გადაყიდვას (§ 185-ის მე-2 ნაწილი). მანამ, სანამ „კ“ გადაიხდის, „დ“ აუნაზღაურებს „ე“-ს სრულ ზიანს მოპარული ქონებისთვის. მოგვიანებით, „კ“ თავის გადახდილს ითხოვს უკან სარჩელით, თავისი და „დ“-ს მიერ დათმობილი უფლებით. ამ შემთხვევაში, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „დ“ და „კ“ არიან სოლიდარული მოვალეები, ვინაიდან ისინი „ე“-ს ერთი და იმავე ინტერესისთვის (აპარატურის დანაკარგი) აგებდნენ პასუხს. შესაბამისად, „დ“-ს შესრულება „კ“-ს ათავისუფლებს თავისი ვალდებულებისაგან, რომელიც § 816-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს (შენაცვლებითი დაკმაყოფილება, § 422-ის პირველი ნაწილი) და, მაშასადამე, „კ“-ს სარჩელი, § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საფუძვლიანი იყო (ამგვარი გადანყვეტა ძალიან საკამათოა, იხ. *Medicus/Peterson*, 927-ე ველი; *Reeb JuS*, 1970, 214, 216; *Diicher JZ*, 1973, 199, 201).

2. სადავო კანონში დაურეგულირებელი სოლიდარული ვალდებულების წინაპირობები (მდრ. *Medicus/Peterson*, Rn. ველი (916) და მომდ. ველები, *Larenz SchR*, I, § 37, I):

ა) უდავოდ მოცემული უნდა იყოს სხვადასხვა მოვალის დამოუკიდებელი ვალდებულებები ერთი და იმავე კრედიტორის მიმართ ვალდებულების სრულად შესრულებაზე, ხოლო კრედიტორი შესრულებას უნდა იღებდეს მხოლოდ ერთხელ (როგორც უკვე აღინიშნა, § 421-ის შემთხვევა);

ბ) ასევე საჭიროა, რომ სხვადასხვა ვალდებულება კრედიტორის ერთსა და იმავე ინტერესზე იყოს მიმართული. შესრულებათა სრული იდენტურობა ამ შემთხვევაში ისევე ნაკლებად აუცილებელია, როგორც იდენტურობა სამართლებრივი საფუძველი. შედარებისათვის ისევ ზედა ველში მოყვანილი მაგალითს მოვუხმობთ: ზიანის ანაზღაურება (§ 823) და სუროგატის გადაცემა (§ 816-ის პირველი ნაწილი) ერთნაირად აკმაყოფილებენ აპარატურის ქურდობით გამოწვეულ დანაკარგს. ამგვარადვე აკმაყოფილებს მშენებლობის დამკვეთის დანაკარგის აღმოფხვრის ინტერესებს არქიტექტორის მიერ ზიანის ანაზღაურება და სამშენებლო კომპანიის მიერ დამატებითი შესრულება (ნაკლის გამოსწორება). იგივე ვრცელდება, ასევე, იმ ორ მენარმეზე, რომლებიც სამშენებლო ობიექტზე მათ მიერ გამოწვეული ნაკლისთვის სრული მოცულობით აგებენ პასუხს იმდენად, რამდენადაც ეს ნაკლი ერთობლივ გამოსწორებას ექვემდებარება (BGH, 155, 265);

გ) სასამართლო პრაქტიკა განსაზღვრავს სოლიდარული მოვალეობის კიდევ ერთ დამახასიათებელ კრიტერიუმს, რომელიც მოვალეთა მიერ სუბიექტურად დასახული ან ობიექტურად არსებული საერთო მიზნის არსებობით (*Zweckgemeinschaft*) გამოიხატება. ლიტერატურის უმეტეს ნაწილში ეს კრიტერიუმი უარყოფილია (იხ. *Larenz SchR*, I, § 37, I: მიზნის ერთობა სხვა არაფერია, თუ არა ერთი და იმავე შესრულების ინტერესთა დაკმაყოფილება, ზემოთ, მე-11 ველი; გაკრიტიკებულია ასევე უმაღლესი ფედერალური სასამართლოს

გადაწყვეტილებაში: BGHZ, 59, 99). ამის საპირისპიროდ, ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება გადამწყვეტ კრიტერიუმად მიიჩნევს სხვადასხვა ვალდებულების **ერთსაფეხურიანობას**. სხვადასხვა მოვალე იმგვარად უნდა იდგეს ერთმანეთის გვერდით, რომ თითოეულ მათგანს, სულ ცოტა, შეეძლოს (შიდა ურთიერთობაში) ვალდებულების რალაც ნაწილის შესრულება. ამისგან განსხვავებით, ვერ იქნება ვალდებულება სოლიდარულად მიჩნეული და, შესაბამისად, მოვალეთა „ერთ საფეხურზე დგომა“ არ იქნება მოცემული მაშინ, როდესაც მოვალეთაგან ერთ-ერთს მთლიანი ვალდებულების შესრულება ეკისრება, ხოლო სხვა ვალდებულება მხოლოდ კრედიტორის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. ვალდებულების დაქვემდებარებულობის გამოხატულება არის **cession legis** (მოთხოვნის კანონისმიერი გადასვლის) იმპერატიული მითითება ვალდებულების შემსრულებელი მოვალის რეგრესის უფლებაზე იმ მოვალეთა მიმართ, რომლებიც არ ახორციელებენ შესრულებას. ამით კანონი უთითებს, რომ თავდაპირველად შემსრულებელი მოვალის პოზიცია არ უნდა დამძიმდეს. აქედან გამომდინარე, ძირითადი მოვალე და თავდები ისევე ნაკლებად არიან სოლიდარული მოვალეები (**cession legis**: § 774-ის პირველი ნაწილი), როგორც ზიანის მიმყენებელი და ზიანის შემთხვევის მზღვეველი. ამ მითითების მოქმედება არ ეხება § 426-ის მე-2 ნაწილში განსაზღვრულ კანონისმიერ ცესიას, ვინაიდან იგი იმაზეა დამოკიდებული, თუ და რამდენად არსებობს რეგრესის მოთხოვნა შიდა ურთიერთობაში (მითითება § 426-ის პირველ ნაწილზე).

§ 422. ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგები

(1) **1** ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება მოქმედებს ასევე **დანარჩენი მოვალეების მიმართაც**. **2** **ანალოგიური წესი მოქმედებს ნაკისრი ვალდებულების ნაცვლად სხვა შესრულების მიღების, დეპონირებისა და გაქვითვის მიმართ.**

(2) **მოთხოვნა, რომელიც ეკუთვნის ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს, არ შეიძლება გაიქვითოს დანარჩენი მოვალეების მიერ.**

1 1. ზოგადი მიმოხილვა. §§ 422-425 არეგულირებენ სოლიდარული ვალდებულების მოქმედებას **გარე ურთიერთობაში** (ურთიერთობა ცალკეულ მოვალესა და კრედიტორს შორის; შიდა ურთიერთობას ეხება § 426). ვინაიდან სოლიდარული ვალდებულების ცალკეულ ვალდებულებებს შორის შიდა კავშირი არსებობს, ცალკეულ ვალდებულებაზე ზემოქმედების მომხდენი გარემოებები მოქმედებენ, ასევე, სოლიდარულ ურთიერთობაში მყოფ სხვა მოვალეებთან და მათ ვალდებულებებთან მიმართებით, რასაც საერთო მოქმედების ფაქტობრივი გარემოებები ეწოდება. ამისგან განსხვავებით, ცალკეული მოქმედების მქონე ფაქტები მოქმედებენ მხოლოდ კრედიტორისა და შესაბამისი მოვალის ურთიერთობაში.

2 2. საერთო მოქმედების ფაქტობრივი გარემოებები §§ 422-424-შია ჩამოთვლილი. **ა)** ის, რომ მოვალის შესრულება და შესრულების სუროგატები, ასევე, სხვა მოვალეებისთვისაც მოქმედებენ (§ 422-ის პირველი ნაწილი), გამომდინარეობს თვით სოლიდარული ვალდებულების ცნებიდან: კრედიტორი უფლებამოსილია, შესრულება მხოლოდ ერთჯერადად მოითხოვოს (§ 421-ის პირველი ნაწილიდან). მოვალის მიერ კრედიტორისადმი შესრულების შეთავაზების შემდგომ წარმოშობილი კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება (§ 293) ყველა მოვალისთვის მოქმედებს (§ 424), ვინაიდან კრედიტორის მიერ მიუღებლობით დაბრკოლებული შესრულება ყველა მოვალეს გაათავისუფლებდა ვალდებულებისაგან; **ბ)** თუ რამდენად აქვს ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალესა და კრედიტორს შორის შეთანხმებულ **ვალის პატიებას** ვინრო ან საერთო მოქმედება, უნდა დადგინდეს განმარტების გზით (§§ 423, 133, 157). იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ერთი მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისგან, შემდგომ უნდა დადგინდეს, კრედიტორმა ხომ არ გააკეთა შეპირება,

რომლითაც იგი ერთ-ერთ მოვალეს ჰპირდება, რომ, უბრალოდ, მოთხოვნას არ წარუდგენს (შიდა ურთიერთობაში წილთა გათანაბრების ვალდებულება განაგრძობს არსებობას, § 426), ან იქნებ მან ეს მოვალე ყველა ვალდებულებისგან გაათავისუფლა; მეორე შემთხვევაში, კრედიტორმა დანარჩენი სოლიდარული მოვალეების ვალდებულება იმ წილით უნდა შეამციროს, რა წილზეც ვალის პატიების მიმღები შიდა ურთიერთობაში ვალდებული იყო (მდრ. *Palandt-Grüneberg*, § 423 ველი 4: შეზღუდული სოლიდარული მოქმედება); გ) §§ 422-424-იდან გამომდინარე, სოლიდარულად მოქმედებს: **ხელშეკრულებიდან გასვლა** (§ 351) და **ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა** (§ 275-ის პირველი ნაწილი; თუმცა, არ ვრცელდება უუნარობის შემთხვევებზე, § 425-ის მე-2 ნაწილი).

3. დავის შემთხვევაში, § 425-ის თანახმად, ყველა სხვა დანარჩენ ცალკეულ ფაქტორს აქვს **ცალკეული მოქმედება**. შედარებისათვის იხილეთ § 425-ის მე-2 ნაწილის ჩამონათვალი. გამონაკლისები შესაძლოა არსებობდეს ვალდებულებითი ურთიერთობის მიზნისა და შინაარსის მიხედვით (§ 425-ის პირველი ნაწილი – „რამდენადაც“). ასეთი გამონაკლისის მაგალითი შეიძლება იყოს საადვოკატო ბუროს პარტნიორის ვალდებულების მოქმედება სხვა პარტნიორების მიმართ (BGH NJW 1985, 2251).

§ 423. ვალის პატიების სამართლებრივი შედეგები

კრედიტორსა და სოლიდარულ მოვალეს შორის შეთანხმებული ვალის პატიება მოქმედებს ასევე დანარჩენი მოვალეების მიმართაც, თუ ხელშეკრულების მხარეებს სურდათ მთლიანი ვალდებულების შეწყვეტა.

§ 424. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები

კრედიტორის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ვადის გადაცილება მოქმედებს ასევე დანარჩენი მოვალეების მიმართაც.

§ 425. სხვა ფაქტორების მოქმედება

(1) თუ ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, ის ფაქტორები, რომლებიც §§ 422-424-ში არ არის მითითებული, მოქმედებს მხოლოდ იმ სოლიდარული მოვალის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რომელთანაც არიან ისინი დაკავშირებულნი.

(2) ზემოაღნიშნული წესები მოქმედებს, განსაკუთრებით, ხელშეკრულების შეწყვეტის, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების, ბრალის, სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის, ხანდაზმულობის, ხანდაზმულობის ვადის ხელახალი დენის, დენის შეჩერებისა და შეწყვეტის, მოთხოვნისა და ვალის ერთი პირის ხელში აღმოჩენისა და კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ.

§ 426. წილთა გათანაბრების ვალდებულება, მოთხოვნის გადასვლა

(1) ¹თუ სხვა რაიმე არ არის განსაზღვრული, სოლიდარული მოვალეები ერთმანეთის მიმართ ვალდებულნი არიან თანაბარწილად. ²თუ ერთ-ერთი მოვალისაგან მისი წილი თანხის მიღება შეუძლებელია, მაშინ გადაუხდელი ნაწილის შევსების ვალდებულება ეკისრებათ დანარჩენ მოვალეებს წილების გათანაბრების გზით.

(2) ¹მას შემდეგ, რაც სოლიდარული მოვალე აკმაყოფილებს კრედიტორს და შეუძლია დანარჩენი მოვალეებისაგან წილების გათანაბრების მოთხოვნა, კრედიტორის მოთხოვნა დანარჩენი მოვალეების მიმართ გადადის მასზე. ²მოთხოვნის სოლიდარულ მოვალეზე გადასვლა არ შეიძლება განხორციელდეს კრედიტორის ინტერესების საზიანოდ.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** მაშინ, როდესაც §§ 422-425 გარე ურთიერთობას (ურთიერთობები ცალკეულ მოვალეთა და კრედიტორს შორის) არეგულირებს, § 426 ეხება სოლიდარულ მოვალეთა შორის **შიდა ურთიერთობას**. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება იმის გარკვევას, მოვალე, რომელსაც კრედიტორი წარუდგენს მოთხოვნას, რჩება თუ არა საბოლოოდ შესრულებაზე ვალდებული.
- 2 **2. გათანაბრების ვალდებულება (პირველი ნაწილი).** ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება სოლიდარულ მოვალეს, რომელიც სრულად დაფარავს სოლიდარულ ვალდებულებას, უფლებას აძლევს, მოსთხოვოს წილთა გათანაბრება სხვა სოლიდარულ მოვალეებს. მოთხოვნა წარმოიშობა სხვა რეგრესული მოთხოვნების პარალელურად, რომლებიც შეიძლება წარმოიშვან, მაგალითად, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან (დავალება, საქმეების გაძღოლის ხელშეკრულება).
- 3 ცალკეული ვალდებულების **ოდენობა** (და ამით რეგრესული მოთხოვნის ოდენობაც) შესაძლოა გამომდინარეობდეს კონკრეტული კანონისმიერი რეგულირებებიდან (მაგ., § 840-ის მე-2 და მე-3 ნაწილები; ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს, § 254-ის შესაბამისი გამოყენებისას, ყურადღება ექცევა ბრალეულობის წილობრიობას, ანუ იმას, თუ რომელმა მოვალემ გამოიწვია უფრო მეტად ზიანი). გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს, ასევე, მოვალეთა შეთანხმებებს მანამ, სანამ § 426-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, ვალდებულების შესრულების წილების ოდენობები მოვალეებზე გადანაწილდებოდა. სოლიდარულ მოვალეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მიზნისა და შინაარსიდან ან ცალკეული შემთხვევის გარემოებებიდან, შესაძლოა, ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით დარეგულირებული მოვალეთა ურთიერთობის სხვაგვარი შინაარსი ყალიბდებოდა. სოლიდარული მოვალე, რომელიც გადაიხდის მთლიან ვალს, დანარჩენი სოლიდარული მოვალეებისაგან რეგრესის სრულ ოდენობას ვერ მოითხოვს, არამედ კონკრეტულ მოვალეს მხოლოდ მის კონკრეტულ წილს მოსთხოვს (**წილობრივი პასუხისმგებლობა**).
- 4 სოლიდარული მოვალეები, რომელთა მიმართაც კრედიტორი არ წარადგენს მოთხოვნას, ვალდებულნი არიან, არა მხოლოდ, ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, წილთა გათანაბრებაზე, არამედ **შესრულებაში (წილობრივ) თანამონაწილეობაზეც**; ვალდებულების შემსრულებელ სოლიდარულ მოვალეს ენიჭება ვალდებულებისგან განთავისუფლების მოთხოვნა, რომლის წინაპირობაც სოლიდარული ვალდებულების ვადამოსულობაა (მაგ. BGH NJW 1986, 3131, 3132 სხვა მითითებებით; დამატებით § 257).
- 5 **3. კრედიტორის მოთხოვნის გადასვლა (ნორმის მე-2 ნაწილი).** ნორმის მე-2 ნაწილი ვალდებულების განმახორციელებელი მოვალის რეგრესის მოთხოვნას ამყარებს კანონისმიერი მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტით (*cessio legis*), რომელიც მხოლოდ მაშინ არის მოცემული, როდესაც სოლიდარულ მოვალეს, რომელიც ვალდებულებას შეასრულებს, პირველი ნაწილის თანახმად, წილთა გათანაბრების მოთხოვნა შეუძლია. რეგრესის კრედიტორისა და კანონისმიერი მოთხოვნის დათმობის ცესიონერისთვის შემდეგი უპირატესობა არსებობს: კრედიტორის მოთხოვნის გადასვლით სოლიდარულ მოვალეზე მოთხოვნას მიჰყვება მის უზრუნველსაყოფად არსებული უზრუნველყოფის საშუალებები (§§ 412, 401-ის თანახმად; მაგ.: თავდებობა, გირავნობა, იპოთეკა) და, შესაბამისად, ისინი რეგრესის მოთხოვნის უზრუნველყოფას ემსახურებიან.
- 6 **4. სოლიდარულ მოვალეთა წილების გათანაბრების ხელშემშლელი ფაქტორები.** მაშინ, როდესაც სახეზეა სხვადასხვა ზიანის მიმყენებელი პირი, ხოლო ერთ-ერთის სასარგებლოდ მოქმედებს **სახელშეკრულებო ან კანონისმიერი პასუხისმგებლობის გამორიცხვა**, არაპრივილეგირებული ზიანის მიმყენებელი, კანონის პირდაპირი გამოყენების შემთხვევაში, სრულად აგებს პასუხს, მიუხედავად იმისა, რომ ზიანი ნაწილობრივ გამოიწვია: პასუხისმგებლობის გამორიცხვით პრივილეგირე-

ბული ზიანის მიმყენებელი კრედიტორის წინაშე არ არის ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული და, შესაბამისად, არც სოლიდარული პასუხისმგებლობა და წილთა სოლიდარული გათანაბრება ეკისრება (§ 426), მიუხედავად იმისა, რომ, ორივე ზიანის მიმყენებლის შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე, პრივილეგირებულ ზიანის მიმყენებელს თავისი ბრალეულობის წილის შესაბამისად უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა (§ 254-ის შესაბამისად). უნდა აგოს თუ არა პასუხი არაპრივილეგირებულმა ზიანის მიმყენებელმა პრივილეგირებული ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის გამო სრული ზიანისთვის? ამ კითხვასთან დაკავშირებით გავრცელებული მოსაზრების ავტორებს მიაჩნიათ, რომ, როგორც წესი, **პასუხისმგებლობის გამორიცხვის მოქმედება მესამე პირების მიმართ** უარყოფილ უნდა იქნეს (*Medicus SchR, I 807-ე ველი*). სამართლებრივი მდგომარეობის გამოსასწორებლად სხვადასხვა გზის გამოყენება მოისაზრება, სადაც სასამართლო პრაქტიკა პასუხისმგებლობის პრივილეგირების ცალკეულ სახეობებს შორის აკეთებს განსხვავებას:

ა) გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, **ხელშეკრულებით პასუხისმგებლობის გამორიცხვა** მხოლოდ კრედიტორსა და პრივილეგირებული ზიანის მიმყენებლის ურთიერთობაში მოქმედებს, რაც იმას ნიშნავს, რომ, მიუხედავად გარე ურთიერთობაში არარსებული სოლიდარული ვალდებულებისა, ზიანის მიმყენებელმა პირს, რომლის მიმართაც წარდგენილია მოთხოვნა, შეუძლია, მაინც განახორციელოს რეგრესი, § 426-ის შესაბამისად (**შიდა ურთიერთობაში სოლიდარული ვალდებულების ფიქცია**). მაგ.: „ს“ თავისი მანქანით წაიყვანს „გ“-ს და შეუთანხმდება თავისი პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე. „ს“-სა და მესამე პირ „დ“-ს მიერ ერთობლივად ბრალეულად გამოწვეული ავარიის გამო „გ“ განიცდის 2000 ევროს ზიანს. თუ ამ თანხას გადაიხდის „დ“, რადგან მას წარედგინა მოთხოვნა, მაშინ მას შეუძლია, „ს“-გან, § 426-ის პირველი ნაწილის თანახმად, წილის გათანაბრება მოითხოვოს 1000 ევროს ოდენობით. საკითხის ასეთი გადანყვეტის უარყოფითი მხარეა ის, რომ პრივილეგირებულმა ზიანის მიმყენებელმა „ს“-მ, მიუხედავად პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ შეთანხმებისა, ზიანის გარკვეული ნაწილისთვის პასუხი, საბოლოო ჯამში, მაინც უნდა აგოს. ამის შედეგად იგი ზიანის „დ“-სთან ერთად გამოწვევის შემთხვევაში უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე მაშინ, ზიანი მარტომ რომ გამოიწვიოს, ვინაიდან, თუ იგი მარტო მოახდენდა ავარიას (გაუფრთხილებლობით), „გ“-სთან შეთანხმების თანახმად, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებოდა. ეს უცნაური შედეგი რომ ავიცილოთ თავიდან, პრივილეგირებულ ზიანის მიმყენებელს, თავის მხრივ, უნდა მიეცეს კრედიტორის მიმართ რეგრესის განხორციელების შესაძლებლობა; ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უკვე ე.წ. **„რეგრესის წრესთან“** (მდრ. *MüKo-Bydlinski, 57-ე ველი*). ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების (მაგ. *Larenz SchR, I, § 37, III; Medicus JZ, 1967, 398*) თანახმად, კრედიტორის მოთხოვნა არაპრივილეგირებულ ზიანის მიმყენებელ „დ“-ს მიმართ თავიდანვე უნდა შემცირდეს პრივილეგირებული ზიანის მიმყენებელ „ს“-ს პასუხისმგებლობის წილის ოდენობით, რის შედეგადაც კრედიტორს ზიანის რალაც ნაწილი არ აუნაზღაურდება, რაც გამართლებული იქნება მისი ზიანის მიმყენებელთან პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმების არსებობით.

ბ) **პასუხისმგებლობის კანონისმიერი გამორიცხვის შემთხვევაშიც** გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო საკითხის გადაჭრის ზემოაღნიშნულ გზას მიჰყვება. მაგალითად, ასეთი შემთხვევა არის მოცემული მაშინ, როდესაც პრომითი საქმიანობის განხორციელებისას მომხდარი **უზედური შემთხვევა**, გერმანიის სოციალური კოდექსის მე-7 ნიგნის § 104-ის თანახმად, პრივილეგირებული დამსაქმებლის ან კოლეგის მიერ არის ერთობლივად გამოწვეული. ამის შედეგად ზიანის მიმყენებელი არაპრივილეგირებული პირის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ

7

8

მისი პასუხისმგებლობის წილით. პასუხისმგებლობის ეს შეზღუდვა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ, ერთი მხრივ, არ უნდა მოხდეს პრივილეგირებული ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრივილეგირებისთვის აზრის დაკარგვა სოლიდარული მოვალეების წილთა გათანაბრებაში მისი ჩართვით და, მეორე მხრივ, უსამართლო იქნებოდა არაპრივილეგირებული ზიანის მიმყენებლისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება, თუკი გავითვალისწინებდით პრივილეგირებული პირის პრივილეგიის საფუძველს, კერძოდ, დაზარალებული პირის სხვაგვარ უზრუნველყოფას/დაზღვევას. ამ შემთხვევაში, საკითხის კრედიტორის საზიანოდ გადაწყვეტა იმითაც არის გამართლებული, რომ პირთა მიერ აუნაზღაურებადი მოცულობის კომპენსირება შესაძლებელია სოციალური დაზღვევის მოთხოვნების განხორციელებით.

9 გ) გერმანიის სამოქალაქო კოდექსის პასუხისმგებლობის წინდახედულობის საკუთარი მასშტაბით შეზღუდვის შემთხვევები (§§ 708, 1359, 1664), რომლებიც საგზაო მოძრაობაში არ მოქმედებს, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დაუშვა ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა § 1664-ის პირველი ნაწილის⁸⁰ რეგულირებას. კერძოდ, სასამართლომ მეორე, არაპრივილეგირებულ, ზიანის მიმყენებელს დააკისრა ზიანის სრული ანაზღაურება და, ამასთანავე, უარყო პრივილეგირებული ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ რეგრესული მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობა (BGHZ 103, 338). ამ ე.წ. „სათამაშო მოედნის კაზუსში“, რომლის დროსაც ბავშვი ქალაქის ხელმძღვანელობისა და მშობლების ბრალის გამო ჩამოსრილებისას დაშავდა, უმაღლესმა სასამართლომ მთლიანი ზიანი ქალაქს დააკისრა, ვინაიდან მშობლების პასუხისმგებლობა შვილთან მიმართებით § 1664-ის გამო გამოირიცხება. მე-8 ველში განხილული შემთხვევებისგან განსხვავებით, ასეთი გამონაკლისის წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ § 1664-ის პირველი ნაწილი გაგებულ იქნეს როგორც ოჯახის დაცვის კანონის-მიერი ნორმა, რომელიც მოქმედებს გარეთ მდგომი ზიანის მიმყენებლების მიმართ (მდრ. *Medicus/Peterson*, 932-ე ველი).

§ 427. ერთობლივი სახელშეკრულებო ვალდებულება

თუ რამდენიმე პირი ხელშეკრულებით ერთობლივად კისრულობს დაყოფად ვალდებულებას, მაშინ, დავის შემთხვევაში, ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 428. სოლიდარული კრედიტორები

¹თუ რამდენიმე პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ისე, რომ ყოველ მათგანს შეეძლოს მთლიანი შესრულების მოთხოვნა, ხოლო მოვალე ვალდებულია, მხოლოდ ერთჯერადად შეასრულოს (სოლიდარული კრედიტორები), მაშინ მოვალეს შეუძლია ვალდებულების თავისი სურვილით ნებისმიერი კრედიტორის მიმართ შესრულება. ²ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთ-ერთმა კრედიტორმა უკვე წარადგინა სარჩელი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

§ 429. ცვლილებების სამართლებრივი შედეგები

(1) სოლიდარული კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება მოქმედებს, ასევე, დანარჩენი კრედიტორების მიმართაც.

80 § 1664. მშობლების შეზღუდული პასუხისმგებლობა
 (1) მშობლის ზრუნვის განხორციელებისას მშობლებმა პასუხი უნდა აკონ მხოლოდ იმ ზრუნვისათვის, რასაც ისინი, ჩვეულებრივ, საკუთარი საქმეების მიმართ იჩენენ.

(2) თუ მოთხოვნა და ვალი ერთი სოლიდარული კრედიტორის ხელში აღმოჩნდება, დანარჩენი კრედიტორების უფლებები მოვალის მიმართ უქმდება.

(3) ¹გარდა აღნიშნულისა, შესაბამისად გამოიყენება §§ 422-ის, 423-ისა და 425-ის რეგულირებები. ²კერძოდ, ხელშეუხებელი რჩება დანარჩენი კრედიტორების უფლებები, თუ სოლიდარული კრედიტორი თავის მოთხოვნას გადასცემს სხვა პირს.

§ 430. სოლიდარული კრედიტორების მიერ წილთა გათანაბრების ვალდებულება
თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, სოლიდარულ კრედიტორებს ერთმანეთთან ურთიერთობაში აქვთ თანაბარი წილების მიღების უფლება.

§ 431. რამდენიმე მოვალე დაუყოფადი ვალდებულების შემთხვევაში
თუ რამდენიმე პირი კისრულობს დაუყოფად ვალდებულებას, მაშინ ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 432. რამდენიმე კრედიტორი დაუყოფადი ვალდებულების შემთხვევაში
(1) ¹თუ რამდენიმე პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს დაუყოფადი ვალდებულება, მაშინ მოვალეს, იმ შემთხვევაში, თუკი ეს პირები არ არიან სოლიდარული კრედიტორები, შეუძლია შეასრულოს ვალდებულება მხოლოდ ყველა პირის მიმართ ერთობლივად, ხოლო ყოველ კრედიტორს შეუძლია ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ყველას მიმართ. ²ყოველ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს, რომ მოვალემ ვალდებულების საგანი ყველა კრედიტორის სასარგებლოდ შეიტანოს დეპოზიტზე, ან, თუ ნივთი არ არის დეპონირებაუნარიანი, ჩააბაროს იგი სასამართლოს მიერ დანიშნულ შემნახველს.

(2) გარდა აღნიშნულისა, ერთ-ერთი კრედიტორის პიროვნებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოება არ მოქმედებს დანარჩენი კრედიტორების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

იხ. § 420-ის შესავალი ველი 6.

1

ნაწილი 8. ცალკეული ვალდებულებები

კარი 1. ნასყიდობა, გაცვლა

ქვეკარი 1. ზოგადი დებულებები

§ 433-ის შესავალი

ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად ნასყიდობის სამართლის ზოგადი ნორმები (§ 433 და მისი მომდევნო პარაგრაფები) საფუძვლიანად შეიცვალა. ამასთანავე, ნაციონალურ კანონმდებლობაში დაინერგა 1999 წლის 25 მაისის ევროგაერთიანების სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივა⁸¹ (ABI 1999 Nr 171, 12). წინამდებარე ქვეკარი არ ასხვავებს ერთმანეთისგან მომხმარებელთან დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას (სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა) და სხვა სახის ნასყიდობის ხელშეკრულებებს. თუმცა, სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ განსაკუთრებულმა რეგულირებებმა თავისი ადგილი იპოვა განცალკევებით მე-3 ქვეკარში (§ 474 და მომდევნო პარაგრაფები).

1

81 Directive 99/44/EC of the European Parliament and of the Council of 25 May 1999 on certain aspects of the sale of consumer goods and associated guarantees.

§ 433. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ტიპური ვალდებულებები

(1) ¹ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია, მიანოდოს მყიდველს ნივთი და გადასცეს მას საკუთრების უფლება. ²გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

(2) მყიდველი ვალდებულია, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ნივთი.

I. ნასყიდობის საგანი

- 1 კანონი ერთმანეთისგან ასხვავებს ნივთის და უფლების ნასყიდობას (მდრ. § 453), რომლებიც კანონის მიერ, ძირითად შემთხვევებში, ერთნაირად განიხილება.
- 2 **1. ნივთში** მოიაზრება ყველა სახის სხეულებრივი საგნები (§ 90). გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ნივთის აგრეგატული მდგომარეობა (მყარი, სითხე, აირი) არაავითარ როლს არ ასრულებს. თუ მომხმარებელი (§ 13) მენარმისაგან (§ 14) მოძრავ ნივთს ყიდულობს, საქმე გვაქვს **მომხმარებელთან დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან (სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება)**, რომლისთვისაც § 474 და მისი მომდევნო ნორმები მოქმედებს.
- 3 **2. ნასყიდობის საგანი** შესაძლოა იყოს ყველა უფლება, რომლის გადაცემაც შესაძლებელია, მაგალითად, მოთხოვნები (მდრ. მოთხოვნის ნასყიდობა ნამდვილი ფაქტორინგის შემთხვევაში, იხ. § 398-ის შესავალი, 21-ე ველი). ნასყიდობის საგანი შეიძლება იყოს: საზოგადოების წილები, სანივთო უფლებები (მაგ. იპოთეკა), ასევე, ცალკეული სუბიექტური საჯარო უფლებები (მაგ., კონცესია). უფლებების ნასყიდობასთან დაკავშირებით დანვრილებით იხილეთ § 453 ველი 2.
- 4 **3. ნასყიდობა** შესაძლებელია ეხებოდეს **ნივთების ან უფლებების ერთობლიობას** (იხ. § 453-ის პირველი ნაწილის რეგულირებაში – „სხვა საგნები“). მაგალითად, ნასყიდობის საგანი შეიძლება იყოს პირის მთლიანი ქონება ან სანარმო; ამ შემთხვევაში, ივარაუდება, რომ ქონების ყველა ღირებულებითი შემადგენელი ნაწილი ნასყიდობის საგანია, ისეთები როგორებიცაა, მაგალითად: მანქანა-დანადგარები, კლიენტურა, ნოუ ჰაუ, გუდვილი, სასაქონლო ნიშანი, ფირმა და ა.შ.

II. გამყიდველის ვალდებულებები (ნორმის პირველი ნაწილი)

- 5 **1. ძირითადი ვალდებულებები (სინალაგმატური ვალდებულებები).** ა) ნასყიდობის საგნის **გადაცემა** გულისხმობს, როგორც წესი, ნივთზე პირდაპირი მფლობელობის მინიჭებას (იხ. § 854); თუმცა, შესაძლებელია, არაპირდაპირი მფლობელობის მინიჭებაც (§ 868) საკმარისი იყოს იმისათვის, რომ გადაცემა ჩაითვალოს განხორციელებულად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მესამე პირი ნივთის უშუალო მფლობელია და ამის შესახებ მყიდველთან შესაბამისი შეთანხმება იქნება მიღწეული (*Medicus/Lorenz SchR II 26-ე ველი*). ნივთის გადაცემის მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგია საპირისპირო შესრულების რისკის გადასვლა (*Preisgefahr*), რომელიც განსაზღვრულია § 446-ის პირველ ნაწილში. ნასყიდობის საგნის გადაცემის მომენტი მნიშვნელოვანია, ასევე, ნივთის ნაკლის არსებობის დადგენისათვის, ვინაიდან გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის გამო დგება იმ შემთხვევაში, თუ გადაცემის მომენტში ნივთი ნაკლიანი იყო (§ 434-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). ბ) უფლების ნასყიდობის შემთხვევაში, **უფლების გადაცემა** ან ნივთის ნასყიდობისას **საკუთრების უფლების გადასვლა** ხორციელდება §§ 929-ისა და მომდევნო პარაგრაფების ნორმებით, 873-ით, 925-ით, ან, შემთხვევის გათვალისწინებით, ასევე, § 398-ით. გ) ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, გამყიდველს ეკისრება მყიდველისთვის **ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო** ნივთის გადაცემის ვალდებულება. ის, რომ ნასყიდობის

უნაკლო ნივთის გადაცემა გამყიდველის ვალდებულების ნაწილია, ნიშნავს იმას, რომ ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მყიდველს გზა ეხსნება ვალდებულების დარღვევის ზოგადი ნორმებისაკენ, მაგალითად, მას შეუძლია, ხელშეკრულებიდან გავიდეს (§ 323-ის პირველი ნაწილის თანახმად) ან ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს (§ 280-ისა და მომდევნო პარაგრაფთა ნორმების შესაბამისად). პრინციპული თვალსაზრისით, ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლის გათანაბრება, რომელიც გაზიარებულია § 437-ის რეგულირებაშიც, ამ ორი ნაკლის სახეობის ერთმანეთისგან გამიჯვნას ზედაპირულ მნიშვნელობას სძენს. **დ**) გამყიდველის ვალდებულება არის უნაკლო ნივთის გადაცემა და არა ამ ნივთის დამზადება. პროდუქტის (ნივთის) დამამზადებელი პირი არ არის გამყიდველის ვალდებულების შესრულებაში დამხმარე პირი, ასე რომ, გამყიდველს არ შეეჩაცხება ნივთის დამამზადებლის ბრალეულობა § 278-ის მიხედვით (RegBegr BT-Drucks 14/6040, 210). გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ნივთის პირველ გამამყიდველს, როგორც წესი, არ ეკისრება პროდუქტის გამოკვლევის ვალდებულება (Palandt-Grüneberg, § 280 მე-19 ველი).

2. გამყიდველის დამატებითი ვალდებულებები (შდრ. § 241-ის შესავალი, მე-3 ველი) წარმოიშობიან გარიგების სახეობისა და მოცულობის მიხედვით. დამატებითი ვალდებულებები ემსახურებიან ხელშეკრულების შესრულებას. ასეთებია, მაგალითად, ნასყიდობის ნივთის შეფუთვა, გარკვეული სახის ინფორმაციის მიწოდება (მოსმარების ინსტრუქცია, განსაკუთრებულ საფრთხეზე მინიშნება). სასამართლო პრაქტიკა გამყიდველის კონსულტაციის განევის ვალდებულებას მიიჩნევს არა მარტო დამატებით ვალდებულებად, არამედ, გარემოებების გათვალისწინებით, როგორც დამოუკიდებელ, ძირითად ვალდებულებად, გამომდინარე კონკლუდენტურად დადებული კონსულტაციის შესახებ ხელშეკრულებიდან (შდრ. § 675-ის მე-5 ველი). გამყიდველის მიერ კონსულტაციის შესახებ ამგვარი დამოუკიდებელი ვალდებულება მოიცავს ნასყიდობის საგნის გამოყენებისათვის მნიშვნელოვან თვისებრიობაზე მითითებებს, რომლებიც მან იცის ან უნდა იცოდეს. აქედან გამომდინარე, მყიდველი არ უნდა მოელოდეს (როგორც წესი) გამყიდველისაგან იმ შორეული რისკების შესახებ ინფორმაციის მიღებას, რომლებიც (როგორც წესი) მხოლოდ პროდუქტის მწარმოებლისთვის არის ცნობილი (BGH NJW 2004, 2301).

III. მყიდველის ვალდებულებები (ნორმის მე-2 ნაწილი)

1. ნასყიდობის ფასის გადახდა მყიდველის (სინალაგმატური) ძირითადი ვალდებულებაა. როგორც წესი, მყიდველი ვალდებულია ნაღდი ანგარიშსწორებით განახორციელოს გადახდა; თუმცა, შესაძლებელია, ხელშეკრულებაში ან ოფიციალური მიმონწერისას წერილის სათაურში მითითებული იყოს საბანკო ანგარიშის ნომერი; ამ შემთხვევაში, შესაძლებელია უნაღდო ანგარიშსწორებით გადახდა.

2. მყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის მიღება არის მისი დამატებით ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამყიდველი, ცალსახად, ნივთის გადაცემითაა დაინტერესებული, მაგალითად, მაშინ, როდესაც იგი ცდილობს, რაც შეიძლება მაღელ გაასხვისოს მთლიანი საქონელი, რათა გამოათავისუფლოს შენობა.

3. სხვა დამატებითი ვალდებულებები: მაგ. გაგზავნის ხარჯების გადახდის ვალდებულება (§ 448-ის პირველი ნაწილი), ნოტარიული დამონშების ხარჯები (§ 448-ის მე-2 ნაწილი).

§ 434. ნივთობრივი ნაკლი

(1) ¹ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი რისკის გადასვლის მომენტისათვის შეთანხმებული თვისებების მქონეა. ²თუ თვისებები არ არის შეთანხმებული, მაშინ ნივთი ნივთობრივად უნაკლოდ ჩაითვლება,

1. თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის, ან,
2. თუ იგი ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის და ხასიათდება თვისებებით, რომლებიც ჩვეულებრივია ანალოგიური ნივთებისთვის და მოსალოდნელია მყიდველისათვის ნივთის სახეობის გათვალისწინებით.

მე-2 ნინადადების № 2-ის მიხედვით, თვისებები მოიცავს, ასევე, ისეთ მახასიათებლებს, რომელსაც მყიდველი შეიძლება ელოდოს გამყიდველის, მწარმოებლის („უხარისხო პროდუქციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის § 4-ის პირველი და მე-2 ნაწილები) ან მისი დამხმარის მიერ ნივთის ცალკეული თვისებების თაობაზე საჯაროდ გამოთქმული შეხედულებებიდან გამომდინარე, მათ შორის, განსაკუთრებით, ნივთის რეკლამაში ან ნივთის დამახასიათებელი ნიშნების აღწერისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველმა არ იცოდა და აგრეთვე არც შეეძლო სცოდნოდა გამოთქმული შეხედულებების შესახებ, ან ხელშეკრულების დადების მომენტში გამოთქმული შეხედულება იმავე სახით შეცვლილ იქნა, ანდა მას არ შეეძლო ყიდვის გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მოხდენა.

(2) ¹ნივთობრივი ნაკლი სახეზეა მაშინაც, როდესაც გამყიდველის ან ამ უკანასკნელის დამხმარის მიერ შეთანხმებული მონტაჟი არაფეროვნად ჩატარდა. ²ასევე, მონტაჟისათვის გათვალისწინებულ ნივთთან დაკავშირებით ნივთობრივი ნაკლი სახეზეა მაშინაც, თუ სამონტაჟო ინსტრუქცია ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთი დამონტაჟებულ იქნა უშეცდომოდ.

(3) ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება შემთხვევა, თუ გამყიდველი გადასცემს სხვა ნივთს ან ნივთს მცირე რაოდენობით.

I. ზოგადი მიმოხილვა

1. 1. ნივთობრივი ნაკლის სრული დეფინიცია მნიშვნელოვან ასპექტებში სათავეს იღებს **სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივიდან** (მდრ. § 433-ის შესავალი, ველი 1). თუმცა, § 434 არ ასხვავებს ერთმანეთისგან მომხმარებელთან დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას სხვა ნასყიდობის ფორმებისაგან, არამედ იძლევა ნივთობრივი ნაკლის ერთიან დეფინიციას ყველა ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის.
2. 2. § 434 არაფერს ამბობს ნივთის ნაკლის მტკიცების ტვირთის შესახებ. ამის დადგენა უნდა მოხდეს დამატებით, § 363-ის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნორმაში მხოლოდ შეთანხმებულისგან განსხვავებულ და არასრულ ვალდებულებაზეა საუბარი, მისი გამოყენება ნაკლიანი შესრულების შემთხვევაშიც ზოგადად ალიარებული და მიზანშეწონილია (მდრ. BGH NJW 2011, 1664). შედეგად, მყიდველმა უნდა დაამტკიცოს, რომ ნივთობრივი ნაკლი გადაცემის (საფრთხის გადასვლის) მომენტში უკვე იყო სახეზე და მოგვიანებით ნივთის (გადამეტებული) გამოყენების შედეგად არ წარმოშობილა. იმ შემთხვევაში, თუ ნაკლის გამომწვევი მიზეზი სადავოა, მყიდველმა უნდა დაამტკიცოს შესაბამისი ნაკლის სიმპტომის არსებობა (BGH NJW 2011, 1664). **მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში**, მტკიცების ეს ტვირთი მომხმარებლის სასარგებლოდ ეკისრება გამყიდველს (§ 476), ვინაიდან ნორმა ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ მომხმარებლისთვის ნაკლის მტკიცება (მენარმესთან შედარებით) სირთულეებთანაა დაკავშირებული.

II. ნივთობრივი ნაკლი (ნორმის პირველი ნაწილი)

3. 1. **ცნებები. ა) ნივთის (ნივთობრივი) ნაკლი** არის ნასყიდობის ნივთის ფაქტობრივი თვისებრიობის არასასურველი გადახვევა ხელშეკრულებით განსაზღვრული სავალდებულო თვისობრიობისაგან („უნდა იყოს თვისებრიობა“). ნივთის ნაკლის დეფინიცია გაშლილია § 434-ის ცალკეულ ნაწილებში. **ბ)** კანონი არ განმარტავს

თვისებრიობის ცნებას. განასხვავებენ ხარისხობრივ ნაკლს და გარემოებით ნაკლს. ხარისხობრივი ნაკლი არის ნასყიდობის საგნის ფიზიკური თვისებრიობის ნაკლი, მაგ., ვაშლის სიდამძლე, სახლის ფუნდამენტის არამდგრადობა, სუფთა (ბაჯადლო) ოქროდ გაყიდულ ოქროს ბეჭედში ოქროს შემცველობის ნაკლებობა. **გარემოებითი ნაკლი** გამომდინარეობს ნასყიდობის საგნის სამყაროსთან ურთიერთობიდან. თუმცა, ნასყიდობის საგნის გარემოსთან ურთიერთობებს თვისებრიობაში თავისი ადგილი რომ ჰქონდეს, ისინი მასში უნდა იყვნენ ინტეგრირებული, ან მისგან გამომდინარეობდნენ. ნივთის ნაკლი მოცემული არ არის იმ შემთხვევაში, როდესაც არანაირი კავშირი ნივთის ფიზიკურ მდგომარეობასთან არ არსებობს (*Bamberger/Roth-Faust* 23-ე ველი; *Chr. Berger JZ* 2004, 276). აქ მოიაზრება ყველა ფაქტობრივი, სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური გარემოება, რომლებიც, სამოქალაქო ბრუნვის შეხედულებით, ნივთის ღირებულებასა და გამოყენებადობაზე პირდაპირ ახდენენ გავლენას (თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში სადავო ბევრია). მაგ.: მიწის ნაკვეთის მდებარეობა ტბასთან ახლოს; მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის მიუღებლობა, ვინაიდან იმ რაიონში ხანგძლივად იკრძალება მშენებლობა. სადავოა, თუ რამდენად ჩაითვლება ნაკლად, როდესაც საგნის შექმნა ხდება იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს მოგება, თუმცა, მოლოდინი არ გამართლდება (მაგ., სანარმოს შექმნა. შდრ § 453-ის მე-3 ველი).

2. კანონი, პირველ რიგში, უთითებს **ნაკლის სუბიექტურ ცნებაზე**, რაც იმას ნიშნავს, რომ უმთავრესია, ნივთს ჰქონდეს **მხარეთა მიერ შეთანხმებული თვისებრიობა** (ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). თვისებრიობის შესახებ მხარეთა შეთანხმება მოცემულია, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც გამყიდველი ხელშეკრულების დადებისას მყიდველს ნასყიდობის საგნის თვისებრიობას განსაზღვრული მეთოდით აღუწერს, საილუსტრაციოდ ნასყიდობის საგნის ნიმუშს აჩვენებს, გაასინჯებს (პროდუქტის შემთხვევაში) ან ნასყიდობის საგნის გამოყენების საცდელ ჩვენებას ჩაატარებს და მყიდველი ამ საფუძვლით მიიღებს შექმნის გადანყვიტილებას. ამ შემთხვევებს ასახელებს სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. შეთანხმება შესაძლებელია, დუმილით ან კონკლუდენტურად დაიდოს, როდესაც მყიდველი ნასყიდობის საგანთან მიმართებით განსაზღვრულ მოთხოვნებს აწესებს, ხოლო გამყიდველი ეთანხმება. თუმცა, ამ შემთხვევაში, მყიდველის ცალმხრივად დარჩენილი წარმოდგენა არასაკმარისია, მაშინაც კი, როდესაც ის გამყიდველისთვის ცნობილია (BGH NJW 2009, 2807 Nr 9). ავტომობილებით მოვაჭრის მიერ **ახალი ავტომობილის** შექმნისას, როგორც წესი, სახეზეა კონკლუდენტურად დადებული პირობა, რომ გაყიდული ავტომობილი თვისებრივად ქარხნულად ახალი უნდა იყოს. ქარხნულად ახლად მიიჩნევა ავტომობილი, როდესაც ავტომობილი უხმარია და მისი მოდელი ქარხანაში კვლავაც ინარმოება, ასევე, პირველ ტექნიკურ შემონმებამდე არ წარმოიშობა რაიმე ნაკლი და ავტომობილის დამზადებასა და ხელშეკრულების დადებას შორის თორმეტ თვეზე მეტი არაა გასული (BGH NJW 2006, 2694 Nr 10). **ერთი წლის ავტომობილის (Jahreswagen)** შემქმნი კი მოვაჭრისგან ავტომობილს იმ მოლოდინით იძენს, რომ იგი სრულიად ახალ, თითქმის უხმარ ავტომობილს იძენს პირველი ხელისგან, რომელიც ქარხნულად ახალი ავტომობილისგან განსხვავდება მხოლოდ ასაკით, პირველადი რეგისტრაციიდან (*Erstzulassung*) 12 თვის განმავლობაში საგზაო მოძრაობაში გამოყენების პერიოდით. ასეთი გაყიდული ავტომობილი არ შეესაბამება, როგორც წესი, შეთანხმებულ თვისებრიობას მაშინ, როდესაც ავტომობილის დამზადებასა და მის პირველად რეგისტრაციას შორის 12 თვეზე მეტია გასული (BGH NJW 2006, 2694 Nr 11). **ნახმარი ავტომობილის შექმნისას** მონაცემი – „წინა მფლობელის მიხედვით ავარიის შედეგად გამოწვეული დეფექტები: არა“ – არ ჩაითვლება თვისებრიობაზე შეთანხმებად. აქ საქმე ეხება უფრო ავტომობილის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემას, შეტყობინებას,

რომლითაც გამყიდველი წინა მფლობელის მონაცემებს გადასცემს და ნათელს ხდის, რომ, ამ შემთხვევაში, საქმე არ ეხება ავტომობილის მდგომარეობის შესახებ საკუთარ ცოდნას (BGH NJW 2008, 1517 Nr 12f). იმ შემთხვევაში, როდესაც ნახმარი ავტომობილი როგორც „ნაავარიევი“ ისე იყიდება, მყიდველისთვის შეუმჩნეველი ავარიის დეფექტები ვერ ჩაითვლება ნივთობრივ ნაკლად.

- 5 **3.** ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, **მნიშვნელოვანი მომენტი**, როდესაც მოცემული უნდა იყოს ნაკლისგან თავისუფალი ნივთი, არის **რისკის გადასვლის მომენტი** (მდრ.: §§ 446, 447, 474-ის მე-2 ნაწილი).
- 6 **4.** მაშინ, როდესაც მხარეთა შეთანხმება არ არის თვისებრიობაზე მოცემული, ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების № 1-ის თანახმად, გადამწყვეტია ის, თუ რამდენად არის ნივთი **ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლობისთვის გამოყენებადი**. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც, საქმე ეხება დამატებით სუბიექტურ კრიტერიუმს. მხარეთა კონკლუდენტური შეთანხმებაც საკმარისია (RegBegr BT-Drucks 14/6040, 213).
- 7 **5.** მხოლოდ ბოლოს განიხილება ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების № 2-ში განსაზღვრული ობიექტური კრიტერიუმი – **„ჩვეულებრივი სარგებლობა“**. ნივთის თვისებრიობა უნდა იყოს სხვა მსგავსი ნივთების შესაბამისი (მაგ., ნახმარი ნივთების შემთხვევაში). თუ რა თვისებრიობას მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს მყიდველს ნივთის სახეობის შესაბამისად, განისაზღვრება საშუალო მყიდველის მოლოდინით (*Palandt-Weidenkaff*, 30-ე ველი). ნორმის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, ასევე, ნივთის მწარმოებლის ან გამყიდველის მიერ რეკლამაში ან საჯარო გამონათქვამებში პროდუქტის განსაზღვრულ თვისებრიობასთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამყიდველი დამატკიცებს, რომ სარეკლამო განცხადებას არ იცნობდა და არც შეეძლო სცოდნოდა (მდრ. § 122-ის მე-2 ნაწილი), ან, თუ მოცემული იქნება ნორმის პირველი ნაწილის მე-3 წინადადებაში გათვალისწინებული ერთ-ერთი საგამონაკლისო შემადგენლობა. § 434-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების № 2-ის თანახმად, **ავტომობილის შეძენის დროს** ავტომობილი ჩვეული სარგებლობისთვის გამოსადეგია, თუ მას რაიმე ტექნიკური ნაკლი არ აქვს, რომელიც საგზაო მოძრაობაში მის რეგისტრაციას (დაშვებას) ხელს შეუშლიდა, ან გამოყენების შესაძლებლობას ხელს შეუშლიდა ან გაართულებდა (*Palandt-Weidenkaff*, 70-ე ველი). ეს ნესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც ნასყიდობის დროს ნაკლი ღიად ფიქსირდება, ან ნაკლის არსებობა მხარეების მიერ შესაძლებლად მიიჩნევა. ნახმარი ავტომობილისთვის ასაკისა და გამოყენების შედეგად შეძენილი ამორტიზაცია მიიჩნევა ჩვეულებრივ მოვლენად, თუ რაიმე განსაკუთრებული გარემოება არ არის მოცემული (*Palandt-Weidenkaff*, 74-ე ველი). **ნახმარი ავტომობილის** მყიდველს, როგორც ნესი, აქვს მოლოდინი, რომ ავტომობილი მძიმე ნაავარიევი არაა. ავტომობილის **მცირე დეფექტები**, მაგალითად: ავარიის შედეგად გამოწვეული მსუბუქი ნაკანრები, ჩატეხილი სარკე, ფარი და ა.შ. ავტომობილის მძიმე ავარიად არ ითვლება (BGH NJW 2008, 53 Nr 20). თუმცა, გამყიდველს ეკისრება ავარიის შედეგად გამოწვეული ამგვარი დეფექტის შესახებ მყიდველისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

III. მონტაჟი (ნორმის მე-2 ნაწილი)

- 8 **1.** ნორმის მე-2 ნაწილი **მონტაჟის დროს დაშვებულ შეცდომას** უთანაბრებს ნივთობრივ ნაკლს. ამ შემთხვევაში მყიდველს უფლებები ენიჭება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან ისე, რომ არ ხდება ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებათა დოგმატური გამიჯვნა.

2. ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გამყიდველის მიერ შეთანხმებული მონტაჟის არაჯეროვანი განხორციელება იწვევს ნივთობრივ ნაკლს მაშინ, როდესაც მიწოდებული უნაკლო ნივთი დაზიანდება მონტაჟით, ან თვით მონტაჟი აღმოჩნდება ნაკლიანი, მაგრამ შექმნილ ნივთს არ დააზიანებს. მაგალითად, ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება მოიცავს, ასევე, გამყიდველის მიერ სამზარეულოს დამონტაჟების ისეთ შემთხვევას, როდესაც ცალკეული უჯრების დამონტაჟება არასწორად მოხდა, თუმცა, მთლიანობაში მათი გამოყენება, როგორც ასეთი, შესაძლებელია და მონტაჟი ხარისხის შესაბამისად განხორციელდა დეფექტებისა და ნაკარნების გამოწვევის გარეშე (RegBegr BT-Drucks 14/6040, 215). თუ მონტაჟი განხორციელდა არა გამყიდველის, არამედ მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში მოქმედი მესამე პირის მიერ, კოდექსი ასეთ პირს განიხილავს შესრულების დამხმარე პირად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დამხმარე პირის მოხსენიება ნორმის მე-2 ნაწილის პირველ წინადადებაში არ ეხება მისი ბრალის შერაცხვას (როგორც ეს § 278-შია), არამედ § 434 გულისხმობს მისი ქცევის (ნაკლიანი მონტაჟის) შერაცხვას.

3. ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება ნაკლიან (არასწორ) სამონტაჟო ინსტრუქციასაც უთანაბრებს ნივთობრივ ნაკლს. ეს შემთხვევა (IKEA Klausel⁸²) დგება უმეტესად ისეთი ნასყიდობის ხელშეკრულებების შემთხვევებში, რომლებიც ითვალისწინებენ ავეჯის მიწოდებას, ანუ ისეთი საქონლის, რომელიც უნდა აიწყოს, შეერთდეს და ა.შ. ეს ნორმა მოქმედებს (ისევე როგორც მთლიანი § 434) ყველა ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ (არამარტო სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობისთვის) და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შემთხვევებში, როდესაც ნივთის ბოლო გამყიდველი მიმწოდებლების წინააღმდეგ რეგრესულ მოთხოვნას ახორციელებს. სამონტაჟო ინსტრუქციის ნაკლი ბოლო გამყიდველსა და მის მიმწოდებლებს შორის ურთიერთობაშიც ქმნის ნივთის ნაკლს. გამომდინარე აქედან, ნაკლის გამო ბოლო გამყიდველს მიმწოდებლების მიმართ წარმოეშობა მეორად მოთხოვნებზე უფლებები. ნორმა ითვალისწინებს გამონაკლის გარემოებას იმ შემთხვევისთვის, როდესაც ნივთი, მიუხედავად სამონტაჟო ინსტრუქციის ნაკლოვანებისა, მყიდველის ან მესამე პირის მიერ (მაგ., საკუთარი პროფესიული ცოდნით) უნაკლოდ დამონტაჟდება. ეს გამონაკლისი გარემოება გამყიდველის მიერ უნდა დამტკიცდეს. § 434-ში არ არის ნახსენები ნივთის გამოყენების ინსტრუქციაში დაშვებული შინაარსობრივი შეცდომის შესახებ, რომელიც, ასევე, წარმოშობს ნივთობრივ ნაკლს (*Medicus/Peterson*, 287-ე ველი).

IV. სხვა ნივთის და მცირე რაოდენობის მიწოდება (ნორმის მე-3 ნაწილი)

ნორმის მე-3 ნაწილის მიხედვით, სხვა ნივთის და მცირე რაოდენობის მიწოდება უთანაბრდება ნივთობრივ ნაკლს. ამ გათანაბრების შედეგად მყიდველს, სხვა ნივთის ან/და მცირე რაოდენობის მიწოდების შემთხვევაში, ენიჭება § 437-იდან გამომდინარე უფლებები, პირველ რიგში, დამატებით შესრულებაზე მოთხოვნის უფლება (§§ 437-ის № 1, 439). ამ შემთხვევაში, დამატებით შესრულებაში მოიაზრება უნაკლო ნივთის მიწოდება და არა ნაკლის გამოსწორება. მაშინ, როდესაც ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შექმნისას შეთანხმებულისგან განსხვავებული, სხვა, ნივთის მიწოდება ხდება, იურისტთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ საერთოდ არ არის მოცემული § 434-ის მე-3 ნაწილის გამოყენების სფერო (*G. Schulze NJW 2003, 1022; Their AcP 2003, 403* და მომდევნო გვერდები). მათი აზრით, არ არსებობს დამატებით შესრულებაზე მოთხოვნის უფლება, არამედ ძირითადი ვალდებულების

82 IKEA-ს პირობა. IKEA არის შვედური ავეჯის ფირმა, რომლის ავეჯიც მყიდველმა სამონტაჟო ინსტრუქციით თვითონ უნდა ააწყოს. აქედან გამომდინარეობს ამ შემთხვევებისათვის დამახასიათებელი გერმანული ტერმინი IKEA-Klausel.

შესრულების მოთხოვნა განაგრძობს არსებობას (ხანდაზმულობა: §§ 195, 199), ხოლო შეცდომით მიწოდებული ნივთი, § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ექვემდებარება უკან გადაცემას. საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად, შეთანხმებულისგან განსხვავებული, სხვა, ნივთის მიწოდების შემთხვევაში, § 434-ის მე-3 ნაწილი მოქმედებს, ისე, რომ ძირითადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ადგილს დამატებით შესრულებაზე მოთხოვნა იკავებს (ნივთის ხელახალ მიწოდებაზე), რომელზეც ხანდაზმულობის § 438-ის რეგულირება ვრცელდება (დამატ. *St. Lorenz JuS* 2003, 36, 38f; *Musiak NJW* 2003, 89). შეცდომით გაგზავნილი ნივთის დაბრუნება კი, § 439-ის მე-4 ნაწილის მიხედვით უნდა განხორციელდეს. თუ მყიდველი არ განახორციელებს დამატებითი შესრულების მოთხოვნას (ვინაიდან შეცდომით მიწოდებული ნივთი უფრო ძვირადღირებულია და სურს, დაიტოვოს), მას, § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების პირველი ალტერნატივის თანახმად, დაეკისრება ვალდებულება, დააბრუნოს ნივთი, თუმცა, § 273-ის მიხედვით, იგი უფლებამოსილია, გამყიდველს ნივთი გადასცეს მხოლოდ ნასყიდობით შეთანხმებული ნივთის ერთდროულად გადმოცემის სანაცვლოდ („ხელიდან ხელში“). ნასყიდობის საგნის **ზედმეტი ოდენობით მიწოდებისას** ნორმის მე-3 ნაწილი ანალოგიის წესით უნდა იქნეს გამოყენებული, თუ ვალდებულებით შეთანხმებული ოდენობა მთლიან მიწოდებულ ოდენობას ვერ ან რთულად გამოყოფა. § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გამყიდველს დამატებითი სირთულეების გარეშე შეუძლია მოითხოვოს, გამოყოფილი ზედმეტი ოდენობის კონდიცირება (უკან დაბრუნება); მყიდველს ეკისრება შექნილი ოდენობის ფასის გადახადა, თუმცა, არ არის ვალდებული ზედმეტი ოდენობის ფასის გადახდაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მყიდველის მიერ შესამჩნევად ზედმეტი ოდენობის მიღებისას ხელშეკრულების ცვლილება ივარაუდება (თუ მყიდველი კონკლუდენტურად ეთანხმება ზედმეტი ოდენობის მიღებას).

V. უმნიშვნელო ნაკლი

12

ნაკლის გამო პასუხისმგებლობის სამართალი ითვალისწინებს ამასთანავე უმნიშვნელო ნაკლისთვის პასუხისმგებლობას. ნივთობრივი ნაკლისათვის პასუხისმგებლობის მასშტაბი არ შეიძლება იმაზე მეტად შეიზღუდოს, ვიდრე ვალდებულების ზოგადი შეუსრულებლობისთვის არის გათვალისწინებული. შესაბამისად, უნდა მოხდეს § 437-ში დასახელებული უფლებების დიფერენცირება: დამატებით შესრულებაზე ან ფასის შემცირებაზე მოთხოვნა უმნიშვნელო ნაკლის არსებობის შემთხვევაშიც განაგრძობს არსებობას. ამისგან განსხვავებით, გამყიდველის მიერ ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევისას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება (რომელიც გამყიდველის ინტერესებს უფრო ძლიერად ეხება) გამოირიცხება, § 437-ის № 2-ის და § 323-ის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად. ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევისას შეუძლებელია, ასევე, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელება (§§ 437-ის № 3, 281-ის პირველი ნაწილის მე-3 წინადადება). ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, § 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებისა და § 276-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, დამატებით წინაპირობად აწესებენ ბრალეულობას, თუ გამყიდველს თვისებრიობაზე გარანტია არ აქვს ალებული.

§ 435. უფლებრივი ნაკლი

ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია მყიდველის მიმართ ნივთთან დაკავშირებით თავისი უფლების გამო პრეტენზიის განცხადება, ან შეუძლია ასეთი განცხადება მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამო. ¹უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება შემთხვევა, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება.

1. მესამე პირთა უფლებები წარმოშობს უფლებრივ ნაკლს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს უფლებები მყიდველს ნივთის კონკრეტულ გამოყენებაში ხელს არ უშლის. უფლებრივი ნაკლის ცნება (ნივთობრივი ნაკლის ცნებისგან განსხვავებით) განიხილება სრულიად ობიექტური კუთხით (თუმცა, იხ. ქვემოთ, მე-3 ველი). კანონმდებლის ჩანაფიქრის მიხედვით, მყიდველს უნდა ჰქონდეს ის მოლოდინი, რომ მესამე პირს მის მიმართ უფლებების წამოყენება მაშინაც არ შეეძლება, როდესაც მას ნივთის გამოყენება შემდგომში განსხვავებული სახით მოუხდება, ვიდრე ეს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას იყო გათვალისწინებული და შეცნობადი (RegBegr BT-Drucks 14/6040, 218). ნორმის ფარგლებში მესამე პირის უფლებებად განიხილება: **ა) ყველა სანივთო უფლება** (მაგ.: გირავნობის უფლება, იპოთეკა, უზუფერუქტი), საკუთრების უფლების გარდა; § 433-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების გამო, მაშინ, როდესაც გაყიდულ ნივთზე მესამე პირის საკუთრების უფლება დგინდება, ითვლება, რომ გამყიდველს ვალდებულება არ შეუსრულებია (MGH NJW 2007, 3777 Nr 27). ნორმის მე-2 წინადადების თანახმად, მინის ნაკვეთის (უძრავი ქონების) შემთხვევაში, საკმარისია, უფლებრივ ნაკლად მიჩნეულ იქნეს რეესტრიდან გამომდინარე უფლებები, ვინაიდან, § 892-ის გამო აქ წარმოიშობა კეთილსინდისიერი შეძენის საშიშროება; **ბ) ობლიგატორული (მავალდებულებელი) უფლებები**, რომლებიც მყიდველის წინააღმდეგაა მიმართული და მას ნასყიდობის საგნის გამოყენებაში უშლიან ხელს, მაგ.: ქირავნობა; იჯარა, §§ 556-ის პირველი ნაწილის და 581-ის მე-2 ნაწილის მიხედვით; **გ) სახელმწიფო გადასახადები** (მაგ., მოსაკრებელი) არ მოიაზრება უფლებრივი ნაკლის ცნებაში. მინის ნაკვეთის სახელმწიფო გადასახადებთან დაკავშირებით, § 436 შეიცავს სპეციალურ რეგულირებას, რომელიც გამოტანილია უფლებრივი ნაკლის ცნების გარეთ. ამისგან განსხვავებით, ნივთის **გამოყენების საჯაროსამართლებრივი შეზღუდვები**, შესაძლებელია, წარმოშობდეს როგორც უფლებრივ, ასევე, ნივთობრივ ნაკლს. ნივთობრივი ნაკლი მოიაზრება მაშინ, როდესაც შეზღუდვა ეხება გადასაყიდად შექმნილი ნივთის ფიზიკურ თვისებრიობას. მაგ.: შექმნილი ხორცის დაყადალება, ვინაიდან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი მასში სალმონელას (ნაწლავული ბაქტერია) არსებობაზე (BGH NJW 1972, 1462). თუმცა, ამისგან განსხვავებით, თუ გაიყიდება, ტექნიკური თვალსაზრისით, სრულად ფუნქციონირებადი ნივთი მოხმარებისთვის, მაშინ, მისი თვისებრიობის გამო, არსებული დაყადალების საფრთხე წარმოშობს უფლებრივ ნაკლს (BGH 113, 106, 112 – დიზელში სხვა სანავის გარევა, რომელიც გამოყენებადია, თუმცა, დაუშვებელი). უფლებრივი ნაკლი, შესაძლოა, ასევე, მოცემული იყოს მაშინ, როდესაც შეზღუდვა ნივთის სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარეობს, მაგალითად, მაშინ, როდესაც აუცილებელია ბინაში ცხოვრების უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის ქონა იმისათვის, რომ მყიდველმა შეძლოს შექმნილ ბინაში ცხოვრება (BGHZ 67, 134).

2. უმნიშვნელო ხელყოფისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია უფლებრივი ნაკლის გამო პასუხისმგებლობის სამართალში (ისევე, როგორც ნივთობრივი ნაკლის დროს; შდრ. § 434-ის მე-12 ველი). თუმცა, ისინი არ წარმოშობენ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას (§§ 437-ის № 2, 323-ის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადება).

3. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველმა მესამე პირის უფლებები ხელშეკრულებით აღიარა, აღარ იქნება მოცემული უფლებრივი ნაკლი, რაც კანონიდან ნათლად გამომდინარეობს, თუმცა, ეს, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია ნაკლის სუბიექტურად განსაზღვრის ცნებაში, რომელიც სხვებთან შედარებით უპირატესია (იხ. § 434 ველი 4). მაშასადამე, თუ მყიდველი ხელშეკრულებით აღიარებს მესამე პირის უფლებებს, მაშინ მესამე პირის უფლებები არ წარმოადგენს უფლებრივ ნაკლს.

§ 436. მიწის ნაკვეთზე არსებული საჯარო ვალდებულებები

(1) თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მიწის ნაკვეთის გამყიდველს ეკისრება კომუნიკაციების მიყვანისა და მსგავსი ღონისძიებების შედეგად წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურება, რომელთა განხორციელება დაიწყო ხელშეკრულების დადებამდე, მიუხედავად გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტისა.

(2) მიწის ნაკვეთის გამყიდველი პასუხს არ აგებს მიწის ნაკვეთის სხვა საჯარო გადასახდელებისა და ვალდებულებებისათვის, რომლებიც არ რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

§ 437. მყიდველის უფლებები ნაკლის არსებობისას

თუ ნივთი ნაკლის მქონეა, სახეზეა ქვემოთ მოცემულ ნორმათა წინაპირობები და სხვა რაიმე არ არის დადგენილი, მყიდველს შეუძლია, მოითხოვოს:

1. დამატებითი შესრულება, § 439-ის მიხედვით;
2. ხელშეკრულებიდან გასვლა, §§ 440-ის, 323-ის და 326-ის მე-5 ნაწილის მიხედვით, ან ნასყიდობის ფასის შემცირება, § 441-ის მიხედვით; და
3. ზიანის ანაზღაურება, §§ 440-ის, 280-ის, 281-ის, 283-ისა და 331ა-ს მიხედვით, ანდა უშედეგოდ განეული ხარჯების ანაზღაურება, § 284-ის თანახმად.

I. ზოგადი მიმოხილვა

1. **1. § 437 არის მთავარი ნორმა**, რომელშიც თავმოყრილია ყველა მოთხოვნა და უფლება, რომლებიც მყიდველს რისკის გადასვლის მომენტიდან ენიჭება მაშინ, როდესაც ნივთი ნივთობრივად ან უფლებრივად ნაკლიანია (იხ. § 434-ის მე-5 ველი). სხვა რაიმე, ცალკე მდგომი მეორადი მოთხოვნის უფლება ნაკლთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. მყიდველის მოთხოვნები და უფლებები გამომდინარეობს ვალდებულების დარღვევის ზოგადი სისტემიდან, ვინაიდან, გამყიდველის მიერ ნაკლიანი ნივთის მიწოდებით, ირღვევა § 433-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებულ ვალდებულება (მდრ. § 433-ის მე-5 ველი). რაც შეეხება § 437-ს, იგი არის ე.წ. ნორმათა კატალოგი (ჩამონათვალი), მიმითითებელი ნორმა, რომელიც უთითებს ვალდებულების დარღვევის შესახებ ნორმებსა და ნაკლის შედეგებზე, რომლებიც, ასევე, დარეგულირებულია §§ 439-441-ში.
2. **2. მიმოხილვა.** ნაკლის არსებობის შემთხვევაში მყიდველს აქვს **ხუთი შესაძლებლობა**: **ა) № 1-ის** თანახმად, მას შეუძლია, განახორციელოს **დამატებითი შესრულების მოთხოვნა** და, § 439-ის პირველი ნაწილის მიხედვით, მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება ან ახალი უნაკლო ნივთის მიწოდება. დამატებითი შესრულების მოთხოვნას აქვს უპირატესობა სხვა უფლებებთან მიმართებაში, ვინაიდან მისი განხორციელება მყიდველს დაუყოვნებლივ შეუძლია მაშინ, როდესაც სხვა უფლებების განსახორციელებლად გამყიდველისთვის წინასწარი ვადის განსაზღვრაა საჭირო; **ბ) № 2-ში** მითითებული წინაპირობების დაცვით, მყიდველს შეუძლია, განახორციელოს **ხელშეკრულებიდან გასვლის ან ხელშეკრულების ფასის შემცირების აღმჭურველი (რეგულაციური) უფლებები**; **გ) № 3-ის** თანახმად, მყიდველი უფლებამოსილია, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების ფასის შემცირების პარალელურად (მიაქციეთ ყურადღება № 2-ის ბოლო სიტყვა „და“-ს), §§ 440-ის, 280-ის, 281-ის, 283-ის და 311ა-ს მიხედვით, მოითხოვოს **ზიანის ანაზღაურება** ან, § 284-ის მიხედვით, **უშედეგოდ განეული დანახარჯების ანაზღაურება**. № 3-ში გათვალისწინებულია მოთხოვნათა ალტერნატივა ზიანის ანაზღაურებასა და დანახარჯების ანაზღაურებას შორის (მიაქციეთ ყურადღება № 3-ის წინადადების მაკავშირებელს – „ანდა“). ალტერნატივის სახით მყიდველს შეუძლია, დანახარჯების ანაზღაურება მოითხოვოს მხოლოდ შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მაგივრად. სხვა დანარჩენი სახის ზიანის ანაზღაურებისათვის ეს ალტერნატივა არ მოქმედებს (იხ. § 284 ველი 1 ს „ბ“ პუნქტი).

II. მოთხოვნის ცალკეული საფუძვლები

1. დამატებითი შესრულება დეტალურად რეგულირებული და გავრცობილია § 439-ში. ქირავნობისა და ნარდობის სამართლისაგან განსხვავებით (§ 536ა-ს მე-2 ნაწილი; §§ 634-ის № 2, 637), **მყიდველის მიერ ნაკლის საკუთარი ძალებით აღმოფხვრა** ნასყიდობის სამართალში არ არის გათვალისწინებული. კანონმდებლის ამ ცხადი გადაწყვეტილების გაზიარებით, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამ შემთხვევაში, უარყოფილია უშედეგოდ განეული დანახარჯების ანაზღაურება § 637-ის პირველი ნაწილის ანალოგიის გამოყენებითაც, დამატებითი შესრულებისათვის ვადის დადგენისა და ამ ვადის გასვლის შემდგომ (სხვა მოსაზრება იხ. *Jauernig-Berger*, § 439 მე-16 ველი; *Peters JR* 2004, 353). თუმცა, დანახარჯები მყიდველს შესაძლოა, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აუნაზღაურდეს (იხ. მე-7 ველი), რაც, შესაბამისად, ბრალეულობის არსებობას მოითხოვს (*BGH NJW* 2006, 988 Nr 16). ზიანის ანაზღაურება და სხვა ნორმის № 1-3-ში მითითებული უფლებები გამოირიცხება მაშინ, როდესაც მყიდველი ნაკლს თვითონ გამოასწორებს ისე, რომ იგი გამყიდველს წინასწარ დამატებით ვადას არ განუსაზღვრავს ან მაშინ, როდესაც დამატებითი ვადის განსაზღვრა, §§ 440-ის, 323-ის მე-2 ნაწილის, 281-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, საჭირო არ არის. გამომდინარე აქედან, მყიდველს აღარ გააჩნია ნაკლის გამოსწორებაზე მოთხოვნის უფლება, თუ ის **თავისი ძალებით აღმოფხვრის ნაკლს** (*BGH NJW* 2005, 1348, სადავოა). ამის დასასაბუთებლად, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო უთითებს § 437-ში მოცემული კატალოგის ამომწურავ ხასიათზე, რომელიც მყარად განსაზღვრავს დამატებითი შესრულების კანონისმიერ უპირატესობას და გამყიდველის უფლებას, ჰქონდეს შესრულების მეორედ განხორციელების შესაძლებლობა („*Recht der zweiten Andienung*“; იხ. § 439 ველი 2). განსაკუთრებით, გამოირიცხება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან, ან § 812-იდან გამომდინარე, კანონით განსაზღვრული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნები. ამის საპირისპიროდ, საკითხის გადასაჭრელად ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება მიუთითებს § 326-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების გამოყენებაზე (მაგ. *St. Lorenz NJW* 2003, 1417). თუ ეს განსაზღვრება შესრულების სტადიაზე მყიდველის მიერ გამოწვეული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისთვის სამართლებრივ შედეგებს მოიტანდა, მაშინ ეს სამართლებრივი შედეგები უნდა გავრცელდეს დამატებითი შესრულების მიმართაც. მაშასადამე, ამ თვალსაზრისის მიხედვით, გამყიდველს, ნასყიდობის ფასის მოთხოვნისას, მოუწევდა თანხიდან იმის გამოკლება, რასაც იგი მყიდველის მიერ ნაკლის აღმოფხვრის გამო დაზოგავდა, რადგან მას დამატებითი შესრულება აღარ მოუწევდა. ასეთი გადაწყვეტილი მცირდება მყიდველის ვალდებულება ნასყიდობის ფასის გადახდაზე. თუ მყიდველმა უკვე გადაიხადა ნასყიდობის თანხა, მაშინ მას, §§ 346, 326-ის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ენიჭება ზედმეტად გადახდილი ნასყიდობის ფასის უკან მოთხოვნის უფლება. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო მყიდველის ასეთ მოთხოვნასაც დაუშვებლად მიიჩნევს. ამას გადამწყვეტი უპირატესობა აქვს, ვინაიდან ხდება იმ დავის თავიდან აცილება, რომელიც ნაკლის საკუთარი ძალებით აღმოფხვრის შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას ნაკლის არსებობასა და ნაკლის გამოსწორების ხარჯებთან დაკავშირებით.

2. ხელშეკრულებიდან გასვლის (№ 2-ის პირველი ალტ.) წინაპირობა არის, როგორც წესი, დამატებითი შესრულებისთვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლა (§ 323-ის პირველი ნაწილი). ვადის განსაზღვრა ზედმეტია §§ 323-ის მე-2 ნაწილით, 326-ის მე-5 ნაწილით, 440-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ეს ის შემთხვევებია, როდესაც შესაძლებელია ხელშეკრულებიდან დაუყოვნებელი გასვლა. დამატებითი შესრულების შეუძლებლობის დროს გამოიყენება § 326-ის მე-5 ნაწილი, ხელშეკრულებიდან გასვლის სხვა დანარჩენი შემთხვევებისთვის – § 323.

§ 323-ის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა გამორიცხავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებას (დამატ. იხ. § 323-ის მე-3 ველი). ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია, ასევე, § 323-ის მე-6 ნაწილის შემთხვევებში. მყიდველი შეზოჭილია მის მიერ გაკეთებული ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინებით. მას არ შეუძლია, ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება გამოითხოვოს და ხელშეკრულებიდან გასვლის ნაცვლად ხელშეკრულების ფასი შეამციროს. თუმცა, მას შეუძლია, ხელშეკრულებიდან გასვლის პარალელურად ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს (§ 325). ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებითი წინაპირობები მოცემულია § 346-სა და მის მომდევნო პარაგრაფებში. § 346-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 3-ის მიხედვით, ნივთის მდგომარეობის გაუარესება, რომელიც გამოწვეულია მისი მიზნობრივი გამოყენებით, არ გამორიცხავს ამ ნივთის უკან დაბრუნების შესაძლებლობას. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, ნივთი გამყიდველს უბრუნდება არა მარტო ნაკლიანი, არამედ ასევე გამოყენებული; ასე, რომ მას ამ ნივთის შემდგომი გასაღება გაუჭირდება (*Medicus/Petersen*, 292-ე ველი). § 346-ის პირველი ნაწილის თანახმად, გამყიდველს აქვს მხოლოდ გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლის გადმოცემის მოთხოვნის უფლება.

- 5 **3. ფასის შემცირება**, როგორც აღმჭურველი (რეგულაციური) უფლება (№ 2-ის მე-2 ალტ.), დეტალურად რეგულირებული და გავრცობილია § 441-ში. ფასის შემცირება გამოიყენება როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ალტერნატივა (ყურადღება მიაქციეთ № 2-ში მკავშირებელს – „ან“; ხოლო § 441-ის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში ფრაზას – „ხელშეკრულებაზე უარი თქმის ნაცვლად“). როგორც წესი, ფასის შემცირების წინაპირობა არის, აგრეთვე, დამატებითი შესრულებისთვის წინასწარ განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლა.
- 6 **4. ზიანის ანაზღაურების (№ 3-ის პირველი ალტ.)** მოთხოვნა მყიდველს შეუძლია ხელშეკრულებიდან გასვლის ან ფასის შემცირების პარალელურად (იხ. ზემოთ, ველი 4) განახორციელოს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა (ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირებისგან განსხვავებით) არის ბრალეულობა (§ 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი გარანტიას იღებს, მაშასადამე, რაიმე თვისებრიობის არსებობაზე პასუხისმგებლობას კისრულობს, მაშინ, გარანტირებული თვისებრიობის არარსებობისას, გამყიდველის პასუხისმგებლობისთვის ბრალეულობის არსებობა, როგორც წესი, სავალდებულო არ არის (იხ. § 276-ის მე-7 ველი). ვალდებულების დარღვევა, რომელსაც ითხოვს § 280-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, მოცემულია თვით ნაკლის არსებობით, ვინაიდან ვალდებულების დარღვევა ობიექტურად განისაზღვრება (იხ. § 280-ის მე-3 ველი).
- 7 **ა) ნაკლის გამო ზიანის ანაზღაურება**, მაშასადამე, იმ ზიანის, რომელიც მყიდველს იმით მიადგა, რომ ნივთს, ნაკლის გამო, ის ღირებულება არ აქვს, რომელიც ნაკლის გარეშე ექნებოდა, უნდა განხორციელდეს „შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებით“. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია არა მხოლოდ § 280-ის პირველი ნაწილის საფუძველზე იქნეს მოთხოვნილი, არამედ აუცილებელია § 280-ის მე-3 ნაწილში მითითებული წინაპირობების დაცვა. ცალკეულ შემთხვევებში უნდა განვასხვაოთ: **აა)** თუ შესაძლებელია ნივთის ნაკლის გამოსწორება ან უნაკლო ნივთის მიწოდება, უნდა შემოწმდეს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემადგენლობა, § 437-ის № 3-ის, § 280-ის პირველი და მე-3 ნაწილების, § 281-ის და § 440-ის მიხედვით. ამდენად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დამატებითი შესრულებისთვის (§ 439) განსაზღვრული ვადა უშედეგოდ ჩაივლის (§ 281-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, § 281-ის მე-2 ნაწილის ან § 440-ის თანახმად, გამონაკლისის სახით, ვადის განსაზღვრა ზედმეტია; **ბბ)** თუ

ნივთის ნაკლის გამოსწორება შეუძლებელია ან უნაკლო ნივთის დამატებითი შესრულების სახით მიწოდება, § 437-ის № 3 უთითებს § 311ა-ს მე-2 ნაწილზე, თუ დამატებითი შესრულება (§ 439) თავიდანვე შეუძლებელი იყო, ხოლო თუ შესრულების შეუძლებლობა შემდგომ წარმოიშვა, გამოიყენება § 280-ის პირველი და მე-3 ნაწილები, § 283-თან ერთად. ამ ორივე შემთხვევაში, შესაძლებელია, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების დაუყოვნებლივ მოთხოვნა. წინასწარი ვადის განსაზღვრა შესრულების შეუძლებლობის დროს არაგონივრულია და, შესაბამისად, კანონითაც არ არის სავალდებულო (იხ. ასევე § 440 ველი 2); **გგ**) როგორც წესი, მყიდველს შეუძლია, აირჩიოს, მოითხოვს ე.წ. **მცირე ზიანის ანაზღაურებას**, თუ ე.წ. **სრულ ზიანის ანაზღაურებას** (მდრ. § 281-ის მე-5 ველი). მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა, მაშასადამე, სახეზეა მცირე ნაკლი, მყიდველს არ შეუძლია მოითხოვოს სრული ზიანის ანაზღაურება (შესრულების ნაცვლად *სრული* ზიანის ანაზღაურება). ამ შემთხვევაში მისი მოთხოვნა შემოიფარგლება მხოლოდ მცირე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით (ამაზე მეტყველებს § 281-ის პირველი ნაწილის მე-3 წინადადება, რომელზეც § 283-ის მე-2 წინადადება და § 311ა-ს მე-2 ნაწილის მე-3 წინადადება უთითებენ).

ბ) ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვის (მდრ. § 280-ის მე-8 ველი) № 3 უთითებს § 280-ის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, მოცემული იყოს § 286-ში თანახმად კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობები. ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ძირითადად, მოიაზრება დამატებითი შესრულების დაგვიანებისას (ვადის გადაცილებისას). ამ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ დამატებითი შესრულებისკენ მოწოდება და, ამასთანავე, ვადის განსაზღვრა, როგორც წესი, გაფრთხილების ტოლფასია (გაფრთხილება ხომ ვადის გადაცილების წინაპირობაა). ამის საწინააღმდეგოდ, არ არის ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი მოცემული მაშინ, როდესაც გამყიდველი, § 433-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებით განსაზღვრული სახელშეკრულებო ვალდებულებისგან გადახვევით ნაკლიან მანქანა-დანადგარებს მიაწვდის მყიდველს და ამ დანადგარების გამოყენება, ნაკლის გამო, ყოვნდება. ამ დროს სახეზეა **შესრულების თანმდევი ზიანი**, რომლის კომპენსირებაც უნდა განხორციელდეს **შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურებით**. ზემოაღნიშნული მაგალითის შემთხვევაში, წარმოების დროს წარმოშობილი განაცდურის ანაზღაურებისთვის მოთხოვნის საფუძველს ქმნის § 280-ის პირველი ნაწილი და არა § 280-ის მე-2 ნაწილი. ამ შემთხვევაში, არ მიიჩნევა, რომ სახეზეა გამყიდველის მიერ ვადის გადაცილება (BGH NJW 2009, 2674 Nr 12, სადავოა, იხ. § 280-ის მე-8 ველი).

გ) სხვა დანარჩენი ზიანის ანაზღაურება, შესაძლებელია, მოთხოვნილ იქნეს **შესრულებასთან ერთად**, რაიმე დამატებითი წინაპირობის გარეშე, § 280-ის პირველ ნაწილზე საფუძველზე (იხ. § 280-ის მე-10 ველი). ამ შემთხვევაში მოიაზრება, განსაკუთრებით, ისეთი ზიანი, რომელიც დგება იმის შედეგად, რომ ნაკლიანი ნივთი აზიანებს მყიდველის სხვა სამართლებრივ სიკეთეს. აქ საქმე არ ეხება „შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას“, ვინაიდან ზიანი არსებობს ნაკლის აღმოფხვრისგან დამოუკიდებლად, რამეთუ ზიანი ადგება მყიდველის სხვა ქონებას (მდრ. BGHZ 92, 308, 310). ვადის განსაზღვრა და შემდგომ მისი უშედეგოდ გასვლა (§ 281-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება) არაგონივრულია და, შესაბამისად, არ მოითხოვება.

III. მოთხოვნათა კონკურენცია

1. ზოგადი მიმოხილვა. ნაკლის გამო მყიდველის უფლებებთან მიმართებით, § 437 არის **უპირატესი სპეციალური რეგულირება**. მისი გამოყენების სფერო იხსნება რისკის გადასვლის მომენტიდან: ნივთის ნასყიდობის შემთხვევაში – ნივთის

გადაცემიდან (იხ. § 434-ის მე-5 ველი), ხოლო უფლების ნასყიდობისას – უფლების გადაცემიდან (მდრ. § 453-ის პირველი ნაწილი). **ვალდებულების დარღვევის შესახებ ზოგადი რეგულირებები** ინტეგრირებულია § 437-ის სპეციალურ რეგულირებაში (იხ. ზემოთ, ველი 1). რისკის გადასვლამდე § 437 არაპირდაპირ მოქმედებს. დროის ამ მონაკვეთში მოქმედებს არა § 437-ის რეგულირება, არამედ პირდაპირ გამოიყენება ვალდებულების შეუძლებლობის (§§ 275, 283, 285, 311ა), მოვალის მიერ ვადის გადაცილების (§ 286), ზიანის ანაზღაურების (§§ 280-284) და ორმხრივი ხელშეკრულების (§§ 320-326) ნორმები. ორმხრივი ხელშეკრულების შესახებ ნორმები მაშინაც მოქმედებს, როდესაც, ნივთის ნაკლის გამო, რისკი არ გადადის მყიდველზე, ვინაიდან იგი, ნაკლის გამო, ნივთის მიღებაზე უარს ამბობს (*Palandt-Weidenkaff*, ველი 49).

- 11 **2. შეუსრულებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი (§ 320)** მყიდველს რისკის გადასვლის მომენტიდან იმდენ ხანს უნარჩუნდება, სანამ მას დამატებითი შესრულების მოთხოვნა შეუძლია (იხ. *Jauernig-Berger*, 29-ე ველი). ის, რომ § 437 არ უთითებს § 320-ზე, არ ნიშნავს, რომ § 320 საერთოდ არ გამოიყენება (სხვა მოსაზრება – *Hk-Saenger*, 23-ე ველი).
- 12 **3. ვალდებულების ბრალეული დარღვევის გამო** შესაძლებელია, მოთხოვნილ იქნეს ნაკლის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (§§ 437, № 3, 280-ის პირველი ნაწილის თანახმად). ამ მოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია ნაკლის გამო ზიანის ანაზღაურების (§§ 437, №3, 280-ის პირველი და მე-2 ნაწილები) პარალელურად. თუ ვალდებულების დარღვევა ნაკლის გამო არ არის გამოწვეული (მისგან დამოუკიდებელია), მოქმედებს ვალდებულების დარღვევის შესახებ ზოგადი ნორმები.
- 13 **4. §§ 280-ის პირველი და 311-ის მე-2 ნაწილებიდან გამომდინარე მოთხოვნა, რომელიც წარმოშობილია ხელშეკრულების დადებისას არსებული ბრალეულობიდან (c.i.c.)**, გამოირიცხება იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველმა მყიდველს გაუფრთხილებლობით მცდარი ინფორმაცია მიაწოდა ნასყიდობის საგნის თვისებრიობის შესახებ, ან საერთოდ არ მიაწოდა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ნაკლის გამო წარმოშობილი უფლებების (დამატებითი შესრულება, ხელშეკრულებიდან გასვლა და ა.შ.) სტრუქტურა აგებულია გამყიდველის სასარგებლოდ. განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია ის, რომ გამყიდველს ნაკლის არსებობისას დამატებითი ვადის განსაზღვრით მიეცეს შესაძლებლობა გამოასწოროს ნაკლი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ § 438 მნიშვნელოვნად ამცირებს ხანდაზმულობის ვადებს, §§ 195-ისა და 199-ისაგან განსხვავებით და §§ 442-ის პირველი ნაწილის, 444-ის წინაპირობების დაცვით თავიდანვე გამოირიცხება მყიდველის უფლებები. იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი მყიდველს განზრახ ატყუებს, მისი სამართლებრივი მდგომარეობა ველარ იქნება დაცული. სპეციალური რეგულირებების (§§ 438, III, 1, 442, I, 2, 444) წინაპირობები არაა მოცემული (მაგ., ამ შემთხვევაში ვადის დადგენის სავალდებულოობასთან დაკავშირებით იხ. *BGH NJW 2008, 137*). ამ შემთხვევაში უკანა პლანზე იწევს ნასყიდობის სამართლის სპეციალური ნორმები (მათი უპირატესობა აღარ მოქმედებს) და კოდექსის ზოგად ნორმებს ეხსნებათ მოქმედების სფერო (მაგ., მოტყუებისას ბათილობის ნორმები გამოიყენება და ა.შ.).

§ 437-ის რეგულირების კონკურენტული მოთხოვნა წარმოიშობა, §§ 280-ის პირველი ნაწილის, 311-ის მე-2 ნაწილის რეგულირებების თანახმად, მაშინ, როდესაც გამყიდველი წინასახელშეკრულებო სტადიაზე არღვევს ინფორმაციის მიწოდების ან კონსულტაციის განწვევის ვალდებულებას, მაგალითად, არ აწვდის ინფორმაციას მყიდველს მიწოდებული უნაკლო ნივთის სწორად გამოყენების შესახებ. §§ 280-ის პირველი ნაწილისა და § 311-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია მესამე პირის მიმართაც, ვინაიდან მყიდველს არ შეუძლია, მესამე პირის მიმართ განახორციელოს § 437-იდან გამომდინარე უფლებები.

5. ნაკლისთვის პასუხისმგებლობის სპეციალური ნორმების უპირატესობის გამო, § 119-ის მე-2 ნაწილში განსაზღვრული შეცდომების უფლება უკანა პლანზე იწევს მაშინ, როდესაც შეცდომა თვისებრიობაში (იხ. § 119-ის მე-18 და მომდევნო ველები). ამისგან განსხვავებით, ნივთის ნაკლის არსებობისას შინაარსობრივი შეცდომის საფუძველზე შეცდომების (§ 119) უფლების განხორციელება ისევეა შესაძლებელი, როგორც განზრახ მოტყუების დროს (იხ. § 123-ის მე-16 ველი).

6. გარიგების საფუძვლის ცვლილებისას (§ 313) არ გაითვალისწინება ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლი. ნაკლის გამო პასუხისმგებლობა სპეციალური რეგულირებაა. ეს მოქმედებს, ასევე, პასუხისმგებლობის სამართლებრივად ნამდვილი გამოორიციების შემთხვევაშიც (მდრ. §§ 444, 475-ის პირველი ნაწილი).

7. ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნები არ გამოორიციხავენ დელიქტური ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნებს (§ 823 და მისი მომდევნო ნორმები). მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის სამართალში მოცემულია ხანდაზმულობის სპეციალური რეგულირება § 438, დელიქტური მოთხოვნების მიმართ მოქმედებს მაინც §§ 195, 199. აქვე, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ საკუთრების ხელყოფის (§ 823-ის პირველი ნაწილი) დროს დელიქტური მოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნასყიდობის ნივთით ადგება ზიანი მყიდველის უკვე არსებულ საკუთრებას. მაშასადამე, თუ გადაცემულ იქნა ნაკლიანი ნივთი, § 823-ის პირველი ნაწილის გამოყენებით ვერ მოხდება ნაკლით გამოწვეული ნივთის მცირე ღირებულების აღმოფხვრა, თუმცა, გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, დელიქტური მოთხოვნის საფუძველზე მოთხოვნილ იქნეს ნაკლით გამოწვეული ნასყიდობის ნივთის შემდგომი გაუარესებით დამდგარ ზიანი („ჯაჭვური ზიანი“ – „Weiterfresserschaden“) ან მყიდველის სხვა სამართლებრივ სიკეთეზე მიყენებული ზიანი. (დამატ. იხ. § 823-ის მე-6 ველი).

IV. მოთხოვნის შემონმების სქემა

ნასყიდობის სამართალში ნივთის ნაკლის არსებობის შემონმებისას პასუხის გაცემა ხდება შემდეგ კითხვებზე და შემდეგი თანმიმდევრობით: 1. არსებობს თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება (§ 433), ან მოცემულია თუ არა § 651-ში მოაზრებული, ნასყიდობასთან გათანაბრებული ხელშეკრულებები დასამზადებელი ან წარმოებული მოძრავი ნივთების მიწოდების შესახებ? 2. მოცემულია თუ არა მომხმარებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და ამის გამო დამატებით ხომ არ უნდა იქნეს გამოყენებული § 474 და მისი მომდევნო ნორმები? 3. რომელია სახეზე, ნივთობრივი ნაკლი § 434-ის ფარგლებში, თუ უფლებრივი ნაკლი § 435-ის შესაბამისად? 4. მყიდველის უფლებები, ნივთის ნაკლთან დაკავშირებით, კანონით (§ 442) ან მხარეთა ნამდვილი შეთანხმებით (მდრ. § 444, 475) ხომ არ არის გამოორიციხული? 5. შესრულებულია თუ არა § 437-ის № 1-3-ში ჩამოთვლილი ნორმების წინაპირობები და აქვს თუ არა მყიდველს იქ დასახელებული მოთხოვნების განხორციელების უფლება? 6. შეუძლია მყიდველს ნივთის თვისებრიობის ან სამასხურის გარანტიიდან (§ 443) მოთხოვნების განხორციელება? 7. ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნები ხომ არ არის § 438-ის მიხედვით ხანდაზმული?

§ 438. ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა

(1) § 437-ის № 1-სა და №3-ში მითითებული მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია –

1. 30 წელიწადში, თუ ნაკლი არსებობს:
 - ა) მესამე პირის სანივთო უფლებაში, რომლის საფუძველზეც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს გაყიდული ნივთის დაბრუნება, ან
 - ბ) სხვა უფლებაში, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;
2. ხუთ წელიწადში:

- ა) შენობა-ნაგებობას და
- ბ) იმ ნივთთან დაკავშირებით, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება შენობა-ნაგებობისათვის და რომელმაც გამოიწვია ამ უკანასკნელის ნაკლოვანება;

3. დანარჩენი მოთხოვნის უფლებები ორ წელიწადში.

(2) მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ნივთზე მფლობელობის მინიჭებით, სხვა შემთხვევებში, ნივთის მიწოდების მომენტიდან.

(3) პირველი ნაწილის № 2-ის, №3-ისა და მე-2 ნაწილისაგან განსხვავებით, მოთხოვნის უფლებებისთვის მოქმედებს ხანდაზმულობის ზოგადი ნორმები, თუ გამყიდველმა ნაკლი განზრახ დამალა, თუმცა, პირველი ნაწილის № 2-ის შემთხვევაში ხანდაზმულობა არ დგება მასში განსაზღვრული ვადის გასვლამდე.

(4) ¹ § 437-ში მითითებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მიმართ მოქმედებს § 218. ² მიუხედავად § 218-ის პირველი ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივი ძალის არარსებობისა, მყიდველს შეუძლია, უარი თქვას ნასყიდობის ფასის გადახდაზე, თუ იგი ამაზე უფლებამოსილი იქნებოდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველზე. ³ თუკი იგი იყენებს ამ უფლებას, მაშინ გამყიდველს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

(5) § 437-ში მითითებული ფასის შემცირების უფლების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება § 218 და ამ ნორმის მე-4 ნაწილის მე-2 წინადადება.

1. ზოგადი მიმოხილვა. ნაკლის გამო წარმოშობილი მყიდველის მოთხოვნებისთვის § 438 განსაზღვრავს, ხანდაზმულობის ზოგადი რეგულირებებისგან (§§ 195, 199) განსხვავებულ, ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს და ამ ვადების დენის საკითხს. ნორმით ხდება იმავდროულად სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივის შიდა კანონმდებლობაში დანერგვა (§ 433-ის შესავალი, ველი 1), რომელიც მე-5 მუხლის პირველ ნაწილში მომხმარებელთა მოთხოვნების ხანდაზმულობისთვის ითვალისწინებს, სულ მცირე, გარანტირებულ ორ წელს. ნორმის პირველი ნაწილის № 3 იზიარებს დირექტივით დადგენილ ორწლიან მინიმალურ ხანდაზმულობის ვადას, ისე, რომ არ იზღუდება მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების § 474-ის პირველი ნაწილის რეგულირებით. § 438-ის № 1 და № 2 ზოგიერთი, განსაკუთრებული შემთხვევისათვის, აწესებენ ხანდაზმულობის უფრო ხანგრძლივ ვადებს. ხანდაზმულობის ძველი რეგულირებისგან განსხვავებით, რომელიც ხანდაზმულობის 6 თვიან ვადას ითვალისწინებდა, ახალი რეგულირება მყიდველს უფრო უადვილებს თავისი მოთხოვნების განხორციელებას (მდრ. RegBegr TB-Drucks 14/6040, 228). ვადის დენის ობიექტური დასაწყისი გამყიდველსაც აძლევს გამოთვლის შესაძლებლობას, მაქსიმუმ რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება აგოს მან პასუხი შეუცნობადი ნაკლისთვის.

2. მოქმედების სფერო. ა) ნორმის პირველივე წინადადებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ეხება § 437-ის № 1 და № 3-ში მოხსენიებულ მოთხოვნებს, მაშასადამე, დამატებითი შესრულების, ზიანის ანაზღაურების და უშედეგოდ გაწეული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნებს. ზიანის ანაზღაურება ნივთის ნაკლის გამო იქნება მოთხოვნილი თუ ნივთის ნაკლით გამოწვეული ზიანისთვის (მდრ. § 437-ის მე-7, მე-9 ველები), არავითარ როლს არ ასრულებს სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობისთვის, ვინაიდან ორივე მოთხოვნა მოიაზრება § 437-ის № 3-ში. ერთი შეხედვლების თანახმად, ნივთის ნაკლით გამოწვეული ზიანისთვის უნდა მოქმედებდეს §§ 195, 199, ვინაიდან აქ საქმე ეხება თვითმყოფადობის ინტერესის (Integritätsinteresse) დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას (მდრ. § 437-ის მე-9 ველი); ამით მოხდება დელიქტური მოთხოვნების მიმართ კონკურენციის განევა, რომლებისთვისაც მოქმედებენ, ასევე, §§ 195, 199 (G. Wagner JZ 2002, 475, 1092; საპირისპირო მოსაზრება – Gsell JZ 2002, 1089).

ბ) ხელშეკრულებიდან გასვლა და ფასის შემცირება (§ 437-ის № 2). მყიდველის უფლებები, § 437-ის № 2-ის საფუძველზე, გავიდეს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან ან ფასი შეამციროს, არ არის მოთხოვნები, არამედ აღმჭურველი (რეგულაციური) უფლებები და, შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა (იხ. § 194-ის პირველი ნაწილი). თუმცა, აუცილებელია, რომ ნაკლის გამო წარმოშობილი მყიდველის უფლებები, განხორციელების დროის თვალსაზრისით შეზღუდულ იქნეს. სწორედ ამის გამო, §§ 281-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებისა და 438-ის მე-4 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა და ფასის შემცირება (§ 438-ის მე-5 ნაწ.) არანამდვილია, თუ მყიდველის მოთხოვნა დამატებით შესრულებაზე ხანდაზმულია და გამყიდველი ამაზე მიუთითებს. § 438-ის მე-4 ნაწილის მე-2 წინადადება კი მყიდველს იცავს იმისგან, რომ მას არ მოუწიოს ნასყიდობის ფასის გადახდა დამატებითი შესრულებისთვის მიცემული ვადის გასვლის შემდგომ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ დროს, გამყიდველს, § 438-ის მე-4 ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად, ენიჭება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. **გ) ხელშეკრულებიდან გასვლის ან ფასის შემცირების შემთხვევაში,** მყიდველს წარმოეშობა §§ 346-იდან, 444-ის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნები, რომლებიც § 438-ის შემადგენლობაში არ არის მოხსენიებული. ამიტომ გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGH NJW 2007, 674 Nr 35) ამ მოთხოვნებთან მიმართებით იყენებს ხანდაზმულობის ზოგად ნორმებს (§§ 195, 199). შესაბამისად, წარმოიშობა იმის საშიშროება, რომ მოხდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების (§§ 280 და მომდევნო ნორმები, 437) ხანდაზმულობისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ან ფასის შემცირების ხანდაზმულობის ვადების ერთმანეთისგან მკვეთრი დაშორიშორება, რისი ლეგიტიმირებაც, შეფასებითი თვალსაზრისით (*wertungsgemäß*), დაუშვებელია. ამიტომ § 438 გამოყენებულ უნდა იქნეს ანალოგიის წესით (*G. Wagner, ZIP 2002, 791; Jacoby Verjährungsrecht in Europa (2011), 353, 367*). **დ) კონკურირებული დელიქტური მოთხოვნები** ექვემდებარება არა § 438-ს, არამედ მათზე ვრცელდება § 195. ნაკლით გამოწვეული ნასყიდობის ნივთის შემდგომი გაუარესებით დამდგარ ზიანთან („ჯაჭვური ზიანი“ – „Weiterfresserschaden“) დაკავშირებით, იხილეთ, დამატებით, § 823-ის მე-7 ველი.

3. ხანდაზმულობის ვადები. ა) 30 წელი, ნორმის პირველი ნაწილის № 1-ის მიხედვით. ნორმის პირველი ნაწილის № 1-ის რეგულირების მიზანია, მოახდინოს უფლებრივი ნაკლის ოცდაათწლიანი ხანდაზმულობის ვადის თანხვედრა მესამე პირების სანივთო მოთხოვნების (ნივთის გამოთხოვასთან დაკავშირებით) ხანდაზმულობის ვადებთან, ვინაიდან მესამე პირების სანივთო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა, § 197-ის პირველი ნაწილის № 1-ის თანახმად, ასევე, ოცდაათი წელია. ამ შემთხვევაში, თუ მყიდველის ნაკლიდან გამომდინარე მოთხოვნები ორ წელიწადში გახდებოდა ხანდაზმული, თვითონ შემდგომი 28 წელი სანივთო მოთხოვნებზე უფლებამოსილი პირების ადრესატი იქნებოდა ისე, რომ გამყიდველისგან ანაზღაურებასაც ვერ მოითხოვდა (შდრ. RegBegr BT-Drucks 14/6040, 227). **ბ) ხუთი წელი, ნორმის პირველი ნაწილის № 2.** შენობა-ნაგებობებსა და ასევე იმ ნივთებზე, რომელთა დანიშნულების შესაბამისმა გამოყენებამ შენობა-ნაგებობისთვის ნაკლოვანება გამოიწვია, ვრცელდება ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა. ამ რეგულირების მიზანია, მიღწეულ იქნეს მშენებლების მიმართ არსებული მოთხოვნებისა და ნაკლიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადების თანხვედრა. მშენებლობის შემკვეთის მოთხოვნის მიმართაც მოქმედებს 5-წლიანი ხანდაზმულობის ვადა (§ 634-ის პირველი ნაწილის № 2; თუმცა, განსხვავებულია ვადის დენის დასაწყისი!). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნორმა ტელეოლოგიურ შეზღუდვას ექვემდებარება. საქმე ისაა, რომ § 438-ის პირველი ნაწილის № 2-ის „ბ“ პუნქტით დაწესებული ვადა გამოიყენება მაშინ, როდესაც სამშენებლო მასალების გამოყენება მოხდება ორი წლის განმავლობაში, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხ-

ვევაში, № 3-ის მიხედვით უკვე ხანდაზმული მოთხოვნები, საგნების (მასალების) გამოყენების შედეგად, ისევე განაგრძობდა არსებობას (*Mansef NJW 2002, 94*). **გ) ორი წელი, ნორმის პირველი ნაწილის № 3.** სხვა დანარჩენ შემთხვევებში მოქმედებს ხანდაზმულობის ორწლიანი ვადა (იხ. ზემოთ, ველი 1). **დ) იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველმა ნაკლი განზრახ დამალა, მაშინ, ნორმის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, ხუთ- ან ორწლიანი ხანდაზმულობის ვადების ნაცვლად, მოქმედებს ხანდაზმულობის ზოგადი ვადები, § 195-ის შესაბამისად, და ვადის ათვლის დაწყება ხდება სუბიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებით (§ 199-ის პირველი ნაწილის № 2).** ნორმის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ნორმის პირველი ნაწილის № 2-ით გათვალისწინებული შემთხვევებისთვის ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა ხანდაზმულობის ზოგადი ნორმებით არ ექვემდებარება შემცირებას.

- 4 4. ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა.** ხანდაზმულობის ზოგადი ნორმებისაგან განსხვავებით (§ 195), რომელთა შემთხვევებშიც, § 199-ის პირველი ნაწილის № 2-ის თანახმად, ვადის დენის დაწყებისთვის ყურადღება ექცევა კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარმომშობი გარემოებების ცოდნას, ნაკლიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობისთვის მნიშვნელოვანია ობიექტური კრიტერიუმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნა შესაძლოა უკვე ხანდაზმული გახდეს მანამ, სანამ მყიდველი ნივთის ნაკლს შეიცნობს. **ნორმის მე-2 ნაწილით** განსაზღვრულ მიწის ნაკვეთის შემთხვევებში, გადამწყვეტია **გადაცემის** მომენტი, სხვა დანარჩენ შემთხვევებში – ნივთის **მიწოდება**. როგორც წესი, საკანონმდებლო შემადგენლობის ეს ორივე ნიშანი (გადაცემა და მიწოდება) შესრულებულია მაშინ, როდესაც ნივთი მყიდველის უშუალო მფლობელობაში გადადის (BGH NJW 1996, 586), ვინაიდან მყიდველს შესაძლებლობა უნდა მიეცეს, ნივთი ფაქტობრივად გამოიკვლიოს. ამიტომ ისეთი ნასყიდობის შემთხვევაში, როდესაც გათვალისწინებულია ნივთის ვაგ ზავნით მიწოდება, ხანდაზმულობის დაწყების მომენტად ვერ ჩაითვლება გადამზიდველისთვის ნივთის გადაცემა, თუმცა, ასეთად ჩაითვლება, თუ ნივთი დანიშნულების ადგილზე მყიდველის განკარგულებაში მოექცევა. ნამოლების ვალდებულების დროს ხანდაზმულობა იწყება მაშინ, როდესაც მყიდველს შეეძლება ნივთის მესამე პირისგან ნამოლება (მაგ., საწყობიდან). ამისგან განსხვავებით, მაშინ, როდესაც მყიდველმა ნივთი თავად გამყიდველისგან უნდა ნამოიღოს, ხანდაზმულობა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველი მყიდველს ნივთს ფაქტობრივად გადასცემს (BGH NJW 1995, 3381). კომპიუტერული პროგრამის (Software) ნასყიდობისას ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება, როგორც წესი, პროდუქტის მყიდველისათვის მიწოდებიდან და არა მოგვიანებით (მაგალითად, პროგრამის სატესტოდ გაშვების შემდგომ), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები, მიწოდებასთან ერთად, მყიდველის კომპიუტერზე პროგრამის ინსტალაციაზე თანხმდებიან (BGHZ 143, 307). ნივთის **უფლებრივი ნაკლის** შემთხვევაში, რომელიც, ძირითადად, უძრავი ქონების ნასყიდობის დროს იჩენს ხოლმე თავს, ვადის დენის დაწყებისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ მიწოდება ან გადაცემა და არა საჯარო რეესტრში ჩანაწერის ვაკეთება (RegBegr BT-Drucks 14/6040, 229).

- 5 5. ხანდაზმულობის შესახებ შეთანხმება. ა) მომხმარებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა).** § 475-ის მე-2 ნაწილის თანახმად, სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შემთხვევაში (§ 474-ის პირველი ნაწილი), დაუშვებელია მხარეთა მიერ ორ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადაზე შეთანხმება, როცა საქმე ეხება ახალი ნივთების ნასყიდობას, ხოლო როდესაც ნასყიდობის საგანია ნახმარი ნივთები, ხანდაზმულობის ვადა არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები. ასევე, დაუშვებელია, ხანდაზმულობის ვადის დენის სხვანაირად გამარტივება (მაგ., ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების მომენტის გადადება). სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივის მე-7 მუხლის

პირველი ნაწილი (რომელსაც ეხმიანება თავისი რეგულირებებით § 438) არ არეგულირებს მყიდველის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურებაზე, რაც, ასევე, § 475-ის მე-3 ნაწილის მიხედვით, რეგულირებიდან ამოღებულია. გამომდინარე აქედან, მყიდველის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის შემოკლების ან ვადის დენის გართულების ნამდვილობა ექვემდებარება §§ 307-309-ის მიხედვით კონტროლს (შემომწებას). **ბ) ნასყიდობის სხვა ხელშეკრულებები.** თუ მყიდველი მომხმარებელი (§ 13) არაა, როგორც წესი, დაშვებულია ხანდაზმულობის ვადების შემოკლება. თუ სახეზეა ფორმულარით (შაბლონით) გაფორმებული შეთანხმება, ყურადღება უნდა მიექცეს, განსაკუთრებით, § 309-ის № 7-ის „ა“ და „ბ“ პუნქტებით დადგენილ ფარგლებს, ხოლო ახალწარმოებული ნივთების შემთხვევაში – § 309-ის № 8-ის „ბ“-ს და მის მომდევნო პუნქტებს.

§ 439. დამატებითი შესრულება

(1) მყიდველს, დამატებითი შესრულების სახით, შეუძლია, თავისი არჩევანით მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა ან უნაკლო ნივთის მიწოდება.

(2) გამყიდველს ეკისრება დამატებითი შესრულების მიზნით განუხადოს აუცილებელი ხარჯები, კერძოდ: გადაზიდვის, გადაყვანის, შრომისა და მასალების ხარჯები.

(3) ¹გამყიდველს შეუძლია, უარი თქვას მყიდველის მიერ არჩეულ დამატებითი შესრულების სახეზე, § 275-ის მე-2 და მე-3 ნაწილებიდან გამომდინარე უფლებების შეზღუდვის გარეშე, თუ დამატებითი შესრულება შესაძლებელია მხოლოდ არათანაზომიერი ხარჯებით. ²ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით, გასათვალისწინებელია უნაკლო მდგომარეობაში ნივთის ღირებულება, ნაკლის მნიშვნელობა და ის, იქნებოდა თუ არა შესაძლებელი, დამატებითი შესრულების ალტერნატიული სახის გამოყენება მყიდველისათვის არსებითი ზიანის მიყენების გარეშე. ³მყიდველის მოთხოვნის უფლება, ამ შემთხვევაში შეზღუდულია ალტერნატიული დამატებითი შესრულების სახით; გამყიდველის უფლება, უარი თქვას ალტერნატიულ დამატებით შესრულებაზე, პირველი წინადადების წინაპირობის გათვალისწინებით, უცვლელი რჩება.

(4) თუ გამყიდველი, დამატებითი შესრულების მიზნით, აწვდის უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია, მყიდველისგან მოითხოვოს ნაკლის მქონე ნივთი, §§ 346-348-ის მიხედვით.

1. დამატებითი შესრულების მოთხოვნა მყიდველს, § 437-ის № 1-ის თანახმად, ენიჭება მაშინ, როდესაც მოცემულია ნივთის ნაკლი. დამატებითი შესრულების მოთხოვნა ფართოდ დარეგულირებულია § 439-ში. იგი არის § 433-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებით დადგენილი გამყიდველის ვალდებულების ლოგიკური გაგრძელება, მიაწოდოს მყიდველს უნაკლო ნივთი. ხელშეკრულებიდან გასვლის, ფასის შემცირების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებთან მიმართებით, დამატებით შესრულებაზე მოთხოვნა უპირატესობით სარგებლობს, ვინაიდან იგი (განსხვავებით ზემოხსენებული უფლებების – §§ 281-ის პირველი ნაწილი, 323-ის პირველი ნაწილი – წინაპირობებისგან) არსებობს წინასწარი ვადის დადგენის გარეშე. ამასთანავე, ნაკლის გამო წარმოშობილი უფლებებისთვის სავალდებულო ვადის განსაზღვრა პირდაპირ დაკავშირებულია დამატებითი შესრულების მოთხოვნასთან.

ა) მყიდველის დამატებითი შესრულების მოთხოვნა განიხილება როგორც გამყიდველის უფლება „შეასრულოს ვალდებულება მეორე მცდელობით“ („Recht auf zweite Andienung“; RegBegr BT-Drucks 14/6040, 86, 89, 220). ვინაიდან დამატებითი შესრულების შემდგომი მოთხოვნები (მაგ., ხელშეკრულებიდან გასვლა), მყიდველს, როგორც წესი, ენიჭება მხოლოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, დროის ამ მონაკვეთში, გამყიდველს აქვს „მეორე მცდელობით შესრულების“

შესაძლებლობა. ამით მას, უპირველეს ყოვლისა, შეუძლია, ხელშეკრულებიდან არასასურველი გასვლა აიცილოს თავიდან (შდრ. § 437 ველი 4). მყიდველის **მოვალეობა**, შესაძლებლობა მისცეს გამყიდველს, განახორციელოს დამატებითი შესრულება, მოიცავს, ასევე, ნაკლიანი ნივთის გამყიდველისათვის გადამონმების მიზნით წარდგენას. გამომდინარე აქედან, გამყიდველი არ არის ვალდებული, დაეთანხმოს მყიდველის მიერ შერჩეულ დამატებითი შესრულების სახეს მანამ, სანამ მას არ მიეცემა შესაძლებლობა, გამოიკვილოს ნივთი და დაადგინოს მისი ნაკლოვანება (BGH NJW 2010, 1448 Nr 13).

3 ბ) დამატებითი შესრულების მოთხოვნის არსებობისთვის **უმნიშვნელოა**, თუ როგორი ნაკლი იქნება სახეზე, ნივთობრივი თუ უფლებრივი. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, უმნიშვნელოა ის გარემოება, დამატებითი შესრულების მოთხოვნა ინდივიდუალურად განსაზღვრულ თუ გვაროვნულ ნივთს შეეხება. გვაროვნული ნივთის ნასყიდობისას, ნაკლიანი ნივთის ჩანაცვლება ხდება საშუალო სახისა და ხარისხის ნივთით გამყიდველის იმავე მარაგიდან; ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის ნასყიდობის შემთხვევაშიც შეიძლება, ნაკლიანი ნივთი ჩანაცვლდეს (შეიცვალოს), თუ შესაძლებელია შეთანხმებული თვისებრიობის ნივთის ანალოგიური ღირებულებისა (ტოლფასოვნების) და სახის სხვა ნივთის მოძიება (BGHZ 168, 64; *Canaris JZ 2003, 831*). უნდა მოხდეს თუ არა ნაკლიანი ნივთის ახალი ნივთით ჩანაცვლება, დამოკიდებულია მხარეების მიერ ხელშეკრულების დადების დროს გამოვლენილი ნების განმარტებაზე. ნახმარი ავტომობილის შეძენისას, ნახმარი ავტომობილების გამოყენების ხარისხის მრავალფეროვნების გამო, უარყოფილ უნდა იქნეს ნივთთა ტოლფასოვნება მხარეთა წარმოდგენის მიხედვით. ეს წესი მოქმედებს, ასევე, მაშინ, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე გადამწყვეტილების მიღება ავტომობილის დათვალერების შედეგად მოხდა (BGHZ 168, 64). გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ უარყოფილი, ნაკლებად გავრცელებული, მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევებში სახეზეა გვაროვნული ნივთის ნასყიდობა და ინდივიდუალური ნივთის ნასყიდობის ცნება უნდა შეიზღუდოს იმ შემთხვევებთან მიმართებით, რომელთა დროსაც ხელშეკრულების საწინააღმდეგო იქნებოდა კონკრეტულად შეთანხმებულის ნაცვლად სხვა საგნის მიწოდება ისე, რომ ასეთი კუთხით განმარტებული ინდივიდუალური ნივთის ნასყიდობის შემთხვევაში დამატებითი შესრულების მოთხოვნა არ წარმოიშობოდა (*Tiedtke/Schmitt JuS 2005, 583*, განსხვავებული მოსაზრება: *Gsell JuS 2007, 97*). ინდივიდუალური ნივთის ნასყიდობის შემთხვევებთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ, მე-10 ველი.

დამატებითი შესრულების მოთხოვნის არსებობისთვის უმნიშვნელოა, ასევე, ნაკლი გამყიდველის მიერ არის ბრალეულად გამოიწვეული თუ არა. თუ ნაკლი გამყიდველის მიერ არ არის ბრალეულად გამოუწვეული, მაშინ დამატებითი შესრულების მოთხოვნა პრაქტიკული თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვინაიდან, § 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ იარსებებს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მყიდველს, ხელსაყრელად შეძენილი ნივთი იშოვოს სხვანაირად, ფინანსური დანაკარგის გარეშე.

4 2. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, არსებობს **დამატებითი შესრულების ორი სახე (ფორმა)**: ნაკლის გამოსწორება (სახელდობრ, ნივთის შეკეთება) და ნაკლიანი ნივთის ნაცვლად სხვა უნაკლო ნივთის მიწოდება (ნივთის შეცვლა/ჩანაცვლება). დამატებითი შესრულების ამ ორ სახეს შორის არჩევანის გაკეთების უფლება აქვს მყიდველს (და არა გამყიდველს!). სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრულ, მომხმარებლის მიერ დამატებითი შესრულების ფორმის არჩევის უფლებას § 439-ის რეგულირება ავრცელებს ნასყიდობის ყველა ხელშეკრულებაზე. მყიდ-

ველს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, არ მიიღოს საეჭვო რეპუტაციის და არასანდო გამყიდველისგან ნაკლის გამოსწორების მცდელობები (RegBegr BT-Drucks 14/6040, 231). არჩევანის უფლების ბოროტად გამოყენებისაგან გამყიდველს იცავს § 439-ის მე-3 ნაწილი. იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი ახალი, უნაკლო ნივთის მიწოდებას მოითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა მცირე (უმნიშვნელო) ნაკლი, რომლის აღმოფხვრაც მცირე დანახარჯებს მოითხოვს, გამყიდველს უფლება აქვს, მყიდველის მიერ ამორჩეული დამატებითი შესრულების სახეზე (ფორმაზე) უარი განაცხადოს.

3. ნასყიდობის სამართალში არ არის მოცემული დამოუკიდებელი რეგულირება დამატებითი შესრულების განხორციელების ადგილის შესახებ. ხშირ შემთხვევაში, დამატებითი შესრულების განხორციელების ადგილად მიიჩნევა ფაქტობრივი ადგილსამყოფელი (*MüKo-Westermann*, მე-6 ველი; *Bamberger/Roth-Faust*, მე-13 ველი) საპირისპირო მოსაზრების თანახმად, შესრულება უნდა განხორციელდეს თავდაპირველი შესრულების ადგილას (*OLG München, NJW 2007, 3214*). გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო აპელირებას ახდენს § 269-ის პირველი ნაწილის რეგულირებაზე და, ამასთანავე, ითვალისწინებს სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილს (*BGH ZIP 2011, 1317*). ამ საკითხის დარეგულირება დაშვებულია ხელშეკრულებით, რომელსაც უპირატესობა ენიჭება. თუ არ არის მოცემული მხარეთა სახელშეკრულებო შეთანხმება, § 269-ის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, ყურადღება ექცევა პირთა ადგილთან დაკავშირებულობას, განსახორციელებელი შესრულების სახეს და ჩვეულებით ნორმებს. აქ მნიშვნელოვანია, მაგალითად, ის, ნასყიდობის ნივთი ხომ არ აშენდა ან ჩაშენდა და, შესაბამისად, ხომ არ გახდა მისი ტრანსპორტირება შეუძლებელი (*BGH aaO Nr 55*). საბოლოო ჯამში, თუ ვერ დგინდება შესრულების ადგილი, ასეთად უნდა მივიჩნიოთ გამყიდველის საცხოვრებელი ადგილი ან ხელშეკრულების დადების დროს არსებული მისი ეკონომიკური საქმიანობის ადგილი.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიაჩნია, რომ გერმანული სამართლის ამგვარი განმარტება სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილთან ჰარმონიაში მოდის; ასე რომ, აღარ არსებობს საჭიროება, საკითხი გადასაწყვეტად წარედგინოს ევროკავშირის სასამართლოს. § 439-ის მე-2 ნაწილში უზრუნველყოფილია დამატებითი შესრულების (მყიდველისთვის) უსასყიდლო განხორციელება, რომელიც მყიდველს ანიჭებს, ასევე, ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას (*BGH aaO Nr 37*, იხ. ქვემოთ, მე-13 ველი). ის აუცილებლობა, რომ დამატებითი შესრულება უნდა განხორციელდეს მომხმარებლისადმი „მნიშვნელოვანი უსიამოვნებების“ გარეშე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს § 269-ის განმარტების ფარგლებში.

4. დამატებითი შესრულების ვალდებულების მოცულობა განსაკუთრებით იმ შემთხვევებში ხდება პრობლემური, როდესაც მყიდველი ნასყიდობის ნივთს დაამონტაჟებს, ჩააშენებს (მაგ., ფილებს ან პარკეტს დააგებს) მანამ, სანამ მათ ნაკლოვანებას შეიცნობს. ა) ერთ-ერთი მოსაზრების ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში, გამყიდველს უნდა დაეკისროს ვალდებულება, განახორციელოს ნაკლიანი ნივთის დემონტაჟი (ამ შემთხვევაში პარკეტის ამოყრის) და ხელახლა მიწოდებული უნაკლო ნივთი ჩააშენოს. ამ მოსაზრებას ისინი ასაბუთებენ იმით, რომ გამყიდველმა, დამატებითი შესრულების გზით, ის მდგომარეობა უნდა აღადგინოს, რა მდგომარეობაშიც იქნებოდა ნასყიდობის ნივთი პირველი მიწოდებისას, ნივთი რომ თავიდანვე უნაკლო მიწოდებულიყო (*Bamberger/Roth-Faust § 439 BGB* მე-18 ველი; *OLG Karlsruhe ZGS 2004, 432, 433*). საპირისპირო მოსაზრების ავტორები კი, თავის მხრივ, იშველიებენ § 439-ის პირველი ნაწილის შინაარსს და ამბობენ, რომ დამატებითი შესრულებაში იგულისხმება მხოლოდ უნაკლო ნივთის მიწოდება; მაშასადამე, გამყიდველს ეკისრება მხოლოდ შესრულების სრული გამოკრება,

რაზეც იგი ვალდებულია § 433-ის პირველი ნაწილის მიხედვით (BGH NJW 2008, 2837). აქედან გამომდინარე, გამოირიცხება დამატებით მიწოდებული ნივთის ჩაშენებაზე მოთხოვნა.

8 ბ) რაც შეეხება ნაკლიანი ნასყიდობის ნივთის **დემონტაჟის მოთხოვნას**, იგი, შესაძლოა, ნაწილობრივ, განხორციელდეს **ნორმის მე-4 ნაწილის § 346-თან** კავშირით, ვინაიდან § 346-ში განსაზღვრულია არა მხოლოდ უკან დაბრუნებაზე მოთხოვნა (მხარეები ერთმანეთს უბრუნებენ შესრულებებს), არამედ, ისევე, როგორც § 433-ის მე-2 ნაწილის შემთხვევაში, § 346 ითვალისწინებს ნივთის უკან მიღებაზე მოთხოვნასაც (OLG Köln ZGS 2006, 77, 78). უკან მიღებაზე მოთხოვნა უნდა შესრულდეს იმ ადგილას, სადაც ნასყიდობის ნივთი, ხელშეკრულების შესაბამისად, მდებარეობს (შდრ. § 269 ველი 2). გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (BGH NJW 2009, 1660) სწორად მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობა ვერ გავრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ნასყიდობის საგანი მონტაჟით/ჩაშენებით (როგორც ეს ფილებისა და პარკეტის შემთხვევაში იყო), თავის საგნობრივ თვისებრიობას კარგავს, ვინაიდან იგი ხდება მთავარი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი (§§ 946, 947, 93). საკითხის გადასაწყვეტად, თუ რამდენად მოდის დემონტაჟის მოთხოვნაზე ასეთი სახით უარის თქმა შესაბამისობაში მომხმარებელთან დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ დირექტივასთან (ვინაიდან დირექტივა მომხმარებელს ანიჭებს სირთულეების გარეშე დამატებითი შესრულების განხორციელების შესაძლებლობას), გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ, ევროკავშირის საქმიანობის განსაზღვრის შესახებ ხელშეკრულების (AEUV)⁸³ 267-ე მუხლის თანახმად, ნარუდგინა ევროკავშირის სასამართლოს (BGH NJW 2009, 1660 Nr 19 და მომდევნო გვერდები). ევროკავშირის სასამართლოს (EuGH) მთავარმა იურისტ-კონსულტანტმა (Generalanwalt) დაადასტურა ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისობა სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივასთან (BeckRS 2010, 90583). დირექტივის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, არ არიან გამოყენებადი საკითხის გადასაჭრელად. გამომდინარე აქედან, მომხმარებლის დამატებითი შესრულების მოთხოვნები შეზღუდულია ნასყიდობის ხელშეკრულებაში შეთანხმებული ვალდებულებებით და ამ ვალდებულებების მიხედვით, გამყიდველს ეკისრება მხოლოდ უნაკლო საქონლის მიწოდება.

9 გ) იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი ითხოვს არა ნასყიდობის ნივთის დემონტაჟს ან მონტაჟს, არამედ იმ **ხარჯების ანაზღაურებას**, რომელიც მან თავად გასწია ამ ქმედებებისთვის, § 439-ის პირველი ნაწილი ვერ გამოდგება მოთხოვნის საფუძვლად. მხოლოდ § 439-ის მე-2 ნაწილი ქმნის მოთხოვნის საფუძველს დანახარჯების ანაზღაურებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებისგან განსხვავებით, ნორმის მე-2 ნაწილში არ არის გათვალისწინებული დემონტაჟის ან მონტაჟის ხარჯების ანაზღაურება (შდრ. BGH NJW 2008, 2837 Nr 9). ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, §§ 280-ის პირველი ნაწილის და მე-3 ნაწილების, 281-ის, 439-ის პირველი ნაწილის, 437-ის № 3-ის მიხედვით, გამოირიცხება, თუ მივიჩნევთ, რომ ხელშეკრულებით გამყიდველი არ იყო ვალდებული ნივთის მონტაჟსა (ჩაშენებასა) და დემონტაჟზე, ვინაიდან შემდგომი უმოქმედობა (აღნიშნული ქმედებების განხორციელებლობა) არ ქმნის ვალდებულების დარღვევას. შესრულებასთან ერთად ზიანის ანაზღაურება, §§ 280-ის პირველი ნაწილის, 437-ის № 3-ის მიხედვით, წინაპირობა არის ის, რომ გამყიდველს შეეძლო ნასყიდობის ნივთის ნაკლოვანების შეცნობა და მას ამ კუთხით უნდა მიუძღოდეს ბრალი (§ 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).

10 5. დამატებითი შესრულების ვალდებულების ფარგლები გამყიდველისთვის დგინდება, ერთი მხრივ, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ზოგადი შე-

83 Vertrag über die Arbeitsweise der Europäischen Union.

მადგენლობის მიხედვით (§ 275-ის პირველი ნაწილი) და, მეორე მხრივ, შეუსაბამო (არათანაზომიერი) ხარჯების შესახებ § 439-ის მე-3 ნაწილის სპეციალური რეგულირებით. ა) § 275-ის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემადგენლობა მოქმედებს ზოგადად, ისე, რომ არ არსებობს საჭიროება მისი § 439-ის შემადგენლობაში შეტანისა. დამატებითი შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულებისგან თავისუფლდება კანონის ძალით (შდრ. § 275-ის მე-7 ველი). ამის შემდგომ მყიდველს რჩება მხოლოდ § 437-ის № 2-სა და 3-ში ჩამოთვლილი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა. თუ მყიდველი თვითონ მოიძიებს შემცველ ნივთს, დამატებითი შესრულება აღარ იქნება შეუძლებელი, ვინაიდან ამით გამყიდველს აღარ ერთმევა დამატებითი შესრულების შესაძლებლობა (BVerfG JuS 2007, 181). § 275-ის პირველი ნაწილი შესაძლებელია, გავრცელდეს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის ნასყიდობის შემთხვევებზე, თუ ვერ ხერხდება მიწოდებული ნაკლიანი ნივთის ჩამნაცვლებელი სხვა ტოლფასი ნივთის მოძიება. ამის მაგალითია გაყალბებული ნახატი, რომელიც მიყიდულ იქნა როგორც ნამდვილი და რომლის ნამდვილი ეგზემპლარის მოძიება შეუძლებელია, ხოლო ნაკლის გამოსწორება არც მოიაზრება (RegBegr BT-Drucks 14/6040, 209). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებლობა ეხება დამატებითი შესრულების მხოლოდ ერთ-ერთ სახეს, მაინც ჩათვლება ეს მხოლოდ ამ ნაწილით შესრულების შეუძლებლობად და დამატებითი შესრულების მოთხოვნა გამოირიცხება (RegBegr BT-Drucks 14/6040, 232). ამის შესაბამისად, კონკრეტული ნახმარი ნივთის ნასყიდობის შემთხვევაში გამოირიცხება, როგორც წესი, ახალი ნივთის მიწოდება და მხოლოდ ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობაა რჩება, თუ გამყიდველს (გამონაკლისის სახით) ამ უკანასკნელზეც არ შეუძლია უარის თქმა, § 439-ის მე-3 ნაწილის მიხედვით.

ბ) დამატებითი შესრულების არათანაზომიერი ხარჯები, რომლებიც გამყიდველის მიერ იქნებოდა დასაფარი (შდრ. ნორმის მე-2 ნაწილი, იხ. მე-13 ველი), უფლებას აძლევს მას, **ნორმის მე-3 ნაწილის** თანახმად, უარი თქვას დამატებით შესრულებაზე (წარადგინოს შესაგებელი). ამ შემთხვევაში გამყიდველის შესაგებლის დასაბუთების ზღვარი უფრო დაბალია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია § 275-ის მე-2 ნაწილის შემთხვევისთვის (შდრ. § 275 ველი 4). § 275-ის მე-2 ნაწილის რეგულირება § 439-ის მე-3 ნაწილის რეგულირებით არ იზღუდება, თუმცა, მისი მკაცრი დანაწესების გამო, დამატებითი შესრულების ხარჯებთან დაკავშირებით პრაქტიკაში ნაკლებად გამოიყენება. მისი გამოყენება მოიაზრება, ძირითადად, სხვა შეუსაბამო დანახარჯებთან და არა დამატებითი შესრულების ხარჯებთან მიმართებით (იხ. BGHZ 163, 234, 245 და მომდევნო გვერდები). § 275-ის მე-3 ნაწილის რეგულირება, რომელიც § 439-ის მე-3 ნაწილით ასევე არ იზღუდება, არ გამოიყენება, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულებებით არ ხდება პირადად შესასრულებელ ვალდებულებაზე შეთანხმება. § 439-ის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება თავის რეგულირებაში ასახელებს ხარჯების არათანაზომიერების ზოგიერთ კრიტერიუმს. ხარჯების არათანაზომიერების განსჯის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს დამატებითი შესრულების ალტერნატიული სახე. თუმცა, მართო დამატებითი შესრულების სხვა სახის შედარება (ფარდობითი არათანაზომიერება) საკმარისი არ არის. მყიდველის მიერ შერჩეული დამატებითი შესრულების სახე, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება თავისთავად მიუღებელი აღმოჩნდეს გამყიდველისთვის (**აბსოლუტური არათანაზომიერება**). საკითხი გადასაწყვეტად, თუ რამდენად არის, აბსოლუტური არათანაზომიერების მიხედვით, დამატებითი შესრულებისგან გათავისუფლება სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივის შესაბამისი, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ წარუდგინა ევროკავშირის სასამართლოს, ევროკავშირის საქმიანობის განსაზღვრის შესახებ ხელშეკრულების (AEUV) 267-ე მუხლის თანახმად

(BGH NJW 2009, 1660 Nr 17f). 439-ის მე-3 ნაწილის მე-3 წინადადება ცხადყოფს, რომ არათანაზომიერების შემონმება ეხება მხოლოდ მყიდველის მიერ არჩეული დამატებითი შესრულების სახეს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი, § 439-ის მე-3 ნაწილის თანახმად, დამატებითი შესრულების ორივე სახეზე იტყვის უარს, მყიდველს შეუძლია, ვადის მიცემის გარეშე გავიდეს ხელშეკრულებიდან, ან ნასყიდობის ფასი შეამციროს, ან/და ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს (§ 440-ის პირველი წინადადება). ვინაიდან, ნორმის მე-3 ნაწილის მიხედვით, გამყიდველს შესაგებლის უფლება აქვს მხოლოდ მყიდველის მიერ მოთხოვნილი დამატებითი შესრულების სახის მიმართ, რომლის განხორციელებაც გამყიდველის ნებაზეა დამოკიდებული, მყიდველს არ შეუძლია, მიუთითოს დამატებითი შესრულების არათანაზომიერ ხარჯებზე იმ მიზნით, რომ დაუყოვნებელ მიაღწიოს ფასის შემცირებას დამატებითი შესრულებისთვის ვადის მიცემის გარეშე (BGH NJW 2006, 1195).

12 6. გამყიდველმა, რომელმაც მყიდველს ნაკლიანი ნივთი უნაკლოთი შეუცვალა, შეუძლია, **ნაკლიანი ნივთის უკან დაბრუნება** მოითხოვოს, § 346-ისა და მისი მომდევნო ნორმების მიხედვით (§ 439-ის მე-4 ნაწილი). ამ ნორმებიდან გამომდინარე, ღირებულების ანაზღაურების ვალდებულების გავრცელება მომხმარებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებაზე იქნებოდა სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივის დარღვევა, ვინაიდან მომხმარებელი თავისი უფლების განხორციელებისას (მოითხოვოს ახალი ნივთი ნაკლიანის სანაცვლოდ) არ უნდა ნააწყდეს ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე ვალდებულებებს (EuGH „Quelle“ NJW 2008, 1433 Nr 34, 43). გამომდინარე აქედან, § 474-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება ზღუდავს მომხმარებლის მიერ მიღებული საგნის უკან დაბრუნების ვალდებულებას. მენარმეთა შორის დადებული ხელშეკრულებებისა და, ასევე, ნასყიდობის სხვა ხელშეკრულებების მიმართ (რომლებზეც §§ 474 და მომდევნო პარაგრაფები არ მოქმედებს), § 346 და მისი მომდევნო ნორმები გამოიყენება სრული მოცულობით (BGH NJW 2009, 427 Nr 28).

13 7. **ნორმის მე-2 ნაწილში განსაზღვრული ხარჯების ანაზღაურების წესი** ნერგავს სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილს. დირექტივის ამ მუხლში განმტკიცებულია დებულება, რომლის მიხედვითაც დამატებითი შესრულება მომხმარებლისთვის უნდა განხორციელდეს უსასყიდლოდ. § 439-ის მე-2 ნაწილი, ერთი მხრივ, გამორიცხავს გამყიდველის მოთხოვნებს მყიდველის მიმართ და, მეორე მხრივ, მყიდველს ანიჭებს **მოთხოვნის საფუძველს**, რომლითაც მას შეუძლია, გამყიდველს მოსთხოვოს დამატებითი შესრულების ხარჯების ანაზღაურება. ხარჯებში იგულისხმება განსაკუთრებით ტრანსპორტირებისთვის განეული ხარჯები (BGH, Urt v 13.04.2011 – VIII ZR 220/10 Nr 37). ისევე, როგორც §§ 637-ის მე-3 ნაწილისა და 669-ის შემთხვევაში, მყიდველს შეუძლია, გამყიდველს მოსთხოვოს თანხის ავანსად მიღება.

§ 440. ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და ზიანის ანაზღაურების სპეციალური წესები

¹გარდა § 281-ის მე-2 ნაწილისა და § 323-ის მე-2 ნაწილში მითითებული შემთხვევებისა, არ არის აუცილებელი ასევე ვადის განსაზღვრა, თუ გამყიდველმა უარი თქვა ორივე სახის დამატებითი შესრულების განხორციელებაზე, § 439-ის მე-3 ნაწილის თანახმად, ან, თუ მყიდველისადმი მინიჭებული დამატებითი შესრულება წარუმატებელი აღმოჩნდა, ანდა იგი მისთვის მიუღებელია. ²ნაკლის აღმოფხვრა მიიჩნევა წარუმატებლად მეორე უშედეგო მცდელობის შემდეგ, თუ ნივთის ან ნაკლის განსაკუთრებული ბუნების, ანდა სხვა გარემოებებიდან განსხვავებული დასკვნა არ გამომდინარეობს.

1. **ზოგადი მიმოხილვა.** როგორც წესი, მყიდველს შეუძლია, მხოლოდ მაშინ გა-
ვიდეს ხელშეკრულებიდან ან ფასი შეამციროს, § 441-ის შესაბამისად, ან თუნდაც
ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, როდესაც გამყიდველისთვის მიცემული (გან-
საზღვრული) დამატებითი შესრულების ვადა უშედეგოდ ჩაივლის. § 440 ნასყი-
დობის სამართალში დამატებით ავრცობს იმ შემთხვევათა კატალოგს, რომელთა
დროსაც ვადის განსაზღვრა, ზოგადი ნორმების მიხედვით (სახელდობრ: §§ 281-ის
მე-2 ნანილი, 323-ის მე-2 ნანილი), გამონაკლისის სახით, ზედმეტია (შდრ. ცალ-
კეულ შემთხვევებში § 437-ის მე-4 და მე-7 ველები).

2. ნორმა ასახელებს **სამ შემთხვევას**, რომელთა დროსაც ვადის განსაზღვრა
ზედმეტია: ა) პირველ შემთხვევაში, § 439-ის მე-3 ნანილის მიხედვით, **გამყიდვე-
ლი უარს აცხადებს** დამატებითი შესრულების ორივე სახეზე. თუმცა, მან ამისთ-
ვის მყიდველის მიმართ უნდა განხორციელოს შესაგებელი. მხოლოდ შესაგებლის
წინაპირობების არსებობა არ არის საკმარისი, ვინაიდან გამყიდველს შესაძლოა,
მაინც ჰქონდეს დამატებითი შესრულების ინტერესი და მაშინაც კი, როდესაც
ეს ძალისხმევასთანაა დაკავშირებული, რაც მის მიერ დამატებით შესრულებაზე
უარის თქმას გაამართლებდა (RegBegr BT-Drucks 14/6040, 234). თუ გამყიდველი
დამატებითი შესრულების მხოლოდ ერთ სახესთან მიმართებით წარადგენს შესა-
გებელს და მოახდენს მასზე აპელირებას, ამ შემთხვევაში, მაინც ვერ ჩაითვლება,
რომ დამატებითი ვადის განსაზღვრა ზედმეტია. უფრო მეტიც, მყიდველმა ვადა
უნდა დაადგინოს დამატებითი შესრულების სხვა სახისთვის, სანამ ის ხელშეკრუ-
ლებიდან გავა, ან ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს. ეს წესი მოქმედებს მაშინაც,
როდესაც დამატებითი შესრულების ერთ-ერთი სახის განხორციელება, § 275-ის
პირველი ნანილის თანახმად, **შეუძლებელია** (იხ. § 439-ის მე-5 ველი). მხოლოდ მა-
შინ, როდესაც შეუძლებელია დამატებითი შესრულების ორივე სახის განხორცი-
ელება, მყიდველს, § 326-ის მე-5 ნანილის თანახმად, შეუძლია, ვადის განსაზღვრის
გარეშე გავიდეს ხელშეკრულებიდან, ან § 283-ის, ან § 311ა-ს მე-2 ნანილის შესაბა-
მისად, ვადის განსაზღვრის გარეშე, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

3 ბ) ვადის დადგენა ზედმეტია ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველის მიერ
შერჩეული დამატებითი **შესრულების სახე წარუმატებელი გამოდგება**. მყიდველს
ენიჭება დამატებითი შესრულების სახის მოთხოვნაზე უფლება მაშინ, როდესაც
იგი, § 439-ის პირველი ნანილის თანახმად, ირჩევს დამატებითი შესრულების სახეს
და რომლის განხორციელებაზეც გამყიდველი არ აცხადებს უარს, § 439-ის მე-3 ნა-
ნილის მიხედვით. გამყიდველის მიერ განხორციელებული ნაკლის აღმოფხვრის წა-
რუმატებელი მცდელობების შემდგომ მყიდველს არ შეიძლება მოეთხოვოს, ითმი-
ნოს შესრულების დამატებითი მცდელობები (რომელთა შედეგიც საეჭვოა) მანამ,
სანამ მეორადი მოთხოვნების განხორციელებას დაიწყებდეს (RegBegr BT-Drucks
14/6040, 233). დამატებითი შესრულების სახის წარუმატებლობის ერთ-ერთი გა-
მოხატული ფორმა არის გადამეტებული ვადის გადაცილება. ნაკლის აღმოფხვრის
წარუმატებლობასთან დაკავშირებით, ნორმის მე-2 წინადადება საორიენტაციოდ
იღებს შესრულების ორ უშედეგო მცდელობას. თუმცა, შესაძლოა, გარემოებები-
დან გამომდინარე, განსაკუთრებით ნივთის სახეობის ან ნაკლის გათვალისწინე-
ბით, მოიაზრებოდეს მცდელობათა უფრო ნაკლები ან მეტი რაოდენობა.

4 გ) ვადის დადგენა ზედმეტია იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველისთვის მინი-
ჭებული დამატებითი შესრულება **მიუღებელია**. ეს, შესაძლოა ის შემთხვევა იყოს,
როდესაც ნაკლის გამოსწორება დაკავშირებულია მყიდველის მდგომარეობის გან-
საკუთრებულ გართულებასთან (RegBegr BT-Drucks 14/6040, 233). გამყიდველის
მიერ მყიდველის განზრახ მოტყუების შემთხვევაშიც, რომლისთვის ნასყიდობის სა-
მართალი მკაცრ შედეგებს ადგენს (შდრ. §§ 438-ის მე-3 ნანილი, 442-ის პირველი ნა-
ნილის მე-2 წინადადება, 444), მყიდველისთვის დამატებითი შესრულება, როგორც
წესი, მიუღებლად მიიჩნევა (შდრ. BGH NJW 2007, 835 Nr 12; § 281-ის მე-10 ველი).

§ 441. ფასის შემცირება

(1) ¹ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნაცვლად, მყიდველს შეუძლია, გამყიდველისადმი წარდგენილი განცხადებით შეამციროს ნასყიდობის ფასი. ²§ 323-ის მე-5 ნაწილის მე-2 ნინადადებით გათვალისწინებული გამორიცხვის საფუძველი არ გამოიყენება.

(2) თუ მყიდველის ან გამყიდველის მხრიდან მონაწილეობს რამდენიმე პირი, ფასის შემცირების შესახებ უნდა გაცხადდეს მხოლოდ ყველა პირის მიერ ან ყველა პირის მიმართ.

(3) ¹ფასის შემცირების შემთხვევაში, ნასყიდობის ფასი უნდა შემცირდეს იმ პროპორციით, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტიდან უნაკლო ნივთის ღირებულებას რეალურ ღირებულებასთან შედარებით ექნებოდა. ²იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია, ფასის შემცირება უნდა დადგინდეს შეფასებით.

(4) ¹თუ მყიდველმა უკვე გადაიხადა შემცირებულ ფასზე მეტი, მაშინ ზედმეტობა უნდა ანაზღაურდეს გამყიდველის მიერ. ²შესაბამისად, გამოიყენება § 346-ის პირველი ნაწილი და § 347-ის პირველი ნაწილი.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველს ნაკლიანი ნივთის შენარჩუნების ინტერესი აქვს, მას, § 441-ის თანახმად, აქვს შესაძლებლობა, გამყიდველს შეამცირებინოს ნასყიდობის ფასი (შდრ. ასევე § 437-ის № 2, მე-2 ალტ.). ნორმის პირველი ნაწილის პირველი ნინადადების თანახმად, ფასის შემცირების განხორციელება ხდება გამყიდველისადმი წარდგენილი განცხადებით (როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, შდრ. § 349) და, მაშასადამე, იგი არის აღმჭურველი (რეგულაციური) უფლება. ფასის შემცირების სამართლებრივი შედეგები დგება განცხადების გამყიდველთან მისვლით. ისევე, როგორც ნივთის ნაკლიდან გამომდინარე მყიდველის ყველა უფლება, ფასის შემცირების უფლებაც ვრცელდება არა მარტო ნივთობრივ, არამედ უფლებრივ ნაკლზეც. მაგ., მინის ნაკვეთის გამყიდველს არ შეუძლია, საკუთრება დაუტვირთავი გადასცეს.
- 2 **2. ფასის შემცირება შესაძლებელია ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების დაცვით** („ხელშეკრულებაზე უარის თქმის სანაცვლოდ“); მყიდველს შეუძლია, ხელშეკრულებიდან გასვლასა და ფასის შემცირებას შორის არჩევანი გააკეთოს (§ 437-ის № 2). ფასის შემცირების შემთხვევაში, ისევე, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლისას, გამყიდველის ბრალეულობა არ არის ფასის შემცირების წინაპირობა. ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევის მსგავსად, ფასის შემცირების შემთხვევაშიც, მოქმედებს დამატებითი შესრულების უპირატესობა (შდრ. § 439 ველი 1), რომელიც მყიდველმა უნდა მოითხოვოს მანამ, სანამ ფასის შემცირებას განახორციელებს. შესაბამისად, ფასის შემცირების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია დამატებითი შესრულებისთვის განსაზღვრული ვადის უშედეგო გასვლა. § 323-ის მე-2 ნაწილისა და § 440-ის თანახმად, ვადის განსაზღვრა ზედმეტია (როგორც ხელშეკრულებიდან გასვლისას) ფასის შემცირებისთვისაც. ნორმის პირველი ნაწილის მე-2 ნინადადების თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისგან განსხვავებით, ფასის შემცირება არ გამოირიცხება მაშინ, როდესაც მოცემულია უმნიშვნელო ნაკლი (§ 323-ის მე-5 ნაწილის მე-2 ნინადადება არ გამოიყენება), ვინაიდან ფასის შემცირება გამყიდველისთვის არ იწვევს ხელშეკრულებიდან გასვლის მსგავს მძიმე შედეგს. თუმცა, ფასის შემცირებისთვის (ისევე, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლისთვის) მოქმედებს § 323-ის მე-6 ნაწილით დარეგულირებული გამორიცხვის საფუძველები.
- 3 **3. ფასის შემცირების გამოსათვლელად ნორმის მე-3 ნაწილი** იძლევა საჭირო კრიტერიუმებს. მისგან გამომდინარეობს შემდეგი ფორმულა:

$$\frac{\text{უნაკლო ნასყიდობის ნივთის ღირებულება}}{\text{ნაკლიანი ნივთის ფაქტობრივი ღირებ.}} = \frac{\text{შეთანხმებული ნასყიდობის ფასი}}{X \text{ (ნასყ. ნივთის შემცირებული ღირებ.)}}$$

(მაგ. სარეცხი მანქანა მაღაზიაში ღირდა 450 ლარი, თუმცა, მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის ფასზე – 350 ლარზე. მოგვიანებით სარეცხ მანქანას აღმოაჩნდა ნაკლი და მისი ფაქტობრივი ღირებულება განისაზღვრა 250 ლარით. ზემოაღნიშნულ ფორმულაში ამ მონაცემების ჩასმის შედეგად მივიღებთ შემდეგ განტოლებას: $450:250=350:X$. შესაბამისად, ნასყიდობის ნივთის შემცირებული ღირებულება (X) = $250 \times 350 : 450$. სარეცხი მანქანის შემცირებული ღირებულება იქნება 194,44 ლარი). ვინაიდან პრაქტიკაში არცთუ ისე მარტივია უნაკლო ნივთის ღირებულების დადგენა, მის მაჩვენებლად იღებენ შეთანხმებული ფასის ოდენობას, ხოლო შესამცირებელ თანხად ის თანხა მიიჩნევა, რომელიც ნაკლის აღმოფხვრისთვის არის საჭირო (შდრ. BGHZ 58, 181, 183 – ნარდობის სამართალთან დაკავშირებით). თუმცა, ეს დასაშვებია მანამ, სანამ შესრულებისა და საპირისპირო შესრულების ღირებულებითი თანასწორობის ვარაუდი არ იქნება უკუგდებული და სანამ არ დადგინდება, რომ მყიდველმა გააფორმა განსაკუთრებით ცუდი ან კარგი ვარიანტი (შდრ. *Canaris ZRP 2001, 335*). განმარტების საჭიროება დგება მაშინ, როდესაც მყიდველი გამყიდველს უგზავნის (ატყობინებს) ზედმეტად დიდი თანხით შემცირების მოთხოვნას: თუ ეს დასახელებული თანხა მისი შეტყობინების პირობაა, მაშინ იგი არანამდვილია. ხოლო თუ მას ყველა შემთხვევაში ფასის შემცირება უნდა და მხოლოდ შესამცირებელი თანხის ოდენობის შეფასებაში ცდება, მაშინ მისი განცხადება (შეტყობინება) ჩაითვლება ნამდვილად და ფასის შემცირება განხორციელდება შესაბამისი (თანაზომიერი) თანხის ოდენობით (*Medicus/Petersen, 293-ე ველი*).

4. ფასის შემცირების **სამართლებრივ შედეგია** ის, რომ გადახდის მოთხოვნა არ არსებობს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ნასყიდობის ფასი შემცირდა. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი შემცირებულ ფასზე მეტს გადაიხდის, **ნორმის მე-4 ნაწილის პირველი წინადადება** მას სთავაზობს მოთხოვნის საფუძველს ზედმეტად გადახდილი თანხის ანაზღაურების მოთხოვნისთვის. გარდა ამისა, **ნორმის მე-4 ნაწილის მე-2 წინადადების** თანახმად, ფართოდ გამოიყენება § 346-ის პირველი ნაწილი და § 347-ის პირველი ნაწილი, რაც იმას ნიშნავს, რომ გამყიდველმა უნდა დააბრუნოს მყიდველის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხიდან მიღებული სარგებელი ან ბრალეულად მიუღებელი სარგებელი.

5. ნაკლით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება მყიდველს შეუძლია, ფასის შემცირებასთან ერთად მოითხოვოს (შდრ. § 437-ის მე-6 ველი).

§ 442. მყიდველის მიერ ნაკლის შესახებ ინფორმაციის ქონა

(1) ¹ნაკლის გამო მყიდველის უფლებები გამორიცხულია, თუ მან ხელშეკრულების დადების დროს იცის ნაკლის შესახებ. ²თუ მყიდველმა ნაკლის შესახებ არაფერი იცის უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მყიდველს შეუძლია ამ ნაკლის გამო უფლებების რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველმა განზრახ და მალა ნაკლი ან ნივთის თვისებებზე იკისრა გარანტია.

(2) გამყიდველმა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლება უნდა ამოშალოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მყიდველმა იცის მის შესახებ.

1. ნორმა ეხება ნაკლის გამო წარმოშობილი მყიდველის უფლებების გამორიცხვას (შდრ. § 437). ისევე, როგორც § 437, § 442-იც იმავე მასშტაბით მოქმედებს ნივთობრივ და უფლებრივ ნაკლთან მიმართებით.

2. მყიდველის მიერ ხელშეკრულების დადების დროს ნაკლის ცოდნა გამორიცხავს მის უფლებებს (ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). გამონაკლისი

მოცემულია ნორმის მე-2 ნაწილში საჯარო რეესტრში შეტანილი ყველა უფლების მიმართ; ამ უფლებებში ითვლება ასევე წინასწარი ჩანაწერი (მდრ., მაგ., § 894 ველი 4; RegBegr BT-Drucks 14/6040, 237). ვინაიდან ნორმის პირველი ნაწილის ფარგლებში მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადების მომენტს, მოგვიანებით შექმნილი ცოდნა ნაკლის არსებობის შესახებ, თუნდაც საქონლის პირობადების გარეშე მიღებისას, როგორც წესი, არ გამოორიცხავს მყიდველის უფლებებს. თუმცა, პირობადების გარეშე ნივთის მიღებით, შესაძლოა, მოცემული იყოს ნივთის თვისებრიობასთან დაკავშირებული (კონკლუდენტური) სახელშეკრულებო ცვლილება (იხ. § 434 ველი 4), ან ნაკლიდან გამომდინარე უფლებებზე უარის თქმა (*Jauernig-Berger*, მე-4 ველი).

- 3 **3.** ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მყიდველის უხეში გაუფრთხილებლობა იწვევს მისი უფლებების გამოორიცხვას. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს მყიდველი მაშინ, როდესაც იგი საჭირო გულმოდგინებას არღვევს უჩვეულოდ დიდი მასშტაბით და ითვალისწინებს ნაკლის არსებობას, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მისთვის ცალსახად შესაძრწვეი იყო (მდრ. ასევე § 932-ის მე-12 ველი). ამისგან განსხვავებით, გამონაკლისის სახით, მყიდველი, მიუხედავად უხეში გაუფრთხილებლობისა, მაინც ინარჩუნებს თავის უფლებებს მაშინ, როდესაც გამყიდველმა ნაკლი განზრახ დამალა, ან ნივთის თვისებრიობაზე გარანტია აიღო.
- 4 **ა)** გამყიდველი მოქმედებს **განზრახ** მაშინ, როდესაც მან ნივთის ნაკლის შესახებ იცის, ან მის არსებობას შესაძლებლად მიიჩნევს და ითვალისწინებს, რომ პოტენციური მყიდველი ნაკლის ცოდნის შემთხვევაში გარიგების დადებას გადაიფიქრებს (BGH NJW 2001, 2326). საფუძველს მოკლებული მონაცემების მიცემა ც ნარმოშობს განზრახვის ნიშნებს. **ნაკლის დაფარვა** მოცემულია მაშინ, როდესაც გამყიდველი მყიდველის კითხვის ან საკუთარი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მიმართ პასიურ, დუმილის მდგომარეობაში რჩება (მდრ. § 241 ველი 2). მაგ.: ნახმარი ავტომობილის გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს უთხრას ავტომობილის ავარიის შესახებ, რამდენადაც მოცემულია არამარტო მცირე ზიანი (BGH NJW 1982, 1386). განზრახ ისეთი თვისებრიობის პრეზენტირება, რომელიც სინამდვილეში არაა მოცემული, ნაკლის დაფარვას უთანაბრდება. სრულიად უმნიშვნელოა, გამყიდველი განზრახ არსებულ ცუდ თვისებრიობას დაფარავს, თუ არარსებულს გამოიგონებს და მასზე მიუთითებს, მაგ., ნახმარი ავტომობილის გარბენილი კილომეტრაჟის შეცვლა.
- 5 **ბ)** ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში ნახსენები თვისებრიობის გარანტია მოცემულია გამყიდველის მიერ სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში მიცემული გარანტიით, რომლითაც იგი მყიდველს ჰპირდება, რომ ნივთს კონკრეტული თვისებრიობა ექნება და იქვე აცხადებს, რომ ბრალეულობისგან დამოუკიდებლად აგებს პასუხს ასეთი თვისებრიობის არარსებობის ყველა შემთხვევაში (მდრ. § 276-ის მე-7 ველი). გარანტიის აღების შესახებ მკაფიო გამოხატვა არ არის სავალდებულო, საკმარისია ის, თუ მყიდველს გამყიდველის ქცევა (მიმღებთა ობიექტური ჰორიზონტის გათვალისწინებით) შეუძლია აღიქვას როგორც გარანტია.

§ 443. ნივთის თვისებებისა და სამსახურის გარანტია

(1) თუ გამყიდველი ან მესამე მხარე იძლევა ნივთის თვისებების შესახებ გარანტიას, ან გარანტიას იმის თაობაზე, რომ ნივთი შეინარჩუნებს განსაზღვრულ თვისებებს განსაზღვრული ვადის განმავლობაში (ნივთის სამსახურის გარანტია), მაშინ, კანონისმიერი მოთხოვნის უფლებების გარდა, საგარანტიო პირობის დადგომისას მოთხოვნის უფლების შემთხვევაში მყიდველს ენიჭება გარანტიიდან გამომდინარე უფლებები გარანტიის განცხადებასა და იმ პირთან დაკავშირებულ

შესაბამის რეკლამაში მოცემული პირობების თანახმად, რომელმაც იკისრა გარანტია.

(2) თუ ხდება ნივთის სამსახურის გარანტიის კისრება, ივარაუდება, რომ მისი ვარგისიანობის პერიოდის განმავლობაში წარმოშობილი ნივთობრივი ნაკლი ქმნის გარანტიიდან გამომდინარე უფლებებს.

1. ზოგადი მიმოხილვა. ნორმა ეხება გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნებს, რომლებიც მყიდველს გამყიდველის ან მესამე პირის (მწარმოებელი, იმპორტიორი) მიმართ ენიჭება, ნაკლის გამო წარმოშობილი კანონისმიერი მოთხოვნებისგან დამოუკიდებლად. ამგვარად, ნაკლის გამო წარმოშობილი კანონისმიერი მოთხოვნები უნარჩუნდება მყიდველს, თუ, გამონაკლისის სახით, სხვა რამე არ არის შეთანხმებული. იმ შემთხვევაში, თუ ნაკლი რისკის გადასვლის მომენტისთვის იყო უკვე სახეზე, გარანტიიდან წარმოშობილი მოთხოვნები და კანონისმიერი მოთხოვნები იარსებებს ერთმანეთის პარალელურად. თუ მესამე პირმა აიღო გარანტია, მაშინ იგი გამყიდველთან ერთად აგებს პასუხს, როგორც სოლიდარული მოვალე. სადავო შემთხვევებში გარანტიის შინაარსის დასადგენად გადამწყვეტია მისი განმარტება; კანონის მიერ იგი არ არის რეგულირებული (შდრ. § 276-ის მე-8 ველი). ლიტერატურის ერთ ნაწილში მოცემულია გამიჯვნა დამოუკიდებელ და დამოკიდებულ გარანტიას შორის, რომლის გაგებაც შემდეგნაირად ხდება: დამოუკიდებელი გარანტია წარმოშობს პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ რეჟიმს ნაკლის გამო წარმოშობილი კანონისმიერი მოთხოვნების გარეშე, ხოლო დამოკიდებელი გარანტიის შემთხვევაში, ნაკლის გამო წარმოშობილი კანონისმიერი მოთხოვნები ფართოვდება გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნებით (*PWW-D Schmidt*, მე-10 და მომდევნო ველები). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში, ტექსტის ენობრივი ფორმულირება არაერთგვაროვანია და, შესაბამისად, გამიჯვნა რთულდება, ამიტომ უარი უნდა ითქვას მის გამოყენებაზე (*Bamberger-Roth-Faust*, მე-12 ველი).

2. თვისებრიობის გარანტიას, რომლითაც მყიდველს რისკის გადასვლის მომენტისათვის ეძლევა ნივთის კონკრეტულ თვისებრიობაზე გარანტია, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, მაშინ, როდესაც ამ გარანტიის მიცემა ხდება მესამე პირის (მწარმოებელი) მიერ. ვინაიდან მყიდველს გამყიდველის მიმართ ისედაც აქვს ნაკლის გამო წარმოშობილი კანონისმიერი მოთხოვნების განხორციელების შესაძლებლობა (§ 437 § 434-ის პირველ ნაწილთან კავშირში). გამყიდველსაც შეუძლია გარანტიის აღება, თუ მას სურს § 437-ით განსაზღვრული მყიდველის უფლებების გაფართოება. ამის შესაბამისად, მაგალითად, მანქანა-დანადგარის გამყიდველს შეუძლია, მყიდველს შეუცვალოს მანქანას-დანადგარი სხვა მოდელით, თუ იგი განსაზღვრულ, მყიდველისთვის სასურველ დავალებას ვერ შეასრულებს (*RegBegr BT-Drucks 14/6857, 61*).

3. ნივთის სამსახურის გარანტია გულისხმობს, რომ გამყიდველი ან მესამე პირი მყიდველის წინაშე იღებს გარანტიას, რომ ნივთი განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში შეინარჩუნებს განსაზღვრულ თვისებრიობას. მაშასადამე, იგი მყიდველს იცავს იმისგან დამოუკიდებლად, ნივთის ნაკლი რისკის გადასვლის დროისთვის არსებობდა თუ არა. პრაქტიკული თვალსაზრისით, იგი წინა პლანზე დგას. ამისთვის **ნორმის მე-2 ნაწილი** ქმნის ვარაუდს, რომ გარანტიის პერიოდში წარმოშობილი ნივთობრივი ნაკლი წარმოშობს გარანტიას. მყიდველმა მხოლოდ უნდა დაამტკიცოს, რომ ნაკლი გარანტიის მოქმედების ობიექტურ სფეროში ხვდება და რომ ნაკლი გარანტიის პერიოდში წარმოიშვა. უმნიშვნელოა იმის მტკიცება, რომ ნაკლი ნივთის საწყისი მდგომარეობის შედეგია. გარანტიის მიცემი ვერ გააბათილებს ამ ვარაუდს იმაზე მითითებით, რომ ნივთის დამზადება განხორციელდა ტექნიკურად უნაკლოდ, არამედ მას შეუძლია, აპელირება მოახდინოს და დაამტკიცოს ვარაუდობა, რომ ნივთის ნაკლი გამომწვეულია მყიდველის ან მესამე პირის მიერ

ნივთის დანიშნულების საწინააღმდეგო გამოყენებით ან დაზიანებით (RegBegr BT-Drucks 14/6040, 239).

- 4 **4. გარანტიის შინაარსი** ეფუძნება გარანტიის მიმცემის მიერ კერძო ავტონომიურ განსაზღვრას. ეს მოქმედებს, მაგალითად, მაშინ, როდესაც გარანტია დაკავშირებულია ნასყიდობის ნივთის ყველა ან ცალკეულ ნაწილთან, ან ეხება მის თვისებრიობას, ასევე, მათ ხანგძლივობას ან მყიდველისთვის მინიჭებულ უფლებებს. § 443-ის პირველ ნაწილში მიეთითება გარანტიის განცხადებასა და შესაბამის რეკლამაში მითითებულ პირობებზე, რომლებითაც შეზღუდულია გარანტიის მიმცემი.
- 5 **5. მომხმარებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების დროს (სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობისას)** ყურადღება უნდა მიექცეს დამატებით § 477-ს, რომელიც გარანტიისთვის აწესებს განსაზღვრულ მოთხოვნებს; ასევე, მნიშვნელოვანია § 475-ის პირველი ნაწილი, რომელიც § 443-ს არადისპოზიციურ ხასიათს სძენს.

§ 444. პასუხისმგებლობის გამორიცხვა

იმ შეთანხმებაზე, რომლითაც ნაკლის გამო მყიდველის უფლებები გამორიცხული ან შეზღუდულია, გამყიდველს არ შეუძლია მითითება, რამდენადაც ამ უკანასკნელმა ნაკლი განზრახ დამალა, ან ნივთის თვისებებზე იკისრა გარანტია.

- 1 **1. გამყიდველს არ შეუძლია მიუთითოს ნაკლის გამო პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმებაზე ან პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე, რამდენადაც** ის ნაკლს განზრახ დაფარავს (დამატ. § 442 ველი 4) ან ნივთის თვისებრიობაზე იკისრებს გარანტიას. ნორმაში მოხსენიებული სიტყვა „რამდენადაც“ უნდა განიმარტოს ორი სახით: პირველი, რომ დაშვებულია გარანტიის გამჭირვალე შინაარსობრივი შეზღუდვები (მაგ., გარანტიის მოცულობის ან პასუხისმგებლობის მოქმედების დროის შეზღუდვები); მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ შეთანხმებაზე ან პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე აპელირება დაუშვებელია მხოლოდ იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მოხდა გარანტიის (გარემოებების მიხედვით სახისა და ოდენობით შეზღუდული) კისრება (RA BT-Drucks 15/3483, 23). ნორმა არ მოდის კონფლიქტში საწარმოთა ნასყიდობის დადგენილ პრაქტიკასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია, ნაკლის გამო წარმოშობილი კანონისმიერი მოთხოვნების სისტემის ნაცვლად, შეთანხმება მოხდეს გარანტიებზე და გარანტიები შეიზღუდოს ოდენობის, დროის ან სამართლებრივი შედეგების მიხედვით. § 444-ის მე-2 ალტერნატივის („ან ნივთის თვისებებზე იკისრა გარანტია“) იდეა და მიზანი არის მხოლოდ ის, რომ თავიდან იქნეს აცილებული წინააღმდეგობის შემცველი ქმედება, რომელიც იმით შეიძლება გამოიხატოს, რომ ნაკისრი გარანტია მოგვიანებით გაუმჭირვალედ ან მოულოდნელად შეიზღუდოს (RA BT-Drucks 15/3483, 23f).
- 2 **2. შეთანხმებული პასუხისმგებლობის გამორიცხვის მოცულობის განსაზღვრავად მნიშვნელოვანია ხელშეკრულების მთლიანი ტექსტი.** იმ შემთხვევაში, თუ ერთმანეთის პარალელურად არის მოცემული თვისებრიობაზე შეთანხმება (მაგ., ავტომობილის გარბენის რესურსი) და პასუხისმგებლობის გამორიცხვა, უნდა მოხდეს ამ კომპინაციის ინტერესების შესაბამისი სამართლიანი განმარტება ისე, რომ გამორიცხვა არ უნდა ეხებოდეს შეთანხმებული თვისებრიობის არარსებობის გამო პასუხისმგებლობას (BGH NJW 2007, 1346 Nr 30, 31).
- 3 **3. სამართლებრივი შედეგის კუთხით ნორმაში მოცემული ფორმულირება – „არ შეუძლია მითითება“ – უნდა განიმარტოს ისე, რომ § 139-ის დანაწესისგან განსხვავებული შეთანხმება ნივთის ნაკლის მოთხოვნების გამორიცხვის შესახებ არ იწვევს ნასყიდობის ხელშეკრულების მთლიანად ბათილობას (RegBegr BT-Drucks 14/6040, 240).**

4. ნორმას, როგორც წესი, არ აქვს რაიმე მნიშვნელობა **სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის** შემთხვევებისთვის. § 475 ცალკე ანსერიგებს ამ საკითხს და მყიდველს იცავს გამყიდველის მიერ განზრახ მოტყუებისა ან თვისებრიობის გარანტიისგან (იხ. § 475-ის მე-3 ნაწილი).

§ 445. პასუხისმგებლობის შეზღუდვა საჯარო აუქციონების შემთხვევაში

თუ გირავნობის უფლების საფუძველზე ნივთი გაიყიდა საჯარო აუქციონზე როგორც გირავნობის საგანი, მაშინ მყიდველს ეკუთვნის გარანტიიდან გამომდინარე უფლებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველმა ნაკლი განზრახ დამალა ან ნივთის თვისებებზე იკისრა გარანტია.

§ 446. რისკისა და ვალდებულებების გადასვლა

¹გაყიდული ნივთის გადაცემით მყიდველზე გადადის მისი შემთხვევით განადგურებისა და შემთხვევით გაუარესების რისკი. ²გადაცემის მომენტიდან მყიდველს ეკუთვნის ნივთის სარგებელი და მას ეკისრება ნივთის უფლებრივი ტვირთი. ³გადაცემას უთანაბრდება შემთხვევა, როცა მყიდველი აცილებს ნივთის მიღების ვადას.

1. **ზოგადი მიმოხილვა.** ნორმას შემოაქვს ანაზღაურების რისკის გადასვლის სპეციალური რეგულირება, ანუ იგი ეხება იმ საკითხს, განაგრძობს თუ არა არსებობას მყიდველის ვალდებულება, შეასრულოს საპირისპირო ვალდებულება (ნასყიდობის ფასის გადახდის) მაშინ, როდესაც ნივთი შემთხვევით განადგურდება ან გაუარესდება (**შესრულების საფრთხე (რისკი) – Preisgefahr**). § 326-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გამყიდველი რისკის მატარებელია § 433-ის პირველი ნაწილით განსაზღვრული თავისი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაშასადამე, ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემამდე. გამყიდველის ინტერესების გათვალისწინებით, ნორმა რისკის გადასვლის მომენტად ადგენს ნასყიდობის ნივთის გადაცემის მომენტს. შესრულების რისკის (საფრთხის) შემთხვევისთვის მოქმედებს § 275-ის პირველი ნაწილის ზოგადი დებულებები. ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთისა და დაკონკრეტებული გვაროვნული ნივთის (შდრ. § 243-ის მე-5 ველი) შემთხვევაში რისკის მატარებელია კრედიტორი (მყიდველი): ნასყიდობის ნივთის შემთხვევითი განადგურების შემთხვევაში გამყიდველი თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან.

2. ნორმის პირველი წინადადების თანახმად, ანაზღაურების რისკი გადადის მყიდველზე ნასყიდობის ნივთის **გადაცემის** მომენტიდან, ვინაიდან ნივთი ამ მომენტიდან მყიდველის განკარგულებაში („სფეროში“) ექცევა და უსამართლო იქნებოდა, თუ მყიდველის სფეროდან გამომდინარე შემთხვევითი უარყოფითი მოვლენები გამყიდველის საზიანოდ იმოქმედებდა. მაშასადამე, „გადაცემაში“ იგულისხმება (თუ სხვა რამე არ არის შეთანხმებული) მყიდველის **მიერ უშუალო მფლობელობის (§ 854) მოპოვება** (ისევე, როგორც § 433-ის პირველ ნაწილში, იხ. იქვე, მე-5 ველი). იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემა, გამონაკლისის სახით, ეხსამე პირის მიმართ არსებული ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის მყიდველისადმი დათმობით ხდება (მაგ., გამყიდველის მიერ შემნახველის მიმართ არსებული მოთხოვნის მყიდველისადმი დათმობა), მიიჩნევა, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა საკუთრების გადაცემა §§ 929-ის, 931-ის თანახმად. ამ დროს გამყიდველი სრულად ასრულებს ვალდებულებას და ანაზღაურების რისკის გადასვლის საკითხი აღარ განიხილება (შდრ. ზემოთ, ველი 1). § 446-ის გამოყენების მნიშვნელოვანი შემთხვევაა ნივთის პირობადებული საკუთრებით შექმნა (§ 449), რომლის დროსაც ხშირად გადაცემასა და შესრულებას (შესრულებაში იგულისხმება მყიდველის მიერ საკუთრების შექმნა ფასის უკანასკნელი ნაწილის გადახდისას) შორის დიდი დროა გასული.

- 3 3. ნორმის მე-3 ნაწილის მიხედვით, მყიდველის მიერ ნივთის მიღების ვადის გადაცილება (შდრ. § 293-ის შესავლის მე-2 და მომდევნო ველები) უთანაბრდება მისთვის ნივთის გადაცემას. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნევა, ვადის გადამცილებელ კრედიტორებს დაეკისროთ დარჩენილი ვალდებულების ბედზე პასუხისმგებლობა. ეს შესაბამისობაშია § 326-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებასთან.

§ 447. რისკის გადასვლა ნივთის გაგზავნით ნასყიდობის შემთხვევაში (Versendungskauf)

(1) თუ გამყიდველი მყიდველის მოთხოვნით გაყიდულ ნივთს აგზავნის სხვა ადგილას, ნაცვლად შესრულების ადგილისა, მაშინ რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველმა ნივთი ჩააბარა ექსპედიტორს, გადამზიდავს ან გადაზიდვისათვის განსაზღვრულ სხვა პირსა თუ ორგანიზაციას.

(2) თუ მყიდველმა გასცა სპეციალური მითითება გაგზავნის ხერხის შესახებ და გამყიდველმა არსებითი მიზეზის გარეშე არ შეასრულა ეს მითითება, მაშინ გამყიდველი პასუხისმგებელია მყიდველის წინაშე ამის შედეგად წარმოშობილი ზიანის გამო.

- 1 1. ნორმა მყიდველზე ანაზღაურების რისკის გადასვლას არეგულირებს § 446-ისაგან განსხვავებულად: გამყიდველს არ სჭირდება შესრულება (რისკის გადასვლა § 326-ის პირველი ნაწილის შესაბამისად) და არც ნასყიდობის ნივთის გადაცემა (§ 446-ის პირველი ნაწილი), არამედ მას შეუძლია, ნივთი მხოლოდ ტრანსპორტიორს მიაწოდოს. § 474-ის მე-2 ნაწილი გამორიცხავს § 447-ის მოქმედებას მომხმარებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებლის სამართლებრივი მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდებოდა (დამატებით RegBegr BT-Drucks 14/6040, 243f). მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებებისთვის მოქმედებს § 446 (რისკი გადადის გადაცემით ან შესრულების მიღების ვადის გადაცილებით). შესრულების რისკის შემთხვევაში აქაც მოიაზრება § 275-ის პირველი ნაწილის ზოგადი რეგულირების მოქმედება (შდრ. იხ § 446 ველი 1; BGH NJW 2003, 3341).
- 2 2. ნორმის პირველი ნაწილი ნივთის გაგზავნით ნასყიდობისთვის აწესებს შემდეგ წინაპირობებს: ა) ნასყიდობისას შეთანხმებულ უნდა იქნეს გაგზავნის ვალდებულება (ცნება იხ. § 243 ველი 4), ვინაიდან მხოლოდ გაგზავნის ვალდებულების დროს აგზავნის მოვალე (გამყიდველი) ნივთს „სხვა ადგილას, ნაცვლად შესრულების ადგილისა“ (შესრულების ადგილი, § 269). ამისგან განსხვავებით, მიტანის ვალდებულების დროს შესრულების ადგილად ითვლება კრედიტორის საცხოვრებელი (იხ. § 269 ველი 1) და მის შემთხვევაში § 447-ის პირველი ნაწილის გამოყენება არ მოიაზრება, არამედ ანაზღაურების რისკის გადასვლა რეგულირდება § 446-ით. ნივთის გაგზავნით ნასყიდობა შესაძლებელია, მოცემული იყოს ე.წ. ადგილის გარიგების⁸⁴ შემთხვევაში, რომლის დროსაც საქონლის გაგზავნა ხდება იმავე გეოგრაფიულ ერთეულში. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამ შემთხვევაში § 447 შესაბამისად გამოიყენება. თუმცა, ყურადღებაამისაქცევია ქვემოთ, მე-7 და მომდევნო ველები;
- 3 ბ) საქონლის გაგზავნა უნდა მოხდეს მყიდველის მოთხოვნით. ამ დროს საკმარისად მიიჩნევა, რომ მყიდველის ასეთი მოთხოვნა მხოლოდ გარემოებებიდან გამომდინარეობს;

84 Platzgeschäft (ადგილის გარიგება) – არის ნასყიდობის ის შემთხვევა, როდესაც გამყიდველი და მყიდველი ერთსა და იმავე თვითმმართველ ერთეულში ცხოვრობენ ერთსა და იმავე ადგილას აქეთ თავიანთი საქმიანობის ადგილსამყოფელი.

გ) გაგზავნა უნდა მოხდეს **შესრულების ადგილიდან** (ვალდებულების განხორციელების ადგილი); თუ ტრანსპორტირება სხვა ადგილიდან ხდება (მაგალითად, საზღვარგარეთიდან, სადაც საქონელი მზადდება), ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში იმოქმედებს, თუ მყიდველი ასეთ გაგზავნაზე თანახმა იყო (გავრცელებული მოსაზრება, შდრ. იხ. BGHZ 113, 106, 110; სხვა მოსაზრება იხ. *Wertenbruch* JuS 2003, 625, 627 f);

დ) საქონლის **გადამზიდავისთვის მიწოდება** გულისხმობს შესაბამის პირზე ან დაწესებულებაზე საქონლის ფაქტობრივ გადაცემას ყველა საჭირო ინფორმაციასთან (მაგ., მყიდველის მისამართი) ერთად, რათა საქონელმა მყიდველამდე უპრობლემოდ მიიღწიოს; გადამზიდავისთვის მხოლოდ დავალების მიცემა არ ითვლება საკმარისად.

3. ცალკეული შემთხვევები. ა) თუ გამყიდველი იყენებს ე.წ. **მოვალისთვის უცხო გადამზიდავს** (მაგ.: ფოსტა, რკინიგზა, ექსპედიტორული კომპანია), მაშინ ეს უკანასკნელი ნივთის გაგზავნით ნასყიდობისას არ ჩაითვლება **შესრულების დამხმარე პირად** (გავრცელებული მოსაზრება, მაგ. *Larenz* SchR II/1 § 42 IIc); ვინაიდან გამყიდველის ვალდებულება არ არის ტრანსპორტირება (გაგზავნის ვალდებულება), გადამზიდავი ამ შემთხვევაში არ მოქმედებს გამყიდველის ვალდებულების შესასრულებლად (§ 278). იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდავი გამოიწვევს ზიანს, ან მისი ბრალით განადგურდება ნასყიდობის ნივთი, გამყიდველს მაინც შეეძლება, § 447-ის პირველი ნაწილის თანახმად, მოსთხოვოს მყიდველს ნასყიდობის ფასის გადახდა. მყიდველს კი გადაზიდვის ხელშეკრულებიდან შეუძლია, საკუთარი სახელით წაუყენოს მოთხოვნები მენარმე გადამზიდავს გერმანიის სავაჭრო კოდექსის § 421 I 2 საფუძველზე. სხვა შემთხვევებში, მას შეუძლია ზიანი მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციით (აღმოფხვრით) აინაზღაუროს (მესამე პირის ზიანის აღმოფხვრა, დამატ. იხ. §§ 249-ის 25-ე და მომდევნო ველები).

ბ) თუ **მოვალის გადამზიდავი** (მაგ., გამყიდველის თანამშრომელი) ახორციელებს ტრანსპორტირებას, განსაკუთრებით, ადგილის გარიგების შემთხვევებში (ზემოთ, ველი 2) უნდა დადგინდეს, ნივთის გაგზავნით ნასყიდობის ნაცვლად ხომ არ არის მოცემული **მიტანის ვალდებულება** (*Larenz*, II/1 § 42c aE). მოვალის გადამზიდავის მიერ ტრანსპორტირების შემთხვევები ხშირად მაინც განიხილება გაგზავნის ვალდებულებად (ყურადღებამისაქცევია § 269-ის მე-3 ნაწილი). ამის შემდგომ უკვე სადავო ხდება, გამოიყენება თუ არა § 447:

აა) ლიტერატურაში გავრცელებული **ერთი მოსაზრების თანახმად**, ნორმა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უცხო გადამზიდავის ვალდებულებაში ჩართვის შემთხვევაში, ვინაიდან გამყიდველს არ აქვს ამ უკანასკნელზე პირდაპირი გავლენა; ამის შესაბამისად, რისკის გადასვლის საკითხი, ამ შემთხვევაში, ისევ § 446-ით უნდა დარეგულირდეს, როდესაც გამყიდველის თანამშრომლები ახორციელებენ გადაზიდვას (მაგ.: *Medicus/Petersen*, 275-ე ველი; *Medicus/Lorenz* SchR II 57-ე ველი).

ბბ) **გავრცელებული მოსაზრების** თანახმად, ნორმა მოქმედებს გამყიდველის თანამშრომლების მიერ გადაზიდვის შემთხვევებშიც, ასე რომ, გამყიდველს შეუძლია, ნასყიდობის ფასის სრულად მოთხოვნა მაშინ, როდესაც ნასყიდობის ნივთი მისი თანამშრომლის მიერ გადაზიდვის დროს **შემთხვევით** განადგურდება (მაგ., *Larenz*, SchR, II/1, § 42, II c aE). იმავე შედეგის დადგომა შეიძლება ვივარაუდოთ მაშინაც, როდესაც ნივთის განადგურება გამყიდველის თანამშრომლის მიერ ბრალეულად იქნება გამოწვეული; § 278-ით გათვალისწინებული თანამშრომლის ბრალეულობა არ ეკისრება გამყიდველს, ვინაიდან იგი ტრანსპორტირებას ახორციელებს მხოლოდ კეთილი ნებიდან გამომდინარე (იხ. ზემოთ, მე-6 ველი, გაგზავნის ვალდებულება!). თუმცა, გავრცელებული მოსაზრების ავტორებს მაინც მიაჩნიათ, რომ ამ დროს გამოყენებულ უნდა იქნეს § 278, ვინაიდან, თუნდაც კეთილი ნებით

შესრულების შემთხვევაშიც, მოითხოვება ვალდებულების გულმოდგინედ (ჯეროვნად) განხორციელება (ამასთან დაკავშირებით ზოგადი მიმოხილვა – § 241-ის შესავალის ველი 2). მაშასადამე, § 447 ველარ იმოქმედებს, ვინაიდან იგი ეხება მხოლოდ ნივთის შემთხვევით განადგურებას.

§ 448. გადაცემის ხარჯები და შეფარდებითი ხარჯები

(1) გამყიდველს ეკისრება ნივთის გადაცემის ხარჯები, მყიდველს, – ნივთის მიღებისა და შესრულების ადგილის ნაცვლად, ნივთის სხვა ადგილზე გაგზავნის ხარჯები.

(2) მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის მყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულებისა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების სანოტარო წესით დამონმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და რეგისტრაციისათვის საჭირო განცხადებების ნარდგენის ხარჯები.

§ 449. პირობადებული საკუთრება

(1) თუ გამყიდველმა პირობად დათქვა მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შენარჩუნება ნასყიდობის ფასის გადახდამდე, დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ საკუთრების უფლება გადადის ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის გადადების პირობით (დათქმა გამყიდველის მიერ საკუთრების უფლების შენარჩუნების შესახებ).

(2) გამყიდველის მიერ საკუთრების უფლების შენარჩუნების შესახებ დათქმის საფუძველზე მას შეუძლია ნივთის დაბრუნების მოთხოვნა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხელშეკრულებიდან გასულია.

(3) შეთანხმება გამყიდველის მიერ საკუთრების უფლების შენარჩუნების შესახებ დათქმის თაობაზე ბათილია იმდენად, რამდენადაც საკუთრების უფლების გადაცემა დამოკიდებულია მყიდველის მიერ მესამე პირის მოთხოვნების, მათ შორის, გამყიდველთან დაკავშირებული სანარმოს დაკმაყოფილებაზე.

I. მნიშვნელობა

- 1 პირობადებული საკუთრება საქონლის საბაზრო მიმოქცევაში არის კრედიტის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი საშუალება (ინსტიტუტთან დაკავშირებით დამატ. იხ. *Habersack/Schürnbrand JuS 2002, 833*). გამყიდველი, რომელიც, § 320-ის მიუხედავად, მყიდველს ნასყიდობის ფასის სრულ გადახდამდე გადასცემს ნასყიდობის ნივთს, ფასის ბოლო ნაწილის გადახდამდე, როგორც მესაკუთრე, ინარჩუნებს საქონელზე წვდომის უფლებას (ვინდიკაციის უფლებას – § 985).

II. წინაპირობები

- 2 პირობადებული საკუთრებით გაფორმებულ ნასყიდობას აქვს ვალდებულებითი და სანივთოსამართლებრივი მხარე. ამიტომ აუცილებელია მათი წინაპირობებისა და მოქმედებების ერთმანეთისგან გამიჯვნა:
- 3 **1. მარტივი პირობადებული საკუთრება. ა) ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმება.** გამყიდველი და მყიდველი თანხმდებიან (ხელშეკრულების დადებისას ან მოგვიანებით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანით), რომ ნასყიდობის ნივთი მყიდველს გადაეცემა ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე, ხოლო ნივთზე საკუთრება მყიდველზე გადავა მხოლოდ ფასის უკანასკნელი ნაწილის გადახდის შემდგომ. ფორმის თვალსაზრისით, ასეთი შეთანხმება, ხშირ შემთხვევაში, შეტანილია გამყიდველის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში. ეს შეთანხმება, ნორმის მე-3 ნაწილის მიხედვით, ბათილია მაშინ, როდესაც პირობადებული საკუთ-

რება მესამე პირების მოთხოვნებზე ვრცელდება; განსაკუთრებით, ე.წ. სანარმოთა კავშირის პირობადებული საკუთრება⁸⁵.

ბ) ნორმის პირველი ნაწილის განმარტების მიხედვით, პირობადებული საკუთრებით ნასყიდობისას ნასყიდობის **ნივთზე საკუთრების გადაცემა** შეთანხმებულია გადადების პირობით (§ 158-ის პირველი ნაწილი), კერძოდ, ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის პირობით. სწორედ ამიტომ ნასყიდობის ფასის ბოლო ნაწილის გადახდისთანავე საკუთრება ავტომატურად გადადის მყიდველზე. ვალდებულებით-სამართლებრივი პირობადებული შეთანხმებისგან განსხვავებით, მაშინაც არის მოცემული საკუთრების გადაცემა მხოლოდ გადადების პირობით, როდესაც გამყიდველი პირობის დადებას **ცალმხრივად აცხადებს** და მყიდველი ამას იღებს. თუმცა, ამის წინაპირობა არის ის, რომ პირობის დადების (დათქმის) შესახებ უნდა იქნეს ნათლად გაცხადებული არა უგვიანეს გაყიდული ნივთის მიმღებისადმი მფლობელობაში გადაცემისას (მაგ., ზედნაღებში მითითება). სადავოა ის, მიიჩნევა თუ არა კონკლუდენტურად შეთანხმებული პირობადებული საკუთრება, ზოგადად, წარმოშობილად მაშინ, როდესაც მყიდველი ნასყიდობის ნივთის გადაცემისას ნასყიდობის ფასს არ იხდის (მდრ. *MüKo-Westermann*, მე-15 ველი). ავტომობილის ნასყიდობისას მყიდველს, რომელსაც ნასყიდობის ფასი ჯერ არ გადაუხდია, შეუძლია, გამყიდველის მხრიდან ავტომობილის საკუთრების მოწმობის (*Fahrzeugsbrief*) თავისთან დატოვება ისე გაიგოს, რომ გამყიდველი მას ავტომობილზე საკუთრებას (თავისი ნასყიდობის ფასზე მოთხოვნის უზრუნველყოფის გამო) გადასცემს მხოლოდ გადადების პირობით, ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდგომ (BGH NJW 2006, 3488).

2. გავრცობილი პირობადებული საკუთრება (*Verlängerter Eigentumsvorbehalt*). 5

პირობადებული საკუთრების მნიშვნელოვანი განსაკუთრებულ ფორმა არის გავრცობილი პირობადებული საკუთრება. ამ ინსტიტუტს შემოაქვს დამატებითი უზრუნველყოფა გამყიდველისთვის იმ შემთხვევებში, როდესაც მის მყიდველს სურს, ნასყიდობის ნივთი გადაამუშაოს ან გადაყიდოს. ამ შემთხვევაში, ზემოაღნიშნულის გარდა, საჭიროა შემდეგი წინაპირობების არსებობა:

ა) იმ შემთხვევაში, როდესაც **მყიდველი აპირებს ნივთის გადამუშავებას, საჭიროა ე.წ. „გადამუშავების შესახებ დათქმა“**, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული ის, რომ პირობადებით ნივთის გამყიდველმა, § 950-ის მიხედვით, დაკარგოს თავისი საკუთრება და ამით საქონლის კრედიტის უზრუნველყოფა (დამატ. იხ. § 950 ველი 4).

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი საქონლის შემდგომი **გადაყიდვიდან** აპირებს პირველი ნასყიდობისთვის გადასახდელი თანხის დაფარვას, თავდაპირველმა გამყიდველმა რამენაირად უარი უნდა თქვას ნასყიდობის ნივთის პირობადებული საკუთრებით უზრუნველყოფაზე, რადგან თავდაპირველი გამყიდველი და გადაყიდველი სამართლებრივად უნდა იყვნენ ისეთ მდგომარეობაში, რომ შეეძლოთ მეორე მყიდველისთვის (გადაყიდვისას) ნივთზე საკუთრების გადაცემა (*Palandt-Weidenkaff* მე-16 ველი).

ამ შემთხვევაში პირობადებული საკუთრება, როგორც წესი, შემდეგი **სამი ფორმით** განივრცობა: აა) **განკარგვის უფლებამოსილება**. პირობადებით ნივთის გამყიდველი უფლებას ანიჭებს პირობადებით ნივთის მყიდველს (§ 185-ის პირველი ნაწილი), მეორე მყიდველზე გაასხვისოს პირობადებული ნასყიდობის ნივთი; ბბ) **მოთხოვნების წინასწარი დათმობა**. პირველი ნასყიდობის დადებისთანავე

85 *Konzernvorbehalt* – სანარმოთა კავშირის პირობადებული საკუთრება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც არსებობს პირობადებული საკუთრება, რომელიც დაკავშირებულია სანარმოთა კავშირის ყველა მოთხოვნასთან. ეს კი გულისხმობს იმას, რომ საკუთრება მანამ არ გადავა, სანამ კავშირის ყველა წევრი სანარმოს მოთხოვნა არ შესრულდება. § 449-ის მე-3 ნაწილის თანახმად, პირობადებული საკუთრების შესახებ მსგავსი შეთანხმება ბათილია.

პირობადებით ნივთის შემძენი საქონლის გადაყიდვიდან წარმოშობილ (სამომავლო) მოთხოვნებს უთმობს პირობადებით ნივთის თავდაპირველ გამყიდველს იმისთვის, რომ უზრუნველყოს თავდაპირველ ნასყიდობის ფასზე მოთხოვნა (მომავალში წარმოშობადი მოთხოვნების წინასწარი დათმობის დასაშვებობასთან დაკავშირებით იხ. § 398-ის შესავალი, მე-16 ველი); **გგ) ინკასირების უფლებამოსილება (Einziehungsermächtigung, ცნება იხ. § 398-ის შესავალი, 25-ე ველი).** მანამ, სანამ პირველი მყიდველი ნასყიდობის ფასის ნაწილებს ჯეროვნად იხდის, მეორე მყიდველს არ სჭირდება იმის ცოდნა, რომ მის მიმართ არსებული გადამყიდველის (პირველი მყიდველის) მოთხოვნა დათმობილია. შესაბამისად, გადამყიდველს თავდაპირველი გამყიდველისგან ენიჭება უფლებამოსილება მეორე მყიდველის მიმართ საკუთარი სახელით განახორციელოს გადაყიდვიდან გამომდინარე წინასწარ დათმობილი მოთხოვნა (ინკასირება). იმ შემთხვევაში, თუ პირველი მყიდველი აღარ იხდის ჯეროვნად, თავდაპირველი გამყიდველი გამოითხოვს მისგან მოთხოვნის განხორციელების (ინკასირების) უფლებამოსილებას და მიუთითებს მეორე მყიდველს, რომ პირველი მყიდველის (გადამყიდველის) ნაცვლად მას გადაუხადოს. ამის შემდგომ, § 407-ის პირველი ნაწილის თანახმად, მეორე მყიდველი არ გაათავისუფლდება ვალდებულებისგან, თუ ის მაინც პირველი მყიდველის მიმართ შეასრულებს ვალდებულებას.

III. შედეგები

9 1. ვალდებულებით-სამართლებრივი მხარე. ა) გამყიდველის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ წარმოიშობა მხოლოდ მყიდველის მიერ ვადის გადაცილებით, არამედ, იგი ექვემდებარება § 323-ის ზოგად რეგულირებებს. ამიტომ, როგორც წესი, აუცილებელია (გამონაკლისი § 323-ის მე-2 ნაწილი), ხელშეკრულებიდან გასვლამდე გამყიდველმა მყიდველს დაუდგინოს გადახდის დამატებითი ვადა. მხოლოდ ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ შეეძლება გამყიდველს ხელშეკრულებიდან გასვლა. განსაკუთრებული რეგულირებები მოქმედებს §§ 503-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებისა და 498-ის პირველი წინადადების სახით მაშინ, როდესაც მომხმარებელთან გაფორმებულ ნასყიდობის განვადებით ხელშეკრულებაში თანხმდება პირობადებული საკუთრება.

10 ბ) მყიდველის უფლება მფლობელობაზე. მყიდველს შეუძლია, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან (ან უზრუნველყოფის შესახებ შეთანხმებიდან, შდრ. იხ. § 398-ის შესავალი, მე-14 ველი) განახორციელოს ნივთის **მფლობელობის ობლიგატორული უფლება (Obligatorisches Recht zum Besitz).** ეს უფლება უპირისპირდება გამყიდველის, როგორც მესაკუთრის, უფლებას ნივთის უკან გამოთხოვაზე (§ 986-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება; BGHZ 98, 168). სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლებიდან⁸⁶ გამომდინარე, **სანივთო მფლობელობის უფლებასთან** დაკავშირებით იხ. § 929-ის 29-ე ველი.

11 გ) ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით, მფლობელობის უფლება არ ისპობა პირობადებით ნივთის შემძენის მიერ გადახდის ვადის გადაცილებისას, არამედ ეს შედეგი დგება მხოლოდ გამყიდველის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდგომ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამყიდველს შეეძლება, ნასყიდობის ფასის გადახდის დაგვიანების გამო მოეთხოვა ნივთის უკან გადმოცემა (§ 985), ხოლო მყიდველი მაინც ვალდებული დარჩებოდა, გადაეხადა ნასყიდობის ფასი, რომელიც მას ამ ნივთის გამოყენებით (ან გადაყიდვით) უნდა ეშოვა. იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის ფასის გადახდაზე მოთხოვნა ხანდაზმულია და მყიდველი ამაზე აკეთებს აპელირებას, ხელშეკრულებიდან გასვლა და ნივთის დაბრუნება (§ 281-ის პირველი ნაწილის ზოგადი რეგულირებებისგან განსხვავებით) შესაძლებელია, მაინც განხორციელდეს სპეციალური რეგულირებით, § 216-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებით

86 Anwartschaftsrecht – სამომავლო უფლების მიღებაზე მოთხოვნის უფლება.

(მდრ. § 218-ის პირველი ნაწილის მე-3 წინადადება). ამ შემთხვევაში პირობადებული საკუთრებაც ისე განიხილება, როგორც § 216-ის მე-2 ნაწილში მოაზრებული უზრუნველყოფის სხვა უფლებები.

2. სანივთოსამართლებრივი მხარე. ა) ვინაიდან **გამყიდველი** ნასყიდობის ნივთის მესაკუთრედ რჩება, იგი მყიდველის მიმართ ინარჩუნებს ნივთის გადმოცემის მოთხოვნის უფლებას, § 985-ის შესაბამისად (განხორციელება დამოკიდებულია მყიდველის მფლობელობის უფლებაზე, იხ. § 986-ის მე-10 და მომდევნო ველები). იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირები პირობადებით ნივთის მყიდველის მიმართ იძულებითი აღსრულების საქმეს აწარმოებენ, გამყიდველს, როგორც **მესამე პირს**, შეუძლია, წარადგინოს **სარჩელი სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების შესახებ**⁸⁷, ხოლო მყიდველის გაკოტრების შემთხვევაში, შეუძლია, ნივთი **გამოათავისუფლოს გაკოტრების მასიდან**, თუ გაკოტრების საქმის მწარმოებელი ნასყიდობის ფასის დარჩენილ ნაწილებს არ იხდის და გაკოტრების მასაში არსებულ ნივთზე საკუთრებას არ იძენს („გაკოტრების საქმისწარმოების შესახებ დადგენილების“ § 47).

ბ) პირობადებით ნივთის მყიდველი იძენს (გადაცემად) **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის სანივთო უფლებას (Anwartschaftsrecht)** ნასყიდობის ნივთზე, რომელიც ნასყიდობის ფასის ბოლო ნაწილის გადახდით გადაიქცევა სრულ უფლებად (საკუთრებად); ამასთან დაკავშირებით, დამატებით, იხილეთ § 929-ის მე-10 და მომდევნო ველები.

გ) განვრცობილი პირობადებული საკუთრების დროს პირობადებული ნასყიდობის სანივთო შედეგი ნამდვილი ხდება დამატებითი გადაყიდვიდან წარმოშობილი მოთხოვნის პირველ გამყიდველზე დათმობით. განვრცობილ პირობადებულ საკუთრებასა და სრულ ცესიას შორის კოლიზიის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით, იხილეთ § 398-ის შესავალი, მე-19 ველი, განვრცობილ პირობადებულ საკუთრებასა და ფაქტორინგს შორის კონფლიქტთან დაკავშირებით – § 398-ის შესავალი, 22-ე ველი.

§ 450. გამორიცხული მყიდველები განსაზღვრული ნასყიდობების შემთხვევებში

(1) იძულებითი აღსრულების პროცესში ნივთის გაყიდვის შემთხვევაში, გაყიდვის პროცედურის წარმოებასა თუ მართვაზე უფლებამოსილ პირსა და მის მიერ დანიშნულ დამხმარე პირებს, მდივნის ჩათვლით, არ შეუძლიათ გასაყიდი საგნის ყიდვა პირადად თავისთვის ან სხვა პირის მეშვეობით, ანდა სხვა პირის წარმომადგენლის სახით.

(2) პირველი ნაწილი მოქმედებს, აგრეთვე, ნასყიდობის შემთხვევაში იძულებითი აღსრულების მიღმაც, თუ გაყიდვის დავალება მიცემულ იქნა კანონის იმ ნორმის საფუძველზე, რომელიც მარწმუნებელს ანიჭებს უფლებამოსილებას, დაუშვას ნივთის გაყიდვა სხვა პირის ანგარიშში, კერძოდ, გირაუნობის საგნის გაყიდვის, §§ 383-სა და 385-ში დაშვებული ნასყიდობის, ასევე გაკოტრების მასიდან გაყიდვების შემთხვევებში.

§ 451. ნასყიდობა გამორიცხული მყიდველის შემთხვევაში

(1) ¹§ 450-ის დარღვევით დადებული ნასყიდობის სამართლებრივი ძალა და გაყიდულ საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა დამოკიდებულია იმ პირის თანხმობაზე, რომელიც ნასყიდობაში მონაწილეობს როგორც მოვალე, მესაკუთრე ან კრედიტორი. ²თუ მყიდველი მონაწილე პირისაგან ითხოვს მოწონების განცხადებას, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 177-ის მე-2 ნაწილი.

87 Drittwiderspruchsklage – მესამე პირის სარჩელი სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების შესახებ (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 771).

(2) თუ მოწონებაზე უარის თქმის შედეგად დაიდო ახალი ნასყიდობის ხელშეკრულება, მაშინ წინა მყიდველმა უნდა აანაზღაუროს ახალი ნასყიდობისა და მინიმალური ამონაგების ხარჯები.

§ 452. საზღვაო ხომალდის ნასყიდობა

წინამდებარე ქვეკარის ნორმები მიწის ნაკვეთის ნასყიდობის შესახებ შესაბამისად გამოიყენება რეგისტრირებული საზღვაო ხომალდებისა და მშენებარე საზღვაო ხომალდების მიმართ.

§ 453. უფლების ნასყიდობა

(1) ნივთის ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება უფლების ან სხვა საგნების ნასყიდობის მიმართაც.

(2) გამყიდველს ეკისრება უფლების დასაბუთებისა და გადაცემის ხარჯები.

(3) თუ გაყიდულია უფლება, რომელიც იძლევა ნივთის ფლობის უფლებამოსილებას, მაშინ გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ნორმის პირველი ნაწილი შეიცავს მითითებას § 433-სა და მის მომდევნო ნორმებზე, რომლებიც უფლებების, ნივთებისა და უფლებების ერთობლიობათა ნასყიდობისთვის შესაბამისად მოქმედებენ. ამ ნორმათაგან § 453-ის ფარგლებში არ მოქმედებენ ისინი, რომლებიც განსაკუთრებით ეხებიან სხეულებრივი საგნების ნასყიდობის შემთხვევებს (მაგ., § 447). ნორმაში მოხსენიებული „შესაბამისად გამოიყენება“ გულისხმობს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ხელშეკრულების სახეს.
- 2 **2. უფლების ნასყიდობა. ა)** ნორმის პირველი ნაწილისა და § 433-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, უფლების გამყიდველი (ცნება: § 433-ის მე-3 ველი) ვალდებულია, მყიდველს გადასცეს უფლება, მაშასადამე, იგი გახადოს გაყიდული უფლების მფლობელი. მოთხოვნების შემთხვევაში ეს ხორციელდება მოთხოვნის დათმობით (იხ. § 398 და მომდევნო ნორმები). § 433-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისი გამოყენების საფუძველზე გამყიდველმა მყიდველს უფლება უნდა გადასცეს (უფლებრივი) ნაკლის გარეშე, განსაკუთრებით, მესამე პირის უფლებებისგან თავისუფალი (იხ. § 435). § 434-ის რეგულირებაც, ძირითად შემთხვევებში, შესაბამისად გამოიყენება. გაყიდული მოთხოვნის მოვალის გადახდისუნარიანობისთვის არ აგებს პასუხს მოთხოვნის გამყიდველი, ვინაიდან გადახდისუნარიანობა უფლების თვისებრიობად არ ითვლება § 434-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების № 2-ის ფარგლებში და, შესაბამისად, მისი არქონა არ წარმოშობს ნაკლს. თუმცა, შესაძლებელია, მოცემული იყოს სხვაგვარი შეთანხმება, მაგალითად, შესაბამისი გარანტიის აღება. იმ შემთხვევაში, თუ გასაყიდი უფლება საერთოდ არ არსებობს ან შეუძლებელია მისი გადაცემა, სახეზეა არა უფლების ნაკლი, არამედ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რომლის სამართლებრივი შედეგებიც გამომდინარეობს §§ 275-დან, 280-იდან და მომდევნო ნორმებიდან, ასევე, 311-დან, 326-იდან. **ბ)** ნორმის მე-3 ნაწილის რეგულირება გვიჩვენებს, რომ გამყიდველი, როგორც წესი, პასუხს არ აგებს იმ ნივთის ნაკლის გამო, რომელსაც ეხება გაყიდული უფლება. ნორმის მე-3 ნაწილის მიხედვით, უშუალოდ მოქმედებენ § 433-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, § 437 და მომდევნო ნორმები, განსხვავებით უფლების ნასყიდობის იმ იშვიათი შემთხვევებისგან, სადაც ნივთის ფლობის უფლებამოსილების მინიჭება ხდება, როგორიცაა, მაგალითად, პირობადებით ნივთის შემძენის უფლება სამომავლო უფლების შეძენის მოთხოვნაზე (იხ. § 929-ის მე-19 ველი).
- 3 **3. საწარმოთა ნასყიდობა.** ნორმის პირველ ნაწილში მოხსენიებული სხვა საგნების ნასყიდობაში მოიაზრება, უპირველეს ყოვლისა, საწარმოთა ნასყიდობა.

საწარმოს ნასყიდობის შემთხვევაში მყიდველი იძენს ან საწარმოს ნივთების, უფლებებისა და განსაკუთრებული ქონებრივი ღირებულებების ერთობლიობას (ე.წ. *asset deal*), ან საწარმოს წილს (ე.წ. *share deal*). გამყიდველის პასუხისმგებლობა პრაქტიკაში, როგორც წესი, ექვემდებარება მრავალრიცხოვან სახელშეკრულებო დათქმებს, რომლებიც უმეტესწილად ანაცვლებენ ნაკლის გამო წარმოშობილი კანონისმიერი მოთხოვნების რეგულირებებს (ასეთი სახელშეკრულებო დანაწესების ჰარმონიზება ხდება § 444-თან, რომლებიც ხშირად თვისებრიობის გარანტიის მაღალი პასუხისმგებლობის ფარგლებთან კომბინაციას ქმნიან, შდრ. § 444 ველი 1). გარდა ამისა, უნდა განვასხვაოთ შემდეგი: ა) იმ შემთხვევაში, თუ *asset deal*-ის დროს გაყიდული საწარმოს მხოლოდ ცალკეული ნივთები არის ნაკლიანი (ჩარხი, ავტომობილი და ა.შ.), მყიდველის მეორადი მოთხოვნები ნაკლთან დაკავშირებით განხორციელდება პირდაპირ § 437-ისა და მისი მომდევნო ნორმების შესაბამისად. თუ საწარმოს ქონების ცალკეული შემადგენელი ნაწილების ნაკლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ისინი ზეგავლენას ახდენენ მთლიანი საწარმოს ვარგისიანობაზე (მაგ.: ინარმოება ნაკლიანი პროდუქცია, რომელიც ვერ იყიდება), მაშინ, ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, § 437 და მისი მომდევნო ნორმები გამოიყენება მთლიან საწარმოსთან მიმართებით. სადავოა, რამდენად განიხილება ნაკლად გამყიდველის მიერ მყიდველისადმი მიწოდებული არასწორი მონაცემები საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლებთან დაკავშირებით (მაგ.: საწარმოს ბრუნვა, შემოსავალი და ა.შ.). ამ მონაცემების სისწორეს პრაქტიკაში, თავისთავად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ვალდებულების სამართლის რეფორმამდე სასამართლო პრაქტიკა საკითხის გადასაჭრელად უპირატესად მიმართავდა C.i.C.-ს საფუძვლებს (შდრ. RegBegr BT-Drucks 14/6040, 242), განსაკუთრებით იმისთვის, რომ ნასყიდობის სამართლიდან გამომდინარე ხანდაზმულობის მოკლე ვადისთვის აევლო გვერდი. რეფორმის შემდგომ, ნაწილობრივ, ეს მიდგომა შენარჩუნდა (მაგ., *Grigoleit/Herresthal JZ 2003, 118, 125f.*). სხვა მოსაზრების მიხედვით, საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული მცდარი მონაცემები განხილულ უნდა იქნეს თვისებრიობის ცნების ქვეშ, § 434-ის ფარგლებში, ვინაიდან მყიდველის უფლებები უპირატესად გამომდინარეობს § 437-ისა და მისი მომდევნო ნორმებიდან და არა §§ 311-ის მე-2 ნაწილისა და 241-ის მე-2 ნაწილისაგან (*Barnert WM 2003, 416, 418f.*) ბ) *share deal*-ის გზით საწარმოს ყველა წილის შექმნა უთანაბრდება საწარმოს ქონებათა ერთობლიობის შექმნას, რაც იმას ნიშნავს, რომ გამყიდველი პასუხს აგებს საწარმოს ქონების ნაკლისთვის §§ 434-ის, 437-ის ან §§ 311-ის მე-2 ნაწილის, 241-ის მე-2 ნაწილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი საწარმოს წილის ნასყიდობით ვერ იძენს საწარმოში მაკონტროლებელ პოზიციას (საკონტროლო პაკეტს), სახეზეა უბრალო უფლების ნასყიდობა. ამ დროს გამყიდველი პასუხს არ აგებს საწარმოს ქონების შემადგენელ საგანთა ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლისათვის, ვინაიდან წილის მფლობელი (მყიდველი), ნორმის მე-3 ნაწილის მოსაზრებით, ნივთის ფლობაზე არ არის უფლებამოსილი.

ქვეკარი 2. ნასყიდობის სპეციალური სახეები

თავი 1. ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით

§ 454. ნასყიდობის ხელშეკრულების დადება

(1) ¹ნივთის მოწონების ან შემონმების პირობით ნასყიდობის შემთხვევაში, გაყიდული საგნის მოწონების არჩევანს მყიდველი აკეთებს თავისი სურვილით. ²დავის შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულება მიიჩნევა მოწონების გადადების პირობით დადებულად.

(2) გამყიდველი ვალდებულია, დართოს მყიდველს საგნის შემონმების ნება.

§ 455. მოწონების ვადა

¹მოწონების ან შემონმების პირობით გაყიდული საგნის მოწონების შესახებ განცხადება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ შეთანხმებულ ვადაში, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას – მხოლოდ გამყიდველის მიერ მყიდველისათვის განსაზღვრული გონივრული ვადის განმავლობაში. ²თუ ნივთი მყიდველს გადაეცა მოწონების ან შემონმების მიზნით, მისი დუმილი ჩაითვლება მოწონებად.

თავი 2. გამოსყიდვა

§ 456. გამოსყიდვის ხელშეკრულების დადება

(1) ¹თუ გამყიდველმა ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაიტოვა გამოსყიდვის უფლება, მაშინ გამოსყიდვის ხელშეკრულება იდება გამყიდველის მიერ გამოსყიდვის უფლების რეალიზაციის თაობაზე მყიდველის მიმართ გაკეთებული განცხადებით. ²განცხადება არ საჭიროებს ნასყიდობის ხელშეკრულებისადმი დადგენილი სავალდებულო ფორმის დაცვას.

(2) დავის შემთხვევაში გამოსყიდვის ფასად მიიჩნევა ნივთის გაყიდვის ფასი.

§ 457. ახალი გამყიდველის პასუხისმგებლობა

(1) ახალი გამყიდველი ვალდებულია, გამომსყიდველს გაყიდული ნივთი გადასცეს საკუთვნებელთან ერთად.

(2) ¹თუ ახალმა გამყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაყიდული ნივთი ბრალეულად გააუარესა ან გაანადგურა, ან მისი ბრალით სხვა მიზეზით ნივთის დაბრუნება შეუძლებელი გახდა, ანდა, თუ მან ნივთი არსებითად შეცვალა, მაშინ იგი პასუხისმგებელია ამით გამოწვეული ზიანისათვის. ²თუ ნივთი გაუარესდა ახალი გამყიდველის ბრალის გარეშე, ან თუ იგი მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა, მაშინ გამომსყიდველს არ შეუძლია მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება.

§ 458. ნივთის მესამე პირების უფლებებისაგან გათავისუფლება

¹თუ ახალმა გამყიდველმა გამოსყიდვის უფლების რეალიზაციამდე განკარგა გაყიდული ნივთი, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს ნივთის გათავისუფლება მასზე დადგენილი მესამე პირების უფლებებისაგან. ²ახალი გამყიდველის განკარგვას უთანაბრდება იძულებითი აღსრულების პროცესში ან ყადაღის დადებისას, ანდა გაკოტრების მმართველის მიერ განხორციელებული განკარგვა.

§ 459. ხარჯების ანაზღაურება

¹ახალ გამყიდველს შეუძლია, მოითხოვოს გამოსყიდვამდე გაყიდულ ნივთზე განეული ხარჯების ანაზღაურება იმ ფარგლებში, რომლებშიც გაიზარდა ნივთის ღირებულება ხარჯების შედეგად. ²მას შეუძლია, მოაცილოს ის მოწყობილობები, რომლითაც მან დასაბრუნებელი ნივთი აღჭურვა.

§ 460. გამოსყიდვა შეფასებითი ღირებულებით

თუ გამოსყიდვის ფასის სახით შეთანხმებულია გამოსყიდვის მომენტისათვის გაყიდული ნივთის შეფასებითი ღირებულება, მაშინ ახალი გამყიდველი პასუხს არ აგებს გაყიდული ნივთის გაუარესებისა თუ განადგურებისათვის, ანდა იმისათვის, რომ მისი ბრალით ნივთის დაბრუნება სხვა მიზეზით შეუძლებელი გახდა, ხოლო გამომსყიდველი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ნივთზე განეული ხარჯები.

§ 461. გამოსყიდვაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი

¹თუ გამოსყიდვის უფლება ერთობლივად ეკუთვნის რამდენიმე პირს, მაშინ იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთობლივად. ²თუ უფლება უქმდება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის, ან ერთ-ერთი მათგანი არ ახორციელებს თავის უფლებას, მაშინ დანარჩენი პირები უფლებამოსილნი არიან, ერთობლივად განახორციელონ გამოსყიდვის უფლება.

§ 462. ხანდაზმულობის ვადა

¹გამოსყიდვის უფლება შეიძლება განხორციელდეს მიწის ნაკვეთების შემთხვევაში, დათქმის გაკეთებიდან მხოლოდ 30 წლის, ხოლო სხვა საგნების შემთხვევაში = 3 წლის ვადის გასვლამდე. ²თუ უფლების განხორციელებისათვის დადგენილია ვადა, მაშინ ეს უკანასკნელი ცვლის კანონისმიერ ვადას.

თავი 3. უპირატესი შესყიდვის უფლება**§ 463. უფლების განხორციელების წინაპირობები**

პირი, რომელიც უფლებამოსილია ნივთის უპირატეს შესყიდვაზე, შეუძლია უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება მაშინ, როდესაც ვალდებულები პირი მესამე პირთან დადებს ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას.

§ 464. უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება

(1) ¹უპირატესი შესყიდვის უფლება ხორციელდება ვალდებულები პირის მიმართ გაკეთებული განცხადებით. ²განცხადება არ საჭიროებს ნასყიდობის ხელშეკრულებისადმი დადგენილი სავალდებულო ფორმის დაცვას.

(2) უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელებით უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომლებიც ვალდებულმა პირმა შეათანხმა მესამე პირთან.

§ 465. სამართლებრივი ძალის არმქონე შეთანხმებები

ვალდებულები პირის შეთანხმება მესამე პირთან, რომლითაც ნასყიდობის ხელშეკრულება დამოკიდებული ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების განუხორციელებლობაზე, ან რომლითაც ვალდებულ პირს უნარჩუდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების შემთხვევაში, სამართლებრივი ძალის არმქონეა უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირის მიმართ.

§ 466. დამატებითი შესრულებები

¹თუ მესამე პირმა ხელშეკრულებით იკისრა დამატებითი შესრულება, რომლის განხორციელების შესაძლებლობაც უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს არა აქვს, მაშინ მან დამატებითი შესრულების ნაცვლად უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება. ²თუ დამატებითი შესრულების ფულადი შეფასება შეუძლებელია, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება დაუშვებელია; თუმცა, დამატებითი შესრულების თაობაზე შეთანხმება მხედველობაში არ მიიღება, თუ მესამე პირთან ხელშეკრულება დაიდებოდა ასეთი შეთანხმების გარეშე.

§ 467. საერთო ფასი

¹თუ მესამე პირმა სხვა საგნებთან ერთად საერთო ფასად შეიძინა საგანი, რომელზეც ვრცელდება უპირატესი შესყიდვის უფლება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირმა უნდა გადაიხადოს საერთო ფასის შესაბამისი წილი.

²ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს უპირატესი შესყიდვის გავრცელება ყველა იმ ნივთზე, რომლებიც არ შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს მათთვის ზიანის მიყენების გარეშე.

§ 468. ნასყიდობის ფასის გადახდის გადავადება

(1) თუ მესამე პირს ხელშეკრულებაში გადავადდა ნასყიდობის ფასის გადახდა, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია გადავადებაზე მიუთითოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გადავადებული თანხისათვის წარადგენს უზრუნველყოფას.

(2) ¹თუ უპირატესი შესყიდვის უფლების საგანია მინის ნაკვეთი, მაშინ უზრუნველყოფის წარდგენა საჭირო არ არის იმდენად, რამდენადაც შეთანხმებულია გადავადებული თანხისათვის მინის ნაკვეთზე იპოთეკის დადგენა ან ხდება იმ ვალის ნასყიდობის ფასის ანგარიშში ჩათვლა, რომლისთვისაც მინის ნაკვეთზე არსებობს იპოთეკა. ²იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც უპირატესი შესყიდვის უფლების საგანია რეგისტრირებული საზღვაო ხომალდი ან მშენებარე საზღვაო ხომალდი.

§ 469. შეტყობინების ვალდებულება; უფლების განხორციელების ვადა

(1) ¹ვალდებულმა პირმა უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მესამე პირთან დადებული ხელშეკრულების შინაარსი. ²ვალდებული პირის მიერ შეტყობინება შეიძლება შეიცვალოს მესამე პირის მიერ შეტყობინებით.

(2) ¹უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მინის ნაკვეთების შემთხვევაში შეტყობინების მიღებიდან მხოლოდ ორი თვის ვადის გასვლამდე, ხოლო სხვა საგნების შემთხვევაში, შეტყობინების მიღებიდან მხოლოდ ერთი კვირის ვადის გასვლამდე. ²თუ უფლების განხორციელებისათვის დადგენილია ვადა, მაშინ ეს უკანასკნელი ცვლის კანონისმიერ ვადას.

§ 470. კანონისმიერი მემკვიდრისათვის ნივთის მიყიდვა

დავის შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლება არ ვრცელდება ნივთის კანონისმიერი მემკვიდრისათვის მიყიდვაზე, რაც ხორციელდება მომავალი მემკვიდრეობის უფლების გათვალისწინებით.

§ 471. ნივთის მიყიდვა იძულებითი აღსრულების პროცესში ან გაკოტრებისას

უპირატესი შესყიდვის უფლება გამორიცხულია, თუ ნივთის მიყიდვა ხდება იძულებითი აღსრულების პროცესში ან გაკოტრების მასიდან.

§ 472. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე რამდენიმე პირი

¹თუ უპირატესი შესყიდვის უფლება ეკუთვნის რამდენიმე პირს ერთობლივად, მაშინ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთობლივად. ²თუ უფლება უქმდება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის ან ერთ-ერთი მათგანი არ ახორციელებს თავის უფლებას, მაშინ დანარჩენი პირები უფლებამოსილნი არიან, ერთობლივად განახორციელონ გამოსყიდვის უფლება.

§ 473. უპირატესი შესყიდვის უფლების გადაცემის დაუშვებლობა

¹უპირატესი შესყიდვის უფლება არ ექვემდებარება გადაცემას და ასევე არ გადადის უფლებამოსილი პირის მემკვიდრეებზე, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი. ²თუ უფლება შეზღუდულია განსაზღვრული ვადით, მაშინ დავის შემთხვევაში იგი ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემას.

**ქვეკარი 3. მენარმესა და მომხმარებელს შორის მოძრავ
ნივთთან დაკავშირებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება
(სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა)**

§ 474. სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ცნება

(1) ¹თუ მომხმარებელი მენარმისგან ყიდულობს მოძრავ ნივთს (სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა), დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული ნორმები. ²ეს არ მოქმედებს მეორადი ნივთების მიმართ, რომლებიც იყიდება საჯარო აუქციონზე, მასში პირადად მონაწილეობა შეუძლია მომხმარებელს.

(2) ¹წინამდებარე თავში მოწესრიგებული ნასყიდობის ხელშეკრულებების მიმართ გამოიყენება § 439-ის მე-4 ნაწილი იმ პირობით, რომ სარგებელი არ ექვემდებარება გადაცემას ან ღირებულებით ანაზღაურებას. ²§§ 445 და 447 არ გამოიყენება.

1. ზოგადი მიმოხილვა. მე-3 ქვეკარი ეხმიანება 1999 წლის 25 ივნისის სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივას (ABI 1999 Nr L 171, 12). იგი შეიცავს სპეციალური რეგულირებების მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობას, ვინაიდან ნასყიდობის სამართლის ნორმების გაორების თავიდან ასაცილებლად დირექტივის უამრავი დებულება აისახა ჯერ კიდევ ნასყიდობის სამართლის ზოგად ნორმებში (შდრ. § 433-ის შესავალი, ველი 1). სამომხმარებლო ნასყიდობისთვის, ისევე, როგორც სხვა ნასყიდობის შემთხვევებისთვის, მოქმედებს § 433 და მისი მომდევნო ნორმები (გამონაკლისებს ასახელებს § 474-ის მე-2 ნაწილი); § 474 და მისი მომდევნო ნორმები კი ავრცობენ ამ ნორმებს (ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება: „დამატებით გამოიყენება“). დაუშვებელია მომხმარებლის საზიანოდ ამ ნორმებისგან განსხვავებულზე შეთანხმება (§ 475-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).

2. ცნებები. ა) ნორმის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში დარეგულირებული სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ცნება იყენებს ტერმინებს: „**მომხმარებელი**“ და „**მენარმი**“. ეს ტერმინები განმარტებულია კოდექსის §§ 13-სა და 14-ის პირველ ნაწილში. ხელშეკრულებები, დადებული თვითონ მენარმეთა ან მომხმარებელთა შორის, ასევე ისეთებიც, როდესაც მომხმარებელი გამოიყენებდა, არ ექვემდებარება § 474-სა და მისი მომდევნო ნორმების ფარგლებში განხილვას. § 478-ში მოცემულია სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის განსაკუთრებული რეგულირება, რომელიც ეხება მენარმეთა შორის რეგრესს; ბ) ნასყიდობის საგანი სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებებში ყოველთვის **მოძრავი ნივთია** (შდრ. § 90). მაშასადამე, სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი ვერ იქნება უფლებები (შდრ. § 433-ის მე-3 ველი), მიწის ნაკვეთები და მათი შემადგენელი ნაწილები (შდრ. § 95). როგორც წესი, მეორადი (ნახმარი) ნივთებიც შესაძლოა იყოს სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის საგანი (არგ.: ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადა.); გ) ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში მოყვანილი ტერმინისთვის „**საჯარო აუქციონი**“ გამოიყენება § 383-ის მე-3 ნაწილის კანონისმიერი დეფინიცია. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება (BGH NJW 2006, 613), რომელიც განსხვავდება ლიტერატურაში ნაკლებად გავრცელებული მოსაზრებისგან. ნაკლებად გავრცელებული მოსაზრება მიიჩნევს, რომ საჯარო აუქციონად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი აუქციონი, დამოუკიდებლად ამ აუქციონის ჩამტარებელი პირებისა და ადგილისა, სადაც მომხმარებლის მონაწილეობა, ზოგადი თვალსაზრისით, დაშვებულია (შდრ. *Wertenbruch* NJW 2004, 1977, 1981). ინტერნეტაუქციონებიც მსგავსად არ ექცევა ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მოქმედების ფარგლებში, ვინაიდან მათ აკლიათ პიროვნული მონაწილეობის დამდგენი

ნიშანი (რთულად დგინდება, ხელშეკრულება მართლა მენარმესა და მომხმარებელს შორის იდება თუ არა).

- 3 **3.** ვეროკავშირის სასამართლოს მიერ სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივის მოქმედების სფეროს განსაზღვრის შედეგად დადგინდა, რომ ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრული მყიდველის ვალდებულება, დამატებითი შესრულების ფარგლებში უკან დააბრუნოს ნაკლიანი ნივთი, §§ 346, 439-ის მე-4 ნაწილის შესაბამისად, უნდა შეიზღუდოს მხოლოდ მიღებული ნივთის უკან გადაცემით (იხ. § 439-ის მე-9 ველი); ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ნივთის გაგზავნით ნასყიდობის შემთხვევებში, **რისკის გადასვლის შესახებ განსაკუთრებული რეგულირება (§ 447)** არ მოქმედებს სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებებისთვის (იხ. § 447 ველი 1).

§ 475. კანონის ნორმებისაგან განსხვავებული შეთანხმებები

(1) 'მენარმეს არ შეუძლია მიუთითოს მისთვის ნაკლის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე დადებულ შეთანხმებაზე, რომელიც მომხმარებლის საზიანოდ, §§ 433-435-ის, 437-ის, 439-443-ისა და წინამდებარე თავში მოცემული ნორმებისაგან განსხვავებულად აწესრიგებს. ²პირველ წინადადებაში მითითებული ნორმები გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ გვერდს უვლიან სხვაგვარი გაფორმებით.

(2) § 437-ში მითითებული მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა მენარმისთვის ნაკლის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე არ შეიძლება გარიგებით შემცირდეს, თუ შეთანხმებას მიყვავართ ორ წელზე ნაკლებ ხანდაზმულობის ვადამდე კანონისმიერი ხანდაზმულობის ვადის დაწყებიდან, ან მეორადი ნივთების მიმართ, ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადამდე.

(3) მიუხედავად §§ 307-309-ისა, ამ ნორმის პირველი და მე-2 ნაწილები არ მოქმედებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების გამორიცხვისა თუ შეზღუდვისათვის.

- 1 ნასყიდობის ზოგად ნაწილში გამყიდველს, § 444-ის თანახმად, მხოლოდ განზრახ მოტყუების ან თვისებრიობაზე აღებული გარანტიის შემთხვევებში არ შეუძლია **პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე** მიუთითოს. სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შემთხვევაში, ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, კერძო ავტონომიის ზემოაღნიშნული შეზღუდვა საკმაოდ ფართოვდება. მენარმეს უფლება არ აქვს, მიუთითოს რაიმე შეთანხმებაზე (ამ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით იხ. § 444 ველი 1), რომელიც შეიცავს ნორმის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ნორმებისაგან ან სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ სპეციალური ნორმებისგან განსხვავებულ, მომხმარებლისთვის საზიანო დათქმებს. გამონაკლისი მოცემულია ნორმის მე-3 ნაწილში ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელსაც განსაკუთრებით დამამძიმებელი შედეგი მოაქვს (§ 437-ის № 3); თუმცა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ მაინც მოქმედებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მაკონტროლებელი ნორმები, §§ 307-309. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება ეხება მხოლოდ მენარმისთვის „ნაკლის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე“ შეთანხმებას (მაგ., ნასყიდობის გაფორმებისას); მოგვიანებით, მაგალითად, მორიგებით მიღწეული შეთანხმება ამ რეგულირებაში არ მოიაზრება. ნორმის მე-2 ნაწილში მოხსენიებულ **ხანდაზმულობის შესახებ შეთანხმებებთან** დაკავშირებით იხილეთ § 438-ის მე-5 ველი.

§ 476. მტკიცების ტვირთის გადასვლა

თუ რისკის გადასვლის მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში ნივთობრივი ნაკლი თავად გამოვლინდა, მაშინ ივარაუდება, რომ ნივთი უკვე რისკის გადასვლისას

იყო ნაკლის მქონე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ვარაუდი არ შეესაბამება ნივთის ან ნაკლის ბუნებას.

1. ნორმა შეიცავს ვარაუდს, რომ ნივთი რისკის გადასვლის მომენტში ნაკლიანი იყო, თუ ნაკლმა თავი იჩინა რისკის გადასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში. მტკიცების ტვირთის მენარმეზე გადატანით (შებრუნებით) ნორმა ანგარიშს უწევს მომხმარებლისთვის მოსალოდნელ მტკიცების სირთულეებს და ამით სხვაგვარად არმეგულორებს ზოგად ნორმებში განსაზღვრულ მტკიცების ტვირთის განაწილების წესს (შდრ. § 434 ველი 2). კანონმდებლის ჩანაფიქრის მიხედვით, ამ ნორმამ უკეთესად უნდა დაიცვას მომხმარებელი.

2. § 476-ის მოქმედების სფერო ვრცელდება მენარმეა და მომხმარებელს შორის წარმოშობილ ყველა მოთხოვნაზე, რომლებიც გამომდინარეობენ ნაკლის გამო პასუხისმგებლობიდან და რომელთა დროსაც საქმე ეხება იმის დადგენას, გაყიდული ნივთი რისკის გადასვლის დროს ნაკლიანი იყო თუ არა. ამასთანავე, § 476-ის რეგულირება მოქმედებს მაშინაც, როდესაც რისკის გადასვლის მომენტში ნაკლის არსებობა უნდა დადგინდეს სხვა მოთხოვნებისთვის, მაგალითად, § 812-ისთვის (BGH NJW 2009, 580 Nr 15).

3. მაშინ, როდესაც რისკის გადასვლის მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში ნასყიდობის ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი, მომხმარებელმა უნდა წარადგინოს და დამტკიცოს, რომ ნივთი ნაკლიანია. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, § 476 მხოლოდ დროის თვალსაზრისით მოქმედ ვარაუდს შეიცავს, რომ ნივთის ნაკლი უკვე არსებობდა რისკის გადასვლის მომენტში. ეს ვარაუდი არ მოქმედებს იმ საკითხის დადგენისას, სახეზეა თუ არა საერთოდ ნაკლი. პირიქით, ნაკლის არსებობის დამტკიცება არის ვარაუდის წინაპირობა (BGH NJW 2004, 2299, 2300). რისკის გადასვლის შემდგომ წარმოჩენილი ნაკლი, შესაძლოა, რისკის გადასვლის დროისთვის უკვე არსებული ძირითადი ნაკლის შედეგი იყოს. ამ შემთხვევებში გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს შეხედულებით, მყიდველმა უნდა დაამტკიცოს, რომ რისკის გადასვლის დროისათვის ასეთი ძირითადი ნაკლი არსებობდა (BGH NJW 2006, 2250 Nr 35). მაგალითად, თუ შექმნილი ტელევიზორი გადაცემის დროისათვის აწყობილია ცუდად დამუშავებული ცალკეული ნაწილებით (ძირითადი ნაკლი), რაც გამოიწვევს იმას, რომ ტელევიზორი 3 თვის შემდგომ ნორმალურად აღარ აჩვენებს (შედეგობრივი ნაკლი), მყიდველმა (მომხმარებელმა) უნდა დაამტკიცოს ფუნქციის მოშლის მიზეზი, მაშასადამე, ის, რომ ტელევიზორი ცუდად დამუშავებულ ცალკეულ ნაწილებს შეიცავდა. ამის დამტკიცება, ხშირ შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ ვერ ხერხდება.

4. სწორედ ამის გამო, ლიტერატურაში წარმოდგენილი მოსაზრებით, § 476-ის ვარაუდი უნდა გავრცელდეს ნივთის ნაკლის არსებობაზეც. შედეგად, ნორმის მიხედვით, შესაძლებელი იქნებოდა იმ ვარაუდის ქონა, რომ შემდგომი ექვსი თვის განმავლობაში წარმოჩენილი ნაკლი რისკის გადასვლის მომენტში უკვე არსებული ძირითადი ნაკლის შედეგი იყო (Bamberger/Roth-Faust, მე-9 და მომდევნო ველეები). § 475-ის მიზანი მომხმარებლის დაცვა და მისი სამართლებრივი მდგომარეობის გააუმჯობესებაა, ვინაიდან, მენარმესთან შედარებით, მომხმარებლისთვის რთულია ნაკლის არსებობის მტკიცება თუნდაც იმიტომ, რომ მან პროდუქციის შესახებ (მენარმესთან შედარებით) უფრო ნაკლები იცის. ამიტომ, § 475-ის მიზანი ამართლებს ლიტერატურაში წარმოდგენილ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას (RegE, BT-Drucks 14/6040, S 245). ნასყიდობის ზოგად ნორმებთან შედარებით, მომხმარებლის სამართლებრივ პოზიციას ნაკლებად წაადგებოდა, თუ მას მოუწევდა წარმოჩენილი ძირითადი ნაკლის არსებობის მტკიცება. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებითაც შესაძლებელია ანალოგიური აზრის შეცნობა: ივარაუდება არა ის, რომ ზუსტად ის ნაკლი, რომელიც აღმოჩნდა, ჯერ კიდევ რისკის გადასვლისას

არსებობდა, არამედ ის, რომ რისკის გადასვლის მომენტისთვის ნივთი ნაკლიანი იყო (*Bamberger/Roth-Faust*, მე-10 ველი).

- 5 4. ნორმაში მოაზრებული ვარაუდიდან **გამონაკლისი „ნივთის ბუნების“** გამო არ მოიაზრებს ერთმნიშვნელოვნად მეორად (ნახმარ) ნივთებს (მაგ., ნახმარი ავტომობილი) ან ცხოველის ნასყიდობის შემთხვევებს (*BGH NJW 2007, 2619 Nr 9*). თუმცა, ეს გამონაკლისი პირდაპირ ეხება მალფუჭებად ნივთებს. **„ნაკლის ბუნებასთან“** მიმართებით ვარაუდი არ ჩაითვლება შეუსაბამოდ მაშინაც კი, როდესაც ნაკლი (მაგ., მანქანის ჩონჩხის ზიანი) ნებისმიერ დროს შეიძლება წარმოჩნდეს და ამის გამო არ იძლევა მყარ საფუძველს იმისას, რომ ასეთი ნაკლი რისკის გადასვლის მომენტისთვის უკვე არსებობდა. ეს რომ სხვანაირად ყოფილიყო, ნორმით განსაზღვრული ვარაუდის დებულება ისეთ შემთხვევებში არ იმოქმედებდა, როდესაც ნაკლის წარმოშობის მომენტი დაზუსტებულად ვერ დგინდება, რაც გამოიწვევდა მომხმარებლისადმი „შეპირებული“ დაცვის მოშლას (*BGH NJW 2005, 3490, 3492*). ამისგან განსხვავებით, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო მიიჩნევს, რომ ვარაუდი ნაკლის სახესთან შეუსაბამოა მაშინ, როდესაც საქმე ეხება ნივთის გარე დაზიანებებს, რომლის შემჩნევაც დარგში გაუცნობიერებელ მყიდველსაც უნდა შეეძლოს. თუ მსგავს შემთხვევაში მყიდველი ნივთს პრეტენზიის წარდგენის გარეშე მიიღებს, ეს ფაქტი ეწინააღმდეგება იმ ვარაუდს, რომ ნაკლი ჯერ კიდევ რისკის გადასვლის მომენტისთვის იყო სახეზე.

§ 477. სპეციალური დებულებები გარანტიისათვის

(1) ¹გარანტიის კისრება (**§ 443**) განცხადებულ უნდა იქნეს მარტივად და გასაგებად. ²იგი უნდა შეიცავდეს:

1. მითითებას მომხმარებლის კანონით დადგენილ უფლებებზე, ასევე იმაზე, რომ ეს უფლებები გარანტიით არ არის შეზღუდული; და
2. გარანტიის შინაარსსა და ყველა არსებით მონაცემს, რომლებიც საჭიროა გარანტიიდან გამომდინარე უფლების რეალიზაციისათვის, განსაკუთრებით, საგარანტიო დაცვის ხანგრძლივობასა და მოქმედებას სივრცეში, ისევე როგორც გარანტიის მიმცემის სახელსა და მისამართს.

(2) მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს გარანტიის განცხადების მისთვის ტექსტუალური ფორმით მოწოდება.

(3) გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულების კისრების სამართლებრივი ძალა არ იზღუდება იმით, რომ ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული მოთხოვნათაგანი არ არის შესრულებული.

- 1 ნორმა ავრცობს § 443-ს. § 475-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, არ შეიძლება § 443-ის გვერდის ავლით ისეთი შეთანხმების ფორმულირება, რომლითაც ზიანი მიადგება მომხმარებელს. იმ შემთხვევაში, როდესაც გარანტიის შესახებ განცხადება ნორმის პირველი ნაწილის დათქმისგან განსხვავებულია ან ბუნდოვანი, იგი განიმარტება მენარმის საზიანოდ. გარანტიის შესახებ სტანდარტულ განცხადებასთან დაკავშირებით იხილეთ § 305გ-ს მე-2 ნაწილი. ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების № 1-ს სურს, თავიდან აიცილოს ის შედეგი, რომ გარანტიის ბუნდოვანი განცხადების გამო, მომხმარებელს წარმოემუვას დაბრკოლება ნაკლის გამო წარმოშობილი კანონისმიერი მოთხოვნების განხორციელებისა, რომლებიც მას, § 443-ის იმპერატიული რეგულირების მიხედვით, გარანტიასთან ერთად ყველა შემთხვევაში აქვს. გარანტიის შინაარსი, შესაძლებელია, დადგენილ იქნეს გარანტიის მიმცემის მიერ ცალმხრივად (იხ. § 443 ველი 4), თუმცა, ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების № 2-ის თანახმად, ეს ცხადი უნდა იყოს მომხმარებლისთვის. § 447-ში დადგენილი მოთხოვნების დაუცველობა, ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, არ იწვევს გარანტიის მთლიანი ვალდებულების ბათილობას;

ვინაიდან, ეს გამოიწვევდა მომხმარებლის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას, რაც § 477-ის მიზანი არ არის.

§ 478. მენარმის რეგრესის უფლება

(1) თუ მენარმეს უკან უნდა მიეღო ახალნარმოებული გაყიდული ნივთი ამ უკანასკნელის ნაკლის გამო, ან, თუ მომხმარებელმა შეამცირა ნასყიდობის თანხა, არ არის აუცილებელი, მენარმისათვის დადგინდეს ვადა, რომელიც სხვა შემთხვევაში საჭირო იქნებოდა § 437-ის საფუძველზე ნივთის გამყიდველი მენარმის (მიმწოდებლის) მიმართ ნაკლთან დაკავშირებით მომხმარებლის კუთვნილი უფლების რეალიზაციისათვის.

(2) ახალნარმოებული ნივთის ნასყიდობისას მენარმეს შეუძლია, თავისი მიმწოდებლისაგან მოითხოვოს იმ დანახარჯების ანაზღაურება, რომლებიც მენარმეს უნდა გაენია მომხმარებელთან მიმართებით, § 439-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ უკანასკნელის მიერ ნაკლთან დაკავშირებული უფლება უკვე არსებობდა რისკის მენარმეზე გადასვლის მომენტში.

(3) პირველ და მე-2 ნაწილებში მოცემულ შემთხვევებში გამოიყენება § 476 იმ პირობით, რომ ვადის დენა იწყება მომხმარებელზე რისკის გადასვლის მომენტიდან.

(4) ¹თუ რეგრესის კრედიტორს არ მიეცემა ეკვივალენტური საზღაური, მიმწოდებელს არ შეუძლია მიუთითოს მისთვის ნაკლის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე დადებულ შეთანხმებაზე, რომელიც მენარმის საზიანოდ §§ 433-435-ის, 437-ის, 439-443-ის, ან ნორმის პირველი-მე-3 ნაწილების და § 479-ის რეგულირებებისგან განსხვავებულად აწესრიგებს. ²მიუხედავად § 307-ის რეგულირებისა, ამ ნაწილის პირველი წინადადება არ მოქმედებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამორიცხვისა თუ შეზღუდვის მიმართ. ³პირველ წინადადებაში მითითებული ნორმები გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ გვერდს უფლიან სხვაგვარი გაფორმებით.

(5) ამ ნორმის პირველი-მე-4 ნაწილები შესაბამისად გამოიყენება მიმწოდებლისა და მიწოდების ჯაჭვის სხვა დანარჩენი მყიდველების გამყიდველებისადმი არსებული მოთხოვნების მიმართ, თუ მოვალეები მენარმე სუბიექტები არიან.

(6) სავაჭრო კოდექსის § 377 უცვლელი რჩება.

1. ზოგადი მიმოხილვა. ნორმის მიზანია, თავიდან აიცილოს ის უარყოფითი შედეგი, რაც შესაძლოა, სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შემთხვევაში, მყიდველის (მომხმარებლის) გაუმჯობესებული დაცვის გამო, საცალო მოვაჭრის (გამყიდველის) საზიანოდ დადგეს მაშინ, როდესაც მისი პასუხისმგებლობის საფუძველი, სახელდობრ, ნივთის ნაკლი, მისი მიზეზით კი არ წარმოშობილა, არამედ გამომდინარეობს დამზადების პროცესში დაშვებული შეცდომიდან (RegBegr BT-Drucks 14/6040, 247). § 478 უმარტივეს პროდუქციის ბოლო გამყიდველს (რომელსაც მომხმარებელმა ნაკლის გამო მოთხოვნა წარუდგინა) რეგრესის შესაძლებლობას თავისი „მიმწოდებლების“ მიმართ (განმარტავს ნორმის პირველი ნაწილი), მაშასადამე, აძლევს რეგრესის განხორციელების შესაძლებლობას ბითუმად მოვაჭრის ან მწარმოებლის მიმართ. რეგრესი უნდა განხორციელდეს არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში. მაშასადამე, ბოლო გამყიდველს ვერ ექნება რეგრესის უფლება პირდაპირ მწარმოებლის მიმართ, თუ მან პროდუქცია არა ამ უკანასკნელისგან, არამედ რომელიმე ბითუმად მოვაჭრისგან შეიძინა. საცალო მოვაჭრის რეგრესის განხორციელების გამარტივებული შესაძლებლობა ბითუმად მოვაჭრის მიმართ მოქმედებს, ასევე, ბითუმად მოვაჭრესა და დამამზადებელს შორის ურთიერთობაში, რომლისგანაც მან შეიძინა პროდუქცია (ნორმის მე-5 ნაწილი; მიმწოდებელთა ჯაჭვი).

- 2 **2. ნორმის პირველი** ნაწილი არ ანიჭებს მენარმეს (§ 14-ის პირველი ნაწილი) ახალ მოთხოვნებს ან უფლებებს თავისი მიმწოდებლების მიმართ. აქ აქცენტი კეთდება უფრო მენარმის იმ მოთხოვნათა განხორციელების გამარტივებაზე, რომლებიც მას § 437-ით აქვს მინიჭებული (**რეგრესის გამარტივება – Regresserleichterung**). მენარმის მიერ დამატებითი შესრულებისთვის სავალდებულო ვადის დადგენა არ არის აუცილებელი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას, §§ 437-ის №2-ის, 323-ის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლა უნდა. მენარმეს (ბოლო გამყიდველს) უნდა შეეძლოს ნაკლიანი ნივთის, რაც შეიძლება უპრობლემოდ, თავის მიმწოდებლებისთვის უკან დაბრუნება (**RegBegr BT-Drucks 14/6040, 247**).
- 3 **3. რამდენიმე წინაპირობა** უნდა შესრულდეს, ნორმის პირველი ნაწილის შედეგი რომ დადგეს: **ა)** საქმე უნდა ეხებოდეს **ახალდამზადებულ ნივთებს**. ნახმარი ნივთის შემთხვევაში, როგორც წესი, არ არის მოცემული გაყიდვების ჯაჭვი, რომლისთვისაც გამართლებული იქნებოდა რეგრესის ასეთი კუთხით გამარტივება; **ბ)** მენარმესა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობაში მოცემული უნდა იყოს **ზუსტად იგივე ნივთობრივი ნაკლი**, რაც წარმოჩნდა მენარმესა და მომხმარებელს შორის ურთიერთობაში. აქ საკითხი განიხილება ზოგადი შეხედულებით, ვინაიდან სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შემთხვევაშიც ნაკლის ცნება განისაზღვრება § 434-ით. თუმცა, სხვანაირადაა საქმე მაშინ, როდესაც მხოლოდ ნასყიდობის ერთ ხელშეკრულებაში მოხდა შეთანხმება განსახილველ თვისებრიობასთან დაკავშირებით, § 434-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად. საილუსტრაციო მაგალითი (**RegBegr BT-Drucks 14/6040, 248**): სარეცხი მანქანა, რომელსაც ნაკანრები აქვს, ბითუმად მოვაჭრემ მიჰყიდა საცალო მოვაჭრეს, მაგრამ მიუთითა დეფექტზე და, შესაბამისად, ფასიც შეუმცირა. საცალოდ მოვაჭრემ მომხმარებელს დაუმალა ეს დეფექტი. ამ შემთხვევაში, ბითუმად მოვაჭრესა და საცალოდ მოვაჭრეს შორის ურთიერთობაში არ არის მოცემული ნაკლი ნივთის თვისებრიობაზე შეთანხმების გამო, თუმცა, ეს დეფექტი ნაკლად ჩაითვლება საცალოდ მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის ურთიერთობაში; საცალოდ მოვაჭრეს არ შეუძლია, მომხმარებელთან გაფორმებული ნასყიდობიდან გამომდინარე უარყოფითი შედეგები ბითუმად მოვაჭრეს წარუდგინოს; **გ)** ბოლო გამყიდველზე **რისკის გადასვლის დროისთვის** ნაკლი უკვე უნდა იყოს სახეზე (როგორც ეს § 434-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარეობს). ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს მტკიცებების ტვირთის გადასვლას ნორმის მე-3 ნაწილისა და § 476-ის შესაბამისად; ამასთან დაკავშირებით, იხილეთ ქვემოთ, მე-5 ველი. რეგრესი გამოირიცხება იმ შემთხვევაში, თუ ნაკლი ბოლო გადამყიდველთან წარმოიშვა პროდუქციის არასათანადო (არასწორი) განთავსების გამო; **დ)** ბოლო გამყიდველი **ვალდებული უნდა იყოს** ნივთის უკან მიღებაზე ან ნასყიდობის ფასის შემცირებაზე. ეს წინაპირობა შესრულებულია მაშინ, როდესაც ბოლო გამყიდველმა ნივთი უკან მიიღო დამატებითი შესრულების ფარგლებში (§ 439-ის მე-4 ნაწილი), ხელშეკრულებიდან გასვლის შემდგომ ან სრული ზიანის ანაზღაურების (მდრ. § 281-ის მე-5 ველი) განხორციელების შემდგომ. აქ არ მოიაზრება ისეთი შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულება სხვა მიზეზით უკუიქცა და არა ნაკლის გამო (მაგ., ხელშეკრულებით შეთანხმდა ხელშეკრულებიდან გასვლა ან მომხმარებელმა შეწყვიტა ხელშეკრულება შესაბამისი უფლების განხორციელების შედეგად). არ გაითვალისწინება, ასევე, ის შემთხვევა, როდესაც ბოლო გამყიდველი ნივთს (პროდუქტს) უკან მიიღებს ნებაყოფლობით, ვინაიდან ამ დროს მისი ვალდებულება – „უნდა“ მიიღოს ნივთი – არ არსებობს (**RegBegr BT-Drucks 14/6040, 247f**); **ე)** მოთხოვნის **„წმინდა რეგრესის ინტერესით“** შეზღუდვა არ მოიაზრება (**MüKo-Lorenz, 22-ე ველი**). გამომდინარე აქედან, ვადის განსაზღვრა მაშინაც ზედმეტია, როდესაც მენარმე თავისი მიმწოდებლების მიმართ იმ სამართლებრივი საფუძვლით არ ახორციელებს რეგრესს, რა საფუძვლითაც მომხმარებელმა განახორციელა მის მიმართ მოთხოვნა.

4. ნორმის მე-2 ნაწილი მენარმეს (ბოლო გამყიდველს) თავისი მიმწოდებლების მიმართ ანიჭებს § 437-ისგან დამოუკიდებელ, დამატებით მოთხოვნას **დანახარჯების ანაზღაურების თაობაზე**, რამეთუ მას მოუწია § 439-ის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დამატებითი შესრულების ხარჯების განევა (აქ არ იგულისხმება ის დანახარჯები, რომლებიც მან ნივთის ნებაყოფლობით უკან მიღებისას გაიღო). მოთხოვნის წინაპირობა არ არის მიმწოდებლის ბრალეულობა, თუმცა, საჭიროა ნივთობრივი ნაკლის იდენტიფიკაცია (იხ. ზემოთ, მე-3 ველი, „ბ“ პუნქტი) და რისკის მენარმეზე გადასვლის მომენტში ამ ნაკლის არსებობა (იხ. ზემოთ, მე-3 ველი „გ“ პუნქტი). სამართლიანად უნდა იქნეს მიჩნეული ამ დანახარჯების საბოლოოდ მწარმოებელზე დაკისრება, თუ დანახარჯების გამონვევის მიზეზი მწარმოებლის შეცდომაა; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულია მიწოდების ჯაჭვი, ანუ სახეზეა მრავალი გადაყიდვა, დანახარჯების მწარმოებლისადმი დაკისრება შესაძლებელია იმავე პრინციპით, მწარმოებლისგან ნივთის პირველი შემქმნის მიერ განხორციელებული რეგრესის ფარგლებში (შდრ. ნორმის მე-5 ნაწილი). ნორმის მე-2 ნაწილში არ მოიაზრება აუტოსორსინგის ხარჯები, ანუ ის ხარჯები, რომელთაც ბოლო გამყიდველი გასწევს რეგრესის ფარგლებს გარეთ სხვისგან ნივთის შესაძენად. უფრო მეტიც, ბოლო გამყიდველი, როდესაც იგი არ არის მზად, განახორციელოს დამატებითი შესრულება, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეცადოს, რომ მიმწოდებელი ჩართოს დამატებით შესრულებაში (*Böhle NJW 2003, 3680, 3681*).

5. ნორმის მე-3 ნაწილი უშვებს § 476-ის ვარაუდს (რომელიც მომხმარებლის სამართლებრივ მდგომარეობას აუმჯობესებს მაშინ, როდესაც ნაკლოვანების ზუსტი დროის მომენტი ვერ დგინდება) ბოლო გამყიდველის სასარგებლოდ. ბოლო გამყიდველს, რომელსაც არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ ნივთის ნაკლი ჯერ კიდევ მიწოდებისას იყო მოცემული, ნაკლის არსებობის ვარაუდი ეხმარება, მიმწოდებლების მიმართ განახორციელოს მოთხოვნა, თუ ნაკლი გამოვლინდა ნივთის მომხმარებლისათვის მიწოდებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

6. ნორმის მე-4 ნაწილი პასუხისმგებლობის გამორიცხვის აკრძალვას, რომელიც, § 475-ის პირველი და მე-3 ნაწილების მიხედვით, ბოლო გამყიდველსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობაში მოქმედებს, ავრცელებს ბოლო გამყიდველსა და მის მიმწოდებელს შორის ურთიერთობაზე. § 475-მა, რომელიც მომხმარებელს იცავს გამყიდველის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი დათქმებისაგან, არ უნდა დაამძიმოს ბოლო გამყიდველის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც, თავის მხრივ, ასევე კანონის მიერაა დაცული, ვინაიდან ნივთის ნაკლი, ძირითად შემთხვევებში, დამზადების პროცესიდან გამომდინარეობს.

7. ნორმის მე-6 ნაწილი ხელუხლებლად ტოვებს **საქონლის შემონებისა და პრეტენზიის ნარდგენის** სავაჭროსამართლებრივ ვალდებულებას, რომელიც დარეგულირებულია გერმანიის სავაჭრო კოდექსში (§ 377⁸⁸). არ არსებობს იმის

88 (1) იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობა ორივე მხარისთვის სავაჭრო გარიგებაა, მყიდველი მოვალეა, საქონელი გამყიდველის მიერ მისთვის მიწოდებისთანავე შეამოწმოს, რამდენადაც ეს ჩვეული საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია, ხოლო თუ ნაკლი გამოვლინდა, გამყიდველს ნარდგენის ამის თაობაზე განცხადება.

(2) თუ მყიდველი არ განაცხადებს ნაკლის შესახებ, პროდუქტი მიიჩნევა მიღებულად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ისეთ ნაკლს, რომელიც შემონებისას შეუმჩნეველი იყო.

(3) იმ შემთხვევაში, თუ მოგვიანებით ასეთი ნაკლი წარმოჩნდება, განცხადება გამყიდველის მიმართ უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ, ნაკლის აღმოჩენისთანავე; წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაკლის მიუხედავად, პროდუქტი ჩაითვლება მიღებულად.

(4) ამ უფლებების მისაღებად საკმარისია მყიდველის მიერ განცხადების დროულად გადაგზავნა.

(5) იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველმა ნაკლი განზრახ დამალა, მას ერთმევა ამ ნორმებზე მითითების უფლება.

საფუძველი, რომ ბოლო გამყიდველი მხოლოდ იმიტომ გავათავისუფლოთ თავისი მიმწოდებლების წინაშე ამ ვალდებულებისგან, რომ მან პროდუქტი დიდი ალბათობით მომხმარებელზე უნდა გადაყიდოს. მაშასადამე, § 478-ის მიხედვით, ბოლო გამყიდველის მიერ რეგრესის განხორციელება, როგორც წესი, მოიაზრება **მხოლოდ დამალული (შეუმჩნეველი) ნაკლის შემთხვევაში**. შეცნობადი ნაკლი ბოლო გამყიდველმა თავის მიმწოდებლებს უნდა წარუდგინოს დაუყოვნებლივ, თუ ნასყიდობა ორივე მხარისათვის სავაჭრო გარიგებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გერმანიის სავაჭრო კოდექსის § 377-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქონელი ჩაითვლება მიღებულად.

§ 479. რეგრესული მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა

(1) § 478-ის მე-2 ნაწილში განსაზღვრული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია 2 წლის ვადაში ნივთის მიწოდების მომენტიდან.

(2) ¹§ 437-სა და 438-ის მე-2 ნაწილში განსაზღვრული მენარმის მოთხოვნები მისი მიმწოდებლის მიმართ მომხმარებლისათვის მიყიდული ახალწარმოებული ნივთის ნაკლისათვის ხანდაზმულია არა უადრეს ორი თვისა იმ მომენტიდან, როდესაც მენარმემ დააკმაყოფილა მომხმარებლის მოთხოვნები. ²ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა მთავრდება არა უგვიანეს ხუთი წლისა იმ მომენტიდან, როდესაც მიმწოდებელმა მენარმეს მიაწოდა ნივთი.

(3) ზემოაღნიშნული ნაწილები შესაბამისად გამოიყენება მიმწოდებლისა და მიწოდების ჯაჭვის სხვა დანარჩენი მყიდველების გამყიდველებისადმი არსებული მოთხოვნების მიმართ, თუ მოვალეები მენარმე სუბიექტები არიან.

- 1 ნორმის მიზანია მენარმისთვის § 478-ით მინიჭებული რეგრესის მოთხოვნების ეფექტური დაცვა **ხანდაზმულობის** მოკლე ვადებისგან. იმ შემთხვევაში, როდესაც მენარმე ნივთს გარკვეული დროით თავის საწყობში აჩერებს მანამ, სანამ ნივთს მყიდველს გადაუგზავნიდეს, მისი მიმწოდებლების მიმართ არსებული ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნები, ხშირ შემთხვევაში, უკვე ხანდაზმულია მაშინ, როდესაც მომხმარებელი, თავის მხრივ, იმავე ნასყიდობის ნივთის ნაკლიდან გამომდინარე მოთხოვნას ახორციელებს მენარმის მიმართ. ნორმის პირველი ნაწილი დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნისთვის (§ 478-ის მე-2 ნაწილი) ადგენს ხანდაზმულობის 2-წლიან ვადას, რომლის დენაც იწყება ნივთის მიწოდების შემდგომ (ისევე, როგორც § 437-ის შესაბამისად წარმოშობილი ნივთის ნაკლის მოთხოვნებისთვის; შდრ. § 438-ის მე-2 ნაწილი). აქ მიწოდებაში იგულისხმება მიმწოდებლის (დამამზადებლის) მიერ მენარმეზე მიწოდება, ხოლო § 478-ის მე-5 ნაწილის შემთხვევაში, მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში მყიდველზე მიწოდება (RegBegr BT-Drucks 14/6040, 250). აქ არ იგულისხმება მენარმის მიერ ბოლო გამყიდველზე მიწოდება. ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება, ახალდამზადებული ნივთების შემთხვევაში, შეიცავს ნაკლის გამო წარმოშობილი მენარმის მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას, რომელიც მოქმედებს და შეადგენს 2 თვეს იმ მომენტიდან, როდესაც ბოლო გამყიდველი თავად დააკმაყოფილებს მომხმარებლის (არახანდაზმულ) ნაკლის გამო წარმოშობილ მოთხოვნებს. მაშასადამე, მენარმეს რჩება ორთვიანი ვადა, რომ ნაკლის გამო მიმწოდებელს წარუდგინოს მოთხოვნა და მისგან ამოიღოს მის მიერ მომხმარებლისთვის ანაზღაურებული ზიანი. იმისათვის, რათა მიმწოდებელმა შეძლოს გათვალისწინება, თუ რა ვადაში უნდა აგოს პასუხი ნაკლის გამო, ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება ნორმის ამავე ნაწილის პირველ წინადადებაში დადგენილი ვადის დენის შეჩერებისთვის აბსოლუტურ ზედა ზღვარს აწესებს, რაც შეადგენს ნივთის მენარმისადმი მიწოდებიდან 5 წელს. § 478-ის მე-5 ნაწილში მოცემული რეგულირების შესაბამისად, § 479-ის მე-3 ნაწილი განხილულ დებულებებს ავრცელებს მიწოდების ჯაჭვში არსებულ სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებზეც, თუ მოვალეები მენარმე სუბიექტები არიან.

ქვეკარი 4. გაცვლა

§ 480. გაცვლა

გაცვლის მიმართ შესაბამისად გამოიყენება ნასყიდობის შესახებ ნორმები.

კარი 2. ტაიმშერის ხელშეკრულებები⁸⁹

§ 481. ტაიმშერის ხელშეკრულების ცნება

(1) ¹ტაიმშერის ხელშეკრულებით მენარმე მომხმარებელს, ერთიანი თანხის გადახდის სანაცვლოდ, უფლებას ანიჭებს ან ჰპირდება უფლების მინიჭებას, რომ ერთ წელზე მეტი ხნის ვადაში მრავალჯერადად გადასცემს საცხოვრებელ ფართს ღამის გასათევად განსაზღვრულ ან განსაზღვრად დროის მონაკვეთში. ²ხელშეკრულების ხანგრძლივობის გამოთვლისას გასათვალისწინებელია არსებულ ხელშეკრულებაში დათქმული ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობები.

(2) ¹უფლება შეიძლება იყოს სანივთო ან სხვა სახის და იგი ასევე შეიძლება მიენიჭოს კავშირის ნევრობითა თუ საზოგადოებაში წილით. ²უფლება შეიძლება ასევე გამოიხატოს არსებული საცხოვრებელი სახლებიდან ყოველ ჯერზე ერთ-ერთით სარგებლობის არჩევით.

(3) საცხოვრებელ სახლს უთანაბრდება საცხოვრებელი სახლის ნაწილი, ასევე მოძრავი ნივთი, ან მისი ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ღამის გასათევად.

§ 481ა ხელშეკრულება შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ

¹ხელშეკრულება შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ არის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა აღემატება ერთ წელს და რომლის თანახმადაც, მენარმე მომხმარებელს, ერთიანი თანხის გადახდის სანაცვლოდ, უფლებას ანიჭებს ან ჰპირდება უფლების მინიჭებას, რომ მომხმარებელი მიიღებს საცხოვრებელ ფართს ხელსაყრელ ფასად ან სხვა რაიმე შეღავათით. ²§ 481-ის პირველი ნაწილის მე-2 ნინადადება გამოიყენება შესაბამისად.

§ 481ბ შუამავლობის ხელშეკრულება; გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულება

(1) შუამავლობის ხელშეკრულების მიხედვით, მენარმე, მომხმარებლისგან საზღაურის შეპირების სანაცვლოდ, მომხმარებელს მიუთითებს ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას ან შუამავლობს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მომხმარებელი ტაიმშერის ან შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულებიდან იძენს უფლებებს ან ასხვისებს მათ.

(2) გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულების მიხედვით, მენარმე, მომხმარებლისგან საზღაურის შეპირების სანაცვლოდ, მომხმარებელს მიუთითებს ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას ან შუამავლობს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მომხმარებელი ტაიმშერის ან გრძელვადიანი შვებულების პაკეტის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ცალკეულ უფლებებს გაცვლის ან სხვაგვარად იძენს ან ასხვისებს.

§ 482. წინასახელშეკრულებო ინფორმაცია, რეკლამა და ფულად კაპიტლად გაყიდვის აკრძალვა

(1) ¹ტაიმშერის, შვებულების გრძელვადიანი პაკეტის, შუამავლობის და გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულების შემთხვევებში, მენარმე ვალდებულია, მომ-

89 ტაიმშერის ხელშეკრულებები – Teilzeit – Wohnrechteverträge; ტერმინი წარმოშობილია ინგლისურიდან „Time-Share Property“.

ხმარებელს, ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენამდე, მიაწოდოს სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 242-ე მუხლის § 1-ით განსაზღვრული წინასახელშეკრულებო ინფორმაცია ტექსტუალური ფორმით. ²მიწოდებული ტექსტი უნდა იყოს ნათელი და გასაგები.

(2) ¹აღნიშნული ხელშეკრულებების სარეკლამო განცხადებებში უნდა მიეთითოს, რომ წინასახელშეკრულებო ინფორმაცია ხელმისაწვდომია და ასევე უნდა მიეთითოს, თუ სად შეიძლება მისი გამოთხოვა. ²მეწარმემ მომხმარებლის სარეკლამო ან გასაყიდ ღონისძიებაზე მიპატიჟებისას ნათლად უნდა მიუთითოს ღონისძიების კომერციულ ხასიათზე. ³მსგავს ღონისძიებებზე მომხმარებელს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოს წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიღება.

(3) ტაიმშერის ან შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლების ფულად კაპიტლად ქცევა ან მისი გაყიდვა დაუშვებელია.

§ 483. ხელშეკრულების ენა და წინასახელშეკრულებო ინფორმაცია

(1) ¹ტაიმშერის, შვებულების გრძელვადიანი პაკეტის, შუამავლობის და გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულება უნდა შედგეს ოფიციალურ ენაზე, ან, როდესაც სახეზეა რამდენიმე ოფიციალური ენა, მომხმარებლის მიერ არჩეული ევროპული გაერთიანების წევრი სახელმწიფოს ან იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, რომელიც წარმოადგენს შეთანხმების ხელისშემკვრელ მხარეს ევროპული ეკონომიკური სივრციდან, სადაც მომხმარებელს აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი. ²თუ მომხმარებელი სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა, მაშინ მას იმ სახელმწიფოს ენის ნაცვლად, სადაც მას აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი, შეუძლია აირჩიოს იმ სახელმწიფოს ოფიციალური ენა ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა, რომლის მოქალაქეც ის არის. ³პირველი და მე-2 წინადადებები მოქმედებს, აგრეთვე წინასახელშეკრულებო ინფორმაციისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან მიმართებით.

(2) თუ ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით გერმანელი ნოტარიუსის წინაშე, მაშინ „სანოტარო აქტების შესრულების შესახებ“ კანონის § 5 და 16 მოქმედებს იმ პირობით, რომ მომხმარებელს მიეწოდება მის მიერ პირველი ნაწილის შესაბამისად არჩეულ ენაზე ხელშეკრულების დამოწმებული თარგმანი.

(3) ხელშეკრულება, რომელიც არ შეესაბამება პირველი ნაწილის პირველ და მე-2 წინადადებებსა და მე-2 ნაწილს, ბათილია.

§ 484. ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი

(1) ტაიმშერის, შვებულების გრძელვადიანი პაკეტის, შუამავლობის და გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულებები უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, თუ სხვა ნორმა უფრო მკაცრ ფორმას არ ადგენს.

(2) ¹§ 482-ის 1-ლი ნაწილის მიხედვით მომხმარებლისადმი წარდგენილი წინასახელშეკრულებო ინფორმაცია გახდება ხელშეკრულების შინაარსი, თუ ის ორმხრივად ან ცალმხრივად არ შეიცვალა მეწარმის მიერ. ²მეწარმე უფლებამოსილია მხოლოდ მაშინ შეცვალოს წინასახელშეკრულებო ინფორმაცია ცალმხრივად, თუ ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, რათა მიუსადაგოს ისინი ცვლილებებს. ³ცვლილებები პირველი წინადადების თანახმად მეწარმემ მომხმარებელს უნდა შეატყობინოს ტექსტუალური ფორმით ხელშეკრულების დადებად. ⁴ისინი ჩაითვლება ნამდვილად მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელშეკრულების დოკუმენტში მათზე გაკეთდება მითითება, რომ ისინი განსხვავდებიან § 482-ის პირველი ნაწილის მიხედვით მომხმარებლისადმი წარდგენილი წინასახელშეკრულებო ინფორმაციისგან. ⁵ხელშეკრულების დოკუმენტში შეტანილ უნდა იქნეს:

1. § 482-ის პირველი ნაწილით განსაზღვრული წინასახელშეკრულებო ინფორმაცია, განურჩევლად მათი 1-ლი წინადადების მიხედვით მოქმედებისა,
2. ორივე მხარის სახელები და აქტიური მისამართები
3. ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ორივე მხარის ნების თარიღი და ადგილი

(3) ¹მენარმემ მომხმარებელს უნდა გადასცეს ხელშეკრულების დოკუმენტი ან მისი ასლი. ²თუ ტაიმშერის ხელშეკრულების ენა განსხვავდება ევროპული გაერთიანების წევრი სახელმწიფოს ან იმ სახელმწიფოს ოფიციალური ენისგან, რომელიც წარმოადგენს შეთანხმების ხელისშემკვერელ მხარეს ევროპული ეკონომიკური სივრციდან და სადაც განთავსებულია საცხოვრებელი ფართი, მენარმე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე გადათარგმნილი და დამოწმებული ხელშეკრულება, სადაც განთავსებულია საცხოვრებელი ფართი. ³ვალდებულება თარგმანის დამოწმებასა და გადაცემაზე არ არსებობს, თუ ტაიმშერის ხელშეკრულების საგანია ისეთი საცხოვრებელი შენობები, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა ქვეყანაში.

§ 485. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება

(1) ტაიმშერის, შვებულების გრძელვადიანი პაკეტის, შუამავლობის და გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულების შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს § 355-ის მიხედვით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

(2) ¹ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მომხმარებელს არ ეკისრება რაიმე ხარჯი. ²მენარმემ მომხმარებელს უნდა აუნაზღაუროს ხელშეკრულების, მისი განხორციელების და უკუქცევის ხარჯი. ³§ 357-ის პირველი და მე-3 ნაწილისგან განსხვავებით, გამორიცხულია ანაზღაურების მოთხოვნა განხორციელებული მომსახურებისთვის, ასევე გადაცემული საცხოვრებელი ფართის გამოყენებისთვის.

(3) ¹იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა ტაიმშერის ან შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულება შეწყვიტა და ეს შეწყვეტა ნამდვილია, მაშინ იგი აღარ არის გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულების დადებისთვის გამოვლენილი ნებით შებოჭილი. ²ამ ნაწილის პირველი წინადადება მოქმედებს შესაბამისად მომხმარებლის მიერ იმ ხელშეკრულებებისთვის გამოვლენილ ნებასთან მიმართებით, რომელთა საგანიც არის ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებელთან დადებულ ტაიმშერის და შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულებებთან და რომლებიც ხორციელდება მენარმის მიერ ან მენარმის ხელშეკრულებით მესამე პირის მიერ. ³§ 357 გამოიყენება შესაბამისად. ⁴მომხმარებელს არ ეკისრება რაიმე დამატებითი ხარჯები მის მიერ გამოხატული ნების ბოჭვის არარსებობის გამო.

§ 485ა. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა

(1) ¹§ 355-ის მე-3 ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დენა იწყება ხელშეკრულების დადების მომენტიდან ან წინარე ხელშეკრულების გაფორმებიდან. ²იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ხელშეკრულების დოკუმენტს ან მის ასლს მიიღებს ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დენა დაიწყება მიღების მომენტიდან.

(2) ¹იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი § 482-ის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ წინასახელშეკრულებო ინფორმაციას ან სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 242-ე მუხლის § 1-ით განსაზღვრულ ფორმულარს არ მიიღებს ხელშეკრულების დადებაზე ან მიიღებს არასრულად ან არ მიიღებს § 483-ის პირველ ნაწილით განსაზღვრული ენით, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა, ამ ნორმის პირველი ნაწილისგან განსხვავებით, დაიწყება წინასახელშეკრულებო ინფორმაციის და ფორმულარის სრულყოფილი სახით დადგენილ ენაზე მიღების

მომენტიდან. ²ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება, § 355-ის მე-4 ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, წყდება არაუგვიანეს 3 თვისა და ორი კვირისა პირველ ნაწილში დასახელებული მომენტიდან.

(3) ¹იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს § 482-ში გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების თაობაზე ინფორმაცია არ მიენოდა ხელშეკრულების დადებამდე, ან მიენოდა არასრულად, ან არ მიენოდა § 483-ის პირველ ნაწილში განსაზღვრული ენაზე, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა, ამ ნორმის პირველი ნაწილისგან განსხვავებით, დაიწყება ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების თაობაზე ინფორმაციის სრულყოფილად და სათანადო ენაზე მიღების მომენტიდან. ²ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება, § 355-ის მე-4 ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, ასევე განსაზღვრულ შემთხვევებში მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების რეგულირებისგან განსხვავებითაც, წყდება არაუგვიანეს ერთი წლისა და ორი კვირისა პირველ ნაწილში დასახელებული მომენტიდან.

(4) ¹იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა გააფორმა ტაიმშერის და გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულება და თუ ორივე ხელშეკრულება მას ერთდროულად შესთავაზეს, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა ორივე ხელშეკრულებისთვის დაიწყება ამ ნორმის პირველი ნაწილით ტაიმშერის ხელშეკრულებისთვის მოქმედი დროის მომენტიდან. ²ამ ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები გამოიყენება შესაბამისად.

§ 486. ავანსის გადახდის აკრძალვა

(1) მენარმეს უფლება არ აქვს მომხმარებლის გადახდები მიიღოს ან მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის გასვლამდე.

(2) დაუშვებელია მომხმარებლისგან მოთხოვნილ ან მიღებულ იქნეს შუამავლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდები მანამ, სანამ მენარმე შუამავლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს ან სახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულდება.

§ 486ა. შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულების განსაკუთრებული რეგულირებები

(1) ¹შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 242-ე მუხლის § 1-ის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ფორმულარს განვადებით გადასახდელი თანხის გრაფიკის შესახებ. ²მენარმეს არ აქვს უფლება გადაუხვიოს ფორმულარში განსაზღვრულ გადახდის პირობებს. ³მას უფლება აქვს ფორმულარის მიხედვით ვადამოსული წლიური თანხის ნაწილი მოითხოვოს მომხმარებლისგან, თუ მან მომხმარებელს წინასწარ ტექსტუალური ფორმით მოუწოდა თანხის აღნიშნული ნაწილის გადახდაზე. ⁴მოწოდება თანხის გადახდაზე მომხმარებელს უნდა მიუვიდეს სულ ცოტა ორი კვირით ადრე წლიური თანხის ნაწილის ვადამოსულობის დადგომიდან.

(2) იმ მომენტიდან, რომელიც ან ნორმის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია მეორე ნაწილის გადახდისთვის, მომხმარებელს შეუძლია, ორი კვირის ვადაში გადახდაზე მოწოდების მისვლიდან ვადამოსულობის დადგომამდე, ხელშეკრულება შეწყვიტოს 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

§ 487. განსხვავებული შეთანხმებები

¹დაუშვებელია წინამდებარე კარის ნორმების დანაწესისაგან გადახვევა მომხმარებლის საზიანოდ. ²თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, წინამდებარე კარის ნორმები გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ გვერდს უვლიან სხვაგვარი გაფორმებით.

**კარი 3. სესხის ხელშეკრულება;
ფინანსური დახმარებისა და განვადებით საქონლის მიწოდების
ხელშეკრულებები მენარმესა და მომხმარებელს შორის**

ქვეკარი 1. სესხის ხელშეკრულება

თავი 1. ზოგადი ნორმები

§ 488. სესხის ხელშეკრულების ტიპური სახელშეკრულებო ვალდებულებები

(1) ¹სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია, გადასცეს მსესხებელს ფულადი თანხა შეთანხმებული ოდენობით. ²მსესხებელი ვალდებულია, გადაიხადოს ნაქისრი პროცენტი და ვადამოსულობისას დააბრუნოს მიღებული სესხის თანხა.

(2) თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, შეთანხმებული პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის ბოლოს, ხოლო თუ სესხი დაბრუნებულ უნდა იქნეს წლის ბოლომდე, მაშინ – სესხის თანხის დაბრუნებისთანავე.

(3) ¹თუ სესხის თანხის დაბრუნებისათვის ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ მისი გადახდის ვადა დამოკიდებულია გამსესხებლის ან მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების წარდგენაზე. ²ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. ³თუ სესხის თანხას არ ერიცხება პროცენტი, მაშინ მსესხებელი უფლებამოსილია თანხის დაბრუნებაზე ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების გარეშეც.

1. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს **ფულის სესხის ხელშეკრულებას** (§§ 488-505) და **ნივთის სესხის ხელშეკრულებას** (§§ 607-609). ფულის სესხის ხელშეკრულება, რომელიც სესხის ყველაზე გავრცელებული ტიპური ფორმაა, კანონში მოხსენიებულია, უბრალოდ, სესხის ხელშეკრულებად. § 488 არის ფულადი სასესხო სამართლის ცენტრალური ნორმა. სესხის ხელშეკრულების ამ სახის ძირითადი ნიშან-თვისება ისაა, რომ ხდება ფულის გარკვეული დროით გადაცემა.

2. სესხის ხელშეკრულება არის **კონსენსუალური ხელშეკრულება**, რომელზეც ვრცელდება ხელშეკრულების დადებისა და ვალდებულების დარღვევის შესახებ ზოგადი ნორმები. როგორც წესი, სესხის ხელშეკრულება არ მოითხოვს ფორმის დაცვას (თუმცა, სხვა წესი მოქმედებს მომხმარებელთან დადებული სესხის ხელშეკრულებების შემთხვევებში; შდრ. იხ. § 492-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). ნორმის ტექსტის განმარტებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გადალახულია ის მოსაზრება, რომელიც სესხის ხელშეკრულების დადებას უკავშირებდა გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის ფულის გადახდას (**უარყოფილია რეალური ხელშეკრულების თეორია**).

3. **ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.** ა) გამსესხებლის ძირითადი ვალდებულება არის **სესხის თანხის** (ფულადი ერთეულის) გადახდა. გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს გადაცემულ ფულზე არა მხოლოდ მფლობელობა, არამედ **საკუთრებაც** გადასცეს ფულზე. მსესხებელს უნდა შეეძლოს გადაცემული ფულის დახარჯვა (განკარგვა). მსესხებელი არ არის ვალდებული, გამსესხებელს დაუბრუნოს გადაცემული კონკრეტული კუპონები და მონეტები, არამედ მან გამსესხებელს უნდა დაუბრუნოს იმავე ოდენობის თანხა. როგორც წესი, ხელშეკრულების მხარეების ნების შესაბამისად, გადახდის ვალდებულების შესრულება ხდება სესხის ანგარიშზე თანხის დარიცხვით (იხ. § 675გ-ს შესავალი, პირველი და მომდევნო ველები), ვინაიდან გამსესხებელი მხოლოდ ვალდებულია, მსესხებელს თანხა გადასცეს ღირებულების შესაბამისად (BT-Drs 14/6040, 253). ბ) **ბათილი სესხის ხელშეკრულებების** დროს სესხის თანხის მიმღები

ვალდებულია, უკან დააბრუნოს მიღებული ფული (მეცავშეობასთან დაკავშირებით იხ. § 817-ის მე-5 ველი). ამასთანავე, გამოირიცხება § 819-ის პირველი ნაწილის ანალოგიით გამოყენებაზე მითითება, რომ, § 818-ის მე-3 ნაწილის მიხედვით, გამდიდრება აღარაა სახეზე, ვინაიდან ფულის მიღები თავიდანვე აცნობიერებს ფულის დაბრუნების სახელშეკრულებო ვალდებულებას (BGH NJW 1999, 1636).

გ) თანხის დაბრუნების მოთხოვნის **ვადამოსულობასთან** დაკავშირებით იხილეთ ნორმის მე-3 ნაწილი. ნორმის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებაში მოხსენიებული სამთვიანი ვადა მოქმედებს მხოლოდ უვადო სესხის ხელშეკრულებებისთვის და დისპოზიციური ხასიათისაა (RegBegr BT-Drucks 14/6040, 253). **დ)** მსესხებლის ვალდებულება, გადაიხადოს **პროცენტი**, შესაძლებელია, გამომდინარეობდეს როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე კანონიდან (მაგ.: §§ 286, 288-იდან, მსესხებლის მიერ თანხის დაბრუნების ვადის გადაცილებისას). მიუხედავად იმისა, რომ ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება და ნორმის მე-2 ნაწილი პროცენტის შესახებ შეთანხმებას ჩვეულ შემთხვევად განიხილავენ, პროცენტის **სახელშეკრულებო** მოთხოვნა წინაპირობად აყენებს მაინც მხარეთა შესაბამის შეთანხმებას. დავის შემთხვევაში, თუ ვერ დგინდება, შეთანხმებულია თუ არა პროცენტი, მტკიცების ტვირთი ეკისრება მსესხებელს (*Palandt-Weidenkaff*, 28-ე ველი; თუმცა, სადავოა). პროცენტის შესახებ შეთანხმების შინაარსთან (რა ოდენობის პროცენტი იქნა შეთანხმებული) დაკავშირებით მტკიცების ტვირთი კი ეკისრება გამსესხებელს; სხვა შემთხვევაში, მოქმედებს § 246. ნორმის მე-2 ნაწილი არეგულირებს ხელშეკრულებით შეთანხმებული პროცენტის გადახდის ვადამოსულობის საკითხს. § 271-ის პირველი ნაწილის ზოგადი რეგულირების შესაბამისად, კანონიდან გამომდინარე პროცენტის გადახდის ვალდებულება უმაღვე ვადამოსულია. ამის პარალელურად, მსესხებელს ეკისრება სესხის თანხის მიღების ვალდებულება, როდესაც საქმე ეხება პროცენტიან სესხს. თანხის მიუღებლობა ქმნის გამსესხებლის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს, § 280-ის პირველი ნაწილის შესაბამისად. **ე)** მამასადამე, გამსესხებლის **ძირითადი ვალდებულება** არის სესხის თანხის გადარიცხვა/გადაცემა. მსესხებლის ძირითადი ვალდებულებები კი არის სესხის მიღება და, ამასთანავე, თუ შეთანხმებულია, უზრუნველყოფის წარდგენა და პროცენტების გადახდა.

- 4. კრედიტის უზრუნველყოფა.** განასხვავებენ სესხის უზრუნველყოფის შემდეგ სახეებს: **ა)** სესხის (კრედიტის) **პიროვნული** უზრუნველყოფა ხდება თავად მსესხებლის მიერ პირადად, თანამოვალის ან თავდების მიერ. **ბ)** არსებობს **უზრუნველყოფის სანივთო საშუალებები**, განსაკუთრებით, იპოთეკა და მიწის ვალი (სესხის უძრავი ნივთებით უზრუნველყოფის შემთხვევები); ასევე, უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების გადაცემა (Sicherungsübereignung – §§ 929, 930) ან უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობა (Sicherungszeession).

§ 489. მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის სტანდარტული უფლება

(1) მსესხებელს შეუძლია, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის (**gebundener Sollzinssatz**) მქონე სესხის ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს:

1. ხელშეკრულების შეწყვეტის ერთთვიანი ვადის დაცვით, თუმცა, არა უადრეს იმ დღისა, როდესაც ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი მთავრდება, თუ შეთანხმებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი მთავრდება სესხის თანხის დაბრუნებისთვის შეთანხმებულ მომენტამდე, ხოლო ახალი შეთანხმება საპროცენტო განაკვეთის თაობაზე არ არის დადებული; თუ საპროცენტო განაკვეთის მისადაგება შეთანხმებულია დროის წინასწარ დადგენილი მონაკვეთებით, მაგრამ არა უმეტეს ერთწლიანი პერიოდისა, მსესხებელს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება მხოლოდ იმ დღის გასვლიდან, როდესაც მთავრდება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი;

2. ყველა შემთხვევაში, სესხის თანხის სრულად მიღებიდან ათი წლის ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების შეწყვეტის ექვსთვიანი ვადის დაცვით; თუ სესხის თანხის მიღების შემდეგ დაიდო ახალი შეთანხმება სესხის თანხის დაბრუნების ან საპროცენტო განაკვეთის ვადის შესახებ, მაშინ ამ შეთანხმების თარიღი ცვლის სესხის მიღების თარიღს.

(2) მსესხებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით, შეწყვეტოს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის (veränderlicher Sollzinssatz) მქონე სესხის ხელშეკრულება.

(3) მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა, პირველი ან მე-2 ნანილის მიხედვით, არ მიიჩნევა განხორციელებულად, თუ მსესხებელი არ აბრუნებს ნაკისრ თანხას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადების ძალაში შესვლის მომენტიდან ორი კვირის განმავლობაში.

(4) ¹პირველი ან მე-2 ნანილის თანახმად, მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ შეიძლება გამოირიცხოს ან გართულდეს ხელშეკრულებით. ²ეს წესი არ მოქმედებს ფედერალურ მთავრობაზე, ფედერალური მთავრობის სპეციალურ ფონდზე, მიწაზე, მუნიციპალიტეტზე, მუნიციპალიტეტების კავშირზე, ევროპულ გაერთიანებებზე ან უცხოურ რეგიონალურ თუ ადგილობრივ ორგანიზაციებზე გასაცემი სესხების შემთხვევაში.

(5) ¹სესხის საპროცენტო განაკვეთი (Sollzinssatz) არის სავალდებულოდ ფიქსირებული ან ცვლადი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ყოველწლიურად ერიცხება სარგებლობაში მიღებულ სასესხო თანხას. ²საპროცენტო განაკვეთი არის სავალდებულოდ ფიქსირებული, თუ ხელშეკრულების მოქმედების მთლიანი ვადისთვის შეთანხმებულია ერთი ან რამდენიმე საპროცენტო განაკვეთი, რაც გამოხატულია ფიქსირებული პროცენტის სახით. ³თუ ხელშეკრულების მოქმედების მთლიანი ვადისათვის საპროცენტო განაკვეთი შეთანხმებული არ არის, საპროცენტო განაკვეთი, როგორც სავალდებულოდ ფიქსირებული, მოქმედებს ხელშეკრულების მხოლოდ იმ პერიოდისათვის, რომლისთვისაც განსაზღვრულია ფიქსირებული საპროცენტო სარგებელი.

§ 489 მსესხებელს ანიჭებს ხელშეკრულების შეწყვეტის სტანდარტულ არადისპოზიციურ უფლებას (ნორმის მე-4 ნანილი), რის შედეგადაც მას შეთანხმებული სესხის პროცენტის მისადაგების შესახებ მოლაპარაკების პროცესში ენიჭება ზენოლის საშუალება, შეთანხმებული პროცენტი შეამციროს საბაზრო საპროცენტო განაკვეთამდე. შესაბამისად, ნორმა მსესხებლის დამცავი მექანიზმია. მსესხებელი მომხმარებლის მდგომარეობა დამატებით § 500-ით არის დაცული.

§ 490. ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლება

(1) თუ სახეზეა მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესება, ან სესხისათვის დადგენილი უზრუნველყოფის ღირებულების არსებითი შემცირება, ან ასეთი გაუარესებისა თუ შემცირების საფრთხე, რის შედეგადაც საფრთხე ექმნება სესხის თანხის დაბრუნებას, თუნდაც უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად, გამსესხებელს შეუძლია, ვადის დაცვის გარეშე შეწყვიტოს სესხის ხელშეკრულება სესხის თანხის მიცემამდე, სესხის თანხის გადახდის შემდეგ კი მხოლოდ ზოგადი წესის საფუძველზე.

(2) ¹მსესხებელს შეუძლია, ვადამდე შეწყვიტოს სესხის ხელშეკრულება, როდესაც შეთანხმებულია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი და სესხი უზრუნველყოფილია მიწის ნაკვეთსა თუ საზღვაო ხომალდზე დადგენილი უზრუნველყოფი უფლებით, § 488-ის მე-3 ნანილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ვადების დაცვით, თუ ამას ითხოვს მისი კანონიერი ინტერესები და სასესხო თანხის სრულად მიღების შემდგომ გასულია 6 თვე. ²ასეთი ინტერესი არსებობს, განსაკუთრებით,

მაშინ, როდესაც მსესხებელს ესაჭიროება სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ნივთის სხვაგვარი რეალიზაცია. ³მსესხებელმა უნდა აუნაზღაუროს გამსესხებელს ზიანი, რომელიც ამ უკანასკნელს მიადგა ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით (საზღაური ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის).

(3) §§ 313-ისა და 314-ის ნორმები არ იცვლება.

- 1 **1. მიმოხილვა.** § 489-ისაგან განსხვავებით, ნორმა არეგულირებს ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტულ უფლებებს. მაშინ, როდესაც ნორმის პირველი ნაწილი გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას არეგულირებს, ნორმის მე-2 ნაწილი ეხება მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. ნორმის მე-3 ნაწილი კი ნათელყოფს, რომ ნორმის პირველ და მე-2 ნაწილებში მოცემული რეგულირებები არ არის ხელშეკრულების შეწყვეტის ამომწურავი შემთხვევები.
- 2 **2. გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება.** ა) ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლება არ არის ყოველთვის სახეზე მაშინ, როდესაც მოცემულია მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესება ან სესხისათვის დადგენილი უზრუნველყოფის ღირებულების არსებითი შემცირება. ამ დროს შეწყვეტის დამატებითი წინაპირობა არის ის, რომ სესხის დაბრუნებას ექმნება საფრთხე. საკმარისად უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში მხოლოდ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება არ ქმნის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც უზრუნველყოფის ღირებულების არსებითი შემცირებაა სახეზე, თუმცა, მსესხებელი მაინც გადახდისუნარიანია. პირველ შემთხვევაში, სესხის უკან დაბრუნება გარანტირებულია უზრუნველყოფათა რეალიზებით, ხოლო მეორე შემთხვევაში, მსესხებლის გადახდისუნარიანობით. გარდა ამისა, არ არის საჭირო მაინცდამაინც მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების ან უზრუნველყოფის ღირებულების კლების ფაქტობრივი დადგომა. კანონის ტექსტის შესაბამისად, სრულიად საკმარისია, როდესაც, უბრალოდ, ასეთი საშიშროება არსებობს, თუმცა, ეს საშიშროება უნდა იყოს ცხადი (RegBegr BT-Drucks 14/6040, 254). ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ბანკები სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის დამატებით უფლებებს ადგენენ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში. ბ) ზემოაღნიშნული წინაპირობების მიუხედავად, გამსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც გამსესხებელს სესხი ჯერ არ დაუბრუნებია მსესხებლისთვის. სხვა შემთხვევაში, გამსესხებელს უფლება აქვს, მხოლოდ ზოგადი წესის შესაბამისად, შეწყვიტოს ხელშეკრულება. გადაცემული სესხის ხელშეკრულების შეწყვეტისას ყურადღება უნდა მიექცეს შეწყვეტის მდგომარეობის ყველა ასპექტს, მათ შორის მოვალის ინტერესს, რომელმაც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ გაცემული სესხი დარჩეს მსესხებელთან (მდრ. RegBegr BT-Drucks 14/6040, 254).
- 3 **3. ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით, მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლება არსებობს მხოლოდ მინის ნაკვეთით ან საზღვაო ხომალდით უზრუნველყოფილი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა დროსაც განსაზღვრული დროით შეთანხმებულია კონკრეტული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.** ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საზღაური, ნორმის მე-3 წინადადების შესაბამისად, არ არის ხელშეკრულების შეწყვეტის ნამდვილობის წინაპირობა (მდრ. RA BT-Drucks 14/7052, 200). შედარებისათვის იხილეთ მომხმარებელთან დადებული სესხის ხელშეკრულების სპეციალური რეგულირება, § 502.

**თავი 2. სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების
განსაკუთრებული რეგულირებები**

**ქვეკარი 1. სამომხმარებლო სესხის
ხელშეკრულება**

§ 491-ის შესავალი

1. მიმოხილვა. ევროკავშირის 2008 წლის 23 აპრილის **სამომხმარებლო კრედიტის შესახებ დირექტივის** (RL 2009/48/EG – **Verbraucherkreditrichtlinie**⁹⁰) ნაციონალურ კანონმდებლობაში დანერგვით მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამომხმარებლო სესხის სამართალი. § 491 და მისი მომდევნო ნორმები მოქმედებს მხოლოდ მენარმესა (§ 14-ის პირველი ნაწილი) და მომხმარებელს (§ 13) ან მენარმესა და დამწყებ მენარმეს (**Existenzgründer**, § 512) შორის დადებული ხელშეკრულებების მიმართ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გავმიჯნოთ „ჩვეულებრივი“ სესხის ხელშეკრულება (§ 488, მომხმარებელთა შორის; მენარმეთა შორის); და სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება (მომხმარებელსა და მენარმეს შორის). ფინანსური დახმარებისა და განვადებით საქონლის მიწოდების ხელშეკრულებების შესახებ ნორმები მთლიანობაში გამოიყენება ყველა სამომხმარებლო ხელშეკრულებისათვის.

2. დირექტივასთან შესაბამისობა. ვინაიდან §§ 491-512 **სამომხმარებლო კრედიტის შესახებ დირექტივას** ნერგავს ნაციონალურ კანონმდებლობაში, მათი განმარტებისას ყურადღება უნდა მიექცეს დირექტივას. ამ ნორმების მიზანია, ხშირად ეკონომიკურად სუსტი და სამართლებრივი კუთხით გამოუცდელი მომხმარებელი დაიცვას საკრედიტო გარიგებებთან დაკავშირებული ტიპიური რისკებისაგან: საკუთარი ეკონომიკური ქმედუნარიანობის (შესაძლებლობების) ზედმეტი შეფასებისგან, გარიგების დაჩქარებული დადებისა და ასევე იმ საფრთხისაგან, რაც გამომდინარეობს ხშირად სამართლებრივი ურთიერთობების სხვადასხვა ხელშეკრულებაში გადანაწილებიდან (ნასყიდობა განვადებით; ნასყიდობა, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, სასესხო ურთიერთობა, დამატ. იხ. *Medicus SchR II 124-ე* და მომდევნო ველები).

3. მომხმარებლის დაცვის ინსტრუმენტები. მომხმარებლის დასაცავად არსებობს შემდეგი სამართლებრივი ინსტრუმენტები: ფორმის დაცვისა და ინფორმაციის გაცემის ვალდებულებების შესახებ იმპერატიული ნორმები (§§ 512, 491ა, 492, 493, 494), ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებები (§ 495), მომხმარებლის მიერ შესაგებლის წარდგენის უფლების გამორიცხვის შესახებ შეთანხმების ბათილობა, ასევე, თამაშუქისა და ჩეკის აკრძალვა (§ 496), გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტების დათვლის ხელსაყრელი წესი (§ 497), ხელშეკრულებაზე უარის თქმის დებულებები (§§ 498, 499, 500), ასევე, განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებების დროს ვადაზე ადრე გადახდის უფლების შესახებ დებულებები (§ 500, 501). ფინანსური მომსახურების შესახებ დადებულ დისტანციურ ხელშეკრულებათა შემთხვევებში მომხმარებელს იცავს § 312ბ და მისი მომდევნო ნორმები (შდრ. § 312ბ-ის მე-3 ველი). მომხმარებლის სამართლებრივი მდგომარეობის დაცვის ინსტრუმენტებს შეიცავს ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების შესახებ ნორმები (§ 358 და მომდევნო ნორმები), ასევე გერმანიის სამოქალაქო

90 DIRECTIVE 2008/48/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 April 2008 on credit agreements for consumers and repealing Council Directive 87/102/EEC.

საპროცესო კოდექსის § 688-ის მე-2 ნაწილი⁹¹, რომლითაც გამოირიცხება დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმის განხილვის გამარტივებული წესით წარმოება მომხმარებლის მიმართ.

§ 491. სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება

(1) ამ თავის ნორმები მოქმედებს მენარმეს, როგორც გამსესხებელსა, და მომხმარებელს, როგორც მსესხებელს, შორის სასყიდლიანი სესხის ხელშეკრულების (სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება) მიმართ, რამდენადაც ამ ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებსა ან §§ 503-505-ში სხვა რამ არ არის დადგენილი.

(2) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებად არ ითვლება ისეთი ხელშეკრულებები,

1. რომელთა შემთხვევაშიც ნეტო სესხის თანხა (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 3-ის მე-2 ნაწილი) არ აღემატება 200 ევროს;
2. რომელთა შემთხვევაშიც მსესხებლის პასუხისმგებლობა შეზღუდულია გამსესხებლისადმი გადაცემული დაგირავებული საგნით;
3. რომელთა მიხედვით მსესხებელმა სესხი 3 თვის ვადაში უნდა დააბრუნოს და შეთანხმებულია მხოლოდ მცირე ხარჯები;
4. რომლებიც დამსაქმებლების მიერ იდება თავიანთ დასაქმებულებთან, როგორც შრომითი ხელშეკრულების პარალელურად არსებული დამატებითი ვალდებულება, საბაზრო საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით ნაკლები ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთით და რომელთა შეთავაზებაც სხვა პირების მიმართ არ ხდება;
5. რომლებიც მხოლოდ შეზღუდულ პირთა წრესთან იდება სამართლებრივი ნორმების საფუძველზე საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, როდესაც ხელშეკრულებაში მსესხებლისთვის შეთანხმებულ იქნა საბაზრო პირობებთან შედარებით უფრო პრივილეგირებადი პირობები და არა უმეტეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთი.

(3) § 358-ის მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილები და §§ 491ა-495 არ გამოიყენება იმ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების მიხედვით, შეტანილია სასამართლოს ოქმში, ან დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილებით მხარეთა შორის გაფორმებული მორიგების ფარგლებში, თუ საპროცენტო განაკვეთის შესახებ გადაწყვეტილებაში ან ოქმში ხელშეკრულების დადებისას სესხის მოსალოდნელი ხარჯები და ის წინაპირობები იქნა გათვალისწინებული, რომელთა თანახმადაც შესაძლებელია საპროცენტო განაკვეთის ან ხარჯების მისადაგება.

1. **1. ზოგადი მიმოხილვა.** § 491-ის პირველი ნაწილი შეიცავს სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების ცნების ლეგალურ დეფინიციას და ამით ადგენს §§ 492-505-ში მოცემული სპეციალური რეგულირებების ობიექტურ (საგნობრივ) და

91 „გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 688 – დასაშვებობა

(1) იმ მოთხოვნის გამო, რომელიც მიზნად ისახავს განსაზღვრული ოდენობის თანხის ევროში დაკისრებას, განმცხადებლის განცხადების საფუძველზე მიიღება გადახდის ბრძანება.

(2) წარმოება გადახდის ბრძანების მიღების შესახებ გამოირიცხება:

1. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §§ 491-509-იდან გამომდინარე, მენარმის მოთხოვნებისთვის, როდესაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 492-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ეფექტურ წლიურ საპროცესო განაკვეთს ხელშეკრულების დადებისას მოქმედი საბაზისო პროცენტული განაკვეთი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 247-ის თანახმად, 12 %-ით აჭარბებს;
2. მოთხოვნის განხორციელება დამოკიდებულია ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო გადახდაზე.“

სუბიექტურ გამოყენების სფეროებს. ობიექტური თვალსაზრისით, გამოყენების სფერო გამოიხატება სასყიდლიანი სესხის ხელშეკრულების არსებობით. სასყიდლიანობა გულისხმობს საპირისპირო შესრულების ნებისმიერ სახეს, პროცენტებს, მოსაკრებლებს ან ერთჯერად ანაზღაურებას, ოდენობის მიუხედავად. ნორმების სუბიექტური გამოყენების სფეროსთან დაკავშირებით იხილეთ § 491-ის შესავლის ველი 1.

2. ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები მოიცავს სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებების მოქმედების სფეროს **შეზღუდვებს**. ა) ნორმის მე-2 ნაწილი ადგენს § 492-სა და მისი მომდევნო ნორმების **მოქმედების სფეროს სრულ გამორიცხვას**. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **დათქმა მცირე ოდენობის სესხებთან დაკავშირებით**, რომელთა დროსაც ნეტო თანხა (ხელზე ასაღები სასესხო თანხა) არ აღემატება 200 ევროს (№ 1), **ლომბარდის მიერ სესხის გაცემა (Leih- und Pfandhaus, № 2)**, და პროცენტისაგან თავისუფალი ან **მცირეხარჯიანი სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებები ხანგძლივობის მოკლე დროით (№ 3)**. № 3-ის გამოყენების სფეროში ძირითადად ექცევა საკრედიტო ბარათები, რომლებსაც შესაძლოა, პროცენტი არ ერიცხებათ, თუმცა, მათი სარგებლობისთვის მაინც ხდება მოსაკრებლის ჩამოჭრა (BT-Drs 16/11643, 76). ბ) ნორმის მე-3 ნაწილი გამორიცხავს მომხმარებლისადმი ინფორმაციის მიცემის ვალდებულებების შესახებ ნორმების მოქმედებას სასამართლოს მიერ ოქმით გაფორმებულ მორიგებებზე.

3. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, § 491-სა და მისი მომდევნო ნორმების შესაბამისი გამოყენება ზოგიერთი ხელშეკრულების სახისთვის დაშვებულია, ზოგიერთისთვის უარყოფილი. ა) იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი იკისრებს სესხის ხელშეკრულებას, ნორმები შესაბამისად გამოიყენება **ხელშეკრულების კისრებასთან** მიმართებით. ეს მოქმედებს ყველა შემთხვევაში მაშინ, როდესაც კისრება სამხრევი შეთანხმების გზით ხდება – ხელშეკრულებიდან გამსვლელ მომხმარებელს, ხელშეკრულების მკისრებელ მომხმარებელსა და გამსესხებელს შორის; ამ წესის უკან დგას ის მოსაზრება, რომ იმ მომხმარებლის დაცვა, რომელიც კისრულობს ვალდებულებას, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ მომხმარებელთან შედარებით, რომლის სამართლებრივი მდგომარეობაც მიძიდება სესხის ხელშეკრულების დადებით (BGH 142, 23). ბ) ნორმების შესაბამისი გამოყენება დაშვებულია, ასევე, სესხის ხელშეკრულების ფარგლებში **ვალის გადაკისრებისას**, რაც ასევე მაშინაც მოქმედებს, როდესაც მხოლოდ ვალის მკისრებელი არის მომხმარებელი და არა თავდაპირველი მოვალე; ვინაიდან მკისრებელს ეკისრება სრული სახელშეკრულებო თანავალდებულება, იგი იმგვარადვე უნდა იყოს კანონის მიერ დაცული, როგორც თავად სესხის ამღები (BGH 133, 71). გ) თუმცა, სადავოა, § 491-სა და მისი მომდევნო ნორმების **თავდებობასთან** მიმართებით ანალოგიური გამოყენება, რომელიც სესხიდან გამომდინარე მოთხოვნების უზრუნველსაყოფად გამოიყენება; გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო გამორიცხავს ანალოგიის წესით ნორმების გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც თავად უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულება § 491-ისა და მისი მომდევნო ნორმების გამოყენების სფეროში ვერ ექცევა (BGHZ 138, 321). ევროკავშირის სასამართლო განმარტავს, რომ თავდებობის რეგულირება არ არის გათვალისწინებული სამომხმარებლო კრედიტის შესახებ დირექტივაში (რომელიც საფუძვლად უდევს § 491-სა და მის მომდევნო პარაგრაფებს), ვინაიდან, ისინი დირექტივის ფარგლებში არ მოიაზრებიან საკრედიტო ხელშეკრულებებად. უპირველეს ყოვლისა, დირექტივის მიზანი არის საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი მოვალის, და არა უზრუნველყოფის მიმცემის, დაცვა (EuGH NJW 2000, 1323). დ) **უძრავ ქონებაზე წარმოშობილი უზრუნველყოფის უფლებების** მიმართ (Grundpfandrechte; მაგ., მიწის ვალი) § 491 და მომდევნო ნორმები შესაბამისად არ გამოიყენება (BGH NJW 1997, 1442).

§ 491ა. ინფორმაციის მიწოდების წინასახელშეკრულებო ვალდებულებანი სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებების შემთხვევებში

(1) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების შემთხვევებში გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს მიაწოდოს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლიდან გამომდინარე ცალკეული რეგულირებები ამავე მუხლში დადგენილი ფორმით.

(2) ¹მსესხებელს უფლება აქვს, მოითხოვოს გამსესხებლისგან სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების პროექტი. ²ეს წესი არ მოქმედებს მანამ, სანამ გამსესხებელი ხელშეკრულების დადებისათვის მზად არაა.

(3) ¹სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადებამდე გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს მისცეს შესაბამისი ახსნა-განმარტება, რათა მსესხებელმა შეძლოს იმის განსჯა, თუ რამდენად შეესაბამება ხელშეკრულება მის დასახულ მიზანს და რამდენად მართებულია მისი გაფორმება მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. ²ასეთი მოცემულობის შემთხვევაში, მომხმარებელს, ამ ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად, უნდა მიეწოდოს წინასახელშეკრულებო ინფორმაციები, განმარტოს გამსესხებლის მიერ შეთავაზებული ხელშეკრულების ძირითადი ასპექტები, ასევე, მათი ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მოსალოდნელი შედეგები მსესხებლისთვის, გადახდის ვადის გადაცილების შედეგების ჩათვლით.

1 ნორმა აფუძნებს ინფორმაციის მიწოდების მრავლისმომცველ წინასახელშეკრულებო ვალდებულებებს, რომლებიც, თავის მხრივ, დარეგულირებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლში. ნორმის მიზანია, რომ ინფორმაციის მიღებით მომხმარებელმა შეძლოს, სხვადასხვა ბანკის შეთავაზებები შეადაროს ერთმანეთს (BT-Drs 16/11643, 78). ინფორმაციის მიწოდების ეს წინასახელშეკრულებო ვალდებულება წინაპირობად მოითხოვს § 311-ის მე-2 ნაწილით განსაზღვრული შესაბამისი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობას; მაგალითად, ასეთი ურთიერთობაა მოცემული მას შემდეგ, რაც გამსესხებელი მსესხებელთან გააფორმებს გადახდისუნარიანობის შემოწმების (Bonitätsprüfung) შესახებ შეთანხმებას (Hk-Ebert მე-3 ველი). ნორმის მე-3 ნაწილი ავალდებულებს გამსესხებელს, ხელშეკრულება და ხელშეკრულების პირობები გასაგები გახადოს მომხმარებლისთვის. ამ დროს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს ხელშეკრულებას მთლიანობაში და მსესხებლის მიერ პირობების აღქმის უნარს.

§ 492. წერილობითი ფორმა, ხელშეკრულების შინაარსი

(1) ¹თუ უფრო მკაცრი ფორმა არ არის დადგენილი, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებები უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ²წერილობითი ფორმის მოთხოვნა დაცულია, თუ ოფერტი და აქცეპტი მხარეთა მიერ ცალ-ცალკე წერილობით იქნება განცხადებული. ³გამსესხებლის განცხადება არ საჭიროებს ხელმოწერას, თუ იგი კეთდება ავტომატიზებული მოწყობილობის დახმარებით.

(2) ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის §§ 6-13-ში სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებისთვის განსაზღვრულ მონაცემებს.

(3) ¹ხელშეკრულების დადების შემდგომ გამსესხებელი მსესხებელს აწვდის ხელშეკრულების ასლს. ²იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის დაბრუნების დროა განსაზღვრული, მსესხებელს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 14-ის მიხედვით, უფლება აქვს, გამსესხებლისგან ნებისმიერ დროს მოითხოვოს გადახდის გეგმა.

(4) ¹ამ ნორმის პირველი და მე-2 ნაწილები მოქმედებს ასევე მინდობილობისთვის, რომელსაც მსესხებელი სამომხმარებლო ხელშეკრულების დასადებად გას-

ცემს. ²პირველი წინადადება არ მოქმედებს საპროცესო უფლებამოსილებების მიწებისა და იმ მინდობილობისათვის, რომელიც ნოტარიულადაა დამოწმებული.

(5) გამსესხებლის მიერ მსესხებლისადმი გაკეთებული შეტყობინებები, რომლებიც მიწოდება მსესხებელს ხელშეკრულების დადების შემდგომ, მოითხოვენ ტექსტუალური ფორმის დაცვას.

(6) ¹იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება არ შეიცავს ამ ნორმის მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ მონაცემებს, ან არასრულად შეიცავს, ამის გამოსწორება შესაძლებელია მონაცემების მოგვიანებით მიწოდებით, ნამდვილი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ან § 494-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების შემთხვევებში ტექსტუალური ფორმით ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან. ²თუ ამ ნორმის მე-2 ნაწილში განსაზღვრული მონაცემების მიუთითებლობამ გამოიწვია ხელშეკრულების პირობების ცვლილება, § 494-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილების შესაბამისად, მიუთითებლობის გამოსწორება შესაძლებელია, თუკი მსესხებელს, § 494-ის მე-7 ნაწილის მიხედვით, მიეწოდება ხელშეკრულების ასლი. ³სხვა დანარჩენ შემთხვევაში მსესხებელმა უნდა მიიღოს § 355-ის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებაში განსაზღვრული რომელიმე დოკუმენტი არა უგვიანეს მიუთითებლობის გამოსწორების მომენტისა. ⁴მაშინ, როდესაც მონაცემების მიუთითებლობა გამოსწორდება ნორმის ამ ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა, § 495-ისგან განსხვავებით, შეადგენს ერთ თვეს. ⁵ნორმის მე-2 ნაწილში განსაზღვრული მონაცემების მიუთითებლობის გამოსწორებასთან ერთად, მსესხებელს ტექსტუალური ფორმით უნდა ეცნობოს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა იწყება მონაცემების მიღებიდან ერთი თვის შემდგომ.

1. სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადებისას ფორმის დაცვის სა-
ვალდებულობა ემსახურება გარიგებისთვის დამახასიათებელი რისკების მხარი-
სათვის ახსნა-განმარტების აუცილებლობას. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად,
ხელშეკრულების დასადავად სავალდებულოა წერილობითი ფორმის დაცვა. მომხ-
მარებლის მიერ შეუვსებელ ბლანკზე ხელმოწერა ფორმის დაცვად არ ჩაითვლება
(BGH NJW-RR 2005, 1141). § 126-ის მე-2 ნაწილის პირველ წინადადებასთან მი-
მართებით, ნორმის პირველი ნაწილის მე-3 წინადადებას შემოაქვს მნიშვნელოვან-
ი გამარტივება: ხელმოწერის ნაცვლად, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება,
§ 126ა-ს მე-3 ნაწილისა და § 126-ის მიხედვით, შესაძლებელია, დაიდოს კვალი-
ფიცირებული ელექტრონული ხელმოწერით. ტექსტუალური ფორმა ხელშეკრუ-
ლების დადებისთვის არასაკმარისად მიიჩნევა (BT-Drucks 16/11643, 79). ფორმა
დაცულად ითვლება მაშინ, როდესაც ხელშეკრულება აუცილებელ მინიმალურ
მონაცემებს შეიცავს. ადრე გავრცელებული მოსაზრება, რომელიც უარყოფილ
იქნა, ეყრდნობოდა § 492-ის ძველ რედაქციას (§ 492-ის პირველი ნაწილის მე-5 წი-
ნადადების ძველი რედაქცია) და ფორმის დაცვისთვის საკმარისად მიიჩნევა იმ
ფაქტს, თუ მხოლოდ მომხმარებლის მიერ ხელმოწერილი შეტყობინება შეიცავდა
აუცილებელ მინიმალურ მონაცემებს. როგორც აღინიშნა, ეს მოსაზრება უარყო-
ფილ იქნა, ვინაიდან § 492-ის მე-2 ნაწილსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის
შესავალი კანონის 247-ე მუხლის §§ 6-13-ში საუბარია ხელშეკრულებაზე, და არა
შეტყობინებაზე. ნორმის პირველ და მე-2 ნაწილებში დარეგულირებული ფორმის
დაცვის სავალდებულობა ნორმის მე-4 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად,
როგორც წესი (გამონაკლისი: ნორმის მე-4 ნაწილის მე-2 წინადადება), მოქმედებს
მინდობილობისთვისაც (რწმუნებულებისთვის), რომელსაც მსესხებელი სამომხ-
მარებლო სესხის ხელშეკრულების დადებისას ანიჭებს სხვა პირს. § 167-ის მე-2
ნაწილის ძირითადი პრინციპიდან გადახვევის მიზანია, თავიდან აიცილოს ის, რომ
§ 494-ით გამიზნული მომხმარებლის დაცვა წარმომადგენლობის შემთხვევებში
წარუმატებელი აღმოჩნდეს (RA BT-Drucks 14/052, 202). ყურადღებამისაქცევია,

რომ ნორმა, § 504, 505-ის თანახმად, არ მოქმედებს **ოვერდრაფტის** შემთხვევებისთვის.

2 2. ფორმის ნაკლის შედეგებთან დაკავშირებით იხილეთ § 494.

§ 492ა. (გაუქმებულია)

§ 493. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებანი სახელშეკრულებო ურთიერთობებში

(1) ¹თუ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებაში შეთანხმებულია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი (**Sollzinsatz**) და ფიქსირებული განაკვეთის შესახებ შეთანხმება მთავრდება სესხის უკან დაბრუნებისთვის განსაზღვრული ვადის დადგომამდე, გამსესხებელმა, ფიქსირებული განაკვეთის შესახებ შეთანხმების დასრულებამდე არა უგვიანეს 3 თვისა, მსესხებელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რამდენადაა იგი მზად ახალი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შეთავაზებისათვის. ²თუ გამსესხებელი აცხადებს, რომ იგი მზადაა, მაშინ გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს მისი მიწოდების მომენტში შეთავაზებული საპროცენტო განაკვეთის შესახებ.

(2) ¹სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დამთავრებამდე არა უგვიანეს სამი თვით ადრე გამსესხებელმა მსესხებელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად არის მზად სასესხო ურთიერთობების გასაგრძელებლად. ²თუ გამსესხებელი აცხადებს, რომ იგი მზადაა, მაშინ გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია მიწოდების მომენტში უნდა შეიცავდეს ვალდებულო მონაცემებს, § 491ა-ს პირველი ნაწილის მიხედვით.

(3) ¹სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების საპროცენტო განაკვეთის მისადაგება ცვლად საპროცენტო განაკვეთთან ნამდვილია იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც გამსესხებელმა მსესხებელს იმ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია, რომლებიც გამომდინარეობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 15-იდან. ²ნამდვილობასთან დაკავშირებული განსხვავებული შეთანხმებები დაშვებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 15-ის მე-2 ნაწილის ფარგლებში.

(4) იმ შემთხვევაში, თუ სესხის ხელშეკრულებიდან ხდება მოთხოვნების დათმობა, ნორმის პირველი-მე-3 ნაწილებიდან გამომდინარე ვალდებულებები ახალ კრედიტორსაც ეხება, თუკი თავდაპირველი გამსესხებელი ახალ კრედიტორს არ შეუთანხმდა, რომ მსესხებელთან ურთიერთობაში ისევ თავდაპირველი გამსესხებელი წარსდგება.

§ 494. ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგები

(1) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების დადებისათვის მომხმარებლის მიერ გაცემული მინდობილობა ბათილია, თუ წერილობითი ფორმა მთლიანობაში არ იქნა დაცული, ან თუ მას აკლია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის §§ 6-სა და 9-13-ში სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული მონაცემებიდან ერთ-ერთი.

(2) ¹მიუხედავად პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნაკლისა, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება ნამდვილია, თუ მსესხებელი იღებს სესხს ან წარადგენს მასზე მოთხოვნას. ²თუმცა, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების საფუძვლად არსებული საპროცენტო განაკვეთი მცირდება კანონისმიერ საპროცენტო განაკვეთამდე, თუ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მონაცემები საპროცენტო განაკვეთის ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთის (**effektiver Jahreszinsatz**) ან საერთო თანხის შესახებ.

(3) თუ მოცემულია მეტისმეტად მცირე ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი, მაშინ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებისთვის საფუძვლად განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი მცირდება იმ საპროცენტო განაკვეთამდე, სანამდეც ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი იყო შემცირებული.

(4) ¹მსესხებელი არ არის ვალდებული, გადაიხადოს ხარჯები, რომლებიც არ არის მითითებული ხელშეკრულებაში. ²იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არაა მოცემული, რა წინაპირობების არსებობისას არის შესაძლებელი ხარჯების ან პროცენტების მისადაგება, მაშინ შესაძლებლობა იმისა, რომ მისადაგება მოხდეს მსესხებლის საზიანოდ, გამოირიცხება.

(5) თუ შეთანხმებულ იქნა განვადების პირობით გადახდა, მაშინ უნდა მოხდეს მათი ოდენობის გამსესხებლის მიერ ხელახლა დაანგარიშება შემცირებული საპროცენტო განაკვეთების ან ხარჯების გათვალისწინებით.

(6) ¹იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არაა მოცემული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან მისი შეწყვეტის შესახებ მონაცემები, მსესხებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება. ²თუ არაა მოცემული უზრუნველყოფათა შესახებ ინფორმაცია, ვერ მოითხოვება ისინი. ³მეორე წინადადება არ მოქმედებს მაშინ, როდესაც სესხის ნეტო თანხა 75 000 ევროს აჭარბებს.

(7) ¹გამსესხებელმა უნდა წარუდგინოს მსესხებელს ხელშეკრულების ასლი, სადაც შეტანილ იქნება ხელშეკრულების ცვლილებები, რომლებიც ამ ნორმის მე-2-მე-6 ნაწილებიდან გამომდინარეობს. ²§ 495-ის რეგულირებისაგან განსხვავებით, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა ამ შემთხვევაში იწყება მაშინ, როდესაც მსესხებელი ხელშეკრულების ასლს მიიღებს.

1. მხოლოდ ნორმის პირველ ნაწილში მოხსენიებული ფორმის ნაკლოვანება იწვევს სესხის ხელშეკრულების ბათილობას. სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების ბათილობას არ იწვევს ხელშეკრულებაში შემდეგი მონაცემების არარსებობა: უზრუნველყოფის საშუალებები – გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 7-ის № 2-ის მიხედვით; ვადადამსულობამდე სესხის თანხის დაბრუნების გამო წარმოშობილი ზიანის გაქვითვის დათქმა – გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 7-ის № 3-ის მიხედვით; ან დამატებითი ვალდებულებების შესახებ ჩანაწერი – გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 8-ის მიხედვით. ამასთანავე, გამსესხებლისგანაც ვერ იქნება მოთხოვნილი რაიმე დამატებითი ვალდებულების შესრულება.

2. ნორმის მე-2-მე-5 ნაწილები იძლევა სამართლებრივი ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობებს. ამ შესაძლებლობების გარეშე ხელშეკრულება იქნებოდა § 125-ის მიხედვით ბათილი და უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების შედეგად მოხდებოდა მიღებულ შესრულებათა უკან დაბრუნება. ეს, თავისთავად, არ შეესაბამება მხარეთა ინტერესებს. სესხის გადახდა მსესხებლისათვის, ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების აზრისა და მიზნის გათვალისწინებით, არ იწვევს ფორმის დაუცველობის გამო ბათილი ვალის გადაკისრების სამართლებრივი ხარვეზის გამოსწორებას (BGHZ 134, 94; შდრ. იხ. § 491-ის მე-3 ველი).

3. ნორმის მე-6 ნაწილის პირველი წინადადება აფუძნებს მსესხებლის შეუზღუდავ უფლებას, შეწყვიტოს ხელშეკრულება მაშინ, როდესაც ხელშეკრულებაში არაა მოცემული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მონაცემები. იქვე, მე-2 წინადადების თანახმად, ვერ იქნება მოთხოვნილი უზრუნველყოფები, როდესაც მათ შესახებ მონაცემები აკლია ხელშეკრულებას. ნორმის მე-7 ნაწილი უფლებას ანიჭებს მსესხებელს, მისადაგებული ხელშეკრულების ასლი მოითხოვოს. ამ ასლის მიწოდებისთანავე იწყება ხელშეკრულების შეწყვეტის ერთთვიანი ვადა (§§ 494-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება, 492-ის მე-6 ნაწილის მე-4 წინადადება).

§ 495. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება

(1) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დროს მსესხებელს აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება, § 355-ის შესაბამისად.

(2) **§§ 355-359** მოქმედებენ იმ ფარგლებში, რომ:

1. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ადგილს იკავებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 6-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სავალდებულო მონაცემები;
2. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა ასევე არ იწყება
 - ა) ხელშეკრულების დადებამდე და
 - ბ) მანამ, სანამ მსესხებელი არ მიიღებს სავალდებულო მონაცემებს, § 492-ის მე-2 ნაწილის მიხედვით;
3. მსესხებელი, § 346-ის პირველი ნაწილის დანაწესისგან განსხვავებით, გამსესხებლის წინაშე ვალდებულია აანაზღაუროს დანახარჯები, რომლებიც გამსესხებელმა საჯარო დაწესებულებებში გასწია და არ შეუძლია უკან მოითხოვოს; § 346-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც სესხი უძრავ ქონებაზე გირავნობის უფლებით⁹² არის უზრუნველყოფილი.

§ 355-ის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადება და მე-4 ნაწილი არ გამოიყენება.

(3) ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ არსებობს სესხის ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც:

1. სესხის ხელშეკრულებას, რომლის შეწყვეტაზეც გამსესხებელი მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილების გამოა უფლებამოსილი, ავრცობენ ან ანაცვლებენ სესხის დაბრუნების შეთანხმებებით, რათა ამით აცილებულ იქნეს სასამართლო წარმოება და როდესაც მთლიანი დასაბრუნებელი თანხა (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 3) უფრო მცირეა, ვიდრე თავდაპირველი ხელშეკრულების დარჩენილი ვალდებულება;
2. უნდა დამოწმდეს ნოტარიულად, რომ მსესხებლის **§§ 491**-დან და **492**-იდან გამომდინარე უფლებები დაცულია, ან
3. შეესაბამებიან § 504-ის მე-2 ნაწილს, ან § 505-ს.

1. 1. ნორმის პირველი ნაწილი უთითებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ზოგად რეგულირებაზე (**§ 355**), რომელიც მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებებზე ვრცელდება. იმ შემთხვევაში, თუ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება სხვა ხელშეკრულებასთან ერთად (რომელიც ეხება სხვა ვალდებულების შესრულებას) ურთიერთდაკავშირებულ ხელშეკრულებას ქმნის § 358-ის მე-3 ნაწილის ფარგლებში, მაშინ, § 358-ის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ერთ ხელშეკრულებაზე უარი ვრცელდება მეორე ხელშეკრულებაზეც.

2. 2. ნორმის მე-2 ნაწილი არეგულირებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ზოგადი რეგულირებებისგან გამონაკლის შემთხვევებს. **№ 1** უთითებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 6-ის მე-2 ნაწილში გაწერილ სავალდებულო მონაცემებზე, რომლებიც მეწარმის მიერ მომხმარებლისათვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ განმარტების მიცემის ვალდებულების ადგილს იკავებენ. **№ 2** ავრცობს § 355-ის რეგულირებას ვადის დენის დაწყებასთან დაკავშირებით იმგვარად, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა იწყება

92 უძრავ ქონებაზე გირავნობის უფლება (Grundpfandrecht) – ეს ტერმინი უცხოა ქართული სამართლისთვის, ვინაიდან გირავნობის უფლება, ქართული სამართლის მიხედვით, გულისხმობს მხოლოდ მოძრავ ნივთებზე გირავნობის უფლებას. გერმანულ სამართალში უძრავ ქონებაზე გირავნობის უფლებებში გაერთიანებულია უძრავ ნივთებთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ყველა საშუალება. ქართულ სამართალში უძრავ ნივთებზე წარმოშობილი უზრუნველყოფის უფლებების გამაერთიანებელ ტერმინად გამოიყენება „მინის ნაკვეთზე დადგენილი უზრუნველყოფის უფლებები.“

ხელშეკრულების დადებიდან და მსესხებლისადმი ხელშეკრულების შინაარსის შეტყობინებიდან. ამასთანავე, მომხმარებელს, § 492-ის მე-2 ნაწილის თანახმად, მიღებული უნდა ჰქონდეს სავალდებულო მონაცემები, განსაკუთრებით, ხელშეკრულების დოკუმენტის გადაცემისას (Bülow/Artz § 495 88a ველი). № 3 ცხადყოფს, რომ გამსესხებელს, §§ 346-ის, 357-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, უფლებების დამატებით საჯარო დაწესებულებაში განუვლი დანახარჯების ანაზღაურებაზე აქვს მოთხოვნის უფლება (მაგ., ნოტარიუსის ხარჯები; BT-Drucks 16/11 643, 83), როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების კრედიტს (§ 488 ველი 4). № 3-ის მე-2 ნაწილადების თანახმად, § 355-ის მე-2 ნაწილის მე-3 ნაწილადება არ გამოიყენება, შესაბამისად, შეწყვეტის ვადა არ გრძელდება ერთ თვემდე.

3. ნორმის მე-3 ნაწილის № 3-ის წინაპირობების მიხედვით, **ოვერდრაფტის შემთხვევაში** არ არსებობს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

§ 496. უარი შესაგებლის წარდგენაზე, თამასუქისა და ჩეკის აკრძალვა

(1) სამართლებრივი ძალის არმქონეა შეთანხმება, რომლითაც მსესხებელი, მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში, უარს ამბობს ახალი კრედიტორის მიმართ, § 404-ის მიხედვით, შესაგებლის უფლებაზე, რომელიც მას გამსესხებლის მიმართ აქვს, ან უფლებაზე, § 406-ის მიხედვით, განახორციელოს ახალი კრედიტორის მიმართ იმ მოთხოვნის გაქვითვა, რომელიც მას აქვს გამსესხებლის მიმართ.

(2) ¹თუ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამსესხებლის მოთხოვნა დათმობილ იქნა მესამე პირის მიმართ, ან ხდება ცვლილება გამსესხებლის პიროვნებაში, მაშინ გამსესხებელმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მსესხებელს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 246-ე მუხლის § 1-ის № 1-ის პირველი-მე-3-ის შესაბამისად და მიაწოდოს მას ახალი კრედიტორის საკონტაქტო ინფორმაცია. ²მოთხოვნის დათმობისას შეტყობინება ზედმეტია, თუ თავდაპირველი გამსესხებელი და ახალი კრედიტორი შეთანხმდნენ, რომ მსესხებელთან ურთიერთობაში ისევ მხოლოდ გამსესხებელი წარდგება. ³თუ მე-2 ნაწილადების წინაპირობები აღარ არსებობს, შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დამატებით წარდგენილი.

(3) ¹მსესხებელს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამსესხებლის მოთხოვნის უფლებებთან დაკავშირებით, შევიდეს თამასუქის სამართლებრივ ურთიერთობაში. ²გამსესხებელს არ შეუძლია მიიღოს ჩეკი მსესხებლისაგან სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების უზრუნველსაყოფად. ³მსესხებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს გამსესხებლისაგან თამასუქის ან ჩეკის დაბრუნება, რომელიც გაიცა პირველი ან მე-2 ნაწილადების დარღვევით. ⁴გამსესხებელი პასუხისმგებელია ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც წარმოექმნება მსესხებელს ასეთი თამასუქის ან ჩეკის გაცემის შედეგად.

1. **ზოგადი მიმოხილვა.** ნორმის მიზანია, მსესხებლის დაცვა შესაგებელზე უფლების დაკარგვისაგან მაშინ, როდესაც გამსესხებლის მიერ ხდება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დათმობა. ნორმის მიზანია, ასევე, დაიცვას გამსესხებელი ჩეკისა და თამასუქის ემისიის რისკებისაგან.

2. **§§ 404-ისა და 407-ის არადისპოზიციურობა.** ნორმის პირველი ნაწილი §§ 404-ისა და 407-ის არადისპოზიციურობით იცავს მსესხებელს, რომ მას არ მოუწიოს სესხის დაბრუნების ვალდებულების ცესიონერის მიმართ შესრულება მაშინ, როდესაც გამსესხებლის (ცედენტი) მიერ სესხის ხელშეკრულება არასათანადოდ სრულდება. მსესხებელს შეუძლია, ცესიონერს დამატებით დათმობისას წარმოშობილი ყველა სახის შესაგებელი წარუდგინოს (§ 404), ასევე, მის მიმართ გაქვითოს მოთხოვნა (§ 406). ნორმის პირველი ნაწილი § 407-ის რეგულირებასაც

მოიზრებს (*Jauernig-Mansel* მე-2 ველი). ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ეს დამცავი ნორმები მომხმარებლის მიერ მოთხოვნის დათმობის შესახებ პოზიტიური ცოდნის შემთხვევაში ვერ იქნებიან გამოყენებული. ნორმაში არ არის გათვალისწინებული გამსესხებლის მიერ შესაგებელზე უარის წარდგენის შემთხვევა. **ნორმის მე-2 ნაწილი** აფუძნებს გამსესხებლის ვალდებულებას, მოთხოვნის დათმობის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოვალეს (§ 121-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). ეს მნიშვნელოვანია § 1156⁹³-ის გამო, რომელიც მესაკუთრეს, მინის ვალიდან გამომდინარე ვალდებულების ცედენტის მიმართ შესრულების შემთხვევაში, ანიჭებს § 407-ზე აპელირების უფლებას. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევისას პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება 280-ის პირველი ნაწილის მიხედვით.

- 3 3. ჩეკისა და თამასუქის აკრძალვა.** ნორმის მე-3 ნაწილი უარს ამბობს მსესხებლის ვალდებულებაზე, შევიდეს გამსესხებელთან თამასუქის ბოჭვაში ან უზრუნველყოს გამსესხებლის მოთხოვნები ჩეკის ემისიით. თუმცა, დაშვებულია, მსესხებლის მიერ გადახდის ვალდებულებების ჩეკით შესრულება (*MüKo-Schürnbrand* 23-ე ველი). ამის სამართლებრივი შედეგია ჩეკის ან თამასუქის გადმოცემაზე მოთხოვნა (მე-3 წინადადება; ცნებასთან დაკავშირებით იხ. § 793-ის შესავალის ველი 4) და ბრალეულობისგან დამოუკიდებელი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე (მე-4 წინადადება). ნორმა ანალოგიურად გამოიყენება, § 780-ის მიხედვით, აბსტრაქტულ ვალის შეპირებასთან მიმართებით.

§ 497. მსესხებლის მიერ ვადის გადაცილება

(1) ¹იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი აცილებს სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი გადახდების ვადას, მან დავალიანების თანხისათვის უნდა იხადოს პროცენტი, § 288-ის პირველი ნაწილის მიხედვით. ²ცალკეულ შემთხვევაში, გამსესხებელს შეუძლია, დაადასტუროს უფრო მეტი ზიანის არსებობა, ხოლო მსესხებელს უფრო ნაკლებს.

(2) ¹ვადის გადაცილების დადგომის შემდგომ დარიცხული პროცენტი უნდა აღირიცხოს განცალკევებულ ანგარიშზე და იგი არ ექვემდებარება შეტანას კონტოკორენტზე ნაკისრ თანხებსა ან გამსესხებლის სხვა მოთხოვნებთან ერთად. ²ასეთი პროცენტების მიმართ მოქმედებს § 289-ის მე-2 წინადადება იმ პირობით, რომ გამსესხებელს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ კანონის-მიერი საპროცენტო განაკვეთის (§ 246) თანხის ოდენობამდე.

(3) ¹მიუხედავად § 367-ის პირველი ნაწილისა, მსესხებლის გადახდები, რომლებიც საკმარისი არ არის მთლიანი ვადამოსული ვალის დასაფარავად, ჯერ ჩაითვლება საქმისწარმოების ხარჯების ანგარიშში, შემდეგ დარჩენილი ნაკისრი თანხისა (პირველი ნაწილი) და, ბოლოს, პროცენტის (მე-2 ნაწილი) ანგარიშში. ²გამსესხებელს არა აქვს უფლება, უარი თქვას განვადების პირობით (ნაწილ-ნაწილ) გადახდებზე. ³სესხის ძირითადი თანხის დაბრუნებისა და პროცენტების გადახდის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება პირველი ნაწილის მიხედვით, ვადის გადაცილების დაწყების მომენტიდან მათი 197-ე მუხლის პირველი ნაწილის №№ 3-5-ში აღწერილი სახით დადგენის მომენტამდე, მაგრამ არა უმეტეს ათი წლისა მათი წარმოშობის დღიდან. ⁴პროცენტების მოთხოვნის უფლებების

93 §1156. სამართლებრივი ურთიერთობა მესაკუთრესა და ახალ კრედიტორს შორის. მოთხოვნის დათმობის მიმართ მოქმედი §§ 406-408-ის ნორმები არ გამოიყენება იპოთეკასთან დაკავშირებით მესაკუთრესა და ახალ კრედიტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ. თუმცა, მესაკუთრის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ თავდაპირველი კრედიტორის მიმართ გაკეთებული განცხადება მოქმედებს ახალი კრედიტორის მიმართაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მესაკუთრემ იცის მოთხოვნის გადაცემის შესახებ, ან ეს უკანასკნელი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

მიმართ 197-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ გამოიყენება. ⁵პირველი-მე-4 წინადადებები არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც გადახდები ხორციელდება სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რომელიც, ძირითადად, ეხება პროცენტებზე მოთხოვნას.

ნორმა თავისი რეგულირებით, რომელშიც ის ზოგადი ნორმებისგან გამონაკლი- 1
ებს აწესებს, იცავს მომხმარებელს გადახდის სიძნელების შემთხვევებში. ვადის გადაცილების პროცენტების გამო წარმოშობილი ვალების „პირამიდა“ (ვალის გადაფარვა ახალი ვალით) უნდა ჩანაცვლდეს საქმისწარმოების ხარჯებისა და ძირითადი მოთხოვნის უპირატესი დაფარვით (ნორმის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება, შდრ. § 367-ის პირველი ნაწილი). ნორმის პირველი ნაწილისა და § 288-ის პირველი ნაწილის მიხედვით, ვადის გადაცილების შედეგად გამონეწეული ზიანის ერთიანი თანხით განსაზღვრა ემსახურება გამსესხებლის ინტერესებს, გაქვითოს მის მიერ ვადის გადაცილების შედეგად წარმოშობილი ზიანი და ასევე გაუმართივდეს მისი დადგენა. ამით გამოიზრუნულია, ასევე, სასამართლოების განტივრთვა (BT-Drucks 14/6040, 256). ნორმა გამოიყენება ანალოგიის წესით გამსესხებლის მომხმარებლის მიმართ არსებული უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის, მაგ., ბათილობისას, § 138-ის პირველი ნაწილის შესაბამისად (შდრ. *MüKo-Habersack* § 497 მე-7 ველი).

§ 498. სესხის მთლიანი თანხის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ გადასახდელი სესხის ხელშეკრულებების შემთხვევაში

(1) ნაწილ-ნაწილ გადასახდელი სესხის ხელშეკრულებების შემთხვევაში, მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილების გამო გამსესხებელს შეუძლია, შეწყვიტოს სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. მსესხებელმა სესხის ნორმირებული თანხიდან (Nennbetrag) ან ნაწილ-ნაწილ გადასახდელი ფასიდან მთლიანად ან ნაწილობრივ ზედიზედ გადააცილა, სულ ცოტა, ორ გადახდას და, სულ ცოტა, 10 პროცენტით, ხოლო სამ წელზე მეტი ვადით დადებული სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში, სულ ცოტა ხუთი პროცენტით; და
2. გამსესხებელმა უშედეგოდ მისცა ორკვირიანი ვადა დარჩენილი თანხის გადახდისათვის და განუცხადა, რომ ამ ვადის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში იგი მოითხოვდა მთლიან დარჩენილ თანხას.

გამსესხებელმა მის მიერ განსაზღვრული ვადის გასვლამდე მსესხებელს უნდა შესთავაზოს მოლაპარაკების წარმოება დავის მორიგებით გადაწყვეტის თაობაზე.

1. ნორმა ეხება ნაწილ-ნაწილ გადასახდელ სესხის ხელშეკრულებას, მამასადა- 1
მე, ისეთ სესხს, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილ და არაფერი აქვს საერთო §§ 507-ითა და 508-ით დარეგულირებულ განვადებით გადახდის პირობით დადებულ გარიგებებთან (ამასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ, მე-3 ველი). იმ შემთხვევაში, თუ სესხის თანხა არ არის მსესხებლისათვის გადახდილი, გამსესხებელს შეუძლია, § 490-ის პირველი ნაწილის პირველი შემთხვევის შესაბამისად, შეწყვიტოს ხელშეკრულება.

2. მომხმარებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილებისას ნაწილ-ნაწილ გადა- 2
სახდელი სესხის ხელშეკრულების გამსესხებელს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება აქვს მხოლოდ ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების გართულებული წინაპირობების შესაბამისად, რომლებიც კუმულაციურად უნდა იყვნენ მოცემული. მომხმარებლის მიერ არ უნდა იყოს გადახდილი ერთმანეთის მიყოლებით სესხის ორი ნაწილი. თუ იგი გადახდის ერთი ნაწილის გამოტოვებით მხოლოდ ყოველ მეორე ნაწილს უხდის გამსესხებელს და ამას § 366-ის პირველი ნაწილის მიხედვით შესრულების სახით განსაზღვრავს, ასეთი განსაზღვრა ბათილი იქნება, § 242-ის მიხედვით (*Jauernig-Mansel* მე-4 ველი). გამსესხებლის მიერ

ხელშეკრულების შეწყვეტა ბათილია, თუ იგი, ფაქტობრივად, განსაზღვრული გადასახდელი ოდენობისგან განსხვავებულ, უფრო მეტ თანხას ითხოვს (BGH NJW-RR 2005, 1410).

- 3 **3. კონკურენციები.** ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებთან მიმართებით, რომლებიც არ გამომდინარეობენ მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილებიდან, გამსესხებელს რჩება ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგადი შესაძლებლობები (მაგ., § 314-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე). ეს მოქმედებს, ასევე, § 490-ის პირველი ნაწილით დარეგულირებული ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლებისათვის, როდესაც სახეზეა მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის საგრძნობი გაუარესება ან უზრუნველყოფის საშუალებების ღირებულების ცვლილება. **§ 498-ის შემაკავებელი მოქმედება § 490-ზე** რომ გავრცელებულიყო, მაშინ გამსესხებელი არასამართლიანად იქნებოდა იძულებული, თვით მოვალის ქონებრივი მდგომარეობის ცხადი გაუარესების შემთხვევაშიც უმოქმედოდ დარჩენილიყო (მდრ. *Staudinger-Kessal-Wulf* [2004] მე-6 ველი; სხვა მოსაზრება *MüKo-Schürnbrand* 22-ე ველი).
- 4 **4. ვინაიდან გადახდის გადავადება (§ 506-ის პირველი ნაწილი) ან განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგების შესახებ რეგულირება (§ 507) § 498-ზე** უთითებს, შეწყვეტა ეხება მხოლოდ შეთანხმებულ გადახდის გადავადებას ან ნაწილ-ნაწილ გადახდის შეთანხმებას, და არა თვითონ ხელშეკრულებას (მდრ. *Staudinger-Kessal-Wulf* [2004] 25-ე ველი).

§ 499 გამსესხებლის უფლება ხელშეკრულების შეწყვეტაზე; შესრულებაზე უარის თქმის უფლება

(1) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებაში გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებაზე შეთანხმება ბათილია, თუ შეთანხმებულია ხელშეკრულების მოქმედების განსაზღვრული ვადა, ან ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა ორ თვეზე ნაკლებია.

(2) ¹თუ არ არის სესხის უკან დაბრუნების დრო განსაზღვრული, შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია, ობიექტური საფუძვლით უარი თქვას სესხის მიცემაზე. ²იმ შემთხვევაში, როდესაც გამსესხებელს გამოიზნული აქვს ამ უფლების გამოყენება, მან ეს მსესხებელს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს და უარის საფუძველი კი, რაც შეიძლება ადრე, არა უგვიანეს უფლების გამოყენების შემდგომ, დაუყოვნებლივ შეატყობინოს. ³საფუძვლის შეტყობინება შეიძლება არ განხორციელდეს, თუ ამით საფრთხე ექმნება საჯარო უსაფრთხოებას ან ნესრიგს.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ნორმა არეგულირებს გამსესხებლის შესაძლებლობას, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება შეწყვიტოს საამისოდ დადგენილი ნესის დაცვით (პირველი ნაწილი) და უფლებას აძლევს მას, სახელშეკრულებო შეთანხმების ფარგლებში განახორციელოს ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება (მე-2 ნაწილი).
- 2 **2. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება.** გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება შესაძლებელია, მხოლოდ სამომხმარებლო სესხის უვადო ხელშეკრულებებისთვის იქნეს შეთანხმებული. გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა, მინიმუმ, 2 თვეს უნდა შეადგენდეს. იმ შემთხვევაში, თუ ის ორ თვეზე ნაკლებია, მთლიანი ხელშეკრულება იქნება ბათილი. § 492-ის მე-5 ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტა საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას.
- 3 **3. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება.** იმ შემთხვევაში, თუ გამსესხებელი და მსესხებელი უვადოდ დადებულ სესხის ხელშეკ-

რულებაში შეთანხმდნენ გამსესხებლის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებაზე, გამსესხებელს ამ უფლების განხორციელება შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც ობიექტური საფუძველია მოცემული. ობიექტური საფუძველი მოცემულია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა გაუარესდა ხელშეკრულების დადებისა და გამსესხებლის მიერ მისთვის ფულის სრულად გადახდამდე პერიოდში (§ 321). იგივე წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც მომხმარებელი სესხს იყენებს **შეთანხმებული მიზნისგან განსხვავებულად**. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს ინტერესთა ანონ-დანონა (BT-Drucks 16/11643, 85). კანონისმიერი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებები შესაძლებელია განხორციელდეს § 499-ის მე-2 ნაწილისაგან დამოუკიდებლად.

§ 500. მსესხებლის უფლება ხელშეკრულების შეწყვეტაზე, სესხის დაბრუნება ვადაამდე

(1) მსესხებელს შეუძლია, ვადის დაუცველად მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ის სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება, რომლის დროსაც სესხის დაბრუნების ვადა არ არის განსაზღვრული. ¹ხელშეკრულების შეწყვეტის ვადაზე შეთანხმება, რომელიც შეწყვეტისთვის ითვალისწინებს ერთ თვეზე მეტ დროს, ბათილია.

(2) მომხმარებელს შეუძლია, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი ვალდებულება მთლიანად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე შეასრულოს.

§ 488-ის მე-3 ნაწილის რეგულირებისაგან განსხვავებით, ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სამომხმარებლო სესხის უვადო ხელშეკრულებების შემთხვევაში, მსესხებლისთვის არ არსებობს ხელშეკრულების შეწყვეტის რაიმე ვადა. თუმცა, ნორმის მე-2 ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, შეთანხმებულ იქნეს ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ თვემდე ვადა. ნორმის მე-2 ნაწილი მსესხებელს უფლებას აძლევს, სესხის ხელშეკრულება ნებისმიერ დროს ნაწილობრივ ან სრულად შეასრულოს შესრულებისთვის დადგენილ ვადაზე ადრე. ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადაზე ადრე შესრულების სამართლებრივი შედეგები მოცემულია § 501-ში (მსესხებლის უფლება გამსესხებლისთვის ხარჯების შემცირების თაობაზე) და § 502-ში (გამსესხებლის უფლება სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების შესახებ).

§ 501. ხარჯების შემცირება

რამდენადაც მსესხებელი თავის ვალდებულებას განსაზღვრულ ვადაზე ადრე ასრულებს ან ვალდებულების დარჩენილი ნაწილის დაბრუნება შეთანხმებულ დრომდე ხელშეკრულების შეწყვეტით ვადადამოსული ხდება, მთლიანი ხარჯები მცირდება (ფასების მონაცემთა შესახებ დადგენილების § 6-ის მე-3 ნაწილი) იმ პროცენტებით და სხვა მიმდინარე ხარჯებით, რომლებიც წარმოიშობა დროის მიხედვით გადანაწილებული დათვლისას ვადადამოსულობის დადგომის ან შესრულების შემდგომ.

§ 502. სესხის ვადადამოსულობამდე დაფარვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება

(1) ¹სესხის ვადადამოსულობამდე დაბრუნების შემთხვევაში გამსესხებელს შეუძლია, ამით უშუალოდ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, როდესაც გამსესხებელი სესხის უკან დაბრუნების მომენტში ხელშეკრულების დადებისას შეთანხმებულ ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთის გადახდაზე ვალდებული. ²ვადადამოსულობამდე სესხის დაფარვით წარმოშობილმა ზიანის ანაზღაურების თანხამ არ უნდა გადააჭარბოს:

1. ვადამდე დაბრუნებული თანხის 1%-ს ან 0,5 %-ს მაშინ, როდესაც ვადამდელ დაბრუნების დროსა და დაბრუნების შეთანხმებულ დროს შორის 1 წელზე მეტი არ არის გასული;
2. საპროცენტო განაკვეთების თანხის ოდენობას, რომელიც მსესხებელს უნდა ეხადა ვადამდე დაბრუნებისა და დაბრუნებისთვის შეთანხმებულ დროთა შორის პერიოდში.

(2) მოთხოვნა სესხის ვადამოსულობამდე დაფარვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე გამორიცხულია მაშინ, როდესაც:

1. სესხის დაბრუნება იმ დაზღვევიდან მოხდა, რომელიც სესხის ხელშეკრულებაში გაფორმებულ იქნა შესაბამისი ვალდებულებითი ბოჭვის ფარგლებში სესხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად; ან
2. ხელშეკრულებაში არასაკმარისადაა განსაზღვრული მონაცემები ხელშეკრულების მოქმედების ვადის, მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შესახებ ან მოთხოვნა სესხის ვადამოსულობამდე დაფარვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების დაანგარიშების შესახებ.

§ 503. უძრავი ქონების სესხის ხელშეკრულებები

(1) § 497-ის მე-2 ნაწილი და მე-3 ნაწილის პირველი, მე-2, მე-4, მე-5 წინადადებები და ასევე §§ 499, 500 და 502 არ მოქმედებს იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა დროსაც სესხის გაცემა დამოკიდებულია უძრავი ქონებაზე დადგენილ უზრუნველყოფის უფლებაზე და იმ პირობებით ხორციელდება, რომლებიც ჩვეულია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ხელშეკრულებებისთვის და მათი შუალედური დაფინანსებისთვის (*Zwischenfinanzierung*); უძრავი ქონებით უზრუნველყოფას უთანაბრდება, როდესაც ასეთი გათვალისწინებულია გერმანიის სამშენებლო საფონდო ინსტიტუტების შესახებ კანონის § 7-ის მე-3-მე-5 ნაწილების მიხედვით (*Bausparkengesetz*).

(2) § 497-ის პირველი ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, ვადის გადაცილების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ ბაზისურ საპროცენტო განაკვეთს დამატებული 2,5%.

(3) § 498-ის პირველი წინადადების № 1 მოქმედებს იმ ფარგლებში, რომ მსესხებელი ვადის გადაცილებაში უნდა იმყოფებოდეს ერთმანეთის მიყოლებით, სულ ცოტა, ორი სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელი სესხის ნაწილების გამო და სესხის ნომინალური თანხის, სულ ცოტა, 2,5%-ით.

1. ნორმაში თავმოყრილია სხვადასხვა ნორმებში გაბნეული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების შესახებ **სპეციალური რეგულირებები** (იხ., მაგ., უძრავი ქონების კრედიტი, § 488 ველი 4). სესხის თანხის დიდი ოდენობისა და, როგორც წესი, აქედან გამომდინარე რისკების, ასევე, სესხის გრძელვადიანი მოქმედების გამო, უძრავი ქონების სესხის ხელშეკრულებები, ძირითადად, ექცევა § 491-ისა და მის მომდევნო პარაგრაფთა ნორმების დაცვის სფეროში (BT-Drucks 16/11643, 88). ნორმის პირველი ნაწილი შეიცავს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის **კანონისმიერ დეფინიციას** და ადგენს, თუ რომელი ნორმები არ ვრცელდება სესხის ამ სახეობაზე. ნორმის მე-2 ნაწილი შეიცავს ვადის გადაცილების პროცენტის შესახებ სპეციალურ რეგულირებას. 2008 წლის 12 აგვისტოს რისკების მინიმიზირების შესახებ კანონის⁹⁴ (BGBI I S 1666) გავლენით შემოღებულ იქნა ნორმის მე-3 ნაწილის რეგულირება, რომელიც აუმჯობესებს მომხმარებლის

94 Risikominimierungsgesetz – გერმანიის 2008 წლის 12 აგვისტოს რისკების მინიმიზირების შესახებ კანონი არეგულირებს ფინანსურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ რისკების მინიმიზირებას, საკრედიტო და კრედიტის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებისა და კრედიტიდან გამომდინარე მოთხოვნების დათმობის გაფორმების წესებს.

რებლის დაცვას მის მიმართ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევებში (Kündigungsschutz) და იცავს მომხმარებელს ასევე იმ რისკებისგან, რომელიც მას შეიძლება წარმოეშვას გამსესხებლის მიერ სესხიდან გამომდინარე მოთხოვნების დათმობით (კრედიტებით ვაჭრობის შემთხვევები).

§ 504. ოვერდრაფტის უფლების მინიჭება

(1) ¹თუ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება ისეთი სახითაა გაფორმებული, რომ გამსესხებელი ხელშეკრულების ურთიერთობის ფარგლებში მსესხებელს უფლებას ანიჭებს, განსაზღვრული თანხით გადააჭარბოს თავის მიმდინარე ანგარიშზე არსებულ სალდოს (ოვერდრაფტის უფლება), გამსესხებელმა პერიოდულად უნდა განუმარტოს მსესხებელს ის მონაცემები, რომლებიც გამომდინარეობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 16-იდან. ²§ 502-იდან გამომდინარე სესხის ვადამოსულობამდე დაფარვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება გამოირიცხება. ³§ 493-ის მე-3 ნაწილი გამოიყენება მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის გაზრდისა და შესაბამისად მოქმედებს შეთანხმებული სხვა დაწესებულების ხარჯების გაზრდის მიმართ. ⁴§ 499-ის პირველი ნაწილი არ გამოიყენება.

(2) ¹თუ ოვერდრაფტის უფლების ფარგლებში შეთანხმებულია, რომ ჩარიცხვის შემდგომ მოქმედების ვადა მაქსიმუმ 3 თვეს შეადგენს, ან გამსესხებელს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება აქვს ვადის დათქმის გარეშე, § 491-ს მე-3 ნაწილი, § 495, 499-ის მე-2 ნაწილი და § 500-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება არ გამოიყენება. ²§ 492-ის პირველი ნაწილი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც, საპროცენტო განაკვეთის გარდა, სხვა მიმდინარე ხარჯები არაა შეთანხმებული, საპროცენტო განაკვეთი სამ თვეზე ნაკლებ ვადაში არ ხდება ვადამოსული და გამსესხებელმა მსესხებელს ხელშეკრულების შინაარსი შეატყობინა დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს ხელშეკრულების დადების შემდგომ ტექსტუალური ფორმით.

ნორმა შეიცავს დისპოკრედიტების (Dispositionscredit) შესახებ სპეციალურ რეგულირებებს. დისპოკრედიტის დამახასიათებელი ნიშან-თვისება ის არის, რომ ბანკი თავის კლიენტს ანიჭებს მხოლოდ ნორმის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში განსაზღვრულ კრედიტზე გადაჭარბების უფლებას (კანონისმიერი დეფინიციაც მოცემულია ნორმაში). ამ შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულება მაშინ ითვლება დადებულიად, როდესაც კლიენტი სარგებლობს კრედიტს ანგარიშიდან ან გადარიცხავს. გადაჭარბებაზე ამგვარი შეთანხმება უნდა განვასხვავოთ § 505-ში დარეგულირებული ანგარიშზე სალდოს გადაჭარბების თემისაგან. ამ დროს ბანკი უშვებს კლიენტის განკარგვებს ისე, რომ ეს განკარგვები (მაგ., ანგარიშიდან თანხის მოხსნა) ბანკის მიერ კლიენტისთვის გახსნილი საკრედიტო ხაზის ფარგლებში არაა შეთანხმებული.

§ 505. ოვერდრაფტის თმენა

(1) ¹იმ შემთხვევაში, თუ მენარმე მომხმარებელთან ხელშეკრულებაში შეთანხმებს, რომ მიმდინარე ანგარიშისთვის, რომელზეც დაშვებული არაა ოვერდრაფტის შესაძლებლობა, ანაზღაურების სანაცვლოდ მოითმენს ამ ანგარიშზე არსებული სალდოს გადაჭარბებას, ასეთი ხელშეკრულება ტექსტუალური ფორმით უნდა მოიცავდეს მონაცემებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 17-ის პირველი ნაწილის მიხედვით და ტექსტუალური ფორმით შეტყობინებულ უნდა იქნეს მომხმარებლისთვის დროის გარკვეული პერიოდულად. ²პირველი წინადადება მოქმედებს შესაბამისად იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამსესხებელი მსესხებელთან ხელშეკრულებაში შეთანხმებს, რომ მიმდინარე ანგარიშისთვის, რომელზეც დაშვებულია ოვერდრაფტის შესაძლებლობა, ანაზღაურების სანაცვლოდ მოითმენს ამ ანგარიშზე არსებული, ხელშეკრულებით შეთანხმებული, სალდოს ოდენობის გადაჭარბებას.

(2) თუ პირველი ნაწილის შემთხვევაში საქმე ეხება მნიშვნელოვან გადაჭარბებას ერთ თვეზე მეტი ხნის ვადით, გამსესხებელმა ტექსტუალური ფორმით უნდა განუმარტოს მსესხებელს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 17-ის მე-2 ნაწილში დარეგულირებული მონაცემები.

(3) თუ მენარმე ნორმის პირველ და მე-2 ნაწილებში მითითებულ ვალდებულებებს დაარღვევს, იგი ვედარ მოითხოვს სესხის დაბრუნებისას ხარჯებს და პროცენტებს.

(4) §§ 491ა – 496 და 499 – 502 არ მოქმედებს იმ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც ამ ნორმის პირველ ნაწილში მოხსენიებული წინაპირობებით იდება.

ქვეკარი 2. ფინანსური დახმარება მენარმესა და მომხმარებელს შორის

§ 506. გადახდის გადავადება, ფინანსური დახმარება

(1) §§ 358–359ა-სა და 491ა–502-ის რეგულირებები, § 492-ის მე-4 ნაწილის გამონაკლისის და მე-3 და მე-4 ნაწილების პირობათა გათვალისწინებით, შესაბამისად, გამოიყენებიან იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა თანახმადაც, მენარმე სასყიდლიანად უვადებს მომხმარებელს გადახდას, ან სხვა სახის სასყიდლიან ფინანსურ დახმარებას უწევს მას.

(2) მენარმესა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულებები საგანთა სასყიდლიანი გამოყენების თაობაზე ჩაითვლება სასყიდლიან ფინანსურ დახმარებად, როდესაც შეთანხმებულია, რომ:

1. მომხმარებელი ვალდებულია, შეიძინოს საგანი;
2. მენარმეს შეუძლია, მომხმარებლისგან მოითხოვოს საგნის შექცენა; ან
3. მომხმარებელი ხელშეკრულების დასრულებისას საგნის გარკვეული ღირებულების არსებობაზე პასუხისმგებლობას იღებს.

ამ ნორმის პირველი წინადადების № 3-ში გათვალისწინებული ხელშეკრულებების მიმართ § 500-ის მე-2 ნაწილი და § 502 არ გამოიყენება.

(3) იმ ხელშეკრულებებისთვის, რომელთა საგანია განსაზღვრული ნივთის მიწოდება ან სხვა რაიმე ვალდებულების შესრულება განვადებით გადახდის პირობით (განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებები), მე-4 ნაწილის პირობების გათვალისწინებით, დამატებით მოქმედებს §§ 507-სა და 508-ში დარეგულირებული სპეციალური რეგულირებები.

(4) ¹ამ ქვეკარის ნორმები არ გამოიყენება § 491-ის მე-2 და მე-3 ნაწილებში განსაზღვრული მოცულობით. ²რამდენადაც ხელშეკრულების ტიპის გამო სესხის ნეტო თანხა (§ 491-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება) არაა განსაზღვრული, მის ადგილს იკავებს ნაღდი ანგარიშსწორებით გადასახდელი ფასი, ხოლო თუ მენარმემ საგანი მომხმარებლისთვის შეიძინა, – ამ შექცენისას გადახდილი ფასი.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ნორმა, §§ 507-509-სთან ერთობლიობაში, არეგულირებს, თუ რომელი ნორმები გამოიყენება სამ თვეზე მეტი ხნით გადახდის გადავადების და მომხმარებლისთვის განუვლი სხვა სასყიდლიანი ფინანსური დახმარებების მიმართ. § 510-ში განსაზღვრული განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებები არ ითვლება ფინანსურ დახმარებად (*MüKo-Schürmbrand* § 505 1-ლი ველი).
- 2 **2. გადახდის გადავადება,** ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, სახეზეა მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების შეთანხმებული ვადა, დისპოზიციური უფლებისგან გადახვევით, მომხმარებლის სასარგებლოდ დგინდება. მაგ.: თუ მომხმა-

რებელს 12-თვიანი სარეპეტიტორო ხელშეკრულების დადებისას არჩევანის გაკეთება შეუძლია წინასწარ მთელი წლის სრული თანხის დაფარვასა (რომელიც უფრო იაფი ჯდება) და ყოველთვიურ განვადებით გადახდას შორის, ამ შემთხვევაში განვადებით გადახდა არ ჩაითვლება გადახდის გადავადებად. ყოველთვიური განვადების გადახდა წარმოადგენს § 614-ით გათვალისწინებულ ჩვეულებრივ კანონისმიერ შემთხვევას. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც მომხმარებელს წინასწარ გადახდის შემთხვევაში უფრო ნაკლების გადახდა მოუწევდა (*Jauernig-Mansel* § 499 მე-5 ველი). გადახდის ვადის გადაწევის ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევაა **გადავადება**. **სასყიდლიანობა** სახეზეა მაშინ, როდესაც ნაწილ-ნაწილ გადასახდელი ჯამური თანხა (*Teilzahlungspreis*) ერთჯერადად გადასახდელ ფასს (*Barzahlungspreis*) აჭარბებს. ნაწილ-ნაწილ გადასახდელი ჯამური თანხა არის ყველა გადახდის, ნაწილობრივი გადახდის პროცენტების ჩათვლით და სხვა დამატებითი ხარჯების ერთობლიობა.

3. საფინანსო ლიზინგი. ა) ნორმის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს საგნის სასყიდლიან გამოყენებას, ფინანსური დახმარების ხელშეკრულებად ჩაითვლება მაშინ, როდესაც დადგენილია მომხმარებლის მიერ ამ საგნის **შეძენის ვალდებულება (№ 1)**, მენარმეს შეუძლია მომხმარებლისგან მოითხოვოს საგნის შეძენა (**№ 2**), ან მომხმარებელმა ხელშეკრულების დასრულებისას უნდა უზრუნველყოს **საგნის შეთანხმებული ნარჩენი ღირებულების ანაზღაურება (№ 3)**. საგანში მოიაზრება მოძრავი და უძრავი ნივთები, ასევე, მოთხოვნები და სხვა ქონებრივი უფლებები (*BT-Drucks 16/11643, 92*). ნორმა ემსახურება ფინანსური დახმარების ხელშეკრულებების გამიჯვნას ქირავნობის ხელშეკრულებებისგან, რომლებზეც არ ვრცელდება სამომხმარებლო კრედიტის შესახებ დირექტივა. სახელდობრ, ფინანსური სალიზინგო ხელშეკრულებების დროს მომხმარებლის მიერ **საგნის საბოლოოდ შესყიდვის მოთხოვნის უფლება (Andienungsrecht)** განიხილება № 2-ის ფარგლებში. **ბ) ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების შესახებ** §§ 358-359-ის ნორმები შესაბამისად მოქმედებს საფინანსო ლიზინგის მიმართაც (იხ. § 535-ის შესავალის მე-3, მე-6 და მომდევნო ველები). თუმცა, საფინანსო ლიზინგის ხელშეკრულების **მოთხოვნის გადაცემის კონსტრუქცია (Abtretungskonstruktion)** ვერ ასრულებს ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების წინაპირობებს ორი (ურთიერთდაკავშირებული) ხელშეკრულების არარსებობის გამო. მიუხედავად ამისა, მომხმარებლის დაცვის ინტერესების გათვალისწინებით და შესაბამისი მითითების გამო, გაზიარებულ უნდა იქნეს §§ 358-359-ის მოქმედების სფეროს ასეთი გავრცელება (მდრ. § 535-ის შესავალი მე-11 ველი). **წერილობითი ფორმის დაუცველობა** (§ 492-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება), § 125-ის პირველი წინადადების მიხედვით, იწვევს საფინანსო ლიზინგის ხელშეკრულების ბათილობას (მდრ. *MüKo-Schürmbrand* § 500 მე-6 ველი).

4. განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებები მიიჩნევიან ფინანსური დახმარების ხელშეკრულებების ქვესახეობად. ნორმის მე-3 ნაწილი შეიცავს განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებების კანონისმიერ დეფინიციას, რომელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა, პრაქტიკული თვალსაზრისით, არის განვადებით ნასყიდობა. დამამზადებლის ლიზინგიც განვადებით გადახდის პირობით დადებულ გარიგებად მიიჩნევა, ვინაიდან დამამზადებელი თვითონ მოქმედებს როგორც ლიზინგის გამცემი.

§ 507. განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებები

(1) ¹§ 494-ის პირველი-მე-3 ნაწილები და მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება არ გამოიყენება განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებების მიმართ. ²იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ხელშეკრულების დადებაზე თავის შეთავაზებას

აკეთებს სარეკლამო კატალოგის ან მსგავსი ელექტრონული საშუალების საფუძველზე, რომლიდანაც ცხადად ჩანს ერთჯერადად გადასახდელი ფასი, საპროცენტო განაკვეთი, ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი, გადახდის გეგმა სრული თანხის მაგალითზე, ასევე, წარსადგენი უზრუნველყოფები და დაზღვევები, § 492-ის პირველი ნაწილი არ გამოიყენება, თუკი მენარმე მომხმარებელს ხელშეკრულების შინაარსს შეატყობინებს ტექსტუალური ფორმით, დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს ხელშეკრულების დადების შემდგომ.

(2) ¹განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგება ბათილია მაშინ, როდესაც § 492-ით დადგენილი წერილობითი ფორმა არ იქნება დაცული, ან ხელშეკრულებას აკლია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის §§ 6-ში, 12-სა და 13-ში განსაზღვრული მონაცემები. ²პირველ წინადადებაში გათვალისწინებული ხარვეზის მიუხედავად, განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგება ნამდვილია მაშინ, როდესაც მომხმარებელს ნივთი გადაეცემა, ან მის მიმართ ვალდებულება შესრულდება. ³ამასთანავე, ერთჯერადად გადასახდელ თანხას უნდა დაერიცხოს, მაქსიმუმ, კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი მაშინ, როდესაც ხელშეკრულებაში არაა მოცემული ჯამური თანხა ან ეფექტური წლიური პროცენტი. ⁴იმ შემთხვევაში, თუ ერთჯერადად გადასახდელი თანხა არაა მოცემული, დავის შემთხვევაში, ასეთად მიიჩნევა საბაზრო ფასი. ⁵თუ მოცემულია მეტისმეტად მცირე ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი, მაშინ მთლიანი თანხა მცირდება იმ საპროცენტო განაკვეთამდე, სანამდეც ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი იყო შემცირებული.

(3) ¹ამ კანონის §§ 491-ს, 492-ის მე-2 ნაწილისა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის §§ 3-ის, 6-ისა, 12-ის რეგულირებების მიუხედავად, არ არის საჭირო წინასახელშეკრულებო სტადიაზე მიწოდებულ ინფორმაციასა და თვით ხელშეკრულებაში ერთჯერადად გადასახდელი ფასისა და ეფექტური წლიური განაკვეთის მითითება მაშინ, როდესაც მენარმე ნივთის მიწოდებას და ვალდებულების შესრულებას ახორციელებს მხოლოდ განვადებით გადახდის პირობით. ²§ 501-ის შემთხვევაში ხარჯების შემსუბუქების დათვლას საფუძვლად უნდა დაედოს კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი (§ 246). ³ვადამოსულობამდე თანხის დაფარვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა გამოირიცხება.

1 § 506-ის მე-3 ნაწილში გათვალისწინებული განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებების ფორმის სისწორესთან დაკავშირებით არ გამოიყენება § 494-ის პირველი-მე-3 ნაწილები და მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება. სამაგიეროდ, § 507 შეიცავს სპეციალურ რეგულირებას განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებების ფორმის ნაკლოვანებასთან დაკავშირებით და განსაზღვრავს ფორმის დაცვის აუცილებელ წინაპირობებსა და დაუცველობის სამართლებრივ შედეგებს. § 507-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, ხელშეკრულება ბათილია, თუ სახეზეა § 492-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებით დადგენილი ფორმის დარღვევა ან ხელშეკრულებას აკლია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის §§ 6-8-ითა და 12-13-ით გათვალისწინებული მონაცემები. § 507-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება უთითებს ნაწილობრივ § 494-ის იმ რეგულირებებზე, რომლებიც, ფორმის ნაკლოვანების მიუხედავად, ნამდვილობას უნარჩუნებენ ხელშეკრულებას. მე-2 წინადადება არეგულირებს დისტანციური ვაჭრობის შემთხვევებში ხელშეკრულებების დადების წინაპირობებს (შდრ. § 312b), რომელთა მიხედვითაც, შესაძლებელია, უარი ითქვას ხელშეკრულების წერილობით ფორმით დადებაზე. აქ წინაპირობა არის ის, რომ ხელშეკრულების დადების ინიციატივა უნდა მოდიოდეს მომხმარებლისგან, რომელიც მენარმის სარეკლამო კატალოგის საფუძველზე წარმოიშვა. §§ 507 და 508 ამომწურავად არეგულირებენ განვადებით გადახდის პირობით დადებულ გარიგებებს (Hk-Ebert 1-ლი ველი).

§ 508. ნივთის უკან დაბრუნების უფლება; განვადებით გადახდის პირობით დადებული ხელშეკრულებიდან გასვლა

(1) ¹§ 495-ის პირველი ნაწილით დადგენილი მომხმარებლის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ნაცვლად, შესაძლებელია, მომხმარებელს მიენიჭოს § 356-ის შესაბამისად ნივთის უკან დაბრუნების უფლება ისეთი ხელშეკრულებების დროს, რომელთა საგანია რაიმე განსაზღვრული ნივთის მიწოდება. ²§ 495-ის მე-2 ნაწილი უკან დაბრუნების უფლების მიმართ მოქმედებს შესაბამისად.

(2) ¹მომხმარებლის მიერ გადახდის დაგვიანებისას მენარმეს უფლება აქვს, განვადებით გადახდის პირობით დადებული ხელშეკრულებიდან გავიდეს მხოლოდ § 498-ის პირველი ნაწილში დადგენილი წინაპირობების დაცვით. ²ნომინალურ თანხას (Nennbetrag) შეესაბამება ჯამური თანხა (Gesamtbetrag). ³მომხმარებელმა მენარმეს უნდა აუნაზღაუროს ასევე ხელშეკრულების ფარგლებში განეული დანახარჯები. ⁴უკან დაბრუნებული ნივთით მიღებული სარგებლის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნივთის ფასის შემცირება. ⁵თუ მენარმე განვადებით გადახდის პირობით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ნივთს უკან იღებს, ეს ჩაითვლება როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენარმე უთანხმდება მომხმარებელს, რომ იგი ამ უკანასკნელს აუნაზღაურებს ნივთის უკან აღების დროს არსებულ ნივთის საბაზრო ფასს. ⁶მე-5 წინადადება მოქმედებს შესაბამისად, როდესაც ხელშეკრულება ნივთის მიწოდებაზე სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებასთან არის დაკავშირებული (§ 358) და როდესაც გამსესხებელი ნივთს იღებს; ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში გამსესხებელსა და მომხმარებელს შორის სამართლებრივი ურთიერთობა განისაზღვრება მე-3 და მე-4 წინადადებების მიხედვით.

მომხმარებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილებისას მენარმის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებისთვის ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება შეიცავს სპეციალურ რეგულირებას, რომელიც § 323-თან მიმართებით უპირატესად მოქმედებს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, მოცემული იყოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, § 498-ის პირველი ნაწილის მიხედვით და ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ ნამდვილი შეტყობინება (§ 349). შეტყობინება (და არა გასვლის საფუძველი!, სადავოა) მიიჩნევა განხორციელებულად (ხელშეკრულებიდან გასვლის ფიქცია), როდესაც მენარმე ნივთს იბრუნებს (ნორმის მე-2 ნაწილის მე-5 წინადადება), ვინაიდან ნასყიდობის ნივთის მოგვიანებით დაკარგვის შემთხვევაში მყიდველი არ უნდა დარჩეს ნასყიდობის ფასის გადახდაზე ვალდებული. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება § 346-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების მიხედვით. ამასთანავე, ნორმის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადება დამატებით იძლევა დანახარჯების ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის საშუალებას.

§ 509. კრედიტუნარიანობის შემოწმება

¹სასყიდლიანი ფინანსური დახმარების ხელშეკრულების დადებამდე მენარმემ უნდა შეაფასოს მომხმარებლის კრედიტუნარიანობა. ²შეფასების საფუძველი შესაძლოა იყოს მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში იმ დაწესებულებების ინფორმაცია, რომლებიც პიროვნების საქმიანობასთან დაკავშირებულ მონაცემებს და რომელთა გამოყენებაც დაშვებულია მომხმარებელთა კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, აგროვებენ მათი გადაცემის მიზნით, ინახავენ ან ცვლიან. ³პიროვნებასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის რეგულირებები ხელუხლებელი რჩება.

ქვეკარი 3. საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულება მენარმესა და მომხმარებელს შორის

§ 510. საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულება

(1) მე-2 წინადადების გათვალისწინებით, მენარმესთან ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებშიც მომხმარებლის ნების გამოვლენა მიმართულია იმ ხელშეკრულების დადებისაკენ, რომელიც:

1. ეხება სხვადასხვა ერთმანეთთან დაკავშირებული გაყიდვითი ნივთის ნაწილ-ნაწილ მიწოდებას და რომელთა საზღაურიც გადახდილ უნდა იქნეს ნაწილ-ნაწილ ნივთების ერთობლიობისათვის; ან
2. ეხება ერთი და იმავე სახეობის ნივთების პერიოდულ მიწოდებას; ან
3. ეხება ნივთების პერიოდულად შექმნისა თუ შესყიდვის ვალდებულებას და მომხმარებელს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება § 355-ის მიხედვით. ²ეს წესი არ მოქმედებს § 491-ის მე-2 და მე-3 ნაწილებში განსაზღვრულ ფარგლებში. ³§ 491-ის მე-2 ნაწილის № 1-ში მითითებული სესხის ნეტო თანხა უთანაბრდება მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე შეძლებისდაგვარად ყველაზე ადრე გადასახდელი ნაწილ-ნაწილ გადახდის ყველა თანხას.

(2) ¹პირველი ნაწილის მიხედვით, ფასის გადახდის განვადებით საქონლის მიწოდების ხელშეკრულება საქიროებს წერილობითი ფორმით დადებას. ²პირველი წინადადება არ მოქმედებს, თუ მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა, ხელშეკრულების დადებისას გამოითხოვოს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და შეინახოს ისინი რეპროდუქციისაუნარიანი ფორმით. ³მენარმემ უნდა შეატყობინოს მომხმარებელს ხელშეკრულების შინაარსი ტექსტუალური ფორმით.

1. **1. ნორმის მიზანი.** საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულებით მომხმარებელს წარმოეშობა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც თავისი შინაარსით მსესხებლის ვალდებულებების მსგავსია. შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებამ (პირველი ნაწილი) და წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადების სავალდებულობამ (მე-2 ნაწილი) მომხმარებელი უნდა დაიცვას ხელშეკრულების დადების შესახებ ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებისაგან.
2. **2. მოქმედების სფერო.** ა) № 1-ის თანახმად, ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის დროსაც ხდება ერთმანეთთან დაკავშირებული გასაყიდი ნივთების ნაწილ-ნაწილ მიწოდება ნაწილ-ნაწილ გადახდის სანაცვლოდ, ან ნივთთა ერთობლიობის თანმიმდევრული მიწოდება (მაგ., ლექსიკონის რამდენიმე ტომი, ენის კურსის რამდენიმე ნაწილიანი კომპაქტდისკი (CD): BGH NJW-RR 90, 1011). ბ) № 2 ეხება ერთი და იმავე სახის ნივთების მიწოდებას (მაგ., გაზეთის აბონემენტი: BGH NJW 1987, 124; წყლის და დენის მიწოდება). გ) № 3 ეხება (ასევე პერიოდულ) უკანდაბრუნებად და, მათ შორის, განსხვავებული სახის პროდუქტებს (მაგ., ნიგნის კლუბი). დ) **ნორმა არ მოიცავს ნარდობის ხელშეკრულებებს**, მაგალითად, ფასიანი ტელეარხების აბონემენტს. § 510-ის ანალოგიური გამოყენებაც ამ შემთხვევაში გამოირიცხება (BGH NJW 2003, 1932).
3. **3. ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების რეგულირებიდან (რომელიც მოითხოვს ხელშეკრულების წერილობით ფორმას) გამონაკლისს შეიცავს მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება.** ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ყურადღებამისაქცევია ელექტრონული საშუალებებით დისტანციურად დადებული ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულებებისთვის (BT-Drucks 14/6040, 258). მენარმემ მომხმარებელს ხელშეკრულების შინაარსი ტექსტუალური ფორმით უნდა შეატყობინოს.

ქვეკარი 4. ხელშეკრულების პირობების შეცვლის დაუშვებლობა, ნორმების მოქმედების სფერო დამწყები მენარმის მიმართ

§ 511. განსხვავებული შეთანხმებები

¹თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დაუშვებელია §§ 491-510-ის ნორმებისაგან განსხვავებული რეგულირება მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ. ²ეს ნორმები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევებშიც, როდესაც მათ უვლიან გვერდს სხვაგვარი გაფორმებით.

§ 512. ნორმათა მოქმედების სფერო დამწყები მენარმის მიმართ

§§ 491-511 მოქმედებს ასევე იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებსაც მიეცათ სესხი, გადახდის განვადება ან სხვა ფინანსური დახმარება სამენარმეო ან საკუთარი პროფესიული საქმიანობის დაწყებისათვის, ან, რომლებიც ამ მიზნით დებენ საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სესხის ნეტო თანხა ან ერთჯერადად გადასახდელი თანხა აღემატება 75 000 ევროს.

§ 512 არის დამწყები მენარმის სამართლებრივი მდგომარეობის დამცავი ნორმა. ამასთანავე, მასში მოცემულია დამწყები მენარმის ცნების კანონისმიერი განმარტება. თანხის ოდენობის ზედა ზღვრის დაწესების (75 000 ევრო) გამო, ამ შემთხვევაში იგულისხმება მცირე სესხები, რომლითაც მცირე ბიზნესის დაწყება შესაძლებელი და რომლის დროსაც პირი მოქმედებს საკუთარი მონდომებით და სამენარმეო გამოცდილების გარეშე (BT-Drucks 16/11642, 96). ნორმა მოიცავს ასევე უკვე არსებული სანარმოსგან დამოუკიდებელი სანარმოს დაფუძნების შემთხვევასაც (BGH NJW 1998, 540). დამწყები მენარმეობის ფაზის დასასრული, როგორც წესი, მიიღწევა ბაზარზე გასვლით (მაღაზიის გახსნა, პროდუქციის გამოშვება, Erman-Saenger, § 507 მე-4 ველი).

§§ 513-515 (გაუქმებულია)

კარი 4. ჩუქება

§ 516. ჩუქების ცნება

(1) ქონების გადაცემა, რომლითაც ერთი პირი საკუთარი ქონების ხარჯზე ამდიდრებს სხვა პირს, არის ჩუქება, თუ ორივე მხარე თანახმაა, ქონების გადაცემა მოხდეს უსასყიდლოდ.

(2) ¹თუ ქონების გადაცემა ხორციელდება მეორე მხარის თანხმობის გარეშე, მაშინ ქონების გადაცემს შეუძლია, ამ უკანასკნელს მოსთხოვოს მიღების შესახებ განცხადების გაკეთება სათანადო ვადის დადგენით. ²ვადის გასვლის შემდეგ საჩუქარი ითვლება მიღებულად, თუ მეორე მხარე წინასწარ უარს არ განაცხადებს მასზე. ³უარის თქმის შემთხვევაში, გადაცემული ქონების უკან დაბრუნება შეიძლება იქნეს მოთხოვნილი უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად.

1. ზოგადი მიმოხილვა. კანონი განასხვავებს ჩუქების ხელშეკრულების ორ ფორმას. ფორმისგან თავისუფალი „ხელიდან-ხელში ჩუქება“ (§ 516-ის პირველი ნაწილი) არის მხარეების შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ქონება ერთი პირის (მჩუქებელი) მიერ მეორეს (დასაჩუქრებული) გადაეცემა უსასყიდლოდ, „ხელიდან-ხელში“. ჩუქება შეიძლება ეხებოდეს დასაჩუქრებულისათვის უკვე გადაცემულ ნივთს. ჩუქების შესახებ სამართლებრივი შეთანხმებით ხდება იმავდროულად

დასაჩუქრებულის მიერ ქონების შექმნის საფუძვლის გამყარება (შეთანხმება სამართლებრივი საფუძვლის შესახებ, *Larenz SchR II/1 § 47*). ამისგან განსხვავებით, **ჩუქების დაპირება** (§ 518-ის პირველი ნაწილი) არის ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება. იგი ემსახურება მჩუქებლის სამართლებრივი მდგომარეობის დაცვას, რათა მან არ მიიღოს სწრაფი გადაწყვეტილება, ამიტომ იგი სამართლებრივი ნამდვილობისთვის საჭიროებს ნოტარიულ დამონშებას.

- 2 **2. ქონების გადაცემა** უნდა მოხდეს მჩუქებლის „ქონების ხარჯზე“, მაშასადამე, მისი ქონებიდან. სხვა, ასევე უსასყიდლო ხელშეკრულებებისგან ჩუქების **გასამიჯნავად** ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: § 662 და მისი მომდევნო ნორმები (და არა § 516 და მისი მომდევნო ნორმები) მოქმედებს მაშინ, როდესაც ერთი პირი მეორეს უსასყიდლო მომსახურებას უწევს. მოხმარების მიზნით ნივთის უსასყიდლოდ გადაცემაც ითვლება თხოვებად, მაგალითად, ბინის გადაცემა მთელი ცხოვრების განმავლობაში (BGHZ 82, 354, 356). ჩუქების სამართალი არ მოქმედებს უპროცენტო სესხისათვის, უსასყიდლო მიბარებისა და თავდებობისათვის.
- 3 **3.** არ არის აუცილებელი, რომ მჩუქებლის მიერ დასაჩუქრებულისათვის გაკეთებული საჩუქარი იმ საგნის იდენტური იყოს, რომელსაც დასაჩუქრებული იღებს; დასაშვებია ასევე **შუალობითი ჩუქება** (მაგ.: მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ნასყიდობა, როდესაც შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ურთიერთობაში ჩუქების ურთიერთობა არის მოცემული).
- 4 **4.** დასაჩუქრებულის მიერ ქონების შექმნა (**გამდიდრება**) წმინდა ობიექტური თვალსაზრისით უნდა დადგინდეს.
- 5 **5. ქონების გადაცემის უსასყიდლობა** ნიშნავს, რომ გადაცემამ არ უნდა წარმოშვას დასაჩუქრებულის რაიმე სახის საპასუხო ვალდებულება.
 - ა) თუმცა, დასაშვებია **ჩუქება ვალდებულების დაკისრებით** (იხ. § 525 და მისი მომდევნო პარაგრაფები). ეს ის შემთხვევაა, როდესაც საპასუხო შესრულება საჩუქრის ღირებულებიდან უნდა შესრულდეს (შდრ. § 526). ვალდებულების დაკისრებით ჩუქებისაგან უნდა გაიმიჯნოს **მიზნობრივი ჩუქება**. ასეთია სახეზე, როდესაც საჩუქრის გადაცემის მიზანი ჩუქების გარიგების საფუძველს ქმნის. თუ ვერ იქნება მიზანი მიღწეული, მჩუქებელს შეუძლია დასაჩუქრებულისგან საჩუქრის, § 812-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების საფუძველზე, უკან დაბრუნების მოთხოვნა (უსაფუძვლო გამდიდრებიდან, BGH NJW 1984, 233). ჩუქების არსსა და ნორმებს არ ეწინააღმდეგება ის, თუ მჩუქებელს უნდა ჩუქებით მადლობის გადახდა (**რემუნერატორული ჩუქება**⁹⁵, მაგ., სიცოცხლის გადარჩენისთვის დასაჩუქრება). ეს უკანასკნელი შემთხვევა უნდა განვასხვავოთ შესრულებული სამუშაოსთვის გასამარჯელოს უხვად გადახდისაგან (მაგ., პრემია; *Larenz SchR II/1 § 47 I*).
 - ბ) მეუღლეებს შორის უსასყიდლო ქონების გადაცემა განიხილება არა როგორც ჩუქება, არამედ როგორც ე.წ. **ქორწინებასთან დაკავშირებული ქონების გადაცემა**. გადაცემის ეს ფორმა ხასიათდება როგორც ე.წ. *sui generis*⁹⁶. ქორწინებასთან დაკავშირებული ქონების გადაცემა სახეზე, როდესაც ერთი მეუღლე მეორეს გადასცემს ქონებრივ ღირებულებას ქორწინების გამო და როგორც შენატანს მეუღლეთა საქორწინო თანაცხოვრების განხორციელებისათვის, ორგანიზების, შენარჩუნებისა და უსაფრთხოების მიზნით, სადაც მას აქვს იმის მოლოდინი, რომ მეუღლეთა თანაცხოვრება არსებობს და მას ამ თანაცხოვრების ფარგლებში კვლავ ქონებრივი ღირებულებით უწევს მონაწილეობა (BGH NJW 2006, 2330).
- 7 **გ)** სხვა წესი მოქმედებს **მეუღლეთა მშობლების მიერ გადაცემული ქონების** მიმართ (მაგ.: სიდედრის მიერ სიძისთვის რაიმეს ჩუქება, ან დედამთილის მიერ რძლისთვის). სასამართლოს მიერ დადგენილი ძველი პრაქტიკა მსგავს

95 Remuneratorische Schenkung (ლათ. remuneratio) – ჩუქება ჯილდოს სახით.

96 Sui generis (ლათ.) – უმაგალითო (ერთადერთი) თავისი ხასიათით.

ურთიერთობებზე ავრცელებდა მეუღლეთა შორის ქონების გადაცემის წესებს (BGHZ 129, 259, 263f). თუმცა, ეს ახალი პრაქტიკით შეიცვალა და მეუღლეთა მშობლების მიერ ქონების გადაცემაც შეიძლება ჩუქებად ჩაითვალოს (BGH NJW 2010, 2202; 2884). ამ შემთხვევებში მიიჩნევა, რომ შესრულებულია წინაპირობა ქონების უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით, ვინაიდან უსასყიდლოდ ქონების გადაცემის წინაპირობა არც ის არის, რომ მიმღებს შეუძლია, ნაჩუქარი საგნის თავისუფალი გამოყენება და არც ის, რომ მიმღები ცალმხრივად იღებს სარგებელს. ჩუქებას შეიძლება საფუძვლად ედოს ასევე ის წარმოდგენა, რომ თვითონ გადამცემი (მაგ., სიმამრი) სამომავლოდ ამ ქონების განკარგვაში მონაწილეობას აღარ მიიღებს (რაც განასხვავებს ასეთ გადაცემას მეუღლეთა შორის ქონების გადაცემისაგან). თუმცა, ამ შემთხვევაში, საფიქრებელია ის ფაქტი, რომ შეიძლება მეუღლის მშობელმა ჩუქებას განსაზღვრული მიზანი დაუკავშიროს (მაგ., ფულის ჩუქება სარეცხი მანქანის საყიდლად) ან გარიგებას სხვა რაიმე საფუძველი ჰქონდეს. ასეთი საფუძვლის გაქრობის ან მიზნის შეუსრულებლობის დროს საფიქრებელია § 313-ით ან უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით (§ 812-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადაც.) ნაჩუქარის უკან გამოთხოვა (BGH NJW 2010, 2202; 2884).

6. შერეული ჩუქება არის ერთიანი ხელშეკრულება, როდესაც შესრულებასა და საპასუხო შესრულებას შორის ობიექტური შეუსაბამობა არსებობს (მაგ., შესრულების ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე საპასუხო შესრულების). შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ ზედმეტი შესრულების ღირებულება უსასყიდლოდ იქნეს გადაცემული ერთ-ერთი მხარისთვის. ვალდებულების დაკისრებით ჩუქებისა (იხ. ზემოთ, მე-5 ველი) და ე.წ. „მეგობრულ ფასად მიყიდვისაგან“ (რომელიც წმინდა ნასყიდობაა) განსხვავებით, იგი არის სხვადასხვა ხელშეკრულებათა ტიპების შერწყმით მიღებული ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში ჩუქების სამართლის მუხლები, როგორც წესი, მხოლოდ უსასყიდლოდ გადაცემულ ნაწილზე ვრცელდება (სადავოა დამატებით *MüKo-Koch*, 34-ე და მომდევნო ველები).

§ 517. ქონების შეძენისაგან თავის შეკავება

ჩუქება არ არის, თუ ვინმე სხვა პირის სასარგებლოდ თავს იკავებს ქონების შეძენისაგან ან უარს ამბობს შესაძლო, თუმცა, ჯერ კიდევ საბოლოოდ მიუღებელ უფლებაზე, ან უარს აცხადებს სამკვიდროსა თუ საანდერძო დანაკისრზე.

§ 518. ჩუქების შეპირების ფორმა

(1) ¹იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც ჩუქების სახით ხდება ვალდებულების შესრულების შეპირება, საჭიროა შეპირების სანოტარო წესით დამოწმება. ²ანალოგიური წესი მოქმედებს შეპირების ან აღიარების შესახებ განცხადების მიმართ, როდესაც ვალის შეპირება ან ვალის აღიარება ხორციელდება ჩუქების სახით, §§ 780-სა და 781-ში მოცემული სახით.

(2) ფორმის ნაკლი სწორდება შეპირებული ვალდებულების შესრულების განხორციელებით.

ფართოდ გავრცელებული მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ, რომ ჩუქების განხორციელება და ნორმის მე-2 ნაწილის მიხედვით ფორმის ნაკლის გამოსწორება დასაშვებია მაშინ, როდესაც მჩუქებელმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რაც მისი მხრიდან ვალდებულების შედეგის დადგომისთვის აუცილებელი იყო (*Palandt-Weidenkaff* მე-9 ველი; სხვა მოსაზრება *Erman-Hermann* მე-5 ველი). ნაკლის გამოსწორების სასარგებლოდ ასეთი განმარტება იმით საბუთდება, რომ მჩუქებელი ვალდებულების განხორციელებით ითვალისწინებს თავისი ქმედების შედეგებს და ამით უზრუნველყოფილია § 518-ის დაცვის მიზანიც. ცოცხალ პირთა

შორის ფორმის გამო ბათილი ჩუქების დაპირების გამოსწორებისთვის საკმარისია თუნდაც ის, რომ შეპირების მიმღები შემპირებლის გარდაცვალების შემდგომ მიიღებს შესრულებას მისი მემკვიდრეებისაგან ან სიკვდილით პირობადებული მინდობილობით (Postmortale Vollmacht; BGHZ 99, 97, 100). ამისგან განსხვავებით, გარდაცვალებით პირობადებული ჩუქების შემთხვევაში ფორმის ნაკლის გამოსწორება ვერ მოხდება, ვინაიდან § 2301-ის მე-2 ნაწილი⁹⁷ ამ შემთხვევაში არ გამოიყენება და ჩუქების შეპირება სრულად ექვემდებარება მემკვიდრეობით-სამართლებრივ ნორმებს.

§ 519. შესაგებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის გამო

(1) მჩუქებელი უფლებამოსილია, უარი თქვას ჩუქების შეპირების შესრულებაზე, თუ იგი, მისი სხვა ვალდებულებების გათვალისწინებით, უუნაროა, შეასრულოს შეპირება ისე, რომ არ შეუქმნას საფრთხე საკუთარ სათანადო დონეზე არსებობას ან მასზე კანონით დაკისრებული რჩენის ვალდებულებების შესრულებას.

(2) თუ რამდენიმე დასაჩუქრებელის მოთხოვნის უფლებები უპირისპირდება ერთმანეთს, მაშინ უპირატესობა ენიჭება უფრო ადრე წარმოშობილ მოთხოვნის უფლებას.

§ 520. რჩენის ვალდებულების შეწყვეტა

თუ მჩუქებელი ჰპირდება რჩენას, რომელიც გამოიხატება პერიოდული გადახდებით, მაშინ ვალდებულება წყდება მისი გარდაცვალებით, თუკი შეპირებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 521. მჩუქებლის პასუხისმგებლობა

მჩუქებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

- 1 **1. ნორმის მიზანი.** პასუხისმგებლობის შემსუბუქებამ პრივილეგიურულ მდგომარეობაში უნდა ჩააყენოს ალტრუისტულად მოქმედი მჩუქებელი.
- 2 **2. მოქმედების სფერო.** § 521 უშუალოდ მოიცავს ბრალეულობას ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში; ნაჩუქარი საგნის უფლებრივი ან ნივთობრივი ნაკლისთვის მოქმედებენ §§ 523 და 524. პრობლემურია პასუხისმგებლობის შემსუბუქების გავრცელება **სამართლებრივი სიკეთის დაცვის ვალდებულებების დარღვევის გამო** წარმოშობილ მოთხოვნებზე (§§ 280-ის პირველი ნაწილი, 241-ის მე-2 ნაწილი), ასევე, მის კონკურენტულ დელიქტურ მოთხოვნებზე. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ § 521-ის გამოყენების სფერო დაადასტურა იმ შემთხვევებისთვის, როდესაც დარღვეული სიკეთის დაცვის ვალდებულება „ხელშეკრულების საგანთან ურთიერთკავშირში იმყოფება“⁹⁸. სასამართლოს

97 § 2301. ჩუქების შეპირება საანდერძო განკარგულებით.
 (1) იმ ჩუქების შეპირების მიმართ, რომელსაც პირი იძლევა იმ პირობით, რომ დასაჩუქრებული ცოცხალი იქნება მჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ, გამოიყენება საანდერძო განკარგულებების მიმართ მოქმედი ნორმები. ანალოგიური წესი მოქმედებს ვალის შეპირების ან ვალის აღიარების მიმართ, რომლებიც ჩუქების სახით ხორციელდება ზემოაღნიშნული პირობით, §§ 780-სა, 781-ში მოცემული წესით.
 (2) თუ მჩუქებელი ჩუქებას ახორციელებს გადასაცემი საგნის მიწოდებით, მაშინ გამოიყენება ცოცხალ პირთა შორის განხორციელებული ნაჩუქრობების მიმართ მოქმედი ნორმები.

98 Kartoffelpülpe-Fall (ე.წ. კარტოფილის ნარჩენების შემთხვევა – BGHZ 93, 23: კარტოფილის მწარმოებელმა „ა“-მ კარტოფილის ნარჩენები (მაგ. ნაფრცქვენები) აჩუქა ფერმერ „ბ“-ს, რომელსაც ამ ნარჩენებით უნდა გამოეკვება თავისი ღორები. იმის გამო, რომ „ა“-მ არ მიანოდა ფერმერს ინფორმაცია თუ რა რაოდენობის ნარჩენი უნდა ექმია

ეს მსჯელობა ამ დროისათვის ლიტერატურაში უარყოფილია, რამდენადაც საკითხის ასეთი კუთხით გადანწყვეტისას ირლვევა დასაჩუქრებულის თვითმყოფადობის ინტერესი (Integritätsinteresse; *Jauernig-Mansel* 1-ლი ველი; *Erman-Herrmann* მე-3 ველი). § 521-ის ანალოგიის წესით გამოყენებასთან დაკავშირებით იხილეთ კეთილგანწყობით წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ მსჯელობა, § 241-ის შესავლის ველი 2.

§ 522. ვადის გადაცილების პროცენტები

მჩუქებელი არ არის ვალდებული, გადაიხადოს ვადის გადაცილების პროცენტები.

§ 523. პასუხისმგებლობა უფლებრივი ნაკლისათვის

(1) თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით მალავს უფლებრივ ნაკლს, იგი ვალდებულია, დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

(2) ¹თუ მჩუქებელმა იკისრა იმ ნივთის გადაცემა, რომელიც მან ჯერ უნდა შეიძინოს, მაშინ დასაჩუქრებულს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება უფლებრივი ნაკლის გამო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ ნაკლი ცნობილი იყო მჩუქებლისათვის ნივთის შეძენისას ან მან ამის შესახებ არ იცოდა უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად. ²შესაბამისად გამოიყენება § 433-ის პირველი ნაწილის და §§ 435-ის, 436-ის, 444-ის, 452-ის, 453-ის ნორმები უფლებრივი ნაკლისათვის გამყიდველის პასუხისმგებლობის შესახებ.

§ 524. პასუხისმგებლობა ნივთობრივი ნაკლისათვის

(1) თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით მალავს გაჩუქებული ნივთის ნაკლს, იგი ვალდებულია, დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

(2) ¹თუ მჩუქებელმა იკისრა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემა, რომელიც მან ჯერ უნდა შეიძინოს, მაშინ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემული ნივთი ნაკლის მქონეა და მჩუქებელმა ნივთის შეძენისას იცოდა ნაკლის შესახებ, ან მან ამის შესახებ არ იცოდა უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად, დასაჩუქრებულს შეუძლია მოითხოვოს ნაკლის მქონე ნივთის ნაცვლად მისთვის უნაკლო ნივთის მიწოდება; თუ მჩუქებელმა ნაკლი ბოროტი განზრახვით დამალა, მაშინ დასაჩუქრებულს უნაკლო ნივთის გადაცემის ნაცვლად შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურება. ²ამ მოთხოვნის უფლებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება გაყიდული ნივთის ნაკლისათვის გარანტიის შესახებ ნორმები.

§ 525. ჩუქება ვალდებულების დაკისრებით

(1) პირს, რომელიც ახორციელებს ჩუქებას ვალდებულების დაკისრებით, შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ მან, თავის მხრივ, უკვე განახორციელა შესრულება.

მას ლორებისთვის, საჭმელი დოზის გადამეტების გამო „ბ“-ს ლორები დაიხოცნენ. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ა“-მ დაარღვია გულისხმიერების ვალდებულება, ვინაიდან მას უნდა მიენოებინა „ბ“-სთვის ინფორმაცია კარტოფილის ნარჩენების კვებითი ღირებულების შესახებ. თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში გულისხმიერების ვალდებულების დარღვევის გამო § 280-ით პასუხისმგებლობისას გამოყენებულ უნდა იქნეს § 521-ის დანაწესი, რომელიც ათავისუფლებს გამჩუქებელს პასუხისმგებლობისაგან მსუბუქი გაუფრთხილებლობის შემთხვევებში. მაშასადამე, ამ შემთხვევაში „ა“ პასუხს არ აგებს, ვინაიდან პასუხისმგებლობის მასშტაბის დაყვანა ხდება მსუბუქ გაუფრთხილებლობამდე. § 521 გამოიყენება ანალოგიის სახით უსასყიდლო ხელშეკრულებების შემთხვევებში პასუხისმგებლობის მასშტაბის შესამცირებლად.

(2) თუ ვალდებულების შესრულება საჯარო ინტერესშია, მაშინ მჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა შეუძლია ასევე კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოსაც.

§ 526. დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა

რამდენადაც უფლებრივი ნაკლის ან გაჩუქებული ნივთის ნივთობრივი ნაკლის შედეგად გადაცემული ქონების ღირებულება ვერ აღწევს ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო ხარჯების ოდენობას, დასაჩუქრებული უფლებამოსილია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე ნაკლის შედეგად წარმოშობილი ნაკლული თანხის კომპენსაციამდე; თუ დასაჩუქრებული ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას ისე, რომ არ იცის ნაკლის შესახებ, მაშინ მას შეუძლია, მჩუქებლისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულების შედეგად განეული ხარჯების ანაზღაურება იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი ნაკლის გამო აღემატება გადაცემული ქონების ღირებულებას.

§ 527. დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა

(1) თუ ვალდებულება არ სრულდება, მაშინ მჩუქებელს შეუძლია მოითხოვოს საჩუქრის უკან დაბრუნება ორმხრივი ხელშეკრულებებისას ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებისათვის დადგენილი პირობების მიხედვით უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად იმ ფარგლებში, რომლებშიც საჩუქარი უნდა ყოფილიყო გამოყენებული ვალდებულების შესრულებისათვის.

(2) მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მესამე პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება.

1 დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისას ნორმის პირველი ნაწილი უფლებას აძლევს მჩუქებელს, დასაჩუქრებულს წარუდგინოს მოთხოვნა საჩუქრის უკან გადმოცემის თაობაზე, თუ ეს საჩუქარი ვალდებულების შესრულებისთვის უნდა გამოყენებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩუქება ვალდებულების დაკისრებით არ წარმოადგენს ორმხრივ ხელშეკრულებას, მაინც უნდა შესრულდეს ორმხრივი ხელშეკრულებებისთვის განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები. ამით თავისთავად ხდება გადამისამართება ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგად ნორმაზე – § 323-ზე. ნაჩუქარის უკან გადმოცემის ვალდებულების მოცულობისთვის ნორმის პირველი ნაწილი შეიცავს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების სამართლებრივ შედეგებზე მითითებას, სახელდობრ, § 818-ზე. § 819-ის გამკაცრებული პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში გამოიყენება იმ მომენტიდან, როგორც კი დასაჩუქრებული მჩუქებლის მიერ საჩუქრის უკან მოთხოვნის სურვილის შესახებ შეიტყობს.

§ 528. საჩუქრის გამოთხოვის მოთხოვნა მჩუქებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების გამო

(1) ¹რამდენადაც მჩუქებელი ჩუქების განხორციელების შემდეგ უუნაროა, ღირსეულ დონეზე ირჩინოს თავი, ან განახორციელოს მასზე კანონით დაკისრებული რჩენის მოვალეობა თავისი ნათესავების, მეუღლის, თანაცხოვრების პარტნიორისა თუ ყოფილი მეუღლის ან ყოფილი თანაცხოვრების პარტნიორის მიმართ, მაშინ მას შეუძლია, დასაჩუქრებულისაგან მოითხოვოს საჩუქრის დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად. ²დასაჩუქრებულს შეუძლია, თავიდან აიცილოს საჩუქრის დაბრუნება რჩენისათვის საჭირო თანხის გადახდით. ³დასაჩუქრებულის ვალდებულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება § 760, ისევე როგორც ნათესავის რჩენის ვალდებულების მიმართ მოქმედი § 1613-ით რეგულირება, ხოლო მჩუქებლის გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე §1615.

(2) რამდენიმე დასაჩუქრებულიდან ყველაზე ადრე დასაჩუქრებული პასუხს აგებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უფრო გვიან დასაჩუქრებული არ არის ვალდებული.

§ 529. საჩუქრის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების გამორიცხვა

(1) საჩუქრის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ხელი შეუწყო თავისი თავის მძიმე მდგომარეობაში ჩაგდებას, ან, თუ მისი მძიმე მდგომარეობის დადგომის მომენტისათვის ნაჩუქარი ნივთის გადაცემის შემდეგ გავიდა ათი წელი.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს იმდენად, რამდენადაც დასაჩუქრებული მისი, სხვა ვალების გათვალისწინებით, უუნაროა, დააბრუნოს ნაჩუქარი ნივთი ისე, რომ არ შეუქმნას საფრთხე თავისი თავის ღირსეულ დონეზე არსებობას ან მასზე კანონით დაკისრებული რჩენის მოვალეობის განხორციელებას.

§ 530. ჩუქების გაუქმება

(1) ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მძიმე გადაცდომის ჩადენით იჩენს დიდ უმადურობას.

(2) მჩუქებლის მემკვიდრეს ეკუთვნის ჩუქების გაუქმების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებულმა განზრახ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოუსპო სიცოცხლე მჩუქებელს ან ხელი შეუშალა ჩუქების გაუქმების განხორციელებას.

§ 531. ჩუქების გაუქმების განცხადება

(1) ჩუქების გაუქმება ხორციელდება დასაჩუქრებულის მიმართ გაკეთებული განცხადებით.

(2) თუ ჩუქება გაუქმდა, მაშინ საჩუქრის დაბრუნება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად.

§ 532. ჩუქების გაუქმების გამორიცხვა

¹ჩუქების გაუქმება გამორიცხულია, თუ მჩუქებელმა აპატია დასაჩუქრებულს ან გავიდა ერთი წელი იმ მომენტიდან, როდესაც ჩუქების გაუქმებაზე უფლებამოსილმა პირმა შეიტყო თავისი უფლების რეალიზაციის წინაპირობების დადგომის შესახებ. ²დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემდეგ ჩუქების გაუქმება აღარ არის დასაშვები.

§ 533. ჩუქების გაუქმების უფლებაზე უარი

ჩუქების გაუქმების უფლებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც უმადურობა ცნობილი გახდა ჩუქების გაუქმებაზე უფლებამოსილი პირისათვის.

§ 534. მორალური ვალდებულების გამო გაკეთებული ნაჩუქრობები და ნაჩუქრობები ზრდილობისათვის

ნაჩუქრობები, რომლებიც შეესაბამება მორალურ ვალდებულებას, ან გაკეთდა ზრდილობისათვის, არ ექვემდებარება გამოთხოვასა და გაუქმებას.

კარი 5. ქირავნობის ხელშეკრულება, საიჯარო ხელშეკრულება

ქვეკარი 1. ქირავნობის ურთიერთობებთან დაკავშირებული ზოგადი ნორმები

§ 535-ის შესავალი

- 1 **ლიზინგი** კანონით არ არის დარეგულირებული, თუმცა, უამრავი ეკონომიკური ურთიერთობის დროს გამოყენებადი ხელშეკრულების სახეა. იგი თავისი ფორმითა და შინაარსით ემსგავსება ქირავნობის ხელშეკრულებას (დანვრ. ქვემოთ, მე-6 ველი).
- 2 1. ლიზინგის **ცნება** მოიცავს განსხვავებულ **ხელშეკრულებათა სახეებს** (დამატ. იხ. *Medicus SchR II 598-ე* და მომდევნო ველები).
- 3 ა) პრაქტიკული თვალსაზრისით, წინა პლანზე მდგომი **საფინანსო ლიზინგის (Finanzierungsleasing)** შემთხვევაში, (რომელსაც ქვემოთ მოცემული განმარტებები ეხება – მე-6 და მომდ. ველები), ლიზინგის გამცემი იძენს ლიზინგის საგანს მიმწოდებლისგან, რათა ეს საგანი შემდგომ ლიზინგის მიმღებს მოხმარებისთვის გადასცეს. ლიზინგის მიმღები ლიზინგის გამცემს უხდის ლიზინგის შესატან თანხას ნაწილ-ნაწილ, რომელიც მიმართულია ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის შესაძენად გაწეული დანახარჯების სრული ან ნაწილობრივი დაფარვისკენ/ამორტიზაციისთვის (აქედან წარმოშობილია ტერმინები: სრული ამორტიზაციის ლიზინგი ან ნაწილობრივი ამორტიზაციის ლიზინგი). ლიზინგის ეკონომიკური მიზანია, ლიზინგის მიმღებს მისცეს შესაძლებლობა, თანამედროვე საინვესტიციო საქონელი მიიღოს და თავის ეკონომიკური საქმიანობა განახორციელოს ისე, რომ არ მოუწიოს საკუთარი კაპიტალის სრული ინვესტიცია. ამ ფუნქციისა და შინაარსის გამო იგი იწოდება საფინანსო ლიზინგად. საფინანსო ლიზინგის განსაკუთრებულ ფორმებია ე.წ. „sale-and-lease-back“ და უპროცენტო ლიზინგი (იხ. ქვემოთ). აა) ე.წ. „sale-and-lease-back“⁹⁹-ის შემთხვევაში (სამომავლო) ლიზინგის მიმღები მის საკუთრებაში არსებულ ნივთს მიჰყიდის ლიზინგის გამცემს, რომელიც ამ ნივთს შემდგომ, ისევ ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე, უკან გადმოსცემს ლიზინგის მიმღებს გამოსაყენებლად. ეს ხელშეკრულების ტიპი ემსახურება მიზანს, ლიზინგის მიმღებს შეუქმნას ლიკვიდურობა და თავისი გამოუყენებელი რეზერვების გახსნით გააუმჯობესებინოს ბალანსი. ამ შემთხვევაში არ არის მოცემული ლიზინგისთვის ტიპიური სამი პირის ურთიერთობა: მიმწოდებელი – ლიზინგის გამცემი – ლიზინგის მიმღები. ბბ) **უპროცენტო ლიზინგის (Null-Leasing)** შემთხვევა იმით ხასიათდება, რომ ლიზინგის საგნის ხმარებაში გადაცემისთვის არ მოითხოვება რაიმე პროცენტი; ლიზინგის პერიოდის გასვლის შემდგომ კლიენტს შეუძლია, ლიზინგით აღებული ნივთი დარჩენილი ღირებულების გადახდის სანაცვლოდ შეიძინოს (გამოიყენება ხშირად ავტომობილებით ვაჭრობაში).
- 4 ბ) **ოპერატიული ლიზინგის (Operatingleasing)** ცნებაში მოიაზრება ნივთის გამოყენების უფლების მინიჭების ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც წინასწარ დადგენილი, ძირითადად მოკლე ან განუსაზღვრელი ვადით იდება და რომელთა დროსაც ლიზინგის მიმღებს ნებისმიერ დროს შეუძლია, ხელშეკრულება ზოგადი ნორმების დაცვით შეწყვიტოს. საფინანსო ლიზინგის ხელშეკრულებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ლიზინგის გამცემი არის ლიზინგის საგნის შენარჩუნების რისკის მატარებელი. **ოპერატიული ლიზინგი**, ძირითადად, განიხილება, როგორც ჩვეულებრივი ქირავნობის ხელშეკრულება (*Emmerich JuS 1990, 1, 3*). გამომდინარე აქედან, მასაც ეხება § 535-სა და მისი მომდევნო ნორმების კომენტარი.
- 5 გ) **მწარმოებლის ლიზინგიც (Herstellerleasing)** უნდა განვსხვავოთ საფინანსო ლიზინგისგან. მის შემთხვევაში ლიზინგის გამცემი არის ან მიმწოდებლის

99 sale-and-lease-back – გაყიდვით და აიღე უკან ლიზინგით სარგებლობაში.

შვილობილი საწარმო, ან თვითონ მიმწოდებელი. ვინაიდან ლიზინგის ეს ტიპიც, ძირითადად, ავტომობილებით ვაჭრობაში გამოიყენება, მნიშვნელოვანია მისი გამიჯვნა საფინანსო ლიზინგისაგან. მწარმოებლის ლიზინგის შემთხვევაში ლიზინგის გამცემს აქვს ნივთის გასაღების უფრო დიდი ინტერესი და, ამასთანავე, არ არის მოცემული ლიზინგისთვის დამახასიათებელი სამი პირის ურთიერთობა. ამ შემთხვევებში, ძირითადად, სახეზეა განვადებით გადახდის პირობით დადებული ნასყიდობები ან ქირავნობა შესყიდვით, ანუ ქირავნობა დამქირავებლის უფლებით – განსაზღვრული ვადის განმავლობაში შეიძინოს ნივთი წინასწარ განსაზღვრულ ფასად და მის მიერ გადახდილი ქირავნობის პროცენტები ამ ფასიდან გაქვითოს (დამატ. იხ. *Medicus SchR II 600-ე ველი*).

2. საფინანსო ლიზინგის **სამართლებრივი ბუნება** სადავოა. ლიზინგის ხელშეკრულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქირავნობის ხელშეკრულებიდან ნივთის ნაკლის შესახებ ნორმების მოქმედების გამორიცხვის გამო. ამ ნორმების ჩანაცვლება ხდება მიმწოდებელთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან შექმნილი და ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისადმი დათმობილი უფლებებით. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების (BGHZ 109, 364, 372; *Palandt-Weidenkaff*, 38-ე ველი) თანახმად, ლიზინგის შემთხვევაში, საქმე ეხება ატიპურ ქირავნობის ხელშეკრულებას, ვინაიდან ხელშეკრულების დომინანტური მიზანი არის ნივთის გამოყენებისთვის სასყიდლიანი გადაცემა. ლიტერატურაში წარმოდგენილია ლიზინგის სამართლებრივი ურთიერთობის სხვადასხვაგვარი შეფასება, სახელდობრ, იგი მიჩნეულია როგორც შერეული ტიპის ხელშეკრულებად საკრედიტო და დავალების ხელშეკრულების სამართლებრივი ელემენტებით, ისევე, როგორც ატიპური ნასყიდობის ხელშეკრულება ან ხელშეკრულება *sui generis* (მდრ. *Larenz/Canaris SchR II/2 § 66 II 2, 3*). საფინანსო ლიზინგის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, § 307-ის მე-2 ნაწილის № 1-ის მიხედვით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლისას და ასევე ხელშეკრულების ხარვეზების შევსების შემთხვევებში. თუ რატომ არ უნდა იქნეს მიჩნეული საფინანსო ლიზინგის ხელშეკრულება ნასყიდობის ხელშეკრულებად, გამომდინარეობს იმ შედეგიდან, რომ ლიზინგის მიმღები, § 433-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების კანონისმიერი პრინციპისგან განსხვავებით, არ ხდება ნივთის მესაკუთრე. თუ ლიზინგს მივიჩნევთ *sui generis*-ად (უმაგალითოდ თავისი ხასიათით), ეს მანიც არ გავგავთვს უფლებს იმ აუცილებლობისგან, რომ § 307-ის მე-2 ნაწილის № 1-ის მიხედვით შეფასდეს ლიზინგის გამცემის მიერ შეთავაზებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. დავალების ხელშეკრულებად მიჩნევის წინააღმდეგ არგუმენტია: ლიზინგის ხელშეკრულება დატვირთვას იძენს არა ლიზინგის გამცემის მიერ ნაკისრი ლიზინგის საგნის შექმნით, არამედ მნიშვნელოვანია ამ საგნის ლიზინგის მიმღებზე გადაცემა; ამასთანავე, ლიზინგის გამცემი ლიზინგის საგანს იძენს საკუთარი ხარჯებით და ლიზინგის მიმღებსაც გადასცემს არა იმას, რაც მიიღო (საკუთრებას ლიზინგის საგანზე), არამედ ანიჭებს მხოლოდ ამ საგნის გამოყენებისა და მოხმარების შესაძლებლობას. ბოლოს კი უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკამ ლიზინგის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ჩამოყალიბება დაუახლოვა ქირავნობის ხელშეკრულების პრინციპებს. ასე რომ, მიზანშეწონილია მხარეთა პოზიციის გათვალისწინება და ლიზინგის ხელშეკრულების განხილვა ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით მოდიფიცირებულად, **ატიპური ქირავნობის ხელშეკრულებად**.

3. მენარმესა (§ 14-ის პირველი ნაწილი) და **მომხმარებელს** (§ 13) შორის დადებულ საფინანსო ლიზინგის ხელშეკრულების შესახებ განსაკუთრებულ რეგულირებასთან დაკავშირებით იხილეთ § 506 და ქვემოთ, მე-11 ველი.

- 8 4. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მიმწოდებლის მიერ **ლიზინგის საგნის მიწოდებლობის ან დაგვიანებული მიწოდებისთვის** პასუხს აგებს ლიზინგის გამცემი (*Palandt-Weidenkaff 55-ე ველი*). ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის გადაცემის ვალდებულება არის ლოგიკური შედეგი, რომელიც გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ საფინანსო ლიზინგის ხელშეკრულება მიჩნეულია ატიპურ ქირავნობის ხელშეკრულებად (ზემოთ, მე-6 ველი, სხვა მოსაზრებაზეა *Larenz/Canaris SchR II/2 § 66 IV 5a*, რომელიც დაფინანსების ასპექტს უსვამს უფრო ხაზს).
- 9 5. საფინანსო ლიზინგის დროს, როგორც წესი, გამოირიცხება ლიზინგის **საგნის ნაკლისათვის** ლიზინგის გამცემის პასუხისმგებლობა. ამასთანავე, ლიზინგის გამცემი მიმწოდებლის მიმართ ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილ მოთხოვნებს თმობს ლიზინგის მიმღების სასარგებლოდ. ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით დადგენილი ნაკლის მოთხოვნების გამოირიცხვა ლიზინგის გამცემის მიმართ უნდა შეფასდეს § 307-ითა და მისი მომდევნო ნორმებით. § 307-ის მე-2 ნაწილის № 2-ის დარღვევა არის სახეზე, თუ ლიზინგის მიმღები ნაკლის გამო წარმოშობილ უფლებების დათმობით ისეთ უფლებებს ვერ შეიძენს, როგორცაა ქირავნობის სამართალი ითვალისწინებს ნაკლის არსებობისას. ამიტომ ლიზინგის გამცემმა მიმწოდებლის მიმართ არსებული ნასყიდობის სამართლებრივი ნაკლის მოთხოვნები შეუზღუდავად, უპირობოდ და ასევე დათქმების გარეშე უნდა დაუთმოს ლიზინგის მიმღებს (*Palandt-Weidenkaff 50-ე ველი*). იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელსა და ლიზინგის გამცემს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გამოირიცხულია ნაკლის უფლებები, ამ უფლებების დათმობა ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებზე უშედეგო იქნებოდა, ამიტომ ამ შემთხვევაში ნაკლის უფლებების გამოირიცხვა ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის არ იქნება ნამდვილი. ეს წესი მოქმედებს ასევე მომხმარებელთან დადებული ლიზინგის ხელშეკრულების მიმართ (*BGH NJW 2006, 1066 Nr 14*). თუმცა, ჯერჯერობით ვერ დამკვიდრდა მოსაზრება, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკლის უფლებების გამოირიცხვა, § 475-ის მიხედვით, ბათილად იქნეს ცნობილი, როგორც კანონის დანაწესის გვერდის ამვლელი გარიგება. ამიტომ შესაძლებელი რჩება, რომ გამოირიცხული ნაკლის უფლებები ლიზინგის მიმღებზე მაინც გადავიდეს (ამასთან დაკავშირებით იხილეთ *von Westphalen ZIP 2006, 1653, 1654f*).
- 10 მაშინ, როდესაც ლიზინგის მიმღები ნაკლის გამო წარმოშობილ მოთხოვნებს განახორციელებს მიმწოდებლის მიმართ და ეს ხელშეკრულების გასვლის შედეგამდე მიიყვანს მას (§ 437-ის № 2), სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, (რომელიც სადავოა), მიიჩნევა, რომ ამ დროს სახეზეა ლიზინგის ხელშეკრულების საფუძვლების ცვლილება *ex tunc* შედეგით (*BGHZ 81, 298, 306* და მომდევნო გვერდები, აკრიტიკებს *Larenz/Canaris SchR II/2 § 66 IV 2d*). შესაბამისად, დასაშვებია, რომ მას შემდეგ, რაც ლიზინგის მიმღებს ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ შეუძლია უარი თქვას ლიზინგის გამცემის მიმართ ლიზინგის ნაწილების გადახდაზე. ეს კი საფინანსო ლიზინგის მონაწილეების ინტერესთა მდგომარეობისთვის შესაძლოა მიუღებელი აღმოჩნდეს. მაშასადამე, მაშინ, როდესაც მიმწოდებელი ხელშეკრულებიდან გასვლას არ ეთანხმება, სასამართლოს მიერ უნდა დადგინდეს, თუ რამდენად იწვევს ლიზინგის მიმღების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლა სალიზინგო ხელშეკრულების საფუძვლის ცვლილებას და უკუქცევითი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას. იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არაა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები, თუმცა, ლიზინგის მიმღები მაინც უარს აცხადებს ლიზინგის ნაწილების გადახდაზე, ის ამის შედეგად ხვდება გადახდის ვადის გადაცილებაში და პასუხს აგებს, §§ 280-ის პირველი ნაწილისა და 241-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად (იხ. § 241-ის მე-3 ველი). თუ ხელშეკრულებიდან გასვლა ნამდვილია და სახეზეა მისი წინაპირობები, ლიზინგის მიმღებს შეუძლია, გადახდილი ნაწილები ლიზინგის გამცემისგან უკან მოითხოვოს, §§ 313-ის მე-3 ნაწილის მე-2

ნინადადების, 346-ისა და მისი მომდევნო ნორმების თანახმად (*Palandt-Grüneberg* § 313 42-ე ველი).

თუ ლიზინგის მიმღები მომხმარებელია, მაშინ § 506 უთითებს ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების ნორმებზე (§§ 358-359ა). მიიჩნევა, რომ ამ შემთხვევაში გაპარულია ერთგვარი რედაქციული შეცდომა (*Habersack BKR* 2001, 72, 76); ვინაიდან სალიზინგო ურთიერთობა ურთიერთდაკავშირებულ ხელშეკრულებად შეიძლება იქნეს მიჩნეული, მაშინ, როდესაც ლიზინგის გამცემი დებს ორ ხელშეკრულებას – ლიზინგისა და მიწოდების ხელშეკრულებებს, სადაც, უპირველეს ყოვლისა, სახეზეა ე.წ. ჩართვის მოდელი (*Eintrittsmodell*: თავდაპირველად, ლიზინგის მიმღები მიმწოდებელთან საკუთარი სახელით აფორმებს მიწოდების ხელშეკრულებას; ამის შემდგომ ლიზინგის გამცემსა და მიმღებს შორის ფორმდება ლიზინგის ხელშეკრულება, რომლითაც ლიზინგის გამცემი ვალდებულებას კისრულობს, ჩაერთოს მიწოდების ხელშეკრულებაში). თუმცა, ასეთი შეზღუდული ხედვა არ იგულისხმება კანონის მიერ დაწესებულ მითითებაში. მომხმარებელთან დადებული ლიზინგის ხელშეკრულების დროს, ლიზინგის საგნის ნაკლოვანების შემთხვევაში, ლიზინგის მიმღებს ყველა შემთხვევაში შეუძლია, ლიზინგის გამცემს პირდაპირ წარუდგინოს მოთხოვნები, ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლის მეორე ხელშეკრულებაზე გავრცელების გზით (იხ. § 359); § 313-ის გამოყენების საჭიროება ამ შემთხვევაში არ დგას.

11

§ 535. ქირავნობის ხელშეკრულების შინაარსი და ძირითადი ვალდებულებები

(1) ¹ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი ვალდებულია, ქირავნობის ვადის განმავლობაში უზრუნველყოს დამქირავებლის მიერ ქირავნობის ნივთის გამოყენება. ²გამქირავებელმა ქირავნობის ობიექტი უნდა გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში და შეინარჩუნოს იგი ამ სახით ქირავნობის ვადის განმავლობაში. ³მას ეკისრება ქირავნობის ობიექტის მიმართ არსებული ყველა გადასახდელი.

(2) დამქირავებელი ვალდებულია, გამქირავებელს გადაუხადოს შეთანხმებული ქირა.

I. ზოგადი მიმოხილვა

მე-5 კარი, რომელიც ეხება ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებებს, ოთხ ქვეკარად იყოფა: პირველ ქვეკარში მოცემულია ზოგადი ხასიათის ნორმები ყველა სახის ქირავნობის ურთიერთობისთვის; მე-2 ქვეკარი ეხება პრაქტიკული თვალსაზრისით წინა პლანზე მდგომ საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულებების შესახებ სპეციალურ რეგულირებებს; შემდგომ, მე-3 ქვეკარში მოცემულია ნორმები სხვა ნივთებთან დაკავშირებული ქირავნობის ურთიერთობებისთვის; და იყოფა 5 ქვეკარად, ბოლოს, მე-4 ქვეკარში დარეგულირებულია იჯარის ხელშეკრულება.

1

II. გამქირავებლის ვალდებულებები

1. ქირავნობის ურთიერთობის ძირითად ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა, დამქირავებელს წარმოეშვას § 320-იდან და მისი მომდევნო ნორმებიდან გამომდინარე უფლებები. ეს ძირითადი ვალდებულებებია: ა) **ხელშეკრულებით განსაზღვრული ნივთის გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფა (ნორმის პირველი ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებები)**. დამქირავებელს ნივთი ისე უნდა გადაეცეს, რომ მას ჰქონდეს ნივთის ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით განსაზღვრული გამოყენების შესაძლებლობა. ეს ნორმა არ ავალდებულებს დამქირავებელს, უბრალოდ, ითმინოს დამქირავებლის მიერ ნივთის გამოყენება, არამედ მას მოუწოდებს, ასევე, მოქმედებებისკენ, მაგ.: აღკვეთოს სხვა დამქირავებელთან

2

ხელშემშლელი მოქმედებები, გაათბოს საცხოვრებელი ფართი და ა.შ. თუ რა იგულისხმება ხელშეკრულებით განსაზღვრულ გამოყენებაში, უნდა დადგინდეს მხარეთა ინტერესების ურთიერთშეფარდებით (მაგ.: ბინაში ცხოველის ყოლა, უცხო პირის ბინაში გრძელვადიანი ცხოვრება, ახალი საყოფაცხოვრებო ტექნიკის დაყენება და ა.შ.); **ბ) ხელშეკრულების შესაბამისი გამოყენებისთვის ქირავნობის ნივთის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება/ნივთის მოვლა (ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).** გამქირავებლის მიმართ არსებული დამქირავებლის ეს მოთხოვნა ქირავნობის პერიოდში ხანდაზმულობას არ ექვემდებარება. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მოსაზრებით, აქ საქმე ეხება განგრძობად ვალდებულებას, რომელიც, მისი ცნების მიხედვით, ვერ დაექვემდებარება ხანდაზმულობას, ვინაიდან იგი მუდამ ხელახლა წარმოიშობა. აქედან გამომდინარე, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ამ შემთხვევაში არ არსებობს გამქირავებლის დაცვის საჭიროება, ვინაიდან ნაკლის არსებობა დადგენილია მოცემულ დროში და არ არის დაკავშირებული წარსულში არსებულ მდგომარეობასთან (BGH NJW 2010, 1292 Nr 17). მაშასადამე, გამქირავებელი ვალდებულია, ასევე, ქირავნობის ნივთის შემადგენელი იმ ნაწილების სარემონტო სამუშაოებიც გასწიოს, რომლებიც ქირავნობის ურთიერთობის დაწყების შემდგომ შეიძენენ დეფექტს. კანონმდებელი ასეთ სამუშაოებში მოიაზრებს კოსმეტიკურ რემონტსაც (საცხოვრებელი ფართის შემთხვევაში, მაგ.: შეღებვა, შპალერის გაკვრა). თუმცა, პრაქტიკაში ჩვეული შემთხვევაა ასეთი კოსმეტიკური რემონტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით დამქირავებელზე გადაკისრება. იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი იკისრებს ვალდებულებას, განახორციელოს კოსმეტიკური რემონტი, ეს მიიჩნევა მის მიერ შესასრულებელი (საპირისპირო) ვალდებულების ნაწილად ქირავნობის ფართის გადაცემის სანაცვლოდ (BGH NJW 2004, 2087). შესაბამისად, ძირითად შემთხვევებში, § 307 არ ეწინააღმდეგება ფორმულარის მეშვეობით ამ ვალდებულებების გადაცემას (*Palandt-Weidenkaff 42-ე* ველი).

3

ა) ბათილი დათქმები. კოსმეტიკური რემონტის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დათქმები ვერ უძღებს შინაარსობრივ კონტროლს მაშინ, როდესაც ისინი, § 307-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების გათვალისწინებით, ბუნდოვანია (BGH NJW 2007, 3632 Nr 24), ან, თუ დამქირავებელს ეკისრება იმ კოსმეტიკურ სარემონტო სამუშაოთა შესრულება, რომელთა განხორციელება, § 535-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, ნივთის მდგომარეობის შენარჩუნების ვალდებულების ფარგლებში, გამქირავებელსაც არ დაეკისრებოდა. § 307-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების გათვალისწინებით, ამგვარი დათქმა დამქირავებლისთვის იქნებოდა მისი მდგომარეობის არაპროპორციულად დამამძიმებელი. შესაბამისად, ბათილია მყარად დადგენილი გეგმიური ვადები, რომლებიც, დამქირავებლისთვის ყოველგვარი ფაქტობრივი საჭიროების გარეშე, ადგენენ სარემონტო სამუშაოთა განხორციელების ვალდებულებებს დროის განსაზღვრულ მონაკვეთებში (BGH NJW 2004, 2586, 2587). ბათილობა ვრცელდება არა მარტო ვადების გეგმაზე, არამედ მთლიან დათქმაზე, ვინაიდან ვადების შესახებ გეგმა, სხვა დანარჩენი დათქმების შინაარსებთან ერთად, ერთ მთლიანობას ქმნის. მხოლოდ მისი გაუქმება გამოიწვევდა დათქმის მოქმედების შენარჩუნებას, თუმცა, დაუშვებელ რედუქციას (მოქმედების შეზღუდვას). ეს წესი მოქმედებს ასევე მაშინ, როდესაც დადგენილი ვადების გეგმა და რემონტის ვალდებულება ორ სხვადასხვა დათქმაშია გადანაწილებული, თუმცა, მათ შორის მაინც არსებობს შინაგანი კავშირი (BGH NJW 2004, 3775, 3776). ასევე ბათილია დათქმა **ქირავნობის ფართის დაცლამდე ჩასატარებელი რემონტის** შესახებ, რომლის მიხედვითაც ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდგომ დამქირავებელს ეკისრება ვალდებულება, გამქირავებელს გადასცეს გარემონტებული ნაქირავები ფართი, მიუხედავად მისი ფაქტობრივი მდგომარეობისა. ეს წესი მოქმედებს ასევე მაშინ,

როდესაც დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის განმავლობაში არაა ვალდებული, ჩაატაროს მიმდინარე კოსმეტიკური რემონტი (BGH NJW 2007, 3776 Nr 13, 15). თუ სახეზეა ორი ან მეტი, ერთი შეხედვით „უწყინარი“, თუმცა, შინაარსით ერთმანეთთან დაკავშირებული, დათქმა, შესაძლებელია, ასეთი ორი ან მეტი დათქმის ბათილობა დადგეს მათი ე.წ. **შეჯამებული განაალიზების** შედეგად, ვინაიდან, ორივე, საბოლოოდ, ერთობლივი მოქმედებით შეუსაბამო ზენოლას ახდენენ დამქირავებელზე და ამით არათანაზომიერ მდგომარეობაში აყენებენ მას. მაგალითად, მაშინ, როდესაც, თავის მხრივ, ნამდვილი კოსმეტიკური რემონტის შესახებ დათქმა დაკავშირებულია დაცლამდე განსახორციელებელ რემონტის შესახებ ბათილ დათქმასთან.

ბ) ბათილი დათქმის შედეგები. ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, **დამქირავებელს** გამქირავებლის მიმართ აქვს მოთხოვნა კოსმეტიკური რემონტის ჩატარების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი ვალდებული არაა, თუმცა, რემონტს მაინც ჩაატარებს, მას, იმის გამო, რომ გამქირავებელმა გამოიყენა ბათილი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ენიჭება მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე, § 280-ის პირველი ნაწილის და 241-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, გამქირავებლის ბრალეულობას ანებსებს წინაპირობად (BGH NJW 2009, 2590 Nr 10). უპირველეს ყოვლისა, ამ დროს შესაძლებელია, მოთხოვნილ იქნეს ღირებულების ანაზღაურება, § 812-ის მიხედვით (უსაფუძვლო გამდიდრება), თუმცა, ანაზღაურდება არა არაპროფესიონალური, თვითონ დამქირავებლის მიერ ჩატარებული კოსმეტიკური რემონტი, არამედ მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც მან გასწია სარემონტო მასალის შესაძენად. ასევე, სანათესაოდან ან ნაცნობების წრიდან მომდინარე დამხმარე პირების მიერ განეული სამუშაო (BGH NJW 2009, 2590 Nr 24; სხვა მოსაზრება: *St. Lorenz NJW 2009, 2576, 2577*). § 539-ისა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმებიდან არ გამომდინარეობს ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, ვინაიდან დამქირავებელი არ კისრულობს გამქირავებლის საქმის შესრულებას. უფრო მეტიც, მას სურს იმ მოქმედების განხორციელება, რომელიც, სამართლებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით, ქირავნობის ნივთის გამოსაყენებლად მის მიერ ნაკისრი ვალდებულების საზღაურის ნაწილად განიხილება. ასე რომ, იგი მოქმედებს საკუთარი უფლებებისა და ინტერესების სფეროში (BGH NJW 2009, 2590 Nr 20, – სადავოა). გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო დამქირავებლის ანაზღაურების მოთხოვნაზე, განურჩევლად მისი სამართლებრივი საფუძვლისა, ავრცელებს ხანდაზმულობის § 558-ის პირველ ნაწილში მითითებულ ვადებს (BGH Urft. v 4.5.2011 – VIII ZR 195/10). **გამქირავებელი** არ იღებს რაიმე კომპენსაციას ბათილი დათქმის გამო: § 306-ის მიხედვით, მას, როგორც დათქმის გამოყენებელს, აწევა დათქმის ბათილობის შედეგი. განსაკუთრებით, გამოირიცხება ქირის გაზრდა § 558-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების საფუძველზე (BGH NJW 2008, 2840). ამ ნორმის რეგულირება ქირის გაზრდის შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ ადგილმდებარეობისთვის ჩვეული (საბაზრო) ქირის ოდენობამდე, რომლის განსაზღვრის დროსაც არ ხდება იმის გათვალისწინება, თუ ვის ეკისრება კოსმეტიკური რემონტის ჩატარების ვალდებულება.

2. ქირავნობის ობიექტის მიმართ არსებული გადასახდელების დაფარვის ვალდებულება კანონის მიერ განხილულია როგორც **დამატებითი ვალდებულება** (ნორმის პირველი ნაწილი, მე-3 წინადადება; საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში ხშირად ამ ვალდებულების გადაკისრება ხდება დამქირავებელზე). დამატებითი ვალდებულებაა ასევე თმენის ვალდებულება, რომელიც დამქირავებელს ეკისრება მაშინ, როდესაც დამქირავებელი გამოაცალკევებს იმ მოწყობილობას, რომლითაც მან ქირავნობის ნივთი აღჭურვა (§ 539-ის მე-2 ნაწილი). გარდა ამისა, დამქირავებელს დამქირავებლის მიმართ გარკვეულწილად ეკისრება ქირავნობის

ნივთის მზრუნველობის, ზედამხედველობის ვალდებულება (§ 241-ის მე-2 ნაწილი), მაგალითად, გარკვეული საფრთხეების შესახებ დამქირავებლის გაფრთხილების მოვალეობა (*Palandt-Weidenkaff* 59-ე ველი).

III. დამქირავებლის ვალდებულებები

- 6** 1. დამქირავებლის ძირითადი ვალდებულებაა ქირავნობის თანხის გამქირავებლისადმი გადახდა (ნორმის მე-2 ნაწილი). ეს ვალდებულება მაშინაც არსებობს, როდესაც დამქირავებელს პირადი მიზეზების გამო არ შეუძლია ქირავნობის ნივთის გამოყენება (§ 537-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება; მაგ.: ტენისის კორტის დამქირავებელი ფეხს იტეხს, შდრ. § 537-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება და მე-2 ნაწილი). საცხოვრებელი ფართის ქირავნობის დროს ქირის გადახდა ხდება შეთანხმებული დროის მონაკვეთების დასაწყისში (მაგ., თვის დასაწყისში; § 556-ის პირველი ნაწილი). იგივე წესი მოქმედებს სათავსოების ქირავნობის ურთიერთობის მიმართაც (§ 579-ის მე-2 ნაწილი). ეს შეესაბამება არსებულ სამართლებრივი წესრიგისთვის ჩვეულ და დაშვებულ სახელშეკრულებო პრაქტიკას. ამის საპირისპიროდ, სხვა ნივთების ქირავნობის შემთხვევებში, განსაკუთრებით მიწის ნაკვეთებისა და მოძრავი ნივთების ქირავნობისას, ქირა გადაიხდებინება ქირავნობის დროის სრული გასვლის შემდგომ ან მისი პერიოდების ბოლოს (მაგ., თვის ბოლოს; § 579-ის პირველი ნაწილი).
- 7** 2. დამატებითი ვალდებულებები: ა) ქირავნობის საგნის ხელშეკრულებით განსაზღვრული მოხმარება (შდრ. ზემოთ, ველი 2); დამქირავებლის მიერ უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში დამქირავებელს შეუძლია, მოქმედებისგან თავის შეკავებაზე აღძრას სარჩელი (§ 541), ვადის განსაზღვრის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება (§ 534-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება № 2) ან ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს § 280-ის პირველი ნაწილისა და § 241-ის მე-2 ნაწილის თანახმად. დამქირავებლის ნებართვის გარეშე დამქირავებლის მიერ ქვექირავნობით ნივთის მესამე პირისთვის გადაცემის შემთხვევაში (შდრ. § 540) არ არსებობს კანონით განსაზღვრული მოთხოვნა ამონაგების (დამქირავებლისათვის ქვედამქირავებლის მიერ გადაცემული თანხა) გადმოცემაზე, არც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მუხლებიდან, არც § 987-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების მიხედვით. (BGHZ 131, 297, 305 და მომდევნო გვერდები. – სადავოა); ბ) ქირავნობის ვადის გასვლის შემდგომ ქირავნობის ნივთის უკან გადაცემა (§ 546); გ) ქირავნობის ნივთის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის განუვლი ღონისძიებების თმენის ვალდებულება (§ 554); დ) ქირავნობის ნივთის ნაკლის შეტყობინების ვალდებულება (§ 536გ): როგორც წესი, დამქირავებელი, დამქირავებელთან შედარებით, მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფება ქირავნობის ნივთთან და, შესაბამისად, უკეთესად შეუძლია ქირავნობის საგნის დაცვისა და შენარჩუნების ღონისძიებების განევის საჭიროების შეფასება. შეტყობინების ვალდებულების დარღვევის გამო, დამქირავებელს დაეკისრება ზიანის ანაზღაურება და დაკარგავს ნაკლის გამო წარმოშობილ მოთხოვნებს დამქირავებლის მიმართ (§ 536გ-ს მე-2 ნაწილი).

IV. ქირავნობის ხელშეკრულების დადება და დასრულება

- 8** 1. ქირავნობის ხელშეკრულების დადებისთვის, როგორც წესი, არ არის საჭირო ფორმის დაცვა. საცხოვრებელი ფართის, მიწის ნაკვეთების, სადგომების ქირავნობის შემთხვევებშიც არ არის სავალდებულო წერილობითი ფორმის დაცვა მაშინ, როდესაც ქირავნობის ხანგრძლივობა 1 წელს აღემატება. ასეთ შემთხვევაში წერილობითი ფორმის დაუცველობა იწვევს ქირავნობის უვალო ურთიერთობის წარმოშობას (§ 550-ის პირველი წინადადება ან § 578-ის პირველი ნაწილი) და როგორც ეს § 550-ის მე-2 წინადადებიდან გამომდინარეობს, ხელშეკრულების შეწყვეტა ამ დროს შესაძლებელია მხოლოდ საცხოვრებელი ფართის გადაცემის მომენტიდან

არა უადრეს ერთი წლის ვადის გასვლისა. წერილობითი ფორმა ემსახურება, ერთი მხრივ, მიწის ნაკვეთის სამომავლო შემდენის ინტერესების დაცვას, მიიღოს ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შესახებ ინფორმაცია და, მეორე მხრივ, იგი მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ხელშეკრულების თავდაპირველ მხარეებს შორის გრძელვადიანი შეთანხმებების დამტკიცებადობა; ქირავნობის ურთიერთობის მხარეები დაცულნი უნდა იქნენ გრძელვადიანი ბოჭვის გაუთვალისწინებელი შედეგებისაგან (BGH NJW 2008, 2178 Nr 13, 17).

2. ქირავნობის ხელშეკრულების **დასრულება** ხდება მისი ვადის გასვლით იმ შემთხვევაში, თუ ქირავნობის ვადა გარკვეული დროით წინასწარ განისაზღვრა და თუ ხელშეკრულება ერთ-ერთი მხარის მიერ ჯეროვნად არ შეწყდა ხელშეკრულების არასტანდარტული შეწყვეტის საშუალების გამოყენებით, ან თუ ხელშეკრულება მხარეების მიერ არ გაგრძელდა (§ 542-ის მე-2 ნაწილი). გარდა ამისა, ქირავნობის ურთიერთობის დასრულება შესაძლებელია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით (§ 311-ის პირველი ნაწილი), ან (ხელშეკრულებით მინიჭებული) ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზაციით (§ 346). ქირავნობის ნივთის გადაცემის შემდგომ კანონით განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის ნორმების (§§ 323, 324) ჩანაცვლება ხდება ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებით (სტანდარტულით და არასტანდარტულით; დამატ. იხ. § 542-ის კომენტარი). ყველა შემთხვევაში სამწინარემო სადგომების (საოფისე ფართების) ქირავნობისას, გრძელვადიანი გარიგების ბუნების მიუხედავად, შესაძლებელია, § 123-ის მიხედვით, განზრახ მოტყუებისას გარიგების შეცილება ქირავნობის საგნის გადაცემის შემდგომაც განხორციელდეს *ex tunc* მოქმედებით (ბათილობა საწყისი მომენტიდან), ვინაიდან არც ზედმეტად რთული სავაჭრო ოპერაციები და არც ბაზრის დაცვის საფუძვლები ითხოვენ ხელშეკრულების გაუქმებას მხოლოდ მომავალში *ex nunc* (ბათილობა იმავე მომენტიდან) მოქმედებით (BGH NJW 2009, 1266 Nr 34 და მომდევნო გვერდები).

§ 536. ქირის შემცირება ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლის გამო

(1) 'თუ ქირავნობის ობიექტს დამქირავებლისათვის მისი გადაცემისას აქვს ნაკლი, რომელიც გამორიცხავს მის ვარგისიანობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის, ან თუ ასეთი ნაკლი წარმოიშობა ქირავნობის ვადის განმავლობაში, მაშინ დამქირავებელი თავისუფლდება ქირის გადახდისაგან იმ ვადის განმავლობაში, როდესაც გამორიცხულია ვარგისიანობა. ²იმ ვადის განმავლობაში, როდესაც ვარგისიანობა მცირდება, გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ შესაბამისად შემცირებული ქირა. ³ვარგისიანობის უმნიშვნელო შემცირება მხედველობაში არ მიიღება.

(2) პირველი ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს გარანტირებული თვისებები, ან ისინი მოგვიანებით ქრება.

(3) თუ დამქირავებელს მესამე პირის უფლების შედეგად სრულად ან ნაწილობრივ შეეშლება ხელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებლობაში, მაშინ, შესაბამისად, მოქმედებს პირველი და მე-2 ნაწილები.

(4) საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში, დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

I. ქირავნობის ნივთის ნაკლიდან წარმოშობილი მოთხოვნების უზრუნველყოფა

1. **ზოგადი მიმოხილვა. ა) სტრუქტურა.** ვინაიდან დამქირავებლის ვალდებულებაა ხელშეკრულების შესაბამისი, უნაკლო ქირავნობის ნივთის გადაცემა და შემდგომ მისი მდგომარეობის შენარჩუნება (§ 535-ის პირველი ნაწილის მე-2

წინადადება), ნივთის ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის დადგენის შემთხვევაში, სახეზე იქნება ვალდებულების დარღვევა. ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისთვის პასუხისმგებლობა, ძირითად შემთხვევებში, ექვემდებარება იმავე წესებს, როგორც ნასყიდობის სამართალში (შდრ. §§ 433-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 437). **ბ) ნორმათა კონკურენცია.** ზოგადად, დადგენილია, რომ ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნების შესახებ სპეციალური ნორმები უპირატესად გამოიყენება ვალდებულების დარღვევის სამართლის ზოგად სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებაში (იხ., მაგ., ზიანისა და დანახარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით § 536-ს ველი 1). თუმცა, ეს სპეციალური ნორმები გამოიყენება მხოლოდ ქირავნობის ნივთის გადაცემის შემდგომ (შდრ. § 536-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). ამ მომენტიდან (ნასყიდობის სამართლის მსგავსად) **გამოირიცხება** შემდეგი მოთხოვნები: წინასახელშეკრულებო ბრალიდან გამომდინარე (c.i.c), – § 280-ის პირველი ნაწილისა და § 311-ის მე-2 ნაწილის თანახმად, თვისებრიობაში დაშვებული შეცდომის გამო შეცილება – § 119-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ასევე, გარიგების საფუძვლის ცვლილება (§ 313) იმ გარემოებების გამო, რომლებიც ნაკლს ქმნიან. თუმცა, შეუსრულებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დამქირავებელს შეუძლია, შესაგებელი (§ 320-სა და § 535-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მე-2 ალტერნატივის მიხედვით) დამქირავებელს წარუდგინოს ქირავნობის ნივთის გადაცემის შემდგომ, თუ მოცემულია გამოსწორებადი ნაკლი (BGHZ 84, 42). ამის შედეგია: დამქირავებელს შეუძლია, დროებით შეაჩეროს შემცირებული ქირის გადახდა და, § 322-ის თანახმად, მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით გახდეს იგი ვალდებული, ნაკლის გამოსწორების სანაცვლოდ გადაუხადოს ქირა დამქირავებელს. იმ შემთხვევაში, თუ ნაკლი არ აღმოიფხვრება, დამქირავებელს შეუძლია, § 543-ის სპეციალური რეგულირების ფარგლებში (და არა § 323-ით) უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ვინაიდან § 536 და მისი მომდევნო ნორმები არ შეიცავს დამქირავებლის მიერ ბრალეულად გამოწვეული გარემოებების შესახებ დებულებებს, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს § 326-ის მე-2 ნაწილი მაშინ, როდესაც ქირავნობის ნივთის ნაკლი დამქირავებლის მიერ არის გამოწვეული, ან მის მიერ შესრულების ვადის გადაცილებისას დადგა; შდრ. იხ. § 536-ს სამართლებრივი ჩარჩო.

2 2. წინაპირობები. ნაკლის გამო წარმოშობილ დამქირავებლის მოთხოვნებს ნამდვილ ქირავნობის ხელშეკრულებასთან ერთად უნდა ჰქონდეს შემდეგი წინაპირობები:

3 ა) ქირავნობის საგნის ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლი. აა) ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, **ნივთობრივი ნაკლი** მოცემულია მაშინ, როდესაც ქირავნობის ნივთი ხელშეკრულებით შეთანხმებული ვარგისიანობისგან განსხვავებული, ნაკლები ვარგისიანობით ხასიათდება (ნაკლის სუბიექტური ცნება), ან ასეთი (განმარტებას დაქვემდებარებული) სახელშეკრულებო შეთანხმების არარსებობის დროს ნივთი უვარგისია მისი ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. შეთანხმებული ან ჩვეულებრივი ვარგისიანობიდან გადახრა უნდა იყოს მნიშვნელოვანი (ნორმის პირველი ნაწილის მე-3 წინადადება). საბინაო ფართის ქირავნობისას სახეზეა ქირის შემცირების გამომწვევი ნაკლი, თუ ფაქტობრივი ფართი შეთანხმებულ კვადრატულ რაოდენობასთან შედარებით 10 %-ით ნაკლებია და რომლის დროსაც ხელშეკრულებაში ჩანანერი „დაახლოებით“ (მაგ., დაახლოებით 100 კვ/მ) არ შეიძლება ფართოდ განიმარტოს (BGH NJW 2010, 1745¹⁰⁰). ნაკლი შეიძლება ეხებოდეს ქირავნობის ნივთის ფიზიკურ თვისებრიობას, ან მის ფაქტობრივ თუ სამართლებრივ ურთიერთობას გარემოსთან, თუკი ასეთი ნაკლი ნივთის გამოყენებით ღირებულებას პირდაპირ აკნინებს; მაგ.: ნაქირავები მინის ნაკვეთის დატბორვის საფრთხე, თუმცა, აქ არ მოიაზრება გაუთვალისწინებელი ბუნებრივი კატასტროფები

(BGH NJW 1971, 424). **ბბ** გარანტირებული თვისებების არარსებობაც (ან მათი მოგვიანებით გაქრობა, ნორმის მე-2 ნაწილი) ქმნის ნივთობრივ ნაკლს და მაშინაც კი, როდესაც ქირავნობის ნივთის ვარგისიანობა მხოლოდ უმნიშვნელოდ მცირდება (ნორმის პირველი ნაწილის მე-3 წინადადება ნორმის მე-2 ნაწილთან ურთიერთობაში არ განიხილება). მაშინ, როდესაც ნასყიდობის სამართალში გარანტირებული თვისებების არარსებობა ნივთობრივი ნაკლის ცნებაში § 434-ით მოიაზრება, ქირავნობის სამართალში იგი ცალკე მდგომ კატეგორიად გვევლინება (ამ მოსაზრების კრიტიკა იხ. – *Hau JuS* 2003, 130, 133). ზოგადი შეხედულებით, **თვისებრიობა** განიმარტება, როგორც ამა თუ იმ ნივთის გარკვეული ხანგძლივობით დამახასიათებელი ნიშან-თვისება, რაც მისი ღირებულების გამო, ხელშეკრულებით განსაზღვრული გამოყენებისათვის ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია. **თვისებრიობის გარანტირება** გულისხმობს, რომ გამქირავებელი სახელშეკრულებო ბოჭვით იღებს გარანტიას ამა თუ იმ თვისებრიობის არსებობაზე და ამით აცხადებს მზადყოფნას, ასეთი თვისებრიობის არარსებობის ნებისმიერი შედეგისთვის აილოს პასუხისმგებლობა. ამის მკაფიოდ განცხადება არ არის აუცილებელი; საკმარისია, თუ დამქირავებელს გამქირავებლის მოქმედება მიმღების ობიექტური ჰორიზონტის საფუძველზე ასეთად შეუძლია ჩათვალოს (**კონკლუდენტური გარანტია**). განმარტების დროს ყურადღება ექცევა გარიგებისთვის დამახასიათებელ ურთიერთობებს. **გგ** უფლებრივი ნაკლი გათანაბრებულია ნივთობრივ ნაკლთან, § 536 III. აქ მოიაზრება როგორც სანივთო უფლებები (მაგ., უზუფრუქტი), ასევე ვალდებულებითი (მაგ., ქირავნობის ნივთი უკვე გაქირავებულია სხვაზე), თუმცა, აქვე სავალდებულოა, რომ მესამე პირი თავის უფლებას ფაქტობრივად ახორციელებდეს (წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გვექნებოდა გამოყენების ხელშეშლა).

ბ) ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნები არ უნდა იყოს გამორიცხული. 4

აა გამქირავებელს შეუძლია, ნაკლის გამო პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გამორიცხოს (თუმცა, გარკვეულ ზღვრამდე, იხ. § 536დ). ეს წესი არ მოქმედებს საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში: საცხოვრებელი ფართის ნაკლიდან წარმოშობილი მოთხოვნების დამქირავებლის უფლებები უმეტესწილად არადისპოზიციურია (იხ. §§ 536-ის მე-4 ნაწილი, 543-ის მე-4 ნაწილი, 569-ის მე-5 ნაწილი). **ბბ** დამქირავებლის მიერ ნაკლის გამო წარმოშობილი უფლებების რეალიზება კანონით იმ შემთხვევაშია შეზღუდული (ნასყიდობის სამართლის მსგავსად იხ. § 442-ის პირველი ნაწილი), როდესაც დამქირავებელმა ხელშეკრულების დადებისას იცოდა ნაკლის შესახებ (§ 536ბ-ს პირველი წინადადება) ან უხეში გაუფრთხილებლობით არ იცოდა (§ 536ბ-ს მე-2 წინადადება); მოთხოვნაზე უფლებები გამოირიცხება ასევე მაშინ, როდესაც დამქირავებელმა ნივთის მიღებისას ნაკლის შესახებ იცის და თავისი უფლებების პირობადებას (განხორციელების დათქმას) არ ახდენს (იხ. § 536ბ-ს მე-3 წინადადება). ხოლო, თუ დამქირავებელი ნაკლს მოგვიანებით აღმოაჩენს და მაინც განაგრძობს ქირავნობის ნივთის გამოყენებას, ასევე ქირის უპირობოდ გადახდას, § 536გ-ს მე-2 ნაწილის თანახმად, მას ერთმევა ამავე ნაწილის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილი უფლებებისა და მოთხოვნების განხორციელების შესაძლებლობა (მდრ. იხ. § 536გ-ს მე-2 ნაწილი). თუმცა, ნაკლის გამო წარმოშობილი სხვა დანარჩენი უფლებების შემდგომი გამორიცხვა დაუშვებელია (BGH NJW 2003, 2601). შესაბამისად, დამქირავებელს რჩება მოთხოვნა მხოლოდ შესრულებაზე, მაშასადამე, უფლება, მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება (§ 535-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება), ასევე, ჯანმრთელობისათვის საფრთხის არსებობისას ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლება, § 569-ის მიხედვით.

3. დამქირავებლის უფლებები. ა) დამქირავებელს შეუძლია, ნაკლის გამოსწორება მოითხოვოს როგორც ვალდებულების შესრულება, ვინაიდან დამქირავებელს ეკისრება ქირავნობის ნივთის გადაცემა და შემდგომ მისი ხელშეკრულებით

განსაზღვრულ მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის ზრუნვა (§ 535-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება); ბ) ქირის შემცირება – § 536-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად; გ) ზიანის ანაზღაურება – § 536-ის პირველი ნაწილის შესაბამისად; დ) დამქირავებლის მიერ ნაკლის გამოსასწორებლად გაწეული დანახარჯების ანაზღაურება, § 536-ის მე-2 ნაწილი; ე) მნიშვნელოვანი საფუძვლის გამო ხელშეკრულების სათანადო ვადის განსაზღვრის გარეშე შეწყვეტასთან დაკავშირებით რეგულირება მოცემულია § 543-ში, რომელიც ამ უფლებას ხელშეკრულების ორივე მხარეს ანიჭებს. დამქირავებელს ეს უფლება ენიჭება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახეზეა მნიშვნელოვანი ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლი, ხოლო დამქირავებელმა დამქირავებელს ერთხელ უკვე მოსთხოვა, აღმოეფხვრა ნაკლი, რამაც შედეგი არ გამოიღო (§ 543-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 1, ამავე ნორმის მე-3 ნაწილი, შდრ. ასევე § 569); ვ) უფლებები, როგორც წესი, პარალელურად არსებობენ; დამქირავებელმა არჩევანი უნდა გააკეთოს მხოლოდ შესრულების მოთხოვნასა და ხელშეკრულების შეწყვეტას შორის; ზ) § 536გ-ს მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებაში მოხსენიებული დამქირავებლის უფლებები გამოირიცხება, თუ დამქირავებელმა ნაკლის შესახებ დამქირავებელს დროულად არ შეატყობინა და ამ უკანასკნელმა ამის გამო ნაკლის გამოსწორება ვერ შეძლო.

II. ქირის შემცირება

6 იმ შემთხვევაში, თუ მოცემულია ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნების განხორციელების ზოგადი წინაპირობები (ზემოთ, მე-2 და შემდგომი ველები), მაშინ დამქირავებელს ეკისრება მხოლოდ იმდენად ნაკლები ქირის გადახდა, რამდენიც შეესაბამება ქირავნობის ნივთის გამოყენებადობის შემცირებულ ვარგისიანობას (§ 536-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). კანონი არ აკონკრეტებს, თუ რა იგულისხმება „ქირაში“. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ქირის შემცირების დაანგარიშების საფუძვლად იღებს ქირის სრულ (ბრუტო) თანხას (ქირა და სხვა ყველა დანარჩენი გვერდითი ხარჯი), ვინაიდან დამქირავებელი იხდის ერთმანეთისგან დაუყოფად მთლიან საზღაურს დამქირავებელთან არსებული მთლიანი ვალდებულების ფარგლებში (BGHZ 163, 1). § 536-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ღია ფორმულირება, რომლის მიხედვითაც ქირა „შესაბამისად შემცირებას“ ექვემდებარება, ანგარიშს უწევს არსებულ პრაქტიკას – შემცირებული თანხა გამოისახოს პროცენტებით (შდრ. RegBegr BT-Drucks 14/4553, 40). ნასყიდობისგან განსხვავებით, შემცირება ქირავნობის შემთხვევაში არ არის აღმჭურველი (რეგულაციური) უფლება, რომელიც მხოლოდ გამყიდველისადმი შეტყობინების შემდგომ იწვევს საზღაურის შემცირებას (§ 441-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება); ქირავნობის დროს ქირის შემცირების შედეგები ავტომატურად (კანონის ძალით) დგება. ზედმეტად გადახდილი ქირა შესაძლებელია, გამოთხოვილ იქნეს § 812-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების ნორმებით (უსაფუძვლო გამდიდრება). თუმცა, ისეც და ისეც ყურადღება უნდა მიექცეს § 536გ-ს მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების № 1-ში მოხსენიებულ ქირის შემცირების გამოირიცხვას იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელი დამქირავებელს ნაკლის შესახებ არ ატყობინებს.

§ 536ა. ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანისა და დანახარჯების ანაზღაურება

(1) თუ § 536-ით განსაზღვრული ნაკლი სახეზეა ხელშეკრულების დადების მომენტში, ან, თუ ასეთი ნაკლი მოგვიანებით წარმოიშობა იმ გარემოებების შედეგად, რომელთათვისაც პასუხისმგებელია დამქირავებელი, ან ეს უკანასკნელი აყენებს ნაკლის აღმოფხვრას, მაშინ დამქირავებელს შეუძლია, § 536-იდან გამომდინარე უფლებების შეზღუდვის გარეშე, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

(2) **დამქირავებელს შეუძლია, თავად აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, თუ:**

1. გამქირავებელი აყოვნებს ნაკლის აღმოფხვრას, ან
2. ნაკლის დაუყოვნებელი აღმოფხვრა აუცილებელია ქირავნობის ობიექტის მდგომარეობის შენარჩუნებისა თუ აღდგენისათვის.

I. ზოგადი მიმოხილვა

ნორმაში თავმოყრილია ქირავნობის ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანისა და სხვადასხვა დანახარჯის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ რეგულირებები. ქირავნობის ნივთის ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანისა და დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნები არსებობს § 536-ით განსაზღვრული ქირის შემცირების მოთხოვნასთან ერთად (მის პარალელურად). **ვალდებულების დარღვევის ზოგად სამართალთან ურთიერთობის კუთხით** მოქმედებს შემდეგი: ქირავნობის ნივთის გადაცემის მომენტიდან § 536ა მოქმედებს როგორც სპეციალური ნორმა და თავისი მოქმედების სფეროში მოიცავს §§ 280-სა და მომდევნო პარაგრაფთა ნორმებს, ასევე, § 241-ის მე-2 ნაწილს. ეს ნესი მოქმედებს, განსაკუთრებით, § 280-ისა და § 241-ის მე-2 ნაწილის ერთობლიობიდან გამომდინარე ქირავნობის ნივთის თვისებრიობის შესახებ გაუფრთხილებლობით მცდარი მონაცემების მიწოდებისათვის პასუხისმგებლობის შემთხვევებში (მდრ. BGHZ 136, 102, 106) და ქირავნობის ნივთის ნაკლოვანების დროს. თუმცა, § 536ა-ს რეგულირებებისგან დამოუკიდებლად შესაძლებელია, §§ 280-ითა და 241-ის მე-2 ნაწილით მოთხოვნილ იქნეს ზიანის ანაზღაურება სხვა დანარჩენი დამატებითი ვალდებულებების დარღვევისათვის.

II. ზიანის ანაზღაურება

1. წინაპირობები. ნორმა განასხვავებს სამ ქმედების შემადგენლობას, რომელთა შესრულების შედეგად შესაძლებელია, მოთხოვნილ იქნეს ზიანის ანაზღაურება. სამივე შემადგენლობის საერთო წინაპირობაა ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის არსებობა, ამასთანავე, ნაკლის აღმოფხვრაზე მოთხოვნები არ უნდა იყოს გამოორიცხული ხელშეკრულებით და კანონით (დამატ. იხ. § 536-ის მე-2 და მომდევნო ველები). **ა) ბრალისგან დამოუკიდებელი (ბრალისგარეშე) პასუხისმგებლობა სანყის ნაკლის შემთხვევაში** (ნორმის პირველი ნაწილის პირველი ალტერნატივა). მის წინაპირობა არის ის, რომ ნაკლი უკვე არსებობს ხელშეკრულების დადებამდე, გამქირავებლის ბრალეულობა ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა. მოგვიანებით დამდგარი ზიანის შემთხვევაში, შესაძლებელია, ნაკლი სანყისად იქნეს მიჩნეული მაშინ, როდესაც ზიანის გამომწვევი მიზეზი ხელშეკრულების დადებამდე პერიოდიდან იღებს სათავეს, მაშასადამე, ხელშეკრულების დადების მომენტისთვის უკვე სახეზე იყო მოგვიანებით დამდგარი ზიანის საფრთხის წყარო (BGH NJW 2010, 3152¹⁰¹). ასეთი მკაცრი პასუხისმგებლობის მიზეზია შემდეგი: ქირავნობის ნივთის მიღებისას დამქირავებელს უნდა ჰქონდეს ნდობა იმისა, რომ ნივთი უნაკლოა (*Larenz SchR II/1 § 48 III b 3*). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეწინააღმდეგება ვალდებულების დარღვევის სამართლის ზოგად დებულებებს და კონკრეტულად § 311ა-ს მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებას, რომლის მიხედვითაც თვით მოვალის სანყის სუბიექტური შეუძლებლობის შემთხვევაშიც არ დგება ბრალისგარეშე პასუხისმგებლობა (ამის გამო კრიტიკულადაა განწყობილი *Medicus JuS 2003, 521, 525f*). **ბ) მოგვიანებით წარმოშობილი ნაკლი.** ამ შემთხვევაში უკვე დამატებითი წინაპირობაა გამქირავებლის ბრალეულობა (§§ 276, 278; ნორმის პირველი ნაწილის მე-2 ალტერნატივა); ბრალისგარეშე პასუხისმგებლობის საფუძველი ამ შემთხვევაში არ არსებობს. ბრალეულობა ხშირად შეიძლება არც იყოს მოცემული, ვინაიდან გამქირავებელი

არ არის ვალდებული, რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გარეშე, ელექტროგაყვანილობის შემონმების მიზნით, რეგულარულად ატაროს საფუძვლიანი შემონმებები თავისი დამქირავებლების ბინებში (BGH NJW 2009, 143). **გ**) გამქირავებლის მიერ ნაკლის გამოსწორების დაყოვნება (პირველი ნაწილის მე-3 ალტერნატივა) წარმოშობს მოვალის მიერ ვადის გადაცილების შედეგებს (§ 286) და შესაბამისად, მოითხოვს დამქირავებლის მიერ გამქირავებლისადმი მოწოდებას ნაკლის გამოსწორებაზე (გაფრთხილება). მხოლოდ უბრალო შეტყობინება, § 536-ს მიხედვით, არ არის საკმარისი; თუმცა, შესაძლებელია, ნაკლზე მითითება და გაფრთხილება (მოწოდება გამოსწორებაზე) ერთ შეტყობინებაში იყოს გაერთიანებული.

- 3 2. სამართლებრივი შედეგი:** ზიანის ანაზღაურება, § 249-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების მიხედვით (ხანდაზმულობა §§ 195, 199-ის შესაბამისად). როგორც წესი, ანაზღაურებას ექვემდებარება, ასევე, **ნაკლის თანმდევი (ნაკლის შედეგად გამოწვეული) ზიანიც**, მაშასადამე, ის ზიანი, რომელსაც დამქირავებელი განიცდის შესრულების უშუალო ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი უფლებებისა და სამართლებრივ სიკეთეთა მიმართ (მაგ., ნაკლი დამქირავებელს უზიანებს ჯანმრთელობას). ფართოდ გავრცელებული მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ (შდრ. *Larenz SchR II/1 § 48 III b 3*), რომ ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ეს ზემოაღნიშნული წესი მოქმედებს ასევე საწყისი ნაკლის ბრალისგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის შემთხვევაში. ბრალისგარეშე პასუხისმგებლობის საფუძველი (ზემოთ, ველი 2) ამ შემთხვევაშიც ამართლებს ნაკლის თანმდევი ზიანისთვის ბრალისგან დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას. ზოგიერთ მეცნიერს სურს, პასუხისმგებლობა გამორიცხოს ისეთი ნაკლის თანმდევი ზიანისთვის, რომელიც, საშუალოზე მეტი გულმოდგინების გამოჩენის მიუხედავად, ნებისმიერი პირისთვის შეუმჩნეველი იქნებოდა (მაგ. *Larenz SchR II/1 § 48 III b 3*). მაგ.: ვერ დადგება ბრალისგარეშე პასუხისმგებლობა მაშინ, როდესაც ბაცილების შემცველი ნიგნის ქირავნობით დაინფიცირდება დამქირავებელი.

III. დანახარჯების ანაზღაურება (მე-2 ნაწილი)

- 4 1. წინაპირობები.** ნორმის მე-2 ნაწილი თავის თავში აერთიანებს დამქირავებლის დანახარჯების ორი განსხვავებული სახის მოთხოვნას. მათი საერთო წინაპირობაა § 536-ით განსაზღვრული ნაკლის არსებობა. გარდა ამისა, დამქირავებელი უნდა იმყოფებოდეს ნაკლის გამოსწორების ვადის გადაცილებაში (**№ 1**), (§ 286; იხ. ზემოთ, ველი 2) ან თვით დამქირავებლის მიერ ნაკლის აღმოფხვრა აუცილებელი უნდა იყოს ქირავნობის ნივთის არსებობის შენარჩუნებისა თუ აღდგენისათვის (**№ 2**). **№ 2**, განსხვავებით **№ 1**-ისაგან, ეხება დამქირავებლის აუცილებელ ღონისძიებებს, რომელთა გადადება შეუძლებელია და, შესაბამისად, წინასწარი გაფრთხილების გარეშეც ქმნის დანახარჯებზე ანაზღაურების მოთხოვნას (შდრ. *RegBegr BT-Drucks 14/4553, 41*). ბოლოს კი უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია, მოთხოვნა არ იყოს ხანდაზმული (იხ. § 548-ის მე-2 ნაწილი).
- 5 2. მოთხოვნის განხორციელების სამართლებრივი შედეგია** დამქირავებლისთვის ყველა იმ ღონისძიების განხორციელებაზე უფლებამოსილების მინიჭება, რომლებიც საჭიროა ნივთის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მდგომარეობაში ჩასაყენებლად (**№ 1**) ან ქირავნობის ნივთის არსებობის შენარჩუნებისა და აღდგენისთვის (**№ 2**). § 539-ის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ უფლებების განხორციელების შემდგომ დამქირავებელს ენიჭება განეული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნა. წარმოშობილი დანახარჯები ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ნორმებით (გავრცელებული მოსაზრების თანახმად, უნდა მიეთითოს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ნორმაზე, როგორც სამართლებრივ საფუძველზე). იმ შემთხვევაში, თუ არ არის მოცემული § 536-ის მე-2 ნაწილის წინაპირობები და დამქირავებელი ნაკლს თვითონ

გამოასწორებს (არაუფლებამოსილი შესრულება), მას აღარ შეეძლება დანახარჯების მოთხოვნა § 539-ის პირველი ნაწილის მიხედვით (BGH NJW 2008, 1216 Nr 18). ამ შემთხვევაში, § 539-ის პირველი ნაწილის გამოყენებას ენიშნა დედგება § 536ა-ს მე-2 ნაწილის № 1-ის მიზანი, რომლის მიხედვითაც, გამქირავებლის სასარგებლოდ მოქმედებს ნაკლის გამოასწორების უპირატესობა, რათა მან შეძლოს დამქირავებლის მიერ ქირის შემცირების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების თავიდან აცილება. მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეამოწმოს ნივთი და დაადგინოს, არის თუ არა ნაკლი, და თუ არ არის, მოგვიანებით ამის დამტკიცება შეძლოს. ამ შესაძლებლობას დაკარგავდა დამქირავებელი, თუ დამქირავებელს არაუფლებამოსილი შესრულებისას, § 539-ის პირველი ნაწილის მიხედვით, ექნებოდა დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა.

§ 536ბ. დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტში ან აქცეპტის გაკეთებისას ნაკლის შესახებ ინფორმაციის ქონა

¹თუ დამქირავებელმა ხელშეკრულების დადების მომენტში იცის ქირავნობის ობიექტის ნაკლის შესახებ, მაშინ მას არ ენიჭება §§ 536-იდან და 536ა-დან გამომდინარე უფლებები. ²თუ მან ნაკლის შესახებ არ იცის უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად, მაშინ ეს უფლებები მას ეკუთვნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელმა ნაკლი განზრახ დამალა. ³თუ დამქირავებელი ნაკლის მქონე ნივთს იღებს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილია ნივთის ნაკლი, მაშინ მას შეუძლია, §§ 536-იდან და 536ა-დან გამომდინარე უფლებების რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიღებისას თავისი უფლებების შენარჩუნების შესახებ აკეთებს დათქმას.

§ 536გ. ქირავნობის ვადის განმავლობაში წარმოშობილი ნაკლი; დამქირავებლის მიერ ნაკლის შესახებ შეტყობინება

(1) ¹თუ ქირავნობის ობიექტის ნაკლი გამოვლინდება ქირავნობის ვადის განმავლობაში, ან, თუ აუცილებელი ხდება ზომების მიღება არაპროგნოზირებადი საფრთხისაგან ქირავნობის ობიექტის დასაცავად, მაშინ ამის შესახებ დამქირავებელმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დამქირავებელს. ²ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მესამე მხარე განაცხადებს თავის უფლებას ნივთზე.

(2) ¹თუ დამქირავებელი არ ატყობინებს დამქირავებელს აღნიშნულის შესახებ, მაშინ მას ეკისრება ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ²იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელს შეუტყობინებლობის შედეგად არ შეუძლია ნაკლის აღმოფხვრა, დამქირავებელს არა აქვს უფლება:

1. მოახდინოს § 536-ში დადგენილი უფლებების რეალიზაცია;
2. მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, § 536ა-ს თანახმად; ან
3. ნაკლის აღმოსაფხვრელად მისაცემი სათანადო ვადის დადგენის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება, § 543-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად.

§ 536დ. ნაკლის გამო ხელშეკრულებით დამქირავებლის უფლებების გამორიცხვა

დამქირავებელს არ შეუძლია, მიუთითოს შეთანხმებაზე, რომლითაც ქირავნობის ნივთის ნაკლის გამო დამქირავებლის უფლებები გამორიცხული ან შეზღუდულია, თუ მან ნაკლი განზრახ დამალა.

§ 537. ქირის გადახდა პირადი მიზეზით სარგებლობის ხელშეშლის შემთხვევაში

(1) ¹დამქირავებელი არ თავისუფლდება ქირის გადახდის ვალდებულებისაგან იმის გამო, რომ მას პირადი მიზეზით ხელი ეშლება საკუთარი სარგებლობის უფლების რეალიზაციაში. ²თუმცა, დამქირავებელმა უნდა დაუშვას დაზოგილი

ხარჯების ღირებულებისა და იმ სარგებლის ანგარიშში ჩათვლა, რომლებსაც იგი ნივთის სხვაგვარი გამოყენების შედეგად იღებს.

(2) იმ ვადის განმავლობაში, რომელშიც გამქირავებელს არ შეუძლია დამქირავებლისათვის ქირავნობის ობიექტით სარგებლობის უზრუნველყოფა მესამე პირისათვის მისი გადაცემის გამო, დამქირავებელი არ არის ვალდებული, იხადოს ქირა.

§ 538. ქირავნობის ობიექტის ცვეთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის შედეგად

ქირავნობის ობიექტის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის, რომლებიც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, დამქირავებელი პასუხს არ აგებს.

§ 539. სხვა ხარჯების ანაზღაურება და დამქირავებლის მიერ ნივთის გამოცალკევების უფლება

(1) დამქირავებელს შეუძლია, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების თანახმად, დამქირავებელს მოსთხოვოს ქირავნობის ობიექტზე განეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მას დამქირავებლის მიერ არ აუნაზღაურდება, § 536-ს მე-2 ნაწილის თანახმად.

(2) დამქირავებელი უფლებამოსილია, გამოაცალკევოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან ქირავნობის ობიექტი აღჭურვა.

§ 540. მესამე პირისათვის სარგებლობის უფლების მინიჭება

(1) ¹დამქირავებლის ნებართვის გარეშე დამქირავებელი არ არის უფლებამოსილი, ქირავნობის ობიექტით სარგებლობის უფლება მიანიჭოს მესამე პირს, კერძოდ კი, გადასცეს იგი ქვექირავნობით. ²თუ დამქირავებელი უარს აცხადებს ნებართვის მიცემაზე, მაშინ დამქირავებელს შეუძლია, შეწყვიტოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით, თუ არ არსებობს მესამე პირის პიროვნებასთან დაკავშირებული უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი.

(2) თუ დამქირავებელი მესამე პირს ანიჭებს ქირავნობის ობიექტით სარგებლობის უფლებას, მაშინ იგი პასუხისმგებელია სარგებლობის დროს მესამე პირის მხრიდან ბრალეული ქმედებისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამქირავებელმა დართო ნება ქირავნობის ობიექტის გადაცემაზე.

1 საცხოვრებელი ფართის ქირავნობასთან დაკავშირებით ვრცლად იხილეთ § 553, თხოვებისთვის კი § 603-ის რეგულირება. §§ 540, 553-ის გაგებით, მესამე პირი არის არა მეუღლე ან ოჯახის ახლობელი წევრი, ან დარეგისტრირებული პარტნიორი, არამედ, უბრალოდ, პარტნიორი (არარეგისტრირებული).

§ 541. ხელშეკრულების დარღვევით სარგებლობის შემთხვევაში მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების შესახებ სარჩელი

თუ დამქირავებელი, დამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, ხელშეკრულების დარღვევით აგრძელებს ქირავნობის ობიექტით სარგებლობას, მაშინ დამქირავებელს შეუძლია წარადგინოს სარჩელი არამართობიერი მოქმედებისგან თავის შეკავების შესახებ.

§ 542. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულება

(1) თუ ქირავნობის ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ საკანონმდებლო ნორმების მიხედვით.

(2) განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა წყდება ამ ვადის გასვლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

1. იგი შეწყდა კანონით დაშვებულ შემთხვევებში ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, ან
2. მას გაუგრძელდა ვადა.

1. **ზოგადი მიმოხილვა.** ნორმა არეგულირებს ქირავნობის ურთიერთობის დასრულების საკითხს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, განსაზღვრული ვადით დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებებთან შედარებით (ნორმის მე-2 ნაწილი, ე.წ. ვადიანი ქირავნობა), უფრო მეტად გავრცელებულია განუსაზღვრელი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულებები (ნორმის პირველი ნაწილი). ქირავნობის ურთიერთობის სტანდარტული (ჩვეულებრივი) დასრულება ხდება, როგორც წესი, ხელშეკრულების სტანდარტული შეწყვეტით ან ვადის გასვლით (ხელშეკრულების სტანდარტულ შეწყვეტის დამატებით საფუძვლებთან დაკავშირებით იხ. § 535-ის მე-7 ველი). ამისგან უნდა განვასხვავოთ ხელშეკრულების არასტანდარტული შეწყვეტა, რომლისთვისაც, სტანდარტული შეწყვეტისგან განსხვავებით, უნდა არსებობდეს განსაკუთრებული საფუძველი.

2. **სტანდარტული დასრულება. ა) შეწყვეტის სტანდარტული უფლება.** ვინაიდან სტანდარტულ შეწყვეტას საფუძველი და დასაბუთება არ სჭირდება, მის განსახორციელებლად საჭიროა ვადის დაცვა: მეორე მხარეს უნდა შეეძლოს ქირავნობის ურთიერთობის დასასრულის გათვალისწინება (თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არასტანდარტული შეწყვეტა ვადის დადგენის გარეშე შესაძლებელია; შდრ. იხ. ქვემოთ, მე-5 ველი). ნორმის პირველი ნაწილის მითითება „საკანონმდებლო ნორმებზე“ ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის არსებული ვადების (იხ. §§ 573გ, 580ა) პარალელურად, ქირავნობის სხვა სახეების გათვალისწინებით, ყურადღება უნდა მიექცეს დამატებით წინაპირობებსაც, მაგალითად, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ურთიერთობისას გამქირავებლის საფუძველიან (გამართლებულ) ინტერესს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; იხ. § 573-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება და ამავე ნორმის მე-2 ნაწილი (RegBegr BT-Drucks 14/4553, 43).

3. **ბ) ვადის გასვლა.** ქირავნობის ურთიერთობები, რომლებიც თავიდანვე განსაზღვრული ვადით დაიდო, სრულდება ამ ვადის გასვლის შემდგომ. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. ბინის ვადიან ქირავნობის ხელშეკრულებას, § 575-ის მიხედვით, რომელიც დაშვებულია მხოლოდ § 575-ის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ერთ-ერთი ვადის განსაზღვრის საფუძვლის არსებობისას (დანვრილებით იხ. § 575). ვადიანი ქირავნობის ხელშეკრულების დადება, როგორც წესი, შესაძლებელია, ასევე, კონკლუდენტურადაც; თუმცა, გამქირავებელმა წერილობით უნდა შეატყობინოს დამქირავებელს ქირავნობის ვადის განსაზღვრის საფუძველი (§ 575-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). სტანდარტული შეწყვეტა დაშვებული არაა (შდრ. § 542-ის პირველი ნაწილი, მე-2 ნაწილის Ne 1), ვინაიდან მხარეებს უნდა შეეძლოთ, ორიენტირი გააკეთონ უკვე დადგინდ ქირავნობის ვადაზე; შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის ადრე დამთავრება საჭიროებს განსაკუთრებულ დასაბუთებას (ხელშეკრულების არასტანდარტული შეწყვეტა). საცხოვრებელი ფართის ქირავნობისას ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ურთიერთობა, დამქირავებლის მოთხოვნით და § 575-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებისა და მე-3 ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებების წინაპირობათა დაცვით, შეიძლება გაგრძელდეს.

4. **3. ხელშეკრულების არასტანდარტული შეწყვეტა.** ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ვადის დაცვითა და ვადის დაცვის გარეშე ხელშეკრულებების არასტანდარტული შეწყვეტის შემთხვევები. ხელშეკრულების შეწყვეტის ცალკეული

საფუძვლები თავმოყრილია §§ 543-სა და 569-ში. ამის პარალელურად, სხვა დანარჩენი სპეციალური შეწყვეტის საფუძვლები გაბნეულია სხვა კანონებში (მაგ., ეკოტრების წარმოების შესახებ კანონის § 109). **მიმოხილვა: ა)** სადგომის ქირავნობის დროს ვადის დაცვის გარეშე არასტანდარტული შეწყვეტის უფლება (§ 543-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). ეს უფლება ხელშეკრულების ორივე მხარეს აქვს მაშინ, როდესაც ერთი მხარის მიერ ქირავნობის ურთიერთობის ხელშეშლა (დარღვევა) პერმანენტულ ხასიათს ატარებს და ხელშეკრულების შემწყვეტს არ შეიძლება მოეთხოვოს ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელება (§ 569-ის მე-2 ნაწილი, ხელშემშლელის ბრალეულობის გათვალისწინებასთან დაკავშირებით იხ. § 543 ველი 1). **დამქირავებელს** შეუძლია, ვადის განსაზღვრის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება მაშინ, როდესაც არ არის უზრუნველყოფილი ქირავნობის ნივთის ხელშეკრულების შესაბამისი გამოყენების შესაძლებლობა (§ 543-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 1), ან როდესაც ნაქირავები საცხოვრებელი ფართი თუ სხვა სადგომები, რომლებიც ადამიანების საცხოვრებლადაა განსაზღვრული, იმგვარ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მათი გამოყენება ჯანმრთელობის დაზიანების რეალურ საფრთხეს შეიცავს (§§ 569-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, 578-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება). თუმცა, შეწყვეტამდე მაინც საჭიროა გამქირავებლის წინასწარი გაფრთხილება, ალკვეთოს ასეთი საფრთხე. იმ შემთხვევაში, თუ ეს უშედეგო აღმოჩნდება, დამქირავებელს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება. § 543-ის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების № 1-ისა და № 2-ის მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, ასეთი გაფრთხილება არარელევანტური იყოს. გამქირავებელს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება, ვადის დადგენის გარეშე, არასტანდარტულად მაშინ, როდესაც, გაფრთხილების მიუხედავად, დამქირავებელი ქირავნობის ნივთის ხელშეკრულების შეუსაბამოდ გამოყენებას აგრძელებს (§ 543-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 2), ან დამქირავებელი ქირის გადახდის ვადას მნიშვნელოვნად არღვევს (§ 543-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 3; ვადებთან დაკავშირებით იხილეთ დამატებითი რეგულირება, § 569-ის მე-3 ნაწილი).

5 ბ) ხელშეკრულების არასტანდარტული შეწყვეტა, რომელიც ვადის განსაზღვრას მოითხოვს, შესაძლოა, მოცემული იყოს დამქირავებლის გარდაცვალებისას, რომლის დროსაც შეწყვეტის შესახებ განცხადების გაკეთება შეუძლიათ გამქირავებელს ან დამქირავებლის მემკვიდრეებს (§ 580); თუმცა, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობისას ყურადღება უნდა მიექცეს §§ 563-ის, 563ა-ს, 564-ის სპეციალურ რეგულირებებს. დამქირავებლისთვის კი ასეთი რეგულირებები თავმოყრილია §§ 540-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში, 561-ში, 563ა-ს მე-2 ნაწილში. **ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა,** რომელიც მხარის მიერ უნდა იქნეს დაცული, ან იმ ნორმაშივეა მოცემული, რომელიც შეწყვეტის საფუძველს აწესებს (მაგ., § 561), ან ცალკე შემადგენლობაში (იხ. §§ 573დ, 575ა, 580ა-ს მე-4 ნაწილი), რომელზეც უთითებს თავად შეწყვეტის საფუძვლის შემცველი ნორმა (მაგ., 540-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 563ა-ს მე-2 ნაწილი; 580; შდრ. RegBegr BT-Drucks 14/4553, 43).

§ 543. მნიშვნელოვანი საფუძვლის გამო ვადის დაცვის გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლება

(1) ¹ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, ვადის დაცვის გარეშე, ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელოვანი საფუძვლით შეწყვეტა. ²მნიშვნელოვანი საფუძველია სახეზე, თუ ხელშეკრულების შემწყვეტ მხარეს, კონკრეტული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, კერძოდ კი, ხელშეკრულების მხარის ბრალისა და ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება

მოეთხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დასრულებამდე ან ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის სხვა გზით შეწყვეტამდე.

(2) მნიშვნელოვანი საფუძველი, განსაკუთრებით, სახეზეა მაშინ, როდესაც:

1. დამქირავებელს ქირავნობის ობიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის დროულად არ გადაეცემა, ან შემდგომში სარგებლობის შესაძლებლობა წაერთმევა;
2. დამქირავებელი არსებითად არღვევს დამქირავებლის უფლებებს, რაც გამოიხატება მასზე დაკისრებული ზრუნვის ვალდებულების უგულებელყოფის შედეგად ქირავნობის ობიექტისათვის არსებითი საფრთხის შექმნით; ან
3. დამქირავებელმა:
 - ა) ზედიზედ გადააცილა ქირის სრული თანხის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდის ორ ვადას, ან
 - ბ) დროის იმ მონაკვეთში, რომელიც მოიცავს ორზე მეტ ვადას, გადააცილა ქირის გადახდას ორი თვის ქირის თანხის ოდენობით.

¹პირველი წინადადების № 3-ის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა გამოირიცხულია, თუ დამქირავებელი უფრო ადრე დაკმაყოფილდება. ²ხელშეკრულების შეწყვეტა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ დამქირავებელს გაქვითვის გზით შეეძლო მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან გათავისუფლება და ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დაუყოვნებლივ განაცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ.

(3) ¹თუ მნიშვნელოვანი საფუძველი ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაა, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ნაკლის აღმოსაფხვრელად დადგენილი სათანადო ვადის უშუალო გასვლის ან უშუალო საფრთხილების შემდეგ. ²ეს წესი არ მოქმედებს, თუ:

1. ვადა ან შეტყობინება აშკარად არანაირ შედეგს არ გამოიღებს;
2. გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, განსაკუთრებული საფუძველიდან გამომდინარე, ორივე მხარის ინტერესების ურთიერთშინაობით;
3. დამქირავებელმა გადააცილა ქირის თანხის გადახდის ვადას მე-2 ნაწილის № 3-ის მიხედვით.

(4) ¹მე-2 ნაწილის № 1-ში განსაზღვრული დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 536ბ და 536დ. ²თუ სადავოა ის ფაქტი, დროულად გადასცა თუ არა დამქირავებელმა ქირავნობის ობიექტი სარგებლობაში დამქირავებელს, ან აღმოიფხვრა თუ არა ნაკლი ამისათვის დადგენილი სათანადო ვადის გასვლამდე, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება დამქირავებელს.

§ 543 არის სპეციალური რეგულირება (*lex specialis*) და უპირატესად გამოიყენება § 314-თან მიმართებით (ისევე, როგორც § 626 მომსახურების ხელშეკრულებისათვის). იგი თავის თავში აერთიანებს დამქირავებლისა და დამქირავებლის უფლებებს ვადის დადგენის გარეშე ხელშეკრულების არასტანდარტული შეწყვეტის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით. ნორმის პირველი ნაწილი შეიცავს ვადის დადგენის გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგად უფლებას, ნორმის მე-2 ნაწილი – ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველების არაამომწურავ ჩამონათვალს (არგ.: სიტყვა „განსაკუთრებით“); სხვა დამატებითი საფუძველები განსაზღვრულია საცხოვრებელი სადგომის ქირავნობისთვის § 569-ის პირველსა და მე-2 ნაწილებში (§ 569-ის მოქმედების სხვა სახის სადგომებისა და მინის ნაკვეთების მიმართ გავრცელებასთან დაკავშირებით იხ. § 578-ის მე-2 ნაწილი). როგორც წესი, ხელშეკრულების შეწყვეტის ადრესატის ბრალეულობა არ არის სავალდებულო, ნორმის

1

პირველი ნაწილის მე-2 წინადადება ხაზს უსვამს, რომ ცალკეული შემთხვევის გარემოებების სრული გათვალისწინებით, შესაძლოა, ასევე სახეზე იყოს ბრალეულობის ნაკლები ხარისხი. ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელების მიუღებლობისადმი მოთხოვნები არაბრალეული მოქმედების დროს უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ბრალეული ხელშეშლისას (RA BT-Drucks 14/5663, 76). § 543-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 1-3-ის მიხედვით, ვადის განსაზღვრის გარეშე შეწყვეტა არ საჭიროებს დამქირავებლის დასაბუთებას, თუ რატომ არის მისთვის ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელება მიუღებელი. ნამდვილობისთვის საკმარისია ისიც, რომ სახეზეა § 543-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 1-3-ში მოხსენიებული ერთ-ერთი შემადგენლობა (BGH NJW 2009, 2297 Nr 15).

§ 544. 30 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება

¹თუ ქირავნობის ხელშეკრულება იდება ოცდაათ წელზე მეტი ვადით, მაშინ ქირავნობის ობიექტის გადაცემიდან ოცდაათი წლის ვადის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია, ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, კანონისმიერი ვადის დაცვით, შეწყვიტოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა. ²ხელშეკრულების შეწყვეტა დაუშვებელია მაშინ, როდესაც იგი დადებულია დამქირავებლის ან დამქირავებლის სიცოცხლის ვადით.

§ 545. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის უსიტყვო გახანგრძლივება

¹თუ დამქირავებელი ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ აგრძელებს ქირავნობის ობიექტით სარგებლობას, მაშინ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა გაგრძელდება განუსაზღვრელი ვადით, თუკი ხელშეკრულების არც ერთი მხარე თავის საწინააღმდეგო ნებას არ განუცხადებს მეორე მხარეს ორი კვირის ვადაში. ²ვადის დენა იწყება:

1. დამქირავებლისათვის ნივთით სარგებლობის გაგრძელებით,
2. დამქირავებლისათვის იმ მომენტიდან, როდესაც მისთვის ცნობილი ხდება ნივთით სარგებლობის გაგრძელების შესახებ.

§ 546. დამქირავებლის მიერ ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება

- (1) დამქირავებელი ვალდებულია, ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ უკან დააბრუნოს ქირავნობის ობიექტი.
- (2) თუ დამქირავებელმა ქირავნობის ობიექტი სარგებლობაში გადასცა მესამე პირს, მაშინ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ დამქირავებელს შეუძლია, ნივთი მოითხოვოს ასევე მესამე პირისაგანაც.

§ 546ა. დამქირავებლისათვის ზიანის ანაზღაურება ნივთის უკან დაბრუნების დაგვიანების შემთხვევაში

- (1) თუ დამქირავებელი არ აბრუნებს ქირავნობის ობიექტს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, მაშინ დამქირავებელს დაყოვნების ვადის განმავლობაში შეუძლია, ანაზღაურების სახით მოითხოვოს შეთანხმებული ქირის ან იმ ქირის გადახდა, რომელიც ჩვეულებრივ ექვემდებარება გადახდას განსაზღვრულ ადგილას ანალოგიური ნივთებისათვის.
- (2) სხვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხული არ არის.

§ 547. წინასწარ გადახდილი ქირის ანაზღაურება

(1) ¹თუ ქირა გადახდილ იქნა წინასწარ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე, მაშინ დამქირავებელმა იგი უნდა აანაზღაუროს მიღების მომენტიდან დარიცხული პროცენტით. ²თუ დამქირავებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისათვის, მაშინ მან

უნდა აანაზღაუროს მის მიერ მიღებული შემოსავალი, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად.

(2) საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში, სამართლებრივი ძალის არმქონეა დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება.

§ 548. ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებისა და დამქირავებლის მიერ ქირავნობის ნივთს მიმატებული ნივთის წამოღების უფლების ხანდაზმულობა

(1) ქირავნობის ობიექტის ცვლილებებისა თუ გაუარესების გამო დამქირავებლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში. ²ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იგი იბრუნებს ქირავნობის ობიექტს. ³დამქირავებლის ქირავნობის ობიექტის უკან დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობასთან ერთად ხანდაზმულია ასევე მისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის

უფლებები.

(2) დამქირავებლის ხარჯების ანაზღაურებისა თუ მის მიერ ქირავნობის ნივთს მიმატებული ნივთის წამოღების მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ.

1. ნორმის მიზანია, ქირავნობის ნივთის დაბრუნების შემდგომ მხარეთა შორის სწრაფად გაირკვეს სამართლებრივი ურთიერთობა; ამის გამო ნორმის მოქმედების სფერო ფართოდ უნდა განიმარტოს (*Erman-Jendek* მე-2 ველი). ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების წინაპირობა სრულდება მაშინ, როდესაც დამქირავებელი უშუალო მფლობელობას მოიპოვებს ნივთის უკან გადაცემის შედეგად (იხ. BGH NJW 1996, 586 და N 438 ველი 4). ხანდაზმულობის მოკლე ვადების მოქმედება მხარისთვის იმით მსუბუქდება, რომ ხანდაზმულობა, § 203-ის თანახმად, ჩერდება მანამ, სანამ დამქირავებელი და დამქირავებელი ანაზღაურების მოთხოვნებზე აწარმოებენ მოლაპარაკებებს.

2. კონკურენტული მოთხოვნები (მაგ., დელიქტიდან, § 280-იდან ან საკუთრების შესახებ ნორმებიდან) ექვემდებარება ხანდაზმულობის შემოკლებულ ვადებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, § 548-ის რეგულირებას აზრი დაეკარგებოდა. ამ საფუძვლიდან გამომდინარე, მესამე პირის მოთხოვნებიც, შესაძლოა, § 548-ის მოქმედების სფეროში მოექცნენ; ამ წესის შესაბამისად, დამქირავებელს შეუძლია, § 1004-იდან გამომდინარე მესაკუთრის მოთხოვნებს დაუპირისპიროს § 548-ის ხანდაზმულობის მოკლე ვადა, როდესაც მესაკუთრესა და დამქირავებელს შორის მოცემულია დამქირავებელსა და დამქირავებელს შორის ქირავნობის ურთიერთობასთან დაკავშირებული უფლებების მიმნიჭებელი ურთიერთობა¹⁰² (BGHZ 135, 152 სხვა მითითებებით). § 536-ს პირველი ნაწილის მიხედვით, დამქირავებლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისთვის არ მოქმედებს § 548-ის მე-2 ნაწილი და გამოიყენება ხანდაზმულობის ზოგადი ნორმები: §§ 195, 199.

¹⁰² გადაწყვეტილების (BGHZ 135, 152 სხვა მითითებებით) ლაიტმოტივი: „იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრე ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულების დადებით ბუნებრივი საწვავით მოვაჭრე საწარმოსთან უფლებას აძლევს მესამე პირს, გამოიყენოს მისი მიწის ნაკვეთი მასზე ბენზინგასამართი სადგურის ასაშენებლად, მესაკუთრის მოთხოვნები ბუნებრივი საწვავით მოვაჭრე საწარმოს მიმართ, რომლებიც წარმოიშობა მესამე პირის მიერ მიწის ნაკვეთის არამართლზომიერი შეცვლის შედეგად, ექვემდებარება § 548-ის ხანდაზმულობის ვადებს.“

ქვეკარი 2. საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა

თავი 1. ზოგადი დებულებები

§ 549. საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმები

(1) საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ მოქმედებს §§ 535-548 იმდენად, რამდენადაც §§ 549-577 ა-დან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

(2) ქირის ოდენობის გაზრდისა (§§ 557-561) და ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, ისევე როგორც მრავალბინიან სახლში საკუთრების უფლების დადგენის დროს (§ 568-ის მე-2 ნაწილი, §§ 573-ის, 573ა-სა და 573დ-ს პირველი ნაწილი, §§ 574-575-ის, 575ა-ს პირველი ნაწილი და §§ 577, 577ა) დამქირავებლის ინტერესების დაცვის შესახებ ნორმები არ გამოიყენება:

1. მხოლოდ დროებითი გამოყენებისათვის გაქირავებული საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ;
2. საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, რომელიც არის თავად გამქირავებლის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის ნაწილი და, უმეტესწილად, გამქირავებლის მიერ იქნა ინტერიერის საგნებით აღჭურვილი იმდენად, რამდენადაც საცხოვრებელი ფართი დამქირავებელს არ გადაეცემა გრძელვადიანი სარგებლობის უფლებით თავის ოჯახთან ან იმ პირებთან ერთად, რომლებთანაც იგი ხანგრძლივი ვადით უძღვება საერთო მეურნეობას;
3. იმ საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, რომელიც ქირავნობითაა გადაცემული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა თუ საზოგადო ზრუნვის განმახორციელებელი ალიარებული კერძო ორგანიზაციისათვის, რათა ამ უკანასკნელმა საცხოვრებელი ფართი გადასცეს იმ პირებს, რომლებსაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ იგი, თუ ხელშეკრულების დადებისას დამქირავებელმა მუთითა საცხოვრებელი ფართის დანიშნულება და დასახელებული ნორმების მოქმედებისაგან მისი გამოორიციხვა.

(3) §§ 557-561, 573, 573ა, 573დ-ს პირველი ნაწილი, 575, 575ა-ს პირველი ნაწილი, 577, 577ა არ მოქმედებს სტუდენტურ თუ ახალგაზრდების საერთო საცხოვრებელში არსებული საცხოვრებელი ფართის მიმართ.

§ 550. ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა

¹თუ ერთ წელზე მეტი ვადით ქირავნობის ხელშეკრულება არ იდება წერილობითი ფორმით, მაშინ იგი ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულად. ²თუმცა, ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ საცხოვრებელი ფართის გადაცემის მომენტიდან არა უადრეს ერთი წლის ვადის გასვლისა.

§ 551. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველყოფის საშუალებების შეზღუდვა და ფულადი თანხების განთავსება

(1) თუ დამქირავებელმა გამქირავებელს თავისი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად უნდა წარუდგინოს უზრუნველყოფა, მაშინ, მე-3 ნაწილის მე-4 წინადადების გათვალისწინებით, უზრუნველყოფის თანხა შეიძლება შეადგენდეს ერთი თვის ქირის სამმაგ ოდენობას საექსპლუატაციო ხარჯების ერთჯერადად ან ავანსის სახით გადახდილი თანხის გამოკლებით.

(2) ¹თუ უზრუნველყოფის სახით წარდგენილ უნდა იქნეს ფულადი თანხა, მაშინ დამქირავებელი უფლებამოსილია, გადაიხადოს იგი ყოველთვიურად თანაბარ

ნაწილებად სამი თვის განმავლობაში. ²პირველი თანხა ექვემდებარება გადახდას ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.

(3) ¹გამქირავებელმა მისთვის გადაცემული ფულადი თანხა უნდა განათავსოს ანაბარზე საბანკო ინსტიტუტში იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც, ჩვეულებრივ, ერიცხება ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადის მქონე შემნახველ ანაბრებს. ²ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ ფულადი თანხების განთავსების სხვა ფორმაზე. ³ორივე შემთხვევაში ფულადი თანხების განთავსება უნდა განხორციელდეს გამქირავებლის დანარჩენი ქონებისაგან განცალკევებულად და დამქირავებელს ეკუთვნის შემოსავალი. ⁴ისინი ზრდიან უზრუნველყოფას. ⁵სტუდენტური თუ ახალგაზრდების საერთო საცხოვრებლის შემთხვევაში, გამქირავებელს არ ეკისრება საუზრუნველყოფო ფულად თანხაზე პროცენტის დარიცხვის ვალდებულება.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 552. დამქირავებლის მიერ ქირავნობის ნივთს მიმატებული ნივთის წამოღების უფლების გამოყენება

(1) დამქირავებელს შეუძლია, დამქირავებლის მიერ ნივთის წამოღების უფლების (§ 539-ის მე-2 ნაწილი) განხორციელება თავიდან აიცილოს სათანადო საზღაურის გადახდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამქირავებელს აქვს ნივთის წამოღების გამართლებული ინტერესი.

(2) შეთანხმება, რომლითაც ნივთის წამოღების უფლება გამორიცხულია, სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გათვალისწინებულია სათანადო კომპენსაცია.

§ 553. მესამე პირის მიერ ნივთით სარგებლობის დაშვება

(1) ¹თუ ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგ დამქირავებელს წარმოეშობა მესამე პირის მიერ საცხოვრებელი ფართის ნაწილით სარგებლობისთვის დაშვების გამართლებული ინტერესი, მაშინ მას შეუძლია, ამ ნებართვის გაცემა მოითხოვოს დამქირავებლისაგან. ²ეს წესი არ მოქმედებს, თუ მესამე პირის პიროვნების მიმართ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი, რომ საცხოვრებელი ფართი გადაიტვირთება, ან დამქირავებელს სხვა საფუძველების მიხედვით არ შეიძლება მოეთხოვოს ნივთის გადაცემა.

(2) თუ დამქირავებელს მოეთხოვება ნივთის გადაცემა მხოლოდ ქირის თანხის სათანადოდ გაზრდით, მაშინ მას შეუძლია, ნებართვის გაცემა დამოკიდებული გახადოს დამქირავებლის თანხმობის განცხადებაზე ქირის თანხის ასეთი გაზრდის შესახებ.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 554. ქირავნობის ობიექტის მოვლისა და განახლების ღონისძიებების თმენა

(1) დამქირავებელმა უნდა ითმინოს ქირავნობის ობიექტის მოვლისათვის საჭირო ღონისძიებები.

(2) ¹დამქირავებელმა უნდა ითმინოს ქირავნობის ობიექტის გაუმჯობესების, ენერჯისა თუ წყლის დაზოგვის ან ახალი საცხოვრებელი ფართის შექმნისათვის საჭირო ღონისძიებები. ²ეს წესი არ მოქმედებს, თუ ღონისძიების განხორციელება გართულებული და მიუღებელი იქნება მისთვის, მისი ოჯახისა თუ სხვა მის ოჯახს მიკუთვნებული ნათესავებისათვის, თუნდაც დამქირავებლის გამართლებული ინტერესების გათვალისწინებით. ³ამ მხრივ მხედველობაშია მისაღები, კერძოდ, ჩასატარებელი სამუშაოები, სამშენებლო-კონსტრუქციული შედეგები, დამქირა-

ვებლის წინასწარი ხარჯები და ქირის თანხის შესაძლო გაზრდა. ⁴ქირის თანხის შესაძლო გაზრდა არ უნდა იქნეს განიხილული სირთულედ, თუ ქირავნობის ობიექტი, უბრალოდ, აღდგენილ იქნა, ზოგადად, მისაღებ მდგომარეობამდე.

(3) ¹მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, ღონისძიებების შემთხვევაში, გამქირავებელმა ღონისძიების დაწყებამდე, სულ ცოტა, სამი თვით ადრე ტექსტუალური ფორმით უნდა შეატყობინოს დამქირავებელს ღონისძიების ხასიათის, ასევე მისი სავარაუდო მოცულობისა და დასაწყისის, სავარაუდო ხანგრძლივობისა და ქირის თანხის შესაძლო გაზრდის შესახებ. ²დამქირავებელი უფლებამოსილია, შეტყობინების მიღების მომენტიდან მომდევნო თვის გასვლამდე ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით შეწყვიტოს ხელშეკრულება. ³ეს ნორმები არ მოქმედებს იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენენ გაქირავებულ ფართზე და შედეგად ქირის თანხის მხოლოდ უმნიშვნელო გაზრდას იწვევენ.

(4) ¹ხარჯები, რომლებიც დამქირავებელს უნდა გაენია პირველი ნაწილის ან მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გამქირავებელმა უნდა აანაზღაუროს სათანადო ოდენობით. ²მოთხოვნის საფუძველზე მან უნდა განახორციელოს საავანსო გადახდა.

(5) დამქირავებლისთვის საზიანო მე-2-მე-4 ნაწილებისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 554ა. ხელმისაწვდომობა (Barrierefreiheit)

(1) ¹დამქირავებელს შეუძლია, გამქირავებლისაგან მოითხოვოს სამშენებლო კონსტრუქციული ცვლილებები ან სხვა მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა ქირავნობის ობიექტის გამოსაყენებლად ან მისი ინვალიდების საჭიროებათა ხელმისაწვდომობისათვის, თუ მას აქვს ამის გამართლებული ინტერესი. ²გამქირავებელს შეუძლია, უარი განაცხადოს თანხმობის მიცემაზე, თუ მისი ქირავნობის ობიექტის ან შენობა-ნაგებობის ხელშეუხებლად ექსპლუატაციის ინტერესი გადაწონის დამქირავებლის ინტერესს, გამოიყენოს ქირავნობის ობიექტი ინვალიდების საჭიროებისათვის. ³ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, აგრეთვე, შენობა-ნაგებობის მიმართ სხვა დამქირავებელთა გამართლებული ინტერესები.

(2) ¹გამქირავებელს შეუძლია, თავისი თანხმობა დამოკიდებული გახადოს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენისათვის სათანადო დამატებითი უზრუნველყოფის წარდგენაზე. ²შესაბამისად მოქმედებს § 551-ის მე-3 და მე-4 ნაწილები.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო პირველი ნაწილისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 555. პირგასამტეხლოს შესახებ შეთანხმების სამართლებრივი ძალის არქონა

შეთანხმება, რომლითაც გამქირავებელი დამქირავებელს შეიპირებს პირგასამტეხლოს გადახდაზე, სამართლებრივი ძალის არმქონეა.

თავი 2. ქირა

ქვეთავი 1. შეთანხმებები ქირის შესახებ

§ 556. შეთანხმებები საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ

(1) ¹ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ საექსპლუატაციო ხარჯები ეკისრება დამქირავებელს. ²საექსპლუატაციო ხარჯები, რომლებიც ყოველდღიურად წარმოიშობა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ან აღნაგობის უფლების, ანდა შენობა-ნაგებობის, დამხმარე ნაგებობების, კეთილმოწყობის საგ-

ნების, მოწყობილობებისა და მიწის ნაკვეთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შედეგად. ³საექსპლუატაციო ხარჯების დადგენის რეგულირება გრძელდება 2003 წლის 25 ნოემბრის კანონით „საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ“ (**Betriebskostenverordnung; BGBl. I, გვ. 2346, 2347**). ⁴ფედერალური მთავრობა უფლებამოსილია, სახელისუფლო განკარგულებით, ბუნდესრატის თანხმობის გარეშე, მიიღოს ნორმები საექსპლუატაციო ხარჯების დადგენის შესახებ.

(2) ¹სხვა ნორმების გათვალისწინებით ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ საექსპლუატაციო ხარჯები აისახება ერთიანი თანხის ან საავანსო გადახდის სახით. ²საექსპლუატაციო ხარჯების საავანსო გადახდები შეიძლება შეთანხმებულ იქნეს მხოლოდ სათანადო ოდენობით.

(3) ¹საექსპლუატაციო ხარჯებისათვის საავანსო გადახდები უნდა ხორციელდებოდეს წელიწადში ერთხელ; ამასთან, დაცული უნდა იყოს რენტაბელურობის პრინციპი. ²გადახდის შესახებ დამქირავებელს უნდა შეატყობინონ არა უგვიანეს მეთორმეტე თვისა ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. ³ამ ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებლის მიერ დამატებითი მოთხოვნის წარდგენა გამორიცხულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის დაგვიანებით წარდგენა არ ხდება დამქირავებლის ბრალით. ⁴დამქირავებელი არ არის ვალდებული ნაწილობრივ გადახდის მოთხოვნაზე. ⁵დამქირავებელმა გადახდის მოთხოვნის წინააღმდეგ შესაგებელი დამქირავებელს უნდა წარუდგინოს გადახდის მოთხოვნის მიღების მომენტიდან არა უგვიანეს მეთორმეტე თვის ვადის გასვლისა. ⁶ამ ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებელს აღარ შეუძლია შესაგებლის წარდგენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაგებლის წარდგენა არ ხდება დამქირავებლის ბრალით.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო პირველი ნაწილისაგან, მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ან მე-3 ნაწილისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 556ა. საექსპლუატაციო ხარჯების გაანგარიშების კრიტერიუმები

(1) ¹თუ ხელშეკრულების მხარეები სხვა რაიმეზე არ შეთანხმდნენ, მაშინ, სხვა ნორმების გათვალისწინებით, საექსპლუატაციო ხარჯები უნდა განაწილდეს საცხოვრებელი ფართის ფართობის პროპორციულად. ²საექსპლუატაციო ხარჯები, რომლებიც დამოკიდებულია აღრიცხულ მოხმარებასა თუ დამქირავებლების მიერ აღრიცხულ დაზიანებებზე, უნდა განაწილდეს იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებს განსხვავებულ მოხმარებასა თუ დაზიანებებს.

(2) ¹თუ ხელშეკრულების მხარეები განსხვავებულ წესზე შეთანხმდნენ, დამქირავებელს შეუძლია, ტექსტური ფორმით გაკეთებული განცხადებით განსაზღვროს, რომ დადებული შეთანხმებისაგან განსხვავებული საექსპლუატაციო ხარჯები მომავლისათვის შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ განაწილდეს იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებს განსხვავებულ მოხმარებასა თუ დაზიანებებს. ²განცხადება დასაშვებია მხოლოდ ანგარიშგების პერიოდის დაწყებამდე. ³თუ ხარჯები მანამდე იქნა შეტანილი ქირის თანხაში, მაშინ იგი შესაბამისად უნდა შემცირდეს.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო მე-2 ნაწილისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 556ბ. ქირის თანხის გადახდის დრო, გაქვითვისა და დაკავების უფლებები

(1) ქირის თანხა გადახდილ უნდა იქნეს არა უგვიანეს მესამე სამუშაო დღისა დროის იმ ცალკეული მონაკვეთების დასაწყისში, რომლის მიხედვითაც ხდება მისი დაანგარიშება.

(2) ¹სახელშეკრულებო დანაწესის მიუხედავად, დამქირავებელს შეუძლია, ქირის თანხის მოთხოვნა გაქვითოს §§ 536ა-დან და 539-იდან გამომდინარე მოთხოვნ-

ნით, ან, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად, ზედმეტად გადახდილი თანხიდან გამომდინარე მოთხოვნით, ანდა განახორციელოს დაკავების უფლება ამ მოთხოვნის გამო, თუ მან თავისი განზრახვის შესახებ გამჭირავებელს შეატყობინა ტექსტური ფორმით, სულ ცოტა, ერთი თვით ადრე ქირის თანხის გადახდის ვადის დადგომამდე. ²დამჭირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

ქვეთავი 2. ქირის თანხის გაზრდის რეგულირება

§ 557. ქირის თანხის გაზრდა შეთანხმებით ან კანონის ძალით

(1) ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის განმავლობაში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ქირის თანხის გაზრდის თაობაზე.

(2) ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, ქირის თანხის მომავალი ცვლილებები შეათანხმონ დიფერენცირებული ქირის (Staffelmiete) სახით, § 557-ის მიხედვით, ან ინდექსირებული ქირის (Indexmiete) სახით, § 557ბ-ის მიხედვით.

(3) გამჭირავებელს შეუძლია, დამატებით მოითხოვოს ქირის თანხის გაზრდა მხოლოდ §§ 558-560-ის ნორმების თანახმად, თუ თანხის გაზრდა შეთანხმებით არ არის გამორიცხული, ან გამონაკლისი არ გამომდინარეობს გარემოებებიდან.

(4) დამჭირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 557ა. დიფერენცირებული ქირა

(1) ქირის თანხა შეიძლება შეთანხმებულ იქნეს წერილობით განსაზღვრული დროის პერიოდებისათვის სხვადასხვა ოდენობით; შეთანხმებაში ასახული ქირის თანხა ან თანხის შესაბამისი ზრდა უნდა მიეთითოს ფულადი სახით (დიფერენცირებული ქირა).

(2) ¹ქირის თანხა დროის ყოველ მონაკვეთში უნდა დარჩეს უცვლელი, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში. ²დიფერენცირებული ქირის განმავლობაში თანხის გაზრდა, §§ 558-559ბ-ის მიხედვით, გამორიცხულია.

(3) ¹დამჭირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება შეიძლება გამოირიცხოს დიფერენცირებულ ქირაზე შეთანხმების დადებიდან მაქსიმუმ ოთხი წლის ვადით. ²ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უადრეს ამ პერიოდის გასვლისა.

(4) დამჭირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 557ბ. ინდექსირებული ქირა

(1) ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, წერილობით შეთანხმდნენ, რომ ქირის თანხა განისაზღვრება ფედერალური სტატისტიკური უწყების მიერ ყველა კერძო საოჯახო მეურნეობის ცხოვრების ხარჯებისათვის დადგენილი ფასების ინდექსაციის შესაბამისად (ინდექსირებული ქირა).

(2) ¹ინდექსირებული ქირის მოქმედების დროს ქირის თანხა, გარდა §§ 559-560-ის მიხედვით თანხის გაზრდისა, დროის ყოველ მონაკვეთში უნდა დარჩეს უცვლელი, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში. ²ქირის გაზრდა, § 559-ის თანახმად, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გამჭირავებელმა განახორციელა სამშენებლო კონსტრუქციული ღონისძიებები იმ გარემოებათა მიხედვით, რომელთათვისაც იგი პასუხს არ აგებს. ³თანხის გაზრდა § 558-ის მიხედვით გამორიცხულია.

(3) ¹პირველი ნაწილის მიხედვით, ქირის თანხის ცვლილება უნდა განხორციელდეს ტექსტური ფორმით განცხადების საფუძველზე. ²ამასთან, ფასების ინდექსის

განხორციელებული ცვლილება, ისევე როგორც ქირა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ან მისი ოდენობის გაზრდა, უნდა მიეთითოს ფულადი სახით. ³შეცვლილი ქირის თანხა გადახდილ უნდა იქნეს მეორე თვის დასაწყისში, განცხადების მიღების მომენტიდან.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 558. ქირის თანხის გაზრდა განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ოდენობამდე (Vergleichsmiete)

(1) ¹გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ოდენობამდე ქირის თანხის გაზრდაზე თანხმობა, თუ იმ დროს, როდესაც უნდა მოხდეს ქირის ოდენობის გაზრდა, ეს უკანასკნელი უცვლელი რჩება თხუთმეტი თვის განმავლობაში. ²ქირის თანხის გაზრდის მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ქირის თანხის ბოლო გაზრდიდან არა უადრეს ერთი წლის ვადის გასვლისა. ³§§ 559-560-ის მიხედვით, ქირის თანხის გაზრდა მხედველობაში არ მიიღება.

(2) ¹განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ოდენობამდე ქირის თანხა შედგება ჩვეულებრივი გადახდებისაგან, რომლებიც მოცემულ ან ანალოგიურ მუნიციპალიტეტში უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საცხოვრებელი ფართისათვის დგინდებოდა სახეობის, ფართის რაოდენობის, მოწყობის, თვისებისა და მდებარეობის მიხედვით ან იცვლებოდა § 560-ის მიხედვით, თანხის გაზრდის მიუხედავად. ²გამონაკლისია საცხოვრებელი ფართი, რომლის დროსაც ქირის ოდენობა დადგენილ იქნა კანონით ან დახმარების განევის შეპირებით (Förderzusage).

(3) პირველი ნაწილის თანახმად, ქირის ოდენობის გაზრდის შემთხვევაში, ქირის თანხა, გარდა §§ 559-560-ის მიხედვით თანხის გაზრდისა, სამი წლის განმავლობაში არ შეიძლება გაიზარდოს 20 %-ზე მეტი ოდენობით (შეზღუდვები: Kappungsgrenze).

(4) შეზღუდვები არ მოქმედებს:

1. თუ დამქირავებლის ვალდებულება, გადაიხადოს კომპენსაცია კომუნალურ სფეროში შეცდომით განხორციელებული სუბსიდირების შემცირების შესახებ ნორმების თანახმად, შეწყდა საჯარო სექტორთან კავშირის განწყვეტის გამო; და
2. ¹თუ ქირის თანხის ზრდა არ აჭარბებს უკანასკნელ საკომპენსაციო თანხას. ²გამქირავებელს შეუძლია, საჯარო სექტორთან კავშირის განწყვეტამდე არა უადრეს ოთხი თვისა მოითხოვოს მისთვის ერთი თვის ვადაში კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისა და მისი ოდენობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ³პირველი წინადადება შესაბამისად მოქმედებს, თუ დამქირავებლის ვალდებულება, გადაიხადოს კომპენსაცია „საცხოვრებელი ფართის სუბსიდირების შესახებ“ კანონის §§ 34-37-ისა და მასთან ერთად მიღებული ფედერაციული მხარის საკანონმდებლო ნორმების თანახმად, შეწყდა ქირის ოდენობის კონტროლის გაუქმების გამო.

(5) წლიური თანხიდან, რომელიც მიღებულ იქნებოდა განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ოდენობამდე გაზრდის შემთხვევაში, მესამე პირის სახსრები, §559ა-ს გაგებით, ექვემდებარება გამოქვითვას, § 559ა-ს პირველი ნაწილის შემთხვევაში, 11%-ის ოდენობით სუბსიდირების თანხიდან.

(6) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 558ა. ქირის თანხის გაზრდის ფორმა და დასაბუთება

(1) § 558-ის მიხედვით, ქირის თანხის დამქირავებლისათვის გაზრდა ტექსტური ფორმით უნდა იქნეს განცხადებული და დასაბუთებული.

(2) დასაბუთებაში, კერძოდ, შეიძლება მიეთითოს:

1. ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულაზე (§§ 558გ, 558დ);
2. ცნობებზე ქირის ოდენობის შესახებ მონაცემთა ბაზიდან (§ 558ე);
3. ოფიციალურად დანიშნული და ფიცდადებული ექსპერტის მოტივირებულ დასკვნაზე;
4. ცალკეული მსგავსი საცხოვრებელი ბინებისათვის შესაბამის საზღაურზე; ამავე დროს, საკმარისია სამი საცხოვრებელი ბინის მითითება.

(3) თუ კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულა (§ 558დ-ს პირველი ნაწილი), რომელიც შეესაბამება § 558დ-ს მე-2 ნაწილის დანაწესს, შეიცავს საცხოვრებელი ბინის შესახებ მონაცემებს, მაშინ გამჭირავებელმა ქირის თანხის გაზრდის თავისი მოთხოვნის შემთხვევაში ეს მონაცემები უნდა აცნობოს მაშინაც კი, როდესაც იგი ქირის თანხის გაზრდას, მე-2 ნაწილის მიხედვით, ასაბუთებს დასაბუთების სხვა საშუალებით.

(4) ¹ქირის ოდენობის ინდექსების იმ ტაბულაზე მითითების შემთხვევაში, რომელიც შეიცავს ფასთა დიაპაზონს, საკმარისია, თუ მოთხოვნილი ქირის ოდენობა რჩება დიაპაზონის ფარგლებში. ²თუ იმ ვადის განმავლობაში, როდესაც გამჭირავებელი აკეთებს განცხადებას, სახეზე არ არის ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულა, რომელიც შეესაბამება § 558გ-ს მე-3 ნაწილს ან § 558დ-ს მე-2 ნაწილს, მაშინ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე სხვა, მათ შორის, ძველი ან ანალოგიური მუნიციპალიტეტის ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულა.

(5) დამჭირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 558ბ. თანხმობა ქირის თანხის გაზრდაზე

(1) რამდენადაც დამჭირავებელი თანახმაა ქირის თანხის გაზრდაზე, იგი ვალდებულია, იხადოს გაზრდილი ქირა გაზრდის მოთხოვნის მიღებიდან მესამე კალენდარული თვის დასაწყისიდან.

(2) ¹რამდენადაც დამჭირავებელი არ აცხადებს თანხმობას ქირის თანხის გაზრდაზე მოთხოვნის მიღებიდან მეორე კალენდარული თვის დასრულებამდე, გამჭირავებელს შეუძლია წარადგინოს სარჩელი თანხმობის მიღების მოთხოვნით. ²სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს შემდგომი სამი თვის ვადაში.

(3) ¹თუ სარჩელს წინ უსწრებს ქირის თანხის გაზრდის მოთხოვნა, რომელიც შეესაბამება § 558ა-ს მოთხოვნებს, მაშინ გამჭირავებელს შეუძლია დავის განხილვის დროს მისი კორექტირება ან ქირის თანხის გაზრდის მოთხოვნის ხარვეზების აღმოფხვრა. ²აღნიშნულ შემთხვევაშიც დამჭირავებელს აქვს თანხმობის მიცემაზე ვადა, მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით.

(4) დამჭირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 558გ. ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულა

(1) ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულა — ესაა მონაცემთა ტაბულა განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ოდენობამდე ქირის თანხის შესახებ იმდენად, რამდენადაც ტაბულა შემუშავდა ან აღიარებულ იქნა ერთობლივად მუნიციპალიტეტისა თუ გამჭირავებლისა და დამჭირავებლის წარმომადგენლების მიერ.

(2) ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულები შეიძლება შემუშავდეს ერთი მუნიციპალიტეტის ან რამდენიმე მუნიციპალიტეტის ტერიტორიისათვის, ანდა მუნიციპალიტეტთა ნაწილებისათვის.

(3) ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულები უნდა იქნეს მისადაგებული ბაზრის განვითარების კონიუნქტურას ყოველ ორ წელიწადში.

(4) ¹მუნიციპალიტეტებმა უნდა შეიმუშაონ ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულე-ბი, თუ არსებობს ამის საჭიროება და ეს შესაძლებელია გამართლებული ხარჯით. ²ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულეები და მათი ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს.

(5) ფედერალური მთავრობა უფლებამოსილია, სახელისუფლო განკარგულებით, ფედერალური საბჭოს თანხმობით გამოსცეს უფრო დეტალური შინაარსის მქონე ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულეების შემუშავებისა და მისადაგების წესები.

§ 558დ. კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულა

(1) კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულა – ესაა ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულა, რომელიც შემუშავებულია აღიარებული მეცნიერული პრინციპების მიხედვით და აღიარებულია მუნიციპალიტეტისა თუ გამქირავებლისა და დამქირავებლის წარმომადგენლების მიერ.

(2) ¹კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულა უნდა იქნეს მისადაგებული ბაზრის განვითარების კონიუნქტურას ყოველ ორ წელიწადში. ²ამისათვის ბაზისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფედერალური სტატისტიკური უწყების მიერ გერმანიაში ყველა კერძო საოჯახო მეურნეობის ცხოვრების ხარჯებისათვის დადგენილი ფასების ინდექსაციის შერჩევითი შემოსმება ან ტენდენცია. ³ოთხი წლის შემდეგ უნდა შემუშავდეს ახალი კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულა.

(3) მე-2 ნაწილის ნორმის დაცვის შემთხვევაში, ივარაუდება, რომ კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულაში მითითებული გადახდები ასახავს განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ქირის ოდენობას.

§ 558ე. ქირის ოდენობის შესახებ მონაცემთა ბაზა

ქირის ოდენობის შესახებ მონაცემთა ბაზა არის უწყვეტი რეჟიმით წარმოებული ქირის ოდენობის შესახებ მონაცემთა კრებული განსაზღვრულ ადგილზე მიღებული ქირის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, რომელიც ერთობლივად ინარმოება ან აღიარებულია მუნიციპალიტეტისა თუ გამქირავებლისა და დამქირავებლის წარმომადგენლების მიერ, ხოლო მისგან მიღებული ინფორმაცია იძლევა საშუალებას, გაკეთდეს დასკვნა ცალკეული საცხოვრებელი ბინის თაობაზე განსაზღვრულ ადგილზე მიღებული ქირის ოდენობის ფარგლებში.

§ 559. ქირის ოდენობის გაზრდა განახლების შემთხვევაში

(1) თუ გამქირავებელმა განახორციელა სამშენებლო-კონსტრუქციული ღონისძიებები, რომლებიც ქმედითად ზრდის ქირავნობის ობიექტის საექსპლუატაციო მონაცემებს, ხანგრძლივი ვადით აუმჯობესებს ზოგად საცხოვრებელ პირობებს ან იწვევს ელექტროენერჯისა თუ წყლის ქმედით დაზოგვას (განახლება), ანდა, თუ მან განახორციელა სხვა სამშენებლო-კონსტრუქციული ღონისძიებები იმ გარემოებების გამო, რომელთა დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის, მაშინ მას შეუძლია, გაზარდოს ყოველწლიური ქირის თანხა საცხოვრებელ ბინაზე განეული ხარჯების 11%-ით.

(2) თუ სამშენებლო-კონსტრუქციული ღონისძიებები განხორციელდა რამდენიმე საცხოვრებელი ბინისათვის, მაშინ ხარჯები შესაბამისად უნდა განაწილდეს თითოეულ საცხოვრებელ ბინაზე.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 559ა. მესამე პირთა ფულადი სახსრების ჩათვლა

(1) დამქირავებლის მიერ ნაკისრი ან დამქირავებლის სასარგებლოდ მესამე პირის მიერ ნაკისრი, ანდა საჯარო ბიუჯეტებიდან დაფინანსებული სუბსიდიების (Zuschüsse) ხარჯები არ მიეკუთვნება განეულ ხარჯებს, § 559 გაგებით.

(2) ¹თუ სამშენებლო-კონსტრუქციულ ღონისძიებათა ხარჯები სრული ოდენობით ან ნაწილობრივ იფარება საჯარო ბიუჯეტთა მცირეპროცენტიანი ან უპროცენტო სესხებით, მაშინ, § 559-ის მიხედვით, ქირის გაზრდილი თანხა მცირდება იმ თანხით, რომელიც წარმოიშობა წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთის შემცირების შედეგად. ²ეს უკანასკნელი გამოითვლება შემცირებულ საპროცენტო განაკვეთსა და თავდაპირველი სესხის თანხისთვის ჩვეულებრივ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობით. ³გადამწყვეტია ღონისძიებათა დასრულების მომენტში არსებული პირველი რიგის იპოთეკებისათვის დადგენილი ჩვეულებრივი საბაზრო საპროცენტო განაკვეთი. ⁴თუ სუბსიდიები ან სესხები გამოიყენება მიმდინარე ხარჯების დასაფარავად, მაშინ ქირის გაზრდილი თანხა მცირდება წლის განმავლობაში წარმოშობილი სუბსიდიებისა თუ სესხების თანხით.

(3) ¹დამქირავებლის სესხი, ავანსის სახით გადასახდელი ქირის თანხა ან დამქირავებლის სასარგებლოდ მესამე პირის მიერ გაწეული მომსახურება უთანაბრდება სესხს საჯარო ბიუჯეტებიდან. ²ფედერალური ან ფედერაციული მხარის საფინანსო ინსტიტუტების სახსრები მიიჩნევა სახსრებად საჯარო ბიუჯეტებიდან.

(4) თუ შეუძლებელია იმის დადგენა, რა ოდენობით მოხდა სუბსიდიების ან სესხების გაცემა, მაშინ ისინი ნაწილდება თითოეულ საცხოვრებელ ბინაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად.

(5) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 559ბ. ქირის თანხის გაზრდის რეალიზაცია, თანხის გაზრდის განცხადების სამართლებრივი ძალა

(1) ¹§ 559-ის მიხედვით, ქირის თანხის გაზრდა დამქირავებელს უნდა განეცხადოს ტექსტური ფორმით. ²განცხადება სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში თანხის გაზრდა დაანგარიშებულია წარმოშობილი ხარჯების საფუძველზე და განმარტებულია §§ 559-ისა და 559ა-ს მოთხოვნების შესაბამისად.

(2) ¹დამქირავებელი ვალდებულია, იხადოს გაზრდილი ქირა განცხადების მიღებიდან მესამე კალენდარული თვის დასაწყისიდან. ²ვადა გრძელდება ექვს თვემდე, თუ დამქირავებელმა დამქირავებელს არ შეატყობინა ქირის მოსალოდნელი გაზრდის შესახებ, § 554-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ან ქირის ფაქტობრივი ზრდა გადააჭარბებს შეტყობინებულზე 10%-ზე მეტად.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 560. ექსპლუატაციის ხარჯთა ცვლილებები

(1) ¹ექსპლუატაციის ხარჯების ერთიანი თანხის შემთხვევაში, დამქირავებელი უფლებამოსილია, ექსპლუატაციის ხარჯების გაზრდილი თანხები გაანაწილოს პროპორციულად ტექსტური ფორმით გაკეთებული განცხადებით იმდენად, რამდენადაც ეს შეთანხმებულია ქირავნობის ხელშეკრულებაში. ²განცხადება სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მითითებულია განაწილების საფუძველი და იგი განმარტებულია.

(2) ¹დამქირავებელი ვალდებულია, იხადოს მისი წილი თანხა განცხადების გაკეთების შემდეგ მომდევნო თვის დასაწყისში. ²იმდენად, რამდენადაც განცხადება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ექსპლუატაციის ხარჯები გაიზარდა უკუქცევითი ძალით, იგი მოქმედებს უკუქცევითი ძალით ექსპლუატაციის ხარჯების გაზრდის დღიდან, მაგრამ არა უგვიანეს გასული კალენდარული წლის დასაწყისისა, თუ დამქირავებელი განცხადებას აკეთებს სამი თვის ვადაში იმის შემდეგ, რაც მან შეიტყო თანხის გაზრდის თაობაზე.

(3) ¹თუ ექსპლუატაციის ხარჯები მცირდება, მაშინ მათი ერთიანი თანხაც ექვემდებარება დაკლებას ხარჯების შემცირების მომენტიდან. ²ექსპლუატაციის ხარჯების შემცირების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დამქირავებელს.

(4) თუ მხარეთა მიერ შეთანხმებულია ექსპლუატაციის ხარჯების სააგანსო გადახდები, მაშინ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს ხარჯების დაანგარიშების შემდეგ შეუძლია, ტექსტური ფორმით გაკეთებული განცხადებით სააგანსო გადახდები შესაბამისობაში მოიყვანოს.

(5) ექსპლუატაციის ხარჯების ცვლილების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს რენტაბელურობის პრინციპი.

(6) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 561. დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციალური უფლება ქირის თანხის გაზრდის შემდეგ

(1) ¹თუ გამქირავებელი § 558-ის ან § 559-ის მიხედვით ზრდის ქირის ოდენობას, მაშინ დამქირავებელს შეუძლია, გამქირავებლის განცხადების მიღებიდან მეორე თვის გასვლამდე შეწყვიტოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, მომდევნო მეორე თვის ბოლომდე. ²თუ დამქირავებელი წყვეტს ხელშეკრულებას, მაშინ ქირა აღარ იზრდება.

(2) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

თავი 3. გამქირავებლის გირავნობის უფლება

§ 562. გამქირავებლის გირავნობის უფლების ფარგლები

(1) ¹გამქირავებელს, ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ შეტანილ ნივთებზე. ²ეს უფლება არ ვრცელდება ნივთებზე, რომლებიც არ ექვემდებარება დაყადალებას.

(2) გირავნობის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანაზღაურების სამომავლო მოთხოვნებისა და ასევე უფრო გვიანი, ვიდრე მიმდინარე და მომდევნო წლის ქირის, მოთხოვნათა მიმართ.

1. ზოგადი მიმოხილვა. ა) შინაარსი და მიზანი. ნორმა საცხოვრებელი ფართის, მინის ნაკვეთებისა და სხვა სადგომების (§ 578-ის პირველი ნაწილი, მე-2 ნაწილის პირველი წინადადება) გამქირავებელს, ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ანიჭებს მფლობელობის გარეშე გირავნობის კანონისმიერ უფლებას. § 1257-ის თანახმად, გარიგებით წარმოშობილი გირავნობის ნორმები შესაბამისად მოქმედებენ; გამქირავებლის გირავნობის უფლება არის „განსაკუთრებული უფლება“, § 823-ის პირველი ნაწილის თვალსაზრისით, და მისი დაცვა ხდება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 289-ით. **ბ) მნიშვნელობა: ნორმის ძირითადი დანიშნულება** არის მისი უპირატესობის ხაზგასმა და უზრუნველყოფა სხვა კანონისმიერ (§ 647), გარიგებით წარმოშობილ ან დაყადალებიდან წარმოშობილი გირავნობის უფლებებთან მიმართებაში (დამატ. იხ. *Medicus/Lorenz SchR II 489-ე ველი*). საცხოვრებელი ფართის ქირავნობის დროს § 562-ის უზრუნველყოფის სუსტი მოქმედება (ვინაიდან საყოფაცხოვრებო ნივთები, ძირითადად, დაუყადალებელია) პრაქტიკაში გადაჭრილია. ე.წ. „კაუციონის“ (*Kaution* – ფულადი გირაოს) წინასწარი წარდგენით, რომელიც დამქირავებელს ქირავნობის დასრულების შემდგომ უბრუნდება (შდრ. § 551).

2. გამქირავებლის გირავნობის უფლების **ნარმოშობისთვის** საჭიროა შემდეგი ნინაპირობები: ა) **გამქირავებლის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები:** მიმდინარე და შემდგომი წლის ქირის მოთხოვნები (ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 ალტერნატივა). წარსულში ნარმოშობილ ქირის მოთხოვნებთან დაკავშირებით ყურადღებაამისაქცევია § 562დ-დან გამომდინარე შეზღუდვებზე დაყვადებიდან ნარმოშობილი გირავნობის უფლების კრედიტორებთან მიმართებაში; გირავნობის უფლება ვრცელდება, ასევე, § 536გ-ს მე-2 ნაწილიდან ან § 280-იდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე; **გირავნობის უფლება არ ვრცელდება** ანაზღაურების სამომავლო მოთხოვნებზე, განსაკუთრებით, ქირავნობის ნივთის გამქირავებლისადმი გადაცემაზე უარის გამო, § 546ა-ს შესაბამისად ნარმოშობილი მოთხოვნებისათვის (§ 562-ის მე-2 ნაწილი, პირველი ალტერნატივა); ბ) გირავნობის უფლება ნარმოიშობა მხოლოდ **დამქირავებლის ნივთების მიმართ**. კეთილსინდისიერი შეძენის ვარაუდი დამქირავებლის საკუთრებაში არმყოფი ნივთების მიმართ უდავოდ გამოირიცხება, გამქირავებლის მიერ მფლობელობის არარსებობის გამო (შდრ. ზემოთ, ველი 1; სხვანაირადაა § 647-ის შემთხვევაში). თუ დამქირავებელმა ნივთები პირობადებული საკუთრებით შეიძინა, მაშინ გირავნობის უფლება ნარმოიშობა დამქირავებლის სამომავლოდ შესაძენ საკუთრების უფლებაზე, ხოლო პირობების დადგომის შემდგომ (ნასყიდობის ფასის გადახდა) თავად ნივთზე (BGHZ 35, 85). თუმცა, გირავნობის უფლება წყდება მაშინ, როდესაც დამქირავებელი არ იხდის ნასყიდობის ფასის ნაწილებს და გამყიდველი ამის გამო გადის ხელშეკრულებიდან. მოგვიანებით, დამქირავებლის მიერ ქირავნობის ობიექტში შეტანილი და შეძენილი ნივთების მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით საკუთრებაში გადაცემა (შდრ. § 930-ის მე-7 ველი) ვერ ცვლის უკვე არსებულ გირავნობის უფლებას (მიუხედავად იმისა, რომ დამქირავებელი მესამე პირს უზრუნველყოფის მიზნით საკუთრებაში გადასცემს ნივთებს, არ გვაქვს უზრუნველყოფის მესაკუთრის მიერ მფლობელობის კეთილსინდისიერი შეძენა: იხ. § 936-ის პირველი ნაწილის მე-3 ნინადადება). უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების გადაცემის შემთხვევაში, მაშინ, როდესაც საქმე ეხება ქირავნობის ობიექტზე შეტანილ (არსებულ და სამომავლო) ნივთთა ერთობლიობაზე საკუთრების გადაცემას (მაგ., სასაქონლო სანყოფი, შდრ. § 930 ველი 4), გამქირავებლის გირავნობის უფლების უპირატესობა ვრცელდება ასევე სასაქონლო სანყოფის იმ ცალკეულ ნაწილებზეც, რომლებიც სანყოფის შემადგენლობას მხოლოდ უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლების გადაცემის შემდგომ შეუერთდნენ (BGHZ 117, 200, 207). ნივთთა დიფერენცირება ამ შემთხვევაში იქნებოდა განსაზღვრულობის პრინციპის სანინაალმდეგო (შდრ. § 930-ის მე-5 ველი); გ) **ნივთების შეტანა.** ნივთების შეტანაში იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც ნივთები დამქირავებლის სურვილით მხოლოდ დროებით არ შეიტანება ქირავნობის ობიექტზე. შეტანა **რეალაქტია** (გავრცელებული მოსაზრებით), შესაბამისად, შემტანის ქმედუნარიანობა არაა სავალდებულო, ნების გამოვლენის ნაკლაც არ ექცევა ყურადღება. ნივთების შეტანად ითვლება დროებითი შეტანაც, როდესაც ეს ნივთები ხშირად უზრუნდება ქირავნობის ობიექტს (მაგ., მანქანის დაყენება ფარეხში); დ) დამქირავებლის მიერ ქირავნობის ობიექტზე შეტანილი ნივთები არ უნდა ექვემდებარებოდეს დაყვადებას (ნორმის პირველი ნაწილის მე-2 ნინადადება). ამასთან დაკავშირებით იხილეთ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 811¹⁰³, 812.

103 § 811. დაუყვადებელი ნივთები

„დაყვადებას არ ექვემდებარება შემდეგი ნივთები:
პირადი ან საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები, განსაკუთრებით: ტანსაცმელი, თეთრეული, სანოლი, სახლისა და სამზარეულოს აპარატურა, რამდენადაც მოვალეს ეს ნივთები თავისი პროფესიული საქმიანობისათვის და, თავისი ვალის შესაბამისობის გათვალისწინებით, მოკრძალებული ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობის გაძლოლისათვის ესაჭიროება...“

3. გირავნობის უფლების შედეგების მიმოხილვა. გამქირავებელს აქვს შემდეგი უფლებები: ა) მას შეუძლია, შეტანილი ნივთების რეალიზაცია განახორციელოს §§ 1257-ის, 1228-ის, 1233-ისა და მისი მომდევნო ნორმების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა უნდა იყოს ვადამოსული (ზემოთ, ველი 2; § 1228-ის მე-2 ნაწილი). ვინაიდან ნივთის გაყიდვა გირავნობის კრედიტორის მიერ მის ფლობას მოითხოვს, გამქირავებელს შეუძლია, მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ნივთის გადმოცემაზე მოთხოვნა წარუდგინოს დამქირავებელს (მდრ. § 1231; *Larenz SchR II/1 § 48 V*); ბ) დაყვადების შემთხვევაში, გამქირავებელს აქვს ნივთით უპირატესი დაკმაყოფილების უფლება დამქირავებლის სხვა კრედიტორებთან მიმართებით (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 805), ხოლო დამქირავებლის გაკოტრების წარმოებისას გამქირავებელს შეუძლია, მოითხოვოს „გამორჩეულად დაკმაყოფილება“ (იხ. 56-ე სქოლიო; გაკოტრების წარმოების შესახებ დადგენილების § 50); გ) დამქირავებელს აქვს თვითდაზმარების უფლება შეტანილი ნივთების არაუფლებამოსილი გატანის შემთხვევაში, (იხ. § 562ბ-ს პირველი ნაწილი); ამ დროს მოქმედებს § 229 და მომდევნო ნორმები; დ) მას შეუძლია უფლების გარეშე მოცილებული ნივთების უკან დაბრუნება ან მათი გამქირავებელზე გადაცემა მოითხოვოს მაშინ, როდესაც დამქირავებელი ტოვებს ქირავნობს ობიექტს, § 562ბ-ს მე-2 ნაწილი.

§ 562ა. გამქირავებლის გირავნობის უფლების გაუქმება

¹გამქირავებლის გირავნობის უფლება უქმდება მინის ნაკვეთიდან ნივთების მოცილებასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ხდება გამქირავებლის მიერ ამ ფაქტის არცოდნის შემთხვევაში ან მისი პროტესტის მიუხედავად. ²გამქირავებელს არ შეუძლია ამის გაპროტესტება, თუ ნივთების მოცილება შეესაბამება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო პირობებს, ან, თუ დატოვებული ნივთები აშკარად საკმარისია გამქირავებლის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

I. გირავნობის უფლების გაუქმება ნივთის მოცილებით

1. ნივთის მოცილება გულისხმობს მის ფაქტობრივ გატანას დამქირავებელი სადგომიდან ან მინის ნაკვეთიდან. სადავოა, რამდენად იწვევს ნივთის დროებითი გატანა გირავნობის უფლების შეწყვეტას და ხელახალა შემოტანა მის ხელახლა წარმოშობას. დავა მნიშვნელობას იძენს გამქირავებლის გირავნობის უფლების რიგითობის დადგენისას მაშინ, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში ნივთზე პარალელურად სხვა გირავნობის უფლებები წარმოიშობა, მაგალითად, მაშინ, როდესაც დამქირავებლის ავტომობილი დამქირავებელი ფარეხიდან შესაკეთებლად მიჰყავთ. ამ შემთხვევაში, თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ გაყვანის შემდგომ დროის მონაკვეთში გამქირავებლის გირავნობის უფლება წყდება (მაგ., *Palandt-Weidenkaff* მე-4 ველი), მაშინ მანქანის შემკეთებელი სანარმო მოიპოვებს პირველი რიგის გირავნობის უფლებას (იხ. § 647). სხვა მოსაზრების ავტორებს მიაჩნიათ (მაგ., *Jauernig-Teichmann* მე-2 ველი, სხვა მითითებებით), რომ გამქირავებლის გირავნობის უფლება ამ შემთხვევაში მაინც უპირატესია სხვა გირავნობის უფლებებთან მიმართებით.

2. ნივთის მოცილების გარდა, გირავნობის უფლების გაუქმების დამატებითი წინაპირობა (როგორც ალტერნატივა) არის:

ა) შემთხვევა, როდესაც გამქირავებელმა იცის ნივთის მოცილების შესახებ და არ აპროტესტებს (პირველი წინადადება). ამ შემთხვევაში სავალდებულო წინაპირობაა გამქირავებლის პოზიტიური ცოდნა (*positive Kenntnis*). კანონის ნეგატიური ფორმულირების გამო, ამ შემთხვევაში მტკიცების ვალდებულება ეკისრება გამქირავებელს.

- 4 ბ) შემთხვევა, როდესაც გამქირავებლის მიერ განხორციელებული პროტესტი უშედეგოა. პროტესტი (გარიგების შესაბამისი მოქმედება) შედეგიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ნივთის გატანისას ან გატანამდე ცოტა ხნით ადრე ნათლად ან კონკლუდენტურად განეცხადება დამქირავებელს. პროტესტი ორ შემთხვევაშია უშედეგო (მე-2 წინადადება): აა) მოცილება შეესაბამება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო გარემოებს (მე-2 წინადადების პირველი ალტერნატივა; მაგ.: ნივთის წაღება მოგზაურობაში, ნივთის თხოვება მეგობრისადმი). სადგომების სამენარმეო მიზნით ქირავნობისას, რომლისთვისაც § 578-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება გამოიყენება, ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, ნივთის მოცილება დამქირავებლის ჩვეულებრივ სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში ხდება თუ არა (მდრ. RegBegr BT-Drucks 14/4553, 60). ამ შემთხვევაში იგულისხმება საქონლის ნორმალური მიმოქცევა და არა საქონლის სრული გასხვისება; ბბ) დარჩენილი ნივთები აშკარად საკმარისია გამქირავებლის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად (მე-2 წინადადების მე-2 ალტერნატივა); ეს ის შემთხვევაა, როდესაც გამქირავებლისთვის ყველა არსებული (§ 562 ველი 2) მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობები ცხადად არის მოცემული.
- 5 გ) გამქირავებელმა არაფერი იცის ნივთის მოცილების შესახებ, თუმცა, პროტესტი, მე-2 წინადადების თანახმად, უშედეგო იქნებოდა (ტელეოლოგიური განმარტება; გავრცელებული მოსაზრება, მაგ., *Larenz SchR II/1 § 48 V*-ის მიხედვით, გამქირავებლის მიერ ნივთის მოცილების შესახებ პოზიტიურ ცოდნას არ უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა მაშინ, როდესაც პროტესტი მაინც უშედეგო იქნება).
- 6 დ) სასამართლოსადმი დავიანებული მიმართვა. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ „ა“-„გ“-ში მოხსენიებული წინაპირობები არ არის მოცემული, გირავნობის უფლება შეიძლება მაინც გაუქმდეს ნივთის მოცილებით მაშინ, როდესაც გამქირავებელი თავის მოთხოვნას ნივთის უკან დაბრუნების თაობაზე (§ 562ბ-ს მე-2 ნაწილის პირველი წინადადება) დროულად არ განახორციელებს სასამართლოს მეშვეობით (§ 562ბ-ს მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება).

II. გირავნობის გაუქმების სხვა საფუძვლები

- 7 1. გარიგებით წარმოშობილი გირავნობის უფლების გაუქმების ზოგადი საფუძვლები მოქმედებს ასევე გამქირავებლის გირავნობის უფლების მიმართ (§§ 1257, 1242-ის მე-2 ნაწილი; 1252 და მომდევნო პარაგრაფები).
- 8 2. გამქირავებლის გირავნობის უფლება შესაძლებელია გაუქმდეს მესამე პირის მიერ ქირავნობის ობიექტზე შემოტანილი ნივთის კეთილსინდისიერი შეძენის შედეგად (დამატ. იხ. *Medicus/Lorenz SchR II 495-ე ველი*).

§ 562ბ. თვითდახმარების უფლება, უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება

(1) ¹გამქირავებელს შეუძლია, ხელი შეუშალოს იმ ნივთების მოცილებას, რომლებზეც ვრცელდება გირავნობის უფლება, სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ იგი უფლებამოსილია, გააპროტესტოს მოცილება. ²თუ დამქირავებელი ტოვებს ქირავნობის ობიექტს, გამქირავებელს შეუძლია ამ ნივთების თავის მფლობელობაში მიღება.

(2) ¹თუ ნივთები მოცილებულ იქნა გამქირავებლის მიერ ამ ფაქტის არცოდნის შემთხვევაში ან პროტესტის მიუხედავად, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს მათი გადაცემა მიწის ნაკვეთზე დაბრუნების მიზნით, ხოლო თუ დამქირავებელმა ქირავნობის ობიექტი დატოვა, – მათზე მფლობელობის გადაცემა. ²გირავნობის უფლება უქმდება ერთი თვის თავზე, მას შემდეგ, როცა გამქირავებელი შეიტყობს ნივთების მოცილების შესახებ, თუ იგი მანამდე ამ მოთხოვნის უფლებას არ წარადგენს სასამართლოში.

§ 562გ. გირავნობის უფლების თავიდან აცილება უზრუნველყოფის წარდგენით

¹დამქირავებელს შეუძლია გამქირავებლის გირავნობის უფლების თავიდან აცილება უზრუნველყოფის წარდგენით. ²მას ამით შეუძლია ყოველი ცალკეული ნივთის გირავნობის უფლებისაგან გათავისუფლება ნივთის ღირებულების შესაბამისი უზრუნველყოფის წარდგენით.

§ 562დ. მესამე პირის მიერ განხორციელებული იძულებითი აღსრულება

თუ იმ ნივთის მიმართ, რომელზეც ვრცელდება გამქირავებლის გირავნობის უფლება, იძულებით აღსრულებას ახორციელებს სხვა კრედიტორი, მაშინ ამ უკანასკნელის მიმართ გირავნობის უფლება არ შეიძლება განხორციელდეს იძულებით აღსრულებამდე უკანასკნელი ერთი წლის დროის პერიოდისათვის, ქირის გამო.

თავი 4. ხელშეკრულების მხარეთა შეცვლა

§ 563. ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში

(1) ¹მეუღლე, რომელთანაც დამქირავებელი უძღვება საერთო მეურნეობას, შემოდის ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში. ²ანალოგიური წესი მოქმედებს თანაცხოვრების პარტნიორის მიმართ.

(2) ¹თუ დამქირავებლის შვილები ცხოვრობენ საერთო ოჯახში, ისინი შემოდიან ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში, თუკი ურთიერთობაში არ შემოდის მეუღლე. ²თანაცხოვრების პარტნიორის ურთიერთობაში შესვლა არ ეხება დამქირავებლის შვილების ურთიერთობაში შესვლას. ³ოჯახის სხვა წევრები, რომლებიც დამქირავებელთან ერთად უძღვებიან საერთო მეურნეობას, შემოდიან ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ურთიერთობაში არ შემოდის ან მეუღლე, ან თანაცხოვრების პარტნიორი. ⁴ანალოგიური წესი მოქმედებს იმ პირების მიმართ, რომლებიც დამქირავებელთან ერთად უძღვებიან გრძელვადიან საერთო მეურნეობას.

(3) ¹თუ, პირველი ან მე-2 ნაწილის გაგებით, ურთიერთობაში შემოსული პირები იმის შემდეგ, როცა ისინი შეიტყობენ დამქირავებლის გარდაცვალების შესახებ, ერთი თვის განმავლობაში განუცხადებენ დამქირავებელს, რომ მათ არ სურთ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება, ურთიერთობაში შემოსვლა არ ითვლება შემდგარად. ²ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებისათვის, შესაბამისად, მოქმედებს § 210. ³თუ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის რამდენიმე პირი, მაშინ თითოეულს შეუძლია განცხადების თავის სასარგებლოდ გაკეთება.

(4) დამქირავებელს შეუძლია, ერთი თვის განმავლობაში, იმის შემდეგ, როცა იგი შეიტყობს პირების ქირავნობის ხელშეკრულებაში საბოლოო შემოსვლის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, კანონისმიერი ვადის დაცვით, შეწყვიტოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა, თუ ურთიერთობაში შემოსული პირის პიროვნებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს.

(5) დამქირავებლისა თუ, პირველი ან მე-2 ნაწილების მიხედვით, ქირავნობის ხელშეკრულებაში შესვლაზე უფლებამოსილი პირებისათვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 563ა. ურთიერთობის გაგრძელება ცოცხლად დარჩენილ დამქირავებლებთან

(1) თუ დამქირავებელი რამდენიმე პირია, §563-ის გაგებით, მაშინ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა გაგრძელდება დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში ცოცხლად დარჩენილ დამქირავებლებთან.

(2) ცოცხლად დარჩენილ დამქირავებლებს შეუძლიათ, ერთი თვის განმავლობაში იმის შემდეგ, როცა ისინი შეიტყობენ დამქირავებლის გარდაცვალების თაობაზე, ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით შეწყვიტონ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 563ბ. პასუხისმგებლობა ურთიერთობაში შემოსვლის ან მისი გაგრძელების შემთხვევაში

(1) პირები, რომლებიც შემოვიდნენ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში §563-ის თანხმად, ან რომელთანაც ურთიერთობა გაგრძელდა §563ა-ს თანხმად, მემკვიდრესთან ერთად სოლიდარულად პასუხს აგებენ დამქირავებლის გარდაცვალებამდე წარმოშობილი ვალდებულებებისათვის. ზამ პირებთან ურთიერთობაში მემკვიდრე პასუხს აგებს დამოუკიდებლად, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი.

(2) თუ დამქირავებელმა ქირის თანხა წინასწარ მისი გარდაცვალების შემდგომი დროის პერიოდისათვის გადაიხადა, პირები, რომლებიც შემოვიდნენ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში § 563-ის თანხმად ან რომლებთანაც ურთიერთობა გაგრძელდა § 563ა-ს თანხმად, ვალდებული არიან, მემკვიდრეს დაუბრუნონ ის თანხა, რომელიც მათ წინასწარი გადახდის შედეგად დაზოგეს ან მიიღეს.

(3) იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილმა დამქირავებელმა არ წარადგინა უზრუნველყოფა, გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა იმ პირებისაგან, რომლებიც შემოვიდნენ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში §563-ის თანხმად, ან რომლებთანაც ურთიერთობა გაგრძელდა §563ა-ს თანხმად.

§ 564. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება მემკვიდრესთან, ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით

¹თუ დამქირავებლის გარდაცვალებისას არც ერთი პირი, § 563-ის გაგებით, არ შემოდის ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში, ან არც ერთ პირთან არ გაგრძელდა ურთიერთობა, § 563ა-ს თანხმად, მაშინ ეს უკანასკნელი გრძელდება მემკვიდრესთან. ²ამ შემთხვევაში როგორც მემკვიდრე, ისე გამქირავებელი უფლებამოსილი არიან, ერთი თვის განმავლობაში შეწყვიტონ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით იმის შემდეგ, რაც ისინი შეიტყობენ დამქირავებლის გარდაცვალებისა და იმის თაობაზე, რომ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში შემოსვლა ან მისი გაგრძელება არ მომხდარა.

§ 565. სამენარმეო ქვექირავნობა

(1) ¹თუ, ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, დამქირავებელმა საცხოვრებელი ფართი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში ქვექირავნობით უნდა გადასცეს მესამე პირს საცხოვრებლად, მაშინ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ გამქირავებელი იძენს დამქირავებელსა და მესამე პირს შორის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებსა

და ვალდებულებებს. ²თუ გამქირავებელი დებს ახალ ქირავნობის ხელშეკრულებას საცხოვრებელი ფართის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქვექირავნობით გადაცემისათვის, მაშინ დამქირავებელი ხელშეკრულების თავდაპირველი მხარის ნაცვლად იძენს მესამე პირთან არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს.

(2) შესაბამისად მოქმედებს §§ 566ა-566გ.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 566. ნასყიდობა არ იწვევს ქირავნობის შეწყვეტას

(1) თუ გაქირავებული საცხოვრებელი ფართი დამქირავებლის მიერ დამქირავებლისათვის გადაცემის შემდეგ გასხვისდება მესამე პირზე, მაშინ შემძენი თავისი საკუთრების უფლების ვადის განმავლობაში დამქირავებლის ნაცვლად იძენს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს.

(2) ¹თუ შემძენი არ ასრულებს ვალდებულებებს, მაშინ დამქირავებელი შემძენის მიერ ასანაზღაურებელი ზიანისთვის პასუხს აგებს როგორც თავდები, რომელმაც უარი განაცხადა შესაგებელზე, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. ²თუ დამქირავებელი შეიტყობს საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ დამქირავებლის შეტყობინების მეშვეობით, მაშინ ეს უკანასკნელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუკი დამქირავებელი არ წყვეტს ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობას ხელშეკრულების შეწყვეტის პირველსავე შესაძლო ვადაში.

1. ზოგადი მიმოხილვა. ა) მიზანი და მნიშვნელობა. ნორმის მიზანია დაიცვას დამქირავებელი დამქირავებლის მიერ ქირავნობის ნივთის გასხვისების შემთხვევებში. ქირავნობის ნივთის შემძენი იძენს ქირავნობის ურთიერთობის ყველა უფლებას და ვალდებულებას, ამიტომ სამართლებრივი ურთიერთობა განიხილება როგორც ხელშეკრულების გადასვლის კანონისმიერი შემთხვევა (შდრ. § 414-ის შესავალი, მე-7 ველი). დამქირავებლის სამართლებრივი მდგომარეობაც სანივთო-სამართლებრივი ხდება, ვინაიდან იგი მიმართულია განსაზღვრული მესამე პირის მიმართ. **ბ) გამოყენების სფერო.** ნორმა გამოიყენება საცხოვრებელი ფართის, სხვა სადგომებისა და მიწის ნაკვეთების (§ 578) ქირავნობისა და იჯარისათვის (§ 581-ის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევებში, მფლობელობის უფლებაზე ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმება ვერ გაუთანაბრდება ქირავნობას (BGH NJW 2001, 2885). ნორმა შესაბამისად გამოიყენება უზუფრუქტუარის მიერ გაქირავების შემთხვევებში (§ 1065), ასევე, წინასწარი მემკვიდრისა (§ 2135) და აღნაგობაზე უფლებამოსილი პირების მიმართ (აღნაგობის შესახებ კანონის § 30¹⁰⁴). თუ მათი უფლება წყდება ქირავნობის ვადის დამთავრებამდე, მაშინ ქირავნობის ხელშეკრულება გადადის ახალ უფლებამოსილ პირებზე (მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე).

2. წინაპირობები: ა) გამსხვისებელსა და დამქირავებელს შორის უნდა არსებობდეს ქირავნობის ნამდვილი ხელშეკრულება; ბ) დამქირავებლის მიერ მიწის ნაკვეთის გასხვისება. სახეზე უნდა იყოს გარიგებით წარმოშობილი გასხვისება, მნიშვნელობა არ ენიჭება კაუზალური გარიგების ფორმას, რომელიც გასხვისებას ედება საფუძვლად (ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება ა.შ.). § 566 ანალოგიის სახით

104 § 30. ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებები

„იმ შემთხვევაში, თუ წყდება აღნაგობის უფლება, აღნაგობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაფორმებულ ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებებისთვის შესაბამისად მოქმედებს საკუთრების გადაცემის შემთხვევისთვის მოქმედი ნორმები“.

გამოიყენება საკუთრების თავდაპირველი¹⁰⁵ და კანონის ძალით შექმნისას (BGH NJW 2008, 2773 Nr 10); გ) შექმნა უნდა განხორციელდეს (საცხოვრებელი) სადგომის ან მიწის ნაკვეთის დამქირავებელზე გადაცემის შემდგომ. ამ შეზღუდვის მიზანია: დამქირავებლის მიერ ნივთის მფლობელობის შესახებ ცოდნით შემქმნმა უნდა შეძლოს იმ ვალდებულების გათვალისწინება, რომელიც მას შექმნის შემთხვევაში § 566-ით დაეკისრება, ვინაიდან ქირავნობის არსებობას შემქმნი საჯარო რეესტრით ვერ დაადგენს (*Medicus SchR II 230-ე ველი*). ქირავნობის ნივთის დამქირავებლისადმი გადაცემამდე შექმნისთვის მოქმედებს § 567ა.

3 3. სამართლებრივი შედეგები. ა) შემქმნის მდგომარეობა. ქირავნობის ნივთის შემქმნი იძენს გამსხვისებლის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა უფლებასა და ვალდებულებას. **აა)** ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად (BGHZ 13, 1; BGH NJW 1989, 451), შემქმნი იძენს გამსხვისებლის ყველა უფლებასა და ვალდებულებას ასევე მაშინ, როდესაც ქირავნობის ნივთის დამქირავებლისთვის გადაცემამდე საჯარო რეესტრში გაკეთებულია წინასწარი ჩანაწერი შემქმნის შესახებ. § 883-ის მე-3 ნაწილი უზრუნველყოფს მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემაზე მოთხოვნის რიგითობის დაცვას და იგი არ ეხება საკუთრების გადასვლას ქირავნობის ნივთის გადაცემამდე. საჯარო რეესტრში წინასწარი ჩანაწერის გაკეთების შემდგომ ნივთის გაქირავება არ ითვლება ხელშემშლელ განკარგვად, § 883-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მოსაზრებით. თუმცა, საკმაოდ არგუმენტირებული ნაკლებად გავრცელებული მოსაზრება (მაგ. *Hk-Eckert § 883 46-ე* და მომდევნო ველები) ემხრობა § 883-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების ანალოგიის სახით გამოყენებას; ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ქირავნობის ურთიერთობა წინასწარ ჩანაწერში დარეგისტრირებულ უფლებამოსილ პირს ხელს უშლის მოთხოვნის განხორციელებაში და მის მფლობელობის უფლებას ლახავს; დამქირავებლის მდგომარეობის დაცვის უპირატესობა, რომელიც ქონების (მაგ., ბინის) სანივთო კუთხით შემქმნისგან განსხვავებით, არ იძლევა საჯარო რეესტრის შემოწმების საფუძველს, კრძალავს ანალოგიის გამოყენებას. **ბბ)** გავრცელებული მოსაზრების თანახმად, § 536ა-ს პირველი ნაწილის პირველი ალტერნატივიდან გამომდინარე, **ბრალისგარეშე პასუხისმგებლობა** შემქმნის ეხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქირავნობის ნივთის ნაკლი მოცემული იყო გამსხვისებელთან ხელშეკრულების დადებისას და ზიანი დადგა მხოლოდ შემქმნელზე საკუთრების გადასვლის შემდგომ (BGHZ 49, 350). ამის არგუმენტია შემდეგი: დამქირავებელმა თავისი დამქირავებლის მიმართ ბრალისგარეშე პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული მოთხოვნა არ უნდა დაკარგოს დამქირავებელთა ცვლილების გამო; მეორე მხრივ, მან არ უნდა მოიპოვოს ბრალისგარეშე პასუხისმგებლობაზე უფლება. ასე რომ, ნაკლის საწყისობისთვის (§ 536ა-ს პირველი ნაწილის პირველი ალტერნატივა) არ უნდა იყოს რელევანტური შემქმნის ქირავნობის ურთიერთობაში შესვლა. დასკვნა: იმ შემთხვევაში, თუ ზიანი ჯერ კიდევ დამქირავებელთა შეცვლამდე დადგა, შემქმნის ვერ წარედგინება მოთხოვნა ნაკლზე.

4 ბ) გამსხვისებლის მდგომარეობა. აა) გათავისუფლება. თავდაპირველი დამქირავებელი (გამსხვისებელი) ქირავნობის ნივთის გასხვისებით გადის (თავისუფლდება) ქირავნობის ხელშეკრულებიდან. **ბბ) პასუხისმგებლობა.** ნორმის მე-2 ნაწილისგან დამოუკიდებლად, დამქირავებელი პასუხს აგებს დამქირავებლის ყველა სხვა მოთხოვნისათვის, რომლებიც დამქირავებელს წარმოეშვა მის მიმართ მისი ხელშეკრულებიდან გათავისუფლებამდე. ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, იგი დამქირავებ-

¹⁰⁵ საკუთრების თავდაპირველი შექმნის კლასიკური შემთხვევაა უბატრონო ნივთების საკუთრებაში აყვანა. § 566-ს მნიშვნელობა ენიჭება იძულებითი აღსრულების წარმოებაში აუქციონის შედეგად საკუთრების თავდაპირველი შექმნისას. ამ შემთხვევაში ნივთის „წარსული“ იშლება და ნივთი ახალ შემქმნელზე გადადის ყოველგვარი უფლების გარეშე. ამ დროს დამქირავებლის უფლებების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ლისთვის მხოლოდ როგორც თავდები ისე აგებს პასუხს მაშინ, როდესაც საკუთრების გადასვლის შემდგომ ქირავნობის ურთიერთობაში შემოსული ახალი გამქირავებელი (შემძენი) არ ასრულებს ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ასეთი სახის გარანტია არის იმის კომპენსაცია, რომ კანონი დამქირავებელს მისი თანხმობის გარეშე მეორე მოვალით „ასაჩუქრებს“. ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, თავდაპირველი გამქირავებლის პასუხისმგებლობისთვის ვადის დადგენა ეფუძნება თანხმობის ფიქციას.

§ 566ა. ქირავნობის უზრუნველყოფა

¹თუ გასხვისებული საცხოვრებელი ფართის დამქირავებელმა გამქირავებელს თავისი ვალდებულებების შესრულებისათვის წარუდგინა უზრუნველყოფა, მაშინ შემძენი იძენს ამის შედეგად წარმოშობილ უფლებებსა და ვალდებულებებს. ²თუ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისას დამქირავებელს არ შეუძლია შემძენისაგან უზრუნველყოფის მიღება, მაშინ გამქირავებელი შემდგომშიც ვალდებული რჩება მის დაბრუნებაზე.

§ 566ბ. ქირავნობის უფლების წინასწარი განკარგვა

(1) ¹თუ გამქირავებელი საკუთრების უფლების გადასვლამდე განკარგავს ქირავნობის უფლებას, რომელიც შეესაბამება შემძენის უფლებამოსილების დროის მონაკვეთს, განკარგვა სამართლებრივი ძალის მქონეა, თუკი იგი ეხება ქირავნობას იმ კალენდარული თვისათვის, როდესაც გადადის საკუთრების უფლება. ²თუ საკუთრების უფლება გადადის თვის მეთხუთმეტე დღის შემდეგ, მაშინ განკარგვა ასევე სამართლებრივი ძალის მქონეა, თუკი იგი ეხება ქირავნობას მომდევნო კალენდარული თვისათვის.

(2) შემძენმა უნდა დაუშვას მის მიმართ ქირავნობის უფლების განკარგვა უფრო გვიანი პერიოდისათვის, თუ მან მის შესახებ იცის საკუთრების უფლების გადასვლის დროისათვის.

§ 566გ. ქირავნობის უფლების შესახებ გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის შეთანხმება

¹გარიგება, რომელიც დადებულია გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის ქირის თანხის მოთხოვნის შესახებ, კერძოდ, ქირის თანხის გადახდა შემძენის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ იგი არ ეხება ქირავნობას იმ მომდევნო კალენდარული თვისათვის, როდესაც დამქირავებელი შეიტყობს საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ. ²თუ დამქირავებელი შეიტყობს აღნიშნულის შესახებ თვის მეთხუთმეტე დღის შემდეგ, მაშინ გარიგება ასევე სამართლებრივი ძალის მქონეა, თუკი იგი ეხება ქირავნობას მომდევნო კალენდარული თვისათვის. ³თუმცა, საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ დადებული გარიგება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ დამქირავებელმა შეიტყო საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ გარიგების დადების მომენტში.

§ 566დ. დამქირავებლის მიერ განხორციელებული გაქვითვა

¹იმდენად, რამდენადაც გამქირავებლისათვის ქირის თანხის გადახდა § 566გ-ს მიხედვით შემძენის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა, დამქირავებელს შეუძლია, შემძენის მიერ ქირის თანხის გადახდის მოთხოვნა გაქვითოს გამქირავებლის მიმართ კუთვნილი მოთხოვნით. ²გაქვითვა გამოიწვევს, თუ დამქირავებელმა შეიძინა საპირისპირო მოთხოვნა იმის შემდეგ, რაც შეიტყო საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ, ან, როდესაც საპირისპირო მოთხოვნა ვადამოსული გახდა მხოლოდ დამქირავებლის მიერ საკუთრების უფლების გადასვლის ფაქტის შეტყობისა და ქირის თანხის გადახდის ვადის დადგომის შემდეგ.

§ 566ე. გამქირავებლის მიერ საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ შეტყობინება

(1) თუ გამქირავებელი ატყობინებს დამქირავებელს იმის თაობაზე, რომ საკუთრების უფლება გაქირავებულ საცხოვრებელ ფართზე გადავიდა მესამე პირზე, მაშინ მან ქირის თანხის გადახდის მოთხოვნასთან დაკავშირებით უნდა დაუშვას მის მიმართ დამქირავებლის მიერ შეტყობინებული საკუთრების უფლების გადასვლა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს უკანასკნელი არ ხორციელდება ან სამართლებრივი ძალის არმქონეა.

(2) შეტყობინებაზე უარი დასაშვებია მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომელიც დასახელებულია როგორც ახალი მესაკუთრე.

§ 567. გამქირავებლის მიერ საცხოვრებელი ფართის უფლებრივი დატვირთვა

თუ გაქირავებული საცხოვრებელი ფართი დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ გამქირავებლის მიერ მესამე პირის სასარგებლოდ იტვირთება უფლებით, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 566-566ე, თუკი უფლების რეალიზაციის შედეგად დამქირავებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულების შესაბამისი სარგებლობის უფლება; თუ დამქირავებელს უფლების რეალიზაციის შედეგად შეეზღუდება ხელშეკრულების შესაბამისი სარგებლობის უფლება, მაშინ მესამე პირი დამქირავებლის მიმართ ვალდებულია, თავი შეიკავოს უფლების რეალიზაციისაგან იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ხელშეკრულების შესაბამისი სარგებლობის უფლებისათვის ხელისშემშლელი იქნებოდა.

§ 567ა. გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა საცხოვრებელი ფართის დამქირავებლისათვის გადაცემამდე

თუ გამქირავებელმა გაქირავებული საცხოვრებელი ფართი დამქირავებლისათვის გადაცემამდე გაასხვისა მესამე პირზე, ან დატვირთა ისეთი უფლებით, რომლის რეალიზაციის შედეგად დამქირავებელს ჩამოერთმევა ან შეეზღუდება ხელშეკრულების შესაბამისი სარგებლობის უფლება, მაშინ ანალოგიური წესი მოქმედებს § 556-ის პირველი ნაწილისა და § 567-ის შემთხვევებში, თუკი შემძენმა გამქირავებლის წინაშე იკისრა ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები.

§ 567ბ. შემძენის მიერ გაქირავებული საცხოვრებელი ფართის შემდგომი გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა

¹თუ გაქირავებული საცხოვრებელი ფართი შემძენის მხრიდან შემდგომში იქნება გასხვისებული ან უფლებრივად დატვირთული, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 556-ის პირველი ნაწილი და §§ 566ა-567ა. ²თუ ახალი შემძენი არ ასრულებს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ გამქირავებელი პასუხისმგებელია დამქირავებლის წინაშე §566-ის მე-2 ნაწილის თანახმად.

თავი 5. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულება

ქვეთავი 1. ზოგადი დებულებები

§ 568. ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმა და შინაარსი

(1) ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა საჭიროებს წერილობით ფორმას.

(2) გამქირავებელმა დროულად უნდა მიუთითოს დამქირავებელს შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობაზე, შესაგებლის ფორმასა და ვადაზე, §§ 574-574ბ-ს მიხედვით.

§ 569. ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, ვადის დაცვის გარეშე, მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე

(1) მნიშვნელოვანი საფუძველი, § 543-ის პირველი ნაწილის გაგებით, დამქირავებლისთვის არსებობს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაქირავებული საცხოვრებელი ფართი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი გამოყენება დაკავშირებულია ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან საფრთხესთან. ²ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, თუ დამქირავებელმა ხელშეკრულების დადების დროს იცოდა საფრთხის გამომწვევი თვისებების შესახებ, ან ამ თვისებების გამო უარი თქვა თავისი უფლებების რეალიზაციაზე.

(2) მნიშვნელოვანი საფუძველი, § 543 პირველი ნაწილის გაგებით, არსებობს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულების ერთი მხარე მუდმივად არღვევს ცხოვრების მყურდობას ისე, რომ ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების, მათ შორის, ხელშეკრულების მხარეთა ბრალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე ან ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის სხვა შემთხვევებამდე ხელშეკრულების შეწყვეტი მხარისათვის შეუძლებელია.

(3) § 543-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 3-ის დამატებით მოქმედებს შემდეგი წესები:

1. '§ 543-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 3-ის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ქირის თანხის გადაუხდელი ნაწილი უნდა იქნეს განხილული როგორც უმნიშვნელო, თუ იგი აღემატება ერთი თვის ქირის თანხას. ²ეს არ მოქმედებს, თუ საცხოვრებელი ფართი გაქირავებულია მხოლოდ დროებითი გამოყენებისათვის.
2. 'ხელშეკრულების შეწყვეტა სამართლებრივი ძალის არმქონეა მაშინაც, თუ გამოსახლების თაობაზე სასამართლო დავის დაწყებიდან ორი თვის ვადის გასვლამდე გამქირავებელი დაკმაყოფილდება ვადამოსული ქირის თანხისა და §546-ს პირველი ნაწილით გათვალისწინებული ანაზღაურების თანხის მიღებით, ან გადახდის ვალდებულებას კისრულობს საჯარო ორგანო. ²ეს წესი არ გამოიყენება, თუ, პირველი წინადადების მიხედვით, სამართლებრივი ძალის არმქონე ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადება ხელშეკრულების შეწყვეტას უკვე უსწრებს არა უმეტეს ორი წლის ვადისა.
3. თუ დამქირავებელს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა გაზრდილი ქირის თანხის გადახდა, §§ 558-560 თანახმად, მაშინ გამქირავებელს არ შეუძლია დამქირავებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილების გამო ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ორი თვის ვადის გასვლამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უკვე შესრულდა ქირის წინა დავალიანების გამო ვადის დაცვის გარეშე შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები.

(4) ხელშეკრულების შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა მიეთითოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში.

(5) დამქირავებლისთვის საზიანო წინამდებარე პარაგრაფის პირველი-მე-3 ნაწილებისაგან ან § 543-ისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა. ²გარდა ამისა, სამართლებრივი ძალის არმქონეა შეთანხმება, რომლითაც გამქირავებელი უნდა იყოს უფლებამოსილი, ვადის დაცვის გარეშე შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით შეწყვეტოს ხელშეკრულება სხვა, ვიდრე კანონით დაშვებული, საფუძვლებიდან გამომდინარე.

§ 570. დაკავების უფლების გამორიცხვა

დამქირავებელს არა აქვს დამქირავებლის კუთვნილი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების საწინააღმდეგოდ დაკავების უფლება.

§ 571. სხვა ზარალის ანაზღაურება საცხოვრებელი ფართის დაგვიანებული დაბრუნებისას

(1) ¹თუ დამქირავებელი არ აბრუნებს გაქირავებულ საცხოვრებელ ფართს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, მაშინ დამქირავებელს შეუძლია მხოლოდ სხვა ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენა § 546-ს მე-2 ნაწილის გაგებით, თუკი უკან დაბრუნება არ შედგა იმ გარემოებების შედეგად, რომელთათვის პასუხს აგებს დამქირავებელი. ²ზარალი უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ამას ითხოვს სამართლიანობა. ³ეს წესი არ მოქმედებს, თუ დამქირავებელმა შეწყვიტა ხელშეკრულება.

(2) თუ დამქირავებელს მიეცემა ვადა ფართის გათავისუფლებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 721-ის ან § 794-ს თანახმად, მაშინ იგი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს სხვა ზარალი ფართის გათავისუფლების ვადის გასვლამდე.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 572. შეთანხმებით დადგენილი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება; ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა გაუქმების პირობით

(1) დამქირავებელს არ შეუძლია მითითება იმ შეთანხმებაზე, რომლის თანხმაც იგი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე დამქირავებლისათვის საცხოვრებელი ფართის გადაცემის შემდეგ.

(2) გარდა ამისა, დამქირავებელს არ შეუძლია მიუთითოს შეთანხმებაზე, რომლის თანხმაც ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა დამქირავებლისთვის საზიანოდ დადებულია გაუქმების პირობით.

ქვეთავი 2. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა განუსაზღვრელი ვადით

§ 573. დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის სტანდარტული უფლება

(1) ¹დამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის გამართლებული ინტერესი. ²ხელშეკრულების შეწყვეტა ქირის თანხის გაზრდის მიზნით გამორიცხულია.

(2) ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის დამქირავებლის გამართლებული ინტერესი არსებობს, კერძოდ, როდესაც:

1. დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია;
2. დამქირავებელს საცხოვრებელი ფართი საცხოვრებელ ბინად სჭირდება თავისთვის, თავისი ოჯახის წევრებისა თუ საერთო მეურნეობაში მონაწილე სხვა ნათესავებისათვის; ან
3. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების შედეგად დამქირავებელს ხელი შეეშლებოდა მიწის ნაკვეთის სამეურნეო მიზნით სათანადოდ გამოყენებაში და ამის შედეგად მიიღებდა მნიშვნელოვან ზარალს; საცხოვრებელი ფართის სხვა პირზე გაქირავებით მომატებული ქირის თანხის მიღების შესაძლებლობა მხედველობაში არ მიიღება; დამქირავებელს არ შეუძლია ასევე იმ ფაქტზე მითითება, რომ მას სურს, გაასხვისოს გაქირავებული ფართი ბინა-

ზე საკუთრების უფლების დაგეგმილ ან დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდგომ განხორციელებულ დადგენასთან დაკავშირებით.

(3) ¹გამქირავებლის მხრიდან გამართლებული ინტერესის დასაბუთება უნდა მიეთითოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში. ²სხვა საფუძვლები გათვალისწინებულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შემდგომში წარმოიშვა.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 573ა. გამქირავებლის მიერ ხელშეკრულების გამარტივებული შეწყვეტა

(1) ¹გამქირავებელს შეუძლია ასევე იმ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, რომელშიც ცხოვრობს თავად გამქირავებელი არა უმეტეს ორი საცხოვრებელი ბინით ისე, რომ საჭირო აღარ არის გამართლებული ინტერესის არსებობა, § 573-ის გაგებით. ²ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა ამ შემთხვევაში გრძელდება სამი თვით.

(2) პირველი ნანილი შესაბამისად მოქმედებს იმ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ფართის მიმართ, რომელშიც ცხოვრობს თავად გამქირავებელი, თუ საცხოვრებელი ფართზე, § 549-ის მე-2 ნაწილის № 2-ის თანახმად, არ ვრცელდება დამქირავებლის დაცვის წესები.

(3) ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა ეფუძნება პირველი ან მე-2 ნაწილების წინაპირობებს.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 573ბ. გამქირავებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივი შეწყვეტა

(1) გამქირავებელს § 573-ის გაგებით გამართლებული ინტერესის გარეშე შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა არასაცხოვრებელი მიზნებისათვის განკუთვნილი დამხმარე ფართების ან მიწის ნაკვეთის ნაწილების მიმართ, თუ იგი ხელშეკრულების შეწყვეტას ზღუდავს ამ ფართებითა თუ მიწის ნაკვეთის ნაწილებით და მას მათი გამოყენება სურს:

1. საცხოვრებელი ფართის მოსაწყობად შემდგომი გაქირავების მიზნით; ან
2. ახლად მოსაწყობი ან არსებული საცხოვრებელი ფართის დამხმარე ფართებისა ან მიწის ნაკვეთის ნაწილების მიმატებით.

(2) ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო თვის გასვლამდე.

(3) თუ სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგვიანდა, მაშინ დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გახანგრძლივება შესაბამისი ვადით.

(4) დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირის შესაბამისი შემცირება.

(5) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 573გ. ხელშეკრულების სტანდარტული უფლებით შეწყვეტის ვადები

(1) ¹ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო თვის გასვლამდე. ²ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა გამქირავებლისათვის იზრდება შესაბამისად სამი თვით, საცხოვრებელი ფართის დამქირავებლისათვის გადაცემის მომენტიდან ხუთი და რვა წლის გასვლის შემდეგ.

(2) იმ საცხოვრებელი ფართის შემთხვევაში, რომელიც გადაეცემა ქირავნობით მხოლოდ დროებითი სარგებლობისათვის, შეიძლება შეთანხმებულ იქნეს ხელშეკრულების შეწყვეტის უფრო მოკლე ვადა.

(3) § 549-ის მე-2 ნაწილის № 2-ის მიხედვით, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უგვიანეს თვის მე-15 რიცხვიდან ამ თვის დასრულებამდე.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო პირველი ან მე-2 ნაწილებისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 573დ. ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით

(1) თუ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით, მაშინ, შესაბამისად, მოქმედებს §§ 573 და 573ა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება § 564-ის თანახმად დამქირავებლის მემკვიდრეების მიმართ.

(2) ¹ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო თვის გასვლამდე, ხოლო § 549-ის მე-2 ნაწილის № 2-ის მიხედვით, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში, არა უგვიანეს თვის მე-15 რიცხვიდან ამ თვის დასრულებამდე. ²§ 573ა-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება არ გამოიყენება.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 574. ხელშეკრულების შეწყვეტის წინააღმდეგ დამქირავებლის შესაგებელი

(1) ¹დამქირავებელს შეუძლია, დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის წინააღმდეგ წარადგინოს შესაგებელი და მისგან მოითხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება, თუ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა დამქირავებლის, მისი ოჯახისა თუ საერთო მეურნეობაში მონაწილე სხვა ნათესავებისათვის იქნებოდა მძიმე, რაც არ არის გამართლებული თუნდაც დამქირავებლის პატივისცემის ინტერესების აღიარებით. ²ეს წესი არ მოქმედებს, თუ არსებობს საფუძველი, რომელიც დამქირავებელს ანიჭებს შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვის გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილებას.

(2) სირთულე არსებობს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ საცხოვრებელი ფართის სათანადო შეცვლა მისაღები პირობებით ვერ ხორციელდება.

(3) დამქირავებლის პატივისცემის ინტერესების აღიარების შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინებაში § 573-ის მე-3 ნაწილის თანხმად მოცემული საფუძველები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საფუძველები შემდგომში წარმოიშვა.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 574ა. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება შესაგებლის წარდგენის შემდეგ

(1) ¹§ 574-ის შემთხვევაში დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება სათანადო ვადით ყველა გარემოების გათვალისწინებით. ²თუ დამქირავებლისათვის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება თავდაპირველი სახელშეკრულებით პირობებით

მიუღებელია, მაშინ დამქირავებელს შეუძლია ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირობებში შეტანილ იქნება შესაბამისი ცვლილებები.

(2) ¹თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ გადაწყვეტილებები ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების, მისი ხანგრძლივობის, ასევე იმ პირობების შესახებ, რომელთა მიხედვითაც ურთიერთობა გრძელდება, მიიღება სასამართლოს გადაწყვეტილებით. ²თუ გაურკვეველია, სავარაუდოდ, როდის აღმოიფხვრება ის გარემოებები, რომელთა გამოც ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა იქნებოდა მძიმე, მაშინ შეიძლება გადაწყდეს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 574ბ. შესაგებლის ფორმა და წარდგენის ვადა

(1) ¹ხელშეკრულების შეწყვეტის წინააღმდეგ დამქირავებლის შესაგებელი განცხადებულ უნდა იქნეს წერილობით. ²გამქირავებლის მოთხოვნით დამქირავებელმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შესაგებლის საფუძვლების შესახებ.

(2) ¹გამქირავებელს შეუძლია, უარი თქვას ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელებაზე, თუ დამქირავებელმა არ წარადგინა შესაგებელი ორი თვის ვადაში ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე. ²თუ გამქირავებელმა დროულად, შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე, არ მიუთითა შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობის შესახებ, ისევე როგორც მისი ფორმისა და ვადის შესახებ, მაშინ დამქირავებელს შესაგებლის წარდგენა შეუძლია გამოსახულების თაობაზე სასამართლო დავის პირველ სხდომაზე.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 574გ. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შემდგომი გაგრძელება გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში

(1) თუ §§ 574-574ბ-ს საფუძველზე შეთანხმებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გაგრძელდეს განსაზღვრული ვადით, მაშინ დამქირავებელს შეუძლია ურთიერთობის შემდგომი გაგრძელების მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამართლებულია გარემოებათა არსებითი ცვლილების გამო, ან თუ არ დადგა ის გარემოებები, რომელთა სავარაუდო დადგომაც გადამწყვეტი იყო შემდგომი ვადისათვის.

(2) ¹თუ გამქირავებელი წყვეტს ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით დადგინდა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაშინ დამქირავებელს შეუძლია, შეწყვეტის წინააღმდეგ წარადგინოს შესაგებელი და გამქირავებელს მოსთხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით. ²თუ შეიცვალა გარემოებები, რომლებიც გადამწყვეტი იყო ურთიერთობის გასაგრძელებლად, მაშინ დამქირავებელს შეუძლია ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება მხოლოდ § 574-ის მიხედვით; უმნიშვნელო ცვლილებები მხედველობაში არ მიიღება.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

ქვეთავი 3. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა
განსაზღვრული ვადით

§ 575. ვადიანი ქირავნობის ხელშეკრულება

(1) ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება დადგინდეს განსაზღვრული ვადით, თუ გამქირავებელს ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ:

1. სურს ფართების გამოყენება საცხოვრებლად თავისთვის, თავისი ოჯახის წევრებისა თუ საერთო მეურნეობაში მონაწილე სხვა ნათესავებისათვის;
2. დასაშვებ ფარგლებში სურს ფართების დანგრევა ან იმდენად არსებითად შეცვლა ან გარემონტება, რომ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების შედეგად ამ ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად გართულდებოდა; ან
3. ¹სურს ფართების გაქირავება სამსახურის განწევზე ვალდებულ პირზე და იგი ხელშეკრულების დადებისას წერილობით ატყობინებს დამქირავებელს ვადით შეზღუდვის მიზეზს. ²სხვა შემთხვევაში ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულად.

(2) ¹ვადის გასვლამდე არა უადრეს ოთხი თვისა დამქირავებელს შეუძლია, გამქირავებლისაგან მოითხოვოს ერთი თვის ვადაში მისთვის შეტყობინება იმის შესახებ, არსებობს თუ არა კიდევ ვადით შეზღუდვის საფუძველი. ²თუ შეტყობინება კეთდება მოგვიანებით, მაშინ დამქირავებელს შეუძლია ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გახანგრძლივების მოთხოვნა დაგვიანების ვადით.

(3) ¹თუ ვადით შეზღუდვის მიზეზი დგება მოგვიანებით, მაშინ დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გახანგრძლივება შესაბამისი ვადით. ²თუ მიზეზი ისპობა, მაშინ დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს გახანგრძლივება განუსაზღვრელი ვადით. ³ვადით შეზღუდვის მიზეზის დადგომასა და გახანგრძლივების ვადასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება დამქირავებელს.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 575ა. ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით

(1) თუ განსაზღვრული ვადით დადგენილი ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შეწყვეტოს შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით, მაშინ შესაბამისად მოქმედებს §§ 573 და 573ა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება, § 564-ის თანახმად, დამქირავებლის მემკვიდრეების მიმართ.

(2) §§ 574-574გ მოქმედებს შესაბამისად, იმ პირობით, რომ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გახანგრძლივება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ხელშეკრულებაში განსაზღვრულ შეწყვეტის დრომდე.

(3) ¹ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო თვის გასვლამდე, ხოლო § 549-ის მე-2 ნაწილის № 2-ის მიხედვით, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში, არა უგვიანეს თვის მე-15 რიცხვიდან ამ თვის დასრულებამდე. ²§ 573ა-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება არ გამოიყენება.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

**ქვეთავი 4. დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი
საცხოვრებელი ფართები**

§ 576. ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით შეწყვეტის ვადები დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი დაქირავებული საცხოვრებელი ფართების შემთხვევაში

(1) თუ საცხოვრებელი ფართი დაქირავებულია სასამსახურო ურთიერთობის გათვალისწინებით, მაშინ გამქირავებელს, მიუხედავად § 573გ-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადებისა, სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ შეუძლია შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება შემდეგი ვადების დაცვით:

1. იმ საცხოვრებელი ფართის შემთხვევაში, რომელიც გადაცემულ იქნა დაქირავებლისათვის ათ წელზე ნაკლები ვადით, არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე დღიდან მოდევნო თვის გასვლამდე, თუ საცხოვრებელი ფართი ესაჭიროება სხვა სამსახურის განწევაზე ვალდებულ პირს;
2. არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე დღიდან ამ თვის გასვლამდე, თუ სასამსახურო ურთიერთობა თავისი ბუნებით ითხოვდა იმ საცხოვრებელი ფართის სარგებლობაში გადაცემას, რომელიც განთავსებულია სამუშაო ადგილთან უშუალო კავშირსა ან მის სიახლოვეში და იგი ანალოგიური მიზეზით ესაჭიროება სხვა სამსახურის განწევაზე ვალდებულ პირს.

(2) დაქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 576ა. შესაგებლის მოთხოვნის უფლების თავისებურებანი დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი დაქირავებული საცხოვრებელი ფართების შემთხვევაში

(1) §§ 574-574გ-ს დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი დაქირავებული საცხოვრებელი ფართების მიმართ გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასევე სამსახურის მიღებაზე უფლებამოსილი პირის ინტერესებიც.

(2) §§ 574-574გ არ მოქმედებს, თუ:

1. გამქირავებელმა ხელშეკრულება შეწყვიტა § 576-ის პირველი ნაწილის № 2-ის თანახმად;
2. დაქირავებელმა შეწყვიტა სასამსახურო ურთიერთობა სამსახურის მიღებაზე უფლებამოსილი პირისაგან ამისათვის კანონიერი საფუძვლის მინიჭების გარეშე, ან თავისი მოქმედებით ამ უკანასკნელს მისცა კანონიერი საფუძველი სასამსახურო ურთიერთობის შესაწყვეტად.

(3) დაქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 576ბ. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის შესაბამისი მოქმედება დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი დაქირავებული საცხოვრებელი ფართების შემთხვევაში

(1) თუ საცხოვრებელი ფართი ქირავნობით გადაეცემა სასამსახურო ურთიერთობის ფარგლებში, მაშინ საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებული ურთიერთობის მიმართ შესაბამისად მოქმედებს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, თუკი სამსახურის განწევაზე ვალდებულმა პირმა საცხოვრებელი ფართი აღჭურვა უმეტესწილად ინტერიერის საგნებით, ან იგი მასში ცხოვრობს თავის ოჯახთან ან იმ პირებთან ერთად, რომლებთანაც იგი ხანგრძლივი ვადით უძღვება საერთო მეურნეობას.

(2) დაქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

თავი 6. გაქირავებულ საცხოვრებელ ბინებზე საკუთრების უფლების დადგენის თავისებურებანი

§ 577. დამქირავებლის უპირატესი შესყიდვის უფლება

(1) ¹თუ გაქირავებული საცხოვრებელი ფართები, რომლებზეც დამქირავებლისათვის მათი გადაცემის შემდეგ დადგინდა ან უნდა დადგინდეს საცხოვრებელ ბინებზე საკუთრების უფლება, გაიყიდება მესამე პირზე, მაშინ დამქირავებელი უფლებამოსილია უპირატესი შესყიდვაზე. ²ეს წესი არ მოქმედებს, თუ გაქირავებელი საცხოვრებელ ფართებს ყიდის ოჯახის წევრებსა თუ საერთო მეურნეობაში მონაწილე სხვა ნათესავებზე. ³იმდენად, რამდენადაც ქვემოთ მოცემული ნაწილებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, უპირატესი შესყიდვის უფლების მიმართ გამოიყენება უპირატესი შესყიდვის მომწესრიგებელი ნორმები.

(2) ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსის შესახებ გამყიდველის ან მესამე პირის შეტყობინებას უნდა დაემატოს განმარტება დამქირავებლისათვის მისი უპირატესი შესყიდვის უფლების თაობაზე.

(3) უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაცია ხორციელდება დამქირავებლის მიმართ დამქირავებლის მიერ წარდგენილი წერილობითი განცხადებით.

(4) თუ დამქირავებელი გარდაიცვლება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლება გადადის იმ პირებზე, რომლებიც შემოდიან ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში § 563-ის პირველი ან მე-2 ნაწილის თანახმად.

(5) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 577ა. ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობის შეზღუდვა საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების გადასვლის შემთხვევაში

(1) თუ დამქირავებლისათვის გაქირავებული საცხოვრებელი ფართების გადაცემის შემდეგ მათზე დგინდება საკუთრების უფლება და ეს უკანასკნელი გასხვისდა, მაშინ შემძენს შეუძლია მიუთითოს გამართლებულ ინტერესზე, § 573-ის მე-2 ნაწილის №№ 2 ან 3-ის გაგებით, გასხვისებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ.

(2) ¹პირველი ნაწილის მიხედვით, ვადა შეადგენს ათ წელს, თუ სათანადო პირობებით გასაქირავებელი საცხოვრებელი ბინებით მუნიციპალიტეტში ან მუნიციპალიტეტის ნაწილში მოსახლეობის საკმარის მომარაგებას განსაკუთრებული საფრთხე ემოქრება და ეს ტერიტორიები დადგენილია მე-2 ნინადადების მიხედვით. ²ფედერაციული მხარეების მთავრობები უფლებამოსილი არიან, პირველი ნინადადების მიხედვით, სახელისუფლო განკარგულების საფუძველზე განსაზღვრონ ეს ტერიტორიები და ვადა თითოეულ შემთხვევაში ათ წლამდე ვადით.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

ქვეკარი 3. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა სხვა ნივთებზე

§ 578. მიწის ნაკვეთებსა და სათავსოებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა

(1) მიწის ნაკვეთებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 550-ის, 562-562დ-ს, 566-567ბ-ს, ასევე § 570-ის ნორმები.

(2) ¹სათავსოებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება პირველ ნაწილში დასახელებული ნორმები, ასევე

§ 662-ის პირველი ნაწილი, § 554 1-4-ის ნაწილები და § 569-ის მე-2 ნაწილი. ²თუ სათავსოები განკუთვნილია მათში ადამიანების ყოფნისათვის, მაშინ, გარდა აღნიშნულისა, შესაბამისად მოქმედებს § 569-ის პირველი ნაწილი.

§ 578ა. რეგისტრირებულ საზღვაო ხომალდებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა

(1) §§ 566-ის, 566ა-ს, 566ე-567ბ-ს ნორმები, შესაბამისად, მოქმედებს რეგისტრირებულ საზღვაო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებული საზღვაო ხომალდების გასხვისებისა თუ უფლებრივი დატვირთვის შემთხვევაში.

(2) ¹გამქირავებლის მიერ საკუთრების უფლების გადაცემამდე განხორციელებული იმ ქირის თანხის განკარგვა, რომელიც შეესაბამება შემძენის უფლებამოსილების პერიოდს, ამ უკანასკნელის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა. ²ანალოგიური წესი მოქმედებს იმ გარიგების მიმართ, რომელიც იდება დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის ქირის თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მათ შორის, ქირის თანხის გადახდასთან დაკავშირებით; თუმცა, გარიგება, რომელიც იდება საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ დამქირავებელმა გარიგების დადების მომენტში იცოდა საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. ³შესაბამისად მოქმედებს § 566დ.

§ 579. ქირის თანხის გადახდის მომენტი

(1) ¹მიწის ნაკვეთის, საზღვაო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებული საზღვაო ხომალდისა და მოძრავი ნივთისათვის ქირის თანხა გადახდილ უნდა იქნეს ქირავნობის ვადის დასრულებისას. ²თუ ქირის თანხა იანგარიშება დროის მონაკვეთებით, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს ცალკეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ. ³მიწის ნაკვეთისათვის ქირის თანხა ექვემდებარება გადახდას ყოველი კვარტლის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ სამუშაო დღეს, თუ იგი არ იანგარიშება დროის უფრო მცირე მონაკვეთებით.

(2) სათავსოებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ შესაბამისად მოქმედებს § 566ბ-ს პირველი ნაწილი.

§ 580. ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში

თუ დამქირავებელი გარდაიცვალა, მაშინ როგორც მისი მემკვიდრე, ისე გამქირავებელი უფლებამოსილი არიან, ერთი თვის ვადაში იმის შემდეგ, რაც ისინი შეიტყობენ დამქირავებლის გარდაცვალების შესახებ, შეწყვიტონ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით.

§ 580ა. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადები

(1) მიწის ნაკვეთებზე, არასამსახურებრივი მიზნებისათვის გათვალისწინებულ სათავსოებზე ან საზღვაო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებულ საზღვაო ხომალდებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა დასაშვებია:

1. ნებისმიერ დღეს მომდევნო დღის გასვლისას, თუ ქირის თანხა იანგარიშება დღეებით;
2. არა უგვიანეს კვირის პირველი სამუშაო დღიდან მომდევნო შაბათის გასვლამდე, თუ ქირის თანხა იანგარიშება კვირებით;
3. არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო თვის გასვლამდე, თუ ქირის თანხა იანგარიშება თვეებით ან დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდებით, თუმცა, სამენარმეო მიზნით გამოყენებულ დაუსახლებელ

მინის ნაკვეთებზე ან საზღვაო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებულ საზღვაო ხომალდებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში, მხოლოდ ერთი კვარტლის გასვლის შემდეგ.

(2) სამსახურებრივი მიზნებისათვის გათვალისწინებულ სათავსოებზე ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის სტანდარტული უფლების გამოყენებით დასაშვებია არა უგვიანეს კვარტლის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო კვარტლის გასვლამდე.

(3) მოძრავ ნივთებზე ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის სტანდარტული უფლების გამოყენებით დასაშვებია:

1. ნებისმიერ დღეს მომდევნო დღის გასვლამდე, თუ ქირის თანხა იანგარიშება დღეებით;
2. არა უგვიანეს მესამე დღიდან იმ თარიღამდე, რომლის გასვლისას უნდა შეწყდეს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა, თუ ქირის თანხა იანგარიშება დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდებით.

(4) ასევე გამოიყენება პირველი ნაწილის № 3, მე-2 ნაწილი და მე-3 ნაწილის № 2, თუ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით.

ქვეკარი 4. იჯარის ხელშეკრულება

§ 581. ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში

(1) იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე ვალდებულია, იჯარის ვადის განმავლობაში გადასცეს მოიჯარეს იჯარის საგანი სარგებლობაში და უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ ეს უკანასკნელი, მეურნეობის სათანადო გაძლოის წესების შესაბამისად, განიხილება როგორც შემოსავალი. ²მოიჯარე ვალდებულია, გადაუხადოს მეიჯარეს შეთანხმებული საიჯარო ქირა.

(2) იჯარის ხელშეკრულების მიმართ, გარდა მინის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულებისა, შესაბამისად, გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების შესახებ ნორმები, თუ §§ 582-584-დან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 582. ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში

(1) თუ მინის ნაკვეთი იჯარით გადაცემა ინვენტართან ერთად, მაშინ მოიჯარე პასუხს აგებს ინვენტარის ცალკეული ნაწილების მოვლა-პატრონობისათვის.

(2) ¹მეიჯარე ვალდებულია, შეცვალოს ინვენტარის ის ნაწილები, რომლებიც დაიკარგა იმ გარემოებების შედეგად, რომელთა დადგომისათვისაც მოიჯარე პასუხს არ აგებს. ²თუმცა, მოიჯარე ვალდებულია, შეავსოს ინვენტარს მიკუთვნებული ცხოველების დანაკარგი იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება მეურნეობის სათანადო გაძლოას.

§ 582ა. ინვენტარის მიღება შეფასებითი ღირებულებით

(1) ¹თუ მინის ნაკვეთის მოიჯარე ინვენტარს მიიღებს შეფასებითი ღირებულებით იმ ვალდებულების კისრებით, რომ საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას შეფასებითვე უკან დააბრუნებს მას, მაშინ შემთხვევით დაღუპვისა და შემთხვევით გაუარესების რისკი ეკისრება მას. ²მეურნეობის სათანადო გაძლოის ფარგლებში მოიჯარეს შეუძლია ინვენტარის ცალკეული ნაწილების განკარგვა.

(2) ¹მოიჯარემ ინვენტარი უნდა შეინახოს ისეთ მდგომარეობაში და იჯარის დროის განმავლობაში იმ მოცულობით შეცვალოს, რომელიც შეესაბამება მეურნეობის სათანადო გაძღოლის წესებს. ²მის მიერ შექმნილი ცალკეული ნაწილები ინვენტარის შემადგენლობაში შეტანით ხდება მეიჯარის საკუთრება.

(3) ¹საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას მოიჯარემ მეიჯარეს უნდა დაუბრუნოს სახეზე არსებული ინვენტარი. ²მეიჯარეს შეუძლია უარი თქვას მოიჯარის მიერ შექმნილი ინვენტარის ნაწილების მიღებაზე, თუ იგი მიწის ნაკვეთზე მეურნეობის სათანადო გაძღოლისათვის ზედმეტია ან მეტად ძვირადღირებულია; უარის თქმასთან ერთად მიუღებელი ინვენტარის ნაწილებზე საკუთრების უფლება გადადის მოიჯარეზე. ³თუ არსებობს სხვაობა მიღებული და დაბრუნებული ინვენტარის საერთო შეფასებით ღირებულებებს შორის, მაშინ იგი უნდა ანაზღაურდეს ფულით. ⁴შეფასებით ღირებულებებს საფუძვლად უნდა დაედოს ის ფასები, რომლებიც მოქმედებს საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის მომენტში.

§ 583. მოიჯარის გირავნობის უფლება ინვენტარზე

(1) მეიჯარის მიმართ წაყენებული იმ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, რომლებიც შეეხება მიწის ნაკვეთთან ერთად იჯარით გადაცემულ ინვენტარს, მიწის ნაკვეთის მოიჯარეს აქვს გირავნობის უფლება მის მფლობელობაში არსებულ ინვენტარის ნაწილებზე.

(2) ¹მეიჯარეს შეუძლია, თავიდან აიცილოს მოიჯარის მიერ გირავნობის უფლების რეალიზაცია უზრუნველყოფის წარდგენით. ²მას შეუძლია, ინვენტარის თითოეული ცალკეული ნაწილი გაათავისუფლოს გირავნობის უფლებისაგან მისი ღირებულების შესაბამისი უზრუნველყოფის წარდგენით.

§ 583ა. ინვენტარის განკარგვის შეზღუდვა

ხელშეკრულების პირობები, რომლებიც საწარმოს მოიჯარეს აკისრებს ვალდებულებას, არ განკარგოს ინვენტარის ნაწილები, ან განკარგოს მხოლოდ მეიჯარის თანხმობით, ანდა გაასხვისოს ინვენტარი მეიჯარეზე, სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას შეისყიდოს ინვენტარი შეფასებითი ღირებულებით.

§ 584. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა

(1) თუ მიწის ნაკვეთის ან უფლების იჯარისას იჯარის ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის ბოლოს; შეწყვეტა უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს ნახევარი წლის შემდეგ მესამე სამუშაო დღისა, რომლის გასვლისას წყდება იჯარა.

(2) ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, თუ საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით.

§ 584ა. განსაზღვრული ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებების გამოორიცხვა

(1) მოიჯარეს არა აქვს § 540-ის პირველ ნაწილში გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება.

(2) მეიჯარე არ არის უფლებამოსილი, საიჯარო ურთიერთობა შეწყვიტოს § 580-ის მიხედვით.

§ 583ბ. დაგვიანებული დაბრუნება

¹თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ აბრუნებს იჯარით გადაცემულ საგანს, მაშინ მეიჯარეს დაყოვნების ვადისათვის საზღაურის სახით შეუძლია შეთანხმებული საიჯარო ქირის გადახდის მოთხოვნა იმ ოდენობით, რომელიც დგინდება ამ ვადის განმავლობაში მოიჯარის მიერ მიღებული სარგებლის ან იმ სარგებლის, რომლის მიღებაც მას შეეძლო, მთელი წლის სარგებელთან შეფარდებით. ²სხვა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარდგენა გამორიცხული არ არის.

ქვეკარი 5. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება

§ 585. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების ცნება

(1) ¹სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებით მიწის ნაკვეთი უპირატესად სასოფლო-სამეურნეო მიზნით გადაეცემა მისი დამუშავებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობებთან (საწარმოსთან) ერთად ან მიწის ნაკვეთი ასეთი ნაგებობების გარეშე. ²სოფლის მეურნეობას მიეკუთვნება მიწის დამუშავება და მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული პირუტყვის მოშენება მცენარეული თუ ცხოველური ნაწარმის მიღების მიზნით, ასევე მეძაღვეობა.

(2) სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს § 581-ის პირველი ნაწილი და §§ 582-583ა, ასევე ქვემოთ მოცემული სპეციალური ნორმები.

(3) სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, სატყეო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საიჯარო ურთიერთობების მიმართ, თუ მიწის ნაკვეთები გადაცემულია იჯარით უპირატესად სასოფლო-სამეურნეო მიზნით წარმოებისათვის.

§ 585ა. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების ფორმა

თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება ორ წელზე მეტი ვადით არ არის დადებული წერილობითი ფორმით, მაშინ იგი ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულად.

§ 585ბ. საიჯარო ქონების აღწერა

(1) ¹მეიჯარემ და მოიჯარემ საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას ერთობლივად უნდა აღწერონ საიჯარო ქონება, რომელშიც აღინიშნება მისი ოდენობა და მდგომარეობა იჯარით გადაცემის მომენტისათვის. ²ანალოგიური წესი შესაბამისად მოქმედებს საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას. ³აღწერაში უნდა მიეთითოს მისი შედგენის თარიღი და იგი ხელმოწერილ უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ.

(2) ¹თუ ხელშეკრულების მხარე უარს აცხადებს საიჯარო ქონების აღწერის შედგენაში მონაწილეობის მიღებაზე, ან, თუ შედგენის დროს ვლინდება ფაქტობრივი ხასიათის განსხვავებული შეხედულებები, მაშინ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ აღწერა გაკეთდეს ექსპერტის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საიჯარო ქონების გადაცემის შემდეგ გავიდა ცხრა თვეზე მეტი ვადა, ან სამ თვეზე მეტი ვადა საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ; ექსპერტი ინიშნება სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს (Landwirtschaftsgericht) მიერ განცხადების საფუძველზე. ²ამის შედეგად წარმოშობილი ხარჯები სანახევროდ ეკისრება ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

(3) თუ შედგენილ იქნა აღნიშნული სახის აღწერა, მაშინ ხელშეკრულების მხარეთა შორის ურთიერთობაში იგარაუდება, რომ იგი სწორია.

§ 586. ტიპური სახელშეკრულებო ვალდებულებები სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში

(1) ¹მოიჯარემ საიჯარო ქონება მოიჯარეს უნდა გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში და შეინარჩუნოს იგი ამ მდგომარეობაში იჯარის მთელი ვადის განმავლობაში. ²თუმცა, მოიჯარემ საკუთარი ხარჯებით უნდა განახორციელოს ქონების მიმდინარე რემონტი, კერძოდ: შეაკეთოს საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები, გზები, თხრილები, დრენაჟები და ღობეები. ³მას ევალება საიჯარო ქონების სათანადო მართვა.

(2) საიჯარო ქონების ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისათვის მეიჯარის პასუხისმგებლობის, ისევე როგორც ამ ნაკლის გამო მოიჯარის უფლებებისა და ვალდებულებების, მიმართ შესაბამისად მოქმედებს § 536 1-3 ნაწილები და §§ 536ა-536დ.

§ 586ა. ტიპური სახელშეკრულებო ვალდებულებები სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში

მეიჯარეს ეკისრება საიჯარო ქონების მიმართ არსებული ყველა გადასახდელი.

§ 587. საიჯარო ქირის თანხის გადახდის მომენტი; საიჯარო ქირის გადახდა პირადი მიზეზით სარგებლობაში ხელის შეშლის შემთხვევაში

(1) ¹საიჯარო ქირის თანხა გადახდილ უნდა იქნეს იჯარის ვადის დასრულებისას. ²თუ საიჯარო ქირის თანხა იანგარიშება დროის მონაკვეთებით, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს პირველ სამუშაო დღეს ცალკეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ.

(2) ¹მოიჯარე არ თავისუფლდება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან იმის გამო, რომ მას პირადი მიზეზით ხელი ეშლება საკუთარი სარგებლობის უფლების რეალიზაციაში. ²შესაბამისად მოქმედებს § 537-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება და მე-2 ნაწილი.

§ 588. საიჯარო ქონების მოვლისა და განახლების ღონისძიებების თმენა

(1) მოიჯარემ უნდა ითმინოს საიჯარო ქონების მოვლისათვის საჭირო ღონისძიებები.

(2) ¹მოიჯარემ უნდა ითმინოს საიჯარო ქონების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ღონისძიება რთული იქნებოდა მისთვის ისე, მისი გამართლება შეუძლებელი გახდებოდა თუნდაც მეიჯარის პატივსაღები ინტერესების გათვალისწინებით. ²მოიჯარემ უნდა აუზნალაუროს მოიჯარეს გატარებულ ღონისძიების შედეგად წარმოშობილი ხარჯები და მიუღებელი შემოსავალი გარემოებების შესაბამისი ოდენობით. ³მოთხოვნის საფუძველზე მეიჯარემ უნდა განახორციელოს საავანსო გადახდა.

(3) იმდენად, რამდენადაც მოიჯარე მე-2 ნაწილის პირველ წინადადებაში მითითებული ღონისძიებების შედეგად მეტ შემოსავალს იღებს, ან მას შეეძლო მეტი შემოსავლის მიღება საიჯარო ქონების სათანადო მართვის შემთხვევაში, მაშინ მეიჯარეს შეუძლია, მოიჯარისაგან მოითხოვოს საიჯარო ქირის შესაბამის გაზრდაზე თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას არ შეეძლება მოითხოვოს საიჯარო ქირის გაზრდაზე თანხმობა წარმოების მდგომარეობის გათვალისწინებით.

(4) ¹პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებზე გადაწყვეტილებას წარდგინილი განცხადების საფუძველზე

იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო. ²თუ მოიჯარე მე-3 ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევებში უარს აცხადებს თანხმობის მიცემაზე, მაშინ თანხმობა მეიჯარის განცხადების საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით მიცემული თანხმობით.

§ 589. საიჯარო ქონების მესამე პირის სარგებლობაში გადაცემა

(1) მეიჯარის თანხმობის გარეშე მოიჯარე არ არის უფლებამოსილი:

1. გადასცეს საიჯარო ქონება სარგებლობაში მესამე პირს, მათ შორის, საიჯარო ქონება გადასცეს ქვეიჯარით;
2. გადასცეს საიჯარო ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებას საერთო სარგებლობის მიზნით.

(2) თუ მოიჯარე საიჯარო ქონებას სარგებლობაში გადასცემს მესამე პირს, მაშინ იგი პასუხისმგებელია მესამე პირის ბრალეული მოქმედებისთვის ამ უკანასკნელის მიერ საიჯარო ქონებით სარგებლობისას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მეიჯარემ ნება დართო ასეთ გადაცემაზე.

§ 590. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ან თავდაპირველი სარგებლობის ხასიათის შეცვლა

(1) მოიჯარეს შეუძლია საიჯარო ქონების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შეცვლა მხოლოდ მეიჯარის წინასწარი თანხმობით.

(2) ¹თავდაპირველი სარგებლობის ხასიათის შესაცვლელად მეიჯარის წინასწარი თანხმობა საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს სარგებლობის ხასიათზე იჯარის ვადის გასვლის შემდეგ. ²მოიჯარეს შეუძლია შენობების აღმართვა მხოლოდ მეიჯარის წინასწარი თანხმობით. ³თუ მეიჯარე უარს ამბობს თანხმობის მიცემაზე, მაშინ თანხმობა მეიჯარის განცხადების საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით მიცემული თანხმობით იმდენად, რამდენადაც ცვლილება ივარაუდება აუცილებლად წარმოების რენტაბელურობის შენარჩუნებისა თუ მდგრადი გაუმჯობესებისათვის და მეიჯარეს შეიძლება მოეთხოვოს მასზე თანხმობის მიცემა თავისი გამართლებული ინტერესის გათვალისწინებით. ⁴ეს წესი არ მოქმედებს, თუ იჯარის ხელშეკრულება შეწყდა ან საიჯარო ურთიერთობა წყდება სამ წელზე ნაკლებ ვადაში. ⁵სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს თანხმობა პირობების დადგენით და ვალდებულების დაკისრებით, მათ შორის, დაადგინოს უზრუნველყოფის წარდგენა, ისევე როგორც განსაზღვროს მისი სახე და მოცულობა. ⁶თუ უზრუნველყოფის წარდგენის მიზეზი აღარ არსებობს, მაშინ განცხადების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის დაბრუნების თაობაზე; შესაბამისად მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 109.

(3) თუ საიჯარო ქონების სარგებლობის ხასიათის ცვლილების შედეგად მოიჯარემ არსებითად შეამცირა § 582ა-ს მიხედვით შეფასებითი ღირებულებით მიღებული ინვენტარი, მაშინ მეიჯარეს უკვე იჯარის პერიოდში შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის გადახდა § 582ა-ს მე-3 ნაწილის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გასხვისებული ინვენტარის ნაწილების ამონაგები თანხა, § 591-ის თანახმად, დაიხარჯა სათანადო ღირებულების მქონე საიჯარო ქონების გაუმჯობესებაზე.

§ 590ა. ხელშეკრულების პირობების სანინაალმდეგო სარგებლობა

თუ მოიჯარე საიჯარო ქონებას იყენებს ხელშეკრულების პირობების სანინაალმდეგოდ და იგი აგრძელებს ასეთ სარგებლობას, მიუხედავად მეიჯარის გაფრთ-

ხილებსა, მაშინ მეიჯარეს შეუძლია, სასამართლო წესით მოითხოვოს მოქმედები-საგან თავის შეკავება.

§ 590ბ. აუცილებელი ხარჯები

მეიჯარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მოიჯარეს საიჯარო ქონებასთან დაკავ-შირებული აუცილებელი ხარჯები.

§ 591. ხარჯები, რომლებიც ზრდის საიჯარო ქონების ღირებულებას

(1) საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას მეიჯარემ, გარდა აუცილებელი ხარ-ჯებისა, მოიჯარეს უნდა აუნაზღაუროს სხვა ხარჯები, რომლებიც განუღ იქნა მეიჯარის თანხმობით იმდენად, რამდენადაც ხარჯები ზრდის საიჯარო ქონების ღირებულებას იჯარის ვადის დასრულების შემდეგაც (ნამეტი ღირებულება).

(2) ¹თუ მეიჯარე ხარჯების განევაზე თანხმობის მიცემაზე აცხადებს უარს, მა-შინ თანხმობა მოიჯარის განცხადების საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს სასოფ-ლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით მიცემუ-ლი თანხმობით იმდენად, რამდენადაც ცვლილება ივარაუდება აუცილებლად წარ-მოების რენტაბელურობის შენარჩუნებისა თუ მდგრადი გაუმჯობესებისათვის და მეიჯარეს შეიძლება მოეთხოვოს მასზე თანხმობის მიცემა თავისი გამართლებული ინტერესის გათვალისწინებით. ²ეს წესი არ მოქმედებს, თუ იჯარის ხელშეკრულება შეწყდა ან საიჯარო ურთიერთობა წყდება სამ წელზე ნაკლებ ვადაში. ³სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს თანხმობა პირობების დადგენით და ვალდებულების დაკისრებით.

(3) ¹სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს განცხადების საფუძველზე შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, აგრეთვე, ნამეტ ღირებულე-ბასთან დაკავშირებით და მისი ოდენობის განსაზღვრაც. ²სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, მეიჯარემ გადაიხადოს ნამეტი ღირებულება მხოლოდ ნაწილ-ნაწილ და განსაზღვროს პირობები ასეთ ნაწილ-ნაწილ გადახდებზე თანხმობის მისაცემად. ³თუ მეიჯარეს საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას ნამეტი ღირებულების გა-დახდა ნაწილ-ნაწილაც არ შეუძლია, მაშინ მოიჯარეს შეუძლია მხოლოდ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება თავდაპირველი პირობებით მანამდე, სანამ არ დაიფა-რება საიჯარო ქონების ნამეტი ღირებულება. ⁴თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილებას განცხადების საფუძველზე იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო.

§ 591ა. მოწყობილობათა წამოღების უფლება

¹მოიჯარე უფლებამოსილია, წამოიღოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან ნივ-თი აღჭურვა. ²მეიჯარეს შეუძლია, ნივთის წამოღების უფლების განხორციელება თავიდან აიცილოს სათანადო საზღაურის გადახდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოიჯარეს აქვს ნივთის წამოღების გამართლებული ინტერესი. ³შეთანხ-მება, რომლითაც მოიჯარის ნივთის წამოღების უფლება გამოორიცხულია, სამართ-ლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გათვალისწინებულია სათანადო კომპენსაცია.

§ 591ბ. ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა

(1) საიჯარო ქონების ცვლილებებისა თუ გაუარესების გამო მეიჯარის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, ისევე როგორც მოიჯარის მოთხოვნის უფ-ლებები ხარჯების ანაზღაურებასა თუ მოწყობილობების წამოღების ნებართვაზე, ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში.

(2) ¹ზიანის ანაზღაურებაზე მეიჯარის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულო-ბის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იგი იბრუნებს საიჯარო ქონებას.

²მოიჯარის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის მომენტიდან.

(3) მეიჯარის საიჯარო ქონების უკან დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობასთან ერთად ხანდაზმულია ასევე მისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები.

§ 592. მეიჯარის გირავნობის უფლება

¹მეიჯარეს საიჯარო ურთიერთობებიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აქვს გირავნობის უფლება მოიჯარის მიერ შემატებული ნივთებსა და საიჯარო ქონებიდან მიღებულ ნაყოფზე. ²გირავნობის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზარალის ანაზღაურების თაობაზე სამომავლო მოთხოვნების მიმართ. ³სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 811-ის პირველი ნაწილის № 4-ში დასახელებული ნივთების გარდა, გირავნობის უფლება არ ვრცელდება იმ ნივთებზე, რომლებიც არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. ⁴შესაბამისად გამოიყენება §§ 562-562გ-ს ნორმები.

§ 593. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების პირობების შეცვლა

(1) ¹თუ იჯარის ხელშეკრულების დადების შემდეგ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დასადგენად გადამწყვეტი გარემოებები იმდენად მყარად იცვლება, რომ ორმხრივი ვალდებულებები აღმოჩნდა აშკარად შეუსაბამო ერთმანეთთან, მაშინ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შეცვლა, გარდა იჯარის ვადის პირობისა. ²თუ მოიჯარის მიერ განხორციელებული საიჯარო ქონების სამეურნეო გამოყენების შედეგად გაიზარდა ან შემცირდა მოიჯარის შემოსავალი, მაშინ ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, თუ შეთანხმებით სხვა რაიმე არ არის დადგენილი.

(2) ¹პირობების შეცვლა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს საიჯარო ურთიერთობის დაწყებიდან არა უადრეს ორი წლისა ან სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების პირობების ბოლო ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ. ²ეს წესი არ მოქმედებს, თუ ბუნების დამანგრეველმა მოვლენებმა, რომელთა წინააღმდეგაც დაზღვევა, როგორც წესი, არ ხორციელდება, ძირფესვიანად და მყარად შეცვალა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების თანაფარდობა.

(3) ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იჯარის ვადამდე არსებულ დროის პერიოდისათვის, რომელშიც გაცხადდა პირობების შეცვლის მოთხოვნა.

(4) თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს ხელშეკრულების შეცვლაზე, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია მიმართოს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

(5) ¹პირველი-მე-4 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულების შეცვლის მოთხოვნის უფლებაზე უარი დაუშვებელია. ²შეთანხმება, რომლითაც ხელშეკრულების შეცვლა ერთ-ერთი მხარისათვის განსაკუთრებით საზიანო ან სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ახორციელებს ან არ ახორციელებს პირველი-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ უფლებებს, სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 593ა. საწარმოს გადაცემა

¹თუ სამომავლო მემკვიდრეობის გზით საწარმოს გადაცემისას დამატებით გადაეცემა იჯარით გადასაცემი სასოფლო-სამეურნეო მიწისათვის გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი, მაშინ საწარმოს მიმღები იჯარის ხელშეკრულებაში იკავებს მოიჯარის ადგილს, თუმცა, მეიჯარეს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ საწარმოს გადაცემის შესახებ. ²თუ საწარმოს მიმღების მიერ არ იქნება უზრუნველყოფილი საიჯარო ქონების სათანადოდ მართვა, მაშინ მოიჯარე უფლებამოსილია,

შენწყვეტოს საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით.

§ 593ბ. იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთის გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა

თუ იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთი გასხვისდება ან იტვირთება მესამე პირის უფლებით, მაშინ შესაბამისად მოქმედებს §§ 566-567ბ.

§ 594. საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა და გახანგრძლივება

¹საიჯარო ურთიერთობა წყდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც იგი დაიდო. ²იჯარის ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებიც დადებულია, სულ ცოტა, სამი წლის ვადით, ურთიერთობა გრძელდება განუსაზღვრელი დროით, თუ ერთ-ერთი მხარის შეკითხვაზე, არის თუ არა მეორე მხარე საიჯარო ურთიერთობის გასაგრძელებლად მზად, ეს უკანასკნელი აღნიშნულზე უარს არ განაცხადებს სამი თვის ვადის განმავლობაში. ³მიმართვა და უარი უნდა განხორციელდეს წერილობით. ⁴მიმართვა არ ჩაითვლება სამართლებრივი ძალის მქონედ, თუ მასში ნათლად არ არის მითითებული უარის შედეგებზე და თუ იგი არ კეთდება სამწლიანი იჯარის ბოლო წლის განმავლობაში.

§ 594ა. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადები

(1) ¹თუ იჯარის ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვეტოს საიჯარო ურთიერთობა არა უგვიანეს საიჯარო წლის მესამე სამუშაო დღიდან შემდეგი საიჯარო წლის გასვლამდე. ²საეჭვოობისას კალენდარული წელი ჩაითვლება საიჯარო წლად. ³შეთანხმება უფრო მოკლე ვადაზე უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.

(2) იმ შემთხვევაში, როდესაც საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით, ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის გასვლისას; შეწყვეტა უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს ნახევარი წლის შემდეგ მესამე სამუშაო დღისა, რომლის გასვლისას იჯარა წყდება.

§ 594ბ. 30 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება

¹თუ იჯარის ხელშეკრულება დაიდო 30 წელზე მეტი ვადით, მაშინ 30 წლის შემდეგ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვეტოს საიჯარო ურთიერთობა არა უგვიანეს საიჯარო წლის მესამე სამუშაო დღიდან შემდეგი საიჯარო წლის გასვლამდე. ²ხელშეკრულების შეწყვეტა დაუშვებელია, როდესაც ხელშეკრულება დადებულია მეიჯარის ან მოიჯარის სიცოცხლის ვადით.

§ 594გ. ხელშეკრულების შეწყვეტა მოიჯარის პროფესიული შრომისუუნარობის შემთხვევაში

¹თუ მოიჯარემ დაკარგა პროფესიული შრომისუუნარიანობა კანონისმიერი საპენსიო დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმების გაგებით, მაშინ მას შეუძლია შეწყვეტოს საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით, თუ მეიჯარე ეწინააღმდეგება საიჯარო ქონების მესამე პირისათვის გადაცემას, რომელიც უზრუნველყოფს საიჯარო ქონების სათანადოდ მართვას. ²საწინააღმდეგო შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 594დ. მოიჯარის გარდაცვალება

(1) მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში, როგორც მის მემკვიდრებს, ისე მეიჯარეს იმის შემდეგ, რაც ისინი შეიტყობენ მოიჯარის გარდაცვალების შესახებ,

შეუძლიათ ერთი თვის ვადაში შეწყვიტონ საიჯარო ურთიერთობა კალენდარული წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში.

(2) ¹მემკვიდრეებს შეუძლიათ, არ დაეთანხმონ მეიჯარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტას და მოითხოვონ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ სავარაუდოა, რომ საიჯარო ქონების სათანადოდ მართვა უზრუნველყოფილი იქნება მათ მიერ ან მათ მიერ დანიშნული თანამემკვიდრისა თუ მესამე პირის მიერ. ²მეიჯარეს შეუძლია, უარი თქვას საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებაზე, თუ მემკვიდრეები საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე არა უგვიანეს სამი თვისა არ წარადგენენ თავიანთ შესაგებელს და არ ატყობინებენ იმ გარემოებებს, რომელთა გამოც საიჯარო ქონების შემდგომი სათანადო მართვა, სავარაუდოდ, უზრუნველყოფილი იქნება. ³შესაგებელი და შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობით. ⁴თუ შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მაშინ გადაწყვეტილებას განცხადების საფუძველზე იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო.

(3) პირველი ნაწილის საფუძველზე მეიჯარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით მემკვიდრის მიერ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნა, §595-ის თანახმად, გამორიცხულია.

§ 594ე. ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით ვადის დაუცველად შეწყვეტა მნიშვნელოვანი საფუძველით

(1) ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით საიჯარო ურთიერთობის ვადის დაუცველად შეწყვეტა დასაშვებია §§ 543-ის, 569-ის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისი გამოყენებით.

(2) ¹მოუხედავად § 543-ის მე-2 ნაწილის № 3-ის „ა“ და „ბ“ პუნქტებისა, მნიშვნელოვანი საფუძველი, კერძოდ, არსებობს, თუ მოიჯარემ გადააცილა საიჯარო ქირის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდის ვადას სამ თვეზე მეტი ვადით. ²თუ საიჯარო ქირის თანხა იანგარიშება დროის ერთ წელზე ნაკლები მონაკვეთებით, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოიჯარე ზედიზედ აცილებს საიჯარო ქირის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდის ორ ვადას.

§ 594ვ. ხელშეკრულების შეწყვეტის წერილობითი ფორმა

ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით.

§ 595. საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება

(1) მოიჯარეს შეუძლია, მეიჯარისაგან მოითხოვოს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ:

1. სამენარმეო მიზნით დადგენილი იჯარის შემთხვევაში, წარმოება ქმნის მოიჯარის არსებობის ეკონომიკურ საფუძველს;
2. ¹მინის ნაკვეთის საიჯარო ურთიერთობის შემთხვევაში, მოიჯარეს სჭირდება ეს მინის ნაკვეთი საკუთარი სანარმოს შესანარჩუნებლად, რომელიც ქმნის მისი არსებობის ეკონომიკურ საფუძველს და, ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა შეუქმნიდა მოიჯარეს ან მის ოჯახს ისეთ სირთულეებს, რომლებიც არ არის გამართლებული თუნდაც მეიჯარის პატივსაღები ინტერესების გათვალისწინებით. ²ამ წინაპირობების არსებობისას ურთიერთობის გაგრძელება შეიძლება განმეორებით იქნეს მოთხოვნილი.

(2) ¹პირველი ნაწილის შემთხვევაში, მოიჯარეს შეუძლია, მოითხოვოს საიჯარო ურთიერთობის იმ ვადით გაგრძელება, რომელიც სათანადოა ყველა გარემოების გათვალისწინებით. ²თუ მეიჯარეს არ შეიძლება მოეთხოვოს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება თავდაპირველად მოქმედი ხელშეკრულების პირობების მიხედ-

ვით, მაშინ მოიჯარეს შეუძლია მოითხოვოს ურთიერთობის გაგრძელება მხოლოდ პირობების სათანადოდ შეცვლით.

(3) მოიჯარეს არ შეუძლია მოითხოვოს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ:

1. მან შეწყვიტა საიჯარო ურთიერთობა;
2. მეიჯარე უფლებამოსილია, ვადის დაცვის გარეშე შეწყვიტოს საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, ან § 593ა-ს შემთხვევაში კანონისმიერი ვადის დაცვით შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით;
3. სანარმოს, მიწის ნაკვეთების როგორც წარმოების საფუძვლის დამატებითი იჯარის ან მოიჯარის მიერ ათვისებული დაჭაობებული და დაცარიელებული მიწის საიჯარო ურთიერთობების შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადა შედგენს, სულ ცოტა, 18 წელს, ხოლო სხვა მიწის ნაკვეთების იჯარის შემთხვევაში, სულ ცოტა, 12 წელს;
4. მეიჯარეს სურს მიიღოს საკუთარი სარგებლობისათვის მხოლოდ დროებით იჯარით გადაცემული ქონება, ან გამოიყენოს იგი კანონით დადგენილი ან სხვა საჯარო ამოცანების განსახორციელებლად.

(4) ¹მოიჯარის განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებას, საჭიროებს წერილობით ფორმას. ²მეიჯარის მოთხოვნით მოიჯარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნის საფუძვლების შესახებ.

(5) ¹მეიჯარეს შეუძლია უარი თქვას საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებაზე, თუ მოიჯარემ მეიჯარისაგან ურთიერთობის გაგრძელება არ მოითხოვა, სულ ცოტა, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე ერთი წლით ადრე, ან უარი თქვა ურთიერთობის გაგრძელებაზე, § 594-ის მიხედვით, მეიჯარის მიმართვის საფუძველზე. ²თუ მხარეები შეთანხმდნენ შეწყვეტის თორმეტთვიან ან უფრო მოკლე ვადაზე, მაშინ საკმარისია, მოთხოვნა განცხადებული იყოს შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

(6) ¹თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ გადაწყვეტილებას საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებისა და ურთიერთობის ვადის შესახებ, ისევე როგორც მათი პირობების თაობაზე განცხადების საფუძველზე იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო. ²თუმცა, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საიჯარო ურთიერთობის მხოლოდ იმ მომენტამდე გაგრძელების შესახებ, რომელიც არ აღემატება მე-3 ნაწილის № 3-ში მითითებულ ვადებს, რაც დაითვლება მიმდინარე საიჯარო ურთიერთობის დასაწყისიდან. ³ურთიერთობის გაგრძელება შეიძლება შეიზღუდოს საიჯარო ქონების ნაწილით.

(7) ¹გადაწყვეტილების მისაღებად მოიჯარემ სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს განცხადებით უნდა მიმართოს არა უგვიანეს ცხრა თვისა საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე, ხოლო შეწყვეტის თორმეტთვიანი ან უფრო მოკლე ვადის შემთხვევაში, არა უგვიანეს ორი თვისა შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან. ²სასამართლოს შეუძლია დაუშვას განცხადების მოგვიანებით წარდგენა, თუ, სავარაუდოდ, ეს აუცილებელია დაუშვებელი სირთულის თავიდან ასაცილებლად და იჯარის ხელშეკრულების ვადა ჯერ გასული არ არის.

(8) ¹პირველი-მე-7 ნაწილების თანახმად, საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნის უფლებაზე უარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარი საიჯარო დავის მოგვარების მიზნით ცხადდება სასამართლოში, ან საიჯარო დავების მომწესრიგებელ პროფესიულ-წოდებრივ ორგანოში (berufsständische Pacht-schlichtungsstelle). ²შეთანხმებას, რომელიც ხელშეკრულების ერთი მხარისათვის განსაკუთრებით საზიანო ან განსაკუთრებული უპირატესობის მიმცემი, და ეს

მხარე იყენებს ან არ იყენებს პირველი-მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულ უფლებებს, სამართლებრივი ძალა არ აქვს.

§ 595ა. მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულებების ვადამდე შეწყვეტა

(1) იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების მხარეებს აქვთ მიწის ნაკვეთის იჯარის ურთიერთობის შეწყვეტის არასტანდარტული უფლება კანონით დადგენილი ვადის დაცვით, მათ ეკუთვნით ეს უფლება, აგრეთვე, მიწის ნაკვეთის იჯარის ურთიერთობის გახანგრძლივების ან მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების შეცვლის შემდეგ.

(2) ¹ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს შეუძლია მიიღოს განკარგულებები ვადამდე ან ნაწილობრივ შეწყვეტილი მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. ²თუ მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების გახანგრძლივება შეზღუდულია საიჯარო ქონების ნაწილით, სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საიჯარო ქირა ამ ნაწილისათვის.

(3) ¹სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს განკარგულებების შინაარსი ხელშეკრულების მხარეთა შორის ჩაითვლება ხელშეკრულების შინაარსად. ²გადაწყვეტილებებს იმ დავების შესახებ, რომლებიც ეხება ხელშეკრულების შინაარსს, განცხადების საფუძველზე იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო.

§ 596. საიჯარო ქონების უკან დაბრუნება

(1) მოიჯარე ვალდებულია, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ საიჯარო ქონება უკან დააბრუნოს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება დაბრუნების მომენტამდე მის სათანადოდ მართვას.

(2) მოიჯარეს არა აქვს მიწის ნაკვეთის დაკავების უფლება მეიჯარის მიმართ თავისი მოთხოვნის უფლებების უზრუნველსაყოფად.

(3) თუ მოიჯარემ საიჯარო ქონებით სარგებლობა გადასცა მესამე პირს, მაშინ მეიჯარეს შეუძლია, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ საიჯარო ქონების დაბრუნება მოითხოვოს ასევე მესამე პირისაგანაც.

§ 596ა. ზარალის ანაზღაურების ვალდებულება იჯარის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში

(1) ¹თუ საიჯარო ურთიერთობა წყდება იჯარის წლის განმავლობაში, მეიჯარემ უნდა აუნაზღაუროს მოიჯარეს ჯერ კიდევ მოუცილებელი ნაყოფის ღირებულება, რომელიც ექვემდებარება მოცილებას საიჯარო წლის დასრულებამდე საიჯარო ქონების სათანადოდ მართვის წესების თანახმად. ²ამავე დროს, სათანადოდ გასათვალისწინებელია მოსავლის მიღებასთან დაკავშირებული რისკი.

(2) თუ პირველ ნაწილში მითითებული ღირებულება ვერ დგინდება წელიწადის დროებით გამოწვეული მიზეზებით, მაშინ მეიჯარემ მოიჯარეს უნდა აუნაზღაუროს ნაყოფის მიღებაზე განეული ხარჯები იმ მოცულობით, რომელიც შეესაბამება საიჯარო ქონების სათანადოდ მართვას.

(3) ¹პირველი ნაწილი მოქმედებს ასევე მოსაჭრელად გამზადებული, მაგრამ ჯერ კიდევ მოუჭრელი ხე-ტყის მიმართ. ²თუ მოიჯარემ მოჭრა იმაზე მეტი ხე-ტყე, ვიდრე ეს დასაშვებია იყო საიჯარო ქონების სათანადოდ მართვისას, მაშინ მან მეიჯარეს უნდა აუნაზღაუროს ხე-ტყის ღირებულება, რომელიც აღემატება ნორმალურ სარგებლობას. ³სხვა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარდგენა გამორიცხული არ არის.

§ 596ბ. პროდუქტების დატოვების ვალდებულება (Rücklassungspflicht)

(1) სანარმოს მოიჯარემ საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ უნდა დატოვოს სახეზე არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები იმ ოდენობით, რაც საჭიროა შემდგომ მოსავლამდე მეურნეობის წარმართვისათვის, თუნდაც მას საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას ასეთი პროდუქტები არ ჰქონოდა მიღებული.

(2) თუ მოიჯარე, პირველი ნანილის თანახმად, ვალდებულია, დატოვოს პროდუქტები დიდი რაოდენობით ან უფრო კარგი ხარისხისა, ვიდრე ის პროდუქტები, რომლებიც მან მიიღო საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას, მაშინ მას შეუძლია მეიჯარისაგან ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა.

§ 597. საიჯარო ქონების დაგვიანებული დაბრუნება

¹თუ მოიჯარე არ აბრუნებს საიჯარო ქონებას საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია, დაყოვნების ვადის განმავლობაში ანაზღაურების სახით მოითხოვოს შეთანხმებული საიჯარო ქირის გადახდა. ²სხვა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარდგენა გამორიცხული არ არის.

კარი 6. თხოვება**§ 598. თხოვების ხელშეკრულების ტიპური ვალდებულებები**

თხოვების ხელშეკრულებით გამნათხოვრებელი ვალდებულია, გადასცეს მონათხოვრეს ნივთი უსასყიდლო სარგებლობისათვის.

§ 599. გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობა

გამნათხოვრებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

§ 600. პასუხისმგებლობა ნაკლისათვის

თუ გამნათხოვრებელი განზრახ არ უმხელს მონათხოვრეს უფლების ხარვეზს ან ნათხოვარი ნივთის ნაკლს, მაშინ იგი ვალდებულია, მონათხოვრეს აუნაზღაუროს ამის შედეგად დამდგარი ზიანი.

§ 601. ხარჯების ანაზღაურება

(1) მონათხოვრემ უნდა გასწიოს ნათხოვარი ნივთის მოვლისათვის საჭირო ჩვეულებრივი ხარჯები; მათ შორის, ცხოველის თხოვებისას კვების ხარჯები.

(2) ¹გამნათხოვრებლის მიერ სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით. ²მონათხოვრე უფლებამოსილია, გამოაცალკევოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან ქონება აღჭურვა.

§ 602. ნივთის ცვეთა

მონათხოვრე პასუხს არ აგებს ნათხოვარი ნივთის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის, რომლებიც გამოწვეულია ხელშეკრულების პირობების შესაბამისი სარგებლობით.

§ 603. ხელშეკრულების პირობების შესაბამისი სარგებლობა

¹მონათხოვრეს არ შეუძლია, ნათხოვარი ნივთით სხვაგვარად ისარგებლოს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. ²იგი არ არის უფლებამოსილი, გამნათხოვრებლის თანხმობის გარეშე ნივთით სარგებლობა გადასცეს მესამე პირს.

§ 604. უკან დაბრუნების ვალდებულება

(1) მონათხოვრე ვალდებულია, თხოვებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნათხოვარი ნივთი უკან დააბრუნოს.

(2) ¹თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ნივთი უნდა დაბრუნდეს მონათხოვრის მიერ თხოვების მიზნების შესაბამისი სარგებლობის დასრულების შემდეგ. ²მონათხოვრეს შეუძლია მოითხოვოს ნივთის ვადამდე დაბრუნება, თუ იმდენი ხანი გავიდა, რომ მონათხოვრე უკვე შეძლებდა ნივთით სარგებლობას.

(3) თუ თხოვების ვადა არ არის განსაზღვრული და იგი ვერც მიზნიდან გამომდინარე ვერ დგინდება, მაშინ გამნათხოვრებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

(4) თუ მონათხოვრე ნივთს სარგებლობისათვის გადასცემს მესამე პირს, მაშინ თხოვების შეწყვეტის შემდეგ გამნათხოვრებელს შეუძლია მისი მოთხოვნა ასევე მესამე პირისაგანაც.

(5) ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება თხოვების შეწყვეტის მომენტიდან.

§ 605. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება

გამნათხოვრებელს შეუძლია თხოვების შეწყვეტა:

1. თუ გაუთვალისწინებელი გარემოების შედეგად ნივთი მას სჭირდება;
2. თუ მონათხოვრე ნივთს იყენებს ხელშეკრულების პირობების დარღვევით, კერძოდ კი, ნივთით სარგებლობის უფლებას მესამე პირს გადასცემს ნებართვის გარეშე ან მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ნივთს მასზე დაკისრებული სათანადო ზრუნვის ვალდებულების უგულებელყოფის შედეგად;
3. თუ მონათხოვრე გარდაიცვლება.

§ 606. ხანდაზმულობის მოკლე ვადა

¹ნათხოვარი ნივთის ცვლილებებისა თუ გაუარესების გამო გამნათხოვრებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, ისევე როგორც მონათხოვრის მოთხოვნის უფლებები ხარჯების ანაზღაურებასა თუ მოწყობილობის გამოცალკევებაზე ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში. ²შესაბამისად, გამოიყენება § 548-ის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების და ამავე პარაგრაფის მე-2 ნაწილის ნორმები.

კარი 7. ნივთის სესხის ხელშეკრულება

§ 607. ნივთის სესხის ხელშეკრულების ტიპიური ვალდებულებები

(1) ¹ნივთის სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს გადასცეს შეთანხმებული გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი. ²მსესხებელი ვალდებულია, გადაიხადოს სესხის საზღაური და სესხის გადახდის ვადის დადგომისას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

(2) წინამდებარე კარის ნორმები არ გამოიყენება ფულის გადაცემის მიმართ.

1. ისევე, როგორც ფულის სესხის ხელშეკრულება (§ 488), ნივთის სესხის ხელშეკრულებაც არის ორმხრივად მავალდებულებელი კონსენსუალური ხელშეკრულება. პრაქტიკული თვალსაზრისით, ნივთის სესხის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი შემთხვევებია ფასიანი ქალაქების თხოვება და მრავალჯერადი გამოყენების შესაფუთი მასალების გადაცემა.

2. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს შეთანხმებულ ნივთზე მიაწოდოს **მფლობელობა და საკუთრება**. ამავე ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ვადამოსულობისას მსესხებელი ვალდებულია, უკან დაბრუნოს ნივთი. მან უკან უნდა დააბრუნოს იმავე სახისა და ხარისხის ნივთები და არა – როგორც ეს ქირავნობისა და თხოვების შემთხვევებშია – იგივე ნივთი, რომელიც მიიღო. მე-2 წინადადებასა და, ასევე, § 609-ში მოხსენიებული საზღაურის მოთხოვნა საჭიროებს შესაბამის სახელშეკრულებო შეთანხმებას.

§ 608. ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) თუ გადაცემული ნივთის ანაზღაურების ვადა არ არის დადგენილი, ვალდებულების შესრულების ვადა დამოკიდებულია გამსესხებლის ან მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

(2) თუ სხვა რაიმე არ არის შეთანხმებული, განუსაზღვრელი ვადით დადებული ნივთების სესხის ხელშეკრულება შეიძლება გამსესხებლის ან მსესხებლის მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტილ იქნეს ნებისმიერ დროს.

§ 609. საზღაური

მსესხებელმა საზღაური უნდა გადაიხადოს არა უგვიანეს ნივთის დაბრუნების მომენტისა.

§ 610. (გაუქმებულია)

კარი 8. მომსახურების ხელშეკრულება

§ 611-ის შესავალი

1. **მომსახურების ხელშეკრულება** – ეს არის ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ერთი მხარე (მომსახურების გამწვევი) ვალდებულია შეპირებული მომსახურების განწვევაზე, ხოლო მეორე მხარე (მომსახურების მიმღები) – შეთანხმებული ანაზღაურების გადახდაზე (ნორმის პირველი ნაწილი). ნარდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით (მდრ. § 631 ველი 1), ვალდებულების საგანი არის არა განსაზღვრული შედეგის მიღება, არამედ რაიმე საქმიანობის განწვევა. მომსახურების ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის მომსახურება (ნორმის მე-2 ნაწილი). მაშასადამე, სულ ერთია, ერთჯერადად გასანევი საქმიანობაა შეთანხმებული, თუ მრავალჯერადი. მომსახურების ხელშეკრულების სამართალს გამოეყო ცალკე მდგომი სამართლის სფერო – შრომის სამართალი, რომელიც დასაქმებულის განსაკუთრებულ უფლებებს ეხება და იცავს მათ.

2. **შრომის ხელშეკრულება** არის მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ვალდებული პირი (დასაქმებული) ეწევა უცხო პირის (პირთა) მიერ განსაზღვრულ, არადამოუკიდებელ და სოციალურად დამოკიდებულ საქმიანობას. დამოუკიდებელი პირის საქმიანობისგან გასამიჯნავად მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, თუ რამდენად არის ვალდებული პირი თავისი საქმიანობის დროის, ადგილისა და შინაარსის მიხედვით დამსაქმებლის მითითებაზე (ინსტრუქციაზე) დაქვემდებარებული, ანუ რამდენად არის იგი ჩართული უცხო სანარმოო პროცესში. უპირველეს ყოვლისა, შრომითი ურთიერთობებისთვის მოქმედებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსში განსაზღვრული მომსახურების ხელშეკრულების სამართალი, რომლის ნორმებიც განივრცო სხვა შრომით-სამართლებრივ სპეციალურ კანონებში და

განიცადა მოდიფიცირება (მაგ.: ხელშეკრულების უსაფუძვლო შეწყვეტისგან დაცვის შესახებ კანონი¹⁰⁶, სანარმოში დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ურთიერთობის შესახებ კანონი¹⁰⁷, ტარიფის ხელშეკრულების შესახებ კანონი¹⁰⁸, სანარმოს თანამმართველობის შესახებ კანონი¹⁰⁹, ანტიდისკრიმინაციის შესახებ კანონი¹¹⁰). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შრომით-სამართლებრივი წყაროა კოლექტიური შეთანხმებები (ტარიფის შესახებ ხელშეკრულებები, სანარმოთა შეთანხმებები), რომელთა მიხედვითაც, შესაძლებელია, შრომითი ურთიერთობის განსაზღვრული ჯგუფებისთვის სამართლებრივი ნორმების შეთანხმება. შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტა არის შრომითი დავების განმხილველი სასამართლოს კომპეტენცია. შრომის სამართლის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, არის დასაქმებულის დაცვა, რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის სოციალურად სუსტი მხარეა ხელშეკრულებაში.

3 3. მომსახურების ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და ნამდვილობისთვის, ძირითადად, მოქმედებს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმები. განსაკუთრებული დებულებები შეეხება ნაკლოვანი შრომითი ურთიერთობების შემთხვევებს, რომლებიც, მიუხედავად მათი ნაკლოვანებისა, მაინც ხორციელდება. ვინაიდან, დასაქმებულის პერსპექტივის გათვალისწინებით, შეუსაბამო იქნებოდა ნაკლოვანების გამო ხელშეკრულების ბათილობისას უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების § 812-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების გამოყენება (შდრ. § 818-ის მე-2, მე-3 ნაწილები). ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ნაკლოვანი შრომითი ურთიერთობა ბათილობის საფუძვლის აღმოჩენამდე მიიჩნევა ნამდვილად, რაც იმას ნიშნავს, რომ ბათილობას არ მოჰყვება ე.წ. *ex tunc* შედეგი (ხელშეკრულება ბათილია არა სანყისი მომენტიდან, არამედ ბათილობის საფუძვლის აღმოჩენის მომენტიდან; ე.წ. „**ფაქტობრივი შრომითი ურთიერთობა**“). მაშასადამე, დასაქმებული ინარჩუნებს შეთანხმებულ ხელფასზე მოთხოვნას (BAG NJW 1986, 2133). ფაქტობრივი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე და, მაშასადამე, ბათილობა *ex tunc* შედეგით დაშვებულია მაშინ, როდესაც თვითონ შრო-

106 ხელშეკრულების უსაფუძვლო შეწყვეტისგან დაცვის შესახებ კანონი (Kündigungsschutzgesetz) არის სპეციალური კანონი, რომელიც სამოქალაქო სამართალში არსებულ გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების შეწყვეტის ლავრებად ვადებს ზღუდავს დასაქმებულის სასარგებლოდ, შრომითი ურთიერთობის დასრულებისას, სოციალურად სამართლიანი შეწყვეტის ვადებით.

107 სანარმოში დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ურთიერთობის შესახებ კანონი (Betriebsverfassungsgesetz) არის ფუძემდებლური წესდება დამსაქმებლებისა და დასაქმებულების მიერ სანარმოს ფარგლებში არჩეული საბჭოს ფუნქციონირებისათვის, რომელიც დასაქმებულთა ინტერესებს იცავს.

108 1949 წლის 9 აპრილის ტარიფის ხელშეკრულების შესახებ კანონი (Tarifvertragsgesetz); იწოდება ასევე კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების შესახებ კანონად) ქმნის სამართლებრივ საფუძველს ტარიფის შესახებ მოლაპარაკებებისათვის. ტარიფის შესახებ ხელშეკრულება არეგულირებს ტარიფის ხელშეკრულების მხარეების (პროფკავშირები, ცალკეული დამსაქმებლები, ასევე დამსაქმებელთა გაერთიანებები) უფლებებსა და ვალდებულებებს და შეიცავს სამართლებრივ ნორმებს, რომლებითაც შესაძლებელია შრომითი ურთიერთობის დაწყების, შინაარსის, დასრულების, ასევე, სანარმოს შინაგანანესთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება.

109 სანარმოს თანამმართველობის შესახებ კანონი (Gesetz über Mitbestimmung der Arbeitnehmer) უზრუნველყოფს და არეგულირებს დასაქმებულების წარმომადგენელთა სანარმოს სამეთვალყურეო საბჭოში ჩართულობის საკითხებს.

110 ანტიდისკრიმინაციის შესახებ კანონი (Allgemeines Gleichbehandlungsgesetz) არის გერმანული ფედერალური კანონი, რომლის მიზანია, თავიდან აიცილოს პირთა (დამსაქმებლის ან დასაქმებულის) დარჩაგვრა რასის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, რელიგიის, მსოფლმხედველობის, შეზღუდულუნარიანობის, ასაკის, სქესუალური იდენტურობის საფუძველზე.

მითი საქმიანობა არის ზნეობის ნორმების სანინალმდეგო (BAG NJW 1976, 1958: მაგ., ხელშეკრულება ლამის ბარში „უნივერსალ-შოუს“ ჩატარებაზე, რომელსაც სქესობრივი აქტი მოსდევს), ან საფრთხე ექმნება არასრულწლოვანის პრივილეგიურებულ ინტერესებს. §139-ისგან განსხვავებით, შრომითი ხელშეკრულების ცალკეული დათქმების ბათილობისას გამოიყენება **ნანილობრივი ბათილობა**; ბათილი ნანილისთვის მოქმედებს დისპოზიციური სამართალი. მაგ.: ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამო გასამრჯელოზე შეთანხმების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულება ნამდვილი რჩება დანარჩენ ნანილში, ხოლო გასამრჯელოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოქმედებს § 612-ის მე-2 ნაწილი.

4. ვალდებულების შესრულების გართულების (დარღვევის) შემთხვევები. 4

ა) მომსახურების ხელშეკრულებისთვის, როგორც წესი, მოქმედებს ზოგადი ნორმები (§275 და მომდევნო პარაგრაფები, § 320 და მომდევნო პარაგრაფები). თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს შესასრულებელი სამუშაოს ფიქსირებულ-ვალდებულებით ხასიათს: მომსახურებები, განსაკუთრებით, დამოკიდებული სამუშაოები მიბმულია ვადაზე (დროზეა ფიქსირებული) და ამ ვადის გასვლის შემდგომ შეუძლებელია მათი დამატებით შესრულება. ამგვარად, ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, როგორც წესი, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა სახეზეა მაშინ, როდესაც მომსახურების გამწევი არ ასრულებს ვალდებულებას (*Jauernig-Mansel* § 615 მე-6 ველი). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებლობა გამონეგულია მომსახურების გამწევი პირის ბრალეულობით (მაგ., დასაქმებული ზარმაცობს და არ მიდის სამსახურში), მაშინ უფლებამოსილი პირს, §§ 280-ის, 283-ის თანახმად, აქვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამორიცხულია ხელშეკრულებიდან გასვლა; მის ადგილს იმ მომსახურების ხელშეკრულებებისთვის, რომელთა განხორციელება იმდინარეობს, იკავებს ხელშეკრულების შეწყვეტის ნორმები (იხ. ქვემოთ, მე-7 ველი). ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების განწევის შეუძლებლობა გამონეგულია მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ, მაშინ მომსახურების გამწევი, §326-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ინარჩუნებს გასამრჯელოს მიღებაზე მოთხოვნას. **ბ) შესრულების მიღების ვადის გადაცილება.** ვალდებულების სამართლის ზოგადი ნანილის ნორმების თანახმად, კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილება იწვევს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას (§ 300-ის პირველი ნაწილი), თუმცა, არა ვალდებულებისგან გათავისუფლებას მანამ, სანამ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა არ დადგება (§ 275). ამისგან განსხვავებით, მომსახურების ხელშეკრულებების დროს შესრულების მიღების ვადის გადაცილება, § 615-ის პირველი წინადადების თანახმად, იწვევს დამატებითი შესრულებისგან საბოლოოდ გათავისუფლებას (შესრულების საფრთხე). § 615-ის პირველი წინადადების თანახმად, მომსახურების განწევაზე ვალდებული პირი ინარჩუნებს გასამრჯელოს მიღებაზე მოთხოვნას (შემხვედრი შესრულების საფრთხე). აქ მოცემულია § 326-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მე-2 ალტერნატივის რეგულირების განვრცობა, რომლის მიხედვითაც შესრულება შეუძლებელი უნდა გახდეს კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების პერიოდში. მომსახურებისა და შრომის ხელშეკრულებების დროს კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების წინაპირობებთან დაკავშირებით იხილეთ *Palandt-Weidenkaff* § 615 მე-7 და მომდევნო ველები. **გ) ვალდებულების განწევის შეუძლებლობა, რომელიც არცერთი მხარის მიერ არ არის ბრალეულად გამოწვეული,** § 326-ის პირველი ნაწილის თანახმად, როგორც წესი, დასაქმებულისთვის იწვევს სამაგიერო შესრულებაზე მოთხოვნის დაკარგვას: **აა)** ამისგან განსხვავებით, **§ 616-ის რეგულირება** მომსახურების გამწევი პირისთვის შეიცავს გასამრჯელოს მიღებაზე მოთხოვნის უფლებას იმ შემთხვევისთვის, როდესაც ის, მისი ბრალეულობისაგან დამოუკიდებლად, პირადი მიზეზების გამო,

დროებით მოკლებულია უნარს, შეასრულოს სამუშაო. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ბრალეულობა ამ შემთხვევაში გაიგება როგორც ბრალეულობა საკუთარი თავის მიმართ. არაბრალეულად მიიჩნევა, როგორც წესი, ავადმყოფობის გამო მოკლევადიანი შრომისუუნარობა, ასევე, მნიშვნელოვანი ოჯახური გარემოებები (მაგ., ქორწინება). ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: დასაქმებულის ავადმყოფობის დროს გამოიყენება „დასაქმებულისადმი დასვენებისა და ავადმყოფობის დღეებში ხელფასის გადახდის შესახებ“ კანონის ნორმები; **ბბ)** შრომის სამართლის საქმეების განმხილველი ფედერალური სასამართლოს მიერ განვითარებული მოძღვრება **სანარმოო რისკის შესახებ** აწესებს, ასევე, „მუშაობის გარეშე ხელფასის“ მიღების შესაძლებლობას. ამ მოძღვრების მიხედვით, დასაქმებული ინარჩუნებს გასამრჯელოზე მოთხოვნის უფლებას მაშინ, როდესაც დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების შეუძლებლობა არცერთი მხარის მიერ არაა გამოწვეული და შეუძლებლობა იწვევს სანარმოო შეფერხებას, რაც მიეკუთვნება დამსაქმებლის სანარმოო რისკს (მაგ., უდენობა ან მანქანების მწყობრიდან გამოსვლა). სანარმოო რისკი უნდა განვასხვავოთ დასაქმებულების გაფიცვის რისკისაგან (დამატ. იხ. *Palandt-Weidenkaff § 615 22-ე ველი*), დასაქმებულის სამუშაოზე მისვლის რისკისგან¹¹¹, რომელიც ეკისრება დასაქმებულს. მაშინ, როდესაც დასაქმებული სატრანსპორტო მოძრაობისას გაუთვალისწინებელი საცობის გამო სამსახურში დაგვიანებს, იგი ვეღარ მოითხოვს ხელფასს გაცდენილი დროისათვის (§ 326-ის პირველი ნაწილი).

5 დასაქმებულის პასუხისმგებლობა. ზიანის გამოწვევის შემთხვევაში მომსახურების განევაზე ვალდებული პირი მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილის წინაშე პასუხს აგებს ზოგადი საფუძვლებით, განზრახვისა და ყველა სახის გაუფრთხილებლობისთვის (§ 276). შრომითი ურთიერთობებისთვის კი არსებობს განსაკუთრებული მნიშვნელოვანი წესები. **ა) დამსაქმებლისთვის ზიანის მიყენება.** დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისთვის ზიანის მიყენებისას წარმოიშობა ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნები (§ 280). ასევე, შესაძლოა, § 823 და მისი მომდევნო ნორმების გამოყენება. რამდენადაც ზიანის მიყენება დასაქმებულისთვის **მინდობილი სანარმო საქმიანობის** ფარგლებში ხდება, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სანარმოო ორგანიზება მნიშვნელოვნად ახდენს გავლენას დასაქმებულის პასუხისმგებლობის რისკზე¹¹². ამიტომ დასაქმებულის დასაცავად მიღებულია, დამსაქმებლის ძიანის ანაძრაურების მოთხოვნა, სანარმოო ორგანიზების უფლებამოსილებიდან გამომდინარე, შემცირდეს § 254-ის შესაბამისად (თანაბრალეულობა)(BAG GS NJW 1995, 210). მაშასადამე, დასაქმებულისთვის მინდობილი სანარმოო საქმიანობის (რომელიც ყოველთვის არაა მიმართული აუცილებლად სანარმოო საფრთხისკენ ან რისკისკენ) დროს, ყველა გარემოების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს ზიანის რისკის გადანაწილება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. შრომის სამართლის საქმეების განმხილველი ფედერალური სასამართლოს მიერ დადგენილი უახლესი პრაქტიკით, მოქმედებს შემდეგი წესი: მარტივი (მსუბუქი) გაუფრთხილებლობისას გამოირიც-

¹¹¹ საუბარია რისკზე, რომელიც დასაქმებულის სამუშაოს ადგილისაკენ გამგზავრებისას არსებობს. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოსკენ მიმავალ დასაქმებულს ავარია შეემთხვევა, ეს არ ჩაითვლება სამუშაოს ან სამსახურის ფარგლებში მომხდარ ავარიად. ამ შემთხვევაში რისკი სრულად დასაქმებულს ეკისრება.

¹¹² როგორც წესი, დამსაქმებელი თვითონ ახდენს სანარმოო მართვის ორგანიზებას. იგი განსაზღვრავს დასაქმებულის სამუშაო პირობებს, მის პოზიციას და სამუშაოს სახეს. ხშირად არის შემთხვევა, როდესაც დასაქმებული, რომელიც არცთუ ისე ბევრს იღებს გასამრჯელოს სახით, საკმაოდ საპასუხისმგებლო პოზიციაზეა. ანუ მისი შემოსავალი იმ რისკსა და ზიანთან შედარებით, რაც მან შეიძლება გამოიწვიოს, საკმაოდ მცირეა. ამ შემთხვევაში შრომის სამართალი დასაქმებულის დასაცავად პასუხისმგებლობის სხვა სამართლებრივ მექანიზმებს იყენებს.

ნება დამსაქმებლის მოთხოვნა დასაქმებულის მიმართ; საშუალო გაუფრთხილებლობის დროს ზიანის გადანაწილება ხდება ცალკეული გარემოებების გათვალისწინებით, კვოტებად; უხეში გაუფრთხილებლობის დროს დასაქმებული, როგორც წესი, სრულად არის პასუხისმგებელი ზიანის ანაზღაურებაზე, თუ (გამონაკლისის სახით) არ არის მოცემული უხეში შეუსაბამობა მის შემოსავალსა (ხელფასსა) და ზიანის რისკს შორის. რისკის ასეთი სახით გადანაწილებასთან ერთად, დასაქმებულის მდგომარეობა რომ არ დამძიმდეს მტკიცების ტვირთის განაწილებით, § 619 ადგენს, რომ ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნებისთვის არ გამოიყენება § 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება (მტკიცების ტვირთის შეტრუნება). **ბ) მესამე პირისთვის ზიანის მიყენება.** მესამე პირებთან მიმართებით დასაქმებული პასუხს აგებს სრული მოცულობით (კოლეგებთან მიმართებით იხ. ქვემოთ, მე-6 ველი). თუმცა, დასაქმებულს იმავე წინაპირობების დაცვით, რომელითაც იგი დამსაქმებლისათვის ზიანის მიყენების დროს პასუხისმგებლობისგან გაითავისუფლებდა თავს, შეუძლია, დამსაქმებელს წარუდგინოს **მოთხოვნა** მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობისგან **გათავისუფლების შესახებ**. მაგ.: ძალზე მსუბუქი გაუფრთხილებლობის დროს დასაქმებულს შეუძლია, მოითხოვოს, რომ დამსაქმებელმა ის სრული მოცულობით გაათავისუფლოს მესამე პირის მოთხოვნებისგან (მოთხოვნის შინაარსთან დაკავშირებით დამატებით იხ. § 257 ველი 2).

6. დამსაქმებლის პასუხისმგებლობა. ა) დასაქმებულისადმი მიყენებული ზიანი.

ე.წ. საწარმოო უბედური შემთხვევების დროს დასაქმებულის, მისი ოჯახის წევრებისა და ასევე (გარდაცვალების შემთხვევაში) დარჩენილ პირთა მოთხოვნები დამსაქმებლის მიმართ გამოირიცხება სოციალური სამართლის კოდექსის მე-7 წიგნის § 104-ის მიხედვით¹¹³ (გამონაკლისია ზიანის განზრახ გამოწვევა ან ის შემთხვევა, როდესაც დასაქმებული ზიანდება საერთო ჩვეულ ბრუნვაში მონაწილეობით). იგივე წესი მოქმედებს სოციალური სამართლის კოდექსის მე-7 წიგნის § 105-ის მიხედვით კოლეგების მოთხოვნების მიმართ. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ადგილს იკავებს სოციალურსამართლებრივი მოთხოვნები პასუხისმგებელი პროფესიული გაერთიანების მიმართ, რომელსაც კანონით ეკისრება საწარმოო შემთხვევითობის დამზღვევის სტატუსი („პასუხისმგებლობის ჩანაცვლება დაზღვევით“). სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოირიცხვა მოიცავს, ასევე, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებას (§ 253-ის მე-2 ნაწილი), მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებული პროფესიული გაერთიანებისგან მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურებას არ იღებს. **ბ) დასაქმებულის ნივთებისადმი მიყენებული ზიანი.** ამ შემთხვევაში დამსაქმებელი პასუხს აგებს ზოგადი ნორმების მიხედვით (§§ 280, 283 და შემდგომი პარაგრაფები); ამ შემთხვევაში არ არსებობს დაზღვევიდან გამომდინარე კანონისმიერი მოთხოვნები. ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: დასაქმებულს შეუძლია, დამსაქმებლის ბრალეულობის გარეშე, § 670-ის თანახმად, მოითხოვოს თავისი ნივთებისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ ზიანის რისკი არ მოიაზრება დამსაქმებლის მიერ მისთვის გადახდილ გასამრჯელოში (*Palandt-Weidenkaff* § 611 125-ე და მომდევნო ველები). დასაქმებულის თანაბრალეულობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს მხოლოდ საწარმოს ფარგლებში მისთვის მინდობილი საქმიანობის საფუძველზე. შრომის სამართლის საქმეების განმხილველი ფედერალური სასამართლოს მიერ

113 § 104. საწარმოს პასუხისმგებლობის შეზღუდვა

(1) მეწარმეები იმ დაზღვეული პირების მიმართ, რომლებიც მათი საწარმოებისთვის მუშაობენ, ან მათ საწარმოებთან სხვა დაზღვევის წარმომშობ ურთიერთობაში იმყოფებიან, ასევე მათი ოჯახის წევრებისა და დარჩენილი პირების მიმართ, რომლებიც უფლებამოსილი არიან, სხვა საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე ზიანის ანაზღაურება მოითხოვონ პირისადმი (დასაქმებულისადმი) მიყენებული ზიანის გამო, მხოლოდ მაშინ არიან ვალდებული ზიანის ანაზღაურებაზე, როდესაც მათ დაზღვევის შემთხვევა განზრახ ან § 8-ის მე-2 ნაწილის № 1-4-ით გათვალისწინებული გზით გამოიწვიეს.

დადგენილი პრაქტიკა (BAG NJW 1981 702): მაშინ, როდესაც დასაქმებულის კუთვნილი ავტომობილი სამსახურებრივ მივლინებაში მესამე პირის მიერ ბრალეულად დაზიანდება, დასაქმებულის უმნიშვნელო თანაბრალეულობის შემთხვევაშიც, მას შეუძლია, დამსაქმებლისგან, § 670-ის თანახმად, მოითხოვოს ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურება.

- 7 **7. მომსახურების სამართლებრივი ურთიერთობის დასრულება.** ვადის გასვლი-სა (§ 620-ის პირველი ნაწილი) და მიზნის მიღწევის (§ 620-ის მე-2 ნაწილი) გარდა, არსებობს მომსახურების სამართლებრივი ურთიერთობის დასრულების შემდეგი შემთხვევები: ა) **ხელშეკრულების სტანდარტული შეწყვეტა.** უვადო მომსახურე-ბის ხელშეკრულებების დროს, როგორც წესი, მხარეებს შეუძლიათ, საფუძვლის მითითების გარეშე და შესაბამისი ვადის დაცვით (§§ 620-ის მე-2 ნაწილი, 621, 622) შეწყვიტონ ხელშეკრულება. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა უნდა მოხ-დეს წერილობით (§ 623). ისეთი შრომითი ურთიერთობებისთვის, რომლებიც ექვს თვეზე მეტ ხანს გრძელდება, ხელშეკრულების უსაფუძვლო შეწყვეტისგან დაცვის შესახებ კანონი განსაკუთრებით ზღუდავს დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ხელშეკრულების სტანდარტული შეწყვეტა ნამდვილია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის სოციალურად გამართლებულია (იხ. ხელშეკრულების შეწყვეტისგან დაცვის შესახებ კანონის § 1-ის მე-2 და მე-3 ნაწილები¹¹⁴). იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელმა სოციალურად გაუმართლებ-ლად შეწყვიტა ხელშეკრულება, დასაქმებულმა ხელშეკრულების შეწყვეტის ნამდ-ვილობა საცილო უნდა გახადოს სამი კვირის ვადაში, კერძოდ, ხელშეკრულების უსაფუძვლო შეწყვეტისგან დაცვის მიზნით წარადგინოს სარჩელი შრომის საქმე-ების განმხილველ სასამართლოში; ბ) **ხელშეკრულების არასტანდარტული შეწყვე-ტა.** ვადის დადგენის გარეშე შესაძლებელია ხელშეკრულების შეწყვეტა, § 626-ის მიხედვით, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება მიუღე-ბელია ხელშეკრულების შეწყვეტის სტანდარტული ვადის გასვლამდე. § 626-ის მე-2 ნაწილი ამ შემთხვევისთვის განსაზღვრავს ორკვირიან შეტყობინების ვადას იმ დროიდან, რაც შესაფერისი ფაქტობრივი გარემოებები გახდება მხარისთვის ცნობილი. იმ დროს, როდესაც ხელშეკრულების არასტანდარტული შეწყვეტისთ-ვის მნიშვნელოვანი საფუძველი არ არსებობს, მოიაზრება მისი კონვერსია (§ 140) ხელშეკრულების სტანდარტულ შეწყვეტად (დამატ. იხ. *Palandt-Weidenkaff* § 626 34-ე და მომდევნო ველები). ხელშეკრულების არასტანდარტული შეწყვეტისთვის გამარტივებული წინაპირობები, § 627-ის თანახმად, მოცემულია „კვალიფიციური მომსახურების“ შემთხვევებისთვის (მაგ.: ადვოკატი, საგადასახადო კონსულტან-ტი). ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულე-ბის უსაფუძვლო შეწყვეტისგან დაცვის შესახებ კანონი არ ეხება ხელშეკრულე-ბის არასტანდარტულ შეწყვეტაზე უფლებას, შრომითი ურთიერთობების დროს არასტანდარტული შეწყვეტის გაბათილება უნდა განხორციელდეს მაინც დადგე-ნილ ვადაში (სამი კვირა) სარჩელის წარდგენით; გ) **შეცილება.** ნების გამოვლენის ნაკლის გამო შეცილებაზე მოთხოვნების (§§ 119) ჩანაცვლება არ ხდება მნიშვ-ნელოვანი საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებით. თუმცა, შრომითი ურთიერთობების დროს საწყისი მომენტიდან ბათილობა დგება (§ 142-ის პირვე-ლი ნაწილი), როგორც წესი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულს მუშაობა ჯერ არ დაუწყია. სამუშაოს დაწყების შემდგომ შეცილება და შედეგად ბათილობა მოქმედებს, როგორც წესი, *ex nunc* (შეცილების მომენტიდან, შდრ. ზემოთ, მე-3

114 § 1. სოციალურად გაუმართლებელი ხელშეკრულების შეწყვეტა ამონარიდი ნორმის მე-2 ნაწილიდან:

„სოციალურად გაუმართლებელია ხელშეკრულების შეწყვეტა მაშინ, როდესაც შეწყვე-ტის საფუძველი არ გამოდინარეობს პირის ან მისი ქცევისგან ან იმ აუცილებელი სა-წარმოო საჭიროებიდან, რომელიც დასაქმებულის შემდგომ საქმიანობას ამ სწარმოში ენიშნაღმდეგება“.

ველი). სხვა წესმა შეიძლება იმოქმედოს მაშინ, როდესაც სახეზეა განზრახ მოტყუება, ან, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, არაა მოსალოდნელი ხელშეკრულების უკუქცევის სიძნელეები, რადგანაც შრომითი ურთიერთობა განსაზღვრული მომენტიდან (მაგ., ავადმყოფობა) უფუნქციოდ დარჩა (არ სრულდება), შესაბამისად, შეცილება და მის შედეგად ბათილობა მოქმედებს იმავე მომენტიდან (BAG, ZIP 1999, 458). § 119-ის მე-2 ნაწილის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებების შეცილების შემთხვევებისთვის § 626-ის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს § 121-ის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შეცილების ვადას „დაუყოვნებლივ“ შეცილების ორკვირიანი ვადით (BAG NJW 1980, 1302); **დ) ხელშეკრულების გაუქმება.** ზოგადი წესების თანახმად, ყოველთვის შესაძლებელია ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულების დასრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შეზღუდვები აქ არ გამოიყენება. შრომითი ურთიერთობის დროს კი ხელშეკრულების მოშლა საჭიროებს წერილობით ფორმას (§ 623).

§ 611. მომსახურების ხელშეკრულების ტიპური სახელშეკრულებო ვალდებულებები

(1) მომსახურების (შრომითი) ხელშეკრულებით პირი, რომელიც ჰპირდება მომსახურების განევას, ვალდებულია, შეასრულოს ეს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე ვალდებულია, გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.

(2) მომსახურების (შრომითი) ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის მომსახურება.

§§ 611ა, 611ბ (გაუქმებულია)

§ 612. საზღაური

(1) საზღაური ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ მომსახურება გარემოებათა მიხედვით მხოლოდ საზღაურით არის მოსალოდნელი.

(2) თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო საზღაური, ხოლო ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი საზღაური.

§ 612ა. დისციპლინური დასჯის აკრძალვა

დამქირავებელს არა აქვს უფლება, შეთანხმების დადებისას ან რაიმე ღონისძიებების გატარებისას შეზღუდოს დაქირავებულის უფლები იმის გამო, რომ დაქირავებული დასაშვები სახით ახორციელებს თავის უფლებებს.

§ 613. მოთხოვნის გადაცემის დაუშვებლობა

¹ჩვეულებრივ, ივარაუდება, რომ მომსახურების განწევაზე ვალდებულმა დაქირავებულმა მომსახურება პირადად უნდა გასწიოს. ²ჩვეულებრივ, ივარაუდება, რომ მომსახურების განწევაზე მოთხოვნა არ ექვემდებარება გადაცემას.

§ 613ა. უფლებები და ვალდებულებები სანარმოს გადაცემისას

(1) ¹თუ სანარმო ან სანარმოს ნაწილი გარიგების საფუძველზე გადაეცემა სხვა მფლობელს, მაშინ ეს უკანასკნელი შემოდის გადაცემის მომენტისათვის არსებული შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებში. ²თუ ეს უფლებები და ვალდებულებები მონესრიგებულია სატარიფო შეთანხმების დებულებებით ან სანარმოს საბჭოსა და დამქირავებელს შორის შეთანხმებით (Betriebsvereinbarung), მაშინ ისინი შეადგენს სანარმოს ახალ მფლობელსა და დაქირავებულს შორის შრომითი ურთიერთობების შინაარსს და არ შეიძლება შეიცვალოს დაქირავებულის საზიანოდ გადაცემის მომენტიდან ერთი წლის ვადის გასვლამდე.

მე-2 წინადადება არ მოქმედებს, თუ უფლებები და ვალდებულებები საწარმოს ახალი მფლობელის დროს მოწესრიგებულია სხვა სატარიფო შეთანხმების დანაწესებით ან საწარმოს საბჭოსა და დამქირავებელს შორის სხვა შეთანხმებით. მე-2 წინადადებაში მითითებული ვადის გასვლამდე უფლებები და ვალდებულებები შეიძლება შეიცვალოს, თუ სატარიფო შეთანხმება ან საწარმოს საბჭოსა და დამქირავებელს შორის შეთანხმება აღარ მოქმედებს, ან, თუ სხვა სატარიფო შეთანხმების ფარგლებში არსებული ორმხრივი სატარიფო ბოჭვის არარსებობისას საწარმოს ახალ მფლობელსა და დამქირავებულს შორის შეთანხმებულია ახალი სატარიფო შეთანხმების მოქმედება.

(2) თავდაპირველი დამქირავებელი საწარმოს ახალ მფლობელთან ერთად პასუხს აგებს როგორც სოლიდარული მოვალე პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებებისათვის იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელები წარმოიშვა საწარმოს გადაცემამდე და რომელთა შესრულების ვადაც დადგა ამ მომენტიდან ერთი წლის ვადის გასვლამდე. ²თუ ასეთი ვალდებულებების შესრულების ვადა დადგა საწარმოს გადაცემის შემდეგ, მაშინ თავდაპირველი დამქირავებელი მაინც პასუხს აგებს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც შეესაბამება ვალდებულებების შეფასების პერიოდის იმ ნაწილს, რომელიც გავიდა საწარმოს გადაცემის მომენტი-სათვის.

(3) მე-2 ნაწილი არ მოქმედებს, თუ რეორგანიზაციის შედეგად იურიდიული პირი ან სავაჭრო ამხანაგობა უქმდება.

(4) თავდაპირველი დამქირავებლის ან საწარმოს ახალი მფლობელის მიერ საწარმოს ან საწარმოს ნაწილის გადაცემის გამო დამქირავებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა სამართლებრივი ძალის არმქონეა. ²სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა უცვლელი რჩება.

(5) თავდაპირველმა დამქირავებელმა ან საწარმოს ახალმა მფლობელმა საწარმოს გადაცემამდე ტექსტური ფორმით უნდა შეატყობინონ იმ დამქირავებულს, რომლებსაც ეხება საწარმოს გადაცემა:

1. საწარმოს გადაცემის თარიღის ან დაგეგმილი თარიღის შესახებ;
2. საწარმოს გადაცემის მიზეზების შესახებ;
3. დამქირავებულებისათვის საწარმოს გადაცემის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შედეგების შესახებ; და
4. დამქირავებულთან დაკავშირებით გეგმაში არსებული ღონისძიებების შესახებ.

(6) დამქირავებულს შეუძლია, წერილობით გააპროტესტოს შრომითი ურთიერთობის გადასვლა ერთი თვის განმავლობაში მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეტყობინების მიღების მომენტიდან. ²პროტესტი შეიძლება განცხადებულ იქნეს თავდაპირველი დამქირავებლის ან საწარმოს ახალი მფლობელის მიმართ.

§ 614. საზღაურის გადახდის ვადა

¹საზღაური გადახდილ უნდა იქნეს მომსახურების განწევის შემდეგ. ²თუ საზღაური იანგარიშება დროის მონაკვეთებით, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს ცალკეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ.

§ 615. საზღაურის გადახდა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისა და საწარმოო რისკის შემთხვევებში

¹თუ მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი გადააცილებს მომსახურების მიღების ვადას, მაშინ ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს შეთანხმებული საზღაური ვადის გადაცილების შედეგად გაუნეველი მომსახურებისათვის ისე, რომ იგი არ არის ვალდებული დამატებით შესრულებაზე. ²თუმცა, მან უნდა დაუშვას იმ ღირებულების გაქვითვა, რასაც იგი მომსახურების გაუნეველობის შედეგად

ზოგავს, ან მისი მომსახურების სხვაგვარი გამოყენების შედეგად იძენს, ან ბოროტი განზრახვით არ იძენს. ³პირველი და მე-2 წინადადებები შესაბამისად მოქმედებს იმ შემთხვევებში, რომლებშიც დამქირავებელს ეკისრება სამსახურებრივი მოცდენის რისკი.

§ 616. დროებითი შეფერხება

¹მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი არ კარგავს საზღაურის მიღებაზე მოთხოვნის უფლებას იმის გამო, რომ იგი შედარებით უმნიშვნელო ვადით პირადული ხასიათის მიზეზით, მაგრამ ბრალის გარეშე, მოკლებულია მომსახურების განწვევის შესაძლებლობას. ²თუმცა, მან უნდა დაუშვას იმ თანხის გაქვითვა, რომელსაც იგი შეფერხების დროისათვის იღებს ავადმყოფობისა თუ უბედური შემთხვევის კანონისმიერი სავალდებულო დაზღვევისაგან.

§ 617. დისპანსერული მკურნალობის ვალდებულება

(1) ¹თუ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის განხორციელება სრულად ან ძირითადად იკავებს საოჯახო მეურნეობაში მიღებული ვალდებულებების სამუშაო დროს, მაშინ ავადმყოფობის შემთხვევაში მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა იგი უნდა უზრუნველყოს აუცილებელი კვებითა და სამედიცინო დახმარებით ექვს კვირამდე ვადით, თუმცა, არა უმეტეს სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტამდე პერიოდისა, თუკი ავადმყოფობა არ იყოს გამონწვეული ვალდებულებების მხრიდან განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად. ²კვება და სამედიცინო დახმარება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სამედიცინო დაწესებულებაში ვალდებულებების პირის განთავსებით. ³ხარჯები შეიძლება გაიქვითოს ავადმყოფობის დროს გადასახდელი საზღაურის ანგარიშში. ⁴თუ სასამსახურო ურთიერთობა ავადმყოფობის გამო წყდება მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან, § 626 თანახმად, მაშინ ამით გამონწვეული სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტა მხედველობაში არ მიიღება.

(2) მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ კვება და სამედიცინო დახმარება უზრუნველყოფილ იქნა დაზღვევით ან საჯარო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიერ.

§ 618. უსაფრთხოების ღონისძიებათა უზრუნველყოფის ვალდებულება

(1) მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა ისე უნდა აღჭურვოს და იქონიოს სათავსოები, მოწყობილობები ან დანადგარები, რომლებიც მან უნდა შეიძინოს მომსახურების გასაწევად, და ისე უნდა მართოს მომსახურების განწვევის პროცესი, რომელიც ხორციელდება მისი ხელმძღვანელობით ან ზედამხედველობით, რათა ვალდებულებების პირი დაცული იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის არსებული საფრთხისაგან, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა მომსახურების ბუნება.

(2) თუ ვალდებულებების პირი მიღებულ იქნა საოჯახო მეურნეობაში, მაშინ მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყოს მოწყობილობების განთავსება და საცხოვრებელ და საძინებელ სათავსოსთან, კვებასთან, ასევე სამუშაო და დასვენების დროსთან დაკავშირებით ისეთი განკარგულებების გაცემა, რომლებიც მოითხოვება ვალდებულებების პირის ჯანმრთელობის, ზნეობისა და სარწმუნოების გათვალისწინებით.

(3) თუ მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი არ ასრულებს ვალდებულებების პირის ჯანმრთელობასთან, ზნეობასა და სარწმუნოებასთან დაკავშირებით თავის ვალდებულებებს, მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე მისი ვალდებულებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება დელიქტების შესახებ §§ 842-846-ის ნორმები.

§ 619. დაქირავებულთა ინტერესების დაცვის ვალდებულების უპირობო ხასიათი

§§ 617-ის, 618-ის თანახმად, მომსახურების მიღებისათვის უფლებამოსილ პირზე დაკისრებული ვალდებულებები არ შეიძლება წინასწარ ხელშეკრულებით გაუქმდეს ან შეიზღუდოს.

§619ა. მტკიცების ტვირთი დაქირავებულის პასუხისმგებლობის შემთხვევაში

მიუხედავად § 280-ის პირველი ნაწილისა, დაქირავებულმა დამქირავებელს უნდა აუნაზღაუროს შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ვალდებულება ბრალეულად დაარღვია.

§ 620. სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტა

(1) სასამსახურო ურთიერთობა წყდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც იგი დაიდო.

(2) თუ სასამსახურო ურთიერთობის ვადა არ არის განსაზღვრული და იგი ვერც მომსახურების თვისების ან მიზნის მიხედვით ვერ დგინდება, მაშინ სასამსახურო ურთიერთობის თითოეულ მხარეს შეუძლია ურთიერთობის შეწყვეტა, §§ 621-623-ის მიხედვით.

(3) იმ შრომითი ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც დადებულია განსაზღვრული ვადით, მოქმედებს კანონი „არასრული დასაქმებისა და ვადების დადგენის შესახებ“ (Teilzeit- und Befristungsgesetz).

§ 621. შეწყვეტის ვადები სასამსახურო ურთიერთობებში

სასამსახურო ურთიერთობათა შემთხვევაში, რომელიც არ არის შრომითი ურთიერთობა § 622-ის გაგებით, შეწყვეტა დასაშვებია:

1. ნებისმიერ დღეს მომდევნო დღის გასვლამდე, თუ საზღაური იანგარიშება დღეებით;
2. არა უგვიანეს კვირის პირველი სამუშაო დღიდან მომდევნო შაბათის გასვლამდე პერიოდისა, თუ საზღაური იანგარიშება კვირებით;
3. არა უგვიანეს თვის მეთხუთმეტე დღიდან კალენდარული თვის ბოლომდე პერიოდისა, თუ საზღაური იანგარიშება თვეებით;
4. შეწყვეტის ექვსკვირიანი ვადის დაცვით კალენდარული კვარტლის ბოლომდე, თუ საზღაური იანგარიშება კვარტლებით ან დროის უფრო მეტი პერიოდებით;
5. ნებისმიერ დროს, თუ საზღაური არ იანგარიშება დროის მონაკვეთებით; თუმცა, იმ სასამსახურო ურთიერთობის შემთხვევაში, რომელიც სრულად ან ძირითადად იკავებს ვალდებული პირის სამუშაო დროს, დაცულ უნდა იქნეს შეწყვეტის ორკვირიანი ვადა.

§ 622. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ვადები

(1) დასაქმებულის ან მოსამსახურის (დაქირავებულის) შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის ოთხკვირიანი ვადის დაცვით კალენდარული თვის მეთხუთმეტე დღეს ან თვის ბოლოს.

(2) დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის შეწყვეტის ვადა, როდესაც შრომითი ურთიერთობა წარმოებასა თუ სანარმოში:

1. არსებობდა ორი წელი, შეადგენს ერთ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;
2. არსებობდა ხუთი წელი, შეადგენს ორ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;
3. არსებობდა რვა წელი, შეადგენს სამ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;
4. არსებობდა ათი წელი, შეადგენს ოთხ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;
5. არსებობდა თორმეტი წელი, შეადგენს ხუთ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;

6. არსებობდა 15 წელი, შეადგენს ექვს თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;

7. არსებობდა 20 წელი, შეადგენს შვიდ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე.

შრომითი სტაჟის გამოანგარიშებისათვის მხედველობაში არ მიიღება პერიოდი 25-ე წლის ასაკის მიღწევამდე.

(3) შეთანხმებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, რომელმაც შეიძლება შეადგინოს მაქსიმუმ ექვსი თვე, შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს ორკვირიანი ვადის დაცვით.

(4) ¹პირველი-მე-3 ნაწილებისაგან განსხვავებული პირობები შეიძლება დადგინდეს სატარიფო შეთანხმებით. ²ასეთი სატარიფო შეთანხმებების გამოყენების სფეროში მოქმედებს განსხვავებული სატარიფო შეთანხმებით დადგენილი დებულებები დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის, რომელთათვისაც ტარიფები სავალდებულო არ არის, თუ სატარიფო შეთანხმებების გამოყენება შეთანხმებულია მათ შორის.

(5) ცალკეულ ხელშეკრულებაში შეიძლება შეთანხმებულ იქნეს პირველ ნაწილში მითითებულზე უფრო მცირე ვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. დასაქმებული აყვანილია დროებით დახმარების განწვევის მიზნით; ეს წესი არ მოქმედებს, თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება სამ თვეზე მეტი ვადით;
2. ¹დამსაქმებელი, როგორც წესი, სამუშაოდ არ იყვანს 20-ზე მეტ ადამიანს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც გადიან პროფესიულ სტაჟირებას და შეწყვეტის ვადა არ აღემატება ოთხ კვირას. ²დასაქმებული პირების რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებიან შეთავსებით მომუშავე დასაქმებულები, რომელთა ჩვეულებრივი სამუშაო დრო კვირაში არ აღემატება 20 საათს 0,5 კოეფიციენტით და 30 საათს 0,75 კოეფიციენტით. ³ცალკეულ ხელშეკრულებებში შეთანხმებული შეწყვეტის ვადები, რომლებიც აღემატება პირველ-მე-3 ნაწილებში მითითებულ ვადებს, მხედველობაში არ მიიღება.

(6) დაქირავებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შესაწყვეტად არ შეიძლება იმაზე მეტი ვადის შეთანხმება, ვიდრე დამქირავებლის მხრიდან შრომითი ურთიერთობის შესაწყვეტად.

§ 623. შეწყვეტის წერილობითი ფორმა

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა შეწყვეტის შესახებ განცხადებით ან გაუქმების შესახებ ხელშეკრულებით თავისი სამართლებრივი ძალისათვის საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას; ელექტრონული ფორმა გამოირიცხულია.

§ 624. შეწყვეტის ვადები ხუთ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში

¹თუ სასამსახურო ურთიერთობა იდება პირის სიცოცხლის ან ხუთ წელზე მეტი ვადით, მაშინ იგი შეიძლება შეწყდეს ვალდებული პირის მიერ ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ. ²შეწყვეტის ვადა შეადგენს ექვს თვეს.

§ 625. უსიტყვო გახანგრძლივება

თუ მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ სასამსახურო ურთიერთობა ვალდებული პირის მიერ გაგრძელდება ისე, რომ ხელშეკრულების მეორე მხარემ იცის ამის შესახებ, მაშინ იგი ითვლება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად, თუ მეორე მხარე ამას დაუყოვნებლივ არ გააპროტესტებს.

§ 626. ხელშეკრულების შეწყვეტა მნიშვნელოვანი საფუძვლით ვადის დაცვის გარეშე

(1) სასამსახურო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის მიერ ვადის დაცვის გარეშე მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე,

თუ სახეზეა ფაქტები, რომელთა საფუძველზეც ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების გათვალისწინებითა და ხელშეკრულების ორივე მხარის ინტერესების ურთიერთშეწონით სასამსახურო ურთიერთობის გაგრძელება შეწყვეტის ვადის გასვლამდე ან სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტის შეთანხმებულ მომენტამდე შემწყვეტ მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს.

(2) ¹შენწყვეტა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ორი კვირის ვადაში. ²ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შეწყვეტაზე უფლებამოსილი პირი შეიტყობს შეწყვეტის განმსაზღვრელი ფაქტების შესახებ. ³შემწყვეტმა მხარემ მოთხოვნისას დაუყოვნებლივ წერილობით უნდა შეატყობინოს ხელშეკრულების მეორე მხარეს შეწყვეტის საფუძვლის შესახებ.

§ 627. ხელშეკრულების შეწყვეტა ვადის დაცვის გარეშე საპასუხისმგებლო თანამდებობის შემთხვევაში

(1) სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტა, რომელიც არ არის შრომითი ურთიერთობა § 622-ის გაგებით, დასაშვებია § 626-ში მითითებული საფუძვლის გარეშეც, თუ მომსახურების განევაზე ვალდებულმა პირმა ისე, რომ არ იმყოფება გრძელვადიან სასამსახურო ურთიერთობაში ფიქსირებული ანაზღაურებით, უნდა გასწიოს კვალიფიციური მომსახურება, რომელსაც, ჩვეულებრივ, აკისრებენ განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე.

(2) ¹ვალდებულ პირს სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ იმგვარად, რომ მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა სხვაგვარად შეძლოს მომსახურების მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაუთვალისწინებელი შეწყვეტისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. ²თუ იგი ამ საფუძვლის გარეშე გაუთვალისწინებლად წყვეტს ურთიერთობას, მაშინ მან მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილ პირს უნდა აუნაზღაუროს ამით გამოწვეული ზარალი.

§ 628. ნაწილობრივი ანაზღაურება და ზიანის ანაზღაურება ვადის დაცვის გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში

(1) ¹თუ მომსახურების განევის დაწყების შემდეგ სასამსახურო ურთიერთობა წყდება §626-ში ან § 627-ში მითითებული საფუძვლით, მაშინ მომსახურების განევაზე ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი თავდაპირველი მომსახურების შესაბამისი საზღაურის ნაწილი. ²თუ იგი წყვეტს ხელშეკრულებას ისე, რომ მას არ ჰქონია შეწყვეტის საბაზი მეორე მხარის ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგო მოქმედებით, ან, თუ იგი თავისი ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგო მოქმედებით მისცემს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის საბაზს, მაშინ მას არა აქვს საზღაურის მიღების მოთხოვნის უფლება იმ ფარგლებში, რომლებშიც თავისი თავდაპირველი მომსახურება ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად აღარ აინტერესებს მეორე მხარეს. ³თუ მომავალი დროისათვის საზღაური წინასწარ არის გადახდილი, მაშინ ვალდებულმა პირმა იგი უნდა აანაზღაუროს, § 346-ის მიხედვით, ან, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა ხორციელდება იმ გარემოების გამო, რომლისთვისაც იგი პასუხს არ აგებს, უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით.

(2) თუ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოწვეულია მეორე მხარის ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგო მოქმედებით, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტით გამოწვეული ზარალი.

§ 629. თავისუფალი დრო ახალი სამსახურის მოსაძებნად

გრძელვადიანი სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა მოთხოვნის საფუძველზე ვალდებულ პირს უნდა მისცეს სათანადო დრო სხვა სასამსახურო ურთიერთობის მოსაძებნად.

§ 630. ცნობის გაცემის ვალდებულება

¹გრძელვადიანი სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარისაგან წერილობითი ცნობა სასამსახურო ურთიერთობისა და მისი ხანგრძლივობის თაობაზე. ²მოთხოვნის საფუძველზე ცნობაში უნდა მიეთითოს განუვლი მომსახურებისა და სამსახურებრივი ყოფა-ქცევის შესახებ. ³ცნობის გაცემა ელექტრონული ფორმით გამოირიცხულია. ⁴თუ ვალდებული პირი დასაქმებულია, გამოიყენება „სამენარმეო განაწესის“ (Gewerbeordnung) §109.

კარი 9. ნარდობა და მსგავსი ხელშეკრულებები**ქვეკარი 1. ნარდობის ხელშეკრულება**

§ 631. ნარდობის ხელშეკრულების ტიპური სახელშეკრულებო ვალდებულებები

(1) ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს ვალდებულებას, დაამზადოს შეპირებული ნაკეთობა, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.

(2) ნარდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც ნივთის დამზადება ან

შეცვლა, ისე სხვა შედეგი, რომელიც მიიღწევა სამუშაოს ან მომსახურების განევის გზით.

1. ნარდობის ხელშეკრულების დამახასიათებელი ნიშნები. ნარდობის ხელშეკრულება ხასიათდება მენარდის ვალდებულებით, დაამზადოს შეპირებული ნაკეთობა (ნორმის პირველი ნაწილი). მაშასადამე, ნარდობის ხელშეკრულების მიზანია განსაზღვრული შედეგი (მაგ.: ფეხსაცმლის შეკეთება, არქიტექტურული ხელშეკრულება, ტრანსპორტირების ხელშეკრულება), მაშინ, როდესაც **მომსახურების ხელშეკრულება** (§ 611) საქმიანობასთანაა დაკავშირებული (მაგ., მკურნალობის ხელშეკრულება, ვინაიდან ექიმი ჰპირდება მხოლოდ რეგულარულ, შესაბამის მკურნალობას, მაგრამ არა მკურნალობის შედეგს). სადავო შემთხვევებში, გამიჯვნის მიზნით, მნიშვნელოვანია ხელშეკრულებაში გამოხატული მხარეთა ნება. მაგალითად: შესაძლოა, კვლევისა და გამოგონების სამუშაოები იყოს როგორც მომსახურების ხელშეკრულების, ასევე, ნარდობის ხელშეკრულების საგანი; მომსახურების ხელშეკრულება იქნება მოცემული მაშინ, როდესაც, ხელშეკრულების მიხედვით, შეთანხმებულია მომსახურების განევა, მაშასადამე, მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკის წესების შესაბამისი მოქმედების განხორციელება შედეგის მიღებისგან დამოუკიდებლად. ხოლო ნარდობის ხელშეკრულება გვექნება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მიზანია შედეგის მიღება, მაშასადამე, კონკრეტული მუშაობის შედეგის მიღწევა ან მოხსენებების მომზადება (BGHZ 151, 330; მომსახურების განევის სახელშეკრულებო სამართლის *de lege ferenda Wendehorst, AcP 2006, 205, 279*). იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების საგანია დასამზადებელი მოძრავი ნივთის მიწოდება, § 651-ის თანახმად, მოქმედებს **ნასყიდობის ხელშეკრულების სამართალი**. თუ ურთიერთობაში მომხმარებელი მონაწილეობს, მაშინ გამოიყენება მომხმარებელთან დადებული ნასყიდობის შესახებ სპეციალური რეგულირებები (ცალკეული შემთხვევებისთვის იხ. § 651-ის პირველი და მომდევნო ველები). გამომდინარე აქედან, ნარდობის სამართლის გამოყენების სფერო საგრძნობლად იზღუდება (იხ. § 651 ველი 4). 631-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ დასამზადებელი ნაკეთობა შესაძლოა იყოს როგორც სხეულებრივი ნივთი, ასევე, ინტელექტუალური, სამეცნიერო ან ხელოვნების შრომის ნაყოფი.

2. მენარდის ვალდებულებები. ა) ნორმის პირველი ნაწილი მენარდის ძირითად ვალდებულებად ასახელებს შეკვეთილი ნაკეთობის დამზადებას. § 633-ის პირველი ნაწილის თანახმად, ამას ემატება მენარდის ვალდებულება, შემკვეთს მიაწოდოს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისგან თავისუფალი ნაკეთობა. ისევე, როგორც ნასყიდობისა (იხ. § 433-ის მე-5 ველი) და ქირავნობის შემთხვევებში, მენარდე თავისი ძირითადი ვალდებულებისგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, როდესაც ის უნაკლო ნივთს მიიწვდის შემკვეთს; ნაკლის შემთხვევაში შემკვეთს ენიჭება § 634-იდან გამომდინარე უფლებები. მენარდეს, რიგითობის მიხედვით, პირველს ეკისრება ვალდებულების შესრულება (§ 641-ის პირველი ნაწილი). **ბ) ნარდობის ხელშეკრულების დამატებითი ვალდებულებები, § 241-ის მე-2 ნაწილის თანახმად,** გამომდინარეობს ხელშეკრულების მიზნისა და შინაარსიდან, მაგალითად: ვალდებულებები შემკვეთისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე, საფრთხეების შესახებ გაფრთხილება, ასევე, მენარდის მიერ შემკვეთის საკუთრების მიმართ გულისხმიერი მოპყრობის ვალდებულება (მაგ., შესაკეთებელ სანარმოში მიყვანილი ავტომობილის უსაფრთხოების მიზნით სათანადო ჩაქცევა).

3. შემკვეთის ვალდებულებები. ა) ძირითადი ვალდებულებები. შემკვეთის ძირითადი ვალდებულებაა საზღაურის გადახდა და ხელშეკრულების შესაბამისი ნაკეთობის მიღება (§ 640). საზღაურის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების დადებით, თუმცა, იგი შესრულების მიღების შემდგომ ხდება ვადამოსული (§ 641-ის პირველი ნაწილი). იმ შემთხვევაში, თუ არ არის საზღაური შეთანხმებული, მოქმედებს § 632. ხარჯების წინასწარ შეთავაზება ნაკეთობის შესაძლო ფასის შესახებ არ არის თავისი მნიშვნელობით (მყარი) საზღაურის შეთანხმების ტოლფასი (აქ მოქმედებს § 650); თუმცა, შეთავაზებული ხარჯები შესაძლოა გახდეს ხელშეკრულების შინაარსი და საზღაურის ოდენობა. **ბ) დამატებითი ვალდებულებები** შემკვეთისთვისაც გამომდინარეობს § 241-ის მე-2 ნაწილიდან. ისინი განსაკუთრებით ავალდებულებენ შემკვეთს ნაკეთობის დამზადებისთვის საჭირო თანაკეთებლებს დროულად განეგას (მაგ.: კოსტიუმის მოზომვა, პორტრეტის დახატვისას შესაფერისი ჯდომა და ა.შ.); შემკვეთის მიერ ამ ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისას მენარდეს შეუძლია, შესაბამისი ანაზღაურება მოითხოვოს და ვადის დადგენით შეწყვიტოს ხელშეკრულება (§§ 642, 643). გარდა ამისა, შემკვეთმა ხელი უნდა შეუწყოს ნაკეთობის დამზადებას და წარმოშობილი საფრთხეები, რამდენადაც შესაძლებელია და მისთვის მისაღები, ააცილოს მენარდეს.

§ 632. საზღაური

(1) საზღაური უსიტყვოდაც ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით სამუშაო შესრულება მხოლოდ საზღაურის სანაცვლოდაა მოსალოდნელი.

(2) თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო საზღაური, ხოლო ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი საზღაური.

(3) დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხარჯთაღრიცხვისათვის საზღაური არ გადაიხდება.

§ 632ა. საავანსო გადახდები

(1) მენარდეს შეუძლია, შემკვეთისაგან მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განხორციელებული სამუშაოს საავანსო გადახდა იმ ოდენობით, რითაც შემკვეთმა შესრულების შედეგად მიიღო ნამეტი ღირებულება. უმნიშვნელო ნაკლის გამო საავანსო გადახდაზე უარის თქმა დაუშვებელია. შესაბამისად, მოქმედებს § 641-ის მე-3 ნაწილი. სამუშაოები უნდა დადასტურდეს ხართჯაღრიცხვის მეშვეობით, რომელიც იძლევა სამუშაოთა სწრაფი და საიმედო შეფასების

საშუალებას. ⁵პირველი-მე-4 წინადადებები მოქმედებს, აგრეთვე, საჭირო მასალე-ბისა თუ სამშენებლო დეტალების მიმართ, რომლებიც სპეციალურად დამზადდა ან მიწოდებულ იქნა, თუ შემკვეთს გადაეცემა საკუთრების უფლება სამუშაოს ნა-წილებზე, მასალებსა თუ სამშენებლო დეტალებზე, ან ამისათვის მიეცემა უზრუნ-ველყოფა.

(2) თუ ხელშეკრულების საგანი სახლის ან ანალოგიური შენობა-ნაგებობის აშე-ნება ან რეკონსტრუქციაა და, ამავე დროს, იგი შეიცავს მენარმის ვალდებულებას, გადასცეს შემკვეთს საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე, ან დაადგინოს, ან გა-დასცეს აღნაგობა, საავანსო გადახდები შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეთანხმებულია „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანო-ნის“ 244-ე მუხლის საფუძველზე მიღებული განკარგულების თანახმად.

(3) ¹თუ შემკვეთი მომხმარებელია და ხელშეკრულების საგანი სახლის ან ანა-ლოგიური შენობა-ნაგებობის აშენება ან რეკონსტრუქცია, პირველი საავანსო გა-დახდისას შემკვეთს უნდა წარედგინოს უზრუნველყოფა არსებითი ხარვეზების გარეშე სამუშაოთა დროულ ჩატარებაზე საზღაურის მოთხოვნის უფლების 5%-ის ოდენობით. ²თუ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების ან დამატებების შე-დეგად საზღაურის მოთხოვნის უფლება იზრდება 10%-ზე მეტი ოდენობით, მაშინ შემკვეთს მომდევნო საავანსო გადახდისას უნდა წარედგინოს დამატებითი უზ-რუნველყოფა დამატებული საზღაურის მოთხოვნის უფლების 5%-ის ოდენობით. ³მენარმის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფის წარდგენა შეიძლება მოხდეს თანხების დაკავების გზით იმგვარად, რომ შემკვეთი საავანსო გადახდებს აკავებს ნაკისრი უზრუნველყოფის საერთო თანხამდე.

(4) წინამდებარე ნორმის თანახმად, უზრუნველყოფები შეიძლება ასევე წარდ-გენილ იქნეს გარანტიის ან წინამდებარე კანონის სამოქმედო სამენარმეო საქმი-ანობის სფეროში დაკავებული საკრედიტო ინსტიტუტის ან საკრედიტო მზღვევე-ლის მიერ სხვაგვარი გადახდის შეპირების სახით.

§ 633. ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლი

(1) მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა.

(2) ¹ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს შეთანხმებული თვისებები. ²თუ თვისებები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა:

1. თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან
2. ჩვეულებრივი გამოყენებისათვის და აქვს ისეთი თვისებრიობა, როგორც, ჩვე-ულებრივ, დამახასიათებელია მსგავსი ნაკეთობებისათვის და რომელსაც ნაკე-თობის სახეობის მიხედვით შეიძლება მოელოდეს შემკვეთი.

ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდემ ამზადებს შეკვეთილისაგან გან-სხვავებულ ან მცირე რაოდენობის ნაკეთობას.

(3) ნაკეთობა უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია წარადგი-ნოს რაიმე უფლებები შემკვეთის მიმართ, ან შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ხელ-შეკრულებით მინიჭებული უფლებები.

1. ნაკეთობის ნაკლის გამო პასუხისმგებლობა რეგულირებულია § 633-სა და მის მომდევნო ნორმებში, ნასყიდობის სამართლის ნორმების პარალელურად. იგი ეფუძნება ნასყიდობის სამართალში მოქმედ პრინციპებს და გამოყენებადი ნორ-მები ძირითადად შინაარსობრივადაც შეესაბამება ერთმანეთს. ცალკეულ შემთხ-ვევებში, განვრცობის მიზნით, ნასყიდობის ნორმებზეც ხდება მითითება.

2. ნორმის პირველი ნაწილი მენარდის ვალდებულების შინაარსად განსაზღვ-რავს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობის მიწოდებას. მისი შესაბა-მისი ნასყიდობის სამართალში არის § 433-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება.

აქაც, ისევე როგორც ნასყიდობის სამართალში, უნაკლო ნაკეთობის მიწოდების ვალდებულების ჩართვა ძირითად ვალდებულებაში ზედაპირულს ხდის ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნების სპეციალურ რეგულირებებს და გზას უხსნის მოთხოვნებს ვალდებულების დარღვევის ზოგად სამართალში (იხ. § 634). ისევე, როგორც ნასყიდობის სამართალში, წარდობაშიც ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლი გათანაბრებულია ერთმანეთთან.

- 3 **3. ნორმის მე-2 ნაწილში ნივთობრივი ნაკლის ცნება** ისევეა დარეგულირებული, როგორც § 434-ის პირველ ნაწილში. მაშასადამე, პირველ რიგში, გადამწყვეტია შეთანხმებული ნაკეთობის თვისებრიობის სუბიექტური კრიტერიუმები (ნორმის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება) ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებადობა (ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების № 1) და, ბოლოს, ნორმის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების № 2-ის თანახმად, განიხილება ობიექტური კრიტერიუმი – ნაკეთობის ჩვეული გამოყენებისთვის ვარგისიანობა (იხ. ცალკეულ შემთხვევებში § 434-ის მე-3 და მომდევნო ველები). დროის მნიშვნელოვანი მომენტი ნაკეთობის მდგომარეობის შესაფასებლად (ნაკლიანია თუ არა) არის შემკვეთის მიერ მისი მიღების მომენტი (§ 640).
- 4 გარდა ზემოაღნიშნულისა, ხელშეკრულებით ნაკისრი შედეგი განისაზღვრება არა მხოლოდ მის მისაღწევად შეთანხმებული ვალდებულების განხორციელებაში ან განხორციელების ფორმაში, არამედ იმითაც, მხარეთა ნებით ნაკეთობას რა ფუნქცია უნდა ჰქონდეს, ანუ რა ფუნქციის შესრულება უნდა შეძლოს ნაკეთობამ. ამიტომ, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ნაკლი მაშინაც შეიძლება ჩაითვალოს არსებულად, როდესაც მენარდე ვალდებულებას შეთანხმებისამებრ ასრულებს, თუმცა, დამზადებულ ნაკეთობას **ფუნქციური ვარგისიანობა** აკლია (BGH NJW 2008, 511 Nr 15 და მომდევნო გვერდები). ამის მაგალითია სახლში დამონტაჟებული გათბობის სისტემა, რომელიც სახლს ვერ ათბობს, რადგან სისტემა საკმარისი ენერგიით ვერ მარაგდება, ან სახლის იზოლირება საშუალო სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს, რადგან სახლი განსაკუთრებით ნესტიან ნიადაგზეა აგებული. მენარდის მიერ ასეთი ნაკლის გამოსწორება, როგორც წესი, დამატებით ხარჯებს გამოიწვევს თავდაპირველ დაანგარიშებასთან შედარებით, ვინაიდან მან უნდა აირჩიოს უფრო ხარჯიანი შესრულების ფორმა (საშუალოზე მაღალი იზოლირება საშუალოს ნაცვლად). ეს დამატებითი ხარჯი მენარდეს შეუძლია, შემკვეთისგან (კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, ნაკლის გამოსწორების თანადროულად) მოითხოვოს როგორც ე.წ. „გათვალისწინებელი ხარჯი“ (BGH NJW 1998, 3707). თუმცა, ანაზღაურებადია მხოლოდ ისეთი დამატებითი ხარჯები, რომლებიც მაინც წარმოიშობოდა, მენარდეს ვალდებულება იმთავითვე ჯეროვნად რომ შეესრულებინა.
- 5 **4. ნორმის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად, სხვა ნაკეთობის ან ნაკლები ოდენობის მიწოდება** (ნასყიდობის სამართლის ნორმის § 434-ის მე-3 ნაწილის მსგავსად) გათანაბრებულია ნივთობრივ ნაკლთან (მდრ. § 434-ის მე-11 ველი). წარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში ამ რეგულირების პრაქტიკული მნიშვნელობა ნაკლებია, ვინაიდან, § 651-ის პირველი წინადადების თანახმად, ისეთი ხელშეკრულების მიმართ, რომელიც მოძრავი ნივთის დამზადებასა და მიწოდებას ითვალისწინებს, მოქმედებს ნასყიდობის სამართალი და, შესაბამისად, § 434-ის მე-3 ნაწილი.
- 6 **5. ნორმის მე-3 ნაწილი უფლებრივ ნაკლს** განმარტავს § 435-თან შეთანხმებით (იხ. § 435-ის პირველი და მომდევნო ველები). წარდობის ხელშეკრულებებისთვის მისი მნიშვნელობა უფრო მცირეა, ვიდრე ნასყიდობისა და იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც, § 651-ის თანახმად, ექვემდებარებიან ნასყიდობის სამართლის მოქმედებას. მესამე პირის უფლებებში, ძირითადად, მოიაზრება საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების სამართლიდან გამომდინარე უფლებები. მაგალი-

თად, უფლებრივი ნაკლი არის მოცემული მაშინ, როდესაც მესამე პირს, რომლის საავტორო უფლებაც ნაკეთობის დამზადებით დაირღვა, ნაკეთობის გამოყენების აკრძალვა შეუძლია.

§ 634. შემკვეთის უფლებები ნაკლის არსებობისას

თუ ნაკეთობა ნაკლის მქონეა და სახეზეა ქვემოთ მოყვანილი ნორმების წინაპირობები, და თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, შემკვეთს შეუძლია:

1. მოითხოვოს დამატებითი შესრულება, § 635-ის მიხედვით;
2. § 637-ის მიხედვით, თავად აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება;
3. §§ 636-ის, 323-ისა და 326-ის მე-5 ნაწილის მიხედვით, გავიდეს ხელშეკრულებიდან, ან შეამციროს საზღაური, § 638-ის შესაბამისად; და
4. მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, §§ 636-ის, 280-ის, 281-ის, 283-ისა და 311-ის მიხედვით, ან უშედეგოდ განეუღოს ხარჯების ანაზღაურება, § 284-ის მიხედვით.

1. ნორმა (ნასყიდობის სამართლის ნორმის § 437-ის მსგავსად) შეიცავს მთავარ რეგულირებას, რომელშიც თავმოყრილია შემკვეთის ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის გამო წარმოშობილი ყველა უფლება, რომელთა განხორციელებაც ხდება რისკზე (საფრთხეზე) პასუხისმგებლობის გადასვლის შემდგომ (იხ. § 640 ველი 4). ნარდობის სამართალში არ არსებობს (ისევე როგორც ნასყიდობის სამართალში) ვალდებულების დარღვევის შესახებ ზოგადი ნორმებისგან განსხვავებული მოთხოვნის საფუძველი, არამედ ნორმის № 3 და № 4 უთითებს ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ზოგად დებულებებზე, რომლებიც შემდგომ განივრცობა § 636-ით. შემკვეთის უფლებები მყიდველის უფლებების იდენტურია (იხ. § 437 ველი 2); თუმცა, ნარდობაში ემატება № 2-ში განსაზღვრული უფლება შემკვეთის მიერ ნაკლის თვითონ გამოსწორების შესახებ, რაც ნასყიდობის სამართალში არ ხდება.

2. ცალკეულ შემთხვევებში შემკვეთს აქვს შემდეგი უფლებები: ა) მას შეუძლია, № 1-ის თანახმად, მოითხოვოს დამატებითი შესრულება. ეს მოთხოვნა, ისევე, როგორც ნასყიდობაში, უპირატესია სხვა მოთხოვნებთან შედარებით, ვინაიდან მისი განხორციელება შესაძლებელია დაუყოვნებლივ, მაშინ, როდესაც სხვა უფლებები, როგორც წესი, დამატებითი შესრულებისთვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლას აწესებენ წინაპირობად. დამატებითი შესრულება დარეგულირებულია § 635-ში (იხ. § 635-ის კომენტარი); ბ) № 2-ის თანახმად, შემკვეთს შეუძლია, თვითონ აღმოფხვრას ნაკლი. ეს უფლება მას ენიჭება § 637-ის თანახმად მაშინ, როდესაც დამატებითი შესრულებისთვის დადგენილი ვადა უშედეგოდ ჩაივლის. დანერვილებით ეს უფლება დარეგულირებულია § 637-ში; გ) № 3-ის თანახმად, შემკვეთს შეუძლია, ასევე, ხელშეკრულებიდან გავიდეს, ან საზღაური შეამციროს, § 638-ის მიხედვით. ორივე უფლების განხორციელება, როგორც წესი, დამოკიდებულია დამატებითი შესრულებისთვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლაზე (§ 323-ის პირველი ნაწილი), რომელიც (ვადის დადგენა) ზედმეტია §§ 323-ის მე-2 ნაწილით, 326-ის მე-5 ნაწილით, 636-ით განსაზღვრულ შემთხვევებში (არასავალდებულოა). ეს შეესაბამება ნასყიდობის სამართლის § 437-ის № 2-ით განსაზღვრულ სამართლებრივ მდგომარეობას (იხ. დამატებით § 437 ველი 4); დ) შემკვეთს შეუძლია, № 4-ში დასახელებული ნორმების შესაბამისად, მოითხოვოს სხვადასხვა სახის ზიანის ანაზღაურება ან დანახარჯების ანაზღაურება, § 284-ის მიხედვით. ეს მოთხოვნები, რომლებიც ზოგადი მიდგომით, § 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მენარდის ბრალეულობას აწესებს წინაპირობად, შეესაბამება იმ მოთხოვნების წინაპირობებს, რომლებიც ნასყიდობის სამართალში § 437-ის № 3-ით აქვს მინიჭებული მყიდველს (დამატებით იხ. § 437-ის მე-6 და მომდევნო ველები). მათი განხორციელება

შესაძლებელია, ასევე, ხელშეკრულებიდან გასვლის ან საზღაურის შემცირების პარალელურად (შდრ. § 325, ეს დასტურდება ასევე ნორმაში № 3-ისა და № 4-ის მაკავშირებელი სიტყვით „და“).

- 3 **3. კონკურენცია.** ნაკლის გამო წარმოშობილი შემკვეთის უფლებებისთვის § 634 არის უპირატესი სპეციალური რეგულირება, რომელიც მოქმედებს რისკზე (საფრთხეზე) პასუხისმგებლობის გადასვლის შემდგომ, მაშასადამე, როგორც წესი, შემკვეთის მიერ ნაკეთობის მიღებიდან (იხ. § 640-ის კომენტარი). ვალდებულების დარღვევის ზოგადი სამართალი ჩართულია ამ სპეციალურ რეგულირებაში (იხევე, როგორც ნასყიდობის სამართალში; იხ. § 437-ის მე-10 ველი). სპეციალური უფლებების ზოგად ნორმებთან კონკურენციის შესახებ საკითხს ისევე უნდა გავეცეს პასუხი ნარდობაში, როგორც ეს ნასყიდობაშია (იხ. § 437-ის მე-11 და მომდევნო ველები). ნარდობის სამართალში § 320-ის ადგილს იკავებს სპეციალური რეგულირება, § 641-ის მე-3 ნაწილის სახით.

§ 634ა. ნაკლთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა

(1) § 634-ის №№ 1-ში, 2-სა და 4-ში მოცემული მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია:

1. № 2-ის რეგულირების გათვალისწინებით, ორი წლის ვადაში იმ ნაკეთობის შემთხვევაში, რომლის შედეგი გამოიხატება ნივთის დამზადებით, მოვლითა თუ შეცვლით, ანდა ამ მიზნით სამუშაოთა შესრულების დაგეგმვითა თუ მათ შესრულებაზე ზედამხედველობით,
2. ხუთი წლის ვადაში იმ შენობა-ნაგებობისა და ნაკეთობის შემთხვევაში, რომლის შედეგი გამოიხატება ამ მიზნით სამუშაოთა შესრულების დაგეგმვითა თუ მათ შესრულებაზე ზედამხედველობით;
3. დანარჩენ შემთხვევებში ხანდაზმულობის საერთო ვადაში.

(2) პირველი ნაწილის №№ 1 და 2 შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება შესრულების მიღების მომენტიდან.

(3) პირველი ნაწილის №№ 1-ის, 2-ისა და მე-2 ნაწილისგან განსხვავებით, მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ხანდაზმულობის საერთო ვადის გასვლისას, თუ მენარდემ ბოროტი განზრახვით დამალა ნაკლი. ²თუმცა, პირველი ნაწილის № 2-ის შემთხვევაში მოთხოვნის უფლებები არ არის ხანდაზმული მასში მითითებული ვადის გასვლამდე.

(4) ¹§ 634-ში მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მიმართ მოქმედებს § 218. ²§ 218-ის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ძალის არარსებობის მიუხედავად, შემკვეთს შეუძლია, უარი თქვას საზღაურის გადახდაზე იმდენად, რამდენადაც იგი ამაზე უფლებამოსილი იქნებოდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების საფუძველზე. ³თუ იგი იყენებს ამ უფლებას, მენარდეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

(5) § 634-ში გათვალისწინებული საზღაურის შემცირების უფლების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება § 218 და მე-4 ნაწილის მე-2 ნინადადება.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ისევე, როგორც ნასყიდობის სამართალში § 438, ნარდობის ხელშეკრულებისთვის § 634ა შეიცავს ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნების ხანდაზმულობისთვის განსაკუთრებულ რეგულირებებს. ორივე ნორმის მოქმედებს პარალელურად (შდრ. § 438 ველი 2). ნარდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, ხანდაზმულობის რეგულირებაში არის ჩართული, განსაკუთრებით, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების აღმჭურველი (რეგულაციური) უფლებები (იხ. §§ 634ა-ს მე-4 და მე-5 ნაწილები, 218-ის პირველი ნაწილი). ნარდობის ხელშეკრულების სახეების მიხედვით, მოცემული გვაქვს ხანდაზმულობის სხვადასხვა ვადა.

2. ხანდაზმულობის ორწლიანი ვადა (ნორმის პირველი ნაწილის № 1). იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებით შეთანხმებული ნაკეთობის შედეგი გამოიხატება მისი დამზადებით, მოვლითა და შეცვლით (რომელიც არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შენობა-ნაგებობა, თუ არადა მოქმედებს № 2) ან ამ მიზნით სამუშაოს დაგეგმვითა თუ მათ შესრულებაზე ზედამხედველობით, შემკვეთის მოთხოვნები ხანდაზმული ხდება ორი წლის ვადაში. მაშინაც კი, როდესაც სამუშაოთა შესრულების დაგეგმვა და განხორციელება სხვადასხვა საწარმოს მიერ ხდება, უნდა არსებობდეს ხანდაზმულობის საერთო ვადა; თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ხანდაზმულობის ვადის დაწყება ერთმანეთს შესაძლოა არ ემთხვეოდეს (იხ. ქვემოთ, მე-5 ველი).

3. ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა (ნორმის პირველი ნაწილის № 2). თუ საქმე ეხება შენობა-ნაგებობას ან ისეთ ნაკეთობას, რომლის შედეგი განსაზღვრულია შენობა-ნაგებობის სამუშაოთა დაგეგმვასა და მათ ზედამხედველობაზე, შემკვეთის მოთხოვნებზე მოქმედებს ხუთწლიანი ხანდაზმულობის ვადა და, შესაბამისად, პარალელურად ხანდაზმული ხდება სამშენებლო კომპანიის ნაკლის მოთხოვნები მისი მიმწოდებლების მიმართ (იხ. § 438-ის მე-3 ველი).

4. ხანდაზმულობის საერთო ვადა (ნორმის პირველი ნაწილის № 3). სხვა დანარჩენი ნაკეთობების მიმართ მოქმედებს §§ 195-ისა და 199-ის ხანდაზმულობის ერთიანი ვადა. № 3 ეხება ე.წ. არასხეულებრივი ნაკეთობების დამზადებას, როგორებიცაა, მაგალითად; კონსულტაცია, საექსპერტო დასკვნა და ა.შ.; ნივთიერი და არასხეულებრივი ნაკეთობების გამიჯვნა, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა რთული აღმოჩნდეს; შედარებისთვის იხ. ფაბულა გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან (BGHZ 115, 32): საიუველირო მალაზიას წარმოევა ზიანი, რადგან ქურდმა მოახერხა და სპეციალური ფირმის მიერ გამოგონილი და დაინსტალირებული განგაშის მონყობილობა გადალახა. ამ შემთხვევაში, თუ მივიჩნევთ, რომ შეთანხმებული ვალდებულება გამოიხატებოდა „საგანგაშო სისტემის“ დამზადებითა და მისი დაგეგმვით, საიუველირო მალაზიის მოთხოვნა შესრულების მიღებიდან ორი წლის ვადაში იქნება ხანდაზმული (ნორმის პირველი ნაწილის № 1). ხოლო თუ ხელშეკრულების საგანი, ძირითადი თვალსაზრისით, იყო დამამზადებლის მიერ განსაკუთრებული ექსპერტიზა, მაშინ, ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, § 195-ის საერთო ხანდაზმულობის ვადა მოქმედებს, რომლის დენაც აითვლება ზიანის დადგომიდან. მსგავსი გამიჯვნის პრობლემები შესაძლოა, წარმოიშვას კომპიუტერის სპეციალური პროგრამების შექმნისას.

5. ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ნორმის პირველი ნაწილის № 1-ითა და № 2-ით გათვალისწინებული შემთხვევებისთვის ხანდაზმულობის ვადა იწყება შესრულების მიღებით (§ 640); არასხეულებრივი ნაკეთობების შემთხვევაში (ნორმის პირველი ნაწილის № 3) – § 199-ის პირველი ნაწილის წინაპირობების გათვალისწინებით. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ, მიუხედავად ნორმის პირველი ნაწილის № 1-სა და № 2-ში დარეგულირებული ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნებისთვის ხანდაზმულობის საერთო ვადებისა, შესაძლოა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და დროის მიხედვით სხვადასხვა პერიოდში ჩასატარებელი დაგეგმვისა და განხორციელების სამუშაოებზე ხანდაზმულობის ვადების დენა სხვადასხვანაირად დაიწყოს, ვინაიდან მათი მიღება შემკვეთის მიერ, როგორც ზემოთ აღინიშნა, დროში არ ემთხვეოდეს ერთმანეთს.

6. იმ შემთხვევაში, თუ მენარდემ ნაკეთობის ნაკლი განზრახ დამალა, მაშინ, ნორმის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ნორმის პირველი ნაწილის № 1-სა და № 2-ისთვის მოქმედებს §§ 195-სა და 199-ში განსაზღვრული ხანდაზმულობის საერთო ვადები (შდრ. § 438-ის მე-3 ველი). გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, საწარმოს

ორგანიზებულობასთან დაკავშირებული უხეში ნაკლი, რომელიც ხელს უშლის ნაკეთობის შესაძლო ნაკლის გამოვლენას მის გაგზავნამდე, უთანაბრდება განზრახ მოტყუებას (BGHZ 117, 318).

§ 635. დამატებითი შესრულება

(1) თუ შემკვეთი ითხოვს დამატებით შესრულებას, მაშინ მენარდეს თავისი არჩევანით შეუძლია, აღმოფხვრას ნაკლი, ან დაამზადოს ახალი ნაკეთობა.

(2) მენარდე, დამატებითი შესრულების მიზნით, ვალდებულია, გასწიოს აუცილებელი ხარჯები, მათ შორის: გადაზიდვის, გადაყვანის, დასაქმებულებზე გასაწევი და მასალების ხარჯები.

(3) მენარდეს შეუძლია, § 275-ის მე-2 და მე-3 ნაწილების გათვალისწინებით, უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, თუ იგი შესაძლებელია მხოლოდ არათანაზომიერი ხარჯით.

(4) თუ მენარდე დაამზადებს ახალ ნაკეთობას, მაშინ მას, §§ 346-348-ის თანახმად, შეუძლია, შემკვეთისაგან მოითხოვოს ნაკლის მქონე ნაკეთობის უკან დაბრუნება.

- 1 **1. დამატებით შესრულებაზე მოთხოვნის განხორციელება** შესაძლებელია ვადის დადგენის გარეშე. შესაბამისად, მას უპირატესობა ენიჭება § 634-ის № 2-4-ში ჩამოთვლილ შემკვეთის სხვა უფლებებთან მიმართებით. § 635-ის შინაარსი მსგავსია ნასყიდობის სამართალში განსაზღვრული დამატებითი შესრულების შესახებ ნორმისა (იხ. § 439-ის პირველი-მე-3 ველები).
- 2 **2. § 635-ის განმასხვავებელი მნიშვნელოვანი ნიშანი** § 439-ისგან ისაა, რომ § 635-ის პირველი ნაწილის თანახმად, მენარდეს აქვს არჩევანის უფლება დამატებითი შესრულების ორ სახეს შორის (ნაკლის გამოსწორება ან ახალი ნაკეთობის დამზადება), მაშინ, როდესაც ეს უფლება ნასყიდობის სამართალში აქვს მყიდველს (იხ. § 439 ველი 4). ასეთი რეგულირების მიზეზია ნარდობის ხელშეკრულების მხარეთა განსახვავებელი ინტერესთა მდგომარეობა: ნასყიდობის სამართალში ხდება უკვე არსებული ვალდებულების საგანთა გაცვლა, ხოლო ნარდობის შემთხვევაში უნდა დამზადდეს ახალი ნაკეთობა. მენარდეს, რომელიც თავად არის დაკავშირებული დამზადების პროცესთან, თავისი საქმის ცოდნიდან გამომდინარე, უკეთესად შეუძლია განსაჯოს, როგორ ჯობია ნაკლის გამოსწორება – ნაკეთობის შეკეთებით თუ ახალი ნაკეთობის დამზადებით, რაც შეიძლება უფრო იაფი დაჯდეს. რაც შეეხება შემკვეთს, მისთვის შესრულების სახე უმნიშვნელოა მანამ, სანამ ის შედეგად მიიღებდეს ვალდებულებით შეთანხმებულ უნაკლო ნაკეთობას (RegBGR BT-Drucks 14/5040, 265). შემკვეთის დამატებითი შესრულების მოთხოვნა დაკავშირებულია დამატებითი შესრულების, როგორც მთლიანის, მოთხოვნასთან და არა მის რომელიმე სახესთან.
- 3 **3. ნორმის მე-3 ნაწილში დადგენილი დამატებითი შესრულების ფარგლები** შეესაბამება ნასყიდობის სამართლის ნორმის § 439-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადებით (იხ. § 439-ის მე-5 ველი) განსაზღვრულ ფარგლებს, ერთი განსხვავებით: ნარდობის შემთხვევაში დამატებითი შესრულების მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი ვრცელდება მთლიანად დამატებითი შესრულების მოთხოვნის და არა მისი რომელიმე სახის მიმართ (მდრ. § 439-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება: „გამყიდველს შეუძლია, უარი თქვას მყიდველის მიერ არჩეულ დამატებითი შესრულების სახეზე“).
- 4 **4. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი შესრულების ფარგლებში ახალი ნაკეთობა დამზადდება, მენარდეს ნაკლიანი ნაკეთობის უკან დაბრუნება შეუძლია, §§ 346-348-ის თანახმად.** ნორმის მე-4 ნაწილის ეს რეგულირება არის § 439-ის რეგულირების იდენტური (იხ. § 439-ის მე-7 ველი).

§ 636. სპეციალური დანაწესები ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურებისთვის

§ 281-ის მე-2 ნაწილსა და § 323-ის მე-3 ნაწილში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ვადის დადგენა აუცილებელი არ არის იმ შემთხვევაშიც, როდესაც მენარდე უარს ამბობს დამატებით შესრულებაზე, § 635-ის მე-3 ნაწილის თანახმად, ან, როდესაც დამატებითი შესრულება წარუმატებელი აღმოჩნდა, ანდა იგი მიუღებელია შემკვეთისათვის.

ნორმა არეგულირებს ხელშეკრულებიდან გასვლამდე (ან ფასის შემცირებამდე) ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამდე ვადის განსაზღვრის ზედმეტობას. ის შინაარსობრივად შეესაბამება ნასყიდობის სამართლის § 440-ის პირველ წინადადებას, რომლის განვრცობილ რეგულირებაზეც შესაძლებელია მითითება. § 440-ისაგან განსხვავებით, ნარდობის შემთხვევაში საუბარია არა დამატებითი შესრულების ცალკეულ სახეებზე, არამედ „დამატებით შესრულებაზე“, ვინაიდან შემკვეთს ნარდობის სამართალში დამატებით შესრულებაზე, როგორც მთლიანზე, აქვს მოთხოვნა (იხ. § 635 ველი 2).

§ 637. ნაკეთობის ნაკლის აღმოფხვრა შემკვეთის მიერ

(1) შემკვეთს შეუძლია, თავად აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს განუვლი აუცილებელი დანახარჯების ანაზღაურება დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული სათანადო ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, თუ მენარდე დამატებით შესრულებაზე კანონიერად არ ამბობს უარს.

(2) ¹§ 323-ის მე-2 ნაწილი გამოიყენება შესაბამისად. ²ვადის დადგენა აუცილებელი არ არის იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამატებითი შესრულება წარუმატებელი აღმოჩნდა, ან იგი მიუღებელია შემკვეთისათვის.

(3) შემკვეთს შეუძლია, მენარდისაგან მოითხოვოს ნაკლის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ხარჯებისათვის საავანსო გადახდა.

1. შემკვეთის უფლება, თვითონ აღმოფხვრას ნაკლი, გულისხმობს, რომ შემკვეთს უფლება აქვს, თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და ამისათვის მოითხოვოს მის მიერ განუვლი აუცილებელი (!) დანახარჯები (ნორმის მე-3 ნაწილში მოხსენიებული ავანსის ჩათვლით). შემკვეთის უფლება ნაკლის თვითონ აღმოფხვრაზე (§ 634 №2) არის ხელშეკრულებიდან გასვლის ან საზღაურის შემცირების ალტერნატიული შესაძლებლობა და მასაც, როგორც ამ ორივე რეგულაციურ უფლებას, იგივე წინაპირობები აქვს.

2. შემკვეთის უფლება ნაკლის თვითონ აღმოფხვრაზე წინაპირობად აწესებს, როგორც წესი, დამატებითი შესრულებისთვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლას. მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, მენარდის მიერ დამატებითი შესრულების განუხორციელებლობა მისი ბრალეული ქმედების შედეგად მოხდა თუ არა, ვინაიდან აქ არაა საჭირო, ვადის გადაცილება იყოს სახეზე (იხ. § 286-ის მე-4 ნაწილი). ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, დამატებითი შესრულებისთვის ვადის დადგენა ზედმეტია, ერთი მხრივ, § 636-ითა და § 323-ის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში და, მეორე მხრივ, მაშინ, როდესაც დამატებითი შესრულება წარუმატებელი გამოდგა, ან მისი განხორციელება მიუღებელია შემკვეთისთვის. შემკვეთისთვის დამატებითი შესრულების მიუღებლობა დაკავშირებულია, სახელდობრ, მენარდე სანარმოს მიერ განსახორციელებელ დამატებით შესრულებასთან და არა დამატებით შესრულებასთან, როგორც ასეთთან, ვინაიდან შემკვეთს სურს დამატებითი შესრულების შედეგი, სახელდობრ, უნაკლო ნივთი და ამ შედეგის მიღწევას აპირებს ნაკლის საკუთარი ძალებით აღმოფხვრით (RegBegr BT-Drucks 14/6040, 266).

3. შემკვეთის მიერ ნაკლის აღმოფხვრა გამოირიცხება მაშინ, როდესაც მენარდეს უფლება აქვს, უარი განაცხადოს დამატებით შესრულებაზე. თუ როდის

შეუძლია მენარდეს კანონის ფარგლებში უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, დადგენილია § 635-ის მე-3 ნაწილით, § 439-ის მე-3 ნაწილის პირველ წინადადებასთან შეთანხმებით (იხ. § 439-ის მე-5 ველი). ამით ხდება იმ გარემოების უზრუნველყოფა, რომ მენარდეს, რომელსაც უფლება აქვს დამატებით შესრულებაზე უარი თქვას შეუსაბამო ხარჯების გამო, არ მოუწიოს ასეთი ხარჯების ანაზღაურება მაშინ, როდესაც შემკვეთი ნაკლს თვითონ აღმოფხვრის.

§ 638. საზღაურის შემცირება

(1) ¹ხელშეკრულებიდან გასვლის ნაცვლად, შემკვეთს შეუძლია, შეამციროს საზღაურის ოდენობა მენარდისადმი წარდგენილი განცხადებით. ²§ 323-ის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადებაში მითითებული გამორიცხვის საფუძველი არ გამოიყენება.

(2) თუ შემკვეთის ან მენარდის მხარეს მონაწილეობს რამდენიმე პირი, მაშინ საზღაურის შემცირება შეიძლება განცხადებულ იქნეს აუცილებლად ყველა პირის მიერ ან ყველა პირის მიმართ.

(3) ¹საზღაური უნდა შემცირდეს იმ პროპორციით, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტიდან უნაკლო ნაკეთობის ღირებულებას ექნებოდა რეალურ ღირებულებასთან შედარებით. ²საზღაურის შემცირების ოდენობა, რამდენადაც ეს აუცილებელია, უნდა დადგინდეს შეფასებით.

(4) ¹თუ შემკვეთმა გადაიხადა შემცირებულ საზღაურზე მეტი თანხა, მაშინ ზედმეტი თანხა უნდა ანაზღაურდეს. ²შესაბამისად, გამოიყენება § 346-ის პირველი ნაწილი და § 347-ის პირველი ნაწილი.

- 1 ნარდობის სამართალში საზღაურის შემცირების შესახებ § 638-ის რეგულირება სიტყვასიტყვით შეესაბამება ნასყიდობის სამართალში ფასის შემცირების შესახებ § 441-ის რეგულირებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია § 441-ის კომენტარზე მითითება.

§ 639. პასუხისმგებლობის გამორიცხვა

მენარდეს არ შეუძლია მიუთითოს შეთანხმებაზე, რომლითაც ნაკლის გამო შემკვეთის უფლებები გამორიცხული ან შეზღუდულია, თუ მან ბოროტი განზრახვით დამალა ნაკლი, ან იკისრა ნაკეთობის თვისებრიობის გარანტია.

- 1 შეთანხმებულ პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე მითითება მენარდეს იმავე წინაპირობების გათვალისწინებით ეკრძალება, როგორც ეს გამყიდველის მიმართ მოქმედებს, § 444-ის მიხედვით (იხ. § 444-ის კომენტარი).

§ 640. სამუშაოს მიღება

(1) ¹შემკვეთი ვალდებულია, მიიღოს ხელშეკრულების თანახმად დამზადებული ნაკეთობა, თუ ნაკეთობის თვისებრიობის მიხედვით მიღება გამორიცხული არ არის. ²უმნიშვნელო ნაკლის გამო მიღებაზე უარის თქმა დაუშვებელია. ³მიღებას უთანაბრდება შემთხვევა, როდესაც შემკვეთი ნაკეთობას არ იღებს მენარდის მიერ მისთვის განსაზღვრულ სათანადო ვადაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვალდებულია მიღებაზე.

(2) თუ შემკვეთი იღებს ნაკლის მქონე ნაკეთობას, პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ისე, რომ იცის ნაკლის არსებობის შესახებ, მაშინ მას აქვს § 634-ის №№ 1-3-ში გათვალისწინებული უფლებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიღებისას გააკეთებს დათქმას ნაკლის გამო არსებული უფლების შენარჩუნების შესახებ.

- 1 1. შესრულების მიღება, მისი განსაკუთრებული შედეგების მომტანი ეფექტის გამო, არის ნარდობის სამართლის ძირითადი ცნება. იგი, მისი შედეგების გათვალისწინებით, განიმარტება როგორც ნაკეთობის სხეულებრივი მიღება მფლობე-

ლობის გადაცემის გზით და შემკვეთის მიერ იმის განცხადებით, რომ ის იღებს ხელშეკრულების შესაბამის ნაკეთობას. იმ შემთხვევაში, თუ ნაკეთობის სხეულბრივი მიღება ფაქტობრივი გარემოებების გამო გამოორიცხულია (მაგ., შემკვეთის მიწის ნაკვეთზე მუშაობა), შესრულების მიღებისთვის საკმარისია შემკვეთის მიერ ნაკეთობის მოწოდების გამოხატვა. ეს შესაძლოა, კონკლუდენტურადაც მოხდეს, მაგალითად, ნაკეთობის მოხმარების დაწყებით; თუმცა, ასეთი სახით მიღება ცხადი უნდა იყოს მენარდისთვის. იმ შემთხვევებში, როდესაც მოწოდება გამოორიცხება ნაკეთობის თვისებრიობის გამო (მაგ., თეატრის სპექტაკლი), საკმარისია ამ ნაკეთობის დასრულება (§ 646).

2. ნაკეთობის მიღება არის შემკვეთის ძირითადი ვალდებულება. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მისი წინაპირობაა ხელშეკრულების შესაბამისად დამზადებული (მაშასადამე, უნაკლო) ნაკეთობის მიწოდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემკვეთს უფლება აქვს უარი თქვას მიღებაზე. თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც ნაკლი უმნიშვნელოა (ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). თუ რამდენად არის ნაკლი უმნიშვნელო და რამდენად შეიძლება შემკვეთს მოეთხოვოს ნაკეთობის მიღება და ამით თავისი ნაკლის მოთხოვნების შეზღუდვა, უნდა შეფასდეს ხელშეკრულების ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. თუ ნაკეთობა მოხმარებისთვის უვარგისია, როგორც წესი, სახეზეა მნიშვნელოვანი ნაკლი.

3. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით განსაზღვრულ ე.წ. გარიგების შესაბამის მიღებას უთანაბრდება ნორმის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების თანახმად მიღების ფიქცია იმ შემთხვევაში, როდესაც შემკვეთი ნაკეთობას, მიუხედავად დადგენილი შესაბამისი ვადისა და მიღების სავალდებულოობისა, მაინც არ იღებს.

4. ნაკეთობის მიღებაზე უარის თქმის შედეგები. ა) შემკვეთის უფლებების დაკარგვა. ნაკეთობის მიღებით, შემკვეთი კარგავს თავის თავდაპირველ მოთხოვნას შესრულებაზე და ნაკლის არსებობისას შეზღუდულია § 634-ში მოხსენიებული უფლებებით. ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, შემკვეთი ასევე კარგავს § 634-ის № 1-3-იდან გამომდინარე უფლებებს მაშინ, როდესაც ის ნაკლიან ნივთს პირობადების გარეშე იღებს (უფლების შენარჩუნების დათქმის გარეშე), თუ მან იცის, რომ ნაკეთობა ნაკლიანია („უნდა იცოდეს ნაკლის შესახებ“ საკმარისი არაა); ნივთის მიღების შედეგად მენარდეს უნდა შეეძლოს, ჰქონდეს ნდობა იმ ფაქტისადმი, რომ მან გარიგება ჯეროვნად შეასრულა. § 634-ის № 4-ში განსაზღვრულ ზიანის ანაზღაურების ან დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნას, რომელთა წინაპირობაც, § 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ბრალეულობაა, შემკვეთი ინარჩუნებს, იმის მიუხედავად, გააკეთა დათქმა ამ უფლების შესანარჩუნებლად თუ არა; ამიტომ ნორმის მე-2 ნაწილში, § 634-ის № 4-ში შეგნებულად არ არის დასახელებული (RegBegr BT-Drucks 14/6040, 267). ბ) რისკზე პასუხისმგებლობის გადასვლა შემკვეთზე – §§ 644, 645-ის შესაბამისად. გ) მენარდის საზღაურის მოთხოვნის ვადამოსულობა – § 641-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება. დ) შემკვეთის ნაკლის გამოსწორებაზე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება – § 634-ის მე-2 ნაწილი. ე) მტკიცების ტვირთის შეცვლა: როგორც წესი, შემკვეთის მიერ ნაკეთობის მიღებამდე მენარდეს ეკისრება ნივთის უნაკლოობის მტკიცება; ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად კი, ნივთის გარიგების შესაბამისად მიღების შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი შეტრიალდება (იხ. § 363; შდრ. *Palandt-Sprau* § 634 მე-12 ველი).

§ 641. საზღაურის გადახდის ვადა

(1) ¹საზღაური გადახდილ უნდა იქნეს ნაკეთობის მიღებისას. ²თუ ნაკეთობა მიღებულ უნდა იქნეს ნაწილ-ნაწილ და საზღაური დადგენილია ცალკეული

ნაწილებისათვის, მაშინ საზღაური გადახდილ უნდა იქნეს ამ უკანასკნელთა მიღებისას.

(2) იმ ნაკეთობისათვის მენარდის კუთვნილი საზღაურის გადახდის ვადა, რომლის დამზადებასაც შემკვეთი შეჰპირდა მესამე პირს, დგება არა უგვიანეს იმ მომენტისა;

1. როდესაც შემკვეთმა მესამე პირისაგან მიიღო თავისი საზღაური ან მისი ნაწილები შეპირებული ნაკეთობის დამზადებისათვის;
2. როდესაც შემკვეთის ნაკეთობა მესამე პირის მიერ მიღებულ იქნა, ან იგი მიღებულიად ითვლება; ან,
3. როდესაც მენარდემ შემკვეთს უშედეგოდ დაუდგინა სათანადო ვადა №№ 1-სა და 2-ში მითითებული გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის.

თუ შემკვეთმა მესამე პირს ნაკეთობის შესაძლო ნაკლისათვის წარუდგინა უზრუნველყოფა, მაშინ პირველი წინადადება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მენარდე წარადგენს შესაბამისი ოდენობის უზრუნველყოფას.

(3) თუ შემკვეთს შეუძლია ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნა, მაშინ მას საზღაურის გადახდის ვადის დადგომის შემდეგ შეუძლია უარი განაცხადოს საზღაურის შესაბამისი ნაწილის გადახდაზე; შესაბამისი ნაწილად, როგორც წესი, ჩაითვლება ნაკლის აღმოფხვრისათვის საჭირო ხარჯების ორმაგი ოდენობა.

(4) ფულადი თანხით გამოხატულ საზღაურს ნაკეთობის მიღების მომენტიდან შემკვეთმა უნდა დაარიცხოს პროცენტები, თუ საზღაურის გადახდა არ იქნა გადავადებული.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ვინაიდან, ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საზღაური გადახდილ უნდა იქნეს ნაკეთობის მიღების შემდგომ, მენარდეს, თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, რეგითობით პირველს ეკისრება ვალდებულების შესრულება. თუმცა, მენარდეს, შესრულების მიღებისგან დამოუკიდებლად, შეუძლია, § 632A-ს წინაპირობების დაცვით, საავანსო გადახდა მოითხოვოს.
- 2 **2. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საზღაურის გადახდის ვადამოსულობა** დგება შესრულების მიღებიდან. მაშასადამე, § 640-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ვადის დენა იწყება ნაკეთობის გარიგებით-სამართლებრივი მიღებით ან ნაკეთობის დასრულებით, § 646-ის თანახმად (იხ. § 640 ველი 1). იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი ნივთს არ მიიღებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამავე ვალდებულია (იხ. § 640 ველი 2), მენარდეს შეუძლია, საზღაურზე მოთხოვნის ვადამოსულობა დააყენოს შესაბამისი ვადის დადგენით (§ 640-ის პირველი ნაწილის მე-3 წინადადება). ვადის დადგენა – ისევე როგორც § 323-ის მე-2 ნაწილის № 1-ის დროს – ზედმეტია მაშინ, როდესაც შემკვეთმა ნაკეთობის (შესრულების) მიღებაზე გადამჭრელად და საბოლოოდ თქვა უარი (BGH NJW 2008, 511 Nr 29). სასამართლო პრაქტიკა საზღაურის გადახდის მოთხოვნის ვადამოსულობად მიიჩნევს, ასევე, შემკვეთის მხრიდან უსაფუძვლო და საბოლოო უარს, გასწიოს ნაკეთობის დამზადებისთვის ან ნაკლის აღმოფხვრისთვის აუცილებელი თანამოქმედება (სადავოა; *Palandt-Sprau* მე-5 ველი).
- 3 **3. ნორმის მე-2 ნაწილი** ითვალისწინებს ქვეკონტრაქტორი მენარდისთვის **ე.წ. გამჭოლ ვადამოსულობას (Durchgriffsfälligkeit)**. ამ შემთხვევაში მოიაზრება, უპირველეს ყოვლისა, სამშენებლო კომპანიები¹¹⁵, რომლებიც, აშენების გარდა,

¹¹⁵ *Bauträger* – სამშენებლო კომპანია, რომელიც, აშენების გარდა, შემკვეთს საკუთრების უფლებას გადასცემს აშენებულ ობიექტზე. ასეთი კომპანიის საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტია („ჩვეულებრივი“ სამშენებლო კომპანიისგან განსხვავებით), რომ ის შემკვეთს/შემძენს მიწის ნაკვეთს და მასზე აღმართულ შენობებს გადასცემს საკუთრებაში. „ჩვეულებრივი“ სამშენებლო კომპანია, მისგან განსხვავებით, აშენებს მიწის ნაკვეთზე, რომელიც დავალების მიცემს (შემკვეთს) ეკუთვნის. ვინაიდან ამ შემთხვევაში მიწაზე საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება, ასეთი ხელშეკრულება ნოტარიულ დამონმებასაც არ მოითხოვს.

შემკვეთს გადასცემენ საკუთრების უფლებას მათ მიერვე აშენებულ ნაგებობებზე, ასევე, ისეთი კომპანიები¹¹⁶, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ სამშენებლო ობიექტის სრულ დაპროექტებას და მის აშენებას¹¹⁷; ამ შემთხვევებში, მშენებლობის განმახორციელებელი ქვეკონტრაქტორი არის იმ მენარდეების შემკვეთი, რომლებიც უშუალოდ ნაკეთობას ამზადებენ (შენობას აშენებენ), მესამე პირის (მაგ.: ნაგებობის, ბინის შემძენი) მიმართ კი, რომელსაც იგი ნაკეთობას შეჰპირდა, (ძირითადი) მენარდე. ნორმის მე-2 ნაწილის რეგულირების მიზანია, თავიდან აიცილოს ის შედეგი, რომ, ერთი მხრივ, ასეთმა სამშენებლო კომპანიამ ქვეკონტრაქტორი მენარდეების მიერ მშენებლობის ცალკეული ეტაპების დასრულების შემდგომ მესამე პირი შემძენისაგან მოითხოვოს და მიიღოს შესრულებული მშენებლობის ეტაპებისთვის თანხის ნაწილები, ხოლო, მეორე მხრივ, მან ნაკეთობის (მაგ., სამშენებლო ობიექტის) ნაკლზე აპელირებით, ქვეკონტრაქტორ მენარდეს (მაგ., გათბობის დამმონტაჟებელ ხელოსანს) არ გადაუხადოს თანხა. ასეთი გარემოება იქნებოდა კანონთან შეუსაბამო, ვინაიდან მშენებლობის განმახორციელებელი ფირმა, რომელიც ნაკლის გამო მოთხოვნას თავის ხელოსანს წარუდგენდა, უნდა წარედგინა ასევე საკუთარი თავის მიმართაც და, შესაბამისად, აღარ ექნებოდა შემძენისგან თანხის მოთხოვნის უფლება. ამიტომ ნორმის მე-2 ნაწილის № 1 განსაზღვრავს, რომ (ძირითადი) მენარდის მიერ (რომელიც შემკვეთია ქვეკონტრაქტორის წინაშე) მესამე პირისგან თანხის მიღებისას ქვეკონტრაქტორის (რომელმაც ნაკეთობა შექმნა) ანაზღაურებაზე მოთხოვნაც (ძირითადი) მენარდის მიმართ ვადამოსული ხდება. ნორმის № 2 და № 3, რომლებიც 2009 წლის პირველ იანვრის მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ კანონის¹¹⁸ მიღების შემდგომ ჩაინერა § 641-ში, ზემოაღნიშნულ რეგულირებას ავრცელებენ იმ შემთხვევებზეც, როდესაც ძირითადი მენარდე ქვეკონტრაქტორისგან ნაკეთობას შესრულების სახით მიიღებს.

4. ნორმის მე-3 ნაწილი ახდენს ე.წ. ზენოლის დამატებითი მექანიზმის (Druckzuschlag) ნორმირებას. ჯერ კიდევ § 320-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებაიდან გამომდინარეობს, რომ შემკვეთს, რომელსაც შეუძლია ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა, ენიჭება შესრულებაზე უარის თქმის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ საზღაურის გადახდის ვადამოსულობა ნაკეთობის მიღების შედეგად დადგა. ნაკლის გამოსწორების მიზნით, შემკვეთმა მენარდეზე ზენოლა რომ მოახდინოს, ნორმის მე-3 ნაწილი უფლებას აძლევს მას, სულ ცოტა, ნაკლის გამოსწორებისთვის საჭირო ხარჯების ორმაგი ოდენობა შეინარჩუნოს (არ გადაუხადოს მენარდეს).

§ 641ა. (გაუქმებულია)

¹¹⁶ Generalübernehmer – სამშენებლო კომპანია, რომელიც თავის თავზე იღებს ობიექტის დაპროექტებას და მის აშენებას. ასეთები შეიძლება იყვნენ დიდი სამშენებლო კომპანიები, უძრავი ქონების სააგენტოები, ასევე მმართველი ფირმები, რომლებიც შენებისთვის განსახორციელებელ სამუშაოებს აუთსორსინგზე გასცემენ. თუმცა, მშენებლობის დამკვეთი ინარჩუნებს დავალების მიმცემის პოზიციას. დავალების მიმცემისთვის ასეთი ხელშეკრულების დადება დადებითი შედეგის მომტანია, ვინაიდან იგი ობიექტის მშენებლობის მთელ პროცესს ერთი მშენებლობის ხელშეკრულებაში „ატყვს“. მას განსაკუთრებით ჩამოშორდება კოორდინირების ამოცანა იმ დადებითი შედეგით, რომ იგი მყარად უთანხმებს ასეთ კომპანიას მშენებლობის ხარჯებსა და მშენებლობის დასრულების ვადებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც, მას მხოლოდ ერთ მხარესთან უნევს დავა.

¹¹⁷ ეს მოსაზრება გამომდინარეობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ცვლილებების შესახებ კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან (BT-Drucks 14/1246, 7).

¹¹⁸ Forderungssicherungsgesetz (FoSiG).

§ 642. შემკვეთის თანამონაწილეობა

(1) თუ ნაკეთობის დამზადებისას საჭიროა შეკვეთის მხრიდან მოქმედების განხორციელება, მაშინ მენარდეს შეუძლია მოითხოვოს სათანადო ანაზღაურება, თუ შემკვეთი მოქმედების შეუსრულებლობით აცილებს შესრულების მიღების ვადას.

(2) ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება, ერთი მხრივ, ვადის გადაცილების ხანგრძლივობითა და შეთანხმებული საზღაურის ოდენობით და, მეორე მხრივ, იმით, თუ რა ხარჯების დაზოგვას ან სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით რის შეძენას შეძლებს მენარდე ვადის გადაცილების შედეგად.

§ 643. ხელშეკრულების შეწყვეტა შემკვეთის მხრიდან თანამონაწილეობის არარსებობისას

¹§ 642-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში მენარდე უფლებამოსილია, დაუდგინოს შემკვეთს სათანადო ვადა ვადაგადაცილებული მოქმედების განხორციელებისათვის იმის განცხადებით, რომ იგი შეწყვეტს ხელშეკრულებას, თუ მოქმედება არ განხორციელდება ვადის გასვლამდე. ²ხელშეკრულება ითვლება გაუქმებულად, თუ მოქმედება ვადის გასვლამდე არ ხორციელდება.

§ 644. რისკის კისრება

(1) ¹მენარდე ნივთთან დაკავშირებული რისკის მატარებელია ნაკეთობის მიღებამდე. ²თუ შემკვეთი აგვიანებს მიღებას, მაშინ რისკი გადადის მასზე. ³მენარდე პასუხს არ აგებს შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალის შემთხვევით განადგურებისა და გაუარესებისათვის.

(2) თუ მოთხოვნის საფუძველზე მენარდე ნაკეთობას აგზავნის სხვა ადგილზე, ნაცვლად შესრულების ადგილისა, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება ნაყიდობის მიმართ მოქმედი § 447-ის რეგულირება.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** §§ 644-ისა და 645-ის რეგულირებები ეხება (როგორც § 446-ის პირველი წინადადება ნასყიდობაში) მხოლოდ **საზღაურის გადახდის რისკს (Vergütungsgefahr¹¹⁹)**, ანუ იგი ეხება იმ საკითხს, განაგრძობს თუ არა არსებობას შემკვეთის ვალდებულება, შეასრულოს საპირისპირო ვალდებულება (ნაკეთობის საზღაურის გადახდა) მაშინ, როდესაც ნაკეთობა შემთხვევით დაიღუპება ან გაუარესდება. მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარის ბრალეულობით იქნა გამოწვეული ნაკეთობის შემთხვევითი დაღუპვა ან გაუარესება, მოქმედებს ზოგადი რეგულირებები, კერძოდ: § 326, § 280 და მისი მომდევნო ნორმები (ასევე, § 645-ის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში, საქმე ეხება შემდეგი საკითხის გარკვევას: რჩება თუ არა შემკვეთი საზღაურის სრულად გადახდაზე მაინც ვალდებული მაშინ, როდესაც ნაკეთობა შემთხვევით დაიღუპება ან გაუარესდება? ანაზღაურების რისკის პარალელურად წამოიჭრება **ვალდებულების შესრულების რისკის** საკითხი, მაშასადამე ის, თუ რამდენად რჩება მენარდე ნაკეთობის შემთხვევითი დაღუპვის (განადგურების) ან გაუარესების შემთხვევაში მის ხელახალ დამზადებასა ან გაუარესების აღმოფხვრაზე ვალდებული, და იმისგან დამოუკიდებლად, შეუძლია თუ არა მას დაღუპული ან გაუარესებული ნაკეთობისთვის საზღაური მოითხოვოს? შესრულების რისკს არ არეგულირებენ §§ 644, 645.

- 2 **2. ვალდებულების შესრულების რისკი.** ა) იგი ექვემდებარება § 275-ის ზოგად რეგულირებებს, რამდენადაც ეს ნორმა ამომწურავად არეგულირებს მას: თუ ნაკეთობის დამზადება ობიექტური ან სუბიექტური თვალსაზრისით **შეუძლებელია**, მაშინ ეს გარემოება მენარდეს ათავისუფლებს თავისი ვალდებულებისგან. მაშა-

¹¹⁹ Vergütungsgefahr – ვალდებულების საგნის შემთხვევით დაღუპვისას საპირისპირო შესრულების განხორციელების რისკი; ნარდობის შემთხვევაში – საზღაურის გადახდის რისკი.

სადამე, ვალდებულების შესრულების რისკს ეწევა შემკვეთი. **ბ) მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულება შესაძლებელია**, მენარდე ვალდებულია, ნაკეთობა ხელახლა დაამზადოს ან აღმოფხვრას მისი გაუარესება. ეს გამომდინარეობს § 634-ის № 1-იდან და ასევე ნარდობის ხელშეკრულების განსაზღვრულ შედეგზე ორიენტირებულობიდან. § 644-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების და ამავე ნორმის მე-2 ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ მენარდე აღარ არის ვალდებული შესრულების ხელახალ განხორციელებაზე მაშინ, როდესაც შემკვეთი შესრულებას (ნაკეთობას) არ იღებს (§ 293) ან როდესაც ის შემკვეთს უგზავნის ნაკეთობას (შდრ. § 447). ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ნორმის პირველი ნაწილის მე-3 წინადადება ნათელიყოფს, მენარდეს არ ეკისრება ზიანის ან დანახარჯების ანაზღაურების ვალდებულება (მაშინაც კი, როდესაც ის შესრულების რისკის მატარებელია) შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალის შემთხვევით განადგურებისა ან გაუარესებისათვის (ნივთთან დაკავშირებული რისკი, იხ. *Erman-Schwenker* მე-5 ველი).

3. ანაზღაურების რისკი. ა) ძირითადი პრინციპი. § 326-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, შესრულების სრულად განხორციელებამდე (უნაკლო ნაკეთობის დამზადებამდე) მენარდე ატარებს საზღაურის გადახდის რისკს. ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, მენარდის ინტერესების გათვალისწინებით, დალუპვის რისკი გადადის შემკვეთზე ნაკეთობის მიღების მომენტიდან (§ 640; ან მიღების ნაცვლად სამუშაოს დასრულებისას, იხ. § 646), ვინაიდან მიღების შემდგომ ნაკეთობა შემკვეთის გავლენის სფეროში ექცევა. **ბ) გამოწვევები.** ჯერ კიდევ შესრულების მიღებამდე გადადის საზღაურის გადახდის რისკი შემკვეთზე მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მიღების ვადის გადაცილებაში იმყოფება (ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, ასევე § 293 და მომდევნო პარაგრაფთა ნორმები). ნასყიდობის სამართლის მსგავსად, შემკვეთი (მიღებისგან დამოუკიდებლად) ატარებს საზღაურის გადახდის რისკს მაშინ, როდესაც მენარდე ნაკეთობას შემკვეთის მოთხოვნის საფუძველზე შესრულების ადგილისგან განსხვავებულ, სხვა, ადგილას გააგზავნის (ნორმის მე-2 ნაწილი, დამატ. შდრ. იხ. § 447).

§ 645. შემკვეთის პასუხისმგებლობა

(1) ¹თუ მიღებამდე ნაკეთობა შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალის ნაკლის ან სამუშაოს შესრულების თაობაზე შემკვეთის ინსტრუქციის შედეგად განადგურდა, გაუარესდა ან მისი შესრულება შეუძლებელი გახდა და მასზე არ მოუხდენია გავლენა იმ გარემოებას, რომლისათვისაც პასუხს აგებს მენარდე, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია, მოითხოვოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისი საზღაური და იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც არ შედის საზღაურში. ²ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ ხელშეკრულება უქმდება, § 643-ის მიხედვით.

(2) ბრალის არსებობისას უცვლელი რჩება შემკვეთის უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა.

1. ზოგადი მიმოხილვა. როგორც § 644-ის კომენტარში აღინიშნა, ნაკეთობის მიღებამდე მენარდე ატარებს ნაკეთობის შემთხვევითი დალუპვის რისკს. § 645-ის რეგულირება (§ 644-ის პარალელურად) შეიცავს ამ რისკის დამატებით შეზღუდვას (შდრ. იხ. § 644-ის პირველი და მე-3 ველები). § 644-ში მოცემული შეზღუდვისგან იგი განსხვავდება იმით, რომ საზღაურის ნაწილობრივი ანაზღაურების დაშვებით ანაზღაურების რისკს ანაწილებს შემკვეთსა და მენარდეზე. ამის საფუძველია ის გარემოება, რომ შემკვეთი ნაკეთობის მიღებამდეც გარკვეულ საფრთხის წყაროებთან (მიწოდებული მასალის ნაკლი, საფრთხისშემცველი ინსტრუქცია) უფრო ახლოს დგას, ვიდრე მენარდე. აქ არ არის საუბარი შემკვეთის ბრალეულობაზე (წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხს აგებს ზოგადი ნორმების შესაბამისად, ნორმის მე-2 ნაწილი). § 645-ის პირველი ნაწილის თავისებურება საფრთხის წყაროსთან

სიახლოვეა („სფერო“) მაშინ, როდესაც რისკზე პასუხისმგებლობის შესახებ ნორმები წინაპირობად ასახელებენ უბრალოდ შემთხვევითობას ისე, რომ საფრთხის წყაროს არ აკუთვნებენ არც კრედიტორს და არც მოვალეს.

- 2 **2. ცალკეული ტერმინები.** ცნება „მასალა“ ფართოდ უნდა განიმარტოს. იგულისხმება ყველა საგანი, რომელზეც ან რომლისგანაც მენარდემ ნაკეთობა უნდა დაამზადოს. **ინსტრუქცია** სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც შემკვეთი ნაკეთობის დამზადების განსაზღვრულ სახეს განსაზღვრავს თავისი რისკის ფარგლებში და არა უბრალოდ დასამზადებელი ნაკეთობის თვისებრიობას აღწერს (შდრ. *MüKo-Busche* მე-9 ველი).
- 3 **3. გამოყენების ფართო სფერო.** ა) სადავოა, რამდენად შეიძლება ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარეობდეს ის **ზოგად-სამართლებრივი მოსაზრება**, რომ შემკვეთი შესრულების მიღებამდე ყველა, თავისი სფეროდან (შდრ. ზემოთ, ველი 1) გამომდინარე საფრთხის წყაროზე აგებს პასუხს იმ შედეგით, რომ წარმოიშობა ნაწილობრივი ანაზღაურების ვალდებულება (**სფეროს თეორია**). ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ნარდობის სამართალში რისკის განაწილების ზოგადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც, მენარდე შემკვეთს ნაკეთობის დამზადებას ჰპირდება საკუთარი რისკის ფარგლებში (*Palandt-Sprau* მე-9 ველი) და ასევე, ამას ეწინააღმდეგება §§ 644-ისა და 645-ის ისტორიული ინტერპრეტაცია (იხ. *Erman-Schwenker* მე-11 ველი). ბ) თუმცა, არსებობს ერთიანი მიდგომა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, მხარეთა ინტერესების ერთიანობის შემთხვევაში, მასში ნათლად დასახელებულ შემთხვევებთან მიმართებით **ანალოგიით** შეიძლება იქნეს გამოყენებული (იხ. *MüKo-Busche* მე-14 და მომდევნო ველები). ამ წესის შესაბამისად, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (BGHZ 40, 71), ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, შემკვეთს დააკისრა პასუხისმგებლობა იმ ფარდულის გამო, რომელიც მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესრულების სახით მიღებული და სადაც მან თივა შეიტანა, რომელსაც ცეცხლი წაეკიდა და მთლიანი ფარდულის დაწვა გამოიწვია. ამავე სასამართლომ (BGHZ 60, 14) და იმავე წესით დააკისრა კლიენტს ტურისტული მოგზაურობის სრული პაკეტის (**all inclusive**) საზღაურის ნაწილობრივი გადახდა, ვინაიდან მას არ შეეძლო, მოგზაურობას შეერთებოდა, რადგან სამოგზაურო ქვეყანაში ყვავილის სავალდებულო ვაქცინაცია მოითხოვებოდა, რაც შემკვეთის მიერ ვერ განხორციელდებოდა; ამ შემთხვევაში დღეის მდგომარეობით შესაბამისად გამოიყენებოდა § 651ი (იხ. *Medicus/Peterson* 269-ე ველი). ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ფართოდ გავრცელებული მოსაზრების ავტორები (იხ. *Erman-Schwenker* მე-10 ველი) უშვებენ ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების იმ შემთხვევებისთვის ანალოგიური წესით გამოყენების შესაძლებლობას იქ, სადაც ვალდებულების საგანი არის მიზნის მიღწევა (მაგ., გამოსათავისუფლებელი გემი შტორმით თვითონვე თავისუფლდება; შდრ. § 313 ველი 4; *Medicus/Peterson* 159-ე ველი).

§ 646. სამუშაოს დასრულება მიღების ნაცვლად

თუ ნაკეთობის თვისების შედეგად მიღება გამორიცხულია, მაშინ § 643ა-ს მე-2 ნაწილის და §§ 641-ის, 644-ისა და 645-ის შემთხვევებში მიღებას ცვლის სამუშაოს დასრულება.

§ 647. მენარდის გირავნობის უფლება

მენარდეს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად აქვს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება.

1. ზოგადი მიმოხილვა. ნორმა ამყარებს მენარდის (რომელსაც რიგითობის მიხედვით პირველს ეკისრება შესრულება) სამართლებრივ მდგომარეობას შემკვეთის მოძრავ ნივთებზე კანონისმიერი გირავნობის უფლების მინიჭებით (უძრავი ნივთებისა და გემებისთვისაც § 648 ითვალისწინებს იპოთეკის უფლებას). აქვე, დამატებით მოქმედებს გარიგებით წარმოშობილი გირავნობის უფლების წესები (§ 1257).

2. წინაპირობები. ა) ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებია ნარდობის საზღაური, §§ 631-ის პირველი წინადადების, 649-ის მე-2 წინადადების შესაბამისად, კომპენსაციის, ნაწილობრივი ანაზღაურების, დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნები §§ 642-იდან, 645-იდან, ასევე, შესაძლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები ვალდებულების დარღვევის გამო, § 280-ის პირველი ნაწილის მიხედვით.

ბ) შემკვეთის მოძრავი ნივთები. ნივთები ნაკეთობის შექმნის მომენტში უნდა იმყოფებოდეს მენარდის მფლობელობაში და შემკვეთის საკუთრებაში. სადავოა, § 647-ის თანახმად, რამდენად არის შესაძლებელი მენარდის მიერ გირავნობის უფლების კეთილსინდისიერად შექმნა იმ ნივთებზე, რომლებიც შემკვეთს არ ეკუთვნის. საკითხი მნიშვნელობას იძენს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მესამე პირთან პირობადებული საკუთრებით შექმნილ ნივთს შემკვეთი მენარდესთან დატოვებს შესაკეთებლად, ხოლო ამ საგნის პირობადებული საკუთრებით გამყიდველი მესამე პირი გავა შემკვეთთან დადებული ხელშეკრულებიდან (§ 449-ის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში, ისმის კითხვა, რამდენად არის მენარდე დაცული მაშინ, როდესაც პირობადებით ნივთის გამყიდველი თავის ნივთს (რომელიც მენარდემ შეაკეთა), § 985-ის თანახმად, უკან მოითხოვს (მდრ. BGHZ 34, 122). იმ შემთხვევაში, თუ დაუშვებებ მენარდის მიერ გირავნობის უფლების კეთილსინდისიერ შექმნას (რომლის წინააღმდეგაც მეტყველებს § 1257, მისი ტექსტის მიხედვით – „წარმოშობილი“, ასევე, § 1207 არ მოქმედებს კანონისმიერ გირავნობის უფლებაზე), მაშინ მენარდეს შეეძლება, პირობადებით საგნის გამყიდველის მიმართ წარადგინოს § 647-ის გირავნობის უფლება, როგორც ფლობის უფლება § 986-ის ფარგლებში და გირავნობიდან დაიკმაყოფილოს მოთხოვნა.

აა) გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო (NJW 1983, 2140) **4** და იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების ავტორები (მაგ. *Palandt-Sprau* მე-3 ველი) დაუშვებლად მიიჩნევენ მენარდის მიერ გირავნობის უფლების კეთილსინდისიერ შექმნას და გვთავაზობენ მენარდის დაცვის სხვა გზებს. უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGHZ 34, 122) მენარდეს ანიჭებს დანახარჯების მოთხოვნის ანაზღაურებაზე უფლებას მესაკუთრის (პირობადებით ნივთის გამყიდველის) მიმართ § 994-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების ნორმათა შესაბამისად და მისგან გამომდინარე ნივთის დაკავების უფლებას (§ 1000), თუ მენარდე დანახარჯების განევის მომენტისთვის ჯერ კიდევ უფლებამოსილი მფლობელი იყო, რადგან მესაკუთრეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ხელშეკრულებიდან გასვლა (§ 449-ის მე-2 ნაწილი) განცხადებული (პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: § 994 და მისი მომდევნო ნორმები, ასევე, § 1000 მოქმედებს მხოლოდ არაუფლებამოსილი მფლობელის მიმართ; ამასთან დაკავშირებით იხ. § 987-ის შესავალი, მე-5 ველი).

ბბ) ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, იურიდიულ ლიტერატურაში (მაგ., *Medicus/Petersen* 594-ე ველი) **5** გავრცელებული მოსაზრება მენარდის პოზიციას იცავს შემდეგნაირად: შემკვეთის მიერ ნივთის შესაკეთებლად მიცემა უტოლდება გარიგებით წარმოშობილი გირავნობის (§ 1205) მსგავს ქმედებას, რომელზეც ვრცელდება §§ 183 და 185-ის პირველი ნაწილის მოქმედება. ვინაიდან პირობადებით ნივთის გამყიდველი ხელშეკრულებით ავალდებულებს შემკვეთს ნასყიდობის ნივთის მოვლასა და ფუნქციონირების შენარჩუნებას, მან, შესაბამისად, თავისი თავის მიმართ უნდა დაუშვას ამ ნივთის შეკეთების ურთიერთობიდან გამომდინარე

გირავნობის უფლების მოქმედებაც. ამ კუთხით საკითხავია, თუ რამდენად არის შესაძლებელი პირობადებით ნივთის გამყიდველის მოქმედებიდან განკარგვის ასეთი უფლებამოსილება გამომდინარეობდეს.

6 გგ) პრაქტიკაში ხშირად მოცემულია შემთხვევები, როდესაც მენარდე სანარმო თავისი პოზიციის გასამყარებლად ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში შემკვეთთან ათანხმებს § 647-ის პარალელურ, სახელშეკრულებო გირავნობის უფლებას; ამ შემთხვევაში, შესაძლებელია გირავნობის უფლების კეთილსინდისიერი შეძენა, § 1207-ის მიხედვით (თუმცა, იხ. *Medicus/Petersen* 592-ე ველი).

7 3. გირავნობის საგნის რეალიზებისა და გირავნობის უფლების შესაწყვეტად მოქმედებს ზოგადი ნორმები, §§ 1257, 1228 და მისი მომდევნო ნორმები, 1252 და მისი მომდევნო ნორმები.

§ 648. მშენებლის კუთვნილი უზრუნველსაყოფი იპოთეკა

(1) ¹ხელშეკრულებიდან გამომდინარე კუთვნილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მენარდეს შეუძლია, მოითხოვოს შემკვეთის სამშენებლო მიწის ნაკვეთზე უზრუნველსაყოფი იპოთეკის დადგენა. ²თუ სამუშაო ჯერ არ არის დასრულებული, მაშინ მას შეუძლია, მოითხოვოს უზრუნველსაყოფი იპოთეკის დადგენა იმ საზღაურის ნაწილისათვის, რომელიც შეესაბამება შესრულებულ სამუშაოს, და საზღაურში გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის.

(2) ¹ნავსაშენის მფლობელს საზღვაო ხომალდის მშენებლობიდან ან სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შეუძლია, მოითხოვოს მშენებარე საზღვაო ხომალდზე ან შემკვეთის საზღვაო ხომალდზე იპოთეკის დადგენა; აზრობრივად მოქმედებს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება. ²§ 647 არ გამოიყენება.

§ 648ა. სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა

(1) ¹სამშენებლო სამუშაოების, გარე სამუშაოების ან მათი ნაწილის მშენებელს შეუძლია, შემკვეთისაგან მოითხოვოს უზრუნველყოფა ასევე დამატებითი შეკვეთებისათვის შეთანხმებული, თუმცა, ჯერ კიდევ გადაუხდელი საზღაურისათვის მათთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნების ჩათვლით, რომლებიც უნდა განისაზღვროს უზრუნველსაყოფი საზღაურის მოთხოვნის უფლების 10%-ით. ²პირველი წინადადება იმავე მოცულობით მოქმედებს ასევე იმ მოთხოვნის უფლებების მიმართ, რომლებიც იკავებს საზღაურის ადგილს. ³მენარმის მიერ უზრუნველყოფის მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება იმით, რომ შემკვეთს შეუძლია ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ან ნაკეთობის მიღება. ⁴საზღაურის გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება ის მოთხოვნის უფლებები, რომელთა მიმართაც შემკვეთს შეუძლია საზღაურის მიღებაზე მენარმის მოთხოვნის უფლების გაქვეითვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი უდავოა ან დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესრული გადაწყვეტილებით. ⁵უზრუნველყოფა საკმარისად მიიჩნევა მაშინაც, თუ უზრუნველყოფის მიმცემი იტოვებს უფლებას, უარი თქვას თავის ვალდებულებაზე შემკვეთის ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესების შემთხვევაში საზღაურის მოთხოვნის უფლების მიმართ იმ სამშენებლო ვალდებულებების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგით, რომლებიც მენარდემ ჯერ არ შეასრულა უარის თქმის განცხადების მიღების მომენტში.

(2) ¹უზრუნველყოფა შეიძლება ასევე წარდგენილ იქნეს გარანტიის ან თანხის გადახდის სხვა ვალდებულების კისრების სახით საბანკო ინსტიტუტის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან, განახორციელონ სამენარმეო საქმიანობა წინამდებარე კანონის სამოქმედო ტერიტორიაზე. ²საბანკო ინსტიტუტს ან სადაზღვევო კომპანიას შეუძლია მენარდის მიმართ გადახდის

განხორციელება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც შემკვეთი აღიარებს მენარდის მოთხოვნის უფლებას საზღაურზე, ან მას დაუყოვნებლივ აღსასრულებელი სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრება საზღაურის გადახდა და სახეზეა წინაპირობები, რომელთა არსებობისას შესაძლებელია იძულებითი აღსრულების დაწყება.

(3) ¹მენარდემ შემკვეთს უნდა აუნაზღაუროს უზრუნველყოფის წარდგენაზე გაწეული ჩვეულებრივი ხარჯები მაქსიმუმ წლიური 2%-ის ოდენობით. ²ეს წესი არ მოქმედებს, თუ მენარდის საზღაურის მოთხოვნის უფლების მიმართ შემკვეთის შესაგებლის გამო უზრუნველყოფა უნდა შენარჩუნდეს და შესაგებელი უსაფუძვლო აღმოჩნდება.

(4) იმდენად, რამდენადაც მენარდემ თავისი საზღაურის მოთხოვნის უფლები-სათვის მიიღო უზრუნველყოფა პირველი ან მე-2 ნაწილების მიხედვით, § 648-ის პირველი ნაწილის თანახმად, უზრუნველსაყოფი იპოთეკის დადგენის შესახებ მოთხოვნის უფლება გამოირიცხება.

(5) ¹თუ მენარდემ შემკვეთს, პირველი ნაწილის თანახმად, უზრუნველყოფის წარსადგენად სათანადო ვადა უშედეგოდ დაუდგინა, მაშინ მენარდეს შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, ან შეწყვიტოს ხელშეკრულება. ²თუ მენარდემ წყვეტს ხელშეკრულებას, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს შეთანხმებული საზღაური; თუმცა, მან ანგარიშში უნდა ჩათვალოს ის ხარჯები, რომელთაც იგი ხელშეკრულების გაუქმების შედეგად ხარჯებთან მიმართებით ზოგავს, ან თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენების შედეგად იძენს, ანდა ბოროტი განზრახვით არ იძენს. ³ივარაუდება, რომ მენარდეს ეკუთვნის სამუშაოს ჯერ კიდევ შეუსრულებელ ნაწილზე მოსული შეთანხმებული საზღაურის 5%.

(6) პირველი-მე-5 ნაწილების ნორმები არ გამოიყენება, თუ შემკვეთი:

1. არის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი ან წარმოადგენს საჯარო სამართლის სპეციალურ ფონდს, რომლის ქონებაზეც გაკოტრების საქმის წარმოება დაუშვებელია; ან
2. არის ფიზიკური პირი და ავალებს სამშენებლო სამუშაოთა წარმოებას ერთ ოჯახზე გათვლილი სახლის აშენებისა თუ რემონტისათვის მდგმურის სადგომთან ერთად ან მის გარეშე. ²პირველი წინადადების № 2 არ მოქმედებს, თუ სამშენებლო ობიექტს კურირებას უწევს შემკვეთის ფინანსური საშუალებების განკარგვაზე უფლებამოსილი სამშენებლო რწმუნებული.

(7) პირველი-მე-5 ნაწილების დანაწესებისაგან განსხვავებული შეთანხმება საბარტლებრივი ძალის არმქონეა.

§ 649. შემკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება

¹შემკვეთს შეუძლია, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება. ²თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას, მაშინ მენარდე უფლებამოსილია, მოითხოვოს შეთანხმებული საზღაური; თუმცა, მან ანგარიშში უნდა ჩათვალოს ის ხარჯები, რომელთაც იგი ხელშეკრულების გაუქმების შედეგად ხარჯებთან მიმართებით ზოგავს ან თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენების შედეგად იძენს, ანდა ბოროტი განზრახვით არ იძენს. ³ივარაუდება, რომ მენარდეს ეკუთვნის სამუშაოს ჯერ კიდევ შეუსრულებელ ნაწილზე მოსული შეთანხმებული საზღაურის 5%.

1. ნორმის პირველი წინადადება შემკვეთს ანიჭებს ხელშეკრულების შეწყვეტის თავისუფალ უფლებას. ხელშეკრულების შეწყვეტის დროს (რომელიც წყვეტს ხელშეკრულების სამომავლო მოქმედებას) ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც უკვე შესრულდა და ის, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტის გამო აღარ უნდა შესრულდეს. მაგალითად, თუ შეთანხმებულია სახლის

1

აშენება და ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის მენარდეს ძველი სახლის დემონტაჟი უკვე გაკეთებული აქვს, ასევე ფუნდამენტი ჩაყრილი და კარკასი შეკრული, თუმცა, სახლი მთლიანად არ არის დასრულებული, მაშინ, ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულებული ნაწილისთვის მოქმედებს ზოგადი ნორმები: საზღაურის გადახდა შესრულების მიღების შემდგომ იქნება ვადამოსული (§ 641), მენარდევ, თავის მხრივ, პასუხისმგებელი იქნება აღმოჩენილ ნაკლზე (თუ აღმოჩენდა), § 634-ისა და მისი მომდევნო პარაგრაფების ნორმათა მიხედვით (BGH NJW 2006, 1475 Nr 23). შეწყვეტილი ნაწილისთვის ნორმის მე-2 წინადადება, § 326-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებასთან ერთად, ადგენს შესაბამის რეგულირებას, რომლითაც მენარდე იწარჩუნებს თავის მოგებას. ამ მოგების ოდენობად ნორმის მე-3 წინადადება ვარაუდობს შეთანხმებული საზღაურის 5 %-ს.

- 2 2. კანონში არ არის დარეგულირებული, თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია ხელშეკრულების შეწყვეტა მნიშვნელოვანი საფუძვლით (BGHZ 45, 372, 375). § 314 ვერ იმოქმედებს, ვინაიდან ნარდობის ხელშეკრულება არ არის გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების ასეთი შეწყვეტაც იწვევს ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ დაყოფას. მაშასადამე, შემკვეთი, რომელიც წყვეტს ხელშეკრულებას, ვალდებულია, გადაიხადოს ხელშეკრულების შესრულებული ნაწილის საზღაური. მე-2 წინადადებიდან გამომდინარე მენარდის მოთხოვნა არ არსებობს.

§ 650. ხარჯთაღრიცხვა

(1) თუ ხელშეკრულებას საფუძვლად ედო ხარჯთაღრიცხვა ისე, რომ მენარდეს არ უეისრია მისი სისწორის გარანტია და ირკვევა, რომ სამუშაო ვერ შესრულდება ხარჯთაღრიცხვის არსებითი გადაჭარბების გარეშე, მაშინ შემკვეთის მიერ ამ საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მენარდეს აქვს მხოლოდ § 645-ის პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნის უფლება.

(2) თუ ასეთი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბება მოსალოდნელია, მაშინ მენარდემ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს.

§ 651. ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება

¹იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლის საგანია დასამზადებელი ან წარმოებული მოძრავი ნივთების მიწოდება, გამოიყენება ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები. ²ამ ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ასევე § 442-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, თუ ნაკლი გამოწვეულია შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალით. ³იმდენად, რამდენადაც დასამზადებელი ან წარმოებული მოძრავი ნივთები არ არიან ჩანაცვლებადი, §§ 642, 643, 645, 649 და 650 გამოიყენებიან იმ პირობით, რომ მიღების ნაცვლად განმსაზღვრელია §§ 446-სა და 447-ში მითითებული დროის მომენტი.

- 1 1. ნორმა ავრცელებს ნასყიდობის სამართლის მოქმედებას ყველა იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელთა ვალდებულება არის დასამზადებელი ან წარმოებული მოძრავი ნივთების მიწოდება. ამასთანავე, თუ საქმე ეხება ჩანაცვლებადი ნივთით შესასრულებელ ვალდებულებას, ეს განიხილება როგორც ნასყიდობა მიწოდებით. თუ მენარდე, § 950-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალით დამზადებულ ნივთზე საკუთრებას იძენს (იხ. § 950-ის მე-3, მე-5 ველეები), მან საკუთრება, § 433-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, შემკვეთს უნდა გადასცეს. ნასყიდობის სამართალზე მითითება გულისხმობს, ასევე, სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის სპეციალური ნორმების გამოყენებასაც (§§ 474) იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ხელშეკრულება იდება მომხმარებელსა (§ 13) და მენარმეს შორის (§ 14-ის პირველი ნაწილი).

2. თუ ვის მიერ მოხდება მასალის მიწოდება (რომლითაც ნივთი უნდა დამზადდეს), მენარდის თუ შემკვეთის მიერ, ნასყიდობის სამართლის გამოყენებისთვის მნიშვნელობას არ იძენს. თუმცა, ნორმის მე-2 წინადადება აფართოებს § 442-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების გამოყენების სფეროს: შემკვეთის (მყიდველის) უფლებები ნაკლის შემთხვევაში გამოირიცხება, თუ ნივთის ნაკლი გამომწვეულია შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალით.

3. მაშინ, როდესაც უნდა დამზადდეს ჩაუნაცვლებადი ნივთი (ცნება იხ. § 91), ნორმის მე-3 წინადადება გეთავაზობს ნასყიდობისა და ნარდობის ნორმების სინთეზს, თუმცა, ძირითადი დატვირთვა მოდის მაინც ნასყიდობის ნორმებზე. აქ საქმე ეხება იმ ნივთებს, რომელთაც განსაკუთრებით ინდივიდუალური ხასიათი აქვთ, შემკვეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის არიან და მენარდის მიერ შეუძლებელია მათი სხვაგვარად რეალიზება. მაგალითად: კოსტიუმის შეკერვა, პორტრეტის დახატვა, მოგზაურობის გეგმა და განრიგი (BGH NJW 1966, 2307). ნაკლის გამო პასუხისმგებლობა დგება ნასყიდობის ნორმებით (§ 434 და მომდევნო პარაგრაფთა ნორმები), ხოლო სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებისას, დამატებით § 474-ისა და მომდევნო პარაგრაფთა ნორმების მიხედვით. ნასყიდობის სამართლებრივი ეს ნორმები განივრცობა ნორმის მე-3 წინადადებაში მოხსენიებული ნარდობის სამართლებრივი ნორმებით, მაგალითად, §§ 642-ითა და 643-ით, სადაც მოცემულია ნაკეთობის შექმნისათვის შემკვეთის მიერ გასანევი თანაქმედების შეუსრულებლობის შედეგები ან § 650-ის მე-2 ნაწილი, რომელიც შეიცავს მენარდის ვალდებულებას, შემკვეთს განუცხადოს, თუ იგი აჭარბებს ნაკეთობს დამზადების ხარჯთაღრიცხვას. § 645-ის ფარგლებში მნიშვნელობა ენიჭება იმ შედეგს, რომ, ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, შესრულების მიღების დროის მომენტს §§ 446-სა და 447-ში განსაზღვრული რისკის გადასვლის დროის მომენტი ანაცვლებს.

4. ნასყიდობის სამართლის ნორმების ფართო მოქმედების შედეგად, ნარდობის სამართლის მოქმედების სფეროში ექცევიან, ძირითადად, უძრავი ნივთები (შდრ. § 94), სახელდობრ: შემკვეთის მიწის ნაკვეთზე სახლის აშენების ვალდებულება, სარემონტო სამუშაოები, ასევე, უსხეულო ნაკეთობების შექმნა, როგორცაა, მაგალითად, არქიტექტორის მიერ სამშენებლო პროექტის შედგენა ან საექსპერტო დასკვნის მომზადება (RegBegR BT-Drucks 14/6040, 268). § 651-ის გამოსაყენებლად რელევანტურია ის, რომ ნივთი მიწოდების მომენტისთვის მოძრავია. მნიშვნელობა არ ენიჭება იმ გარემოებას, თუ ნივთი მოგვიანებით მესამე პირის მიერ სხვა ნივთში უნდა ჩაშენდეს ან ჩამონტაჟდეს (BGH NJW 2009, 2877 Nr 13).

ქვეკარი 2. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება

§ 651ა-ს შესავალი

I. სამართლებრივი ბუნება და რეგულირების მიზანი

1. სამართლებრივი ბუნება. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება არის ნარდობის ხელშეკრულების განსაკუთრებული სახეობა (BGHZ 92, 177, 181; 100, 157, 163); როგორც მე-9 კარის სათაურიდან გამომდინარეობს, საქმე ეხება, სულ ცოტა, ნარდობის ხელშეკრულების „მსგავს“ ხელშეკრულებას.

2. რეგულირების მიზანი. § 651ა და მის მომდევნო პარაგრაფთა ნორმები ემსახურებიან მიზანს, გააუმჯობესონ მომხმარებლის სამართლებრივი მდგომარეობის დაცვა მოგზაურობის ორგანიზატორთან ურთიერთობაში (შდრ. ტურისტული

მომსახურების სრული პაკეტის შესახებ დირექტივა¹²⁰, Pauschalreise RL; ABI 1990 Nr L 158, 59). § 651ა-სა და მომდევნო ნორმებში დარეგულირებული **სრული პაკეტით მოგზაურობის (Pauschalreise)** დამახასიათებელი ნიშან-თვისება არის ის, რომ მოგზაურობის ორგანიზატორი ცალკეულ ხელშეკრულებებს დებს მოგზაურობის მომწყობ, ვალდებულებების შემსრულებელ სხვადასხვა პირთან (ავიაკომპანიები, სასტუმროები, ავტომობილების გაქირავებლები და ა.შ.) და ერთად შეკრებილ მოგზაურობის მომსახურებათა ერთობლიობას, როგორც ერთიან ოფერტს, ისე წარუდგენს მოგზაურ პირებს (ტურისტებს). ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ტურისტებს უნდა შეეძლოთ ერთი ნათლად დაკონკრეტებული მოვალის მიმართ მოთხოვნის წარდგენა, რომელიც გარე ობიექტური შეფასებით პასუხისმგებლობას იღებს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების ჯეროვან განხორციელებაზე; ამ დროს არ გაითვალისწინება მოვალის განცხადება, რომ ის მხოლოდ შუამავალი იყო და არა ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი (ამ კუთხით მსჯელობს BGHZ 61, 275). ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების სპეციალური ნორმის სახით რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ იქნა აუცილებლად მიჩნეული, რომ § 307-ით დადგენილი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კონტროლის ფარგლებში შექმნილიყო საკითხის გადაჭრის ცხადი, კანონისმიერი მიმართულება. ამ საკითხის რეგულირება იმდენად უფრო არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც მოგზაურობის სრული პაკეტის შემთავაზებელთა ბაზარი უმეტესწილად წვრილი მენარმე შემთავაზებლებით არის დაკომპლექტებული. შესაბამისად, § 651ა-სა და მისი მომდევნო პარაგრაფების რეგულირებისგან განსხვავებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, § 651ნ-ს მიხედვით, ცხადდება ბათილად. მოგზაურობის ხელშეკრულების რეგულირების კიდევ ერთი მიზანი იყო ტურისტის სამართლებრივი მდგომარეობის დაცვა მოგზაურობის მომწყობის გადახდისუნარიობის შემთხვევებში: წარსულში ბაზარზე დადგენილი ჩვეულების გამო ტურისტები წინასწარ იხდიდნენ მომსახურების თანხას (განსაკუთრებით საზღვარგარეთ მოგზაურობისას), შემდგომ ისინი განიცდიდნენ იმედგაცრუებას, ვინაიდან ხშირად ადგილობრივი ვალდებული პირები მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო უარს ამბობდნენ მომსახურებაზე (ტრანსპორტირებაზე, სასტუმროში განთავსებაზე) ან აყოვნებდნენ მას (ამასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ, IV პუნქტი). გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების სამართალს ავრცობს სამოქალაქო-სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდებისა და მითითების ვალდებულებების შესახებ დადგენილების მე-4 და მომდევნო პარაგრაფები, რომლებიც ეხება მოგზაურობის მომწყობის მიერ მოგზაურისადმი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებებს.

II. მოქმედების სფერო

- 3 § 651ა-ს პირველი ნაწილის მიხედვით, ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება არის მხოლოდ მოგზაურობის **მომწყობის (ორგანიზების)** ხელშეკრულება და არა მოგზაურობის **საშუამავლო** ხელშეკრულება. საშუამავლო ხელშეკრულების შემთხვევაში, საქმე ეხება დავალების ხელშეკრულებას, რომლის მიმართაც, როგორც წესი, არ გამოიყენება § 651ა და მისი მომდევნო ნორმები (თუმცა, შდრ. იხ. § 651ლ-ს მე-3 ნაწილის მე-4 ნინადადება და მე-4 ნაწილი). მოგზაურობის მომწყობი ორგანიზაციები, შესაძლოა, ერთი მხრივ, როგორც შუამავლები, ხოლო მეორე მხრივ, როგორც მოგზაურობის ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულების გან-

120 მოგზაურობა სრული პაკეტით (Pauschalreise) – მოგზაურობა, რომლის დროსაც მოგზაურობის მომწყობი (ორგანიზატორი) მოგზაურობის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისა და მომსახურებების ერთობლიობას (სრულ პაკეტს) ერთიან ფასში სთავაზობს მსურველს და საკუთარი სახელით შესრულებას პპირდება. პრაქტიკაში ხშირად ასეთი ტურისტული მოგზაურობები და ტურები „All inclusive“-ს სახელით არის ცნობილი.

მხორციელებლები იყვნენ საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში; ამ განსხვავებაზე არის დამოკიდებული ნაკლის გამო პასუხისმგებლობა (BGH NJW 2011, 371 Nr 11)¹²¹. ამ დროს გადამწყვეტია, ობიექტურად თუ როგორ აღიქმება ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ გაკეთებული ოფერტი ჩვეულებრივი გონიერი ტურისტის მიერ (ნების გამოვლენის და ხელშეკრულების განმარტება – §§ 133, 157); განცხადებები შუამავლობასთან დაკავშირებით არ გაითვალისწინება (§ 651ა-ს მე-2 ნანილი). ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების დამახასიათებელი თვისება გულისხმობს რამდენიმე ერთგვაროვანი ვალდებულების ერთ ოფერტად შეთავაზებას, რომლის დროსაც ხელშეკრულების მხარე, როგორც ორგანიზატორი, ისე წარსდგება მეორე მხარის წინაშე და ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე პასუხისმგებლობას იღებს (რეკლამა, სარეკლამო ბროშურა, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები). მაგალითად, თუ მატარებლისა და თვითმფრინავის ბილეთი (Rail & Fly Ticket) მთლიან ფასში შედის, მაშინ ეს იმის დამადასტურებლად შეიძლება შეფასდეს, რომ მოგზაურობის მომწყობი მატარებლით მოგზაურობას სთავაზობს როგორც საკუთარ ვალდებულებას და არა როგორც შუამავალი (BGH NJW 2011, 371 Nr 15)¹²². **ტურისტული ბიუროები**, როგორც წესი, განიხილება როგორც მოგზაურობის შუამავალი. ისინი არიან ინფორმაციის გამცემი შუამავლები; გარემოებების მიხედვით, შესაძლოა, იყვნენ მოგზაურობის მომწყობის წარმომადგენლებიც. ხარვეზიანი მოგზაურობის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ წარედგინება ტურისტულ ბიუროს, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია, § 280-ის თანახმად, პასუხი აგონ საქმიანი დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის გამო (არაჯეროვანი კონსულტაციის განევის გამო; *Palandt-Sprau* მე-6 ველი); მოგზაურობის მომწყობისადმი მოგზაურის გადამისამართებისას ტურისტული ბიუროს დაშვებული შეცდომა შეერაცხება მოგზაურობის მომწყობს (BGHZ 82, 219, 222).

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, **შესაბამისად**, გამოიყენება § 651ა და მისი მომდევნო ნორმები იმ შემთხვევის მიმართ, როდესაც § 651ა-ს პირველი ნანილის დებულებისგან განსხვავებით, მხოლოდ ცალკეული ვალდებულება სრულდება (მაგ., დასასვენებლად სახლის გაქირავება), ხოლო ხელშეკრულების მონაწილე მხარე, როგორც ორგანიზატორი, ისე მოქმედებს, რომელიც მოგზაურობის წარმატებულ განხორციელებაზე შეთანხმებული ნაწილობრივი ვალდებულებისთვის იღებს პასუხისმგებლობას (BGHZ 119, 152, 163). ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების ასეთი ფართო გამოყენება შესაძლოა, სამართლებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით გამართლებული იყოს, თუმცა, ინვესტს გამიჯვნის რთულ პრობლემებს (შდრ. BGHZ 130, 128: § 651ა-სა და მისი მომდევნო ნორმების მოქმედება გამოირიცხება სანაოსნო იახტის დაფრახტვის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ მოგზაურობის წარმატებული ჩატარება ხელშეკრულების საგანი არ არის, მაშინ შეთანხმებული ვალდებულება უნდა მივაკუთვნოთ სხვა ხელშეკრულების სახეს: მაგალითად, შევებულების დროს დასასვენებელი ადგილების ან სანაოსნო იახტის გადაცემა იქნებოდა ქირავნობის ხელშეკრულება.

III. სახელშეკრულებო ბოჭვა და ვალდებულების შესრულების გართულებები

1. ხელშეკრულებები ტურისტული მომსახურების სრული პაკეტის შესახებ ხშირად იდება მოგზაურობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. ტურისტის ასეთი უსამართლო გრძელვადიანი სახელშეკრულებო **ბოჭვა** რომ აცილებულ იქნეს თავიდან, ამ უკანასკნელს ეძლევა უფლება, მოგზაურობის დაწყებამდე მესამე პირი ჩართოს

121 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

122 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

ხელშეკრულებაში თავისი თავის ნაცვლად (§ 651ბ), ან საფუძვლის შეტყობინების გარეშე გავიდეს ხელშეკრულებიდან (§ 651ი).

6 2. თუ მოგზაურობა ხარვეზიანია, § 651-ის გ და ვ ითვალისწინებენ ტურისტის სამართლებრივი პოზიციის დამცავი ნორმების განსხვავებულ სისტემას. თუ ვალდებულების შესრულების ხელშეშლა ხელშეკრულების დადების შემდგომ იჩენს თავს, მაშინ § 651-ის გ და ვ მოქმედებენ როგორც სპეციალური ნორმები (**leges speciales**) ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ყველა ზოგად ნორმასთან მიმართებით და გამორიცხავენ მათ მოქმედებას (BGHZ 97, 255; თუმცა, სადავოა). ეს წესი მაშინაც მოქმედებს, როდესაც დაირღვევა მოგზაურობის ფარგლებში შესასრულებელი პირველი ვალდებულება და ამით ჩაიშლება მთელი მოგზაურობა (BGHZ 97, 255, თვითმფრინავის ბილეთის გადაჯავშნა). **მიმოხილვა:** ა) ტურისტს შეუძლია, ხარვეზის აღმოფხვრა მოითხოვოს (§ 651გ-ს მე-2 ნაწილი) და დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ თავისი ხარვეზით აღმოფხვრას ხარვეზი და განუული დანახარჯები მოსთხოვოს ორგანიზატორს (§ 651გ-ს მე-3 ნაწილი); ბ) გარდა ამისა, ხარვეზის არსებობის პერიოდისთვის ტურისტს, კანონის თანახმად, წარმოეშობა ფასის შემცირების მოთხოვნის უფლება (§ 651დ-ს პირველი ნაწილი). ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც ტურისტი ბრალეულად არ ატყობინებს ხარვეზის არსებობის შესახებ (§ 651დ-ს მე-2 ნაწილი). სამოქალაქო-სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდებისა და მითითების ვალდებულებების შესახებ დადგენილების § 6-ის მე-2 ნაწილის № 7-ის თანახმად, ტურისტს უნდა განემარტოს ვადის დადგენისა და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მისი მოგზაურობის ორგანიზატორისადმი შეტყობინების მოვალეობების შესახებ. ფასის შემცირების გამოთვლისათვის მნიშვნელოვან დამხმარე საშუალებად გამოიყენება ე.წ. ფრანკფურტის ცხრილი¹²³, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს ყოველი ცალკეული შემთხვევის გარემოების გათვალისწინებით (NJW 1985, 113; 1994, 1639); გ) მნიშვნელოვანი ხარვეზის დროს, § 651ე-ს ნინაპირობების დაცვით, ტურისტს აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დაუძლეველი ძალის შემთხვევებში ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციალური უფლება (იხ. § 651ე-ს ტექსტში „მხოლოდ“) გამორიცხავს § 651ე-ს გამოყენების შესაძლებლობას (დამატ. Medicus SchR II 399-ე ველი); დ) დაბოლოს, § 651ვ-ს თანახმად, ტურისტს შეუძლია, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს: ნორმის პირველი ნაწილი ეხება მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, ხარვეზიანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ჩათვლით; ნორმის მე-2 ნაწილი კი ითვალისწინებს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას უქმად დაკარგული შევებულების დროისთვის. ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები შეიძლება წარმოიშვას არა მარტო ხარვეზიანი მოგზაურობით, არამედ ასევე მოგზაურობის „ჩაშლით“ (მაგ., გადაჯავშნით). თუმცა, § 651ვ, სხვა ნორმებისგან განსხვავებით, ითხოვს, რომ ხარვეზი მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ ბრალეულად იყოს გამოწვეული, ვინაიდან იგი, § 276-ის პირველი ნაწილის თანახმად, განზრახვისა და გაუფრთხილებლობისთვის აგებს პასუხს (ბრალეულობა ივარაუდება მისგან გათავისუფლების შესაძლებლობით; შდრ. BGHZ 161, 79, 81). უსარგებლოდ დაკარგული შევებულებისთვის ანაზღაურებადი კომპენსაციის ოდენობის მასშტაბად შესაძლებელია, ალებულ იქნეს მოგზაურობის ფასი.

123 ფრანკფურტის ცხრილი არის ნაკლიანი ტურისტული მომსახურების დროს ფასის შემცირების საორიენტაციო სქემა. ხელშეკრულების მხარეებისათვის მას არ აქვს სავალდებულო ხასიათი. მისი შემუშავება მოხდა ფრანკფურტის სამხარეო სასამართლოს 24-ე სენატის მიერ, ვინაიდან ფრანკფურტში მრავალი ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება ირღვეოდა. მაგალითად, თუ სასტუმროს, შეთანხმებულისგან განსხვავებით, არ აქვს აივანი, ფასი, სავარაუდოდ, უნდა შემცირდეს 5-10 %-ით, ტუალეტის არქონის შემთხვევაში – 15 %-ით, დღის განმავლობაში შემანუსებელი ხმაურის შემთხვევაში – 5-25 %-ით და ა.შ.

ჩაშლილი მოგზაურობისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას არ აკლდება დამატებითი მუშაობის, სათადარიგო შვებულების ან სახლში გატარებული შვებულების დასვენების ღირებულება (BGHZ 161, 389). მოგზაურობის ხარვეზის დროს § 651ვ, ისევე, როგორც § 651დ-ს მე-2 ნაწილი, წინაპირობად აყენებს ხარვეზის შესახებ შეტყობინებას; § 651ვ-ის პირველ ნაწილში სიტყვა „შეუზღუდავად“ ეხება მხოლოდ პასუხისმგებლობის მოცულობას და არა პასუხისმგებლობის წინაპირობებს (BGHZ 92, 177; სადავოა); ე) §§ 651გ-651ვ-ს მიხედვით, მოთხოვნის უფლებები ექვემდებარება დაკარგვას, § 651ზ-ს პირველი ნაწილის თანახმად, და ხანდაზმულობას, § 651ზ-ს მე-2 ნაწილის შესაბამისად.

3. § 651ა-სა და მისი მომდევნო ნორმებისგან დამოუკიდებლად შესაძლებელია, დადგეს მოგზაურობის მომწყობის დელიქტური პასუხისმგებლობა (BGHZ 103, 298); მის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის საერთო ვადები, §§ 195-ისა და 199-ის მიხედვით. § 823-ის ფარგლებში მოგზაურობის მომწყობს ეკისრება, განსაკუთრებით, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება და ამ მიზნით მომსახურების რეგულარული გადამონმების ვალდებულება (მაგ., თავისი პარტნიორი სასტუმროების). ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან ვალდებულები პირი (მაგ., სასტუმროს მენეჯერი) არ არის მოგზაურობის მომწყობის დავალების შემსრულებელი პირი, § 831-ის მოსაზრებით (დამატ. Medicus SchR II 402-ე ველი).

IV. მომსახურების საფასურის გადახდა და მოგზაურობის ორგანიზატორის გადახდისუუნარობისას ტურისტის დაცვის უზრუნველყოფა

ტურისტული მომსახურების სფეროში ზოგადად მიღებულია მოგზაურობის ფასის წინასწარ გადახდა. ეს პრაქტიკა, ნარდობის ხელშეკრულების სუბსიდიური ფუნქციის გათვალისწინებით, დამაფიქრებელია (ვინაიდან გადახდის ვადამოსულობა დგება შესრულების მიღების შემდგომ; შდრ. BGHZ 100, 157, 164f). გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ წინასწარი გადახდა იმის გამო დაუშვა, რომ ტურისტს გადახდილი ფულის სანაცვლოდ ეძლევა სამოგზაურო დოკუმენტაცია, რაც მის მოთხოვნას ვალდებულები პირის (§ 328) მიმართ ადასტურებს, მაგალითად, თვითმფრინავის ბილეთი (BGHZ 100, 157, 171). თუმცა, მოგზაურობის მომწყობის გადახდისუუნარობისას ხშირად ღირებულებების არმქონეა მის მიერ გაცემული „კვალიფიციური“ მოგზაურობის ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტები უცხოელი ვალდებულების შემსრულებელი პირების მიმართ (მაგ., სასტუმროს ვალდებულების ბარათები). ასეთი შემთხვევისთვის ტურისტის დაცვის მექანიზმი ჩადებულია § 651ლ-ში, რომელიც მოგზაურობის ფასის წინასწარ გადახდას უშვებს მხოლოდ საგარანტიო დოკუმენტის გაცემის შემთხვევაში (§ 651ლ-ს მე-4 ნაწილი). საგარანტიო დოკუმენტით ტურისტს უდასტურდება ის, რომ მოგზაურობის მომწყობის გადახდისუუნარობისას მას უშუალო მოთხოვნის უფლება აქვს სადაზღვევო ან საკრედიტო ინსტიტუტის მიმართ, რომელიც გარანტიას იღებს მოგზაურობის მომწყობის ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე (§ 651ლ-ს მე-3 ნაწილი).

§ 651ა. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების ტიპური სახელშეკრულებო ვალდებულებები

(1) ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებით მოგზაურობის ორგანიზატორი ვალდებულია, ტურისტს გაუწიოს ტურისტული მომსახურების პაკეტით გათვალისწინებული მომსახურება; ტურისტი ვალდებულია, მოგზაურობის ორგანიზატორს ტურისტული მომსახურებისათვის გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური.

(2) განცხადება მხოლოდ იმ პირებთან ხელშეკრულებების დადებისათვის შუამავლობის თაობაზე, რომლებმაც უნდა შეასრულონ ცალკეული ტურისტული

მომსახურებები, მხედველობაში არ მიიღება, თუ სხვა გარემოებების მიხედვით დგინდება, რომ განმცხადებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტურისტულ მომსახურებას ახორციელებს საკუთარი პასუხისმგებლობით.

(3) ¹მოგზაურობის ორგანიზატორმა ხელშეკრულების დადებისთანავე ან დაუყოვნებლივ ხელშეკრულების დადების შემდეგ ტურისტს უნდა გადასცეს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (ტურისტული მოგზაურობის დამადასტურებელი დოკუმენტი). ²მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ გადაცემული დამადასტურებელი დოკუმენტი და პროსპექტი უნდა შეიცავდეს „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 238-ე მუხლის თანახმად მიღებულ სახელისუფლო განკარგულებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

(4) ¹მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლია გაზარდოს ტურისტული მომსახურების ფასი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში ზუსტი ციფრებით არის გათვალისწინებული ახალი ფასის გაანგარიშება და თუ ამით იგი ითვალისწინებს: სატრანსპორტო ხარჯებს, განსაზღვრული მომსახურების ხარჯებს, პორტისა და აეროპორტის მოსაკრებელს, ვალუტის კურსის ცვლილებას, რომელიც მოქმედებს შესაბამისი ტურისტული მოგზაურობისათვის. ²ფასის გაზრდა, რომელიც მოთხოვნილ იქნა შეთანხმებულ გამგზავრების თარიღამდე, სულ ცოტა, 20 დღით ადრე, სამართლებრივი ძალის არმქონეა. ³§ 309-ის № 1 არ იცვლება.

(5) ¹მოგზაურობის ორგანიზატორმა დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოს ტურისტს, მე-4 ნაწილის მიხედვით, ტურისტული მომსახურების ფასის ცვლილების, ძირითადი ტურისტული მომსახურების დასაშვები ცვლილებისა თუ ტურისტული მომსახურების დასაშვები გაუქმების შესახებ იმის შემდეგ, რაც იგი შეიტყობს ცვლილებისა თუ გაუქმების მიზეზის თაობაზე. ²ტურისტული მომსახურების ფასის 5%-ზე მეტი ოდენობით გაზრდის ან ძირითადი ტურისტული მომსახურების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ტურისტს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ³ამის ნაცვლად მას შეუძლია, ისევე როგორც მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ ტურისტული მომსახურების გაუქმების შემთხვევაში, მოითხოვოს სხვა, სულ ცოტა, იმავე ღირებულების მქონე ტურისტულ მომსახურებაში მონაწილეობის მიღება, თუ მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლია საკუთარი ასორტიმენტიდან ასეთი ტურისტული მომსახურების შეთავაზება ფასის გაზრდის გარეშე. ⁴ტურისტმა ეს უფლებები მოგზაურობის ორგანიზატორის მიმართ უნდა განახორციელოს დაუყოვნებლივ, ამ უკანასკნელის მიერ განცხადების გაკეთების შემდეგ.

§ 651ბ. ხელშეკრულების გადაცემა

(1) ¹მოგზაურობის დაწყებამდე ტურისტს შეუძლია მოითხოვოს, რომ მისი ადგილი ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებში დაიკავოს მესამე პირმა. ²მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლია გააპროტესტოს მესამე პირის შემოსვლა, თუ იგი არ აკმაყოფილებს მოგზაურობის სპეციალურ მოთხოვნებს, ან მისი მონაწილეობა ეწინააღმდეგება საკანონმდებლო ნორმებს ან საჯარო განკარგულებებს.

(2) თუ მესამე პირი შემოდის ხელშეკრულებაში, მაშინ ის და ტურისტი ტურისტული მომსახურების ფასისა და მესამე პირის შემოსვლით გამონვეული დამატებითი ხარჯებისათვის მოგზაურობის ორგანიზატორის წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 651გ. ხარვეზების აღმოფხვრა

(1) მოგზაურობის ორგანიზატორი ვალდებულია, წარმართოს მოგზაურობა ისე, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს გარანტირებული ხასიათი და იყოს თავისუფალი ისეთი ხარვეზებისგან, რომლებიც აუფასურებს ან ამცირებს მის ღირებულებას.

ბას, ან მის ვარგისიანობას, დააკმაყოფილოს ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულება.

(2) ¹თუ მოგზაურობა არ არის ასეთი ხარისხის, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს ხარვეზების აღმოფხვრა. ²მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლია, უარი თქვას ხარვეზების აღმოფხვრაზე, თუ მათ სჭირდებათ შეუსაბამოდ მაღალი ხარჯები.

(3) ¹თუ მოგზაურობის ორგანიზატორი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ ამისათვის განსაზღვრულ სათანადო ვადაში, მაშინ ტურისტს შეუძლია, თავად აღმოფხვრას ხარვეზები და მოითხოვოს განეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. ²ვადის განსაზღვრა საქირო არ არის, თუ მოგზაურობის ორგანიზატორი უარს ამბობს ხარვეზების აღმოფხვრაზე, ან თუ ხარვეზების დაუყოვნებელი აღმოფხვრა მოითხოვება ტურისტის განსაკუთრებული ინტერსიდან გამომდინარე.

§ 651დ. ფასის შემცირება

(1) ¹თუ მოგზაურობა ხარვეზიანია §651გ-ს გაგებით, მაშინ ხარვეზის პერიოდში ტურისტული მომსახურების ფასი მცირდება §638-ის მე-3 ნაწილის მიხედვით. ²შესაბამისად, გამოიყენება § 638-ის მე-4 ნაწილი.

(2) ფასის შემცირება არ ხდება, თუ ტურისტი ბრალეულად არ მიუთითებს ხარვეზის შესახებ.

§ 651ე. ხარვეზის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) ¹თუ მოგზაურობას § 651გ-ში მითითებული ხარვეზის გამო მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა, მაშინ ტურისტს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება. ²ანალოგიური წესი მოქმედებს მაშინაც, თუ მოგზაურობა მისთვის ასეთი ხარვეზის შედეგად მიუღებელია მნიშვნელოვანი, მოგზაურობის ორგანიზატორისთვის ცნობილი, მიზეზით.

(2) ¹ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც მოგზაურობის ორგანიზატორი გაუშვებს ტურისტის მიერ განსაზღვრულ სათანადო ვადას და არ აღმოფხვრის ხარვეზებს. ²ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია, ან მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ განცხადებული იქნება უარი მათ აღმოფხვრაზე, ანდა ხელშეკრულების დაუყოვნებელი შეწყვეტა გამართლებულია ტურისტის განსაკუთრებული ინტერესით.

(3) ¹თუ ხელშეკრულება წყდება, მოგზაურობის ორგანიზატორი კარგავს შეთანხმებული საზღაურის მიღების მოთხოვნის უფლებას. ²თუმცა, მას შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება, რომელიც გამოითვლება, § 638-ის მე-3 ნაწილის თანახმად, უკვე განეული მომსახურებისათვის ან, მოგზაურობის დასრულებამდე, ჯერ კიდევ გასანევი მომსახურებისათვის. ³ეს წესი არ მოქმედებს, თუ ამ მომსახურებით, ხელშეკრულების გაუქმების გამო, ტურისტი დაინტერესებული აღარ არის.

(4) ¹მოგზაურობის ორგანიზატორი ვალდებულია, მიიღოს ზომები, რომლებიც აუცილებელია ხელშეკრულების გაუქმების გამო, მათ შორის, დააბრუნოს ტურისტი, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებდა მის უკან დაბრუნებას. ²დამატებითი ხარჯები ეკისრება მოგზაურობის ორგანიზატორს.

§ 651ვ. ზიანის ანაზღაურება

(1) ტურისტს შეუძლია, ფასის შემცირების ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებების შეუზღუდავად, მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოგზაურობის ხარვეზები გამოწვეულია ისეთი გარემოებით, რომლისთვისაც მოგზაურობის ორგანიზატორი პასუხს არ აგებს.

(2) თუ მოგზაურობა ჩაიშალა, ან იგი მნიშვნელოვნად ირღვევა, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს ასევე შევებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული სათანადო ფულადი ანაზღაურება.

§ 651ზ. ხანდაზმულობის ვადა; ხანდაზმულობის ვადის გასვლა

(1) ¹§ 651გ-662გ-ით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებები ტურისტის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს მოგზაურობის ორგანიზატორისათვის ხელშეკრულებაში მითითებული მოგზაურობის ვადის გასვლის შემდეგ ერთი თვის ვადაში. ²§ 174 არ გამოიყენება. ³ვადის გასვლის შემდეგ ტურისტს შეუძლია წარადგინოს თავისი მოთხოვნის უფლებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ვადის დაუცველობაში ბრალი არ მიუძღვის.

(2) ¹§ 651გ-662გ-ში გათვალისწინებული ტურისტის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ორ წელს. ²ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც ხელშეკრულებით მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო.

§ 651თ. პასუხისმგებლობის დასაშვები შეზღუდვა

(1) მოგზაურობის ორგანიზატორს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა, გარდა სხეულის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობისა, ტურისტული მომსახურების საზღაურის სამმაგი ოდენობით იმდენად:

1. რამდენადაც ტურისტისათვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახი მოქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით; ან,
2. რამდენადაც მოგზაურობის ორგანიზატორი ერთპიროვნულად აგებს პასუხს ტურისტისთვის მიყენებული იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა ცალკეული მომსახურების განმახორციელებელი პირის ბრალით.

(2) თუ მომსახურების განმახორციელებელი პირის მიერ გაწეული ტურისტული მომსახურება ექცევა საერთაშორისო ხელშეკრულებების ან მათზე დაფუძნებული საკანონმდებლო ნორმების მოქმედების ქვეშ, რომელთა თანახმადაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ან წარედგინება მხოლოდ განსაზღვრული წინაპირობების ან შეზღუდვების არსებობისას, ანდა განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას იგი გამოირცხვლია, მაშინ მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლია ტურისტის მიმართ აღნიშნულზე მითითება.

§ 651ი. უარი ხელშეკრულებაზე მოგზაურობის დაწყებამდე

(1) ტურისტს მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

(2) ¹თუ ტურისტი უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, მოგზაურობის ორგანიზატორი კარგავს შეთანხმებული ტურისტული მომსახურების საზღაურის მიღების მოთხოვნის უფლებას, თუმცა, მას შეუძლია, მოითხოვოს სათანადო ანაზღაურება. ²ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ტურისტული მომსახურების საზღაურის მიხედვით მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ დაზოგილი ხარჯების ღირებულების გამოკლებით, ისევე როგორც იმ ხარჯების გამოკლებით, რომლებიც მას შეუძლია მიიღოს თავისი ტურისტული მომსახურების სხვაგვარად გამოყენების შედეგად.

(3) ხელშეკრულებაში მოგზაურობის ყოველი სახეობის მიხედვით ანაზღაურების სახით შეიძლება განისაზღვროს ტურისტული მომსახურების საზღაურის საპროცენტო შეფარდება, ჩვეულებრივ, დაზოგილი ხარჯებისა და ტურისტული მომსახურების სხვაგვარად გამოყენების შედეგად შესაძლო ჩვეულებრივი შენაძენის გათვალისწინებით.

§ 651კ. ხელშეკრულების შეწყვეტა დაუძლეველი ძალის გამო

(1) თუ მოგზაურობა არსებითად გაძნელებდა, მას შეექმნება საფრთხე, ან იგი დაირღვევა ხელშეკრულების დადებისას გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის დადგომის შედეგად, მაშინ როგორც ტურისტს, ისე მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება მხოლოდ წინამდებარე ნორმის საფუძველზე.

(2) ¹თუ ხელშეკრულება წყდება პირველი ნაწილის თანახმად, მაშინ გამოიყენება § 651ე-ს მე-3 ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებები და მე-4 ნაწილის პირველი წინადადება. ²დაბრუნების დამატებითი ხარჯები მხარეებს ეკისრებათ სანახევროდ. ³სხვა შემთხვევაში დამატებითი ხარჯები ეკისრება ტურისტს.

§ 651ლ. უზრუნველყოფის წარდგენა, გადახდა

(1) მოგზაურობის ორგანიზატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ტურისტს აუნაზღაურდება:

1. გადახდილი ტურისტული მომსახურების საზღაური, თუ ტურისტული მომსახურება მოგზაურობის ორგანიზატორის გადახდისუუნარობის ან მის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის შედეგად ვერ სრულდება; და
2. აუცილებელი ხარჯები, რომლებიც უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით წარმოეშვა ტურისტს მოგზაურობის ორგანიზატორის გადახდისუუნარობის ან მის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის შედეგად.

პირველი წინადადებით გათვალისწინებული ვალდებულებები მოგზაურობის ორგანიზატორმა შეიძლება შეასრულოს მხოლოდ:

1. დაზღვევის მეშვეობით იმ სადაზღვევო კომპანიაში, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს სამენარმეო საქმიანობა წინამდებარე კანონის მოქმედების სფეროში; ან
2. იმ საკრედიტო დაწესებულების გადახდის შეპირების მეშვეობით, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს სამენარმეო საქმიანობა წინამდებარე კანონის მოქმედების სფეროში.

(2) ¹ზღვეველს ან საკრედიტო დაწესებულებას (კლიენტების თანხების გარანტორი) შეუძლია შეზღუდოს თავიანთი პასუხისმგებლობა იმ თანხებში, რომლებიც მთლიანობაში ექვემდებარება ანაზღაურებას ერთი წლის განმავლობაში, წინამდებარე კანონის თანახმად, 110 მილიონ ევრომდე. ²თუ წინამდებარე კანონის თანახმად, კლიენტების თანხების გარანტორის მხრიდან ერთი წლის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხები მთლიანობაში აღემატება პირველ წინადადებაში მითითებულ მაქსიმალურ თანხას, მაშინ ანაზღაურების ცალკეული მოთხოვნები შემცირდება მათი მთლიანი თანხის მაქსიმალურ თანხასთან შეფარდების მიხედვით.

(3) ¹პირველი ნაწილის მიხედვით, თავისი ვალდებულების შესრულებისათვის მოგზაურობის ორგანიზატორმა უნდა გადასცეს ტურისტს უშუალო მოთხოვნის უფლება კლიენტების თანხების გარანტორის მიმართ და დაადასტუროს იგი დასტურის (საგარანტიო დოკუმენტის) გადაცემით, რომელიც გაცემულია კლიენტების თანხების გარანტორის მიერ, ან გაცემულია ამ უკანასკნელის განკარგულებით. ²კლიენტების თანხების გარანტორს არ შეუძლია, იმ ტურისტის მიმართ, რომელსაც გადაეცა საგარანტიო დოკუმენტი, მიუთითოს არც კლიენტის თანხების გარანტიის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელზე და არც იმ ფაქტზე, რომ საგარანტიო დოკუმენტი გაიცა მხოლოდ კლიენტის თანხების გარანტიის შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ. ³მე-2 წინადადებაში გათვალისწინებულ შემთხვევებში ტურისტის მოთხოვნის უფლება მოგზაურობის ორგანიზატორის მიმართ გადადის კლიენტების თანხების გარანტორზე იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს ტურისტს. ⁴ტურისტული სააგენტო

ვალდებულია ტურისტის წინაშე, შეამონმოს საგარანტიო დოკუმენტის ნამდვილობა ამ უკანასკნელისათვის მისი გადაცემის მომენტში.

(4) ¹მოგზაურობის ორგანიზატორსა და ტურისტულ სააგენტოს შეუძლიათ ტურისტული მომსახურების საზღაურის დასაფარავად ტურისტის გადახდების მოთხოვნა და მიღება ტურისტული მომსახურების დასრულებამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ტურისტს გადაეცა საგარანტიო დოკუმენტი. ²ტურისტული სააგენტო მიიჩნევა უფლებამოსილად, მიიღოს მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ ტურისტული მომსახურების საზღაურის დასაფარად ტურისტის გადახდები, თუ იგი მას გადასცემს საგარანტიო დოკუმენტს, ან, თუ მოგზაურობის ორგანიზატორთან დაკავშირებული სხვა გარემოებები ცხადყოფს, რომ ტურისტულ სააგენტოს მოგზაურობის ორგანიზატორისაგან დაევალა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებების დადებაზე შუამავლობა მის ინტერესებში. ³ეს წესი არ მოქმედებს, თუ ტურისტული სააგენტოს მიერ ტურისტისაგან გადახდების მიღება ნათელი ფორმით გამორიცხულია.

(5) ¹თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მოგზაურობის ორგანიზატორის სათავო ოფისი მდებარეობს ევროპული გაერთიანების სხვა წევრ სახელმწიფოში ან ევროპული ეკონომიკური სივრცის შეთანხმების ხელისშემკვერელ სხვა სახელმწიფოში, მაშინ პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოგზაურობის ორგანიზატორის ვალდებულება ითვლება შესრულებულად მაშინაც კი, როდესაც იგი ტურისტს წარუდგენს უზრუნველყოფას სხვა სახელმწიფოში მოქმედი ნორმების თანახმად და ეს ნორმები შეესაბამება პირველი ნაწილის პირველი წინადადების მოთხოვნებს. ²მე-4 ნაწილი მოქმედებს იმ პირობით, რომ ტურისტმა უნდა მიიღოს უზრუნველყოფის წარდგენის დამადასტურებელი მტკიცებულება.

(6) პირველი-მე-5 ნაწილები არ მოქმედებს, თუ:

1. მოგზაურობის ორგანიზატორი მოგზაურობის მოწყობით დაკავებულია მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე და თავისი სამენარმეო საქმიანობის ფარგლებს მიღმა;
2. მოგზაურობა გრძელდება არა უმეტეს 24 საათისა, არ მოიცავს ღამის გათენებას და მოგზაურობის ფასი არ აღემატება 75 ევროს;
3. მოგზაურობის ორგანიზატორი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ქონების მიმართ გაკოტრების საქმისწარმოება დაუშვებელია.

§ 6518. მასპინძელ ქვეყანაში სასწავლო მიზნით ყოფნა (Gastschulaufenthalte)

(1) ¹იმ ტურისტული ხელშეკრულების მიმართ, რომელიც გრძელდება, სულ ცოტა, სამ თვეს და რომლის საგანია გაცვლითი მოსწავლის მასპინძელ ოჯახში ცხოვრება სხვა სახელმწიფოში (მიმღები ქვეყანა) და დაკავშირებულია სკოლაში გაკვეთილებზე რეგულარულ დასწრებასთან, მოქმედებს ქვემოთ მოცემული ნორმები. ²იმ ტურისტული ხელშეკრულების მიმართ, რომლის საგანია სასწავლო მიზნით მცირე ხნით ცხოვრება (პირველი წინადადება) ან დაკავშირებულია მიმღები ქვეყნის მასპინძელ ოჯახში პრაქტიკული მეცადინეობებზე რეგულარულ დასწრებასთან, ეს ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეთანხმებულია.

(2) მოგზაურობის ორგანიზატორი ვალდებულია:

1. გაცვლითი მოსწავლის თანამონაწილეობითა და მიმღები ქვეყნის პირობების მიხედვით იზრუნოს მოსწავლის განთავსებაზე, ზედამხედველობასა და მოვლაზე მასპინძელ ოჯახში; და
2. შექმნას პირობები მიმღებ ქვეყანაში გაცვლითი მოსწავლის სკოლაში რეგულარული დასწრებისათვის.

(3) თუ მოგზაურობის დაწყებამდე ტურისტი უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, მაშინ § 6510-ის მე-2 ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები და მე-2 ნაწილი არ გა-

მოიყენება, თუ მოგზაურობის ორგანიზატორი ყველა შემთხვევაში მოგზაურობის დაწყებამდე, სულ ცოტა, ორი კვირით ადრე არ შეატყობინებს მას:

1. გაცვლითი მოსწავლის ჩამოსვლისას მიმღებად განწესებული მასპინძელი ოჯახის გვარსა და მისამართს;
2. მიმღებ ქვეყანაში საკონტაქტო პირის გვარსა და დაკავშირების საშუალებას, რომლისგანაც შეიძლება ასევე დახმარების განწვეის თხოვნა, და სათანადოდ მოამზადებს მას საცხოვრებლად.

(4) ¹ტურისტს შეუძლია ნებისმიერ დროს, მოგზაურობის დასრულებამდე, შეწყვიტოს ხელშეკრულება. ²თუ ტურისტი წყვეტს ხელშეკრულებას, მაშინ მოგზაურობის ორგანიზატორი უფლებამოსილია, მოითხოვოს შეთანხმებული ტურისტული მომსახურების საზღაური დაზოგილი ხარჯების გამოკლებით. ³მოგზაურობის ორგანიზატორი ვალდებულია, მიიღოს ზომები, რომლებიც აუცილებელია ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, მათ შორის, გაცვლითი მოსწავლის უკან დაბრუნება, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებდა მის უკან დაბრუნებას. ⁴დამატებითი ხარჯები ეკისრება ტურისტს. ⁵ზემოთ მითითებული წინადადებები არ მოქმედებს, თუ ტურისტს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა § 6516-ს ან § 6516-ს თანახმად.

§ 6516. განსხვავებული შეთანხმებები

¹მე-2 წინადადების გათვალისწინებით, §§ 6516-6518-ს ტურისტისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება დაუშვებელია. ²§ 6516-ს მე-2 ნაწილში განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის მოქმედება შეიძლება შემსუბუქდეს, თუმცა, არა უადრეს მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ მოგზაურობის ხარვეზის შესახებ შეტყობინების მიღების მომენტისა, თუ შეთანხმების შედეგად ხანდაზმულობის ვადა მცირდება ერთ წელზე ნაკლებ ვადად § 6516-ს მე-2 ნაწილში განსაზღვრული მომენტიდან.

კარი 10. სამაკლერო ხელშეკრულება

ქვეკარი 1. ზოგადი ნორმები

§ 652-ის შესავალი

1. **1. ცნება.** შუამავლობის ხელშეკრულება არის მხოლოდ ცალმხრივად მავალდებულებული ხელშეკრულება (იხ. § 652-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). მხოლოდ დავალების მიმცემს (შემკვეთს) ეკისრება ვალდებულება და, სახელდობრ, მაკლერისთვის პროვიზიის ანაზღაურება და ესეც მხოლოდ გარკვეული წინაპირობების არსებობისას (ქვემოთ, მე-5 ველი). ამისგან განსხვავებით, მაკლერს არ ეკისრება არც საქმეების წარმოება და არც განსაზღვრული შუამავლობის ან ხელშეკრულების დადების შედეგის მიღწევა. შესაბამისად, დავალების მიმცემიც თავისუფალია, სამაკლერო ხელშეკრულება ნებისმიერ დროს შეწყვიტოს, ან უარი განაცხადოს მაკლერის მიერ მისთვის წარდგენილ შუამავლობით მოპოვებულ შემოთავაზებაზე (BGH NJW 1967, 1225f); გარდა ამისა, მას უფლება აქვს, მაკლერისგან დამოუკიდებლად თვითონ მოიძიოს შემოთავაზებები (ოფერტები) და ასევე სხვა მაკლერები დაასაქმოს (გამონაკლისთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ, მე-3 ველი).

2. **2. გამიჯვნები.** ა) სამაკლერო მომსახურებისა და სამაკლერო წარდგომის ხელშეკრულების შემთხვევაში მაკლერი ვალდებულებას იღებს, განახორციელოს სამაკლერო საქმიანობა და მიაღწიოს შედეგს. ანაზღაურების ვალდებულება ამ შემთხვევაშიც, როგორც წესი, წარმოიშობა მხოლოდ ძირითადი ხელშეკრულების

დადების შემთხვევაში და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში მაკლერის მიერ განეული საქმიანობისთვის, როგორც ცალკე აღებულისთვის. **ბ) დავალების ხელშეკრულება** უსასყიდლოა, თუმცა, წარმოშობს დანახარჯების ანაზღაურებაზე მოთხოვნას, ხოლო სამაკლერო ხელშეკრულება, მისგან განსხვავებით, სასყიდლიანია და როგორც წესი, არ ანიჭებს მხარეს დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებას (§ 652-ის მე-2 ნაწილი).

3 3. განსაკუთრებული ფორმები და რეგულირებები. გერმანიის სამოქალაქო კოდექსში დარეგულირებული სამაკლერო ხელშეკრულება დისპოზიციურია. ამის გამო შესაძლებელია, მაკლერის ანაზღაურების (პროვიზიის) გადახდის ვალდებულება წარმოიშვას სამაკლერო საქმიანობის განხორციელების გარეშე (BGHZ 112, 240, 242). გერმანიის სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს სამაკლერო ხელშეკრულების კანონისმიერ მიმართულებას (მნიშვნელოვანია მაკლერის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების კონტროლისას). სამაკლერო ხელშეკრულების განსაკუთრებული ფორმები და რეგულირებებია: **ა) ე.წ. ექსკლუზიური დავალება (Alleinauftrag)**, რომელიც სამაკლერო ხელშეკრულების განსაკუთრებული ფორმაა და კანონში არ არის დარეგულირებული. დავალების მიმცემი ვალდებულია იღებს, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში იმავე საქმეზე არ მისცეს დავალება სხვა მაკლერს. მაკლერი სამაკლერო საქმიანობის განხორციელებაზე ვალდებულებას კისრულობს, ხოლო თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, იგი გასამრჯელოს იღებს მხოლოდ შედეგის მიღწევისას, სადაც დავალების მიმცემს (შემკვეთს) აქვს თავისუფალი არჩევანის უფლება, გააფორმოს ხელშეკრულება მაკლერის შუამავლობით მოპოვებული შემოთავაზებით თუ არა (BGH NJW 1967, 1225f); **ბ) სავაჭრო სამაკლერო ხელშეკრულების** შესახებ რეგულირებებს შეიცავს გერმანიის ვაჭრობის შესახებ კანონის 93-ე და მომდევნო პარაგრაფები. სავაჭრო მაკლერი არის ის, ვინც სავაჭრო ინტერესით შუამავლობას უწევს ამავე კანონის § 93-ის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ სავაჭრო გარიგებებს, რომლებშიც, § 93-ის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შედის მიწის ნაკვეთის ან ბინის ნასყიდობის გარიგებები; **გ) საცხოვრებელი ბინის შუამავლობა** ექვემდებარება უმეტესწილად საცხოვრებელი ბინების შუამავლობის შესახებ კანონის იმპერატიულ ნორმებს; **დ) სესხის შუამავლობისთვის** სპეციალური რეგულირებები მოცემულია § 655ა-სა და მის მომდევნო ნორმებში.

4 4. სამაკლერო საქმიანობა. სამაკლერო საქმიანობის განხორციელება ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობაა და, შესაბამისად, მისი განხორციელება მაკლერისთვის არის მოვალეობა. თუ რომელია შეთანხმებული, დამაკავშირებელი თუ საშუამავლო საქმიანობა, ყოველი ცალკეული შემთხვევის გარემოებების განმარტებით უნდა დადგინდეს: **ა) დამაკავშირებელი (მიმთითებელი) მაკლერი (Nachweismakler)** თავის გასამრჯელოს იღებს ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის მონახვისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მან, სასურველი გარიგების საგნის მიხედვით, უნდა იპოვოს ხელშეკრულების მხარე და დააკავშიროს შემკვეთთან, რათა ამ უკანასკნელმა თვითონ შეძლოს ხელშეკრულების გაფორმების შესახებ მოლაპარაკების წარმოება (BGH NJW 1987, 1628); **ბ)** ამის საპირისპიროდ, **შუამავალი მაკლერი (Vermittlungsmakler)** ვალდებულებას იღებს, კონტაქტი დაამყაროს სამომავლო ხელშეკრულების მხარესთან, მასზე მოახდინოს გავლენა და იგი ხელშეკრულების დადების მზაობამდე მიიყვანოს, ან, სულ ცოტა, ხელი შეუწყოს ამ პროცესს (BGH NJW 1976, 1844); თანაქმედება ხელშეკრულების დადებისას არ არის სავალდებულო და არც მხოლოდ როგორც ცალკე აღებული საკმარისი.

5 5. მაკლერის გასამრჯელო. გასამრჯელოს მოთხოვნის წინაპირობები § 652-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით: **ა) ნამდვილი სამაკლერო ხელშეკრულება;** **ბ) სამაკლერო საქმიანობის განხორციელება** (ზემოთ, ველი 4); **გ) ძირითადი (გამიზნული) ხელშეკრულების დადება.** მაკლერი მხოლოდ მიღწეული

შედგებისთვის იღებს (დადებული ხელშეკრულებისთვის) გასამრჯელოს (პროვიზიას) (ამის გამო არსებობს გამოთქმა: „მაკლერის გარჯა სმირად არაანაზღაურებადია“). ძირითადი ხელშეკრულება უნდა იყოს ნამდვილი; ხელშეკრულების საწყისი ხარვეზი გამორიცხავს ანაზღაურებაზე მოთხოვნას, ასევე, შეცილების უფლებასაც (ამის არგუმენტია § 142). გარემოებები, რომლებიც მოგვიანებით ეხება ხელშეკრულებას (ხელშეკრულებიდან გასვლა ან შეწყვეტა), არ ახდენენ გავლენას მაკლერის გასამრჯელოს ანაზღაურებაზე. გადადების პირობით დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იხილეთ § 652-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება. ძირითადი (გამიზნული) ხელშეკრულების მხარე, როგორც წესი, ის პირი უნდა იყოს, რომელიც მაკლერმა დაიყოლია ხელშეკრულების გასაფორმებლად (BGH NJW 1976, 1844). გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულების შინაარსიც უნდა შეესაბამებოდეს მაკლერის დავალების ფარგლებში გამიზნული ხელშეკრულების შინაარსს (ამ წესიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულებაში, ეკონომიკური და იურიდიული თვალსაზრისით, უმნიშვნელო განსხვავებები შეთანხმდება); **დ)** ხელშეკრულების მხარე უნდა იყოს **მესამე პირი** და არა თვითონ მაკლერი. მაკლერის ძალიან მჭიდრო ეკონომიკური დაკავშირებულობა მესამე პირთან, ასევე, გამორიცხავს გასამრჯელოზე მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, მაკლერისთვის წარმოიშობა ინტერესთა კოლიზია: მაგალითად, თუ ის იმ საზოგადოების საქმიანობის მონაწილე პირია, რომელთანაც ფორმდება ხელშეკრულება, ან თუ ძირითადი ხელშეკრულების დადება (ასევე) დამოკიდებულია მის თანხმობაზე (BGHZ 112, 240). იგივე წესი შეიძლება მოქმედებდეს თუნდაც მაშინ, როდესაც მაკლერს მესამე პირთან „მხოლოდ“ პირადი ურთიერთობები აქვს, მაგალითად, მესამე პირთან იმყოფება ქორწინებაში (BVerfGE 78, 128, 130); **ე)** მაკლერის მიერ განხორციელებული სამაკლერო საქმიანობის **მიზეზობრიობა** ძირითადი ხელშეკრულების დადებასთან მიმართებით; საკმარისია თანამიზეზობრიობაც (BGH NJW 1983, 1849); **ვ)** ძირითადი ხელშეკრულების დადების მომენტში შემკვეთის მიერ მაკლერის სამაკლერო საქმიანობის შესახებ **ცოდნა** ან ბრალეული არცოდნა (გავრცელებული მოსაზრება; თუმცა, სადავოა).

6. დამატებითი უფლებები და ვალდებულებები. სამაკლერო ხელშეკრულება ორივე მხარისთვის წარმოშობს განსაკუთრებულ ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას თავისი დამატებითი ვალდებულებებით, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც დამრღვევს ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. **ა) მაკლერს** ეკისრება შემკვეთისადმი შეტყობინების, ახსნა-განმარტების მიცემის, კონსულტაციის განწევის ვალდებულებები მისთვის ცნობილ ყველა და შემკვეთისთვის სასურველ, გარიგებისთვის შესაძლო მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით; ამისგან განსხვავებით, სპეციალურად უნდა იქნეს შეთანხმებული ფაქტების დამატებით დადგენის ან გამოკვლევის ვალდებულებები. მაკლერს ეკისრება, ასევე, შემკვეთის ინტერესების დაცვა და დუმილის ვალდებულება; მას არ აქვს უფლება, სამომავლო ხელშეკრულების მხარისთვის გასწიოს საქმიანობა (წინააღმდეგ შემთხვევაში იხ. § 654-ის სანქცია; თუმცა, გამონაკლისია ე.წ. მიუკერძოებელი ორმაგი მაკლერი). **ბ) შემკვეთს** ეკისრება დუმილის ვალდებულება მაკლერის მიერ მისთვის მიწოდებულ ინფორმაციასთან მიმართებით და ვალდებულია ამ უკანასკნელისადმი ინფორმაციის მიწოდებასა და ყველა გასამრჯელოს მოთხოვნის წარმოშობი გარემოებების შესახებ ანგარიშის წარდგენაზე. **გ) მესამე პირებთან მიმართებით** მაკლერს არ ეკისრება რაიმე ვალდებულება; შეთანხმება შემკვეთსა და მესამე პირს შორის, რომ ამ უკანასკნელმა უნდა გადაიხადოს მაკლერის პროვიზია (ე.წ. სამაკლერო დათქმა), შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მესამე პირის (მაკლერის) სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება (§ 328). გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა მიიჩნევს (BGHZ 138, 170), რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან გასამრჯელოს გადახდის

ვალდებულება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როდესაც სამაკლერო საქმიანობა ფაქტობრივად განხორციელდება; მაშასადამე, აქ მოქმედებს მაკლერისა და მესამე პირის ინტერესთა გადაჯაჭვის აკრძალვა (იხ. ზემოთ, მე-5 ველი).

§ 652. გასამრჯელოს მოთხოვნის წარმოშობა

(1) ¹პირი, რომელიც კისრულობს საშუამავლო გასამრჯელოს გადახდას ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის მითითების ან ხელშეკრულების დასადავად განუხლები შუამავლობისათვის, ვალდებულია, გადაიხადოს გასამრჯელო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება იდება მითითების ან მაკლერის შუამავლობის შედეგად. ²თუ ხელშეკრულება იდება გადადების პირობით, მაშინ საშუამავლო გასამრჯელო შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ.

(2) ¹ხარჯები მაკლერს აუნაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეთანხმებულია. ²ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება არ იდება.

§ 653. საშუამავლო გასამრჯელო

(1) საშუამავლო გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ მაკლერზე დაკისრებული მომსახურება გარემოებათა მიხედვით მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი.

(2) თუ გასამრჯელოს ოდენობა განსაზღვრული არ არის, მაშინ ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ხოლო ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი გასამრჯელო.

§ 654. საშუამავლო გასამრჯელოს მოთხოვნის უფლების დაკარგვა

საშუამავლო გასამრჯელოსა და ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამოირიცხულია, თუ მაკლერი ხელშეკრულების პირობების სანააღმდეგოდ მოქმედებდა ასევე მეორე მხარის სასარგებლოდ.

§ 655. საშუამავლო გასამრჯელოს შემცირება

¹თუ მომსახურების ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის მითითების ან ამ ხელშეკრულების დასადავად განუხლები შუამავლობისათვის შეთანხმებულია შეუსაბამოდ მაღალი გასამრჯელო, მაშინ იგი მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შემცირდეს სათანადო თანხამდე. ²გასამრჯელოს გადახდის შემდეგ თანხის შემცირება გამორიცხულია.

ქვეკარი 2. სესხის მიღებაზე მენარმესა და მომხმარებელს შორის შუამავლობის ხელშეკრულება

§ 655ა. სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულება

¹იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლითაც მენარმე საზღაურის სანაცვლოდ თანხმდება მომხმარებლისათვის სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შუამავლობას ან მისთვის სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის მითითებას, მე-2 წინადადების გათვალისწინებით მოქმედებს ქვემოთ მოცემული ნორმები. ²ეს წესი არ მოქმედებს § 491-ის მე-2 ნაწილში განსაზღვრულ ფარგლებში.

§ 655ბ. წერილობითი ფორმა

(1) ¹სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. ²ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების პირობით, ხელშეკრულებ

ბაში, კერძოდ, უნდა მიეთითოს სასესხო მაკლერის გასამრჯელო სესხის თანხასთან პროცენტული შეფარდებით; თუ სასესხო მაკლერმა გასამრჯელო შეათანხმა, აგრეთვე, მენარმესთან, მაშინ ეს გასამრჯელოც უნდა იქნეს მითითებული. ³ხელშეკრულება არ შეიძლება იყოს სესხის გაცემაზე შეთავაზებასთან კავშირში. ⁴სასესხო მაკლერმა ტექსტური ფორმით უნდა შეატყობინოს მომხმარებელს ხელშეკრულების შინაარსი.

(2) სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულება, რომელიც არ აკმაყოფილებს პირველი ნაწილის პირველი-მე-3 წინადადებების მოთხოვნებს, ბათილია.

§ 655გ. გასამრჯელო

¹მომხმარებელი ვალდებულია, გადაიხადოს გასამრჯელო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შუამავლობის ან სასესხო მაკლერის მიერ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის მითითების შედეგად მომხმარებელზე სესხი გაიცა და ამ უკანასკნელის მიერ, § 355-ის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმა აღარ არის შესაძლებელი. ²თუ იმდენად, რამდენადაც ეს სასესხო მაკლერისთვის ცნობილი იყო, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება განკუთვნილია სხვა სესხის ვადამდე დასაფარავად (ვალის რესტრუქტურზაცია), გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეფექტური ან სანყისი ეფექტური წლიური პროცენტი არ იზრდება; დასაფარავი სესხის ეფექტური ან სანყისი ეფექტური წლიური პროცენტის გაანგარიშებისას შესაძლო შუამავლობის ხარჯები მხედველობაში არ მიიღება.

§ 655დ. დამატებითი გასამრჯელო

გარდა § 655გ-ს პირველი წინადადებით გათვალისწინებული გასამრჯელოსი, სასესხო მაკლერს არ შეუძლია იმ მომსახურებისათვის საზღაურის შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შუამავლობასთან ან სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის მითითებასთან, თუმცა, შეიძლება შეთანხმებულ იქნეს სასესხო მაკლერის მიერ განეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება.

§ 655ე. განსხვავებული შეთანხმებები, გამოყენება დამწყები მენარმის მიმართ

(1) ¹დაუშვებელია წინამდებარე ქვეტიტულის ნორმებისაგან განსხვავებული რეგულირება მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ. ²წინამდებარე ქვეტიტულის ნორმები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევებშიც, როდესაც მათ უვლიან გვერდს სხვაგვარი გაფორმებით.

(2) წინამდებარე ქვეტიტული მოქმედებს ასევე სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულების მიმართ მენარმესა და, § 507-ის გაგებით, დამწყებ მენარმეს შორის.

ქვეკარი 3. დაქორწინების მიზნით შუამავლობის ხელშეკრულება

§ 656. დაქორწინების მიზნით შუამავლობის ხელშეკრულება

(1) ¹დაქორწინების შესაძლებლობის მითითების ან დაქორწინების მიზნით განეული შუამავლობისათვის გასამრჯელოს გადახდის შეპირება ვალდებულებას არ წარმოშობს. ²შეპირების საფუძველზე შესრულება არ შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი იმის გამო, რომ არ არსებობდა ვალდებულება.

(2) აღნიშნული ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, იმ შეთანხმების მიმართ, რომლითაც ხელშეკრულების მეორე მხარემ, შეპირების შესრულების მიზნით, მაკლერის წინაშე იკისრა ვალდებულება, მათ შორის, ვალი აღიარა.

- 1 **1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო.** გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს (BVerfGE 20, 31), რომ ნორმა ემსახურება მიზანს, დაიცვას მეულლეთა ინტიმური სფერო და შეზღუდოს საქორწინო შუამავლობითი საქმიანობები (სადავოა). საქორწინო შუამავლობის ხელშეკრულება არის ქორწინების გაფორმებისკენ მიმართული სამაკლერო ხელშეკრულება. ამის საპირისპიროდ, ქორწინების მომზადების მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევაში, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ისეთი მომსახურებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქორწინების გაფორმებას. ძირითადად, ფორმდება ე.წ. პარტნიორთა შორის შუამავლობის ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც, შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, შექმნას „სასურველი პარტნიორის პროფილი“ და შემოთავაზების სახით გახადოს ხელმისაწვდომი (სადმე განათავსოს, მაგ.: ინტერნეტში, გაზეთში და ა.შ.); თუ რომელი ხელშეკრულება გვაქვს სახეზე, მომსახურების თუ ნარდობის, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს თავად შემსრულებლის ვალდებულების შინაარსიდან. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო მიიჩნევს (BGHZ 106, 341, 344f), რომ ამ დროს იღება მხოლოდ მომსახურების ხელშეკრულება, რაც სადავოა. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო შესაძლებლად მიიჩნევს § 656-ის შესაბამის გამოყენებას როგორც ქორწინების მოსამზადებელი ხელშეკრულებისთვის (BGHZ 87, 309), ასევე პარტნიორებს შორის შუამავლობის ხელშეკრულებების შემთხვევებშიც (BGHZ 112, 122; რაც ძალიან სადავოა, დასაბუთება იხ. Peters NJW 1986, 2676 და 1989, 2793).
- 2 **2. სამართლებრივი შედეგები. ა) ანაზღაურების ვალდებულება.** ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ერთი მხრივ, წარმოიშობა ანაზღაურებადი ვალდებულება, თუმცა, მეორე მხრივ, არაგასაჩივრებადი, ე.წ. ნატურით შესასრულებელი ვალდებულება (Naturalobligation – არასასარჩევო ვალდებულება); ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება გამოიცხადებს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებას (§ 812 და მისი მომდევნო პარაგრაფების ნორმები), ვინაიდან მხარე აპელირებას ახდენს ნორმის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაზე ან მე-2 ნაწილზე, და არა ბათილობის სხვა საფუძვლებზე (BGHZ 87, 309, 316). **ბ) დამოუკიდებელი ვალდებულებები,** რომლებიც წარმოიშობა ვალის აღიარებიდან, კრედიტიდან, თამასუქიდან ან სხვა მსგავსი ურთიერთობიდან და რომელთა გამოყენებითაც უნდა შესრულდეს გასამრჯელოს დაპირება, მოიაზრება ნორმის მე-2 ნაწილში და, შესაბამისად, ისინი ითვლებიან ნატურალურ ვალდებულებებად (არაგასაჩივრებად ვალდებულებებად). **გ) შემსრულებლის მიერ განეული საშუამავლო საქმიანობაც** (მომსახურების ხელშეკრულების შემთხვევებში) ასევე განუხორციელებადია (არაგასაჩივრებადი), გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მას ჰონორარი უკვე მიღებული აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას გადახდამდე აქვს ვალდებულების დაკავების უფლება (Staudinger-Reuter [2003], მე-9 ველი; სადავოა).
- 3 **3. საფინანსო ხელშეკრულებები,** რომლებიც მომზადდება ქორწინების შუამავლის (ან წყვილთა შუამავლის) მიერ, განიხილებიან როგორც ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებები, § 358-ის თვალსაზრისით. ამ ხელშეკრულებების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება ნორმის მე-2 ნაწილი. ასე რომ, მისგან გამომდინარე ვალდებულებებიც (მაგ., სასესხო ვალი) მიიჩნევა ნატურალურ ვალდებულებად, ზემოთ, მე-2 ველში განხილული თვალსაზრისით (სადავოა).

კარი 11. ჯილდოს საჯაროდ დაპირება

§ 657. მბოჭავი შეპირება

პირი, რომელიც საჯარო განცხადებით აწესებს ჯილდოს გარკვეული მოქმედების შესრულებისათვის, მათ შორის, შედეგის მისაღწევად, ვალდებულია, გადაუხადოს ჯილდო იმ პირს, რომელმაც შეასრულა მოქმედება მაშინაც კი, როდესაც ეს პირი არ მოქმედებდა ჯილდოს დაპირების გამო.

§ 658. ჯილდოს საჯაროდ დაპირების გაუქმება

(1) ¹ჯილდოს საჯაროდ დაპირება შეიძლება გაუქმდეს მოქმედების შესრულებამდე. ²გაუქმება სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ცნობილი გახდება იმავე საშუალებით, რითაც მოხდა ჯილდოს საჯაროდ დაპირება, ან თუ იგი ხორციელდება სპეციალური შეტყობინებით.

(2) ჯილდოს საჯაროდ დაპირებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გაუქმებაზე უარი; დავის შემთხვევაში უარად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოქმედების განხორციელებისათვის ვადის დადგენა.

§ 659. მოქმედების რამდენჯერმე შესრულება

(1) თუ მოქმედება, რომლისთვისაც შეპირებულია ჯილდო, შესრულდა რამდენჯერმე, მაშინ ჯილდო ეკუთვნის იმას, ვინც პირველმა შეასრულა ეს მოქმედება.

(2) ¹თუ მოქმედება ერთდროულად შესრულდა რამდენიმე პირის მიერ, მაშინ თითოეული შემსრულებელი დაჯილდოვდება თანაბარწილად. ²თუ ჯილდო თავისი თვისებების გამო არ შეიძლება გაიყოს, ან, საჯარო დაპირების შინაარსის მიხედვით, იგი მხოლოდ ერთმა უნდა მიიღოს, მაშინ საკითხი წყდება წილისყრით.

§ 660. რამდენიმე პირის თანამონაწილეობა

(1) ¹თუ რამდენიმე პირი იღვწოდა იმ შედეგის მისაღწევად, რომლისთვისაც დაწესებულია ჯილდო, მაშინ ჯილდოს შემპირებელმა მათ შორის ჯილდო უნდა გაანაწილოს სამართლიანი შეფასებით შედეგის მიღწევაში თითოეულის მონაწილეობის გათვალისწინებით. ²განაწილება სავალდებულო არ არის, თუ იგი აშკარად უსამართლოა; ასეთ შემთხვევაში იგი წყდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

(2) თუ ჯილდოს შემპირებლის განაწილება ერთ-ერთი მონაწილის მიერ არ იქნება აღიარებული როგორც მბოჭავი, მაშინ ჯილდოს შემპირებელი უფლებამოსილია, უარი თქვას შესრულებაზე მანამდე, სანამ მონაწილეები არ გადაწყვეტენ ერთმანეთს შორის დავას უფლებამოსილებათა შესახებ; თითოეულს მათ შორის შეუძლია მოითხოვოს ჯილდოს ყველასთვის დეპოზიტზე შეტანა.

(3) გამოიყენება § 659-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა.

§ 661. კონკურსი

(1) ჯილდოს საჯაროდ დაპირება, რომლის საგანია კონკურსი პრიზის მოსაპოვებლად, ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჯარო განცხადებაში მითითებულია განაცხადის წარდგენის ვადა.

(2) ¹გადაწყვეტილება იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა ვადაში წარდგენილი განაცხადი ჯილდოს საჯაროდ დაპირების მოთხოვნებს, ან რამდენიმე განაცხადიდან რომელს ენიჭება უპირატესობა, მიიღება ჯილდოს საჯაროდ დაპირების განცხადებაში მითითებული პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას – ჯილდოს საჯაროდ დაპირებლის მიერ. ²გადაწყვეტილება მონაწილეთათვის სავალდებულოა.

(3) თანაბარი ღირებულების მქონე განაცხადების შემთხვევაში, პრიზის გადაცემის მიმართ გამოიყენება § 659-ის მე-2 ნაწილის ნორმები.

(4) ნაკეთობაზე საკუთრების უფლების გადაცემა ჯილდოს საჯაროდ დამპირების მიერ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ჯილდოს საჯაროდ დაპირებაში განსაზღვრა, რომ საკუთრების უფლების გადაცემა უნდა განხორციელდეს.

§ 661ა. მოგების დაპირებები (Gewinnzusagen)

მენარმემ, რომელიც მომხმარებელს უგზავნის მოგების დაპირებებს ან თანაბარმნიშვნელოვან შეტყობინებას და ამ დაპირებებით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მომხმარებელმა მოიგო პრიზი, უნდა გადასცეს პრიზი მომხმარებელს.

კარი 12. დავალება და სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება

ქვეკარი 1. დავალება

§ 662. დავალების ხელშეკრულების ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები
დავალების მიღებით რწმუნებული კისრულობს ვალდებულებას, აწარმოოს უსასყიდლოდ მარწმუნებლის მიერ მისთვის მიცემული საქმე.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა. დავალების ხელშეკრულების** საგანი შესაძლოა იყოს ნებისმიერი სხვა პირისთვის სარგებლის მომტანი საქმიანობა, ასევე ისეთიც, რომელსაც სამართლებრივი ბუნება არ აქვს (მაგ., დავალების მიმცემის (მარწმუნებლის) არყოფნის პერიოდში დავალება ყვავილების მორწყვასთან დაკავშირებით). მაშასადამე, საქმეების შესრულების ცნება, ამ შემთხვევაში, უფრო მეტია, ვიდრე ეს § 675-ის შემთხვევაში გვაქვს (იხ. ამ ნორმის კომენტარი). როგორც წესი, მარწმუნებელს განსაკუთრებული ნდობა აქვს რწმუნებულის მიმართ; გამომდინარე აქედან, ივარაუდება, რომ ამ უკანასკნელმა თავად უნდა გასწიოს საქმიანობა (დამატებით § 664, შდრ. ასევე § 673-ის პირველი ნაწილი). დავალება არ არის ორმხრივი (სინალაგმატური) ხელშეკრულება (ცნებასთან დაკავშირებით იხ. § 320-ის შესავალი, მე-3 ველი). § 662-ისა და მის მომდევნო პარაგრაფთა ნორმების მნიშვნელობა განსაკუთრებულად მაღალია გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მათზე ხშირი მითითების გამო (მაგ., §§ 27-ის მე-3 ნაწილი, 675; დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოების ნორმები).
- 2 **2. ხელშეკრულების დადება: ა) დავალების ხელშეკრულება.** კეთილგანწყობის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობებისგან განსხვავებით, დავალება არის მხარეთა სამართლებრივ-გარიგებითი ბოჭვის სურვილის გამოხატულება (ცალკეული შემთხვევების რთულ გამიჯვნებთან დაკავშირებით იხ. § 241-ის შესავალი, ველი 2). გამიჯვნის მნიშვნელობა ასეთია: რწმუნებული, § 280-ის მიხედვით, პასუხს აგებს დავალების ნებისმიერი ბრალეული არაჯეროვანი შესრულებისთვის, კეთილგანწყობის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების მონაწილე მხარე კი პასუხს აგებს (როგორც წესი) მხოლოდ დელიქტური ვალდებულების საფუძველზე, § 823-ისა და მის მომდევნო პარაგრაფთა ნორმების ფარგლებში (დამატ. *Larenz SchR II/1 § 56 I*); **ბ) უსასყიდლობა.** სახელშეკრულებო შეთანხმება ასევე უნდა ეხებოდეს იმ ფაქტს, რომ რწმუნებული განსახორციელებელი მოქმედებისთვის არ მიიღებს ანაზღაურებას (წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნებოდა §§ 611-ის, 631-ის ან 675-ის შემთხვევები). მიუხედავად ამისა, მას ხშირ შემთხვევაში შეუძლია, მარწმუნებლისგან მოითხოვოს დანახარჯების ფულადი სახით ანაზღაურება (§ 670).

3. დავალების ურთიერთობის **დასრულება**, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია ურთიერთობათა დასრულების ზოგადი საფუძვლების მიხედვით: დავალების შესრულება, ვადის გასვლა, გაუქმების შესახებ ხელშეკრულება, შეწყვეტა (შენწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს ორივე მხარის მიერ, § 671-ის მოთხოვნათა დაცვით). დავალება, შესაძლებელია, შეწყდეს რწმუნებლის გარდაცვალების გამო (§ 673, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს § 674-ს). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დავალება არ წყდება მარწმუნებლის გარდაცვალებისას (§ 672).

4. **რწმუნებლის ვალდებულებები:** დავალების მითითების შესაბამისი შესრულება (დამატებით § 665); დავალების შესრულების შედეგად მიღებულის გადაცემა (§ 667); ინფორმაციის მიწოდებისა და ანგარიშის წარდგენის ვალდებულება (§ 666); ზოგიერთ შემთხვევაში: წინასახელშეკრულებო შეტყობინების ვალდებულება დავალების უარყოფის შემთხვევაში (§ 663; ვალდებულების დარღვევის შედეგია ზიანის ანაზღაურება და არა ხელშეკრულების დადება). კანონით გათვალისწინებული ამ ვალდებულებების გარდა, ვინაიდან მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის წარმოიშობა ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა, რწმუნებულს, დავალების სახეობისა და შინაარსის გათვალისწინებით, შეიძლება ეკისრებოდეს მარწმუნებლის გაფრთხილებისა და მისი გათვითცნობიერების ვალდებულება. მაგალითად: საგადასახადო მრჩეველი (§ 675!) ვალდებულია, მარწმუნებლის შეკითხვის გარეშე, მიუთითოს მას, თუ არსებობს გადასახადების დაზოგვის შესაძლებლობა. კეთილგანწყობით დადებული სხვა ხელშეკრულებებისგან განსხვავებით (მდრ. მაგ.: §§ 521, 599, 690), კანონი რწმუნებულისთვის არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ რაიმე შემადგენლობას; იგი, როგორც წესი, პასუხს აგებს განზრახვისა და ნებისმიერი სახის გაუფრთხილებლობისთვის (§ 276). თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლებელია, ორივე მხარის ინტერესთა მდგომარეობის გათვალისწინებით, სახეზე იყოს მსუბუქი გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობის კონკლუდენტური გამორიცხვა (OLG Frankfurt NJW 1998, 1232).

5. **მარწმუნებლის ვალდებულებები** არ წარმოიშობა დავალების ყველა ურთიერთობის დროს (ორმხრივად მავალდებულებელი არასრულყოფილი ხელშეკრულება). § 670-ის მიხედვით, მარწმუნებელმა უნდა აანაზღაუროს დავალების შესასრულებლად საჭირო დანახარჯები, მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია, რწმუნებულისთვის თანხის წინასწარ ავანსის სახით მიცემაც (§ 669). გარდა ამისა, მას ეკისრება რწმუნებლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვის ვალდებულება; §§ 618, 619 გამოიყენება უსასყიდლო მომსახურებების შემთხვევაში.

§ 663. დავალების მიღებაზე უარის შემთხვევაში შეტყობინების ვალდებულება

¹პირი, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად, ან რომელმაც საჯაროდ გამოხატა მზადყოფნა ამისათვის, თუ იგი ამ საქმიანობის განსახორციელებლად არ იღებს დავალებას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მარწმუნებელს უარის თაობაზე. ²ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ მარწმუნებლის წინაშე გამოხატა განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებისათვის მზადყოფნა.

§ 664. დავალების შესრულების მოთხოვნის უფლების გადაცემის დაუშვებლობა; პასუხისმგებლობა დამხმარე პირის მოქმედებისათვის

(1) ¹დავის შემთხვევაში რწმუნებულს არ შეუძლია გადასცეს დავალების შესრულება მესამე პირს. ²თუ გადაცემა ნებადართულია, მაშინ იგი პასუხს აგებს მხოლოდ გადაცემასთან დაკავშირებული ბრალისათვის. ³დამხმარე პირის ბრალისათვის იგი პასუხისმგებელია § 278-ის თანახმად.

(2) დავის შემთხვევაში მიიჩნევა, რომ დავალების შესრულების მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება გადაცემას.

§ 665. მარნმუნებლის მითითებიდან გადახვევა

1^რმუნებელი უფლებამოსილია, გადაუხვიოს მარნმუნებლის მითითებს, თუ, გარემოებიდან გამომდინარე, მას შეუძლია ივარაუდოს, რომ მარნმუნებელი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოინონებდა ასეთ გადახვევას. 2^რმუნებულმა მითითებებისაგან გადახვევამდე უნდა შეატყობინოს მარნმუნებელს და დაელოდოს მის გადანყვეტილებას, თუ დაყოვნება არ არის დაკავშირებული საფრთხესთან.

§ 666. ინფორმაციის მიწოდებისა და ანგარიშის წარდგენის ვალდებულება

რნმუნებელი ვალდებულია, მიაწოდოს მარნმუნებელს აუცილებელი ინფორმაცია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს ინფორმაცია საქმის ვითარების შესახებ და დავალების შესრულების შემდეგ წარუდგინოს მას ანგარიში.

§ 667. მიღებულის დაბრუნების ვალდებულება

რნმუნებელი ვალდებულია, დაუბრუნოს მარნმუნებელს ყველაფერი ის, რასაც იგი იღებს დავალების შესასრულებლად და რასაც იგი შეიძენს საქმის წარმოებიდან გამომდინარე.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** მარნმუნებლის მოთხოვნის უფლება რნმუნებულის მიმართ მიღებულის დაბრუნებაზე გამომდინარეობს დავალების ხელშეკრულების ბუნებიდან. მისი წინაპირობა არის ნამდვილი დავალების ურთიერთობის არსებობა (წინააღმდეგ შემთხვევაში, დაბრუნება განხორციელდებოდა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით, § 812-ით და მისი მომდევნო პარაგრაფებით). შესაბამისი გამოყენებისთვის მნიშვნელოვანი შემთხვევებია: საქმეების სასყიდლიანი შესრულება (§ 675), დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება (§§ 681-ის მე-2 წინადადება; 687-ის მე-2 წინადადება), კავშირის საერთო კრება (§ 27-ის მე-3 ნაწილი) და ანდერძის აღმასრულებელი (§ 2218).
- 2 **2. დაბრუნების სახე და მოცულობა.** რნმუნებულის მიერ დაბრუნების ვალდებულების სახე განისაზღვრება მიღებულით: საკუთრება (მაგ., დავალების ხელშეკრულებით და საკუთარი სახელით საკუთრების შეძენისას) მან უნდა გადასცეს (§929 და მის მომდევნო პარაგრაფთა ნორმები, §§873, 925); მფლობელობაში არსებული ნივთები გადასცეს; მოთხოვნები და უფლებები დათმოს (§ 398 და მომდევნო ნორმების მიხედვით). რნმუნებულმა, როგორც წესი, ყველაფერი უნდა დააბრუნოს, თუმცა, მას არ ეკისრება იმ საგნების დაბრუნების ვალდებულება, რომლებიც დავალების ჯეროვანი შესრულებისთვის გაიხარჯა. სხვა მხრივ, სულ ერთია, გადასაცემი რნმუნებულს მოეპოვება თუ აღარ; კონკრეტული გარემოებების მიხედვით გამოიყენება § 275 და მისი მომდევნო ნორმები.
- 3 **3. დაბრუნების ვალდებულების საგანი.** ა) დავალების შესასრულებლად მიღებული (მაგ.: აპარატურა, ფული, დოკუმენტები). უმნიშვნელოა ის, თუ ვის მიერ იქნა გადაცემული ეს საგნები, თავად მარნმუნებლის თუ მისი დავალებით მოქმედი მესამე პირის მიერ. საგნების შემთხვევითი დაღუპვის რისკის მატარებელი არის მარნმუნებელი (BGH WM 1969, 26). ბ) დავალების შესრულების შედეგად მიღებული: ყველა საგანი, რომელსაც რნმუნებელი, ფაქტობრივად, იღებს საქმეების გაძღოლის ფარგლებში, ანდა მასთან დაკავშირებული ურთიერთობიდან/გარემოებიდან. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად (*Palandt-Sprau* მე-3 ველი), ასეთ საგნებს ასევე მიეკუთვნება განსაკუთრებული სარგებელი, ქრთამი და ა.შ., რომელთა აღებაც თავისთავად წარმოქმნის საშიშროებას, რომ მოხდება მარნმუნებლის ნების გამოვლენაზე უარყოფითი ზეგავლენა (BGH NJW 2001, 2476, 2477). უმნიშვნელოა ის, თუ ვისთვის არის სარგებელი გამიზნული, მარნმუნებლისთვის თუ რნმუნებულისთვის. სხვა მოსაზრების თანახმად, განსაკუთრებული სარგებე-

ლი არ უნდა იქნეს გადაცემული, ვინაიდან ისინი მიღებულ იქნა უშუალოდ არა საქმეების გაძღოლის ფარგლებში, არამედ მასთან დაკავშირებული ურთიერთობიდან. რწმუნებულის მიერ საქმიანობის არაკეთილსინდისიერად განხორციელების შემთხვევაში, ამ უკანასკნელს დაეკისრება ზიანის ანაზღაურება.

§ 668. პროცენტი გამოყენებული ფულადი სახსრებისათვის

თუ რწმუნებული იყენებს ფულად სახსრებს თავისთვის, რომლებიც მას უნდა დაებრუნებინა მარწმუნებლისათვის, ან გამოეყენებინა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, რწმუნებული ვალდებულია, ფულადი სახსრების გამოყენების დროისათვის იხადოს პროცენტი.

§ 669. წინასწარ გადახდის ვალდებულება

დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯებისათვის მოთხოვნის შემთხვევაში მარწმუნებელმა რწმუნებულს უნდა მისცეს ავანსი.

§ 670. ხარჯების ანაზღაურება

თუ რწმუნებული, დავალების შესრულების მიზნით, სწევს ისეთ ხარჯებს, რომლებსაც, გარემოებებიდან გამომდინარე, იგი აუცილებლად მიიჩნევს, მაშინ მარწმუნებელი ვალდებულია, აანაზღაუროს ასეთი ხარჯები.

1. ზოგადი მიმოხილვა. ა) შინაარსი. რწმუნებულს აქვს დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა გამოირიცხება (დამატებით ქვემოთ, მე-3 ველი); მას ასევე აქვს უფლება თანხის ავანსად მიღების მოთხოვნაზე. **ბ) ნორმის მიზანი.** რწმუნებულს, რომელიც ისედაც უსასყიდლოდ ასრულებს მარწმუნებლის დავალებებს, არ უნდა დაანვეს დამატებითი ქონებრივი დანაკარგები. **გ) მოქმედების სფერო.** ნორმა მოქმედებს ყველა უსასყიდლო (ხშირად ასევე სასყიდლო) უცხო ინტერესების განხორციელების შემთხვევებისთვის, განსაკუთრებით უცხო ქონების მართვისას (შესაბამისად გამოიყენება მაგ., §§ 675-ის, 683-ის პირველი წინადადების, 994-ის მე-2 ნაწილის, 2218-ის პირველი ნაწილის მიხედვით). ნორმის გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევაა სამუშაოს მაძიებლის მიერ სანარმოსთვის იმ დანახარჯის მოთხოვნა, რომელიც მას გასაუბრებაზე მისასვლელად დაეხარჯა (მაგ., მგზავრობის ხარჯები). ეს მოთხოვნა არსებობს იმისგან დამოუკიდებლად, სამომავლოდ შრომითი ხელშეკრულება დაიდება თუ არა. ნორმა გამოიყენება ასევე შრომითი ურთიერთობის ფარგლებში შესრულებული ცალკეული დავალებების მიმართაც (იხ. § 611-ის შესავალი, მე-6 ველი).

2. დანახარჯების ანაზღაურება. ა) დანახარჯი არის რწმუნებულის მიერ დავალების შესასრულებლად ნებაყოფლობით (ან მარწმუნებლის მითითებით) განეული ყველა სახის ქონებრივი „შენაწირი“, რომელიც ემსახურება საქმიანობის განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა, ამ შემთხვევაში მოიაზრება: გასავლები, ხარჯები, გადასახადები, გავზავნის ხარჯები, ან ვალდებულების შესასრულებლად განეული სხვა დანახარჯები. **ბ) რწმუნებულის შრომითი გარჯა** დავალების ხელშეკრულების თანახმად შეთანხმებული უსასყიდლოობის გამო, როგორც წესი, არ ანაზღაურდება (სხვანაირად გვაქვს საქმე დავალების გარეშე სხვისი საქმიანობის შესრულებასთან, იხ. § 683-ის მე-7 ველი). სხვა წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც შრომითი საქმიანობა მიეკუთვნება რწმუნებულის პროფესიას ან ეკონომიკურ საქმიანობას და მათი საჭიროება ვერ იქნებოდა გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების დროს. **გ) ვერ ანაზღაურდება დანახარჯები**, რომლებიც განეულ იქნა აკრძალული (§ 134) ან ამორალური (§ 138) საშუალებებით, მაგ., ქრთამი. ასევე, არ ანაზღაურდება განეული ხარჯი, რომელიც უფრო მეტად რწმუნებულის

საქმიანობას ემსახურებოდა. დაბოლოს, საქმეების გაძღოლის ხელშეკრულებებით (§ 675), შესაძლებელია, განსაზღვრული დანახარჯები დაფარულ იქნეს შეთანხმებული ანაზღაურებით (განმარტების საკითხია). **დ**) კანონის თანახმად, **ხარჯების განვივის საჭიროების დასადგენად** უნდა ვიხელმძღვანელოთ სუბიექტურ-ობიექტური მასშტაბით. გადამწყვეტია ის, რწმუნებული დანახარჯების განვივის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტში (სუბიექტური მომენტი), მისთვის შეცნობადი ყველა გარემოების გათვალისწინებით (ობიექტური მომენტი), საჭიროდ მიიჩნევა თუ არა ხარჯების განვივას. მაშასადამე, არ ანაზღაურდება რწმუნებულის მიერ საჭიროდ მიჩნეული ყველა დანახარჯი, მაგრამ არა მხოლოდ ისეთიც, რომელმაც დავალების განხორციელებას ფაქტობრივად შეუწყო ხელი. დავის შემთხვევაში მიზანშეწონილია, რწმუნებულს (რამდენადაც ეს შესაძლებელია) ჰქონდეს მარწმუნებლის ხარჯების განვივაზე მითითება (შდრ. იხ. § 665-ის მე-2 წინადადება).

3 3. ზიანის ანაზღაურება. პრობლემურია მარწმუნებლის მიერ იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც რწმუნებულს წარმოეშვა მისი ბრალის გარეშე დავალების განხორციელების შედეგად (მისი ბრალით წარმოშობილ ზიანთან მიმართებით მოქმედებს ზოგადი ნორმები). პრობლემატიკა იმდენად საფუძვლიანია, რამდენადაც ზიანი ამ შემთხვევაში არის არანებაყოფლობით განცდილი ქონებრივი დანახარჯი, რომელიც § 670-ის ფარგლებში დანახარჯის სახით ვერ ანაზღაურდება. თუმცა, არსებობს ერთიანი მიდგომა საკითხთან დაკავშირებით, რომ მარწმუნებელმა რწმუნებულს უნდა აუნაზღაუროს **ე.წ. რისკის თანმდევი ზიანი**. აქ საქმე ეხება ისეთ ზიანს, რომლის დადგომის შესაძლებლობა განსაზღვრული დავალების შესრულებისას საკმაოდ მაღალია (მაგ., ხანძრის ჩაქრობის დროს დამწვრობის მიღების რისკი; გამიჯვნასთან დაკავშირებით BGH NJW 1993, 2234, 2235). თუმცა, სადავოდ რჩება, რომელი სამართლებრივი საფუძველი უნდა ანაზღაურდეს ზიანი, § 670-ით თუ სხვა ნორმით: **ა) ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად**, ამ შემთხვევაში, **შესაბამისად** გამოიყენება § 670. ამის არგუმენტი არის შემდეგი (BGHZ 38, 270, 277): ზიანის განსაზღვრული რისკის აღება უთანაბრდება ნებაყოფლობით განეულ ქონებრივ „შენაწირს“ (დანახარჯს); **ბ) ლიტერატურაში** ნაკლებად გავრცელებული მოსაზრების თანახმად (მაგ., *Larenz SchR III/1 § 56 III*), ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაკავშირებულია **სამოსამართლო სამართალთან** (რისკის შერაცხვის პრინციპი ზიანისადმი მიდრეკილი საქმიანობისას). ფართოდ გავრცელებული მოსაზრების არგუმენტს გააბათილებდა, როდესაც რწმუნებულს ზიანის დაუდგომლობის მიმართ ნდობა ექნებოდა ან საფრთხეს წინასწარ ვერ შეიცნობდა. ზოგადად, თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას გავიზიარებდით (და არა დანახარჯების ანაზღაურების კუთხით), მოგვიწევდა § 254-ის გამოყენების წმინდა დოგმატური დასაბუთება (ასევე §§ 844-846-ის, 253-ის მე-2 ნაწილის), რომლის გამოყენებაც რწმუნებულის ზიანში თანაპასუხისმგებლობისთვის არის მნიშვნელოვანი.

§ 671. დავალების გაუქმება; ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) **დავალება შეიძლება გაუქმდეს მარწმუნებლის მიერ ნებისმიერ დროს და ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს რწმუნებულის მიერ ნებისმიერ დროს.**

(2) **1** რწმუნებულს შეუძლია ხელშეკრულების მხოლოდ ისე შეწყვეტა, რომ მარწმუნებელს შეეძლოს სხვაგვარი ზომების მიღება დავალების შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ვადამდე შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძველი. **2** თუ იგი ვადამდე წყვეტს ხელშეკრულებას ასეთი საფუძველის გარეშე, მაშინ მან უნდა აუნაზღაუროს მარწმუნებელს ამით მიყენებული ზიანი.

(3) **თუ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი, მაშინ რწმუნებული უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტაზე მაშინაც კი, როდესაც მან უარი თქვა ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებაზე.**

§ 672. მარნმუნებლის გარდაცვალება ან ქმედუნარობა

¹დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ დავალება არ უქმდება მარნმუნებლის გარდაცვალების ან ქმედუნარობის დადგომის გამო. ²თუ დავალება უქმდება, მაშინ, როცა დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან, რწმუნებულმა უნდა გააგრძელოს მისთვის გადაცემული დავალების შესრულება მანამდე, სანამ მემკვიდრე ან მარნმუნებლის კანონიერი წარმომადგენელი არ შეძლებს სხვაგვარი აუცილებელი ზომების მიღებას; ამ ფარგლებში დავალება ითვლება გაგრძელებულად.

§ 673. რწმუნებულის გარდაცვალება

¹დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ დავალება უქმდება რწმუნებულის გარდაცვალებით. ²თუ დავალება უქმდება, მაშინ რწმუნებულის მემკვიდრემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მარნმუნებელს გარდაცვალების შესახებ და თუ დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან, უნდა გააგრძელოს მისთვის გადაცემული დავალების შესრულება მანამდე, სანამ მარნმუნებელი არ შეძლებს სხვაგვარი აუცილებელი ზომების მიღებას; ამ ფარგლებში დავალება ითვლება გაგრძელებულად.

§ 674. დავალების არსებობის გაგრძელების ფიქცია

თუ დავალება უქმდება სხვაგვარად, ვიდრე მასზე უარის თქმით, მაშინ რწმუნებულის სასარგებლოდ იგი მიიწევა ითვლება გაგრძელებულად მანამ, სანამ რწმუნებულის არ შეიტყობს გაუქმების შესახებ, ან სანამ მას უნდა შეეტყო ამის თაობაზე.

ქვეკარი 2. სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება**თავი 1. ზოგადი მიმოხილვა****§ 675. სხვისი საქმეების სასყიდლიანი შესრულება**

(1) მომსახურების ან ნარდობის ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა საგანია სხვისი საქმეების სასყიდლიანი შესრულება, შესაბამისად გამოიყენება §§ 663, 665-670, 672-674, თუ წინამდებარე ქვეკარში სხვა რამე არ არის დადგენილი და თუ ვალდებულ პირს აქვს უფლება, შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება, შესაბამისად გამოიყენება, აგრეთვე, § 671-ის მე-2 ნაწილი.

(2) სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, დელიქტიდან ან სხვა საკანონმდებლო დანაწესიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის შეუზღუდავად პირი, რომელიც სხვა პირს აძლევს რჩევას ან რეკომენდაციას, არ არის ვალდებული, აანაზღაუროს რჩევის ან რეკომენდაციის გათვალისწინების შედეგად წარმოშობილი ზიანი.

I. სხვისი საქმეების შესრულება (ნორმის პირველი ნაწილი)

1. ზოგადი მიმოხილვა. ნორმის პირველი ნაწილი იმ ფაქტს უწევს ანგარიშს, რომ დავალების მრავალი ნორმა ესადაგება, ასევე, სასყიდლიანი საქმეების შესრულებას, რომელიც მომსახურების ან ნარდობის ხელშეკრულებას ეხება (ე.წ. სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება). ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება, თავისი წინაპირობების გათვალისწინებით, დავალების ხელშეკრულებისაგან განსხვავდება ძირითადი ორი ნიშნით: ერთი მხრივ, საქმეების შესრულება არის სასყიდლიანი (შდრ. §§ 612, 632); მეორე მხრივ, ნორმაში მოცემული საქმიანობების წრე უფრო ვიწროა, ვიდრე § 662-ის შემთხვევაში.

2. გამოყენების სფერო. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, საქმეების შესრულებაში იგულისხმება „ეკონომიკური სახის დამოუკიდებელი საქმიანობა, რომლის შესასრულებლადაც

დავალების მიმცემს თავდაპირველად თვითონ უნდა ეზრუნა, თუმცა, ამ საქმიანობის შესრულება მისგან მესამე პირს დაევალა“ (BGHZ 45, 223, 229). ფართოდ გავრცელებული მოსაზრების ავტორთა მიერ შემოთავაზებული ეს დეფინიცია ცდილობს, ინტერესთა მდგომარეობა უფრო დაწვრილებით აღწეროს: ა) საქმეების შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობა (მაშასადამე, არ მოიაზრება ხელშეკრულებები ექიმებთან, ხელოვანებთან და ა.შ.). წინააღმდეგ შემთხვევაში, არ იქნებოდა გამოსადეგი ეკონომიკურ ინტერესთან დაკავშირებული დავალების ნორმები; ბ) საქმიანობა უნდა იყოს დამოუკიდებელი (მაგ., ეს არ გვაქვს ძიძის, ქარხნის მუშების საქმიანობისას); წინააღმდეგ შემთხვევაში, საკმარისია §§ 611-სა და მის მომდევნო პარაგრაფთა ნორმების, ასევე, 631-სა და მის მომდევნო პარაგრაფთა ნორმების გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობის განხორციელება მიბმულია მისი შესრულების ინსტრუქციასთან (§ 665), საქმიანობის განხორციელების ხელშეკრულებები მაინც ხასიათდება მხარეთა შორის განსაკუთრებული ნდობითი ურთიერთობის არსებობით. ხშირ შემთხვევაში, დავალების გამცემს ეკისრება დუმილის ვალდებულება (მაგ., საბანკო საიდუმლოება), რომლის დროსაც ქვესაქმიანობებს არც კი ეხება საქმე; გ) მხოლოდ ისეთი შესრულებები შეიძლება ჩაითვალოს საქმეების შესრულებად, რომლებიც თავად დავალების მიმცემს უნდა განეხორციელებინა, მაშასადამე, დავალების მიმცემის მიერ მესამე პირისთვის შესასრულებელი ქმედებები და არა თვითონ დავალების მიმცემისთვის (წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედებს § 611 და მომდევნო პარაგრაფები, § 631 და მომდევნო პარაგრაფები). მაგ.: სამშენებლო პროექტის შედგენის ხელშეკრულება არქიტექტორთან, როგორც ნესი, ნარდობის ხელშეკრულება; თუმცა, § 675 გამოიყენება მაშინ, როდესაც მოლაპარაკებები მესამე პირთან არის საწარმოებელი; დ) მაგალითებია: საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, ქონების მართვის შესახებ ნებისმიერი ხელშეკრულება (საბანკო ხელშეკრულება, საგადასახადო კონსულტაციის განწვევის შესახებ ხელშეკრულება), მშენებლობის გაძღოლის შესახებ ხელშეკრულება, ხელშეკრულებები საკუთრების მინდობის შესახებ.

- 3 **3. სამართლებრივი შედეგები.** ნორმა ადგენს, რომ დავალების სამართლის ნორმები მოქმედებს § 611-სა და მის მომდევნო პარაგრაფთა ნორმების, § 631-სა და მის მომდევნო პარაგრაფთა ნორმების გვერდიგვერდ. § 663 თავის მნიშვნელობას იძენს, უპირველეს ყოვლისა, § 675-ის პირველი ნაწილის ფარგლებში: არავის ეკრძალება საჯაროდ უსასყიდლოდ შეასრულოს საქმეები. § 670 სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულების დროს უფრო სხვანაირად უნდა გავიგოთ, ვიდრე უბრალო დავალების შემთხვევაში: აქ შესაძლებელია, ხელშეკრულების განმარტებიდან გამომდინარეობდეს, რომ დანახარჯები შეთანხმებულ საზღაურში იყო გათვალისწინებული. ნორმის პირველ ნაწილში მოუხსენიებელი დავალების სხვა დამატებითი ნორმების გამოყენებაც უნდა აინონ-დაინონოს; მაგალითად, § 664 შესაძლოა გამოიყენებოდეს, თუ კონკრეტულ შემთხვევაში მოცემულია განსაკუთრებულ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა (Larenz SchR II/1 § 56 aE).

II. პასუხისმგებლობის გამორიცხვა რჩევისა და რეკომენდაციისთვის (ნორმის მე-2 ნაწილი)

- 4 **1.** ნორმის მე-2 ნაწილი ნათელყოფს, რომ რჩევისა და რეკომენდაციის მიცემისათვის პასუხისმგებლობა არ დგება, მაშასადამე, სახეზეა კეთილგანწყობითი ურთიერთობა, რომელიც არ არის სამართლებრივად მბოჭავი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკანონმდებლო დანაწესი არ მოქმედებს ეკონომიკური ბაზრის სხვა სფეროებსა და ინფორმაციის გაცემის იმ შემთხვევაში, სადაც პირები ინფორმაციას თავიანთი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში გასცემენ. პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში – პასუხისმგებლობისგან მთლიანი ან ნაწილობრივი გათავისუფ-

ლების არარსებობის გამო – დგება ნებისმიერი ბრალეულობისთვის. პასუხისმგებლობა მესამე პირებისათვის გათვალისწინებულია §§ 30-ით, 31-ითა და 278-ით.

2. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო (BGHZ 140, 111, 115) იზიარებს ნასყიდობის ხელშეკრულებას თანდართული **საკონსულტაციო ხელშეკრულების** ფარგლებში გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველმა მყიდველი სახელშეკრულებო მოლაპარაკებების სტადიაზე ან ხელშეკრულების დადებისას დაიყოლია უძრავი ქონების შეძენაზე მისდამი წარდგენილი „ინდივიდუალური დაანგარიშების საილუსტრაციო მაგალითით“. სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა იზიარებს ინფორმაციის მიწოდების ხელშეკრულების კონკლუდენტურად დადების შესაძლებლობას, როდესაც მისანოდებელი ინფორმაცია მისი მიმღებისთვის აშკარად დიდი მნიშვნელობისაა და იგი ამ ინფორმაციას იყენებს გადაწყვეტილებების მისაღებად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ინფორმაციის გამცემი განსაკუთრებულ ცოდნას ფლობს ან ინფორმაციის გაცემისას თავისი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ინფორმაციის მიცემის უსასყიდლოობა არ გამოორციხავს კონკლუდენტურად დადებული ინფორმაციის მიწოდების ხელშეკრულების არსებობას. ამ შემთხვევაში, არ არსებობს რაიმე დამატებითი კრიტერიუმი, თუ როგორ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კეთილგანწყობითი ურთიერთობა და სამართლებრივი ბოჭვის სურვილი (დამატებით იხ. § 241 ველი 2). კონკლუდენტურ ნების გამოვლენაზე აქცენტია, ამ შემთხვევაში, ხშირად უბრალო ფიქციაა. ძირითადად აქ საქმე ეხება სპეციფიკურ პროფესიულ პასუხისმგებლობას, რომელიც ნდობიდან გამომდინარეობს. მაგ.: ბანკის მიერ საკრედიტო ინფორმაციის გაცემა უცხო პირებზე (BGH NJW 1972, 2000) ან ადვოკატის მიერ თავისი კლიენტის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით კრედიტორებისთვის ინფორმაციის მიცემა.

3. კონსულტაციისა თუ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შესაძლოა იყოს **რომელიმე ხელშეკრულების დამატებითი ვალდებულება**. მაგალითად: გამყიდველის მიერ მყიდველისადმი განეული კონსულტაცია ნივთის სწორად გამოყენების შესახებ, ბანკის მიერ კლიენტებისთვის განეული კონსულტაცია ინვესტიციის შესაძლებლობების შესახებ, ადვოკატის მიერ თავისი კლიენტისთვის რჩევის მიცემა.

4. სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სახელშეკრულებო ურთიერთობის გარეშეც, შესაძლებელია, მოცემული იყოს ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა და მისგან გამომდინარე ვალდებულება ინფორმაციის ან კონსულტაციის განევის თაობაზე.

5. მესამე პირებზეც შეიძლება შეიძინონ უფლებები ინფორმაციის მიწოდების ხელშეკრულებიდან, როდესაც ინფორმაციის მიღებაზე უფლებამოსილიმა პირმა თავისი ნების გამოვლენის გარეგამოხატული ფორმით ხელშეკრულება დადო არა საკუთარი სახელით, არამედ **როგორც წარმომადგენელმა**, სადაც დავალების მიმცემის სახელი არ უნდა იყოს დაფიქსირებული. პირთა შეზღუდული წრისათვის ინფორმაციის მიწოდების ხელშეკრულება იდება მასთან, „ვისაც ეს ეხება“. გამონაკლისის სახით, შესაძლებელია, ინფორმაციის მიწოდების ხელშეკრულების დადება მესამე პირის უფლებების დაცვის გათვალისწინებით. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ დაშვებულია მესამე პირის უფლებების დაცვის ვალდებულებაზე მხარეთა შორის შეთანხმება არა მარტო მაშინ, როდესაც მესამე პირის „ავი და კარგი“ ხელშეკრულების მხარის ინტერესში შედის, არამედ ასევე სხვა შემთხვევებშიც (იხ. § 249-ის შესავლის 23-ე და შემდგომი ველები). იმ შემთხვევაში, თუ არ არის სახეზე სახელშეკრულებო ვალდებულება მესამე პირთან მიმართებით, მოიაზრება პასუხისმგებლობა წინასახელშეკრულებო სტადიაზე წარმოშობილი ბრალეულობიდან (C.i.c. შდრ. § 311-ის მე-8 ველი).

- 9 **6. დელიქტური პასუხისმგებლობა** შესაძლებელია დადგეს §§ 823-ისა და განსაკუთრებით § 826-ის თანახმად მაშინ, როდესაც პირი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მცდარ ინფორმაციას აწვდის, იმის გათვალისწინებით, რომ მეორე მხარეს მიადგება ზიანი.

§ 675ა. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები

პირი, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული სხვისი საქმეების შესასრულებლად ან რომელმაც საჯაროდ გამოხატა ამისთვის მზადყოფნა, უსასყიდლოდ წარადგენს ინფორმაციას საზღაურისა და ხარჯების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საქმის შესრულებასთან სტანდარტული ბიზნესოპერაციების (სტანდარტული ბიზნესოპერაციები) მეშვეობით, როგორ წესი, წერილობითი ფორმით, ხოლო სათანადო შემთხვევებში, ელექტრონული ფორმით, თუ ფასი არ განისაზღვრება § 315-ის მიხედვით ან საზღაური და ხარჯები წესრიგდება კანონის იმპერატიული ნორმებით.

§ 675ბ. ფასიანი ქაღალდების გადაცემის შესახებ დავალება

ფასიანი ქაღალდების გადაცემისა და ანგარიშსწორების სისტემის მონაწილე პირს სისტემის წესებით განსაზღვრული მომენტიდან აღარ შეუძლია იმ დავალების გამომხობა, რომელიც მიზნად ისახავს ფასიანი ქაღალდების გადაცემას ან მათი გადმოცემის მოთხოვნას, ანგარიშის გატარებით ან სხვა საშუალებით.

ქვეყარი 3. ანგარიშსწორება

თავი 1. ზოგადი დებულებები

§ 675გ-ის შესავალი

- 1 **1. §§ 675გ-676გ-ის ზოგადი მიმოხილვა.** §§ 675გ-676გ-ში მოცემული ანგარიშსწორების შესახებ ნორმები სამოქალაქო კოდექსში შეტანილ იქნა „ანგარიშსწორების შესახებ“ 2009 წლის 29 ივნისის კანონისა დაფუძველზე(BGBl, I, 2355) (*Grundmann WM, 2009, 1109* და შემდეგი ველები, 1157 და შემდეგი ველები). აღნიშნული ნორმები მოიცავს ყველა მნიშვნელოვან საგადახდო ინსტრუმენტს (საბანკო გადარიცხვა, ანგარიშის დებეტირება, ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათებით). ანგარიშსწორება არ არის ნაღდი ფულით გადახდა ან თამასუქისა და ჩეკის გაცემა. „ანგარიშსწორების შესახებ“ კანონი ეფუძნება შიდა ბაზარზე ანგარიშსწორების შესახებ ევროპული გაერთიანების 2007 წლის 13 ნოემბრის 2007/64/EG რეგულაციას (ABI L 319, 1) და ის, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მომხმარებლის უფლებების დაცვის გაძლიერებას, ისევე როგორც ერთიანი ევროპული ანგარიშსწორების სისტემის უზრუნველყოფას (*Single Euro Payments Area*). კერძოდ, ანგარიშსწორების სისტემა შეიქმნა ბანკებსა და შემნახველ სალაროებში არსებული ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებისა და საქმიანი პრაქტიკის მეშვეობით (BGH NJW, 1985, 2699). ვინაიდან ანგარიშსწორების სისტემის მომწესრიგებელი სამართალი თითქმის მთლიანად ეფუძნება ევროპული გაერთიანების ნორმატიულ დანაწესებს, განმარტების საკითხებისათვის მეტწილად უნდა მივმართოთ „ევროპულ გაერთიანებაში შრომის რეჟიმის შესახებ“ ევროპული გაერთიანების სასამართლოს შეთანხმების (AEUV) 267-ე მუხლს შუალედური გადაწყვეტილების მიღების მიზნით.
- 2 **2. ანგარიშსწორების ხელშეკრულება.** ბანკსა და მის კლიენტს შორის დადებულია ხელშეკრულებათა პაკეტი. ძირითადი დოკუმენტია ანგარიშსწორების ხელშეკრულება როგორც ანგარიშსწორების ჩარჩო ხელშეკრულების ტიპური

შემთხვევა, § 675-ის მე-2 ნაწილი. § 675 გ-ს პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ ჩარჩო ხელშეკრულება სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულების ქვესახეობაა. კლიენტის სასარგებლოდ არსებული ინფორმაციის მიწოდებისა და მხარის ინტერესების დაცვის ნორმები რეგულირდება § 675 ზ-სა და შემდეგ ნორმებში.

3. მიმდინარე ანგარიში. ბანკი თავის კლიენტებს უმარტივეს მრავალი ორმხრივი ცალკეული მოთხოვნის უფლების რეალიზაციას ანგარიშსწორების ხელშეკრულებისათვის პერიოდული კონტოკორენტის ანგარიშის დამატებით, სავაჭრო კოდექსის § 355 (*Pfeiffer JA 2006, 105* და შემდეგი ველები). ბანკი კონტოკორენტის ანგარიშზე ადგენს საკრედიტო და სადებეტო ბალანსებს. ხდება ორივე მხარის მოთხოვნების „პარალიზება“, ანუ მათი დამოუკიდებლად რეალიზაცია არ ხდება (გაქვითვა გამორიცხულია) და მათი განკარგვაც დაუშვებელია (მოთხოვნის დათმობა გამორიცხულია), თუმცა, ჯერ კიდევ დასაშვებია მათი დაყადაღება ან დაგირავება. სააღრიცხვო პერიოდის გასვლისთანავე ორმხრივი მოთხოვნები ჩაითვლება და დგინდება ნამეტი **პერიოდული სალდო**, § 780, რაც, § 782-ის შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს ფორმის დაცვის გარეშე. წარმოშობილი სალდოს მოთხოვნა ცვლის ცალკეულ საბუღალტრო მუხლებს (ნოვაცია, სადავოა). ანგარიშის მფლობელს შეუძლია, ბანკის მიმართ **აბსტრაქტული სალდოს მოთხოვნის** დამოუკიდებლად რეალიზაცია და მისი განკარგვა. თუ აბსტრაქტული სალდოს მოთხოვნა ხარვეზიანია, მაშინ შეცდომით აღიარებული თანხა შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი, უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე. აბსტრაქტული სალდო ქმნის საფუძველს შემდგომი სააღრიცხვო პერიოდისათვის. ანგარიშიდან ცალკეული ამონაწერები ადასტურებს **დღიურ სალდოს**. ამონაწერები წმინდა დეკლარაციული ხასიათისაა და ემსახურება ინფორმაციის მიწოდების მიზანს (ბანკზე დაკისრებული ინფორმაციის მიწოდებისა და ანგარიშის წარდგენის ვალდებულება, § 666-ის თანახმად).

4. უზრუნველყოფა. როგორც წესი, საბანკო ანგარიშზე მომსახურების განხორციელება ხდება მხოლოდ დადებითი ბალანსის (საკრედიტო ბალანსის) საფუძველზე. ბანკს შეუძლია, თავის კლიენტს მიანიჭოს **ოვერდრაფტის** მიღების უფლება (დებეტი, იხ. § 504). საანგარიშსწორებო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ბანკი ვალდებულია, უზრუნველყოფის ოდენობით განახორციელოს საანგარიშსწორებო ოპერაციები, § 675მ. თუ ბანკი სავადახლო დავალებას ასრულებს უზრუნველყოფის გარეშე (ანუ კრედიტში არსებული თანხის გარეშე, ან ანგარიშზე შეთანხმებული ოვერდრაფტის დაშვების შესაძლებლობის გარეშე), მაშინ სახეზეა ანგარიშზე დაშვებული უარყოფითი სალდო, § 505.

5. პროცენტის დარიცხვა. ყოველი დღის ბოლოს დგინდება **შუალედური სალდო**. ეს უკანასკნელი მკაცრად უნდა გავმიჯნოთ პერიოდული სალდოსა (მე-3 ველი) და დღიური სალდოსაგან (მე-4 ველი). შუალედური სალდო ემსახურება პროცენტების გაანგარიშებას თითოეულ დღეზე წარმოებული აღრიცხვით (**ვალუტირების თარიღი**, § 675უ-ს თანახმად).

§ 675გ. ანგარიშსწორება და ელექტრონული ფული

(1) სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულების მიმართ, რომლის საგანია საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოება, შესაბამისად, გამოიყენება **§§ 663, 665-670 და 672-674**, რამდენადაც წინამდებარე ქვეკარი სხვაგვარად არ ადგენს.

(2) წინამდებარე ქვეკარის ნორმები გამოიყენება ასევე ელექტრონული ფულის გაცემისა და გამოყენების შესახებ ხელშეკრულების მიმართ.

(3) გამოიყენება საკრედიტო სისტემის შესახებ კანონითა და საანგარიშსწორებო ოპერაციების კონტროლის შესახებ კანონით დადგენილი ცნებები.

§ 675დ. ინფორმირება ანგარიშსწორებისას

(1) ¹გადახდის განმახორციელებლმა ანგარიშსწორებისას უნდა შეატყობინოს გადახდის მომხმარებელს სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის § 1-16-ში მითითებული გარემოებების შესახებ ამავე პარაგრაფებში გათვალისწინებული ფორმით. ²ეს წესი არ მოქმედებს ევროპული ეკონომიკური სივრცის ფარგლებს გარეთ მყოფი სახელმწიფოს ვალუტაში საანგარიშსწორებო ოპერაციების მიმართ ან იმ საანგარიშსწორებო ოპერაციების მიმართ, რომელთა შემთხვევაშიც გადამხდელის ან გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელი მომსახურების განევა ხდება ევროპული ეკონომიკური სივრცის ფარგლებს გარეთაც.

(2) თუ სათანადო ინფორმირების საკითხი სადავოა, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება გადახდის განმახორციელებელს.

(3) ინფორმირებისათვის საზღაურზე გადახდის განმახორციელებელს შეუძლია შეუთანხმდეს გადახდის მომხმარებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციის მიწოდება ხდება გადახდის მომხმარებელის მოთხოვნით, ხოლო გადახდის განმახორციელებელი:

1. ახდენს ამ ინფორმაციის მიწოდებას უფრო ხშირად, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის § 1-16-ში;
2. ახდენს ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის § 1-16-ში; ან
3. ამ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ანგარიშსწორების ჩარჩო ხელშეკრულებაში შეთანხმებული საგანგებო განსხვავებული საკომუნიკაციო საშუალებებით.

საზღაური უნდა იყოს სათანადო და გადახდის განმახორციელებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისი.

(4) გადახდის მიმღები და მესამე პირები ინფორმირებას ახდენენ სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის § 17-სა და 18-ში განსაზღვრული გარემოებების შესახებ.

§ 675ე. განსხვავებული შეთანხმებები

(1) თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, წინამდებარე ქვეკარის ნორმებით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული რეგულირება დაუშვებელია გადახდის მომხმარებლის საზიანოდ.

(2) ¹§ 675დ-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით, ანგარიშსწორებისათვის § 675რ-ს პირველი და მე-3 ნაწილები, § 675ტ-ს პირველი ნაწილი, § 675უ-ს მე-2 ნაწილი, § 675ყ-ს პირველი ნაწილი და § 675შ-ს პირველი და მე-2 ნაწილები, ისევე როგორც § 675ჩ-ს მე-3 წინადადება არ გამოიყენება; რამდენადაც საანგარიშსწორებო ოპერაციები ხორციელდება ევროპული ეკონომიკური სივრცის ფარგლებს გარეთ მყოფი სახელმწიფოს ვალუტაში, არ გამოიყენება ასევე § 675უ-ს პირველი ნაწილი. ²თუმცა, § 675დ-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით, ანგარიშსწორებისათვის წინამდებარე ქვეკარის ნორმებით გათვალისწინებული საგანგებო განსხვავებული რეგულირება დაშვებულია გადახდის მომხმარებლის საზიანოდ; რამდენადაც ასეთი საანგარიშსწორებო ოპერაციები ხორციელდება ევროპული ეკონომიკური სივრცის შესახებ შეთანხმებით მონაწილე სხვა ხელმოწერილი სახელმწიფოს ვალუტაში, ეს წესი არ მოქმედებს § 675უ-ს პირველი ნაწილის პირველი და მე-2 წინადადების, ასევე მე-3 ნაწილის მიმართ.

(3) იმ საანგარიშსწორებო ოპერაციების მიმართ, რომლებიც არ ხორციელდება ევროპული ეკონომიკური სივრცის შესახებ შეთანხმებით მონაწილე სხვა ხელმოწერილი სახელმწიფოს ვალუტაში, ეს წესი არ მოქმედებს § 675უ-ს პირველი ნაწილის მე-3 წინადადება და მე-3 ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ არ იქნეს გამოყენებული.

(4) თუ გადამხდელის შემთხვევაში საქმე არ ეხება მომხმარებელს, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ § 675დ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადება, მე-2-მე-4 ნაწილები, § 675ვ-ს მე-4 ნაწილის მე-2 წინადადება, §§ 675ზ, 675თ, 675კ-ს მე-2 ნაწილი და § 675ჟ, ისევე როგორც §§ 675ქ-676 მთლიანად ან ნაწილობრივ არ იქნეს გამოყენებული; მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ასევე § 675ბ-ში გათვალისწინებული საგან განსხვავებულ ვადაზე.

თავი 2. ანგარიშსწორების ხელშეკრულება

§ 675ვ-ს შესავალი

1. ზოგადი მიმოხილვა. საანგარიშსწორებო ოპერაციებისას საქმე გვაქვს ანგარიშსწორებასთან, ფართო გაგებით. ტერმინოლოგიის მიხედვით და რამდენიმე პირისაგან შემდგარ ურთიერთობაში, უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების თანახმად, უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნებისათვის იხ. § 812-ის 27-ე და შემდეგი ველები. ნორმები ჩამოყალიბებულია აბსტრაქტულად, რათა მოიცვას ყველა სახის საანგარიშსწორებო ოპერაცია. **Push-** და **Pull-გადახდებისათვის** გათვალისწინებულია სპეციალური ნორმები. **Push-**გადახდები ხორციელდება გადამხდელის ინიციატივით (გადარიცხვა), **Pull-**გადახდები კი – გადახდის მიმღების მიერ (საინკასო დავალება, გადახდა საკრედიტო ბარათით).

2. გადარიცხვა. ა) სხვისი საქმეების შესრულების სახით გადარიცხვა ხორციელდება კლიენტის (**გადახდის დავალება**, § 675ო) ცალმხრივი დავალებით (§ 665). დავალების მიღების შემდეგ ბანკი ადებეტებს საბანკო ანგარიშს **საავანსო მოთხოვნის უფლებით** (§ 669), რათა თავიდან იქნეს აცილებული კლიენტის მხრიდან თანხის შემცირების შესახებ რამდენიმე დავალება. ანგარიშის დებეტირებით ბანკი იღებს უზრუნველყოფას. შემდგომში კი მიმღების ბანკი გადამრიცხავის ბანკის კრედიტში აღრიცხავს ჩამონერილ თანხას; **ბ)** ანგარიშის დაკრედიტებით გადახდის მიმღების ბანკი იღებს **უზრუნველყოფას**. ეს უკანასკნელი ვალდებულია, დადებითი ბალანსი აღრიცხოს გადარიცხვის მიმღების ანგარიშზე (§ 667, იხ. § 675ო-ს შესავალი, მე-2 ველი). თუ მიმღებმა ბანკმა მიიღო უზრუნველყოფა, მაშინ გადამრიცხავმა ბანკმა შესაძლოა ანგარიშსწორების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული გადარიცხვის შესრულების ვალდებულება. ამ მომენტში მისი საავანსო მოთხოვნის უფლება გადაიქცევა **განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებად** (§ 670); **გ)** ასევე, იმავე დროს **გადამხდელმა** უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული გადახდის ვალდებულება გადახდის მიმღების მიმართ, § 362 (სადავოა, გადარიცხვის პრინციპული დასაშვებობის შესახებ იხ. აქვე, პირველი ველი). როდესაც ბანკი იღებს უზრუნველყოფას, მის მიმართ გადარიცხვის მიმღებს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება დადებით ბალანსზე (§§ 667, 675უ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადება); **დ)** მიმღების ბანკი მოთხოვნის უფლების დადებით ბალანსზე შესასრულებლად გადარიცხვის მიმღების მიმართ ახდენს **აბსტრაქტულ ვალის აღიარებას** (§ 780 და შემდეგი პარაგრაფები), რომლის თანხაც აისახება ანგარიშზე, რითაც გადარიცხვის მიმღები იძენს თავისი ბანკის მიმართ მოთხოვნის უფლებას, დადებითი ბალანსიდან გამომდინარე.

3. ანგარიშის დებეტირება. ანგარიშის დებეტირების შემთხვევაში, გადახდა ხორციელდება არა მოვალის, არამედ მისი კრედიტორის მხრიდან. კრედიტორი აძლევს ბანკს საგადახდო დავალებას, § 665-ის გაგებით, რათა ამ უკანასკნელმა აღნიშნული თანხის ინკასირება მოახდინოს მოვალის ანგარიშიდან. თავდაპირველად ბანკი თანხას ასახავს კრედიტორის ანგარიშზე და დავალებას აძლევს მოვალის ბანკს, რათა ამ უკანასკნელმა მოახდინოს მოვალის საბანკო ანგარიშის დებეტირება. ანგარიშის დებეტირების აღრიცხვის კანონიერება დამოკიდებულია ანგარიშის

მფლობელის თანხმობაზე, § 665კ. ა) ანგარიშიდან თანხის ჩამონერის პროცესში მოვალემ საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებისას თავის ბანკს თანხმობა უნდა მისცეს წინასწარ (ზოგადი დავალება); ბ) ყოველდღიურ საანგარიშსწორებო ბრუნვაში დომინირებული ანგარიშის დებეტირების უფლებამოსილების მინიჭების პროცესის შემთხვევაში, მოვალე თავის კრედიტორს ანიჭებს უფლებამოსილებას, ანგარიშიდან ჩამონეროს დავალიანების თანხა და ეთანხმება ანგარიშის დებეტირებას საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელების შემდეგ თავისი ბანკის მიმართ. გ) ახალი SEPA-ანგარიშის დებეტირების პროცესის შემთხვევაში, მოვალე გადახდის მიმღებს ანიჭებს უფლებამოსილებას, მოახდინოს თანხის მოვალის ანგარიშიდან ვადამოსული თანხის ინკასირება. დამატებით გადახდაზე ვალდებული პირის ბანკს ინკასირების მიზნით წარედგინება დავალება ანგარიშის დებეტირებაზე. შესაბამისად, გაიცემა ორმაგი თანხმობა.

4 **4. Point-of-Sale-პროცესი.** ელექტრონული ანგარიშსწორების ბარათის გამოყენებისას ბარათის მფლობელის, როგორც მესამე პირის, მიერ ავტორიზებული თანხის ოდენობით გადახდის შესრულების შეპირება ელექტრონულად გადაცემა კრედიტორს. თანხა მოგვიანებით აისახება კრედიტორის საბანკო ანგარიშზე. მესამე პირი მოვალის ბანკის მეშვეობით ახდენს მოვალის ანგარიშის დებეტირებას და უშვებს ანგარიშზე თანხის ასახვას. საქმე გვაქვს მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასთან (ცნებები იხ. § 328-ში).

5 **5.** ანგარიშსწორების ბარათი. ელექტრონული ანგარიშსწორების ბარათი „იტ-ვირთება“ დადებითი საკრედიტო სალდოთი (ავანსი, § 669-ის თანახმად) – ელექტრონული ფული § 675 გ-ს მე-2 ნაწილის გაგებით. დადებითი საკრედიტო სალდოს გადაცემა ხდება ე. წ. „მოვაჭრე ბარათზე“ გადახდისას. ანგარიშსწორების ბარათის გამცემი ბანკი მოვაჭრის სასარგებლოდ იძლევა გადახდის გარანტიას ანგარიშსწორების თანხის ფარგლებში. სპეციალური ნორმები მოცემულია § 675ი-ში.

§ 675ვ. ანგარიშსწორების ხელშეკრულება

(1) ცალკეული გადახდის ხელშეკრულებით გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, განახორციელოს საანგარიშსწორებო ოპერაცია იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც გადახდის განმახორციელებელი მიმართავს როგორც გადამხდელს, გადახდის მიმღებს ან ორივე ამ ნიშან-თვისების მქონეს (გადახდის მომხმარებელი).

(2) ¹გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებით გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, გადახდის მომხმარებლის სასარგებლოდ განახორციელოს ცალკეული და ერთმანეთის მიმდევარი საანგარიშსწორებო ოპერაციები, ასევე შესაბამის შემთხვევებში გადახდის მომხმარებლის სახელით ან რამდენიმე გადახდის მომხმარებლის სახელით მართოს საბანკო ანგარიში. ²გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულება შეიძლება ასევე იყოს სხვაგვარი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ან სხვა ხელშეკრულებასთან დაკავშირებული.

(3) ¹საანგარიშსწორებო ოპერაცია არის ფულადი თანხის ნებისმიერი ასიგნაცია, გადარიცხვა ან ანგარიშიდან მოხსნა, მის საფუძველად არსებულ გადამხდელსა და გადახდის მიმღებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად. ²გადახდის დავალება არის ნებისმიერი დავალება, რომელსაც გადამხდელი აძლევს გადახდის განმახორციელებელს საანგარიშსწორებო ოპერაციის შესრულების მიზნით უშუალოდ ან გადახდის მიმღების მეშვეობით.

(4) ¹გადახდის მომხმარებელი ვალდებულია, გადახდის მომსახურების განწევრსათვის გადახდის განმახორციელებელს გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური. ²წინამდებარე ქვეკარის თანახმად, დამატებითი ვალდებულებების შესრულებისათვის გადახდის განმახორციელებელს აქვს საზღაურის მიღების მოთხოვნის

უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დაშვებულია და შეთანხმებულია გადახდის განმახორციელებელსა და გადახდის მომხმარებელს შორის; ეს საზღაური უნდა იყოს სათანადო და გადახდის განმახორციელებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისი.

(5) გადახდის მიმღებსა და მის გადახდის განმახორციელებელს შორის დადებულ გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში არ გამოირიცხება გადახდის მიმღების უფლება, ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის განსაზღვრული ინსტრუმენტის გამოყენებისათვის შესთავაზოს ფასდაკლება.

§ 675ზ. ცვლილება გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში

(1) გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში გადახდის განმახორციელებლის ინიციატივით ცვლილების განხორციელების წინაპირობაა, რომ ამ უკანასკნელმა განზრახული ცვლილება შესთავაზოს გადახდის მომხმარებელს სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის §§ 2-სა და 3-ში გათვალისწინებული ფორმით არაუგვიანეს ორი თვისა შეთავაზების ძალაში შესვლის მომენტამდე.

(2) ¹გადახდის განხორციელებელსა და გადახდის მომხმარებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ, პირველი ნაწილის თანახმად შეთავაზებულ ცვლილებაზე თანხმობა ჩაითვალოს მიცემულად, როდესაც ეს უკანასკნელი შეთავაზებული ცვლილების ძალაში შესვლის მომენტამდე არ ატყობინებს გადახდის განმახორციელებელს თავისი უარის შესახებ. ²ასეთი შეთანხმების შემთხვევაში, გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთავაზებისას გადახდის მომხმარებელს მიუთითოს პასუხის გაუცემლობის შედეგებზე და ხელშეკრულების დამატებითი ხარჯისა და ვადის დადგენის გარეშე შეწყვეტის უფლებაზე.

(3) ¹საპროცენტო განაკვეთებისა თუ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები პირდაპირ ძალმოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე, რამდენადაც იგი შეთანხმებულ იქნა გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში და ცვლილებები ეფუძნება მასში შეთანხმებულ ბაზისურ საპროცენტო განაკვეთსა თუ ვალუტის ბაზისურ გაცვლით კურსს. ²ბაზისური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საფუძვლად უდევს საპროცენტო სარგებლის გაანგარიშებას და მომდინარეობს საჯაროდ ხელმისაწვდომი და გადახდების განხორციელების შესახებ ხელშეკრულების ორივე მხარისათვის ხელმისაწვდომი წყაროდან. ³ვალუტის ბაზისური გაცვლითი კურსი – ვალუტის გაცვლით კურსი, რომელიც საფუძვლად უდევს ვალუტის ნებისმიერ გაცვლას და ხელმისაწვდომი ხდება გადახდის განმახორციელებლისაგან, ან მომდინარეობს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან.

(4) შეთანხმებების საფუძველზე გადახდის მომხმარებლის საზიანოდ, მე-3 ნაწილის თანხმად, გაანგარიშება დაუშვებელია.

§ 675თ. გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულების სტარდატული შეწყვეტა

(1) ¹გადახდის მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ხელშეკრულება განსაზღვრული ვადითაა დადებული, თუ მხარეები არ შეთანხმებულან ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დაცვის შესახებ. ²ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ თვეზე მეტი ვადის დაცვის შესახებ შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

(2) ¹გადახდის განმახორციელებელს შეუძლია გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადითაა დადებული და მხარეთა შორის შეთანხმებულია ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება. ²ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები. ³ხელშეკრულების შეწყვეტა განცხადებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის § 2-სა და 3-ში გათვალისწინებული ფორმით.

(3) ¹ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, საზღაური გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ პროპორციულად ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე. ²ავანსის სახით გადახდილი საზღაური, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ პერიოდს, გადახდილ უნდა იქნეს პროპორციულად.

§ 675ი. მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტებისა და ელექტრონული ფულის მიმართ არსებული გამონაკლისები

(1) ¹გადახდების განხორციელების შესახებ ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტის გადაცემა. ²მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტია:

1. რომლითაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ცალკეული საანგარიშსწორებო ოპერაციები 30 ევრომდე ზღვრული თანხის ფარგლებში;
2. რომლის გასავლის ზღვრული თანხა შეადგენს 150 ევროს;
3. რომლითაც ხდება ისეთი ფულადი თანხების შენახვა, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში არ აღემატება 150 ევროს.

№№ 2-სა და 3-ში გათვალისწინებულ შემთხვევებში ზღვრული თანხა იზრდება 200 ევრომდე, თუ მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული საანგარიშსწორებო ოპერაციების მიმართ.

(2) პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ:

1. გადახდის განმახორციელებელმა არ უნდა მოახდინოს § 675ზ-ს პირველი ნაწილით გათვალისწინებული ფორმით ხელშეკრულების პირობების ცვლილებების შესახებ შეთავაზების წარდგენა;
2. § 675ი-ს მე-2 წინადადებით, § 675ნ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადების 1№№ 3, 4, მე-2 წინადადება და § 675ქ მე-3 ნაწილი არ გამოიყენება, როდესაც დაუშვებელია მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტის ბლოკირება ან შემდგომი გამოყენების ხელშეშლა.
3. §§ 675ფ, 675ქ-ს პირველი და მე-2 ნაწილები, 675ლ და 676 არ გამოიყენება, როდესაც დაუშვებელია მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტის მიკუთვნება გადახდის მომხმარებლისთვის ან გადახდის განმახორციელებელს იმ საფუძვლებიდან გამომდინარე, რომლებიც დაკავშირებულია თავად მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტთან, არ შეუძლია იმის მტკიცება, რომ საანგარიშსწორებო ოპერაცია ავტორიზებული იყო;
4. § 675ჟ-საგან განსხვავებით გადახდის განმახორციელებელი არ არის ვალდებული, გადახდის მომხმარებელს შეატყობინოს გადახდის დავალებაზე უარის შესახებ, როდესაც გადახდის განუხორციელებლობა გამომდინარეობს შესაბამისი გარემოებებიდან;
5. § 675ყ-საგან განსხვავებით გადახდელს არ შეუძლია გადახდის დავალებაზე უარის თქმა დავალების მიცემის შემდეგ ან იმის შემდეგ, როდესაც მან გადახდის მიმღებს შეატყობინა გადახდის დავალებაზე თავისი თანხმობის შესახებ; ანდა

6. მოქმედებს სხვა ვადები, ვიდრე § 675ტ-შია განსაზღვრული დავალების შესასრულებლად.

(3) ¹§ 675ფ და 675ქ არ გამოიყენება ელექტრონული ფულის მიმართ, როდესაც გადახდის განმახორციელებელს არა აქვს შესაძლებლობა, დაბლოკოს საანგარიშსწორებო ანგარიში ან მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტი. ²პირველი წინადადება მოქმედებს მხოლოდ მაქსიმუმ 200 ევრომდე თანხით საანგარიშსწორებო ანგარიშისა თუ მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტების მიმართ.

თავი 3. ანგარიშსწორების მომსახურების განწევა და მომსახურებით სარგებლობა

ქვეთავი 1. საანგარიშსწორებო ოპერაციების ავტორიზაცია; ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტები

§ 675კ-ის შესავალი

საანგარიშსწორებო ოპერაციების ავტორიზაცია. საანგარიშსწორებო ოპერაცია ეხება გადამხდელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელმა მოახდინა მისი ავტორიზაცია (შდრ. § 675ფ). როდესაც საბანკო გადარიცხვის დროს ინიციატივა მომდინარეობს მოვალისაგან, Push-გადახდების განხორციელებას იწყებს კრედიტორი (§ 675ვ-ს შესავლის პირველი ველი). საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებაზე თანხმობის (ავტორიზაციის) მიცემის ნებსებს ანესრიგებს § 675კ, რათა გაიზარდოს საანგარიშსწორებო ოპერაციების უსაფრთხოება. ანგარიშიდან ჩამონერის შესახებ დავალების შესრულების პროცესში ბანკის კლიენტი აცხადებს თავის თანხმობას ოპერაციის განხორციელებაზე, ხოლო ფულადი თანხების ჩამონერის უფლებამოსილების მინიჭების პროცესში ახდენს შემდგომ მონონებას (შდრ. ასევე § 182 და შემდეგი პარაგრაფები). ახალი SEPA-ანგარიშის დებუტში ჩანანერის შემთხვევაში, მოვალე გადახდის მიმღებს ერთდროულად ანიჭებს თანხების ჩამონერის უფლებამოსილებას, ბანკს კი აძლევს გადახდის დავალებას (ორმაგი ინსტრუქცია). სამოქალაქო ბრუნვის დაჩქარების მიზნით საანგარიშსწორებო ოპერაცია შეიძლება ასევე ავტორიზირებულ იქნეს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტებითაც (PIN, TAN).

§ 675კ. თანხმობის მიცემა და მისი გამოთხოვა

(1) ¹საანგარიშსწორებო ოპერაცია გადამხდელის მიმართ ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი მას დაეთანხმება (ავტორიზაცია). ²თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს წინასწარი თანხმობის სახით, ან თუ მანამდე მოხდა შეთანხმება გადამხდელსა და მის გადახდის განმახორციელებელს შორის, მოწონების სახით. ³თანხმობის სახე და ხერხი უნდა შეთანხმდეს გადამხდელსა და მის გადახდის განმახორციელებელს შორის. ⁴კერძოდ, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ თანხმობა მიცემულ იქნეს განსაზღვრული ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის მეშვეობით.

(2) ¹თანხმობა შეიძლება გამოთხოვილ იქნეს გადახდის განმახორციელებლის წინაშე გაკეთებული განცხადებით იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია გადახდის დავალების გაუქმება (§ 675ჟ). ²ასევე შესაძლებელია რამდენიმე საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის გამოთხოვა იმ შემდეგით, რომ ნებისმიერი შემდგომი საანგარიშსწორებო ოპერაცია ავტორიზებული აღარ იქნება.

§ 675ლ. ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტების გამოყენების შეზღუდვა

(1) იმ შემთხვევებში, რომლებშიც თანხმობის მიცემა ხდება ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის მეშვეობით, გადამხდელსა და გადახდის განმახორციელებელს შეუძლიათ ამ ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის გამოყენებისათვის შეთანხმდნენ თანხის ზედა ზღვარზე.

(2) გადამხდელსა და გადახდის განმახორციელებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის ბლოკირების უფლება, როდესაც:

1. აღნიშნულს ამართლებს ობიექტური საფუძვლები ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის სანდოობასთან დაკავშირებით;
2. არსებობს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის არაავტორიზებული ან თაღლითური გამოყენების ეჭვი; ან
3. ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის შემთხვევაში, კრედიტის გაცემასთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი რისკი იმისა, რომ გადამხდელი ვერ შეძლებს ნაკისრი გადახდის ვალდებულების შესრულებას.

¹ამ შემთხვევაში გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, შეძლებისთანავე, – თუმცა, ყველაზე გვიან დაუყოვნებლივ ბლოკირების შემდეგ, – ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის ბლოკირების შესახებ შეატყობინოს გადამხდელს. ²შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ბლოკირების საფუძვლები. ³საფუძვლები შეიძლება არ მიეთითოს, თუ გადახდის განმახორციელებელი ამით დაარღვევდა კანონით დადგენილ ვალდებულებებს. ⁴გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, მოხსნას ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის ბლოკირება, ან ეს უკანასკნელი შეცვალოს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ახალი ინსტრუმენტით, როდესაც ბლოკირების საფუძვლები აღარ არსებობს. ⁵განხორციელებული გადახდის მომხმარებელს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ბლოკირების მოხსნის შესახებ.

§ 675მ. გადამხდელის ვალდებულებები ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

¹გადამხდელი ვალდებულია, ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის მიღებისთანავე უშუალოდ მიიღოს უსაფრთხოების ყველა სათანადო ზომა, რათა დაიცვას პერსონალიზებული უსაფრთხოების ნიშნები არასანქცირებული წვდომისაგან. ²მან გადახდის განმახორციელებელს – ან ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ერთ-ერთ ადგილზე – დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო გამოყენების ან სხვა არაავტორიზებული გამოყენების შესახებ მას შემდეგ, როცა იგი შეიტყობს ამ ფაქტების შესახებ.

§ 675ფ. გადახდის განმახორციელებლის ვალდებულებები ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით; გაგზავნის რისკი.

(1) ¹გადახდის განმახორციელებელი, რომელიც გასცემს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტს, ვალდებულია:

1. § 675მ-ის შესაბამისად გადახდის მომხმარებლის ვალდებულებების მიუხედავად, უზრუნველყოს, რომ ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის პერსონალიზებული უსაფრთხოების ნიშნები ხელმისაწვდომი იყოს გამოსაყენებლად მხოლოდ უფლებამოსილი პირისათვის;
2. თავი შეიკავოს გადახდის მომხმარებლისათვის ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტების საკუთარი ინიციატივით გაგზავნისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უნდა შეიცვალოს გადახდის მომხმარებლი-

სათვის უკვე გაცემული ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტი;

3. უზრუნველყოს, რომ გადახდის მომხმარებელს ნებისმიერ დროს ჰქონდეს შესაძლებლობა, სათანადო საშუალებებით წარადგინოს § 675მ-ს მე-2 წინადადებით გათვალისწინებული შეტყობინება, ან მოითხოვოს ბლოკირების გაუქმება § 675ლ-ს მე-2 ნაწილის მე-5 წინადადების შესაბამისად; და
4. თავიდან აიცილოს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტით ნებისმიერი ფორმით სარგებლობა, როგორც კი მოხდება § 675მ-ს მე-2 წინადადებით გათვალისწინებული შეტყობინების წარდგენა.

²თუ გადახდის მომხმარებელმა წარადგინა ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო გამოყენების ან სხვა არავტორიზებული გამოყენების შესახებ შეტყობინება, გადახდის განმასხორციელებელი ამ შეტყობინების წარდგენის შემდეგ, სულ ცოტა, 18 თვით ადრე გაკეთებული მომართვის საფუძველზე აძლევს მას ისეთ საშუალებებს, რომლებითაც გადახდის მომხმარებელს შეუძლია შეტყობინების წარდგენის ფაქტის მტკიცება.

(2) გადამხდელისათვის ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტისა და ამ ინსტრუმენტის პერსონალიზებული უსაფრთხოების ნიშნების გაგზავნის რისკი ეკისრება გადახდის განმასხორციელებელს.

ქვეთავი 2. საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელება

§ 675ო-ს შესავალი

1. **1. მობჭავი სამართლებრივი ძალა.** გადახდის დავალება ავალდებულებს საბანკო ანგარიშის მფლობელს, მისი მომსახურე ბანკისათვის ჩაბარების მომენტიდან, § 675ო (იხ. § 130-ის პირველი და შემდეგი ველები). საბანკო ანგარიშის მფლობელს, როგორც წესი, არ შეუძლია გადახდის დავალების გაუქმება, § 675ჟ. თუ ანგარიშზე საკმარისი თანხა არ არის (§ 675გ-ს შესავლის მე-4 ველი), მაშინ ბანკს შეუძლია, უარი თქვას გადახდის დავალების შესრულებაზე (§ 675პ-ს მე-2 ნაწილი), თუმცა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს თავის კლიენტს (§ 675პ-ის პირველი ნაწილი). ამდენად, ანგარიშსწორების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არსებობს ბანკის მხრიდან საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელების ზოგადი ვალდებულება.

2. **2. ვადები.** § 675ტ-ს თანახმად, გადამხდელის ბანკმა უნდა უზრუნველყოს, რომ გადასახდელი თანხა მიმღების ბანკს მიუვიდეს მომდევნო დღის ბოლომდე. გარდა ამისა, § 675უ-ს მე-3 ნაწილი ხელს უშლის ბანკს იმის გამოც, რომ მიმღების საბანკო ანგარიშზე თანხის კრედიტში ასახვამდე ავანსს უნდა დაერიცხოს პროცენტი (§ 675გ-ის შესავლის მე-5 ველი), რათა მოხდეს ბანკის უსაფუძვლოდ მიღებული საპროცენტო სარგებლის ჩამოჭრა. § 675უ-ს პირველი ნაწილი ადგენს, რომ მიმღებმა ბანკმა მიღებული თანხა დაუყოვნებლივ (§ 121-ის პირველი ნაწილი) უნდა ასახოს მიმღების კლიენტის ანგარიშზე.

§ 675ო. გადახდის დავალებების ჩაბარება

(1) ¹გადახდის დავალება ძალმოსილია, როდესაც ის გადამხდელისაგან გადახდის განმასხორციელებელს მიუვა. ²თუ ჩაბარების მომენტი არ ემთხვევა გადამხდელის გადახდის განმასხორციელებლის სამუშაო დღეს, მაშინ გადახდის დავალება მიღებულად ითვლება მომდევნო სამუშაო დღეს. ³გადახდის განმასხორციელებელს შეუძლია განსაზღვროს, რომ ის გადახდის დავალებები, რომლებიც განსაზღვრული მომენტის შემდეგ ბარდება სამუშაო დღის ბოლოსათვის, § 675ტ-ს პირველი ნაწილის მიზნებისათვის მიღებულად ითვლება მომდევნო სამუშაო დღეს. ⁴სამუშაო დღე არის ყოველი დღე, რომელშიც საანგარიშსწორებო ოპერაციის

განხორციელებაში მონაწილე გადახდის განმახორციელებელი უზრუნველყოფს საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებისათვის აუცილებელი პროცედურის დაცვას.

(2) ¹თუ გადახდის მომხმარებელი, რომელიც იწყებს საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელებას, ან ვის გამოც ხდება საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელების დაწყება, და მომხმარებლის გადახდის განმახორციელებელი თანხმდებიან იმაზე, რომ გადახდის დავალების შესრულება უნდა დაიწყოს განსაზღვრულ დღეს ან განსაზღვრული დროის პერიოდის დასრულებისთანავე, ანდა იმ დღეს, როდესაც გადამხდელმა გადახდის განმახორციელებელს გადასცა გადახდის დავალების შესრულებისათვის აუცილებელი ფულადი თანხა, მაშინ მოქმედებს შეთანხმებული ვადა, რომელიც § 675ტ-ს პირველი ნაწილის მიზნებისათვის ჩაითვლება გადახდის დავალების ჩაბარების მომენტად. ²თუ შეთანხმებული ვადა არ ემთხვევა გადამხდელის გადახდის განმახორციელებლის სამუშაო დღეს, მაშინ § 675ტ-ს პირველი ნაწილის მიზნებისათვის გადახდის დავალება მიღებულად ითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.

§ 675ვ. გადახდის დავალებების გაუქმება

(1) ¹თუ გადახდის განმახორციელებელი აუქმებს გადახდის დავალებას, მაშინ ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს § 675ტ-ს პირველ ნაწილში გათვალისწინებული ვადებისა, ამის შესახებ შეატყობინოს გადახდის მომხმარებელს. ²რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეტყობინებაში უნდა მიეთითოს გაუქმების საფუძვლები, ისევე როგორც ის შესაძლო ვარიანტები, თუ როგორ შეიძლება გამოსწორდეს გადახდის დავალების გაუქმების გამოწვევი შეცდომები. ³საფუძვლების მითითება აუცილებელი არ არის, რამდენადაც ეს დაარღვევდა სხვა სამართლებრივ ნორმებს. ⁴გადახდის განმახორციელებელს გადახდის მომხმარებელთან დადებული გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში შეუძლია გადახდის დავალების მართლზომიერი გაუქმების შესახებ შეტყობინებისათვის შეთანხმდეს სასყიდლის თაობაზე.

(2) გადამხდელის გადახდის განმახორციელებელი არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს ავტორიზებული გადახდის დავალება, როდესაც სრულდება გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებით დადგენილი გადახდის დავალების შესრულების პირობები და გადახდის დავალების შესრულება არ არღვევს სხვა სამართლებრივ ნორმებს.

(3) §§ 675ტ, 675შ, და 675-ის მიზნებისათვის ჩაბარებულად არ ითვლება გადახდის დავალება, რომლის შესრულებაზეც მართლზომიერად ითქვა უარი.

§ 675ჟ. გადახდის დავალების გამოთხოვის დაუშვებლობა

(1) მე-2-მე-4 ნაწილებში მოცემული პირობების გათვალისწინებით გადახდის მომხმარებელს აღარ შეუძლია გადახდის დავალების გამოთხოვა ამ უკანასკნელის გადამხდელის გადახდის განმახორციელებლის მიერ მიღების შემდეგ.

(2) ¹თუ საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელება იწყება გადახდის მიმღებისაგან ან ამ უკანასკნელის გამო, მაშინ გადამხდელს აღარ შეუძლია დავალების გამოთხოვა იმის შემდეგ, რაც ის გადახდის დავალების ან საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ შეატყობინებს გადახდის მიმღებს. ²თუმცა, ანგარიშის დებეტში ჩანაწერის შემთხვევაში, გადამხდელს შეუძლია, § 675ყ-ით გათვალისწინებული კუთვნილი უფლებების დარღვევის გარეშე, გააუქმოს გადახდის დავალება შეთანხმებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე სამუშაო დღის ბოლომდე.

(3) თუ გადახდის მომხმარებელსა და გადახდის განმახორციელებელს შორის გადახდის დავალების შესრულებისათვის შეთანხმებულია განსაზღვრული ვადა

(§ 675ო-ს მე-2 ნაწილი), მაშინ გადახდის მომხმარებელს შეუძლია გააუქმოს გადახდის დავალება შეთანხმებულ დღემდე სამუშაო დღის ბოლომდე.

(4) ¹პირველ-მე-3 ნაწილებში მითითებული თარიღების შემდეგ გადახდის დავალება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადახდის მომხმარებელი და გადახდის განმასხვრციელებელი ამაზე შეთანხმდებიან. ²მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადახდის დავალების გაუქმებისათვის დამატებით საჭიროა გადახდის მიმღების თანხმობა. ³გადახდის განმასხვრციელებელს გადახდის მომხმარებელთან დადებულ გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში ამ გაუქმების დამუშავებისათვის შეუძლია შეთანხმდეს სასყიდლის თაობაზე.

(5) გადახდების სისტემის მონაწილეს აღარ შეუძლია დავალების გაუქმება სხვა მონაწილის სასარგებლოდ გადახდების სისტემის წესებით გათვალისწინებული თარიღის შემდეგ.

§ 675რ. საზღაურის გადახდა საანგარიშსწორებო ოპერაციების შემთხვევაში

(1) გადამხდელის გადახდის განმასხვრციელებელი, ასევე საანგარიშსწორებო ოპერაციის სხვა შუალედური რგოლები ვალდებული არიან, ის თანხა, რომელიც საანგარიშსწორებო ოპერაციის საგანია (გადასახდელი თანხა), სრულად გადასცენ გადახდის მიმღების გადახდის განმასხვრციელებელს.

(2) ¹გადახდის მიმღების გადახდის განმასხვრციელებელს შეუძლია თანხის კრედიტში ასახვამდე დააკავოს გადასარიცხი თანხიდან მისთვის კუთვნილი საზღაურის თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შეთანხმებულია გადახდის მიმღებთან. ²ამ შემთხვევაში საანგარიშსწორებო ოპერაციის სრული თანხა და საზღაური გადახდის მიმღებისათვის უნდა აღირიცხოს განცალკევებულად, სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის §§ 8-ისა და 15-ის შესაბამისად.

(3) იმ საანგარიშსწორებო ოპერაციის შემთხვევაში, რომელიც არ არის დაკავშირებული სავალუტო გადაანგარიშებასთან, გადახდის მიმღებსა და გადამხდელს შესაბამისად ეკისრებათ მათი გადახდის განმასხვრციელებლის მიერ ინიცირებული საზღაური.

§ 675ს. საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელება კლიენტის იდენტიფიცირების მეშვეობით

(1) ¹გადახდის განმასხვრციელებლები უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ საანგარიშსწორებო ოპერაცია მხოლოდ გადახდის მომხმარებლის მიერ მითითებული კლიენტის იდენტიფიცირების მეშვეობით. ²თუ გადახდის დავალება შესრულდება კლიენტის ასეთი იდენტიფიცირების შესაბამისად, მაშინ ის მიიჩნევა სათანადოდ შესრულებულად, გადახდის მიმღების მიერ მითითებული კლიენტის იდენტიფიცირების გათვალისწინებით.

(2) კლიენტის იდენტიფიცირება, წარმოდგენილი ასოების, ციფრებისა თუ სიმბოლოების მიმდევრობით, გადახდის განმასხვრციელებლისაგან მიეწოდება გადახდის მომხმარებელს – იგი უნდა უთითებდეს გადახდის მომხმარებელს, რათა შესაძლებელი იყოს საანგარიშსწორებო ოპერაციის მონაწილე სხვა გადახდის მომხმარებლის ან მისი საბანკო ანგარიშის ზუსტად დადგენა.

(3) თუ გადამხდელის მიერ მითითებული კლიენტის იდენტიფიცირება გადამხდელის გადახდის განმასხვრციელებლისათვის არ საჭიროებს გადახდის მიმღებისათვის ან საბანკო ანგარიშისათვის მიბმას, მაშინ გადახდის განმასხვრციელებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ გადამხდელს და აუცილებლობის შემთხვევაში გასცეს მასზე ანგარიშსწორების თანხა.

§ 675ტ. საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელების ვადა

(1) ¹გადამხდელის გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ანგარიშსწორების თანხა გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელს მიუვიდეს არაუგვიანეს გადახდის დავალებით გათვალისწინებული მიღების მომენტის შემდეგი სამუშაო დღისა; 2012 წლის პირველი იანვრისათვის გადამხდელსა და მის გადახდის განმახორციელებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ ვადაზე სამ სამუშაო დღემდე. ²ვეროპის ეკონომიკური სივრცის ფარგლებში იმ საანგარიშსწორებო ოპერაციებისათვის, რომლებიც არ ხორციელდება ევროში, გადამხდელსა და მის გადახდის განმახორციელებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ მაქსიმუმ ოთხდღიან სამუშაო დღის ვადაზე. ³დოკუმენტურად გაფორმებული საანგარიშსწორებო ოპერაციებისათვის, პირველი წინადადების თანახმად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ვადის, დამატებით, ერთი სამუშაო დღით გაგრძელებაზე.

(2) ¹გადახდის მიმღებისაგან ან ამ უკანასკნელის მეშვეობით განხორციელებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შემთხვევაში, გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, გადახდის დავალება გადასცეს გადამხდელის გადახდის განმახორციელებელს გადახდის მიმღებსა და მის გადახდის განმახორციელებელს შორის შეთანხმებულ ვადებში. ²ანგარიშის დებეტში ჩანაწერის შემთხვევაში, გადახდის დავალება იმდენად დროულად უნდა იქნეს გადაცემული, რომ შესაძლებელი იყოს გადახდის მიმღების მიერ შეტყობინებული გადახდის ვადის გაანგარიშება.

§ 675უ. ფულადი თანხების საბანკო ანგარიშზე ასახვის თარიღი და მათი ხელმისაწვდომობა

(1) ¹გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, ანგარიშსწორების თანხა გადახდის მიმღებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ეს თანხა აისახება გადახდის განმახორციელებლის საბანკო ანგარიშზე. ²თუ ანგარიშსწორების თანხა უნდა აისახოს კრედიტში გადახდის მიმღების საბანკო ანგარიშზე, მაშინ თანხა უნდა აისახოს კრედიტში – თუნდაც ეს ხორციელდებოდეს მოგვიანებით – იმგვარად, რომ დროის მომენტი, რასაც გადახდის განმახორციელებელი საფუძვლად იღებს პროცენტების გასაანგარიშებლად ან თანხის საბანკო ანგარიშზე დებეტირებისათვის (ფულადი თანხის საბანკო ანგარიშზე ასახვის თარიღი), განისაზღვრება არა უგვიანეს იმ სამუშაო დღისა, რომელშიც ანგარიშსწორების თანხა აისახა გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებლის საბანკო ანგარიშზე. ³პირველი წინადადება მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადახდის მიმღებს არა აქვს საბანკო ანგარიში.

(2) თუ მომხმარებელს შეაქვს ნაღდი ფული გადახდის განმახორციელებლის საბანკო ანგარიშზე ამ უკანასკნელის შესაბამის ვალუტაში, მაშინ გადახდის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ თანხა მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი გახდეს და აისახოს საბანკო ანგარიშზე; თუ გადახდის მომხმარებელი არ არის მომხმარებელი, მაშინ გადახდის მიმღებმა ფულადი თანხა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მიღებიდან არა უგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა და აისახოს საბანკო ანგარიშზე.

(3) თანხის გადამხდელის საბანკო ანგარიშზე დებეტირება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ფულადი თანხა საბანკო ანგარიშზე აისახოს არა უადრეს იმ თარიღისა, როდესაც ამ საბანკო ანგარიშზე მოხდება ანგარიშსწორების თანხის დებეტირება.

ქვეთავი 3. პასუხისმგებლობა

§ 675ფ-ის შესავალი

1. პასუხისმგებლობა. § 675ფ და შემდეგი პარაგრაფები ანესრიგებს საანგარიშსწორებო ოპერაციების მონაწილე ბანკის პასუხისმგებლობას არაავტორიზებული და ხარვეზით განხორციელებული საანგარიშსწორებო ოპერაციების შემთხვევაში (საანგარიშსწორებო ოპერაციების შეუსრულებლობა ან მათი ხარვეზით შესრულება). როგორც წესი, ხარვეზით განხორციელებული საანგარიშსწორებო ოპერაციების რისიკი ეკისრება მოვალის ბანკს. მას ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია მესამე პირისაგან და არა თავისი კლიენტისაგან. § 676 ადგენს მტკიცების ტვირთის გადასვლას ბანკის კლიენტის სასარგებლოდ. ბანკის კლიენტს კი, პირიქით, ეკისრება ვალდებულება, § 676ბ-ს შესაბამისად, დაუყოვნებლივ მოახდინოს თავისი ბანკის (შდრ. § 121-ის პირველი ნაწილი) ინფორმირება ხარვეზიანი საანგარიშსწორებო ოპერაციების შემთხვევაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონის ნორმები, როგორც წესი, წინაპირობად არ აყენებს ბრალეულობის არსებობას. შესაბამისად, § 676გ ადგენს პასუხისმგებლობის გამორიცხვის წინაპირობებს, მაგ., გაუთვალისწინებელი შედეგებისათვის. §§ 675ფ და 675შ გადამწყვეტია ასევე ბრალზე დამოკიდებული მოთხოვნის უფლებებისა და კონდიქციების საწინააღმდეგოდ, § 675ც-ს პირველი წინადადება. თუ ბანკი საანგარიშსწორებო ოპერაციას ახორციელებს გადამხდელის მიერ მიწოდებული კლიენტის არასწორი იდენტიფიცირების საფუძველზე, საანგარიშსწორებო ოპერაცია მაინც მიიჩნევა სათანადოდ შესრულებულად (§ 675ს-ს პირველი ნაწილი).

2. არაავტორიზებული გადახდის განმახორციელებელი. თუ გადახდის განმახორციელებელი გადახდელისაგან არ არის ავტორიზებული (§ 675კ-ს პირველი ველი), მაშინ ბანკს არ შეუძლია განხორციელებული გადახდის მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, § 675ფ. ბანკს უნდა მიეცეს გადახდის მიმღებისათვის უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების საფუძველზე კომპენსაციის თანხის გადარიცხვის დავალება (იხ. § 812-ის 27-ე და შემდეგი ველები). § 675ჩ-ს პირველი წინადადება გამორიცხავს საბანკო ანგარიშის მფლობელისაგან გადასარიცხი თანხის კონდიქციას (BT-Drs 16/11643, წინ. 113). გამონაკლისის სახით, საბანკო ანგარიშის მფლობელი პასუხს არ აგებს არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციებისათვის მესამე მხრიდან თანაბრალეული უკანონო გამოყენების ფაქტების შემთხვევაში, § 675ქ. მტკიცების ტვირთი ეკისრება ბანკს (§ 675ლ).

§ 675ფ. გადახდის განმახორციელებლის პასუხისმგებლობა არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციებისათვის

¹არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შემთხვევაში გადამხდელის გადახდის განმახორციელებელს არა აქვს გადამხდელის მიმართ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ²ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს გადამხდელს გადასახდელი თანხა და, რამდენადაც ამ თანხით მოხდა საბანკო ანგარიშის დებეტირება, უზრუნველყოს აღნიშნული საბანკო ანგარიშის ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, როგორიც იქნებოდა, ანგარიშის დებეტირების გარეშე, არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შედეგად.

§ 675ქ. გადამხდელის პასუხისმგებლობა ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის უკანონო გამოყენების შემთხვევაში

(1) ¹თუ არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციები არ ეფუძნება დაკარგული, მოპარული ან მესაკუთრის მფლობელობიდან სხვაგვარად გასული ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის გამოყენებას, მაშინ გადამხდელის გადახდის განმახორციელებელს შეუძლია გადამხდელისაგან

ზემოაღნიშნულის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება 150 ევრომდე თანხის ფარგლებში. ²ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი წარმოიშვა ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის სხვაგვარი გამოყენების შედეგად და გადამხდელს პერსონალიზებული უსაფრთხოების ნიშნები არ ჰქონდა უსაფრთხოდ შენახული.

(2) გადამხდელს თავისი გადახდის განმახორციელებლის წინაშე ეკისრება ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც წარმოიშვა არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შედეგად, თუ ზიანის დადგომა შესაძლებელი გახდა მისი თაღლითური განზრახვის შედეგად ან ეს ზიანი გამოწვეულ იქნა:

1. § 675მ-ს შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე ვალდებულების, ან
2. ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის გაცემისა და გამოყენების შესახებ ერთი ან რამდენიმე შეთანხმებული პირობის განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევის შედეგად.

(3) ¹პირველი და მე-2 ნაწილებისაგან განსხვავებით, გადამხდელი არ არის ვალდებული იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც წარმოიშვა § 675მ-ს მე-2 ნაწილადების შესაბამისად, წარდგენილი შეტყობინების შემდეგ გამოყენებული ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტით სარგებლობიდან გამომდინარე. ²გადამხდელი არ არის ვალდებული, ასევე პირველი ნაწილის გაგებით, ზიანის ანაზღაურებაზე, როდესაც გადახდის განმახორციელებელი ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებს, § 675ნ-ს პირველი ნაწილის №3-ის შესაბამისად. ³პირველი და მე-2 ნაწილადებები არ გამოიყენება, როდესაც გადამხდელი მოქმედებდა თაღლითური განზრახვით.

§ 675ლ. ავთენტიკურობის მტკიცება

¹თუ განხორციელებული საანგარიშსწორებო ოპერაციის ავტორიზაცია სადავოა, მაშინ გადახდის განმახორციელებელმა უნდა ამტკიცოს, რომ ავთენტიკურობის დადგენა განხორციელდა და საანგარიშსწორებო ოპერაცია სათანადოდ იქნა დოკუმენტურად ასახული, ბუღალტრულად გატარებული და, აგრეთვე, არ მომხდარა საანგარიშსწორებო ოპერაციის დარღვევა. ²ავთენტიკურობის დადგენა ხორციელდება, როდესაც გადახდის განმახორციელებელმა პროცესუალურად შეამოწმა განსაზღვრული ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტით სარგებლობა, ამ ინსტრუმენტის პერსონალიზებული უსაფრთხოების ნიშნების შემოწმების ჩათვლით. ³თუ საანგარიშსწორებო ოპერაცია ხორციელდებოდა ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის მეშვეობით, მაშინ გადახდის განმახორციელებლის მხრიდან, ავთენტიკურობის დადგენის ჩათვლით, მხოლოდ ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტით სარგებლობის დოკუმენტური ასახვა საკმარისი არ არის იმის დასადასტურებლად, რომ:

1. გადამხდელი ახდენს საანგარიშსწორებო ოპერაციის ავტორიზაციას;
2. იგი მოქმედებს თაღლითური განზრახვით;
3. გადამხდელი არღვევს ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას, § 675მ-ის შესაბამისად; ან
4. გადამხდელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის გაცემისა და გამოყენების ერთი ან რამდენიმე პირობა.

§ 675ყ. გადახდის მიმღების მხრიდან საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელების დაწყებისას ან ამ უკანასკნელის გამო ანაზღაურების მიღების მოთხოვნის უფლება

(1) გადამხდელს გადახდის განმახორციელებლის მიმართ აქვს მოთხოვნის უფლება იმ დებუტირებული გადასახდელი თანხის ანაზღაურების შესახებ, რომელიც

ეფუძნება ავტორიზირებულ, გადახდის მიმღების მხრიდან – ან ამ უკანასკნელის გამო – დაწყებულ საანგარიშსწორებო ოპერაციას, როდესაც:

1. ავტორიზაციისას ზუსტი თანხა არ იყო მითითებული, და
2. გადასახდელი თანხა აღემატება იმ თანხას, რომლის მიღებასაც გადამხდელი ელოდებოდა თავისი თავდაპირველი დოკუმენტის გაცემის პროცესის, გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებისა და ცალკეული შემთხვევის გარემოებათა შესაბამისად; შესაძლო ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული საფუძველები მხედველობაში არ მიიღება, როდესაც საფუძველად იღება მხარეთა შორის შეთანხმებული ბაზისური გაცვლითი კურსი.

გადამხდელი თავისი გადახდის განმახორციელებლის მოთხოვნის საფუძველზე ვალდებულია, იმგვარად წარმოადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, რომ მათგან გამომდინარეობდეს მისი ანაზღაურების მიღების მოთხოვნის უფლება.

(2) საბანკო ანგარიშის დებეტირების შემთხვევაში გადამხდელსა და მის გადახდის განმახორციელებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ გადამხდელს იმ შემთხვევაშიც ექნება გადახდის განმახორციელებლის მიმართ თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, როდესაც, პირველი ნაწილის თანახმად, ანაზღაურების წინაპირობები არ სრულდება.

(3) გადამხდელს შეუძლია შეუთანხმდეს თავის გადახდის განმახორციელებელს იმაზე, რომ მას არ ჰქონდეს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, როდესაც იგი საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობას განუცხადებს უშუალოდ გადახდის განმახორციელებელს და – შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – სამომავლო საანგარიშსწორებო ოპერაციის შესახებ მას შეატყობინებს გადახდის განმახორციელებელი ან გადახდის მიმღები ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე ოთხი კვირით ადრე.

(4) გადამხდელის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამოირიცხებულია, როდესაც ის ამ მოთხოვნის უფლებას არ განახორციელებს გადახდის განმახორციელებლის მიმართ რვა კვირის განმავლობაში, შესაბამისი გადასახდელი თანხის დებეტირების მომენტიდან.

(5) ¹გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის მიღებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში ანაზღაუროს საანგარიშსწორებო ოპერაციის სრული თანხა, ან შეატყობინოს გადამხდელს ანაზღაურებაზე უარის თქმის მიზეზები. ²ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გადახდის განმახორციელებელმა უნდა მიუთითოს პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობაზე საანგარიშსწორებო ოპერაციის ზედამხედველობის შესახებ, კანონის § 28-ის შესაბამისად, და ასევე – გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებების შესახებ, კანონის § 14-ის შესაბამისად, მომრიგებელი ორგანოსათვის მიმართვის შესაძლებლობაზე. ³გადახდის განმახორციელებლის უფლება, უარი თქვას მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში მოთხოვნაზე ანაზღაურებაზე, არ ვრცელდება მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაზე.

(6) პირველი ნაწილი არ გამოიყენება საბანკო ანგარიშის დებეტირების ოპერაციების მიმართ, როგორც კი ისინი ავტორიზებულ იქნა გადამხდელის მონონებით უშუალოდ თავისი გადახდის განმახორციელებლის მიმართ.

§ 675შ. გადახდის განმახორციელებლის პასუხისმგებლობა გადახდის დავალების შეუსრულებლობის ან მათი ხარვეზით შესრულების შემთხვევაში; გამოძიების ვალდებულება

(1) ¹თუ საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელება იწყება გადამხდელის მიერ, მაშინ ამ უკანასკნელს თავისი გადახდის განმახორციელებლისაგან შეუძლია მოითხოვოს დაუყოვნებლივი და სრული ანაზღაურება გადასახდელი თანხის

შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული გადახდის დავალების შემთხვევაში. ²თუ გადასახდელი თანხით მოხდა გადამხდელის საბანკო ანგარიშის დეპეტირება, მაშინ ეს საბანკო ანგარიში მოყვანილ უნდა იქნეს ისეთ მდგომარეობაში, როგორც იქნებოდა უხარვეზოდ შესრულებული საანგარიშსწორებო ოპერაციის დროს. ³რამდენადაც § 675რ-ს პირველი ნაწილის საწინააღმდეგოდ გადასახდელი თანხიდან მოხდა საზღაურის თანხის დაკავება, გადამხდელის გადახდის განმახორციელებელმა დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს დაკავებული თანხა გადახდის მიმღებს. ⁴თუ გადამხდელის გადახდის განმახორციელებელი ადასტურებს, რომ გადასახდელი თანხა დროულად და სრულად მიუვიდა გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელს, წინამდებარე ნაწილის თანახმად, პასუხისმგებლობა აღარ დგება.

(2) ¹თუ საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელება იწყება გადახდის მიმღების მხრიდან ან ამ უკანასკნელის გამო, მაშინ გადახდის მიმღებს შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული გადახდის დავალების შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს, რომ მისმა გადახდის განმახორციელებელმა ამ გადახდის დავალება, – აუცილებლობის შემთხვევაში, განახლებული გადახდის დავალება, – დაუყოვნებლივ გადასცეს გადამხდელის გადახდის განმახორციელებელს. ²თუ გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელი ადასტურებს, რომ მან შეასრულა მის მიერ საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელების დროს ნაკისრი ვალდებულებები, მაშინ გადამხდელის გადახდის განმახორციელებელმა გადამხდელს, აუცილებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ სრულად უნდა აუნაზღაუროს გადასახდელი თანხა, პირველი ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებების შესაბამისად. ³რამდენადაც § 675რ-ს პირველი და მე-2 ნაწილების საწინააღმდეგოდ გადასახდელი თანხიდან მოხდა საზღაურის თანხის დაკავება, გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელმა დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს დაკავებული თანხა გადახდის მიმღებს.

(3) ¹გადახდის განმახორციელებლის მიმართ გადახდის მომხმარებლის მოთხოვნის უფლებები პირველი ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებებისა და მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, არ არსებობს, თუ გადახდის დავალება ხორციელდებოდა გადახდის მომხმარებლის მიერ მიწოდებული კლიენტის არასწორი იდენტიფიცირების საფუძველზე. ²თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში, გადამხდელს შეუძლია, თავის გადახდის განმახორციელებელს მოსთხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში სცადოს გადასახდელი თანხის უკან დაბრუნება. ³გადახდის განმახორციელებელს შეუძლია, გადახდის განმახორციელებელს გადახდის მომხმარებელთან დადებულ გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში შეუთანხმდეს სასყიდლის თაობაზე თანხის დაბრუნებისათვის.

(4) გადახდის მომხმარებელს შეუძლია თავისი გადახდის განმახორციელებლისაგან, პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, მოთხოვნის უფლებებისათვის საზღაურისა და პროცენტის მოთხოვნა, რომლებსაც გადახდის განმახორციელებელი მას უთვლის შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული გადახდის დავალების ანგარიშში, ან, რომლებიც გადახდის განმახორციელებელმა ჩამოწერა გადახდის მომხმარებლის კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან.

(5) თუ გადახდის დავალება არ სრულდება ან სრულდება ხარვეზით, მაშინ გადახდის განმახორციელებელმა თავისი გადახდის მომხმარებლის მოთხოვნით უნდა თავიდან შეასრულოს საანგარიშსწორებო ოპერაცია იმ გადახდის მომხმარებლის მიმართ, რომელმაც განახორციელა საანგარიშსწორებო ოპერაცია, ან რომლის გამოც განხორციელდა საანგარიშსწორებო ოპერაცია, და შედეგის შესახებ შეატყობინოს თავის გადახდის მომხმარებელს.

§ 675ჩ. სხვა მოთხოვნის უფლებები შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული გადახდის დავალების ან არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შემთხვევაში

¹§ 675ფ და 675შ გადამწყვეტია მათში მონესრიგებული გადახდის მომხმარებლის კუთვნილ მოთხოვნის უფლებებთან დაკავშირებით. ²გადახდის განმახორციელებლის პასუხისმგებლობა მისი გადახდის მომხმარებლის წინაშე შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული გადახდის დავალების შედეგად დამდგარი ზიანისათვის, რასაც არ მოიცავს § 675შ, შეიძლება შეიზღუდოს 12 500 ევრომდე; ეს წესი არ მოქმედებს განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის, პროცენტის დაკარგვისა და რისკებისათვის, რომლებიც სპეციალურად იკისრა გადახდის განმახორციელებელმა. ³ამავე დროს, გადახდის განმახორციელებლები მოქმედებენ ბრალით, რომელიც შეეარაცება შუალედურ რგოლებს, როგორც საკუთარი ბრალი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადახდის მომხმარებლის ბრალით გამოწვეული არსებითი ხასიათის მიზეზი არსებობს შუალედურ რგოლებში. ⁴მე-3 წინადადების მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადახდის მომხმარებლის გადახდის განმახორციელებლის ნაცვლად პასუხს აგებს გადახდის მომხმარებლის მიერ დამატებული შუალედური რგოლი. ⁵§ 675შ-ს მე-3 ნაწილის პირველი წინადადება გამოიყენება, მე-2-მე-4 წინადადებების შესაბამისად, გადახდის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის მიმართაც.

§ 676. საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელების ფაქტის მტკიცება

თუ გადახდის მომხმარებლისა და მის გადახდის განმახორციელებელს შორის სადავოა, განხორციელდა თუ არა სათანადოდ საანგარიშსწორებო ოპერაცია, გადახდის განმახორციელებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ საანგარიშსწორებო ოპერაცია სათანადოდ იქნა დოკუმენტურად ასახული, ბუღალტრულად გატარებული და, აგრეთვე, არ დარღვეულა საანგარიშსწორებო ოპერაცია.

§ 676ა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

თუ, § 675შ-სა და 675ჩ-ს შესაბამისად, გადახდის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის მიზეზი სხვა გადახდის განმახორციელებლის ან შუალედური რგოლის პასუხისმგებლობაა, მაშინ პირველს შეუძლია, სხვა გადახდის განმახორციელებლისაგან ან შუალედური რგოლისაგან მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც მან § 675შ-სა და 675ჩ-ს შესაბამისად განიცადა, გადახდის მომხმარებლის მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის შედეგად.

§ 676ბ. არაავტორიზებული ან ხარვეზით შესრულებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შესახებ შეტყობინება

(1) გადახდის მომხმარებელმა არაავტორიზებული ან ხარვეზით შესრულებული საანგარიშსწორებო ოპერაციის გამოვლენის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს თავის გადახდის განმახორციელებელს.

(2) ¹წინამდებარე ქვეთავის თანახმად, გადახდის განმახორციელებლის მიმართ გადახდის მომხმარებლის მოთხოვნის უფლებები და შესაგებლები გამორიცხულია, როდესაც გადახდის მომხმარებელმა თავის გადახდის განმახორციელებელს არაავტორიზებული ან ხარვეზით შესრულებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შესახებ შეატყობინა არა უგვიანეს 13 თვისა, ანგარიშის დებეტირების თარიღის შემდეგ. ²ვადის დენა იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადახდის განმახორციელებელმა გადახდის მომხმარებელს მიაწოდა საანგარიშსწორებო ოპერაციის შესახებ ინფორმაცია სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის § 7, 10 ან და § 14-ის შესაბამისად; სხვა შემთხვევაში, ვადის დენის დაწყების მომენტად აიღება შეტყობინების წარდგენის დღე.

(3) სხვა მოთხოვნის უფლებების, – ნაცვლად § 675ჩ-ს პირველ წინადადებაში მითითებული შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული საანგარიშსწორებო ოპერაციის გამო გადახდის განმახორციელებლის მიმართ გადახდის მომხმარებლის კუთვნილი მოთხოვნის უფლებებისა, – მიმართ მე-2 ნაწილი მოქმედებს იმ პირობით, რომ გადახდის მომხმარებელს შეუძლია ამ მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია ასევე შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგაც, როდესაც მან ვადაში მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ მოახდინა.

§ 676გ. პასუხისმგებლობის გამორიცხვა

წინამდებარე თავით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია გამორიცხულია, როდესაც მოთხოვნის უფლების მიმჩიებული გარემოებები:

1. ემყარება უჩვეულო და გაუთვალისწინებელ შედეგს, რაზეც ის მხარე, რომელიც მიუთითებს ამ შედეგზე, ვერ ახდენს გავლენას, მისი შედეგები კი, გამოჩენილი სათანადო ზრუნვის მიუხედავად, ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული, ან
2. გამოწვეული იყო გადახდის განმახორციელებლის მოქმედებით კანონისმიერ ვალდებულების საფუძველზე.

კარი 13. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

§ 677-ის შესავალი

I. ზოგადი მიმოხილვა

1. **1. ცნება.** დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება სახეზეა, როდესაც პირი (შემსრულებელი) სხვა პირისათვის (დაინტერესებული პირი) ასრულებს საქმეებს ამ უკანასკნელისაგან ხელშეკრულებით ან, სხვაგვარად, უფლებამოსილების მინიჭების გარეშე (შდრ. § 677). **2. მნიშვნელობა.** დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება წარმოშობს კანონისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას; კოდექსში მისი დავალების შემდეგ განთავსება გამართლებულია იმით, რომ იგი მასთან ერთად ქმნის საქმეთა წარმოების ცნებას. **3. მიზანი.** ერთის მხრივ, სხვა პირის სასარგებლოდ მოქმედი პირის ცალმხრივი მხარდაჭერა მართლზომიერად მოქმედი შემსრულებლის უფლებრივი მდგომარეობის გამყარებით (იხ. ქვემოთ, მე-3 ველი) მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების კრედიტორის მიმართ; მეორე მხრივ, დაინტერესებული პირის საქმეებში თავსმოხვეული ჩარევის თავიდან აცილება ხდება არამართლზომიერად მოქმედი შემსრულებლის პასუხისმგებლობის გამკაცრებით (§§ 678, 687-ის მე-2 ნაწილი). განსხვავებული მიზნების მიხედვით, არსებობს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სხვადასხვა სახე (იხ. ქვემოთ, მე-3 და შემდგომი ველები).

II. სახეები

2. **1.** ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ნამდვილი და არანამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სახეები. **ა) ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წინაპირობაა:** **1. საქმეების შესრულება** (§ 677, მე-4 ველი); **2. სხვა პირის საქმე** (§ 677, მე-5 ველი); **3. დავალების ან სხვაგვარი უფლებამოსილების გარეშე** (§ 677, მე-6 ველი); **4. სხვისი საქმეების შესრულების ნება** (§ 687-ის პირველი ნაწილი, დეტალურად იქვე, პირველი ველი). თუ საქმეების შესრულება შეესაბამება დაინტერესებული პირის ინტერესსა და ნებას (§ 683), სახეზეა **ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება**. თუ აღნიშნული წინაპირობები სახეზე არ არის, მაშინ ხდება **ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი**

საქმეების შესრულება. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსებობისათვის ნამდვილ დაინტერესებულ პირთან ერთად უმნიშვნელოა ის, ცნობილია თუ არა შემსრულებლისათვის ამ დაინტერესებული პირის ვინაობა, ან იგი ცდება მასში (§ 686).

2. არანამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება სახეზეა სხვისი საქმეების შესრულების ნების არარსებობის შემთხვევაში. თუ საქმის შესრულება ხდება საკუთარი საქმის შესრულების პრინციპის საწინააღმდეგოდ, მაშინ საქმე გვაქვს დავალების გარეშე როგორც საკუთარი საქმეების შესრულებასთან (§ 687-ის მე-2 ნაწილი). საქმის, როგორც საკუთარის შეცდომით მიღების შემთხვევაში (§ 687-ის პირველი ნაწილი) კი, პირიქით, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ნორმები არ გამოიყენება.

III. სამართლებრივი შედეგები (მიმოხილვა)¹²⁴

1. ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება სახეზეა, როდესაც საქმეების შესრულება შეესაბამება დაინტერესებული პირის ინტერესსა და ნამდვილ ან სავარაუდო ნებას (§ 683-ის პირველი წინადადება), ისევე როგორც §§ 683-ის მე-2 წინადადებით, 679-სა და 684-ში გათვალისწინებულ შემთხვევებში. შემსრულებელი უთანაბრდება რწმუნებულს, კერძოდ, მას აქვს შემდეგი უფლებები და ვალდებულებები: **ა) საქმეების ჯეროვანი შესრულების ვალდებულება**, § 677. ზიანის მიყენებისას ანაზღაურების ვალდებულება, § 280-ს თანახმად; **ბ) საქმეების შესრულების შესახებ დროული შეტყობინების ვალდებულება, მიღებულის დაბრუნება** და ა. შ., §§ 681-ის პირველი წინადადება, 681-ის მე-2 წინადადება, 666-668-სთან ერთად; **გ) განუული ხარჯების ანაზღაურების უფლება**, §§ 681-ის პირველი წინადადება, 670-თან ერთად; თუმცა, ყურადსაღებია § 685.

2. ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება სახეზეა, როდესაც, მართალია, საქმეების შესრულება არ შეესაბამება დაინტერესებული პირის ინტერესსა და ნებას, თუმცა, იგი აკმაყოფილებს ზემოთ, მე-2 ველში მოცემულ წინაპირობებს: **ა) ამ შემთხვევაში სადავოა, § 677-იდან გამომდინარე, ეკისრება თუ არა შემსრულებელს საქმეების ჯეროვანი შესრულების ვალდებულება** (დეტალურად იხ. § 677, მე-2 ველი). ნებისმიერ შემთხვევაში მას ეკისრება § 678-ით გათვალისწინებული გამკაცრებული პასუხისმგებლობა; **ბ) დაინტერესებული პირის მიმართ შემსრულებლის კუთვნილი საქმეების შესრულების შედეგად მიღებულის დაბრუნების მოთხოვნის უფლება**, უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, §§ 684-ის პირველი წინადადება, 812-ე და შემდეგ პარაგრაფებთან ერთად; **გ) სადავოა, უნდა დააბრუნოს** თუ არა შემსრულებელმა, თავის მხრივ, საქმეების შესრულების შედეგად მიღებული §§ 681-ის მე-2 წინადადება, 667-ის თანახმად, თუ ასეთი ვალდებულება წინააღმდეგობრივი იქნებოდა შემსრულებლის უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად მოთხოვნის უფლებასთან (დეტალურად იხ. § 681, მე-2 ველი).

3. ნაკისრი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება სახეზეა, როდესაც პირი, მიუხედავად ცოდნისა, სხვის საქმეებს ასრულებს როგორც საკუთარს (§ 687-ის მე-2 ნაწილი). სხვისი საქმეების შესრულების ნებაზე სახეზეა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ყველა წინაპირობა. პირველი იცვლება სხვისი საქმეების, როგორც საკუთარის, შესრულების ნებით; ამიტომ, § 687-ის მე-2 ნაწილში მითითებული სამართლებრივი ურთიერთობა აღინიშნება ასევე როგორც „ნაკისრი დავალების გარეშე როგორც საკუთარი საქმეების შესრულება“ ან როგორც „არანამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება“. ტიპური მაგალითებია: სხვა პირის აბსოლუტური უფლების დარღვევა, მაგ., სხვა

124 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

პირის კუთვნილი (მაგ., მოპარული) სამკაულების მესამე პირზე არასანქცირებული რეალიზაცია; იმ შესრულებების მიღება, რომლებიც მხოლოდ დაინტერესებულ პირს ეკუთვნის. ნაკისრი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, უფლებები და ვალდებულებები წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებული პირი ახდენს, § 687-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნის უფლებების რეალიზაციას. ამ შემთხვევაში, ნაკისრი დავალების გარეშე, როგორც საკუთარი საქმეების შემსრულებელს, აქვს არამართლზომიერი სხვა პირის სახელით მოქმედი შემსრულებლის სტატუსი (იხ. ზევით, მე-4 ველი; თუმცა, აქ ეჭვს არ იწვევს § 687-ის მე-2 ნაწილის პირველ წინადადებასთან ერთად §§ 677, 681-ით გათვალისწინებული ჩარევები).

IV. განსხვავება სხვა კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისაგან

- 6 **1. მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობა** (§ 987 და შემდეგი პარაგრაფები). ა) **ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან** ერთად § 987 და შემდეგი პარაგრაფები უდავოდ არ მოქმედებს, ვინაიდან საქმეების შესრულება ანიჭებს მფლობელობის უფლებას § 986-ის გაგებით; ბ) პირიქით, გაბატონებული შეხედულების თანახმად, **ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ** ნორმებს ჩაანაცვლებს მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები როგორც სპეციალური ნორმები (განსხვავებული შეხედულება იხ. *MüKo-Seiler* მე-18 ველი); გ) სადავოა ასევე **ნაკისრი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისადმი** მიმართება: გაბატონებული შეხედულების მიხედვით, არსებობს მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია § 987 და შემდეგი პარაგრაფების თანახმად; განსხვავებული შეხედულების მიხედვით კი (*MüKo-Seiler* §677, მე-18 ველი), **ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებს** ენიჭება უპირატესობა, როგორც სპეციალურ ნორმებს.
- 7 **2. დელიქტური მოთხოვნის უფლებები** ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში გამორიცხულია, მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო, თუმცა, არსებობს მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია.
- 8 **3. უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად მოთხოვნის უფლება** (§ 812 და შემდეგი პარაგრაფები) **ნამდვილი დავალების გარეშე სხვის საქმეებთან** ერთად, როგორც წესი, გამორიცხულია, ვინაიდან იგი ქმნის სამართლებრივ საფუძველს § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების გაგებით. თუმცა, გაბატონებული მოძღვრების თანახმად, (*MüKo-Seiler* § 677, 47-ე ველი), ამ პრინციპიდან არსებობს **გამონაკლისი**, როდესაც საქმეთა შესრულება ხორციელდებოდა შეწყვეტილი ან ბათილი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე; ამ შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, უფლებას ენიჭება უპირატესობა როგორც სპეციალურ დანაწესს. დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება შედეგად იწვევს §§ 814-ის, 817-ის მე-2 წინადადების, 818-ის გვერდის ავლას. სასამართლო პრაქტიკა კი (BGH NJW 1993, 3196 შემდგომი მითითებებით), პირიქით, ამ შემთხვევებშიც, როგორც წესი, ითვალისწინებს პრობლემის გადაწყვეტას § 677-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად: შემსრულებლის სავარაუდო სახელშეკრულებო ვალდებულება არ გამორიცხავს სხვისი საქმეების შესრულების ნებას „აგრეთვე-სხვისი“ საქმის ფარგლებში (თუმცა, საწინააღმდეგო ვითარებაა ნაკისრი კოსმეტოპური რემონტის განხორციელებისათვის, BGH NJW, 2009, 2590, იხ. § 535-ის მე-4 ველი)¹²⁵. თუ,

125 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

შემსრულებლის ხარჯები წარმოიშვა კანონით აკრძალული საქმიანობიდან (მაგ., უკანონო მენარმეობა), მაშინ იგი მოკლებულია შესაძლებლობას, „მიიჩნიოს ეს ხარჯები აუცილებლად“; ამდენად, §§ 683, 670-ის შესაბამისად, მოთხოვნის უფლება აღარ არსებობს და გამოყენებულ უნდა იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისი უფლება (BGHZ 111, 308, 311). **ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისათვის** § 684-ის პირველი წინადადება უთითებს §§ 812-სა და შემდეგ პარაგრაფებზე; დეტალურად იხ. § 684-ის პირველი და შემდეგი ველეები. დავალების გარეშე სხვისი, როგორც საკუთარი საქმეების შესრულებისადმი მიმართებისათვის იხ. § 687, პირველი, მე-4 ველეები.

§ 677. შემსრულებლის ვალდებულებები

პირი, რომელიც ასრულებს სხვა პირის საქმეებს, მისგან დავალების მიღებისა ან სხვაგვარად უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, ვალდებულია, ისე შეასრულოს საქმე, როგორც ამას მოითხოვს ამ პირის ინტერესები, მისი ნამდვილი ან სავარაუდო ნების გათვალისწინებით.

I. ზოგადი მიმოხილვა

1. მნიშვნელობა. ნორმა ადგენს (§ 687-ის პირველ ნაწილთან ერთად) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წინაპირობებს; გარდა ამისა, იგი აღწერს შემსრულებლის ძირითად ვალდებულებას და ადგენს მოთხოვნის უფლების საფუძველს, საქმეების ნაკლოვანი შესრულების შემთხვევაში.

2. გამოყენების სფერო. სადავოა, ეხება თუ არა საქმეების ჯეროვანი შესრულების ვალდებულება მხოლოდ მართლზომიერ შემსრულებელს, თუ ასევე ეხება არამართლზომიერსაც (განსხვავებისათვის იხ. § 677-ის შესავლის მე-3 და შემდეგი ველეები). გაბატონებული შეხედულების თანახმად, § 677 არ მოქმედებს არამართლზომიერი შემსრულებლის მიმართ. ეს უკანასკნელი ვალდებული არის არა ჯეროვან შესრულებაზე, არამედ მან თავი უნდა შეკავოს სხვისი საქმეების შესრულებისგან (*Jauernig-Mansel*, 1-ლი ველი). და, პირიქით, ნამყვანი შეხედულების თანახმად (*Palandt-Sprau*, § 677-ის შესავალი მე-5 ველი; *MüKo-Seiler*, 150-ე ველი), ნორმა გამოიყენება ნებისმიერი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში: გაბატონებული შეხედულების შეზღუდვა არ არის გამყარებული § 677-ის ნორმის სიტყვასიტყვითი ფორმულირებით. არამართლზომიერი შემსრულებელი ვერ იქნებოდა მართლზომიერ შემსრულებელზე უკეთეს მდგომარეობაში; როდესაც მან ერთხელ უკვე იკისრა საქმეების შესრულება, იგი ვალდებულია, ასევე გაახსორციელოს ისინი ჯეროვნად.

II. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წინაპირობები

შდრ. § 677-ის შესავლის მე-2 ველს. ქვემოთ, დასახელებულ წინაპირობებთან ერთად დამატებით სავალდებულოა ე. წ. **სხვისი საქმეების შესრულების ნება**, § 687-ის პირველი ნაწილი (იხ. იქვე).

1. საქმეების წარმოების ცნება მსგავსად დავალების შემთხვევაში საქმეების წარმოებისა, გაგებულ უნდა იქნეს ძალიან ფართოდ; იგი მოიცავს ნებისმიერი სხვა პირისათვის სასარგებლო საქმიანობას, რომელიც მიმართულია როგორც გარიგების დადებისაკენ, ისე სხვა მიზნისაკენ, იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი გრძელდება მცირე ხანს (მაგ., საჭის სწრაფად მოტრიალება ქუჩაში მოთამაშე ბავშვისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, BGHZ, 38, 270, 275).

2. სხვა პირისათვის ეს წინაპირობა სახეზეა, როდესაც შემსრულებელი საქმეებს ასრულებს არა (მხოლოდ) როგორც საკუთარს, არამედ (ასევე) როგორც სხვა პირისას. ამ დროს უმაღლესი ფედერალური სასამართლო ერთმანეთისაგან

განასხვავებს ობიექტურ და სუბიექტურ სხვა პირის, ისევე როგორც „ასევე-სხვა პირის“ საქმეებს (შდრ. BGH NJW, 2000, 72 „მემკვიდრეობის მძებნელი“), რომელთა შემთხვევაშიც სასამართლო პრაქტიკა ცალსახად ნათელი არ არის (შდრ. Falk JuS, 2003, 833): ა) **ობიექტურ სხვა პირის საქმეებს** მიეკუთვნება ისეთი საქმიანობა, რომელიც უკვე თავისი ბუნებითა თუ თავისი გარეგნულად გამოხატული ფორმით შედის სხვა პირის უფლებათა და ინტერესთა სფეროში, მაგ.: დახმარების განევა, საფრთხის თავიდან აცილება, სხვა პირის ვალის გადახდა. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ობიექტურ სხვა პირის საქმეების შემთხვევაში, სხვისი საქმეების შესრულების ნება (§ 687-ის პირველი ნაწილი) ივარაუდება; ბ) **ობიექტურად საკუთარი ან ნეიტრალური საქმეები** მხოლოდ გარეგნულად შესამჩნევი სხვა პირისათვის მოქმედების შედეგად (**სუბიექტური სხვა პირის საქმეები**). ამ შემთხვევაში სხვა პირის საქმეების შესრულების ნების პრეზუმფცია არ არსებობს; გ) ე. წ. „ასევე-სხვა პირის“ საქმეების შემთხვევაში, რომლებიც, თავიანთი გარეგნული სახის მიხედვით, სასარგებლოა არა მხოლოდ შემსრულებლისათვის, არამედ ასევე მესამე პირისათვისაც, – სხვა პირის საქმეების ერთდროულად შესრულების ნება კვლავ ივარაუდება. მაგ.: სასამართლო პრაქტიკის მიერ (1) ხანძრის ჩაქრობა მუნიციპალური სახანძრო სამსახურის მეშვეობით ჩაითვლება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად ხანძრის გამომწვევის მიმართ (BGHZ, 40, 28) და (2) წესების დარღვევით პარკირებული ავტომანქანის გადატანა საჯარიმო ავტოსადგომზე პოლიციის დავალების საფუძველზე მოქმედი კერძო მენარმის მიერ შეიძლება განხილულ იქნეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებად ავტომანქანის მფლობელის მიმართ; დ) **კრიტიკა**. ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულების საფუძველზე გაკრიტიკებულ იქნა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ასეთი გაფართოებული ცნება (დეტალურად იხ. MüKo-Seiler მე-13 და შემდეგი ველები). თუ ადმინისტრაციული დანესებულებები მოქმედებენ თავიანთი საჯაროსამართლებრივი მოვალეობების შესრულებისათვის (მაგ. 1), მაშინ, ადმინისტრაციული ორგანოების კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე (კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილი), შეიძლება გაკეთდეს დასკვნა გადახდის განკარგულების შესახებ, რათა მოქალაქისათვის არ წარმოიშვას გადახდის ვალდებულება კერძოსამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე (შდრ. §§ 679, 683, 670). თუ შემსრულებელი ერთდროულად ასრულებს ვალდებულებას მესამე პირის მიმართ (მაგ. 2), მაშინ მისი სხვისი საქმეების შესრულების ნების მიმართ არსებობს ეჭვები (შდრ. § 687-ის პირველი ნაწილი), როდესაც ეს, – როგორც ჩვეულებრივ შემთხვევაში, – გარეგნულად არ არის თვალში საცემი. გარდა ამისა, ამ სამხხრივ ურთიერთობაში სასურველია, საქმეები შესრულდეს შესრულების ურთიერთობების ფარგლებში (*Medicus/Petersen*, 414-ე ველი).

- 6 **3. დავალების ან სხვაგვარი უფლებამოსილების გარეშე**. საქმეების შესრულებაზე სხვაგვარ კანონისმიერ უფლებამოსილებას ენიჭება უპირატესობა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებთან შედარებით. უფლებამოსილება შეიძლება გამომდინარეობდეს ნებისმიერი გარიგებიდან (გამოთქმა „დავალების გარეშე“ გაგებულ უნდა იქნეს ვინაოდ), საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობებიდან (მაგ., § 1626 და შემდეგი პარაგრაფები), ისევე როგორც თანამდებობისა თუ ორგანოს მდგომარეობიდან. დახმარების განევის ზოგადი მოვალეობა (სისხლის სამართლის კოდექსის § 323გ) არ არის უფლებამოსილება, ზემოაღნიშნული გაგებით; დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები უფრო გამიზნულია მსგავსი სიტუაციების გასათვალისწინებლად. შეწყვეტილი ან ბათილი ხელშეკრულებების შემთხვევაში სამართლებრივი სტატუსისათვის იხ. § 677-ის შესავლის მე-8 ველი.

III. საქმეების ჯეროვანი შესრულების ვალდებულება

1. დაინტერესებული პირის (ობიექტურ) ინტერესსა და (სუბიექტურ) ნებას შორის კოლიზიის შემთხვევაში, გაბატონებული შეხედულება (*MüKo-Seiler* 52-ე ველი), – განსხვავებით § 677-ით გათვალისწინებული შემთხვევისა, – უპირატესობას ანიჭებს ობიექტურ ინტერესს; დასაბუთება: სიტყვასიტყვითი ტექსტი („გათვალისწინებით“).

2. ინტერესების შესაბამისი საქმეების შესრულებისას მოვალეობის ბრალეული დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელი პასუხს აგებს § 280-დან გამომდინარე; თუმცა, § 680-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემცირება ამ შემთხვევაშიც მოქმედებს. დაინტერესებულ პირს დამატებით შეუძლია ასევე მოიწოდოს საქმეების შესრულება (შდრ. § 684-ის მე-2 წინადადება).

§ 678. საქმის შესრულება დაინტერესებული პირის ნების საწინააღმდეგოდ

თუ საქმის შესრულების კისრება ეწინააღმდეგება დაინტერესებული პირის ნამდვილ ან სავარაუდო ნებას და შემსრულებელს უნდა სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ შემსრულებელი პასუხისმგებელია საქმისწარმოების შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის, მაშინაც კი, როდესაც სხვა მხრივ მას ბრალი არ მიუძღვის.

1. მნიშვნელობა. დაინტერესებულ პირს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დაუსაბუთებელი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში (შდრ. § 677-ის შესავლის მე-4 ველი), ისევე როგორც ნაკისრი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, § 687-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება (შდრ. § 677-ის შესავლის მე-5 ველი). ნორმა იცავს დაინტერესებულ პირს მის საქმეებში იმ ჩარევებისაგან, რომლებიც მას არ მოუთხოვია შემსრულებლისათვის, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის გამკაცრების გზით. პასუხისმგებლობის გამკაცრება §§ 287-ის მე-2 წინადადება 848-თან ერთად ქმნის შეცვლილი ბრალეულობის მესამე შემთხვევას („*versari in re illicita*“, შდრ. *Medicus/Petersen*, 432-ე ველი; ხშირად მოკლედ აღინიშნება როგორც შემთხვევითი პასუხისმგებლობა, შდრ. *MüKo-Seiler* მე-2 ველი).

2. წინაპირობები. ა) ნამდვილი ან ნაკისრი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსებობა (შდრ. § 677-ის შესავლის მე-4 ველი); ბ) ვალდებულების კისრებაში გამოხატული ბრალი. პასუხისმგებლობის გამომწვევი ვალდებულების დარღვევა არის საქმეების შესრულების კისრება დაინტერესებული პირის ცხადი ნების საწინააღმდეგოდ (დავის შემთხვევაში მისი – ობიექტური – ინტერესი უმნიშვნელოა); შემსრულებლის ბრალეულობა უნდა იყოს დაკავშირებული მხოლოდ ვალდებულების კისრებასთან (ვალდებულების კისრებაში გამოხატული ბრალეულობა). მოქმედებს § 276, თუმცა, მხედველობაშია მისაღები § 680-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემცირება. ნაკისრი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების კისრებაში გამოხატული ბრალეულობა, როგორც წესი, განისაზღვრება § 687-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების წინაპირობებით (*Medicus/Petersen* 417-ე ველი). აუცილებელი არ არის საქმეების ნაკლოვანი და ბრალეული განხორციელება (საქმეების განხორციელებაში გამოხატული ბრალეულობა). თუ სახეზეა მხოლოდ ეს უკანასკნელი და არა ვალდებულების კისრებაში გამოხატული ბრალეულობა, მაშინ სადავოა, აგებს თუ არა პასუხს (დაუსაბუთებელი) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელი ასევე § 677-ის თანახმადაც (აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. § 677, მე-2 და მე-8 ველები); გ) ზიანი. დაინტერესებულმა პირმა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შედეგად უნდა განიცადოს შესაბამისი ზიანი.

3. სამართლებრივი შედეგები. ზიანის ანაზღაურება, § 249. დაინტერესებულ პირი ჩაყენებულ უნდა იქნეს ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა

საქმეების შესრულების ვალდებულების კისრების ფაქტის არარსებობის შემთხვევაში.

§ 679. დაინტერესებული პირის საწინააღმდეგო ნების მხედველობაში მიუღებლობა

საქმის შესრულების მიმართ დაინტერესებული პირის საწინააღმდეგო ნება მხედველობაში არ მიიღება, თუ საქმისწარმოების გარეშე დაინტერესებული პირის ვალდებულება, რომლის შესრულებაც საჯარო ინტერესებშია, ან მისი კანონისმიერი რჩენის ვალდებულება დროულად ვერ შესრულდებოდა.

§ 680. საქმის შესრულება საფრთხის თავიდან ასაცილებლად

თუ საქმის შესრულება გამიზნულია იმ საფრთხის თავიდან აცილებისაკენ, რომელიც ემუქრება დაინტერესებულ პირს, მაშინ შემსრულებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

§ 681. შემსრულებლის დამატებითი ვალდებულებები

¹შემსრულებელმა უნდა პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს დაინტერესებულ პირს საქმის შესრულების კისრების შესახებ და, თუ დახანება დაკავშირებული არ არის საფრთხესთან, დაელოდოს მის გადაწყვეტილებას. ²სხვა შემთხვევებში შემსრულებლის ვალდებულებების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 666-668-ის ნორმები.

- 1 **1. გამოყენების სფერო.** დამატებითი ვალდებულებები (იხ. ქვემოთ, მე-4 ველი) უდავოდ ეხება ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელს (ამასთან დაკავშირებით იხ. § 677-ის შესავლის მე-3 ველი), ისევე როგორც ნაკისრი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელს (§ 687-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება; იხ. ასევე § 677-ის შესავლის მე-5 ველი). სადავოა, ვალდებულია თუ არა ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელიც, § 683-ის პირველი წინადადებიდან გამომდინარე (შესაბამისად, ინტერესებისა და ნების საწინააღმდეგოდ მოქმედი § 683-ის გაგებით, იხ. ასევე § 677-ის შესავლის მე-4 ველი).
- 2 **ა) ადრე გაბატონებული შეხედულების თანახმად (Larenz SchR II/1 § 57 2a),** ნორმა არ მოქმედებს ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლის მიმართ. დასაბუთება: თუ ამ უკანასკნელმა არ შეასრულა საქმეები (შდრ. § 677-ის მე-2 ველი), მაშინ შემსრულებელს აღარ ეკუთვნის საქმეების შესრულებიდან გამომდინარე და § 667-თან ერთად მე-2 წინადადებით გათვალისწინებული სარგებელი; კომპენსაცია ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელსა და დაინტერესებულ პირს შორის ხორციელდება მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად (§ 684-ის პირველი წინადადება; თუმცა, ამ ნორმის თანახმად, შემსრულებელიც ვალდებულია, დაინტერესებული პირის ხარჯზე აანაზღაუროს § 812-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად მიღებული სარგებელი). თუ დაინტერესებულ პირს სურს საქმეების შესრულების შედეგად მიღებულის მოთხოვნა, ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლისაგან, § 667-თან ერთად მე-2 წინადადების თანახმად, მაშინ მან უნდა მოიწოდოს საქმეების შესრულება § 684-ის მე-2 წინადადების მიხედვით. ამ მოწოდების შესაძლებლობა კარგავს აზრს, თუ უკვე ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელი პასუხს აგებს § 667-თან ერთად, მე-2 წინადადებიდან გამომდინარე. თუმცა, § 667-თან ერთად, მე-2 წინადადებიდან გამომდინარე, საქმეების შესრულების შედეგად მიღებულზე ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლის მიმართ დაინტერესებული პირის მოთხოვნის უფლებას უპირისპირდება § 242 (dolo agit..., იხ. § 242-ის მე-3 ველი),

ვინაიდან მას, თავის მხრივ, შეუძლია, დაინტერესებული პირისაგან მოითხოვოს სარგებელი §§ 684-ის პირველი წინადადების, 812-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად.

ბ) საწინააღმდეგო შეხედულების თანახმად, ნორმა გამოყენებულ უნდა იქნეს ასევე ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლის მიმართ (*Palandt-Sprau* § 677-ის შესავალი მე-5 ველი; *MüKo-Seiler* მე-2 ველი). გაბატონებული შეხედულების დაყოფა ნაკლებად საფუძვლიანია, მსგავსად § 677-ის გამოყენების სფეროს განხილვისას (იხ. იქვე, მე-2 ველი) კომენტირებული ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებისა და წარმოშობის ისტორიისა. როდესაც § 681, § 687-ის მე-2 ნაწილის პირველ წინადადებაზე მითითებით, უკვე მოქმედებს ნაკისრი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლის მიმართ, რომელიც კეთილსინდისიერი შემსრულებლის იდეალს უფრო დაშორებულია, ვიდრე ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელი, – მაშინ მართებული იქნებოდა § 681-ის მოქმედება მხოლოდ ამ უკანასკნელის მიმართ. §§ 681-ის მე-2 წინადადება, 667-თან ერთად, არ არის §§ 684-ის პირველი წინადადებიდან, 812 და შემდეგი პარაგრაფებიდან გამომდინარე შემსრულებლის საპირისპირო მოთხოვნის უფლების შეუსაბამო; ორმხრივი მოთხოვნის უფლებების კოლიზია, რომლებიც, როგორც ჩანს, მიმართულია ერთმანეთის გაუქმებისაკენ, საჭიროებს გადაწყვეტას მსგავსად ნაკისრი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევისა, რომლისთვისაც § 687-ის მე-2 ნაწილი ერთდროულად უთითებს ორივე მოთხოვნის უფლებაზე (იხ. § 687, მე-4 ველი). თუმცა, § 681-ის გარეშე, ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას ადგილი აქვს რეგულირების ხარვეზებს (კერძოდ კი, ინფორმაციის მიწოდებისა და ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას, მე-2 წინადადება § 666-თან კავშირში), რომელთა შევსებაც გაბატონებულ შეხედულებას შეუძლია.

2. შემსრულებლის ვალდებულებები. ა) შეტყობინება საქმის შესრულების კისრების შესახებ, პირველი წინადადების პირველი ნაწილი. ამის „შესაძლებლობა“ განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შესაძლებელია დაინტერესებულ პირთან დაკავშირება, აგრეთვე, გარიგების მნიშვნელობით; **ბ) პრაქტიკული მნიშვნელობა** არა აქვს დაინტერესებული პირის **გადაწყვეტილების ლოდინის** ვალდებულებას, პირველი წინადადების მეორე ნაწილი; შესაბამისად, საქმეების შესრულებას, ძირითად შემთხვევებში, სრულად მოიცავს ცალკეული ღონისძიებები და, დაინტერესებული პირის გადაწყვეტილების თანახმად, ხდება დავალების მიღება (*MüKo-Seiler* მე-5 ველი). კანონით მოწესრიგებულ ვალდებულებებთან ერთად (ინფორმაციის მიწოდება, ანგარიშის წარდგენა, პროცენტის დარიცხვა), მე-2 წინადადების შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია **მიღებულის დაბრუნების ვალდებულება** (მე-2 წინადადება, § 667-თან კავშირში). მიღებულის დაბრუნების ვალდებულება იქნეს თავის მნიშვნელობას ნაკისრი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში (§ 687-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება), ვინაიდან იგი დაინტერესებულ პირს ანიჭებს შესაძლებლობას, განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებისა და § 816-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, ამოიღოს შემსრულებლის მიერ მიღებული სარგებელი იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი თავად ვერ მიიღებდა.

§ 682. შემსრულებლის ქმედუწუნარობა

თუ შემსრულებელი ქმედუწუნარო ან მას შეზღუდული აქვს ქმედუწუნარობა, მაშინ იგი პასუხისმგებელია მხოლოდ დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და უსაფუძვლოდ მიღებულის (გამდიდრების) უკან დაბრუნების შესახებ ნორმების თანახმად.

§ 683. ხარჯების ანაზღაურება

¹თუ სამუშაოს შესრულების კისრება შეესაბამება დაინტერესებული პირის ინტერესსა და ნამდვილ ან სავარაუდო ნებას, მაშინ შემსრულებელს, როგორც რწმუნებულს, შეუძლია მოითხოვოს განუული ხარჯების ანაზღაურება. ²§ 679-ის შემთხვევებში ამ მოთხოვნის უფლება შემსრულებელს აქვს მაშინაც, როდესაც საქმის შესრულების კისრება ეწინააღმდეგება დაინტერესებული პირის ნებას.

I. ზოგადი მიმოხილვა

- 1 ნორმა, დასაბუთებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელს ანიჭებს რწმუნებულის კუთვნილ განუული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, § 670-იდან გამომდინარე. ერთდროულად § 683-იდან გამომდინარეობს, რომ ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება (იხ. § 677-ის შესავლის მე-3 ველი) სახეზეა, ერთი მხრივ, დაინტერესებული პირის ინტერესებისა და ნების შესაბამისი საქმის შესრულების კისრების შემთხვევაში (პირველი წინადადება) და, მეორე მხრივ, გადაუდებელ შემთხვევებში საქმის შესრულებისას (მე-2 წინადადება § 679-თან კავშირში). გარდა ამისა, დასაბუთებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სამართლებრივი შედეგების მიღწევა დაინტერესებულ პირს შეუძლია დაუსაბუთებელი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მოწონებით, § 684-ის მე-2 წინადადება.

II. განუული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წინაპირობები

- 2 უპირველეს ყოვლისა, სახეზე უნდა იყოს **სხვა პირის საქმეების შესრულება**, იხ. § 677-ის შესავლის მე-2 ველი. სახეზე უნდა იყოს ასევე **გადაუდებელი საქმე** (მე-2 წინადადება § 679-თან კავშირში) ან **შემსრულებლის მოწონება** (§ 684-ის მე-2 წინადადება), ანდა პირველი წინადადების მიხედვით, ისეთი ფაქტობრივი გარემოება, როდესაც სამუშაოს შესრულების კისრება შეესაბამება დაინტერესებული პირის ინტერესსა და ნამდვილ ან სავარაუდო ნებას.
- 3 **1. ინტერესი.** სამუშაოს შესრულების კისრება შეესაბამება ინტერესს, როდესაც იგი დაინტერესებული პირისათვის კონკრეტულ სიტუაციაში ობიექტურად სასარგებლოა, მაგ.: თავიდან იქნა აცილებული ზიანი, რომელიც მას ემუქრებოდა, ან გაიზარდა მისი კუთვნილი ნივთებისა და უფლებების ღირებულება.
- 4 **2. ნება.** დაინტერესებული პირის ნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საქმეებისათვის, რომელთა შემთხვევაში წმინდა ობიექტური ინტერესის არსებობა არც დადასტურებულია და არც უარყოფილია; ასეთ შემთხვევაში, ობიექტური ამოსავალი წერტილის არარსებობისას (მაგ., დაინტერესებული პირის კოლექციონერული თვისებები, ხელმისაწვდომი ფასი და ა. შ.) შეიძლება განიმარტოს მხოლოდ დაინტერესებული პირის განზრახვა იმ გადაწყვეტილების მიღებისას, შესყიდულ იქნეს თუ არა განსაზღვრული საგანი (ან სხვა გაიყიდოს). უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია **ნამდვილი ნება**, რომელიც, – პირდაპირ ან კონკლუდენტური მოქმედებებით, – რა თქმა უნდა, საჯაროდ უნდა გამოვლინდეს და აუცილებელი არ არის მისი გამოვლენა შემსრულებლის წინაშე. მნიშვნელობა არა აქვს აგრეთვე, ცნობილი იყო თუ არა შემსრულებლისთვის ნამდვილი ნება. თუ დაინტერესებულმა პირმა არ გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი ნება, მაშინ გადამწყვეტია **სავარაუდო ნება**. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას ისურვებდა დაინტერესებული პირი თავისი ჩვეულებების გათვალისწინებით. ხშირად, სავარაუდო ნება დგინდება დაინტერესებული პირის (ობიექტური) ინტერესით, თუმცა, მისი ჩვეულებები გასათვალისწინებელია ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ეწინააღმდეგება დაინტერესებული პირის ინტერესს.

მაგ.: (*Medicus SchR II 623-ე ველი*): თუ დაინტერესებული პირი უშვებს თავისი ბალის მოუფლელობას, მაშინ მისი არყოფნისას შემსრულებელს მაინც არ ეძლევა მინის გამარგვლის უფლება, თუნდაც ბალის მოვლას შედეგად მოჰყვეს მინის ნაკვეთის ღირებულების გაზრდა.

3. ინტერესსა და ნებას შორის ურთიერთმიმართება. ა) ნორმის სიტყვასიტყვითი ტექსტის თანახმად, სამუშაოს შესრულების კისრება უნდა შეესაბამებოდეს როგორც დაინტერესებული პირის ინტერესს, ისე მის ნებასაც. ამასთან დაკავშირებული ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების გამოყენების სფეროს შეზღუდვები (და შემსრულებლისათვის არსებული რისკი, რომ მისი ხარჯები არ ანაზღაურდება, § 670), სიტყვასიტყვითი ტექსტის თანახმად, აშკარად წინასწარ განზრახულია (მაგ., *Larenz SchR II/1 § 57 1a*); ბ) თუმცა, პირიქით, **გაბატონებული შეხედულება** (*Medicus SchR II 624-ე ველი*) საკმარისად მიიჩნევს იმას, რომ სამუშაოს შესრულების კისრება, მართალია, ეწინააღმდეგება დაინტერესებული პირის ინტერესს, მაგრამ შეესაბამება მის ნებას. დასაბუთება: მხოლოდ ნების პრიორიტეტი შეესაბამება პირის კერძო ავტონომიის პრინციპს. ამ შეხედულების თანახმად, ინტერესი არის მხოლოდ საშუალება სავარაუდო ნების დასადგენად.

4. ცნობადობა. მნიშვნელობა არა აქვს, იცოდა თუ არა შემსრულებელმა დაინტერესებული პირის ინტერესისა და ნების შესახებ, ან მხოლოდ შეეძლო ცოცხლოდა მათ შესახებ. არაბრალეული შეცდომითი შეფასების შემთხვევაში, მას უნარჩუნდება მოთხოვნის უფლება, § 683-იდან გამომდინარე.

III. სამართლებრივი შედეგები

ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, ზოგადად, სამართლებრივი შედეგებისათვის იხ. § 677-ის შესავლის მე-3 ველი. ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელს, § 670-ის თანახმად, შეუძლია მოითხოვოს **განეული ხარჯების ანაზღაურება**. შესაბამისად, ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, შემსრულებელს ეკისრება წარმატებით შესრულების ხარჯების რისკი (შდრ. § 670, მე-2 ველი). რამდენადაც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, მხარეები შეთანხმდნენ საქმეების უსასყიდლო შესრულებაზე, შემსრულებელს შეუძლია დამატებით, როგორც რწმუნებულს, მოითხოვოს საზღაური საკუთარი სამუშაოსათვის, კერძოდ კი, იგი საზღაურს ყოველთვის მოითხოვოს იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო ობიექტურად ქონებრივი ღირებულებისაა (BGHZ, 131, 220, 224, 227; შდრ. ასევე § 994-ის მე-2 ველი). გაბატონებული შეხედულების თანახმად, შემსრულებელს § 670-ის საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს ასევე **ზიანის ანაზღაურებაც**, თუნდაც მხოლოდ ე. წ. „რისკის ტიპის თანამდევი ზიანისათვის“ (დეტალურად იხ. § 670-ის მე-3 ველი). დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სფეროში სახელმძღვანელო შემთხვევა ქმნის ე. წ. „თვითმსხვერპლშენივას საგზაო მოძრაობისას“ (დეტალურად იხ. *MüKo-Seiler 23-ე ველი*; მაგ.: ავტომანქანის მძღოლი ქუჩაში მოთამაშე ბავშვის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით ავტომანქანას მიმართავს კედლისკენ).

§ 684. უსაფუძვლოდ გამდიდრებულის (მიღებულის) უკან დაბრუნება

¹თუ სახეზე არ არის § 683-ის წინაპირობები, მაშინ დაინტერესებული პირი ვალდებულია, უსაფუძვლოდ გამდიდრებულის (მიღებულის) უკან დაბრუნების შესახებ წესების თანახმად, დაუბრუნოს შემსრულებელს ყველაფერი ის, რაც მან საქმეების შესრულების დროს მიიღო. ²თუ დაინტერესებული პირი იწონებს საქმეების შესრულებას, მაშინ შემსრულებელს აქვს § 683-ში დადგენილი მოთხოვნის უფლება.

I. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლის მოთხოვნის უფლება უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებულის უკან დაბრუნების თაობაზე

- 1 **1. მნიშვნელობა.** ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელს (დეტალურად იხ. § 677-ის შესავლის მე-4 ველი) შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია პირველი წინადადების საფუძველზე მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე (დეტალურად იხ. ქვემოთ, მე-3 ველი და § 812-ის 43-ე ველი; ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლის მოთხოვნის უფლებების მიმართ იხ. § 683). ანალოგიური წესი მოქმედებს დავალების გარეშე როგორც საკუთარი საქმეების შემსრულებლის მიმართაც, § 687-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, როდესაც დაინტერესებული პირი საქმეს თავის თავზე იღებს § 687-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის გზით.
- 2 **2. სადავოა,** ენიჭება თუ არა დაინტერესებულ პირს საპირისპირო მოთხოვნის უფლება საქმის შესრულებიდან გამომდინარე მიღებულის უკან დაბრუნებაზე, §§ 681-ის მე-2 წინადადების, 667-ის შესაბამისად (აღნიშნულის შესახებ იხ. § 681 პირველი და შემდეგი პარაგრაფები). ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც § 681 გავრცელდებოდა ასევე დაუსაბუთებელი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებაზეც. **გაბატონებული შეხედულება** უარყოფს ამ პოზიციას. შემსრულებელს, როგორც დირექტორს შეეძლება მოთხოვნის უფლების რეალიზაცია მხოლოდ § 812-ისა და შემდეგი პარაგრაფების საფუძველზე. **საწინააღმდეგო შეხედულების** თანახმად, საქმეების შესრულების შედეგი ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაშიც ეკუთვნის დაინტერესებულ პირს, რომელსაც შეუძლია შემსრულებლისაგან მიღებულის მოთხოვნა, §§ 681-ის მე-2 წინადადება, 667 და შემდეგი პარაგრაფების თანახმად (დასაბუთებისათვის შდრ. §§ 681-ის პირველი და შემდეგი ველები)¹²⁶.
- 3 **3. გაბატონებული შეხედულების** თანახმად (*Palandt-Sprau* 1-ლი ველი), პირველ წინადადებაში მოცემული უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებულის დაბრუნების უფლებაზე მითითება გაგებულ უნდა იქნეს როგორც **მითითება სამართლებრივ შედეგებზე**; პასუხისმგებლობის წინაპირობები აღწერილია უკვე პირველ წინადადებაში. **საწინააღმდეგო შეხედულების** თანახმად (მაგ., *MüKo-Seiler* მე-4 ველი) კი, პირიქით, სახეზეა მითითება **სამართლებრივ საფუძველზე**. თუმცა, როგორც წესი, ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაშიც, მოცემული უნდა იყოს § 812-იდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების წინაპირობები; ამავე დროს, სამართლებრივ საფუძველზე მითითების დაშვებით დაინტერესებულ პირს შეუძლია დაბრუნება §§ 814, 815, 817-ის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე შესაგებლები, რაც გაუმართლებელი იქნებოდა.

II. მოწონება

- 4 შემსრულებლის მოწონებით (მე-2 წინადადება) ამოქმედდება არა მხოლოდ მოთხოვნის უფლება § 683-დან გამომდინარე, არამედ ხდება ერთიანი საქმეების შესრულება ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისათვის. სხვა შედეგები: პირველი წინადადება და § 678 აღარ გამოიყენება; შდრ. ასევე სამართლებრივი შედეგების მიმოხილვა – § 677-ის შესავლის მე-3 ველი.

§ 685. ჩუქების განზრახვა

(1) შემსრულებელს არა აქვს მოთხოვნის უფლება, თუ მას არ ჰქონდა დაინტერესებული პირისაგან ანაზღაურების მოთხოვნის განზრახვა.

126 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

(2) თუ მშობლები ან აღმავალი ხაზით ნათესავები უზრუნველყოფენ თავიანთი შთამომავლების, ან ეს უკანასკნელები – მშობლებისა თუ აღმავალი ხაზით ნათესავების რჩენას, მაშინ საექსპრობისას ივარაუდება, რომ მიმღებისაგან ანაზღაურების მოთხოვნის განზრახვა არ არსებობს.

§ 686. შეცდომა დაინტერესებული პირის პიროვნებაში

თუ შემსრულებელს ეშლება დაინტერესებული პირის პიროვნებასთან დაკავშირებით, მაშინ საქმის შესრულების შედეგად უფლებამოსილი და ვალდებულია სინამდვილეში დაინტერესებული პირი.

§ 687. შემთხვევები, როდესაც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება არ ხდება

(1) **§§ 677-686** ნორმები არ გამოიყენება, თუ პირი სხვის საქმეს ასრულებს იმ რწმენით, რომ იგი საკუთარია.

(2) თუ პირი სხვის საქმეს ასრულებს როგორც საკუთარს, თუმცა, მან იცის, რომ იგი მასზე უფლებამოსილი არ არის, მაშინ დაინტერესებულ პირს შეუძლია წარადგინოს **§§ 677, 678, 681, 682**-იდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები. თუ იგი წარადგენს ამ მოთხოვნის უფლებებს, მაშინ ვალდებულია შემსრულებლის წინაშე **§ 684**-ის პირველი წინადადების მიხედვით.

I. სხვისი საქმეების შესრულების ნება (პირველი ნაწილი)

პირველი ნაწილი ადგენს, რომ, **§§ 677-686** თანახმად, კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობაა იმის სუბიექტურად გაცნობიერება, რომ პირი მოქმედებს სხვა პირის სასარგებლოდ (სხვისი საქმეების შესრულების ნება). თუ ასეთი შეგნება არ არსებობს, მაშინ სახეზეა **შეცდომით საკუთარი საქმეების შესრულება**; **§§ 677-686** არ გამოიყენება, თუნდაც, მოწონების შემდეგაც (**§ 684**-ის მე-2 წინადადება). საქმეების დასრულება ხორციელდება ზოგადი ნორმების საფუძველზე (**§ 812** და შემდეგი პარაგრაფები).

II. დავალების გარეშე სხვისი, როგორც საკუთარი საქმეების შესრულება (მე-2 ნაწილი)

1. ზოგადი მიმოხილვა. დავალების გარეშე სხვისი, როგორც საკუთარი საქმეების შესრულების (ასევე ეწოდება სხვისი საქმეების შესრულება ან ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება) შემთხვევაში, მართალია, შემსრულებელმა იცის, რომ იგი ასრულებს სხვა პირის საქმეს (შემეცნებითი ელემენტი), თუმცა, მას მისი შესრულება სურს არა დაინტერესებული პირისათვის (მიზნობრიობის ელემენტი), არამედ იგი საქმის შესრულებიდან სარგებელს თავისთვის იტოვებს. ტიპიურ შემთხვევებს მიეკუთვნება სხვა პირის აბსოლუტური უფლებების დარღვევა, როგორცაა, მაგ., სხვა პირის კუთვნილი ნივთებით სარგებლობა ან მათი გასხვისება. მოთხოვნის უფლებებს შორის კონკურენცია, ძირითადად, არსებობს დელიქტური და **§ 816**-ით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებების მიმართ.

2. წინაპირობები. ა) სახეზე უნდა იყოს **ობიექტურად სხვა პირის საქმე** (**§ 677**-ის მე-5 ველი). ობიექტურად ნეიტრალური საქმეები მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან ისინი სხვისი საქმეების შესრულების ნებით, რომელიც სხვისი საქმეების შესრულებისას არ არსებობს, სხვა პირის საქმეები ხდება; ბ) **ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელი** (**§ 677**, მე-6 ველი); გ) **ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ პოზიტიური ცოდნა** აუცილებელია, ხოლო წმინდა გაუფრთხილებლობის შემთხვევაში მოქმედებს პირველი ნაწილი. თუმცა, **§ 142**-ის მე-2 ნაწილის თანახმად, საკმარისია იმის ცოდნა, რომ

საქმე შეიძლება შეცილებულ იქნეს (უკუქცევითი ძალით). მაგ., (RGZ, 138, 45): გფ იძენს სურათს გჰ-სგან 1500 ევროდ იძულების მეშვეობით. მას შემდეგ, რაც გფ-მ სურათი სხვა პირს მიჰყიდა 110 000 ევროდ, გჰ-მ წარადგინა სარჩელი პირველი გარიგების წინააღმდეგ, § 123-ის თანახმად. § 142-ის მე-2 ნაწილისა და შეცილების ex tunc მოქმედების გამო, გფ შემდგომი გაყიდვის დროს არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა.

- 4 **3. სამართლებრივი შედეგები.** შემსრულებლის პასუხისმგებლობასთან ერთად, ზოგადი ნორმების თანახმად (§§ 823, 812 და შემდეგი პარაგრაფები), §§ 677-686-იდან გამომდინარე საკუთარი საქმეების შესრულებისას მოთხოვნის უფლებები გამომდინარეობს მხოლოდ დაინტერესებული პირის არჩევანის მიხედვით: თუ ის საქმეს თავის თავზე იღებს (პირდაპირ ან კონკლუდენტური მოქმედებით შესაბამისი მოთხოვნის უფლებების წარდგენით), მაშინ ვალდებულია შემსრულებლის წინაშე მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად (მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება §§ 684-ის პირველ წინადადებასთან, 812 და შემდეგ პარაგრაფებთან ერთად). ამ მითითებასა (დაინტერესებული პირი ვალდებულია შემსრულებლის წინაშე მიღებულის დაბრუნებასთან დაკავშირებით) და მე-2 ნაწილის პირველ წინადადებაში §§ 681, 667-ის ნორმებზე, რომელთა მიხედვითაც, პირიქით, შემსრულებელმა უნდა დაუბრუნოს მიღებული დაინტერესებულ პირს, – მოცემულ მითითებას შორის ერთგვარი წინააღმდეგობა უნდა გადაწყდეს უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული იმ საერთო შეხედულების თანახმად, რომ დაინტერესებული პირი § 684-ის პირველი წინადადების, 812 და შემდეგი პარაგრაფების თანახმად, ვალდებულია მხოლოდ ხარჯების ანაზღაურებაზე, უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, როდესაც შემსრულებელმა უნდა დააბრუნოს საქმეების შესრულების შედეგად მიღებული სარგებელი, §§ 681-ის მე-2 წინადადების, 667-ის თანახმად (ამ უკანასკნელთან დაკავშირებით იხ. § 667-ის მე-2 ველი). ხშირად კონკურენტული § 816-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების მიმართ ნამდვილი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში, სარგებლის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას აქვს ის უპირატესობა, რომ იგი, უდავოდ, ვრცელდება ასევე შემსრულებლის მიერ მიღებულ შემოსავალზე, რომელსაც დაინტერესებული პირი ვერ მიიღებდა.

კარი 14. მიზარება (შენახვა)

§ 688. ტიპური სახელშეკრულებო ვალდებულებები მიზარების (შენახვის) შემთხვევაში

მიზარების (შენახვის) ხელშეკრულებით შემნახველი ვალდებულია, შეინახოს მიმზარებლის მიერ მისთვის გადაცემული მოძრავი ნივთი.

§ 689. საზღაური

საზღაური ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ შენახვა, გარემოებათა მიხედვით, მხოლოდ საზღაურის სანაცვლოდ არის მოსალოდნელი.

§ 690. პასუხისმგებლობა უსასყიდლო მიზარებისას

თუ მიზარება უსასყიდლოა, მაშინ შემნახველი პასუხისმგებელია მხოლოდ ისეთი ზრუნვისათვის, რომელსაც იგი საკუთარი საქმეებისადმი იჩენს.

§ 691. მიზარება მესამე პირთან

¹შემნახველი საეჭვოობისას არ არის უფლებამოსილი, მიზარებული ნივთი შესანახად გადასცეს მესამე პირს. ²თუ მესამე პირისთვის შესანახად გადაცემა ნე-

ბადართულია, მაშინ შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ მიბარებასთან დაკავშირებული ბრალისათვის. ³დამხმარე პირის ბრალისათვის იგი პასუხისმგებელია, § 278-ის თანახმად.

§ 692. მიბარების სახის შეცვლა

¹შემნახველი უფლებამოსილია, შეცვალოს მიბარების შეთანხმებული სახე, თუ მას, გარემოებების მიხედვით, შეუძლია დაუშვას, რომ შემნახველი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში ამას დაეთანხმებოდა. ²შემნახველმა მიბარების სახის შეცვლამდე უნდა შეატყობინოს მიმბარებელს და დაელოდოს მის გადაწყვეტილებას, თუ დაყოვნება არ არის დაკავშირებული საფრთხესთან.

§ 693. ხარჯების ანაზღაურება

თუ შემნახველმა შენახვის მიზნით გასწია ხარჯები, რომლებიც გარემოებების მიხედვით უნდა იქნეს მიჩნეული აუცილებელ ხარჯებად, მიმბარებელი ვალდებულია, ზარალი აანაზღაუროს.

§ 694. მიმბარებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

მიმბარებელმა უნდა აუნაზღაუროს შემნახველს მიბარებული ნივთის თვისების გამო მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან ამ ნივთის საფრთხის შემცველი თვისებების შესახებ არ იცის და არც უნდა იცოდეს, ან მან თვისების შესახებ შემნახველს შეატყობინა, ანდა ამ უკანასკნელმა შეტყობინების გარეშეც იცოდა ამის შესახებ.

§ 695. ნივთის უკან დაბრუნებაზე მიმბარებლის მოთხოვნის უფლება

¹მიმბარებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიბარებული ნივთის უკან დაბრუნება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შენახვის ვადა განსაზღვრულია. ²ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის წაყენების მომენტიდან.

§ 696. მიბარებული ნივთის უკან წაღების შემნახველის მოთხოვნის უფლება

¹თუ შენახვის ვადა განსაზღვრული არ არის, შემნახველს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიბარებული ნივთის უკან წაღება. ²თუ ვადა განსაზღვრულია, მაშინ ვადაზე ადრე ნივთის უკან წაღების მოთხოვნა მას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი. ³ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ნივთის უკან წაღების მოთხოვნის წაყენების მომენტიდან.

§ 697. მიბარებული ნივთის უკან დაბრუნების ადგილი

მიბარებული ნივთის უკან დაბრუნება უნდა მოხდეს იმ ადგილზე, სადაც ნივთი შესანახად უნდა გადაცემულიყო; შემნახველი არ არის ვალდებული, მიუტანოს ნივთი მიმბარებელს.

§ 698. გამოყენებულ ფულად თანხაზე პროცენტის დარიცხვა

თუ შემნახველი თავისთვის იყენებს შენახულ ფულად თანხას, მაშინ იგი ვალდებულია, სარგებლობის დროისათვის იხადოს პროცენტი.

§ 699. საზღაურის გადახდის მომენტი

(1) ¹მიმბარებელმა შეთანხმებული საზღაური უნდა გადაიხადოს მიბარების შეწყვეტისას. ²თუ საზღაური იანგარიშება დროის მონაკვეთებით, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს ცალკეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ.

(2) თუ მიბარება წყდება მისთვის განსაზღვრული ვადის გასვლამდე, მაშინ შემნახველს შეუძლია მოითხოვოს საზღაურის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება მის მიერ შეწყვეტამდე გაწეულ მომსახურებას, თუ საზღაურის შესახებ შეთანხმებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 700. არასტანდარტული მიბარების ხელშეკრულება

(1) ¹თუ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები შესანახად გადაეცემა ისე, რომ საკუთრების უფლება უნდა გადავიდეს შემნახველზე და ეს უკანასკნელი უნდა იყოს ვალდებული, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთები, მაშინ ფულის შემთხვევაში გამოიყენება სესხის ხელშეკრულების შესახებ ნორმები, ხოლო სხვა სახის ნივთების მიმართ – ნივთების სესხის ხელშეკრულების შესახებ ნორმები. ²თუ მიმბარებელი ნებას რთავს შემნახველს, მოიხმაროს მიბარებული გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ ფულის შემთხვევაში გამოიყენება სესხის ხელშეკრულების შესახებ ნორმები, ხოლო სხვა ნივთების შემთხვევაში – ნივთების სესხის ხელშეკრულების შესახებ ნორმები იმ მომენტიდან, როდესაც შემნახველი ნივთებს ისაკუთრებს. ³თუმცა, ორივე შემთხვევაში, საექვოობისას ნივთის უკან დაბრუნების დრო და ადგილი განისაზღვრება მიბარების ხელშეკრულების ნორმებით.

(2) ფასიანი ქალაქების მიბარებისას პირველ ნაწილში მითითებული სახის შეთანხმება ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პირდაპირ დაიდო.

კარი 15. ნივთების შეტანა სასტუმროში

§ 701. სასტუმროს მფლობელის პასუხისმგებლობა

(1) სასტუმროს მფლობელმა, რომელიც სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს სტუმრების მიღებას სასტუმროში, უნდა აანაზღაუროს იმ ნივთების დაკარგვით, განადგურებით ან დაზიანებით მიყენებული ზარალი, რომლებიც შეტანილ იქნა ამ სამენარმეო საქმიანობის განწევისას მიღებული სტუმრის მიერ.

(2) სასტუმროში შეტანილად მიიჩნევა:

1. ნივთები, რომლებიც სტუმრის სასტუმროში ცხოვრების განმავლობაში შეტანილ იქნა სასტუმროში ან სასტუმროს მფლობელის, ან სასტუმროს პერსონალის მიერ მითითებულ ადგილზე, ან სასტუმროს გარეთ იმ ადგილზე, რომელიც სასტუმროს მფლობელის მიერ ამისათვის საზოგადოდ არის განსაზღვრული, ანდა სხვა ადგილზე, სასტუმროს გარეთ, რომელიც იმყოფება სასტუმროს მფლობელის ან სასტუმროს პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ;
2. ¹ნივთები, რომლებიც სათანადო ვადაში სტუმრის სასტუმროში ცხოვრების პერიოდამდე ან ამ პერიოდის შემდეგ იმყოფება სასტუმროს მფლობელის ან სასტუმროს პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ. ²თუმცა, სასტუმროს პერსონალის მხრიდან დავალების ან მეთვალყურეობის ქვეშ ნივთის მიღების შემთხვევაში, ეს წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ სასტუმროს პერსონალს იგი დაევალა, ან ამ გარემოებების მიხედვით განხილულ უნდა იქნეს როგორც დავალებული.

(3) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ ნივთის დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება გამოწვეულია სტუმრის, მისი თანხმლები პირის, ან იმ პირის მიერ, ვინც სტუმარმა თავისთან მიიღო, ან ნივთების თვისებებით, ანდა დაუძლეველი ძალის შედეგად.

(4) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ვრცელდება სატრანსპორტო საშუალებებზე, სატრანსპორტო საშუალებაში დატოვებულ ნივთებსა და ცოცხალ ცხოველებზე.

§ 702. პასუხისმგებლობის შეზღუდვა; ძვირადღირებული ნივთები

(1) სასტუმროს მფლობელი პასუხს აგებს § 701-ის საფუძველზე მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რომელიც შეესაბამება ერთი დღის სასტუმროში ცხოვრების ასმაგ ოდენობას, თუმცა, მინიმუმ 600 ევროსა და მაქსიმუმ 3500 ევროს ფარგლებში; ასანაზღაურებელი თანხა ფულისთვის, ფასიანი ქალაქდებისა და ძვირფასეულობისათვის, ნაცვლად 3500 ევროსი, შეადგენს 800 ევროს.

(2) სასტუმროს მფლობელის პასუხისმგებლობა შეუზღუდავია:

1. თუ ნივთის დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება მოხდა მისი ან სასტუმროს პერსონალის ბრალით;
2. თუ მოხდა სასტუმროში ისეთი ნივთების შეტანა, რომლებიც სასტუმროს მფლობელმა ჩაიბარა შესანახად, ან, რომელთა შესანახად მიღებაზე მან უარი განაცხადა, მე-3 ნაწილის ნორმის საწინააღმდეგოდ.

(3) ¹სასტუმროს მფლობელი ვალდებულია, შესანახად ჩაიბაროს ფული, ფასიანი ქალაქდები, ძვირფასეულობა და სხვა ძვირადღირებული ნივთები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასტუმროს სიდიდესა თუ კლასთან შედარებით მათ აქვთ ძალიან მაღალი ფასი ან დიდი მოცულობა, ან, თუ ისინი შესანახად სახიფათოა. ²მას შეუძლია მოითხოვოს ნივთების გადაცემა დახურული ან დაბეჭდილი შეფუთვით.

§ 702ა. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

(1) ¹სასტუმროს მფლობელი შეიძლება წინასწარ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს უკანასკნელი აღემატება, § 702-ის პირველი ნაწილის თანახმად, გამოსაყენებელ მაქსიმალურ თანხას. ²პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ დაიშვება ასევე იმდენად, რამდენადაც ნივთის დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება გამოწვეულია სასტუმროს მფლობელის ან სასტუმროს პერსონალის განზრახვით, ან უხეში გაუფრთხილებლობით, ანდა საქმე ეხება ისეთ ნივთებს, რომელთა შესანახად მიღებაზე სასტუმროს მფლობელმა უარი განაცხადა, მე-3 ნაწილის ნორმის საწინააღმდეგოდ.

(2) პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტუმრის განცხადება კეთდება წერილობით და თუ იგი სხვა დებულებებს არ შეიცავს.

§ 703. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გაუქმება

¹§§ 701, 702-ის საფუძველზე სტუმრის კუთვნილი მოთხოვნის უფლება უქმდება, თუ სტუმარი იმის შემდეგ, რაც შეიტყობს ნივთის დაკარგვის, განადგურების ან დაზიანების შესახებ, დაუყოვნებლივ არ შეატყობინებს ამის თაობაზე სასტუმროს მფლობელს. ²ეს წესი არ გამოიყენება, თუ ნივთები შესანახად იქნა მიღებული სასტუმროს მფლობელის მიერ, ან თუ ნივთის დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება მოხდა მისი ან სასტუმროს პერსონალის ბრალით.

§ 704. სასტუმროს მფლობელის გირავნობის უფლება

¹სასტუმროს მფლობელს, ცხოვრებისა და ყველა ხარჯის ჩათვლით, სტუმრის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად განუული მომსახურების უზრუნველსაყოფად აქვს გირავნობის უფლება სტუმრის მიერ შეტანილ ნივთებზე. ²შესაბამისად, გამოიყენება დამქირავებლის გირავნობის უფლების მიმართ მოქმედი § 562-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებისა და §§ 562ა-562დ-ის ნორმები.

კარი 16. ამხანაგობა

§ 705-ის შესავალი

- 1 **1.** ისევე, როგორც კავშირი წარმოადგენს კომერციული იურიდიული პირების საბაზისო მოდელს (იხ. § 21-ის შესავლის მე-2 ველი), სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა ქმნის საბაზისო მოდელს არაკორპორაციულად ორგანიზებული კომერციული იურიდიული პირებისათვის, ე. წ. **პერსონალური საზოგადოებებისათვის**: ღია სავაჭრო ამხანაგობისათვის სავაჭრო კოდექსის § 105-ის მე-3 ნაწილი დამატებით უთითებს § 705-სა და შემდეგ პარაგრაფებზე, კომანდიტური საზოგადოებისათვის – § 161-ის მე-2 ნაწილზე, სავაჭრო კოდექსის § 105-ის მე-3 ნაწილთან ერთად. თუმცა, § 705-ისა და შემდეგი პარაგრაფების მნიშვნელობა არ ამოიწურება თავიანთი მოდელურობის ფუნქციით; სამოქალაქო სამართლის ამხანაგობას პრაქტიკაში აქვს ასევე საკუთარი გამოყენების სფეროც (იხ. § 705 ველი 5).
- 2 **2.** სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა წარმოადგენს **საერთო თანაზიარ საკუთრებას**. ეს რთული სამართლებრივი კონსტრუქცია (უფრო დეტალურად იხ. § 719), გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო კოდექსში გვხვდება მეუღლეთა თანაზიარი საერთო საკუთრებისას (იხ. § 1419) და მემკვიდრეთა გაერთიანების (იხ. § 2032-ის პირველი ველი) შემთხვევებში. თუმცა, ეს უკანასკნელი საერთო საკუთრების რეჟიმებისაგან სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა (ამხანაგობა, რომელიც მიმართულია მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ) განსხვავდება თავისი უფლებაუნარიანობით (იხ. ქვემოთ, მე-5 ველი).
- 3 სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა – მსგავსად სავაჭრო სამართლის პერსონალური საზოგადოებებისა – **არის არა იურიდიული პირი** (იხ. § 21-ის შესავლის პირველი ველი), არამედ უფლებაუნარიანი პერსონალური საზოგადოება, § 14-ის გაგებით. მას არ ახასიათებს კორპორაციული ორგანიზაცია; მისი არსებობა იმდენად არის დამოკიდებული მის წევრებზე, რამდენადაც, სახეზეა, სულ ცოტა, ორი მონაწილე (ერთი პირის სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის არსებობა გამორიცხულია, გაბატონებული შეხედულებით, განსხვავებული მდგომარეობაა, მაგ., შპს-სა თუ სს-ის შემთხვევაში).
- 4 სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა, როგორც წესი, ისეთი **ამხანაგობაა, რომელიც მიმართულია მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ**, შესაბამისად, იგი სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით (შდრ. § 714 და შემდეგი პარაგრაფები); იმ **ამხანაგობის შემთხვევაში კი, რომელიც არ არის მიმართული მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ**, რაც ასევე შეიძლება იქნეს შეთანხმებული, გარეშე პირებისაკენ მიმართული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ არსებობს და სამოქალაქო ბრუნვაში გამოდის მხოლოდ ერთი მონაწილე საკუთარი სახელით. მაგ.: ა-ს, ბ-სა და გ-ს სურთ აღუბენი ექსკურსიის მოწყობა; გ უკვეთავს თვითმფრინავის ბილეთებს, ქირაობს ავტომანქანასა და სასტუმრო ოთახებს ყველასათვის საკუთარი სახელით, თუმცა, – საერთო ხარჯით. იმ ამხანაგობის სხვა მაგალითი, რომელიც მიმართულია მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ, არის ლატარიის სინდიკატი, როდესაც, როგორც ჩვეულებრივ შემთხვევაში, მესამე პირებთან ურთიერთობს მხოლოდ მოთამაშე. ცალკეულ შემთხვევაში აღნიშნულის გამიჯვნა სხვა კატეგორიის ურთიერთობებისაგან რთულია; მაგ., მენაშენე კომპანიათა გაერთიანება შეიძლება იყოს ორგანიზებული როგორც ამხანაგობა, რომელიც არ არის მიმართული მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ, ისე როგორც ამხანაგობა, რომელიც მიმართულია მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ.
- 5 ამხანაგობა, რომელიც მიმართულია მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სახელმძღვანელო გადაწყვეტილების თანახმად (BGHZ, 146, 341 = NJW, 2001, 1056, 993; სტატია

K. Schmidt), უფლებაუნარიანია (და ასევე საპროცესო უფლებაუნარიანობის მქონეა), რამდენადაც იგი სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის მიღების შედეგად თავად იძენს უფლებებს და კისრულობს ვალდებულებებს (შდრ. § 14-ის მე-2 ნაწილი). აღნიშნული ახალი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მას სამოქალაქო ურთიერთობებში, როგორც წესი, შეუძლია ნებისმიერი სამართლებრივი პოზიციის დაკავება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამართლის სპეციალური ნორმები სანინააღმდეგო წესებს ადგენს. შესაბამისად, სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა, მაგ., – მსგავსად ღია სავაჭრო ამხანაგობისა და კომანდიტური საზოგადოებისა, – უფლებაუნარიანია როგორც საერთო თანაზიარი საკუთრება თამასუქის ან ჩეკის საფუძველზე ვალდებულების კისრებისათვის. მას აქვს საკუთრების უფლება ამხანაგობის ქონებას მიკუთვნებულ უძრავ ქონებაზე (BGHZ NJW, 2009, 594; იხ. § 899ა).

სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის გარე ურთიერთობებში სამართალსუბიექტურობის დაშვება თავისუფალია იმასთან დაკავშირებით, რომ მონაწილეთა შემადგენლობის ცვლილება გავლენას ვერ ახდენს სამოქალაქო სამართლის ამხანაგობასთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობების გაგრძელებაზე, რომ ახლადშემოსული მონაწილე, სავაჭრო კოდექსის § 130-ის თანახმად, პასუხისმგებელია თავისი პირადი ქონებით ძველი ვალებისათვის (BGHZ, 154, 370) და რომ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის რეორგანიზაცია შესაძლებელია, სხვა სამართლებრივი ნორმების მიხედვით, იდენტურობის შენარჩუნების პირობით (მაგ., კანონის ძალით ღია სავაჭრო ამხანაგობაში, როდესაც სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის მიერ წარმოებული საქმე ხდება სავაჭრო საქმიანობა სავაჭრო კოდექსის § 1-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით; იხ. ასევე § 705-ის მე-6 ველი).

3. § 705-ისა და შემდეგი პარაგრაფების ნორმათა ჯგუფები ეხება: ა) ამხანაგობის მართვას, ანუ მონაწილეთა შორის შიდა ურთიერთობას, (§§ 709-713; ბ) წარმომადგენლობას, ანუ გაერთიანებასა და მესამე პირს შორის გარე ურთიერთობას, (§§ 714, 715; ამასთან, კავშირშია აგრეთვე მესამე პირთან დადებული გარიგებებიდან პასუხისმგებლობა (იხ. § 714-ის მე-2 და შემდგომი ველები); გ) გაერთიანებას მიკუთვნებული ამხანაგობის ქონება (§§ 718-720); დ) განსაკუთრებით დეტალურად მოწესრიგებული ამხანაგობის გაუქმება ამხანაგობიდან მონაწილის გასვლის ჩათვლით (§§ 723-740).

§ 705. ამხანაგობის ხელშეკრულების შინაარსი

ამხანაგობის ხელშეკრულებით მონაწილეები ერთმანეთის მიმართ კისრულობენ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ საერთო მიზნის მიღწევას ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებით, კერძოდ, განახორციელონ შეთანხმებული შენატანები.

1. ამხანაგობის ხელშეკრულება, რომელიც მოითხოვება ამხანაგობის დაფუძნებისთვის, როგორც წესი, არ საჭიროებს ფორმის დაცვას. გამონაკლისები შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულების განსაკუთრებული შინაარსიდან, როგორცაა, მაგ., მინის ნაკვეთის ამხანაგობაში შეტანა (§ 311ბ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადება).

მისი სამართლებრივი ძალის მიმართ მოქმედებს ზოგად ნაწილში მოცემული ქმედუნარიანობის, შეცდომის, ამორალურობის, წარმომადგენლობისა და ა.შ. მომწესრიგებელი ნორმები. სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის რეგისტრაცია სავაჭრო რეესტრში არც აუცილებელია და არც შესაძლებელი. მონაწილეებს შეუძლიათ, თავიანთი ამხანაგობა სავაჭრო რეესტრში გაატარონ რეგისტრაციაში ღია სავაჭრო ამხანაგობის სახით (იხ. ქვემოთ, მე-6 ველი).

- 3 2. თუ ამხანაგობა ხარვეზით შეიქმნა, თუმცა, ფაქტობრივად, უკვე ახორციელებს საქმიანობას (მაგ., მესამე პირებთან დადებული გარიგებებით ან შენატანის განხორციელების ვალდებულების შესრულება), მაშინ მოქმედებს სასამართლო პრაქტიკის მიერ აღიარებული **ხარვეზიანი ამხანაგობის შესახებ მოძღვრება**. სამოქალაქო ბრუნვის დაცვისა და ამხანაგობის რეგულირებული ლიკვიდაციის მიზნებისათვის ამხანაგობა არ არის თავიდანვე ბათილი (მაგ., §§ 105, 138 ან 142-ის პირველი ნაწილი), იგი ჩაითვლება **ფაქტობრივ ამხანაგობად** და მისი ბათილობა შეიძლება დადგინდეს იქნეს მხოლოდ მომავლისათვის (იხ. BGHZ, 55, 5, 8); ხარვეზიანობა (მაგ., შეცილების უფლება) ქმნის ხელშეკრულების შეწყვეტის მნიშვნელოვან საფუძველს § 723-ის ანალოგიით (შდრ. BGHZ, 63, 338, 344), ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტა შედეგად იწვევს ამხანაგობის გაუქმებასა და მისი ქონების განაწილებას §§ 730-ისა და შემდეგი პარაგრაფების მიხედვით, ან – მონაწილის გასვლას ამხანაგობიდან § 736-ის თანახმად.
- 4 ა) ხარვეზიანი ამხანაგობის შემთხვევებია მონაწილეების მხრიდან **მუქარა** და **მოტყუება** (§ 123). მონაწილეებს, რომლებსაც დაემუქრნენ, ან მოტყუებულ მონაწილეებს არ ენიჭებათ შეცილების უფლება. მათ შეუძლიათ მოითხოვონ ამხანაგობის გაუქმება. აღნიშნული იწვევს – განსაკუთრებით, როდესაც მოტყუება ეხება რამდენიმე მონაწილეს – შესაძლო ზარალის თანაბარნილ კომპენსაციას (BGH NJW, 1958, 668, 669). გარდა ამისა, მონაწილეს, რომელსაც დაემუქრნენ, ან მოტყუებულ მონაწილეს კონტრაჰენტების მიმართ, რა თქმა უნდა, აქვს ასევე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები (*MüKo-Ulmer* § 705 340-ე ველი).
- 5 ხარვეზიანი ამხანაგობის შესახებ მოძღვრება შეესაბამება ასევე ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ევროპული გაერთიანების მიერ დადგენილ სამართლებრივ მიმართულებას და, შესაბამისად, გამოიყენება, თუ მომხმარებელი სამოქალაქო ამხანაგობაში კაპიტალდაბანდების მიზნებისათვის შემოდის „ქუჩაში დადებული ხელშეკრულების გზით“ (BGH NJW, 2010, 3096, ევროპული გაერთიანების სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების თანახმად, NJW, 2010, 1511). ამდენად, შედეგი შეიძლება იყოს ის, რომ ხელშეკრულებიდან გამსვლელი არა მხოლოდ უკან არ იღებს თავის შენატანს ან სრული მოცულობით არ იღებს მას, არამედ ვალდებულია, ასევე დაფაროს წარმოშობილი ხარჯი სამოქალაქო კოდექსის § 739-ის თანახმად (უმალღესი ფედერალური სასამართლო შესაბამის ადგილზე).
- 6 ბ) ხარვეზიანი ამხანაგობა არ წარმოიშობა, მიუხედავად მისი მოქმედებისა, თუ მის წარმოშობას ეწინააღმდეგება **ლეგიტიმური ინტერესი**. შესაბამისად, მართლწესრიგი ვერ შეენიხაღმდეგება თავის თავს და ამიტომ ამხანაგობას არსებობაზე უნდა უთხრას უარი, როდესაც ამხანაგობის მიზანი არღვევს **კანონით დადგენილ აკრძალვას** (§ 134, მაგ., გადასახადისათვის თავის არიდების მიზანი) ან **ზნეობის ნორმებს** (§ 138). განხორციელებული შენატანები და შესრულებული ხელშეკრულებები ექვემდებარება უკან დაბრუნებასა და საწყისი მდგომარეობის აღდგენას, უსაფუძვლო გამდიდრების ნესების შესაბამისად; ამავე დროს, გასათვალისწინებელია § 817. **სრული ქმედუნარიანობის არმქონე პირების** ინტერესების დაცვა ითხოვს, რომ მათ ვალდებულებები არ დეაკისროს, როდესაც სრული ქმედუნარიანობის არმქონე პირების წარმომადგენლობა რეალურად არ ხორციელდება. კანონიერი წარმომადგენლის ნების გამოვლენასთან ერთად ზემოაღნიშნული დამოკიდებულია ასევე საოჯახო სასამართლოს თანხმობაზე (§ 1643-ის პირველი ნაწილი, 1822, №3). თუმცა, ყველა შემთხვევაში არანაირი ფაქტობრივი ამხანაგობის შექმნა არ ხდება სრული ქმედუნარიანობის არმქონე პირის ჩართვით (BGHZ, 17, 160, 167). მისი შენატანი შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი, §§ 985, 812-იდან გამომდინარე.

გ) ხარვეზიანი ამხანაგობისაგან უნდა განვასხვაოთ ე. წ. **ფიქტიური ამხანაგობა**. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, უკვე (ხარვეზიანი) ხელშეკრულების დადების მომენტი სახეზე არ არიან მონაწილეები. თუ (გარეგნულად წარმომადგენლობაზე სრულად უფლებამოსილი) მონაწილე მოქმედებს ამხანაგობის სახელით, მაშინ მან თავისი მოქმედებით უნდა დაიცვას უფლებამოსილების არსებობის ზოგადი პრინციპები (§ 242), როდესაც კონტრაგენტი ენდო ამხანაგობის რეალურ არსებობას. ამდენად, მოქმედების განმხორციელებელი პასუხისმგებელია ისე, თითქოს ის, ფაქტობრივად, იყო მონაწილე და მას, სავარაუდოდ, არსებული ამხანაგობის ვალდებულებისათვის პირადად შეიძლება მოეთხოვოს პასუხი. ფიქტიური ამხანაგობისათვის იხ. BGH NJW, 2011, 66, ასევე – *Bartels WuB I C* „ანგარიშის მართვა“ 1.10¹²⁷.

3. მონაწილეები, § 705-ის თანახმად, ვალდებულებებს კისრულობენ ორმხრივად, თუმცა, ამხანაგობის ხელშეკრულება არ არის ორმხრივი ხელშეკრულება § 320-ისა და შემდეგი პარაგრაფების გაგებით (*Larenz SchR II § 60 I b*). შესაბამისად, მრავალწევრიანი ამხანაგობის შემთხვევაში, მონაწილეს არ შეუძლია თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა § 320-ის, სხვა მონაწილეთა არყოფნის გამო, როდესაც ამ უკანასკნელებმა უკვე განახორციელეს შესრულება; განსხვავებული წესი შეიძლება დადგინდეს იმ ამხანაგობების შემთხვევაში, რომლებიც არ არიან მიმართულნი მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ (§ 705-ის შესავალი, მე-4 ველი) (დეტალურად იხ. *Medicus/Petersen*, 215-ე ველი). ასევე § 705-სა და შემდეგ პარაგრაფებში ხშირად არის სპეციალური დანაწესები, მაგ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ – § 723-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, § 726. თუმცა, § 320 და შემდეგი პარაგრაფები მაინც გამოიყენება გამონაკლისის სახითა და შესაბამისი სახეცვლილებით (დეტალურად იხ. *MüKo-Ulmer* 163-ე ველი).

4. საერთო მიზანი, რომლის მიღწევასაც მონაწილეები უნდა ისახავდნენ, შეიძლება იყოს იდეალური ან მატერიალური ხასიათის. ტიპური მაგალითებია ადვოკატთა საზოგადოებები და ექიმთა გაერთიანებები. არასაქონლური თანაცხოვრების შემთხვევაში, – თუ შექმნილ უნდა იქნეს განსაკუთრებული ღირებულების საერთო ქონება – შეიძლება სახეზე იყოს ე. წ. ამხანაგობა, რომელიც არ არის მიმართული მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ (იხ. § 705-ის შესავალი, მე-4 ველი, § 1353-ის შესავალი, მე-6 ველი).

ა) თუ საერთო მიზანი სამენარმეო საქმიანობის განხორციელებაა (სავაჭრო კოდექსის § 1-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება), მაშინ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის ფორმის გამოყენება დაუშვებელია; მის ნაცვლად გამოიყენება მხოლოდ ღია სავაჭრო ამხანაგობის ან კომანდიტური საზოგადოების სამართლებრივი ფორმები (სავაჭრო კოდექსის § 105-ის პირველი ნაწილი, 161-ის პირველი ნაწილი); ასევე, როდესაც სამენარმეო საქმიანობის (თავისუფალი პროფესიებისაგან განსხვავების შესახებ იხ. პარტნიორული საზოგადოების შესახებ კანონის § 1-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება), სახისა თუ მოცულობის შესაბამისად, სავალდებულო არ არის მენარმის ორგანიზაციული ფორმა (შდრ. სავაჭრო კოდექსის § 1-ის მე-2 ნაწილი), სავაჭრო რეესტრში ფირმის რეგისტრაციის მეშვეობით იქმნება ღია სავაჭრო ამხანაგობა ან კომანდიტური საზოგადოება (სავაჭრო კოდექსის § 2, 105-ის მე-2 ნაწილი).

ბ) ნილობრივი მონაწილეობის შესახებ ხელშეკრულების (მაგ., სესხი ან იჯარის ხელშეკრულება მოგების განაწილების სანაცვლოდ) შემთხვევაში, ამხანაგობის ტიპური საერთო მიზნის ხელშეწყობა არ ხდება, თუმცა, ხელშეკრულების გაფორმების მხრივ ფარგლები არამდგრადია და მხედველობაშია მისაღები § 705-ისა და შემდეგი პარაგრაფების ცალკეული ნორმების შესაბამისი გამოყენება.

127 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

- 12 5. ამხანაგობის სამართლებრივ ურთიერთობაში – საერთო ქონების მიმართ მესამე პირის მოთხოვნის უფლების შესახებ იხ. § 714-ის მე-2 და შემდეგი ველე-ბი – განასხვავებენ შემდეგ მოთხოვნის უფლებებს (იხ. ცალკეულ შემთხვევებში, *Palandt-Sprau* 29-ე და შემდეგი ველეები).
- 13 ა) ე. წ. სოციალურ მოთხოვნის უფლებებს, ანუ ამხანაგობის მოთხოვნის უფ-ლებებს მონაწილის მიმართ, მაგ., მოთხოვნის უფლებები შენატანის გადახდაზე (§§ 705-707). ეს მოთხოვნის უფლებები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს საქმეების მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი მონაწილის მიერ (§§ 709, 714), შეიძლება წარადგინოს ასევე ნებისმიერმა ცალკეულმა მონაწილემ (ე. წ. *actio pro socio*), თუმცა, მას ყოველთვის ვალდებულების შესრულების მოთ-ხოვნა შეუძლია მხოლოდ ამხანაგობისაგან.
- 14 ბ) ე. წ. სოციალური ვალდებულებები, ანუ მონაწილეთა მოთხოვნის უფლებები ამხანაგობის მიმართ, მაგ., მოთხოვნის უფლებები მოგების გაცემაზე § 721-ის შე-საბამისად, ან ხარჯების ანაზღაურება §§ 713, 670-ის შესაბამისად. ამ სოციალური ვალდებულებებისათვის თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის შესახებ იხ. § 714 მე-6 ველი.
- 15 გ) მონაწილის მოთხოვნის უფლებები თანამონაწილეთა მიმართ, მაგ., მხოლოდ მის (და არა ამხანაგობის) მიერ განცდილი ზარალის ანაზღაურების შესახებ.

§ 706. მონაწილეთა შენატანები

(1) სხვა შეთანხმების არარსებობისას მონაწილეებმა შენატანები უნდა განა-ხორციელონ თანაბარწილად.

(2) ¹თუ შეტანილ უნდა იქნეს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ან მოხმა-რებადი ნივთები, მაშინ საექვოობისას ივარაუდება, რომ ისინი ხდება მონაწილეთა საერთო საკუთრება. ²ანალოგიური წესი მოქმედებს იმ ნივთების მიმართ, რომლე-ბიც გვაროვნული ნიშნით არ განისაზღვრება და მოუხმარებადი ნივთების მიმართ, თუ ისინი შეტანილ უნდა იქნეს შეფასებით, რომელიც დგინდება არა მხოლოდ მო-გების განაწილებისათვის.

(3) მონაწილის შენატანი შეიძლება გამოიხატებოდეს, აგრეთვე, მომსახურების განევაში.

§ 707. შეთანხმებული შენატანის ოდენობის გაზრდა

მონაწილე ვალდებული არ არის შეთანხმებული შენატანის ოდენობის გაზრდა-სა თუ ზარალის შედეგად შემცირებული შენატანის შევსებაზე.

§ 708. მონაწილის პასუხისმგებლობა

მონაწილე მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას პასუხისმგე-ბელია მხოლოდ ისეთი ზრუნვისათვის, რომელსაც იგი საკუთარი საქმეებისადმი იჩენს.

- 1 პასუხისმგებლობის შემცირებული ფარგლები მოქმედებს არა მხოლოდ ამხანა-გობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის მიმართ, არამედ, რო-გორც წესი, ასევე დელიქტიდან – მაგრამ არა საგზაო მოძრაობის წესების დარღვე-ვის შედეგად მიყენებული ზიანიდან – გამომდინარე, როდესაც მონაწილის ვალდე-ბულებას მიეკუთვნება ავტომობილის მართვა (BGHZ, 46, 313; იხ. ასევე § 1359-ის მე-2 ველი).

§ 709. საქმის ერთობლივი მართვა

(1) მონაწილეები უფლებამოსილნი არიან საქმის ერთობლივად მართვაზე; თი-თოეული გარიგებისათვის საჭიროა ყველა მონაწილის თანხმობა.

(2) თუ ამხანაგობის ხელშეკრულების თანახმად, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, მაშინ საექვოობისას უმრავლესობა დგინდება მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით.

§ 710. საქმეთა მართვის გადაცემა

¹თუ ამხანაგობის ხელშეკრულებაში საქმეთა მართვა დაკისრებული აქვს ერთ ან რამდენიმე მონაწილეს, მაშინ დანარჩენი მონაწილეები საქმეთა მართვაში მონაწილეობას არ იღებენ. ²თუ საქმეთა მართვა დაკისრებული აქვს რამდენიმე მონაწილეს, მაშინ გამოიყენება § 709-ის ნორმები.

§ 711. პროტესტის უფლება

¹თუ ამხანაგობის ხელშეკრულების თანახმად საქმეთა მართვაზე უფლებამოსილი არის ყველა ან რამდენიმე მონაწილე იმგვარად, რომ თითოეული უფლებამოსილია, იმოქმედოს დამოუკიდებლად, მაშინ თითოეულს შეუძლია განაცხადოს პროტესტი სხვა მონაწილის მიერ საქმისწარმოების მიმართ. ²პროტესტის შემთხვევაში გარიგება არ შედგება.

§ 712. საქმეთა მართვის უფლების ჩამორთმევა და საქმეთა მართვაზე უარი

(1) ამხანაგობის ხელშეკრულებით მონაწილისათვის მინიჭებული საქმეთა მართვის უფლებამოსილება შეიძლება მას ჩამოერთვას ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, ან, თუ, ამხანაგობის ხელშეკრულების თანახმად, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, დანარჩენი მონაწილეების ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას; ასეთი საფუძველია, კერძოდ, მოვალეობების უხეში დარღვევა ან საქმის სათანადოდ წარმართვის უუნარობა.

(2) მონაწილეს ასევე შეუძლია, თავის მხრივ, უარი თქვას საქმეთა მართვაზე, თუ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი; შესაბამისად გამოიყენება დავალების მიმართ მოქმედი § 671-ის მე-2 და მე-3 ნაწილების ნორმები.

§ 713. საქმისმწარმოებელი მონაწილის უფლებები და ვალდებულებები

საქმისმწარმოებელი მონაწილის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება დავალების მიმართ მოქმედი §§ 664-670-ის ნორმებით, თუ ამხანაგობის სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 714. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

იმდენად, რამდენადაც ამხანაგობის ხელშეკრულებით მონაწილეს მინიჭებული აქვს საქმეთა მართვის უფლებამოსილება, საექვოობისას იგი ასევე უფლებამოსილია, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მისთვის დადგინდეს პირების წინაშე.

1. ნორმა ერთდროულად ადგენს ამხანაგობის საქმეების მართვას (შიდა ურთიერთობა, §§ 709-713) და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას (გარე ურთიერთობა). მიუხედავად აღნიშნულისა, BGHZ, 16, 394, 398-ის თანახმად, გარიგების დადების მიმართ პრეტენზია (§ 711-ის შესაბამისად) წარმომადგენლობით უფლებამოსილებას არ ეხება, როდესაც ამ უკანასკნელის შესახებ გარიგების მეორე მხარისათვის ცნობილი არ იყო. ამხანაგობის საქმეების მართვისა და წარმომადგენლობით უფლებამოსილების ერთდროულად დადგენა § 709-ის პირველი ნაწილის გამო გულისხმობს ერთობლივად წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. ამ წესის სანაწილედგოდ, ღია სავაჭრო ამხანაგობისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და ამხანაგობის საქმეების მართვა ერთმანეთზე დამოკიდებული არ არის და, როგორც წესი,

არსებობს ერთი პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (სავაჭრო კოდექსის § 125-ის პირველი ნაწილი, 161-ის მე-2 ნაწილი).

- 2 **2. ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობისთვის**, რაც დაკავშირებულია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე მონაწილესთან, მოქმედებს ორი პრინციპი:
- 3 ა) **პასუხისმგებლობა ამხანაგობის საერთო ქონებით**. ამხანაგობა პასუხს აგებს § 718-ით გათვალისწინებული **ამხანაგობის საერთო ქონებით**. ამ ქონების მიმართ იძულებითი აღსრულებისათვის აუცილებელია „ყველა მონაწილის მიმართ“ მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 736). ეს შეიძლება იყოს საერთო ქონებით დაკავშირებული მონაწილეების, როგორც მხარეების (§ 705-ის შესავლის მე-5 ველი), კუთვნილი ამხანაგობის საერთო ქონების მიმართ მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება; ნორმა არც თავისი სიტყვასიტყვითი ტექსტის და არც თავისი მიზნის მიხედვით არ ითხოვს სასამართლოს გადაწყვეტილებას თითოეული ცალკეული მონაწილის მიმართ (BGHZ, 146, 341, 353).
- 4 ბ) **პირადი პასუხისმგებლობა**. მონაწილეები დამატებით პასუხს აგებენ ასევე თავიანთი **პირადი ქონებით** (დამატებითი პასუხისმგებლობის თეორია). ეს გამომდინარეობს სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის შეზღუდული უფლებაუნარიანობის აღიარებიდან (§ 705-ის შესავლის მე-5 ველი), სავაჭრო კოდექსის § 128 და შემდეგ პარაგრაფებში ღია სავაჭრო ამხანაგობისათვის დადგენილი დანაწესით (BGHZ, 146, 341, 358). ამდენად, აღნიშნული არ საჭიროებს ე. წ. ორმაგი ვალდებულების შესახებ ხელოვნურად შექმნილ თეორიას, რომლის თანახმადაც საქმეების მმართველის მიერ ამხანაგობის სახელით განხორციელებული მოქმედებებისათვის საეჭვობისას წარმოიშობა არა მხოლოდ ამხანაგობის საერთო ქონების პასუხისმგებლობა, არამედ, ამავე დროს (მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ძალით), როგორც წესი, პირადად მონაწილეების პასუხისმგებლობაც (დეტალურად ორივე აღნიშნული თეორიის შესახებ იხ. *MüKo-Ulmer/Schäfer* მე-2 და შემდეგი ველები, 31-ე და შემდეგი ველები). რამდენადაც მონაწილე ამხანაგობის ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს ასევე პირადადაც, ამდენად ამხანაგობის ნებისმიერი ვალის არსებობა გადამწყვეტია პირადი პასუხისმგებლობისათვის. როგორც დამატებითი პასუხისმგებლობის შედეგი, ჩვეულებრივ, შესაბამისად გამოიყენება სავაჭრო კოდექსის § 130, რომლის თანახმად, სამოქალაქო სამართლის ამხანაგობაში შემსვლელი მონაწილეები პასუხს აგებენ ძველი ვალისათვის (BGHZ, 154, 370). სადავოა, მოქმედებს თუ არა ანალოგიით სავაჭრო კოდექსის § 28 (სავაჭრო კოდექსის § 128-სთან ერთად), როდესაც სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა იქმნება შენატანების განხორციელების გზით (K. *Schmidt* JuS, 2004, 444). უმაღლესი ფედერალური სასამართლო აღნიშნულს გამოიციხავს ცალკე მოქმედი თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლების გაერთიანების მიმართ (ცალკე მოქმედი ადვოკატები), ვინაიდან პირადად საკუთარი პასუხისმგებლობით განხორციელებული მომსახურება არ შეესაბამება მენარმეთა შემთხვევაში წარმოებისა და პასუხისმგებლობის უწყვეტობის პოზიციას, ხოლო თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს არ შეეძლება თავიანთი პასუხისმგებლობის გამოიციხვა სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციის მეშვეობით (BGHZ, 157, 361, 367). სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის სახელით ვალდებულებების წარმოშობისათვის პირადი პასუხისმგებლობის ქმედითი გამოიციხვა შესაძლებელია არა სახელწოდებისათვის, უბრალოდ, სიტყვების დამატებით, მაგ., „სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა შეზღუდული პასუხისმგებლობით“, არამედ, როგორც წესი, მხოლოდ სპეციალურად ხელშეკრულებაში მოცემული შეთანხმებით (BGHZ, 142, 315). თუ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის მონაწილეებს სურთ თავიანთი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ზოგადი გამოიციხვა, მაშინ მათ აქვთ შესაძლებლობა, სამოქალაქო სამართლის

ამხანაგობის სამართლებრივი ფორმის ნაცვლად აირჩიონ კომანდიტური საზოგადოების ფორმა (§ 705-ის შესავლის მე-6 ველი) და ამის შედეგად შეძლონ თავიანთი შეუზღუდავი პასუხისმგებლობის თავიდან აცილება (იხ. *Ulmer ZIP*, 1999, 554). ერთმანეთთან ურთიერთობაში მონაწილეები პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები. ურთიერთობაში ამხანაგობის მიმართ ნამდვილი სოლიდარული ვალდებულება არ არსებობს, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში § 420 და შემდეგი პარაგრაფები შეიძლება შესაბამისად იქნეს გამოყენებული. აღნიშნული, როგორც წესი, შეესაბამება ამხანაგობის, როგორც თავიდანვე ვალდებულების მკისრების, ვალდებულებებს; ამხანაგობა პასუხს აგებს „როგორც სოლიდარული მოვალე“ (BGHZ 146, 341, 358).

3. მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანისათვის პირადად პასუხს აგებს ზიანის მიმყენებელი მონაწილე. ამავე დროს, ამხანაგობის საერთო ქონება ასევე დატვირთულია პასუხისმგებლობით § 31-ის ანალოგიით (იხ. იქვე მე-2 ველი). ამხანაგობის მონაწილის პირადი პასუხისმგებლობა გამომდინარეობს დამატებითი პასუხისმგებლობის თეორიიდან (იხ. ზევით, მე-4 ველი). 5

4. სოციალური ვალდებულებები (§ 705-ის შესავლის მე-10 ველი), როგორც წესი, ეხება მხოლოდ ამხანაგობას და არა ცალკეულ მონაწილეებს; შესაბამისად, ამხანაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებისათვის მონაწილეების პირადი პასუხისმგებლობა § 707-ით დადგენილი დამატებითი შენატანების განხორციელების ვალდებულებით გამოიხატება. 6

ამ პრინციპიდან გამონაკლისის არსებობას გაბატონებული შეხედულება აღიარებს იმ შემთხვევისათვის, როდესაც მონაწილე გათავისუფლდა მესამე პირის წინაშე თავისი პირადი ქონებით პასუხისმგებლობისაგან ამხანაგობის გარიგების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულების გამო. § 670-იდან გამომდინარე, მონაწილის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მიმართულია ასევე, ძირითადად, მხოლოდ ამხანაგობის მიმართ; თუმცა, თუ მისი ქონება არ არის საკმარისი, მაშინ მონაწილეს ენიჭება სუბსიდიური კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ნებისმიერი მონაწილის მიმართ, თითოეულზე მოსული წილის ოდენობით (BGHZ, 37, 299 კომანდიტური საზოგადოებისათვის). აღნიშნულს არ გამორიცხავს § 707; კომპენსაციის მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს არა ამხანაგობის ხელშეკრულებიდან, არამედ § 426-ის პირველი ნაწილიდან (*Larenz SchR II* § 60, IVc; *Medicus SchR II* 492-ე ველი). 7

§ 715. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ჩამორთმევა

თუ ამხანაგობის ხელშეკრულებით მონაწილე უფლებამოსილია, წარმოადგინოს სხვა მონაწილეები მესამე პირების წინაშე, მაშინ მას შეიძლება ჩამოერთვას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მხოლოდ § 712-ის პირველი ნაწილის თანახმად, ხოლო თუ ეს უკანასკნელი მინიჭებულ იქნა საქმეთა მართვის უფლებამოსილებასთან ერთად, მაშინ იგი შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ ამ უფლებამოსილებასთან ერთად.

§ 716. მონაწილის კონტროლის უფლება

(1) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მონაწილე საქმეთა მართვაში მონაწილეობას არ იღებს, მას შეუძლია, პირადად გაეცნოს ამხანაგობის საქმეებს, შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები და დოკუმენტები და მათ საფუძველზე შეიქმნას წარმოდგენა ამხანაგობის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

(2) ამ უფლების გამომრიცხავი ან შემზღუდევი შეთანხმება ხელს არ უშლის უფლების გამოყენებას, თუ არსებობს საქმეთა არაკეთილსინდისიერად მართვის ვარაუდის საფუძველი.

§ 717. მონაწილეთა უფლებების გადაცემის დაუშვებლობა

¹ამხანაგობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მონაწილეთა კუთვნილი მოთხოვნის უფლებები არ ექვემდებარება გადაცემას. ²გამონაკლისია მონაწილის კუთვნილი საქმეთა მართვიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები, თუ მათი დაკმაყოფილება შეიძლება მოთხოვნით იქნეს ამხანაგობის ქონების განაწილებამდე, ისევე როგორც მოთხოვნის უფლებები მოგებაში წილზე, ანდა იმ ქონების მიმართ, რასაც იღებს მონაწილე ამხანაგობის ქონების განაწილებისას.

§ 718. ამხანაგობის ქონება

(1) მონაწილეების შენატანები და ამხანაგობის საქმეთა მართვის შედეგად ამხანაგობისათვის შექმნილი საგნები ხდება მონაწილეთა საერთო ქონება (ამხანაგობის ქონება).

(2) ამხანაგობის ქონებას მიეკუთვნება, აგრეთვე, ის, რაც შექმნილ იქნა ამხანაგობის ქონებას მიკუთვნებული უფლების საფუძველზე ან ამხანაგობის ქონებას მიკუთვნებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევისათვის საზღაურის სახით.

- 1 ამხანაგობის ქონება მონაწილეთა პირადი ქონებისაგან განცალკევებული სპეციალური ქონებაა, რომლის მიმართაც არსებობს საერთო თანაზიარი ვალდებულებით-სამართლებრივი ბოჭვა (დეტალურად იხ. § 719). ნორმა აწესრიგებს შექმნის ცალკეულ გარემოებებს.
- 2 ამხანაგობის ქონების ფორმირება შეესაბამება არსებულ წესს; თუმცა, იგი არ არის სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის აუცილებელი წინაპირობა და არ არსებობს, მაგ., იმ ამხანაგობაში, რომელიც არ არის მიმართული მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ (იხ. § 705-ის შესავლის მე-4 ველი). რამდენადაც ამხანაგობა, რომელიც მიმართულია მესამე პირებთან ურთიერთობების დამყარებისაკენ, უფლებაუნარიანია (იხ. § 705-ის შესავლის მე-5 ველი), ამხანაგობის ქონება – § 718-ის პირველი ნაწილის სიტყვასიტყვითი ტექსტის საპირისპიროდ – გაბატონებული შეხედულების თანახმად, მიეკუთვნება არა მონაწილეებს ერთობლივად, არამედ თავად სამოქალაქო სამართლის ამხანაგობას. როდესაც, მაგ., ა, ბ და გ-საგან შემდგარი სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა იქნეს მიწის ნაკვეთს, მესაკუთრე ხდება სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა, როგორც ასეთი. სამოქალაქო სამართლის ამხანაგობის მეორე მიწის ნაკვეთის კეთილსინდისიერი შექმნასთან დაკავშირებით იხ. § 899ა.

§ 719. საერთო თანაზიარი ვალდებულებით-სამართლებრივი ბოჭვა

(1) მონაწილეს არ შეუძლია განკარგოს თავისი წილი ამხანაგობის ქონებაში და მას მიკუთვნებული ცალკეული საგნები; იგი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს გაყოფა.

(2) მოვალეს არ შეუძლია გაქვითოს ცალკეული მონაწილის მიმართ არსებული კუთვნილი მოთხოვნა იმ მოთხოვნის მიმართ, რომელიც მიეკუთვნება ამხანაგობის ქონებას.

- 1 1. ნორმა არის საერთო თანაზიარი ვალდებულებით-სამართლებრივი ბოჭვის გამოვლინება. მის საპირისპიროდ საერთო წილადი საკუთრების შემთხვევაში (§ 741 და შემდეგი პარაგრაფები) სახეზეა განსაზღვრული წილი ქონებას მიკუთვნებულ ცალკეულ საგანზე, რომლის განკარგვაც შეუძლია მონაწილეს სხვა მონაწილეების თანხმობის გარეშე (მდრ. § 747-ის პირველი წინადადება).
- 2 2. პირველი ნაწილის პირველი ალტერნატივის შესაბამისად, ამხანაგობის ქონებაში თავისი წილის განკარგვა მონაწილეს არ შეუძლია. ამდენად, იგი წევრობის განუყოფელი ელემენტია, რომლის დროსაც წევრობა მონაწილეთა შორის პირადი

ნდობითი ურთიერთობის არსის გამო არ ექვემდებარება გადაცემას (შდრ. § 717-ის პირველი წინადადება). განსხვავებული წესი მოქმედებს მემკვიდრეთა გაერთიანების შემთხვევაში § 2033-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, რაც, მართალია, არის საერთო საკუთრება, თუმცა, მაინც ქონებრივი გაერთიანებაა და მალევე უქმდება.

აღნიშნულის საპირისპიროდ **ამხანაგობაში წილის დათმობა** (ამხანაგობის საერთო ქონებაში წილის ჩათვლით) შესაძლებელია სხვა მონაწილეების თანხმობით. BGHZ, 13, 179-ის თანახმად, §§ 717, 719-ის პირველი ნაწილი არ ქმნის აკრძალვას, § 134-ის გაგებით, ვინაიდან ამ ნორმების მიზანი არ არის მთელი საზოგადოების ინტერესების დაცვა; § 135 არ არის გამოსაძევი რელატიური ბათილობის შედეგის გამო, ვინაიდან დათმობასთან დაკავშირებულია სხვა პირის ინტერესების სფეროს დარღვევა, რაც, ზოგადი პრინციპების თანახმად, საჭიროებს დაინტერესებული პირის თანხმობას. დანარჩენი მონაწილეების მოწონებამდე ამხანაგობაში წილის დათმობა მერყევად ბათილია; თუ მოწონებაზე უარი განაცხადა თუნდაც მხოლოდ ერთმა მონაწილემ, მაშინ წილის დათმობა ბათილია (შდრ. §182 და შემდეგი პარაგრაფები).

3. ამხანაგობის ქონებაში შემავალი მონაწილის კუთვნილ ცალკეულ საგნებზე თავისი წილის განკარგვა მონაწილის მიერ, პირველი ნაწილის მე-2 ალტერნატივის შესაბამისად, დაუშვებელია. ამ განკარგვის აკრძალვა იმპერატიულია. აკრძალვის საწინააღმდეგო განკარგვები § 134-ის თანახმად, ბათილია, ვინაიდან ისინი ეწინააღმდეგება საერთო ქონების სამართლებრივი რეჟიმის პრინციპს. თუ მონაწილე განკარგავს არა თავის წილს, არამედ ცალკეულ საგანს, მაშინ § 932 და შემდეგი პარაგრაფების ან § 185-ის მე-2 ნაწილის (ნევრობის მოწონება) საფუძველზე განკარგვა შეიძლება გახდეს სამართლებრივი ძალის მქონე.

§ 720. კეთილსინდისიერი მოვალის დაცვა

§ 718-ის პირველი ნაწილის თანახმად, შეძენილი ამხანაგობის ქონებაში შემავალი მოთხოვნის მოვალის მიმართ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი შეიტყობს ამხანაგობის ქონებისადმი მიკუთვნების შესახებ; შესაბამისად, გამოიყენება §§ 406-408 ნორმები.

§ 721. მოგებისა და ზარალის განაწილება

(1) მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს დასკვნითი ბალანსი და მოგებისა და ზარალის განაწილება მხოლოდ ამხანაგობის გაუქმების შემდეგ.

(2) თუ ამხანაგობა დაფუძნებულია ხანგრძლივი ვადით, მაშინ, საექსპოზიციას, დასკვნითი ბალანსი უნდა შედგეს და მოგების განაწილება უნდა განხორციელდეს ყოველი სამეურნეო წლის დასრულებისას.

§ 722. წილები მოგებასა და ზარალში

(1) თუ მოგებასა და ზარალში მონაწილის წილები არ არის განსაზღვრული, მაშინ თითოეულ მონაწილეს მოგებასა და ზარალში აქვს თანაბარი წილი, მიუხედავად მისი შენატანის სახისა და სიდიდისა.

(2) თუ წილი განსაზღვრულია მხოლოდ მოგებაში ან ზარალში, მაშინ საექსპოზიციას მოქმედებს განსაზღვრება მოგებასა და ზარალისათვის.

§ 723. ხელშეკრულების შეწყვეტა მონაწილის მიერ

(1) ¹თუ ამხანაგობა არ არის დაფუძნებული განსაზღვრული ვადით, მაშინ თითოეულ მონაწილეს შეუძლია მისი ნებისმიერ დროს შეწყვეტა. ²თუ ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია, მაშინ მის გასვლამდე ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია, თუკი არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი, კერძოდ:

1. თუ სხვა მონაწილემ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია მასზე დაკისრებული არსებითი ხასიათის ვალდებულება, ან თუ ასეთი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება;
2. თუ მონაწილეს შეუსრულდა თვრამეტი წელი.

¹მონაწილეს, რომელმაც მიაღწია სრულწლოვანებას, შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა №2-ის მიხედვით მხოლოდ სამი თვის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც მან შეიტყო, ან მას უნდა შეეტყო თავისი, როგორც მონაწილის, სტატუსის შესახებ. ²ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ არსებობს, თუ მონაწილე, § 112-ის მიხედვით, უფლებამოსილი იყო, ამხანაგობის საქმიანობის საგანთან დაკავშირებით დამოუკიდებლად განეხორციელებინა მოგებაზე ორიენტირებული სამენარმეო საქმიანობა, ან ამხანაგობის მიზანი იყო მხოლოდ მისი პირადი საქმიანობების დაკმაყოფილება. ³ანალოგიური წინაპირობების დაცვისას ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია.

(2) ¹ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ვადამდე შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძველი. ²თუ მონაწილე წვეტს ვადამდე ხელშეკრულებას ასეთი საფუძვლის გარეშე, მაშინ მან დანარჩენ მონაწილეებს უნდა აუნაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი.

(3) ბათილია შეთანხმება, რომლითაც ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება გამორიცხულია, ან აღნიშნული ნორმების სანინააღმდეგოდ შეზღუდულია.

1. 1. მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე, ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის (პირველი ნაწილის მე-2 წინადადება) შესაძლებლობა შეესაბამება იმ ზოგად პრინციპს, რომ გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს, ხელშეკრულების არასტანდარტული შეწყვეტის წესით მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე (მდრ. § 314).
2. 2. „სრულწლოვანების მიღწევისას ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებით“ (პირველი ნაწილის მე-3 წინადადების №2) პირს, რომელმაც მიაღწია სრულწლოვანების ასაკს, § 1629ა-ს თანახმად არა მხოლოდ ეზღუდება პასუხისმგებლობა სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე საკუთარი სახელით ნაკისრი ვალდებულებებისათვის, არამედ მისთვის შესაძლებელია ასევე მომავალში პასუხისმგებლობის იმ რისკების თავიდან აცილება, რომლებიც გამომდინარეობს მისი არასრულწლოვანების პერიოდის განმავლობაში განსაზღვრული ვადით არსებული მონაწილის სტატუსიდან (განუსაზღვრელი ვადით დაფუძნებული ამხანაგობის შემთხვევაში, პირიქით, ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობა არსებობს უკვე პირველი წინადადების თანახმად). მე-4 წინადადებაში მითითებული მონაწილის გარიცხვის ვადას თანამონაწილეთა ინტერესებში სიცხადე შეაქვს ამხანაგობის არსებობის ხანგრძლივობის საკითხთან დაკავშირებით. მე-5 წინადადების თანახმად, ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ არსებობს, თუ ასევე გამორიცხულია პასუხისმგებლობის შეზღუდვაც (იხ. § 113-ის პირველი ველი).

§ 724. ხელშეკრულების შეწყვეტა სიცოცხლის ვადით დადებული ან გახანგრძლივებული ამხანაგობის ხელშეკრულების შემთხვევაში

¹თუ ამხანაგობა დაფუძნებულია მონაწილის სიცოცხლის ვადით, მაშინ იგი შეიძლება შეწყდეს იმავე წესით, როგორც განუსაზღვრელი ვადით დაფუძნებული ამხანაგობა. ²ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ ამხანაგობა განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ უსიტყვოდ გრძელდება.

§ 725. ხელშეკრულების შეწყვეტა იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის მიერ

(1) თუ მონაწილის კრედიტორმა განახორციელა იძულებითი აღსრულება ამხანაგობის ქონებაში მონაწილის წილზე, მაშინ მას შეუძლია, შეწყვიტოს ამხანაგობის

ხელშეკრულება, შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე, თუ სააღსრულებო ფურცელი არ არის განკუთვნილი მხოლოდ დროებითი აღსრულებისათვის.

(2) მანამდე, სანამ ამხანაგობა არსებობს, კრედიტორს არ შეუძლია, ამხანაგობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მონაწილის უფლებების რეალიზაცია, გარდა მოგების განაწილებაზე მოთხოვნის უფლებისა.

§ 726. ამხანაგობის გაუქმება მიზნის მიღწევისა თუ მისი მიუღწევლობის გამო

ამხანაგობა წყდება, თუ შეთანხმებული მიზანი მიიღწევა, ან მისი მიღწევა შეუძლებელი ხდება.

§ 727. ამხანაგობის გაუქმება მონაწილის გარდაცვალების შედეგად

(1) ამხანაგობა უქმდება მონაწილის გარდაცვალების შედეგად, თუ ამხანაგობის ხელშეკრულებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

(2) ¹ამხანაგობის გაუქმების შემთხვევაში გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრემ გარდაცვალების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დანარჩენ მონაწილეებს და თუ დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან, გააგრძელოს ამხანაგობის ხელშეკრულებით მისი მამკვიდრებლისთვის დაკისრებული საქმეები მანამდე, სანამ დანარჩენი მონაწილეები მასთან ერთად არ შეძლებენ სხვაგვარი აუცილებელი ზომების მიღებას. ²დანარჩენი მონაწილეები ვალდებული არიან, ანალოგიურად გააგრძელონ მათთვის დროებით დაკისრებული საქმეები. ³ამ ფარგლებში ამხანაგობა ითვლება გაგრძელებულად.

§ 728. ამხანაგობის გაუქმება ამხანაგობის ან მონაწილის გაკოტრების შედეგად

(1) ¹ამხანაგობა უქმდება ამხანაგობის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოების გახსნით. ²თუ საქმისწარმოება წყდება მოვალის განცხადების საფუძველზე, ან უქმდება გაკოტრების გეგმის დამტკიცების შემდეგ, რომელიც ითვალისწინებს ამხანაგობის არსებობის გაგრძელებას, მაშინ მონაწილეებს შეუძლიათ, მიიღონ გადაწყვეტილება ამხანაგობის არსებობის გაგრძელების შესახებ.

(2) ¹ამხანაგობა უქმდება მონაწილის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოების გახსნით. ²გამოიყენება § 727-ის მე-2 ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების ნორმა.

§ 729. საქმეთა მართვის უფლებამოსილების გაგრძელება

¹თუ ამხანაგობა უქმდება, მაშინ მონაწილის საქმეთა მართვის უფლებამოსილება მის სასარგებლოდ მაინც ითვლება გაგრძელებულად მანამდე, სანამ იგი შეიტყობს გაუქმების შესახებ, ან მას ამის შესახებ უნდა შეეცყო. ²ანალოგიური წესი მოქმედებს ამხანაგობიდან გამსვლელი მონაწილის საქმეთა მართვის უფლებამოსილების მიმართ, როდესაც ამხანაგობის არსებობა გრძელდება, ან მის მიერ უფლებამოსილების სხვაგვარად დაკარგვის შემთხვევაში.

§ 730. ამხანაგობის ქონების განაწილება, საქმეთა მართვა

(1) ამხანაგობის გაუქმების შემდეგ მონაწილეებს შორის ხორციელდება ამხანაგობის ქონების განაწილება, თუ ამხანაგობის ქონებაზე არ არის გახსნილი გაკოტრების საქმისწარმოება.

(2) ¹მიმდინარე საქმეების შეწყვეტის, ამ მიზნისათვის აუცილებელი ახალი საქმეების დასაწყებად, ასევე ამხანაგობის ქონების მართვის უზრუნველსაყოფად ამხანაგობა ითვლება გახანგრძლივებულად იმდენად, რამდენადაც ამას ითხოვოს ამხანაგობის ქონების განაწილების მიზანი. ²თუმცა, საქმეთა მართვის უფლებამოსილება, რომელიც ამხანაგობის ხელშეკრულებით მინიჭებული აქვს მონაწილეს, ამხანაგობის გაუქმებით წყდება, თუ ხელშეკრულებიდან სხვა რაიმე არ გამომდი-

ნარეობს; გაუქმების შემდეგ საქმეთა მართვის უფლებამოსილება ერთობლივად ეკუთვნის ყველა მონაწილეს.

§ 731. ამხანაგობის ქონების განაწილების პროცედურა

¹სხვა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ამხანაგობის ქონების განაწილება ხორციელდება §§ 732-735-ის მიხედვით. ²დანარჩენ ნაწილში გაყოფის მიმართ მოქმედებს საზიარო უფლებების შესახებ ნორმები.

§ 732. ნივთების დაბრუნება

¹ნივთები, რომლებიც მონაწილემ სარგებლობაში გადასცა ამხანაგობას, მას უნდა დაუბრუნდეს. ²მას არ შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია შემთხვევით დაკარგული ან გაუარესებული ნივთებისათვის.

§ 733. ამხანაგობის ვალების დაფარვა, შენატანის კომპენსაცია

(1) ¹ამხანაგობის ქონებიდან, პირველ რიგში, უნდა დაიფაროს საერთო ვალები, მათ შორის, ის ვალები, რომლებიც კრედიტორების მიმართ მონაწილეთა შორის დაყოფილია ან რომელთათვისაც მონაწილის წინაშე დარჩენილი მონაწილეები პასუხს აგებენ როგორც მოვალეები. ²თუ ვალის გადახდის ვადა ჯერ არ არის დამდგარი, ან იგი სადავოა, მაშინ ვალის დასაფარად აუცილებელი თანხა უნდა დაკავდეს.

(2) ¹ვალების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ამხანაგობის ქონებიდან უნდა ანაზღაურდეს შენატანები. ²იმ შენატანებისათვის, რომლებიც არ გამოიხატება ფულში, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ღირებულება, რომელიც ამ შენატანებს ჰქონდა მათი განხორციელების მომენტში. ³იმ შენატანებისათვის, რომლებიც გამოიხატება მომსახურების გაწევითა თუ ნივთის სარგებლობაში გადაცემით, კომპენსაცია არ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.

(3) რამდენადაც ეს საჭიროა, ვალების დაფარვისა და შენატანების კომპენსაციისათვის ამხანაგობის ქონება ექვემდებარება ფულადი თანხით გამოხატვას.

§ 734. დარჩენილი ქონების განაწილება

თუ საერთო ვალების დაფარვისა და შენატანების კომპენსაციის შემდეგ რჩება ქონება, მაშინ იგი ეკუთვნის მონაწილეებს მოგებაში მათი წილების პროპორციულად.

§ 735. ზარალის შემთხვევაში დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულება

¹თუ ამხანაგობის ქონება საკმარისი არ არის საერთო ვალების დაფარვისა და შენატანების კომპენსაციისათვის, მაშინ მონაწილეებმა უნდა აანაზღაურონ ნაკლებული თანხა ზარალში მათი წილების პროპორციულად. ²თუ ერთ-ერთი მონაწილისაგან შეუძლებელია მისგან კუთვნილი თანხის მიღება, მაშინ დარჩენილმა მონაწილეებმა დანაკარგი უნდა აანაზღაურონ იმავე პროპორციით.

§ 736. მონაწილის გასვლა ამხანაგობიდან, შემდგომი პასუხისმგებლობა

(1) თუ ამხანაგობის ხელშეკრულებაში დადგენილია, რომ მონაწილის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მონაწილის გარდაცვალების, ანდა მონაწილის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის შემთხვევაში ამხანაგობა დანარჩენი მონაწილეების მიერ უნდა გაგრძელდეს, მაშინ ამ მოვლენის დადგომისას ამხანაგობიდან გადის ის მონაწილე, რომელსაც ეს ეხება.

(2) აზრობრივად მოქმედებს პერსონალური საზოგადოებების მიმართ მოქმედი შემდგომი პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ წესები.

§ 737. მონაწილის გარიცხვა

¹თუ ამხანაგობის ხელშეკრულებაში დადგენილია, რომ მონაწილის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ამხანაგობა დანარჩენი მონაწილეების მიერ უნდა გაგრძელდეს, მაშინ ის მონაწილე, რომელთანაც დაკავშირებულია გარემოება, რომელიც დანარჩენ მონაწილეებს ანიჭებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას § 723-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, შეიძლება გაირიცხოს ამხანაგობიდან. ²გარიცხვის უფლება ერთობლივად ეკუთვნის ყველა დანარჩენ მონაწილეს. ³გარიცხვა ხორციელდება გასარიცხი მონაწილის მიმართ გაკეთებული განცხადებით.

§ 738. ქონების განაწილება მონაწილის ამხანაგობიდან გასვლისას

(1) ¹თუ მონაწილე გადის ამხანაგობიდან, მაშინ მისი წილი ამხანაგობის ქონებაში გადადის დანარჩენ მონაწილეებზე. ²ეს უკანასკნელები ვალდებული არიან, გამსვლელ მონაწილეს დაუბრუნონ ის ნივთები, რომლებიც მან ამხანაგობას, § 732-ის თანახმად, სარგებლობაში გადასცა, გაათავისუფლონ იგი საერთო ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რაც მას ერგებოდა ამხანაგობის ქონების განაწილების შემთხვევაში, ამხანაგობა რომ გაუქმებულიყო მისი გასვლის მომენტში. ³თუ საერთო ვალების გადახდის ვადა ჯერ არ არის დამდგარი, მაშინ დარჩენილ მონაწილეებს შეუძლიათ, გამსვლელ მონაწილეს ვალებისაგან გაათავისუფლების ნაცვლად წარუდგინონ უზრუნველყოფა.

(2) ამხანაგობის ქონების ღირებულება, რამდენადაც ეს საჭიროა, უნდა დადგინდეს შეფასების გზით.

§ 739. პასუხისმგებლობა ნაკლული თანხისათვის

თუ ამხანაგობის ქონების ღირებულება საკმარისი არ არის საერთო ვალების დაფარვისა და შენატანების კომპენსაციისათვის, მაშინ გამსვლელმა მონაწილემ დანარჩენ მონაწილეებს უნდა აუნაზღაუროს ნაკლული თანხა ზარალში თავისი წილის პროპორციულად.

§ 740. მიმდინარე გარიგებების შედეგების განაწილება

(1) ¹ამხანაგობიდან გასული მონაწილე მონაწილეობს მოგებასა და ზარალში, რომლებიც წარმოიშობა მისი ამხანაგობიდან გასვლის მომენტში მიმდინარე გარიგებებიდან. ²დანარჩენი მონაწილეები უფლებამოსილნი არიან, შეწყვიტონ ეს გარიგებები მათთვის მაქსიმალურად სარგებლიანად.

(2) ამხანაგობიდან გასულ მონაწილეს შეუძლია, ყოველი სამეურნეო წლის დასრულებისას მოითხოვოს ანგარიში ამ პერიოდში დასრულებული გარიგებების, მისთვის კუთვნილი თანხების გადახდისა და ინფორმაცია ჯერ კიდევ მიმდინარე გარიგებების მდგომარეობის შესახებ.

კარი 17. საზიარო უფლება**§ 741. წილადი საზიარო უფლება**

თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება §§ 742-758-ის ნორმები, თუ კანონიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს (წილადი საზიარო უფლება).

§ 742. თანაბარი წილები

საექვოობისას ივარაუდება, რომ მონილეებს აქვთ თანაბარი წილები.

§ 743. წილები ნაყოფზე. სარგებლობის უფლება

- (1) თითოეულ მოწილეს აქვს თავისი წილის შესაბამისი ნაყოფის ნაწილი.
- (2) თითოეულ მოწილეს აქვს უფლება, ისარგებლოს საზიარო საგნით იმდენად, რამდენადაც არ ადგება ზიანი დანარჩენ მოწილეთა თანასარგებლობას.

§ 744. ერთობლივი მართვა

- (1) საზიარო საგნის მართვის უფლებამოსილება ერთობლივად ეკუთვნის მოწილებს.
- (2) თითოეული მოწილე უფლებამოსილია, საგნის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე; მას შეუძლია მოითხოვოს, რომ სხვა მოწილეებმა ასეთ ღონისძიებებზე თავიანთი თანხმობა განაცხადონ წინასწარ.

§ 745. მართვა და სარგებლობა გადანყვეტილებით

- (1) ¹ხმათა უმრავლესობით შეიძლება მიღებულ იქნეს გადანყვეტილება საზიარო საგნის თვისებების შესაბამისი სათანადო მართვისა და სარგებლობის შესახებ. ²ხმათა უმრავლესობა გამოითვლება წილების სიდიდის მიხედვით.
- (2) თუ მართვა და სარგებლობა შეთანხმებით ან ხმათა უმრავლესობის გადანყვეტილებით არ არის მოწესრიგებული, თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს მართვა და სარგებლობა სამართლიანი შეხედულების მიხედვით ყველა მოწილის ინტერესის გათვალისწინებით.
- (3) ¹დაუშვებელია საგნის არსებითი შეცვლის შესახებ გადანყვეტილების მიღება ან მისი მოთხოვნა. ²გამოყენების შედეგად სარგებელზე ცალკეული მოწილის უფლება, რომელიც შეესაბამება მის წილს, მოწილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება დაირღვეს.

§ 746. სამართლებრივი ძალა სინგულარული სამართალმემკვიდრეების მიმართ

თუ მოწილეებმა განსაზღვრეს საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, მაშინ დადგენილი წესი მოქმედებს, აგრეთვე, სინგულარული სამართალმემკვიდრეების სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ.

§ 747. წილებისა და საზიარო საგნის განკარგვა

¹თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი. ²მთლიანად საზიარო საგნის განკარგვა მოწილებს შეუძლიათ მხოლოდ ერთობლივად.

§ 748. ვალდებულებებისა და ხარჯების კისრების ტვირთი

თითოეული მოწილე სხვა მოწილეთა მიმართ ვალდებულია, თავისი წილის პროპორციულად იკისროს საზიარო საგანთან დაკავშირებული ვალდებულებები, ისევე როგორც შენახვის, მართვისა და საერთო სარგებლობის ხარჯები.

§ 749. მოთხოვნის უფლება საზიარო უფლების გაუქმების შესახებ

- (1) თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება.
- (2) ¹თუ შეთანხმებით გაუქმების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით, მაშინ გაუქმება მაინც შეიძლება იქნეს მოთხოვნილი, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი. ²ანალოგიური მოთხოვნის გათვალისწინებით, თუ განსაზღვრულია შეწყვეტის ვადა, გაუქმება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ვადის დაცვის გარეშე.
- (3) ბათილია შეთანხმება, რომლითაც გაუქმების მოთხოვნის უფლება ამ წესების საწინააღმდეგოდ გამოირიცხება ან იზღუდება.

§ 750. გაუქმების გამორიცხვა გარდაცვალების შემთხვევაში

თუ მოწილეებმა საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება დროებით გამორიცხეს, მაშინ საეჭვოობისას შეთანხმება ძალას კარგავს მოწილის გარდაცვალებით.

§ 751. გაუქმების გამორიცხვა და სინგულარული სამართალმემკვიდრეები

¹თუ მოწილეებმა საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება სამუდამოდ ან დროებით გამორიცხეს, ანდა განსაზღვრეს შეწყვეტის ვადა, მაშინ შეთანხმება მოქმედებს, აგრეთვე, სინგულარული სამართალმემკვიდრეების სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ. ²თუ კრედიტორმა განახორციელა მოწილის წილზე იძულებითი აღსრულება, მაშინ მას შეუძლია საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა, შეთანხმების მიუხედავად, თუ სააღსრულებო ფურცელი არ არის განკუთვნილი მხოლოდ დროებითი აღსრულებისათვის.

§ 752. გაყოფა ნატურით

¹საზიარო უფლების გაუქმება ხორციელდება ნატურით გაყოფით, თუ საზიარო საგანი – ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა რამდენიმე საზიარო საგანი, ეს უკანასკნელები – შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე მოწილეთა წილების შესაბამისად. ²თანაბარი ნაწილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით.

§ 753. განაწილება გაყიდვით

(1) ¹თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლების გაუქმება ხორციელდება საზიარო საგნის გაყიდვით, გირავნობის საგნის გაყიდვის შესახებ ნორმების თანახმად, ან მიწის ნაკვეთების შემთხვევაში – იძულებითი აუქციონის გზითა და ამონაგების განაწილებით. ²თუ საზიარო საგნის გასხვისება მესამე პირზე დაუშვებელია, მაშინ საგანი აუქციონზე უნდა გაიყიდოს მოწილებს შორის.

(2) თუ გაყიდვის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს განმეორებითი გაყიდვა; თუმცა, მას ეკისრება ხარჯები, თუკი განმეორებითი ცდა ნარუმატებელი აღმოჩნდება.

§ 754. საზიარო მოთხოვნების გაყიდვა

¹საზიარო მოთხოვნის გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი რეალიზაცია ჯერ არ შეიძლება. ²თუ რეალიზაცია შესაძლებელია, მაშინ ნებისმიერ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს საზიარო მოთხოვნის ერთობლივი რეალიზაცია.

§ 755. სოლიდარული ვალდებულების შესრულება

(1) თუ მოწილეები, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ იმ ვალდებულებისათვის, რომელიც მათ, § 748-ის თანახმად, უნდა შეასრულონ თავიანთი წილების პროპორციულად, ან რომელიც მათ ეკისრეს ასეთი ვალდებულების შესრულების მიზნით, მაშინ საზიარო უფლების გაუქმებისას თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს ვალის დაფარვა საზიარო საგნიდან.

(2) მოთხოვნის უფლება შეიძლება, აგრეთვე, გამოყენებულ იქნეს სინგულარული სამართალმემკვიდრეების მიმართ.

(3) თუ ვალის დაფარვის მიზნით აუცილებელია საზიარო საგნის გაყიდვა, ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს § 753-ის თანახმად.

§ 756. მოწილის ვალის დაფარვა

¹თუ მოწილეს სხვა მოწილის მიმართ აქვს მოთხოვნა, რომელიც ეფუძნება საზიარო უფლებას, მაშინ საზიარო უფლების გაუქმებისას მას შეუძლია მოითხოვოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება საზიარო საგნის იმ ნაწილიდან, რომელიც ერგება მოვალეს. ²გამოიყენება § 755-ის მე-2 და მე-3 ნაწილების ნორმები.

§ 757. გარანტია საზიარო საგნის ერთ-ერთი მოწილისათვის მიკუთვნებისას

თუ საზიარო უფლების გაუქმებისას საზიარო საგანი მიეკუთვნება ერთ-ერთ მოწილეს, მაშინ უფლებრივი ან ნივთობრივი ნაკლისათვის თავისი წილის შესაბამისად თითოეულმა დარჩენილმა მოწილემ გამყიდველის მსგავსად უნდა იკისროს გარანტია.

§ 758. საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლებისადმი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების დაუშვებლობა

საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

კარი 18. სამისდღეშო რჩენა

§ 759. სარჩოს ვადა და თანხა

(1) პირმა, რომელიც კისრულობს სამისდღეშო სარჩოს გადახდას, საეჭვოობისას სარჩო უნდა იხადოს კრედიტორის სიცოცხლის ვადისათვის.

(2) სამისდღეშო სარჩოსათვის განსაზღვრული თანხა საეჭვოობისას არის სარჩოს ყოველწლიური თანხა.

§ 760. წინასწარი გადახდა

(1) სამისდღეშო სარჩო გადახდილ უნდა იქნეს წინასწარ.

(2) სამი თვის ფულადი სარჩო გადახდილ უნდა იქნეს წინასწარ; სხვა სახის სარჩოს შემთხვევაში დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც სარჩო წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი, განისაზღვრება მისი თვისებისა და მიზნის მიხედვით.

(3) თუ კრედიტორი ცოცხალია დროის იმ მონაკვეთის დასაწყისში, რომლის განმავლობაშიც სარჩო წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი, მაშინ მას ერგება დროის მონაკვეთისათვის გათვალისწინებული მთლიანი თანხა.

§ 761. სამისდღეშო რჩენის შეპირების ფორმა

¹იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც ხდება სამისდღეშო რჩენის შეპირება, საჭიროა წერილობითი ფორმის დაცვა, რამდენადაც სხვა ფორმა არ არის გათვალისწინებული. ²სამისდღეშო რჩენის შეპირება ელექტრონული ფორმით გამოირიცხულია, რამდენადაც შეპირება ემსახურება საოჯახოსამართლებრივი რჩენის უზრუნველყოფას.

კარი 19. არასრულყოფილი ვალდებულებები

§ 762. თამაში, სანაძლეო

(1) ¹თამაშით ან სანაძლეოთი ვალდებულება არ წარმოიშობა. ²თამაშის ან სანაძლეოს საფუძველზე შესრულებული არ შეიძლება იქნეს უკან მოთხოვნილი იმის გამო, რომ ვალდებულება არ არსებობდა.

(2) ეს ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, იმ შეთანხმების მიმართ, რომლითაც დამარცხებული მხარე თამაშისა თუ სანაძლეოს ვალის შესრულების მიზნით კისრუ-

ლობს ვალდებულებას მოგებული მხარის წინაშე, მათ შორის, ვალის აღიარების მიმართ.

§ 763. ლატარიისა და გათამაშების ხელშეკრულებები

¹ლატარიის ხელშეკრულება ან გათამაშების ხელშეკრულება მავალდებულებელია, თუ ლატარია ან გათამაშება ნებადართულია სახელმწიფოს მიერ. ²საწინააღმდეგო შემთხვევაში გამოიყენება § 762-ის ნორმები.

§ 764. (გაუქმებულია)

კარი 20. თავდებობა

§ 765. ტიპური სახელშეკრულებო ვალდებულებები თავდებობის შემთხვევაში

(1) თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს მესამე პირის კრედიტორს მესამე პირის ვალდებულების შესასრულებლად.

(2) თავდებობა შეიძლება მიცემულ იქნეს, აგრეთვე, სამომავლო და პირობითი ვალდებულებისათვის.

1. ზოგადი მიმოხილვა. ა) თავდებობა არის კრედიტის პირადი უზრუნველყოფის ტიპური საშუალება (განსხვავებით კრედიტის სანივთო უზრუნველყოფისაგან, როგორებიცაა, მაგ.: იპოთეკა, გირავნობა, უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლებით გადაცემა). თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს (უზრუნველყოფილ) სხვა პირის ვალს; **ბ)** ცალკეულ შემთხვევებში არსებობს შემდეგი **სამართლებრივი ურთიერთობები:** აა) ძირითადი ვალის სახით აღინიშნება ურთიერთობა კრედიტორსა და უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოვალეს (ძირითადი მოვალე) შორის; **ბბ)** თავდებობა თავად არის ხელშეკრულება კრედიტორსა და თავდებს შორის; თავდებობა თავისი ზოგადი სამართლებრივი „ბედი“ (წარმოშობა, არსებობა და ა. შ.) მკაცრად დამოკიდებულია ძირითად ვალდებულებაზე (§ 767, **აქცესორულობა**). გარდა ამისა, თავდების ვალდებულება ძირითადი ვალდებულების მიმართ, როგორც წესი, არის სუბსიდიური ვალდებულება (§ 771, **სუბსიდიურობა**); **გგ)** პირიქით, თავდებობა დამოუკიდებელია (**აბსტრაქტულია**) თავდებობის სამართლებრივი საფუძვლისაგან (**causa**), რომელიც არსებობს თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის **შიდა ურთიერთობაში** და ამ შემთხვევაში, ძირითადად, საქმე ეხება დავალებას, სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულებას, ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას.

2. თავდების პასუხისმგებლობის **წინაპირობები.** ა) სამართლებრივი ძალის მქონე თავდებობის ხელშეკრულება (წერილობითი ფორმა, § 766); **ბ)** ძირითადი მოთხოვნის არსებობა (სულ ცოტა, განსაზღვრებადი მოთხოვნისა) (აქცესორულობა; დეტალურად იხ. § 767); **გ)** ე. წ. თავდებობის პასუხისმგებლობის გარემოების დადგომა: ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, მიუხედავად ამ უკანასკნელის ვადამოსულობისა; **დ)** თავდების შესაგებლების არარსებობა (ამის შესახებ იხ. აქვე, ქვემოთ).

3. თავდების სამართლებრივი დაცვის საშუალებები. თავდებს აქვს შემდეგი შესაგებლები კრედიტორის მოთხოვნის მიმართ (განსაკუთრებული თვისებები გამომდინარეობს თავდებობის როგორც აქცესორული და სუბსიდიური უზრუნველყოფის საშუალებიდან): ა) თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზოგადი შესაგებლები, მაგ.: ბათილობა ფორმის დაუცველობის გამო, ვალდებულებისაგან

გათავისუფლება, ხანდაზმულობა; ზნეობის ნორმების დარღვევისა და გარიგების საფუძვლის დარღვევის გამო ბათილობისათვის იხ. § 138-ის მე-6 ველი; **ბ) უფლებრივი მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებული შესაგებლები**, § 770 (აქცესორულობა!); თავდება არ ევალება შესრულება მანამ, სანამ ძირითად მოვალეს შეუძლია უზრუნველყოფილი მოთხოვნა შეცვალოს **აღმჭურველი უფლების გამოყენებით**; **გ) თავდება პირის შესაგებლის უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას**, §§ 771-773 (სუბსიდიურობა!); როგორც წესი, თავდება უნდა შეასრულოს ვალდებულება მხოლოდ ძირითადი მოვალის მიმართ უშედეგო იძულებითი აღსრულების მცდელობის შემდეგ; თუმცა, განსხვავებული წესია დადგენილი ე. წ. **თავების მიერ ვალის დამოუკიდებლად კისრებისას**, § 773, №1; **დ) (სასამართლოს მიერ გასათვალისწინებელი) შესაგებლები**, § 776-იდან (უარი დამატებით უზრუნველყოფაზე) და § 777-იდან გამომდინარე (ვალის გასვლა); **ე) კრედიტორის მიმართ ძირითადი მოვალის კუთვნილი ყველა შესაგებელი (აქცესორულობა!)**, § 768; **ვ) ძირითად მოვალესთან შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე შესაგებლების (ცნება იხ. § 774-ის მე-2 ველი) კრედიტორის მიმართ წარდგენა თავდება არ შეუძლია (აბსტრაქციის პრინციპი).**

4. პირველი მოთხოვნისთანავე თავდებობის შემთხვევაში, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკრედიტო ინსტიტუტებისათვის, თავდება მნიშვნელოვნად შეზღუდულია სამართლებრივი დაცვის საშუალებებში, რამდენადაც ისინი თავად გაფორმებული ხელშეკრულებიდან არ გამომდინარეობს (იხ. მაგ., BGHZ, 143, 381). კერძოდ კი, მას შეუძლია არა შესაგებლების წარდგენა ძირითადი ვალის წინააღმდეგ, არამედ უშუალოდ ეკისრება ვალდებულების შესრულება, როდესაც კრედიტორი ითხოვს ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და მიუთითებს მის ვადამოსულობაზე. ამ პირობის მიზანია კრედიტორის სწრაფი დაკმაყოფილება, ისევე როგორც პროცესუალური რისკების თავდებაზე გადატანა: ხშირად სადავო საკითხი, არსებობდა თუ არა, ფაქტობრივად ძირითადი მოთხოვნა, თავდებას შეუძლია გაარკვიოს კრედიტორის მიმართ (რამდენადაც, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელს ეკისრება მტკიცების ტვირთი) რეგრესული სარჩელით აღძრულ პროცესში. თუ კრედიტორმა თავდებობის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის თანახმად, ვალდებულების შესრულება უკანონოდ მიიღო, მაშინ არა მხოლოდ თავდება, არამედ კრედიტორთან დადებული უზრუნველსაყოფი პირობების საფუძველზე ძირითად მოვალესაც ეკუთვნის საკუთარი რეგრესის მოთხოვნის უფლება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია უკანონოდ გახდილი თანხის თავდებისათვის გადაცემაზე. თუ რეგრესული სარჩელის განხილვისას (ამის შესახებ იხ. მე-5 ველი) თავდება განუვლი ხარჯები უკვე აუნაზღაურდა ძირითადი მოვალის მიერ, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგოდ მოთხოვნილი თავდების შესრულების მის მიმართ განხორციელება (BGHZ, 139, 325, 328). ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის ურთიერთობის პროცესში, – ისევე როგორც კრედიტორის წინააღმდეგ თავდების რეგრესული სარჩელით აღძრულ პროცესში, – უნდა დადგინდეს თავდებობის პასუხისმგებლობის გარემოების დადგომის ყველა მატერიალური წინაპირობა, რომელთა არსებობაც უნდა დამტკიცდეს ასევე კრედიტორის მიერაც (BGHZ, 152, 246).

5. თავდებასა და ძირითად მოვალეს შორის ურთიერთობაში არსებობს თავდების რეგრესული მოთხოვნა, რომლის რეალიზაციის შესაძლებლობას კანონი იძლევა მოთხოვნის კანონისმიერი გადაცემით, § 774 (იხ. იქვე).

6. განსხვავება სხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან. თავდებობის განსხვავება კრედიტის უზრუნველყოფის სხვა პირადი საშუალებებისაგან, უპირველეს ყოვლისა, არსებითია იმის გამო, რომ § 766-ით დადგენილი წერილობითი ფორ-

მის დაცვის შესახებ მოთხოვნის შეუსრულებლობა დაუშვებელია. გადამწყვეტია არა შერჩეული დასახელება, არამედ განმარტების გზით (§§ 133, 157) დასადგენი უზრუნველყოფის ეკონომიკური მიზანი (მდრ. *Palandt-Sprau* § 765-ის შესავლის მე-17 ველი).

ა) (ფორმის გარეშეც ნამდვილი) **კუმულაციური ვალის გადაკისრება** ნარმოშობს ახალი მოვალის დამოუკიდებელ ვალდებულებას (განსხვავებული წესი მოქმედებს თავდებობის შემთხვევაში: სხვა პირის ვალისათვის აქცესორული პასუხისმგებლობა!); ფორმის დაცვის მოთხოვნის დაუცველობის კომპენსირებისათვის, ზოგადი შეხედულების თანახმად, კუმულაციური ვალის გადაკისრების წინაპირობა არის ახალი მოვალის **საკუთარი უშუალო ინტერესი**; დეტალურად იხ. ზემოთ, § 414-ის მე-10 ველი.

ბ) ხელშეკრულების თავისუფლების (§ 311) ფარგლებში დაშვებული **საგარანტიო ხელშეკრულების** შემთხვევაში, გარანტიის მიმცემი კისრულობს განსაზღვრული შედეგის მიღწევის ვალდებულებას, რაც შეიძლება ასევე გამოიხატებოდეს ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების (დროული) შესრულებით. მართალია, კუმულაციური ვალის გადაკისრების შემთხვევაში ხდება ახალი ვალდებულების ნარმოშობა, მაგრამ საგარანტიო ხელშეკრულებით გარანტიის პასუხისმგებლობა უფრო მეტია, ვინაიდან გარანტიის მიმცემის მიერ ვალდებულების კისრება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევისათვისაც, როდესაც ძირითადი ვალი არ ნარმოიშობა (*MüKo-Möschel*, § 414-ის შესავალი 23-ე ველი). ამიტომ საგარანტიო ხელშეკრულების კისრებისათვის აუცილებელი წინაპირობაა მისაღწევ შედეგში გარანტიის მიმცემის განსაკუთრებული **მყარი ეკონომიკური ინტერესი**. მაგ.: საკრედიტო ბარათების სანარმოს ვალდებულება საკრედიტო ბარათების კრედიტორების წინაშე.

§ 766. თავდებობის განცხადების წერილობითი ფორმა

¹თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა თავდებობის განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენა. ²თავდებობის განცხადების ელექტრონული ფორმით წარდგენა გამორიცხულია. ³იმდენად, რამდენადაც თავდები ასრულებს ძირითად ვალდებულებას, ფორმის ნაკლი სწორდება.

1. **ფორმის დაცვის მოთხოვნა** ემსახურება თავდების დაცვას თავდებობის რისკებისაგან; ამიტომ იგი მოქმედებს მხოლოდ თავდების მხრიდან გამოსავლენი ნების (თავდებობის განცხადების) მიმართ და არა კრედიტორის მიერ მის მიღებას, რაც უსიტყვოდაც კი შეიძლება განხორციელდეს (*BGH WM*, 1978, 266). დაცვის ფუნქციიდან მომდინარეობს ასევე ფორმის დაცვის აუცილებლობის **ფარგლები**: წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების არსებით შინაარსს, როგორებიცაა კრედიტორისა და მოვალის პიროვნება და უზრუნველსაყოფი მოთხოვნის მოცულობა. კანონით გათვალისწინებული თავდების დაცვა რომ უზრუნველყოფილ იქნეს, პირველი ნაწილის გაგებით, „წარდგენა“ ნიშნავს, რომ წერილობითი განცხადება კრედიტორს, სულ ცოტა, დროებით მაინც უნდა წარედგინოს; ეს ვერ მოხდება ფაქსით გაგზავნილი დოკუმენტით თავდებობის კისრების შემთხვევაში (*BGHZ*, 121, 224). **საბლანკო თავდებობა** აკმაყოფილებს ფორმის დაცვის მოთხოვნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავდებმა ბლანკის შევსებაზე გასცა წერილობითი უფლებამოსილება ხელშეკრულების არსებითი შინაარსის შესახებ (*BGHZ*, 132, 119). § 766-ით გათვალისწინებული დაცვის მიზანი ვერ განხორციელდებოდა, თუ საკმარისად ჩაითვლებოდა ფორმის დაცვის გარეშე გაცემული უფლებამოსილება, რაც დაკავშირებულია ბლანკის უბრალო ხელმოწერასთან. ფორმის მხრივ, ბათილი უფლებამოსილების მიუხედავად, ბლანკის ხელმოწერი სამართლებრივი თვალსაზრისით მაინც აგებს პასუხს, როდესაც კრედიტორს ხელთ აქვს სრული დოკუმენტი და საიდანაც არ გამომდინარეობს, რომ იგი დამატებით სხვა დოკუმენტით განივრცო (*BGH aaO*).

- 2 **2. წერილობითი ფორმის დაცვა** აუცილებელი არ არის, როდესაც თავდებობის კისრების შესახებ აცხადებს მენარმე პირი **სავაჭრო გარიგების** სახით, სავაჭრო კოდექსის § 350; ამ შემთხვევაში ნაჩქარევი გადანყვეტილებისაგან დაცვა საჭირო აღარ არის. გარდა ამისა, შიდა ურთიერთობაში თავდებობა ხშირად სასყიდლიანია და შესაბამისად თავდებობის რისკების სავალდებულო გათვლა ცვლის დაცვის ფუნქციას (*Medicus/Lorenz SchR II 1009-ე ველი*). ფორმის ნაკლის **გამოსწორება შესრულებით, მე-3 წინადადება**; შესრულების შემცველები (მაგ., გაქვითვა, დეპონირება უკან გამოთხოვის მოთხოვნის უფლებით) საკმარისია.

§ 767. თავდებობის ვალდებულების ფარგლები

(1) ¹თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. ²ეს წესი მოქმედებს, **კერძოდ**, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ძირითადი ვალდებულება შეიცვლება ძირითადი მოვალის ბრალის ან ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შედეგად. ³**გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის კისრების შემდეგ, თავდების ვალდებულება არ გაიზრდება.**

(2) თავდები პასუხისმგებელია კრედიტორისათვის ძირითადი მოვალის მიერ ასანაზღაურებელი ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლოში საქმის განხილვის ხარჯებისათვის.

- 1 **1. აქცესორულობა.** ნორმით ვლინდება თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულების მყარი დამოკიდებულება უზრუნველყოფილ ძირითად ვალდებულებაზე: თავდებობის **არარსებობა** სამართლებრივი ძალის მქონე ძირითადი ვალის გარეშე; კრედიტორის იდენტიურობა ძირითადი ვალდებულებიდან და თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებისათვის; თავდების პასუხისმგებლობის მოცულობის მუდმივი **ცვლილება** ძირითადი ვალის მოცულობის მიხედვით (პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, პასუხისმგებლობის მოცულობის **გაზრდაც**, კერძოდ, ვადაგადაცილების პროცენტების გადახდევინებით ან ძირითადი მოვალის მიერ ზიანის ანაზღაურებით; გარდა ამისა, მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოში საქმის განხილვისათვის ხარჯების ანაზღაურებით); თავდებობის **შეწყვეტა** ძირითადი ვალდებულების შეწყვეტის შედეგად (გამონაკლისები გამომდინარეობს თავდებობის საუზრუნველყოფო მიზნიდან; იხ. ქვემოთ მე-2 ველის ბოლოში). ვრცელდება თუ არა სესხის უზრუნველსაყოფად ნაკისრი თავდებობა სესხის ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში ასევე მოვალის მიმართ კრედიტორის მოთხოვნის უფლებაზეც, უსაფუძვლო გამდიდრების ნესების შესაბამისად, დამოკიდებულია ყოველი თავდებობის ხელშეკრულების განმარტებაზე (**BGH NJW, 1987, 2076, 2077**). გარდა აღნიშნულისა, აქცესორულობა ვლინდება ასევე იქიდანაც, რომ თავდებს შეუძლია ძირითადი მოვალის შესაგებლების გამოყენება, **§ 768**, აგრეთვე, თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების ძირითადი მოთხოვნის ცესიონერზე **კანონისმიერი გადასვლის შემთხვევაში, § 401**, პირველი ნაწილი (შდრ. **§ 398-ის** შესავლის მე-12 ველი), ასევე, ძირითადი ვალის გარეშე, თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების გადაცემის დაუშვებლობიდან (შდრ. **§ 398-ის** შესავლის მე-6 ველი).

- 2 **2.** ძირითად ვალზე დამოკიდებულების **ფარგლები** გამომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, **პირველი ნაწილის მე-3 წინადადებიდან: გარიგების საფუძველზე** პასუხისმგებლობის ფარგლების შემდგომში **გაფართოება** (მაგ., თავდებობით უზრუნველყოფილი კრედიტის გაფართოება) არ მოქმედებს თავდების მიმართ, რომელსაც სხვა შემთხვევაში შედეგად მოუწევდა მისთვის უცნობი სხვა პირის კუთვნილი ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობა (სხვა პირის მხრიდან განკარგვის აკრძალვა); თუმცა, გარიგებით პასუხისმგებლობის შემცირება, პირიქით, დაუყოვნებლივ მოქმედებს თავდების სასარგებლოდ (შდრ. პირველი ნაწილის პირველი

წინადადება). ფორმულარის ფორმით შედგენილი თავდებობის გავრცელება საქმიანობიდან გამომდინარე ყველა არსებულ და მომავალ მოთხოვნებზე არ შეესაბამება პირველი ნაწილის მე-3 წინადადებაში მოცემული კანონის სახელმძღვანელო გადწყვეტილებას მომავალ მოთხოვნებთან დაკავშირებით და, შესაბამისად, ეწინააღმდეგება § 307-ის მე-2 ნაწილის №1-ს; არსებული მოთხოვნების შემთხვევაში ფორმულარის ფორმით შედგენილი თავდებობის გავრცელება თავდებისათვის შეუსაბამოდ დიდი ზიანის მომტანი იქნებოდა § 307-ის პირველი ნაწილის გაგებით (BGHZ, 143, 95, 98). ხელშეკრულების განვრცობითი განმარტების შედეგად (იხ. § 306 მე-2 ველი) ბათილი პირობის ადგილს იკავებს პასუხისმგებლობა ვალის მოცულობით, რაც იყო თავდებობის კისრების საფუძველი (BGHZ, 137, 153, შემდგომი მითითებებით). გარდა აღნიშნულისა, თავდებობის აქცესორულობა შეზღუდულია უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნა აგრძელებს არსებობას, როგორც დამოუკიდებელი მოთხოვნა, როდესაც ძირითადი ვალი ძირითადი მოვალის გაკოტრების გამო მცირდება, ან წყდება (BGHZ, 82, 323, 326); მაგ., მემკვიდრის შეზღუდული პასუხისმგებლობა (§§ 768-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, 1975 და შემდეგი პარაგრაფები), იურიდიული პირის გაუქმება ქონების არარსებობის გამო. ამ შემთხვევებში თავდების შესაგებლების შესახებ იხ. § 768-ის მე-2 ველი.

§ 768. თავდების შესაგებელი

(1) ¹თავდებს შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებელი. ²თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს იმ ფაქტზე, რომ მემკვიდრე ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ შეზღუდულად.

(2) თავდები არ კარგავს შესაგებლის უფლებას იმის გამო, რომ ძირითადი მოვალე უარს ამბობს მასზე.

1. **ზოგადი მიმოხილვა.** პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, შესაგებლის გადაცემა გამომდინარეობს თავდებობის აქცესორულობიდან. ამავე დროს, თავდები არ არის შეზღუდული ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლებით, მას შეუძლია ასევე დამოუკიდებლად საკუთარი ზოგადი საწინააღმდეგო უფლებებისა (მაგ., კრედიტორის მოთხოვნის გაქვითვა თავის მოთხოვნასთან) და თავდებობის ურთიერთობიდან გამომდინარე (იხ. § 765-ის ზოგადი მიმოხილვის მე-3 ველი) სპეციალური შესაგებლების გამოყენება.

2. ა) თავდებს შეუძლია ძირითადი მოვალის კუთვნილი ყველა შესაგებლის გამოყენება (პირველი ნაწილის პირველი წინადადება, მაგ.: ხანდაზმულობა, შესრულების გადავადება, ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე შესაგებელი), მაგრამ, რა თქმა უნდა, თავდებობის უზრუნველყოფის მიზნის გამო მას არ შეუძლია იმ შესაგებების გამოყენება, რომლებიც გამოწვეულია ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობით. თუმცა, ძირითადი ვალის ხანდაზმულობაზე მითითება თავდებს შეუძლია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქონების არქონის გამო ძირითადი მოვალე, როგორც სამართლის სუბიექტი, უქმდება; შესაბამისად, ხანდაზმულობა არ არის დამოკიდებული გაკოტრებაზე (BGHZ, 153, 337; კრიტიკა იხ. Peters NJW 2004, 1430). თავდები არ კარგავს შესაგებლის უფლებას იმის გამო, რომ ძირითადი მოვალე უარს ამბობს მასზე (მე-2 ნაწილი). ამ პოზიციის დასაბუთება ხდება § 767-ის პირველი ნაწილის მე-3 წინადადებით გათვალისწინებული აქცესორულობის პრინციპიდან შესაბამისი გამონაკლისის სახით: თავდები არ უნდა იყოს დამოკიდებული ძირითადი მოვალის თვითნებობაზე; ბ) პირველი და მე-2 ნაწილები მოიცავს მხოლოდ მხარეების ინიციატივით წარდგენილ შესაგებლებს, მაგრამ არა სასამართლოს მიერ გასათვალისწინებელ შესაგებლებს (როგორცაა: ბათილობა ფორმის დაუცველობის გამო, § 125; განცხადებული გაქვითვიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების პროტესტი, § 389); ეს უკანასკნელები

უშუალოდ ზემოქმედებს მოთხოვნაზე და სარგებლის მომტანია თავდებისათვის უკვე § 767-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად.

- 3 **3.** მხოლოდ ძირითად მოვალეს შეუძლია ძირითადი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე **აღმჭურველი უფლებების** (როგორცაა: შეცილება, ხელშეკრულებიდან გასვლა, გაქვითვა) განხორციელება; თავდებს აქვს მხოლოდ § 770-ით გათვალისწინებული გადავადების შესაგებელი. თუმცა, ამ უკანასკნელთა გამოყენების შედეგად წარმოიშობა აღმჭურველი უფლებებიდან გამომდინარე შესაგებლები, რომლებიც, § 767-ის პირველი ნაწილის თანახმად, მოქმედებს ასევე თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულების მიმართ. მაგ., ძირითადი მოვალის მიმართ შესაძლო გაქვითვის განცხადებამდე თავდებს შეუძლია, § 770-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე; განცხადების შედეგად ძირითადი ვალი წყდება (§ 389) და, შესაბამისად, თავდებობაც უქმდება (§ 767-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).
- 4 **4.** თავდებს არა აქვს უფლება, გამოიყენოს ძირითადი მოვალის **მემკვიდრეების** კუთვნილი სამკვიდროს აქტივით პასუხისმგებლობის (§ 1975 და შემდეგი პარაგრაფები) შეზღუდვის შესაგებელი (**პირველი ნაწილის მე-2 წინადადება**), ვინაიდან ასეთი შესაგებლის გადაცემა ეწინააღმდეგება თავდებობის არსსა და მიზანს. ეს შესაგებელი აზღვევს კრედიტორს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც ძირითადი მოვალის ქონება არ არის საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (*Medicus/Lorenz SchR II 524-ე ველი*). პარალელური დანაწესი ეხება § 1629-ის მე-3 ნაწილს – **სრულწლოვანების ასაკს მიღწეული ძირითადი მოვალის** მხრიდან გამოვლენილი პასუხისმგებლობის შეზღუდვას; არასრულწლოვანი პირის კრედიტორს შეუძლია დაეყრდნოს თავდების პასუხისმგებლობას.

§ 769. ერთობლივი თავდებობა

თუ ერთი და იმავე ვალდებულებისათვის თავდებობას კისრულობს რამდენიმე პირი, მაშინ ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები მაშინაც კი, როდესაც მათ თავდებობა ერთობლივად არ უკისრიათ.

§ 770. შესაგებელი გარიგების საცილობასა და ვალდებულების გაქვითვაზე მითითებით

(1) თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს, საცილო გახადოს თავისი ვალდებულების საფუძვლად არსებული გარიგება.

(2) ანალოგიური უფლება აქვს თავდებს, ვიდრე კრედიტორს შეუძლია ძირითადი მოვალის ვადამოსული მოთხოვნის დაკმაყოფილება გაქვითვის გზით.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** ვინაიდან, ერთი მხრივ, აღმჭურველი უფლებების გამოყენების უფლებამოსილება გაყოფას არ ექვემდებარება (და, ამდენად, ძირითადი მოვალის კუთვნილი სხვა საპირისპირო უფლებების მსგავსად მისი „რეალიზაცია“ შეუძლებელია, შდრ. § 768-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება), ხოლო მეორე მხრივ, ძირითადი ვალი აღმჭურველი უფლებების განხორციელების შესაძლებლობის განმავლობაში მერყევ მდგომარეობაში იმყოფება, რაც თავდების მიმართ ვალდებულების შესრულების მოთხოვნას გაუმართლებელს ხდის. ნორმა მერყევი მდგომარეობის ვადის განმავლობაში თავდებს ანიჭებს უფლებას, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე: **გადავადების (დილატორული) შესაგებელი.**
- 2 **2.** ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების **წარმოშობა** – ძირითადი მოვალის (ან კრედიტორის, მე-2 ნაწილი) კუთვნილი აღმჭურველი უფლების გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. **პირველი ნაწილის შესაბამისი**

გამოყენება სხვა აღმჭურველი უფლებების მიმართ (მაგ., ხელშეკრულებიდან გასვლა; გაბატონებული შეხედულება, *Larenz/Canaris SchR II/2 § 60 III 1a*).

3. აღმჭურველი უფლების **გამოყენება** იწვევს შესაგებლის **გაუქმებას** (შედეგები: § 768-ის მე-3 ველი), ასევე ძირითადი მოვალის მხრიდან, ასევე – **უარის** გზით (განსხვავებით § 768-ის მე-2 ნაწილისაგან), – აღმჭურველი უფლებების სხვაგვარად დაკარგვა. თავდები უნდა დაემორჩილოს მოვალის როგორც აღმჭურველი უფლების მფლობელის გადაწყვეტილებას.

4. სადავოა, შეუძლია თუ არა თავდებს **მე-2 ნაწილის** სიტყვასიტყვითი ტექსტიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა, როდესაც **მხოლოდ ძირითად მოვალეს**, და არა კრედიტორს (§§ 393, 394-ის გამო), შეუძლია გაქვითვის განცხადება. ზოგიერთს (*Hk-Staudinger* მე-5 ველი) სურს, აგრეთვე დაუშვას, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენება, ვინაიდან, პირველი ნაწილის თანახმად, ძირითადი მოვალის კუთვნილი აღმჭურველი უფლებები მოქმედებს ასევე თავდების სასარგებლოდაც (აქცესორულობა). საწინააღმდეგო მოსაზრება (მაგ., *Hk-Staudinger-Horn*, {1997}, მე-9 ველი; *Larenz/Canaris SchR II/2 § 60 III 3a*) არ იზიარებს კანონის სიტყვასიტყვითი ტექსტიდან გადახვევას: გაქვითვის შესაძლებლობა ვერ გაიგივდება სხვა აღმჭურველ (ვადებთან დაკავშირებულ) უფლებებთან.

§ 771. თავდები პირის შესაგებლის უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას (*Einrede der Vorausklage*)

¹თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი უშედეგოდ არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას (თავდები პირის შესაგებლის უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას). ²თუ თავდები წარადგენს შესაგებელს, რომლითაც უარს აცხადებს კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას, თავდების მიმართ კრედიტორის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება მანამდე, სანამ კრედიტორი უშედეგოდ არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.

თავდები პირის შესაგებლის უფლებით, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას, მჟღავნდება ძირითადი ვალის მიმართ თავდების პასუხისმგებლობის **სუბსიდიურობა**: კრედიტორს არ შეუძლია თავდების მიმართ მოთხოვნის წარდგენა მანამდე, სანამ იგი ძირითადი მოვალის მიმართ არ განახორციელებს უშედეგო იძულებით აღსრულებას. ვალდებულების შესრულების უარის უფლების აღნიშვნა შეცდომაში შემყვანია, ვინაიდან ძირითადი მოვალის მიმართ წარდგენილი სარჩელი არც აუცილებელია (განსხვავებული წესია სააღსრულებო ფურცლის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 794) და არც საკმარისი. საკმარისია **აღსრულების ერთჯერადი მცდელობა** იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ძირითადი მოვალე მოგვიანებით გამდიდრდება. როდესაც – როგორც სტანდარტული შემთხვევისას – თავდებობა უზრუნველყოფს ფულად მოთხოვნას, გასათვალისწინებელია § 772-ის თავისებურებები.

§ 772. კრედიტორის ვალდებულება იძულებით აღსრულებასა და რეალიზაციაზე

(1) თუ თავდებობა ნაკისრია ფულადი ვალდებულებისათვის, მაშინ იძულებითი აღსრულება ძირითადი მოვალის მოძრავი ნივთების მიმართ უნდა განხორციელდეს მის საცხოვრებელ ადგილზე, ხოლო თუ ძირითად მოვალეს აქვს საწარმოო

ერთეული სხვა ადგილზე, ასევე ამ უკანასკნელზე, ანდა საცხოვრებელი ადგილისა და საწარმოო ერთეულის არარსებობისას – მის ადგილსამყოფელზე.

(2) თუ კრედიტორს აქვს გირავნობის უფლება ან დაკავების უფლება ძირითადი მოვალის მოძრავ ნივთზე, მაშინ იგი ასევე უნდა ეცადოს დაკმაყოფილების მიღებას ამ ნივთიდან; თუ კრედიტორს აქვს ანალოგიური უფლება ნივთზე ასევე სხვა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, მაშინ ეს წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნივთის ღირებულებიდან იფარება ორივე მოთხოვნა.

§ 773. თავდები პირის შესაგებლის უფლების, – უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას, – გამორიცხვა

(1) თავდების შესაგებლის უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას, გამორიცხულია:

1. თუ თავდები უარს ამბობს შესაგებელზე, კერძოდ კი, თუ მან იკისრა თავდებობა როგორც დამოუკიდებელმა მოვალემ;
2. თუ ძირითადი მოვალის წინააღმდეგ სასამართლოში საქმისწარმოება არსებითად გაძნელდა თავდებობის კისრების შემდეგ მომხდარი ძირითადი მოვალის საცხოვრებელი ადგილის, საწარმოო ერთეულის ან ადგილსამყოფელის ცვლილების გამო;
3. თუ ძირითადი მოვალის ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმისწარმოება;
4. თუ სავარაუდოა, რომ ძირითადი მოვალის ქონებაზე იძულებით აღსრულებას შედეგად არ მოჰყვება კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

(2) **№№3, 4** შემთხვევებში შესაგებელი დასაშვებია იმდენად, რამდენადაც კრედიტორს შეუძლია მოთხოვნის დაკმაყოფილების მიღება ძირითადი მოვალის კუთვნილი მოძრავი ნივთიდან, რომელზეც მას აქვს გირავნობის უფლება ან დაკავების უფლება; გამოიყენება § 772-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა.

- 1 თავდები პირის შესაგებლის უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას, **გამორიცხულია**, როდესაც თავდები არ იმსახურებს დაცვას, კერძოდ კი, შესაგებელზე უარის თქმისა და №1-ის შესაბამისად (საბანკო პრაქტიკაში – სახელმძღვანელო წესია, ექვემდებარება § 766-ით გათვალისწინებულ ფორმას!), ვალის დამოუკიდებელი მოვალის სახით კისრების შემთხვევაში, ანდა როდესაც თავდებობის კისრების შესახებ აცხადებს მენარმე პირი სავაჭრო გარიგების სახით (სავაჭრო კოდექსის § 349, შდრ. ასევე § 766-ის მე-2 ველი); და, გარდა აღნიშნულისა, როდესაც კრედიტორი ვერ ახორციელებს სასამართლოში საქმისწარმოებას, ვინაიდან ეს უკანასკნელი არსებითად გაძნელებული (№2) ან აზრსმოკლებულია (№№3, 4; თუმცა, გასათვალისწინებელია ასევე მე-2 ნაწილი).

§ 774. მოთხოვნის კანონისმიერი გადასვლა

(1) ¹იმდენად, რამდენადაც თავდები აკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. ²მოთხოვნის გადასვლა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრედიტორის ინტერესების საზიანოდ. ³ძირითადი მოვალის შესაგებელი, რომელიც ეფუძნება მასა და თავდებს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, უცვლელი რჩება.

(2) თანათავდებები ერთმანეთის მიმართ პასუხს აგებენ მხოლოდ § 426-ის მიხედვით.

1. **თავდების რეგრესის უფლება.** თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მას, როგორც წესი, ძირითადი მოვალისაგან რეგრესის წესით დაკმაყოფილების ორი შესაძლებლობა აქვს:

ა) ე. წ. **შიდა ურთიერთობიდან** გამომდინარე, რომელიც თავდებობის ვალდებულების კისრების სამართლებრივი საფუძველია, ძირითადად: დავალება, სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება. ამ შემთხვევაში რეგრესი ხორციელდება §§ 675, 670 ან §§ 683, 670-თან ერთად, § 670-ის თანახმად, ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მეშვეობით.

ბ) **მოთხოვნის კანონისმიერი გადასვლა:** შიდა ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად კანონი (**პირველი ნაწილის პირველი წინადადება**) გამომდინარეობს იქიდან, რომ თავდები არ უნდა იყოს „ვალდებულების შესრულების საბოლოო დაზარალებული“; ამიტომ მოვალის მიმართ რეგრესული ძირითადი მოთხოვნა გადადის თავდებზე; ძირითადი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადგენილი **აქცესორული უზრუნველყოფი უფლებები** (გირავნობები, იპოთეკები; სხვა თავდებობების მიმართ მოქმედებს მე-2 ნაწილის სპეციალური დანაწესი), §§ 412, 401-ის თანახმად, მიჰყვება ძირითად მოთხოვნას და ამჯერად უზრუნველყოფს თავდების რეგრესულ მოთხოვნას. თავისი რეგრესული მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად, §§ 412-ისა და 401-ის თანახმად, თავდებს კრედიტორის მიმართ აქვს ასევე ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება **არააქცესორული უზრუნველყოფი უფლებების** გადაცემაზე, როგორებიცაა, მაგ., საუზრუნველყოფო მინის ვალი ან უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლება (BGHZ, 110, 41, 43). **პირველი ნაწილის მე-3 წინადადების** თანახმად, ძირითად მოვალეს შეუძლია, შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე შესაგებლების გამოყენება ასევე თავდებზე გადასული ძირითადი მოთხოვნის მიმართ.

გ) სადავოა ორივე რეგრესული მოთხოვნის რეალიზაციის გზის ურთიერთ-მიმართება. როდესაც გაბატონებული შეხედულების თანახმად (*Palandt-Sprau* მე-4 ველი), ორი დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება იკვეთება, უმცირესობის შეხედულების მიხედვით, სახეზეა მხოლოდ ერთი მოთხოვნის უფლება. არგუმენტაცია: პირველი ნაწილის მე-3 წინადადება. დავის მნიშვნელობა: მხოლოდ უმცირესობის შეხედულების თანახმად შეუძლია მოვალეს მოთხოვნის შემთხვევაში შიდა ურთიერთობიდან გამომდინარე (§ 670) ძირითადი მოთხოვნის წინააღმდეგ მიმართული დასაბუთებული შესაგებლების გამოყენება. დაწვრილებით იხ. *MüKo-Habersack*, მე-15 და 21-ე ველები, შემდგომი მითითებებით.

2. თუ რამდენიმე თავდები ერთდროულად აგებს პასუხს (**თანათავდებები**), მაშინ მე-2 ნაწილი განმარტავს, რომ კრედიტორის არასრული მოცულობით დამაკმაყოფილებელ თავდებს არ შეუძლია მისი თანათავდებების მიმართ რეგრესული მოთხოვნის წაყენება; ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიიღებდა პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული *cessio legis*-ის მეშვეობით, ძირითად მოთხოვნასთან ერთად, §§ 412, 401-ის თანახმად, ასევე მოთხოვნის უფლებებს მისი თანათავდებების მიმართაც. § 426-ზე მითითება გულისხმობს იმას, რომ ვალდებულების შემსრულებელ თავდებს შეუძლია არა მთლიანი თანხის ოდენობით, არამედ მხოლოდ თავისი თანათავდებობის ფარგლებში ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან ეს უკანასკნელი არსებობს მის მიმართ შიდა ურთიერთობაში („*pro-rata*“ პასუხისმგებლობა, საეჭვოობისას – სულადობრივად, § 426-ის პირველი ნაწილი). თუ თანათავდებებმა ვალდებულება იკისრეს განსხვავებული ზღვრული თანხების ოდენობით, რომელთა ჯამი აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას, მაშინ განსხვავებული შეთანხმების არარსებობისას ერთმანეთს შორის წილთა გათანაბრება ხორციელდება გარე ურთიერთობაში კრედიტორის წინაშე ნაკისრი პასუხისმგებლობის რისკის მიხედვით (BGHZ, 137, 292; BGH NJW, 2009, 437, №10).

- 6 **3.** მე-2 ნაწილის შესაბამისი ნორმა არ არსებობს **თავდებობასა და სანივთო უზრუნველყოფას შორის კონკურენციის** შემთხვევაში. თუ გ-ს მოთხოვნა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილია გირავნობით ან იპოთეკით დ-ს ხარჯზე და, მეორე მხრივ, იგი უზრუნველყოფილია ბ-ს თავდებობით, მაშინ ჩანს, რომ იმ უზრუნველყოფის მიმცემს შეუძლია ყოველთვის თავისი უზრუნველყოფის თანამიმცემისაგან სრული რეგრესის მიღება, რომელიც კრედიტორს პირველად დააკმაყოფილებს: თუ დ ასრულებს გ-ს მიმართ, მაშინ მოთხოვნა ბ-ს თავდებობასთან ერთად, §§ 1225, 1143 და §§ 412, 401-ის თანახმად, გადადის დ-ზე; თუ შესრულებას ახორციელებს ბ, მაშინ იგი, §§ 774-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების, 412, 401-ის თანახმად, იძენს ასევე იპოთეკას ან გირავნობას. ამიტომ – ძირითადი მოვალის მიერ ქონების არქონის შემთხვევაში – საბოლოოდ უზრუნველყოფის ის მიმცემი, რომელიც არ აკმაყოფილებს კრედიტორს, ყოველთვის სრულად ვალდებული რჩება, რაც გამოიწვევდა **უზრუნველყოფის მიმცემებს შორის შეჯიბრს** კრედიტორის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.
- 7 **ბ)** არააქცესორული და, შესაბამისად, იმ მიწის ვალისათვის, რომელსაც არ მოიცავს § 401, რეგრესის მიღების კანონისმიერი დანაწესი გათვალისწინებული არ არის; ამდენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, **არსებობს თუ არა** რეგრესის მიღების შესაძლებლობა. თუ მესაკუთრე (რომელიც არ არის სესხის მოვალე) ახდენს მიწის ვალით უზრუნველყოფილი ვალდებულების გადახდას, აქ არ აქვს ადგილი მოთხოვნის გადაცემას და ასევე არ ხდება თავდებობის გადასვლა (§ 1143, როგორც იპოთეკის აქცესორულობის დამდგენი ნორმა, მიწის ვალის მიმართ არ გამოიყენება). თუმცა, მესაკუთრეს შეუძლია გადახდის შემდეგ უზრუნველყოფის ხელშეკრულების საფუძველზე კრედიტორისგან მოითხოვოს რეგრესული მოთხოვნის დათმობა, რის შედეგადაც, § 401-ის თანახმად, თავდებობაც გადადის მოთხოვნის ახალ მფლობელზე (შდრ. § 1191-ის მე-19 ველი). პირიქით, გადამხდელ თავდებს, როგორც წესი, შეუძლია კრედიტორისაგან მოითხოვოს არააქცესორული უზრუნველყოფი უფლებების დათმობა (იხ. მე-3 ველი). ამიტომაც, ამ შემთხვევაში, რეგრესული მოთხოვნის რეალიზაციის შესაძლებლობა, როგორც ჩანს, დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, ვინაიდან უზრუნველყოფის ის მიმცემი იშუქრება სრული რეგრესული მოთხოვნის მიღებით, რომელიც ჯერ იხდის და ამის შედეგად იძენს რეგრესის შესაძლებლობას.
- 8 **გ)** ამდენად, ის, თუ **როგორ და რა მოცულობით** აგებს პასუხს უზრუნველყოფის მიმცემი შიდა ურთიერთობაში, პირდაპირ არ არის მოწესრიგებული. ძველ ლიტერატურაში ნაწილობრივ აღიარებული იყო, რომ თავდებს უნდა ჰქონოდა უპირატესობა სანივთო უზრუნველყოფის მიმცემთან შედარებით. ვინაიდან § 776-ში, ასევე § 216-ში კანონი უპირატესობას ანიჭებდა თავდებს პირადი უზრუნველყოფის მიმცემთან შედარებით. ამის შემდეგ თავდებს აქვს რეგრესის უფლება. დღევანდელი მდგომარეობით, სრულად გაზიარებული **გაბატონებული შეხედულების** თანახმად, თავდებობა და სანივთო უზრუნველყოფა კანონით **თანაბარსაფეხურიანი უზრუნველყოფის საშუალებებია**. ამდენად, ერთმანეთს შორის ურთიერთობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება § 426 (BGHZ, 108, 179; BGH NJW, 2009, 437 №13; *Larenz/Canaris* SchR II/2 § 60 IV 3). უზრუნველყოფის იმ მიმცემზე, რომელიც აკმაყოფილებს კრედიტორს, გადადის აქცესორული უზრუნველყოფის საშუალებები, §§ 412, 401/§ 426-ის მე-2 ნაწილის თანახმად, **იმ მოცულობით**, რომლითაც მას შეუძლია რეგრესული მოთხოვნის რეალიზაცია, § 426-ის პირველი ნაწილის შესაბამისად. არააქცესორული უზრუნველყოფის საშუალებები ექვემდებარება დათმობას აღნიშნული მოცულობით. § 426-ის პირველი ნაწილის ანალოგიით, ნილთა თანაბრობის ფარგლებში სანივთო უზრუნველყოფის მიმცემი ვალდებული არა გადახდაზე, არამედ მხოლოდ მის მიერ წარდგენილი უზრუნველყოფის მიხედვით ამ უზრუნველყოფის **რეალიზაციის** თმენაზე. § 426-ის შესაბამისად, ნილთა

კომპენსაციის ოდენობა, როგორც წესი, განისაზღვრება სულადობრივად, ხოლო გარე ურთიერთობაში განსხვავებული პასუხისმგებლობის მოცულობის შემთხვევაში კი – მსგავსად ზღვრული თანხის თავდებისა (მე-5 ველი) – ნაკისრი პასუხისმგებლობის რისკის მიხედვით (BGH NJW, 2009, 437 №15)¹²⁸.

§ 775. თავდების თავდებობისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება

(1) თუ თავდები იკისრებს თავდებობას ძირითადი მოვალის დავალებით, ან, თუ, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების მიხედვით, თავდებობის კისრების გამო აქვს რწმუნებულის უფლებები ძირითადი მოვალის მიმართ, მაშინ მას შეუძლია, ამ უკანასკნელისაგან მოითხოვოს თავდებობისაგან გათავისუფლება:

1. თუ ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა;
2. თუ ძირითადი მოვალის წინააღმდეგ სასამართლოში საქმისწარმოება არსებითად გაძნელდა თავდებობის კისრების შემდეგ მომხდარი ძირითადი მოვალის საცხოვრებელი ადგილის, საწარმოო ერთეულის ან ადგილსამყოფელის ცვლილების გამო;
3. თუ ძირითადი მოვალე გადააცილებს თავისი ვალდებულების შესრულების ვადას;
4. თუ კრედიტორმა თავდების წინააღმდეგ მიიღო სასამართლოს გადაწყვეტილება ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც ექვემდებარება აღსრულებას.

(2) თუ ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მოვალეს შეუძლია, ვალდებულებისაგან გათავისუფლების ნაცვლად თავდებს წარუდგინოს უზრუნველყოფა.

§ 776. უარი უზრუნველყოფაზე

¹თუ კრედიტორი უარს ამბობს მოთხოვნასთან დაკავშირებულ უპირატეს უფლებაზე, მის უზრუნველსაყოფად არსებულ იპოთეკასა თუ საზღვაო ხომალდზე დადგენილ იპოთეკაზე, მის უზრუნველსაყოფად არსებულ გირავნობის უფლებასა თუ თანათავდების მიმართ არსებულ უფლებაზე, მაშინ თავდები თავისუფლდება ვალდებულებისაგან იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი, § 774 მიხედვით, შეძლებდა ანაზღაურების მიღებას იმ უფლებიდან, რომელზეც მან უარი თქვა. ²ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც, თუ უფლება, რომელზეც კრედიტორმა უარი თქვა, წარმოიშვა მხოლოდ თავდებობის კისრების შემდეგ.

§ 777. ვადიანი თავდებობა

(1) ¹თუ თავდებმა არსებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად თავდებობა იკისრა განსაზღვრული ვადით, მაშინ ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ კრედიტორი, § 772 მიხედვით, დაუყოვნებლივ არ ახორციელებს მოთხოვნის რეალიზაციას, აგრძელებს საქმისწარმოებას არსებითი დაყოვნების გარეშე და დაუყოვნებლივ საქმისწარმოების დასრულების შემდეგ ატყობინებს თავდებს, რომ იგი მას წარუდგენს გადახდის მოთხოვნას. ²თუ თავდებს არა აქვს შესაგებლის უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას, მაშინ იგი განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ კრედიტორი დაუყოვნებლივ არ წარუდგენს აღნიშნულ შეტყობინებას.

(2) თუ შეტყობინება კეთდება დროულად, მაშინ თავდების პასუხისმგებლობა, პირველი ნაწილის პირველი წინადადების შემთხვევაში, იზღუდება იმ მოცულობით, რომელიც ძირითად ვალდებულებას აქვს საქმისწარმოების დასრულების

მომენტისათვის, ხოლო პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შემთხვევაში, – იმ მოცულობით, რომელიც ძირითად ვალდებულებას აქვს განსაზღვრული ვადის გასვლისას.

§ 778. კრედიტის გაცემის დავალება

პირი, რომელიც აძლევს დავალებას სხვა პირს, საკუთარი სახელითა და ხარჯით მესამე პირზე გასცეს სესხი ან ფინანსური დახმარება, სესხის ან ფინანსური დახმარებიდან გამომდინარე, მესამე პირის ვალდებულებისათვის მარწმუნებლის წინაშე პასუხს აგებს როგორც თავდები.

კარი 21. მორიგება

§ 779. მორიგების ცნება, შეცდომა მორიგების საფუძველში

(1) ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა ან გაურკვეველობა აღმოიფხვრება ურთიერთდამობის გზით (მორიგება), სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე საფუძველად გამოყენებული ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება სინამდვილეს და დავა ან გაურკვეველობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა სცოდნოდათ.

(2) სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით გაურკვეველობას უთანაბრდება ისეთი შემთხვევა, როდესაც მოთხოვნის უფლების განხორციელება საეჭვოა.

- 1 **1. მიზანი და წინაპირობები.** მორიგება არის საკონსტატაციო ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები აღწევენ სამართლებრივ მშვიდობასა და უსაფრთხოებას და რომელშიც ისინი ადგენენ თავიანთ ორმხრივ უფლებებსა და ვალდებულებებს არსებული ან არსებულად მიჩნეული სამართლებრივი ურთიერთობიდან. არსებობს თუ არა მათ შორის დავა ან გაურკვეველობა, უნდა გადაწყდეს მხარეთა სუბიექტური შეხედულებიდან გამომდინარე. ორმხრივი დათმობა აუცილებელია, რომც იყოს იგი მხოლოდ მცირემნიშვნელოვანი ანუ სუბიექტური; მნიშვნელოვანია განსხვავების დადგენა, მაგ., ფორმასავალდებულო აბსტრაქტული ვალის აღიარების განცხადებისაგან (იხ. § 780-ის მე-3 ველი), ვინაიდან მორიგება შეიძლება დაიდოს ფორმის დაცვის გარეშე, თუ იგი არ შეიცავს ფორმასავალდებულო ვალდებულებებს ან განკარგვებს.
- 2 **2. შინაარსი და სამართლებრივი ძალა.** სადავო სამართლებრივი ურთიერთობა, ჩვეულებრივ, რჩება როგორც ასეთი და დგინდება მხოლოდ შემათანხმებელი სტატუსი. ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში (ე. წ. ნოვაციით), როდესაც მხარეებს ეს სურდათ (განმარტება!); ასე ხდება, მაგ., ზოგადი წესით, მორიგების გაფორმების შემთხვევაში მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, თავდაპირველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე (BGH NJW-RR, 1987, 1426). გარდა ამისა, მორიგებაში შეიძლება შეთანხმებულ იქნეს ასევე ახალი ვალდებულებები და განხორციელდეს უშუალო განკარგვები.
- 3 **3. მორიგების ბათილობა და უსწორობა** რეგულირდება, უპირველეს ყოვლისა, ზოგადი ნორმებით. მორიგების შეთანხმების ბათილობა ავტომატურად არ იწვევს განხორციელებული განკარგვების ბათილობას (აბსტრაქციის პრინციპი!). პირველი ნაწილი ეხება ერთობლივ შეცდომას მორიგების საფუძველში, ასევე – გარეგების სუბიექტურ საფუძველში შეცდომის განსაკუთრებულ შემთხვევას. ნორმის წინაპირობა არის, რომ მხარეები ცდებიან იმ ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ,

რომლებიც სცილდებოდა დავას ან გაურკვეველობას; შეცდომა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა მონესრიგდეს სწორედ მორიგებით და, ამდენად, არის მორიგების საგანი, შედეგად არ იწვევს პირველი ნაწილის გამოყენებას და მხედველობაში არ მიიღება (BGH NJW, 2007, 838, ქვემოთ №12). სიტყვა „ფაქტობრივი მდგომარეობა“ არ უნდა იქნეს გაგებული სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით; შესაბამისად, მხოლოდ წმინდა შეცდომა ფაქტში კი არ იწვევს მორიგების ბათილობას, არამედ ასევე შეცდომა უფლებაშიც, რამდენადაც ის მოიცავს ისეთ ფაქტებს, რომლებსაც განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა მორიგების დადებისათვის (BGH NJW, 1961, 1460; რთულია განსხვავების დადგენა უმნიშვნელო „წმინდა“ უფლებაში შეცდომისაგან, იხ., მაგ., LG Tübingen, NJW-RR, 1997, 472, შემდგომი მითითებებით). მორიგება სამართლებრივი ძალის არმქონეა, პირველი ნაწილის თანახმად, მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმის ნამდვილი ვითარების ცოდნის შემთხვევაში თავიდან იქნებოდა აცილებული ისეთი დავა ან გაურკვეველობა, რომელიც უნდა მოგვარდეს მორიგებით.

4. პროცესუალურ მორიგებას ორმაგი სამართლებრივი ბუნება აქვს (გაბატონებული შეხედულება), ვინაიდან იგი ერთდროულად მოიცავს მატერიალურ ხელშეკრულებასა (§ 779-ის გაგებით) და მხარეთა საპროცესო მოქმედებას, რომლითაც ეს უკანასკნელები ასრულებენ დავას, ვინაიდან მორიგება მოიცავს დავის საგანს. მხარეებს შეუძლიათ ასევე შეთანხმება სხვა სადავო საკითხებზე. დადებითი მხარეები: პროცესუალური მორიგება აკმაყოფილებს ფორმასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოთხოვნას (§ 127ა) და არის აღსრულებას ქვემდებარე აქტი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 794-ის პირველი ნაწილის №1). უარის თქმის დათქმა ზოგადი წესით არის არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან გასვლა, §§ 346-ისა და შემდეგი პარაგრაფების გაგებით, არამედ გადადების პირობა, § 158-ის პირველი ნაწილის გაგებით (BGHZ, 88, 364, 366). მორიგების **მატერიალურსამართლებრივი ძალა** წყდება მხოლოდ მატერიალური ხარვეზის შემთხვევაში (შდრ. ზევით, მე-3 ველი). ის **სამართლებრივი შედეგები კი, რომლითაც ხდება პროცესის დასრულება**, პირიქით, წყდება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მორიგებას, როგორც პროცესუალურ მოქმედებას, გამოსწორებადი ხარვეზები არ ახასიათებს, არამედ ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მორიგება, მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, თავიდანვე ბათილი იყო, ან შეცილების შედეგად **ex tunc** გაბათილდა (BGHZ, 28, 171); თუმცა, პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ მორიგების შემდგომი გამორიცხვის შემთხვევაში, მაგ., § 323-ის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის (BGHZ, 16, 388) ან ცვლილების შეტანისა თუ გაუქმების შესახებ ხელშეკრულების შემთხვევაში (BGHZ, 41, 310; განსხვავებული შეხედულება შრომის სამართლისათვის იხ. BAG NJW, 1983, 2212).

კარი 22. ვალის შეპირება, ვალის აღიარება

§ 780-ის შესავალი

1. ვალის შეპირება და ვალის აღიარება ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, დგინდება თუ არა დამოუკიდებელი ვალდებულება (§ 780), თუ უნდა მოხდეს უკვე არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება (§ 781). ორივე ფორმისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები პრაქტიკაში ცვალებადია.

2. მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, თუ რა **კავშირშია** შესაბამისი ვალის შეპირება ან ვალის აღიარება **კავშირით-სამართლებრივ ურთიერთობასთან** (Ehmann, WM 2007, 329).

ა) აბსტრაქტულია (დამოუკიდებელი, კონსტიტუციური) ვალდებულების შესრულების შეპირება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი იდება მის საფუძვლად არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, კრედიტორი იძენს ახალ, დამოუკიდებელ მოთხოვნას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას არ უნდა ჰქონდეს ძირითადი ურთიერთობიდან გამომდინარე განხორციელებადი უფლებები (დეტალურად იხ. § 780-ის პირველი-მე-6 ველები, § 781-ის პირველი ველი).

3 ბ) კაუზალურად (დამადასტურებლად, დეკლარაციულად) კი, პირიქით, მოქმედებს ვალდებულების შესრულების შეპირება, როდესაც მხარეებს ფაქტის დამდგენი ან ცვლილებების შესახებ მორიგების (§ 779) მსგავსი ხელშეკრულებით სურთ ერთმანეთს შორის (სადავო) ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებულად აღიარება ისე, რომ კრედიტორს დამატებით არ ესაჭიროება ახალი მოთხოვნის უფლების საფუძვლის მითითება (დეტალურად იხ. § 780-ის მე-7 ველი, § 781-ის მე-2-მე-7 ველები).

4 3. ორივე ზემოაღნიშნული სამართლებრივი ფორმა უნდა განვასხვაოთ ასევე ე.წ. მარტივი აღიარებისაგან, ანუ მხოლოდ მოვალის მხრიდან იმ უბრალო განცხადებისაგან, რომ იგი შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ამ ერთადერთი განზრახვისა თუ ინფორმირებულობის გამომხატველი განცხადება მოვალისათვის მატერიალურ-სამართლებრივად მბოჭავი არ არის; იგი არ ანიჭებს მატერიალურსამართლებრივი მოთხოვნის უფლებას. მისი მიზანი უფრო ისაა, რომ კრედიტორს ჰქონდეს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საშუალება, ვინაიდან მარტივი აღიარება შედეგად იწვევს მტკიცების ტვირთის სხვა პირზე გადატანას (BGHZ, 66, 250, 254): თუ კრედიტორმა დაამტკიცა განცხადების გაკეთების ფაქტის არსებობა, მაშინ ამ უკანასკნელის უსწორობის შესახებ მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს (BGH NJW, 1984, 799). გარდა აღნიშნულისა, უკვე მარტივი აღიარება შედეგად იწვევს ხანდაზმულობის ახალი ვადის დენის დაწყებას, § 212-ის პირველი ნაწილის №1, ხოლო გარემოებათა გათვალისწინებით მას შეუძლია, ასევე გამოიწვიოს პასუხისმგებლობა სამართლებრივი მდგომარეობის ან culpa in contrahendo-დან გამომდინარე (§§ 280-ის პირველი ნაწილი, 311-ის მე-2 ნაწილი) (Larenz/Canaris SchR II/2 § 61 III 2b). მაგალითები: უბედური შემთხვევის შემდეგ განცხადება, როგორც წესი, მიიჩნევა მარტივ აღიარებად (თუმცა, იხ. § 781, მე-7 ველი); ანალოგიური წესი მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 840-ის თანახმად გაკეთებული განცხადების მიმართაც (გაბატონებული შეხედულება, BGHZ, 69, 328, 330).

5 4. ნეგატიური ვალის აღიარებისათვის იხ. § 397-ის მე-2 ნაწილი. პროცესუალური აღიარებისათვის (წმინდა პროცესუალური მოქმედება, გაბატონებული შეხედულება) იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 307. საგადახდო სისტემაში აღიარებისათვის იხ. § 675გ-ს მე-3 ველი, § 675ვ-ს მე-2 ველი.

§ 780. ვალის შეპირება

იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც ხდება ვალდებულების შესრულების შეპირება ისე, რომ შეპირება თავისთავად უნდა წარმოშობდეს ვალდებულებას (ვალის შეპირება), საჭიროა შეპირების წერილობით გაცემა, თუ სხვა ფორმა არ არის დადგენილი. შეპირების ელექტრონული ფორმით გაცემა გამორიცხულია.

1 1. ნორმა აწესრიგებს აბსტრაქტულ ვალის შეპირებას (იხ. § 780-ის შესავლის მე-2 ველი). ამ შემთხვევაში იდება ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება. შეთანხმების მიზანი, ძირითადად, არის კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულების წერილობითი შეპირებით სასამართლოში საქმის განხილვის გამარტივება (მდრ. §§ 253-ის მე-2 ნაწილის №2, 592 და შემდეგი პარაგრაფები, სამოქა-

ლაქო საპროცესო კოდექსის § 794-ის პირველი ნაწილის №5). მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს მხოლოდ აბსტრაქტული ხელშეკრულების დადების ფაქტი; შედეგად მოვალეს უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად (იხ. ქვემოთ მე-6 ველი) შესაგებლთან დაკავშირებით ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ კაუზალური ვალდებულება არ არსებობს. გარდა ამისა, შესაძლებელია ასევე, რომ მხარეებს სურდეთ მოთხოვნის დამატებით უზრუნველყოფა, ძირითადი ურთიერთობიდან გამომდინარე.

ა) მხარეთა შეთანხმება მიმართული უნდა იყოს მოვალის აბსტრაქტული ვალის შეპირებისკენ. მხოლოდ მოვალის განცხადებაა მიღებასავალდებულო, § 130. განცხადების გაკეთება შესაძლებელია ასევე კონკლუდენტურად, მაგ., მინის ვალის დამდგენ დოკუმენტში დაუყოვნებელი იძულებითი აღსრულებისადმი დაქვემდებარებით; მისი მიღება შეიძლება განხორციელდეს ასევე კონკლუდენტური მოქმედებითაც (BGH WM, 1976, 254, 255).

ბ) წერილობითი ფორმის დაცვა (§ 126) საჭიროა მხოლოდ შეპირების განცხადებისათვის; იგი ემსახურება სამართლებრივ უსაფრთხოებას და, ამავე დროს, იცავს ასევე მოვალესაც ნაჩქარევი შეპირებისაგან (სადავოა). გამონაკლისები: § 782; საეჭრო კოდექსის § 350. უფრო მკაცრი ფორმები არსებობს შეპირების საგნის (§ 311ბ-ს პირველი ნაწილი, მე-3 ნაწილი) ან სახეობის გამო (მაგ., ჩუქების სახით შეპირება, § 518-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).

გ) სამართლებრივი შედეგები. კრედიტორი იძენს ახალ დამოუკიდებელ მოთხოვნის უფლებას. რამდენადაც მხარეთა განზრახვაა მხოლოდ ვალდებულების გამყარება, ამ მოთხოვნის უფლება თავდაპირველი ვალდებულების ნაცვლად უზრუნველყოფს სხვა ვალდებულებას (§ 364-ის მე-2 ნაწილი) და მასთან ერთად არსებობს ასევე კაუზალური ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. კაუზალური მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან იწყება, § 212-ის პირველი წინადადების №1.

დ) თავად ვალის შეპირების წინააღმდეგ მიმართული შესაგებლებისათვის მოქმედებს ზოგადი წესები. ბაზისური გარიგებიდან გამომდინარე შესაგებლები, როგორც წესი, აბსტრაქტული შესრულების შეპირების ნამდვილობას არ ეხება. გამონაკლისები: მაგ., შეცდომის იდენტიფიკაცია (შდრ. § 138-ის მე-5 ველი), §§ 656-ის მე-2 ნაწილი, 762-ის მე-2 ნაწილი.

ე) საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, მიიღება მხედველობაში, როდესაც ვალის შეპირება ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ვინაიდან კაუზალურ მოთხოვნის უფლებას უპირისპირდებოდა უფლების წარმოშობის გამომრიცხავი ან უფლების მომსპობი შესაგებელი, ანდა აღიარების მიზანი ველარ მიიღწეოდა. მოვალეს შეუძლია დაუპირისპიროს კრედიტორს შესაგებელი უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად (§ 821), ან მოითხოვოს აღიარების შედეგად უსაფუძვლოდ მიღებული დაბრუნება, § 812-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად (BGH NJW, 1991, 2140 აბსტრაქტულ აღიარებას უთანაბრებს თანხის შეტანას კლიენტის საბანკო ანგარიშზე). გამონაკლისები: უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისი შესაგებლის გამორიცხვა ხელშეკრულებით, ასევე – §§ 214-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება, 813-ის მე-2 ნაწილი, 814, 817-ის მე-2 წინადადება. შესაგებელი, უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, არ შეიძლება ეფუძნებოდეს ასევე იმას, რომ კაუზალური მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია (BGH NJW, 2010, 1144, №22) ამ დასკვნას ასაბუთებს სასამართლო პრაქტიკა § 216-ის მე-2 ნაწილის ანალოგიით, თუმცა, ის მოიცავს ასევე §§ 214-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებიდან, 813-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე გამონაკლისს (Jacoby, JZ, 2010, 464)¹²⁹.

129 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

7 **2. კაუზალური ვალის შეპირება**, მართალია, არის § 780-ით გაუთვალისწინებელი, თუმცა, § 311-ის პირველი ნაწილით დაშვებული სახელშეკრულებო შეპირება არა უბრალოდ ვალდებულების შესრულებაზე, არამედ შესრულებაზე მხოლოდ განსაზღვრული კაუზალური გარიგების საფუძველზე. ამ ვალდებულებას აზრი აქვს, მაგ., იმ შემთხვევაში, როდესაც მისი კისრება ხდება სხვა პირის წინაშე, ნაცვლად კაუზალური მოთხოვნის კრედიტორისა (*Larenz/Canaris II/2 SchR § 61, III*).

§ 781. ვალის აღიარება

¹იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც ხდება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება (ვალის აღიარება), საჭიროა აღიარების განცხადების წერილობით გაცემა. ²აღიარების განცხადების ელექტრონული ფორმით გაცემა გამოირიცხულია. ³თუ იმ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დასადგენად, რომლის არსებობის აღიარება ხდება, დადგენილია სხვა ფორმა, მაშინ ვალის აღიარების ხელშეკრულება საჭიროებს ამ ფორმას.

1 **1. აბსტრაქტული ვალის აღიარება** არის მოვალის დამოუკიდებელი შეპირება კრედიტორის მიმართ, მის საფუძველად არსებული მოთხოვნის უფლების შესრულებასთან დაკავშირებით. **მიზანი:** სასამართლოში საქმის განხილვის გაადვილება (§ 780-ის პირველი ველი). თუმცა, გასათვალისწინებელია ასევე ისიც, რომ უნდა დადგინდეს კაუზალური მოთხოვნა; აბსტრაქტული ვალის აღიარება უნდა განვასხვაოთ კაუზალური აღიარებისა (ქვემოთ, მე-2 და შემდეგი ველები) და ნოვაციისაგან (იხ. § 362-ის შესავლის პირველი ველი). წინაპირობების, სამართლებრივი შედეგებისა და შესაგებლების შესახებ იხ. § 780-ის მე-2-მე-6 ველები.

2 **2. კაუზალური ვალის აღიარება** (ძირითადად, აღინიშნება როგორც „დეკლარატორული“ აღიარება) არის § 780-ით გაუთვალისწინებელი, თუმცა, § 311-ის პირველი ნაწილით დაშვებული სახელშეკრულებო შეთანხმება კრედიტორსა და მოვალეს შორის ვალდებულების შესრულების შესახებ. მისი **მიზანია**, ვალდებულებით-სამართლებრივმა ურთიერთობამ მთლიანად ან, სულ ცოტა, განსაზღვრულ ფარგლებში უზრუნველყოს დავისა თუ გაურკვევლობის თავიდან აცილება და ეს უკანასკნელი საბოლოოდ მოწესრიგდეს (*BGHZ, 66, 250, 254*).

3 **ა) მხარეთა შეთანხმება** მიმართულია ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისა თუ შეცვლისაკენ და არა ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დადგენისაკენ; კაუზალური ვალის აღიარება უნდა განვასხვაოთ აბსტრაქტული (ზევით, პირველი ველი) და მარტივი აღიარებისაგან (იხ. § 780-ის შესავლის მე-3 ველი), ასევე დადასტურებისაგან, § 141.

4 **ბ) გაბატონებული შეხედულების თანახმად**, კაუზალური ვალის აღიარება შეიძლება დაიდოს **ფორმის დაცვის გარეშე**. აქედან გამომდინარეობს ზეპირი ფორმით აღიარების განცხადებების განსაკუთრებული საფრთხე მოვალისათვის.

5 **გ) სამართლებრივი ძალა.** კაუზალური ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა განისაზღვრება მხარეთა მიერ შეთანხმებული სტატუსით. თუ იგი არ შეესაბამება რეალურ სამართლებრივ მდგომარეობას, მაშინ მას აქვს მოთხოვნის უფლების შემცველი ან, საერთოდაც, პოტენციურად დამდგენი სამართლებრივი ძალა (*BGHZ, 66, 250, 254*). კაუზალური ვალის აღიარება, ზოგადი წესით, გამოირიცხავს ყველა იმ შესაგებელს, რომლებიც ცნობილი იყო მოვალისათვის განცხადების გაკეთების დროს, ან, რომლებიც, სულ ცოტა, მას მხედველობაში ჰქონდა; უცნობ შესაგებლებზე უარის განცხადება მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი არაორაზროვნად გამოიხატება (*BGH, NJW, 1971, 2220; OLG Hamm, NJW-RR, 1987, 1330, 1332*). ხანდაზმულობის ვადის დენის თავიდან დაწყება გამომდინარეობს ძირითადი გარიგებიდან, § 212-ის პირველი ნაწილის №1.

6 **დ) თავად ვალის აღიარების წინააღმდეგ მიმართული შესაგებლებისათვის** მოქმედებს ზოგადი წესები. ძირითადი გარიგებიდან გამომდინარე შესაგებლები კი,

პირიქით, როგორც წესი, ვალის აღიარების ნამდვილობას არ ეხება (რომლებზეც უარი სურს სწორედ მოვალეს). შესაბამისად, არც (განსხვავებით § 780-ის მე-6 ველში განხილული შემთხვევისაგან), უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად, კომპენსაციის გადახდა არის შესაძლებელი (BGHZ, 66, 250, 254). არ არის აუცილებელი, ასაღიარებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, ფაქტობრივად, არსებობდეს, თუმცა, სულ ცოტა, იგი „შესაძლებელი“ უნდა იყოს (BGHZ, 66, 250, 254). რა თქმა უნდა, მხარეებს შეუძლიათ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მოგვარება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი შედის მათ განკარგვით უფლებამოსილებაში. ამიტომაც კაუზალური ვალის აღიარება ბათილია, როდესაც იგი ეხება იმ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც, თავის მხრივ, ბათილია იმპერატიული რეგულირების შედეგად (მაგ., §§ 134, 138) (BGHZ, 104, 18, 24).

ე) მაგალითები: ვალის აღიარებები უბედური შემთხვევის შემდეგ არის კაუზალური ვალის აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალეს სურს გარიგებით ბოჭვა; ამდენად, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, აუცილებელია, რომ მხარეთა შორის არსებობდეს ფაქტობრივი დავა ან გაურკვეველობა პასუხისმგებლობის საკითხებთან დაკავშირებით (BGH NJW, 1984, 799; განსხვავებული შეხედულება – *Larenz/Canaris* SchR II/2 § 61 III 2a: საკმარისი იქნებოდა უკვე მტკიცებულების მდგომარეობის უზრუნველყოფის ნება და პოლიციის ჩართვის თავიდან აცილება). სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ცესიონერის მიმართ (მაგ., ბანკის მიმართ ამ უკანასკნელის შეკითხვით მოთხოვნის არსებობისა და გადაცემაუნარიანის მიხედვით) მოვალის დადასტურების განცხადებები, როგორც წესი, უნდა შეფასდეს როგორც კაუზალური აღიარება (BGH NJW, 1971, 2220, შდრ. ასევე BGHZ, 69, 328, 331; შეზღუდულად – *Larenz/Canaris* SchR II/2 § 61 III 2b). აღნიშნული ყველა შემთხვევაში ეჭვს არ იწვევს, როდესაც სახეზეა მოვალის საკუთარი ინტერესი (მაგ., ინტერესი იმისა, რომ ცედენტმა ბანკისგან მიიღოს კრედიტი).

§ 782. ფორმის თავისუფლება მორიგების შემთხვევაში

თუ ვალის შეპირება ან ვალის აღიარება ხორციელდება გადახდისა თუ მორიგების გზით, მაშინ §§ 780, 781-ით გათვალისწინებული წერილობითი ფორმის დაცვა სავალდებულო არ არის.

კარი 23. ორდერი

§ 783. ორდერიდან გამომდინარე უფლებები

თუ პირი მესამე პირს გადასცემს დოკუმენტს, რომელშიც იგი აძლევს განკარგულებას სხვა პირს ფულის, ფასიანი ქაღალდების ან სხვა მოძრავი ნივთების მესამე პირისათვის გაცემაზე, მაშინ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, საკუთარი სახელით მოითხოვოს გადამხდელის მიერ ვალდებულების შესრულება; გადამხდელი უფლებამოსილია დააკმაყოფილოს შესრულების მიმღები ორდერის გამცემის ხარჯზე.

§ 784. განკარგულების მიღება

(1) თუ გადამხდელი იღებს ორდერს, მაშინ იგი ვალდებულია, განახორციელოს შესრულება შესრულების მიმღების მიმართ; მას შეუძლია, ამ უკანასკნელს დაუპირისპიროს მხოლოდ ისეთი შესაგებელი, რომელიც ეხება მიღების ნამდვილობას ან გამომდინარეობს ორდერის ან მიღების შინაარსიდან, ანდა შესრულების მიმღების მიმართ უშუალოდ ეკუთვნის გადამხდელს.

(2) ¹მიღება ხორციელდება ორდერზე წერილობითი აღნიშვნით. ²თუ ორდერზე აღნიშვნა კეთდება ორდერის შესრულების მიმდებარისათვის გადაცემამდე, მაშინ მიღება ამ უკანასკნელის მიმართ ძალაშია მხოლოდ გადაცემის მომენტიდან.

§ 785. ორდერის გადაცემა

გადამხდელი ვალდებულია შესრულებაზე მხოლოდ ორდერის გადმოცემის საცვლოდ.

§ 786. (გაუქმებულია)

§ 787. ორდერი ვალის კისრებაზე

(1) ვალის კისრებაზე ორდერის შემთხვევაში, გადამხდელი თავისუფლდება ვალდებულებისაგან ამ ვალის ოდენობის შესრულებით.

(2) ორდერის მიღებასა თუ შესრულების მიმდებარის მიმართ შესრულებაზე გადამხდელი ორდერის გამცემის წინაშე არ არის ვალდებული მარტო იმის გამო, რომ იგი ორდერის გამცემის მოვალეა.

§ 788. სავალუტო ურთიერთობა

თუ ორდერის გამცემი ორდერს გასცემს შესრულების მიმდებარის წინაშე თავისი ვალდებულების შესრულების მიზნით, მაშინ გადამხდელის ვალდებულების შესრულება ხორციელდება მხოლოდ გადამხდელის მხრიდან შესრულების მიმდებარის მიმართ შესრულებით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გადამხდელი ორდერს იღებს.

§ 789. შესრულების მიმდებარის შეტყობინების ვალდებულება

¹თუ გადამხდელი უარს ამბობს ორდერის მიღებაზე ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე, ან თუ იგი უარს ამბობს ვალდებულების შესრულებაზე, მაშინ შესრულების მიმდებარე ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ორდერის გამცემს. ²ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ შესრულების მიმდებარის არ შეუძლია, ან არ სურს ორდერის რეალიზაცია.

§ 790. ორდერის გამოთხოვა

¹ორდერის გამცემს შეუძლია ორდერი გამოითხოვოს გადამხდელისაგან მანამდე, სანამ ეს უკანასკნელი არ მიიღებს მას შესრულების მიმდებარის მიმართ, ან არ განახორციელებს შესრულებას. ²ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ ორდერის გამცემი ორდერის გამოთხოვით არღვევს შესრულების მიმდებარის მიმართ მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.

§ 791. მონაწილის გარდაცვალება ან ქმედუნარობა

ორდერი არ უქმდება ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალების ან მისი ქმედუნარობის დადგომის გამო.

§ 792. ორდერის გადაცემა

(1) ¹შესრულების მიმდებარეს მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებით შეუძლია ორდერი გადასცეს ამ უკანასკნელს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი ჯერ კიდევ არ არის მიღებული. ²გადაცემის განცხადება მოითხოვს წერილობით ფორმას. ³გადაცემისათვის საჭიროა ორდერის მესამე პირისათვის ფაქტობრივი გადაცემა.

(2) ¹ორდერის გამცემს შეუძლია გადაცემის გამორიცხვა. ²გამორიცხვა გადამხდელის მიმართ ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამომდინარეობს

ორდერიდან ან თუ იგი ორდერის გამცემის მიერ გადამხდელისათვის შეტყობი-
ნებულია მანამდე, სანამ ეს უკანასკნელი მიიღებს ორდერს, ან განახორციელებს
შესრულებას.

(3) ¹თუ გადამხდელი იღებს ორდერს შემძენის მიმართ, მაშინ მას არ შეუძლია
წარადგინოს შესაგებელი მასა და შესრულების მიმღებს შორის არსებული სამარ-
თლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. ²დანარჩენ ნაწილში ორდერის გადა-
ცემის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება მოთხოვნის დათმობის მიმართ მოქმედი
ნორმები.

კარი 24. საწარმდგენლო ფასიანი ქალაღდი

§ 793-ის შესავალი

1. ფასიანი ქალაღდი. ფასიანი ქალაღდი არის დოკუმენტი, რომელიც პირის უფ-
ლებას ასახავს დოკუმენტურად იმგვარად, რომ მას მხოლოდ დოკუმენტის წარდ-
გენით შეუძლია უფლების განხორციელება. ა) დოკუმენტურად ასახული უფლების
სახეთა მიხედვით განასხვავებენ ნევრობის მიმნიჭებელ ფასიან ქალაღდებს (მაგ.,
აქციები), მოთხოვნის უფლების მიმნიჭებელ ფასიან ქალაღდებს (მაგ., საწარმდ-
გენლო ფასიანი ქალაღდი, § 793) და სანივთო უფლების მიმნიჭებელ ფასიან ქა-
ღაღდებს (მაგ., მინის ვალის სერთიფიკატი); ბ) ფასიანი ქალაღდიდან უფლებამო-
სილი პირის განსაზღვრის წესის მიხედვით განასხვავებენ საწარმდგენლო, სახე-
ლობით, საორდერო და ლეგიტიმაციურ ფასიან ქალაღდებს.

2. საწარმდგენლო ფასიანი ქალაღდი. საწარმდგენლო ფასიანი ქალაღდის შემ-
თხვევაში, დოკუმენტში ასახული უფლება ეკუთვნის მის მფლობელს, რომლის
სახელიც არ საჭიროებს დოკუმენტში მითითებას. დოკუმენტის ფლობის გარეშე
უფლების რეალიზაცია შეუძლებელია. დოკუმენტში ასახული უფლების გადაცემა
ხორციელდება ფასიანი ქალაღდის ფაქტობრივი გადაცემით, § 929-ისა და შემდე-
გი პარაგრაფების თანახმად: ფასიანი ქალაღდიდან გამომდინარე უფლება მიჰყ-
ვება უფლებას ფასიან ქალაღდზე. მაგალითებია: თავად საწარმდგენლო ფასიანი
ქალაღდი (§ 793), საწარმდგენლო ჩეკი ან მცირე საწარმდგენლო ფასიანი ქალაღ-
დი. საწარმდგენლო ფასიან ქალაღდებს არ მიეკუთვნება, § 807-ში მოწესრიგებული
საწარმდგენლო ბილეთები და ტალონები, როგორებიცაა: შესვლის ბილეთი, ერთ-
ჯერადი მგზავრობის ბილეთი ან სასაჩუქრე ბარათები.

3. სახელობითი ფასიანი ქალაღდი. სახელობითი ფასიანი ქალაღდის შემთხვევა-
ში, დოკუმენტში ასახული უფლება ეკუთვნის მასში დასახელებულ პირს. ფასიანი
ქალაღდის გადაცემა ხორციელდება, § 952-ის თანახმად, დოკუმენტში ასახული უფ-
ლების დათმობით (§ 398 და შემდეგი პარაგრაფები). ფასიანი ქალაღდიდან გამომ-
დინარე უფლება მიჰყვება უფლებას ფასიან ქალაღდზე. მაგალითებია: იპოთეკის
სერტიფიკატი ან კვალიფიციური ლეგიტიმაციური ფასიანი ქალაღდები (იხ. § 808).

4. საორდერო ფასიანი ქალაღდი. საორდერო ფასიანი ქალაღდის შემთხვევა-
ში, განსახორციელებელი შესრულება შეპირებულია მასში დასახელებული უფლე-
ბამოსილი პირის მიმართ. სხვა პირისათვის მოთხოვნის დასათმობად (ორდერი),
ფასიანი ქალაღდის ფაქტობრივ გადაცემასთან ერთად, აუცილებელია, § 929-ისა
და შემდეგი პარაგრაფების თანახმად, უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების
ფასიან ქალაღდში ასახვა (ინდოსამენტი). განასხვავებენ, ერთი მხრივ, საორდერო
ფასიან ქალაღდებს, რომლებიც თავიანთი ბუნებით ბრუნვაუნარიანია წარწერის –
„განკარგულებით“ – გარეშე, როგორებიცაა: თამასუქი ან ჩეკი; და, მეორე მხრივ,
საორდერო ფასიან ქალაღდებს, რომლებიც ბრუნვაუნარიანი ხდება წარწერის –
„განკარგულებით“ – დამატების შემდეგ, როგორებიცაა კომერციული საორდერო

ფასიანი ქალაქები, სავაჭრო კოდექსის § 363-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად.

- 5 5. ლეგიტიმაციური ფასიანი ქალაქები.** ა) კვალიფიციური ლეგიტიმაციური ფასიანი ქალაქები ასევე ფასიანი ქალაქებია. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც მათ გამცემს (მოვალეს) ანიჭებს უფლებას, განახორციელოს შესრულება დოკუმენტის ნებისმიერი მფლობელის მიმართ, რის შედეგადაც ვალდებულება წყდება. მაგალითია შემნახველი ნიგნაკი, იხ. § 808; ბ) ფასიანი ქალაქებს არ მიეკუთვნება **მარტივი** ლეგიტიმაციური დოკუმენტები, რადგანაც ისინი დოკუმენტურად ასახავს არა უფლებას, არამედ ემსახურება მტკიცების გაადვილებას. ამ ლეგიტიმაციური ნიშნების წარდგენა აუცილებელი არ არის. მაგალითია გარდერობის უქტონი ან ბარგის ქვითარი.

§ 793. სანარმდგენლო ფასიანი ქალაქიდან გამომდინარე უფლებები

(1) ¹თუ პირმა გასცა დოკუმენტი, რომელშიც იგი დოკუმენტის მფლობელს ჰპირდება ვალდებულების შესრულებას (სანარმდგენლო ფასიანი ქალაქი), მაშინ მფლობელს შეუძლია მოსთხოვოს მას შესრულება შეპირების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არ არის უფლებამოსილი დოკუმენტის განკარგვაზე. ²თუმცა, დოკუმენტის გამცემი თავისუფლდება ვალდებულებისაგან ისეთი მფლობელის მიმართ შესრულების განხორციელებითაც, რომელიც არ არის უფლებამოსილი დოკუმენტის განკარგვაზე.

(2) ¹ხელმოწერის ნამდვილობა შეიძლება დამოკიდებული გახდეს დოკუმენტში გათვლისწინებული სპეციალური ფორმის დაცვაზე. ²ხელმოწერისთვის საკმარისია მისი მექანიკური რეპროდუქციული საშუალებით გაკეთება.

- 1 1. ცნება.** სანარმდგენლო ფასიანი ქალაქის შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ დოკუმენტს, რომლითაც გამცემი ვალდებულია, განახორციელოს შესრულება დოკუმენტის წარმომდგენის მიმართ. დოკუმენტის შედგენა და ემისიის ხელშეკრულება დოკუმენტურად ასახული უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია და ეს უკანასკნელი ვერ წარმოიშობა თავად დოკუმენტის გარეშე. ცნებისა და დოკუმენტის ფორმის დაცვის მოთხოვნების შესახებ იხ. § 126, პირველი ველი.
- 2 2. ლეგიტიმაციის ძალა.** ლეგიტიმაციის ძალა მოქმედებს ორი სხვადასხვა თვალსაზრისით. ერთი მხრივ, დოკუმენტის მფლობელის მიმართ არსებობს ვარაუდი, რომლის გაქარწყლება შესაძლებელია, რომ იგი უფლებამოსილია დოკუმენტიდან გამომდინარე (პირველი ნაწილის პირველი წინადადება). ეს ნიშნავს იმას, რომ უფლების რეალიზაციისათვის საჭიროა მხოლოდ დოკუმენტის წარდგენა. თუ დოკუმენტის გამცემს სურს უფლების რეალიზაცია ისე, რომ მფლობელი არ უნდა იყოს მატერიალურ-სამართლებრივად უფლებამოსილი, მაშინ მას ეკისრება ფაქტების მოყვანისა და მტკიცების ტვირთი; მეორე მხრივ, ლეგიტიმაციის ძალა დოკუმენტის გამცემისათვის მოქმედებს იმგვარად, რომ მას შეუძლია დოკუმენტის მფლობელის მიმართ შესრულების განხორციელება, რის შედეგადაც ვალდებულება წყდება (პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). ეს ნესი არ მოქმედებს, როდესაც დოკუმენტის გამცემმა იცოდა, ან მას უნდა სცოდნოდა, თუ ვინ იყო მატერიალურ-სამართლებრივად უფლებამოსილი პირი.
- 3 3. ბრუნვაუნარიანობა.** სანარმდგენლო ფასიანი ქალაქის ბრუნვაუნარიანობის გასაზრდელად, § 796-ის თანახმად, დოკუმენტის გამცემის შესაგებლები დასაშვებია მხოლოდ შეზღუდულად. დოკუმენტის გამცემს შეუძლია, უფლებამოსილი პირს დაუპირისპიროს ის ფაქტი, რომ **დოკუმენტის გაცემა ბათილია** (პირველი კაზუსი), მაგ., დოკუმენტის გამცემი დოკუმენტის გაცემისას ქმედუუნარო იყო. მას შეუძლია შესაგებლები გამოიყენოს უფლებამოსილი პირის მიმართ **უშუალოდ დოკუმენტიდან გამომდინარე**, მაგ., დოკუმენტში დასახელებული ვადა (მე-2 შემთხ-

ვევა). ასევე მას შეუძლია ყველა სახის შესაგებლის გამოყენება, რომლებიც გამომდინარეობს მასა და დოკუმენტის მფლობელს შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან (მე-3 შემთხვევა), მაგ., დოკუმენტურად ასახული უფლების პატიება.

§ 794. დოკუმენტის გამცემის პასუხისმგებლობა

(1) საწარმდგენლო ფასიანი ქალაქიდან გამომდინარე, დოკუმენტის გამცემი ვალდებულია მაშინაც კი, თუ იგი მას მოჰპარეს, ან დოკუმენტი დაიკარგა, ანდა მისი ნების საწინააღმდეგოდ სხვაგვარად აღმოჩნდა მიმოქცევაში.

(2) საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის სამართლებრივ ძალაზე არ მოქმედებს ის ფაქტი, რომ დოკუმენტი გაიცა იმის შემდეგ, როდესაც დოკუმენტის გამცემი გარდაიცვალა, ან ქმედუდუნარო გახდა.

§ 795. (გაუქმებულია)

§ 796. დოკუმენტის გამცემის შესაგებელი

დოკუმენტის გამცემს შეუძლია, საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის მფლობელს წაუყენოს მხოლოდ ისეთი შესაგებელი, რომელიც ეხება გაცემის ნამდვილობას ან გამომდინარეობს დოკუმენტიდან, ანდა მფლობელის მიმართ უშუალოდ ეკუთვნის გამცემს.

§ 797. შესრულების ვალდებულება მხოლოდ გადმოცემის სანაცვლოდ

¹დოკუმენტის გამცემი ვალდებულია შესრულებაზე მხოლოდ საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის გადმოცემის სანაცვლოდ. ²გადმოცემის მომენტიდან იგი იძენს საკუთრების უფლებას დოკუმენტზე მაშინაც კი, თუ მფლობელი დოკუმენტის განკარგვაზე უფლებამოსილი არ არის.

§ 798. შემცვლელი დოკუმენტი

¹თუ საწარმდგენლო ფასიანი ქალაქი დაზიანების ან დამახინჯების შედეგად აღარ არის ვარგისი მიმოქცევისთვის, მაშინ იმდენად, რამდენადაც დოკუმენტის არსებითი შინაარსი და განმასხვავებელი ნიშნები ჯერ კიდევ აშკარად შესამჩნევია, მფლობელს შეუძლია დაზიანებული ან დამახინჯებული საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის სანაცვლოდ გამცემისაგან ახალი საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის გაცემის მოთხოვნა. ²ხარჯები ეკისრება მფლობელს, რომლებიც მან უნდა გაიღოს წინასწარ.

§ 799. დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადება

(1) ¹დაკარგული ან განადგურებული საწარმდგენლო ფასიანი ქალაქი შეიძლება, გამოწვევითი წარმოების წესების მიხედვით, გამოცხადდეს ძალადაკარგულად, თუ დოკუმენტში საწინააღმდეგო წესი არ არის გათვალისწინებული. ²გამონაკლისია პროცენტული, სარენტო და დივიდენდების კუპონები, ისევე როგორც წარმოდგენისას გადასახდელი უპროცენტო ფასიანი ქალაქები.

(2) ¹დოკუმენტის გამცემი ვალდებულია, თავდაპირველ მფლობელს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია გამოწვევითი წარმოებისა თუ გადახდის აკრძალვისათვის და გასცეს საჭირო მოწმობები. ²მოწმობების ხარჯები ეკისრება თავდაპირველ მფლობელს, რომლებიც მან უნდა გაიღოს წინასწარ.

§ 800. დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადების სამართლებრივი შედეგი

¹თუ საწარმდგენლო ფასიანი ქალაქი გამოცხადდა ძალადაკარგულად, მაშინ პირს, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული სასამართლოს განჩინება გამომ-

ვევით წარმოებაში პრეტენზიების წარდგენის გამორიცხვის შესახებ, – დოკუმენტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების განხორციელების უფლებამოსილების შეზღუდვის გარეშე, – შეუძლია, ძალადაკარგული საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ნაცვლად, მოითხოვოს ახალი ფასიანი ქაღალდის გაცემა. ²ამ პირს ეკისრება ხარჯები, რომლებიც მან უნდა გაიღოს წინასწარ.

§ 801. მოთხოვნის უფლების გაუქმება; ხანდაზმულობა

(1) ¹საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება უქმდება 30 წლის ვადის გასვლისას ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის დადგომის შემდეგ, თუ დოკუმენტი არ იქნა წარდგენილი გამცემისათვის გადასახდევინებლად 30 წლის ვადის გასვლამდე. ²თუ დოკუმენტი წარედგინება გადასახდევინებლად, მაშინ მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია წარდგენის ვადის გასვლიდან ორი წლის ვადაში. ³წარდგენას უთანაბრდება დოკუმენტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების სასამართლო წესით განხორციელება.

(2) ¹პროცენტული, სარენტო და დივიდენდების კუპონების შემთხვევაში, წარდგენის ვადა შეადგენს ოთხ წელს. ²ვადის დენა იწყება იმ წლის გასვლის მომენტიდან, რომელშიც დგება ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა.

(3) წარდგენის ვადის ხანგრძლივობა და საწყისი მომენტი შეიძლება დოკუმენტის გამცემის მიერ დოკუმენტში განსხვავებულად განისაზღვროს.

§ 802. გადახდის აკრძალვა

¹წარდგენის ვადის ხანგრძლივობა და საწყისი მომენტი, ასევე ხანდაზმულობის ვადის დენა განმცხადებლის სასარგებლოდ ჩერდება გადახდის აკრძალვით. ²შეჩერება იწყება გადახდის აკრძალვის შესახებ განცხადების წარდგენის მომენტიდან. ³იგი წყდება გამონწვევითი წარმოების დასრულებით და თუ გადახდის აკრძალვის განკარგვა გაკეთდა წარმოების დაწყებამდე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წარმოების დაწყების ხელისშემშლელი გარემოების აღმოფხვრიდან გავიდა ექვსი თვე და დაწყებამდე არ იქნა წარდგენილი განცხადება. ⁴ამ ვადის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 206, 210, 211-ის ნორმები.

§ 803. პროცენტის კუპონები

(1) თუ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდისათვის გაიცემა პროცენტის კუპონები, მაშინ კუპონები ძალაში რჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძირითადი მოთხოვნა უქმდება ან პროცენტის გადახდის ვალდებულება წყდება, ან იცვლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეიცავს საწინააღმდეგო დებულებას.

(2) თუ აღნიშნული პროცენტის კუპონები ძირითადი საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გადახდისას არ ბრუნდება, მაშინ დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილია, დააკავოს ის თანხა, რომლის კუპონისათვის გადახდაც მას ევალება, პირველი ნაწილის თანახმად.

§ 804. პროცენტის ან მსგავსი კუპონების დაკარგვა

(1) ¹თუ პროცენტული, სარენტო ან დივიდენდების კუპონი დაიკარგა ან განადგურდა და თავდაპირველმა მფლობელმა დანაკარგის შესახებ დოკუმენტის გამცემს შეატყობინა დოკუმენტის წარდგენის ვადის დაწყებამდე, მაშინ თავდაპირველ მფლობელს შეუძლია, ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტის გამცემისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. ²მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ დაკარგული კუპონი წარედგინება დოკუმენტის გამცემს გადასახდელად, ან კუპონიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების რეალიზაცია ხდება სასამართლო წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტის წარდგენა ან სასამართ-

ლო წესით რეალიზაცია ხორციელდება ვადის გასვლის შემდეგ. ³მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოთხ წელს.

(2) პირველ ნაწილში გათვალისწინებული პროცენტული, სარენტო ან დივიდენდების კუპონში მოთხოვნის უფლება შეიძლება გამოირიცხოს.

§ 805. ახალი პროცენტული და სარენტო კუპონები

¹საწარმდგენლო ფასიანი ქალაქისათვის დაუშვებელია, ახალი პროცენტული და სარენტო კუპონები გაიცეს მათ მიღებაზე უფლებამოსილ დოკუმენტის მფლობელზე (განახლებული კუპონი), თუ საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის მფლობელმა გააპროტესტა გაცემა. ²კუპონები ამ შემთხვევაში უნდა გადაეცეს საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის მფლობელს, თუ ეს უკანასკნელი წარადგენს საწარმდგენლო ფასიან ქალაქს.

§ 806. ხელახალი სახელობითი რეგისტრაცია

¹საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის ხელახალი რეგისტრაცია განსაზღვრული უფლებამოსილი პირის სახელზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დოკუმენტის გამცემის მიერ. ²დოკუმენტის გამცემი არ არის ვალდებული გადაწერაზე.

§ 807. საწარმდგენლო ბილეთები და ტალონები

¹თუ საწარმდგენლო ბილეთები, ტალონები ან მსგავსი დოკუმენტები, რომლებშიც კრედიტორი მითითებული არ არის, გაიცემა დოკუმენტების გამცემის მიერ იმ გარემოებების არსებობისას, რომელთაგანაც ნათელია, რომ ამ უკანასკნელს სურს ვალდებულების შესრულების კისრება მფლობელის წინაშე. ²მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 793-ის პირველი ნაწილისა და §§ 794, 796, 797-ის ნორმები.

§ 808. სახელობითი ფასიანი ქალაქები წარმომდგენზე გადახდის დათქმით

(1) ¹თუ დოკუმენტი, რომელშიც დასახელებულია კრედიტორი, გაცემულია იმ დათქმით, რომ დოკუმენტში შეპირებული ვალდებულების შესრულება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი მფლობელის მიმართ, მაშინ მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან დოკუმენტის მფლობელის მიმართ შესრულებით. ²მფლობელი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება.

(2) ¹მოვალე ვალდებულია შესრულებაზე მხოლოდ დოკუმენტის გადმოცემის სანაცვლოდ. ²თუ დოკუმენტი დაიკარგა ან განადგურდა, მაშინ იგი შეიძლება, გამონკვეთი წარმოების წესების მიხედვით, გამოცხადდეს ძალადაკარგულად, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი. ³ხანდაზმულობისათვის გამოიყენება § 802-ში მოცემული ნორმები.

1. ძირითადი გამოსაყენებელი მაგალითი. შემნახველი წიგნაკი, როგორც § 808-ის ძირითადი გამოსაყენებელი მაგალითი, არის ლეგიტიმაციური ფასიანი ქალაქი (იხ. § 793-ის შესავლის მე-5 ველი), რომელიც გადაცემული აქვს შემნახველს (მეანაბრე) და რომელიც უნდა წარედგინოს დეპოზიტის მიმღებს (ბანკს).

2. ფულადი ანაბრების შენახვის ხელშეკრულება. ძირითადი გარიგება არის ფულადი ანაბრების შენახვის ხელშეკრულება, რომლის სამართლებრივი ბუნება სადავოა. გაბატონებული შეხედულების თანახმად, იგი არის სესხი, § 488-ის მიხედვით; განსხვავებული შეხედულების თანახმად კი, არასტანდარტული მიზარების ხელშეკრულება, § 700-ის მიხედვით. დავის შედეგები უმნიშვნელოა. § 700 მიუთითებს სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებზე. ფულადი ანაბრების შენახვის ხელშეკრულებით, და არა შემნახველი წიგნაკით, დგინდება ის, თუ ვინ არის ფულადი ანაბრების შენახვის ხელშეკრულებით კრედიტორი (BGH NJW, 1994, 931).

- 3 **3. მოთხოვნის გადაცემა.** შემნახველ წიგნაკზე საკუთრებითი ურთიერთობა რეგულირდება დოკუმენტურად ასახული მოთხოვნის ფლობით. მოთხოვნის გადაცემა ხდება ფორმის დაცვის გარეშე დადებული **დათმობის ხელშეკრულებით**, § 398-ის თანახმად. უფლება ფასიან ქალაქში მიჰყვება ფასიანი ქალაქიდან გამომდინარე უფლებას, § 952-ის თანახმად (მდრ. § 793-ის შესავლის მე-5 ველი). შემნახველი წიგნაკის გადაცემით შეიძლება ცესიის აქტის კონკლუდენტურად განხორციელება.
- 4 **4. ლეგიტიმაციის ძალა.** ა) შემნახველ წიგნაკს აქვს ცალმხრივი **ლეგიტიმაციის ძალა**. შემნახველი წიგნაკის გამცემი უფლებამოსილია, განახორციელოს შესრულება დოკუმენტის ნებისმიერი მფლობელის მიმართ, რის შედეგადაც ვალდებულება წყდება. დოკუმენტის მფლობელი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს დოკუმენტურად ასახული შესრულების განხორციელება (შეზღუდულ წარმოდგენზე გადახდის დათქმა). შემნახველი წიგნაკის წარმოდგენის გარეშე, მოვალეს შეუძლია, არ შეუსრულოს კრედიტორს; ბ) თუმცა, ლეგიტიმაციის ძალა ბანკის სასარგებლოდ სხვადასხვა თვალსაზრისით **შეზღუდულია. მოვალის არაკეთილსინდისიერების** მიმართ ეს ითვლება როგორც ფასიანი ქალაქისათვის გაცხადებული (§ 793-ის მე-2 ველი). გარდა ამისა, მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ახორციელებს შესრულებას კანონისა და ხელშეკრულების შესაბამისად. ამრიგად, ლეგიტიმაციის ძალა ეხება დოკუმენტში შეპირებულ ვალდებულების შესრულებას (BGH NJW, 1975, 1507). ამიტომაც ლეგიტიმაციის ძალა არ არსებობს **ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დაუცველობის** შემთხვევაში. თუ ბანკი იხდის შეთანხმებულ ყოველთვიურად გადასახდელ ზღვრულ თანხას, იგი თავისუფლდება მთლიანი თანხის გადახდისაგან, თუ ზღვრული თანხა შეთანხმებულია მხოლოდ მის სასარგებლოდ (სადავოა). § 808 არ ათავისუფლებს არაკეთილსინდისიერ ბანკს ასევე დოკუმენტის მფლობელის **ქმედუნარიანობის ან შეზღუდული ქმედუნარიანობის** შემთხვევაში (სადავოა). შემნახველ წიგნაკში **ბლოკირების აღნიშვნის** შემთხვევაში, იმის შემდეგ, როდესაც არასრულწლოვანს შეუძლია თანხის გადახდის მოთხოვნა სრულწლოვანების ასაკის მიღწევითანავე, ვალდებულებისაგან გათავისუფლების სამართლებრივი შედეგი არ დგება არც არასრულწლოვანსა და არც მისი კანონიერი წარმომადგენლის მიმართ (BGH NJW, 1976, 2211).

კარი 25. ნივთების წარდგენა

§ 809. ნივთის შემოწმება

პირს, რომელსაც ნივთის მფლობელის მიმართ ნივთთან დაკავშირებით აქვს მოთხოვნის უფლება, ან სურს, დარწმუნდეს, ეკუთვნის თუ არა მას ასეთი მოთხოვნის უფლება, და თუ ამ მიზეზით მას აინტერესებს ნივთის შემოწმება, შეუძლია, მოითხოვოს ნივთის მფლობელის მიერ მისთვის ნივთის შესამოწმებლად წარდგენა ან შესამოწმებლად ნებართვის მიცემა.

§ 810. დოკუმენტის გაცნობა

პირს, რომელსაც აქვს სხვა პირის მფლობელობაში არსებული დოკუმენტის გაცნობის კანონიერი ინტერესი, შეუძლია, მფლობელისაგან მოითხოვოს გასაცნობად ნებართვის მიცემა, თუ დოკუმენტი შედგენილია მის ინტერესში, ან თუ დოკუმენტში დადასტურებულია მასა და სხვა პირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, ანდა, თუ დოკუმენტი შეიცავს გარიგების შესახებ მოლაპარაკებებს, რომლებიც წარმოებულ იქნა მასა და სხვა პირს შორის, ანდა ერთ-ერთ მათგანსა და საერთო შუამავალს შორის.

§ 811. წარდგენის ადგილი, რისკი და ხარჯები

(1) ¹§ 809, 810-ში მოცემულ შემთხვევებში წარდგენა უნდა განხორციელდეს იმ ადგილზე, სადაც მდებარეობს წარსადგენი ნივთი. ²ყოველ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ნივთის წარდგენა სხვა ადგილზე, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი.

(2) ¹რისკი და ხარჯები ეკისრება იმ პირს, რომელიც ითხოვს წარდგენას. ²მფლობელს შეუძლია, უარი თქვას წარდგენაზე მანამდე, სანამ მეორე მხარე წინასწარ არ დაფარავს ხარჯებს და არ წარადგენს რისკის უზრუნველყოფას.

კარი 26. უსაფუძვლო გამდიდრება

§ 812. ქონების გადმოცემის მოთხოვნის უფლება

(1) ¹პირი, რომელიც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულების ან სხვაგვარად ამ უკანასკნელის ხარჯზე რაიმეს იძენს, ვალდებულია, მიღებული გადასცეს მას. ²ეს ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც სამართლებრივი საფუძველი მოგვიანებით გაუქმდა ან გარიგების შინაარსის მიხედვით ვალდებულების შესრულებით დასახული შედეგი არ დგება.

(2) შესრულებად მიიჩნევა, აგრეთვე, ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის აღიარება.

მიმოხილვა

	ველი
ა. ზოგადი მიმოხილვა	1
1. ძირითადი ცნება	1
2. სტრუქტურა	2
3. შემონების რიგითობა, კონკურენცია.	3
ბ. უსაფუძვლო გამდიდრების საგანი („რაიმეს იძენს“).	4
I. პრინციპი	4
II. ცალკეული საკითხები	5
1. უფლებები	5
2. სარგებლიანი სამართლებრივი მდგომარეობა	6
3. ვალდებულებებისაგან გათავისუფლება	7
4. სარგებელი	8
გ. შესრულების კონდიცია	9
I. ზოგადი მიმოხილვა.	9
II. წინაპირობები.	10
1. რაიმეს იძენს	10
2. შესრულების შედეგად.	11
3. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე	12
ა) ზოგადი მიმოხილვა	12
ბ) <i>Condictio indebiti</i>	13
გ) <i>Condictio ob causam finitam</i>	14
დ) <i>Condictio ob rem</i>	15
III. რამდენიმე პირისაგან შემდგარი ურთიერთობა.	18
1. ზოგადი მიმოხილვა	18
ა) პრობლემური საკითხის დასმა	18
ბ) შესრულების ცნება როგორც გამარტივებული ფორმულა	19
გ) შესრულების ცნების შეფასებითი დანამატები.	22
2. შემთხვევათა ჯგუფები	23
ა) მიწოდება	24

	ველი
ბ) ორდერის (დავალების) შემთხვევები	27
გ) მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება	31
დ) ცესის მაგალითები ¹³⁰	32
ე) სხვა პირის ვალის შესრულება	33
დ. შეუსრულებლობის კონდიქცია	34
I. ზოგადი მიმოხილვა	34
1. პრინციპი	34
2. სახეები	35
II. არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქცია	36
1. ფუნქცია და მნიშვნელობა	36
2. წინაპირობები	37
ა) რაიმეს იძენს	37
ბ) სხვაგვარად	38
გ) ამ უკანასკნელის ხარჯზე	39
დ) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე	40
III. გამოყენებიდან გამომდინარე კონდიქცია	41
1. ზოგადი მიმოხილვა	41
2. თავს მოხვეული გამდიდრება	42
IV. რეგრესული კონდიქცია	43
1. ზოგადი მიმოხილვა	43
2. ვალდებულების შესრულების დამატებით განსაზღვრა სხვა პირის მიერ	44
ე. ურთიერთმიმართება შესრულებისა და შეუსრულებლობის კონდიქციებს შორის	45
1. ორი პირს შორის ურთიერთმიმართება	45
2. რამდენიმე პირს შორის ურთიერთმიმართება	46
ა) შესრულების კონდიქციის უპირატესობის პრინციპი	46
ბ) კანონისმიერი შეფასებები	47

ა. ზოგადი მიმოხილვა

- 1 **1. ძირითადი ცნება.** § 812-სა და შემდეგ პარაგრაფებში მოცემული უსაფუძვლო გამდიდრების სხვადასხვაგვარი ფაქტობრივი გარემოებები ისახავს საერთო მიზნის მიღწევას, მიენიჭოს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე კრედიტორს სხვა პირის მიერ მიღებული ქონებრივი სიკეთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც თავიდანვე – სამართლებრივი ლოგიკის საფუძვლებიდან (შდრ., მაგ., §§ 946-950) ან სამართლებრივი უსაფრთხოებიდან გამომდინარე (მაგ., აბსტრაქციის პრინციპის მიხედვით) – მიღწეული ქონებრივი სიკეთის მოძრაობა მართლწესრიგის საერთო შეხედულებით ველარ შენარჩუნდება.
- 2 **2. სტრუქტურა.** დღევანდელი გაბატონებული შეხედულების თანახმად (იხ. *Larenz/Canaris* SchR II/2, § 67, I, 2; *Medicus/Petersen*, 664-ე და შემდეგი ველები), § 812 და შემდეგი პარაგრაფები არ აღწერს უსაფუძვლო გამდიდრების ქმედების ერთიან შემადგენლობას; პირიქით, განასხვავებენ უსაფუძვლო გამდიდრების მრავალ სახეს, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: **შესრულების კონდიქციები** (ძირითადი სახეობა: *Condictio indebiti*, § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების პირველი კაზუსი, დეტალურად იხ. ქვემოთ, მე-9 და შემდეგი ველები) და **შეუსრულებლობის კონდიქციები** (ძირითადი შემთხვევა: არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქცია; მაგ., § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 შემთხვევა იხ. ქვემოთ, 34-ე და შემდეგი ველები).

130 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

3. შემონმების რიგითობა, კონკურენცია. ა) უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნის უფლებისათვის არსებობს **შემონმების სამი საფეხური**: (1) სახზე უნდა იყოს უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის წინაპირობები (კონდიქციის სახეების მიხედვით, დეტალურად იხ. ქვემოთ, მე-4, მე-10, 37-ე და შემდეგი ველები, ისევე როგორც § 817-ის შენიშვნა); (2) მოთხოვნის უფლება არ უნდა იყოს გამორიცხული (§§ 814, 815, 817-ის მე-2 წინადადება); (3) უკან გამოთხოვის ვალდებულების მოცულობის გამოანგარიშება, §§ 818-820-ის თანახმად.

ბ) კონკურენცია. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები, როგორც წესი, არ არის არც დამატებით მოთხოვნის უფლებები და ის არ გამორიცხავს სხვა მოთხოვნის უფლებების არსებობას (*Palandt-Sprau*, § 812-ის შესავალი მე-5 ველი). ხელშეკრულებიდან გასვლისადმი ურთიერთმიმართებისათვის იხ. § 346-ის მე-3 ველი, ხელშეკრულებაზე უარის თქმისათვის იხ. § 357, პირველი ველი, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისათვის იხ. § 677, მე-8 ველი, ხოლო მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობისთვის იხ. § 987, მე-9 და შემდეგი ველები.

ბ. უსაფუძვლო გამდიდრების საგანი („რაიმეს იქნა“)

I. პრინციპი

უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნის უფლების საერთო წინაპირობაა ის, რომ უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალემ მიიღო **ქონებრივი სარგებელი** ამ ცნების ფართო გაგებით. სარგებელი, ფაქტობრივად, უნდა მიიღოს მოვალის ქონებაზე; შესაბამისად, არ ხდება მსესხებლის გამდიდრება იმ ვალუტით, რომელიც ბათილი საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში მსესხებელსა და მესამე პირს შორის სხვა გარიგების დასაფინანსებლად გადახდილ იქნა ამ უკანასკნელისათვის (*BGH NJW*, 1978, 1970).

II. ცალკეული საკითხები

1. ნებისმიერი სახის **უფლება** შეიძლება იყოს უსაფუძვლო გამდიდრების საგანი, მიუხედავად იმისა, ის სანივთო უფლებაა (მაგ., საკუთრების უფლება, გირავნობა, იპოთეკა, უზუფრუქტი ან სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება) თუ ვალდებულებით-სამართლებრივი (მაგ., ბანკის მიმართ საბანკო ანგარიშზე დადებითი ბალანსიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება ანულირებისას; დაზღვევა; ყველა სახის მოთხოვნები).

2. სარგებლის მომტანი სამართლებრივი მდგომარეობა ასევე შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი, მაგ., **მფლობელობა** (თუმცა, როგორც წესი, მხოლოდ შესრულების კონდიქციის მეშვეობით, ვინაიდან არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქციისას §§ 861, 1007-ს, ძირითადად, ენიჭება უპირატესობა როგორც სპეციალურ ნორმებს, შდრ. *Palandt-Bassenge*, § 861 მე-2 ველი). **სხვა მაგალითები**: რეგისტრაციიდან გამომდინარე მდგომარეობას (საადგილმამულო რეესტრში ან სხვა საჯარო რეესტრებში აღრიცხული არასწორი ინფორმაცია) აქვს ქონებრივი ღირებულება მისგან გამომდინარე იურიდიული დოკუმენტის (§ 892) გამო და იგი შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი, ასე, მაგ.: ხარვეზიანი სამკვიდრო მონუმობები (შდრ. § 2365 და შემდეგი პარაგრაფები) და ანდერძის აღსრულების მონუმობები; მარტივი შეთანხმება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ (რეგისტრაციის წარდგენის შემდეგ არსებული მდგომარეობის გარეშე სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა); არამართლზომიერად მიცემული თანხმობები რეგისტრაციაზე (საადგილმამულო რეესტრის შესახებ კანონის § 19). არამართლზომიერი მოთხოვნის პრეტენდენტის ბლოკირების მდგომარეობა დეპონირებით (§ 372) ნამდვილ კრედიტორს ანიჭებს შეზღუდვის მოხსნის მოთხოვნის უფლებას.

- 7 **3.** ვალის ნეგატიური აღიარების მეშვეობით (**მე-2 ნაწილი**; ვალის პატიება) **ვალდებულებებისაგან გათავისუფლება** ან სხვა პირის იმ ვალის შეცდომით გადახდა, რომელიც ათავისუფლებს ნამდვილ მოვალეს ვალდებულებისაგან, § 267-ის თანახმად.
- 8 **4.** არამართლზომიერად მიღებული **სარგებელი** საგნებიდან (ნივთები ან უფლებები) ან მომსახურების განწევადან; მაგ.: ავიაგადაზიდვა-გადაყვანა როგორც „ბრმა მგზავრი“ (BGHZ, 55, 128), ელექტროენერჯის გადაჭარბებით მოხმარება ორი მრიცხველიდან გამომავალი ელექტროსადენების არევის შედეგად. სადავოა, მიჩნეულ უნდა იქნეს თუ არა ამ შემთხვევებში გამდიდრების საგნად („შეძენილი რაიმე“) **ხარჯების ეკონომია** (იხ. ძველი სასამართლო პრაქტიკა, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა შესაბამის ტერიტორიაზე; BGHZ, 94, 160, 165) ან თავად **გამოყენებიდან სარგებლობა** (დღევანდელი მდგომარეობით გაბატონებული შეხედულება, BGHZ, 99, 244; *Larenz/Canaris* SchR II/2, § 71, I, 2a). უახლესი შეხედულების თანახმად, ხარჯების ეკონომიის საკითხი გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჯერ კიდევ გამდიდრების მოცულობის ფარგლებში (§ 818-ის მე-3 ნაწილი, იხ. იქვე). ხარჯების ეკონომიის წინაპირობაა იმ ქონებრივი სარგებლის მიღება, რისთვისაც მას შეიძლება სწევდნენ; ეს მიჩნეულ უნდა იქნეს სარგებლობად, რისთვისაც – ვინაიდან საგნის ფიზიკური გამოთხოვა შეუძლებელი იქნებოდა – გადახდილ უნდა იქნეს ქონებრივი საზღაური § 818-ის მე-2 ნაწილის თანახმად. გარდა ამისა, ადრინდელი სასამართლო პრაქტიკა აღმოჩნდებოდა რთულ მდგომარეობაში, არაკეთილსინდისიერი (§ 819-ის პირველი ნაწილი) უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალისათვის რომ არ მიენიჭებინა შესაგებელი, რომლის შედეგადაც იგი ველარაფერს მიიღებდა, ვინაიდან საგანი ან მომსახურება უსაფუძვლო გამდიდრების პროცესის გარეშე ვერ იქნებოდა მოთხოვნილი. პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის ადრინდელი სასამართლო პრაქტიკას მოუწევდა § 819-ის პირველი ნაწილის სისტემის საწინააღმდეგო ანალოგიის გამოყენება: როდესაც არაკეთილსინდისიერი უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალე ველარ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მისი გამდიდრება მოგვიანებით აღარ არსებობს (პასუხისმგებლობა §§ 819-ის პირველი ნაწილი, 818-ის მე-4 ნაწილი, 292, 987 და შემდეგი პარაგრაფები), მაშინ მას არ შეუძლია განაცხადოს, რომ გამდიდრება არ განხორციელებულა. პირიქით, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების წინაპირობები ამ შემთხვევებში სახეზეა ახალი რედაქციის მიხედვითაც; და პასუხისმგებლობის მოცულობის მიმართ უშუალოდ მოქმედებს § 819-ის პირველი ნაწილი.

გ. შესრულების კონდიქცია

I. ზოგადი მიმოხილვა

- 9 სხვადასხვა შესრულების კონდიქციებით (§§ 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების პირველი შემთხვევა; 812-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების პირველი და მე-2 შემთხვევა; 817-ის პირველი წინადადება) მიიღწევა მიზანმიმართული, თუმცა, წარუმატებელი გადაცემული ქონებრივი ღირებულების საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. შესაბამისად, შესრულების კონდიქცია ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც ხელშეკრულებიდან გასვლის მომწესრიგებელი ნორმები (§§ 346 და შემდეგი პარაგრაფები), რომელთაგანაც ის ძირითადად განსხვავდება თავისი შემსუბუქებული პასუხისმგებლობის მასშტაბით (შდრ. § 812-ის მე-3 ნაწილი). ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრებით კრედიტორისა და მოვალის პიროვნებები უკვე იმით დგინდება, რომ მიზანმიმართული ქონებრივი ღირებულების გადაცემა მათ შორის ხორციელდება, რაც, გაბატონებული შეხედულების თანახმად, შესრულების კონდიქციის შემთხვევაში არ საჭიროებს (შდრ. ზემოთ, მე-2 ველი)

განმასხვავებელი ნიშნის „ამ უკანასკნელის ხარჯზე“ განხორციელებას; შესაბამისად, ეს ეხება მხოლოდ გამდიდრების შემთხვევებს „სხვაგვარად“ (ძალიან სადავოა, შდრ. *Larenz/Canaris* SchR II/2, § 67, II, 1b).

II. წინაპირობები

1. რაიმეს იძენს. გამდიდრების საგანი უნდა იყოს მოვალის ქონების მატება, დეტალურად იხ. ზევით, მე-4 და შემდეგი ველები. **10**

2. კონდიქციის კრედიტორის შესრულების შედეგად გამდიდრებულს უნდა მიეღოს ქონებრივი სარგებელი. გაბატონებული შეხედულება შესრულებას განმარტავს (BGHZ, 40, 272, 277; *Larenz/Canaris*, SchR II/2, § 67, II, 1d) როგორც „სხვა პირის ქონების გაცნობიერებულ, მიზანმიმართულ გაზრდას“. **ა) შესრულების ცნების ფუნქცია**, უპირველეს ყოვლისა, მიჯნავს შესრულების კონდიქციას „სხვაგვარი“ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებისაგან (აღნიშნულის შესახებ იხ. ქვემოთ, 45-ე და შემდეგი ველები); მეორე მხრივ (შესრულების მიზნის მიმართულებით), სამხრივ ურთიერთობაში ხშირად პრობლემატურ საკითხებს უნდა გაეცეს პასუხი, რომელთა შორისაც აღსანიშნავია შესრულების ურთიერთობაში მონაწილეობა და მის შედეგად მიღებული უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება (აღნიშნულის შესახებ იხ. ქვემოთ, მე-19 და შემდეგი ველები). ვინაიდან შესრულების ცნება უკანასკნელი ფუნქციისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, გაბატონებული შეხედულება ამ მხრივ ავსებს მას უსაფუძვლო გამდიდრების სამართალთან დაკავშირებული განსაზღვრული შეფასებებით (იხ. ქვემოთ, 22-ე ველი); **ბ) შესრულების გაცნობიერება** აღნიშნავს არა გარიგების ნებას, არამედ საკმარისია ბუნებრივი გაცნობიერების უნარი; **გ) შესრულების მიზნის მიმართულება** ემსახურება – რამდენიმე მონაწილის შემთხვევაში უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ურთიერთობის განსაზღვრასთან ერთად – განსხვავებას სხვადასხვა სახის შესრულების კონდიქციას შორის. ძირითადად, მიზნად დასახულია ვალდებულებისაგან გათავისუფლება; ამას შეესაბამება *Condictio indebiti*, დეტალურად იხ. ქვემოთ, მე-13 ველი. თვით ცნების „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“ გაგება დამოკიდებულია შესრულებით დასახულ მიზანზე. დღევანდელი გაბატონებული შეხედულების თანახმად, მიზნის განსაზღვრა არის ცალმხრივი გარიგება ან, სულ ცოტა, გარიგების მსგავსი მოქმედება. შედეგი: იგი შეიძლება შევიღებულ იქნას (BGHZ, 106, 163); როგორც წესი, იგი არ შეიძლება შეერაცხოს ქმედურწინაპროსს (BGHZ, 111, 382; შდრ. ცალკეულ შემთხვევებში *Larenz/Canaris* SchR II/2, § 67, II, 1e).

3. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ა) ზოგადი მიმოხილვა. ცნება „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“ წყვეტს საკითხს უსაფუძვლო გამდიდრების შენარჩუნების შესაძლებლობის შესახებ. ვინაიდან მართლწესრიგის სხვადასხვა შეფასებას შესაბამისი გავლენა აქვს ამ საკითხზე, არ არსებობს ამ ცნების ერთიანი გაგება. **შესრულების კონდიქციის შემთხვევაში** (შეუსრულებლობის კონდიქციის შემთხვევაში სამართლებრივი საფუძვლის დაკარგვის შედეგებისათვის იხ. ქვემოთ, 39-ე ველი) – შესრულების ცნების შესაბამისად – ნამყვანი შეხედულების თანახმად, სახეზე არ არის სამართლებრივი საფუძველი, როდესაც (გაცნობიერებული!) ქონების გაზრდით დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული („სუბიექტური სამართლებრივი საფუძვლის ცნება“; შდრ. დეტალურად *Erman-Westermann/Buck-Heeb*, 44-ე ველი; განსხვავებული შეხედულება – „ობიექტური სამართლებრივი საფუძვლის ცნება“ – *MüKo-Schwab*, 336-ე ველი; *Larenz/Canaris* SchR II/2, § 67, III, 1). რამდენადაც დასახული მიზანი განსაზღვრულია, სამართლებრივი საფუძვლის დაკარგვის საკითხი (ასევე მიზანმიმართული) დამოკიდებული ხდება **შესრულების კონდიქციის სახეებზე**. ამრიგად, ისინი უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან (§ 817-ის პირველი წინადადების თანახმად, კონდიქციასთან ერთად, იხ. ქვემოთ):

- 13 ბ) **Condictio indebiti** (პირველი ნაწილის პირველი წინადადება); შესრულების კონდიქციის ძირითადი შემთხვევა. უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის კრედიტორი ახორციელებს შესრულებას, რათა მიაღწიოს (სავარაუდო) ვალდებულებისაგან გათავისუფლებას (*solvendi causa*); ასე, მაგ., გამყიდველი გადასცემს საკუთრების უფლებას ნასყიდობის საგანზე, § 433-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულების მიზნით. შესრულება ხორციელდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, როდესაც იგი ვერ აღწევს დასახულ მიზანს. მაგ.: ვალდებულება ან საერთოდ არ არსებობს, ან სინამდვილეში ეხება არა შემსრულებელს, არამედ მესამე პირს, ანდა თავიდანვე სამართლებრივი ძალის არმქონეა (მაგ., ვალდებულების დამდგენი ხელშეკრულების ბათილობა ფორმის დაუცველობის ან შეცდომების გამო; აღნიშნულზე იხ. მე-14 ველი). არარსებული ვალიდან გამომდინარე, შესრულებას უთანაბრდება შესრულებები § 813-ის თანახმად, რომლებიც, **მყარი შესაგებლების** არსებობის მიუხედავად, განხორციელდა არსებული ვალიდან გამომდინარე, მაგ., შესრულება იმ მოთხოვნიდან გამომდინარე, რომელიც წარმოიშობა უკანონო მოქმედების შედეგად, § 853 (თუმცა, ამ უკანასკნელს, პირიქით, არ მიეკუთვნება ხანდაზმული მოთხოვნა, § 813-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, § 214-ის მე-2 ნაწილთან ერთად). **Condictio indebiti** გამორიცხულია § 814-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძოდ კი, შემსრულებლის მიერ ვალის არარსებობის შესახებ ცნობისას.
- 14 გ) **Condictio ob causam finitam**, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების პირველი შემთხვევა. შესრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშეა იმ შემთხვევაშიც, როდესაც, მართალია, **causa** ქონებრივი ღირებულების გადაცემისას არსებობდა, თუმცა, მოგვიანებით იგი (უკუქცევითი მოქმედების გარეშე) ისპობა. მაგ.: გაუქმების პირობის დადგომა (§ 158-ის მე-2 ნაწილი), როდესაც ხელშეკრულების შინაარსის განვრცობითი განმარტებიდან არ გამომდინარეობს ქონების დაბრუნების ვალდებულება (*Medicus*, SchR II 647-ე ველი), ძირითადი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა გაუქმების ხელშეკრულებით, ან ბოლო ვადის დადგომით (§§ 163, 158-ის მე-2 ნაწილი). სადავოა, ექცევა თუ არა **შეცილება** თავისი *ex tunc* მოქმედებით (§ 142-ის პირველი ნაწილი) პირველი ნაწილის მე-2 წინადადების პირველი კაზუსისა თუ **Condictio indebiti**-ის (პირველი ნაწილის პირველი წინადადების პირველი კაზუსი) მოქმედების ქვეშ. თუმცა, დავას არ მიეყავართ განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებამდე: § 14-ით გათვალისწინებული შესაგებელი მართლაც, როგორც წესი, მოქმედებს მხოლოდ **Condictio indebiti**-ის მიმართ; მაგრამ შესაგებელი საკმარისი არ არის თუნდაც იმიტომ, რომ შემსრულებელი, მართალია, მან იცის შეცილების შესახებ (§ 142-ის მე-2 ნაწილი!), მაინც ვალდებული რჩება შესრულების შეცილებამდე. თუ შეცილების უფლება თავად შემსრულებელს აქვს, მაშინ შესრულების შედეგად, როგორც წესი, სახეზეა დადასტურება, § 144-ის გაგებით. პრობლემატური საკითხია, შეიძლება თუ არა **condictio ob causam finitam**-ით ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისთვის განხორციელებული ქონებრივი ღირებულების გადაცემების გამოთხოვა **განქორწინების** შემდეგ. მეუღლეთა კანონისმიერი საერთო რეჟიმის შემთხვევაში, ამას ხელს უშლის მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების განაწილების შესახებ ნორმები როგორც **leges speciales** (მდრ. § 1378-ის მე-5 და შემდეგი ველები). შესაბამისი წესი მოქმედებს თანაცხოვრების პარტნიორობის მიმართაც, როდესაც პარტნიორები შეთანხმდნენ წილთა გათანაბრების საზიარო უფლების რეჟიმზე (მდრ. § 1353-ის შესავლის მე-19 ველი).
- 15 დ) **Condictio ob rem** (*condictio causa data, causa non secuta*, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მე-2 შემთხვევა). ეს უკანასკნელი ხასიათდება იმით, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის კრედიტორი თავისი შესრულებით ისახავს

ისეთ მიზანს, რაც აღემატება უბრალო ვალდებულების შესრულებას (განსხვავება ზემოთ, მე-13 და შემდეგ ველებში მითითებული კონდიქციებისაგან); თუ მიზანი ვერ მიიღწევა, მაშინ შესრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ხდება და შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი (გამონაკლისები მოცემულია § 815-ში). წინაპირობაა **მიზნის შესახებ საერთო შეთანხმება** და არა, უბრალოდ, შემსრულებლის ცალმხრივი მოლოდინი (ამ შემთხვევაში მაინც მოქმედებს § 313); სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ამ გაგებით, კონკლუდენტური შეთანხმება ივარაუდება, როდესაც ერთი მხარე თავისი შესრულებით ისახავს განსაზღვრულ მიზანს, ხოლო მეორე მხარე ამის შესახებ შეიტყობს და შესრულებას მიიღებს ყოველგვარი უარყოფის გარეშე (BGHZ, 115, 261, 263). სხვა მხრივ, მიზნის შესახებ შეთანხმება შეიძლება არ შედგეს ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული სავალდებულო ფორმით (გაუქმების პირობის მეშვეობით), ვინაიდან მაშინ უკვე იარსებებდა *condictio indebiti* ან *condictio ob causam finitam*. სადავოა *condictio ob rem*-ის გამოყენების სფერო:

ა) ერთი პოზიციის თანახმად (Larenz/Canaris SchR II/2, § 68, I, 3d), იგი მოიცავს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, რომლის დროსაც, ძირითადად, ხდება არა ვალდებულების შესრულება (ამდენად, ასევე არც ნაწილობრივი შესრულება), არამედ დასახულია მხოლოდ და მხოლოდ სხვაგვარი მიზანი. ამ შემთხვევაში უნდა დასახელდეს ისეთი შემთხვევები, სადაც მიზნის ნაკვეთის ბათილი (§ 311 ბ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადება) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება შესრულება იმ იმედით, რომ ეს უკანასკნელი ნამდვილი (ძალმოხილი) გახდება შესრულების შედეგად (§ 311 ბ-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება; სამართლებრივი ურთიერთობის დადგენისაკენ მიმართული შესრულებები). გარდა ამისა, შეიძლება ისეთი მიზნები იყოს დასახული, რომელთა მიხედვითაც უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალე ვერ იქნება სამართლებრივად ვალდებული, მაგ., როდესაც დისნული ზრუნავს დეიდაზე იმ იმედით, რომ მიიღებს მის მემკვიდრეობას (შდრ. § 2302).

ბ) სხვა პოზიციის თანახმად (იხ. Palandt-Sprau 34-ე ველი), *condictio ob rem* მოიცავს ასევე ისეთ შემთხვევებს, რომლებშიც, მართალია, მიზნად არის დასახული ვალდებულებისაგან გაათავისუფლება, რაც მოხდა კიდევ, თუმცა, ვალდებულებიდან გამომდინარე მიზანი, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ, ველარ იქნა მიღწეული. მაგალითები: (1) გ აძლევს ს-ს სესხს სამეცნიერო ექსპედიციის მოსაწყობად, ს კი მიემგზავრება შვებულებაში; (2) მ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სანარმოში დაბალ ხელფასზე, ვინაიდან მას იმედი ჰქონდა, რომ დაქორწინდებოდა სანარმოს ხელმძღვანელის ქალიშვილზე. ამ შემთხვევებში გ-ს შეუძლია მოითხოვოს სესხის თანხის დაბრუნება (მაგ. პირველი), ხოლო მ-ს – თავისი სამუშაოს ფაქტობრივი ღირებულების სხვაობა (§ 818 მე-2 ნაწილი; მე-2 შემთხვევა). ზემოთ, მე-16 ველში მოცემული შეხედულება იშველიებს არგუმენტს, რომლის თანახმადაც, სრულყოფილად შედგენილი ორმხრივი ხელშეკრულებების შემთხვევაში შემსრულებელს მოუწევდა სახელშეკრულებო სამართლიდან გამომდინარე სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე მითითება, მით უმეტეს, იმის გამო, რომ მას შეეძლო თავისი მოლოდინის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალდებულო ფორმაში ასახვა; უკიდურეს შემთხვევაში, მას შეუძლია, მიმართოს გარიგების საფუძვლის დარღვევის სამართლებრივ ინსტიტუტს (§ 313) (*MüKo-Schwab*, 377-ე და შემდეგი ველები; *Medicus*, SchR II 651-ე ველი). **საზღაურის იმედგაცრუებული მოლოდინის შემთხვევებში (ზემოთ, მე-2 მაგ.), სასამართლო პრაქტიკამ იპოვა კიდევ მესამე გზაც, რომლის თანახმადაც მან შემსრულებელს, მაგ., § 612-დან გამომდინარე, მიანიჭა საზღაურის მიღების სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება (*Medicus/Petersen*, 692-ე ველი).**

16

17

III. რამდენიმე პირისაგან შემდგარი ურთიერთობა

- 18 ზოგადი მიმოხილვა. ა) პრობლემური საკითხის წამოჭრა.** უსაფუძვლოდ გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე უკან დასაბრუნებელი ქონებრივი სარგებლის გადაცემაში შეიძლება მონაწილეობდეს ორზე მეტი პირი. მაგ., ბ ა-სგან ყიდულობს მოძრავ ნივთს და მისგანვე იღებს ნივთს მფლობელობაში და იძენს საკუთრების უფლებას. შემდეგ ბ ყიდის ამ ნივთს გ-ზე, გადასცემს მას ნივთზე მფლობელობასა და საკუთრების უფლებას („შესრულების ჯაჭვი“). რა თქმა უნდა, ხშირად ეკონომიკურად გაუმართლებელია, როდესაც ა გადასცემს ბ-ს ნივთზე მფლობელობასა და საკუთრების უფლებას და შემდგომში კი ბ ნივთზე მფლობელობასა და საკუთრების უფლებას გადასცემს გ-ს. პირიქით, ბ ა-ს სთხოვს, ნივთზე მფლობელობა და საკუთრების უფლება პირდაპირ გადასცეს გ-ს (ე. წ. „**გადარიცხვის დავალების შემთხვევა**“, დეტალურად იხ. ქვემოთ, 27-ე და შემდეგი ველეები). ა-სა და ბ-ს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა აღინიშნება როგორც ე. წ. **დაფარვის ურთიერთობა**, სახელშეკრულებო ურთიერთობა ბ-სა და გ-ს შორის – როგორც **სავალუტო ურთიერთობა**, ხოლო ურთიერთობა ა-სა და გ-ს შორის – **გადაცემის ურთიერთობა**. თუ აღნიშნულის საფუძველად არსებული კაუზალური სამართლებრივი ურთიერთობა ბათილია (ნასყიდობის ხელშეკრულება ა-სა და ბ-ს შორის ან ნასყიდობის ხელშეკრულება ა-სა და გ-ს შორის, ანდა, თუნდაც, – ორივე, ე. წ. „**ორმაგი ხარვეზი**“), მაშინ ისმის კითხვა, თუ რომელ პირებს შორის უნდა განხორციელდეს უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება, ანუ ვინ არის კონდიქციის მოთხოვნის უფლებით (ან ორივე მოთხოვნის უფლებით) კრედიტორი და მოვალე (შდრ. ზემოთ, მე-11 ველი). ყველაზე ხშირი შემთხვევაა **უნადლო ანგარიშსწორების სისტემა**, რომელშიც გადამხდელი ბ თავის გადახდის განმახორციელებელ ა-ს ავალებს, განსაზღვრული თანხა გადაურიცხოს გადახდის მიმღებ გ-ს (ანგარიშსწორებისათვის იხ. § 675გ და შემდეგი პარაგრაფები). რამდენიმე პირისაგან შემდგარი ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ რამდენიმე ვალდებულების შესრულების ურთიერთკავშირის შედეგად, არამედ ასევე უსაფუძვლო გამდიდრებასთან შესრულების სხვაგვარი კავშირით (იხ. 45-ე და შემდეგი ველეები).
- 19 ბ) შესრულების ცნება როგორც დადგენილი წესი. აა) პრინციპი.** გაბატონებული შეხედულება (იხ. *Medicus/Petersen*, 686-ე ველი) უსაფუძვლო გამდიდრებით კრედიტორსა და მოვალეს განსაზღვრავს შესრულების ცნებიდან გამომდინარე (იხ. მე-11 ველი). რამდენიმე პირისაგან შემდგარ ურთიერთობაში რამდენიმე ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლების შესრულებისათვის (ბ-ს მოთხოვნის უფლება ა-ს მიმართ და გ-ს მოთხოვნის უფლება ბ-ს მიმართ) **მხოლოდ ერთი** (სანივთოსამართლებრივი) **ქონებრივი ღირებულების გადაცემას** (ა გ-ს მიმართ) შეიძლება საფუძველად დაედოს რამდენიმე შესრულების ურთიერთობა (ა ბ-ს მიმართ და ბ გ-ს მიმართ), რომლებიც ინვესტს რამდენიმე კონდიქციური მოთხოვნის უფლების წარმოშობას. ვინაიდან ერთდროულად ორივე მოთხოვნის უფლება იფარება, საუბარია „ერთდროულ შესრულებაზე“. ამდენად, მონაწილეების მხრიდან დასახული შესრულების მიზნებიდან (ზემოთ, მე-11 ველი) გამომდინარე, ნათელი ხდება, თუ რომელ პირებს შორის არსებობს შესრულების ურთიერთობა და, შესაბამისად, კონდიქციური მოთხოვნის უფლებები. ა-ს სურს არა გ-ს ქონების გაზრდა, რომელთანაც ის, როგორც წესი, არ იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში, არამედ ბ-ს კუთვნილი ქონება მოთხოვნის უფლების შესრულების მიზნით; ასევე ბ-ს სურს გ-ს ქონების გაზრდა, როდესაც ის ა-ს აძლევს დავალებას, შეასრულოს თავისი (ბ-ს) ვალდებულება გ-ს მიმართ. ქონების საწყის მდგომარეობაში დაბრუნება ხდება, როგორც წესი, მხოლოდ შესაბამის **შესრულების ურთიერთობაში**, ანუ შესაბამისი ხარვეზიანი კაუზალური ურთიერთობის მხარეთა შორის (BGHZ, 61, 291; 87, 395). ა ვერ მოითხოვს გ-სგან, ვინაიდან ის არ იმყოფება ამ უკანასკნელთან სახელშეკრულებო კავშირში. თუ გადახდის დავალების შემთხვევაში (მე-18 ველი)

ნასყიდობის ხელშეკრულება ბ-სა და გ-ს შორის სამართლებრივი ძალის არმქონეა, მაშინ ბ-ს შეუძლია ნივთის გ-საგან მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე, თუმცა, მას ეს ნივთი არასოდროს არ ჭერია ხელში, რადგანაც ნასყიდობის ხელშეკრულება ა-სა და ბ-ს შორის სამართლებრივი ძალის მქონეა. თუ, პირიქით, ნასყიდობის ხელშეკრულება ა-სა და ბ-ს შორის სამართლებრივი ძალის არმქონეა, ბ-სა და გ-ს შორის კი სამართლებრივად ნამდვილი, გ-ს ნივთის უკან დაბრუნება არ ეკისრება. პირიქით, ა-ს შეუძლია ბ-საგან მოითხოვოს მხოლოდ ღირებულების ანაზღაურება § 818-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად. თუ **ორივე ხელშეკრულება** სამართლებრივი ძალის არმქონეა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ა-მ უნდა გამოიყენოს ის კონდიქციური მოთხოვნის უფლება, რომელიც (ნივთის უკან დაბრუნებაზე) ბ-ს აქვს გ-ს მიმართ („კონდიქციის კონდიქცია“) და, შესაბამისად, ნივთის უკან დაბრუნება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს თავად გ-საგან¹³¹.

ბბ) ამ პრინციპიდან კანონისმიერ **გამონაკლისს** ადგენს § 822: თუ ა გადასცემს ბ-ს ნივთს, რომელსაც ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უსასყიდლოდ (მაგ., ჩუქების საფუძველზე) გადასცემს გ-ს, მაშინ ა-ს მასა და ბ-ს შორის კაუზალური სამართლებრივი ურთიერთობის ბათილობის შემთხვევაში, შეუძლია ნივთის დაბრუნების მოთხოვნა უშუალოდ გ-საგან (ე. წ. **პირდაპირი მოთხოვნის უფლება**). გამონაკლისი შეიძლება ასე დასაბუთდეს: შექენის უსასყიდლობის გამო გ ნაკლებად იმსახურებს სამართლებრივ დაცვას, ვიდრე ა, რომელიც პირდაპირი მოთხოვნის უფლების გარეშე ხელცარიელი აღმოჩნდებოდა; მისი კონტრაჰენტი ბ ნივთის შემდგომი უსასყიდლო გადაცემის შედეგად აღარ გამდიდრებულა (§ 818-ის მე-3 ნაწილი). ვინაიდან ბ-ს ვალდებულება, დააბრუნოს მიღებული, გამოიციხულია, რადგან მან ნივთი შეიძინა და ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უსასყიდლოდ გადასცა გ-ს, გ პასუხს აგებს არა გადაცემული ნივთის უკან დაბრუნებაზე, არამედ მისი ღირებულების ანაზღაურებისათვის, ვინაიდან § 818-ის მე-2 ნაწილის თანახმად, ბ-ც იქნებოდა ვალდებული მხოლოდ ღირებულების ანაზღაურებაზე; თუმცა, გ-ს შეუძლია ნივთის დაბრუნებით ვალდებულებისაგან გათავისუფლება, ვინაიდან იგი, § 822-ის თანახმად, არ უნდა იყოს ვალდებული იმაზე მეტზე, რასაც იგი ფაქტობრივად იღებს (BGHZ, 158, 63).

გგ) ეჭვი შესრულების ურთიერთობასთან დაკავშირებით. უმრავლეს შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის მოვალე ითვლება განსაზღვრულად, ვინაიდან იგი იღებს კონდიქციას – დაქვემდებარებულ ქონებრივ სარგებელს (მიღებული ქონება). თუმცა, უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის კრედიტორის პიროვნება კი, და, საერთოდ, შესრულების ურთიერთობის არსებობა, პირიქით, ხშირად გაურკვეველია, კერძოდ, როდესაც მონაწილეთა შორის არსებობს შეუთანხმებლობა შესრულების ურთიერთობის მხარეებისა და საგნის შესახებ. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული განისაზღვრება გამდიდრებულის შეხედულების საფუძველზე (ადრესატის მიერ ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობა, §§ 133, 157-ე ველი) (BGHZ, 36, 30; 40, 272, 278; 122, 46, 50; *Larenz/Canaris SchR II/2*, § 70, III, 3; *Palandt-Sprau*, მე-14 ველი). შესრულების ურთიერთობა არსებობს გამდიდრებულსა და იმ პირს შორის, რომლის შესრულებაც გონივრული განსჯის შემთხვევაში გაგებულ უნდა იქნეს მიმღების მიერ, როგორც ამ უკანასკნელისათვის გადაცემული. ამით მიმღები დაცული უნდა იყოს გადაცემულის უკან დაბრუნების მოულოდნელი მოთხოვნებისაგან, როდესაც შემსრულებელი ნაკლებად იმსახურებს სამართლებრივი დაცვის; ამიტომ მას შეუძლია ახსნას, თუ რა მიზანს ისახავდა იგი თავისი შესრულებით. აღნიშნული, განსაკუთრებით დავალების შემთხვევებში, მნიშვნელოვანი (ქვემოთ, 27-ე და შემდეგი ველები) პრინციპი ლიტერატურაში ირღვევა შემსრულებლის პიროვნებაში შეცდომის

20

21

131 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

შემთხვევაში (ა-ს სურს თავად შესრულება, როდესაც შესრულების მიმღებს ა-ს მიერ განხორციელებულ ქონებრივ გადაცემას თვლის ბ-ს მხრიდან განხორციელებულად): დადამწყვეტია შემსრულებლის პოზიცია (დეტალურად იხ. *Medicus/Petersen*, 687-ე და შემდეგი ველები). ანგარიშსწორებისათვის (§ 675გ და შემდეგი პარაგრაფები) ობიექტური მიმღების შეხედულება განმსაზღვრელი არ არის, ვინაიდან კანონი გამომდინარეობს მხოლოდ ობიექტური ნიშან-თვისებებიდან, კერძოდ კი, საანგარიშსწორებო ოპერაციების ავტორიზაციიდან. თუ საანგარიშსწორებო ოპერაცია არ არის ავტორიზებული, მაშინ მისგან გადახდის მიმღების არანაირი ნდობა არ გამომდინარეობს. § 675კ და შემდეგ პარაგრაფებში გათვალისწინებული რისკის განაწილება საკმარისად იცავს მიმღებს (*Bartels WM*, 2010, 1828).

22 გ) შესრულების ცნების შეფასებითი განვრცობა. შესრულების ცნება არ არსებობს, როდესაც ა-ს შეგნებულად და მიზანმიმართულად სურს არა მხოლოდ ბ-ს კუთვნილი ქონების, არამედ ასევე გ-ს ქონების გაზრდა, ანუ ახორციელებს შესრულებას ბ-სა და გ-ს მიმართ (შდრ. § 784-ის პირველი ნაწილი და 31-ე ველი). შესაბამისად, *Canaris*-ზე მითითებით (*FS Larenz*, I, [1973] 799) ხდება შესრულების ცნების შეფასებითი მოდიფიცირება (საფუძვლიანად იხ. *Larenz/Canaris*, SchR, II/2, § 70). ამდენად, სასამართლო პრაქტიკა კონდიქციური მოთხოვნის უფლების მხარეთა მდგომარეობის გასამყარებლად ითვალისწინებს ნდობის დაცვისა და რისკის განაწილების პოზიციას და ხაზს უსვამს იმას, რომ რამდენიმე პირის მონაწილეობის შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე კომპენსაციისათვის აიკრძალებოდა ნებისმიერი სქემატური გადაწყვეტა (იხ. *BGHZ*, 61, 291; 87, 395; 122, 46; ამავე საკითხზე იხ. *Omlor/Spies JR*, 2011, 139). შესრულების ცნების დადგენილ წესი განივრცობა შემდეგი შეფასებებით (იხ. *Larenz/Canaris* SchR, II/2, § 70, VI, 1; *Medicus/Petersen*, 667-ე ველი): თუმცა, აღნიშნული შეფასებები გამოიყენება მხოლოდ დამატებით, რათა დაზუსტდეს შესრულების ცნებიდან გამომდინარე შედეგები. შეიძლება დავასახელოთ შემდეგი შეფასებები: (1) ხარვეზიანი კაუზალური ურთიერთობის ნებისმიერმა მხარემ კონტრაგენტის მიმართ უნდა შეინარჩუნოს შესაგებლები; (2) პირიქითაც, თითოეული მხარე დაცული უნდა იყოს მესამე პირთან ურთიერთობიდან გამომდინარე შესაგებლებისაგან; (3) თითოეულ მხარეს უნდა ეკისრებოდეს მხოლოდ მისი კონტრაჰენტის ვაკოტრების რისკი¹³².

23 2. შემთხვევათა ჯგუფები. წინამდებარე ნაშრომში პრაქტიკის მიერ გაშუქებული შემთხვევების რამდენიმე ჯგუფიდან შეიძლება მხოლოდ ცალკეული ჯგუფების განხილვა (დეტალურად იხ. *Medicus/Petersen*, 669-ე და შემდეგი ველები).

24 ა) მიწოდება. ა ყიდის მოძრავ ნივთს ბ-ზე, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ყიდის მას გ-ზე. ე. წ. **შესრულების ჯაჭვის** (იხ. ზემოთ, მე-18 ველი) მაგალითისაგან მიწოდება განსხვავდება იმით, რომ შესრულების გზების შემცირების მიზნით ბ ა-ს აძლევს დავალებას ნივთის პირდაპირ გ-სათვის მიწოდების შესახებ. მიუხედავად ამისა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, შემთხვევების ორივე ჯგუფი საჭიროებს ერთგვაროვან მიდგომას: უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან დაბრუნება ხდება ყოველთვის მხოლოდ ხარვეზიანი კაუზალური ურთიერთობის (ა-ბ ან ბ-გ) ფარგლებში (გამონაკლისი: § 822; შდრ. ზემოთ, მე-19 და შემდეგი ველები). თუ ორივე ძირითადი ურთიერთობა ბათილია (**ორმაგი ხარვეზი**), მაშინ, როგორც წესი, ა-ს შეუძლია ბ-საგან მხოლოდ იმ კონდიქციური მოთხოვნის უფლებების დათმობის მოთხოვნა, რომლებიც ამ უკანასკნელს აქვს გ-ს მიმართ (ე. წ. „**კონდიქციის კონდიქცია**“).

25 თუმცა, ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება მიწოდების შემთხვევაში აღნიშნულ შედეგს, სულ ცოტა, უსამართლოდ მიიჩნევს (შდრ. *Medicus/Petersen*, 673-ე და შემდეგი ველები); შესაბამისად, ა-მ უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად

132 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

მიღებულის უკან დაბრუნება ამჯერად უნდა მოსთხოვოს გ-ს, რომელიც მას თავის კონტრაქტად არ აურჩევია. ამიტომ მას ეკისრება გაკოტრების რისკი არა მხოლოდ ბ-ს, არამედ გ-ს მიმართ და მან (§ 404-ის გამო) უნდა დაუშვას ბ-გ-ს შორის არსებული მისთვის უცხო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე გ-ს კუთვნილი შესაგებლების გამოყენება (შეფასებებიდან ორის დარღვევა, იხ. ზემოთ 22-ე ველი); **რისკების ასეთი შეკრების** თავიდან ასაცილებლად არსებობს მოსაზრება, რომ ა ბ-ს შემთხვევაში თავის უსაფუძვლო გამდიდრებით მოთხოვნის უფლებას გამოიყენებს არა გ-ს, არამედ **უსაფუძვლოდ მიღებული საგნის ღირებულების** მიმართ (§ 818-ის მე-2 ნანილი). დასაბუთება: ბ-ს მხრიდან ნივთის პირდაპირ გ-სათვის მიწოდების შესახებ ა-სათვის მიცემული დავალებით, ბ ახდენს უსაფუძვლოდ მიღებული საგნის ღირებულების განკარგვას; ამიტომ მან უნდა დაუშვას მის მიმართ ისეთი დამოკიდებულება, თითქოს აღნიშნული რეალური ღირებულება ლოგიკური ვადით აღმოჩნდა მის საკუთრებაში. იმ ფაქტის საფუძველზე გამდიდრების გამორიცხვისას (§ 818-ის მე-3 ნანილი), რომ ბ-გ-ს შორის კონდიქციის მოთხოვნის უფლება შესაძლო შესაგებლების ან გ-ს გაკოტრების გამო ღირებულების არმქონე იქნებოდა, ბ ვერ შეძლებდა ა-სთან ურთიერთობაზე მითითებას; შედეგად, ა-ზე მითითებით ბ-მ ეს რისკი თავის თავზე აიღო (*Larenz/Canaris* SchR II/2, § 70, II, 2).

მიწოდების შემთხვევებში, ასევე სანივთოსამართლებრივი თვალსაზრისითაც, ხდება ბ-ს მიერ ქონების ტრანზიტული შექცევა. ა-დან გ-ზე (გარეგნულად შესამჩნევნი) ნივთების გადაცემის შედეგად ხდება საკუთრების უფლების გადაცემის ორი აქტი (**ორმაგი შექცევა დავალების საფუძველზე**): ა გადასცემს საკუთრების უფლებას ნივთზე ბ-ს და გადაცემის დროს გ გამოდის როგორც ბ-ს რწმუნებული პირი. ამავე დროს, ბ ნივთზე საკუთრების უფლებას გადასცემს გ-ს და ამ გადაცემით ა ბ-სათვის მოქმედებს როგორც რწმუნებული პირი (იხ. § 929-ის მე-7 ველი). თუმცა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, უსაფუძვლო გამდიდრების ურთიერთობებში სანივთოსამართლებრივ კონსტრუქციას უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებულის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხზე გავლენა არა აქვს (შდრ. ზემოთ, მე-19 ველი).

ბ) ორდერის (დავალების) შემთხვევები. ორდერის (დავალების) **ცნება** უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებში უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ, ვიდრე იგი მოცემულია § 783-ში. მასში იგულისხმება ყველა ის შემთხვევა, რომლებშიც ორდერის გამცემი (ა) დავალების მიმცემ პირს (ბ, მაგ., ბანკს) ანიჭებს უფლებამოსილებას, მესამე პირს (გ, შესრულების მიმღები) გადასცეს რაიმე მის ხარჯზე. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, დავალების მიცემა ხორციელდება წერილობით თუ ზეპირად; წერილობით იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც შესრულების მიმღების (როგორც, მაგ., ჩეკის შემთხვევაში), ისე, აგრეთვე, დავალების მიმცემის (მაგ., გადახდის დავალების) მეშვეობით. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისას გამოყენებული ტერმინოლოგიის მსგავსად (შდრ. § 328-ის შესავლის მე-3 და შემდეგი ველები) ორდერის გამცემსა (ა) და დავალების მიმცემს (ბ) შორის სამართლებრივი ურთიერთობა აღინიშნება როგორც ე. წ. **დაფარვის ურთიერთობა**, სამართლებრივი ურთიერთობა ორდერის გამცემსა (ა) და შესრულების მიმღებს (გ) შორის – როგორც **სავალუტო ურთიერთობა**, ხოლო ურთიერთობა გადახდელსა (ბ) და შესრულების მიმღებს (გ) შორის – **გადაცემის ურთიერთობად** (შეცდომაში შემყვანი აღნიშვნით როგორც შესრულების ურთიერთობა, ვინაიდან ბ-სა და გ-ს შორის შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა გავებით, როგორც წესი, არ ხდება).

აა) ორდერის (დავალების) შემთხვევებში ნებისმიერ (ხარვეზიან) კაუზალურ ურთიერთობაში უსაფუძვლოდ გამდიდრებულის უკან დაბრუნების პრინციპს მივყავართ, როგორც წესი (გამონაკლისი § 822; შდრ. ზემოთ, მე-20 ველი), მხოლოდ

26

27

28

უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებულის მოთხოვნის უფლებებამდე დაფარვის ურთიერთობასა (ა-ბ) და სავალუტო ურთიერთობაში (ა-გ). თუმცა, მოთხოვნის უფლება გადაცემის ურთიერთობაში (ბ-გ, „პირდაპირი მოთხოვნის უფლება“), ძირითადად, გამორიცხულია: ამ შემთხვევაში, როგორც წესი, კაუზალური ურთიერთობა არ არსებობს და, შესაბამისად, ვერც შესრულება იქნება სახეზე. მაგ.: თუ ა დავალებას აძლევს ბანკს – ბ-ს, გადაურიცხოს გ-ს ფულადი თანხა და ბანკიც ახორციელებს გადარიცხვას, მაშინ ბანკს სურს, სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გ-ზე თანხის გადარიცხვით ა-ს (დაფარვის ურთიერთობაში, § 676ა და შემდეგი ველები) მიმართ შესრულების განხორციელება; ერთდროულად ა-ს, რომლის გამოც მოხდა ქონების გადაცემა, სურს სავალუტო ურთიერთობაში ვალდებულების გ-ს მიმართ (მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, § 433-ის მე-2 ნაწილი) შესრულება: შედეგად, ა ასრულებს გ-ს მიმართ. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, ბათილია თუ არა დაფარვის ურთიერთობა (ა-ბ) ან არის თუ არა სახეზე ორმაგი ხარვეზი: უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებულის უკან დაბრუნება ხდება, როგორც წესი, მხოლოდ ხარვეზიანი შესრულების ურთიერთობაში. ორმაგი ხარვეზისას მოქმედებს მიწოდების შემთხვევაში (იხ. ზემოთ, 24-ე და შემდეგი ველები; ასევე ორდერის შემთხვევა) ნაჩვენები პრინციპები (კონდიქციის კონდიქცია; საგნის ღირებულების კონდიქცია).

29

ბბ) გამონაკლისის სახით გაბატონებული შეხედულება დასაშვებად მიიჩნევა **პირდაპირ კონდიქციას** ბ-გ-ს შორის **ხარვეზიანი ორდერის** შემთხვევებში (დაფარვის ურთიერთობა) იმ დროს, როდესაც შესრულების მიმღებმა (გ) იცოდა ორდერის ხარვეზის შესახებ, ან მას ამის შესახებ უნდა სცოდნოდა (დეტალურად იხ. *Larenz/Canaris SchR II/2, § 70, IV, 3b*). შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევებში გ-ს ბ-სათვის ქონების გადაცემა შეუძლია, არ მიიჩნიოს შესრულებად; ხოლო ვინაიდან, გაბატონებული შეხედულების თანახმად, უსაფუძვლოდ გამდიდრებასთან დაკავშირებული ურთიერთობის განსაზღვრა დამოკიდებულია შესრულების მიმღების შეხედულებაზე (იხ. ზემოთ, 21-ე ველი), პირდაპირი მოთხოვნის უფლების გამომრიცხავი (ბ-გ) ა-გ შესრულების ურთიერთობა სახეზე არ არის. ეს პირდაპირი მოთხოვნის უფლება არის შეუსრულებლობის კონდიქცია (*Medicus/Petersen, 676-ე ველი; Larenz/Canaris SchR II/2, § 70, IV, 3e*). მაგ.: გ ანაღდებს ა-ს მიერ გადასახდელად წარდგენილ, თუმცა, ბანკის – ბ-ს მხრიდან ბლოკირებულ ჩეკს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო განაღდების გაუქმების შესახებ (*BGHZ, 87, 393*); ბანკი ბ ა-ს გადახდის დავალებას შეცდომით ახორციელებს ორჯერ – ამ შემთხვევაში გ-ს არ შეუძლია ნდობა იმისა, რომ ორივე გადახდა მის სასარგებლოდ განხორციელდა ა-სგან კაუზალური ურთიერთობის საფუძველზე (*OLG Hamburg NJW, 1983, 1499*). არაერთი საწინააღმდეგო მაგალითიც არსებობს, რომლებშიც გ-მ ორდერის ხარვეზის შესახებ არაფერი იცოდა და, შესაბამისად, იგი ენდობოდა ა-ს შესრულებას: ა აუქმებს თავის გრძელვადიან გადახდის დავალებას ბანკის მიმართ, რომელიც შეცდომით მაინც ახორციელებს გადახდას გ-ს მიმართ, რომელმაც, თავის მხრივ, არაფერი იცოდა გადახდის დავალების გაუქმების შესახებ (*BGH NJW, 1984, 1348*; სხვა მაგალითები იხ. *Palandt-Sprau, 107-ე ველი*). გ-ს მხრიდან დაფარვის ურთიერთობაში ხარვეზის შესახებ არცოდნის შემთხვევაშიც კი პირდაპირი კონდიქცია (ბ-გ) მაინც შესაძლებელია, როდესაც დაფარვის ურთიერთობაში (ა-ბ) შესრულებისათვის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, სავალუტო ურთიერთობაში (ა-გ) გ-მ შესრულება უსასყიდლოდ მიიღო, ხოლო ორდერის გამცემის (ა) პიროვნებაში სახეზე არ არის §§ 818-ის მე-4 ნაწილი, 819-ის წინაპირობები (*BGHZ, 88, 232, 237; 147, 269, 274*). პირდაპირი კონდიქციის დასაშვებობა აღნიშნულ შემთხვევებში გამართლებულია, ვინაიდან §§ 816-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების, 822-ის სამართლებრივი პოზიციის შედეგად გ არ არის დაცვის ღირსი და ამიტომ ბ-ს კუთვნილი უსაფუძვლო

გამდიდრებით მოთხოვნის უფლება გამდიდრებული ა-ს მიმართ, § 818-ის მე-3 ნაწილის თანახმად, უსარგებლოა (შდრ. ზემოთ, მე-20 ველი).

გგ) თავიდანვე ორდერის არარსებობის შემთხვევაში (მაგ.: გ უნალდებს გაყალბებულ ა-ს მიერ ხელმოწერულ ჩეკს ბ-ს, შდრ. BGHZ, 66, 362; ბ რიცხავს უფრო მეტს, ვიდრე მას დავალებული აქვს ა-სგან), ბანკის კონდიქცია თანხის მიმღების მიმართ **მაინც** არსებობს ისე, რომ იგი არ არის დამოკიდებული ხარვეზის შესახებ შესრულების მიმღების ცოდნაზე: იმ სავარაუდო ორდერის გამცემის ინტერესების დაცვას, რომელსაც გადახდა ანგარიშში ვერ ჩათვლება, ენიჭება უპირატესობა მიმღების ნდობის დაცვასთან შედარებით (BGH NJW, 2008, 2331, №10 და შემდეგი). ამ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე პრინციპები მოქმედებს ასევე **ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის** მეშვეობით გადახდის მიმართაც (იხ. § 675გ-ის შესავლის მე-3 ველი). ამ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, თანხის ამოღების უფლებამოსილების მინიჭება არ უნდა შეფასდეს როგორც უფლებამოსილების მინიჭება, § 185-ის პირველი ნაწილის გაგებით, ან როგორც მინდობილობა. პირიქითაც, აღნიშნული არ ხდება ჩასათვლელი ორდერის შემთხვევაში, როდესაც მოვალე ანგარიშიდან თანხის ჩამოწერას ეწინააღმდეგება; მოვალე ბანკს შეუძლია, შეუსრულებლობის კონდიქციის მეშვეობით რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს კრედიტორს (BGHZ, 167, 171; იხ. Würdinger JuS, 2007, 418).

გ) მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ნამდვილი ხელშეკრულების შემთხვევაში (მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, § 328; მესამე პირის სასარგებლოდ დადებული არანამდვილი ხელშეკრულებისათვის, შდრ. § 328-ის შესავლის მე-8 ველი, მოქმედებს 24-ე და შემდეგი ველები, უკვე აღნიშნული 27-ე და შემდეგი ველები), შესრულების ცნებაზე ორიენტირებულ გაბატონებულ შეხედულებას სირთულეები ექმნება უსაფუძვლოდ გამდიდრებასთან დაკავშირებული ურთიერთობის განსაზღვრისას. თუმცა, ქონებრივი ღირებულების გადაცემის განმახორციელებელი ბ (შემპირებელი) უშვებს თავისი თავის მიმართ ორი მოთხოვნის უფლების გამოყენებას, რომელთა შესრულებასაც იგი შეძლებდა: დაფარვის ურთიერთობაში იგი ვალდებულია შეპირების მიმღების (ა) მიმართ, რომლის ანგარიშის საფუძველზეც მან უნდა გადასცეს რაიმე მესამე პირს (გ), ხოლო გადაცემის ურთიერთობაში (რასაც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, სშირად მესამე პირთან ურთიერთობას უწოდებენ), მესამე პირს (გ) შეუძლია, § 328-ის პირველი ნაწილის თანახმად, შესრულება მოითხოვოს პირდაპირ ბ-საგან. თუ შემპირებელმა (ბ) **დაფარვის ურთიერთობაში** (ა-ბ) **ხარვეზის** შემთხვევაში მაინც განახორციელა შესრულება მესამე პირის (გ) მიმართ, მაშინ ამ შემთხვევაში – მსგავსად ორდერის შემთხვევებისა – ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა მას გადაცემულის პირდაპირ გ-საგან მოთხოვნა (პირდაპირი მოთხოვნის უფლება), თუ იგი ამ საკითხში უნდა დაეყრდნოს თავის კონტრაგენტს. **აა)** როგორც წესი, გ-სათვის ბ-ს მიმართ დამოუკიდებელი მოთხოვნის მინიჭება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების მეშვეობით ემსახურება მხოლოდ **შესრულების განხორციელების გზების შემოკლებას**: გ-ს ევალება ის, რაც ა-ს მართებს მის სავალუტო ურთიერთობაში, ხოლო ის, რაც ა-ს, თავის მხრივ, შეუძლია ბ-საგან მოითხოვოს დაფარვის ურთიერთობაში, შეიძლება პირდაპირ ბ-საგან იქნეს მოთხოვნილი. ასეთ შემთხვევებში ბ-ს სურს, გ-ს მიმართ განხორციელებული ქონებრივი გადაცემის შედეგად უმეტესწილად გაათავისუფლდეს ა-ს წინაშე თავისი ვალდებულებისაგან; თუ შესრულება არ ხდება, მაშინ გადაცემულის უკან დაბრუნება უნდა განხორციელდეს ასევე **დაფარვის ურთიერთობაშიც** (ა-ბ). თუ, პირიქით, ბ-ს მიანიჭებდნენ პირდაპირ მოთხოვნის უფლებას გ-ს მიმართ, მაშინ გ, რომლის მდგომარეობაც დამოუკიდებელი მოთხოვნის მინიჭების შედეგად არანამდვილ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებასთან შედარებით უნდა გამყარებულიყო, უსაფუძვლო

30

31

გამდიდრების ნორმების საფუძველზე ვარდება უარეს მდგომარეობაში – ზნეობის საწინააღმდეგო შედეგი; ბბ) ე. წ. **ზრუნვის შემთხვევებში** კი (ა დებს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებას ბ-სთან გ-ს სასარგებლოდ), პირიქით, ხარვეზიანი დაფარვის ურთიერთობის შემთხვევაში (ა-ს შეცდომაში შეჰყავს ბ უკურნებელ ავადმყოფობასთან დაკავშირებით; ბ ახორციელებს შეცილებას § 123-ის თანახმად), § 822-ის სამართლებრივი პოზიციის თანახმად, მხედველობაშია მისაღები **პირდაპირი მოთხოვნის უფლება** ბ-გ (სადავოა, აღნიშნულის თაობაზე იხ. *MüKo-Schwab*, 195-ე და შემდეგი ველეები), შესაბამისად, ა, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გ-ს მიმართ მოთხოვნის უფლებას იძენს, ძირითადად, უსასყიდლოდ (მდრ. ზემოთ, მე-20 ველი). დანვრილებით პირდაპირი მოთხოვნის უფლების შესახებ იხ. *BGHZ*, 58, 184, შემთხვევა, რომელიც არაერთხელ გამხდარა განხილვის საგანი; აღნიშნულის თაობაზე იხ. *MüKo-Schwab*, 199-ე და შემდეგი ველეები და *Medicus/Petersen*, 683-ე ველი.

32 დ) ცესიის შემთხვევები. სადავოა, შეუძლია თუ არა უსაფუძვლო გამდიდრების კრედიტორს, ფაქტობრივად, არარსებული მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში მოითხოვოს უკან ცესიონერის მიმართ განხორციელებული შესრულება, თუ მან უნდა მიმართოს ცედენტს. მაგ.: დაზღვევა (ბ) სადაზღვევო თანხის გადახდას ახორციელებს პირდაპირ დაზღვეული პირის – ა-ს უზრუნველყოფის ცესიონერის – გ-ს სასარგებლოდ ისე, რომ არააფერი იცის ვალდებულების შესრულების გამოძრეცხავი ფაქტობრივი გარემოების შესახებ. უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამ შემთხვევათა ჯგუფების საკითხებს წყვეტს ორდერის შემთხვევათა პარალელურად (იხ. 27-ე ველი): ქონებრივი გადაცემა ბ-გ შეიძლება იყოს ბ-ს შესრულება მისი დაზღვეული პირის – ა-ს მიმართ; როგორც წესი, ბ-მ ცედენტად ა უნდა მიიჩნიოს (*BGHZ*, 105, 365; 122, 46; განსხვავებული შეხედულება იხ. *Medicus/Petersen*, 685a ველი, შემდგომი მითითებებით). სასამართლო პრაქტიკის თანახმად კი, პირიქით, არსებული მოთხოვნის იმ მოვალეს, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი კრედიტორის პიროვნებასთან – იმ კრედიტორის, რომელმაც მოთხოვნა მესამე პირს დაუთმო ანუ ის, რაც მან მესამე პირს, როგორც სავარაუდო ახალ კრედიტორს, შეუსრულა – დაკავშირებით და შეცდომით ახდენს აქცეპტს, შეუძლია უკან მოითხოვოს უშუალოდ ახალი კრედიტორისაგან (*BGH NJW*, 2006, 1731).

33 ე) სხვა პირის ვალდებულების შესრულება. თუ მესამე პირი (ბ), § 267-ის თანახმად, უხდის კრედიტორს გ-ს ა-ს ვალდებულების შესრულების მიზნით ისე, რომ მას არ ჰქონია მიღებული ა-სგან გადახდის დავალება, მაშინ ბ-ს, როდესაც აღნიშნული ვალი აღარ არსებობს, შეუძლია პირდაპირ გ-საგან შესრულებულის უკან მოთხოვნა: ა-ს მხრიდან გადახდის დავალების არარსებობის გამო ქონებრივი გადაცემა გ-ზე არის ბ-ს მხრიდან განხორციელებული შესრულება (*BGHZ*, 113, 62; *BGH NJW*, 2000, 1718; *Medicus/Petersen*, 684-ე ველი შემდგომი მითითებებით ასევე საწინააღმდეგო შეხედულებისათვისაც). იმ საკითხისათვის, თუ როდის შეიძლება საუბარი გადახდის დავალების არსებობის შესახებ, იხ. *Larenz/Canaris* SchR II/2, § 70, V, 3.

დ. შეუსრულებლობის კონდიქცია

I. ზოგადი მიმოხილვა

34 1. პრინციპი. იმ შემთხვევებს, რომლებშიც უსაფუძვლო გამდიდრება დგება არა შესრულების, არამედ **პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 კაზუსის თანახმად „სხვაგვარად“** – (სპეციალური დანაწესი § 816) საერთო აქვთ ის, რომ უსაფუძვლო გამდიდრების პროცესის შედეგად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომელიც არ შეესაბამება **ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს** (იხ. ზემოთ, პირველი ველი). ეს შეიძლება მოხდეს უსაფუძვლოდ

გამდიდრებულის, კონდიქციის კრედიტორის, მესამე პირის მოქმედების შედეგად, ან საერთოდაც ადამიანის ზემოქმედების გარეშე (მაგ.: გლეხის – ა-ს პირუტყვმა გაარღვია ღობე და მოძოვა ბალახი ბ-ს მდელოზე). ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები წყვეტს **სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის** საკითხს, ხოლო რამდენიმე პირისაგან შემდგარ ურთიერთობაში საკითხს იმის თაობაზე, თუ ვის ხარჯზე მოხდა გამდიდრება და თუ ვინ არის უსაფუძვლო გამდიდრების კრედიტორი (შდრ. *Staudinger-St Lorenz*, {2007}, პირველი და შემდეგი ველები, 23-ე და შემდეგი ველები, 77-ე ველი). შესრულების კონდიქციის შემთხვევისაგან განსხვავებით, სადაც სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა, ძირითადად, უპრობლემოდ შეიძლება გადაწყდეს, ცალკეულ შემთხვევებში მნიშვნელოვანი ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სამართლებრივი ნორმების დადგენა შეუსრულებლობის კონდიქციის შემთხვევაში ხშირად პრობლემატურია (დეტალურად იხ. ქვემოთ, 39-ე და შემდეგი ველები).

2. სახეები. მნიშვნელოვანია შეუსრულებლობის კონდიქციის შემდეგი სახეები: **35** არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქცია, სარგებლობიდან გამომდინარე კონდიქცია, რეგრესული კონდიქცია. ჯგუფების მიხედვით დაყოფილი კონდიქციათა სახეები ქმნის **უსაფუძვლო გამდიდრების პროცესს**, რომელიც არ არის დეტალურად აღწერილი § 812-ში (განსხვავებით § 816-საგან, რომლის წინაპირობაა უსაფუძვლო გამდიდრების განსაზღვრული მეთოდი). კლასიფიცირება ხელს უწყობს გამოვლენილი ტიპური პრობლემების გაგებას (მაგ., მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის ან ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების წინაპირობათა განმარტება).

II. არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქცია

1. ფუნქცია და მნიშვნელობა. არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე **36** კონდიქცია შეუსრულებლობის კონდიქციის უმნიშვნელოვანესი სახეა (სპეციალური შემთხვევა – § 816). იგი შესაძლებელია, როდესაც ვინმემ სუბიექტურ უფლებაში ან სამართლებრივ მდგომარეობაში არამართლზომიერი ჩარევის შედეგად მიიღო ქონებრივი სარგებელი, რაც მას კანონით არ ეკუთვნის (დეტალურად იხ. ქვემოთ, 39-ე ველი), მაგ., სხვა პირის კუთვნილი ნივთის არაუფლებამოსილი გამოყენებისას ან მოხმარებისას. შესაბამისად, არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქცია ქმნის **უფლების მოქმედების გაგრძელების მოთხოვნის უფლებას** იმავე დაცვითი ფუნქციით, როგორცაა § 823-ის პირველი ნაწილი, 935 ან 1004.

2. წინაპირობები. ა) რაიმეს იქნეს. როგორც უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნის უფლების შემთხვევაში, კონდიქციის მოვალემ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიიღოს ქონებრივი სარგებელი (დეტალურად იხ. ზემოთ, მე-4 და შემდეგი ველები). **37**

ბ) სხვაგვარად. უსაფუძვლო გამდიდრება უნდა ხდებოდეს „სხვაგვარად“, ანუ არა კრედიტორისათვის შესრულების შედეგად (შესრულების კონდიქციასა და შეუსრულებლობის კონდიქციას შორის ურთიერთმიმართებისათვის იხ. ქვემოთ, 45-ე და შემდეგი ველები) – ანუ იმავე – არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე. მეტად სადავოა, თუ რა მოთხოვნები წაყენება ამ არამართლზომიერ ჩარევას. თავდაპირველად ორიენტაცია ხდებოდა ჩარევის უკანონობაზე (შდრ. *Medicus/Petersen*, 704-ე ველი), დღეს გაბატონებული შეხედულების თანახმად კი, მართლზომიერი ჩარევამ შეიძლება შეასრულოს უსაფუძვლო გამდიდრების ქმედების შემადგენლობა. უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის არსისა და მიზნის შესაბამისად (შდრ. ზემოთ, პირველი ველი), უსაფუძვლო გამდიდრების გამომწვევ მოქმედების სახესა და ხერხს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. პირიქით, როგორც ნიშან-თვისებასთან, „ამ უკანასკნელის ხარჯზე“ ურთიერთმიმართებიდან ნათლად ჩანს, გადაწყვეტია ის, რომ ჩარევა გამოიხატება სხვა პირის სამართლებრივი **38**

მდგომარეობის (განსაზღვრული ბირთვი) ეკონომიკურ გამოყენებაში, რომელიც მართლწესრიგის მიხედვით, ეკუთვნის მხოლოდ მის მფლობელს (*Larenz/Canaris SchR II/2, § 69, I, 1; Jauernig-Stadler, 51-ე ველი*). აღნიშნულის – ზოგჯერ გაკრიტიკებული როგორც „ცარიელი ფორმალბა“ – განმარტება სხვადასხვა შემთხვევაში ექვემდებარება **დაკონკრეტებას** საკანონმდებლო შეფასებების მეშვეობით. ამავე დროს, შესაძლებელია ორიენტირება დელიქტური ნორმებით ქონებრივი ურთიერთობების დაცვაზე და ასევე საკუთრების უფლების მომწესრიგებელი ნორმების (§ 903 და შემდეგი პარაგრაფების ველები) როგორც საჩვენებელი რეგულირების გამოყენებაზე. განსაზღვრული არსია შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ აბსოლუტურ უფლებებს, არამედ ასევე მოთხოვნებსაც, თუ საქმე ეხება მათ რეალიზაციას (მოთხოვნის რეალიზაციის კომპეტენცია) (მდრ. § 816-ის მე-2 ნაწილი: *Larenz/Canaris SchR II/2, § 69, I, 2*).

ცალკეული შემთხვევები: მესაკუთრეს (ე) ენიჭება ნივთით სარგებლობისა და მისი მოხმარების უფლებამოსილებები (§ 903). შესაბამისად, ე-ს აქვს არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქცია ქათმების ქურდის მიმართ, რომელმაც მოპარული ფრინველი დაკლა და შეჭამა. რა თქმა უნდა, ნივთის უბრალო გამოყენების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს (§§ 987 და შემდეგი პარაგრაფების ველები) მათ გამოყენების სფეროში, § 993-ის პირველი ნაწილი (იხ. § 987-ის შესავლის მე-10 ველი). თავის მხრივ, მესაკუთრეს (გამქირავებელი) არ ენიჭება ნივთის ქვექირავნობით გადაცემის უფლება. ამიტომაც, არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე, კონდიქცია დამქირავებლის მიმართ უსაფუძვლო ქვექირავნობის გამო გამორიცხულია (BGHZ, 131, 297, 306). არამართლზომიერი ჩარევის კონდიქციის უმნიშვნელოვანესი შემთხვევაა **იძულებითი აღსრულების პროცესში იმ ნივთების რეალიზაცია, რომლებიც მოვალეს არ ეკუთვნის:** თუ კრედიტორი (გ) ახორციელებს იმ ნივთის დაყადაღებასა და აუქციონზე გაყიდვას, რომელიც ეკუთვნის არა მოვალეს, არამედ ე-ს, მაშინ ე კარგავს ნივთზე საკუთრების უფლებას აუქციონზე ნივთის რეალიზაციის მომენტიდან. თუმცა, ვინაიდან სანივთო სუროგაციის ძალით ე ხდება ამონაგები თანხის მესაკუთრე (მდრ. § 1247-ის მე-3 ველი), გ ახორციელებს საკუთრების უფლების არსში ჩარევას, როდესაც იგი უშვებს ამონაგები თანხის გადაცემას სასამართლო (სახელმწიფო) აღმასრულებლისაგან. თვით ზოგად პირად უფლებას (იხ. § 823-ის მე-14 ველი) შეუძლია იქონიოს უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმებით დაცული განსაზღვრული არსი, კერძოდ, როდესაც იგი – როგორც, მაგ., ცნობილ ნახატთა პირები – ვარგისია კომერციული რეალიზაციისათვის (BGH NJW, 1992, 2084, 2085, შემდგომი მითითებებით; სასამართლო პრაქტიკაში სადავოა). სახლის ფოტოგრაფირება საყოველთაოდ მისაწვდომი ადგილიდან **არ არის** საკუთრების უფლების განსაზღვრულ ბირთვში ჩარევა (BGH NJW, 1989, 2251). გარდა ამისა, გაბატონებული შეხედულების თანახმად (*Jauernig-Stadler, 56-ე ველი*), დაცული **განსაზღვრული არსი** არა აქვს უფლებას გამართულ და ექსპლუატაციაში მყოფ **საწარმოზე**; შესაბამისად, ეს სამართლებრივი ინსტიტუტი არ ანიჭებს უფლების მფლობელს შეძენის მყარ შესაძლებლობებს ექსკლუზიური შედეგებით.

39

გ) „ამ უკანასკნელის ხარჯზე“. მითითება „ამ უკანასკნელის ხარჯზე“, – რაც, გაბატონებული შეხედულების თანახმად, არ მოქმედებს შესრულების კონდიქციის მიმართ (იხ. ზემოთ, მე-9 ველი) – ემსახურება უსაფუძვლო გამდიდრებით კრედიტორის ვინაობის დადგენას. დღეს გაბატონებული შეხედულების თანახმად, არ მოითხოვება **ქონებრივი ღირებულების გადაცემა** იმ გავებით, რომ მოვალის გამდიდრება შეესაბამებოდეს კრედიტორის ქონების შემცირებას. ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელ ნორმებში, ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმებისაგან განსხვავებით, საუბარია არა იმაზე, რომ მოხდეს შემცირებული

ქონების კომპენსაცია, არამედ იმაზე, რომ დაბრუნდეს უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებული ქონებრივი სარგებელი, რაც უსაფუძვლოდ გამდიდრებულს არ ეკუთვნის (იხ. ზემოთ, პირველი ველი). უსაფუძვლო გამდიდრების კრედიტორის დასადგენად გადამწყვეტია ის, თუ ვის „ეკუთვნოდა“ უსაფუძვლოდ გამდიდრებულის მიერ მიღებული ქონებრივი ღირებულება მართლწესრიგის ერთიანი პოზიციის მიხედვით (მდრ. წინა ველს). უსაფუძვლოდ გამდიდრებული მოვალის დადგენის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია **უშუალობის პრინციპის მოთხოვნა**, სადაც მესამე პირის მხრიდან შუალედური შექმნის შემთხვევაში, კონდიქცია საბოლოო შემქმნის მიმართ გამორიცხულია (*Jauernig-Stadler*, 59-ე ველი; განსხვავებული პოზიცია იხ. *Larenz/Canaris SchR II/2*, § 67, II, 2b).

დ) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. უსაფუძვლო გამდიდრება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებული სარგებელი, მართლწესრიგის თანახმად, ეკუთვნის სხვა პირს. ამიტომაც, არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე, კონდიქცია გამორიცხულია, როდესაც უფლების მფლობელს ხელშეკრულებით მიეცა ნებართვა, ისარგებლოს ნივთით, ან მოიხმაროს იგი. ჩარევით შექმნის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება იყოს ასევე საკანონმდებლო დანაწესი. ასე ხორციელდება კანონის ძალით მომხდარ სამართლებრივ საფუძველთან მისადაგების ცვლილებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებში უფლების შექმნას საბოლოოდ შესაძლებელს ხდის (*Jauernig-Stadler*, მე-60 და შემდეგი ველები). მაგ.: კეთილსინდისიერი შექმნა, § 932-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად. რამდენადაც, პირიქით, სამართლებრივ საფუძველთან მისადაგების ცვლილებები არის მხოლოდ სანივთო-სამართლებრივი რეაქციები ფაქტობრივ ცვლილებებზე, როგორებიცაა: შეერთება, შერევა ან გადამუშავება (§§ 946-950), § 951 უშვებს არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქციას, რომელიც, რა თქმა უნდა, შეზღუდულია ღირებულების საზღაურის ოდენობით (§ 818-ის მე-2 ნაწილი).

40

III. სარგებლობიდან გამომდინარე კონდიქცია

1. ზოგადი დებულებები. თუ პირი მოიხმარს საკუთარ საშუალებებს (როგორებიცაა, მაგ., თავისი სამუშაო ძალა) სხვა პირის ნივთის მიმართ ისე, რომ ამისათვის იგი არც კანონითა და არც ხელშეკრულებით არ არის ვალდებული, წარმოიშობა სარგებლობიდან გამომდინარე ღირებულების ანაზღაურების კონდიქცია (ცნება: § 994-ის მე-2 ველი). თუმცა, გამოყენებიდან გამომდინარე, კონდიქცია უფრო მეტად **სუბსიდიურია: შესრულების კონდიქციასთან** მიმართებით, რომელსაც აქვს უპირატესობა, როდესაც გამოყენება მოხდა, სავარაუდოდ, არსებული სამართლებრივი ვალდებულების შესრულების მიზნით (დეტალურად იხ. *Medicus/Petersen*, 892-ე და შემდეგი ველები) და განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასთან მიმართებით, **დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევაში** (§§ 683-ის პირველი წინადადება, 670). ბოლოს გაბატონებული შეხედულების თანახმად, უპირატესობა ენიჭება **§§ 994-ისა და შემდეგი პარაგრაფების სპეციალურ დანაწესებს**: თუ არამართლზომიერმა მფლობელმა გასწია ხარჯები სხვა პირის კუთვნილ ნივთზე, მაშინ მას მათი მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ § 994-ისა და შემდეგი პარაგრაფების წინაპირობების გათვალისწინებით; ეს საკანონმდებლო შეფასება უგულვებელყოფილი იქნებოდა, თუ დაიშვებოდა უფრო ფართოდ გამოყენებადი კონდიქცია (*Staudinger-Gursky*, {2006}, § 994-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესავლის 43-ე ველი). სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ეს ასევე მოქმედებს იმ ხარჯების მიმართაც, რომლებიც არ შედის მის მიერ წარმოდგენილი გამოყენების ვიწრო ცნებაში (ე. წ. აბსოლუტური ამკრძალავი მოქმედების თეორია, BGHZ, 41,157; BGH NJW, 1996, 52; იხ. ასევე § 994-ის მე-3 ველი). ნაკლებად გაზიარებული შეხედულების თანახმად კი (*Medicus/Petersen*, 897-ე ველი),

41

პირიქით, დასაშვებია სარგებლობიდან გამომდინარე კონდიქცია, § 994-სა და შემდეგ პარაგრაფებში მოცემულ ნორმებთან ერთად, განსაკუთრებით ისეთი სარგებლობის შემთხვევებში, რომლებიც შედეგად იწვევს § 951-ით გათვალისწინებული გამოყენებული საკომპენსაციო უფლების დაკარგვას. დასაბუთება: მოსარგებლე, რომელიც ფლობს ნივთს, არ უნდა იყოს უფრო ცუდ მდგომარეობაში, ვიდრე არამფლობელი; მოთხოვნის უფლება უნდა შესწორდეს თავსმოხვეული გამდიდრების პრინციპებიდან გამომდინარე (იხ. ქვემოთ, 42-ე ველი). გაბატონებული შეხედულების თანახმად, სარგებლობიდან გამომდინარე კონდიქცია მხედველობაში მიიღება მხოლოდ მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მიღმა, მაგ., როდესაც პირმა გასწია ხარჯები ნივთებზე, რომლებიც არ იმყოფება მის მფლობელობაში და რომელთა შესახებაც იგი არასწორად უშვებდა იმის ალბათობას, რომ ისინი მას ეკუთვნის (იშვიათად) ან იგი მათ მემკვიდრეობით მიიღებს (შდრ. *OLG Koblenz NJW, 1990,126*). ცნებები „სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“ და „ამ უკანასკნელის ხარჯზე“ როგორც სარგებლობიდან გამომდინარე კონდიქციის, ისევე შესრულების კონდიქციის შემთხვევებში გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, თითქოს აქაც, მსგავსად ზემოაღნიშნული შემთხვევისა, ხდება ქონების ნებაყოფლობით დაკარგვა.

42 2. თავს მოხვეული გამდიდრება. თავს მოხვეული გამდიდრების პრობლემა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა, სარგებლობიდან გამომდინარე კონდიქციის საფუძველზე, უნდა აანაზღაუროს ქონების ღირებულება, ხოლო ხარჯები, მართალია, ობიექტურად გაიზარდა, თუმცა, მისთვის პირადად (სუბიექტურად) ისინი უსარგებლოა. მაგ.: გ საკუთარი ფანჯრის რაფასთან ერთად შეცდომით ღებავს ასევე ს-ს ფანჯრის რაფას, თუმცა, ს-ს სურდა ახალი ფანჯრის დამონტაჟება (სხვა მაგალითები იხ. *Larenz/Canaris SchR II/2, § 72, IV*). ამ მაგალითიდან ჩანს, რომ პრობლემა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამდიდრებულის (რომელზეც მითითება შეეძლო მოვალეს კრედიტორისათვის, § 1001-ის მე-2 წინადადების შესაბამისად, *BGHZ, 23, 61*) ფიზიკური „თან წაღება“ ფაქტობრივად ან სამართლებრივად გამორიცხულია. გაბატონებული შეხედულების თანახმად, სარგებლობიდან გამომდინარე კონდიქცია მოვალისათვის აღნიშნულ შემთხვევებში სასარგებლოა იმდენად, რამდენადაც გამდიდრების შედეგად მიღებულის მოცულობის შეფასება გამონაკლისის სახით ხდება არა მოვალის ქონების ღირებულების ობიექტური გაზრდის მიხედვით (იხ. § 818-ის მე-6 ველი), არამედ სუბიექტური სარგებლობის მიხედვით, რისი მიღებაც მოვალეს შეუძლია თავისი ქონებრივი მდგომარეობის დაგეგმვის მიხედვით. ამავე დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, არის თუ არა ეს შედეგი § 818-ის მე-3 ნაწილის შესაბამისი გამოყენებით გამყარებული (იხ. *Medicus SchR მე-2 ნაწილის 681-ე ველი; MüKo-Schwab, § 818 202-ე ველი*), თუ ვითარდება ღირებულების ცნების სუბიექტივაციისთან ერთად § 818-ის მე-2 ნაწილის ფარგლებში (შდრ. *Erman-Westermann/Buck-Heeb, § 814, მე-6 ველი*), ანდა მკაცრად დიფერენცირებულ გადაწყვეტილებებთან ერთად (დეტალურად იხ. *Larenz/Canaris SchR II/2, § 72, IV*). სხვა კონცეფციის (შდრ. *Medicus/Petersen, 899-ე ველი*) თანახმად, მოვალეს შეუძლია, მის წინააღმდეგ წარდგენილ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებას შესაგებლის სახით დაუპირისპიროს § 249-სთან ან §1004-თან კავშირში არსებული §§ 823-ის პირველი ნაწილიდან, 989, 990-იდან გამომდინარე ნეგატორული სარჩელი. თუმცა, შეუძლებელი იქნება დანახარჯების მიჩნევა ზიანად ან საკუთრების უფლების დარღვევად (*Medicus/Petersen, იქვე*).

IV. რეგრესული კონდიქცია

43 1. ზოგადი დებულებები: რეგრესული კონდიქცია სახეზეა, როდესაც პირი (ბ) ფარავს სხვა პირის (ა) ვალს მესამე პირის (გ) წინაშე (§§ 267, 362-ის პირველი

ნანილი) და ახლა სურს, აინაზღაუროს თავისი ხარჯები მოვალისაგან (ა). რა თქმა უნდა, რეგრესისათვის არ მოქმედებს **ყოვლისმომცველი სპეციალური დანაწესები**: ხშირად ზემოთ აღწერილ შემთხვევაში შესაძლოა არსებობდეს **შესრულების კონდიქცია**; ასე, მაგ., როდესაც ა-მ ბ-ს მისცა გადახდის დავალება და ეს უკანასკნელი სამართლებრივი ძალის არმქონე იყო (იხ. ზემოთ, 27-ე და შემდეგი ველეები), ან როდესაც ბ-მ მოახდინა სავარაუდოდ, საკუთარი ვალის გადახდა (მაგ.: ვითომ-მემკვიდრე ბ უხდის მამკვიდრებლის ვალს გ-ს; რეგრესული კონდიქცია არ არსებობს ნამდვილი მემკვიდრის – ა-ს მიმართ შეცდომის გამოვლენის შემდეგ – ა-ს არაფერი მიუღია, მათ შორის, არც ვალდებულებისაგან გათავისუფლება გ-ს მიმართ – არამედ *condictio indebiti* ბ-გ); დეტალურად იხ. ქვემოთ, 44-ე ველი და *Medicus/Petersen*, 948-ე ველი. სპეციალური რეგრესული დებულება, § 670-ის თანახმად მოქმედებს, როდესაც ბ გ-ს მიმართ ახორციელებდა შესრულებას ა-ს **დავალებით**, ან, როდესაც იგი ა-სთვის მოქმედებდა **დასაბუთებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში** (§§ 677, 683-ის პირველი წინადადება). დაბოლოს, რეგრესული მოთხოვნა ხშირად რეგულირდება *cessio legis*-ის მეშვეობით ან სხვა სპეციალური ნორმებით, ასე, მაგ., გამოსყიდვის უფლების (§ 268-ის მე-3 ნაწილი) არსებობისას, სოლიდარულ მოვალეებს შორის (§ 426) ან თავდების რეგრესული მოთხოვნის შემთხვევაში (§ 774-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება). რეგრესული კონდიქციისათვის რჩება, ძირითადად, დაუსაბუთებელი (და ასევე მინიჭებული) დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევები, ხოლო **§ 684-ის პირველი წინადადება** (§ 687-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებასთან კავშირში) უთითებს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე. მაგ.: ბ უხდის გ-ს ა-ს გაზეთის სააბონენტო გადასახადს ამ უკანასკნელის არყოფნისას, თუმცა, მან იცის, რომ ა-ს ეს არ სურს. თუმცა, ნაკლებად გაზიარებული შეხედულების თანახმად (*Palandt-Sprau*, 63-ე ველი), რეგრესული მოთხოვნა ბ-ს ხორციელდება ასევე შესრულების კონდიქციის საფუძველზე. დასაბუთება: ბ უხდის გ-ს, რათა ა-სთან მიმართებით შეიძინოს რეგრესული მოთხოვნის უფლება დასაბუთებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან გამომდინარე (შესრულება § 812-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მე-2 კაზუსის შესაბამისად); და, პირიქით, სრული დასაბუთებით – *Medicus/Petersen*, 949-ე ველი. დამატებითი პრობლემა ისაა, რომ ა ბ-ს რეგრესის შემთხვევაში არ კარგავს თავის შესაგებელს გ-ს მიმართ (მაგ., მიწოდებული გაზეთები გამოტანისას დაიხა). შესაბამისად, მას ბ-ს რეგრესულ კონდიქციას შეუძლია დაუპირისპიროს გ-ს მიმართ არსებული შესაგებელი, §§ 404 და შემდეგი პარაგრაფების ანალოგიით (*Medicus/Petersen*, 952-ე ველი).

2. ვალდებულების შესრულების დამატებით განსაზღვრა სხვა პირის მიერ. თუ პირმა (ბ) გადაიხდა, სავარაუდოდ, საკუთარი ვალი, მაშინ ნამდვილი მოვალე (ა) შესრულების სხვა პირის მიერ ნათელი განსაზღვრის არარსებობისას შესრულების მომენტში (§ 267) არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან (იხ. აქვე, ზემოთ, 43-ე ველი); შესაბამისად, სახეზე აღარ არის რეგრესი ბ-ს. გაბატონებული შეხედულების თანახმად, შემსრულებელი (ბ) მაინც იძენს უფლებას, შემდგომში შეცვალოს ნაწილობრივი განსაზღვრა ისე, რომ ნამდვილი მოვალე (ა) კრედიტორის – გ-ს მიმართ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან (§§ 267, 362-ის პირველი ნაწილი) და შესაძლებელი გახდეს რეგრესული კონდიქცია ა-ს მიმართ (*BGH NJW*, 1986, 2700; *Jauernig-Stadler*, 76-ე ველი). თუმცა, ლიტერატურაში გამოითქვა სანინაალმდეგო მოსაზრებაც, რომ ბ-ს ამ არჩევანის შესაძლებლობით უსამართლოდ ენიჭება უპირატესობა (განსაკუთრებით გ-ს გაკოტრებისას, როდესაც ა-ს გაქვითვითაც შეეძლო ვალდებულებისაგან გათავისუფლება. შდრ. გაკოტრების კანონის § 94 და შემდეგი პარაგრაფები; *Medicus/Petersen*, 951-ე ველი).

44

ე. ურთიერთმიმართება შესრულებისა და შეუსრულებლობის კონდიქციებს შორის

- 45 1. ორ პირს შორის ურთიერთობაში მოქმედებს კონდიქციების ალტერნატიული პრინციპი: უსაფუძვლო გამდიდრების საგანი, უკვე თავისი ცნების მიხედვით, შეიძლება შექენილ იქნეს მხოლოდ შესრულებით ან „სხვაგვარად“. ამავე დროს, შესრულების კონდიქციის სპეციალურ დანაწესებს ენიჭება უპირატესობა არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქციის ზოგად წესთან შედარებით (შდრ. *Jauernig-Stadler*, 84-ე ველი); ამ უპირატესობას ორ პირს შორის ურთიერთობაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს (თუმცა, შდრ., მაგ., §§ 814, 815, რომლებიც მხოლოდ შესრულების კონდიქციის მიმართ მოქმედებს).
- 46 2. რამდენიმე პირისაგან შემდგარ ურთიერთობაში უსაფუძვლო გამდიდრების საგნის შექენა ერთ პირთან მიმართებით შეიძლება იყოს შესრულება და, ამავე დროს, ერთდროულად გულისხმობდეს არამართლზომიერ ჩარევას მესამე პირის (უფლების დამკარგავი) მიმართ. ა) გაბატონებული შეხედულების თანახმად, ამ შემთხვევაში მოქმედებს შესრულების კონდიქციის უპირატესობის პრინციპი, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შეუსრულებლობის კონდიქციის სუბსიდიურობის პრინციპი (BGHZ, 40, 272, 278; *Medicus/Petersen*, 727-ე ველი). ამის მიხედვით, შეუსრულებლობის კონდიქცია მხედველობაშია მისაღები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული უსაფუძვლო გამდიდრების საგანი გამდიდრებულის, – და საერთოდ არავის, – მიმართ არ იქნა შესრულების მიზნით გადაცემული. შესრულების მიმღებმა, როგორც წესი, ანგარიში უნდა გაუსწოროს მხოლოდ შემსრულებელს, რაც, უპირატესი მოსაზრების თანახმად, დამოკიდებულია თავის შეხედულებაზე იმ პირის მიმართ, ვინც განიხილება როგორც შემსრულებელი (იხ. ზემოთ, 21-ე ველი). მაგ. (BGHZ, 40, 272): მშენებელი გ უკვეთავს ბ-ს ელექტრომონტაჟის მონტაჟს. ბ ყიდულობს ელექტროხელსაწყო ა-საგან, რომელიც მას პირდაპირ მშენებლობაზე აგზავნის, სადაც ხდება მისი დამონტაჟება. ამ შემთხვევაში ა-ს არ შეუძლია, გ-სგან, რომელიც მონტაჟის შედეგად გახდა ელექტროხელსაწყო მესაკუთრე, § 946-ის საფუძველზე, მიუხედავად § 951-ისა, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე მოითხოვოს კომპენსაციის გადახდა (არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქცია). გ-ს შეხედულებით, მას ხელსაწყო მიენოდა მისი კონტრაქტის – ბ-ს მხრიდან შესრულების საფუძველზე. თუმცა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, შესრულების კონდიქციის უპირატესობის პრინციპი გაგებულ უნდა იქნეს მხოლოდ როგორც ძირითადი წესი (იხ. ქვემოთ, 47-ე ველი). ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების ავტორთა ნაწილს კი, პირიქით, სურდა ამ პრინციპის მხოლოდ როგორც წესის გამოყენება: როდესაც ვინმე რაიმეს შესრულების შედეგად დათმობს, მაშინ მას შეუძლია, უკან დაბრუნების მოთხოვნის წაყენება მხოლოდ შესრულების მიმღებისათვის და არა მესამე პირისათვის, არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქციის საფუძველზე (ამ მხრივ იხ. BGHZ, 56, 228, 240). სხვებს საერთოდაც სურთ შესრულების კონდიქციის უპირატესობის პრინციპის მთლიანად გაუქმება (*Larenz/Canaris* SchR II/2, § 67, IV, 3).
- 47 ბ) გაბატონებული შეხედულების მიხედვით, შესრულების კონდიქციის უპირატესობის პრინციპი უნდა დაირღვეს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, საწინააღმდეგო საკანონმდებლო შეფასებების არსებობისას. მაგ., § 935 მიუთითებს, რომ დაკარგული ნივთების მესაკუთრეს მათი გადამუშავების შემდეგ შეუძლია მათი ღირებულების (§ 818-ის მე-2 ნაწილი) ანაზღაურების მოთხოვნა (§ 935), როდესაც გადამამუშავებელს ნივთები მიენოდა (BGHZ, 55, 176; „ახალგაზრდა ხარის შემთხვევა“). აღნიშნულის შედეგად, ნივთების გადამუშავებამდე კეთილსინდისიერი მფლობელიც აღმოჩნდებოდა, § 985-იდან გამომდინარე, საკინდიკაციო სარჩელის მოქმედების ქვეშ ისე, რომ ვერ დაუპირისპირებდა მის მიერ ნივთის

შეძენაზე განეულ ხარჯებს; გამდიდრებულის სამართლებრივმა დაცვამ, კანონის თანახმად, ადგილი უნდა დაუთმოს (ყოფილი) მესაკუთრის დაცვას (დამატებით იხ. § 951-ის მე-3 ველი). სადავოა უპირატესობის პრინციპის მოქმედება ე. წ. მონტაჟის საქმეებში (BGHZ, 56, 228; BGH NJW-RR, 1991, 343): ბ-მ ა-სგან შეიძინა სამშენებლო მასალები პირობადებული საკუთრებით, რაც მან პირობის დარღვევით დაუმონტაჟა გ-ს, რომელმაც, § 946-ის თანახმად, შეიძინა საკუთრების უფლება. გაბატონებული მოძღვრების თანახმად, (Larenz/Canaris SchR II/2, § 70, III, 2; Medicus/Petersen, 729-ე ველი), გ უნდა აღმოჩენილიყო არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქციის მოქმედების ქვეშ ა-ს მეშვეობით, როდესაც იგი არაკეთილსინდისიერების გამო (შდრ. § 932) გარიგების გზით ვერ შეძლებდა სამშენებლო მასალაზე საკუთრების უფლების შეძენას. უმაღლესი ფედერალური სასამართლო შესაბამის შემთხვევებში კი, პირიქით, მკაცრად იყენებს შესრულების კონდიქციის უპირატესობის პრინციპს. კანონით რეგულირებული შესრულების კონდიქციის უპირატესობის პრინციპის დარღვევისათვის სხვა მაგალითს ქმნის § 816-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება: უსასყიდლო შეძენის შემთხვევაში, გამდიდრებულს არ იცავს ასევე ის ფაქტი, რომ მან უსაფუძვლო გამდიდრების საგანი მიიღო შესრულების შედეგად. ვინაიდან მას თავისი შენაძენისათვის ხარჯის განევა არ დასჭირდება, იგი ნაკლებად ღირსია დაცვის, ვიდრე ის პირი, რომელმაც იზარალა არაუფლებამოსილი პირის განკარგვის შედეგად. მეორე მხრივ, ნორმა მიუთითებს, რომ ნივთის კეთილსინდისიერ სასყიდლიან შემძენს (§ 932 და შემდეგი პარაგრაფები) არ ეკისრება უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე კომპენსაციის გადახდა; § 816-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხოლოდ გამსხვისებელია ვალდებული განკარგვის შედეგად შეძენილის უკან დაბრუნებაზე. შეფასების ხერხების შესახებ დეტალურად იხ. Medicus/Petersen, 728-ე და შემდეგი ველები.

§ 813. ვალდებულების შესრულება შესაგებლის მიუხედავად

(1) ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებული შესრულება შეიძლება ასევე იქნეს უკან მოთხოვნილი, თუ მოთხოვნის უფლებას დაუპირისპირეს ისეთი შესაგებელი, რომლითაც მოთხოვნის უფლების განხორციელება გამორიცხული იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ²§ 214-ის მე-2 ნაწილის ნორმა უცვლელი რჩება.

(2) თუ ვადიანი ვალდებულება სრულდება ვადის გასვლამდე, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია; შუალედური პროცენტების ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელია.

იხ. § 812-ის მე-13 ველი.

1

§ 814. ვალის არარსებობის შესახებ ცოდნა

დაუშვებელია ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებული შესრულების უკან მოთხოვნა, თუ შემსრულებელმა იცოდა, რომ იგი არ იყო ვალდებულები შესრულებაზე ან, თუ შესრულება შეესაბამებოდა ზნეობრივ მოვალეობას, ან მხედველობაში მისაღებ ზრდილობის ნორმებს.

ნორმა მოქმედებს მხოლოდ *condictio indebiti*-ის მიმართ (§ 812-ის მე-13 ველი), თუმცა, არ მოიცავს პირობადებული შესრულების შემთხვევებს.

1

§ 815. შედეგის მიუღწევლობა

ვალდებულების შესრულებით დასახული შედეგის მიუღწევლობის გამო უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ შედეგის დადგომა თავიდანვე შეუძლებელი იყო და ვალდებულების შემსრულებელმა ამის შესახებ იცოდა, ან თუ ამ

უკანასკნელმა შედეგის დადგომას კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ შეუშალა ხელი.

- 1 ნორმა ეხება მხოლოდ *condictio ob rem*-ს (§ 812-ის მე-15 და შემდეგი ველები).

§ 816. განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ

(1) ¹თუ არაუფლებამოსილი პირი განკარგავს ნივთს და ასეთი განკარგვა უფლებამოსილი პირის მიმართ ძალმოსილია, მაშინ იგი ვალდებულია, უფლებამოსილ პირს დაუბრუნოს განკარგვის შედეგად მიღებული. ²თუ განკარგვა ხორციელდება უსასყიდლოდ, მაშინ ანალოგიური ვალდებულება ეკისრება იმ პირს, რომელიც განკარგვის შედეგად უშუალოდ იღებს სამართლებრივ სარგებელს.

(2) თუ ვალდებულების შესრულება ხორციელდება არაუფლებამოსილი პირის მიმართ და ასეთი განკარგვა უფლებამოსილი პირის მიმართ ძალმოსილია, მაშინ არაუფლებამოსილი პირი ვალდებულია, უფლებამოსილ პირს დაუბრუნოს შესრულების შედეგად მიღებული.

I. ზოგადი მიმოხილვა

- 1 ნორმა ანესრიგებს არამართლზომიერი ჩარევის კონდიქციის სპეციალურ შემთხვევებს (აღნიშნულის შესახებ იხ. § 812-ის 36-ე და შემდეგი ველები), სადავოა, იხ. *Medicus*, SchR II 698-ე ველი; *Larenz/Canaris* SchR II/2, § 69, II, 1a. იგი, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს, რომ კეთილსინდისიერ სასყიდლიან შემძენს ისევე არ ეკისრება თავდაპირველად უფლებამოსილი პირის წინაშე უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე კომპენსაცია, როგორც მის მიმართ სანივთო ვინდიკაციის მოთხოვნა რომ ყოფილიყო წარდგენილი (პირველი ნაწილის პირველი წინადადება). პირველი ნაწილის მე-2 წინადადება იწვევს შესრულების კონდიქციის უპირატესობის პრინციპის დარღვევას (გაბატონებული შეხედულება; დეტალურად იხ. § 812-ის 47-ე ველი). პირველი ნაწილის პირველი წინადადება უზრუნველყოფს მოთხოვნის უფლებას **სუროგატის გამოთხოვაზე**; სხვა მოთხოვნის უფლებები აღნიშნული სამართლებრივი შედეგებით იხ. (ხშირად პარალელურად დასამტკიცებელი): §§ 687-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება, 681-ის მე-2 წინადადება, 667 (მინიჭებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება); § 285 (წარმომადგენლობითი *commodum*-ი ვალდებულების შესრულების დარღვევისას); §§ 812-ის პირველი ნაწილი, 818-ის პირველი ნაწილის მე-2 შემთხვევასთან კავშირში.

II. არაუფლებამოსილი პირის მიერ განკარგვის განხორციელება

- 2 **1. სუროგატის მოთხოვნის უფლება გამსხვივებლის მიმართ (პირველი ნაწილის პირველი წინადადება). ა) წინაპირობები. აა) განკარგვა არის ნებისმიერი გარიგება, რომელიც უშუალოდ – არსებული უფლების გადაცემით, უფლებრივი დატვირთვით, გაუქმებით ან შინაარსის შეცვლით – სანივთოსამართლებრივ მხრივ ცვლის უფლებრივ მდგომარეობას (მდრ. მიწის ნაკვეთზე უფლებებისათვის §§ 873, 875, 877). ამდენად, იგი არ ხდება წმინდა ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებების (მაგ., არამართლზომიერი გაქირავება) შემთხვევაში (თუმცა, გარემოებათა გათვალისწინებით ამ შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია არამართლზომიერი ჩარევის კონდიქცის მომწესრიგებელი ნორმები, § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 შემთხვევა); ბბ) არაუფლებამოსილი პირია ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის უფლების მფლობელი ან პირი, რომელსაც არ აქვს განკარგვის უფლებამოსილება; გგ) განკარგვის ნამდვილობა, უფლებამოსილების არქონის მიუხედავად, დგება კეთილსინდისიერი შეძენის შესახებ ნორმების საფუძველზე (§ 932 და შემდეგი პარაგრაფები, § 892 და შემდეგი პარაგრაფები, § 1207 და შემდეგი პარაგრაფები, § 2366; სავაჭრო კოდექსის § 366). თუმცა, როდესაც არაუფ-**

ლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვა თავიდან (მაგ., § 935-ის I-ის გამო) სამართლებრივი ძალის არმქონეა, უფლების მფლობელს შეუძლია პირველი ნანილის სამართლებრივი შედეგების მიღება დადასტურებით (§ 185-ის მე-2 ნანილის პირველი წინადადება); ეს უკანასკნელი განმკარგავს არ ხდის უფლებამოსილად. ამონაგების გამოთხოვაზე სარჩელის აღძვრა ნიშნავს გარიგების დადასტურებას. სამართლებრივი ძალის არმქონე განკარგვების ჯაჭვის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს შეუძლია (პირველი ნანილის პირველი წინადადების თანახმად, უსაფუძვლოდ გამდიდრებული მოვალის ლიკვიდაციის შემდეგ) აირჩიოს, თუ რომელი გარიგება დადასტუროს (დეტალურად იხ. *Medicus SchR II 701-ე ველი*).

ბ) სამართლებრივი შედეგი არის თავდაპირველად უფლებამოსილი პირის მოთხოვნის უფლება განმკარგავი პირის მიმართ **სუროგატის გამოთხოვაზე**. სადავოა, თუ რა მიიჩნევა ამონაგებად, პირველი ნანილის პირველი წინადადების გაგებით. გაბატონებული შეხედულების თანახმად (BGHZ, 29, 157; *Larenz/Canaris SchR II/2, § 72, I, 2*), განმკარგავმა პირმა, როგორც წესი, უნდა დააბრუნოს – რაც უნდა განისაზღვრებოდეს მის მიერ მოლაპარაკების წარმოების უნარით – **მოგება**. დასაბუთებისათვის, ჩვეულებრივ, მიუთითებენ ნორმის სიტყვასიტყვით რედაქციაზე (განკარგვის საგნის ობიექტური ღირებულების საფუძველზე შეზღუდვა არ ხდება), ისევე როგორც იმაზე, რომ სარგებლის მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ უფლების მფლობელს. ლიტერატურაში გამოთქმული რადიკალური მოსაზრების თანახმად კი, პირიქით, თავდაპირველად უფლებამოსილ პირს ამონაგების გამოთხოვის უფლება ეკუთვნის მხოლოდ განკარგვის საგნის **ობიექტური ღირებულების** ოდენობამდე (*Medicus SchR II 705-ე ველი*). დასაბუთება: § 818-ის მე-2 ნანილის ძირითადი პრინციპის თანახმად, აღიარებულია, რომ ამონაგების გამოთხოვის შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა ანაზღაურებულიყო მხოლოდ ობიექტური ღირებულება. ამონაგების გამოთხოვის ვალდებულება კი უსამართლოდ დააზარალებდა კეთილსინდისიერ განმკარგავ პირს; ამიტომ უკეთესი იქნებოდა, ეს უკანასკნელი ყოფილიყო არაკეთილსინდისიერი და მხოლოდ იგი იქნებოდა, §§ 687-ის მე-2 ნანილის, 681-ის მე-2 წინადადების, 667-ის თანახმად, ამონაგების გამოთხოვაზე ვალდებული. თვით პირველი ნანილის პირველი წინადადების სიტყვასიტყვითი რედაქცია არ იქნებოდა გაბატონებული შეხედულების შესაბამისი: მოგება შეიძლება ყოფილიყო არა პირდაპირ მიღებული განკარგვიდან, არამედ მის საფუძველად არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებიდან. თუმცა, აზრთა ერთიანობა არსებობს იმაზე, რომ განმკარგავ პირს არ შეუძლია იმ თანხის გამოკლება, რაც მან თავად განკარგვის საგანზე დახარჯა; ამავე დროს, იგი ამ დახარჯვებს (განკარგვამდე) ვერ დაუპირისპირებდა ასევე § 985-იდან გამომდინარე გამოთხოვის მოთხოვნის უფლებას (შდრ. § 994 და შემდეგი პარაგრაფები, 1000).

2. გამოთხოვის მოთხოვნის უფლება უსასყიდლო შემქნის მიმართ (პირველი ნანილის მე-2 წინადადება). ა) ზემოთ, მე-2 ველში დასახელებული **წინაპირობებიდან** გამომდინარე შემქნის მიმართ მოთხოვნის უფლების საფუძველია შექნის **უსასყიდლობა**. შერეული ჩუქების შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკა გადანყვეტილებებს იღებს იმის მიხედვით, თუ გარიგების რომელ ნაწილს – სასყიდლიანსა თუ უსასყიდლოს – ენიჭება უპირატესობა (BGH WM, 1964, 614; საწინააღმდეგო პოზიცია იხ. *MüKo-Schwab*, 67-ე ველი). სადავოა (მსგავსად § 988-ისა), უნდა დააბრუნოს თუ არა **სამართლებრივი საფუძვლის არმქონე** შემქნმა განკარგვის საგანი როგორც უსასყიდლოდ მიღებული. სასამართლო პრაქტიკას აქამდე ამ საკითხზე არ მიუღია რაიმე გადანყვეტილება (BGHZ, 37, 363; 47, 393; აღნიშნულის შესახებ იხ. *Palandt-Sprau*, 16-ე ველი). **ორმაგი კონდიქციის** შესახებ (გაბატონებული) მოძღვრების თანახმად, სამართლებრივი საფუძვლის არმქონე შემქნმა განკარგვის საგანი მაინც უნდა დააბრუნოს, თუმცა, უნდა დაუბრუნოს იგი მხოლოდ თავის კონტრაპენტს (არაუფლებამოსილი განკარგვის განმახორციელებელს). განსხვავებით

3

4

უსასყიდლო შეძენის შემთხვევებისაგან, თავდაპირველად უფლებამოსილი პირის მიმართ ამონაგების გამოთხოვის ვალდებულების შემთხვევაში მისი შესაგებლები განმკარგავი პირის მიმართ (მაგ., განხორციელებული საპირისპირო შესრულების კომპენსაცია სალდოს თეორიიდან გამომდინარე) გამორიცხული იქნებოდა. და პირიქით, თავდაპირველად უფლებამოსილ პირს, **ერთიანი კონდიქციის** მოძღვრების თანახმად, შეუძლია სამართლებრივი საფუძვლის არმქონე შემძენისაგან, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, ამონაგების გამოთხოვა. დასაბუთება: ის, რაც უსასყიდლო შეძენისათვის სამართლებრივი საფუძვლით მოქმედებს, მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული ასევე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენისათვის (შდრ. დეტალურად *Staudinger-St Lorenz*, {2007}, 18-ე და შემდეგი ველები).

- 5 ბ) **სამართლებრივი შედეგი არის** განკარგვის საგნის გამოთხოვის ვალდებულება, §§ 818,819.

III. სამართლებრივი ძალის მქონე შესრულება არაუფლებამოსილი პირის მიმართ (მე-2 ნაწილი)

- 6 შესრულების მიღებისას შეიძლება მოხდეს ჩარევა, კერძოდ, როდესაც მიმღები არ არის პასიურად ლეგიტიმური, ხოლო მოვალე მაინც თავისუფლდება ვალდებულებისაგან (მოთხოვნის ჩამორთმევა). გამოთხოვის მოთხოვნის უფლების **წინაპირობები** მიმღების მიმართ: იგი უნდა იყოს **არაუფლებამოსილი პირი**, ანუ არ უნდა იყოს არც მოთხოვნის კრედიტორი და არც მოთხოვნის რეალიზაციაზე უფლებამოსილი (აღნიშნულის შესახებ იხ. § 398-ის შესავლის 25-ე ველი). გარდა ამისა, შესრულება უნდა იყოს **სამართლებრივი ძალის მქონე უფლებამოსილი პირის მიმართ**. ამდენად, მოითხოვება მოვალის გათავისუფლება ვალდებულების შესრულებისაგან, მიუხედავად „არასწორი“ კრედიტორის მიმართ შესრულებისა (როგორც გამონაკლისი § 362-ის პირველი ნაწილისათვის). ყველაზე ხშირი შემთხვევაა შესრულება თავდაპირველი კრედიტორის მიმართ დაფარული მოთხოვნის დათმობის შემდეგ, ან ვითომკრედიტორის მიმართ, ანდა კომბინირებული ან მითითებული, თუმცა, სამართლებრივი ძალის არმქონე ცესიის შემთხვევაში (§ 407 და შემდეგი პარაგრაფები). სხვა მაგალითები: ქირის თანხის გადახდა ძველი გამქირავებლის მიმართ გაქირავებული მიწის ნაკვეთის გასხვისებისა და გამქირავებლის უფლებების შემძენზე გადასვლის შემდეგ (§§ 566, 566გ).

§ 817. კანონისა თუ ზნეობის ნორმების დარღვევა

¹თუ ვალდებულების შესრულების მიზანი გამოიხატა იმით, რომ შესრულების მიმღებმა მისი მიღებით დაარღვია კანონის ან ზნეობის ნორმები, მაშინ მიმღები ვალდებულია, დააბრუნოს მიღებული. ²უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ ასეთ დარღვევაში ბრალი ასევე მიუძღვის შემსრულებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესრულება გამოიხატებოდა ვალდებულების კისრებაში; ასეთი ვალდებულების შესრულების მიზნით შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია.

- 1 **1. ზოგადი დებულებები.** პირველი წინადადება ადგენს შესრულების კონდიქციის სპეციალურ შემთხვევას (*condictio ob turpem vel iniustam causam*). შესრულების კონდიქციის სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებით (§ 812-ის მე-13-მე-15 ველები), რომლებშიც გარიგება დასახული მიზნის მიუღწევლობის გამო უნდა დაბრუნდეს საწყის მდგომარეობაში, პირველი წინადადების თანახმად, კონდიქციის შემთხვევაში შედეგი მაინც მიიღწევა, თუმცა, ეს უკანასკნელი არ შეესაბამება მართლწესრიგს. მე-2 წინადადება იძლევა გამონაკლისის საფუძვლებს ყველა შესრულების კონდიქციისათვის (დეტალურად იხ. ქვემოთ, მე-3 ველი).
- 2 **2. Condictio ob turpem vel iniustam causam (პირველი წინადადება).** შესრულების კონდიქციის საერთო წინაპირობებთან ერთად, რომ მიმღებმა შესრულებით „რაიმე

მიიღო“ (აღნიშნულის შესახებ იხ. § 812-ის მე-4 და შემდეგი ველები, 11), მოითხოვება ასევე: ა) **შესრულების მიმღების მიერ კანონის ან ზნეობის ნორმების დარღვევა**. ვინაიდან ამ დარღვევების უმრავლესობა შედეგად იწვევს ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების ბათილობას (§§ 134, 138) და, შესაბამისად, – *condictio indebiti*-ს (§ 812-ის მე-13 ველი), პირველი წინადადების მნიშვნელობა მართებულად შეზღუდულია: აა) თუ შესრულების მიმღების მხრიდან კანონის ან ზნეობის ნორმების ცალმხრივი დარღვევა არ ეხება **ძირითადი გარიგების ნამდვილობას**, შემსრულებელს მაინც უნდა შეეძლოს უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებულის მოთხოვნა. მაგ.: შესრულება შანტაჟის გავლენით (სისხლის სამართლის კოდექსის § 253); ბბ) **ბათილი ძირითადი გარიგების შემთხვევაში**, კონდიქციამ, პირველი წინადადების თანახმად, შეიძლება იმოქმედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების პირველი შემთხვევა არ გამოიყენება § 814, ხოლო § 812-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მე-2 შემთხვევა, – § 815 გამო. მიზეზი: მიმღების ცალმხრივი დარღვევა უფრო მძიმეა, ვიდრე შემსრულებლის მავალდებულებელი §§ 814, 815-ის სამართლიანობის დანაწესი; ბ) სადავოა კონდიქციური მოთხოვნის უფლების **სუბიექტური წინაპირობები** პირველი წინადადების მიხედვით: როდესაც ერთი შეხედულება ითხოვს შესრულების მიმღების მხრიდან კანონის ან ზნეობის ნორმების დარღვევის შესახებ ცოდნას (*Erman-Westermann-Guck-Heeb*, მე-8 ველი; *Jauernig-Stadler*, მე-6 ველი), ლიტერატურაში ფართოდ გაზიარებული შეხედულების თანახმად, საკმარისია ასევე წმინდა ობიექტური დარღვევა; ამდენად, პირველ წინადადებას აქვს არა სადამსჯელო ხასიათი, არამედ იგი აღადგენს მხოლოდ (ობიექტურად) სწორ ქონებრივი ურთიერთობების სისტემას.

3. შესრულების კონდიქციების გამორიცხვა (მე-2 წინადადებაში მოწესრიგებული შესრულების კონდიქციების გამონაკლისი ეხება რომის სამართლისეულ წინადადებას „in pari turpitudinem melior est causa possidentis“: ა) გამოყენების სფერო. აა) ზოგადი შეხედულების თანახმად, კონდიქციების გამონაკლისი მოიცავს არა მარტო, – როგორც ამას ენობრივი რედაქცია უთითებს, – *condictio ob turpem*-ს..., არამედ ყველა შესრულების კონდიქციას, რადგან ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებების უმრავლესობა უბრუნდება საწყის მდგომარეობას *condictio indebiti*-ს მეშვეობით (იხ. ზემოთ, მე-2 ველი), სხვა შემთხვევაში, მე-2 წინადადებას პრაქტიკულად მნიშვნელობა დაეკარგება; ბბ) სადავოა, მე-2 წინადადება რამდენად გამორიცხავს არა მხოლოდ შესრულების კონდიქციებს, თუ ასევე **სხვა მოთხოვნის უფლებებსაც** (როგორცაა, მაგ., § 823 და შემდეგი პარაგრაფებიდან, § 985 ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები). როდესაც სასამართლო პრაქტიკა უარს ამბობს გამოყენების სფეროს გაფართოებაზე ნორმის გამონაკლის ხასიათზე მითითებით (BGHZ, 39, 87, 91, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებებისათვის; BGHZ, 63, 365, 368, § 987 და შემდეგი პარაგრაფებისათვის; BGH NJW, 1992, 310, 311 § 826-ისათვის), ლიტერატურაში გამოყენების სფეროს გაფართოებას ნაწილობრივ ემხრობიან შეფასებითი წინააღმდეგობების თავიდან აცილების მიზნით: სხვა შემთხვევაში შემსრულებელი ზნეობის ნორმების ისეთი განსაკუთრებით მძიმე დარღვევისას, რაც იწვევს შესრულების გარიგების ბათილობას (შდრ. § 138-ის მე-2 ნაწილი), შეძლება თავისი შესრულების ვინდიკაციას (§ 985), როდესაც იგი ისეთი უმნიშვნელო გადაცდომის შემთხვევაში, რომელიც არ ეხება შესრულების გარიგების ნამდვილობას, მე-2 წინადადების გამო, § 812 და შემდეგი პარაგრაფებიდან გამომდინარე, ვერ შეძლება მოქმედებას (ამ საკითხზე იხ. *Larenz/Canaris SchR II/2*, § 68, III, 3ე; *Medicus/Petersen*, 697-ე ველი).

ბ) წინაპირობები. აა) შემსრულებლის მიერ ზნეობის ნორმების დარღვევა. 4 ნორმის სიტყვასიტყვითი რედაქციის თანახმად, კონდიქციის მოქმედების გა-

მორიცხვა მოიცავს მხოლოდ ორივე მხარის მიერ კანონის ან ზნეობის ნორმების დარღვევებს („ასევე“). თუმცა, ზოგადი შეხედულების თანახმად, საკმარისია შემსრულებლის ცალმხრივი გადაცდომა (როგორც, მაგ., მევახშის შემთხვევაში). აუცილებელი არ არის იმის გარკვევა, თუ რატომ უნდა იყოს შემსრულებელი (მევახშე) უკეთეს მდგომარეობაში (კერძოდ, არ მიუვიდეს კონდიქციის გამორიცხვის შემთხვევა), ვინაიდან მეორე მხარე (მევახშეობის შედეგად დაზარალებული) სწორად იქცევა; **ბბ**) ქცევის შედეგად კანონის ან ზნეობის ნორმების დარღვევის შესახებ **ცოდნა** საერთოდ მოითხოვება კონდიქციის მოქმედების გამორიცხვის შემთხვევაში, მე-2 წინადადების თანახმად, ვინაიდან სხვაგვარად სამართლებრივი დაცვის აკრძალვის შედეგი არასათანადო იქნებოდა (*Larenz/Canaris SchR II/2, § 68, III, 3b*). ამავე დროს, გაუაზრებელი მოქმედება უთანაბრდება განზრახულს (*BGH NJW, 1983, 1420, 1423; NJW, 1989, 3217, 3218; დეტალურად იხ. MüKo-Schwab, 69-ე და შემდეგი ველები*); **გგ**) აკრძალვის საწინააღმდეგო შესრულება არ მდგომარეობს **ვალდებულების წარმოშობაში** (მე-2 წინადადების პირველი ნაწილის ბოლოს); თუ, მაგ., შესრულდა აბსტრაქტული ვალის შეპირება, მაშინ იგი შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი. ამას მოითხოვს სამართლებრივი დაცვის აკრძალვის მოსაზრება: სხვაგვარად, შესრულების მიმღები შეძლებდა ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო შესრულებიდან გამომდინარე ვალის შეპირების მიღებას. იმავე საფუძვლიდან გამომდინარე, ვალის შეპირების საფუძველზე უკვე ერთხელ შესრულებული აღარ შეიძლება იქნეს უკან მოთხოვნილი (მე-2 წინადადების მეორე ნაწილი).

5 გ) სამართლებრივი შედეგია შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნის გამორიცხვა. სირთულეები წარმოიშობა ნივთების **პერიოდული დათმობისათვის** აკრძალული ან ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო ხელშეკრულებებისას. ამ შემთხვევაში დათმობილი ობიექტების უკან დაბრუნება არ არის საბოლოოდ გამორიცხული: ვინაიდან გამოყენებულ იქნა სარგებლობის მხოლოდ დროებითი შესაძლებლობა, გამორიცხვას, მე-2 წინადადების თანახმად, შეუძლია მოქმედება მხოლოდ დროებითი უკან დაბრუნების მიზნით. მაგ.: მევახშის სესხის დროს (შემსრულებლის მხრიდან **ცალმხრივი დარღვევა**), მე-2 წინადადება გამორიცხულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მევახშეს ხელშეკრულების ბათილობის გამო (§ 138-ის მე-2 ნაწილი) ვალუტის მოთხოვნა შეუძლია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე; თუმცა, ეს ნორმა არ მოქმედებს, თუ მევახშეობის შედეგად დაზარალებულს ყოველთვის შეუძლია ფულის შენარჩუნება (სადავოა, ეკუთვნის თუ არა მევახშეს სარგებლობისათვის სათანადო საზღაური, შდრ. *Medicus/Petersen, 700-ე ველი*). **ორმხრივი დარღვევის** შემთხვევაში, პირიქით, მხედველობაშია მისაღები ასევე ვადამდელი უკან დაბრუნება და, შედეგად, – მე-2 წინადადების მოქმედების გამორიცხვა. სხვაგვარად აკრძალული ან ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო მდგომარეობა არასაჭიროდ გახანგრძლივდებოდა (*BGHZ, 41, 341, 343; საროსკიპოს ქირაობა*). ამდენად, ჩუქების წრის მონაწილეთა შორის ხდება § 817-ის მე-2 წინადადების მოქმედების გამორიცხვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო ქმედება (*BGH NJW, 2008, 1942, №10*).

6 დ) § 817-ის მე-2 წინადადების მოქმედების შეზღუდვა. მხედველობაშია მისაღები ის, რომ კეთილსინდისიერების (§ 242) პრინციპის თანახმად, არსებობს § 817-ის მე-2 წინადადების მოქმედების შემზღუდველი განმარტება, როდესაც ბათილობის დამდგენი ამკრძალავი ნორმის მიზანი მიიღწევა კონდიქციის მოთხოვნის უფლების უარყოფის გარეშე (გარანტიის მოთხოვნის უფლებებზე უარით, საჯარიმო თანხა); სამუშოს ნებართვის გარეშე დასაქმებულის უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებულის მოთხოვნის უფლების შესახებ იხ. *BGHZ, 111, 308, 312; კრიტიკული მოსაზრება იხ. Larenz/Canaris SchR II/2, § 68, III, 3g*.

§ 818. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების მოცულობა

(1) უკან დაბრუნების ვალდებულება ვრცელდება მიღებულ სარგებელზე, ისევე როგორც იმაზე, რასაც მიმღები იძენს მიღებული უფლების საფუძველზე ან საზღაურის სახით შექმნილი საგნის განადგურების, დაზიანებისა თუ ჩამორთმევისათვის.

(2) თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია მიღებული ქონების თვისების გამო, ან, თუ მიმღები სხვა საფუძველიდან გამომდინარე უუნაროა, დააბრუნოს იგი, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს ქონების ღირებულება.

(3) უკან დაბრუნების ან ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება გამოიწვევლია იმდენად, რამდენადაც მიმღები აღარ გამდიდრებულა.

(4) სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების მომენტიდან მიმღები პასუხისმგებელია ზოგადი ნორმების თანახმად.

I. ზოგადი მიმოხილვა

ნორმა ანესრიგებს უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის უფლების სამართლებრივ შედეგებს (უკან დაბრუნების ვალდებულების მოცულობას). იგი ეფუძნება იმ პრინციპს, რომ მხოლოდ მოვალის ქონებაში ჯერ კიდევ არსებული უსაფუძვლო გამდიდრება უნდა იქნეს ჩამორთმეული (მე-3 ნაწილი) და ამის შედეგად იწვევს მოვალის გამუქობის მდგომარეობას უსაფუძვლო გამდიდრების სხვა მოთხოვნის უფლებებისა (§ 346 და შემდეგი პარაგრაფები; შდრ. § 812-ის მე-9 ველი) და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების მიმართ. ეს პრივილეგია აღარ არსებობს ე. წ. „გამკაცრებული პასუხისმგებლობის“ შემთხვევაში მე-4 ნაწილის თანახმად, რაც შედეგად იწვევს მოვალის პასუხისმგებლობას მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების (§ 987 და შემდეგი პარაგრაფების ველები) მიხედვით და, ამავე დროს, – ზიანის ანაზღაურებასაც (დეტალურად იხ. ქვემოთ, მე-13 და შემდეგი ველები). პასუხისმგებლობის ფარგლების შემოწმება უნდა მოხდეს პირველი-მე-3 ნაწილებით დადგენილი მიმდევრობით. გამკაცრებული პასუხისმგებლობის შემთხვევაში დამატებით მოქმედებს ქვემოთ, მე-15 ველში, დასახელებული მოთხოვნის უფლებები.

II. პრინციპი (პირველი ნაწილი)

1. უპირველეს ყოვლისა, კონდიქციის კრედიტორს შეუძლია, თავად მოითხოვოს უსაფუძვლოდ მიღებული საგნის უკან დაბრუნება, რამდენადაც ამ უკანასკნელის გამოთხოვა არ არის გამორიცხული მისი თვისებისა თუ სხვა საფუძვლის გამო (შესაბამისად, მოქმედებს მე-2 ნაწილი). ეს ხორციელდება უკვე უშუალოდ § 812-ის პირველი ნაწილის ან § 816-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე. უკან დაბრუნების ფორმა განისაზღვრება უსაფუძვლოდ მიღებული საგნის მიხედვით (იხ. მიმოხილვა: § 812-ის მე-4 და შემდეგი ველები): ამდენად, უნდა მოხდეს საკუთრების უფლების გადმოცემა, ან მიღებული სარეგისტრაციო ჩანაწერი თანხმობის შედეგად უნდა ამოიშალოს საჯარო რეესტრიდან.

2. გარდა ამისა, უნდა დაბრუნდეს საგნის გამოყენების შედეგად მიღებული სარგებელი (§ 100). განსხვავებით გამკაცრებული პასუხისმგებლობისაგან (შდრ. § 987-ის მე-2 ნაწილს), უსაფუძვლოდ გამდიდრებული ვალდებულია მხოლოდ ფაქტობრივად მიღებულ სარგებელზე. თუ უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის უფლების საგანია ფულადი თანხა, მაშინ უნდა ანაზღაურდეს კაპიტალდაზიანებიდან ფაქტობრივად მიღებული პროცენტები; თუ უსაფუძვლოდ გამდიდრებულმა ფულადი თანხა გამოიყენა ვალების დასაფარავად, მაშინ მან ამის შედეგად დაზოგილი საპროცენტო გადახდები უნდა დააბრუნოს პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, როგორც სარგებელი ფულადი თანხის გამოყენებიდან (BGHZ, 138, 160).

- 4 3. დაბოლოს, უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება ვრცელდება ასევე **განსაზღვრულ სუროგატებზე**. „მიღებული უფლების საფუძველზე“ შეძენილია ფულადი თანხა, რომელსაც კონდიქციის მოვალე მიღებული მოთხოვნის რეალიზაციის შედეგად იღებს. გაბატონებული შეხედულების თანახმად, **გარიგების** საფუძველზე მიღებული სუროგატი („*commodum ex negotiatione*“; მაგ., შემდგომში განხორციელებული გასხვისებიდან ამონაგები) უნდა დაბრუნდეს არა პირველი ნაწილის თანახმად, არამედ მხოლოდ ღირებულების ანაზღაურების პროცესში მე-2 ნაწილის თანახმად (*Larenz/Canaris SchR II/2, § 72, I, 1c*). სხვაობა: მე-2 ნაწილის თანახმად, მოვალეს შეუძლია მიღებული მოგების დატოვება (სადავოა, იხ. ქვემოთ, მე-ნველი).

III. ღირებულების ანაზღაურება (მე-2 ნაწილი)

- 5 1. ღირებულების ანაზღაურების **წინაპირობებია** უსაფუძვლოდ მიღებული საგნის დაბრუნების **ობიექტური** შეუძლებლობა თვით საგნის თვისების გამო (ასე, მაგ., მომსახურების მიღებისას – თვითმფრინავით მგზავრობა, ან უსაფუძვლოდ მიღებული საგნის მოხმარება) ან კონდიქციის მოვალის მხრიდან უსაფუძვლოდ მიღებული საგნის დაბრუნების **სუბიექტური** შეუძლებლობა (მიღებულის შემდგომში განხორციელებული გასხვისების შემთხვევაში). ამასთან, ეს არ არის დამოკიდებული უსაფუძვლოდ გამდიდრებულის ბრალზე; თუმცა, მოვალეს შეუძლია ნივთის ბრალის გარეშე განადგურების შემთხვევაში, მე-3 ნაწილის თანახმად, მიუთითოს, რომ იგი არ გამდიდრებულა.
- 6 2. სადავოა **ღირებულების გამოთვლის წესი. ა)** გაბატონებული შეხედულების თანახმად, (*BGHZ, 132, 198, 207; Larenz/Canaris SchR II/2, § 72, III, 2d; Medicus SchR II 678-ე ველი*), უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალეს შეუძლია, ნორმის წარმოშობის საფუძველზე მითითებით იყოს პასუხისმგებელი **ობიექტური ღირებულების ოდენობით** (საბაზრო ღირებულებით). გასხვისების შედეგად მიღებული უფრო მეტი ღირებულება მოვალეს შეუძლია დაიტოვოს მე-2 ნაწილის თანახმად, ვინაიდან იგი, როგორც წესი, მას პირადად ეკუთვნის (განსხვავებულია გაბატონებული შეხედულება § 816-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებისათვის, იხ. იქვე, მე-3 ველი); ობიექტური ღირებულებით გასხვისების შემთხვევაში უსაფუძვლოდ გამდიდრებულს უფლება აქვს, მიუთითოს, რომ იგი არ გამდიდრებულა, მე-3 ნაწილის თანახმად. გაბატონებული შეხედულების თანახმად, გამონაკლისი (პასუხისმგებლობა სუბიექტური, ე.ი. პერსონალურად რეალიზებადი ან რეალიზებული ღირებულებით) დასაშვებია მხოლოდ ე. წ. თავს მოხვეული გამდიდრების შემთხვევებში (აღნიშნულის შესახებ იხ. § 812-ის 42-ე ველი); **ბ) ნაკლებად გაზიარებული შეხედულება** კი, პირიქით (ძირითადად, *Koppensteiner NJW, 1971, 1769*), ორიენტირებულია **სუბიექტურ ღირებულებაზე**: მოვალემ უნდა აანაზღაუროს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც უსაფუძვლოდ მიღებული საგანი მისთვის პირადი მიზნით გამოიყენება; განსაკუთრებით კი, ცალკეული გასხვისების შედეგად მიღებული მოგებაც ექვემდებარება დაბრუნებას (სხვა შეხედულებები აღწევს იმ მიზანს, რომელშიც ის გარიგების სუროგატს განიხილავს როგორც პირველი ნაწილით მოცულს). დასაბუთება: ისევე, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების კრედიტორმა უნდა იკისროს მოვალის მიერ ნივთის ღირებულებით გასხვისების რისკი (ამ დროს მოქმედებს მე-3 ნაწილი), მან უნდა ასევე გაანაწილოს მოგებაც.

IV. გამდიდრების არარსებობა (მე-2 ნაწილი)

- 7 1. **პრინციპი**. კანონს სურს, თავიდან აიცილოს ის, რომ უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის უფლება შედეგად იწვევდეს კონდიქციის მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებას. ამიტომაც მისი პასუხისმგებლობა აღარ დგება, როდესაც მოთხოვნის უფლების რეალიზაციის შემთხვევაში მის ქონებას არ ემატება

არც თავად უსაფუძვლოდ მიღებული საგანი, ასევე არც რაიმე ფორმით (მაგ., როგორც სუროგატი, პირველი ნანილი) მისი ეკვივალენტი (მე-2 ნანილი). ამდენად, უსაფუძვლოდ მიღებული საგნის კომპენსაციის გარეშე დაკარგვის (მაგ., განადგურება, მოპარვა) ან მისი მოხმარების შემთხვევაში მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან აღნიშნულის შედეგად დაზოგა ხარჯები, რომელსაც იგი სხვა შემთხვევაში გასწევდა. მაგ.: **პასუხისმგებლობა დგება**, როდესაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული ფულადი თანხები იფარება აუცილებელი ცხოვრებისეული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ან გამოიყენება საკუთარი ვალების გასასტუმრებლად. **პასუხისმგებლობა, პირიქით, არ დგება**, როდესაც მოვალის მიერ იმის დამტკიცების შემთხვევაშიც, რომ იგი ვალებს საკუთარი ცხოვრების დონის შეზღუდვისას მაინც დაფარავდა ზედმეტად გადახდილი თანხების გარეშეც (BGHZ, 118, 385), ძვირადღირებული ცხოვრების სტილის შემთხვევაში, რომელსაც მოვალე სხვა შემთხვევაში ვერ გასწევდებოდა (BGHZ, 55, 128: ბავშვი მოტყუებით ახერხებს თვითმფრინავით მგზავრობას), მოვალის მხრიდან ქონებრივი ზიანის მიღებისას (ბავშვი მოიხმარს ვითომ მამის საარსებო სახსრებს) ან უსაფუძვლოდ მიღებული საგნის გაჩუქებისას (თუმცა, ამ შემთხვევაში დასაჩუქრებული პასუხს აგებს § 822-იდან გამომდინარე!). ვინაიდან პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის, როგორც წესი, მნიშვნელობა არა აქვს, მოჰყვება თუ არა მას კონდიქციის მოვალის მხრიდან არასაკმარისი ზრუნვა ან „ნეიტრალური“ შედეგი, – კრედიტორს მე-3 ნანილის თანახმად, ეკისრება უსაფუძვლოდ მიღებული საგნის „არახელსაყრელი“ გამოყენების რისკი.

2. ხარჯები, ზიანი. ვინაიდან მოვალემ უნდა დააბრუნოს მხოლოდ სახეზე არსებული უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებული, მას შეუძლია, დასაბრუნებელ საგანს (მნიშვნელობა არა აქვს, მიმართულია თუ არა მოთხოვნის უფლება „ნატურით“ დაბრუნებისაკენ – პირველი ნანილი – თუ ღირებულების ანაზღაურებისაკენ – მე-2 ნანილი) გამოაკლოს ის ხარჯები, რომლებიც მან გასწია უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტთან დაკავშირებით. ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების თანახმად (მაგ., *Larenz/Canaris* SchR II/2, § 73, I, 1b), გამოქვითვას ექვემდებარება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც კონდიქციის მოვალემ განიცადა თავისი შენაძენის სამართლებრივი საფუძვლის არსებობის ნდობით; ამ ხარჯებს მიეკუთვნება ყოველგვარი დანახარჯი იმ ხარჯების ჩათვლით, რომლებიც წარმოიშვა შეძენისა და საგნის უკან დაბრუნების შედეგად (მაგ., ფრახტი, სახელმწიფო გადასახადები). გარდა ამისა, აზრთა ერთიანობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ შეუსრულებლობის კონდიქციის შემთხვევაში შეძენის ფასი არ ექვემდებარება გამოქვითვას (შდრ. § 816-ის მე-3 ველის ბოლოს). შესრულების კონდიქციის შემთხვევაში, საპირისპირო შესრულების გათვალისწინებისას გადამწყვეტია სალდოს თეორიის გამოყენება (იხ. ქვემოთ, მე-10 და შემდეგი ველები). სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება ასევე ის ზიანი, რომელიც გამოიწვია უსაფუძვლოდ მიღებულმა საგანმა (მაგ.: ძალღმა დაგლიჯა უსაფუძვლოდ გამდიდრებულის ხალიჩა). საინააღმდეგოდ ადგენს ლიტერატურა: კეთილსინდისიერი მოვალე ამ შემთხვევაშიც კი არ იმსახურებს დაცვას, ვინაიდან მე-3 ნანილი უზრუნველყოფს მისთვის მხოლოდ იმ ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც გამოწვეული იყო მიღებული ქონების შენარჩუნების ნდობით; ამის საინააღმდეგოდ, დამდგარი ზიანი შემთხვევით განხორციელებად უნდა ჩათვლილიყო.

3. ორმხრივი ხელშეკრულებების საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. ა) პრობლემური საკითხის დასმა. ბათილი ორმხრივი ხელშეკრულებების საწყის მდგომარეობაში დაბრუნებისას კრედიტორსა და მოვალეს ეკუთვნით ორმხრივი უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის უფლებები თითოეულის მიერ განხორციელებული შესრულების მიმართ. თუ ა-მ ბ-ს ბათილი ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში ავტომატურად საკუთრების უფლება გადასცა 2000 ვეროს გადახდის სანაცვლოდ,

მაშინ ა-ს შეუძლია, უკან მოითხოვოს ავტომანქანა, ხოლო ბ-მ – 2000 ევრო. შესრულებების სახელშეკრულებო ურთიერთმიმართება (§ 320 და შემდეგი პარაგრაფები) დგინდება ე. წ. **ორი კონდიქციის მოძღვრების** მიხედვით საწყის მდგომარეობაში დასაბრუნებლად მხოლოდ § 273, 274-ის თანახმად, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ მხარეს შეუძლია, დაიტოვოს მის მიერ მიღებული უსაფუძვლოდ მიღებული საგანი მანამდე, სანამ მეორე მხარე, თავის მხრივ, არ დააბრუნებს მის მიერ მიღებულს. თუმცა, აღნიშნული საწყის მდგომარეობაში დაბრუნების მოთხოვნის უფლებების ურთიერთდამოკიდებულება მე-3 ნაწილით ირღვევა: ის პირი, რომლის შესრულებაც სხვა პირის ქონებაში კომპენსაციის გარეშე იკარგება, კარგავს კუთვნილი ნივთის გამოთხოვის უფლებასაც; ამდენად, მას არა აქვს იმაზე მეტი, რასაც იგი დაუპირისპირებდა მის მიმართ უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებული პირის მხრიდან წარდგენილ კონდიქციას, § 273-ის ფარგლებში, და იქნებოდა პასუხისმგებელი ისე, რომ მას, თავის მხრივ, არ ექნებოდა კომპენსაციის მიღების უფლება. ამდენად, თუ ზემოთ წარმოდგენილ მაგალითში მყიდველს – ბ-ს გადაცემული ავტომანქანა მოჰპარეს, მაშინ მას შეუძლია ნასყიდობის ფასის – 2000 ევროს – უკან მოთხოვნა, როდესაც გამყიდველი – ა ავტომანქანას ვერ მიიღებდა. ა-ს – განსხვავებით რისკის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებისაგან (შდრ., მაგ., § 446) – უნდა დაკისრებოდა ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი, თუმცა, შესრულების საგანი იმყოფება ბ-ს ბატონობაში.

10

ბ) სალდოს თეორია. აა) პრინციპი. ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მაგალითიდან გამომდინარე ურთიერთმიმართების დარღვევის თავიდან აცილებას უზრუნველყოფს სალდოს თეორია, რომელშიც დარღვევა ამცირებს უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებული პირის კონდიქციის მოთხოვნის უფლებას მის მიერ დაკარგული (მე-3 ნაწილი) უსაფუძვლოდ მიღებული საგნის ღირებულებით. ამდენად, ბ-ს შეუძლია ამ მაგალითში მის მიერ გადახდილი ნასყიდობის ფასის მხოლოდ ნაწილის დაბრუნების მოთხოვნა, რომელიც აღემატება მის მიერ დაკარგული ავტომობილის ღირებულებას (შეზღუდვა „სალდოთი“). შესაბამისად, ერთ-ერთი მხარის უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად ქონების შემცირება არ იწვევს მხოლოდ მის წინააღმდეგ წარდგენილი უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების გაუქმებას, არამედ იმავე ოდენობით ანიჭებს ამ მხარეს საპირისპირო მოთხოვნის უფლების გაუქმების შესაძლებლობას. უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებული პირის შეხედულებიდან გამომდინარე, სალდოს თეორია არის **მე-3 ნაწილის შეზღუდვა**, ვინაიდან იგი მას ანიჭებს ეკონომიკურ სარგებელს, რასაც მას, საწინააღმდეგო შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად ქონების შემცირება მოუტანდა. პასუხისმგებლობის რისკთან დაკავშირებით მე-3 ნაწილი კორექტირდება სალდოს თეორიის მეშვეობით იმით, რომ ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი ეკისრება პირს, რომლის ბატონობაშიც იმყოფება უსაფუძვლოდ მიღებული საგანი (შდრ. § 446); მეორე მხარის შეხედულებიდან გამომდინარე (რომლის შესრულების საგანიც უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებული პირის მიერ დაიკარგა), სალდოს თეორია გულისხმობს – სასამართლოს მიერ გასათვალისწინებელ – **შესაგებელს** უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებული პირის მოთხოვნის უფლების წინააღმდეგ. ეს შესაგებელი განსხვავდება ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებისაგან (§ 273), რომლის გამოყენების უფლებაც აქვს მოვალეს ორი კონდიქციის მოძღვრების მიხედვით (შდრ. ზემოთ, მე-9 ველი), უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იგი წინაპირობად აყენებს არა საპირისპირო მოთხოვნის უფლებას (რომელიც – მე-3 ნაწილის გამო – უკვე გაუქმებულია), არამედ, უბრალოდ, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებული პირის მიერ დაკარგული საპირისპირო მოთხოვნის უფლებას. სალდოს თეორია ეფუძნება **სამოსამართლო სამართლის განვითარებას**, რომელიც მხედველობაში იღებს მხარეთა მიერ სასურველ შესრულებათა

ურთიერთმიმართებას ორმხრივი ხელშეკრულებების საწყის მდგომარეობაში დაბრუნების შემთხვევაშიც. ეს შედეგად იწვევს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ რომელ მხარეს ეკისრება უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალების რისკი, გასათვალისწინებელია სასურველი, თუმცა, განუხორციელებელი ხელშეკრულებისათვის სათანადო კანონისმიერი შეფასებებითა თუ მხარეთა შორის შეთანხმებული რისკის განაწილებით (BGHZ, 116, 251, 256): შესაბამისად, მინის ნაკვეთის მყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმის დაუცველობის გამო ბათილობის შემთხვევაში, არ შეუძლია საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციის ხარჯებისა და ნასყიდობის ფასის დაფინანსების გამოქვითოს, ვინაიდან ეს ხარჯები მიეკუთვნება მხოლოდ მისი ინტერესებისა და რისკის სფეროს (BGH aaO; შედეგად, სანივთოსამართლებრივ შეფასებებთან დაკავშირებით – § 1004 – იხ. *Medicus/Petersen*, 230-ე ველი შემდგომი მითითებებით); თავის მხრივ, ნივთის დაბრუნებაზე ვალდებულ გამყიდველს შეუძლია, ნასყიდობის თანხას გამოაკლოს გაქირავებიდან მიღებული შემოსავლის თანხა, რომელიც მყიდველმა დროის შესაბამისი პერიოდის განმავლობაში მიიღო და ვალდებულია, აანაზღაუროს §§ 988, 818-ის პირველი ნაწილის თანახმად (BGH NJW, 1995, 454; შდრ. § 988-ის მე-3 ველი).

ბბ) ცალკეული საკითხები. სალდოს თეორია მოიცავს ორ მოსაზრებას: პირველი მოსაზრება ეხება საწყის მდგომარეობაში დაბრუნების სახესა და ხერხს, რამდენადაც შესრულების ორივე საგანი ჯერ კიდევ სახეზეა – ერთგვაროვანი უსაფუძვლო გამდიდრების მოთხოვნის უფლებების სალდირება ხდება *ipso iure* გაქვითვის განცხადების გარეშე (აღნიშნულიდან მომდინარეობს სწორედ „სალდო“-თეორია); არაერთგვაროვანი შესრულებების შემთხვევაში, მსგავსად ორი კონდიქციის მოძღვრების შემთხვევისა, ხდება ორმხრივი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებების ერთდროული შესრულება. უფრო მნიშვნელოვანია მეორე მოსაზრება: თუ ერთ-ერთი უსაფუძვლოდ მიღებული საგანი (და, შესაბამისად, კონდიქციის მოთხოვნის უფლებაც, მე-3 ნაწილი) აღარ არსებობს, მაშინ უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებულის საპირისპირო მოთხოვნის უფლება მცირდება მის მიერ დაკარგული შესრულების ღირებულების ოდენობით. ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალების ღირებულება იქნება საკუთარი მოთხოვნის უფლების გამოქვითვის ოდენობის შესაბამისი. მეორე მხრივ, აღნიშნული ხდება ერთგვაროვანი შესრულების საგნების შემთხვევაში (ვინაიდან ნივთის გადაცემისათვის ასანაზღაურებელი იყო ღირებულება მე-3 ნაწილის თანახმად) წმინდა სადღირების გზით, ხოლო არაერთგვაროვანი შესრულების საგნების შემთხვევაში – ერთდროულად შესრულების ვალდებულების გზით. სალდოს თეორიის მიხედვით, **უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებულს** ყოველთვის აქვს მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მან შესრულებების თავდაპირველი გაცვლის დროს უფრო მეტი გასცა, ვიდრე მიიღო. თუ ზემოთ, მე-9 ველში წარმოდგენილ მაგალითში მყიდველ ბ-სათვის მოპარული ავტომანქანის ღირებულება შეადგენდა გადახდილ 2000 ევროს (ან მეტს), მაშინ უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებულ ბ-ს არა აქვს მოთხოვნის უფლება გამყიდველ ა-ს მიმართ. მაგრამ, თუ ავტომობილის ღირებულება შეადგენდა მხოლოდ 1500 ევროს, მაშინ ბ-ს შეუძლია 500 ევროს ოდენობით სალდოს მოთხოვნა. **მეორე მხარეს** (რომლის მოთხოვნის უფლება უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად დაზარალებისას აღარ არსებობს და, შესაბამისად, მან დაკარგა თავისი კონდიქციის მოთხოვნის უფლებაც) სალდოს თეორია ყოველთვის ანიჭებს მხოლოდ **შესაგებელს** (იხ. ზემოთ, მე-10 ველი) და არა მოთხოვნის უფლებას, თვით იმ შემთხვევაშიც, როდესაც სალდო მის სასარგებლოდ არსებობს. თუ ზემოთ მოცემულ მაგალითში მყიდველ ბ-სათვის მოპარული ავტომანქანის ღირებულება შეადგენდა გადახდილ 2500 ევროს, მაშინ გამყიდველ ა-ს არ შეუძლია 500 ევროს

11

ოდენობით პოზიტიური სალდოს ლიკვიდირება (საწინააღმდეგო შემთხვევაში იგი აღმოჩნდებოდა უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ძალმოსილი ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, რომლითაც მას შეეძლო მხოლოდ 2000 ევროს მოთხოვნა!). სალდოს თეორიის წმინდა შესაგებლის ხასიათი განსაკუთრებით ნათელი ხდება მხარის მიერ განხორციელებული **წინასწარი გადახდების** შემთხვევაში: თუ გამყიდველმა ა-მ ავტომატურად გადაცა ბ-ს და მას ფასის გადახდა დაუყოვნეს, მაშინ ბათილი ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში, ის ვერაფერს იღებს, როდესაც ბ-ს ავტომობილი კომპენსაციის გარეშე მოჰპარეს. სალდოს თეორია ამ შედეგს ამართლებს იმ მოსაზრებით, რომ წინასწარი გადახდის შემთხვევაში „ფაქტობრივი ორმხრივობა“ არ არსებობს; ლიტერატურაში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება ამ შემთხვევას ამოსავალ ნერტილად მიიჩნევს თავისი სალდოს თეორიის უარსაყოფად (იხ. *MüKo-Schwab*, 230-ე ველი, 248-ე და შემდეგი ველები, რომლებიც სანაცვლოდ სთავაზობს § 346-ისა და შემდეგი ველების ანალოგიით გამოყენებას).

12 გგ) გამონაკლისები. სალდოს თეორია, რომელიც ემსახურება მხოლოდ ურთიერთმიმართების გათვალისწინებას ორმხრივი ხელშეკრულებების საწყის მდგომარეობაში დაბრუნების შემთხვევაში, არ გამოიყენება, როდესაც ძალადი რანგის კანონისმიერი შეფასებები ამას ეწინააღმდეგება. დადგენილია სალდოს თეორიიდან შემდეგი გამონაკლისები (შედეგი: მოქმედება ორი კონდიქციის მოძღვრების შესაბამისად, იხ. ზემოთ, მე-9 ველი): **(1)** სალდოს თეორია არ გამოიყენება **არასრულწლოვანთა** ან სხვა ქმედუნარო პირების ხარჯზე; თუ აღნიშნული პირები უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალდნენ, მაშინ სალდოს თეორიის გამოყენებას ხელშეკრულების რეალიზაციის შედეგის მიღწევისას აზრი ექნებოდა § 104-ისა და შემდეგი პარაგრაფების დაცვითი ფუნქციის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან კონტრაგენტს შეეძლებოდა ერთხელ შესრულებულის შენარჩუნება (BGHZ, 126, 105; BGH NJW, 2000, 3562). **(2)** იმ შემთხვევაში, როდესაც უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებულის ინტერესები არ არის დაცვის ღირსი, მხედველობაში არ მიიღება **მკაცრად პასუხისმგებელი პირის სასარგებლოდ** (§§ 818-ის მე-4 ნაწილი, 819, 820) გამოყენება (BGHZ, 72, 252; სადავოა, შდრ. *Larenz/Canaris* SchR II/2, § 73, III, 7b). **(3)** გარდა აღნიშნულისა, სალდოს თეორია არ გამოიყენება **ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგებით დაზარალებულის ხარჯზე** (§ 138-ის პირველი წინადადება), (BGHZ, 146, 298, 307). **(4)** ასევე სალდოს თეორია არ გამოიყენება **მოტყუებულის ხარჯზე** (§ 123), ვინაიდან პირი, ვინც ატყუებს სხვას, არ იმსახურებს სალდოს თეორიის მიხედვით კორექტირებას სამართლიანობის საფუძველზე (BGHZ, 53, 144, 147); ის არ უნდა იმყოფებოდეს უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ხელშეკრულებიდან გასვლისას იქნებოდა, სადაც უფლებამოსილმა პირმა უნდა დააბრუნოს უკან მხოლოდ ასევე უსაფუძვლო გამდიდრებით ფაქტობრივად მიღებული საგანი (§ 346-ის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება) და მას არ ეკისრება ღირებულების ანაზღაურება, როდესაც მასთან არსებული ნივთი განადგურდა მისი ბრალის გარეშე (§ 346-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების №3). თუმცა, როდესაც მოტყუებულთან არსებული ნივთი შეცილება მდე განადგურდება მოტყუებულის ბრალით, § 242-ის თანახმად, კონდიქციის მოთხოვნის უფლების მოქმედება რბილდება შესაბამისი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით (BGHZ, 57, 137, 152); ეს შეესაბამება § 346-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების №3-ით გათვალისწინებულ შეფასებას.

V. გამკაცრებული პასუხისმგებლობა (მე-4 ნაწილი)

13 1. ზოგადი მიმოხილვა. მხოლოდ კეთილსინდისიერ უსაფუძვლო გამდიდრების მოვალეს (ანუ იმ პირს, რომელსაც წარედგინება სარჩელი და ის პირი, რომელმაც იცის უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულების შესახებ, მე-4

ნანილი, §§ 819, 820) შეუძლია ისარგებლოს პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებით.

2. წინაპირობები. ა) მე-4 ნაწილის თანახმად, გამკაცრებული პასუხისმგებლობა დგება უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნების **სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტიდან**. აუცილებელია სარჩელის წარდგენა, რაც ხორციელდება სასარჩელო განცხადების ჩაბარების გზით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 261-ის პირველი ნაწილი, 253-ის პირველი ნაწილი); ბ) **სხვა ფაქტობრივი გარემოებები**, რომლებიც იწვევს პასუხისმგებლობის გამკაცრებას: §§ 819, 820.

14

3. სამართლებრივი შედეგები. სარჩელის წარმოებაში მიღებიდან უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალე პასუხს აგებს „ზოგადი ნორმების“ შესაბამისად: ა) მას აღარ შეუძლია **უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად დაზარალებულობაზე** მითითება მე-3 ნაწილის საფუძველზე; ბ) ფულად ვალდებულებებს **ერიცხება პროცენტი**, § 291-ის თანახმად; გ) დგება **ზიანის ანაზღაურების** პასუხისმგებლობა დასაბრუნებელი ნივთის ბრალეულად გაუარესებისა თუ მისი ბრალეულად განადგურების გამო, §§ 292, 989-ის თანახმად. შემთხვევითი განადგურების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ვადის გადაცილებისას (§§ 292, 990-ის მე-2 ნაწილი, 287-ის მე-2 ნაწილი); სხვა შემთხვევებში უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალეც თავისუფლდება გამკაცრებული პასუხისმგებლობისაგან (§ 818-ს მე-3 ნაწილის მოქმედების „დარჩენილი სფერო“, დეტალურად იხ. *MüKo-Schwab*, 285-ე ველი). თუ მოთხოვნის უფლება მე-2 ნაწილის საფუძველზე მიმართულია ფულადი თანხის გადახდევინებაზე, მაშინ ბრალისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს სახელშეკრულებო ვალდებულება (შდრ. § 276, მე-9 ველი; გარდა ამისა, BGHZ, 83, 293, 299); დ) **სუროგატები** ექვემდებარება დაბრუნებას, § 285-ის თანახმად (BGHZ, 75, 203); პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით, უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულება ვრცელდება ასევე გასხვისების შედეგად მიღებულ ამონაგებზე („*commodum ex negotiatione*“); ე) **გამოყენების შედეგად სარგებელი** შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი უსაფუძვლო გამდიდრებით კრედიტორის მიერ §§ 292-ის მე-2 ნაწილის, 987-ის თანახმად. გარდა პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებისა, მას შეუძლია მოითხოვოს ასევე კომპენსაცია ბრალეულად მიუღებელი სარგებლისათვის, § 987-ის მე-2 ნაწილი; ვ) მე-3 ნაწილისაგან განსხვავებით (იხ. ზემოთ; მე-8 ველი), უსაფუძვლო გამდიდრებით მოვალეს შეუძლია მხოლოდ **აუცილებელი ხარჯების** გამოქვითვა (§§ 292, 994-ის მე-2 ნაწილი).

15

§ 819. გამკაცრებული პასუხისმგებლობა კანონისა თუ ზნეობის ნორმების დარღვევის შესახებ ცნობის შემთხვევაში

(1) თუ შესრულების მიმდებამა მიღების მომენტი იცის სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის შესახებ, ან მის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, მაშინ იგი ვალდებულია უკან დაბრუნებაზე მიღების ან ხარვეზის შესახებ შეტყობის მომენტიდან, ისე, თითქოს უკან დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლება ამ მომენტისთვის იხილებოდა სასამართლო წესით.

(2) თუ მიმღები შესრულების მიღებით არღვევს საკანონმდებლო აკრძალვასა თუ ზნეობის ნორმებს, მაშინ იგი ასევე არის ვალდებული უკან დაბრუნებაზე შესრულების მიღების მომენტიდან.

1. პირველი ნაწილის თანახმად, გამკაცრებული პასუხისმგებლობის **წინაპირობაა** კონდიქციის მოვალის მიერ სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის პოზიტიური ცოდნა. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულისათვის მოითხოვება ხარვეზის გამომწვევი ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონდიქციის მოვალემ უნდა იცოდეს ფაქტობრივი გარემოებებით გამომწვეული

1

სამართლებრივი შედეგების შესახებ (სადავოა, მიმოხილვა იხ. Martinek JZ, 1996, 1099), ამავე დროს, უმაღლესი ფედერალური სასამართლო ეთანხმება აღნიშნული კონდიქციის მოვალის მხრიდან ცოდნის ფაქტის არსებობას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს უკანასკნელი შეგნებულად არ აცნობიერებს მავალდებულებელი გარიგების ბათილობის შედეგებს (BGHZ, 133, 246); შდრ. § 990-ის პირველი ველი. ცოდნის ფაქტის არსებობა საკმარისი არ არის; თუმცა, იხ. ასევე § 142-ის მე-2 ნაწილი. სადავოა, თუ რა წინაპირობების არსებობისას არის გამკაცრებულად პასუხისმგებელი არასრულწლოვანი, § 819-ის პირველი ნაწილის თანახმად. თუ დაუყოვნებლად მოხდებოდა არასრულწლოვანის ცოდნაზე ორიენტირება, მაშინ ეს შეენიანაღმდეგებოდა § 104-ითა და შემდეგი პარაგრაფებით (§ 818-ის მე-3 ნაწილთან კავშირში) უზრუნველყოფილი არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვას (პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უსაფუძვლო გამდიდრების საგანი ჯერ კიდევ სახეზეა). ლიტერატურაში, ძირითადად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ შესრულებისა და არამართლობიერი ჩარევის კონდიქციებს (იხ. Palandt-Sprau, მე-4 ველი) – შესრულების კონდიქციის შემთხვევაში, სადაც საუბარია ბათილი გარიგების სანყის მდგომარეობაში დაბრუნებაზე, § 104-ითა და შემდეგი პარაგრაფებით გათვალისწინებული დაცვის მოსაზრების გამო, დამოკიდებული უნდა იყოს კანონიერი წარმომადგენლის ცოდნაზე (§ 166-ის პირველი ნაწილის ანალოგიით); არამართლობიერი ჩარევის კონდიქციის შემთხვევაში კი, რომელიც დელიქტურ სამართალთან უფრო ახლოს იმყოფება, პირიქით, ორიენტაციის ალება უნდა მოხდეს არასრულწლოვანის ცოდნაზე, როდესაც ეს უკანასკნელი დელიქტუარია იყო §§ 827, 828-ის თანახმად. ეს წესი გამონაკლისის სახით, BGHZ, 55, 128-ის თანახმად („თვითმფრინავით მგზავრობის შემთხვევა“), მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც, მართალია, სახეზეა შესრულება, თუმცა, იგი გამოწვეულია არასრულწლოვანის განზრახ ჩადენილი დელიქტით. ამავე დროს, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ორიენტაციის ალება ყოველთვის უნდა მოხდეს კანონიერი წარმომადგენლის ცოდნაზე (იხ. Larenz/Canaris SchR II/2, § 73, II, 2a) ან არასრულწლოვანის დელიქტუარიაობაზე.

2 2. სამართლებრივი შედეგებისათვის იხ. § 818-ის მე-15 ველი.

§ 820. გამკაცრებული პასუხისმგებლობა შედეგის დადგომის საეჭვოობის შემთხვევაში

(1) ¹თუ ვალდებულების შესრულების მიზანი იყო შედეგის მიღწევა, რომლის დადგომა გარიგების შინაარსის მიხედვით საეჭვოდ ჩანდა, მაშინ, შედეგის დაუდგომლობის შემთხვევაში, შესრულების მიმღები ვალდებულია უკან დაბრუნებაზე, ისე, თითქოს უკან დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლება მიღების მომენტისთვის იხილებოდა სასამართლო წესით. ²ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ ვალდებულების შესრულება განხორციელდა იმ სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, რომლის გაუქმებაც გარიგების შინაარსის მიხედვით შესაძლებლად მიიჩნეოდა და სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს.

(2) შესრულების მიმღებმა უნდა გადაიხადოს პროცენტი მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც იგი შეიტყობს, რომ შედეგი არ დადგა, ან სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს; იგი ვალდებული არ არის სარგებლის უკან დაბრუნებაზე იმდენად, რამდენადაც ამ მომენტისათვის აღარ გამდიდრებულა.

§ 821. უსაფუძვლო გამდიდრების მიმართ შესაგებელი

პირს, რომელიც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე კისრულობს ვალდებულებას, შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე მაშინაც კი, როდესაც ვალდებულები საგან გაათავისუფლების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია.

§ 822. მესამე პირის მიერ უკან დაბრუნების ვალდებულება

თუ შესრულების მიმღები მიღებულ ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს მესამე პირს და ამის შედეგად მიმღების მიერ უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულების შესრულება გამორიცხულია, მაშინ მესამე პირი ვალდებულია უკან დაბრუნებაზე ისე, თითქოს მან მიიღო იგი კრედიტორისაგან სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

ამ ნორმის კომენტარი იხ. § 812-ის მე-20 ველი.

1

პარი 27. დელიქტები**§ 823-ის შესავალი**

1. დელიქტის ცნება. დელიქტებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები ანესრიგებს განსაზღვრული უფლებებისა და სამართლებრივი სიკეთის უკანონო დარღვევებს. საქმე ეხება ისეთ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომლებიც არსებობს ნებისმიერი დამრღვევის მიმართ განსაკუთრებული ურთიერთობების (სახელშეკრულებო ან ხელშეკრულების მსგავსი ურთიერთობების) მიღმა. არამართლზომიერებისაგან განსხვავებით, ბრალი არის, მართალია, ჩვეულებრივი, მაგრამ არასავალდებულო წინაპირობა დელიქტებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების რეალიზაციისათვის. ბრალის გარეშე დელიქტური პასუხისმგებლობისათვის იხ. მაგ.: პასუხისმგებლობა საფრთხის გამონწვევისათვის (საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონის § 7-ის პირველი ნაწილი), პასუხისმგებლობა სამართლიანობიდან გამომდინარე (§ 829), პასუხისმგებლობა „შემთხვევითობისათვის“ ზემოაღნიშნული ბრალის შემთხვევაში (§ 848). დელიქტური მოთხოვნის უფლებები იწვევენ, უპირველეს ყოვლისა, ზიანის ანაზღაურებას (§ 249), ასევე, მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებასა და დარღვევის აღმოფხვრას (ქვემოთ, მე-3 ველი); ამ მოთხოვნის უფლებები მხოლოდ ნაწილობრივ არის მოწესრიგებული §§ 823-853-ში (შდრ. ქვემოთ, მე-2 ველი). დელიქტებიდან გამომდინარე სამართლებრივი დაცვის საშუალებები შეადგენს პასუხისმგებლობის სამართლის ნაწილს; ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს მოთხოვნის უფლებებს, რომლებიც ადგენს კომპენსაციის გადახდაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობის საფუძველს (პასუხისმგებლობის დამდგენი ფაქტობრივი გარემოება). მას ემატება ზიანის ანაზღაურების სამართალი, რომელიც განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების ოდენობას (§§ 249 და შემდეგი პარაგრაფები).

1

2. კლასიფიკაცია. პასუხისმგებლობის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად (შდრ. *Medicus/Petersen*, 604-ე ველი): **ა) ბრალეული უკანონობიდან** გამომდინარე პასუხისმგებლობა (მაგ., §§ 823-ის პირველი ნაწილი, მე-2 ნაწილი, 826) ქმნის დელიქტური მოთხოვნის უფლებების ძირითად სახეს; **ბ)** მის საპირისპიროდ **სავარაუდო ბრალეულობიდან** გამომდინარე პასუხისმგებლობა უფრო მკაცრია იმდენად, რამდენადაც კანონი გამომდინარეობს უფრო შეზღუდული კომპენსაციის გადახდაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობიდან (მაგ., შინაური ცხოველის მფლობელი, § 823-ის მე-2 წინადადება პირველთან კავშირში ან სატრასპორტო საშუალების მფლობელი, საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონის § 18-ის პირველი ნაწილი) და ანიჭებს მას საწინააღმდეგო მტკიცებულების („გამართლება“) წარდგენის შესაძლებლობას (სხვა მნიშვნელოვანი მაგალითი: პასუხისმგებლობა დამხმარის მოქმედებისათვის, § 831); **გ) პასუხისმგებლობა საფრთხის გამონწვევისათვის** დგება – კიდევ ერთი მაგალითი – ნებისმიერი ბრალის გარეშეც. იგი არის ტიპიური შემთხვევა საფრთხის შემცველი საგნების წარმოებისა და ბრუნვაში გაშვებისათვის და შეზღუდულია კანონით გათვალისწინებული

2

შემთხვევებით (**ამომწურავი ჩამონათვალის პრინციპი**; სადავოა, ლიტერატურაში ნაწილობრივ დასაშვებია ასევე საფრთხის გამომწვევი ფაქტობრივი გარემოებების ანალოგიით გამოყენება და ზოგჯერ რეკომენდებული *de lege ferenda* ზოგადი დათქმის დანერგვა; შდრ. Kötz AcP, 1970, 1). პასუხისმგებლობა ხშირად შეზღუდულია ზღვრული თანხებით. მაგ.: პასუხისმგებლობა უხარისხო პროდუქტისათვის, უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის თანახმად, (დეტალურად იხ. § 823-ის 50-ე და შემდეგი ველები); ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობა (საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონის § 7-ის პირველი ნაწილი; გასათვალისწინებელია პასუხისმგებლობის გამორიცხვა დაუძლეველი ძალის შემთხვევაში საგზაო მოძრაობის წესების შესახებ, კანონის § 7-ის მე-2 ნაწილის თანახმად, თანაბრალეულობის მომწესრიგებელი ნორმები საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონის §§ 9-სა და 17-ში და ზღვრული თანხებით პასუხისმგებლობის შეზღუდვა საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონის § 12-ის თანახმად), თვითმფრინავის მფლობელის პასუხისმგებლობა (საჰაერო მოძრაობის შესახებ კანონის § 33), რკინიგზის პასუხისმგებლობა (მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 1) ან შინაური ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა (§ 833-ის პირველი წინადადება). არაქონებრივი ზიანისათვის პასუხისმგებლობის შესახებ იხ. § 253-ის მე-2 ველი; **დ) სხვა პირის ბრალეული უკანონოსათვის** პასუხისმგებლობა. მაგ.: მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 3, კონსტიტუციის 34-ე მუხლი (§ 839-თან კავშირში).

3 **3. განსაზღვრული მოქმედებისაგან თავის შეკავებისა და დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლებები. ა) ზოგადი მიმოხილვა.** §§ 823-ითა და შემდეგი პარაგრაფებით პირდაპირ უზრუნველყოფილ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლებებთან ერთად არსებობს აუცილებლობა, მოთხოვნილ იქნეს (სამომავლო) კანონსაწინააღმდეგო ჩარევებისაგან თავის შეკავება და ხანგრძლივი დარღვევების აღმოფხვრა. კანონი ამ მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებისა და დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლებებს იცნობს მხოლოდ საკუთრების უფლების დარღვევისას (§ 1004, ე. წ. „*actio negatoria*“) და ასევე საკუთრების უფლების მსგავსი უფლებების დარღვევისას (მაგ. §§ 1027, 1065, 1190 II); გარდა ამისა, – მფლობელობისა და სახელის უფლების დარღვევისას (§§ 862-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, მე-12 წინადადება; „*actio quasinegatoria*“). სასამართლო პრაქტიკამ ეს დაცვა გაავრცელა სხვა დელიქტებით დაცულ უფლებებსა და სამართლებრივ სიკეთეებზე (**დელიქტური მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება**); **ბ) წინაპირობები. აა) კანონსაწინააღმდეგო ჩარევა** §§ 823-ითა და შემდეგი პარაგრაფებით დაცულ უფლებებზე მდგომარეობაში. განსხვავებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებისაგან, რომლებიც თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის გამო (§ 249), ასევე დარღვევის აღმოფხვრიდან და მოქმედებისაგან თავის შეკავებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, ნეგატორული მოთხოვნის უფლება წინაპირობად არ აყენებს **ბრალის არსებობას**. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებისაგან გასამიჯნად განმსაზღვრელია შემდეგი კრიტერიუმები: **ბბ) საფრთხის განმეორება** (მოქმედებისაგან თავის შეკავება) ან **დარღვევის გაგრძელება** (დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლება). პრევენციული მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლების შემთხვევაში, დარღვევის რეალური საფრთხე უკვე უთანაბრდება კანონსაწინააღმდეგო ჩარევას; ამიტომაც ზიანის მიყენების პირველი ფაქტის ლოდინი საჭირო არ არის.

§ 823. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

(1) პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლე-

ბას ან სხვა უფლებას, ვალდებულია, აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამონეული ზიანი.

(2) ანალოგიური ვალდებულება ეკისრება იმ პირს, რომელიც არღვევს, სხვა პირის ინტერესების დაცვისაკენ მიმართულ კანონს; თუ, კანონის შინაარსის თანახმად, მისი დარღვევა შესაძლებელია ასევე ბრალის გარეშე, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება მხოლოდ ბრალის არსებობისას.

მიმოხილვა

	ველი
ა. ზოგადი მიმოხილვა	1
ბ. პირველი ნაწილი	2
I. ქმედების შემადგენლობა	2
1. დაცული სამართლებრივი სიკეთე.	3
ა) სიცოცხლე	3
ბ) სხეული, ჯანმრთელობა.	3
გ) თავისუფლება	3
დ) საკუთრების უფლება	4
ე) საკუთრების უფლების დარღვევისა და წმინდა ქონებრივი ზიანის გამიჯვნა.	5
ვ) საკუთრების უფლების დარღვევისა და ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებების გამიჯვნა	6
ზ) სხვა უფლებები	8
2. ჩარჩო უფლებები (სანარმოო და პირადი უფლებების მომწესრიგებელი ნორმები)	9
ა) ზოგადი მიმოხილვა	9
ბ) დაფუძნებულ და გამოყენებულ სანარმოზე უფლება	10
გ) ზოგადი პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი	14
დ) ოჯახის სივრცობრივ-საგნობრივი სფეროს დაცვა	18
3. ობიექტური შერაცხვა	19
ა) მიზეზობრივი კავშირი და ნორმათა დაცვის ფუნქცია.	20
ბ) უმოქმედობის შერაცხვა	21
გ) პირის პასუხისმგებლობა მის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამონეულ ზიანზე	22
II. მართლწინააღმდეგობა.	23
1. მნიშვნელობა.	23
ა) მოძღვრება შედეგის მართლწინააღმდეგობის შესახებ	24
ბ) მოძღვრება მოქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ	25
გ) სხვაობა	26
დ) საშუამავლო შეხედულება	27
ე) სასამართლო პრაქტიკის მოსაზრებები	28
2. გამამართლებელი საფუძვლები	29
III. ბრალეულობა.	30
IV. ზიანი	31
გ. მე-2 ნაწილი	32
1. ზოგადი მიმოხილვა	32
2. დამცავი კანონები	33
3. დაცვის მიზანი	34
4. მართლწინააღმდეგობა	35
5. ბრალი	36
დ. მწარმოებლის პასუხისმგებლობა	37
I. ზოგადი მიმოხილვა.	37
II. პირველი ნაწილიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა.	39

	ველი
1. სამართლებრივი სიკეთის დარღვევა	40
2. ობიექტური შერაცხვა	41
ა) ზოგადი მიმოხილვა	41
ბ) ფარგლები	42
გ) სამართლებრივი კონსტრუქციის ფარგლები	43
დ) პროდუქციის ფარგლები	44
ე) ვალდებულებები მიწოდების შემდეგ	45
ვ) მწარმოებელი	46
3. მართლწინააღმდეგობა და ბრალი	47
4. მტკიცების ტვირთი	48
III. დამცავი კანონის დარღვევა (§ 823-ის მე-2 წინადადება)	49
IV. უზარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონი	50
1. ზოგადი მიმოხილვა	50
2. ნივთობრივი გამოყენების სფერო	51
3. პასუხისმგებლობის ფაქტობრივი შემადგენლობა	52
4. პასუხისმგებლობის მოცულობა	53

ა. ზოგადი მიმოხილვა

1 დებულება წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის სამართლის ძირითად ნორმას (შდრ. § 823-ის შესავლის პირველი ველი). პირველ ნაწილში კანონმდებელმა მიიღო გადაწყვეტილება დელიქტური პასუხისმგებლობის ზოგადი დათქმის საწინააღმდეგოდ (რომელსაც, მაგ., ვხვდებით ფრანგულ Code Civil-ის 1382-ე მუხლში) და მის ნაცვლად ცალ-ცალკე გაითვალისწინა კანონით დასაცავი უფლებები და სამართლებრივი სიკეთე (დეტალურად იხ. *Larenz/Canaris SchR II/2, § 75, I, 3a*). ამდენად, ყოვლისმომცველი ქონებრივი დაცვა არ არის უზრუნველყოფილი; თუმცა, წარმოშობილ საკანონმდებლო ხარვეზებს ავსებს პასუხისმგებლობის საკანონმდებლო შემადგენლობები, როგორცაა, მაგ., მე-2 ნაწილი, რომელიც მოქმედებს წმინდა ქონებრივი დაცვისაკენ მიმართული კანონების შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის §§ 263, 266, ან § 826. დამატებით პირველი ნაწილის დაცვის სფერო ფართოვდება ე. წ. „ჩარჩო უფლებების“ განვითარებით (იხ. ქვემოთ, მე-9 და შემდეგი ველები). პირველი და მე-2 ნაწილები დამოუკიდებელი (და ცალ-ცალკე გამოსაკვლევი!) ქმედების შემადგენლობებია. სამართლებრივ შედეგია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (§ 249 და შემდეგი პარაგრაფები, რომლებსაც ემატება § 842 და შემდეგი პარაგრაფების სპეციალური დელიქტური ნორმები); მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებისა და დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლებებისათვის იხ. § 823-ის შესავლის მე-3 ველი. მოთხოვნის უფლების წინაპირობების კვლევა ხორციელდება, როგორც წესი, ქვემოთ მოცემული წესით (**„პასუხისმგებლობის დამდგენი ფაქტობრივი გარემოების“** კვლევა, შდრ. § 823-ის შესავლის პირველი ველი). როგორც წესი, სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნის უფლებები შეიძლება არსებობდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ამავე დროს, წესით, სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადები არ მოქმედებს დელიქტური მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადებზე (თუმცა, განსხვავებული წესია დადგენილი § 548-ით გათვალისწინებული სპეციალური შემცირებული ხანდაზმულობის ვადისათვის). დელიქტურ სამართალზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის პრივილეგიასთან დაკავშირებით იხ. 30-ე ველი¹³³.

133 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

ბ. ნაწილი 1

I. ქმედების შემადგენლობა

პირველი ნაწილის ქმედების შემადგენლობა წინაპირობად აყენებს **ობიექტურად შესარაცხის სამართლებრივი სიკეთის დარღვევას**. სამართლებრივი სიკეთის დარღვევა პირველ ნაწილში პირდაპირ დასახელებული უფლებების ან სამართლებრივი სიკეთის ნებისმიერი დარღვევაა, მათ შორის, „სხვა უფლებებისა“, ისევე როგორც „ჩარჩო უფლებების“ დარღვევა (იხ. ქვემოთ, მე-9 და შემდეგი ველები). ობიექტური შერაცხვის ფარგლებში (მე-19 და შემდეგი ველები) უნდა დადგინდეს, შეიძლება თუ არა, სამართლებრივი სიკეთის დარღვევა შეერაცხოს მოქმედების ჩამდენ ზიანის მიმყენებელს.

1. დაცული სამართლებრივი სიკეთე. პირველი ნაწილიდან გამომდინარე, დელიქტური ზიანის ანაზღაურების პირველი წინაპირობაა დაცული სამართლებრივი სიკეთის დარღვევა. **ა) სიცოცხლის ხელყოფა** ხდება ადამიანის მოკვლით. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები ეკუთვნის მესამე პირებს (შდრ. §§ 844, 845); **ბ) გაბატონებული შეხედულების თანახმად, სხეულის დაზიანება** არის წმინდა გარეგანი ზიანი, როდესაც **ჯანმრთელობა ზიანდება** შინაგანი ფუნქციების დარღვევისას. დაზიანება შეიძლება იყოს ფიზიკური (დარტყმა, მონამვლა) ან ფსიქიკური (შოკის შედეგად მიყენებული ზიანი). მოითხოვება ზიანის მიყენებისას პირის უშუალო მონაწილეობა ან მისი ახლო კავშირი (BGH NJW, 2007, 2764, 2765 №14, 2766 №17). ქალის ნების საწინააღმდეგოდ დაორსულება არის სხეულის დაზიანება, თუმცა, ორსულობა ფიზიოლოგიური პროცესია (BGH NJW, 1995, 2407). **ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება** შესაძლებელია ასევე იმის მიმართ, ვინც ზიანის მიყენების მომენტში ჯერ კიდევ არ არის დაბადებული (**nasciturus**), ან ჩასახულიც კი არ იყო (**nondum conceptus**) და შემდგომში დაზიანებული დაიბადა. მაგალითები: დედის ავტოსავაზო შემთხვევის დროს ჩანასახმა მიიღო ტვინის დაზიანება (BGHZ, 58, 48); ჩანასახი წარმოიშვა დეფექტიანი, ვინაიდან დედა ჩასახვამდე სისხლის დაავადებით იყო ინფიცირებული („Lues საქმე“, BGHZ 8, 248). თუმცა, მოთხოვნის უფლებები არა აქვს შვილს, რომელიც დაიბადა დეფექტიანი დედის მიერ წითურის გადატანის შემდეგ, როდესაც მშობლებმა არ გააკეთეს აბორტი ექიმის რჩევით, რომელსაც რეგრესის წესით მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება; სწორი რჩევის შემთხვევაში ბავშვი არ დაიბადებოდა (შესაბამისად, შესაძლებელია მშობლების მოთხოვნის უფლებები ექიმის წინააღმდეგ, BGHZ, 86, 240; შდრ. ქვემოთ, 31-ე ველი); **გ) თავისუფლება.** პირველი ნაწილი იცავს მხოლოდ ფიზიკური მოძრაობის თავისუფლებას (ჩაკეტვის წინააღმდეგ; ზოგადი თავისუფალი დაშვება ამ ნორმით არ არის უზრუნველყოფილი).

დ) საკუთრების უფლება. **აა) უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია** მისაღები საკუთრების უფლების დელიქტური დაცვის **სუბსიდიურობა** მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობაში ზიანის მიყენების მიმართ (§§ 989, 990): პირველი ნაწილი არამართლობიერი მფლობელის მიერ საკუთრების უფლების დარღვევის შემთხვევაში აღარ გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოქმედებს § 992, ან მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობაში გამორიცხვის ფუნქციიდან სხვა გამონაკლისი; დეტალურად იხ. § 987-ის შესავლის მე-8 ველი; **ბბ) დარღვევის სახეები.** პირველი ნაწილით მონესრიგებული საკუთრების უფლების დარღვევები შეიძლება იყოს: **(1) არაუფლებამოსილი პირის ნამდვილი (ძალმოსილი) განკარგვის შედეგად**, მაგ., სხვა პირის კუთვნილი ნივთის გასხვისების შედეგად, ან იმ ნივთის დაგირავებით, რომელიც მოვალეს არ ეკუთვნის. არაუფლებამოსილი პირის მიერ განკარგვის შემთხვევაში მაინც საეჭვოა ის, რომ პირველი ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები, § 987-ისა და შემდეგი პარაგრაფების უპირატესობის გამო, ხშირად გამორიცხულია. თუმცა, მესაკუთრეს ამ

შემთხვევებში შეუძლია § 816-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან, მე-2 ნაწილიდან გამომდინარე მოქმედება. **(2) ნივთის სუბსტანციისათვის ზიანის მიყენება**, მაგ., დაზიანებისა ან განადგურების გზით, მიიჩნევა საკუთრების უფლების დარღვევად, პირველი ნაწილის გაგებით. **(3) ნივთით სარგებლობის** (რომლებიც, § 903-ის თანახმად, აქვს მესაკუთრეს) **დარღვევები** შეიძლება ასევე გახდეს, პირველი ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების საფუძველი (დეტალურად იხ. აქვე).

5 ე) საკუთრების უფლების დარღვევისა და წმინდა ქონებრივი ზიანის გამიჯვნა. ეს განსხვავება იწვევს სირთულეებს, როდესაც ხდება არა ნივთის სუბსტანციის ხელყოფა, არამედ მხოლოდ ნივთით სარგებლობის ხელშეშლა. სასამართლო პრაქტიკა ნაწილობრივ ორიენტირებულია იმაზე, შეიძლება თუ არა ფუნქციურ დარღვევაში თვით ნივთზე ზემოქმედებაც ჩაითვალოს (იხ. BGH NJW, 1977, 2264, 2265); ასევე მოითხოვება „არც თუ ისე უმნიშვნელო“ დანიშნულების შესაბამისი სარგებლობის დარღვევის ფაქტის არსებობა (BGH NJW, 1994, 517). რამდენადაც საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტი უარყოფილია, სასამართლო პრაქტიკა შესაბამის შემთხვევებში, ძირითადად, დამატებით ადგენს, სახეზეა თუ არა დაფუძნებული და გამოყენებული სანარმო (აღნიშნულზე იხ. ქვემოთ, მე-10 და შემდეგი ველები). მაგ.: ნავთობპროდუქტების საცავი (BGH NJW, 1977, 2264); ნავთობპროდუქტების საცავ ტ-ში გაჩენილი ხანძრის გამო მოხდა მეზობლად განლაგებულ ა-ს (1) სანარმო ორი საათით ევაკუაცია და (2) კიდევ სამი საათით სახანძრო მანქანებით ბლოკირება. ამ შემთხვევაში უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ევაკუაციის პერიოდი მიიჩნია საკუთრების უფლების დარღვევად ტ-ს მხრიდან (ნივთზე ზემოქმედება მისი გამოყენების ხელის შეშლით), თუმცა, ბლოკირების შემთხვევაში (მე-2 ვარიანტი) საკუთრების უფლება არ ჩათვალა ხელყოფილად; სამეწარმეო საქმიანობის უფლება არ დაირღვეოდა სანარმოო საქმიანობასთან კავშირის არარსებობის გამო. **სანაოსნო არხის მაგალითი** (BGHZ, 55, 153; ამ საკითხზე იხ. ასევე *Larenz/Canaris* SchR II/2, § 76, II, 3c): მომსახურე პირის ბრალით ჩამოინგრა სანაოსნო არხის კედელი ისე, რომ (1) ერთი გემი აღმოჩნდა ბლოკირებული სანაოსნო არხის ერთ მხარეს, ხოლო (2) სხვა გემებმა ველარ შეძლეს ჩამონგრეული მონაკვეთის შემდეგ განლაგებულ გადმოტვირთვის ადგილამდე მისვლა. უმაღლესი ფედერალური სასამართლო დაეთანხმა საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტის არსებობას მხოლოდ (1) ვარიანტში, ვინაიდან ჩაკეტილი გემით, როგორც სატრანსპორტო საშუალებით, დანიშნულების შესაბამისი სარგებლობა მთლიანად გამოირიცხა; (2) ვარიანტში კი, პირიქით, არც საკუთრების უფლების დარღვევა (გემების სხვაგან გამოყენება შესაძლებელი იყო) და არც წარმოების ხელშეშლა (სანარმოო საქმიანობასთან კავშირის არარსებობა) არ ყოფილა (მდრ. BGHZ, 86, 152, „ელბის გვერდითი არხი“).

6 ე) საკუთრების უფლების დარღვევისა და ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებების გამიჯვნა. აა) პრინციპები. თავიდანვე ნაკლის მქონე ნივთების მიწოდება ან წარმოება, რომლებიც გადაეცა საკუთრებაში მოთხოვნის უფლების წარმდგენს, როგორც წესი, არ არის საკუთრების უფლების დარღვევა, ვინაიდან კლიენტი ამ მომენტში არასოდეს არ ფლობდა უნაკლო საკუთრების უფლებას, რომლის დარღვევაც იქნებოდა შესაძლებელი. ირღვევა მის მიერ ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების მიღების ეკვივალენტური ინტერესი, რომელიც, ამავე დროს, შეზღუდულია ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებებით. განსხვავებული წესია დადგენილი თვითმყოფლობის (ხელშეუხებლობის) ინტერესის, ანუ მინიჭებული სამართლებრივი მდგომარეობის დაცვაზე საერთო ინტერესის დარღვევისას: ამ დროს საკუთრების უფლება ირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლის მქონე ნივთი იწვევს სხვა საგნების დაზიანებას, რომლებიც შეიძლება ეკუთვნოდეს არა მარტო კლიენტს, არამედ – მესამე პირსაც. მაგალითად, „ამნე-პლატფორმის საქმე“ (BGH NJW, 1983, 812, 814): კ-მ ნაკლის მქონე ამნე-პლატფორმა მიანოდა სახელოსნოს

მფლობელ ვ-ს; ნაკლის გამო პლატფორმიდან გადმოვარდა და-ს ავტომანქანა. ვ-ს ეკვივალენტური ინტერესი მიმართულია ნაკლის არმქონე ამნე-პლატფორმის მიწოდებისკენ; ვ-ს ასევე შეუძლია, მაგ., ამნე-პლატფორმის გაჩერების გამო ნაკლის გამო მოთხოვნის უფლების სახით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (მაგრამ არა დელიქტიდან გამომდინარე, ვინაიდან ამნე-პლატფორმა თავიდანვე გამოუსადეგარი იყო). თუმცა, იგი ასევე არღვევს და-ს ხელშეუხებლობის ინტერესს: მას შეუძლია კ-საგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ავტომანქანის დაზიანების გამო; ავტომანქანა რომ ყოფილიყო ვ-ს საკუთრებაში, მაშინ ამ ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებები და დელიქტური მოთხოვნის უფლებები ერთდროულად შეიძლებოდა წარდგენილიყო (შდრ. § 437-ის მე-9, მე-16 ველები);

ბბ) სასამართლო პრაქტიკა ე. წ. „ჯაჭვურ ზიანზე“. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ირღვევა ხელშეუხებლობის ინტერესი და ასევე საკუთრების უფლებაც იმ შემთხვევაში, როდესაც მიწოდებული ნივთის ნაკლი თავისთავად იწვევს ხელშეკრულების ობიექტის სხვა უნაკლო ნაწილის დაზიანებას. თუმცა, როდის შეიძლება საუბარი „ნაწილობრივ უნაკლო საკუთრების უფლებაზე“? უმაღლესი ფედერალური სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, „წყლის გამომრთველის საქმეში“ ორიენტირებული იმაზე, აქვს თუ არა კავშირი ჯერ კიდევ ნივთის გადაცემის მომენტში არსებულ ნაკლს მხოლოდ „ფუნქციურად შეზღუდულ“, მთლიანი ნივთის ღირებულებასთან დაკავშირებულ ხელშეკრულების ობიექტის უმნიშვნელო ნაწილთან (BGHZ, 67, 359, 364: გაუმართავმა წყლის გამომრთველმა გამოიწვია ხანძარი და მთელი იმ სანმენდი მონყობილობის განადგურება, რომელსაც იგი ეკუთვნოდა). „გაზგაყვანილობის საქმის“ შემდეგ უმაღლესი ფედერალური სასამართლო იმ დელიქტური მოთხოვნის უფლებისათვის, რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო „არსებითად იდენტური“ ნაკლის მქონე ღირებულებისა მხოლოდ მოგვიანებით დამდგარი ზიანის ბუნებრივი ან ეკონომიკური შეფასების ხერხის შემთხვევაში, ითხოვს, რომ იგი სახეზე იყოს უკვე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში; არსებითი იდენტურობა არ არსებობს, მაგ., როდესაც თავიდანვე სახეზე არსებული ნაკლი ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლებოდა აღმოფხვრილიყო (BGHZ, 86, 256, 262: მიწოდებული ავტომანქანის გაზით კვების დაზიანებულმა სისტემამ გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა). ამ სასამართლო პრაქტიკის განვითარებისათვის უმაღლესი ფედერალური სასამართლო დაეთანხმა საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტის არსებობას არა მხოლოდ უნაკლო ნივთისათვის, რომელიც შემდგომში ცალკეული ნაწილის მიმატების შედეგად დაზიანდა (იხ. BGHZ, 55, 392, 394 „ანყობილი ავტომანქანის ხიდი“), არამედ ასევე ცალკეული უნაკლო ნაწილებისათვის, რომლებიც გამოუსადეგარი გახდა იმის გამო, რომ ისინი მიემატა სხვა, ნაკლის მქონე ცალკეულ ნაწილებს და ამ უკანასკნელებისაგან მათი გამოცალკეება შეუძლებელია (BGHZ, 138, 230, 236 „ტრანზისტორები“), ასევე – შემკვეთის ცალკეული უნაკლო ნაწილებისათვის, რომლებიც ხელოსნის მიერ არაჯეროვნად იქნა აწყობილი ისე, რომ ნაკეთობა კონსტრუქციის ხარვეზის გამო გამოუსადეგარია ან იგი დაზიანდება (BGH NJW, 1998, 2282, „დაბალჩარჩოიანი მისაბმელი“) და სწორედაც რომ ეს ხდება სანივთო-სამართლებრივი დანაწესებისაგან დამოუკიდებლად (§ 950-ის თანახმად). გვრჩება მხოლოდ დაველოდოთ, შეიძენს თუ არა – და განვითარდება თუ არა შემდგომშიც – „მეტის შთანთქმების ზიანის საკითხებზე“ სასამართლო პრაქტიკა (რომელიც ლიტერატურაში გაკრიტიკებულ იქნა გამოყენებული კრიტიკურიუმების გაურკვეველობისა და ნაკლის შესახებ მოთხოვნის უფლებების ფარგლების შერბილების გამო) თავის მნიშვნელობას ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზების შესახებ კანონით ნივთის ნაკლის მომწესრიგებელი ნორმების რეფორმირების შემდეგ (დელიქტური მოთხოვნის უფლებისათვის ხანდაზმულობის უფრო გრძელი ვადის დადგენის გამო).

7

- 8 ზ) სხვა უფლებები**, პირველი ნაწილის გაგებით, როგორც წესი, შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი უფლებები, რომლებიც კონკრეტულად ჩამოთვლილი სამართლებრივი სიკეთის მსგავსად უფლების მფლობელს ანიჭებს ექსკლუზიურ, ნებისმიერი პირის მხრიდან მხედველობაში მისაღებ მდგომარეობას (ექსკლუზიური მდგომარეობისა და სარგებლობის უფლებამოსილება). **აა) აბსოლუტური უფლებრივი მდგომარეობები** უდავოდ მიეკუთვნება აღნიშნულ „სხვა უფლებებს“. მათ მიეკუთვნება შეზღუდული სანივთო უფლებები (როგორებიცაა: გირავნობა, უზუფრუქტი, იპოთეკა), სახელის უფლება (§ 12) ან უფლება საკუთარ გამოსახულებაზე (საგანმანათლებლო ხელოვნების ნაწარმოებებსა და ფოტოსურათებზე საავტორო უფლების შესახებ კანონის §§ 22 და შემდეგი პარაგრაფები, დეტალურად იხ. ქვემოთ, მე-14 და შემდეგი ველები). ასევე აღნიშნულში შედის საკუთრების უფლების მსგავსი უფლებები, საწარმოო სფეროში დაცული უფლებები (მაგ., საავტორო, საპატენტო ან სავაჭრო ნიშნებზე უფლებები); აგრეთვე სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება ცალიარებულა როგორც სხვა უფლება (კომპენსაცია ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გადაიხდება სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლებისა და სრული უფლების მფლობელის მიმართ ერთდროულად, § 1281-ის ანალოგიით); **ბბ)** სასამართლო პრაქტიკისა და ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, **მართლზომიერი მფლობელობა** წარმოადგენს სხვა უფლებას. მართალია, მფლობელობა არ არის უფლება (არამედ მხოლოდ სამართლით დაცული ფაქტობრივი მდგომარეობა), თუმცა, მართლზომიერ მფლობელს მესამე პირების მიმართ აქვს (მისი მფლობელობის უფლებიდან და § 861-იდან და შემდეგი პარაგრაფებიდან გამომდინარე) საკუთრების უფლების მსგავსი სარგებლობისა და თავდაცვის უფლებამოსილებები. *Medicus/Petersen*, 607-ე ველის თანახმად, აღნიშნული წესი მოქმედებს ასევე არამართლზომიერი მფლობელობის სასყიდლიანი მიღების შემთხვევაში, როდესაც მფლობელი კეთილსინდისიერია და მის მიმართ სარჩელი წარდგენილი არ არის; ამდენად, ასეთ შემთხვევებში მფლობელს შეუძლია დაიტოვოს მიღებული სარგებელი თვით მესაკუთრესთან ურთიერთობაშიც კი (§§ 987, 990 I, 993 I, საეჭვოა ასეთი პოზიცია, BGHZ, 79, 238-ის თანახმად); **გგ) მოთხოვნის მიკუთვნება**. მოთხოვნები, როგორც (ფარდობითი) უფლებები, განსაზღვრული პირის მიმართ, პირველი ნაწილით დაცული არ არის. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად (*Larenz/Canaris* SchR II/2, § 76, II, 4c), განსხვავებული უფლებრივი მდგომარეობა იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნა მიეკუთვნება კრედიტორის ქონებას (მოთხოვნის მიკუთვნება) – ამ კრედიტორს ეკუთვნის შეუზღუდავად, მათ შორის, მესამე პირების გამორიცხვით; უფლებრივ მდგომარეობა ირღვევა, როდესაც მესამე პირი (მოვალის ვალდებულებისაგან გამათავისუფლებელი) შესრულების მიღებით კრედიტორს ართმევს მოთხოვნას. განსხვავებული შეხედულების თანახმად (მაგ., *Medicus/Petersen*, 610-ე ველი), მოთხოვნისა და მოთხოვნის მიკუთვნების გაყოფა დაუშვებელია; თუ პირველი ნაწილის თანახმად, ეს უკანასკნელი უკვე მარტივი გაუფრთხილებლობითაც შეიძლებოდა დარღვეულიყო (შედეგი: სათანადო კრედიტორის მიმართ გადახდის ვალდებულება, § 249), მაშინ აღნიშნული შეარბილებდა მოვალის ინტერესების დაცვას, § 407-ის თანახმად. თუმცა, კრედიტორს არ ესაჭიროება დაცვა, პირველი ნაწილის თანახმად, ვინაიდან მას შეუძლია, როგორც წესი, იმოქმედოს, § 816-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, „არასწორი“ შესრულების მიმღების წინააღმდეგ.
- 9 2. ჩარჩო უფლებები (საწარმოო და პირადი უფლებების მომწესრიგებელი ნორმები).** **ა) ზოგადი მიმოხილვა.** უფლება დაფუძნებულ და გამოყენებულ საწარმოზე და პირადი უფლებების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები სასამართლო პრაქტიკის მიერ განვითარდა როგორც „სხვა უფლებები“, პირველი ნაწილის გაგებით. თუმცა, ეს „სხვა უფლებები“, არ შეესაბამება იქ პირდაპირ დასახელებულ უფლებებსა და სამართლებრივ სიკეთებს, ვინაიდან არის არა მკაფიოდ განსაზღვრული

ტიპიური დაცული სიკეთე თავისი განსაზღვრული ბირთვით, არამედ მხოლოდ ჩარჩო ზოგადი დათქმით შემდგომი დეტალური რეგულირებისათვის. ამდენად, ფაქტობრივი შემადგენლობის შესაბამისობის დასადგენად, ამ შემთხვევაში, საკმარისია არა უბრალოდ ამ უფლებებით დაცული სფეროს დარღვევა (და ეს უკანასკნელი ჩარჩო უფლებების შემთხვევაში ასევე არ მიუთითებს მართლწინააღმდეგობაზე), უფრო პირიქით, თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში მოითხოვება ინტერესებისა და სამართლებრივი სიკეთეების ურთიერთშეწონვა (დეტალურად იხ. *Medicus*, SchR მე-2 ნაწილის 814-ე ველი; განსხვავებული შეხედულება იხ. *Larenz/Canaris* SchR II/2, § 80, III, 2).

ბ) უფლება დაფუძნებულ და გამოყენებულ საწარმოზე. აა) ზოგადი მიმოხილვა. 10
საწარმო სხვა დელიქტური ფაქტობრივი შემადგენლობებით ყოვლისმომცველად (თუნდაც, ზოგჯერ ხარვეზიანად) დაცულია, მაგ.: პირველი ნაწილის მიხედვით, – მისი საკუთრების უფლების დარღვევის წინააღმდეგ; § 824-ის მიხედვით, – არასწორი კრედიტის მიღებისათვის ზიანის მომტანი ფაქტების მტკიცების წინააღმდეგ; § 826-ის მიხედვით, – განზრახ ზნეობის საწინააღმდეგო ზიანის მიყენების წინააღმდეგ; ხოლო მე-2 ნაწილის მიხედვით (შესაბამის დამცავ კანონებთან კავშირში), – სხვაგვარ ჩარევათა მთელი რიგის წინააღმდეგ. საწარმოზე უფლების „სხვა უფლებების“ აღიარებით სასამართლო პრაქტიკამ შეავსო არსებული საკანონმდებლო ხარვეზები: ამიერიდან საწარმოც „თავისი მდგომარეობითა და გავრცელებით“ (BGHZ, 29, 65, 70) სამართლებრივ დაცვის საჭიროებს. თუმცა, ეს დამატებითი დაცვის სფერო (შედეგად, საქმე გვაქვს, – პირველი ნაწილის მხრიდან აუკრძალავ, – ქონების ნაწილობრივ დაცვასთან, როგორც ასეთთან) ექვემდებარება სხვადასხვა მხრივ შეზღუდვას, ვინაიდან სამეწარმეო საქმიანობაში დარღვევები თავისუფალი კონკურენციის პირობებში (და სხვა ინტერესებიდან გამომდინარე) ლეგიტიმურია და არ იმსახურებს სანქციას. პირველი შეზღუდვა გამომდინარეობს უკვე საწარმოზე უფლების **სუბსიდიურობიდან**: ამ უფლების, როგორც ზოგადი ფაქტობრივი შემადგენლობის ფუნქციის გამო შესაძლებელია მისი მხოლოდ იმ სფეროში გამოყენება, როდესაც საწარმო არ არის დაცული სპეციალური დელიქტური ფაქტობრივი შემადგენლობით (შდრ. ზემოთ წარმოდგენილი მაგალითი; იხ. BGH NJW, 1971, 886, 887). ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ საწარმოზე უფლება სრულიად ზედმეტია, ვინაიდან საწარმო სამართლებრივი დაცვა შესაძლებელია დამცავი კანონებისა (მე-2 ნაწილი) და აუცილებლობის შემთხვევაში – უფრო მიზანმიმართულად § 826 ნორმების აღიარებით (სპეციალურად იხ. *Larenz/Canaris* SchR II/2, § 81, IV; შდრ. ასევე *Medicus/Petersen*, 614-ე ველი).

ბბ) დაცვის სფერო. ძველი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, დაცული იყო მხოლოდ უკვე შექმნილი, დამოუკიდებელი საწარმო (ამდენად, დაცვა არ იყო გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებამდე, დამოკიდებული დასაქმებულებისა და თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებისათვის; კრიტიკა იხ. *Larenz/Canaris* SchR II/2, § 81, IV, 1b; *Jauernig-Teichmann*, 97-ე ველი). დღევანდელი მდგომარეობით, შეიმჩნევა დაცვის სფეროს გაფართოების ტენდენცია და ყველა შემთხვევაში ხდება თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლების მაქსიმალური ჩართვა. საწარმოზე უფლებას მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, ოთხ შემთხვევაში, როგორცაცაა, მაგალითად: **(1) საწარმოს ფიზიკური დაზიანება**, მაგ.: უკანონო გაფიცვების, ბლოკადებისა და ა. შ. შედეგად; **(2) ზიანის მომტანი შეფასებები** (ფაქტების მტკიცების არარსებობა, § 824!), რომლებიც ჯერ არ გადადის შეურაცხყოფის (§ 823-ის მე-2 ნაწილი სისხლის სამართლის კოდექსის § 185-თან კავშირში) ან უზნეობის (§ 826) ზღვარს, მაგ.: საქონლის არაკვალიფიციური შემოწმება; **(3) სწორი ფაქტობრივი გარემოებების არასათანადო გავრცელება**, მაგ., (სწორი)კრედიტის მიღებისათვის ზიანის მომტანი ფაქტების გასაჯაროება (BGHZ, 166, 108, 92-ე და შემდეგი ველები, 114, 123-ე და შემდეგი ველები „ეკლესია“); **(4) უსაფუძვლო**

გადათქმა მხოლოდ სავარაუდო სანარმოო დაცვის ნორმების დარღვევისაგან (სადავოა, კერძოდ, იხ. BGHZ, 164, 1 = NJW, 2005, 3141, 3470, კრიტიკული შენიშვნები G. Wagner/Thole).

- 12 გ) სანარმოსთან კავშირი.** “სანარმოსთან დაკავშირებული დარღვევის“ ნიშნით არსებითად იზღუდება სანარმოზე უფლების დაცვის მოქმედების სფერო. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული მოიცავს მხოლოდ იმ დარღვევებს, „რომლებიც გარკვეულწილად მიმართულია სანარმოს, როგორც ასეთის, წინააღმდეგ... და არ ეხება სანარმოსაგან გამოცალკევებულ უფლებებსა თუ სამართლებრივ სიკეთეს“; BGHZ, 29, 65, 74: სანარმოსთან არ არის დაკავშირებული დარღვევა, როდესაც არაჯეროვან მინის სამუშაოთა შემთხვევაში დაზიანდა გამავალი კაბელი, რის შედეგადაც ა-ს კუთვნილ სანარმოში პროდუქციის რეალიზაცია შეჩერდა ერთი დღით; BGHZ, 41, 123-ის საქმეში დელიქტური მოთხოვნის უფლების არსებობა კი, პირიქით, მსგავსი საქმის ვითარების შემთხვევაში საკუთრების უფლების დარღვევის თვალსაზრისით დასტურდება, ვინაიდან ინკუბატორ ბ-ში ელექტროენერჯის მიწოდების შეფერხების შედეგად განადგურდა საინკუბაციო პროდუქცია; ამ სხვაობის შესახებ კრიტიკული მოსაზრებები იხ. *Medicus/Petersen*, 612-ე ველი, 613-ე ველის ბოლოს. გარდა ამისა, სანარმოს არ უკავშირდება: დარღვევა მხოლოდ სანარმოს თანამშრომლებისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში (BGHZ, 7, 36), პროფესიონალური ფიგურული სრიალის პარტნიორისათვის უბედური შემთხვევის შედეგად ზიანის მიყენების შემთხვევაში (BGH NJW, 2003, 1040), ასევე ნავთობპროდუქტების საცავისა (BGH NJW, 1977, 2264) და სანაოსნო არხის შემთხვევებში (BGHZ, 55, 153); ორი უკანასკნელი შემთხვევისათვის იხ. ზემოთ, მე-5 ველი.
- 13 დ) სამართლებრივი სიკეთისა და ინტერესების ურთიერთშეწონვა.** ამრიგად, დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ფაქტობრივი შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო, როდესაც იგი მიუღებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ერთი მხრივ, სანარმოს მფლობელსა და, მეორე მხრივ, დამრღვევს შორის სამართლებრივი სიკეთისა და ინტერესების ყოვლისმომცველი ურთიერთშეწონვის შემდეგ. ამავე დროს, დაზარალებული პირის მხრიდან მხედველობაში მისაღები დარღვევის განსაკუთრებული სიმძიმე ან მნიშვნელოვანი ზიანი, ხოლო დამრღვევი პირის მხრიდან გასათვალისწინებელია ზიანის მიყენების სამართლებრივად ღირებული მიზანი, მაგ., აზრის გამოთქმისა და პრესის თავისუფლების რეალიზებისაკენ მიმართული მოქმედება (კონსტიტუციის მე-5 მუხლი; ფარგლები: არაობიექტური ბინძური კრიტიკა, შდრ. BGHZ, 3, 270; 45, 296), ჯანმრთელობისათვის საფრთხის არსებობის შესახებ გაფრთხილება (BGH NJW, 1984, 1956, „Mordoro-Poker“, თამბაქოს მარკეტის ფასების ჩამონათვალის დამცინავი წარმოდგენა). თუ დასახულ იქნა სამართლებრივად ღირებული მიზანი, მაშინ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, რჩება თუ არა ზიანის მიყენება პროპორციულობის ფარგლებში.
- 14 გ) ზოგადი პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი. აა) ზოგადი მიმოხილვა.** სამოქალაქო კოდექსმა არ გაითვალისწინა პიროვნულობის, როგორც ასეთის, დაცვა არამართლზომიერი დარღვევისაგან; იგი აწესრიგებს მხოლოდ სპეციალურ დარღვევებს კერძო სფეროში, კერძოდ: სახელის უფლების ხელყოფა (§ 12; სხვა კანონებით დაცულია უფლება საკუთარ სურათზე – საგანმანათლებლო ხელოვნების სანარმოებსა და ფოტოსურათებზე საავტორო უფლების შესახებ კანონის § 22 და შემდეგი პარაგრაფები – და პირად ღირსებაზე – სისხლის სამართლის კოდექსის §§ 185 და შემდეგი პარაგრაფები). ზოგადი პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის მხრიდან აღიარება იმისა, რომ პიროვნულობა ყველა თავისი განშტოებით (კერძოდ, იხ. ქვემოთ, მე-16 ველი) დაცულია, უარყოფერ კიდევ რაიხის სასამართლომ მისი ზოგადი ხასიათის დათქმის გამო. მხოლოდ გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიერ იქნა აღიარებული (BGHZ, 13, 334

„მკითხველის წერილი“) ზოგადი პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი ადამიანური ღირსების მნიშვნელობისა და კონსტიტუციაში (პირველი მუხლი, 1, 2, 1) პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობის გამო, როგორც „სხვა უფლება“, პირველი ნაწილის გაგებით (ამ კლასიფიკაციის კრიტიკისათვის იხ. ზემოთ, მე-9 ველი). თუმცა, პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებისა და სახელის უფლების ქონებრივ-სამართლებრივი შემადგენელი ნაწილები სამართლებრივად დაცულია და, შესაბამისად, ინტერესთა შეფასების ფარგლებში (იხ. მე-15 ველი), ისინი შეიძლება გადავიდეს მეორე პლანზე კონსტიტუციით დაცულ ძირითად უფლებებთან შედარებით, კონსტიტუციის მე-5 მუხლის I-იდან გამომდინარე (BGH NJW, 2008, 3782 №13). **თვით გარდაცვალების შემდეგაც**, კონსტიტუციის პირველი მუხლის I-იდან გამომდინარე, გრძელდება პიროვნების დაცვა, რაც მოიცავს ადამიანისათვის, როგორც ასეთისათვის, კუთვნილ საერთო ყურადღების უფლებას, ისევე როგორც – ზნეობრივ, პიროვნულ და სოციალურ ღირებულებას, რაც პიროვნებაში შეიძინა ცხოვრების განმავლობაში (BGH NJW, 2009, 751 №16). ცალკეულ შემთხვევებში (BGHZ, 143, 214, „მარლენ დიტრიხი“), უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ზოგადი პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის იდეალური და ქონებრივი შემადგენელი ნაწილები (ამ სხვაობის შედეგების შესახებ იხ. ქვემოთ, მე-17 ველის ბოლოს).

ბბ) სამართლებრივი სიკეთისა და ინტერესების ურთიერთშეწონვა. ზოგადი პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის ფაქტობრივი შემადგენლობის შესაბამისი (და მართლსაწინააღმდეგო) დარღვევა, მრავალი პირადი სფეროს თანხვედრისა და საზოგადოებრივი ინტერესების პრიორიტეტის გამო, მოცემულია არა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პირის ინდივიდუალური სფერო გარკვეულწილად შელახულია, არამედ, ზოგადი პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის მოქმედების დიაპაზონი და მისი დარღვევა შეიძლება მხოლოდ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში მონაწილე ინტერესებისა და საპირისპირო ინტერესების საფუძველზე დადგინდეს. უნდა შეფასდეს შემდეგი შეხედულებები: **(1) დაზარალებულის მხარეს** უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი იდეალური ინტერესების დარღვევის სახესა და სიმძიმეს. გამოიყენება შემდეგი განსხვავება შესაბამისი **სფეროების** მიხედვით (დეტალურად იხ. *Palandt-Sprau*, 87-ე, 95-ე და შემდეგი ველები): ინტიმური სფეროს დარღვევა (გრძნობებისა და იდეების შიდა სამყარო და მათი გამოვლინებები) ყველა წესის მიხედვით ფაქტობრივი შემადგენლობის შესაბამისია; ჩარევები კერძო სფეროში (რომლებიც არ მოიცავს მხოლოდ სახლს) შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ გამონაკლისის სახით (შეფასების მაგალითები იხ. ქვემოთ, მე-16 ველში); ინდივიდუალური სფეროს დარღვევები (პიროვნული ურთიერთობების გავრცელება პროფესიულ და სხვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში) დასაშვებია ლეგიტიმური საპირისპირო ინტერესების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ინტერესების ურთიერთშეწონვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე დაზარალებულის მოქმედებაც. **(2) დამრღვევის მხარეს** მხედველობაში მისაღება მის მიერ დასახული მიზანი და გამოყენებული საშუალება; გარდა ამისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის მხარეს არსებულ **ძირითად უფლებებსა** და სპეციალურ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებს (მაგ., სისხლის სამართლის კოდექსის §§ 193, 34; შესაბამისად, შანტაჟისათვის მაგნიტურ ფირზე ფარული ჩანაწერი შესაძლებელია აუცილებლობისას გამართლებული იყოს). გარდა ამისა, უნდა მოხდეს დამრღვევის **სპეციალური სახელოვნებო თვალსაზრისიდან** გამომდინარე **სახელოვნებო თავისუფლებისა** (კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი) და დაზარალებულის პირადი უფლებების ურთიერთშეწონვა (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, 30, 173 – „მეფისტოფელი“). პირად ცხოვრებაში მძიმე ჩარევა შეიძლება სახეზე იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხატვარმა დახატა სხვა ხელოვანის სურათის ასლი ან მას სურდა დაეხატა იგი და

15

„სიყალბის“ მოცულობა და მნიშვნელობა დაინტერესებული პირის რეპუტაციასა ან მის მოგონებებზე უარყოფით გავლენას ახდენს. სახელოვნებო თავისუფლების გამო, როგორც წესი, ივარაუდება, რომ რომანი იმ შემთხვევაშიც განიხილება როგორც გამოგონილი ამბავი, სინამდვილის დადგენის მოთხოვნის უფლების გარეშე, როდესაც რომანის გმირების უკან შეიძლება ნამდვილი პიროვნებების ამოცნობა. სახელოვნებო წარმოდგენა რაც უფრო მეტად აღწევს პირის პირადი ურთიერთობების სფეროში, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს რომანის გმირების ფიქტიურობა და სახელოვნებო გაუცხოება (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, 119, 1 – „Esra“ – შდრ. BGH, 24.11.2009 – VI ZR 219/08). ზიანის მიმყენებელი **საგაზეთო შეტყობინებების** შემთხვევაში, განსაკუთრებით მხედველობაშია მისაღები პრესის „სრულიად გადაწყვეტი მნიშვნელობა“ დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოსათვის (კონსტიტუციის მე-5 მუხლის I, 2); სხვა მხრივ, გამართლებულია მხოლოდ საქმიანი და სინამდვილის შესაბამისი კრიტიკა (უფრო მკაცრი მოთხოვნა არსებობს რედაქტორების მიერ მასალების შემონგებისას), მაგრამ – არა პოლემიკა ან მხოლოდ შეურაცხყოფა. თვით ფაქტობრივი გარემოებების ასახვის შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია დაინტერესებული პირის კერძო სფერო: შესაბამისად, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (BVerfGE 35, 202 „Lebach“), რომ გერმანიის მეორე ტელევიზიის დოკუმენტური ფილმი სამხედრო სანყობზე თავდასხმის შესახებ, რომლის დროსაც დაიღუპა ოთხი ჯარისკაცი, არ უნდა გასულიყო ეთერში, ვინაიდან საფრთხე შეექმნებოდა გათავისუფლებული დამხმარე პირის რეპუტაციას. პირადი ცხოვრებიდან ფოტოსურათების გამოქვეყნებისას („პაპარაცული ფოტოები“) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (NJW, 2004, 2647, 2643, შენიშვნა Heldrich) პრესის თავისუფლებას უფრო ნაკლებ სიმაღლეზე აყენებს, ვიდრე აქამდე ამას აკეთებდნენ გერმანული სასამართლოები (BGHZ, 131, 332; ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო 101, 361) და აზრის გამოთქმის თავისუფლებასა (ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი) და პირად ცხოვრებას შორის ინტერესთა ურთიერთშეწონვისას ორიენტირებულია იმაზე, საინტერესოა თუ არა სადავო ფოტოსურათები და ტექსტი საზოგადოებისათვის და ეხებიან თუ არა ისინი პირთა პოლიტიკურ ცხოვრებას; ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არც ერთ გარემოება არ ყოფილა ჰანოვერის პრინცესა კაროლინას ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათების შემთხვევაში (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, NJW, 2008, 1793). თუმცა, მან უარი თქვა ერთიან შეფასებაზე (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო №102) და ხაზი გაუსვა სიტყვიერ და ფოტორეპორტაჟებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს შეხედულების თანახმად, პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი ზოგადი სამართლის დაცვა სურათის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით საკმარისია, ერთი მხრივ, პრესაში გავრცელებული შეტყობინების წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, განსხვავებული წესით – ტექსტური შეტყობინების წინააღმდეგ. ამ პოზიციიდან ნათელი ხდება ის, რომ, როგორც წესი, პირისათვის ფოტოსურათის გადაღება არის მის პირად ცხოვრებაში შეუსაბამოდ მძიმე ჩარევა (BGH NJW, 2011, 744 №12)¹³⁴.

- 16 გვ) შემთხვევათა ჯგუფები.** პირადი უფლებების დარღვევის სხვადასხვაგვარი შესაძლებლობები (კაზუისტიკა იხ. *Larenz/Canaris* SchR II/2, § 80, II) შეიძლება დაიყოს შემთხვევათა 3 ჯგუფად: **(1) სხვა პირის პირად ცხოვრებაში შეჭრა.** მაგ.: გასაიდუმლოებული სიტყვებისა თუ სურათების რეპროდუქცია (იხ. სისხლის სამართლის კოდექსის § 201, საგანმანათლებლო ხელოვნების ნაწარმოებებსა და ფოტოსურათებზე საავტორო უფლების შესახებ კანონის § 22 და შემდეგი პარაგრაფები) ან სხვაგვარი არასანქცირებული გამოქვეყნებები; ინტიმურ სფეროს

134 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

მიკუთვნიებული ინფორმაციის გაცემა (მაგ., ჯანმრთელობის მდგომარეობის, სქესობრივი ცხოვრების შესახებ); პირადი ჩანაწერების გამოქვეყნება თვით გარდაცვალების შემდეგაც (BGHZ, 15, 259 „ვაგნერის წერილები“; შდრ. ასევე BGHZ, 50, 133, „მეფისტოფელი“); **(2) პატივის შემლახველი ფაქტები** იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს მოქმედება არ არის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი (სისხლის სამართლის კოდექსის § 185 და შემდეგი პარაგრაფები), ხშირად არღვევს პირის პირად უფლებებს, მაგ., პრესაში გამოქვეყნებული შეურაცხყოფელი რეპორტაჟი (BGHZ, 39, 124: სატელევიზიო დიქტორის შედარება „მეწველ თხასთან“). საკმარისია პირის სურათის საჯაროდ დაზიანება, მაგ., დამამახინჯებელი ციტატის დამატების შედეგად (იხ. საქმე Böll/Walden, BGH NJW, 1978, 1797; 1982, 635; BVerfGE 54, 208); **(3) პირის კომერციული მისი თანხმობის გარეშე**, მაგ.: BGHZ, 26, 349, „მხედარი“ – სარეკლამო პლაკატზე ტურნირის მონაწილე მხედრის ილუსტრაცია; BGHZ, 30, 7 – კბილის პროტეზის-ადჰეზიის აქტივატორის რეკლამა მომღერალ კატერინა ვალენტეს (შემთხვევითი) ხსენებით; BGHZ, 143, 214, „მარლენ დიტრიხი“ – მიუზიკლის ინსცენირება სახელწოდებით – „მარლენი“.

დ) სამართლებრივი შედეგები. მოთხოვნის უფლებათა სხვადასხვა საფუძვლის სათანადო მიმოხილვა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ BVerfGE 97, 125 (კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილთან კავშირში). **(1) საპირისპირო წარმოდგენის უფლებები** არსებობს განსაკუთრებით ფედერაციული მხარეების პრესის კანონებში: ფაქტების მტკიცების შემთხვევაში (და არა – შეხედულებათა გაცვლისას!), რომელიც ეხება პირად უფლებებს, თუმცა, ისინი არ არიან აუცილებლად ღირსების შემლახვენი, – „დაინტერესებულ პირს“ შეუძლია მოითხოვოს, რომ გამოქვეყნდეს მისი პოზიცია პირველი შეტყობინების ფორმით (გარემოებათა გათვალისწინებით – ასევე გაზეთის პირველ გვერდზე). მას შეუძლია, ეს უფლება განახორციელოს, როგორც წესი, სწრაფად, თანაც არასწორი ფაქტის საწინააღმდეგო მტკიცება (ან დასაბუთება) არ მოითხოვება; **(2) დაინტერესებულ პირს** შეუძლია მოითხოვოს **მოქმედებისაგან თავის შეკავება**, როდესაც ფაქტების მტკიცება ან შეხედულებათა გაცვლა პიროვნების შეურაცხყოფელ ზღვარს აღწევს (კვაზინეგატორული მოთხოვნის უფლება, ზოგადი წესების თანახმად, შდრ. § 823-ის შესავლის მე-3 ველი). **(3) დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლებები** არსებობს მხოლოდ ფაქტების მტკიცების შემთხვევაში: თუ დაინტერესებული პირი ამტკიცებს მათ უსწორობას, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს, რომ დამრღვევი გაემიჯნოს თავის ფაქტებს და, თავის მხრივ, გამოაქვეყნოს დამატებითი ინფორმაცია, ფაქტების შესწორება ან უარყოფა; **(4) ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლებები**, § 823-ის თანახმად (ბრალის არსებობა მოითხოვება!), მიმართულია ნატურით დაბრუნებისაკენ (§ 249), ასევე, მაგ., – ფაქტების უარყოფაზე, საწინააღმდეგო ინფორმაციის გამოქვეყნებაზე, უკანონოდ გადაღებული ფოტოსურათის განადგურებაზე, თუმცა, – ასევე ქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე (მაგ., რეპუტაციის შელახვის გამო საწარმოო მოცდენა); **(5) იდეალური ინტერესების დარღვევისათვის ფულადი თანხით ანაზღაურება** დაინტერესებულ პირს ეკუთვნის, მიუხედავად § 253-ის პირველი ნაწილისა, როდესაც მისი პირადი უფლებები განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ირღვევა, ან დამრღვევს მიუძღვის მნიშვნელოვანი ბრალი (სადავო სასამართლო პრაქტიკა, BGHZ, 26, 349, „მხედარი“, იხ. ზემოთ, მე-16 ველი). თუმცა, აღნიშნული არ ხორციელდება § 253-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, რომელიც არ ახსენებს პირადი უფლებების დარღვევას, თუმცა, პირადი უფლებების საკონსტიტუციო-სამართლებრივი დაცვა ამ სანქციის გარეშე (შორსმიმავალი, თუმცა, არა სისხლის სამართლით კლასიფიცირებული) ხარვეზიანი იქნებოდა (მიღებულია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ BVerfGE 34, 269; იხ. ასევე RegBerg BT-Drucks, 14/7752, 24). თავისი შინაარსით ფულადი თანხით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მაინც

სუბსიდიურია, შესაბამისად, იგი არ არსებობს, როდესაც დარღვევა საკმარისად იყო კომპენსირებული სხვა საშუალებით, ან იგი შეიძლება ყოფილიყო კომპენსირებული სხვა საშუალებით (მაგ., უარყოფით, BGH NJW, 1970, 1077; ინტერესთა ურთიერთშენიშნის ცალკეული შემთხვევები). თუ ფულადი თანხით ანაზღაურება აუცილებელია დარღვევის სიმძიმის გამო, მაშინ იგი „საგრძობი“ ოდენობის უნდა იყოს, მათ შორის, პრევენციული მოქმედების თვალსაზრისითაც; ამგვარად, პირადი უფლებების სფეროში ცინიკური დარღვევის შემთხვევაში, არ არის საჭირო გამოცემის მაღალი გაყიდვების გზით მიღებული მოგების ჩამორთმევა, მაგრამ იგი გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც ზიანის შეფასების ფაქტორი (BGHZ, 128, 1, 15 „მონაკოს პრინცესა კაროლინა“, ისევე როგორც BGHZ, 160, 298). სხვაგვარად უნდა რეგულირდებოდეს პიროვნულობის კომერციული ინტერესის დარღვევა: თუ პირი სხვა პირის პირადი უფლების ქონებრივი ღირებულების მქონე შემადგენელ ნაწილს ბრალეულად არღვევს, პასუხს აგებს სხვა ქონებრივი ღირებულების მქონე ექსკლუზიური უფლების დარღვევის შემთხვევის მსგავსად ისე, რომ იგი არ არის დამოკიდებული დარღვევის სიმძიმეზე (BGHZ, 143, 214, 228, „მარლენ დიტრიხი“). ამიტომაც, დაზარალებულ პირს შეუძლია, წარმოშობილი (მატერიალური!) ზარალი გამოიანგარიშოს კონკრეტულად, ან ე. წ. ლიცენზიის ანალოგიურად, ანდა მოითხოვოს მოგების თანხის ანაზღაურება (BGH aaO, 232);

(6) განსაკუთრებით გარდაცვალების შემდგომი პირადი უფლებების დაცვიდან განსხვავებულ (BGHZ, 143, 214, 220, „მარლენ დიტრიხი“): ზოგადი პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლის ქონებრივი ღირებულების მქონე შემადგენელი ნაწილების დარღვევის შემთხვევაში, რომლებიც ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას და გადადის მემკვიდრეობით, მემკვიდრეს შეუძლია, – მამკვიდრებლის მიერ განცხადებული ან სავარაუდო ანდერძის ფარგლებში, – სარჩელის წარდგენა მატერიალური ზიანის მიმყენებელი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების, დარღვევის აღმოფხვრისა და მისი კომპენსაციის შესახებ საკუთარი უფლებიდან გამომდინარე. იდეალური შემადგენელი ნაწილები კი, პირიქით, განუყოფლად არის დაკავშირებული მამკვიდრებლის პიროვნებასთან, მაგრამ ისე, რომ თავად არ ხდება დარღვეული უფლების მფლობელი, სიცოცხლეში უფლებამოსილი და/ან ახლო ნათესავი უფლებამოსილია პირის ინტერესების დაცვაზე (BGHZ, 50, 133, 139, „მეფისტოფელი“). თუმცა, არსებობს მხოლოდ მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებისა და დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლებები; არამატერიალური ზიანის ანაზღაურების უფლება არ წარმოიშობა, ვინაიდან არამატერიალური ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების ფუნქცია გარდაცვლილი პირის შემთხვევაში ვერ შესრულდება (BGHZ, 165, 203). შესაბამისად, ფულადი კომპენსაცია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილი პირის პირადი უფლების დარღვევა ერთდროულად შეეხო ნათესავის პირადი უფლებების სფეროს; მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია, თავისი უფლებიდან გამომდინარე, მოითხოვოს არამატერიალური ზიანის ანაზღაურება; მხოლოდ ვიწრო ოჯახური ურთიერთობების გამო უხერხულობა საკმარისი არ არის (BGH aaO).

18 **დ) ოჯახის სივრცობრივ-საგნობრივი სფეროს დაცვისათვის იხ. § 1353, მე-6 ველი.**

19 **3. ობიექტური შერაცხვა.** სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენების ფაქტის დადგენის შემდეგ, ე. წ. „**პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზობრივი კავშირის**“ ფარგლებში, უნდა შემოწმდეს, შეიძლება თუ არა, ის შეერაცხოს ზიანის მიმყენებელს, რომელიც მოქმედებდა შეგნებულად, ან, სულ ცოტა, კონტროლირებადი ხერხით (მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება).

20 **ა) მიზეზობრივი კავშირი და ნორმათა დაცვის ფუნქცია.** აა) შერაცხვის ამოსავალი წერტილია ის, რომ შესაბამისი მოქმედება უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთისათვის დამდგარი ზიანის გამომწვევი აუცილებელი პირობა (ეკვივალენ-

ტური მიზეზობრივი კავშირი “*conditio-sine-qua-non*“ ფორმულით, დეტალურად იხ. § 249-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესავლის მე-13 ველი). ვინაიდან ამ ფორმულის თანახმად, თვით ყველაზე შორს არსებული მიზეზიც კი შეიძლება შეერაცხოს ზიანის მიმყენებელს (მაგ., შიდა წვის ძრავის გამოგონება მოგვიანებით დამდგარი ავტოსაგზაო შემთხვევისას), სასამართლო პრაქტიკა ზღუდავს შესარაცხ მიზეზობრიობას **ადეკვატურობის** მოთხოვნით: შედეგად ზიანის დადგომისათვის მხედველობაში არ მიიღება ისეთი პირობები, რომლებმაც მხოლოდ ნებისმიერი ცხოვრებისეული გამოცდილების მიღმა არსებული მიზეზობრიობის განვითარების საფუძველზე გამოიწვია სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენება (დეტალურად იხ. §§ 249-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესავლის მე-14 ველი). ლიტერატურასა და, თანდათან, სასამართლო პრაქტიკაშიც ეკვივალენტური მიზეზობრივი კავშირის შეზღუდვა ხდება შეფასებითი ანალიზით, კერძოდ, არის თუ არა პირველი ნაწილის მიზანი დაზარალებული პირის დაცვა კონკრეტული ზიანის მიმყენებელი მოქმედებებისაგან (ნორმათა დაცვის ფუნქციის შესახებ მოძღვრება, იხ. § 249-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესავლის მე-15 ველი). **ბბ) შემთხვევათა ჯგუფები. (1) შოკის შედეგად მიყენებული ზიანი:** თუ პირმა განიცადა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ისეთი ზიანი, რომელიც კვალიფიცირდება შოკად (ზემოთ, მე-3 ველი), მაშინ იგი, როგორც წესი, არის მისი ზოგადცხოვრებისეული რისკი. მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება შეერაცხოს ზიანის მიმყენებელს შოკის შედეგად მიყენებული ზიანი. ამავე დროს, შოკი უნდა გამომდინარეობდეს მისი გამომწვევი მოვლენიდან, მაგ., საკუთარი სიცოცხლის ხელყოფის მუქარის შემთხვევაში, თუმცა, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა უშუალოდ განიცადა ახლო ნათესავის სიკვდილი (მაგ., OLG Nürnberg NJW, 1998, 2293), ან მას შეატყობინებენ მისი მძიმე დაზარების შესახებ (მაგ., BGHZ, 93, 351), მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნულს არ მიეკუთვნება შორეული ნათესავების უბედური შემთხვევა ან უმნიშვნელო ქონებრივი ზიანი (ძალის სიკვდილის შესახებ შდრ. KreisG Cottbus, NJW-RR, 1994, 804); **(2) გამონწვევის შემთხვევები:** თუ სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანი ეფუძნება დაზარალებულის ან მესამე პირის დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას, მაშინ ორიენტაციის გაკეთება ხდება იმაზე, მიიჩნევა თუ არა ზიანის მიმყენებელი ან მესამე პირი შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად განხორციელებულ მოქმედებას (ე. წ. „ფსიქიკური კაუზალობა“) გამონწვევად და არის თუ არა მისი ზიანი იმ რისკის მომატების სპეციფიკური შედეგი, რომელშიც იგი აღმოჩნდა გამონწვევის შედეგად (BGH NJW, 1993, 2234). ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობისათვის საკმარისია, როდესაც მან გასაკიცხი მოქმედებით დაზარალებული ჩააგდო, სულ ცოტა, დამოუკიდებელი რისკის შემცველი მოქმედების გასაგები მოტივაციის შექმნის მდგომარეობაში, რაც შეიძლება ეფუძნებოდეს, მაგ., მოვალეობის შესრულებას (პოლიციელი), აუცილებელ დახმარებას ან მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოგერიებას (BGH NJW, 2002, 2232, 2233). აღნიშნული, კერძოდ, ხდება **დევნის შემთხვევებში** (პოლიციელი ან მსგავსი მოვალეობის განმახორციელებელი ზიანს აყენებს გაქცეულ დელიქტის ჩამდენ პირს დევნის დროს), როდესაც დაზარალებული პირის ტიპური დევნის რისკის განხორციელებასა და არსებულ რისკსა და დელიქტის სიმძიმეს შორის სათანადო კავშირი არსებობდა (BGHZ, 132, 164, შემდგომი მითითებებით, ასევე აღნიშნული შემთხვევებისათვის იხ. § 254). გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ფაქტები ხდება ისეთ შემთხვევებში, რომლებშიც დაზარალებულმა პირმა თავდასხმად მიიჩნია ზიანის მიმყენებლის მოქმედება და ძალადობისაგან გაქცევის მიზნით გადახტა ფანჯრიდან, რის შედეგადაც მიიღო დაზიანება (BGH NJW, 2002, 2232). თუმცა, BGHZ, 58, 162-ში, „ტროტუარი“, პირიქით, უარი ითქვა მოქმედების დამდგარ შედეგთან შერაცხვაზე: ამ საქმეში ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ მოძრაობის მონაწილენი გადავიდნენ ტროტუარზე და არცთუ ისე უმნიშვნელოდ დააზიანეს ის. ქალაქის გზების ექსპლოატაციის სამსახურს უარი ეთქვა

ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაკმაყოფილებაზე ავტოსაგზაო შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, ვინაიდან ტროტუარზე გადასვლა ეფუძნება თვით ავტომანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობას და არ შეეარაღებება ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევ პირს (შდრ. *Medicus/Petersen*, 653-ე და შემდეგი ველები და *Medicus JuS*, 2005, 289).

21 ბ) **უმოქმედობის შერაცხვა.** თუ სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენება შეიძლებოდა თავიდან აცილებულიყო (განუხორციელებელი) მოქმედების შედეგად, მაშინ პირი პასუხს აგებს უმოქმედობით გამონწვეულის ზიანისათვის მიმყენებელი, რადგან მას ეკისრებოდა ზიანის თავიდან აცილების იურიდიული მოვალეობა. ეს მოვალეობა შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან (მაგ., § 1631), ხელშეკრულებიდან (მაგ., კერძო საბავშვო ბაღი), საოჯახო თუ სხვა მსგავსი ახლოობური ურთიერთობებიდან, რისკის შემცველი მოქმედებიდან ან მსხვილ საწარმოში (ასევე: საავადმყოფოები) (არასათანადო) მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების მოვალეობიდან (ე. ნ. **ორგანიზაციის მოვალეობის დარღვევა:** იმ მმართველი ორგანოების მხრიდან დასაქმებულთა კონტროლის მოვალეობა, რომელთა მოქმედებებისათვისაც, § 31-ის თანახმად, პასუხისმგებელია საწარმო, BGH NJW, 1963, 902; ფუნქცია: პასუხისმგებლობის გადატანა საწარმოზე; შესაბამება § 831-ს, გამართლების შესაძლებლობის გარეშე; შდრ. § 31-ის მე-4 ველი; ასევე *Medicus/Petersen*, 657-ე ველი; *Jauernig-Teichmann*, 32-ე ველი). მრავალი აღნიშნული მოვალეობა შეიძლება ასევე გაგებულ იქნეს როგორც პირის პასუხისმგებლობა მის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამონწვეულ ზიანზე (აღნიშნულის მიმართ ქვემოთ).

22 გ) **პირის პასუხისმგებლობა მის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამონწვეულ ზიანზე** („პირის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა მის ტერიტორიაზე არსებულ წყაროდან გამონწვეულ ზიანზე“). აა) **ზოგადი მიმოხილვა.** პირი, რომელიც ქმნის ან იყენებს საფრთხის წყაროს, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები მესამე პირების დასაცავად. აღნიშნული პასუხისმგებლობის დასახელება აიხსნება იმით, რომ შესაბამის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამონწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა თავიდანვე დაკავშირებული იყო მოწესრიგებული მოძრაობის გახსნასთან (მაგ., მოძრაობა ქუჩაში ან მალაზიაში). ადრე მისი ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ უმოქმედობის პოზიტიურ მოქმედებასთან გათანაბრება იყო (მოქმედების შედეგად ვალდებულების წარმოშობა, შდრ. ზემოთ, 21-ე ველი); დღევანდელი მდგომარეობით აღიარებულია, რომ შესაბამის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამონწვეული ზიანი იძლევა შერაცხვის საშუალებას არაპირდაპირი ზიანის დადგომის შემთხვევაში ან ამ შემთხვევებში იწვევს მართლწინააღმდეგობას (*Larenz/Canaris SchR*, II/2, § 76, III, 1c; *Medicus/Petersen*, 641-ე და შემდეგი ველები, 647). ასეთი ორმაგი ფუნქციის შედეგად მრავალ შემთხვევაში შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებები მოქმედებასა და უმოქმედობას შორის სხვაობის უმნიშვნელოდ მიჩნევის შესახებ (მაგ., *Medicus/Petersen*, 644-ე ველის თანახმად: მოქმედებასთან გვაქვს საქმე თუ უმოქმედობასთან, როდესაც ს ბასრი პირის მქონე ფურცლოვან ფოლადს დაუცველად თავისი მიწის ნაკვეთზე ათავსებს და ამით მოთამაშე ბავშვს დაზიანდება?); გადამწყვეტია მხოლოდ ის, არსებობდა თუ არა პირის ვალდებულება შესაბამის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად; ბბ) შესაბამის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამონწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის კისრების წინაპირობებია საფრთხის კონტროლის შესაძლებლობა და ასევე – საფრთხის შერაცხვა საფრთხის წყაროს შექმნით ან გამოყენებით; გგ) პასუხისმგებლობის შინაარსი და მოცულობა განისაზღვრება არა ზოგადი წესებით, არამედ დამოკიდებულია ცალკეული შემთხვევების გარემოებებზე. კრიტერიუმები: უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისათვის დაცვის ღონისძიებების მიღების შესაძლებლობა; ტექნიკის

მდგომარეობა; მოძრაობის მონაწილეთა გამართლებული მოლოდინი უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით და ა. შ. (დეტალურად იხ. *Larenz/Canaris SchR II/2*, § 76, III, 4); **დდ) შემთხვევების ჯგუფები. (1) შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფა ფართო გაგებით, მაგ.: ქუჩისა თუ სანაოსნო ხაზის მოსარგებლის, საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობის ან სამშენებლო უბნის დაცვა; ქვიშის დაყრის ვალდებულება მოყინული გზის შემთხვევაში. (2) ნივთებიდან მომავალი საფრთხისაგან დაცვა, მათ შორის: სახიფათო პროდუქციის კონსტრუქტორის, მწარმოებლისა და რეალიზატორის მოვალეობები (უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობა, იხ. ქვემოთ, 37-ე და შემდეგი ველები). (3) ექსპლატაციის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა სახიფათო საქმიანობის შემთხვევაში, მაგ., სათანადო ზრუნვის გამოჩენა გზაზე მოძრაობის დროს. (4) პროფესიული ხასიათის უსაფრთხოების ღონისძიებები, რომლებიც დადგენილია, მაგ., ექიმებისათვის, აუზის ზედამხედველებისათვის, მშენებელ-ინჟინერებისათვის; ეე) სხვა შემთხვევები. მოძრაობის უსაფრთხოების მოვალეობა, როგორც წესი, არ არსებობს არაუფლებამოსილი მოძრაობის მონაწილეების მიმართ (ასევე არ არსებობს პასუხისმგებლობა ქურდის მიმართ, რომელიც თავისი მსხვერპლის ბაღში შეაღწევს და დაუფარავ ორმოში ვარდება); განსხვავებული შემთხვევა გვაქვს ბავშვებისა და იმ პირების შემთხვევაში, რომლებიც, გასაგები მიზეზების გამო, ხვდებიან დასაზღვევ სფეროში (*Larenz/Canaris aaO*). მოძრაობის უსაფრთხოების მოვალეობის გადაკისრება მესამე პირზე ხორციელდება მხოლოდ გარე ურთიერთობაში ისე, რომ ვალდებულ პირი რჩება პასუხისმგებელი მხოლოდ მოვალეობის მიმღების ზედამხედველობისათვის (დეტალურად იხ. *Medicus/Petersen*, 656-ე ველი). თუ არ არსებობს რაიმე კონკრეტული ნიშნები იმისათვის, რომ მოვალეობის მიმღები მოძრაობის უსაფრთხოების მოვალეობას ჯეროვნად არ შეასრულებს, ვალდებულ პირს შეუძლია შეუზღუდოს მოვალეობის მიმღებს გადაკისრებული მოვალეობის არსებითი პუნქტების შემოწმების უფლებამოსილება და იგი არ იყოს ყველა ცალკეულ საკითხის შესრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი (BGHZ, 142, 227, 233).**

II. მართლწინააღმდეგობა

1. მნიშვნელობა. § 823-იდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები წინაპირობად ითვალისწინებს მართლწინააღმდეგობას. თუმცა, სადავოა, თუ რას ეხება მართლწინააღმდეგობის შეფასება – დამდგარ შედეგს (სამართლებრივი სიკეთისათვის ზიანის მიყენება) თუ ზიანის მიმყენებლის მხრიდან ზიანის მიმყენებელ მოქმედებას. 23

ა) მოძღვრება შედეგის მართლწინააღმდეგობის შესახებ. პირველ ნაწილში ცალკეული დელიქტური ნორმებით დაცული აბსოლუტური უფლებებისა და სამართლებრივი სიკეთეების ჩამონათვალის საფუძველზე კანონი გამოდის იქიდან, რომ ამ სიკეთის დარღვევა, როგორც წესი, მართლწინააღმდეგოა. როგორც (დიდი ხნის განმავლობაში არასადავო) შედეგის მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრება (*Palandt-Sprau*, 24-ე ველი) ასკვნიდა, პირველი ნაწილით დაცული სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში მართლწინააღმდეგობა აღარ საჭიროებს განსაკუთრებულ დადგენას; ითქვა, რომ მართლწინააღმდეგობა ვლინდება (ფაქტობრივი შემადგენლობის შესაბამისი) შედეგით. ცნება „კანონსწინააღმდეგო“ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ზიანის მიმყენებელს (გამონაკლისის სახით) შეიძლება არ დაეკისროს პასუხისმგებლობა გამამართლებელი საფუძვლის მტკიცებით. მხოლოდ ჩარჩო უფლებების შემთხვევაშია სავალდებულო მართლწინააღმდეგობის ცალკე მტკიცება (იხ. ზემოთ, მე-9 ველი). 24

ბ) მოძღვრება მოქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ. სწინააღმდეგო აზრის თანახმად, (*Nipperdey NJW*, 1957, 1777), მართლწინააღმდეგობის შეფასება ეხება ზიანის მიმყენებელ ქმედებას; სამართლებრივი სიკეთის ნებისმიერი 25

დარღვევისას საჭიროა მართლწინააღმდეგობის დადგენა. რამდენადაც ზიანის მიმყენებელი მოქმედება არ არღვევს სპეციალურ საკანონმდებლო ქცევის წესებს, მართლწინააღმდეგობა სახეზეა მხოლოდ ზოგადი წინდახედულობის (გაუფრთხილებლობის) ვალდებულების დარღვევისას. ამით საბოლოოდ ხდება ბრალის ელემენტების წამოწევა მართლწინააღმდეგობის სიბრტყეზე. გამოწევის არსებობს სამართლებრივი სიკეთის განზრახი დარღვევისას: ამ შემთხვევაში მართლწინააღმდეგობა ვლინდება მოქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრების თანახმად.

26 **გ) სხვაობა** ორივე შეხედულებას შორის ისაა, თუ რას ეფუძნება სამართლებრივი სიკეთის დარღვევა ადეკვატური სოციალური (= მოძრაობის შესაბამისი და არა – გაუფრთხილებელი) მოქმედებისას; მაგ., მედდა უკეთებს პაციენტს მომაკვდინებელ ინექციას – იმ რწმენით, რომ უკეთებს სამკურნალო შრატს. ეს მოქმედება, მოქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრების თანახმად, მართლზომიერია; კლასიკური შეხედულების მიხედვით (იხ. ზემოთ, 24-ე ველი), იგი მართლწინააღმდეგობა, თუმცა, არა ბრალეული. ცალკეული შემთხვევები: მართლწინააღმდეგობის შესაფასებლად არსებობს განსხვავებული **მითითებისა და მტკიცების ტვირთი**. შედეგის მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრების თანახმად, მართლწინააღმდეგობა ვლინდება და ზიანის მიმყენებელს შეუძლია, ყველა შემთხვევაში ამტკიცოს გამამართლებელი საფუძვლის არსებობა (იხ. ქვემოთ, 29-ე ველი). მოქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრების მიხედვით კი, პირიქით, მოთხოვნის უფლების წარმომდგენს ეკისრება მართლწინააღმდეგობის არსებობის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი. თუმცა, გაბატონებული შეხედულება არ ანიჭებს, როგორც წესი, მოთხოვნის უფლების წარმომდგენს რაიმე სარგებელს, ვინაიდან, ამ შეხედულების თანახმად, მან უნდა დამტკიცდეს არა მართლწინააღმდეგობის, არამედ ბრალის ფარგლებში ზიანის მიმყენებელი პირის მიერ წინდახედულობის ნორმების დარღვევა. შესაბამისად, წარმოიშობა პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე შედეგები მხოლოდ იქ, სადაც იგი არ არის დამოკიდებული ბრალზე. ასე, მაგ., მხოლოდ ა) შეხედულების თანახმად, შესაძლებელია **აუცილებელი მოგერიება (§ 227)** და აუცილებელი დახმარება სოციალური სამართლებრივი სიკეთის დარღვევების წინააღმდეგ (ზემოთ წარმოდგენილ მაგალითში წამლის შემადგენლობის მცოდნე მესამე პირს შეუძლია, მედდას ინსტრუმენტი გამოგლიჯოს ხელიდან და ამით მას ზიანი მიაყენოს); ასევე აღნიშნულ შემთხვევებში, მხოლოდ ა) შეხედულების თანახმად, არსებობს **მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებისა და დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლებები**, რომლებიც წინაპირობად არ აყენებს ბრალს (§ 823-ის შესავლის მე-3 ველი).

27 **დ) დაბალანსირებული შეხედულების** თანახმად (იხ. *Larenz/Canaris* SchR II/2, § 75, II, 38; *Medicus* SchR II 748-ე და შემდეგი ველები), მართლწინააღმდეგობა, შედეგის მართლწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრების გაგებით, ვლინდება მხოლოდ უშუალოდ მიყენებული ზიანის მიზეზობრიობის შემთხვევაში (შესაბამისად, ანალოგიურ შედეგია ისეთი მიზეზობრიობის შემთხვევაშიც, რაც არ იწვევს პირდაპირ სამართლებრივი სიკეთის დარღვევას, მასში ჩართული დამოუკიდებელი მომენტების გარეშე). მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებისა და ზიანის გამომწვევი უფრო დაცილებული მიზეზების შემთხვევაში, მოქმედების მართლწინააღმდეგობა სპეციალურად უნდა დადგინდეს (მითითებული ავტორების მიხედვით, აღნიშნულს ემსახურება პირის პასუხისმგებლობა მის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამომწვეულ ზიანზე, ზემოთ, 22-ე ველი).

28 **ე) სასამართლო პრაქტიკა** დავის მიმართ ბოლო დრომდე არ იკავებდა ერთგვაროვან პოზიციას. უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დიდი სენატის გადაწყვეტილებაში (BGHZ, 24, 21, 26) ჩამოაყალიბა პოზიცია, რომ „საავტომობილო გზებზე თუ რკინიგზაზე მოძრაობის მონაწილის მიერ მოძრაობის წესების დაცვით

(სათანადო) მოქმედების შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო ზიანის მიყენება არ ხდება“ (ამდენად, ხდება მოქმედების მართლსაწინააღმდეგობის შესახებ მოძღვრებასთან დაახლოება); სხვა მხრივ, მოძრაობის წესების დაცვით მოქმედება კლასიფიცირებულია როგორც გამამართლებელი საფუძველი, რომლის მტკიცებაც ეკისრება მოპასუხეს (პარალელი მოძღვრებასთან შედგის მართლსაწინააღმდეგობის შესახებ). უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამჟღავნებს ტენდენციას, შეზღუდოს შედგის გამოვლენის მქონე მართლსაწინააღმდეგობის კონცეფცია (BGH NJW, 1963).

2. გამამართლებელი საფუძველები. გამოვლენილი ან დადგენილი მართლსაწინააღმდეგობის შემთხვევაში (იხ. ზემოთ, 23-ე და შემდეგი ველები), გამამართლებელი საფუძვლის ჩარევას შეუძლია მართლსაწინააღმდეგობის გამორიცხვა. აღსანიშნავია: აუცილებელი მოგერიება (§ 227); აუცილებელი დახმარება (თავდაცვითი, § 228; თავდასხმითი § 904); თვითდახმარება (§ 229); დასაბუთებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან გამომდინარე (§ 683); დაზარალებულის თანხმობა (დეტალურად იხ. *Medicus SchR II 765-ე* და შემდეგი ველები), საკუთარი რისკით მოქმედება (მაგ., სახიფათო სპორტის სახეობებში მონაწილეობა; თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს, თუ დამდგარი ზიანი დაზღვეულია, BGH NJW, 2008, 1591 №10). ძირითადი უფლებების რეალიზაციამ შეიძლება გამამართლოს მესამე პირების უფლებების ხელყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფლების დარღვევა არ არის ძირითადი უფლებების რეალიზაციის არაგანზრახული, თუმცა, არა გარდაუვალი შედეგი, ან, როდესაც მესამე პირების სამართლებრივი სიკეთე, მართალია, გამიზნულად, თუმცა, მხოლოდ მოკლე დროით და ისიც მცირე, შედარებით უმნიშვნელო მასშტაბით, დაირღვა (იხ. BGHZ, 137, 89, 99 კონსტიტუციის მე-8 მუხლთან ერთად დემონსტრანტების მხრიდან მფლობელობის დარღვევის შემთხვევებში).

29

III. ბრალეულობა

პირველი ნაწილიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა **განზრახვა ან გაუფრთხილებლობა** (§ 276-ის მე-2 ნაწილი) (განსხვავებით მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებისა და დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლებებისაგან, § 823-ის შესავლის მე-3 ველი). ბრალეულობა, როგორც მოქმედებისა და შედეგის პირადი გასაკიცხაობის შეფასება, უნდა ეხებოდეს მხოლოდ პასუხისმგებლობის გამომწვევი (იხ. პირველი ველი) და არა, პირიქით, პასუხისმგებლობის შემავსებელი საფუძვლის ფაქტობრივ გარემოებას (აღნიშნულის შესახებ იხ. § 249-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესავლის პირველი ველი). ბრალუწარმართის წინაპირობა დგინდება §§ 827, 828-ის თანახმად. § 278 არ გამოიყენება (იხ. § 278-ის მე-5 ველი). თუ დელიქტი, ამავე დროს, არის ხელშეკრულებიდან ან კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაც და აღნიშნული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის პრივილეგიის გამო (მაგ., §§ 521, 599, 690, 708) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია გამორიცხულია, მაშინ ეს პრივილეგია ზიანის მიმყენებლისთვის სასარგებლოა დელიქტური პასუხისმგებლობის შემთხვევაშიც, ვინაიდან მას მხოლოდ ძალიან მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა (BGHZ, 46, 140, 142; 93, 23, 29; *Larenz/Canaris SchR II/2*, § 83, VI, 2a). ხელშეკრულებით შეთანხმებული პასუხისმგებლობის შეზღუდვის შემთხვევაში (პასუხისმგებლობისაგან ან ვალდებულებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება), საკითხი წყდება იმის მიხედვით, სურთ თუ არა მხარეებს მისი გავრცელება ასევე დელიქტურ პასუხისმგებლობაზე.

30

IV. ზიანი

- 31 პირველი ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება არ არსებობს ასა-
ნაზღაურებელი ზიანის გარეშე, რომლის დროსაც ანაზღაურების შესაძლებლობა
განისაზღვრება § 249-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისად (აღნიშნულის
შესახებ იხ. § 249-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესავლის მე-3 და შემდეგი ველე-
ბი). თვით ზიანის ოდენობის მიმართ, როგორც წესი, მოქმედებს ზოგადი წესები,
თუმცა, გამოიყენება ასევე § 842-ისა და შემდეგი პარაგრაფების ცალკეული სპე-
ციალური დანაწესები.

გ. ნაწილი 2

- 32 **1. ზოგადი მიმოხილვა.** განსხვავებით პირველი ნაწილისაგან, რომელიც გან-
საზღვრული მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამომწვევას ზიანის ანაზღაურების
ვალდებულებით აბალანსებს, მე-2 ნაწილი წარმოადგენს (დამცავი კანონით გათ-
ვალისწინებულ) მართლსაწინააღმდეგო მოქმედების სანქციას. მე-2 ნაწილის **დაც-
ვის სფერო** გარკვეულწილად უფრო ფართოა, ვიდრე პირველი ნაწილისა: უპირ-
ველეს ყოვლისა, მე-2 ნაწილი არ არის შეზღუდული განსაზღვრული უფლებრივი
მდგომარეობების დარღვევით, არამედ იგი იცავს ნებისმიერ ინტერესს, რომელსაც
მოიცავს დამცავი კანონი (მაგ., ქონების დაცვა მე-2 ნაწილის მეშვეობით სისხლის
სამართლის კოდექსის §§ 263-თან, 266-თან ერთად); მეორე მხრივ, პირის ბრა-
ლეულობა დაკავშირებული უნდა იყოს მხოლოდ კანონის დარღვევასთან და არა,
პირიქით, დაცული ინტერესის დარღვევასთან (გაბატონებული შეხედულება, იხ.
Larenz/Canaris SchR II/2, § 77, IV, 1).
- 33 **2. დამცავი კანონები.** დამცავი კანონები შეიძლება იყოს ყველა ის ნორმა, რომ-
ლებიც განსაზღვრულ მოქმედებას აწესრიგებს ან კრძალავს და უშუალოდ მიმარ-
თულია ცალკეული პირებისაკენ (ამიტომაც ეს არ ხდება, როდესაც ნორმა უნდა
დაზუსტდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემით; თუმცა, ადმინისტრაციული
აქტის გამოცემის შემდეგ ეს ნორმებიც მხედველობაში მიიღება როგორც დამ-
ცავი კანონები). **სამართლებრივი ბუნება:** მოიაზრება სამართლის ყველა ნორმა
მატერიალური გაგებით (სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის მე-2 მუხლი),
ასევე, მთავრობის დადგენილებები და მუნიციპალიტეტის წესდებები, თუმცა, არ
მოიაზრება (შიდა) ადმინისტრაციული ნორმები ან კავშირის წესდებები. დამცავ
კანონად აღიარების წინაპირობაა ის, რომ ნორმა (საჯარო ინტერესების შესაძლო
განხორციელებასთან ერთად) გათვალისწინებულია ასევე, სულ ცოტა, **ცალკეული
პირების დასაცავად** (სადავო სასამართლო პრაქტიკა, მაგ., *BGHZ, 41, 17, 23*). მაგ.
(ჩამონათვალი იხ. *Palandt-Sprau, 61-ე* და შემდეგი ველები): ნორმები სისხლის სა-
მართლის კოდექსიდან, საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონი ან ფედერაცი-
ული მხარეების პოლიციის კანონები (ხმაურისაგან დაცვის შესახებ რეგულაციები
კურორტებზე); იხ. ასევე ქვემოთ, 49-ე ველი.
- 34 **3. დაცვის მიზანი.** დამცავ კანონად მიჩნეული ნორმა შედეგად იწვევს მხოლოდ
იმ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების რეალიზაციას, მე-2
ნაწილის თანახმად, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი ეხება მის დაცვის
სფეროს: **ა)** დაზარალებული უნდა მიეკუთვნებოდეს დაცულ პირთა წრეს. ასე, მაგ.,
სისხლის სამართლის კოდექსის § 248ბ იცავს ავტომობილის მესაკუთრეს და არა,
პირიქით, მესამე პირებს, რომლებმაც უნდა აანაზღაურონ არაუფლებამოსილი გა-
მოყენების შედეგად მიყენებული ზიანი; **ბ)** დაზარალებულის შელახული ინტერესი
უნდა იყოს ნორმის დაცვის მიზანი. ასე, მაგ., საგზაო მოძრაობის წესების შესახებ
კანონი იცავს საგზაო მოძრაობის შედეგად მიყენებული სხეულის დაზიანებებისა-
გან, თუმცა, არა იმისგან, რითაც უბედური შემთხვევის გამო შრომის უნარის წარ-
თმევა დგინდება პენსიაზე ნაადრევი გაშვების შედეგით (*BGH NJW, 1968, 2287*).

4. მართლწინააღმდეგობა. იგი ყოველთვის ვლინდება დამცავი კანონის ფაქტობრივი შემადგენლობის შესაბამისი დარღვევის შემთხვევაში. **35**

5. ბრალეულობა. როგორც წესი, დამცავი კანონით გათვალისწინებული ბრალი სავალდებულო და საკმარისია. ამდენად, ბრალი მაინცადამაინც არ უნდა ეხებოდეს დაზარალებული პირის ინტერესების დარღვევას (ასე, მაგ., აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემთხვევაში). მხოლოდ როდესაც დამცავი კანონით წინაპირობად არ აყენებს ბრალის არსებობას, მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, სულ ცოტა, გაუფრთხილებლობის დადგენა აუცილებელი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისათვის. **36**

დ. მწარმოებლის პასუხისმგებლობა

1. ზოგადი მიმოხილვა

თუ პირმა სამრეწველო ნაწარმის ექსპლოატაციის წესების შესაბამისი გამოყენებით მიიღო ზიანი, რაც გამოწვეულია პროდუქციის პოტენციურად საშიში თვისებით, მაშინ მას შეუძლია, **სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნის უფლებათა სტანდარტული სისტემის** საფუძველზე, მოითხოვოს მხოლოდ არასაკმარისი ანაზღაურება: პროდუქციის (საფრთხის გამომწვევი) მწარმოებლის მიმართ დღეს ჩვეულებრივი „მინოდების ჯაჭვის“ გამო სახელშეკრულებო ურთიერთობები არ არსებობს. დამამზადებლის მიმართ დელიქტური მოთხოვნის უფლებები, როგორც წესი, ვერ ხორციელდება, რადგან დაზარალებული არ არის ისეთ მდგომარეობაში, მწარმოებელს დაუმტკიცოს ვალდებულების ბრალეული დარღვევა, ანუ ამ უკანასკნელს შეუძლია პასუხისმგებლობისაგან თავის გათავისუფლება (§ 831-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). **37**

ამავე დროს, სასამართლო პრაქტიკამ გზა გაუხსნა **მწარმოებლის პასუხისმგებლობას, § 823-ის პირველი წინადადებიდან გამომდინარე**, რომელშიც მან დამამზადებლისათვის განავითარა სპეციფიკური პირის პასუხისმგებლობა მის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამომწვეულ ზიანზე და დაზარალებული პირის სასარგებლოდ შეცვალა მტკიცების ტვირთის მომწესრიგებელი წესები (იხ. ქვემოთ, 39-ე და შემდეგი ველები). § 823-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მწარმოებლის პასუხისმგებლობასთან ერთად შეიძლება არსებობდეს სხვა მოთხოვნის უფლებები, § 823-ის მე-2 ნაწილის თანახმად (ამის შესახებ იხ. ქვემოთ, 49-ე ველი) **დამცავი კანონების დარღვევის მიხედვით**, ისევე როგორც უხარისხო წამლებისათვის მედიკამენტების შესახებ კანონის § 84-ით გათვალისწინებული სპეციალური საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის ფაქტობრივი შემადგენლობიდან გამომდინარე. თუმცა, მცდელობები, დაზარალებულ პირს – მოვაჭრისათვის, როგორც მესამე პირისათვის, მიყენებული ზიანის ანაზღაურების პროცესში – მიენიჭოს მწარმოებლის მიმართ მოთხოვნის უფლება, მსგავსად მესამე პირის ინტერესების დაცვით ხელშეკრულების აქცეპტით ან კვაზისახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებებისა (რომლებიც ეფუძნება „საქონლის ნდობას“), სასამართლო პრაქტიკის მიერ ჯერ კიდევ ადრევე იქნა უარყოფილი როგორც შეუსაბამო (BGHZ, 51, 91, 93). მოთხოვნის უფლების სხვა საფუძვლები უთითებს **უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონზე**, რომელიც მიღებულია ევროკავშირის დირექტივით (დეტალურად იხ. ქვემოთ, 50-ე და შემდეგი ველები). ვინაიდან უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონი უზრუნველყოფს მხოლოდ ევროკავშირში მიღებული პასუხისმგებლობის მინიმალურ სტანდარტს, იგი, მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ ეხება ყველა დანარჩენ უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის მოთხოვნის უფლებებს. ამდენად, დაზარალებულ პირს შეუძლია, დააფუძნოს თავისი მოთხოვნის უფლებები ამ კანონს ან, თუ ეს მისთვის უფრო ხელსაყრელი

იქნება, – § 823-ს. ეს უკანასკნელი მხედველობაში მიიღება, კერძოდ, იმ შემთხვევებში, რომლებშიც უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონი არ ანიჭებს მოთხოვნის უფლებებს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ, 51-ე ველი, მაგ.: წარმოებისათვის გამოყენებული ნივთების მიმართ მიყენებული ზიანისათვის, ზიანისათვის უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 10-ით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარზე ზემოთ ან ზარალში მონაწილეობის ოდენობაზე ქვემოთ, უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 11-ის თანახმად).

II. პირველი ნაწილიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა

39 სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული მწარმოებლის პასუხისმგებლობა არსებითად ეფუძნება § 823-ის პირველ ნაწილს. იგი დაკავშირებულია შემდეგ **წინაპირობებთან:**

40 1. სამართლებრივი სიკეთის დარღვევა. სახეზე უნდა იყოს დაზარალებული პირის პირველი ნაწილით დაცული სამართლებრივი სიკეთის დარღვევა (ამის შესახებ იხ. ზემოთ, მე-2 და შემდეგი ველები). მართალია, მწარმოებლის პასუხისმგებლობის მიზანია, დაიცვას მომხმარებელი საფრთხის შემცველი პროდუქციისაგან გამოწვეული ზიანის მომტანი შედეგებისაგან (სხვა დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანი, როგორცაა, მაგ., სხეული, ჯანმრთელობა), სასამართლო პრაქტიკამ პასუხისმგებლობა გააფრცვლა ასევე **უხარისხო პროდუქციის შედეგად მიყენებულ ზიანზე**, როდესაც ეს პროდუქცია მიწოდების მომენტში არსებითად ჯერ კიდევ უნაკლო იყო (ამის შესახებ იხ. ზემოთ, მე-6 და შემდეგი ველები).

41 2. ობიექტური შერაცხვა. ა) ზოგადი მიმოხილვა. მწარმოებლის პასუხისმგებლობის დროს განსაკუთრებული სირთულეები წარმოიშობა, თუ რამდენად შეერაცხება დამამზადებლის მოქმედებას სამართლებრივი სიკეთის დარღვევა. ამ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკამ და ლიტერატურამ განავითარა სპეციფიკური **პასუხისმგებლობა პირის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამომწვეულ ზიანზე** (ზოგადად, ამის შესახებ იხ. ზემოთ, 22-ე ველი), რაც ეხება საფრთხის შემცველი პროდუქციის დამამზადებელს. ვალდებულებები დაპროექტების, წარმოებისა და მიწოდების თითოეულ ეტაპზე განსხვავებულად განისაზღვრება (იხ. შემთხვევათა ჯგუფები). მათი ობიექტურად წინდახედულობის ნორმების დარღვევა ქმნის **„პროდუქციის ნაკლს“** (ნივთის ფაქტობრივი შემადგენლობის შესაბამისი საფრთხის შემცველი თვისება).

42 ბ) პროდუქციასთან დაკავშირებული საერთო მასშტაბი არის პირის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამომწვეულ ზიანზე ყველა პასუხისმგებლობისათვის, ერთი მხრივ, საფრთხის თავიდან აცილების მომენტში მეცნიერებისა და ტექნიკის ობიექტურად დადგენილი მდგომარეობა (BGHZ, 80, 186) და, მეორე მხრივ, მოსარგებლის მიერ პროდუქციის ექსპლოატაციის წესების შესაბამისი გამოყენება (BGHZ, 51, 91). წარმოებისა და მიწოდების ნებისმიერ სტადიაზე დამამზადებელმა ისე უნდა მოახდინოს თავისი წარმოების **ორგანიზება**, რომ პროდუქციის ნაკლის წარმოშობა შეძლებისდაგვარად გამოირიცხოს ან შემოწმების შედეგად იქნეს აღმოჩენილი.

43 გ) დაპროექტების ეტაპზე დამამზადებელმა უნდა უზრუნველყოს პროდუქციის საექსპლოატაციო საიმედოობა (მაგ.: შემოწმება გერმანული ელექტროტექნიკური კავშირისა და ნორმატივების შესახებ გერმანული ინსტიტუტის სტანდარტების მეშვეობით; სატესტო გამოცდის ჩატარება). საპროექტო წუნი ახასიათებს ყოველთვის პროდუქციის მთელ პარტიას, მაგ., ავტომობილის სამუხრუჭე მონყობილობის დეფექტი.

44 დ) წარმოების ეტაპზე დამამზადებელი ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოს სერიული წარმოებისათვის გამზადებული პროდუქციის ხარისხის

მუდმივი კონტროლი (მასალისა თუ ანკობის ნაკლის გამოორიციხვა და ა. შ.). დამზადების ნაკლი სახეზეა, მაგ., დაფასობის პროცესში ვაქცინის დაბინძურებისას (BGHZ, 51, 91 „ქათმის ქირი“), თუმცა, დამზადების ნაკლი, პირიქით, არ არსებობს, როდესაც, მიუხედავად ყველა (მისაღები) კონტროლის ღონისძიებებისა, იპარება გაუთვალისწინებელი ტექნოლოგიური ნაკლი (ე. წ. **გაპარული**).

ე) პროდუქციის **მიწოდებისას** და მისი შემდგომი ექსპლოატაციის დროს დამამზადებელს, უპირველეს ყოვლისა, ეკისრება იმ საფრთხის შესახებ **ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება**, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროდუქციით სარგებლობის შედეგად, რამდენადაც სარგებლობა ხდება პროდუქციის დანიშნულებისამებრ (BGHZ, 105, 346, 351 „თევზების საკვები“); გარემოებათა გათვალისწინებით, უნდა იყოს ასევე გაფრთხილება პროდუქციის ბოროტად გამოყენების შედეგების შესახებ (BGHZ, 106, 273, 283). მითითებების ხარვეზებია ნაკლის მქონე ან არასრულყოფილი გამოყენების ინსტრუქციის შემთხვევაში. ამ ვალდებულების მოცულობა განისაზღვრება ცალკეული შემთხვევის გარემოებებით, კერძოდ კი, პროდუქციიდან გამომდინარე საფრთხის მიხედვით, ამ საფრთხის გარედან აღმოჩენის შესაძლებლობა (BGH NJW 1999, 2815) და კლიენტთა წრე უნდა გაითვალისწინოს დამამზადებელმა. როგორც წესი, მან უნდა უზრუნველყოს ყველა ნაკლებად ინფორმირებული და, შესაბამისად, ყველაზე დიდი რისკის წინაშე მდგარი მომხმარებელთა ჯგუფების ინფორმირება (BGH NJW, 1994, 932, „Milupa II“). ასევე შეიძლება სავალდებულო იყოს თვალსაჩინო გამაფრთხილებელი შეტყობინება (მდრ., მაგ., BGHZ, 116, 60, „Milupa I“: შეტყობინების არარსებობა „ხანგრძლივი დროის განმავლობაში წოვისას“ ჩვილების ყბებისათვის საფრთხის შესახებ). პროდუქციის თვისების საფუძველზე შეიძლება აუცილებელი იყოს არა მარტო იმ მომხმარებლის გაფრთხილება, რომელსაც ემუქრება საფრთხე, არამედ ასევე ბოლო მყიდველისათვის მითითება იმ საფრთხის შესახებ, რაც დაკავშირებულია პროდუქციის განსაზღვრულ პირთა წრისთვის (მაგ., არასრულწლოვანი პირები) გადაცემასთან (BGHZ, 139, 79, „Feuer-Wirbel“). მოთხოვნები ზოგჯერ მეტად შორსაც მიდის. გაფრთხილების ვალდებულება არ არსებობს, როდესაც საფრთხის ცნობადობა განეკუთვნება პროდუქციის მომხმარებლის გამოცდილებით შექმნილ ზოგად ცოდნას. დამამზადებელზე დაკისრებული მითითებების ვალდებულება იზღუდება მხოლოდ სპეციალისტების მიერ გამოყენებული მოწყობილობებით (BGH NJW, 1992, 2016, „თვითმცლელი“). გარდა ამისა, არსებობს **პროდუქციაზე დაკვირვების ვალდებულება**, რომლითაც ხდება ისეთი საფრთხეების შესახებ გაფრთხილება, რომლებიც პროდუქციის მიწოდების მომენტში ჯერ კიდევ (ობიექტურად) უცნობია (BGHZ, 80, 186, 191). მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთისათვის (განსაკუთრებით, სხეული და სიცოცხლე) საფრთხის შემთხვევაში, დამამზადებელს შესაძლებელია ასევე დაეკისროს პროდუქტის გამოთხოვის (გამოძახების) ან შემდგომი გაუმჯობესების ვალდებულების, რადგანაც პროდუქციიდან გამომდინარე საფრთხის აცილება სხვაგვარად შეუძლებელია, კერძოდ, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ დამამზადებლის გაფრთხილებას ყურადღებას არ მიაქცევს და ამით საფრთხეს შეუქმნის მესამე პირებს (BGH NJW, 2009, 1080 №11).

ვ) მხოლოდ **დამამზადებელს** და არა, პირიქით, **იმპორტიორს, რეალიზატორს** ან **მიწოდებელს**, ეკისრება, როგორც წესი, პროდუქციასთან დაკავშირებული პირის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამომწვეულ ზიანზე პასუხისმგებლობა. თუმცა, სასამართლო პრაქტიკამ დაუშვა ამ პრინციპიდან ცალკეული გამონაკლისები. ამდენად, მონოპოლიური მდგომარეობის მქონე რეალიზატორმა, დამამზადებლის მსგავსად, უნდა მიუთითოს პროდუქციიდან გამომდინარე საფრთხეზე (BGH NJW, 1995, 1286, 1289, „Milupa III“); ანალოგიური წესი მოქმედებს, როდესაც საქმის გარემოებები რეალიზატორისაგან აშკარად ითხოვს საქონლის

45

46

შემონმებას; შდრ. ასევე BGH NJW, 1994, 517: იმპორტიორზე დაკისრებულ პროდუქციაზე დაკვირვების პასიური ვალდებულება. თუ დამამზადებელი იყენებს მისანოდებელ პროდუქციას, მაშინ მიმწოდებელი პასუხს აგებს საბოლოო მომხმარებლის წინაშე იმაზე, რომ მიწოდებული პროდუქცია მისი ექსპლოატაციის წესების შესაბამის გამოყენების ფარგლებში (განცხადებისა და აღწერის ფორმით) დამამზადებლის მეშვეობით უნაკლოდ და უსაფრთხოდ გაიგზავნოს გადასაკეთებლად (BGH NJW, 1996, 2224). სასამართლო პრაქტიკის თანახმად, წარმოების ხარვეზისათვის პასუხს აგებენ ასევე წარმოების პასუხისმგებელი ხელმძღვანელები (BGH NJW, 1975, 1827; კრიტიკა იხ. *Larenz/Canaris* SchR II/1, § 41a).

47 **3. მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა. მართლწინააღმდეგობა** ყოველთვის ვლინდება პროდუქციასთან დაკავშირებული წარმოების პროცესის უზრუნველყოფის ვალდებულების დარღვევისას (შდრ. ზემოთ, 22-ე ველი). ასევე **ბრალეულობაც**, სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული მტკიცების ტვირთის შებრუნების (იხ. ქვემოთ, 48-ე ველი) თანახმად, ივარაუდება; ვარაუდი ძნელად თუ შეიძლება გაქარწყლდეს მწარმოებელზე დაკისრებული ორგანიზაციის მოვალეობით (იხ. ზემოთ, 42-ე ველი) (შდრ. *Kötz/Wagner*, 616-ე ველი).

48 **4. მტკიცების ტვირთი.** მტკიცების ტვირთის შებრუნებით, პირველი ნაწილის თანახმად, მწარმოებლის პასუხისმგებლობა საფრთხისათვის პასუხისმგებლობას საკმაოდ უახლოვდება. მთავარ მოსაზრება, რომელმაც მისცა საბაზი მტკიცების ტვირთის შებრუნებას, არის მწარმოებლის საწარმოში მომხმარებლისათვის წარმოების პროცესისა და საორგანიზაციო სფეროს გამჭვირვალობის სირთულეები (მტკიცება იხ. BGHZ, 51, 91). ეს წესი მოქმედებს არა მხოლოდ დიდი ინდუსტრიული საწარმოების მიმართ, არამედ ასევე კუსტარული მცირე საწარმოების მიმართ (მაგ.: პატარა სასტუმრო, BGHZ, 116, 104). დაზარალებულმა პირმა, უპირველეს ყოვლისა, **ობიექტური შერაცხვის** ფარგლებში უნდა დამტკიცოს **სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა**, რომ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ეფუძნება „პროდუქციის ნაკლს“ (უხარისხო ნივთი, ზემოთ, 41-ე ველი); მხოლოდ გამონაკლისის სახით იმ პროდუქციის შემთხვევაში, რომლის წარმოების პროცესიც თავისთავად განსაკუთრებულ რისკებთან არის დაკავშირებული და რომლის მიმართაც დადგენილია მწარმოებლის მხრიდან სპეციალური „უსაფრთხოების დასკვნის გაცემების ვალდებულება“, ამ ვალდებულების დარღვევისას მხედველობაშია მისაღები მტკიცების ტვირთის შებრუნება ობიექტურ შერაცხვასთან დაკავშირებით (BGH NJW, 1993, 528 „მინერალური წყალი“). დაპროექტებისა და წარმოების ხარვეზების შემთხვევაში კი, პირიქით, დამამზადებელმა უნდა წარადგინოს პასუხისმგებლობის გამომრიცხავი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ნაკლი არ გამომდინარეობს მის სფეროში შემავალი ობიექტური წინდახედულობის დამრღვევი მოქმედებიდან (BGHZ, 80, 186, 196) და იგი არ არის გამონეწეული მისი **ბრალეულობით**. ანალოგიური წესი მოქმედებს პროდუქციის რეალიზაციისას მითითებების (ინსტრუქციის) ნაკლის მტკიცების ტვირთისათვის: ამ შემთხვევაში დაზარალებულმა პირმა უნდა დამტკიცოს, რომ მითითება ობიექტურად აუცილებელი იყო და იგი უზრუნველყოფდა ზიანის თავიდან აცილებას და, ამავე დროს, ამ უკანასკნელზე მეტყველებს პრეზუმფციაც; ბრალეული მოქმედების შემთხვევაში დამამზადებელს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ საფრთხე მისთვის ცნობილი არ იყო (BGHZ, 116, 60, 73). თუ მითითების ვალდებულება პროდუქციის სარეალიზაციოდ გამოტანის შემდეგ ახალი ინფორმაციის საფუძველზე წარმოიშვა, მაშინ დამამზადებელს შეუძლია პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ე. წ. შიდა წინდახედულობის მტკიცების მეშვეობით, კერძოდ კი, იმის მტკიცებით, რომ მას არ ჰქონდა ახალი ინფორმაციის გაგების სათანადო შესაძლებლობა, ან რომ უნდა მიეღო ასეთი ინფორმაცია (BGHZ, 80, 186, 199).

III. დამცავი კანონის დარღვევა (§ 823-ის მე-2 ნაწილი)

დამცავ კანონებში მოიაზრება ყველა ტექნიკური სამართლებრივი ნორმა, რომელთა საფუძველზეც სახიფათო სამრეწველო ნაწარმის (მაგ.: ავტომობილები, სამუშაოს საშუალებები და მედიკამენტები) სარეალიზაციოდ გამოტანა დამოკიდებულია მიღებული უსაფრთხოების სტანდარტების შესრულებაზე (საგზაო მოძრაობისათვის დასაშვებობის წესების შესახებ კანონი, მოწყობილობების უსაფრთხოების შესახებ კანონი, მედიკამენტების შესახებ კანონი და ა. შ.). რა თქმა უნდა, ეს ნორმები ხშირად ისახავს მიზნად მხოლოდ პროდუქციის მომხმარებლის დაცვას სიცოცხლის, სხეულისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისაგან (საკუთრებისა და ქონების დაცვა არ ხდება). ასევე დამცავი კანონის დარღვევისას ბრალეულობა ივარაუდება, როდესაც შესაბამისი კანონი შეიცავს კონკრეტულად და განსაზღვრულად ფორმულირებული მოქმედების ინსტრუქციას, ამდენად, მისი უგულებელყოფით თავისთავად გამოდის სუბიექტური ბრალდების დასკვნა (BGHZ, 51, 91, 103). განსხვავებული მდგომარეობაა მხოლოდ აბსტრაქტული მოთხოვნებისა თუ აკრძალვების შემთხვევაში (მაგ., საკვები პროდუქტებისა და ფურაჟის შესახებ კანონის § 5: ჯანმრთელობისათვის მავნე საკვები პროდუქტების დამზადებისა და რეალიზაციის აკრძალვა); ამ შემთხვევაში – მსგავსად სხვა შემთხვევებისა – დაზარალებულმა პირმა უნდა ამტკიცოს ბრალეულობის არსებობა (BGHZ, 116, 104, 115).

49

IV. უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონი

1. ზოგადი მიმოხილვა. 1989 წლის 15 დეკემბრის კანონი უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ (გამოქვეყნდა Schönfelder-ში, იხ. 27) ეფუძნება ევროკავშირის მიერ 1985 წლის 25 ივნისს მიღებულ დირექტივას (AbI 1985 Nr L 210, 29). მიუხედავად იმისა, რომ კანონით პირველად ნაკლის მქონე პროდუქციისათვის დაინერგა საფრთხის გამოწვევისათვის ზოგადი (ბრალისაგან დამოუკიდებელი!) პასუხისმგებლობა, სამოსამართლო სამართალში აღიარებული მტკიცების ტვირთის შებრუნების გამო § 823-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მწარმოებლის ბრალეულობაზე დამოკიდებული პასუხისმგებლობის შემთხვევაში, რასაც შეიძლება დაეყრდნოს დაზარალებული პირი უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 15-ის შესაბამისად (იხ. ზემოთ, 38-ე ველი), მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იწვევს პასუხისმგებლობის გამკაცრებას (იხ. ქვემოთ, 52-ე ველი). თუმცა, უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონი ავრცელებს პასუხისმგებელი პირების წრეს, როდესაც დამამზადებლის პასუხისმგებლობის ანალოგიურად პასუხს აგებენ ასევე კვაზიდამამზადებელი, § 4-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, ან იმპორტიორი § 4-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად (დეტალურად Kötz/Wagner, 646-ე ველი).

50

2. გამოყენების სფერო ვრცელდება როგორც პიროვნებისათვის მიყენებულ, ისე მატერიალურ ზიანზე. მატერიალური ზიანი მოცულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ზიანი ადგება „სხვა ნივთს, როგორც ნაკლის მქონე პროდუქციას“ (უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 1-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). საეჭვოა, გამორიცხულია თუ არა ამ ფორმულირებით დამამზადებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, როდესაც ნაკლი ახასიათებს პროდუქციის „ფუნქციურად შემოფარგლულ ნაწილს“ და ზიანი ადგება მთლიან პროდუქციას (შდრ. „ფართოდ მოცული ხარვეზისათვის“ სასამართლო პრაქტიკა § 823-ის I-იდან გამომდინარე მწარმოებლის პასუხისმგებლობის შემთხვევაში, იხ. ზემოთ, მე-6 და შემდეგი ველები). ვინაიდან უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 2-ის თანახმად, მოძრავი

51

ნივთის ნებისმიერი ნაწილიც კი არის პროდუქცია ამ კანონის გაგებით, მთლიანი პროდუქცია შეიძლება საერთოდაც კლასიფიცირებულ იქნეს როგორც „სხვა ნივთი“ (შდრ. *Sack*, სადაზღვევო სამართალი, 1988, 439, 444 შემდგომი მითითებებით). ამავე დროს, მთავრობის კანონპროექტის დასაბუთებისა (BT-Drucks, 11/2447, S 13) და ლიტერატურაში გამოთქმული გადამწყვეტი მოსაზრების (*Larenz/Canaris* SchR II/2, § 84, VI, 1c) თანახმად, უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 1-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ფორმულირება გამოირიცხავს, საერთოდ, კანონის თანახმად ზიანის ანაზღაურებას ფართოდ მოცული ხარვეზისათვის (დაზარალებულ პირს ნებისმიერ შემთხვევაში უნარჩუნდება რეგრესული მოთხოვნა, § 823-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მწარმოებლის ბრალეულობაზე დამოკიდებული პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით, იხ. ზემოთ. 38-ე და მე-6 ველები). გარდა ამისა, ანაზღაურებას ექვემდებარება მიყენებული ზიანი მხოლოდ ისეთი ნივთებისათვის, რომლებიც (ობიექტურად) გათვალისწინებულია **კერძო სარგებლობისათვის** და დაზარალებული პირის მიერ, ძირითადად, (სუბიექტურად) გამოიყენება ასევე კერძო მიზნებისათვის (უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 1-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება); ამდენად, დაცულია მხოლოდ საბოლოო მომხმარებელი.

52

3. პასუხისმგებლობის ფაქტობრივი შემადგენლობა. ზიანის ანაზღაურების წინაპირობაა დამამზადებლის მიერ (უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 4) ნაკლის მქონე პროდუქციის (უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის §§ 2, 3) სარეალიზაციოდ გამოტანა (შდრ. უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 1-ის პირველი ნაწილის №1). მტკიცების ტვირთისათვის იხ. უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 1-ის მე-4 ნაწილი. § 823-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე მწარმოებლის ბრალეულობაზე დამოკიდებული პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით, რომელიც დაკავშირებულია ზიანის მიმყენებლის მხრიდან დარღვევასთან (აღნიშნულის შესახებ იხ. ზემოთ, 41-ე ველი), საფრთხისთვის პასუხისმგებლობის ფაქტობრივი შემადგენლობის ცენტრალური განმასხვავებელი ნიშანია **პროდუქციის ნაკლის** არსებობა (უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 3), ანუ ნივთის მდგომარეობა. თუმცა, ზოგადად, ხდება მსგავსი შედეგების მიღწევა, ვინაიდან პროდუქციის ნაკლის არსებობა შეფასების ფართო კრიტერიუმით დგინდება როგორც § 823-ის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის წყაროდან გამომწვეულ ზიანზე პასუხისმგებლობის დარღვევა: ერთი მხრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის მდგომარეობის მიხედვით მიღწევადი უსაფრთხოება (უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 1-ის მე-2 ნაწილის №5) და, მეორე მხრივ, დაზარალებული პირის მიერ ექსპლოატაციის ნესების შესაბამისი დაცვა (უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 1-ის პირველი ნაწილის ბ). თუმცა, განსხვავებით § 823-ით გათვალისწინებული შემთხვევებისა (შდრ. ზემოთ, 44-ე ველი), დამზადების დროს ე. წ. გაპარულის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა, უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის თანახმად, არ გამოირიცხება, ვინაიდან § 1-ის მე-2 ნაწილის №5 მიმართულია მხოლოდ განვითარების რისკებისათვის პასუხისმგებლობისაკენ (BGHZ, 129, 353, 358). ლიტერატურაში ზოგჯერ განიხილება ფართოდ გამოყენებადი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა შედეგთან, § 823-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (მაგ., *Kötz/Wagner*, 615-ე და შემდეგი ველები), ზოგჯერაც ხაზგასმულია სხვა შესაძლო განსხვავებები (*Larenz/Canaris* SchR II/2, § 84, VI, 1b).

4. პასუხისმგებლობის მოცულობა. უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 8-ის მე-2 წინადადების შესაბამისად, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ასევე არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურებაც. მხედველობაშია მისაღები ასევე პასუხისმგებლობის ზედა ზღვარი პიროვნებისათვის მიყენებული ზიანის გამო, რაც განისაზღვრება 85 მილიონი ევროთი (უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 10). ერთ პირზე 500 ევროს ოდენობით ქონებრივი ზიანისათვის ზარალში მონაწილეობა (უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის § 11), მაგრამ არა ცალკეული დაზიანებული ნივთისათვის, უნდა ემსახუროდეს სასამართლოების განტივრთვას. უხარისხო პროდუქციის წარმოებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის, § 5-ის თანახმად, რამდენიმე დამამზადებლის ზიანის ანაზღაურებაზე სოლიდარული ვალდებულება შეესაბამება § 840-ით გათვალისწინებულ იურიდიულ სტატუსს.

§ 824. პირის კრედიტუნარიანობისადმი ნდობისათვის საფრთხის შექმნა

(1) პირი, რომელიც აცხადებს ან ავრცელებს სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტს, რომლითაც საფრთხე ექმნება სხვა პირის კრედიტუნარიანობისადმი ნდობას, ან რომლითაც ამ უკანასკნელის სამენარმეო საქმიანობასა თუ არსებობისათვის აუცილებელ სახსრებს ადგება სხვაგვარი ზიანი, ვალდებულია, აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზარალი მაშინაც კი, როცა, შესაძლებელია, არ იცოდა ფაქტის სინამდვილესთან შეუსაბამობის შესახებ, თუმცა, უნდა სცოდნოდა.

(2) პირს, რომელიც ავრცელებს ცნობას ისე, რომ არ იცის მისი სინამდვილესთან შეუსაბამობის შესახებ, არ ეკისრება ზიანის ანაზღაურება, თუ მას ან ცნობის მიმღებს აქვთ ცნობის მიღების გამართლებული ინტერესი.

§ 825. სქესობრივი ხასიათის მოქმედებებზე დაყოლიება

პირი, რომელიც მოტყუებით, მუქართა თუ დამოკიდებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დაიყოლიებს სხვა პირს სქესობრივი ხასიათის მოქმედებების განხორციელებასა თუ თმენაზე, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ამით მიყენებული ზიანი.

§ 826. ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ განზრახ ზიანის მიყენება

პირი, რომელიც ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ განზრახ აყენებს ზიანს სხვა პირს, ვალდებულია, ამ უკანასკნელს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

1. ზოგადი მიმოხილვა. ნორმა არის ფაქტობრივი გარემოებების შემკრები („მცირე ზოგადი დათქმა“) მხოლოდ ცალკეული უფლებებისა და სამართლებრივი სიკეთის დამცავი § 823-ის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ძირითადი ნორმისათვის. მსგავსად § 823-ის მე-2 ნაწილისა, იგი წინაპირობად აყენებს არა განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას (ამდენად, საკმარისია, მაგ., წმინდა ქონებრივი ზიანი), არამედ ეფუძნება სპეციფიკურ (კერძოდ კი, ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ და განზრახ) თავდასხმითი ხასიათის მოქმედებას. ამავე დროს, განზრახვა უნდა ეხებოდეს არა მხოლოდ ხელმოყოფ მოქმედებას, არამედ, განსხვავებით § 823-ით გათვალისწინებული წესისა, თავად პირდაპირ ზიანს. ფაქტობრივი შემადგენლობის შესაბამისი (ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ) ხელყოფა ყოველთვის მართლსაწინააღმდეგოა.

2. წინაპირობები. ა) ზნეობის ნორმების დარღვევა. აა) სახეზე უნდა იყოს ობიექტური ზნეობის ნორმების დამრღვევი მოქმედება. ზნეობის ნორმების დარღ-

ვევაში მოიაზრება § 138-ში გათვალისწინებული ანალოგიური ცნება (იხ. აღნიშნულ პარაგრაფში). ზიანის მიყენება შეიძლება ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო იყოს მისთვის გამოყენებული უზნეო საშუალების (მოქმედების), გასაკიცხი მიზნისა თუ საშუალებისა და მიზნის არაპროპორციულობის გამო. ზოგადი მასშტაბი არ არის განსაკუთრებულად კარგად გააზრებული წრის წარმოდგენა, არამედ ის, რაც საზოგადოების უმრავლესობის მიერ „სამართლიანად და მართებულად გააზრებული“ აღიქმება როგორც გასაკიცხი. **ბ) სუბიექტური მხრივ** სავალდებულო დარღვევის გამომწვევი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შესახებ ცნობა, მაგრამ არა თავად ზნეობის წინააღმდეგობის შეგნება.

3 ბ) განზრახვა. განზრახვა უნდა მოიცავდეს ზიანის მიყენების ფაქტს (და არა უბრალოდ, ზიანის მიმყენელ მოქმედებას). საკმარისია, როდესაც ზიანის მიმყენებელმა იცის ზიანის დადგომის შესაძლებლობის შესახებ და მაინც ახორციელებს მოქმედებას (*dolus eventualis*). თუმცა, მან მიზეზობრივი კავშირი არსებითად სწორად უნდა ივარაუდოს (ასეა, მაგ., ზიანის მიყენების სახესა და მხედველობაში მისაღებ დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით).

4 3. შემთხვევათა ჯგუფები. სასამართლო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებულ შემთხვევათა მრავალი ჯგუფიდან ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ შემდეგი მაგალითები (დეტალურად იხ. *Palandt-Sprau*, 19-ე და შემდეგი ველები): **ა) პირადი უფლებრივი მდგომარეობის ხელყოფა**, მაგ., შეგნებულად ყალბი ექსპერტიზის დასკვნის გაცემა პირის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ; **ბ) კონტრაგენტის ან მესამე პირის მოტყუება** (ასევე – მუქარა) მოტყუებულისაგან სასარგებლო გარეგების მიღწევის მიზნით (შდრ. § 123); **გ) მესამე პირის ნაქეზება ხელშეკრულების დარღვევაზე**. სავალდებულოა აქტიური თანამონაწილეობა (მაგ., მესამე პირისათვის რეგრესული მოთხოვნის უფლებების გამორიცხვა); ამ შემთხვევაში, პირიქით, საკმარისი არ არის წმინდა სხვა პირის ხელშეკრულების საწინააღმდეგო მოქმედების გამოყენება; **დ) სასამართლო დავის წარმოება**, როდესაც (სარჩელის შემტანი ან მოპასუხე) მხარე შეიტყობს მატერიალური თვალსაზრისით მისი არგუმენტაციის უსწორობის შესახებ, მას მეორე მხარისათვის, სულ ცოტა, განპირობებული განზრახვით სურს ზიანის მიყენება და, გარდა ამისა, ეს ხდება პროცესის წარმოების განსაკუთრებული სახითა და მეთოდით, რაც ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო ჩანს, მაგ., არაკეთილსინდისიერი საშუალებებით – როგორც მხარის მიერ სასამართლო პროცესზე განზრახ ყალბი ჩვენების მიცემის შემთხვევაში ან პროცესუალური მოქმედებების მოტყუებით განხორციელება – წარმოებულ პროცესში (BGHZ, 154, 269; BGH NJW, 2004, 446); **ე) ფორმალური უფლებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება**. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების ბოროტად გამოყენებას: სასამართლო პრაქტიკის თანახმად (მაგ., BGHZ, 13, 71), მოვალეს შეუძლია ობიექტურად არასწორი, თუმცა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარადგინოს სარჩელი იძულებითი აღსრულების შეწყვეტისა და სააღსრულებო ფურცლის გადმოცემის მოთხოვნით, § 826-იდან გამომდინარე. აღნიშნულის წინაპირობაა ის ფაქტი, რომ კრედიტორმა იცის სასამართლოს გადაწყვეტილების უსწორობის შესახებ და რომ განსაკუთრებული გარემოებებით შესაძლებელია იძულებით აღსრულების, როგორც ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო მოქმედების გამოვლენა, მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა (მაგ., როდესაც პირმა გამოსტყუა სასამართლოს სააღსრულებო ფურცელი არასწორი ჩვენებების მეშვეობით). ლიტერატურაში ეს სასამართლო პრაქტიკა გაკრიტიკებულია მისი, როგორც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების დამაკნინებელი შედეგის გამო (შდრ. *Rosenberg/Schwab/Gottwald*, ZPO, {2004}, § 161, III).

§ 827. პასუხისმგებლობის გამორიცხვა და შემცირება

¹პირი, რომელიც დაკარგული ცნობიერების ან ისეთი ავადმყოფური ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში, რომელიც გამორიცხავს ნების თავისუფალ დადგენას, ზიანს აყენებს სხვა პირს, პასუხს არ აგებს ამ ზიანისათვის. ²თუ მან თავად დროებით ჩაიყენა თავისი თავი ასეთ მდგომარეობაში, ალკოჰოლური სასმელებისა თუ მსგავსი საშუალებების გამოყენებით, მაშინ იგი ამ მდგომარეობაში კანონსა-წინააღმდეგოდ მიყენებული ზიანისათვის ისე აგებს პასუხს, თითქოს გაუფრთხილებელი ბრალი მიუძღვის; პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება, თუ იგი ბრალის გარეშე აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში.

§ 828. არასრულწლოვნები

(1) პირი, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის გამო.

(2) ¹პირი, რომელსაც შეუსრულდა შვიდი წელი, თუმცა, არ მიუღწევია ათი წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს იმ ზიანის გამო, რომელსაც იგი აყენებს სხვა პირს ავტო-, სარკინიგზო ან საფუნქციულით სავაჭრო საშუალებით ჩადენილი შემთხვევისას. ²ეს წესი არ მოქმედებს, თუ მან ზიანი განზრახ მიაყენა.

(3) პირი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის, იმდენად, რამდენადაც მისი პასუხისმგებლობა პირველი ან მე-2 ნაწილების მიხედვით გამორიცხული არ არის, პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის გამო, თუ ზიანის მიმყენებელი მოქმედების ჩადენისას მას არა აქვს პასუხისმგებლობის აღიარებისათვის საკმარისი შეგნება.

§ 829. სამართლიანობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

პირმა, რომელიც §§ 827-ისა და 828-ის საფუძველზე პასუხს არ აგებს §§ 823-826-ში აღნიშნულ შემთხვევებში მიყენებული ზიანისათვის, ხოლო ზიანის ანაზღაურება არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ზედამხედველობის განხორციელებაზე ვალდებული მესამე პირისაგან, მაინც უნდა აანაზღაუროს ეს ზიანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, გარემოებებიდან გამომდინარე, მათ შორის, მონაწილეთა შორის ურთიერთობების გათვალისწინებით, ამას ითხოვს სამართლიანობა, მაგრამ მას არ წაერთმევა სახსრები, რომლებიც საჭიროა სათანადო დონეზე არსებობისთვის, ასევე მასზე კანონის ძალით დაკისრებული რჩენის მოვალეობის შესასრულებლად.

§ 830. დელიქტში თანამონაწილეები და ჩართული პირები

(1) ¹თუ ზიანს აყენებს რამდენიმე პირი ერთობლივად ჩადენილი დელიქტის შედეგად, მაშინ ნებისმიერი მათგანი პასუხისმგებელია ზიანისათვის. ²ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რამდენიმე მონაწილეთაგან რომელმა მიაყენა ზიანი თავისი მოქმედების შედეგად.

(2) ნამქეზებლები და დამხმარე პირები უთანაბრდებიან დელიქტში თანამონაწილეებს.

1. ზოგადი მიმოხილვა. დელიქტში (მათ შორის, პასუხისმგებლობა საფრთხის გამოწვევისათვის, *Medicus/Petersen*, 790-ე ველი) თანამონაწილეობები (პირველი ნაწილის პირველი წინადადება), მონაწილეები (პირველი ნაწილის მე-2 წინადადება) და თანამონაწილეები (მე-2 ნაწილი) §§ 830, 840-ის პირველი ნაწილი, 421-ის მითითებათა ჯაჭვის შედეგად პასუხს აგებენ სოლიდარულად (შდრ. § 421-ის პირველი და შემდეგი ველები). გაბატონებული შეხედულების თანახმად, § 830 არის მოთხოვნის უფლების დამოუკიდებელი საფუძველი (*Jauernig-Teichmann*, 1-ლი ველი; § 830-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესახებ განსხვავებული

შეხედულება იხ. *Larenz/Canaris*, SchR II/2, § 82, II, 1d) და საქმის მასალების დამუშავების პროცესში ის შესაბამისად უნდა იქნეს გამოყენებული.

- 2. პირველი ნაწილის პირველი წინადადების ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.** პირის დელიქტში თანამონაწილედ, წამქეზებლად ან დამხმარე პირად მიჩნევა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, განისაზღვრება სისხლის სამართალში შემუშავებული პრინციპების მიხედვით (შემოკლებულად იხ. *Hein AcP*, 2004, 761). თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში **წინაპირობები სადავოა** (მიმოხილვა იხ. *Staudinger-Eberl-Borges*, {2008}, მე-10 და შემდეგი ველები). სუბიექტური კუთხით უნდა დამტკიცდეს, რომ დელიქტში თანამონაწილემ ან დამხმარე პირმა იცოდა დანაშაულის გარემოებების შესახებ (სულ ცოტა, ზოგადად მაინც) და მათ ჰქონდათ დანაშაულის ერთობლივად სხვასთან ერთად ჩადენის ან მისი ხელშეწყობის ნება. შესაბამისად, სხვა ჩართული პირების ექსცესისათვის პასუხისმგებლობა არ დგება (BGHZ, 63, 124, 128; შდრ. ცალკეულ შემთხვევებში; *Jauernig-Teichmann*, მე-5 ველი; კრიტიკა *Larenz/Canaris* SchR II/2, § 82, I, 2). საკითხს, თუ რა ხერხით გამოიწვია თანამონაწილემ ან დამხმარე პირმა სამართლებრივი სიკეთის დარღვევა, ადრინდელი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მნიშვნელობა არ ჰქონდა (BGHZ, 17, 327, 333: უკვე ერთობლივი განზრახვა ქმნიდა მიზეზობრივ კავშირს). დღევანდელი მდგომარეობით, უმაღლესი ფედერალური სასამართლო ითხოვს, ობიექტურად მოხდეს დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის დადგენა, რაც რაიმე ფორმით ხელს შეუწყობდა მის ჩადენას და მისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა, რითაც ხელს შეუწყობდა სხვა პირის სამართლებრივი სიკეთის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას.
- 3. პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, პასუხისმგებლობა არსებობს** იმ შემთხვევებში, რომლებშიც რამდენიმე მონაწილე ასრულებს პასუხისმგებლობის ზოგად წინაპირობებს (მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობა), თუმცა, დაზარალებულ პირს მაინც არ შეუძლია იმის მტკიცება, დანაშაულის ჩადენაში თუ რომელი მონაწილის წვლილმა რა მოცულობით გამოიწვია სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ამ მტკიცების სირთულეებისაგან დაზარალებული პირი უნდა იყოს დაცული. მხედველობაშია მისაღები შემთხვევათა ორი ჯგუფი (შდრ. BGH NJW, 1994, 932, 934). **ა) ეჭვი ინიციატორთან დაკავშირებით.** ეს უკანასკნელი ადგენს, რომ, სულ ცოტა, რამდენიმე მონაწილიდან ერთ-ერთი იწვევს ზიანს. თუმცა, აუცილებელი არ არის მისი დადგენა, ან ის არ შეიძლება გამოირიცხოს როგორ ზიანის მიმყენებელი; **ბ) ეჭვი მონაწილეობის ფარგლებთან დაკავშირებით.** ეს ადგენს, რომ ყველა მონაწილე ერთობლივად იწვევს ზიანს. საეჭვოა, თითოეული მონაწილე იწვევს საერთო ზიანს თუ მხოლოდ თავის წილს; **გ) ცალკეული შემთხვევები.** როდესაც ადრინდელი სასამართლო პრაქტიკა § 830-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობისათვის ითხოვდა დროში და სივრცეში კავშირს ცალკეულ დანაშაულის ფაქტებს შორის, დღევანდელი მდგომარეობით უკვე, რამდენიმე ერთგვაროვანი საფრთხის შემქმნელი მოქმედების თანხვედრის გამო, მათი კავშირი დამდგარ შედეგთან ვეღარ დგინდება (BGHZ, 55, 86, 95; შდრ. ასევე BGHZ, 101, 106, 112). ამავე დროს, კრიტერიუმები პრობლემატური რჩება და სადავოა (შდრ., მაგ., *Larenz/Canaris* SchR II/2 § 82 II 2b). თუ დადგინდება, რომ დანაშაულის პირველი ჩამდენი პასუხს აგებს საერთო ზიანისათვის, ვინაიდან მეორე მონაწილის მხრიდან მიყენებული ზიანი შეერაცხება მას როგორც მისი დანაშაულის ადეკვატური მიზეზობრივი შედეგი, შესაბამისად, არ არსებობს მიზეზობრივ კავშირთან მიმართებით § 830-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებით განპირობებული მტკიცების სირთულეები; ამდენად, ნორმა არ გამოიყენება (BGHZ, 67, 14, 19; ასევე იხ. *Medicus/Petersen*, 792a ველი; განსხვავებული შეხედულება იხ., მაგ., *Larenz/Canaris* SchR II/2, § 82, II, 2f). მაგ.: ველოსიპედისტს ეჯახება ავტომანქანა, რომელსაც მართავს ა, და რომელიც ტოვებს მას დახმარების აღმოჩენის გარეშე

ისე, რომ მას კიდევ ერთხელ ბ-ც ეჯახება, რის შედეგად ველოსიპედიტი ილუპება. გარდაცვალება შეერაცხება ა-ს (§ 823-ის პირველი ნაწილი); ბ პასუხს აგებს (§ 823-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მომაკვდინებელი დაზიანება დადასტურებულად მხოლოდ მისი მოქმედებიდან გამომდინარეობს; § 830-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება არ გამოიყენება.

§ 831. დავალების შემსრულებლის პასუხისმგებლობა

(1) 'პირი, რომელიც სხვა პირს ავალებს დავალების შესრულებას, პასუხისმგებელია, ანაზღაუროს ის ზიანი, რომელსაც ეს უკანასკნელი დავალების შესრულებისას აყენებს მესამე პირს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ მარწმუნებელი იჩენს დაქირავებული პირის არჩევისას სამოქალაქო ბრუნვაში მიღებულ აუცილებელ ზრუნვას; ხოლო თუ მან უნდა შეიძინოს მოწყობილობები ან ხელსაწყოები, ან უხელმძღვანელოს დავალების შესრულებას, აუცილებელ ზრუნვას იჩენს შეძენისა თუ ხელმძღვანელობისას, ანდა თუ ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც.

(2) ანალოგიური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომელიც ხელშეკრულებით კისრულობს პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში აღნიშნულ ერთ-ერთი საქმის შესრულებას.

1. ზოგადი მიმოხილვა. ა) მნიშვნელობა. განსხვავებით § 278-ისაგან (პასუხისმგებლობა ვალდებულების შესრულებაში დამხმარე პირების მოქმედებისათვის) დავალების შემსრულებლის პასუხისმგებლობა არ წარმოშობს მარწმუნებლის ვალდებულებას სხვა პირის ბრალეულობისათვის. უფრო მეტიც, ნორმა ადგენს მარწმუნებლის მიერ **საკუთარი** ბრალეულობით ვალდებულების დარღვევას, კერძოდ კი, დავალების შემსრულებლის უყურადღებო შერჩევას ან მისი საქმიანობის არაჯეროვან კონტროლს. პასუხისმგებლობის თავისებურება იმით გამოიხატება, რომ მარწმუნებლის ბრალი დავალების შემსრულებლის შერჩევისას და მისი მიზეზობრივი კავშირი ზიანის დადგომასთან **ივარაუდება** (შდრ. § 823-ის შესავლის მე-2 ველი); **ბ) კონკურენცია.** ვინაიდან ნორმა იძლევა დამოუკიდებელ მოთხოვნის უფლების საფუძველს მარწმუნებლის მიმართ და წინაპირობად აყენებს დამხმარე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ყველაზე ხშირად წარმოიშობა (დამხმარე პირის ბრალეული მოქმედების შემთხვევაში) მოთხოვნის უფლებების კონკურენცია დაზარალებული პირის დელიქტური მოთხოვნის უფლებასა და ნებისმიერ სხვა მოთხოვნის უფლებას შორის. მარწმუნებლის მიმართ სხვა მოთხოვნის უფლებები შეიძლება გამომდინარეობდეს § 823-იდან („ორგანიზაციის მოვალეობის დარღვევა“, იხ. ქვემოთ, მე-3 ველი) და მარწმუნებელსა და დაზარალებულ პირს შორის შესაბამისი სახელშეკრულების პასუხისმგებლობის ფაქტობრივი შემადგენლობიდან გამომდინარე (§§ 280 და შემდეგი პარაგრაფები § 278-თან კავშირში) განსაკუთრებული ურთიერთობის არსებობისას.

2. პასუხისმგებლობის წინაპირობები (პირველი ნაწილის პირველი წინადადება). ა) დავალების შემსრულებელია პირი, რომელიც ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს ინსტრუქციის შესაბამისად, ხოლო მარწმუნებელი მუდმივად განსაზღვრავს საქმიანობის სახეს, შინაარსსა და მოცულობას. ამ კატეგორიას არ მიეკუთვნებიან ინდ. მენარმეები, რომლებიც, თუნდაც, როდესაც ისინი ასრულებენ დამკვეთის (დეტალურ) დავალებას, თავად საკუთარი პასუხისმგებლობით განსაზღვრავენ სამუშაოს მიმდინარეობას; **ბ) მართლსაწინააღმდეგო ზიანის მიყენება.** დავალების შემსრულებელმა უნდა განახორციელოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება § 823-ისა და შემდეგი პარაგრაფების გაგებით. მარწმუნებლის სავარაუდო ბრალეულობის გამო (იხ. ზემოთ, პირველი ველი) პასუხისმგებლობა დამხმარე პირის **ბრალეულობაზე**, როგორც წესი, დამოკიდებული არ არის; ამდენად, იგი, ჩვეულებრივ, არ საჭიროებს მტკიცებას. თუმცა, სასამართლო პრაქტიკა ნორმის

დაცვის მიზანზე მითითებით გამორიცხავს შემთხვევებს, რომლებშიც დამხმარე პირმა ისე იმოქმედა, როგორც იმოქმედებდა ნებისმიერი გულმოდგინედ შერჩეული და გაკონტროლებული პირი; ამდენად, ობიექტურად უნაკლო მოქმედებისას მარწმუნებლის მიმართ მოთხოვნის უფლება არ იარსებებდა თვით საკუთარი მოქმედების შემთხვევაშიც (BGH NJW, 1996, 3205, 3207, შემდგომი მითითებებით). ლიტერატურის ერთ ნაწილს ნაწილის პირველი წინადადების სიტყვასიტყვითი ტექსტის საპირისპიროდ სურს ტელეოლოგიური შესწორება და მარწმუნებლის პასუხისმგებლობისათვის დამხმარე პირის ბრალეულობის ელემენტზე უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შინაგანი კავშირი დამხმარე პირის მონაწილეობასა და მის მიმართ ბრალეულობის შესახებ პრეტენზიის არარსებობას შორის, ანუ, როდესაც, § 827-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისად, ხდება ისეთი დამხმარე პირის ჩართვა, რომელსაც არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა (დეტალურად იხ. *Larenz/Canaris* SchR III/2, § 79, III, 2c; იხ. აგრეთვე *Medicus/Petersen*, 782-ე ველი). თუმცა, მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებული საკეთის მიუხედავად, ორივე შეხედულების შედეგად შეიძლებოდა, როგორც წესი, ერთი და იმავე შედეგის მიღწევა; **გ) დავალების შესრულება** და არა მხოლოდ „დაკავშირებით“ აღნიშნული საქმიანობა შედეგად უნდა იწვევდეს ზიანის მიყენებას. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, უნდა არსებობდეს „შინაგანი კავშირი“ დავალებასა და ზიანის მიყენებას შორის; ეს ყოველთვის ისეთი შემთხვევაა, როდესაც დავალების შედეგად მოცემული სახის ზიანის მიყენების საფრთხე არააარსებითად არ გაიზრდებოდა; ცალკეულ შემთხვევებში გამყოფი ხაზის გავლება რთულია (შდრ. *Larenz/Canaris* SchR III/2, § 79, III, 2d).

- 3 3. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მტკიცება (პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).** პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შესაძლებელია ორი გზით: **ა)** უპირველეს ყოვლისა, წარდგენილ უნდა იქნეს მტკიცებულება, რომ მარწმუნებელს ვალდებულება არ დაურღვევია; ეს შეიძლება მოხდეს, მაგ., დამხმარე პირის გულმოდგინედ შერჩევისა და კონტროლის ფაქტების მოყვანით; **ბ)** გარდა ამისა, მარწმუნებელს შეუძლია **გააბათილოს პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზობრივი კავშირის** არსებობის პრეზუმფცია, რითაც იგი აჩვენებს, რომ ზიანი დადგებოდა გულმოდგინედ შერჩევისა და ა. შ. შემთხვევაშიც (მაგ., იმ მტკიცებულებით, რომ გულმოდგინედ შერჩეული დამხმარე პირიც ანალოგიურად იმოქმედებდა); **გ) დეცენტრალიზებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მტკიცება.** ვინაიდან მარწმუნებლის მხრიდან ყველა დავალების შემსრულებლის პირადად შერჩევა და კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ მცირე სანარმოებში, სასამართლო პრაქტიკამ (BGHZ, 4, 1) დასაშვებად მიიჩნია იმის შესაძლებლობა, რომ მოხდეს ზრუნვის ვალდებულების დელეგირება დაქვემდებარებულ თანამშრომელზე ისე, რომ საქმისწარმოება გამართლებული იყოს მხოლოდ ერთი დონით ქვემოთ მყოფ თანამშრომელზე ვალდებულების დელეგირების შემთხვევაში (კრიტიკა *Larenz/Canaris* SchR III/2, § 79, III, 3b). მართალია, წარმოების ქონება ასეთ შემთხვევებში პასუხს არ აგებს დაზარალებული პირის წინაშე, § 31-თან ერთად, § 831-იდან გამომდინარე, თუმცა, ძირითადად, პასუხისმგებლობა დგება ორგანიზაციის მოვალეობის დარღვევის მხრივ (ამის შესახებ იხ. § 823, 21-ე ველი); **დ) დასაქმებულის კუთვნილი გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.** როდესაც თვით მარწმუნებელი (დამსაქმებელი) ახერხებს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მტკიცებას და ამით გამორიცხავს პასუხისმგებლობას, § 831-ის თანახმად, ეს მისთვის ეკონომიკურად უსარგებლოა, ვინაიდან მან, შრომის სამართალში აღიარებული პრინციპების თანახმად (იხ. § 611-ის შესავლის მე-5 ველი), დასაქმებული უნდა გაათავისუფლოს დაზარალებული პირის წინაშე ამ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

§ 832. იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელსაც ევალება ზედამხედველობის განხორციელება

(1) ¹პირი, რომელიც კანონის ძალით ვალდებულია, განახორციელოს ზედამხედველობა იმ პირზე, რომელიც არასრულწლოვნების ან თავისი გონებრივი თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო საჭიროებს ამას, პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი უკანონოდ აყენებს მესამე პირს. ²ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ იგი აკმაყოფილებს მასზე დაკისრებული ზედამხედველობის ვალდებულების მოთხოვნებს, ან თუ ზიანი მაინც დადგებოდა სათანადო ზედამხედველობის შემთხვევაშიც კი.

(2) ანალოგიური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომელიც ხელშეკრულებით კისრულობს ზედამხედველობის განხორციელებას.

ნორმა ადგენს პასუხისმგებლობას პრეზიუმირებული (ანუ ნავარაუდები, რომლის გაბათილებაც შესაძლებელია) ზედამხედველობის ვალდებულების დარღვევისათვის: პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, დაზარალებულმა პირმა უნდა დამტკიცოს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ზიანი მიყენებულ იქნა ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის მოქმედებით და რომ ზედამხედველობის ვალდებულება არსებობს (და აუცილებლობის შემთხვევაში, დამტკიცოს იგი), ამიტომაც, როგორც ზედამხედველობის ვალდებულების დარღვევა, ასევე მისი მიზეზობრიობა დამდგარ ზიანთან ივარაუდება. ორივე პრეზუმფციის გაბათილება შეუძლია ზედამხედველობაზე ვალდებულ პირს, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად. ზედამხედველობის ვალდებულება შეიძლება იყოს ნაკისრი კანონის (მაგ., § 1626 და შემდეგი პარაგრაფები, §1631) ან ხელშეკრულების საფუძველზე (მე-2 ნაწილი). მისი მოცულობა განისაზღვრება ცალკეულ შემთხვევათა გარემოებებით, თუმცა, ამავე დროს, სასამართლო პრაქტიკა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მტკიცებისათვის, როგორც წესი, მკაცრ ფარგლებს ადგენს.

§ 833. ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა

¹თუ ცხოველმა ადამიანი მოკლა, ან მის სხეულს, ან ჯანმრთელობას, ანდა ნივთს ზიანი მიაყენა, მაშინ ცხოველის მფლობელი ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი. ²ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ იგი მიყენებულ იქნა შინაური ცხოველის მიერ, რომელიც განკუთვნილია ცხოველის მფლობელის პროფესიული, სამეწარმეო საქმიანობისა თუ რჩენისათვის, და/ან ეს უკანასკნელი იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში მიღებულ აუცილებელ ზრუნვას, ანდა ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც კი.

ნორმა მოიცავს ორ სხვადასხვა ფაქტობრივ შემადგენლობას: პირველი წინადადება ადგენს საფრთხის გამონვევისათვის პასუხისმგებლობას ყველა იმ ცხოველის მფლობელის მიმართ, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი მე-2 წინადადებაში. მე-2 წინადადებაში მოცემული წინაპირობების გათვალისწინებით კი, პირიქით, პასუხისმგებლობა ბრალეული მოქმედებისათვის შემსუბუქებულია მტკიცების ტვირთის შებრუნებით.

1. „ცხოველის მეშვეობით“ ზიანის მიყენების წინაპირობაა ის, რომ იგი ეფუძნება ცხოველისაგან გამონვეული სპეციფიკური საფრთხის რეალიზაციას (ნორმის დაცვითი მიზნის შესახებ მოძღვრებისათვის შდრ. § 249-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესავლის მე-15 ველი; დეტალურად იხ. *Medicus* SchR II 873-ე ველი; *Larenz/Canaris* SchR III/2, § 84, II, 1c).

2. „ცნობილი სადავო საკითხია“ (*Larenz/Canaris* SchR III/2, § 84, II 1e) პასუხისმგებლობის შეზღუდვა § 833-ის პირველი წინადადებიდან გამომდინარე დაზარალებული პირის მიერ თავისი თავის საფრთხეში ნებაყოფლობით ჩადების შემთხვევაში; მაგ.: საჯიროთო ცხენის თხოვება თავაზიანობის გამო. სასამართლო პრაქტიკამ

მიიჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში § 833-ის პირველი წინადადება გამოიყენება (BGH NJW, 1992, 247, შემდგომი მითითებებით). ეს პოზიცია ნაწილობრივ უარყოფილია ლიტერატურაში საგზაო მოძრაობის წესების შესახებ კანონის § 8, 8ა-ს შესახებ გამოთქმული იურიდიული მოსაზრებებიდან გამომდინარე (ასე, მაგ., *Larenz/Canaris aaO*).

§ 834. ცხოველის ზედამხედველის პასუხისმგებლობა

¹თუ პირი ცხოველის მფლობელის მიმართ ხელშეკრულებით კისრულობს ცხოველზე ზედამხედველობის განხორციელებას, პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელსაც ცხოველი § 833-ით აღნიშნული ფორმით აყენებს მესამე პირს. ²ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ იგი ზედამხედველობის განხორციელებისას იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ ზრუნვას, ან ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც კი.

§ 835. (გაუქმებულია)

§ 836. მიწის ნაკვეთის მფლობელის პასუხისმგებლობა

(1) თუ შენობის ან მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული სხვა ნაგებობის ან შენობის, ან ნაგებობის ნაწილების ჩამოშლის შედეგად დაიღუპა ადამიანი, ან, თუ ადამიანის სხეულსა თუ ჯანმრთელობას, ანდა ნივთს მიაღდა ზიანი, და თუ ეს ჩამონგრევა ან ჩამოშლა მოხდა ხარვეზიანი მშენებლობის ან არასწორი ექსპლოატაციის შედეგად, მაშინ მიწის ნაკვეთის მფლობელი ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი; ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ მფლობელმა საფრთხის თავიდან ასაცილებლად გამოიჩინა სამოქალაქო ბრუნვაში მიღებული აუცილებელი ზრუნვა.

(2) მიწის ნაკვეთის ადრინდელი მფლობელი პასუხისმგებელია ზიანის ანაზღაურებაზე, თუ ჩამონგრევა ან ჩამოშლა მოხდა მისი მფლობელობის შეწყვეტიდან ერთი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან მისი მფლობელობის განმავლობაში გამოიჩინა სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელი ზრუნვა ან შემდგომ მფლობელს შეეძლო საფრთხის თავიდან აცილება ასეთი ზრუნვის გამოჩენის შედეგად.

(3) მფლობელად ამ ნორმების გაგებით მიიჩნევა მფლობელი თავისთვის.

§ 837. შენობის მფლობელის პასუხისმგებლობა

თუ ვინმე თავისი უფლების განხორციელებისას სხვა პირის მიწის ნაკვეთზე ფლობს შენობას ან სხვა ნაგებობას, მაშინ § 836-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა გამოიყენება მის მიმართ მიწის ნაკვეთის მფლობელის ნაცვლად.

§ 838. შენობის ექსპლოატაციის განმახორციელებელი პირის პასუხისმგებლობა

პირი, რომელიც მფლობელის წინაშე კისრულობს შენობის ან მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ნაგებობის ექსპლოატაციას, ანდა ვალდებულია, შეინარჩუნოს შენობა ან ნაგებობა გამართულ მდგომარეობაში კუთვნილი სარგებლობის უფლების ძალით, პასუხისმგებელია ჩამონგრევითა თუ ნაწილობრივი ჩამოშლით გამოწვეული ზიანისათვის, როგორც მფლობელი.

§ 839. პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევისათვის

(1) თუ მოსამსახურე განზრახ ან გაუფრთხილებლობით არღვევს მასზე მესამე პირის მიმართ დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს, მაშინ მან მესამე პირს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი; თუ მოსამსახურე მოქმედებდა მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალით, მაშინ მას შეიძლება მოეთხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ლაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს არ შეუძლია, სხვაგვარად მოითხოვოს ანაზღაურების მიღება.

(2) ¹თუ მოსამსახურე არღვევს მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დროს, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალეობების დარღვევა დანაშაულია. ²ეს ნორმა არ გამოიყენება სამსახურებრივი მოვალეობების საწინააღმდეგოდ მათ შესრულებაზე უარის თქმის ან დაგვიანების მიმართ.

(3) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ დაზარალებულმა განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ აიცილა ზიანი გასაჩივრების საშუალების გამოყენებით.

§ 839ა. სასამართლოს ექსპერტის პასუხისმგებლობა

(1) თუ სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტი განზრახ ან გაუფრთხილებლობით წარადგენს არასწორ დასკვნას, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, რაც ადგება პროცესის მხარეს იმ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ყვრდნობა ამ დასკვნას.

(2) შესაბამისად გამოიყენება § 839-ის მე-3 ნაწილი.

§ 840. რამდენიმე პირის პასუხისმგებლობა

(1) თუ რამდენიმე პირი ერთდროულად არის ვალდებული დელიქტიდან გამომდინარე ზიანისათვის, მაშინ ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეულები.

(2) თუ იმ პირთან ერთად, რომელიც § 831, 832-ის თანახმად, ვალდებულია, აანაზღაუროს სხვა პირის მიერ მიყენებული ზიანი, პასუხისმგებელია სხვა პირიც, მაშინ ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ვალდებულია მხოლოდ ეს უკანასკნელი, ხოლო § 829-ის შემთხვევაში მხოლოდ ის პირი, რომელსაც ევალება ზედამხედველობის განხორციელება.

(3) თუ იმ პირთან ერთად, რომელიც, §§ 833-838-ის თანახმად, ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, პასუხისმგებელია მესამე პირი, მაშინ ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ვალდებულია მხოლოდ მესამე პირი.

§ 841. კომპენსაცია მოსამსახურეთა პასუხისმგებლობისას

თუ მოსამსახურე, რომელიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობების ძალით ვალდებულია, სხვა პირს დაავალოს მესამე პირისათვის საქმეების შესრულება ან ასეთი საქმეების შესრულებაზე ზედამხედველობა, ანდა მიიღოს მასში მონაწილეობა გარიგებების მოწონების გზით, და ამ მოვალეობათა დარღვევის გამო, სხვა პირთან ერთად პასუხისმგებელია ამ სხვა პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის, მაშინ ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ვალდებულია მხოლოდ სხვა პირი.

§ 842. პირის უფლებების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების მოცულობა

პირის უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება იმ ზიანზე, რომელსაც დელიქტური მოქმედება შედეგად აყენებს დაზარალებულის სამენარმეო საქმიანობასა თუ არსებობისათვის აუცილებელ სახსრებს.

§ 843. ფულადი სარჩო ან ერთჯერადად გადასახდელი კომპენსაცია

(1) თუ სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგად დაზარალებულმა დაკარგა შრომისუნარიანობა, ან მისი შრომისუნარიანობა შემცირდა,

ანდა თუ იზრდება მისი მოთხოვნები, მაშინ დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ფულადი სარჩოს გადახდით.

(2) ¹სარჩოს მიმართ გამოიყენება § 760-ის ნორმები. ²ვალდებულია თუ არა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი, წარადგინოს უზრუნველყოფა, ამასთან, რა სახითა და მოცულობით, განისაზღვრება გარემოებების მიხედვით.

(3) სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის ერთჯერადად გადახდა, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი.

(4) მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება იმით, რომ სხვა პირი ვალდებულია, არჩინოს დაზარალებული.

§ 844. მესამე პირთა ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებები მკვლელობის შემთხვევაში

(1) მკვლელობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა დასაფლავების ხარჯები უნდა აუნაზღაუროს იმ პირს, რომელსაც ეკისრება ეს ხარჯები.

(2) ¹თუ მოკლული პირი ზიანის მიყენების მომენტში მესამე პირთან იმყოფებოდა ისეთ ურთიერთობაში, რომლის საფუძველზეც მოკლული პირი კანონის ძალით ვალდებული იყო ამ უკანასკნელის რჩენაზე, ან შეიძებოდა ყოფილიყო ვალდებული რჩენაზე და თუ მესამე პირს მკვლელობის შედეგად წაერთვა რჩენის შესაძლებლობა, მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა მესამე პირს უნდა უხადოს ფულადი სარჩო იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოკლული ვალდებული იქნებოდა, თავისი სავარაუდო სიცოცხლის განმავლობაში ერჩინა მესამე პირი; შესაბამისად, გამოიყენება § 843-ის მე-2-მე-4 ნაწილების ნორმები. ²ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მაშინაც კი, როდესაც მესამე პირი ზიანის მიყენების მომენტში იყო ჩასახული, თუმცა, ჯერ კიდევ არ იყო დაბადებული.

§ 845. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მიუღებელი მომსახურებისათვის

¹მკვლელობის, სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, ისევე როგორც თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა მესამე პირს უნდა აუნაზღაუროს ზარალი მიუღებელი მომსახურებისათვის ფულადი სარჩოს გადახდით, თუ დაზარალებული კანონის ძალით ვალდებული იყო, გაეწია მომსახურება მესამე პირისათვის ამ უკანასკნელის საოჯახო მეურნეობასა თუ სამეწარმეო საქმიანობაში. ²შესაბამისად, გამოიყენება § 843-ის მე-2-მე-4 ნაწილების ნორმა.

§ 846. დაზარალებულის თანაბრალეულობა

თუ §§ 844, 845-ის შემთხვევებში მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში ბრალი მიუძღვის დაზარალებულს, მაშინ მესამე პირის მოთხოვნის უფლების მიმართ გამოიყენება § 254-ის ნორმები.

§ 847. *(გაუქმებულია)*

§ 848. პასუხისმგებლობა შემთხვევისათვის ნივთის ჩამორთმევისას

პირი, რომელიც ვალდებულია დააბრუნოს მის მიერ სხვა პირისათვის დელიქტის შედეგად ჩამორთმეული ნივთი, პასუხისმგებელია ასევე ნივთის შემთხვევითი განადგურებისთვის, სხვა მიზეზით დამდგარი ნივთის უკან დაბრუნების შემთხვევითი შეუძლებლობის ან ნივთის შემთხვევითი გაუარესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთის უკან სხვაგვარად დაბრუნება შეუძლებელი გახდებოდა, ან მისი განადგურება თუ გაუარესება მოხდებოდა ნივთის ჩამორთმევის გარეშეც.

§ 849. საზღაურის თანხაზე პროცენტის დარიცხვა

თუ ნივთის ჩამორთმევის გამო უნდა ანაზღაურდეს მისი ღირებულება, ან თუ ნივთის დაზიანების გამო ანაზღაურებას ექვემდებარება ის თანხა, რომლითაც შემცირდა ღირებულება, მაშინ დაზარალებულს შეუძლია ასანაზღაურებელ თანხაზე მოითხოვოს პროცენტის დარიცხვა იმ მომენტიდან, როდესაც განისაზღვრა ნივთის ღირებულება.

§ 850. ხარჯების ანაზღაურება

თუ ჩამორთმეული ნივთის დაბრუნებაზე ვალდებული პირი ნივთზე სწევს ხარჯებს, მაშინ მას დაზარალებულის მიმართ ეკუთვნის ის უფლებები, რომლებიც ხარჯებთან დაკავშირებით მესაკუთრის მიმართ აქვს მფლობელს.

§ 851. ანაზღაურების თანხის გადახდა არაუფლებამოსილი პირისათვის

თუ მოძრავი ნივთის ჩამორთმევის ან დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანისათვის ვალდებული პირი კომპენსაციას უხდის იმ პირს, რომლის მფლობელობაშიც იმყოფებოდა ნივთი ჩამორთმევისა თუ დაზიანების მომენტისათვის, მაშინ იგი კომპენსაციის გადახდით თავისუფლდება ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ მესამე პირი იყო ნივთის მესაკუთრე, ან ჰქონდა სხვა უფლება ნივთზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისთვის ცნობილია მესამე პირის უფლების შესახებ, ან მან ამის შესახებ არ იცის უხეში გაუფრთხილებლობის გამო.

§ 852. უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ

¹თუ დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა დაზარალებულის ხარჯზე რაიმე მიიღო, მაშინ იგი დელიქტის მიხედვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც ვალდებულია უკან დაბრუნებაზე, უსაფუძვლო გამდიდრების წესების თანახმად. ²ამ მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია მისი წარმოშობიდან ათი წლის ვადის გასვლისთანავე, ან, მიუხედავად მისი წარმოშობის თარიღისა, 30 წლის შემდეგ ზიანის მიმყენებელი მოქმედების ჩადენიდან, ან ზიანის გამომწვევი სხვა მოვლენიდან.

1. დელიქტური მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობისათვის მოქმედებს § 195-ით გათვალისწინებული ხანდაზმულობის სტანდარტული ვადა, რომლის დენა იწყება § 199-ით დადგენილი წესის მიხედვით (იხ. § 195-ის პირველი და შემდეგი ველები). ამდენად, მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია იმ წლის ბოლოდან სამი წლის გასვლის შემდეგ, რომელშიც იგი წარმოიშვა და დაზარალებულმა პირმა შეიტყო ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ, ან მას აღნიშნულის შესახებ უნდა შეეტყო უხეში გაუფრთხილებლობის არარსებობისას.

2. § 852-ში ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის მიმართ დგინდება **დამატებითი მოგების ამოღების მოთხოვნის უფლება**. ნორმის მიზანია თავიდან აიცილოს დელიქტის ჩამდენის მიერ (მაგ., ქურდი ან თაღლითი) განხორციელებული ქმედებიდან მიღებული სარგებლის შენარჩუნება დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. საქმე ეხება დამოუკიდებელ მოთხოვნის უფლებას, რომელიც მიმართულია დელიქტური მოქმედების შემდეგად დაზარალებული პირის ხარჯზე მიღებულის უკან დაბრუნებისკენ და თავისი მოცულობით უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმებითაა (კერძოდ კი, § 818) შეზღუდული (შდრ. RegBerg BT-Drucks, 14/6040, 270; BGHZ, 71, 86, 98). ამ ე. წ. „დელიქტური უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების“ სამართლებრივი საფუძველია პირველი

წინადადება, ხოლო §§ 812 და შემდეგი პარაგრაფების ფაქტობრივი შემადგენლობის წინაპირობები არ საჭიროებს შემოწმებას (სამართლებრივ შედეგებზე მითითება).

§ 853. არაკეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული შესაგებელი

თუ პირი დაზარალებულის მიმართ მოთხოვნას იძენს მის მიერ ჩადენილი დელიქტის შედეგად, მაშინ დაზარალებულს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე მაშინაც კი, თუ მოთხოვნის გაუქმების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია.

ნიგნი 3. სანივთო სამართალი

§ 854-ის შესავალი

1. სანივთო სამართლის საგანია ქონებრივი სიკეთის უშუალო სამართლებრივი მიკუთვნება პირისათვის.

2. სანივთო-სამართლებრივი ნორმების გაგება გადავიღება, როდესაც ხდება განსაზღვრული სტრუქტურული პრინციპებისათვის ყურადღების მიქცევა (მდრ. *Baur/Stürmer*, § 4): ა) აბსოლუტურობის პრინციპი. სანივთო სამართალი ადგენს ე.წ. სანივთო უფლებებს, რომლებიც, განსხვავებით ვალდებულებით-სამართლებრივი ფარდობითი უფლებებისაგან, მოქმედებს ნებისმიერი პირის მიმართ; ბ) **numerus clausus პრინციპი**. სანივთო უფლებები შეიძლება წარმოიშვას, გადაეცეს და გაუქმდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული ფორმებით. განსხვავებით ვალდებულებითი სამართლისაგან (§ 311-ის პირველი ნაწილი) სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესში არ არსებობს შინაარსის შეცვლის თავისუფლება; გ) **განსაზღვრულობის პრინციპი**. სანივთო უფლებები, ასევე სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტივით, მხოლოდ საკმარისად განსაზღვრულ ცალკეულ ნივთებზე შეიძლება არსებობდეს; დ) **საჯაროობის პრინციპი**. ნებისმიერი პირის მიმართ მოქმედების შესაბამისად სანივთო უფლებები ასევე უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის ცნობადი. ამოსავალი წერტილის სახით მოძრავი ნივთების შემთხვევაში გამოიყენება მფლობელობა, ხოლო მიწის ნაკვეთების შემთხვევაში – საჯარო რეესტრში რეგისტრაცია; ე) **აბსტრაქციის პრინციპი**. სანივთო განკარგვითი გარიგების სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების არსებობასა და სამართლებრივ ძალაზე.

ნაწილი 1. მფლობელობა

§ 854. მფლობელობის შექმნა

(1) ნივთზე მფლობელობის შექმნა ხდება ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვებით.

(2) შეთანხმება თავდაპირველ მფლობელსა და შემქმნის შორის საკმარისია შესაძინად, თუ შემქმნის შეუძლია ნივთზე ბატონობის განხორციელება.

I. ზოგადი მიმოხილვა

1. **ცნება**. მფლობელობა არის ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა; ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, სახეზეა თუ არა უფლება მფლობელობის რეალიზაციისათვის.

2. მფლობელობის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეებია: ა) პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა. პირდაპირი მფლობელია ნებისმიერი ის პირი, რომელიც ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას (§ 854-ის პირველი ნაწილი), ან უშვებს ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებას მოსამსახურის მეშვეობით (§ 855); არაპირდაპირი მფლობელობა განმარტებულია § 868-ში.

ბ) მფლობელობა „თავისთვის“ და მფლობელობა „სხვისათვის“. ამ განსხვავებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მფლობელის ნების მიმართულებას. მფლობელობა თავისთვის განმარტებულია § 872-ში; „მფლობელი სხვისთვის“ კი, პირიქით, არის პირი, ვინც ნივთს ფლობს სხვა პირისათვის, მაგ., შუალობითი მფლობელი.

გ) ერთი პირის (ერთპიროვნული) მფლობელობა და თანამფლობელობა. ერთპიროვნული მფლობელი (მაგ., სახლის დამქირავებელი) არავის მიერ არ არის

შეზღუდული თავის მფლობელობით მდგომარეობაში; თვით ნივთის ნაწილის მფლობელიც (მაგ., საცხოვრებელი ბინის დამქირავებელი) ერთპიროვნული მფლობელია (შდრ. § 865). თანამფლობელობა კი, პირიქით, არის ერთობლივი მფლობელობა (იხ. § 866). ცალკეულ შემთხვევებში ერთმანეთისაგან განასხვავებენ, ერთი მხრივ, **მარტივ** თანამფლობელობას, რომლის დროსაც ნებისმიერ თანამფლობელს შეუძლია დამოუკიდებლად ნივთზე ბატონობის განხორციელება (მაგ., დამქირავებლების საერთო ბაღი) და **კვალიფიციურ** თანამფლობელობას, რომლის დროსაც რამდენიმე პირს შეუძლია ნივთზე მფლობელობის განხორციელება მხოლოდ ერთობლივად (მაგ., ერთობლივი შენახვა გასაღებების ერთდროულად გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში). სოლიდარული ვალდებულების კისრების გამო კვალიფიციური თანამფლობელობა აქვთ ასევე თანამემკვიდრეებს უშუალოდ მემკვიდრეობის გახსნის მომენტში (შდრ. § 857). იურიდიული პირები და უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობები (შდრ. მათთან § 14, მე-2 ველი) ასეთი მფლობელობები; მათი ორგანოების მიერ განხორციელებული ნივთზე ბატონობა ითვლება ამ ორგანიზაციული წარმონაქმნების მიერ განხორციელებულად (ორგანოების მფლობელობა). იგივე უნდა მოქმედებდეს, როგორც წესი, ასევე სამოქალაქო ამხანაგობების მიმართაც (თუმცა, განსხვავებული პოზიცია იხ. BGHZ, 86, 340), რომლებიც, ახალი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, აღიარებული არიან როგორც უფლებაუნარიანები (შდრ. § 705-ის შესავლის მე-5 ველი).

II. პირდაპირი მფლობელობის შექმნა

- 5 **1.** მოპოვებულ იქნა თუ არა ნივთზე **ფაქტობრივი ბატონობა**, ნყვეტს სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული შეხედულება. გაბატონებული შეხედულების თანახმად, პირდაპირი მფლობელობის მიღებისათვის დაუწერელი წინაპირობაა **მფლობელობის მოპოვების ნება**. საკმარისია ბუნებრივი ნება, რომელიც ასევე შეიძლება ქმედუწუნარო პირსაც ჰქონდეს. არ არის აუცილებელი, მფლობელობის მოპოვების ნება ეხებოდეს კონკრეტულ ნივთს, საკმარისია გარეგნულად შესამჩნევი ზოგადი ნება (იხ. BGHZ, 101, 186, 189), მაგ., საფოსტო ყუთის დაყენება, რომელიც განკუთვნილი იქნება ყველანაირი საფოსტო გზავნილისათვის.
- 6 **2.** მე-2 ნაწილის თანახმად, საკმარისია **კერძო-სამართლებრივი შეთანხმება** (გაბატონებული შეხედულება: ქმედუწუნარიანობა მოითხოვება და წარმომადგენლობა დასაშვებია; განსხვავებული პოზიცია იხ. *MiKo-Joost*, 32-ე ველი), როდესაც შემძენს აქვს ნივთზე ბატონობის განხორციელების **შესაძლებლობა**. თუმცა, ასევე მე-2 ნაწილის თანახმად, არამფლობელისაგან მფლობელობის კეთილსინდისიერი შექმნა გამორიცხულია.
- 7 **3.** ფაქტობრივი ბატონობის მოპოვებისათვის (პირველი ნაწილი), როგორც წმინდა ბატონობის განხორციელების შესაძლებლობისათვის (მე-2 ნაწილის), აუცილებელია, რომ თავდაპირველმა პირდაპირმა მფლობელმა **უარი თქვას თავის პირდაპირ მფლობელობაზე** (BGHZ, 27, 360). მუშაკმა, რომელმაც გამაცხელებელი ელემენტი მოიტანა სამშენებლო უბანზე და განათავსა იქ ნაწილობრივ გამოსაცდელად, როგორც წესი, ამით უარს ავლენს ნივთის მფლობელობაზე (BGHZ, 58, 309, 314).

§ 855. მპყრობელი

თუ პირი ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე სხვა პირისათვის ამ უკანასკნელის

საოჯახო მეურნეობასა თუ სამეწარმეო საქმიანობაში ან სხვა ურთიერთობაში, რომლის ძალითაც მან ნივთთან დაკავშირებით უნდა შეასრულოს სხვა პირის მითითებები, მაშინ მფლობელია მხოლოდ სხვა პირი.

მპყრობელი (მოსამსახურე) უნდა იმყოფებოდეს გარეგნულად შესამჩნევ (სადა- 1
ვოა; განსხვავებული პოზიცია იხ. *Baur/Stürmer*, § 7) **სოციალურად დამოკიდებულ ურთიერთობაში** მფლობელთან; წმინდა ეკონომიკური დამოკიდებულება საკმარისი არ არის (BGHZ, 27, 360, 363). მუშები, მოსამსახურეები და თანამდებობის პირები, როგორც წესი, წარმოადგენენ მპყრობელებს. მპყრობელმა უნდა განახორციელოს ფაქტობრივი ბატონობა დამოკიდებული ურთიერთობის ფარგლებში. მპყრობელის საწინააღმდეგო ნება მხედველობაში არ მიიღება (BGHZ, 8, 130, 134). თუმცა, თუ მპყრობელი აშკარად ავლენს იმის ნებას, რომ მას აღარ სურს ფლობა მფლობელობისათვის, მაშინ იგი კარგავს თავის მფლობელობას. მპყრობელობის შემთხვევაში ნივთების დაკარგვისათვის შდრ. § 935-ის მე-3 ველი.

§ 856. მფლობელობის შეწყვეტა

(1) მფლობელობა წყდება, თუ მფლობელი უარს ამბობს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობაზე ან სხვაგვარად კარგავს მას.

(2) თავისი ბუნებით ბატონობის განხორციელების დროებითი შეფერხება არ წყვეტს მფლობელობას.

§ 857. მფლობელობის გადასვლა მემკვიდრეობით

მფლობელობა გადადის მემკვიდრეებზე.

მემკვიდრეების მფლობელობა არის მფლობელობა ნივთზე ფაქტობრივი ბა- 1
ტონობის გარეშე (შდრ. § 854-ის პირველი ნაწილი). მემკვიდრეების მფლობელობის ფორმა შეესაბამება მამკვიდრებლის მფლობელობას. მფლობელობის ნება არ მოითხოვება, თვით სამკვიდროს გახსნის შესახებ ცოდნაც კი (დეტალურად *Baur/Stürmer*, § 8, მე-2 და შემდეგი ველები). გასათვალისწინებელია: ვითომ-მემკვიდრის მხრიდან სამკვიდროში შემავალი ნივთის გასხვისებისას § 857, როგორც წესი, შედეგად ადგენს ნივთებზე ფაქტობრივი მფლობელობის დაკარგვას, § 935-ის გაგებით (მემკვიდრის დაცვა). განსხვავებული წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთის გასხვისებისას ვითომმემკვიდრე სამკვიდრო მოწმობით არის უფლებამოსილი (შდრ. § 2366).

§ 858. აკრძალული თვითნებობა

(1) პირი, რომელიც მფლობელს ამ უკანასკნელის ნების გარეშე ართმევს მფლობელობას ან ხელს უშლის მფლობელობის განხორციელებაში, მოქმედებს უკანონოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი უშვებს ნივთის ჩამორთმევას ან ხელის შეშლას (აკრძალული თვითნებობა).

(2) ¹აკრძალული თვითნებობის შედეგად შეძენილი მფლობელობა ხარვეზიანია. ²მფლობელის უფლებამონაცვლემ უნდა დაუშვას მის მიმართ მფლობელობის ხარვეზიანობის გამო პრეტენზიის წარდგენა, თუ იგი არის მფლობელის მემკვიდრე ან მფლობელობის შეძენისას მან იცის მისი წინამორბედის მფლობელობის ხარვეზიანობის შესახებ.

1. აკრძალული თვითნებობა არის მფლობელობის დაცვის ძირითადი ცნება, 1
§§ 858-862-ის თანახმად. აკრძალული თვითნებობა ყოველთვის მიმართულია პირდაპირი მფლობელობის წინააღმდეგ. საქმე ეხება ისეთ ობიექტურ ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც წინაპირობად არ აყენებს მართლწინააღმდეგობის ან ბრალეულობის შეგნებას.

2. § 858 არის დამცავი კანონი, § 823-ის მე-2 ნაწილის გაგებით (BGHZ, 20, 169, 171). აკრძალული თვითნებობად შეიძლება გაგებულ იქნეს ასევე უკანონო პარ- 2
კირება კერძო მიწის ნაკვეთზე. შესაბამისად, მფლობელს შეუძლია, § 823-ის მე-2 ნაწილის თანახმად (§ 858-თან კავშირში), ზიანის მიმყენებლისაგან მოითხოვოს

მისი მიერ გამოცხადებული ევაკუაციის კერძო სამსახურისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურება (BGH NJW, 2009, 2530).

3. აკრძალული თვითნებობა წინაპირობად აყენებს იმას, რომ მფლობელს ხელი უნდა ეშვა ეშვებოდეს მის მიერ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებაში. ამას, მაგ., არ მიეკუთვნება ისეთი შემთხვევა, როდესაც გამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ დროებით წყვეტს გაქირავებული ფართისათვის გათბობისა თუ სხვა მომსახურების მიწოდებას, ვინაიდან ამით მფლობელს ხელი არ ეშლება გაქირავებულ ფართის, როგორც ასეთის, ხელმისაწვდომობაში (BGH NJW, 2009, 1947).

§ 859. მფლობელის თვითდახმარების უფლება

(1) მფლობელს შეუძლია ძალით დაიცვას თავი აკრძალული თვითნებობისაგან.

(2) თუ მოძრავი ნივთი ჩამოერთვა მფლობელს აკრძალული თვითნებობის გზით, მაშინ მას შეუძლია მისი ძალით დაბრუნება დამრღვევისაგან, რომელსაც წაასწრეს ადგილზე ან აღმოაჩინეს ცხელ კვალზე დადევნების შედეგად.

(3) თუ მიწის ნაკვეთის მფლობელს ჩამოერთვა მფლობელობა აკრძალული თვითნებობის გზით, მაშინ მას შეუძლია, მფლობელობის ჩამორთმევის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბრუნოს მფლობელობა დამრღვევის გაძევებით.

(4) ანალოგიური უფლებები ეკუთვნის მფლობელს იმ პირის მიმართ, რომელმაც, § 858-ის მე-2 ნაწილის თანახმად, უნდა დაუშვას მის მიმართ მფლობელობის ხარვეზიანობის გამო პრეტენზიის წარდგენა.

1. მფლობელობის დაცვა მესამე პირებისაგან (პირველი ნაწილი) და მფლობელის მიერ ნივთის უკან დაბრუნება (მე-2 ნაწილი) არის პირდაპირი მფლობელის თვითდახმარების უფლებები (მპყრობელის შემთხვევისათვის იხ. § 860). თუმცა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ისინი ეხება ასევე არაპირდაპირ მფლობელს, § 869-ის ანალოგიით, როდესაც შუალობითი მფლობელის მიმართ განხორციელდება აკრძალული თვითნებობა (Staudinger-Bund, {2007}, § 869 მე-2 ველი; განსხვავებული შეხედულება იხ. MüKo-Joost, § 869 მე-7 ველი).

§ 860. მპყრობელის თვითდახმარების უფლება

§ 859-ის თანახმად, მფლობელის კუთვნილი უფლებების განხორციელებაზე უფლებამოსილია ასევე ის პირი, რომელიც, § 855-ის მიხედვით, მფლობელისათვის ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას.

§ 861. მოთხოვნის უფლება მფლობელობის ჩამორთმევის გამო

(1) თუ მფლობელს აკრძალული თვითნებობის მეშვეობით ჩამოერთვა მფლობელობა, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის აღდგენა იმ პირისაგან, რომელიც ნივთს მასთან მიმართებით ხარვეზით ფლობს.

(2) მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ ჩამორთმეული მფლობელობა არსებული მფლობელის ან მისი წინამორბედის მიმართ იყო ხარვეზიანი და მოპოვებულ იქნა მფლობელობის ჩამორთმევამდე ბოლო წლის განმავლობაში.

1. მფლობელობის დაცვის მოთხოვნის უფლების წინაპირობაა პირდაპირი მფლობელის წინააღმდეგ განხორციელებული აკრძალული თვითნებობა (§ 858-ის პირველი ნაწილი); არაპირდაპირი მფლობელი დაცულია § 869-ით. მოთხოვნის უფლება შეიძლება, § 861-ის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოირიცხოს, ან, § 864-ის თანახმად, გაუქმდეს. მფლობელობის ხარვეზიანობა, რომელზეც საუბარია § 861-ის მე-2 ნაწილში, განიმარტება § 858-ის მე-2 ნაწილის პირველ წინადადებაში.

2. განსახილველ შემთხვევაში საქმე ეხება ე. წ. **პოსესორულ მოთხოვნის უფლებას** – განსხვავებით ქვემოთ, მე-3 ველში დასახელებული პეტიტორული მოთხოვნის უფლებებისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ მფლობელობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება დამოუკიდებლად წარმოიშობა და რომ მფლობელობის უფლება არ უნდა არსებობდეს; თვით მოთხოვნის უფლების მოპასუხესაც არ შეუძლია, § 863-ის შესაბამისად, როგორც წესი, მფლობელობის უფლებაზე მითითება, ანუ, მაგ., იმაზე, რომ იგი მესაკუთრეა, ან ნივთის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება აქვს. მოთხოვნის უფლების მიზანია, მფლობელს – § 859-ით გათვალისწინებული თვითდახმარების უფლებასთან ერთად – სასარჩელო წესით მიეცეს თავდაპირველი მდგომარეობის სწრაფად აღდგენის შესაძლებლობა.

3. შესაძლებელია არსებობდეს **მოთხოვნის უფლების კონკურენცია** ე. წ. **პეტიტორულ მოთხოვნის უფლებებთან**, რომლებიც უფლებიდან გამომდინარეობს და, შესაბამისად, სამართლებრივ მდგომარეობას (პოსესორული მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით) საბოლოოდ არკვევს. დასახელებულია, კერძოდ, §§ 985 და 1007.

§ 862. მოთხოვნის უფლება მფლობელობის განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო

(1) ¹თუ მფლობელს აკრძალული თვითნებობის მეშვეობით ხელი ეშლება მფლობელობის განხორციელებაში, მაშინ მას შეუძლია, დამრღვევისაგან მოითხოვოს ხელის შეშლის აღკვეთა. ²თუ არსებობს შემდგომი ხელის შეშლის საფრთხე, მაშინ მფლობელს შეუძლია წარადგინოს ნეგატორული სარჩელი.

(2) მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მფლობელის ფლობა დამრღვევის ან მისი წინამორბედის მიმართ ხარვეზიანია და მფლობელობა მოპოვებულ იქნა მფლობელობის ხელის შეშლამდე ბოლო წლის განმავლობაში.

ნორმა ადგენს დამატებით პოსესორული მფლობელობის დაცვის მოთხოვნის უფლებას, რომლის ზოგადი წინაპირობები შეესაბამება § 861-ის წინაპირობებს. **1**

§ 863. მფლობელობის ჩამორთმევის ან მფლობელობის დამრღვევის შესაგებელი მფლობელობის უფლება ან მფლობელობის დამრღვევი მოქმედების განხორციელება შეიძლება გამოყენებულ იქნეს §§ 861, 862-ით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებების საპირისპიროდ, მხოლოდ იმის მტკიცების დასადასტურებლად, რომ მფლობელობის ჩამორთმევა ან მფლობელობის ხელის შეშლა არ არის აკრძალული თვითნებობა.

1. ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს ისე, რომ აკრძალული თვითნებობა საჩივრდება, თუმცა, მფლობელობის უფლების გამოყენება დაუშვებელია; შესაბამისად, მფლობელობის უფლება არ ცვლის აკრძალულ თვითნებობას (§ 858) (იხ. *MüKo-Joost*, მე-6 ველი). პეტიტორული შესაგებლების გამორიცხვას პოსესორული მოთხოვნის უფლების მიმართ ის **აზრი** აქვს, რომ დაჩქარდეს მფლობელობის დაცვა სასამართლოში საქმის განხილვისას.

2. შეგებებულ სარჩელს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 33), მფლობელობის უფლებიდან გამომდინარე (პეტიტორული შეგებებული სარჩელი), სასამართლო პრაქტიკა და გაბატონებული შეხედულება, § 863-ის მიუხედავად, შეუზღუდავად დასაშვებად მიიჩნევს (BGHZ, 53, 166, 169). ამას, როგორც წესი, უნდა დავეთანხმოთ, ვინაიდან § 863-თან შეუთავსებელი § 861-იდან და შემდეგი პარაგრაფებიდან გამომდინარე მფლობელობითი სარჩელის განხილვა სწორი პროცედურის შემთხვევაში არ გაჭიანურდება. კერძოდ, გადაწყვეტილებისათვის გამზადებული მფლობელობითი სარჩელის შესახებ შეიძლება დაუყოვნებლივ იქნეს

მიღებული ნაწილობრივი გადაწყვეტილება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 301) და შეგებებული სარჩელისათვის მტკიცებულების წარდგენა აუცილებელი აღარ არის. არ შეიძლება საუბარი იმაზე, რომ პეტიტორული შეგებებული სარჩელის დაშვება იწვევს არასასურველ სტიმულს უკანონო თვითდახმარებისათვის (იხ., მაგ., *Westermann/Gursky*, § 24, II, 4). თუმცა, ეჭვს არ იწვევს ის, რომ BGHZ, 73, 355-ს, ორივე სარჩელის გადაწყვეტილებისათვის ერთდროული მზადყოფნის შემთხვევაში, „თავის თავში“ დასაბუთებული მფლობელობის დაცვის სარჩელის უკვე სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე სურს შეგებებულ სარჩელზე უარის თქმა; შესაბამისად, § 864-ის მე-2 ნაწილის თანახმად, მფლობელობის დაცვის მოთხოვნის უფლება უქმდება მხოლოდ **კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე** დამრღვევის უფლებამოსილების დადგენის შემთხვევაში, ხოლო კანონის ეს შეფასება არ უნდა შესწორდეს სასამართლო პრაქტიკის საჭიროების გარეშე (დეტალურად იხ. *MüKo-Joost*, მე-10 ველი).

§ 864. მფლობელობის მოთხოვნის უფლებების გაუქმება

(1) **§§ 861, 862-იდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება უქმდება აკრძალული თვითნებობის ჩადენიდან ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ, თუ მოთხოვნის უფლების რეალიზაცია სარჩელის წარდგენით უფრო ადრე არ მოხდა.**

(2) მოთხოვნის უფლება არ უქმდება, აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც, თუ აკრძალული თვითნებობის ჩადენის შემდეგ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდება, რომ აკრძალული თვითნებობის ჩამდენს აქვს ნივთზე ისეთი უფლება, რომლის ძალითაც მას შეუძლია თავისი მოქმედების შესაბამისი მფლობელობითი მდგომარეობის დადგენა.

- 1 განსახილველ შემთხვევაში საქმე ეხება ე. წ. უკიდურეს ვადას, ვინაიდან ვადის გასვლა იწვევს მოთხოვნის უფლების გაუქმებას. მისი დაცვა ხდება სასამართლოს ინიციატივით.

§ 865. ნაწილობრივი მფლობელობა

§§ 858-864-ის ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, იმ პირის სასარგებლოდაც, რომელიც ფლობს მხოლოდ ნივთის ნაწილს, კერძოდ კი, განცალკევებულ საცხოვრებელ ფართს ან სხვა ფართებს.

§ 866. თანამფლობელობა

თუ რამდენიმე პირი ნივთს ერთობლივად ფლობს, და თუ საქმე ეხება ცალკეული მათგანის კუთვნილ სარგებლობის ფარგლებს, მაშინ ერთმანეთს შორის ურთიერთობაში მფლობელობის დაცვა არ ხდება.

- 1 ნორმა ზღუდავს პოსესორულ მფლობელობის დაცვას თანამფლობელებს შორის (მდრ. § 854, მე-4 ველი) მფლობელობის მთლიანად ჩამორთმევის შემთხვევებით. მხოლოდ მფლობელობის ხელის შეშლისათვის სასამართლო პრაქტიკა, მიუხედავად § 866-ისა, დასაშვებად მიიჩნევს მფლობელობის დელიქტურ დაცვას, § 823-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (BGHZ, 62, 243).

§ 867. მფლობელის მიერ დევნის განხორციელების უფლება

როცა ნივთი ვადის მფლობელის ბატონობიდან და აღმოჩნდება სხვა პირის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მაშინ მიწის ნაკვეთის მფლობელმა უნდა დართოს მას ნივთის ძებნისა და დაბრუნების ნება, თუ ნივთი ამ დროს არ იყო მფლობელობაში მიღებული. ¹მიწის ნაკვეთის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს

ძებნისა და ნივთის დაბრუნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ³თუ არსებობს ზიანის მიყენების საფრთხე, მაშინ მას შეუძლია, უარი თქვას მიწის ნაკვეთზე დაშვებაზე მანამდე, სანამ მას არ წარედგინება უზრუნველყოფა; უარის თქმა დაუშვებელია, თუ დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან.

§ 868. არაპირდაპირი მფლობელობა

თუ პირი ნივთს ფლობს როგორც უზუფრუქტუარი, მოგირავნე, მოიჯარე, დამქირავებელი, შემნახველი ან მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომლის ძალითაც იგი სხვა პირის მიმართ განსაზღვრული ვადით არის უფლებამოსილი ან ვალდებული ფლობაზე, მაშინ სხვა პირი ასევე არის მფლობელი (არაპირდაპირი მფლობელობა).

1. ნორმიდან გამომდინარეობს ორი წინაპირობა არაპირდაპირი მფლობელობისათვის:

ა) შუალობითი მფლობელობის პირდაპირი მფლობელობა სხვისათვის. ამდენად, ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს იმის ნება, რომ ნივთს ფლობდეს როგორც მფლობელი სხვა პირისათვის (უზუფრუქტუარი და ა. შ.). ამ ნების გარეგნულად შესამჩნევი შეცვლის შემდეგ არაპირდაპირი მფლობელობა წყდება, ან მისი წარმოშობა ფერხდება იმისაგან დამოუკიდებლად, ვლინდება თუ არა ის თავდაპირველი ან დამწყები არაპირდაპირი მფლობელის მიმართ (BGHZ, 161, 90, 113: მოწყობილობებისაგან საიდენტიფიკაციო ნორმების მოშორება).

ბ) შუალობითი მფლობელობის ურთიერთობა, ანუ, როგორც წესი, გარიგება, რაც, ამავე დროს, არ არის აუცილებელი, რომ იყოს ნამდვილი, რამდენადაც არსებობს მხოლოდ ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლება შუალობითი მფლობელის მიმართ (მაგ., § 812-იდან გამომდინარე). § 868-ში სიტყვებიდან – „განსაზღვრული ვადით“ – გამომდინარეობს, რომ შუალობითი მფლობელობის ურთიერთობა ყოველთვის წინაპირობად აყენებს არაპირდაპირი მფლობელის ძალმოსილ ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლებას (შდრ. ასევე § 870). ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლება, რომელიც, ძირითადად, ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, ქმნის შუალობითი მფლობელობის ურთიერთობის გადამწყვეტ მომენტს.

2. სადავოა, შეიძლება თუ არა წარმოიშვას ე. წ. პარალელური არაპირდაპირი მფლობელობა, როდესაც პირდაპირი მფლობელი სხვადასხვა პირისათვის აღიარებს ორ განცალკევებულ შუალობითი მფლობელობის ურთიერთობას. საკითხი, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია § 934-თან კავშირში (იხ. იქვე).

§ 869. არაპირდაპირი მფლობელის მოთხოვნის უფლებები

¹თუ მფლობელის მიმართ ჩადენილ იქნა აკრძალული თავნებობა, მაშინ §§ 861-862-ით განსაზღვრული მოთხოვნის უფლებები ეკუთვნის ასევე არაპირდაპირ მფლობელსაც. ²მფლობელობის ჩამორთმევის შემთხვევაში არაპირდაპირი მფლობელი უფლებამოსილია, მოითხოვოს თავდაპირველი მფლობელის მფლობელობის აღდგენა; თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია, ან არ სურს მფლობელობის დაბრუნება, მაშინ არაპირდაპირ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს, რომ მფლობელობა გადაეცეს თავად მას. ³ანალოგიური წინაპირობების არსებობისას არაპირდაპირ მფლობელს § 867-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს, რომ მას დაერთოს ნივთის ძებნისა და დაბრუნების ნება.

გაბატონებული შეხედულების თანახმად, პირველი წინადადება, მისი სიტყვა-სიტყვითი გაგების მიუხედავად, მოქმედებს ასევე § 859-ში განსაზღვრული მოთხოვნის უფლებების მიმართაც (იხ. იქვე, პირველი ველი).

§ 870. არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა

არაპირდაპირი მფლობელობა შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ამ უკანასკნელი-სათვის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების დათმობის გზით.

§ 871. მრავალსაფეხურიანი არაპირდაპირი მფლობელობა

თუ არაპირდაპირ მფლობელი მესამე პირთან იმყოფება § 868-ში აღნიშნული სახის ურთიერთობაში, მაშინ მესამე პირი ასევე არის არაპირდაპირი მფლობელი.

§ 872. მფლობელობა თავისთვის

პირი, რომელიც ნივთს ფლობს როგორც საკუთარს, არის მფლობელი თავისთვის.

- 1 მფლობელობა თავისთვის მნიშვნელოვანია როგორც საკუთრების უფლების შექმნისა (§ 929 და შემდეგი პარაგრაფები, §§ 937, 955, 958) და საკუთრების უფ-ლების არსებობის წინაპირობა, § 1006-ის თანახმად (დასაბუთება იხ. 1006-ის პირ-ველი ნაწილის მე-3 წინადადებასთან ერთად).

ნაწილი 2. მიწის ნაკვეთებზე არსებული უფლებების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები

§ 873. შექმნა შეთანხმებითა და რეგისტრაციით

(1) მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადასაცემად, მისი უფლებით და-სატივრთთავად, ასევე ასეთი უფლების გადასაცემად თუ უფლებრივად დასატივრ-თავად საჭიროა უფლებამოსილი პირისა და მეორე მხარის შეთანხმება უფლებრივი ცვლილების შესახებ და მისი რეგისტრაცია საადგილმამულო რეესტრში, თუ კანონ-ი სხვა წესს არ ითვალისწინებს.

(2) რეგისტრაციამდე მხარეები შებოჭილნი არიან შეთანხმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადებები დამოწმებულია სანოტარო წესით, ან ისინი გა-კეთდა საადგილმამულო რეესტრის სამსახურის წინაშე, ან წარედგინა ამ უკანასკ-ნელს, ანდა თუ უფლებამოსილმა პირმა მეორე მხარეს მისცა „საადგილმამულო რეესტრის წარმოების შესახებ“ კანონის ნორმების შესაბამისი თანხმობა რეგისტ-რაციის განხორციელებაზე.

I. მიწის ნაკვეთებზე უფლებების შექმნის წინაპირობები

- 1 როგორც წესი, უფლებების შექმნის ოთხი წინაპირობა უნდა დადგინდეს, § 873-იდან გამომდინარე.
- 2 **1. სანივთო შეთანხმება.** სანივთო ხელშეკრულება, რომლის მიმართაც, რო-გორც წესი, გამოიყენება გარიგებების შესახებ (§§ 104-185) ზოგადი ნორმები. როგორც წესი, სანივთო შეთანხმება არ საჭიროებს სპეციალური ფორმის დაცვას (თუმცა, შდრ. § 925-ის პირველი ნაწილი).
- 3 **2. რეგისტრაცია.** სანივთო შეთანხმება და რეგისტრაცია მხოლოდ ერთობლი-ვად იწვევს სანივთოსამართლებრივ უფლებრივ ცვლილებას, ე. წ. გახანგრძლივე-ბული შექმნის ფაქტობრივ შემადგენლობას. სანივთო შეთანხმებასა და რეგისტ-რაციას შორის შინაარსობრივი სხვაობის შემთხვევაში, ზოგადად, არ წარმოიშობა არც შეთანხმებული უფლება (რეგისტრაციის არარსებობის გამო) და არც რეგისტ-რირებული უფლება (სანივთო შეთანხმების არარსებობის გამო) (დეტალურად იხ. *Baur/Stürmer*, § 19, 30-ე და შემდეგი ველები). საჯარო რეესტრის წარმოების შე-სახებ კანონის რეგისტრაციის ფორმალურ-სამართლებრივი წინაპირობებისათვის იხ. ქვემოთ, მე-2 ნაწილი.

3. თანხმობა რეგისტრაციის მომენტში. მე-2 ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ 4
სანივთო შეთანხმება, მისი კერძოსამართლებრივი ხასიათის მიუხედავად, რეგისტრაციამდე, როგორც წესი, არ არის მავალდებულებელი (მბოჭავი) და მაზე ცალმხრივად შეიძლება ითქვას უარი. **ბოჭვა** და, შესაბამისად, უფრო ადრინდელი ვადისათვის გადმონევა დგება მხოლოდ მე-2 ნაწილში დასახელებული ფორმალური წინაპირობების არსებობისას, მაგ., როგორც წესი, სანოტარო წესით დამოწმებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების შემთხვევაში (შდრ. § 925). თუმცა, ზოგადად, აღიარებული შეხედულების თანახმად, მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამდგარ ბოჭვას არ აქვს განკარგვის შემზღუდველი შედეგი მესამე პირების მიმართ (შდრ. BGHZ, 49, 197, 200); განმკარგავი, პირიქით, შეძენის პროცესის დასრულებამდე რჩება „უფლებამოსილი“ და მას შემდგომშიც შეუძლია მიწის ნაკვეთის სხვაგვარად ძალმოსილად გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა. ის, თუ რა წინაპირობების არსებობისას წარმოიშობა **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება** ბოჭვის დადგომის შემდეგ, განხილული იქნება მიწის ნაკვეთის შეძენის სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების პრაქტიკულად ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითზე.

4. უფლებამოსილება. პირველი ნაწილის გაგებით, „უფლებამოსილია“ ის, ვინც 5
უფლების მიმართ უფლებამოსილია განკარგვაზე, ამდენად, როგორც წესი, უფლების მფლობელი ან მისი თანხმობით მოქმედი პირი (§ 185). უფლების ფლობის ნაკლები შეიძლება გადაიღახოს §§ 892, 893-ის მეშვეობით. უფლებამოსილების არსებობისათვის სათანადო მომენტია უფლების შეძენის დასრულება (ანუ რეგისტრაცია, როდესაც იგი ხორციელდება სანივთო შეთანხმების შემდეგ); გამოწვევები მოქმედებს განკარგვის შემზღუდველის მიმართ § 878-ით დადგენილი წესით.

5. სანივთო შეთანხმებისა და რეგისტრაციის აუცილებლობის მიმართ სპეციალური დანაწესები დასაშვებია პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად. 6
მაგ., განსაზღვრული სახის იპოთეკისა და მიწის ვალის დასადგენად საჭიროა არა შეთანხმება, არამედ მხოლოდ ცალმხრივი განცხადება (მაგ., §§ 1188, 1195), დოკუმენტში გამოხატული უფლების დადგენა სანივთო შეთანხმებასა და რეგისტრაციასთან ერთად დამატებით საჭიროებს მოწმობის გადაცემას (§ 1117), ხოლო საბარათე იპოთეკისა თუ საბარათე მიწის ვალის გადაცემა ხორციელდება რეგისტრაციის გარეშე (§§ 1154, 1192).

II. რეგისტრაციის წინაპირობები საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის თანახმად

ისინი იყოფა მატერიალურ წინაპირობებად, რომლებსაც სამოქალაქო კოდექსი 7
§ 873-ში ადგენს უფლების შეძენისათვის და მათ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საჯარო რეესტრის სამსახურისათვის (ფორმალური უფლება). მათი დარღვევა არ ეხება რეგისტრაციის ნამდვილობას და საჯარო რეესტრს უსწორებს არ ხდის. ცალკეულ შემთხვევებში საჯარო რეესტრი რეგისტრაციისათვის ითხოვს, როგორც წესი, შემდეგს:

1. განაცხადი (საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 13). რამდენიმე 8
განაცხადის შემთხვევაში მათი რეესტრში შემოსვლის მომენტი განსაზღვრავს რეგისტრაციების რიგითობას (საადგილმამულო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის §§ 17, 45) და აღნიშნული რიგითობის მიხედვით დგინდება უფლებათა რიგიც (შდრ. § 879).

2. თანხმობა (საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 19; ფორმა: 9
§ 29). როგორც წესი, საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 19-ის თანახმად, საკმარისია უფლებამოსილი პირის მხრიდან ცალმხრივი თანხმობა (ე. წ. **ფორმალური კონსენსუსის პრინციპი**) იმ შემთხვევაშიც, როდესაც § 873

მატერიალურსამართლებრივ წინაპირობად აყენებს სანივთო შეთანხმებას. საჯარო რეესტრის მომწესრიგებელი ნორმების თანახმად, სანივთო შეთანხმების არსებობის მტკიცებულების წარდგენა შეიძლება მხოლოდ გამონაკლისის სახით საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 20-ის საფუძველზე და ამავე დროს, უპირველეს ყოვლისა, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმებისათვის; ამდენად, ამ შემთხვევაში საუბრობენ **ფორმალური კონსენსუსის პრინციპზე**.

10 3. უფლებამოსილი პირის წინასწარი რეგისტრაცია (საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 39). თუ უფლებამოსილი პირი არ არის რეგისტრირებული, მაშინ საჯარო რეესტრი პირველ რიგში უნდა შესწორდეს, ვინაიდან საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 39-ს სურს იმის მიღწევა, რომ უფლებრივი მდგომარეობა საჯარო რეესტრში განვითარების ყველა ეტაპზე, და არა მხოლოდ უკანასკნელ სტადიაზე, ნათლად და გასაგებად იყოს რეპროდუცირებული (BGHZ, 18, 293).

III. საჯარო რეესტრი

11 საჯარო რეესტრი არის ოფიციალური რეესტრი, რომელსაც აწარმოებს პირველი ინსტანციის სასამართლო, როგორც საჯარო რეესტრის მწარმოებელი უწყება, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ყველა მიწის ნაკვეთის მიმართ (საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 1). საჯარო რეესტრი ახორციელებს მატერიალური საჯაროობის პრინციპს და ამ მხრივ, მოძრავი ნივთების შემთხვევაში, მას შეესაბამება მფლობელობის ფუნქცია. მასთან დაკავშირებულია ასევე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი (§§ 873, 925), საკუთრების უფლების არსებობის პრეზუმფცია (§ 891) და კეთილსინდისიერება (§§ 892, 893). იმისათვის, რათა საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციები განხორციელდეს მხოლოდ ნდობის საფუძველზე, საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 29-ის თანახმად, რეგისტრაციაზე თანხმობები საჭიროებს ოფიციალურ დამოწმებას (შდრ. § 129-ის პირველი ველი)¹³⁵.

საჯარო რეესტრის თითოეული განყოფილება (მიწის ნაკვეთის, აღნაგობისა თუ ბინის საკუთრებისათვის) შეესაბამება შემდეგ სტრუქტურას:

1. საინვენტარიზაციო აღწერა მოიცავს ფაქტობრივ მონაცემებს (მაგ., მიწის ნაკვეთის საზღვრების მონიშვნა, მისი სამეურნეო დანიშნულება და მდგომარეობა, ფართობი). ამ მხრივ ის არ ავლენს საჯაროობის პრინციპს. საჯარო რეესტრის საინვენტარიზაციო აღწერაში შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს რამდენიმე მიმდინარე ნომერი. ამ შემთხვევაში, ნებისმიერი მიმდინარე ნომერი, სამართლებრივი გაგებით, ქმნის საკუთარ მიწის ნაკვეთს. თუ, პირიქით, რამდენიმე მიწის ნაკვეთი (ცალკე აზომილი ფართობები) საინვენტარიზაციო აღწერაში აღირიცხება ერთიანი ნომრით, მაშინ ეს ფართობები ერთად ქმნის მიწის ნაკვეთს, სამართლებრივი გაგებით.

2. პირველი განყოფილება ეთმობა მესაკუთრეს, ისევე როგორც ყველა სამართალმემკვიდრესა და შეძენის საფუძველს;

3. მეორე განყოფილება შეიცავს საჩივრებს, წინასწარ ჩანაწერებსა და შეზღუდულ სანივთო უფლებებს (მაგ., სერვიტუტები და სანივთო ტვირთი);

4. მესამე განყოფილება შეიცავს რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე დადგენილ უზრუნველყოფი უფლებებს (მიწის ვალი, იპოთეკა და, იშვიათად, სარენტო ვალი)¹³⁶.

135 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

136 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

§ 874. მითითება რეგისტრაციის განხორციელების თანხმობაზე

იმ უფლების რეგისტრაციისას, რომლითაც იტვირთება მიწის ნაკვეთი, უფლების შინაარსის უფრო დეტალური აღწერისათვის შეიძლება გაკეთდეს მითითება რეგისტრაციის განხორციელების თანხმობაზე, თუ კანონი სხვა წესს არ ითვალისწინებს.

§ 875. უფლების გაუქმება

(1) ¹თუ კანონი სხვა წესს არ ითვალისწინებს, მიწის ნაკვეთზე უფლების გასაუქმებლად საჭიროა უფლებამოსილი პირის განცხადება უფლების გაუქმების შესახებ და უფლების შესახებ ჩანაწერის ამოშლის რეგისტრაცია საადგილმამულო რეესტრში. ²განცხადება უნდა გაკეთდეს საადგილმამულო რეესტრის სამსახურის ან იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი კეთდება.

(2) ჩანაწერის ამოშლამდე უფლებამოსილი პირი შეზღუდულია განცხადებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაკეთდა საადგილმამულო რეესტრის სამსახურის წინაშე, ან თუ იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც იგი კეთდება, მიეცა „საადგილმამულო რეესტრის წარმოების შესახებ“ კანონის ნორმების შესაბამისი თანხმობა ჩანაწერის ამოშლაზე.

§ 876. დატვირთული უფლების გაუქმება

¹თუ მიწის ნაკვეთზე უფლება დატვირთულია მესამე პირის უფლებით, მაშინ დატვირთული უფლების გასაუქმებლად საჭიროა მესამე პირის თანხმობა. ²თუ გასაუქმებელი უფლება ეკუთვნის სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამის მესაკუთრეს, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ ეს მიწის ნაკვეთი დატვირთულია მესამე პირის უფლებით, საჭიროა მესამე პირის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გაუქმება მის უფლებას არ ეხება. ³თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს საადგილმამულო რეესტრის სამსახურის ან იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი კეთდება; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.

§ 877. უფლებრივი ცვლილებები

§§ 873, 874, 876-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება, აგრეთვე, მიწის ნაკვეთზე უფლების შინაარსის ცვლილებების მიმართ.

§ 878. შემდგომში დამდგარი განკარგვითი შეზღუდვები

§§ 873, 875, 877-ის მიხედვით, უფლებამოსილი პირის მიერ გაკეთებული განცხადება ძალას არ კარგავს იმით, რომ იგი შეზღუდულია განკარგვაში, თუ ეს შეზღუდვა დგება მას შემდეგ, როდესაც განცხადება მისთვის გახდა მზოჭავი და რეგისტრაციის განცხადება წარედგინა საადგილმამულო რეესტრის სამსახურს.

1. არსი. ნორმა ქმნის გამონაკლისს იმ წესიდან, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილება უნდა არსებობდეს რეგისტრაციის მომენტში (იხ. § 873-ის მე-5 ველი); შესაბამისად, უსამართლო იქნებოდა, უფლებამოსილი პირის მიერ განკარგვის უფლებამოსილების შემდგომში დაკარგვა მხარეებს ჩაეთვალოთ იმ მომენტისათვის, რომელშიც მათ განახორციელეს ნაკისრი ყველა სამართლებრივი მოქმედება და რეგისტრაციის პროცედურის ხანგრძლივობა მხოლოდ საჯარო რეესტრის სამსახურზე არის დამოკიდებული.

2. მოქმედების ფარგლები. უშუალოდ მოცულია მხოლოდ §§ 873, 875, 877-ის მიხედვით მოცემული გარიგების ძალის მქონე განცხადებები. შესაბამისად, გამოიყენება ნორმა უფლებამოსილი პირის სხვა გარიგების ძალის მქონე განცხადებების მიმართ, განსაკუთრებით კი, წინასწარი ჩანაწერის დადგენის მიმართ (BGHZ, 28, 182); გარდა ამისა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ნორმა

გამოიყენება არაუფლებამოსილი პირის გარიგების ძალის მქონე განცხადებების მიმართაც, რომლებიც კეთდება უფლებამოსილი პირის თანხმობით ან მოწონებით (§ 185), იმისგან დამოუკიდებლად, შეიზღუდება თუ არა შემდგომში თანხმობის მიმცემი უფლებამოსილი პირი ან უფლებამოსილების მიმნიჭებელი განკარგვის უფლებამოსილებაში (*MüKo-Wacke*, მე-14 ველი). სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით § 878 მოქმედებს მხოლოდ გარიგების საფუძველზე განკარგვის მიმართ და არა იძულებითი აღსრულების პროცესში რეგისტრაციასავალდებულო განკარგვის მიმართ. ამდენად, გაბატონებული შეხედულება ამითაც კმაყოფილდება, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი ამ შემთხვევაშიც ვერ ახდენს გავლენას რეგისტრაციის პროცედურის ხანგრძლივობაზე (გაბატონებული შეხედულებისათვის იხ., მაგ., BGHZ, 9, 250; *Baur/Stürner*, § 19, 37-ე ველი; განსხვავებული პოზიცია იხ., მაგ., *Schwab/Prütting*, 153-ე ველი).

- 3 **3. წინაპირობები.** ა) მხოჭავია განცხადება § 873-ის მე-2 ნაწილის ან § 875-ის მე-2 ნაწილის თანახმად. წინასწარი ჩანაწერის დადგენის შემთხვევაში, რაც, § 885-ის თანახმად, შეიძლება განხორციელდეს ცალმხრივი ნების გამოვლენით, ბოჭვა გამოდინარეობს § 875-ის მე-2 ნაწილის ანალოგიიდან; თუ სახეზეა ორმხრივი სანივთო შეთანხმება, მაგ., ვინაიდან წინასწარი ჩანაწერის დადგენაზე თანხმობა გაცხადდა სანოტარო წესით დამონმებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ განცხადებაში, მაშინ მოქმედებს § 873-ის მე-2 ნაწილი; ბ) ერთ-ერთმა მონაწილემ **განაცხადი** უნდა წარადგინოს საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 13-ის თანახმად. განაცხადის მართლობიერად გამოთხოვა დაუშვებელია (მაგ., არასრულყოფილად შედგენის გამო), შესაბამისად, § 878 არ იცავს განმცხადებელს ამ უკანასკნელის მიერ გამოწვეული დაგვიანებისაგან (BGHZ, 136, 87); გ) რეგისტრაციამდე **შეძენის ყველა სხვა წინაპირობა** უნდა შესრულდეს, ვინაიდან § 878-ის მიზანია, გაათავისუფლოს შემძენი შეძენის გაჭიანურებულ პროცედურასთან დაკავშირებული სპეციფიკური რისკისაგან. ნორმა არ მოქმედებს, მაგ., როდესაც დოკუმენტში გამოხატული უფლების დადგენის შემთხვევაში მოსალოდნელია ასევე დოკუმენტის გადაცემაც.

- 4 **4. § 878 მოიცავს ყველა სახის განკარგვის შეზღუდვას**, მაგ., სასამართლოს მიერ მიღებული განკარგვის დროებითი აკრძალვები (მდრ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 938-ის მე-2 ნაწილი), კანონისმიერი გასხვისების აკრძალვები, როგორებიცაა, მაგ.: გასხვისების აკრძალვები გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის შედეგად (გაკოტრების საქმისწარმოების შესახებ კანონის § 80), ან მეუღლეების კანონით განსაზღვრული ქონებრივი მდგომარეობის გამო (§ 1365). უფლების ფლობის სტატუსის დაკარგვა კი, პირიქით, არ არის განკარგვის შეზღუდვა; შესაბამისად, გამოიყენება არა § 878, არამედ § 892.

§ 879. რამდენიმე უფლების რიგითობა

(1) ¹რამდენიმე უფლების არსებობისას, რომლითაც დატვირთულია მიწის ნაკვეთი, რიგითობა განისაზღვრება რეგისტრაციის მიმდევრობის მიხედვით, თუ უფლებები რეგისტრირებულია საადგილმამულო რეესტრის სამსახურის ერთსა და იმავე განყოფილებაში. ²თუ უფლებები რეგისტრირებულია სხვადასხვა განყოფილებაში, მაშინ უპირატესობა ენიჭება იმ უფლებას, რომელიც რეგისტრირებულია უფრო ადრინდელი თარიღით; ერთსა და იმავე დღეს რეგისტრირებულ უფლებებს აქვს თანაბარი რიგი.

(2) რეგისტრაცია რიგითობისათვის გადამწყვეტია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც, § 873-ის მიხედვით, უფლების შეძენისათვის საჭირო შეთანხმება დაიდო მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ.

(3) რიგითობის დადგენის განსხვავებული წესი ექვემდებარება საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციას.

1. რიგის მნიშვნელობა. რიგი განსაზღვრავს სარგებლობისა და რეალიზაციის უფლების ეკონომიკურ ღირებულებას. ამდენად, შემდგომი რიგის იპოთეკის მფლობელს არ შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია, როდესაც უპირატესი რიგის მქონე უფლებრივი დატვირთვებიდან გამომდინარე გამოსათვლელი „ყველაზე მცირე შეთავაზება“ (იძულებითი აუქციონისა და იძულებითი მართვის შესახებ კანონის § 44-ის პირველი ნაწილი) იძულებით აუქციონში საკმარისი არ იქნება. თუ, პირიქით, იძულებით აღსრულებას ახორციელებს უპირატესი რიგის მქონე კრედიტორი, მაშინ შემდგომი რიგის იპოთეკები უქმდება, დამოუკიდებლად იმისა, დაკმაყოფილდება თუ არა ისინი ამონაგები თანხიდან (იძულებითი აუქციონისა და იძულებითი მართვის შესახებ კანონის § 52-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).

2. როდესაც საჯარო რეესტრის სამსახური საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის §§ 17, 45-ის საწინააღმდეგოდ მოგვიანებით განცხადებულ უფლებას რეგისტრაციაში ატარებს როგორც პირველი რიგის მქონეს, დაზარალებულ პირს არ შეუძლია სარგებლის მიმღებისაგან, § 894-ის შესაბამისად, საჯარო რეესტრის ჩანაწერის შესწორების მოთხოვნა. ვინაიდან, § 879 I-ის თანახმად, რიგი წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციით, საჯარო რეესტრი სათანადოდ ამონმებს მატერიალურ უფლებრივ მდგომარეობას. ასევე გამორიცხულია არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქციის მოთხოვნის უფლება, ვინაიდან § 879 რიგის შექმნას საბოლოოდ აწესრიგებს და ამით სამართლებრივ საფუძველს ქმნის (BGHZ, 21, 98; განსხვავებული შეხედულება იხ., მაგ., *Erman-A Lorenz*, 22-ე ველი). დაზარალებულ პირს რჩება მხოლოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, კონსტიტუციის 34-ე მუხლისა და § 839-ის შესაბამისად, საჯარო რეესტრის სამსახურის მხრიდან დაკისრებული მოვალეობების დარღვევის გამო.

§ 880. რიგითობის შეცვლა

(1) რიგითობა შემდგომში შეიძლება შეიცვალოს.

(2) ¹რიგითობის შეცვლისათვის საჭიროა შეთანხმება რიგის დამთმობ და უპირატესი რიგის დამკავებელ უფლებამოსილ პირებს შორის და ცვლილების რეგისტრაცია საადგილმამულო რეესტრში; გამოიყენება § 873-ის მე-2 ნაწილისა და § 878-ის ნორმები. ²თუ ხდება იპოთეკის, მიწის ან სარენტო ვალის დათმობა, მაშინ დამატებით საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. ³თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს საადგილმამულო რეესტრის სამსახურის ან ერთ-ერთი მონაწილის წინაშე; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.

(3) თუ რიგითობის დამთმობი უფლება დატვირთულია მესამე პირის უფლებით, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 876-ის ნორმა.

(4) რიგითობის შეცვლის შედეგად უპირატესი რიგის შემძენი უფლება არ კარგავს რიგს იმით, რომ რიგის დამთმობი უფლება გარიგებით უქმდება.

(5) რიგითობის შეცვლა არ ეხება უფლებებს, რომლებსაც დაკავებული აქვთ რიგი რიგის დამთმობ და უპირატესი რიგის დამკავებელ უფლებებს შორის.

§ 881. დათქმა რიგითობის შესახებ

(1) მესაკუთრეს მიწის ნაკვეთის უფლებით დატვირთვისას შეუძლია პირობად დათქვას უფლებამოსილება, იქონიოს რეგისტრირებული მოცულობის მიხედვით განსაზღვრული სხვა უფლება, რომელსაც ექნება უპირატესი რიგი ამ უფლებასთან შედარებით.

(2) პირობა ექვემდებარება საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციას; რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს იმ უფლებასთან ერთად, რომელიც თმობს თავის რიგს.

(3) თუ მიწის ნაკვეთი გასხვისდა, მაშინ პირობად დათქმული უფლებამოსილება გადადის შემძენზე.

(4) თუ მიწის ნაკვეთი იმ უფლების რეგისტრაციამდე, რომელსაც ენიჭება უპირატესობა, დატვირთულია უფლებით შესაბამისი დათქმის გარეშე, მაშინ უპირატესობას არა აქვს სამართლებრივი ძალა იმდენად, რამდენადაც დათქმით რეგისტრირებულ უფლებას დროის შუალედში დამდგარი უფლებრივი დატვირთვის შედეგად მიადგებოდა ზიანი, რომელიც სცილდება დათქმის ფარგლებს.

§ 882. ღირებულების ანაზღაურების მაქსიმალური თანხა

¹თუ მიწის ნაკვეთი დატვირთულია იმ უფლებით, რომლისათვისაც გაუქმების შემთხვევაში, იძულებითი აუქციონის მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად, უფლებამოსილ პირს უნდა მიეცეს ანაზღაურება აუქციონზე გაყიდული ნივთის ამონაგები თანხიდან, მაშინ შეიძლება განისაზღვროს ანაზღაურების მაქსიმალური თანხა. ²მაქსიმალური თანხის განსაზღვრა ექვემდებარება საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციას.

§ 883. წინასწარი ჩანაწერის წინაპირობები და სამართლებრივი ძალა

(1) ¹მიწის ნაკვეთზე უფლების მინიჭების ან გაუქმების, ან მიწის ნაკვეთის მტვირთავი უფლების, ანდა ასეთი უფლების შინაარსის ან რიგითობის შეცვლის მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად საადგილმამულო რეესტრში შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს წინასწარი ჩანაწერი. ²წინასწარის ჩანაწერის რეგისტრაცია დაიშვება ასევე სამომავლო ან პირობითი მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად.

(2) ¹განკარგვა, რომელიც მიწის ნაკვეთის ან უფლების მიმართ გაკეთდა, სამართლებრივი ძალის არმქონეა იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი ხელს შეუშლიდა მოთხოვნის უფლების განხორციელებას, ან უარყოფითად იმოქმედებდა მასზე. ²ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, თუ განკარგვა ხორციელდება იძულებითი აღსრულების ან ყადაღის დადების გზით, ანდა გაკოტრების მმართველის მიერ.

(3) იმ უფლების რიგი, რომლის მინიჭებისკენაც არის მიმართული მოთხოვნის უფლება, განისაზღვრება წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციის მიხედვით.

- 1 **მიზანი და სამართლებრივი ბუნება.** პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, წინასწარი ჩანაწერი ემსახურება მიწის ნაკვეთებზე არსებული უფლებების მინიჭების, გაუქმებისა თუ შეცვლის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებების უზრუნველყოფას. კერძოდ კი, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემაზე მოთხოვნის უფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს წინასწარი ჩანაწერით, ე. წ. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შეძენის წინასწარი ჩანაწერით. წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციაზე უფლებამოსილ პირს აქვს ორი მოთხოვნის უფლება: მას შეუძლია თავისი კონტრაპენტისაგან მოითხოვოს შემდგომი შესრულება, ვინაიდან მე-2 ნაწილი ხელს უშლის ზიანის მიმყენებელი განკარგვების შედეგად მესამე პირის სასარგებლოდ შეუძლებლობის (§ 275-ის პირველი ნაწილი) დადგომას; გარდა ამისა, მას მესამე პირის მიმართ აქვს (დამხმარე) მოთხოვნის უფლება საჯარო რეესტრში თავისი უფლების რეალიზაციის თანხმობაზე (§ 888-ის პირველი ნაწილი). თავად წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია გადაწყვიტოს, თუ როგორი რიგითობით მოახდინოს აღნიშნული ორივე მოთხოვნის უფლების რეალიზაცია¹³⁷.
- 2 გაბატონებული შეხედულების თანახმად, წინასწარი ჩანაწერი არ არის სანიტო-თო უფლება, თუმცა, ამ უკანასკნელთან ახლოს დგას. როგორც სპეციალურად

137 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

შექმნილი უზრუნველყოფის საშუალება, იგი მის მიერ დაცული ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებებით მნიშვნელოვანწილად იძლევა სანივთო-სამართლებრივ შედეგებს მიწის ნაკვეთების სანივთო ურთიერთკავშირის გაგებით (BGHZ, 60, 46, 49). წინასწარი ჩანაწერი აქცესორული უფლებაა და ამიტომ იგი დამოკიდებულია უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების სამართლებრივ ძალაზე. შესაბამისად, რეგისტრირებული წინასწარი ჩანაწერი სამართლებრივი ძალის არმქონეა, როდესაც მის მიერ უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლება არ არსებობს (BGHZ, 57, 341, 344); იგი სამართლებრივი ძალის არმქონეა კანონის ძალით, როდესაც ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება უქმდება შესრულებით, ხოლო შესაძლო შუალედური უფლებები ქარწყლდება (დეტალურად იხ., მაგ., *MüKo-Wacke*, § 886, მე-6 ველი). თუმცა, მოთხოვნის უფლების არარსებობის გამო, თავდაპირველად სამართლებრივი ძალის არმქონე წინასწარი ჩანაწერი შეიძლება თავიდან დადგენილი მოთხოვნის უფლების მეშვეობით წარმოიშვას ან გაუქმებული წინასწარი ჩანაწერი თავიდან დადგენილი მოთხოვნის უფლების მეშვეობით ახლიდან **„დაიტვირთოს“** ისე, რომ განახლებაზე თანხმობა საჭირო არ არის, რამდენადაც ახალი მოთხოვნის უფლება მიმართულია იმავე ვალდებულების შესრულებაზე, როგორზეც ძველი მოთხოვნის უფლება იყო მიმართული; ეს წესი მოქმედებს *a minus ad minus*, როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლება იზღუდება (BGH NJW, 2008, 578, №13 და №18). ანალოგიური წესი მოქმედებს სამომავლო ან პირობითი მოთხოვნის უფლების შემთხვევაში წარმოშობის საფუძვლების შემდგომში მინიჭებისათვის (BGH aaO). არარსებული მოთხოვნის უფლების შემთხვევაში წინასწარი ჩანაწერი უნდა ამოიშალოს რეესტრიდან საჯარო რეესტრის შესწორების პროცედურით გათვალისწინებული წესებით.

2. წარმოშობა და გადაცემა. ა) წინასწარი ჩანაწერის პირველადი შექმნისათვის 3 (წარმოშობა) სახეზე უნდა იყოს **სამი წინაპირობა: (1)** წინასწარი ჩანაწერისათვის ვარგისი სანივთო უფლებრივი ცვლილებისაკენ მიმართული მოთხოვნის უფლება (იხ. მე-2 ველი). სამომავლო მოთხოვნის უფლება, რომელიც, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ასევე საკმარისია, სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი წარმოშობისათვის სამართლებრივი საფუძვლები მავალდებულებელი ოფერტისა თუ შეთანხმების მეშვეობით უკვე იმდენად არის მომზადებული, რომ მოთხოვნის უფლების წარმოშობა დამოკიდებულია მხოლოდ მომავალი უფლებამოსილი პირის ნებაზე (BGHZ, 12, 115, 118), მსგავსად სანოტარო წესით შედგენილი გამოუთხოვადი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ოფერტისა. ბათილი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება კი (მაგ., მოსაჩვენებლად შემცირებული ნასყიდობის ფასის გამო, § 117-ის პირველი ნაწილი), პირიქით, არ არის ასევე „სამომავლო“ მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულების ხარვეზი მოგვიანებით იქნა აღმოფხვრილი, § 311 ბ-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად; შესაბამისად, მომავალ უფლებამოსილ პირს არ შეუძლია ხარვეზის აღმოფხვრა ცალმხრივად და, გარდა ამისა, მხედველობაში არ მიიღება მესამე პირთან მიმართებით ხარვეზის აღმოფხვრის უკუქცევეთი ძალა (BGHZ, 54, 56, 64; აღნიშნულის შესახებ იხ. *Medicus/Petersen*, 555-ე ველი); **(2) თანხმობა ან მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინება**, § 885-ის შესაბამისად. თანხმობა არის დანტერესებული პირის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც უნდა გაკეთდეს საჯარო რეესტრის სამსახურის ან უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების მფლობელის წინაშე (ამდენად, სანივთო შეთანხმება არ მოითხოვება). მატერიალური სამართალი არ ითხოვს რაიმე ფორმას, თუმცა, ამას ითხოვს საჯარო რეესტრის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები (საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 29); **(3)** საჯარო რეესტრში წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაცია.

- 4 ბ) წინასწარი ჩანაწერის მეორადი შექმნა (გადაცემა) ხორციელდება § 398-ის შესაბამისად მოთხოვნის დათმობის შესახებ ნებისმიერი ფორმით დადებული შეთანხმებით, რომლითაც, § 401-ის შესაბამისი გამოყენებით, გადადის ასევე წინასწარი ჩანაწერიც. გადაცემა თავისი სამართლებრივი ძალისათვის არ საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას (თუმცა, შესაძლებელია საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორება, § 894-ის თანახმად). წინასწარი ჩანაწერის დამოუკიდებელი გადაცემა შეუძლებელია მისი აქცესორული ბუნების გამო. თუ წინასწარი ჩანაწერისათვის ვარგისი მოთხოვნის უფლება არ არსებობს, მაშინ წინასწარი ჩანაწერის მეორადი შექმნა გამორიცხულია; შესაბამისად, §§ 892, 893 არ მოქმედებს.
- 5 გ) წინასწარი ჩანაწერის პირველადი და მეორადი კეთილსინდისიერი შექმნისათვის დამატებით იხ. § 893-ის მე-2 და მე-4 ველები.
- 6 3. წინასწარი ჩანაწერის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი შედეგი აღწერილია მე-2 ნაწილში. ამ უკანასკნელის თანახმად, მოგვიანებით განხორციელებული ზიანის მიმყენებელი განკარგვები (თუმცა, § 566-ის მიუხედავად, არა წმინდა ქირავნობის ხელშეკრულებები, სადავოა, შდრ. § 566-ის მე-3 ველი) ფარდობითად სამართლებრივი ძალის არმქონეა. ასეთი ე. წ. უზრუნველყოფი სამართლებრივი შედეგი, რომელიც ემიჯნება მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ე. წ. რიგითობის სამართლებრივ შედეგს, მოქმედებს რეგისტრაციის მომენტიდან, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, როდესაც წინასწარი ჩანაწერი უზრუნველყოფს სამომავლო ან პირობითი მოთხოვნის უფლებას, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად. წინასწარი ჩანაწერი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში მოგვიანებით, იმ მომენტში, როდესაც წინასწარი ჩანაწერის საწინააღმდეგო განკარგვის შექმნის გაჭიანურებული პროცედურა სრულდება (იხ. § 873-ის მე-3 ველი). § 878 არ მოქმედებს წინასწარი ჩანაწერის საწინააღმდეგო განკარგვის სასარგებლოდ, ვინაიდან, გაბატონებული შეხედულების თანახმად, წინასწარი ჩანაწერი არ არის განკარგვის შეზღუდვა, § 878-ის გაგებით.
- 7 ა) უზრუნველყოფის სამართლებრივი შედეგის ობიექტური განსხვავება ისაა, რომ მე-2 ნაწილი განკარგვას სამართლებრივი ძალის არმქონედ მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს უშლის მოთხოვნის უფლებას, ან ზიანს აყენებს მას. მაგ., (Schwab/Putting, 187-ე ველი): იპოთეკის დადგენა წინასწარი ჩანაწერის საწინააღმდეგოდ იპოთეკის დადგენის მხრივ არ არის სამართლებრივი ძალის არმქონე, არამედ, მე-3 ნაწილის თანახმად, წინასწარ აღნიშნულ იპოთეკას აქვს უბრალოდ უპირატესი რიგი. თუ, პირიქით, არსებობს მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შექმნის წინასწარი ჩანაწერი, მაშინ სამართლებრივი ძალის არმქონეა არა მხოლოდ მინის ნაკვეთის მოგვიანებით განხორციელებული გასხვისება მოთხოვნის უფლებისათვის ზიანის მიყენების გამო, არამედ ასევე მინის ნაკვეთის იპოთეკით შემდგომი დატვირთვები, ვინაიდან ეს უკანასკნელი ზიანის მომტანი იქნებოდა მოთხოვნის უფლებისათვის.
- 8 ბ) უზრუნველყოფის სამართლებრივი შედეგის სუბიექტური განსხვავება არსებობს იმდენად, რამდენადაც განკარგვა სამართლებრივი ძალის არმქონეა მხოლოდ წინასწარი ჩანაწერით უფლებამოსილი პირის მიმართ, ხოლო ყველა სხვა პირის მიმართ იგი, პირიქით, სამართლებრივი ძალის მქონეა. ვინაიდან მხოლოდ ფარდობითი ბათილობა დგება, წინასწარი ჩანაწერი არ ახდენს საჯარო რეესტრის ბლოკირებას. ამდენად, წინასწარი ჩანაწერის საწინააღმდეგო განკარგვა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში. მისი ბათილობის საკითხი დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარი ჩანაწერის კრედიტორი მას იყენებს § 888-ის პირველი ნაწილის შესაბამისად (დეტალურად იხ. იქვე).

§ 884. სამართლებრივი ძალა მემკვიდრეების მიმართ

იმდენად, რამდენადაც მოთხოვნის უფლება უზრუნველყოფილია წინასწარი ჩანაწერით, ვალდებული პირის მემკვიდრეს არ შეუძლია მიუთითოს თავისი პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე.

§ 885. წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციის წინაპირობები

(1) წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაცია ხორციელდება მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ან იმ პირის თანხმობით, რომლის მიწის ნაკვეთს ან უფლებას ეხება წინასწარი ჩანაწერი. მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად არ არის აუცილებელი უზრუნველსაყოფი მოთხოვნის უფლების მიმართ საფრთხის არსებობის დასაბუთება.

(2) რეგისტრაციისას უზრუნველსაყოფი მოთხოვნის უფლების უფრო დეტალური აღწერისათვის შეიძლება გაკეთდეს მითითება მოთხოვნის უფლების უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე ან რეგისტრაციის განხორციელების თანხმობაზე.

§ 886. წინასწარი ჩანაწერის ამოშლის მოთხოვნის უფლება

თუ პირს, რომლის მიწის ნაკვეთს ან უფლებას ეხება წინასწარი ჩანაწერი, აქვს შესაგებელი, რომლითაც წინასწარი ჩანაწერით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების რეალიზაცია ხანგრძლივი ვადით არის გამორიცხული, მაშინ მას შეუძლია, კრედიტორისაგან მოითხოვოს წინასწარი ჩანაწერის ამოშლა.

§ 887. წინასწარი ჩანაწერის კრედიტორის საჯარო გამოცხება

როცა კრედიტორი, რომლის მოთხოვნის უფლებაც უზრუნველყოფილია წინასწარი ჩანაწერით, უცნობია, მაშინ იგი თავისი უფლებით შეიძლება გამოირიცხოს გამოწვევითი წარმოების წესების მიხედვით, თუ სახეზეა, § 1170-ის მიხედვით, იპოთეკური კრედიტორის გამორიცხვის მიმართ დადგენილი წინაპირობები. გამოწვევითი წარმოების საქმეზე მიღებული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე წყდება წინასწარი ჩანაწერის მოქმედება.

§ 888. წინასწარი ჩანაწერის გაკეთებაზე უფლებამოსილი პირის თანხმობის მიღებაზე მოთხოვნის უფლება

(1) იმდენად, რამდენადაც რეგისტრირებული უფლების ან ასეთ უფლებაზე იმ პირის უფლების შექმნა, რომლის სასარგებლოდაც არსებობს წინასწარი ჩანაწერი, სამართლებრივი ძალის არმქონეა, ამ უკანასკნელს შეუძლია, შემძენისაგან მოითხოვოს თანხმობა რეგისტრაციაზე ან ამოშლაზე, რაც საჭიროა წინასწარი ჩანაწერით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მოთხოვნის უფლება უზრუნველყოფილია გასხვისების აკრძალვით.

1. ამ ნორმით მინიჭებული თანხმობის მიღების მოთხოვნის უფლება აუცილებელია წინასწარი ჩანაწერის განხორციელებისათვის, ვინაიდან წინასწარი ჩანაწერი არ ახდენს საჯარო რეგისტრის ბლოკირებას, არამედ იწვევს მხოლოდ მოგვიანებით განხორციელებული წინასწარი ჩანაწერის საწინააღმდეგო განკარგვის ფარდობითად ბათილობას (იხ. § 883-ის მე-8 ველი). მართალია, § 883-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თავდაპირველი უფლებამოსილი პირი წინასწარი ჩანაწერის კრედიტორისათვის ამიერიდან ითვლება უფლებამოსილ პირად და მის მიმართ შეუძლია ნაკისრი განცხადებების გაკეთება (მაგ., მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შექმნის განცხადება); თუმცა, წინასწარი ჩანაწერის კრედიტორი საჯარო რეგისტრის წარმოების შესახებ კანონის §§ 19, 39-ის გამო შეიძლება (დარე-

გისტირრდეს საჯარო რეესტრში) მხოლოდ § 888-ში ნახსენები თანხმობის არსებობის შემთხვევაში. მაგ.: ვ ყიდის თავის მიწის ნაკვეთს კ-ზე და ადგენს მისთვის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შექმნის წინასწარ ჩანაწერს. ამის შემდეგ იგი გადასცემს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას დ-ს. კ-ს ამიერიდან შეუძლია, § 433-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, ვ-საგან მოითხოვოს მხოლოდ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შექმნა (არ არის შეუძლებელი, § 275-ის გაგებით, § 883-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების გამო); დ-ს მიმართ მას აქვს პირველი ნაწილის პირველ კაზუსში მოცემული რეგისტრაციაზე თანხმობის მიღების მოთხოვნის უფლება.

2 უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების მიხედვით, § 888-ის შესაბამისად, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს რეგისტრაციაზე თანხმობის მიღება, ან ჩანაწერის ამოშლა. მაგ.: თუ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შექმნის წინასწარი ჩანაწერის მიუხედავად, მიწის ნაკვეთი გასხვისდა და რეგისტრირებულ იქნა მესამე პირზე, მაშინ მესამე პირი უნდა დაეთანხმოს უფლებამოსილი პირის რეგისტრაციას; თუ მიწის ნაკვეთზე, საკუთრების უფლების შექმნის წინასწარი ჩანაწერის მიუხედავად, მესამე პირის სასარგებლოდ რეგისტრაციაში გატარდება იპოთეკა, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს მისი ამოშლა.

3 2. წინასწარი ჩანაწერით, უფლებამოსილ პირს აქვს მესამე პირის მიმართ მიწის ნაკვეთის გამოყენების შედეგად მიღებული **სარგებლის უკან გამოთხოვის** მოთხოვნის უფლება, § 987-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისი გამოყენებით, როდესაც წინასწარი ჩანაწერით უფლებამოსილ პირს მესაკუთრესთან ურთიერთობაში უკვე საკუთრების უფლების გადაცემამდე ეკუთვნის მიწის ნაკვეთის გამოყენების შედეგად სარგებელი. თუმცა, წინასწარი ჩანაწერით უფლებამოსილი პირი ამ მომენტისათვის ჯერ არ არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და, შესაბამისად, მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების პირდაპირი გამოყენება წინასწარი ჩანაწერით უფლებამოსილ პირსა და მესამე პირს შორის გამორიცხულია. თუმცა, მესაკუთრესთან ურთიერთობაში სარგებლის მიკუთვნება დასტურდება წინასწარი ჩანაწერით უფლებამოსილი პირისათვის როგორც მესაკუთრის, ასევე მესამე პირის მიმართაც, როგორც უკეთესი უფლებამოსილი პირის მიმართ და ამით ხელს უწყობს მას იმ უფლებრივი მდგომარეობის მოპოვებაში, რაც უთანაბრდება სანივთო უფლების მეშვეობით მოპოვებულ მდგომარეობას და დასაშვებად მიიჩნევა § 987-ის და შემდეგი პარაგრაფების შესაბამის გამოყენებას (BGHZ, 144, 323). როგორც წესი, მესაკუთრესა და წინასწარი ჩანაწერით უფლებამოსილ პირს შორის ურთიერთობაში სარგებელი, § 446-ის მე-2 წინადადების შესაბამისად, ნივთის გადაცემამდე ეკუთვნის მესაკუთრეს. გარკვეულწილად, განსხვავებული წესი მოქმედებს, § 292-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ მოთხოვნის უფლების წარმოებაში მიღების შემდეგ.

4 3. აღნიშნულის საპირისპიროდ მესამე პირს შეუძლია, წინასწარი ჩანაწერით უფლებამოსილი პირისაგან მოითხოვოს მიწის ნაკვეთზე, § 994-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისად, განუღებ **სარჯების ანაზღაურება**, ვინაიდან ის უფლებრივი მდგომარეობა, რაც მესამე პირმა მესაკუთრისაგან მიიღო, წინასწარი ჩანაწერით უფლებამოსილი პირის მიმართ სამართლებრივი ძალის არმქონეა, § 883-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, და ამიტომაც ჰგავს იმ რეგისტრირებული მესაკუთრის მდგომარეობას, რომლისათვისაც § 994-ისა და შემდეგი პარაგრაფების გამოყენება აღიარებულია (იხ. § 894-ის მე-7 ველი; BGHZ, 75, 288, 291; 144, 323).

§ 889. კონსოლიდაციის გამორიცხვა სანივთო უფლებების შემთხვევაში

სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული უფლება არ უქმდება იმით, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იქნეს მიწის ნაკვეთზე არსებულ ამ უფლებას, ან უფლებამოსილი პირი მიწის ნაკვეთზე იქნეს საკუთრების უფლებას.

კონსოლიდაცია არის სანივთო უფლების გაუქმება იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთრების უფლება და უფლების მფლობელობა ერთი პირის ხელში აღმოჩნდება (მდრ. ე. წ. კონფუზიისათვის § 362-ის შესავლის პირველი ველი). მოძრავი ნივთებისაგან განსხვავებით (მაგ., § 1063-ის პირველი ნაწილი), იგი § 889-ის გამო გამოირიცხულია **საკუთარ მიწის ნაკვეთზე არსებული უფლებების მიმართ** (გამონაკლისია, მაგ., § 1178-ის პირველი ნაწილი) იმისათვის, რათა მესაკუთრემ შეინარჩუნოს ამ უფლებების რიგი და ხელი შეუშალოს სხვა სანივთოსამართლებრივად უზრუნველყოფილი კრედიტორების რიგში წინ ნაწევას (მდრ. § 1163-ის პირველი ველი). შედეგი: ხდება სხვა პირის უფლების შეცვლა მესაკუთრის უფლებით (მაგ.: მესაკუთრის მიწის ვალი, § 1177-ის პირველი ნაწილის თანახმად).

§ 890. მიწის ნაკვეთების გაერთიანება; მიმატება

(1) რამდენიმე მიწის ნაკვეთი შეიძლება გაერთიანდეს ერთ მიწის ნაკვეთად ისე, რომ ისინი მესაკუთრის მიერ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციაში გატარდეს როგორც ერთი მიწის ნაკვეთი.

(2) მიწის ნაკვეთი შეიძლება გახდეს სხვა მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილი ისე, რომ იგი მესაკუთრის მიერ მიემატება სხვა მიწის ნაკვეთს საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

§ 891. კანონისმიერი პრეზუმფცია

(1) თუ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია პირის უფლება, მაშინ ივარაუდება, რომ ეს უფლება მას ეკუთვნის.

(2) თუ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული უფლების შესახებ ჩანაწერი ამოშლილია, ივარაუდება, რომ ეს უფლება არ არსებობს.

§ 892. საჯარო რეესტრის საჯარო ნდობა

(1) იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგებით იძენს უფლებას მიწის ნაკვეთზე ან უფლებას ასეთ უფლებაზე, საადგილმამულო რეესტრის შინაარსი მიიჩნევა სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისწორის საწინააღმდეგოდ რეგისტრირებული პროტესტი ან უსწორობის შესახებ შემძენისათვის ცნობილია. ²თუ უფლებამოსილი პირი განსაზღვრული პირის სასარგებლოდ შეზღუდულია საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული უფლების განკარგვაში, მაშინ შემძენის მიმართ შეზღუდვა სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნათელია საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერიდან ან ცნობილია შემძენისათვის.

(2) თუ უფლების შეძენისათვის საჭიროა რეგისტრაცია, მაშინ შემძენის მიერ უსწორობის შესახებ ცნობის მიმართ გადამწყვეტია რეგისტრაციის განაცხადის შეტანის დრო, ან, თუ, § 873-ის თანახმად, საჭირო შეთანხმება მოგვიანებით იღება, – შეთანხმების დრო.

1. ქვემოთ მოცემული კვლევის სქემა არაუფლებამოსილი პირისაგან კეთილ-სინდისიერი შეძენისათვის ამართლებს საკითხის გაშუქებას. წინაპირობებია:

ა) სანივთო შეთანხმება და შეთანხმებულად ყოფნა რეგისტრაციის მომენტში (როგორც უფლებამოსილი პირისაგან შეძენისას; იხ. § 873-ის პირველი და შემდეგი ველები);

ბ) უფლებამოსილების არარსებობის ფაქტი, მაგრამ მისი ლეგიტიმაცია უსწორო საჯარო რეესტრის მეშვეობით;

გ) გარიგება იმ გარიგების გაგებით, სადაც სხვადასხვა სუბიექტი მონაწილეობს;

დ) საჯარო რეესტრში რეგისტრირებული პროტესტის არარსებობა (§ 892-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების პირველი კაზუსი);

ე) უსწორობის შესახებ პოზიტიური ცოდნის არქონა (§ 892-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 კაზუსი); სათანადო მომენტი: § 892-ის მე-2 ნაწილი (იხ. ქვემოთ მე-13 ველი).

2 2. საჯარო ნდობის საგანი. ა) არასწორად რეგისტრირებული სანივთო უფლებები. ისინი ითვლება არსებულად და შესაბამისად, კეთილსინდისიერ პირს მათდამი ნდობით შეუძლია უფლებების შექმნა (ე. წ. **პოზიტიური საჯაროობა**). მაგ., არასწორად რეგისტრირებულ სადავო მესაკუთრე ბ-ს შეუძლია კეთილსინდისიერ მესამე პირ დ-სათვის საკუთრების უფლების გადაცემა ან იპოთეკის დადგენა; **ბ)** არასწორად არარეგისტრირებული (ან ამოშლილი) სანივთო უფლებები (მაგ., რეგისტრირებული იპოთეკა ან მიწის ვალი). ისინი ითვლება არარსებულად და შესაბამისად, კეთილსინდისიერ პირს შეუძლია შექმნა ამ უფლებრივი ტვირთის გარეშე (ე. წ. **ნეგატიური საჯაროობა**); **გ)** არასწორად არარეგისტრირებული (ან ამოშლილი) განკარგვის შეზღუდვები. ისინი, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, ასევე ითვლებიან არარსებულად და, შესაბამისად, კეთილსინდისიერ პირს შეუძლია შექმნა, მიუხედავად განკარგვის შეზღუდვისა (მაგ., გასხვისების აკრძალვა, გაკოტრება, ანდერძის აღსრულება). არასწორად რეგისტრირებული განკარგვის შეზღუდვების არსებობა არ ივარაუდება და შესაბამისად, კეთილსინდისიერ პირს, მაგ., გაკოტრების მმართველის მიერ რეგისტრირებული გაკოტრების შესახებ აღნიშვნის მიუხედავად, არ შეუძლია შექმნა, როდესაც გაკოტრების საქმისწარმოება უკვე შეწყვეტილია, **დ)** § 899ა-ს მეშვეობით საჯარო რეესტრის საჯარო ნდობა **სამოქალაქო ამხანაგობის** შემთხვევაში ვრცელდება ასევე რეგისტრირებული მონაწილეების მიმართაც (იხ. § 899ა).

3 საჯარო ნდობა არ ვრცელდება: ისეთ უფლებებზე, რომლებიც არ ტარდება რეგისტრაციაში, როგორებიცაა, მაგ., ქირავნობისა თუ იჯარის ხელშეკრულებების არსებობა; ისეთ ფაქტობრივ მონაცემებზე, როგორებიცაა მიწის ნაკვეთის ფართობი და ეკონომიკური დანიშნულება; რეგისტრირებულ პირთან პირადი ურთიერთობა, როგორებიცაა ქმედუნარიანობა ან ოჯახური და მეუღლეების ქონებრივი მდგომარეობა. **წინასწარი ჩანაწერის** კეთილსინდისიერი შექმნისათვის იხ. § 893-ის მე-2 და მე-4 ველები, ხოლო **საბარათე იპოთეკის** შექმნისათვის – § 1155.

4 3. მხოლოდ „გარიგების საფუძველზე შექმნა“ დაცული. ამდენად, როგორც წესი, შექმნა არ ხდება კანონის ძალით შექმნისას (მაგ., მემკვიდრეობა) ან სახელმწიფო აქტის ძალით (მაგ., იძულებითი აღსრულება); თუმცა, გარიგების საფუძველზე კანონისმიერი შექმნა შეიძლება იყოს საკმარისი (იხ., მაგ., იპოთეკისათვის § 1153-ის მე-2 ველი). გარდა ამისა, ამ წესით შექმნა არ მოიცავს ვალდებულებით სამართლებრივ უფლებებს; ამდენად, § 892 არ მოქმედებს არასწორად რეგისტრირებულ პირთან ქირავნობისა თუ იჯარის ხელშეკრულებების დადებისათვის.

5 როდესაც დასახელებული შეზღუდვები უკვე კანონის ტექსტიდან გამომდინარეობს, სხვა შეზღუდვები მომდინარეობს – კანონის სიტყვასიტყვით ტექსტზე მითითების გარეშე – სამართლებრივი მოსაზრებიდან – საქმე ეხება **გარიგებას, სადაც სხვადასხვა სუბიექტი მონაწილეობს და** რომლის შემთხვევაშიც გასხვისებისა და შექმნის მხარეს, ფაქტობრივად, (და არა მხოლოდ ფორმალურად) სხვადასხვა პირი მონაწილეობს. შესაბამისად, § 892 ზოგადი შეხედულებით, არ მოქმედებს შპს-ის გასხვისების მიმართ მის ერთადერთ პარტნიორზე ან თანაზიარი საერთო ქონების გადაცემის (მაგ., § 2032-ის თანახმად, ერთიანი მემკვიდრეობის ან § 1419-ის მიხედვით, მეუღლეებს შორის საერთო ქონების გადაცემა) ერთ ან რამდენიმე თანამესაკუთრეზე, ვინაიდან შემქმნის ერთპიროვნული საკუთრების უფლება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ერთობლივი განკარგვით და ამით შემქმნი განკარგვისას მონაწილეობს ასევე გამსხვისებლის მხარესაც. განსხვავებული მდგომარეობაა წილადი თანასაკუთრების წილების განკარგვის შემთხვევაში ნივთის თანამესაკუთრეთა შორის, ვინაიდან ამ შემთხვევაში განკარგვა, § 747-ის პირველი წინადადების

შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს სხვა თანამესაკუთრების თანამონაწილეობის გარეშე და, შედეგად, თანამესაკუთრები უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც მესამე პირებს (BGH NJW, 2007, 3204, №24). გარდა ამისა, მესაკუთრის მიწის ვალის დადგენა რეგისტრირებული არამესაკუთრის მიერ ვერ გამოიწვევს § 892-ით გათვალისწინებულ შედეგს პიროვნების იდენტურობის გამო.

მნიშვნელობა არა აქვს, შეძენა განხორციელდა **სასყიდლით თუ უსასყიდლოდ**. 6
ამ მხრივ განსხვავებულია მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე კომპენსაცია (*Baur/Stürner*, § 23, 28-ე ველი): სასყიდლით შეძენის შემთხვევაში არსებობს ფულადი თანხის გადახდის მოთხოვნის უფლება გამსხვიების მიმართ (§ 816-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება), უსასყიდლო შეძენის შემთხვევაში კი – ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება შემძენის მიმართ (§ 816-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).

4. შეძენა **გამორიცხულია** ორ შემთხვევაში: რეგისტრირებული პროტესტის ან უსწორობის შესახებ ცოდნის შემთხვევებში. 7

ა) რეგისტრირებული პროტესტი აქარწყლებს საჯარო ნდობას, თუნდაც მაშინ, როდესაც შემძენმა მის შესახებ არაფერი იცოდა. თუმცა, პროტესტი, ზოგადი შეხედულების თანახმად, რეგისტრირებულ უნდა იქნეს უშუალოდ უფლებამოსილი პირის სასარგებლო და სხვა შემთხვევაში, კეთილსინდისიერი შეძენა შესაძლებელი იქნება. მაგ. (*Medicus/Petersen*, 550-ე ველი): რეგისტრირებული არამესაკუთრე ბასხვისებს კეთილსინდისიერ ც-ზე, მაშინ ც იძენს ნივთს, როდესაც პროტესტი მიმმართულია ბ-ის საკუთრების უფლების წინააღმდეგ მესამე პირის – დ-ს სასარგებლოდ და არა ნამდვილი მესაკუთრის – ე-ს სასარგებლოდ. 8

გადამწყვეტი დროის მომენტი, რომლის დადგომამდე პროტესტის რეგისტრაცია გამორიცხავს კეთილსინდისიერ შეძენას, შეესაბამება უფლების შეძენის დასრულების მომენტს, ანუ, როგორც წესი, – რეგისტრაციას. თუ რეგისტრაციის მომენტში ჯერ კიდევ სახეზე არ არის უფლების წარმოშობისთვის აუცილებელი რეკვიზიტი, მაშინ გადამწყვეტია მისი დადგომის მომენტი (იხ. *Westermann/Eickmann*, § 84, II, 5). გადამწყვეტი დროის მომენტის უფრო ადრინდელი ვადისათვის გადმონევა, § 878-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ შემთხვევაში არ მოქმედებს, ხოლო თვით § 878 არ გამოიყენება, ვინაიდან პროტესტი არ არის განკარგვის შეზღუდვა (*Baur/Stürner*, § 23 37-ე ველი). 9

გასხვისების ჯაჭვის შემთხვევაში პირველი გასხვისების გარიგების დადების შემდეგ რეგისტრირებული პროტესტი არ გამორიცხავს შემდგომი შემძენის კეთილსინდისიერ შეძენას იმდენად, რამდენადაც შემდგომ შემძენს შეუძლია ივარაუდოს, რომ პირველმა შემძენმა – თავის დროზე რეგისტრირებული პროტესტის არარსებობის გამო – უკვე კეთილსინდისიერად შეიძინა და მას შეუძლია, თავისი უფლების მხოლოდ ამის შემდეგ გადაცემა (დეტალურად იხ. *Medicus/Petersen*, 551-ე ველი. თუმცა, განსხვავებული პოზიციაა გამოთქმული RGZ, 129,124-ში). 10

ბ) **უსწორობის შესახებ** მხოლოდ ცოდნა გულისხმობს არაკეთილსინდისიერებას და არა, პირიქით, – უხეში გაუფრთხილებლობის გამო არცოდნას; § 932-ის მე-2 ნაწილისაგან განსხვავებული რეგულირება აიხსნება მფლობელობასთან შედარებით საჯარო რეესტრის უფრო ძლიერი სამართლებრივი პოზიციით. განმსაზღვრელია უფლებრივი მდგომარეობის ცოდნა, თუმცა, ზოგადი შეხედულების თანახმად, იმ ფაქტების ცოდნა, რომლებისგანაც გამომდინარეობს უსწორობა, საკმარისი არ არის, მაგ., იპოთეკის არშემდგარი ვალუტირების შესახებ ცოდნიდან გამომდინარე, უნდა გაკეთდეს სამართლებრივი დასკვნა იმის შესახებ, რომ იპოთეკა არ წარმოიშვა. 11

კეთილსინდისიერება წინაპირობად არ აყენებს იმას, რომ შემძენს აქვს საჯარო რეესტრის ინფორმაცია. საკმარისია, რომ რეგისტრაცია საუბრობს მისი შეძენის სასარგებლოდ. 12

13 5. კეთილსინდისიერი შეძენის წინაპირობის არსებობისათვის **გადამწყვეტია დროის მომენტი**, ისე, როგორც § 873-ის თანახმად შეძენის შემთხვევაში, როგორც წესი, უფლების შეძენის დასრულების დრო. ამავე დროს, **მე-2 ნაწილის** მეშვეობით, კეთილსინდისიერი შეძენის გამომრიცხავი საჯარო რეესტრის უსწორობის შესახებ **ცოდნისათვის** გადამწყვეტი დროის მომენტი გადმოდის უფრო ადრინდელი (გადმოინაცვლებს უფრო წინარე ეტაპზე) ვადისათვის, ვინაიდან შემძენს აღარ შეერაცხება რეგისტრაციის პროცედურის მეტი თუ ნაკლები ხანგრძლივობა (შდრ. პარალელურ შეფასებას § 878-ში, იქვე, პირველი ველი). მე-2 ნაწილის ფარგლებში გარკვეული მნიშვნელობა აქვს განაცხადის წარდგენას საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 13-ის თანახმად, რამდენადაც სანივთო შეთანხმება არის განაცხადის წარდგენის წინაპირობა (პირველი კაზუსი); თუ სანივთო შეთანხმება მოწყვეტა განაცხადის წარდგენას, მაშინ გადამწყვეტია სანივთო შეთანხმების მომენტი (მე-2 კაზუსი). ამდენად, მე-2 ნაწილის სახელმძღვანელო დანაწესის თანახმად, ყოველთვის გადამწყვეტია რეგისტრაციამდე **უკანასკნელი** შეძენის წინაპირობა. თუ, მაგ., იღება იპოთეკის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმება და ხდება მისი რეგისტრაციის განაცხადის წარდგენა, თუმცა, იპოთეკის წარმოშობისათვის, გარდა რეგისტრაციისა, სახეზე არ არის ასევე ვალუტირება და იპოთეკის სერტიფიკატის გადაცემა, მაშინ ამჟამად გაბატონებული შეხედულების თანახმად, ორივე ამ წინაპირობის შესრულება განსაზღვრავს გადამწყვეტი დროის მომენტს: თუ რეგისტრაციამდე ჯერ ვალუტირება ხორციელდება, შემდეგ კი სერტიფიკატის გადაცემა, მაშინ ეს უკანასკნელი იქნება გადამწყვეტი დროის მომენტი და შემძენს ზიანს აღარ აყენებს პოზიტიური ცნობა სერტიფიკატის გადაცემის შემდეგ. თუ საჯარო რეესტრი უსწორო გახდა მხოლოდ განაცხადის წარდგენის შემდეგ, მაშინ მე-2 ნაწილი არ გამოიყენება (BGH NJW, 1980, 2413, 2414); გაბატონებული შეხედულების თანახმად, გადამწყვეტი დროის მომენტი ამ შემთხვევაში არის უსწორობის წარმოშობის მომენტი.

§ 893. გარიგება რეგისტრირებულ პირთან

§ 892-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება, თუ იმ პირის მიმართ, რომლისთვისაც უფლება რეგისტრირებულია საადგილმამულო რეესტრში, ამ უფლების საფუძველზე შესრულდა ვალდებულება, ან თუ მასა და სხვა პირს შორის ამ უფლებასთან დაკავშირებით დაიდო § 892-ის ნორმებით გაუთვალისწინებული გარიგება, რომელიც შეიცავს ამ უფლების განკარგვას.

- 1 1. ნორმის მიზანია ის, რომ უფლების შეძენის შემზღუდველი § 892-ის გამოყენების სფერო დამატებით გავრცელდეს შემთხვევათა ორ ჯგუფზე: (1) სანივთო (და არა ვალდებულებით-სამართლებრივი) უფლების შესრულება, მაგ., უძრავ ნივთებზე დადგენილი უზრუნველყოფი უფლებებიდან გადახდა. ზოგადი შეხედულების თანახმად, ვალდებულების შესრულება უძრავ ნივთებზე დადგენილი იმ უზრუნველყოფი უფლებებიდან, რომლებზეც გაცემულია სერტიფიკატი, § 893-ში დასახელებულ რეგისტრაციასთან ერთად, წინაპირობად აყენებს იმასაც, რომ რეგისტრირებული არაუფლებამოსილი პირი ფლობს ასევე სერტიფიკატსაც (შდრ. § 1160). შესაბამისად, სერტიფიკატი მოქმედებს როგორც საჯარო რეესტრის გაგრძელება (MüKo-Wacke, მე-2 ველი); (2) სხვა განკარგვითი გარიგებები, როგორებიცაა: უფლების შინაარსის (§ 877) ან რანგის შეცვლა (§ 880), უფლების ან უძრავ ნივთებზე დადგენილი უზრუნველყოფი უფლების გაუქმება. ზემოაღნიშნულ მავალდებულებელ გარიგებებს კი, როგორებიცაა გაქირავება და იჯარით გადაცემა, პირიქით, არ მოიცავს.
- 2 2. გაბატონებული შეხედულების თანახმად, წინასწარი ჩანაწერის გაკეთება არის სხვა განკარგვით გარიგება ან, სულ ცოტა, ამ უკანასკნელს უთანაბრდება, ვინაიდან იგი ვალდებულებით-სამართლებრივ მოთხოვნის უფლებას მნიშვნელო-

ვანწილად ანიჭებს სანივთო ეფექტს (შდრ. § 883-ის მე-2 ველი). წინასწარი ჩანაწერის კეთილსინდისიერი შექმნის წინაპირობა, რა თქმა უნდა, არის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლების არსებობა (BGHZ, 25, 16, 24). შესაბამისად, მოთხოვნის უფლების გარეშე წინასწარ ჩანაწერს არ ექნებოდა ფუნქცია. წინასწარი ჩანაწერით უფლებამოსილი პირის ინსტიტუტისათვის კეთილსინდისიერი შექმნის გადამწყვეტ მომენტში, § 892-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წარმოადგენს განაცხადს წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წინასწარი ჩანაწერი უზრუნველყოფს მომავალ მოთხოვნის უფლებას (BGH NJW, 1981, 446, 447). მოგვიანებით დამდგარი არაკეთილსინდისიერება შექმნას ხელს ალარ უშლის, ანალოგიურად, კიდევ უფრო ნაკლებად ხელის შემშლელია პროტესტის ან ნამდვილი მესაკუთრის შემდგომი რეგისტრაცია; უფრო პირიქით, ნამდვილი მესაკუთრე უნდა დაეთანხმოს წინასწარი ჩანაწერით უფლებამოსილი პირის რეგისტრაციას, § 888-ის პირველი ნაწილის ანალოგიით.

გაბატონებული შეხედულების თანახმად, არაუფლებამოსილი პირის (შდრ. § 885) მიმართ მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების საფუძველზე რეგისტრაცია შედეგად არ იწვევს წინასწარი ჩანაწერის კეთილსინდისიერ შექმნას, ვინაიდან სახეზე არ არის § 893-ში ნახსენები „გარიგების“ მოთხოვნა. 3

სადავოა იმ წინასწარი ჩანაწერის კეთილსინდისიერი მეორადი შექმნა, რომელიც (მაგ., პირველი შემქმნის არაკეთილსინდისიერების გამო) არ არის წარმოშობილი. ლიტერატურაში არაერთგან უარყოფილია წინასწარი ჩანაწერის კეთილსინდისიერი მეორადი შექმნის შესაძლებლობა იმ სამართლებრივ-კონსტრუქციული არგუმენტებით, რომ „გარიგების“ საფუძველზე შექმნა სახეზე არ არის, ვინაიდან წინასწარი ჩანაწერი კანონის ძალით გადადის უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების დათმობით (§ 401); გარდა ამისა, ცესიონერის მეშვეობით წინასწარი ჩანაწერის კეთილსინდისიერი შექმნის საჭიროება ნაწილობრივ უარყოფილია (იხ. Medicus-Petersen, 557-ე ველი). უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ კი, პირიქით, დაუშვა კეთილსინდისიერი შექმნა (BGHZ, 25, 16, 23) და ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები იზიარებს მას, ვინაიდან, მიუხედავად გარიგების საფუძველზე დათმობასა და ex lege დამდგარ წინასწარი ჩანაწერის შექმნას შორის სამართალტექნიკური გაყოფისა, იმ შემქმნის დაცვის აუცილებლობა, რომელიც საჯარო რეესტრს ენდობა, არ უნდა იქნეს უარყოფილი (იხ., მაგ., Westermann/Eickmann, § 84, IV, 1). 4

§ 894. საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორება

თუ მიწის ნაკვეთზე არსებულ უფლებასთან, ასეთ უფლებაზე არსებულ უფლებასთან, ან § 892-ის პირველ ნაწილში მითითებული სახის განკარგვით შეზღუდვასთან დაკავშირებით საადგილმამულო რეესტრის შინაარსი არ შეესაბამება რეალურ უფლებრივ მდგომარეობას, მაშინ იმ პირს, ვისი უფლებაც არ არის, ან არ არის სწორად რეგისტრირებული, ანდა დარღვეულია არარსებული უფლებრივი დატვირთვით ან შეზღუდვით, შეუძლია მოითხოვოს თანხმობა საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორებაზე იმ პირისაგან, ვის უფლებასაც ეხება ასეთი შესწორება.

1. ზოგადი მიმოხილვა. საჯარო რეესტრის უსწორობა საფრთხეს უქმნის და ხელს უშლის უფლებამოსილ პირს: § 891-ის პრეზუმფცია საუბრობს არასწორი რეგისტრაციის სასარგებლოდ, უფლებამოსილმა პირმა შეიძლება დაკარგოს თავისი უფლება § 892-ის თანახმად, ხოლო საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 39 კი ხელს უშლის მას თავისი უფლების განკარგვაში. შესაბამისად, § 894 მას ანიჭებს საჯარო რეესტრის ჩანაწერის შესწორების მოთხოვნის უფლებას. მოთხოვნის უფლება მიმართულია, საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ კანონის § 19-ის თანახმად, საჭირო თანხმობის მიცემისაკენ; სამოქალაქო საპროცესო 1

კოდექსის § 894-ის შესაბამისად, თანხმობა შეიძლება შეიცვალოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით.

- 2 **2.** მოთხოვნის უფლების **წინაპირობებია:** ა) საჯარო რეესტრის **უსწორობა**, ბ) განაცხადის წარმდგენის უფლებამოსილება და გ) მოთხოვნის უფლების მოპასუხის ვალდებულება.
- 3 ა) **უსწორობა** გვხვდება ოთხი ფორმით (*Schwab/Prütting*, 237-ე ველი): **(1)** არარსებული უფლების რეგისტრაცია, მაგ., კ-ს საკუთრების უფლება, როდესაც ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ე-ს ეკუთვნის; **(2)** არსებული უფლების უსწორო რეგისტრაცია, მაგ., არასწორი შინაარსი ან რიგი; **(3)** არარსებული უფლებრივი დატვირთვის რეგისტრაცია; **(4)** არსებული უფლების რეგისტრაციის არარსებობა ან ამოშლა.
- 4 სანივთო უფლების მიმართ უსწორობას § 894 უთანაბრებს რეგისტრაციაუნარიან **განკარგვის შეზღუდვას** (სუბსტიტუციის უფლება). გარდა აღნიშნულისა, ზოგადი შეხედულების თანახმად, § 894-ის გამოიყენება, როდესაც **წინასწარი ჩანაწერი** (რომელიც, მართალია, არ აღნიშნავს სანივთო უფლებას, თუმცა, ამ უკანასკნელთან საკმაოდ ახლოს დგას. იხ. § 883-ის მე-2 ველი) არასწორად იქნა რეგისტრირებული ან ამოშლილი.
- 5 ბ) **უფლებამოსილია პირი**, „რომლის უფლებაც... დარღვეულია“, მაშასადამე, (ნამდვილი) უფლების მფლობელი. თუ, მაგ., მიწის ვალი რეგისტრირებულ იქნა ა-სათვის, ნაცვლად ბ-ისა, მაშინ ბ-ს აქვს მხოლოდ საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორების მოთხოვნის უფლება, თუმცა, ეს უფლება არა აქვს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, ვინაიდან მისი უფლება უსწორო რეგისტრაციის შედეგად არ ირღვევა (*BGH NJW*, 2000, 2021).
- 6 გ) **ვალდებულია** ის პირი, „ვის უფლებასაც ეხება შესწორება“. იგი, ძირითადად, არის „არაუფლებამოსილი“ („ვითომუფლებამოსილი“) პირი, ანუ **არასწორად** რეგისტრირებული პირი, რომელიც შეიძლება ასევე ნამდვილი უფლებამოსილი პირიც იყოს, მაგ., შეცდომით ამოშლილი იპოთეკის ან მიწის ვალის ხელახალი რეგისტრაციისას. გადამწყვეტია ის, თუ ვისი მონაწილეობაა აუცილებელი ჩანაწერის შესწორებისათვის საჯარო რეესტრის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმების თანახმად.
- 7 **3.** მოთხოვნის უფლების მოპასუხის **შესაგებლები:** უფლების დაუშვებელი გამოყენება (*dolo agit...*) ანუ § 986-ის ანალოგიური შემთხვევა, როდესაც მას აქვს **ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება** საჯარო რეესტრის ამჟამინდელი მდგომარეობის აღდგენაზე (მაგ., *BGH NJW*, 1974, 1651: მიწის სერვიტუტის რეგისტრაცია სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუმცა არსებობს მისი დადგენის მოთხოვნის უფლება); **ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება** საკუთრების უფლების შესწორების მოთხოვნის უფლების მიმართ მიწის ნაკვეთზე განუხლები დანახარჯების გამო, § 273-ის მე-2 ნაწილის თანახმად ან სისწორის მიმართ (იხ. *MüKo-Medicus* § 987-ის შესავლის 23-ე ველი), § 1000-ის თანახმად § 994-სა და შემდეგ პარაგრაფებთან ერთად, რომლებიც, შესაბამისად, მოქმედებს რეგისტრირებულ არამესაკუთრესა და ნამდვილ მესაკუთრეს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ; დეტალურად § 987-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისი გამოყენების შესახებ იხ. *Medicus-Petersen*, 454-ე ველი.
- 8 **4.** ე. წ. **საჯარო რეესტრის შესწორების ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება**, რომელიც განსხვავდება § 894-ით გათვალისწინებული საადგილმამულო რეესტრის შესწორების სანივთო მოთხოვნის უფლებისაგან, უზრუნველყოფილია სასამართლო პრაქტიკის მიერ, § 812-იდან გამომდინარე (შდრ. *BGH NJW*, 1973, 613; *Baur/Stürmer*, § 18 32-ე ველი): თუ ქმედუწუნარო ვ, რომელიც **არასწორად** არის რეგისტრირებული როგორც მესაკუთრე, კ-სთან დებს შეთანხმებას მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, მაშინ მას შეუძლია,

კ-საგან, § 812-იდან გამომდინარე, მოითხოვოს „რეგისტრაციის მდგომარეობის“ აღდგენა (§§ 891, 900-ის გამო).

§ 895. ვალდებული პირის წინასწარი რეგისტრაცია

თუ საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც, § 894-ის თანახმად, რეგისტრირებულია ვალდებული პირის უფლება, მაშინ ამ უკანასკნელმა მოთხოვნის საფუძველზე უნდა დაუშვას თავისი უფლების რეგისტრაცია.

§ 896. სერტიფიკატის წარდგენა

თუ საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორებისათვის საჭიროა იპოთეკის, მიწის ვალისა თუ სარენტო ვალის სერტიფიკატის წარდგენა, მაშინ იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც უნდა გაკეთდეს შესწორება, შეუძლია, სერტიფიკატის მფლობელისაგან მოითხოვოს მისი საადგილმამულო რეესტრის სამსახურისათვის წარდგენა.

§ 897. ჩანაწერის შესწორების ხარჯები

საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორებისა და ამისათვის საჭირო განცხადებების წარდგენის ხარჯები ეკისრება იმ პირს, რომელიც ითხოვს შესწორებას, თუ მასა და ვალდებულ პირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 898. ჩანაწერის შესწორების მოთხოვნის უფლებებისადმი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების დაუშვებლობა

§§ 894-896 დადგენილი მოთხოვნის უფლებები არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

§ 899. პროტესტის რეგისტრაცია

(1) § 894-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში საადგილმამულო რეესტრის სისწორის საწინააღმდეგოდ შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს პროტესტი.

(2) ¹რეგისტრაცია ხორციელდება მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ან იმ პირის თანხმობით, რომლის უფლებასაც ეხება საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორება. ²მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად არ არის აუცილებელი პროტესტის წარმდგენი პირის უფლების მიმართ საფრთხის არსებობის დასაბუთება.

§ 899ა. პირობები სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისათვის

¹თუ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა რეგისტრირებულია საადგილმამულო რეესტრში, მაშინ რეგისტრირებული უფლების მიმართ ასევე ივარაუდება, რომ ამხანაგობის მონაწილეები არიან ის პირები, რომლებიც, „საადგილმამულო რეესტრის წარმოების შესახებ“ კანონის § 47-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, რეგისტრირებულნი არიან საადგილმამულო რეესტრში. ²ამხანაგობის მონაწილეთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შესაბამისად, მოქმედებს §§ 892-899.

1. მიზანი. ნორმის მიზანია, მოაწესრიგოს ის სირთულეები, რომლებიც წარმოიშობა სამოქალაქო ამხანაგობების უფლებაუნარიანობის შესახებ (§ 705-ის შესავლის მე-5 ველი) სასამართლო პრაქტიკაში საჯარო რეესტრის საქმეთა წარმოების პროცესში. თუ ა-მ და ბ-მ ერთმანეთთან დადეს ამხანაგობის ხელშეკრულება იმ მიზნით, რომ მისი მეშვეობით შეიძინონ მიწის ნაკვეთი, მაშინ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ხდება სამოქალაქო ამხანაგობა (რომელიც შედგება ორი

მონანილისაგან – ა-სა და ბ-საგან) და არა – ა ან ბ, როგორც თანამესაკუთრები. ასევე საჯარო რეესტრში სამოქალაქო ამხანაგობა ტარდება რეგისტრაციამო როგორც მესაკუთრე (საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციუნარიანობა). პრობლემებს წარმოშობს ის, რომ სამოქალაქო ამხანაგობისათვის, განსხვავებით სავაჭრო რეესტრში რეგისტრირებული პერსონალური საზოგადოებებისაგან, საჯარო რეესტრი არ არსებობს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მონანილეთა და წარმომადგენლობის დადგენა. მონანილეთა იმ სამოქალაქო ამხანაგობის შემადგენლობა, რომელიც ფლობს მიწის ნაკვეთს, შეიძლება შეიცვალოს კერძოსამართლებრივი შეთანხმებით (წილის დათმობა ან მონანილის შეყვანა ამხანაგობაში, ან მისი გასვლა ამხანაგობიდან) ისე, რომ მათი ნამდვილობისათვის საადგილმამულო რეესტრის შესწორება აუცილებელი არ არის. ამდენად, თუ გ შევიდა მანამდე ა-სა და ბ-საგან შემდგარ ამხანაგობაში, ხოლო ა და ბ ამხანაგობის სახელით ასხვისებენ ამ უკანასკნელის კუთვნილ მიწის ნაკვეთს კ-ზე გ-ს მონანილეობის გარეშე, მაშინ ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა კ-ს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ხარვეზის შემთხვევაში კეთილსინდისიერი შეძენა ა-სა და ბ-საგან (შდრ. §§ 709, 714).

2. შინაარსი. ა) საჯარო რეესტრის შესახებ კანონის § 47-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სამოქალაქო ამხანაგობის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში რეგისტრაციაში ყოველთვის უნდა გატარდნენ ასევე მისი მონანილეებიც. ნორმის პირველი ნაწილის მეშვეობით, § 891-ზე დაყრდნობით ივარაუდება, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონანილეები, ფაქტობრივად სამოქალაქო ამხანაგობის მონანილეები არიან (პოზიტიური პრეზუმფცია) და რომ სხვა მონანილეები სახეზე არ არიან (ნეგატიური პრეზუმფცია). ამით საჯარო რეესტრი აჟღერებს არა მხოლოდ თავად უფლებამოსილ პირს (სამოქალაქო ამხანაგობა), არამედ ასევე მის მონანილეებსაც და შესაბამისად, ამ უკანასკნელთა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, §§ 709, 714-ის თანახმად; **ბ)** კანონის მოტივაციის თანახმად, **სამოქალაქო ამხანაგობის არსებობაც** ივარაუდება, ვინაიდან არსებული სამოქალაქო ამხანაგობის გარეშე სახეზე ვერ იქნებიან, ნორმის გაგებით, მონანილეები (BT-Drucks, 16/13437, 31-ე წინადადება; სადავოა); **გ)** მე-2 წინადადება უთითებს § 892-ზე და ამით იძლევა **კეთილსინდისიერი შეძენის** საშუალებას, როდესაც, მაგალითად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონანილეები მოქმედებდნენ ამხანაგობისათვის. ამის მეშვეობით, გამონაკლისის სახით, დაცულია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართ კეთილსინდისიერება; **დ)** პირს, რომელიც არასწორად არ არის საჯარო რეესტრში აღნიშნული როგორც მონანილე, შეუძლია მოითხოვოს საჯარო რეესტრში უსწორო ჩანაწერის შესწორება, ვინაიდან ნორმა მოითითებს ასევე § 894-ზე; **ე)** გარდა ამისა, **§ 891-ის პირველი ნაწილის** თანახმად, ივარაუდება, რომ სამოქალაქო ამხანაგობა რეგისტრირებულ უფლებაზე უფლებამოსილი პირია.

3. მოქმედების ფარგლები. ა) ნორმა მოქმედებს „რეგისტრირებული უფლების მიმართ“, ანუ უძრავ ნივთებზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებების მიმართ (მაგ., სამოქალაქო ამხანაგობის მიერ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების დადების შემთხვევაში ან სამოქალაქო ამხანაგობის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მიწის ვალის დადგენის შემთხვევაში). სხვა სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით საჯარო რეესტრი არ უნდა გახდეს სამოქალაქო ამხანაგობისათვის საკომპენსაციო რეესტრი, ამიტომ უშედეგოა დანაწესი, როდესაც საქმე ეხება მოძრავი ნივთის შეძენას, თუ მისი გასხვისება ხდება უძრავ ქონებასთან ერთად, ერთიანი გარიგების საფუძველზე (მაგ., სახლის ინვენტარი). იგი ასევე არ იძლევა სამოქალაქო ამხანაგობის წილის კეთილსინდისიერი შეძენის საშუალებას რეგისტრირებული, თუმცა, სინამდვილეში სამოქალაქო ამხანაგობის არაუფლებამოსილი მონანილისაგან; **ბ)** სადავოა, მოიცავს თუ არა ნორმა ასევე განკარგვის საფუძველად არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ

გარიგებასაც (დეტალურად იხ. Lautner, DnotZ, 2009, 650, 670). მაგალითისათვის მოყვანილ შემთხვევაში (პირველი ველი), ა-სა და ბ-ს, როგორც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სამოქალაქო ამხანაგობის მონაწილეთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიმართ, კეთილსინდისიერება დაცულია კ-ს მიერ საკუთრების უფლების შექმნის მიზნით. თვით ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემთხვევაშიც ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ხარვეზის გადალახვა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისადმი კეთილსინდისიერებით. სხვა შემთხვევაში კ-ს მიერ შექმნილი საკუთრების უფლება სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო დაექვემდებარებოდა უკან დაბრუნებას, როგორც უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული, § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად. ნორმის სისტემური პოზიცია, ისევე როგორც შემზღუდველი ფორმულირება, საუბრობს ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების მიმართ გამოყენების სანაღმდეგოდ. თუმცა, კანონმდებელს სურდა სამოქალაქო ამხანაგობასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის საქმეთა წარმოების პროცესის ყოვლისმომცველად დაცვა, რაც იძლევა ფართოდ განმარტების საშუალებას (სადავოა). ნაწილობრივ არსებობს შემდეგი გამოსავალი: როდესაც ა და ბ აცხადებენ, რომ ისინი მოქმედებენ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სამოქალაქო ამხანაგობის სახელით, ხელშეკრულების დადებით ისინი კონკლუდენტურად აფუძნებენ ახალ სამოქალაქო ამხანაგობას (რომელიც შედგება მხოლოდ მათგან), რომელსაც ა-სა და ბ-საგან ძალმოსილად შეუძლია ვალდებულების კისრება; გ) სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 229-ე მუხლის § 21-ში გათვალისწინებული **გარდამავალი ნორმის** თანახმად, ნორმა მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამოქალაქო ამხანაგობის რეგისტრაცია მოხდა ამ ნორმის ძალაში შესვლამდე.

§ 900. შექმნილი ხანდაზმულობა

(1) ¹პირი, რომელიც საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც მესაკუთრე ისე, რომ მას არ შეუძენია საკუთრების უფლება, იძენს საკუთრების უფლებას, თუ რეგისტრაცია არსებობდა 30 წლის განმავლობაში და იგი ამ ვადის განმავლობაში მიწის ნაკვეთს ფლობდა როგორც საკუთარს. ²ოცდაათწლიანი ვადა გამოითვლება იმავე წესით, როგორც მოძრავ ნივთზე შექმნილი ხანდაზმულობის ვადა. ³ვადის დენა ჩერდება მანამდე, სანამ საადგილმამულო რეესტრში სისწორის წინააღმდეგ რეგისტრირებულია პროტესტი.

(2) ¹ეს ნორმები, შესაბამისად, გამოიყენება, თუ რომელიმე პირისათვის საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია უფლება, რომელიც მას არ ეკუთვნის და რომელიც ანიჭებს მას მიწის ნაკვეთის ფლობის უფლებას, ან ამ უფლების რეალიზაცია დაცულია მფლობელობის მიმართ დადგენილი ნორმების მიხედვით. ²უფლების რიგისათვის განმსაზღვრელია რეგისტრაციის მომენტი.

§ 901. არარეგისტრირებული უფლებების გაუქმება

¹თუ სხვა პირის მიწის ნაკვეთზე არსებული უფლების შესახებ ჩანაწერი არამართლზომიერად ამოიშალა, და თუ ვადის მესაკუთრის მიმართ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის უფლების წარდგენის ხანდაზმულობის ვადა, მაშინ უფლება უქმდება. ²ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ კანონის ძალით სხვა პირის მიწის ნაკვეთზე წარმოშობილი უფლება არ იქნა რეგისტრირებული საადგილმამულო რეესტრში.

§ 902. რეგისტრირებული უფლებებისადმი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების დაუშვებლობა

(1) ¹რეგისტრირებული უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები არ ექვემდებარება ხანდაზმულობას. ²ეს წესი არ მოქმედებს იმ მოთხოვნის

უფლებების მიმართ, რომლებიც ეხება დავალიანების თანხების პერიოდულ გადახედვს ან ზიანის ანაზღაურებას.

(2) უფლება, რომლის გამოც შეტანილია პროტესტი საადგილმამულო რეესტრის უსწორობის მიმართ, უთანაბრდება რეგისტრირებულ უფლებას.

ნანილი 3. საკუთრების უფლება

§ 903-ის შესავალი

- 1 **1. ცნება.** საკუთრების უფლება არის ნივთზე ყოვლისმომცველი იურიდიული ბატონობა. სხვა სანივთო უფლებები პირს ანიჭებს მხოლოდ შეზღუდულ იურიდიულ ძალაუფლებას (ე. წ. „შეზღუდული სანივთო უფლებები“: მაგ., § 1018 და შემდეგი პარაგრაფები, 1030 და შემდეგი პარაგრაფები, 1113 და შემდეგი პარაგრაფები, 1191 და შემდეგი პარაგრაფები, 1204 და შემდეგი პარაგრაფები). საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთებსა და საკუთრების უფლება მოძრავ ნივთებზე ხშირად განსხვავებულად განიხილება (შდრ. §§ 873, 925 და § 929 და შემდეგი პარაგრაფები).
- 2 **2. საკუთრების უფლების უმნიშვნელოვანესი სახეებია:** ა) ერთპიროვნული საკუთრების უფლება. უფლების მფლობელია მხოლოდ ერთი (ფიზიკური ან იურიდიული) პირი; ბ) თანასაკუთრება. ნებისმიერ თანამესაკუთრეს ეკუთვნის იდეალური წილი (იხ. § 1008-ის მე-3 ველი); გ) საერთო თანაზიარი საკუთრება. იხ. § 1008-ის მე-4 ველი; დ) საცხოვრებელი ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლში საკუთრების უფლებისა და საცხოვრებელი ფართით გრძელვადიანი სარგებლობის უფლების შესახებ კანონის გაგებით (Schönfelder №37). ეს უკანასკნელი აერთიანებს საცხოვრებელ ბინაზე (ან არასაცხოვრებელი მიზნით გამოყენებულ ფართზე) ინდივიდუალურ საკუთრებასა და თანასაკუთრების წილს იმ საერთო საკუთრებაში არსებულ ფართზე (მაგ., მიწის ნაკვეთი), რომელსაც იგი ეკუთვნის (მრავალბინიან სახლში საკუთრების უფლებისა და საცხოვრებელი ფართით გრძელვადიანი სარგებლობის უფლების შესახებ კანონის § 1-ის მე-2 ნაწილი).

კარი 1. საკუთრების უფლების შინაარსი

§ 903. მესაკუთრის უფლებამოსილებები

¹ნივთის მესაკუთრეს შეუძლია, თუ ამას არ ეწინააღმდეგება კანონი ან მესამე პირის უფლებები, საკუთარი შეხედულებით ისარგებლოს ნივთით და გამოიცილოს სხვა პირები ნებისმიერი ზემოქმედებისაგან. ²ცხოველის მესაკუთრემ თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას უნდა გაითვალისწინოს ცხოველების დაცვის შესახებ სპეციალური ნორმები.

§ 904. უკიდურესი აუცილებლობა

¹ნივთის მესაკუთრე არ არის უფლებამოსილი, აკრძალოს სხვა პირის ნივთზე ზემოქმედება, თუ ეს უკანასკნელი აუცილებელია არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ზემოქმედების შედეგად მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანი მოსალოდნელ ზიანთან შედარებით შეუსაბამოდ დიდია. ²მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მის მიერ განცდილი ზარალის ანაზღაურება.

§ 905. საკუთრების უფლების ფარგლები

¹მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ვრცელდება მიწის ზედაპირის ზედა სივრცეზე და მიწის მასაზე ზედაპირის ქვემოთ. ²თუმცა, მესაკუთრეს არ შეუძლია

აკრძალოს ისეთი ზემოქმედება, რომელიც ხორციელდება ისეთ სიმაღლესა თუ სიღრმეზე, რომ მას ასეთი ზემოქმედების გამორიცხვის ინტერესი არა აქვს.

§ 906. მსუბუქი ნივთიერებების შეღწევა

(1) ¹მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს სხვა მიწის ნაკვეთიდან გაზის, ორთქლის, სუნის, კვამლის, ჭვარტლის, სითბოს, ხმაურის, რყევების და სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუ ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი მიწის ნაკვეთით სარგებლობაში ან მხოლოდ უმნიშვნელოდ უშლიან ხელს. ²უმნიშვნელო ხელის შემლა, როგორც წესი, სახეზეა, თუ არ ხდება კანონებსა თუ სახელისუფლო განკარგულებებში დადგენილი ზღვრული ან საორიენტაციო მაჩვენებლების გადაჭარბება იმ ზემოქმედებებით, რომლებიც დგინდება და ფასდება ამ ნორმების მიხედვით. ³ანალოგიური წესი მოქმედებს ზოგად ადმინისტრაციულ ნორმებში არსებული მაჩვენებლების მიმართ, რომლებიც მიღებულ იქნა „გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის შესახებ“ ფედერალური კანონის § 48-ის მიხედვით და აჩვენებს ტექნოლოგიის არსებულ მდგომარეობას.

(2) ¹ანალოგიური წესი მოქმედებს იმ ფარგლებში, რომლებშიც არსებითი ზემოქმედება გამოწვეულია მოცემულ ადგილას სხვა მიწის ნაკვეთით ჩვეულებრივი სარგებლობით და მისი აღკვეთა არ შეიძლება ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ეკონომიკურად მისაღებია. ²თუ მესაკუთრემ, აქედან გამომდინარე, უნდა ითმინოს ზემოქმედება, მაშინ მას შეუძლია, სხვა მიწის ნაკვეთით მოსარგებლეს მოსთხოვოს სათანადო ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედება აუარესებს ამ ადგილას მისი მიწის ნაკვეთით ჩვეულებრივ სარგებლობას ან დასაშვებ ფარგლებში მიწის ნაკვეთის შემოსავალს.

(3) სპეციალური საკომუნიკაციო საშუალებით შეღწევა დაუშვებელია.

1. ზოგადი მიმოხილვა. მართალია, § 903 მესაკუთრეს, როგორც წესი, ანიჭებს როგორც განკარგვისა და სარგებლობის ყოვლისმომცველ უფლებას, ისე სხვა პირების მისგან გამორიცხვის უფლებას, ნათელია, რომ განსაკუთრებით მეზობელი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა შორის უნდა არსებობდეს მეორე მხარის ინტერესების პატივისცემის ვალდებულება. ერთი პირის მხრიდან ზიანის მიმყენებელი სარგებლობა, გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება აღკვეთილ იქნეს (მაგ., § 1004-ის თანახმად); მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია – განსაზღვრულ შემთხვევებში ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ – შესაბამისი პირის მხრიდან განსაზღვრული დარღვევები. მიწის ნაკვეთზე არსებული საკუთრების უფლების ასეთი შეზღუდვების შინაარსი და ფარგლები რეგულირდება ე. წ. სამეზობლო სამართლით. იგი ადგენს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის მოცულობას საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ნორმებით, კერძოდ კი, § 906-ით. ამ ნორმის მოქმედება რთულად განსახილველი გადაწყვეტილებების მთელი ნაკადის შედეგად ნაწილობრივ მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

2. გამოყენების სფერო. პირველი ნაწილის პირველი წინადადების ნორმის შესაბამისად, ნორმა მოიცავს მხოლოდ ნაწილს ყველა შესაძლო ზემოქმედებიდან, კერძოდ, ზემოქმედებას ისეთი მსუბუქი ნივთიერებების მეშვეობით, რომლებიც მაგალითის სახით არის ჩამოთვლილი (და არა ამომწურავად) და, პირიქით, არ მოიცავს უხემ ფიზიკურ ზემოქმედებას, რომლებიც სცილდება § 906-ში დასახელებული ნივთიერებების სფეროს, მაგ.: ღორღი, წყალი ან დიდი ზომის ცხოველების შეღწევა (თუმცა, შდრ. პირველი ნაწილის მე-2 წინადადებას, ქვემოთ, მე-6 ველი). სასამართლო პრაქტიკა უარყოფს § 906-ის გამოყენებას იდეალური ზემოქმედების მიმართ, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ არის § 906-ში დასახელებული ზემოქმედებების „მსგავსი“ (შდრ. § 1004-ის მე-2 ველი), და ასევე – ნეგატიური ზემოქმედების მიმართ, მაგ., შუქის, ჰაერის, ხედისა და მისთ. ნართმევა (მაგ., მეზობლად

არსებული მაღალი სახლი), ვინაიდან სახეზე არ არის „ნივთიერების ზემოქმედება“; აღნიშნულის ნაცვლად, სასამართლო პრაქტიკა უპირატესობას ანიჭებს, § 242-იდან გამომდინარე აღმკვეთი მოთხოვნის უფლებას „სამეზობლო გაერთიანებაზე დაფუძნებულ ურთიერთობაზე“ მითითებით (განსხვავებული შეხედულება იხ. Schwab/Prütting, 331-ე ველი).

- 3 **3. პირველი ნაწილი და მე-2 ნაწილის პირველი წინადადება მოქმედებს როგორც მოთხოვნის უფლების გამომრიცხავი, §§ 862, 907 და 1004-დან გამომდინარე, დაზარალებული პირის აღმკვეთი მოთხოვნის უფლებების მიმართ;** ამდენად, ზემოქმედება ასევე არ არის მართლსაწინააღმდეგო § 823 და შემდეგი პარაგრაფების გაგებით (BGHZ, 90, 255, 258).
- 4 **ა) პირველი ნაწილის ნორმის თანახმად,** დასაშვებია და სწორედ ამის გამო შესაბამისი პირის მხრიდან საჭიროებს თმენას **არაარსებითი დარღვევები.** დარღვევა არის შესაბამის მიწის ნაკვეთზე მცხოვრები პირებისათვის, ისევე როგორც აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ნივთებისათვის ნებისმიერი სახის ზიანის მიყენება (BGHZ, 51, 396, 397). „როგორც წესი“, არაარსებითი დარღვევა – ამდენად, ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული გადაწყვეტა შესაძლებელია (იხ., მაგ., BGH NJW, 1999, 1029, 1030), როდესაც, მე-2 და მე-3 წინადადებების თანახმად, დაცულია ზღვრული მნიშვნელობები (დეტალურად იხ. Staudinger-Roth {2002}, 177-ე და შემდეგი ველები). კანონებსა და სახელისუფლო განკარგულებებს განეკუთვნება მხოლოდ პარლამენტის მიერ დადგენილი კანონები და ოფიციალური ნორმატიული აქტები (მაგ., მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის შესახებ ფედერალური კანონის § 4-ის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების). კერძო ეკოლოგიური სტანდარტები, მაგ., გერმანული ინსტიტუტის სტანდარტები, არ ქმნის პრეცედენტულ შემთხვევებს, თუმცა, მათი დადგენა არაარსებითი დარღვევის არსებობის არაპირდაპირი მტკიცებულებაა.
- 5 **ბ) მსგავსი რეგულირება გვხვდება, მე-2 ნაწილის პირველი წინადადების ნორმის თანახმად,** განსაზღვრული არსებითი დარღვევების შემთხვევაში. არსებითი დარღვევის დადგენისას მხედველობაში მიიღება პირველ ნაწილში აღწერილი მასშტაბი და საორიენტაციოდ აიღება შესაბამისი მიწის ნაკვეთის საშუალო გონიერი მოსარგებლე, მაგრამ არა დაზარალებული პირის სუბიექტური აღქმა. მოცემული ადგილის კრიტერიუმში სახეზეა, როდესაც ზემოქმედება ინტენსივობისა და მოქმედების ხანგრძლივობის გამო არ აჭარბებს მსგავს რაიონებში სხვა მიწის ნაკვეთების მიმართ გამოყენებული ზემოქმედების ფარგლებს. გამოსაყენებელი ფარგლები ქალაქებში განსხვავებულია, ვიდრე სოფელში, საწარმოებში სხვაა, ვიდრე საცხოვრებელ კვარტლებში და ა. შ., იმ საკითხის გადაწყვეტისას, დასაშვებია თუ არა ზემოქმედების აღკვეთისაკენ მიმართული ღონისძიებები, საორიენტაციოდ აიღება ასევე ნორმალური მოსარგებლის (ობიექტური) მასშტაბი.
- 6 **4. მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმით გათვალისწინებული კომპენსაციის მოთხოვნის უფლება** არ არის დამოკიდებული ბრალის არსებობაზე. კომპენსაციის მოთხოვნის უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისაგან განსხვავდება იმით, რომ კომპენსაცია უნდა გამორიცხავდეს თმენასავალდებულო ზემოქმედების შედეგად დამდგარ ქონებრივ ზარალს, მაშინ, როდესაც ზიანის ანაზღაურება ემსახურება იმ მდგომარეობის აღდგენას, რომელიც იარსებებდა, ზემოქმედებას რომ არ გამოეწვია პირის ინტერესების დაუშვებელი ხელყოფა. ამდენად, კომპენსაციას ექვემდებარება ისეთი ქონებრივი ზარალი, რომლის მიზეზიც არის საკუთრების უფლების ან მფლობელობის დარღვევა (BGH NJW, 2010, 3160). კომპენსაციის მოთხოვნის უფლება¹³⁸ ლიტერატურაში ნაწილობრივ

138 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

გაკრიტიკებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად (შდრ., მაგ., BGHZ, 157, 188, 190) და ნორმის სიტყვასიტყვითი რედაქციიდან გამომდინარე, არსებობს ნებისმიერი სახის დარღვევისათვის, მათ შორის, ასევე უხეში ზემოქმედებისათვისაც (მაგ., წყალგაყვანილობის დაზიანება), როდესაც დარღვევის მიზეზი მეზობელი მიწის ნაკვეთის გამოყენებაა. კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილია არა მხოლოდ მესაკუთრე, არამედ ასევე მფლობელიც, ხოლო კომპენსაციის გადახდაზე ვალდებულია ასევე იმ მიწის ნაკვეთით მოსარგებლე, რომლიდანაც მომდინარეობს ემისია. შესაბამისად, მოთხოვნის უფლების რეალიზაცია შეუძლია დამქირავეებელსაც, როგორც მიწის ნაკვეთის მფლობელს (BGHZ, 30, 273, 280), თუმცა, არა ერთსა და იმავე საცხოვრებელ სახლში ერთ-ერთ დამქირავეებს სხვა დამქირაველების მიმართ, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ ხდება ზემოქმედება სხვა პირის მიწის ნაკვეთიდან, ანუ სახეზე არ არის სამეზობლო-სამართლებრივი ურთიერთობა (BGHZ, 157, 188). დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ფულადი მოთხოვნის უფლება უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ დარღვევის დაუშვებელი ნაწილის ექსპროპრიაციის პრინციპების შესაბამისად; ამავე დროს, გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება შეფასდეს ასევე მიყენებული სრული ზიანის საკომპენსაციო თანხა (BGH NJW, 1990, 3195, 3197), მაგ., არსებითი ზიანის შემთხვევაში (BGHZ, 142, 66, 70). სხვების მოსაზრებით, უნდა ანაზღაურდეს ყოველთვის სრული ზიანი, ვინაიდან მხოლოდ ამგვარად იქნება საკმარისად ანაზღაურებული **ზემოქმედის** ინტერესში დაკისრებული თმენის ვალდებულება (იხ. *Jauernig*, მე-8 ველი). ნებისმიერ შემთხვევაში, მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურება (§ 253-ის მე-2 ნაწილთან კავშირის გარეშეც), ვინაიდან § 253-ის მე-2 ნაწილი გამოიყენება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების მიმართ, და არა პირიქით, – კომპენსაციის მოთხოვნის უფლებების მიმართ (BGH NJW, 2010, 3160)¹³⁹.

7 5. სასამართლო პრაქტიკა ანიჭებს ბრალის არსებობისაგან დამოუკიდებელ სამეზობლო-სამართლებრივ **კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ანალოგიით**, რომელსაც ასევე მიყენებული ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურების მოთხოვნის უფლებასაც უწოდებენ (სადავო დოგმატური კლასიფიცირებისათვის იხ. *Goebel JR*, 2002, 485), როდესაც მიწის ნაკვეთის კერძო ეკონომიკური სარგებლობის შედეგად მისგან სხვა მიწის ნაკვეთზე ისეთი ზემოქმედება გამომდინარეობს, რომელიც აღემატება უსასყიდლოდ გასათვალისწინებელი დარღვევის დასაშვებ მასშტაბს, ხოლო **დარღვევის აღკვეთის მოთხოვნის უფლებები არ გამოიყენება** აღნიშნულზე; ამდენად, როდესაც არსებითი ხასიათისა და მოცემულ ადგილას ჩვეულებრივი სარგებლობის მიუხედავად ზემოქმედების განმასხვრციელებელი კერძოსამართლებრივად ორგანიზებული საწარმოს საზოგადო მნიშვნელობის გამო დარღვევის აღკვეთის მოთხოვნის უფლების რეალიზაცია შეუძლებელია (შდრ. *MüKo-Säcker*, 126-ე ველი), ან როდესაც შესაბამის პირს ხელი ეშლება, ფაქტობრივი მიზეზებიდან გამომდინარე, მისთვის კუთვნილი მოთხოვნის უფლების რეალიზაცია შესაძლებელია (BGH NJW, 1999, 1029, 1030). გარდა ამისა, ამ კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გამოწვევის სახით მინიჭება ხდება § 906-ის მიღმა არსებული არსებითი დარღვევისათვისაც, როდესაც სამეზობლო ურთიერთობებში, პრინციპის თანახმად, § 1004-დან გამომდინარე, დარღვევის აღკვეთის მოთხოვნის უფლება უნდა გამოირიცხოს (BGHZ, 68, 350, 353 შემდგომი მითითებებით), ან როდესაც, – როგორც, მაგ., მეზობელ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მედიკამენტებით დახმარების ცენტრის წარმოებაში არსებული დარღვევების შემთხვევაში, – საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, არსებობს თმენის ვალდებულება (BGHZ, 144, 200).

139 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

8 6. მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის შესახებ ფედერალური კანონის თანახმად, მონონებასავალდებულო მონყობილობებისათვის მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის შესახებ ფედერალური კანონის § 14-ის (კერძოსამართლებრივი) ნორმა არის შემზღუდველი სპეციალური დანაწესი, რომლის თანახმადაც, არსებული ნებართვები გამოორიცხავს კერძოსამართლებრივ დარღვევის აღკვეთის მოთხოვნის უფლებებს; ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლებასთან ერთად დამატებით ხდება მხოლოდ დაცვითი ღონისძიებების შესახებ მოთხოვნის უფლების მინიჭება. დანაწესის მიზანია, მონყობილობის მფლობელი მენარმის დაცვა ნებართვის სანდობაში. თუ დარღვევის აღკვეთის მოთხოვნის უფლებები, § 906-ის თანახმად, გამოორიცხულია, ნდობა არსებობს § 906-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შემთხვევაშიც.

§ 907. საფრთხის შემცველი ნაგებობები

(1) ¹მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია, მოითხოვოს მეზობელ მიწის ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აღმართვის ან ექსპლოატაციის აკრძალვა, რომელთა მიმართაც დარწმუნებით შეიძლება ვარაუდი, რომ მათ არსებობას ან გამოყენებას შედეგად მოჰყვება დაუშვებელი ზემოქმედება მის მიწის ნაკვეთზე. ²თუ ნაგებობა აკმაყოფილებს ფედერაციული მხარის საკანონმდებლო ნორმებს, რომლებიც აწესებს განსაზღვრულ მანძილს საზღვრებიდან ან დაცვის სხვა ღონისძიებებს, მაშინ ნაგებობის მოცილება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუშვებელი ზემოქმედება რეალურად დგება.

(2) ხეები და ბუჩქები არ მიეკუთვნება ნაგებობებს, ამ ნორმების გაგებით.

§ 908. შენობის ჩამოქცევის საფრთხე

თუ მიწის ნაკვეთს ემუქრება დაზიანების საფრთხე იმ შენობის ან სხვა ნაგებობის ჩამოქცევის შედეგად, რომელიც დაკავშირებულია მეზობელ მიწის ნაკვეთთან, ანდა შენობისა თუ ნაგებობის ნაწილის ჩამონგრევის შედეგად, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, § 836-ის პირველი ნაწილის, ან §§ 837, 838 თანახმად, პასუხისმგებელი პირისგან მოითხოვოს მოსალოდნელი ზიანისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ღონისძიებების მიღება.

§ 909. ჩაღრმავება

მიწის ნაკვეთის ჩაღრმავება არ შეიძლება იმგვარად, რომ მეზობელი მიწის ნაკვეთის ნიადაგმა დაკარგოს აუცილებელი საყრდენი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიღებულია საკმარისი ზომები სხვაგვარი გამაგრებისათვის.

§ 910. ფესვების ან ტოტების გადმოსვლა

(1) ¹მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოჭრას და დაიტოვოს ხის ან ბუჩქის ფესვები, რომლებმაც შემოაღწია მეზობელი მიწის ნაკვეთიდან. ²ანალოგიური წესი მოქმედებს გადმოკიდებული ტოტების მიმართ, თუ მესაკუთრემ მეზობელი მიწის ნაკვეთის მფლობელს დაუდგინა სათანადო ვადა მათი მოცილებისათვის და ეს უკანასკნელი არ განხორციელდა ამ ვადის განმავლობაში.

(2) მესაკუთრეს არა აქვს ეს უფლება, თუ ფესვები ან ტოტები ხელს არ უშლის მიწის ნაკვეთით სარგებლობას.

§ 911. გადმოვარდნილი ნაყოფი

¹ხეებიდან ან ბუჩქებიდან მეზობელ მიწის ნაკვეთზე გადმოვარდნილი ნაყოფი ჩაითვლება ამ მიწის ნაკვეთის ნაყოფად. ²ეს ნორმები არ გამოიყენება, თუ მეზობელი მიწის ნაკვეთი განკუთვნილია საჯარო სარგებლობისათვის.

§ 912. საზღვრის გადაცდენა შენობის აღმართვისას; თმენის ვალდებულება

(1) თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე შენობის აღმართვისას მისი მხრიდან განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე გადასცდა საზღვარს, მაშინ მეზობელმა საზღვრის გადაცდენა უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან პროტესტი განაცხადა საზღვრის გადაცდენამდე ან დაუყოვნებლივ გადაცდენის შემდეგ.

(2) ¹მეზობელს უნდა მიეცეს კომპენსაცია პერიოდული ფულადი გადახდების სახით. ²პერიოდული ფულადი გადახდების ოდენობისათვის განმსაზღვრელია საზღვრის გადაცდენის დრო.

იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქონებრივი ღირებულების განადგურება, § 912-ის თანახმად, სათმენი, ისევე როგორც კანონიერი გადმოცდენილი, ნაგებობა იმყოფება საზღვრის გადამცდენი შენობის მესაკუთრის საკუთრებაში (იხ. § 95-ის მე-3 ველი); თუმცა, პირიქით, თუ საზღვრის გადაცდენა ხდება არასაპატიო მიზეზით, საკუთრების უფლება იყოფა მიწის ნაკვეთებს შორის საზღვრის გასწვრივ (მდრ., მაგ., BGHZ, 27, 204; *Baur/Stürmer*, § 25 მე-11 ველი). იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომლის ნაკვეთის საზღვარსაც გადასცდა მეზობლის კუთვნილი ნაგებობა, მართლსაწინააღმდეგო და გაუმართლებელი საზღვრის გადაცდენის შემთხვევაში აქვს როგორც გადაცდენილი ნაგებობის დანგრევის მოთხოვნის უფლება, § 1004-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ასევე, § 985-იდან გამომდინარე იმ ფართის გადმოცემის მოთხოვნის უფლება, რომელზეც არის განლაგებული გადაცდენილი ნაგებობა, რაც, § 902-ის შესაბამისად, არ ექვემდებარება ხანდაზმულობას. § 985-იდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება არ არის დამოკიდებული § 1004 I-იდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობაზე (BGH NJW, 2011, 1069)¹⁴⁰.

1

§ 913. საზღვრის გადაცდენისათვის პერიოდული ფულადი გადახდების განხორციელება

(1) მეზობელი მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრისათვის საზღვრის გადაცდენისათვის პერიოდული ფულადი გადახდები უნდა განხორციელდეს სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის მიერ.

(2) პერიოდული ფულადი გადახდები უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად წინასწარ.

§ 914. პერიოდული ფულადი გადახდების რიგითობა, რეგისტრაცია და გაუქმება

(1) ¹პერიოდული ფულადი გადახდების უფლებას ენიჭება უპირატესობა დატვირთულ მიწის ნაკვეთზე ყველა უფლებასთან, მათ შორის, უფრო ადრე დადგენილ უფლებასთან შედარებით. ²იგი უქმდება საზღვრის გადაცდენის თავიდან აცილებისთანავე.

(2) ¹უფლება არ ტარდება რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში. ²უფლებაზე უარის, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე ფულადი გადახდების ოდენობის დასადგენად საჭიროა რეგისტრაცია.

(3) დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება ნორმები, რომლებიც მოქმედებს მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ არსებული სანივთო ტვირთის მიმართ.

§ 915. შესყიდვა

(1) ¹ფულადი გადახდების მიღებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს, რომ ფულადი გადახდების განხორციელებაზე ვალდებულმა

140 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

პირმა საზღვარს გადმოცილებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ აუნაზღაუროს მას ის ღირებულება, რომელიც ამ ნაწილს ჰქონდა საზღვრის გადაცდენის მომენტისათვის. ²თუ იგი სარგებლობს ამ უფლებამოსილებით, მაშინ ორივე მხარის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება ნასყიდობის შესახებ ნორმების თანახმად.

(2) საკუთრების უფლების გადაცემამდე დროის მონაკვეთისათვის ფულადი გადახდების განხორციელება უნდა გაგრძელდეს.

§ 916. აღნაგობის ან სერვიტუტის დარღვევა

თუ საზღვრის გადაცდენის შედეგად ირღვევა მეზობელ მიწის ნაკვეთზე აღნაგობა ან სერვიტუტი, მაშინ უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ შესაბამისად გამოიყენება § 912-914-ის ნორმები.

§ 917. აუცილებელი გზა

(1) ¹თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს სათანადო გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, მეზობლებისაგან მოითხოვოს, რომ მათ ნაკლის აღმოფხვრამდე ითმინონ მათი მიწის ნაკვეთების გამოყენება აუცილებელი კავშირის დასადგენად. ²აუცილებელი გზის მიმართულება და სარგებლობის უფლების მოცულობა საჭიროების შემთხვევაში დგინდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

(2) ¹მეზობლებს, რომელთა მიწის ნაკვეთებზეც გადის აუცილებელი გზა, უნდა მიეცეთ კომპენსაცია პერიოდული ფულადი გადახდების სახით. ²შესაბამისად, გამოიყენება § 912-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება და § 913, 916-ის ნორმები.

§ 918. აუცილებელი გზის უფლების გამორიცხვა

(1) აუცილებელი გზის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ საჯარო გზასთან მიწის ნაკვეთის თავდაპირველი კავშირი გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით.

(2) ¹თუ მიწის ნაკვეთის ნაწილის გასხვისების შედეგად გასხვისებული ან დარჩენილი ნაწილი საჯარო გზისაგან მოწყვეტილი რჩება, მაშინ იმ ნაწილის მესაკუთრე, რომელზეც თავდაპირველად ხორციელდებოდა კავშირი, ვალდებულია აუცილებელი გზის თმენაზე. ²ნაწილის გასხვისებას უთანაბრდება ერთი და იმავე მესაკუთრის კუთვნილი რამდენიმე მიწის ნაკვეთიდან ერთ-ერთის გასხვისება.

§ 919. სასაზღვრო ნიშნულების დასმა

(1) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოსთხოვოს მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს მონაწილეობა მყარი სასაზღვრო ნიშნულის დასმაში, ხოლო თუ სასაზღვრო ნიშნული გადაწეული ან ძნელად გასარჩევია, – მის აღდგენაში.

(2) ნიშნულების დასმის ხერხი და წესი განისაზღვრება ფედერაციული მხარის კანონების თანახმად; თუ ამ კანონებით არ დგინდება შესაბამისი ნორმები, მაშინ გადამწყვეტია ადგილზე მიღებული წესები.

(3) ნიშნულების დასმის ხარჯები მონაწილეთა შორის ნაწილდება თანაბრად, თუ მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობით სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 920. საზღვრის არევა

(1) ¹თუ საზღვრების არევის შემთხვევაში ნამდვილი საზღვრის დადგენა შეუძლებელია, მაშინ გასამიჯნავად გადამწყვეტია ფაქტობრივი მფლობელობა.

²თუ ფაქტობრივი მფლობელობა ვერ დგინდება, მაშინ თითოეულ მიწის ნაკვეთს უნდა მიემართოს სადავო ფართის თანაბარი წილი.

(2) თუ ამ ნორმების მიხედვით საზღვრის დადგენას მიეყვართ იმ შედეგამდე, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ კი, მიწის ნაკვეთების დადგენილ ფართობს, მაშინ საზღვარი აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გაივლოს სამართლიანი შეხედულებით.

§ 921. სასაზღვრო ნაგებობით ერთობლივი სარგებლობა

თუ ორი მიწის ნაკვეთი ერთმანეთისაგან გამიჯნულია შუალედური სივრცით, მიწით, კუთხით, თხრილით, კედლით, ცოცხალი ღობით, ღობით ან სხვა მოწყობილობით, რომელიც განკუთვნილია ორივე მიწის ნაკვეთის სარგებლისათვის, მაშინ ივარაუდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები თანაბრად არიან უფლებამოსილნი, ისარგებლონ ამ მოწყობილობით, თუ გარეგნული ნიშნები არ მიუთითებს, რომ მოწყობილობა ერთ-ერთ მეზობელს ეკუთვნის.

§ 922. სარგებლობისა და შენახვის ხერხი

¹თუ მეზობლები უფლებამოსილნი არიან § 921-ში მითითებული მოწყობილობების ერთობლივ სარგებლობაზე, მაშინ თითოეულ მათგანს შეუძლია მათი გამოყენება მოწყობილობების თვისებიდან გამომდინარე მიზნით, რამდენადაც ეს ხელს არ უშლის სხვა პირის თანასარგებლობას. ²შენახვის ხარჯები მეზობლებს თანაბრად ეკისრებათ. ³მანამდე, სანამ ერთ-ერთ მეზობელს აქვს მოწყობილობის შენარჩუნების ინტერესი, ამ უკანასკნელის მოცილება ან შეცვლა მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. ⁴დანარჩენ შემთხვევებში მეზობლებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები განისაზღვრება საზიარო უფლების შესახებ ნორმების მიხედვით.

§ 923. საზღვარზე მდგარი ხე

(1) თუ საზღვარზე დგას ხე, მაშინ ნაყოფი და, თუ ხე მოიჭრება, ეს უკანასკნელიც ეკუთვნის მეზობლებს თანაბარწილად.

(2) ¹ყოველ მეზობელს შეუძლია მოითხოვოს ხის მოშორება. ²ხის მოშორების ხარჯები მეზობლებს თანაბარწილად ეკისრებათ. ³თუმცა, მხოლოდ იმ მეზობელს, რომელიც ითხოვს ხის მოცილებას, ეკისრება ხარჯები, თუ სხვა მეზობელი უარს იტყვის ხეზე თავის უფლებაზე; ამ შემთხვევაში პირველი იძენს ერთპიროვნულ საკუთრების უფლებას ხის მოცილების მომენტში. ⁴მოცილების მოთხოვნის უფლება გამოორიცხულია, თუ ხე გამოიყენება როგორც სასაზღვრო ნიშნული და გარემოებების მიხედვით იგი ვერ შეიცვლება სხვა მიზანშეწონილი სასაზღვრო ნიშნულით.

(3) ეს ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, საზღვარზე მდგარი ბუჩქის მიმართ.

§ 924. სამეზობლო-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებებისადმი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების დაუშვებლობა

§§ 907-909, 915, § 917-ის პირველი ნაწილიდან, § 918-ის მე-2 ნაწილიდან, §§ 919, 920-ისა და § 923-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

კარი 2. საკუთრების უფლების შექენა და დაკარგვა მინის ნაკვეთებზე

§ 925. შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ

(1) ¹ § 873-ის თანახმად, საჭიროა გამსხვისებლისა და შემძენის შეთანხმება მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის (შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ) განცხადებულ უნდა იქნეს ორივე მხარის ერთდროული თანდასწრებით კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. ² სხვა ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციის შეზღუდვის გარეშე, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების დასამონმებლად კომპეტენტურია ნებისმიერი ნოტარიუსი. ³ შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეიძლება ასევე განცხადებულ იქნეს სასამართლოს მორიგების აქტში ან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული გაკოტრების გეგმით.

(2) შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ პირობით ან ვადის დადგენით სამართლებრივი ძალის არმქონეა.

I. შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ

- 1 მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შექენა ხორციელდება, მსგავსად მინის ნაკვეთზე დადგენილი სხვა უფლებებისა, § 873-ის თანახმად (ცალკეული შემთხვევები იხ. იქვე). სავალდებულო სანივთო შეთანხმებას ეძახიან შეთანხმებას უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. მისი ფორმის საკითხი მონესრიგებულია პირველ ნაწილში; საკმარისია ნოტარიუსის წინაშე გაკეთებული ზეპირი განცხადება; პირველი ნაწილის პირველი წინადადების ნორმის თანახმად, დამონმება აუცილებელი არ არის (BGH NJW, 1983, 2933), თუმცა, იგი ხორციელდება, როგორც წესი, სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ კანონის § 8-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისად. წარმომადგენლობა დასაშვებია. საკუთრების უფლების გადაცემის საფუძვლად არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება ექვემდებარება სანოტარო წესით დამონმებას, § 311b-ს პირველი ნაწილის შესაბამისად¹⁴¹.

II. სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება

- 2 **1. სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების წარმოშობის წინაპირობაა ის, რომ უფლების მრავალმოქმედებიანი წარმოშობის ფაქტობრივი შემადგენლობიდან (შდრ. მინის ნაკვეთზე დადგენილ უფლებებს, § 873-ის მე-3 ველი) შესრულებულია იმდენი ნიშანი, რომ შეიძლება საუბარი შემძენის უზრუნველყოფილ უფლებრივ მდგომარეობაზე, რომლის თავიდან აცილებაც უფლების წარმოშობის პროცესის მონაწილეს ცალმხრივად აღარ შეუძლია (BGHZ, 45, 186, 188; 49, 197, 201).** ამიტომაც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმებით მიმღების **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლების არსებობა ივარაუდება, როდესაც შეთანხმება გაცხადდა ფორმის დაცვით და, ამდენად, იგი მბოჭავია (შდრ. § 873-ის მე-2 ნაწილს); გარდა აღნიშნულისა, ასევე მიმღების მიერ შეთანხმების თანახმად (და არა გამსხვისებლის მიერ, ვინაიდან მას ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადის უკან წაღება), წარდგენილია რეგისტრაციის განაცხადი საჯარო რეესტრის შესახებ კანონის § 13-ის თანახმად, ან შეთანხმებით მიმღების სასარგებლოდ საჯარო რეესტრში გატარდა რეგისტრაციაში წინასწარი ჩანაწერი, რომელიც §§ 883-ის მე-2 ნაწილის, 888-ის მიხედვით,

141 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

უზრუნველყოფს გამსხვიების მხრიდან შემდგომში განხორციელებული განკარგვისაგან დაცვას (იხ., მაგ., BGHZ, 45, 186, 190; 83, 395, 399). ლიტერატურაში კი, პირიქით, **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლების არსებობა ნაწილობრივ უარყოფილია, ვინაიდან რეგისტრაციის განაცხადის წარდგენის შემდეგ შექმნილი უფლებრივი მდგომარეობა არასაიმედო იქნებოდა (საწინააღმდეგო განკარგვისაგან დაცვა დამოკიდებულია საჯარო რეესტრის სამსახურის მიერ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის § 17-ით გათვალისწინებული პროცედურული ნორმის დაცვაზე) და, როგორც საკრედიტო დოკუმენტაცია და აღსრულების ობიექტი, წინასწარი ჩანაწერით უზრუნველყოფილი ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება საკმარისია საკუთრების უფლების გადაცემისათვის (ასე, მაგ., *Westermann/Eickmann*, § 75-ის 16 შემდგომი მითითებებით). ამავე დროს, მყარი პრაქტიკა აღნიშნულ შესაგებელს არ მიიჩნევს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ.

2. გაბატონებული შეხედულების თანახმად, შესაძლებელია სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების გადაცემა, დაგირავება ან დაყადაღება. ა) საკუთრების უფლებასთან არსებითი მსგავსების გამო, **გადაცემა** ხორციელდება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების მეშვეობით (და არა, მაგ., დათმობით, §§ 398, 413-ის თანახმად), თუმცა, რეგისტრაციის გარეშე. მეორადი შემძენის რეგისტრაციისას, რაც ხორციელდება პირველადი შემძენის შუალედური რეგისტრაციის გარეშე, მეორადი შემძენი იძენს სრულ უფლებას (BGHZ, 49, 197, 205). **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლების გადაცემის **ვალდებულების კისრებაც**, მსგავსად სრული უფლების შემთხვევისა, მოითხოვს ფორმის დაცვას § 311b-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად (BGHZ, 83, 395, 400); **ბ)** დაგირავება ხორციელდება § 1274-ის შესაბამისად, ასევე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების მეშვეობით რეგისტრაციის გარეშე, ხოლო **დაყადაღება** ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 857-ის თანახმად. **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლებაზე გირავნობის უფლება გადაიქცევა (სამოქალაქო კოდექსის § 1287-ის მე-2 წინადადების ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 848-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად) საგარანტიო იპოთეკად (§ 1184), როდესაც **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლების მფლობელი შეიძენს სრულ უფლებას (BGHZ, 49, 197, 205).

3. იმ სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების დაცვა, რომელიც **4** ნარმოიშვა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმებისა და რეგისტრაციის განაცხადის მეშვეობით (საჯარო რეესტრის შესახებ კანონის § 13), მხედველობაში მიიღება § 823-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუმცა, ეს მოსაზრება სადავოა. თუ, მაგ., მესაკუთრე ე-მ საკუთრებაში გადასცა მიწის ნაკვეთი მესამე პირს – დ-ს, მიუხედავად ა-ს კუთვნილი **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლებისა და დ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის § 17-ის დარღვევით რეგისტრაციაში გატარდა ა-ზე ადრე, მაშინ ა-ს შეუძლია, § 823-ის პირველი ნაწილის, 249-ის თანახმად, დ-საგან მოითხოვოს უარი თავის საკუთრების უფლებაზე, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დ-მ ა-ს **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლების შესახებ იცოდა (დასაბუთება § 892-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება; იხ. *Palandt-Bassenge*, 28-ე ველი). სხვა ავტორები უარყოფენ § 823-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე დელიქტური დაცვის ნებისმიერ არსებით აუცილებლობას, ვინაიდან შემძენ ა-ს შეუძლია თავისი მოთხოვნის უფლების უზრუნველყოფა წინასწარი ჩანაწერით, რომლითაც არსებობს საკმარისი დაცვა §§ 883-ის მე-2 ნაწილის, 888-ის შესაბამისად (იხ., მაგ., *MüKo-Wacke*, § 873 43-ე ველი). უმაღლესი ფედერალური სამართლო § 823-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლების

დასაშვებობას უარყოფს იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე შეთანხმების შესახებ გაცხადდა ა-ს მიმართ, ხოლო რეგისტრაციის განაცხადი გამოხმობილ იქნა (BGHZ 45, 186, 193), რა თქმა უნდა, სრული საფუძვლით; შესაბამისად, ამ შემთხვევაში სახეზე ჯერ არ არის სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება, რომლის დაცვაც შესაძლებელია.

§ 925ა. უძრავ ქონებაზე გარიგების დოკუმენტი

უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების განცხადება მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარედგინება ან ერთდროულად მომზადდება, § 311ბ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საჭირო ხელშეკრულების დოკუმენტი.

§ 925ა-ს შემთხვევაში საქმე ეხება წმინდა ადმინისტრაციულ დანაწესს, რომლის მიზანია § 311ბ-ით გათვალისწინებული ფორმის დამდგენი ნორმის რეალიზაცია. დარღვევა არ იწვევს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების ბათილობას¹⁴².

§ 926. მიწის ნაკვეთის საკუთვნიბელი

(1) ¹თუ გამსხვისებელი და შემძენი შეთანხმდნენ იმაზე, რომ გასხვისება უნდა გავრცელდეს მიწის ნაკვეთის საკუთვნიბელზე, მაშინ შემძენი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან ერთად ასევე იძენს საკუთრების უფლებას შეძენის მომენტისათვის არსებულ საკუთვნიბელზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი ეკუთვნის გამსხვისებელს. ²საექვობისას ივარაუდება, რომ გასხვისება უნდა გავრცელდეს საკუთვნიბელზე.

(2) თუ გასხვისების საფუძველზე შემძენი იძენს მფლობელობას საკუთვნიბელზე, რომელიც გამსხვისებელს არ ეკუთვნის, ან დატვირთულია მესამე პირების უფლებებით, მაშინ გამოიყენება §§ 932-936-ის ნორმები; შემძენის კეთილსინდისიერებისათვის განმსაზღვრელია მფლობელობის მიღების მომენტი.

§ 927. გამონვევითი წარმოება

(1) ¹მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეიძლება წაერთვას თავისი უფლება გამონვევითი წარმოების წესით, თუ სხვა პირი მიწის ნაკვეთს 30 წლის განმავლობაში ფლობს როგორც საკუთარს. ²ფლობის ვადა გამოითვლება იმავე წესით, როგორც მოძრავი ნივთის ხანდაზმულობით შეძენისას. ³თუ მესაკუთრე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, მაშინ გამონვევითი წარმოება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გარდაიცვალა ან აღიარებულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად და 30 წლის განმავლობაში საჯარო რეესტრში არ განხორციელებულა რეგისტრაცია, რისთვისაც საჭირო იყო მესაკუთრის თანხმობა.

(2) პირი, ვის სასარგებლოდაც გამონვევით წარმოებაში მიღებულია სასამართლოს განჩინება, იძენს საკუთრების უფლებას მისი მესაკუთრის სახით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

(3) თუ გამონვევითი წარმოებაში მიღებული სასამართლოს განჩინების გამოტანამდე მესამე პირი რეგისტრირებულია როგორც მესაკუთრე ან მესამე პირის საკუთრების უფლების გამო საჯარო რეესტრის უსწორობის მიმართ შეტანილია პროტესტი, მაშინ გამონვევითი წარმოებაში მიღებული სასამართლოს განჩინება არ მოქმედებს მესამე პირის მიმართ.

142 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

§ 928. საკუთრების უფლების მიტოვება, მისაკუთრება ხაზინის მიერ

(1) მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება შეიძლება მიტოვებულ იქნეს მესაკუთრის მიერ საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე გაკეთებული უარის შესახებ განცხადებით და უარის საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.

(2) ¹მიტოვებულ მიწის ნაკვეთზე მისაკუთრების უფლება ეკუთვნის იმ ფედერაციული მხარის ხაზინას, რომელზეც განთავსებულია მიწის ნაკვეთი. ²ხაზინა იძენს საკუთრების უფლებას მისი მესაკუთრის სახით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

პირველი ნაწილის ნორმა არ მოქმედებს საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის წილზე უარის თქმის მიმართ; თუმცა, ყველა თანამესაკუთრეს ერთად შეუძლია პირველი ნაწილის ნორმის თანახმად საკუთრების უფლების მიტოვება (BGHZ, 172, 209, №20).

კარი 3. საკუთრების უფლების შექენა და დაკარგვა მოძრავ ნივთებზე

ქვეკარი 1. საკუთრების უფლების გადაცემა

§ 929-ის შესავალი

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექენის თემის განსახილველად შემდეგ კვლევის სქემას შეუძლია მიმოხილვის გამარტივება:

1. საკუთრების უფლების შექენა უფლებამოსილი პირისაგან (§§ 929-931)

ა) უფლებამოსილება საკუთრების უფლების ან განკარგვის უფლების საფუძველზე

ბ) სანივთო შეთანხმება (§ 929-ის პირველი წინადადება)

გ) ნივთის მფლობელობაში გადაცემა (§ 929-ის პირველი წინადადება) ან მფლობელობაში გადაცემის შემცველი გარემოება (§§ 929-ის მე-2 წინადადება, 930, 931)

დ) შეთანხმების არსებობა ნივთის მფლობელობაში გადაცემის მომენტისათვის

2. საკუთრების უფლების შექენა არაუფლებამოსილი პირისაგან (§§ 932-935)

ა) უფლებამოსილების არარსებობა საკუთრების უფლების არარსებობის გამო

ბ) სანივთო შეთანხმება (§ 929-ის პირველი წინადადება)

გ) ნივთის მფლობელობაში გადაცემა (§ 929-ის პირველი წინადადება, 932-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება) ან მფლობელობაში გადაცემის შემცველი გარემოება (§§ 929-ის მე-2 წინადადება, 932-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება; §§ 930, 933; §§ 931, 934)

დ) შეთანხმების არსებობა ნივთის მფლობელობაში გადაცემის მომენტისათვის

ე) გარიგება იმ გარიგების გაგებით, რომელშიც სხვადასხვა სუბიექტი მონაწილეობს

ვ) მოძრავი ნივთის დაკარგვის ფაქტის არარსებობა (§ 935-ის პირველი ნაწილი)

§ 929. შეთანხმება და გადაცემა

¹მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა, მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემძენს და ორივე მხარე შეთანხმდეს საკუთრების უფლების გადასვლაზე. ²თუ ნივთს ფლობს შემძენი, მაშინ საკმარისია საკუთრების უფლების გადასვლაზე შეთანხმება.

I. სანივთო შეთანხმება

- 1 **1. სანივთო შეთანხმება არის სანივთო ხელშეკრულება**, რომლის მიმართაც მოქმედებს გარიგებების შესახებ (§ 104 და შემდეგი პარაგრაფები) ზოგადი ნაწილის ნორმები. აღნიშნულისათვის საჭირო **განკარგვის უფლებამოსილება** ეკუთვნის, როგორც წესი, მესაკუთრეს (პრობლემური შემთხვევებისათვის იხ. § 932-ის მე-5 და შემდეგი ველები). აქცეპტი შეიძლება ასევე განხორციელდეს კონკლუდენტური მოქმედებითაც, მაგ., შეუკვეთავი საქონლით სარგებლობით (შდრ. § 151). წარმომადგენლობა შესაძლებელია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთრების უფლების გადაცემისას იმ პირისათვის, ვისაც იგი ეხება (იხ. § 164-ის მე-11 ველი).
- 2 **2. გამიჯვნისა და აბსტრაქციის პრინციპი.** სანივთო შეთანხმება, როგორც სანივთო ხელშეკრულება, უნდა იქნეს განხილული მის საფუძვლად არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებისაგან გამიჯნულად (მაგ., ნასყიდობა) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორივე ხელშეკრულება გარეგნულად ერთმანეთს ემთხვევა. სანივთო გარიგება აბსტრაქტულია, შესაბამისად, იგი არ საჭიროებს კაუზალური მიზნის განსაზღვრას და რჩება ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების ნამდვილობისაგან დამოუკიდებელი. განსხვავებული გაფორმება, – მაგ., ორივე გარიგებას შორის პირობითი ურთიერთკავშირის (§ 158) ან ერთიანობის დადგენით, § 139-ის გაგებით, – შესაძლებელია, თუმცა, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (იხ. § 139-ის მე-2 ველი).
- 3 **3. განსაზღვრულობის პრინციპი.** სანივთო შეთანხმება უნდა ეხებოდეს განსაზღვრულ ნივთებს, წმინდა განსაზღვრებადობა საკმარისი არ არის. საწყობიდან 3500 ტომარა ფქვილზე საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში, შესაბამისი ტომრები უნდა გამოცალკევდეს ან იმდენად ზუსტად უნდა აღინეროს, რომ ყოველთვის არსებობდეს მათი გამოცალკევების შესაძლებლობა (შდრ. RGZ, 113, 57, 59). განსაზღვრულობა, როგორც წესი, უნდა არსებობდეს სანივთო შეთანხმების დადების მომენტში, ანუ სწორედ იმ მომენტში, როდესაც ნებისმიერ პირს, რომელმაც იცის შეთანხმების შესახებ, დაზუსტებით შეეძლოს იმის დადგენა, თუ რომელი საგნები უნდა გასხვისდეს. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება, როდესაც ქმარი თავის ცოლს ჩუქნის სახლში არსებულ საოჯახო მოხმარების ყველა საგანს; მოგვიანებით მომხდარ მოვლენებს, რომლებიც ხელშეკრულების მიღმა არსებობს, მაგ., მოგვიანებით სხვა საგნების დამატებამ შესაძლებელია გაართულოს მტკიცებულებითი მდგომარეობა, მაგრამ სანივთო შეთანხმება ამის შედეგად არ კარგავს განსაზღვრულობას (BGHZ, 73, 253, 255).
- 4 **4. სანივთო შეთანხმების დადების მბოჭავი ვალდებულების არსებობა** ნივთის მფლობელობაში გადაცემის მომენტამდე სასამართლოს პრაქტიკისა (RGZ, 109, 201, 203; BGHZ, 7, 111, 115) და გაბატონებული შეხედულების თანახმად (მაგ., Baur/Stürmer, § 5 36-ე ველი) უარყოფილია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: შეთანხმებულად ყოფნისათვის შესაბამისი მომენტია ნივთის მფლობელობაში გადაცემა. ამ მომენტამდე უარის თქმის შესაძლებლობის სასარგებლოდ საუბრობს, რა თქმა უნდა, არასავალდებულოდ, § 873-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე სანიწალმდეგო დასკვნა და ის გარემოება, რომ § 932 და შემდეგი პარაგრაფების მიერ შემძენის კეთილსინდისიერება, როგორც წესი, ნივთის მფლობელობაში გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს მოცემული (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ხაზგასმულია ნაშრომში: Medicus-Petersen, 36-ე ველი). ნაკლებად გაზიარებული შეხედულების თანახმად კი (Westermann, § 38, 4), ამ შემთხვევაში არ არსებობს საკმარისი საფუძვლები იმისათვის, რომ სანივთო შეთანხმებისას გვერდი ავუაროთ იმ ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულება ავალდებულებს მხარეებს მისი დადებისთანავე. ორივე შეხედულებას შორის სხვაობა შერბილებულია იმით,

რომ, გაბატონებული შეხედულების თანახმად, სანივთო შეთანხმების არსებობის გაგრძელება ივარაუდება და მოითხოვება უარის თქმის განცხადების შექმნაზე თანხმობის მიმცემისთვის ჩაბარება (შდრ. BGH NJW, 1978, 696, 697: უარი შემდეგისათვის „ცნობადი უნდა იყოს“).

დ) პრობლემატურია საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ სანივთო შეთანხმების სამართლებრივი ძალის საკითხი ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების ბათილობის შემთხვევაში, **ზნეობის ნორმების დარღვევის** გამო, სამოქალაქო კოდექსის § 138-ის შესაბამისად. § 138-ის მე-2 ნაწილის თანახმად, მევახშეობის შემთხვევაში ნორმის სიტყვასიტყვითი ტექსტი მოიცავს თავად სანივთო გარიგებასაც („აძღულებს... ქონებრივი სარგებლის გადაცემას“). § 138-ის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიუხედავად განკარგვითი გარიგების პრინციპული ნეიტრალიტეტისა, ბათილობა ივარაუდება, როდესაც „უშუალოდ სანივთოსამართლებრივი შედეგით დასახულია ამორალური მიზანი, ან მას საფუძველად უდევს ამორალურობა“ (BGHZ, 7, 111, 114). იხ. ასევე § 138-ის მე-5 ველი¹⁴³.

II. ნივთის მფლობელობაში გადაცემა (ნივთის გადაცემა)

1. **ცნება.** კანონის ტექსტის თანახმად, სანივთო შეთანხმებასთან ერთად მოითხოვება, რომ „მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემძენს“ (ტრადიციის პრინციპი). კანონი განსაზღვრავს მესაკუთრის მიერ შემძენზე ნივთის მფლობელობაში გადაცემის სტანდარტულ შემთხვევას, თუმცა, გადაცემის სხვა ფორმები, მათ შორის, შუალობითი მფლობელის, მპყრობელის (მოსამსახურის) ან რწმუნებული პირის ჩართვა, გამორიცხული არ არის. ამდენად, მფლობელობაში გადაცემის ცნება ფართოდ უნდა იქნეს გაგებული. § 929-ის პირველი წინადადების ძირითადი იდეის თანახმად, გადამწყვეტია სამგვარი პირობა (იხ. *Baur/Stürmer*, § 51-ის მე-12 ველი): (1) მესაკუთრემ უნდა მიატოვოს მფლობელობა; (2) შემძენმა ის უნდა მიიღოს; (3) მფლობელობის მიღება უნდა მოხდეს მესაკუთრის ინიციატივით. კერძოდ, თითოეულ პირობაზე შეიძლება ითქვას შემდეგი:

ა) **მფლობელობის მიტოვება** სახეზეა ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც თავდაპირველი მესაკუთრის **მპყრობელი (მოსამსახურე)** ამ უკანასკნელის სურვილის საფუძველზე სამომავლოდ ასრულებს შემძენის მითითებებს, ან, როდესაც თავდაპირველი მესაკუთრის **შუალობითი მფლობელი** ამ უკანასკნელის ინიციატივით დებს შეთანხმებას მფლობელობის შუალობითი ურთიერთობის დადგენის შესახებ (RGZ, 103, 151; BGHZ 92, 280, 288). მაგ. (*Baur/Stürmer*, § 51-ის მე-14 ველი RGZ, 103, 151-ის მიხედვით): თუ ვ კ-ზე ასხვისებს ლ-თან შენახულ სარდინების კონსერვებს და მას ლ აძლევს განკარგულებას, კ-სთან დადოს ახალი მიბარების ხელშეკრულება, მაშინ გადაცემა განხორციელებულად ითვლება (არ ხდება § 931-ის შემთხვევა, ვინაიდან ვ-მ არ მოახდინა ლ-ის მიმართ კუთვნილი უკან გამოთხოვის მოთხოვნის უფლების დათმობა). გადაცემისათვის საკმარისია ისიც, როდესაც თავდაპირველი მესაკუთრის შუამავალი, რომელიც თავად არ ფლობს ნივთს (მათ შორის, არც არაპირდაპირ), მესაკუთრის განკარგულებით შემძენს გადასცემს ნივთს, ან მომავალში უზრუნველყოფს მისთვის მფლობელობის გადაცემას, ე. წ. **შექმნა განკარგულების საფუძველზე** (BGHZ, 36, 56, 60; *Baur/Stürmer*, § 51, მე-15 ველი).

ბ) **მფლობელობის მიღება ხდება** იმ შემთხვევაში, როდესაც შემძენი (აუცილებლობისას, მფლობელის ჩართვით) იღებს პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობას, ისევე როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც თავდაპირველი მესაკუთრის მპყრობელი (მოსამსახურე) ან შუალობითი მფლობელი ამ მდგომარეობას მომავალში შემძენისთვის ასრულებენ (შდრ. ზემოთ, მე-9 ველი). გარდა ამისა, **განკარგულების საფუძველზე შექმნა** არა მხოლოდ გამსხვისებლის, არამედ შემძენის მხარეზეც

143 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

ალიარებულია სასამართლო პრაქტიკის მიერ (BGH NJW, 1973, 141). აღნიშნულს მნიშვნელობა აქვს განკარგულების საფუძველზე ორმაგი შეძენის შემთხვევაში, როდესაც არც თავდაპირველ მესაკუთრეს აქვს მფლობელობა და არც შემძენმა მიიღო იგი. მაგ.: შემძენის განკარგულების საფუძველზე თავდაპირველმა მესაკუთრემ განკარგულება მისცა მესამე პირს, პირდაპირ მფლობელს, რომელიც არ არის შუალობითი მფლობელი, ნივთი, თავის მხრივ, გადასცეს მეოთხე პირს, რომელიც არ არის შემძენის შუალობითი მფლობელი. ე. წ. **ჯაჭვური გარიგების** შემთხვევაში (გამყიდველი ვ პირველი მყიდველის – კ-ს დავალებით საქონელს უგზავნის პირდაპირ მეორე მყიდველს – დ-ს), როგორც წესი, ხდება ინტერპრეტაცია იმგვარად, რომ საკუთრების უფლება უშუალოდ გადაეცემა პირდაპირ არა მეორე მყიდველს, არამედ პირველი მყიდველის მეშვეობით (BGH NJW, 1986, 1166). ვ-საგან დ-ზე მიწოდებაში ვლინდება ორმაგი გადაცემა, კერძოდ კი, ვ-საგან დ-ზე (კ-ს როგორც შემძენის განკარგულების საფუძველზე), ისევე როგორც კ-საგან დ-ზე (კ-ს როგორც გამსხვისებლის განკარგულების საფუძველზე); იხ., მაგ., *Palandt-Bassenge*, მე-20 ველი; *Jauernig*, მე-16 ველი.

9 გ) მფლობელობის მიღება უნდა მოხდეს თავდაპირველი მესაკუთრის **ინიციატივით**. ამიტომ გადაცემის ნება უნდა ეხებოდეს საკუთრების უფლების გადაცემას; ეს ნება, ისევე როგორც მფლობელობის ნება, როგორც წესი, (გამონაკლისი: § 854-ის მე-2 ნაწილი), ბუნებრივი და არა სამართლებრივი ხასიათისაა (*Baur/Stürmer*, § 51 მე-18 ველი).

10 2. მფლობელობაში გადაცემა მე-2 წინადადების შესაბამისად **ზედმეტია**, როდესაც შემძენი უკვე ფლობს ნივთს (ე. წ. **მოკლე ხელის გადაცემა – brevi manu traditio**). შემძენის პირდაპირი მფლობელობა საკმარისია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამსხვისებელს არანაირი მფლობელობითი ურთიერთობა ნივთთან არ აქვს, მათ შორის, იგი არ არის შემძენის შუალობითი მფლობელი (BGH NJW, 1987, 1266). **მყრობელის (მოსამსახურის)** მიმართ საკუთრების უფლების გადაცემა, მე-2 წინადადების თანახმად, შეუძლებელია, ვინაიდან მას, § 855-ის თანახმად, არა აქვს მფლობელობა; უფრო სწორად რომ ვთქვათ, § 855-ში გათვალისწინებული დამოკიდებული ურთიერთობის გაუქმება უნდა ემატებოდეს სანივთო შეთანხმებას (იხ., მაგ., *Baur/Stürmer*, § 51 მე-14 ველი). ამავე დროს, ეს გაუქმება, როგორც წესი, შედის სანივთო შეთანხმებაში § 929-ის თანახმად; ასევე § 854-ის მე-2 ნაწილის თანახმად, სანივთო შეთანხმების მოთხოვნა ფორმალურად ჩანს (სადავოა; როგორც, მაგ., *Westermann*, § 40 III 2; *MüKo-Quack*, 158-ე ველი).

III. პირობადებული საკუთრება და სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება

11 პირობადებული საკუთრების შემთხვევაში სახეზეა სანივთო შეთანხმება და ნივთის მფლობელობაში გადაცემა, თუმცა, სანივთო შეთანხმება დადებულია ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის სუსპენზიური პირობით (§ 158-ის პირველი ნაწილი). დეტალურად იხ. § 449-ის კომენტარი. პირობითი მყიდველი ნაყიდ ნივთზე იქნის **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლებას, რაც გადადის სრულყოფილ უფლებაში (საკუთრების უფლებაში) თანხის ბოლო ნაწილის გადახდისთანავე. ცალკეულ შემთხვევებში მოქმედებს შემდეგი:

12 1. **ცნება. სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლების წარმოშობის წინაპირობაა უფლების წარმომშობი რამდენიმე სახის ფაქტობრივი გარემოებიდან უკვე იმდენი ნიშნის შესრულება, რომ შესაძლებელი იქნება შემძენის უზრუნველყოფილ უფლებრივ მდგომარეობაზე საუბარი, რომლის თავიდან აცილებაც უფლების წარმოშობაში მონაწილე სხვა პირს ცალმხრივად აღარ შეუძლია (BGHZ, 45, 186, 188; 49, 197, 201).

2. სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების დაცვა.

13

ა) არსებობს მფლობელობის დაცვითი მოთხოვნის უფლებები § 858 და შემდეგი პარაგრაფებიდან, 1007-ის I, II-დან გამომდინარე. სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების მფლობელისათვის მფლობელობის უფლება შეიძლება გამომდინარეობდეს ორი სხვადასხვა წყაროდან.

აა) მფლობელობის ვალდებულებით-სამართლებრივი უფლების მინიჭება ხდება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. § 449-ის მე-10 ველი). იგი მოქმედებს გამყიდველის კუთვნილი ნივთის უკან გამოთხოვის მოთხოვნის უფლების წინააღმდეგ, § 986-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, და, გარდა ამისა, § 986-ის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირის წინააღმდეგ, რომელსაც გამყიდველმა § 930, 931-ის თანახმად გადასცა ნივთი საკუთრებაში.

ბ) გამომდინარეობს თუ არა სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლებიდან სანივთოსამართლებრივი მფლობელობის უფლება, ანუ ნებისმიერი პირის მიმართ მოქმედი უფლება, სადავოა. როდესაც, ზოგადად, მფლობელობის ვალდებულებით-სამართლებრივი უფლება (იხ. ზემოთ, მე-18 ველი) საკმარისია, მნიშვნელოვანი ხდება, უპირველეს ყოვლისა, არამესაკუთრისაგან (იხ. ზემოთ, მე-12 ველი) სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების კეთილსინდისიერი შეძენის შემთხვევაში შესაბამისი სანივთო უფლების არსებობის საკითხი. უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლებაზე უფლებამოსილ პირს მიანიჭა არაკეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული შესაგებელი მესაკუთრის კუთვნილი ნივთის უკან გამოთხოვის მოთხოვნის უფლების წინააღმდეგ, § 985-იდან გამომდინარე (dolo agit...; იხ. § 242-ის მე-3 ველი), როდესაც პირობის დადგომა უშუალოდ ხდება (BGHZ, 10, 69, 75), რადგან სხვა შემთხვევაში, მესაკუთრეს მოუწევდა დაუყოვნებლივ (თანხის უკანასკნელი ნაწილის გადახდის შემდეგ) ნივთის უკან დაბრუნება. ლიტერატურა კი, პირიქით, ძირითადად, ირჩევს გადაწყვეტის განსხვავებულ გზას და ეთანხმება სანივთოსამართლებრივ მფლობელობის უფლებას, ვინაიდან სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება ვერ იქნებოდა სარგებლის მიღებაზე უფლებამოსილების მიმნიჭებელი (იხ., მაგ., Baur/Stürmer, § 59 47-ე ველი; Jauernig, 60-ე ველი). თუმცა, ნაწილობრივ, სანივთოსამართლებრივი მფლობელობის უფლების არსებობა უარყოფილია, ვინაიდან არ ჩანს იმის აუცილებლობა, რომ მოხდეს არსებული საკუთრების უფლების დათმობა სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის საკუთრების უფლების (რომელიც ჯერ არანაირად არ არის სანდო) მიმართ (ასე, მაგ., იხ. Medicus-Petersen, 465-ე ველი).

ბ) შუალედური განკარგვებისაგან დაცვა. სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების მფლობელი § 161-ის პირველი ნაწილის ნორმით დაცულია პირობადებული საკუთრების უფლებით გამყიდველის მხრიდან განხორციელებული შემდგომი განკარგვებისაგან. მართალია, § 161-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შესაძლებელია ასევე სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების კეთილსინდისიერი შეძენაც, თუმცა, იგი, ძირითადად, § 934-ის პირველი ნაწილის პირველი ალტერნატივის თანახმად, გასხვისების მიმართ § 136-ის მე-3 ნაწილის ნორმის ანალოგიით არ გამოიყენება მანამდე, სანამ სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების შეძენაზე უფლებამოსილი პირი პირდაპირ მფლობელობას არ გადასცემს კეთილსინდისიერ შემძენს თავისი მფლობელობის უფლებაზე მითითების გარეშე.

14

გ) სანივთოსამართლებრივი დაცვა. გაბატონებული შეხედულების თანახმად, სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების შეძენაზე უფლებამოსილ პირს აქვს მოთხოვნის უფლებები §§ 985, 987 და შემდეგი პარაგრაფებისა და § 1004-ის პირველი ნაწილის ნორმათა ანალოგიით.

15

დ) დელიქტური დაცვა. სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება თავისთავად დაცული სხვა უფლებათა § 823-ის პირველი ნაწილის გაგებით (BGHZ, 55,

16

20, 25; შდრ. § 823-ის მე-8 ველი) და ზოგადი შეხედულების თანახმად, იგი შეიძლება იყოს უსაფუძვლო გამდიდრებით მოთხოვნის უფლების საგანი, § 812-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად.

17 3. სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება დამოკიდებულია ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის არსებობაზე (სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების აქცესორულობა). პირობის დადგომა და ამით სრულყოფილ უფლებაში გადასვლა შესაძლებელი უნდა იყოს, ვინაიდან სხვაგვარად **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლება სრულად დაკარგავდა თავის შინაარსს. ამდენად, თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება თავიდანვე ბათილია, მაშინ **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლება არ წარმოიშობა, ან იგი უქმდება, მსგავსად შეცილებისა (იხ. § 142-ის პირველი ნაწილი), უუქუცევითი ძალით; ამ შემთხვევაში **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლების კეთილსინდისიერი შეძენა გამორიცხულია. გარდა ამისა, **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლება უქმდება (მეორადი შეძენის შემთხვევაშიც), როდესაც გამყიდველი გადის ხელშეკრულებიდან (სრულად იხ. BGHZ, 75, 221, 225).

18 4. სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების კეთილსინდისიერი შეძენა (პირველადი შეძენა), ზოგადი შეხედულებით, შესაძლებელია § 932-ისა და შემდეგი პარაგრაფების ანალოგიით, როდესაც შემძენი გამსხვისებელს კეთილსინდისიერად მიიჩნევს მესაკუთრედ; კეთილსინდისიერებისათვის შესაბამისი მომენტია პირობითი სანივთო შეთანხმება და ნივთის მფლობელობაში გადაცემა; ამდენად, უარყოფითად არ მოქმედებს ის ფაქტი, რომ მყიდველი ნივთის გადაცემის შემდეგ შეიტყობს გამსხვისებლის მხრიდან უფლებამოსილების არარსებობის შესახებ (BGHZ, 10, 69, 73).

19 5. სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების გადაცემა (მეორადი შეძენა) შესაძლებელია. ზოგადი შეხედულებით, იგი ხორციელდება § 929-ისა და შემდეგი პარაგრაფების მსგავსად, როგორც სრულყოფილი უფლების გადაცემა და არა § 413, 398-ის თანახმად. პირობითი მესაკუთრის თანხმობა საჭირო არ არის (იხ., მაგ., Baur/Stürner, § 59-ის 34-ე ველი). თუ პირობით მყიდველს სურს საკუთრების უფლების (და არა **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლების) უზრუნველსაყოფად გადაცემა სხვა პირზე, მაშინ იგი მოქმედებს როგორც არაუფლებამოსილი პირი და საკუთრების უფლების კეთილსინდისიერი შეძენა, როგორც წესი, არ ხდება § 933-ის გამო; ამ შემთხვევებში, მხარეთა ნების თანახმად, სულ ცოტა, ხდება **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლების (როგორც საკუთრების უფლებასთან შედარებით უფრო სუსტი უფლების) უზრუნველსაყოფად (უფლებამოსილი პირისაგან) გადაცემა (იხ., მაგ., BGHZ, 50, 45, 48; Jauernig, 51-ე ველი).

ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნაზე დამოკიდებულება შენარჩუნდება ასევე **მეორადი შემძენისათვის**. თუ, მაგ., პირობითი მყიდველი იყენებს კუთვნილ შეცილების ან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებებს, მაშინ ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის გაუქმებასთან ერთად უქმდება ასევე **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლებაც (იხ. ზემოთ, მე-13 ველი). როდესაც ხდება ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის შესრულება, **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლება გადადის სრულყოფილ უფლებაში მეორადი შემძენის ხელში და, ამასთან, პირობითი მყიდველის გარეშე (ძირითადი წესი იხ. BGHZ, 20, 88, 97). ამდენად, მეორად შემძენს პირობითი მყიდველის მიერ ყადაღის დადების შემთხვევაში აქვს შესაგებლის უფლება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 771-იდან გამომდინარე, ხოლო პირობითი მყიდველის გაკოტრების შემთხვევაში – ქონების გამოყოფის უფლება, გაკოტრების კანონის § 47-იდან გამომდინარე.

20 6. სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების კეთილსინდისიერი მეორადი შეძენა მაინც გამორიცხულია იმ შემთხვევაში, როდესაც **სამომავლო**

უფლების მიღების მოთხოვნის უფლება აღარ არსებობს, ანუ ასევე ის არ არსებობს სხვა მფლობელისათვის; შესაბამისად, ვინაიდან სრულყოფილი უფლების შექმნისათვის პირობა – კეთილსინდისიერი პირველადი შექმნის დროს არსებული მდგომარეობისაგან განსხვავებით (იხ. ზემოთ, მე-12 ველი) – ველარასოდეს დადგება, **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება** აზრსმოკლებული იქნებოდა. არა გამსხვიებლის, არამედ სხვა პირის კუთვნილი **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების** კეთილსინდისიერ მეორად შექმნას § 932 და შემდეგი პარაგრაფების ანალოგიით ლიტერატურის ნაწილი, პირიქით, შესაძლებლად მიიჩნევა (ასე, მაგ., *Baur/Stürner*, § 59, 39-ე ველი. ამავე დროს, უფრო ფართოდ გაზიარებული საწინააღმდეგო შეხედულების მიერ (მაგ., *Westermann/Gursky*, § 45, III, 1d; *Medicus-Petersen*, 475-ე ველი) **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლების** კეთილსინდისიერი მეორადი შექმნის შესაძლებლობა უარყოფილია; შესაბამისად, მეორადმა შექმნმა იცის, რომ გამსხვიებელი არ არის მესაკუთრე და ამიტომ სახეზე არ არის § 932 და შემდეგ პარაგრაფებში მფლობელობასთან დაკავშირებული სამართლებრივი მდგომარეობა¹⁴⁴.

§ 929ა. შეთანხმება არარეგისტრირებული საზღვაო ხომალდის შემთხვევაში

(1) იმ საზღვაო ხომალდზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის, რომელიც არ არის რეგისტრირებული საზღვაო ხომალდების რეესტრში, ან ასეთი საზღვაო ხომალდის ნაწილზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის მფლობელობაში გადაცემა აუცილებელი არ არის, თუ მესაკუთრე და შემქმნი შეთანხმდნენ საკუთრების უფლების დაუყოვნებლივ გადასვლაზე.

(2) ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მას თავისი ხარჯით გადაეცეს გასხვისების თაობაზე ოფიციალურად დამონმებული დოკუმენტი.

§ 930. შეთანხმება არაპირდაპირი მფლობელობის დადგენისას, თუ ნივთს ფლობს მესაკუთრე, ნივთის გადაცემა შეიძლება შეიცვალოს იმით, რომ მასა და შემქმნის შორის შეთანხმებულ იქნეს სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც შემქმნი იძენს არაპირდაპირ მფლობელობას.

I. ზოგადი მიმოხილვა

1. საკუთრების უფლების შექმნის (იხ. § 929) წინაპირობებისაგან **ნივთის მფლობელობაში გადაცემა** (და არა სანივთო შეთანხმება) შეიძლება შეიცვალოს მფლობელობის შუალობითი ურთიერთობით (შეთანხმება არაპირდაპირი მფლობელობის დადგენის შესახებ), რითაც გამსხვიებელი, სულ ცოტა, დროებით მაინც შეიძლება დარჩეს ნივთის მფლობელად. ასევე მხოლოდ **არაპირდაპირ მფლობელ** მესაკუთრესაც შეუძლია ამ ფორმით გასხვისება: იგი გახდება არაპირდაპირი მფლობელი სხვისთვის, შემქმნი კი – არაპირდაპირი მფლობელი თავისთვის; ამდენად, წარმოიშობა მრავალსაფეხურიანი არაპირდაპირი მფლობელობა (§ 871); პირდაპირმა მფლობელმა შეიძლება არც კი იცოდეს სხვისთვის საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. მესამე პირთან ან შემქმნთან ერთად **თანამფლობელს** შეუძლია, ანალოგიურად § 930-ის გამოყენება; მაგ., მეუღლეს შეუძლია, თანამფლობელობაში არსებული სახლის საყოფაცხოვრებო ნივთების §§ 929-ის პირველი წინადადების, 930-ის თანახმად გასხვისება (იხ. აქვე, მე-2 ველი).

2. შეთანხმებული უნდა იყოს **კონკრეტული მფლობელობის შუალობითი ურთიერთობა**, § 868-ის გაგებით. მისი ნამდვილობა აუცილებელი არ არის, სანამ არსებობს მხოლოდ ნივთის უკან გამოთხოვის მოთხოვნის უფლება (შდრ. § 868-ის მე-3 ველი). **კანონისმიერი სამართლებრივი ურთიერთობა** გამსხვიებელსა და

144 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

შემძენს შორის (მაგ., § 1353: მეუღლეთა თანაცხოვრება; § 1626: მშობელსა და შვილებს შორის ურთიერთობა) საკმარისია „შეთანხმებული“ არაპირდაპირი მფლობელობის დასადგენად, როდესაც გამსხვისებელს (სულ ცოტა, კონკლუდენტურად გამჟღავნებული) მხარეთა ნების თანახმად, ამ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე სურს, იყოს შუალობითი მფლობელი (BGHZ, 73, 253, 258; BGH NJW, 1989, 2542, 2543); ამდენად, არაპრაქტიკული და არარეალური იქნებოდა, ამ შემთხვევაში მოთხოვნილიყო კანონისმიერი დანაწესის გამომრიცხავი ხელშეკრულებით დადგენილი მფლობელობის შუალობითი ურთიერთობის შესახებ (მაგ., მიზარება) შეთანხმება.

- 3 უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლებით გადაცემისას უზრუნველყოფის ხელშეკრულება (იხ. ქვემოთ, მე-8 ველი) ქმნის საკმარისად განსაზღვრულ მფლობელობის შუალობით ურთიერთობას, როდესაც მისგან (სულ ცოტა, განმარტების მეშვეობით) გამომდინარეობს ის, რომ უზრუნველყოფის მიმცემი ამ ხნის განმავლობაში ფლობს საუზრუნველყოფო ქონებას და შეუძლია მისი დამუშავება მანამდე, სანამ უზრუნველყოფის მიმღები არ გამოითხოვს ნივთს მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (BGH NJW, 1979, 2308, ისევე როგორც NJW-RR, 2005, 280).**
- 4 3. მომავლისთვის გათვლილი შეთანხმება არაპირდაპირი მფლობელობის დადგენის შესახებ (მომდინარეობს სიტყვიდან: *anticipare* – წინასწარი გათვლა) დასაშვებია. ამდენად, მოვალეს შეუძლია ასევე იმ ნივთების მესამე პირის საკუთრებაში გადაცემა და მფლობელობაში გადაცემის შეცვლა მომავლისთვის გათვლილი არაპირდაპირი მფლობელობის დადგენის შესახებ შეთანხმებით, რომლებსაც იგი მომავალში შეიძენს (BGHZ, 21, 52, 56). ძირითადი მაგალითი: პერიოდულად განახლებადი საქონლის სანყობი; თვით ახლად შემოსატანი საქონლის გასხვისებაც უნდა იყოს შესაძლებელი; სანივთო შეთანხმება და მფლობელობის შუალობითი ურთიერთობა მომავლისთვის გათვლილი იქნება. საკუთრების უფლება გადადის მესამე პირზე, როდესაც სანივთო შეთანხმება და გამსხვისებლის მხრიდან მფლობელობის შუალობითი ურთიერთობის ნება ჯერ კიდევ სახეზეა იმ მომენტში, როდესაც გამსხვისებელმა მიიღო მფლობელობა; აღნიშნული ნების არსებობა, სასამართლო პრაქტიკის მიერ ივარაუდება (*Palandt-Bassenge*, მე-11 ველი). გამსხვისებელი საკუთრების უფლებას იძენს „ლოგიკურ დროში“, სანამ ის გადაეცემა (გამსხვისებლის მხრიდან შუალობითი გადაცემა) მესამე პირს (უზრუნველყოფის მიმღებს) ისე, რომ აღნიშნულ დროში შეიძლება წარმოიშვას ნივთზე კანონისმიერი გირავნობის უფლება – მაგ., გამქიარავბლის კუთვნილი კანონისმიერი გირავნობის უფლება.**
- 5 განსაზღვრულობის პრინციპი (იხ. § 929, მე-3 ველი), მომავლისთვის გათვლილი არაპირდაპირი მფლობელობის დადგენის შესახებ შეთანხმების შემთხვევაში, არ შეიძლება, როგორც წესი, გაგებულ იქნეს ისე, რომ მხარეთა წარმოდგენა შეთანხმების დადების განცხადების გაკეთებისას უკვე კონკრეტულ, ინდივიდუალური ნივთი განსაზღვრულ ნივთზე უნდა იყოს მიმართული; შესაბამისად, მაგ., შესაძლებელია, რომ მომავალში სანყობში შესატანი ნივთები ჯერ კიდევ არ არსებობს და ჯერ კიდევ უნდა დამზადდეს. დათქმა უნდა შეიცავდეს ისეთ მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში ნათლად ჩანს, თუ რომელი საგანი იქნა გასხვისებული (BGH WM, 1966, 94). მაგალითად, შესაძლებელია გასხვისდეს სანყობში ან მის ნათლად შემოსაზღვრულ ნაწილში შენახული ყველა ნივთი ან განსაზღვრული სახეობის ყველა საქონელი, თუმცა, მხოლოდ ზომისა თუ ღირებულების შესახებ მონაცემები საკმარისი არ არის მათი საერთო მასიდან გამოცალკევებისათვის. თუ ამ სანყობში განთავსებულია საქონელი, რომელზეც გამსხვისებელს (უზრუნველყოფის მიმცემს) აქვს საკუთრების უფლება და, აგრეთვე, ისეთი საქონელი, რომელიც მინოდებულ იქნა პირობადებული საკუთრების უფლებით და, შესაბამისად, მათზე მას აქვს მხოლოდ **სამომავლო****

უფლების მიღების მოთხოვნის უფლება, მაშინ აუცილებელი განსაზღვრულობა არ არსებობს, როდესაც მხოლოდ უზრუნველყოფის მიმცემის კუთვნილი საქონელი უნდა გასხვისდეს (BGH WM, 1989, 1904, 1906); ამავე დროს, განსაზღვრულობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, პირიქით, საკმარისია, როდესაც უნდა იქნეს გადაცემული **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება** და სრული საკუთრების უფლება; შესაბამისად, იმავე ხერხით ხდება ყველა ნივთის მოცვა (**სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება** და სრული საკუთრების უფლება – ორივე გადადის, § 929-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად) და საჭირო აღარ არის საწყობში შენახული საქონლის ნაწილის გამოცალკევება **„სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება – სრული საკუთრების უფლების“** ნაკლებად ცხადი კრიტერიუმებით (BGHZ, 28, 16).

საკუთრების უფლების გადაცემის აღსანიშნავად გარეგნულად შესამჩნევი შესასრულებელი მოქმედება, რომელსაც, მაგ., რაიხის სასამართლო ითხოვდა (RGZ, 140, 223, 231), გარეგნულ ცნობადობასთან ერთად განსაზღვრულობის პრინციპის მეშვეობით, გაბატონებული შეხედულების თანახმად, მართებულად აღარ მოითხოვება (შდრ., მაგ., *Baur/Stürmer*, § 51 31-ე ველი; *Westermann*, § 41, III, 2). როდესაც განსაზღვრულობის მოთხოვნა ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადების მომენტში უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, § 930-ში საკუთრების უფლების შექმნის მომენტში გასაჯაროება და, შესაბამისად, ამით გარეგნულად შესამჩნევი შესასრულებელი მოქმედება უარყოფილია.

II. უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემა

1. § 930 თავის უმნიშვნელოვანეს გამოყენების სფეროს იძენს უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემის მეშვეობით. თუ კრედიტორმა, მაგ., ბანკმა, რომელმაც გასცა კრედიტი, უნდა გამოიყენოს მოვალის ნივთები უზრუნველყოფის სახით, მაშინ, როგორც წესი, პრაქტიკა იყენებს საკუთრების უფლების გადაცემას § 929-ის პირველი წინადადების, 930-ის შესაბამისად. უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემის ამ ფორმას აქვს თავისი უპირატესობა **გირავნობის უფლების დადგენასთან** შედარებით იმდენად, რამდენადაც მოვალე ინარჩუნებს ნივთებზე მფლობელობას (შდრ. ამის საპირისპიროდ § 1205). ამდენად, მას შეუძლია ნივთებით შემდგომი ეკონომიკური სარგებლობა, ხოლო საკუთრების უფლების გადაცემა (და, შესაბამისად, მისი დავალიანების ოდენობა) რჩება დაფარული, გარეგნულად შესამჩნევი მოქმედების არარსებობის გამო. გირავნობის უფლების საჯაროობის მოთხოვნის გვერდის ავლასთან დაკავშირებით ეჭვებმა ვერ შეაჩერა უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემის ტრიუმფალური სვლა. მისი დასაშვებობა დიდი ხანია აღიარებულია ჩვეულებით სამართალში. უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემის ზნეობის ნორმებთან წინააღმდეგობის შესახებ (კაბალურ ან საკრედიტო ურთიერთობაში მოტყუების გამო) იხ. § 138-ის მე-5 ველი, ხოლო რეალიზაციის შემთხვევაში, დატვირთული ნივთის ღირებულებასა და უზრუნველყოფილ ვალდებულებას შორის შეუსაბამობის გამო (საწყობის შემთხვევაში), – § 398-ის შესავლის მე-18 ველი.

2. უზრუნველყოფის ხელშეკრულება ქმნის უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემის საფუძველს. იგი აწესრიგებს უზრუნველყოფის მიმცემისა და უზრუნველყოფის მიმღების უფლებებსა და ვალდებულებებს, ისევე როგორც საუზრუნველყოფო ქონების რეალიზაციის წინაპირობებსა და სახეს. ზოგადად, უზრუნველყოფის მიმღებს შეუძლია, რეალიზაციის მიზნით მოითხოვოს ნივთი, როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნა მისი შესრულების ვადის დადგომისას არ სრულდება; ამ მომენტამდე მიღებული ნაყოფი მას ეკუთვნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სპეციალურად იქნა შეთანხმებული

(BGH WM, 1980, 226). უზრუნველყოფის მიმცემს კი, პირიქით, შეუძლია ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა (ე. წ. გათავისუფლების მოთხოვნის უფლება), როდესაც და რამდენადაც სახეზეა საბოლოო შეუსაბამობა რეალიზაციის შემთხვევაში დატვირთული ნივთის ღირებულებასა და უზრუნველყოფილ ვალდებულებას შორის, მათ შორის, საკუთრების უფლებით მთლიანად გადაცემული საწყობის შემადგენლობის შეცვლისას; ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ვალის დაფარვის ფარგლებისა და გათავისუფლების შესახებ დათქმისათვის დეტალურად იხ. § 398-ის შესავლის მე-18 ველის ბოლო.

9 უზრუნველყოფის ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემას არა აქვს სამართლებრივი ძალის მქონე საფუძველი და აქედან გამომდინარე უზრუნველყოფის მიმცემს აქვს საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნის უფლება, § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, პირველი კაზუსი. თუ, პირიქით, § 930-ის შესაბამისად, საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭირო არაპირდაპირი მფლობელობის დადგენის შესახებ შეთანხმება შეტანილ იქნება უზრუნველყოფის ხელშეკრულებაში (იხ. ზემოთ, მე-3 ველი), მაშინ უზრუნველყოფის ხელშეკრულების ბათილობა უნდა მოიცავდეს ასევე უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემასაც და შედეგად მესაკუთრედ დარჩებოდა უზრუნველყოფის მიმცემი (Jauernig, 39-ე ველი). სისტემური თვალსაზრისით, მართებული იქნებოდა, რომ უზრუნველყოფის დათქმის მიუხედავად, თუ სახეზეა საკუთრების უფლების გადაცემისა და სხვის მიერ ნივთის ფლობის ნება, ამ შემთხვევაშიც გამართლებულია აბსტრაქციის პრინციპის გამოყენება და საკუთრების უფლების (უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების ერთდროული მინიჭებით) გადაცემა (Staudinger-Wiegand, {2004}, N929 და შემდეგი პარაგრაფების დამატება, 90-ე ველი; ამჟამად ასევე, Baur/Stürner, § 57 მე-15 ველი).

10 3. უზრუნველყოფილი მოთხოვნა და უზრუნველყოფის მიზნით საკუთრება, როგორც წესი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობს.

11 ა) თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნა არ წარმოიშობა ან შეწყდება, მაშინ აღნიშნული უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემის ნამდვილობას ეხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის წარმოშობა ან შეწყვეტა გამონაკლისის სახით იყო უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემის გადადების ან გაუქმების პირობა; შესაბამისად, უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემა იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა არ წარმოიშობა (მაგ., სესხის გაუცემლობის გამო), სამართლებრივი ძალის არმქონეა (§ 158-ის პირველი ნაწილი), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა შეწყდება (მაგ., სესხის თანხის დაბრუნების გამო), საკუთრების უფლება კანონის ძალით გადადის უზრუნველყოფის მიმცემზე (§ 158-ის მე-2 ნაწილი). ამავე დროს, § 158-ის მიხედვით, ამ კავშირის თაობაზე უსიტყვო შეთანხმება არ ივარაუდება და უზრუნველყოფის მიმცემს, ძირითადად, აქვს მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება საკუთრების უფლების დაბრუნებაზე უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან ან § 812-იდან გამომდინარე (მდრ. დეტალურად § 398-ის შესავლის მე-14 ველი, უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ).

12 ბ) თუ მოხდება უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობა (§ 398), მაშინ საუზრუნველყოფო საკუთრების უფლება კანონის ძალით არ გადადის ცესიონერზე, ვინაიდან იგი არ მიეკუთვნება § 401-ში ნახსენებ აქცესორულ უფლებას; დეტალურად იხ. § 398-ის შესავლის მე-12 ველი.

13 4. საკუთრების უფლების გადაცემა უზრუნველყოფის მიზნით მესამე პირზე შესაძლებელია §§ 929, 931-ის შესაბამისად. თუმცა, ამით უზრუნველყოფის მიმცე-

მი, როგორც წესი, არღვევს მის მიერ უზრუნველყოფის ხელშეკრულებით ნაკისრ საკუთრების მინდობის ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებებს; თუმცა, § 137-ის შესაბამისად, ეს ხელშეკრულება ზოგადი წესით არ მოქმედებს მესამე პირების მიმართ. ამდენად, საკუთრების უფლების გადაცემა ძალმოხილია (დეტალურად იხ. BGH NJW, 1968, 1471; *Medicus-Petersen*, 502-ე ველი).

5. უზრუნველყოფის მიმცემის კრედიტორის მხრიდან საკუთრებაში გადაცემულ ქონებაზე იძულებითი აღსრულების შემთხვევაში, უზრუნველყოფის მიმღებს, როგორც მესაკუთრეს, აქვს მესამე პირის მოთხოვნის უფლება სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლებიდან გამომდინარე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 771). როდესაც უზრუნველყოფის მიმღების კრედიტორს სურს ნივთზე იძულებითი აღსრულება, სასამართლო პრაქტიკა რეალიზაციის ვადის დადგომამდე უზრუნველყოფის მიმცემს ანიჭებს ასევე გამომხმობის უფლებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 771-იდან გამომდინარე, ვინაიდან ნივთი მას აღნიშნულ მომენტამდე უზრუნველყოფის მიმღებთან ურთიერთობაში ეკონომიკურად ეკუთვნის (BGHZ, 72, 141).

გაკოტრების საქმის წარმოებაში უზრუნველყოფის მიმღებს აქვს მოგირანის მსგავსი სტატუსი და, ამდენად, იგი შეიძლება განცალკევებით დაკმაყოფილდეს (გაკოტრების კანონის § 51, №1), თუმცა, არა როგორც მესაკუთრე. თუ უზრუნველყოფის მიმღები გააკოტრდება, მაშინ, გაბატონებული შეხედულების თანახმად, უზრუნველყოფის მიმცემს შეუძლია განცალკევებით დაკმაყოფილება (გაკოტრების კანონის § 47), როდესაც იგი ასრულებს უზრუნველყოფილ მოთხოვნას.

§ 931. ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების დათმობა

თუ ნივთს ფლობს მესამე პირი, მაშინ გადაცემა შეიძლება შეიცვალოს იმით, რომ მესაკუთრე შემძენს დაუთმობს მოთხოვნის უფლებას ნივთის გამოთხოვაზე.

1. დასათმობი ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლება მფლობელობის შუალობითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებაა (მაგ., § 546, 604, 695-იდან გამომდინარე) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი არსებობს (BGH NJW, 1959, 1536). მოთხოვნის დათმობით გამსხვისებელი არაპირდაპირ მფლობელობას გადასცემს შემძენს (§ 870). თუ გამსხვისებელი არ არის არაპირდაპირი მფლობელი, მაგრამ მას აქვს ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებები, კანონიდან გამომდინარე (მაგ., §§ 812, 823), მაშინ მათი დათმობა შესაძლებელია. თუ გამსხვისებელს აქვს მხოლოდ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, § 985-იდან გამომდინარე, მაშინ, გაბატონებული შეხედულების თანახმად, საკუთრების უფლების გადაცემისათვის საკმარისია მხოლოდ სანივთო შეთანხმება; § 985-ის საფუძველზე არსებული მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს საკუთრების უფლებიდან და, საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ სანივთო შეთანხმებასთან ერთად, § 985-იდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლების განცალკევებული დათმობა აზრს მოკლებულია.

2. მოთხოვნის დათმობის მიმართ მოქმედებს § 398 და შემდეგი პარაგრაფები. იგი შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ფორმით და არ საჭიროებს პირდაპირი მფლობელისათვის შეტყობინებას. მიუხედავად იმისა, რომ იგი დამოუკიდებელი გარეგებაა, ხშირად საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ სანივთო შეთანხმებას ემთხვევა. მომავლისთვის გათვლილი სანივთო შეთანხმება და მოთხოვნის დათმობა შესაძლებელია, როდესაც გამსხვისებელი ჯერ იძენს სამომავლო საკუთრების უფლებას და არაპირდაპირ მფლობელობას; თუმცა, გასათვალისწინებელია განსაზღვრულობის პრინციპი (შდრ. § 930-ის მე-5 ველი).

3. პირდაპირი მფლობელობის დაცვისათვის § 404-სა და შემდეგ პარაგრაფებთან ერთად გამოიყენება §§ 986-ის მე-2 ნაწილი, 936-ის მე-3 ნაწილი. მოთხოვნის

დათმობის მიუხედავად, პირდაპირი მფლობელი ინარჩუნებს კუთვნილ სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივ უფლებებს.

§ 932. კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი პირისაგან

(1) ¹§ 929-ის თანახმად, განხორციელებული გასხვისების შედეგად შემძენი ხდება მესაკუთრე მაშინაც კი, თუ ნივთი გამსხვისებელს არ ეკუთვნის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი იმ დროისათვის, როდესაც მას, ამ ნორმების თანახმად, უნდა შეეძინა საკუთრების უფლება, კეთილსინდისიერი არ არის. ²თუმცა, § 929-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, ეს წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემძენმა გამსხვისებლისაგან მიიღო მფლობელობა.

(2) შემძენი არ არის კეთილსინდისიერი, თუ მან იცის, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ იცის, რომ ნივთი გამსხვისებელს არ ეკუთვნის.

I. ზოგადი მიმოხილვა

- 1 § 932 და შემდეგი პარაგრაფების ნორმები იძლევა არამესაკუთრისაგან კეთილსინდისიერი შეძენის შესაძლებლობას. ისინი დადგენილია **სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებში** (იხ., მაგ., *Baur/Stürner*, § 52 მე-8 და შემდეგი ველები). ყოველთვის აუცილებელია, სახეზე იყოს მფლობელობაზე დაფუძნებული უფლების არსებობის ვარაუდი, რომელსაც შემძენი ენდობა (BGHZ, 56, 123, 128).

II. წინაპირობები

- 2 საქმე უნდა ეხებოდეს გარიგებას იმ გაგებით, სადაც სხვადასხვა სუბიექტი მონაწილეობს. გარიგება სახეზეა, როდესაც საკუთრების უფლების შეძენა ეფუძნება მხარეთა შეთანხმებასა და არა კანონს, ან არ ხორციელდება იძულებითი აღსრულების პროცესში. გარიგება, სადაც სხვადასხვა სუბიექტი მონაწილეობს, სახეზეა, როდესაც შემძენის მხარეზე არსებობს, სულ ცოტა, ერთი პირი, რომელიც თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისითაც კი, არ შეიძლება ერთდროულად მიჩნეულ იქნეს გამსხვისებლად¹⁴⁵.
- 3 **1. კეთილსინდისიერი შეძენის ძირითადი წინაპირობებია:** ა) **სანივთო შეთანხმება** და შეთანხმებულად ყოფნა ნივთის მფლობელობაში გადაცემის მომენტისათვის (იხ. § 929-ის პირველი და შემდეგი პარაგრაფები); ბ) **ნივთის მფლობელობაში გადაცემა** ან მფლობელობაში გადაცემის შემცველი გარემოება, როდესაც §§ 932-934 ცვლის §§ 929-931-ის წესებს. სახეცვლილებიდან გამომდინარეობს შემდეგი პრინციპები (იხ. *Jauernig*, მე-4): გამსხვისებლის მხრიდან უნდა არსებობდეს მფლობელობით გამყარებული უფლების არსებობის ვარაუდი (დასაბუთება, იხ. § 932-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება); გამსხვისებელმა შემძენის სასარგებლოდ მფლობელობა სრულად უნდა დაკარგოს (დასაბუთება, §§ 933, 934 მე-2 კაზუსი); გ) **კეთილსინდისიერება** (იხ. ქვემოთ, მე-12 ველი); დ) ნივთის **დაკარგვის ფაქტის არარსებობა** (§ 935-ის პირველი ნაწილი); არსებული უფლების არსებობის ვარაუდის შესახებ მოსაზრება, გამართლებულია **რისკის პრინციპით**: მესაკუთრეს უნდა შეერაცხოს მხოლოდ მესამე პირზე მფლობელობის გადაცემით გამოწვეული რისკი (იხ. *Westermann/Gursky*, § 45, III, 2, შემდგომი მითითებებით).
- 4 **2. § 932 და შემდეგი პარაგრაფები გამოიყენება მხოლოდ გარიგების საფუძველზე შეძენისას** (ამდენად, არა იძულებითი აღსრულების ან კანონის ძალით შეძენის მიმართ) და მხოლოდ იმ **გარიგების საფუძველზე, რომელშიც სხვადასხვა სუბიექტი მონაწილეობს**. ეს ზოგადი შეხედულებაა და იგი გამომდინარეობს იქიდან, რომ § 932-ისა და შემდეგი პარაგრაფების სამოქალაქო ბრუნვის დაცვის მიზანი სხვაგვარად ვერ იქნება მიღწეული (შდრ. ასევე § 892-ის მე-5 ველი).

145 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

სადავოა, გამორიცხულია თუ არა განსაზღვრულ შემთხვევებში (მაგ., თავდაპირველი განკარგვითი გარიგების საწყის მდგომარეობაში დაბრუნება) არაუფლებამოსილი პირის მიერ ე. წ. **შეძენილის უკან დაბრუნება**, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესის არარსებობის გამო, და საკუთრების უფლება უნდა დაუბრუნდეს თუ არა თავდაპირველ მესაკუთრეს (იხ. *Baur/Stürner*, § 52-ის 34-ე ველი). ამ საკითხზე არსებობს უარყოფითი პასუხი, ვინაიდან, როგორც ჩანს, არ არსებობს სამართლის ნორმა, რომელიც აძლევს საწინააღმდეგო შეთანხმებაში არმონაწილე თავდაპირველ მესაკუთრეს შეძენის შესაძლებლობას და ვინაიდან თავდაპირველი უფლებამოსილი პირის კუთვნილი საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებებთან დაკავშირებით კანონისთვის უცნობი საწინააღმდეგო გადაწყვეტისათვის (სულ ცოტა, §§ 816-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, 818-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე; ხშირად ასევე § 280-იდან ან §§ 823-ის პირველი ნაწილიდან, 249-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე) არ არსებობს ასევე გადაუდებელი აუცილებლობა (დეტალურად იხ., მაგ., *Staudinger-Wiegand*, {2004}, 120-ე და შემდეგი ველები შემდგომი მითითებებით). არამესაკუთრე ნ, რომელმაც ნივთი კ-ზე გაასხვისა და შემდგომში მისგან, მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ, ნივთზე საკუთრების უფლება უკან დაიბრუნა, იძენს საკუთრების უფლებას, § 929-ის თანახმად, როდესაც კ-მ კეთილსინდისიერად შეიძინა ან § 932-ის თანახმად, როდესაც კ არაკეთილსინდისიერია, ნ, პირიქით, საკუთრების უფლების უკან გადმოცემამდე კეთილსინდისიერი იყო; ამ შემთხვევაში გაზიარებული შეხედულებების თანახმად, თავდაპირველი მესაკუთრე ე ახდენს ნ-ის მიმართ თავის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებების გადაცემას.

3. კეთილსინდისიერების მომწესრიგებელი ყველა ნორმის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს **უფლების არსებობის ვარაუდის ობიექტური ფაქტობრივი შემადგენლობა**: ა) ეს შემადგენლობა გამოიხატება, § 932-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შემთხვევაში, გამსხვისებლის **მფლობელობასა** და შემძენისათვის **ნივთის გადაცემაში**. მოკლე ხელის გადაცემით კეთილსინდისიერ შეძენას ართულებს პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა იმით, რომ შემძენს მფლობელობა პირდაპირ გამსხვისებლისგან (ან მისი რწმუნებული პირისაგან) უნდა ჰქონდეს მიღებული; სხვა შემთხვევაში მფლობელობით გამყარებული უფლების არსებობის ვარაუდი ვერ იარსებებდა. გამსხვისებელსაც მფლობელობა სრულად უნდა ჰქონდეს დაკარგული; ბ) **განკარგულების საფუძველზე კეთილსინდისიერი შეძენაც**, პირველი ნაწილის პირველი წინადადების ფარგლებში, ზოგადი შეხედულებით, შესაძლებელია. გადაცემა რწმუნებული პირის მეშვეობით ან ამ უკანასკნელზე ამ შემთხვევაში საკმარისია, მსგავსად § 929-ის პირველი წინადადების ფარგლებში გადაცემისა (იხ. § 929-ის მე-6 და შემდეგი ველები). სადავოა, უნდა ექვემდებარებოდეს თუ არა, ფაქტობრივად, რწმუნებული პირი გამსხვისებლის განკარგულებებს, ან საკმარისია თუ არა, როდესაც მყიდველისათვის რწმუნებული პირის მოქმედების საფუძველზე ჩანს, რომ ეს დაქვემდებარებულობა არსებობს. ამ პოზიციას ეთანხმება უმაღლესი ფედერალური სასამართლო **პერანგების საქმეში** (BGH NJW, 1974, 1132): ვ საკუთარი სახელით ყიდის ე-ს პერანგებს კ-ზე, ე-ს გადასცემს მათ, ვინაიდან იგი პერანგებს იღებს, ვ-მ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება თავისი – ე-ს – სახელით. საკუთრების უფლების გადაცემა ე-სა და კ-ს შორის, § 929-ის თანახმად, არ ხორციელდება, ვინაიდან ე-მ, კ-ს თვალსაზრისით, პერანგები გადასცა მხოლოდ ვ-სათვის, თუმცა, ისე, რომ თავად არ გადაუცია საკუთრების უფლება; უმაღლესი ფედერალური სასამართლო კი, პირიქით, დაეთანხმა კ-ს განკარგულებების საფუძველზე კეთილსინდისიერ შეძენას, § 929-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ვინაიდან კ-სათვის, ობიექტური თვალსაზრისით, შესაძენი არ იყო ის, რომ ე ვ-ს განკარგულებებს სინამდვილეში არ ექვემდებარებოდა.

აღნიშნულით სამოქალაქო ბრუნვის დაცვისათვის, საორიენტაციოდ აიღება ადრესატის მიერ ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობა (ამ პოზიციას ეთანხმება ასევე *Westermann/Gursky*, § 47, I, 1a). თუმცა, ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა დიდი ნაწილი უარყოფითია (მაგ., *Medicus-Petersen*, 564-ე ველი; *Palandt-Bassenge*, მე-4 ველი): § 932 არ იცავს კეთილსინდისიერებას სათანადო მითითების საფუძველზე (დაქვემდებარების თეორია). **დ**) გარდა ამისა, უფლების არსებობის ობიექტური ვარაუდი შეიძლება წარმოიშვას სამკვიდრო მონუმბის საფუძველზეც, შდრ. § 2366¹⁴⁶.

6 **3.** §§ 932-934-ში მოცემული საკუთრების უფლების შეძენის ყველა ფაქტობრივი გარემოების სხვა წინაპირობა საკუთრების უფლების მიმართ **კეთილსინდისიერებაა**: **ა**) კეთილსინდისიერება **განმარტებულია § 932-ის მე-2 ნაწილში**. როგორც წესი, უხეში გაუფრთხილებლობა ივარაუდება, როდესაც მეორადი ავტომანქანის შეძენისას არ იქნა წარმოდგენილი ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი, ან, როდესაც სუსტი ფინანსური შესაძლებლობების მქონე გამყიდველისაგან შეძენის შემთხვევაში არ ხდება შესაძლო პირობადებული საკუთრების უფლების არსებობის ფაქტის გამოკვლევა (დეტალურად იხ., მაგ., *Palandt-Bassenge*, მე-12 და შემდეგი ველები). ცნობები იმის შესახებ, გასხვისებამდე მოახდინა თუ არა გამსხვისებელმა ნივთის უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლებით გადაცემა მესამე პირზე, მოითხოვება მხოლოდ ეჭვებისათვის განსაკუთრებული საფუძველების არსებობისას; **ბ**) **შესაბამისი მომენტი**, პირველი ნაწილის პირველი წინადადების ნორმის შესაბამისად, არის საკუთრების უფლების შეძენა. თუ კეთილსინდისიერება ნივთის მფლობელობაში გადაცემამდე აღარ არსებობს, მაშინ შეძენა, როგორც წესი, გამორიცხულია; მოკლე ხელის გადაცემის შემთხვევაში (პირველი ნაწილის მე-2 წინადადება) გადამწყვეტია სანივთო შეთანხმების დადების მომენტი; **გ**) **წარმომადგენლის** მეშვეობით შეძენის შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები § 166-ის ნორმები; **დ**) გარდა ამისა, შეძენის კეთილსინდისიერება შეიძლება მოისპოს **§ 142-ის მე-2 ნაწილის** შესაბამისად, როდესაც მან იცოდა თავის გამსხვისებელსა და იმ მესამე პირს შორის დადებული გარიგების საცილობის შესახებ, რომლისგანაც მისმა გამსხვისებელმა მიიღო მფლობელობა, და მესამე პირი, ფაქტობრივად, ახორციელებს შეცილებას (იხ. § 119, მე-7); **ე**) პირიქით, კეთილსინდისიერების დაცვა, როგორც წესი, არ ხდება განკარგვის უფლებამოსილების, ქმედუნარიანობისა თუ წარმომადგენლობის უფლებამოსილების მიმართ. ცალკეულ შემთხვევებში (*Jauernig*, მე-8–მე-11 ველები) უნდა განვასხვავოთ: **აა**) **მესაკუთრის ხარვეზიანი განკარგვის უფლებამოსილების** მიმართ § 932 და შემდეგი პარაგრაფები უშუალოდ არ გამოიყენება. ამდენად, შეძენის კეთილსინდისიერების დაცვა არ ხორციელდება გასხვისების **აბსოლუტური** აკრძალვების შემთხვევაში, მაგ., § 1365 (შდრ. აქვე, მე-4 ველი), 1369; გაკოტრების კანონის § 81. შეძენი დაცული არ იქნება. გასხვისების **ფარდობითი აკრძალვების** შემთხვევებში კი, პირიქით, კეთილსინდისიერების შესახებ ნორმები შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებში, ასე, მაგ., §§ 135-ის მე-2 ნაწილი, 136 (სამართლოსმიერი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი გასხვისების აკრძალვა), § 161-ის მე-3 ნაწილი (პირობა), §§ 2113-ის მე-3 ნაწილი, 2129-ის მე-2 ნაწილი (წინასწარი მემკვიდრეობა), § 2211 (ანდერძის აღსრულება). ამ (კანონით მონესრიგებულ) შემთხვევებში, შეძენის კეთილსინდისიერება, გამონაკლისის სახით დაცულია იმით, რომ დასახელებული განკარგვის შეზღუდვები არ არსებობს; **ბბ**) ზოგადად, **არამესაკუთრის ხარვეზიანი განკარგვის უფლებამოსილების** დაძლევა, § 932-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად, შეუძლებელია. მნიშვნელოვან გამონაკლისს ქმნის **სავაჭრო კოდექსის § 366**: თუ მენარმე თავისი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში გაასხვისებს სხვა პირის კუთვნილ მოძრავ ნივთს,

146 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

მაშინ § 932 და შემდეგი პარაგრაფები გამოიყენება ასევე განკარგვის უფლება-მოსილებისადმი შემძენის კეთილსინდისიერების მიმართ. მოვაჭრისაგან შეძენის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის § 932-სა და სავაჭრო კოდექსის § 366-თან ერთად გამოიყენება (BGHZ, 77, 274, 276). თუ შემძენმა იცის, რომ მოვაჭრე არ არის მესაკუთრე, მაშინ მას, მართალია, არ შეუძლია საკუთრების უფლების უშუალოდ, § 932-ის თანახმად, შეძენა, მაგრამ მას ეს შეუძლია, მოვაჭრის განკარგვის უფლებამოსილებისადმი კეთილსინდისიერების შემთხვევაში, სავაჭრო კოდექსის § 366-ის შესაბამისად.

4. გარდა ამისა, ნივთი არ უნდა იყოს დაკარგული მესაკუთრის მიერ. იხ. § 935¹⁴⁷. 7

§ 932ა. არარეგისტრირებული საზღვაო ხომალდის კეთილსინდისიერი შეძენა

§ 929ა-ს თანახმად, თუ გასხვისებული საზღვაო ხომალდი გამსხვისებელს არ ეკუთვნის, მაშინ შემძენი ხდება მესაკუთრე: თუ საზღვაო ხომალდი მას გადაეცა მფლობელობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენი ამ მომენტისათვის არ არის კეთილსინდისიერი; და თუ გასხვისების საგანია საზღვაო ხომალდის ნაწილი, მაშინ გადაცემას ცვლის საზღვაო ხომალდზე თანამფლობელობის მინიჭება.

§ 933. კეთილსინდისიერი შეძენა არაპირდაპირი მფლობელობის დადგენის შესახებ შეთანხმების შემთხვევაში

§ 930-ის თანახმად, თუ გასხვისებული ნივთი გამსხვისებელს არ ეკუთვნის, მაშინ შემძენი ხდება მესაკუთრე, თუკი ნივთი მას გადაეცა მფლობელობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ამ მომენტისათვის არ არის კეთილსინდისიერი.

მფლობელობაში გადაცემა, § 929-ის გაგებით (იხ. § 929-ის მე-5 ველი), უნდა იყოს მოცემული § 930-ის მოთხოვნებთან ერთად, ვინაიდან გამსხვისებლის მხრიდან მხოლოდ არაპირდაპირი მფლობელობის დადგენა არ განიხილება როგორც უფლების არსებობის საკმარისი ვარაუდი კეთილსინდისიერი შეძენისათვის (Staudinger-Wiegand, {2004}, 21-ე ველი). გამსხვისებელმა უნდა დაკარგოს მფლობელობა, ხოლო შემძენმა იგი უნდა მიიღოს გამსხვისებლის ნებით გასხვისების გარიგების საფუძველზე. შემძენის მიერ ნივთის ცალმხრივად მფლობელობაში მიღება არ უნდა იქნეს ასევე მიჩნეული საკმარისად, თუ გამსხვისებელმა უკვე გასხვისების დროს შეძენს მიანიჭა ნივთის მიღების უფლებამოსილება (BGHZ, 67, 207, 209). ასეთი პრაქტიკით უმაღლესი ფედერალური სასამართლო ცდილობს, შეენინააღმდეგოს უზრუნველყოფის მიმღების „თვითმომსახურების“ მავნე პრაქტიკას უზრუნველყოფის მიმცემის გაკოტრების შემთხვევაში; რა თქმა უნდა, შედეგი დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთის ცალმხრივად მფლობელობაში მიღება ხდება გამსხვისებლის ნამდვილი ნების საწინააღმდეგოდ (იხ. Damrau JuS, 1978, 519; Westermann/Gursky, § 48, I, 2; MüKo-Quack, მე-10 ველი). გაბატონებული შეხედულების თანახმად, თვითნებურ მფლობელობაში მიღებას გამსხვისებლის შემდგომი მონონება „გადაცემად“ ვერ აქცევს. 1

§ 934 კეთილსინდისიერი შეძენა ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების დათმობის შემთხვევაში

§ 931-ის თანახმად, თუ გასხვისებული ნივთი გამსხვისებელს არ ეკუთვნის, მაშინ შემძენი ხდება მესაკუთრე, როდესაც გამსხვისებელი არაპირდაპირი მფლობელია – მოთხოვნის უფლების დათმობით ან სხვა შემთხვევაში, – და როდესაც იგი მესამე პირისაგან მიიღებს ნივთზე მფლობელობას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი მოთხოვნის უფლების დათმობის ან ნივთზე მფლობელობის მიღების მომენტისათვის იგი არ არის კეთილსინდისიერი.

147 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

1 ნორმა განასხვავებს ორ შემთხვევას:

1. თუ გამსხვილებელი არის **არაპირდაპირი მფლობელი** (პირველი კაზუსი), როდესაც არაპირდაპირი მფლობელობა სხვისთვის საკმარისია, მაშინ კეთილსინდისიერი შემძენი ხდება მესაკუთრე მფლობელობის შუალობითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების დათმობით. აღნიშნულის წინაპირობაა ის, რომ პირდაპირ მფლობელს შეძენის ფაქტობრივი შემადგენლობის დასრულების მომენტში (ჯერ კიდევ) აქვს ნება, ფლობდეს ნივთს არაპირდაპირი მფლობელისათვის ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების დათმობის აღიარებით (შდრ. § 868-ის მე-2 ველი). მოთხოვნის დათმობით არაპირდაპირი მფლობელი კარგავს მფლობელობას, შემძენი კი მას იღებს (იხ. § 870).

სადავოა, ხდება თუ არა კეთილსინდისიერი შეძენა ასევე შემდეგი გარემოებების თანხვედრისას: პირობადებული საკუთრების უფლებით მყიდველი კ ასხვისებს ნივთს, მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული ვ-ს პირობადებული საკუთრებისა, §§ 929, 930-ის შესაბამისად, კეთილსინდისიერი მესამე პირის – გ-ს უზრუნველსაყოფად, რომელიც, თავის მხრივ, უსაფრთხოებისთვის ასხვისებს მეოთხე პირზე – დ-ზე. უმაღლესი ფედერალური სასამართლო **სადარავი ჩარნის საქმეში** (BGHZ, 50, 45) დაეთანხმა დ-ს მიერ ნივთის კეთილსინდისიერ შეძენას, § 934-ის პირველი კაზუსის შესაბამისად (და ამით ვ-ს მიერ საკუთრების უფლების დაკარგვას): მართალია, გ-ს კ-საგან მფლობელობის გადაცემის არარსებობისას არ შეეძლო საკუთრების უფლების შეძენა (§ 933), თუმცა, მას მაინც შეეძლო კ-სათვის სინამდვილეში კუთვნილი **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლების შეძენა; ვინაიდან **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლება გადაცემულ იქნა, აღარ არსებობს კ-სა და გ-ს შორის მფლობელობის შუალობითი ურთიერთობაში ეჭვის შეტანის საფუძველი (მაგ., § 139-ის გამო), ხოლო გ-ს შეეძლო, მფლობელობის შუალობითი ურთიერთობიდან გამომდინარე, კუთვნილი ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების დ-სათვის დათმობა, **რომელიც** ამის შედეგად საკუთრების უფლებას კეთილსინდისიერად შეიძენდა. შედეგი უცნაურია იმდენად, რამდენადაც მეორე უზრუნველყოფის მიმღები დ, რომლის სასარგებლოდაც მოქმედებს § 934, პირობითი საკუთრების ობიექტისაგან უფრო დაშორებული იყო, ვიდრე პირველი უზრუნველყოფის მიმღები გ, რომელსაც არ შეეძლო, § 933-ის შესაბამისად, საკუთრების უფლების შეძენა. თუმცა, უმაღლესი ფედერალური სასამართლო ეთანხმება ამ კანონით გათვალისწინებულ შედეგს, ვინაიდან § 933-სა და § 934-ს შორის სხვაობისათვის შესაძლებელია შეთანხმებულ საკანონმდებლო საფუძველზე მითითება. კერძოდ, კანონი გამოდის არაპირდაპირი მფლობელობის პირდაპირ მფლობელობასთან გათანაბრების პოზიციიდან და კეთილსინდისიერი შეძენისათვის საკმარისად მიიჩნევს იმას, რომ გამსხვილებელი თავის მფლობელობას სრულად თმობს; ეს წინაპირობა კი მიღწეულია მხოლოდ § 934-ის შემთხვევაში, თუმცა, – მფლობელობის არარსებობის გამო – არა § 933-ის შემთხვევაში. მართალია, ლიტერატურის ნაწილში იყო ამ შედეგის შესწორების მცდელობა, რომლის დროსაც ვ განიხილებოდა მხოლოდ როგორც არაპირდაპირი „დამატებითი მფლობელი“ ვ-სთან ერთად და, ამდენად, კეთილსინდისიერი შეძენა გამოირიცხებოდა დ-ის შესაბამისი მფლობელობით-სამართლებრივი პოზიციის არარსებობის გამო (ასე, მაგ., იხ. *Medicus-Petersen*, 561-ე ველი). თუმცა, საპირისპიროზე საუბრობს ის, რომ ვ-ს არაპირდაპირი მფლობელობა შეწყვეტდა არსებობას, კ რომ უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლებით გადაცემის შემთხვევაში გ-ს მიმართ უფლებამოსილების გარეშე გამოსულიყო როგორც მესაკუთრე. კ-მ აღნიშნულით ობიექტურად ცნობილი უნდა გახადოს ის, რომ მას აღარ სურს ვ-სათვის ფლობა. დამატებითი მფლობელის ფიგურის არსებობაზე, ზოგადად უარი უნდა ითქვას, ვინაიდან მის შემთხვევაში უგულებელყოფილია § 1006-ში გათვალისწინებული მფლობელობის ექსკლუზიურობის წინაპირობა და (განსხვავებით § 866-ით გათვა-

ლისწინებულის თანამფლობელობისა და § 871-ით გათვალისწინებული მრავალსაფეხურიანი არაპირდაპირი მფლობელობისაგან და ის კანონითაც არ არის გათვალისწინებული (იხ., მაგ., *MüKo-Joost*, § 868 მე-20 ველი).

2. თუ გამსხვილებელი არ არის არაპირდაპირი მფლობელი (მე-2 კაზუსი), მაშინ კეთილსინდისიერი შემძენი ხდება მესაკუთრე, როდესაც მესამე პირი მას გასხვიების აღიარების მიზნით გადასცემს მფლობელობას და, მაგ., ახალ მფლობელობის შუალობით ურთიერთობას ამყარებს მასთან. ეს მოქმედებს ასევე სასამართლო პრაქტიკის მიხედვითაც, როდესაც მესამე პირი თამაშობს „ორმაგ თამაშს“ და მას სურს, ხელი შეუწყოს არა მხოლოდ შემძენის მფლობელობას, არამედ თავად ცდილობს თავდაპირველ მესაკუთრესთან მფლობელობით-სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას (*RGZ, 135, 75; 138265*). მაგ., ვ-მ კ-ზე პირობადებული საკუთრების უფლებით გაასხვისა საქონელი და ეს უკანასკნელი თავისთვის შესანახად გადასცა საწყობის მფლობელ ლ-ს. კ-მ ჯერ კიდევ ნასყიდობის ფასის სრულ გადახდამდე გაითამაშა, თითქოს იგი მესაკუთრეა და გაასხვისა საქონელი ლ-ს მიმართ თავისი ვითომ ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების დ-სათვის კეთილსინდისიერი დათმობით. ლ დებს დ-სთან დამოუკიდებელ საწყობში მიბარების ხელშეკრულებას, თუმცა, ამის შემდეგ ვ-სათვის ახორციელებს მიწოდებებს. გაბატონებული შეხედულების თანახმად, დ იქნეს საკუთრების უფლებას, § 934-ის მე-2 კაზუსის თანახმად, ვინაიდან დ, ლ-სთან საწყობში მიბარების ხელშეკრულების დადებით უნდა გახდეს ერთპიროვნული არაპირდაპირი მფლობელი. საწინააღმდეგო მოსაზრება კი, პირიქით, აღიარებს მხოლოდ არაპირდაპირი დამატებითი მფლობელობის არსებობას ვ-სა და დ-საგან, ვინაიდან ლ ყოველთვის ასრულებს ვ-ს მითითებებს; თუმცა, ეს § 934-ის მე-2 კაზუსისათვის საკმარისი არ არის, ვინაიდან ვ მფლობელობით-სამართლებრივი თვალსაზრისით ნივთთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე დ და, შესაბამისად, ღრისია დაცვისა (ასე, მაგ., იხ. *Baur/Stürmer*, § 52 24-ე ველი). თუმცა, დამატებითი მფლობელობის შესახებ მოძღვრებაზე უნდა ითქვას უარი (იხ. ზემოთ, პირველი ველი). ლ-ს მიერ ვ-ს მითითებების შემდგომი შესრულება არ იცვლება იმით, რომ დ-მ, უპირველეს ყოვლისა, მიიღო ერთპიროვნული არაპირდაპირი მფლობელობა და ამით, § 934-ის მე-2 კაზუსის თანახმად, გახდა საქონლის საბოლოო მესაკუთრე (შდრ. *Westermann/Gursky*, § 48, II, 3).

§ 935. დაკარგული ნივთების კეთილსინდისიერი შეძენის დაუშვებლობა

(1) ¹§§ 932-934-ის საფუძველზე საკუთრების უფლების შეძენა არ ხდება, თუ ნივთი მესაკუთრეს მოჰპარეს, მან ნივთი დაკარგა ან ეს უკანასკნელი სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან. ²იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე მხოლოდ არაპირდაპირი მფლობელი იყო, ანალოგიური წესი მოქმედებს, როდესაც ნივთი გავიდა მფლობელის მფლობელობიდან.

(2) ეს ნორმები არ გამოიყენება ფულის ან საწარმდგენლო ფასიანი ქალაქების მიმართ, ისევე როგორც იმ ნივთების მიმართ, რომელთა გასხვისება ხდება საჯარო აუქციონის ან § 979-ის 1 ა ნაწილის თანახმად ჩატარებული აუქციონის გზით.

დაკარგული ნივთის კეთილსინდისიერი შეძენა დაუშვებელია (იხ. § 932-ის მე-2 ველი), ანუ დაუშვებელია როგორც მეორე, ისე მესამე შემძენის მეშვეობით. 1

1. ნივთი დაკარგულად ითვლება, როდესაც პირდაპირმა მფლობელმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე (პირველი ნაწილის პირველი წინადადება), ისე შუალობითი მფლობელი (პირველი ნაწილის მე-2 წინადადება), დაკარგა მფლობელობა თავისი ნების საწინააღმდეგოდ, ანუ უნებურად (*RGZ, 101, 225*). თუ ნივთს კარგავს პირდაპირი მფლობელი, რომელიც არ არის მესაკუთრის შუალობითი მფლობელი, მაშინ, გაბატონებული შეხედულების თანახმად, პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა არ უნდა იქნეს გამოყენებული ანალოგიით; შესაბამისად, 2

მესაკუთრე უნდა იყოს დაცული § 935-ის მეშვეობით თავისი მფლობელობითი მდგომარეობის ნების სანინაალმდეგო დაკარგვისაგან, ხოლო ასეთი მდგომარეობა ამ შემთხვევაში უკვე აღარ არსებობს (იხ., მაგ., *Staudinger-Wiegand*, {2004}, მე-6 ველი; სხვა შეხედულება იხ. *Baur/Stürner*, § 52 38-ე ველი).

- 3 გაბატონებული შეხედულების თანახმად, **მპყრობელის (მოსამსახურის)** მხრიდან გაფლანგვა განიხილება როგორც ნივთის დაკარგვა, ვინაიდან § 855-ის შესაბამისად, მპყრობელი (მოსამსახურე) მოქმედებს ნივთის მფლობელის მითითებების შესაბამისად (იხ., მაგ., *RGZ*, 106, 4, 6). ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მპყრობელის (მოსამსახურის) ურთიერთობა, როგორც ასეთი, შემძენისათვის არ არის ცნობილი; შესაბამისად, კანონიდან ვერ გაკეთდება ისეთი დასკვნა, რომ შუალობით მფლობელსა და მპყრობელს (მოსამსახურეს) შორის განსხვავება შეიძლება მოისპოს მფლობელობის შემთხვევაში უფლების არსებობის ვარაუდით (სადავოა; დანვრილებით იხ. *Westermann/Gursky*, § 49, I, 6, შემდგომი მითითებებით). თუმცა, პირიქით, ნივთის დაკარგვა არ ხდება, როდესაც მპყრობელი (მოსამსახურე) მოქმედებს სავაჭრო კოდექსის § 56-ის ფარგლებში, ან სხვაგვარად აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება; პირიქით, § 929-ის თანახმად საკუთრების უფლების გადაცემა, როგორც წესი, სახეზეა, როდესაც მფლობელის მხრიდან ნივთის გადაცემის ნებას ცვლის წარმომადგენლის ნება.
- 4 2. მფლობელობის **ნებაყოფლობითი** მიტოვება, როგორც წესი, ფაქტობრივი, და არა სამართლებრივი, მოქმედებაა. თუმცა, § 104 და შემდეგი პარაგრაფების გამოყენების შესახებ გადამწყვეტია არა მხოლოდ ეს კონცეპტუალური სხვაობა, არამედ შეფასება ინტერესების საფუძველზე. **ქმედუნარო პირის** დაცვა გაბატონებული შეხედულების მიერ ზოგადად აყვანილია § 932-ის და შემდეგი პარაგრაფებით გათვალისწინებული სამოქალაქო ბრუნვის დაცვაზე მაღლა და, ამდენად, იგი ეთანხმება ნივთის დაკარგვის ფაქტის არსებობას იმ დროს, როდესაც იმ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიმართ, რომელმაც სხვას გადასცა ნივთი, ძირითადად სხვაგვარ შეფასებას აკეთებენ და საორიენტაციოდ იღებენ შეფასების უნარსა და ცალკეულ შემთხვევებში წარმოშობილი უფლების არსებობის ვარაუდს (მდრ., მაგ., *Palandt-Bassenge*, მე-5 ველი; *Baur/Stürner*, § 52 42-ე ველი; *Westermann/Gursky*, § 49, I, 3). **შეცდომა და მოტყუება** არაფერს ცვლის მფლობელობის ნებაყოფლობითი მიტოვების მხრივ, რაც, როგორც ფაქტობრივი აქტი, ასევე არ ექვემდებარება შეცილებას. თუმცა, იძულების შემთხვევაში, მფლობელს შეგნებული აქვს მფლობელობის ნების სანინაალმდეგო მიტოვება და ამიტომაც ნივთის დაკარგვა ივარაუდება (იხ. ძირითადი ლიტერატურა, მაგ., *Staudinger-Wiegand*, {2004}, მე-11 ველი; *Baur/Stürner*, § 52 43-ე ველი); უფრო დანვრილებით კი იხ. *BGHZ*, 4, 10, 39: ნივთის დაკარგვა ხდება მხოლოდ დაუძლეველი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულების დროს.
- 5 3. **მე-2 ნაწილის** ნორმა გამონაკლისის სახით უშვებს შეძენას, მიუხედავად ნივთის დაკარგვისა; თუმცა, კეთილსინდისიერება (იხ. § 932, მე-12 ველი) მოითხოვება. გამონაკლისი ფულის ან სანარმდგენლო ფასიანი ქალაქდების მიმართ გამართლებულია სამოქალაქო ბრუნვის დაცვის მოსაზრებიდან გამომდინარე, ხოლო **საჯარო აუქციონის** მიმართ – იმ მოსაზრებიდან, რომ დაცული უნდა იყოს ნდობა საჯარო ორგანოს მიერ განხორციელებული გასხვისების მიმართ. საჯარო აუქციონის ლეგალური განმარტება მოცემულია § 383-ის მე-3 ნაწილში. „საჯაროდ დანიშნული აუქციონის ჩამტარებლები“ არიან ფედერაციული მხარეების ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დანიშნული აუქციონის ჩამტარებლები, კერძოდ კი, ნებისმიერ ქალაქში არსებული აუქციონის სახლები. ამდენად, მე-2 ნაწილის ნორმის მოქმედების ქვეშ ექცევა ასევე შეძენა ნებაყოფლობითი საჯარო აუქციონის მეშვეობით (*BGH NJW*, 1990, 899). თუმცა, ეს ნორმა, პირიქით, არ მოიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და იძულებითი აუქციონისა და იძულებითი მართვის შესახებ კანონის საფუძველზე ჩატარებულ საჯარო აუქციონებს; მათ შემთხვევაში

აუქციონზე შემძენის მხრიდან საკუთრების უფლების შეძენა ხორციელდება კეთილსინდისიერებისა და ნივთის დაკარგვის ფაქტის მიუხედავად, სახელისუფლო აქტის მეშვეობით ნივთის გადაცემით (RGZ, 156, 395).

§ 936. მესამე პირთა უფლებების გაუქმება

(1) ¹თუ გასხვისებული ნივთი დატვირთულია მესამე პირის უფლებით, მაშინ ეს უფლება საკუთრების უფლების შეძენით უქმდება. ²თუმცა, § 929-ის მე-2 ნაწილის შემთხვევაში ეს წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც შემძენმა გამსხვისებლისაგან მიიღო მფლობელობა. ³თუ გასხვისება ხორციელდება § 929-ის ან § 930-ის თანახმად, ან, თუ, § 931-ის თანახმად, გასხვისებული ნივთი არ იყო გამსხვისებლის არაპირდაპირ მფლობელობაში, მაშინ მესამე პირის უფლება უქმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემძენი გასხვისების შედეგად იღებს მფლობელობას.

(2) მესამე პირის უფლება არ უქმდება, თუ შემძენი იმ მომენტისათვის, რომელიც პირველი ნაწილის თანახმად არის განმსაზღვრელი, უფლების მიმართ არ არის კეთილსინდისიერი.

(3) თუ § 931-ში მითითებულ შემთხვევაში უფლება ეკუთვნის მფლობელ მესამე პირს, მაშინ უფლება არ უქმდება ასევე კეთილსინდისიერი შემძენის მიმართაც.

1. ნორმა იძლევა კეთილსინდისიერი დაუტვირთავი შეძენის შესაძლებლობას. ნინაპირობაა ის, რომ შემძენი ხდება მესაკუთრე, მიუხედავად იმისა, შეძენა განხორციელდა უფლებამოსილი (§ 929 და შემდეგი პარაგრაფები) თუ არაუფლებამოსილი პირის მიერ (§ 932 და შემდეგი პარაგრაფები); მოითხოვება კეთილსინდისიერება უფლებრივი ტვირთის არსებობისადმი (მე-2 ნაწილი) და მფლობელობის მიღება პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 ნინადადებათა ნორმების შესაბამისად (შდრ. პარალელური ნორმები §§ 932-ის პირველი ნაწილის მე-2 ნინადადება, 933, 934-ის მე-2 კაზუსი). ზოგადი შეხედულებით, მესამე პირების უფლებებისაგან თავისუფალი შეძენა გამორიცხულია, როდესაც ნივთი მესამე პირმა დაკარგა (§ 935-ის ანალოგიით).

2. უფლებრივი დატვირთვა, რომელიც კეთილსინდისიერი შეძენის შედეგად უქმდება, მოიცავს უზუფრუქტს, სახელშეკრულებო ან კანონისმიერ გირავნობას, დაყადალებიდან წარმოშობილ გირავნობის უფლებას და, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ასევე – პირობადებული საკუთრების უფლებით მყიდველის ან უზრუნველყოფის მიმცემის სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლებას (გაუქმების პირობაზე დამოკიდებული საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში; შდრ. § 161-ის მე-3 ნაწილი); თუმცა, ეს უკანასკნელები თავიანთ სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლებას არ კარგავენ, როდესაც – რაც ხშირად ხდება კიდევ – მოქმედებს მე-3 ნაწილი (იხ. *Medicus-Petersen*, 462-ე ველი).

3. § 935-ის ნაწილის მე-2 ნინადადება გამორიცხავს ნებისმიერ კეთილსინდისიერ შეძენას თვით უფლებრივი დატვირთვის გარეშეც (იხ. პირველი ველი), როდესაც ნივთს კარგავს მესამე პირი, როგორც ნივთზე არსებული უფლების მფლობელი და ის ნივთზე მფლობელობას გადასცემს მესაკუთრეს (იხ. § 935, მე-2 ველი). თუმცა, გამოწვევის შემთხვევაში, საკუთრების უფლების შეძენა შესაძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირი ნივთს კარგავს. ამდენად, ერთი მხრივ, მესაკუთრეს შეუძლია წაართვას ნივთი მესამე პირს, რათა ხელახლა განკარგოს ის, რასაც ახორციელებს საკუთრების უფლების მიმართ, როგორც უფლებამოსილი პირი, ხოლო მხოლოდ უფლებრივი დატვირთვისაგან გათავისუფლების მიმართ კი, – როგორც არაუფლებამოსილი პირი; მეორე მხრივ, მესამე პირს შეუძლია თავისი უფლების არაუფლებამოსილი პირისაგან დამოუკიდებლად კეთილსინდისიერად (§ 1207) შეძენა ისე, რომ ის ნივთზე მფლობელობას გადასცემს არა ნამდვილ მესაკუთრეს, არამედ არაუფლებამოსილ პირს. გაბატონებული შეხედულების

თანახმად, § 935-ის პირველი ნაწილის ნორმის ანალოგიით გამოყენება გამორიცხავს უფლებრივი დატვირთვის გარეშე შექმნას, ვინაიდან უფლების არსებობის ვარაუდის ფაქტობრივი შემადგენლობა მიენერება მესამე პირს; ამიტომაც ამ უკანასკნელისათვის მიუღებელია უფლების დაკარგვა (*MüKo-Oechsler*, მე-13 ველი; განსხვავებული შეხედულებისათვის იხ. *Bartels/Nissing Jura*, 2011, 252, 256, მასალებზე მითითებით)¹⁴⁸.

ქვეკარი 2. შექმნითი ხანდაზმულობა

§ 937. წინაპირობები, გამორიცხვა ცნობის შემთხვევაში

(1) პირი, რომელიც მოძრავ ნივთს ათი წლის განმავლობაში ფლობს როგორც საკუთარს, იძენს ნივთზე საკუთრების უფლებას (შექმნითი ხანდაზმულობა).

(2) შექმნითი ხანდაზმულობა გამორიცხულია, თუ შემქმნი თავისთვის მფლობელობის შექმნისას არ არის კეთილსინდისიერი, ან თუ იგი მოგვიანებით შეიტყობს, რომ მას საკუთრების უფლება არ ეკუთვნის.

§ 938. თავისთვის მფლობელობის პრეზუმფცია

თუ პირი ფლობდა ნივთს, როგორც საკუთარს, დროის მონაკვეთის დასაწყისსა და დასასრულს, ივარაუდება, რომ მისი მფლობელობა არსებობდა ასევე შუალედშიც.

§ 939. შექმნითი ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება

(1) 'შექმნითი ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ წარდგენილია ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლება თავისთვის მფლობელის მიმართ ან თავისთვის არაპირდაპირი მფლობელობის შემთხვევაში იმ მფლობელის მიმართ, ვისი მფლობელობის უფლებაც გამომდინარეობს თავისთვის მფლობელობიდან, §§ 203-ისა და 204-ის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მიმართ დადგენილი წესით. ²თუმცა, ვადის დენის შეჩერება არ ხდება მხოლოდ იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც ვინც მას ახორციელებს.

(2) შექმნითი ხანდაზმულობის ვადის დენა ასევე ჩერდება მანამდე, სანამ შეჩერებულია ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა, §§ 205-207-ის, ან მისი დასრულება, §§ 210-ისა და 211-ის თანახმად.

§ 940. შექმნითი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა მფლობელობის დაკარგვის შედეგად

(1) შექმნითი ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება თავისთვის მფლობელობის დაკარგვის შედეგად.

(2) შეწყვეტა არ ითვლება დამდგარად, თუ თავისთვის მფლობელმა თავისთვის მფლობელობა დაკარგა თავისი ნების საწინააღმდეგოდ და დაიბრუნა იგი ერთი წლის განმავლობაში ან ამ ვადის განმავლობაში წარდგენილი სარჩელის მეშვეობით.

§ 941. შეწყვეტა სააღსრულებო მოქმედების შედეგად

შექმნითი ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სააღსრულებო მოქმედებით ან ამ მოქმედების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანით. ²შესაბამისად, მოქმედებს § 212 მე-2 და მე-3 ნაწილები.

148 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

§ 942. შეწყვეტის სამართლებრივი შედეგი

თუ შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, მაშინ ვადის დენის შეწყვეტამდე გასული დრო მხედველობაში არ მიიღება; შეძენითი ხანდაზმულობის ახალი ვადის დენა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ შეწყვეტის დასრულების შემდეგ.

§ 943. შეძენითი ხანდაზმულობა სამართალმემკვიდრის შემთხვევაში

თუ სამართალმემკვიდრეობის შედეგად ნივთზე მფლობელობას თავისთვის იძენს მესამე პირი, მაშინ შეძენითი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც გავიდა წინამორბედის მიერ მფლობელობის განხორციელების დროს, მიითვლება მესამე პირის სასარგებლოდ.

§ 944. მემკვიდრეობის მფლობელი

შეძენითი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც გავიდა მემკვიდრეობის მფლობელის სასარგებლოდ, ჩაითვლება მემკვიდრის სასარგებლოდ.

§ 945. მესამე პირთა უფლებების გაუქმება

¹შეძენითი ხანდაზმულობის მეშვეობით საკუთრების უფლების შეძენით უქმდება თავისთვის მფლობელობის შექმნამდე დადგენილი მესამე პირების უფლებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავისთვის მფლობელი თავისთვის მფლობელობის შექმნისას ამ უფლებების მიმართ კეთილსინდისიერია ან მათი არსებობის შესახებ იგი მოგვიანებით შეიტყობს. ²შეძენითი ხანდაზმულობის ვადა ვადის ასევე მესამე პირთა უფლებების მიმართაც. ³შესაბამისად, გამოიყენება §§ 939-944 ნორმები.

ქვეკარი 3. შეერთება, შერევა, გადამუშავება**§ 946. შეერთება მიწის ნაკვეთთან**

თუ მოძრავი ნივთი შეუერთდება მიწის ნაკვეთს იმგვარად, რომ იგი მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი გახდება, მაშინ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ამ ნივთზეც.

1. ის, თუ როდის ხდება ნივთი მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი, დგინდება §§ 93-95-ით.

2. შეერთება არის რეალური მოქმედება და არა გარიგება. ამდენად, ქმედუნარიანობა, კეთილსინდისიერება თუ არაკეთილსინდისიერება ამ შემთხვევაში ნაკლებ როლს ასრულებს, ისევე როგორც ნივთის დაკარგვა.

3. ნორმა არ ექვემდებარება მხარეთა მიერ გადახედვას თვით დასამონტაჟებელი ნივთის პირობადებული საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ შეთანხმებითაც კი (RGZ, 152, 91, 100).

§ 947. შეერთება მოძრავ ნივთთან

(1) თუ მოძრავი ნივთები ერთმანეთს შეუერთდებიან იმგვარად, რომ ისინი გახდებიან ერთიანი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილები, მაშინ თავდაპირველი მესაკუთრეები ხდებიან ამ ნივთის თანამესაკუთრეები; წილები განისაზღვრება იმ ღირებულების შეფარდებით, რომელიც ნივთებს შეერთების მომენტი-სათვის აქვს.

(2) თუ ერთ-ერთი ნივთი განხილულ უნდა იქნეს ძირითად ნივთად, მაშინ მისი მესაკუთრე იძენს ერთპიროვნულ საკუთრების უფლებას.

- 1 1. ნორმის მოქმედების **წინაპირობაა ის**, რომ მოძრავი ნივთები ხდება ერთიანი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილები (აღნიშნულზე იხ. §§ 93-95).
- 2 2. **სამართლებრივი შედეგი** ნორმის **პირველი ნაწილის** შემთხვევაში არის თანასაკუთრების წარმოშობა (§ 741 და შემდეგი პარაგრაფები, § 1008 და შემდეგი პარაგრაფები). ნორმის **მე-2 ნაწილის** შემთხვევაში, ძირითად ნივთზე შენარჩუნებული ერთპიროვნული საკუთრების უფლება ვრცელდება არაძირითად ნივთზე. ის, თუ რა არის **ძირითადი ნივთი**, განისაზღვრება სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული შეხედულებით, როდესაც არც მხოლოდ ღირებულებითი შეფარდება და არც სივრცობრივი მოცულობა თავისთავად არ არის გადამწყვეტი; ეს უფრო განისაზღვრება იმით, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა დანარჩენი შემადგენელი ნაწილების არარსებობა ნივთის სუბსტანციისათვის ზიანის მიყენების გარეშე (BGHZ, 20, 159, 162: ამდენად, კორპუსი, რომელშიც განთავსებულია მაღალი სიხშირის მონყობილობა, არ არის არაძირითადი ნივთი, როდესაც, მართალია, მონყობილობა შეიძლება მუშაობდეს კორპუსის გარეშეც, თუმცა, პრაქტიკულად იგი გამოუსადეგარია).
- 3 3. ნორმა **არ ექვემდებარება მხარეთა მიერ გადახედვას** (იხ. ასევე § 946, მე-3 ველი).
- 4 4. **§ 950-თან მიმართებით** (შეერთება გადამუშავების გზით) უპირატესობა ენიჭება § 950-ს. რა თქმა უნდა, § 947-ის მე-2 ნაწილის შემთხვევაში, როგორც წესი, § 950 მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან, ზოგადი წესით, ამ დროს „ახალი ნივთი“ არ წარმოიშობა.

§ 948. შერევა

(1) თუ მოძრავი ნივთები ერთმანეთს შეერევა ან შეერწყმება იმგვარად, რომ მათი გაყოფა შეუძლებელი გახდება, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 947-ის ნორმები.

(2) გაყოფის შეუძლებლობას უთანაბრდება, თუ შერეული ან შერწყმული ნივთების გაყოფა დაკავშირებული იქნებოდა შეუსაბამო ხარჯებთან.

§ 949. მესამე პირთა უფლებების გაუქმება

§§ 946-948-ის თანახმად, თუ ნივთზე საკუთრების უფლება უქმდება, მაშინ უქმდება ასევე ნივთზე არსებული სხვა უფლებებიც; თუ დატვირთული ნივთის მესაკუთრე იქნის თანასაკუთრებას, მაშინ უფლებები აგრძელებს არსებობობას იმ ნაწილზე, რომელიც ამ ნივთის შემადგენელი ნაწილი ხდება; თუ დატვირთული ნივთის მესაკუთრე ხდება ერთპიროვნული მესაკუთრე, მაშინ უფლებები ვრცელდება მიმატებულ ნივთზე.

§ 950. გადამუშავება

(1) ¹პირი, რომელიც ერთი ან რამდენიმე მასალის გადამუშავების ან გადაკეთების შედეგად ქმნის ახალ მოძრავ ნივთს, იქნის საკუთრების უფლებას ამ ნივთზე იმდენად, რამდენადაც გადამუშავების ან გადაკეთების ღირებულება არ არის არსებითად უფრო მცირე, ვიდრე მასალის ღირებულება. ²გადამუშავებად მიიჩნევა ასევე წერა, ხაზვა, ხატვა, ბეჭდვა, გრავირება ან ზედაპირის სხვა მსგავსი დამუშავება.

(2) ახალ ნივთზე საკუთრების უფლების შექმნით უქმდება მასალის მიმართ არსებული უფლებები.

- 1 1. **ზოგადი მიმოხილვა.** ნორმა წყვეტს ნედლი მასალის მიმწოდებელსა და დამამზადებელს (და მათ კრედიტორებს) შორის ეკონომიკური ხასიათის ინტერესთა კონფლიქტს დამამზადებლის სასარგებლოდ (შდრ. BGHZ, 56, 88, 90).

2. გადამუშავების შედეგად წარმოიშობა თუ არა ახალი ნივთი, ნყვეცს სა-
მოქალაქო ბრუნვაში აღიარებული შეხედულება. ახალი ნივთის წარმოშობის
მნიშვნელოვანი ნიშანია გადამუშავებული ნივთისათვის მიცემული ახალი დასა-
ხელება; შესაბამისად, უბრალო შეკეთების შემთხვევაში, სიახლე არსებულად არ
მიიჩნევა.

3. სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული შეხედულების თანახმად, **დამამზადე-**
ბელია მენარმე და არა დაქირავებული გადამამუშავებელი (BGHZ, 103, 101, 108).
გარდა ამისა, შემკვეთი, რომელიც უკვე თავს მის მიერ მიწოდებული მასალისაგან
ახალი ნივთის (მაგ., კოსტიუმის) დამზადებას, § 651-ის ახალი რედაქციის მიღე-
ბამდე ზოგადი შეხედულებით ნასყიდობის მომწესრიგებელ ნორმებზე მითითებით
მიიჩნეოდა დამამზადებლად (და ასეთად არ მიიჩნეოდა ხელოსანი, მაგ., მკერავი),
თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, შეიძლება არსებობდეს ასევე განსხვავებუ-
ლი შეხედულებაც (იხ. *Röthel NJW*, 2005, 625).

4. სადავოა, დასაშვებია თუ არა შეთანხმება დამამზადებლის პიროვნების შესა-
ხებ, მიუხედავად § 946-ისა და შემდეგი პარაგრაფების იმპერატიული ბუნებისა.
პრობლემა წარმოიშობა ე. წ. **გადამუშავების შესახებ დათქმის** შემთხვევაში, რო-
მელიც, ძირითადად, პირობადებული საკუთრების უფლებით გადაცემის პირობით
ნედლი მასალის მიმწოდებლის სასარგებლოდ იდება. სასამართლო პრაქტიკა ამ
დათქმას დასაშვებად მიიჩნევს: თუ ნედლი მასალა პირობადებული საკუთრების
უფლებით გადაცემის პირობით მიენოდება იმ შეთანხმებით, რომ გადამუშავება
განხორციელდება მიმწოდებელი ფირმისათვის და გადამუშავება განხორციელ-
და კიდევ შეთანხმებული პირობებით, მაშინ, როგორც წესი, მიმწოდებელი ფირმა
მიჩნეულ უნდა იქნეს დამამზადებლად, გადამამუშავებელი საწარმოს საწინააღმ-
დეგო ნების მიუხედავად (BGHZ 20, 159, 163); სამართლებრივად შესაძლებელია,
ასევე განსაზღვრული თანასაკუთრების წილის შესახებ შეთანხმება მიმწოდებლის
სასარგებლოდ (შდრ., მაგ., BGHZ, 46, 117). ლიტერატურის ნაწილი ამ შედეგებს
ეთანხმება და § 950-ს დისპოზიციურად მიიჩნევს (ასე, მაგ., *Baur/Stürmer*, § 53,
მე-15 ველი). თუმცა, ლიტერატურაში (*Westermann*-ის ხელმძღვანელობით; აღნიშ-
ნულთან დაკავშირებით შდრ. *Westermann/Gursky*, § 53, III, 2d) „დამამზადებლად“
განსაზღვრისათვის ხშირადაც მოითხოვება ობიექტური კრიტერიუმები (საჯარო-
ობის მოსაზრებით): მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო ახორციელებს
გადამუშავებას, ჩვეულებრივ, სხვა პირისათვის და არა თავისთვის, ეს სხვა პირი
მიჩნეულ უნდა იქნეს დამამზადებლად (იხ., მაგ., *Medicus-Petersen*, 516-ე და შემ-
დეგი ველები); წინააღმდეგ შემთხვევაში პირობადებული საკუთრების უფლებით
გამყიდველი შეძლებდა მესაკუთრედ გახდომას მხოლოდ მომავლისთვის გათვლი-
ლი არაპირდაპირი მფლობელობის დადგენის გზით (შდრ. § 930, მე-4 ველი), ანუ
გადამამუშავებლის მეშვეობით. თუმცა, ამ მოსაზრებებმა ჯერჯერობით ვერ პოვა
რეალიზაცია პრაქტიკაში.

5. **4. გამონაკლის შემთხვევებში** § 950-ის სამართლებრივი შედეგები არ დგება,
კერძოდ, როდესაც გადამამუშავების ღირებულება მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე
მასალისა. გადამამუშავების ღირებულება დგინდება ახალი ნივთის ღირებულებიდან
ყველა მასალის ღირებულების (ასევე, რამდენადაც ისინი ეკუთვნოდა გადამამუ-
შავებელს) გამოკლებით (BGHZ, 56, 88, 90). თუ მასალისა და გადამამუშავების ღი-
რებულებები ერთმანეთს შეეფარდება როგორც 100 : 60, მაშინ ეს გამორიცხავს
§ 950-ს და უნდა შემონდეს §§ 947, 948 (BGH JZ, 1972, 165, 166).

§ 951. ზიანის ანაზღაურება უფლების დაკარგვის გამო

(1) პირს, რომელიც §§ 946-950-ის ნორმების შედეგად კარგავს უფლებას,
შეუძლია მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ
ნორმების თანახმად, იმ პირისაგან, რომლის სასარგებლოდაც განხორციელდა

უფლებრივი ცვლილებები. ²პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა დაუშვებელია.

(2) ¹დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ ნორმები, ისევე როგორც განუვლი ხარჯების ანაზღაურებისა და მონ-ყობილობის თან წაღების უფლების შესახებ ნორმები უცვლელი რჩება. ²§§ 946, 947-ის შემთხვევებში, მესაკუთრის მიმართ მფლობელის კუთვნილი თან წაღების უფლების მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად, თან წაღების უფლება დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, თუ შეერთება განხორციელდა იმ პირის მიერ, რომელიც არ არის ძირითადი ნივთის მფლობელი.

- 1 1. გაბატონებული შეხედულებისა და ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმებზე მითითება არის ნორმის ქმედების შემადგენლობაზე მითითება და არა მხოლოდ სამართლებრივ შედეგებზე (იხ., მაგ., BGHZ, 55, 176, 177). ამდენად, მითითება ხდება არა მხოლოდ § 818-ისა და შემდეგი პარაგრაფების მოთხოვნის უფლების მოცულობაზე (როდესაც, რა თქმა უნდა, § 818-ის პირველი ნაწილის, § 951-ის პირველი ნაწილის მიერ, BGH NJW, 1961, 452), არამედ სახეზე უნდა იყოს ასევე § 812-ის ქმედების შემადგენლობის ნიშნები. კერძოდ კი, § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, უფლების დაკარგვა უნდა განხორციელდეს „სამართლებრივი საფუძვლის“ გარეშე. § 951-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მეშვეობით ნათელი ხდება ის, რომ, მართალია, §§ 946-950-ით მონესრიგებული ცვლილებები, როგორც წესი, უნდა შენარჩუნდეს, თუმცა, ისინი არ ქმნიან „სამართლებრივ საფუძველს“ უფლების დაკარგვისათვის (აღნიშნულზე იხ. § 812, მე-40 ველი).
- 2 2. ე. წ. თავს მოხვეული გამდიდრებისათვის იხ. § 812-ის 42-ე ველის ზოგადი მიმოხილვა. ცნობილი მაგალითი სასამართლო პრაქტიკაში (BGHZ, 23, 61): თუ მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ მის მიწის ნაკვეთზე აღიმართება შენობა, რომელიც მიჩნეულ უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, თავიდან აიცილოს პირველი ნაწილის პირველი წინადადების ნორმის საფუძველზე მშენებლის დაცული მოთხოვნის უფლება – ამ უკანასკნელისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემა – შენობის დემონტაჟის მიზნით.
- 3 3. ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, პირველი ნაწილის პირველი წინადადების ნორმა მოიცავს მხოლოდ არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქციას (შდრ. § 812, 36-ე და შემდეგი ველები; განსხვავებული შეხედულება იხ. BGHZ, 40, 272). უფლების დაკარგვა სახელშეკრულებო ვალდებულების საფუძველზე არ ხორციელდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე; თუ ხელშეკრულება ან უფლების დამკარგავსა და მის შემძენს შორის ხელშეკრულების ჯაჭვში არსებული ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი სამართლებრივი ძალის არმქონეა, მაშინ შესრულების კონდიქცია, როგორც წესი, მოქმედებს უშუალოდ § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების პირველი კაზუსის შესაბამისად (იხ. მაგ., Jauernig, მე-9 ველი; დეტალურად რამდენიმე პირს შორის ურთიერთობაში შესრულების კონდიქციის შესახებ იხ. § 812, მე-18 და შემდეგი ველები). შესრულების კონდიქციისაგან განსხვავებით, არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე, კონდიქცია, როგორც წესი, აღარ გამოიყენება (დეტალურად იხ. § 812 46-ე ველი). მხოლოდ ამ წინადადებიდან გამომდინარე (მოჩვენებითი) გამოწვევის საფუძველად დაედო გადაწყვეტილებას „ახალგაზრდა ხარების საქმეზე“ (BGHZ, 55, 176): თუ პირი კეთილსინდისიერად ყიდულობს მოპარულ ნივთს (ახალგაზრდა ხარებს) და მას გადაამუშავებს ისე, რომ ხდება ახალი ნივთის მესაკუთრე, § 950-ის შესაბამისად (ხორცპროდუქტები), ვალდებულია, მესაკუთრეს § 951-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად ფულადი სახით

აუნაზღაუროს მოპარული ნივთის ღირებულება არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქციის საფუძველზე; შესაბამისად, ახალგაზრდა ხარების გამსხვიების „შესრულებით“ ხორცპროდუქტების მწარმოებელმა § 935-ის გამო შეიძინა მხოლოდ მფლობელობა, როდესაც მან ხორცპროდუქტებზე საკუთრების უფლება შეიძინა თავისი „არამართლზომიერი ჩარევით“, § 950-ის შესაბამისად (იხ. *Medicus-Petersen*, 727-ე ველი); მას არ შეუძლია ქურდისათვის გადახდილი ნასყიდობის ფასის – მსგავსად § 818-ის მე-3 ნაწილის ფარგლებში გადახდილი თანხისა (იხ. § 818, მე-8 ველი) – ანგარიშში ჩათვლა.

4. გარდამავალი უფლებები, მე-2 ნაწილის პირველი წინადადების ნორმის შესაბამისად, უცვლელი რჩება. მათ მიეკუთვნება: **ა) დელიქტიდან** გამომდინარე მოთხოვნის უფლებები, § 823-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისად; **ბ) განუხლები ხარჯების კომპენსაცია**, მაგ., §§ 536-სა და მე-2 ნაწილი, 539-ის პირველი ნაწილი, 1049-ის პირველი ნაწილი. რა თქმა უნდა, განუხლები ხარჯების კომპენსაცია, § 994-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისად, არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების საფუძველზე კომპენსაციისა და ასევე § 951-ის პირველი ნაწილთან ერთად; უფრო მეტიც, გაბატონებული შეხედულების თანახმად, § 994-სა და შემდეგ პარაგრაფებს ენიჭება უპირატესობა როგორც სპეციალურ დანაწესს (იხ. § 812, 41-ე ველი); **გ) მონყობილობის თან ნაღების უფლება**, მაგ., § 539-ის მე-2 ნაწილის, 581-ის მე-2 ნაწილის, 997, 1049-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად. იმ დროს, როდესაც § 951-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება აღდგენას (შემძენის ხარჯზე) გამოორიცხავს, თან ნაღების უფლებით მაინც შესაძლებელია თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა – თუმცა, თან ნაღების უფლებაზე უფლებამოსილი პირის ხარჯზე (§ 258).

5. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმით გათვალისწინებული **მონყობილობის თან ნაღების უფლება** ენიჭება არა ყველა იმ პირს, რომლებიც შეერთების შედეგად კარგავენ სანივთო უფლებას, არამედ პარაგრაფის ნორმა აფართოებს მხოლოდ იმ თან ნაღების უფლების მოქმედებას, რომელიც ეკუთვნის დასაბრუნებელი ნივთის მფლობელს, § 997-ის შესაბამისად; სხვა პირის კუთვნილი ძირითადი ნივთის არამართლზომიერ მფლობელს მონყობილობის თან ნაღების უფლება უნდა ეკუთვნოდეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი ნივთი არა მის მიერ, არამედ მესამე პირის მიერ იქნა დაკავშირებული სხვა პირის კუთვნილ ძირითად ნივთთან (BGHZ, 40, 272: „ელექტრომონყობილობების საქმე“).

6. ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად კი, პირიქით, მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, ხდება მონყობილობის თან ნაღების **დამოუკიდებელი** უფლების მინიჭება, რომელიც უნდა ჰქონდეს ნებისმიერ იმ პირს, რომელიც განიცდის უფლების დაკარგვას შეერთების შედეგად §§ 946, 947-ის შესაბამისად, მათ შორის, ასევე – **არამფლობელიც** (იხ., მაგ., *Baur/Stürner*, § 25 36-ე ველი; *Palandt-Bassenge*, 24-ე ველი; განსაზღვრული შეზღუდვით იხ. ასევე *Medicus-Petersen*, 904-ე ველი). ამ შეხედულების სასარგებლოდ, რომელიც მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებაში ითვალისწინებს მე-2 ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების მოქმედების გაგრძელებას (*Baur/Stürner*: „*Rechtsfortwirkungsrecht*“), საუბრობს დანაწესის სისტემური განთავსებაც (§ 951-ში და არა – § 997-ში). ასევე, მართებული არ არის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პოზიცია, რომ აღნიშნული შეხედულებით თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლების გამოორიცხვას მე-2 ნაწილის პირველ წინადადებაში საფუძველი გამოეცლებოდა; შესაბამისად, მესაკუთრეს ყოველთვის შეუძლია, თავიდან აიცილოს ნივთის თან ნაღების უფლების მოქმედება, § 997-ის მე-2 ნაწილის თანახმად, ფულადი კომპენსაციის გადახდის გზით და, გარდა ამისა, ნივთის თან ნაღების უფლების რეალიზაცია დაკავშირებულია § 258-ით გათვალისწინებულ ხარჯებთან.

- 7 6. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ მიღებული საგნის უკან დაბრუნების გარანტია მისი გადამუშავების ან სახეცვლილების გამო გამოორიცხულია, ხელშეკრულებიდან გასვლისას მოვალემ უნდა აანაზღაუროს ღირებულება § 346-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების №2-ის შესაბამისად, რამდენადაც სახეზე არ არის § 346-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების №1-ით გათვალისწინებული გამონაკლისის ფაქტობრივი გარემოება.

§ 952. საკუთრების უფლება სავალო დოკუმენტებზე

(1) ¹საკუთრების უფლება მოთხოვნის დამადასტურებელ სავალო დოკუმენტზე ეკუთვნის კრედიტორს. ²მოთხოვნაზე მესამე პირის უფლება ვრცელდება სავალო დოკუმენტზე.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს სხვა უფლებების დამადასტურებელ დოკუმენტებზე, რომელთა ძალითაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ვალდებულების შესრულება, კერძოდ კი, იპოთეკის, მიწის ვალისა და სარენტო ვალის სერტიფიკატები.

ქვეკარი 4. ნაყოფისა და ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილების შექენა

§ 953. საკუთრების უფლება გამოცალკევებულ ნაყოფსა და ნივთის სხვა შემადგენელ ნაწილებზე

ნაყოფი და ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილები ეკუთვნის ნივთის მესაკუთრეს მათი გამოცალკევების შემდეგაც, თუ §§ 954-957-იდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 954. შექენა სანივთო უფლების მქონე პირის მიერ

პირი, რომელიც სხვა პირის ნივთზე არსებული უფლების საფუძველზე უფლებამოსილია, მისაკუთროს ნაყოფი ან ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილები, §§ 955-957-ის ნორმების დარღვევის გარეშე, ამ უკანასკნელებზე საკუთრების უფლებას იძენს გამოცალკევების მომენტიდან.

§ 955. შექენა კეთილსინდისიერი თავისთვის მფლობელის მეშვეობით

(1) ¹პირი, რომელიც ნივთს თავისთვის ფლობს, §§ 955-957-ის ნორმების დარღვევის გარეშე, იძენს საკუთრების უფლებას ნაყოფზე ან ნივთის სხვა შემადგენელ ნაწილებს მიკუთვნებულ ნაყოფზე გამოცალკევების მომენტიდან. ²შექენა გამოორიცხულია, თუ მფლობელი თავისთვის არ არის უფლებამოსილი თავისთვის მფლობელობაზე ან სხვა პირი ნივთზე უფლების ძალით უფლებამოსილია ნაყოფის მიღებაზე და მფლობელი თავისთვის მფლობელობის შექენისას არ არის კეთილსინდისიერი ან გამოცალკევებამდე მან იცის უფლებრივი ნაკლის შესახებ.

(2) თავისთვის მფლობელს უთანაბრდება პირი, რომელიც ნივთს ფლობს მასზე სარგებლობის უფლების რეალიზაციის მიზნით.

(3) თავისთვის მფლობელობისა და მასთან გათანაბრებული მფლობელობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება § 940-ის მე-2 ნაწილის ნორმა.

- 1 ნორმა ეხება მხოლოდ სანივთოსამართლებრივ მხარეს. არსებობს თუ არა ნივთის გამოთხოვის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებები, დგინდება § 987-ითა და შემდეგი პარაგრაფებით. სანივთოსამართლებრივი შედეგების ვალდებულებით-სამართლებრივ კორექტირებას იწვევს § 987 სავინდიკაციო სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტიდან (იხ. § 987, პირველი ველი), ხოლო § 988 კი – უსასყიდლოდ მიღებული მფლობელობის შემთხვევაში.

§ 956. შეძენა პირადი უფლების მქონე პირის მიერ

(1) ¹თუ მესაკუთრე სხვა პირს რთავს ნაყოფის ან ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილების მისაკუთრების ნებას, მაშინ ეს უკანასკნელი იძენს მათზე საკუთრების უფლებას გამოცალკევების მომენტიდან იმ პირობით, რომ მას გადაეცემა ნივთზე მფლობელობა, სხვა შემთხვევაში კი – ფაქტობრივი დაუფლების მომენტიდან. ²თუ მესაკუთრე ვალდებულია ნებართვის მიცემაზე, მაშინ მას არ შეუძლია მისი უკან წაღება მანამდე, სანამ სხვა პირი ნივთზე ახორციელებს მისთვის მინიჭებულ მფლობელობას.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ ნებართვის მიცემა ხდება არა მესაკუთრის, არამედ სხვა პირის მხრიდან, რომელსაც გამოცალკევების შემდეგ ეკუთვნის ნაყოფი ან ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილები.

1. ნორმა პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, უპირველეს ყოვლისა, მოიჯარის მიერ ნაყოფის შეძენისათვის და „მოუჭრელი ხე-ტყისა“ და „აულებელი მარცვლეულის“ გაყიდვისას.

2. ნაყოფს მიეკუთვნება მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ყველანაირი ნატურალური პროდუქტი, როგორებიცაა: კვერცხი, ხბო, ხეები ან მცენარეები (შდრ. § 99-ის პირველი ნაწილი). შემადგენელი ნაწილებია: ერთიანი ნივთის (იხ. § 93-ის მე-3 ნაწილი) ნაწილები, როგორებიცაა: კარადის კარი ან მიწის ნაკვეთზე განთავსებული დემონტაჟისათვის გათვალისწინებული შენობა (შდრ. § 94).

3. მისაკუთრების ნებართვა უნდა განვასხვაოთ იმ ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან, რომელსაც იგი ეფუძნება. ამდენად, § 581-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში განსაზღვრული ნაყოფის მოხმარების „გარანტიები“ არის იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში მისაკუთრების ნებართვა. ზოგადი შეხედულებით, ეს უკანასკნელი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა (გამოიყენება § 130) და ნაყოფის შეძენის უფლების განკარგვა. სადავოა, არის თუ არა მისაკუთრების ნებართვა მომავალ ნივთებზე, § 929-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისად, საკუთრების უფლების გადაცემის სპეციალური შემთხვევა თუ ცალმხრივი განკარგვა, რომელიც წარმოშობს ნებართვის მიმღების კუთვნილ შეძენის უფლებას (მისაკუთრების თეორია). ამ თეორიული დავისაგან დამოუკიდებლად (მის შესახებ იხ., მაგ., *Baur/Stürner*, § 53, 57-ე ველი) უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნებართვის მიცემის უფლებამოსილება, როგორც წესი, მინიჭებული უნდა იყოს ჯერ კიდევ იმ მომენტში, როდესაც ხდება საკუთრების უფლების გადაცემა; პირველი წინადადების მე-2 კაზუსისათვის იხ. BGHZ, 27, 360, 368: განმსაზღვრელია მფლობელობის მიღების მომენტი, ვინაიდან ნებართვა შეიძლება მანამდე იქნეს გამოთხოვილი.

4. პირველი წინადადების მე-2 კაზუსის თანახმად, გამოყოფით საკუთრების უფლების შეძენის წინაპირობაა მფლობელობის გადაცემა, § 854-ის შესაბამისად. ნებართვის მიმცემმა უარი უნდა თქვას მფლობელობაზე; ამდენად, პირველი კაზუსისათვის ძირითად ნივთზე არაპირდაპირი მფლობელობა საკმარისი არ არის, როდესაც ნებართვის მიმცემი რჩება პირდაპირ მფლობელად (BGHZ, 27, 360, 363).

§ 957. არაუფლებამოსილი პირის მიერ მიცემული ნებართვა

§ 956-ის ნორმა გამოიყენება ასევე მაშინაც, თუ პირი, რომელიც სხვა პირს რთავს მისაკუთრების ნებას, არ არის ამაზე უფლებამოსილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა პირი იმ შემთხვევაში, თუ მას გადაეცა ნივთზე მფლობელობა, ამ გადაცემისას, სხვა შემთხვევაში კი, – ნაყოფის ან ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილების ფაქტიური დაუფლებისას, არ არის კეთილსინდისიერი ან გამოცალკევებამდე მან იცის უფლებრივი ნაკლის შესახებ.

ქვეკარი 5. მისაკუთრება

§ 958. საკუთრების უფლება შექენა უპატრონო მოძრავ ნივთებზე

(1) პირი, რომელიც უპატრონო მოძრავ ნივთს იღებს თავისთვის მფლობელობაში, იქენს მასზე საკუთრების უფლებას.

(2) საკუთრების უფლების შექენა არ ხდება, თუ მისაკუთრება კანონით აკრძალულია ან თუ ფაქტიური დაუფლებით ირღვევა სხვა პირის მისაკუთრების უფლება.

§ 959. საკუთრების უფლების მიტოვება

მოძრავი ნივთი ხდება უპატრონო, თუ მესაკუთრე მასზე საკუთრების უფლებაზე უარის მიზნით ტოვებს ნივთის მფლობელობას.

§ 960. გარეული ცხოველები

(1) ¹გარეული ცხოველები უპატრონოდ მიიჩნევიან მანამდე, სანამ ისინი თავისუფლები არიან. ²ზოოპარკში მყოფი გარეული ცხოველები ან თევზები საგუბრებში ან სხვა დახურულ კერძო წყალსატევებში არ მიიჩნევიან უპატრონოდ.

(2) თუ დაჭერილი გარეული ცხოველი დაიბრუნებს თავისუფლებას, მაშინ იგი ხდება უპატრონო, თუ მესაკუთრე ცხოველს დაუყოვნებლივ არ დაედევნება ან თუ დევნაზე იტყვის უარს.

(3) განვრთნილი ცხოველი ხდება უპატრონო, თუ იგი დაკარგავს მისთვის განსაზღვრულ ადგილზე დაბრუნების ჩვევას.

§ 961. საკუთრების უფლების დაკარგვა ფუტკრების გუნდის შემთხვევაში

თუ ფუტკრების გუნდი გაფრინდება, იგი ხდება უპატრონო, თუ მესაკუთრე მას დაუყოვნებლივ არ დაედევნება ან თუ დევნაზე იტყვის უარს.

§ 962. მესაკუთრის დადევნების უფლება

¹დადევნებისას ფუტკრების გუნდის მესაკუთრეს შეუძლია შევიდეს უცხო მიწის ნაკვეთზე. ²თუ ფუტკრების გუნდი შევიდა სხვა პირის კუთვნილ დაუკავებელ სკაში, მაშინ ფუტკრების გუნდის მესაკუთრეს მისი დაჭერის მიზნით შეუძლია სკის გასხნა და ფიჭების ამოღება ან ამოტეხვა. ³მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

§ 963. ფუტკრების გუნდების არევა

თუ რამდენიმე მესაკუთრის კუთვნილი ფუტკრების გუნდები ერთმანეთს შეერევა, მაშინ ის მესაკუთრეები, რომლებიც დაედევნენ თავიანთ გუნდებს, ხდებიან დაჭერილი საერთო გუნდის თანამესაკუთრეები; წილები განისაზღვრება დადევნებული გუნდების რაოდენობის მიხედვით.

§ 964. ფუტკრების გუნდების შერევა

¹თუ ფუტკრების გუნდი შევა სხვა პირის კუთვნილ დაკავებულ სკაში, მაშინ საკუთრების უფლება და სხვა უფლებები იმ ფუტკრებზე, რომლებიც იმყოფებიან სკაში, ვრცელდება სკაში შემსვლელ გუნდზე. ²საკუთრების უფლება და სხვა უფლებები შემსვლელ გუნდზე უქმდება.

ქვეკარი 6. ნაპოვარი

§ 965. მპოვნელის მიერ ნაპოვარის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება

(1) პირი, რომელიც პოულობს დაკარგულ ნივთს და იღებს მას, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს იმ პირს, რომელმაც ნივთი დაკარგა, ან მესაკუთრეს ანდა მიღებაზე უფლებამოსილ სხვა პირს.

(2) ¹თუ მპოვნელი მიღებაზე უფლებამოსილ პირებს არ იცნობს ან მისთვის უცნობია მათი ადგილსამყოფელი, მაშინ იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს ნაპოვარისა და იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა მიღებაზე უფლებამოსილი პირის დასადგენად. ²თუ ნივთის ღირებულება არ აღემატება ათ ევროს, მაშინ შეტყობინება აუცილებელი არ არის.

§ 966. შენახვის ვალდებულება

(1) მპოვნელს ეკისრება ნივთის შენახვის ვალდებულება.

(2) ¹თუ არსებობს ნივთის გაფუჭების საფრთხე ან თუ შენახვა დაკავშირებულია შეუსაბამო ხარჯებთან, მაშინ ნაპოვარი ექვემდებარება საჯარო აუქციონზე გაყიდვას. ²აუქციონამდე შეტყობინება უნდა გაკეთდეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის. ³ამონაგები თანხა იკავებს ნივთის ადგილს.

§ 967. ნივთის გადაცემის ვალდებულება

მპოვნელი უფლებამოსილია, ხოლო კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს განკარგულებით ვალდებულია, ნივთი ან აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხა გადასცეს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს.

§ 968. პასუხისმგებლობის ფარგლები

მპოვნელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

§ 969. იმ პირისათვის ნივთის გადაცემა, რომელმაც ეს ნივთი დაკარგა

იმ პირისათვის ნივთის გადაცემით, რომელმაც ეს ნივთი დაკარგა, მპოვნელი თავისუფლდება ვალდებულებისაგან მიღებაზე უფლებამოსილი სხვა პირების წინაშე.

§ 970. ხარჯების ანაზღაურება

თუ მპოვნელი ნივთის შენახვისა თუ მოვლის მიზნით ანდა მიღებაზე უფლებამოსილი პირის დადგენის მიზნით სწევს ხარჯებს, რომლებიც გარემოებებიდან გამომდინარე მიიჩნევა აუცილებლად, მაშინ მას შეუძლია მიღებაზე უფლებამოსილი პირისაგან მოითხოვოს ანაზღაურება.

§ 971. ჯილდო პოვნისათვის

(1) ¹მპოვნელს შეუძლია ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირისაგან მოითხოვოს პოვნისათვის ჯილდო. ²პოვნისათვის ჯილდო შეადგენს: 500 ევრომდე ღირებულების მქონე ნივთისათვის – ხუთ პროცენტს, უფრო მეტი ღირებულების მქონე ნივთისათვის – სამ პროცენტს, ხოლო ცხოველების შემთხვევაში – სამ პროცენტს. ³თუ ნივთი წარმოადგენს ღირებულებას მხოლოდ მიღებაზე უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ პოვნისათვის ჯილდო დგინდება სამართლიანი შეფასებით.

(2) მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მპოვნელი არღვევს შეტყობინების ვალდებულებას ან ნივთის მოკითხვისას მალავს ნაპოვარს.

§ 972. მპოვნელის მიერ ნივთის დაკავების უფლება

§§ 970, 971-ით განსაზღვრული მოთხოვნის უფლებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება მესაკუთრის მიმართ ხარჯების ანაზღაურების შესახებ მფლობელის კუთვნილი მოთხოვნის უფლებების მომწესრიგებელი §§ 1000-1002-ის ნორმები.

§ 973. მპოვნელის მიერ ნაპოვარზე საკუთრების უფლების შექმნა

(1) ¹მპოვნელის მიერ კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის შეტყობინების გაგზავნის მომენტიდან ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე მპოვნელი იძენს ნივთზე საკუთრების უფლებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მანამდე ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირი მისთვის ცნობილი გახდება ან ამ უკანასკნელმა თავისი უფლების შესახებ შეატყობინა კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს. ²საკუთრების უფლების შექმნით ნივთზე სხვა უფლებები უქმდება.

(2) ¹თუ ნივთის ღირებულება არ აღემატება ათ ევროს, მაშინ ექვსთვიანი ვადის დენა იწყება ნივთის პოვნის მომენტიდან. ²მპოვნელი არ იძენს საკუთრების უფლებას, თუ იგი ნივთის მოკითხვისას მალავს ნაპოვარს. ³კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის უფლების შესახებ შეტყობინება ხელს არ უშლის საკუთრების უფლების შექმნას.

§ 974. საკუთრების უფლების შექმნა ნაპოვარის დამალვის შემდეგ

¹თუ ექვსთვიანი ვადის გასვლამდე მპოვნელისათვის ცნობილი გახდება ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირები ან ეს უკანასკნელები დროულად შეატყობინებენ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს იმ ნივთზე თავიანთი უფლებების შესახებ, რომლის ღირებულება არ აღემატება ათ ევროს, მაშინ მპოვნელს შეუძლია § 1003-ის თანახმად ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს მოსთხოვოს განმარტება §§ 970-972-ის მიხედვით მპოვნელის კუთვნილი მოთხოვნის უფლებების თაობაზე. ²განმარტებისათვის დადგენილი ვადის გასვლისთანავე მპოვნელი იძენს ნაპოვარზე საკუთრების უფლებას და უქმდება მასზე არსებული სხვა უფლებები, თუ ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირები დროულად არ განაცხადებენ მოთხოვნის უფლებების დაკმაყოფილების მზადყოფნის თაობაზე.

§ 975. მპოვნელის უფლებები ნივთის გადაცემის შემდეგ

¹ნივთის ან აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხის კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაცემით მპოვნელის უფლებები არ იცვლება. ²თუ კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანო ყიდის ნივთს აუქციონზე, მაშინ ამონაგები თანხა იკავებს ნივთის ადგილს. ³კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ნივთი ან ამონაგები თანხა გადასცეს ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილ პირს მხოლოდ მპოვნელის თანხმობით.

§ 976. საკუთრების უფლების შექმნა მუნიციპალიტეტის მიერ

(1) თუ მპოვნელი კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე გაკეთებული განცხადებით უარს ამბობს ნივთზე საკუთრების უფლების შექმნაზე, მაშინ მისი უფლება გადადის მუნიციპალიტეტზე ნაპოვარის აღმოჩენის ადგილის მიხედვით.

(2) თუ მპოვნელმა ნივთის ან აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხის კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაცემის შემდეგ §§ 973, 974-ის ნორმების საფუძველზე შეიძინა საკუთრების უფლება, მაშინ ეს უფლება გადადის მუნიციპალიტეტზე ნაპოვარის აღმოჩენის ადგილის მიხედვით, თუ მპოვნელი კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არ ითხოვს ნივთის გადმოცემას.

§ 977. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება

¹პირს, რომელიც §§ 973, 974, 976-ის ნორმების თანახმად კარგავს უფლებებს, შეუძლია §§ 973, 974-ის შემთხვევებში მპოვნელისაგან, ხოლო § 976-ის შემთხვევაში – ნაპოვარის აღმოჩენის ადგილის მიხედვით მუნიციპალიტეტისაგან, მოითხოვოს უფლებრივი ცვლილების შედეგად მიღებულის მისთვის გადაცემა უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად. ²მოთხოვნის უფლება უქმდება სამი წლის ვადის გასვლისთანავე მპოვნელზე ან მუნიციპალიტეტზე საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ, თუ მოთხოვნის უფლების სასამართლო წესით რეალიზაცია უფრო ადრე არ ხორციელდება.

§ 978. ნაპოვარი საჯარო ორგანოს ან სატრანსპორტო დაწესებულების ტერიტორიაზე

(1) ¹პირი, რომელიც ნივთს პოულობს საჯარო ორგანოს ან საჯარო სამსახურისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო დაწესებულების საოფისე ფართის ტერიტორიაზე ან სატრანსპორტო საშუალებებში და იღებს მას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ გადასცეს იგი ორგანოს ან სატრანსპორტო დაწესებულებას, ან მათ მოსამსახურებს. ²§§ 965-967-ისა და § 969-977-ის ნორმები არ გამოიყენება.

(2) ¹თუ ნივთის ღირებულება არ არის 50 ევროზე ნაკლები, მპოვნელს შეუძლია, ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირისაგან მოითხოვოს პოვნისათვის ჯილდო. ²ჯილდო შეადგენს იმ თანხის ნახევარს, რომელიც გაიცემოდა § 971-ის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების გამოყენების შემთხვევაში. ³მოთხოვნის უფლება გამოირიცხულია, თუ მპოვნელი ორგანოს ან სატრანსპორტო დაწესებულების მოსამსახურეა, ან არღვევს ნივთის გადაცემის ვალდებულებას. ⁴მესაკუთრის მიმართ ხარჯების ანაზღაურების შესახებ მფლობელის კუთვნილი მოთხოვნის უფლებების მომწესრიგებელი § 1001-ის ნორმა, შესაბამისად, გამოიყენება პოვნისათვის ჯილდოს მოთხოვნის უფლების მიმართაც. ⁵თუ არსებობს პოვნისათვის ჯილდოს მოთხოვნის უფლება, მაშინ ორგანო ან სატრანსპორტო დაწესებულება ვალდებულია, შეატყობინოს მპოვნელს ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნების შესახებ.

(3) ¹თუ აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხა ან ნაპოვნი ფული, § 981-ის პირველი ნაწილის თანახმად, გადაეცემა უფლებამოსილ პირს, მაშინ მე-2 ნაწილის მე-2-მე-3 წინადადებების თანახმად, პოვნისათვის ჯილდოს მოთხოვნის უფლება წარედგინება ამ უკანასკნელის მიმართ. ²პირველ წინადადებაში მითითებული უფლებამოსილი პირის მიმართ მოთხოვნის უფლება უქმდება მისი წარმოშობიდან სამი წლის ვადის გასვლისთანავე.

§ 979. ნივთის რეალიზაცია; სახელისუფლო განკარგულების მიღების უფლებამოსილება

(1) ¹ორგანოს ან სატრანსპორტო დაწესებულებას შეუძლია მისთვის გადმოცემული ნივთის აუქციონზე გაყიდვა. ²ფედერაციას, ფედერაციის წევრებსა და მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ ჩაატარონ აუქციონი მათი ერთ-ერთი სახელმწიფო მოხელის მეშვეობით.

(1ა) აუქციონი შეიძლება ჩატარდეს ქვემოთ მოცემული ნორმების თანახმად, ასევე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი აუქციონი ინტერნეტის მეშვეობით.

(1ბ) ¹ფედერალური მთავრობა უფლებამოსილია, ფედერალური საბჭოს თანხმობის გარეშე თავისი მოქმედების სფეროში სახელისუფლო განკარგულებით დაადგინოს ნაპოვარი ნივთების აუქციონზე გაყიდვის საპროგრამო მოქმედებები; მას შეუძლია, ეს უფლებამოსილება სახელისუფლო განკარგულებით გადასცეს სპეციალური კომპეტენციის მქონე ფედერაციის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებს. ²ფედერაციული მხარეების მთავრობები უფლებამოსილი არიან, თავიანთი

მოქმედების სფეროში სახელისუფლო განკარგულებით მიიღონ შესაბამისი წესები; მათ შეუძლიათ, უფლებამოსილება გადასცენ სპეციალური კომპეტენციის მქონე ფედერაციული მხარის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებს. ³ფედერაციულ მხარეებს შეუძლიათ, დაადგინონ ნაპოვარი ნივთების აუქციონზე გაყიდვის საპროგრამო მოქმედებები, რომლებსაც ისინი იყენებენ უწყებათშორის ურთიერთობებში. ⁴მათ შეუძლიათ, შეთანხმდნენ სხვა ფედერაციული მხარის კომპეტენტური დაწესებულებისათვის დავალებული მოქმედებების გადაცემის შესახებ.

(2) ამონაგები თანხა იკავებს ნივთის ადგილს.

§ 980. ნაპოვარის შესახებ საჯარო შეტყობინება

(1) აუქციონი დასაშვებია მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს ნაპოვარის შესახებ საჯარო შეტყობინებაში ვადის დადგენით შესთავაზეს თავიანთი უფლებების შესახებ განცხადების გაკეთება და მიცემული ვადა გავიდა; აუქციონი დაუშვებელია, თუ განცხადება დროულად წარედგინება.

(2) საჯარო შეტყობინება აუცილებელი არ არის, თუ არსებობს ნივთის გაფუჭების საფრთხე, ან თუ შენახვა დაკავშირებულია შეუსაბამო ხარჯებთან.

§ 981. აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხის მიღება

(1) თუ საჯარო შეტყობინებაში განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ გასულია სამი წელი, ხოლო ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა არ განაცხადა თავისი უფლების შესახებ, მაშინ: ფედერაციის ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ ჩატარებულ აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხა გადადის ფედერაციის ხაზინაში; ფედერაციული მხარის ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ ჩატარებულ აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხა – ფედერაციის წევრის ხაზინაში; მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ ჩატარებული აუქციონიდან – მუნიციპალიტეტის ხაზინაში; ხოლო იმ სატრანსპორტო დაწესებულების შემთხვევაში, რომელთაც ფლობს კერძო პირი, თანხა გადაეცემა ამ პირს

(2) ¹თუ აუქციონი ტარდება საჯარო შეტყობინების გარეშე, მაშინ სამწლიანი ვადის დენა იწყება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს ნაპოვარის შესახებ საჯარო შეტყობინებაში შესთავაზეს თავიანთი უფლებების თაობაზე განცხადების გაკეთება. ²ანალოგიური წესი მოქმედებს ნაპოვანი ფულის გადაცემის შემთხვევაში.

(3) ხარჯები დაკავდება გადასაცემი თანხიდან.

§ 982. რეალიზაციის ნორმები

§§ 980, 981-ით გათვალისწინებული საჯარო შეტყობინება ხორციელდება ფედერალური ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ ფედერალური საბჭოს მიერ, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში – ფედერაციის წევრის ცენტრალური ორგანოს მიერ მიღებული ნორმების მიხედვით.

§ 983. ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში არსებული ნივთები, რომლებიც არ გადაცემულა

თუ ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში იმყოფება ნივთი, რომლის გადაცემაზეც ეს ორგანო ვალდებულია ისე, რომ გადაცემის ვალდებულება არ ეფუძნება ხელშეკრულებას, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 979-982-ის ნორმები, თუ ორგანოსთვის უცნობია ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან მისი ადგილსამყოფელი.

§ 984. განძის აღმოჩენა

თუ აღმოჩენილია ნივთი, რომელიც ისე დიდხანს იყო დამალული, რომ მისი მე-საკუთრის დადგენა შეუძლებელია (განძი) და აღმოჩენის შედეგად ნივთი მიღებულ იქნება მფლობელობაში, მაშინ საკუთრების უფლებას სანახევროდ იძენენ აღმომ-ჩენი და იმ ნივთის მესაკუთრე, რომელშიც განძი იყო დამალული.

კარი 4. საკუთრების უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები

§ 985-ის შესავალი

მე-4 კარი §§ 985-1007-ში, ძირითადად, აწესრიგებს ქვემოთ მოცემულ საკუთ-რების უფლების დაცვის ხუთ კომპლექსს. მათ შორის, §§ 987-1003-ში ე. წ. მესა-კუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მიმოხილვა ერთ-ერთი ურთულე-სია (დეტალურად იხ. § 987 და შემდეგი პარაგრაფების შესავალი).

1. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება მფლობელის მიმართ (§§ 985, 986)

2. სარგებლის დაბრუნების მოთხოვნის უფლებები არამართლზომიერი მფლო-ბელის მიმართ (§ 987 და შემდეგი პარაგრაფები)

ა) სასამართლოში საქმის წარმოების ან არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში (§§ 987, 990)

ბ) უსასყიდლო მფლობელობის შემთხვევაში (§ 988)

გ) დელიქტური მფლობელობის შემთხვევაში (§§ 992, 823 და შემდეგი პარაგ-რაფები)

დ) კეთილსინდისიერი მფლობელობის შემთხვევაში (§ 993)

3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები არამართლზომიერი მფლობე-ლის მიმართ (§ 989 და შემდეგი პარაგრაფები)

ა) სასამართლოში საქმის წარმოების ან არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში (§§ 989, 990)

ბ) სხვა პირის მფლობელობის შემთხვევაში (§ 991-ის მე-2 ნაწილი)

გ) დელიქტური მფლობელობის შემთხვევაში (§§ 992, 823 და შემდეგი პარაგ-რაფები)

4. ხარჯების კომპენსაციის მოთხოვნის უფლებები მესაკუთრის მიმართ (§ 994 და შემდეგი პარაგრაფები)

ა) კეთილსინდისიერი მფლობელის აუცილებელი ხარჯების შემთხვევაში (§ 994-ის პირველი ნაწილი)

ბ) სარჩელის წარმდგენი ან არაკეთილსინდისიერი მფლობელის აუცილებელი ხარჯების შემთხვევაში (§ 994-ის მე-2 ნაწილი)

გ) კეთილსინდისიერი მფლობელის სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯე-ბის შემთხვევაში (§ 996)

5. ნეგატორული სარჩელი ზიანის მიმყენებლის მიმართ (§ 1004-ის პირველი ნა-წილი).

§ 985. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება

მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

1. სამართლებრივი ბუნება. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებას (rei vindicatio) აქვს სანივითოსამართლებრივი ბუნება. ის არ ექვემდებარება დათმობას (მდრ. § 931, პირველი ველი), ვინაიდან იგი მიმართულია საკუთრების უფლების

განხორციელებისკენ და, ამდენად, მასთან განუყოფლად არის დაკავშირებული; ამავე დროს, დასაშვებია მესამე პირისათვის უფლებამოსილების მინიჭება, მოთხოვნის უფლება განხორციელოს საკუთარი სახელით (შდრ. § 185, მე-2 ველი), როდესაც საქმის განხილვისათვის სახეზე უნდა იყოს სხვა პირის ნაცვლად სასამართლოსათვის საკუთარი სახელით ნებაყოფილობითი მიმართვის წინაპირობები.

- 2 **2. მოთხოვნის უფლების მოწინააღმდეგე მხარეა** მხოლოდ არაუფლებამოსილი მფლობელი (შდრ. § 986-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება); ამდენად, § 986-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, რომელიც, მართალია, გარეგნულად წარმოდგენილია როგორც შესაგებელი, თუმცა, სინამდვილეში, იგი მოთხოვნის უფლების წინაპირობაა, – უნდა იკითხებოდეს § 985-თან ერთად. თუმცა, მოთხოვნის უფლების მოწინააღმდეგე მხარე შეიძლება იყოს ნებისმიერი მფლობელი – პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი, მფლობელი თავისთვის ან მფლობელი სხვისათვის, ერთპიროვნული მფლობელი ან თანამფლობელი (მფლობელობის სახეების შესახებ იხ. § 854, მე-2 და შემდეგი ველები). მოთხოვნის უფლების მოწინააღმდეგე მხარე არ არის მპყრობელი (მოსამსახურე), ვინაიდან იგი არ არის მფლობელი (§ 855).
- 3 ა) მესაკუთრეს, როგორც წესი, პირდაპირი მფლობელისაგან შეუძლია მოითხოვოს ნივთის მისთვის უკან დაბრუნება (გამონაკლისი: § 986-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება).
- 4 ბ) არაპირდაპირი მფლობელისაგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს არა მხოლოდ არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა, § 870-ის თანახმად (თუმცა, ასეთი პოზიცია იხ. *Baur/Stürmer*, § 11, 41-ე ველი), არამედ, სურვილისამებრ, ასევე ნივთის უშუალოდ მისთვის გადაცემა, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს ნივთის მფლობელობა (გაბატონებული შეხედულება; იხ. *BGHZ*, 53, 29). გაბატონებულ შეხედულებას ენიჭება უპირატესობა, ვინაიდან, იძულებითი აღსრულება ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოფილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 886-ის თანახმად, ან, როდესაც შუალობითმა მფლობელმა ამ პერიოდში ნივთი დააბრუნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 883-ის თანახმად; აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, უკანასკნელ მაგალითში დასახელებულ სირთულეებს აწყდება ნაკლებად გაზიარებული შეხედულება, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს სააღსრულებო ფურცელში მოთხოვნის დათმობის აღნიშვნას (*MüKo-Medicus*, მე-10 ველი).
- 5 3. § 275-ისა და შემდეგი პარაგრაფების ვალდებულების შესრულების დარღვევის მომწესრიგებელი ნორმები ნივთის უკან დაბრუნების სანივთოსამართლებრივი მოთხოვნის უფლების მიმართ, როგორც წესი, არ გამოიყენება. ცალკეულ შემთხვევებში მოქმედებს შემდეგი წესები:
- 6 ა) § 275, 280-ის მოქმედება ყველა შემთხვევაში გამორიცხულია იმდენად, რამდენადაც შეუძლებლობა ეფუძნება ხარვეზიან მფლობელობას. შესაბამისად, § 985-იდან გამომდინარე, ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება იმსხვერვა უკვე მოთხოვნის უფლების წინაპირობის – „მფლობელობის“ ხარვეზის შედეგად და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისათვის § 989 და შემდეგი პარაგრაფები § 280-ის საპირისპიროდ შეიცავს უპირატეს სპეციალურ რეგულირებას. გაბატონებული შეხედულების თანახმად, § 281 გამოიყენება § 989 და შემდეგი პარაგრაფებით გათვალისწინებულ ფარგლებში და, ამდენად, მესაკუთრეს ამ დანაწესების წინაპირობების გათვალისწინებით შეუძლია, ნივთის უკან დაბრუნების ნაცვლად მფლობელისაგან მოითხოვოს ასევე ზიანის ანაზღაურება (განსხვავებული შეხედულება იხ. *Katzenstein AcP*, 2006, 96).
- 7 ბ) ასევე არ გამოიყენება § 285. კერძოდ კი, მესაკუთრეს აღნიშნული ნორმის თანახმად არ შეუძლია ამონაგები თანხის გადმოცემის მოთხოვნა. თუ გასხვისება სამართლებრივი ძალის არმქონეა, მაშინ მესაკუთრეს ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება აქვს ახალი მფლობელის მიმართ და, შესაბამისად, მას

არ შეუძლია დამატებით ასევე ამონაგები თანხის მოთხოვნაც (დეტალურად იხ. *Medicus-Petersen*, 599-ე ველი). თუ, პირიქით, გასხვისება სამართლებრივი ძალის მქონეა, მაგ., მესაკუთრის მოწონების შედეგად (§ 185-ის მე-2 ნაწილი), მაშინ § 816-ის პირველი ნაწილი გვთავაზობს სათანადო საბოლოო რეგულირებას.

4. ვადაგადაცილების სამართლებრივი შედეგების მომწესრიგებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმები, § 990-ის მე-2 ნაწილის თანახმად, მოქმედებს არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ და არა, პირიქით, – კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ (დასაბუთებისათვის იხ. § 993-ის პირველი ნაწილის ბოლოში). კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების მომწესრიგებელი ნორმები (§ 293 და შემდეგი პარაგრაფები), ზოგადად, გამოიყენება; ისინი ვერ დაუპირისპირდებიან § 987-სა და შემდეგ პარაგრაფებს, ვინაიდან ეს ნორმები მხოლოდ სარგებლის მომტანია მფლობელისათვის (იხ. *MüKo-Medicus*, 43-ე ველი).

5. კონკურენცია ნივთის უკან დაბრუნების სხვა მოთხოვნის უფლებასთან შესაძლებელია, მაგ., § 823 და შემდეგი პარაგრაფები § 249-სთან კავშირში; § 861; § 1007. კერძოდ, გაბატონებული შეხედულების თანახმად, მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია სახეზეა ნივთის უკან დაბრუნების სახელმეკრულებო მოთხოვნის უფლებასთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ასე, მაგ., ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ ერთდროულად არსებობს მოთხოვნის უფლებები § 546-იდან და § 985-იდან გამომდინარე (შდრ. BGHZ, 85, 11, 13); § 985-იდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება, § 986-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამორიცხულია მხოლოდ ქირავნობის ურთიერთობის არსებობის განმავლობაში და არა მისი შეწყვეტის შემდეგ. § 987-ითა და შემდეგი პარაგრაფებით გათვალისწინებული ვინდიკაციის შედეგების შემთხვევაში, მოთხოვნის უფლებების კონკურენციისათვის იხ. § 987 და შემდეგი პარაგრაფების შესავლის მე-7 და შემდეგი ველები.

§ 986. მფლობელის შესაგებელი

(1) ¹მფლობელს შეუძლია, უარი თქვას ნივთის უკან დაბრუნებაზე, თუ იგი ან არაპირდაპირი მფლობელი, რომლისგანაც გამომდინარეობს მისი მფლობელობის უფლება, მესაკუთრის მიმართ უფლებამოსილია ნივთის ფლობაზე. ²თუ არაპირდაპირი მფლობელი მესაკუთრის მიმართ არ არის უფლებამოსილი მფლობელისთვის ნივთზე მფლობელობის გადაცემაზე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელისაგან მოითხოვოს ნივთის არაპირდაპირი მფლობელისათვის გადაცემა, ან, თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია, ან არ სურს ნივთზე მფლობელობის დაბრუნება, – ნივთის უშუალოდ მისთვის გადაცემა.

(2) იმ ნივთის მფლობელს, რომელიც, § 931 თანახმად, გასხვისებულ იქნა ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის დათმობით, შეუძლია ახალ მესაკუთრეს დაუპირისპიროს ის შესაგებელი, რომელიც მას დათმობილი მოთხოვნის უფლების წინააღმდეგ აქვს.

1. სამართლებრივი ბუნება. მიუხედავად ორაზროვანი სიტყვებისა („შეუძლია... უარი თქვას“), დღეს არსებული თითქმის ერთსულოვანი შეხედულების თანახმად, § 986 შეიცავს არა შესრულებაზე უარის თქმის მიმნიჭებელ შესაგებელს, არამედ – როგორც ფუნქციის მსგავსად უკეთესად ფორმულირებულია § 1004-ის მე-2 ნაწილში – *ex officio* გასათვალისწინებელ უფლების წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელს (BGHZ, 82, 13, 18).

2. საკუთარი მფლობელობის უფლება (პირველი ნაწილის პირველი წინადადების პირველი კაზუსი) აქვთ სანივთოსამართლებრივად უფლებამოსილ პირებსა (მოგირავნე, უზუფრუქტუარი) და მესაკუთრის მიმართ ვალდებულებით-სამართლებრივად უფლებამოსილ პირებს (დამქირავებელი, მოიჯარე). **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლებაზე უფლებამოსილ პირთან დაკავშირებით**

იხ. § 929-ის მე-17 და შემდეგი ველები. სადავოა ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების სისტემატიზაცია, §§ 273, 1000-ის თანახმად. შედეგის მხრივ, არსებობს აზრთა ერთიანობა, რომ ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება წარმოშობს მხოლოდ შესრულებაზე უარის თქმის მიმნიჭებელ შესაგებელს და არა უფლების წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელს, და, ნაცვლად სარჩელზე უარისა, შედეგად იწვევს მხოლოდ ვალდებულების ერთდროულად შესრულების დაკისრებას (§ 274). § 986-ისაგან ამ განსხვავების გამო ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლებაში მფლობელობის უფლების არსებობა არ იკვეთება (აღნიშნულის შესახებ მართებულია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები, მაგ., იხ. *MüKo-Medicus*, მე-17 ველი შემდგომი მითითებებით; თუმცა, განსხვავებული მოსაზრება აქვს უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს, მაგ., BGHZ, 64, 122). ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების მიმართ უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ § 986-ის მე-2 ნაწილის გამოყენების პრაქტიკა საბოლოო შედეგის მხრივ სათანადოდ უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, მისი გამართლება შეიძლება ამ ნორმის ანალოგიით გამოყენების გამართლებით.

- 3 **3. ნაწარმოები მფლობელობის უფლება** (პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 კაზუსი) აქვს, მაგ., ქვემოქირავნეს – უ-ს, რომელსაც დამქირავებელმა ბ-მ ნივთი დასაშვები საშუალებით დაუთმო; თუ ბ, პირიქით, არ იყო უფლებამოსილი ქვექირავნობაზე, უ-ს არ ექნება მფლობელობის უფლება, როგორც ამაზე უთითებს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება. პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 კაზუსის („არაპირდაპირი მფლობელი“) სიტყვასიტყვითი ტექსტიდან გამომდინარე, მფლობელობის უფლება შეიძლება იყოს ნაწარმოები ასევე ამ წინამორბედი მფლობელისაგან, რომელიც არ იყო არაპირდაპირი მფლობელი; ამდენად, პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 კაზუსი გამოყენებულ უნდა იქნეს თავისი არსის ანალოგიით, როდესაც ნივთი გაიყიდა თავდაპირველად ე-სგან კ-ზე, ხოლო შემდგომში – კ-საგან ბ-ზე და (საკუთრების უფლების გადასვლის გარეშე) ამ უკანასკნელს ფაქტობრივადაც გადაეცა (მდრ. BGH NJW, 1989, 895, 897).
- 4 **4. მე-2 ნაწილში გათვალისწინებული შესაგებლების გავრცელება** სამართალმემკვიდრის მიმართ, რამაც ხელი უნდა შეუშალოს მფლობელის პოზიციის გაუარესებას საკუთრების უფლების გადაცემის შედეგად, ზოგადი შეხედულების თანახმად (იხ. BGHZ 111, 142), მოქმედებს არა მხოლოდ § 931-ის შემთხვევაში, არამედ იდენტური ინტერესების გამო ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც შუალობითმა მფლობელმა მესაკუთრემ მოახდინა გასხვისება, § 930-ის თანახმად (იხ. § 930-ის პირველი ველი).

§ 987-ის შესავალი

I. მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობა

- 1 **1. §§ 987-993-ში მონესრიგებული მესაკუთრის მოთხოვნის უფლებები** სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ისევე როგორც ხარჯების ანაზღაურების შესახებ მფლობელის საპირისპირო მოთხოვნები (§§ 994-1003), § 985-ისაგან განსხვავებით, არის არა სანივთო მოთხოვნის უფლებები, არამედ იმ კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებები, რასაც უნოდებენ მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობას. შესაბამისად, მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში, მოთხოვნის უფლებები არ გადადის კანონის ძალით შემქნელზე და ისინი არ უქმდება მფლობელობის დაკარგვის შედეგად. უფრო მეტიც, ისინი შეიძლება დამოუკიდებლად იქნეს დათმობილი, დაგირავებული და დაყადაღებული (დეტალურად იხ. *Staudinger-Gursky*, {2006}, 36-ე და შემდეგი ველები).

2. **§§ 987 და შემდეგი პარაგრაფების რეგულირების მიზანი**, უპირველეს ყოვლისა, არის **კეთილსინდისიერი და იმ არამართლზომიერი მფლობელისათვის პრივილეგიის მინიჭება**, რომლის მიმართაც სარჩელი არ იქნა წარდგენილი (მდრ. *Staudinger-Gursky*, {2006}, მე-4 და შემდეგი ველები). მფლობელი დაცული უნდა იყოს ნივთის დაზიანებისა თუ განადგურების გამო მესაკუთრის კუთვნილი მოთხოვნის უფლებებისაგან, ვინაიდან მას უხეში გაუფრთხილებლობის გარეშეც შეეძლო საკუთარი ნივთის უფლებებელყოფის დაშვება. ამავე დროს, მას შეუძლია, სხვა პირის კუთვნილი ნივთიდან მიღებული სარგებლის დატოვება, როდესაც მფლობელობის შექმნა სასყიდლით განხორციელდა. ამ დანაწესებით კანონი მხედველობაში იღებს სანივთოსამართლებრივ ბრუნვისა და ნდობის დაცვას; ის, კერძოდ, არბილებს § 935-ის ხისტ რეგულირებას, რომლის თანახმადაც დაკარგული ნივთების შემთხვევაში კეთილსინდისიერი შექმნა კატეგორიულად გამორიცხულია. მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის პრივილეგიის მინიჭების ფუნქციას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა უფლებათა კონკურენციის გაგებისათვის (იხ. ქვემოთ, მე-7 და შემდეგი ველები).

II. ვინდიკაციის მდგომარეობა როგორც ნორმის გამოყენების წინაპირობა

1. **პრინციპის** სახით აღიარებულია, რომ **§§ 987-1003-ის წინაპირობაა** მფლობელობის უფლების არარსებობა (იხ. § 986, მე-2 ველი), ე. წ. **ვინდიკაციის მდგომარეობა**. მესაკუთრეს იმ გარემოების არსებობის მომენტში, საიდანაც გამომდინარეობს სამართლებრივი შედეგები (მაგ., სარგებლის მიღება, ზიანის მიყენება), უნდა ჰქონდეს მფლობელობის უფლებით შეუზღუდავი მესაკუთრის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება (*MüKo-Medicus*, მე-8 ველი). მართალია, კანონი ამაზე უშუალოდ არ მიუთითებს, თუმცა, იგი ვლინდება § 987-ისა და შემდეგი პარაგრაფების სისტემური განთავსებიდან § 985-ისა და შემდეგი პარაგრაფების შემდეგ და ასევე – § 990-სა და შემდეგ პარაგრაფებში კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელებს შორის განსხვავებიდან, რაც შეესაბამება მხოლოდ არამართლზომიერ მფლობელს.

2. ამ პრინციპიდან **გამონაკლისების** სახით განიხილება, უპირველეს ყოვლისა, შემთხვევათა ორი ჯგუფი: მფლობელი, „რომელიც აღარ არის უფლებამოსილი“, და „არასათანადოდ უფლებამოსილი“ მფლობელი.

ა) დავა და **მფლობელი, „რომელიც აღარ არის უფლებამოსილი“**, კერძოდ, ეხება „მიკროავტოზუსის საქმეს“, რომელშიც უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ხელოსნის მიმართ აღიარა ვინდიკაციის განმახორციელებელი მესაკუთრისა და პირობადებული საკუთრების უფლებით მყიდველის კუთვნილი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობა, § 994-ის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ხარჯები გაწეულ იქნა იმ მომენტისათვის, როდესაც ხელოსანი მყიდველთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჯერ კიდევ იყო უფლებამოსილი ნივთის ფლობაზე პირობადებული საკუთრების უფლებით; მფლობელობის უფლება მოგვიანებით უქმდება მესაკუთრის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლით (BGHZ, 34, 122; აღნიშნულის შესახებ იხ. ზემოთ, § 647, მე-3 და შემდეგი ველები). ამ გადაწყვეტილებით საკმარისი უნდა იყოს ის, რომ ვინდიკაციის მდგომარეობა არსებობდა სამართლებრივი შედეგების რეალიზაციის შემთხვევაში (§§ 994, 1000-იდან გამომდინარე), ვინაიდან ხარჯების გაწევის მომენტში ფლობაზე უფლებამოსილი „სხვისთვის მფლობელი“ მისი მფლობელობის უფლების გაუქმების შედეგად უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ვიდრე კეთილსინდისიერი არამართლზომიერი „სხვისთვის მფლობელი“. რა თქმა უნდა, წინაპირობა იქნებოდა ის, რომ მფლობელობის დამდგენი სამართლებრივი ურთიერთობა თავად არ შეიცავს განსხვავებულ სპეციალურ რეგულირებას, არამედ ამჟღავნებს რეგულირების

ხარვეზებს, რომლებიც საჭიროებს გამოსწორებას (BGHZ, 131, 220, 223; აუცილებელ ხარვეზთან დაკავშირებით დასტური იხ. BGHZ, 148, 322; იხ. § 994, მე-5 ველი). ამავე დროს, სამოსამართლო სამართლის მხრიდან ამ § 987-ისა და შემდეგი პარაგრაფების ფარგლების მიღმა მოქმედება არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან უფლებამოსილი მფლობელი სხვისთვის, – თუ ზოგადად შეეფასებთ მის სამართლებრივ მდგომარეობას, – თვით § 987-ისა და შემდეგი პარაგრაფების გამოყენების გარეშეც აღმოჩნდება არა უკეთეს ან უარეს მდგომარეობაში არაუფლებამოსილ მფლობელთან შედარებით, არამედ თვისობრივად სხვაგვარ მდგომარეობაში (იხ. *Medicus-Petersen*, 591-ე ველი; იხ. ასევე *Baur/Stürmer*, § 11 28-ე და შემდეგი ველე-ბი).

- 6 ბ) არასათანადოდ უფლებამოსილი მფლობელი, ანუ ის მფლობელი, რომელიც აჭარბებს თავის მფლობელობით უფლებამოსილებას (მაგ., ხელშეკრულებიდან გამომდინარე), მაინც არ არის არაუფლებამოსილი მფლობელი. გაბატონებული შეხედულების თანახმად, § 987 და შემდეგი პარაგრაფების ანალოგიით გამოყენების საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან ხელშეკრულების დარღვევის მომწესრიგებელი ნორმები და ამ შემთხვევაში უშუალოდ გამოყენებადი § 823 და შემდეგი პარაგრაფები საკმარის სამართლებრივ დაცვას ანიჭებს მესაკუთრეს (BGH NJW, 2002, 60, 61; *Baur/Stürmer*, § 11, 27-ე ველი; *Staudinger-Gursky*, [2006], მე-16 ველი). გაბატონებული შეხედულების თანახმად, რაიმე განსხვავებული წესი არ მოქმედებს თვით მართლზომიერი სხვისთვის მფლობელობის არამართლზომიერი თავისთვის მფლობელობით შეცვლის შემთხვევაშიც (განსხვავებული შეხედულება იხ. BGHZ, 31, 129: „მინდვრის ლოკომოტივების საქმე“).

III. ნორმათა კონკურენცია

- 7 § 987 და შემდეგი პარაგრაფები, ზოგადი წესი, შეიცავს ამომწურავ სპეციალურ რეგულირებას, რაც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, არაუფლებამოსილი მფლობელის მიმართ მესაკუთრის მოთხოვნის უფლებებთან სარგებლის უკან დაბრუნებასა და ხარჯების ანაზღაურებაზე, ისევე როგორც, მეორე მხრივ, მფლობელის საპირისპირო მოთხოვნის უფლებებთან განეული ხარჯების ანაზღაურებაზე. კერძოდ, კანონი აღიარებს, რომ კეთილსინდისიერი მფლობელის უკეთესი მდგომარეობა არ უნდა შეიბღალოს (იხ. § 993-ის პირველი წინადადების მეორე ნაწილი: „დანარჩენ შემთხვევებში...“; § 996-ით გათვალისწინებული განეული ხარჯების ანაზღაურებისათვის: „მხოლოდ იმ ფარგლებში“). § 823 და შემდეგი პარაგრაფების და §§ 812-ისა და შემდეგი პარაგრაფების მოქმედება მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობაში, როგორც წესი, გამორიცხულია, თუმცა, არანამდვილი დავალების გარეშე, სხვისი საქმეების შესრულებიდან (§ 687-ის მე-2 ნაწილი) გამომდინარე მოთხოვნის უფლებები დასაშვებია.
- 8 1. § 823-ით და შემდეგი პარაგრაფებით მონესრიგებული დელიქტური სამართალი, ზოგადი წესით, გამოიყენება მხოლოდ დელიქტური მფლობელის მიმართ, § 992-ის თანახმად (დასაბუთება § 993-ის პირველი ნაწილი). გარდა ამისა, § 823 და შემდეგი პარაგრაფები მოქმედებს ე. წ. სხვისთვის მფლობელის ექსცესისათვის (*Medicus*, SchR II 787-ე და შემდეგი ველები); ეს ხორციელდება უფლებამოსილი სხვისთვის მფლობელის მიმართ ჯერ კიდევ ვინდიკაციის მდგომარეობის წარმოშობამდე, რაც იწვევს § 987-ისა და შემდეგი პარაგრაფების გამოყენების შეუძლებლობას (იხ. ზემოთ, მე-3 და მე-6 ველები); იმ არაუფლებამოსილი სხვისთვის, მფლობელის მიმართ, რომელიც აჭარბებს თავის სავარაუდო მფლობელობით უფლებამოსილებას, § 991-ის მე-2 ნაწილში გამოხატული იურიდიული მოსაზრების მიხედვით, § 823-ისა და შემდეგი პარაგრაფების გამოყენება გამართლებული ჩანს (იხ. § 991, მე-4 ველი). ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში § 823-ისა და შემდეგი პარაგრაფების (მაგრამ არა § 826-ის) მოქმედება გამორიცხულია.

2. § 812-სა და შემდეგ პარაგრაფებში გათვალისწინებული უსაფუძვლო გამ- 9
დიდრების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით უნდა განვასხვავოთ:

ა) რამდენადაც §§ 987 და შემდეგი პარაგრაფები არ შეიცავს შესაბამის მონეს- 10
რიგებას, ზოგადი შეხედულებით, გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების მომწეს-
რიგებელი ნორმები. ეს წესი მოქმედებს, როდესაც მფლობელი სხვა პირის ნივთს
მოიხმარს (§§ 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 კაზუსი, 818-ის
მე-2 ნაწილი), ვინაიდან ეს აღარ არის სარგებლობა; დასაბუთება: argumentum a
fortiori, § 993-ის პირველი ნაწილიდან გამომდინარე; გარდა ამისა, გადაამუშავებისა
(§§ 951, 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მე-2 კაზუსი) ან სამართ-
ლებრივი ძალის მქონე გასხვისების შემთხვევები (§ 816-ის პირველი ნაწილი). აღ-
ნიშნულთან ერთად მესაკუთრეს, § 990-ის თანახმად, შეუძლია მოითხოვოს ზიანის
ანაზღაურება იმ ოდენობით, რამდენითაც ის აღებატება გასხვისებიდან ამონაგებ
თანხას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი მხრიდან გასხვისების მოწონება
(§ 185-ის მე-2 ნაწილი) განმარტებული უნდა ყოფილიყო როგორც ზიანის ანაზღა-
ურებაზე უარი.

ბ) ჩვეულებრივ, ექსპლოატაციასთან დაკავშირებული სარგებლის გამო, უსა- 11
ფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების მოქმედება, § 987 და შემდეგი
პარაგრაფების გამოყენების შედეგად, როგორც წესი, გამორიცხულია (დასაბუ-
თება: § 993-ის პირველი ნაწილი უთითებს უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრი-
გებელ ნორმებზე მხოლოდ ჭარბი ნაყოფის მიღების შემთხვევაში). გამონაკლისი
არსებობს § 988-ის შესაბამისად, უსასყიდლო და, გაბატონებული შეხედულების
თანახმად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებული მფლობელობის შემთხ-
ვევაში (იხ. § 988, მე-3 ველი).

გ) გაბატონებული შეხედულების თანახმად, განუვლი ხარჯების ანაზღაურება- 12
ზე მფლობელის საპირისპირო მოთხოვნის უფლებების მიმართ § 994 და შემდე-
გი პარაგრაფები ქმნის ამომწურავ სპეციალურ რეგულირებას, რაც გამორიცხავს
ვინდიკაციის მდგომარეობას, კერძოდ, § 951-იდან გამომდინარე სამართლებრივ
შედეგებს (დეტალურად იხ. § 812, 41-ე ველი). იმ ხარჯების მიმართ, რომლებიც
არ ექცევა, § 994-ის გაგებით, დანახარჯების ცნების ქვეშ, დასაშვებად მიიჩნევა
§§ 951, 812-ის გამოყენება.

§ 987. სარგებელი სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ

(1) მფლობელმა მესაკუთრეს უნდა დაუბრუნოს ის სარგებელი, რომელსაც იგი
იღებს სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ.

(2) თუ მფლობელი სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ არ
იღებს სარგებელს, რომლის მიღება მას შეეძლო მეურნეობის სათანადო გაძლო-
ლის წესების მიხედვით, მაშინ იგი მესაკუთრის წინაშე პასუხისმგებელია ზიანის
ანაზღაურებაზე იმდენად, რამდენადაც მას ამაში მიუძღვის ბრალი.

1. ზოგადი მიმოხილვა. ნორმა ეხება იმ კეთილსინდისიერი მფლობელის კუთვ- 1
ნილ სარგებლის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას, რომლის წინააღმდეგაც სარ-
ჩელი იქნა წარდგენილი (იხ. § 985-ის შესავლის მიმოხილვა). პასუხისმგებლობის
გამკაცრება იმ კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც
სარჩელი არ იქნა წარდგენილი (მასთან დაკავშირებით იხ. § 993), გამართლებულია
იმით, რომ მფლობელმა სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ (სამო-
ქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 261, I; 253, I) მხედველობაში უნდა მიიღოს ნივ-
თის სხვა პირის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის ან საჯარო რეესტრის შეს-
წორების შესახებ სარჩელთან დაკავშირებული პროცესუალური ზარალი. § 987-ის
პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლება ახდენს ვალდებულებით-
სამართლებრივი სიბრტყის კორექტირებას § 955-ის შესაბამისად, მიუხედავად კე-
თილსინდისიერი მფლობელის მიერ საკუთრების უფლების შესაძლო შექმნისა.

- 2 **2. სარგებელი** განმარტებულია § 100-ში. ვინაიდან § 987 არის ვინდიკაციის დამატებით მოთხოვნის უფლება, სარგებელში იგულისხმება მხოლოდ ნივთის სარგებელი, ანუ პირდაპირი (§ 99-ის პირველი ნაწილი) და არაპირდაპირი (§ 99-ის მე-3 ნაწილი) ნაყოფი, ისევე როგორც ნივთის სარგებლობის შედეგად მიღებული მოგება (§ 100); ამავე დროს, სარგებელში არ იგულისხმება უფლების ნაყოფი (§ 99-ის მე-2 და მე-3 ნაწილები).
- 3 **3. სარგებლის დაბრუნება**, როგორც პირველი ნაწილის ნორმის სამართლებრივი შედეგი, გულისხმობს იმ ნაყოფის საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ჯერ კიდევ არის სახეზე და იდენტიფიცირებადია. ამავე დროს, ანაზღაურებას ექვემდებარება ქონებრივი ღირებულებაც, როდესაც სარგებლობის შედეგად მიღებული მოგება უნდა დადგინდეს თავისი ობიექტური ღირებულებით (BGHZ, 39, 186, 187).

§ 988. უსასყიდლო მფლობელის სარგებელი

თუ მფლობელმა, რომელიც ნივთს ფლობს როგორც საკუთარს, ან ნივთზე არსებული სარგებლობის იმ უფლების რეალიზაციის მიზნით, რომელიც სინამდვილეში მას არ ეკუთვნის, მფლობელობა უსასყიდლოდ შეიძინა, მაშინ იგი, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად, მესაკუთრის წინაშე პასუხისმგებელია იმ სარგებლის დაბრუნებაზე, რომელსაც იღებს სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე.

- 1 **1. არსი.** პირი, რომელმაც უსასყიდლოდ შეიძინა არამართლობიერი მფლობელობა, ნაკლებად იმსახურებს სამართლებრივ დაცვას. ამ მოსაზრებას ვხვდებით უკვე § 816-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში. კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელიც მფლობელობას იძენს უსასყიდლოდ, § 955-ის შესაბამისად, იძენს საკუთრების უფლებას ნაყოფზე, თუმცა, მან ეს უკანასკნელი უნდა დააბრუნოს, § 988-ის შესაბამისად.
- 2 **2. წინაპირობები:** ა) მფლობელობა თავისთვის ან მფლობელობა სხვისთვის ნაგულისხმევი სანივთო ან ვალდებულებით-სამართლებრივი სარგებლობის უფლების საფუძველზე. § 988-ის ფორმულირება ეხება მხოლოდ სანივთო სარგებლობის უფლებას („ნივთზე“), თუმცა, ეს ნორმის რედაქციული ხასიათის შეცდომაა და, ზოგადად, აღიარებულია ნაგულისხმევი ვალდებულებით-სამართლებრივი სარგებლობის უფლების (მაგ., არაუფლებამოსილი პირის მსესხებლის) ჩართვაც (BGHZ, 71, 216, 225); ბ) უსასყიდლოდ მიღებული მფლობელობა, მაგ., ჩუქების ან სესხის საფუძველზე. გ) სარგებლის კეთილსინდისიერი მიღება სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე. სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემთხვევაში პირდაპირ მოქმედებს § 987, ხოლო არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში – § 990-ის პირველი ნაწილი.
- 3 **3. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიღებულ მფლობელობას** სასამართლო პრაქტიკა ათანაბრებს უსასყიდლოდ მიღებულ მფლობელობასთან (BGHZ, 32, 76). § 988-ის შესაბამისი გამოყენების სასარგებლოდ საუბრობს შემდეგი მორიგების მაგალითი: თუ გასხვისების შემთხვევაში ბათილია მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება, ხოლო საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ სანივთოსამართლებრივი შეთანხმება, პირიქით, სამართლებრივი ძალის მქონეა, მაშინ მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობა არ არსებობს და შემძენს §§ 812-ის, 818-ის პირველი ნაწილის პირადაპირ გამოყენებისას ეკისრება ნივთისა და სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულება. ასევე აზრსმოკლებული იქნებოდა ამ ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულების არსებობის უარყოფა იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებასთან ერთად ბათილია ასევე სანივთოსამართლებრივი გარიგებაც. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სახეზეა მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობა და, სასამართლო პრაქტიკაში

არსებული შეხედულების თანახმად, მისი უპირატესი ძალის გამო (შდრ. § 987-ის შესავლის მე-7 ველი, აგრეთვე, მე-9 და შემდეგი ველები) გზა ეხსნება §§ 812 და 818-ის გამოყენებას § 988-ის ანალოგიით. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება არ უშვებს § 987-ისა და შემდეგი პარაგრაფების გამომრიცხავ მოქმედებას მხედველობაში მისაღები შესრულების კონდიქციის (არამართლზომიერი ჩარევიდან გამომდინარე კონდიქციისაგან განსხვავებით) მიმართ და §§ 812, 818 გამოიყენება §§ 987-ისა და შემდეგ პარაგრაფებთან ერთად (იხ., მაგ., *Palandt-Bassenge*, მე-8 ველი).

სადავო საკითხს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, როდესაც კეთილსინდისიერმა მფლობელმა ბ-მ ე-ს კუთვნილი ნივთი იყიდა **მესამე პირისაგან** – დ-საგან, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების უფლების გადაცემა (მაგ., § 935-ის გამო) კი, ამავე დროს, სამართლებრივი ძალის არმქონეა. სასამართლო პრაქტიკა ე-ს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას ბ-ს მიმართ, § 988-დან გამომდინარე. ლიტერატურა უარყოფს § 988-სა და (შესრულების არარსებობისას), ასევე, § 812-ის მოქმედებას ე-სათვის; უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლების წარდგენა შეუძლია მხოლოდ დ-ს და, ამდენად, ბ-ს აქვს შესაძლებლობა, დაუპირისპიროს მას ნასყიდობის ფასის დაბრუნების მოთხოვნის უფლება; ე იღებს უკან სარგებელს დ-ს გვერდის ავლით (დეტალურად იხ. *Medicus-Petersen*, 600-ე ველი).

4. სამართლებრივი შედეგები. სამართლებრივი შედეგების მხრივ ნორმა შეიცავს **მითითებას** უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების სამართლებრივ შედეგებზე: სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე მიღებული ყველანაირი სარგებელი (იხ. § 987-ის მე-2 ველი) ექვემდებარება დაბრუნებას (§ 818-ის პირველი ნაწილი); აუცილებლობის შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება ქონებრივი ღირებულებაც (§ 818-ის მე-2 ნაწილი). თუმცა, მფლობელის გადახდის ვალდებულება, § 818-ის მე-3 ნაწილის თანახმად, შეზღუდულია სახეზე არსებული ქონებრივი სარგებლით. მფლობელის მიერ ნივთზე განეული ხარჯები ექვემდებარება გამოქვითვას. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, მიიჩნევა თუ არა განეული ხარჯები დანახარჯებად § 994-ისა და შემდეგი პარაგრაფების გაგებით; კერძოდ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, დადგა თუ არა მფლობელის მოთხოვნის უფლების შესრულების ვადა, § 1001-ის თანახმად (BGHZ, 137, 314; განსხვავებული შეხედულება იხ. *Staudinger-Gursky*, {2006}, მე-14 ველი).

§ 989. ზიანის ანაზღაურება სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ

მფლობელი სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ მესაკუთრის წინაშე პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც წარმოიშობა იმის შედეგად, რომ მისი ბრალით ნივთი გაუარესდა, განადგურდა, ან სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, მის მიერ ნივთის დაბრუნება შეუძლებელია.

1. ზოგადი მიმოხილვა. სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ პასუხისმგებლობის გამკაცრება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 261-ის პირველი ნაწილი, 253-ის პირველი ნაწილი) ეფუძნება იმავე მოსაზრებებს, რომლებიც არსებობს სარგებლის მიმართ, § 987-იდან გამომდინარე (იხ. აქვე).

2. ნივთის გაუარესებას იწვევს ასევე მისი ცვეთა ჩვეულებრივი გამოყენების ან ჩაუტარებელი რემონტის შედეგად.

3. ბრალი. კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში (§ 987-ის შესავლის პირველი ველი) მოქმედებს §§ 276, 278 და 280-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება (ბრალეულობის პრეზუმცია). პასუხისმგებლობა შემთხვევისათვის არსებობს მხოლოდ ვადაგადაცილებული არაკეთილსინდისიერი მფლობელისა (§§ 990-ის მე-2 ნაწილი, 287 მე-2 წინადადება) და დელიქტური მფლობელის (§§ 992, 848) მიმართ.

§ 990. მფლობელის პასუხისმგებლობა არაუფლებამოსილების ფაქტის ცოდნის შემთხვევაში

(1) ¹თუ მფლობელი მფლობელობის შექმნისას არ იყო კეთილსინდისიერი, მაშინ იგი მესაკუთრის წინაშე პასუხს აგებს შექმნის მომენტიდან, **§§ 987, 989-ის** თანახმად. ²თუ მფლობელი მოგვიანებით აღმოაჩენს, რომ იგი უფლებამოსილი არ არის ფლობაზე, მაშინ იგი ანალოგიურად პასუხს აგებს იმ მომენტიდან, როდესაც მან ამის შესახებ შეიტყო.

(2) ვადის გადაცილების გამო მფლობელის უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა უცვლელი რჩება.

- 1 **1. მფლობელობის შექმნისას არაკეთილსინდისიერება** (პირველი ნაწილის პირველი ნაწილადაც) გულისხმობს საკუთარი მფლობელობის უფლებასთან მიმართებით განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას (შდრ. § 932-ის მე-2 ნაწილი); მოგვიანებით (პირველი ნაწილის მე-2 ნაწილადაც) უარყოფითი შედეგის მომტანია მხოლოდ არაუფლებამოსილების ფაქტის შესახებ პოზიტიური ცოდნა. ფაქტის შესახებ ცოდნა არსებობს უკვე იმ შემთხვევაში, როდესაც მფლობელმა თავისი უფლების ნაკლის შესახებ იმგვარად შეიტყო, რომ კეთილსინდისიერად მოაზროვნე პირი უყურადღებო არ იქნებოდა უფლებამოსილების არქონისადმი მისი რწმენისას მიმართ (ასე, მაგ., იხ. BGHZ, 26, 256 და 133, 246, 250, შემდგომი მითითებებით); შდრ. § 819-ის პირველი ველი.
- 2 **ა) მპყრობელის (მოსამსახურის) ურთიერთობაში ჩართვის შემთხვევაში** (§ 855), ზოგადი შეხედულებით, მისი კეთილსინდისიერება ვერ „ენმარება“ არაკეთილსინდისიერ მფლობელს, ვინაიდან § 990 ორიენტირებულია მფლობელის პიროვნებაზე; არაკეთილსინდისიერების საკითხისათვის განმსაზღვრელია ის მომენტი, როდესაც მფლობელი შეიტყობს მის მიერ მფლობელობის მიღების შესახებ (BGHZ, 16, 259, 264). თუ, პირიქით, არაკეთილსინდისიერია მხოლოდ მპყრობელი (მოსამსახურე), მაშინ სადავოა, რა ფარგლებში შეერაცხება ეს მფლობელს. გაბატონებული შეხედულების თანახმად, § 166-ის პირველი ნაწილი გამოიყენება ანალოგიით (მაგ., *Westermann/Gursky*, § 14, 3); ნორმის პირდაპირი გამოყენება მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან მპყრობელი (მოსამსახურე) ახდენს არა ნების გამოვლენას, არამედ იგი მხოლოდ ნივთის ფაქტობრივ ფლობას ახორციელებს მფლობელისათვის; თუმცა, წარმომადგენლობის მსგავსი სიტუაცია, სულ ცოტა, სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც მფლობელმა მპყრობელს (მოსამსახურეს) მიანიჭა მისთვის სამართლებრივ ურთიერთობებში დამოუკიდებელი მოქმედების უფლება და ამ უკანასკნელმა მისთვის მფლობელობა შეიძინა გადანყვებილების თავისუფლად მიღების მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (BGHZ, 32, 53). განსხვავებული შეხედულების თანახმად (*Baur/Stürner*, § 5 მე-15 ველი; *Medicus-Petersen*, 581-ე ველი) კი, პირიქით, § 166-ის პირველი ნაწილის ნაცვლად, შესაბამისად, გამოიყენება § 831, ისე, რომ მფლობელი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ვერ განთავისუფლდება მპყრობელზე (მოსამსახურეზე) პასუხისმგებლობისაგან. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, უპირველეს ყოვლისა, იშველიებენ ასეთ არგუმენტს: მფლობელობის შექმნისას არაკეთილსინდისიერება დელიქტურ მოქმედებას ძნელად თუ შეიძლება გაუთანაბრდეს (დეტალურად იხ. *Westermann/Gursky*, § 14, 3).
- 3 **ბ) არასრულწლოვნის შემთხვევაში არაკეთილსინდისიერებისათვის განმსაზღვრელია კანონიერი წარმომადგენლის სუბიექტური დამოკიდებულება**, როდესაც ეს უკანასკნელი იძენს მფლობელობას არასრულწლოვნისათვის. როდესაც, პირიქით, არასრულწლოვანი თავად იძენს მფლობელობას, სადავოა, უნდა მოხდეს თუ არა ამ შემთხვევაში ორიენტირება კანონიერი წარმომადგენლის პიროვნებაზე, რათა არასრულწლოვანი დაცული იქნეს § 107-ისა და შემდეგი პარაგრაფების ანალოგიით, ანდა უნდა იქნეს თუ არა შესაბამისად გამოყენებული § 827 და შემდეგი

პარაგრაფები. ამ შემთხვევაში თავისთავად ცხადია, რომ, მსგავსად § 819-ისა, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ (იხ. § 819, პირველი ველი): როდესაც მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობა ემსახურება ბათილი ხელშეკრულების საფუძველზე შესრულების უკან დაბრუნებას, § 107-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად, არასრულწლოვნის დაცვა უნდა გაგრძელდეს ასევე § 990-ის ფარგლებშიც და, ამდენად, მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის არაკეთილსინდისიერება იწვევს შედეგად პასუხისმგებლობის გამკაცრებას; დანარჩენ შემთხვევებში არასრულწლოვნის დელიქტური ბრალუნარიანობა თავისთავად გადამწყვეტია (*Staudinger-Gursky*, {2006}, 40-ე ველი).

2. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შესახებ 4
ნორმები, მე-2 ნაწილის ნორმის შესაბამისად, გამოიყენება (მხოლოდ) არაკეთილსინდისიერი მფლობელისათვის პირველი ნაწილის ნორმის გაგებით (BGHZ, 156, 170). ვადის გადაცილება სახეზეა, როდესაც არამართლზომიერი მფლობელი ნივთს ბრალეულად (§ 286-ის მე-4 ნაწილი) ვერ აბრუნებს, მიუხედავად გაფრთხილებისა თუ სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებისა (§ 286-ის პირველი ნაწილი). იგი პასუხს აგებს ნივთის გადმოცემაზე უარის თქმის შედეგად მიყენებული ზიანისათვის, § 286-ის მე-2 ნაწილის თანახმად, კერძოდ კი, იმ სარგებლისათვის, რომლის მიღებაც მხოლოდ მესაკუთრეს შეეძლო; ვადის გადაცილების დროს არამართლზომიერი მფლობელი პასუხისმგებელია ასევე ნივთის შემთხვევით განადგურებისათვის (§ 287-ის მე-2 ნაწილადება).

§ 991. შუალობითი მფლობელის პასუხისმგებლობა

(1) თუ მფლობელის მფლობელობის უფლება გამომდინარეობს არაპირდაპირი მფლობელისაგან, მაშინ სარგებლის მიმართ გამოიყენება § 990, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც § 990-ის წინაპირობები სახეზეა ასევე არაპირდაპირი მფლობელის მიმართაც, ან ამ უკანასკნელის მიმართ სასამართლოში დაიწყო საქმისწარმოება.

(2) თუ მფლობელი მფლობელობის შექმნისას კეთილსინდისიერი იყო, მაშინ იგი მაინც ვალდებულია მესაკუთრის წინაშე შექმნის მომენტიდან, § 989-ის მიხედვით, ზარალისათვის იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი პასუხისმგებელია არაპირდაპირი მფლობელის წინაშე.

§ 987 და შემდეგი პარაგრაფები მოქმედებს, მსგავსად § 985-ისა (შდრ. იქვე, მე-2 ველი), ნებისმიერი არაუფლებამოსილი მფლობელის მიმართ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი. პასუხისმგებლობის წინაპირობები, როგორც წესი, სპეციალურად უნდა დადგინდეს ორივე მფლობელისათვის ცალ-ცალკე. ამ წესიდან § 991 ადგენს შემდეგ ორ გამონაკლისს. 1

1. პირველი ნაწილის ნორმის თანახმად, §§ 990-ის პირველი ნაწილიდან, 987-იდან გამომდინარე არაკეთილსინდისიერი შუალობითი მფლობელის მიერ სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულება 2
გამორიცხულია (მაგრამ არა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება § 990-ის პირველი ნაწილიდან, 989-იდან გამომდინარე), როდესაც არაპირდაპირი მფლობელი კეთილსინდისიერია და მას არ წარედგინება სარჩელი. შესაბამისად, ეს უკანასკნელი დაცული უნდა იყოს შუალობითი მფლობელის რეგრესისაგან. აღნიშნულის მიხედვით, პირველი ნაწილი, ერთი მხრივ, გაგებულ უნდა იქნეს ფართოდ (ზოგჯერ ხდება ტელეოლოგიური შეზღუდვა იმ შემთხვევით, რომელიც რეგრესული მოთხოვნის უფლებების სინამდვილეში არსებობს; იხ. *MüKo-Medicus*, მე-7 ველი), მეორე მხრივ, – უფრო ვიწროდ, ვინაიდან, მიუხედავად იდენტური ინტერესისა, არ არის გამორიცხული იმ შუალობითი მფლობელის (§ 987 პირდაპირ) კუთვნილი სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულება, რომლის წინააღმდეგაც სარჩელი არ იქნა წარდგენილი.

- 3 **2. მე-2 ნაწილის ნორმის თანახმად, მესაკუთრის მიმართ კეთილსინდისიერი შუალობითი მფლობელის კუთვნილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება** წარმოიშობა იმდენად, რამდენადაც მესაკუთრე პასუხისმგებელია არაპირდაპირი მფლობელის წინაშე. ამდენად, გამართლებულია აღნიშნული შუალობითი მფლობელის სტატუსის გათანაბრება, § 989-ის გაგებით, პროცესუალურ მფლობელთან, ვინაიდან იმ კეთილსინდისიერმა შუალობითმა მფლობელმა, რომლის წინააღმდეგაც სარჩელი არ იქნა წარდგენილი, მაინც იცის, რომ მას, როგორც მფლობელს, სხვისთვის შეუძლია ზემოქმედება ნივთზე მხოლოდ მისი მფლობელობის შუალობითი ურთიერთობის ფარგლებში და ნივთი მოგვიანებით უნდა დაბრუნდეს (*Staudinger-Gursky, {2006}, მე-10 ველი*). რამდენადაც კეთილსინდისიერმა შუალობითმა მფლობელმა უნდა გაითვალისწინოს პასუხისმგებლობა მფლობელობის შუალობითი ურთიერთობის ფარგლებში, მესაკუთრის მიმართაც არ იმსახურებს სამართლებრივ დაცვას. ამავე დროს, პასუხისმგებლობის მასშტაბი ზოგადი წესით გამომდინარეობს მფლობელობის შუალობითი ურთიერთობიდან; აღნიშნული, მოქმედებს პასუხისმგებლობის გამკაცრებისა და ასევე პასუხისმგებლობის შემსუბუქებისათვის. მოთხოვნის უფლება, პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, არსებობს არაპირდაპირი მფლობელის პასუხისმგებლობისაგან დამოუკიდებლად.
- 4 სიტყვასიტყვითი რედაქციის მიხედვით, მე-2 ნაწილი ეხება მხოლოდ არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი **ექსცესური სხვისთვის მფლობელის** პასუხისმგებლობას, რომელიც მესამე პირის წინაშე პასუხს აგებს მფლობელობის შუალობითი ურთიერთობიდან გამომდინარე. თუმცა, მე-2 ნაწილში გათვალისწინებული პასუხისმგებლობა გამართლებულია ასევე ყველა იმ შემთხვევაში, რომლებშიც მფლობელი სხვისთვის ვერ ინარჩუნებს მისთვის, სავარაუდოდ, კუთვნილ მფლობელობის უფლებას. ამდენად, ის, ვინც ბათილი ხელშეკრულების საფუძველზე მესაკუთრესთან ან მესამე პირთან ერთად ფლობს და თავის სავარაუდო მფლობელობის უფლებას ბრალეულად აჭარბებს, ასევე პასუხს აგებს § 991-ის მე-2 ნაწილის, 823-ის თანახმად (იხ., მაგ., *Baur/Stürmer, § 11 32-ე ველი; Medicus-Petersen, 586-ე ველი*).

§ 992. დელიქტის ჩამდენი მფლობელის პასუხისმგებლობა

თუ მფლობელმა მფლობელობა მოიპოვა აკრძალული თვითნებობის ან დანაშაულის ჩადენის გზით, მაშინ იგი პასუხს აგებს მესაკუთრის წინაშე დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ ნორმების თანახმად.

- 1 **1. მნიშვნელობა.** მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობაში დელიქტური სამართლისაკენ სხვა მხრივ ჩაკეტილი გზა (იხ. § 987-ის შესავლის მე-8 ველი), § 992-ის თანახმად, გამონაკლისის სახით იხსნება ე. წ. დელიქტური მფლობელის მიმართ. § 823 და შემდეგი პარაგრაფები არ გამოიყენება არა მხოლოდ სამართლებრივი შედეგების მხრივ, არამედ ასევე მათი წინაპირობების თვალსაზრისითაც (**მითითება სხვა ნორმის როგორც ქმედების შემადგენლობაზე, ისე სამართლებრივ შედეგებზე**). დელიქტური სამართლის მიზანშეწონილობა ინვესტს პასუხისმგებლობის გამკაცრებას, ერთი მხრივ, § 848-ის თანახმად, შემთხვევისათვის პასუხისმგებლობისა და, მეორე მხრივ, – ჩვეულებრივ, მხოლოდ § 990-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული, ნივთის გადმოცემაზე უარის თქმის შედეგად მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დადგენით. ზოგადი შეხედულების თანახმად, დაბრუნებას ექვემდებარება ასევე ისეთი **სარგებელი**, რომელიც მიიღო მფლობელმა, თუმცა, რომელსაც ვერ მიიღებდა მესაკუთრე; § 249-ისა და შემდეგი პარაგრაფების გაგებით, ზიანი ამ შემთხვევაში ნათელი არ არის, თუმცა, § 992-ით გათვალისწინებული დასჯადი მფლობელობის შექმნისას თითქმის ყოველთვის ერთდროულად უნდა შესრულდეს § 988-ით ან § 990-ით გათვალისწინებული წინაპირობები (*Staudinger-Gursky, {2006}, 26-ე ველი*). თუმცა, დელიქტური მფლობელი

არ უნდა იმყოფებოდეს უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე § 988-ით გათვალისწინებული კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელიც მფლობელობას იძენს უსასყიდლოდ (იხ. BGH WM, 1960, 1148, 1150).

2. ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, – კანონის ნორმის სიტყვასიტყვითი რედაქციისაგან განსხვავებით, – აკრძალული თვითნებობა (§ 858) უნდა შეიცავდეს საკუთრების უფლების ბრალეულ დარღვევას; ეს წესი ეფუძნება იმას, რომ ალტერნატიულად დასახელებული დანაშაული, როგორც წესი, ითხოვს განზრახვას და სხვა შემთხვევაში წარმოიშობოდა ძნელად გასამართლებელი დისბალანსი კანონში დასახელებულ წინაპირობებს – „აკრძალული თვითნებობა“ და „დანაშაული“ – შორის (იხ., მაგ., Staudinger-Gursky, {2006}, მე-10 ველი). სხვების შეხედულებით, – რაც შეესაბამება კანონის ნორმის სიტყვასიტყვით რედაქციას, – აკრძალული თვითნებობა სახეზეა ასევე ბრალეულობის გარეშე; თუმცა, ვინაიდან § 992 უთითებს § 823-ის სამართლებრივ შედეგებზე, საკუთრების უფლების დარღვევა უნდა მოხდეს, სულ ცოტა, მოგვიანებით მაინც (იხ., მაგ., MüKo-Medicus, მე-5 ველი შემდგომი მითითებებით).

3. შესაძლებელია, არსებობდეს §§ 989, 990-ის კონკურენცია. ამ ნორმების მოქმედება არ გამოირიცხება § 992-ის გამო.

§ 993. კეთილსინდისიერი მფლობელის პასუხისმგებლობა

(1) თუ სახეზე არ არის §§ 987-992-ით მითითებული წინაპირობები, მაშინ მფლობელმა მიღებული ნაყოფი, – რამდენადაც, მეურნეობის სათანადო გაძლოის წესების მიხედვით, ეს უკანასკნელი არ უნდა იქნეს განხილული როგორც ნივთისაგან მიღებული შემოსავალი, – უნდა დააბრუნოს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად; დანარჩენ შემთხვევებში იგი არ არის ვალდებული არც სარგებლის გადაცემაზე და არც ზარალის ანაზღაურებაზე.

(2) დროის იმ მონაკვეთისათვის, რომლის განმავლობაშიც სარგებელი რჩება მფლობელს, ამ უკანასკნელის მიმართ გამოიყენება § 101-ის ნორმა.

ნორმა ეხება კეთილსინდისიერ მფლობელს, რომელიც მფლობელობას იძენს უსასყიდლოდ და რომლის წინააღმდეგაც სარჩელი არ იქნა წარდგენილი; ეს მფლობელი ასევე არ ექცევა § 992-ის მოქმედების ქვეშ. კეთილსინდისიერმა მფლობელმა უნდა დააბრუნოს მხოლოდ ე. წ. ჭარბი ნაყოფი (შდრ. § 99-ის პირველ და მე-3 ნაწილებს; მაგრამ – არა მოხმარებიდან გამომდინარე სარგებელი, § 100), უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად. მითითება სხვა ნორმის სამართლებრივ შედეგებზე; გამოიყენება § 818-ით § 818-ის მე-3 ნაწილით დადგენილ ფარგლებში. მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ბოლო ნაწილიდან ვლინდება პრინციპი, რომლის თანახმადაც მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობაში შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სარგებლისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ § 987-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისად (დეტალურად იხ. § 987-ის შესავლის მე-7 ველი). ამდენად, მაგ., კეთილსინდისიერი მფლობელი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ზიანი, როდესაც გაუფრთხილებლობით ანადგურებს მის მფლობელობაში არსებულ ნივთს.

§ 994. აუცილებელი ხარჯები

(1) მფლობელს შეუძლია, მესაკუთრისაგან მოითხოვოს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. თუმცა, ნივთის მოვლა-პატრონობის ჩვეულებრივი ხარჯები არ ექვემდებარება ანაზღაურებას დროის იმ მონაკვეთისათვის, რომლის განმავლობაშიც სარგებელი რჩება მფლობელს.

(2) თუ მფლობელი სწევს აუცილებელ ხარჯებს სასამართლოში საქმის დაწყების ან § 990-ით დადგენილი პასუხისმგებლობის შემდეგ, მაშინ მესაკუთრის

ვალდებულება, ანაზღაუროს ზიანი, განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების თანახმად.

- 1 **1. ზოგადი მიმოხილვა.** §§ 994-1003-ში მონესრიგებული განუული ხარჯების ანაზღაურებაზე მფლობელის საპირისპირო მოთხოვნის უფლებებისათვის მოქმედებს § 987-ის შესავალში მოცემული პრინციპები: საქმე ეხება ვალდებულებით-სამართლებრივ მოთხოვნის უფლებებს (იხ. § 987-ის შესავლის პირველი ველი); მათი მოქმედების წინაპირობაა ვინდიკაციის მდგომარეობის არსებობა (იხ. § 987 და შემდეგი პარაგრაფების მე-3 ველი) და ისინი განუული ხარჯების ანაზღაურების საკითხს, როგორც წესი, ამომწურავად აწესრიგებენ (იხ. § 987 და შემდეგი პარაგრაფის მე-12 ველი). გასათვალისწინებელია ის, რომ განუული ხარჯების ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლების შესრულების ვადა დგება § 1001-ის პირველ წინადადებაში დასახელებული წინაპირობების დადგომის მომენტში; მანამდე არსებობს მხოლოდ ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება (§ 1000).
- 2 **2. ხარჯები –** ესაა ქონებრივი ხარჯები, რომელთა განევა ხდება ნივთის სასარგებლოდ. აღნიშნულს მიეკუთვნება ასევე ნივთის შენახვის, აღდგენისა და გაუმჯობესებისათვის გამოყენებული საკუთარი შრომითი რესურსი, რამდენადაც შესაძლებელია მისი ქონებრივი ღირებულების სახით ასახვა, დამოუკიდებლად იმისა, გამოიყენა თუ არა მფლობელმა შესაბამისი წარმოება, ან შესაძლებელია თუ არა მიუღებელი შემოსავლის მტკიცება (BGHZ, 131, 220, 224). შესაბამისად, ხარჯებს არ მიეკუთვნება შექმნაზე განუული დანახარჯები, როგორებიცაა: ნასყიდობის ფასი (MüKo-Medicus, მე-13 ველი) ან ტრანსპორტირების ხარჯები, რამდენადაც ისინი არ ემსახურებიან ნივთის შენახვის მიზანს (BGHZ, 87, 104, 106).
- 3 სადავოა, ითვლება თუ არა ხარჯებად ნივთის შეცვლაზე განუული დანახარჯები. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ, ასევე ლიტერატურის ნაწილში უარყოფილია ეს პოზიცია და, შესაბამისად, საუბარია ხარჯების უფრო ვიწრო ცნებაზე. ამ გაგებით, ხარჯებად ითვლება მხოლოდ ისეთი ღონისძიებები, რომელთა მიზანია ნივთის მდგომარეობის, როგორც ასეთის, შენარჩუნება, აღდგენა ან გაუმჯობესება, თავად ნივთის არსებითად შეცვლის გარეშე; შესაბამისად, იმ დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთის დამუშავება, როგორც წესი, ხარჯებად არ ითვლება (გამონაკლისია, მაგ., დამბის მონტაჟი იმ მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ემუქრება დატბორვა; BGHZ, 41, 157, 160). ხარჯების ვიწრო ცნება გამართლებულია იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ მესაკუთრის უფლება განსაზღვროს ნივთის მიზანი, არ შეიძლება შეიზღუდოს არამართლზომიერი მფლობელის მიერ (§ 903). მეორე მხრივ, მფლობელის ინტერესები ცუდად არის დაცული, როდესაც ხდება მითითება მხოლოდ კუთვნილ თან წაღების უფლებაზე, § 997-იდან გამომდინარე (მაგ., აშენებული სახლის დემონტაჟი და მასალების თან წაღება). (აღნიშნული-სათვის იხ. BGHZ, 41, 157, 163, სადაც მოიშველიებენ § 242-ს). რამდენადაც ლიტერატურა ეთანხმება ხარჯების ვიწრო ცნებას, იმდენად იგი, ძირითადად, მხარს უჭერს დამატებითი მოთხოვნის უფლების მინიჭებას, § 951-დან გამომდინარე, სადაც აღნიშნული მოთხოვნის უფლება კვლავ შეიძლება შესწორდეს თავს მოხვეული გამდიდრების მიმართ არსებული პრინციპების თანახმად (იხ. § 812, 41-ე და შემდეგი ველები). ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, აღნიშნულის შედეგად ძირი ეთხრება § 996-ს; ამ გაბატონებული შეხედულების მიხედვით, პრობლემა წყდება იმგვარად, რომ კრიტერიუმად აიღება ხარჯების ფართო ცნება, რომელიც მოიცავს ასევე ნივთის შეცვლისაკენ მიმართულ ხარჯებსაც (იხ., მაგ., Baur/Stürner, § 11 55-ე ველი; Medicus-Petersen, 877-ე ველი; Staudinger-Gursky, {2006}, §§ 994-1003-ის შესავალი, მე-8 და შემდეგი ველები შემდგომი მითითებებით).

3. კანონი განასხვავებს ორი სახის ხარჯებს. 4

ა) აუცილებელ ხარჯებს მიეკუთვნება ისეთი ხარჯები, რომლებიც ობიექტურად საჭიროა ნივთის შენახვისა თუ სათანადოდ დამუშავებისათვის და რომლითაც, შესაბამისად, მესაკუთრე ზოგავს საკუთარ ხარჯებს (მაგ., რემონტისა და შენახვის ხარჯები). აღნიშნული უნდა შეფასდეს *ex ante*; ამიტომ მუდმივი სარგებლის მიღება ან ღონისძიების შედეგი აუცილებელი არ არის (BGHZ, 131, 220, 223). ხარჯები შეიძლება არ ემსახურებოდეს მხოლოდ მფლობელის მიერ დასახულ სპეციალურ მიზანს; შესაბამისად, იმ შენობა-ნაგებობის გაუმჯობესებები, რომლის დემონტაჟსაც მესაკუთრე დასთანხმდებოდა, BGHZ, 64, 333, 339-ის თანახმად, არ ითვლება ხარჯებად (განსხვავებული შეხედულება იხ. *Staudinger-Gursky*, {2006}, მე-10 ველი; ნეიტრალური შეხედულება იხ. *Medicus-Petersen*, 879-ე ველი).

ბ) სხვა ხარჯები, გარდა აუცილებელი ხარჯებისა, ანაზღაურდება მხოლოდ § 996-ის შესაბამისად. უმეტეს შემთხვევებში, მათ ასახელებენ როგორც სასარგებლო ხარჯებს. 6

4. მფლობელობის ტიპის მიხედვით, § 994-ის შესაბამისად, აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებისათვის კლასიფიკაცია ხდება ქვემოთ მოცემული წესებით. 7

ა) კეთილსინდისიერ მფლობელს, რომლის წინააღმდეგაც სარჩელი არ იქნა წარდგენილი, უნდა აუნაზღაურდეს აუცილებელი ხარჯები პირველი ნაწილის ნორმის შესაბამისად. სასყიდლიანი მფლობელობის შემთხვევაში, მას პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ნორმის შესაბამისად, არ შეუძლია ნივთის შენახვაზე განეული ჩვეულებრივი ხარჯების, ანუ, როგორც წესი, პერიოდულად გასანევი ხარჯების, მოთხოვნა, ვინაიდან მას რჩება სარგებელი; უსასყიდლო მფლობელობის შემთხვევაში კი, პირიქით, მას შეუძლია მოითხოვოს ასევე ნივთის შენახვაზე განეული ჩვეულებრივი ხარჯებიც, ვინაიდან, § 988-ის თანახმად, მან უნდა დააბრუნოს სარგებელი. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, მიიღო თუ არა, ფაქტობრივად, მფლობელმა სარგებელი და როგორია მისი ღირებულების შეფარდება ნივთის შენახვაზე განეულ ჩვეულებრივ ხარჯებთან. 8

ბ) არაკეთილსინდისიერ მფლობელს, რომლის წინააღმდეგაც იქნა წარდგენილი სარჩელი, მე-2 ნაწილის ნორმის შესაბამისად, უნდა აუნაზღაურდეს აუცილებელი ხარჯები მხოლოდ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების თანახმად. ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ნაწილობრივ მითითებასთან სხვა ნორმის როგორც ქმედების შემადგენლობასა და სამართლებრივ შედეგებზე, რომლის შემთხვევაშიც § 687-ის გათვალისწინება არ ხდება: დაუშვებელია სხვისი საქმეების შესრულების ნების მოთხოვნა, რომელიც თავისთვის მფლობელობის შემთხვევაში უკვე კონკრეტულურადაც კი გამორიცხულია. გარდა ამისა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, განასხვავებენ (იხ., მაგ., *MüKo-Medicus*, მე-19 ველი): აუცილებელ ხარჯებს, რომლებიც შეესაბამება მესაკუთრის ინტერესებსა და ნებას, რეგულირდება § 679-ით, ან ხდება მესაკუთრის მიერ მათი მოწონება (§ 684-ის მე-2 წინადადება) და უნდა ანაზღაურდეს სრულად §§ 683, 670-ის თანახმად; სხვა აუცილებელ ხარჯებს, რომლებიც ანაზღაურდება მხოლოდ §§ 684-ის პირველი წინადადების, 818-ის შესაბამისად. 9

§ 995. ვალები

1§ 994-ის გაგებით, აუცილებელ ხარჯებს მიეკუთვნება, აგრეთვე, ხარჯები, რომლებსაც მფლობელი სწევს ნივთის ვალების დასაფარავად. 2დროის იმ მონაკვეთისათვის, რომლის განმავლობაშიც სარგებელი რჩება მფლობელს, მას აუნაზღაურდება გაუთვალისწინებელი ხარჯები მხოლოდ ისეთი დამატებითი ვალებისათვის, რომლებიც განიხილება ნივთის ძირითადი ღირებულების მტვირთავად.

§ 996. სარგებლის მომტანი ხარჯები

სხვა ხარჯების, გარდა აუცილებელისა, ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი განეულ იქნა სასამართლოში საქმის დაწყებამდე და § 990-ით დადგენილი პასუხისმგებლობის დადგომამდე, ხოლო ნივთის ღირებულება ამ ხარჯების განევის შედეგად ჯერ კიდევ იზრდება იმ მომენტისათვის, როდესაც მესაკუთრე ნივთს უკან იღებს.

§ 997. ნივთის თან წაღების უფლება

(1) ¹თუ მფლობელმა ნივთს არსებითი შემადგენელი ნაწილის სახით მიუერთა სხვა ნივთი, მაშინ მას შეუძლია ამ ნივთის გამოცალკევება და მისაკუთრება. ²გამოიყენება § 258-ის ნორმა.

(2) გამოცალკევების უფლება გამორიცხულია, თუ მფლობელს არ შეუძლია, § 995-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, ან გამოცალკევება მისთვის უსარგებლოა, ანდა მას, სულ ცოტა, აუნაზღაურდება ის ღირებულება, რომელიც მისთვის შემადგენელ ნაწილს ექნებოდა გამოცალკევების შემდეგ.

- 1 1. მფლობელს შეუძლია მოითხოვოს იმ არსებითი შემადგენელი ნაწილების (§§ 93-95) გამოყოფა და მისაკუთრება, რომლებზეც უკან დასაბრუნებელი ძირითადი ნივთის მესაკუთრემ (ვინდიკაციის მდგომარეობის მოთხოვნისათვის იხ. § 987-ის შესავლის მე-3 ველი) § 946, 947-ის მე-2 ნაწილის საფუძველზე შეიძინა ერთპიროვნული საკუთრება (და არა უბრალოდ თანასაკუთრება, § 947-ის პირველი ნაწილის შესაბამისად). არაარსებითი შემადგენელი ნაწილების წაღება მფლობელს ისედაც შეუძლია, ვინაიდან მას შეერთების შედეგად არ დაუკარგავს მათზე თავისი საკუთრების უფლება.
- 2 2. მფლობელია ასევე არაკეთილსინდისიერი მფლობელი ან ის, ვის წინააღმდეგაც იქნა წარდგენილი სარჩელი. სწორედ, როდესაც ამ მფლობელს არა აქვს განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მას უნდა მიენიჭოს ნივთის თან წაღების უფლება. ეს შეესაბამება § 997-ის სიტყვასიტყვით რედაქციასა და პრაქტიკულობას, რადგანაც, როგორც წესი, მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, იყო თუ არა შეერთების მომენტში მფლობელი მიერთებული ნივთის მესაკუთრე; ნივთი შეიძლება არც კი ეკუთვნოდეს ძირითადი ნივთის მესაკუთრეს (გაბატონებული შეხედულება; იხ. *MüKo-Medicus*, მე-5 ველი).
- 3 3. ნივთის თან წაღების უფლებასთან ერთად მფლობელს კონკურენციის საფუძველზე შეიძლება ეკუთვნოდეს ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლება (§§ 994 და შემდეგი პარაგრაფები); გარემოებების გათვალისწინებით კი, მფლობელს შეიძლება ეკუთვნოდეს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება, §§ 812-ის, 951-ის პირველი ნაწილის თანახმად (იხ. § 994 მე-3 ველი). ამდენად, მფლობელმა უნდა აირჩიოს ამ მოთხოვნის უფლებებიდან ერთ-ერთი.

§ 998. მიწის დამუშავების ხარჯები სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შემთხვევაში

თუ გადასაცემია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მაშინ მესაკუთრემ უნდა აანაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც მფლობელმა გასწია ჯერ კიდევ გამოუცალკევებელ ნაყოფზე, რომლებიც მეურნეობის სათანადო გაძღოლის წესების მიხედვით უნდა იქნეს გამოცალკევებული სამეურნეო წლის დასრულებამდე, იმ ოდენობით, რაც შეესაბამება მეურნეობის სათანადო გაძღოლას და არ აღემატება ნაყოფის ღირებულებას.

§ 999. წინამორბედის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება

(1) მფლობელს შეუძლია მოითხოვოს იმ წინა მფლობელის მიერ, რომლის უფლებამონაცვლაც იგი გახდა, განეული ხარჯების ანაზღაურება იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც წინა მფლობელს შეეძლო ანაზღაურების მოთხოვნა, ვალდებულები რომ ყოფილიყო ნივთის დაბრუნებაზე.

(2) მესაკუთრის მიერ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ასევე იმ ხარჯებზე, რომლებიც განეულ იქნა მანამდე, სანამ იგი შეიძენდა საკუთრების უფლებას.

§ 1000. მფლობელის მიერ ნივთის დაკავების უფლება

1 მფლობელს შეუძლია უარი თქვას ნივთის დაბრუნებაზე მანამდე, სანამ მას არ აუნაზღაურდება განეული ხარჯები. 2 ნივთის დაკავების უფლება მას არა აქვს, თუ მან ნივთი შეიძინა განზრახ ჩადენილი დელიქტით.

ნორმა განაგრცობს § 273-ის მე-2 ნაწილს, რომელიც არ მოქმედებს, ვინაიდან § 1001-ის პირველ წინადადებაში მოცემული წინაპირობების გამო არ არის დამდგარი განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესრულების ვადა. თუმცა, ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება შეესაბამება § 273-ით გათვალისწინებულ უფლებას, როდესაც, ზოგადი შეხედულებით, §§ 273-ის მე-3 ნაწილი, 274 შეიძლება შესაბამისად იქნეს გამოყენებული. ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება უქმდება, § 1002-ის თანახმად, ნივთის მესაკუთრისათვის გადაცემით; თუ მოგვიანებით მფლობელი ნივთს მესაკუთრისაგან ისევ დაიბრუნებს, მაშინ, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ნივთის თან წაღების უფლება თავიდან არ წარმოიშობა (BGHZ 51, 250, 252).

§ 1001. სარჩელი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით

1 მფლობელს შეუძლია წარადგინოს მოთხოვნის უფლება ხარჯების ანაზღაურებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე იბრუნებს ნივთს ან იწონებს ხარჯებს. 2 ხარჯების მოწონებამდე მესაკუთრეს შეუძლია გათავისუფლდეს მოთხოვნის უფლებისაგან უკან მიღებული ნივთის დაბრუნებით. 3 მოწონება ითვლება განხორციელებულად, თუ მესაკუთრე მფლობელისაგან იღებს შეთავაზებულ ნივთს მოთხოვნის უფლების შენარჩუნების პირობით.

1 ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების შესრულების ვადა არ დგება ნივთის უკან მიღებამდე ან მესაკუთრის მხრიდან მოწონებამდე (სხვები საუბრობენ გადადების პირობაზე ან სარჩელის წარდგენის შესაძლებლობის გამორიცხვაზე; შდრ. *MüKo-Medicus*, მე-17 ველი); რადგანაც მანამდე განეულ ხარჯებს, როგორც წესი, მესაკუთრე არ იღებს, საკმარისია შუალობითი მფლობელისადმი ნივთის გადაცემის გზით არაპირდაპირი მფლობელობის მიღება (BGHZ, 87, 274, 278).

§ 1002. ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გაუქმება

(1) თუ მფლობელი ნივთს უბრუნებს მესაკუთრეს, მაშინ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა უქმდება ერთი თვის ვადის გასვლისთანავე; მინის ნაკვეთების შემთხვევაში – ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე ნივთის უკან დაბრუნების შემდეგ, თუ უფრო ადრე არ ხდება სასამართლო წესით მოთხოვნის უფლების რეალიზაცია, ან მესაკუთრე არ იწონებს ხარჯებს.

(2) ამ ვადების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ხანდაზმულობის მიმართ მოქმედი §§ 206-ის, 210-ის, 211-ის ნორმები.

§ 1003. მფლობელის მოთხოვნების დაკმაყოფილების უფლება

(1) ¹მფლობელს შეუძლია, საზღაურის სახით მოთხოვნილი თანხის ოდენობის მითითებით მოსთხოვოს მესაკუთრეს, რომ ამ უკანასკნელმა მფლობელის მიერ განსაზღვრული სათანადო ვადის განმავლობაში განაცხადოს ხარჯების მოწონების შესახებ. ²ვადის გასვლის შემდეგ მფლობელი უფლებამოსილია, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ნივთის ღირებულებიდან გირავნობის საგნის რეალიზაციის წესების მიხედვით, ხოლო მინის ნაკვეთის შემთხვევაში – უძრავ ქონებაზე იძულებითი აღსრულების წესების მიხედვით, თუ მოწონება დროულად არ ხორციელდება.

(2) თუ მესაკუთრე მოთხოვნის უფლებას ვადის გასვლამდე ხდის სადავოდ, მაშინ მფლობელს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ნივთის ღირებულებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხარჯების თანხების დადგენის შემდეგ, მესაკუთრეს სათანადო ვადის დადგენით შესთავაზა მოწონების შესახებ განცხადების გაკეთება და მიცემული ვადა გავიდა; ნივთის ღირებულებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება გამოორიცხულია, თუ მოწონება დროულად ხორციელდება.

§ 1004. დარღვევის აღმოფხვრისა და გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება

(1) ¹თუ საკუთრების უფლების ხელყოფა ხდება სხვაგვარად, ვიდრე ნივთის ჩამორთმევა ან მისი დაკავებაა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, დამრღვევს მოსთხოვოს დარღვევის აღკვეთა. ²თუ არსებობს შემდგომი ხელყოფის საფრთხე, მესაკუთრეს შეუძლია წარადგინოს ნეგატორული სარჩელი გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებით.

(2) მოთხოვნის უფლება გამოორიცხულია, თუ მესაკუთრე ვალდებულია, ითმინოს ხელყოფა.

1 1. ზოგადი მიმოხილვა. როდესაც საკუთრების უფლება მოძრავ და უძრავ ნივთებზე § 985-ით დაცულია ჩამორთმევისა თუ მფლობელობის გადაცემაზე უარისაგან, § 1004 იძლევა თავის დაცვის მოთხოვნის უფლებებს ყველა დანარჩენი სახის ხელყოფისაგან (ე. წ. **actio negatoria**). ცალკეულ შემთხვევებში განასხვავებენ **დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლებას**, პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, და **მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ მოთხოვნის უფლებას**, პირველი ნაწილის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე. ნეგატორული მოთხოვნის უფლებების მოქმედების § 1004-ით გათვალისწინებული საკუთრების უფლების ფარგლებს გარეთ გავრცელებისათვის იხ. § 823-ის შესავლის მე-3 ველი.

2 2. დარღვევებს მიეკუთვნება, მაგ., მინის ნაკვეთებში არასანქცირებული შეღწევა ან გადაჭარბებული ზემოქმედება. სასამართლო პრაქტიკა ორიენტირებულია § 906-ით გათვალისწინებული ზემოქმედების ცნებაზე. აღნიშნულის შედეგად, § 906-ის გაგებით, ნივთიერებების ზემოქმედება წარმოადგენს დარღვევას. ე. წ. მძიმე ჩარევები, უფრო მეტი დასაბუთებით, არის დარღვევა, როგორცაა, მაგ., ქვის ცვენა. **იდეალური დარღვევები** კი, პირიქით, როგორც წესი, საკმარისი არ არის; ამდენად, მორალური ან ესთეტიკური ჩარევები არ არის § 906-ის პირველ ნაწილში მითითებული „მსგავსი“ ზემოქმედება. ამდენად, § 1004-იდან გამომდინარე, საცხოვრებლად გამოყენებული მინის ნაკვეთის მესაკუთრეს არა აქვს მოთხოვნის უფლება მეზობელი სამშენებლო მასალებისა და მანქანების საწყობის მიმართ (BGHZ, 51, 396), ან სასტუმროს მესაკუთრეს არა აქვს მოთხოვნის უფლება მეზობლად არსებული მეორადი და დაზიანებული ავტომანქანების სადგომის მიმართ (BGHZ, 54, 56); თვით საროსკიპოს (რომელიც გარედან არ არის თვალში-საცემი) საქმიანობის წინააღმდეგ მეზობლად განთავსებულ საცხოვრებელ სახლს

არა აქვს მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ მოთხოვნის უფლება (BGHZ, 95, 307). ეს სასამართლო პრაქტიკა, ლიტერატურის ერთ ნაწილს მიაჩნია საკმაოდ ვინროდ, მით უმეტეს, იმის გამო, რომ არამატერიალური ღირებულებები დაცულია ზოგადი პირადი უფლებებითაც (იხ. § 823-ის შესავლის მე-17 ველი); ამავე დროს, ასეთი პარალელი სავალდებულო არ არის (იხ. BGHZ, 54, 56, 60; გარდა ამისა, იხ. *Medicus-Petersen*, 442-ე ველი).

დარღვევები შეიძლება არ იყოს ბრალეულად ჩადენილი, თუმცა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ისინი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო (შდრ. მე-2 ნაწილს). 3

3. დამრღვევი არის ის პირი, რომელსაც მატერიალური საფუძვლებიდან გამომდინარე შეერაცხება დარღვევის ჩადენა. შეერაცხვა შესაძლებელია, როდესაც პირმა დარღვევა უშუალოდ და ადეკვატურად გამოიწვია მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად (ე. წ. მოქმედების განმახორციელებელი დამრღვევი); მეორე მხრივ, თუ საკუთრების უფლების დამრღვევი მდგომარეობა, რომელიც (ასევე – ადეკვატურად) მოსალოდნელი უნდა იყოს ჩვეულებრივ გარემოებებში, განისაზღვრება არაპირდაპირ დამრღვევის ნების საფუძველზე, ან შეერაცხება მას შეფასებით (დეტალურად იხ. *Wenzel NJW*, 2005, 241) და დამრღვევს შეუძლია, თავიდან აიცილოს ეს მდგომარეობა (ე. წ. არაპირდაპირი მოქმედების განმახორციელებელი დამრღვევი და მდგომარეობის შესაბამისი დამრღვევი). არაპირდაპირი დამრღვევი, როგორც წესი, არის ასევე გამჭირავებელი ან მეიჯარე; ასევე საცეკვაო კაფის მეიჯარე, როგორც წესი, მოიჯარესთან ერთად არის დამრღვევი, კაფედან მომდინარე ხმოვან ზემოქმედებებთან დაკავშირებით (BGH NJW, 1959, 2013). მხოლოდ ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობის არარსებობა – § 275-ის საფუძველზე არსებული სამართლებრივი შეხედულების შესაბამისად – გამორიცხავს პასუხისმგებლობას. თუ მეიჯარემ დაუშვა დამრღვევი გამოყენება სახელშეკრულებო ბოჭვით, მაშინ მან აუცილებლობის შემთხვევაში უნდა შეწყვიტოს ხელშეკრულება, ან ფულადი თანხების გადახდით დაიყოლოს მოიჯარე, უარი თქვას ნებართვიდან გამომდინარე თავის უფლებებზე (შდრ. BGH JZ, 1968, 384; *Medicus-Petersen*, 447-ე ველი).

სტიქიური უბედურებების შემთხვევაში, როგორც წესი, დამრღვევი სახეზე არ არის. მაგალითად, § 1004-იდან მოთხოვნის უფლება არ გამომდინარეობს, როდესაც ცუდი ამინდის შედეგად ე-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მეზობელი მიწის ნაკვეთიდან აღწევს კლდის ნატეხები; შესაბამისად, გაბატონებული შეხედულების თანახმად, ე-ს საკუთრების უფლება თავისთავად ჯერ კიდევ არ წარმოშობს მოთხოვნის უფლებას (BGH NJW, 1985, 1773, 1774); თუმცა, ე გახდებოდა დამრღვევი, ის რომ მშენებარე სახლის შემთხვევაში გასცდენოდა თავისი მიწის ნაკვეთის საზღვრებს. ასეთ დროს, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, დამრღვევის პასუხისმგებლობა მხედველობაში მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც ე-მ საკუთარი მოქმედებებით ობიექტურად შექმნა კონკრეტული სახიფათო მდგომარეობა, რაც მოგვიანებით რეალობად იქცა (BGHZ, 160, 232, 239: ხეების ნაწილობრივი ამოძირკვის შემდეგ დარჩენილი ხის მასალა), და როდესაც მან დაარღვია სამეზობლო ურთიერთობიდან გამომდინარე „უსაფრთხოების ვალდებულება“, ანუ შესაძლო დარღვევების შემცირების ვალდებულება.

4. პირველი ნაწილის პირველი წინადადების ნორმის თანახმად, დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლება უნდა განვასხვაოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისაგან § 823-ისა და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისად. ამდენად, დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლების წინაპირობა არის მხოლოდ საკუთრების უფლების დარღვევის განგრძობადობა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისა კი, – რომელიც ასევე შეიძლება იყოს მიმართული დარღვევის აღმოფხვრისაკენ (§ 249), პირიქით, – ბრალეულობა. რა თქმა უნდა, ცალკეულ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისაგან განსხვავება 6

როული და სადავოა (იხ., მაგ., *MüKo-Medicus*, 71-ე და შემდეგი ველები). უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ შემუშავებული „მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობის თეორიის“ თანახმად, რომლის მიზანია შეფასებითი სხვაობა, დარღვევის აღმოფხვრის შესახებ მოთხოვნის უფლება მოიცავს არა მხოლოდ დარღვევის წყაროს აღმოფხვრას, არამედ ასევე ხელყოფილი მინის ნაკვეთის გამოყენების შესაძლებლობის აღდგენასაც (BGH NJW, 2005, 1366; *Wenzel* NJW, 2005, 243). როული შემთხვევაა ნიადაგის დაბინძურება დაუშვებელი ზემოქმედებით: შეუძლია თუ არა დაზარალებულ მესაკუთრეს პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, მოითხოვოს ნიადაგის სრული შეცვლა, როდესაც ზიანის მომტანი მასალების ცალკე იზოლირებულად მოცილება ტექნიკურად შეუძლებელია? უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ (NJW, 1996, 845) ამ კითხვას დადებითად უპასუხა, ვინაიდან შეღწეულ ნივთიერებებსა და ნიადაგს შორის მჭიდრო კავშირი არ უნდა მოქმედებდეს დაზარალებული მესაკუთრის საზიანოდ.

- 7 **5.** პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ნორმის თანახმად, **მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ მოთხოვნის უფლების** წინაპირობაა განმეორების საფრთხის არსებობა. გაბატონებული შეხედულების თანახმად, საკმარისია – მე-2 წინადადების სიტყვასიტყვითი რედაქციისაგან განსხვავებით („შემდგომი“) – თავიდანვე წარმოშობილი ზიანის საფრთხე (პრევენციული მოქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ მოთხოვნის უფლება).
- 8 **6.** მე-2 ნაწილის ნორმის შესაბამისად, **თმენის ვალდებულება** შეიძლება ეფუძნებოდეს კანონს (მაგ., §§ 227-229, 904-ის პირველი წინადადება, 905-ის მე-2 წინადადება, 906 და შემდეგი პარაგრაფები) ან გარიგებას, რომელიც შეიძლება იყოს სანივთოსამართლებრივი ბუნების (მაგ., მიწის სერვიტუტი), ან ვალდებულებით-სამართლებრივი ხასიათის (როგორცაა ქირავნობა ან იჯარა). თმენის ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ასევე საჯაროსამართლებრივი ნორმებიდან ან საზოგადო ინტერესებიდანაც (მაგ., ნარკოტიკული დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების ცენტრის საქმიანობა, BGHZ, 144, 200). თუმცა, იმ მესაკუთრეს, რომელსაც სამართლებრივი თუ ფაქტობრივი გარემოებების შედეგად ხელი ეშლება ხელყოფის თავიდან აცილების შესახებ მოთხოვნის უფლების რეალიზაციაში, შესაძლებელია წარმოეშვას ფულადი კომპენსაციის მიღების მოთხოვნის უფლება (მდრ. § 906, მე-7 ველი).
- 9 **7.** გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაზარალებული მესაკუთრის **თანაბრალეულობა** § 254-ის შესაბამისად. აღნიშნულ შემთხვევაში, დარღვევის აღმოფხვრის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება შეზღუდულია იმ გარემოებით, რომ მესაკუთრეს ეკისრება დარღვევის აღმოფხვრის ხარჯებში მონაწილეობა თავისი პასუხისმგებლობის წილის ოდენობით (BGHZ, 135, 235).

§ 1005. დადევნების უფლება

თუ ნივთი განთავსებულია იმ მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ფლობს სხვა პირი და არა ნივთის მესაკუთრე, მაშინ ამ უკანასკნელს აქვს § 867-ით დადგენილი მოთხოვნის უფლება მიწის ნაკვეთის მფლობელის მიმართ.

§ 1006. საკუთრების უფლების პრეზუმფცია მფლობელისათვის

- (1) ¹ძირავე ნივთის მფლობელის სასარგებლოდ ივარაუდება, რომ იგი არის ნივთის მესაკუთრე. ²თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს იმ წინა მფლობელის მიმართ, რომელსაც ნივთი მოჰპარეს, მან ნივთი დაკარგა, ან ეს უკანასკნელი სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ფულს ან სანარმდგენლო ფასიან ქალაქებს.
- (2) წინა მფლობელის სასარგებლოდ ივარაუდება, რომ იგი თავისი მფლობელობის განმავლობაში იყო მესაკუთრე.

(3) არაპირდაპირი მფლობელობის შემთხვევაში პრეზუმფცია მოქმედებს არაპირდაპირი მფლობელის მიმართ.

§ 1007. თავდაპირველი მფლობელის მოთხოვნის უფლებები, გამორიცხვა არაუფლებამოსილების ფაქტის ცოდნის შემთხვევაში

(1) პირს, რომელსაც ნივთი ჰქონდა მფლობელობაში, შეუძლია მფლობელისაგან მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, თუ ეს უკანასკნელი მფლობელობის შეძენისას არ იყო კეთილსინდისიერი.

(2) ¹თუ ნივთი თავდაპირველ მფლობელს მოჰპარეს, მან ნივთი დაკარგა, ან ეს უკანასკნელი სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, მაშინ მას შეუძლია ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა ასევე კეთილსინდისიერი მფლობელისგანაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი ნივთის მესაკუთრეა ან ნივთი გავიდა მისი მფლობელობიდან მანამდე, სანამ ფლობდა თავდაპირველი მფლობელი. ²ეს ნორმა არ გამოიყენება ფულისა და სანარმდგენლო ფასიანი ქაღალდების მიმართ.

(3) ¹მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ თავდაპირველი მფლობელი მფლობელობის შეძენისას არ იყო კეთილსინდისიერი, ან მან მიატოვა მფლობელობა. ²დანარჩენ შემთხვევებში, შესაბამისად, გამოიყენება § 986-1003-ის ნორმები.

1. ნორმის პრაქტიკული მნიშვნელობა მცირეა, ვინაიდან უკვე არსებობს მოთხოვნის უფლება § 985-იდან ან § 861-იდან გამომდინარე. მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა შემონმდეს § 1007-იდან გამომდინარე კონკურენტული მოთხოვნის უფლება. მაგალითად, მხოლოდ § 1007-ზე ორიენტაციის ალება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრეს არ შეუძლია თავისი საკუთრების უფლების მტკიცება, ხოლო § 861-ის მოქმედება აკრძალული თვითნებობის არარსებობის გამო გამორიცხულია (*Jauernig*, 1-ლი ველი).

2. მოთხოვნის უფლების მოქმედების გამონწვევა შეუძლია მფლობელობის ნებისმიერ სახეს, აგრეთვე, არაპირდაპირ მფლობელობას ან მფლობელობას სხვისთვის; მფლობელობის სახეებისათვის იხ. § 854-ის მე-2 და შემდეგი ველები.

3. დებულება არის პეტიტორული მფლობელობის დაცვის ნორმა (შდრ. § 861, ველები 2, 3). თუმცა, § 1007 არ ითხოვს კრედიტორის მართლზომიერ მფლობელობას, მაგრამ, მე-3 ნაწილის პირველი წინადადების ნორმის შესაბამისად, საჭიროა, სულ ცოტა, კეთილსინდისიერება (რაც ხდება მხოლოდ უფლებამოსილების არარსებობისას); ამდენად, კრედიტორს უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე დასაშვებად უნდა მიაჩნდეს (შდრ. § 932-ის მე-2 ნაწილს) დღევანდელი მფლობელის მიმართ ნივთის ფლობის უფლება. ასევე დღევანდელ მფლობელს არ შეიძლება ჰქონდეს კრედიტორის მიმართ ნივთის ფლობის უფლება (მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება, § 986-თან ერთად). § 861-იდან გამომდინარე, პოსესორული სარჩელისაგან განსხვავებით, § 1007-იდან გამომდინარე ნაკლებად უფლებამოსილი პირის მიმართ სარჩელს მიყვავართ საბოლოო გადანყვეტილებამდე (BGHZ, 7, 208, 215).

4. პირველი და მე-2 ნაწილების ნორმა შეიცავს ორ განცალკევებულად დასასაბუთებელ მოთხოვნის უფლებას, რომელიც მე-3 ნაწილის ნორმის შესაბამისად შეიძლება გამოირიცხოს.

ა) პირველი ნაწილის ნორმა მიმართულია იმ არაკეთილსინდისიერი მფლობელის წინააღმდეგ, რომელმაც მფლობელობის შეძენისას იცოდა, – ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად არ იცოდა, – იმ ფაქტის შესახებ, რომ ის თავდაპირველი მფლობელის მიმართ არ იყო უფლებამოსილი ნივთის ფლობაზე (შდრ. § 932-ის მე-2 ნაწილს).

ბ) მე-2 ნაწილის ნორმა ითხოვს, რომ ნივთი თავდაპირველმა მფლობელმა დაკარგა (აღნიშნული ცნებისათვის შდრ. § 935, მე-2 ველი).

კარი 5. საერთო საკუთრება

§ 1008. საერთო წილადი საკუთრება

თუ ნივთზე წილადი საკუთრების უფლება ეკუთვნის რამდენიმე პირს, მაშინ მოქმედებს §§ 1009-1011-ის ნორმები.

- 1 **1. წარმოშობა:** კანონის ძალით (მაგ., §§ 947, 948, 984), ან ასევე გარიგებითაც, როდესაც უფლებას იძენს რამდენიმე პირი, რაც არ ქმნის თანაზიარ საერთო საკუთრებას (იხ. ქვემოთ მე-4 ველი).
- 2 **2. მოქმედებს** §§ 741 და შემდეგი პარაგრაფები, იქმნება §§ 1009-1011-ით გათვალისწინებული სპეციალური ნორმებით.
- 3 **3. მნიშვნელობა:** უფლებამოსილება იდეალურ წილებზე. სამართლებრივი თვალსაზრისით, წილი თავად არის საკუთრება (BGHZ, 36, 365, 368). შესაძლებელია, წილის გადაცემა ან უფლებრივად დატვირთვა სრული უფლების შესახებ ნორმების თანახმად. თანამესაკუთრებს მთლიანი ნივთის განკარგვა შეუძლიათ მხოლოდ ერთობლივად (§ 747-ის მე-2 წინადადება).
- 4 **4. საერთო თანაზიარი საკუთრების მიმართ** §§ 1008 და შემდეგი პარაგრაფები არ მოქმედებს. იგი წარმოიშობა იმ ამხანაგობის წევრისათვის, რომელიც შეიქმნა კანონის მიერ თანაზიარი საერთო საკუთრების სახით, როგორცაა შემკვიდრეთა გაერთიანება (მდრ. § 2032-ის პირველი ველი). თანამესაკუთრებს არა აქვთ ცალკეულ საგნებზე იდეალური წილის უფლება, რომლის განკარგვაცა და ისინი შეძლებდნენ. პირიქით, საერთო საკუთრება ეკუთვნის თანამესაკუთრებს დაყოფის გარეშე და, როგორც წესი, განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივად (მდრ. § 719-ის პირველი და შემდეგი პარაგრაფები).

§ 1009. უფლებრივი დატვირთვა თანამესაკუთრის სასარგებლოდ

(1) საერთო ნივთი შეიძლება უფლებრივად დაიტვირთოს ასევე თანამესაკუთრის სასარგებლოდ.

(2) საერთო მიწის ნაკვეთის უფლებრივი დატვირთვა სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ, ასევე სხვა მიწის ნაკვეთის უფლებრივი დატვირთვა საერთო მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრების სასარგებლოდ არ გამოირიცხება იმით, რომ სხვა მიწის ნაკვეთი ეკუთვნის საერთო მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეს.

§ 1010. თანამესაკუთრის სინგულარული სამართალმემკვიდრე

(1) თუ მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრებმა დაადგინეს მართვისა და სარგებლობის წესი, ან სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით გამორიცხეს საერთო საკუთრების გაუქმების მოთხოვნის უფლება, ანდა დაადგინეს შეწყვეტის ვადა, მაშინ მიღებული დანაწესი მოქმედებს თანამესაკუთრის სინგულარული სამართალმემკვიდრის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში როგორც წილის უფლებრივი ტვირთი.

(2) §§ 755, 756-ით დადგენილი მოთხოვნის უფლებები შეიძლება წარდგენილ იქნეს თანამესაკუთრის სინგულარული სამართალმემკვიდრის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

§ 1011. საერთო საკუთრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები

ნებისმიერ თანამესაკუთრეს შეუძლია, საკუთრების უფლებებიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლებების მესამე პირებისადმი წარდგენა მთელ ნივთთან დაკავშირე-

ბით, თუმცა, მოთხოვნის უფლება ნივთის უკან გამოთხოვაზე – მხოლოდ § 432-ის თანახმად.

§§ 1012-1017. (გაუქმებულია)

ნაწილი 4. სერვიტუტები

§ 1018-ის შესავალი

სერვიტუტები არის სანივთოსამართლებრივი სარგებლობის უფლებები. სა-
მოქალაქო კოდექსი იცნობს სერვიტუტის შემდეგ სახეებს: **1. მიწის სერვიტუტი**
(§ 1018 და შემდეგი პარაგრაფები) („გაბატონებული“) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს
ანიჭებს უფლებამოსილებას, განსაზღვრული სახით ისარგებლოს სხვა („მომსახუ-
რე“) მიწის ნაკვეთით. უფლებრივი დატვირთვის შინაარსის თანახმად (იხ. § 1018),
დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ უნდა ითმინოს მიწის ნაკვეთის გამო-
ყენების ცალკეული ფაქტები (მაგ., გზისა და საქონლის გადარეკვის უფლებები),
საკუთარი მიწის ნაკვეთის მიმართ არ განახორციელოს განსაზღვრული მოქმედე-
ბები (მაგ., შენობის აღმართვა), ან არ გამოიყენოს დარღვევის თავიდან აცილე-
ბის უფლებები, რომლებიც სხვა შემთხვევაში მას ექნებოდა საკუთრების უფლე-
ბიდან გამომდინარე (მაგ., § 906); **2. სერვიტუტისაგან განსხვავებით, უზუფრუქტი**
(§ 1030 და შემდეგი პარაგრაფები) უფლებამოსილ პირს ანიჭებს უფლებას, რო-
გორც წესი, დატვირთული საგნიდან მიიღოს ყოველგვარი სარგებელი (§ 100). ის
შეიძლება არსებობდეს ნივთებზე (მიწის ნაკვეთები ან მოძრავი ნივთები), ასევე
უფლებებსა (§ 1068 და შემდეგი პარაგრაფები) და ქონებაზე (§ 1085 და შემდეგი
პარაგრაფები). უფლებამოსილი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იყოს
მხოლოდ განსაზღვრული პირი; **3. შეზღუდული პირადი სერვიტუტი** (§ 1090 და
შემდეგი პარაგრაფები) უთანაბრდება მიწის სერვიტუტს, უბრალოდ, ის უფლე-
ბამოსილ პირს ანიჭებს განსაზღვრულ სარგებლობის უფლებებს მიწის ნაკვეთზე.
შეზღუდული პირადი სერვიტუტი განსხვავდება მიწის სერვიტუტისაგან იმით, რომ
ის არსებობს მხოლოდ განსაზღვრული პირის სასარგებლოდ და, ამდენად, იგი არ
არის დაკავშირებული („გაბატონებული“) მიწის ნაკვეთის საკუთრებით მდგომარე-
ობასთან.

კარი 1. მიწის სერვიტუტები

§ 1018. მიწის სერვიტუტის კანონისმიერი შინაარსი

მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარ-
გებლოდ დატვირთოს ისე, რომ ამ უკანასკნელს შეეძლოს, გარკვეულწილად ისარ-
გებლოს ამ მიწის ნაკვეთით, ან არ შეეძლოს მასზე განსაზღვრული მოქმედებების
განხორციელება, ანდა გამოირიცხოს იმ უფლების განხორციელება, რომელიც გა-
მომდინარეობს დატვირთულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებიდან სხვა მიწის
ნაკვეთის მიმართ (მიწის სერვიტუტი).

§ 1019. გაბატონებული მიწის ნაკვეთისათვის უპირატესობა

მიწის სერვიტუტი შეიძლება გამოიხატებოდეს მხოლოდ ისეთი უფლებრივი
დატვირთვით, რომელიც იძლევა უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთით სარგებ-
ლობის უპირატესობას. სერვიტუტის შინაარსი არ შეიძლება სცილდებოდეს აღ-
ნიშნულის შედეგად დადგენილ ზღვარს.

§ 1020. ფრთხილი გამოყენება

¹მინის სერვიტუტის გამოყენებისას უფლებამოსილი პირი შეძლებისდაგვარად უნდა გაუფრთხილდეს დატვირთული მინის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესს. ²თუ სერვიტუტის გამოყენებისათვის უფლებამოსილ პირს დატვირთულ მინის ნაკვეთზე აქვს მონყობილობა, მაშინ მან ეს მონყობილობა უნდა შეინარჩუნოს სათანადო მდგომარეობაში, რამდენადაც ამას ითხოვს მესაკუთრის ინტერესი.

§ 1021. შეთანხმებული მოვლა-პატრონობის ვალდებულება

(1) თუ მინის სერვიტუტის გამოყენებისათვის დატვირთულ მინის ნაკვეთს აქვს მონყობილობა, მაშინ შეიძლება დადგინდეს, რომ ამ მინის ნაკვეთის მესაკუთრემ მოუაროს მას, რამდენადაც ამას ითხოვს უფლებამოსილი პირის ინტერესი; თუ მესაკუთრეს აქვს მონყობილობის თანასარგებლობის უფლება, მაშინ შეიძლება დადგინდეს, რომ უფლებამოსილმა პირმა მოუაროს მას, რამდენადაც ამას ითხოვს მესაკუთრის ინტერესი.

(2) ამ მოვლა-პატრონობის ვალდებულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ნორმები სანივთო ტვირთის შესახებ.

§ 1022. სამშენებლო ნაგებობებზე არსებული მონყობილობები

¹თუ მინის სერვიტუტი გამოიხატება უფლებამოსილი პირის უფლებით, იქონიოს სამშენებლო ნაგებობა დატვირთულ მინის ნაკვეთზე არსებულ სამშენებლო ნაგებობაზე, და თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, მაშინ დატვირთული მინის ნაკვეთის მესაკუთრემ უნდა მოუაროს თავის ნაგებობას, რამდენადაც ამას ითხოვს უფლებამოსილი პირის ინტერესი. ²ამ მოვლა-პატრონობის ვალდებულების მიმართ მოქმედებს ასევე § 1021-ის მე-2 ნაწილი.

§ 1023. გამოყენების გადატანა

(1) ¹თუ მინის სერვიტუტის შესაბამისი გამოყენება შემოიფარგლება დატვირთული მინის ნაკვეთის ნაწილით, და თუ მისი გამოყენება ამ ადგილზე განსაკუთრებით რთულია, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს გამოყენების გადატანა სხვა, უფლებამოსილი პირისათვის თანაბრად ვარგის, ადგილზე. ²გადატანის ხარჯები ეკისრება მესაკუთრეს, რაც მან უნდა გაილოს წინასწარ. ³ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, თუ მინის ნაკვეთის ის ნაწილი, რომლითაც შემოფარგლულია გამოყენება, განისაზღვრება გარიგებით.

(2) გამოყენების გადატანის უფლება არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს გარიგებით.

§ 1024. სარგებლობის რამდენიმე უფლების თანხვედრა

თუ ხდება მინის სერვიტუტის სხვა მინის სერვიტუტთან ან მინის ნაკვეთზე არსებულ სარგებლობის სხვა უფლებასთან იმგვარად თანხვედრა, რომ უფლებები ერთდროულად ვერ განხორციელდება, ან სრულად ვერ განხორციელდება და მათ თანაბარი რიგი აქვთ, მაშინ ნებისმიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს ყველა უფლებამოსილი პირის ინტერესების შესაბამისი გამოყენების წესის სამართლიანი შეხედულებით დადგენა.

§ 1025. გაბატონებული მინის ნაკვეთის გაყოფა

¹თუ უფლებამოსილი პირის მინის ნაკვეთი გაიყოფა, მაშინ მინის სერვიტუტი გრძელდება ცალკეულ ნაწილებზე; თუმცა, საეჭვოობისას გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმგვარად, რომ მან არ გააუარესოს დატვირთული მინის ნაკვეთის მესაკუთრის მდგომარეობა. ²თუ სერვიტუტი სარგებელს ანიჭებს მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილს, მაშინ დანარჩენი ნაწილების მიმართ იგი უქმდება.

§ 1026. მომსახურე მიწის ნაკვეთის გაყოფა

თუ გაყოფა დატვირთული მიწის ნაკვეთი, და თუ მიწის სერვიტუტის გამოყენება შეზღუდულია დატვირთული მიწის ნაკვეთის განსაზღვრული ნაწილით, ის ნაწილები, რომლებიც რჩება გამოყენების ფარგლებს მიღმა, თავისუფლდება სერვიტუტისაგან.

§ 1027. მიწის სერვიტუტის დარღვევა

მიწის სერვიტუტის დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს ეკუთვნის § 1004-ით გათვალისწინებული უფლებები.

§ 1028. ხანდაზმულობა

(1) ¹თუ დატვირთულ მიწის ნაკვეთზე აღიმართა მოწყობილობა, რომლითაც ირღვევა სერვიტუტი, მაშინ უფლებამოსილი პირის ნეგატორული სარჩელის წარდგენის მოთხოვნის უფლება ექვემდებარება ხანდაზმულობას მაშინაც კი, როდესაც სერვიტუტი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ²მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობით სერვიტუტი უქმდება იმდენად, რამდენადაც მოწყობილობის არსებობა მას ხელს უშლის.

(2) § 892-ის ნორმა არ გამოიყენება.

§ 1029. მართლზომიერი მფლობელის მფლობელობითი დაცვა

თუ მიწის ნაკვეთის მფლობელს ხელი შეეშლება მესაკუთრის სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის სერვიტუტის გამოყენებაში, და თუ სერვიტუტი გამოყენებულ იქნა ხელის შეშლამდე ერთი წლის განმავლობაში, თუნდაც მხოლოდ ერთხელ, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება მფლობელობითი დაცვის მიმართ მოქმედი ნორმები.

კარი 2. უზუფრუქტი**ქვეკარი 1. უზუფრუქტი ნივთებზე****§ 1030. ნივთებზე უზუფრუქტის კანონისმიერი შინაარსი**

(1) ნივთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, უფლებამოსილია, მიიღოს ნივთისაგან სარგებელი (უზუფრუქტი).

(2) უზუფრუქტი შეიძლება შემოიფარგლებოდეს ცალკეული სახის სარგებლობის გამორიცხვით.

§ 1031. გავრცელება საკუთვნივთებზე

მიწის ნაკვეთზე უზუფრუქტთან ერთად უზუფრუქტუარი იძენს უზუფრუქტს საკუთვნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის მიმართ მოქმედი § 926-ის ნორმების თანახმად.

§ 1032. დადგენა მოძრავ ნივთებზე

¹მოძრავ ნივთებზე უზუფრუქტის დასადგენად საჭიროა, მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემქმნის და ორივე მხარე შეთანხმდეს იმაზე, რომ შემქმნის გადაეცემა უზუფრუქტი. ²შესაბამისად, გამოიყენება § 929-ის მე-2 ნინადადების, §§ 930-932 და §§ 933-936-ის ნორმები; § 936-ის შემთხვევებში ერთადერთი სამართლებრივი შედეგი ისაა, რომ უზუფრუქტს ენიჭება უპირატესობა მესამე პირის უფლებასთან შედარებით.

§ 1033. შეძენა შეძენითი ხანდაზმულობით

¹მოდრავ ნივთებზე უზუფრუქტი შეიძლება შეძენილ იქნეს შეძენითი ხანდაზმულობით. ²შესაბამისად, გამოიყენება შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების უფლების შეძენის მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 1034. ნივთის არსებული მდგომარეობის დაფიქსირება

¹უზუფრუქტუარს შეუძლია, საკუთარი ხარჯით ექსპერტის მეშვეობით ნივთის არსებული მდგომარეობის დაფიქსირება. ²ანალოგიური უფლება ეკუთვნის მესაკუთრეს.

§ 1035. უზუფრუქტი ნივთების ერთობლიობაზე; ჩამონათვალი

¹ნივთების ერთობლიობაზე უზუფრუქტის შემთხვევაში უზუფრუქტუარსა და მესაკუთრეს ეკისრებათ ორმხრივი ვალდებულება, ხელი შეუწყონ ერთმანეთს ნივთების ჩამონათვალის შედგენაში. ²ჩამონათვალში უნდა მიეთითოს შედგენის თარიღი და იგი ხელმოწერილ უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ; ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ ხელმოწერა დამონმდეს ოფიციალურად. ³ნებისმიერ მხარეს შეუძლია ასევე მოითხოვოს, რომ ჩამონათვალი შედგენილ იქნეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ან კომპეტენტური თანამდებობის პირის, ანდა ნოტარიუსის მიერ. ⁴ხარჯები ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ითხოვს შედგენას ან დამონმებას და რომელმაც ეს ხარჯები უნდა გაილოს წინასწარ.

§ 1036. მფლობელობის უფლება; უზუფრუქტის უფლების გამოყენება

(1) უზუფრუქტუარი უფლებამოსილია ნივთის ფლობაზე.

(2) უზუფრუქტის უფლებით სარგებლობისას მან უნდა შეინარჩუნოს ნივთის თავდაპირველი სამეურნეო დანიშნულება და გამოიყენოს ნივთი მეურნეობის სათანადო გაძლოლის წესების მიხედვით.

§ 1037. გადაკეთება

(1) უზუფრუქტუარი არ არის უფლებამოსილი, გადააკეთოს ან არსებითად შეცვალოს ნივთი.

(2) მიწის ნაკვეთის უზუფრუქტუარს შეუძლია ქვისგან, ხრეშისგან, ქვიშისგან, თიხისგან, ცხიმოვანი თიხისგან, მერგელისგან, ტორფისა და ნიადაგის სხვა შემადგენელი ნაწილებისგან აღმართოს ახალი ნაგებობა, თუ ამით არსებითად არ დაირღვევა მიწის ნაკვეთის სამეურნეო დანიშნულება.

§ 1038. ტყისა და საბადოს სამეურნეო გეგმა

(1) ¹თუ უზუფრუქტის საგანია ტყე, მაშინ როგორც მესაკუთრეს, ისე უზუფრუქტუარს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ სარგებლობის მოცულობა და სამეურნეო ექსპლოატაციის სახე დადგინდეს სამეურნეო გეგმით. ²თუ ხდება გარემოებათა მნიშვნელოვანი ცვლილება, მაშინ თითოეულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს სამეურნეო გეგმის შესაბამისი ცვლილება. ³ხარჯები მხარეებს ეკისრებათ თანაბარწილად.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ უზუფრუქტის საგანია საბადო ან ნიადაგის შემადგენელი ნაწილების მოპოვებისათვის გათვალისწინებული სხვა ნაგებობები.

§ 1039. ნაყოფის გადამეტებით მიღება

(1) ¹უზუფრუქტუარი იძენს ასევე საკუთრების უფლებას ისეთ ნაყოფზე, რომელსაც იგი მეურნეობის სათანადო გაძლოლის წესების საწინააღმდეგოდ

ან გადამეტებით იღებს, რამდენადაც ეს აუცილებელი გახდა განსაკუთრებული გარემოების შედეგად. ²თუმცა, იგი, მიუხედავად მისი ბრალისათვის პასუხისმგებლობისა, ვალდებულია, აუნაზღაუროს მესაკუთრეს ნაყოფის ღირებულება უზუფრუქტის შეწყვეტის შემდეგ და წარადგინოს ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. ³როგორც მესაკუთრეს, ისე უზუფრუქტუარს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ ასანაზღაურებელი თანხა გამოყენებულ იქნეს ნივთის აღსადგენად იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება მეურნეობის სათანადოდ გაძღოლას.

(2) თუ ნივთის აღსადგენად ხარჯი არ მოითხოვება, და თუ ნაყოფის არასათანადო ან გადამეტებით მიღება ამცირებს უზუფრუქტუარისათვის განკუთვნილ სარგებელს, მაშინ ანაზღაურების გადახდის ვალდებულება წყდება.

§ 1040. განძი

უზუფრუქტუარის უფლება არ ვრცელდება მესაკუთრის კუთვნილ ნიღზე განძში, რომელიც იპოვეს ნივთში.

§ 1041. ნივთის მოვლა

¹უზუფრუქტუარმა უნდა იზრუნოს ნივთის მოვლაზე ამ უკანასკნელის სამეურნეო მდგომარეობის შენარჩუნებით. ²მას ეკისრება ნივთის რემონტი და განახლება მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც საჭიროა, ჩვეულებრივ, ნივთის მოვლა-პატრონობისათვის.

§ 1042. უზუფრუქტუარის მიერ შეტყობინების წარდგენის ვალდებულება

¹თუ ნივთი განადგურდება ან დაზიანდება, ანდა საჭირო ხდება ნივთის სასწრაფო რემონტი და განახლება ან გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან ნივთის დაცვის ღონისძიებების მიღება, მაშინ უზუფრუქტუარმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მესაკუთრეს. ²ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მესამე პირი ითვისებს ნივთზე უფლებას.

§ 1043. რემონტი ან განახლება

თუ მიწის ნაკვეთის უზუფრუქტუარი თავად ახორციელებს აუცილებელ სასწრაფო რემონტს ან განახლებას, მაშინ მას შეუძლია ამ მიზნით სათანადო მეურნეობის წესების ფარგლებში გამოიყენოს ასევე მიწის ნაკვეთის ის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც არ იძლევიან მისთვის განკუთვნილ ნაყოფს.

§ 1044. რემონტის ჩატარების თმენა

თუ მიწის ნაკვეთის უზუფრუქტუარი თავად არ ახორციელებს აუცილებელ სასწრაფო რემონტს ან განახლებას, მაშინ მან მესაკუთრეს უნდა დართოს ამის განხორციელების და, თუ უზუფრუქტის ობიექტია მიწის ნაკვეთი, § 1043 მითითებული მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილების გამოყენების ნება.

§ 1045. უზუფრუქტუარის მიერ ნივთის დაზღვევის ვალდებულება

(1) ¹უზუფრუქტუარმა ნივთი საკუთარი ხარჯით უზუფრუქტის ვადისათვის უნდა დააზღვიოს ხანძრის და სხვა უბედური შემთხვევებისაგან, თუ დაზღვევა შეესაბამება სათანადო მეურნეობის წესებს. ²დაზღვევა უნდა გაკეთდეს ისე, რომ მზღვეველის მიმართ მოთხოვნა ეკუთვნოდეს მესაკუთრეს.

(2) თუ ნივთი უკვე დაზღვეულია, მაშინ უზუფრუქტის ვადისათვის დაზღვევის გადახდების განხორციელება ეკისრება უზუფრუქტუარს იმდენად, რამდენადაც იგი ვალდებული იქნებოდა დაზღვევაზე.

§ 1046. უზუფრუქტი სადაზღვევო თანხაზე

(1) უზუფრუქტუარს აქვს მზღვეველის მიმართ მოთხოვნაზე უზუფრუქტის უფლება იმ ნორმების თანახმად, რომლებიც მოქმედებს გადაუხდელ მოთხოვნაზე უზუფრუქტის მიმართ, რომელსაც ერიცხება პროცენტი.

(2) ¹თუ წარმოიშობა დაზღვევით დაფარული ზიანი, მაშინ როგორც მესაკუთრეს, ისე უზუფრუქტუარს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ სადაზღვევო თანხა გამოყენებულ იქნეს ნივთის აღდგენის ან ნივთის შეცვლისათვის იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება სათანადო მეურნეობის წესებს. ²მესაკუთრეს შეუძლია, თავად გამოიყენოს სადაზღვევო თანხა ან გადასცეს იგი უზუფრუქტუარს.

§ 1047. ვალების კისრების ვალდებულება

უზუფრუქტუარი მესაკუთრის წინაშე ვალდებულია, უზუფრუქტის ვადისათვის იკისროს ნივთზე არსებული საჯარო ვალები სპეციალური ვალების გამოკლებით, რომლებიც განიხილება როგორც ნივთის ძირითადი ღირებულების მტვირთავი, ისევე როგორც ისეთი კერძოსამართლებრივი ვალები, რომლებიც არსებობდა ნივთზე უკვე უზუფრუქტის დადგენის მომენტში, მათ შორის: იპოთეკურ მოთხოვნებსა და მიწის ვალებზე პროცენტები და სარენტო ვალების საფუძველზე განსახორციელებელი გადახდები.

§ 1048. უზუფრუქტი მიწის ნაკვეთზე ინვენტართან ერთად

(1) ¹თუ უზუფრუქტის საგანია მიწის ნაკვეთი ინვენტართან ერთად, მაშინ უზუფრუქტუარს შეუძლია სათანადო მეურნეობის წესების ფარგლებში განკარგოს ინვენტარის ცალკეული ნაწილები. ²მან უნდა აანაზღაუროს ჩვეულებრივი დანაკარგი და სათანადო მეურნეობის წესების შესაბამისად შეცვალოს ინვენტარიდან ამოღებული ნაწილები; მის მიერ შეძენილი ნაწილები ინვენტარში მათი შეტანით ხდება იმ პირის საკუთრება, ვისაც ეკუთვნის ინვენტარი.

(2) თუ უზუფრუქტუარი ინვენტარს იღებს შეფასებითი ღირებულებით იმ ვალდებულებით, რომ უზუფრუქტის შეწყვეტის შემდეგ დააბრუნებს მას შეფასებითი ღირებულებით, მაშინ შესაბამისად გამოიყენება § 582-ის ნორმები.

§ 1049. ხარჯების ანაზღაურება

(1) თუ უზუფრუქტუარი ნივთზე სწევს ისეთ ხარჯებს, რომელზეც იგი არ არის ვალდებული, მაშინ მესაკუთრის მიერ მათი ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების თანახმად.

(2) უზუფრუქტუარი უფლებამოსილია, თან წაიღოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან ნივთი აღჭურვა.

§ 1050. ცვეთა

უზუფრუქტუარი პასუხს არ აგებს ნივთის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის, რომლებიც გამოწვეულ იქნა უზუფრუქტის სათანადო გამოყენების შედეგად.

§ 1051. უზრუნველყოფის წარდგენა

თუ უზუფრუქტუარის მოქმედება იძლევა მესაკუთრის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევის საფრთხის საფუძველს, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა.

§ 1052. უზრუნველყოფის არარსებობისას სასამართლოს განკარგულებით დადგენილი წესით მართვა

(1) ¹თუ უზუფრუქტუარს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა უზრუნველყოფის წარდგენა, მაშინ მესაკუთრეს, უზრუნ-

ველყოფის წარდგენის ნაცვლად, შეუძლია მოითხოვოს, რომ უზუფრუქტუარის სასარგებლოდ უზუფრუქტის გამოყენება გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ მმართველს. მართვის შესახებ სასამართლოს განკარგულება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრის განცხადების საფუძველზე უზუფრუქტუარს სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის წარსადგენად განესაზღვრა ვადა და იგი გავიდა; განკარგულება დაუშვებელია, თუ უზრუნველყოფა წარდგენილ იქნა ვადის გასვლამდე.

(2) მმართველი იმყოფება სასამართლოს მეთვალყურეობის ქვეშ, მსგავსად მინის ნაკვეთის იძულებითი მართვისათვის დანიშნული მმართველისა.

(3) მართვა უნდა გაუქმდეს, თუ მოგვიანებით წარდგენილ იქნება უზრუნველყოფა.

§ 1053. ნეგატორული სარჩელი უფლებამოსილების გადაჭარბებით გამოყენებისას თუ უზუფრუქტუარი იყენებს ნივთს უფლებამოსილების გადაჭარბებით და აგრძელებს სარგებლობას მესაკუთრის გაფრთხილების მიუხედავად, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია წარადგინოს ნეგატორული სარჩელი.

§ 1054. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესით მართვა ვალდებულების დარღვევისას

თუ უზუფრუქტუარი არსებითად არღვევს მესაკუთრის უფლებებს და აგრძელებს დამრღვევ ქმედებას მესაკუთრის გაფრთხილების მიუხედავად, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მართვის შესახებ სასამართლოს განკარგულების მიღება, § 1052-ის თანახმად.

§ 1055. უზუფრუქტუარის მიერ ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება

(1) უზუფრუქტუარი ვალდებულია, უზუფრუქტის შეწყვეტის შემდეგ დაუბრუნოს ნივთი მესაკუთრეს.

(2) სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე უზუფრუქტის შემთხვევაში, შესაბამისად გამოიყენება § 596-ის პირველი ნაწილისა და § 596ა-ს, ხოლო მამულზე უზუფრუქტის შემთხვევაში – § 596-ის პირველი ნაწილისა და §§ 596ა-ს, 596ბ-ს ნორმები.

§ 1056. ქირავნობისა და იჯარის ურთიერთობები უზუფრუქტის შეწყვეტისას

(1) თუ მიწის ნაკვეთის უზუფრუქტუარმა გააქირავა ან იჯარით გასცა მიწის ნაკვეთი იმ ვადით, რომელიც აღემატება უზუფრუქტის ვადას, მაშინ უზუფრუქტის შეწყვეტის შემდეგ, შესაბამისად, გამოიყენება გაქირავებული საცხოვრებელი ფართის გასხვისების შემთხვევაში მოქმედი §§ 566-ის, 566ა-ს, 566ბ-ს პირველი ნაწილისა და §§ 566გ-566ე-ს ნორმები.

(2) მესაკუთრე უფლებამოსილია, შეწყვიტოს ქირავნობის ან იჯარის ურთიერთობა ხელშეკრულების შეწყვეტის კანონისმიერი ვადის დაცვით. ²თუ უზუფრუქტუარი უარს ამბობს უზუფრუქტზე, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც უზუფრუქტი უზუფრუქტუარის უარის გარეშეც გაუქმდებოდა.

(3) ¹დამქირავებელი ან მოიჯარე უფლებამოსილია, განცხადების წარდგენისათვის სათანადო ვადის განსაზღვრით მესაკუთრეს მოსთხოვოს განცხადების გაკეთება იმის შესახებ, ისარგებლებს თუ არა ეს უკანასკნელი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებით. ²ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ვადის გასვლამდე.

§ 1057. ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა

¹ნივთის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, ასევე ხარჯების ანაზღაურებისა თუ მოწყობილობის თან წაღების

ნებართვის მიცემაზე მესაკუთრის მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში. ²შესაბამისად, გამოიყენება § 548-ის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების, მე-2 ნაწილის ნორმები.

§ 1058. უფლების დამდგენი როგორც მესაკუთრე

უზუფრუქტუარსა და მესაკუთრეს შორის ურთიერთობაში უზუფრუქტუარის სასარგებლოდ უფლების დამდგენი მიიჩნევა მესაკუთრედ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უზუფრუქტუარმა იცის, რომ უფლების დამდგენი არ არის მესაკუთრე.

§ 1059. უზუფრუქტის გადაცემის დაუშვებლობა; გამოყენების გადაცემა

¹უზუფრუქტი არ ექვემდებარება გადაცემას. ²უზუფრუქტის გამოყენება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს.

§ 1059ა. უზუფრუქტის გადაცემის შესაძლებლობა იურიდიული პირის ან უფლებათუნარიანობის მქონე ამხანაგობის შემთხვევაში

(1) თუ უზუფრუქტი ეკუთვნის იურიდიულ პირს, მაშინ იგი ექვემდებარება გადაცემას ქვემოთ მოცემული ნორმების მიხედვით:

1. თუ იურიდიული პირის ქონება სხვა პირს გადაეცემა უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით, მაშინ სამართალმემკვიდრეზე გადადის ასევე უზუფრუქტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაცემა პირდაპირ არის გამორიცხული.
2. ¹თუ სხვა პირს გადაეცემა იურიდიული პირის მფლობელობაში არსებული საწარმო ან ასეთი საწარმოს ნაწილი, მაშინ მესაკუთრეზე გადადის ასევე უზუფრუქტიც, რამდენადაც იგი ვარგისია საწარმოს ან მისი ნაწილის მიზნებისათვის. ²სახეზეა თუ არა ეს წინაპირობები, დგინდება ფედერაციული მხარის კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების განმარტებით. ³განმარტება ავალდებულებს სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს. ⁴ფედერაციული მხარის მთავრობები კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოებს ადგენენ სახელისუფლო განკარგულებით. ⁵ფედერაციული მხარის მთავრობებს შეუძლიათ, სახელისუფლო განკარგულებით ეს უფლებამოსილება გადასცენ ფედერაციული მხარის იუსტიციის ორგანოებს.

(2) იურიდიულ პირს უთანაბრდება უფლებათუნარიანობის მქონე ამხანაგობა.

§ 1059ბ. უზუფრუქტის დაგირავების დაუშვებლობა

§ 1059ა-ს ნორმის საფუძველზე უზუფრუქტის დაყადაღება, დაგირავება ან უზუფრუქტით დატვირთვა დაუშვებელია.

§ 1059გ. უზუფრუქტის გადასვლა ან გადაცემა

(1) ¹უზუფრუქტის გადასვლის ან გადაცემის შემთხვევაში, შემძენი თავდაპირველი უფლებამოსილი პირის ნაცვლად შემოდის მესაკუთრის მიმართ არსებულ უზუფრუქტთან დაკავშირებულ უფლებებსა და ვალდებულებებში. ²თუ ამ უფლებებისა და ვალდებულებების მიმართ მესაკუთრესა და უფლებამოსილ პირს შორის დაიდო შეთანხმებები, მაშინ ისინი მოქმედებენ ასევე შემძენის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

(2) უზუფრუქტის გადასვლით ან გადაცემით ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა არც მესაკუთრისათვის და არც სხვა სანივთო უფლებების მქონე პირებისათვის.

§ 1059დ. ქირავნობისა და იჯარის ურთიერთობები უზუფრუქტის გადაცემისას

თუ უფლებამოსილმა პირმა უზუფრუქტით დატვირთული მიწის ნაკვეთი გააქირავა ან იჯარით გასცა იმ ვადით, რომელიც აღემატება უზუფრუქტის ვადას,

მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება გაქირავებული საცხოვრებელი ფართის გასხვი-სების შემთხვევაში მოქმედი §§ 566-566ე-ს, 567ა-სა და 567ბ-ს ნორმები.

§ 1059ე. უზუფრუქტის უფლების მინიჭების მოთხოვნის უფლება

თუ უზუფრუქტის უფლების მინიჭების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის იური-დიულ პირს ან უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას, მაშინ, შესაბამისად, მოქ-მედებს §§ 1059ა-1059დ-ს ნორმები.

§ 1060. სარგებლობის რამდენიმე უფლების თანხვედრა

თუ ხდება უზუფრუქტის სხვა უზუფრუქტთან ან ნივთზე არსებულ სარგებ-ლობის სხვა უფლებასთან იმგვარად თანხვედრა, რომ უფლებები ერთდროულად ვერ განხორციელდება, ან სრულად ვერ განხორციელდება და მათ თანაბარი რიგი აქვთ, მაშინ გამოიყენება § 1024-ის ნორმა.

§ 1061. უზუფრუქტუარის გარდაცვალება

¹უზუფრუქტი უქმდება უზუფრუქტუარის გარდაცვალებით. ²თუ უზუფრუქტი ეკუთვნის იურიდიულ პირს ან უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას, მაშინ უზუფრუქტი უქმდება ამ უკანასკნელის გაუქმებით.

§ 1062. გაუქმების გავრცელება საკუთვნებელზე

თუ მიწის ნაკვეთზე დადგენილი უზუფრუქტი გარიგებით გაუქმდა, მაშინ საეჭ-ვობისას უზუფრუქტის გაუქმება ვრცელდება საკუთვნებელზე არსებულ უზუფ-რუქტზე.

§ 1063. საკუთრების უფლებასთან თანხვედრა

(1) მოძრავ ნივთზე დადგენილი უზუფრუქტი უქმდება, თუ იგი საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება.

(2) უზუფრუქტი არ ითვლება გაუქმებულად, თუ მესაკუთრეს აქვს უზუფრუქ-ტის არსებობის

გაგრძელების გამართლებული ინტერესი.

§ 1064. მოძრავ ნივთზე დადგენილი უზუფრუქტის გაუქმება

მოძრავ ნივთზე დადგენილი უზუფრუქტის გარიგებით გაუქმებისათვის საკმა-რისია მესაკუთრის ან უზუფრუქტის დამდგენის წინაშე უზუფრუქტუარის განც-ხადება უზუფრუქტის გაუქმების თაობაზე.

§ 1065. უზუფრუქტის უფლების დარღვევა

თუ უზუფრუქტის უფლება დაირღვევა, მაშინ უზუფრუქტუარის მოთხოვნის უფლებების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება საკუთრების უფლებიდან გამომ-დინარე მოთხოვნის უფლებების მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 1066. უზუფრუქტი თანამესაკუთრის წილზე

(1) თუ უზუფრუქტი არსებობს თანამესაკუთრის წილზე, მაშინ უზუფრუქტუარი ახორციელებს იმ უფლებებს, რომლებიც წარმოიშობა თანამესაკუთრეთა საზიარო უფლებიდან ნივთის მართვასა და მისი სარგებლობის ხასიათთან დაკავშირებით.

(2) საზიარო უფლების გაუქმება შეიძლება თანამესაკუთრისა და უზუფრუქტუ-არის მიერ მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ერთობლივად.

(3) თუ საზიარო უფლება უქმდება, მაშინ უზუფრუქტუარს ეკუთვნის უზუფ-რუქტი იმ საგნებზე, რომლებიც იკავებს წილის ადგილს.

§ 1067. უზუფრუქტი მოხმარებად ნივთებზე

(1) ¹თუ უზუფრუქტის საგანია მოხმარებადი ნივთები, მაშინ უზუფრუქტუარი ხდება ნივთის მესაკუთრე; უზუფრუქტის შეწყვეტის შემდეგ მან უზუფრუქტის დამდგენს უნდა აუნაზღაუროს ის ღირებულება, რომელიც ნივთებს ჰქონდა უზუფრუქტის დადგენის მომენტში. ²როგორც უზუფრუქტის დამდგენს, ისე უზუფრუქტუარს ღირებულების დადგენა შეუძლიათ საკუთარი ხარჯით ექსპერტის მეშვეობით.

(2) უზუფრუქტის დამდგენს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა, თუ საფრთხე ექმნება ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ქვეკარი 2. უზუფრუქტი უფლებებზე

§ 1068. უფლებებზე უზუფრუქტის კანონისმიერი შინაარსი

(1) უზუფრუქტის საგანი შეიძლება იყოს, აგრეთვე, უფლება.

(2) უფლებებზე უზუფრუქტის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება ნივთებზე დადგენილი უზუფრუქტის მიმართ მოქმედი ნორმები, თუ §§ 1069-1084-იდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 1069. უფლების დადგენა

(1) უფლებაზე უზუფრუქტის დადგენა ხორციელდება უფლების გადაცემის მიმართ მოქმედი ნორმების მიხედვით.

(2) დაუშვებელია უზუფრუქტის დადგენა იმ უფლებაზე, რომელიც არ ექვემდებარება გადაცემას.

§ 1070. უზუფრუქტი ვალდებულების შესრულების უფლებაზე

(1) თუ უზუფრუქტის საგანია უფლება, რომლის ძალითაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ვალდებულების შესრულება, მაშინ უზუფრუქტუარსა და ვალდებულ პირს შორის ურთიერთობის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება ნორმები, რომლებიც უფლების გადაცემის შემთხვევაში მოქმედებს მესაკუთრესა და ვალდებულ პირს შორის ურთიერთობის მიმართ.

(2) ¹თუ უზუფრუქტის გამოყენება, § 1052-ის თანახმად, გადაეცემა მმართველს, მაშინ გადაცემა ვალდებული პირის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც იგი შეიტყობს მიღებული სასამართლოს განკარგულების შესახებ, ან, როდესაც მას ჩაბარდება სასამართლოს განკარგულების შესახებ შეტყობინება. ²ანალოგიური წესი მოქმედებს მართვის გაუქმების მიმართ.

§ 1071. დატვირთული უფლების გაუქმება ან შეცვლა

(1) ¹უზუფრუქტით დატვირთული უფლება შეიძლება გარიგებით გაუქმდეს მხოლოდ უზუფრუქტუარის თანხმობით. ²თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი მიეცემა; მისი გამოთხოვა დაუშვებელია. ³§ 876-ის მე-3 წინადადება უცვლელი რჩება.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს უფლების შეცვლის შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც იგი არღვევს უზუფრუქტის უფლებას.

§ 1072. უზუფრუქტის შეწყვეტა

უზუფრუქტი წყდება §§ 1063, 1064-ის ნორმების მიხედვით, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ უზუფრუქტით დატვირთული უფლება არ არის მოძრავ ნივთზე უფლება.

§ 1073. უზუფრუქტი სამისდღეშო რჩენაზე

სამისდღეშო რჩენის, ოჯახიდან გასვლის სარჩოს ან მსგავსი უფლებების უზუფრუქტუარს ეკუთვნის ცალკეული შესრულებები, რომლებიც შეიძლება უფლების საფუძველზე იქნეს მოთხოვნილი.

§ 1074. უზუფრუქტი მოთხოვნაზე; ხელშეკრულების შეწყვეტა და მოთხოვნის რეალიზაცია

¹მოთხოვნის უზუფრუქტუარი უფლებამოსილია მოთხოვნის რეალიზაციაზე, ხოლო თუ ვალდებულების შესრულების ვადის დადგომა დამოკიდებულია კრედიტორის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტაზე, – ხელშეკრულების შეწყვეტაზე. ²იგი ვალდებულია, განახორციელოს მოთხოვნის რეალიზაცია სათანადო წესით. ³ის არ არის უფლებამოსილი მოთხოვნის სხვაგვარად განკარგვაზე.

§ 1075. ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგი

(1) მოვალის მიერ უზუფრუქტუარის მიმართ ვალდებულების შესრულებით კრედიტორი იძენს შესრულების საგანს, ხოლო უზუფრუქტუარი – უზუფრუქტს ამ საგანზე.

(2) თუ ხდება მოხმარებადი ნივთების გადაცემა, მაშინ უზუფრუქტუარი იძენს საკუთრების უფლებას; შესაბამისად გამოიყენება § 1067-ის ნორმა.

§ 1076. უზუფრუქტი მოთხოვნაზე, რომელსაც ერიცხება პროცენტი

თუ უზუფრუქტის საგანი არის შესასრულებელი მოთხოვნა, რომელსაც ერიცხება პროცენტი, მაშინ მოქმედებს §§ 1077-1079-ის ნორმები.

§ 1077. ხელშეკრულების შეწყვეტა და გადახდა

(1) ¹მოვალეს შეუძლია ძირითადი თანხის გადახდა უზუფრუქტუარისა და კრედიტორის მიმართ მხოლოდ ერთობლივად. ²ნებისმიერი ამ უკანასკნელთაგანი უფლებამოსილია მოითხოვოს, რომ მათ მიმართ გადახდები განხორციელდეს ერთობლივად; ნებისმიერს შეუძლია, გადახდის ნაცვლად მოითხოვოს ორივეს სასარგებლოდ თანხის დეპოზიტზე შეტანა.

(2) ¹უზუფრუქტუარსა და კრედიტორს შეუძლიათ ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ ერთობლივად. ²მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განცხადებული იქნება უზუფრუქტუარისა და კრედიტორის მიმართ.

§ 1078. ხელშეწყობა მოთხოვნის რეალიზაციაში

¹თუ დგება მოთხოვნის შესრულების ვადა, მაშინ უზუფრუქტუარი და კრედიტორი ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ ერთმანეთს მოთხოვნის რეალიზაციისას. ²თუ მოთხოვნის შესრულების ვადა დამოკიდებულია ხელშეკრულების შეწყვეტაზე, და თუ მოთხოვნის რეალიზაცია ქონების სათანადო მართვის წესების თანახმად აკრძალულია მისი შეუსრულებლობის რისკის გამო, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარისაგან ხელშეწყობა ხელშეკრულების შეწყვეტისას.

§ 1079. თანხების განთავსება

¹უზუფრუქტუარი და კრედიტორი ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ ერთმანეთს იმაში, რომ ამოღებული თანხები განთავსდეს პროცენტის დარიცხვის პირობით სამეურვეო პირის კაპიტალის განთავსების მიმართ მოქმედი წესების თანახმად და ერთდროულად უზუფრუქტუარისათვის დადგენილ იქნეს უზუფრუქტი. ²თანხების განთავსების ხერხს განსაზღვრავს უზუფრუქტუარი.

§ 1080. უზუფრუქტი მიწის ან სარენტო ვალზე

მოთხოვნაზე უზუფრუქტის მომწესრიგებელი ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, მიწის და სარენტო ვალზე უზუფრუქტის მიმართ.

§ 1081. უზუფრუქტი საწარმდგენლო ან საორდერო ფასიან ქალაქებზე

(1) ¹თუ უზუფრუქტის საგანია საწარმდგენლო ფასიანი ქალაქი ან საორდერო ფასიანი ქალაქი საბლანკო ინდოსამენტიტ, მაშინ უზუფრუქტუარსა და მესაკუთრეს ერთობლივად ეკუთვნით ფასიანი ქალაქის მფლობელობა და ფასიანი ქალაქს მიკუთვნებული განახლებული კუპონი. ²პროცენტული, სარენტო ან დივიდენდების კუპონების მფლობელობა ეკუთვნის უზუფრუქტუარს.

(2) ფასიანი ქალაქის გადაცემის ნაცვლად უზუფრუქტის დადგენისათვის საკმარისია თანამფლობელობის მინიჭება.

§ 1082. დეპონირება

¹უზუფრუქტუარისა თუ მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე ფასიანი ქალაქი განახლებულ კუპონთან ერთად შენახულ უნდა იქნეს შემნახველ დაწესებულებაში იმ პირობით, რომ მისი უკან დაბრუნება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უზუფრუქტუარისა და მესაკუთრის მიერ მხოლოდ ერთობლივად. ²უზუფრუქტუარს შეუძლია ასევე მოითხოვოს დეპონირება გერმანიის ფედერალურ ბანკში, გერმანიის ცენტრალურ კოოპერაციულ სალაროში ან გერმანიის საანგარიშსწორებო პალატაში (გერმანიის კომუნალურ ბანკში).

§ 1083. ხელშეწყობა მოთხოვნის რეალიზაციაში

(1) ფასიანი ქალაქის უზუფრუქტუარი და მესაკუთრე ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ ერთმანეთს ვადამოსული თანხების რეალიზაციაში, ახალი პროცენტული, სარენტო ან დივიდენდების კუპონების შექმნაში, ისევე როგორც სხვა ღონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც საჭიროა ქონების სათანადო მართვისათვის.

(2) ¹ფასიანი ქალაქის განაღდების შემთხვევაში გამოიყენება § 1079-ის ნორმები. ²განაღდებისას გადახდილი პრემია ითვლება კაპიტალის ნაწილად.

§ 1084. მოხმარებადი ნივთები

თუ საწარმდგენლო ფასიანი ქალაქი ან საორდერო ფასიანი ქალაქი საბლანკო ინდოსამენტიტ, § 92-ის თანახმად, განეკუთვნება მოხმარებად ნივთებს, მაშინ გამოიყენება § 1067-ის ნორმები.

ქვეკარი 3. უზუფრუქტი ქონებაზე

§ 1085. უზუფრუქტის დადგენა ქონებაზე

¹უზუფრუქტი პირის ქონებაზე შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ იმგვარად, რომ უზუფრუქტუარი იქნეს უზუფრუქტის ქონებაში შემავალ ცალკეულ საგანზე. ²რამდენადაც უზუფრუქტი დადგენილია, მოქმედებს §§ 1086-1088-ის ნორმები.

§ 1086. უზუფრუქტის დამდგენის კრედიტორთა უფლებები

¹უზუფრუქტის დამდგენთა კრედიტორებს შეუძლიათ, – რამდენადაც მათი მოთხოვნები წარმოიშვა უზუფრუქტის დადგენამდე, – მოითხოვონ მოთხოვნების დაკმაყოფილება უზუფრუქტით დატვირთული საგნებიდან, უზუფრუქტის მიუხედავად. ²თუ უზუფრუქტუარმა შეიძინა საკუთრების უფლება მოხმარებად ნივთებზე, მაშინ ნივთების ადგილს იკავებს უზუფრუქტის დამდგენის მოთხოვნის უფლე-

ბა ღირებულების ანაზღაურებაზე; უზუფრუქტუარი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს კრედიტორებს ნივთების ღირებულება.

§ 1087. ურთიერთობა უზუფრუქტუარსა და უზუფრუქტის დამდგენს შორის

(1) ¹თუ დადგა უზუფრუქტის დადგენამდე წარმოშობილი მოთხოვნის შესრულების ვადა, უზუფრუქტის დამდგენს შეუძლია, უზუფრუქტუარისაგან მოითხოვოს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საჭირო საგნების დაბრუნება. ²არჩევანის უფლება ეკუთვნის მას; თუმცა, უზუფრუქტის დამდგენს შეუძლია აირჩიოს მხოლოდ უპირატესად ამ მიზნისათვის გამოსადეგი საგნები. ³იმდენად, რამდენადაც დაბრუნებული საგნები საკმარისია, უზუფრუქტის დამდგენი ვალდებულია უზუფრუქტუარის წინაშე, დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა.

(2) ¹უზუფრუქტუარს შეუძლია შეასრულოს ვალდებულება ნაკისრი ვალდებულების საგნის გადაცემით. ²თუ ნაკისრი ვალდებულების საგანი არ მიეკუთვნება იმ ქონებას, რომელზეც არსებობს უზუფრუქტი, და თუ უზუფრუქტის დამდგენის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების ლოდინი რისკის გარეშე შეუძლებელია, მაშინ უზუფრუქტუარი უფლებამოსილია, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით გაასხვისოს ქონებაში შემავალი საგნები. ³მას შეუძლია აირჩიოს მხოლოდ უპირატესად ამ მიზნისათვის გამოსადეგი საგნები. ⁴თუ იგი ვალდებულია მოხმარებადი ნივთების ღირებულების ანაზღაურებაზე, მას გასხვისების უფლება არა აქვს.

§ 1088. უზუფრუქტუარის პასუხისმგებლობა

(1) ¹უზუფრუქტის დამდგენის კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნებს უკვე უზუფრუქტის დამდგენის მომენტისათვის ერიცხებოდა პროცენტი, უზუფრუქტის ვადის განმავლობაში შეუძლიათ უზუფრუქტუარისაგან ასევე მოითხოვონ პროცენტების გადახდა. ²ანალოგიური წესი მოქმედებს სხვა პერიოდული გადახდების მიმართ, რომლებიც სათანადო მართვის შემთხვევაში ხორციელდება ქონების შემოსავლებიდან, თუ მოთხოვნა წარმოიშვა უზუფრუქტის დადგენამდე.

(2) უზუფრუქტუარის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს მასა და უზუფრუქტის დამდგენს შორის შეთანხმებით.

(3) ¹უზუფრუქტუარი ვალდებულია უზუფრუქტის დამდგენის წინაშე, დააკმაყოფილოს კრედიტორების პირველ ნაწილში მითითებული მოთხოვნის უფლებები. ²უზუფრუქტის დამდგენს შეუძლია მოითხოვოს, მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, საგნების დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზუფრუქტუარი აცილებს აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადას.

§ 1089. უზუფრუქტი სამკვიდროზე

§§ 1085-1088-ის ნორმები, შესაბამისად, გამოიყენება სამკვიდროზე დადგენილი უზუფრუქტის მიმართ.

კარი 3. შეზღუდული პირადი სერვიტუტი

§ 1090. შეზღუდული პირადი სერვიტუტის კანონისმიერი შინაარსი

(1) მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ პირი, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, უფლებამოსილია, ცალკეულ შემთხვევებში გარკვეულწილად ისარგებლოს ამ მიწის ნაკვეთით, ან მას ეკუთვნის სხვა უფლებამოსილება, რომელსაც შეუძლია შეადგინოს მიწის ნაკვეთზე დადგენილი სერვიტუტის შინაარსი (შეზღუდული პირადი სერვიტუტი).

(2) შესაბამისად, გამოიყენება §§ 1020-1024-ის, 1026-1029-ის, 1061-ის ნორმები.

§ 1091. მოცულობა

საეჭვოობისას შეზღუდული პირადი სერვიტუტის მოცულობა განისაზღვრება უფლებამოსილი პირის პირადი საჭიროების მიხედვით.

§ 1092. გადაცემის დაუშვებლობა; გამოყენების გადაცემა

(1) ¹შეზღუდული პირადი სერვიტუტი არ ექვემდებარება გადაცემას. ²სერვიტუტის გამოყენება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა ნებადართულია.

(2) თუ შეზღუდული პირადი სერვიტუტი ან შეზღუდული პირადი სერვიტუტის მინიჭების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის იურიდიულ პირს ან უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას, მაშინ, შესაბამისად, მოქმედებს §§ 1059ა-1059დ-ს ნორმები.

(3) ¹შეზღუდული პირადი სერვიტუტი ექვემდებარება გადაცემას, თუ იგი ეკუთვნის იურიდიულ პირს ან უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას და იძლევა უფლებამოსილებას, მიწის ნაკვეთი გამოყენებულ იქნეს ელექტროენერჯის, გაზის, ცენტრალური გათბობის, წყლის, კანალიზაციის, ნავთობისა თუ ნედლი მასალების გადაცემის მოწყობილობებისათვის, ყველა იმ დამხმარე მოწყობილობის ჩათვლით, რომლებიც უშუალოდ გათვალისწინებულია გადასაცემად, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებისათვის, ერთი ან რამდენიმე კერძო ან საჯარო საწარმოს საწარმოო დანაყოფებს შორის პროდუქციის ტრანსპორტირებისას გამოყენებული მოწყობილობებისათვის ან ტრამვაისა თუ რკინიგზის მოწყობილობებისათვის. ²გადაცემა არ მოიცავს სერვიტუტის დაყოფის უფლებას მისი უფლებამოსილებების მიხედვით. ³თუ ასეთი შეზღუდული პირადი სერვიტუტის მინიჭების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის პირველ წინადადებაში მითითებულ ერთ-ერთ პირს, მაშინ მოთხოვნის უფლება ექვემდებარება გადაცემას. ⁴შესაბამისად, მოქმედებს §§ 1059ბ-1059დ-ს ნორმები.

§ 1093. ცხოვრების უფლება

(1) ¹შეზღუდული პირადი სერვიტუტის სახით შეიძლება დადგენილ იქნეს ასევე შენობა-ნაგებობის ან შენობა-ნაგებობის ნაწილის საცხოვრებლად გამოყენების უფლება მესაკუთრის გამორიცხვით. ²ამ უფლების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება უზუფრუქტის მიმართ მოქმედი §§ 1031, 1034, 1036, § 1037-ის პირველი ნაწილისა და §§ 1041, 1042, 1044, 1049, 1050, 1057, 1062-ის ნორმები.

(2) უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია, საცხოვრებელ ბინაში მოიყვანოს თავისი ოჯახი და ასევე ის პირები, რომლებიც აუცილებლად საჭირონი არიან მისი მდგომარეობის შესაბამისი მომსახურებისა და მოვლისათვის.

(3) თუ უფლება შემოიფარგლება შენობა-ნაგებობის ნაწილით, მაშინ უფლებამოსილ პირს შეუძლია ისარგებლოს იმ ნაგებობებითა და მოწყობილობებით, რომლებიც განკუთვნილია მაცხოვრებლების ერთობლივი სარგებლობისათვის.

ნაწილი 5. უპირატესი შესყიდვის უფლება

§ 1094. უპირატესი შესყიდვის სანივთო უფლების კანონისმიერი შინაარსი

(1) მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, მესაკუთრის მიმართ უფლებამოსილი იყოს უპირატეს შესყიდვაზე.

(2) უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება დადგენილ იქნეს, აგრეთვე, სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ.

§ 1095. ნაწილის დატვირთვა

მიწის ნაკვეთის ნაწილი შეიძლება დაიტვირთოს უპირატესი შესყიდვის უფლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეადგენს თანამესაკუთრის წილს.

§ 1096. გავრცელება საკუთვნიებელზე

¹უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გავრცელდეს საკუთვნიებელზე, რომელიც იყიდება მიწის ნაკვეთთან ერთად. ²საექვრობისას ივარაუდება, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება უნდა გავრცელდეს ასეთ საკუთვნიებელზე.

§ 1097. უფლების დადგენა ერთი ან რამდენიმე გაყიდვის შემთხვევისათვის

უპირატესი შესყიდვის უფლება შემოიფარგლება იმ მესაკუთრის ან მისი მემკვიდრეების მიერ გაყიდვის შემთხვევით, რომელსაც მიწის ნაკვეთი ეკუთვნის უფლების დადგენის მომენტისათვის, თუმცა, იგი შეიძლება დადგენილ იქნეს, აგრეთვე, გაყიდვის რამდენიმე ან ყველა შემთხვევისათვის.

§ 1098. უპირატესი შესყიდვის უფლების მოქმედება

(1) ¹სამართლებრივი ურთიერთობა უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის განისაზღვრება §§ 463-473-ის ნორმების მიხედვით. ²უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ მიწის ნაკვეთი იყიდება გაკოტრების მმართველის მიერ საკუთარი შეხედულებით.

(2) მესამე პირის მიმართ უპირატესი შესყიდვის უფლებას აქვს წინასწარი ჩანაწერის სამართლებრივი ძალა უფლების გამოყენების შედეგად წარმოშობილი საკუთრების უფლების გადაცემაზე მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად.

(3) თუ § 1094-ის პირველი ნაწილის თანახმად, დადგენილი უპირატესი შესყიდვის უფლება ეკუთვნის იურიდიულ პირს ან უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაცემის შესაძლებლობა არ არის შეთანხმებული, უფლების გადაცემის მიმართ, შესაბამისად, მოქმედებს §§ 1059ა-1059დ-ს ნორმები.

§ 1099. შეტყობინებები

(1) თუ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას იძენს მესამე პირი, მაშინ ამ უკანასკნელს, მსგავსად ვალდებული პირისა, შეუძლია შეატყობინოს უფლებამოსილ პირს ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსი § 469-ის მე-2 ნაწილის სამართლებრივი შედეგით.

(2) ვალდებულმა პირმა უნდა შეატყობინოს ახალ მესაკუთრეს მაშინვე, როგორც კი ხდება ან გამოირიცხება უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაცია.

§ 1100. მყიდველის უფლებები

¹თუ ახალი მესაკუთრე არის მყიდველი ან მყიდველის სამართალმემკვიდრე, მას შეუძლია, უარი თქვას მესაკუთრის სახით უფლებამოსილი პირის რეგისტრაციაზე თანხმობის მიცემასა და მიწის ნაკვეთის გადაცემაზე მანამდე, სანამ მას არ აუნაზღაურდება ვალდებულ პირსა და მყიდველს შორის შეთანხმებული ნასყიდობის ფასი, თუ ეს უკანასკნელი გადახდილია. ²თუ უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ტარდება როგორც მესაკუთრე, მაშინ თავდაპირველ მესაკუთრეს შეუძლია მისგან მოითხოვოს გადახდილი ნასყიდობის ფასის ანაზღაურება, ნაცვლად მიწის ნაკვეთის გადაცემისა.

§ 1101. უფლებამოსილი პირის გათავისუფლება

თუ უფლებამოსილმა პირმა მყიდველს ან მყიდველის სამართალმემკვიდრეს, § 1100-ის თანახმად, უნდა აუნაზღაუროს ნასყიდობის ფასი, მაშინ იგი თავისუფლ-

დება უპირატესი შესყიდვის უფლებიდან გამომდინარე ნასყიდობის ფასის გადახდის ვალდებულებისაგან.

§ 1102. მყიდველის გათავისუფლება

თუ მყიდველი მყიდველის უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციის შედეგად კარგავს საკუთრების უფლებას, იგი თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან, თუკი მის მიერ ნაკისრი ნასყიდობის ფასი ჯერ კიდევ არ არის გადახდილი; მას არ შეუძლია მოითხოვოს გადახდილი ნასყიდობის ფასის თანხის უკან დაბრუნება.

§ 1103. სანივთო- და ვალდებულებით-სამართლებრივი უპირატესი შესყიდვის უფლება

(1) მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ არსებული უპირატესი შესყიდვის უფლება არ შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისაგან.

(2) განსაზღვრული პირის სასარგებლოდ არსებული უპირატესი შესყიდვის უფლება არ შეიძლება იყოს დაკავშირებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან.

§ 1104. უცნობი უფლებამოსილი პირის გამორიცხვა

(1) ¹თუ უფლებამოსილი პირი უცნობია და სახეზეა, § 1170-ის თანახმად, იპოთეკური კრედიტორის გამორიცხვის მიმართ დადგენილი წინაპირობები, მაშინ იგი თავისი უფლებით შეიძლება გამოირიცხოს გამონწვევითი წარმოების წესების მიხედვით. ²გამონწვევითი წარმოების საქმეზე მიღებული განჩინების მიღებისთანავე უქმდება უპირატესი შესყიდვის უფლება.

(2) იმ უპირატესი შესყიდვის უფლების მიმართ, რომელიც არსებობს მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ, ეს ნორმები არ გამოიყენება.

ნაწილი 6. სანივთო ტვირთი

§ 1105. სანივთო ტვირთის კანონისმიერი შინაარსი

(1) ¹მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ იმ პირის მიმართ, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, უნდა განხორციელდეს მიწის ნაკვეთიდან პერიოდული გადახდები (სანივთო ტვირთი). ²სანივთო ტვირთის შინაარსის სახით შეიძლება ასევე შეთანხმებულ იქნეს ის, რომ განსახორციელებელი გადახდები მიესადაგებოდეს შეცვლილ ურთიერთობებს, დამატებითი შეთანხმებების გარეშე, თუ მიწის ნაკვეთის დატვირთვის სახე და მოცულობა შეიძლება განისაზღვროს შეთანხმებაში გათვალისწინებული წინაპირობების მეშვეობით.

(2) სანივთო ტვირთი შეიძლება ასევე დადგენილ იქნეს სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ.

§ 1106. ნაწილის დატვირთვა

მიწის ნაკვეთის ნაწილი შეიძლება დაიტვირთოს სანივთო ტვირთით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეადგენს თანამესაკუთრის წილს.

§ 1107. ცალკეული შესრულებები

ცალკეული გადახდებისთვის, შესაბამისად, გამოიყენება იპოთეკური მოთხოვნის პროცენტების მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 1108. მესაკუთრის პერსონალური პასუხისმგებლობა

- (1) მესაკუთრე მისი საკუთრების უფლების პერიოდში ვადამოსული გადახდებისათვის ასევე პირადად აგებს პასუხს, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი.
- (2) თუ მიწის ნაკვეთი იყოფა, მაშინ ცალკეული ნაწილების მესაკუთრეები პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 1109. გაბატონებული მიწის ნაკვეთის გაყოფა

- (1) ¹თუ იყოფა გაბატონებული მიწის ნაკვეთი, მაშინ სანივთო ტვირთი გრძელდება ცალკეულ ნაწილებზე; თუ გადახდები დაყოფადია, მაშინ მესაკუთრეთა წილები განისაზღვრება წილების სიდიდის პროპორციულად; თუ ისინი დაყოფადი არ არის, მაშინ გამოიყენება § 432-ის ნორმები. ²საექვობისას უფლების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმგვარად, რომ ის დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის უფრო გართულებული არ იქნება.
- (2) ¹უფლებამოსილ პირს შეუძლია დაადგინოს, დაკავშირებულია თუ არა უფლება მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილთან. ²განსაზღვრა უნდა განხორციელდეს საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე და იგი ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას; შესაბამისად, გამოიყენება §§ 876, 878-ის ნორმები. ³თუ უფლებამოსილი პირი გაასხვისებს მიწის ნაკვეთის ნაწილს ასეთი დადგენის გარეშე, მაშინ უფლება რჩება დაკავშირებული იმ ნაწილთან, რომელსაც ეს პირი ინარჩუნებს.
- (3) თუ სანივთო ტვირთი ანიჭებს უპირატესობას მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილს, მაშინ იგი რჩება დაკავშირებული მხოლოდ ამ ნაწილთან.

§ 1110. სანივთოსამართლებრივი სანივთო ტვირთი

მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ არსებული სანივთო ტვირთი არ შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისაგან.

§ 1111. ვალდებულებით-სამართლებრივი სანივთო ტვირთი

- (1) განსაზღვრული პირის სასარგებლოდ არსებული სანივთო ტვირთი არ შეიძლება იყოს დაკავშირებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან.
- (2) თუ ცალკეულ შესრულებაზე მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება გადაცემას, მაშინ უფლების გასხვისება ან დატვირთვა დაუშვებელია.

§ 1112. უცნობი უფლებამოსილი პირის გამორიცხვა

თუ უფლებამოსილი პირი უცნობია, მაშინ მისი უფლების გამორიცხვის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება § 1104-ის ნორმები.

ნაწილი 7. იპოთეკა, მიწის ვალი, სარენტო ვალი

§ 1113-ის შესავალი

სანივთო სამართლის მეშვიდე თავში მოწესრიგებული მიწის ნაკვეთზე დადგენილი უზრუნველყოფი უფლებები არის სანივთო რეალიზაციის უფლებები (გაბატონებული შეხედულება). ეს უფლებები, როგორც ასეთი, არ ადგენს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის გადახდის ვალდებულებას, თუმცა, მათ მფლობელებს იძულებითი აღსრულების პროცესში ანიჭებს უპირატესი დაკმაყოფილების შესაძლებლობას მიწის ნაკვეთიდან (შდრ. იძულებითი აუქციონის შესახებ კანონის § 10-ის პირველი ნაწილის №4, ისევე როგორც გაკოტრების კანონის § 49). აღნიშნულით აიხსნება მათი (სარენტო ვალის გამოკლებით) განსაკუთრებული მნიშვნელობა,

1

როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალები. ცალკეული მიწის ნაკვეთზე დადგენილი უზრუნველყოფი უფლების ეკონომიკური ღირებულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის მიერ საჯარო რეესტრში დაკავებულ რიგს (იხ. § 879-ის პირველი ველი).

კარი 1. იპოთეკა

§ 1113. იპოთეკის კანონისმიერი შინაარსი

(1) მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ იმ პირს, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, მიწის ნაკვეთიდან მიეცეს განსაზღვრული ფულადი თანხა კუთვნილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (იპოთეკა).

(2) იპოთეკა შეიძლება დადგენილ იქნეს ასევე მომავალი ან პირობითი მოთხოვნისათვის.

- 1 **1. მიზანი.** § 1113-ში განმარტებული იპოთეკა ემსახურება ფულადი ვალდებულების (მაგ., სესხიდან გამომდინარე, § 488-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება) სანივთო უზრუნველყოფას. ამ მოთხოვნისათვის კრედიტორს (იპოთეკარს) შეუძლია მოითხოვოს მიწის ნაკვეთიდან დაკმაყოფილება, რაც ხორციელდება, § 1147-ის შესაბამისად, იძულებითი აღსრულების პროცესში.
- 2 **2. სამართლებრივი ბუნება.** იპოთეკა არის **აქცესორული** სანივთო სარეალიზაციო უფლება, შესაბამისად, მისი წარმოშობა, არსებობა და რეალიზაცია, როგორც წესი, დამოკიდებულია უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე. ამით ის განსხვავდება მიწის ვალისაგან, რომელსაც სამართლებრივ ურთიერთობებში გაბატონებული მდგომარეობა უკავია და რომელსაც კანონი სავალდებულოდ არ აკავშირებს მოთხოვნასთან: ჩვეულებრივ, მსგავსი რედაქციის მქონე § 1191-ის პირველ ნაწილში აღარ გვხვდება სიტყვები: „კუთვნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის“.
- 3 **3. სახეები.** ა) განასხვავებენ **მარტივ იპოთეკას** (ასეთად კანონში არ არის დასახელებული) და § 1184-ის პირველ ნაწილში განმარტებულ **საგარანტიო იპოთეკას**. საგარანტიო იპოთეკა ქმნის გამონაკლისს (დასაბუთება, § 1184-ის მე-2 ნაწილი); იგი მკაცრად აქცესორულია იმ დროს, როდესაც § 1185-ის მე-2 ნაწილი გამორიცხავს აქცესორულობის შემასუსტებელ ყველა ნორმას და შესაბამისად, იგი, უპირველეს ყოვლისა, ვარგისია მოკლევადიანი კრედიტების უზრუნველსაყოფად; ბ) გარდა ამისა, § 1116-ის შესაბამისად, განასხვავებენ **საბარათე იპოთეკასა და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იპოთეკას** როგორც ორ ისეთ ფორმას, რომლებშიც შეიძლება დადგენილ იქნეს მარტივი იპოთეკა (საგარანტიო იპოთეკის შესახებ იხ. § 1185-ის პირველი ნაწილი). საეჭვოობისას წარმოიშობა საბარათე იპოთეკა (დასაბუთება, § 1116-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). მას აქვს უპირატესობა გამარტივებული ბრუნვაუნარიანობის მხრივ, ვინაიდან მისი გადაცემისათვის აუცილებელი არ არის საჯარო რეესტრში რეგისტრაცია (იხ. §§ 1153, 1154).
- 4 **4. პირველადი შექმნა.** ა) იპოთეკა, როგორც წესი, წარმოიშობა **გარიგების საფუძველზე**. უპირველეს ყოვლისა, სახეზე უნდა იყოს § 873-ის წინაპირობები: აა) სანივთო შეთანხმება § 1113-ის პირველი ნაწილის შინაარსით; ბბ) **რეგისტრაცია § 1115-ის გაგებით; გგ) შეთანხმებულად ყოფნა** რეგისტრაციის მომენტში; დდ) გარდა ამისა, § 1117-ის პირველი ნაწილის მიხედვით, საბარათე იპოთეკის დადგენის წინაპირობაა **იპოთეკის ბარათის გადაცემა**, როდესაც, შესაბამისად, გამოიყენება § 929 და შემდეგი პარაგრაფები (რა თქმა უნდა, § 952-ის მე-2 ნაწილის ნორმის გამო საქმე გვაქვს მხოლოდ მფლობელობის და არა საკუთრების უფლების გადაცემასთან). რეგისტრირებული იპოთეკისათვის ბარათის გადაცემა უნდა აღინიშნოს საჯარო რეესტრში (§ 1116-ის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადება); ეე) აქცესო-

რულობის საფუძველზე იპოთეკურ კრედიტორს უნდა ეკუთვნოდეს უზრუნველყოფილი (ფულადი) მოთხოვნა იმ დროს, როდესაც მოვალე შეიძლება არც იყოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე (§ 1113-ის პირველი ნაწილი საუბრობს მხოლოდ „კუთვნილ მოთხოვნაზე“). სამომავლო ან პირობითი მოთხოვნა შეიძლება, § 1113-ის მე-2 ნაწილის თანახმად, უზრუნველყოფილ იქნეს იპოთეკით, როდესაც მისი წარმოშობის სამართლებრივი საფუძველი უკვე უზრუნველყოფილია. მხედველობაშია მისაღები შემდეგი: თუ მოთხოვნა (ჯერ კიდევ) არ წარმოშობილა, ან შეწყდა, ანდა იპოთეკის ბარათის გადაცემა არ განხორციელებულა, მაშინ, § 1177-ის პირველი ნაწილის პირველ წინადადებასთან ერთად § 1163-ის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, წარმოიშობა მესაკუთრის მიწის ვალი (დეტალურად იხ. § 1163); ვვ) შემკვეთის უფლებამოსილება. ხარვეზიანი უფლებამოსილების შემთხვევაში, § 892-ის ნორმებით შეიძლება დაძლეულ იქნეს მხოლოდ უფლებამოსილების არქონა და არა მოთხოვნის არარსებობა (კეთილსინდისიერი მეორადი შეძენისათვის იხ. § 1138). ბ) იპოთეკა შეიძლება წარმოიშვას კანონის ძალით (§ 1287-ის მე-2 წინადადება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 848, II, 2: სუროგატი იპოთეკა), იძულებითი აღსრულების პროცესში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 866, 867: იძულებითი იპოთეკა; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 932: ყადაღა-იპოთეკა) ან სასამართლო განკარგულების შედეგად (იძულებითი აუქციონის შესახებ კანონის § 128). გ) შემკვეთის (გარიგების საფუძველზე) შესაძლო უფლებამოსილების არქონა შეიძლება დაძლეულ იქნეს §§ 185, 878, 892-ის ნორმებით¹⁴⁹.

5. უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობით იპოთეკის მეორადი შეძენისათვის §§ 1153, 1154.

§ 1114. ნაწილის დატვირთვა

გარდა „საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ“ კანონის § 3-ის მე-6 ნაწილში მითითებული შემთხვევებისა, მიწის ნაკვეთის ნაწილი შეიძლება დაიტვირთოს იპოთეკით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეადგენს თანამესაკუთრის წილს.

§ 1115. იპოთეკის რეგისტრაცია

(1) იპოთეკის რეგისტრაციისას საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს კრედიტორი, მოთხოვნის ფულადი გამოტახლება და, თუ მოთხოვნას ერიცხება პროცენტი, – საპროცენტო განაკვეთი, ასევე, თუ უნდა განხორციელდეს სხვა დამატებითი გადახდები, – მათი ფულადი გამოტახლება; დანარჩენ შემთხვევებში მოთხოვნის აღწერისთვის შეიძლება გაკეთდეს მითითება რეგისტრაციის განხორციელების თანხმობაზე.

(2) იმ საკრედიტო დაწესებულების სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკის რეგისტრაციისას, რომლის წესდება გამოქვეყნდა კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, წესდების შესაბამისად განსახორციელებელი დამატებითი გადახდების, პროცენტების გარდა, აღწერისათვის საკმარისია წესდებაზე მითითება.

§ 1116. საბარათე იპოთეკა და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკა

(1) იპოთეკაზე გაცემა იპოთეკის სერტიფიკატი.

(2) ¹სერტიფიკატის გაცემა შეიძლება გამოირიცხოს. ²გამორიცხვა შეიძლება მოხდეს შემდგომშიც. ³გამორიცხვისათვის საჭიროა კრედიტორსა და მესაკუთრეს შორის შეთანხმება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია; შესაბამისად, გამოიყენება § 873-ის მე-2 ნაწილისა და §§ 876, 878-ის ნორმები.

(3) სერტიფიკატის გაცემის გამორიცხვა შეიძლება გაუქმდეს; გაუქმება ხორციელდება იმავე წესით, როგორც გამორიცხვა.

149 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

§ 1117. საბარათე იპოთეკის შექმნა

(1) ¹კრედიტორი იძენს იპოთეკას მხოლოდ მისთვის მიწის ნაკვეთის მესაკუთრისაგან სერტიფიკატის გადაცემისთანავე, თუ იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამოირიცხული არ არის. ²გადაცემის მიმართ გამოიყენება § 929-ის მე-2 წინადადებისა და §§ 930, 931-ის ნორმები.

(2) სერტიფიკატის გადაცემა შეიძლება შეიცვალოს შეთანხმებით, რომლითაც კრედიტორი უფლებამოსილი იქნება საჯარო რეესტრის სამსახურისაგან სერტიფიკატის მიღებაზე.

(3) თუ კრედიტორი ფლობს სერტიფიკატს, მაშინ ივარაუდება, რომ გადაცემა განხორციელდა.

- 1 პრაქტიკაში ხშირად გამოყენებული გადაცემის სუროგატს წარმოადგენს დოკუმენტის გადაცემის შესახებ დათქმა, მე-2 ნაწილის ნორმის თანახმად. თუ სახეზეა ეს შეთანხმება (და არა, უბრალოდ, მესაკუთრის მხრიდან საჯარო რეესტრის სამსახურისათვის ცალმხრივი ინსტრუქციის მიცემა), მაშინ კრედიტორი იძენს იპოთეკას არსებული მოთხოვნის შემთხვევაში უკვე საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან; ეს დამოკიდებული აღარ არის საჯარო რეესტრის სამსახურის მიერ ბარათის მომზადებასა და მის გადაცემაზე (დეტალურად იხ. *Baur/Stürmer*, § 37, 33-ე და შემდეგი ველები).

§ 1118. პასუხისმგებლობა დამატებითი მოთხოვნებისათვის

იპოთეკის ძალით მიწის ნაკვეთიდან გადახდილ უნდა იქნეს, აგრეთვე, მოთხოვნის კანონისმიერი პროცენტები, ისევე როგორც ხელშეკრულების შეწყვეტისა და მიწის ნაკვეთიდან დაკმაყოფილების მიღების მიზნით სასამართლოში საქმისწარმოების ხარჯები.

§ 1119. პასუხისმგებლობის გაზრდა პროცენტებისათვის

(1) თუ მოთხოვნას არ ერიცხება პროცენტი ან საპროცენტო განაკვეთი ხუთ პროცენტზე ნაკლებია, მაშინ იპოთეკა თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლებამოსილ პირთა თანხმობის გარეშე შეიძლება გაიზარდოს იმგვარად, რომ პროცენტებისათვის მიწის ნაკვეთიდან დაკმაყოფილება მოხდეს ხუთ პროცენტამდე ოდენობით.

(2) გადახდის ვადის და ადგილის ცვლილებისათვის ამ უფლებამოსილი პირების თანხმობა ასევე სავალდებულო არ არის.

§ 1120. გავრცელება ნაყოფზე, შემადგენელ ნაწილებსა და საკუთვნიებელზე

იპოთეკა ვრცელდება მიწის ნაკვეთისაგან გამოცალკევებულ ნაყოფსა და სხვა შემადგენელ ნაწილებზე, თუ ისინი, §§ 954-957-ის თანახმად, გამოცალკევებისას არ გადავიდა იმ სხვა პირის საკუთრებაში, რომელიც არ არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მფლობელი თავისთვის; იპოთეკა ასევე ვრცელდება მიწის ნაკვეთის საკუთვნიებელზე, იმ ნაწილების გამოკლებით, რომლებიც არ გადავიდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთრებაში.

- 1 1. ე. წ. იპოთეკის უფლებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის კავშირის დადგენისას განასხვავებენ ორ საკითხს: ა) თუ რომელი ობიექტები მიეკუთვნება კანონის ძალით პასუხისმგებლობის კავშირს და ბ) გამოირიცხება თუ არა კვლავ ეს ობიექტები პასუხისმგებლობის კავშირისაგან, ე. წ. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების გზით (აღნიშნულზე იხ. § 1121).
- 2 2. იპოთეკის პასუხისმგებლობის კავშირი მოიცავს არა მხოლოდ მიწის ნაკვეთს თავისი არსებითი შემადგენელი ნაწილებით (§§ 93, 94), არამედ ყველა საგანსა და

უფლებას, რომლებიც მიწის ნაკვეთთან ერთად ქმნის ეკონომიკურ ერთიანობას (მდრ. §§ 1120, 1123 და შემდეგი პარაგრაფები). აქვე, სამეწარმეო მიზნებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთვნიველი (§ 97) არის ასევე, მაგ., მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები. მხედველობაშია მისაღები შემდეგი: სხვა პირის კუთვნილ საკუთვნიველზე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის **სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის** უფლებასაც მოიცავს იპოთეკის უფლებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა (სადავო, სასამართლო პრაქტიკა იხ. BGHZ, 35, 85).

3. იპოთეკის პასუხისმგებლობის კავშირისათვის კუთვნილებას აქვს განსაკუთრებული **შედეგები**: იძულებითი აუქციონის პროცესში **შემძენი** საკუთრების უფლებას იძენს სახელისუფლო აქტის მეშვეობით ყველა იმ საგანზე, რომლებზეც ვრცელდება პასუხისმგებლობა (იხ. § 1120-თან კავშირში იძულებითი აუქციონის შესახებ კანონის §§ 90-ის პირველი და მე-2 ნაწილები, 55-ის პირველი ნაწილი, 20-ის მე-2 ნაწილის ჯაჭვი). იმისათვის, რათა შენარჩუნდეს პასუხისმგებლობის ობიექტების ეკონომიკური ერთიანობა, **მესამე პირებს** არ შეუძლიათ იპოთეკის პასუხისმგებლობის კავშირისადმი მიკუთვნიულ საგნებზე იძულებითი **აღსრულების გავრცელება**; საკუთვნიველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 865-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, ყადაღის დადება სრულიად გამორიცხულია.

§ 1121. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება საგნის გასხვისებით და მისი მოცილებით

(1) მიწის ნაკვეთის ნაყოფსა და სხვა შემადგენელ ნაწილებზე, ასევე საკუთვნიველის ნაწილებზე გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია, თუ ისინი გასხვისდება და მიწის ნაკვეთს მოსცილდება მანამდე, სანამ მოხდება მათზე კრედიტორის სასარგებლოდ გადახდევინების მიქცევა.

(2) ¹თუ გასხვისება ხორციელდება გამოცალკეებამდე, მაშინ შემძენს არ შეუძლია, კრედიტორს მიუთითოს იმაზე, რომ იგი იპოთეკის მიმართ კეთილსინდისიერი იყო. ²თუ შემძენი მიწის ნაკვეთიდან ნივთს გამოაცალკეებს, მაშინ გამოცალკეებამდე განხორციელებული გადახდევინების მიქცევა მის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოცალკეების მომენტში გადახდევინების მიქცევის მიმართ არ არის კეთილსინდისიერი.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობისათვის განმსაზღვრელია ქონებაზე ყადაღის დადების (იძულებითი აუქციონის შესახებ კანონის § 20-ის პირველი ნაწილი) მომენტი. ქონებაზე ყადაღის დადებამდე პერიოდისათვის წინაპირობებს ასახელებს § 1121-ის პირველი ნაწილი, 1122; ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ, შესაბამისად, მოითხოვება კეთილსინდისიერება. ცალკეულ შემთხვევაში: **ა) ქონებაზე ყადაღის დადებამდე, § 1121-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგნის გასხვისება და მისი მოცილება (მოცილება და გასხვისება) მოქმედებს როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.** ეს არ არის დამოკიდებული შემძენის მიერ იპოთეკის არსებობის შესახებ შესაძლო ცოდნაზე. გასხვისებისათვის, § 930-ის შესაბამისად, საგნის მოცილება საკმარისი არ არის; ნივთი რჩება იპოთეკის უფლებით დატვირთული იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის უკვე შემძენს ეკუთვნის. § 1122-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დგება, ასევე გასხვისების გარეშეც; **ბ) ქონებაზე ყადაღის დადების შემდეგ, განასხვავებენ: (1) თუ საგნის მოცილება ხდება უკანასკნელ მომენტში, ანუ ქონებაზე ყადაღის დადებისა და გასხვისების (ან გასხვისება და მოცილება) შემდეგ, მაშინ მოქმედებს § 1121-ის მე-2 ნაწილი. პირველი წინადადების თანახმად, იპოთეკის მიმართ შემძენის კეთილსინდისიერება საკმარისი არ არის. მხოლოდ, როდესაც პირი მოცილების მომენტში ქონებაზე ყადაღის დადების მიმართ იყო**

კეთილსინდისიერი (იხ. იძულებითი აუქციონის შესახებ კანონის § 23-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება §§ 135-ის მე-2 ნაწილთან, 136-თან, 932-სა და შემდეგ პარაგრაფებთან კავშირში), დგება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, (2) თუ გასხვისება ხდება უკანასკნელ მომენტში, მაშასადამე ყადაღის დადებისა და მოცილების შემდეგ, მაშინ გამოიყენება ფარდობითი აკრძალვების შემთხვევებში კეთილსინდისიერი შექმნის ზოგადი დებულებები (§ 23 იძულებითი აღსრულების შესახებ კანონისა და §§ 135 მე-2 ნაწილი, 136, 932 და შემდეგი პარაგრაფები). თუ შექმნილი კეთილსინდისიერია ქონებაზე ყადაღის დადების მიმართ, მაშინ ხდება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება; თუმცა, § 1121-ის მე-2 ნაწილით მოწესრიგებული შემთხვევისაგან განსხვავებით, ეს დამოკიდებულია გასხვისების მომენტზე.

§ 1122. გადახდევინების მიქცევისაგან გათავისუფლება გასხვისების გარეშე

(1) თუ ნაყოფი და შემადგენელი ნაწილები მიწის ნაკვეთისაგან გამოცალკევებულ იქნა მეურნეობის სათანადოდ წარმოების წესების ფარგლებში, და თუ ისინი მიწის ნაკვეთისაგან გამოცალკევებულ იქნა გადახდევინების მიქცევამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოცალკევება ხორციელდება დროებითი მიზნით, მაშინ გადახდევინების მიქცევა მათზე დაუშვებელია ასევე გასხვისების გარეშეც.

(2) საკუთვებლის ნაწილებზე გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია გასხვისების გარეშეც, თუ საკუთვებლის თვისება უქმდება მეურნეობის სათანადოდ წარმოების წესების ფარგლებში გადახდევინების მიქცევამდე.

§ 1123. გავრცელება ქირისა თუ საიჯარო ქირის მოთხოვნაზე

(1) თუ მიწის ნაკვეთი გაქირავებულია ან გადაცემულია იჯარით, მაშინ იპოთეკა ვრცელდება ქირისა თუ საიჯარო ქირის მოთხოვნაზე.

(2) იმდენად, რამდენადაც მოთხოვნა ვადამოსულია, მასზე გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია შესრულების ვადის დადგომიდან ერთი წლის ვადის განმავლობაში, თუ გადახდევინების მიქცევა იპოთეკური კრედიტორის სასარგებლოდ უფრო ადრე არ ხორციელდება; თუ ქირა ან საიჯარო ქირა გადახდილ უნდა იქნეს ავანსის სახით, მაშინ გადახდევინების მიქცევა დაშვებულია ქირის ან საიჯარო ქირის მიმართ უფრო გვიანი, გადახდევინების მიქცევის დროისათვის კალენდარული თვის პერიოდისათვის; თუ გადახდევინების მიქცევა ხორციელდება თვის მე-15 დღის შემდეგ, მაშინ გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია ასევე შემდეგი კალენდარული თვის ქირის ან საიჯარო ქირისათვის.

§ 1124. ქირისა თუ საიჯარო ქირის წინასწარი განკარგვა

(1) ¹თუ ქირა ან საიჯარო ქირა მიღებულ იქნა მანამდე, სანამ მასზე მიექცეოდა გადახდევინება იპოთეკური კრედიტორის სასარგებლოდ ან გადახდევინების მიქცევამდე იგი სხვაგვარად იქნა განკარგული, მაშინ განკარგვა იპოთეკური კრედიტორის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა. ²თუ განკარგვა გამოიხატება მოთხოვნის მესამე პირისათვის გადაცემით, მაშინ გადახდევინების მიქცევა მოთხოვნაზე დაუშვებელია; თუ მესამე პირი იქნის მოთხოვნაზე უფლებას, მაშინ ამ უფლებას იპოთეკასთან შედარებით უპირატესი რიგი ენიჭება.

(2) განკარგვა იპოთეკური კრედიტორის მიმართ სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ იგი ეხება ქირას ან საიჯარო ქირას უფრო გვიან, გადახდევინების მიქცევის დროისათვის კალენდარული თვის პერიოდს; თუ გადახდევინების მიქცევა ხორციელდება თვის მეთხუთმეტე დღის შემდეგ, მაშინ განკარგვა სამართლებრივი ძალის მქონეა იმდენად, რამდენადაც იგი ეხება შემდეგი კალენდარული თვის ქირას ან საიჯარო ქირას.

(3) მესამე პირისათვის მოთხოვნის გადაცემას უთანაბრდება მიწის ნაკვეთის გასხვისება მოთხოვნის გარეშე.

§ 1125. გაქვითვა ქირისა თუ საიჯარო ქირის მიმართ

რამდენადაც ქირისა თუ საიჯარო ქირის გადახდევინება იპოთეკური კრედიტორის მიმართ სამართლებრივი ძალის არმქონეა, დამქირავებელსა თუ მოიჯარეს არ შეუძლიათ, გაქვითონ გამქირავებლისა თუ მეიჯარისადმი კუთვნილი მოთხოვნა იპოთეკური კრედიტორის მოთხოვნის მიმართ.

§ 1126. გავრცელება პერიოდულ გადახდებზე

¹თუ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულია უფლება პერიოდულ გადახდებზე, მაშინ იპოთეკა ვრცელდება ამ პერიოდული შესრულებების მოთხოვნის უფლებებზე. ²შესაბამისად, გამოიყენება § 1123-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების, § 1124-ის პირველი, მე-2 ნაწილებისა და § 1125-ის ნორმები. ³გადახდევინების მიქცევამდე განხორციელებულ იმ შესრულებაზე მოთხოვნის უფლების განკარგვა, რომლის ვადა დგება გადახდევინების მიქცევიდან მხოლოდ სამი თვის შემდეგ, იპოთეკური კრედიტორის მიმართ სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 1127. გავრცელება სადაზღვევო მოთხოვნაზე

(1) თუ ის საგნები, რომლებზეც ვრცელდება იპოთეკა, დაზღვეულია მესაკუთრის ან თავისთვის მფლობელის სასარგებლოდ, მაშინ იპოთეკა ვრცელდება მზღვეველის მიმართ მოთხოვნაზე.

(2) მზღვეველის მიმართ მოთხოვნისათვის პასუხისმგებლობა წყდება, თუ დაზღვეული საგანი აღდგენილია ან ანაზღაურებულია მისი ღირებულება.

§ 1128. შენობა-ნაგებობის დაზღვევა

(1) ¹თუ დაზღვეულია შენობა-ნაგებობა, მაშინ მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო თანხის გადახდა იპოთეკური კრედიტორის მიმართ გადახდის სამართლებრივი შედეგით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ან მზღვეველმა იპოთეკურ კრედიტორს შეატყობინა ზიანის დადგომის შესახებ და შეტყობინების მიღების მომენტიდან გასულია ერთი თვე. ²იპოთეკურ კრედიტორს შეუძლია ვადის გასვლამდე მზღვეველის მიმართ გადახდის წინააღმდეგ წარადგინოს პროტესტი. ³შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ იგი მიზანშეუწონელია; ამ შემთხვევაში თვე აითვლება სადაზღვევო თანხის გადახდის ვადის დადგომის მომენტიდან.

(2) თუ იპოთეკურმა კრედიტორმა მზღვეველს შეატყობინა თავისი იპოთეკის შესახებ, მაშინ მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო თანხის გადახდა იპოთეკური კრედიტორის მიმართ გადახდის სამართლებრივი შედეგით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკურმა კრედიტორმა გადახდაზე წერილობით განაცხადა თანხმობა.

(3) დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება დაგირავებული მოთხოვნის მიმართ მოქმედი ნორმები; თუმცა, მზღვეველს არ შეუძლია მითითება იმაზე, რომ მან არ იცოდა იპოთეკის შესახებ, რომლის არსებობაც ნათელია საჯარო რეესტრის ჩანაწერიდან.

§ 1129. სხვა ზიანის დაზღვევა

თუ დაზღვეულია სხვა საგანი და არა შენობა-ნაგებობა, მაშინ მზღვეველის მიმართ მოთხოვნისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება § 1123-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებისა და § 1124-ის პირველი, მე-3 ნაწილების ნორმების თანახმად.

§ 1130. დათქმა ნივთის აღდგენის შესახებ

თუ დაზღვევის პირობების თანახმად, მზღვეველი ვალდებულია, გადაიხადოს სადაზღვევო თანხა მხოლოდ დაზღვეული საგნის აღსადგენად, მაშინ, ამ პირობების შესაბამისად, დაზღვეულის სასარგებლოდ გადახდა სამართლებრივი ძალის მქონეა იპოთეკური კრედიტორის მიმართ.

§ 1131. მიწის ნაკვეთის მიმატება

¹თუ § 890-ის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში მიემატება სხვა მიწის ნაკვეთს, მაშინ ამ მიწის ნაკვეთზე არსებული იპოთეკები ვრცელდება მიმატებულ მიწის ნაკვეთზე. ²იმ უფლებებს, რომლებითაც დატვირთულია მიმატებული მიწის ნაკვეთი, ენიჭება უპირატესი რიგი ამ იპოთეკებთან შედარებით.

§ 1132. საერთო იპოთეკა

(1) ¹თუ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკა არსებობს რამდენიმე მიწის ნაკვეთზე (საერთო იპოთეკა), მაშინ მთლიანი მოთხოვნისათვის გადახდვინების მიქცევა ხდება თითოეულ მიწის ნაკვეთზე. ²კრედიტორს შეუძლია, თავისი შეხედულებით მოითხოვოს დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი მიწის ნაკვეთიდან.

(2) ¹კრედიტორი უფლებამოსილია, მოთხოვნის თანხა დაყოს ცალკეული მიწის ნაკვეთების მიხედვით იმგვარად, რომ თითოეულ მიწის ნაკვეთზე გადახდვინების მიქცევა მოხდეს მხოლოდ ცალკეული მიწის ნაკვეთის შესაბამისი თანხისათვის. ²თანხების განაწილების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 875, 876, 878-ის ნორმები.

1. **1.** საერთო იპოთეკა კრედიტორს ანიჭებს განსაკუთრებით მომგებიან მდგომარეობას: ვინაიდან უფლებრივად დატვირთული თითოეული მიწის ნაკვეთი პასუხისმგებელია მთლიანი მოთხოვნისათვის, მას შეუძლია, მიწის ნაკვეთების ღირებულების დინამიკის მიხედვით, საკუთარი არჩევანით მოახდინოს კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე იძულებითი აღსრულება. სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, თუ მოთხოვნა დაყოფილია ნაწილებად და ნებისმიერი ნაწილისათვის დადგენილია დამოუკიდებელი იპოთეკა. პრაქტიკაში საერთო იპოთეკას, უპირველეს ყოვლისა, მიმართავენ მკაცრად დაყოფილი მიწის ნაკვეთის საკუთრების შემთხვევაში.
2. **2.** საერთო იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთები შეიძლება მიეკუთვნებოდეს ასევე სხვადასხვა მესაკუთრეს. იპოთეკის დაფარვისათვის მხედველობაშია მისაღები §§ 1173-ის, 1174-ის სპეციალური ნორმები. თუ მიწის ნაკვეთები ეკუთვნის ერთსა და იმავე მესაკუთრეს, მაშინ მოქმედებს §§ 1163-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების, 1164-ის ძირითადი წესები.

§ 1133. იპოთეკის საიმედოობისათვის საფრთხის შექმნა

¹თუ მიწის ნაკვეთის გაუარესების შედეგად საფრთხე ექმნება იპოთეკის საიმედოობას, მაშინ კრედიტორს შეუძლია, მესაკუთრეს მოსთხოვოს სათანადო ვადა საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ²ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ მოითხოვოს მიწის ნაკვეთზე გადახდვინების მიქცევა, თუ საფრთხე არ იქნა თავიდან აცილებული მიწის ნაკვეთის გაუმჯობესებით ან სხვა იპოთეკის დადგენით. ³თუ მოთხოვნას არ ერიცხება პროცენტი და მისი შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაშინ კრედიტორს მიეცემა მხოლოდ ის თანხა, რომელიც შეესაბამება მოთხოვნის თანხას გადახდის მომენტიდან შესრულების ვადის დადგომამდე პერიოდისათვის კანონისმიერი პროცენტების დამატებით.

§ 1134. ნეგატორული სარჩელი

(1) თუ მესაკუთრე ან მესამე პირი მიწის ნაკვეთის მიმართ ზემოქმედებს იმგვარად, რომ მიწის ნაკვეთის გაუარესების შედეგად საფრთხე ექმნება იპოთეკის საიმედოობას, მაშინ კრედიტორს შეუძლია, წარადგინოს ნეგატორული სარჩელი.

(2) ¹თუ ზემოქმედება მომდინარეობს მესაკუთრისაგან, მაშინ სასამართლოს, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, შეუძლია მიიღოს განკარგულება საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების შესახებ. ²ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მიწის ნაკვეთის გაუარესება მოსალოდნელია იმის გამო, რომ მესაკუთრე არ იღებს უსაფრთხოების სათანადო ზომებს მესამე პირის ზემოქმედების ან სხვა დარღვევების საწინააღმდეგოდ.

§ 1135. საკუთვნებლის გაუარესება

§§ 1133, 1134-ის გაგებით, მიწის ნაკვეთის გაუარესებას უთანაბრდება საკუთვნებლის ნაწილების გაუარესება, რომლებზეც ვრცელდება იპოთეკა, ან სათანადო მეურნეობის წესების დარღვევით მათი მიწის ნაკვეთისაგან გამოცალკევება.

§ 1136. განკარგვის უფლების შეზღუდვა გარიგებით

შეთანხმება, რომლითაც მესაკუთრე კრედიტორის წინაშე კისრულობს ვალდებულებას, არ გაასხვისოს ან შემდგომში არ დატვირთოს მიწის ნაკვეთი, ბათილია.

§ 1137. მესაკუთრის შესაგებელი

(1) ¹მესაკუთრეს შეუძლია, იპოთეკის მიმართ წამოაყენოს მოთხოვნისადმი პირადი მოვალის კუთვნილი შესაგებელი, ასევე, § 770-ის თანახმად, თავდების კუთვნილი შესაგებელი. ²თუ პირადი მოვალე გარდაიცვლება, მაშინ მესაკუთრეს არ შეუძლია მიუთითოს იმაზე, რომ მემკვიდრე ვალისთვის პასუხს აგებს მხოლოდ შეზღუდულად.

(2) თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მაშინ იგი არ კარგავს შესაგებელს იმიტომ, რომ პირადი მოვალე მასზე უარს აცხადებს.

ნორმა ეხება შესაგებლების ერთ ნაწილს, რომლის გამოყენებაც მესაკუთრეს შეუძლია იპოთეკიდან გამომდინარე სანივთო მოთხოვნის უფლების წინააღმდეგ. აქცესორულობის პრინციპის მიხედვით (შდრ. § 1113-ის მე-2 ველი), მესაკუთრეს, § 1137-ის შესაბამისად, აქვს მოთხოვნის მიმართ პირადი მოვალის კუთვნილი შესაგებელი, ასევე, § 770-ის თანახმად, თავდების კუთვნილი შესაგებელი, მოვალის კუთვნილი აღმჭურველი უფლებებიდან გამომდინარე. მოთხოვნისა და იპოთეკის დათმობის შემდეგ მხედველობაშია მისაღები §§ 1156, 1157-ის სპეციალური ნორმები.

მთლიანობაში (*Baur/Stürmer*, § 38-ის 64-ე და შემდეგი ველების თანახმად) განასხვავებენ ოთხი სახის შესაგებლებს, რომელთა გამოყენებაც შეუძლია მესაკუთრეს სანივთო მოთხოვნის უფლების წინააღმდეგ. **2**

1. § 1137-ში დასახელებულ მოვალესთან დაკავშირებული შესაგებლები, მაგ.: ვალდებულების შესრულების გადავადებასთან, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებასთან ან ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული შესაგებლები; გამოწვევისა ხანდაზმულობა, § 216-ის პირველი ნაწილი. **3**
ა) ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალესთან დაკავშირებული შესაგებლები, პირველი ნაწილის პირველი ნაწილადების შესაბამისად, პირველად შემძენს შეუძლია ასევე იპოთეკის მეორად შემძენს დაუპირისპიროს; კეთილსინდისიერი მეორადი შეძენის მიმართ, §§ 1138, 892-ის შესაბამისად, რა თქმა უნდა, არ უქმდება საჯარო რეესტრიდან (ან იპოთეკის სერტიფიკატიდან, შდრ. § 1155-ის მე-4 ველი) გამომდინარე შესაგებლები. § 406-ით და შემდეგი

პარაგრაფებით გათვალისწინებული მოვალის დაცვის ნორმების მოქმედება § 1156-ის შედეგად მეორადი შექმნის მიმართ გამორიცხულია. **ბ)** მოთხოვნის მიმართ შესაგებლები, რომელთა რეალიზაციაც ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნა არ წარმოიშობა ან უქმდება, § 1137-ში არ არის მოწესრიგებული; ამ შემთხვევებისათვის § 1163 ადგენს, რომ იპოთეკა გადადის მესაკუთრეზე.

- 4 **2. § 1137-ში ანალოგიურად დასახელებული მოვალის კუთვნილი აღმჭურველი უფლებებიდან გამომდინარე შესაგებლები** (სამოქალაქო კოდექსის § 770). შესაგებლები მოქმედებს დილატორულად მანამდე, სანამ მოვალეს ეკუთვნის აღმჭურველი უფლება და მან მასზე უარი არ განაცხადა. უარის თქმის შემთხვევაში, ზოგადი შეხედულების თანახმად, § 1137-ის მე-2 ნაწილი არ გამოიყენება; შესაბამისად, საქმე გვაქვს მოვალისათვის აღმჭურველ უფლებასთან და არა „შესაგებელთან“; ამდენად, უარი თვით მესაკუთრის მიმართაც სამართლებრივი ძალის მქონეა.
- 5 **3. იპოთეკის არსებობის მომსპობი ან მისი შემცვლელი შესაგებლები.** იპოთეკის არსებობის ან იპოთეკარის უფლებრივი მდგომარეობის წინააღმდეგ მიმართული შესაგებლები § 1137-ში დასახელებული არ არის, ვინაიდან ისინი ეხებიან უშუალოდ სანივთო უფლებას (და არა – მოთხოვნას). თუმცა, ეს შესაგებლები თავისთავად გასათვალისწინებელია. მაგალითად, მესაკუთრეს შეუძლია შესაგებლის წარდგენა, როდესაც იპოთეკის წარმოშობა სამართლებრივი ძალის არმქონეა ან იპოთეკა გადასულია სხვა პირზე.
- 6 **4. მესაკუთრესთან დაკავშირებული შესაგებლები,** ანუ იპოთეკარსა და მოვალისაგან განსხვავებულ მესაკუთრეს შორის არსებული პირადი ურთიერთობიდან გამომდინარე შესაგებლები. ასევე, დასაშვებია ზემოთ აღნიშნული შესაგებლები, რომლებიც § 1137-ში ნახსენები არ არის; მაგალითად, მესაკუთრეს შეუძლია მიუთითოს იმაზე, რომ კრედიტორმა მის მიმართ აიღო ვალდებულება, რომ არ მოახდენს იპოთეკის რეალიზაციას განსაზღვრული ვადის განმავლობაში. § 1157-ის პირველი წინადადების თანახმად, ასეთი შესაგებელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე ახალი კრედიტორის მიმართაც, გარდა იმ შემთხვევისა, რომ ამ უკანასკნელმა შეიძინა კეთილსინდისიერად შესაგებლების გარეშე (§§ 1157-ის მე-2 წინადადება, 892), მაგ., ვინაიდან ახალი კრედიტორისათვის უცნობი შესაგებელი არ იყო რეგისტრაციაში გატარებული საჯარო რეესტრში ან აღნიშნული იპოთეკის ბარათში (შდრ. § 1155). მესაკუთრეს არ შეუძლია დაეყრდნოს იმ შესაგებლებს, რომლებიც წარმოიშვა ახალი კრედიტორისათვის თავდაპირველი იპოთეკური კრედიტორის მიმართ იპოთეკის დათმობის შემდეგ (შდრ. § 1156).

§ 1138. საჯარო რეესტრის საჯარო ნდობა

§§ 891-899-ის ნორმები მოქმედებს ასევე იპოთეკის მიმართაც მოთხოვნასა და, § 1137-ის თანახმად, მესაკუთრის კუთვნილ შესაგებელთან დაკავშირებით.

- 1 ნორმა საჯარო რეესტრის საჯარო ნდობას ავრცელებს (§§ 891-899) იპოთეკაზე, როგორც აქცესორულ სანივთო უფლებაზე. ამით ხდება იმ ბარიერების მოხსნა, რომლებიც სხვაგვარად იპოთეკის აქცესორულობის გამო დაუპირისპირდებოდა იპოთეკის კეთილსინდისიერ მეორად შექმნას. მოთხოვნისათვის კი რჩება მხოლოდ ის ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც კეთილსინდისიერ შექმნას, როგორც წესი, არ ითვალისწინებს (თუმცა, შდრ. § 405). განასხვავებენ იპოთეკის კეთილსინდისიერ მეორადი შექმნის ოთხ შემთხვევას:
 - 2 **1. არ არსებობს მოთხოვნა** (და, შესაბამისად, არც იპოთეკა, თუმცა, სახეზე იქნება მესაკუთრის მიწის ვალი, § 1163-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად). ამ შემთხვევაში მოქმედებს § 1138. „იპოთეკისათვის“ ხდება მოთხოვნის არსებობის ფიქცია (და არა თავად „მოთხოვნისათვის“); შესაბამისად, იპოთეკა (და არა მოთხოვნა) შეიძლება შექმნილ იქნეს კეთილსინდისიერად, § 892-ის

წინაპირობების გათვალისწინებით, მიუხედავად მოთხოვნის არარსებობისა. შემძენი იღებს ე. წ. „მოთხოვნაგამოცლილ იპოთეკას“ (იხ., მაგ., *MüKo-Eickmann*, მე-16 ველი).

2. არ არსებობს იპოთეკა, თუმცა, არსებობს მოთხოვნა (მაგ., იპოთეკის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმების ბათილობის გამო). ამ შემთხვევაში გამოიყენება არა § 1138, არამედ მოქმედებს უშუალოდ § 892. § 892-ის წინაპირობების გათვალისწინებით, მოთხოვნის გადაცემასთან ერთად კეთილსინდისიერ შემძენზე გადადის იპოთეკაც (§ 1153). **3**

3. არ არსებობს არც იპოთეკა და არც მოთხოვნა (იპოთეკის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმების ბათილობა და მოთხოვნის არარსებობა). ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერი შემძენი დაცულია, § 892-ის შესაბამისად (ბათილი იპოთეკის დადგენასთან დაკავშირებით) და, გარდა ამისა, – §§ 1138, 892-ის შესაბამისად (არარსებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით). **4**

4. მოთხოვნა და იპოთეკა ეკუთვნის მესამე პირს. თუ საჯარო რეესტრის მეშვეობით ლეგიტიმური არაუფლებამოსილი პირი თმობს მოთხოვნას, მაშინ ცესიონერი, §§ 1138, 1153-ის თანახმად, იძენს იპოთეკას. ვინაიდან თავად მოთხოვნისათვის, როგორც წესი, არ არსებობს კეთილსინდისიერი შეძენა, მოთხოვნა, როგორც ჩანს, რჩება უფლებამოსილ მესამე პირთან. ამავე დროს, აღნიშნულის გამო აქცესორულობა გამოირიცხებოდა და მესაკუთრე-მოვალე § 1153-ის სამართლებრივი იდეის საწინააღმდეგოდ აღმოჩნდებოდა ორმაგი მოთხოვნის წარდგენის საფრთხის წინაშე. შესაბამისად, გაბატონებული შეხედულება გამონაკლისის სახით ამ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევა მოთხოვნის გადასვლას ასევე კეთილსინდისიერ შემძენზე (მაგ., *Baur/Stürner*, § 38, 28-ე ველი; ამაჟამად განსხვავებული შეხედულება იხ. *Westermann/Eickmann*, § 105, III, 4). **5**

§ 1139. პროტესტი სესხის უზრუნველსაყოფად დადგენილი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკის შემთხვევაში

¹თუ სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკის დადგენისას იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამოირიცხულია, მაშინ იმის თაობაზე პროტესტის წარსადგენად, რომ სესხის გაცემა არ მომხდარა, საკმარისია საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე მესაკუთრის მიერ წარდგენილი განცხადება იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი წარდგენილ იქნა იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ ერთი თვის ვადის გასვლამდე. ²თუ პროტესტი რეგისტრირებულია ერთი თვის ვადაში, მაშინ რეგისტრაციას აქვს ისეთივე სამართლებრივი ძალა, როგორც მას ექნებოდა იპოთეკასთან ერთად რეგისტრაციის შემთხვევაში.

§ 1140. იპოთეკის სერტიფიკატი და საჯარო რეესტრის უსწორობა

¹იმდენად, რამდენადაც საჯარო რეესტრის უსწორობა გამომდინარეობს იპოთეკის სერტიფიკატიდან ან სერტიფიკატზე გაკეთებული აღნიშვნიდან, §§ 892, 893 ნორმებზე მითითება გამოირიცხულია. ²საჯარო რეესტრის სისწორის წინააღმდეგ საჩივარი, რომელიც გამომდინარეობს სერტიფიკატიდან ან აღნიშნიდან, უთანაბრდება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ საჩივარს.

§ 1141. იპოთეკის შეწყვეტა

(1) ¹თუ მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომა დამოკიდებულია ხელშეკრულების შეწყვეტაზე, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა იპოთეკის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაცხადებულ იქნება კრედიტორის მიერ მესაკუთრისათვის ან მესაკუთრის მიერ კრედიტორისათვის. ²კრედიტორის სასარგებლოდ მესაკუთრედ ითვლება ის პირი, რომელიც ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

(2) თუ მესაკუთრეს ქვეყნის შიგნით არა აქვს საცხოვრებელი ადგილი ან სახეზეა § 132 მე-2 ნაწილის წინაპირობები, მაშინ კრედიტორის განცხადების საფუძველზე რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მიწის ნაკვეთი, მესაკუთრეს უნიშნავს წარმომადგენელს, რომლის მიმართაც კრედიტორის მიერ შეიძლება გაკეთდეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადება.

§ 1142. მესაკუთრის მიერ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება

(1) მესაკუთრე უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, თუ მისთვის დადგა მოთხოვნის შესრულების ვადა ან პირადი მოვალე უფლებამოსილია ვალდებულების შესრულებაზე.

(2) დაკმაყოფილება შეიძლება განხორციელდეს ასევე დეპონირებით ან გაქვითვით.

- 1 ნორმის მიზანია მიანიჭოს იმ მესაკუთრეს, რომელიც ერთდროულად არ არის პირადი მოვალე, შესაძლებლობა, შეენიანა აღმდგოს მიწის ნაკვეთზე (შდრ. § 1147) იპოთეკის კრედიტორის დაკმაყოფილებისათვის გათვალისწინებულ იძულებით აღსრულებას. ამავე დროს, § 1142 არ ადგენს კრედიტორის მოთხოვნის უფლებას გადახდაზე (BGHZ, 7, 123, 126); პირიქით, კრედიტორს აქვს მხოლოდ მოთხოვნის უფლება იძულებითი აღსრულების თმენაზე, § 1147-ის შესაბამისად. კრედიტორის დაკმაყოფილების სამართლებრივი შედეგებისათვის იხ. § 1143-ის პირველი ველი.
- 2 საპირისპირო მოთხოვნის (იხ. მე-2 ნაწილი) გაქვითვით მიწის ვალი შეიძლება დაიფაროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თმენის ვალდებულება გაქვითვით სრულად იფარება ან შეთავაზებული იქნება იმ თანხის გადახდა, რომელიც გაქვითვის შედეგად არ იფარება, შდრ. § 266 (BGH NJW, 2011, 451)¹⁵⁰.

§ 1143. მოთხოვნის გადასვლა

(1) ¹თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მაშინ რამდენადაც იგი აკმაყოფილებს კრედიტორს, მოთხოვნა გადადის მასზე. ²შესაბამისად, გამოიყენება თავდების მიმართ მოქმედი § 774-ის პირველი ნაწილის ნორმები.

(2) თუ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად არსებობს საერთო იპოთეკა, მაშინ ამ უკანასკნელის მიმართ მოქმედებს § 1173-ის ნორმები.

- 1 **1.** თუ გადახდას ახორციელებს მხოლოდ-მესაკუთრე (რომელიც ერთდროულად არ არის პირადი მოვალე), მაშინ მოთხოვნა, პირველი ნაწილის პირველი წინადადების ნორმის შესაბამისად, გადადის მასზე. § 1153-ის პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნასთან ერთად მესაკუთრეზე გადადის იპოთეკაც. § 1177-ის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნულის შედეგად წარმოშობილი მესაკუთრის იპოთეკა განიხილება როგორც მესაკუთრის მიწის ვალი.
- 2 **2.** თუ გადახდას ახორციელებს მესაკუთრე-მოვალე, მაშინ, § 362-ის თანახმად, მოთხოვნა უქმდება და მესაკუთრე-მოვალე, § 1163-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, იქნის იპოთეკას, რომელიც, § 1177-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, გადაიქცევა მესაკუთრის მიწის ვალად.
- 3 **3.** თუ გადახდას ახორციელებს მხოლოდ-მოვალე (რომელიც იმავედროულად არ არის მესაკუთრე), მაშინ, როგორც წესი, ასევე დგება მე-2 ველში მითითებული სამართლებრივი შედეგები: მოთხოვნა უქმდება (§ 362), ხოლო მესაკუთრე იღებს მესაკუთრის მიწის ვალს (§§ 1163-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, § 1177-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება); თუმცა, აღნიშნულის ეკონომიკური მნიშვნელობა უმრავლეს შემთხვევაში ნაკლებად არღიარებულია სარეგისტრაციო ჩანაწერის გაუქმებაზე კანონისმიერი მოთხოვნის უფლების გამო, §§ 1179-ის და ბ-ს

150 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

თანახმად. **გამონაკლისის სახით**, კერძოდ კი, როდესაც მოვალეს შეუძლია მესაკუთრისაგან მის მიერ განხორციელებული გადახდისათვის კომპენსაციის მოთხოვნა (მაგ., § 415-ის მე-3 ნაწილი), იპოთეკა, § 1164-ის შესაბამისად, კანონის ძალით გადადის მასზე, კუთვნილი კომპენსაციის მოთხოვნის უფლების უზრუნველყოფის მიზნით (კანონისმიერი მოთხოვნის გაცვლა).

§ 1144. დოკუმენტების გადაცემა

მესაკუთრეს შეუძლია, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების სანაცვლოდ მოითხოვოს იპოთეკის სერტიფიკატისა და სხვა იმ დოკუმენტების გადაცემა, რომლებიც საჭიროა საჯარო რეესტრის შესწორებისა თუ იპოთეკის გაუქმებისათვის.

§ 1145. ნაწილობრივი დაკმაყოფილება

(1) ¹თუ მესაკუთრე აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას მხოლოდ ნაწილობრივ, მაშინ მას იპოთეკის სერტიფიკატის გადაცემის მოთხოვნა არ შეუძლია. ²კრედიტორი ვალდებულია, სერტიფიკატზე აღნიშნოს ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესახებ და საჯარო რეესტრის ჩანაწერის შესწორების ან გაუქმების მიზნით წარუდგინოს იგი საჯარო რეესტრის სამსახურს, ანდა მესაკუთრისათვის ნაწილობრივი იპოთეკის სერტიფიკატის გაცემის მიზნით, – კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს ან კომპეტენტურ ნოტარიუსს.

(2) ¹პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა მოქმედებს პროცენტებისა და სხვა დამატებითი გადახდების მიმართ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი შესრულების ვადა დადგება უფრო გვიან, ვიდრე კალენდარული კვარტლის განმავლობაში, რომლის დროსაც ან მომდევნო კალენდარული კვარტლის განმავლობაში კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილდება. ²ეს ნორმა არ გამოიყენება იმ ხარჯების მიმართ, რომლებიც, § 1118-ის თანახმად, ანაზღაურდება მიწის ნაკვეთის ღირებულებიდან.

§ 1146. ვადის გადაცილების პროცენტები

თუ მესაკუთრის მიმართ სახეზეა პირობები, რომელთა მიხედვითაც მიიჩნევა, რომ მოვალემ გადააცილა ვალდებულების შესრულების ვადას, მაშინ კრედიტორს მიწის ნაკვეთის ღირებულებიდან მიეცემა ვადის გადაცილების პროცენტები.

§ 1147. დაკმაყოფილება იძულებითი აღსრულების გზით

მიწის ნაკვეთის ღირებულებიდან და იმ საგნებიდან, რომლებზეც ვრცელდება იპოთეკა, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება იძულებითი აღსრულების გზით.

1. იპოთეკის რეალიზაციისათვის კრედიტორმა მესაკუთრის მიმართ უნდა მიიღოს იძულებითი აღსრულების პროცესის თმენაზე **სანივთოსამართლებრივი დოკუმენტურად დადასტურებული უფლება**. პრაქტიკაში ხშირად ეს არის (უკვე დადგენის მომენტში ხელმოსაწერი) სააღსრულებო ფურცელი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 794-ის პირველი ნაწილის №5-ის, 800-ის შესაბამისად; სხვა შემთხვევაში, კრედიტორს მოუწევს სასარჩელო წესით საქმის განხილვაში მონაწილეობა შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მიზნით (დეტალურად იხ. *Baur/Stürmer*, § 40, 24-ე და შემდეგი ველები). სააღსრულებო ფურცლიდან გამომდინარე, აღსრულება ხორციელდება იძულებითი აუქციონის (ქონების რეალიზაცია) ან იძულებითი მართვის (სარგებლის რეალიზაცია) გზით, იძულებითი აუქციონის შესახებ კანონის თანახმად.

2. **კაზუსის დამუშავებისას** § 1147 არის კრედიტორის კუთვნილი თმენის მოთხოვნის უფლების **საფუძველი**. ამისაგან უნდა განვსხვავოთ ვალდებულებით-

სამართლებრივი გადახდის მოთხოვნის უფლება (ძირითადად, § 488-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება). ეს უკანასკნელი უნდა იყოს ვადამოსული (§§ 271, § 488-ის მე-3 ნაწილი) და მას არ უნდა ემუქრებოდეს უფლების წინააღმდეგ მიმართული შესაგებლები (მაგ., შესრულება, იხ. § 362-ის მე-5 ველი, ან, მაგ., §§ 273-ის ან 320-იდან გამომდინარე შესაგებლები). ეს წესი მოქმედებს ასევე იპოთეკის მეორადი შემძენის მიმართაც (იხ. § 404). შემონმების მიმდევრობისათვის, იპოთეკის აქცესორულობის საფუძველზე, როგორც წესი, რეკომენდებულია ვალდებულებით-სამართლებრივი გადახდის მოთხოვნის უფლების განხილვა, § 1147-ამდე. ამ მიმდევრობის შეცვლა შეიძლება მიჩნეულ იქნეს სათანადოდ, თუკი მოხდება მოთხოვნის „თან მიყოლის“ პრობლემისადმი მიმართვა.

3. § 1147-იდან გამომდინარე შემონმების სქემა თმენის მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის. მოთხოვნის უფლების მიმართ შესაძლებელია შემდეგი ოთხი სახის შესაგებელი (შდრ. § 1137-ის მე-2 და შემდეგი ველები):

- ა) იპოთეკის არსებობის მიმართ შესაგებლები,
- ბ) მოვალესთან დაკავშირებული შესაგებლები,
- გ) მოვალის კუთვნილი აღმჭურველი უფლებიდან გამომდინარე შესაგებლები,
- დ) მესაკუთრესთან დაკავშირებული შესაგებლები.

§ 1148. საკუთრების უფლების ფიქცია

¹იპოთეკიდან გამომდინარე უფლების განხორციელებისას კრედიტორის სასარგებლოდ მესაკუთრედ ითვლება ის პირი, რომელიც ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ²ზარარეგისტრირებული მესაკუთრის მიერ იპოთეკის წინააღმდეგ კუთვნილი შესაგებლის წარდგენის უფლება უცვლელი რჩება.

§ 1149. მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ დაუშვებელი შეთანხმებები

მანამდე, სანამ მესაკუთრის მიმართ მოთხოვნის შესრულების ვადა არ დამდგარა, მას არ შეუძლია კრედიტორს მიანიჭოს უფლება, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მოითხოვოს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემა, ან მოახდინოს მიწის ნაკვეთის სხვაგვარად გასხვისება, ვიდრე იძულებითი აღსრულების გზისა.

§ 1150. მესამე პირის მიერ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება

თუ კრედიტორი ითხოვს მიწის ნაკვეთის ღირებულებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 268, 1144, 1145-ის ნორმები.

§ 1151. რიგითობის შეცვლა ნაწილობრივი იპოთეკის შემთხვევაში

თუ მოთხოვნა იყოფა, მაშინ ერთმანეთს შორის ნაწილობრივი იპოთეკის რიგითობის შეცვლისათვის მესაკუთრის თანხმობა აუცილებელი არ არის.

§ 1152. ნაწილობრივი იპოთეკის სერტიფიკატი

¹მოთხოვნის გაყოფის შემთხვევაში თითოეული ნაწილისათვის გაიცემა ნაწილობრივი იპოთეკის სერტიფიკატი, თუ იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამორიცხული არ არის; მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა აუცილებელი არ არის. ²ნაწილობრივი იპოთეკის სერტიფიკატი იკავებს თავდაპირველი სერტიფიკატის ადგილს მოთხოვნის იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც იგი ეხება.

§ 1153. იპოთეკისა და მოთხოვნის გადაცემა

- (1) მოთხოვნის გადაცემით იპოთეკა გადადის ახალ კრედიტორზე.
- (2) მოთხოვნა არ შეიძლება გადაცემულ იქნეს იპოთეკის გარეშე, ხოლო იპოთეკა არ შეიძლება გადაცემულ იქნეს მოთხოვნის გარეშე.

1. აქცესორულობის პრინციპის განხორციელების მიზნით (იხ. § 1113-ის მე-2 ველი), იპოთეკის გადაცემა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ გარიგებას. მართალია, იპოთეკა ეკონომიკურად განხილულ უნდა იქნეს როგორც ძირითადი უფლება, მაგრამ პირველი ნაწილი უშვებს მის, როგორც მოთხოვნის უბრალო დანამატის გადასვლას შემქმნე, მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულებით (§ 398-ის პირველი წინადადება), კანონის ძალით, როდესაც მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადება, § 1154-ის შესაბამისად, უნდა გაკეთდეს სანივთოსამართლებრივი ფორმით. ეს „ერთობლივი გადასვლის ნესი“ (ჰეკი) არის იმპერატიული ნორმა (განსხვავებით § 401-ის პირველი ნაწილისაგან; იხ. § 398-ის მე-13 ველი). აქცესორულობის არსი ისაა, რომ თავიდან იქნეს აცილებული მოთხოვნისა და იპოთეკის კრედიტორების თვისებათა ერთ სუბიექტში გაერთიანება და ამის შედეგად მოვალისა და მესაკუთრისათვის ორმაგი მოთხოვნის წარდგენა.

2. იპოთეკის კეთილსინდისიერი შექმნის შესაძლებლობას იძლევა § 1138, როდესაც მოთხოვნა არ არსებობს, ან ეკუთვნის მესამე პირს. თუ იპოთეკა არ არსებობს სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, ვიდრე მოთხოვნის არარსებობაა, მაშინ ის შეიძლება შექმნილ იქნეს კეთილსინდისიერად, § 892-ის შესაბამისად. კეთილსინდისიერების დაცვის შესახებ დეტალები იხ. § 1138-ის განხილვისას, ან ოფიციალურად დამონმებული დათმობის შესახებ განცხადების შემთხვევაში, – § 1155-ის განხილვისას.

3. თუ მოთხოვნისათვის გადაცემაუნარიანობა გამორიცხულია (§ 399), მაშინ, მე-2 ნაწილის ნორმის შესაბამისად, არც იპოთეკა არ არის გადაცემაუნარიანი (*Schwab/Prütting*, 682-ე ველი). მესამე პირის მიმართ დათმობის აკრძალვა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

§ 1154. მოთხოვნის დათმობა

(1) ¹მოთხოვნის დათმობისათვის საჭიროა მოთხოვნის დათმობის შესახებ წერილობითი განცხადება და იპოთეკის სერტიფიკატის გადაცემა; გამოიყენება § 1117-ის ნორმა. ²თავდაპირველმა კრედიტორმა ახალი კრედიტორის მოთხოვნით საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადების ოფიციალურად დამონმება.

(2) მოთხოვნის დათმობის შესახებ წერილობითი ფორმა შეიძლება შეიცვალოს საჯარო რეესტრში მოთხოვნის დათმობის რეგისტრაციით.

(3) თუ იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამორიცხულია, მაშინ მოთხოვნის დათმობის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 873, 878-ის ნორმები.

ნორმა ანესრიგებს მოთხოვნის დათმობის ფორმას საბარათე იპოთეკისათვის პირველ და მე-2 ნაწილებში, ხოლო რეგისტრირებული იპოთეკისათვის მე-3 ნაწილში. საბარათე იპოთეკის შემთხვევაში, ცედენტის მხრიდან მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადება (და არა ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ მისი მიღების განცხადება) საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას (ან მის ნაცვლად რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, მე-2 ნაწილის ნორმის შესაბამისად); გარდა ამისა საჭიროა ბარათის გადაცემა § 1117-ის გაგებით. რეგისტრირებული იპოთეკისათვის, მე-3 ნაწილის ნორმის შესაბამისად, რჩება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მოთხოვნა: სანივთო შეთანხმება (ფორმის დაცვის გარეშე დათმობა) და რეგისტრაცია უზრუნველყოფს იპოთეკის შემქმნე გადასვლას § 873-ის სათანადო გამოყენებით.

§ 1155. ოფიციალურად დამონმებული მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადებისადმი საჯარო ნდობა

¹თუ იპოთეკის სერტიფიკატის მფლობელის, როგორც კრედიტორის, უფლებები გამომდინარეობს ოფიციალურად დამონმებული მოთხოვნის დათმობის შესახებ

განცხადებების რიგიდან, რომელიც უკან მიჰყვება რეგისტრირებული კრედიტორის რიგს, მაშინ §§ 891-899-ის ნორმები გამოიყენება მსგავსად იმისა, თითქოს სერტიფიკატის მფლობელი კრედიტორის სახით ყოფილიყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ²ოფიციალურად დამონმებული მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადებას უთანაბრდება სასამართლოს გადაწყვეტილება მოთხოვნის დათმობის შესახებ და კანონის ძალით განხორციელებული ოფიციალურად დამონმებული მოთხოვნის გადაცემის აღიარება.

- 1 **1. ნორმის მიზანია** კეთილსინდისიერი სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებში საჯარო რეესტრის საჯარო ნდობა (§§ 891-899), რომელიც განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას ვრცელდება საბარათე იპოთეკების შექმნის მიმართ, რაც ხორციელდება საჯარო რეესტრის მიღმა, § 1154-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად. § 1155-ის დანაწესის გარეშე, საჯარო რეესტრის მიღმა იპოთეკის გადაცემის მარტივი ფორმა დაკავშირებული იქნებოდა მნიშვნელოვან რისკთან და ამიტომაც სამართლებრივი ურთიერთობებისათვის ის არამიმზიდველი აღმოჩნდებოდა; შესაბამისად, ვინაიდან შესაძლებელი იქნებოდა რომელიმე წინამორბედი გადაცემის ხარვეზის შემქმნის წინააღმდეგ გამოყენება, ამ უკანასკნელის მხრიდან შექმნის უსაფრთხოება შემცირდებოდა განხორციელებული გადაცემების (რაოდენობის) პროპორციულად (*Schwab/Prütting*, 686-ე ველი).
- 2 **2. წინაპირობა არის** უწყვეტი ჯაჭვი ოფიციალურად დამონმებული მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადებებისა, რომლებიც ბარათისე მფლობელისაგან უნდა დაუბრუნდეს საჯარო რეესტრში საბოლოოდ რეგისტრირებულ კრედიტორს. გაბატონებული შეხედულების თანახმად, მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადების გარეგნულად შეუმჩნეველი სიყალბე კეთილსინდისიერებას არ ბღალავს, ვინაიდან სხვაგვარად ბრუნვაუნარიანობა მნიშვნელოვნად გაუარესდებოდა (RGZ, 85, 58; *MüKo-Eickmann*, მე-12 ველი; განსხვავებული შეხედულება იხ., მაგ., *Baur/Stürmer*, § 38, 34-ე ველი, იმ დასაბუთებით, რომ § 1155-ის წინაპირობაა მოთხოვნის დათმობის შესახებ ნამდვილი განცხადებები).
- 3 **ჯაჭვის დარღვევის შემთხვევაში**, მაგ., მოთხოვნის დათმობის შესახებ კერძო განცხადებით ან სამკვიდროს გახსნით, § 1155 ყველა შემთხვევაში მოქმედებს დარღვევამდე განხორციელებული მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადებების მიმართ. გაბატონებული შეხედულების თანახმად, § 1155 მოქმედებს ასევე აღნიშნულის საფუძვლად არსებული ოფიციალურად დამონმებული მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადებების მიმართაც, რამდენადაც კერძო დოკუმენტით მოთხოვნის დამთმობმა ან მემკვიდრემ განახორციელა სამართლებრივად ნამდვილი შექმნა და შესაბამისად, მათ, როგორც უფლებამოსილმა პირებმა, შემდგომში განახორციელეს მოთხოვნის დათმობა. თუ, მაგ., დამონმებულია მოთხოვნის დათმობები ა-დან ბ-ზე, ან გ-დან დ-ზე, მაგრამ არა – ბ-დან გ-ზე (გ გახდა ბ-ს მემკვიდრე), მაშინ გ-ს მიერ სამართლებრივი ძალის მქონე შექმნის შემთხვევაში კვლავ ჩნდება დ-ს სასარგებლოდ საჯარო ნდობა (*Schwab/Prütting*, 689-ე ველი; განსხვავებული შეხედულება იხ. *MüKo-Eickmann*, მე-8 ველი: კერძო დოკუმენტის სახით გაფორმებული მოთხოვნის დათმობის შემდეგ კეთილსინდისიერების დაცვა წყდება, ხოლო სამკვიდროს გახსნის შემდეგ – არა).
- 4 **3. სამართლებრივი შედეგები.** § 1155-ის შესაბამისად, დადასტურებული ბარათის მფლობელი უთანაბრდება რეგისტრირებულ იპოთეკის კრედიტორს, §§ 891-899-ის ნორმების გამოყენების მიზნით: მის მიმართ მოქმედებს § 891-ის პრეზუმფცია. მისგან შექმნა შესაძლებელია კეთილსინდისიერად, § 891-ის თანახმად, ასევე §§ 1138, 892-ის თანახმად. § 932-ის პირველი ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერი შექმნისაგან განსხვავებით (იხ. § 932-ის მე-10 ველი), საკმარისი არ არის გამსხვიისების მხრიდან უბრალო მფლობელობის მინიჭების უფლებამოსილება, არამედ

იგი უნდა იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ბარათის მფლობელი (BGH NJW-RR, 1993, 369; განსხვავებული შეხედულებისათვის იხ., მაგ., *Reinicke/Tiedtke*, NJW, 1994, 345). გამოიყენება ასევე § 893, §§ 1138, 893. ამდენად, მესაკუთრეს შეუძლია განახორციელოს გადახდა § 1155-ის საფუძველზე ლეგიტიმური ბარათის მფლობელის მიმართ. კეთილსინდისიერების დაცვა გამორიცხულია უსწორობის შესახებ ცნობის, პროტესტის წარდგენის ან ბარათიდან გამომდინარე საჯარო რეესტრის უსწორობის შემთხვევებში (§§ 892-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, 1140). დასასრულს, მოქმედებს ასევე §§ 894, 899; ნამდვილ უფლებამოსილ პირს აქვს §§ 894 და შემდეგი პარაგრაფებიდან გამომდინარე უფლებები; კერძოდ კი, მას შეუძლია საჯარო რეესტრის ჩანაწერების შესწორებისა და პროტესტის რეგისტრაციის მოთხოვნა კეთილსინდისიერი შემძენის გამო უფლების დაკარგვისაგან თავის დაცვის მიზნით.

§ 1156. სამართლებრივი ურთიერთობა მესაკუთრესა და ახალ კრედიტორს შორის
 'მოთხოვნის დათმობის მიმართ მოქმედი §§ 406-408-ის ნორმები არ გამოიყენება იპოთეკასთან დაკავშირებით მესაკუთრესა და ახალ კრედიტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ. ზემოთა, მესაკუთრის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ თავდაპირველი კრედიტორის მიმართ გაკეთებული განცხადება მოქმედებს ახალი კრედიტორის მიმართაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მესაკუთრემ იცის მოთხოვნის გადაცემის შესახებ, ან ეს უკანასკნელი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

ამ ნორმის გამოყენების სფერო მოიცავს ცედენტის მიმართ მესაკუთრის კუთვნილ მხოლოდ იმ შესაგებლებს, რომლებიც წარმოიშობა ცესიის შემდეგ (მესაკუთრის სხვა შესაგებლებისათვის იხ. § 1137-ის მე-3-მე-6 ველები). „იპოთეკასთან დაკავშირებით“ (ანუ მხოლოდ იპოთეკისათვის და არა მის საფუძველად არსებული მოთხოვნისათვის) §§ 406-408-ის ნორმების მოქმედება გამორიცხულია. იპოთეკის აქცესორულობის ასეთმა შეზღუდვამ უნდა გაზარდოს მისი ბრუნვაუნარიანობა. განსაკუთრებით, თავდაპირველი კრედიტორის მიმართ შესრულების შემთხვევაში მესაკუთრეს არ შეუძლია იპოთეკასთან დაკავშირებით § 407-ზე მითითება; ამდენად, ახალ კრედიტორს შეუძლია იპოთეკის შემდგომი რეალიზაცია (განსხვავებით მის საფუძველად არსებული მოთხოვნისაგან).

§ 1157. იპოთეკის წინააღმდეგ შესაგებლის შენარჩუნება

'შესაგებელი, რომელიც მესაკუთრეს იპოთეკის მიმართ ეკუთვნის მასა და თავდაპირველ კრედიტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე ახალი კრედიტორის მიმართაც. ²§§ 892, 894-899, 1140 მოქმედებს, აგრეთვე, აღნიშნული შესაგებლის მიმართ.

განსხვავებით § 1137-ით მონესრიგებულ მოვალესთან დაკავშირებული შესაგებლისაგან (შდრ. § 1137-ის მე-3 ველი), ნორმა მოიცავს ე. წ. მესაკუთრესთან დაკავშირებულ შესაგებლებს (დეტალურად იხ. § 1137-ის მე-6 ველი). § 404-ისაგან განსხვავებით (იხ. იქვე პირველი ველი) § 1157-ის პირველი ნაწილის ნორმის წინაპირობაა ის, რომ შესაგებელი „ეკუთვნის“ მესაკუთრეს. ამიტომაც მოთხოვნის დათმობამდე უნდა მოხდეს შესაგებლის ერთიანი ფაქტობრივი შემადგენლობის რეალიზაცია (BGHZ, 85, 388, 391). ასევე, § 404-ისაგან განსხვავებით, მე-2 ნაწილი იცავს გარიგების საფუძველზე კეთილსინდისიერ შეძენას. გაბატონებული შეხედულების თანახმად კი პირიქით, ვალის დაფარვაზე უფლებამოსილი მესამე პირის მხრიდან კეთილსინდისიერი შეძენა არ ხდება კანონისმიერი შეძენის შემთხვევაში, §§ 1150, 268-ის მე-2 ნაწილი, 1153-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, მით უმეტეს, § 893 ცალსახად გამორიცხება მე-2 წინადადების მითითებიდან (BGH NJW, 1997, 190).

§ 1158. სამომავლო დამატებითი გადახდები

რამდენადაც მოთხოვნა ეხება პროცენტებსა და სხვა დამატებით გადახდებს, რომელთა ვადაც დგება არა უგვიანეს იმ კალენდარული კვარტლისა, რომლის განმავლობაშიც მესაკუთრემ შეიტყო მოთხოვნის გადაცემის შესახებ, ან რომელთა ვადაც დგება შემდეგი კვარტლის განმავლობაში, მესაკუთრესა და ახალ კრედიტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება §§ 406-408-ის ნორმები; კრედიტორს არ შეუძლია მიუთითოს § 892-ის ნორმებზე იმ შესაგებლების მიმართ, რომლებიც ეკუთვნის მესაკუთრეს, §§ 404, 406-408, 1157-ის თანახმად.

§ 1159. შეუსრულებელი დამატებითი გადახდები

(1) ¹რამდენადაც მოთხოვნა ეხება შეუსრულებელ პროცენტებსა და სხვა დამატებით გადახდებს, მოთხოვნის გადაცემის წესი, ასევე მესაკუთრესა და ახალ კრედიტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობა, განისაზღვრება მოთხოვნის გადაცემის მიმართ მოქმედი ზოგადი ნორმებით. ²ანალოგიური წესი მოქმედებს იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მიმართ, რომლებიც, § 1118-ის თანახმად, უზრუნველყოფილია მინის ნაკვეთით.

(2) პირველ ნაწილში მითითებული მოთხოვნის უფლებების მიმართ § 892-ის ნორმა არ გამოიყენება.

§ 1160. საბარათე იპოთეკის რეალიზაცია

(1) რამდენადაც იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამორიცხული არ არის, იპოთეკის რეალიზაციის მიმართ შეიძლება წარდგენილ იქნეს პროტესტი, თუ კრედიტორი არ წარადგენს სერტიფიკატს; თუ კრედიტორი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს § 1155-ში მითითებული დოკუმენტები.

(2) მესაკუთრის მიმართ ხელშეკრულების შეწყვეტა ან გაფრთხილება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ კრედიტორი არ წარადგენს, პირველი ნაწილის თანახმად, სავალდებულო დოკუმენტებს და მესაკუთრე ამ საფუძვლით დაუყოვნებლივ განაცხადებს უარს შეწყვეტაზე ან გაფრთხილებაზე.

(3) აღნიშნული ნორმები არ მოქმედებს § 1159-ში მითითებულ მოთხოვნის უფლებებზე.

§ 1161. მოთხოვნის რეალიზაცია

თუ მესაკუთრე არის პირადი მოვალე, მაშინ გამოიყენება ასევე § 1160-ის ნორმა მოთხოვნის რეალიზაციის შესახებ.

§ 1162. გამონვევითი წარმოება იპოთეკის სერტიფიკატის მიმართ

თუ იპოთეკის სერტიფიკატი დაიკარგა ან განადგურდა, მაშინ იგი შეიძლება გამოცხადდეს ძალადაკარგულად, გამონვევითი წარმოების წესების მიხედვით.

§ 1163. მესაკუთრის იპოთეკა

(1) ¹თუ მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც დადგენილია იპოთეკა, არ წარმოიშობა, მაშინ იპოთეკა ეკუთვნის მესაკუთრეს. ²თუ მოთხოვნა წყდება, მაშინ მესაკუთრე იძენს იპოთეკას.

(2) იპოთეკა, რომლისთვისაც იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამორიცხული არ არის, კრედიტორისათვის სერტიფიკატის გადაცემამდე ეკუთვნის მესაკუთრეს.

1 1. ნორმის მიზანი, რომელიც განიხილება § 1177-თან კავშირში, არის შემდგომში რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე არსებული უზრუნველყოფი უფლე-

ბების რიგში წინ ნაწევის გამორიცხვა და მესაკუთრისათვის უზრუნველმყოფი უფლების რიგის შენარჩუნება, რითაც მას შეუძლია მომავალი კრედიტის უზრუნველყოფა. რა თქმა უნდა, კანონმდებელმა მოგვიანებით ნანილობრივ მოახდინა შემდგომში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული უზრუნველმყოფი უფლებების კრედიტორების შემხვედრი ინტერესების უფრო მეტად შეფასება §§ 1179ა, ბ-ის დამატებით, რომლებიც დაინტერესებულ პირს ანიჭებს იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლებას, რითაც მან § 1163-ის ეკონომიკური მნიშვნელობა კვლავ შეზღუდა.

2. დროებითი მესაკუთრის მიწის ვალი წარმოიშობა § 1163-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების, 1177-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად მანამდე, სანამ მოთხოვნა, რომელზეც საუბრობს პირველი ნაწილის პირველი წინადადება, ჯერ კიდევ შეიძლება წარმოიშვას, მაგ., სესხის თანხის გაცემით (ე. წ. იპოთეკის ვალუტირება). ვალუტირებამდე მოცემული დროებითი მესაკუთრის მიწის ვალი გაუქმების პირობით დამოკიდებულია მოთხოვნის წარმოშობაზე. თუ პირობა არ დადგება, მაშინ დროებითის ნაცვლად სახეზე გვექნება საბოლოო მესაკუთრის მიწის ვალი (BGHZ, 60, 226, 228); თუ პირობა დადგება, მაშინ კანონის ძალით წარმოიშობა მოთხოვნის უზრუნველმყოფი სხვა პირის სასარგებლოდ არსებული იპოთეკა. დროებითი მესაკუთრის მიწის ვალი „თავისუფლდება“ კანონით დადგენილი იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლებისაგან, § 1179ა-ს მე-2 ნაწილის შესაბამისად, და ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესაკუთრის მიერ შუალედური ფინანსირებისათვის (დეტალურად იხ., მაგ., *Baur/Stürner*, § 37 43-ე ველი; *Medicus-Petersen*, 460-ე ველი, 471-ე ველი; *MüKo-Eickmann*, 44-ე და შემდეგი ველები).

§ 1164. იპოთეკის გადასვლა მოვალეზე

(1) ¹თუ პირადი მოვალე აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას, მაშინ იპოთეკა მასზე გადადის იმ ოდენობით, რომელშიც მას მესაკუთრისაგან ან მესაკუთრის წინამორბედისაგან ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია. ²თუ მოვალეს უნდა მიეცეს ანაზღაურება მხოლოდ ნანილობრივ, მაშინ მესაკუთრეს არ შეუძლია მოვალის იპოთეკის საზიანოდ განახორციელოს იპოთეკა მასზე გადასულ ნანილობაში.

(2) კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას უთანაბრდება მოთხოვნისა და ვალის ერთ პირში გაერთიანება.

ნორმა ადგენს მოთხოვნის კანონისმიერ შეცვლას იმ შემთხვევისათვის, როდესაც პირადი მოვალეს შეუძლია მის მიერ განხორციელებული გადახდისათვის მესაკუთრისაგან ანაზღაურების მოთხოვნა. მაგ.: ს-მ სესხის უზრუნველსაყოფად გ-ს სასარგებლოდ დაადგინა იპოთეკა. ის ასხვისებს თავის უფლებრივად დატვირთულ მიწის ნაკვეთს ე-ზე, რომელმაც სასესხო ვალი უნდა იკისროს ნასყიდობის ფასის ანგარიშში. ვინაიდან გ ვალის გადაკისრებას არ იწონებს (მდრ. § 416), ს უხდის ფულს გ-ს ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისას. აღნიშნულით სასესხო მოთხოვნა უქმდება; თუმცა, იპოთეკა გადაიქცევა არა ე-ს კუთვნილ მესაკუთრის მიწის ვალად, არამედ ამჯერად, § 1164-ის შესაბამისად, უზრუნველყოფს ე-ს მიმართ ს-ს კუთვნილ საკომპენსაციო მოთხოვნის უფლებას, § 415-ის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე.

§ 1165. მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლება

თუ კრედიტორი უარს ამბობს იპოთეკაზე, ან აუქმებს მას, § 1183-ის თანახმად, ანდა უპირატესობას ანიჭებს სხვა უფლებას, მაშინ პირადი მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან იმ ოდენობით, რომელშიც მას აღნიშნული განკარგვის არარსებობისას, § 1164 მიხედვით, იპოთეკიდან ანაზღაურების მიღება შეეძლო.

§ 1166. მოვალის შეტყობინება

¹თუ პირადი მოვალე უფლებამოსილია მესაკუთრისაგან ანაზღაურების მოთხოვნაზე მის მიერ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, და თუ კრედიტორი მინის ნაკვეთზე ახორციელებს იძულებით აღსრულებას ისე, რომ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ არ ატყობინებს პირად მოვალეს, ამ უკანასკნელს შეუძლია, უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იძულებით აღსრულებისას განცდილი დანაკლისისათვის იმ ოდენობით, რომლითაც მას ადგება ზიანი შეტყობინების წარუდგენლობის შედეგად. ²შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ იგი მიზანშეუწონელია.

§ 1167. შესწორების დოკუმენტების გადაცემა

თუ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირადი მოვალე იძენს იპოთეკას, ან მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში აქვს საჯარო რეესტრის შესწორების სხვა მართლზომიერი ინტერესი, მაშინ მას ეკუთვნის §§ 1144, 1145-ით გათვალისწინებული უფლებები.

§ 1168. იპოთეკაზე უარი

(1) თუ კრედიტორი უარს ამბობს იპოთეკაზე, მაშინ ამ უკანასკნელს იძენს მესაკუთრე.

(2) ¹უარი განცხადებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სამსახურის ან მესაკუთრის წინაშე და ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ²შესაბამისად, გამოიყენება § 875-ის მე-2 ნაწილისა და §§ 876, 878-ის ნორმები.

(3) თუ კრედიტორი უარს ამბობს ნაწილობრივი მოთხოვნისათვის დადგენილ იპოთეკაზე, მაშინ მესაკუთრეს ეკუთვნის § 1145-ით გათვალისწინებული უფლებები.

§ 1169. უფლების გამაქარწყლებელი შესაგებელი

თუ მესაკუთრეს ეკუთვნის ისეთი შესაგებელი, რომლითაც იპოთეკის რეალიზაცია ხანგრძლივი ვადით გამოირიცხება, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს, რომ კრედიტორმა უარი თქვას იპოთეკაზე.

§ 1170. უცნობი კრედიტორების ამორიცხვა

(1) ¹თუ კრედიტორი უცნობია და საჯარო რეესტრში იპოთეკასთან დაკავშირებული უკანასკნელი რეგისტრაციის შემდეგ გავიდა ათი წელი, კრედიტორის უფლება კი აღნიშნული ვადის განმავლობაში მესაკუთრის მიერ სათანადო ფორმით არ იქნა აღიარებული ხანდაზმულობის ვადის განახლებისათვის § 212-ის პირველი ნაწილის №1-ის თანახმად დადგენილი წესით, მაშინ იგი თავისი უფლებით შეიძლება ამორიცხოს გამოწვევითი წარმოების წესების მიხედვით. ²თუ მოთხოვნის გადახდის მომენტი განისაზღვრება კალენდარული თარიღით, მაშინ ვადა არ იწყება გადახდის დღის დაწყებამდე.

(2) ¹კრედიტორის ამორიცხვის შესახებ სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლასთან ერთად მესაკუთრე იძენს იპოთეკას. ²კრედიტორზე გაცემული იპოთეკის სერტიფიკატი ძალას კარგავს.

§ 1171. ამორიცხვა დეპონირებით

(1) ¹უცნობი კრედიტორი თავისი უფლებით შეიძლება ამორიცხოს გამოწვევითი წარმოების წესების მიხედვით ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მესაკუთრე უფლებამოსილია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან ხელშეკრულების შეწყვეტაზე და იგი მოთხოვნის თანხას კრედიტორის სასარგებლოდ ათავსებს დეპო-

ზიტზე, ამ უკანასკნელის გამოთხოვის უფლებაზე უარის პირობით. ²პროცენტების დეპოზიტზე შეტანა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში; პროცენტები იმ პერიოდისათვის, რომელიც წინ უსწრებს ამორიცხვის შესახებ სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლას ოთხ კალენდარულ წელზე მეტი ვადით, არ ექვემდებარება დეპონირებას.

(2) ¹ამორიცხვის შესახებ სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლით კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ, დეპონირების ნორმების თანახმად, მოთხოვნის დაკმაყოფილება უფრო ადრე არ მოხდა. ²კრედიტორზე გამომწევი იპოთეკის სერტიფიკატი ძალას კარგავს.

(3) დეპონირებულ თანხაზე კრედიტორის უფლება უქმდება ამორიცხვის შესახებ სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლიდან 30 წლის ვადის გასვლით, თუ კრედიტორი მანამდე არ ატყობინებს უფლების შესახებ შემნახველ დაწესებულებას; მიმბარებელი უფლებამოსილია დეპოზიტის გამოთხოვაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მან გამოთხოვის უფლებაზე უარი განაცხადა.

§ 1172. მესაკუთრის საერთო იპოთეკა

(1) § 1163-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში მესაკუთრის საერთო იპოთეკა დატვირთული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს ერთობლივად ეკუთვნით.

(2) ¹თუ სხვა რაიმე არ არის შეთანხმებული, ნებისმიერ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მის მიწის ნაკვეთზე არსებული იპოთეკა, § 1132-ის მე-2 ნაწილის თანახმად, შეიზღუდოს თანხის იმ ნაწილით, რომელიც შეესაბამება მისი მიწის ნაკვეთის ღირებულების შეფარდებას ყველა მიწის ნაკვეთის ღირებულებასთან და რომ იპოთეკა მას გამოეყოს აღნიშნული შეზღუდვით. ²ღირებულება გამოითვლება უფლებრივი დატვირთვების გამოკლებით, რომლებსაც ენიჭება უპირატესობა საერთო იპოთეკასთან შედარებით.

§ 1173. მოთხოვნის დაკმაყოფილება ერთ-ერთი მესაკუთრის მიერ

(1) ¹თუ საერთო იპოთეკით დატვირთული ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას, მაშინ ის იძენს იპოთეკას თავის მიწის ნაკვეთზე; იპოთეკა დანარჩენ მიწის ნაკვეთებზე უქმდება. ²მესაკუთრის მიერ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას უთანაბრდება შემთხვევები, როდესაც კრედიტორის უფლება გადაეცემა მესაკუთრეს, ან როდესაც მოთხოვნა და ვალი მესაკუთრის ხელში აღმოჩნდება.

(2) თუ მესაკუთრეს, რომელიც აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას, შეუძლია ერთ-ერთი სხვა მიწის ნაკვეთის მესაკუთრისაგან ან ამ მესაკუთრის წინამორბედისაგან ანაზღაურების მოთხოვნა, მაშინ იპოთეკა ამ მიწის ნაკვეთზე ასევე მასზე გადადის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ოდენობით; ეს იპოთეკა თავის მიწის ნაკვეთზე არსებულ იპოთეკასთან ერთად რჩება საერთო იპოთეკის სახით.

§ 1174. მოთხოვნის დაკმაყოფილება პირადი მოვალის მიერ

(1) თუ პირადი მოვალე აკმაყოფილებს იმ კრედიტორის მოთხოვნას, რომელსაც ეკუთვნის საერთო იპოთეკა, ან თუ საერთო იპოთეკის შემთხვევაში მოთხოვნა და ვალი აღმოჩნდება ერთი პირის ხელში, და თუ მოვალეს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება მხოლოდ ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის მესაკუთრისაგან ან ამ მესაკუთრის წინამორბედისაგან, მაშინ მასზე გადადის ამ მიწის ნაკვეთზე არსებული იპოთეკა; იპოთეკა დანარჩენ მიწის ნაკვეთებზე უქმდება.

(2) თუ მოვალეს უნდა მიეცეს ანაზღაურება მხოლოდ ნაწილობრივ, რის გამოც იპოთეკა მასზე მხოლოდ ნაწილობრივ გადადის, მაშინ მესაკუთრემ უნდა დაუშვას ამ ნაწილის მისთვის, § 1172-ის თანახმად, საერთო იპოთეკიდან კუთვნილი დარჩენილი ნაწილის ანგარიშში ჩათვლა.

§ 1175. უარი საერთო იპოთეკაზე

(1) ¹თუ კრედიტორი უარს ამბობს საერთო იპოთეკაზე, მაშინ ეს უკანასკნელი დატვირთული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს ერთობლივად ეკუთვნის; გამოიყენება § 1172 მე-2 ნაწილის ნორმები. ²თუ კრედიტორი უარს ამბობს ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე არსებულ იპოთეკაზე, მაშინ მასზე არსებული იპოთეკა უქმდება.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს კრედიტორის უფლების ამორიცხვის შემთხვევაში, § 1170-ის თანახმად.

§ 1176. ნაწილობრივი მესაკუთრის იპოთეკა; კოლიზიური დათქმა

თუ §§ 1163, 1164, 1168, 1172-1175-ის წინაპირობები სახეზეა მხოლოდ იპოთეკის ნაწილის მიმართ, მაშინ ამ ნორმების საფუძველზე მესაკუთრეზე ან ერთ-ერთ მესაკუთრეზე, ანდა პირად მოვალეზე გადასული იპოთეკა არ შეიძლება განხორციელდეს კრედიტორის მიერ შენარჩუნებული იპოთეკის საზიანოდ.

§ 1177. მესაკუთრის მიწის ვალი, მესაკუთრის იპოთეკა

(1) ¹თუ იპოთეკა საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება ისე, რომ მესაკუთრეს არ ეკუთვნის ამავე დროს მოთხოვნაც, მაშინ იპოთეკა გადაიქცევა მიწის ვალად. ²პროცენტების დარიცხვასთან, საპროცენტო განაკვეთთან, გადახდის ვადასთან, ხელშეკრულების შეწყვეტასა და გადახდის ადგილთან დაკავშირებით განმსაზღვრელია მოთხოვნის მიმართ მიღებული დებულებები.

(2) თუ მესაკუთრეს ეკუთვნის ასევე მოთხოვნაც, მაშინ მანამდე, სანამ იპოთეკა და საკუთრების უფლება გაერთიანებულია, იპოთეკიდან გამომდინარე მესაკუთრის უფლებები განისაზღვრება მესაკუთრის მიწის ვალის მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად.

§ 1178. დამატებითი გადახდებისა და ხარჯების უზრუნველსაყოფად დადგენილი იპოთეკა

(1) ¹პროცენტების დავალიანებისა და სხვა დამატებითი გადახდების, ისევე როგორც კრედიტორისათვის ასანაზღაურებელი ხარჯების უზრუნველსაყოფად დადგენილი იპოთეკა უქმდება, თუ იგი საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება. ²იპოთეკა არ უქმდება მანამდე, სანამ მესამე პირს ასეთ შესრულებაზე ეკუთვნის მოთხოვნის უფლება.

(2) ¹პირველ ნაწილში მითითებული გადახდების უზრუნველსაყოფად დადგენილ იპოთეკაზე უარისათვის საკმარისია მესაკუთრის მიმართ კრედიტორის გაცხადება. ²მანამდე, სანამ მესამე პირს ასეთ შესრულებაზე ეკუთვნის მოთხოვნის უფლება, საჭიროა მესამე პირის თანხმობა. ³თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი კეთდება; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.

§ 1179. იპოთეკის გაუქმების შესახებ წინასწარი ჩანაწერი

თუ მესაკუთრე სხვა პირის წინაშე კისრულობს ვალდებულებას, გააუქმოს იპოთეკა, და ეს უკანასკნელი საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება, მაშინ იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად საჯარო რეესტრში შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს წინასწარი ჩანაწერი, თუ იმ პირს, ვის სასარგებლოდაც უნდა განხორციელდეს რეგისტრაცია:

1. მიწის ნაკვეთზე არსებულ იპოთეკაზე, მიწის ვალსა თუ სარენტო ვალთან შედარებით აქვს თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლება, ან
2. აქვს სხვა ასეთი უფლების მინიჭების, ან მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლება; მოთხოვნის უფლება შეიძლება ასევე იყოს სამომავლო ან პირობითი.

§ 1179ა. იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება მესამე პირთა უფლებების შემთხვევაში

(1) ¹იპოთეკურ კრედიტორს შეუძლია, მესაკუთრეს მოსთხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა გააუქმოს უპირატესი ან თანაბარი რიგის მქონე იპოთეკა, თუ ეს იპოთეკა კრედიტორის იპოთეკის რეგისტრაციის მომენტიდან დასაწყისს საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდა, ან საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში შემდგომში აღმოჩნდება. ²თუ პირველი წინადადების თანახმად, უპირატესი რიგის მქონე იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ საკუთრების უფლება სამართალმემკვიდრეობის შედეგად სხვა პირზე გადავიდა, თითოეული მესაკუთრე ვალდებულია, გააუქმოს იპოთეკა მისი საკუთრების უფლების ვადაში არსებულ საკუთრების უფლებასთან ერთად, იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენის გამო. ³იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლების უზრუნველყოფა ხდება ისე, თითქოს წინასწარი ჩანაწერი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად უპირატესი რიგის მქონე იპოთეკასთან ერთად.

(2) ¹იმ იპოთეკის გაუქმება, რომელიც, § 1163-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება, შეიძლება, პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადია, რომ უზრუნველსაყოფი მოთხოვნა აღარ წარმოიშობა; თუმცა, იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება არსებობს ასევე ამ მომენტიდან ადრე არსებული იპოთეკის საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩენის გამო. ²§ 1163-ის მე-2 ნაწილის თანახმად, საკუთრების უფლებასთან ერთად იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენით პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა.

(3) თუ უპირატესი რიგის მქონე იპოთეკის შემთხვევაში სახეზეა § 1163-ის მე-2 ნაწილის წინაპირობები ისე, რომ მესაკუთრის ან მისი სამართალმემკვიდრის სასარგებლოდ უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, მაშინ იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს რეგისტრირებულ კრედიტორს ან მის სამართალმემკვიდრეს.

(4) თუ იპოთეკა ინაცვლებს უკანა რიგში, მაშინ უპირატესი ან თანაბარი რიგის მქონე იპოთეკის რიგითობის ცვლილების შედეგად მისი გაუქმების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება პირველი-მე-3 ნაწილები იმ პირობით, რომ რიგითობის დამთმობი უფლების რეგისტრაციის მომენტის ადგილს იკავებს რიგითობის ცვლილების დროის მომენტი.

(5) ¹იმ იპოთეკის შინაარსში, რომლის კრედიტორს, ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად, აქვს იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება, შეიძლება ჩაიდოს ამ მოთხოვნის უფლების გამორიცხვა; გამორიცხვა შეიძლება შეიზღუდოს საკუთრების უფლებასთან ერთად იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენის კონკრეტული შემთხვევით. ²გამორიცხვის შესახებ უნდა აღინიშნოს საჯარო რეესტრში იმ იპოთეკების ჩამოთვლით, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ექცევა იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლების მოქმედების ქვეშ; თუ გამორიცხვა არ არის შეზღუდული საკუთრების უფლებასთან ერთად იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენის ყველა შემთხვევით, მაშინ ამ შემთხვევების უფრო დეტალური აღწერისთვის შეიძლება გაკეთდეს მითითება რეგისტრაციის განხორციელების თანხმობაზე. ³თუ გამორიცხვა უქმდება, მაშინ იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა საკუთრების უფლებასთან ერთად იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენის ისეთ შემთხვევაში, რომლებიც მხოლოდ გაუქმებამდე იყო.

1. მიზანი. მიწის ნაკვეთზე დადგენილი უზრუნველყოფილი უფლებების კრედიტორებს აქვთ უპირატესი ან თანაბარი რიგის უფლებრივი დატვირთვების გაუქმების ეკონომიკური ინტერესი, როდესაც ეს უფლებები – მაგ., ვალის დაფარვის

შედეგად – გაერთიანდა საკუთრების უფლებასთან. § 1179ა-ს დამატებამდე ამ კრედიტორებს, როგორც წესი, ენიჭებოდათ წინასწარი ჩანაწერით უზრუნველყოფილი სახელშეკრულებო უფლებრივი დატვირთვის გაუქმების მოთხოვნის უფლება. საჯარო რეესტრის სამსახურის განტვირთვის მიზნით ნორმა ადგენს უფლებრივი დატვირთვის გაუქმების კანონისმიერ მოთხოვნის უფლებას წინასწარი ჩანაწერის მსგავსი სამართლებრივი მოქმედებით (იხ. პირველი ნაწილის პირველი ნინადადება). ამგვარად, ის იმყოფება გარკვეულ „დაძაბულ“ ურთიერთობაში რიგის შენარჩუნების პრინციპთან (მდრ. § 1163-ის პირველი ველი).

2 2. გამოყენების სფერო. უფლებრივი დატვირთვის გაუქმების კანონისმიერი მოთხოვნის უფლება ეკუთვნის მხოლოდ მინის ნაკვეთზე დადგენილი უზრუნველყოფი უფლებების კრედიტორებს; სანივთოსამართლებრივად უფლებამოსილი სხვა პირები (მაგ., უზუფრუქტუარი) შემდგომში უნდა დაეთანხმონ – და მათ ასევე შეუძლიათ კიდევ ეს – უფლებრივი დატვირთვის გაუქმების წინასწარ ჩანაწერს (იხ. § 1179). გარდა ამისა, მოთხოვნის უფლება არ არის მიმართული დროებითი მესაკუთრის მიწის ვალის წინააღმდეგ (იხ. მე-2 ნინადადება), არც გარეგების საფუძველზე დადგენილი მესაკუთრის მიწის ვალის წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ არ იქნა დათმობილი (§ 1196-ის მე-3 ნაწილი). აღნიშნულის შედეგად მოხდება მესაკუთრის ფინანსური ინტერესების გათვალისწინება.

§ 1179ბ. იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება საკუთარი უფლების შემთხვევაში

(1) პირს, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც იპოთეკური კრედიტორი ან, § 1155-ის თანახმად, იდენტიფიცირებულია როგორც კრედიტორი, შეუძლია, მესაკუთრისაგან მოითხოვოს ამ იპოთეკის გაუქმება, თუ ეს უკანასკნელი მისი რეგისტრაციის მომენტში საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდა, ან საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში შემდგომში აღმოჩნდება.

(2) შესაბამისად, გამოიყენება § 1179ა პირველი ნაწილის მე-2 ნინადადება და მე-3 ნინადადებები, მე-2 ნაწილი, მე-5 ნაწილი.

§ 1180. მოთხოვნის შეცვლა

(1) ¹მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს იპოთეკა, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. ²ცვლილებისათვის საჭიროა კრედიტორისა და მესაკუთრის შეთანხმება, ასევე საჯარო რეესტრში რეგისტრაცია; შესაბამისად, გამოიყენება § 873-ის მე-2 ნაწილისა და §§ 876, 878-ის ნორმები.

(2) ¹თუ მოთხოვნა, რომელმაც უნდა დაიკავოს თავდაპირველი მოთხოვნის ადგილი, თავდაპირველ იპოთეკურ კრედიტორს არ ეკუთვნის, მაშინ საჭიროა ამ უკანასკნელის თანხმობა; თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სამსახურის ან იმ პირის წინაშე, ვის სასარგებლოდაც იგი ხორციელდება. ²შესაბამისად, გამოიყენება § 875-ის მე-2 ნაწილისა და § 876-ის ნორმები.

§ 1181. იპოთეკის გაუქმება მინის ნაკვეთზე გადახდევინების მიქცევის შედეგად

(1) მინის ნაკვეთიდან კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში იპოთეკა უქმდება.

(2) თუ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება საერთო იპოთეკით დატვირთული ერთ-ერთი მინის ნაკვეთიდან, მაშინ თავისუფლდება, აგრეთვე, დანარჩენი მინის ნაკვეთებიც.

(3) მინის ნაკვეთიდან კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას უთანაბრდება დაკმაყოფილება სხვა საგნებიდან, რომლებზეც ვრცელდება იპოთეკა.

§ 1182. იპოთეკის გადასვლა საერთო იპოთეკიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში

¹რამდენადაც საერთო იპოთეკის შემთხვევაში იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომლიდანაც განხორციელდება კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, შეუძლია, სხვა მიწის ნაკვეთების მესაკუთრისაგან ან მისი წინამორბედისაგან მოითხოვოს ანაზღაურება, მასზე გადადის ამ მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე არსებული იპოთეკა. ²თუმცა, თუ კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილდება მხოლოდ ნაწილობრივ, მაშინ იპოთეკა არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს კრედიტორის მიერ შენარჩუნებული იპოთეკის, ხოლო თუ მიწის ნაკვეთი დატვირთულია თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლებით, – ამ უფლების საზიანოდ.

§ 1183. იპოთეკის გაუქმება

¹გარიგებით იპოთეკის გაუქმებისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. ²თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.

§ 1184. საგარანტიო იპოთეკა

(1) იპოთეკა შეიძლება დადგენილ იქნეს იმგვარად, რომ იპოთეკიდან გამომდინარე კრედიტორის უფლება განისაზღვრება მხოლოდ მოთხოვნის მიხედვით და კრედიტორს არ შეუძლია მოთხოვნის არსებობის დასტურად მიუთითოს რეგისტრაციაზე (საგარანტიო იპოთეკა).

(2) იპოთეკა საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს როგორც საგარანტიო იპოთეკა.

საგარანტიო იპოთეკა – როგორც ეს ნაჩვენებია პირველ ნაწილსა და § 1185-ის მე-2 ნაწილში – **მკაცრად აქცესორულია**: კრედიტორის უფლება განისაზღვრება მხოლოდ მოთხოვნის მიხედვით; § 1138-ის შესაბამისად, მოთხოვნის გარეშე იპოთეკის კეთილსინდისიერი შექმნა გამორიცხულია (§ 1185-ის მე-2 ნაწილი). მესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნის მიმართ ყველა შესაგებლის გამოყენება, ასევე იპოთეკის მიმართაც. ვინაიდან § 1156 არ გამოიყენება (§ 1185-ის მე-2 ნაწილი), იპოთეკის დათმობის შემთხვევაში მესაკუთრის სასარგებლოდ მოქმედებს ასევე §§ 406-408.

მკაცრი აქცესორულობის შედეგად საგარანტიო იპოთეკის **ბრუნვაუნარიანობა** მნიშვნელოვნად **შეზღუდულია**. ამდენად, ის ემსახურება, უპირველეს ყოვლისა, მოკლე დროში შესასრულებელი მოთხოვნების უზრუნველყოფას, ამდენად, § 648-ით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების უზრუნველსაყოფად დადგენილია იპოთეკა, იძულებითი იპოთეკა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 866-ის პირველი ნაწილი) და ყადაღა-იპოთეკა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 932).

§ 1185. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკა; ნორმები, რომლებიც არ გამოიყენება

(1) საგარანტიო იპოთეკის შემთხვევაში იპოთეკის სერტიფიკატის გადაცემა გამორიცხულია.

(2) §§ 1138-ის, 1139-ის, 1141-ის, 1156-ის ნორმები არ გამოიყენება.

§ 1186. დასაშვები ცვლილებები

¹საგარანტიო იპოთეკა შეიძლება შეიცვალოს ჩვეულებრივი იპოთეკით, ჩვეულებრივი იპოთეკა კი საგარანტიო იპოთეკით. ²თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლებამოსილი პირების თანხმობა სავალდებულო არ არის.

§ 1187. საგარანტიო იპოთეკა სანარმდგენლო და საორდერო ფასიანი ქალაღდე-ბისათვის

¹სანარმდგენლო სავალო დოკუმენტიდან, თამასუქიდან ან სხვა იმ ფასიანი ქა-ღაღდიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, რომელიც გადაცემა ინდოსამენტის მეშვეობით, შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ საგარანტიო იპო-თეკა. ²§ 1154-ის მე-3 ნაწილის ნორმა არ გამოიყენება. ³§§ 1179ა-ს, 1179ბ-ს თანახ-მად, იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა.

§ 1188. სანარმდგენლო სავალო დოკუმენტის შესახებ სპეციალური ნორმა

(1) სანარმდგენლო სავალო დოკუმენტიდან მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკის დადგენისათვის საკმარისია საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე მე-საკუთრის განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი ადგენს იპოთეკას, და რეესტრა-ცია საჯარო რეესტრში; გამოიყენება § 878-ის ნორმა.

(2) ¹§ 1170-ის თანახმად, კუთვნილი უფლებით კრედიტორის ამორიცხვა დასაშ-ვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავიდა § 801-ში მითითებული დოკუმენტის წარდგენის ვადა. ²თუ დოკუმენტი წარდგენილ იქნა ვადაში, ან დოკუმენტიდან გა-მომდინარე მოთხოვნის უფლება განხორციელდა სასამართლო წესით, მაშინ ამო-რიცხვა დასაშვებია მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

§ 1189. საჯარო რეესტრის წარმომადგენლის დანიშვნა

(1) ¹§ 1187-ში გათვალისწინებული სახით იპოთეკის შემთხვევაში, შეიძლება დაინიშნოს შესაბამისი კრედიტორის წარმომადგენელი ნებისმიერი შემდგომი კრე-დიტორის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ განსაზღვრული განკარგვების გან-ხორციელებისა და იპოთეკის რეალიზაციისას კრედიტორის წარმომადგენლობის უფლებამოსილებით. ²წარმომადგენლის დანიშვნისათვის საჭიროა საჯარო რეესტ-რში რეესტრაცია.

(2) თუ მესაკუთრე უფლებამოსილია, კრედიტორისაგან მოითხოვოს იმ განკარ-გვის განხორციელება, რაზეც უფლებამოსილია წარმომადგენელი, მაშინ მას შეუძ-ლია, წარმომადგენლისაგან მოითხოვოს განკარგვის განხორციელება.

§ 1190. ზღვრული თანხის იპოთეკა

(1) ¹იპოთეკა შეიძლება დადგინდეს იმგვარად, რომ განისაზღვროს მხოლოდ ის ზღვრული თანხა, რომლის ოდენობამდეც უნდა მოხდეს გადახდევინების მიქცევა მინის ნაკვეთიდან, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში მოხდება მოთხო-ვნაში პირობების დაქტმა. ²ზღვრული თანხა უნდა დარეესტრირდეს საჯარო რეესტრში.

(2) თუ მოთხოვნას ერიცხება პროცენტები, მაშინ ისინი ჩაითვლება ზღვრულ თანხაში.

(3) იპოთეკა მიიჩნევა საგარანტიო იპოთეკად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არ არის ასეთად დასახელებული საჯარო რეესტრში.

(4) ¹მოთხოვნა შეიძლება გადაცემულ იქნეს მოთხოვნების გადაცემის მიმართ მოქმედი ზოგადი ნორმების მიხედვით. ²თუ იგი გადაცემა ამ ნორმების მიხედვით, იპოთეკის გადასვლა გამორიცხულია.

კარი 2. მიწის ვალი, სარენტო ვალი

ქვეკარი 1. მიწის ვალი

§ 1191. მიწის ვალის კანონისმიერი შინაარსი

(1) მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, მიწის ნაკვეთიდან მიეცეს განსაზღვრული ფულადი თანხა (მიწის ვალი).

(2) უფლებრივი დატვირთვა შეიძლება ასევე განხორციელდეს იმგვარად, რომ მიწის ნაკვეთიდან გადახდილ იქნეს ფულადი თანხის პროცენტები, ასევე განხორციელდეს სხვა დამატებითი შესრულებები.

I. ზოგადი მიმოხილვა

1. სამართლებრივი ბუნება. მიწის ვალი არის დამოუკიდებელი რეალიზაციის 1
სანივთო უფლება, რომლის კანონისმიერი რეგულირება არ გულისხმობს უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობას. აქცესორულობის არარსებობაში ვლინდება მისი არსებითი განსხვავება იპოთეკისაგან (იხ. § 1113-ის მე-2 ველი).

2. განასხვავებენ მიწის ვალის ორ სახეს: 2

ა) საგარანტიო მიწის ვალი ემსახურება მოთხოვნის უზრუნველყოფას (იხ. 3

§ 1192-ის პირველ ნაწილში მოცემული დეფინიცია). მისი სამართლებრივი კონსტრუქცია – მსგავსად უზრუნველყოფის მიზნით ნივთის საკუთრების უფლებით გადაცემისა – ჩამოყალიბებულ იქნა სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული მეცნიერების მიერ. პრაქტიკაში საგარანტიო მიწის ვალს მონინავე პოზიცია უკავია მიწის ნაკვეთზე დადგენილ უზრუნველყოფ უფლებებს შორის. აქცესორულობის არარსებობის გამო, ის მარტივი და თავისი შინაარსით უფრო ძლიერი უზრუნველყოფაა, ვიდრე იპოთეკა, რომელიც მან მნიშვნელოვანწილად გამოდევნა ბაზრიდან (შინაარსობრივი საგარანტიო მიწის ვალთან იპოთეკის შედარებისათვის იხ. *Baur/Stürmer*, მიმოხილვა, 20). კანონი იპოთეკას დეტალურად არგულირებს, ხოლო მიწის ვალისათვის მას მომზადებული აქვს მხოლოდ მითითებები (§ 1192-ის პირველი ნაწილი) და რამდენიმე სპეციალური ნორმა (§§ 1193-1196).

ბ) იზოლირებული მიწის ვალი, ანუ უზრუნველსაყოფი მოთხოვნის (მაგ., ჩუქების საფუძველზე) გარეშე მინიჭებული „იზოლირებული“ რეალიზაციის უფლება სამართლებრივ რეალობაში იშვიათი გამონაკლისია. იზოლირებული მიწის ვალის წარმოშობისა და დათმობის მიმართ მოქმედებს იგივე პრინციპები, რომლებიც არსებობს საგარანტიო მიწის ვალის მიმართ, რამდენადაც § 1192-ის 1ა ნაწილიდან საგარანტიო მიწის ვალისათვის სპეციალური დანაწესები არ გამომდინარეობს. 4

II. საგარანტიო მიწის ვალი

1. სამ გარიგებას შორის სხვაობა არსებითია. 5

ა) მოთხოვნის გარიგებაა, რომლიდანაც გამომდინარეობს ფულადი თანხის გადახდაზე, მაგ., სესხიდან (§ 488-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება) ან ნასყიდობის ხელშეკრულებიდან (§ 433-ის მე-2 ნაწილი) კრედიტორის კუთვნილი უზრუნველსაყოფი მოთხოვნის უფლება. როგორც წესი, ამ შემთხვევაში მოკლედ საუბრობენ „მოთხოვნაზე“. 6

უზრუნველყოფილია თუ არა მიწის ვალით ასევე **კომპენსაციის მოთხოვნის უფლებები**, რომლებიც მოთხოვნის გარიგების დარღვევის შემთხვევაში იკავებს შესაბამისი მოთხოვნის უფლების ადგილს, უპირველეს ყოვლისა, ნყვეტს უზრუნველყოფის ხელშეკრულების შინაარსი; საექვობისას, სესხის ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში, კრედიტორის კუთვნილი უსაფუძვლო გამდდრებიდან 7

გამომდინარე მოთხოვნის უფლება მიიჩნევა უზრუნველყოფილად (*MüKo-Eickmann*, 78-ე ველი).

- 8 ბ) უზრუნველყოფის ხელშეკრულება აწესრიგებს მესაკუთრესა და მინის ვალის კრედიტორს შორის ვალდებულებით-სამართლებრივ მოვალეობებს და ადგენს, თუ რომელი მოთხოვნა უნდა იყოს უზრუნველყოფილი (ე. წ. სავალდებულო განცხადება). უზრუნველყოფის ხელშეკრულებით მესაკუთრე, როგორც წესი, ვალდებულია მინის ვალის დადგენაზე, ხოლო კრედიტორი იმაზე, რომ მინის ვალი გამოყენებული იქნება მხოლოდ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად და რომ აღნიშნული სანივთო უფლება დაუბრუნდება მესაკუთრეს მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ. საკრედიტო პრაქტიკაში, როგორც წესი, მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ მინის ვალი ემსახურებოდეს მოვალის მიმართ კრედიტორის კუთვნილ ყველა არსებულ და მომავალში წარმოშობილ მოთხოვნის უფლებას. ამ პოზიციას სასამართლო პრაქტიკაც ეთანხმება, რამდენადაც მესაკუთრე იმავდროულად არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოვალე; ამდენად, უზრუნველყოფის გამცემი, როგორც მოვალე, ისე დაც პასუხს აგებს აღნიშნულ ვალდებულებებზე მთელი თავისი ქონებით.
- 9 უზრუნველყოფის ხელშეკრულება ქმნის მინის ვალის დადგენის სამართლებრივ საფუძველს (კაუზა). თუ ის სამართლებრივი ძალის არმქონეა, მაშინ სახეზეა მოთხოვნის უფლება მინის ვალის დაბრუნებაზე, § 812-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე.
- 10 მინის ვალის აქცესორულობას არ შეუძლია უზრუნველყოფის ხელშეკრულების გამყარება. მინის ვალი წარმოიშობა მოთხოვნის არსებობისაგან დამოუკიდებლად; § 1163-ის პირველი ნაწილი არ მოქმედებს (იხ., მაგ., *Jauernig*, მე-6 ველი).
- 11 გ) სანივთო გარიგება, მაშასადამე მინის ვალის დადგენა. § 873-ის შესაბამისად, ის ითხოვს სანივთო შეთანხმებას, საჯარო რეესტრში რეგისტრაციასა და რეგისტრაციის მომენტში შეთანხმებულად ყოფნას (იხ. იქვე). საბარათე მინის ვალის შემთხვევაში, §§ 1192, 1117-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, ემატება ასევე ბარათის გადაცემა. არაუფლებამოსილი პირისაგან მინის ვალის შეძენა შესაძლებელია § 892-ის შესაბამისად (შდრ. იქვე, პირველი ველი).
- 12 2. სანივთო უფლების არსებობის წინააღმდეგ შესაგებლები (იხ. § 1137-ის მე-5 ველი) შეიძლება გამოყენებულ იქნეს მინის ვალის მიმართაც (ისევე როგორც იპოთეკა). თუმცა, მოთხოვნის მიმართ მინის ვალის აქცესორულობის არარსებობის გამო § 1137, პირიქით, შესაგებლების მიმართ არ მოქმედებს. თუ, მაგ., ვალუტირების არარსებობის გამო მოთხოვნა არ წარმოშობილა, მაშინ § 1137 არ გამოიყენება; თუმცა, უზრუნველყოფის ხელშეკრულებით მოთხოვნისა და მინის ვალის კავშირის შედეგად, მესაკუთრეს შეუძლია წარადგინოს სანივთო „შესაგებელი არასაკმარისი უზრუნველყოფის შემთხვევის“ გამო (იხ., მაგ., *Medicus-Petersen*, 496-ე ველი). უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლები ექვემდებარება § 1157-ს, ვინაიდან ეს უკანასკნელები, მათი ვალდებულებით-სამართლებრივი წარმომავლობის მიუხედავად, მიმართულია „მინის ვალის წინააღმდეგ“, ხოლო შეძენის შემთხვევაში, უკვე წარმოშობილი შესაგებლები შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს შეძენის (ცესიონერის) წინააღმდეგ. § 1157-ის მე-2 წინადადების თანახმად, შესაგებლისაგან თავისუფალი კეთილსინდისიერი შეძენა საგარანტიო მინის ვალის შემთხვევაში უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლებისათვის, § 1192-ის 1ა ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გამორიცხულია მაშინაც კი, როდესაც შეძენმა არ იცოდა, რომ მან შეიძინა საგარანტიო მინის ვალი. ამ დანაწესით კანონმდებელი იცავს მესაკუთრეს იმ უარყოფითი შედეგებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს სპეციალურ საფონდო საზოგადოებებზე ფართოდ გავრცელებული მთლიანი საკრედიტო პორტფელის გასხვისებიდან (გარდამავალი დებულებებისათვის იხ. სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 229-ე მუხლი, § 18).

3. მიწის ვალის **გადაცემისათვის** აქცესორულობის არარსებობის გამო § 1153 არ მოქმედებს. უფრო მეტიც, უნდა შესრულდეს მიწის ვალის როგორც დამოუკიდებელი სანივთო უფლების დამახასიათებელი გადაცემის წინაპირობები: რეგისტრირებული მიწის ვალისათვის ეს წინაპირობაა §§ 1192-ის პირველი ნაწილის, 1154-ის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სანივთო შეთანხმება და რეგისტრაცია (§ 873), ხოლო საბარათე მიწის ვალისათვის ეს წინაპირობებია §§ 1192-ის პირველი ნაწილის, 1154-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, წერილობითი გადაცემის განცხადება და მიწის ვალის ბარათის გადაცემა. არაუფლებამოსილი პირისაგან კეთილსინდისიერი შეძენა რეგისტრირებული მიწის ვალის შემთხვევაში რეგულირდება § 892-ით, ხოლო საბარათე მიწის ვალის შემთხვევაში – § 1155-ით.

საგარანტიო მიწის ვალის შემთხვევაში, სანივთო უფლების გადაცემასთან ერთად, როგორც წესი, ხდება ასევე **მოთხოვნის** დათმობაც; მოთხოვნის დათმობა ხორციელდება მხოლოდ §§ 398-ით და შემდეგი პარაგრაფების თანახმად.

შესაძლებელია მიწის ვალისა და მოთხოვნის ერთმანეთისაგან განცალკევება, მაგ., როდესაც კრედიტორი ახდენს მხოლოდ მიწის ვალის გადაცემას, ხოლო მოთხოვნას ინარჩუნებს (დეტალურად ამ პრობლემატიკის შესახებ იხ. *Baur/Stürmer*, § 45, 54-ე და შემდეგი ველები). თუმცა, მიწის ვალის ეს განცალკევებული განკარგვა მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომამდე, როგორც წესი, ეწინააღმდეგება ვალდებულებით-სამართლებრივ უზრუნველყოფის ხელშეკრულებას (შესრულების ვადის დადგომის შემდეგ რეალიზაციის მოქმედება გადაცემა; ამონაგები თანხა ჩაითვლება მოთხოვნის შესრულების ანგარიშში, რის შედეგადაც მოთხოვნა უქმდება; *MüKo-Eickmann*, 101-ე ველი). თუმცა, მესაკუთრე ორმაგი მოთხოვნის წარდგენის საფრთხისაგან დაცულია იმით, რომ მას შემძენის მიმართაც შეუძლია უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლების გამოყენება, § 1157-ის შესაბამისად (შდრ. ზემოთ, მე-12 ველი). მაგ., როდესაც მესაკუთრემ მოთხოვნა უკვე შეასრულა, მას შეუძლია, შესაგებლის სახით გამოიყენოს მოთხოვნის უფლება მიწის ვალის დაბრუნებაზე (არაკეთილსინდისიერი) შემძენის მიმართ.

4. **ვალის დაფარვისას** განასხვავებენ შემთხვევებს, ხდება თუ არა გადახდა მოთხოვნის, მიწის ვალის თუ ორივეს მიმართ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, თუ ვინ მოახდინა ვალის დაფარვა – მესაკუთრე-მოვალემ, მხოლოდ-მესაკუთრემ თუ მხოლოდ-მოვალემ. უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტია შემსრულებლის ნება იმაზე, თუ რის მიმართ განხორციელდა გადახდა; ამავე დროს, გადახდის მიზანი ჯერ კიდევ შეიძლება მოგვიანებით ხელშეკრულებით შეიცვალოს, მაგ., იმ დროს, როდესაც მესაკუთრე-მოვალის მხრიდან მოთხოვნის შესაბამისი გადახდა შედეგად უნდა იწვევდეს ასევე მიწის ვალის დაფარვასაც (BGH NJW, 1969, 2237). თუ გადახდას ახორციელებს მხოლოდ-მესაკუთრე, მაშინ კონკრეტული საწინააღმდეგო ამოსავალი ნერტილის არარსებობის გამო, ინტერესთა პოზიციის თანახმად, ივარაუდება, რომ მას სურს მიწის ვალის დაფარვა, როდესაც მხოლოდ-მოვალის ნება, როგორც წესი, მიმართული იქნება მოთხოვნის დაფარვისაკენ. ცალკეულ შემთხვევებში მოქმედებს შემდეგი წესები:

ა) თუ **მესაკუთრე-მოვალე** ახორციელებს გადახდას **მხოლოდ მოთხოვნის შესაბამისად**, მაშინ ეს უკანასკნელი უქმდება (§ 362-ის პირველი ნაწილი); მიწის ვალი თავდაპირველად შენარჩუნდება, თუმცა, მესაკუთრე-მოვალეს, უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, როგორც წესი, აქვს მოთხოვნის უფლება მიწის ვალის დაბრუნებაზე. ამავე დროს, მას აქვს არჩევანი სამ შესაძლებლობას შორის: უფლების უკან დაბრუნება, § 1154-ის შესაბამისად, უფლებაზე უარის თქმა, § 1169-ის შესაბამისად (§ 1168-ის შედეგით), ან უფლების გაუქმება, § 875-ის თანახმად (*Medicus-Petersen*, 500-ე ველი).

ბ) თუ **მესაკუთრე-მოვალე** ახორციელებს გადახდას **მიწის ვალის შესაბამისად**, მაშინ უზრუნველყოფის ხელშეკრულების არსისა და მიზნის მიხედვით წყდება

ასევე პირადი ვალიც, § 362-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, როდესაც მიწის ვალის დაფარვის მომენტში დადგა მოთხოვნის შესრულების ვადაც (BGH NJW, 1980, 2198). მიწის ვალი კანონის ძალით გადაიქცევა მესაკუთრის მიწის ვალად. ამ უდავო შედეგის დადგომა ნაწილობრივ გამყარებულია § 1163-ის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების ანალოგიით, ხოლო ნაწილობრივ – ასევე §§ 1168, 1171-ის სამართლებრივი არსით; გაბატონებული შეხედულების თანახმად კი, პირიქით, სამართლიანად ივარაუდება, რომ §§ 1142, 1143 ზემოაღნიშნულ შემთხვევას მოიცავს (იხ., მაგ., *MüKo-Eickmann*, 107-ე ველი).

19 გ) თუ გადახდას ახორციელებს **მხოლოდ-მესაკუთრე**, მაშინ მიწის ვალი, § 1143-ის თანახმად, მესაკუთრის მიწის ვალის სახით გადადის მასზე (შდრ. ზემოთ, ბ). მოთხოვნა უცვლელი რჩება (BGHZ, 80, 228). კანონის ძალით მოთხოვნის შექმნა (§ 1143) არ ხდება (BGHZ, 105, 154); თუმცა, გაბატონებული შეხედულების თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კრედიტორისაგან მოითხოვოს მოთხოვნის დათმობა იმ შემთხვევაში, როდესაც მას მოვალის მიმართ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვს.

20 დ) თუ გადახდას ახორციელებს **მხოლოდ-მოვალე**, მაშინ მოთხოვნა უქმდება (§ 362-ის პირველი ნაწილი). მიწის ვალი ჯერჯერობით რჩება კრედიტორთან (ზოგადი შეხედულებით, § 1163-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება არ გამოიყენება). ამავე დროს, გასათვალისწინებელია უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება. თუ მოვალე არის ამ ხელშეკრულების მხარე, მესაკუთრე კი მის წინაშეა ვალდებული კომპენსაციის გადახდაზე, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს მიწის ვალის მისთვის გადაცემა; თუ მოვალე არ არის ამ ხელშეკრულების მხარე, მაშინ მესაკუთრე ვალდებულია, მას დაუთმოს უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება (იხ., მაგ., *Stürner*, § 45, 86-ე ველი; *Schwab/Prütting*, 772-ე ველი).

21 5. თუნდაც, როდესაც § 873-ის თანახმად, მიწის ვალის დადგენა არ მოითხოვს ფორმის დაცვას, საჯარო რეესტრის მომწესრიგებელი ფორმალური სამართლიდან გამომდინარე, (საჯარო რეესტრის შესახებ კანონის § 29) მესაკუთრის თანხმობისათვის არსებობს **ოფიციალური დამონშების** მოთხოვნა (§ 129). პრაქტიკაში მე-საკუთრის განცხადება, როგორც წესი, სანოტარო წესითაც კი მონშდება (§ 128), ვინაიდან კრედიტორი დაჟინებით მოითხოვს იმას, რომ დაუყოვნებლივ მიიღოს სააღსრულებო ფურცელი **აღსასრულებელი დოკუმენტის** ფორმით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§ 794-ის პირველი ნაწილის 1, №5, 800). გარდა ამისა, მსესხებელმა მიწის ვალის დადგენასთან ერთად, როგორც წესი, უნდა გასცეს აბსტრაქტული ვალის შეპირება (§ 780) და მთელ თავის ქონებასთან დაკავშირებით – მან უნდა ითმინოს დაუყოვნებელი იძულებითი აღსრულება.

§ 1192. გამოსაყენებელი ნორმები

(1) მიწის ნაკვეთის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება იპოთეკის შესახებ ნორმები, თუ სხვა რაიმე არ გამომდინარეობს იმ ფაქტის გამო, რომ მოთხოვნა არ არის მიწის ვალის არსებობის წინაპირობა.

(1ა) ¹თუ მიწის ვალი დადგენილ იქნა მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად (საგარანტიო მიწის ვალი), მაშინ ის შესაგებელი, რომელიც მესაკუთრეს ეკუთვნის თავდაპირველ კრედიტორთან დადებული უზრუნველყოფის ხელშეკრულების საფუძველზე, ან, რომელიც გამომდინარეობს უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან, შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე მიწის ვალის ნებისმიერი შემქმნის მიმართ; § 1157-ის მე-2 წინადადება არ გამოიყენება. ²დანარჩენ შემთხვევებში § 1157 ხელშეუხებელი რჩება.

(2) მიწის ვალის პროცენტების მიმართ მოქმედებს იპოთეკური მოთხოვნის პროცენტების შესახებ ნორმები.

1. ვინაიდან მოთხოვნა არ არის მიწის ვალის არსებობის წინაპირობა, არ გამოიყენება: §§ 1113, 1115-ის პირველი წინადადების მეორე ნაწილი, 1137-1139, 1141-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, 1153, 1161, 1163-ის პირველი ნაწილი, 1164-1166, 1173-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება (მოთხოვნისა და ვალის ერთ სუბიექტში გაერთიანებასთან დაკავშირებით), 1174, 1177, 1180-ის პირველი ნაწილი, 1184-1187 და 1190.

2. შესაბამისად გამოიყენება იპოთეკის მომწესრიგებელი დანარჩენი ნორმები, როდესაც სიტყვა „მოთხოვნის“ ადგილს უნდა იკავებდეს „მიწის ვალი“. ასე, მაგ.: §§ 1115-ის პირველი წინადადების პირველი ნაწილი, 1118, 1142, 1154 და შემდეგი პარაგრაფები.

3. შესაბამისად, გამოიყენება ასევე § 1157. რა თქმა უნდა, შესაგებლისაგან თავისუფალი კეთილსინდისიერი შეძენა, § 1157-ის მე-2 წინადადების თანახმად, საგარანტიო მიწის ვალის შემთხვევაში უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლებისათვის გამოორიციხულია, როდესაც მიწის ვალი შეძენილ იქნა 19.08.2008 წლის შემდეგ (შდრ. 1ა ნაწილი, სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის § 18-ის მე-2 ნაწილთან კავშირში), რომლის მიხედვით, მესაკუთრე დაცულია მიწის ვალის დათმობის შედეგად დამდგარი უარყოფითი შედეგებისაგან, ვინაიდან ეს უკანასკნელი ნორმის ძალაში შესვლამდე იხილება საკრედიტო პორტფელის გასხვისებასთან დაკავშირებით. 19.08.2008 წლამდე განხილულ საქმეებში უმაღლესი ფედერალური სასამართლო იცავს მოვალის ინტერესებს პროცესუალურ დონეზე იმ დროს, როდესაც ის სააღსრულებო წარწერის გაკეთებას უკავშირებს სამართალმემკვიდრეს ისე, რომ სააღსრულებო წარწერის შემსრულებელ უწყებას – როგორც წესი, ნოტარიუსს, რომელმაც დაამოწმა მიწის ვალის დამდგენი დოკუმენტი უშუალო აღსრულების დათქმით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 794-ის პირველი ნაწილის №05) – უდასტურდება ასევე უზრუნველყოფის ხელშეკრულებაში სამართალმემკვიდრის შემოსვლა (BGH NJW, 2010, 2041)¹⁵¹.

§ 1193. ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) მიწის ვალის ძირითადი თანხის გადახდის ვადა დგება მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წინასწარი შეტყობინების შემდეგ. ²ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება ეკუთვნის როგორც მესაკუთრეს, ისე კრედიტორს. ³ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს ექვს თვეს.

(2) ¹დასაშვებია განსხვავებული პირობები. ²თუ მიწის ვალი დადგენილია ფულადი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, მაშინ პირველი ნაწილისაგან განსხვავებულ პირობები დაუშვებელია.

§ 1194. გადახდის ადგილი

თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, ძირითადი თანხის, ისევე როგორც პროცენტებისა და სხვა დამატებითი შესრულებების გადახდა ხდება იმ ადგილზე, სადაც საჯარო რეესტრის სამსახურს აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

§ 1195. საწარმდგენლო მიწის ვალი

¹მიწის ვალი შეიძლება დადგინდეს იმგვარად, რომ გაიცეს მიწის ვალის სერტიფიკატი წარმომდგენზე. ²ასეთი სერტიფიკატის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება საწარმდგენლო სავალო დოკუმენტების შესახებ ნორმები.

§ 1196. მესაკუთრის მიწის ვალი

(1) მიწის ვალი შეიძლება ასევე დადგინდეს მესაკუთრის სასარგებლოდაც.

151 ამონარიდი მე-13 გამოცემიდან.

(2) დასადგენად საჭიროა მესაკუთრის განცხადება საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე იმის თაობაზე, რომ საჯარო რეესტრში განხორციელდეს მინის ვალის რეგისტრაცია მის ინტერესებში, და რეგისტრაცია; გამოიყენება § 878-ის ნორმა.

(3) §§ 1179ა, 1179ბ-ს თანახმად, მინის ვალის მოთხოვნის უფლება არსებობს მხოლოდ საკუთრების უფლებასთან ერთად იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენის ისეთი შემთხვევის გამო, რომელიც დგება იმის შემდეგ, რაც მინის ვალი გახდა სხვა პირის საკუთრება, რომელიც არ არის მესაკუთრე.

1 მხედველობაშია მისაღები ის, რომ მესაკუთრის მინის ვალი საკუთრების უფლებების მიმართ **დამოუკიდებელი უფლებაა**. თუ, მაგ., მოხდება მინის ვალით დატვირთული მინის ნაკვეთის გადაცემა მინის ვალის უშუალო დათმობის გარეშე, მაშინ ის გადაიქცევა შემძენის მინის ნაკვეთზე გამსხვისებლის, როგორც სხვა პირის, კუთვნილ მინის ვალად. რა თქმა უნდა, გამსხვისებელს არ შეუძლია მინის ვალის რეალიზაცია; უფრო მეტიც, §§ 433-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების, 442-ის მე-2 ნაწილის თანახმად, შემძენს ეკუთვნის გაუქმების შესახებ ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება (იხ. *Baur/Stürmer*, § 36, 120-ე და შემდეგი ველები).

§ 1197. სხვა პირის სასარგებლოდ დადგენილი მინის ვალის განსხვავებული წესები

(1) თუ მესაკუთრე არის კრედიტორი, მაშინ მას თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით არ შეუძლია იძულებითი აღსრულება.

(2) პროცენტები ეკუთვნის მესაკუთრეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა პირის განცხადების საფუძველზე იძულებითი მართვის მიზნით მოხდა გადახდევინების მიქცევა და მხოლოდ იძულებითი მართვის ვადით.

§ 1198. დასაშვები ცვლილებები

¹იპოთეკა შეიძლება შეიცვალოს მინის ვალით, მინის ვალი – იპოთეკით. ²თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლებამოსილი პირების თანხმობა სავალდებულო არ არის.

ქვეკარი 2. სარენტო ვალი

§ 1199. სარენტო ვალის კანონისმიერი შინაარსი

(1) მინის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ ამ უკანასკნელისაგან გადახდილ იქნეს განსაზღვრული თანხები რეგულარულად განმეორებად დროის პერიოდებში (სარენტო ვალი).

(2) ¹სარენტო ვალის დადგენისას უნდა განისაზღვროს თანხა, რომლის გადახდითაც სარენტო ვალი შეიძლება დაიფაროს. ²დაფარვის თანხა უნდა აღინიშნოს საჯარო რეესტრში.

§ 1200. გამოსაყენებელი ნორმები

(1) ცალკეული გადახდების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება იპოთეკური პროცენტების, ხოლო დაფარვის თანხის მიმართ – ძირითადი თანხის მიმართ მოქმედი ნორმები.

(2) დაფარვის თანხის კრედიტორის მიმართ გადახდას აქვს იგივე სამართლებრივი შედეგი, როგორც მინის ვალის ძირითადი თანხის გადახდას.

§ 1201. კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება

(1) კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება აქვს მესაკუთრეს.

(2) ¹კრედიტორს არ შეიძლება მიენიჭოს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლება. ²§ 1133-ის მე-2 ნაწილის შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს დაფარვის თანხის გადახდა მინის ნაკვეთიდან.

§ 1202. ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) ¹მესაკუთრეს შეუძლია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლების განხორციელება მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წინასწარი შეტყობინების შემდეგ. ²ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს ექვს თვეს, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი.

(2) ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც მესაკუთრეს შეუძლია 30 წლის შემდეგ ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის ექვსთვიანი ვადის დაცვით.

(3) თუ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინება წარადგინა მესაკუთრემ, მაშინ კრედიტორს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს მინის ნაკვეთიდან დაფარვის თანხის გადახდა.

§ 1203. დასაშვები ცვლილებები

¹სარენტო ვალი შეიძლება შეიცვალოს ჩვეულებრივი მინის ვალით, ჩვეულებრივი მინის ვალი – სარენტო ვალით. ²თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლებამოსილი პირების თანხმობა სავალდებულო არ არის.

ნაწილი 8. გირავნობის უფლება მოძრავ ნივთებსა და უფლებებზე

კარი 1. გირავნობის უფლება მოძრავ ნივთებზე

§ 1204. მოძრავ ნივთებზე გირავნობის უფლების კანონისმიერი შინაარსი

(1) მოძრავი ნივთი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ კრედიტორი იყოს უფლებამოსილი, მოახდინოს მოთხოვნის დაკმაყოფილება ნივთიდან (გირავნობა).

(2) გირავნობა შეიძლება დადგენილ იქნეს ასევე მომავალი ან პირობითი მოთხოვნისათვის.

1. მიზანი. პირველ ნაწილში განმარტებული გირავნობის უფლება კრედიტორს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ანიჭებს რეალიზაციის სანივთო უფლებას. მოძრავ ნივთებთან ერთად გირავნობის უფლების საგანი შეიძლება იყოს ასევე უფლებებიც (§ 1273 და შემდეგი პარაგრაფები). მინის ნაკვეთზე დადგენილი უზრუნველყოფი უფლებებისაგან განსხვავებით (§§ 1113, 1191, 1199), გირავნობის შემთხვევაში, მინის ნაკვეთები არ არის უფლებრივი დატვირთვის ობიექტები. მოგირავნის დაკმაყოფილება ხორციელდება გირავნობის საგნის გაყიდვით (§ 1228).

2. სამართლებრივი ბუნება. გირავნობის უფლება მკაცრად აქცესორულია, ამიტომაც იგი არ შეიძლება არც წარმოიშვას და არც შემდგომში არსებობდეს ან გადაცემულ იქნეს იმ მოთხოვნის გარეშე, რომელსაც ის უზრუნველყოფს (§§ 1204, 1252, 1250). გირავნობის საგნად გამოდგება მხოლოდ ცალკეული ობიექტები ან განსაზღვრული ქონებრივი უფლება, მაგრამ არა, მაგ., მოვალის მთელი მოძრავი ქონება (განსაზღვრულობის პრინციპი, იხ. § 929-ის მე-3 ველი). გირავნობის უფლება გარეგნულად შესამჩნევი (როგორც წესი, – მფლობელობის მეშვეობით) უნდა იყოს (პუბლიკაციის პრინციპი).

3. სახეები. დადგენის მიხედვით განასხვავებენ: **ა) სახელშეკრულებო** გირავნობის უფლებები დგინდება მოგირავნესა და დამგირავებელს შორის გარიგებით (იხ. § 1205 და შემდეგი პარაგრაფები). დღევანდელ ეკონომიკურ ურთიერთობებში, სახელშეკრულებო გირავნობის უფლების, როგორც უზრუნველყოფის საშუალების მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად შეზღუდულია მოძრავი ნივთების შემთხვევაში – უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლებისა (იხ. § 930-ის მე-7 და შემდეგი ველები) და პირობადებული საკუთრების უფლების მიერ (იხ. § 449-ის პირველი და შემდეგი ველები), ხოლო უფლებების შემთხვევაში – უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობის მიერ (იხ. § 398-ის შესავლის მე-14 და შემდეგი ველები); **ბ) კანონისმიერი** გირავნობის უფლებები წარმოიშობა კანონის ძალით. ამავე დროს, განასხვავებენ გირავნობის უფლებებს მფლობელობის გადაცემით (გირავნობის უფლებები, რომლებიც თავიანთი წარმოშობისათვის ითხოვს ნივთზე მფლობელობის მიღებას, მაგ., სავაჭრო კოდექსის §§ 397, 441, 464, 475ბ, სამოქალაქო კოდექსის § 647) და მფლობელობის გადაცემის გარეშე („გირავნობის უფლება შეტანილ ნივთებზე“, მაგ., §§ 562, 592, 704). § 1257-ის თანახმად, შესაბამისად, გამოიყენება სახელშეკრულებო გირავნობის უფლების შესახებ ნორმები; **გ) დაყადაღებიდან წარმოშობილი გირავნობის უფლებები** დგინდება ყადაღის დადებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 803 და შემდეგი პარაგრაფები), ანუ იძულებითი აღსრულების ღონისძიების განხორციელების შედეგად. თუ ყადაღის დადების სახელისუფლო აქტი (მაგ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 808-ის პირველი ან მე-2 ნაწილის თანახმად) სამართლებრივი ძალის მქონეა, მაშინ ყადაღადადებული ნივთის მიმართ ის ადგენს საჯაროსამართლებრივი ბატონობის ურთიერთობას, ე.წ. ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის აკრძალვა (უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის კოდექსის § 136-ის პირველი ნაწილით). სადავოა, წარმოიშობა თუ არა დაყადაღებიდან გამომდინარე გირავნობის უფლება უკვე მხოლოდ ქონების რეალიზაციის აკრძალვის მომენტიდან (საჯაროსამართლებრივი თეორია) თუ დამატებით სახეზე უნდა იყოს ასევე § 1204-ისა და შემდეგი პარაგრაფების წინაპირობები (შერეული კერძო- და საჯარო-სამართლებრივი თეორია). დაყადაღებიდან წარმოშობილი გირავნობის უფლება პირს ანიჭებს რეალიზაციის უფლებას, რომლის გამოყენების ფარგლები ასევე სადავოა (მხოლოდ პროცესუალური ან ასევე მატერიალური რეალიზაციის უფლება), თუმცა, ორივე თეორიას, ძირითადად, ერთსა და იმავე შედეგამდე მიყვავართ.

§ 1205. უფლების დადგენა

(1) ¹მოძრავ ნივთზე გირავნობის დასადგენად საჭიროა, მესაკუთრემ ნივთი გადასცეს კრედიტორს და ორივე მხარე შეთანხმდეს კრედიტორისათვის გირავნობის უფლების მინიჭების თაობაზე. ²თუ ნივთს ფლობს კრედიტორი, მაშინ საკმარისია გირავნობის დადგენის შესახებ შეთანხმება.

(2) მესაკუთრის არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული ნივთის გადაცემა შეიძლება შეიცვალოს იმით, რომ იგი მოგირავნეს გადასცემს არაპირდაპირ მფლობელობას და დაგირავების შესახებ შეატყობინებს მფლობელს.

1. მოძრავ ნივთზე სახელშეკრულებო გირავნობის უფლების დადგენა მოთხოვნის არსებობასთან ერთად (იხ. § 1204-ის მე-2 ველი), მოითხოვს **სანივთო შეთანხმებასა და გირავნობის საგნის მფლობელობაში გადაცემას** (იხ. § 929-ის პირველი და შემდეგი ველები, მე-5 და შემდეგი ველები): მესაკუთრე და დამგირავებელი კრედიტორთან უნდა იყოს შეთანხმებული იმაზე, რომ ამ უკანასკნელს განსაზღვრული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად უნდა ეკუთვნოდეს გირავნობის უფლება, ხოლო მესაკუთრემ თავისი პირდაპირი მფლობელობა გირავნობის საგანზე უნდა გადასცეს კრედიტორს. სანივთო შეთანხმება საკმარისია, თუ გირავნობის საგანი უკვე იმყოფება კრედიტორის მფლობელობაში (პირველი ნაწილის

მე-2 წინადადება). მფლობელობის გადაცემა შეიძლება შეიცვალოს მე-2 ნაწილი-სა და § 1206-ის თანახმად.

2. თუ დამგირავებელი არ არის გირავნობის საგნის მესაკუთრე და ასევე სახეზე არ არის ამ უკანასკნელის თანხმობა (§ 185), მაშინ სახელშეკრულებო გირავნობის უფლების **კეთილსინდისიერი შექმნა** შესაძლებელია § 1207-ის თანახმად. ნორმა ახდენს მითითებას §§ 932, 934-ში აღნიშნული შექმნის ფაქტობრივ გარემოებებზე, მაგრამ – არა § 933-ზე, ვინაიდან გირავნობის უფლება მოქმედი პუბლიკაციის პრინციპის საფუძველზე არ შეიძლება დადგინდეს არაპირდაპირი მფლობელობის დადგენის შესახებ შეთანხმებით. მხედველობაშია მისაღები სავაჭრო კოდექსის § 366-ის პირველი ნაწილი, რომელიც შესაძლებელს ხდის გირავნობის უფლების კეთილსინდისიერ შექმნას ასევე დამგირავებლის მხრიდან ქონების განკარგვის უფლებამოსილების არარსებობის შემთხვევაშიც (მდრ. § 932-ის მე-7 ველი).

3. გირავნობის უფლების ძალმოსილი დადგენით მოგირავნესა და დამგირავებელს შორის წარმოიშობა **კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა**, რომელიც მონესრიგებულია §§ 1215-1221, 1223-1226-ში. შესაბამისად, მოგირავნეს ეკისრება გირავნობის საგნის შენახვის ვალდებულება (§ 1215) და ეს უკანასკნელი ექვემდებარება დაბრუნებას გირავნობის უფლების გაუქმების შემთხვევაში (§ 1223-ის პირველი ნაწილი). დამგირავებელი ვალდებულია, აანაზღაუროს გირავნობის საგანზე მოგირავნის მიერ განუხლები ხარჯები, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების პრინციპების თანახმად (§ 1216). გასათვალისწინებელია ასევე, რომ კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა ყოველთვის მიბმულია დაგირავებასთან, ანუ იგი არსებობს ასევე მხოლოდ მოგირავნესა და დამგირავებელს შორის, როდესაც ეს უკანასკნელი არ არის იმავდროულად მესაკუთრეც. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს არა აქვს უფლებები, § 1215-იდან და შემდეგი პარაგრაფებიდან გამომდინარე (გაბატონებული შეხედულება; განსხვავებული შეხედულება იხ. *Staudinger-Wiegand*, {2002}, § 1215 მე-5 ველი).

§ 1206. გადაცემის შეცვლა თანამფლობელობის მინიჭებით

ნივთის გადაცემის ნაცვლად საკმარისია თანამფლობელობის მინიჭება, თუ კრედიტორები ნივთს ერთობლივად ინახავენ, ან ეს უკანასკნელი შეიძლება უკან მხოლოდ ერთობლივად დაუბრუნდეს მესაკუთრესა და კრედიტორს, თუ ნივთი იმყოფება მესამე პირის მფლობელობაში.

§ 1207. დაგირავება არაუფლებამოსილი პირის მიერ

თუ ნივთი დამგირავებელს არ ეკუთვნის, მაშინ დაგირავების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება საკუთრების უფლების მიმართ მოქმედი §§ 932, 934, 935-ის ნორმები.

სახელშეკრულებო გირავნობის უფლების კეთილსინდისიერი შექმნისათვის იხ. § 1205-ის მე-2 ველი. კანონისმიერი გირავნობის უფლების შემთხვევაში კეთილსინდისიერი შექმნის საკითხისათვის იხ. § 1257-ის პირველი ველი. 1

§ 1208. უპირატესი რიგის კეთილსინდისიერი შექმნა

თუ ნივთი დატვირთულია მესამე პირის უფლებით, მაშინ გირავნობის უფლებას ენიჭება უპირატესობა ამ უფლებასთან შედარებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოგირავნე გირავნობის უფლების შექმნის მომენტში უფლების მიმართ არ არის კეთილსინდისიერი. შესაბამისად, გამოიყენება § 932-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების, § 935-ისა და §936-ის მე-3 ნაწილის ნორმები.

§ 1209. გირავნობის უფლების რიგი

გირავნობის უფლების რიგისათვის განმსაზღვრელია დადგენის მომენტი იმ შემთხვევაშიც კი, თუ გირავნობის უფლება დადგენილია სამომავლო ან პირობითი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.

§ 1210. გირავნობის საგნის ხარჯზე უზრუნველყოფის მოცულობა

(1) ¹გირავნობის საგანი უზრუნველყოფს მოთხოვნას ამ უკანასკნელის შესაბამისი მდგომარეობით, მათ შორის, აგრეთვე, პროცენტებისა და პირგასამტეხლოსათვის. ²თუ პირადი მოვალე არ არის გირავნობის საგნის მესაკუთრე, მაშინ იმ გარიგებით, რომელსაც დებს მოვალე დაგირავების შემდეგ, უზრუნველყოფის მოცულობა არ იზრდება.

(2) გირავნობის საგანი უზრუნველყოფს მოგირავნის მიერ განუხლები ხარჯების ანაზღაურების, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო მოგირავნისათვის ასანაზღაურებელი ხარჯებისა და სასამართლოში საქმისწარმოების, ასევე გირავნობის საგნის რეალიზაციის ხარჯების მოთხოვნის უფლებას.

§ 1211. დამგირავებლის შესაგებელი

(1) ¹დამგირავებელს შეუძლია, მოგირავნის მიმართ წამოაყენოს მოთხოვნისადმი პირადი მოვალის კუთვნილი შესაგებელი, ისევე როგორც §770-ის თანახმად, თავდების კუთვნილი შესაგებელი. ²თუ პირადი მოვალე გარდაიცვლება, მაშინ დამგირავებელს არ შეუძლია მიუთითოს იმაზე, რომ მემკვიდრე ვალისთვის პასუხს აგებს მხოლოდ შეზღუდულად.

(2) თუ დამგირავებელი არ არის პირადი მოვალე, მაშინ იგი არ კარგავს შესაგებელს იმით, რომ პირადი მოვალე მასზე უარს ამბობს.

§ 1212. გირავნობის გავრცელება გამოცალკევებულ ნაყოფზე

გირავნობის უფლება ვრცელდება ნაყოფზე, რომელიც გამოცალკევებულ იქნა გირავნობის საგნიდან.

§ 1213. გირავნობა სარგებლობის უფლებით

(1) გირავნობის უფლება შეიძლება დადგინდეს ისე, რომ მოგირავნე უფლება-მოსილი იყოს, მიიღოს სარგებელი გირავნობის საგნიდან.

(2) თუ მოგირავნის ერთპიროვნულ მფლობელობაში გადაცემა ისეთი ნივთი, რომელიც თავისი ბუნებით იძლევა ნაყოფს, მაშინ საექვოობისას ივარაუდება, რომ მოგირავნე უფლებამოსილია ნაყოფის მიღებაზე.

§ 1214. სარგებლობის უფლების მქონე გირავნობის ვალდებულებები

(1) თუ მოგირავნეს აქვს ნაყოფის მიღების უფლება, მაშინ იგი ვალდებულია, იზრუნოს მის მიღებაზე და წარადგინოს ანგარიში.

(2) სარგებლობის წმინდა მოგება ჩაითვლება ნაკისრი ვალდებულების შესრულების ანგარიშში, ხოლო თუ უნდა დაიფაროს ხარჯები და პროცენტები, – პირველ რიგში ამ უკანასკნელთა ანგარიშში.

(3) განსხვავებული პირობები დასაშვებია.

§ 1215. შენახვის ვალდებულება

მოგირავნე ვალდებულია, შეინახოს გირავნობის საგანი.

§ 1216. ხარჯების ანაზღაურება

¹თუ მოგირავნე გირავნობის საგანზე სწევს ხარჯებს, მაშინ დამგირავებლის მიერ მათი ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე

სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების თანახმად. ²მოგირავენე უფლება-მოსილია, თან წაილოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან გირავნობის საგანი აღ-ჭურვა.

§ 1217. მოგირავნის მიერ უფლების დარღვევა

(1) თუ მოგირავენე არსებითად არღვევს დამგირავებლის უფლებებს და დამრღვევი მოქმედება გრძელდება, მიუხედავად დამგირავებლის გაფრთხილებისა, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს, რომ გირავნობის საგანი მოგირავნის ხარჯზე გადაეცეს შესანახად, ან თუ იგი არ ექვემდებარება დეპონირებას, – გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ შემნახველს.

(2) ¹დეპონირების ან ნივთის შემნახველისათვის გადაცემის ნაცვლად დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის დაბრუნება კრედიტორის მოთხოვნის სანაცვლოდ. ²თუ მოთხოვნას არ ერიცხება პროცენტი და მისი შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაშინ მოგირავენეს მიეცემა მხოლოდ ის თანხა, რომელიც შეესაბამება მოთხოვნის თანხას, გადახდის მომენტიდან შესრულების ვადის დადგომამდე პერიოდისათვის კანონისმიერი პროცენტების დამატებით.

§ 1218. დამგირავებლის უფლებები განადგურების საფრთხის არსებობისას

(1) თუ არსებობს გირავნობის საგნის განადგურების ან მისი ღირებულების არსებითი შემცირების საფრთხე, მაშინ დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის უკან დაბრუნება სხვაგვარი უზრუნველყოფის წარდგენის სანაცვლოდ; უზრუნველყოფის წარდგენა თავდებთა მიერ გამოორიცხულია.

(2) მოგირავენემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დამგირავებელს განადგურების საფრთხის შესახებ, თუ შეტყობინება მიზანშეუწონელი არ არის.

§ 1219. მოგირავნის უფლებები განადგურების საფრთხის არსებობისას

(1) თუ გირავნობის საგნის განადგურების ან მისი ღირებულების არსებითი შემცირების რისკის შედეგად საფრთხე ექმნება მოგირავნის მოთხოვნის საიმედოობას, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია გირავნობის საგნის საჯარო აუქციონზე გაყიდვა.

(2) ¹ამონაგები თანხა იკავებს გირავნობის საგნის ადგილს. ²დამგირავებლის მოთხოვნით ამონაგები თანხა ექვემდებარება დეპოზიტზე შეტანას.

§ 1220. აუქციონის შესახებ გაფრთხილება

(1) ¹გირავნობის საგნის აუქციონზე გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ ამის თაობაზე დამგირავებლის გაფრთხილების შემდეგ; გაფრთხილება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ გირავნობის საგანს ემუქრება განადგურების საფრთხე და აუქციონის გადადება დაკავშირებულია საფრთხესთან. ²ღირებულების შემცირების შემთხვევაში, გარდა გაფრთხილებისა, აუცილებელია, მოგირავენემ დამგირავებელს სხვაგვარი უზრუნველყოფის წარდგენისათვის დაუნიშნოს სათანადო ვადა და ეს ვადა გავიდეს.

(2) მოგირავენემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დამგირავებელს აუქციონის შესახებ; ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

(3) გაფრთხილება, ვადის დადაგენა და შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ ისინი მიზანშეუწონელია.

§ 1221. გაყიდვა საკუთარი შეხედულებით

თუ გირავნობის საგანს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მაშინ მოგირავენეს შეუძლია გაყიდოს იგი საკუთარი შეხედულებით, მიმდინარე ფასით, ასეთ

ნასყიდობებზე ოფიციალურად უფლებამოსილი სავაჭრო მაკლერის ან საჯარო აუქციონის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

§ 1222. გირავნობის უფლება რამდენიმე ნივთზე

თუ გირავნობის უფლება დადგენილია რამდენიმე ნივთზე, მაშინ თითოეული მათგანი უზრუნველყოფს მოთხოვნას მთელი მოცულობით.

§ 1223. უკან დაბრუნების ვალდებულება; მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება

(1) მოგირავნე ვალდებულია, გირავნობის უფლების გაუქმების შემდეგ გირავნობის საგანი დაუბრუნოს დამგირავებელს.

(2) დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის უკან დაბრუნება მოთხოვნის დაკმაყოფილების სანაცვლოდ, როგორც კი მოვალე უფლებამოსილი გახდება ვალდებულების შესრულებაზე.

§ 1224. მოთხოვნის დაკმაყოფილება დეპონირებით ან გაქვითვის გზით

მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილება დამგირავებლის მიერ შეიძლება განხორციელდეს ასევე დეპონირებით ან გაქვითვის გზით.

§ 1225. მოთხოვნის გადასვლა დამგირავებელზე

თუ დამგირავებელი არ არის პირადი მოვალე, მაშინ მოთხოვნა მასზე გადადის იმდენად, რამდენადაც იგი აკმაყოფილებს მოგირავნის მოთხოვნას. შესაბამისად, გამოიყენება თავდების მიმართ მოქმედი § 774-ის ნორმა.

1. 1. ნორმა მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც **დამგირავებელი**, რომელიც არ არის მოთხოვნის მოვალე, ახდენს გირავნობის საგნით უზრუნველყოფილი ვალის დაფარვას (შდრ. § 1223-ის მე-2 ნაწილი); თუ მოგირავნეს აკმაყოფილებს **მესაკუთრე**, რომელიც არ არის არც პირადი მოვალე და არც დამგირავებელი (ოთხ პირს შორის არსებული ურთიერთობა), მაშინ ხდება მოთხოვნის გადაცემა, §§ 1249-იდან, 268-ის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე.

2. 2. §§ 412, 401, 1250-ის თანახმად, მოთხოვნასთან ერთად დამგირავებელზე გადადის ასევე **გირავნობის უფლება**; თუ აღნიშნული პირი ერთდროულად იყო მესაკუთრეც, მაშინ გირავნობის უფლება უქმდება, § 1256-ის შესაბამისად. რამდენიმე უზრუნველყოფის მიმცემის შემთხვევაში, გირავნობის უფლებასა და თავდებობას შორის კონკურენციისათვის იხ. § 774-ის მე-6 და შემდეგი ველები.

§ 1226. ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა

გირავნობის საგნის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, ასევე ხარჯების ანაზღაურებისა თუ მონყობილობის თანწალების ნებართვის მიცემაზე მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში. შესაბამისად, გამოიყენება § 548-ის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების, მე-2 ნაწილის ნორმები.

§ 1227. გირავნობის უფლების დაცვა

თუ ირღვევა მოგირავნის უფლება, მაშინ მისი მოთხოვნის უფლებების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება საკუთრების უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების მიმართ მოქმედი ნორმები.

1. 1. მოგირავნის სასარგებლოდ, შესაბამისად, მოქმედებს §§ 985, 987 და შემდეგი პარაგრაფები, 1004 და 1006. მას შეუძლია, ამ მოთხოვნის უფლებების გამოყენება ასევე მესაკუთრის მიმართაც; მაგალითად, § 985 მოქმედებს, როდესაც მესაკუთრე

გირავნობის საგანს უფლებამოსილების გარეშე (§ 986) კვლავ თავის თავზე იღებს. ზემოაღნიშნულთან ერთად გამოიყენება, როგორც წესი, ზოგადი ნორმები (მდრ. §§ 812, 823-ის პირველი ნაწილი, 858 და შემდეგი პარაგრაფები); რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც მოქმედებს §§ 987 და შემდეგი პარაგრაფების პრივილეგიის ფუნქცია (იხ. § 987-ის შესავლის მე-2 და მე-7 ველები).

2. მოთხოვნის უფლებათა შინაარსისა და მოცულობის დადგენის შემთხვევაში, მესაკუთრის კუთვნილი უფლებებიდან მხედველობაშია მისაღები ინტერესთა სხვადასხვა პოზიცია. კრედიტორს შეუძლია ფულადი თანხით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მაგ., გირავნობის უფლებით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის შემდეგ და მხოლოდ მისი უზრუნველსაყოფი ინტერესის ოდენობით (მდრ. § 1210); გირავნობის უფლებით უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე მას ეკუთვნის მხოლოდ ზიანის ანაზღაურების თანხაზე გირავნობის დადგენის მოთხოვნის უფლება.

§ 1228. მოთხოვნის დაკმაყოფილება გირავნობის საგნის გაყიდვით

(1) გირავნობის საგნიდან მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხორციელდება გირავნობის საგნის გაყიდვით.

(2) ¹მოგირავნე უფლებამოსილია გაყიდვაზე მოთხოვნის მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების ვადის დადგომისთანავე. ²თუ ვალდებულების საგანი არ არის ფული, მაშინ გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა გადაყვანილია ფულად მოთხოვნაში.

1 §§ 1228-ის პირველი ნაწილით, 1233-ის პირველი ნაწილით, 1235-ით მოწესრიგებული მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის გაყიდვა არის გირავნობის საგნის რეალიზაციის კანონისმიერი სტანდარტული შემთხვევა. მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის გაყიდვისას განხორციელებული საჯარო აუქციონი (ცნება: § 383-ის მე-3 ნაწილი) უნდა განვასხვაოთ იძულებითი აღსრულების პროცესში განხორციელებული აუქციონისაგან (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 814 და შემდეგი პარაგრაფები); მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის გაყიდვისას აუქციონის მომწყობი ყიდის და ახორციელებს გირავნობის საგანზე საკუთრების უფლების გადაცემას, როგორც მოგირავნის წარმომადგენელი, კერძო სამართლის წესების თანახმად (§§ 433, 929 და შემდეგი პარაგრაფები § 164-თან კავშირში). (სხვა პირის კუთვნილი) გირავნობის საგნის განკარგვაზე მოგირავნის უფლებამოსილება გამომდინარეობს მისი რეალიზაციის სანივთო უფლებიდან (იხ. § 1204-ის პირველი ველი); შემქენი § 1242-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, თითქოს მან ნივთი მესაკუთრისაგან შეიძინა. დაგირავებული ნივთის იძულებითი აღსრულების პროცესში განხორციელებულ აუქციონზე გაყიდვის შემთხვევაში კი, პირიქით, საკუთრების უფლების გადაცემა ხდება სასამართლო აღმასრულებლის სახელისუფლო აქტის მეშვეობით.

§ 1229. უფლების დაკარგვის შესახებ შეთანხმების დაუშვებლობა

ბათილია გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომამდე დადებული შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ან დროულად დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ნივთზე საკუთრების უფლება უნდა გადავიდეს ან გადაეცეს მოგირავნეს.

§ 1230. არჩევა რამდენიმე გირავნობის საგნიდან

¹თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, რამდენიმე გირავნობის საგნიდან მოგირავნეს შეუძლია აირჩიოს ის საგნები, რომლებიც უნდა გაიყიდოს. ²მას შეუძლია

გაყიდოს მხოლოდ იმ რაოდენობის გირავნობის საგანი, რამდენიც აუცილებელია მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

§ 1231. გირავნობის საგნის გადაცემა სარეალიზაციოდ

¹თუ გირავნობის საგანი არ იმყოფება მოგირავნის ერთპიროვნულ მფლობელობაში, მაშინ მას შეუძლია გაყიდვის უფლებამოსილების მიღების შემდეგ მოითხოვოს გირავნობის საგნის მისთვის გადაცემა. ²დამგირავებლის მოთხოვნით ამ გადაცემის ნაცვლად შეიძლება განხორციელდეს ნივთის ერთობლივად არჩეული შემნახველისათვის გადაცემა; შემნახველმა გირავნობის საგნის მისთვის გადაცემისას იგი უნდა მოამზადოს გასაყიდად.

§ 1232. მომდევნო რიგის მქონე მოგირავნები

¹მოგირავნე არ არის ვალდებული, გირავნობის საგანი სარეალიზაციოდ გადასცეს მომდევნო რიგის მქონე მოგირავნეს. ²თუ იგი არ ფლობს გირავნობის საგანს, მაშინ რამდენადაც იგი თავად არ ახორციელებს გირავნობის საგნის გაყიდვას, მას არ შეუძლია, შეეწინააღმდეგოს მომდევნო რიგის მქონე მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის გაყიდვას.

§ 1233. გაყიდვის განხორციელება

(1) გირავნობის საგნის გაყიდვა ხორციელდება §§ 1234-1240-ის ნორმების მიხედვით.

(2) თუ მოგირავნემ კუთვნილ გაყიდვის უფლებაზე მესაკუთრის წინააღმდეგ მიიღო სააღსრულებო ფურცელი, მაშინ მას შეუძლია განახორციელოს გაყიდვა, ასევე, ყადაღადადებული ნივთების რეალიზაციის მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად.

§ 1234. გაყიდვის შესახებ გაფრთხილება; ლოდინის დრო

(1) ¹მოგირავნემ გაყიდვის შესახებ წინასწარ უნდა გააფრთხილოს მესაკუთრე და მიუთითოს ფულადი თანხა, რისთვისაც უნდა განხორციელდეს გაყიდვა. ²გაფრთხილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომის შემდეგ; გაფრთხილება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ იგი მიზანშეუწონელია.

(2) ¹გაყიდვა არ შეიძლება განხორციელდეს გაფრთხილებიდან ერთი თვის ვადის გასვლამდე. ²თუ გაფრთხილება მიზანშეუწონელია, მაშინ თვე იანგარიშება გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომის მომენტიდან.

§ 1235. საჯარო აუქციონი

(1) გირავნობის საგნის გაყიდვა ხორციელდება საჯარო აუქციონზე.

(2) თუ გირავნობის საგანს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მაშინ გამოიყენება § 1221-ის ნორმა.

§ 1236. აუქციონის ადგილი

¹აუქციონი უნდა ჩატარდეს გირავნობის საგნის შენახვის ადგილის მიხედვით. ²თუ შენახვის ადგილზე ჩატარებული აუქციონიდან სათანადო შედეგი მოსალოდნელი არ არის, მაშინ გირავნობის საგანი შეიძლება აუქციონზე გაიყიდოს სხვა სათანადო ადგილზე.

§ 1237. საჯარო შეტყობინება

¹გირავნობის საგნის ზოგადი აღწერით აუქციონის დროისა და ადგილის შესახებ განცხადებულ უნდა იქნეს საჯაროდ. ²მესაკუთრესა და იმ მესამე პირებს,

რომლებსაც გირავნობის საგანზე აქვთ უფლებები, უნდა შეატყობინონ სპეციალური შეტყობინებით; შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ იგი მიზანშეუწონელია.

§ 1238. გაყიდვის პირობები

(1) გირავნობის საგანი შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ იმ პირობით, რომ მყიდველი დაუყოვნებლივ ნაღდი ანგარიშსწორების წესით გადაიხდის ნასყიდობის თანხას და დაკარგავს თავის უფლებებს, თუ ეს არ მოხდება.

(2) ¹თუ გაყიდვა ხორციელდება ამ პირობის გარეშე, მაშინ ნასყიდობის ფასი ითვლება მოგირავნის მიერ მიღებულად; აუქციონზე შემძენის მიმართ მოგირავნის უფლებები უცვლელი რჩება. ²ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის ფასის გადახდა დაუყოვნებლივ არ ხდება და აუქციონის დასრულებამდე უფლების დაკარგვის შესახებ პირობა არ იქნება გამოყენებული.

§ 1239. კრედიტორისა და მესაკუთრის მონაწილეობა აუქციონში

(1) ¹მოგირავნისა და მესაკუთრის შეუძლიათ აუქციონში მონაწილეობის მიღება. ²თუ აუქციონზე გამარჯვების შედეგად ნივთი გადაეცემა მოგირავნეს, მაშინ ნასყიდობის ფასი ითვლება მის მიერ მიღებულად.

(2) ¹მესაკუთრის მიერ ფასის შეთავაზებას შეიძლება უარი ეთქვას, თუ თანხა არ იქნა შეტანილი ნაღდი ანგარიშსწორების წესით. ²ანალოგიური წესი მოქმედებს მოვალის მიერ ფასის შეთავაზების მიმართაც, თუ გირავნობის საგანი უზრუნველყოფს სხვა პირის ვალს.

§ 1240. ოქროსა და ვერცხლის ნივთები

(1) ოქროსა და ვერცხლის ნივთები არ შეიძლება გაიყიდოს ოქროს ან ვერცხლის ღირებულებაზე ნაკლებ ფასად.

(2) თუ საკმარისი ფასის შეთავაზება არ მოხდება, მაშინ გაყიდვა შეიძლება განხორციელდეს საჯარო აუქციონის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით, საკუთარი შეხედულებით, არანაკლებად ოქროს ან ვერცხლის ღირებულებისა.

§ 1241. მესაკუთრის შეტყობინება

მოგირავნემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მესაკუთრეს გირავნობის საგნის გაყიდვისა და მისი შედეგის შესახებ, თუ შეტყობინება მიზანშეუწონელი არ არის.

§ 1242. მართლზომიერი გასხვისების სამართლებრივი შედეგები

(1) ¹გირავნობის საგნის მართლზომიერი გასხვისების შედეგად შემძენი იძენს ისეთ უფლებებს, თითქოს მან ნივთი მესაკუთრისაგან შეიძინა. ²ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნივთი გადაეცემა მოგირავნეს.

(2) ¹ნივთზე გირავნობის უფლებები უქმდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი მესაკუთრისათვის ცნობილი იყო. ²ანალოგიური წესი მოქმედებს უზუფრუქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი სარგებლობს უპირატესი რიგით ყველა გირავნობის უფლებასთან შედარებით.

დაგირავებული ნივთის მართლზომიერი გასხვისების წინაპირობაა (მხოლოდ) 1
ის, რომ კრედიტორს გირავნობის უფლება, ფაქტობრივად, ეკუთვნის და არ ირღვევა § 1243-ის პირველ ნაწილში დასახელებული ნორმები. ყველა სხვა მოქმედების შემთხვევაში (§§ 1234, 1237-ის მე-2 წინადადება) საქმე გვაქვს უბრალო ადმინისტრაციულ დანაწესებთან, რომელთა ბრალეული შეუსრულებლობა, მართალია, წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს (§ 1243-ის მე-2 ნაწილი), თუმცა, არ ბლალავს საკუთრების უფლების გადაცემის მართლზომიერებას.

§ 1243. არამართლზომიერი გასხვისება

(1) გირავნობის საგნის გასხვისება არ არის მართლზომიერი, თუ ირღვევა § 1228-ის მე-2 ნაწილის, § 1230-ის მე-2 წინადადების, § 1235-ის, 1237-ის პირველი წინადადების ან § 1240-ის ნორმები.

(2) თუ მოგირავნე არღვევს გაყიდვის მიმართ მოქმედ სხვა ნორმას და მას ამაში მიუძღვის ბრალი, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

§ 1244. კეთილსინდისიერი შეძენა

თუ გირავნობის საგანი გასხვისდება ისე, რომ გამსხვისებელს გირავნობის უფლება არ ეკუთვნის, ან არ სრულდება ის მოთხოვნები, რომლებზეც დამოკიდებულია გასხვისების მართლზომიერება, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 932-934-ის ნორმები, თუ გასხვისება განხორციელდა § 1233-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ან დაცულ იქნა § 1235-ის ან 1240-ის მე-2 ნაწილის ნორმათა მოთხოვნები.

1 ნორმა ანესრიგებს არამართლზომიერად რეალიზებულ გირავნობის საგანზე საკუთრების უფლების კეთილსინდისიერ შეძენას (როდესაც § 1207 თავად იძლევა გირავნობის საგნის კეთილსინდისიერი შეძენის შესაძლებლობას). ვინაიდან § 935 არ გამოიყენება, საკუთრების უფლების კეთილსინდისიერი შეძენა შესაძლებელია ასევე დაკარგულ ნივთებზეც (მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ გირავნობის საგანზე საკუთრების უფლების კეთილსინდისიერი შეძენა დაუშვებელია, შდრ. § 1207 § 935-თან კავშირში). ზემოაღნიშნულის შედეგად, კანონს სურს დაინტერესებული პირებისათვის გირავნობის საგნის ყიდვის შეძლებისდაგვარად მიმზიდველად გაფორმება, რათა ამით გამარტივდეს გირავნობის საგნის რეალიზაცია.

§ 1245. განსხვავებული შეთანხმებები

(1) ¹მესაკუთრესა და მოგირავნეს შეუძლიათ შეთანხმდნენ გირავნობის საგნის რეალიზაციის §§ 1234-1240-ის ნორმებისაგან განსხვავებულ წესზე. ²თუ მესამე პირს გირავნობის საგანზე აქვს უფლება, რომელიც გასხვისების შედეგად უქმდება, მაშინ საჭიროა მესამე პირის თანხმობა. ³თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი ხორციელდება; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.

(2) გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომამდე § 1235-ის, § 1237-ის პირველი წინადადებისა და § 1240-ის ნორმათა დაცვაზე უარი დაუშვებელია.

§ 1246. წესებიდან გადახვევა სამართლიანობის საფუძვლით

(1) თუ §§ 1235-1240-ის ნორმებით გათვალისწინებული გირავნობის საგნის რეალიზაციის წესებისაგან განსხვავებული წესები სამართლიანი შეფასებით შეესაბამება მონაწილე პირთა ინტერესებს, მაშინ თითოეული მათგანი უფლებამოსილია, მოითხოვოს რეალიზაცია ამ წესების მიხედვით.

(2) თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

§ 1247. გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა

¹რამდენადაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა გადაეცემა მოგირავნეს მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ამდენად მოთხოვნა ითვლება მესაკუთრის მიერ გადახდილად. ²დანარჩენ შემთხვევებში ამონაგები თანხა იკავებს გირავნობის საგნის ადგილს.

1 1. პირველ წინადადებაში ნორმა ანესრიგებს გირავნობის საგნის რეალიზაციის ვალდებულებით-სამართლებრივ შედეგებს. რამდენადაც მოთხოვნა ამონაგები თანხით იფარება და ეს უკანასკნელი მოგირავნეს „უნდა გადაეცეს“ (ამაზე იხ. ქვემოთ, მე-2 ველი), მოთხოვნა ითვლება მესაკუთრის მიერ დაფარულად. მოთხოვნა

უქმდება, როდესაც მესაკუთრე ერთდროულად არის პირადი მოვალეც; სხვა შემთხვევაში მოთხოვნა § 1225-ის ანალოგიით (სხვა შეხედულება: §§ 1249, 268-ის მე-3 ნაწილი) გადადის მესაკუთრეზე.

2. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამონაგებ თანხაზე **სანივთოსამართლებრივი სტატუსი**, რომელიც გამომდინარეობს ნაწილობრივ მე-2 წინადადებიდან და ნაწილობრივ § 929-ის პირველი წინადადებიდან. გადამწყვეტია, „უნდა გადაეცეს“ თუ არა მოგირავნეს ამონაგები თანხა, ანუ, ფაქტობრივად, რა მოცულობით უნდა ჰქონდეს მას რეალიზაციის უფლება. როდესაც გირავნობის საგნის გაყიდვა მართლობიერი იყო, არ არსებობდა უპირატესი რიგის მესამე პირის უფლებები და ამონაგები თანხა მოთხოვნის ოდენობას არ აღემატება, ამონაგები თანხა სრული მოცულობით ეკუთვნის მოგირავნეს; აღნიშნულის შედეგად ეს უკანასკნელი, § 929-ის პირველი წინადადების თანახმად, პირველადი შემძენისაგან იძენს ერთპიროვნულ საკუთრების უფლებას. თუ, პირიქით, გირავნობის საგნის გაყიდვა არამართლობიერი იყო (შდრ. § 1242-ის პირველი ველი), მაშინ ამონაგები თანხა მოგირავნეს აღარ „უნდა გადაეცეს“ (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აუქციონზე შემძენმა გირავნობის საგანზე საკუთრების უფლება შეიძინა, § 1244-ის თანახმად); პირიქით, გირავნობის საგანზე არსებული საკუთრების უფლება **სანივთო სუროგაციის** გზით, მე-2 წინადადების თანახმად, შენარჩუნდება ამონაგებ თანხაზე. თანსაკუთრება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო აუქციონი, მართალია, მართლობიერი იყო, მაგრამ ამონაგები თანხა აღემატება მოთხოვნის ოდენობას, ან იგი უნდა გაიყოს უპირატესი რიგის მქონე უფლებამოსილ პირებს შორის (დეტალურად იხ. *MüKo-Damrau*, მე-5 ველი).

3. სანივთო სუროგაციის შესახებ მე-2 წინადადებაში მოცემული იურიდიული მოსაზრებები მოქმედებს, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 814-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად, **იძულებითი აღსრულების** პროცესში ამონაგები თანხის გადანაწილების მიმართ, როდესაც ნივთი იძულებითი აღსრულების მოვალეს არ ეკუთვნის (RGZ, 156, 395, 399; აღნიშნულის შემდეგ სასამართლო პრაქტიკაში სადავოა): დაგირავებული ნივთის მესაკუთრე ავტომატურად ხდება იმ ამონაგები თანხის მესაკუთრეც, რომელსაც სასამართლო აღმასრულებელი აუქციონზე შემძენისაგან იღებს. ამის შემდეგ კი სასამართლო აღმასრულებელი სახელისუფლო აქტით ამონაგებ თანხაზე საკუთრების უფლებას გადასცემს კრედიტორს (ვალდებულებით-სამართლებრივი კომპენსაციისათვის შდრ. § 812-ის მე-40 ველი).

§ 1248. საკუთრების უფლების პრეზუმფცია

გირავნობის საგნის რეალიზაციის დროს მოგირავნის სასარგებლოდ დამგირავებელი ითვლება მესაკუთრედ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოგირავნემ იცის, რომ დამგირავებელი არ არის მესაკუთრე.

გირავნობის საგნის ნამდვილმა მესაკუთრემ უნდა ითმინოს ყველა ის მოქმედება, რომლებიც მოგირავნემ გირავნობის გაყიდვის დროს განახორციელა არა მის, არამედ დამგირავებლის მიმართ, როდესაც მოგირავნე დამგირავებლის საკუთრების უფლების არარსებობის ფაქტის მიმართ **განზრახ არ** მოქმედებდა (უხეში გაუფრთხილებლობის მოქმედება უარყოფით შედეგებს არ წარმოშობს). მაგ., ეს მოიცავს შეტყობინებებს, §§ 1234-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების, 1237-ის მე-2 წინადადების, 1241-ის, ასევე შეთანხმებებს § 1245-ისა და შემდეგი პარაგრაფების თანახმად.

§ 1249. კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება

¹პირს, რომელიც გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად დაკარგავდა მასზე თავის უფლებას, შეუძლია მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ვიდრე

მოვალე უფლებამოსილია ვალდებულების შესრულებაზე. ²შესაბამისად, გამოიყენება § 268-ის მე-2 და მე-3 ნაწილების ნორმები.

§ 1250. მოთხოვნის გადაცემა

(1) ¹მოთხოვნის გადაცემასთან ერთად გირავნობის უფლება გადადის ახალ კრედიტორზე. ²დაუშვებელია გირავნობის უფლების მოთხოვნის გარეშე გადაცემა.

(2) თუ მოთხოვნის გადაცემისას გირავნობის უფლების გადასვლა გამოირიცხუ-
ლია, მაშინ ეს უკანასკნელი უქმდება.

1 1. გირავნობის უფლების გადაცემა თავისი აქცესორული ბუნების საფუძველზე ხორციელდება უზრუნველყოფილი მოთხოვნის გადაცემით. პირველი ნაწილის ნორმის თანახმად, ცესიის შემთხვევაში (იხ. § 398-ის შესავლის პირველი ველი), გირავნობის უფლება, როგორც მოთხოვნის დანამატი, კანონის ძალით გადადის ცესიონერზე (იხ. ასევე §§ 401-ის პირველი ნაწილი, 412). გირავნობის საგნის ფაქტობრივი გადაცემა აუცილებელი არ არის. თუმცა, ახალ მოგირავნეს თავდაპირველი მოგირავნის მიმართ აქვს გირავნობის საგნის გამოთხოვის მოთხოვნის უფლება, § 1251-ის პირველი ნაწილის თანახმად. იპოთეკისაგან განსხვავებით (§ 1153-ის მე-2 ნაწილი), მე-2 ნაწილის ნორმის თანახმად, გირავნობის უფლების გადასვლა შეიძლება ხელშეკრულებით გამოირიცხულ იქნეს.

2 2. სადავოა, შესაძლებელია თუ არა კეთილსინდისიერი მეორადი შეძენა სინამდვილეში არარსებული გირავნობის უფლებისა. მაგ.: ს თავისი კრედიტორის სასარგებლოდ აგირავებს კომპიუტერს, რომელიც მას არ ეკუთვნის, თუმცა, ვინაიდან კრედიტორმა იცოდა ს-ს უფლებამოსილების ხარვეზის შესახებ, ეს უკანასკნელი გირავნობის უფლებას ვერ შეიძენს (§§ 1207-ის 932-თან კავშირში). ამის შემდგომ, გ თავის მოთხოვნას ს-ს მიმართ უთმობს კეთილსინდისიერ ზ-ს და მფლობელობაში გადასცემს მას გირავნობის საგანს. ხდება თუ არა ზ-ს მიერ გირავნობის უფლების შეძენა? გაბატონებული შეხედულება უარყოფს კეთილსინდისიერი მეორადი შეძენის შესაძლებლობას, ვინაიდან ამ მხრივ საკმარისი არ არის არც პირდაპირი საკანონმდებლო რეგულირება და ასევე არც ნდობის ფაქტობრივი გარემოება, ვინაიდან გირავნობის საგანზე მფლობელობის მინიჭება არ მიეკუთვნება გირავნობის უფლების გადაცემის ფაქტობრივ გარემოებას (*Westermann/Gursky*, § 132; *Baur/Stürmer*, § 55, 32-ე ველი).

§ 1251. გირავნობის უფლების გადასვლის სამართლებრივი შედეგები

(1) ახალ მოგირავნეს შეუძლია, თავდაპირველი მოგირავნისაგან მოითხოვოს გირავნობის საგნის გადაცემა.

(2) ¹მფლობელობის მიღებით ახალი მოგირავნე დამგირავებლის მიმართ იკავებს თავდაპირველი მოგირავნის ადგილს გირავნობის საგანთან დაკავშირებულ ვალდებულებებში. ²თუ იგი არ ასრულებს ვალდებულებებს, მაშინ თავდაპირველი მოგირავნე პასუხს აგებს მის მიერ ასანაზღაურებელ ზიანზე როგორც თავდები, რომელიც უარს ამბობს კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. ³თავდაპირველი მოგირავნის პასუხისმგებლობა არ დგება, თუ მოთხოვნა ახალ მოგირავნეზე გადადის კანონის ძალით, ან ეთმობა მას კანონით გათვალისწინებული ვალდებულების საფუძველზე.

§ 1252. გაუქმება მოთხოვნის გაუქმებასთან ერთად

გირავნობის უფლება უქმდება იმ მოთხოვნის გაუქმებასთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი არსებობს.

§ 1253. გირავნობის უფლების გაუქმება ნივთის უკან დაბრუნებით

(1) ¹გირავნობის უფლება უქმდება, თუ მოგირავნე გირავნობის საგანს უბრუნებს დამგირავებელს ან მესაკუთრეს. ²დათქმა გირავნობის უფლების გახანგრძლივების შესახებ სამართლებრივი ძალის არმქონეა.

(2) ¹თუ გირავნობის საგანი იმყოფება დამგირავებლის ან მესაკუთრის მფლობელობაში, მაშინ ივარაუდება, რომ გირავნობის საგანი მოგირავნის მიერ უკან იქნა დაბრუნებული. ²ეს ვარაუდი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ გირავნობის საგანი იმყოფება მესამე პირის მფლობელობაში, რომელმაც მფლობელობა მიიღო დამგირავებლის ან მესაკუთრისაგან გირავნობის უფლების დადგენის შემდეგ.

§ 1254. გირავნობის საგნის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება

¹თუ გირავნობის უფლების მიმართ წარდგენილია ისეთი შესაგებელი, რომლითაც გირავნობის უფლების რეალიზაცია ხანგრძლივი ვადით გამოირიცხება, მაშინ დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის უკან დაბრუნება. ²ანალოგიური უფლება აქვს მესაკუთრეს.

§ 1255. გირავნობის უფლების გაუქმება

(1) გარიგებით გირავნობის უფლების გაუქმებისთვის საკმარისია მოგირავნის განცხადება დამგირავებლის ან მესაკუთრის წინაშე იმის შესახებ, რომ იგი გირავნობის უფლებას აუქმებს.

(2) ¹თუ გირავნობის უფლება დატვირთულია მესამე პირის უფლებით, მაშინ საჭიროა მესამე პირის თანხმობა. ²თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს იმ პირის წინაშე, ვის სასარგებლოდაც იგი ხორციელდება; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.

§ 1256. გირავნობის უფლებისა და საკუთრების უფლების თანხვედრა

(1) ¹გირავნობის უფლება უქმდება, თუ იგი საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება. ²გირავნობის უფლება არ უქმდება, ვიდრე მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს გირავნობა, დატვირთულია მესამე პირის უფლებით.

(2) გირავნობის უფლება არ ითვლება გაუქმებულად, თუ მესაკუთრეს აქვს გირავნობის უფლების შენარჩუნების კანონიერი ინტერესი.

§ 1257. კანონისმიერი გირავნობის უფლება

გარიგებით დადგენილი გირავნობის უფლების შესახებ ნორმები, შესაბამისად, გამოიყენება კანონის ძალით წარმოშობილი გირავნობის უფლების მიმართ.

კანონისმიერი გირავნობის უფლების მაგალითისათვის იხ. § 1204-ის მე-3 ველი. უფლების წარმოშობისათვის განმსაზღვრელია სპეციალური ნორმები. ზოგადად აღიარებული შეხედულების თანახმად, კეთილსინდისიერი შეძენის შესაძლებლობა (§§ 1257, 1207 §§ 932-თან ან 934-თან კავშირში) მფლობელობის გარეშე არსებული გირავნობის უფლებისათვის უარყოფილია; მენარდის მფლობელობითი გირავნობის უფლებისათვის ამ შესაძლებლობის არსებობა სადავოა (იხ. ზემოთ, § 647-ის მე-3 და შემდეგი ველები). სავაჭრო კოდექსში მოწესრიგებული კანონისმიერი მფლობელობითი გირავნობის უფლებისათვის, § 366-ის მე-3 ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერი შეძენა შესაძლებელია.

1

§ 1258. გირავნობის უფლება თანამესაკუთრის წილზე

(1) თუ გირავნობის უფლება არსებობს თანამესაკუთრის წილზე, მაშინ მოგირავნე სარგებლობს იმ უფლებებით, რომლებიც ნივთის მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით გამომდინარეობს თანამესაკუთრეთა საზიარო უფლებიდან.

(2) ¹მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომამდე საზიარო უფლების გაუქმება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს თანამესაკუთრისა და მოგირავნის მიერ მხოლოდ ერთობლივად. ²გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომის შემდეგ მოგირავნეს შეუძლია საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე; იგი არ არის შებოჭილი იმ შეთანხმებით, რომლითაც თანამესაკუთრებმა საზიარო უფლების გაუქმება სამუდამოდ ან დროებით გამორიცხეს, ანდა დაადგინეს ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა.

(3) თუ საზიარო უფლება უქმდება, მაშინ მოგირავნეს გადაეცემა გირავნობის უფლება იმ საგნებზე, რომლებიც ცვლის წილს.

(4) მოგირავნის კუთვნილი გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლება უცვლელი რჩება.

§ 1259. სამეწარმეო მიზნებისთვის გამოყენებული გირავნობის საგნის რეალიზაცია

¹თუ მესაკუთრე და მოგირავნე არიან მენარმეები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან საჯარო სამართლის სპეციალური ფონდები, მათ საბირჟო ან საბაზრო ფასის მქონე გირავნობის საგნის რეალიზაციის მხრივ უკვე დაგირავებისას შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ მოგირავნე პირადად ან მესამე პირის მეშვეობით რეალიზაციას განახორციელებს საკუთარი შეხედულებით მიმდინარე ფასით, ან საკუთრების უფლება მოგირავნეზე გადავა მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომისას. ²ამ შემთხვევაში მოთხოვნა ითვლება მესაკუთრის მიერ გადახდილად შესრულების ვადის დადგომის დღეს მოქმედი საბირჟო ან საბაზრო ფასის ოდენობით. ³§§ 1229 და 1233-1239 არ გამოიყენება.

§§ 1260-1272. (გაუქმებულია)

კარი 2. გირავნობის უფლება უფლებებზე

§ 1273. უფლებებზე გირავნობის უფლების კანონისმიერი შინაარსი

(1) გირავნობის უფლების საგანი შეიძლება იყოს ასევე უფლებაც.

(2) ¹უფლებებზე გირავნობის უფლების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება მოძრავ ნივთებზე დადგენილი გირავნობის უფლების შესახებ ნორმები, თუ §§ 1274-1296-იდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს. ²§ 1208-ისა და § 1213-ის მე-2 ნაწილის ნორმების გამოყენება გამორიცხულია.

§ 1274. დადგენა

(1) ¹უფლებაზე გირავნობის უფლების დადგენა ხორციელდება უფლების გადაცემის მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად. ²თუ უფლების გადასაცემად საჭიროა ნივთის გადაცემა, მაშინ გამოიყენება §§ 1205-ის, 1206-ის ნორმები.

(2) თუ უფლება არ ექვემდებარება გადაცემას, მაშინ გირავნობის უფლების დადგენა მასზე დაუშვებელია.

§ 1275. გირავნობის უფლება ვალდებულების შესრულების მიღებაზე

თუ გირავნობის საგანია უფლება, რომლის ძალითაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ვალდებულების შესრულება, მაშინ მოგირავნესა და ვალდებულ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება ნორმები, რომლებიც უფლების გადაცემის შემთხვევაში მოქმედებს შემძენსა და ვალდებულ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, ხოლო § 1217-ის პირველი

ნაწილის თანახმად მიღებული სასამართლოს განკარგულების შემთხვევაში, შესაბამისად, გამოიყენება § 1070-ის მე-2 ნაწილის ნორმა.

§ 1276. დაგირავებული უფლების გაუქმება ან შეცვლა

(1) ¹დაგირავებული უფლება შეიძლება გარიგებით გაუქმდეს მხოლოდ მოგირავნის თანხმობით. ²თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი ხორციელდება; მისი გამოთხოვა დაუშვებელია. ³§ 876-ის მე-3 წინადადების ნორმა არ იცვლება.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს უფლების ცვლილების მიმართ, თუ ეს ცვლილება არღვევს გირავნობის უფლებას.

§ 1277. მოთხოვნის დაკმაყოფილება იძულებითი აღსრულებით

¹თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, მოგირავნეს შეუძლია მოითხოვოს უფლებიდან თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულებისათვის მოქმედი ნორმების თანახმად. ²§ 1229-ისა და § 1245-ის მე-2 ნაწილის ნორმები არ იცვლება.

§ 1278. უფლების გაუქმება ნივთის უკან დაბრუნებით

თუ გირავნობის საგანია უფლება, რომლის დასაგირავებლად საჭიროა ნივთის გადაცემა, მაშინ ნივთის უკან დაბრუნებით გირავნობის უფლების გაუქმების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება § 1253-ის ნორმა.

§ 1279. გირავნობის უფლება მოთხოვნაზე

¹მოთხოვნაზე გირავნობის უფლების მიმართ მოქმედებს §§ 1280-1290-ის სპეციალური ნორმები. ²თუ მოთხოვნას აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 1259.

§ 1280. შეტყობინების გაგზავნა მოვალისათვის

იმ მოთხოვნის დაგირავება, რომლის გადასაცემად საკმარისია მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულება, სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი დაგირავების შესახებ ატყობინებს მოვალეს.

§ 1281. ვალდებულების შესრულება ვადის დადგომამდე

¹მოვალეს შეუძლია, მოგირავნესა და კრედიტორს მხოლოდ ერთობლივად შეუსრულოს ვალდებულება. ²თითოეულ მათგანს ვალდებულების შესრულების ნაცვლად შეუძლია მოითხოვოს, რომ ნივთი, რომელიც ვალდებულების საგანია, გადაეცეს შესანახად, ან თუ იგი არ ექვემდებარება დეპონირებას, გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ შემნახველს.

§ 1282. ვალდებულების შესრულება ვადის დადგომის შემდეგ

(1) ¹თუ დამდგარია § 1228-ის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული წინაპირობები, მაშინ მოგირავნე უფლებამოსილია მოთხოვნის რეალიზაციაზე, ხოლო მოვალეს შეუძლია შესრულება მხოლოდ მის მიმართ. ²ფულადი მოთხოვნის რეალიზაციის უფლება მოგირავნეს აქვს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს აუცილებელია მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ³რამდენადაც მოგირავნე უფლებამოსილია მოთხოვნის რეალიზაციაზე, მას ასევე შეუძლია მოითხოვოს, რომ გადახდის ნაცვლად მას დაეთმოს ფულადი მოთხოვნა.

(2) მოგირავნე არ არის უფლებამოსილი მოთხოვნის სხვაგვარ განკარგეობზე; § 1277-ის თანახმად, მოთხოვნიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება უცვლელი რჩება.

§ 1283. ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) თუ დაგირავებული მოთხოვნის გადახდის ვადის დადგომა დამოკიდებულია ხელშეკრულების შეწყვეტაზე, მაშინ კრედიტორის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა საჭიროებს მოგირავნის თანხმობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია სარგებლის მიღებაზე.

(2) მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის შესახებ განცხადებულ იქნა მოგირავნისა და კრედიტორის წინაშე.

(3) თუ დამდგარია § 1228-ის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული წინაპირობები, ხელშეკრულების შეწყვეტაზე უფლებამოსილია ასევე მოგირავნეც; მოვალის მიერ ხელშეკრულების შესაწყვეტად საკმარისია განცხადება მოგირავნის წინაშე.

§ 1284. განსხვავებული შეთანხმებები

§§ 1281-1283-ის ნორმები არ გამოიყენება, თუ მოგირავნესა და კრედიტორს შორის შეთანხმებულია სხვა წესი.

§ 1285. თანამონაწილეობა მოთხოვნის რეალიზაციაში

(1) თუ ვალდებულების შესრულება მოგირავნისა და კრედიტორის მიმართ ერთობლივად უნდა განხორციელდეს, მაშინ მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომისას ისინი ვალდებული არიან, მოთხოვნის რეალიზაციისას ხელი შეუწყონ ერთმანეთს.

(2) რამდენადაც მოგირავნე უფლებამოსილია მოთხოვნის რეალიზაციაზე, კრედიტორის ხელშეწყობის გარეშე, მან უნდა იზრუნოს სათანადო რეალიზაციაზე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კრედიტორს მოთხოვნის რეალიზაციის შესახებ, თუ შეტყობინება მიზანშეუწონელი არ არის.

§ 1286. ხელშეკრულების შეწყვეტის ვალდებულება რეალიზაციის რისკის არსებობისას

¹თუ დაგირავებული მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომა დამოკიდებულია ხელშეკრულების შეწყვეტაზე, მაშინ იმ პირობით, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება ეკუთვნის მოგირავნეს, ამ უკანასკნელს შეუძლია, კრედიტორისაგან მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მოთხოვნის რეალიზაცია, ქონების სათანადო მართვის წესების თანახმად, აკრძალულია, მისი საიმედოობისადმი არსებული რისკის გამო. ²ანალოგიური წინაპირობის არსებობისას კრედიტორს შეუძლია, მოსთხოვოს მოგირავნეს ხელშეკრულების შეწყვეტაზე თანხმობა, რამდენადაც ეს თანხმობა აუცილებელია.

§ 1287. ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგები

¹თუ მოვალე ასრულებს ვალდებულებას, §§ 1281-ისა, 1282-ის შესაბამისად, მაშინ შესრულებისთანავე კრედიტორი იძენს ვალდებულების საგანს, ხოლო მოგირავნე – გირავნობის უფლებას ამ საგანზე. ²თუ ვალდებულების შესრულება გამოიხატება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემით, მაშინ მოგირავნე იძენს საგარანტიო იპოთეკას; თუ შესრულება რეგისტრირებულ საზღვაო ხომალდსა და მშენებარე საზღვაო ხომალდზე საკუთრების უფლების გადაცემით გამოიხატება, მაშინ მოგირავნე იძენს საზღვაო ხომალდზე არსებულ იპოთეკას.

§ 1288. ამოღებული ფულადი თანხების განთავსება

(1) ¹თუ ფულადი მოთხოვნის რეალიზაცია ხორციელდება § 1281-ის შესაბამისად, მაშინ მოგირავნე და კრედიტორი ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ ერთ-

მანეთს იმაში, რომ ამოღებული თანხა – რამდენადაც ეს მიზანშეწონილია მოგირავნის ინტერესების დარღვევის გარეშე – განთავსდეს პროცენტის დარიცხვის პირობით სამეურვეო პირის კაპიტალის განთავსების მიმართ მოქმედი წესების თანახმად და რომ ერთდროულად მოგირავნისათვის დადგინდეს გირავნობის უფლება. ²თანხების განთავსების ხერხს განსაზღვრავს მოგირავნი.

(2) თუ მოთხოვნის რეალიზაცია ხორციელდება § 1282-ის შესაბამისად, მაშინ, რამდენადაც ამოღებული თანხა მიემართება მოგირავნის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ამ უკანასკნელის მოთხოვნა ითვლება კრედიტორის მიერ შესრულებულად.

§ 1289. გირავნობის უფლების გავრცელება პროცენტებზე

¹მოთხოვნაზე გირავნობის უფლება ვრცელდება მოთხოვნის პროცენტებზე. ²შესაბამისად, გამოიყენება § 1123-ის მე-2 ნაწილისა და §§ 1124, 1125-ის ნორმები; გადახდებიან მის მიქცევას ცვლის მოგირავნის მიერ მოვალისათვის წარდგენილი შეტყობინება იმის შესახებ, რომ იგი სარგებლობს რეალიზაციის უფლებით.

§ 1290. რეალიზაცია რამდენჯერმე დაგირავებისას

თუ მოთხოვნაზე არსებობს რამდენიმე გირავნობის უფლება, მაშინ რეალიზაციაზე უფლებამოსილია მხოლოდ ის მოგირავნი, რომლის გირავნობის უფლებაც დანარჩენ გირავნობის უფლებებთან შედარებით სარგებლობს უპირატესი რიგით.

§ 1291. გირავნობის უფლება მიწის ვალსა თუ სარენტო ვალზე

მოთხოვნაზე გირავნობის უფლების შესახებ ნორმები მოქმედებს ასევე მიწის ვალსა და სარენტო ვალზე დადგენილი გირავნობის უფლების მიმართაც.

§ 1292. საორდერო ფასიანი ქაღალდების დაგირავება

თამასუქის ან სხვა ისეთი ფასიანი ქაღალდის დასაგირავებლად, რომელიც შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტით, საკმარისია კრედიტორსა და მოგირავნეს შორის შეთანხმება და ინდოსირებადი ფასიანი ქაღალდის გადაცემა.

§ 1293. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდებზე დადგენილი გირავნობის უფლება

საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდზე გირავნობის უფლების მიმართ მოქმედებს მოძრავ ნივთებზე დადგენილი გირავნობის უფლების მომწესრიგებელი ნორმები.

§ 1294. რეალიზაცია და ხელშეკრულების შეწყვეტა

თუ გირავნობის უფლების საგანია თამასუქი, სხვა ისეთი ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტით, ან საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი, მაშინ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჯერ არ არის დამდგარი § 1228-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები, მოგირავნი უფლებამოსილია რეალიზაციაზე, ხოლო თუ აუცილებელია ხელშეკრულების შეწყვეტა, იგი უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტაზე; მოვალეს შეუძლია შეასრულოს ვალდებულება მოგირავნის მიმართ.

§ 1295. საორდერო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა საკუთარი შეხედულებით

¹თუ დაგირავებულ ფასიანი ქაღალდს, რომელიც შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტით, აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მაშინ კრედიტორი § 1228-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების დადგომის შემდეგ უფლებამოსილია, გაყიდოს იგი § 1221-ის თანახმად. ²შესაბამისად, გამოიყენება § 1259.

§ 1296. გირავნობის უფლების გავრცელება პროცენტთან კუპონებზე

¹ფასიან ქალაქში დადგენილი გირავნობის უფლება ვრცელდება ფასიან ქალაქში მიკუთვნებულ პროცენტულ, სარენტო ან დივიდენდების კუპონებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაეცა მოგირავნეს. ²თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს კუპონების მისთვის გადაცემა, თუ მათ მიხედვით ვალდებულების შესრულების ვადა დგება § 1228-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების დადგომამდე.

საგნობრივი საძიებელი

- Actio negatoria** 823-ის შესავლის მე-3 ველი (624), 1004-ის 1-ლი ველი (748)
- Actio quasinegatoria** 823-ის შესავლის მე-3 ველი (624)
- Asset deal** (განსაკუთრებული ქონებრივი ღირებულებების ერთობლიობა) 453-ის მე-3 ველი (348)
- condictio ob rem** 812-ის მე-15 და შემდგომი ველები (594), 815-ის 1-ლი ველი (610)
- condictio ob turpem vel iniustam causam** 817-ის 1-ლი და შემდგომი ველები (612)
- diligentia quam in suis s წინდახედულობის საკუთარი მასშტაბი** 277-ის 1-ლი ველი (156)
- dolo agit** 242-ის მე-3 ველი (113), 894-ის მე-7 ველი (684), 929-ის მე-15 ველი (703)
- Ersatzanspruch s stellvertretendes commodum** 285-ის 1-ლი და მომდევნო ველები (173)
- falsa demonstratio** 119-ის მე-4 ველი (41), 125-ის მე-4 ველი (51), 133-ის მე-3 (60) და მე-5 ველები (60)
- nondum conceptus** 823-ის მე-3 ველი (627)
- numerus clausus-პრინციპი** 854-ის შესავლის მე-2 ველი (661)
- pactum de non cedendo** 398-ის შესავლის მე-7 ველი (278)
- Point-of-Sale – პროცესი** 675-ის შესავლის მე-4 ველი (518)
- protestatio facto contraria** 145-ის შესავლის მე-2 ველი (70)
- Pull – გადახდა** 675-ის შესავლის 1-ლი ველი (517)
- Push – გადახდა** 675-ის შესავლის 1-ლი ველი (517)
- SEPA** 675-ის შესავლის 1-ლი ველი (514)
- SEPA – ანგარიშის დებეტირება** 675-ის შესავლის მე-3 ველი (517), 675-ის 1-ლი ველი (511)
- share deal** 453-ის მე-3 ველი (348)
- stellvertretendes commodum** 285-ის 1-ლი და შემდგომი ველები (173), 326-ის მე-3 ველი (231), 346-ის მე-13 ველი (246), 985-ის მე-7 ველი (732)
- venire contra factum proprium** 242-ის მე-4 ველი (114)
- versari in re illicita** 678-ის 1-ლი ველი (537)
- აბსტრაქციის პრინციპი** 139-ს მე-2 ველი (67), 167-ის მე-4 ველი (84), 398-ის შესავლის მე-2 ველი (277), 854-ის შესავლის მე-2 ველი (661), 929-ის მე-2 ველი (700)
- ადეკვატურობა** 249-ის შესავლის მე-14 ველი (124), 823-ის მე-20 ველი (636)
- ავტომობილის შეკეთება** 249-ის მე-2 ველი (132)
- ავტომობილის შექენა** 434-ის მე-4 (315) და მე-7 ველები (316)
- აკრძალული თვითნებობა** 858-ის 1-ლი ველი (663), 859-ის 1-ლი ველი (664), 863-ის 1-ლი ველი (665), 992-ის მე-2 ველი (743)
- ამკრძალავი კანონები** 134-ის 1-ლი და შემდგომი ველები (61)
- გამდიდრების საფუძველზე მიღებულის უკან დაბრუნება 817-ის 1-ლი და შემდგომი ველები (612)
- ამორალურობა** 138-ის 1-ლი და შემდგომი ველები (63)
- საოჯახო სამართალი 138-ის მე-7 ველი (64)
- ამხანაგობა, რომელიც მიმართული არ არის მესამე პირებთან ურთიერთობის დამყარებისაკენ** 705-ის შესავლის მე-4 ველი (548)
- არასაქონლი თანაცხოვრება 705-ის მე-9 ველი (551)
- ამხანაგობის ურთიერთობა მესამე პირებთან** 705-ის შესავლის მე-4 ველი (548)
- ამხანაგობის უფლებაუნარიანობა** 705-ის შესავლის მე-5 ველი (548), 892-ის მე-2 ველი (680), 899-ის 1-ლი და შემდგომი ველები (685)
- ამხანაგობის საერთო ქონება** 714-ის მე-3 ველი (554), 718-ის 1-ლი ველი (556),

719-ის 1-ლი და შემდგომი ველები (556)
ამხანაგობის წილი 719-ის მე-3 ველი (557)
ამხანაგობის ხელშეკრულება 705-ის 1-ლი და შემდგომი ველები (549)
ანგარიშიდან თანხის ჩამონერა 675გ-ს შესავალი მე-3 ველი (517), 675კ-ს შესავალი პირველი ველი (521)
ანგარიშის დებეტირება 675გ-ის შესავლის მე-3 ველი (517), 812-ის 30-ე ველი (601)
ანგარიშის მისვლა და ვადის გადაცილება 286-ის მე-5 ველი (178)
ანგარიშის ჩაუბარებლობის პირობით 139-ის მე-5 ველი (68)
ანგარიშსწორება 675გ-ის შესავლის მე-2 ველი (517)
ანგარიშსწორებები 675გ-ს შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (514), 675გ-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (517)
– ავტორიზაცია 675კ-ს შესავლის 1-ლი ველი (521)
ანგარიშსწორების ავტენტურობის დამდგენი ინსტრუმენტი 675კ-ს შესავლის 1-ლი ველი (521)
ანგარიშსწორების ბარათი 675-ის შესავლის მე-5 ველი (518)
ანგარიშსწორების თანხების საბანკო ანგარიშზე ასახვა (ავტორიზაცია) 675კ-ს შესავლის 1-ლი ველი (521)
ანგარიშსწორების ხელშეკრულება 675გ-ს შესავლის მე-2 და შემდგომი ველები (514), 675გ-ს შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (517)
არაგამოყოფადი დათქმა 307-ის მე-3 ველი (190)
არაგამოყოფადი დათქმის გამოყენება 307-ის მე-3 ველი (190)
ართანაზომიერი 439-ის მე-11 ველი (333)
არაკეთილსინდისიერი მფლობელი 990-ის 1-ლი და შემდგომი ველები (740)
არაკომერციული კავშირი 21-ის მე-2 ველი (5)
არასრულწლოვნები, ნივთზე ფაქტობრივი მფლობელობის დაკარგვა 935-ის მე-4 ველი (716)

– არაკეთილსინდისიერება მფლობელობის დროს 990-ის მე-3 ველი (740)
– პასუხისმგებლობის შეზღუდვა 107-ის მე-10 ველი (34), 113-ის 1-ლი ველი (37)
– ტიპური სოციალური ქცევა 145-ის შესავლის მე-2 ველი (70)
– უსაფუძვლო გამდიდრება 818-ის მე-12 ველი (620), 819-ის 1-ლი ველი (621)
– შეზღუდული ქმედუნარიანობა 106-ის 1-ლი და შემდგომი ველები (31), 107-ის 1-ლი და შემდგომი ველები (31), 108-ის 1-ლი და შემდგომი ველები (34), 110-ის 1-ლი ველი (35), 111-ის 1-ლი ველი (36), 113-ის 1-ლი ველი (37)
– შემნახველი წიგნაკი 808-ის მე-4 ველი (588)
არაუზრუნველყოფილი კრედიტი 488-ის მე-4 ველი (366)
არაუფლებაუნარიანი კავშირი 54-ის 1-ლი და შემდგომი ველები (14)
არაქონებრივი ზიანი 249-ის შესავლის მე-3 ველი (118), 253-ის 1-ლი და შემდგომი ველები (135), 651ა-ს მე-6 ველი (492), 823-ის მე-17 ველი (635)
არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 253-ის მე-2 ველი (136)
არსებითი იდენტურობა 823-ის მე-7 ველი (629)
არსებითი შემადგენელი ნაწილები 93-ის 1-ლი და შემდგომი ველები (25), 94-ის 1-ლი და შემდგომი ველები (26), 95-ის 1-ლი და შემდგომი ველები (26), 997-ის 1-ლი ველი (746)
აუქციონი 474-ის მე-2 ველი (353), 935-ის მე-5 ველი (716)
აქცესორულობა და
– გირავნობა 1204-ის მე-2 ველი (801), 1250-ის 1-ლი ველი (812)
– თავდებობა 765-ის 1-ლი და შემდგ. ველები (565), 767-ის 1-ლი და შემდგ. ველები (568), 768-ის 1-ლი და შემდგ. ველები (569)
– იპოთეკა 1113-ის მე-2 და შემდგ. ველები (770), 1137-ის 1-ლი ველი

- (777), 1138-ის 1-ლი ველი (778),
1153-ის 1-ლი ველი (783), 1156-ის
1-ლი ველი (785), 1184-ის 1-ლი და
შემდგ. ველები (793)
- მინის ვალი 1191-ის 1-ლი (795),
მე-3, მე-10 ველები (796)
 - სამომავლო უფლების მიღების მოთ-
ხოვნის უფლება 929-ის მე-16 ველი
(703)
 - წინასწარი ჩანაწერი 883-ის მე-2
ველი (674)
- ალმჭურველი უფლება** 119-ის 1-ლი ველი
(40), 273-ის 1-ლი ველი (147), 349-ის
1-ლი ველი (248), 387-ის შესავლის მე-2
ველი (272), 441-ის 1-ლი ველი (336)
- თავდებობა 768-ის მე-3 ველი (570),
770-ის 1-ლი და შემდგომი ველები
(570)
- ალქმის თეორია** 130-ის მე-5 ველი (58)
- ახალი ავტომობილი** 249-ის მე-4 ველი
(132), 434-ის მე-4 ველი (315)
- ახალი სატრანსპორტო საშუალება**
249-ის მე-4 ველი (132), 434-ის მე-4
ველი (315)
- ბავშვი, როგორც ზიანი** 249-ის შესავლის
მე-4 ველი (118)
- ბრალეულობა** 276-ის მე-2 ველი (154)
- ბრალი** 276-ის 1-ლი და შემდგომი ველე-
ბი (153), 823-ის 30-ე (641) და 36-ე
ველები (643)
- ბრალი ხელშეკრულების დადებისას**
280-ის მე-4 ველი (161), 282-ის 1-ლი
ველი (169), 311-ის 1-ლი და შემდგო-
მი ველები (197), 437-ის მე-13 ველი
(324), 453-ის მე-3 ველი (348), 536-ის
1-ლი ველი (403)
- წარმომადგენლობის დროს 179-ის
მე-5 ველი (90)
- გაგზავნის ხარჯები** 357-ის მე-2 ველი
(254)
- გაგზავნის ვალდებულება** 243-ის მე-4
ველი (115), 269-ის 1-ლი ველი (143)
- კვალიფიციური 270-ის მე-2 ველი
(145)
 - ნასყიდობისას 447-ის მე-2 (342) და
მე-7 ველები (343)
- გაგზავნის ხარჯები** 357-ის მე-2 ველი
(254)
- გადავადება** 271-ის მე-2 ველი (146),
506-ის მე-2 ველი (384)
- გადარიცხვა** 675-ის შესავლის მე-2 ველი
(517)
- შეცდომით ორმაგი 812-ის 30-ე ველი
(601)
- გადაცემა** 433-ის მე-5 ველი (312), 446-ის
მე-2 ველი (341), 929-ის მე-5 და შემდ-
გომი ველები (701), 932-ის მე-5 ველი
(711), 933-ის 1-ლი ველი (713)
- მოკლე ხელი 929-ის მე-9 ველი (702)
- გადაწყვეტილების შედეგი მოთხოვნის
დათმობისას** 407-ის მე-2 ველი (291)
- გადახდის ადგილი** 270-ის 1-ლი ველი
(145)
- გადახდის გადავადება** 498-ის მე-3 ველი
(380), 499-ის 1-ლი ველი (380)
- გადახდის ვადის გადაცილება** 270-ის მე-2
ველი (145)
- გადახდის უუნარობა** 275-ის მე-3 ველი
(151)
- გაერთიანების წევრობა** 38-ის 1-ლი ველი
(11)
- გავრცობილი პირობადებული საკუთრება**
398-ის შესავლის მე-16 და შემდგომი
ველები (282), 22-ე (286) და 25-ე ვე-
ლები (287), 449-ის მე-5 და შემდგომი
ველები (345), მე-14 ველი (347)
- გამართლების საფუძვლები** 823-ის 29-ე
ველი (641)
- გამგზავნი კურიერი** 130-ის მე-4 ველი
(58)
- გამდიდრება** 818-ის მე-7 და შემდგომი
ველები (616), მე-15 ველი (621)
- გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომა**
119-ის მე-14 ველი (43)
- გამოყენებიდან გამომდინარე კონდიქცია**
812-ის 41-ე ველი (605), 987-ის შესავ-
ლის მე-12 ველი (737)
- გამოყენებისგან მიღებული სარგებელი**
346-ის მე-4 (243) და მე-6 ველები
(243)
- გამოყენებული ავტომატაქსა** 364-ის მე-3
ველი (265), 434-ის მე-4 (315) და
მე-7 (316) ველები, 476-ის 1-ლი ველი
(355)

გამოცალკევება (გაკოტრების მასიდან) 449-ის 12-ე ველი (347), 929-ის მე-18 ველი (704), 930-ის მე-15 ველი (709)

გამქირავებლის გირავნობის უფლება 562-ის 1-ლი და შემდგომი ველები (425), 562ა-ს 1-ლი და შემდგომი ველები (427)

განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებები 506-ის მე-4 ველი (385)

განვადების ხელშეკრულება 138-ის მე-9 ველი (65)

განზრახვა 276-ის მე-3 (154) და მე-5 ველები (154)

განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ 185-ის 1-ლი და შემდგომი ველები (93), 816-ის 1-ლი და შემდგომი ველები (610), 823-ის მე-4 ველი (627)

– სამართლებრივი საფუძვლის გარეშე 816-ის მე-4 ველი (611)

– უსასყიდლოდ აგრეთვე კეთილსინდისიერი შემძენი 816-ის მე-4 ველი (611)

განკარგვის თეორია 415-ის 1-ლი ველი (296)

განკარგვის უფლებამოსილება 929-ის მე-12 ველი (702), 932-ის 1-ლი და შემდგომი ველები (710)

განკარგვის უფლებამოსილება, მინდობილობა 449-ის მე-8 ველი (345)

განკარგვის შეზღუდვა 878-ის 1-ლი და შემდგომი ველები (671), 894-ის მე-4 ველი (684), 932-ის მე-6 და შემდგომი ველები (712)

განკარგვის ცნება 185-ის 1-ლი ველი (93)

განმარტება 133-ის პირველი და შემდგომი ველები (60), 157-ის 1-ლი და შემდგომი ველები (76)

– შეცილება 119-ის 1-ლი ველი (40)

– ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განმარტება 306-ის მე-2 ველი (188)

განსაზღვრული ბირთვი 812-ის 38-ე ველი (603)

განსაზღვრულობის პრინციპი 398-ის შესავლის მე-17 ველი (283), 929-ის მე-3 ველი (700), 930-ის მე-5 ველი (706)

განხორციელებული რემონტის შესახებ დათქმა 535-ის მე-3 ველი (400)

განხორციელებული შეკეთების ხარჯები 249-ის მე-4 (132)

გარანტია 276-ის მე-7 ველი (155), 442-ის მე-5 ველი (338), 443-ის 1-ლი და შემდგომი ველები (339), 444-ის 1-ლი ველი (340), 453-ის მე-2 ველი (348), 477-ის 1-ლი ველი (356)

გარანტის პასუხისმგებლობა 276-ის 1-ლი (153) და მე-7 ველები (155)

– გამქირავებლის 536ა-ს მე-2 ველი (407), 566-ის მე-3 ველი (432)

გარიგება 104-ის შესავლის მე-2 ველი (29)

გარიგება იმ პირისათვის, რომელსაც იგი ეხება 164-ის მე-11 ველი (81)

გარიგება, რომელის მხარეებიც სამართლებრივად სხვადასხვა ეკონომიკურად კი იდენტური სუბიექტები არიან 932-ის მე-3 ველი (710)

გარიგება, რომელიც უნდა შესრულდეს დათქმულ დროს 271-ის მე-3 ველი (146), 323-ის 1-ლი ველი (226)

გარიგებაზე ზრუნვა 675-ის 1-ლი და შემდგომი ველები (511), 677-ის მე-4 ველი (535)

გარიგების დადების ნება 116-ის შესავლის მე-3 ველი (38)

გარიგების მსგავსი მოქმედებები 104-ის შესავლის მე-3 ველი (29)

გარიგების საფუძვლის დარღვევა 119-ის მე-16 ველი (44), 242-ის 1-ლი ველი (113), 275-ის მე-6 ველი (153), 313-ის 1-ლი და შემდგომი ველები (216), 437-ის მე-15 ველი (325), 535-ის შესავლის მე-9 ველი (398), 536-ის 1-ლი ველი (403)

გარკვეული მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება 823-ის შესავლის მე-3 ველი (624), 823-ის მე-17 ველი (635), 1004-ის მე-7 ველი (750)

გასხვისების აკრძალვა 135-ის 1-ლი ველი (62), 137-ის 1-ლი ველი (62)

– კეთილსინდისიერი შემძენი 135-ის მე-2 ველი (62)

გაუთვალისწინებელი ხარჯი 633-ის მე-4 ველი (472)

გაუფრთხილებლობა 276-ის მე-4 ველი (154)

- გაფრთხილება 281-ის მე-12 ველი (169), 282-ის მე-2 ველი (170), 323-ის 1-ლი ველი (226)
- გაფრთხილება 281-ის მე-9 ველი (168), 286-ის მე-3 და შემდგომი ველები (177)
- გაქვითვა 387-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (272)
- და თავდებობა 770-ის მე-4 ველი (571)
 - და მოთხოვნის დათმობა 406-ის 1-ლი და შემდგომი ველები (289)
- გაქვითვის აკრძალვა 387-ის შესავლის მე-8 და შემდგომი ველები (274)
- გაქვითვის ხელშეკრულება 387-ის შესავლის მე-14 ველი (275)
- გირავნობის თანხა 362-ის 1-ლი ველი (262), 675-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (511)
- გირავნობის საგნის გაყიდვა 1228-ის 1-ლი ველი (807)
- ამონაგები თანხების განაწილება 1247-ის მე-2 ველი (811)
 - გირავნობის საგნის კეთილსინდისიერი შექცენა 1244-ის 1-ლი ველი (810)
 - მართლობიერი 1242-ის 1-ლი ველი (809)
 - მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმცია 1248-ის 1-ლი ველი (811)
- გირავნობის უფლება 1204-ის 1-ლი და შემდგომი ველები (801)
- გამქირავებელი 562-ის 1-ლი და შემდგომი ველები (425), 562-ის 1-ლი და შემდგომი ველები (427)
 - დაცვა 1227-ის 1-ლი ველი (806)
 - კანონისმიერი 1204-ის მე-3 ველი (802), 1257-ის 1-ლი ველი (813)
 - კეთილსინდისიერი შემძენი 1205-ის მე-2 ველი (803), 1250-ის მე-2 ველი (812), 1257-ის 1-ლი ველი (813)
 - მენარდე 647-ის 1-ლი და შემდგომი ველები (485)
 - მოთხოვნის დათმობა 398-ის შესავლის მე-13 ველი (280), 1250-ის 1-ლი ველი (812)
 - უკუმოთხოვნა, რეგრესული მოთხოვნა 1225-ის 1-ლი ველი (806)
 - შეკვეთა 1205-ის 1-ლი ველი (802)

- გირავნობის უფლება უძრავ ქონებაზე 1113-ის შესავლის 1-ლი ველი (769)
- თავდებობა 774-ის მე-8 ველი (574)
 - ძირითადი ვალდებულება 1191-ის 1-ლი და შემდგომი ველები (795), 1192-ის 1-ლი ველი (799)
- გლობალური ცესია 398-ის შესავლის მე-16 და შემდგომი ველები (282)
- გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა 241-ის შესავლის მე-4 ველი (108), 313-ის მე-6 ველი (218), 314-ის 1-ლი და შემდგომი ველები (219)
- გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა 314-ის 1-ლი და შემდგომი ველები (219)
- ამხანაგობა 723-ის 1-ლი ველი (558)
 - ნარდობის ხელშეკრულება 649-ის 1-ლი ველი (487)
 - ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება 651-ის შესავლის მე-6 ველი (492)
 - ქირავნობის ხელშეკრულება 535-ის მე-7 ველი (402), 536-ის მე-5 ველი (405), 542-ის 1-ლი და შემდგომი ველები (411), 543-ის 1-ლი ველი (413)
 - შრომითი ხელშეკრულება 611-ის შესავლის მე-7 ველი (462)
- დაბრუნების უფლება 312-ის 1-ლი (205) და მე-7 ველები (207), 312-ის მე-4 ველი (212), 356-ის 1-ლი ველი (253), 357-ის 1-ლი ველი (254)
- დადასტურება 144-ის 1-ლი ველი (70)
- დავალება 662-ის 1-ლი და შემდგომი ველები (506)
- დანახარჯების ანაზღაურება 670-ის 1-ლი და შემდგომი ველები (509)
 - ზიანის ანაზღაურება 670-ის მე-3 ველი (510)
 - მიღებულის დაბრუნების ვალდებულება 667-ის 1-ლი და შემდგომი ველები (508)
- დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება 677-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (532), 677-ის 1-ლი და შემდგომი ველები
- გამდიდრების სამართალი 677-ის შესავლის მე-8 ველი (534)

- დანახარჯების ანაზღაურება 683-ის 1-ლი და შემდგომი ველები (540), 684-ის მე-2 ველი (542), 812-ის 41-ე ველი (605)
- დელიქტური სამართალი 677-ის შესავლის მე-7 ველი (537)
- მესაკუთრე-მფლობელის ურთიერთობა 677-ის მე-6 ველი (536)
- უფლებამოსილი 677-ის შესავლის მე-3 ველი (535), 677-ის მე-2 ველი (535), 681-ის 1-ლი და შემდგომი ველები (538), 683-ის 1-ლი და შემდგომი ველები (540), 812-ის 41-ე (605) და 43-ე ველები (606)
- დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება** 681-ის 1-ლი და შემდგომი ველები (538)
 - ნარდობის ხელშეკრულება 631-ის მე-2 ველი (470)
 - ქირაობა 535-ის მე-5 (401) და მე-7 ველები (402)
 - ყიდვა 433-ის მე-6 (313) და მე-8 ველები (313)
- დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედება, ჩათვლა** 249-ის შესავლის მე-11 ველი (123)
- დამატებითი ვალდებულებები** 241-ის შესავლის მე-3 ველი (110), 241-ის 1-ლი ველი (109), 280-ის მე-3 ველი (161), 282-ის 1-ლი ველი (169), 324-ის 1-ლი ველი (228)
- დამატებითი მოგების ამოღების მოთხოვნის უფლება** 852-ს მე-2 ველი (659)
- დამატებითი უფლებები** 398-ის შესავლის მე-12 ველი (280)
- დამატებითი შესრულება** 269-ის მე-2 ველი (144), 437-ის მე-2 ველი (320), 439-ის მე-4 (330) და მე-6 ველი (331)
- დამატებითი შესრულება, ნაკლის გამოსწორება** 283-ის მე-2 ველი (171), 311-ს მე-8 ველი (202), 326-ის მე-2 ველი (230), 437-ის მე-2 ველი (320), 439-ის 1-ლი და შემდგომი ველები (329), 440-ის 1-ლი და შემდგომი ველები (335), 634-ის მე-2 ველი (473), 635-ის 1-ლი და შემდგომი ველები (476), 637-ის მე-2 ველი (477)
 - ადგილი 439-ის მე-5 ველი (331)
 - მონტაჟისა და დემონტაჟის ხარჯები 439-ის მე-7 ველი (331)
 - მოცულობა 439-ის მე-7 ველი (331)
 - სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ დირექტივა 439-ის მე-8 (332) და მე-13 ველები (334)
 - ხარჯების ანაზღაურება 439-ის მე-9 ველი (332)
- დამატებითი შესრულების ადგილი** 269-ის მე-2 ველი (144)
- დამზადება, ნარდობის ხელშეკრულება** 635-ის მე-2 (476) და მე-4 ველები (476)
- დამონმება** 129-ის 1-ლი ველი (57)
- დამონმება** 128-ის 1-ლი ველი (56)
- დამუშავება** 812-ის მე-40 ველი (605), 47-ე ველი (608), 950-ის 1-ლი და შემდგომი ველები (720), 951-ის 1-ლი და შემდგომი ველები (722)
- დამცავი კანონი** 823-ის 33-ე (642), 38-ე (643) და 49-ე ველები (647)
- დამწყები მენარმე** 13-ის მე-3 ველი (2), 512-ის 1-ლი ველი (389)
- დამხმარე ვალდებულების შესრულებისას** 278-ის 1-ლი და შემდგომი ველები (157)
 - გადამზიდველი 447-ის მე-6 და შემდგომი ველები (343)
- დარღვევის აღმოფხვრის მოთხოვნა** 823-ის შესავლის მე-3 ველი (624), 823-ის მე-17 ველი (635), 1004-ის მე-6 ველი (749)
- დაუბადებელი ბავშვი** 823-ის მე-3 ველი (627)
- დაფარვის ურთიერთობა** 812-ის 27-ე ველი (599)
- დაქირავებული ავტომობილი** 249-ის მე-4 ველი (132)
- დაყადალება** 1121-ის 1-ლი ველი (773)
- დაყადალებიდან წარმოშობილი გირავნობის უფლება** 1204-ის მე-3 ველი (802)
- დაშენება** 912-ის 1-ლი ველი (693)
- დაშორების პრინციპი** 929-ის მე-2 ველი (700)
- დაცვის ვალდებულება** 241-ის შესავლის მე-3 ველი (108), 241-ის 1-ლი ველი (109), 280-ის 1-ლი (160) და მე-5 ველები (161), 282-ის 1-ლი ველი (169),

311-ის მე-3 (197) და მე-8 ველები (199), 324-ის 1-ლი ველი (228)
დაცვის მიზანი 249-ის შესავლის მე-4 (118) და მე-15 ველები (125), 823-ის მე-20 (636) და 34-ე ველები (642)
დახმარების უფლება 398-ის შესავლის მე-12 ველი (280)
დებეტი 675გ-ს შესავლის მე-4 ველი (515)
დელიქტი 823-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (623), 823-ის 1-ლი და შემდგომი ველები (626), 826-ის 1-ლი და შემდგომი ველები (649), 830-ის 1-ლი და შემდგომი ველები (651), 831-ის 1-ლი და შემდგომი ველები (653), 832-ის 1-ლი ველი (655), 833-ის 1-ლი და შემდგომი ველები (655)
 – **დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება** 677-ის შესავლის მე-7 ველი (534)
 – **მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობა** 987-ის შესავლის მე-8 ველი (736), 992-ის 1-ლი ველი (742)
 – **ნაკლისათვის პასუხისმგებლობა** 437-ის მე-9 (323), მე-16 ველები (325), 651ა-ს შესავლის მე-7 ველი (493), 823-ის მე-6 ველი (628)
დელიქტური მოთხოვნების გაქვითვის აკრძალვა 387-ის შესავლის მე-10 ველი (274)
დელიქტური უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნა 852-ის მე-2 ველი (659)
დისპოზიციური უფლება 157-ის მე-4 ველი (76), 306-ის შესავლის მე-2 ველი (188)
დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმა 312დ-ს 1-ლი და შემდგომი ველები (211)
 – **დისტანციური ხელშეკრულება** 312-ის 1-ლი და შემდგომი ველები (205)
 – **მბოჭავი ხელშეკრულება** 358-ის 1-ლი და მე-3 ველები (256)
 – **მონონება** 184-ის მე-2 ველი (92)
 – **სამომხმარებლო საფინანსო ლიზინგი** 535-ის შესავლის მე-11 ველი (399)
 – **სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება** 495-ის 1-ლი ველი (376)

– **სამომხმარებლო ხელშეკრულება** 355-ის შესავლის 1-ლი ველი (249), 355-ის 1-ლი და შემდგომი ველები (251), 356-ის 1-ლი ველი (253), 357-ის 1-ლი და შემდგომი ველები (254)
 – **საქონლის ნაწილ-ნაწილ მინოდების ხელშეკრულება** 510-ის 1-ლი ველი (388)
 – **ხელშეკრულების საგნის შემონემა** 357-ის მე-3 ველი (255)
დიფერენციის (სხვაობათა თეორია) 325-ის მე-3 ველი (229)
დოკუმენტი 126-ის 1-ლი ველი (53)
 – **განმარტება** 133-ის მე-5 ველი (60)
დუმილი 116-ის შესავლის მე-4 და შემდგომი ველები (38)
დუმილი მენარმის წერილობით დასტურზე 116-ის შესავლის მე-8 ველი (38)
დღიური სალდო 675დ-ს შესავლის მე-3 ველი (515)
ეკონომიკური შეუძლებლობა 275-ის მე-6 ველი (153), 313-ის მე-3 ველი (217)
ელექტრონული ბაზარი 312-ის შესავლის 1-ლი ველი (204), 312ე-ს 1-ლი და შემდგომი ველები (212), 357-ის მე-2 ველი (254)
ელექტრონული საშუალებით გარიგების დადება 312-ის შესავლის 1-ლი ველი (204), 312ბ-ს 1-ლი ველი (208), 312გ-ს 1-ლი და შემდგომი ველები (209), 312დ-ს 1-ლი და შემდგომი ველები (211), 357-ის მე-3 ველი (255)
ელექტრონული ფორმა 126-ის მე-3 ველი (53), 126ა-ს 1-ლი და შემდგომი ველები (54)
ელექტრონული ხელმოწერა 126ა-ს მე-2 და შემდგომი ველები (54)
ერთდროულად შესრულება 812-ის მე-19 (596) და 28-ე ველები (599)
ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლის გავრცელება მეორე ხელშეკრულებაზე 359-ის მე-2 ველი (258)
ერთიანი კონდიქცია 816-ის მე-4 ველი (611)
ექვივალენტური ინტერესი 823-ის მე-6 ველი (628)

ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება 249-ის შესავლის მე-4 ველი (118), 631-ის 1-ლი ველი (469)

ვადამოსულობა 271-ის 1-ლი და შემდგომი ველები (146)

ვადამოსულობა (გამჭოლი) 641-ის მე-3 (480)

ვადებთან დაკავშირებული გეგმები 535-ის მე-3 ველი (400)

ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანი 280-ის 1-ლი (160) და მე-11 ველები (163), 286-ის მე-7 ველი (179), 437-ის მე-8 ველი (323)

ვადის დაწესება 280-ის მე-8 ველი (162), 281-ის მე-8 და შემდგომი ველები (167), 283-ის მე-2 ველი (171), 323-ის მე-2 ველი (226), 440-ის 1-ლი და შემდგომი ველები (335), 636-ის 1-ლი ველი (477), 637-ის მე-2 ველი (477)

ვალდებულებით განსაზღვრული მიზნის ხელშეშლა 313-ის მე-4 ველი (218)

ვალდებულებითი სუროგაცია 285-ის 1-ლი ველი (173)

ვალდებულებითი ურთიერთობა 241-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (107), 311-ის 1-ლი ველი (197)

ვალდებულებითი ურთიერთობების შეწყვეტა 362-ის შესავლის 1-ლი ველი (261)

ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები 241-ის შესავლის მე-3 ველი (108)

ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება 275-ის შესავლის მე-2 ველი (149), 280-ის მე-5 (161) და მე-8 ველები (162), 281-ის 1-ლი ველი (165), 283-ის მე-2 ველი (171), 311-ის მე-8 ველი (202), 323-ის 1-ლი ველი (226)

ვალდებულების დარღვევა 275-ის შესავლის მე-2 ველი (149), 280-ის მე-2 და შემდგომი ველები (161)

ვალდებულების ის ნაწილი, რომელიც უნდა შეასრულოს ერთმა მოვალემ 420-ის მე-8 ველი (305)

ვალდებულების კისრების უფლებამოსილების მინიჭება 185-ის მე-2 ველი (93), 328-ის შესავლის მე-7 ველი (234)

ვალდებულების საგნის შემთხვევით დაღუპვისას საპირისპირო შესრულების

განხორციელების რისკი 300-ის მე-3 ველი (183), 326-ის მე-3 ველი (231), 446-ის 1-ლი და შემდგომი ველები (341), 447-ის 1-ლი და შემდგომი ველები (342)

ვალდებულების სახეები 241-ის შესავლის მე-3 ველი (108)

ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა 273-ის 1-ლი და შემდგომი ველები (147), 274-ის 1-ლი ველი (148)

– ვინდიკაცია 986-ის მე-2 ველი (733), 1000-ის 1-ლი ველი (747)

– საჯარო რეესტრში შესწორების შეტანა 894-ის მე-7 ველი (684)

ვალდებულების შესრულებაში დამხმარე პირი 278-ის მე-2 ველი (157), 831-ის 1-ლი და შემდგომი ველები (653)

ვალდებულების შესრულების ადგილი 269-ის 1-ლი ველი (143)

ვალდებულების შესრულების ადგილი 269-ის 1-ლი ველი (143)

ვალდებულების შესრულების გართულება 313-ის მე-3 ველი (217)

ვალდებულების შესრულების გართულება 275-ის შესავლის 1-ლი ველი (149), 280-ის 1-ლი ველი (160), 323-ის

შესავლის 1-ლი ველი (224), 433-ის შესავლის 1-ლი ველი (311), 437-ის

1-ლი (320), მე-10 (323), მე-12 ველები (324), 536-ის 1-ლი ველი (403),

536-ის 1-ლი ველი (407), 634-ის 1-ლი

(473) და მე-3 ველი (474)

ვალდებულების შესრულების დაგვიანება 280-ის მე-5 (161), მე-10 (163),

მე-11 ველები (163), 281-ის 1-ლი

ველი (165), 286-ის 1-ლი ველი (176), 323-ის 1-ლი ველი (226)

ვალდებულების შესრულების ვადამოსულება 271-ის 1-ლი ველი (146)

– კომპენსაციის 641-ის 1-ლი და შემდგომი ველები (480)

ვალდებულების შესრულების ინტერესი 122-ის მე-3 ველი (46), 249-ის შე-

სავლის მე-8 ველი (121), 311-ის მე-7 ველი (199), 311-ის მე-4 ველი (201)

ვალდებულების შესრულების მოგვიანებით დამდგარი შეუძლებლობა 275-ის შესავლის მე-6 ველი (150), 275-ის

მე-2 ველი (151), 280-ის მე-5 ველი (161), 283-ის 1-ლი ველი (171)

ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება 249-ის შესავლის მე-8 ველი (121), 280-ის მე-8 (162) და მე-13 ველები (164), 281-ის 1-ლი (165) და მე-5 (166), მე-12 ველები (169), 282-ის 1-ლი ველი (169), 283-ის 1-ლი (171) და მე-3 ველები (171), 437-ის მე-7 ველი (322)

- დაბრუნება 281-ის მე-4 ველი (165), 283-ის მე-3 ველი (171)
- შესრულების მოთხოვნა 281-ის მე-6 ველი (166)

ვალდებულების შესრულების საკუთარ თავზე აღება 328-ის შესავლის მე-8 ველი (234), 415-ის მე-3 ველი (297)

ვალდებულების შესრულების საფრთხე 243-ის მე-5 ველი (115), 300-ის მე-2 ველი (183)

- ნარდობის ხელშეკრულებისას 644-ის 1-ლი ველი (482)

ვალდებულების შესრულების საწყისი შეუძლებლობა 275-ის მე-2 ველი (151), 275-ის მე-6 ველი (153), 311ა-ს 1-ლი და შემდგომი ველები (201)

ვალდებულების შესრულების ხელის-შემშლელი გარემოებები 275-ის 1-ლი და შემდგომი ველები (150), 283-ის 1-ლი ველი (171), 285-ის მე-2 ველი (174), 311ა-ს 1-ლი და შემდგომი ველები (201)

ვალდებულების შესრულების ჯაჭვი 812-ის მე-18 (596) და 24-ე ველები (598)

ვალდებულების შესრულებისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება 257-ის 1-ლი და შემდგომი ველები (139)

ვალდებულების შეწყვეტის ხელშეკრულება 362-ის შესავლის 1-ლი ველი (261), 611-ის შესავლის მე-7 ველი (462)

ვალდებულებისგან გათავისუფლების საფრთხე 151-ის მე-3 ველი (74)

ვალი, რომელიც გვაროვნულად განსაზღვრული ნივითის მიწოდებით იფარება 243-ის 1-ლი და შემდგომი ველები (114), 275-ის მე-3 ველი (151), 276-ის მე-9 ველი (156)

ვალის აღიარება 780-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (577), 781-ის 1-ლი და შემდგომი ველები (580)

- კონტოკორენტი 675გ-ს შესავლის მე-3 ველი (515)

ვალის გადაკისრება 328-ის შესავლის მე-8 ველი (234), 414-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (294), 415-ის 1-ლი და შემდგომი ველები (296)

- იპოთეკური სესხი 416-ის 1-ლი ველი (298)
- უზრუნველყოფის უფლებები 418-ის 1-ლი და შემდგომი ველები (299)
- ძირითადი ვალი 416-ის მე-2 ველი (298)

ვალის შეპირება 780-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (577), 780-ის 1-ლი და შემდგომი ველები (578)

ვალუტირების თარიღი 675გ-ს შესავლის მე-5 ველი (515)

- ვადის გადაცილება 985-ის მე-8 ველი (733)
- ვალდებულების შესრულების გართულება 985-ის მე-5 და შემდგომი ველები (732)
- ვინდიკაცია 985-ის 1-ლი ველი და შემდგომი ველები (731)
- მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლები 986-ის 1-ლი და შემდგომი ველები (733)

ვინდიკაციის მდგომარეობა 987-ის შესავლის მე-3 და შემდგომი ველები (735)

ზენოლის დამატებითი მექანიზმი 641-ის მე-4 ველი (481)

ზიანი 249-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (117), 823-ის 31-ე ველი (642)

ზიანის ანაზღაურება 249-ის შესავლის მე-6 ველი (119)

ზიანის ანაზღაურება მოთხოვნის დათმობისას 404-ის შესავლის 1-ლი ველი (288), 404-ის 1-ლი ველი (288), 407-ის 1-ლი და შემდგომი ველები (291), 408-ის 1-ლი ველი (292), 409-ის 1-ლი ველი (293)

ზიანის ანაზღაურება, დიდი და პატარა 281-ის მე-5 (166) და მე-12 ველები

- (169), 325-ის მე-2 ველი (229), 437-ის მე-7 ველი (322)
- დათმობა 280-ის 1-ლი ველი (160), 281-ის მე-4 ველი (165), 323-ის შესავლის მე-3 ველი (225), 325-ის 1-ლი და შემდგომი ველები (228), 346-ის მე-6 (243) და მე-12 ველები (246)
 - ვალდებულების დარღვევის გამო 280-ის 1-ლი და შემდგომი ველები (160)
- ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება შეცილებულის მიმართ** 122-ის 1-ლი და შემდგომი ველები (46)
- მესაკუთრე-მფლობელის ურთიერთობა 987-ის შესავლის მე-7 ველი (736), 989-ის 1-ლი და შემდგომი ველები (739), 990-ის 1-ლი და შემდგომი ველები (740), 991-ის მე-3 ველი (742), 992-ის 1-ლი და შემდგომი ველები (742)
 - ნაკლის გამო პასუხისმგებლობა 281-ის 1-ლი (165) და მე-5 (166), მე-12 ველები (169), 437-ის მე-6 (322) და შემდგომი ველები, 12-ე ველი (324), 536-ს მე-2 ველი (407), 651-ს შესავლის მე-6 ველი (492)
 - შეუსრულებლობის გამო 280-ის მე-9 ველი (163)
- ზიანის გადანაცვლება** 249-ის შესავლის 25-ე და შემდგომი ველები (130)
- ზიანის გამომწვევი ალტერნატიული მიზნობრიობა** 249-ის შესავლის მე-17 ველი (126)
- ზიანის განხორციელების რისკი** 249-ის შესავლის მე-16 ველი (125)
- ზიანის დაანგარიშება** 249-ის შესავლის მე-9 ველი (121), 325-ის მე-3 ველი (229)
- ზიანის დაანგარიშების წესი** 249-ის შესავლის მე-9 ველი (121)
- ზიანის ნატურით ანაზღაურება** 249-ის შესავლის მე-2 ველი (117), 249-ის 1-ლი და შემდგომი ველები (132), 251-ის მე-2 ველი (135), 311-ის მე-7 ველი (199)
- ზნეობის სანიშნააღმდეგო ზიანის მიყენება** 826-ის 1-ლი და შემდგომი ველები (649)

- ზოგადი პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი** 823-ის მე-14 და შემდგომი ველები (632)
- ზოგადი პიროვნული უფლება** 823-ის მე-14 ველი (632)
- ზოგადი თანხმობა** 107-ის მე-8 და შემდგომი ველები (33)
- თავდებობა** 765-ის 1-ლი და შემდგომი ველები (565)
- ამორალურის 138-ის მე-6 ველი (64)
 - აქცესორულობის პრინციპის 765-ის 1-ლი ველი (565), 767-ის 1-ლი ველი (568), 768-ის 1-ლი ველი (569)
 - ვალდებულებით ურთიერთობაში სოლიდარულ მოვალედ შესვლა 414-ის შესავლის მე-10 ველი (295), 765-ის მე-7 ველი (567)
 - მოთხოვნის გადაცემის 774-ის მე-3 ველი (573)
 - მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი და შემწყვეტი შესაგებლები 765-ის მე-3 ველი (565), 768-ის 1 და შემდგომი ველები (569), 770-ის 1-ლი და შემდგომი ველები (570), 771-ის 1-ლი ველი (571)
 - მოთხოვნის დათმობის 398-ის შესავლის მე-12 ველი (280)
 - ოჯახის წევრების 138-ის მე-6 ველი (64)
 - პირველადი მოთხოვნა 765-ის მე-4 ველი (566)
 - საგარანტიო ხელშეკრულება 765-ის მე-8 ველი (567)
 - სამომხმარებლო სესხის 491-ის მე-3 ველი (371)
 - სანივთო უზრუნველყოფის 774-ის მე-6 და შემდგომი ველები (574)
 - სოლიდარული თავდები 773-ის 1-ლი ველი (572)
 - უკუმოთხოვნა, რეგურესული მოთხოვნა 774-ის 1-ლი ველი (573)
 - უცაბედად დადებული ხელშეკრულება 312-ის მე-2 ველი (205)
 - ფორმა 766-ის 1-ლი ველი (567)
- თავისუფალი დათქმა** 145-ის მე-2 ველი (72)
- თავისუფლება** 823-ის მე-3 ველი (627)

- თავს მოხვეული გამდიდრება 812-ის 42-ე ველი (606), 818-ის მე-6 ველი (616), 951-ის მე-2 ველი (722)
- გამდიდრების არარსებობა 818-ის მე-7 და შემდგომი ველები (616)
 - დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება 677-ის შესავლის მე-8 ველი (537)
 - კონკურენცია 812-ის მე-3 ველი (591)
 - მესაკუთრე მფლობელის ურთიერთობა 812-ის 38-ე ველი (603), 987-ის შესავლის მე-9 და შემდგომი ველები (737)
 - მოცულობა 812-ის მე-8 ველი (592), 816-ის მე-3 ველი (611), 818-ის 1-ლი და შემდგომი ველები (615)
 - ნივთის გადაშუაგება და გაერთიანება 951-ის 1-ლი და შემდგომი ველები (722)
 - რამდენიმე პირისგან შემდგარი ურთიერთობა 812-ის მე-18 და შემდგომი ველები (596)
 - საგანი 812-ის მე-4 და შემდგომი ველები (591)
 - სარჩელის წარმოებაში მიღება 818-ის მე-14 ველი (621)
 - ცოდნა 819-ის 1-ლი ველი (621)
- თამაშუქისა და ჩეკის აკრძალვა 496-ის მე-3 ველი (378)
- თანაბრალეულობა 254-ის 1-ლი და შემდგომი ველები (136), 280-ის მე-6 ველი (162), 311-ის მე-5 ველი (199), 1004-ის მე-9 ველი (750)
- თანაზიარი გაერთიანება 420-ის შესავლის მე-4 ველი (301), 705-ის მე-2 და შემდგომი ველები (549), 719-ის 1-ლი და შემდგომი ველები (556)
- პასუხისმგებლობა 420-ის შესავლის მე-10 ველი (303), 714-ის მე-2 და შემდგომი ველები (554)
- თანაზიარი ვალდებულება 420-ის შესავლის მე-10 ველი (303)
- თანაზიარი იპოთეკა 1132-ის 1-ლი ველი (776)
- თანათავდებობა 774-ის მე-5 ველი (573)
- თანაკრედიტორები 420-ის შესავლის მე-4 და შემდგომი ველები (301)
- თანამონაწილე 830-ის 1-ლი და შემდგომი ველები (651)
- თანამონაწილე 830-ის 1-ლი ველი (651)
- თანამფლობელობა 854-ის მე-4 ველი (661), 930-ის 1-ლი ველი (705)
- თანამფლობელობა 868-ის მე-4 ველი (667), 934-ის 1-ლი ველი (714)
- თანასაკუთრება 1008-ის 1-ლი და შემდგომი ველები (752)
- თანაშემსრულებელი 830-ის 1-ლი და შემდგომი ველები (651)
- თანმდვეი ზიანი ის. ასევე ნაკლისგან წარმოშობილი ზიანი 670-ის მე-3 ველი (510), 683-ის მე-7 ველი (541)
- თანხის ავანსად მიღება 675-ის შესავლის მე-2 (517) და მე-5 ველები (518)
- თანხმობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას 873-ის მე-9 ველი (669)
- თანხმობის დათქმა 398-ის შესავლის მე-18 ველი (283)
- თარჯიმანი 120-ის 1-ლი ველი (46)
- თვითმსხვერპლშეწირვა საგზაო მოძრაობისას 683-ის მე-7 ველი (541)
- თვითმყოფადობის (ხელშეუხებლობის) ინტერესი (Integritätsinteresse) 249-ის 1-ლი ველი (132), 251-ის 1-ლი ველი (134), 823-ის მე-6 ველი (628)
- თვითშეკეთება 249-ის მე-4 ველი (132)
- თვისება 276-ის მე-8 ველი (155), 442-ის მე-5 ველი (338), 536-ის მე-3 ველი (404)
- თმენის მინდობილობა 167-ის მე-8 (85), 177-ის 1-ლი ველი (88)
- ინდივიდუალურად განსაზღვრული ვალდებულება 243-ის 1-ლი ველი (114), მე-3 და შემდგომი ველები (115)
- ინკასირების უფლებამოსილების მინიჭება 185-ის მე-2 ველი (93), 398-ის შესავლის 25-ე ველი (287), 449-ის მე-8 ველი (345)
- ინფორმაციის გაცემის ვალდებულებები 312-ის 1-ლი და შემდგომი ველები (209)
- ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება 241-ის მე-2 ველი (109), 311-ის მე-3 ველი (197)
- იპოთეკა 1113-ის 1-ლი და შემდგომი ველები (770)
- კრედიტორის დაკმაყოფილება 1142-ის 1-ლი ველი (780), 1143-ის

- 1-ლი და შემდგომი ველები (780),
1164-ის 1-ლი ველი (787)
- იპოთეკის ვალუტირება 1163-ის მე-2
ველი (787)
- იურიდიული პირი 21-ის 1-ლი და შემდგო-
მი ველები (5)
- იურიდიული პირის ორგანოს პასუხისმ-
გებლობა 31-ის 1-ლი და შემდგომი
ველები (8), 278-ის მე-2 ველი (157)
- იძულებითი აღსრულება, უცხო ნივთის
გამოყენება 812-ის 38-ე ველი (603),
1147-ის 1-ლი ველი (781), 1247-ის
მე-3 ველი (811)
- კავშირი 21-ის 1-ლი და შემდგომი ველები
(5)
- გადაწყვეტილების ერთხმად მიღების
პრინციპი 32-ის 1-ლი ველი (10)
 - ორგანოები 25-ის მე-2 ველი (6)
 - პასუხისმგებლობა 31-ის 1-ლი და
შემდგომი ველები (8)
 - საქმისწარმოება 26-ის მე-2 ველი
(7), 27-ის 1-ლი ველი (7)
 - წევრობა 38-ის 1-ლი ველი (11)
 - წარმომადგენლობითი უფლებამოსი-
ლება 26-ის 1-ლი ველი (6)
 - წესდება 25-ის 1-ლი ველი (6)
- კავშირის გამგეობა 26-ის 1-ლი ველი
(6), 27-ის 1-ლი ველი (7)
- კავშირის ორგანიზაციული ხარვეზი
31-ის მე-4 ველი (9), 823-ის 21-ე
ველი (638), 831-ის 1-ლი და მე-3 ვე-
ლები (653)
- კანონიერი ინტერესი უცხო უფლების
განხორციელებისადმი 398-ის შესავლ-
ლის 25-ე ველი (287)
- კანონიერი წარმომადგენელი 278-ის
მე-10 ველი (159)
- კანონიერი წარმომადგენლის თანხმო-
ბა 107-ის მე-8 და შემდგომი ველები
(33), 108-ის 1-ლი (34) და მე-3
ველები (35)
- კანონის დარღვევა 134-ის 1-ლი და შემდ-
გომი ველები (61), 135-ის 1-ლი ველი
(62)
- *condictio ob turpem vel iniustam
causam* 817-ის 1-ლი და შემდგომი
ველები (612)
 - დელიქტი 823-ის 32-ე და შემდგომი
ველები (642)
- კანონის ძალით მოთხოვნის კეთილსინ-
დისიერად შექმნა 398-ის შესავლის
მე-10 ველი (279)
- კეთილგანწყობით დადებული ხელშეკ-
რულებები 241-ის შესავლის მე-2 ველი
(107), 662-ის მე-2 ველი (506), 675-ის
მე-4 ველი (512)
- კეთილსინდისიერება 242-ის 1-ლი და
შემდგომი ველები (107)
- განმარტებისას 157-ის 1-ლი და შემ-
დგომი ველები (76)
 - ფორმის ნაკლი 125-ის მე-6 და შემდ-
გომი ველები (51)
 - შეცილებისას 119-ის 22-ე ველი (45)
- კეთილსინდისიერი შემქმენი 932-ის 1-ლი
და შემდგომი ველები (710), 933-ის
1-ლი ველი (713), 934-ის 1-ლი ველი
(714), 935-ის 1-ლი და შემდგომი ვე-
ლები (715)
- აუქციონი 935-ის მე-5 ველი (716)
 - გასხვისების აკრძალვა 135-ის მე-2
ველი (62), 932-ის მე-6 ველი (712)
 - გირავნობის უფლება 1205-ის მე-2
ველი (803), 1250-ის მე-2 ველი
(812), 1257-ის 1-ლი ველი (813)
 - დაუტვირთავი 936-ის 1-ლი ველი
(717)
 - იპოთეკა 1138-ის 1-ლი და შემდგომი
ველები (778)
 - სამომავლო უფლების მიღების მოთ-
ხოვნის უფლება 929-ის მე-12 (702)
და მე-16 ველები (703)
 - უსაფუძვლო გამდიდრება 812-ის
47-ე ველი (608)
 - უფლებების მინის ნაკვეთზე 892-ის
1-ლი და შემდგომი ველები (679),
893-ის 1-ლი და შემდგომი ველები
(682)
 - უძრავი ქონებით მოთხოვნის უზრუნ-
ველყოფა 1191-ის მე-13 ველი (797)
 - შეცილების 142-ის 1-ლი ველი (69)
- კვალიფიციური გაგზავნის ვალდებულე-
ბა 270-ის მე-2 ველი (145)
- კვალიფიციური ლეგიტიმაციური ფასი-
ანი ქალაქი 793-ის შესავლის მე-5
ველი (584)

კოლიზია 167-ის მე-5 ველი (84)
 კომპენსაცია 251-ის 1-ლი და შემდგომი
 ველები (134), 253-ის 1-ლი ველი (135)
 კომპენსაციის მოთხოვნა მიწის ნაკვეთის
 სარგებლობის წესების დარღვევისთვის
 906-ე მუხლის მე-6 ველი (690)
 – სოლიდარული მევალებების მიერ
 426-ის 1-ლი და შემდგომი ველები
 (308)
 კონდიქცია უსაფუძვლო გამდიდრების
 კონდიქციის კონდიქცია 812-ის 24-ე
 ველი (598)
 კონვერსია 140-ის 1-ლი ველი (68)
 კონკრეტიზაცია 243-ის მე-3 და შემდგომი
 ველები (115)
 კონსენსუალური ხელშეკრულება 488-ის
 მე-2 ველი (344)
 კონსენსუსის პრინციპი 873-ის მე-9 ველი
 (669)
 კონსოლიდაცია 889-ის 1-ლი ველი (679)
 კონსულტაციის განწევა 433-ის მე-6 ველი
 (313), 675-ის მე-4 და შემდგომი ველე-
 ბი (512)
 კონტროკორენტი 675გ-ს შესავლის მე-3
 ველი (515)
 კონფუზია 362-ის შესავლის 1-ლი ველი
 (261)
 კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების
 შესრულება 535-ის მე-2 ველი (399)
 – ბათილი დათქმების შედეგი 535-ის
 მე-4 ველი (401)
 კრედიტის უზრუნველყოფა 488-ის მე-4
 ველი (366)
 კრედიტორებისთვის ზიანის მიყენება
 138-ის მე-6 ველი (64)
 კრედიტორთა სიმრავლე 420-ის შესავ-
 ლის 1-ლი და შემდგომი ველები (300)
 კრედიტორის მიერ მიღების ვადის გა-
 დაცობა 293-ის შესავლის 1-ლი და
 შემდგომი ველები (180)
 კუმულაციური ვალის გადაკისრება
 414-ის შესავლის მე-8 და შემდგომი ვე-
 ლები (295), 491-ის მე-3 ველი (371),
 765-ის მე-7 ველი (567)
 კურიერი 164-ის მე-2 ველი (79)
 – მცდარი შეტყობინება 120-ის 1-ლი
 და შემდგომი ველები (46)

ლეგიტიმაციური ქალაღი 793-ის შე-
 სავლის მე-5 ველი (584), 808-ის 1-ლი
 ველი (587)
 ლიზინგი 535-ის შესავლის 1-ლი და შემდ-
 გომი ველები (396)
 მარაგით შესასრულებელი ვალდებულება
 243-ის 1-ლი ველი (114)
 მართლზომიერი ალტერნატიული ქმედე-
 ბა 249-ის შესავლის მე-19 და შემდგომი
 ველები (126)
 მართლწინააღმდეგობა 823-ის 23-ე და
 შემდგომი ველები (639), 35-ე (643)
 და 47-ე ველები (646)
 მარტივი ლეგიტიმაციური ფასიანი ქალაღ-
 დები 793-ის შესავლის მე-5 ველი (584)
 მაღალი ტარიფი 249-ის მე-5 ველი (133)
 მევახშეობა 138-ის მე-5 (64) და მე-8
 ველები (65), 139-ის მე-3 ველი
 (67), 817-ის მე-5 ველი (614)
 მემკვიდრეობით სამართლებრივი ფორ-
 მების უგულებელყოფა 331-ის მე-4
 ველი (238)
 მენარდის გირავნობის უფლება 647-ის
 1-ლი და შემდგომი ველები (485)
 მეორადი ვალდებულებები 241-ის შესავ-
 ლის მე-3 ველი (108)
 მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურ-
 თიერთობა 987-ის 1-ლი და შემდგომი
 ველები (737)
 – დავალების გარეშე სხვისი საქმეების
 შესრულება 677-ის შესავლის მე-6
 ველი (534)
 – დელიქტური სამართალი 987-ის
 შესავლის მე-8 ველი (736), 992-ის
 1-ლი ველი (742)
 – უსაფუძვლო გამდიდრება 812-ის
 38-ე ველი (603), 987-ის შესავლის
 მე-9 და შემდგომი ველები (737)
 მესაკუთრის მიწის ვალი 1143-ის 1-ლი
 და შემდგომი ველები (780), 1163-ის
 1-ლი ველი (786), 1191-ის მე-18 ველი
 (797), 1196-ის 1-ლი ველი (786)
 მესამე პირის ზიანი 249-ის შესავლის
 21-ე და შემდგომი ველები (127)
 მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია
 (აღმოფხვრა) 249-ის შესავლის 25-ე და
 შემდგომი ველები (130)

მესამე პირის მიმართ გაქვითვა 387-ის შესავლის მე-4 ველი (273)
– ბრალი ხელშეკრულების დადებისას 311-ის მე-8 ველი (199)
– ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ 267-ის 1-ლი ველი (142), 362-ის მე-3 ველი (263)
– თანაბრალეულობა 254-ის მე-4 და შემდგომი ველები (138)
– ინფორმაციის გაცემა ვინმესთვის 675-ის მე-8 ველი (513)
მესამე პირის სარჩელი 449-ის მე-12 ველი (347), 930-ის მე-14 ველი (709)
მესამე პირის ნაქვება ხელშეკრულების დარღვევაზე 398-ის შესავლის მე-18 ველი (283), 826-ის მე-4 ველი (650)
მესამე პირისა და შემპირებლის ურთიერთობა 328-ის შესავლის მე-6 ველი (233)
მეუღლეთა მშობლების მიერ გადაცემული ქონება 516-ის მე-7 ველი (390)
მეწარმის ცნება 14-ის 1-ლი და შემდგომი ველები (3)
მეწარმის ცნება 478-ის 1-ლი და შემდგომი ველები (357), 479-ის 1-ლი ველი (360)
– ნივთის გაგზავნით ნასყიდობა 447-ის 1-ლი ველი (342)
– ნივთობრივი ნაკლი 434-ის 1-ლი ველი (314), 478-ის მე-3 ველი (358)
– ხანდაზმულობა 438-ის მე-5 ველი (328), 479-ის 1-ლი ველი (360)
მიზეზობრიობა 249-ის შესავლის მე-12 და შემდგომი ველები (123), 823-ის მე-19 ველი (636)
მიზნის მიღწევა 313-ის მე-4 ველი (218)
მიზნის შეთანხმება 812-ის მე-15 ველი (594)
მიზნობრივი ჩუქება 516-ის მე-5 ველი (390)
მითითების თეორია 133-ის მე-5 ველი (60)
მიმდინარე ანგარიში 675-ის შესავლის მე-3 ველი (515)
მიმღები კურიერი 130-ის მე-4 ველი (58)
მინდობილობა 167-ის 1-ლი და შემდგომი ველები (83)
– ფორმა 167-ის 1-ლი და შემდგომი ველები (83)
მინდობილობის შეცვლა 167-ის მე-2 და შემდგომი ველები (83)

მინიჭება 516-ის მე-6 ველი (390)
– საქორწინო მეუღლეთა თანაცხოვრება 516-ის მე-7 ველი (390)
მისაკუთრების ნებართვა 956-ის მე-3 ველი (725)
მიუღებელი სარგებელი 249-ის შესავლის მე-8 ველი (121), 280-ის მე-14 ველი (164)
მიღება
– ნარდობის ნაკეთობის 640-ის 1-ლი და შემდგ. ველები (478)
– ნასყიდობის საგნის 433-ის მე-8 ველი (313)
მიღება 147-ის 1-ლი და შემდგომი ველი (72), 150-ის 1-ლი და შემდგომი ველები (73), 151-ის 1-ლი და შემდგომი ველები (74), 241-ის მე-4 ველი (111)
მიღებაზე უფლებამოსილი პირი 130-ის მე-4 ველი (58)
მიღების ვადის გადაცილება ვადის გადაცილება 270-ის მე-2 ველი (145)
მიღებულის დაბრუნების ვალდებულება 681-ის მე-4 ველი (539), 684-ის 1-ლი და შემდგომი ველები (542)
– არანამდვილი 677-ის შესავლის მე-5 ველი (533), 687-ის 1-ლი და შემდგომი ველები (543)
– არაუფლებამოსილი 677-ის შესავლის მე-4 ველი (533), 677-ის მე-2 ველი (535), 678-ის 1-ლი და შემდგომი ველები (537), 681-ის 1-ლი და შემდგომი ველები (538), 684-ის 1-ლი და შემდგომი ველები (542), 812-ის 43-ე ველი (606)
– ზიანის ანაზღაურება 678-ის 1-ლი და შემდგომი ველები (537), 683-ის მე-7 ველი (541)
– შემსრულებლის დამატებითი ვალდებულებები 681-ის 1-ლი და შემდგომი ველები (538)
მიყენებული ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 906-ის მე-7 ველი (691)
მინის ნაკვეთზე უფლებათა რანგირება 879-ის 1-ლი ველი (673)
მინის ნაკვეთის შეძენა 311-ის 1-ლი და შემდგომი ველები (203), 873-ის 1-ლი და შემდგომი ველები (668)

– განკარგვის შეზღუდვები 878-ის 1-ლი და შემდგომი ველები (671)

მინოდება 812-ის 24-ე და შემდგომი ველები (598)

მინოდებიდან გამომდინარე რისკი 243-ის მე-2 ველი (115), 275-ის მე-3 ველი (151), 276-ის მე-9 ველი (156)

მინოდების ვალდებულება 243-ის მე-4 ველი (115), 269-ის 1-ლი ველი (143)

მინოდების ხელშეკრულება 278-ის მე-9 ველი (159), 651-ის 1-ლი და შემდგომი ველები (488)

მინოდების ჯაჭვი 478-ის 1-ლი (357), მე-4 ველები (359), 479-ის 1-ლი ველი (360)

მოგების გამოთხოვის ვალდებულება 816-ის მე-3 ველი (611), 818-ის მე-6 ველი (616)

მოვალეთა სიმრავლე 420-ის შესავლის მე-7 და შემდგომი ველები (302)

მოვალეობა (ფაკულტატიური ვალდებულება) 254-ის 1-ლი ველი (136), 293-ის შესავლის 1-ლი ველი (180)

მოვალის მიერ ვადის გადაცილება 281-ის მე-2 (165) და მე-9 ველები (168)

– მესაკუთრე-მფლობელის ურთიერთობა 990-ის მე-4 ველი (741)

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლები და შემწყვეტი შესაგებელი 1137-ის 1-ლი და შემდგომი ველები (777), 1156-ის 1-ლი ველი (785), 1157-ის 1-ლი ველი (785)

– **გამოყენება** 1113-ის 1-ლი ველი (770), 1147-ის 1-ლი ველი (781)

– **კანონისმიერი მოთხოვნის გაცვლა** 1164-ის 1-ლი ველი (787)

– **კეთილსინდისიერი შემძენი** 1138-ის 1-ლი და შემდგომი ველები (778), 1153-ის მე-2 ველი (783), 1155-ის 1-ლი და შემდგომი ველები (784)

– **მოთხოვნის გაუქმების უფლება** 1179-ის 1-ლი ველი (791)

– **მოთხოვნის გადაცემა** 1153-ის 1-ლი და შემდგომი ველები (783), 1154-ის 1-ლი ველი (783)

– **პასუხისმგებლობის საზღვრები** 1120-ის 1-ლი და შემდგომი ველები (772), 1121-ის 1-ლი ველი (773)

მოთხოვნის დათმობა 398-ის შესავლის 1-ლი და შემდგ. ველები (277)

მოთხოვნის დათმობის

– **გაქვითვა** 406-ის 1-ლი და შემდგ. ველები (289)

– **შეტყობინება** 409-ის 1-ლი და შემდგ. ველები (293)

მოთხოვნის დათმობა და

– **იპოთეკა** 1138-ის 1-ლი და შემდგ. ველები (778), 1153-ის 1-ლი და შემდგ. ველები (783), 1154-ის 1-ლი და შემდგ. ველები (783), 1155-ის 1-ლი და შემდგ. ველები (784)

– **მინის ვალი** 1191-ის მე-14 და შემდგ. ველები (797)

– **მოვალის მიერ ვადის გადაცილება** 404-ის შესავლის 1-ლი და შემდგ. ველი (288), 404-ის 1-ლი და შემდგ. ველი (288), 407-ის 1-ლი და შემდგ. ველები (291), 408-ის 1-ლი ველი (292)

– **ნივთის გამოთხოვნის მოთხოვნა** 931-ის 1-ლი და შემდგ. ველები (709), 934-ის 1-ლი და შემდგ. ველი (714)

– **უზრუნველყოფის უფლებები** 398-ის შესავალი მე-12 (280)

მოთხოვნის დათმობა, ცესია (ინკასაციის მიზნით) 398-ის შესავლის მე-20 ველი (285)

მოთხოვნის დათმობის გამორიცხვა 398-ის შესავლის მე-5 და შემდგ. ველები (278)

მოთხოვნის დათმობის შემთხვევები გამდიდრების სამართალში 812-ის 32-ე ველი (602)

მოთხოვნის კანონისმიერი გადასვლა 398-ის შესავლის 1-ლი ველი (277), 421-ის მე-12 ველი (305), 426-ის მე-5 ველი (308), 774-ის მე-3 ველი (573)

მოთხოვნის კანონისმიერი შეცვლა 1164-ის 1-ლი ველი (787)

მოთხოვნის მრავალჯერადი დათმობა 408-ის 1-ლი ველი (292)

მოთხოვნის რეალიზაციის კომპეტენცია 812-ის 38-ე ველი (603), 823-ის მე-9 და შემდგომი ველები (630)

მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინება 893-ის მე-3 ველი (683)

მომარაგების ხელშეკრულება 145-ის შე-
სავლის მე-2 ველი (70), 278-ის მე-8
ველი (159)

მომსახურების ხელშეკრულება 611-ის
შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები
(457), 631-ის 1-ლი ველი (469)

– ვალდებულების შესრულების გარ-
თულება 611-ის შესავლის მე-4 ველი
(459)

– შეწყვეტა 611-ის შესავლის მე-7
ველი (462)

მომხმარებლის დაცვა 13-ის 1-ლი ველი (2),
305-ის შესავლის 1-ლი ველი (184), 491-ის
შესავლის მე-3 ველი (371)

მომხმარებლის ცნება 13-ის 1-ლი და შემ-
დგომი ველები (2)

მონტაჟი 434-ის მე-8 და შემდგომი ველე-
ბი (316)

მონტაჟის საქმეები უსაფუძვლო გამდიდ-
რების სამართალში 812-ის 47-ე ველი
(608)

მორიგება 779-ის 1-ლი და შემდგომი
ველები (576)

მოტყუება 123-ის 1-ლი და შემდგომი
ველები (47)

– გამყიდველის მიერ 442-ის მე-4 ველი
(338)

– და სალდოს თეორია 818-ის მე-12
ველი (620)

– ვალის კისრების შემთხვევაში 415-ის
მე-2 ველი (297)

– როგორც დელიქტი 826-ის მე-4 ველი
(650)

მოქმედების ვალდებულება 241-ის შესავ-
ლის მე-3 ველი (110)

მოქმედების მართლწინააღმდეგობა 823-ის
25-ე და შემდგომი ველები (639)

მოქმედების სურვილი 116-ის შესავლის
მე-3 ველი (38)

მორჩენებითი (სიმულირებული) გარიგება
117-ის მე-2 ველი (40), 311ბ-ს მე-3
ველი (203)

მორჩენებითი გარიგება 117-ის 1-ლი ველი
(39), 311ბ-ს მე-3 ველი (203)

მორჩენებითი ხელშეკრულება 117-ის 1-ლი
ველი (39), 311ბ-ს მე-3 ველი (203)

მოძღვრება შედეგის მართლწინააღმდე-
გობის შესახებ 823-ის 24-ე (639) და
26-ე ველები (640)

მონვევა ოფერტზე 145-ის 1-ლი ველი (71)
მონონება 184-ის 1-ლი ველი (92), 185-ის
მე-3 ველი (93)

– კანონიერი წარმომადგენელი 108-ის
1-ლი ველი (34)

– საოჯახო საქმეთა სასამართლო
107-ის მე-9 ველი (34)

მომხმარების მიზნით ნივთის გადაცემა
540-ის 1-ლი ველი (410)

– უზრუნველყოფა 536-ის 1-ლი და შემ-
დგომი ველები (403), 536ა-ს 1-ლი
და შემდგომი ველები (407)

მტკიცების ტვირთი 280-ის მე-6 ველი
(162), 286-ის მე-6 ველი (178), 434-ის
მე-2 ველი (314), 476-ის 1-ლი ველი
(355), 640-ის მე-4 ველი (479), 823-ის
26-ე (640) და 48-ე ველები (646)

მუქარა 123-ის მე-12 ველი (49)

მფლობელის დაცვის უფლება 861-ის
1-ლი ველი (664), 862-ის 1-ლი ველი
(665), 863-ის 1-ლი ველი (665),
864-ის 1-ლი ველი (666)

მფლობელის თვითდახმარება 859-ის
1-ლი ველი (664)

მფლობელის პასუხისმგებლობა 823-ის
შესავლის მე-2 ველი (623)

მფლობელობა 854-ის 1-ლი და შემდგომი
ველები (661)

– დელიქტური დაცვა 823-ის მე-8 ველი
(630), 866-ის 1-ლი ველი (666)

– თვითდახმარება 859-ის 1-ლი ველი
(664)

– მემკვიდრეობა 857-ის 1-ლი ველი
(663)

– პეტიტორული მფლობელობის დაცვა
1007-ის 1-ლი და შემდგომი ველები
(751)

– პოსესორული დაცვა 861-ის მე-2
ველი (665), 862-ის 1-ლი ველი
(665), 863-ის 1-ლი ველი (665),
864-ის 1-ლი ველი (666)

მფლობელობის მოთხოვნის უფლების
გაუქმება 864-ის 1-ლი ველი (666)

მფლობელობის უფლება მესაკუთრის მი-
მართ 986-ის მე-2 ველი (733), 987-ის შე-
სავლის მე-3 და შემდგომი ველები (735)

– პირობადებით ნივთის შემძენი 449-ის
მე-10 ველი (346), 929-ის მე-15
ველი (703)

მფლობელობის შუალობითი ურთიერთობა 868-ის მე-3 ველი (667), 929-ის მე-8 ველი (701), 930-ის 1-ლი და შემდგომი ველები (705), 933-ის 1-ლი ველი (713), 934-ის 1-ლი ველი (714), 991-ის 1-ლი და შემდგომი ველები (741)
 – ნინასწარი გათვლა 930-ის მე-4 ველი (706)

მყიდველის ადგილმდებარეობით დადებული სავაჭრო გარიგება 269-ის მე-2 ველი (144), 447-ის მე-2 (342) და მე-7 და შემდგომი ველები (343)

მყიდველის მიერ ნაკლის საკუთარი ძალებით აღმოფხვრა 437-ის მე-3 ველი (321), 634-ის მე-2 ველი (473), 637-ის 1-ლი და შემდგომი ველები (477)
 – არაუფლებამოსილი 535-ის მე-5 ველი (401)

მცირე დეფექტები 434-ის მე-7 ველი (322)

მცირე კრედიტი 312-ის მე-6 ველი (207)

მცირე მნიშვნელობა 281-ის მე-14 ველი (169), 323-ის მე-3 ველი (226)

მცირე რაოდენობის მიწოდება 323-ის მე-3 ველი (226), 434-ის მე-11 ველი (317), 633-ის მე-5 ველი (472)

მცირე სანარმდგენლო ფასიანი ქალაქი 793-ის შესავლის მე-2 ველი (583)

მწარმოებელი 278-ის მე-9 ველი (159), 950-ის მე-3 ველი (721)

მწარმოებლის ღირებულება 535-ის შესავლის მე-5 ველი (396)

მწარმოებლის პასუხისმგებლობა 823-ის 37-ე და შემდგომი ველები (643)

მხარეთა ჰიპოთეტური ნება 139-ის მე-4 ველი (67)

ნაკლი გარემოებებში 434-ის მე-3 ველი (314)

ნაკლიანი ნივთის დაბრუნება 439-ის მე-12 ველი (334), 474-ის მე-3 ველი (354)

ნაკლის აღმოფხვრა 439-ის მე-4 ველი (330), 535-ის მე-7 ველი (402), 635-ის მე-2 ველი (476), 637-ის 1-ლი და შემდგომი ველები (477)

ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნები 437-ის 1-ლი და შემდგომი ველები (320), 453-ის მე-2 ველი (348), 535-ის

შესავლის მე-9 ველი (403), 536-ის მე-5 ველი (405), 633-ის 1-ლი ველი (471), 634-ის 1-ლი ველი (473), 651-ის შესავლის მე-6 ველი (492)
 – გამორიცხვა 442-ის 1-ლი და შემდგომი ველები (337), 444-ის 1-ლი ველი (340), 536-ის მე-4 ველი (405), 639-ის 1-ლი ველი (478)
 – კონკურენცია 437-ის მე-10 და შემდგომი ველები (323), 536-ის 1-ლი ველი (403), 536-ის 1-ლი ველი (407), 634-ის მე-3 ველი (474)
 – ხანდაზმულობა 438-ის 1-ლი და შემდგომი ველები (326), 548-ის 1-ლი ველი (415), 634-ის 1-ლი და შემდგომი ველები (474)

ნაკლის ზიანი 437-ის მე-7 ველი (322)

ნაკლის შედეგად წარმოშობილი ზიანი 437-ის მე-9 ველი (323), 438-ის მე-2 ველი (326), 536-ის მე-3 ველი (408)

ნარდობის ხელშეკრულება 631-ის 1-ლი და შემდგომი ველები (469), 651-ის მე-4 ველი (489)
 – ნაკეთობას ფუნქციონალური ვარგისიანობა აკლია 633-ის მე-3 ველი (472)
 – ნასყიდობის ხელშეკრულება 651-ის 1-ლი და შემდგომი ველები (488)
 – შემკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება 649-ის 1-ლი ველი (487)

ნასყიდობა არ წყვეტს ქირავნობის ხელშეკრულებას 566-ის 1-ლი და შემდგომი ველები (431)

ნასყიდობა მიწოდებით 651-ის 1-ლი ველი (488)

ნანილ-ნანილ ხელშეკრულების გადახდა 498-ის მე-4 ველი (380), 506-ის მე-4 ველი (385), 507-ის 1-ლი ველი (386)

ნანილობრივი ბათილობა 139-ის 1-ლი და შემდგომი ველები (66), 611-ის შესავლის მე-3 ველი (458)

ნანილობრივი შესრულება 420-ის შესავლის მე-6 ველი (302), 421-ის მე-7 ველი (304)

ნანილობრივი შესრულება, ნაკლების მიწოდება 281-ის მე-13 ველი (169), 282-ის მე-2 ველი (170), 311-ის მე-8 ველი (202), 323-ის მე-3 ველი (226)

ნახმარი ავტომობილი 434-ის მე-4 ველი (315)
ნდობის გაუმართლებლობიდან წარმოშობილი ზიანი 122-ის მე-2 ველი (46), 249-ის შესავლის მე-8 ველი (121), 311-ის მე-6 ველი (199), 311ა-ს მე-6 ველი (201), 323-ის შესავლის მე-2 ველი (225)
ნდობის ფაქტორი; მისი დარღვევა 281-ის მე-10 ველი (168)
ნების გამოვლენა 116-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (37)
– არასრულწლოვანი 106-ის 1-ლი და შემდგომი ველები (31), 107-ის 1-ლი და შემდგომი ველები (31), 108-ის 1-ლი და შემდგომი ველები (34), 110-ის 1-ლი ველი (35)
– ქმედუნარო 105-ის 1-ლი ველი (30), 105ა-ს 1-ლი ველი (30)
– ძალაში შესვლა 130-ის 1-ლი და შემდგომი ველები (57)
ნების გამოვლენის გაცნობიერება 116-ის შესავლის მე-2 ველი (37), 119-ის მე-6 ველი (41)
ნების გამოვლენის მისვლა 130-ის მე-3 და შემდგომი ველები (58)
– საგადასახადო დავალების 675ო-ს შესავლის 1-ლი ველი (523)
ნების ნაკლი, შეცილების შემთხვევაში 166-ის მე-4 ველი (82)
ნეგატიური ინტერესი 122-ის 1-ლი და შემდგომი ველები (46)
ნეგატიური საჯაროობა 892-ის მე-2 ველი (680)
ნივთის გამოცალკეების უფლება 951-ის მე-4 და შემდგომი ველები (723), 997-ის 1-ლი და შემდგომი ველები (746)
ნივთის გაგზავნის დროს ნასყიდობის ხელშეკრულება 249-ის შესავლის 26-ე ველი (130)
– რისკის გადასვლა 447-ის 1-ლი და შემდგომი ველები (342), 474-ის მე-3 ველი (354)
ნივთის გადაცემის დროს დაშვებული შეცდომა 120-ის 1-ლი და შემდგომი ველები (46)
ნივთის დაკარგვა 935-ის 1-ლი და შემდგომი ველები (715)

ნივთის თვისებებისა და სამსახურის გარანტია 443-ის მე-3 ველი (339), 477-ის 1-ლი ველი (356)
ნივთის საფრთხე 254-ის 1-ლი ველი (136)
ნივთის სესხის ხელშეკრულება 488-ის 1-ლი ველი (365), 607-ის 1-ლი ველი (456)
ნივთის უკან გამოთხოვის უფლება, გამიჯვნა საკუთრების გადაცემისგან 931-ის 1-ლი და შემდგომი ველები (709), 934-ის 1-ლი ველი (714)
– მარწმუნებლის 667-ის 1-ლი და შემდგომი ველები (508)
– მესაკუთრის 985-ის 1-ლი და შემდგომი ველები (731)
– მმართველის 681-ის მე-4 ველი (537), 687-ის მე-4 ველი (544)
– მფლობელის 861-ის 1-ლი და შემდგომი ველები (664), 1007-ის 1-ლი და შემდგომი ველები (751)
– პირობადადებული საკუთრების უფლებით გამყიდველი 449-ის მე-12 ველი (347)
– უსაფუძვლო გამდიდრების კრედიტორის 812-ის მე-4 და შემდგომი ველები (591), 816-ის 1-ლი და შემდგომი ველები (610), 818-ის მე-2 და შემდგომი ველები (615)
ნივთის უკან დაბრუნების უფლება 508-ის 1-ლი ველი (387)
ნივთის შემადგენელი ნაწილები 93-ის 1-ლი და შემდგომი ველები (25), 94-ის 1-ლი და შემდგომი ველები (26), 95-ის 1-ლი და შემდგომი ველები (26), 955-ის 1-ლი ველი (724), 956-ის 1-ლი და შემდგომი ველები (725)
ნივთობრივი ნაკლი 433-ის მე-5 ველი (312), 434-ის მე-3 და შემდგომი ველები (314), 535-ის შესავლის მე-9 ველი (398), 536-ის მე-3 ველი (404), 633-ის მე-3 ველი (472)
– დელიქტი 437-ის მე-9 ველი (323), მე-16 ველები (325), 823-ის მე-6 ველი (628)
– მტკიცების ტვირთი 434-ის მე-2 ველი (314), 476-ის 1-ლი ველი (355)
– შესრულების ჩანაცვლების უფლება-მოსილება 364-ის 2 ველი (264)

ნოვაცია 362-ის შესავლის 1-ლი ველი (261), 779-ის მე-2 ველი (576)

ნორმატიული ზიანი 249-ის შესავლის მე-5 და შემდგომი ველები (119), 26-ე ველი (130)

ოვერდრაფტი 492-ის 1-ლი ველი (373), 495-ის მე-3 ველი (377), 504-ის 1-ლი ველი (383), 675გ-ს შესავლის მე-4 ველი (515)

ოპერატიული ლიზინგი 129-ის 1-ლი ველი (57), 535-ის შესავლი მე-4 ველი (396)

ორდერის შემთხვევები უსაფუძვლო გამდიდრების სამართალში 812-ის 27-ე და შემდგომი ველი (599)

ორმაგი კონდიქცია 816-ის მე-4 ველი (611)

ორმაგი მოქმედება სამართალში 119-ის მე-7 ველი (41)

ორმაგი ხარვეზი რამდენიმე პირისაგან შემდგარ ურთიერთობაში 812-ის მე-18 (596), 24-ე ველები (598)

ორმხრივი ვალდებულებითი ურთიერთობა 320-ის შესავლის მე-3 (321) და მე-5 ველები (222)

ორმხრივი ხელშეკრულება 320-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (221), 320-ის 1-ლი ველი (223), 323-ის შესავლის 1-ლი ველი (224), 323-ის 1-ლი ველი (226), 325-ის მე-2 და შემდგომი ველები (229), 326-ის 1-ლი ველი (230)

ოფერტი 145-ის 1-ლი და შემდგომი ველი (71)

პარალიზება (უზრუნველყოფის მიმცემის) 138-ის მე-5 ველი (64), 398-ის შესავლის მე-18 ველი (283)

პარტიარული ხელშეკრულება 705-ის მე-11 ველი (551)

პასუხისმგებლობა ვალდებულების შესასრულებლად გამოყენებული პირების მოქმედებისათვის 831-ის 1-ლი ველი (653)

პასუხისმგებლობა იმ პირისა, ვისაც ევალება ზედამხედველობის განხორციელება 832-ის 1-ლი ველი (655)

პასუხისმგებლობა საფრთხის გამონვევისთვის 253-ის მე-2 ველი (136), 823-ის შესავლის მე-2 ველი (623), 833-ის 1-ლი ველი (655)

პასუხისმგებლობა შემთხვევითობისთვის 287-ის მე-2 ველი (179)

პასუხისმგებლობა, შრომის სამართალი 611-ის შესავლის მე-5 ველი (460)

– არარეგისტრირებული კავშირი 54-ის მე-3 ველი (15)

– კავშირი 31-ის 1-ლი და შემდგომი ველები (8)

– სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა 31-ის მე-2 ველი (8)

– ფულადი ანგარიშსწორება 675უ-ს 1-ლი ველი (527)

პასუხისმგებლობის გამორიცხვა 278-ის მე-12 ველი (160), 444-ის 1-ლი ველი (340), 536-ის მე-4 ველი (405), 639-ის 1-ლი ველი (478)

– მოცულობა 442-ის მე-2 ველი (337)

– სოლიდარულ მოვალეთა გათანაბრება 426-ის მე-6 და შემდგომი ველები (308)

პასუხისმგებლობის შემსუბუქება 241-ის შესავლის მე-2 ველი (107), 277-ის 1-ლი და შემდგომი ველები (156), 521-ის 1-ლი ველი (392), 662-ის მე-4 ველი (507), 708-ის 1-ლი ველი (552), 823-ის 30-ე ველი (641)

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მტკიცება 831-ის მე-3 ველი (654)

პატივის შელახვა 823-ის მე-16 ველი (634)

პერიოდული სალდო 675გ-ს შესავლის მე-3 ველი (515)

პეტიტორული შეგებებული სარჩელი 863-ის მე-2 ველი (665)

პეტიციური მოთხოვნა 861-ის მე-3 ველი (665), 1007-ის მე-3 ველი (751)

პეტიციური შესაგებელი 863-ის მე-2 ველი (665)

პირადი უფლებები 812-ის 38-ე ველი (603), 823-ის მე-9 (630) და მე-14 (632)

– გარდაცვალების შემდგომი პირადი უფლებები 823-ის მე-14 (632) და მე-17 ველები (635)

პირდაპირი კანონიერი წარმომადგენელი
164-ის მე-4 ველი (80)

– ზიანის დადგომის შესაძლებლობა
249-ის შესავლის 26-ე ველი (130)

პირდაპირი მფლობელობა 854-ის მე-2
ველი (661), 859-ის 1-ლი ველი (664),
868-ის 1-ლი და შემდგომი ველები
(667), 869-ის 1-ლი ველი (667)

– საკუთრების გადაცემა 930-ის 1-ლი
და შემდგომი ველები (705), 931-ის
1-ლი ველი (709), 933-ის 1-ლი ველი
(713), 934-ის 1-ლი ველი (714)

პირობა 158-ის შესავლის 1-ლი ველი (77)

პირობადებული საკუთრება 216-ის მე-2
ველი (102), 449-ის 1-ლი და შემდგომი
ველები (344), 929-ის მე-13 და შემდ-
გომი ველები (703)

პიროვნებაში მოტყუება 164-ის მე-6 ველი
(80)

პოსესორული მოთხოვნა 861-ის მე-2
ველი (665), 862-ის 1-ლი ველი (665),
863-ის 1-ლი ველი (665), 864-ის 1-ლი
ველი (666)

– მფლობელობის უფლების შესაგებე-
ლი 863-ის მე-2 ველი (665)

პოტესტატორული პირობა 158-ის შესავლის
1-ლი ველი (77)

პრევენციული ხარჯები 249-ის შესავლის
მე-7 ველი (120)

პრიორიტეტულობის პრინციპი 398-ის
შესავლის მე-9 (279), მე-19 (285) და
22-ე ველები (286)

პროგნოზის რისკი 251-ის მე-3 ველი (135)

პროდუქტები 955-ის 1-ლი ველი (724),
956-ის 1-ლი და შემდგომი ველები (725)

პროპორციული ურთიერთობა 328-ის მე-4
ველი (233), 812-ის 27-ე ველი (599)

პროცენტის დარიცხვა 286-ის მე-7 ველი
(179), 675-ის შესავლის მე-5 ველი
(515)

პროცესუალური მორიგება 779-ის მე-4
ველი (577)

რამდენიმე პირის ერთობლივი ანგარიში
420-ის შესავლის მე-3 ველი (300)

**რამდენიმე პირისგან შემდგარი ურთიერ-
თობა** 812-ის მე-18 და შემდგომი ველე-
ბი (596), 46-ე ველი (608)

რეალური მოქმედება 104-ის შესავლის მე-4
ველი (29), 946-ის მე-2 ველი (719)

რეალური შესრულების თეორია 362-ის
მე-4 ველი (263)

რეალური ხელშეკრულება 488-ის მე-2
ველი (365)

რეგისტრირებული ამხანაგობა 14-ის მე-2
ველი (3), 21-ის შესავლის მე-3 ველი
(4), 705-ის შესავლის მე-5 ველი (548)

რეგისტრირებული იპოთეკა 1113-ის მე-3
ველი (770), 1154-ის 1-ლი ველი (783)

რეგრესის წრე 426-ის მე-7 ველი (309)

რეგრესული მოთხოვნის გაადვილება
478-ის მე-2 ველი (358)

რენტაბელობის ვარაუდი 281-ის მე-5
ველი (166), 284-ის 1-ლი ველი (171)

**რისკზე პასუხისმგებლობა ფულადი ვალ-
დებულების დროს** 270-ის მე-2 ველი
(145)

– დათმობის დროს 346-ის მე-10 ველი
(245)

რისკის პრინციპი 932-ის მე-2 ველი (710)

რჩევის მიცემა 675-ის მე-4 და შემდგომი
ველები (512)

საანდერძო დანაკისრი, ლეგატი 249-ის
შესავლის 26-ე ველი (130), 280-ის
მე-4 ველი (161)

საბაზისო საპროცენტო განაკვეთი
288-ის 1-ლი ველი (180)

საბანკო გადარიცხვით გადახდა 675-ის
შესავლის მე-2 ველი (517)

– დროული შესრულებით 270-ის მე-2
ველი (145)

საგარანტიო იპოთეკა 1113-ის მე-3 ველი
(770), 1184-ის 1-ლი ველი (793)

– დოკუმენტის გადაცემის შესახებ
დათქმის 1117-ის 1-ლი ველი (772)

– კეთილსინდისიერების დაცვის
1155-ის 1-ლი და შემდგომი ველები
(784)

– მოთხოვნის დათმობის ფორმის
1154-ის 1-ლი ველი (783)

საგარანტიო მიწის ვალი 1191-ის მე-3
(795), მე-5 და შემდგომი ველები
(795), 1192-ის 1-ლი ველი (799)

საგარანტიო ხელშეკრულება 765-ის მე-8
ველი (567)

- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება 651ა-ს შესავლის მე-7 ველი (493), 823-ის 22-ე ველი (638)
- საერთო მიზნის არსებობა 421-ის მე-12 ველი (305)
- საერთო მოქმედება თანაზიარი ვალდებულების დროს 422-ის მე-2 ველი (306)
- საერთო საკუთრება 1008-ის მე-4 ველი (752)
- საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობა 420-ის შესავლის მე-5 ველი (301), 719-ის 1-ლი ველი (556), 1008-ის მე-3 ველი (752)
- სავალო დოკუმენტი 362-ის მე-6 ველი (264)
- სავაჭრო თვალსაზრისით შემცირებული ფასი 251-ის მე-2 ველი (135)
- საზოგადოება 705-ის შესავლის 1-ლი ველი (548)
- საზღაურის გადახდა 631-ის მე-3 ველი (470), 641-ის 1-ლი და შემდგომი ველები (480)
- საზღაურის გადახდის რისკი 644-ის 1-ლი და შემდგომი ველები (482), 645-ის 1-ლი და შემდგომი ველები (483)
- საკუთარ თავთან დადებული გარიგება 181-ის 1-ლი და შემდგომი ველები (91)
- საკუთარი საქმის შესრულება 687-ის 1-ლი და შემდგომი ველები (543)
- საკუთარი ჩვეული წინდახედულობა 277-ის 1-ლი და შემდგომი ველები (156), 346-ის მე-10 ველი (245), 426-ის მე-9 ველი (310)
- საკუთარი ჩვეული წინდახედულება საგზაო მოძრაობაში 277-ის მე-2 ველი (156), 346-ის მე-12 ველი (246)
- საკუთვნებელი 97-ის 1-ლი ველი (27) – სოლიდარული პასუხისმგებლობა იპოთეკისას 1120-ის მე-2 ველი (772)
- საკუთრება 903-ის შესავლის 1-ლი ველი (688)
- საკუთრებაზე უარის თქმა ნივთის მფლობელობის მიტოვების გზით 928-ის 1-ლი ველი (699)
- საკუთრების მინდობა 164-ის მე-8 ველი (80)
- საკუთრების მინდობის ხელშეკრულება 675-ის მე-2 ველი (511)
- საკუთრების უფლების გადაცემა უძრავ ქონებაზე 873-ის მე-4 ველი (669), 925-ის 1-ლი ველი (696)
- საკუთრების უფლების დარღვევა 823-ის მე-4 და შემდგომი ველები (627), 1004-ის 1-ლი და შემდგომი ველები (748)
- საკუთრების შეძენა მოძრავ ნივთებზე 929-ის შესავლის 1-ლი ველი (699) – მოძრავი ნივთებზე 873-ის 1-ლი და შემდგომი ველები (668)
- საღდოს თეორია 818-ის მე-10 და შემდგომი ველები (618)
- სამართლებრივი მნიშვნელობის ნების გამოვლენის სურვილი 116-ის შესავლის მე-2 ველი (37)
- სამართლებრივი ურთიერთობა შეპირების მიმცემსა და მესამე პირს შორის 328-ის შესავლის მე-5 ველი (233), 812-ის 27-ე ველი (599)
- სამეზობლო სამართალი 906-ის 1-ლი და შემდგომი ველები (689), 912-ის 1-ლი ველი (693)
- სამკვიდროს ფლობა 857-ის 1-ლი ველი (663)
- სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება 449-ის მე-13 ველი (347), 823-ის მე-8 ველი (630), 929-ის მე-13 და შემდგომი ველები (703), 925-ის მე-2 და შემდგომი ველები (696), 936-ის მე-2 ველი (717)
- სამომხმარებლო კრედიტი 491-ის მე-3 ველი (371)
- სამომხმარებლო კრედიტის შესახებ დირექტივა 312-ის შესავლის 1-ლი ველი (204), 312-ის 1-ლი ველი (205), 312-ის მე-2 ველი (211), 355-ის შესავლის 1-ლი ველი (249), 359-ის 1-ლი ველი (259), 360-ის 1-ლი ველი (261)
- სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება 491-ის 1-ლი და შემდგომი ველები (370) – გაუქმება 495-ის 1-ლი ველი (376) – ინფორმაციის მიცემის ვალდებულება 491ა-ს 1-ლი ველი (375)

- სესხის ნაწილ-ნაწილ გადახდა 498-ის 1-ლი ველი (379)
- ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულება 358-ის მე-2 და შემდგომი ველები (257), 359-ის მე-2 ველი (258), 495-ის 1-ლი ველი (376), 535-ის შესავლის მე-11 ველი (399)
- ფორმა 492-ის 1-ლი ველი (379), 494-ის 1-ლი ველი (375)
- სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება 433-ის მე-2 ველი (312), 474-ის 1-ლი და შემდგომი ველები (353), 651-ის 1-ლი ველი (488)
- გარანტია 443-ის მე-5 ველი (340), 477-ის 1-ლი ველი (356)
- მტკიცების ტვირთის შებრუნება 434-ის მე-2 ველი (314), 476-ის 1-ლი ველი (355), 478-ის მე-5 ველი (359)
- პასუხისმგებლობის გამორიცხვა 475-ის 1-ლი ველი (354), 477-ის 1-ლი ველი (356), 478-ის მე-6 ველი (359)
- სამომხმარებლო ხელშეკრულებისას კანონის ნორმების გვერდის ავლის აკრძალვა 312-ის შესავლის 1-ლი ველი (204)
- სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა 705-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (548), 705-ის 1-ლი და შემდგომი ველები (549)
- ამხანაგობის ქონება 718-ის მე-2 ველი (556)
- ამხანაგობის ხელშეკრულების საქმეთა მართვა 714-ის 1-ლი ველი (553)
- მფლობელობითი ურთიერთობა 854-ის მე-4 ველი (661)
- პასუხისმგებლობა 31-ის მე-2 ველი (8), 714-ის მე-2 და შემდგომი ველები (554)
- საადგილმამულო რეგისტრში რეგისტრაციაუნარიანობა 705-ის შესავლის მე-5 ველი (548)
- უფლებაუნარიანობა 705-ის შესავლის მე-5 ველი (548)
- ფაქტიური 705-ის მე-3 ველი (550)
- ფიქტიური ამხანაგობა 705-ის მე-7 ველი (551)
- წარმომადგენლობითი უფლებამოსილება 714-ის 1-ლი ველი (553)
- ხარვეზიანი 705-ის მე-3 და შემდგომი ველები (550)
- ხელშეკრულების შეწყვეტა 723-ის 1-ლი ველი (558)
- საორდერო ფასიანი ქალაქი 793-ის შესავლის მე-4 ველი (583)
- საპირისპირო შესრულება, ორმხრივი ხელშეკრულება 823-ის შესავლის 1-ლი ველი (623), 326-ის მე-2 ველი (230), 346-ის მე-9 ველი (244)
- გამორიცხვა 326-ის მე-5 ველი (232)
- საპირისპირო წარმოდგენის უფლებები 823-ის მე-17 ველი (635)
- სარგებლის გაქვითვა 249-ის შესავლის მე-10 ველი (122)
- სარგებლობა 987-ის 1-ლი და შემდგომი ველები (737), 988-ის 1-ლი და შემდგომი ველები (738), 990-ის 1-ლი და შემდგომი ველები (740), 991-ის მე-2 ველი (741), 992-ის 1-ლი ველი (742), 993-ის 1-ლი ველი (743)
- გამდიდრება 812-ის მე-8 ველი (592), 818-ის მე-15 ველი (621), 987-ის შესავლის მე-11 ველი (737), 988-ის მე-3 და შემდგომი ველები (738)
- დათმობა 346-ის მე-4 და შემდგომი ველები (243), 347-ის 1-ლი ველი (248)
- წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციაზე უფლებამოსლი 888-ის მე-3 ველი (678)
- სარგებლობა 994-ის 1-ლი და შემდგომი ველები (744), 1001-ის 1-ლი ველი (747)
- გამდიდრება 812-ის 41-ე ველი (605), 818-ის მე-15 ველი (621), 987-ის შესავლის მე-12 ველი (737)
- დათმობა 346-ის მე-9 ველი (244), 347-ის მე-2 ველი (248)
- ნივთის გადაღმუშავება და გაერთიანება 951-ის მე-4 ველი (723)
- ჩანაწერით უფლებამოსილი პირი 888-ის მე-4 ველი (678)
- სასამართლო გადაწყვეტილების ბოროტად გამოყენება 826-ის მე-4 ველი (650)
- სატრანსპორტო საშუალების მიერ მიყენებული ზიანი 249-ის მე-4 ველი (132)

- სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა 823-ის შესავლის მე-2 ველი (623)
- საუზრუნველყოფო საკუთრების უფლება 930-ის მე-3 და შემდგომი ველები (706), მე-7 და შემდგომი ველები (707) – მოთხოვნის დათმობა 398-ის შესავლის 12-ე ველი (280), 930-ის მე-12 ველი (708)
- საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულება 510-ის 1-ლი ველი (388)
- საქონლის შემონმებისა და პრეტენზიის წარდგენის ვალდებულება 433-ის მე-3 ველი (312), 478-ის მე-7 ველი (359)
- საყოფაცხოვრებო სერვისი 145-ის შესავლის მე-2 ველი (70)
- საცხოვრებელ სახლში საკუთრების უფლება 903-ის შესავლის მე-2 ველი (688)
- საცხოვრებელი ადგილიდან გამომდინარე ვალდებულება 243-ის მე-4 ველი (115), 269-ის 1-ლი ველი (143)
- საცხოვრებელი ფართის ქირავნობა 535-ის 1-ლი ველი (399), 542-ის მე-2 და შემდგომი ველები (411), 543-ის 1-ლი ველი (413), 566-ის 1-ლი ველი (431)
- საწარმოთა ნასყიდობა 444-ის 1-ლი ველი (340), 453-ის მე-3 ველი (348)
- საწარმომადგენლო ფასიანი ქაღალდი 793-ის შესავლის მე-2 ველი (583)
- სახელის მოტყუება 164-ის მე-7 ველი (80)
- სახელობითი ფასიანი ქაღალდი 793-ის შესავლის მე-3 ველი (583)
- სახელოსნოს რისკი 249-ის მე-4 ველი (132)
- სახელშეკრულებო უფლებამოსილი ბოჭვა 145-ის მე-2 ველი (72) – შეთანხმებით 873-ის მე-4 ველი (669), 929-ის მე-4 ველი (700)
- სახელშეკრულებო თეორია 362-ის მე-4 ველი (263)
- საჯარო აუქციონი 474-ის მე-2 ველი (353), 935-ის მე-5 ველი (716)
- საჯარო დამონმება 129-ის 1-ლი და შემდგომი ველები (57)
- საჯარო რეესტრის მომწესრიგებელი ფორმალური სამართალი 873-ის მე-7 და შემდგომი ველები (669)
- საჯარო რეესტრის ჩანაწერის შესწორების მოთხოვნა 879-ის მე-2 ველი (673), 894-ის 1-ლი და შემდგომი ველები (683)
- საჯარო რეესტრში რეგისტრაცია 873-ის მე-3 (668), მე-7 და შემდგომი ველები (669), 873-ის მე-10 ველი (670)
- საჯაროობა 854-ის შესავლის მე-2 ველი (661), 892-ის მე-2 ველი (680), 930-ის მე-6 ველი (707) – ნეგატიური 892-ის მე-2 ველი (680)
- სერვიტუტები 1018-ის შესავლის 1-ლი ველი (753)
- სესხი 516-ის მე-2 ველი (390)
- სესხი, ნივთის სესხის ხელშეკრულება 488-ის 1-ლი და შემდგომი ველები (365), 607-ის 1-ლი ველი (456) – გამსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა 499-ის 1-ლი და შემდგომი ველები (380) – მსესხებლის მიერ ვადის გადაცილება 497-ის 1-ლი ველი (379) – მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა 500-ის 1-ლი ველი (381)
- სესხის ნაწილ-ნაწილ გადახდა 498-ის 1-ლი ველი (379)
- სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა 489-ის 1-ლი ველი (367), 490-ის 1-ლი და შემდგომი ველები (368)
- სიტყვიერი 295-ის 1-ლი ველი (182)
- სიცოცხლე 823-ის მე-3 ველი (627)
- სიცოცხლის დაზღვევა 812-ის 31-ე ველი (601)
- სოლიდარულ მოვალეთა ნილების გათანაბრების ხელშემშლელი ფაქტორები 426-ის მე-6 და შემდგომი ველები (308)
- სოლიდარული ვალდებულება 420-ის შესავლის მე-9 ველი (302), 421-ის 1-ლი და შემდგომი ველები (304), 422-ის 1-ლი და შემდგომი ველები (306), 426-ის 1-ლი და შემდგომი ველები (308)
- სოლიდარული ვალდებულების ცალკეული მოქმედება 422-ის მე-3 ველი (307)
- სოლიდარული კრედიტორი 420-ის შესავლის მე-3 ველი (300)

სოციალურად ტიპიური მოქედება კორპორატიულ სამართალში 145-ის შესავლის მე-2 ველი (70)

სოციალური ვალდებულება კორპორატიულ სამართალში 705-ის მე-10 ველი (551), 714-ის მე-6 ველი (555)

სოციალური მოთხოვნა კორპორატიულ სამართალში 705-ის მე-12 და შემდგომი ველები (552)

სრული ანაზღაურების პრინციპი 249-ის შესავლის მე-2 ველი (117)

სუროგატი 816-ის 1-ლი და შემდგომი ველები (610), 818-ის მე-4 (616), მე-6 (616), მე-15 და შემდგომი ველები (621)

სუროგაცია 285-ის 1-ლი ველი (173), 311-ს მე-2 ველი (201), 1247-ის მე-2 ველი (811)

სუროგაციის თეორია 325-ის მე-4 ველი (229)

სფეროს თეორია 645-ის მე-3 ველი (484)

სხეული 823-ის მე-3 ველი (627)

სხვა ნივთის ან მცირე რაოდენობის მიწოდება 434-ის 11-ე ველი (317), 633-ის მე-5 ველი (472)

სხვა ნივთის მიწოდება (aliud) 434-ის მე-11 ველი (317), 633-ის მე-4 ველი (472)

სხვა პირის სახელით მოქმედება 164-ის მე-5 და შემდგომი ველები (80)

სხვისთვის მფლობელის ექსცესი 987-ის შესავლის მე-8 ველი (736), 991-ის მე-4 ველი (742)

სხვისი ნივთის ფლობა 854-ის მე-3 ველი (661)

სხვისი საქმეების შესრულება 687-ის მე-2 და შემდგომი ველები (543)

სხვისი საქმეების შესრულების სურვილი 677-ის მე-3 ველი (535), 678-ის 1-ლი ველი (537)

ტექსტური ფორმა 126ბ-ს 1-ლი ველი (55)

ტრადიციის პრინციპი 929-ის მე-6 ველი (701)

ტრანსპორტირების საფრთხე 447-ის მე-6 და შემდგომი ველები (343)

ტურისტული ბიურო 651ა-ს შესავლის მე-3 ველი (490)

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება 651ა-ს შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (489)

უარის თქმის გავრცელება ერთი ხელშეკრულებიდან მეორეზე 358-ის 1-ლი (256) და მე-3 ველები (257)

უარის თქმის შედეგად მიყენებული ზიანი 990-ის მე-4 ველი (741), 992-ის 1-ლი ველი (742)

უბედური შემთხვევიდან წარმოშობილი ზიანი 434-ის მე-4 ველი (315)

უზრუნველყოფა 433-ის შესავლის 1-ლი ველი (311), 433-ის მე-5 ველი (312), 437-ის 1-ლი ველი (320), 453-ის მე-2 ველი (348), 536-ის 1-ლი და შემდგომი ველები (403), 634-ის 1-ლი ველი (473), 651ა-ს შესავლის მე-6 ველი (492), 675გ-ს შესავლის მე-4 ველი (515)

– კონკურენცია 437-ის მე-10 და შემდგომი ველები (323), 536-ის 1-ლი ველი (403), 536ა-ს 1-ლი ველი (407), 634-ის მე-3 ველი (474), 651ა-ს შესავლის მე-6 ველი (492)

უზრუნველყოფილი კრედიტი 488-ის მე-4 ველი (366)

უზრუნველყოფის მიზნით მოთხოვნის დათმობა 398-ის შესავლის მე-14 და შემდგომი ველები (281)

უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების გადაცემა 930-ის მე-3 და შემდგომი ველები (706), მე-7 და შემდგომი ველები (707)

უზრუნველყოფის მიმცემებს შორის შეჯიბრება 774-ის მე-6 ველი (574)

უზრუნველყოფის მიმცემი 774-ის მე-6 და შემდგომი ველები (574)

უზრუნველყოფის მიმცემის კრედიტორებისთვის საფრთხის შექმნა 398-ის შესავლის მე-18 ველი (283)

უზრუნველყოფის ხელშეკრულება 398-ის შესავლის მე-14 ველი (281), 930-ის მე-8 ველი (707), 1191-ის მე-8 და შემდგომი ველები (796)

უზურფუქტი 1018-ის შესავლის 1-ლი ველი (753)

უთანხმოება 119-ის მე-3 ველი (40), 150-ის მე-2 ველი (73), 155-ის 1-ლი და შემდგომი ველები (75)

უკან გაგზავნა 241-ის მე-9 ველი (112), 357-ის მე-2 ველი (254)

უკან მოთხოვნის გავცელება 359-ის მე-3 ველი (258)

უკუმოთხოვნა თავდების 774-ის 1-ლი და შემდგომი ველები (573)

- მენარმის 478-ის 1-ლი და შემდგომი ველები (357), 479-ის 1-ლი ველი (360)
- სოლიდარული მოვალეების 426-ის 1-ლი და შემდგომი ველები (308)
- უზრუნველყოფის მიმცემის 774-ის მე-7 ველი (574)

უკუმოთხოვნის კონდიქცია 812-ის 43-ე ველი (606)

უკუქცევის შედეგად წარმოშობილი შესრულებათა უკან დაბრუნების ურთიერთობა 346-ის მე-3 ველი (243), მე-12 და შემდგ. ველი (246), 348-ის 1-ლი ველი (248)

უმნიშვნელო ზღვარი 281-ის მე-14 ველი (169), 312-ის მე-4 ველი (206), 323-ის მე-3 ველი (226)

უმნიშვნელო, ნაკლის მოთხოვნა 434-ის მე-12 ველი (318)

- საბინაო ფართის ქირავნობისას 536-ის მე-3 ველი (404)

უმოქმედობა, შერაცხვა 823-ის 21-ე ველი (638)

ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებები 358-ის მე-2 და შემდგომი ველები (257), 359-ის მე-2 ველი (258), 495-ის 1-ლი ველი (376), 535-ის შესავლის მე-11 ველი (399)

ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულების ერთიანი უკუქცევის შესაძლებლობა 358-ის მე-3 ველი (257)

უსაფუძვლო გამდიდრება 812-ის 1-ლი და შემდგომი ველები (590), 816-ის 1-ლი და შემდგომი ველები (610), 817-ის 1-ლი და შემდგომი ველები (612)

უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნის უფლება 812-ის 36-ე და შემდგომი ველები (603), 816-ის 1-ლი და მე-6 ველები (610)

- სუბსიდიარობა 812-ის 46-ე ველი (608), 816-ის 1-ლი ველი (610)

უფლება საკუთარ გამოსახულებაზე 823-ის მე-8 (630) და მე-15 ველები (633)

უფლებამოსილების მინიჭება 185-ის მე-2 ველი (93)

უფლებაუნარიანობა, უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნა 818-ის მე-13 და შემდგომი ველები (620)

- ზიანის ანაზღაურება მესაკუთრემფლობელის ურთიერთობაში 989-ის 1-ლი და შემდგომი ველები (739)

უფლების არსებობის ვარაუდი 932-ის 1-ლი ველი (710)

უფლების ბოროტად გამოყენება 242-ის მე-3 ველი (113)

უფლების დაკარგვა 242-ის მე-5 ველი (114)

უფლების ნასყიდობა 433-ის შესავლის 1-ლი ველი (311), 433-ის 1-ლი და შემდგომი ველები (312), 453-ის 1-ლი და შემდგომი ველები (348)

უფლებრივი ნაკლი ნასყიდობისას 433-ის მე-5 ველი (312), 435-ის 1-ლი და შემდგომი ველები (319)

- ნარდობის 633-ის მე-2 (471) და მე-6 (472), 634-ის 1-ლი ველი (473)
- ქირავნობის 536-ის მე-3 ველი (404)

უშუალო შექმნა 398-ის შესავლის მე-16 ველი (282)

უცაბედად დადებული ხელშეკრულებები 312-ის შესავლის 1-ლი ველი (204), 312-ის 1-ლი და შემდგომი ველები (205)

უძრავი ქონების კრედიტი 488-ის მე-4 ველი (366), 503-ის 1-ლი ველი (382)

უძრავი ქონების სესხის ხელშეკრულება 503-ის 1-ლი ველი (382)

უხარისხო პროდუქციისთვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონი 823-ის 38-ე (643) და 50-ე ველები (647)

უხეში გაუფრთხილებლობა 276-ის მე-6 ველი (154), 277-ის 1-ლი ველი (156), 442-ის მე-3 ველი (338)

ფასიანი ქალაღი 793-ის 1-ლი და შემდგომი ველები (584)

ფაქტიური (პრაქტიკული) ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა 275-ის შესავლის მე-8 ველი (150), 275-ის მე-4 ველი (151)

ფაქტიური შრომითი ურთიერთობა 611-ის შესავლის მე-3 ველი (458)

ფაქტიური ხელშეკრულება 145-ის შესავლის მე-2 ველი (70)
ფაქტობრივი კრედიტორები 420-ის შესავლის მე-2 ველი (300)
ფაქტობრივი შეთავაზება 294-ის 1-ლი ველი (181)
ფაქტორინგი 398-ის შესავლის 21-ე და შემდგომი ველები (286)
ფიზიკური ზემოქმედება 906-ის 1-ლი და შემდგომი ველები (689), 1004-ის მე-2 ველი (748)
ფინანსური დახმარება 506-ის 1-ლი და შემდგომი ველები (384)
ფინანსური ლიზინგი 506-ის მე-3 ველი (385), 535-ის შესავლის მე-3 და შემდგომი ველები (396)
ფინანსური მომსახურების განწვევა 312ბ-ს 1-ლი ველი (208), 312გ-ს მე-2 ველი (210), 312დ-ს მე-4 ველი (212), 355-ის მე-3 ველი (252), 357-ის 1-ლი ველი (254)
ფონდი 31-ის მე-2 ველი (8), 80-ის 1-ლი და შემდგომი ველები (21)
ფონდი ანდერძით 83-ის 1-ლი ველი (23)
ფორმა 125-ის 1-ლი და შემდგომი ველები (50), 126-ის 1-ლი და შემდგომი ველები (53), 126ა-ს 1-ლი და შემდგომი ველები (54), 126ბ-ს 1-ლი ველი (55), 128-ის 1-ლი ველი (56), 129-ის 1-ლი ველი (57)
– განვადების მიწოდების გარიგება 510-ის 1-ლი ველი (388)
– განმარტება 133-ის მე-5 ველი (80)
– თავდებობა 766-ის 1-ლი ველი (567)
– სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება 492-ის 1-ლი ველი (373), 494-ის 1-ლი ველი (375)
– უძრავი ქონების 311ბ-ს 1-ლი და შემდგომი ველები (203)
– ფუნქცია 125-ის 1-ლი ველი (50)
– ქირავნობის ხელშეკრულება 535-ის მე-8 ველი (402)
– ჩუქება 518-ის 1-ლი ველი (391)
ფორმის სავალდებულოობის თაობაზე კონტრაქტის მოტყუება 125-ის მე-7 ველი (51)
ფოტოს გადაღება 823-ის მე-15-ე ველი (633)

ფულადი ანაზღაურება 249-ის მე-2 და შემდგომი ველები (132)
ფულადი ვალდებულება 273-ის მე-3 ველი (147), 276-ის მე-9 ველი (156)
– გადახდის ადგილი 270-ის 1-ლი ველი (145)
– რისკზე პასუხისმგებლობა 270-ის მე-2 ველი (145)
– შესრულება 362-ის 1-ლი ველი (262)

ქვექირავნობა 535-ის მე-7 ველი (402), 812-ის 38-ე ველი (603)
ქვითარი 362-ის მე-6 ველი (264)
ქირავნობა 535-ის 1-ლი და შემდგომი ველები (399)
ქმედუნარიანობა, შეზღუდული ქმედუნარიანობა, არასრულწლოვანები 106-ის 1-ლი და შემდგომი ველები (31), 107-ის 1-ლი და შემდგომი ველები (31), 108-ის 1-ლი და შემდგომი ველები (34), 110-ის 1-ლი ველი (35), 111-ის 1-ლი ველი (36), 113-ის 1-ლი ველი (37)
ქმედუნარო 105-ის 1-ლი ველი (30), 105ა-ს 1-ლი ველი (30)
ქონების გამოყოფის შეპირება 81-ის მე-2 ველი (22)
ქონებრივი ზიანი 249-ის შესავლის მე-3 ველი (118), 823-ის მე-5 ველი (628)
ქორწინების მომზადების მომსახურების ხელშეკრულება 656-ის 1-ლი ველი (504)
ქორწინების შუამავლობა 656-ის 1-ლი და შემდგომი ველები (504)

ღიაობის პრინციპი 164-ის მე-9 და შემდგომი ველები (80)
ღირებულებითი ინტერესი 249-ის 1-ლი ველი (132), 251-ის 1-ლი ველი (134)
ღირებულებითი, ფულადი ინტერესი 249-ის 1-ლი ველი (132), 251-ის 1-ლი ველი (134)
ღირებულების ანაზღაურება 346-ის მე-8 და შემდგომი ველები (244), 818-ის მე-5 ველი (616)
ღირებულების შემცირება 346-ის მე-6 ველი (243)

ყიდვა 433-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (311), 433-ის 1-ლი და შემდგომი ველები (312), 453-ის 1-ლი და შემდგომი ველები (348), 631-ის 1-ლი ველი (469), 651-ის 1-ლი და შემდგომი ველები (488)

ყოველდღიური გარიგებები 105ა-ს 1-ლი ველი (30)

შეერთება 812-ის მე-40 ველი (605), 47-ე ველი (608), 946-ის 1-ლი და შემდგომი ველები (719), 947-ის 1-ლი ველი (720), 951-ის 1-ლი და შემდგომი ველები (722)

შეზღუდული 110-ის მე-2 ველი (36)

შეზღუდული პირადი სერვიტუტი 1018-ის შესავლის 1-ლი ველი (753)

შეზღუდული სანივთო უფლებები 903-ის შესავლის 1-ლი ველი (688)

შეზღუდული შესაძლებლობობის მქონე პირთა ანდერძი 138-ის მე-7 ველი (64)

შეთავაზების თეორია ვალის გადაკისრების შემთხვევაში 415-ის 1-ლი და შემდგომი ველები (296)

შეთანხმება 873-ის მე-2 ველი (668), 929-ის 1-ლი და შემდგომი ველები (700)

– ბოჭვა 873-ის მე-4 ველი (669),

929-ის მე-4 ველი (700)

– უფლებები მიწის ნაკვეთზე 873-ის მე-4 (669), მე-6 ველები (669)

შეკვეთა 241ა-ს მე-2 ველი (111)

შემნახველი წიგნაკი 808-ის 1-ლი და შემდგომი ველები (587)

შემცვლელი 278-ის მე-3 ველი (158)

შემცირება 437-ის მე-5 ველი (322), 440-ის 1-ლი ველი (335), 441-ის 1-ლი და შემდგომი ველები (336), 536-ის მე-6 ველი (406), 634-ის მე-2 ველი (473), 638-ის 1-ლი ველი (478), 651ა-ს შესავლის მე-6 ველი (492)

შენახვის ხელშეკრულება 808-ის მე-2 ველი (587)

შერაცხვა 276-ის 1-ლი ველი (153), 280-ის მე-6 ველი (162), 286-ის მე-6 ველი (178), 311ა-ს მე-6 ველი (201), 323-ის შესავლის მე-2 ველი (225)

შერეული 812-ის მე-40 ველი (605), 951-ის 1-ლი და შემდგომი ველები (722)

შესაგებელი და მოთხოვნის დათმობა 404-ის შესავლის 1-ლი ველი (288), 404-ის 1-ლი ველი (288), 407-ის 1-ლი და შემდგომი ველები (291), 408-ის 1-ლი ველი (292), 409-ის 1-ლი ველი (293)

შესაგებელი შეუსრულებელი ხელშეკრულების 320-ის 1-ლი და შემდგომი ველები (223), 437-ის მე-11 ველი (324), 536-ის 1-ლი ველი (403)

– ვადის გადაცილება 286-ის მე-2 ველი (176)

– სარჩელის ძირითადი მოვალის მიმართ 771-ის 1-ლი ველი (571), 773-ის 1-ლი ველი (572)

შესანახად მიბარება 372-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (267)

შესაძლებლობებს ზეადმატებული სირთულე 313-ის მე-3 ველი (217)

შესრულება 362-ის 1-ლი და შემდგომი ველები (262)

– არასრულწლოვანის მიმართ 107-ის მე-6 ველი (33)

– უნაღდო ანგარიშწორებით 362-ის მე-2 ველი (262)

შესრულება 243-ის მე-4 ველი (115), 362-ის 1-ლი და შემდგომი ველები (262), 812-ის მე-11 ველი (593)

– არაუფლებამოსილი პირის მიერ 816-ის მე-6 ველი (612)

– განუყოფელი 420-ის შესავლის მე-6 ველი (302)

– მესამე პირის მიერ 267-ის 1-ლი ველი (142), 362-ის მე-3 ველი (263)

– ნაწილობრივი შესრულება 364-ის მე-5 ველი (265)

– სიკვდილის შემდეგ 331-ის 1-ლი და შემდგომი ველები (237)

– სხვა შესრულების მიღება 364-ის 1-ლი და შემდგომი ველები (264)

– სხვისი ვალდებულების 812-ის 33-ე ველი (602)

– შეუკვეთავი 241ა-ს 1-ლი და შემდგომი ველები (111)

– შეცდომით 241ა-ს მე-7 და შემდგომი ველები (112)

შესრულება სამართლებრივი საფუძვლების გარეშე 812-ის მე-14 ველი (594)

შესრულებადობა 271-ის 1-ლი ველი (146)

შესრულებასთან ერთად სხვა დანარჩენი ზიანის ანაზღაურება 280-ის მე-10 ველი (163), 437-ის მე-9 ველი (323)

შესრულების კონდიქცია 812-ის მე-2 (590), მე-9 (592), მე-13 (594), 45-ე და შემდგომი ველები (608), 814-ის 1-ლი ველი (609), 817-ის 1-ლი და შემდგომი ველები (612)

– უპირატესობა 812-ის 46-ე ველი (608), 816-ის 1-ლი ველი (610)

შესრულების მიღება არაუფლებამოსილი პირის მიმართ 816-ის მე-6 ველი (612)

– განკარგვა 185-ის მე-3 ველი (93), 816-ის 1-ლი და შემდგომი ველები (610), 823-ის მე-4 ველი (627)

– ნივთის უკან შექცენა 932-ის მე-4 ველი (710)

შესრულების მიღების ვადის გადაცილება 293-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (180), 300-ის 1-ლი და შემდგომი ველები (183), 323-ის მე-4 ველი (227), 324-ის მე-2 ველი (228), 446-ის მე-3 ველი (342), 644-ის მე-3 ველი (483)

შესრულების მიღების კომპეტენცია 107-ის მე-6 ველი (33), 362-ის მე-2 ველი (262)

შესრულების მოთხოვნა 281-ის მე-6 ველი (166), 286-ის მე-7 ველი (179), 323-ის მე-2 ველი (226)

შესრულების ჩანაცვლების უფლებამოსილება 364-ის მე-2 ველი (264)

შესრულების ცნება 812-ის მე-19 ველი (596)

შესრულებისგან გათავისუფლების მოქმედება 346-ის მე-3 ველი (243)

– ახსნა 349-ის 1-ლი ველი (248)

– გამოყენება 346-ის მე-9 (244), 347-ის მე-2 ველი (248)

– დაბრუნების შეუძლებლობა 346-ის მე-2 ველი (242)

– ზიანის ანაზღაურება 280-ის 1-ლი ველი (160), 281-ის მე-4 ველი (165), 323-ის შესავლის მე-3 ველი (226), 325-ის 1-ლი ველი (228), 346-ის მე-6 (243) და მე-12 ველები (246)

– ნარდობის ხელშეკრულება 634-ის მე-2 ველი (473)

– ნასყიდობის ხელშეკრულება 437-ის მე-4 ველი (321), 440-ის 1-ლი ველი (335)

– ნივთის განადგურება 346-ის მე-2 (242) და მე-10 ველები (245)

– პირობადებული გამყიდველი 449-ის მე-9 ველი (346)

– სარგებელი 346-ის მე-4 და შემდგომი ველები (243), 347-ის 1-ლი ველი (248)

– ქირავნობის ხელშეკრულება 535-ის მე-9 ველი (403)

– ღირებულების ანაზღაურება 346-ის მე-7 და შემდგომი ველები (244), 347-ის 1-ლი ველი (248)

– შედეგები 346-ის 1-ლი და შემდგომი ველები (242)

– ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი 313-ის მე-6 ველი (218)

შეუკვეთავი ნივთები 241-ის 1-ლი და შემდგომი ველები (111)

შეუსრულებლობის კონდიქციები 812-ის მე-2 (590) და 34-ე (602), 45-ე და შემდგომი ველები (608)

– სუბსიდიარობის 812-ის 46-ე ველი (608)

შეუძლებლობა 275-ის შესავლის მე-2 და შემდგომი ველები (149), 275-ის 1-ლი და შემდგომი ველები (150), 280-ის მე-8 ველი (162), 283-ის 1-ლი ველი (171), 285-ის 1-ლი და შემდგომი ველები (173), 311-ის 1-ლი და შემდგომი ველები (201), 326-ის 1-ლი და შემდგომი ველები (230)

– დაბრუნება 346-ის მე-2 ველი (242)

– მოვალის მიერ ვადის გადაცილება 286-ის 1-ლი ველი (176)

– ორივე მხარის მიერ გამოწვეული 280-ის მე-6 ველი (162), 326-ის მე-4 ველი (231)

– საკუთრების გადმოცემა 985-ის მე-6 ველი (732)

– საფუძვლის შეცილება 275-ის მე-6 ველი (153), 313-ის მე-3 ველი (217)

- სახეები 275-ის შესავლის მე-3 და შემდგომი ველები (149), 275-ის მე-2 ველი (151)
- შეყვარებულის ანდერძი** 138-ის მე-7 ველი (64)
- შეცდომა** 119-ის 1-ლი და შემდგომი ველები (40)
 - ნაკლიანი უფლებები 119-ის მე-18 ველი (44)
 - ნივთზე ფაქტობრივი მფლობელობის დაკარგვა 935-ის მე-4 ველი (716)
 - საერთო, კოლექტიური 119-ის მე-17 ველი (44), 313-ის მე-5 ველი (218)
 - უთანხმოება 155-ის 1-ლი ველი (75)
 - შემცილებლის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 122-ის 1-ლი და შემდგომი ველები (46)
 - შეცდომაში განზრახ შეყვანა 123-ის მე-2 ველი (47)
- შეცდომა განცხადებაში** 119-ის მე-10 ველი (42)
- შეცდომა თვისებაში** 119-ის მე-12 ველი (42)
 - ნივთის ნაკლი 119-ის მე-18 ველი (44)
- შეცდომა მოტივებში** 119-ის მე-14 და შემდგომი ველები (43)
- შეცდომა ნების გამოვლენისას გარიგების შინაარსთან დაკავშირებით** 119-ის მე-11 ველი (42)
- შეცდომა ნივთის ხარისხში** 434-ის მე-3 ველი (314)
- შეცდომა სამართლებრივ შედეგებში** 119-ის მე-15 ველი (43)
- შეცილება** 119-ის 1-ლი და შემდგომი ველები (40), 120-ის 1-ლი და შემდგომი ველები (46), 123-ის 1-ლი და შემდგომი ველები (47)
 - ამხანაგობის ხელშეკრულების შეცილება 119-ის 21-ე ველი (45), 705-ის მე-3 ველი (550)
 - ნების გამოვლენის შეცილება 143-ის 1-ლი ველი (69)
 - შრომითი ხელშეკრულების შეცილება 119-ის 21-ე ველი (45)
- შეცილება და ნაკლის გამო პასუხისმგებლობა** 119-ის მე-18 და შემდგომი ველი (44), 437-ის მე-14 ველი (325), 536-ის 1-ლი ველი (403)
- შეცილება წარმომადგენლის მიერ** 164-ის მე-9 ველი (80)
- შეცილების სამართლებრივი შედეგები** 119-ის 21-ე და შემდგომი ველი (45), 122-ის 1-ლი და შემდგომი ველები (46), 142-ის 1-ლი და შემდგომი ველები (69)
- შექნა იმ პირისათვის, რომელსაც იგი ეხება** 164-ის მე-11 ველი (81), 929-ე 1-ლი ველი (700)
- შენწყვეტა** 535-ის მე-7 ველი (402), 536-ის მე-5 ველი (405), 542-ის 1-ლი და შემდგომი ველები (411), 543-ის 1-ლი ველი (413)
 - საცხოვრებელი ადგილის გასხვისება 566-ის 1-ლი და შემდგომი ველები (431)
 - ხანდაზმულობა 548-ის 1-ლი ველი (415)
- შეჯამებული გაანალიზება** 535-ის მე-3 ველი (400)
- შოკის შედეგად მიყენებული ზიანი** 823-ის მე-3 (627) და მე-20 ველები (636)
- შრომის სამართალი** 611-ის შესავლის მე-2 და შემდგომი ველები (457)
- შუალედური სალდო** 675-ს შესავლის მე-5 ველი (515)
- შუალობითი გადაცემა** 398-ის შესავლის მე-16 ველი (282), 929-ის მე-6 ველი (701), 930-ის მე-4 ველი (706)
- შუალობითი მფლობელი** 855-ის 1-ლი ველი (663), 929-ის მე-6 და შემდგომი ველები (701), 935-ის მე-3 ველი (716), 985-ის მე-2 ველი (732), 990-ის მე-2 ველი (740)
- შუამავლობის ხელშეკრულება** 652-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (499), 656-ის 1-ლი და შემდგომი ველები (504)
- ჩანაწერის გაკეთება** 883-ის 1-ლი და შემდგომი ველები (674), 888-ის 1-ლი და შემდგომი ველები (677), 893-ის მე-2 და შემდგომი ველები (682), 894-ის მე-4 ველი (684)
 - განკარგვის შეზღუდვა 878-ის მე-2 ველი (671)

- მოთხოვნის დათმობა 398-ის შესავლის მე-12 ველი (280), 883-ის მე-4 ველი (676), 893-ის მე-4 ველი (683)
- ჩვეული წინდახედულობა 277-ის 1-ლი და შემდგომი ველები (156), 708-ის 1-ლი ველი (552)
- ჩუქება 516-ის 1-ლი და შემდგომი ველები (389)
 - არასრულწლოვანი 107-ის მე-4 ველი (32)
 - გარდაცვალებით პირობადებული 331-ის მე-4 ველი (238), 518-ის 1-ლი ველი (391)
 - ვალდებულების დაკისრებით 516-ის მე-5 ველი (390), 527-ის 1-ლი ველი (394)
 - მეუღლე 516-ის მე-6 ველი (390)
 - პასუხისმგებლობის შემსუბუქება 521-ის 1-ლი ველი (392)
 - რემუნერატორული 516-ის მე-5 ველი (390)
 - ფორმა 518-ის 1-ლი ველი (391)
- ჩუქება ვალდებულების დაკისრებით 516-ის მე-5 ველი (390), 527-ის 1-ლი ველი (394)
- ცნობა 241-ის მე-2 ველი (109), 675-ის მე-4 და შემდგომი ველები (512)
- ცოდნა, უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნა 818-ის მე-13 და შემდგომი ველები (620)
 - კეთილსინდისიერი შემძენი 892-ის მე-11 და შემდგომი ველები (681)
 - ცოდნის ვალდებულება 166-ის მე-3 ველი (82)
- ცრუმაგიერი პირი 117-ის 1-ლი ველი (39), 164-ის მე-4 ველი (80)
- ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა 833-ის 1-ლი და შემდგომი ველები (655)
- ძველი ნივთის ჩაბარებისა და ახლის გამოყვანის სამართლებრივი ურთიერთობა 364-ის მე-3 ველი (265)
- ძველი სატრანსპორტო საშუალების ჩაბარების და ახლის გამოყვანის სამართლებრივი ურთიერთობა 364-ის მე-3 ველი (265)
- ძირითადი ვალდებულებები 241-ის შესავლის მე-3 ველი (108), 275-ის შესავლის 1-ლი ველი (149)
- წარმომადგენელი რწმუნებულების გარეშე 177-ის 1-ლი და შემდგომი ველები (88), 179-ის 1-ლი და შემდგომი ველები (89)
- წარმომადგენელი, სამოქალაქო სამართლის საზოგადოების 714-ის 1-ლი ველი (553)
 - გაერთიანება 26-ის 1-ლი ველი (6)
 - კანონიერი 278-ის მე-10 ველი (159)
 - პასუხისმგებლობა *culpa in contrahendo* 311-ის მე-8 ველი (199)
- წარმომადგენლისათვის განცხადებული მინდობილობა 167-ის 1-ლი და შემდგომი ველები (83)
- წარმომადგენლობა 164-ის 1-ლი და შემდგომი ველები (79)
- წარმომადგენლობითი უფლებამოსილება 164-ის 1-ლი ველი (79), 167-ის 1-ლი ველი (83)
 - არმყოფი 177-ის 1-ლი და შემდგომი ველები (88), 179-ის 1-ლი და შემდგომი ველები (89)
- წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენება 167-ის მე-5 ველი (84)
- წერილობითი ფორმა 126-ის 1-ლი ველი (53)
- წერილობითი ფორმა 81-ის მე-3 ველი (22)
- წინააღმდეგობა 892-ის მე-7 და შემდგომი ველები (681)
- წინააღმდეგობრივი მოქმედება 242-ის მე-4 ველი (114)
- წინარე კავშირი 21-ის მე-6 ველი (5)
- ჭარბი ნაყოფი 812-ის 38-ე ველი (603), 993-ის 1-ლი ველი (743)
- ხანდაზმულობა 194-ის 1-ლი და შემდგომი ველები (94), 195-ის 1-ლი და შემდგომი ველები (95)
 - დათმობა 218-ის 1-ლი ველი (103), 323-ის მე-5 ველი (227), 438-ის მე-2 ველი (326)
 - დელიქტი 852-ის 1-ლი ველი (659)

- ვადის დენის შეწყვეტა 203-ის შესავლის მე-2 ველი (98)
- ვალდებულების უზრუნველყოფის უფლებები 216-ის 1-ლი ველი (102)
- ნივთის ნაკლიდან გამომდინარე მოთხოვნები 438-ის 1-ლი და შემდგომი ველები (326), 479-ის 1-ლი ველი (360), 634-ის 1-ლი და შემდგომი ველები (474)
- საგანი 194-ის მე-2 ველი (95)
- შემცირება 438-ის მე-2 ველი (326)
- შეჩერება 203-ის შესავლის 1-ლი ველი (98)
- ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დამპირავებლის მიერ 548-ის 1-ლი ველი (415)
- ხელახალი დენა 203-ის შესავლის მე-3 ველი (98)
- ხარჯები, როგორც ზიანი 249-ის შესავლის მე-7 ველი (120)**
- ხარჯების ანაზღაურება 284-ის 1-ლი და შემდგომი ველები (171), 311-ის მე-5 ველი (201), 347-ის მე-3 ველი (248)**
- ბოლო გამყიდველის 478-ის მე-4 ველი (359)
- გასაუბრების 670-ის 1-ლი ველი (509)
- დამპირავებლის 536-ის მე-4 და შემდეგი ველი (408)
- დირექტორის 683-ის 1-ლი და შემდგომი ველები (540), 684-ის მე-2 ველი (542)
- თავდების 774-ის მე-2 ველი (573)
- მფლობელის 987-ის შესავლის მე-12 ველი (737), 994-ის მე-3 ველი (744)
- მყიდველის 437-ის მე-2 ველი (320)
- რწმუნებულის 670-ის 1-ლი და შემდგომი ველები (509), 812-ის 43-ე ველი (606)
- სხვისი საქმეების შესრულების 675-ის შესავლის მე-2 ველი (511)
- შემკვეთის 634-ის მე-2 ველი (473)
- ხარჯების ეკონომია, როგორც უსაფუძვლო გამდიდრება 812-ე მე-8 ველი (592)**
- ხელის შემშლელი 1004-ის მე-4 ველი (749)**
- ხელოვნების თავისუფლება 823-ის მე-15 ველი (633)**
- ხელშეკრულება 145-ის შესავლის 1-ლი ველი (70)**
- გარდაცვალების პირობით 331-ის 1-ლი და შემდგომი ველები (237)
- მესამე პირთა დაცვის მიზნით დადებული ხელშეკრულება 249-ის შესავლის მე-2 და შემდგომი ველები (117), 311-ის მე-8 ველი (199), 328-ის შესავლის მე-9 ველი (234), 675-ის მე-8 ველი (513)
- მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება 328-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (232)
- სახეები 320-ის შესავლის მე-2 და შემდგომი ველები (221)
- უსაფუძვლო გამდიდრება 812-ის 31-ე ველი (601)
- ხარვეზი 157-ის მე-2 და შემდგომი ველები (76)
- ხელშეკრულება საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების შესახებ 241-ის შესავლის მე-4 ველი (108)**
- ხელშეკრულებიდან გასვლა 323-ის შესავლის 1-ლი და შემდგომი ველები (226), 326-ის მე-2 ველი (230)**
- ხელშეკრულების უკუქცევის შედეგად მხარეებს შორის წარმოშობილი შესრულების უკან დაბრუნების სამართლებრივი ურთიერთობა 346-ის მე-3 ველი (243), მე-12 ველი (246), 348-ის 1-ლი ველი (248)
- ხელშეკრულების გადაკისრება 414-ის შესავლის მე-7 ველი (295)**
- ხელშეკრულების დადების ვალდებულება 145-ის შესავლის მე-3 ველი (71)**
- ხელშეკრულების დარღვევის წინასწარ განჭვრეტა 323-ის 1-ლი ველი (226)**
- ხელშეკრულების მისადაგება 311-ის მე-7 ველი (199), 313-ის 1-ლი (216), მე-3 (217), მე-6 ველები (218)**
- ხელშეკრულების სტანდარტული პირობები 305-ის შესავლის 1-ლი და შემდგ. ველები (184), 305-ის 1-ლი და შემდგ. ველები (186)**
- აკრძალული დათქმები 307-ის მე-2 და შემდგომი ველები (189)
- არაგამოყოფადი დათქმა 307-ის მე-3 ველი (190)

- ბათილობა 306-ის 1-ლი და შემდგომი ველები (188), 535-ის მე-4 ველი (401)
- ბუნდოვანი რეგულირება 305-ის მე-3 ველი (187)
- გამჭირვალობის პრინციპი 307-ის მე-2 ველი (189)
- განმარტება 306-ის მე-2 ველი (188)
- ნამდვილობის შენარჩუნება 307-ის მე-3 ველი (190)
- სტანდარტული პირობების კოლიზია 150-ის მე-3 ველი (73)
- უჩვეულო (მოულოდნელი) პირობები 305-ის მე-3 ველი (187)
- შემონმების საფეხურები 305-ის მე-სავლის მე-4 ველი (185)
- შინაარსობრივი კონტროლი 307-ის 1-ლი და შემდგომი ველები (189)
- ჩართვა 305-ის მე-3 ველი (187), 306-ის 1-ლი და შემდგ. ველები (188)
- ხელშეკრულებების სტანდარტულ პირობებში წერილობითი ფორმის დაცვის დათქმა 125-ის მე-12 ველი (52)
- ჯანმრთელობა 823-ის მე-3 ველი (627)
- ჯაჭვური გარიგება 929-ის მე-7 ველი (701)
- ჯაჭვური ზიანი 438-ის მე-2 ველი (326), 823-ის მე-6 ველი (628), 51-ე ველი (647)
- ჯიბის ფული 110-ის 1-ლი ველი (35)
- ჰიპოთეტური მიზეზობრიობა 249-ის შესავლის მე-17 ველი (126)

საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსები

მუხლობრივი შედარება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
მუხ. 1	ანალოგი არ აქვს
მუხ. 2	მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ
მუხ. 3	მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ
მუხ. 4	მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ
მუხ. 5	ანალოგი არ აქვს
მუხ. 6	ანალოგი არ აქვს
მუხ. 7	ანალოგი არ აქვს
მუხ. 8 I	ანალოგი არ აქვს
მუხ. 8 II	ანალოგი არ აქვს
მუხ. 8 III	§ 242
მუხ. 9	ანალოგი არ აქვს
მუხ. 10	ანალოგი არ აქვს
მუხ. 11 I	§ 1
მუხ. 11 II	§ 1923
მუხ. 11 III	§ 1922
მუხ. 11 IV	ანალოგი არ აქვს
მუხ. 12 I	§ 104
მუხ. 12 II	§ 2
მუხ. 12 III	ანალოგი არ აქვს
მუხ. 12 IV	§ 106
მუხ. 12 V	§ 104
მუხ. 13	ანალოგი არ აქვს
მუხ. 14 I	§ 106
მუხ. 14 II	§ 1896
მუხ. 14 III	§ 1908d
მუხ. 15	§ 107
მუხ. 16 I	§ 1896 / § 105a
მუხ. 16 II	§ 1908d
მუხ. 17 I	§ 12

მუხ. 17 II	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 17 III	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 18 I მუხ. 18 II მუხ. 18 III	§ 12 § 823 / § 824 <i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 18 IV მუხ. 18 V	<i>ანალოგი არ აქვს / სასამართლო პრაქტიკა</i> <i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 18 VI	§ 823 / § 253
მუხ. 18 ¹	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 19	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 20 I მუხ. 20 II მუხ. 20 III	§ 7 I, II § 11 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 21	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 22	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 23	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 24 I	<i>ანალოგი არ აქვს / მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 24 II მუხ. 24 III მუხ. 24 IV მუხ. 24 V მუხ. 24 VI	<i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i> § 59 I
მუხ. 25 I მუხ. 25 II მუხ. 25 III მუხ. 25 IV მუხ. 25 V	<i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i> § 21 / § 74 I <i>ანალოგი არ აქვს / სასამართლო პრაქტიკა</i>
მუხ. 26 I მუხ. 26 II	§ 24 <i>ანალოგი არ აქვს</i>

მუხ. 27 I მუხ. 27 II	§ 65 <i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 27 III მუხ. 27 IV მუხ. 27 V	§ 57 II § 12 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 28 I	§ 55/ <i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 28 II	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 28 III	§§ 21, 66 I
მუხ. 28 IV	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 29 I მუხ. 29 II მუხ. 29 II ა მუხ. 29 II დ მუხ. 29 II ე	§ 59 I § 59 II, III § 57 I § 58 Nr. 1 <i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 29 II ვ მუხ. 29 III	§ 58 Nr. 3, 4 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 31	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 32	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 33 I მუხ. 33 II	<i>ანალოგი არ აქვს</i> <i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 33 III	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 34 I' მუხ. 34 II	§ 64 §§ 66, 79 I
მუხ. 35 I მუხ. 35 II მუხ. 35 III მუხ. 35 IV	§ 26 / § 27 / § 28 <i>ანალოგი არ აქვს</i> § 25 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 36	<i>ანალოგი არ აქვს</i> § 311 ბ
მუხ. 37 I მუხ. 37 II მუხ. 37 III	§ 31 § 27 III <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 38 I	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>

მუხ. 38 II მუხ. 38 III მუხ. 38 IV მუხ. 38 V მუხ. 38 VI	§ 41 / § 42 § 49 § 50 § 45 <i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 38 VII მუხ. 38 VIII მუხ. 38 IX	<i>ანალოგი არ აქვს</i> §§ 48, 53, 76 <i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 38 X	§ 76
მუხ. 38'	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 39	§ 54
მუხ. 50	§ 311
მუხ. 51	§ 130
მუხ. 52	§ 133
მუხ. 53	§ 154 / § 155
მუხ. 54	§ 134 / § 138
მუხ. 55	§ 138
მუხ. 56	§ 117
მუხ. 57	§ 118 / § 122
მუხ. 58	§ 105
მუხ. 59 I მუხ. 59 II მუხ. 59 III	§ 125 § 142 / § 143 § 119 / § 123
მუხ. 60	§ 140
მუხ. 61 I მუხ. 61 II	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i> § 141 I
მუხ. 61 III მუხ. 61 IV	§ 144 I § 141 II
მუხ. 61 V	<i>ანალოგი არ აქვს, პირდაპირ გამომდინარეობს §§-დან 134 და 138</i>
მუხ. 62	§ 139
მუხ. 63 I მუხ. 63 II	§§ 107, 108 I § 108 III
მუხ. 64	§ 109
მუხ. 65 I	§ 110

მუხ. 65 II	§ 112
მუხ. 65 III	§ 112
მუხ. 66	§ 111
მუხ. 67	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 68	§ 125
მუხ. 69 I	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 69 II	§ 127
მუხ. 69 III	§ 126
მუხ. 69 IV	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 69 V	§ 126
მუხ. 70	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 71	§ 126 II
მუხ. 72	§ 119
მუხ. 73	§ 119 / § 313
მუხ. 74	§ 119 II
მუხ. 75	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 76	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 77	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 78	§ 119
მუხ. 79	§ 121 / § 122
მუხ. 80	§ 120
მუხ. 81	§ 123
მუხ. 82	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 83	§ 123 II
მუხ. 84	§ 124
მუხ. 85	§ 123
მუხ. 86	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 87	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 88	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 89	§ 124
მუხ. 90	§ 158
მუხ. 91	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 92	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 93	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 94	<i>ანალოგი არ აქვს</i>

მუხ. 95	§ 160
მუხ. 96	§ 158 I
მუხ. 97	§ 158 II
მუხ. 98	§ 162
მუხ. 99	§ 182
მუხ. 100	§ 183
მუხ. 101	§ 184 I
მუხ. 102	§ 185
მუხ. 103	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 104	§ 164
მუხ. 105	§ 165
მუხ. 106	§ 166
მუხ. 107	§ 167
მუხ. 108	§ 170 / § 171 / § 172 / § 173
მუხ. 109	§ 168
მუხ. 110	§ 175
მუხ. 111	§ 177
მუხ. 112	§ 178
მუხ. 113	§ 179
მუხ. 114	§ 181
მუხ. 115	§ 226
მუხ. 116	§ 227
მუხ. 117	§ 228
მუხ. 118	§ 229
მუხ. 119	§ 230
მუხ. 120	§ 231
მუხ. 121	§ 186
მუხ. 122	§ 187
მუხ. 123	§ 188
მუხ. 124	§ 189
მუხ. 125	§ 190
მუხ. 126	§ 191 / § 192
მუხ. 127	§ 193
მუხ. 128	§ 194 / § 195

მუხ. 129	§ 195 / § 196 / § 197 / § 199
მუხ. 130	§ 199
მუხ. 131	§ 199
მუხ. 132	§ 203 / § 204
მუხ. 133	§ 207
მუხ. 134	§ 210
მუხ. 135	§ 209
მუხ. 136	§ 204
მუხ. 137	§ 212
მუხ. 138	§ 212
მუხ. 139	§ 204
მუხ. 140	§ 204
მუხ. 141	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 142 I მუხ. 142 II	§ 197 I Nr. 3 § 197 II
მუხ. 143	§ 198
მუხ. 144	§ 214
მუხ. 145	§ 217
მუხ. 146	§ 202
მუხ. 147	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 148	§ 90
მუხ. 149	§ 94 / § 96
მუხ. 150	§ 93 / § 94 / § 95
მუხ. 151	§ 97
მუხ. 152	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 153	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 154 I მუხ. 154 II მუხ. 154 III მუხ. 154 IV მუხ. 154 V	§ 99 I § 99 II § 99 III § 101 § 102
მუხ. 155 I მუხ. 155 II მუხ. 155 III მუხ. 155 IV მუხ. 155 V	§ 854 § 855 § 868 § 866 § 865

მუხ. 156	§ 856
მუხ. 157	§ 857
მუხ. 158	§ 1006
მუხ. 159	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 160	§ 861 / § 864
მუხ. 161	§ 862 / § 823
მუხ. 162	§ 986
მუხ. 163 I მუხ. 163 II მუხ. 163 III	§ 1007 / § 987 / § 993 § 994 / § 996 § 1000
მუხ. 164	§ 987 / § 990 / § 992
მუხ. 165	§ 937
მუხ. 166	§ 938
მუხ. 167	§ 900
მუხ. 168	§ 900
მუხ. 170 I მუხ. 170 II მუხ. 170 III	§ 903 <i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 171	§ 93
მუხ. 172 I მუხ. 172 II მუხ. 172 III	§ 985 / § 986 § 1004 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 173 I მუხ. 173 II მუხ. 173 III მუხ. 173 IV	§ 1011 § 1009 § 748 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 174	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 175	§ 906
მუხ. 176	§ 907
მუხ. 177	§ 908 / § 909
მუხ. 178	§ 911 / § 910
მუხ. 179	§ 912 / § 913
მუხ. 180 I მუხ. 180 II	§ 917 § 918
მუხ. 181 I მუხ. 181 II	§ 919 § 920
მუხ. 182 I	§ 921

მუხ. 182 II	§ 922
მუხ. 182 III	§ 922 S. 2
მუხ. 182 IV	§ 921
მუხ. 183 I	§ 873 / § 925
მუხ. 183 II	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 184	§ 928 / § 875 / § 876
მუხ. 185	§ 892
მუხ. 186	§ 929 / § 930 / § 931
მუხ. 187 I	§ 932
მუხ. 187 I	§ 935
მუხ. 188	§ 449
მუხ. 189	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 190 I	§ 958
მუხ. 190 II	§ 959
მუხ. 191 I	§ 965
მუხ. 191 II	§ 973
მუხ. 191 III	§ 971 / § 970
მუხ. 191 IV	§ 976 I
მუხ. 191 V	§ 966 II
მუხ. 192	§ 984
მუხ. 193	§ 946
მუხ. 194	§ 947
მუხ. 195	§ 950
მუხ. 196	§ 949 / § 950 II
მუხ. 197	§ 951
მუხ. 198 I	§ 400 / § 413
მუხ. 198 II	§ 402
მუხ. 198 III	§ 403
მუხ. 199 I	§ 399
მუხ. 199 II	§ 398
მუხ. 200	§ 407
მუხ. 201 I	§ 401
მუხ. 201 II	§ 404
მუხ. 202	§ 408
მუხ. 203 I	§ 414
მუხ. 203 II	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 204	§ 415

მუხ. 205	§ 417
მუხ. 206	§ 418
მუხ. 207	§ 412
მუხ. 208	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 209	§ 566
მუხ. 233	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ (Erbbaurechtsgesetz)</i>
მუხ. 234	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 235	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 236	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 237	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 238	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 239	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 240	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 241	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 242	§ 1030
მუხ. 243	§ 873
მუხ. 244 I მუხ. 244 II	<i>ანალოგი არ აქვს</i> § 1061
მუხ. 245 I მუხ. 245 II მუხ. 245 III მუხ. 245 IV მუხ. 245 V მუხ. 245 VI მუხ. 245 VII	§ 1034 § 1036 § 1039 § 1041 <i>ანალოგი არ აქვს</i> § 1042 / § 1043 / § 1044 / § 1049 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 246	§ 1055 / § 1063
მუხ. 247 I	§ 1018

მუხ. 247 II	§ 1105
მუხ. 248 I მუხ. 248 II	§ 1019 § 1020
მუხ. 249 I მუხ. 249 II	§ 1020 § 1021
მუხ. 250	§ 1025
მუხ. 251	§ 1026
მუხ. 252	§ 1027
მუხ. 253 I მუხ. 253 II	§ 1090 § 1092
მუხ. 254 I მუხ. 254 II მუხ. 254 III მუხ. 254 IV მუხ. 254 V	§ 1204 / § 1229 § 1229 § 1204 II § 1228 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 255	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 256 I მუხ. 256 II	§ 1210 § 1212 / § 1213
მუხ. 257	§ 1205
მუხ. 258	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 258 ¹	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 259 I მუხ. 259 II მუხ. 259 III	§ 1274 § 1280 § 1293
მუხ. 260	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 260 ¹	§ 1229
მუხ. 261 I მუხ. 261 II მუხ. 261 III მუხ. 261 IV მუხ. 261 V	§ 1215 § 1213 / § 1214 § 1216 § 1217 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 262	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 263	§ 1211
მუხ. 264 I მუხ. 264 II მუხ. 264 III	§ 1281 <i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 265	§ 949
მუხ. 266	<i>ანალოგი არ აქვს</i>

მუხ. 267 I მუხ. 267 II მუხ. 267 III	§ 1209 <i>ანალოგი არ აქვს</i> § 1257
მუხ. 268	§ 1227
მუხ. 269 I მუხ. 269 II მუხ. 269 III მუხ. 269 IV	§ 1250 § 1251 § 1249 § 1250
მუხ. 270	§ 1252
მუხ. 271	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 272 I მუხ. 272 II	<i>ანალოგი არ აქვს</i> § 1253 / § 1255
მუხ. 273	§ 1256
მუხ. 274 I მუხ. 274 II მუხ. 274 III მუხ. 274 IV	<i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i> § 936 <i>მონწერიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 275 I მუხ. 275 II მუხ. 275 III	§ 1254 <i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 276 I მუხ. 276 II	§ 1228 / § 1259 § 1247
მუხ. 278	§ 1228
მუხ. 279 I მუხ. 279 II მუხ. 279 III მუხ. 279 IV მუხ. 279 V	§ 1228 § 1209 <i>ანალოგი არ აქვს</i> § 1209 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 280 I მუხ. 280 II მუხ. 280 III მუხ. 280 IV	§ 1210 § 1232 / § 1290 § 1247 / § 1252 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 281	§ 1231
მუხ. 281 ¹	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 282 I მუხ. 282 III მუხ. 282 IV	§ 1234 § 1219 / § 1220 § 1223
მუხ. 283 I მუხ. 283 II მუხ. 283 III	§ 1245 / § 1235 / § 1221 / § 1259 § 1235 / § 1221 / § 1259 § 1287 / § 1288

მუხ. 284 I მუხ. 284 II	§ 1245 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 285 ¹	§ 1241
მუხ. 286 I მუხ. 286 II მუხ. 286 III	§ 1113 I § 1113 II § 1180
მუხ. 287	§ 1132
მუხ. 288	§ 1163
მუხ. 289 I მუხ. 289 II / მუხ. 289 III	§ 1115 § 1116 / § 1117
მუხ. 289 IV	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ (§ 59 Grundbuchordnung)</i>
მუხ. 289 ¹	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 289 ²	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ (§ 56 Grundbuchordnung)</i>
მუხ. 289 ³ I / მუხ. 289 ³ II მუხ. 289 ³ III მუხ. 289 ³ IV	§ 1154 / § 1155 <i>ანალოგი არ აქვს</i> § 1156
მუხ. 289 ⁴ I / მუხ. 289 ⁴ II მუხ. 289 ⁴ III მუხ. 289 ⁴ IV	§ 1154 / § 1155 <i>ანალოგი არ აქვს</i> § 1156
მუხ. 289 ⁵	§ 1162
მუხ. 289 ⁶ I მუხ. 289 ⁶ II	§ 1153 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 289 ⁷	§ 1116
მუხ. 289 ⁸	§ 1140
მუხ. 290	§ 879 / § 1179 / § 1179a /
მუხ. 291 I მუხ. 291 II	§ 1137 § 1141
მუხ. 292 I მუხ. 292 II	§ 1142 § 1143
მუხ. 293	§ 1120 / § 1118
მუხ. 294 I მუხ. 294 II მუხ. 294 III მუხ. 294 IV	§ 1133 § 1128 § 1134 § 1136
მუხ. 295	§ 1153 / § 1154

მუხ. 296	§ 1156
მუხ. 297	§ 1138
მუხ. 298 II	§ 1143
მუხ. 299 I	§ 1168
მუხ. 299 II	§ 1165
მუხ. 299 III	§ 1169
მუხ. 300	§ 1149
მუხ. 301 I	§§ 1147, 1113
მუხ. 301 I ¹	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 301 II	§ 1147
მუხ. 301 III	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 302	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 303	§ 1120
მუხ. 304 I	§ 1150 / §§ 268
მუხ. 304 II	<i>ანალოგი არ აქვს / მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 305	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 306	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 306 ¹	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 306 ²	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 306 ³	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 306 ⁴	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 306 ⁵	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 306 ⁶	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 307	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ / § 1149</i>
მუხ. 308	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i> §§ 105
მუხ. 309	§ 839

მუხ. 310	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i> § 146
მუხ. 311	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 311 ¹	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 312 I	§ 891
მუხ. 312 II	§ 892
მუხ. 312 III	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 312 IV	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 316	§ 241
მუხ. 317 I / მუხ. 317 II	§ 311
მუხ. 317 III	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 318	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 319 I	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 319 II	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 319 III	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 320	§ 311b II
მუხ. 321	§ 311b III
მუხ. 322	§ 311b IV / § 311b V
მუხ. 323	§ 311b I
მუხ. 324	§ 311c
მუხ. 325	§ 315 / § 317 / § 319
მუხ. 326	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 327 I / მუხ. 327 II	§ 154
მუხ. 327 I	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 328 I	§ 154
მუხ. 328 I	§ 126
მუხ. 329 I	§ 145
მუხ. 329 II	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 330	§ 147
მუხ. 331	§ 148
მუხ. 332	§ 149
მუხ. 333	§ 150
მუხ. 334	<i>ანალოგი არ აქვს</i>

მუხ. 335	<i>მონწერიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 336	§ 312
მუხ. 337	§ 157
მუხ. 338	§ 157
მუხ. 339	§ 157
მუხ. 340	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 341 I მუხ. 341 II	§ 781 § 782
მუხ. 342 I / მუხ. 342 II მუხ. 342 III	§ 305 § 305b
მუხ. 343 I მუხ. 343 II	§ 305 § 310
მუხ. 344	§ 305c
მუხ. 345	§ 305c
მუხ. 346	§ 307
მუხ. 347	§ 308
მუხ. 348	§ 309
მუხ. 349	§ 328
მუხ. 350 I მუხ. 350 II	§ 328 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 351	§ 333
მუხ. 352	§ 346
მუხ. 353	§ 347
მუხ. 354	§ 348
მუხ. 355	§ 349
მუხ. 356	§ 350
მუხ. 357	§ 351
მუხ. 358	§ 352
მუხ. 359	§ 354
მუხ. 360	§ 779
მუხ. 361	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 362	§ 269
მუხ. 363	§ 270 III

მუხ. 364	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 365	§ 271 I
მუხ. 366	§ 271 II
მუხ. 367	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 368	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 369	§ 320
მუხ. 370	§ 358
მუხ. 371	§ 267
მუხ. 372	§ 268
მუხ. 373	§ 362
მუხ. 374	§ 262
მუხ. 375	§ 265
მუხ. 376	§ 263
მუხ. 377	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 378	§ 266
მუხ. 379	§ 364
მუხ. 380	§ 243
მუხ. 381	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 382	§ 276
მუხ. 383	§ 244
მუხ. 385	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 386 I მუხ. 386 II	§ 270 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 387	§ 366
მუხ. 388	§ 367
მუხ. 389	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 390	§ 293 / § 294 / § 295
მუხ. 391	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 392	§ 300
მუხ. 393	§ 304 / § 300 / § 301
მუხ. 394 I მუხ. 394 II / მუხ. 394 III	§ 280 § 281
მუხ. 395	§ 276
მუხ. 396	§ 278

მუხ. 397	§ 276
მუხ. 398	§ 313
მუხ. 399 I / მუხ. 399 II / მუხ. 399 III მუხ. 399 IV მუხ. 399 V	§ 314 <i>ანალოგი არ აქვს</i> § 314 IV
მუხ. 400	§ 286 I-III
მუხ. 401	§ 286 IV
მუხ. 402	§ 287
მუხ. 403 I მუხ. 403 II	§ 288 § 289
მუხ. 404	§ 280 II
მუხ. 405	§ 323
მუხ. 406	§ 326
მუხ. 407	§ 325
მუხ. 408 I მუხ. 408 II / მუხ. 408 III მუხ. 408 IV	§ 249 § 843 / § 760 § 843
მუხ. 409	§ 251
მუხ. 410	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 411	§ 252
მუხ. 412	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 413	§ 253
მუხ. 414	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 415	§ 254
მუხ. 416	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 417	§ 339
მუხ. 418	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 419 I მუხ. 419 II	§ 340 / § 341 § 340 II
მუხ. 420	§ 343
მუხ. 421	§ 336
მუხ. 422	§ 337
მუხ. 423 I მუხ. 423 II	§ 338 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 424	<i>ანალოგი არ აქვს</i>

მუხ. 425	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 426	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 427	§ 362
მუხ. 428	§ 364
მუხ. 429 I მუხ. 429 II მუხ. 429 III	§ 368 <i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 430	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 431	§ 371
მუხ. 432	§ 369
მუხ. 433	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 434 I მუხ. 434 II	§ 372 § 378 / § 379
მუხ. 435	<i>მონწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 436	§ 372 / § 383
მუხ. 437	§ 374 I
მუხ. 438	§ 374 II
მუხ. 439	§ 381
მუხ. 440 I / მუხ. 440 II მუხ. 440 III	§ 376 § 381
მუხ. 441	§ 382
მუხ. 442	§ 387 / § 388
მუხ. 443	§ 215
მუხ. 444	§ 389
მუხ. 445	§ 396
მუხ. 446	§ 391
მუხ. 447 ა	<i>[არ არის მსგავსი რეგულირება სამოქალაქო კოდექსში, ზოგადად აკრძალულია]</i>
მუხ. 447 ბ მუხ. 447 გ მუხ. 447 დ	§ 394 § 393 § 390
მუხ. 448	§ 397
მუხ. 449 წინ. 1 მუხ. 449 წინ. 2	§ 423 <i>ანალოგი არ აქვს</i>

მუხ. 450 I მუხ. 450 II მუხ. 450 III	§ 767 I <i>ანალოგი არ აქვს</i> § 776
მუხ. 451	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 452	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 453	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 454	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 455	§ 428
მუხ. 456	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 457	§ 428
მუხ. 458	§ 428
მუხ. 459	§ 429 III
მუხ. 460	§ 429 / § 425 I
მუხ. 461	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 462 I მუხ. 462 II	<i>ანალოგი არ აქვს</i> § 430
მუხ. 463	§ 421
მუხ. 464	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 465	§ 421
მუხ. 466	§ 425 I, II
მუხ. 467	§ 422 I, II
მუხ. 468	§ 425 I
მუხ. 469	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 470	§ 424 / § 425
მუხ. 471	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 472	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 473	§ 426
მუხ. 474	§ 426 I
მუხ. 475	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 476	§ 425 I, II
მუხ. 477 I მუხ. 477 II მუხ. 477 III	§ 433 I § 433 II <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 478	§ 448 I
მუხ. 479	§ 448 II

მუხ. 480	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 481	§ 436 I, II
მუხ. 482 I მუხ. 482 II	§ 446 § 447 I, II
მუხ. 483	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 484	§ 321
მუხ. 485	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 486	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 487	§ 433 I
მუხ. 488 I მუხ. 488 II	§ 434 I, II § 434 III
მუხ. 489	§ 435
მუხ. 490	§ 439
მუხ. 491 I მუხ. 491 II	§ 437 § 437 Nr. 3
მუხ. 492	§ 441
მუხ. 493 I მუხ. 493 II	§ 434 IIII (cf. § 241a)
მუხ. 494 I მუხ. 494 II	§ 437 Nr. 3 § 442
მუხ. 495	<i>მონქერნიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ – § 377 HGB</i>
მუხ. 496	§ 443
მუხ. 497	§ 444
მუხ. 498	§ 453
მუხ. 499	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 500	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 501	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 502	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 503	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 504	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 505 I	§ 499 I – III
მუხ. 506	§ 502 I Nr. 1 – 6
მუხ. 507	§ 502 III

მუხ. 508	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 509	§ 456 I
მუხ. 510	§ 456 II; § 457 II
მუხ. 511	§ 457 I
მუხ. 512	§ 457 II
მუხ. 513	§ 458
მუხ. 514	§ 462
მუხ. 515	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 516 I მუხ. 516 II	§ 463 § 473
მუხ. 517 I მუხ. 517 II მუხ. 517 III	§ 469 I § 464 I, II § 469 II
მუხ. 518	§ 465
მუხ. 519	§ 466
მუხ. 520	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 521	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 522	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 523	§ 480
მუხ. 524	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 525 I მუხ. 525 II მუხ. 525 III	§§ 516 I, 518 II <i>ანალოგი არ აქვს</i> § 518 I, II
მუხ. 526	§ 519
მუხ. 527	§ 524
მუხ. 528 I, II მუხ. 528 III	§ 525 I, II / § 526 § 527 I, II
მუხ. 529 I, II მუხ. 529 III	§ 530 I, II § 531 – 534
მუხ. 530 I მუხ. 530 II	§ 528 I, II § 529 I, II
მუხ. 531	§ 535
მუხ. 532	§ 535 I
მუხ. 533	§ 536
მუხ. 534	§ 536 I, II
მუხ. 535	§ 536 I, II

მუხ. 536 I მუხ. 536 II	§ 536 I § 536 IV
მუხ. 537 I მუხ. 537 II	§ 536a I § 536 a II
მუხ. 538	§ 536 b
მუხ. 539	§ 536 d
მუხ. 540	§§ 555a-f
მუხ. 541	§ 543
მუხ. 542	§ 569 I
მუხ. 543	§ 536 c
მუხ. 544	§ 535 I
მუხ. 545 I მუხ. 545 II	§ 536 a II § 539 I
მუხ. 546 I მუხ. 546 II	§ 539 § 552 I, II
მუხ. 547	§ 538
მუხ. 548	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 549	§ 540 I, II
მუხ. 550	§ 553 I – III
მუხ. 551	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 552 I მუხ. 552 II მუხ. 552 III	§ 551 I, II § 551 III § 551 IV
მუხ. 553 I მუხ. 553 II	§ 556b I; 579 I, II § 556 I – IV
მუხ. 554	§ 537 I
მუხ. 555	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 556	§ 556 b II
მუხ. 557	§ 543 II Nr. 2, II Nr. 1 – 2
მუხ. 558	§ 543 II Nr. 3, III Nr. 3
მუხ. 559 I მუხ. 559 II მუხ. 559 III	§ 542 II Nr. 1, 2 § 545 § 542 I
მუხ. 560	§ 575 I – IV
მუხ. 561	§ 573 c I
მუხ. 562	§ 573 I

მუხ. 562 II ა – გ მუხ. 562 II დ მუხ. 562 II	§ 573 II Nr. 1-3; § 561 I, II <i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 563	§ 568 I
მუხ. 564	§ 546 I
მუხ. 565	§ 570
მუხ. 566	§ 546 II
მუხ. 567 I მუხ. 567 II	§ 546a I § 546a II / § 571
მუხ. 568	§ 562 / 562a
მუხ. 569	§ 578 I / § 550
მუხ. 570	§ 544
მუხ. 571	§ 563 I – V / § 563a I – III
მუხ. 572	§ 566 I, II
მუხ. 573	§ 548
მუხ. 574 I მუხ. 574 II	§ 1568a I § 1568 III, V, VI
მუხ. 575	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 576	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 577	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 578	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 579	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 580	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 580 ¹	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 580 ²	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 580 ³	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 580 ⁴	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 580 ⁵	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 580 ⁶	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 581	§ 581
მუხ. 582	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 583 I მუხ. 583 II მუხ. 583 III	§ 582 I § 582 II / § 582a I § 582a II
მუხ. 584 I	§ 582a I

მუხ. 584 II	§ 582a III
მუხ. 585	§ 583a
მუხ. 586	§ 583
მუხ. 587 I მუხ. 587 II, III	§ 584a I <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 588	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 589	§ 584
მუხ. 590	§ 584a
მუხ. 591	§ 584b
მუხ. 592	§ 585
მუხ. 593	§ 585a
მუხ. 594	§ 585b I – III
მუხ. 595	§ 586 I
მუხ. 596	§ 592
მუხ. 597	§ 586 II
მუხ. 598	§ 590b
მუხ. 599	§ 591
მუხ. 600	§ 596a I – III
მუხ. 601	§ 596
მუხ. 602	§ 596 I – III
მუხ. 603 I, II	§ 591a
მუხ. 604	§ 595 I – VIII
მუხ. 605	§ 594
მუხ. 606	§ 594a I, II
მუხ. 607 – 614	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 615	§ 598
მუხ. 616	§ 599
მუხ. 617	§ 600
მუხ. 618	§ 603
მუხ. 619	§ 601
მუხ. 620	§ 602
მუხ. 621	§ 604
მუხ. 622	§ 605
მუხ. 623	§ 488 / § 607 I, II

მუხ. 624	§ 492 I; [§ 491 I]
მუხ. 625	§ 488 I / § 609
მუხ. 626 I, II მუხ. 626 III	§ 488 III § 488 II
მუხ. 627	§ 490 I
მუხ. 628 წინ. 1 მუხ. 628 წინ. 2	§ 490 I <i>წინ. 2 ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 629 I მუხ. 629 II მუხ. 629 III	§ 631 I, II; [§ 611 I, II] § 651 § 632 III
მუხ. 630 I, II	§ 632 I, II [§ 612 I, II]
მუხ. 631	§ 650
მუხ. 632	<i>ანალოგი არ აქვს im Werkvertragsrecht</i> [§ 613]
მუხ. 633 I წინ. 1 მუხ. 633 I წინ. 2 მუხ. 633 II	§ 640 I / § 641 I § 642 I § 642 II
მუხ. 634	§ 647
მუხ. 635	§ 648 I
მუხ. 636	§ 649
მუხ. 637	<i>ანალოგი არ აქვს / მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i> [§ 627 II]
მუხ. 638	§ 628 I
მუხ. 639	§ 633 I
მუხ. 640	§ 633 III
მუხ. 641 I, II	§ 633 II
მუხ. 642 I მუხ. 642 II მუხ. 642 III	§ 635 I § 635 II, III § 635 IV
მუხ. 643	§ 637
მუხ. 644	§ 634 Nr. 3 / § 636
მუხ. 645	§ 638 I – IV
მუხ. 646 I, II	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 647 I მუხ. 647 II	<i>ანალოგი არ აქვს</i> § 645 I, II

მუხ. 648	§ 641 I – IV / § 632a I – IV
მუხ. 649	§ 640 I
მუხ. 650	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 651 I მუხ. 651 II	§ 644 I წინ. 1 § 644 I წინ. 2, II
მუხ. 652	§ 640 II
მუხ. 653	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 654	§ 639
მუხ. 655	§ 634a I Nr. 2 – 3
მუხ. 656	§ 634a II – V
მუხ. 657 (28.04.2006 N2946-IS)	§ 651a
მუხ. 6571 (28.04.2006 N2946-IS)	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 6572 (28.04.2006 N2946-IS)	§ 651a III §§ 4 BGB-InfoV
მუხ. 6573 (28.04.2006 N2946-IS)	§ 651a IV – V
მუხ. 658	§ 651b
მუხ. 659	§ 651c
მუხ. 660	§ 651d
მუხ. 661 I – IV მუხ. 661 V	§ 651e I – IV <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 662 I, II მუხ. 662 III	§ 651f I, II <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 6621 (28.04.2006 N2946-IS)	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 6622 (28.04.2006 N2946-IS)	§ 651k I – VI
მუხ. 663	§ 651g
მუხ. 664	§ 651h
მუხ. 665 I, II	§ 651i I – III
მუხ. 666	§ 651j
მუხ. 667	§ 651m
მუხ. 668 – 708	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 709	§ 662 / § 675
მუხ. 710	<i>ანალოგი არ აქვს</i> [§§ 612 632]
მუხ. 711	§ 664

მუხ. 712 I მუხ. 712 II მუხ. 712 III	ანალოგი არ აქვს § 665 ანალოგი არ აქვს
მუხ. 713 I მუხ. 713 III	§ 666 ანალოგი არ აქვს
მუხ. 714	ანალოგი არ აქვს
მუხ. 715 I მუხ. 715 II	§ 667 § 668
მუხ. 716	<i>მონწერიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 717 I მუხ. 717 II მუხ. 717 III	§ 670 ანალოგი არ აქვს § 669
მუხ. 718	ანალოგი არ აქვს
მუხ. 719	ანალოგი არ აქვს
მუხ. 720 I მუხ. 720 II მუხ. 720 III	§ 671 I § 671 II, III ანალოგი არ აქვს
მუხ. 721 I მუხ. 721 II მუხ. 721 III	§ 672 წინ. 1 § 672 წინ. 2 § 674
მუხ. 722	§ 673
მუხ. 723 – 729	ანალოგი არ აქვს
მუხ. 730 – 743	<i>მონწერიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 744 I	§ 652 I
მუხ. 745 I მუხ. 745 II მუხ. 745 III	§ 653 I, II ანალოგი არ აქვს § 652 II
მუხ. 746	ანალოგი არ აქვს
მუხ. 747	ანალოგი არ აქვს
მუხ. 748 I მუხ. 748 II მუხ. 748 III, IV	ანალოგი არ აქვს ანალოგი არ აქვს § 654
მუხ. 749	ანალოგი არ აქვს
მუხ. 750	ანალოგი არ აქვს
მუხ. 751	§ 655a
მუხ. 752	§ 655 / 655e

მუხ. 753 I მუხ. 753 II	§ 655c § 655d
მუხ. 754	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 755	§ 657
მუხ. 756	§ 658
მუხ. 757	§ 659 / 660
მუხ. 758	§ 661 I
მუხ. 759	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 760	§ 661 II
მუხ. 761	§ 661 III
მუხ. 762	§ 661 IV
მუხ. 763	§ 688
მუხ. 764 I მუხ. 764 II	§ 689 <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 765	§ 690
მუხ. 766	§ 691
მუხ. 767	§ 700 I
მუხ. 768	§ 692
მუხ. 769	§ 694
მუხ. 770	§ 695
მუხ. 771	§ 696
მუხ. 772	§ 697
მუხ. 773 I მუხ. 773 II	<i>ანალოგი არ აქვს</i> § 693
მუხ. 774	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 775	§ 699
მუხ. 776	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 777	§ 700
მუხ. 778	§ 701
მუხ. 779	§ 701 III
მუხ. 780 – მუხ. 858	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 859 I მუხ. 859 II მუხ. 859 III	§ 676f <i>ანალოგი არ აქვს</i> <i>ანალოგი არ აქვს</i>

მუხ. 860	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ (HGB)</i>
მუხ. 861	§ 676a I / 676b I, II
მუხ. 862	§ 676a IV
მუხ. 863 – 866	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 867	§ 488 I
მუხ. 868 I – III მუხ. 868 IV, V მუხ. 868 VI	<i>ანალოგი არ აქვს</i> § 492 I Nr. 4, 5 § 494 III
მუხ. 870	<i>ანალოგი არ აქვს / მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 871	§ 489 I – IV
მუხ. 872	§ 490 II
მუხ. 873	§ 498 I – III
მუხ. 874	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 875 (23.07.2003 N2617)	§ 793 I
მუხ. 876	<i>ანალოგი არ აქვს</i> [§ 783]
მუხ. 877 – 890	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 891 I, II	§ 765 I, II
მუხ. 892 I მუხ. 892 II	§ 766 <i>(II) მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 893	§ 767 I
მუხ. 894	§ 771
მუხ. 895	§ 773 I, II
მუხ. 896	§ 769
მუხ. 897	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 898 I, II	§ 767 I წინ. 1, 2, II
მუხ. 899	§ 768
მუხ. 900	§ 770 I, II
მუხ. 901	§ 776
მუხ. 902	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 903	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 904	§ 775

მუხ. 905	§ 774
მუხ. 906 – 910	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 911	§ 793
მუხ. 912	§ 796
მუხ. 913 I მუხ. 913 II	<i>ანალოგი არ აქვს</i> (§ 794 I)
მუხ. 914	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 915	§ 797
მუხ. 916	§ 806
მუხ. 917	§ 798
მუხ. 918	§ 799
მუხ. 919	§ 800
მუხ. 920	§ 801
მუხ. 921	§ 807
მუხ. 922 – 927	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 928 I მუხ. 928 II მუხ. 928 III	<i>ანალოგი არ აქვს</i> § 952 I, II <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 929	§ 808
მუხ. 930	§ 705
მუხ. 931	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 932 I, II მუხ. 932 III	§ 706 I – III § 718 I, II
მუხ. 933	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 934 I, II მუხ. 934 III მუხ. 934 IV მუხ. 934 V	§ 709 I, II § 714 § 712 I, II; § 716 I, II § 713
მუხ. 935 I მუხ. 935 II	§ 722 I, II § 708
მუხ. 936	<i>ანალოგი არ აქვს</i> [შეად. § 719]
მუხ. 937	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 938 I, II მუხ. 938 III მუხ. 938 IV	§ 723 I, § 723 I a.E., II / § 736 § 723 III

მუხ. 939 I lit. a, b	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 939 I lit. c	§ 728 I
მუხ. 939 I lit. d	§ 726
მუხ. 939 II lit. a	§ 727 I
მუხ. 939 lit. b	§ 728 II
მუხ. 939 lit. c	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 940 I, II	§ 733 I – III / § 734 / § 735
მუხ. 941	§ 759 I
მუხ. 942	§ 761
მუხ. 943	§ 759 II
მუხ. 944	§ 760 I – III
მუხ. 945 – 950	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 951	§ 762
მუხ. 952	§ 763
მუხ. 953	§ 741
მუხ. 954	§ 742
მუხ. 955	§ 743
მუხ. 956	§ 744
მუხ. 957	§ 745
მუხ. 958	§ 746
მუხ. 959 (11.05.2007 N 4744-Is).	§ 747
მუხ. 960	§ 748
მუხ. 961	§ 749
მუხ. 962	§ 750
მუხ. 963	§ 752
მუხ. 964	§ 753
მუხ. 965	§ 755
მუხ. 966	§ 756
მუხ. 967	§ 757
მუხ. 968	§ 758
მუხ. 969	§ 677
მუხ. 970 I	§ 680
მუხ. 970 II	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 971	§ 681
მუხ. 972	§ 681 a. E. // § 684

მუხ. 973	§ 683
მუხ. 974 I მუხ. 974 II	§ 678 § 679
მუხ. 975	§ 687 I
მუხ. 976 I lit. a მუხ. 976 I lit. b მუხ. 976 II lit. a – c მუხ. 976 II lit. d	§ 812 I, II § 813 I, II § 814 § 817
მუხ. 977 I მუხ. 977 II	§ 812 I წინ. 2 § 815
მუხ. 978	§ 812 I წინ. 1
მუხ. 979 I მუხ. 979 II მუხ. 979 III მუხ. 979 IV, V	§ 818 I § 818 II § 818 III <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 980	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 981	§ 818 IV, I, II / 819 / § 820 // § 292
მუხ. 982 I მუხ. 982 II	§ 812 I / 951 I § 816 I
მუხ. 983	§ 816 II
მუხ. 984 I მუხ. 984 II	§ 818 III, IV <i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 985 – 988	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 989	§ 822
მუხ. 990	§ 816 I
მუხ. 991	§ 812 I წინ. 1
მუხ. 992	§ 823 I, II
მუხ. 993	§ 824
მუხ. 994	§ 828 / 832
მუხ. 995 I მუხ. 995 II	§ 827 § 832 I
მუხ. 996	§ 827
მუხ. 997	§ 831 I, II
მუხ. 998 I მუხ. 998 II	§ 840 I – III § 830 I, II
მუხ. 999	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ (StVG)</i>

მუხ. 1000	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 1001	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 1002	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 1003	§ 833
მუხ. 1004	§ 836 / § 837 / § 838
მუხ. 1005 I მუხ. 1005 II მუხ. 1005 III	§ 839 I § 839 III § 839 II
მუხ. 1006	§ 844 II
მუხ. 1007	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 1008	§ 195 / § 199 I – III
მუხ. 1009 – 1016	<i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ (ProdHG)</i>
მუხ. 1017	<i>ანალოგი არ აქვს</i>
მუხ. 1100 I მუხ. 1100 II – IV	<i>ანალოგი არ აქვს</i> <i>მონესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ფარგლებს გარეთ</i>
მუხ. 1101 – 1105	<i>ანალოგი არ აქვს</i>

დანართი:

ამონარიდი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონიდან

მუხლი 246

**ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები განსაკუთრებული ფორმით
საქონლის მიწოდებისას**

§1 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ხელშეკრულებებისას დისტანციური

(1) **დისტანციური ხელშეკრულებებისას** მენარმემ მომხმარებელს დროულად, კერძოდ, ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენამდე მათ მიერ დისტანციური კომუნიკაციისას გამოყენებული ფორმით, ნათლად და გასაგებად უნდა მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია სანარმო მიზნის მითითებით:

1. მენარმის დასახელებს (იდენტიობა), უნდა მიეთითოს ასევე საჯარო რეესტრის მონაცემები პირის რეგისტრაციის შესახებ,
2. სანარმოს წარმომადგენლის დასახელება იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც მომხმარებელს აქვს საცხოვრებელი ადგილი (ასეთი წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში) ან სხვა მენარმის დასახელება, რომელთანაც მომხმარებელს აქვს ურთიერთობა, ამ მენარმის სტატუსის მითითებით, რომლითაც იგი მონაწილეობს მომხმარებელთან ურთიერთობაში,
3. მენარმის ფაქტობრივი და ყველა სხვა მისამართი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მასსა და მის წარმომადგენელს, ასევე მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სხვა მენარმეს და სხვა პირებს ასევე მომხმარებელს შორის საქმიანი მომინერისთვის. იურიდიული პირებისა და პირთა გაერთიანებების, ან პირთა ჯგუფის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ასევე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი,
4. საქონლის ან მომსახურების მთავარი მახასიათებლები, ასევე ინორმაცია იმაზე, თუ როგორ უნდა დაიდოს ხელშეკრულება,
5. ხელშეკრულების მინიმალური ხანგრძლივობა, თუ მისი საგანია მუდმივი ან რეგულარული ხასიათის ვალდებულებითი ურთიერთობა,
6. დათქმა, ხარისხოვრივად და ღირებულებრივად იდენტური ვალდებულების შესრულების შესახებ (საქონელი ან მომსახურება), და დათქმა დაპირებული ვალდებულების არშესრულებაზე მისი ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში,
7. საქონლის ან მომსახურების მთლიანი (ჯამური) ღირებულება/ფასი ყველა მასში შემავალი ცალკეული ღირებულების და მენარმის მიერ (გავლით) გადახდილი გადასახადის ჩათვლით. თუ შეიძლებელია კონკრეტული ფასის მითითება, მაშინ მომხმარებელს უნდა მიეწოდოს მენარმის ანგარიში, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი შესძლებს ფასის გადამონმებას,
8. მიწოდებისა და გადაგზავნის შესაძლო დამატებითი ხარჯები, ასევე მინიმუმი შესაძლო დამატებით გადასახადებსა და ხარჯებზე, რომლებიც არ ანაზღაურდება მენარმის მეშვეობით ან მის მიერ,
9. ანაზღაურების და მიწოდების ან შესრულების დეტალები,
10. ნების უკან გახმობის ან ნივთის უკან დაბრუნების უფლების არსებობის ან არარსებობის და ასევე ამ უფლების განხორციელების პირობების, განსაკუთრებით კი იმ პირის სახელის და მისამართის შესახებ, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს იგი. ასევე ნების უკან გახმობისა ან ნივთის უკან დაბრუნების უფლების განხორციელების სამართლებრივი შედეგების შესახებ, იმ თანხაზე ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც მომხმარებელმა სამოქალაქო კოდექსის

§357 I-ის თანახმად უნდა გადაიხადოს ნების უკან გახმობის ან ნივთის უკან დაბრუნების შემთხვევაში უკვე შესრულებული მომსახურებისთვის,

11. ყველა სპეციფიკური დამატებითი ხარჯი, რომელიც მომხმარებელს წარმოეშვა დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, თუ ეს ხარჯი აისახება მენარმის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში, და
12. მიწოდებული ინფორმაციის მოქმედების ვადის მითითება, მაგალითად, ოფერტით გათვალისწინებული პირობების ვადა, განსაკუთრებით ფასებთან მიმართებით.

(2) ფინანსური მომსახურების შესახებ ხელშეკრულებების დადებისას მენარმემ მომხმარებელს დროულად, კერძოდ, ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენამდე 1-ლ პუნქტში გათვალისწინებული სახით და ფორმით უნდა მიაწოდოს ასევე შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. სანარმოს ძირითადი საქმიანობის და მისი საქმიანობის ლიცენზირებაზე შესაბამისად უფლებამოსილი ზედამხედველობის ორგანოს შესახებ,
2. საჭიროებისამებრ მითითება, რომ ფინანსური მომსახურება მიმართულია ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც თავიანთი სპეციფიკური ნიშნებიდან ან განსახორციელებელი პროცედურებიდან გამომდინარე სპეციფიკური რისკების მატარებელია ან რომელთა ფასზეც პირდაპირ გავლენას ახდენს ფინანსური ბაზრის რყევები, რომელზეც მენარმეს თავის მხრივ არანაირი გავლენა არ აქვს და რომ წარსულში მიღებული შემოსავლები აუცილებლად არ წარმოადგენს სამომავლოდ მისაღები შემოსავლების ინდიკატორს,
3. ხელშეკრულების მოშლის პირობები შესაძლო პირგასამტეხლობის ჩათვლით,
4. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, რომელთა სამართალსაც ეფუძნება მენარმისა და მომხმარებლის ურთიერთობა, რის შესახებაც შეთანხმება ხდება მენარმის მიერ მომხმარებელთან დისტანციური ხელშეკრულების დადებაამდე,
5. ჩანაწერი (დათქმა) საჭიროების შემთხვევაში მოქმედ კანონმდებლობაზე ან განსჯად სასამართლოზე,
6. ენები, რომლებზეც უნდა მოხდეს ხელშეკრულების პირობების და წინამდებარე ნორმით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება, ასევე ენები, რომლებზეც მენარმე მომხმარებლის თანხმობით ვალდებულებას იღებს, ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში აწარმოოს კომუნიკაცია,
7. სასამართლოს გარეთ უფლების დაცვის შესაძლებლობაზე (არსებობის შემთხვევაში) და ასეთი დაცვის წინაპირობების შესახებ, და
8. საგარანტიო ფონდის ან სხვა საკომპენსაციო მექანიზმების არსებობის შესახებ, რომლებიც არ მოიაზრება ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 1994 წლის 30 მაისის 94/19/EG დირექტივითა (დეპოზიტების უსზრუნველყოფის სისტემების შესახებ – ABI. EG Nr. L 135 გვ. 5) და 1997 წლის 3 მარტის 97/9/EG დირექტივით (დეპოზიტართა ანაზღაურების/კომპენსაციი სისტემების შესახებ – ABI. EG Nr. L 84 გვ. 22).

(3) სატელეფონო საუბრების შემდეგ მენარმემ მომხმარებელს უნდა მიაწოდოს ამ პარაგრაფის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია; ამასთან 1-ლი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტში მითითებული მონაცემების მიწოდება სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, თუ მომხსენებელს უნევს ავანსის გადახდა. 1-ლი წინადადება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მენარმემ მომხმარებელს აცნობა, რომ სურვილის შემთხვევაში მიაწვდიდა დამატებით ინფორმაციას, განუმარტა ისიც, რა სახის ინფორმაციაზეა საუბარი და მომხმარებელმა (გამოხატულად) განაცხადა უარი ასეთი ინფორმაციის მიღებაზე ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით თავისი ნების გამოვლენამდე.

**§2 ინფორმაციის მიწოდების დამატებითი ვალდებულებები
დისტანციური ხელშეკრულებებისას**

(1) მენარმე ვალდებულია მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს მიაწოდოს ბექტური (ტექსტური) ფორმით, განსაკუთრებით კი შემდეგ შემთხვევებში:

1. ფინანსური მომსახურებისას, დროულად ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით მომხმარებლის ნების გამოვლენამდე ან, თუ მომხმარებლის თხოვნით ხელშეკრულება იდება ტელეფონით ან დისტანციური კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც არ იძლევა ამის (კერძოდ, ხელშეკრულების დადებამდე წერილობითი შეტყობინების) შესაძლებლობას, მომხმარებელს წერილობითი ფორმით ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დისტანციური ხელშეკრულების დადების შემდეგ დაუყოვნებლივ,
2. სხვა მომსახურებისას და საქონლის მიწოდებისას დროულად, არა უგვიანეს ხელშეკრულების სრულად შესრულებისა ან საქონლის შემთხვევაში – მომხმარებლისთვის მიწოდებამდე ან მიწოდებისთანავე.

მენარმემ მომხმარებელს 1-ლი წინადადების შესაბამისად უნდა შეატყობინოს:

1. ხელშეკრულების დებულებები ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ჩათვლით,
2. 1-ლი პარაგრაფის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (ჩამონათვალი),
3. ფინანსური მომსახურებისას ასევე 1-ლი პარაგრაფის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციაც და
4. საქონლისა და სხვა მომსახურების მიწოდებისას
 - a) 1-ლი პარაგრაფის მე-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ისეთი ხელშეკრულებებისას, რომლებიც ეხება გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებს ან დადებულია წელიწადზე მეტი ვადით ან განუსაზღვრელი ვადით, ასევე
 - b) ინფორმაცია კლიენტთა სამსახურზე და მოქმედ საგარანტიო პირობებზე.

(2) 1-ლი პუნქტის 1-ლი წინადადების მე-2 ქვეპუნქტითა და 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება სავალდებულო არ არის ისეთი მომსახურებისას, რომლებიც ხორციელდება უშუალოდ დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, თუ აღნიშნული სრულდება ერთჯერადი ქმედებით და ანაზღაურდება ასევე დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით. მაგრამ მომხმარებელს ასეთ შემთხვევაში უნდა შეეძლოს საწარმოს იმ ფილიალის მისამართის მოპოვება, რომლისთვისაც ის შესძლებს შესაძლო უკმაყოფილებით მიმართვას.

(3) 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების მე-2 ქვეპუნქტით და 1-ლი პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მე-10 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით (ნების უკან გახმობისა და ნივთის უკან დაბრუნების უფლების არსებობა-არარსებობასთან დაკავშირებით) მენარმეს შეუძლია გამოიყენოს 1-ლ და მე-2 დანართში წარმოდგენილი ტექსტური ფორმის შესაბამისი ნიმუშები (ფორმულარები). თუ 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების მე-2 ქვეპუნქტში, 1-ლი პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტში და ასევე 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადების მე-4 პუნქტში მოცემული საკითხები (ინფორმაცია) გათვალისწინებულია ხელშეკრულების დებულებებით (ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ჩათვლით), აუცილებელია მათი გამოყოფა და გამოკვეთა გასაგები ფორმით.

§3 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები ელექტრონული ბრუნვის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებისას

ელექტრონული ბრუნვის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებისას მენარმემ კლიენტს უნდა შეატყობინოს:

1. იმ ცალკეული ტექნიკური ეტაპების (ნაბიჯების) შესახებ, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ხელშეკრულების დადება,
2. იმის შესახებ, მოხდება თუ არა ხელშეკრულების დადების შემდეგ მისი დამახსოვრება მენარმის მიერ და იქნება თუ არა ეს ხელშეკრულება ხელმისაწვდომი კლიენტისათვის,
3. იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მას სამოქალაქო კოდექსის §312g-ს 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების 1-ლი ქვეპუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფილი ტექნიკური საშუალებების გამოყენებისას დაშვებული (ტექნიკური) შეცდომების შეცნობა და გამოსწორება,
4. ხელშეკრულების დასადასტურებლად ხელმისაწვდომი ენების შესახებ და
5. ყველანაირი ქცევის წესების შესახებ, რომელსაც ექვემდებარება მესამე და ასევე მათი ელექტრონულად ხელმისაწვდომი წყაროების შესახებ.

მუხლი 247

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულებებისას, ასევე ფასიანი ფინანსური დახმარებისა და სესხის შუამავლობის ხელშეკრულებებისას

§1 წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიწოდების ფორმა და დრო

ინფორმაციის მიწოდება სამოქალაქო კოდექსის §491a-ის 1-ლი ნაწილის მიხედვით უნდა განხორციელდეს დროულად, სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულების დადებაზე ტექსტური (წერილობითი) ფორმით და უნდა შეიცავდეს წინამდებარე მუხლის §3-§5-მდე და §8-დან §-13-მდე მითითებულ საკითხებს.

§2 ნიმუშები

(1) ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს მომხმარებელთა კრედიტის შესახებ ინფორმაციის ევროპული სტანდარტის შესაბამისად (მესამე დანართში განთავსებული ნიმუშის მიხედვით), თუკი არ ხდება სამოქალაქო კოდექსის §495-ის მე-3 ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტითა და §503-ით ან §504-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადება.

(2) თუკი იდება ხდება სამოქალაქო კოდექსის §495-ის მე-3 ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტითა ან §504-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხელშეკრულება, სესხის გამცემს შეუძლია გამოიყენოს მომხმარებელთა კრედიტის შესახებ ინფორმაციის ევროპული სტანდარტი მეოთხე დანართში განთავსებული ნიმუშის მიხედვით. სამოქალაქო კოდექსის §503-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადებისას სესხის გამცემს შეუძლია გამოიყენოს ევროპული სტანდარტიზირებული სარეკომენდაციო ბარათი მეხუთე დანართში განთავსებული ნიმუშის მიხედვით. თუ სესხის გამცემი არ იყენებს ზემოთ აღნიშნულ ნიმუშებს, მაშინ იგი ვალდებულია ერთიანი და გასაგები, თვალსაჩინო ფორმით უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება წინამდებარე მუხლის §3-§5-მდე და §8-დან §-13-მდე მითითებულ საკითხებზე.

(3) სამოქალაქო კოდექსის §491a-ს 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შესრულებულად ითვლება მას შემდეგ, რაც გამსესხებელი მსესხებელს ტექსტური ფორმით გადასცემს/მიანოდებს ჯეროვნად

შევსებულ ნიმუშს. თუ სასესხო ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს დის-ტანციურად დადებულ ხელშეკრულებას, მაშინ ნიმუშის გადაცემით/მიწოდებით ასევე შესრულებულად მიიჩნევა სამოქალაქო კოდექსის §312C-ს 1-ლი ნაწილის მოთხოვნები.

§3 წინასახელშეკრულებო ეტაპზე მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსი

(1) ხელშეკრულების დადებამდე განხორციელებული შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

1. სესხის გამცემი პირის სახელწოდებას და მისამართს,
2. სესხის სახეობას,
3. წლიურ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს,
4. სესხის სუფთა ოდენობას,
5. საპროცენტო განაკვეთს,
6. ხელშეკრულების ვადას,
7. ცალკეული შენატანების ოდენობას, რაოდენობას და ვადამოსულობას (ვადებს),
8. მთლიან თანხას,
9. თანხის გაცემის პირობებს,
10. ყველა სხვა ხარჯს, განსაკუთრებით კი ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია თანხის გაცემასთან ან გადახდის ავტორიზაციის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებასთან, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია გადახდა ან გადახდის გაუქმებაც, ასევე ხარჯების მისადაგების პირობები,
11. ვადის გადაცილების პროცენტი და მისი მისადაგების ფორმები ასევე რიგ შემთხვევაში დასაფარი გადაცილების ხარჯები,
12. გაფრთხილება გადაუხდელობის შედეგებთან დაკავშირებით,
13. ნების უკან გახმობის უფლების არსებობა-არარსებობა,
14. მსესხებლის უფლება, ვადაზე ადრე დააბრუნოს სესხი,
15. სამოქალაქო კოდექსის §491a-ს მე-2 ნაწილიდან გამომდინარე უფლებები,
16. მონაცემთა დაცვის ფედერალური კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტიდან გამომდინარე უფლებები.

(2) მთლიანი თანხა შედგება სუფთა სასესხო თანხისა და მთლიანი ხარჯებისაგან. სუფთა სასესხო თანხა არის ის მაქსიმალური თანხა, რომლის მოთხოვნის უფლება აქვს მსესხებელს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. მთლიანი ხარჯი და წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დაანგარიშდება ფასის მითითების დადგენილების მე-6 პარაგრაფის მიხედვით.

(3) მთლიანი თანხა და წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განიმარტოს თვალსაჩინო მაგალითით. აქვე უნდა მიეთითოს წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას გათვალისწინებული ყველა ასპექტი და მხედველობაში იქნას მიღებული მსესხებლის მიერ გამოხატული სურვილი ხელშეკრულების ცალკეულ პირობებთან დაკავშირებით. სესხის გამცემმა უნდა მიუთითოს წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანვეის შესაძლებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულებით მოხდება სხვადასხვა ხარჯთან ან საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული თანხის გაცემის სხვადასხვა შესაძლებლობის გათვალისწინება და წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშება ეფუძნება ვარაუდს, რომ თანხის გაცემისათვის მოხდა სესხის სახეობისათვის ჩვეული და გავრცელებული ფორმაზე შეთანხმება.

(4) საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული მითითებები უნდა მოიცავდეს მისი გამოყენების პირობებსა და დროის მონაკვეთს და ასევე მისი მისაღებების ფორმას. თუ საპროცენტო განაკვეთი თავის მხრივ დამოკიდებულია რაიმე ინდექსზე ან საპროცენტო განაკვეთზე, მაშინ ასევე სავალდებულოა მათი მითითებაც. თუ სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულება ითვალისწინებს რამოდენიმე საპროცენტო განაკვეთს, მაშინ ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს თითოეულ (ყველა) მათგანზე. თუ მე-3 წინადადების შემთხვევაში გათვალისწინებულია თანხის ნაწილობრივ გადახდა, უნდა მიეთითოს, თუ რა რიგითობითა და თანმიმდევრობით იფარება ნაწილობრივი შენატანებით სესხის გამცემის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები, რომლებზეც სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთია გათვალისწინებული.

§4 დამატებითი მითითებები წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ფარგლებში

(1) მიწოდებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს, რამდენადაც ისინი მნიშვნელოვანია იმ ხელშეკრულებისთვის, რომელიც უნდა დაიდოს მხარეებს შორის:

1. მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების დადების შემთხვევაში მსესხებელი იხდის სანოტარო ხარჯებს,
2. ინფორმაცია იმ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომელსაც ითხოვს სესხის გამცემი პირი,
3. ვალდებულების ვადამდე შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა და მისი დაანგარიშება, თუ ასეთი მოთხოვნის განხორციელებას აპირებს სესხის გამცემი მსესხებლის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულების შემთხვევაში,
4. მითითება მიწოდებული ინფორმაციის მოქმედების ვადაზე (ასეთის არსებობისას).

(2) სესხის გამცემის სხვა მითითებები მსესხებელს უნდა მიენოდოს 1-ლი პუნქტითა და §3, §8-13-ით გათვალისწინებული ინფორმაციისაგან განცალკევებით.

§5 ინფორმაციის მიწოდება კომუნიკაციის განსაკუთრებული საშუალებების გამოყენებისას

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ხელშეკრულების დადებისათვის ირჩევს კომუნიკაციის ისეთ საშუალებებს, რომლებიც არ იძლევა §1 და §2-ით გათვალისწინებული ფორმებით მისთვის ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას, მაშინ §1-ის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს ხელშეკრულების დადების შემდეგ დაუყოვნებლივ. სატელეფონო საუბრებისას არსებითი ნიშან-თვისებების აღწერა წინამდებარე კანონის 246-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის მიხედვით სულ მცირე უნდა შეიცავდეს მე-3 პარაგრაფის 1-ლი ნაწილის მე-3-9-ე ქვეპუნქტებითა და მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მითითებებს.

§6 ხელშეკრულების შინაარსი

(1) სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულება მკაფიოდ და გასაგებად უნდა აწესრიგებდეს შემდეგ საკითხებს:

1. მე-3 პარაგრაფის 1-ლი პუნქტის 1-14 ქვეპუნქტებითა და მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას,
2. მსესხებლის დასახელებას და მის მისამართს,
3. სესხის გამცემ პირზე ზედამხედველი ორგანოს მითითებას,
4. მითითება მსესხებლის უფლებაზე, მოითხოვოს და მიიღოს სესხის დაფარვის გრაფიკი სამოქალაქო კოდექსის §492-ის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად,

5. ხელშეკრულების მოშლისას გასათვალისწინებელი წესები,
6. ყველა სხვა სახელშეკრულებო პირობა.

(2) თუ არსებობს ნების გამოხმობის უფლება სამოქალაქო კოდექსის §495-ის მიხედვით, ხელშეკრულებაში აუცილებელია მითითება აღნიშნული უფლების განხორციელების ვადებსა და სხვა გარემოებებზე, ასევე მსესხებლის ვალდებულებაზე, დააბრუნოს უკვე მიღებული სასესხო თანხა და აანაზღაუროს სარგებელიც. სარგებელი აღნიშნული უნდა იყოს ყოველ დღეზე, რომელზეც გადაიხდებიან იგი. თუ სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულება შეიცავს დათქმას გამოკვეთილი და აშკარად გამოყოფილი ფორმით, რომელიც შეესაბამება მეექვსე დანართში განთავსებულ ნიმუშს, ამით ის აკმაყოფილებს 1-ლი და მე-2 წინადადებების მოთხოვნებს. სესხის გამცემს შეუძლია გამოიყენოს ნიმუშისაგან განსხვავებული ფორმა, თუ იგი დაიცავს მე-3 წინადადების მოთხოვნებს.

(3) საერთო თანხისა და ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთის მითითება სავალდებულოა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მოცემულად მიჩნეულ და ცნობილ გარემოებებზე დაყრდნობით, რომლებიც გათვალისწინებულია ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას.

§7 ხელშეკრულებაში სხვა მონაცემებზე მითითება

სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულება ნათლად და გასაგებად უნდა მიუთითებდეს შემდეგ მონაცემებზე, რამდენადაც ისინი მნიშვნელოვანია იმ ხელშეკრულებისთვის, რომელიც უნდა დაიდოს მხარეებს შორის:

1. მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების დადების შემთხვევაში მსესხებელი იხდის სანოტარო ხარჯებს,
2. ინფორმაცია იმ უზრუნველყოფასთან და დაზღვევებთან დაკავშირებით, რომელსაც ითხოვს სესხის გამცემი პირი, ხოლო ფასიანი ფინანსური დახმარებისას – პირობადებული საკუთრების თაობაზე,
3. ვალდებულების ვადამდე შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა და მისი დაანგარიშების მეთოდი, თუ ასეთი მოთხოვნის განხორციელებას აპირებს სესხის გამცემი მსესხებლის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულების შემთხვევაში,
4. სასამართლოს გარეთ უფლების დაცვის შესაძლებლობა/ხელმისაწვდომობა მსესხებლისთვის და ასეთი დაცვის წინაპირობების შესახებ.

§8 ხელშეკრულებები დამატებითი მომსახურების გათვალისწინებით

(1) იმ შემთხვევაში, თუ სესხის გამცემი პირი სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულების დადებისათვის მსესხებლისგან ითხოვს, რომ ამ უკანასკნელმა გამსესხებლისგან მიიღოს ასევე სხვა მომსახურება ან დადოს მასთან სხვა ხელშეკრულება, განსაკუთრებით კი – სადაზღვევო ხელშეკრულება ან საბანკო ანგარიშის მომსახურების ხელშეკრულება, მაშინ გამსესხებელმა აღნიშნულის თაობაზე მსესხებელს უნდა აცნობოს წინასახელშეკრულებო ეტაპზე. წინასახელშეკრულებო ინფორმაციაშიც და თვითონ ხელშეკრულებაშიც უნდა აღინიშნოს საბანკო მომსახურების ღირებულება და ის პირობები, როდესაც შესაძლებელია ამ ღირებულების მისადაგება/მოდიფიკაცია.

(2) თუ მსესხებლის მიერ გადახდილი თანხები უშუალოდ არ ემსახურება სასესხო თანხის დაფარვას, სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს Sollzinsen-ის გადახდის დროებსა და პირობებზე და მასთანდაკავშირებულ რეგულარულ და არარეგულარულ (ერთჯერად) ხარჯებზე. თუ მსესხებელი სამომხ-

მარებლო-სასესხო ხელშეკრულებით იღებს ასევე ქონების დაფუძნების (შექმნის) ვალდებულებას, მაშინ როგორც წინასახელშეკრულებო ინფორმაციიდან, ისე სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულებიდან მკაფიოდ და ნათლად უნდა იკვეთებოდეს, რომ არც ის ფულადი ვადებულებები და არც ის მოთხოვნები, რომლებიც მსესხებელს წარმოეშება ქონების დაფუძნების შედეგად, არ არის მიმართული სასესხო თანხის დასაფარად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მხარეები ხელშეკრულებით არ შეთანხმდებიან აღნიშნულზე.

§9 შეტყობინების სხვაგვარი ვალდებულებები უძრავი ქონების სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის §503-ის მიხედვით

(1) სამოქალაქო კოდექსის §503-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების სესხის ხელშეკრულებების შემთხვევაში როგორც წინასახელშეკრულებო ინფორმაციის ფარგლებში, ისევე თვითონ ხელშეკრულებაში მე-3-8 და მე-12 და მე-13 პარაგრაფებისაგან განსხვავებით სავალდებულოა §3-ის 1-ლი პუნქტის 1-7-ე, მე-10 და მე-13 ქვეპუნქტების, ასევე §3-ის მე-4 პუნქტის და §8-ის მოთხოვნების გათვალისწინება, ანუ შესაბამისი მონაცემების მითითება. წინასახელშეკრულებო ინფორმაცია სევე უნდა შიცავდეს მკაფიო მითითებას იმაზე, რომ სესხის გამცემს უფლება აქვს, მსესხებლის თანხმობის გარეშე მესამე პირს დაუთმოს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები, თუ უფლების დათმობა არ არის გამორიცხული ხელშეკრულებით ან თუ ამისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მსესხებლის თანხმობა. ხელშეკრულებაში ასევე აუცილებელია ნების გამომხმობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსება მე-6 პარაგრაფის მე-2 პუნქტის მიხედვით.

(2) ნაწილობრივი შენატანების რაოდენობის მითითება არ არის სავალდებულო, თუ სესხის ხელშეკრულების ხანგრძლივობა დამოკიდებულია სამშენებლო ანაბრის¹ დამტკიცებაზე.

§10 შეტყობინების სხვაგვარი ვალდებულებები გადაცილების შესაძლებლობისას სამოქალაქო კოდექსის §504-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით

(1) გადაცილების შესაძლებლობისას სამოქალაქო კოდექსის §504-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით §3, §4-სა და §6-საგან განსხვავებით, სავალდებულოა შემდეგი მითითებები:

1. წინასახელშეკრულებო ინფორმაციაში:
 - a) §3-ის 1-ლი ნაწილის 1-6, მე-10, მე-11, მე-16 ქვეპუნქტებით და მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ასევე §4-ის 1-ლი ნაწილის მე-4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები,
 - b) სასესხო ურთიერთობის დასრულების პირობები და
 - c) მითითება, რომ მსესხებელს ნებისმიერ დროს შეიძლება მოეთხოვოს სესხის სრულად დაბრუნება, თუ ხელშეკრულებით ხდება სესხის გამცემისთვის ხელშეკრულების მოშლის შესაბამისი უფლების გათვალისწინება;
2. ხელშეკრულებაში:
 - a) §6-ის 1-ლი პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტით და §3-ის 1-ლი პუნქტის 1-6-ე და მე-9-10 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები,
 - b) §6-ის 1-ლი პუნქტის მე-2 და მე-5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები,

¹ სამშენებლო ანაბარი ემსახურება თანხის დაგროვებას, როგორც წესი, უძრავი ქონების შექმნის ან აშენების მიზნით. ხელშეკრულება საჭიროებს დამტკიცებას, ვინაიდან მის პარალელურად, საბოლოოდ დასაგროვებელ თანხაზე გაიცემა სესხია, რომლის დაფარვასაც ემსახურება აღნიშნული ხელშეკრულება (ანაბარი).

- c) საერთო ხარჯები და ასევე
- d) მითითება 1-ლი ქვეპუნქტის c-ს მიხედვით.

(2) §5-ს შემთხვევებში არსებითი ნიშან-თვისებების აღწერა 246-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის გაგებით უნდა სულ მცირე §3-ის 1-ლი პუნქტის მე-3-5, მე-10 ქვეპუნქტებითა და მე-3 და მე-4 პუნქტებით, ასევე 1-ლი პუნქტის 1-ლი c ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს.

(3) წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მითითება არ არის სავალდებულო, როდესაც სესხის გამცემი საპროცენტო განაკვეთის გარდა არ ითხოვს სხვა ხარჯის გადახდას და საპროცენტო განაკვეთის გადახდა ვადამოსულია სამი თვის შემდეგ.

§11 შეტყობინების სხვაგვარი ვალდებულებები სესხის დაბრუნების განსაკუთრებული შეთანხმებისას სამოქალაქო კოდექსის §495-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი პუნქტის მიხედვით

(1) სესხის დაბრუნების განსაკუთრებული შეთანხმებისას სამოქალაქო კოდექსის §495-ის მე-3 ნაწილის 1-ლი პუნქტის მიხედვით (§3 და §4-ისაგან განსხვავებით) სავალდებულოა მხოლოდ შემდეგი მონაცემების მითითება:

1. წინასახელშეკრულებო ინფორმაციაში:
 - a) §3-ის 1-ლი ნაწილის 1-7-ე, მე-10, მე-11, მე-14 და მე-16 ქვეპუნქტებით, ასევე მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები,
 - b) §4-ის 1-ლი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები,
 - c) §10-ის 1-ლი პუნქტის 1 b ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები და ასევე
 - d) §4-ის 1-ლი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები;
2. ხელშეკრულებაში:
 - a) §6-ის 1-ლი პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტით და §3-ის 1-ლი პუნქტის 1-9 და მე-11 და მე-14 ქვეპუნქტებით, ასევე მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები, ასევე
 - b) §6-ის 1-ლი პუნქტის მე-2-6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები.

(2) §5-ის შემთხვევებში შემთხვევებში არსებითი ნიშან-თვისებების აღწერა სამოქალაქო კოდექსის §246-ის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის გაგებით უნდა სულ მცირე §3-ის 1-ლი პუნქტის მე-3-5, მე-10 ქვეპუნქტებითა და მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მონაცემებს.

(3) თუ მხარეებს შორის ფორმდება სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის §495-ის მე-3 ნაწილის 1-ლი ქვეპუნქტის მიხედვით, როგორც ზედა ზღვრის გადანევის შესაძლებლობა სამოქალაქო კოდექსის §504-ის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების გაგებით, მაშინ გამოიყენება §10 და არ გამოიყენება 1-ლი და მეორე პუნქტები.

§12 ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები სასყიდლიანი ფინანსური დახმარების შესახებ

(1) 1 – 11 პარაგრაფების დებულებები ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის §506-ის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ სასყიდლიანი ფინანსური დახმარების ხელშეკრულებებზე. აღნიშნული ხელშეკრულებები და ასევე ის სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულებები, რომლებიც დაკავშირებულია სხვა ხელშეკრულებასთან სამოქალაქო კოდექსის §358-ის გაგებით ან რომლებიც მოიცავს მითითებას საქონელზე

ან ვალდებულების შესრულებაზე სამოქალაქო კოდექსის §359a-ს 1-ლი ნაწილის შესაბამისად, უნდა შეიცავდეს:

1. წინასახელშეკრულებო ინფორმაცია, მე-5 პარაგრაფით გათვალისწინებული შემთხვევების ჩათვლით, საგანს და ნაღდი ანგარიშსწორებით გადასახდელ თანხას,
2. ხელშეკრულებას
 - a) საგანს და ნაღდი ანგარიშსწორებით გადასახდელ თანხას და ასევე
 - b) ინფორმაციას სამოქალაქო კოდექსის §358 და §359-იდან გამომდინარე უფლებებისა და მათი განხორციელების პირობების შესახებ.

თუ სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულება შეიცავს მკვეთრი და გასაგები ფორმით ჩამოყალიბებულ ჩანაწერს, რომელიც შეესაბამება მე-6 დანართში წარმოდგენილ ნიმუშს, მაშინ აღნიშნული საკმარისად მიიჩნევა მე-2 წინადადების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისთვის ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებებისა და სამოქალაქო კოდექსის §359a-ს 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გარიგებების მიმართ (...).

(2) სამოქალაქო კოდექსის §506-ის მე-2 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებებისას არ არის სავალდებულო მე-3 პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მე-14 ქვეპუნქტით, ასევე მე-4 პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით და მე-7 პარაგრაფის მე-3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები. ასეთ შემთხვევებში არ გამოიყენება მე-14 პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მე-2 წინადადება. თუ მენარმემ ნივთი (საგანი) შეიძინა მომხმარებლისთვის, ნაღდი ანგარიშსწორებით გადასახდელი თანხის მაგიერ უნდა მიეთითოს მისი შესყიდვის ფასი.

§13 სესხის შუამავალი

(1) იმ შემთხვევაში, თუ სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულების ან სასყიდლიანი ფინანსური დახმარების ხელშეკრულების დადების პროცესში მონაწილეობს ე.წ. სესხის შუამავალი, მაშინ სავალდებულოა მე-3 პარაგრაფის 1-ლი პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტით და მე-6 პარაგრაფის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს დაემატოს სესხის შუამავლის სახელი, გვარი და მისი მისამართი.

(2) იმ შემთხვევაში, თუ სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულება ფორმდება მომხმარებელთან სამოქალაქო კოდექსის §655a-ს მიხედვით, სესხის შუამავალი ვალდებულია მომხმარებელს სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულების დადებაამდე დროულად მიანოდოს ტექსტური ფორმით შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. მომხმარებლის მიერ გადასახდელი ანაზღაურების ოდენობა,
2. იღებს თუ არა იგი ამ სესხის შუამავლობისთვის ანაზღაურებას და თუ იღებს, რა ოდენობით,
3. მისი უფლებამოსილების მოცულობას, განსაკუთრებით კი მითითებას, მუშაობს იგი კონკრეტული დამკვეთისთვის (ანუ სესხის გამცემისთვის) ან დამკვეთებისთვის თუ დამოუკიდებლად, და
4. ასევე მომხმარებლის მიერ გადასახდელი სხვა თანხები, ასეთი არსებობის შემთხვევაში, მათი ოდენობის მითითებით, რამდენადაც ოდენობა უკვე ცნობილია შეთანხმების ამ ეტაპზე; წინააღმდეგ შემთხვევაში – გადასახდელი თანხის (თანხების) მაქსიმალური ოდენობა.

თუ სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულება იდება მხოლოდ მესამე პირთან სამოქალაქო კოდექსის §655a-ის გაგებით, მაშინ სესხის შუამავალი ვალდებულია მომხმარებელს სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულების დადებაამდე 1-ლი აბზაცის მიხედვით ტექსტური ფორმით დროულად მიანოდოს ინფორმაცია 1-ლი წინადადების მე-2 და მე-3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დეტალებზე.

(3) სესხის შუამავალმა უნდა აცნობოს სესხის გამცემს მის მიერ გადასახდელი ანაზღურების (ჰონორარის) შესახებ. სესხის შუამავალმა და სესხის გამცემმა უნდა უზრუნველყონ, რომ მეორე მხარემ მიიღოს ხელშეკრულების ასლი 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

(4) სესხის შუამავლის მიერ სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულების ან სასყიდლიანი ფინანსური დახმარების ხელშეკრულების დადების მიზნით მომხმარებლის მოზიდვისას სავალდებულოა მე-2 პუნქტის 1-ლი ნაწილის მე-3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემების მითითება.

§14 დაფარვის გრაფიკი

(1) იმ შემთხვევაში, თუ სესხის მიმღები სამოქალაქო კოდექსის §492-ის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად ითხოვს დაფარვის გრაფიკის შედგენას, ასეთი გრაფიკი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გადახდის ეტაპებსა და შესაბამის ოდენობებზე; ასევე ამ გადახდების პირობებზე. ამასთან, აუცილებელია მითითება იმაზე, თუ რა ოდენობით აისახება (ჩათვლება) თითოეული შენატანი სესხის ძირითად თანხაზე, საპროცენტო განაკვეთსა და სხვა ხარჯებზე.

(2) თუ საპროცენტო განაკვეთი არ არის ფიქსირებული ან სხვა ხარჯებიც ექვემდებარება მისადაგებასა და რევიდირებას, მაშინ დაფარვის გრაფიკი მკაფიოდ და გასაგებად უნდა მიუთითებდეს, რომ გრაფიკის მონაცემები ძალაშია მხოლოდ აღნიშნული ხარჯებისა თუ საპროცენტო განაკვეთის შემდგომ მისადაგებამდე.

(3) დაფარვის გრაფიკი სესხის მიმღებს უნდა მიეწოდოს ტექსტური ფორმით. მოთხოვნა არ წყდება მანამ, სანამ ძალაშია სახელშეკრულებო ურთიერთობა.

§15 შეტყობინება საპროცენტო განაკვეთის მისადაგებისას

(1) სამომხმარებლო-სასესხო ხელშეკრულებასა ან სასყიდლიანი ფინანსური დახმარების ხელშეკრულებაში საპროცენტო განაკვეთის მისადაგება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც სესხის გამცემი სესხის მიმღებს მიაწვდის ინფორმაციას:

1. მისადაგებული საპროცენტო განაკვეთის შესახებ,
2. მისადაგების შედეგად ნაწილობრივი შენატანების შეცვლილი ოდენობის შესახებ, და
3. ნაწილობრივი შენატანების რაოდენობისა და მათი ვადამოსულობის შესახებ, მათი ცვლილების შემთხვევაში.

(2) თუ საპროცენტო განაკვეთის მისადაგება დამოკიდებულია ბაზისურ საპროცენტო განაკვეთზე, მაშინ საპროცენტო განაკვეთის მისადაგებისათვის შეიძლება მხარეთა შორის განისაზღვროს კონკრეტული დრო (1-ლი პუნქტისაგან განსხვავებით), როდესაც ძალაში შევა მისადაგებული განაკვეთი. ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს სესხის გამცემის ვალდებულებას, სისტემატურად მიაწოდოს სესხის მიმღებს ინფორმაცია 1-ლი პუნქტის შესაბამისად. გარდა ამისა, ბაზისური საპროცენტო განაკვეთის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს (სესხის გამცემის მეშეობით) სესხის მიმღებისათვის.

§16 შეტყობინება ოვერდრაფტის შესაძლებლობისას

სამოქალაქო კოდექსის §504-ის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებული შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. კონკრეტული პერიოდი, რომელსაც ეხება იგი,
2. სესხის მიმღებზე გაცემული თანხების ოდენობა და გაცემის თარიღები,

ამონარიდი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონიდან

3. წინა შეტყობინების სალდო (ოდენობა) და თარიღი,
4. ახალი სალდო (ოდენობა),
5. სესხის მიმღების მიერ განხორციელებული გადახდების თარიღები და ოდენობა,
6. გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი,
7. მოთხოვნილი ხარჯები და
8. გადასახდელი მინიმალური თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

§17 მონაცემები თმენის ფარგლებში შემავალი ოვერდრაფტისთვის

(1) სამოქალაქო კოდექსის §505-ის 1-ლი ნაწილის შესაბამისი შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. საპროცენტო განაკვეთი, მისი გამოყენების წინაპირობები და არსებობის შემთხვევაში – მითითება ბაზისურ საპროცენტო განაკვეთზე, რომელზეც არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთი,
2. მთლიანი ხარჯები, რომლებიც წარმოიშევა გადაცილების მომენტიდან, ასევე პირობები, რომელთა არსებობისას შესაძლებელია ხარჯების მისადაგება.

(2) სამოქალაქო კოდექსის §505-ის მე-2 ნაწილის შესაბამისი შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

1. ოვერდრაფტის არსებობა,
2. ოვერდრაფტის თანხა,
3. საპროცენტო განაკვეთი და
4. შესაძლო პირგასამტეხლო, ხარჯები და ვადაგადაცილების პროცენტი.

მუხლი 248

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გადახდების განხორციელებისას (მომსახურებისას)

თავი პირველი

ზოგადი დებულებები

§1 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებათა კონკურენცია დისტანციური მომსახურებისას

იმ შემთხვევაში, თუ გადახდის განხორციელების ხელშეკრულება იმავდროულად არის დისტანციური ხელშეკრულება, მაშინ ამ კანონის 246-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ (ინფორმაციის მიწოდების) ვალდებულებებს ჩაანაცვლებს მე-2-16-ე პარაგრაფებით გათვალისწინებული ვალდებულებები; აღნიშნული არ ეხება 246-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მე-8 – 12-ე ქვეპუნქტებით და მე-2 ნაწილის მე-2, მე-4 და მე-8 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (ინფორმაციის მიწოდების) ვალდებულებებს.

§2 ზოგადი ფორმა

ინფორმაცია და ხელშეკრულების პირობები ჩამოყალიბებული უნდა იყოს მკაფიოდ და გასაგებად ევრო-კავშირის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს ან ევროპული ეკონომიკური სივრცის შესახებ შეთანხმების იმ ხელშეკრული ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, რომლის ტერიტორიაზეც ხდება გადახდის შეთავაზება, ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ სხვა ენაზე.

თავი მეორე
ანგარიშსწორების ჩარჩო ხელშეკრულებები

§3 განსაკუთრებული ფორმა

ანგარიშსწორების ჩარჩო ხელშეკრულების (სამოქალაქო კოდექსის 675ვ-ს მე-2 ნაწილი) გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია გადახდის მომხმარებელს ტექსტური ფორმით მიაწოდოს §4-§9-ით გათვალისწინებული ინფორმაცია და ასევე ხელშეკრულების პირობები.

§4 წინასახელშეკრულებო ინფორმაცია

(1) გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია გადახდის მომხმარებელს დროულად, მის მიერ ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენამდე მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულების პირობებზე და შემდეგ საკითხებზე:

1. გადახდის განმახორციელებელთან დაკავშირებით:
 - a) სახელწოდება, მისი ძირითადი ადმინისტრაციული ერთეულის, საქიროების შემთხვევაში მისი აგენტის აქტუალური მისამართი, ასევე გადახდის განხორციელების შეთავაზების ადგილას მოქმედი ფილიალის მისამართი და ყველა სხვა მისამართი ელ. ფოსტის ჩათვლით, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას გადახდის განმახორციელებელსა და გადახდის მომხმარებელს შორის კომუნიკაციისას და
 - b) გადახდის განმახორციელებლის საქმიანობის ზედამხედველობაზე უფლებამოსილი ორგანოს დასახელება და ასევე ამონაწერი გადახდის განხორციელებაზე ზედამხედველი ფედერალური უწყების რეესტრიდან და ასევე ყველა სხვა საჯარო რეესტრიდან, სადაც რეგისტრირებულია გადახდის განმახორციელებელი სარეგისტრაციო ნომრის ან შესაბამისი საინდენტიფიკაციო კოდის მითითებით,
2. გადახდის განხორციელებასთან დაკავშირებით:
 - a) განსახორციელებელი გადახდის არსებითი მახასიათებლების აღწერა,
 - b) ინფორმაცია ან მომხმარებელთა კოდები, რომლებიც აუცილებელია გადახდის ჯეროვანი განხორციელებისთვის,
 - c) გადახდის განხორციელების ფორმა და პროცედურა, ასევე გადახდის დავალების უკან გახმობის პირობები სამოქალაქო კოდექსის 675კ და 675ე მუხლების შესაბამისად,
 - d) დრო, როდესაც გადახდის დავალება მირებულიად ითვლება სამოქალაქო კოდექსის §675ნ-ს 1-ლი ნაწილის მიხედვით და ასევე გადახდის განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული დრო სამოქალაქო კოდექსის §675ნ-ს 1-ლი ნაწილის მე-3 პუნქტის მიხედვით,
 - e) გადახდის შესულების მაქსიმალური ვადა და
 - f) მითითება, ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტების გამოყენების შეზღუდვის მიზნით თანხის ზედა ზღვარზე შეთანხმების შესაძლებლობასთან დაკავშირებით (სამოქალაქო კოდექსის §675ლ-ს 1-ლი ნაწილი),
3. მომსახურების საზღაურთან, პროცენტთან და სავალუტო კურსებთან დაკავშირებით:
 - a) ყველანაირი საფასური, რომელიც გადახდის მომხმარებელმა უნდა გადაუხადოს გადახდის განმახორციელებელს და მისი გაშიფვრა,
 - b) დაანგარიშებისას გამოყენებული პროცენტი და სავალუტო კურსები ან განაკვეთების გამოყენების შემთხვევაში, შესაბამისი დღის ან ინდექსის მითითება, რომელიც წარმოადგენს ამ საპროცენტო თუ სავალუტო კურსის კონკრეტული განაკვეთის გამოთვლის საფუძველს, და

- c) საპროცენტო და სავალუტო კურსის განაკვეთის ცვლილების შესახებ შეთანხმების უშუალო ამოქმედება (ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში) სამოქალაქო კოდექსის §675ზ-ს მე-3 ნაწილის შესაბამისად,
4. კომუნიკაციასთან დაკავშირებით:
- a) კომუნიკაციის საშუალებები, თუკი მხარეები ინფორმაციის ურთიერთგაცვლისათვის შეთანხმდებიან ასეთზე, მათთან დაკავშირებული ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვა მსგავსი მოთხოვნების ჩათვლით,
 - b) მონაცემები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა სიხშირით უნდა მოხდეს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდება ან მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა,
 - c) ენა ან ენები, რომელზეც ან რომლებზეც უნდა დაიდოს ხელშეკრულება და რომელზეც ან რომლებზეც განხორციელდება კომუნიკაცია ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, და
 - d) მითითება მე-5 პარაგრაფით გათვალისწინებულ გადახდის მომხმარებლის უფლებაზე ერთ დოკუმენტში მიიღოს ინფორმაცია და ხელშეკრულების პირობებიც,
5. უფლების დაცვის საშუალებებთან დაკავშირებით:
- a) აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა შეინახოს გადახდის მომხმარებელმა უსაფრთხოდ ანგარიშსწორების ავტენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტები და როგორ უნდა შეასრულოს მან სამოქალაქო კოდექსის §675ლ-ს მე-2 წინადადებით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება გადახდის განმასხორციელებლის მიმართ,
 - b) პირობები, რომელთა დადგომისას/არსებობისას გადახდის განმასხორციელებელი იტოვებს უფლებას, დაბლოკოს ანგარიშსწორების ავტენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტი სამოქალაქო კოდექსის §675ლ-ს შესაბამისად (ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში),
 - c) ინფორმაცია გადამხდელის პასუხისმგებლობის შესახებ სამოქალაქო კოდექსის §675ქ-ს შესაბამისად თანხის ზედა ზღვარზე მითითების ჩათვლით,
 - d) მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა ვადაში უნდა შეატყობინოს გადახდის მომხმარებელმა გადახდის განმასხორციელებელს არავტორიზებული ან შეცდომით განხორციელებული გადახდების შესახებ სამოქალაქო კოდექსის §676ბ-ს მიხედვით და ასევე ინფორმაცია არავტორიზებული გადახდების შემთხვევაში გადახდის განმასხორციელებლის პასუხისმგებლობაზე სამოქალაქო კოდექსის §675ფ-ს შესაბამისად,
 - e) ინფორმაცია გადახდის განმასხორციელებლის პასუხისმგებლობაზე სამოქალაქო კოდექსის §675ყ-ს შესაბამისად და
 - f) სამოქალაქო კოდექსის §675ლ-ით გათვალისწინებული ანაზღაურების პირობები,
6. ანგარიშსწორების ჩარჩო ხელშეკრულების პირობების ცვლილებასთან და ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით:
- a) შესაბამისი შეთანხმების შემთხვევაში, მითითება იმაზე, რომ გადახდის მომხმარებლის თანხმობა რომელიმე პირობის შეცვლის თაობაზე მოცემულად მიიჩნევა სამოქალაქო კოდექსის §675ზ-ს შესაბამისად, თუ იგი შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლამდე გადახდის განმასხორციელებლის წინაშე არ უარყოფს ამ პირობის შეცვლას,
 - b) ხელშეკრულების ვადა, და
 - c) მითითება გადახდის მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლებაზე, ასევე მოშლისათვის რელევანტურ სხვა შეთანხმებებზე სამოქალაქო კოდექსის §675ზ-ს მე-2 ნაწილისა და §675თ-ს მიხედვით,

7. ხელშეკრულების ჩანაწერი ანგარიშსწორების ჩარჩო ხელშეკრულების მიმართ მოქმედ სამართალზე ან უფლებამოსილ სასამართლოზე და
8. მითითება გასაჩივრების უფლებასა და პროცედურაზე გადახდის მომსახურებაზე ზედამხედველობის შესახებ კანონის §28-ის შესაბამისად და ასევე ქმედებისაგან თავის შეკავების სარჩელის შესახებ კანონის §14-ის შესაბამისად – მითითება უფლების დაცვის შესაძლებლობაზე სასამართლოს გარეთ.

(2) იმ შემთხვევაში, თუ გადახდის მომხმარებლის მოთხოვნით ანგარიშსწორების ჩარჩო ხელშეკრულება ფორმდება დისტანციური კომუნიკაციის ისეთი საშუალების გამოყენებით, რომელიც შეუძლებელს ხდის გადახდის განმასხვრციელების მხრიდან 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა და ხელშეკრულების პირობების ტექსტური ფორმით მიწოდებას, მაშინ გადახდის განმასხვრციელებული ვალდებულია გადახდის მომხმარებელს ხელშეკრულების დადების შემდეგ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ეს ინფორმაცია §2-სა და §3-ში გათვალისწინებული ფორმით.

(3) 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები შეიძლება ასევე შესრულდეს ხელშეკრულების ასლის გადაგზავნით, რომელიც უნდა შეიცავდეს 1-ლი პუნქტის შესაბამისად აუცილებელ ინფორმაციას და ხელშეკრულების პირობებს.

§5 ხელშეკრულების პირობებისა და წინასახელშეკრულებო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხელშეკრულების მოქმედები პერიოდში

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გადახდის მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების პირობებისა და მე-4 პარაგრაფში მითითებული ინფორმაციის მიწოდება.

§6 ცალკეული გადახდების განხორციელებამდე ინფორმაციის მიწოდება

გადამხდელის მიერ ინიცირებული ცალკეული გადახდის განხორციელებამდე გადახდის განმასხვრციელებელი ვალდებულია გადამხდელის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ინფორმაცია გადახდის ოპერაციის შესრულების მაქსიმალური ხანგრძლივობის და ასევე ასანაზღაურებელი თანხებისა შესახებ ხარჯის დეტალური მითითებით.

§7 გადამხდელისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია ცალკეული გადახდების განხორციელებისას

გადამხდელის საბანკო ანგარიშიდან შესაბამისი თანხის ბლოკირების შემდეგ, ან იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი გადახდებისას არ სარგებლობს საბანკო ანგარიშით – გადახდის დავალების მიღების შემდეგ (გადამხდელის) გადახდის განმასხვრციელებელი ვალდებულია მიაწოდოს გადამხდელს შემდეგი ინფორმაცია:

1. გადახდის ოპერაციისათვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც გადამხდელს შესაძლებლობას მისცემს გაეცნოს ამ კონკრეტულ ოპერაციას და ასევე მიმღების მონაცემებს,
2. თანხა იმ ვალუტაში, რომელშიც ხდება გადამხდელის ანგარიშზე თანხის ბლოკირება ან თანხის მითითება გადახდის დავალებაში,
3. გადახდის განხორციელებისათვის შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობა და მისი დეტალები ან გადამხდელის მიერ გადასახდელი პროცენტი,
4. სავალუტო გაცვლითი კურსი (საჭიროების შემთხვევაში), რომელიც (გადამხდელის) გადახდის განმასხვრციელებელმა საფუძვლად დაუდო გადახდის ოპერაციას და ასევე თანხა, რომელიც აღნიშნული კურსით გაცვლის შემდეგ წარმოადგენს გადახდის საგანს, და
5. ანგარიშზე თანხის დაბლოკვის ან გადახდის დავალების მიღების თარიღი.

§8 გადახდის მიმღებისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია ცალკეული გადახდების განხორციელებისას

ცალკეული გადახდის განხორციელების შემდეგ (გადახდის მიმღების) გადახდის განმახორციელებელი მიმღებს დაუყოვნებლივ აწვდის შემდეგ ინფორმაციას:

1. გადახდის ოპერაციისათვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც გადახდის მიმღებს შესაძლებლობას მისცემს გაცენოს ამ კონკრეტულ ოპერაციას და ასევე გადახდელის მონაცემებს, ასევე გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებულ სხვა მონაცემებს,
2. თანხა იმ ვალუტაში, რომელშიც ხდება გადასახადის მიმღების ანგარიშზე თანხის დარიცხვა,
3. გადახდის განხორციელებისათვის შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობა და მისი დეტალები ან გადასახადის მიმღების მიერ გადასახდელი პროცენტი,
4. სავალუტო გაცვლითი კურსი (საჭიროების შემთხვევაში), რომელიც (გადახდის მიმღების) გადახდის განმახორციელებელმა საფუძვლად დაუდო გადახდის ოპერაციას და ასევე თანხა, რომელიც აღნიშნული კურსით გაცვლის შემდეგ წარმოადგენს გადახდის საგანს, და
5. თანხის დარიცხვის თარიღი.

§9 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სხვა ინფორმაციის მიწოდება

ხელშეკრულების მოქმედებისას გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს გადახდის მომხმარებელს ინფორმაცია, როდესაც:

1. იცვლება პირობები, რომელთა შესახებ მომხმარებელს ეცნობა მე-4 პარაგრაფის 1-ლი პუნქტის 1-ლი 1ვეპუნქტის შესაბამისად, ან
2. ძალაში შევიდა მომატებული საპროცენტო განაკვეთი (-ები).

§10 სხვა შეთანხმებები

მე-7 და მე-8 პარაგრაფებსა და მე-9 პარაგრაფის მე-2 პუნქტში დასახელებულ მონაცემებთან, ინფორმაციასთან დაკავშირებით გადახდის განმახორციელებელი და გადახდის მომხმარებელი შეიძლება შეთანხმდნენ სხვა სიხშირესა და ასევე მე-3 პარაგრაფისაგან განსხვავებულ ფორმაზე ან პროცედურაზე. თუმცა, გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, მე-7 და მე-8 პარაგრაფებით გათვალისწინებული ინფორმაცია სულ მცირე თვეში ერთხელ იმ ფორმით მიაწოდოს გადახდის მომხმარებელს, რომ მას შეეძლოს მისი შეუცვლელად შენახვა და ასევე გადაცემა.

§11 მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტებისა და ელექტრონული ფულის

მიმართ არსებული გამოწვევების

(1) საანგარიშსწორებო ხელშეკრულების შემთხვევაში, რომლის საგანია მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტების გადაცემა (სამოქალაქო კოდექსის §675ი 1-ლი ნაწილი), გადახდის განმახორციელებელი გადახდის მომხმარებელს მე-4 და მე-6 პარაგრაფებისაგან განსხვავებით აწვდის შემდეგის ახის ინფორმაციას:

1. ანგარიშსწორების არსებითი მახასიათებლები/ნიშნები, მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობის ჩათვლით,
2. მითითება პასუხისმგებლობაზე,
3. გადასახდელი საზღაური და
4. გადახდის მომხმარებლისთვის სხვა არსებითი ინფორმაცია.

გარდა ამისა, გადახდის განმახორციელებელი მიუთითებს იმის შესახებ, თუ სად შეიძლება მარტივი ფორმით ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და ხელშეკრულების პირობების მოძიება მე-4 პარაგრაფის შესაბამისად.

(2) 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებებისას ხელშეკრულების მხარეებს მე-7 და მე-8 პარაგრაფებისაგან განსხვავებით შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ გადახდის განმახორციელებელი ანგარიშსწორების (გადახდის) ოპერაციის დასრულების შემდეგ გადახდის მომხმარებლის მიმართ განახორციელებს შემდეგს:

1. მიანვდის მას ინფორმაციას მხოლოდ ანგარიშსწორების ოპერაციისათვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო მონაცემის შესახებ ან უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას, რომელიც იძლევა ამ კონკრეტული ოპერაციის, მისი თანხისა და საზღურების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, და რამოდენიმე მსგავსი ანგარიშსწორების ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში – ინფორმაციას, რომელიც მოიცავს ამ ოპერაციების ერთობლივ თანხასა და მათთვის მოთხოვნილ საზღურს,
2. არ არის ვალდებული, მიანოდის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, თუ მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტის მომხმარებლის შესაძლებლობა ვერ მიენიჭება ვერც ერთ გადახდის მომხმარებელს ან თუ გადახდის განმახორციელებელი ტექნიკურად ვერ ახერხებს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებას; ასეთ შემთხვევებში გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია შესთავაზოს გადახდის მომხმარებელს დამახსოვრებული თანხების გადამონემების შესაძლებლობა.

თავი მესამე

ხელშეკრულებები ცალკეული გადახდების შესახებ

§12 განსაკუთრებული ფორმა

ისეთი ცალკეული გადახდის ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს ანგარიშსწორების ჩარჩო ხელშეკრულების საგანს, გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია გადახდის მომხმარებლისთვის უზრუნველყოს მე-13 პარაგრაფით გათვალისწინებული ინფორმაციისა და ხელშეკრულების პირობების მარტივი ხელმისაწვდომობა. გადახდის მომხმარებლის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში გადახდის განმახორციელებელმა მას აღნიშნული ინფორმაცია და ხელშეკრულების პირობები უნდა მიანოდოს ტექსტური ფორმით.

§13 წინასახელშეკრულებო ინფორმაცია

(1) გადახდის მომხმარებელს დროულად, ხელშეკრულების დადებამდე ნების გამოვლენამდე უნდა მიენოდოს შემდეგი სახის წინასახელშეკრულებო ინფორმაცია და ხელშეკრულების პირობები:

1. გადახდის მომხმარებლის მიერ მისაწოდებელი ინფორმაცია ან მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლებიც აუცილებელია გადახდის დავალების ჯეროვანი შესრულებისთვის,
2. გადახდის განხორციელების (შესრულების) მაქსიმალური ვადა,
3. ყველანაირი საზღაური, რაც გადახდის მომხმარებელმა უნდა გადაუხადოს გადახდის განმახორციელებელს, საჭიროებისას ცალკეული თანხების დეტალური მითითებით,
4. საჭიროებისას – რეალური ან ბაზისური სავალუტო გაცვლითი კურსი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს გადახდის ოპერაციას.

მე-4 პარაგრაფის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ასევე უნდა მიენოდოს გადახდის მომხმარებელს, რამდენადაც ის არსებითია ცალკეული გადახდის ხელშეკრულებისთვის.

(2) იმ შემთხვევაში, თუ გადახდის მომხმარებლის მოთხოვნით ცალკეული გადახდის ხელშეკრულება ფორმდება დისტანციური კომუნიკაციის ისეთი საშუალების გამოყენებით, რომელიც შეუძლებელს ხდის გადახდის განმარტოვების მხრიდან 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა და ხელშეკრულების პირობების ტექსტური ფორმით მიწოდებას, მაშინ გადახდის განმარტოვების ვალდებულება გადახდის მომხმარებელს გადახდის ოპერაციის შესრულების შემდეგ დაუყოვნებლივ მიანოდოს ეს ინფორმაცია §2-§12-მდე გათვალისწინებული ფორმით.

(3) 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები შეიძლება ასევე შესრულდეს ხელშეკრულების ასლის გადაგზავნით, რომელიც უნდა შეიცავდეს 1-ლი პუნქტის შესაბამისად აუცილებელ ინფორმაციას და ხელშეკრულების პირობებს.

§14 ინფორმაცია, რომელიც უნდა მიეწოდოს გადახდის საგადასახადო დავალების მიღების შემდეგ

საგადასახადო დავალების მიღების შემდეგ გადახდის განმარტოვების ვალდებულებები დაუყოვნებლივ აწვდის გადახდის შემდეგი სახის ინფორმაციას:

1. გადახდის ოპერაციისათვის მინიჭებული კოდის ან მახასიათებლის თაობაზე, რომელიც გადახდის აძლევს შესაძლებლობას, მოახდინოს გადახდის ოპერაციისა და მიმღების, ასევე ოპერაციასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების იდენტიფიკაცია,
2. გადახდილი თანხის ოდენობას იმ ვალუტაში, რომელშიც მიიღებს მას მიმღები,
3. გადახდის მიერ გადახდის განხორციელებისათვის გადასახდელი საფასურის ოდენობას და საჭიროების შემთხვევაში, მის დაშლას ცალკეულ თანხებად,
4. გაცვლით სავალუტო კურსს, რომელსაც იყენებს გადახდის განმარტოვების ვალდებულები გადახდის ოპერაციისას, ან შესაბამის მითითებას, თუ აღნიშნული კურსი განსხვავდება მე-13 პარაგრაფის 1-ლი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული კურსისგან და თანხას, რომელიც სავალუტო გაცვლითი ოპერაციის განხორციელებამდე იყო გადახდის საგანი, და
5. საგადასახადო დავალების მიღების თარიღს.

§15 ინფორმაცია, რომელიც უნდა მიეწოდოს გადახდის მიმღებს გადახდის შესრულების შემდეგ

გადახდის შესრულების შემდეგ გადახდის განმარტოვების ვალდებულები დაუყოვნებლივ აწვდის გადახდის მიმღებს შემდეგი სახის ინფორმაციას:

1. გადახდის ოპერაციისათვის მინიჭებული კოდის ან მახასიათებლის თაობაზე, რომელიც გადახდის მიმღებს აძლევს შესაძლებლობას, მოახდინოს გადახდის ოპერაციისა და გადახდის, ასევე ოპერაციასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების იდენტიფიკაცია,
2. გადახდილი თანხის ოდენობას იმ ვალუტაში, რომელშიც მიიღებს მას მიმღები,
3. გადახდის მიმღების მიერ გადახდის განხორციელებისათვის გადასახდელი საფასურის ოდენობას და საჭიროების შემთხვევაში, მის დაშლას ცალკეულ თანხებად,
4. გაცვლით სავალუტო კურსს, რომელიც გადახდის განმარტოვების ვალდებულებმა გამოიყენა გადახდის ოპერაციისას და თანხას, რომელიც სავალუტო გაცვლითი ოპერაციის განხორციელებამდე იყო გადახდის საგანი, და
5. ღირებულების განსაზღვრის თარიღს.

§16 ინფორმაცია ჩარჩო-ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ავტორიზაციის ინსტრუმენტის მეშვეობით ერთჯერადი გადახდის განხორციელებისას

იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო დავალება ერთჯერადი გადახდისათვის გა(და) იცემა ჩარჩო-ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ავტორიზაციის ინსტრუმენტის მეშვეობით, მაშინ მხოლოდ გადახდის (მომსახურების) შემსრულებელია (რომელიც არის ამ ჩარჩო-ხელშეკრულების მხარე) ვალდებული, გადახდის მომსახურებით მოსარგებლეს მიაწოდოს ინფორმაცია მეორე თავის შესაბამისად.

თავი მეოთხე
თანხის მიმღებისა და მესამე პირების ინფორმაციის
მიწოდების ვალდებულებები

§17 თანხის მიმღების მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

(1) იმ შემთხვევაში, თუ თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს გადახდის ავტორიზაციის ინსტრუმენტის მეშვეობით სხვა ვალუტაში (არა ევროში) და გადახდის პროცედურის დაწყებამდე გადახდის მიმღები განახორციელებს გაცვლითი საფულტო ოპერაციის გადაანგარიშების შეთავაზებას, მაშინ გადახდის მიმღები ასევე ვალდებულია გადამხდელს მიუთითოს ამასთან დაკავშირებული საფასური და ის გაცვლითი კურსი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ დაანგარიშებას.

(2) თუ გადახდის მიმღები გადახდის ავტორიზაციის ინსტრუმენტის გამოყენებისათვის ითხოვს საფასურს ან აწესებს შეღავათს, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს გადამხდელს გადახდის პროცედურის დაწყებამდე.

§18 მესამე პირების მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი, რომლის მეშვეობითაც გადახდის მომსახურებით მოსარგებლე პირს შეუძლია განახორციელოს თანხის გადახდა, ითხოვს მისგან საფასურს გადახდის ავტორიზაციის ინსტრუმენტის გამოყენებისათვის, მაშინ იგი ვალდებულია გადახდის მომსახურებით მოსარგებლეს გადახდის შესრულებამდე აცნობოს ამის შესახებ.

§19 სხვაგვარი შეთანხმებები

იმ შემთხვევაში, თუ გადახდის მომსახურებით მოსარგებლე არ არის მომხმარებელი, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმებით გამორიცხოონ მე-17 და მე-18 პარაგრაფების მოქმედება.



ISBN: 978-9941-9348-3-4



9 789941 934834